ვიქტორ ჰიუგო
საბრალონი

ნაწილი პირველი
ფანტინი

წიგნი პირველი
კაცი მართალი

თავი პირველი
ბატონი მირიელი

1815 წელს შარლ-ფრანსუა-ბიენვენიუ მირიელი ქალაქ დინის ეპისკოპოსი იყო. იგი სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი იქნებოდა, დინში საეპისკოპოსო კათედრა 1806 წლიდან ეჭირა.

თუმცა ეს გარემოება არსებითად სულ არ ეხება ჩვენი მოთხრობის შინაარსს; მაინც ზედმეტი არ იქნება, თუნდაც, სრული სიმართლის დასაცავად, აღვნიშნოთ, რომ როდესაც ბატონი მირიელი თავის სამწყსოში გამოცხადდა, მის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი. მართალია თუ ტყუილი, ვინ განსჯის, მაგრამ რაკი ადამიანს ხმა დაუვარდება, ამას ხშირად მის მომავალ ცხოვრებაში ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, რამდენიც მის საქციელს. ბბატონი მირიელი ექსის სასამართლოს პალატის მრჩევლის შვილი იყო და, რაღა თქმა უნდა, მოსამართლე არისტოკრატთა ფენას ეკუთვნოდა. ხმები დადიოდა, მამას უნდოდა თავის მემკვიდრედ დაეტოვებინა და წესისამებრ, რომელიც იმხანად ესოდენ გავრცელებული იყო მოსამართლე მოხელეთა წრეში, ძალიან ადრე შეერთო ცოლი - თვრამეტი, ოცი წლის ასაკში. მაგრამ, მიუხედავად ამ ქორწინებისა, შარლ მირიელი თავისი ქცევებით მაინც კარგა ხანს ალაპარაკებდა საზოგადოებას. იგი ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი კაცი იყო, თუმცა ტანად მორჩილი, მაგრამ სალუქი, კოხტა, მახვილგონიერი. მთელი თავისი სიცოცხლის პირველი ნახევარი დროსტარებასა და ტრფიალებას შეალია.

დაიწყო რევოლუცია. აირია ცხოვრება. პარლამენტის წევრთა დაქსაქსული ოჯახები, რომელთაც სდევნიდნენ და არბევდნენ, სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. ბბატონი შარლ მირიელი რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იტალიაში გადაიხვეწა. აქვე გარდაეცვალა ცოლი გულის ავადმყოფობით, რაც დიდი ხანია აწუხებდა. შვილი არ დარჩენია. როგორ დატრიალდა ამის შემდეგ შარლ მირიელის ბედი? ნუთუ საფრანგეთის ძველი საზოგადოების დაშლამ, საკუთარი ოჯახის დაღუპვამ, ოთხმოცდაცამეტი წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა, რაც შორიდან უფრო გაზვიადებულ საშინელებად ეჩვენებოდათ ემიგრანტებს, გაუღვიძა გულში ცხოვრებისაგან განდგომისა და განდეგილობის სურვილი? ან იქნებ თავისი ჩვეული მხიარულებითა და კეკლუცთა ტრფობით გართულს უცბად დაეცა იდუმალი და საზარელი მეხი, ხანდახან შიგ გულში რომ მოხვდება და ძირს დასცემს კაცს, რომელიც ვერც საზოგადოებრივ კატასტროფას, ვერც ცხოვრებასა და ვერც ბედისწერას ვერ

შეურყევია. ამის პასუხს ვერავინ გეტყოდათ. იცოდნენ მხოლოდ, რომ იტალიიდან დაბრუნებისას იგი უკვე მღვდელი იყო.

1804 წელს შარლ მირიელი მღვდლად იყო ბრინიოლში. უკვე მოხუცებული სრულიად განმარტოებულად ცხოვრობდა.

ნაპოლეონი რომ იმპერატორად აკურთხეს, იმ ხანად ბატონ მირიელს პარიზში მოუხდა ჩასვლა თავისი სამწყსოს საქმეებზე. საქმის მოსაგვარებლად, სხვა გავლენიან პირთა გარდა, კარდინალ ფეშთანაც უნდა მისულიყო. ერთ დღეს იმპერატორი თავისი ბიძის სანახავად მივიდა, ღირსეული მღვდელიც იქ დახვდა, მისაღებ ოთახში, სადაც იმპერატორს უნდა გამოევლო. ნაპოლეონმა შენიშნა, რომ მოხუცი მას რაღაც დიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. უკან მიიხედა და უკმეხად წამოიძახა:

- ვინ არის ეს პატარა კაცი, ასე რომ მიმზერს?

- ხელმწიფეო, თქვენ პატარა კაცს უმზერთ, - მიუგო მირიელმა, - მე კი - დიდს. შეიძლება ამით არც ერთმა არ წააგოს.

იმპერატორმა იმ საღამოსვე ჰკითხა კარდინალს ამ მღვდლის ვინაობა, ცოტა ხნის შემდეგ შარლ მირიელი განცვიფრებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ დინის ეპისკოპოსად იყო დანიშნული.

რამდენად მართალი იყო, რასაც ბატონი მირიელის ცხოვრების პირველ ნახევარზე ლაპარაკობდნენ, ამისი არავინ არაფერი იცოდა; მის ოჯახს რევოლუციამდე თითქმის არავინ იცნობდა.

პატარა ქალაქში ახალმოსულთა ბედი ბატონ მირიელსაც უნდა ხვდომოდა წილად, რადგან იქ მრავლად იყო მოტარტარე ენის პატრონი და ბევრად ნაკლები - მოაზროვნე თავის მქონე. მასაც უნდა ხვდომოდა წილად ეს ბედი, თუმცა ეპისკოპოსი იყო, დიახ, სწორედ იმიტომ, რომ ეპისკოპოსი გახლდათ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მითქმა-მოთქმა იყო, ცარიელი ენის ქავილი, ყაყანი, სიტყვები, ლაპარაკი, ლაყბობა, რაღაცას ამბობდნენ, ლაპარაკობდნენ, სიტყვას ფანტავდნენ, ენას აჭარტალებდნენ უსაქმურები.

ასე იყო თუ ისე, ეპისკოპოსის დინში მოსვლიდან ცხრა წლის შემდეგ დავიწყებას მიეცა ყოველგვარი ჭორი, ყველაფერი, რაც კი პატარა ქალაქის პატარა ადამიანებს ძრახვის საგნად გაეხადათ. ამჟამად ვერავინ გაბედავდა რაიმეს თქმას, ვერავინ გაბედავდა აუგის გახსენებასაც კი.

ბატონი მირიელი დინში ერთი ხანდაზმული გაუთხოვარი ქალის თანხლებით ჩავიდა. ეს გახლდათ ქალბატონი ბატისტინე, ბატონ მირიელის და, ძმაზე ათი წლით უფროსი.

მოსამსახურედ ერთადერთი ბებერი ჰყავდათ, ქალბატონ ბატისტინეს ხნისა, სახელად მაგლუარი. მაგლუარი ჯერ მოძღვრის მოსამსახურის მოვალეობას ასრულებდა, ბოლოს კი ორი წოდებით აღიჭურვა; ბატისტინეს მოახლეც იყო და მისი უსამღვდელოესობის მნეც.

მაღალი, ფერმკრთალი, ტანწვრილი, უწყინარი ქალბატონი ბატისტინე ეგრეთ წოდებული „დარბაისელი ადამიანის“ იდეალის განხორციელება იყო. რამეთუ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მარტოოდენ დედობა აძლევს ქალს უფლებას „პატივცემულად“ იწოდებოდეს. იგი ლამაზი არასოდეს ყოფილა, მთელი სიცოცხლე ქველმოქმედებას შეალია; კაცთმოყვარეობამ და გაჭირვებულთა განკითხვამ წმინდანის შუქი მოჰფინა, მბრწყინავი ელვარებით დაამშვენა და მოხუცობაში შესული

ქალი სიკეთის სინატიფით გააცისკროვნა. სიყმაწვილითვე გამხდარი იყო; რა მოიწიფა, ჰაეროვანი გახდა და ამ ჰაეროვნებაში აშკარად მოჩანდა ანგელოზი. იგი უფრო სული იყო, ვიდრე ქალწული. აჩრდილსა ჰგავდა მისი არსება, ხორცი იმდენი ესხა, რომ ოდნავ შესამჩნევი ყოფილიყო სქესი; სხივით აღვსილი ერთი მუჭა საგნისოდენა ჩანდა. დიდრონი თვალებით მუდამ მიწას ჩასჩერებოდა. თითქოს სული მისი ეძიებდა ამა ქვეყნად მოსვლის საბაბს.

მაგლუარი ერთი პატარა, ჭაღარა, ჩასუქებული დედაბერი იყო, მუდამ საქმეში გართული; სულ ქშინავდა, რადგან ერთთავად მოძრაობდა, გარდა ამისა, ასთმაცა სჭირდა.

ბატონი მირიელი მისთვის მიჩენილ საეპისკოპოსო სასახლეში დააბინავეს დიდი პატივისცემით, თანახმად იმპერატორის დეკრეტისა, რომლის ძალითაც დიდებულთა სიაში მარშლის შემდეგ ეპისკოპოსი არის ხოლმე დასახელებული. ქალაქის მერი და სასამართლოს თავმჯდომარე პირველნი მივიდნენ მის სანახავად, თვითონ კი პირველად მხედართმთავარი და პრეფექტი მოინახულა.

დაბინავების შემდეგ ქალაქი მოლოდინში იყო - როგორი გამოდგებოდა საქმეში მღვდელმთავარი.

## თავი მეორე
## ბატონი მირიელი მონსინიორ ბიენვენიუ ხდება

დინის საეპისკოპოსო სასახლე საავადმყოფოს გვერდით იყო აგებული. ეს მშვენიერი, ქვითკირის ფართო შენობა გასული საუკუნის დასაწყისში მისმა უსამღვდელოესობა ანრი პუჟემ ააგო. ანრი პუჟე პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დოქტორი იყო, სიმორის მღვდელი და 1712 წლიდან - დინის ეპისკოპოსი. ეს სახლი დიდებული მებატონის ნამდვილ სასახლეს წარმოადგენდა. საუცხოოდ ჰქონდა მოწყობილი ყველაფერი: ეპისკოპოსის სადგომი ოთახებიც, სასტუმრო დარბაზებიც, ეზოც, ძველი ფლორენციული ყაიდის დიდი, კამაროვანი ხეივნებიც და საგანგებო ხეებით სავსე ბაღიც. სასადილო დარბაზი, რომელიც პირველ სართულზე იყო, გრძელ, მშვენიერ ტალანს წარმოადგენდა და ფანჯრებით ბაღში გადიოდა. მისი უსამღვდელოესობა ანრი პუჟე 1714 წლის 29 მკათათვეს დიდი ზარ-ზეიმით გამასპინძლებია მის უსამღვდელოესობა შარლ ბრიულარ დე ჟანლის, ანბრუნის მთავარეპისკოპოსს, ანტუან დე მესგრინს, კაპუცინს, გრასის ეპისკოპოსს ფილიპ დე ვანდომს, დიდ წინამძღვარს მონასტრებისას, სენტ ონორე დე ლერენის მოძღვარს, ფრანსუა დე ბერტონ გრიიონს, ეპისკოპოსს, ვანის ბარონს; სეზარ დე საბრან ფორკალკიერს, გლანდევისის მებატონე ეპისკოპოსს და ჟან სოანენს, ორატორიის მღვდელს, მეფის მოქადაგეს, ეპისკოპოსს, სენეს მებატონეს. ამ წმინდა მამათა შვიდი სურათი ამშვენებდა სასადილო დარბაზს და ეს ღირსსახსოვარი დღე, 1714 წლის 29 მკათათვე, ოქროს ასოებით იყო ამოჭრილი თეთრი მარმარილოს ერთ-ერთ მაგიდაზე.

საავადმყოფო ვიწრო, დაბალი, ორსართულიანი შენობა იყო, პატარა ბაღით.

დინში მოსვლის მესამე დღეს ეპისკოპოსმა საავადმყოფო დაათვალიერა. დაიარა, ყოველივე ნახა და მერე ზედამხედველს სთხოვა, პატარა ხანს ჩემთან გადმობრძანდითო.

- რამდენი ავადმყოფია ამჟამად თქვენს საავადმყოფოში, ბატონო ზედამხედველო? - ჰკითხა ეპისკოპოსმა.

- ოცდაექვსი, თქვენო უსამღვდელოესობავ.

- მაშ, კარგად დამითვლია, - ბრძანა ეპისკოპოსმა.

- ძალიან ვიწროდ გახლავართ, - მოახსენა ზედამხედველმა, - ლოგინები ერთმანეთს აკრავს.

- ეგ მეც შევნიშნე.

- ძალიან პატარა ოთახები გვაქვს და ჰაერის გაწმენდა თითქმის შეუძლებელი ხდება.

- მეც აგრე მგონია.

- გარდა ამისა, როცა კარგი დარი გახლავთ, მოკეთებული ავადმყოფები კარში ვერ გამოგვიყვანია, რადგან არც ეზო გვაქვს ფართო, არც ბაღი.

- მეც ასე ვიფიქრე.

- და თუ გაგვიწყრა ღმერთი და ავადმყოფობა გავრცელდა რამე, - წლეულს სახადმა შეგვაწუხა, ამ ორი წლის წინათ კიდევ საოფლე მძვინვარებდა, - ხშირად ასი კაციც კი მოაწყდება ხოლმე საავადმყოფოს და აღარ ვიცით, რა ვქნათ.

- მეც მაგისი მეშინია.

- რას ვიზამთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ბედს უნდა დავმორჩილდეთ, ბედს.

ეპისკოპოსი და ზედამხედველი ქვემო სართულის სასადილო დარბაზში ბაასობდნენ. ეპისკოპოსი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, მერე უცბად მიუბრუნდა საავადმყოფოს ზედამხედველს:

- როგორ გგონიათ, ბატონო, რამდენი ავადმყოფი დაეტევა, სხვა რომ არა ვთქვათ, მარტო ამ ოთახში?

- თქვენი უსამღვდელოესობის სასადილო დარბაზში? - შეჰყვირა განცვიფრებულმა ზედამხედველმა.

ეპისკოპოსი თვალით ზომავდა დარბაზს, თითქოს უკვე ალაგებს ავადმყოფების საწოლებს და რაღაცას ანგარიშობსო.

- ოცი კაცი სულ თავისუფლად დაეტევა, - ბრძანა ეპისკოპოსმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. მერე ხმა აამაღლა: - მომისმინეთ, ბატონო, რას მოგახსენებთ. ცხადია, აქ შეცდომაა; თქვენ, ოცდაექვსი კაცი, ხუთ თუ ექვს პატარა ოთახში ხართ, ჩვენ კი სულ სამნი გახლავართ და ალაგი სამოცი კაცისა გვიჭირავს. შეცდომაა-მეთქი, მოგახსენებთ. თქვენ აქ გადმობრძანდით, მე თქვენსა გადმოვალ. დამიცალეთ, ბატონო, ჩემი სახლი. აქაურობა თქვენი გახლავთ.

მეორე დღეს ოცდაექვსი საცოდავი ავადმყოფი ეპისკოპოსის სასახლეში გადაიყვანეს, ეპისკოპოსი კი საავადმყოფოში გადასახლდა.

ბატონ მირიელს არავითარი ქონება არ გააჩნდა, ვინაიდან ოჯახი რევოლუციამ გაუნადგურა. ბატისტინეს რენტა ჰქონდა ხუთასი ფრანკი წელიწადში, რაც მის პირად ხარჯს სავსებით ჰყოფნიდა.

ეპისკოპოსს წელიწადში თხუთმეტი ათასი ფრანკი ეძლეოდა მთავრობისგან. გადასახლდა თუ არა საავადმყოფოს შენობაში, ბატონმა მირიელმა იმავ დღეს განაწესა „თავისი სახლის ხარჯთაღრიცხვა“. საკუთარი ხელით აღნუსხა ხარჯი და დაადგინა შემდეგი განაწესი:

ცნობა სახლის ხარჯის განწესებისა:

პატარა სემინარიას- ათას ხუთასი ლივრი
მისიონერების დასახმარებლად- ასი ლივრი
მონდიდიელ ლაზარისტებს- ასი ლივრი
უცხოელთა მისიების სემინარიას პარიზში - ორასი ლივრი
სულიწმინდის მონასტერს- ას ორმოცდაათი ლივრი
სარწმუნოებრივ დაწესებულებებს პალესტინაში- ასი ლივრი
დედათა საქველმოქმედო საზოგადოებას- სამასი ლივრი
იმავე საზოგადოებას არლში- ორმოცდაათი ლივრი
საპატიმროთა გასაუმჯობესებლად- ოთხასი ლივრი
პატიმართა დასახმარებლად და
გასათავისუფლებლად- ხუთასი ლივრი
ვალების გამო დაპატიმრებულ ცოლ-შვილის
პატრონთა გასათავისუფლებლად- ათასი ლივრი
დამატებითი სასყიდელი სამწყსოს სკოლების ღარიბ
მასწავლებელთათვის- ორი ათასი ლივრი
ზემო ალპებში მგზავრთა თავშესაფარს- ასი ლივრი
დინის, მანოკის და სისტერონის „დედათა საზოგადოებას“
ქალების უფასო სწავლისათვის- ათას ხუთასი ლივრი
ღარიბთა დასახმარებლად- ექვსი ათასი ლივრი
ჩემი პირადი ხარჯი- ათასი ლივრი
სულ თხუთმეტი ათასი ლივრი.

ეპისკოპოს მირიელს მრავალი წლის მანძილზე, რაც დინში იყო და თავისი სამწყსოს საქმეებს განაგებდა, არაფერი შეუცვლია ამ ხარჯთაღრიცხვაში. ამას იგი, როგორც ხედავთ, თავისი სახლის „ხარჯის განწესებას“ უწოდებდა.

ქალბატონმა ბატისტინემ სრული მორჩილებით მიიღო ეს განწესება. ამ ღვთისნიერი ქალისათვის დინის ეპისკოპოსი ძმაც იყო და მღვდელმთავარიც, მეგობარი ბუნების კანონით და მოძღვარი ეკლესიის ძალით. უყვარდა თავისი ძმა და თაყვანს სცემდა მოძღვარს. ძმა რომ ლაპარაკობდა, ის თავდახრილი ისმენდა, ძმა რომ განაგებდა რამეს, ისიც ეთანხმებოდა, მარტო მოსამსახურე მაგლუარი ბუზღუნებდა ხანდახან. ეპისკოპოსმა პირადი ხარჯისათვის, როგორც მკითხველი დაინახავდა, სულ ათასი ფრანკი გადადო; ამას ქალბატონ ბატისტინეს პენსიაც რომ დავუმატოთ, გამოვა ათას ხუთასი ლივრი წელიწადში. ამ ფულით უნდა ეცხოვრათ ორ ხანშიშესულ ქალსა და მოხუც ეპისკოპოსს.

როდესაც დინში ვინმე სოფლელი მღვდელი ჩავიდოდა, მისი უსამღვდელოესობა საშუალებას პოულობდა სუფრაზე მიეწვია და კარგი პატივი ეცა მისთვის - მაგლუარის სასტიკი ყაირათისა და ბატისტინეს საგანგებო დიასახლისობის წყალობით.ყ

ერთხელ - სამი თვე თუ იქნებოდა, რაც დინში ჩამოსულიყვნენ - ეპისკოპოსმა თქვა:

- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საკმაოდ ხელვიწროდ კი ვარ, ღვთის წინაშე!

- მე კი არ ვიცი?! - შეჰყვირა მაგლუარმა, - ისიც არ ინებეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ ეტლის ხარჯი მოგეთხოვათ, რომელიც დეპარტამენტმა უნდა გაძლიოთ ქალაქში წასასვლელად და სამწყსოში დასაბრუნებლად.

უწინდელი ეპისკოპოსები სარგებლობდნენ ამ უფლებით.

- ოჰო! - წამოიძახა ეპისკოპოსმა, - ეს კარგი მომაგონეთ, მაგლუარ-ქალო!

და ეპისკოპოსმა მართლაც მიმართა დეპარტამენტს თხოვნით.

რამდენიმე ხნის შემდეგ დეპარტამენტის საბჭომ შეიწყნარა ეს მიმართვა. წელიწადში სამი ათასი ფრანკი დაუნიშნა და გასავალში ასეთი მუხლიც შეიტანა: „დინის ეპისკოპოსს ეტლის, ფოსტის და სამწყსოში მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად“.

ამ ამბავმა ერთობ ააყაყანა ადგილობრივი ბურჟუაზია და იმპერიის ერთმა სენატორმა, ხუთასთა საბჭოს ყოფილმა წევრმა, რომელიც თვრამეტი ბრიუმერისა და ნაპოლეონის ყურმოჭრილი ყმა იყო, დიახ, ამ საბჭოს წევრმა, რომელმაც იქვე, ქალაქ დინის მიდამოებში ძვირფასი სასენატორო მამული მიიღო ჯილდოდ ერთგული სამსახურისთვის, სარწმუნოების მინისტრს, ბატონ ბიგო დე პრეამნოს მრისხანებით აღსავსე პატარა საიდუმლო წერილი მისწერა, რომლის რამდენიმე სტრიქონი უცვლელად ამოვიწერეთ: „ეტლის ხარჯი? ნეტავ რა ეტლები ნებავს ამ პატარა ქალაქში, სადაც ოთხი ათასი სულიც არ ცხოვრობს? ფოსტის ხარჯი? რა საჭიროა ფოსტით სიარული? თანაც სად უნდა იაროს ფოსტით ამ მთიან ქვეყანაში, გზები რომ არსად არის? თუ სადმე წავა ვინმე, ისევ ცხენით. სულ ასეთები არიან ეს მღვდლები, გაუმაძღრები და ხელმოჭერილები. ძალიან წმინდა მოციქულად გვეჩვენა, ახალი მოსული რომ იყო, ახლა კი ესეც სხვებივით სწირავს, ეტლი ნებავს და ფოსტის ცხენები! უწინდელ ეპისკოპოსებსავით დიდება და ფუფუნება! ოჰ, ეს ამოსავარდნელი ბერ-მონოზნები, ბატონო მინისტრო! ქვეყანა მაშინ დამშვიდდება, როდესაც იმპერატორი კეთილ ინებებს და დაგვიხსნის ამ უგუნურთაგან. ძირს პაპი! (იმუამად ცუდად იყო საქმე საფრანგეთისა და რომის ურთიერთობაში). რაც შეეხება პირად ჩემს რწმენას, მე კეისრის მეტი არავინა მწამს. მარტოდმარტო კეისარი! არც ბერი და არც მღვდელი!“ და სხვ. და სხვ.

სამაგიეროდ, მაგლუარი ძალიან გაახარა ამ ფულმა:

- ძალიან კარგი, - უთხრა ბატისტინეს, - ჯერ სხვებზე ზრუნვას მოუნდა მისი უსამღვდელოესობა. ქველმოქმედებას შეალია თავისი ჯამაგირი. ეს სამი ათასი ფრანკი ჩვენ დაგვრჩება სახარჯოდ. ძლივს! ეპისკოპოსმა იმ საღამოსვე შეადგინა და თავის დას გადასცა შემდეგი ცნობა:

ეტლისა და მგზავრობის ხარჯი:

საავადმყოფოს ავადმყოფთათვის ხორცის წვნიანის

გასაკეთებლად- ათას ხუთასი ლივრი

ექსის დედათა საქველმოქმედო [1] [SEP]საზოგადოებას- ორას ორმოცდაათი ლივრი

დრაგინიანის დედათა საქველმოქმედო

საზოგადოებას- ორას ორმოცდაათი ლივრი

უპატრონო ბავშვთათვის- ხუთასი ლივრი

ობოლთათვის- ხუთასი ლივრი

სულ სამი ათასი ლივრი.

ასე იყო განაწილებული ეპისკოპოსის შემოსავალი.

რაც შეეხება ეპისკოპოსის შემთხვევით შემოსავალს, როგორიცაა აღსარება, მიტევება, ნათლობა, ეკლესიის კურთხევა, ქორწინება, ცხედართან წინ წაძღოლა და სხვა, იგი შეძლებულთაგან მით უფრო მეტს იღებდა, რამდენიც გაჭირვებულთა დასახმარებლად თავისი არ ჰყოფნიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფულმაც დაიწყო დენა. შეძლებულიც და გაჭირვებულიც, ორივე მისი უსამღვდელოესობის, მირიელის კარს აკაკუნებდა: ერთი სტოვებდა და მეორეს მიჰქონდა. არ გასულა ერთი წელიწადი, ეპისკოპოსი შეიქნა ყველა ქველმოქმედის ხაზინადარი. დიდძალი ფული ტრიალებდა მის ხელში, მაგრამ ერთხელვე განწესებული მისი ცხოვრება აღარაფრით შეცვლილა.

პირიქით, თვითონ იკლებდა, რადგან ქვემოთ გაჭირვება უფრო მეტია, ვიდრე ზემოთ ძმობის შეგნება. ეპისკოპოსს თითქმის ყოველთვის წინდაწინ დარიგებული ჰქონდა, რაც ვარაუდით ქველმოქმედთაგან უნდა მიეღო. მმოწყალება ნამივით ხვდებოდა გვალვისაგან გახურებულ მიწას და ვერ ასველებდა. დიდი ფული მოსდიოდა, მაგრამ ყოველთვის უფულოდ იყო და თავის თავს აკლებდა.

ჩვეულებად არის დადებული, ეპისკოპოსი თავის ქადაგებაში ან სამღვდელოებისადმი მიწერილ ეპისტოლეში ნათლობის სახელით მოიხსენიებს თავს და საწყალმა ხალხმაც, თითქოს გულით იცნო მისთვის თავდადებული მოძღვარი, არც შარლი ინდომა მის სახელად, არც ბენუა და „ მონსინიორ ბიენვენიუ

“ უწოდა. ჩვენც ხალხს მივბაძავთ და ამ სახელს ვუწოდებთ ხოლმე, მით უფრო, რომ მის უსამღვდელოესობასაც ძალიან ესიამოვნა ეს სახელი.

- ძალიან მომწონს ეს სახელი, - იტყოდა ხოლმე ხშირად, - „კეთილმოვლენილი“ ამადლიანებს მის უსამღვდელოესობას.

ვერ გავბედავთ და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენგან დახატული სურათი საკმაოდ ნამდვილად ეგულებოდა მის უსამღვდელოესობას. იმის თქმას დავჯერდებით, რომ სურათი საკმარისად ემსგავსება მას.

## თავი მესამე
## კეთილ მოძღვარს - მძიმე სამწყსო

ეპისკოპოსმა თავისი ეტლი საქველმოქმედო დაწესებულებებს შესწირა, მაგრამ სამწყსოში სიარულს მაინც არ უკლია. საშინელი ძნელი სამგზავროა დინის ეპარქია, ძალიან ცოტა აქვს ბარი და ძალიან ბევრი - მთა, შარაგზები ხომ, როგორც ზევით უკვე აღვწერეთ, თითქმის არ მოიპოვება.

ოცდათორმეტი სადეკანოზო ჰქონდა ბატონ მირიელს და სამას ოცდაექვსი ეკლესია. ძნელ საქმეს წარმოადგენდა ყველა ეკლესიის დავლა, მაგრამ ბატონი მირიელი ერთიანად მოივლიდა ხოლმე თავის სამწყსოს. ფეხით გაისეირნებდა, თუ ახლო მიდიოდა სადმე; ეტლით, თუ ბარში ჰქონდა სამგზავრო, ცხენით კი - მთაში. ორი მოხუცებული ქალიც თან ახლდა. თუ ცუდი გზა ჰქონდა გასავლელი და ქალებს გაუჭირდებოდათ იქ მგზავრობა, მარტო მიდიოდა.

ერთხელ სახედრით მივიდა სენეზში, უწინდელ საეპისკოპოსო ქალაქში. ქისა ცარიელი ჰქონდა. იმუამად ეტლის დაქირავება ვერ შესძლო. ქალაქის მერი მიეგება ეპისკოპოსს სახლის კარებში და განცვიფრებული შესცქეროდა სახედრიდან ჩამომხტარ სულიერ მამას. ითაკილა და ირცხვინა მერმა. რამდენიმე ბურჟუამ სიცილიც კი დააყარა:

- ვიცი, ბატონო მერო და ბატონო ბურჟუებო, რამ აგაშფოთათ აგრე, სახედარზე მჯდომარე დამინახეთ. ძალიან ამაყი უნდა იყოს ვიღაც უბრალო ბერი, რომ იესო

ქრისტესავით ვირით დადიოდესო, განა? საჭიროებამ მაიძულა და არა ამპარტავნობამ.

ყველგან გულკეთილი და ლმობიერი იყო, სადაც კი მივიდოდა, უფრო ებაასებოდა ხალხს, ვიდრე ქადაგებდა. შორს კი არ წავიდოდა საჭირო მოსაზრებისა თუ მაგალითების საძებნელად, ერთი მხრის მცხოვრებთ მეორე, მეზობელი სოფლების მაგალითზე მიუთითებდა.

იმ სოფლებში, სადაც გაჭირვებულთა შებრალებისა და დახმარების არა სწამდათ რა, ცდილობდა ტკბილად შეეგონებინა მოყვასის სიყვარული.

- აბა, შეხედეთ, ბრიანსონელებს. ღარიბ-ღატაკს, ქვრივსა და ობოლს ნებას აძლევენ - სამი დღით ადრე, ვიდრე სოფელი გავა სამუშაოდ, თავის საჭიროებისათვის მოთიბონ ბალახი სასოფლო სათიბში. - სახლი დაენგრევა ვინმე გაჭირვებულს და, სოფელი უშენებს მუქთად. ამიტომ არის ის მხარე უფლისაგან დალოცვილი. ააგერ, საუკუნეზე მეტია, კაცის კვლა არ მომხდარა ბრიანსონში.

იმ სოფელში, სადაც ფულის შოვნისა და კარგი მოსავლის გარდა აღარა ახსოვდა რა ხალხს, სხვა მაგალითს მოიშველიებდა:

- უყურეთ ამბრონელებს, - ბრძანებდა ეპისკოპოსი. - მკის დროს რომ ავად გახდეს კაცი, შვილები ჯარში ჰყავდეს წასული და ქალები -ქალაქში მოსამსახურედ, მოძღვარი აუწყებს ხალხს მის გაჭირვებას და კვირას, წირვის შემდეგ, მთელი სოფელი - კაცი, ქალი და ბავშვი - მიეშურება ავადმყოფის ყანისაკენ; მომკიან, მოზიდავენ, გალეწავენ და დაუბინავებენ წლის სარჩოს.

ოჯახში რომ განხეთქილებას ნახავდა, ფულის ან მემკვიდრეობის, მამულის გაყოფით გამოწვეულს, ეტყოდა:

- დეევოლნის მთაში არ ყოფილხართ? იქ ისეთი ციცაბო კლდეებია, რომ ნახევარი საუკუნე გავა, ბულბულის გალობას ერთხელაც ვერ გაიგონებენ; ჰოდა, იმ მთიულებმა იციან, მამა რომ მოკვდება, ვაჟიშვილები სახლიდან გარეთ მიდიან სამუშაოდ და ქონებას ქალებს უტოვებენ, რათა გათხოვება გაუადვილონ.

იმ სოფლებში, სადაც ხალხი დავისა და სარჩელის სიყვარულით იყო განთქმული, თან არზების წერით და მარკებით გაღატაკებული, ეტყოდა:

- რა გრჯით, ხალხო, რა გაჩხუბებთ? თქვენზე რამდენად დიდია კეირა, - სამი ათასი სული იქნება, - და, ღმერთო ჩემო, ისე არიან, თითქოს პატარა რესპუბლიკა იყოს. არც მსაჯულს იცნობენ და არც ბოქაულს. სუყველაფერს მერი განაგებს. ის ანაწილებს გადასახად ხარჯს, სინდისიერად ბეგრავს ყველას. უსასყიდლოდ არჩევს ყოველგვარ ჩხუბსა და უთანხმოებას, უსასყიდლოდვე ჰყოფს ძმების მამულს. მას ყველა ემორჩილება, რადგან მართალი და პატიოსანი კაცია, თავისივე ხალხის შვილი.

იმ სოფლებს, სადაც მასწავლებელი არ ჰყავდათ, ისევ კეირელების მაგალითზე მიუთითებდა.

- იცით, რა კარგად მოუგვარებიათ საქმე? იციან, რომ ათი-თორმეტი კომლი ვერ აცხოვრებს მასწავლებელს, მასწავლებელი კი სჭირდებათ. ჰოდა, მთელი ხეობა აძლევს ჯამაგირს. ისიც დადის და რვა დღე ერთ სოფელშია, ათი დღე - მეორეში; დღეს აქ ასწავლის, ხვალ იქ და უსწავლელი არავინ რჩება. ბაზრობაზე ვნახე იმათი მასწავლებლები, ქუდზე ფრთა აქვთ გაკეთებული და იმით ვიცანი. ვინც მხოლოდ კითხვას ასწავლის, ერთ ფრთას ატარებს, ვინც წერა-კითხვას, ანგარიშს და ლათინურს - იმას სამი ფრთა აქვს, თან ფრიად განსწავლულ ადამიანად ითვლება.

სირცხვილი არ არის, დღევანდელ დღეს უვიცი იყოს კაცი? განა თქვენ კი ვერ შეძლებთ და კეირელებივით მასწავლებელს ვერ იყოლიებთ?

ასე დარიგებით, მამაშვილურად ელაპარაკებოდა და ასწავლიდა; მაგალითი რომ შემოაკლდებოდა, იგავს ეტყოდა რასმე და კიდევაც აღწევდა მიზანს, რადგან იესო ქრისტესავით მოკლედა სჭრიდა, ბევრს არწმუნებდა მისებრ იგავით და მჭევრმეტყველებით.

## თავი მეოთხე
## სიტყვის მსგავსნი საქმენი

ალერსიანი და მხიარული ლაპარაკი იცოდა ეპისკოპოსმა. ისეთს არაფერს იტყოდა, რომ მის მოხუცებულ ქალებს ვერ გაეგოთ. რომ გაიცინებდა, შეგირდი ბავშვის სიცილი იყო მისი სიცილი.

მაგლუარი ხალისით უწოდებდა „თქვენო უმაღლესობა“-ს.

ერთხელ წიგნის ჩამოსაღებად მივიდა კარადასთან. წიგნი ზევითა თაროზე იყო და ვერ შესწვდა, რადგან ტანდაბალი იყო.

- მაგლუარ-ქალო, - დაუძახა მოსამსახურეს, - ერთი, სკამი მომიტანეთ, თორემ აი, იმ წიგნს ვერ შესწვდა ჩემი უმაღლესობა.

შორეული ნნათესავი ჰყავდა, გრაფ ლოს ქვრივი. როდესაც კი ეპისკოპოსს ნახავდა, მაშინვე თავისი სამი შვილის „იმედებს“ გაუშლიდა წინ. ამ ქალს რამდენიმე ფრიად მოხუცებული ახლო ნათესავი ჰყავდა და მათ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მისი შვილები. სულ უმცროსს, მამიდა რომ მოუკვდებოდა, ასი ათასი ლივრი ნაღდი შემოსავალი დარჩებოდა წელიწადში; შუათანას - ბიძის, ჰერცოგის ხარისხი ერგებოდა წილად თავის სამფლობელოთი, უფროსი თავისი პაპის მამულს და პერობას მიიღებსო. ეპისკოპოსი ჩვეულებრივ გაჩუმებული ისმენდა შვილების სიყვარულით გატაცებული დედის „ოცნებას“. მაგრამ ერთხელ ჩვეულებრივზე უფრო ჩაფიქრებულსა ჰგავდა, თუმცა მისი მოსაუბრე აღტაცებით უხატავდა სხვის სიკვდილზე დამყარებულ ბედნიერებას. ეპისკოპოსს რომ შეხედა ქალმა, სიტყვა შეწყვიტა და, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად ჰკითხა:

- ღმერთო ჩემო! ნეტავ რას ფიქრობთ, ასე განცვიფრებული რომ მიყურებთ?

- უცნაურ რასმე, რომელიც, მგონი, ნეტარმა ავგუსტინემ ბრძანა: იმ კაცის იმედი გქონდეთ, რომელსაც თქვენი მემკვიდრეობიდან არა ერგება რაო.

ერთხელ კიდევ წერილი მოუვიდა, რომლითაც ერთი აზნაურის სიკვდილს ატყობინებდნენ; წერილში დაწვრილებით იყო მოხსენიებული ყოველგვარი ღირსება, რომელიც ვითომ ამკობდა მიცვალებულს და, გარდა ამისა, აღნუსხული იყო აგრეთვე მრავალი ფეოდალური და კეთილშობილური საპატიო სახელწოდება, რომელნიც თურმე ამშვენებდნენ მის წინაპართ.

- რა კარგი ზურგი ჰქონია სიკვდილს, - შეჰყვირა ეპისკოპოსმა, - როგორ დაუტვირთავთ საბრალო ტიტულების სიით! ნეტავ რას ფიქრობს ადამიანი, რომ სამარესაც კი თავის ამაოებით ამოავსებს?

თავის დროზე მშვენიერი, ტკბილი ხუმრობაც კი იცოდა, თითქმის ყოველთვის ღრმა აზრის გამომხატველი. მარხვის განმავლობაში დინში ერთი ყმაწვილი მღვდელი ჩამოვიდა და საეპისკოპოსო ტაძარში იქადაგა. ქადაგების საგნად მოწყალება დაისახა

და საკმაო მჭევრმეტყველებაც გამოიჩინა. მდიდართ მოუწოდებდა, განიკითხეთ ღარიბ-ღატაკნი, რათა აიცდინოთ ჯოჯოხეთის ტანჯვაო და შემაძრწუნებლად დახატა გეენა ცეცხლისა. მერე ღარიბთა და ქვრივთა შეწყალების ჯილდოდ სასურველ და სანატრელ ციურ წალკოტად წარმოადგინა სამოთხე. ეკლესიაში, სხვათა შორის, ერთი მდიდარი ვაჭარი იმყოფებოდა, ბატონი ჟებორანი, რომელსაც ორი მილიონის ქონება ჰქონდა შეძენილი ტილოების ქსოვით და ვაჭრობით; ბოლო დროს ვაჭრობისათვის თავი დაენებებინა და ფულს ასარგებლებდა. ბატონ ჟებორანს თავის დღეში არავისთვის მიეცა მოწყალება; ამ ქადაგების შემდეგ კი შენიშნეს, რომ ყოველ კვირა დღეს, წირვა რომ დამთავრდებოდა, ერთ სუს აძლევდა ეკლესიის კართან მოგროვილ მათხოვარ დედაკაცებს. ექვსნი იყვნენ და უნდა გაეყოთ ეს ერთი სუ. ერთხელ ეპისკოპოსმა თვალი მოჰკრა ბატონ ჟებორანს, მოწყალებას რომ აძლევდა დდა თავის დას უთხრა ღიმილით:

- შეხე, ბატონი ჟებორანი სამოთხეს ერთ სუდ ყიდულობს.

როცა გაჭირვებულთა დასახმარებლად საშუალება გამოელეოდა, ისევ შეძლებულთ მიმართავდა. თავის თავს არ დაზოგავდა, არც უარს შეუშინდებოდა და ისეთი სიტყვით მიმართავდა უარის მთქმელს, რომ გულქვასაც კი ჩააფიქრებდა. ერთ სახლში, დიდ საზოგადოებაში, ფულს აგროვებდა ღარიბთათვის. იქვე იყო მარკიზი დე შანტერსიე, ერთი მოხუცებული, მდიდარი ძუნწი კაცი, რომელიც როგორღაც ახერხებდა და ერთდროულად მეფის მომხრეც იყო და ვოლტერისაც; ამ ჯიშის კაციც არსებობდა ოდესღაც.

- ბატონო მარკიზო, - სთხოვა ეპისკოპოსმა და მკლავზე ხელი დაადო, - თქვენც უნდა მიბოძოთ რამე.

მარკიზი მობრუნდა და ცივად მიუგო:

- მე ჩემი ღარიბები მყავს, თქვენო უსამღვდელოესობავ.

- ისინი მაინც დამითმეთ, - უთხრა ბატონმა მირიელმა.

ერთხელ წირვის შემდეგ ტაძარში ასეთი ქადაგება ბრძანა:

- საყვარელნო ძმანო ჩემნო, ჩემო კეთილო მეგობარნო! ჩვენს ქვეყანაში დღეს ათას სამას ოცი სახლია გლეხი კაცისა, სამი სარკმელი რომ აქვს; მილიონ რვაას ჩვიდმეტი ათასი სახლი - ორსარკმლიანი, ერთკარიანი და ერთფანჯრიანი და სამას ორმოცდაექვსი ათასი ისეთი სახლია, რომ ერთი კარის მეტი სანათურად არა აქვს რა, იმ მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ხარჯს ადებს ყოველ კარს და ფანჯარას. შერეკეს ღარიბი ხალხი - მოხუცებული დედაკაცები და უსუსური ბავშვები - ჰაერდახშულ სახლში და გაამძვინვარეს ყოველგვარი სნეულება. უბედურება არ არის? ღმერთმა ჰაერი მიანიჭა ადამიანს, კანონი კი მას ეუბნება, თუ გინდა, იყიდეო. მე კანონს არ ვგმობ, მაგრამ ღმერთს ვადიდებ იზერაში, ვარში, ზემო და ქვემო ალპებში, გლეხი კაცი, საქონელი რომ არა ჰყავს, ზურგით ზიდავს პატივს და ყოველგვარ ტვირთს. სანთელი არა აქვს და კვარი უნთია, ან ფისში ამოვლებული ბაწარი. მთელი დოფინე რომ მოიაროთ, სანთელს ვერსადა ნახავთ. შეშის მაგივრად წივს ხმარობენ. პურს იმავე წივით ექვსი თვისას აცხობენ, ზამთარში ცულით ამტვრევენ, დღე და ღამე წყალში უყრიათ, რომ დალბეს და კბილი მოეკიდოს. შეიბრალეთ თქვენი მოყვასნი, ძმანო, ხომ ხედავთ, რა გაჭირვება სუფევს თქვენ ირგვლივ.

ეპისკოპოსი პროვანსში იყო დაბადებული და ადვილად შეესწავლა სამხრეთის დიალექტები. ლანგდოკელს ლანგდოკურად გამოელაპარაკებოდა, დოფინელს –

დოფინურად. ეს ძალიან მოსწონდა ხალხს, ძალიან უადვილებდა მასთან დაახლოებას და მისი გულის მოგებას. სადმე მთაში ან ქოხში ისე იყო, როგორც საკუთარ სახლში, რაც უნდა დიად საგანს შეხებოდა, ისე მდაბიურად იტყოდა, რომ ყველას შეეგნო. ყველა ენას ლაპარაკობდა და ყველას სულში სწვდებოდა.

საზოგადოების წარჩინებულ პირებსა და უბრალო გლეხკაცს არ ასხვავებდა, ყველას ერთნაირად ექცეოდა.

აჩქარებით, გარემოებათა განუსჯელად არავის გაამტყუნებდა. - ვნახოთ გზა, რომლითაც შეცდომა შემოგვეპარაო, - ბრძანებდა ხოლმე ყოველთვის, როცა ვინმეს დაადანაშაულებდნენ.

თვითონაც ეცხოვრა საზოგადოებაში, თავის თავზე გამოეცადა ყოფილ ცოდვილს ყოველი ცდუნება და სისუსტე ადამიანისა და არ ითხოვდა ჩვენს ზნეობრივ ვალდებულებათა სასტიკ ასრულებას; პირიქით, დაურიდებლად ქადაგებდა თავის მოძღვრებას, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე გამოითქვას:

„ადამიანი ხორცშესხმული ქმნილებაა და ეს ხორცი მისი ტვირთია, თან ცდუნება. ზიდავს ამ ტვირთს და იმასვე ემორჩილება ადამიანი“.

„უნდა უდარაჯოს, შეიკავოს, დათრგუნოს ხორცი ადამიანმა, უკიდურესობამდე ებრძოლოს და მხოლოდ მაშინ დაემორჩილოს. შეიძლება ამ დამორჩილებაშიც იყოს შეცდომა. მაგრამ ამგვარი შეცდომა მისატევებელია. ეს დაცემაა ადამიანისა, მაგრამ დაცემა მუხლზე, რომელიც შეიძლება ლოცვით დაბოლოვდეს“.

„წმინდანნი მხოლოდ ციურნი არიან; წუთისოფლის შვილთათვის კი ალალმართლობა დაუწესებიათ. შესცდით, შესცოდეთ, მაგრამ იყავით მართალნი“.

„ადამიანმა ეს კანონად უნდა დაისახოს - რაც შეიძლება ნაკლები შესცოდოს; სრული უცოდველობა ანგელოსთა ხვედრია. მიწიერი ყველაფერი ცოდვის წილია. ცოდვა ერთგვარი მიზიდულობაც არის“.

როდესაც ნახავდა, რომ ყველა აღშფოთებულია და ხმამაღლა ჰგმობს რასმე, გაიცინებდა და იტყოდა:

- ეტყობა ყველასა სჭირს ეს სენი, თორემ ასე არ იუცხოებდნენ. შეშინდნენ ფარისეველნი და აყაყანდნენ, რაც უფრო მეტად დავძრახავთ, მით უფრო თავს დავიფარავთო.

ძალიან ებრალებოდა დედაკაცნი და ღარიბნი, რომელთაც თანამედროვე საზოგადოების ტვირთი აწევს. ბრძანებდა: შეცდომა დედაკაცისა, ბავშვისა, მოსამსახურისა, სუსტისა, ღატაკისა და უგუნურისა, არის შეცდომა ქმრისა, მამისა, ბატონისა, ძალოვანისა, მდიდრისა და მცოდნისაო.

ხშირად იტყოდა ხოლმე: უცოდინარს ასწავლეთ და გააგებინეთ, რაც კი შეგიძლიათ. საზოგადოება სცოდავს, რომ არ დაუწესებია უსასყიდლო სწავლა-განათლება. საზოგადოების ბრალია, რომ ასეთი წყვდიადით არის მოცული ხალხი. ბნელით არის მოცული ხალხის სული და ბნელი ხომ ბუდეა ცოდვისა. ცოდვილი ის კი არ არის, ვინც სცოდავს, არამედ ის, ვინც აბნელებსო.

როგორც ხედავთ, თავისებურად, უცნაურად მსჯელობდა და მე მგონია, რომ სახარებიდან ჰქონდა შეძენილი ამგვარი აზრები.

ერთ დარბაზში ვიღაცა უბედურის ამბავს ჰყვებოდნენ, რომელიც ყალბი ფულის გამო დაეპატიმრებინათ. საწყალ კაცს ცხოვრების ყოველი სახსარი გასწყვეტოდა და ერთი დედაკაცის სიყვარულს, რომელთან შვილიც ჰყავდა, ეიძულებინა ყალბი ფული

მოეჭრა. მაშინ ჯერ კიდევ სიკვდილით სჯიდნენ ყალბი ფულის მჭრელს. გავიდა თუ არა დედაკაცი ბაზარში სავაჭროდ, მაშინვე დაიჭირეს, დაამწყვდიეს, მაგრამ ბრალს კი იმის მეტს ვერავის დასდებდნენ, რადგან საბუთი არ ჰქონდათ. ამ დედაკაცს შეეძლო მართალი ეთქვა და დაეღუპა თავისი საყვარელი, მაგრამ არა თქვა რა. ჩააცივდნენ, უნდოდათ გამოეტეხათ როგორმე, კაუივით გამაგრდა. მაშინ მეფის პროკურორმა მახე დაუგო და გულუბრყვილო დედაკაცი გააბა. ეჭვი აღუძრა, საყვარელი გღალატობსო. ხერხიანად შედგენილი წერილის ნაფხრეწები დაუწყო და დაარწმუნა უბედური, რომ სწორედ იმ კაცის გულისათვის იკლავდა თავს, რომელიც მას ატყუებდა. ეჭვითა და შურისძიებით გახელებულმა დედაკაცმა გასცა თავისი საყვარელი, სრული სიმართლე თქვა, დაამტკიცა კიდეც და დაღუპა კაცი. ექსში უნდა გაერჩიათ იმ ცოტა ხანში მისი საქმე და, როგორც უკვე ვთქვით, სიკვდილს ვერ გადარჩებოდა. ლაპარაკობდნენ საზოგადოებაში ამ ამბავს და ყველა აღფრთოვანებული იყო პროკურორის მოხერხებით. ხერხად ეჭვი იხმარა, ეჭვს ბრაზი და შურისძიება გამოაწვევინა და მართლმსაჯულებას თავისი არ დაუკარგაო. ეპისკოპოსი გაჩუმებული უსმენდა ამ ამბავს, შემდეგ იკითხა:

- სად განსჯიან იმ უბედურს?

- სასამართლოში.

- ბატონ მეფის პროკურორს, - იკითხა ეპისკოპოსმა, - იმას სადღა გაასამართლებენ?

საშინელი ამბავი მოხდა დინში: ერთი კაცის მკვლელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სასამართლომ, არც სრულიად უსწავლელი იყო, უბედური, არც დიდი მცოდნე. ხალხში ტრიალებდა, ბაზარში; ხან მასხარა იყო ხალხისა და ხან კიდევ მისი მწერალი. იმის საქმიანობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქალაქში. სწორედ წინა დღეს გახდა ავად საპატიმროს ეკლესიის მღვდელი და უბედურს, რომლისთვისაც ხვალ თავი უნდა მოეკვეთათ, მოძღვარი აღარა ჰყავდა. სხვა მღვდელი ნახეს, უარი თქვა: ჩემი საქმე არ არის, საცა მასხარას დაიჭერთ, ყველგან რომ მათრიოთ, სად წავა? თუ ასეა, მეც ავადა ვარო.

ეპისკოპოსს მოახსენეს ეს პასუხი.

- მართალი უთქვამს იმ მღვდელს, - ბრძანა ეპისკოპოსმა, - იმისი საქმე კი არა, ეს ჩემი საქმეა.

მაშინვე ციხისკენ გაემართა და „მასხარას“ ოთახში შევიდა, ხელი დაუჭირა და დაუწყო ლაპარაკი. მთელი დღე იქ დააღამა, აღარც საჭმელი ახსოვდა, აღარც ძილი, იდგა და უბედურის სულს ღმერთსა და თვით უბედურს ავედრებდა. ბევრი რამ შეაგნებინა საბრალოს, ბევრი დიდი ჭეშმარიტება აუხსნა თავისებური მარტივი, ადვილად გასაგები სიტყვით. მამად გაუხდა იმ დღეს, ძმად, მეგობრად; ეპისკოპოსად მარტო ანდერძის ასაგებადღა დარჩა. ყოველივე შეაგნებინა, გული გაუმაგრა და ნუგეში სცა. სასოწარკვეთილი მოკვდებოდა ეს კაცი - რაღაც საშინელი, შესაზარი ეგონა, შიშით თრთოდა, გული მისდიოდა; არც იმდენად უვიცი იყო, რომ სულერთი ყოფილიყო მისთვის სიკვდილი და სიცოცხლე; სიკვდილით დასჯა რომ გამოუცხადეს, საშინელი ზარი დაეცა უბედურს, ერთიანად შეარყია მისი სულიერი არსება და აქა-იქ გაანგრია ის ძგიდე, რომელიც ფარავს ჩვენგან ბუნების საიდუმლოებას და რომელსაც სიცოცხლეს ვუწოდებთ. განუწყვეტლივ იცქირებოდა დასასჯელი ამ ძგიდის იქით და წყვდიადის მეტს ვერაფერს ხედავდა. ეპისკოპოსმა კი იქ სინათლე დაანახა.

მეორე დღეს, უბედურის წასაყვანად რომ მივიდნენ, ეპისკოპოსი იქ იყო. ხელშეკრულს, სასიკვდილოდ გამზადებულს, ისიც გაჰყვა. იისფერი მანტიით შემოსილს ყელზე ჯვარი ეკიდა. ასე ეჩვენა ხალხს გაბაწრული ტუსაღის გვერდით მიმავალი.

ეშაფოტამდე მიჰყვა, ზედაც აჰყვა. უბედური, გუშინ რომ თრთოდა და შიშით კვდებოდა, დღეს შარავანდედით მოსილიყო. გრძნობდა, რომ მისი სული უკვე დამშვიდებულიყო და ღვთის იმედი მისცემოდა.

ეპისკოპოსმა გულში ჩაიკრა და, როდესაც ის იყო, უნდა დასცემოდა მახვილი, უთხრა:

- ვისაც კაცი ჰკლავს, ღმერთი აღადგენს, ვისაც ძმანი განაძევებენ, ის მამას იპოვის. ილოცე, შვილო, იწამე და დაიწყე ახალი ცხოვრება. იქ სუფევს მამა ჩვენი.

ეშაფოტიდან რომ ჩამოდიოდა, რაღაც ისეთი წმინდა გამომეტყველება ჰქონდა - სულგაკმენდილი შესცქეროდა ხალხი. რომ გეკითხათ, ვერავინ იტყოდა, რა უფრო საკვირველი იყო - მისი ფერმიხდილობა თუ ზეციური სიმშვიდე. თავის პატარა სახლში რომ მივიდა, რომელსაც ხუმრობით სასახლეს უწოდებდა, ბატისტინეს უთხრა:

- ეს არის, ახლა აღვასრულე პაპის ღვთისმსახურება.

ხშირად არის ხოლმე: რამდენადაც დიდებულია საქმე, იმდენად ნაკლებად ესმის საზოგადოებას. აქაც ასე მოხდა; ქალაქში ლაპარაკი დაიწყეს ეპისკოპოსის საქციელზე და ბევრმა თქვა, თავს იწონებსო. ამგვარი მითქმა-მოთქმა მარტო მდიდარ დარბაზში იყო. ხალხი არ დაიჯერებს, რომ წმინდა საქმეში ბოროტება ჩაერიოს. მისი საქციელით გულაჩვილებულმა ხალხმა თაყვანი სცა თავის მღვდელმთავარს.

ეშაფოტმა საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ეპისკოპოსზე, მეტად შეარყია და დიდხანს აწუხებდა.

მართლაცდა, ეშაფოტი, როდესაც იგი თვალწინ გიდგათ მაღლა ამართული, საშინელ ფიქრებს აღძრავს თქვენში. შეიძლება სულერთი იყოს თქვენთვის - დასჯიან სიკვდილით ადამიანს თუ არა; შეიძლება არც ჰო გეთქვათ ამის გამო და არც არა, - სანამ თქვენი თვალით არ გინახავთ კაცის კვლა. მაგრამ, რა ნახავთ, ისეთ მძლავრ შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე, ისე შეგარყევთ, რომ ძალაუნებურად ან მიემხრობით, ან წინააღმდეგი გაუხდებით ადამიანის სიკვდილით დასჯას. ზოგი დე მესტრესავით აღტაცებულია ეშაფოტით, ზოგი კი ბეკარიასავით აძაგებს. ეშაფოტი ჩვენი კანონის განხორციელებაა, სისხლის მაძიებელი კანონისა. თვითონ ხომ იარაღია სასჯელისა და თქვენც ისე მიგიზიდავთ, რომ ან ჰოს გათქმევინებთ ან არას, და თუ საკუთარი თვალით გინახავთ, თქვენს დღეში ვეღარ იტყვით - ჩემთვის სულერთიაო. დაინახავთ და იდუმალი რაღაც თრთოლა აგიტანთ. ყოველ საზოგადოებრივ კითხვას ამ ბასრი იარაღის გარშემო აღუდგენია თავისი კითხვის ნიშნები. ეშაფოტი ლანდია. ეშაფოტი ფიცარნაგი არ არის, არც მანქანა ხისა, ფოლადითა და ჯაჭვით შედგენილი უმაქნისი იარაღი. იგი რაღაცნაირ არსებასა ჰგავს, რომელიც თავისებური ინიციატივით არის აღჭურვილი; ასე გეგონებათ, ეს ფიცარნაგი ხედავსო, ეს მანქანა ისმენსო, ეს იარაღი გრძნობსო, ამ ხეს, ფოლადს და ჯაჭვს რაღაც საერთო საზარელი წადილი აქვთო. იმ საშინელ ოცნებაში, რომელსაც ეშაფოტი აღძრავს ჩვენს სულში, თვითონაც საზარლად იხატება და თვითონაც ერევა თავის საქმნელში. ეშაფოტი თანამოზიარეა ჯალათისა, თავისი მსხვერპლის ხორცსა ჭამს და სისხლსა სვამს. ეშაფოტი - ერთგვარი ურჩხულია, მსაჯულისა და ხუროს მიერ

გაკეთებული, მოჩვენებაა, რომლის საშინელი სიცოცხლე მის მიერ დახოცილთა სიკვდილით სულდგმულობს.

ეპისკოპოსზეც ღრმა და შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ეშაფოტმა. მეორე დღეს და დიდხანს კიდევ შემდეგაც, გულჩაკლული და მწუხარე იყო. სიკვდილმისჯილთან რომ სიმშვიდე გამოიჩინა, ნაძალადევი იყო და უკვე გაქრა. ახლა საზოგადოების მართლმსაჯულების იარაღს შეეპყრო მისი არსება. ჩვეულებრივ, სადაც უნდა ყოფილიყო, კმაყოფილებით გაბრწყინებული ბრუნდებოდა შინ, იმ დღეს კი თითქოს ემდურებოდა თავის თავს. შემდეგ, მარტო რომ დარჩებოდა, მოჰყვებოდა ბუტბუტს, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო და ნელი ხმით სამწუხარო მონოლოგს ამბობდა. აი ერთი ნათქვამი, რომელსაც ბატისტინემ მოჰკრა ყური ერთ საღამოს და დაიმახსოვრა:

- არ მეგონა, რომ ასეთი შესაზარი იქნებოდა. შემცდარია, ვინც ისე ჩაუკვირდება ღვთის კანონს, რომ ადამიანისას ვეღარ შენიშნავს. სიკვდილი მარტო ღვთის ხელთ არს. რა უფლება აქვს ადამიანს, რომ ღვთის მიერ მინიჭებულის, ჩვენთვის შეუცნობლის წართმევას ბედავს?

დროთა მდინარებამ შეამცირა ეს შთაბეჭდილება და იქნება სულაც წაშალა. ეს კი იყო, რომ იმ დღის შემდეგ ეპისკოპოსი გზადაც კი ერიდებოდა სასჯელის მოედანს.

რა დროც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის მზად იყო ავადმყოფის ან მომაკვდავის სანახავად. კარგად იცოდა, რომ იქ მისი უწმინდესი ვალდებულება ელოდა და უმთავრესი დანიშნულება. ქვრივსა და ობოლს რომ არც კი შეეტყობინებინა თავისი გაჭირვება, მაინც თვითონ მივიდოდა. თავის დროზე იცოდა გაჩუმება და ხშირად რამდენიმე საათს ხმაამოუღებლივ ახლოს უჯდა უბედურს, რომელიც საუკუნოდ ესალმებოდა საყვარელ ცოლს ან გულმოკლულ დედას, რომელსაც სიკვდილი შვილსა სტაცებდა. როგორც გაჩუმება, ისე საუბარიც თავის დროზე იცოდა, საოცარი ნუგეშისმცემელი იყო. იმას კი არ ცდილობდა, სევდა გაექარვებინა; არა, სასოებას უღვიძებდა და იმედს აძლევდა სასოწარკვეთილს. ეტყოდა ხოლმე:

- ფრთხილად იყავით, მაგ თვალით ნუ უყურებთ მიცვალებულს. თქვენ მარტო იმასა სტირით, რაც ლპება. დაფიქრდით, ცას დააცქერდით და იქ ზეცის წიაღში დაინახავთ თქვენი საყვარელი მიცვალებულის სხივმოსილ სულს.

იცოდა, რომ რწმენა განმკურნებელია. ცდილობდა, ნუგეში ეცა, დაემშვიდებინა სასოწარკვეთილი და მაგალითისათვის ღვთის განგებისადმი მინდობილისაკენ მიეთითებინა; ცდილობდა გარდაექმნა სამარისადმი მიმართული მწუხარება იმ სასოებად, რომელიც ვარსკვლავთ შეჰხარის.

## თავი მეხუთე
## როგორ დიდხანს ხმარობდა მონსინიორ ბიენვენიუ ტანსაცმელს

ბატონი მირიელი შინაც იმავე აზრებით ხელმძღვანელობდა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახლო დაკვირვების შემდეგ დინის ეპისკოპოსის ცხოვრება ნებაყოფლობითი სიღარიბის მშვენიერ სურათად წარმოგიდგებოდათ თვალწინ.

როგორც ყველა ხნიერსა და მოაზროვნეს სჩვევია, ძალიან ცოტა ეძინა, თუმცა ეს მოკლე ძილი ღრმა კი იყო. დილით ცოტა ხანს ფიქრს მიეცემოდა, თითქოს აზრებს

იკრებსო; მერე ან საეპისკოპოსო ტაძარს სწირავდა, ან თავის სახლშივე ლოცულობდა. წირვის შემდეგ საკუთარი ძროხის რძითა და ჭვავის პურით ისაუზმებდა, შემდეგ კი საქმობდა.

მრავალი საქმე აქვს ეპისკოპოსს: მუდამდღე უნდა მიიღოს კონსისტორიის მდივანი თავისი საქმეებითა და ქაღალდებით; თითქმის ყოველდღე უნდა ინახულოს სასულიერო წოდების უფროსი მოხელენი, თვალყური ადევნოს სასულიერო საზოგადოებებს, სამღვდელოებას, ეკლესიებს, მონასტრებს, სასულიერო მწერლობას, ქადაგებას, სასულიერო სწავლა-განათლებას, მღვდელთა და სხვა მოხელეთა სამსახურს, სხვადასხვა დაწესებულებებთან მიწერ-მოწერას. ერთი მხრივ სახელმწიფოს ემსახუროს, მეორე მხრივ -პაპს.

ამ საქმეების, წირვისა და ლოცვის შემდეგ რაც დრო რჩებოდა, ღარიბთ, ავადმყოფთ და გაჭირვებულთ ახმარდა. ღარიბთა, ავადმყოფთა და გაჭირვებულთა საქმეებს თუ გადარჩებოდა დრო, შრომას ანდომებდა: ხან თავის პატარა ბაღს თოხნიდა, ხან კითხულობდა და წერდა; წერას და კითხვას ერთი სიტყვით - „ბაღოსნობით“ - იხსენიებდა. გონება ბაღიაო, - იტყოდა ხოლმე.

ნაშუადღევს, როცა კარგი დარი იდგა, ფეხით გაისეირნებდა ქალაქგარეთ, ან შიგნით ქალაქში და ხშირად შედიოდა ქოხებში. მიდიოდა მარტოდმარტო, ჩაფიქრებული, თავჩაღუნული, გრძელ ყავარჯენზე დაყრდნობილი. ბბამბის სარჩულიანი თბილი ცისფერი პალეკარტი ეცვა, უხეში ფეხსაცმელი, უბრალო ბრტყელი ქუდი ეხურა.

სადაც კი მივიდოდა, სწორედ დღესასწაული დაუდგებოდათ; იტყოდით, მოვიდა და გაათბო, ნათელი მოჰფინა აქაურობასაო. ეპისკოპოსის გამოვლაზე ბავშვები და მოხუცებულები გარეთ გამოიფინებოდნენ, თითქოს მზეზე თბებიანო. ლოცავდა და იმასაც ლოცავდნენ. ვისაც გაუჭირდებოდა რამე, ეპისკოპოსის სახლისაკენ გაისტუმრებდნენ.

ხან აქ გაჩერდებოდა, ხან - იქ, ლაპარაკს დაუწყებდა ბავშვებს და თან დედებს უღიმოდა. ღარიბ ხალხში დადიოდა, სანამ ფული ჰქონდა, გამოელეოდა და - მდიდრებს მიმართავდა.

დიდხანს არ გამოიცვლიდა ანაფორას და, რადგან არ უნდოდა ეს ვინმეს შეენიშნა, ზემოდან ბამბისსარჩულიან ცისფერ პალეკარტს იცვამდა. ზაფხულში, ეს ცოტა არ იყოს, აწუხებდა, სიმძიმისა და სიცხის გამო.

დაბრუნდებოდა და სადილს ჭამდა. სადილი საუზმისმაგვარი იყო. საღამოზე, ცხრის ნახევარზე ვახშმად დასხდებოდნენ ისა და ბატისტინე; მაგლუარი იქვე იდგა და ემსახურებოდათ. საჭმელ-სასმელი ყოველთვის უბრალო ჰქონდა, მაგრამ თუ ვინმე მღვდელი შეესწრებოდათ, მაგლუარი ამით ისარგებლებდა და თევზს ან მთაში ნანადირევს მიართმევდა. მღვდლის მოსვლა და კარგი სადილის გაკეთება ერთი იყო მაგლუარისათვის და ეპისკოპოსიც არას ეუბნებოდა. სხვა დროს კი ყოველთვის ერთი და იგივე იყო მისი საჭმელი: ზეთით შეზავებული წვნიანი და წყალში მოხარშული სამარხო. აკი ამბობდნენ კიდეც ქალაქში - როცა ეპისკოპოსს მღვდელი არა ჰყავს სტუმრად, სწორედ ბერის სადილს მიირთმევსო.

ვახშმის შემდეგ ერთი ნახევარი საათი კიდევ ელაპარაკებოდა ბატისტინეს და მაგლუარს. მერე თავის ოთახში შევიდოდა და დაიწყებდა წერას, ხან დაჭრილ ქაღალდზე, ხან იმ წიგნის კიდეზე, რომელსაც კითხულობდა. ძალიან ნაკითხი კაცი

იყო და საკმაოდ განსწავლულიც. ხუთი თუ ექვსი ფრიად საყურადღებო ხელნაწერი დატოვა, სხვათა შორის, მთელი დისერტაცია-განმარტება დაბადების სიტყვებისა: „დასაბამითგან სული ღვთისა იქცეოდა ზედან წყალთა“. ამ სიტყვებს სამი სხვა მწერლის სიტყვები შეუდარა; არაბი მწერლისა, რომელიც ამბობს: ქარნი ღვთისანი ჰქროდნენ. ფლავიუსი - იოსების ნათქვამი: ზემოდან მომდინარე ქარი დაჰქროდა დედამიწას; დაბოლოს, ქალდეველთაგან განკვეთილი ონკელოსის სიტყვები: ქარი ღვთისგან მომდინარი ჰქროდა წყალთა ზედან. მეორე ხელნაწერში პტოლემაიდელი ეპისკოპოსის, ჰიუგოს ღვთისმეტყველურ თხზულებას არჩევს, ამ წიგნის დამწერის პაპის-პაპისას და ამტკიცებს, რომ ამ ეპისკოპოსს ეკუთვნოდა ბარლეიკურის სახელით დაბეჭდილი წვრილ-წვრილი თხზულებანი.

ხანდახან, კითხვის დროს, რა წიგნიც უნდა სდებოდა თვალწინ, უცბად ფიქრები გაიტაცებდნენ და მარტო მაშინ გამოერკვეოდა, როცა წიგნის ფურცლებზე მოუნდებოდა რამდენიმე სტრიქონის დაწერა. ამ ჩანაწერებს ხშირად არავითარი კავშირი არა აქვს წიგნთან. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი ჩანაწერი: „ლორდ ჟერმენის მიმოწერა გენერალ კლინტონსა, კორნვალსა და ამერიკული სამხედრო ფლოტის ადმირალებთან. ამას ვერსალში წიგნით მოვაჭრე პუნესონი ყიდის, პარიზში კი, ავგუსტინების სანაპიროზე, წიგნით მოვაჭრე პისო“.

აი, ბატონ მირიელის მინაწერი რა სიტყვები ვიპოვეთ ერთ ფურცელზე:

„უზენაესო არსებაო!

ეკლესიასტე ყოვლად ძლიერს გიწოდებს შენ; წიგნი მაკაბელთა - შემოქმედს; ეპისტოლე ეფესელთადმი - თავისუფლებას; ბარუხი - უსაზღვროებას; ფსალმუნი - სიბრძნეს და ჭეშმარიტებას; იოანე - სინათლეს; წიგნი მეფეთა -მეუფეს; გამოსვლა - განგებას; წიგნი ლევიტისა - წმინდას; ეზდრა - მართლმსაჯულებას, ქვეყნიერება - ღმერთს, ადამიანი - მამას. მაგრამ სოლომონი - კეთილმოწყალებად გსახავს და ეს არის საუკეთესო შენსა სახელთა შორის“.

ცხრა საათი რომ გახდებოდა, ქალები თავ-თავიანთ ოთახებში ავიდოდნენ, ზემო სართულში, და ეპისკოპოსი დილამდე მარტოდმარტო რჩებოდა ქვემოთ.

აქ საჭიროა დაწვრილებით აღვწეროთ დინის ეპისკოპოსის სახლი.

## თავი მეექვსე
## ვინ ჰყავდა სახლის დარაჯად

ეპისკოპოსის სახლი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ორსართულიანი იყო. სამი ოთახი ქვევით ჰქონდა, სამი - ზევით და ზედ კიდევ - სხვენი. სახლს უკან ერთი პატარა ბაღი იყო, სიგრძით სულ ერთნახევარი ქცევა. ქალები ზემო სართულში იყვნენ, ეპისკოპოსი - ქვემოში. პირველი ოთახი, რომელიც პირდაპირ ქუჩაში გადიოდა, სასადილოდ ჰქონდა. მეორე - საწოლად და მესამე - სალოცავად. ამ ოთახიდან გამომსვლელს უთუოდ საწოლ ოთახზე უნდა გამოევლო და საწოლიდან უთუოდ სასადილოზე უნდა გაევლო. სალოცავ ოთახში, კუნჭულში, ფარდებს უკან მიმალული იყო სტუმრისათვის მომზადებული ტახტი თავისი ლოგინით. ამ ლოგინს სოფლიდან ჩამოსულ მღვდლებს უთმობდნენ, როცა თავიანთ სამწყსოს საქმეთა გამო ქალაქს ეწვეოდნენ ხოლმე.

პატარა შენობაში, რომელშიაც უწინ აფთიაქი იყო, დღეს სამზარეულო და საკუჭნაო მოეწყოთ.

ბაღშივე აგებული მეორე შენობა - საავადმყოფოს სამზარეულო - ბოსლად იყო გადაკეთებული და შიგ ეპისკოპოსის ორი ძროხა ება. ყოველ დილით, რაც უნდა ცოტა მოეწველათ, ნახევარს საავადმყოფოში გაგზავნიდა. მეც ვიხდი მეათედსაო - იტყოდა ხოლმე ეპისკოპოსი.

ეპისკოპოსის ოთახი საკმაოდ დიდი და ძნელი გასათბობი იყო ზამთარში. რადგან დინში შეშა ძვირია, ბოსელი ფიცრით გადააღობინა და ძალზე რომ აცივდებოდა, იქ იყო ხოლმე საღამოობით. „საზამთრო დარბაზში“ ვიყავიო - იტყოდა ღიმილით. ამ საზამთრო დარბაზში, ისევე, როგორც სასადილო ოთახში, ერთი თეთრი მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. ამისა და ერთი ძველი ვარდისფრად შეღებილი განჯინის გარდა, სხვა ავეჯეულობა არა მოიპოვებოდა რა. ერთი განჯინაც სალოცავ ოთახში ედგა. ეპისკოპოსს ზედ თეთრი, იაფფასიანი მაქმანით შემკული სუფრა გადაეფარებინა, საკურთხეველი მოეწყო და ასე შეემკო თავისი სამლოცველო.

რამდენჯერმე მოაგროვეს შეძლებულმა ქალებმა ფული იმ განზრახვით, რომ ღირსეულად მოეწყოთ საყვარელი მოძღვრის სამლოცველო, მაგრამ ეპისკოპოსი ფულს ართმევდა ყოველთვის და ღარიბთ ურიგებდა. ყველაზე კარგი საკურთხეველი - უბედურის სულია, უკვე ნუგეშცემულის, რომელიც ღმერთს მადლობას სწირავსო, - ამბობდა თავის გასამართლებლად.

ორი ჩალის სკამი სამლოცველოში ჰქონდა საწიგნედ, ერთი ჩალის სახელურიანი სავარძელი - საწოლ ოთახში. როცა რაიმე შემთხვევისა გამო შვიდი-რვა კაცი ესტუმრებოდა - პრეფექტი, მხედართმთავარი ან დინში მდგომი ჯარის წინამძღოლი, ან სემინარიის რამდენიმე მოწაფე, - ზამთრის დარბაზიდან ცალკე გამოჰქონდათ სკამები, სამლოცველოდან - ცალკე და საწოლიდან - ცალკე; ამგვარად თერთმეტამდე სკამს შეაგროვებდნენ სტუმრებისათვის; რამდენიც სტუმარი ემატებოდა, იმდენი სხვადასხვა ოთახს სკამი აკლდებოდა.

ხანდახან მოხდებოდა, რომ თორმეტი კაცი ერთად შეიკრიბებოდა. რომ არავისთვის შეემჩნევინებინა გაჭირვებული მდგომარეობა, ეპისკოპოსი წამოდგებოდა და ბუხრის წინ დადგებოდა, თუ ზამთარი იყო; ან სიარულს დაიწყებდა ბაღში, თუ ზაფხული იდგა.

სტუმრისათვის მომზადებულ ლოგინთანაც იდგა ერთი სკამი, მაგრამ საჯდომს ჩალა თითქმის მთლად ჩარღვეოდა და ფეხიც სამიღა შერჩენოდა, ისე, რომ აუცილებლად კედელზე მიდგმული უნდა ყოფილიყო, თორემ წაიქცეოდა. ბატისტინესაც ჰქონდა თავის ოთახში ძველებური, ვარაყიანი, დიდრონი ყვავილებით დაფოთლილი ქსოვილით გადაკრული სავარძელი, მაგრამ იმოდენა რამ იყო, რომ კიბეზე არ აეტია და თოკით აათრიეს ზემო ფანჯრამდე. გაჭირვებაში სრულიად გამოუსადეგარი იყო ეს სავარძელი და ამიტომ ანგარიშშიც არ ითვლებოდა.

სულ იმასა ნატრობდა ბატისტინე, უტრეხტის ყვითელი ხავერდით გადაკრული წითელი ხის რამდენიმე გრეხილი სავარძელი და ერთი, გედის ყელივით გრძელი სკამლოგინი შემაძენინაო. მაგრამ ამას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ხუთასი ფრანკი დასჭირდებოდა და რაკი ხუთი თვის განმავლობაში ამ ნატვრის ასასრულებლად მხოლოდ ორმოცდაორი ფრანკი და ათი სუ გადაარჩინა, შეუძლებლად აღიარა და ხელი აიღო თავის წადილზე, თუმცა, განა ვინმე აღწევს თავის იდეალამდე?

ეპისკოპოსის საწოლ ოთახზე უღარიბესს ვერას წარმოიდგენს კაცი. ოთახიდან ბაღში გადიოდა შუშიანი კარი. ამ კარის პირდაპირ უბრალო საწოლი იდგა, სწორედ ისეთივე, როგორსაც საავადმყოფოში ხმარობენ. საწოლს ქვემოთ, ფარდის უკან სარკე, სავარცხელი და ტუალეტის სხვა კუთვნილებანი ელაგა - ნაშთი უმაღლეს საზოგადოებაში აღზრდილი კაცის ჩვეულებისა. ბუხრის გვერდით კარი სამლოცველოში გადიოდა; მეორე, წიგნებით სავსე კარადის გვერდით, - სასადილო ოთახში. ბუხარს მარმარილოს მსგავსად გაკეთებული ხის ჩარჩო ამშვენებდა. ამ ბუხარში ცეცხლს იშვიათად ანთებდნენ. შიგ რკინის წყვილი ზედადგარი იდგა, ვერცხლით მოსევადებული და ჩუქურთმებით შემკული, რაც საეპისკოპოსო სახლის ნიმუშს წარმოადგენდა. ბუხრის თავზე ჯვარცმა იყო ამართული, რომლის თითბერი ოდესღაც შევერცხლილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძლივსღა ეტყობოდა ვერცხლი: ჯვარი გახუნებულ შავ ხავერდზე იდო ხის ჩარჩოში; ეს ჩარჩოც, ეტყობოდა, მოვარაყებული უნდა ყოფილიყო თავის დროზე. მინებიან კართან ერთი დიდი მაგიდა იდგა, საწერ-კალმით, ქაღალდებითა და დიდრონი წიგნებით დატვირთული; მაგიდის წინ - ჩალის სავარძელი და ლოგინთან - სამლოცველოდან გამოტანილი პატარა საწიგნე.

საწოლის კედელზე აქეთ-იქით ორი სურათი ეკიდა მრგვალ-მოგრძო ჩარჩოებში. ვარაყიანი წვრილი ასოებით დაწერილი სიტყვები მოწმობდა, რომ ეს სურათები წარმოადგენდნენ - ერთი - აბატ შალიოს, სენ კლოდის ეპისკოპოსს, მეორე - აბატ ტურტოს, აგდეს დეკანოზს. ამ ოთახში რომ გადმოვიდა ეპისკოპოსი, აქ დახვდა საავადმყოფოს მიერ დატოვებული ეს სურათები. ბერები იყვნენ, ეტყობოდა, შეეწირათ რამე საავადმყოფოსათვის; ამ ორი მიზეზისა გამო ბატონი მირიელი პატივისცემით ეკიდებოდა სურათებს. ეპისკოპოსმა მარტო ის იცოდა იმათ შესახებ, რომ ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე დღეს, 1785 წლის 27 აპრილს, მეფეს თავ-თავის ადგილზე დაეინშნა. მაგლუარს გასაწმენდად გადმოეღო სურათები და ეპისკოპოსს მაშინ ენახა უკნიდან წითელი ძაფით მიკრული პატარა, ჩაყვითლებული ქაღალდი ზემოთ მოყვანილი წარწერით.

ფანჯარას ერთი ძველისძველი სქელი, უკვე დახეული ტილოს ფარდა ეფარა. რადგან ახლის ყიდვა შეუძლებელი იყო, საქმე სხვანაირად მოაგვარა მაგლუარმა. ადგა და შუაზე გაჭრა ისე, რომ ჯვარი იხატებოდა ზედ ფარდაზე. ეს ჯვარი ძალიან მოსწონდა ეპისკოპოსს და ხშირად გამოთქვამდა ხოლმე თავის კმაყოფილებას.

მთელი სახლის როგორც ზემო, ისე ქვემო სართულის ოთახები თეთრად იყო კირით შელესილი, საავადმყოფოებისა და ჯარის სადგომების მსგავსად.

მაგრამ ბოლო წლებში, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ, მაგლუარმა იმდენი წმინდა და ხეხა ბატისტინეს ოთახის კედლები, რომ კირქვეშ ქაღალდი აღმოაჩინა და ამ ქაღალდქვეშ კიდევ კედლის ძველებური მხატვრობა. ვიდრე ეს სახლი საავადმყოფო გახდებოდა, იგი ვიღაც შეძლებული მოქალაქისა ყოფილიყო და აქ სასტუმრო ოთახი ჰქონოდა მხატვრობით შემკული. ოთახებში წითელი აგური ეგო, რომელსაც ყოველკვირა რეცხდნენ და წმენდდნენ. საწოლის წინ პატარა ჭილოფი იყო გაშლილი. ბატისტინესა და მაგლუარის წყალობით მთელ სახლში საგანგებო სისუფთავე სუფევდა. ეს სისუფთავე წარმოადგენდა იმ ფუფუნებას, რომელიც შერჩენოდა ეპისკოპოსს. ხშირად იტყოდა: ეს არაფერს აკლებს ჩემს სიღარიბესაო.

მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ძველი სარჩო-საბადებლიდან ექვსი ვერცხლის დანა-ჩანგალი, კოვზი და ერთიც ჩამჩა შემორჩენოდა. გაშლიდა უბრალო სუფრას მაგლუარი, დაალაგებდა ვერცხლის დანა-ჩანგალს, კოვზებს ტილოს თეთრ სუფრაზე და სიხარულით დაჰყურებდა იმათ მშვენებას, რადგან მისი უსამღვდელოესობა სწორედ ისე თუ გვინდა გამოვხატოთ, როგორიც იყო, უნდა ვთქვათ, რომ ეპისკოპოსსაც ხშირად უთქვამს: ეს ვერცხლეულობა რომ არა მქონდეს, გამიჭირდებოდა პურის ჭამაო.

ამ ვერცხლეულობას უნდა მივუმატოთ ორი დიდი ვერცხლისავე შანდალი, რომელიც ბებიდისაგან შემორჩენოდა ეპისკოპოსს. შანდლები წმინდა სანთლებით ბუხრის თავზე ელაგა; სადილად რომ სტუმარი შეესწრებოდათ, მაგლუარი აანთებდა სანთლებს და ორივე შანდალს სუფრაზე მიიტანდა.

ეპისკოპოსის საწოლ ოთახში, ლოგინის თავთან, პატარა განჯინა იყო დატანებული და ამ განჯინაში ინახავდა ყოველ საღამოს მაგლუარი ექვსსავე დანა-ჩანგალს და ჩამჩას. ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ თუმცა განჯინის კარს კეტავდა, გასაღებს არ გამოიღებდა ხოლმე.

ბაღს, ცოტა არ იყოს, აუშნოებდა შიგ აგებული შენობები, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ. შუა ბაღში პატარა აუზი იყო წვიმის წყლის მოსაგროვებლად. ბაღს სულ ოთხი კვალი შეადგენდა; გარშემო თეთრად შელესილ კედელს ბილიკი მისდევდა. სამ კვალში მაგლუარს მწვანილი მოჰყავდა, მეოთხე ეპისკოპოსისა იყო, იქ ყვავილებს თესდნენ. აქა-იქ ხეხილიც იდგა. სიტყვამ მოიტანა ერთხელ და მაგლუარმა მოახსენა ეპისკოპოსს:

- ყველგან სარგებლობას ეძებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, და აქ კი ამდენ ადგილს აცდენთ ტყუილუბრალოდ. ამ ყვავილების ნაცვლად კარგი მწვანილი დავთესოთ, არ ემჯობინება?

- სცდებით, ქალბატონო მაგლუარ, - მიუგო ეპისკოპოსმა, - მშვენიერიც იმდენად სასარგებლოა, რამდენადაც თვით სასარგებლო.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერე დაუმატა:

- და იქნება უფრო მეტადაც.

ამ ყვავილნარს თითქმის იმდენსავე ხანს ანდომებდა ბატონი მირიელი, რამდენსაც თავის წიგნებს: ორი-სამი საათი ტრიალებდა შიგ ყოველდღე; აქ გამარგლავდა, იქ ტოტებს შეასხეპდა, მორწყავდა, სარს შეუდგამდა. ისე არ ემტერებოდა მწერებს, როგორც საერთოდ მებაღეები. ამასთან, ბოტანიკას ყურადღებას არ აქცევდა. ვერც კი არჩევდა მცენარეთა გვარებს. არ ცდილობდა გადაეწყვიტა ტურნეფორსა და ბუნებრივ მეთოდს შორის არსებული ბრძოლა. არც პარკოსან მცენარეს აძლევდა უპირატესობას ლებნიანთან შედარებით, არც ჟუსიეს მომხრე იყო ლინეს წინააღმდეგი. მცენარეს არა სწავლობდა; ყვავილები უყვარდა, დიდ პატივსა სცემდა სწავლულებს და კიდევ უფრო მეტს - უსწავლელთ. არასოდეს ავიწყდებოდა არც სწავლულთა და არც უსწავლელთა პატივისცემა, მაგრამ არც ყვავილებს ივიწყებდა და ზაფხულში ყოველ საღამოს რწყავდა მწვანედ შეღებილი თუნუქის სარწყავით.

სახლის არც ერთი კარი არ იკეტებოდა. სასადილო ოთახის კარს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, პირდაპირ საეპისკოპოსო ეკლესიის მოედანზე გადიოდა, უწინ კლიტეც ჰქონდა და რკინის ურდულიც, თითქო ციხის კარი ყოფილიყოს. ეპისკოპოსმა საკეტიც ააგლიჯა, ურდულიც და მას აქეთ ეს კარი დღედაღამ ღია იყო, მოხურული,

მაგრამ დაკეტილი კი არა. ვინც მოადგებოდა კარს, რა დროც უნდა ყოფილიყო, თავისუფლად შემოვიდოდა. თავდაპირველად ორივე ქალს ეს ძალიან ეჩოთირებოდა და ეშინოდა კიდეც, მაგრამ ეპისკოპოსმა მათ გამოუცხადა:

- თუ გნებავთ, თქვენს ოთახებს დაადეთ კლიტე.

ბოლოს ისინიც დარწმუნდნენ, რომ საშიში არა ჰქონდათ რა, ან იქნებ არც კი დარწმუნდნენ, მაგრამ თქმით კი ვეღარაფერს ამბობდნენ. მხოლოდ მაგლუარს ზოგჯერ საშინელი შიში აიტანდა ხოლმე. რაც შეეხება თვით ეპისკოპოსს, მისი შეხედულება ცხადად იყო გამოთქმული იმ სიტყვებში, რომელიც „დაბადების“ ერთ ფურცელზე თვით დაეწერა: „აი რა განსხვავებაა: ექიმის კარი თავის დღეში არ უნდა იკეტებოდეს, მღვდლის კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს“.

მეორე წიგნში, სახელდობრ, „საექიმო მეცნიერების ფილოსოფიაში“, ეს შენიშვნა ეწერა: „განა მე კი იმათსავით ექიმი არა ვარ? მეც ჩემი ავადმყოფები მყავს; ჯერ მათი, რომელთაც ავადმყოფებს უწოდებენ და მერე ჩემი, რომელთაც მე უბედურებს ვუწოდებ“.

სხვაგან კიდევ დაეწერა: „ნუ ჰკითხავთ ვინაობას, ვინც ბინა გთხოვათ, ყველაზე უმეტესად იმას უჭირს ბინა, ვისაც თავისი ვინაობის თქმა ეძნელება“.

ერთმა მღვდელმა, აღარ მახსოვს, კულბრუელი იყო თუ პომპიერელი, მგონი, მაგლუარის ჩაგონებით შეჰბედა: განა გაუფრთხილებლად არ იქცევით, რომ დღედაღამ ღია გაქვთ კარი, ხომ შეიძლება შემოგეპაროთ, ვისაც კი უნდა. განა არ გეშინიათ, რომ უბედურება რამ მოხდეს ასე ფარღალალად მიტოვებულ სახლში?

ეეპისკოპოსმა მხარზე ხელი დაადო და ლმობიერი სიდინჯით უთხრა:

- თუ სახლს ღმერთი არ დარაჯობს, მას ტყუილად გაუფრთხილდებიან დარაჯნი. - და სხვა საგანზე დაიწყო ბაასი.

ხშირად იტყოდა ხოლმე: მღვდელსაც თავისი ვაჟკაცობა უნდა ჰქონდეს ისევე, როგორც დრაგუნების რაზმის უფროსს, ოღონდ ჩვენი ვაჟკაცობა აუღელვებელი უნდა იყოსო.

## თავი მეშვიდე
## კრავატი

იმ ხანში ერთი იმგვარი ამბავი მოხდა, რომლის გამოტოვება შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან მარტო ისიც საკმარისია, რომ კარგად დავინახოთ, რა ადამიანი იყო დინელი ეპისკოპოსი.

როდესაც ოლიუდის მთებში მოთარეშე გასპარ ბეს ბრბო შეიპყრეს, ერთი მეთაურთაგანი, კრავატი, როგორღაც გადარჩა და მთაში მიიმალა რამდენიმე ამხანაგთან ერთად. ჯერ ნიცაში იყო, მერე პიემონში გადავიდა და უცბად საფრანგეთში გამოჩნდა, ბარსელონეტის მხარეში. ჯერ ჟოზიეში ენახათ, ცოტა ხნის შემდეგ - ტიუილში. ჟუგ დე-ლ'ეგლის მღვიმეში იმალებოდა, იქიდან უბეს და უბიეტის ხეობებით ჩამოდიოდა და თავისუფლად ნავარდობდა სოფლებში. ამბრენშიც კი გაბედა ჩასვლა, ღამით ტაძარი გატეხა და მისმა ამქრებმა ეკლესიის სალარო დააცარიელეს, ქვეყანა ააწიოკეს. ჟანდარმები კვალდაკვალ დასდევდნენ, მაგრამ ამაოდ. კრავატი ხელიდან უსხლტებოდა და ხშირად შებრძოლებასაც უბედავდა. დიდი უტიფარი არამზადა რამ იყო. სწორედ ამ შიშიანობის დროს ეწვია მთას ეპისკოპოსი. შასტელარისკენ

მიდიოდა. მერი წინ მიეგება და სთხოვა, უკან დაბრუნებულიყო, რადგან მთელი მთა, არშამდე და არშის იქითაც, კრავატის ხელთ არის და ჟანდარმებიც რომ გაახლოთ, ვერას გავხდებით, ტყუილად გაიწირება რამდენიმე კაცი.

- სწორედ ამიტომ მინდა მარტო წასვლა, რომ არავინ გავაფუჭებინო, - მიუგო ეპისკოპოსმა.

- რას ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ?

- იმას მოგახსენებთ, რომ თქვენი ჟანდარმები ჩემთვის საჭირონი არ არიან და ამ ერთ საათში სრულიად მარტოდმარტო გავუდგები ჩემს გზას.

- წაბრძანდებით?

- გეახლებით.

- მარტოდმარტო?

- დიახ, მარტოდმარტო.

- თქვენ მაგას არ იზამთ, თქვენო უსამღვდელოესობავ!

- ემანდ, მთაში, ერთი პატარა, მიყრუებული, მუჭის ტოლა სოფელია, იქ მინდა ავიდე. სამი წელიწადია აღარა ვყოფილვარ. ძალიან პატიოსანი და მშვიდობიანი მეცხვარეები არიან და ჩემი კარგი მეგობრები. ცხვარი სხვისია და გასამრჯელოდ მათ ოცდაათიდან ერთი ეძლევათ. საუცხოო შალის ფერად ყაითანს გრეხენ და ჰანგებს აკვნესებენ სალამურზე. ყველაფერს მოკლებულნი არიან და ღვთის სიტყვაც მოვაკლო? რას იტყვიან, რომ გაიგებენ, ეპისკოპოსი შეშინებულა და უკან დაბრუნებულაო? რას იტყვიან, რომ არ ავიდე?

- ძალიან კარგი, მაგრამ ყაჩაღები, თქვენო უსამღვდელოესობავ, ხომ შეიძლება ყაჩაღები დაგიხვდნენ?

- ნეტავი შემხვდნენ. განა იმათ კი არ სჭირდებათ ღვთის სიტყვის გაგონება?

- მაგრამ იქ ხომ მთელი ბრბოა, თქვენო უსამღვდელოესობავ... ეს ხომ მგლების ხროვაა.

- იქნება სწორედ მაგ მგლების მწყემსად მგზავნის იესო. ღვთის განგებას განა ვინ მისწვდება?

- გაგძარცვავენ, თქვენო უსამღვდელოესობავ.

- რომ არა მაქვს-რა?

- მოგკლავენ.

- მე მომკლავენ? ერთ გადაყრუებულ ბებერ ხუცესს, რომელსაც თავისი ლოცვანის მეტი არა გააჩნია რა? კარგი და, რა მიზნით?

- ღმერთო ჩემო! წინ რომ შეგეფეთონ?

- მოწყალებას ვთხოვ ჩემი ღარიბებისათვის.

- ნუ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ნუ წაბრძანდებით, რად უნდა გასწიროთ თქვენი სიცოცხლე?

- ბატონო მერო, მხოლოდ ეს გაშინებთ? - მიუგო ეპისკოპოსმა, - მე ქვეყანაზე იმისათვის კი არ ვცხოვრობ, რომ ჩემს სიცოცხლეს გავუფრთხილდე, არამედ იმისთვის, სულნი რომ დავიხსნა.

რა გაეწყობოდა, თავი უნდა დაენებებინათ. ერთი პატარა ბიჭის ამარა შეუდგა მთას. იმ ბიჭსაც თვითონ მოესურვებინა ეპისკოპოსის ხლება, გზას მაინც ვუჩვენებო. ეს ამბავი უცბად მოედო ქვეყანას და ყველა შიშობდა, არა დაემართოს რაო.

არც თავისი და წაიყვანა, არც მაგლუარი, ჯორით გადაიარა მთა. გზაში არავინ შეხვედრია და მშვიდობით მივიდა თავის „კარგ მეგობარ მწყემსებთან“. ორი კვირა დაჰყო მთაში; უქადაგებდა, არიგებდა, ასწავლიდა და წამოსვლა რომ დააპირა, მღვდელს უბრძანა, კვირას მე ვიქნები მწირველიო; კარგი, მაგრამ ეპისკოპოსის შესამოსი სად უნდა ეშოვათ? სოფლის ეკლესიაში ერთი ხელი ძველისძველი მღვდლის გახუნებული შესამოსის მეტი არა მოიპოვებოდა რა.

- არა უშავს, მამაო. ჩვენ ჩვენსას ნუ დავიშლით და ღმერთი მოწყალეა. ყოველივე მოგვარდება. - უთხრა ბატონმა მირიელმა.

იქვე ახლო სოფლებში მოიკითხეს. რაც იმ ღარიბ ეკლესიებში მოაგროვეს, ქალაქში წესიერად ერთ მგალობელს ვერ შემოსავდა.

ამ გაჭირვებაში რომ იყვნენ, ორმა უცნობმა მხედარმა მღვდლის სახლში ერთი უშველებელი ყუთი მოიტანა ეპისკოპოსისათვის გადასაცემად და სწრაფად უკან გაბრუნდა. გახსნეს ყუთი; შიგ ძვირფასი თვლებითა და მარგალიტით მდიდრულად შემკული სრული შესამოსი ნახეს ეპისკოპოსისა, ერთი თვის წინათ ამბრენის ტაძრიდან მოპარული. ყუთში ქაღალდი იპოვეს შემდეგი წარწერით: „მის ყოვლად უსამღვდელოესობას, ეპისკოპოს კეთილმოვლენილს, კრავატისაგან“.

- ხომ ვამბობდი, საქმე მოგვარდება-მეთქი, - თქვა ეპისკოპოსმა და მერე ღიმილით დაუმატა: - ვინც კმაყოფილია მღვდლის ანაფორით, ღმერთი არქიეპისკოპოსის მანტიას მიანიჭებს.

- ღმერთი თუ ეშმაკი, თქვენო უსამღვდელოესობავ? - შეჰბედა მღვდელმა თავის ქნევითა და ღიმილით.

ეპისკოპოსმა თვალი გაუშტერა მოძღვარს და რწმენით აღსავსე კილოთი განუმეორა:

- ღმერთი.

შატელარში და გზაზედაც ხალხი დიდი ამბით ხვდებოდა წინ.

შატელარში ბატისტინე და მაგლუარი ელოდნენ.

- მართალს ვამბობდი თუ არა? - მიუბრუნდა თავის დას.

- ერთი ღარიბი მღვდელი წავედი, ხელცარიელი, ჩემს ღარიბ მთიელებთან და იქიდან კი მძიმედ დატვირთული მოვდივარ. აქედან უსაზღვრო სასოების მეტი არა წამიღია რა, იქიდან კი მთელი ტაძრის განძი მომაქვს.

საღამოს, ვიდრე მოსასვენებლად წავიდოდა, ესა თქვა: - ნუ შეუშინდებით ნურც ქურდს, ნურც კაცის მკვლელს; სხვისი ნუ შეგეშინდებათ, რაც უნდა მძლავრი იყოს; ჩვენივე თავის გვეშინოდეს ჩვენ; ქურდი ჩვენი ცრუმორწმუნეობაა და კაცის მკვლელი - ჩვენი ბიწიერებანი. ჩვენ გარეშე კი არა არის ჩვენი მტერი, შიგ ჩვენშივე იმყოფება. რა საშიშია ის, ვინც ჩვენს ქისას ან ჩვენს სიცოცხლეს ემუქრება? იმისი გვეშინოდეს, ვინც ჩვენს სულს დამუქრებია.

მერე ბატისტინეს მიუბრუნდა და უთხრა:

- მღვდელი, ჩემო დაო, არ უნდა გაურბოდეს თავის მოყვასს; ღვთის განგების გარეშე მოყვასი ვერას იქმს. როდესაც ვგრძნობთ, რომ განსაცდელში ვართ, თავის დაღწევას კი არ უნდა ვცდილობდეთ, მხოლოდ უნდა ვლოცულობდეთ; ვლოცულობდეთ ჩვენი თავისათვის კი არა, არამედ შევავედროთ მოყვასი, რომ ცოდვა არა შეემთხვას რა ჩვენი მიზეზით.

თუმცა ამისთანა შემთხვევა ფრიად იშვიათი მოვლენა იყო ბატონი მირიელის ცხოვრებაში. ჩვენ მხოლოდ იმასა ვწერთ, რაც ვიცით. ჩვეულებრივ კი მშვიდი და წყნარი იყო მისი ცხოვრება, გუშინდელი არაფრით განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, და შარშანდელი წლევანდელისაგან. ერთ საათს რომ დაჰკვირვებოდით, ეპისკოპოსის ცხოვრების მთელი თვე გეცოდინებოდათ.

რაც შეეხება ამბრენის ტაძრის განძეულობას, ამაზე რომ გვკითხონ რამე, გაგვიჭირდება პასუხი. მართლაც რომ ძალიან ძვირფასი ნივთეულობა იყო და ძნელად გაუძლებდა ვინმე, - არ ესარგებლა, ფულად არ ექცია და ღარიბთათვის არ მიეწოდებინა. ხომ უკვე მოპარული იყო ეს ნივთები, საჭირო იქნებოდა მხოლოდ დანიშნულება შეეცვალა ვინმეს და ქვრივ-ობლებისაკენ მიემართა. ეს კია, რომ ამ საგანზე დანამდვილებით არა ვიცით რა, გარდა იმისა, რომ ეპისკოპოსის ქაღალდებში ეს სიტყვები იპოვეს დაწერილი: „უმთავრესი ის არის, ვიცოდეთ, ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს იგი, თუ საავადმყოფოს“. შესაძლებელია, ამ სიტყვებს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა იმ განძეულთან.

## თავი მერვე
## ფილოსოფია კარგი გადაკვრის შემდეგ

სენატორი, რომლის შესახებაც ამას წინათ გვქონდა ბაასი, ჭკვიანი, შეგნებული კაცი იყო და ისე გაეტარებინა თავისი დღენი, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია არასოდეს სინდისის, ფიცის, პატიოსნებისა და მოვალეობისათვის; ამას რომ აჰყოლოდა, ხომ ვეღარც წარჩინებული წოდების პატრონი გახდებოდა. იმას თავისი ჯიბისა და ხარისხის მეტი არა სწამდა რა და როცა სინდისისთანა შემაფერხებელი რამ დახვდებოდა წინ, წარბშეუხრელად მიდიოდა თავისი მიზნისაკენ. ჯერ პროკურორად იყო და თავისიანების სიყვარულით გამსჭვალული, ძალიან ასარგებლებდა თავის შვილებს, სიძეებს, ნათესავებს და, ასე განსაჯეთ, მეგობრებსაც კი. გულკეთილი კაცი იყო და ცხოვრებაში მხოლოდ სიტკბოებას ეძებდა - დიდებას, კარგ შემთხვევას და კარგ ძღვენს. დანარჩენი სისულელედ მიაჩნდა. გონებამახვილი გახლდათ, მწერლობას იმდენად იცნობდა, რომ თავი ეპიკურეს მოსწავლედ მიაჩნდა, თუმცა პიგო ლებრენის მოწაფე იყო. სიამოვნებით იცინოდა „საწყალი ეპისკოპოსის სისულელეებზე“ და ისეთ საგნებზე, რომელსაც ჩვენ უსაზღვროს და უკვდავს ვუწოდებთ. ხანდახან თვით ეპისკოპოსის წინაშეც დაიწყებდა ხოლმე ხუმრობას.

აღარ მახსოვს, რაღაც უქმე იყო და გრაფი (ჩვენი სენატორი) და ეპისკოპოსი მირიელი ერთად შეესწრნენ პრეფექტთან სადილს. ხილი რომ მიართვეს, სენატორი, ცოტა არ იყოს, შექეიფიანებული იყო.

- ერთი რამ მინდა მოგახსენოთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, - მიმართა დიდად ზრდილობიანად ეპისკოპოსს: - ეპისკოპოსი და სენატორი ისე ვერ ხვდებიან ერთმანეთს, რომ თვალი არ ჩაუკრან. მე და თქვენ ავგურები გახლავართ. ნება მიბოძეთ, ერთი რამ გაგიზიაროთ. მე ჩემი ფილოსოფია მაქვს.

- და უნდა გქონდეთ კიდეც, - მიუგო ეპისკოპოსმა. - რა ფილოსოფიასაც შეიძენს კაცი, ისეთივე ცხოვრება ექნება. როგორც დაწვები, ისე დაიძინებ. თქვენ დიბა ხავერდის ლოგინზე წევხართ, ბატონო სენატორო.

სენატორს გული მიეცა და უფრო გაბედულად დაიწყო:

- მაშ, მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ.

- შინაურულად, თუ გნებავთ.

- პირდაპირ მოგახსენებთ, - დაიწყო სენატორმა: - მარკიზი დ'არჟანი, პირონი, ჰობსი და ნეჟონი არამზადები როდი არიან. ჩემი ფილოსოფოსები, სევადიანი ყდით დაკაზმული, სულ განჯინაში მიწყვია.

- როგორც თვით თქვენა ბრძანდებით, ბატონო სენატორო, - შეაწყვეტინა სიტყვა ეპისკოპოსმა.

სენატორმა განაგრძო:

- დიდრო ჭირივითა მძულს: მეოცნებეა, დეკლამატორი და რევოლუციონერი; ყოველივე ამასთან, ღმერთი სწამს და უფრო მუზმუზელაა, ვიდრე ვოლტერი. ვოლტერმა მასხრად აიგდო ნიდჰემი, მაგრამ შეცდა იმიტომ, რომ ნიდჰემის გველთევზები ამტკიცებენ ღმერთის უსარგებლობას. არც არის საჭირო. ერთ კოვზ პურის ცომს ერთ წვეთ ძმარს უზამენ, რომ სული ჩაუდგას; წარმოიდგინეთ ძალიან დიდი პურის ცომი და იმდენივე ძმარი - ეგეც თქვენი დედამიწა. ადამიანი კიდევ - გველთევზა. რისი მაქნისია აქ ღმერთი მარადი? კმარა, თქვენო უსამღვდელოესობავ, თავი მოგვაბეზრა თქვენმა იეღოვამ. დაე, იმათა სწამდეთ, თუ მაინცდამაინც არ დაგიშლიათ, ვისაც კუჭი შიმშილით უხმება. მე კი ნუ მაწუხებთ. სხვებს უბრძანეთ ეგ ზღაპრები ყოვლადძლიერის შესახებ. რა სჯობს არარაობას, რომელიც მე მწამს და რომელიც არაფერს მთხოვს და მოსვენებას არ მიფრთხობს. ცოდვა აღიარებული სჯობიაო, ნათქვამია, და მოდი, გავანდობ კიდეც ჩემს მოძღვარს, რომ საღი გონების პატრონი ვარ. მე თქვენსავით კი არ ვგიჟდები ქრისტესათვის, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავგანწირვას და უარყოფას ქადაგებს. ძუნწიც ხომ მაგასვე ურჩევს გაჭირვებულთ! უარყოფა, რისთვის? თავის განწირვა, ვისთვის? რა ვიცი, მე კი არსად მინახავს, რომ მგლის საკეთილოდ მგელს თავი გაეწიროს. ის არა სჯობია, ბუნებას დავაკვირდეთ და ბუნებრივად ვიცხოვროთ? ბუნების თავში, ზედ მწვერვალზე ჩვენა ვართ - მაშ, ფილოსოფიაც უმაღლესი ვიქონიოთ. თვალი გავახილოთ, ბატონო. თუკი ამ მწვერვალიდან ჩვენი ცხვირის იქით ვერას დავინახავთ, რა გამოვა? ვიცხოვროთ მხიარულად. დიახ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ჩვენი ცხოვრების დანიშნულება სიამოვნება გახლავთ და სხვა არაფერი. ის კი არ მიბრძანოთ, ადამიანს სააქაოს გარდა სხვა ცხოვრება მოელის იქ, ზევით, სადღაც საიქიოსაო. მე მაგეების ერთი სიტყვაც არა მჯერა. რამდენი ხანია მოვიცვალე ეგ კბილი. არა, არ დაფიქრებიხართ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ამ უაზრობას: სულ იმის ფიქრში იყავ, რომ არა შეგცდეს რა; ავი, უვარგისი, უმართებულო არა ჩაიდინო რაო... და რატომ? იმიტომ, რომ განკითხვისა უნდა გეშინოდესო. მერე ეგ განკითხვა როდის იქნება? როცა მოვკვდები? რა სისულელეა. ბატონო, დააჭერინეთ აჩრდილის ხელს ერთი მუჭა ფერფლი, ბარემ პირდაპირ ვთქვათ, რა გვაქვს დასამალავი. იზიდასთვის უკვე აგვიწევია კაბა და უკვე დავრწმუნებულვართ, რომ ქვეყნად არც კარგი არსებობს და არც ავი. ცხოვრება ცხოვრებაა და სხვა არაფერი. აკი მოგახსენებთ, ბუნებას დავუკვირდეთ, შევისწავლოთ, სულ ძირი-ძირობამდე ჩავყვეთ, გადავთხაროთ დედამიწა და ჭეშმარიტება კი ვიპოვოთ სადმე. რომ იცოდეთ, რა ნეტარებას მოგანიჭებთ ეს ჭეშმარიტება; რომ იცოდეთ, რა მძლავრია მაშინ კაცი და რა გულიანად იცინის. საქმე საფუძველია, ჩემო ბატონო, და ფოლადივით მტკიცე გახლავთ ჩემი რწმენის საფუძველი. ადამიანის უკვდავება, თქვენო უსამღვდელოესობავ, მართლაც რომ

საგანგებო გამოგონებაა. საუცხოო დანაპირებია. ოღონდ კი დაიჯერეთ და ყველაფრით ბედნიერი იქნებით - იქ, საიქიოს, სადღაც სამოთხეშიო! აქ უბედური, ღარიბ-ღატაკი, მშიერ-მწყურვალი, ქვეყნისაგან შეურაცხყოფილი, მიწასთან გასწორებული - ოღონდ კი დაიჯეროს ეგ ზღაპრები - იქ ანგელოზად იქცევა, ფრთაშესხმულ ანგელოზად. მომაგონეთ, თუ შეიძლება, თქვენ უფრო გეხსომებათ, ტერტულიანემ თქვა, მგონი, ნეტარნი ცას სულით დაისაკუთრებენ და ხან ერთ ვარსკვლავზე ექნებათ სამყარო, ხან - მეორეზეო. დიახ, კალიასავით ხტომას დაიწყებენ ერთი ვარსკვლავიდან მეორისაკენ და ბოლოს ღმერთსაც იხილავენ. საწყალი ხალხისათვის მართლაც რომ კარგად არის მოგონილი ეს დაპირება. ჩვენთვის კი ღმერთი უდიდესი მიქარვაა. ამას „მონიტერში“ კი არ დავწერდი, რასაკვირველია; ასეთ მეგობრულ ბაასში კი რატომაც არა? ვიტყვი ჩუმად, ჩურჩულით, დედამიწა სამოთხეს ვანაცვალო? გიჟი არ ვიქნები, ნამდვილი აჩრდილს დავუთმო? რაღაცა უკვდავებისათვის გავიმწარო სიცოცხლე? აარა, ბატონო, არც ასეთი სულელი ვარ. სანამ სული მიდგას, არარაობა ვარ, სენატორი, გრაფი არარაობა, მოვკვდები და - არა ვარ-რა. ვიყავ რამ დაბადებამდე? არა. ვიქნები რამ სიკვდილის შემდეგ? აარა. მაშ რა ვყოფილვარ? ცოტა რამ მტვერი ორგანიზმად შეერთებული. რა მინდა ამქვეყნად? არჩევანი ჩემია? ტანჯვა თუ სიამოვნება? სად მიმიყვანს ტანჯვა? სიკვდილთან, ესე იგი, არარაობასთან, ოღონდ ჯერ სიცოცხლეს ჩამამწარებს. სად მიმიყვანს სიამოვნება? სიკვდილთან, ესე იგი უკვე გათავებულია. ან უნდა ვჭამო, ან უნდა შემჭამონ. მე ვჭამ. მგონია, ისა სჯობია, კბილი ვიყო, ვიდრე ბალახი. ეს გახლავთ ჩემი სიბრძნე. მოვკვდები და შვიდი ადლი სამოსელი, ოთხი ფიცარი და ცივი მიწა. ეს არის ჩვენი ბოლო -

Finis - ანგარიშის საბოლოო გასწორება. სიკვდილი ისე ჰკლავს, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ უკვდავი არა დარჩება რა. რა ვიცი, არა მგონია, რომ წინააღმდეგის თქმა შეძლოს ვინმემ და თუ შეძლო, ან სულელი იქნება, ან ფლიდი, რომელიც ქვეყანასთან ერთად თავის თავსაც ატყუებს. ბავშვებისათვის გახლავთ საჭირო ეს არაკები, უბრალო ხალხისთვის, ჩვენთვის კი რა საჭიროა სიცრუე, როდესაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ და მეც, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერია, გარდა არარაობისა, სრული გათანასწორებისა! სარდანაპალ-მეფე ბრძანდებოდით თუ წმინდა ვინსენ დე პოლი, შავი მიწისთვის სულერთია, მაშასადამე, სანამ ცოცხალ ვართ, დავტკბეთ სიცოცხლით. დავეშუროთ, დავეწაფოთ ცხოვრების ნექტარს. ეს გახლავთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, ჩემი ფილოსოფია. სად წავა, მე რომ სხვადასხვა სისულელეს ავყვე. ეგ სისულელე იმათთვის დამითმია, ვინც იქ, ქვევით, მიწის პირას ფუთფუთებენ, ღატაკი ხალხისათვის, რომელსაც ლუკმაპური ვერ უშოვია, შიმშილი აწუხებს. ეგ საჭიროა უნიფხვოთათვის, დამშეულთათვის. იმათ აძლევენ საღეჭად ლეგენდებს, სულს, სამოთხეს, უკვდავებას და ვარსკვლავებს. ეგ მაინც ჰქონდეთ საცოხნავად. გამხმარ პურს ამით მაინც დაალბობენ. ღმერთი იმას უნდა, ვისაც არაფერი აქვს. რაღა დარჩება, ეგეც რომ წავართვათ?

ეპისკოპოსმა ტაში შემოჰკრა.

- აბა, ლაპარაკი ასე უნდა, აი! - შეჰყვირა მირიელმა. - ჭეშმარიტად საუცხოო და საკვირველი რამ არის მატერიალიზმი. ყველა კი ვერ მისწვდება მის სიბრძნეს. ნეტარ არს კაცი, თქვენი რწმენით აღჭურვილი. ვეღარც მოატყუებენ, ვეღარც კატონივით განდევნიან, ვეღარც სტეფანესავით ჩააქვავებენ, ვერც ჟანა დ'არკივით ცოცხლად

დასწვავენ. ვისაც სიბრძნეთა სიბრძნემდე მიუღწევია და სასიქადულო თქვენი მატერიალიზმი შეუგნია, ბედნიერი იმითია, რომ თავისუფლად გრძნობს თავს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, ბედნიერი იმითია, რომ ყველაფრის გადაყლაპვა და მონელება შეუძლია: თბილი ადგილებისა, სინეკურებისა, ღირსებებისა, კარგად და ავად შეძენილი ძალისა. ხელსაყრელ დროს თქმისა და ხვალ გადათქმისა, სასარგებლო ღალატისა, ჯიბის მიერ სინდისის დამორჩილებისა. დიახ, ყველაფერს მოინელებს და სანანურად მარტო ისა აქვს, რომ უფრო მეტს ვერ მისწვდა შთასანთქავად. უმეტესი ნეტარება შეიძლება განა? ამას თქვენზედ კი არ მოგახსენებთ, ბატონო სენატორო. პირიქით, მე მინდა თქვენ მოგილოცოთ. აკი ბრძანეთ, ჩვენ საკუთარი ფილოსოფია გვაქვს, მხოლოდ მდიდართა და წარჩინებულთათვის მისაღწევიო. კარგი ფილოსოფია ყოფილა, უნდა მოგახსენოთ, რასაც კი მოისურვებს თქვენი ჟინი და ვნება, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ თქვენგანვე, თქვენი სურვილისამებრ შექმნილი რწმენა. ეს ფილოსოფია დედამიწის სიღრმიდანაა ამოსული და სპეციალური მძებნელების მიერ ამოთხრილი. დიდება თქვენდა, უწარჩინებულესნო თავადნო ამა სოფლისანო! მით უფრო დიდება, რომ არ უკრძალავთ საწყალ ხალხს და ნებას აძლევთ - თავისი ფილოსოფია იქონიოს და ღმერთი სწამდეს. აგრე უნდა, ბატონო: თქვენ - თქვენი და ხალხს - თავისი; თქვენ - მატერიალიზმი, ხალხს - ღმერთი; თქვენ - ორაგული და ხალხს - გამხმარი მჭადი.

## თავი მეცხრე
## დის მიერ აღწერილი ძმა

დინის ეპისკოპოსის შინაური ცხოვრება რომ უფრო კარგად ავსახოთ, მოგვყავს ბატისტინეს ერთი წერილი, თავისი მეგობრის, გრაფ ბუაშევრონის მეუღლისადმი მიმართული, რომელთან ერთად შეზრდილიყო და მიწერ-მოწერას არ წყვეტდა. ეს წერილი ნათლად დაგვანახებს, როგორ უთანხმებდა და უმორჩილებდა ორივე წმინდა ქალი ყოველ თავის საქციელს, ფიქრს, ქალურ ინსტინქტსაც კი ეპიკოპოსის ჩვეულებას და სურვილს, თუმცა ამას იშვიათად გამოთქვამდა. ეს წერილი ხელთა გვაქვს.

დინი

18... წ. დეკემბრის 16.

დღე არ გავა, ჩემო კეთილო, რომ თქვენ არ მოგიგონოთ. თქვენი ხსენება ჩვეულება გახლავთ ჩვენი და, გარდა ამისა, ამ უკანასკნელ დროს პატარა მიზეზიც შემოემატა. წარმოიდგინეთ, კედლებისა და ჭერის წმენდაში მაგლუარმა საუცხოო მხატვრობა აღმოაჩინა ჩვენს სახლში. დღეს რომ ნახოთ ჩვენი ორი ოთახი, დარწმუნდებით, რომ არაფრით ჩამოუვარდება თქვენი სასახლის ოთახებს. მხატვრობას ქაღალდი ჰფარავდა და მაგლუარმა მთლად ჩამოგლიჯა. ჩემს ოთახს ოთხ მეტრამდე სიმაღლე აქვს და ორ-ნახევარი - სიგანე; იგი თითქმის ცარიელია და ავდარში აქა ვფენთ სარეცხს. სწორედ ისეთი ოქროვარაყიანი მხატვრობა გახლავთ ოთხსავ კედელზე და ჭერზე, როგორიც თქვენსა მინახავს. საავადმყოფო რომ გადმოეტანათ, ზედ ქაღალდი გაეკრათ და მგონი ათი პირი ჩამოგლიჯა მაგლუარმა. ჩვენი ბებიების დროინდელი შეფიცრული უნდა იყოს. ტელემაქე გახლავთ დახატული, მინერვას რომ ეწევა; იგივე ტელემაქე - ბაღში, ამ ბაღის სახელი კი არ მაგონდება;

რომაელი ქალები მხოლოდ ერთი ღამით იკრიბებოდნენ ამ ბაღში მარტოდმარტონი. ერთი სიტყვით, ჩემი ოთახი სავსეა რომაელი კაცებით და ქალებით (აქ ერთი სიტყვა გაურკვეველია) და მთელი ამალით. ქაღალდს რომ ვაცლიდით, ცოტა რამ დავაზიანეთ, მაგრამ ამ ზაფხულს შესწორებას ვუპირებთ და ჩემი ოთახი სწორედ მუზეუმს ემგვანება. სხვენზე კიდევ ორი ძველებური პატარა მაგიდა ვიპოვეთ ყვავილებისათვის, მაგრამ შესაკეთებელი თორმეტი ფრანკი მთხოვეს და თავი დავანებე; ეს ფული საწყალ ხალხს დავურიგო, უკეთესი იქნება. გარდა ამისა, მე წითელი ხის მრგვალი მაგიდა უფრო მომწონს.

დიდად ბედნიერი ვარ, ისეთი კეთილია ჩემი ძმა. რაც კი აქვს, სულ საბრალოთ და ღარიბთ ურიგებს. ჩვენ ძალიან გვიჭირს. ამ მხარეს სასტიკი ზამთარი იცის და ჩვენც, რითიც შეგვიძლია, ვეხმარებით საწყალ ხალხს. ნეტარებაც ამაშია.

თავისებური კაცი გახლავთ ჩემი ძმა. სიტყვა რომ მოიტანს, ყოველთვის იმას ამბობს, - ეპისკოპოსი სწორედ ასეთი უნდა იყოსო. წარმოიდგინეთ, ჩვენი სახლის კარი ყოველთვის ღიაა. ვისაც კი ნებავს, შემოაღებს კარს და პირდაპირ ჩემს ძმასთან შემოვა. არაფრისა ეშინია არც დღე და არც ღამე; მე ჩემებური ვაუკაცობა მაქვსო, - მოგახსენებთ.

- ჩემთვის ნუ სწუხხარო, - მეუბნება და მაგლუარსაც ყოველთვის უშლის:

- მე საშიში არა მჭირს რაო. - თვითონ განსაცდელში იგდებს თავს და არ უნდა, რომ ჩვენ ეს შევამჩნიოთ. ადამიანმა მას ხასიათი უნდა გაუგოს.

წვიმაში წყალში დადის, ზამთარში მოგზაურობს, არც დღე იცის, არც ღამე, არც ცუდ გზას ერიდება, არც ყაჩაღებს.

შარშან მარტოდმარტო წავიდა მთაში, სადაც ყაჩაღები დათარეშობდნენ, ჩვენ არ წაგვიყვანა. მთელი კვირა დაჰყო მთაში. დაბრუნდა საღი და უვნებელი, თუმცა ჩვენ მკვდარი გვეგონა. გვითხრა: უყურეთ, როგორ გამძარცვესო, ზანდუკი გახსნა და წინ გადაგვიშალა ამბრენის ტაძრიდან მოპარული ძვირფასი სამოსელი. ქურდებს ჩემი ძმისათვის მიერთმიათ.

მაშინ კი ვეღარ შევიკავე თავი და ცოტათი გავუჯავრდი, ოღონდ ეტლის ხმაურობის დროს, ისე, რომ არავის გაეგონა.

პირველ ხანებში ძალიან ვწუხდი, რადგან არავითარი საშიშროება მას არ შეაჩერებდა. მერე კი შევეჩვიე და ახლა მე თვითონ ვეხვეწები მაგლუარს, საწინააღმდეგო არა უთხრას რა. თვით ნებავს თავის გამეტება. ავალთ ხოლმე ჩვენს ოთახებში მე და მაგლუარი, ღმერთს შევავედრებთ ჩემს ძმას და დავიძინებთ; სრულიად დამშვიდებული გახლავართ, რადგან ვიცი, თუ უბედურება ეწვია რამე, მეც თან გადავყვები ჩემს ძმას და სულიერ მოძღვართან ერთად მეც წარვდგები ღვთისა წინაშე. მაგლუარს კი უფრო გაუჭირდა მისი გაუფრთხილებლობის - ეს იმისი სიტყვა გახლავთ - შეჩვევა, მაგრამ ახლა ისიც დამორჩილდა. ორივეს ერთად გვეშინია, ორივენი ერთად ვლოცულობთ და მერე დასაძინებლად გეახლებით. რა ვქნა, ეშმაკიც რომ შემოვიდეს სახლში, ჩვენ ხმას ვერ ამოვიღებთ. და მართლაც, რისა უნდა გვეშინოდეს ამ სახლში? ჩვენთან ყოველთვის იმყოფება ის, ვინც ყველაზე ძლიერია. ეშმაკმა შეიძლება გაიაროს ჩვენს სახლში და ღმერთი კი ყოველთვის შიგა სუფევს.

ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია და ახლა ხმასაც აღარ იღებს ჩემი ძმა: მე უსიტყვოდაც მესმის მისი სურვილი და განგებისათვის მიმინდია ჩემი თავი. იყავნ ნება მისი.

ააი, როგორ უნდა შეეგუოს ადამიანი დიდსულოვან კაცს.

ჩემს ძმას ვკითხე ის ცნობები, რომელსაც თქვენ მწერდით დე ფოს ოჯახის შესახებ. ხომ მოგეხსენებათ, როგორ ყველაფერი იცის და ყველაფერი ახსოვს, რადგან დიდი მომხრეა მეფისა. ფოს გვარი მართლა ძველისძველ გვარად ითვლება ნორმანდიაში. რაულ დე ფო, ჟან დე ფო და თომა დე ფო აზნაურისშვილები იყვნენ ამ ხუთასი წლის წინათ. თომას ეკუთვნოდა როშფორის ციხე; უკანასკნელი გი-ეტიენ-ალექსანდრი იყო ბრეტანში. ამის ქალი, მარი-ლუიზ, ადრიენ გრამონსა ჰყავდა, საფრანგეთის დიდებულთა გვარის შთამომავალს.

ჩემო კეთილო! თქვენს ნათესავს, წმინდა კარდინალს სთხოვეთ, ნუ დაგვივიწყებს და ჩვენც მოგვიხსენიოს თავის ლოცვებში. სიყვარულით მომიკითხეთ თქვენი ძვირფასი სილვანი და უთხარით, ჩემთან წერილების წერით ნუ მოსცდება, ისედაც ცოტა ხანი უნდა დაჰყოს თქვენთან. ჩემთვის ისიც კმარა ვიცოდე, რომ კარგად არის, თქვენი რჩევისამებრ სწავლობს და ისევ ისე ვუყვარვარ. მწერთ, არ დავიწყებიხარო და სწორედ რომ მახარებთ. მე კარგად გახლავართ, თუმცა დღითი დღე ვხდები. ნახვამდის, ჩემო კეთილო, ქაღალდი შემომელია და გაჩუმება მაიძულა. მრავალს სიკეთეს გისურვებთ.

თქვენი ბატისტინე.

P. S . თქვენი შვილიშვილი ანგელოზივით მშვენიერია. მოგეხსენებათ, ამ დღეებში ხუთი წლისა ხდება. გუშინ ცხენი დაინახა, ფეხზედ სამუხლე ჰქონდა და ძალიან გაიკვირვა: „რა დაემართა იმ ცხენს მუხლებზეო?“ უნდა ნახოთ, რა მშვენიერი რამ იზრდება. უმცროსი ძმა კიდევ გადააჯდება ცოცხს და აჩუს დასძახის.

ეს წერილი მოვიყვანეთ, რომ დაგვენახვებინა, როგორ უწყობდა ხელს ეპისკოპოსს ორივე მოხუცი ქალი და როგორ უმორჩილებდნენ მის ხასიათს ყოველ თავის სურვილს იმ საკვირველი ქალური ნიჭის მეოხებით, რომელიც საშუალებას აძლევს დედაკაცს უკეთ გაუგოს ვაჟკაცს, ვიდრე ეს თვით ვაჟკაცს შეუძლია. დინის ეპისკოპოსი თავისი მშვიდი, უმანკო იერით, რომელსაც თავის დღეში ვერა შეუცვლიდა რა, ხშირად ფრიად დიდ, გაბედულ და ძლიერ საქმეებს არიგებდა, მაგრამ ისე, თითქოს არც კი გრძნობს მათ სიდიადესაო. ქალები თრთოდნენ, მაინც ხმის ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ. პირველ ხანებში ზოგჯერ მაგლუარი გაბედავდა ხოლმე და მოწიწებით შენიშნავდა რასმე; შემდეგში კი სრულიად აღარაფერს ეუბნებოდა. რაკი შეუდგებოდა საქმეს, არამცთუ სიტყვით, ფიქრადაც ვეღარ ბედავდნენ დაშლას, ან რაიმე რჩევის მიცემას. ხანდახან დაცა და მოახლეც მხოლოდ მღვდელთმთავარს, სულიერ მოძღვარს ხედავდნენ მირიელის მოქმედებაში და იმიტომ ემორჩილებოდნენ; მაშინ აჩრდილს ემსგავსებოდა ორივე და ისე მიდი-მოდიოდნენ სახლში. საჭიროებისამებრ ემსახურებოდნენ და, თუ მორჩილება მის მარტო დატოვებას მოითხოვდა, ქარივით გაეცლებოდნენ, რაღაც საკვირველი სიფაქიზე ჰქონდათ და გრძნობდნენ, რომ ზოგჯერ ეს სჯობს ერთგულ სამსახურს. ხშირად, როცა იცოდნენ, რომ განსაცდელში იყო სადმე, რაკი შეგნებული ჰქონდათ - იმისი აზრი კი არა, - იმისი ბუნება, თავს ანებებდნენ, ღმერთს მიანდობდნენ მის მფარველობას.

ესეც რომ არ ყოფილიყო, ბატისტინე ყოველთვის ამბობდა, როგორც ზემომოყვანილი წერილიდანაც ჩანს, რომ ძმის სიკვდილი მისი აღსასრულიც იქნებოდა. მაგლუარი ამას არ ამბობდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა მომხდარიყო...

## თავი მეათე
## ეპისკოპოსი უცნობი სინათლის წინაშე

ზემოთ მოყვანილ წერილში აღნიშნული თარიღის შემდეგ ერთი ისეთი საქმე ჩაიდინა ეპისკოპოსმა, რომ მთელი ქალაქი აალაპარაკა. საერთო აზრით, ეს უფრო სახიფათო იყო, ვიდრე ყაჩაღებთან მთაში წასვლა.

დინის ახლოს სოფელში სრულიად განცალკევებულად ცხოვრობდა ერთი კაცი. ეს კაცი - ახლავე ვთქვათ, რაც დინელებს აშინებდა - გახლდათ კონვენტის წევრი გ.

დინელები ამ კაცს ზიზღით იხსენიებდნენ. იცით რა იყო იმათთვის კონვენტის წევრი? კონვენტი იმ დროს იყო, როდესაც ერთმანეთს ყველანი შენობით ელაპარაკებოდნენ, სიტყვა „ბატონო“ შეურაცხყოფად მიაჩნდათ და ერთმანეთს რომ მიმართავდნენ, - მოქალაქეო, ეტყოდნენ. ადამიანად კი არა, რაღაც ურჩხულად წარმოედგინათ ეს კაცი: მეფის სიკვდილით დასჯის საკითხს რომ არჩევდა კონვენტი, იმას თანხმობა არ გამოეცხადებინა, მაგრამ თითქმის მიმხრობოდა იმათ, ვისაც დინელები მეფის მკვლელებს უწოდებდნენ. საშიშ კაცად მიაჩნდათ და ძალიან უკვირდათ, - რატომ არ დაიჭირეს და სამართალში არ მისცეს, როდესაც რესპუბლიკა დაიღუპა და ისევ მეფენი დაბრუნდნენო? თავის მოჭრა იქნება მეტისმეტიც ყოფილიყო, - შებრალებაც უნდა იცოდეს ადამიანმა, მაგრამ საუკუნოდ რომ განიდევნოს სამშობლოდან, კარგს იზამენ, ეს მაგალითად გამოდგება სხვებისათვისაო და სხვ. და სხვ. გარდა ამისა, ის ღმერთს უარყოფს, როგორც ყველა მისთანაო.

ბატები ასისინებულიყვნენ მიმინოზე.

მიმინო იყო კი ეს კაცი? - დიახ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სასტიკ მარტოობას, რომელშიაც ის იმყოფებოდა, ვინაიდან მეფის სიკვდილით დასჯის შესახებ თანხმობა არ გამოეცხადებინა, განდევნილთა სიაში არ მოხვედრილიყო და შეეძლო საფრანგეთში დარჩენილიყო.

ქალაქიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე იდგა. მის სიახლოვეს არც სადმე სახლი მოჩანდა, არც გზა; ერთ მიყრუებულ ხევში მოეწყო, როგორც ამბობდნენ, თავისი ბუნაგი. მეზობელი არავინ ჰყავდა, მგზავრიც კი ვერ მოხვდებოდა იმის სახლს. მას შემდეგ, რაც იქ დასახლებულიყო, ხევისკენ მიმავალ ბილიკს ბალახი მორეოდა და დაკარგულიყო. ამ კაცის მიდამოს იხსენიებდნენ, როგორც ჯალათის სახლს.

ეპისკოპოსი კი რაღაცას ფიქრობდა. ხშირად გაიხედავდა ხოლმე ჰორიზონტის იმ მხარეს, სადაც რამდენიმე მაღალი ხე იდგა მოხუცი კონვენტის წევრის ხეობის შესავალში და იტყოდა:

- იქ ადამიანის შვილია, სულით ობოლი.

და ფიქრს ამ დასკვნით აბოლოებდა:

- ჩემი ვალია, უნდა წავიდე და ვნახო.

მაგრამ ვაღიარებთ, ეს აზრი, პირველი შეხედვით სრულიად ბუნებრივი, დაფიქრების შემდეგ უცხოდ ეჩვენებოდა, შეუძლებლად და თითქმის უსიამოვნოდაც. იმიტომ, რომ ეპისკოპოსზე იგივე შთაბეჭდილება მოეხდინა კონვენტს, რაც დინელებზე, და კონვენტის წევრად ნამყოფი გულში იმ გრძნობას უღვიძებდა მას, რომელსაც ასე კარგად გამოხატავს სიტყვა განრიდება.

ძალიან კარგი, მაგრამ ქეციანმა ცხვარმა მწყემსს უკან უნდა დაახევინოს? არა, მაგრამ ცხვარიც არის და ცხვარიც.

ეპისკოპოსი ყოყმანობდა. ხანდახან წავიდოდა იმ მხარისაკენ, მაგრამ ისევ დაბრუნდებოდა.

ბბოლოს, ერთ დღეს, ქალაქში ხმა გავარდა, პატარა მწყემსი, გ-ს მსახური, ექიმის წასაყვანად მოსულაო: ბებერი ურჯულო კვდება, ფეხები უკვე წაერთვა და ღამეს ვეღარ გაათენებსო...

- მადლობა ღმერთს, - უმატებდა ზოგიერთი.

ეპისკოპოსმა თავისი ძველი ანაფორა გადაიცვა, რადგან საღამო იყო და შეიძლებოდა ქარი ამოვარდნილიყო, წამოავლო ხელი ყავარჯენს და გზას გაუდგა.

მზე გადახრილიყო და თითქმის ჰორიზონტს შეხებოდა, როდესაც განმარტოებულ სადგომს მიუახლოვდა. ეს სიახლოვე რომ იგრძნო, ცოტა არ იყოს, გული აუჩქროლდა. რუს გადავიდა, ღობე გადაიარა და ბაღში შევიდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ქოხს მიადგა.

ეს იყო დაბალი, უბადრუკი შენობა, პატარა და სუფთა, ვენახის ტალავერით დამშვენებული.

ქოხის კართან, ძველ გლეხკაცურ ბორბლებიან სავარძელში ესვენა ეს სრულიად თმაგათეთრებული მოხუცი და მზეს შესცინოდა.

მოხუცებულის გვერდით პატარა მწყემსი იდგა და ჯამით რძეს აწოდებდა.

სანამ ეპისკოპოსი მოხუცს შესცქეროდა, მისი ხმა გაიგონა:

- გმადლობ, - უთხრა მოხუცებულმა მწყემსს, - აღარაფერი მინდა. - მზეს თვალი მოაშორა და ახლა ბავშვს შესცინა.

ეპისკოპოსი წინ წადგა. ფეხის ხმა რომ შემოესმა, მოხუცებულმა მოიხედა და დიდი განცვიფრება გამოეხატა სახეზე.

- მას შემდეგ, რაც აქ ვცხოვრობ, თქვენ მეტი ჩემთან არავინ მოსულა. ვინ ბრძანდებით, ბატონო?

ეპისკოპოსმა უპასუხა:

- კეთილმოვლენილ მირიელს მიწოდებენ.

- კეთილმოვლენილი მირიელი? გამიგონია ეგ სახელი. თქვენა ბრძანდებით ის მოძღვარი, რომელსაც ხალხი კეთილმოვლენილს უწოდებს?

- მე გახლავართ.

მოხუცმა ოდნავი ღიმილით მიმართა:

- მაშ თქვენ ჩემი ეპისკოპოსი ბრძანებულხართ.

- ცოტაოდენ.

- მობრძანდით, ბატონო.

კონვენტის წევრმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ეპისკოპოსმა არ ჩამოართვა, მხოლოდ უთხრა:

- კარგია, რომ მოვტყუებულვარ. თქვენ ავადმყოფს არ ჰგავხართ.

- დიახ, ბატონო, - უპასუხა მოხუცმა, - მალე სულ მოვრჩები.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერე დაუმატა:

- სამ საათში გავთავდები.

და განაგრძო:

- ცოტაოდენი მედიცინისაც გამეგება. ვიცი, როგორც ეპარება ადამიანს უკანასკნელი ჟამი. გუშინ მარტო ფეხები მქონდა ცივი, დღეს მუხლებამდე მოაწია; კარგადა ვგრძნობ, რომ იწევს ნელ-ნელა ზევით; გულთან რომ მოვა, მეც დავდგები. რა მშვენიერია მზე, გარეთ გამოსვლა ვისურვე, მინდოდა ერთხელ კიდევ გადამევლო თვალი არემარისთვის. მიბრძანეთ, ბატონო, მე ლაპარაკი არ მაწუხებს. კარგი ჰქენით, რომ მომაკვდავის სანახავად მობრძანდით. კარგია ადამიანის უკანასკნელ წამს რომ შეესწროს ვინმე. რა სისულელეს მოინდომებს ხანდახან მომაკვდავი: ნეტავი გათენებამდე ვიცოცხლო-მეთქი, - სულ ამას ვნატრობ, მაგრამ ვიცი, სამ საათს ძლივს გავაწევ. ღამე იქნება. ეჰ, სულერთი არ არის? სულ უბრალო საქმე გახლავთ კაცის ბოლო. სიკვდილისთვის დილა საჭირო არ არის. რა გაეწყობა? გარეთ გავალ და ცის ქვეშ მოვკვდები.

შემდეგ ბიჭს მიუბრუნდა და უთხრა:

- წადი, დაიძინე. არც წუხელ გძინებია. დაღლილი იქნები.

ბიჭი ქოხში წავიდა.

მოხუცმა თვალი გააყოლა და თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

- სანამ ამას ეძინება, მეც მოვკვდები, ორთავე ძილი ერთიმეორეს კარგად შეეწყობა.

ეპისკოპოსი თავისდა უნებურად სრულიად დამშვიდებული იყო. ამგვარ სიკვდილში ღმერთს ვერა გრძნობდა და - პირდაპირ ვთქვათ, რადგან დიდსულოვანი მოძღვრის ეს წვრილმანი წინააღმდეგობანი ისევე უნდა იქნეს აღნიშნული, როგორც ყოველივე სხვა - სხვა დროს და სხვაგან თუ გულით დასცინებდა - თქვენო უმაღლესობაო, რომ ეთქვათ, ახლა, ცოტა არ იყოს, სწყინდა, რომ „თქვენო უსამღვდელოესობით“ არ მიმართავდა ეს მომაკვდავი. სწყინდა და „ბატონოს“ პასუხად ენის წვერზე ადგა სიტყვა „მოქალაქე“; უნდოდა ეჩვენებინა მოხუცისათვის, როგორც ექიმებს და მღვდლებს სჩვევიათ, რომ მას მეტი მოწიწება ჰმართებდა ეპისკოპოსისადმი. უნდოდა, მაგრამ ვერ აასრულა ეს წადილი, ვინაიდან ამგვარი რამ უცხო იყო მისთვის. ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი, ეს კონვენტის წევრი, ეს ხალხის წარმომადგენელი, ერთ დროს ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. ეპისკოპოსმა ალბათ პირველად თავის ცხოვრებაში იგრძნო სიმკაცრისადმი მიდრეკილება.

მასპინძელი კი შესცქეროდა ეპისკოპოსს თავმდაბალი გულთბილობით, იქნებ მორჩილებითაც, რაც შედეგი უნდა ყოფილიყო სიკვდილისა და მიწადქცევის შეგნებისა.

ეპისკოპოსი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ცნობისმოყვარეობა ხშირად ადამიანს შეურაცხყოფს, მაგრამ აქ კი ვერ შეეკავებინა თავი და დაკვირვებით ათვალიერებდა მოხუცს. თვითონვე გრძნობდა, რომ ეს ცნობისმოყვარეობა თანაგრძნობის შედეგი არ იყო და, სხვასთან რომ ეს მოსვლოდა, სინდისის ქენჯნას იგრძნობდა. კონვენტის წევრი კი სულ სხვად მიაჩნდა. თითქოს ის კანონის გარეშე, თვით მოყვასის სიყვარულის კანონის გარეშეც კი ყოფილიყოს.

გ. მმშვიდი, თითქმის წელში მოუხრელი ოთხმოცი წლის მოხუცი იყო, ერთი იმ მოხუცთაგანი, რომელნიც აკვირვებენ ფიზიოლოგებს. რევოლუციას ბევრი ჰყავდა ეპოქის შესაფერისი მძლავრი პიროვნება. მასში გამობრძმედილი ადამიანი იგრძნობოდა. ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა, მაგრამ ჯერაც არ დაჰკარგვოდა სახის ძველებული, ვაუკაცური გამომეტყველება და ელვარება თვალისა, სიმკვირცხლე და

სიმტკიცე ხმისა. აზრაელი - მუსლიმანთა სულთამხუთავიც კი - უკან გაბრუნდებოდა, რადგან ეგონებოდა, რომ გზა აერია.

გ.-ს თითქოს თვით მოესურვებინა სიკვდილი. სულთმობრძავიც კი არ თმობდა თავისუფლებას, მხოლოდ ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ფეხიდან დაეწყო წყვდიადს იმისი დამორჩილება. ფეხი უკვე მკვდარი და გაცივებული ჰქონდა, თავი კი ცოცხლობდა. თანაც სავსებით შეენარჩუნებინა ძლიერი გონების მთელი სიცხადე. ამ უკიდურეს ჟამს მომაკვდავი აღმოსავლური ზღაპრის მეფესა ჰგავდა, წელამდე ხორცშესხმულს და წელს ქვევით - მარმარილოსას.

ეპისკოპოსი ქვაზე ჩამოჯდა. ბაასის შესავალი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

- მინდა მოგილოცოთ, - დაიწყო ეპისკოპოსმა გაკიცხვის ხმით, - კიდევ კარგი, რომ საჭიროდ არა სცანით ყოველთვის ხმა მიგეცათ მეფის სიკვდილისათვის.

მომაკვდავმა ეს მილოცვა ისე მიიღო, თითქოს ვერც კი შენიშნა ფარული საყვედური სიტყვისა - ყოველთვის; ღიმილი კი უცბად გაუქრა და უპასუხა:

- ნუ მილოცავთ, ბატონო. მე მტარვალის სიკვდილი საჭიროდ ვცანი.

ეს იყო რწმენით აღსავსე მრისხანება საყვედურის პასუხად.

- მაგით რა გინდათ ბრძანოთ? - შეეკითხა ეპისკოპოსი.

- იმას მოგახსენებთ, რომ ადამიანს მტარვალი ჰყავს, გაუნათლებლობა, და მე საჭიროდ მივიჩნიე ბოლო მოღებოდა ამ მტარვალს. ამ მტარვალმა შვა მეფობა, რომლის ძალა ტყუილზე არის დამყარებული. ჭეშმარიტებაზე კი მხოლოდ მეცნიერება არის დამყარებული და ადამიანთაც მხოლოდ მეცნიერება უნდა განაგებდეს.

- და სინიდისი, - დაუმატა ეპისკოპოსმა.

- ერთი და იგივე გახლავთ: სინიდისი ჩვენში თანდაყოლილი მეცნიერების რაოდენობა გახლავთ.

ეპისკოპოსი ოდნავ გაკვირვებული უსმენდა; ეს სიტყვა სრულიად ახალი იყო მისთვის.

მოხუცი განაგრძობდა:

- რაც შეეხება მეფე ლუი მეთექვსმეტეს, - უარი განვაცხადე. ჩემი აზრით, მე არა მაქვს კაცის კვლის უფლება, მაგრამ მოვალე ვარ მოვსპო ბოროტება. მე წინააღმდეგი ვიყავი მტარვალისა - ესე იგი, დედაკაცის გარყვნისა, ვაჟკაცის დამონებისა და ბავშვის ბავშვობაშივე ჟლეტისა. რესპუბლიკის დაარსების მომხრე ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, ქალს ნამუსი შევარჩინე, კაცს - თავისუფლება, ბავშვს - სიცოცხლე; მივემხრე ძმობას, თანხმობას, განთიადს! შეძლებისამებრ მე დავეხმარე ცრუმორწმუნეობისა და სიცრუის მოსპობას. ჩვენ ძირს დავამხეთ ძველი ცხოვრება, ადამიანის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, და გლოვისა და ვაების წილ სიხარული მოვფინეთ ქვეყანას.

- ამღვრეული სიხარული, - თქვა ეპისკოპოსმა.

- დიახ, ამღვრეული, ამჟამად კი, 1814 წლის სახით საბედისწერო წარსულის აღდგენის შემდეგ, გაუჩინარებული სიხარული. ვაი, რომ მეც ვიცი, დაუმთავრებელი დარჩა ჩვენი მოღვაწეობა. ჩვენ მარტო საქმენი დავანგრიეთ ძველი წესწყობილებისა, მაგრამ ვაი, რომ მისი ცნებანი ვერ გავაუქმეთ. ბიწიერება მაშინ მოისპობა, როდესაც ძირიანად გამოვუცვლით ხალხს ზნეს, ჩვეულებას და მთელ მის ზნეობრივ არსებას. წისქვილი დავანგრიეთ, მაგრამ ქარი დარჩა.

- დიახ, დავანგრიეთ. ეგ იქნება სასარგებლოც იყოს, მაგრამ მრისხანებით აღსავსე არა მწამს რა.

- უფლებას მრისხანება ეკუთვნის, ბატონო ეპისკოპოსო და უფლების მრისხანება პროგრესის ერთი საშუალებათაგანი გახლავთ. ვინც რა უნდა ილაპარაკოს, ქრისტეს შემდეგ საფრანგეთის რევოლუცია უძლიერესი ნაბიჯი გახლავთ კაცობრიობის წინსვლისაკენ, დაე, არასრული, მაგრამ დიადი ნაბიჯი. მან თუ საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა, წამოაყენა მაინც ყველა საზოგადოებრივი საკითხი. ადამიანს გონება გაუხსნა, თვალი აუხილა, გზა დაანახვა და დაამშვიდა, დედამიწას განათლების ნაკადი გადაავლო... დიდი სიკეთე დასდო ქვეყნიერებას. საფრანგეთის რევოლუცია - კაცობრიობის მირონცხებაა.

ეპისკოპოსს უნებურად წამოსცდა:

- როგორ, ოთხმოცდაცამეტი წელი?

მოხუცმა წამოიწია თავის სავარძელზე და რამდენადაც კი მომაკვდავს შეეძლო, შეჰყვირა:

- მე კი არ ვიცოდი, რომ ოთხმოცდაცამეტს მახლიდით პირში! ათას ხუთასი წლის განმავლობაში გროვდებოდა და იზრდებოდა ღრუბელი. თხუთმეტი საუკუნის შემდეგ მოსკდა და ჭექა-ქუხილი ატეხა. თქვენც სწორედ ამ ჭექა-ქუხილს უჩივით.

ეპისკოპოსმა იგრძნო, თუმცა, იქნებ თავისდა უნებურადაც, რომ სიტყვა მოუგეს. მაინც მაგრად დაუხვდა დდა თავისი უთხრა:

- მოსამართლე მართლმსაჯულების სახელით ლაპარაკობს, მოძღვარი - ლმობიერების სახელით, რომელიც უმაღლესი მართლმსაჯულებაა. ჭექა-ქუხილი და მეხი თავის გზას არ უნდა ასცდეს.

თვალი თვალში გაუყარა მოხუცს და ჰკითხა:

- ლუი მეჩვიდმეტე?

მოხუცებულმა ხელი გაუწოდა და მკლავი დაუჭირა ეპისკოპოსს:

- ლუი მეჩვიდმეტე? კარგი, ვის მისტირით, ბატონო, უმანკო ბავშვს? მეც თქვენთან ვტირი. მეფის მემკვიდრეს? აქ კი დაფიქრება გახლავთ საჭირო. იღლიებში თოკები ამოუყარეს და გრევის მოედანზე დაჰკიდეს ერთი პატარა, უმანკო ბავშვი მხოლოდ იმიტომ, რომ კარტუშის ძმად დაბადებულიყო; და ეკიდა ასე, ვიდრე სიკვდილმა არ იხსნა ტანჯვისაგან. ეგ ერთი. ტანპლის ციხეში სხვა ბავშვი მოკლეს, ლუი მეთხუთმეტის შვილიშვილი, უსუსური, უმანკო, რომლის დანაშაული ის იყო მხოლოდ, რომ მეფის მემკვიდრედ დაბადებულიყო. ახლა რა? იქნება ბრძანოთ, რომ მეფის მემკვიდრე შესაბრალისია და კარტუშის ძმა კი არა?

- ვის გაუგონია მაგგვარი შედარება!

- რატომ, ბატონო? კარტუში, ლუი მეთხუთმეტე, რომელს აირჩევდით?

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ეპისკოპოსი თითქოს ნანობდა, რომ მოვიდა; გრძნობდა, რომ რაღაც უცნაური ძალით შეარყია კონვენტის წევრმა.

მოხუცმა განაგრძო:

- ეჰ, ბატონო მოძღვარო, არ გიყვართ, არა, მკვახე სიმართლე! ქრისტეს კი უყვარდა. შოლტს აიღებდა და ეკლესიას იმითი სწმენდდა. ბევრი სასტიკი სიმართლისმთქმელი იყო მისი შოლტი. რომ ამბობდა, - გიყვარდეთ ბავშვებიო, - შთამომავლობით კი არ არჩევდა ერთმანეთში. ქრისტესთვის ერთი იყო ბარაბასა და მეფე ირროდის შვილი. უმანკოება, ბატონო, თავისთავად გვირგვინი არის; უმანკოება

შთამომავლობას არ საჭიროებს და ერთნაირად დიდებულია, კონკებშია გახვეული თუ სამეფო სამოსელში.

- ეგ მართალია, - თქვა ეპისკოპოსმა ხმადაბლა.

- ლუი მეჩვიდმეტე მომახალეთ პირში, - განაგრძო კონვენტის წევრმა. - თუ ყველას გლოვობთ, ვინც უდანაშაულოდ მოუკლავთ ან უწამებიათ, განურჩევლად შთამომავლობისა, მეც თქვენთან გახლავართ. ოღონდ, მოგახსენებთ და კიდევ ვიტყვი, ისიც გავიხსენოთ, რა ხდებოდა ოთხმოცდაცამეტამდე? რამდენი ხანია საგლოვი ლუი მეჩვიდმეტემდე? ის კი გავიწყდებათ? მე თქვენთან ვიგლოვებ მეფის შვილს, ოღონდ თქვენც ჩემთან იგლოვეთუ ხალხის შვილები.

- მე ყველას ვტირი, - თქვა ეპისკოპოსმა.

- თანასწორად! - შეჰყვირა მოხუცმა, - და, თუ უნდა დაიწიოს სასწორმა, დაე, სწორედ ხალხისკენ დაიწიოს. უფრო დიდი ხანია, რაც ხალხი იტანჯება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ მოხუცმა დაარღვია. წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო, მსაჯულთა და გამომძიებელთა ჩვეულებისამებრ ცერსა და მოკაკულ სალოკ თითს შუა ლოყა დაიჭირა და მომაკვდავის ენერგიით სავსე თვალებით დააშტერდა ეპისკოპოსს. შემდეგ უკვე აღგზნებულმა განაგრძო:

- დიახ, ბატონო, დიდი ხანია, რაც ხალხი იტანჯება. მაგრამ ეგ არაფერი. ეს მიბრძანეთ, რა გნებავთ ჩემგან? რად მობრძანდით და რად დამიწყეთ ლუი მეჩვიდმეტეზე ლაპარაკი? მე თქვენ არ გიცნობთ. მას შემდეგ, რაც აქ გახლავართ, სრულიად მარტო, ამ ქოხს არ მოვშორებივარ, ადამიანი არ მინახავს ამ ბალღის გარდა, ეგ მეხმარებოდა. მართალია, თქვენმა სახელმა მოაღწია ჩემამდე და თქვენდა სასახელოდ უნდა მოგახსენოთ - ვინც კი გახსენებთ, კარგად და კურთხევით გახსენებთ, - მაგრამ ეგ არაფერს ამტკიცებს: მოხერხება ჰქონდეს კაცს, თორემ ხალხისთანა ადვილად მოსატყუებელი არა არის რა. მართალია, თქვენი ეტლის ხმა ვერ გავიგონე, ჭალასთან დააყენებდით, უეჭველია, გზის დასახვევში. დიახ, კიდეც მოგახსენეთ, მე თქვენ არ გიცნობთ. წეღან მიბრძანეთ, ეპისკოპოსი ვარო; ძალიან კარგი, მაგრამ მე ეგ სიტყვა არას მეუბნება. თქვენი თანამდებობა კი არა, ზნეობრივი პიროვნება მაცნობეთ. ერთი სიტყვით, განმეორებით გეკითხებით: ვინ ბრძანდებით? ეპისკოპოსი, ესე იგი, სულიერი მეფე, მდიდარი და წარჩინებული. დინის საეპისკოპოსო შემოსავლით სწორედ რომ მეფურად იცხოვრებს კაცი, - სამეფო პალატებში გამოიჭიმება, მრავალ მზარეულსა და შინაყმას იყოლიებს, წინ მსახურს გაიძღოლიებს და უკან - მთელ ამალას, ოთხშაბათ-პარასკევს ხოხობს შეექცევა და ფეხს არ გადმოდგამს სამეფო გვირგვინით შემკული ეტლიდან. ეპისკოპოსი - მოადგილე იმ ქრისტესი, რომელიც ფეხშიშველა დადიოდა. ეპისკოპოსი ბრძანდებით. დიდი შემოსავალი, სასახლე, ეტლები და ცხენები, ტკბილი საჭმელ-სასმელი, საამური ცხოვრება. ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ ამით მე თქვენ ვერ გაგიცნობთ. თქვენს შინაგან ღირსებას ვერ ვხედავ. თქვენ ხომ იმ განზრახვით ინებეთ მობრძანება, რომ თქვენი სიბრძნე ჩაგეგონებინათ მომაკვდავი ცოდვილისათვის. მაშ, ვინა ბრძანდებით? ვის ველაპარაკები?

ეპისკოპოსმა თავი დაღუნა და მიუგო:

-

Vერმის სუმ

.

- ეტლით მოსიარულე მიწის მატლი? - შეჰყვირა მოხუცმა.

კონვენტის წევრის რიგი იყო. ის მედიდურად ეკითხებოდა და ეპისკოპოსი თავმდაბლად პასუხობდა.

- აგრე იყოს, ბატონო, - დაიწყო მირიელმა მოკრძალებით, - ოღონდ მიბრძანეთ, რით ამტკიცებს ჩემი ეტლი, აგერ ჭალასთან რომ გავაჩერე, რომ სიბრალული სათნოება არ არის? რით ამტკიცებს ჩემი სასახლე, ჩემი დიდი შემოსავალი და ოთხშაბათ-პარასკევს დაკლული ხოხობი, რომ შენდობა ჩვენი მოვალეობა არ არის და ოთხმოცდაცამეტი შემაძრწუნებელი არ იყო იმოდენი სისხლის ღვრით?

მომაკვდავმა შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს ღრუბლის მოშორებას ცდილობსო.

- ვიდრე მაგის პასუხს მოგახსენებდეთ, - მიუგო მოხუცმა, - უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ. შევცდი, ბატონო. თქვენ ჩემთან ბრძანდებით, ჩემი სტუმარი ხართ და ამას არ უნდა ვივიწყებდეთ. თქვენ ჩემს აზრებს ეწინააღმდეგებით; მეც უნდა ვცდილობდე პასუხი გავცე თქვენს მსჯელობას და ჩემი დაგიმტკიცოთ. თქვენი სიმდიდრე და ფუფუნება უპირატესობას მაძლევს, მართალია, მაგრამ კარგი იქნებოდა არ მესარგებლა ამ უპირატესობით. ახლავე დაგპირდებით, რომ შეცდომას აღარ გავიმეორებ.

- გმადლობთ, ბატონო, - დაუმადლა ეპისკოპოსმა.

მოხუცმა დაიწყო:

- მაშ, დავუბრუნდეთ იმ კითხვას, რომლის ახსნას წეღან მთხოვდით. სად ვიყავით? დიახ, იმას მიბრძანებდით, ოთხმოცდაცამეტი წელი შემაძრწუნებელი იყოო.

- დიახ, ბატონო, რას მეტყვით მარატზე, რომელიც ეშაფოტთან იდგა და კაცის კვლას ტაშს უკრავდა?

- რას იტყვით ბოსუეზე, რომელიც - დიდება შენდა, ღმერთო, - გალობდა, როდესაც პროტესტანტებს ულეტდნენ?

პასუხი უკმეხი იყო და მახვილის წვერივით შიგ გულში დაესო ეპისკოპოსს. შეკრთა, სათქმელი ვერ მოახერხა. ეწყინა აგრეთვე ბოსუეს ამგვარი ხსენება. საუკეთესო კაცებსაც ჰყავთ თავიანთი კერპები და ნაწყენი დარჩებიან, როდესაც საკადრისი პატივისცემით არ უხსენებენ მათ.

ძლივსღა სუნთქავდა მომაკვდავი. სულთმობრძავს ქოშინი ერეოდა და ხმას უწყვეტდა. მაგრამ ჯერ კიდევ ჭეშმარიტი და ნათელი სული იხატებოდა მის თვალთახედვაში.

- ერთი-ორი სიტყვა კიდევ და მეტს ვეღარ შევძლებ. მთლიანად რომ განსაჯოთ, რევოლუცია ადამიანის უფლებათა აღიარება და დამტკიცებაა, ოთხმოცდაცამეტი კი, საუბედუროდ, დარღვევა იყო. რევოლუცია შემაძრწუნებელიაო, ბრძანეთ, მაგრამ სახელმწიფო უკეთესი იყო? კარიე ყაჩაღი იყო, მაგრამ მონრეველს რას უწოდებთ? გაიძვერა იყო ფუკიე-ტენვილი, მაგრამ ლამუანონ-ბავილზე რაღას მიბრძანებთ? საზიზღარია მაიარი, მაგრამ სოლტავანი უკეთესი იყო? სასტიკი მხეცი იყო „მამა დუშენი“, მაგრამ მამა ლეტელიეზე რაღას ბრძანებთ? ჟურდანი მტარვალი იყო, მაგრამ მარკიზ დე ლუვუა კიდევ უარესი. ეჰ, ჩემო ბატონო, ძალიან მებრალება დედოფალი მარიამ-ანტუანეტა, მაგრამ ის უბედური დედაც მებრალება, რომელიც, აქაო და ჰუგენოტი ხარო, 1685 წელს წელამდე გაატიტვლეს, ბოძზე გააკრეს და შორიახლო თავისი შვილი დაუყენეს; ძუძუ რძით ევსებოდა საწყალს და გული -

ვაებით; დამშეული ბავშვი დედას ხედავდა, ძუძუს ეტანებოდა და საზარლად გაჰკიოდა; ჯალათი კი ჩასციებოდა, უარი ეთქვა თავის სარწმუნოებაზე - დიახ, ან ერთი უნდა გაეწირა, ან მეორე; ან შვილისათვის უნდა ეღალატა, ან სინდისისათვის - ამაზე რაღას ბრძანებთ, ბატონო, ამ ტანტალოსის მსგავსად წამებულ დედაზე? ეს რად გავიწყდებათ, ბატონო, რომ საფრანგეთის რევოლუციას თავისი გამომწვევი მიზეზები ჰქონდა? მომავალი სამართლიანად აღიარებს მის მრისხანებას, რევოლუციის შედეგი - ქვეყნის გაუმჯობესება იყო. რაც უნდა საშინელი ყოფილიყო მისი მრისხანება, საფუძვლად მაინც კაცობრიობის სიყვარული ედო. მაგრამ კმარა! მოკლედ მოვჭრი, რადგან უპირატესობა ჩემი გახლავთ. ვკვდები კიდეც.

თვალი მოაშორა ეპისკოპოსს და ამ მშვიდობიანი სიტყვებით დაამთავრა თავისი ფიქრები:

- დიახ, პროგრესის უხეშობას რევოლუციას უწოდებენ; დამთავრდება მოძრაობა და ყველასთვის ცხადი ხდება, რომ ადამიანმა წინ წაიწია, თუმცა კარგი მათრახიც მოხვდა.

მოხუცი კარგად ხედავდა, რომ ეპისკოპოსს თანდათან აცლიდა სიმაგრეებს და ეგონა, უკანასკნელიც გამოვაცალეო. მაგრამ მირიელს ეს კიდევ შერჩენოდა და ამ უკანასკნელ და უმაგრეს საბუთზე დაამყარა მისმა უსამღვდელოესობამ თავისი კითხვა, რომელშიც წეღანდელი მრისხანება გამოსჭვიოდა:

- პროგრესს ღმერთი უნდა სწამდეს. კარგს არ შეიძლება მსახურად ავი ჰყავდეს. კლდეზე გადასჩეხავს კაცობრიობას ის წინამძღვარი, რომელსაც ღმერთი არა სწამს.

ხალხის მოხუცმა წარმომადგენელმა პასუხი არ გასცა. შეაჟრჟოლა, ცას ახედა და თვალს ცრემლი მოადგა. ცრემლი ნელ-ნელა უგროვდებოდა, როდესაც ვეღარ შეიკავა წამწამმა, გადმოსკდა და ჩამოყვითლებულ ლოყას დაედინა. მერე ისევ ცას დააშტერდა, ცოტა ხანს შემდეგ კი ეს სიტყვები წარმოთქვა ჩუმად, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

„შენ, იდეალო, შენ არსებობ მხოლოდ!“

ეპისკოპოსს რაღაც გამოუთქმელი თავზარი დასცა ამ სიტყვებმა.

მცირედი სიჩუმის შემდეგ მომაკვდავმა თითი აიშვირა ცისკენ და თქვა:

- უსასრულობა არსებობს. აი, იქ არის. უსაზღვროს რომ თავისი „მე“ არა ჰქონოდა, ეს „მე“ იქნებოდა მისი საზღვარი და უსაზღვროება აღარ იქნებოდა. უსაზღვრო კი არსებობს, მაშასადამე, თავისი „მეც“ აქვს და უსაზღვროს „მე“ არის ღმერთი.

მომაკვდავმა უკანასკნელი სიტყვები ისეთი მაღალი და ათრთოლებული ხმით წარმოთქვა, ისეთი აღგზნებული კილოთი, თითქოს ხედავს ვისმეო. თქვა და თვალები დახუჭა; დაიღალა, ძალა გამოელია, ცხადი იყო, ამ ერთ წამს შეალია რამდენიმე საათი, რომელიც კიდევ უნდა ეცოცხლა. ნათქვამი სიკვდილს უახლოვებდა. უკანასკნელი ჟამი მოახლოებულიყო.

ეპისკოპოსმა იგრძნო, რომ სიკვდილი უკვე თავს დასტრიალებდა კაცს და დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. სულიერი მოძღვარი თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. საყვედურით და მრისხანებით მოცული, უკვე უსაფუძვლოდ გრძნობდა ერთსაც და მეორესაც და მით უფრო უნდოდა ნუგეში ეცა მომაკვდავისათვის. დააცქერდა თვალდახუჭულს, ხელი დაადო უკვე გაყინულ გამხმარ ხელზე, დაიწია სულთმობრძავისკენ და ჩასძახა:

- ეს ჟამი ღმერთს ეკუთვნის. ნუთუ სავალალო არ იქნება, რომ ჩვენმა გაცნობამ ამაოდ ჩაიაროს?

კონვენტის წევრმა თვალი გაახილა, სახეზე ჩრდილმოსილი სიდიადე აღბეჭდოდა.

- ბატონო ეპისკოპოსო, - დაიწყო მისუსტებული ხმით მოხუცებულმა, ძნელი სათქმელი იყო, რით იყო გამოწვეული ეს სისუსტე: სულიერი ღირსებით, თუ სულთმობრძავის უღონობით, - სიცოცხლე სწავლას, ფიქრს და დაკვირვებას შევალიე. სამოცი წლისა გახლდით, როდესაც ჩემმა სამშობლომ მიხმო და თავის საქმეში გარევა მიბრძანა. მეც დავემორჩილე, ბოროტებას ვხედავდი და შევებრძოლე. მტარვალობას ვხედავდი და ანდერძი ავუგე. ადამიანის უფლებათა პრინციპებს ვხედავდი და მაღლა აღვმართე თავისუფლების დროშა. სამშობლოს მტერი შემოსეოდა და განვდევნე. საფრანგეთს ემუქრებოდნენ და იარაღი ავისხი. მდიდარი არასოდეს ვყოფილვარ; ახლაც ღარიბი გახლავართ. სახელმწიფოს გამგეთაგანი ერთი მეც ვიყავი, ხაზინაში იმდენი ოქრო და ვერცხლი გვქონდა, რომ ბოძები შევუდგით - სიმძიმით კედლები არ დაინგრესო, მე კი დუქანში ვსადილობდი და ჯერზე ოცდაორ სუს ვხარჯავდი. დევნილთ ვშველოდი და განწირულთ ნუგეშს ვაძლევდი. მართალია, საკურთხეველს წმინდა სამოსელი ავაგლიჯე, მაგრამ იმიტომ, რომ სამშობლოს ჭრილობა შემეხვია. ყოველთვის ვეხმარებოდი კაცობრიობის სინათლისაკენ წინმსვლელობას; რამდენჯერმე წინააღმდეგობა გავუწიე უმოწყალო პროგრესს. შემთხვევა მქონდა და რამდენჯერმე გამოვესარჩლე ჩემს მოწინააღმდეგეთ, ესე იგი, თქვენ: ფლანდრში, პეტეგემში, სწორედ იქ, სადაც მეფეებს თავისი საზაფხულო სასახლე ჰქონდათ, მონასტერი გახლავთ; 1793 წელს მე რომ არ ვყოფილიყავი, ქვა ქვაზე აღარ იქნებოდა იმ მონასტერში. მე ჩემი მოვალეობა შეძლებისა და შეგნების კვალად შევასრულე; და მას შემდეგ დევნა დამიწყეს, როგორც მხეცს, სამშობლოდან გაძევება დამიპირეს, მასხრად ამიგდეს, ცილი დამწამეს, მწყევლეს, დამამცირეს, არ დამინდეს. აგერ უკვე რამდენიმე წელია, ვგრძნობ, რომ დიდი და პატარა, ყველა ზიზღით მიყურებს ჭაღარით მოსილ ადამიანს; საწყალი უვიცი ხალხის თვალში რაღაც დაღი მაზის და შეჩვენებულად მივაჩნივარ ღვთისა და ადამიანის წინაშე. თუმცა ჩემი დღენი ადამიანთა შორის სიყვარულისა და ძმობის სამსახურს მოვანდომე, დღეს სრულიად მარტო ვარ, მოძულებული და განდეგილი, ოთხმოცდაექვსი წლისა ვარ და ვკვდები. რას მიბრძანებთ, რა გნებავთ ჩემგან?

- თქვენი ლოცვა-კურთხევა, - უპასუხა ეპისკოპოსმა.

და მომაკვდავის წინაშე მუხლი მოიდრიკა.

როდესაც ეპისკოპოსმა თავი აიღო, დაინახა დიდების შარავანდედით მოცული მოხუცის სახე. მას უკვე განეტევებინა სული.

ეპისკოპოსი ღრმად ჩაფიქრებული დაბრუნდა შინ. მთელი ღამე ილოცა. მეორე დღეს რამდენიმე ცნობისმოყვარე თავხედი გამოელაპარაკა კონვენტის წევრის შესახებ. პასუხად ზეცა დაანახვა. მას შემდეგ უფრო სიყვარულით და ალერსით ეკიდებოდა ბავშვებს და ავადმყოფებს.

ყოველი გადაკრული სიტყვა „იმ საზიზღარი გ-ს“ შესახებ ღრმა საგონებელში აგდებდა ეპისკოპოსს.

ნურავინ იტყვის, რომ გ-ს გონებისა და დიდი სინდისის სხივი არ შეეხებოდეს ეპისკოპოსის აზროვნებას და თავისი კვალი არ დაემჩნიოს მის ცხოვრებასა და ზნეობრივ სისრულეზე.

ბატონი მირიელის მიერ ყველასაგან გაკიცხულის ნახვა დაფარული არ დარჩა და ცოტაოდენი უკმაყოფილებაც გამოიწვია პატარა ქალაქში:

- აბა რა ეპისკოპოსის საკადრისი იყო ამგვარი მომაკვდავის სანახავად წაბრძანება, მისი მორჯულების იმედი ხომ არა ჰქონდა. მგლის თავზე სახარებას წაიკითხავენ? არ იცოდა, რა ხალხია ეს რევოლუციონერები? რა უნდოდა, რომ მიდიოდა? იქნებ სურვილი ჰქონდა დაენახა, როგორ დაეპატრონება ეშმაკი ცოდვილის სულს?

ერთმა ყბედის ჯიშის ქვრივმა, რომელსაც თავი ჭკუის კოლოფად მიაჩნდა, უკბილო ოხუნჯობაც კი გაუბედა ეპისკოპოსს:

- საზოგადოება დაინტერესებულია, როდის დაიხურავთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, წითელ ჩაჩს.

- ჩემი რა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო და, თქვენ კი დღესაც გახურავთ, - მიუგო ეპისკოპოსმა.

## თავი მეთერთმეტე
## პატარა შეზღუდვა

ძალიან შეცდება, ვინც აქედან დაასკვნის, რომ მისი უსამღვდელოესობა კეთილმოვლენილი „ფილოსოფოს-ეპისკოპოსი“ ან „პატრიოტ-მოძღვარი“ იყო. გ-ს გაცნობამ და, შეიძლება ითქვას, მასთან სულიერმა შეთანხმებამ გააკვირვა ეპისკოპოსი და კიდევ უფრო ლმობიერი გახადა. მეტი არაფერი.

მართალია, მისი უსამღვდელოესობა პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ აქ ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ, თუ როგორ მოიქცეოდა ეპისკოპოსი მირიელი, პოლიტიკას რომ გაჰყოლოდა. ამისათვის ცოტა უკან დაბრუნება მოგვიხდება.

რამდენიმე წლის ეპისკოპოსობის შემდეგ იმპერატორმა ბარონობა უწყალობა ბატონ მირიელს და ორიოდ სხვა მღვდელმთავარსაც. 1809 წლის 15 მკათათვეს, ღამით, პაპი დაიჭირეს. ნაპოლეონმა საფრანგეთისა და იტალიის ეპისკოპოსთა კრება დანიშნა პარიზში. ეს კრებული ღვთისმშობლის ეკლესიაში ბჭობდა და პირველად 1811 წლის თიბათვის 15-ს შეიკრიბა, კარდინალ ფუშეს თავმჯდომარეობით. ოთხმოცდათხუთმეტ ეპისკოპოსს შორის მირიელიც მიიწვიეს, მაგრამ ერთ კრებას დაესწრო მარტო და სამ თუ ოთხ კერძო მოლაპარაკებას: მირიელი ერთ-ერთი მივიწყებული, მთიანი მხარის ეპისკოპოსი იყო, მოყვასისთვის თავგანწირული, უბრალოდ ცხოვრობდა და ისეთ ჰანგზე აუღერებდა თავის ჩანგს, რომ ხელს უშლიდა კრებულის ბჭობას. ეპისკოპოსი საჩქაროდ დაბრუნდა დინში. რომ ჰკითხეს, აგრე მალე რად დაბრუნდითო, უპასუხა:

- მე მხოლოდ ხელს ვუშლიდი იმათ; რომ ვიტყოდი რასმე, ისე ხვდებოდათ, თითქოს კარები გააღეს უცბად და გარედან ჰაერი შემოვარდა ოთახშიო.

მეორედ სხვა მიზეზი თქვა:

- ეჰ, რას იზამთ? ისინი სუყველანი ბრწყინვალე თავადიშვილები ბრძანდებიან და მე კიდევ - გლეხი კაცი.

მართალი ის გახლავთ, რომ მირიელი არ მოეწონათ. მიზეზად, სხვათა შორის, ამასაც ამბობდნენ: თურმე ერთ ეპისკოპოსთან მიუწვევიათ, რომ მისულა, განცვიფრებული დარჩენილა, არც დაუმალავს, პირიქით, წამოიძახა თურმე - რა არის ამდენი ავეჯი და მოსამსახურე? რა საათები, რა ხალიჩები, რა მოსაბეზრებელი უნდა იყოს ეს ყველაფერი. ღმერთმა დამიფაროს იმ ზედმეტი ქონებისაგან, რომელიც წამდაუწუმ ჩამძახებს ყურში: არის ხალხი, რომელსაც შია, სცივა, ბევრია ღარიბ-ღატაკიო!

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ უგუნურება იქნება, შევიძულოთ ყოველივე ის, რაც ადამიანს ცხოვრებას უტკბობს და განცხრომას ანიჭებს. ეს სიძულვილი ხელოვნების უარყოფა იქნებოდა. სასულიერო წოდებისათვის კი, თუ წარმომადგენლობა ან ზეიმი არ მოითხოვს, სწორედ საძრახისია განცხრომით ცხოვრება. ფუფუნებაში მყოფი სხვის ტანჯვას ვეღარ თანაუგრძნობს. მდიდარი მღვდელი სრული უაზრობაა. მღვდელი ღარიბებთან უნდა იმყოფებოდეს და განა შეიძლება, განუწყვეტლივ, დღე და ღამე კაცი ეხებოდეს ყოველგვარ გაჭირვებას, ყოველგვარ სევდას, ტანჯვას, ადამიანის პიროვნების დამცირებას და შეურაცხყოფას, თვითონ კი არ მოედოს ეს უბედურება, როგორც მუშის ფეხს მტვერი ედება? განა წარმოსადგენია, ანთებულ საკირესთან იდგეს კაცი და არა სცხელოდეს? ბრძმედთან მუშაობდეს და ან თმა არ შეეტრუსოს, ან ხელი არ გაუშავდეს, ან არ გაოფლიანდეს? უპირველეს ყოვლისა, სიღარიბე გამოაჩენს, მოწყალეა მღვდელი, და მეტადრე ეპისკოპოსი, თუ არა.

ეჭვი არ არის, ასე მსჯელობდა დინის ეპისკოპოსიც.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეპისკოპოსი თავის დროს იყო აყოლილი და მზა პასუხით ხვდებოდა უმთავრეს საზოგადოებრივ საკითხებს; თანამედროვე ღვთისმეტყველებით კამათში არც კი ერეოდა და გაჩუმებული იყო, როდესაც ეკლესიასა და მმართველობას შორის შუღლი რამე ჩამოვარდებოდა, მაგრამ რომ ჩაციებოდა ვინმე, არ დამალავდა და აღიარებდა, რომ პაპის მომხრე უფრო იყო, ვიდრე პაპისაგან საფრანგეთის განთავისუფლებისა და რადგან სურათსა ვხატავთ და დამალვა არაფრისა გვინდა, იძულებული ვართ ისიც დავამატოთ, რომ არაფერში თანაუგრძნობდა ნაპოლეონს. 1813 წლიდან დაწყებული, სადაც კი ნაპოლეონის საწინააღმდეგო მოძრაობას გაიგებდა, თვითონაც მოემხრობოდა. ელბის კუნძულიდან რომ დაბრუნდა ნაპოლეონი, დინის ახლოს გაიარა; ეპისკოპოსმა არ ინება და არ ინახულა იმპერატორი; არ დაემორჩილა ბრძანებას და „ასი დღის“ განმავლობაში განკარგულება არ მოახდინა თავის სამწყსოში, რომ იმპერატორი ნაპოლეონი მოეხსენებინათ წირვა-ლოცვის დროს.

ბატისტინეს ორი სხვა ძმაცა ჰყავდა. ერთი გენერალი იყო, მეორე პრეფექტი; ხშირი მიმოწერა ჰქონდა ორივესთან. პირველს ცოტა ხანს ემდუროდა, რადგან ნაპოლეონი რომ შემოვიდა საფრანგეთში, გენერალი ათას ორასი კაცით დაედევნა, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ ცხადი იყო, ნაპოლეონის მტრობა კი არა, დახმარება სურდა. მეორე ძმასთან უფრო ტკბილი დამოკიდებულება ჰქონდა; იგი დიდად პატიოსანი, ღირსეული კაცი იყო და, სამსახურიდან უკვე გამოსული, პარიზში ცხოვრობდა კასეტის ქუჩაზე.

აამგვარად, მის უსამღვდელოესობასაც მოუხდა ერთ დროს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევა და მისი სიმწრის გემოს გაგება. მიწიერ ვნებათა ბრძოლამ ერთხანს

დაჩრდილა მისი მარადისობითა და მადლით გატაცებული გონება. ამგვარ კაცს სრულიადაც რომ არა ჰქონდეს თავისი პოლიტიკური აზრი, სწორედ უკეთესი იქნებოდა. ცუდად კი არ ჩამოგვართვან ეს სიტყვა: ჩვენთვის პოლიტიკური აზრი სხვაა და პროგრესის შეგნება, პატრიოტულ-დემოკრატიული მისწრაფება, ხალხისა და კაცობრიობის სამსახური - სხვა. ჩვენს დროში ამის მეტი საფუძველი არა უნდა ჰქონდეს რა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით იმ საკითხებს, რომელნიც პირდაპირ არ შეეხებიან ამ წიგნის შინაარსს, ოღონდ ერთს ვიტყვით: უმჯობესი იქნებოდა ბატონი მირიელი ორლეანელთა მეფის მომხრე არ ყოფილიყო და მისი გონების თვალი ერთი წამითაც არ ასცილებოდა იმ წმიდათაწმიდას, ადამიანთა მღელვარებისა და ქიშპობის ზემორე მყოფს, რომელიც ნათელსა ჰფენს ქვეყანას და რომელსაც სიმართლე, მართლმსაჯულება და მოწყალება ეწოდება.

მართალია, მირიელი ღმერთს პოლიტიკური ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის არ შეექმნა, მაგრამ გასამართლებელ საფუძველს ვუპოვიდით მის საქციელს, ნაპოლეონის წინააღმდეგობა რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლების შელახვაზე დაემყარებინა და ამაყი და ძლიერ პრინციპული ბერი თავის ხელმწიფეს მაშინ შებრძოლებოდა, როდესაც იგი ძლევამოსილი იყო. ძლევამოსილის შებრძოლებას მოვუწონებდით და დაცემულის, უკვე მისუსტებულის წინააღმდეგობა კი უნდა დავუწუნოთ. ბრძოლა ჩვენ მაშინ გვიყვარს, როდესაც განსაცდელს ვხედავთ. ბრძოლის დამთავრება და დამარცხებულის შეკვრა და დატყვევება მხოლოდ იმას შეჰფერის, ვინც ბრძოლა დაიწყო; ვინც მკაცრად არ ამხილა გალაღებული მტარვალი, ხმას ნუღარ ამოიღებს, როდესაც მას დაცემულს ნახავს. ჩვენი აზრით, როცა განგება ჩაერევა საქმეში და დევნას დაუწყებს ვინმეს, უმჯობესია აცალოს მას. 1812 წლიდან დავიწყეთ ფარ-ხმლის დაყრა. 1813 წელს, როდესაც გარემოებათა ცვლილებით წაქეზებულმა ჩვენმა საკანონმდებელო კრებამ ძლივს გაბედა და ხმა ამოიღო ნაპოლეონის წინააღმდეგ, ტაში კი არ უნდა დაგვეკრა, უნდა აღვშფოთებულიყავით; 1814 წელს, როდესაც მარშლებმა უღალატეს, სენატმა თავს ლაფი დაისხა და პირში აფურთხა იმას, ვისაც გუშინ ფეხებს უკოცნიდა და თაყვანსა სცემდა, ჩვენ ვალდებული ვიყავით ზიზღით თვალი აგვერიდებინა; 1815 წელს, როდესაც ჰაერში უკვე ტრიალებდა სამშობლოს უბედურება, როდესაც საფრანგეთი უკვე თრთოდა მის საზარელ მოლოდინში და სუსტი ლანდივით მოჩანდა ნაპოლეონის წინ ვატერლოო, ჯარისა და ხალხის მიერ ბედისაგან განწირულის ხელმწიფედ მიღება - მტარვალობა რომ არ მიეღოთ მხედველობაში - სახუმარო საქმეს არ წარმოადგენდა და იმისთანა გულის კაცს, როგორიც დინის ეპისკოპოსი იყო, უნდა ეგრძნო უფსკრულის პირას მდგომარე, მაგრამ დიდი ერისა და დიდი ადამიანის ჩახვეული მდგომარეობა.

აამას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ბატონი მირიელი ყოველთვის პატიოსანი, მართალი, თავმდაბალი და ღირსეული ადამიანი იყო. კეთილსა სთესდა და კეთილი სურდა. მღვდელი იყო, ბრძენი და ადამიანი; თვით მის პოლიტიკურ საქციელშიც კი, რომლის გამოც ჩვენ ასეთი სასტიკი საყვედური გამოვთქვით, მან უფრო მეტი ლმობიერება გამოიჩინა, ვიდრე თვითონ ჩვენ.

ქალაქის თვითმმართველობის შენობის მეკარედ თვითონ იმპერატორს დაეყენებინა ერთი მოხუცებული, აუსტერლიცის ბრძოლაში დაჯილდოებული ჯარისკაცი, ბრძოლის ველზე დაბერებული ნაპოლეონის არწივი. საწყალ კაცს ხშირად

წამოსცდებოდა ხოლმე ისეთი რამ, რასაც კანონი „მაცდუნებელს“ უწოდებდა და სჯიდა.

მას შემდეგ, რაც საპატიო ლეგიონის ორდენზე იმპერატორის პროფილის მაგივრად სამი შროშანი შემოიღეს, მოხუცი ვერ ასრულებდა ბრძანებას, ფორმის ტანისამოსს აღარ იცვამდა; ახალი მედალი არ დამკიდონო, -მან სიამოვნებით, საკუთარი ხელით ამოიღო იმპერატორის სახე ჯვრიდან, რომელიც თვით ნაპოლეონისაგან ჰქონდა მიღებული და დატოვა ცარიელი ადგილი, მაგრამ სამი შროშანის გაკეთება კი ვეღარ შეძლო: - მოვკვდები და გულზე სამ ჯოჯოს არ დავიკიდებო, - იძახდა გაბრაზებული. მოხუცი ჯარისკაცი დაურიდებლად ლანძღავდა ლუი მეთვრამეტეს: „ის ქარებიანი ისა, რომ ფეხსაცმელიც კი ინგლისიდან მოაქვს, თითქოს ჩვენში ვერ შეუკერავდნენ. პრუსიაში რად არ წაეთრევა? ჯანდაბას იმისი თავი და ტანი“. რაკი ლანძღვას დაიწყებდა, ლუისთან ერთად ინგლისსა და პრუსიასაც შეუკურთხებდა, რადგან მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა ქვეყნად მათი არსებობა. იმდენი ილანძღა, რომ ადგილი დაკარგა და ულუკმაპუროდ დარჩა ცოლშვილიანი კაცი.

ეპისკოპოსმა დაიბარა, რბილად დატუქსა და საეპისკოპოსოს მეკარედ დანიშნა.

მთელ ეპარქიაში ჭეშმარიტი მწყემსი და ყველას მეგობარი იყო ბატონი მირიელი.

იმდენი სიკეთე დასდო თავის სამწყსოს ეპისკოპოსმა ცხრა წლის განმავლობაში, იმდენი მადლი მოჰფინა, რომ დიდი და პატარა, ყველა თაყვანსა სცემდა წმინდა სულიერ მამას. ნაპოლეონის წინააღმდეგობაც კი აპატია ხალხმა; კეთილ, სუსტ ფარას, რომელსაც იმპერატორი გაღმერთებული ჰყავდა, თავისი ეპისკოპოსიც უყვარდა.

## თავი მეთორმეტე
## ეპისკოპოს მირიელის განმარტოება

ეპისკოპოსს თითქმის ყოველთვის თავს დასტრიალებს მრავალი მღვდელი სწორედ ისე, როგორც მხედართმთავარს - ჭაბუკი მხედრები. წმინდა ფრანსუა დე-სალმა სწორედ ამათზე ბრძანა - „შეუბუმბლავი მღვდელიო“. წარჩინებულს ფუტკარივით ეხვევიან წარჩინების მსურველნი. ძალა ჰქონდეს კაცს და ამალა თავისთავად გაუჩნდება. შეძლება ჰქონდეს კაცს და შინაყმანი თავისით ეახლებიან. მომავლის მბრძანებელნი ფარვანასავით თავს ევლებიან აწინდელს ბრწყინვალებას; ყოველ ოდნავ გავლენიან ეპისკოპოსს თან ახლავს სემინარიელ ქერუბიმთა მთელი რაზმი, რომელნიც დარაჯად დასდგომიან საეპისკოპოსო სასახლის წესიერებას და მეტადრე მისი უსამღვდელოესობის ღიმილს. ეპისკოპოსის გულის მოგება იპოდიაკვნად კურთხევის პირველ საფეხურზე დგომას ნიშნავს. რას იზამთ? ყველა თავისას ცდილობს. წმინდა მოციქულობა აღარა სწუნობს შემოსავლიან ალაგს.

როგორც ყველა სხვა წოდებას, ისე სამღვდელოებასაც ჰყავს თავისი დიდი ბობოლები. ეს გახლავთ მდიდარი, ფულისა და მამულის პატრონი, მოხერხებული, საზოგადოებაში მიღებული ეპისკოპოსები. ამ ბობოლებმა ლოცვაც იციან, რასაკვირველია, მაგრამ მოთხოვნა კიდევ უფრო კარგად ემარჯვებათ. როგორც თვითონ იმდაბლებენ თავს უმაღლესთა წინაშე, ისევე ამდაბლებენ მათთან მოსულთ და მთელი დღით ალოდინებენ წინა ოთახში, თითქოს სასულიერო წოდების პირნი კი

არა, დიპლომატები ბრძანდებიანო. მოხელენი არიან და არა მოძღვარნი. ბედნიერია, ვინც მათთან დაახლოებულია. ძალა ხელთა აქვთ და ვინც შეძლებს და თავს მოაწონებს, უხვად ურიგებენ შემოსავლიან მრევლს და საეკლესიო მამულებს. თვით დიდებისაკენ მიიწევენ და თან მიჰყავთ თავიანთი ერთგულნი, როგორც მზეს - თავისი თანამგზავრნი. მათი ბრწყინვალება სხივსა ჰფენს მათ ამალას. მათი კეთილდღეობის ნასუფრალს ხელაპყრობილნი შესიცინებენ მხლებელნი. რაც მეტს შეიძენს პატრონი, მით მეტს არგუნებს შინაყმას. დაბოლოს, რომიც ხომ აქვეა. თუ ეპისკოპოსი მოხერხებულია, არქიეპისკოპოსობას იშოვის; თუ არქიეპისკოპოსი მოხერხებულია, კარდინალობას მიაღწევს, ამავე დროს თქვენც უკან გაგიყოლიებთ. ჯერ კარდინალის მორჩილად იქნებით, მერე ომფორს შეიძენთ, საბჭოს წევრი გახდებით, პაპის შინაყმა, და ეგეც თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა; აქედან კარდინალამდე ერთი ნაბიჯიღაა და კარდინალი ხომ შეიძლება პაპის ტახტზე აბრძანდეს? ეგ კენჭისყრაზე არის დამოკიდებული და კენჭს ხომ, საითაც გნებავთ, იქით გადააგორებინებთ. დღევანდელი კუნკულა ხვალ შეიძლება პაპის ტიარად იქცეს. ჩვენს დროში მეფედ გახდომა მარტო მღვდელს შეუძლია, ისიც რა მეფედ? უმაღლესად! მერე რამდენ ოცნებას უნდა ასაზრდოებდეს სემინარია. რამდენ ბავშვს, რამდენ ახალ ნაკურთხ მღვდელს გაიტაცებს ბრწყინვალე მომავლის ფიქრი და მოლოდინი, რადგან დიდების წყურვილი მოწოდებად იქცევა და იქნება გულწრფელად სწამდეს - დიდებისაკენ მისწრაფება მოწოდება არის ჩემიო.

თავმდაბალი, ღარიბი, განმარტოებული ეპისკოპოსი მირიელი ბობოლებში არ ირიცხებოდა. ეს იქიდან ჩანდა, რომ მის ირგვლივ ახლად ნაკურთხ მღვდლებს ვერ ნახავდით. პარიზშიც ხომ „არ მიიღეს“, როგორც უკვე ვთქვით. მომავლის მაძიებელს ერთსაც არ მოსვლია აზრად - ამ განმარტოებულ მოხუცს დავებღაუჭები, დიდებას ის მიმაღწევინებსო. მის ჩრდილში ოცნებით გაბერილი ერთი სოკოც არ ამოსულა, მისი დეკანოზები და მღვდლები ბატონი მირიელივით სათნო მოხუცები იყვნენ, ხალხის მოყვარე, ხალხის შვილნი, იმასავით თავიანთ სამწყსოში ჩამწყვდეულნი და თავიანთ წმინდა მოვალეობას ამჯობინებდნენ კარდინალობასაც და პაპობასაც. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ეპისკოპოსი სრულქმნილი იყო და ეს მღვდელ-დეკანოზები კი - დამთავრებულნი. მის უსამღვდელოესობასთან მყოფი რომ წარმატებას ვერ ეღირსებოდა, ეს ცხადი იყო და დანიშნავდნენ თუ არა ახალგაზრდა მოძღვარს მის ეპარქიაში, მაშინვე სხვაგან გადასვლას და სხვა ეპისკოპოსთან სამსახურის ძებნას იწყებდა; ზოგი ექსში გადადიოდა, ზოგი - ომში, რადგან, ვთქვით და კიდევ ვიტყვით, ყველა იმას ცდილობს, რომ ვინმეს დაებღაუჭოს. წმინდანის ახლოს ცხოვრება საშიშია. შეიძლება განუკურნებელი სენი - სიღარიბე შეგეყაროთ, ან სიძულვილი მლიქვნელობისა და ფარისევლობისა, რაც წარმატებისათვის ესოდენ აუცილებელია. ერთიც ვნახოთ, უარყოფამ გაგიტაცათ და თქვენს ოცნებას გაღალატებინათ. ამიტომაა, რომ ყველა გაურბის ამ მუნიან სათნოებას, სწორედ ამით აიხსნება ეპისკოპოს მირიელის განმარტოებაც. ჩვენ წყვდიადით მოცულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. წარმატებას მიაღწიე და ქვეყანა შენიაო. ააი, ყველაზე დიდი სიბრძნე, რომელსაც ყოველდღიურად გვასწავლის გახრწნილება.

სიტყვამ მოიტანა და ვთქვათ, ბილწი რამ არის ეს წარმატება. ბილწი იმით არის, რომ ყალბი მსგავსება აქვს ღირსებასთან და ამით ატყუებს ხალხს. ბრბოსათვის წარმატებას იგივე აზრი აქვს, რაც ჭეშმარიტ ღირსებას. წარმატება იმდენად ემსგავსება

ნიჭს, რომ ისტორიასაც კი ატყუებს. მაშ რას სჩივიან იუვენალისი და ტაციტუსი? წარმატებამ ყველა დაიმორჩილა ჩვენს დროში და თვით ფილოსოფიასაც კი შინამოსამსახურის ტანსაცმელი ჩააცვაო. მოახერხეთ წარმატება - აი თეორია. წარჩინებული ბრძანდებით, მაშ ღირსეული ბრძანებულხართ, ლატარიით მოიგეთ, მაშ ღირსი ყოფილხართ. ვინც თავისას გაიტანს, სათაყვანოც ის არის. ქუდბედი დაგყოლიათ და სხვაც არა გინდათ რა, ბედი გქონდეთ, და ქვეყანა თქვენია. თუკი ბედნიერი ხართ, მაშ დიდებულად გაღიარებენ. ხუთი-ექვსი მოღვაწე რომ გამოვრიცხოთ, რომელნიც სხივსა ჰფენენ საუკუნეს, თანამედროვე ხალხის დანარჩენებისადმი თაყვანისცემა მხოლოდ სიბეცის შედეგია. მოვარაყებული ოქროდ საღდება. არავინ დაგძრახავთ, ოღონდ მოახერხეთ და უდიდებულესთა შორის გამოიჭიმეთ. ბრიყვია ბებერი ნარცისი, რომელიც თავის თავს შესტრფის და ბრიყვს უკრავს ტაშს. ის უდიდეს ნიჭს, რომელიც ჰქმნის მოსეს, ესქილეს, დანტეს, მიქელანჯელოს ან ნაპოლეონს, ადვილად მიაკუთვნებს მას, ვინც მოახერხა და თავის მიზანს მიაღწია, სულერთია, რაც უნდა იყოს მისი მიზანი. იქნება ის უბრალო ნოტარიუსი, რომელსაც დეპუტატობისთვის გამოუკრავს ხელი; ვინმე ცრუ კორნელი, რომელსაც „ტირადატი“ დაუწერია; საჭურისი, ჰარამხანა რომ გაუჩენია; უბრალო ჯარისკაცი, შემთხვევით მთელი საუკუნისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ბრძოლა რომ მოუგია; აფთიაქის მოხელე, მუყაოს ძირი რომ დაუდვია წაღებისათვის ტყავის ნაცვლად და ამ წაღებით შეუმოსავს მთელი სამეფოს ჯარი და ნახევარი მილიონის პატრონი გამხდარა; მეწვრილმანე, რომელმაც სისხლის ფასად ასარგებლა ფული და მილიონები შეიძინა, წუწკი ბერი, რომელიც ფეხს ულოკავდა დიდებულთ და ეპისკოპოსობას მიაღწია თუ უბრალო, დიდ მამულში გამდიდრებული მოურავი, ალბათ ფულის ყადრი სცოდნიაო - ფინანსთა მინისტრად რომ მიუწვევიათ... ყველა ამათ ხალხი გენიოსებად გამოაცხადებს, გუნდრუკს უკმევს და ფეხქვეშ გაეგება.

## თავი მეცამეტე
## რა სწამდა

ნუ დავაკვირდებით მის უსამღვდელოესობას მარადმორწმუნეობის თვალსაზრისით. ძლიერი სულის წინაშე თავი მოვიხაროთ და თაყვანი ვცეთ. მართალი ადამიანის სარწმუნოებას დაკვირვება არ უნდა. ამას გარდა, ოღონდ ადამიანი ყოველი სათნოებით იყოს შემკული, დაე, ნუ გაიზიარებს ჩვენს რწმენას.

რა აზრისა იყო სარწმუნოების დებულებასა და საიდუმლოებაზე? ეს მხოლოდ გულთამხილავს შეეხება და ის ჰკითხავს, როდესაც მის წინაშე წარდგება მიწიერისაგან განთავისუფლებული. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით დანამდვილებით, რომ სარწმუნოების გამოსარკვევი კითხვები თავის დღეში ფარისევლურად არ გადაუწყვეტია. ალმასს ხომ ლპობა არ შეეპარება. ეპისკოპოსს მეტი სწამდა, ვიდრე შეეძლო. „Credo in Patrem“ - იტყოდა ხოლმე ხშირად. იგი კეთილქმედებაში ჰპოვებდა იმ კმაყოფილებას, რომელსაც სინდისი სრულიად სჯერდება და რომელიც ჩუმად ჩაგვძახის - შენ ღმერთთანა ხარ!

ეს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერზე, სარწმუნოებრივ ვალდებულებაზეც კი უფრო მეტად მოყვასი უყვარდა თვისი, სწორედ ეს მეტისმეტი სიყვარული აკვირვებდა იმ ვაუბატონებს, რომელთაც ეგოიზმით გამსჭვალული ჩვენი დრო „ჭკვიანს“,

„დარბაისელს“ და „წარჩინებულს“ უწოდებს. „მონანიებას ცდილობს, თორემ აგრე თავგანწირული არ იქნება ღარიბ-ღატაკთათვისაო“. რა იყო ეს უკიდურესი სიყვარული? წმინდა კეთილმოსურნეობა არა მარტო სულიერის, არამედ უსულოთა მიმართაც. ეპისკოპოსმა არც კი იცოდა, რა არის საძულველი. ყველა კაცს, თვით საუკეთესოსაც, დაფარული აქვს რაღაცა შეუბრალებლობა, რომელსაც ცხოველებთან ამჟღავნებს, არც ეს გრძნობა იცოდა დინის ეპისკოპოსმა, თუმცა ეს იშვიათი არ არის სასულიერო წოდებაში. ბრამინის აზრისა არ იყო, მაგრამ ეტყობოდა, უკვე დაჰფიქრებოდა ეკლესიასტეს სიტყვებს: ვინ იცის, სად მივა ნადირთა სული. ზნედაცემული და მახინჯი ვერ შეაშფოთებდა მის სიყვარულით აღსავსე გულს. თითქოს ღრმად ჩაფიქრებული, ცხოვრების გარეთ ეძებს სიმახინჯის მიზეზს და თვით ღმერთისაგან მოელის განმარტებასო. როგორც ლინგვისტი ცდილობს ძველ ეტრატზე წაშლილი ნაწერის აღდგენას, ამგვარად უკვირდებოდა ეპისკოპოსი ბუნებაში ჯერ კიდევ არსებულ ქაოსს. ჩაფიქრდებოდა თავდავიწყებამდე და ხშირად უცნაურ რამეს წამოიძახებდა. ერთ დილას ბაღში იყო და მარტო ეგონა თავი, თუმცა და უკან მისდევდა ფეხაკრეფით. უცბად შეჩერდა, რაღაცას დააცქერდა მიწაზე. უშველებელი ბაბაჭუა იყო, შავი, ბალნიანი, საზარელი. ბატისტინემ ყური მოჰკრა ეპისკოპოსის სიტყვებს:

- რა შენი ბრალია, შე საბრალო არსებავ!

ბავშვობაო, იტყვიან. დიახ, მაგრამ ეს არის ღვთაებრივი ბავშვობა საათნო ადამიანისა. იგივე ბავშვობა სჭირდათ წმინდა ფრანცისკ ასიზელსა და მარკუს ავრელიუსს. ერთხელ ეპისკოპოსმა ფეხი იღრძო, ჭიანჭველა რომ არ გაესრისა.

ასე ცხოვრობდა ეს მართალი ადამიანი. ხანდახან ბაღში ჩაიძინებდა და ისეთი სახე ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა თაყვანი არ გეცა.

ამბობდნენ, სიყმაწვილეში მეტად ახირებული, ფიცხი კაცი იყოო. მისი უსაზღვრო სიმშვიდე ბუნებრივი არ იყო. ეს გახლდათ შედეგი ფიქრისა და რწმენისა, რომელიც ნელ-ნელა უჯდებოდა გულში და ძირიანად უცვლიდა ბუნებას. როგორც წყალი გახვრეტს ქვას, წვეთ-წვეთად რომ სცემდეს, ისე ცვლის კაცის ხასიათს დაფიქრება და დაკვირვება. როგორც წყლისაგან დაღარულ ქვას ვეღარაფერი შეასწორებს, ისე ვეღარაფერი გამოცვლის ამგვარად შექმნილ ხასიათს.

1815 წელს, მგონი უკვე ვთქვით, სამოცდათხუთმეტი წლისა სრულდებოდა, თუმცა შეხედულებით სამოცისასაც ძლივს ჰგავდა. პატარა კაცი იყო; ცოტა არ იყოს, სიმსუქნე ეპარებოდა, ამიტომ ძალიან უყვარდა სიარული და დიდ მანძილს გადიოდა ფეხით. ჯერ ძალიან ჭარმაგად იყო. წელში ოდნავ მოხრილიყო, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს: გრიგოლ XVI ოთხმოცი წლისა მოღიმარი და სარივით სწორი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან ცუდი ეპისკოპოსი გახლდათ. მისი უსამღვდელოესობა კეთილმოვლენილი მოხდენილი, ლამაზი კაცი იყო, მაგრამ ისეთი მოსიყვარულე და თავაზიანი, რომ სილამაზეს ვერავინ ამჩნევდა.

ლაპარაკს რომ დაიწყებდა თავისი ჩვეულებრივი, ალერსიანი მხიარულებით, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ყველას იზიდავდა და ატკბობდა, თითქოს სიხარული გადმოსჩქეფსო, ყმაწვილის ელფერი ედო, ერთიც არ აკლდა ბროლივით თეთრი კბილი, რაც სიცილს უმშვენებდა; შეხედულებით ერთი იმათთაგანი იყო, რომლის შესახებ პატარაობისას „რა კარგი ბავშვიაო“ იტყვიან ხოლმე და სიბერეში - „რა ტკბილი მოხუციაო“. მკითხველს ეხსომება, რომ ნაპოლეონსაც ამით მოეწონა. და

მართლაც, ერთი შეხედვით, მეტადრე მათზე, ვინც ჯერ არ იცნობდა, „ტკბილი მოხუცის“ შთაბეჭდილებას ახდენდა ეპისკოპოსი. მაგრამ ცოტა ხანი რომ დაჰკვირვებოდით და ღრმად ჩაფიქრებული გენახათ, ნელ-ნელა ფერს იცვლიდა ტკბილი მოხუცი და რაღაც დიდებულით იმოსებოდა; გაშლილ, მაღალ, თოვლივით სპეტაკი თმით შემკულ შუბლს სხივი ეფინებოდა. სიკეთით აღსავსე ძლიერად წარმოგიდგებოდათ და ამ ძლიერებას სიყვარულის ნათელი ადგა, თითქოს ფრთებს შლის და ღიმილი კი არ ეკარგებაო. გამოუთქმელი რაღაც თაყვანისცემა გებადებოდათ გულში, იზრდებოდა, გულს გივსებდათ და გრძნობდით, რომ დიდსულოვანი, ძლიერი, ლმობიერი და მოწყალეა ეს ადამიანი და მისი ფიქრი იმდენად მაღალი, რომ სიტკბოების მეტს არას შეიცავს.

როგორც უკვე ვთქვით, მთელ დღეს ლოცვას ანდომებდა, წირვას, მოწყალებას, გაჭირვებულთა ნუგეშისცემას, ყვავილების მოვლას, ძმობას, მოკრძალებას, სტუმართმოყვარეობას, მოთმინებას, ნდობას, სწავლას და დაკვირვებას; მთელ დღეს კეთილ ფიქრებში, კეთილ სიტყვაში და კეთილ საქმეში ატარებდა. ღამეც, როდესაც ქალები ზევით ავიდოდნენ, ბაღში გადავიდოდა და რამდენიმე საათს იქ ატარებდა, ვიდრე ძილს დააპირებდა. თითქოს რაღაცა აკლდა იმ დღეს, როდესაც ავი დარი იდგა და ღამით ბაღში გასვლა არ შეეძლო. ჩვეულებად ჰქონდა, დასაძინებლად ფიქრით უნდა მომზადებულიყო დიადი სანახაობით მოჭედილი ცის ქვეშ. ხშირად შეუგვიანდებოდა ბაღში და, თუ არ ეძინათ, ქალებს მისი ნელი ნაბიჯი ესმოდათ. მარტო იყო ის თავის თავთან, ჩაფიქრებული, დამშვიდებული, სამყაროს თაყვანისმცემელი და თავისი გულის სიმშვიდეს ეთერის სიმშვიდეს ადარებდა; წყვდიადში მნათობთა ხილულ ბრწყინვალებას, ღვთის უხილავ ბრწყინვალებას უკვირდებოდა და თან სულს უშლიდა იმ ფიქრებს, რომელთაც უზენაესი ანიჭებდა. და როცა იგი გულს უშლიდა იმ წამს, როდესაც ღამით ყვავილები აფრქვევენ სურნელებას, როცა იგი ვარსკვლავებით გაკაშკაშებულ ღამეში ანთებული ლამპარივით აღგზნებული იდგა, როცა იგი ციური ძალით და თაყვანისცემით აღტაცებული შეჰხაროდა საწუთროს უსაზღვრო საიდუმლოებას, ამ დროს იქნება თვითონაც ვერ ეთქვა, რას გრძნობდა ან რას ფიქრობდა. გრძნობდა, რომ რაღაც შორდებოდა და უსაზღვროს უერთდებოდა; გრძნობდა, რომ რაღაც მასში ეშვებოდა უსაზღვროსაგან, - საიდუმლო ერთობა სულისა და ბუნების სიღრმისა. ღვთის სიდიადეზე და მის არსებობაზე ფიქრობდა; მომავლის მარადისობას უკვირდებოდა - ამ უცნაურ საიდუმლოებას; კიდევ უფრო უცნაური საიდუმლოება აინტერესებდა - წარსულის მარადისობა; საწუთროს უსაზღვროებასა და დაუსრულებლობას უკვირდებოდა; არ ცდილობდა გაუგებრის შეგნებას, ღმერთს არ შეისწავლიდა. მხოლოდ თაყვანსა სცემდა. ის უკვირდებოდა ატომების განსაცვიფრებელ შეერთებას, რომელიც ნივთიერებასა ქმნის, ძალას აღუდგენს მას, ერთგვარად აერთებს განკერძოებულთ, ურიცხვით ავსებს უსაზღვროს და სინათლის წყალობით მშვენიერებასა ქმნის. ხედავდა, რომ სიცოცხლე ატომთა შეერთებაა და სიკვდილი - შეერთებულთა დაშლა.

ხის სკამი ჰქონდა ბაღში, ჩამოჯდებოდა და გაშტერებული შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კამარას. ეს მტკავლისოდენა ბაღი, ხეხილის რამდენიმე ხითა და ყვავილებით შემკული და ქოხებითა და ფარდულებით

გარშემორტყმული, მისთვის ძვირფასი იყო და სრულიად აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას.

ან რა უნდოდა მეტი ამ მოხუცებულს, რომელიც თავისუფალ დროს დღისით მებაღეობასა და ღამით დაკვირვებას ანდომებდა. განა საკმარისი არ იყო ეს პატარა შემოღობილი მიწა, რომელსაც ცა ჰქონდა ჭერად ღვთისა და მის უდიადეს ქმნილებათა სადიდებლად? მართლაცდა, განა ეს არა კმარა ადამიანისათვის? სხვა რაღა ინატროს გულმა? პატარა ბაღი - სასეირნოდ და უსაზღვროება - საოცნებოდ; ფეხქვეშ - რასაც დასთეს და მოიყვან და ზევით - რასაც დაუკვირდები და დაუფიქრდები; რამდენიმე ყვავილი - მიწაზე და მთელი ვარსკვლავთ კრებული - ცაზე.

## თავი მეთოთხმეტე
## რას ფიქრობდა

ერთი უკანასკნელი სიტყვაც.

რადგან დინის ეპისკოპოსის ყოველი წვრილმანი თვისების ჩვენგან ასე დაწვრილებით აღწერა, ჩვენს დროში მოდაში შემოსული სიტყვისა არ იყოს, „პანთეისტის“ ფიზიონომიას აძლევს მის უსამღვდელოესობას და ვინმეს, მირიელის საქებად ან საძრახისად, შეიძლება აფიქრებინოს, რომ როგორც მრავალ სხვას ამ საუკუნეში, ეპისკოპოსსაც ჰქონდა საკუთარი ფილოსოფია, რომელიც, განდეგილთა ფიქრში აღმოცენებული, ვითარდება და იმდენად იზრდება, რომ სარწმუნოების ადგილს იჭერს, ამიტომ ვიტყვით, რომ ვინც კი ეპისკოპოსს იცნობდა, ამას ვერავინ იფიქრებდა. ამ ადამიანს მხოლოდ გული აცისკროვნებდა. მის სიბრძნეს შეიცავდა ეს გულიდან გადმოდენილი შუქი.

სისტემებით კი არა, საქმით იყო იგი ძლიერი. ბნელი ფილოსოფია ხშირად თავბრუს ახვევს ადამიანს. მის უსამღვდელოესობას, რამდენადაც ვიცით, თავის დღეში გონება არ მიუნდვია აპოკალიფსისთვის. მოციქული შეიძლება გამბედავი იყოს, მაგრამ ეპისკოპოსს მოკრძალება მართებს. იქნება თავხედობადაც მიაჩნდა ღრმა დაკვირვება იმ დიადი საკითხებისა, რომელთა შეგნება და განმარტება კაცთა შორის დევგმირთ მართებთ. საშინელებას ფარავს წმინდა საიდუმლოების კარიბჭე, ღია არის ეს ბნელი კარი; მაგრამ რაღაც ჩაგძახით თქვენ, წუთისოფლის სტუმარს, რომ არ შეიძლება იქ შესვლა. ვაი მას, ვინც შეაღებს იმ კარს. წმინდა აზროვნებაში, განყენებულის თვალუწვდენელ სიღრმეში, რომელიც სარწმუნოების დებულებათა გარეშე არსებობს, ღვთის შეგნებას ეძებენ გენიოსები. თამამი კამათია მათი ლოცვა და შეკითხვაა მათი თაყვანისცემა. ეს არის სარწმუნოება, რომელიც შვებას ვერ მოჰგვრის ადამიანს; ვაებითა და პასუხისგებით სავსე მათთვის, ვინც მათ შეუდგება.

უსაზღვროა ადამიანის ფიქრი. გაბედულებით აღსავსეა და თუმც მრავალ საშიშროებას მოელის, მაინც ბრწყინვალე რეაქციის ძალით ბუნებასაც კი აბრმავებს ადამიანი, - და ჩვენ ირგვლივ არსებული საწუთრო იმასვე გვიზღავს, რასაც ჩვენგან იღებს. იქნება ბუნებისათვის ჩვენც ისეთივე დაკვირვების საგანი ვიყოთ, როგორიც ის არის ჩვენთვის.

ასე თუ ისე, არიან ქვეყნად ისეთი მადლიანი ადამიანები, თუ შეიძლება მათი ადამიანად წოდება, რომელნიც ფიქრის შორეულ ჰორიზონტზე ცხადად ხედავენ ერთ არსებას და უსაზღვროების საზარელი მთები უდგებათ თვალწინ. მისი

უსამღვდელოესობა ამ კაცთაგანი არ გახლდათ. მირიელი კეთილმოვლენილი გენიოსი არ იყო. ის ერიდებოდა იმ სიმაღლეს, რომელმაც ჭკუაზე შეშალა მრავალი და ფრიად ძლიერნიც, როგორც, მაგალითად, სვედენბორგი და პასკალი. მართალია, ღრმა დაფიქრებას თავისი ზნეობრივი სარგებლობა აქვს და ამ საშინელი გზით უახლოვდება ადამიანი იდეალურ სისრულეს, მაგრამ ბატონმა მირიელმა უფრო მოკლე ბილიკი ირჩია - სახარება.

მისი უსამღვდელოესობა სულაც არ ცდილობდა წინასწარმეტყველი ყოფილიყო; არ ცდილობდა ნათელი მოეფინა წყვდიადით მოცული მომავლისათვის; რაიმე საგნის სინათლის ცეცხლის ალად გარდაქმნა არ უცდია, არაფერი ჰქონდა წინასწარმეტყველისა და მოგვისა. ამ მოკრძალებულ სულს უყვარდა და სიყვარულით იყო ძლიერი, მეტი არაფერი. შეიძლება ლოცვით გატაცებულს მეტიც ელოცოს, ვიდრე ადამიანის ძალთ არის, მაგრამ ისევე არ შეიძლება მეტისმეტი ლოცვა, როგორც არ შეიძლება ზედმეტი სიყვარული და თუ ლოცვა, რომელიც არ მოიძებნება საღვთო წერილში, წამება იქნება, მაშინ წმინდა ტერეზა და წმინდა იერემია მწვალებელნი იქნებოდნენ.

იხრებოდა ყველასაკენ, ვინც კვნესის და გოდებს. ქვეყანა ცრემლის ზღვად მიაჩნდა; ყველგან ტანჯვას, სნეულებას, ყველგან ჭირსა და ვარამს ხედავდა და გამოცანის გამოცნობას კი არა, წყლულის შეხვევასა და განკურნებას ცდილობდა. ქვეყნიური ვარამის საზარელი სანახაობა გულს უჩქროლებდა და სულ იმის ცდაში იყო, თვითონაც მიეღწია და სხვებისთვისაც ესწავლებინა უკეთესი შებრალება და ნუგეშისცემა. ამ კეთილი და იშვიათი მოძღვრისათვის ჩვენი ცხოვრება დაუშრეტელ უბედურებას წარმოადგენდა, რომელსაც მანუგეშებელი ეჭირვებოდა.

რამდენი კაცია, რომ ლითონიდან გამონადნობი ოქროს გამრავლებას ცდილობს; ის სიბრალულის გამრავლებას ცდილობდა და ლითონად ქვეყნიური ვაება ჰქონდა. ყველგან გაჭირვებას ხედავდა და ყველგან - შეიყვარეთ ერთმანეთიო - ქადაგებდა. ეს იყო მისი სრული მოძღვრება და ამის მეტი არა უნდოდა რა. ერთხელ ჩვენმა უკვე ნაცნობმა სენატორმა, რომელსაც თავი ფილოსოფოსად მოჰქონდა, ეპისკოპოსს მოახსენა:

- ქვეყანას გადახედეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ. ნახეთ, რა ბრძოლა აქვს ატეხილი ყველას ერთიმეორესთან. ჭკვიანი ის არის, ვინც უფრო ძლიერია. შეიყვარეთ ერთმანეთიო, რომ ბრძანებთ, სულელი იქნება, ვინც დაგიჯერებთ, რადგან დამარცხებული დარჩება.

ეპისკოპოსმა კამათი არ დაუწყო და მშვიდი ხმით უპასუხა:

- სულელიც რომ იყოს, სული შიგ უნდა ჩაიკეტოს, როგორც მარგალიტი ნიჟარაში.

და მართლაც, შიგ იყო ჩამჯდარი, შიგ ცხოვრობდა, ამით კმაყოფილდებოდა; გვერდს უვლიდა იმ კითხვებს, რომელნიც იზიდავენ და ანცვიფრებენ ადამიანს; შორს იდგა აბსტრაქციის დაუსრულებელი პერსპექტივების, მეტაფიზიკის უფსკრულისა და იმ ღრმა კითხვებისაგან, რომელთაც მოციქული ღმერთთან მიჰყავს და ღვთის უარმყოფელი - არარაობასთან: რა არის ბედი, ავი და კარგი, სულდგმულთა შორის ბრძოლა, ადამიანის სინდისი, ცხოველთა ჩაფიქრებული მცონარეობა, მიცვალება და აკლდამაში დაკრძალულ სიცოცხლეთა განახლება, არარაობა და არსება, ნივთიერება, სული, ბუნება, თავისუფლება, საჭიროება, - ყველა ის მძლავრი და შეუგნებელი კითხვებია, რომელთა გამოკვლევა კაცობრიობის მთავარანგელოზთა

ხვედრია, თვალუწვდენელი უფსკრულია, რომელსაც ლუკრეციუსი, მანუ, წმ. პავლე და დანტე ისეთი აღგზნებული თვალით ჩასცქერიან, თითქოს ცდილობენ იმდენად დააკვირდნენ უსაზღვროს, რომ შიგ ვარსკვლავები გააჩინონ.

მონსინიორ მირიელი ის ადამიანი იყო, რომელიც ამ იდუმალ მოვლენებს შორიდან ადევნებდა თვალს და თავს არ იწუხებდა - ან ესწავლა, ან უფრო ახლოს მისულიყო. ურყევად იცავდა სულის სიმშვიდეს.

## წიგნი მეორე
## დაცემა

### თავი პირველი
### საღამო, მთელი დღის სიარულის შემდეგ

1815 წლის ოქტომბრის თვის პირველ რიცხვებში, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე, ერთი კაცი შევიდა პატარა ქალაქ დინში. ეს კაცი ფეხით მოგზაურობდა. ვინც კი იმ დროს ფანჯარაში იყურებოდა ან ქუჩის კართან იდგა, ყველა რაღაც ეჭვის თვალით ათვალიერებდა ამ მგზავრს. ძნელი წარმოსადგენია, ასეთი უბედური შეხედულებისა სხვაც ყოფილიყო ვინმე. საშუალო ტანის კაცი იყო, ჯმუხი, მხარბეჭიანი, კარგი ვაჟკაცი, ასე ორმოცდაექვსი ან ორმოცდარვა წლისა იქნებოდა. თვალებზე ჩამოფხატული ჰქონდა წინაფრიანი ტყავის ქუდი, რომელიც ნახევრამდე უფარავდა მზისგან დამწვარ მტვრიან და ოფლიან სახეს. სქელ, მოყვითალო საყელოსთან ვერცხლის დუგმით შეკრული ტილოს პერანგიდან ბალნიანი გული უჩანდა. ყელსახვევი ბაწარივით ჰქონდა შეგრეხილი. ლურჯი, უბრალო, გახუნებული და გახეხილი შარვალი ეცვა, ერთ მუხლზე გადაქექილ-გადათეთრებული, მეორეზე დახეული. ერთი ძველი ლურჯი ხალათი ეცვა დაფლეთილი, იდაყვზე მწვანე მაუდი მსხვილი ძაფით ჰქონდა მიკონკებული; ზურგზე ჯარისკაცის ჩანთა ეკიდა სრულიად ახალი, კარგად შეკრული და საკმარისად გატენილი; ხელში უშველებელი ჯოხი ეჭირა; ფეხსაცმელი ნალიანი ეცვა ტიტველა ფეხზე. თავი გაკრეჭილი ჰქონდა და გრძელი წვერი.

ოფლი, სიცხე, ფეხით სიარული და მტვერი რაღაც საზარელ შეხედულებას აძლევდა ისედაც ჩამოფლეთილ მოგზაურს.

თმა ჯაგარივით აშვეროდა; ეტყობოდა, კაი ხნის გაპარსული იყო და ახლა მოზრდილი კი არ შეეკრიჭა.

ამ კაცს არავინ იცნობდა. მგზავრი უნდა ყოფილიყო, გამვლელი. საიდან მოდიოდა? სამხრეთიდან. იქნებ თვით ზღვისპირეთიდანაც, რადგან იმავე გზით შევიდა დინში, რომლითაც შვიდი თვის წინათ იმპერატორმა ნაპოლეონმა გაიარა, კანიდან პარიზისაკენ რომ მიდიოდა; ეტყობოდა მთელი დღე ევლო, ძალიან დაღლილს ჰგავდა. ძველ უბანში ქალებს ენახათ ეს კაცი: გასანდის ბულვარზე ხეებქვეშ გაჩერებულიყო და, ხეივნის ბოლოს რომ შადრევანია, წყალი დაელია. ალბათ ძალიან სწყუროდა, ბავშვები რომ დაედევნენ ბაზრის მოედნის შადრევანთან სულ ორასი ნაბიჯის მანძილზე, კიდევ ენახათ გაჩერებული წყლის დასალევად.

პუაშევრის ქუჩის კუთხესთან რომ მივიდა, მარცხნივ შეუხვია და ქალაქის მერიისაკენ გაემართა. შევიდა შიგ და თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა. ქვის

სკამზე, კარებთან, ჟანდარმი იჯდა. მგზავრმა ქუდი მოიხადა და მოწიწებით სალამი მისცა. 4 მარტს სწორედ ამ ქვის სკამიდან უკითხავდა ქალაქ დინის მოსახლეობის გააფთრებულ ბრბოს ჟუანის ყურეში დაწერილ პროკლამაციას გენერალი დრუო. ჟანდარმმა სალამზე არ უპასუხა, ყურადღებით შეათვალიერა, ცოტა ხანს თვალი ადევნა და მერე მერიაში შევიდა.

ამ დროს დინში საუკეთესო სასტუმროდ „კოლბასის ჯვარი“ ითვლებოდა. მისი პატრონი, ჟაკენ ლაბარი, დიდად პატივცემული იყო ქალაქში, რადგან ნათესავი იყო იმ ლაბარისა, რომელსაც გრენობლში „სამი ბატონიშვილის“ სასტუმრო ჰქონდა. ნაპოლეონი რომ შემოვიდა საფრანგეთში, დიდი მითქმა-მოთქმა ატეხა „სამი ბატონიშვილის“ სასტუმრომ: ამბობდნენ, გენერალი ბერტრანი, მეეტლის ტანისამოსით გამოწყობილი, იანვარში ხშირად დაიარებოდა ამ სასტუმროში, ჯარისკაცებს ჯვრებს ურიგებდა და მოქალაქეებს - ნაპოლეონის სახით მოჭრილ ოქროებსაო. სიმართლე ამ ხმებში ის იყო, რომ ნაპოლეონმა, გრენობლში რომ მივიდა, მერიის სასახლეში არ ინება დადგომა, დიდი მადლობა გამოუცხადა ქალაქის მერს და უთხრა: - ერთ კარგ, პატიოსან კაცს ვიცნობო, - და „სამი ბატონიშვილის“ სასტუმროში ჩამოხტა. გრენობლელ ლაბარის ამგვარი დიდება სხივსა ჰფენდა მთელი დღის სავალზე მყოფი დინელ ლაბარის „კოლბასის ჯვარს“. დინში ისე არავინ ახსენებდა ამ უკანასკნელს, რომ არ ეთქვათ - გრენობლელის ბიძაშვილიაო.

მგზავრი ამ საუკეთესო სასტუმროსკენ გაემართა. სამზარეულოში შევიდა, რომლის კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. მშვენიერი ცეცხლი გუზგუზებდა ბუხარში. მასპინძელი იქვე ტრიალებდა და ხან ქვაბს ჩახედავდა, ხან - ქურას. საგანგებო სადილს უმზადებდა მგზავრ მეეტლეებს, რომელთა სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი გამოდიოდა დარბაზიდან. ვისაც კი უმგზავრია, კარგად იცის, რომ მეეტლესავით კარგად პურს არავინა ჭამს გზაში. ბუხარში ერთი დიდი ზაზუნა იწვოდა გრძელ შამფურზე აგებული, გვერდებზე კიდევ როჭო ჰქონდა მიკრული და გნოლი. ღუმელზე ორი დიდი კობრი იხარშებოდა ლაზეს ტბისა და ერთიც კალმახი, დ-ალლოს ტბისა.

კარის გაღების ჭრიალის ხმაზე მასპინძელს ქურისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჰკითხა ახალმოსულს:

- რას ინებებთ, ბატონო?

- პურსა ვჭამ და დავიძინებ, - უთხრა მგზავრმა.

- ადვილი სამსახურია, ბატონო, - ამ დროს მან მოიხედა, მგზავრი თავით ფეხამდე აათვალიერა და დაუმატა:

- ფულით, რასაკვირველია.

მგზავრმა ჯიბიდან ერთი სქელი, ტყავის ქისა ამოიღო და თქვა:

- ფული მაქვს.

- მაშ თქვენი მოსამსახურე გახლავართ.

მგზავრმა ქისა ჯიბეში ჩაიდო, ჩანთა მოიხსნა და იქვე კართან დადო, ჯოხი ხელთ შეირჩინა, მივიდა და ერთ პატარა დაბალ სკამზე დაჯდა ცეცხლის პირას. დინი მთაშია და ოქტომბრის საღამოს იქ უკვე ცივა.

მასპინძელი კი მიდი-მოდიოდა და მგზავრს ათვალიერებდა.

- ჩქარა იქნება სადილი? - ჰკითხა მგზავრმა.

- ახლავე, ახლავე.

სანამ მგზავრი თბებოდა, მის ზურგს უკან მდგომმა პატივცემულმა მასპინძელმა ჟაკენ ლაბარმა ჯიბიდან ფანქარი ამოიღო, მაგიდაზე დაგდებულ გაზეთს ქაღალდი შემოახია, ერთი თუ ორი სტრიქონი დაწერა, დაკეცა და ისევე დაუბეჭდავი პატარა ბიჭს მისცა, რომელიც, ეტყობოდა, შეგირდიც უნდა ყოფილიყო და სუფრაზეც ემსახურებოდა. ყურში რაღაც უთხრა პატარას და ისიც შურდულივით გაექანა მერიისკენ.

მგზავრს არაფერი შეუნიშნავს.

ერთხელ კიდევ იკითხა:

- მალე იქნება სადილი?

- ახლავე, - უპასუხა ლაბარმა.

ბიჭი დაბრუნდა, ქაღალდიც უკან მოიტანა. მედუქნემ საჩქაროდ გაშალა, ეტყობოდა, პასუხს ელოდა. ყურადღებით წაიკითხა, თავი გადააქნია და ერთ წამს ჩაფიქრებული იდგა. მერე მგზავრს მიუახლოვდა, რომელიც რაღაც შავ ფიქრებს გაეტაცა.

- მე თქვენ ბინას ვერ მოგცემთ.

მგზავრი სკამზე წამოიწია.

- რატომ? იქნებ გეშინიათ, რომ ფული არ მოგცეთ? გნებავთ წინდაწინ მიიღეთ. აკი მოგახსენეთ, ფული მაქვს-მეთქი.

- საქმე ფული არ არის.

- მაშ?

- თქვენ ფული გაქვთ...

- დიახ, მაქვს.

- მე კი ოთახი არა მაქვს.

მგზავრი მშვიდად შეესიტყვა:

- თავლაში დამაწვინეთ.

- არ შემიძლია.

- რატომ?

- ცხენებით არის გაჭედილი.

- სხვენზე დავწვები. ერთ ბეწვა თივას როგორ ვერ მომცემთ? ეგ სადილის მერე მოხერხდება.

- ვერც სადილს გაჭმევთ.

ეს სიტყვები მშვიდად წარმოთქვა მასპინძელმა, მაგრამ ისეთი გადაჭრილი კილოთი, რომ მგზავრს დიდმნიშვნელოვნად ეჩვენა და ფეხზე წამოდგა.

- რა ვქნა? შიმშილით ვკვდები კაცი. მზე ამოვიდა და მეც წამოველ, თორმეტი ლიე გამოვიარე. ფულს გაძლევთ. პური მშია.

- მე არაფერი მაქვს, - უთხრა ლაბარმა.

მგზავრს სიცილი წასკდა და ბუხრისა და ღუმლისკენ მიბრუნდა.

- არაფერი? ეს რაღაა?

- სულ გაყიდულია.

- ვინ იყიდა?

- ბატონმა მეეტლეებმა.

- რამდენნი არიან?

- თორმეტნი.

- ამით თუნდაც ოც კაცს გააძღობთ.

- სულყველაფერი იმათ იყიდეს და ფულიც წინასწარ მომცეს.

მგზავრი დაჯდა და ხმის აუმაღლებლად უთხრა:

- მე სასტუმროში ვარ, პური მშია და კიდეც დავრჩები.

მაშინ მასპინძელი დაიხარა და ისეთი კილოთი ჩასძახა შიგ ყურში, რომ მგზავრს ურუანტელმა დაუარა:

- მომშორდით აქედან!

იმ წამს მგზავრი თავდახრილი იჯდა და თავისი რკინის წვეტიანი ჯოხით ნაკვერჩხალს ურევდა. ამ სიტყვებზე უცბად მობრუნდა, ის იყო პირი გააღო, უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ მასპინძელმა თვალი დააშტერა და ჩუმი ხმით უთხრა:

- აბა გამიგონე! კმარა ამდენი ყბედობა. გინდათ, თქვენი სახელი გითხრათ? თქვენ ჟან ვალჟანი ხართ. ახლა გინდათ ისიც გითხრათ, ვინა ხართ? აქ რომ შემოხვედით, რაღაც ეჭვმა გამიარა გულში. ბიჭი ვაფრინე მერიაში და აი რა მიპასუხეს. კითხვა იცით?

ამ სიტყვებთან ერთად ქაღალდის ნაგლეჯი გადაუშალა თვალწინ, ის ნაგლეჯი, რომელიც სასტუმროდან მერიაში გაიგზავნა და იქიდან უკანვე დაბრუნდა. მგზავრმა თვალი გადაავლო. ცოტა ხნის შემდეგ ლაბარმა უთხრა:

- მე ჩვეულებრივ ყველას ზრდილობიანად ვექცევი. წადით აქედან.

მგზავრმა თავი დაღუნა. ჩანთა, რომელიც იქვე ეგდო, აიღო და წავიდა.

დიდ ქუჩას გაჰყვა. თვითონაც არ იცოდა, საით მიდიოდა. თავდაღუნული, გულჩაკლული, შერცხვენილი მისდევდა გზას. ერთხელაც არ მოუხედავს უკან. რომ მიეხედა, დაინახავდა, რომ „კოლბასის ჯვრის“ პატრონი კარის ბჭესთან დგას, გარს დარბაზიდან გამოსული მგზავრები ახვევია, ქუჩაში მყოფ ხალხს რაღაცას უამბობს გაცხარებული და თან მიმავალზე თითით უჩვენებს. უკან რომ მიეხედა და ზიზღითა და სიძულვილით აღსავსე მისი მაყურებელი ხალხი დაენახა, დარწმუნდებოდა, რომ ერთ წამს ელვასავით მოედებოდა ქალაქს მისი იქ ყოფნის ამბავი.

მგზავრს კი არაფერი დაუნახავს, სევდით მოცულნი უკან აღარ იყურებიან. უამისოდაც კარგად იციან, რომ უკან თავისი შავბედი მისდევთ.

კარგა ხანს იარა ასე უცნობ ქუჩებში. დაავიწყდა დაღლილობა. ასე იცის სევდამ. უცბად საშინელი მწვავე შიმშილი იგრძნო. უკვე ღამდებოდა, მიიხედ-მოიხედა, იქნებ თავშესაფარი ვიპოვო სადმეო.

საუკეთესო სასტუმრო დაკეტილი იყო მისთვის. ერთ უბრალო დუქანს ეძებდა, ღარიბულ თავშესაფარს.

სწორედ ამ დროს ქუჩის ბოლოში აინთო შუქი და ახალ დაბინდებულ ცის მკრთალ სინათლეზე გამოჩნდა რკინის ყავარჯენზე მიკრული ფიჭვის ტოტი. ახლა იქით გასწია.

მართლაც დუქანი იყო, შაფოს ქუჩაზე რომ დუქანია, ის.

ერთ წამს გაჩერდა მგზავრი და ფანჯრიდან შეიხედა პატარა, დაბალ დარბაზში; მაგიდაზე ერთი პატარა ლამპა იდგა, ის და ბუხარი ანათებდა იქაურობას. რამდენიმე კაცი სვამდა. მედუქნე თბებოდა. კერის თავზე ჯაჭვით დაკიდებული ქვაბი შიშინებდა.

დუქანს ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთი - ქუჩიდან, მეორე - პატივით სავსე პატარა ეზოდან.

მგზავრმა ვერ შებედა ქუჩიდან შესვლა. ეზოდან შეიპარა, ცოტა ხანი კიდევ შეჩერდა, მერე მოკრძალებით ძებნა რაზა და კარს მიაწვა.

- ვინ არის? - დაიყვირა მედუქნემ.

- დამშეული და დაქანცული.

- ძალიან კარგი. ვახშამს მოგართმევთ და მოგასვენებთ.

მგზავრი შევიდა. ვინც დუქანში იყო, ყველა მობრუნდა. ერთი მხრიდან ლამპის შუქი სცემდა, მეორე მხრიდან - ცეცხლისა. ცოტა ხანს, ვიდრე ჩანთას მოიხსნიდა, ყველანი იმას შეჰყურებდნენ.

მედუქნემ უთხრა:

- აი ცეცხლი. ვახშამიც მზადდება. მობრძანდით, გათბით, მეგობარო.

ბუხართან მივიდა, დაჯდა და დაქანცულობისაგან დაბუჟებული ფეხები ცეცხლს მიუშვირა. ქვაბიდან სასიამოვნო სურნელება ამოდიოდა. მის სახეს, ჭირისა და ვაებისაგან დაღვრემილს, სიამოვნებამ გადაჰკრა.

სახე ტანჯული, მაგრამ ენერგიით სავსე და მაგარი ხასიათის კაცისა ჰქონდა. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი გამომეტყველება. პირველი შეხედვით დაბეჩავებული გეგონებოდათ, მაგრამ რომ დააცქერდებოდით, სასტიკად მოგეჩვენებოდათ. წამწამთ ქვემოდან ისე ელავდა მისი თვალები, როგორც ფიჩხქვეშ - ცეცხლი.

ერთ იქ მყოფ სუფრასთან მჯდომ მეთევზეს, ვიდრე ამ დუქანში მივიდოდა, ცხენი დაება ლაბარის თავლაში. ამ კაცს ჯერ კიდევ დილით შეხვედროდა ეს საზარელი შეხედულების მგზავრი ბრაასისა და, - სახელი დამავიწყდა - მგონი, ესკუბლონს შუა, როცა წამოსწეოდა, ეთხოვა ფეხით მომავალს, ძალზე დაღლილი ვარ და ცხენზე უკან შემომისვიო. ამის პასუხად მეთევზეს მათრახი ეკრა ცხენისთვის. ამ ნახევარი საათის წინ რომ ხალხი ეხვეოდა ლაბარს, ეს მეთევზეც იმათ შორის იყო და თვითონაც უამბო დილის უსიამოვნო შეხვედრა „კოლბასის ჯვარელებს“.

მეთევზემ იცნო მგზავრი და მედუქნეს ანიშნა. მასპინძელი მიუახლოვდა. მეთევზემ რამდენიმე სიტყვა წაუჩურჩულა. მგზავრი ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ცეცხლთან.

მედუქნე კერასთან მივიდა, უცბად ხელი დაადო მხარზე მგზავრს და უთხრა:

- ადე, აიბარგე!

მგზავრი მიბრუნდა და ტკბილად ჰკითხა:

- ოჰ! თქვენც იცით?

- ვიცი.

- სასტუმროდან დამითხოვეს.

- აქედანაც გაგაგდებ.

- მერე სად წავიდე?

- საცა გინდა.

მგზავრმა აიღო თავისი ჯოხი, ჩანთა და წავიდა.

გარეთ რომ გამოვიდა, ბავშვები დახვდნენ ქუჩაში, რომელნიც „კოლბასის ჯვარის“ სასტუმროდან დასდევნებოდნენ და გარეთ ელოდნენ. რომ გამოვიდა, ქვა ესროლეს. გაბრაზებული მიბრუნდა უკან და ჯოხით დაემუქრა. ბავშვები ისე დაიფანტნენ, თითქოს მტრედის გუნდს ქორმა გადაუქროლაო.

საპატიმროს წინ გაიარა. კარებზე რკინის ზარი ეკიდა, ჯაჭვი ჩამოჰკრა.

მეკარემ ფანჯარა გამოაღო.

- ბატონო მეკარევ, - შეევედრა მგზავრი და პატივისცემით ქუდი მოუხადა, - ერთ ღამეს ვერ გამათევინებთ ციხეში?

მეკარემ უარი უთხრა:

- საპატიმრო დუქანი კი არ არის. დაგიჭირონ და მაშინ გაგიღებთ კარს, - უთხრა და ფანჯარა მოუკეტა.

ერთ პატარა ქუჩაში შევიდა, რომელიც ორღობეს უფრო ჰგავდა, აქეთ-იქით ბაღები იყო. ღობის მაგივრად ხერგული ჰქონდა ჩარიგებული და ეს მეტად ალამაზებდა ქუჩას. ბაღსა და ღობეს შორის პატარა სახლი ნახა, ერთსართულიანი; ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა. შიგ შეიხედა, როგორც წეღან დუქანში. დიდი ოთახი იყო კირით შელესილი; ლოგინთან აკვანი იდგა, რამდენიმე სკამი ჩანდა, კედელზე ორლულიანი თოფი ეკიდა, შუა ოთახში სუფრა იყო გაშლილი. სპილენძის ლამპა ანათებდა თეთრ, სქელი ტილოს სუფრას, წვენით სავსე ოხშივრიან ბადიას და ღვინით სავსე თუნუქის სურას, რომელიც ვერცხლივით ბრწყინავდა. მაგიდასთან ერთი მხიარული სახის კაცი იჯდა, ასე ორმოცი წლისა; მუხლზე ბავშვი შემოესვა და ათამაშებდა. გვერდით ცოლი, ყმაწვილი დედაკაცი, ძუძუს აწოვებდა მეორე ბავშვს. ბავშვი იცინოდა, მამა ტკბებოდა, დედას ნეტარების ღიმილი ადგა სახეზე.

მგზავრი კარგა ხანს გატაცებული იდგა ამ ტკბილი და დამამშვიდებელი სანახაობით. რას ფიქრობდა? რას გრძნობდა? ამის პასუხს თვით იმის მეტი ვერავინ იტყოდა. იქნება იფიქრა, ამ მხიარულ სახლში სტუმართმოყვარეობაც ეცოდინებათ და, სადაც ამდენი ბედნიერება სუფევს, იქნებ სიბრალულიც მოიპოვებოდესო.

სიფრთხილით, ოდნავ დააკაკუნა ფანჯარაზე.

ოთახში ვერ გაიგეს ხმა.

მეორედ დააკაკუნა.

დედაკაცის ხმა შემოესმა:

- ჩემო კაცო, მგონი ვიღაც არის.

- არავინაა. - უპასუხა ქმარმა.

მესამედ დააკაკუნა.

ქმარი წამოდგა. ლამპა აიღო, კართან მივიდა და გააღო.

მაღალ-მაღალი კაცი იყო; ხელოსანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ეტყობოდა მეურნეობისთვისაც არ დაენებებინა ჯერ თავი. ტყავის წინსაფარი ეკრა, რომელიც მარცხენა მხარს უფარავდა, ტყავისავე ჯიბეში ჩაქუჩი ჰქონდა, წითელი ხელსახოცი, სათოფისწამლე და მრავალი სხვა იარაღი; ისე ჰქონდა ჯიბე გამოტენილი, რომ ქამარი ძლივს იმაგრებდა. თავი მაღლა ეჭირა, ოდნავ უკან გადახრილი, საკინძე შეეხსნა და ხარივით მაგარი ტიტველი თეთრი კისერი უჩანდა. ხშირი წარბ-წამწამი ჰქონდა, გრძელი შავი წვერი, გადმოკარკლული თვალები და წვეტიანი, წინ წამოშვერილი ნიკაპი. მთელ სახეზე ის გამოუთქმელი გამომეტყველება აღბეჭდვოდა, რომელიც ამბობს, ჩემს სახლში ვარ, მისი ბატონ-პატრონიო.

- უკაცრავად გახლავართ, ბატონო, - უთხრა მგზავრმა. - ფული რომ მოგართვათ, ერთ კერძ საჭმელს ვერ მიბოძებთ და ამაღამ ბინას? ბაღში დავიძინებ, აი, იმ ფარდულში, თუ ღმერთი გწამთ, ფულს მოგართმევთ.

- ვინა ხართ? - ჰკითხა სახლის პატრონმა.

მგზავრმა უპასუხა:

- პუი მუასონიდან გეახლებით. მთელი დღე ვიარე, საშინლად დავიღალე. დიდი გზა გამოვიარე. ჰა, არ შეიძლება? ფულს მოგართმევდით.

- პატიოსან კაცს უარს არ ვეტყვი, თუკი ფულს გადამიხდიდა. მაგრამ რატომ დუქანში არ მიხვალთ?

- ადგილი არა აქვთ.

- ეჰ, ეგ როგორ შეიძლება! დღეს ბაზრობა ხომ არ არის, რომ ადგილი არ იყოს. ლაბართან იყავით?

- დიახ.

- მერე?

მგზავრი შეყოყმანდა:

- არ ვიცი, არ მიმიღო.

- იმასთან იყავით, რა ჰქვია... შაფოს ქუჩაზე.

მგზავრი აირია და ძლივსღა წაიბუტბუტა:

- არც იმან მიმიღო.

სახლის პატრონს ეჭვი აღეძრა. თავიდან ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა მგზავრი და უცბად შეჰყვირა აღშფოთებულმა:

- შენ ის ხომ არა ხარ?

ერთხელ კიდევ გადახედა მგზავრს, უკან-უკან წავიდა, ლამპა მაგიდაზე დადგა და კედლიდან თოფი ჩამოიღო.

შენ ის ხომ არა ხარო, - რომ დაიძახა, დედაკაცი ფეხზე წამოხტა, ორივე ბავშვი აიტაცა და უკან ამოეფარა თავის ქმარს. გულგახეთქილი შესცქეროდა მგზავრს, გულჩამოღეღილი, ათრთოლებული და ჩუმად იძახდა: - ეს მაწანწალა, ესა.

ყოველივე ეს უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. ცოტა ხანს უყურა სახლის პატრონმა მგზავრს, სწორედ ისე, თითქოს ჭრელ გველს უყურებსო, მერე კართან მივიდა და უთხრა:

- გასწი აქედან!

- ღვთის გულისათვის, - შეევედრა მგზავრი, - წყალი მაინც დამალევინეთ.

- ტყვიას დაგალევინებ!

კარი მოკეტა საჩქაროდ და ორჯერ გადაატრიალა გასაღები. ერთ წამში ფანჯარა მოიხურა, დარაბა დაეშვა და რკინის საკეტის - ურდულის ხმა შემოესმა გარეთ მყოფ მგზავრს.

უფრო და უფრო ღამდებოდა. ალპების ცივი ქარი ქროდა, მიწურულ დღის სინათლეში ერთ ბაღში ქოხის მსგავსი რაღაც დაინახა ბელტით აშენებული. გაბედულად გადავიდა ღობეზე და ბაღში შევიდა. ქოხს მიუახლოვდა. შესასვლელი დაბალი, ვიწრო ნახვრეტი ჰქონდა და იმ ფიცრულებს ჰგავდა, რომელთაც რკინიგზის დარაჯები იშენებენ გზის ნაპირას. იფიქრა, გზის დარაჯის ჯიხური თუაო. სიცივე ცალკე აწუხებდა, შიმშილი - ცალკე. შიმშილს კიდევ მოითმენდა, სიცივისაგან კი აქ დაიფარავდა თავს. იცოდა, რომ ამგვარ ქოხში, ჩვეულებრივ, ღამე არავინ არის. პირქვე დაწვა და ისე შეძვრა შიგ. იქ კი თბილოდა, თივაც ეგო. ცოტა ხანს ასე ეგდო თივაზე; ისე იყო დაქანცული, რომ განძრევა აღარ შეეძლო. მაგრამ ჩანთა აწუხებდა და რადგან ის ბალიშადაც გამოადგებოდა, თასმის შეხსნა დაიწყო. ამ დროს საშინელი ღრენა შემოესმა. შეხედა. შემოსასვლელის ჩრდილში ერთი უზარმაზარი ძაღლის დაღრენილი თავი გამოჩნდა.

ეს თურმე ძაღლის ხუხულა იყო.

თვითონაც ღონიერი და უშიშარი იყო. ერთ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში ფარად-ჩანთა და, როგორც იყო, გამოძვრა ძაღლის ხუხულიდან, მაგრამ აქა-იქ უფრო დაეხა ჯღანები.

ბაღიდანაც გამოვიდა, სულ უკან-უკან იარა, რომ ქოფაკს არ ეკბინა და თან საკვირველი ხელოვნებით, მოფარიკავე ოსტატივით ათამაშებდა ჯოხს გამგელებული ძაღლის თვალწინ.

დიდი გაჭირვებით, როგორც იყო, ღობეზე გადავიდა. ისევ ქუჩაში იყო, უბინაო, უიმედო, მიუსაფარი, ძაღლისაგანაც კი გამოდევნილი. ქანცგაწყვეტილი დაეშვა ქვაზე და მწარედ წამოიძახა:

- ძაღლიც კი არა ვარ, მე უბედური!

ცოტა ხნის მერე წამოდგა და კვლავ გზას გაუდგა. ქალაქგარეთ გავიდა, მინდორში ხეს ან ზვინს ვიპოვი რასმე და თავს შევაფარებო.

კარგა ხანს იარა თავჩაქინდრულმა. როდესაც იგრძნო, რომ უკვე შორს იყო ადამიანთაგან, თავი მაღლა აიღო, თითქოს რაღაცას ეძებსო. დაცემულ, ოდნავ დაღმართიან მინდორზე იყო, ტრიალ მინდორზე, ყანა მოეჭრათ და მინდორი გაკრეჭილ თავსა ჰგავდა.

ცისკიდური სულ ჩაშავებულიყო - არა მარტო ღამის წყვდიადისაგან, არამედ ძირს დაშვებული ღრუბლების მიერ, რომელნიც დასწოლოდნენ ბორცვს და ზევით ზეცა დაებნელებინათ. მაგრამ მთვარის ამოსვლის დროც ახლოს იყო. ზენიტზე ისევ მოჩანდა ბინდის სინათლის ნაშთი. ზეცას თაღივით მოსდებოდა ღრუბელი, საიდანაც პატარა სინათლე ეცემოდა დედამიწას.

დედამიწა უფრო იყო განათებული, ვიდრე ცა. ეს განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. პატარა, საცოდავი ბორცვი ბუნდოვნად და მქრქალად მოჩანდა მოქურუხებულ ცის ტატნობზე.

თვალწინ გადაშლილი მთელი სურათი საზარელი, უბადრუკი, სევდით მოცული და სულის შემხუთველი იყო. მოტიტვლებული იყო მინდორი, ბორცვი. ერთადერთი ხე იდგა, იქვე, მგზავრის ახლოს და ისიც კანკალებდა იმ სიცივეში.

ცხადია, ამ კაცს არ გააჩნდა ჭკვიანი და გონებაგახსნილი ადამიანის ფაქიზი ჩვეულება, რომ შესძლებოდა ეგრძნო ბუნების ამ სანახაობის იდუმალი მხარე. მაგრამ იმისთანა დაღვრემილი იყო ეს ცა, იმისთანა უდაბნო და უდაბური იყო ეს მინდორი და ეს ხე, რომ იმანაც კი ვერ შეძლო და ერთი წამის ფიქრის შემდეგ უცბად უკანვე გაბრუნდა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბუნებაც კი მტრად ეჩვენება ადამიანს.

შემდეგ უკანვე დაბრუნდა. ქალაქის კარი დაკეტილი დახვდა. სარწმუნოებრივი ომების დროს დინს რამდენჯერმე მოუხდა ბრძოლა და 1815 წელს ჯერ ისევ ძველი ქვითკირის კედელი ერტყა, ციხეებითა და კოშკებით გამაგრებული, დღეს უკვე დანგრეული. ერთ ადგილას გახსნილი აღმოჩნდა კედელი და ისევ ქალაქში შევიდა.

საღამოს რვა საათი იქნებოდა. რადგან გზები არ იცოდა, ქუჩაში ხეტიალს მოჰყვა.

მერიის კარებთან გაიარა, მერე - სემინარიასთან. საეპისკოპოსო მოედანზე ტაძარი რომ დაინახა, მუშტი მოუღერა.

მოედანზე ერთ კუთხეში სტამბა იყო. პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა იმპერატორისა და მისი გვარდიის ჯარისადმი მიმართული პროკლამაციები. ამ ელბის კუნძულიდან მოტანილ პროკლამაციებს თვით ნაპოლეონი კარნახობდა მწერლებს.

ქანცგამოლეული და იმედმიხდილი მივიდა მგზავრი და სტამბის კართან ქვის სკამზე დაწვა.

ამ დროს ერთი მოხუცებული ქალი გამოვიდა ეკლესიიდან. სკამზე გაშხლართული კაცი რომ დაინახა, მივიდა და ჰკითხა:

- აქ რას აკეთებ, მეგობარო?

მგზავრმა გაბრაზებით უპასუხა, უკმეხად:

- ვერა ხედავ, კეთილო ქალო, ძილს ვაპირებ.

კეთილი ქალი, მართლაც ღირსი ამ სახელისა, მარკიზ დე რ-ის მეუღლე იყო.

- ამ სკამზე?

- ცხრამეტი წელიწადია ცარიელ ფიცარზე ვგდივარ, - უპასუხა მგზავრმა, - და ერთ ღამეს ქვაზე ვერ დავიძინებ?

- ჯარისკაცი იყავით?

- დიახ, ჯარისკაცი.

- რატომ დუქანში არ მიხვალთ?

- იმიტომ, რომ ფული არა მაქვს.

- ვაიმე, ვაიმე! - შეწუხდა მარკიზის მეუღლე, - რა ვქნა, რომ ოთხი სუს მეტი არა მაქვს?

- დაე, ოთხი სუ იყოს.

ფული ჯიბეში ჩაიდო მგზავრმა. ქალბატონმა დე რ-ომ განაგრძო:

- როგორ უნდა გაატაროთ მთელი ღამე? ალბათ გცივათ და გეშიებათ კიდეც. სამადლოდ მაინც დაგაძინებენ.

- მე ყველა კარზე დავაკაკუნე.

- მერე?

- პანღურის ცემით გამომისტუმრეს.

„კეთილმა ქალმა“ მხარზე ხელი დაადო და მოედნის მეორე მხარეს საეპისკოპოსო სასახლის გვერდით ერთი პატარა, დაბალი სახლი დაანახვა.

- მაშ ყველა კარზე დააკაკუნეთ?

- დიახ.

- აგერ, იმ კარზეც?

- იქ არა.

- მაშ იქ დააკაკუნეთ.

## თავი მეორე
## კეთილგონიერება სიბრძნეს აფრთხილებს

იმ საღამოს დინის ეპისკოპოსი ქალაქში სეირნობის შემდეგ კარგა ხანს უჯდა თავის ხელნაწერს „მოვალეობათა“ შესახებ, რომელიც, საუბედუროდ, დაუმთავრებელი დარჩა. გულდასმით ამოეწერა სულყველაფერი, რაც კი დაწერილია წმინდა მამათაგან და ღვთისმეტყველების დოქტორთაგან ამ მნიშვნელოვანი საგნის შესახებ. თხზულება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველში საზოგადოდ ადამიანის მოვალეობას ირკვევდა, მეორეში - თითოეული პიროვნების მოვალეობას იმ კლასის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნოდა. დიდი მოვალეობაა ადამიანის საზოგადო მოვალეობა. წმ. მათე ადამიანის ოთხ საზოგადო მოვალეობას ასახელებს:

მოვალეობას ღვთისადმი (მათე, VI), მოვალეობას თავისადმი (მათე, V, 29, 30), მოვალეობას მოყვასისადმი (მათე, VII, 12), მოვალეობას არსთადმი (მათე, V, 20, 25). რაც შეეხება კერძო მოვალეობათ, ეპისკოპოსმა სხვაგან ნახა ისინი მითითებული და მიწერილი: ხელმწიფეთა და ქვეშევრდომთა მოვალეობანი - ეპისტოლეში რომაელთა მიმართ; ცოლთა, დედათა და ყმაწვილკაცთა მოვალეობანი - წმ. პეტრეს ნაწერში; ქმართა, მამათა, შვილთა და მსახურთა მოვალეობანი - ეპისტოლეში ეფესელთა მიმართ; მართლმორწმუნეთა მოვალეობანი - ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ; ქალწულთა მოვალეობანი - ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ... გულმოდგინედ ჰკრებდა წმ. მამათა ნათქვამს და უნდოდა ერთი ჰარმონიული თხზულება შეედგინა სულთათვის.

რვა საათზე ჯერ ისევ მუშაობდა. მუხლზე დიდი წიგნი ედო გაშლილი და პატარ-პატარა ოთხკუთხა ქაღალდებზე წერდა. ამ დროს მაგლუარი შემოვიდა და განჯინიდან ვერცხლეულობა გამოიღო. ცოტა ხნის შემდეგ, როცა იგრძნო, რომ სუფრა გაშლილი უნდა ყოფილიყო და ბატისტინე ალბათ ელოდებოდა, ეპისკოპოსი წამოდგა, წიგნი დაკეცა და სასადილო ოთახში გავიდა.

სასადილო ოთახი გრძელი იყო, ბუხრიანი, და, როგორც უკვე ვთქვით, ქუჩაში გამავალი კარით. ერთი ფანჯარა ბაღში გადიოდა.

მართლაც, მაგლუარს უკვე გაშლილი ჰქონდა სუფრა.

მაგლუარი თან სუფრას დასტრიალებდა, თან ბატისტინეს ებაასებოდა.

სუფრას ლამპა ანათებდა. მაგიდა ბუხართან იდგა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

ძალიან ადვილია ამ მოხუცებულ ქალთა წარმოდგენა; სამოც წელიწადს გადაცილებულნი იყვნენ ერთიც და მეორეც. მაგლუარი პატარა ქალი იყო, ჩასუქებული, სიცოცხლით სავსე. ბატისტინე გამხდარი, ტკბილი, სუსტი, ძმაზე ცოტა უფრო მაღალი, აბრეშუმის თალხი კაბით მოსილი; ეს კაბა პარიზში ეყიდა 1806 წელს და ჯერაც ეცვა. მდაბიური სიტყვით რომ ვთქვათ - და მდაბიური იმით არის კარგი, რომ ერთი სიტყვით ახასიათებს საგანს, რომლის აღწერას ერთი ფურცელიც არ ეყოფა - მაგლუარს გლეხის დედაკაცის შეხედულება ჰქონდა და ბატისტინეს - ქალბატონისა. მაგლუარს თეთრი ნაოჭებიანი თავსაბური ეხურა, ყელზე ოქროს ჯვარი ეკიდა, მთელ სახლში ქალის ერთადერთი ოქროს სამკაული. შავი უხეში შალის კაბიდან თეთრი ხილაბანდი მოუჩანდა. კაბის სახელოები მოკლე და განიერი იყო. ბამბის ტილოს ჭრელი წინსაფარი მწვანე ბაფთით ჰქონდა შეკრული, ყვითელი წინდები ეცვა, როგორც მარსელში იციან, და ტლანქი ფეხსაცმელი. ბატისტინეს კაბა 1806 წლის მოდაზე იყო გამოჭრილი: ზედატანი მოკლე ჰქონდა, ქვედატანი - ვიწრო, განიერი, მრავალდუგმიანი სახელოთი. ჭაღარა თმა დახუჭუჭებული პარიკით ჰქონდა დამალული. მაგლუარს ჭკვიანი სახე ჰქონდა, ცოცხალი და კეთილი. ზედა ტუჩი უფრო სქელი ჰქონდა, ვიდრე ქვედა. პირის ერთი მხარე ოდნავ აწეული ჰქონდა, რაც ერთი შეხედვით უხეშ და მბრძანებლურ იერს აძლევდა ქალს. როდესაც მისი უსამღვდელოესობა გაჩუმებული იყო, მაგლუარი გაბედულად ელაპარაკებოდა, პატივისცემით, მაგრამ თავისუფლად. თუ ეპისკოპოსი რაიმეს უბრძანებდა, მაგლუარიც, როგორც უკვე ვნახეთ, ხმის ამოუღებლად ასრულებდა მის ბრძანებას. ბატისტინე არც კი ლაპარაკობდა. სულ იმის ცდაში იყო, ძმის სურვილი გაეგო და ყოველივე ისე მოეგვარებინა, რომ მირიელს თქმაც არ დასჭირვებოდა. ბატისტინე სიყმაწვილეშიც არ იყო ლამაზი; დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, გრძელი

კეხიანი ცხვირი, მაგრამ გამოუთქმელი გულკეთილობა ეტყობოდა მთელ მის სახეს, მის არსებას. იგი ხორცშესხმული სიკეთე იყო, მაგრამ რწმენას, ქველმოქმედებას და იმედს - სამ სათნოებას, რომელნიც სულს აცხოველებენ - ეს სიკეთე სიწმინდედ გარდაექმნათ. ბუნებას ბატისტინე კრავად გაეჩინა და სარწმუნოებას ანგელოზად შეექმნა. საბრალო წმინდანი ქალი! ტკბილი სახსოვარი, უკვე გამქრალი.

ბატისტინეს იმდენჯერ უამბნია საეპისკოპოსო სახლში იმ დღეს მომხდარი ამბავი, რომ დღესაც ბევრია ცოცხალი, რომელთაც ყველაფერი მშვენივრად ახსოვთ დაწვრილებით.

ეპისკოპოსი რომ შევიდა, მაგლუარი გაცხარებული ლაპარაკობდა: ბატისტინეს უმტკიცებდა, შემოსასვლელ კარს საკეტი უნდა გავუკეთოთო. მაგლუარი ხშირად ატეხდა ხოლმე კარის დაკეტვაზე ბაასს და ეპისკოპოსიც უკვე შეჩვეული იყო ამას.

ამ საღამოს, სავაჭროდ რომ ყოფილიყო ბაზარში, მაგლუარს რაღაც ხმებისთვის მოეკრა ყური. ვიღაც მაწანწალაზე ლაპარაკობდნენ, ვიღაც საეჭვო შეხედულების კაცზე. ქალაქში შემოსულა და ვაი იმისი ბრალი, ვინც დაიგვიანებს და ღამე გარეთ დარჩებაო: შეიძლება შეხვდეს და ვინ იცის, რა მოხდესო! პოლიცია ხომ სრულებითაც არ ასრულებს თავის მოვალეობას, რადგან პრეფექტი და მერი გადაკიდებულნი არიან ერთმანეთზე და მოქალაქეთა სიკეთეს კი არა, მარტო ერთმანეთის ქიშპობას უნდებიანო... ასე რომ, ვისაც ხიფათისა ეშინია, თავის თავს თვითონ უნდა უპატრონოს, ღობეები და ფანჯრები გაამაგროს და კარები ჩაკეტოსო.

უკანასკნელი სიტყვები მაგლუარმა მრავალმნიშვნელოვანი კილოთი თქვა, მაგრამ ეპისკოპოსს თავის ოთახში შესცივნოდა და, გამოვიდა თუ არა, მაშინვე ბუხარს მიუჯდა, თავის ფიქრებში გაერთო, საკუთრივ მისთვის ნათქვამ სიტყვას ყურიც ვერ მოჰკრა. მაგლუარმა თავისი არ დაიშალა და გაიმეორა. მაშინ ბატისტინე ჩაერია ლაპარაკში, უნდოდა ისე მოეხერხებინა, რომ არც მაგლუარს სწყენოდა ეპისკოპოსის უყურადღებობა და არც მირიელის საწყენი თქმულიყო რამე. თავის ძმას მიუბრუნდა და მოკრძალებით შეჰბედა:

- გესმით, ჩემო ძმაო, რას მოგახსენებთ მაგლუარი?

- დიახ, რაღაც გავიგე, ოღონდ ბუნდოვნად.

მერე ნახევრად მოიბრუნა სკამი, ორივე ხელი მუხლებზე დაიწყო, მხიარული, ალერსიანი თვალები დააშტერა მაგლუარს და ხუმრობით შესძახა:

- რა ვქნა, რა მოხდა, რა ამბავია? იქნება მართლა განსაცდელში ვართ?

მაგლუარი თავიდან მოჰყვა ამბავს და თავისდა უნებურად, ცოტა არ იყოს, გააზვიადა გაგონილი. ქალაქში ვიღაც ბოშა დაეთრევა, ვიღაც მაწანწალა, საშინელი შეხედულების კაცი, მათხოვარი, ავაზაკი, კაცის მკვლელი. ჟაკენ ლაბართან მისულიყო დასაძინებლად, მაგრამ ლაბარს არ მიეღო. გასანდის ბულვარზე გამოევლო და ბინდისას ქუჩებში დაწანწალებდაო. იმისთანა შესაზარი სანახავია თურმე, რომ ადამიანი მსგავსს ვერას ნახავს. ხელში შეკრული ბოღჩა უჭირავსო.

- ნუთუ მართლა? - შეეკითხა ეპისკოპოსი.

ამ კითხვამ, ეპისკოპოსის ყურადღებამ, ფრთები შეასხა მაგლუარს, ახლა კი მომხედა ღმერთმა და ეპისკოპოსიც შეშინდაო.

- დიახ, თქვენო უსამღვდელოესობავ, - განაგრძო გახარებულმა მაგლუარმა, - ქვეყანა მოგახსენებთ, ამაღამ ქალაქში უბედურება რამ დატრიალდებაო. პოლიციის იმედი ნურავის გექნებათო (სასარგებლო გამეორება). გაგიგონიათ, გენაცვალეთ,

მთელ ქალაქში ერთი ფანარი არსად ანთია ქუჩებში, რომ ქრისტიან ადამიანს ღამე კარში გაესვლებოდეს. მერე ამისთანა მთიან ქვეყანაში. ჰჰოდა, იმას მოგახსენებდით, თქვენო უსამღვდელოესობავ, და აი ქალბატონიც იმასა გთხოვთ, რომ...

- მე აღარაფერს ვამბობ, ჩემო მაგლუარ, - შეაწყვეტინა სიტყვა ქალბატონმა, - მე ის მინდა, რასაც ჩემი ძმა ინებებს.

მაგლუარმა ისე განაგრძო სიტყვა, თითქოს ბატისტინე მართლა დამოწმებოდეს:

- იმას მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ ფარღალალა გახლავთ ეს სახლი და თუ ნებას მიბოძებთ, პოლენ მუზბუასთან გეახლებით, ზეინკალთან, და ვეტყვი, მოვიდეს და კარებს ძველი ურდულები გაუკეთოს. შენახული მაქვს და ერთი წუთის საქმე გახლავთ. ამაღამისთვის მაინც, თქვენო უსამღვდელოესობავ, რადგან ვინ იცის, რა მოხდეს? ერთიც ვნახოთ მოვიდეს და... თქვენ ხომ მაშინვე „მობრძანდითო“ დაუძახებთ. თანაც ღამე კარზე კაკუნს კი არ დაგვიწყებს, მოაწვება და შემოვა.

ამ დროს ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა კარზე.

- მობრძანდით, - დაუძახა ეპისკოპოსმა.

## თავი მესამე
## გმირობა ბრმა მორჩილებისა

კარი გაიღო.

უცბად ფართოდ გაიღო, თითქოს ვინმე გაბედვით და მთელი ძალ-ღონით მოაწვაო.

ვიღაც კაცი შემოვიდა.

ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ კაცს. ის მგზავრი იყო, რომელიც მთელ საღამოს დაძრწოდა და ბინას ეძებდა.

შევიდა, ერთი ნაბიჯი წადგა და გაჩერდა. კარი ღია დატოვა, ჩანთა ზურგზე ეკიდა, ხელში ჯოხი ეჭირა; მკაცრი, გაბედულებით სავსე, დაღლილი, მხეცური გამომეტყველების სახე ჰქონდა. სინათლე პირდაპირ სცემდა სახეში. საზარელი იყო, უბედურების მომასწავებელი ეს სტუმარი.

მაგლუარს ენა ჩაუვარდა პირში, თრთოდა და პირღია შესცქეროდა ამ მოჩვენებას.

ბატისტინე მობრუნდა, დაინახა ახალმოსული კაცი და შემკრთალი ზეზე წამოხტა; მერე, როგორც იყო, ბუხრისკენ გადაიხედა და თავის ძმას დაუწყო ცქერა. უყურებდა ეპისკოპოსს და თანდათან უწყნარდებოდა სახე.

ეპისკოპოსი დამშვიდებული სახით უყურებდა მგზავრს.

ის იყო უნდა ეკითხა კაცისთვის, რა გინდა, რისთვის მოსულხარო, რომ მგზავრი ორივე ხელით ჯოხს დაებჯინა, რიგრიგობით დაათვალიერა ეპისკოპოსი, ორივე ქალი და მაღალი ხმით თქვა:

- მოგახსენებთ. მე ჟან ვალჟანს მეძახიან. კატორღელი გახლავართ. ცხრამეტი წელი გავატარე კატორღაში. ოთხი დღეა გამათავისუფლეს, ახლა პონტარლიეში მივდივარ. ოთხი დღეა ტულონიდან მოვდივარ, დღეს ორმოცდარვა კილომეტრი გამოვიარე. ამ საღამოს, ქალაქში რომ შემოვედი, დუქანში მივედი, მაგრამ გამომაგდეს, ჩემი ყვითელი პასპორტის გამო, რომელიც, რასაკვირველია, მერიაში წარვადგინე. უამისობა არ შეიძლებოდა. ერთ დუქანში შევედი, გამომაგდეს, გასწი,

გაეთრიეო; მეორეში შევედი, გამომაგდეს. არავინ მინდომა, ბინა არ მომცა. საპატიმროში მივედი, არც იქ შემიშვეს. ძაღლის საწოლზე წავეგდე, ძაღლმა დამკბინა და გამომაგდო, თითქოს ისიც ადამიანი ყოფილიყოს, თითქოს იმ ძაღლმაც იცოდა ჩემი ვინაობა. მინდორში გავედი, იქ დავიძინებ-მეთქი, ცის ქვეშ. ცა მოიღრუბლა; ვიფიქრე, გაავდარდება, სად არის ღმერთი, რომ იმან მაინც შემიბრალოს-მეთქი? და დავბრუნდი; მინდოდა კარებთან მივგდებულიყავ სადმე. აქ მოედანზე წავწექ ქვაზე. ერთმა კეთილმა დედაკაცმა დამანახა თქვენი კარი და მითხრა, იქ დააკაკუნეო. მეც დავაკაკუნე. რა არის ეს სახლი? დუქანია? თუ დუქანია, მე ფული მაქვს. მთელი სიმდიდრე, ას ცხრა ფრანკი და თხუთმეტი სუ მაქვს ჯიბეში. ცხრამეტი წელიწადი ვიმუშავე კატორღაში და იქ ვიშოვე. ფულს მოგართმევთ. რა მოხდება, რა? ფული მაქვს. საშინლად დაღლილი ვარ, ორმოცდარვა კილომეტრი ფეხით გამოვიარე, მთელი დღე მუხლი არ მომიკეცია და ძალიან მშია. შეიძლება დავრჩე?

- ერთი კერძი კიდევ, მაგლუარ-ქალო, - უბრძანა ეპისკოპოსმა.

მგზავრი წინ წამოდგა და ლამპას მიუახლოვდა. გაკვირვება დაეტყო. ეეტყობოდა, ვერა გაეგო რა.

- მოგახსენებთ, - დაიწყო ხელმეორედ სტუმარმა. - აგრე არ გახლავთ საქმე. კარგად კი გაიგონეთ ჩემი ნათქვამი? კატორღელი ვარ-მეთქი, კატორღელი. კატორღიდან მოვდივარ.

ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ყვითელი ქაღალდი, და გაშალა.

- აი ჩემი პასპორტი, ხომ ხედავთ, ყვითელი გახლავთ. ეს იმიტომა მაქვს, რომ სადაც მივალ, პანღურის კვრით გამომაგდონ. გნებავთ, წაიკითხეთ. წიგნი მეც ვიცი. კატორღაში ვისწავლე. სკოლა გახლავთ კატორღაში და, ვისაც უნდა, ასწავლიან. მოისმინეთ, აი რა ჩამიწერეს პასპორტში: „ჟან ვალჟანი, კატორღიდან განთავისუფლებული, დაბადებული სოფელ... - თქვენთვის რა საჭიროა, სადაური ვარ? - ცხრამეტი წელიწადი დაჰყო კატორღაში, ხუთი წელიწადი ქურდობის გამო, თოთხმეტი წელიწადი ოთხჯერ გაპარვის გამო. ძალიან მშიშარა კაცია“... აი ჩემი ვინაობა. ყველგან უარი მითხრეს, სახლში არავინ შემიშვა. თქვენა? თქვენც გამაგდებთ? დუქანია ეს სახლი? პურს ვერ მაჭმევთ, ამაღამ ვერსად დამაძინებთ? იქნებ თავლა მაინც გაქვთ?

- მაგლუარ-ქალო, - ბრძანა ეპისკოპოსმა, - ახალ ზეწარს გაშლით სასტუმრო ლოგინზე.

ჩვენ უკვე ვთქვით, როგორი იყო ამ ქალთა მორჩილება, როდესაც ეპისკოპოსი ბრძანებდა რამეს.

მაგლუარი გავიდა ბრძანების შესასრულებლად.

ეპისკოპოსი მგზავრს მიუბრუნდა.

- დაბრძანდით, ბატონო, და გათბით. ახლავე ვახშმად დავსხდებით და ვიდრე პურს მიირთმევდეთ, ლოგინსაც გაგიშლიან.

ახლა კი გაიგო მგზავრმა. აქამდე პირქუში და მკაცრი გამომეტყველება უცბად შეეცვალა და სახეზე განცვიფრება დაეტყო, ეჭვი, სიხარული. სიხარული ვეღარ შეიკავა და გიჟივით მოჰყვა:

- მართლა? კარგით ერთი! მაშ პურს მაჭმევთ? არ გამაგდებთ კატორღელს? „ბატონო“ მითხარით, არა? თქვენობით მელაპარაკებით? - გასწი შე ძაღლოო, - ყველგან ასე მიძახიან და თქვენ კი... დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენც

გამაგდებდით. ჰოდა, მეც იმიტომ მოგახსენეთ, ვინცა ვარ, შემოვედი თუ არა, მაშინვე. ოჰ, რა კეთილი ადამიანი ყოფილა, თქვენი სახლი რომ მასწავლა! მაშ, ვახშამსა ვჭამ? ლოგინში დავიძინებ, ლეიბზე, ზეწარზე? ისე დავწვები, როგორც პატიოსანი კაცი! ლოგინში. ცხრამეტი წელიწადია ლოგინში არა ვწოლილვარ. მაშ, დავრჩე, დავრჩე? ნუღარ წავალ? ღირსეული კაცი ყოფილხართ, მაგრამ ფული მაქვს და გადაგიხდით. კარგად გადაგიხდით. უკაცრავად, ბატონო მედუქნე, თქვენი სახელი? რასაცა მთხოვთ, იმას მოგართმევთ. კეთილი კაცი ყოფილხართ. თქვენ მედუქნე ხართ, არა?

- მე მღვდელი ვარ და ამ სახლში ვდგევარ, - მიუგო ეპისკოპოსმა.

- მღვდელი? ოჰ, რა მადლიანი ყოფილხართ! მაშ ფულს არა მთხოვთ? ამ საყდრის მღვდელი იქნებით. ბიჭო! მართლა, რა სულელი ვარ! ეს ანაფორა როგორ ვერ დავინახე?

ამ ლაპარაკში ჩანთა მოიხსნა და ჯოხთან ერთად კუნჭულში მიდო, პასპორტი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მერე მივიდა და დაჯდა. ბატისტინე სიბრალულით უყურებდა.

მგზავრმა განაგრძო:

- კაცთმოყვარე ყოფილხართ, მამაო, სიძულვილი არ გცოდნიათ. მღვდელიც მაგისთანა უნდა. მაშ, ფული არ გინდათ?

- არა, თქვენთვის შეინახეთ, - მიუგო ეპისკოპოსმა. - რამდენი გაქვთ? ას ცხრა ფრანკი თქვით, მგონი.

- ას ცხრა ფრანკი და თხუთმეტი სუ.

- რამდენ ხანში მოაგროვეთ ეს ას ცხრა ფრანკი და თხუთმეტი სუ?

- ცხრამეტ წელიწადში.

- ცხრამეტ წელიწადში?

ეპისკოპოსმა ღრმად ამოიოხრა.

- ჯერ არა დამიხარჯავს რა, - განაგრძო მგზავრმა. - ამ ოთხ დღეში სულ ერთი ფრანკი და ხუთი სუ დავხარჯე და ისიც გრასში მომცეს, ბარგი მაზიდვინეს. რაკი მღვდელი ხართ, მოგახსენებთ, რომ ერთი თქვენსავით მღვდელი ჩვენცა გვყავდა კატორღაში. ერთხელ კიდევ ეპისკოპოსი მობრძანდა, მღვდლების მღვდელი, ყოვლად უსამღვდელოესობას ეძახდნენ, მარსელში მაჟორის ეპისკოპოსი იყო თურმე. უკაცრავად გახლავართ, რომ ამეებს მოგახსენებთ, მაგრამ რა ვქნა, მე მეტი არა მინახავს რა, ჰოდა იმ ეპისკოპოსმა ჩვენთვისა სწირა, კატორღელებისთვის. ოქროს რაღაცა ეხურა თავზე. ისე ელავდა სამხრეთის მზეზე, რომ უკეთესს ვერას ნახავს თვალი. სამმხრივ ჩვენ ვიდექით ჩამწკრივებულნი, პირდაპირ ზარბაზნები ეწყო და ჯარისკაცებს ანთებული პატრუქი ეჭირათ ხელში. კარგად ვერც კი ვხედავდით ეპისკოპოსს. ქადაგებაცა ბრძანა, მაგრამ ძალიან შორს იყო და ვერა გავიგეთ რა. აი, რა არის თურმე ეპისკოპოსი.

სანამ მგზავრი ამას ამბობდა, ეპისკოპოსი წამოდგა და კარი მიხურა, რომელიც ჯერაც ღია იყო.

მაგლუარი შემოვიდა და სუფრაზე ჭურჭელი და დანა-ჩანგალი დაალაგა სტუმრისათვის.

- მაგლუარ-ქალო, - უთხრა ეპისკოპოსმა, - ეგენი აქეთ დააწყვეთ, ცეცხლთან.

მერე სტუმარს მიუბრუნდა:

- ძალიან ცივი ქარი იცის ჩვენს მხარეში. შეგცივდებოდათ, ბატონო.

ტკბილი, მეგობრული კილო და ეს ზრდილობიანი სიტყვა „ბატონო“ ციურ მანანასავით ხვდებოდა მგზავრის გულს და სახეზე ბრწყინვალებასა ჰფენდა. ბატონოო, კატორღელს რომ უთხრათ, ვითომც წყალწაღებულისთვის თოკი გადაგიგდიათ, პატივისცემის წყურვილი ჰკლავს შერცხვენილს.

- ეს ლამპა დღეს როგორღაც ვერ ანათებს, - თქვა ეპისკოპოსმა.

მაგლუარი მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, გავიდა ეპისკოპოსის საწოლ ოთახში, სანთლებს მოუკიდა და ორივე ვერცხლის შანდალი სუფრაზე დაალაგა.

- ჭეშმარიტად, კეთილი კაცი ყოფილხართ, მამაო, - თქვა სტუმარმა, - ზიზღით არ მიყურებთ. სახლში შემომიყვანეთ, ჩემთვის სანთლები აანთებინეთ. ხომ არ დამიმალავს თქვენთვის, ვინა ვარ და საიდან მოვდივარ. ხომ მოგახსენეთ, რა გაუბედურებული ვარ.

ეპისკოპოსი გვერდით უჯდა. უდნავ შეეხო მგზავრის ხელს და უთხრა:

- თუნდაც სულაც არაფერი გეთქვათ. ეს სახლი ჩემი როდია. ეს სახლი იესო ქრისტესი არის. ეს კარი შემოსულს იმას კი არ ჰკითხავს, რა გქვიაო, არამედ - რა გაწუხებსო? თქვენ იტანჯებით, გშიათ, გწყურიათ? კეთილი იყოს თქვენი ფეხი. მადლობას ნუ მეტყვით; ნუ მეტყვით, რომ ჩემს სახლში მიგიღეთ. ეს სახლი იმისია, ვისაც ბინა უჭირს და სხვა არავისი. თქვენ მგზავრი ხართ, მაგრამ ამ სახლში თქვენ უფრო ხართ თქვენს სახლში, ვიდრე მე. ყველაფერი თქვენია, რაც კი აქ მოიპოვება. რად მინდა მე თქვენი სახელი? თუ არადა, თქვენ ჯერ ხმაც არ ამოგეღოთ, რომ მე უკვე ვიცოდი, ვინ იყო ჩემი სტუმარი.

გაკვირვებულმა მგზავრმა თვალები დააჭყიტა.

- არა, მართლა, თქვენ იცოდით, ვინა ვარ?

- დიახ, - მიუგო ეპისკოპოსმა, - თქვენე ჩემი ძმა გქვიათ.

- იცით, მამაო, შიმშილით ვკვდებოდი, აქ რომ შემოვედი, მაგრამ თქვენ ისეთი კეთილი სულისა ბრძანდებით, რომ არ ვიცი, რა მომივიდა, შიმშილი გადამავიწყდა.

ეპისკოპოსი დააცქერდა და უთხრა:

- დიდ წვალებას გამოივლიდით კატორღაში.

- ოჰ! ხელში ბორკილი, ფეხში ბორკილი, ფიცარზე ძილი, სიცხე, სიცივე, ჯაფა, კატორღელების ცემა-ტყეპა. ხმა რომ ამოგვეღო, ჯაჭვით დაგვაბამდნენ, ბნელ ოთახში ჩაგვყრიდნენ. ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფებსაც კი ჯაჭვით აბამდნენ. ძაღლი რა არის, ძაღლიც კი უფრო ბედნიერია. ცხრამეტი წელიწადი! ორმოცდაექვსისა გახლავართ. ჯიბეში ყვითელი პასპორტი მიდევს. ეეჰ.

- დიახ, საშინელებას მორჩენილხართ, - უთხრა ეპისკოპოსმა, - მომისმინეთ. ერთად რომ წარსდგნენ ყოვლადძლიერის წინაშე ერთი მტირალი ცოდვილი, რომელსაც უკვე შეუგნია ცოდვანი თვისნი, და ასი მართალი, ის ერთი უფრო ეამება ღმერთს. ხომ გაათავეთ, თავი დააღწიეთ თქვენს სატანჯველს; თუ იქიდან ბრაზი გამოიყოლეთ და ადამიანის სიძულვილი, ღირსი ხართ შებრალებისა; და თუ იქიდან დამშვიდებული გული გამოიტანეთ და ადამიანის სიყვარული, თქვენ ვერავინ შეგედრებათ ჩვენში.

ამასობაში მაგლუარმა წვნიანი შემოიტანა: წყლისა, ზეთისა, პურისა და მარილისაგან გაკეთებული წვენი, ცოტა ლორი, ერთი ნაჭერი ცხვრის ხორცი, ყველი, ჭვავის პური და ლეღვი, და რადგან, ჩვეულებისამებრ, როდესაც სტუმარი ჰყავდათ, ღვინოსაც მოართმევდა ხოლმე, ერთი ბოთლი ღვინოც დადგა მაგიდაზე.

ეპისკოპოსს ის ნეტარი მხიარულება დაეტყო, რომელიც მარტო სტუმართმოყვარეთ იციან.

- აბა, დაბრძანდით, - წამოიძახა მისმა უსამღვდელოესობამ.

ყოველთვის ასე იცოდა და იმ ღამესაც მარჯვნივ სტუმარი მოისვა. ბატისტინე, სრულიად დამშვიდებული, მარცხნივ მოექცა.

სუფრა აკურთხა ეპისკოპოსმა, მერე თვითონვე დაასხა წვენი, ესეც ჩვეულებად ჰქონდა. მგზავრი ხარბად ჭამდა.

უცბად, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ეპისკოპოსმა თქვა:

- ასე მგონია, რაღაც აკლია ამ სუფრას.

მართლაც, მაგლუარს სამი კაცისთვის გაეშალა სუფრა და მხოლოდ ის დაელაგებინა, რაც აუცილებელი იყო. ეპისკოპოსს კი ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც ჰყავდა ვინმე, თავის ვერცხლეულს მთლად სუფრაზე დაალაგებინებდა. ფუფუნების ეს მოხდენილი მიბაძვა რაღაც ბავშვურ მოქმედებას ჰგავდა ამ სასტიკ და ტკბილ სახლში, სადაც სიღარიბე სათნოებად ქცეულიყო.

მაგლუარი მიხვდა შენიშვნას; ხმის ამოუღებლად გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ სუფრაზე დაალაგა ეპისკოპოსის სუფრის დამამშვენებელი დანა-ჩანგალი, თითო-თითო ყველას წინ.

## თავი მეოთხე
## როგორ აკეთებენ პონტარლიეში ყველს

ბატისტინეს ისე მშვენივრად აეწერა ბუაშევრონის მეუღლესთან მიწერილ წერილში ყოველივე, რაც ვახშამზე მოხდა ან ითქვა, ისე მარცვალ-მარცვალ აეკრიფა ყოველი სიტყვა ეპისკოპოსისა და იმისი სტუმრისა, რომ თუ ეს წერილი მოვიყვანეთ, მგონია, სრულიად საკმარისი იქნება ჩვენი მოთხრობისათვის.

„ეს კაცი ყურადღებას არავის აქცევდა და დამშეულის სიხარბით ილუკმებოდა, მაგრამ პურის ჭამა რომ გაათავა, თქვა:

- უნდა მოგახსენოთ, მამაო, ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო ჩემთვის, მაგრამ, მე რომ დუქნიდან გამომაგდეს, იქ გაცილებით უკეთესი საჭმელი მზადდებოდა მეეტლეებისათვის.

ჩვენში დარჩეს: ცოტა არ იყოს მეწყინა ეს შენიშვნა. ჩემმა ძმამ უთხრა:

- იმიტომ, რომ ის მგზავრები გაცილებით მეტს მუშაობენ და იღლებიან, ვიდრე მე.

- არა, მამაო, იმიტომ, რომ იმათ უფრო მეტი ფული აქვთ. ღარიბი კაცი ხართ, კარგადა ვხედავ, იქნებ მღვდელიც არ იყოთ, ჰა? არა, ღმერთმანი, მღვდელი კი ხართ, მართლა? ეჰ, ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, თქვენც ნამდვილად მღვდელი იქნებოდით.

- ღმერთს სამართალზე მეტი აქვს, - მიუგო ჩემმა ძმამ.

ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

- ბატონო ჟან ვალჟან, თქვენ პონტარლიეში მიბრძანდებით?

- დიახ, იძულებითი სამგზავრო მოწმობით. - მგონი, ეს სიტყვებიც იკმარა იმ კაცმა, იმიტომ, რომ შემდეგ განაგრძო: - ხვალ გათენებისას უნდა გავიდე. დიდი გზა მაქვს გასავლელი. როცა ღამე ცივია, დღე ყოველთვის ცხელია ხოლმე.

- ძალიან მდიდარ ქვეყანაში მიდიხართ, - უთხრა ეპისკოპოსმა. - რევოლუციის დროს სულ დავკარგე, რაც რამ მებადა; ფრანშკონტეს შევეხიზნე და კარგა ხანი ვცხოვრობდი ჩემი საკუთარი შრომით. სურვილი მქონდა შრომისა და ძალაც მომდევდა. საქმეს ყველგან იშოვის იქ კაცი, რამდენიც უნდა. ქაღალდის ქარხნებია, ტყავისა, არყისა, ზეთისა, საათისა, რა ვიცი... საუკეთესო ფოლადი იქიდან გამოდის, რკინის ოცი ქარხანა მაინცაა, აქედან ოთხი - ლოდში, შატილიონში, ოდინკურში და ბერში. მნიშვნელოვანი ქარხნებია.

მგონი არა ვცდები და ეს სახელები ბრძანა ეპისკოპოსმა. მერე მე მომიბრუნდა და მკითხა:

- ჩვენ იქ ნათესავები უნდა გვყავდეს, ჩემო საყვარელო დაო?

- როგორ არა, გვყავდა, სხვათა შორის ბატონი ლიუსნე, კაპიტანი ძველი ჯარისა.

- დიახ, - დასძინა ჩემმა ძმამ, - ნათესავები გვყავდა, მაგრამ ოთხმოცდაცამეტში ნათესაობა აღარავისა სწამდა და ყველა თავისი მარჯვენით ცხოვრობდა. მეც ჩემმა მარჯვენამ მაცხოვრა. პონტარლიეში, ბატონო, ერთი მშვენიერი ძველებური ხელობა იციან... ყველის გაკეთებას მოგახსენებთ, ჩემო დაო.

საჭმელს სთავაზობდა სტუმარს და თან უხსნიდა, როგორ აკეთებდნენ ყველს პონტარლიეში. რომ იტყვიან „მდიდარი ბოსელიაო“, ეგ იმას ნიშნავს, რომ მდიდარ კაცზე ლაპარაკობენ, რომელსაც ორმოცი, ორმოცდაათი სული ეწველება და ერთ ზაფხულში შვიდ, რვა ათას კვერეულს აკეთებს; „საამხანაგო ფერმაო“, რომ იტყვიან, ღარიბებზე ლაპარაკობენ, იცოდეთ, საწყალ გლეხკაცებზე, რომელთაც ერთად დაუდით ძროხა და პროდუქტს ერთმანეთში იყოფენ. ყველის გასაკეთებლად დაიჭერენ ვინმე „გრურინს“, როგორც მას უწოდებენ, რომელსაც დღეში სამჯერ უგზავნიან რძეს. აპრილის დამლევს იწყებენ ყველის კეთებას და თიბათვის შუა რიცხვებში ძროხას მთაში მიერეკებიან.

სტუმარი რომ შენაყრდა, გამოცოცხლება დაეტყო. ელაპარაკებოდა ჩემი ძმა და თან მოვის მშვენიერ ღვინოს სთავაზობდა, თუმცა თვითონ კი არა სვამს, ძალიან ძვირიაო, ამბობს. მხიარულად, ალერსიანად უხსნიდა ყველის გაკეთებას, დაწვრილებით უამბობდა ყველაფერს, თითქოს ცდილობს შეაგნებინოს ამ კაცს, თითქოს ცდილობს ურჩიოს, რომ ამ ხელობაში ადვილად იშოვის ლუკმაპურს და ბინასაო. ერთმა გარემოებამ გამაკვირვა. ხომ მოგახსენეთ, ვინ იყო და რა ეს კაცი. ჩემმა ძმამ მთელი საღამო ისე გაატარა, რომ ერთი სიტყვითაც არ უგრძნობინებია ან იმისი და ან თავისი ვინაობა. ერთი კი უთხრა, ეს სახლი ჩემი არ არის, არამედ იესო ქრისტესიაო და მას შემდეგ ამ საგანს არ შეჰხებია, რა კარგი შემთხვევა კი ჰქონდა - ეპისკოპოსი ვარო - ეთქვა და მით უფრო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა იმ უბედურის სულზე. იქნება სხვა რომ ყოფილიყო, ესარგებლა ამ შემთხვევით, მოჰყოლოდა და დარიგება დაეწყო, ცოდვათა მონანიება ერჩია, სულის მოპოვება და ზნეობრივი ცხოვრების დაწყება შთაეგონებინა. ეპისკოპოსმა არც კი ჰკითხა, სადაური იყო, ან როგორ ჩავარდა იმ უბედურ ყოფაში, არა ჰკითხა, რადგან ხედავდა, რომ უბედური იყო ეს კაცი და სევდას სევდაზე ურთავდა უბედურების მოგონება. ისეთი მორიდებით და სიფრთხილით ებაასებოდა იმ კაცს, რომ ერთ წამს შედგა და შემკრთალმა გადახედა, ხომ არ ვაწყენინეო. პონტარლიელ მთიულებზე ელაპარაკებოდა და „სწორედ ბედნიერები არიან თავიანთ მთაში, ღმერთთან დაახლოებულნი, რადგან უდანაშაულო არიანო“ - თქვა და შედგა შემკრთალი. დიდი ფიქრის შემდეგ, მე მგონი,

მივხვდი ჩემი ძმის გულის ფიქრს; დარწმუნებული ვარ, ეპისკოპოსი იმას ცდილობდა, რომ ამ კაცს, ამ ჟან ვალჟანს, რომელსაც ტანჯვისა და ვაების საშინელი ტვირთი ედო, ერთ წამს მაინც დავიწყებოდა თავისი უკეთურობა, ერთ წამს მაინც ღირსებოდა დავიწყება, გართობა და ადამიანად გახდომა. დიახ, ისე ექცეოდა მთელ საღამოს ეპისკოპოსი, თითქოს უნდოდა ჩაეგონებინა, რომ შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ყველა სხვაო. მე მგონია, სწორედ ასე უნდა გამოიხატებოდეს ჭეშმარიტი სიბრალული, სიყვარული მოყვასისადმი, ის შეწყალება ბედისაგან დაჩაგრულისა, რომელიც ქრისტემ გვამცნო, დარიგებით და ქადაგებით არ უნდა შეეხებოდეს უბედურის წყლულს. დიახ, მგონი ეს უნდა ყოფილიყო ჩემი ძმის ფიქრი. თუმცა მთელი საღამო ისე გაატარა, რომ არაფრით შეუმჩნევინებია ამგვარი თავისი წადილი; თავით ბოლომდე იგივე იყო ეპისკოპოსი, როგორც ყოველთვის არის, და ამ ჟან ვალჟანთან ისე შეექცა ვახშამს, თითქოს თავისი გულითადი მეგობარი ჰყავს სტუმრად ან ჩვენი ტაძრის მოძღვარიო.

ბოლოს, ხილს რომ გეახლებოდით, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ჟერბოს ქვრივი იყო თავისი პატარა ბავშვით. პატარას შუბლზე აკოცა ეპისკოპოსმა და თხუთმეტი სუ გამომართვა ჟერბოს ქვრივისთვის. ჩვენი სტუმარი ამ დროს ყურადღებას არავის აქცევდა, არ ლაპარაკობდა და ძალიან დაღლილსა ჰგავდა. საბრალო ქვრივი რომ წავიდა, ეპისკოპოსმა ილოცა, მერე მგზავრს მიუბრუნდა და უთხრა, დაღლილი ხართ და ალბათ მოსვენება გინდათო; მაგლუარმა საჩქაროდ აალაგა სუფრა, მე და მაგლუარი ჩვენს ოთახებში ავედით; ჩვენს სტუმარს ეტყობოდა, რომ ძალიან ეძინებოდა. არ შესცივდეს-მეთქი, შველის ტყავი მაქვს ჩემს ოთახში, ის ჩავუგზავნე მაგლუარის ხელით. საშინელი სიცივე იყო ღამე და ეს ტყავი ცოტათი მაინც გაათბობდა. დაძველდა, აღარ ვარგა. ჩემი ძმა რომ გერმანიაში იყო, იქ ეყიდა ტოტლინგენში, დუნაის სათავეში, სპილენძის ძვლისტარიან ჯიბის დანასთან ერთად, რომელსაც ახლა ვხმარობ.

მაგლუარი თითქმის მაშინვე ამოვიდა. ერთად ვილოცეთ ორივემ ჩემს დიდ დარბაზში, სადაც სარეცხს ვაშრობთ ხოლმე და მერე ხმის ამოუღებლად ჩვენს ოთახებში შევედით.“

## თავი მეხუთე
## მყუდროება

ქალებს რომ გამოეთხოვა, ეპისკოპოსმა ერთი შანდალი თვითონ აიღო, მეორე სტუმარს მისცა და უთხრა:

- წამობრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში შეგიყვანთ.

მგზავრი გაჰყვა.

ზემოთაც გვქონდა მოხსენებული, რომ სტუმრის ლოგინი სამლოცველოში ეგო და იქ მიმავალს ან იქიდან გამომავალს, ეპისკოპოსის საწოლ ოთახში უნდა გაევლო.

როდესაც ეპისკოპოსი და სტუმარი ამ ოთახში შევიდნენ, მაგლუარი განჯინაში ალაგებდა ვერცხლეულს, ეპისკოპოსის ლოგინის თავთით. ასე იცოდა, ჯერ ვერცხლეულს შეინახავდა და მერე წვებოდა.

ეპისკოპოსმა ტახტთან მიიყვანა მგზავრი. ზედ სუფთა, ახალი ლოგინი ეგო. მგზავრმა იქვე, პატარა მაგიდაზე დადო შანდალი.

- ღამე მშვიდობისა! - გამოეთხოვა ეპისკოპოსი. - ხვალ, ვიდრე გზას გაუდგებოდეთ, პატარა შენაყრდით. შინაურ რძეს მოგართმევთ ჩვენი ძროხისას.

- გმადლობთ, მამაო.

ჯერ არც კი გაეთავებინა ეს მშვიდობით აღსავსე სიტყვები, რომ უცბად, ყოვლად მოულოდნელად, სტუმარს ისე შეეცვალა სახე, შიშის ზარს დასცემდა ქალებს, იქ რომ ყოფილიყვნენ. დღესაც ვერ გაგვიგია, რა მოუვიდა იმ ერთ წამში ამ კაცს? ეპისკოპოსის გაფრთხილება უნდოდა, ემუქრებოდა? ან იქნებ თავისთვისაც შეუგნებელ, ინსტინქტურ ბნელ ძალას ემორჩილებოდა? უცბად მობრუნდა მოხუცისაკენ. გულხელი დაიკრიფა, მხეცური გამომეტყველებით დააშტერდა თავის მასპინძელს და ხრინწიანი ხმით შესძახა:

- მაშ, ასე, არა? აქ მაწვენთ ამაღამ, თქვენ გვერდით? - და საშინელი სიცილი აუტყდა. - რატომ არ ფიქრობთ, რას სჩადიხართ, რა იცით, რომ კაცის მკვლელი არა ვარ?

ეპისკოპოსმა მიუგო:

- ეგ ღმერთმა იცის და მე არ მეხება.

ლოცვა დაიწყო ჩუმად. ისე ანძრევდა ტუჩებს, თითქოს რაღაცას ჩასჩურჩულებს თავის თავსაო. მარჯვენა ხელის ორი თითი ასწია, ჯვარი გადასწერა სტუმარს, რომელმაც თავიც კი არ დახარა და ისე გავიდა ოთახიდან, რომ უკან აღარც კი მოუხედავს.

როდესაც სამლოცველოში სტუმარი იწვა ვინმე, ფარდას გააბამდნენ მთელი ოთახის სიგანეზე. ამ ფარდასთან რომ მივიდა, ეპისკოპოსმა დაიჩოქა და ცოტა ხანს ილოცა.

მერე ბაღში გავიდა და მოჰყვა სიარულს. დადიოდა, ოცნებობდა, ცას შესცქეროდა, სული და ფიქრი სავსე ჰქონდა იმ დიდი საიდუმლოებით, რომელსაც ღმერთი მთვარიან ღამეს მოუვლენს ადამიანს.

მგზავრი კი მართლა საშინლად იყო დაღლილი, იმდენად, რომ ლოგინით ვერც კი დატკბა. კატორღელების ჩვეულებისამებრ, სანთელი შებერვით ჩააქრო, როგორც იყო ჩაცმული, ისე მიეგდო ლოგინზე და მაშინვე ღრმად ჩაეძინა.

შუაღამე ახლოვდებოდა, ეპისკოპოსი რომ შებრძანდა თავის სახლში.

ცოტა ხნის შემდეგ პატარა სახლში ყველას ეძინა.

## თავი მეექვსე
## ჟან ვალჟანი

ჯერ კიდევ ღამე იყო, ჟან ვალჟანს რომ გამოეღვიძა.

ჟან ვალჟანი ერთი ღარიბი ბრიელი გლეხი კაცის შვილი იყო. მის დედას ჟან მათიეს ეძახდნენ, მამას - ჟან ვალჟანს, ზოგნი - ჟან ვლაჟანს - მეტსახელს, წარმოებულს სიტყვებიდან voila Jean. პატარაობისას წიგნი არ ესწავლა. დავაჟკაცდა და ხის გამსხვლელად იყო ფავროლში.

როგორც ყველა მოსიყვარულე გულის პატრონი, ჟან ვალჟანი ფიქრიანი კაცი იყო, თუმცა მხიარულება არ აკლდა. შეხედულებით კი მაინც საკმარისად უმნიშვნელოს, ულაზათოს და რაღაცა დოყლაპიას წარმოადგენდა. ჯერ ისევ ბავშვი იყო, როცა დედ-მამა დაეხოცა, დედა მშობიარობას გადაჰყვა უპატრონობით, მამა კი,

ისიც მსხვერპლი, ხიდან ჩამოვარდა და მოკვდა. ჟან ვალჟანს ერთი დაღა დარჩა თავისზე უფროსი და იმან გამოზარდა ის ობოლი. სანამ ქმარი ცოცხალი ჰყავდა, არაფერს აკლებდა თავის პატარა ძმას, მაგრამ დაქვრივდა და შვიდი წვრილფეხი გოგო-ბიჭი დარჩა; უფროსი რვა წლისა, უმცროსი ერთი წლისა. ამ დროს ჟან ვალჟანი ოცდახუთი წლისა იყო, მამობა იმან გაუწია თავის დისწულებს და ამით გადაუხადა სიკეთე თავის ამაგდარ გამზრდელს. ეს უბრალო ვალდებულება იყო ჟან ვალჟანისა და ისე გასწია ჭაპანი, რომ ფიქრადაც არ მოსვლია დისა და დისწულების ღალატი. თავისი სიყმაწვილე დაუსრულებელ ტანჯვას შეალია. ისე უჭირდა ლუკმაპურის შოვნა, რომ არასოდეს ჰყოლია „სულის მეგობარი ქალი“, დრო არ ჰქონდა სიყვარულისთვის.

საღამოზე დაქანცული მოვიდოდა შინ და გაჩუმებული მიუჯდებოდა ვახშამს. ხშირად მისი და მათლაფიდან ამოაცლიდა საუკეთესო ლუკმას - ერთ ნაჭერ ხორცს, ან ძეხვს, ან კომბოსტოს, და თავის შვილს მიაწოდებდა. ის კი იჯდა გაჩუმებული, თვალებზე თმაჩამოშლილი, თავდაღუნული, თითქოს ვერაფერს ხედავსო. ფავროლში ამათი ქოხის პირდაპირ ერთი დედაკაცი ცხოვრობდა, მარი კლოდი. ჟან ვალჟანის დამშეული დისწულები გადავიდოდნენ ხოლმე ამ დედაკაცთან და - დედამ გამოგვგზავნაო, რძეს ისესხებდნენ; ამოეფარებოდნენ ღობეს და იქა სვამდნენ, ერთმანეთს სტაცებდნენ და ტანსაცმელზე იქცევდნენ. ავ დღეს დააყენებდა, რომ გაეგო თავისი შვილების ამგვარი საქციელი, მაგრამ დედამ არაფერი იცოდა. პირქუში და ბუზღუნა ჟან ვალჟანი უსწორდებოდა მარი კლოდს და ბავშვები დაუსჯელნი რჩებოდნენ.

ხეების სხვლის დრო რომ დადგებოდა, ბევრი საქმე ჰქონდა ჟან ვალჟანს და დღეში თვრამეტ სუს და მეტსაც შოულობდა. მერე სამკალში მიდიოდა, დღიურ მუშად, მენახირედ; საქმეს არ გაურბოდა, შრომობდა, რამდენიც კი შეიძლებოდა. დაც არ იყო უსაქმურად, მაგრამ რას გახდებოდა შვიდ ბავშვთან? საბრალო იყო ეს ოჯახი, სიღარიბისაგან დაჩაგრული და სულშეხუთული.

ერთ წელიწადს მეტად სუსხიანი ზამთარი დადგა. ჟან ვალჟანი უმუშევარი იყო, ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შვიდი ბავშვი ულუკმაპუროდ!

ერთ კვირა საღამოს, ის იყო დასაძინებლად ემზადებოდა ხაბაზი მობერ იზაბო, რომ უეცრად ქუჩის მხრიდან რაღაც ხმაური შემოესმა, თითქოს ფანჯარა გაუტეხესო. გავარდა დუქანში და ვიღაცის ხელიღა დაინახა: მუშტით შემოემტვრია ფანჯრის მინა, ხელი გადმოეყო, ერთი პური აეტაცნა და გაჩქარებული გარბოდა. იზაბო გამოუდგა ქურდს და დაიჭირა. ქურდმა პური გადააგდო, მაგრამ ხელი კი მთლად დაჭრილი და დასისხლიანებული დარჩა. ქურდი ჟან ვალჟანი იყო.

ეს 1795 წელს მოხდა. სასამართლოში მისცეს და ბრალად ღამით საცხოვრებელი სახლის გატეხას და ქურდობას სდებდნენ. თავისდა საუბედუროდ, სახლში თოფი აღმოაჩნდა, საკვირველი კარგი მსროლელი იყო და ხშირად იმ დროს და იმ ადგილებში ნადირობდა, რომელიც ნაკრძალად იყო გამოცხადებული. ამან დაღუპა უბედური, ამგვარ მონადირეს ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს მთავრობა, რადგან ნაკრძალ ტყეში მონადირე და კონტრაბანდის მზიდავი თითქმის ყაჩაღად მიაჩნიათ. რომ დაუკვირდეს კაცი, დიდი უფსკრულია ქალაქელ კაცისმკვლელთა და ამ კაცთა შორის: მონადირე ტყეში დადის ქურდულად, კონტრაბანდის მზიდავი - მთაში

ან ზღვაზე; ქალაქში მცხოვრები კაცისმკვლელი კი იმისთანა საშინელი მხეცია, რომელსაც მხოლოდ ქალაქის გარყვნილება ქმნის, მაგრამ ხშირად ადამიანობას კი არ უკლავს.

ჟან ვალჟანი დამნაშავედ ცნეს. დანაშაული დამტკიცებული იყო, სასჯელიც - ცხადზე ცხადი. საზარელი მომენტები აქვს ჩვენს ცივილიზაციას, როდესაც უბრალო დანაშაულის გამო იძულებულია სისხლის სამართლით საუკუნოდ დაღუპოს ადამიანი... საშინელება არ არის, განათლებულმა საზოგადოებამ მოიწყვიტოს და ანდერძი აუგოს თავის მოაზროვნე წევრს? ჟან ვალჟანს ხუთი წლით კატორღა მიუსაჯეს.

1796 წელს 22 აპრილს პარიზში ხმა გავარდა, იტალიაში მყოფმა ჩვენმა ჯარმა ბონაპარტის წინამძღოლობით მონტენოტში მტერი დაამარცხაო. იმავე დღეს ბისერტის ციხეში მრავალ პატიმარს შეაბეს ჯაჭვი კატორღაში გასაგზავნად. ჟან ვალჟანიც იმათში ერია. ერთ მოხუცებულ სატუსაღოს დარაჯს - დღეს ოთხმოცდაათი წლის კაცია - მშვენივრად ახსოვს ეს უბედური: მეოთხე რიგში იჯდა მიწაზე, როგორც სხვები, ეზოს აღმოსავლეთის მხარეს; მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალსაო. გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა მის ცხოვრებაში, მაგრამ როგორ? რად? რა დააშავა საიმისო? ამისი ვერა გაეგო რა. უვიცი კაცი იყო, უცოდინარი, გონებაგაუხსნელი და, თუ იცოდა რამე, მარტო ის, რომ სასჯელი მეტისმეტად სასტიკი იყო დანაშაულთან შედარებით. თავზე მჭედელი ადგა ჩაქუჩით, ჯაჭვს უჭედავდა, ის კი გულამოსკვნილი ქვითინებდა, ღაპაღუპით გადმოსდიოდა ცრემლი. - ჩემთვის ვიყავი ფავროლში, რა გინდათ ჩემგანო? - იძახდა. აიღებდა მარჯვენა ხელს და თითქოს შვიდი პატარის სხვადასხვა ზომის თავებს ეხებაო, ანიშნებდა, რა მექნა, შიმშილით მიწყდებოდნენო.

ტულონში გაგზავნეს. ურიკაზე დასვეს. კისერზე ჯაჭვი შეაბეს. ოცდაშვიდი დღე გზაში იყო. შემდეგ ტულონში კატორღაში მიღებული წითელი ტანსაცმელი ჩააცვეს და უცბად გაქრა, დაიღუპა, წაიშალა მთელი მისი სიცოცხლე, თვით სახელიც კი. რაკი იქ მივიდა, ჟან ვალჟანადაც კი აღარ იწოდებოდა; ჟან ვალჟანი ნომრად იქცა, ნომერი 24601.

რა მოუვიდა იმის დას? რა მოუვიდათ იმის პატარა დისწულებს? ამას არავინ კითხულობდა. ან ვის რაში ენაღვლებოდა ვიღაცა ქვრივის და იმისი წვრილშვილის შიმშილი და დაღუპვა? ხე მოჭრეს და წააქციეს. ვინ იკითხავს, ფოთლებს რა მოუვიდაო?

რა მოუვიდათ და ის, რაც ყოველთვის მოსდით უბედურთ. ულუკმაპუროდ დარჩნენ საბრალონი, ეს ღვთისაგან ღვთის მსგავსად შექმნილნი, უბინაოდ, უმწეოდ და დაიფანტნენ, აქეთ-იქით წავიდნენ, - იქნება ცალ-ცალკე უფრო ადვილად გავიძღოთ კუჭიო, - და იმ საშინელებას ჩაუვარდნენ ხელში, რომელიც კაცობრიობის სამარცხვინოდ ჯერაც ნთქავს და ღუპავს ობოლთ და დავრდომილთ. წავიდნენ, დაიფანტნენ. მშობლიურმა მიწა-წყალმა მაშინვე დაივიწყა უბედური დედა თავისი შვილებით; და კატორღაში რამდენიმე ხნის შემდეგ თვით ჟან ვალჟანმაც დაივიწყა თავისი და და დისწულები. გულში, სადაც იარა ჰქონდა, ნაიარევი დარჩა მხოლოდ.

რაც ტულონში იყო, სულ ერთხელ მოუვიდა თავისი დის ამბავი; პატიმრობის მეოთხე წელიწადს იყო, მგონი, ვიღაცას, მათ ნაცნობს ენახა და, პარიზშიაო, უთხრა,

სენ სულპისის ახლოს, ჟეინდრის ქუჩაზე; თან მარტო ერთი შვილიღა ჰყავს, პატარა ბიჭი, სულ უმცროსიო.

მერე ის ექვსი სადღა იყვნენ? ამათი იქნება დედამაც არა იცოდა რა.

ყოველდღე დილით სტამბაში მიეშურება, საბოს ქუჩა #3-ში; ქაღალდის მკეცავად მსახურობდა. დილის ექვს საათზე სტამბაში უნდა ყოფილიყო, რადგან ადრე იწყებენ მუშაობას. სტამბის ეზოში სკოლაა და თავისი შვიდი წლის პატარაც იქ დაჰყავს. სკოლას შვიდ საათზე აღებენ და ბავშვმა, შვიდი წლის ბალღმა, ერთი საათი გარეთ უნდა დაჰყოს, რაც უნდა ავდარი იდგეს და ციოდეს. სტამბაში არ უშვებენ, გვიშლისო. მთელი საათი მარტოდმარტო გდია ჯერ ისევ დილაბნელში საწყალი ბავშვი; სცივა, ეძინება. მოიკუნტება, გაეხვევა თავის კონკებში და მიეგდება სადმე კუნჭულში. კიდევ კარგი, მეკარე შეიბრალებს ხოლმე, ბებერი დედაკაცი, და როდესაც წვიმს, შინ შეიყვანს. თვითონაც არა გააჩნია რა საწყალ დედაკაცს, ერთი დაფლეთილი ლოგინის, ჯარასა და ორი დამტვრეული სკამის მეტი, მაგრამ წვიმა მაინც აღარ დაასველებს საცოდავ ბიჭს; კატას ჩაიხუტებს ხოლმე გულში, იქნება ამან მაინც გამათბოსო. შვიდ საათზე სკოლას აღებენ და ბავშვიც კლასში შედის.

ეს უამბეს ჟან ვალჟანს. მხოლოდ ერთი წამი იყო მის წყვდიადით მოცულ ცხოვრებაში ეს ამბავი, თითქოს ბნელ მოქურუშებულ ცაზე უცბად გაიელვა, ქვეყანას ერთ წამს სინათლე მოჰფინა და მაშინვე გაქრაო. ეს იყო და ეს. მას შემდეგ თავის დღეში აღარაფერი გაუგონია უბედურს იმ ობოლთა შესახებ, რომელნიც ასე თავგანწირვით უყვარდა. ვეღარც სადმე შეხვდა, ვეღარც გაიგო რამ და ამ გულსაკლავი ამბის შემდეგ იმათი ხსენებაც აღარ იქნება.

სწორედ მეოთხე წელიწადი სრულდებოდა, ჟან ვალჟანს რომ გაპარვის რიგი ერგო. კატორღაში მყოფთა ჩვეულებისამებრ, იმასაც დაეხმარნენ ამხანაგები და გააპარეს. ორი დღე თავისუფლად დაწანწალებდა მინდორში, თუკი თავისუფლებას ვუწოდებთ დევნილის მდგომარეობას. ნადირივით მიიპარებოდა უბედური, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, სულ უმცირეს ხმაურზე კანკალებდა და ყველაფრისა ეშინოდა: სოფლისა, ადამიანისა, ძაღლისა, ცხენისა, საათის რეკვისა. დღე იმას ნატრობდა, ნეტავ მალე დაღამდეს, არავინ დამინახოსო, ღამე - ნეტავი მალე გათენდეს, არავინ მომეპაროსო. გზას ერიდებოდა, ბილიკს, ბუჩქს. ბუჩქნარში ყველგან ჩასაფრებული მდევარი ელანდებოდა, აღარც საჭმელი იყო იმისთვის, აღარც ძილი. მეორე დღეს დაიჭირეს. ოცდათექვსმეტი საათი ევლო მშიერს და უძილოს. ამ დანაშაულისათვის სამი წლის კატორღა მიუსაჯეს, ესეც რვა წელი. მეექვსე წელს კიდევ ერგო რიგი გაპარვისა, ამ შემთხვევითაც ისარგებლა, მაგრამ გაპარვა კი ვეღარ მოახერხა. რომ დათვალეს ტუსაღები და ის იქ არ აღმოჩნდა, მაშინვე ზარბაზანი გაისროლეს და მდევარი გაუყენეს. იმ ღამესვე იპოვეს ჯერ აუშენებელი გემის ძირში ჩამალული. დაიჭირეს, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია დარაჯებს. გაპარვა და წინააღმდეგობა - ორივე აღნიშნულია კანონმდებლობაში და ჟან ვალჟანიც დანაშაულისამებრ იქნა დასჯილი, ხუთი წლის კატორღით, რომელთაგან ორ წელიწადს ორმაგი ჯაჭვი უნდა ჰქონოდა შებმული. ესეც ცამეტი. მეათე წელიწადს კიდევ ერგო რიგი და კიდევ გაიპარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. სამი წელიწადიც იმისათვის მიუსაჯეს. თექვსმეტი წელი. ბოლოს ერთხელ კიდევ სცადა ბედი, მაგრამ ოთხი საათის შემდეგ დაიჭირეს და სამი წლის კატორღა კიდევ დაუმატეს. სამი წლის კატორღა ოთხი საათის თავისუფლებისათვის! ცხრამეტი წელიწადი. 1796 წელს

დაიჭირეს: ფანჯარა გატეხა და ერთი პური მოიტაცა. ეს იყო მისი დანაშაული და 1815 წელს გაათავისუფლეს, 15 ოქტომბერს.

ერთ სიტყვას ჩავურთავთ აქ. ავტორი ამ წიგნისა ეს მეორედ მოგითხრობთ იმ უბედურის ამბავს, რომლის დაღუპვის მიზეზი პურის ქურდობა იყო. კლოდ გემ პური მოიპარა, ჟან ვალჟანმაც პური მოიპარა. ინგლისური სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ლონდონში ხუთი ქურდობიდან ოთხის პირდაპირი მიზეზი შიმშილი არისო.

ჟან ვალჟანი კატორღაში ათრთოლებული, თვალცრემლიანი მიიყვანეს, იქიდან გულგაქვავებული გამოვიდა. სასოწარკვეთილი იყო, რომ მიიყვანეს, იქიდან პირქუში გამოვიდა.

რა მოხდა საბრალოს გულში?

## თავი მეშვიდე
## იმედმიხდილის გული

ვცადოთ ამის გამორკვევა.

დაე, დაინახოს საზოგადოებამ, რას სჩადის იგი მართლმსაჯულების ძალით.

ჟან ვალჟანი უვიცი იყოო, ვთქვით; მაგრამ უგუნური კი არ ყოფილა. ბუნებრივი სინათლე უკვე ანთებულიყო მის გულში. უბედურებამ, რომელსაც თავის სინათლე ახლავს, ცოტა რამ წაუმატა მის ბუნებრივ გონების შუქს. ცემამ, ბორკილმა, ჯაჭვმა, კარცერმა, დაღლილობამ, სიცხე-სიცივემ, კატორღაში ფიცარზე გდებამ იგი თავის სინდისში ჩაახედა და ჩააფიქრა.

თვითონვე გახდა თავისი თავის მსაჯული.

რა დავაშავეო? - შეეკითხა თავის თავს.

და აღიარა თავისი სინდისის წინაშე, რომ უდანაშაულო არ იყო, მაშასადამე, არც უბრალოდ ისჯებოდა. აღიარა, რომ საძაგელი, საძრახისი საქმე ჩაიდინა; რომ ეთხოვა, იქნება კიდეც მიეცათ ეს პური; რაც უნდა გასჭირვებოდა, მოცდა სჯობდა: ან შეიბრალებდა ვინმე, ან სამუშაოს იშოვიდა. თვითონვე გრძნობდა, რომ დააშავებს, ვინც იტყვის, დამშეულს რაღა ლოდინი შეუძლიაო. დააშავებს, რადგან იშვიათია, კაცი მართლა შიმშილით მომკვდარიყოს უჭმელობით. გარდა ამისა, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ისეა შექმნილი ადამიანი, რომ დიდხანს შეუძლია იტანჯოს ფიზიკურადაც და მორალურადაც და მაინც ცოცხალი იყოს; მაშასადამე, იმასაც უნდა მოეთმინა. საწყალი ობლებისთვისაც უკეთესი იქნებოდა მოეთმინათ. მიხვდა, რომ სისულელე იყო ვიღაც უბედური, სუსტი კაცისაგან მთელი საზოგადოების შებრძოლება და ოცნება, - ქურდობა მიხსნის საღარიბისაგანაო; სიღარიბისაგან თავის დასაღწევად ცუდი გზა აირჩია, ის გზა, რომელიც ადამიანს სამარცხვინო ლაფით დასვრის. ერთი სიტყვით, ჟან ვალჟანმა აღიარა, რომ დამნაშავე იყო.

მერე თავის თავს ჰკითხა:

ჩემს უბედურებაში მარტო მე ვიყავი დამნაშავე? რად მოხდა, რომ მუშას საქმე არა ჰქონდა, შრომის მოსურნეს და მძებნელს - ლუკმაპური მენატრებოდა? შევცდი, დავაშავე და ვაღიარე ჩემი დანაშაული; განა ეს სასტიკი და გაზვიადებული სასჯელი მეკუთვნოდა? ვცოდე და ძალა ვიხმარე, მაგრამ განა საზოგადოებამ ბოროტად არ გამოიყენა თავისი უფლებები? ცოდვა იყო ჩემი საქციელი, მაგრამ განა ჩემი ამხელა სასჯელი მეტი ცოდვა არ არის? აწონონ დანაშაული და სასჯელი; თუ სამართალი

სწორია, მაშ რად არის სასჯელი ასეთი მძიმე და დანაშაული კი - მსუბუქი? ხოლო თუ დაიწია სასწორმა და სასჯელი მძიმე გამოდგა, მაშ უკვე დავუსჯივარ კანონს და რაღას მერჩიან? რაღად მტანჯავენ? რად მომექცა ასე უსამართლოდ კანონი? და თუ ღირსეულ სასჯელზე მეტი მომიწყო, მაშ დამნაშავე ისა ყოფილა და მართალი - მე, ცოდვილი ისა ყოფილა და წამებული - მე. მაშ ვის უფრო დაურღვევია კანონი: მე, მშიერს, პურის მოპარვით, თუ სამართალს, ჩემი ასეთი უღმერთო დასჯით? მაშ სამართალი არსად ყოფილა, თუკი ასე დაჩაგრავს ძლიერი უძლურს და საზოგადოება კერძო პირს. ბოროტმოქმედება, რომელიც ყოველდღე ხელახლა იწყება, ბოროტმოქმედება, რომელიც ცხრამეტ წელს გრძელდებოდა.

რატომ არ ზრუნავს საზოგადოება, რომ შრომის მსურველს ყოველთვის ჰქონდეს საქმე და ლუკმაპური. და თუკი ამაზე არ ზრუნავს, მაშ რა უფლებითღა ზრუნავს და მართავს ციხეებს, რომ შიგ ამოალპოს უსაქმურად და ულუკმაპუროდ დარჩენილი მუშა, რომელიც შიმშილისაგან სიკვდილს გაურბის და პურის მოპარვას გაბედავს? რად ეკიდება საზოგადოება ასე მტრულად თავის წევრს, გაჭირვების მახეს უგებს და სასიკვდილოდ აღარ ინდობს, ვისაც შიგ გააბამს?

ან ვის ეპყრობა საზოგადოება ასე სასტიკად? სწორედ იმათ, ვისაც წილი არ რგებია ქვეყნის სარჩოს განაწილებაში და, მაშასადამე, სიბრალულისა და დახმარების ღირსნი არიან და არა მტრობისა.

ჟან ვალჟანმა აღძრა და გადაჭრა ეს კითხვები, საზოგადოების საქციელი გაასამართლა და მსჯავრი გამოუტანა მას: მიუსაჯა თავისი სიძულვილი.

საზოგადოების ბრალია ჩემი დაღუპვაო, - თქვა და, - ერთხელაც იქნება ანგარიშს გავუსწორებო, - იფიქრა. ხაბაზის ზარალი თავისას შეადარა: ხაბაზს ფანჯარა გაუტყდა და ერთი პური დააკლდა, ეს კი თვითონაც დაიღუპა და იმდენი ბავშვიც დაღუპა. ძალიან კარგი, დამნაშავე იყო და უსამართლობა არ იყო იმის დასჯა, მაგრამ დასჯა სხვაა და სულით ხორცამდე დაღუპვა და ობლების უნუგეშოდ დატოვება - სხვა.

გულისწყრომა შეიძლება იყოს სულელური და უაზრო, შეიძლება უსაფუძვლოდ ბრაზობდეს კაცი. აღშფოთებული კი მაშინ არის, როდესაც სიმართლეს თავისკენ გრძნობს. ჟან ვალჟანი აღშფოთებული იყო.

ან რა მოაგონდებოდა საზოგადოებისაგან ავის მეტი? თუ ახსოვდა რამე, ისევ ის რისხვა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება მართლმსაჯულებას უწოდებს, და იმათ მოუვლენს, ვისაც დაცემა სწადია. სადაც კი ადამიანს შეხვდა, ყველასგან გულმოკლული დარჩა; თითო-თითო ყველამ ჩაჰკრა. რაც თავი ახსოვდა, დედისა და დის გარდა ალერსიანი სიტყვა არავისგან გაუგონია, კეთილი თვალით არავის შეუხედავს. ტანჯვას ტანჯვა მოსდევდა, სევდას სევდა ერთვოდა და თანდათან ძვალსა და რბილში გაუჯდა ის რწმენა, რომ სიცოცხლე ბრძოლაა და ამ ბრძოლაში დამარცხებული თვითონ იყო. სიძულვილის მეტი არავითარი იარაღი არა ჰქონდა და კატორღაში ყოფნისას აღთქმა დაუდო თავის თავს: სანამ აქა ვარ, გავლესავ ამ იარაღს და თან წავიღებ აქედან წასვლისასო.

ტულონში სკოლა იყო კატორღელებისათვის; ბერები ასწავლიდნენ და უსაჭიროეს ცნობებს აწოდებდნენ მსურველთ. ჟან ვალჟანიც ჩაერია სწავლის მსურველთა შორის და ორმოცი წლის კაცმა ისწავლა წერა, კითხვა და ანგარიში. გრძნობდა, რომ გონება ეხსნებოდა და თან საზოგადოების სიძულვილი ეზრდებოდა. ავსაც გააზვიადებს ზოგჯერ სწავლა-განათლება.

სამწუხაროდ, არ იკმარა სიძულვილი თავის დამღუპველ საზოგადოებისადმი და ღვთის განგებაც ზედ მიატანა, რადგან ეს საზოგადოება იმას შეექმნა.

ამგვარად, ცხრამეტი წლის წამებამ და მონობამ ერთსა და იმავე დროს აამაღლა და დასცა ჟან ვალჟანის სული. ერთი მხრივ ნათელი ეფინებოდა, მეორე მხრივ წყვდიადი ეპარებოდა.

ბუნებით, ეს უკვე ვნახეთ, არ იყო ავი. კატორღაში რომ მიიყვანეს, ჯერ ისევ გულკეთილი იყო, იქ კი საზოგადოება გაამტყუნა და იგრძნო, რომ ავკაცად იქცა; განგება გაამტყუნა და იგრძნო, რომ უღმერთო გახდა.

ძნელია, აქ ერთ წამს არ შევჩერდეთ და არ ჩავფიქრდეთ.

შეიძლება განა სრულიად, ძირითადად შეიცვალოს ადამიანის ბუნება? ღვთისაგან კეთილად შექმნილი ადამიანი განა შეიძლება ადამიანმა ბოროტად აქციოს? შეიძლება განა ერთიანად შეიცვალოს სული და მწარე ბედისაგან თვითონაც გამწარდეს? შეიძლება განა მეტისმეტი უბედურებისაგან ისე დამახინჯდეს გული, რომ საძაგლობა და საზიზღრობა აღარ იუცხოოს? განა არ მოიპოვება ყოველი ადამიანის სულში და, კერძოდ, ჟან ვალჟანის სულში პატარა ნაპერწკალი, ღვთიური ძალა, შეუბღალავი სააქაოში და უკვდავი საიქიოში, რომელსაც სიკეთე ააღორძინებს, გააჩაღებს, აანთებს და მზესავით გააბრწყინებს და რომლის სრულიად ჩაქრობას ვერ შეძლებს ბიწიერება?

მეტადდ მნიშვნელოვანი და ძნელი გადასაჭრელია ეს კითხვები, რომელთაგან უკანასკნელზე ყოველი ფიზიოლოგი - „არაო“, იტყოდა სრულიად უყოყმანოდ, ტულონში დასვენების დროს ჟან ვალჟანი რომ ენახა ოცნებით გატაცებული, გულხელდაკრეფილი, დაღვრემილი, სერიოზული, ჩუმი და უკმეხი, ჯაჭვი უბეში რომ ჩაედო, არ იჩხარუნოსო, კანონის მიერ განკიცხული პატიმარი, რომელიც ბრაზით უყურებდა ადამიანს და, ცივილიზაციის მიერ დათრგუნვილი, საყვედურით შეჰყურებდა ცას.

მართალია, და არც გვინდა ამის დამალვა. დაკვირვებული ფიზიოლოგი აქ განუკურნავ სიდუხჭირეს ნახავდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისას. იქნება შებრალებოდა კიდეც ეს მსხვერპლი კანონმდებლობისა, მაგრამ არც კი შეეცდებოდა იმის განკურნებას. თვალს მოარიდებდა უბედურის ღრმად დაწყლულებულ გულს და როგორც დანტემ წაშალა ჯოჯოხეთის კარებზე წარწერილი, ისე ის წაშლიდა ამ კაცის შუბლზე ღვთის ხელით დაწერილ სიტყვას - იმედი.

მაგრამ განა ისევე ცხადი იყო ჟან ვალჟანისთვის თავისი სულის მდგომარეობა, როგორადაც ცხადად ჩვენ ვცადეთ ამის გამოხატვა ჩვენი მკითხველისათვის? ხედავდა კი ჟან ვალჟანი გარკვევით თავის სულიერ ცვლილებას? მკაფიოდ არჩევდა ამ ცვლილების თანდათანობას და იმ საფუძველს, რომელზედაც მყარდებოდა მისი ზნეობრივი უბადრუკობა? შეეძლო კი ამ ტლანქ, უსწავლელ კაცს ცალ-ცალკე გაესინჯა ყოველი თავისი ფიქრი, მიჰყოლოდა მათ ერთმანეთზე დამოკიდებულებას და გაეთვალისწინებინა ის გზა, რომელმაც გული დაუსერა, სევდით აუვსო და თალხით შეუმოსა? შეეძლო განა შეეგნო, რა ცეცხლი ენთო მის გულში? ამის თქმას ვერ გავბედავთ; და არც მჯერა, რომ შესძლებოდა; მეტად უვიცი იყო და ამდენი ტანჯვაც კი ვერ შეუვსებდა ამ ნაკლოვანებას. ხშირად არც კი იცოდა დანამდვილებით, რასა გრძნობდა. წყვდიადში იმყოფებოდა, წყვდიადში იტანჯებოდა, წყვდიადშივე სძულდა ბნელით მოცული ცხოვრება. უსინათლოსავით აფათურებდა ხელებს, ხანდახან

მხოლოდ თავისაგანვე ან გარედან რაღაც ბრაზი შეათრთოლებდა თავით ფეხამდე და უსაზღვრო ტანჯვის სიმწარე უცბად იელვებდა, გაანათებდა და ყველგან მის გარშემო, წინაც და უკანაც თავისი სულის საშინელ უფსკრულს და ბნელ ხვეულებს დაანახვებდა.

იელვებდა, მერე ისევ წყვდიადი შემოეფარებოდა და თვითონაც აღარ იცოდა, სად იყო.

განსაკუთრებული თვისება ამგვარი სასჯელისა, რომელიც ულმობლობაზეა დამყარებული, ის არის, რომ ადამიანს ნელ-ნელა მხეცად აქცევს და ხშირად - სისხლით გაუმაძღარ მხეცადაც. კანონისაგან ადამიანის სულზე ამ უაზრო გავლენის საბუთად საკმარისია ჟან ვალჟანის დაჟინებული, ოთხჯერ ზედიზედ გაპარვა. კიდევ რომ დარჩენილიყო კატორღაში და ხელთ ეგდო კარგი შემთხვევა, კვლავაც გაიპარებოდა და არც თავისი საქციელის შედეგს დაუფიქრდებოდა, არც გაპარვისათვის უკვე ნაცად სასჯელს. დაუფიქრებლად, მკვირცხლად გაიქცეოდა ხოლმე კატორღიდან, თითქოს მგელი იყო გალიაში დამწყვდეული, კარი ღია ნახა და გაიქცაო. ინსტინქტი ჩასძახოდა - ჩქარა, თავს უშველეო, გონებას უნდა ეთქვა - დარჩიო; მაგრამ იმდენად მძლავრი იყო ცდუნება, რომ გონებას სრულიად აკარგვინებდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ინსტინქტიღა შეენარჩუნებინა, ადამიანი აღარსად იყო. მხოლოდ მხეცი მოქმედებდა. დაიჭერდნენ, გაპარვისათვის უფრო სასტიკად დასჯიდნენ, მაგრამ ამით გონებაზე ვერ მოჰყავდათ უბედური და უფრო და უფრო ამხეცებდნენ მხოლოდ.

ერთი რამ სჭირდა ჟან ვალჟანს, რაც საჭიროა მოვიხსენიოთ. საკვირველი ღონიერი კაცი იყო და კატორღაში ვერავინ შეედრებოდა ფიზიკური ძალით. გაჭირვებაში, ბაგირის გრეხაში, სიმძიმეთა ამწევი მანქანის ხმარებაში, ოთხ კარგ ვაჟკაცს სჯობდა. იმისთანა კლდეს წამოიკიდებდა ზურგზე, რომ ურმის თვლებს დაამტვრევდა თავისი სიმძიმით. სადაც ჟან ვალჟანი იყო, იქ სიმძიმეთა ამწევი მანქანა აღარ დასჭირდებოდათ. ამხანაგები „ჟან ჯალამბარს“ ეძახდნენ. ტულონში ქალაქის თვითმმართველობის აივანს ბოძების წინ საკვირველი ხელოვნური სვეტები - კარიატიდები უდგას. როდესაც აივანზე რაღაც წინახედს აკეთებდნენ მუშები, ერთი ამ სვეტთაგანი შეინძრა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ იქვე მდგომმა ჟან ვალჟანმა მხარი მისცა და შეიკავა, ვიდრე მოეშველებოდნენ და გაამაგრებდნენ.

დიდ ღონესთან ერთად მოქნილი აგებულებაც ჰქონდა, ზოგი კატორღელი მარტო გაპარვის იმედითღა ცხოვრობს და ამ ოცნების განსახორციელებლად ისე ივარჯიშებს ღონეს და მოხერხებას, რომ რაღაც უცნაურ, მხოლოდ კატორღაში შესაძლებელ საიდუმლო მეცნიერებასა ქმნის. ეს არის მეცნიერება კუნთებისა. ნეტავი ფრთები მესხასო, - სულ ამასა ნატრობენ და განუწყვეტელი ვარჯიშის წყალობით სწორედ რომ ფრთებს ისხამენ. გალესილი სახლის კედელზე ისე აცოცდებოდა ჟან ვალჟანი, თითქოს თამაშობს, თავის გართობას ცდილობსო. სადაც თვალი ხელის მოსაჭიდს ვერას ხედავდა, ის ხელსა სჭიდებდა, ფეხსაც იმაგრებდა. კუნჭული ყოფილიყო, თორემ თვალთმაქცივით აცოცდებოდა სამსართულიანი სახლის ბანზე. ერთ კედელს ზურგს მიაჭერდა, მეორეს - მუხლებს, იდაყვებით და ქუსლებით ხოხავდა და თვალის დახამხამების უმალ ზევით იყო. ხშირად თვით სატუსაღოს მოჰქცევია სახურავზე ამგვარად.

ცოტას ლაპარაკობდა, სიცილი არ იცოდა. მეტისმეტი სასაცილო რამ უნდა მომხდარიყო, რომ მთელი წლის განმავლობაში ერთხელ-ორჯერ მოსვლოდა უბედურს ის მწარე სიცილი, რომელიც უფრო მავნე სულისას ჰგავს, ვიდრე ადამიანისას. რომ შეგეხედათ, იტყოდით, რაღაც საშინელებას უყურებს განუწყვეტლივ ეს კაცი.

მართლაცდა, ერთი ფიქრით იყო გატაცებული.

გონებადახშული და განუვითარებელი ბუნების ავადმყოფური ააღთქმით თავისდა შეუგნებლად მაინც გრძნობდა, რომ ზედ რაღაცა საშინელება აწვა და სულს უხუთავდა. ბნელში ეგდო. მართალია, ოდნავ განათებულ ბნელში, მაგრამ როგორც კი წელში გაიშლებოდა და თვალს გაახელდა, მაშინვე დაინახავდა შეშინებული და ცოფმორეული თავის სულთამხუთავს, იმდენად მაღლა ამართულს, რომ თვალს ვერ უწვდენდა. ერთმანეთზე ხედავდა გადაბმულს ჩვენს ცხოვრებას, კანონმდებლობას, ცრუმორწმუნეობას, ადამიანებს და მათ საქციელს. ჯეროვნად ვერ არჩევდა, მათ ურთიერთდამოკიდებულებას ვერ მიმხვდარიყო; არ იცოდა, რომ ამ სასწაულებრივ ვეშაპივით მძლავრ პირამიდას ჩვენი საზოგადოებრივი განათლება ეწოდებოდა; მაგრამ მისი სიმძიმე რომ აწვა, ამას კი გრძნობდა. აქა-იქ ამ რთულ და მახინჯ ურთიერთობაში ხან თავის გვერდით, ხან შორს, თვალმიუწვდომელ სიმაღლეზე გარკვევით ეჩვენებოდა სინათლით მოფენილი რამე სურათი: აქ - კატორღელების მცველი თავისი ჯოხით, ჟანდარმი თავისი ხმლით, იქ - ეპისკოპოსი თავისი ბრწყინვალე შესამოსით და სულ ზევით, მზესავით კაშკაშა გვირგვინოსანი ხელმწიფე. საუბედუროდ, კარგადა გრძნობდა, რომ ეს შორეული ბრწყინვალება არ ანათებდა; პირიქით, უფრო აბნელებდა და აჯოჯოხეთებდა მის წყვდიადს; ზედ აწვა, ზედ დასტრიალებდა ყველაფერი - კანონები, ცრუმორწმუნეობანი, ადამიანი და მისი საქმენი; ირეოდა ერთმანეთში, მიმდინარეობდა იმ საიდუმლო და რთული მოძრაობით, რომელიც ცივილიზაციას მიანიჭა ღმერთმა. ის ძირს ეგდო დანარცხებული, ძირს ითელებოდა, ზედ კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შესდგომოდა და წიხლს აჭერდა, სულს უხუთავდა მშვიდობის სახელით, აწამებდა კაცთმოყვარეობის სახელით. უბედურებაში დახშული სული, უბედურებაზე ჯვარცმული ადამიანი, კანონისა და საზოგადოებისაგან მოკვეთილი და უარყოფილი, კარგად გრძნობდა, რომ ადამიანთა საზოგადოება მაჯლაჯუნასავით გულზე დასწოლოდა თავისი საშინელი სიმძიმით; ეს საზოგადოება ვეებერთელაა მათთვის, ვინც მის გარეთაა და საშინელია, ვინც მის ქვეშ არის მომწყვდეული.

ამ ყოფაში იყო ჟან ვალჟანი და, მაშ რა უნდა ყოფილიყო საგანი იმისი ფიქრისა?

დოლაბებს შუა მოყოლილ ხორბლის მარცვალს რომ ფიქრი შესძლებოდა, სწორედ იმას იფიქრებდა, რასაც ჟან ვალჟანი ფიქრობდა. სიტყვით გამოუთქმელ დღეში იმყოფებოდა თავის ფიქრებს მიცემული ჟან ვალჟანი. ლანდით სავსე სინამდვილემ და სინამდვილით სავსე მოჩვენებებმა გაიტაცა.

ხანდახან, კატორღული მუშაობის დროს უცბად შედგებოდა გაშტერებული და ფიქრს მიეცემოდა. თანდათან უვითარდებოდა შეგნება, მაგრამ უფრო და უფრო უძნელდებოდა გარემოებათა გამორკვევა; უაზრობად ეჩვენებოდა თავისი თავგადასავალი. შეუძლებლად ეჩვენებოდა ყოველივე, რაც გარს ერტყა. - სიზმარში ხომ არა ვარო? - ეკითხებოდა თავის თავს. გაშტერებული შესცქეროდა იქვე

რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე მდგომ დარაჯს. დარაჯი ლანდად ეჩვენებოდა. მაგრამ უცბად ჯოხს დაჰკრავდა ეს ლანდი და სინამდვილეს მოაგონებდა.

ბუნება თავისი მშვენიერებით თითქმის არც კი არსებობდა უბედურისათვის. სრულ სიმართლეს ვიტყვით თითქმის, რომ ჟან ვალჟანი არც მზეს ხედავდა, არც ზაფხულის დღეებს, არც ვარსკვლავით მოჭედილ ცას, არც აპრილის განთიადს. ნეტავ რაღა ასულდგმულებდა ამ ტანჯულ სულს? დასასრულ, ყოველივე აღნიშნულის მოკლედ გამოსახატავად უნდა ვაღიაროთ, რომ ცხრამეტი წლის განმავლობაში სრულიად გამოიცვალა ჟან ვალჟანი. მშვიდი, დაჩაგრული, ყოვლად უვნებელი, უწყინარი ფავროლელი გლეხი კაცი ტულონის კატორღამ საშიშ ადამიანად აქცია, რომელსაც შეეძლო, ერთი მხრივ, დაუფიქრებლად, ინსტინქტის ძალით, სრულიად შეუგნებლად ჩაედინა საძრახისი რამ და ამით მოეფხანა თავისი დაწყლულებული გული; აგრეთვე, დინჯად, მოფიქრებით, შეგნებულად ჩაედინა რაიმე ბოროტმოქმედება. კატორღამ გზა დაუხლართა შეუგნებელს და ისე აურია ერთმანეთში ავი და კარგი, ბიწიერი და სათნო, რომ ჟან ვალჟანი კი არა, იმაზე მეტი გონებისა და შეგნების პატრონიც ვერ გადარჩებოდა გაუხრწნელი იმ უსაფუძვლო აზრებს, რომელთაც აღძრავს და ასაზრდოებს ამგვარი წამება. კატორღამ შეურაცხყოფით გული აუვსო და ნაღველით - სული; ღრმად ჩაუნერგა მისი მტანჯველი საზოგადოებისადმი სიძულვილი და სურვილი სისხლის ძიებისა. ისე აღშფოთდებოდა ხშირად, რომ ყველას ერთიანად ემუქრებოდა ამოწყვეტით - კეთილს, მართალს და უბრალოს. დასაბამი მისი ფიქრისა, როგორც დასასრული და დასკვნა, ყოველთვის ერთი და იგივე იყო - უსამართლობა კანონისა; სწორედ ის ფიქრი, რომელიც, თუ განგებამ არ შეაყენა თავისი მადლით, ნელ-ნელა საზოგადოებისადმი სიძულვილს აღძრავს კაცში, ღრმად გაუდგამს ფესვს და გააძლიერებს, შეაძულებს ადამიანს და ყოველ სულდგმულს. ცოფიანი მხეცივით დაძრწის მაშინ უბედური და თითქოს სისხლი სწყურიაო, სულ იმას ცდილობს, რომ ავნოს, დააზიანოს და სტანჯოს ვინმე.

ჟან ვალჟანის პასპორტში მოხსენებული მისი დახასიათება, - ძალიან საშიში კაციაო, - როგორც მკითხველიც ხედავს, უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო.

სული ეშრიტებოდა კატორღაში მყოფს ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ, დღითი დღე სულგახევებულს, გული ქვისა ჰქონდა და თვალი - მშრალი. ცხრამეტი წელი შესრულდა, რაც ცრემლის უკანასკნელი წვეთი გადმოუვარდა თვალთაგან.

## თავი მერვე
## ზღვა და წყვდიადი

კაცი ჩავარდა ზღვაში.

ვის რა ენაღვლება! ხომალდი ვერ გაჩერდება, ქარი ქრის, ხომალდი თავის გზას ადგას და წავა კიდეც. ხომალდი თავის გზას მიეშურება.

კაცი დაძირა წყალმა! ააგერ, ისევ გამოჩნდა. ხან ზვირთი ჰფარავს, ხან ისევ ცურავს, ყვირის, ხელს იწვდის, არავის ესმის, ქარიშხალი ბობოქრობს, ხომალდი ქანაობს, თავის გზას მისდევს. მგზავრები და მეზღვაურები ვეღარც კი ხედავენ უბედურს. წყლის სივრცეზე ბუზივითღა მოჩანს საბრალოს თავი.

საშინელი ხმით ყვირის; ლანდივით ქრება მიმავალი ხომალდი. მისჩერებია იმ ლანდს და თვალს ვეღარ აშორებს. მიდის, შორდება ხომალდი, ნელ-ნელა

მცირდება. ამ ერთი წამის წინ თვითონაც ხომალდზე იყო, სხვებთან ერთად მიდი-მოდიოდა გემბანზე, სუნთქავდა, მზეს შეჰხაროდა, ცოცხალი იყო. ახლა სადღაა? რა მოუვიდა? ფეხი დაუსხლტა, გადავარდა, დაიღუპა.

აგერ წყალშია, უძირო წყალში. მის ფეხქვეშ ჯურღმული და უფსკრულია. გარს ქარისაგან დაგლეჯილი და განრისხებული ზვირთები ახვევია. ზღვის ფსკერი თავისკენ იზიდავს. წყალი თავში სცემს, ტალღა ზედ აფურთხებს და სუნთქვას უკრავს. ჩაიყურყუმელებს წყალში ქანცგაწყვეტილი და წყვდიადით მოცულ უფსკრულსა ხედავს. რაღაც უცნობი, საზიზღარი მცენარეები ეჭიდებიან, ფეხებში ედებიან და თავისკენ იზიდავენ. გრძნობს, რომ იღუპება, ზღვის წილად ხდება. ნაფოტივით მისდევს ტალღის ქაფს, სიმწარესა სვამს; გრძნობს, რომ ბილწი ზღვა ტკბება იმისი ტანჯვით, სულთმობრძავის ტანჯვით და, რა დატკბება, დაახრჩობს კიდეც, თითქოს წყალი კი არა, სიძულვილი იყოს მთელი ეს ზღვაო.

მაინც იბრძვის.

ცდილობს გამაგრდეს, წყალზე შეჩერდეს, ღონეს იკრებს, ხელს იქნევს, ცურავს. საბრალო, სუსტი, უკვე ძალდაშრეტილი ებრძვის დაუძლეველს.

ხომალდი რაღა იქნა? აგერ ძლივსღა ჩანს ჰორიზონტის მკრთალ სინათლედ.

გრიგალი მძვინვარებს, ტალღა სცემს, ზევით ღრუბლის მეტს ვერაფერს ხედავს. გახელებულა, გააფთრებულა ზღვა და ბურთივით ისვრის სულთმობრძავს... თან საშინლად ხმაურობს, თითქოს ყიჟინას სცემს განწირულსაო.

ფრინველები ლივლივებენ მაღლა ღრუბლებში, როგორც ანგელოსები, რომელნიც ზედ დასტრიალებენ ადამიანის ურვას. მაგრამ რას უშველიან? ცაში დაფრინავენ, ცაში გალობენ, დაციალებენ, და ის კი გმინავს.

უსაზღვრო ზღვა, უსაზღვრო ცა და მათ შუა უბედური. გრძნობს, რომ ზღვა აკლდამად გაუხდა და ზეცა - სუდარად.

ბინდდება კიდეც. რამდენი ხანია ზღვას ებრძვის. ხომალდი უკვე გაქრა. გაქრა იმედიც, მარტოდმარტოა, გარს ზღვა და ღამეა. ნელ-ნელა ძირს მიდის, იკლაკნება, ფეხქვეშ უფსკრულს გრძნობს და ყვირის.

ადამიანის ჭაჭანება არსად არის, მაგრამ ღმერთი?

ყვირის და ყვირის: - „მიშველეთ! მიშველეთ!“

ვერაფერს გაარჩევს თვალი ჰორიზონტზე. არაფერია ცაზე.

ზღვას ევედრება, ტალღას, ზღვის ბალახს. მაგრამ ზღვა ყრუა. ქარიშხალს შესთხოვს შველას, მაგრამ გულცივი ქარიშხალი მხოლოდ უსაზღვროს ემორჩილება.

მის გარშემო სიბნელე, ნისლი, სიმარტოვე, ღელვა და გაშმაგებულ ზვირთთ ხმაურია; გულში - სასოწარკვეთილება და უღონობა, ფეხქვეშ - უფსკრული. აარსად - საყრდნობი; თან შიში, ნეტავ რას უზამს ჩემს უსულო გვამს ამ ზღვის ძირიო? სიცივე ეპარება, ხელებს უშეშებს. თითებს ძლივს ხმარობს, მაგრამ მაინც ებღაუჭება წყალს. ქარი, ღრუბელი, ზღვა და ზღვის ღელვა, ზედ ცის კამარა. რა ქნას? დაქანცული, იმედმიხდილი ბედს ემორჩილება, სიკვდილს ირჩევს, აღარ იძვრის, თვალსა ხუჭავს და საუკუნოდ იღუპება, უფსკრულის მიერ შთანთქმული.

ულმობელია ადამიანთა საზოგადოებრივი სვლა. მრავალ სულს ღუპავს გზაში. ზღვაში იღუპება ყველა, ვისაც კი კანონი გადმოაგდებს ხომალდიდან. გადმოაგდებს და შველაზე აღარ ზრუნავს. აი, ზნეობრივი სიკვდილი.

ზღვა ულმობელი სოციალური წყვდიადია, რომელშიც მსჯავრდადებულთ ყრის მართლმსაჯულება. ზღვა არის განუსაზღვრელი უბედურება. ამ უფსკრულში ჩაძირული სული შესაძლებელია ლეშად იქცეს. ვინღა აღადგინოს იგი?

## თავი მეცხრე
## კიდევ სიმწარე

კატორღიდან გამოსვლის დრო რომ მოვიდა, ეს უცნაური სიტყვები რომ მოესმა ჟან ვალჟანის ყურს - თავისუფალი ხარო, - წარმოუდგენელი სიხარული იგრძნო საბრალომ, თითქოს ცა გაიხსნა და ის შუქი მოჰფინა, რომლითაც მარტო თავისუფალნი ტკბებიან. მაგრამ წამივით სწრაფი იყო ეს სიხარული და მალე დაუბნელდა სინათლე. თავისუფალი ხარო - რომ უთხრეს, ნამდვილად თავისუფალი ეგონა თავი; ეგონა, დღეიდან ახალ, უკეთეს ცხოვრებას მიანიჭებდა ბედი, მაგრამ ძალიან მალე დაინახა, როგორია თავისუფლება იმ კაცისა, რომელსაც ჯიბეში კატორღელის ყვითელი პასპორტი უდევს.

სხვა სიმწარეც ბევრი იგემა. გამოანგარიშებული ჰქონდა, რომ კატორღაში ყოფნის დროს სრული ას სამოცდათერთმეტი ფრანკი უნდა მოგროვილიყო მის წილად. მართალია ავიწყდებოდა, რომ კვირა-უქმე დღე არ უნდა ჩაეთვალა ამ ანგარიშში და, მაშასადამე, ოცდაოთხი ფრანკით ნაკლები ჯამი გამოეყვანა, მაგრამ მიუხედავად მისი ანგარიშისა, ზოგი რაში დაუქვითეს, ზოგი რაში და გათავისუფლების დროს ას ცხრა ფრანკი და თხუთმეტი სუ დაუთვალეს.

ამ ანგარიშისა ვერა გაიგო რა და დარწმუნებული იყო, რომ ნაკლები მისცეს, ფული მოპარეს.

კატორღიდან რომ გამოვიდა, მეორე დღეს გრასში არყის სახდელი ქარხნის კარებზე მუშები დაინახა, საქონელს ეზიდებოდნენ. მეც მამუშავეთო, სთხოვა. საქმე საჩქარო იყო და მიიღეს. დაიწყო ზიდვა. შეგნებული კაცი იყო, მარჯვე, ღონიერი. ცდილობდა, რაც კი შეეძლო და ეტყობოდა, არც ემდუროდნენ. სწორედ მუშაობის დროს გამოიარა ერთმა ჟანდარმმა, შენიშნა ჟან ვალჟანი და მოწმობა სთხოვა. უნდა ეჩვენებინა თავისი ყვითელი პასპორტი. აჩვენა და ისევ საქმეს შეუდგა. ცოტა ხნით ადრე ერთ მუშას ჰკითხა, - დღეში რას იღებო? - ოცდაათ სუს, - უპასუხა იმან. საღამოს, რაკი მეორე დღეს იძულებული იყო თავის გზას გასდგომოდა, პატრონთან მივიდა და ნამუშევარი სთხოვა. მექარხნემ ხმა არ გასცა, აიღო და თხუთმეტი სუ დაუწყო წინ. მეტი მერგებაო, - შეეხვეწა. - შენთვის ეგეც მეტიაო, - შეუტია ქარხნის პატრონმა. ის მაინც არ იშლიდა და თავისას თხოულობდა. პატრონმა თვალი გაუსწორა და უთხრა - იცოდე, ისევ ციხეში ამოყოფ თავსო!

აქაც იგივე რწმენა ჩარჩა გულში, - გამძარცვეს, ოფლით ნაშოვარი დამიჭირესო.

საზოგადოებამ, მმართებლობამ ცხრამეტი წლის ნაჭირნახულევი შეუჭამა. ახლა კერძო კაცის ჯერი მოსულიყო და ისა ჰპარავდა ფულს დღიური ნაშრომიდან.

სასჯელის გათავება და საპატიმროდან გამოშვება დევნიდან როდი ათავისუფლებს კაცს. კატორღიდან კი გამოვა კაცი, მაგრამ კატორღის დაღი ზედ აზის.

ააი, რა გადახდა გრასში; როგორ დაუხვდნენ დინელები, ისიც ხომ ვნახეთ.

## თავი მეათე

ადამიანი იღვიძებს

შუაღამის ორი საათი დაჰკრა საეპისკოპოსო ტაძრის საათმა, როდესაც ჟან ვალჟანს გამოეღვიძა. გამოეღვიძა იმიტომ, რომ მეტად კარგ საწოლზე იწვა. აგერ ოცი წელიწადი სრულდებოდა, ლოგინში არ წოლილიყო და თუმცა გაუხდელს ეძინა, მაგრამ შეგრძნება ახალი იყო და ამან ძილი გაუფრთხო.

ოთხ საათზე მეტი ეძინა, დაღლილობა აღარ ეტყობოდა, უკვე დასვენებული იყო და არც ჩვეული იყო დიდხანს ძილს.

თვალი გაახილა, სცადა დაენახა რამე ბნელ ოთახში, მერე ძილი დააპირა და თვალი დახუჭა.

მთელ დღეს რომ მღელვარებაში გაატარებს კაცი და თავის ვარამს კი ვერ მოიშორებს, ერთ პირს ჩაიძინებს დაღლილი, მაგრამ მეორედ კი ვეღარ ჩაეძინება. უბედურს ერთხელ ეღირსება ძილი და რომ გაიღვიძებს, ამაოდღა დახუჭავს თვალს. ასე მოუვიდა ჟან ვალჟანსაც, ვეღარ დაეძინა და ფიქრს მისცა თავი.

ძილგამფრთხალი კაცის აზრები არეულია და გაურკვეველი. ფიქრები ერეოდა და ვერც ერთხელ ვერ შეჩერებულიყო. წარსულის მოგონებებს გუშინდელი დღის შთაბეჭდილებები უერთდებოდნენ, ერთმანეთს ფარავდნენ და აზვიადებდნენ, გონების თვალწინ ტრიალებდნენ, იზრდებოდნენ და უცბად ქრებოდნენ. და ამ ფიქრებში ერთი იყო მხოლოდ, რომელიც წამდაუწუმ ელვასავით უვლიდა თავში, თითქოს სხვების განდევნა და დაჩრდილვა უნდაო. ეს ფიქრი, - ახლა ვთქვათ, რა იყო ეს ფიქრი, - ეპისკოპოსის ვერცხლეული იყო. ჟან ვალჟანმა კარგად შენიშნა ვერცხლის ექვსი დანა-ჩანგალი და ჩამჩა, რომლებიც მაგლუარმა დაამწკრივა სუფრაზე.

თვალთაგან არ შორდებოდა ეს ვერცხლეული. სულ წინ უდგა. ხელი რომ გაეწვდინა, მისწვდებოდა. ჟან ვალჟანი რომ დასაძინებლად მიჰყავდა ეპისკოპოსს, იქ, წინა ოთახში, მოხუცებულ მოახლეს მოჰკრა თვალი, ვერცხლეულს რომ ალაგებდა განჯინაში, ეპისკოპოსის ლოგინის თავთან. განჯინაც კარგად შენიშნა, სასადილო ოთახიდან რომ შევიდეს კაცი, მხარმარჯვნივ არის კედელში დატანებული. მერე რა მძიმე დანა-ჩანგალია. ძველი ვერცხლი, ჩამჩიანად. სულ ნაკლები რომ ვთქვათ, ორას ფრანკს შესძენს კაცს. ერთიორად მეტს, ვიდრე ცხრამეტი წლის განმავლობაში შეიძინა. მართალია, იქაც მეტი ექნებოდა, უფროსობას რომ არ მოეპარა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ერეოდა ეს ფიქრი. ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობასაც უწევდა ამ წადილს მის გულში ჩამარხული რაღაც გრძნობა, მაგრამ ძალიან სუსტ წინააღმდეგობას. მთელი საათი დაჰყო ამ ფიქრში. სამი საათი დაჰკრა. თვალი გაახილა. უცბად წამოიწია ლოგინიდან, ხელით იქვე ლოგინთან მიდგმული ჩანთა იპოვა და ლოგინზე ჩამოჯდა.

ცოტა ხანს ასე დაჰყო გაშტერებულმა, თვალებდაჭყეტილმა. საზარელი სანახავი იყო მარტოდმარტო ამ ბნელ ოთახში, მიწყნარებულ სახლში მჯდომი ეს ძილგამფრთხალი კაცი და იმ დროს ვინმეს თვალი რომ მოეკრა, უნებურად შიში აიტანდა. დაიხარა, წაღები გაიძრო, იქვე ლოგინთან დაიწყო ნელა, და ისევ ისე დარჩა ლოგინზე მჯდომი, ჩაფიქრებული, უძრავი.

საზარელი ფიქრები კი გარს ევლებოდნენ და გონებას უფორიაქებდნენ, ქაჯებივით დაჰქროდნენ მის გონებაში, შედიოდნენ, გამოდიოდნენ, კვლავ ბრუნდებოდნენ. ერთიანად დაჰპატრონებოდნენ მის სულსა და გულს. გრძნობდა, რომ ბატონი აღარ იყო თავისი თავისა, უნდოდა განედევნა ეს მაცდური ფიქრები და ფიქრი კი აღარ შეეძლო: თითქოს სიზმარშიაო, მაშინვე თავისი კატორღელი ამხანაგი წარმოუდგებოდა თვალწინ, სახელად ბრევე, თავისი დაგლეჯილი, სარტყელის მაგივრად თოკით შეკრული შარვლით. ცდილობდა თავი დაეღწია ამ ფიქრებისათვის და მაინც ბრევეს თოკით შეკრული შარვალი ელანდებოდა.

კარგა ხანი იყო ამ ყოფაში და იქნება გათენებამდეც დარჩენილიყო ასე გაშტერებული, საათს რომ არ დაერეკა - თხუთმეტი წუთი იყო ან ნახევარი. საათმა დაჰკრა და იმასაც რაღაცამ ჩასძახა გულში - ადექი!

წამოდგა, ერთ წამს შეყოყმანდა, ყური მიუგდო. ყველა მიჩუმებული იყო სახლში. ნელი ნაბიჯით, ფეხაკრეფით, პირდაპირ ფანჯრისკენ წავიდა. ბნელი არ იყო ღამე, სავსე მთვარე იდგა ცაზე, მაგრამ ქარი სწორედ მთვარისკენ მიერეკებოდა დაგლეჯილ ღრუბელს და ხან ჩამობნელდებოდა არემარე, ხან სხივი მოეფინებოდა.

ოთახში ბინდი იდგა. ფანჯრიდან დროგამოშვებით შემოსული სინათლე ისე ეფინებოდა ოთახს, თითქოს ბნელ სარდაფს პატარა სარკმლიდან ჩასდის შუქი და ამ სარკმლის წინ კი გამვლელი არ ილევაო. ფანჯარასთან მივიდა, გასინჯა. დარაბა არა ჰქონდა, ბაღში გადიოდა და უბრალო რაზა-კოჭაკით იყო ჩაკეტილი. გააღო, მაგრამ უცბად იმისთანა სიცივე შემოვარდა ოთახში, რომ მაშინვე მიხურა. ბაღს გადახედა. გზები აათვალიერა. ბაღს პატარა დაბალი კედელი ერტყა, თეთრად შელესილი, ისეთი დაბალი, რომ გადასვლა არავის გაუჭირდებოდა. ღობის იქით ხეები მოჩანდა, რიგზე ჩამწკრივებული. მაშასადამე, იქაც ბაღი უნდა ყოფილიყო, ან ხეებით დამშვენებული ქუჩა.

რაკი ბაღი შეისწავლა, უკან დაბრუნდა უკვე მიღებული გადაწყვეტილებით დამშვიდებული; ლოგინთან მივიდა, ჩანთა აიღო, გახსნა, რაღაც ამოიღო და ლოგინზე დადო, წაღები ჯიბეში ჩაიდო, ჩანთა აიკიდა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. ხელის ფათურით ჯოხი იპოვა და ფანჯარასთან მიაყუდა. მერე ისევ ლოგინთან მივიდა და ჩანთიდან ამოღებული ნივთი აიღო; მოკლე რაღაცა რკინის ოროლი იყო, ერთ ბოლოზე წაწვეტებული.

სიბნელეში ძნელი გამოსაცნობი იყო, რა მიზნით ჰქონდა შენახული ეს რკინა. იქნებ ბერკეტი იყო ან კვერთხი.

დღე რომ ყოფილიყო, ადვილად მიხვდებოდით, რომ ეს საგანი მადნებში მომუშავეთა შანდალი იყო. იმ დროს კატორღელებს ხშირად ამუშავებდნენ ქვა-მადნის საბადოებში ტულონის გარშემო მდებარე კლდეებში და საჭირო იარაღსაც აძლევდნენ. მადნებში მომუშავეთა შანდალი ერთი საკმაოდ სქელი რკინაა, ერთ მხარეს ლურსმანივით წვეტიანი, რომ კლდეში ჩაარჭონ და დაამაგრონ.

ეს რკინა მარჯვენა ხელში დაიჭირა. სუნთქვა შეიკრა და ჩუმი ნაბიჯით წავიდა ეპისკოპოსის საწოლი ოთახისკენ. კარი ღია დახვდა. ეპისკოპოსს არც კი დაეკეტა.

## თავი მეთერთმეტე
## რა ქნა იმ ღამეს

ჟან ვალჟანი კართან შედგა და ყური მიუგდო. არსაიდან ხმა.

კარს მიაწვა.

ოდნავ მიაწვა, ცალი თითით, ფრთხილად, ისე ნაზად, თითქოს კატაა და შინ შესვლა უნდაო.

კარი გაიღო. ნელ-ნელი, შეუმჩნეველი და ჩუმი მოძრაობით იწევდა უკან და გზას აძლევდა შესასვლელად.

ერთ წამს მოითმინა; მერე კიდევ მიაწვა კარს, უფრო გაბედულად.

ისევ დაიწია კარმა და ისევე ჩუმად. ახლა კი შეიძლებოდა შესვლა, მაგრამ სწორედ კართან, შიგ შესასვლელში იდგა ერთი პატარა მაგიდა და გზას ავიწროებდა.

ჟან ვალჟანმა მაშინვე იგრძნო ხიფათი. ცოტა კიდევ უნდა გაღებულიყო კარი.

რაკი საჭირო იყო, კიდეც უნდა გაეღო. მესამედ უფრო გაბედულად და ღონივრად მიაწვა და უცბად გაზეთილი კოჭაკის ჭრაჭუნი გაისმა.

ჟან ვალჟანი შეკრთა, შეთრთოლდა. ისე მოხვდა იმის ყურს ეს ხმა, თითქოს განკიცხვის დღე დადგა და ბუკი და საყვირი დაჰკრესო.

გონება ვეღარ მოეკრიფა გულგახეთქილს. ეგონა ეს კოჭაკი გაცოცხლდებოდა, მყეფარე ძაღლივით გააფრთხილებდა ყველას და გამოაღვიძებდა მძინარე ხალხს.

შემკრთალი იდგა უძრავად, კანკალებდა, გული საშინლად უცემდა. თითის წვერებზე ვეღარ შეიკავა თავი და ქუსლებზე დაეშვა. საფეთქლებში ისე სცემდა სისხლი, თითქოს ჩაქუჩიაო. ქარის გრიალივით ესმოდა ყურს მისივე ქშენა და სუნთქვას იკრავდა - არავინ გამიგოსო. დარწმუნებული იყო, რომ კარის ჭრაჭუნზე, როგორც მიწისძვრაზე, ყველანი უნდა წამოცვენილიყვნენ ლოგინებიდან. კარმა გასცა, კარმა უღალატა, კარმა გააგებინა ხალხს მისი განზრახვა! აგერ წამოდგება მოხუცებული, ქალები კივილს მორთავენ, ხალხი მოეშველება, შეიქნება ერთი ძახილი და ყიჟინა, მოცვივდებიან ჟანდარმები... ერთი წუთით დაღუპულად მიიჩნია თავი.

ქვასავით იდგა იმავე ადგილზე, გაშტერებული, ფერმიხდილი. რამდენიმე წუთმა განვლო. კარი ფართოდ გაიღო. ისიც დამშვიდდა და ოთახში შეხედვა გაბედა. არა იძვროდა რა. ყური დაუგდო. ხმაური არსად ისმოდა. დაჟანგებული კოჭაკის ჭრაჭუნს არავინ გაეღვიძებინა.

პირველ განსაცდელს უკვე გადარჩენილი იყო, მაგრამ გული კი ვერ დაეშვიდებინა. უკან მაინც არ დაიხია მაშინაც კი, როდესაც დაღუპულად მიაჩნდა თავი. ერთადერთი აზრი უტრიალებდა გონებაში - რაც შეიძლება მალე გაეთავებინა და წასულიყო. ერთი ნაბიჯი გადადგა და ეპისკოპოსის საწოლ ოთახში შევიდა.

სრული მშვიდობა სუფევდა ამ ოთახში. აქა-იქ ბნელში ტაბურეტზე დალაგებული წიგნები მოჩანდა. მაგიდაზე ქაღალდები, სავარძელზე დაწყობილი ტანსაცმელი, სამლოცველო. ჟან ვალჟანი წინ წადგა დიდი სიფრთხილით; თან ცდილობდა ფეხი არაფრისთვის წაეკრა. ლოგინს მიუახლოვდა, ეპისკოპოსის მშვიდი და დაწყნარებული სუნთქვა მოესმა...

ლოგინთან უცბად გაჩერდა. უფრო მალე მისულიყო მძინარესთან, ვიდრე თვითონ უნდოდა.

ადამიანის საქციელში ისე გონივრულად ჩაერევა ხოლმე ხშირად ბუნება, ისე მოსწრებულად, თითქოს უნდა თვალი აუხილოს და გონებაზე მოიყვანოს შემცდარიო. კარგი ნახევარი საათი იქნებოდა, რაც შავი ღრუბელი აჰფარებოდა მთვარეს. იმ დროს კი, როდესაც ჟან ვალჟანი ეპისკოპოსის საწოლთან მივიდა, ქარმა უცბად

გაფანტა ღრუბელი, თითქოს იცის, რასა შვრებაო, ფანჯარას შუქმა დაჰკრა, ოთახი გაანათა და სხივი მოჰფინა მძინარის ფერმკრთალ სახეს. ეპისკოპოსს მშვიდად ეძინა, თითქმის ჩაცმული იწვა ქვეშაგებზე, რადგან ქვემო ალპებში საშინელი სიცივე იცის. ყავისფერი თბილი ხალათი მაჯამდე უფარავდა მკლავებს. ბალიშზე მისვენებულ ეპისკოპოსს ცალი, ბეჭდით შემკული ხელი ძირს გადმოვარდნოდა, ის ხელი, რომლითაც იმდენი სიკეთე და წმინდა მადლი მოეფინა თავის სამწყსოში. სახეზე კმაყოფილება, იმედი და ნეტარება უბრწყინავდა. თავზე უხილავი სინათლის სხივი ადგა. მართალია, სული ძილში ცათა საიდუმლოებით ტკბებაო.

ეპისკოპოსს ზეციური სხივი ადგა.

მაგრამ თავისივე იყო ეს სხივი, თავისი სინდისისაგან გამონაშუქი ზეცა. ზეცა - სინდისი იყო ეპისკოპოსისა.

მთვარის სინათლემ დიდება მოჰფინა მძინარს. იმწამს თითქოს შედგა, თითქოს მიყუჩდა ყველაფერიო. ცაზე მთვარე, ძირს მიძინებული ბუნება, თრთოლვაგაჩერებული ბაღი და სრული სიმშვიდე რაღაც გამოუთქმელ ბრწყინვალებას ჰფენდა მოხუცებულის მოსვენებას და წმინდანის შარავანდედით მოსავდა მის სპეტაკ თეთრ თმას, დახუჭულ თვალებს, ნდობითა და იმედით აღსავსე გულს, უმანკო ბავშვის ძილით მიძინებული მოხუცის თავს.

რაღაც ღვთაებრივი იყო ამ დიდებულ ადამიანში.

ჟან ვალჟანი ჩრდილში იდგა, რკინის შანდლით ხელში. უძრავად იდგა, შეშინებული ამ სხივმოსილი მოხუცით. თავის დღეში არა ენახა რა ამის მსგავსი. შიშის ზარს სცემდა ეპისკოპოსის ნდობა. განა შეიძლება ზნეობრივ მოვლენათა შორის ამაზე უდიდესი სანახავი არსებობდეს, როცა აღელვებული, შეშინებული სინდისი, ავკაცობის გზაზე გაჩერებული, უცქერს მართალი კაცის ძილს?

განმარტოება ეპისკოპოსის საწოლი ოთახისა, ნდობით აღსავსე, უმცირეს ეჭვს მოკლებული მისი ძილი, რაღაც უზენაესს წარმოადგენდა ჟან ვალჟანისათვის. რას? არ იცოდა, მაგრამ სულით ხორცამდე შეპყრობილი იყო ამ საიდუმლო ძალით.

ვერავინ იტყვის, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა უბედური. ამის გამოსარკვევად კაცმა ერთმანეთს უნდა დაუპირისპიროს მხეცური ჟინი და უნაზესი სიტკბოება. სახეზეც კი არაფერი ემჩნეოდა გარკვევით. განცვიფრებული იდგა და დასცქეროდა. განცვიფრებას მოეკლა ყოველი ფიქრი და აზრი. იდგა აღელვებული და თავზარდაცემული, მაგრამ რაგვარი იყო ეს აღელვება?

თვალს ვეღარ აშორებდა მძინარს. ერთი რამ ემჩნეოდა ცხადად მის სახეს და მდგომარეობას - ეტყობოდა, ვეღარც წინ წასულიყო და ვეღარც უკან. თითქოს ორ უფსკრულს შორის გაჩერებულა და აღარ იცის საით გადადგას ნაბიჯიო. იქით, რომელიც ღუპავს, თუ იქით, რომელიც იხსნის? მზად იყო შანდალი დაეკრა და ეს მძინარე თავი გაეტეხა, ან მუხლი მოეყარა და ხელზე მთხვეოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მარცხენა ხელი ამართა ნელ-ნელა და ქუდი მოიხადა. მერე ისევე ნელ-ნელა დაუშვა ძირს ქუდიანად და კვლავ გაშტერებული დააცქერდა ეპისკოპოსს. მარჯვენა ხელში შანდალი ეჭირა, მარცხენაში - ქუდი; თმა აეშალა და ჯაგარივით ედგა.

ეპისკოპოსს მშვიდად ეძინა. ის ვერ გრძნობდა ამ საზარელ მზერას.

ბუხრის თავზე მთვარის მკრთალ სინათლეზე ჯვარცმული მოჩანდა; ხელაპყრობილი დასცქეროდა ორთავეს, თითქოს უბრძანებდა - ჩემთან მოდით ორივე, ერთი - კურთხევისა და მეორე - შენდობის მისაღებადაო.

უცბად ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა ლოგინს, თვალი მოარიდა მძინარს და პირდაპირ განჯინისაკენ გაემართა. შანდალი ამართა, თითქოს გატეხას უპირებს კლიტესაო, მაგრამ გასაღები იქვე იყო. გააღო და მაშინვე თვალში ეცა კალათაში ჩალაგებული ვერცხლეული. აიღო და უკან გამობრუნდა. ოთახი სრულიად დაურიდებლად გაიარა, ჩქარი ნაბიჯით, ხმაურით, შევიდა სამლოცველოში, გააღო ფანჯარა, წამოიტაცა თავისი ჯოხი და ბაღში გადახტა. ვერცხლეული ჩანთაში ჩადო, კალათი ბაღში გადააგდო, ღობეზე აძვრა, ვეფხვივით გადაახტა კედელს და გაიქცა.

## თავი მეთორმეტე
## ეპისკოპოსი მოქმედებს

მეორე დღეს, მზე რომ ამოდიოდა, ეპისკოპოსი უკვე დასეირნობდა თავის ბაღში, მაგლუარი რომ გულგახეთქილი მივარდა და შორიდანვე დაუყვირა:

- თქვენო უსამღვდელოესობავ! უსამღვდელოესობავ! ვერცხლეულის კალათი ხომ არ გინახავთ?

- როგორ არა, - უპასუხა ეპისკოპოსმა.

- გმადლობ, უფალო! - შეჰღაღადა მაგლუარმა. - ვეძებე, ვეძებე და ვეღარ ვიპოვე.

ეპისკოპოსს თავისი ყვავილების კვალში ეპოვნა კალათი. აიღო და მაგლუარს მიაწოდა.

- აი, მაგლუარ-ქალო.

- გენაცვალეთ, ცარიელი? ვერცხლეული რაღა იქნა?

- ჰოო? - წამოიწყო ეპისკოპოსმა, - მაშ, ვერცხლეული გაწუხებს? ვერცხლეულისა კი არა ვიცი რა.

- გავუქურდივართ! ღმერთო, დამიფარე!.. წუხანდელ მაწანწალას გავუქურდივართ.

თვალის დახამხამების უმალ გაქანდა მაგლუარი, მთელი თავისი ბებრული სიმკვირცხლით სამლოცველოში შევარდა და ისევ ეპისკოპოსისაკენ გაეშურა. ეპისკოპოსი ამ დროს ათვალიერებდა ყვავილს, რომელსაც ჟან ვალჟანისაგან გადაგდებული კალათი მოხვერდოდა და შუაზე გადაეტეხა. მაგლუარის ყვირილზე წელში გაიმართა.

- წასულა ის კაცი, თქვენო უსამღვდელოესობავ! ვერცხლეულიც თან წაუღია!

სწორედ ამ დროს შეამჩნია მაგლუარმა კედლიდან გამონგრეული აგური და წაღის ნაქუსლარი.

- აგერ, თქვენო უსამღვდელოესობავ, აგერ, სად გადამძვრალა! კოშფილეს ქუჩაში. შერცხვენილი, თავლაფდასხმული! ვერცხლეული მოგვპარა, ჩვენი ვერცხლეული!

ეპისკოპოსი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, მერე წყნარი თვალით შეხედა მაგლუარს და ტკბილად უთხრა:

- მერე ჩვენი კი იყო ეგ ვერცხლეული, მაგლუარ-ქალო?

მაგლუარი განცვიფრებული დარჩა ამ კითხვით. ორივე გაჩუმებული იყო, მერე ისევ ეპისკოპოსმა განაგრძო:

- შევცდი, ჩემო მაგლუარ, რომ ამდენი ხანი ხელთა მქონდა ეგ განძი, ღარიბებისა იყო და არა ჩემი. ის კაცი ვინღა იყო? ცხადია, ღარიბი და გაჭრივებული!

- ღმერთო, შემიწყალე! - შეჰკივლა მაგლუარმა. - მე ჩემთვის კი არა ვწუხვარ, ან ქალბატონისთვის! ჩვენთვის სულერთი გახლავთ, გვექნება ვერცხლის დანა-ჩანგალი თუ არა. მე თქვენთვის ვწუხვარ, თქვენო უსამღვდელოესობავ! პურს როგორღა მიირთმევთ ახლა?

ეპისკოპოსი გაკვირვებული შესცქეროდა.

- გამკვირვებია, ღმერთმანი. კალის დანა-ჩანგალს ვეღარ ვიშოვით?

მაგლუარმა მხრები აიწია.

- კალამ ცუდი სუნი იცის, თქვენო უსამღვდელოესობავ.

- რკინის იყოს.

მაგლუარმა ტუჩი აიშვირა.

- რკინამ სხვა გემო იცის.

- ჰოდა, მაშინ ხის კოვზები ვიხმაროთ, - უთხრა ეპისკოპოსმა.

ცოტა ხანში საუზმე მიართვა მაგლუარმა; ეპისკოპოსი მხიარულად იყო. ბატისტინე ხმას არ იღებდა. მაგლუარი კი მიმოდიოდა ოთახში და გაფითრებული რაღაცას ბუტბუტებდა. ეპისკოპოსი პურს მიირთმევდა და ქალებს ეხუმრებოდა. ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რძეში პურის ამოსავლებად საჭირო არ არის არც კოვზი და არც დანა-ჩანგალი.

- ღმერთო, მიხსენი! - იძახდა ჩუმად მაგლუარი. - იმისთანა კაცს სახლში როგორ შემოვიყვანდი? მიიყვანა და გვერდით დაიწვინა ვიღაც ქურდი, მაწანწალა, კიდევ კარგი, შეგვიბრალა ყოვლადძლიერმა და ასე ადვილად გადავრჩით. გენაცვალეთ, ვინ იყო ჩვენი პატრონი, სულაც რომ ამოვეწყვიტეთ?

ის იყო გაათავეს საუზმე და და-ძმა ადგომას აპირებდა, რომ კარზე დააკაკუნეს.

- მობრძანდით, - შესძახა ეპისკოპოსმა.

კარი შემოაღეს. უცნაური სანახაობის მხილველნი შეიქნენ გაკვირვებული ეპისკოპოსი და ქალები: სამ კაცს მეოთხე დაეკავებინა და მოჰყავდათ. სამნი ჟანდარმები იყვნენ, მეოთხე - ჟან ვალჟანი.

უფროსი ჟანდარმი, რომელიც წინ მიუძღვოდა დანარჩენთ, შევიდა სახლში, ეპისკოპოსს მიუახლოვდა და მხედრული სალამი მისცა.

- თქვენო უსამღვდელოესობავ, - მოახსენა ჟანდარმმა.

ჟან ვალჟანი დაღვრემილი, თავდაღუნული იდგა. ამ სიტყვებზე თავი მაღლა აიღო და განცვიფრებით დააცქერდა ეპისკოპოსს.

- უსამღვდელოესობაო, - წაიბუტბუტა, - მაშ მღვდელი კი არა...

- ჩუმად! - შეუტია ჟანდარმმა, - ვერა ხედავ მის უსამღვდელოესობას, ეპისკოპოსს?

ეპისკოპოსი წამოდგა და რამდენადაც მოხუცებულობა ნებას აძლევდა, სწრაფად მიუახლოვდა ჟანდარმებს.

- კიდევ კარგი, რომ დაბრუნდით, - უთხრა ჟან ვალჟანს, - ძალიან მიხარია თქვენი ნახვა; არა, რომ მიდიოდით, შანდლები რატომ არ წაიღეთ? მე ხომ შანდლებიც გაჩუქეთ. ვერცხლისაა და ერთი ორასი ფრანკი მაინც ღირს. რატომ შანდლებიც არ წაიღეთ?

ჟან ვალჟანმა თვალები დააჭყიტა და ისე გაკვირვებული უყურებდა ღირსეულ მოძღვარს, რომ ადამიანის ენას არ ძალუძს მისი განცვიფრების გამოხატვა.

- თქვენო უსამღვდელოესობავ, - მოახსენა ჟანდარმების უფროსმა. - მაშ მართალს მოგვახსენებდა ეს კაცი? გზაში შეგვხვდა; ისე მიეჩქარებოდა, თითქოს მდევარი მისდევს უკანო. დავიჭირეთ, გავსინჯეთ და ვერცხლეული ვუპოვეთ.

- და მაგანაც მოგახსენათ, - შეაწყვეტინა სიტყვა სიცილით ეპისკოპოსმა, - რომ ერთმა გადაყრუებულმა ბებერმა მღვდელმა მაჩუქაო, განა? დიახ, სწორედ აგრე იქნებოდა. თქვენც დაიჭირეთ და აქ მომიყვანეთ. უბრალო შეცდომა გახლავთ, ბატონო, სხვა არაფერი.

- მაშ, გავუშვათ ეს კაცი? - ჰკითხა ჟანდარმმა.

- მაგას რაღა თქმა უნდა? - მიუგო ეპისკოპოსმა.

ჟანდარმებმა თავი დაანებეს ჟან ვალჟანს.

უკან დაიწია შერცხვენილმა და ისეთი ხმით წაილუღლუღა, თითქოს ძილშია და ბოდავსო:

- მართლა მიშვებთ, თუ...

- მართლა, მაშ რა, ტყუილად? - შეუტია ჟანდარმმა, - ყურთ ხომ არ გაკლია?

- აი, შვილო, თქვენი შანდლებიც. აიღეთ, - მიმართა ტკბილად ეპისკოპოსმა.

მივიდა ბუხართან, აიღო ორივე შანდალი და ჟან ვალჟანს გაუწოდა. ქალები გაჩუმებული შეჰყურებდნენ ამ ამბავს, სულგანაბულნი, თავდახრილნი, რომ მათი რიდი არ ეგრძნო მის უსამღვდელოესობას.

თავით ფეხამდე თრთოდა ჟან ვალჟანი. უგრძნობლად, დარეტიანებულივით გაუწოდა ხელი და ჩამოართვა შანდლები.

- აი, ახლა მიბრძანდით, თუ მიგეჩქარებათ, - უთხრა ეპისკოპოსმა. - მართლა, თუ ჩემი ნახვა კიდევ დაგჭირდეთ, ბაღზე ნუ გადმოივლით, ქუჩის კარიდან შემოდით. კარი ყოველთვის ღიაა, მიხურულია მხოლოდ; დღე და ღამე ღიაა.

მერე ჟანდარმებს მიუბრუნდა და უთხრა:

- თქვენ მიბრძანდით, ბატონებო.

ჟანდარმები წავიდნენ.

ჟან ვალჟანს გული მისდიოდა.

ეპისკოპოსი მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა:

- არ დაგავიწყდეს, შვილო, არ დაგავიწყდეს შენი აღთქმა: ეს ფული იმისთვის მინდა, რომ პატიოსანი კაცი გავხდეო.

ჟან ვალჟანს არავითარი აღთქმა და დაპირება არ ახსოვდა და მით უფრო გაიკვირვა. ეპისკოპოსმა იმნაირი კილოთი უთხრა ეს სიტყვები, რომ გულში უნდა დარჩენოდა უბედურს.

- ჟან ვალჟან, შვილო, - განაგრძო ეპისკოპოსმა. - დღეიდან ავს აღარ ეკუთვნი შენ, არამედ კარგს. მე შენგან შენს სულს ვყიდულობ, ცდუნებისა და წაწყმედისაგან ვიხსნი და ღმერთს მივუძღვნი.

## თავი მეცამეტე
## პატარა ჟერვე

ჟან ვალჟანი ისე გამოვარდა ქალაქიდან, თითქოს განსაცდელს გაურბისო. გაჩქარებული მიდიოდა მინდორში, უგრძნობლად მისდევდა გზას, ბილიკს და ვეღარც კი ხედავდა, რომ ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალებდა.

მთელი დილა ასე იბორიალა, უჭმელი იყო და შიმშილს ვერა გრძნობდა. ამდენ ახალ, უცნობ შთაბეჭდილებას ვეღარ უძლებდა გული, ბრაზი ერეოდა და არ კი იცოდა, ვისზე ბრაზობდა. თვითონაც არ იცოდა, დამცირებული, შერცხვენილი იყო, თუ შენანებას გრძნობდა.

რაღაც სინანულით აუჩქროლდებოდა გული, მაგრამ ოცი წლის ტანჯვისაგან მოგროვილი ნაღველით გაჟღენთილი უარყოფდა ყოველგვარ სინანულს. თვითონაც ვეღარაფერი გამოერკვია და ეს უფრო ღლიდა და აწუხებდა. უსამართლოდ დასჯილს, წამებულს უკვე ჩაეყუჩებინა თავისი გული და ახლა კი გრძნობდა,რომ გულის სიღრმეში კვლავ რაღაც ამოძრავებულიყო, არაჩვეულებრივი, ჯერ გამოუცდელი. ნეტავი, რა უნდა იყოსო? - ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს ვეღარა პოულობდა. ნეტავ ისევ კატორღაში ვყოფილიყავ, ჟანდარმებისა და ციხის მცველთა ხელში და ეს კი არ შემმთხვეოდა, ასე ხომ არაფერი ამაღელვებდაო. შემოდგომა იყო, ციოდა, მაგრამ აქა-იქ ღობის ძირას გვიანი ყვავილები მოჩანდა, მათი სურნელება ბავშვობას აგონებდა. დიდი ხანი იყო, თავისი ბავშვობა აღარ გახსენებოდა და უმანკო პატარაობის მოგონება ლახვარივით სცემდა გულში.

გამოუთქმელი ფიქრი უტრიალებდა თავში და სულს უხუთავდა.

მზე ჩადიოდა. სულ უმცირესი ქვაც კი გაზვიადებულ გრძელ ჩრდილს ისროდა. ჟან ვალჟანი გზის პირას იჯდა ბუჩქს ამოფარებული. წინ დაქანებული მინდორი ედო, მოტიტვლებული, ჰორიზონტზე ალპის მთები მოჩანდა, სხვა არაფერი, შორეული სოფლის სამრეკლოც კი არსად იყო. სამი კილომეტრით თუ იქნებოდა დაშორებული დინს. ბუჩქნარს ჩამოუდიოდა ბილიკი, რომელიც მინდორს შუაზე ყოფდა.

დიდი იყო ჯერ ისევ მისი მღელვარება და, რომ ენახა ვინმეს იქ მჯდომი, ძონძებით მოსილი, ნამდვილად შეეშინდებოდა.

უცბად რაღაც ხმაური მოესმა.

მიიხედა და ბილიკზე მომავალი ერთი პატარა ბიჭი დაინახა, სავოელი, ათი-თორმეტი წლისა; ერთი იმ ბავშვთაგანი, რომელნიც ფეხით სთელავენ ქვეყანას დაგლეჯილ-დაფლეთილნი, თითო-ოროლა გროშს შოულობენ და მხიარულად, ბულბულივით ჭიკჭიკებენ. მხარზე სტვირი ეკიდა, ზურგზე - ზაზუნებიანი პატარა გალია. მიდიოდა და მიიმღეროდა.

ხანდახან შედგებოდა, თეთრ ფულს შეისვრიდა და ხელის გულს შეუშვერდა დასაჭერად. თეთრ ფულში, - ვინ იცის, იქნებ ეს იყო მთელი მისი ავლადიდება, - ერთი ორფრანკიანი ერია.

ბუჩქს უკან დადგა ბიჭი ისე, რომ ჟან ვალჟანს ვერა ხედავდა, კიდევ შეისროლა თავისი ფული.

აქამდე მარჯვედ იჭერდა ხელისგულზე, მაგრამ ახლა კი უმტყუნა ბედმა და სწორედ ორფრანკიანი გადაუგორდა ხელიდან. ბუჩქში შეგორდა და ჟან ვალჟანის ფეხთან დაეცა.

ჟან ვალჟანმა ფეხი დაადგა.

ბიჭმა კი თვალი გააყოლა ფულს და ესეც დაინახა.

არ გაიკვირვა, პირაპირ მივიდა ჟან ვალჟანთან.

უკაცური იყო ეს მინდორი. სადამდისაც კი თვალი მისწვდებოდა, ადამიანი არსად ჩანდა. ჩამიჩუმიც არსაიდან ისმოდა, გარდა ცაში საშინელ სიმაღლეზე მიმფრინავ წეროთა წრიპინისა. ბიჭი ზურგშექცეული უდგა მზეს, მზის სხივი თავზე სცემდა პატარას და ოქროს ქოჩრით ამშვენებდა. ჟან ვალჟანი საზარელი სანახავი იყო, თვალში სისხლმორეული და მხეცური გამომეტყველებით.

- უკაცრავად, ბატონო, - სთხოვა პატარამ იმ ნდობით, რომელიც შედეგია გამოუცდელობისა და უმანკოებისა, - ჩემი ფული...

- რა გქვია? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- პატარა ჟერვე, ბატონო.

- ჰოდა მომშორდი!

- ჩემი ფული მიბოძეთ, ბატონო.

ჟან ვალჟანმა თავი დაღუნა და არაფერი უპასუხა.

ბიჭი კი თავისას გაიძახოდა:

- ჩემი ფული, ბატონო.

ჟან ვალჟანი თავდახრილი იჯდა და მიწას დასცქეროდა.

- ჩემი ფული მიბოძეთ, ბატონო, ჩემი თეთრი ფული! - შეჰყვირა ბიჭმა.

ჟან ვალჟანი ისე იყო, თითქოს ვერც კი გაიგონა რამეო. ბიჭი საკინძეში სწვდა და შეარყია. თან ცდილობდა თავისი სუსტი ღონით დაეძრა როგორმე ჟან ვალჟანის ტლანქი ფეხი, რომელიც მის საუნჯეს ფარავდა.

- მომეცით ჩემი თეთრი ფული, ჩემი თეთრი ორფრანკიანი! - ტიროდა ბიჭი. ახლა კი შეხედა ჟან ვალჟანმა. ჯერ ისევ იჯდა, თვალები ამღვრეოდა. გაკვირვებული სახით შეხედა პატარას. მერე ჯოხს მისწვდა და საზარელი ხმით შეუტია:

- ვინ არის აქ?

- მე ვარ, ბატონო, პატარა ჟერვე. რას მერჩით, რას მემართლებით, რატომ არ მაძლევთ ჩემს ფულს? დამიბრუნეთ ჩემი ორფრანკიანი, თუ ღმერთი გწამთ! ააი, ეს ფეხი აიღეთ ცოტა.

უცბად ბრაზი მოერია პატარას და მუქარით შეუტია:

- დასწყევლა ღმერთმა! აიღებთ ამ ფეხს თუ არა? აიღეთ-მეთქი ეს ფეხი!

- ბიჭოს, ისევ შენა ხარ? - უთხრა ჟან ვალჟანმა. მერე უცბად ფეხზე წამოდგა, მაგრამ ისე, რომ ფულს ფეხი არ მოაშორა და შეჰყვირა:

- მომშორდები თუ არა?

გულგახეთქილი ბიჭი პატარა ხანს გაშტერებული შეჰყურებდა, მერე თავით ფეხამდე კანკალმა აიტანა და ბოლოს, თითქოს გონზე მოვიდაო, მოკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გარბოდა და შიშით ზარდაცემულს ყვირილიც კი ვერ მოეხერხებინა.

კარგა ხანს ირბინა ასე. ბოლოს, რაკი სულის მობრუნება გაუჭირდა, შედგა და ფიქრებით გატაცებულ ჟან ვალჟანს პატარა ჟერვეს გულამოსკვნილი ქვითინი მოესმა.

ცოტა ხანში სულაც მიიმალა ბიჭი.

მზე ჩავიდა.

უკვე ღამდებოდა და ჟან ვალჟანს კი მთელი დღე ნაწილი არ ჩასვლოდა პირში. იქნება სიცხეც ჰქონდა უბედურს.

ისევ იდგა. რაც ბავშვი გაიქცა, მდგომარეობა არ შეუცვლია. სუნთქვა ეკვროდა, გული უღონდებოდა. გაშტერებით იყურებოდა, თითქოს ბალახში ჩავარდნილ ფაიფურის ჭურჭლის ნამტვრევს ხედავს და იმას ათვალიერებს ყურადღებითო. ბოლოს ღამის სიცივემ თავი აგრძნობინა და კანკალი დააწყებინა.

ქუდი ჩამოიცვა თავზე, ხალათის დუგმები შეიკრა, ფეხი წინ წადგა და ჯოხს დასწვდა ასაღებად.

ამ დროს ორფრანკიანი ვერცხლი დაინახა, ნახევრად მიწაში ჩაფლული.

თითქოს ელექტრონის დენმა დაჰკრაო, ელვასავით გაუარა რაღაცამ გულში. რა არის ეს? - ეკითხებოდა გონმიხდილი თავის თავს. უკან დაიწია, შედგა. თვალი ვერ მოეშორებინა ვერცხლისთვის, იმ ვერცხლისთვის, რომელსაც ამ რამდენიმე წამის წინ ფეხით მალავდა და რომელიც ახლა ისე ბრჭყვიალებდა ბნელში, თითქოს გახელილი თვალია და შიგ გულში ჩასცქერისო.

კარგა ხანს იდგა ასე გაქვავებული, მერე გიჟივით მივარდა, წამოიტაცა ვერცხლი, წამოიჭიმა და მზერა დაუწყო მინდორს. ფეთიანივით გასცქეროდა ჰორიზონტის ყოველ მხარეს, თითქოს მხეცია დევნილი და თავშესაფარს ეძებსო.

ვერაფერი დაინახა. უფრო და უფრო ბნელდებოდა.

ერთი ამოიოხრა და გაჩქარებით გაემართა იქით, საითკენაც პატარა ჟერვე წავიდა, მაგრამ მალე შეჩერდა, დააცქერდა ბნელით მოსილ მინდორს და მაინც ვერაფერი დაინახა.

- პატარა ჟერვე! პატარა ჟერვე!

რამდენჯერმე დაუძახა. მერე ყური მიუგდო.

ხმა არავინ გასცა.

მინდორი მიჩუმებული იყო, მიბნელებული. თვალი წყვდიადში იკარგებოდა და ხმა - დუმილში.

ყინულივით ცივი ქარი ქროდა და ძირიანად გლეჯდა ბუჩქებს.

ისე ხმაურობდა ბუჩქნარი, ისე ირხეოდა, თითქოს ვიღაც ემუქრება და უკან მისდევსო.

ისევ იმ გზას გაჰყვა, ჯერ ნაბიჯით, მერე სირბილით. ხანდახან გაჩერდებოდა, სულს მოიკრებდა და საზარელი, სასოწარკვეთილი ხმით გასძახოდა უდაბნოს:

- პატარა ჟერვე! პატარა ჟერვე!

კიდეც რომ გაეგონა ეს ძახილი ბიჭს, შეეშინდებოდა და მიიმალებოდა, მაგრამ უკვე შორს უნდა ყოფილიყო პატარა ჟერვე და ჟან ვალჟანის ხმას ვეღარ გაიგონებდა.

ბოლოს ერთი მღვდელი შეხვდა ცხენით მიმავალი. მიუახლოვდა და ჰკითხა:

- ბიჭი ხომ არ შეგხვედრიათ, მამაო?

- არა, - მიუგო მღვდელმა.

- პატარა ბიჭი, პატარა ჟერვე.

- არავინ მინახავს.

ქისიდან ორი ხუთფრანკიანი ამოიღო ვერცხლისა და მღვდელს მიართვა:

- თქვენს ღარიბებს უბოძეთ, მამაო. იცით, მამაო, ერთი კინკა ბიჭი გახლავთ, ათი-თორმეტი წლისა. სტვირს უკრავს და პატარა ზაზუნას ათამაშებს. მანდეთ მიდიოდა. საკოელი პატარა ბიჭი, ხომ მოგეხსენებათ.

- არა, შვილო, არ შემხვედრია.

- პატარა ჟერვე არსად გაგიგონიათ სოფელში? იქნებ გაგეგონოთ, მამაო?

- აქაური არ უნდა იყოს, ბევრნი დადიან პატარები ასე, მაგრამ ცნობით კი არავინ იცნობს.

სწრაფად ჩაყო ხელი ქისაში, ორი ვერცხლის ხუთფრანკიანი კიდევ მიაწოდა მღვდელს.

- გაჭირვებულთ უბოძეთ, მამაო.

მერე გიუივით წამოისროლა:

- დააჭერინეთ ჩემი თავი, მამაო! მე ქურდი ვარ!

მღვდელმა ქუსლი ჰკრა ცხენს და გაეშურა შეშინებული.

ჟან ვალჟანი სირბილით გაექანა იმ გზაზე, საითაც პატარა ჟერვე ეგულებოდა.

კარგა მანძილი გაიარა ასე სირბილით, თან თვალებს აცეცებდა, იძახდა, ყვიროდა, მაგრამ ვერაფერი ნახა. ხანდახან სიბნელეში რაღაც მოეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც მიწოლილაო, და გიუივით მივარდებოდა მოჩვენებისკენ, მაგრამ ამაოდ; ხან ბუჩქს წააწყდებოდა, ხან შემოდგომის მწვანით მოსილ ლოდს. ბოლოს შედგა: აქედან ბილიკი სამ მხარეს მიდიოდა და არ იცოდა, რომელს გაჰყოლოდა. მთვარე ამოვიდა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა იქაურობა. ერთხელ კიდევ გასძახა: - პატარა ჟერვე! პატარა ჟერვე! პატარა ჟერვე! - მაგრამ მისი ხმა ნისლში შთაინთქა ისე, რომ არემარემ ექოც არ გამოსცა.

ძახილი აღარ შეეძლო და ჩუმად, ჩურჩულითღა იძახდა: - პატარა ჟერვე!

მუხლი მოეკეცა, თითქოს უხილავი ძალა ზედ დააწვა თავისივე ცუდი საქციელის სახით და მისმა სიმძიმემ წააქციაო. ღონემიხდილი დაეცა ქვაზე. ხელი შემოიკრა თავში, მუხლებში ჩარგო და წამოიძახა:

- რა საძაგელი ვარ!

გული ამოუჯდა, ქვითინს მოჰყვა. ცხრამეტი წლის განმავლობაში პირველად ტიროდა.

ეპისკოპოსისაგან რომ გამოვიდა, როგორც უკვე ვთქვით, იმგვარ ფიქრებს შეეპყრო, რომელნიც მანამდე თავის დღეში არასდროს მოსვლოდა. თვითონაც არ იცოდა, რა ემართებოდა. ცდილობდა თავი გაემაგრებინა და არ აჰყოლოდა მოხუცის ანგელოზებრივ ზეგავლენას და ტკბილ სიტყვას: „ხომ აღმითქვი, პატიოსანი კაცი გავხდებიო. მე შენგან სულს ვყიდულობ, ცდუნებისაგან და წაწყმედისაგან ვიხსნი და ღმერთს ვუძღვნი განსპეტაკებულსაო“. ეს სიტყვები წამდაუწუმ აგონდებოდა. ამპარტავნობით ებრძოდა ჟან ვალჟანი ამ ციურ მიტევებას, იმ ამპარტავნობით, რომელიც ადამიანს ბიწიერების სიმაგრედა აქვს აგებული გულში. თავისდა უნებურად გრძნობდა, რომ მოხუცი მოძღვრის შენდობა საშინელი ძალით სცემდა მთელ მის ზნეობრივ არსებას, თითქოს იერიშით მოდის და ძირიანად აღგვის მისი გულის სიმაგრესაო. გრძნობდა, რომ ამ ბრძოლაზე იყო დამყარებული მომავალი მისი ცხოვრება: თუ გაუძლებდა ამ მადლიან ზეგავლენას, ხომ თავისი დღენი მტრად დარჩებოდა ადამიანისა და საზოგადოებისა, და თუ დაუთმობდა, გულიდან უნდა აღმოეფხვრა ის სიძულვილი, რომელიც საზოგადოების უსამართლობამ ჩაუნერგა, განუვითარა და გაუზარდა, და რომელიც თვითონაც მოსწონდა. გრძნობდა, რომ უკანასკნელი იყო ეს დიადი ბრძოლა, ბრძოლა მის ბიწიერებასა და ეპისკოპოსის მადლს შორის. ან უნდა დამარცხებულიყო, ან დაემარცხებინა.

ამ მადლის ძალით შერყეული მთვრალივით მიდიოდა ჟან ვალჟანი. თვალი არეული ჰქონდა, გონება ებნეოდა და ვინ იცის, შეეძლო კი ეგრძნო, რა შედეგი

მოჰყვებოდა მის თავგადასავალს? ესმოდა განა ის საიდუმლო ამოძახილი გულისა, რომელიც ხშირად წინასწარმეტყველივით აფრთხილებს და გზას უკვლევს ადამიანს? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც ეუბნებოდა, შენი ბედი დღევანდელ შენს საქციელზეა დამყარებული; შენია დღეს არჩევანი და თუ დღეის იქით საუკეთესო კაცი არ გახდი, უსაძაგლესი და უსაზიზღრესი იქნებიო? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც არწმუნებდა, დღეის იქით ან უნდა ამაღლდე, თვით ეპისკოპოსს გადააჭარბო მადლით და სიმართლით, ან ისე დაეცე, რომ სულ უკანასკნელ კატორღელზე უარესი გახდეო? ესმოდა განა ის ხმა, რომელიც არწმუნებდა, თუ კარგ კაცად ყოფნა გინდა, ანგელოზად უნდა იქცე და თუ ავკაცობა გინდა - სისხლით გაუმაძღარ მხეცადო?

საჭიროა აქაც ვიკითხოთ, რაც უკვე ვიკითხეთ წინათ: შეეძლო კი ჟან ვალჟანს თავის ფიქრებში გარკვეულიყო, თუ ფიქრები დაჰპატრონებოდნენ მის სულსა და გულს და ზედ თავისუფლად მოქმედებდნენ? მართალია, როგორც წინათა ვთქვით, უბედურება განავითარებს გონებას, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ შესძლებოდა უბედურს ამ ფიქრებისათვის თავის გართმევა. ფიქრები აწუხებდა, სტანჯავდა, სულს უხუთავდა, მაგრამ რა ფიქრები და როგორ? ამისი არა იცოდა რა. როდესაც გამოვიდა იმ ჯოჯოხეთიდან, რომელსაც კატორღას უწოდებენ და ეპისკოპოსს შეხვდა, მისმა მადლით აღსავსე საქციელმა ისეთი ტკივილი აგრძნობინა მის სულს, როგორც წყვდიადიდან გამოსულს სინათლე ატკენს თვალს, უცბად რომ მოხვდება. ახალი ცხოვრება ელანდებოდა, პატიოსნებითა და სიმართლით გაბრწყინებული; გრძნობდა, რომ იმისთვისაც არ იყო მიუწვდომელი ამგვარი მომავალი და შიშით გული უწუხდებოდა. აღარ იცოდა, სად იყო, საით წასულიყო. თითქოს უცბად ამოსულმა მზემ მოასწრო ჭოტსაო, ისე იყო სათნოებისაგან დაბრმავებული.

გარკვევით მარტო ის იცოდა, რომ ის აღარ იყო, რაც დღევანდლამდე. ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა, ხედავდა, რომ ძირფესვიანად შეცვლილიყო და, რაც უნდა ცდილიყო, ვეღარ მოახერხებდა ეპისკოპოსის სიტყვისა და მადლის დავიწყებას, ან მის ზეგავლენასთან შებრძოლებას.

ასეთ სულისკვეთებაში იყო ჟან ვალჟანი, როდესაც პატარა ჟერვე ნახა და ორი ფრანკი წაართვა? ამას თვითონაც ვერ აგიხსნიდათ. იქნებ ამით დამთავრდა ის საძაგელი ზრახვანი, რომელიც კატორღამ გამოატანა, იქნებ თავისდა უნებურად უკვე გადმოანთხია შეძენილი ძალი, რომელიც თვითონვე ეჩოთირებოდა? პირდაპირ ვთქვათ: ეს ფული ჟან ვალჟანმა კი არ წაართვა, ადამიანმა კი არ მოჰპარა პატარა ბიჭს, არამედ მხეცმა, რომელმაც ინსტინქტისა და ჩვეულების გამო დაადგა ფეხი ვერცხლის ფულს. მხეცი რომ ამას სჩადიოდა, ადამიანის გონება სულ სხვაგან იყო, ახალ და უცნობ ფიქრთა და შთაბეჭდილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში გართული. როდესაც გონება ამ ბრძოლიდან გამოერკვა და მხეცის ამგვარი საქციელი ნახა, ჟან ვალჟანს შერცხვა და შემაძრწუნებელი ყვირილი მორთო.

უცნაური რამ მოუვიდა უბედურს; უცნაური, რადგან მხოლოდ ისევ სასოწარკვეთილსა და გონდაბნელებულს შეეძლო პატარა ბიჭის გაძარცვა; ჟან ვალჟანმა იმ დროს ჩაიდინა ქურდობა, როდესაც აღარ შეეძლო ქურდობა.

ასე თუ ისე, ამ საძრახისმა საქციელმა აუხილა თვალი და ნათელი მოჰფინა მის სულს, ელვასავით დაუარა ფიქრთა არეულობას, რომელიც თავბრუს ახვევდა მის გონებას, გაუნათა ბნელი. ცალმხრივ, წყვდიადი დააყენა, მეორე მხრივ, სინათლე და ისე იმოქმედა მის სულიერ არსებაზე, როგორც ქიმიური რეაქტივი მოქმედებს

ამღვრეულ ნარევზე: მღვრიეს დაწმენდს და ნარევის შემადგენელ ნაწილებს განაცალკევებს.

გაახილა თუ არა გონების თვალი, გიუივით გაუდგა პატარა ჟერვეს გზას. არც თავის ყოფას დაჰკვირვებია, არც თავის მდგომარეობას დაჰფიქრებია; მირბოდა, თითქოს მისი ხსნა მხოლოდ ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული, და ბიჭს ეძებდა, რომ ნაპარავი დაებრუნებინა. მერე, რაკი ნახა, რომ ძებნა ამაო იყო და ვეღარსად იპოვიდა, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. იმ წამს, როდესაც ამოიკვნესა, ოჰ, რა საძაგელი ვარო, - თავისი თავი დაინახა, თავისი თავი იცნო სულ ახალ ადამიანად, წინანდელი ჟან ვალჟანისაგან სრულიად განსხვავებულად იგრძნო თავი, ეგონა - ჩემს აჩრდილს ვხედავ აგერ, აქვე მჯდომს, სისხლით და ხორცით შემოსილს, უშველებელი ჯოხით, დაფხრეწილი ხალათით, ნაპარავით გამოტენილი გუდით, დაღვრემილი, მხეცური სახით, საზიზღარი, მომაკვდინებელი ფიქრებითაო. კატორღიდან მომავალი საზარელი ჟან ვალჟანი თავის აჩრდილად ეჩვენებოდა საბრალოს.

გადამეტებულ ტანჯვას მოჩვენებით აევსო ჟან ვალჟანის სული. ესეც მოჩვენება იყო. თავის თვალითა ხედავდა ამ ლანდს, კატორღელ ჟან ვალჟანს, მის წინ მდგომარეს. ისე ცხადად უდგა თვალწინ ეს საზიზიღარი ჩვენება, რომ ამ სანახავით შეძრწუნებული მზად იყო თავისი თავისთვის ეკითხა: ეს ვინ არის და რა უნდა ჩემგანო?

ისე გაეტაცა ფიქრებს მისი გონება, რომ არსებულს ვეღარ ხედავდა და ლანდი ეჩვენებოდა; რაც თვალწინ ედო, ვეღარ ამჩნევდა და თვალით ხედავდა იმ განხორციელებულ ფიქრებს, რომელიც სულს უხუთავდა.

თვალწინ წარმოუდგა, წინ გამოეჭიმა თავისი თავი. დააკვირდა და სინჯვა დაუწყო. იმავე დროს, გულის საიდუმლო სიღრმეში თავისი სინდისისაგან გამონაშუქ სინათლეს მოჰკრა თვალი. ამ სინათლემ მიიპყრო მისი ყურადღება და გულისყური. იზრდებოდა ეს სინათლე, ადამიანის მსგავსებას იძენდა და ბოლოს ეპისკოპოსად იქცა.

ორივე თვალწინ ედგამის სინდისს: ცოცხალნი, ხორცშესხმულნი - ეპისკოპოსი და ჟან ვალჟანი. გონება აღგზნებული ჰქონდა, მოჩვენებით გატაცებული და, რაც ხანი გადიოდა, უფრო მეტ სიცხადეს იძენდა მის თვალში ეს მოჩვენება, და, თითქოს არ შეუძლიათ ერთად ყოფნაო, ეპისკოპოსმა მსწრაფლ გააქრო ჟან ვალჟანი. სასწაული ნახა სწორედ საბრალომ; ეპისკოპოსი იზრდებოდა, სხივით იმოსებოდა და ჟან ვალჟანი კი მცირდებოდა, მიწას ეკვროდა და ბოლოს სულაც გაქრა.

ეპისკოპოსი იდგა მის წინ და მადლით უვსებდა სულს.

დიდი ხანი იტირა ჟან ვალჟანმა ცხარე ცრემლით, გულამოსკვნით; გამწარებული დედაკაცი ვერ იტირებს ისეთი ცრემლით და შეშინებული ბავშვი - ისეთი შიშით, როგორც ის ტიროდა.

ტიროდა და გონება ერკვეოდა, სინათლე ეფინებოდა მის სულსა და გულს, ტკბილი და მწარე სინათლე ერთსა და იმავე დროს. თვალწინ წარმოუდგა მთელი თავისი სიცოცხლე - პირველი შეცდომა, ხანგრძლივი სასჯელი, გარეგანი გამხეცება, სულიერი გასაძაგლება, კატორღიდან გამოსვლა, საზოგადოებისათვის სამაგიეროს გადახდის ტკბილი ოცნება, ეპისკოპოსის გაქურდვა, პატარა ბიჭის გაძარცვა, ორი ფრანკის გულისთვის ეპისკოპოსის შენდობის და ნათქვამის დავიწყება, - ისე წარმოუდგა ყოველივე თვალწინ, რომ თვითონვე შეძრწუნდა თავისი საქციელით და სულიერი დაცემით. გაიხსენა ყოთავისი ცხოვრება და საძაგლად ეჩვენა, დაუკვირდა თავის სულს და შემაძრწუნებლად სცნო. მაგრამ თავისდა სანუგეშოდ ახალი რაღაც

უღვიოდა გულში და სულ სხვა მომავლის იმედს უღვიძებდა. სამოთხიდან გამომავალ სინათლეზე მდგომ სატანად ეჩვენა თავისი თავი.

რამდენი ხანი იტირა ასე? რა ქნა ტირილის შემდეგ? საით წავიდა? არავინ იცის. ეს კია, რომ იმ ღამეს გრენობლიდან მომავალ ომნიბუსის მეეტლეს ნაშაუაღამევის სამ საათზე გაევლო დინის საეპისკოპოსო ტაძრის მოედანზე და ეპისკოპოსის სახლთან ვიღაც კაცი დაენახა, - შუა ქუჩაში იდგა დაჩოქილი, ეტყობოდა ლოცულობდაო.

## წიგნი მესამე
## 1817 წელს

### თავი პირველი
### 1817 წელი

1817 წელს ლუი მეთვრამეტე ერთგვარი მეფური გაბედულებით, რომელსაც არც სიამაყე აკლდა, თავისი მეფობის ოცდამეორე წელიწადს ითვლიდა. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ბრუგიერ დე სორსუმი სახელგანთქმული იყო. ქალაქს ვერსად ნახავდით, რომ ბრწყინვალებისა და მეფის ემბლემის დაბრუნების იმედით ცისფრად არ შეეღება თავისი დუქნები და შროშანა ყვავილებით არ დაემშვენებინა კედლები. ის მიამიტი დრო იყო, როდესაც უშველებელცხვირიანი გრაფი ლინჩი ყოველ კვირას გამოიჭიმებოდა ხოლმე მნათეს სკამზე საფრანგეთის პერის ტანისამოსში გამოწყობილი, წითელი ბაფთით დამშვენებული და ისე იბღინძებოდა, თითქოს დიდებული რამ ჩაედინა; დიდებული და მეფისაგან დაჯილდოებული იმისთვის იყო, რომ 1814 წლის 12 მარტს, როდესაც ბორდოს ქალაქის თავად ბრძანდებოდა, ქალაქი ჰერცოგ ანგულემს დაუთმო უფრო ადრე, ვიდრე შეიძლებოდა და ამისათვის მიიღო პერობა. 1817 წლის მოდას ხუთი-ექვსი წლის ბიჭებიც კი ვერ გადარჩენილიყვნენ. მათ ტყავის ისეთ დიდრონ ქუდებს ახურავდნენ, რომ ყურებიც კი დაფარული ჰქონდათ ესკიმოსების მიტრასავით. საფრანგეთის ჯარს თეთრი ფორმის ტანსაცმელი ეცვა, ავსტრიულად, რაზმებს ლეგიონები ერქვა და ნომრის მაგივრად საფრანგეთის ოლქების სახელს ატარებდნენ. ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე იყო და, რადგან ინგლისი არ აძლევდა მწვანე მაუდს, იძულებული გამხდარიყო გადაებრუნებინა თავისი ძველი ტანსაცმელი და ისე ჩაეცვა.

პელეგრინი მღეროდა იმ წელს, ქალბატონი ბოგოტინი ცეკვავდა, პოტიე მეფობდა, ოდრი ჯერ არსად იყო. ფორიოზო ქალბატონ საკის მიეღო მემკვიდრეობით. ჯერ კიდევ იყვნენ საფრანგეთში პრუსიელები. დიდი კაცი იყო დალალო. კანონიერება გამტკიცებულიყო, რადგან ხელები და მერე თავი მოეჭრა პლენიეს, კარბონოსა და ტოლერონისთვის. პრინცი ტალეირანი, დიდი კამერჰერი და მღვდელი ლუი, ფინანსების მინისტრი, ორი ქურუმის იერით შესცქეროდნენ ერთმანეთს: 1790 წლის 14 ივლისს ორივემ წირვა გადაიხადა ფედერაციის სადიდებლად მარსის მოედანზე. ტალეირანმა სწირა, როგორც ეპისკოპოსმა და ლუი დიაკვნად ჰყავდა.

1817 წელს კი მარსის მოედნის გარეხეივნებში უზარმაზარი ხის ცილინდრები ეყარა ცისფრად შეღებილი, მოოქრული ორბისა და ფუტკრის გახუნებული სურათებით და ბალახსა და წვიმაში ლპებოდა; ორი წლის წინ ამ ხის ცილინდრებზე იყო ამართული

მარსის მოედანზე იმპერატორის ესტრადა. ეს ცილინდრები ალაგ-ალაგ ავსტრიელების ცეცხლით იყო გარუჯული, რომლებიც გრო-კაიუსის ახლოს ბრძანდებოდნენ თავიანთ ბანაკში. ორი თუ სამი ცალი აკლდა ამ ცილინდრებს, - ავსტრიელებს აენთოთ ცეცხლი და ტლანქ ხელებს ითბობდნენ. მაისის აღლუმი იმ წელს იმით იყო აღსანიშნავი, რომ ივნისში დანიშნეს და თანაც მარსის მოედანზე.

იმ წელს, 1817-ში, ორი რამ იყო მეტად სახელგანთქმული: ვოლტერული სავარძლები და სიგელიანი სათუთუნეები. დდოტენის ავკაცობის მეტი აღარაფერი ახსოვდათ პარიზელებს: თავისი ძმა მოეკლა და იმისი თავი ყვავილების ბაზრის აუზში ჩაეგდო. საზღვაო სამინისტროში გამოძიებას შეუდგნენ გემ „მედუზას“ დაღუპვის გამოსარკვევად, რამაც თავლაფი დაასხა შომარეს და სახელი გაუთქვა ჟერიკოს. პოლკოვნიკი სელვი ეგვიპტეში გადავიდა, რომ იქ სელიმან-ფაშა გამხდარიყო. ტერმის სასახლეში, ლა ჰარპის ქუჩაზე კასრების სავაჭრო გაემართათ. რვაკუთხოვან კლუნის ციხის ბანზე ჯერ კიდევ ჩანდა ფიცრული ხუხულა, რომელიც ობსერვატორიად ჰქონდა მესიეს - ლუი მეთექვსმეტის საზღვაო ასტრონომს. ჰერცოგის მეუღლე დიურა ცისფერი სატინით მორთულ ოთახში სამ-ოთხ მეგობარს თავის დაუბეჭდავ რომან „ურიკას“ უკითხავდა. ლუვრში ყველგან ჩამოფხიკეს ასო N. აუსტერლიცის ხიდს სახელად „მეფის ბაღის“ ხიდი დაარქვეს, რომელშიც იგულისხმებოდა აუსტერლიცის ხიდიცა და ბოტანიკური ბაღიც. ლუი მეთვრამეტე ჰორაციუსს კითხულობდა, ფერჩხილით ნიშნავდა გმირებს, რომლებიც ხელმწიფედ გახდნენ და ხარაზებს, რომლებიც ბატონიშვილებად იქცნენ. ერთის მაგივრად ორი რამ ჰქონდა საზრუნავი - ნაპოლეონი და მატურენ ბრუნო. საფრანგეთის აკადემია ჯილდოს აცხადებდა, ვინც საუკეთესოდ დაამუშავებდა თემას - „რა ნეტარებას გვანიჭებს სწავლა“.

ბატონი ბელარი მთავრობის მიერ მჭევრმეტყველად იყო გამოცხადებული და იმის ჩრდილში მწიფდებოდა სახელოვანი, შემდეგში ვექილი დე ბროე, რომელიც პოლ-ლუი-კურიეს მწარე დაცინვის საგანი უნდა გამხდარიყო. ერთი ცრუ შატობრიანი იყო მაშინ, სახელად მარშანჟი, და მას უნდა მოჰყოლოდა ერთი ცრუ მარშანჟი, სახელად არლანკური. „კლარა ალბია“ და „მარეკ ადელი“ მწერლობის შედევრებად ითვლებოდა; ქალბატონი კოტენი იმ დროის საუკეთესო მწერლად იყო გამოცხადებული. აკადემიამ თავის წევრთა რიცხვიდან ამოშალა აკადემიკოსი ნაპოლეონ ბონაპარტი. მეფის ბრძანებით ააშენეს ანგულემში საზღვაოსნო სასწავლებელი, რადგან ჰერცოგი ანგულემელი მთავარი ადმირალი იყო და, მაშასადამე, ქალაქი ანგულემიც უფლებამოსილი იყო ჰქონოდა ყოველი ღირსება დიდი ნავსადგურისა, თუკი სადმე სამართალი იყო და ნამდვილი ხელმწიფობა. მინისტრების კრებაზე კამათობდნენ დიდი საკითხის გადასაჭრელად - დასაშვებია თუ არა ფრანკონის აფიშებზე დახატული ჯამბაზების ყირამალა ხტომა, რადგან ამ აფიშებთან გროვდებოდნენ ქუჩის ბიჭები. „აგნეზის“ ავტორი, ლოყაზე მეჭეჭი რომ ჰქონდა, გულკეთილი ბატონი პაერი, მარკიზა დე სასენეს კონცერტებს დირიჟორობდა, რომლებსაც ქალბატონი მეგობრებისათვის მართავდა თავის სახლში... ყმაწვილი ქალები სულ „წმ. აველ-განდეგილს“ მღეროდნენ ედმონ ჟეროს სიტყვებით. გაზეთი „ყვითელი ჯუჯა“ „სარკედ“ გადაიქცა. კაფე ლანბლენი ნაპოლეონის მხარეზე იყო, კაფე ვალუა - ბურბუნების მხარეზე. სიცილიის დედოფალს შერთეს დუკა დე ბერი, რომელსაც უკვე ელოდებოდა ჯალათი ლუველი. ერთი წელიწადი იყო, რაც მიიცვალა მადამ დე სტალი. გვარდიელებმა სტვენით

დააჯილდოვეს სახელოვანი მსახიობი ქალი მარსი. დიდი გაზეთები დაკნინებულიყვნენ - ოდენობა შეზღუდული იყო და თავისუფლება კი არა. გაზეთი „კონსტიტუციონერი“ კონსტიტუციური იყო. „მინერვა“ Chateaubriand-ის მაგივრად Chateaubriant-ს წერდა. ამ ასოს გამო ბურჟუაზია ძალიან დასცინოდა მწერალს.

არსებულ გაზეთებში ფულისთვის მჯღაბნელი მწერლები შეურაცხყოფით იხსენიებდნენ 1815 წელს დასჯილთ და განდევნილთ. მხატვარ დავიდს ნიჭი გამოლეოდა, არნოს - ჭკუა, კარნოს - პატიოსნება. გენერალ სულთს არც ერთ ბრძოლაში არ გაემარჯვა. მართალია ისიც, რომ ნაპოლეონს დაჰკარგვოდა გენია. ყველამ იცის, განდევნილთან გაგზავნილი წერილი ფოსტას ათასში ერთხელაც არ მიაქვს დანიშნულებისამებრ, და მაშინაც პოლიციას აუცილებელ წმინდა მოვალეობად მიაჩნდა ამ წერილების ხელში ჩაგდება. აქ ახალი არაფერია; ჯერ ისევ განდევნილი დეკარტი ჩიოდა ამას. დავიდმა რომ გამოაცხადა ერთ ბელგიურ გაზეთში თავისი უკმაყოფილება, - წერილები არ მომდისო, - მეფის მომხრე გაზეთებს სასაცილოდ არ ეყოთ ეს ამბავი და მასხრად აიგდეს სახელოვანი მხატვარი. ჩხუბი იყო, როგორა ვთქვათო: - მეფის მკვლელები თუ კენჭის მყრელები? მტრედები თუ მოკავშირენი? ნაპოლეონი თუ ბონაპარტი? ჩხუბობდნენ და საუკუნოდ შორდებოდნენ ერთმანეთს. ვისაც კი ცოტა ჭკუა გააჩნდა, ორმხრივ გაიძახოდა: „რევოლუციას საუკუნოდ ანდერძი აუგო მეფე ლუი მეთვრამეტემ, ქარტიის უკვდავმა ავტორმაო“. ახალხიდის მოედანზე ანრი მეოთხისათვის დამზადებულ კვარცხლბეკზე მსხვილად გამოაქანდაკეს სიტყვა „აღსდგა“ - „

Redivivus

“; პიე, რომელიც ცხოვრობდა ტერეზის ქ. #4-ში, ამზადებდა კრებებს მონარქიის გასამაგრებლად. მემარჯვენე ჯგუფის მოთავენი, როგორც კი გაუჭირდებოდათ რამე, მაშინვე იტყოდნენ, - მოდით, ბაკოს მივწეროთო. ბ. ბ. კანუელი, ო-მაონი და დე-შაპდელენი მეფის ძმის დახმარებით ამზადებდნენ შემდეგში ეგრეთ წოდებულ „ზღვის პირის შეთქმულებას“. თავის მხრივ, „შავი ქინძისთავიც“ შეთქმულების ცდაში იყო. დელავერდერი დაუკავშირდა ტროგოფს. დეკაზი ლიბერალობდა ზომიერად და მით ბატონობდა. შატობრიანი ყოველ დილას ფანჯარასთან იდგა სენ-დომინიკის ქ. #27-ში პაიჭებიანი შარვლით და ფლოსტებით, აბრეშუმის თავსახვევი ჭაღარა თმაზე წაეკრა, თვალით სარკეს შეჰყურებდა, წინ კბილის ექიმის ხელსაწყოებით სავსე ყუთი ედო, იწმენდდა თავის მშვენიერ კბილებს და თან პილორჟს, თავის მდივანს, კარნახობდა თხზულებას „ქარტიასთან შეთანხმებული მონარქიები“. გავლენიანი კრიტიკა ლაფონს უფრო ნიჭიერად თვლიდა, ვიდრე ტალმას. ფელეცი თავის ნაწერებს აწერდა ა-ს, ჰოფმანი - ძ-ს, შარლ ნოდიე წერდა „ტერეზა ობერს“. ცოლ-ქმრის გაყრა გაუქმებული იყო. საშუალო სასწავლებელს ლიცეუმის მაგივრად კოლეჯი დაარქვეს. კოლეჯის მოწაფეებს საყელოზე ოქრომკედით ნაქარგი შროშანის ყვავილი ჰქონდათ და თავი მოსწონდათ. სასახლის საიდუმლო პოლიცია დედოფალს ატყობინებდა, ყველგან გამოფენილია ჰერცოგ ორლეანის სურათი, რომელიც ჰუსარების ფორმის ტანსაცმელში უფრო მოხდენილი იყო, ვიდრე ჰერცოგი დე-ბერი დრაგუნების ფორმის ტანსაცმელშიო; საშინელი უხამსობა! პარიზმა თავისი ხარჯით მოავარაყებინა ინვალიდების სახლის გუმბათი. დარბაისელი კაცები ეკითხებოდნენ თავის თავს - როგორ მოიქცევა ამა თუ იმ შემთხვევაში ბატონი დე კრენკელაგიო. ბატონი კლოზელ დე მონტალი ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდა ბატონ კლოზელ დე

კუსერგს. კმაყოფილი არ იყო ბატონი სალაბერი. კომედიების ავტორი პიკარი წევრი იყო აკადემიისა, რომლის წევრობა ვერ ეღირსა მოლიერს, და თამაშობდა „ორ ფილიბერს“ ოდეონის თეატრში, რომლის კედელზე ჯერაც წაიკითხებოდა ჩამოფხეკილი „თეატრი იმპერატორის მეუღლისა“. ზოგი კუნიე დე მონტარდოს მომხრე იყო, ზოგი - მისი წინააღმდეგი. ფაბვიე აჯანყების მომხრე იყო, ბავუ - რევოლუციონერი; თავისუფლად მოაზროვნე პელისიემ გამოსცა ვოლტერის წიგნი, სათაურით „თხზულებანი ვოლტერისა, საფრანგეთის აკადემიის წევრისა“, - მყიდველებს გამიმრავლებსო, იძახდა გულუბრყვილოდ გამომცემელი. საზოგადო აზრი იყო, რომ შარლ ლუაზონი ამ საუკუნის გენიოსი გახდებოდა; შური ჰკბენდა უკვე - უტყუარი ნიშანი დიდებისა და იგი ამ ლექსით შეამკეს:

შტერი ლუაზონი, სულელი კაცი,
რომ ჰკითხოთ, თავის თავს შეადრის არწივს.
არწივად ვინა სცნო ბაცანად გაზრდილი,
ფეხებზე ეტყობა, ბატია ნამდვილი.

კარდინალი ფეში არ გადიოდა სამსახურიდან; ბატონი დე პენი, ამაზიელი ეპისკოპოსი განაგებდა ლიონის სამწყსოს. დაპის მინდვრის გამო დავა ატყდა საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის. კაპიტანმა დეფურამ ატეხა ეს საქმე, შემდეგში რომ გენერლობა მიიღო. სენ-სიმონი, რომელსაც არავინ იცნობდა, წყობისად ალაგებდა თავის დიდებულ ოცნებას. მეცნიერების აკადემიაში წევრად იყო ერთი სახელოვანი ფურიე, რომელიც დიდი ხანია დავიწყებულია, სადღაც სხვენზე კი ერთი უჩინარი ფურიე მიყუჟულა, რომელსაც დიდებით მოიხსენიებს მომავალი. ლორდ ბაირონის სხივი ეფინებოდა ქვეყანას და მილვუას პოემის ერთი შენიშვნა ამ სიტყვით აცნობდა მას საფრანგეთს: - გამოჩნდა ვიღაც ლორდი ბაირონი. დავიდ დ'ანჟე იწყებდა მარმარილოს თლას გამოსაქანდაკებლად. მღვდელი კარონი სემინარიელების წრეში, ფელიანტინის ქუჩაბანდებში ძალიან აქებდა ერთ უცნობ მღვდელს, ფელისიტე რობერს, რომელიც შემდეგში ლამენე გახდა. მდინარე სენაზე რაღაც იძვროდა ქშუილით, თითქოს ძაღლი ცურავს და მწარედ ქშინავსო, მიდი-მოდიოდა ტიუილრის ფანჯრებქვეშ მეფის ხიდიდან ლუი მეთოთხმეტის ხიდამდე: რაღაც „მექანიკა“ იყო, დიდი არაფერი, სათამაშოს მსგავსი, უტვინო გამომგონებლის ოცნება, უტოპია - ორთქლით მავალი გემი. პარიზელები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ უსარგებლო სათამაშოს. ბატონი დე ვობლანი, რომელმაც მართებლობის შეცვლით, ბრძანებებითა და შემწეობით გარდაქმნა ინსტიტუტის ხუთივე აკადემიური განყოფილება და მრავალი თავისიანი შეიყვანა აკადემიის წევრად, თვითონ ვერ ეღირსა ამ წოდებას. სენ-ჟერმენის უბანს პოლიციის უფროსად დელავო უნდოდა, რადგან ღვთისმოსავი კაცი იყო. დუპუიტრენი და რეკამიე სამედიცინო ინსტიტუტის ტალანში ჩხუბობდნენ და მუშტით იწევდნენ ერთმანეთზე იესო ქრისტეს ღვთაებრიობის გამო. კუვიეს ერთი თვალი დაბადებაზე ჰქონდა, მეორე - ბუნებაზე, ცდილობდა ფარისეველი რეაქციონერების გული მოეგო, ამიტომ ცხოველების ამონათხარ ნაშთს დაბადების სიტყვას უთანხმებდა და მოსეს მასტოდონტებით ადიდებდა. ბატონი ფრანსუა დე ნეფშატო, თაყვანისმცემელი სახელისა „პარმანტიერ“, ათასგვარ საშუალებას ხმარობდა, რომ კარტოფილის სახელი „პომდეტერ“ „პარმანტოფელად“ გამოეთქმევინებინა, მაგრამ ამაოდ ჩაუარა შრომამ. აბატი გრეგუარი, ყოფილი ეპისკოპოსი, ყოფილი კონვენტელი, ყოფილი

სენატორი, მეფის მომხრეების პოლემიკაში „შერცხვენილ გრეგუარად“ იქნა ხელახლა მონათლული. ეს გამოთქმა, რომელიც ჩვენ ახლა ვიხმარეთ, - „ხელახლა მონათვლა“, - ბატონ რუაიე-კოლარის მიერ ნეოლოგიზმად იქნა აღიარებული. იენის ხიდის მესამე თაღის ძირში ჯერ კიდევ გამოირჩეოდა თავისი სითეთრით ერთი ახალი ქვა, რომლითაც ორი წლის წინათ დაფარეს ბლუხერის მიერ ხიდის ასაფეთქებლად ჩათხრილი ხვრელი. სამართალში მისცეს ერთი კაცი, რომელმაც ღვთისმშობლის ეკლესიაში შემავალი გრაფი დ’არტუა დაინახა და ხმამაღლა დაიძახა: - სადღაა ის დრო, როდესაც ბონაპარტი და ტალმა ხელიხელ გაყრილნი შედიოდნენ ხოლმე „ნადირთ მეჯლისშიო?“ აჯანყების სუნი უდიოდა ამ სიტყვას და მთქმელს ექვსი თვის პატიმრობა მიუსაჯეს. დასამალი აღარაფერი ჰქონდათ მოღალატეებს. ბრძოლის წინა დღეს მტერთან გადაპარული ვაუბატონები აღარ მალავდნენ მიღებულ ჯილდოს და ურცხვად დადიოდნენ სიმდიდრისა და დიდებულების ცინიზმით გაამაყებულნი. ლინიდან და კატრ-ბრადან გამოპარული დეზერტირები, რომელთაც ოქროში გაეცვალათ პატიოსნება, საქვეყნოდ გაიძახოდნენ, მონარქიის გულწრფელი მომხრენი ვართო, და ავიწყდებოდათ ერთი სიტყვა, ინგლისში სახალხო ფეხისალაგის შიდა კედელზე რომ წერია:

Please, adjust your dress before leaving

.

აი, გაკვრით, ასეთი იყო 1817 წელი, დღეს დავიწყებული.

ისტორია თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ წვრილმანებს და სხვაგვარად ვერც იზამს, რადგან მათ უსაზღვრო ეფარება ზედ. მაგრამ ეს დეტალები, რომელსაც უსაფუძვლოდ თვლიან წვრილმანებად, - კაცობრიობაში არაფერია პატარა, როგორც მცენარეთა სამყაროში პატარა არ ეთქმის ფოთოლს, - სასარგებლო დეტალებია. წლების აღწერიდან შედგება სურათი საუკუნისა.

ამ 1817 წელს ერთი „სასეირო საქმე“ ჩაიდინა ოთხმა პარიზელმა ყმაწვილმა კაცმა.

## თავი მეორე
## ოთხი და ოთხი

ეს პარიზელები ერთი ტულუზელი იყო, მეორე - ლიმოჟელი, მესამე - კაორელი, მეოთხე - მონტობანელი; მაგრამ სტუდენტები იყვნენ ოთხივენი და, რომ იტყვიან, სტუდენტიაო, ეგ იმას ნიშნავს, რომ პარიზელზე ლაპარაკობენ: ვითომც ვინც პარიზში სწავლობს, პარიზში დაბადებულა.

უმნიშვნელონი იყვნენ ეს ყმაწვილი კაცები. ყყველას ეყოლება ნანახი იმათნაირი, ოთხი სხვადასხვა ნიმუში მოსწავლე ყმაწვილკაცობისა: არც კარგი, არც ავი; არც სწავლული, არც უვიცი; არც გენიოსი, არც ბრიყვი, მაგრამ ოთხივე ყმაწვილები იყვნენ, მათ ისე ამკობდათ ოცი წლის ასაკის სილამაზე, როგორც გაზაფხულს - მაისი. ეს იყო ოთხი ოსკარი, რადგან იმ დროს ჯერ არტურები არ არსებობდნენ. „არაბული გუნდრუკი უკმიეთ, ოსკარი მოდის, ოსკარსა ვნახავ“, - ამბობდა ერთი სიმღერა. ოსიანის გავლენა მეფობდა, სალუქობა სკანდინავიური იყო და კოლედონიური; ნამდვილი ინგლისური გემოვნება შემდეგში გახდა მისაბაძი და პირველმა არტურთაგანმა, ველინგტონმა, ის იყო, ძლივძლივობით გაიმარჯვა ვატერლოოს ბრძოლაში.

ამ ოთხ ოსკარს - ტულუზელს ფელიქს ტოლომიესი ერქვა, კაორელს - ლისტოლიე, ლიმოჟელს - ფამეილი, მონტობანელს - ბლაშველი. ოთხივეს, რასაკვირველია, საყვარლები ჰყავდა: ბლაშველს ფავორიტი უყვარდა; ფავორიტს იმიტომ ეძახდნენ, რომ ინგლისში ყოფილიყო; ლისტოლიეს - დალია; ფამეილს - ზეფინი, შემოკლებული ჟოზეფინი; ტოლომიესს - ფანტინი. ფავორიტი, დალია, ზეფინი და ფანტინი, ოთხივე, ახლად გაშლილი მაისის ვარდივით მშვენიერნი, მკერავები იყვნენ და ჯერ ისევ ეტყობოდათ თავიანთი საქმიანობა. სიყვარულს გაეტაცათ, ნემსი და სათითე სულ არ მიეტოვებინათ, მაგრამ ჯერ არ დაჰკარგვოდათ ის სულის სიმშვიდე და თავისი თავით კმაყოფილება, რომელიც საკუთარი შრომით მცხოვრებ ქალებს ამჩნევიათ და რომელიც პირველი დაცემის შემდეგ კარგა ხანს შერჩება ხოლმე ქალს. ოთხში ერთს პატარას ეძახდნენ, რადგან ყველაზე უმცროსი იყო და ერთს - მოხუცს. უფროსი ოცდასამი წლისა იქნებოდა, თუმცა აუმცროსები უფრო გამოცდილები ჩანდნენ პარიზულ ცხოვრებაში და სიყვარულში, ვიდრე ფანტინი, ოქროსქოჩრიანად წოდებული, რადგან მზესავით ოქროსფერი თმა ამშვენებდა. ფანტინის ცხოვრებაში პირველი იყო ეს სიყვარული.

დალია, ზეფინი და მეტადრე ფავორიტი ამას ვერ დაიკვეხნიდნენ. იმათი რომანები უკვე მრავალი თავისაგან შედგებოდა და გმირი ამ რომანებისა, საყვარელი, პირველ თავში ადოლფად იწოდებოდა, მეორეში - ალფონსად, მესამეში - გუსტავად. სიღარიბე და კეკლუცობა ხომ ცუდი მრჩევლებია. სიღარიბე ბუზღუნებს, კეკლუცობა ნანატრს შესძენს და საწყალი ხალხის ლამაზ ქალებს ხომ ერთიც საკმაოდა აქვთ და მეორეც. დღედაღამ განუწყვეტლივ თავისას ჩასძახიან ყურში სიღარიბე და კეკლუცობა. ისინიც, ცხოვრების უვიცნი, ხარბად ისმენენ ამ ტკბილ ჩურჩულს, ამას მოჰყვება მათი დაცემა და საზოგადოებაც ჩააქვავებს. უცოდველნი და უბიწონი უნდა იყოთო, ეუბნებიან. იუნგფრაუც ვერ შეიკავებდა თავს, რომ მოშივებოდა.

ფავორიტი ინგლისში ნამყოფი იყო და თაყვანსაცემლად გამხდარიყო ზეფინისა და დალიასთვის. კარგა ხანი იქნებოდა, რაც თავისუფლად ცხოვრობდა და საკუთარი ბინა ჰქონდა. ამ ქალის მამა ერთი ბებერი მათემატიკის მასწავლებელი იყო, უხეში, ცრუ და მკვეხარა. მიუხედავად წლოვანებისა, კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა. ერთხელ სიყმაწვილეში ვიღაც მოახლეს კაბა გამოედო ბუხრის რიკულისათვის და ფეხი გამოსჩენოდა. ეს მათემატიკის მასწავლებელს დაენახა და გაგიჟებულიყო ამ ფეხისთვის. ამ გაგიჟების ნაყოფი გახლდათ ფავორიტი.

ფავორიტი ხშირად ხვდებოდა ხოლმე თავის მამას, რომელიც ზრდილობიანად აძლევდა სალამს. ერთ დილას ვიღაც ბებერი დედაკაცი მივიდა ფავორიტთან და გაკვირვებით შესძახა: - ნუთუ არ მიცნობ, ქალო? - არა, არა, ქალბატონო.

- დედა ვარ შენი, მშობელი დედა.

განჯინა გააღო ბებერმა, სვა და ჭამა. ერთადერთი ლეიბი ყოფილიყო იმის ავლადიდება, ისიც მოატანინა და დარჩა თავის ქალიშვილთან. სულ ღვთის ხსენებაში ბრძანდებოდა ეს დედა, სულ რაღაცას ღრინავდა, ფავორიტს ხმას არ სცემდა, ხშირად გაბუტული იყო მთელ დღეს, ოთხი კაცის ოდენს ჭამდა, უფრო მეტსა სვამდა, მეკარესთან ჩადიოდა და იქ თავის ქალს ლანძღავდა.

დალია ლისტოლიემ - და ლისტოლიემდე იქნება კიდევ სხვამაც - იმიტომ შეიყვარა, რომ საკვირველი თითები ჰქონდა, ვარდისფერი ფრჩხილებით შემკული.

ამისთანა კოხტა ხელებს ნემსით გაიფუჭებენ? თუ ქალს ნამუსიანად ყოფნა უნდა, ხელების სილამაზეს ყურადღება არ უნდა მიაქციოს.

რაც შეეხება ზეფვინს, სულ ორი სიტყვით გააბა მახეში ფამეილი: იმისთანა ალერსით და თან ცბიერად ეტყოდა ხოლმე - „დიახ, ბატონორო“, რომ სტუდენტს მეტიც აღარ უნდოდა.

ყმაწვილები ამხანაგები იყვნენ და ქალებიც დამეგობრდნენ ერთმანეთთან. ამგვარ სიყვარულს ყოველთვის თან ახლავს ეს მეგობრობა.

ბრძენი სხვაა და ფილოსოფოსი - სხვა. ეს იმით მტკიცდება, რომ - ნუ შევეხებით ამ უწესურ შეუღლებას, - ფავორიტი, ზეფვინი და დალია ფილოსოფოსი ქალები იყვნენ, ფანტინი კი - ბრძენი.

ბრძენიო? - გაიკვირვებენ. მერე ტოლომიესი უყვარდაო? ამის პასუხად სოლომონ ბრძენი იმას გეტყოდათ, რომ სიყვარული ნაწილი არის სიბრძნისა: ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ ფანტინს ჯერ არავინ ჰყვარებოდა. ეს პირველი სიყვარული იყო და სალოცავად გაეხადა თავისი საყვარელი.

აამ ოთხში მარტო ფანტინი იყო, რომ ერთის მეტს „შენობით“ არავის მიუმართავს მისთვის.

ფანტინი ხალხის შვილი იყო და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ხალხის ნაძირალას შვილი. საზოგადოების უმდაბლეს წრეში დაბადებულიყო და შუბლზე უცნობის და უსახელოს ნიშანი აჯდა. მმონრეილში დაბადებულიყო, მაგრამ ვინ იყო იმისი დედ-მამა? - ვინ იცის? ფანტინისას არც მამას იცნობდა ვინმე, არც დედას. ფანტინს ეძახდნენ. რატომ? - არავინ იცის. ფანტინის დაბადების დროს რევოლუციური წესრიგი იყო საფრანგეთში. გვარს უარყოფდნენ და ფანტინსაც არა ჰქონდა გვარი. ეკლესიას უარყოფდნენ და ფანტინსაც არა ჰქონდა ნათლობის სახელი. ქუჩაში დაცოცავდა პატარა ტიტველი გოგო და ვიღაცამ ფანტინი უწოდა. შერჩა და შერჩა ეს სახელი - პატარა ფანტინი. ათი წლისა რომ გახდა, მოახლედ დაუდგა ერთ მემამულეს; თხუთმეტისა პარიზს ჩავიდა „ბედის საძებნელად“. ლამაზი ქალი იყო და დიდი ხანი დარჩა უმანკოდ, იმდენი ხანი, რამდენიც შეძლო. მზითევი დიდი ჰქონდა - ოქრო და მარგალიტი, ოღონდ ოქრო მსხვილ ნაწნავებად ეყარა ბეჭებზე, მარგალიტი კი ბაგეს უმშვენებდა.

საცხოვრებლად შრომა დაიწყო, მერე - ისევ საცხოვრებლად, რადგან გულსაც უნდოდა, - სიყვარულს მისცა თავი.

ტოლომიესი შეიყვარა.

ტოლომიესი დროის გატარებას ცდილობდა, ფანტინს კი გაგიჟებით უყვარდა. ლათინური უბნის ქუჩებს, სადაც ფუტკარივით ირევიან სტუდენტები და ცუდი ყოფაქცევის ქალები, ხშირად უნახავს დასაწყისი და დასასრული ამგვარი ტკბილი გატაცებისა. ფანტინი ერიდებოდა ტოლომიესს, გაურბოდა, მაგრამ ისე, რომ ზუსტად წინ შეხვდებოდა ხოლმე. ერთნაირი მორიდება ძალიან ჰგავს ძებნას. რაღა გავაგრძელოთ, სიყვარულმა თავისი გაიტანა.

ბლაშველი, ლისტოლიე და ფამეილი პატარა წრეს შეადგენდნენ, რომლის თავიც ტოლომიესი იყო. ტოლომიესი იყო სულისჩამდგმელი ამ წრისა.

ტოლომიესი დიდი ხნის „ბებერი“ სტუდენტი გახლდათ. იმდენი ფული მოსდიოდა შინიდან, - ოთხი ათასი ფრანკი ჰქონდა, - რომ ღარიბ-ღატაკ სტუდენტთა შორის სწორედ სამარცხვინო ჩანდა მისი სიმდიდრე. ოცდაათი წლისა იყო, ქეიფს და

დროსტარებას ძალიან მისდევდა და კვალიც დასჩენოდა ამგვარი ცხოვრებისა: სახე დაღმეჭოდა, კბილები ჩასცვივნოდა, თმა გასთხელებოდა. ამას თვითონაც ხედავდა და გულიანად იცინოდა, - ოცდაათი წლისას თავი მომეტვლიპა, ორმოცისას მუხლი მომეკვეთებაო. კუჭი წამხდარი ჰქონდა, ვეღარაფერს ინელებდა და ცალი თვალი ეცრემლებოდა. მაგრამ სიყმაწვილის წილ სიმხიარულე ახლდა და რამდენადაც პირველი ეკარგებოდა, იმდენად მეორე ემატებოდა. წამხდარ კბილს ოხუნჯობა უმალავდა, მოტიტვლებულ თავს - სიხარული, შერყეულ სიჭაბუკეს - სიმახვილე ენისა და მტირალ თვალს - სიცილით სავსე თვალი. მოშლილი იყო, რომ დაჰკვირვებოდა ვინმე, მაგრამ მაინც ყვაოდა. დაძაბუნებული იყო, მაგრამ იმისთანა ირონიით და დაცინვით ამკობდა თავის გაპარულ სიყმაწვილეს, თითქოს თავის თავს კი არა, სხვას იგდებს მასხრადო. ერთი პიესა წარედგინა ვოდევილის თეატრში, მაგრამ დაეწუნებინათ. ლექსებს წერდა; გარდა ამისა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა და მით უფრო ძლიერად ეჩვენებოდა თავისზე სუსტებს (არაფერი სწამდა. ეჭვის თვალით უყურებდა სუყველაფერს და ესეც ხომ ღირსებაა, რადგან ძლიერებად მიაჩნიათ სუსტებსა და გაუბედავებს). ერთი სიტყვით, ირონიით იყო სავსე იმისი მოტიტვლებული თავი და მეთაურად გახდომოდა პატარა წრეს. „

Ірон

“ - „ირონ“ ინგლისური სიტყვაა და რკინას ნიშნავს. იქნებ ამ სიტყვიდან მომდინარეობდეს ირონიაც.

ერთხელ ცალკე გაიხმო ტოლომიესმა სამივე თავისი ამხანაგი და უთხრა: - აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ფანტინს, ზეფინს და ფავორიტს საჩუქარს დავპირდით. მოსვენებას აღარ გვაძლევენ, მეტადრე ფანტინი. სულ იმას გაიძახიან, დაპირებას ასრულებაც უნდაო. როგორც ნეაპოლში მისდგებიან ხოლმე ბებერი დედაკაცები წმინდა იანვარს და უყვირიან, ფერმკრთალო იანვარო, ჰქმენ სასწაულიო, - ისე ჩვენი ლამაზმანები მე ჩამაცივდნენ, - ტოლომეის, როდისა შობ შენს საჩუქარსაო? შინიდან კიდევ მოსვენებას აღარ გვაძლევენ და წერილი წერილზე მოგვდის. ორ ცეცხლშუა ვიწვით, თუ დამეთანხმებით. მე მგონია, რომ დროა ბოლო მოვუღოთ ამ ყოფას. მოდით, მოვილაპარაკოთ.

ტოლომიესმა რაღაც წასჩურჩულა ამხანაგებს, იმისთანა სასაცილო, რომ ოთხივემ ხარხარი დაიწყო და ბლაშველმა შეჰყვირა, - დიდებული აზრიაო.

პატარა ყავახანა დაინახეს, კვამლით სავსე, ოთხივენი შიგ შევიდნენ და იქ განაგრძეს ბაასი.

ამ მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ კვირას დილითვე საქეიფოდ გაემგზავრნენ ჩვენი სტუდენტები და ქალებიც თან წაიყვანეს.

## თავი მესამე
## ოთხი წყვილი

დღეს ვერც კი წარმოიდგენს ვინმე, სად ატარებდნენ დროს ამ ორმოცდახუთი წლის წინ პარიზელი სტუდენტები და გრიზეტები. პარიზის გარეუბნები ის აღარ არის, რაც იყო. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთიანად შეიცვალა: სადაც უწინ გუგულის ძახილი ისმოდა, დღეს ვაგონი იძვრის; სადაც პატარა ნავი ცურავდა, დღეს

გემები მისრიალებს. 1862 წელს პარიზის გარეუბანს მთელი საფრანგეთი წარმოადგენდა.

ქალაქგარეთ გავიდნენ ჩვენი მოსეირნენი და ძალიან მხიარულად გაატარეს დრო. სწავლა დამთავრებული იყო, მშვენიერი თბილი ზაფხულის დღე იდგა. წერა მარტო ფავორიტმა იცოდა და წინა ღამეს წერილი მიეწერა ოთხივეს სახელით ტოლომიესისთვის: „თუ გნებავთ მართლა გვასიამოვნოთ, ძალიან ადრე წავიდეთო“. ხუთ საათზე უკვე ფეხზე იყვნენ და ეტლით გასწიეს სენ-კლუში. გამშრალი შადრევნები ნახეს. მართლა მშვენიერი სანახავი იქნებოდა, წყალი რომ ყოფილიყოო, - თქვეს. „შავთავის“ სასტუმროში ისაუზმეს, ტბასთან ისეირნეს, სევრში იყვნენ, ყვავილები დაკრიფეს და თაიგულები გაიკეთეს, სალამურები იყიდეს, ვაშლის ქადას შეექცნენ. დიდად ბედნიერნი იყვნენ.

ქალები გალიიდან გამოშვებული შაშვებივით ჭიკჭიკებდნენ, იცინოდნენ, ლაღობდნენ, ჭაბუკებს ეხუმრებოდნენ, თითქოს სიყმაწვილით და დილის ნიავით დამთვრალანო. ოჰ, რა ტკბილი რამ არის სიყმაწვილე! ვინც უნდა იყო, ჩემო მკითხველო, არ გაგონდება განა სიცოცხლის გაზაფხული, არ აგიწევია განა ბუჩქნარის ტოტი, უკან მომავალ კეკლუცს არ მოხვდესო? არ დაცურებულხარ განა მწვანე ხავერდით მოსილ ნამიან დაღმართზე ლამაზ ქალთან მკლავგაყრილი? არ გაგონდება განა ქალის შეკივლება, - ახალი ფეხსაცმელები დამისველდა, გადასაგდები გამიხდებაო?

ისღა აკლდა ჩვენს მოსეირნეთა სრულ ნეტარებას, რომ ერთი კარგი შხაპუნა წვიმა წამოსულიყო და კარგად დაესველებინა. მართალია, ფავორიტმა დილითვე ბრძანა მეცნიერებით აღსავსე კილოთი, - ლოკოკინა ვნახე გზაზე, უთუოდ გაავდარდებაო, მაგრამ არ გაუმართლდა წინასწარმეტყველება.

ოთხივენი მეტისმეტად ლამაზები იყვნენ. ერთი მოხუცებული, იმ დროს განთქმული პოეტი, ლაბუისი დასეირნობდა იმ დილას სენ-კლუში და მიმავალნი რომ დაინახა, ხორცშესხმული მუზები ეგონა და, - ერთი მეტიაო, - დაიძახა („სამ გრაციას“ გულისხმობდა). ფავორიტი, ბლაშველის მეგობარი, წინ მიცქრიალებდა, ტყის ფერიასავით მეთაურობდა ყველას, მხიარული კისკისით და ხმაურით ავსებდა ტყეს.

ზეფირი და დალია მეგობრობისა და უფრო კეკლუცობისა გამო ერთმანეთს არ შორდებოდნენ; იცოდნენ, რომ თავიანთი სილამაზით ერთმანეთს ავსებდნენ და ამშვენებდნენ. ლისტოლიე და ფამეილი თავიანთ მომავალზე ლაპარაკობდნენ და ცდილობდნენ აეხსნათ ფანტინისთვის, რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან დელვენკური და ბლონდო.

ბლაშველს ფავორიტის შალი გადაეგდო მკლავზე და ისე მიდიოდა, თითქოს მხოლოდ ამისთვის იყო გაჩენილი.

ტოლომიესი უკან მისდევდათ, ძალიან მხიარულად იყო. თუმცა ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ მოთავე და გამგე ის ბრძანდებოდა და მხიარულებაშიც კი დიქტატორობა ემჩნეოდა. ძალიან მორთული იყო. ახალი ნაშურის შარვალი ეცვა სპილოსძვლისფერი, სპილენძის მავთულის პაჭანიკებიანი, ორასფრანკიანი ინდური ლერწმის ჯოხი ეჭირა ხელში და რადგან შეძლება ჰქონდა და არაფერს იკლებდა, რაღაც ედო პირში უცნაური, სიგარად წოდებული. წმინდა არა გააჩნდა რა და თამბაქოს სწევდა. „რა შესანიშნავი ადამიანია ეს ტოლომიესი, - ამბობდნენ მასზე პატივისცემით, - რა შარვალი აცვია, რა ენერგიის პატრონია!“

რაც შეეხება ფანტინს, ის განსხეულებული სიხარული იყო. მისი მოელვარე კბილები ღმერთს სიცილისათვის გაეჩინა. პატარა, ჩალის ფართოფარფლებიანი ქუდი უფრო ხშირად ხელში ეჭირა, გრძელი თმა ჰქონდა, ქერა, რომელსაც თავისუფლად ფრიალი უფრო ეხალისებოდა, ვიდრე შეკრულად დება, ხშირად გაიშლებოდა ხოლმე და მუხლამდე სცემდა, თითქოს იმიტომ ყოფილიყო გაჩენილი, რომ გალათეასავით, ტირიფებს შორის ერბინა. აღტაცებული ღიმილი უტკბობდა ვარდივით ლამაზ პირს, ბაგის კუთხე ვნებით ჰქონდა ოდნავ ზევით აწეული, როგორც ერიგონისგამოსახულებიან ანტიკურ ნიღბებს, თითქოს გამბედაობას იწვევდნენ, თითქოს უნდა წამოიძახონ - რაღას აყოვნებ, მოდი და დამეწაფეო, მაგრამ ვნებით ალეწილ სახეს ზემოდან სასტიკად დასცქეროდა შავ, ხშირ წამწამებქვეშ გამომზირალი თვალები, რომელნიც თვით თავხედსაც კი ალაგმავდნენ. მოხდენილი ტანსაცმელი ეცვა, თავისსავით მხიარული და ვნებააღმძვრელი, ზამბახის ყვავილისფერ ბარეჟეს კაბაზე მარმაშის გულისპირი ეკეთა, მარსელელების მიერ შემოღებული, სახელად კანზუ, რაც ნიშნავს დამახინჯებულ quinze août, - ესე იგი, თხუთმეტ აგვისტოს და, მაშასადამე, კარგ დარს, შუადღეს და სიცხეს. სხვები ასე მორცხვნი არ ჩანდნენ, როგორც უკვე ვთქვით, გულმოშიშვლებულნი იყვნენ. ზაფხულში ლამაზ ქალს რომ კოხტა, მშვენიერი ყვავილებით მორთული ქუდი ამშვენებს, გულმკერდის სიშიშვლე თვალწარმტაცია და გამაღიზიანებელი, მაგრამ მაინც ფანტინის კანზუ სჯობდა, რადგან დამალულიც იყო და ამავე დროს არც დამალული ფანტინის გულმკერდი; მორცხვობა იყო დაფარული და იმავე დროს ვნების აღმძვრელი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბბრძენზე ბრძენია უმანკოება.

ლამაზი სახე, დიდრონი ცისფერი თვალები, შავი ხშირი წარბ-წამწამი, გამოქანდაკებული მომცრო ფეხი, თეთრი კანი, ქორფა ღაწვი და ზედ ოცნებით შეზღუდული მხიარულება, - ასეთი იყო ფანტინი.

ტანსაცმელი ხელოვნურ ნაქანდაკებს ფარავდა და ნაქანდაკები - სულს.

ფანტინი მშვენიერი იყო, თუმცა თვითონ ეჭვიც არ ჰქონდა ამისი. მშვენიერების ნამდვილ თაყვანისმცემელს რომ ენახა ეს ყმაწვილი პარიზელი მკერავი ქალი, ძველ საბერძნეთში ეგონებოდა თავი. უგვარტომო, საზოგადოების უმდაბლესი წრეების შვილი, ბუნების უდიდებულეს ქმნილებას წარმოადგენდა, მშვენიერი იყო აგებულებითაც და მიხვრა-მოხვრითაც. სტილი ფორმაა იდეალისა და რითმი კი ფორმაა მოძრაობისა.

ფანტინი განხორციელებული მხიარულება იყო და იმავე დროს განხორციელებული მოკრძალება.

მართალია, მთვრალი იყო სიყმაწვილით, ზაფხულით, სიყვარულით, მაგრამ ყურადღებით რომ დაჰკვირვებოდა ვინმე, ადვილად შეამჩნევდა მორცხვობას და მოკრძალებს. ცოტა არ იყოს, გაკვირვებულსა ჰგავდა. ეს უბიწო გაკვირვება წარმოადგენს განსხვავებას ფსიქეასა და ვენერას შორის. ფანტინს გრძელი ნატიფი თითები ჰქონდა ძველი ვესტალისა, რომელსაც ოქროს ქინძისთავი უჭირავს და წმინდა ცეცხლის ფერფლს ურევს საკურთხეველზე. თუმცა, როგორც შემდეგაც ვნახავთ, სულით ხორცამდე დამორჩილებოდა ტოლომიესს, სახე მაინც უმანკოებით უბრწყინავდა. რაღაც ღირსებით აღსავსე გამომეტყველებას იღებდა ხშირად მისი თვალი, წმინდანის გამომეტყველებას და სრულიად უმიზეზოდ დაღონდებოდა და

დაფიქრდებოდა ერთი წამის წინ უსაზღვროდ მხიარული მისი გული. ზედა ტუჩზე ჯერ ისევ ცხადად ეტყობოდა ის შეუმჩნეველი და საოცარი ნიშანი ქალწულობისა, რომელმაც ბარბიუსს გაგიჟებით შეაყვარა მიწიდან ამოთხრილი ნაშთი მარმარილოს დიანასი.

სიყვარული ცთომილებააო - დაე, იყოს! ფანტინი ცთომილების მორევიდან ზემოთ ამოტივტივებული უმანკოება გახლდათ.

## თავი მეოთხე
## ისეთი მხიარულია ტოლომიესი, რომ ესპანურ სიმღერას მღერის

ის დღე დილიდან საღამომდე ნეტარება იყო და სიტკბოება, ვით დილის ცისკარი. ისე ხარობდა ბუნება, თითქოს დასვენების დღე ეღირსა და ამით ტკბებაო. სენ-კლუ სურნელებად გადაქცეულიყო; სენის გრილი ნიავით აშრიალებული ფოთლების ხმა გალობად ისმოდა და ტყის ხმაური - სიმღერად. აქ მოგროვილიყო ქვეყნის ფუტკარი და ჟასმინს დაჰხვეოდა. პეპლები დაციალებდნენ ყვავილებზე. საფრანგეთის მეფის დიდებულ ბაღში მრავლად იყო მაწანწალა ჩიტების ბრბო და თავისი ჭიკჭიკით აყრუებდა იქაურობას.

ოთხი წყვილი მიდიოდა, მიხტოდა ამ სამოთხეში, ჭიკჭიკებდა, მღეროდა, ცეკვავდა, პეპლებს დასდევდა, ყვავილებს კრეფდა, მწვანე ბალახში ფეხს ისვლებდა, გიჟობდა, ცელქობდა და ხანდახან საკოცნელად ლოყას უშვერდა ხან თავის, ხან სხვის საყვარელს... ფანტინის გარდა, რომელიც რაღაც გამოუცნობ, თითქოს პირქუშ განრიდებას მოეცვა. ფანტინს უყვარდა. ნეტავ რას იპრანჭებიო, - ეუბნებოდა ფავორიტი.

ეს არის სიცოცხლის ნეტარება. შეყვარებული ქალ-ვაჟი აღვიძებს ბუნებას, სხივსა ჰფენს ცხოვრებას და ყველგან ალერსსა და სიტკბოებას იწვევს. ამბობენ, იყო ერთი ფერია, რომელმაც მინდორი და ტყე მხოლოდ შეყვარებულთათვის გააჩინაო. ამიტომ არის, რომ ბუჩქნარს ეძებს სიყვარულით გახელებული. ეს ასე იყო, ასეა ახლა და ასე იქნება, ვიდრე სიყმაწვილე და სიყვარული არსებობს. ამიტომ არის, რომ ასე უყვარს ყველას გაზაფხული. პატრიცი და მუშა, დიდებული და მდაბიო, სოფლელი და ქალაქელი, ყველა ქედმოხრილი და მორჩილი ყმაა სიყვარულისა. სიყვარული ცვლის, ახალისებს ადამიანს და ღმერთად აქცევს ნოტარიუსის მწერალს. სიცილი, მხიარულება, ღვთიური ნეტარება, ერთმანეთის ძებნა, ჟივილ-ხივილი, ტკბილი სიტყვა და ალერსი, ოხვრა და ღაღადი, ტრფობა და თაყვანისცემა - ამით ბრწყინავს სიყვარული და სინათლეს ჰფენს ქვეყანას. უსასრულო არისო, ამბობენ, ეს ამბავი - და ან რა გაათავებს, ვიდრე ლამაზი ქალის გული გვეგულვის ჯილდოდ? ფილოსოფოსებს, პოეტებს, მხატვრებს ძალიანაც ნებავთ სიყვარულის ძალის შეგნება, მაგრამ იმათაც თვალს სჭრის მისი ელვარება და აღარ იციან, რა თქვან. სიყვარული „კითერში მისვლა“ არისო, - ამბობს ვატო; ლანკრე, მდაბიო ხალხის მხატვარი, ზეცის ლაჟვარდში გვიხატავს შეყვარებულ ბურჟუებს; დიდრო სიყვარულს ლოცულობს და დ'ურფე დრუიდებსა რევს სიყვარულში.

საუზმის შემდეგ ყველანი სამეფო ბაღში ჩავიდნენ ინდოეთიდან ახლახან ჩამოტანილი უცხო მცენარის სანახავად, რომლის სახელი ამჟამად არ გვაგონდება. ამ მცენარის სანახავად მთელი პარიზი მიდიოდა სენ-კლუში. უცნაური ლამაზი ხე იყო:

ფოთლის მაგივრად მრავლად ეყარა თმასავით წვრილი ტოტები და ზედ - უფრო წვრილი ყვავილი. თმაგაშლილ ქალს ჰგავდა ეს მცენარე, თითქოს ზედ ალმასი შეუყრიათო. გგარს დიდძალი ხალხი ეხვია.

მცენარე რომ გასინჯეს, ტოლომიესმა წამოიყვირა - მოდით, თუ გნებავთ, სახედრებზე დაგპატიჟებთო. პატრონს გაურიგდა და ვანვი და ისსი სახედრებით შემოიარეს. ისსიში ჩამოხტნენ და ბაღში შევიდნენ. ეს ბაღი ხალხის საკუთრება იყო, მაგრამ იმ დროს ერთ მდიდარ სოვდაგარს, ბურგენს, ჩავარდნოდა ხელში. ბაღი შემთხვევით ღია იყო, შევიდნენ, ანა ხორეტის ქანდაკება ნახეს თავის მღვიმეში, დაათვალიერეს სახელოვანი სარკეების საიდუმლო ჩვენების დარბაზი, ხალხის თვალის ამხვევი და ფულის ამგლეჯი გარყვნილი მახე, ღირსეულად დამახასიათებელი მილიონერად გადაქცეული სატირისა, ან პრიაპოსად გადაქცეული ტიურკარესი.

მოიარეს იქაურობა, დაათვალიერეს ყოველი კუთხე და ბოლოს საქანელას მიადგნენ, ორ დიდ წაბლის ხეზე ჩამობმულს. ქალები ქანაობდნენ, კაბები უფრიალებდათ, ყმაწვილები ხარხარებდნენ. ტულუზელი ტოლომიესი, ცოტაოდნად ესპანელი, რადგან ტულუზი ბიძაშვილია ესპანური ტოლოზისა, ერთ ძველ ესპანურ ლექსს მღეროდა, ლამაზი ქალის საქანელაზე გადაფრიალებულ კაბაზე შეთხზულს:

მე ბადახოსელს სიყვარული მიხმობს, მეძახის,
ტრფობის ცეცხლი მწვავს,
სიყვარულით ვარ მე სნეული,
როს მაგ შვლის ფეხთა სილამაზე თვალწინ მესახვის,
მე მაშინ სული თვალებში მაქვს მთლად მოქცეული.
მარტო ფანტინმა არ ინდომა ქანაობა.

- ნეტავ ვიცოდე, მართლა რას იპრანჭება? - თქვა გესლიანად ფავორიტმა.

სახედრები გაისტუმრეს და ახლა სხვა სიამოვნებას მიმართეს: სენაზე ნავით გადავიდნენ და ფეხით ჩავიდნენ ელისეს მინდვრებზე. დილის ხუთი საათი იყო, სასეირნოდ რომ წავიდნენ.

- ნეტავი თქვენ! კვირამ დაღლა არ იცის, - იძახდა ფავორიტი. სამ საათზე ბედნიერებით მთვრალი ოთხი წყვილი კისრისტეხით ჩამოქანდა უცნაური სასრიალო შენობიდან, რომელიც ბოჟონის უბანში იდგა და რომლის კლაკნილი ხაზები ელისეს მინდვრებიდან მოჩანდა.

- საჩუქარი როდისღა იქნება? - ეკითხებოდნენ ტოლომიესს ქალები.

- მართლა, საჩუქარი! მე საჩუქარი მინდა.

- მოითმინეთ, მოითმინეთ, - უპასუხა ტოლომიესმა.

## თავი მეხუთე
## ბომბარდას დუქანში

„რუსულ მთებზე“ ისრიალეს და სადილობის დრომაც მოატანა. ცოტა ხანში ბომბარდას დუქანს მიადგნენ ჩვენი, ცოტა არ იყოს, დაღლილი მოსეირნენი. ბომბარდას პარიზში, რივოლის ქუჩაზე ჰქონდა კარგი სასტუმრო, აქ კი, ელისეს მინდვრებზე, თავისი სასტუმროს განყოფილება გაეხსნა.

დუქანი სავსე იყო ხალხით. ისინი ცალკე ოთახში მოთავსდნენ. კარგა მოზრდილი ოთახი იყო, მაგრამ ულაზათო; ერთ კუთხეში ფარდის უკან საწოლი იდგა. ფანჯრიდან მდინარე და ბულვარი მოჩანდა; ორი მაგიდა იდგა. ერთზე მთასავით დაადროვეს ყვავილები, ქუდები, მეორეზე - სუფრა გაშალეს და გარს შემოუსხდნენ. ჭურჭელი, ღვინისა და ლუდის ბოთლები, სხვადასხვა საჭმელი... მაგიდაზე წესი და რიგი სუფევდა და მაგიდის ქვეშ კი - უწესობა. მოლიერისა არ იყოს,

ისეთ რამეს აკეთებდნენ მაგიდის ქვეშ ფეხით,

ყველაფერი ზანზარებდა, გრგვინვა იყო მეხის.

აი, რა ყოფაში იყვნენ შუადღის შემდეგ ოთხ საათზე ჩვენი მოსეირნენი. მზე ჩადიოდა, მადა თანდათან ეკარგებოდათ.

ხალხითა და მზის სხივებით სავსე ელისეს მინდვრები მტვრით იყო სავსე. დიდებაც ხომ სხვა არაფერია მტვრისა და სხივის გარდა. მარლის ეს აჭიხვინებული მარმარილოს რაშები ყალყზე შემდგარიყვნენ, მზისაგან გაბრწყინებულ მტვერში იძვროდნენ ეტლები. ნეილიდან ცხენოსანი ჯარი მოდიოდა, წინ მებუკე მოუძღოდა. თეთრი დროშა ჩამავალი მზისაგან ოდნავ გავარდისფერებული ტიუილრის სასახლის გუმბათზე ფრიალებდა. კონკორდიის მოედანი, რომელიც ისევ ლუი XV-ის მოედანი გახადეს, სავსე იყო მხიარული ხალხით. გარეუბნელებიც მრავლად გამოსულიყვნენ სასეირნოდ. 1817 წელს ჯერ კიდევ ბევრი ატარებდა საღილეზე თეთრი ბაბთით ჩამოკიდებულ ვერცხლის შროშანას. ზოგი თამაშობდა, ზოგი სვამდა; ასოთამწყობებს ქაღალდის ქუდები დაეხურათ და გულიანად ხარხარებდნენ. ყველგან კმაყოფილება იგრძნობოდა: მშვიდობა და მეფის მიერ წესრიგის დამყარება უხაროდა ხალხს. იმ დროს იყო, რომ პოლიციის უფროსმა ანგლემ ამ სიტყვებით დაამთავრა ერთი თავისი მოხსენება, რომელიც საიდუმლოდ მიართვა მეფეს: „ყველაფერს რომ კარგად დაუკვირდეს კაცი, დარწმუნდება - პარიზის გარეუბნელებისაგან საშიშს არაფერს უნდა მოველოდეთ. გარეუბნელები ზარმაცები არიან და კატასავით უზრუნველნი. პროვინციელები ფუსფუსებენ, პარიზელები კი მოკლებულნი არიან ყოველ მოძრაობას. კაცები კი არა, კაცუნები არიან. ორი რომ შეაერთოთ, ერთ ჯარისკაცს ძლივს გამოიყვანთ. ერთი სიტყვით, პარიზელი ხალხის არ უნდა გვეშინოდეს... შესანიშნავი გახლავთ, რომ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტანითაც და ღონითაც დამცირდა და დაკნინდა ჩვენი დედაქალაქის მდაბიო ხალხი და დღეს უფრო წვრილი და სუსტია, ვიდრე რევოლუციამდე იყო. სხვა განსაცდელი გარიდოთ ღმერთმა, თორემ აქ საშიში არაფერია. მოკლედ, პარიზელი ბრბო გულკეთილი არამზადებისაგან შედგება“.

პოლიციის უფროსს ვერ წარმოედგინა, რომ ხშირად ლომად იქცევა კატა. ეს ასეა და ამით არის გასაკვირი პარიზელი ხალხი. ძალიან ათვალწუნებული ჰყოლია ბატონ ანგლეს კატა და ის კი არ სცოდნია, რომ ძველ რესპუბლიკებში ფრიად პატივცემული იყო ეს ცხოველი; ის მათ თვალში თავისუფლებას განახორციელებდა. კორინთის საზოგადო მოედანზე კატის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა, როგორც მინერვას ქანდაკება - პირეის მოედანზე. მეფის ერთგულ, რესტავრაციის გულუბრყვილო პოლიციას გადამეტებულად „გულკეთილად“ ეჩვენებოდა პარიზელი ხალხი. გულკეთილია, მართალია, მაგრამ ნურავინ იტყვის, „გულკეთილი არამზადაა“ ეს ხალხიო. პარიზელი იგივეა ფრანგისთვის, რაც ბერძენისთვის ათენელი იყო. პარიზელზე უკეთ ვერავის სძინავს; მასზე გულახდილად არავინ ამჟღავნებს თავის ფუქსავატობას და სიზარმაცეს;

მასზე უკეთ ვერავის შეუძლია ვითომ დავიწყება. თუმცა არ გაგიტაცოთ ამ დახასიათებამ. განხორციელებული უზრუნველობაა, მაგრამ თუ დიდებისთვის მოუხდა ბრძოლა, ნამდვილი ლომი ხდება ეს კატა. შუბი მიეცით და ძირიანად აღგვის მონარქიულ წესწყობილებას. თოფი მიეცით და კვლავაც მოგიგებთ აუსტერლიცის ბრძოლას. ნაპოლეონის დიდების დედაბოძი პარიზელი ხალხი იყო. დანტონის ძალის ერთადერთი საფუძველი იგივე პარიზელი ხალხი იყო. გაუჭირდა სამშობლოს? ქუდზე კაცი გადის შეიარაღებული. თავისუფლებისთვის ატყდა ბრძოლა? ბარიკადებზე იბრძვის. მაშ, ფრთხილად, ეპიკურ ძალას წარმოადგენს მისი აბურძგნილი თმა და ძველ ქლამიდად იქცევა მისი ხალათი. მაშ ფრთხილად! ისე გაამაგრებს უბრალო ქუჩას, რომ ქვეყნის ჯარიც ვერაფერს უზამს. დაჰკრავს ჟამი და დევად იქცევა პარიზელი გარეუბნელი, ვეშაპივით წამოვარდება ეს კაცუნა, ცეცხლივით აენთება თვალი, მისი სუნთქვა ქარიშხლად იქცევა და ისეთი გრიგალი ამოვარდება საცოდავი, ჩავარდნილი გულმკერდიდან, რომ ალპის მთებს შესძრავს. რევოლუციამ პარიზელი გარეუბნელების წყალობით დაამარცხა ევროპა. იგი მღერის. ეს არის მისი სიხარული. შეუთანხმეთ პარიზელი ხალხის სიმღერა მის ბუნებას და მაშინ ნახავთ, რა მძლავრი და დიდებული ყოფილა ეს „ბრბო“.

მისი სიმღერა ჯერ მხოლოდ კარმანიოლაა და ამიტომ ლუი XVI-ის დამხობას გალობს. აბა ერთი მარსელიოზა ამღერეთ და ნახავთ, თუ მთელი ქვეყანა არ გაათავისუფლოს.

სიტყვამ მოიტანა და ანგლეს მოხსენება უპასუხოდ ვერ დავტოვეთ. ვნახოთ ახლა, რას შვრებიან ჩვენი მოქეიფენი? სადილს ათავებდნენ, როგორც უკვე ვთქვით.

## თავი მეექვსე
## შეყვარებულთა ტრფობა

სუფრის სიტყვა-პასუხი და ტრფობის ალერსი - შეუკავებელია ერთიც და მეორეც. ნისლის საბურია სიყვარულის სიტყვები; წარმავალი კვამლია სადღეგრძელოები.

ფამეილი და დალია რაღაცას ღიღინებდნენ, ტოლომიესი სვამდა, ზეფინი იცინოდა, ფანტინი იღიმებოდა. ლისტოლიე სენ-კლუში ნაყიდ სალამურზე უკრავდა. ფავორიტი ალერსით შესცქეროდა ბლაშველს და ეფიცებოდა:

- ბლაშველ, მე შენ გაღმერთებ.

ბლაშველმა ჰკითხა:

- მე რომ შეგიძულო? რას იზამ, ფავორიტ?

- რას ვიზამ? - შეჰყვირა ფავორიტმა, - მაგას ნუ გამაგონებ, ხუმრობითაც კი ნუღარ მეტყვი, შენ რომ შემიძულო, მოგვარდები და დაგკაწრავ, დაგგლეჯ, წყალში გადაგაგდებ, დავაჭერინებ შენს თავს.

ბლაშველის თავმოყვარეობას თითქოს მოუღიტინა ამ სიტყვებმაო, კმაყოფილებით გაიღიმა.

ფავორიტი მაინც თავისას იძახდა:

- ხომ არ გგონია დაგინდო? ქვეყანას შევყრი! შე საძაგელო!

ბლაშველს მეტი აღარ შეეძლო: თავმომწონედ მიესვენა სავარძელზე და თვალი დახუჭა.

დალიას პირში ლუკმა ედო და ვეღარ ჩაყლაპა, ისე ჰკითხა ფავორიტს:

- მაშ ასე, არა? კერპად გაგიხდია შენი ბლაშველი?

- კერპად კი არა! ჭირივითა მძაგს, - მიუგო ფავორიტმა, იმავე კილოთი და ჩანგალს სტაცა ხელი, - იცი, რა ძუნწია! თუ მართალი გინდა, მე ის მიყვარს, ჩვენ პირდაპირ რომ ცხოვრობს. მეტად მოხდენილი კაცია; განა არ იცნობ? შეხედავ თუ არა, მაშინვე იტყვი, მსახიობი უნდა იყოსო. რომ იცოდე, როგორ მიყვარს მსახიობები. მოვა თუ არა საწყალი ბიჭი შინ, მისი დედა წუწუნს მოჰყვება, - ახლა კი დავიღუპე, ყურებს წაიღებს ყვირილითაო! და მართლაც, ერთ წამს არ დააყენებს ენას: დადის, დადის და სულ ლექსებს ამბობს, სულ მღერის. დედაჩემი არ შევაწუხოო, ხან ბანზე ავარდება, ხან საკუჭნაოში შეიმალება, ხან - სარდაფში, ხან სხვენზე ავა და მღერის, ლექსებს ამბობს. დღეში ერთ ფრანკს იღებს, მგონი, მწერლად არის ვიღაც ვექილთან, მამაც მგალობელი ჰყოლია წმინდა იაკობის ეკლესიაში. რომ იცოდე, რა კოხტა რამ არის, რა მშვენივრად მღერის. მერე როგორ ვუყვარვარ აღარ იკითხავთ? ამას წინათ ცომს ვზელდი ბლინებისთვის, ხელთათმანი დახეული მქონდა. თვალი შემასწრო და მითხრა: - მადმუაზელ, თქვენი ხელთათმანები რომ გადაზილოთ და იალღო გააკეთოთ, იმასაც სიამოვნებით შევჭამო. მარტო არტისტს შეუძლია ამისთანა მოსწრებული სიტყვის თქმა. ოჰ, რა ლამაზია ის გასაწყვეტი, ლამის გამიტაცოს, მაგრამ ეგ არაფერი. ბლაშველს მაინც თავისას არ ვაკლებ და გაღმერთებ-მეთქი, ვეუბნები. როგორ ვტყუი! ვტყუი!

ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე განაგრძო:

- ძალიან მოწყენილი ვარ, დალია, ძალიან, მთელი ზაფხული წვიმდა, ყოველდღე ქარი ქროდა, ამას მე ხომ ვერ ვიტან. ბლაშველი წუწურაქობდა; ბაზარზე სისირის მეტი არაფერი იშოვება, აღარ იცი, რა ჭამო ადამიანმა. ძალიან მოწყენილი ვარ; კარაქიც გაძვირდა. შეხედე, რა საძაგლობაა: რა იქნებოდა, ლოგინი ამ ოთახში არ ყოფილიყო, სადაც ვსადილობთ. სიცოცხლეს მიმწარებს პირდაპირ ამის შეხედვა.

## თავი მეშვიდე
## სიბრძნე ტოლომიესისა

ზოგი მღეროდა, ზოგი ლაპარაკობდა, ყველა ერთად და ხმამაღლა. ერთმანეთისა აღარაფერი ეყურებოდათ. დიდი ჟრიამული იდგა ოთახში. ტოლომიესი ჩაერია და შეჰყვირა:

- ენას აღვირი, ბატონებო! ნუ აჩქარდებით და ნურც ყველაფერს წამოროშავთ, რაც ენის წვერზე მოგადგებათ. თუ გნებავთ, მჭევრმეტყველნი ბრძანდებოდეთ, გონებას დაუმოჩილეთ ენა. მეტისმეტი იმპროვიზაცია ისე დაგიცარიელებთ გოგრას, თითქოს შიგ ქარნი ჰქრიანო. ლუდი რომ დაიქცევა, ქაფს ვეღარ მოიკიდებს, მაშ ნუ ავჩქარდებით, ბატონებო. ხამს ქეიფი დიდებული, სმა ტკბილი, შემაქცევარი. რას ესწრაფვებით, რას ეწაფებით? გემოს ვეღარ გაიგებთ. მოიგონეთ გაზაფხული; აჩქარდება და შერცხვება, გაიყინება. აჩქარებული მებაღე ყოველთვის დაღუპულია: ნაადრევი მინდაო, ნაგვიანევსაც კარგავს. აჩქარება მკვლელია ქეიფისა და დროსტარებისა. დასამტკიცებლად ამისა ისიცა კმარა, რომ გრიმო დე ლა რენიერი სრულიად ეთანხმება ტალეირანს.

ყრუ დრტვინვა გაისმა წრეში:

- ტოლომიეს, თავი დაგვანებე, რა დროს ქადაგებაა?

- ძირს მტარვალი! - შეჰყვირა ფამეილმა.

- ბომბარდა, ბომბას, ბომბოშ! - დაიძახა ლისტოლიემ.

- კვირა ქეიფისაა.

- ჯერ ფხიზლები ვართ, ნუ გეშინია.

- ჩემს ოლიმპიურ სიმშვიდეს ვერ ხედავ, ტოლომიეს? - ჰკითხა ბლაშველმა.

- ნამდვილი „მარკიზი“ ხარ, - სიტყვა მოუჭრა ტოლომიესმა.

- მარკიზ მონკალმი მეფის მომხრე იყო სახელოვანი.

ყველანი ჩაჩუმდნენ, თითქო ჭაობს ქვა მოხვდა და ბაყაყები ჩააჩუმაო.

- მეგობრებო, - დაიწყო ტოლომიესმა და კოლოზე ეტყობოდა, რომ კვლავ ხელთ ეგდო ლიდერობა, - რა ძალიან იუკადრისეთ ეგ შედარება? მახვილი სიტყვა ცის შვილია, ელვასავით სწრაფი, იელვებს და გაქრება. მაგრამ განა ყველა კარგია და მართლა მოსწრებული? ხშირად ტლანქზე ტლანქია გონების განავალი. მიქრის, მიფრინავს გონება და იხვის კვერცხივით სცვივა ხუმრობა და სისულელე. ზოგი ვის ხვდება, ზოგი - ვის. განა კედელზე გაწოლილი თეთრი ლაქა სვავს მაღლა ცაში ნავარდს შეუშლის? ის კი არა ბრძანოთ, შეურაცხყოფა მიაყენა მოსწრებულ სიტყვასაო. ღმერთმა დამიფაროს! დიდ, მაგრამ ღირსეულ პატივსა ვცემ და მეტს კი არა. ვინც მოიპოვება კაცობრიობაში და იქნება კაცობრიობის გარეთაც უდიდებულესი და ბრძენთა უბრძენესი, ყველას უყვარდა მოსაზრებული, მახვილი სიტყვა. იესო ქრისტე ლექსთ-მაეგობდა წმ. პეტრეს შესახებ; მოსე - ისააკზე, ესქილე - პოლინიკზე, კლეოპატრა - ოქტავიუსზე. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კლეოპატრასგან ოქტავიუსზე ხუმრობა სწორედ აქტიუმის ბრძოლის წინ იყო და უამისოდ დღეს ხსენებაც აღარ იქნებოდა ქალაქ ტორინისა, რაიცა ნიშნავს ბერძნულად ჩამჩას. რაკი ეს დავამტკიცე, ისევ წეღანდელ საგანს დავუბრუნდები. ვიმეორებ, ძმანო და მეგობარნო, ნუ აჩქარდებით, ნუ აიშლებით, ტყის პანტასავით ნუ წამომაყრით სიტყვას გულმჭრელსა და ტლანქსა. მომისმინეთ ამფარუსივით ბრძენს და კეისარივით მელოტს. ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს

Est modus in rebus

. დიახ, სადილსაც კი ბოლო უნდა ჰქონდეს. ვაშლის ქადა ძალიან გიყვართ, ქალებო, მაგრამ ნურც ძალიან მიჰყვებით თქვენს სიყვარულს. გაუმაძღრობა დასჯის გაუმაძღარს -

gula punit gulax

. მოულოდნელობას დაავალა ყოვლად ძლიერმა ღმერთმა - სტომაქს ზნეობრივი ცხოვრება ასწავლეო. ჰოდა იცოდეთ, ყოველ ჩვენს სურვილს და ვნებას, თვით სიყვარულსაც კი, თავისი სტომაქი აქვს და, ვაი იმის ბრალი, ვინც მას ზომაზე მეტად გაავსებს. ყოველ გრძნობას და სურვილს დროზე უნდა დაუდოთ ბოლო, დროზე უნდა შეაყენოთ, დროზე კლიტე დაადოთ თქვენს მადას, დროზე ციხეში დაამწყვდიოთ თქვენი ოცნება და მუჭში შეკუმშოთ თქვენი გული. ბრძენი ის არის, ვისაც შეუძლია წინ გადაუდგეს და ტყვედ წაიყვანოს თავისი თავი. ენდეთ ღმერთს, მე სისულელეს არას მოგახსენებთ. არა, აქაოდა სამართლის ფაკულტეტი დაამთავრაო, - ეს მეც არ მჯეროდა, მაგრამ გამოცდებმა დამარწმუნეს, - აქაოდა სწავლულთა წინაშე წარდგა, ლათინურად მოახსენა და დაიცვა დიპლომი შესახებ წამებისა, რომელიც ხმარებაში იყო რომში იმ დროს, როდესაც კვესტორად მუნიციოს დემენტიუზი ბრძანდებოდა; აქაოდა, როგორც გამიგონია, მართლმსაჯულების დოქტორი უნდა გახდესო, განა

სრულიად გამოტვინებული უნდა ვიყო? ჰოდა, მაშ მენდეთ და ზომიერ იყავნთ სურვილთა შინა თქვენთა. როგორც ის არის მართალი და ჭეშმარიტი, რომ მე ფელიქს ტოლომიესს მეძახიან, ისევე ის არის მართალი, რომ მე კარგად ვამბობ ჩემს სიტყვას. ნეტარ არს კაცი, რომელი, რა დაჰკრავს ჟამი, სულასა და ურიგენივით გმირულად მოიქცევა და მოახერხებს თავის დროზე დათმოს ძალაუფლება.

ფავორიტი სმენად იყო გადაქცეული.

- ფელიქს, - შეაწყვეტინა სიტყვა ფავორიტმა, - რა ლამაზი სახელი გქვიათ. ძალიან მიყვარს ეგ სახელი. ლათინური სიტყვაა და ბედნიერს ნიშნავს.

ტოლომიესი განაგრძობდა.

- ქვირიტნო, ჯენტლმენნო, კაბალერნო, ჩემო მეგობარნო, გინდათ ისე განვლოთ თქვენი დღენი, რომ სიყვარულის ნესტარი არ მოიხვედროთ და ქორწინების სარეცელი აიცდინოთ? ამაზე ადვილი არაფერია. აი უებარი წამალი: ნურც რასა სჭამთ, ნურცა სვამთ, დიდმარხვა დაიყენეთ; ზურგით ქვა ზიდეთ, ლოდი, ხელით კლდე დაანგრიეთ, იარეთ და ირბინეთ, სულ ოფლში გაიწურეთ და ძილს თავი არ მისცეთ, თუნდა თავიც გაგისკდეთ. ერთი ნამცეცი პური და ზედ სამი ქიშმიში დააყოლეთ. როდესაც მოგწყურდეთ, სალბის ჩაი მოხარშეთ. ცივ წყალში იბანავეთ, თბილს ჭირივით ერიდეთ, ღამე ხმელზე დაწექით, წელზე ცივი დაიდეთ. გვარჯილა გამოხარშეთ, ზედ დააწექით პირქვე...

- მე ქალს ვარჩევდი, - დაიძახა ლისტოლიემ.

- ქალს! - ჩამოართვა სიტყვა ტოლომიესმა, - ქალს ერიდეთ. ვაი იმას, ვინც გაზაფხულის დარივით დაუდგრომელ ქალის გულს მიენდობა. ქალი ვერაგია და მაცდური. ქალი გველია და გველი იმიტომ ეჯავრება, რომ ქიშპობას უწევს.

- ტოლომიეს, - შეჰყვირა ბლაშველმა, - ღვინოს დაუჯაბნიხარ, ძამიავ!

- სულაც არა, - თქვა ტოლომიესმა.

- მაშ, გამხიარულდი.

- სიამოვნებით, - მიუგო ტოლომიესმა.

ჭიქა გაავსო და წამოდგა:

- დიდება შენდა, ღვინოვ.

Nunc te, Bacche canam

! ბოდიშს ვიხდი, ქალებო, ესპანური გახლავთ, დასამტკიცებლად ამისა, შენორას, იმას მოგახსენებთ, რომ ნათქვამია, როგორიც ერიო, ისეთი ქვევრიო. კასტილელის „აროდში“ თექვსმეტი ლიტრი ჩადის, ალიკანტელის „კანტაროში“ - თორმეტი, კანარის კუნძულების „ალმუდში“ - ოცდახუთი, ბალეარის კუნძულების „კვარტენში“ - ოცდაექვსი და რუსეთის მეფის პეტრეს კასრში - ოცდაათი. მაშ გაუმარჯოს რუსეთის მეფე პეტრე დიდს და გაუმარჯოს იმის დიდზე დიდ კასრს! ერთი მეგობრული რჩევა, ქალებო: თუ გულით გინდათ, გადაგვრიეთ ერთმანეთში. სიყვარული პეპელა უნდა იყოს, რომ ერთ წამზე მეტს არ ჩერდებოდეს ყვავილზე. კრუხი ხომ არა გგონიათ, რომ დაჯდეს და ხავსი მოიკიდოს. დღეს აქ არის, ხვალ - სხვაგან, ყველგან სიტკბოებას სტოვებს; თუ არა და დამჟავდება, გამწახდება, გამწარდება. იცით, ქალებო, მე ყველანი მიყვარხართ, ოთხივ გულში მიზიხართ. ოჰ, ზეფინ, ოჰ ჟოზეფინ, რა ლამაზი იქნებოდი, რომ ცოტა მოთელილი და მოღრეცილი არ იყო. შენ მაგონებ მშვენიერ სიფათს, რომელზედაც ვიღაც შეცდომით დამჯდარა... რაც შეეხება ფავორიტს, ოჰ, მუზანო და ფერიებო! ერთხელ ბლაშველი წყლის პირად იყო და ლამაზი ქალის ფეხს მოჰკრა

თვალი. პაწაწკინტელა ფეხს, პატარა და ცუგრუმელა ქალისას. მას შემდეგ ფეხქვეშ გაეგო იმ ფეხს ბლაშველი და შეიყვარა ამ ფეხის პატრონი ფავორიტი. ჭეშმარიტად იონიური ბაგე გაქვს, ოჰ ფავორიტ. ერთი მხატვარი იყო საბერძნეთში, ევფორიონი, რომელსაც ბაგეთა მხატვარს უწოდებდნენ. მარტოოდენ იგი ბრძენი თუ შეიძლებდა ბაგეთა შენთა დახატვას. იცოდე, შენამდე არავინ ყოფილა ღირსი შენი სახელისა. შენ იმისთვის შეუქმნიხარ ღმერთს, რომ ვენერასავით მიიღო ვაშლი და ევასავით ჩაკბიჩო. მშვენიერება და სიტურფე შენგან იწყება. ევა ვახსენე მგონი, ევა შენ გააჩინე, შენ ჯილდო დაიმსახურე ლამაზი ქალის გამოგონებისათვის. ოოჰ, ფავორიტ, ახლა კი თქვენობით მოგახსენებთ, რადგან პოეზიიდან პროზაში მინდა გადავიდე. წეღან ჩემს სახელზე ბრძანეთ რაღაცა, მაგრამ ვინც უნდა ვიყოთ, ნუ ვენდობით სახელებს. სახელმა შეიძლება მოგვატყუოს. ფელიქსად ვიწოდები, მაგრამ ბედნიერი კი არა ვარ. მაშასადამე, ტყუის სახელი და ნუ დავუჯერებთ. ყველა ბრძენი არ არის ბრძენი. მისს დალია, მე რომ ვიყო თქვენს ადგილზე, ვარდად ვიწოდებოდი. ვარდს სურნელება უნდა ამშვენებდეს და ლამაზ ქალს - გონება. ფანტინზე არაფერს ვიტყვი: სულ რაღაცას ოცნებობს, ლანდით გატაცებული. ფიქრობს და სხვაგან დაჰქრის, ჩვენგან შორს, მისი სული. ფანტინი ხორცშესხმული ადამიანი კი არ გეგონოთ: ლანდია, მშვენიერების გარეგნობით და მონაზვნის მორცხვობით შემკული. საწყალს გზა არევია და ჩვენში ჩარეულა. მაგრამ სულით კი სხვაგან არის. ჩვენგან თავის დასახსნელად ოცნებას ემონება. მღერის, ლოცულობს, ნანობს და ინანიებს, ზეცას შესცქერის და არც კი იცის, რას ხედავს, ან რას სჩადის; თვალი ცისკენა აქვს. თვითონ ბაღშია და უფრო მეტ ფრინველს ხედავს, ვიდრე ღმერთს გაუჩენია. ეს იცოდე ჩემგან, ფანტინ: მე, ფელიქს ტოლომიესი, ოცნება ვარ და მოჩვენება, მაგრამ არც კი მისმენს ოცნების შვილი. გაზაფხულის დილაა, სამოთხის ნეტარება, მაისის ვარდისებრ ტურფა, სურნელოვანი. ო, ფანტინ! შენ ღირსი ხარ მარგალიტს გიწოდებდნენ, შენ აღმოსავლეთის ასულთ უტურფესი ხარ. ერთი რჩევა კიდევ, ქალებო: არამც და არამც არ გათხოვდეთ, გათხოვება მყნობაა, ხან იხარებს, ხან ვერა. უფრო ხშირად ვერა ხარობს. მაშ, გაფრთხილდით, ერიდეთ... მაგრამ რას ვჩმახავ? ვის ეყურება ჩემი? ყველა ქალს ერთი განუკურნელი სენი სჭირს - გათხოვების სურვილი და რაც უნდა ვურჩიოთ ჩვენ, ცხოვრების მიერ გამობრძმედილებმა, მაინც ვერ დავუშლით უბრალო მკერავს, რომ თვალ-მარგალიტის პატრონს ნატრობდეს ქმრად. აგრე იყოს, ოღონდ ეს დაიხსომეთ, ლამაზმანებო: ძალიან ბევრ ტკბილს მიირთმევთ. ერთადერთი წუნი გჭირთ, ქალებო, სიტკბოებით ვერ გამძღარხართ. ოი, მღრღნელთა სქესო, თქვენს მარგალიტის კბილთ შაქრის ხრამუნი უყვართ. ჰოდა იცოდეთ, შაქარი მარილია, ყველა მარილი გამშრობია სისხლისა და ყველა მარილზე მეტად შაქარი გაგიშრობთ სისხლს. სისხლსა სწოვს, სისხლს ადედებს, ახმობს და უძრავად ჰყოფს. აქედან მომდინარეობს ჭლექი და სიკვდილი, შაქრის ავადმყოფობა ხშირად ჭლექით თავდება. მაშასადამე, აგრე ხარბად ნუ აკნატუნებთ შაქარს და დიდხანს იცოცხლებთ. ახლა ამ ყმაწვილებს მივმართავ. გაიმარჯვეთ, ყმაწვილებო! ერთმანეთს წაართვით საყვარლები და გაიხარეთ. არას შესცოდებთ, მერწმუნეთ და თქვენც გაიხარებთ და წართმეულნიც. სიყვარულმა მეგობრობა არ იცის. სადაც ლამაზ ქალსა ვნახავ, ციხედ მიმაჩნს ასაღებად და მისი პატრონი ვაჟკაცი - მტრად, მოსისხლედ, დაუნდობლად. ბრძოლას ვუწყებ, ბრძოლას გაშმაგებულს. იმიტომ, რომ ... რა არის ლამაზი ქალი, თუ არა

casus belli

? გადახედეთ ისტორიას. ყყველა ომი და ხალხთა შორის შებრძოლება ლამაზი ქალის გამო იყო და იქნება. ქალი უფლებაა კაცისა. რომაელებმა საბინელებს მოსტაცეს ქალები, ვილჰელმმა - საქსონელებს, კეისარმა - რომაელებს. ვაჟკაცს სიყვარული უნდა, თუ არა და, ქორივით გახელებული დაძრწის და სხვის საყვარლებს უმიზნებს. მე რომ მკითხოთ, ნაპოლეონის პროკლამაციის სიტყვებით მივმართავდი ყყველა კაცს, რომელიც ქვრივად დადის, უბედურად. გახსოვთ ეს სიტყვები: „ჯარისკაცნო, თქვენ ყოველივე გაკლიათ. მტერს ყოველივე აქვს“.

ტოლომიესი შეჩერდა.

- აღარ ამოისუნთქავ, ვეჟო? - დაუყვირა ბლაშველმა და იმავე დროს ბლაშველმა, ლისტოლიემ და ფამეილმა სიმღერა დასძახეს.

ერთი იმ ლექსთაგანი, რომელსაც ქარხანაში თხზავენ მუშები; უაზრო, როგორც ხის ტოტის რხევა და ქარის გრიალი; ჩიბუხის ბოლივით ადვილად ქმნილი და ბოლივითვე სწრაფად წარმავალი. ააი, რა ადვილად უპასუხეს ყმაწვილებმა ტოლომიესის მჭევრმეტყველებას:

კლერმონ-ტონერი რომ ეხილათ
სენ-ჟენის პაპად,
მრევლი სულელ მღვდლებს სულ ერთთავად
ავსებდა ქრთამით,
მაგრამ ვინც უშნო დაიბადა, მითხარით, აბა,
თუნდაც ათას წელს ეღირსება პაპობას ამით?
და მღვდლებს, სულელებს, ყველაფერი, რაც მისცეს
ქრთამად,
ისევ უკანვე გამოართვეს, ადინეს შხამად.

მაგრამ სიმღერამ ვერ დააცხრო ტოლომიესის იმპროვიზაცია. ჭიქა დაცალა, კიდევ გაივსო და დაიწყო:

- შორს ჩვენგან, სიბრძნევ! დავივიწყოთ ყოველივე, რაც მოგახსენეთ, რა ჩვენი საქმეა სიფრთხილე, სიფხიზლე და ზომიერება. გაუმარჯოს ქეიფს, დროსტარებას, გაუმარჯოს მხიარულებას! გამხიარულდით, სტუმარნო! ჩვენი სამართლის კურსი შევავსოთ ყოველგვარი სიგიჟით და სმა-ჭამით. გაუმარჯოს მოუნელებლობასაც და მონელებასაც! დაე, ჟუსტინიანი მამალი იყოს და მოქეიფე რიპაილი - დედალი. ქუდი ჭერს, მეგობრებო! სიცოცხლე საქეიფოდ მოუნიჭებია უფალს. ქვეყანა მარგალიტია, ობოლი მარგალიტი. ბედნიერი ვარ! ფრინველთ შეხედეთ, როგორ ტკბებიან სიცოცხლით. ყოველივე ხარობს, ბულბულები გალობენ. მმოგესალმები, ზაფხულო! ოი, ლუქსემბურგო, მადამის ქუჩის გიორგინებო, ობსერვატორიის ხეივნებო! მეოცნებე მეომარნო! გაუმარჯოს იმ მოხდენილ გოგონებს, რომლებიც ბავშვებს უვლიან და თავს ირთობენ ბავშვების გაჩენით. პარიზში რომ არ ვიყო, სადაც ამდენი ლამაზი ქალია, პამპასში წავიდოდი. სული ლამობს გაუვალ ტყეებში, სავანეებში გაფრინდეს. რა მშვენიერებაა ირგვლივ, ბუზები ბზუიან. მზეს ცხვირი დააცემინა და ქვეყანაზე გაჩნდა კოლიბრი.

მაკოცე ერთი, ფანტინ!

შებრუნდა და შეცდომით ფავორიტს აკოცა.

## თავი მერვე
## ცხენის სიკვდილი

- ედონთან უფრო კარგად ვისადილებთ, - წამოიძახა ზეფინმა.

- მე ბომბარდა მირჩევნია, - თქვა ბლაშველმა. - აქ უფრო მდიდრულია ყველაფერი. ქვემო დარბაზში ნახეთ, კედელზე რა საგანგებო სარკეები ბრწყინავდა?

- ჩემს თეფშს ებრწყინა, ის მერჩივნა, - წამოისროლა ფავორიტმა.

ბლაშველი თავისას არ იშლიდა.

- აბა დანებს უყურეთ: აქ ვერცხლისტარიანი დანებია და ედონთან კი - ძვლისა. და რადგან ვერცხლი უფრო ძვირია, ვიდრე ძვალი...

- ყოველთვის არა, ჩემო კარგო, - შეაწყვეტინა ტოლომიესმა. - მთელი ქვეყნის ვერცხლში არ მივცემ ლამაზი ქალის ნიკაპს.

ამ დროს ფანჯრიდან ქალაქს გადასცქეროდა ტოლომიესი.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

- ტოლომიეს, - დაუყვირა ფამეილმა, - ახლახან დიდი კამათი გვქონდა მე და ლისტოლიეს.

- კარგი კამათი კარგია, მაგრამ ჩხუბი უკეთესია.

- ფილოსოფიაზე ვლაპარაკობდით.

- გიშველათ ღმერთმა.

- ვინ გირჩევნია, დეკარტი თუ სპინოზა?

- დეზოჟიე! - უთხრა ტოლომიესმა.

ამ განაჩენის შემდეგ ერთი ჭიქა კიდევ გადაჰკრა და თქვა:

- მე სიცოცხლის წინააღმდეგი არა ვარ. სანამ სისულელის ჩმახვა ნებადართულია, ღირს იცოცხლო ამქვეყნად. ამისთვის მადლს ვუძღვნი უკვდავ ღმერთებს. სიცრუეს სიცილი მოსდევს, დამტკიცებას - ეჭვი. სილოგიზმიდან მოულოდნელობა გადმოსჩქეფს. მშვენიერებაც ეს არის. ღვთის მადლით, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ქვეყნად მამაცნი, რომელნიც თავისუფლად და მხიარულად აღებენ და კეტენ პარადოქსის კოლოფს. ეს ღვინო, ქალბატონებო, თქვენ რომ აგრე შეექცევით, მადერის ღვინო გახლავთ, კურალ და ფრეირისა, რომელიც ზღვის დონიდან სამას ორმოცდარვა მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ბატონი ბომბარდა, უბრწყინვალესი მიკიტანი, ოთხ ფრანკ-ნახევრად გაძლევთ სამას ორმოცდარვა მეტრს.

ფამეილმა კიდევ შეაწყვეტინა სიტყვა:

- ტოლომიეს, კანონია შენი აზრი. ვინ არის შენი საყვარელი ავტორი?

- ბერ...

- კენი!

- არა შუ...

და ისევ თავისი დაიწყო:

- გაუმარჯოს ბომბარდას! ელეფანტელ მუნოფისს გადააჭარბებდა, მოცეკვავე ქალები რომ ჰყოლოდა და ხერონელ ტრიგელიონს, როსკიპები რომ შეენახა. დიახ, ქალებო, ბამბარდები საბერძნეთში და ეგვიპტეშიც გახლდნენ. ამას აპულეუსი გვასწავლის. ეჰ, რას იზამთ, ყოველთვის იგივეა ქვეყანა, ახალს არაფერს წარმოადგენს. რაც იცოდა, სულ გამოსცა ღმერთმა, გამოუცემელი აღარა დარჩა რა:

მზის ქვეშ ახალი არაფერიაო, ბრძანა სოლომონ ბრძენმა, და სიყვარულიც ძველისძველიაო, - დაუმატა ვირგილიუსმა. დღევანდელი პარიზელი ნავში ჩაისვამს სიყვარულით მოვაჭრე ქალს სწორედ ისევე, როგორც პერიკლემ ჩაისვა ხომალდში ასპაზია. ერთი სიტყვა კიდევ, უკანასკნელი. მოგეხსენებათ, ქალებო, ვინ იყო ასპაზია, თუმცა იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც ქალებს ჯერ სული არ ედგათ, იგი ძლიერი სული იყო, ვარდისფერი და მეწამული სული, ნაკვერჩხალივით გაჩაღებული და უფრო ნორჩი, ვიდრე ცისკარი. ასპაზიას შეეერთებინა ორი შეუხამებელი თვისება ქალისა: კახპაც იყო და ღმერთიც. სოკრატეს სიბრძნე ჰქონდა და მანონ ლესკოს ვნება. ასპაზია იმ შემთხვევისათვის იყო შექმნილი, თუ პრომეთეს საყვარელი დასჭირდებოდა.

ტოლომიესს ვინღა შეაჩერებდა, ამ დროს ქუჩაში ცხენი რომ არ წაქცეულიყო. ცხენის დაცემამ ერთად შეაყენა ეტლიც და ორატორიც. ჭაკი ცხენი იყო, გადაბერებული და გაძვალტყავებული. ეტლს დიდი ტვირთი ედო. ბომბარდას დუქანს რომ მიაღწია, დაღლილმა და ნაცემმა ვეღარ შეძლო ტვირთის ზიდვა და დადგა. გარს ხალხი შემოეხვია. გაბრაზებულმა მეეტლემ ძლივსღა შეძლო ცხენისთვის შეეკურთხებინა, ერთი კიდევ გადაეკრა მათრახი, რომ ცხენი წაიქცა და ხრიალი დაიწყო. ხალხის ხმაურზე ტოლომიესის მსმენელები ფანჯრისაკენ გაქანდნენ. თავისი მჭევრმეტყველება ამ მოწყენილი ლექსით დაამთავრა ღვინით შეხურებულმა ტულუზელმა:

წვა-დაგვაში გაატარა საბრალომ თავისი დრონი,
დღე და ღამე ტვირთი ზიდა, ტვირთი მძიმე და დიდრონი,
არც აჭმევდნენ, არც ასმევდნენ, ვეღარც მოიკიდა ქონი,
სიკვდილის დროს მათრახი სცეს და შეუგინეს პატრონი.

- საწყალი ცხენი, - ამოიოხრა ფანტინმა.

დალიამ იუცხოვა ეს სიბრალული:

- გენაცვალეთ, ახლავ ტირილს დაიწყებს. რა სულელია, ღმერთო!

ამ დროს გულხელი დაიკრიფა ფავორიტმა, თავი სავარძელზე გადადო, დააშტერდა ტოლომიესს და ჰკითხა:

- მართლა, ჩვენი საჩუქარი?

- სწორედ დროზე მომაგონეთ, - მიუგო ტოლომიესმა. - ყმაწვილებო, დაჰკრა ჟამმა აღსასრულისამ. დრო არის, დაპირებული შევუსრულოთ. ერთ წამს მოგვითმინეთ, ქალებო.

- საქმე კოცნით იწყება, - თქვა ბლაშველმა.

- შუბლზე კოცნით, - გაუსწორა ტოლომიესმა.

ყმაწვილებმა დინჯად დაუკოცნეს შუბლი თავიანთ საყვარლებს, მერე კარებისაკენ გაემართნენ, ერთმანეთის მიყოლებით, ტუჩებზე თითმიდებულნი და გარეთ გავიდნენ.

ფავორიტმა ტაში დაჰკრა:

- რა კარგია, ნეტავი რას გვიმზადებენ?

- ძალიან ნუ დაიგვიანებთ, - დაუძახა ფანტინმა, - ხომ იცით, რა მოუთმენლად გელით.

## თავი მეცხრე
## მხიარულების მხიარული დასასრული

მარტო რომ დარჩნენ ქალები, ფანჯრებთან მივიდნენ, ლაპარაკობდნენ, ჭიკჭიკებდნენ, ერთი ფანჯრიდან მეორეში ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ბომბარდას დუქნიდან გასული თავიანთი საყვარლები დაინახეს; ხელიხელგაყრილები მიდიოდნენ. მობრუნდნენ, ალერსიანი სალამი უძღვნეს და ისინიც იმ მტვრიან ხალხს შეერივნენ, რომლებიც ყოველ კვირადღეს ავსებდნენ ელისეს მინდვრებს.

- ნუ დაიგვიანებთ, - დაუყვირა ფანტინმა.

- ნეტავ რას მოგვიტანენ? - იკითხა ზეფინმა.

- საგანგებო რამ იქნება, დარწმუნებული ვარ, - თქვა დალიამ.

- მე კი მინდა, რომ ოქროსი იყოს, - თქვა ფავორიტმა.

მერე მდინარეს დაუწყეს მზერა და იმით გაერთნენ. ხის ტოტები ჰფარავდა, მაგრამ აქა-იქ მაინც მოჩანდა მდინარე. გარდა ამისა, ფოსტისა და ომნიბუსების წასვლის დრო იყო და წამდაუწუმ ჩამოივლიდა ხოლმე უზარმაზარი, ბარგითა და ხალხით გამოტენილი ტლანქი ეტლი: კორიანტელს აყენებდა უიმისოდაც ამტვერებულ გზაზე და გრიალს და თქარა-თქურს უმატებდა მოსეირნეთა ჟრიამულს. ეს ხმაური და ხალხის ჟივილ-ხივილი მეტად მოსწონდათ ქალებს.

- რა ხმაურია, გენაცვალეთ, - წამოიძახა ფავორიტმა, - ყურთასმენა აღარ არის, თითქოს ჯაჭვების ჟღარუნიაო...

ცოტა მოშორებით, ხეებს უკან, ოდნავ გაარჩიეს ქალებმა, რომ ომნიბუსი შეჩერდა ერთ წამს და მერე ისევ გზას გაუდგა. ფანტინს გაუკვირდა:

- საკვირველია, ღმერთმანი. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ მარტო გაჩერებებზე ჩერდებოდა ომნიბუსი.

ფავორიტმა მხრები აიჩეჩა:

- საკვირველი შენა ხარ, ჩემო კარგო. იმისთანა უბრალო რამ გაგაკვირვებს ხოლმე, თითქო სააქაოს არ ეკუთვნოდე. წარმოიდგინე, რომ მგზავრი ვარ და მეეტლეს ვუთხარი: წინ წავალ და ბულვარზე დაგხვდები-მეთქი. ბულვარზე ამოვიდა. დამინახა თუ არა, გააჩერა ცხენები და ჩამსვა. უბრალო რამ გახლავთ, ყოველდღე ხდება ეს ამბავი და შენ კი ისე გაიკვირვე, თითქოს ქვეყანა დანგრეულიყოს. ცხოვრებისა არა იცი რა, ჩემო კარგო.

კარგა ხანმა განვლო, ფავორიტი ჩაფიქრებული იყო. მერე უცბად, თითქოს საშინელი რამ მოეჩვენაო, შეხტა და წამოიძახა:

- რა ვქნა, რა იქნა საჩუქარი?

- მართლა! ერთი წლის წინ აღთქმული საჩუქარი! - დაუმატა დალიამ.

- ძალიან დაიგვიანეს და, - ჩიოდა ფანტინი.

ის იყო ამოიოხრა ფანტინმა, რომ მსახური შემოვიდა, რომელიც სადილზე ემსახურებოდათ. ხელში რაღაც ეჭირა, თითქოს წერილიაო.

- რა არის? - ჰკითხა ფავორიტმა.

მსახურმა უპასუხა:

- წერილი გახლავთ. იმ ბატონებმა დატოვეს და მიბრძანეს თქვენთვის მომერთმია.

- და რატომ მაშინვე არ მოგვართვით?

- იმიტომ, რომ მიბრძანეს, ერთ საათზე ადრე არ მიართვაო.

ფავორიტმა ხელიდან გამოგლიჯა წერილი.

- მისამართი ზედ აწერია, ქალებო. მოითმინეთ, მოითმინეთ. რაღაც წერია ზედ.

„აი ჩვენი საჩუქარი“.

სწრაფად გადახია და წაიკითხა (კითხვა იცოდა):

„ოჰ, ჩვენო საყვარლებო! იცოდეთ, რომ ჩვენ მშობლები გვყავს. თქვენ არც კი გესმით რა არის მშობელი. მშობლებს საზოგადოებრივი, მამაშვილური და სამართლებრივი კანონმდებლობით დედას და მამას უწოდებენ. ჰოდა, კვნესიან და გოდებენ ჩვენი მშობლები, შინ გვეპატიჟებიან, შინ გვეძახიან; დაბერებულან და ერთხელ კიდევ უნდათ თავიანთი უძღები შვილის ნახვა: მოდით, შვილო, შინ დაბრუნდით, მოხუცებულობა დაგვიტკბეთ და ამდენი ხნის ნატვრა აგვისრულეთო. ჩვენც უნდა დავემორჩილოთ, რადგან აღსავსენი ვართ სათნოებით. თქვენ რომ ამ წერილის კითხვას შეუდგებით, ჩვენ უკვე შორს ვიქნებით, ხუთი მძლავრი ცხენით გატაცებულნი ჩვენი დედ-მამისკენ. წასვლა სჯობს წამავალისაო, ბრძანა მეცნიერმა. მივდივართ, უკვე წასული ვართ. ტულუზში მიმავალი ომნიბუსის წყალობით დავაღწიეთ თავი უფსკრულს, უფსკრული კი თქვენა ხართ, ჩვენო კოკობო ვარდებო. უცნაური სისწრაფით მივქრივართ, რათა შევუდგეთ საზოგადოებრივ, წესიერ და პატიოსან ცხოვრებას. სამშობლოს დასჭირვებია ჩვენი სამსახური და ჩვენც სხვებივით ზოგი ვექილად წავალთ, ზოგი - მსაჯულად, ოჯახის შვილად და წვრილშვილის მამად. თაყვანი ეცით ჩვენს თავგანწირვას. თავი მსხვერპლად დაგვიდვია სამშობლოს საკურთხეველზე. მალე გამოგვიტირეთ და უფრო მალე მოგვიძებნეთ შემცვლელნი. თუ გაჯავრდეთ, ჯავრი ამ წერილზე იყარეთ და ნაკუწ-ნაკუწ აქციეთ. მშვიდობით.

ხელს აწერენ: ბლაშველი

ფამეილი

ლისტოლიე

ფელიქს ტოლომიესი

Post-scriptum

. სადილის ფული გადახდილია“.

ერთმანეთს შეხედეს ქალებმა.

ფავორიტი პირველი მოვიდა გონს.

- ჰოდა რა, საჩუქარია არ არის, თუ?

- უცნაური საჩუქარია, - თქვა ზეფინმა.

- თუნდაც დავიფიცავ, ბლაშველისა უნდა იყოს ეს აზრი, - თქვა ფავორიტმა. - არ მეგონა, რომ ასეთი მოხერხებული იქნებოდა. ახლა შემეყარა იმ წუწკის სიყვარული, როცა წავიდა. როგორ მოგწონთ, ჰა!

- არა, არა, - იძახდა დალია, - ტოლომიესს ვერ იცნობთ? ეს ტოლომიესის აზრია.

- მაშ თუ ასეა, - მიუგო ფავორიტმა, - სიკვდილი ბლაშველს და გაუმარჯოს ტოლომიესს!

- გაუმარჯოს ტოლომიესს! - შეჰყვირეს დალიამ და ზეფინმა.

და გულიანი კისკისი დაიწყეს.

ფანტინიც იცინოდა, როგორც სხვები.

ერთი საათის შემდეგ, შინ რომ მივიდა, მწარედ აქვითინდა. პირველი იყო ეს სიყვარული. ტოლომიესს ისე შეხვდა, როგორც ღვთისაგან კურთხეულ მეუღლეს, შვილიც ჰყავდა საბრალო ქალს.

## წიგნი მეოთხე
## ნდობა ხანდახან დაკარგვას უდრის

### თავი პირველი
### ორი დედის შეხვედრა

ამ საუკუნის დასაწყისში ერთი დუქანი იყო მონფერმეილში, პარიზის ახლოს, რომელიც დღეს აღარ არსებობს. დუქანი ცოლ-ქმარ ტენარდიეს ეკუთვნოდა და ბულანჟეს ვიწრო ქუჩაზე მდებარეობდა. შესასვლელი კარის ზემოთ კედელზე მიკრული ფიცარი ჩანდა და ზედ რაღაცა ეხატა. ერთ კაცს ზურგზე აეკიდა მეორე, რომელსაც მხრებზე გენერლის ვერცხლის ვარსკვლავებიანი მსხვილი, მოვარაყებული ეპოლეტები ეკეთა. სურათი აქა-იქ წითლად იყო მოსვრილი, რასაც სისხლი უნდა გამოეხატა. დანარჩენი ნაწილი ვითომ კვამლით იყო დაფარული და ალბათ ბრძოლის ველს წარმოადგენდა. ქვემოდან სურათს წარწერა ჰქონდა: „ვატერლოოს სერჟანტს“.

ამგვარი დუქნის კარებთან რომ ეტლი იდგეს რამე, ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ის ეტლი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ის ნამტვრევი რაღაც ეტლისა, ქუჩაში რომ ეყარა ვატერლოოს სერჟანტის დუქანთან 1818 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, უთუოდ მიიზიდავდა ყურადღებას მხატვრისას, თუ იმ ვიწრო ქუჩაში მოუხდებოდა გავლა.

წინა ნაწილი იყო იმ სატვირთოსი, ტყიან მთებში რომ ხმარობენ მსხვილი ფიცრებისა და ბოძების საზიდად; სქელი დიდი ღერძი ჰქონდა რკინის ღერიანი, რომელშიც რვილი იყო ჩაჭედილი და უზარმაზარ თვლებზე იდგა. ტლანქი იყო, უშნო და საზარელი. გეგონებოდათ, რაღაც უცნაური ზარბაზნის ზედადგარიაო. ცის ქვეშ გდებას მთლად წაეხდინა ღერძიც, თვლების სალტეც, ღერძის ღერიც და ტალახით შეეღება ყვითლად, იმ ფერით, რომლითაც ხშირად ამშვენებენ ტაძრებს. ხე ტალახს დაეფარა და რკინა - ჟანგს. ღერძზე ერთი მსხვილი ჯაჭვი ეკიდა, ტყვე-გოლიათის საკადრისი. თავის საზიდავ ხეებს და ბოძებს კი არ მოგაგონებდათ ეს ჯაჭვი, არამედ მამონტებსა და მასტოდონტებს, მისი დაძვრა და ზიდვა რომ შესძლებოდათ. პატიმრების შესაკრავ ჯაჭვს წააგავდა, ოღონდ ეს პატიმრები დევები უნდა ყოფილიყვნენ, ციკლოპები და არა ადამიანები. ჰომეროსი ამით პოლიფემს დააბამდა და შექსპირი - კალიბანს.

რად ეგდო ეს მშვენიერება ზედ გზაზე, ვიწრო ქუჩაში? ჯერ იმიტომ, რომ გაეძნელებინა მოძრაობა, და კიდევ იმიტომ, რომ კარგად დაჟანგებულიყო. ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში მრავალი დაწესებულება მოიპოვება, რომელთაც ყველგან ხედავს ადამიანი თავის გზაზე და რომელთა არსებობასაც სხვა საფუძველი არა აქვს, გარდა იმისა, რომ კარგად დაჟანგდნენ.

შუა ნაწილი ჯაჭვისა ისე ეკიდა თვლებზე, ღერძის ქვემოდან, რომ ზედ ბავშვები ისხდნენ; ორი პატარა გოგო, ერთი დაახლოებით ორწლინახევრისა, მეორე თვრამეტი თვისა და ისე ჩაჰკვროდა პატარა მის უფროსს, რომ თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა. შალით იყვნენ გოგოები შეკრული, რომ არ ჩამოცვენილიყვნენ. ალბათ დაინახა ეს საზიზღარი ჯაჭვი დედამ და თქვა - აი, კარგი სათამაშო ჩემი გოგონებისთვისაო.

კოხტად იყვნენ ბავშვები მორთულნი და მხიარულად იცინოდნენ. იტყოდით, ორი ვარდი გაშლილა ამ ჟანგიან რკინაზეო. თვალები უბრწყინავდათ, სახე ანგელოზებრ უღიმოდათ. ერთს წაბლისფერი თმა ჰქონდა, მეორე შავგვრემანი იყო. უმანკო პირისახეზე აღტაცებული გაკვირვება ეხატებოდათ. იქვე ბუჩქი იდგა აყვავებული და სურნელებას ჰფენდა, რომელიც უფრო იმ ბავშვებისაგან მომდინარესა ჰგავდა. პატარას, თვრამეტი თვისას, კაბა ჩამოშვებოდა და უმანკო, ბავშვური მოურიდებლობით უჩანდა ტიტველი მუცელი; ამ ბედნიერ, მზის სხივებით გაბრწყინებულ ბავშვებთან ის უზარმაზარი თვლები, თავისი ღერძით და ჯაჭვით, ჟანგით ჩაშავებული და საზარელი, ისე მოჩანდა, გეგონებოდათ ბავშვები რაღაც გამოქვაბულის შესასვლელში დამსხდარანო. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, დუქნის შესასვლელთან, ჩაცუცქულიყო ბავშვების დედა, შეხედულებით არც ძალიან მიმზიდველი, მაგრამ იმ წუთში მეტად საამო შესახედავი. ჯაჭვისათვის გრძელი თოკი მოება, იმის საშუალებით აქანებდა გოგონებს, თვალს არ აშორებდა და, - არ ჩამოცვივდნენო, - შიში ერეოდა მის ზეციურ გამომეტყველებას, რომელიც დედობრივ გრძნობას ამშვენებს. ჯაჭვი ოდნავ იძვროდა და ყოველ მის მოძრაობას თან სდევდა მჭვრინავი ხმა, რომელიც გაბრაზების ყვირილს ჰგავდა. პატარა გოგონები ტკბებოდნენ ამ ქანაობით. ჩამავალი მზეც მათ დაჰხაროდა. მომხიბლავი იყო ეს სურათი. შემთხვევას დევ-ვეშაპების ჯაჭვი ქერუბიმების საქანელად გამოეყენებინა.

თავის პაწიებს აქანავებდა დედა და მცდარი ხმით ღიღინებდა ერთ მაშინ ძალზე ცნობილ სიმღერას.

საჭირო არის, უთხრა მხედარმა...

თავისმა სიმღერამ და ბავშვების სიხარულმა ხელი შეუშალა, დაენახა და გაეგო, რა ხდებოდა იმ დროს ქუჩაში.

ვიღაც მიუახლოვდა დედას, როდესაც სიმღერის პირველ სიტყვებს მღეროდა და უცბად, მისთვის მოულოდნელად, თითქმის შიგ ყურში ჩასძახა:

- რა ლამაზი ბავშვები გყავთ, ქალბატონო!

თავის საყვარელ სატრფოს ამოუჟინს...

უპასუხა თავისი რომანსის მღერით დედამ და მიბრუნდა, ვინ მიქებს გოგონებსო. ერთი ქალი იდგა მის გვერდით, იმასაც ბავშვი ჰყავდა; აეყვანა და ისე მიჰყავდა. გარდა ამისა, კარგა მოზრდილი ბოღჩა ეჭირა, საკმაოდ მძიმე.

იშვიათი, მშვენიერებით აღსავსე ქმნილებათაგანი იყო ამ ქალის ბავშვი, ორი-სამი წლის გოგონა. კოხტად მორთული ტანისამოსით არც ის ჩამოუვარდებოდა ორ პატარა ქალს, დედა რომ აქანავებდა. სიფრიფანა მაქმანით ჰქონდა დამშვენებული მშვენიერი ქუდი, თეთრი, წმინდა ტილოს კაბა ეცვა და ზედ ბაფთებიანი, მოკლე წინსაფარი ეკეთა. მოკლე კაბის კალთა არ უფარავდა თეთრყირმიზ, თლილ და მკვრივ ფეხებს. ლოყები წითლად დაბრაწვოდა. თვალებზე ვერაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ ისინი ძალიან დიდრონი უნდა ჰქონოდა, საუცხოო წარბებით დამშვენებული. ბავშვს ეძინა.

ბავშვური ძილი მოჰკიდებოდა, უსაზღვრო ნდობითა და მშვიდობით სავსე. ალერსისაგან არის შექმნილი დედის მკლავი და ტკბილად სძინავს ზედ პატარას.

დედა კი დაბეჩავებულსა ჰგავდა და დაღონებულს, ტანსაცმელი ეცვა მუშა ქალისა, რომელსაც ეხლა გლეხის ქალობა დაუპირებია. ყმაწვილი ქალი იყო. ლამაზი კი ეთქმოდა? იქნებ კიდეც იყო, მაგრამ იმ ტანსაცმელში ლამაზს არ ჰგავდა. ერთი

ნაწნავი ჩამოვარდნოდა, ეტყობოდა ხშირი, გრძელი თმა უნდა ჰქონოდა, მაგრამ დაემალა მონოზვნური უშნო, ვიწროდ მოჭერილი თავსახვევით, რომელიც ნიკაპქვეშ ჰქონდა შეკრული. სიცილმა იცის ლამაზი კბილების გამოჩენა, მაგრამ ეს ქალი აღარ იცინოდა. ეტყობოდა, კარგი ხანი იყო, მის თვალებს ცრემლი არ შეშრობოდა. ფერმიხდილი იყო. ძალიან დაღლილი უნდა ყოფილიყო და ცოტა ავადაც. თავის მკლავზე მიძინებულ გოგონას იმ სახით დასცქეროდა, რომელიც თავისი რძით გამომზრდელი ბავშვის დედას აქვს ხოლმე. წელზე ერთი განიერი პირსახოცი ერტყა, რომლითაც ცხვირს იხოცავენ ინვალიდები. ხელები ჭორფლიანი ჰქონდა, სალოკი თითი ნემსისგან გამაგრებული. წაბლისფერი წამოსასხამი და უხეში, მძიმე ფეხსაცმელი ეცვა. ეს ქალი ფანტინი იყო.

ფანტინი იყო, ძნელად საცნობი, მაგრამ თუ გულისყურით დააცქერდებოდით, შეამჩნევდით, რომ ისევ შერჩენოდა თავისი სილამაზე, რაღაც ირონიული და სევდიანი ხაზი ჩამოჰყოლოდა მარჯვენა ღაწვზე. რაც შეეხება იმის ტუალეტს, იმ ჰაეროვანი მაქმანისა და ლენტების ტუალეტს, რომელიც სიხარულის, გახელებისა და მუსიკის ქმნილება იყო, მძივებით მორთული და სურნელოვანი, ისე გამქრალიყო, როგორც მბრწყინავი თრთვილი, მზეზე რომ ალმასად გვეჩვენება, დნება და მთლად შავად სტოვებს ტოტებს.

ათი თვე გავიდა „დაპირებული საჩუქრის“ მიღების შემდეგ.

რა მოხდა ამ ათი თვის განმავლობაში? ადვილი წარმოსადგენია.

საყვარლისაგან მიტოვებას გაჭირვება მოჰყვა. ფავორიტი, ზეფვინი და დალია მაშინვე ჩამოეცალნენ. კაცებმა გაწყვიტეს და ქალებმაც მთლად დაარღვიეს კავშირი. ძალიან იუცხოვებდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ რომ ეთქვა ვინმეს - გუშინ ხომ მეგობრები იყავითო? ნიადაგი გამოეცალა მათ მეგობრობას. მარტოდმარტო დარჩენილიყო ფანტინი. შვილი ჰყავდა და შვილის მამა კი გაჰქცეოდა - ვაი, რომ სამუდამოდ. დარჩა ფანტინი თავისი ჩვეულებით - რაც შეიძლება ნაკლებად გარჯილიყო და რაც შეიძლება მეტი ესიამოვნა. ტოლომიესთან კავშირით გატაცებულმა მიატოვა თავისი ძველი ხელობა და დაკარგა მუშტარი. არავითარი სახსარი ცხოვრებისა აღარ გააჩნდა. ძლივძლივობით კითხულობდა, წერა სულაც არ იცოდა. პატარაობისას ესწავლებინათ თავისი გვარისა და სახელის მოწერა. ერთ სახალხო მწერალს დააწერინა ტოლომიესთან წერილი; მერე მეორე; მერე მესამე; ტოლომიესმა არც ერთზე არ გასცა პასუხი.

ერთხელ დედაკაცების ლაპარაკს მოჰკრა ყური: - ვინ აქცევს ყურადღებას ამგვარ ბავშვებს! შეხედავენ, მხარს აიჩეჩავენ და გაივლიან. წარმოიდგინა ფანტინმა ტოლომიესი, რომელიც მხარს აიჩეჩავდა თავისი შვილის - უდანაშაულო, უმანკო არსების ხსენებაზე და გულისწყრომა იგრძნო ამ კაცისადმი. რა წყალში ჩავარდნილიყო, აღარავინ ჰყავდა, რომ რჩევა მაინც ეკითხა. შეცდა, მართალია, მაგრამ გულის სიღრმეში, გემახსოვრებათ, კდემამოსილება და სათნოება შეინარჩუნა. ამჟამად უკვე გრძნობდა, რომ უფსკრულის პირას იდგა და ხვალინდელი დღე უფრო მეტ გაჭირვებას და შეცდომას უქადდა. გამაგრება იყო საჭირო, მოიკრიბა ძალა და გამაგრდა, იფიქრა, მშობლიურ ქალაქში დავბრუნდები, მონრეილში, იქნებ ნაცნობი ვიპოვო ვინმე და საქმე ვიშოვოო. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო თავისი შეცდომის დამალვა და გრძნობდა, რომ უნდა განშორებოდა თავის შვილს, ეს კი უფრო გულსაკლავი იქნებოდა, ვიდრე ტოლომიესის წასვლა. გული უკვდებოდა, მაგრამ

მაინც გადაწყვიტა. ფანტინი, ამასაც ვნახავთ, მკაცრად შეებრძოლა ცხოვრებას. საჭირო იყო და მამაცურად გამოეთხოვა თავის მორთულობას. უბრალო ტილოთი შეიმოსა და, რაც აბრეშუმი ჰქონდა - კაბები, ლენტები და მაქმანი, სულ თავის გოგონას გადაუკეთა. ესღა დარჩენოდა, ერთადერთი პაწია შვილით მოსწონდა თავი. სხვა ყველაფერი გაყიდა, რაც კი მოეპოვებოდა, ორასი ფრანკი აიღო, ვალები გადაიხადა და ოთხმოც ფრანკამდე ფული დარჩა. ერთ მშვენიერ გაზაფხულის დილას ოცდახუთი წლისა გამოეთხოვა პარიზს, თან წაიყვანა ბავშვი ზურგზე აკიდებული. ყველას შეეცოდებოდა დედა-შვილი, ვინც კი იმათ დაინახავდა. ამ ადამიანს არავინა ჰყავდა ქვეყნად ამ ბავშვის გარდა, და ამ ბავშვს არავინ - ამ დედის გარდა. პატარა თავისი ძუძუთი გაეზარდა. ფილტვები უსუსტდებოდა უჭმელ-უსმელობით და ცოტა ახველებდა.

ბატონ ფელიქს ტოლომიესის ხსენება შემდეგში აღარ დაგვჭირდება. მაშ, აქვე ვთქვათ, რომ ოცი წლის შემდეგ, ლუი ფილიპეს მეფობისას, სახელგანთქმული ვექილი იყო პროვინციაში, გავლენიანი, მდიდარი, ფრთხილი ამომრჩევი და ძალიან მკაცრი მსაჯული; იგივე დროსტარებისა და შექცევის მოყვარული დარჩენილიყო.

ნელ-ნელა იარა ფანტინმა, სვენებ-სვენებით; ხანდახან სამი, ოთხი სუს წყალობით იმ ეტლითაც, მაშინ პარიზის გარეუბნული რომ ერქვა და შუადღის დროს მონფერმეილში, ბულანჟეს ქუჩაზე აღმოჩნდა.

ტენარდიეს დუქანთან რომ მივიდა, ორი მხიარულად მოცინარი გოგონა დაინახა საოცარ ჯაჭვის საქანელაზე. შეხედა და გაჩერდა. თვალი მოსტაცა ამ მშვენიერმა სანახაობამ.

არსებობს თურმე ჯადო. პატარა გოგონებმა მოაჯადოეს საბრალო დედა.

იგი იდგა და შესცქეროდა აღტაცებული. სადაც ანგელოზებია, სამოთხეც შესაძლებელია. ამ დუქნის ზემოდან ელანდებოდა საიდუმლო „აქ“ ღვთის განგებისა. ცხადი იყო, ბედნიერები იყვნენ პატარა გოგონები. შესცქეროდა, შესტრფოდა, იმდენად გულდამტკბარი, რომ თავი ვეღარ შეიკავა და სწორედ იმ დროს მიმართა ბავშვების დედას, როდესაც ის სუნთქვას იბრუნებდა თავისი სიმღერის პირველი სიტყვების შემდეგ:

- რა ლამაზი ბავშვი გყავთ, ქალბატონო!

მძვინვარე ცხოველიც კი მოლბება, იმის შვილს რომ უალერსებენ. შეხედა დედამ და მადლობა უთხრა. იქვე, კარებთან პატარა სკამი იდგა, სთხოვა - დაბრძანდითო. ლაპარაკი დაიწყეს ქალებმა.

- ტენარდიეს მეუღლე გახლავართ. ეს დუქანი ჩვენია.

მაგრამ არც თავისი რომანსი ავიწყდებოდა და ნელი ხმით ღიღინებდა:

ასე უნდაო - კვლავ იმეორებს, -

მივემგზავრები პალესტინაში.

წითური ქალი იყო ტენარდიეს მეუღლე, სქელი, ღონიერი, საჯარისკაცო დედაკაცის ტიპი. უცნაური ის იყო, რომ რომანების კითხვით გატაცებული ქალებივით იპრანჭებოდა, კეკლუცობდა, მაგრამ ვაჟკაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე დედაკაცს. მედუქნის ცოლის ოცნებას რომ ძველი რომანები მოხვდება, ყოველთვის ამას იძლევა ნაყოფად. ჯერ კიდევ ყმაწვილი ქალი იყო, ოცდაათი წლისა ძლივს იქნებოდა. ჩაცუცქული იყო და მთლიანად ვერა ხედავდა მას ფანტინი. ფეხზე რომ მდგარიყო და დაენახვებინა თავისი აყლაყუდა ტანი და ბაზრებში მოყიალე ბუმბერაზის მხარბეჭი,

პირველი დანახვისთანავე შეაშინებდა მგზავრს, შეურყევდა ნდობას და შეუძლებელს გახდიდა ჩვენს საამბობს. ზის ადამიანი თუ ფეხზე დგას, ამაზეა დამოკიდებული ვისიმე ბედი.

ფანტინმა უამბო თავისი თავგადასავალი, ცოტა შეცვლილი.

ხელოსანია, ქმარი მოუკვდა; პარიზში საქმე ვეღარ იშოვა და ახლა ცდილობს სხვაგან სადმე იშოვოს სამუშაო, თავის სამშობლოში; პარიზიდან ამ დილით გამოვიდა ფეხით; რადგან ბავშვი ხელში ეჭირა, დაიღალა; ვილმობლს მიმავალი ეტლი შეხვდა და შიგ ჩაჯდა; იქიდან ფეხით მოვიდა მონფერმეილში; პატარას ევლო ცოტა ხანი ფეხით, მაგრამ ძალიან ცოტა; ჯერ სუსტია, უსუსური; ხელში აიყვანა და ტკბილად ჩაეძინა მის საუნჯეს.

ესა თქვა და ისე დაეწაფა მძინარე ბავშვის ლოყას, რომ უცებ გამოაღვიძა. გაახილა ბავშვმა თვალები, დიდრონი, ცისფერი, როგორც იმის დედასა ჰქონდა, და რას შეხედა? არაფერს და ყველაფერს - პატარა, ბავშვური დინჯი თვალით, რომელიც ხანდახან სასტიკად გვეჩვენება ჩვენს ბუნდოვან სათნოებასთან შედარებით და რომელიც არის საიდუმლო ნათელი უმანკოებისა. იტყვით, ეს ბავშვები თავს ანგელოზად გრძნობენ და ჩვენ - ადამიანებადო. მერე სიცილი დაიწყო პატარამ და, თუმცა დედა არ უშვებდა, ხელიდან გაუსხლტა და მიწაზე ჩაცურდა ბავშვის უძლეველი ენერგიით, რომელსაც სირბილი უნდა. უცბად დაინახა თავისი ტოლები საქანელაზე. გაჩერდა და გაკვირვების ნიშნად ენა გამოყო.

ტენარდიეს ცოლმა ჩამოსხა თავისი გოგონები და უთხრა:

- სამივემ ერთად ითამაშეთ.

ამ ხნის ბავშვები ადვილად ეცნობიან ერთმანეთს. იქვე დაიწყეს თამაში სამივემ ერთად. ორმოებს თხრიდნენ მიწაში და საამურად ატარებდნენ დროს.

ძალიან მხიარული იყო ეს ახალმოსული. გულკეთილ დედას ლაღი შვილი ჰყავს. ჩხირი აეღო პატარა, ბარად ხმარობდა და მთელი ძალ-ღონით თხრიდა ორმოს, - ბუზი ვერ ჩაეტეოდა შიგ. საფლავის მთხრელის ხელობა ბავშვის ხელში საამო ხდება.

დედები კი ლაპარაკობდნენ.

- რა ჰქვია თქვენს პაწიას?

- კოზეტი.

კოზეტი, წაიკითხეთ ეფრაზი. პატარას ეფრაზი ერქვა, მაგრამ დედამ კოზეტად გადააკეთა, დედისა და ხალხის იმ ტკბილი და საამო ალღოთი, რომელიც სოსეფას პეპიტად აქცევს და ფრანსუაზს - სიეტად. ეს გახლავთ ერთგვარი წარმოება სიტყვისა, რომელიც რევს და აბათილებს მთელ მეცნიერებას ეტიმოლოგისტებისა. ერთ დიდედას ვიცნობდით, რომელმაც ისიც კი შესძლო, რომ თეოდორი ნიონად გადააკეთა.

- რამდენი წლისაა?

- სამი წლისა გახდება მალე.

- როგორც ჩემი უფროსი.

ამ დროს სამი ბავშვი ერთად იდგა. ღრმად შეწუხებულებს ჰგავდნენ და თან ძალიან კმაყოფილებს. საშინელება მოხდა: მიწიდან ერთი დიდი, დიდი მატლი ამოძვრა, შეეშინდათ და უხაროდათ.

ერთმანეთს ეხებოდა იმათი გახარებული შუბლები. იტყოდით, სამ თავს დასდგომია ერთი სხივიო.

- რა მალე გაიცნობენ ხოლმე ერთმანეთს ბავშვები! - შეჰყვირა ტენარდიეს ცოლმა, - შეხედეთ, თითქოს სამივე დები არიანო.

ალბათ ამ ნაპერწკალს ელოდა ფანტინი. ხელი სტაცა, თვალში ჩააცქერდა და უთხრა:

- ნეტავ თქვენ შემინახავდეთ ჩემს პაწიას.

ტენარდიეს ცოლი გაკვირვებული შეინძრა. არც ჰო იყო და არც არა ამ მოძრაობაში.

ფანტინმა განმარტა:

- არ მინდა ბავშვის მიყვანა ჩემს ქვეყანაში. საქმე მექნება და სადღა მოვიცლი? ბავშვით ხელში ადგილსაც ვერსად ვიშოვი. იცით, რა უცნაური ხალხია ჩვენებურები! ალბათ ღვთის წყალობა იყო, აქეთ რომ გამოვიარე. თქვენები დავინახე ასე ლამაზები, ასე სუფთები და ასე მხიარულები, ცას ვეწიე სიხარულით. გულში ვთქვი - აი, კარგი, კეთილი დედა. ჩემიც რომ აიყვანოს, სამნი დებივით იქნებიან-მეთქი. არც ძალიან დიდხანს დავრჩები, მალე დავბრუნდები. გინდათ? აიყვანთ ჩემს გოგონას?

- არ ვიცი, ვნახოთ...

- ექვს ფრანკს მოგცემთ თვეში.

ამ დროს კაცის ხმა მოისმა დუქნიდან:

- არა ნაკლებ შვიდი ფრანკისა! და წინდაწინ ექვსი თვის ფული!

- ექვსჯერ შვიდი ორმოცდაორი, - თქვა ცოლმა.

- მოგართმევთ, - უპასუხა ფანტინმა.

- და თხუთმეტი ფრანკიც ზედმეტად, მოწყობის ხარჯად, - გაისმა კაცის ხმა.

- სულ ორმოცდაჩვიდმეტი ფრანკი, - თქვა ცოლმა და ამ ფულებს რომ ანგარიშობდა, თან თავისას ღიღინებდა:

ასე უნდაო - კვლავ იმეორებს.

- მოგართმევთ, - უთხრა ფანტინმა. - ოთხმოცი ფრანკი მაქვს და საკმარისი დამრჩება, რომ შინამდე მივიდე. ადგილს ვიშოვი, ფულს მოვაგროვებ და მაშინვე მოვალ პაწიას წასაყვანად.

ამ დროს კვლავ გაისმა კაცის ხმა:

- მზითევიც ხომ ექნება ამ ქალბატონს?

- ჩემი ქმარია, - გააცნო გოგონების დედამ.

- რა თქმა უნდა, ექნება! მაშინვე მივხვდი, რომ თქვენი ქმარი არის. და ძალიან კარგი მზითევიც, გარწმუნებთ, ბევრს არ ექნება ასეთი. სულ თორმეტ-თორმეტი. ქალბატონივით სულ აბრეშუმის კაბები აქვს, აი, აქა მაქვს, ამ ბოღჩაში.

- მაგასაც აქ დატოვებთ! - გაისმა კაცის ხმა.

- დავტოვებ, მაშ თან ხომ არ წავიღებ? - უთხრა ფანტინმა. განა შიშველ-ტიტველს დავტოვებ აქ ჩემს შვილს?

თვითონ ტენარდიეც გამოჩნდა.

- ძალიან კარგი.

მორიგდნენ. ფანტინი იქ დარჩა იმ ღამეს, თავის ბავშვთან, მეორე დღეს ჩააბარა ფული, კოზეტის საცვლები და ტანსაცმელი, შეკრა თავისი, უკვე შემსუბუქებული ბარგი და გამოეთხოვა, დარწმუნებული, რომ მალე დაბრუნდებოდა. დამშვიდებით ემშვიდობებიან ხოლმე ასეთ დროს, მაგრამ გული კი მკვდარი აქვთ.

ერთი ტენარდიეს მეზობელი შეხვედროდა გზაში ფანტინს. მოვიდა და შესჩივლა მედუქნეს:

- ერთი ქალი ვნახე ქუჩაში, რომ იცოდე, როგორ გულსაკლავად ტიროდა უბედური.

ფანტინი რომ წავიდა, ტენარდიემ უთხრა თავის ცოლს:

- ძალიან შეგვესწრო ეს ფული! ას ათი ფრანკი მაქვს ვალი. ხვალ არის ვადა და ორმოცდაათი ფრანკი მაკლდა. იცი, რომ ბოქაულს მომაყენებდნენ და ყველაფერს ამიწერდნენ? ძალიან მახეში გააბით შენ და შენმა გოგონებმა!..

- ფიქრადაც არა მქონია, - უთხრა ცოლმა.

## თავი მეორე
## პირველი ესკიზი ორი საეჭვო ადამიანისა

მეტად გამხდარი იყო მახეში გაბმული თაგვი, მაგრამ კატა მაინც კმაყოფილია, თუნდაც მჭლე თაგვი დაიჭიროს.

რას წარმოადგენდნენ ეს ტენარდიები?

ახლავე ვთქვათ ცოტა რამ. დაწვრილებით შემდეგში მოგვიხდება მათი დახატვა.

ცოლ-ქმარი ტენარდიე ეკუთვნოდა იმ ჯურის ხალხს, რომელშიც არეულან მოქნილ-მოხერხებული გამარჯვებული უვიცები და დამარცხებული ნასწავლები. ეს კლასი ეგრეთ წოდებულ საშუალოსა და მდაბიოს შუა არის მოქცეული და კარგად აერთებს მეორის ნაკლოვანებას და პირველის ბიწიერებას, ოღონდ არც მუშის კეთილშობილური გატაცება გააჩნიათ, არც ბურჟუის თავაზიანი წესიერება.

იმ ქონდრისკაცთაგანნი იყვნენ ორივე, რომლებიც, თუ ერთი ბეწო სხივი მოხვდათ მზისა და ოდნავ შეათბო, ურჩხულად გადაიქცევიან. ცოლი ძირითადად ხეპრე იყო, ქმარი - გგაიძვერა. ორივენი სიავკაცისკენ წინსვლის დიდი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი.

არის სული კიბოსებრი, რომელიც ყოველთვის წყდიადისკენ იწევს, უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ, გამოცდილებას იმისთვის ხმარობს, რომ ავი გაამრავლოს, ხდება და ირყვნება და დღითი დღე შავი მწიკვლით ისვრება. ტენარდიე და იმისი ცოლი ამგვარი სულის ადამიანები იყვნენ.

მეტადრე ტენარდიე - საგონებელში ჩააგდებდა ფიზიონომისტს. ერთხელ შეხედავ ამისთანა კაცს და მაშინვე იგრძნობ, რომ მორიდება გირჩევნია, რადგან მთელი მისი არსება წყდიადით არის გამსჭვალული. მისი წარსული საეჭვოა და მომავალი - საშიში. გამოცანაა ეს კაცი, ვერ გაიგებთ, რა იყო და რას შვრებოდა, ან რა არის და რას იზამს. მზერაში ემჩნევა ჩრდილი და ეს არის მისი გამცემი. ერთი სიტყვა კმარა მისი ნათქვამი, ერთი მოძრაობა, რომ ცხადად იგრძნო ბნელი საიდუმლოებანი მის წარსულში და ბნელი განზრახვანი - მის მომავალში.

თუ დავუჯერებთ, ეს ტენარდიე ჯარისკაცი ყოფილიყო ერთ დროს, - სერჟანტი ვიყავიო, - იძახდა. ალბათ 1815 წლის ომის დროს იყო ჯარში და სიმამაცეც კი გამოეჩინა, როგორც ამბობდა. რა იყო აქ მართალი, შემდეგში ვნახავთ. დუქნის კედელზე მიკრული აბრა უნდა ყოფილიყო იმისი ვაჟკაცობის სურათი. სურათი თვითონვე დაეხატა, რადგან ყველაფერს თვითონ აკეთებდა და ყველაფერს ცუდად.

ეს ის დრო იყო, როდესაც მთლიანად დაეცა ანტიკური კლასიკური რომანი და „კლელია“ „ლოდოისკად“ იქცა, ყოველთვის დიდებული, მაგრამ უფრო და უფრო ვულგარული გახდა. მადმუაზელ დე სკუდერი შემდეგ ქალბატონ ბურნონ-მალარმად იქცა, ქალბატონი დე ლაფაიეტი ქალბატონ ბართლემი-ადოდ ქცეულიყო. ეს რომანები პარიზელი მეკარეების სულისჩამდგმელი და, ცოტა არ იყოს, დედაქალაქის გარეუბნელების წამწყმედი შეიქნა.

ტენარდიეს ცოლი სწორედ იმდენად იყო განვითარებული, ამგვარი წიგნები რომ წაეკითხა. ტკბებოდა ამ რომანებით. ისინი მას შემდეგ ტვინს ურევდნენ. ამიტომ იყო, რომ სიყმაწვილეში, და მერეც ცოტა ხანს, მეოცნებე სახე ჰქონდა. ქმარი კი ცოტაოდენ შეგნებული, ვერაგი, წიგნისა და გრამატიკის მცოდნე უქნარა, უკმეხი და ამავე დროს მოხერხებული, გრძნობიერებისთვის პიგო-ლებრენს სცემდა პატივს, სრულყოფილ და უბადლო ხეპრეს ყველაფერში და აგრეთვე „ქალთა სქესის“ საკითხშიც. როგორც თვითონ ამბობდა, ავმუცელაზე უარესი იყო. ცოლი ათი-თორმეტი წლით ახალგაზრდა იყო ქმარზე. შემდეგში, როცა რომანებით გატაცებულს ჭაღარა შეერია თმაში, როდესაც პამელა მეგერად შეიცვალა, ერთ საზარელ ზორბა დედაკაცს წარმოადგენდა, სულელური რომანებით გაჟღენთილს. დაუსჯელი არ დარჩება, ვინც სისულელეს კითხულობს. ამიტომ იყო, რომ თავის უფროს გოგოს ეპონინი დაარქვა და უმცროსს აზელმა. კიდევ კარგი, რომ სწორედ ამ დროს ჩაერია საქმეში რომანი დუკრეი-დუმინილისა, თორემ გულნარას დაარქმევდა.

ესეცა ვთქვათ გაკვრით, ყველაფერი სულელური და ზერელე კი არ იყო იმ დროს, რომელსაც ოდნავ შევეხეთ და რომელსაც შეიძლება ეწოდოს ანარქია ნათლობის სახელებში. ბევრი რამ იყო რომანტიკული, მაგრამ საზოგადოებრივი მიმართულების ნიშნებიც მოჩანდა. დღეს უკვე იშვიათი არ არის ყასბის შვილს არტური ერქვას, ალფრედი, ალფონსი და გრაფს, თუ კიდევ არის გრაფი - თომა, პეტრე ან იაკობი. ეს გადატანა სახელებისა, რომელსაც დიდკაცური სახელები ხალხში შეაქვს და სოფლური სახელები არისტოკრატიაში, ერთი პირველნაკადთაგანი არის თანასწორობისა. აქაც განუწყვეტელი მიმდინარეობაა ახალი ნიავისა, როგორც ყველგან. ამ ზედაპირული განსხვავების ქვეშ ერთი დიადი და ღრმა რამ მზადდებოდა - საფრანგეთის რევოლუცია.

## თავი მესამე
## ტოროლა

მხოლოდ ავკაცობით წარმატებს ვერ მიაღწევთ. დუქნის საქმე ცუდად მიდიოდა. ფანტინისაგან მიღებული ორმოცდაჩვიდმეტი ფრანკის წყალობით გადარჩა ტენარდიეს თამასუქი გაკოტრებას, მედუქნემ პირნათლად გადაიხადა ვალი. ერთი თვის შემდეგაც იგივე გაჭირვება დაადგათ. ცოლი პარიზს წავიდა, კოზეტის მზითევი დააგირავა სამოც ფრანკად და რაკი ფული მალე შემოეხარჯათ, ჩვეულებად დაიდო ცოლ-ქმარმა - პატარა გოგოს ისე მოქცეოდნენ, თითქოს სამადლოდ ინახავდნენ, როგორც მიგდებულს. ტანსაცმელი აღარ ჰქონდა, აღარც საცვლები და ტენარდიეს ბავშვების გამონაცვალს აცმევდნენ, ნაგლეჯებს და ნაფხრეწებს. საჭმელად სხვის ნასუფრალს აძლევდნენ; ცოტა უკეთესს, ვიდრე ძაღლს მიუგდებენ და უფრო ცუდს, ვიდრე კატას. მაგრამ ძაღლიცა და კატაც, ჩვეულებრივ, კოზეტის სუფრაზე იყვნენ

გამოჭიმულნი, რადგან საბრალო გოგონა მაგიდის ქვეშ ჭამდა პურს ისეთივე ხის ბადიით, როგორითაც ძაღლი და კატა.

ფანტინი, როგორც შემდეგში ვნახავთ, მონრეილში მოწყობილიყო და ყოველთვე სწერდა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სხვას აწერინებდა წერილს, რომ თავისი ბავშვის ამბავი ეცნობებინათ. ტენარდიეც უცვლელად პასუხობდა ერთსა და იმავეს: „კოზეტი საგანგებოდ არის“.

ექვსი თვე რომ გავიდა, ფანტინმა შვიდი ფრანკი გაუგზავნა, მეშვიდე თვისა და ყოველთვის დაუგვიანებლად უგზავნიდა ამ ფულს. ჯერ წელიწადიც არ გასულიყო, რომ ტენარდიემ უკმაყოფილება გამოთქვა - დიდი რამ ჰგონია რაღაც შვიდი ფრანკი, ცარიელი პურის საყიდლად არ ეყოფა ამ სვავივით გაუმაძღარსო. წერილი მისწერა დედას. თორმეტი ფრანკი მოსთხოვა თვეში. სულ იმასა სწერდა ფანტინს, საგანგებოდ არის შენი კოზეტიო, სიტყვას ენდო დედა და ახლა თორმეტ ფრანკს უგზავნიდა.

ზოგმა იცის, თუ უყვარს ვინმე, სხვა უნდა სძულდეს. ტენარდიეს ცოლს გაგიჟებით უყვარდა თავისი გოგონები და ჭირივით ეჯავრებოდა კოზეტი. სამწუხაროა სწორედ, რომ დედის სიყვარულს ეს ცუდი მხარეც თან სდევს. ხომ უპატრონო ძაღლივით მიგდებული იყო პატარა გოგონა, ტენარდიეს ცოლს მაინც გული სტკიოდა - ეს სასიკვდილე ჭამს ჩემი გოგონების წილს, იმ ჰაერს სუნთქავს, რომელიც ჩემს გოგონებს ეკუთვნისო. ამ დედაკაცს, როგორც ყველა სხვას, ალერსიც მრავალი ჰქონდა ყოველდღე გასაცემი, და სილა და მუჯლუგუნიც - არანაკლები. კოზეტი რომ იქ არ ყოფილიყო, ცხადია, იმის შვილებს ერგებოდათ დედის გაჯავრებაც, კარგი სასჯელიც, თუმცა გაგიჟებით უყვარდა ორივე; მაგრამ დიდი სიკეთე უყო ამ პატარამ ტენარდიეს გოგონებს: დასჯა და ცემა კოტეზს ხვდა წილად და იმათ - მარტო ნებივრობა და ალერსი. ხელს ვერ გაანძრევდა საბრალო, დიასახლისის რისხვა რომ არ გამოეწვია და უხვი ლანძღვა, წყევლა და დაუმსახურებელი ცემა-ტყეპა არ მიეღო. უბედური ტკბილი ქმნილება, რომელსაც ვერც ამ ქვეყნისა შეეგნო რამე, ვერც ღვთისა! იმას ყოველთვის უჯავრდებოდნენ, სჯიდნენ და სცემდნენ, და იმ გოგონებს კი, იმასავით პატარებს, ალერსით ატკბობდნენ.

დედა რომ ასე ავად ეკიდებოდა კოზეტს, ეპონინი და აზელმა უარესად ექცეოდნენ. ამ ხნის ბავშვები ყველაფერში დედას ბაძავენ. პპატარები არიან და ამით გაირჩევიან დედისაგან, სხვა არაფრით.

ერთი წელიწადი გავიდა, მერე მეორე...

სოფელში კი ქებაც ისმოდა ტენარდიებისა:

- გულკეთილები ყოფილან, დალოცვილები! თვითონაც ბევრი არაფერი აქვთ, მაგრამ ერთ ბავშვსა ზრდიან უპატრონოს. მიუყვანია ვიღაცას და იმათთვის მიუგდია.

დედისაგან დავიწყებული ეგონათ კოზეტი.

მაგრამ ტენარდიეს გაეგო როგორღაც - სად ან როგორ, ვინ იცის? - რომ ბავშვი ნაბიჭვარი უნდა ყოფილიყო, რომ დედა იძულებული იყო დაემალა თავისი შვილი და თვეში თხუთმეტი ფრანკი მოსთხოვა. იზრდება გოგო, ბევრსა ჭამს და თუ არ მომიმატებთ, ვეღარ შევინახავო.

- აბა ნუ მომცემს! - გაჰყვიროდა გახარებული, - ქვეყანას შევუყრი იმ უნამუსოს! აბა ნუ მომიმატებს!

ახლა თხუთმეტ ფრანკს აძლევდა თვეში ფანტინი. დრო გადიოდა. ბავშვი იზრდებოდა და იზრდებოდა მისი წამებაც.

სანამ პატარა იყო, ის ილახებოდა პატარა გოგონების მაგივრად; ცოტა რომ წამოიზარდა, ჯერ ხუთი წლისაც არ იყო, რომ სახლის მსახურად გახადეს.

ხუთი წლისა, შეუძლებელიაო! - იტყვიან. - ვაი, რომ მართალია! საზოგადოებრივი ტანჯვა ყოველ ასაკში შეიძლება დაიწყოს. გუშინ არ იყო ერთი უბედურის, დუმოლარის საქმე ირჩეოდა სასამართლოში: ხუთი წლისა დარჩენილიყო ობლად, „შრომა“ დაეწყო და „ქურდობა“, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, და მერე ყაჩაღობა, რაც დამტკიცებულია ოფიციალური საბუთებით.

აქეთ-იქით გზავნიდნენ კოზეტს, ოთახებს აგვევინებდნენ, ეზოს, ქუჩას, ჭურჭელს არეცხინებდნენ, აზიდვინებდნენ, რასაც დაძრავდა. მით უფრო საფუძვლიანად თვლიდნენ ამას, რომ ფანტინი დროულად აღარ უგზანვიდა ფულს. ხანდახან რამდენიმე თვისა ედებოდა ვალად.

სამი წლის შემდეგ რომ მოსულიყო თავისი ბავშვის სანახავად, ვეღარ იცნობდა. ის ლამაზი, ვარდის კოკორივით მშვენიერი, ჩასუქებული გოგონა დღეს ჩამომჭკნარი იყო, ჩაყვითლებული. რაღაც დაბეჩავებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირქუშიაო, - იძახდნენ ტენარდიები.

უსამართლობამ სიმშვიდე დაუკარგა და გაჭირვებამ - სილამაზე. მშვენიერი თვალების მეტი აღარაფერი შერჩენოდა და ამ დიდრონ თვალებში უფრო ცხადად და მწარედ იხატებოდა მისი მწუხარება.

გულსაკლავი სანახავი იყო ბავშვი ზამთარში, როდესაც ჯერ ექვსი წლისა არ იყო, რაღაც კონკებით მოსილი, თვალცრემლიანი, ქუჩასა ჰგვიდა დილაადრიან უშველებელი ცოცხით.

მეზობლები ტოროლას ეძახდნენ. ხალხსაც უყვარს თავისებურად მონათლვა და ეს სახელი მისცა ამ პატარა გოგონას, პატარა ჩიტუნიასავით რომ თრთოდა შეშინებული, ყველაზე ადრე რომ დგებოდა მთელ სოფელში და, ჯერ გათენებული არ იყო, ქუჩასა ჰგვიდა, რაც უნდა ავი დარი ყოფილიყო.

ოღონდ ეს საწყალი ტოროლა თავის დღეში არა მღეროდა.

## წიგნი მეხუთე
## მთის ძირში მიმავალი გზა

### თავი პირველი
### ყალბი გიშრის წარმოების განვითარება

ბავშვი მონფერმეილში დატოვა დედამ, საწყალ კაცს მიუგდოო, - ამბობდნენ მონფერმეილში, - და თვითონ სადღაც წავიდაო. მერე რა იქნა, რა მოუვიდა, რას აკეთებდა ფანტინი?

ბავშვი ტენარდიეს მიაბარა, თვითონ გზას გაუდგა და მონრეილში მივიდა. ეს იყო 1818 წელი, როგორც მკითხველს ემახსოვრება.

ათ წელიწადზე მეტი იყო, რაც ქალი თავის სამშობლოში აღარ ყოფილიყო და ძალიან გამოცვლილი დახვდა ქალაქი. იმ დროს, როდესაც ფანტინი ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა, იმისი სამშობლო ქვეყანა შენდებოდა.

დაახლოებით ორი წელიწადი იქნებოდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივ წარმოებაში მოხდა ერთი რამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პატარა ქალაქის წარმატებისათვის.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ეს საყურადღებო გარემოება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხაზი გავუსვათ მას.

უძველესი დროიდან მონრეილს სპეციალურ წარმოებად ჰქონდა ყალბი გიშრისა და გერმანული შავი მძივის კეთება. ბევრს არაფერს იძლეოდა ეს წარმოება, რადგან დასამუშავებელი მასალა ძვირი ღირდა და თავისი სიძვირით ამცირებდა მუშის ხელფასსაც. ფანტინი რომ მონრეილში მივიდა, მეტად თვალსაჩინო ცვლილება მომხდარიყო „შავი მძივის“ წარმოებაში.

1815 წლის დამლევს ერთი უცნობი კაცი მოსულიყო ქალაქში, იქ დასახლებულიყო და განეზრახა ფისის მაგივრად გუმფისი ეხმარა და, საკუთრად სამაჯურისთვის, შედუღებული კილოს მაგივრად, შეკრული კილო. მთელი რევოლუცია მოჰყვა ამ პატარა ცვლილებას.

მართლაც, ამ პატარა ცვლილებამ ძალიან გააიაფა დასამუშავებელი მასალა, რამაც გაადიდა მუშის ხელფასი - ღვთის წყალობა მოეცა ქვეყანას, გააუმჯობესა თვით წარმოება, სრულიად დააკმაყოფილა მყიდველ-მომხმარებლები და გააიაფა საქონელი, თუმცა მაინც ერთი სამად მეტი რჩებოდა მოგება - სარგებლობა ქარხნის პატრონისა.

ამგვარად, ერთ აზრს სამი შედეგი მოჰყვა.

სამი წელიწადიც არ გასულიყო ჯერ, რომ წარმოებაში ამ ცვლილებების შემტანი მდიდარი კაცი გახდა, რაც სასურველია ყველასათვის და ყველა გაამდიდრა თავის გარშემო, რაც უფრო მეტად სანატრელია ყველასათვის. უცხო იყო ოლქში ის კაცი. არავინ იცოდა რამე ამისი, არც იმის წარსულისა.

ამბობდნენ, ძალიან ცოტა ფულით მოვიდა ქალაქში, რამდენიმე ასეული ფრანკი თუ ექნებოდა, მეტი არაო.

ამ პატარა თანხით დაიწყო საქმე, თავისი საზრიანობით, წესიერებითა და გონების დახმარებით და თვითონაც გაკეთდა კაცი და ქვეყანაც გააკეთა.

მონრეილში რომ მივიდა, რაც გააჩნდა, ზედ ეცვა; ქცევა და სიტყვა-პასუხი მუშისა ჰქონდა.

მგონი სწორედ იმ დღეს, ქალაქში რომ შევიდა ბეჭებზე გუდამოგდებული, ეკლიანჯოხიანი უცნობი, დეკემბრის საღამო ხანს საშინელი ხანძარი გაჩნდა ქალაქის სახლში. რომ დაიყვირეს, - ბავშვები იწვიანო, - თავგანწირვით შევარდა ცეცხლში და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა ორი ბავშვი, ჟანდარმების კაპიტნის შვილები. ამიტომ იყო, რომ პასპორტი არავინ მოსთხოვა. მაშინ გაიგეს იმისი სახელი. ძია მადლენი ერქვა.

## თავი მეორე
## მადლენი

ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. ფიქრიანი და კეთილი სახის მქონე კაცი. ამის მეტს ვერაფერს იტყოდნენ მასზე.

სწრაფად გაიზარდა და აყვავდა მისი გამომგონებლობით განახლებული წარმოება და თვით ქალაქიც მსხვილი საქმეებისა და ვაჭრობის ცენტრად იქცა. ესპანეთი დიდძალ გიშერს ხმარობს და დიდძალი საქონელი გაჰქონდა მონრეილიდან, რომელიც ამ წარმოებაში კონკურენციას უწევდა ლონდონს და ბერლინს. იმდენად დიდი მოგება რჩებოდა ძია მადლენს, რომ ერთი წლის დშემდეგ დიდი შენობა ააგო, რომელშიც ორი ფართო სახელოსნო იყო. ერთი კაცებისთვის, მეორე ქალებისთვის. ვისაც კი შიოდა, იქ უნდა მისულიყო დარწმუნებული, რომ სამუშაოსაც მისცემდნენ და პურსაც. ძია მადლენი ერთსა სთხოვდა კაცებს - ბეჯითად იმუშავეთო და ქალებს - ნამუსიანად იყავითო. პატიოსნად იყავით ყველგან და ყოველთვისაო, - ეუბნებოდა ქალებსაც და კაცებსაც. ამ მხრივ უდრეკი იყო. ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომელსაც დაჟინებით იცავდა და ასრულებდა. მით უფრო საფუძვლიანი იყო მისი ახირება, რომ მონრეილში გარნიზონი იდგა და ხშირი იყო იქ შემთხვევა გარყვნილებისა. საერთოდ კი ბედი ეწია ქალაქს, რომ იქ დაბინავდა ძია მადლენი. იმის მისვლამდე სიცოცხლე არ ეტყობოდა მონრეილს; ახლა კი წმინდა შრომის სიცოცხლით იყო სავსე. აღარავის ახსოვდა უმუშევრობა და შიმშილი, აღარსად მოიპოვებოდა ჯიბე, რომ შიგ ცოტაოდენი ფული არ ყოფილიყო.

ყველასათვის მოეპოვებოდა სამუშაო ძია მადლენს. ერთს სთხოვდა მუშას:

პატიოსანი კაცი იყავი, პატიოსანი ქალი იყავიო.

როგორც უკვე ვთქვით, ამ საქმიანობაში, რომლის აღმძვრელიც თვითონ იყო და სულის ჩამდგმელიც, დიდ ქონებას იძენდა ძია მადლენი, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ამ უბრალო ვაჭარს მოგება არ მიაჩნდა თავისი სიცოცხლის მიზნად. ცხადად ჩანდა, სხვებისთვის უფრო იღვწოდა, ვიდრე თავისთვის. 1820 წელს ექვსას ოცდაათი ათასი ფრანკი ჰქონდა ლაფიტის ბანკში შეტანილი; მაგრამ სანამ თავისთვის გადადებდა ფულს, ერთ მილიონზე მეტი დაახარჯა ქალაქს და გაჭირვებულთ.

ცუდად იყო მოწყობილი საავადმყოფო; თავისი ხარჯით მოაწყო და ათ საწოლს ინახავდა იქ. ქალაქი ორად არის გაყოფილი, ზემო და ქვემო უბნად. ქვემო ნაწილში დასახლდა ძია მადლენი. ერთადერთი სასწავლებელი იყო ამ უბანში - ძველი შენობა, დასანგრევი. აქაც დაეხმარა ძია მადლენი და ორი შენობა ააგო, ერთი ქალებისა და მეორე ვაჟების სასწავლებელი. ორ მასწავლებელს იმ მცირე ჯამაგირის დასამატებლად, რომელსაც მთავრობისაგან იღებდნენ, ის თავის მხრივ აძლევდა იმდენსავე, და ერთ მოქალაქეს, ამ ხარჯით გაკვირვებულს, მოკლედ მოუჭრა სიტყვა:

- ყველაზე საჭირო და სასარგებლო მოხელე სახელმწიფოსი არის ძიძა და მასწავლებელი.

უპატრონო, ობოლი ბავშვების სახლი მოაწყო თავისი ხარჯით, იმ დროს იშვიათი მთელ საფრანგეთში, და მოხუცი და ავადმყოფი მუშების დამხმარე სალარო. მისი ქარხანა ცენტრად იქცა, ბევრი ღარიბი დასახლდა მის გარშემო. აქაც აფთიაქი გამართა და გაჭირვებულთ მუქთად აძლევდა წამლებს.

პირველ ხანს რომ დაიწყო თავის საქმე, ყაყანი დაიწყეს ქალაქში: მოხერხებული კაცია, გამდიდრებას აპირებსო. როცა ნახეს, რომ ქვეყანა გაამდიდრა და ჯერ თავისთვის არაფერი ჰქონდა შეძენილი, ახლა სხვა თქვეს - თავმომწონე კაციაო. ამ სიტყვას ცოტა რამ საფუძველი ჰქონდა, რადგან ღვთის მორწმუნე იყო ძია მადლენი, კვირის წირვას არ აკლდებოდა და ამით იყო იმ დროს კაცი ღირსეული და პატივცემული. იმ მხარის დეპუტატს, რომელსაც დღე და ღამე სულ მეტოქეები

ელანდებოდა, გულში ეცა ძია მადლენის ქცევა. ეს დეპუტატი სახელმწიფოს კანონმდებელი კრების წევრად ყოფილიყო და ძალიან სწამდა ერთი ბერის, სახელად დუშე ჰერცოგ დ'ოტრანტის სარწმუნოება, რადგან ამ ჰერცოგის მეგობარი იყო. თუ სანდო მეგობრებში იყო, მასხრად იგდებდა სარწმუნოებასაც და ღმერთსაც. მაგრამ როდესაც ნახა, რომ მდიდარი მადლენი წირვას არ აკლდებოდა, მაშინვე მეტოქე მოელანდა და გადაწყვიტა გადაეჭარბებინა მისთვის. გასანდობად ერთ იეზუიტ მღვდელთან დაიწყო სიარული და წირვაზეც საყდარში ბრძანდებოდა და ლოცვაზეც. დიდებისა და სახელის მოსაპოვებლად იმ დროს საყდარი იყო და ხალხის დასანახად - ლოცვა. ღარიბებს ცოტა რამ ერგოთ ბატონი დეპუტატის, როგორც თვით ღმერთსაც: ორი საწოლი იმან მოაწყო საავადმყოფოში თავისი ხარჯით. გახდა თორმეტი.

და ერთ დილას, 1819 წელს, ქალაქში ხმა გავარდა, რომ პრეფექტს მეფისთვის უთხოვია ძია მადლენის ქალაქის თავად დანიშვნა და საბუთად ამისა დაუსახელებია მისი მოღვაწეობა. ამ ამბავმა ძალიან გაახარა ისინი, ვინც თავმომწონებას სწამებდა მადლენს: აჰა, მაშ მართალს არ ვამბობდითო? - ქალაქს სალაპარაკო სხვა აღარაფერი ჰქონდა და საფუძვლიანიც იყო ეს ხმები. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ მონიტორში იყო გამოცხადებული მისი დანშვნა. ძია მადლენმა უარი განაცხადა.

იმავე 1819 წელს მადლენის მიერ შემოღებული ცვლილებებით გაკეთებული გიშერი და სხვა ნაწარმი სარეწაო გამოფენაზე იყო განხილული და ექსპერტთა კომისიის წარდგენით მეფემ საპატიო ლეგიონის ორდენი მიანიჭა. ახლა ამაზე დაიწყეს ყაყანი ქალაქში: მაშ ორდენს ეპოტინებოდა და კიდეც მიიღოო. - ძია მადლენმაც ორდენზე უარი განაცხადა.

მართლაცდა, გამოცანა იყო ეს კაცი. ჭირიკანებმა აქაც იპოვეს გამოსავალი - ავანტიურისტად მონათლეს.

უკვე ვთქვით, დიდი სიკეთე უყო ქვეყანას, მეტადრე გაჭირვებულ ხალხს; იმდენად სასარგებლო მოღვაწე იყო, რომ უნებლიეთ პატივისცემა დაიმსახურა. იმდენად კეთილი იყო, რომ არ შეიძლებოდა არ შეგეყვარებინათ. თავისი მუშები ხომ თაყვანს სცემდნენ, იმდენად ლმობიერად ეკიდებოდა; სევდიან სიამეს გვრიდა მათი სიყვარული და პატივისცემა. როდესაც „მაღალი საზოგადოება“ დარწმუნდა, რომ მართლა მდიდარი იყო, მდაბლად თავი დაუკრა ყველამ და ბატონი მადლენი უწოდა, მუშები და ბავშვები კი ძველებურად ძია მადლენს ეძახდნენ. სწორედ ეს სახელი იყო, სიტკბოებით რომ უვსებდა გულს. რაც უფრო მდიდრდებოდა კაცი, უფრო ხშირად პატიჟებდნენ საზოგადოებაში. „საზოგადოება“ ცდილობდა მის დაახლოებას. ქალაქის პრანჭია საზოგადოება, რა თქმა უნდა, არ იკადრებდა ვიღაც ხელოსანს. ახლა კი ფეხქვეშ ეგებოდა მილიონერს. ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ ვერ დაიყოლიეს.

აქაც კი ვერ შეიკავა თავი ჭორმა: გაუნათლებელი კაცია, უვიცი და უზრდელი. იცის, რომ შერცხვება განათლებულ საზოგადოებაში. ვინ იცის, იქნება წერა-კითხვაც არ იცოდესო.

რაკი დარწმუნდნენ, ფულის ყადრი სცოდნიაო - ვაჭარიაო, დაიძახეს; რომ ნახეს, როგორ ეშველებოდა ხალხს თავისი ფულით - თავმომწონე ყოფილაო; რომ გაიგეს, უარი თქვა ყოველგვარ წარმატებაზე - ძალიან გაქნილია, ვიღაცის არისო; და როცა ნახეს, რომ არ ისურვა საზოგადოებაში გამოსვლა - ბრიყვია და რეგვენიო.

1820 წელს, მონრეილში მუშაობის ხუთი წლის შემდეგ, იმდენად თვალსაჩინო იყო მისი ღვაწლი, ისე ერთხმად ისმოდა ხალხში მისი ქება და პატივისცემა, რომ მეფემ

ხელმეორედ დანიშნა ქალაქის თავად. უარი თქვა, მაგრამ პრეფექტი ჩააცივდა, მთავრობის წარჩინებული მოხელეები მივიდნენ მასთან სათხოვნელად. ხალხი მოგროვილიყო ქუჩაში და ეკედრებოდა - იკისრე ეს თანამდებობაო, - და თანხმობა გამოაცხადა. ამბობენ, ერთმა ბებერმა დედაკაცმა უფრო მეტი გავლენა იქონია მის გადაწყვეტილებაზე, ვიდრე ამდენმა თხოვნამ. მაინც რომ უარს ამბობდა, ცოტა გაჯავრებით დაუყვირია იმ დედაკაცს: ქალაქის თავად კარგი კაცი არის საჭირო. ვინ იქნება, სიკეთის თესვა შეეძლოს და უარს ამბობდესო?

ეს მესამე საფეხური იყო მისი ამაღლებისა. ძია მადლენი ბატონი მადლენი გახდა, ბატონი მადლენი - ბატონი მერი, ქალაქის თავი.

## თავი მესამე
## ბანკში შეტანილი ფული

ფულიანიც ისევე უბრალოდ ცხოვრობდა, როგორც წინათ. თმა ჭაღარა ჰქონდა, თვალი - დაღონებული, მზისაგან დამწვარი სახე - მუშისა, სახის გამომეტყველება - ჩაფიქრებული ფილოსოფოსისა. განიერფარფლიანი ქუდი ეხურა და გრძელი, სქელი მაუდის სერთუკი ეცვა, ნიკაპამდე შეკრული. მერის თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ ძველებურად მარტოდმარტო ცხოვრობდა. სალაპარაკოდ არ ეცალა. საზოგადოებრივი ეთიკის მოთხოვნებს თავს არიდებდა, სალამს აძლევდა და საჩქაროდ გაუყვებოდა თავის გზას. გაიღიმებდა, რომ პასუხის თქმა არ დასჭირვებოდა და ფულს აძლევდა, რომ პასუხი კი არა, ღიმილიც არ დასჭირვებოდა. ნამდვილი კეთილი დათვიაო, - იძახდნენ ქალები.

ყოველთვის მარტო ჭამდა და წინ წიგნი ედო, კითხულობდა. პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, კარგად შერჩეული და ძალიანაც უყვარდა. ცივი მეგობარია წიგნი, მაგრამ ერთგული. რამდენადაც უკეთ მისდიოდა საქმე, დროც იმდენად მეტი ჰქონდა და გონებრივ განვითარებას ეშურებოდა. მმისი მეტყველება თანდათან ზრდილობასა და დახვეწილობას იძენდა.

ძალიან უყვარდა მინდორში სეირნობა და თოფსაც წაიღებდა ხოლმე. თუმცა იშვიათი იყო მისგან თოფის გასროლა, მაგრამ მიზანს კი არ ააცდენდა. უვნებელ ცხოველს ან პატარა ფრინველს არ მოკლავდა.

ხნიერი კაცი იყო, მაგრამ ამბობდნენ, საკვირველი ღონის პატრონიაო. სადაც კი დაინახავდა, ვინმეს მძიმე ტვირთის აწევა უჭირდა, მაშინვე მიეშველებოდა. წაქცეულ ცხენს ააყენებდა და ტალახში ჩაფლულ თვლებს ეწეოდა. რქაში სწვდებოდა და აჩერებდა გაქცეულ ხარს. სახლიდან გასვლისას ჯიბე სავსე ჰქონდა წვრილი ფულით და შინ ცარიელი ჯიბით ბრუნდებოდა. სოფელში რომ გაივლიდა სადმე, მხიარული ჟივილ-ხივილით გარს ეხვეოდნენ დაგლეჯილი ტანსაცმლით მოსილი ბავშვები და მუმლის გუნდივით თან მისდევდნენ.

ეტყობოდა, წინათ სოფელში უნდა ეცხოვრა, მიწის მუშად, რადგან ბევრი რამ იცოდა სასარგებლო და გლეხებს ასწავლიდა: ვიდრე ბეღელში პურს ჩაყრიდეთ, თუ არ გინდათ, რომ ობი მოეკიდოს, მარილი გახსენით წყალში და ამ წყლით გარეცხეთ კედლები; თუ გამსკდარია ფიცარი, შიგ შეიყვანეთ მლაშე წყალი. ბოგანო ჭიის ამოსაწყვეტად ურჩევდა, ყველგან დაკიდეთ აყვავებული გარეული პიტნის ტოტი - ბანზე, კედლებზე, სახლში და ბოსტანშიც კიო. წამლები იცოდა, რომლითაც

შეიძლებოდა მავნე მცენარეების - პურის მოსავლის პარაზიტების - მოსპობა. ბაჭიები ჰყავდა და თაგვების მოსაშორებლად მათთან დასვა ზღვის გოჭი.

ერთხელ სოფლელებს შეხვდა. ძირიანად ჰგლეჯდნენ ჭინჭარს. გადახედა დაგროვილ სასარგებლო მცენარეს, ზოგი უკვე ხმებოდა და გლეხებს უთხრა:

- თქვენ ასე ტყუილად ექცევით და ის კი არ იცით, რა სასარგებლო რამ არის ეს ჭინჭარი. სანამ ნედლი აქვს ფოთოლი, საგანგებო გემრიელი საჭმელია. ხმება და ისეთივე ბოჭკო აქვს, როგორიც კანაფსა და სელს. ჭინჭრის ნაქსოვი კანაფისას არ ჩამოუვარდება. დაკეპილი ძალიან უყვარს ქათამს, დანაყილი - რქიან საქონელს. ჭინჭრის თესლი რომ ბზეს ან თივას შეურიოთ, ბრწყინვას დაიწყებს საქონლის ტყავი. მარილიან წყალში მოხარშული ფესვი მშვენიერ ყვითელ საღებავს იძლევა. გარდა ამისა, თვითონაც ძალიან კარგი თივაა, რომელიც შეიძლება ორჯერ გაითიბოს. ჭინჭარს რა უნდა? ცოტა მიწა, არავითარი მოვლა და მოშენება. ოღონდ თესლი ძირს სცვივა, როგორც მომწიფდება და ამიტომ ძნელია მისი მოგროვება. არ ვიცით მისი გამოყენება, თორემ ძალიან სასარგებლო რამ იქნებოდა. ყურადღებას არ ვაქცევთ და მავნებლად გაგვიხდია, და რადგან მავნებლად გავხადეთ, მაშ უნდა მოვსპოთ. რამდენი კაცი ჰგავს ჭინჭარს. - ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე დაუმატა - დაიხსომეთ, მეგობრებო, არც მცენარეა ცუდი და არც კაცი - ავი. ცუდი და ავი მხოლოდ მომვლელი და აღმზრდელია.

ბავშვებს კიდევ იმიტომ უყვარდათ, რომ საუცხოო პატარა სათამაშოებს აკეთებდა ჩალისა და ქოქოსის ნაჭუჭისგან.

ეკლესიის კარს რომ დაინახავდა, შავით შემოსილს, მაშინვე შევიდოდა. ისე ეძებდა დასაფლავებას, როგორც სხვები - ქორწილს. ვინმეს დაქვრივება და საერთოდ უბედურება იზიდავდა, რომ ნუგეში ეცა და დახმარებოდა, თუ საჭირო იყო. მგლოვიარეებში ჩაერეოდა და ეტყობა, სიამოვნებით აძლევდა თავის ფიქრებს გალობისა და ლოცვის ტექსტს საიქიოს აღთქმული ნუგეშით. თვალი ზეცისაკენ ჰქონდა აპყრობილი და ისე ისმენდა განსასვენებელ საგალობელს, სიკვდილის წყვდიადით სავსე უფსკრულის პირას რომ ისმის, თითქოს თვითონაც სულით მიისწრაფვის უსაზღვროების საიდუმლოებისკენო.

მრავალ მადლს სთესდა და ისე მალავდა ამას, როგორც ავის მქნელი მალავს თავის საქციელს. ჩუმად შევიდოდა ხოლმე საღამო ჟამს ვინმეს სახლში და როდესაც შინ მოვიდოდა გაჭირვებული და ნახავდა, რომ ვიღაც ყოფილიყო მის ბინაზე, თავში ხელს იცემდა გულგახეთქილი; მაგრამ შევიდოდა სახლში და მაშინვე თვალში ეცემოდა სადმე სკამზე დაწყობილი ოქროს ფული.

ალერსიანი კაცი იყო და სულ დაღონებული! ხალხი იძახდა - მდიდარია ის დალოცვილი და ამპარტავნობისა ნატამალიც არა აქვს, ბედნიერია და კმაყოფილება არ ეტყობაო.

ზოგნი იძახდნენ - საიდუმლოებით სავსე პიროვნებააო, - და ამტკიცებდნენ, - თავის დღეში არავინ ყოფილა იმის ოთახში, რომელიც განდეგილის სენაკს წარმოადგენს ქვიშის საათით, ჯვარედინად დასვენებულ ძვლებით და მკვდრის თავის ქალით დამშვენებულსაო. იმდენი ილაპარაკეს, იმდენი, რომ რამდენიმე ყმაწვილი ქალი, კეკლუცი, მაგრამ ღვარძლიანი, მივიდა ერთხელ მადლენთან და სთხოვა:

- ბატონო მერო, ერთი გვიჩვენეთ, თუ შეიძლება, თქვენი ოთახი, ამბობენ, ნამდვილი მღვიმეაო.

გაიღიმა მადლენმა და მაშინვე თავის „მღვიმეში“ შეიპატიჟა ისინი. გაწბილებულნი დარჩნენ ქალები: სულ უბრალო, ჩვეულებრივი ოთახი იყო, წითელი ხის, საკმაოდ უშნო ავეჯით გაწყობილი და იაფფასიანი კედლის ქაღალდით გაკრული. შესანიშნავი არაფერი იყო, გარდა ორი ძველებური შანდლისა, რომელიც ბუხრის თავზე ეწყო და ვერცხლისას ჰგავდა, რადგან - „სინჯის ნიშანი ჰქონდაო“, - დამახასიათებელი შენიშვნა პატარა ქალაქის ჭორიკანა ქალბატონებისა.

მაგრამ მაინც ისევ ისე ყაყანებდნენ - მის ოთახში არავინ შესულა: მღვიმეა განდეგილისა, ორმო, აკლდამაო.

იმასაც ჩურჩულებდნენ, რომ „დიდი ფულის“ პატრონია, ლაფიტის ბანკში აქვს ფული შეტანილი, ოღონდ იმ პირობით, რომ ბანკი ვალდებულია, როგორც კი მოითხოვს, მაშინვე დაუყოვნებლივ დაუბრუნოსო; დიახ, მადლენს შეუძლია მივიდეს ბანკში, მოითხოვოს თავისი ფული და ათი წუთის შემდეგ ორი-სამი მილიონით შეამციროს ბანკის სალაროო. სინამდვილეში კი ეს ორი-სამი მილიონი, როგორცა ვთქვით, ექვსას ოცდაათი თუ ორმოცდაათი ათასი ფრანკი იყო.

## თავი მეოთხე
## ბატონი მადლენი მგლოვიარეა

1821 წლის დასაწყისში გაზეთებმა ბატონ მირიელის გარდაცვალება გამოაცხადეს, დინის ეპისკოპოსისა, რომელიც კეთილმოვლენილად იყო წოდებული და ოთხმოცდაექვსი წლისა მიიცვალა, ვითარცა მართალი და ღვთისმოსავი.

ბრმა იყო, რომ მიიცვალა დინის ეპისკოპოსი, - აქ გვინდა ერთი გარემოება აღვნიშნოთ, რომელიც გამოჰპარვოდათ გაზეთებს, - უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, ვეღარა ხედავდა და არ ემდუროდა ბედს, რადგან თან ჰყავდა თავისი და.

გაკვრითა ვთქვათ: ამქვეყნად, სადაც უნაკლო არაფერია, ბედნიერების უტკბილეს და უბრწყინვალეს ფორმას წარმოადგენს ბრმისადმი გულწრფელი სიყვარული. უსინათლო ხართ, მაგრამ ყოველთვის გვერდით ხედავთ ერთ ქალს, - დედას, ცოლს, დას, - ერთგულ ადამიანს, რომელიც თქვენთან არის, რადგან შეიძლება დაგჭირდეთ რამეში, უსინათლო ხართ, მაგრამ ხედავთ, რომ უთქვენობა აწუხებს, ვისაც უყვარხართ; უსინათლო ხართ, მაგრამ შეგიძლიათ გაზომოთ მისი სიყვარული იმ წმინდა გრძნობით, რომლითაც თავის თავს გწირავთ, შეგიძლიათ თქვათ: რადგან მე მანდომებს მთელ თავის დროს, მაშ მე მეკუთვნის მთლად მისი გულიო. უსინათლო ხართ, ვერ ხედავთ მის სახეს, მაგრამ კარგადა გრძნობთ იმის ყოველ ფიქრს, ხედავთ იმის ერთგულებას, როდესაც წყვდიადით არის მოცული თქვენთვის ქვეყანა; ნაზ გალობასავით გულს გიტკბობთ მისი კაბის შრიალი, გრძნობთ ყოველ მის მოძრაობას, მის სიტყვას, მის ხმას და იცით, რომ თქვენა ხართ მთავარი საგანი მისი მოძრაობისა, მისი სიტყვისა და სიმღერისა; უსინათლო ხართ, მაგრამ ყოველ წამს ხედავთ მის თავდადებულ ერთგულებას და მით უფრო მძლავრად გრძნობთ თავს, რამდენადაც მძიმე არის თქვენი დაავადება; წყვდიადში მყოფი, წყვდიადითვე დაბრმავებული მნათობად გრძნობთ თავს, რომლის ირგვლივ დაციალებს ეს ანგელოზი. დიახ, ცოტაა ქვეყნად ამგვარი ბედნიერება. უმაღლესი ბედნიერება ჩვენი ცხოვრებისა არის რწმენა, რომ ვუყვარვართ ვინმეს და, უკეთ რომ ვთქვათ, ვუყვარვართ ჩვენდა უნებურად. უსინათლოს ნეტარებაა ეს გრძნობა. ამ უბედურებაში რომ გვივლის ვინმე, ეს

ალერსია. განა გვაკლია რამე? არაფერი. ბრმაც რომ იყოს, უსინათლო არ არის, თუ ვისიმე სიყვარული ატკბობს. მერე რა სიყვარული! სათნოებით აღსავსე. რწმენა იყოს, თორემ თვალით ხედვა საჭირო არც არის, - თვით ეძებს სული სულს და კიდეც ჰპოვებს. ეს ნაპოვნი სული და თქვენთვის თავგანწირული არის ქალი. ხელი მოგაშველათ? იმისია ეს ხელი. ბაგე შეახო თქვენ შუბლს? იმისია ეს ბაგე. სუნთქვა გესმით იქვე, თქვენ გვერდით? იმისია ეს სუნთქვა. თქვენთვის მოუძღვნია ყველაფერი, თაყვანისცემაც და სიბრალულიც. თავს დაგტრიალებთ თქვენთვის ყოვლის შემძლებელი, ზედ ეყრდნობით ამ თქვენთვის ტალივით გამაგრებულ ლერწამს, ხელით ეხებით და ხელთ გიპყრიათ განგება. განა შეიძლება ამაზე მეტი ნეტარება? ადამიანის გული, ეს ზეციური ბნელი ყვავილი, განიცდის იდუმალ გაშლას. მთელი ქვეყნის სინათლეში არ გავცვლიდით ამ უსინათლობას. სული - ანგელოზი არის აქ, ჩვენთან, განუშორებლივ. თუ მოგვშორდა, სწრაფვადვე მოვა; სიზმარივით ქრება და სინამდვილედ გვიბრუნდება, შორიდანვე ვგრძნობთ ამ სითბოს მისი მოახლოებისას, - აგერ მოვიდა. და უსაზღვროა ჩვენი სიმშვიდე, მხიარულება და აღტაცება. ვარსკვლავივითა ვართ მისი წყალობით ამ სიბნელეში. უსაზღვროა ზრუნვა და დახმარება, წვრილმანი, მაგრამ მნიშვნელოვანი დაავადებულისათვის, ტკბილი ნანა ქალისა, თქვენ დასარწევად და გულწრფელი ლოცვა - თქვენდა ნუგეშად. სულსა და გულს ატანს თავის სიტყვას, თავის ალერსს. ვერაფერს ხედავთ უსინათლო, თუმცა გრძნობთ, რომ თაყვანსაცემად გამხდარხართ ბნელში, მაგრამ ბნელ სამოთხეში.

ამ სამოთხიდან გადავიდა კეთილმოვლენილი მირიელი მეორე სამოთხეში.

მიცვალება ეპისკოპოსისა მონრეილის ადგილობრივ გაზეთშიც იყო გამოცხადებული. მეორე დღეს ბატონი მადლენი მთლად შავებით მოსილი გავიდა სახლიდან. ქუდზე სამგლოვიარო კრეპი ჰქონდა.

დაინახეს ქალაქში და ახლა ეს გახადეს სალაპარაკო, მაშ დამოკიდებულება რამე ჰქონია ეპისკოპოსთან, იქნებ ნათესავიც იყოსო. და რაკი გლოვა დიდებული ეპისკოპოსის სიკვდილით იყო გამოწვეული, უცბად პატივსაცემ კაცად გახდა ქალაქის კეთილშობილთათვის. მონრეილის მიკროსკოპულმა სენ-ჟერმენის უბანმა განიზრახა კარი გაეღო ბატონი მადლენისთვის, როგორც ეპისკოპოსის ნათესავისთვის. დარწმუნდა ბატონი მადლენი, რომ დიდი წარმატება მიიღო კიდევ, რადგან რევერანსებით ხვდებოდნენ ქალები და ტკბილი ღიმილით - კაცები. ერთ საღამოს ერთმა ქალმა, ამ ბუნებით ჭორიკანა საზოგადოების ხნიერმა ქალბატონმა, პირდაპირ ჰკითხა:

- მაშ, ბატონი მერი დისწული ბრძანდება მისი უსამღვდელოესობის, დინის ეპისკოპოსისა?

- არა, ბატონო. - უპასუხა მადლენმა.

- მაშ ეგ შავები რაღად გაცვიათ?

- ყმაწვილ ბიჭობისას ლაქიად ვიყავი იმის ოჯახში.

ერთი რამ იყო კიდევ, რომელიც შენიშნა ქალაქმა: სადაც კი დაინახავდა პატარა სავოელს, რომლებიც მრავლად დადიოდნენ იმ მხარეში და საქმეს ეძებდნენ, მეტადრე საკვამლე მილებს სწმენდნენ, დაუძახებდა ხოლმე ბატონი მერი, სახელს ჰკითხავდა და ფულს აჩუქებდა. ერთმანეთს ეუბნებოდნენ ამას პატარა ბიჭები და მით უფრო მრავლად დაწანწალებდნენ.

## თავი მეხუთე
## რაღაც ნათელი ჰორიზონტზე

გადიოდა დრო და ნელ-ნელა ბოლო ეღებოდა ბატონი მადლენის ავად ხსენებას. თავდაპირველად ერთ ჩვეულებას მიჰყვნენ მის წინააღმდეგ, კანონად ქცეულს ჩვენს საზოგადოებაში - შურით ლანძღვა და ცილისწამება იმათი, ვისაც კი ბედმა გაუღიმა და წინ წასწია; მერე ჭორები და მასხრად აგდება. მაგრამ თანდათან მთლად გაქრა ეს ყველაფერი და ბატონ მადლენს პატივისცემით ექცეოდა დიდი და პატარა, გულწრფელი პატივისცემით. იმდენად საყვარელი და პატივცემული იყო ყველასგან, რომ 1821 წელს ისევე ახსენებდნენ მონრეილში ბატონ მერს, როგორც დინში - კეთილმოვლენილ ეპისკოპოსს. 1815 წელს შორიდან მოდიოდა ხალხი, რომ რჩევა მიეღო მისგან. სადაც უთანხმოება აღიძვრებოდა ხოლმე, ის არიგებდა. იმან იცოდა მტრების შერიგება, ყველა იმას სთხოვდა თავისი უფლების დაცვას, აღდგენას და ისიც აკმაყოფილებდა ყველას, თითქოს გულში ჰქონოდა წიგნი ბუნებრივი კანონებისა. გადამდები სენივით შესაყრელი გამხდარიყო მისი ყთაყვანისცემა და ექვსი-შვიდი წლის შემდეგ მთელ მხარეს მოედო მადლენის სახელი.

ერთადერთი კაცი იყო ქალაქში და მთელ ოლქში, რომ გაუმაგრდა ამ გადამდებ სენს და მიუხედავად ძია მადლენის მოღვაწეობისა, არ დამორჩილდა საერთო აზრს, თითქოს რაღაც ალღო ჰქონდა - შეუცვლელი და შეურყეველი - და ის აწუხებდა და აფრთხილებდა. შეიძლება მართლა არსებობდეს ზოგიერთ ადამიანში რაღაც მხეცური ალღო, წმინდა და მოუსყიდველი, როგორც ყოველი ალღო, რომელიც იწვევს სიმპათიას და ანტიპათიას და ჭირივით აძულებს ადამიანს ერთ-ერთ თავის მოყვასს; ამ ალღომ არ იცის ყოყმანი, არ იცის კრთომა, არ იცის გაჩუმება და თავისი ეჭვის გადათქმა; ფანატიკურად მორწმუნეა თავისი ეჭვისა; ზვიადი, უარმყოფელი - გონების ყოველგვარი რჩევისა და სიმართლის ყოველგვარი საბუთისა; ეს ის ალღოა, რომელიც ჩუმად აფრთხილებს ადამიან-ძაღლს ადამიან-კაცისაგან და ადამიან-მელას ადამიან-ლომისაგან დასაცავად.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, მადლენი რომ გაივლიდა სადმე ქუჩაში მშვიდი, წყნარი, ხალხის კურთხევით ძლიერი, გაჩერდებოდა მის უკან ერთი მაღალ-მაღალი კაცი, რკინისფერი სერთუკით მოსილი, დიდი ჯოხით ხელში, თვალებზე ჩამოფარებული ქუდით და თვალს არ აშორებდა მიმავალს. იდგა და შეჰყურებდა გულხელდაკრეფილი; თავს იქნევდა, ტუჩებს ცხვირამდე აიწევდა - ერთგვარი მნიშვნელოვანი მანჭვა, რომელიც შეიძლება ასე ითარგმნოს: - რა ვქნა? ვინ უნდა იყოს ეს კაცი? სადღაც მინახავს, მაგრამ სად?.. არ მაგონდება! ყოველ შემთხვევაში, მე ვერ გამაბრიყვებს!

ერთი იმათგანი იყო ეს კაცი, რომლის პირქუში, თითქმის მრისხანე სახე არავის დაავიწყდება, თუ ერთხელ მაინც ნახა სადმე.

პოლიციის მოხელე იყო ეს კაცი, ვინმე ჟავერი.

ძნელ მოვალეობას ასრულებდა მონრეილში, მაგრამ სასარგებლოს, პოლიციის ინსპექტორისას. მადლენის მიერ საქმის დაწყება არ ენახა. ეს თანამდებობა გრაფ ანგლეს, პარიზის პოლიციის პრეფექტის, შაბუიეს წყალობით მიეღო და მონრეილში რომ მივიდა, ძია მადლენი უკვე ბატონი მადლენი იყო.

პოლიციის ზოგ მოხელეს თავისებური სახის გამომეტყველება ქვს, ფლიდი და თან მბრძანებლური. ჟავერიც ამისთანა იერის კაცი იყო, ოღონდ ფლიდობა ნაკლებად ემჩნეოდა.

ჩვენი რწმენაა: რომ შეიძლებოდეს თვალით დანახვა სულისა, უცნაური სურათით დავრჩებოდით გაოცებული - ყველა ადამიანს შეესაბამება რომელიმე ცხოველი; ამიტომ თვალსაჩინოდ გვეჩვენება დღეს მეცნიერთაგან უყურადღებოდ მიტოვებული ჭეშმარიტება, რომ მატლიდან არწივამდე, ღორიდან ვეფხვამდე ყველა ცხოველის ნიშან-თვისება მოიპოვება ადამიანში და ხანდახან ორი ან სამიც, ერთ ადამიანში.

ცხოველი არის გამომსახველი ჩვენი სათნოებისა და ბიწიერებისა, რომელსაც თვალით ვხედავთ; თვალსაჩინო გამოსახულებაა ჩვენი სულისა. ამას იმისთვის ვხედავთ, რომ ჩავფიქრდეთ, მაგრამ რადგან ცხოველი ამ მხრივ მხოლოდ მსგავსებაა, არც აღზრდის ამთვისებელია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ან რა საჭიროა? პირიქით, რადგან ჩვენი სული რეალობაა და საკუთარი მიზანი აქვს არსებობისა, ღმერთს მისთვის გონება მიუნიჭებია, ესე იგი, ძალა განვითარებისა. წესიერმა საზოგადოებრივმა აღზრდამ ყოველთვის უნდა მოსთხოვოს სულს, რაც კი სასარგებლო აქვს ხალხის კეთილდღეობისათვის.

ნათქვამი, ცხადია, მიწიერ ცხოვრებას ეხება მხოლოდ და არ ითვალისწინებს ღრმა საკითხს, რომელიც შეეხება პიროვნებას, წარსულს ან მომავალს არა ადამიანური ქმნილებებისას. არის „მე“ ცხოველისა, რომელსაც ხედავს ადამიანი, მაგრამ ეს ხილული „მე“ არავითარ საბუთს არ გვაძლევს უარვყოთ მასში დაფარული „მე“. ამ შენიშვნის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას და ახლა, თუ თანახმაა მკითხველი და სწამს, რომ ყოველ ადამიანში არის ერთი მაინც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთაგან, ძალიან გაგვიადვილდება პოლიციის მოხელის, ჟავერის, დახასიათება.

ასტურელი გლეხკაცები დარწმუნებულნი არიან, რომ მგლის ლეკვებში ყოველთვის ურევია ერთი ძაღლი, რომელსაც დედა კლავს, - თორემ გაიზრდება და შვილებს შემიჭამსო.

ამ მგლის ლეკვს - ძაღლს - მიეცით ადამიანის იერი და ეს იქნება ჟავერი.

ჟავერი საპატიმროში დაიბადა. მარჩიელი იყო იმისი დედა. მამა იმ დროს კატორღაში იჯდა. იზრდებოდა იმ აზრით, რომ საზოგადოების გარეთ იყო დატოვებული და დაეკარგა იმედი ოდესმე საზოგადოებაში ჩარევისა. დარწმუნდა, რომ საზოგადოება ახლოს არ იკარებს ადამიანთა ორ კლასს: მათ, ვინც საზოგადოებას თავს ესხმის და აგრეთვე თავის მფარველს. არჩევანი არა ჰქონდა ჟავერს - ან ერთში უნდა გარეულიყო, ან მეორეში. ამავე დროს კარგად გრძნობდა, რომ სიმკაცრეც საკმაოდ აქვს, წესიერების სიყვარულიც და პატიოსნებაც. თან გამოუთქმელი სიძულვილით სძულდა ის ბოშათა ჯილაგი, რომელსაც თავადაც ეკუთვნოდა. ადგა და პოლიციაში შევიდა. მუყაითი მოსამსახურე იყო და ორმოცი წლისა უკვე ინსპექტორად დანიშნეს.

ყმაწვილობისას სამხრეთში იყო კატორღელების ზედამხედველად.

ვიდრე ჩვენსას განვაგრძობდეთ, გამოვარკვიოთ ის, რასაც ეს-ეს არის ჟავერის ადამიანური სახე ვუწოდეთ.

ჟავერის ადამიანური სახე წარმოადგენდა აბზეკილ ცხვირს ორი ღრმა ნესტოთი, რომლისკენაც მიიწევდა ორივე ლოყაზე ხშირი წვერი. ცუდი სანახავი იყო, მეტადრე

პირველი ნახვისას, ეს ორი ტყე და შიგ ორი ხვრელი. როდესაც იცინოდა, - იშვიათი იყო იმისი სიცილი და საზარელი, - ისე აღებდა პირს, რომ არა მარტო კბილები, ღრძილებიც კი უჩანდა. ცხვირის გარშემო კი მიჭყლეტილი ნაოჭი ეკრიბებოდა მხეცის დინგივით. დამშვიდებული ძაღლსა ჰგავდა, თუ იცინოდა - ვეფხვს. პატარა შუბლი ჰქონდა, დიდი ყბა, შუბლზე ჩამოფარებული თმა წარბებსა სცემდა, თვალებს შუა ერთი მუდმივი ნაკეცი ჩასჯდომოდა, როგორც მრისხანების დაღი. დაღვრემილი უყურებდა ყველას. პირი მოკუმული ჰქონდა და საშინელი; იერი - საზარელი მბრძანებლისა.

ორი გრძნობა ახასიათებდა ამ კაცს, ძალიან მარტივი და შედარებით ძალიან კარგი, რომელთაც თითქმის ბოროტებად აქცევდა მათი გადაჭარბებით გამოყენება: მთავრობის პატივისცემა და აჯანყების სიძულვილი. მის თვალში ქურდობა, მკვლელობა, საერთოდ ყოველგვარი ბოროტმოქმედება მხოლოდ და მხოლოდ აჯანყების გამომჟღავნება იყო. მთავრობა მრწამსი იყო მისი და ამ მრწამსში შედიოდა ყველა, ვისაც კი რამე თანამდებობა აქვს სამეფოში - მეფიდან დაწყებული, უკანასკნელ ტყის დარაჯამდე; და ათვალწუნებული ჰყავდა, ეზიზღებოდა, ვინც კი ოდნავ მაინც დაარღვევდა კანონიერებას. აქ მას არავითარი გამონაკლისი არა სწამდა. მთავრობის მოხელეებზე ამბობდა: - შეუძლებელია მთავრობის წარმომადგენელი შეცდეს, იგი ყოველთვის მართალიაო; დამნაშავეების შესახებ სულ სხვას ამბობდა: - დაღუპულები არიან! რას უნდა მოელოდეს იმათგან კაცი? გულწრფელად სჯეროდა უკიდურეს მოაზროვნეთა დებულება, რომელიც ადამიანის კანონს რაღაც უფლებას აძლევს შექმნას ან, თუ გნებავთ, აღნუსხოს დემონები და საზოგადოება, რაღაც სტიქსით, ორად გაყოს. შეუპოვარი იყო, დარბაისელი, სასტიკი, დაღონებული მეოცნებე; თავმდაბალი და მედიდური, როგორც ყველა ფანატიკოსი. თვალი ნესტარი ჰქონდა, ცივი და მწარედ მჩხვლეტი. მთელი თავის სიცოცხლის დანიშნულებას ამ სიტყვებით საზღვრავდა: ფხიზლად ვიყო და თვალი მეჭიროს; სწორი ხაზი გავავლო იმაში, რაც ყველაზე მეტად არის დაკლაკნილი ჩვენს ცხოვრებაში. შეგნებული ჰქონდა თავისი სარგებლობა, წმინდად მიაჩნდა თავისი თანამდებობა და ისეთივე გულწრფელი ჯაშუში იყო, როგორც გულწრფელია მორწმუნე მღვდელი. ვაი იმას, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა. თავის მამას დააპატიმრებდა, კატორღიდან რომ გამოქცეულიყო და თავის დედას დააბეზღებდა, ავი რომ ჩაედინა რამე. კეთილისმყოფლის კმაყოფილებით ჩაიდენდა ყოველივე ამას. ამასთან, განმარტოებული ცხოვრობდა, ყველაფერს მოკლებული, თავგანწირული და გართობის უარმყოფელი. განხორციელება იყო ულმობელი ვალდებულებისა, რადგან ისე სწამდა პოლიცია, როგორც სპარტელებს - სპარტა; გულქვა მსტოვარი იყო და მკაცრად პატიოსანი, მარმარილოს გულის მქონე ჯაშუში, ვიდოკის სახით მოვლენილი ბრუტუსი - აი, რა იყო ჟავერი.

მთელი მისი პიროვნება გამოიხატებოდა ამ ორი სურვილით: ვიჯაშუშო და არ ვიქნე შემჩნეული. მისტიკური სკოლა ჟოზეფ დე მესტრისა, რომელიც იმ დროს მაღალი კოსმოგონიით ავსებდა პაპის მომხრე გაზეთებს, ჟავერს სარწმუნოების სიმბოლოდ გამოაცხადებდა. შუბლი არ უჩანდა, ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული, თვალები წამწამებით დაჩრდილული, ნიკაპს ყელსახვევი უფარავდა, ხელებს კი სახელოები. ჯოხი რა არის, ჯოხიც კი დამალული ჰქონდა სერთუკში, მაგრამ თუ საჭირო იყო, უცბად გამოაჩენდა ხოლმე ამ დაბურული ბუდიდან, როგორც

საფარიდან. ვიწრო, კუთხოვანი შუბლი ჰქონდა, საზარელი თვალი, მუქარით სავსე ნაკაპი, უზარმაზარი ხელები და კარგი მსხვილი ჯოხი.

იშვიათად მოხდებოდა, წიგნი რომ წაეკითხა, თუ მოცლილი იყო. არც სულ უვიცი გახლდათ, თუმცა წიგნები სძულდა. ცუდი ჩვეულებები არა ჰქონდა, როგორცა ვთქვით. თუ კმაყოფილი იყო, ბურნუთს მოსწევდა, - ამ სუსტი მხრის გარდა, საერთო არაფერი ჰქონდა კაცობრიობასთან.

ცხადია, ჟავერი საშინელება იყო იმათთვის, ვისაც მართლმსაჯულების სამინისტროს ყოველწლიური სტატისტიკა მოიხსენიებს საერთო სახელით: „მაწანწალები“; ჟავერის სახელისაც კი ეშინოდათ. ჟავერის დანახვა აქვავებდა ყველას.

ასეთი იყო ეს საშინელი კაცი.

ჟავერს თვალი ეჭირა მადლენზე, ეჭვითა და უნდობლობით სავსე თვალი. ბატონმა მადლენმაც მიაქცია ამას ყურადღება, მაგრამ, როგორც ჩანს, უმნიშვნელოდ ჩათვალა. არავითარი კითხვა არ დაუსვია ჟავერისთვის, არც სადმე ეძებდა, არც გაურბოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა, თუმცა გრძნობდა, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო, გჟავერიც იქვე იყო და უთვალთვალებდა. მაგრამ ჟავერსაც ისე ექცეოდა, როგორც ყველას, ტკბილად და ზრდილობიანად.

რამდენიმე სიტყვა წამოსცდენოდა ჟავერს და, ცხადი იყო, რომ ჩუმად ეძებდა რაიმე საბუთს მადლენის პიროვნების გამოსარკვევად იმ ცნობისმოყვარეობით, რომელიც ამ ჯურის კაცსა სჭირს, და რომელშიც იმდენადვე მუშაობს ალღო, რამდენადაც ნებისყოფა. ეძებდა რაიმე კვალს მადლენის წინანდელი ცხოვრების მისაგნებად. ეტყობა, იცოდა და ხშირადაც იტყოდა ხოლმე სიტყვის გადაკვრით, რომ ვიღაცამ ცნობები მოაგროვა ვიღაცის დაკარგული ოჯახის შესახებ. ერთხელ კიდევ თავის თავს ელაპარაკებოდაყდა წარმოთქვა:

- მგონი, ხელთა მყავს!

მაგრამ სამი დღე იყო ღრმად ჩაფიქრებული, დამუნჯებული, ეტყობა გაუწყდა ძაფი, რომელიც მადლენის წარსულის მოგონებასთან გაება.

ერთხელ კი ისე უცნაური იყო ჟავერის ქცევა, რომ მადლენის ყურადღება მიიპყრო. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

## თავი მეექვსე
## ფოშლევანი

ერთ მოუკირწყლავ ქუჩაში მიდიოდა მადლენი. ხმაური შემოესმა და მოგროვილი ხალხი დაინახა. მივიდა. ცხენი წაჰქცეოდა ერთ მოხუცებულს, სახელად ფოშლევანს, და თვითონაც ურმის ქვეშ მოყოლილიყო.

ეს ის ფოშლევანი გახლდათ, რომელიც ჯერაც ძველებურად უნდობლად უყურებდა მადლენს. ფოშლევანი სოფლის მწერლად ნამყოფი კაცი იყო და ვაჭრობას ეწეოდა მონრეილში, როდესაც იქ მადლენი მივიდა. ვერ მიდიოდა კარგად ვაჭრობის საქმე, ვიღაც უცხო, საიდანღაც მოთრეული დღითიდღე მდიდრდებოდა და ის კი სულ ქვევით და ქვევით იწევდა. შურით ევსებოდა გული და სადაც კი შეეძლო, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, დაეღუპა მადლენი. ბოლოს გაკოტრდა. ერთი ცხენისა და

ურმის მეტი აღარაფერი ებადა. არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი ბერიკაცს, და ტვირთის ზიდვა დაიწყო, რომ ცხოვრება შესძლებოდა როგორმე.

ორი ფეხი მოსტეხოდა ცხენს და ადგომა აღარ შეეძლო. ურმის ქვეშ თვლებშუა ეგდო ბებერი. ისე უხეიროდ ჩავარდნილიყო, რომ ზედ გულზე აწვა ტვირთის სიმძიმე. სუნთქვა ეკვროდა, საცოდავად ხრიალებდა. სცადეს გამოეყვანათ, მაგრამ ამაოდ, მით უფრო, რომ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, თორემ სულ უბრალო უხერხული მოძრაობა სულს გაანთხევინებდა უბედურს. შველის ერთადერთი საშუალება იყო ურმის ზევით აწევა. ჟავერი იქ ყოფილიყო ამ შემთხვევის დროს და ჯალამბრის მოტანა ებრძანებინა.

ბატონი მადლენი წინ მიუშვეს პატივისცემით.

- მიშველეთ! - ყვიროდა ფოშლევანი, - ნუთუ არავინ არის, რომ დამეხმაროს? ვკვდები კაცი!

ბატონმა მადლენმა ხალხს მიმართა:

- ჯალამბარი გვინდა.

- კაცი გაიქცა მოსატანად, - უპასუხა ერთმა გლეხმა.

- მალე მოვა?

- ერთი თხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდება, ფლაშოში მჭედელი გახლავთ, იმაზე ახლოს არავის ექნება.

- თხუთმეტი წუთი? - შეჰყვირა მადლენმა.

ძალიან წვიმდა იმ ღამეს, ღრმად ჩასველებული იყო მიწა, ურემი ნელ-ნელა ძირს იწევდა და უფრო და უფრო აწვებოდა უბედურს. ცხადი იყო, რომ თხუთმეტ წუთს კი არა, ხუთ წუთსაც ვეღარ გაუძლებდა ამ სიმძიმეს...

- ლოდინი შეუძლებელია, - თქვა მადლენმა და გლეხკაცებს გადახედა.

- მაშ რას იზამთ?

- მაგას თავისი დაემართება და! ვერა ხედავთ, როგორ იფლობა ურემი?

- ვხედავთ, კი ვხედავთ, მაგრამ...

- შეხედეთ, - უთხრა მადლენმა, - ურმის ქვეშ ჯერ კიდევ შეძვრება ერთი კაცი, რომ ზურგით ასწიოს. აბა, ვინ არის ღონიერი და კეთილი გულის პატრონი, ვის უნდა ხუთი ლუიდორი?

არავინ შეინძრა ჯგუფში.

- ათი ლუიდორი? - იკითხა მადლენმა.

თავდაღუნული იდგა ხალხი.

- დევივით ღონიერი უნდა იყოს კაცი, - წაილუღლუღა ერთმა გლეხმა, - და ვინ იცის, იქნებ თვითონაც შიგ ჩარჩეს.

- აბა, მაშ ოცი ლუიდორი იყოს! - შესძახა მადლენმა, - ვის უნდა ოცი ლუიდორი?

ისევ დუმილი.

- ნდომით კი უნდათ, მაგრამ ვერ შეძლებენ! - გაისმა ბოლოს ვიღაცის ხმა.

უკან მიიხედა მადლენმა და ჟავერი დაინახა; წეღან ვერ შეამჩნია. ჟავერი განაგრძობდა:

- აქ ძალ-ღონე გახლავთ საჭირო. საშიში ღონის პატრონი უნდა იყოს კაცი, ეგ რომ გაბედოს.

მერე კიდევ დააცქერდა მადლენს და განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა:

- ბატონო მადლენ, ერთი კაცის მეტი ჩემს დღეში არავინ მინახავს ამ ძალის პატრონი.

მადლენი შეკრთა.

ჟავერმა ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა, ვითომ უკვე უმნიშვნელო, მაგრამ თვალი თვალში გაუყარა მადლენს.

- ერთი კატორღელი გახლავთ.

- ჰოო? - თქვა მადლენმა.

- ტულონში.

ფერი ეცვალა მადლენს.

ურემი კი ნელ-ნელა ძირს ეფლობოდა. ფოშლევანი ძლივსღა იღებდა ხმას.

- დავიხრჩე, გულის ფიცარი ჩამამტვრია! მიშველეთ!

ხალხს გადახედა მადლენმა:

- მაშ, არავინ არის, რომ გაჭირვებულსაც უშველოს და ოცი ლუიდორიც მიიღოს?

არავინ იყო გამბედავი. ჟავერი კი თავისას არ იშლიდა:

- ერთი კაცი მინახავს მარტო, რომელსაც ჯალამბარი არ დასჭირდებოდა.

- ვკვდები! მიშველეთ! - გმინავდა ფოშლევანი.

ხალხს გადახედა მადლენმა, იგრძნო, როგორ დასცქეროდა მას ქორის თვალით ჟავერი და სავდიანად გაიღიმა. მერე ხმის ამოუღებლად დაეცა მუხლებზე და ურმის ქვეშ შეძვრა. ისეთი მოულოდნელი იყო ეს, რომ ყვირილიც კი ვერ მოასწრო ხალხმა.

საზარელი წამი იყო ლოდინისა და დუმილისა.

პირქვე იწვა მადლენი და ორჯერ სცადა ხელების მუხლებისკენ წაღება. ყვირილი დაუწყეს:

- გამოდით, ძია მადლენ!

თვით ბებერმა ფოშლევანმა დაიძახა:

- გადით, ბატონო მადლენ! ალბათ აქ უნდა მოვკვდე... ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა... თავი დამანებეთ... გინდათ თქვენც ჩემსავით... გაიჭყლიტოთ?

მადლენი ხმას არ იღებდა.

ხმაგაკმედილი იდგა ხალხი. ბორბლები ძირს იფლობოდა და თითქმის შეუძლებელი გახდა მისი გამოსვლა.

უცბად შეინძრა ურემი, ნელ-ნელა იწევდა ტვირთი. თვლები გამოდიოდა ტალახიდან და გაისმა მადლენის ხვნეშით წარმოთქმული ხმა:

- აბა, ჩქარა! გვიშველეთ!

მიცვივდა ხალხი. ერთის თავგანწირვამ ძალა და გამბედაობა აღუძრა ყველას. დაეხვივნენ, ასწიეს. ბებერი ფოშლევანი სიკვდილს გადარჩა.

ადგა მადლენი. მკვდრის ფერი ედო, თუმცა წურწურით სდიოდა ოფლი. ტანსაცმელი დახეოდა, წუმპეში გასვროდა. ყველა ტიროდა. ფოშლევანი მუხლებს უკოცნიდა და მაცხოვარს უწოდებდა.

ნეტარწამებულის ზეციური ტანჯვის სხივი ადგა მადლენს და ახლა ის შესცქეროდა ჟავერს, რომელიც აქაც კი თვალს არ აშორებდა მიზანში ამოღებულ მადლენს.

## თავი მეშვიდე

## ფოშლევანი მებაღე ხდება პარიზში

მუხლი ეღრძო ფოშლევანს. მადლენის ბრძანებით მაშინვე ქარხანასთან მუშებისთვის მოწყობილ საავადმყოფოში დააწვინეს. საავადმყოფოს ორი მოწყალების და ჰყავდა. მეორე დღეს რომ გაიღვიძა ფოშლევანმა, პატარა მაგიდაზე ერთი ათასფრანკიანი და მადლენის წერილი იპოვა: - მე ვყიდულობ თქვენს ურემს და ცხენს. - ურემი დამტვრეული იყო და ცხენი - მკვდარი. ფოშლევანი მორჩა, მაგრამ ფეხი მუხლში მოკაკული დარჩა. ისევ მადლენმა უშველა და მღვდლისა და მოწყალების დახმარებით ქალების ერთ მონასტერში მიაღებინა მებაღედ პარიზში, წმინდა ანტონის უბანში.

გამოხდა ხანი და ბატონი მადლენი მერად დანიშნეს. პირველად რომ ნახა ჟავერმა მერის ფორმით მოსილი მადლენი, რომელსაც ამიერიდან სრული უფლება ჰქონდა ქალაქის მართვისა, კანკალი აუვარდა, როგორც ძაღლს, რომელსაც თავის ბატონის ტანსაცმლიდან მგლის სუნი ეცემა, და მას შემდეგ ერიდებოდა, რამდენადაც შეეძლო. თუ სამსახურის გამო იძულებული იყო ენახა ბატონი მერი და თავის დაღწევა შეუძლებელი იყო, მიდიოდა და დიდი ზრდილობითა და მოწიწებით ელაპარაკებოდა.

ფეხზე წამოაყენა მადლენმა მხარე, გაჭირვება მოსპო და იმ თვალსაჩინო ნიშნების გარდა, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ, ერთი ნიშანიც მოჰყვა მის ღვაწლს, იქნებ დაუნახავი ხალხისათვის, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და ამასთან სრულიად უტყუარი. როდესაც გაჭირვებულია ხალხი, სამუშაო აკლია და ვაჭრობა დაცემულია, სახელმწიფო ხარჯის გადამხდელი ყოველ ღონეს ხმარობს თავიდან აიცილოს გადასახადი, შეიმციროს, შეტანის ვადა გადაადებინოს. მთავრობა დიდ ფულს ხარჯავს, რომ ძალა დაატანოს, აიძულოს და დროზე მოაგროვოს თავისი კუთვნილი. პირიქით, როდესაც მუშაკაცს საქმე არ აკლია, უმუშევარი არავინ არის, ხალხი მდიდარია და ბედნიერი, გადასახადს ადვილად იხდის ყველა და ბევრი არაფერი ეხარჯება მთავრობას მის მოსაგროვებლად. შეიძლება ვთქვათ, რომ ხალხის გაჭირვებასა და სიმდიდრეს თავისი თერმომეტრი აქვს, უტყუარი - მეტი უჯდება თუ ნაკლები მთავრობას ხალხისაგან გადასახადის მოგროვება. მეოთხედს ხარჯავდა იმ დროს ამ საქმეზე მონრეილის ოლქი, მეოთხედს იმისას, რაც წინათ ეხარჯებოდა და ამიტომ იყო, რომ ქებით ახსენებდა ამ ოლქს ბატონი ველელი, მაშინდელი ფინანსთა მინისტრი, როგორც საუკეთესოს და სხვებისთვის სამაგალითოს.

ასეთი იყო ამ მხარის მდგომარეობა, როდესაც ფანტინი მივიდა. აღარავინ იცნობდა, აღარავის ახსოვდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ბატონ მადლენის ქარხნის კარი ღია იყო. მივიდა, მაშინვე მიიღეს ქალების განყოფილებაში. ხელობა სრულიად ახალი იყო, გაუჭირდა დახელოვნება, ბევრს არაფერს იღებდა თავის შრომაში, მაგრამ ჰყოფნიდა, რასაც იღებდა. საკითხი გადაწყვეტილი იყო - თავისი შრომით ცხოვრობდა ქალი.

## თავი მერვე
## ქალბატონი ვიქტურნიენი ოცდათხუთმეტ ფრანკს ხარჯავს ზნეობის დასაცავად

მას შემდეგ, რაც ფანტინმა თავისი შრომით დაიწყო ცხოვრება, სიხარული დაეუფლა. პატიოსანი შრომით ცხოვრობდა ყმაწვილი ქალი, ღვთის წყალობა იყო სწორედ. ადვილად დაუბრუნდა გემოვნება და შრომის სიყვარული. სარკე იყიდა, სიხარულით შეჰყურებდა თავის სიყმაწვილეს, სილამაზეს, თავის მშვენიერ თმას,

მარგალიტივით კბილებს. ბევრი რამ დაივიწყა წარსულისა, კოზეტისა და მომავალი ბედნიერების გარდა აღარაფერზე ფიქრობდა და თითქმის ბედნიერი იყო. პატარა ოთახი დაიჭირა და ნისიად იშოვა საჭირო მოწყობილობა - ნაშთი მისი დაუდევრობისა.

არ შეეძლო ეთქვა, გათხოვილი ვარო, ამიტომ ვერც იმას იტყოდა, შვილი მყავსო, - ეს უკვე ვთქვით.

თავდაპირველად ყყოველთვის დროზე უგზავნიდა ტენარდიეს ფულს. რადგან წერა არ იცოდა, - თავისი სახელის მოწერა იცოდა მარტო, - იძულებული იყო მწერლისთვის მიემართა. ის უწერდა ტენარდიესთან გასაგზავნ წერილებს.

ხშირად სწერდა და ამანაც ყურადღება მიიპყრო უსაქმურებისა. ჩურჩულით ეუბნებოდნენ ქალების განყოფილებაში ერთმანეთს, ფანტინი წერილებს წერს და რაღაც უცნაურობა ეტყობაო.

არავინ იქნება ისეთი მკაცრი ჯაშუში ადამიანისა, როგორც ის, ვისაც არც კი იცნობს უბედური, ვისი სახელიც კი არ გაუგონია. - სად მიბრძანდება ყოველთვის ბინდისას ეს ვაუბატონი?.. რატომ ხუთშაბათობით არ ტოვებს ბატონი... გასაღებს?.. რად დადის ყოველთვის ვიწრო ქუჩებით?.. ყოველთვის თავისი სახლიდან მოშორებით რად ჩამოხტება ხოლმე ქალბატონი ეტლიდან?.. რატომ ყიდულობს წერილის ქაღალდს ქალბატონი, როდესაც სახლშიც კარგი მარაგი აქვს? და სხვ. და სხვ. ბევრია ჩვენში ისეთი გატაცებული ამ ამოცანების გამოძიებით, რომ ფულსაც ხარჯავს, დროსაც და შრომასაც ამაზე, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე საქველმოქმედო საქმეზე. უცხოა იმისთვის ის ვაუბატონიც და ქალბატონიც, რომელიც რაღაცას მალავს, მაგრამ რას მალავს? რატომ მალავს? - აღძრულია ცნობისმოყვარეობა, ცნობისმოყვარეობითვე დაჯილდოებული, და მეტი არაფერი უნდა, ოღონდ სხვისი საიდუმლო გაიგოს და ქვეყანას მოჰფინოს. ვაი იმისი ბრალი, ვისაც მიზანში ამოიღებს ამისთანა მეძებარი! კვალდაკვალ დასდევს, სადმე ქუჩაში აიტუზება, სადმე ალაყაფის კარებში დღესა და ღამეს გაასწორებს სიცივეში, წვიმაში, ყინვაში, მოისყიდის მის მსახურს ან მხევალს, დაათრობს მეეტლეს, გააბრიყვებს მეკარეს. რისთვის? უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად - ნახოს, გაიგოს და სალაპარაკო მასალა შეიძინოს; აქავებულ ენას გასაქანი მისცეს და ხშირად ხდება ხოლმე, რაკი გაიგებს სხვის საიდუმლოს და სალაპარაკოდ გახდის, მზის შუქზე გაიტანს ბნელით დაფარულს, უბედურებასაც ბევრს იწვევს - დუელს, გაკოტრებას, ოჯახის დაშლას, სიცოცხლის გამწარებას. მერე იმას რა? ის აღტაცებულია თავისი მოხერხებით, თავისი აღმოჩენით, უანგარო სიყვარულით, უტყუარი ალღოს გამარჯვებით. სამწუხარო მოვლენაა.

ზოგი ადამიანი მარტო იმიტომ არის ავი, რომ გაჩუმება არ შეუძლია. დარბაზში ბრძანდება ხოლმე და იქ ბაასობს თუ ტოლ-ამხანაგებში ლაზღანდარობს, ისეა ყველგან, როგორც ბუხარი, რომელიც ბევრ შეშას წვავს. იმ ყბედსაც უნდა ბევრი საწვავი მასალა და ეს მასალა მისი მოყვასია.

ჰოდა, ფანტინი ამოიღეს მიზანში.

ამასთან ერთად შურიანიც ბევრი აღმოჩნდა; შურდათ იმის მშვენიერი თმა, შურდათ ლამაზი კბილები.

შეამჩნიეს, რომ სახელოსნოში, იმდენ ქალებში მუშაობის დროს, უცბად მოერეოდა ხოლმე ცრემლი და მიბრუნდებოდა, რომ ჩუმად მოეწმინდა. მაშინ ემართებოდა ასე

საწყალს, როდესაც თავისი გოგონა მოაგონდებოდა, ან იქნებ ის კაცი, რომელიც უყვარდა.

გულსაკლავია უბედურებით გამწარებული წარსულის დავიწყება. გაიგეს, რომ თვეში ორჯერ მაინც წერილს გზავნიდა სულ ერთი და იმავე მისამართით, ფოსტის ფულის გადახდით. მისამართსაც მიაგნეს: „ბატონ ტენარდიეს, მონფერმეილელ მედუქნეს“. მერე დუქანში აალაპარაკეს მწერალი, გულუბრყვილო მოხუცი კაცი იყო, რომელიც ისე ვერ გაივსებდა სტომაქს წითელი ღვინით, თუ არ დაცლიდა საიდუმლოების პარკს. გაიგეს, რომ ფანტინს შვილი ჰყავდა. - ის უნამუსო, ისა! - ერთი ჭორიკანა აღმოჩნდა, რომელიც მაშინვე მონფერმეილში წავიდა, ნახა ტენარდიე, ელაპარაკა და, რომ დაბრუნდა, თქვა: მართალია, ოცდათხუთმეტი ფრანკი დავხარჯე, მაგრამ გული ხომ დავიმშვიდე! ვნახე ნაბიჭვარიო!

ამ საქმის ჩამდენი ერთი ჭორიკანა იყო, ქალბატონი ვიქტურნიენი, დარაჯი და მფარველი მთელი ქვეყნის სათნოებისა. ორმოცდათვრამეტი წლის დედაკაცი იყო. ახალგაზრდობის სიგონჯის ნიღაბი სიბერის ნიღაბს გაეორკეცებინა. ხმა ციკნისა ჰქონდა, ჭკუა თხისა. ეს ბებერი დედაკაცი ოდესღაც ყმაწვილი ქალი უნდა ყოფილიყო, აი საკვირველება! თავის ყმაწვილქალობაში, ოოთხმოცდაცამეტ წელს, ერთ წითელქუდა ბებერს გაჰყოლოდა ცოლად, მონასტრიდან გამოქცეულს, ბერნარდელებისაგან იაკობინელებისკენ გადასულს. გამხდარი დედაკაცი იყო, ბოროტი, მწარე, ეკლიანი, თითქმის შხამიანი. მაინც იგონებდა თავის მიცვალებულ ბერს, რომელმაც კარგად მოზნიქა და დაიმორჩილა. ჭინჭარს ჰგავდა დაჭმუჭნილ ანაფორაში გამოხვეული. მეფის აღდგენისთანავე ფარისევლობა დაიწყო მუზმუზელამ, და იმდენად თვალსაჩინოდ, რომ მღვდლებმა თავისი ცოდვებიც კი აპატიეს. პატარა მამული ჰქონდა, რომლის შესახებ ხმამაღლა გაიძახოდა, სარწმუნოებრივ საზოგადოებას ვუანდერძებო. ძალიან კარგად იყო მიღებული ეპისკოპოსის სასახლეში. ეს ქალბატონი ვიქტურნიენი ბრძანდებოდა მონფერმეილში და, რომ დაბრუნდა, გამოაცხადა:

- ვნახე ნაბიჭვარი.

კაი ხანი მოუნდა ამას. უკვე წელიწადი იყო ფანტინი ქარხანაში, როდესაც ერთ დილას სახელოსნოს გამგემ ორმოცდაათი ფრანკი მისცა ბატონი მერისაგან და გამოუცხადა მისი ბრძანება - ქარხანაში საჭირო არა ხარ და ქალაქიდან უნდა წახვიდეო.

სწორედ იმ დროს მიიღო ეს ბრძანება, როდესაც ტენარდიემ ექვსი ფრანკის მაგივრად თორმეტი სთხოვა და მერე თორმეტის მაგივრად თხუთმეტი.

თავზარი დაეცა ფანტინს. სად წავიდოდა უბედური, როცა თავისი ოთახის მოწყობილობის ვალი ჯერაც გადასახდელი ჰქონდა? ორმოცდაათი ფრანკი ამ ვალსაც არ ეყოფოდა. ტირილი დაიწყო, ლუღლუღით ევედრებოდა. პასუხად ბრძანება მიიღო - ეხლავე გადი სახელოსნოდანო. უფრო სირცხვილით, ვიდრე ამ უბედურებით განადგურებული, თავდაღუნული მივიდა შინ. ქვეყანამ იცოდა მისი წარსული.

ისე იყო სასოწარკვეთილი, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. ურჩიეს, მერი ნახეო, მაგრამ ვერ გაბედა: ბატონმა მერმა ორმოცდაათი ფრანკი აჩუქა, რადგან კეთილი კაცია და ქარხნიდან დაითხოვა, რადგან მართლმსაჯულია. ამას დამორჩილდა.

## თავი მეცხრე
## ქალბატონ ვიქტურნიენის გამარჯვება

მაშ ბერის ქვრივიც კი გამოსადეგი ყოფილა ხანდახან.

ბატონმა მადლენმა ამ ამბისა სრულიად არაფერი იცოდა. ჩვენი ცხოვრება სავსეა ამგვარ გარემოებათა ხლართთით. მადლენი ძალიან იშვიათად შედიოდა ქალების განყოფილებაში. ამ განყოფილებას ერთი ხნიერი ქალი განაგებდა, მღვდლის რჩევით მიღებული და სრული ნდობა ჰქონდა მისი. დიდად პატივსაცემი ქალი იყო, საქმის მოყვარული, პატიოსანი, სულგრძელი, მოუსყიდველი, უხვი ქველმოქმედი, მაგრამ, სამწუხაროდ, შეგნება და მიტევება არ იცოდა. ბატონ მადლენს იმისთვის მიენდო ყველაფერი. შეიძლება უმწიკვლო იყოს ადამიანი და იძულებული გახდეს სხვა ვინმეს მიანდოს თავისი მოვალეობა. სრულუფლებიანი იყო ქალების განყოფილებაში გამგე. დარწმუნებული იყო, რომ წმინდად ასრულებდა თავის მოვალეობას და ამიტომ დაეხმარა საქმის გამოძიებას, განსაჯა, დაადგინა და სისრულეში მოიყვანა კიდეც თავისი მსჯავრი.

ორმოცდაათი ფრანკი იმ ფულიდან მისცა, რომელსაც ბატონი მადლენი აძლევდა გაჭირვებული მუშების დასახმარებლად და მოწყალების გასაცემად. ამ ფულის ანგარიშს არავინ სთხოვდა.

ბევრი იარა ფანტინმა. მოახლედ, მსახურადაც კი არავინ აიყვანა. კარდაკარ დადიოდა, მაგრამ იმისი არავის არაფერი უნდოდა. ქალაქიდან ვერ გავიდოდა, თავისი ოთახის მოწყობილობისათვის - რა საძაგელი იყო ყველაფერი - ფულსა სთხოვდა ვაჭარი და ემუქრებოდა, თუ წახვედი სადმე, დავაპატიმრებინებ შენს თავს, როგორც ქურდსაო. სახლის პატრონმა, რომლის ქირა ემართა, პირდაპირ უთხრა: ყმაწვილი ქალი ხართ, მშვენიერი, მაშასადამე, ძალიან კარგად გადამიხდით ვალსო. ორმოცდაათი ფრანკიდან ზოგი სახლის პატრონს მისცა, ზოგი - თავის ვალში, ავეჯის სამი მეოთხედი დაუბრუნა ვაჭარს, მხოლოდ აუცილებელი დაიტოვა და დარჩა უმუშევარი, ღვთის ანაბარა, ას ფრანკამდე ვალით.

გარნიზონის ჯარისკაცების პერანგების კერვა დაიწყო და დღეში თორმეტ სუს იღებდა. აქედან ათი სუ თავისი გოგონას შესანახად უნდა გაეგზავნა.

მეზობლად ერთი ბებერი დედაკაცი ჰყავდა, რომელიც სანთელს უნთებდა, როდესაც ღამე მოვიდოდა შინ. იმან ასწავლა ხელოვნება გაჭირვებული ცხოვრებისა. მცირედით ცხოვრებას მოსდევს არაფრით ცხოვრება, ეს გახლავთ ორი ოთახი: პირველი ბნელია, მეორე შავი.

ფანტინმაც ისწავლა, როგორ ცხოვრობს ადამიანი სრულიად უცეცხლოდ ზამთარში; როგორ იშორებს თავიდან საყვარელ ჩიტუნიას, რომელიც ერთ სათითე ფეტვსა ჭამს ორ დღეში; როგორ იქცევა კაბა საბნად, საბანი კიდევ - კაბად; როგორ უფრთხილდება სანთელს და ღამე მეზობლის ფანჯრიდან გამომავალ სინათლეზე მიირთმევს ვახშამს; ვინ იცის, როგორ გამოიყენებს ერთ სუს უბედური, რომელიც სიღარიბეში და პატიოსნებაში დაბერებულა. ცოდნა უნდა ამას და ეს ცოდნა ნელ-ნელა ნიჭი ხდება. ფანტინმა შეიძინა ეს ნიჭი და ცოტა ამოისუნთქა.

მაშინ იყო, რომ შესჩივლა თავის მეზობელს.

- ხუთი საათი რომ ძილს მოვანდომო და დანარჩენი ჩემს საკერავს, მგონი, მშიერი არ მოვკვდები. გარდა ამისა, ასე დაღონებული რომ არის ადამიანი, აღარც ჭამა აგონდება და აღარც სმა. ჰოდა, ტანჯვა-წვალება და ცოტა ჰური ერთ მხარეს იყოს, დარდი და სევდა - მეორე მხარეს, ორივე ერთად საკმარისი იქნება ჩემ გამოსაკვებად.

ამ გაჭირვებაში რომ თავისთან ჰყოლოდა თავისი ბავშვი, დიდი ნუგეში იქნებოდა. ოცნებობდა კიდევაც - სჯობია მოვიყვანოო. მაგრამ როგორ, ისიც მშიერი მოეკლა? და გარდა ამისა, ფულიც ემართა ტენარდიესი. ჯერ უნდა გასწორებოდა. ახლა გზის ხარჯი? სად იყო ფული?

ის მეზობელი, უქონელთა ცხოვრების გაკვეთილებს რომ აძლევდა ფანტინს, ერთი მოხუცებული ქალი იყო, წმინდა, ღვთისმოსავი ღარიბ-ღატაკი და, ამავე დროს, ლმობიერი ღარიბებისა და მდიდრების მიმართაც.

სახელად მარგარიტი ერქვა. წერა-კითხვა არ იცოდა, თავისი სახელის დაწერა იცოდა მხოლოდ და ისიც შეცდომით.

მრავალი სათნოებაა იქ, ქვევით. ერთხელაც იქნება იგი ზევით მოექცევა. ამქვეყნიურ ცხოვრებასაც აქვს ხვალინდელი დღე.

ისე რცხვენოდა ფანტინს, რომ ქუჩაში გასვლას ვეღარ ბედავდა.

მაგრამ გაჭირვება? გავიდოდა და გრძნობდა, რომ იმას უყურებდნენ, ერთმანეთს უთითებდნენ - აგერ, მობრძანდებაო, - და მართლაც, ყველა იმას უყურებდა და სალამს არავინ აძლევდა. შიგ გულში ხვდებოდა გამვლელების ცივი, სასტიკი ზიზღი და მსუსხავი ქარივით უვლიდა მთელ ტანში.

ასეთია პატარა ქალაქი. უბედური იქ თითქოს შიშველი იყოს, რომელსაც მასხარად იგდებს ყველა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს. პარიზში იმით არის კარგი ცხოვრება, რომ არავინ გიცნობთ და ეს უცნობობა გიხდებათ სამოსად. ოჰ, როგორ ენატრებოდა პარიზში გადასვლა, მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო.

რას იზამდა? უნდა შეჩვეოდა ამ შეურაცხყოფას, როგორც მიეჩვია ამ სიღარიბეს. ძნელი იყო, მაგრამ თანდათან ამასაც შეურიგდა. ორი-სამი თვის შემდეგ თავისუფლად დაიწყო სიარული - მიყურონ, რა ვქნა? სულერთია ჩემთვისო, - ამბობდა. თავი მაღლა ეჭირა. პირს მწარე ღიმილი არ შორდებოდა და გრძნობდა, რომ ურცხვი ხდებოდა.

ხანდახან თავის ფანჯრიდან დაინახავდა ხოლმე ქუჩაში მიმავალ ფანტინს ქალბატონი ვიქტურნიენი, ხედავდა „ამ უნამუსოს“ უკიდურეს გაჭირვებას, მისი წყალობით გაუბედურებულს და თავი მოსწონდა ამ გამარჯვებით. ავ კაცსაც აქვს ბედნიერება, ოღონდ შავი.

დღესა და ღამეს ასწორებდა ფანტინი ხელსაქმეში, იღლებოდა და უფრო და უფრო ემატებოდა მშრალი ხველა. ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის მეზობელს:

- ნახეთ, რა ცხელი ხელები მაქვს.

თუმცა დილით კი, როდესაც გატეხილი სავარცხლით ივარცხნიდა თავის მშვენიერ აბრეშუმივით თმას, წუთით იგრძნობდა ხოლმე ბედნიერი სიკეკლუცის დაბრუნებას.

## თავი მეათე
## შედეგი გამარჯვებისა

ზამთარი გადიოდა. ქარხნიდან რომ გამოაგდეს, ზაფხული გავიდა, მაგრამ ზამთარიც დაბრუნდა: დღემ იკლო, იკლო საკერავმაც. არც სითბო, არც სინათლე, არც შუადღის სითბო, ნისლი, ბინდი, მკრთალი ფანჯარა, აღარაფერი ჩანს გარეთ. ცა თავზე გაწევს, გიბნელებს ოთახს, თითქოს სარდაფში იმყოფებოდე. მზეც კი ის აღარ არის, მათხოვარს დამსგავსებია. საშინელებაა ზამთარი. ერთნაირად ყინავს ცის ნამს და ადამიანის გულს... მოსვენებას აღარ აძლევენ ფანტინს - ვალს გადახდა უნდაო.

რას იღებდა, რომ გადაეხადა? პირიქით, იზრდებოდა მისი ვალი. ტენარდიესაც ვეღარ უგზავნიდა დაპირებულს და დღე არ გავიდოდა, რომ წერილი არ მოსვლოდა, რომელიც გულს უწყალებდა და ჯიბეს უფხეკდა, რადგან ფოსტის ფულს ის იხდიდა. ერთხელ წერილი მიიღო - შენი კოზეტი შიშველია ამ ცივ ზამთარში, თბილი ტანსაცმელი სჭირდება და ერთი ათი ფრანკი მაინც გამოუგზავნე, რომ ვუყიდოთ რამეო. მიიღო, წაიკითხა, ხელში ეჭირა და ჭმუჭნიდა მთელ დღეს წერილს. საღამოს ერთ დალაქთან მივიდა, გაიშალა და ძირს დაუშვა ნაწნავი... მუხლამდე ჰფარავდა უბედურს თმა.

- საგანგებო თმა გქონიათ, - შეაქო დალაქმა.

- რას მომცემთ ამ თმაში?

- ათ ფრანკს.

- აბა, მომჭერით.

თბილი ტანსაცმელი იყიდა და ტენარდიეს გაუგზავნა.

მაგრამ ცოფი მოერიათ ტენარდიებს, იმათ ფული უნდოდათ... ტანსაცმელი თავის ეპონინს ჩააცვეს. საწყალი ტოროლა ისევ შიშველი დარჩა.

ცოტათი მაინც დამშვიდდა ფანტინი, ჩემს გოგონას აღარა სცივაო, ფიქრობდა, ჩემი თმით შევმოსე ის კუდრაჭაო. პატარა ქუდს იხურავდა გაკრეჭილი თმის დასამალად და ისევ ლამაზი იყო.

საზარელი ნაღველი ერეოდა იმის გულს. თმის დავარცხნის სიხარული რომ დაკარგა, სულყველაფერი შეეზიზღა, რასაც ხედავდა. როგორც ყველა, ისიც თაყვანისმცემელი იყო ბატონი მადლენისა, მაგრამ გონებიდან ვერ განეშორებინა, რომ ის იყო მიზეზი მისი უბედურებისა, რომ იმან დაითხოვა სამსახურიდან, იმას ამტყუნებდა, გამტყუნებას სიძულვილი მოჰყვა და ისიც შეიძულა, ყველაზე მეტად ის. ქარხანასთან გაივლიდა ხოლმე იმ დროს, როდესაც მუშები გარეთ იყვნენ, განგებ სიცილს დაიწყებდა და ნაძალადევ სიმღერას.

ერთმა ბებერმა დედაკაცმა, ქარხნის მუშამ, თვალი მოჰკრა ასე მიმავალს და თქვა:

- ავი დღე მოელის ამ უბედურს.

საყვარელი გაიჩინა, ვიღაც უცნობი, რომელიც არ უყვარდა, ისიც თავისი მტრის ჯიბრით. ერთი საძაგელი მოხეტიალე მაწანწალა, ზარმაცი და უქნარა, რომელიც სცემდა. ისიც მალე წაუვიდა.

გაგიჟებით უყვარდა თავისი ბავშვი. აღმერთებდა მას.

და რაც უფრო ძირს ეშვებოდა, მით უფრო ბნელდებოდა მის ირგვლივ ყველაფერი, მით უფრო მეტად ბრწყინავდა მისი სულის სიღრმეში ეს პატარა ანგელოზი. ერთადერთი დარჩენოდა სანუგეშო - როცა გავმდიდრდები, ჩემთან მეყოლება ჩემი კოზეტიო, - და იცინოდა. ჯერაც ისევ ახველებდა და ზურგზე ოფლი სდიოდა.

ერთხელ შემდეგი წერილი მიიღო ტენარდიესგან: „კოზეტი ავად არის, პარტახტიანი სახადი შეეყარა, აქ რომ მძვინვარებს. ძვირფასი წამლები გვჭირდება, ვიღუპებით, ვეღარ ავუდივართ წამლების ყიდვას. თუ ამ ერთი კვირის განმავლობაში ორმოცი ფრანკი არ მოგვაშველეთ, კოზეტი სიკვდილს ვერ გადარჩება“.

ხარხარი დაიწყო საწყალმა, მერე თავის ბებერ მეზობელს მიუბრუნდა:

- რა ადვილად სჯიან ის სულელები! ორმოც ფრანკსა მთხოვენ, ორ ნაპოლეონოდორს, ორ ოქროს! ნეტავ რა ჰგონიათ? მე ფულს ვჭრი თუ რა არის?

მერე სირბილით ჩაიარა კიბე, სიცილით, სიმღერით, და ქუჩაში გავარდა.

ვიღაც შეხვდა ქუჩაში და ჰკითხა:

- რა იყო ქალო, რა მოგივიდა, რომ ეგრე მხიარულად ხარ?

- როგორ სისულელესა მწერენ ჩვენი სოფლიდან. ორმოც ფრანკსა მთხოვენ, ოჰ, ეს გლეხები!

ხალხი დაინახა მოედანზე მოგროვილი. ერთი უცნაური ეტლი იდგა. ზედ წითელსამოსიანი კაცი ამძვრალიყო და იქიდან აქებდა თავის სავაჭროს. ოინბაზი კბილის ექიმი იყო, ქვეყნად მავალი და ქებით და ლაზღანდარობით ცდილობდა გაეყიდა კბილები, კბილის საწმენდი ფხვნილი და სხვა წამლები.

ფანტინიც ჩაერია ხალხში, სხვებთან ერთად ისიც იცინოდა, რადგან ძალიან კარგად ხუმრობდა ოინბაზი, ხალხისთვის - მდაბიურად და წარჩინებულთათვის - კეთილშობილურად. იმანაც დაინახა ლამაზი ფანტინი და შეჰყვირა:

- რა მშვენიერი კბილები აქვს ამ ქალს, მანდ რომ იცინის! მოდი, ქალბატონო, მე დამითმეთ ორი წინა კბილი და ორ ნაპოლეონოდორს მოგართმევთ ფასად.

- საშინელებაა! - შეჰყვირა ფანტინმა.

- ორი ოქრო, - ბუზღუნებდა ერთი უკბილო ბებერი დედაკაცი, - ბედნიერია, ვიღაც არის!

მოკურცხლა ფანტინმა. ყურებზე ხელი მიიფარა, რომ არ გაეგონა ამ კაცის ძახილი, რომელიც უყვიროდა:

- მომისმინეთ, კოხტა ქალო! ორი ნაპოლეონოდორი! ცოტა კი არ გეგონოთ. თუ ჭკუაში დაგიჯდეთ, ამ საღამოს მნახეთ „ვერცხლის გემბანის“ დუქანში. საღამოს მნახეთ.

შინ მივიდა ფანტინი. გააფთრებული იყო. თავის მეზობელს უამბო ეს ამბავი:

- გაგიგონიათ რამე ამგვარი? ის საზიზღარი, ისა! რატომ არ აუკრძალავენ ამისთანა თავხედებს ასე სიარულს? ორი წინა კბილი ამომაგლიჯოს, დამაუშნოვოს, დამასახიჩროს! თმა ხომ არ არის, რომ ხელახლა ამოვიდეს! ის ურცხვი, ისა! ის მირჩევნია, თავდაყირა დავეშვა მეხუთე სართულიდან! პაემანიც რომ დამინიშნა! ამ საღამოს „ვერცხლის გემბანის‘‘ დუქანში მოდიო.

- და რას გაძლევთ, ის კი არა თქვა?

- ორ ნაპოლეონოდორსაო.

- ორმოც ფრანკსაო, ასე გამოდის.

- დიახ, ორმოც ფრანკსაო.

ჩაფიქრდა, საკერავს მიუჯდა. ცოტა ხანში საკერავი იქით გადადო, ტენარდიეს წერილი აიღო, მარგარიტს მიმართა, რომელიც ისევ კერავდა:

- ხომ არ იცით, რა არის პარტახტიანი სახადი?

- ძნელი ავადმყოფობაა.

- ბევრი წამალი დასჭირდება?
- ძალიან ბევრი.
- რით იწყება ეს სახადი?
- სიცხით, როგორც სხვა ყველა.
- მაშ ბავშვებსაც ეყრება?
- მეტადრე ბავშვებს.
- მერე? კვდება ავადმყოფი, თუ შეიძლება გადარჩეს?
- უფრო კვდებიან.

ფანტინი კიბეზე გავიდა, რომ იქ სინათლეზე ერთხელ კიდევ წაეკითხა ტენარდიეს წერილი.

საღამოს ისევ ქუჩაში გავიდა და პარიზის ქუჩისაკენ მიმავალი ნახეს, სადაც სამიკიტნოებია.

მეორე დილას, გათენებისას, როდესაც მეზობელი შევიდა ფანტინთან, რადგან ერთად კერავდნენ, რომ სანთელი ნაკლები დასწვოდათ, მთლად გაშტერებული დარჩა: ფანტინი თავის ლოგინში იჯდა, ფერმიხდილი, გაყინული. ეტყობოდა, არ სძინებოდა იმ ღამეს. ქუდი კალთაში ჩავარდნოდა. სანთელი არ გაექრო და თითქმის ჩამწვარიყო.

- ოჰ, ღმერთო! რა მოხდა, ქალო, რა მოგივიდა, რომ ასე დაგწვია სანთელი?

მერე თავგაკრეჭილ ფანტინს გადახედა.

ათი წლით დაბერებულიყო ამ ერთ ღამეში.

- ღმერთო ძლიერო! რა მოგივიდა, ფანტინ?
- არაფერი, - უპასუხა ფანტინმა. - პირიქით, ძალიან კმაყოფილიცა ვარ. გადარჩება ამ საშინელ სახადს ჩემი გოგონა. ვუშოვე წამლის ფული და ორი ოქრო დაანახვა იქვე მაგიდაზე.
- გმადლობ შენ, ღმერთო, გამდიდრებულხარ, ქალო, მერე სად იშოვე?
- ვიშოვე, - უპასუხა ფანტინმა და გაიცინა. სანთელი ჯერ ისევ ენთო და ანათებდა მის სახეს. იცინოდა, მაგრამ მწარე იყო ეს სიცილი, ჩასისხლიანებული. პირიდან სისხლიანი ნერწყვი სდიოდა და კბილების ადგილზე შავი ნახვრეტი უჩანდა პირში.

წუხელ გაეყიდა ორი წინა კბილი.

იმ დღესვე გაუგზავნა ორმოცი ფრანკი ტენარდიეს.

აქაც გაიმარჯვა ტენარდიეს ვერაგობამ. ფული უნდოდა, ფული იშოვა, თორემ კოზეტი ავად არ ყოფილა.

ფანჯრიდან გადაისროლა ფანტინმა თავისი სარკე. უკვე დიდი ხანი იყო, რაც მეორე სართულიდან სხვენზე ასულიყო, პატარა კუთხე ჰქონდა ბანქვეშ. ჭერად ბანი ჰქონდა იატაკისკენ დაქანებული და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ წამდაუწუმ თავი არ მიერტყა ჭერისთვის. ისიც კი არ შეუძლია ღარიბ კაცს, რომ თავისი ბინის ან თავისი ბედის ბოლომდე ისე მივიდეს, რომ სულ უფრო და უფრო არ დახაროს თავი. ლოგინისა სახელიღა დარჩენილიყო. ძირს ლეიბი ეგო, საბნის მაგივრად - ძონძი; ერთი დარღვეული ჩალის სკამი ედგა, კუთხეში პატარა ვარდი იდგა დავიწყებული და გამხმარი; მეორე კუთხეში თუნუქა წყლისათვის, რომელშიაც წყალი ზამთარში იყინებოდა. სირცხვილი დაეკარგა და ახლა კეკლუცობას კარგავდა. ცუდი ნიშანია, ჭუჭყიანი თავსახვევით გადიოდა ქუჩაში; მოუცლელობით თუ უყურადღებობით აღარ იკერებდა საცვლებს. ყელიანი წინდები რომ გამოეხეოდა ქუსლებზე, ფეხსაცმელში

ჩაიტენიდა. ძველ დახეულ კორსეტს უბრალო მიტკლის ნაჭრებით იკერებდა და ჩაცმა და გახევა ერთი იყო. ვალს ვერ იხდიდა. მევალეები ეჩხუბებოდნენ და ლანძღავდნენ - ჩქარა ჩვენი ფულიო! - მოსვენება აღარ ჰქონდა. გზაში ისინი ხვდებოდნენ, კიბეზე ისინი იყვნენ ატუზული, ძილი აღარ ეკარებოდა. იწვა და ტიროდა. თან ფიქრობდა. სიცხე აღარ უნელდებოდა, რაღაც ტკივილსა გრძნობდა მარცხენა ბეჭის ქვემოთ. ძალიან ახველებდა. ყველაფერს მადლენს აბრალებდა და ჭირივით სძულდა. ჩივილით კი არას ჩიოდა. დღეში ჩვიდმეტი საათი საკერავს უჯდა, მაგრამ ერთმა მოხერხებულმა კაცმა საკერავი პატიმარ ქალებს დაურიგა, ფასის დაკლებით, რა თქმა უნდა; ფანტინსაც იმდენივე მისცა, რასაც დამწყვდეულებს აძლევდა - ცხრა სუ დღეში. ჩვიდმეტი საათის მუშაობა და 9 სუ დღეში! ახლა უფრო დაჟინებით და მუქარით მოითხოვდნენ ვალების გადახდას. ავეჯი თითქმის მთლად უკანვე წაიღო ვაჭარმა და მაინც თავისას არ იშლიდა: - როდის გამისწორდები, შე კახპაო? - დევნილი იყო ყველასგან, საშინელი მხეცივით დევნილი და გრძნობდა, რომ მის გულშიც იზრდებოდა საშინელი მხეცის მისწრაფებანი. სწორედ ამ დროს მიიღო ტენარდიეს წერილი: „შენი ბედი, რომ ასეთი გულკეთილი ვარ და ამდენს გითმენ. ასი ფრანკია საჭირო საჩქაროდ. თუ არ გამომიგზავნი, პანღურს ვკრავ შენს კოზეტს, თუმცა ჯერ ლოგინში წევს იმ საშინელი ავადმყოფობის გამო და მერე შენ იცი და შენმა შვილმა. ცოდვა შენ გედოს, თუ გაიყინა სადმე ამ სიცივეში“.

- ასი ფრანკი? - კვნესოდა ფანტინი, - ნეტა თუ არის ქვეყანა, სადაც ას სუს იშოვის ადამიანი დღეში. რა გაეწყობა, უნდა გავყიდო ის, რაც დამრჩენია.

და უბედური ქუჩის მეძავი ქალი გახდა.

## თავი მეთერთმეტე
## CHRISTUS NOS LIBERAVIT

რა არის ეს ისტორია ფანტინისა? ეს გახლავთ ის, რომ საზოგადოება ყიდულობს ქალს, როგორც მონას.

ვისგან ყიდულობს? სიღარიბისგან.

შიმშილისგან, სიცივისგან, მარტოობისგან, უპატრონობისგან, გაჭირვებისგან. სავალალო ვაჭრობაა. სულს ჰყიდის კაცი ლუკმა პურისთვის. სიღარიბე აწვდის, საზოგადოება ყიდულობს.

წმინდა მცნება იესო ქრისტესი განაგებს ჩვენს ცივილიზაციას, მაგრამ ჯერ არ გაუღენთილა მისით ადამიანი. ამბობენ, ევროპის ცივილიზაციაში მონობა აღარსად არისო. დიდი შეცდომაა. მონობა არსებობს, მაგრამ იგი მთელი სიმძიმით მხოლოდ ქალს დასწოლია, სახელად მას პროსტიტუცია ჰქვია.

ქალია დამონებული, ესე იგი სილამაზე, სიკეკლუცე, სისუსტე, დედობა; თუ მამაკაცს არცხვენს რამე, ეს არის უმთავრესად პროსტიტუციის არსებობა.

აქამდე რომ მიაღწია ფანტინმა, აღარაფერი შერჩენოდა იმისი, რაც წინათ იყო. ტალახში რომ ჩაწვა, მარმარილოდ იქცა. გაყინული იყო სულით და ხორცით. აგერ ეძებს, ვიღაცას გაჰყვა, დანებდა და არც კი იცის, ვის დანებდა ასე ადვილად, სახელგატეხილია და უკვე მკვდარი. ჩვენმა ცხოვრებამ და საზოგადოებრივმა წესწყობილებამ ანდერძი აუგო ცოცხალ ადამიანს. უკვე გადახდა, რაც უნდა გადახდეს. ყველაფერი იგრძნო, აიტანა, სცადა, გამოიტირა, გამოიგლოვა და დაკარგა,

დამორჩილდა იმ მორჩილებით, რომელიც გულგრილობასა ჰგავს, როგორც სიკვდილი - ძილს. ახლა აღარაფერს ერიდება, აღარაფრისა ეშინია. თუნდ ზეცა დაატყდეს თავს, თუნდ ოკეანემ შთანთქას და წალეკოს. იმას რა? ის აღარ არის და თუ არის, ღრუბელიღაა, წყლით გაჟღენთილი.

ასე ეგონა განწირულს, მაგრამ ცდებოდა, როცა წარმოედგინა, რომ შესაძლებელია ბედის ბოლომდე ამოწოვა და რისიმე ფსკერის მიღწევა.

რა არის ასე ტანჯვით და წამებით სიცოცხლის გამამწარებელი ბედი? რა უნდა ჩვენგან? საით მივყავართ?

ვინც იცის ამის პასუხი, წყვდიადსა ხედავს.

მარტოდმარტოა და ღმერთი ჰქვია.

## თავი მეთორმეტე
## ბატონი ბამატაბუას დროსტარება

როგორც ყველა პატარა ქალაქში, ისე მონრეილშიც იყვნენ, და კარგა ბლომადაც, ყმაწვილი ბიჭები, რომლებიც ისევე სჭამდნენ ათას ხუთას ფრანკს მამის მზამზარეული შემოსავლიდან, როგორც პარიზში - ორას ათასს. თავისი არარაობითა და უსარგებლობით ცვედანის გვარს ეკუთვნიან, დაკოდილები, პარაზიტები, უქნარები, რომელთაც ცოტა მამული დარჩენიათ მამა-პაპისაგან, ცოტა სისულელე და უფრო ცოტა ჭკუა, რომლებიც უხეშად გამოჩნდებიან სადმე დარბაზში და დიდებულად მიაჩნიათ თავი სადმე დუქანში; რომლებიც გაიძახიან - ჩემი მამული, ჩემი ტყეები, ჩემი გლეხებიო, - მსახიობ ქალებს უსტვენენ თეატრში იმის საბუთად, რომ ხელოვნებისა იმათაც ესმით რაღაც. ეჩხუბებიან გარნიზონის ოფიცრებს თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად. ნადირობენ, თამბაქოს ეწევიან, ამთქნარებენ, სვამენ. თამბაქოს სუნით არიან გაჟღენთილნი, ბილიარდს თამაშობენ, დილიჟინიდან ჩამომავალ მგზავრებს შესცქერიან, კაფეში ცხოვრობენ, პურს დუქანში ჭამენ; ძაღლი ჰყავთ, რომელიც სუფრის ქვეშა ღრღნის ძვლებს, და საყვარელი, რომელიც სუფრასა შლის და ზედ საჭმელს ალაგებს; ერთ სუს დაჰკანკალებენ, გადაჭარბებით ემონებიან მადას, აღტაცებულნი არიან ტრაგედიით, მასხრად იგდებენ ქალებს, ლონდონსა ჰბაძავენ, პარიზით წარმოდგენილს და პარიზს - პონტამუსონით წარმოდგენილს; ყეყეჩებად ბერდებიან, მუშაობას არ კადრულობენ, გამოსადეგნი არსად არიან და არც დიდი მავნებლობა შეუძლიათ.

ერთი ამგვარი კაცთაგანი იქნებოდა ფელიქს ტოლომიესი, თავის პროვინციაში რომ დარჩენილიყო და პარიზი არ ენახა თავის დღეში.

ცოტა მეტად მდიდრები რომ ყოფილიყვნენ, - სალუქები არიანო, იტყოდა ჩვენი საზოგადოება; ცოტა უფრო ღარიბები რომ ყოფილიყვნენ, - უვარგისები არიანო. არც ერთი და არც მეორე, უქნარები არიან, მორჩა და გათავდა. ეს უქნარები ზოგი მოწყენილია, ზოგი მოსაწყენი, ზოგი მეოცნებე და ხშირად გაიძვერაც.

იმ დროის მიხედვით სალუქი მორთული უნდა ყოფილიყო უზარმაზარი საყელოთი, შესაფერისი სიდიდის ყელსახვევით, საათის ძეწკვზე შანებით სამი სხვადასხვა ფერის, ერთმანეთზე ჩაცმული ჟილეტით ისე, რომ ცისფერი და წითელი შიგნით ყოფილიყო მოქცეული, ზეთისხილის ფერის მოკლეწელიანი და ვიწროკალთიანი ფრაკით, ზედ ორ წყებად ვერცხლის ღილები უნდა ჰქონოდა

ერთმანეთზე მიკრული და მხრებზე ამავალი; ფრაკის ფერის, ოღონდ უფრო ბაცი შარვალი, ოდნავ შესამჩნევ ნაწიბურზე ფერადი, ყოველთვის კენტი ზოლებით, ერთიდან თერთმეტამდე; ამაზე მეტი სირცხვილი იყო და საძრახისი. ამას დაუმატეთ ქუსლზე ნალიანი ფეხსაცმელი, ვიწროფარფლიანი წოპწოპა ქუდი, აწეწილი თმა, უშველებელი ჯოხი, პოტიესებური სხარტულა სიტყვა-პასუხი, დეზები და ულვაშები. იმ დროის მოდით ულვაში ბურუუას ნიშნავდა და დეზები ფეხით მავალს. პროვინციელ სალუქს დეზებიც უფრო გრძელი ჰქონდა და ულვაშებიც უფრო საშინელი.

იმ დროს იყო გაჩაღებული სამხრეთამერიკელების ბრძოლა ესპანეთის მეფის წინააღმდეგ, ბრძოლა ბოლივარისა მორილიოს წინააღმდეგ. ვიწროფარფლიანი ქუდი ნიშანი იყო მეფის მომხრეობისა და სახელად მორილიო ერქვა; ლიბერალებს განიერფარფლიანი ქუდი ეხურათ და ამ ქუდის სახელი ბოლივარი იყო.

წინა ფურცლებზე ნაამბობიდან რვა თუ ათი თვის შემდეგ, 1823 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, ერთ თოვლიან საღამოს ქუჩაში ბრძანდებოდა ერთი ამ სალუქთაგანი, ერთი ამ უსაქმურთაგანი, ერთი „კეთილმოაზროვნეთაგანი“, რადგან მორილიო ეხურა თავზე. არ შემცივდესო, კარგად გახვეულიყო ფართო წამოსასხამში, რომელიც სიცივის დროს აგვირგვინებდა ზემოთ აღწერილი მოდის ტანსაცმელს. ქუჩაში ბრძანდებოდა და დროს ატარებდა. ერთ ქალს იგდებდა მასხრად და თან თამბაქოს აბოლებდა. თამბაქოს წევაც მოდა იყო იმ დროს.

როგორც კი მიუახლოვდებოდა სალუქს ეს ქალი, ის მაშინვე სიგარის კვამლს მოიგროვებდა, შიგ პირში შეაბოლებდა და თან რამდენიმე სიტყვას დაატანდა, უწმაწურს, სალაზღანდაროს, რომელიც თვითონ ნაკვესად და ჭკუამახვილობად მიაჩნდა: - რა უშნო ხარ?.. რას დაეხეტები? წადი დაიმალე... კბილები ვინ ჩაგაყრევინა... და სხვ. და სხვ. ეს ვაუბატონი ბატონი გამატაბუა ბრძანდებოდა. ქალი, ეს მორთული ლანდი, ბოლთას რომ სცემდა ფანჯრებთან, პასუხს არ აძლევდა, არც კი უყურებდა. ესმოდა მისი დაცინვა, მაგრამ თავისას არ იშლიდა, გვერდზე გაუვლიდა, წავიდოდა და ხუთი წუთის შემდეგ ისევ ბრუნდებოდა დამცინავისკენ, როგორც ჯარისკაცი, რომელმაც ორ რიგს შუა უნდა გაიაროს და ისე გაილახოს. ყურადღებას არ აქცევდა ამ აბეზარს ქალი. ეტყობოდა, ამან გააგულისა ჩვენი გმირი და როდესაც გასცდა ქალი, უკან გაჰყვა მგელივით ფრთხილად, დაიკუზა, ერთი მუჭა თოვლი აიღო და უცბად ზურგში ჩაუგდო ბეჭებშუა. ქალმა დაიკივლა. მოუბრუნდა, ვეფხვივით ეცა თავხედს, ფრჩხილებით უკაწრავდა სახეს, თან უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და აგინებდა. ეს გინება და არყისაგან გახრინწიანებული ხმა ყმაწვილი ქალისა იყო, რომელსაც ორი წინა კბილი აღარ ჰქონდა. ეს ქალი ფანტინი გახლდათ.

ამ ყვირილზე გარეთ გამოცვივდნენ ოფიცრები, ხალხი შეგროვდა ქუჩაში, გარს შემოეხვია მოჩხუბრებს, ზოგი ხარხარებდა, ზოგი ტაშს უკრავდა, ზოგი რაღაცას გაჰყვიროდა. იდგნენ და ტკბებოდნენ ამ ქალისა და კაცის ბრძოლით, რომლებსაც ვეღარც კი სცნობდნენ. ძლივსღა იგერიებდა კაცი ფანტინს, ქუდი თოვლზე ეგდო და ფანტინი კი სცემდა გაათურებული ხელით, ფეხით, მუშტით, მხეცივით ბღაოდა ფერმიხდილი და საშინელი.

ერთი მაღალი ტანის კაცი გამოვიდა უცბად სახლიდან, ხელი სტაცა ქალს ტალახით მოსვრილ წელში და უბრძანა:

- გამომყევი!

შეხედა ფანტინმა, ხმა ჩაუწყდა, გაშეშდა, მკვდრის ფერი დაედო და კანკალი მოერია. ჟავერი იცნო.

სალუქმაც ისარგებლა ამ წუთით და მოკურცხლა.

## თავი მეცამეტე
## პოლიციური სამართალი

ხალხი გაარღვია ჟავერმა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა პოლიციისკენ, თან თავისი მსხვერპლი მისდევდა ხმაგაკმენდილი, სრული მორჩილებით. ჟავერიც გაჩუმებული მიდიოდა. სეირით გატაცებული ხალხიც თან აედევნა და მხიარულად ლაზღანდარობდა. უაღრეს უბედურებას უშვერი ლაზღანდარობა გამოეწვია.

პოლიციაში შევიდნენ. დაბალი ოთახი იყო, ღუმლით გამთბარი. შიგ დარაჯი დახვდათ. მეორე ოთახის კარი შეაღო ჟავერმა. შევიდა, შეიყვანა ფანტინი და კარი მოხურა. იუკადრისა ეს ხალხმა, რომელსაც უნდოდა ბოლომდე დამტკბარიყო ამ სეირით და ახლა ქუჩაში გამავალ ფანჯარასთან მიცვივდა, ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ კიდევ დაენახა რამე. ავმუცელობაა ხშირად ცნობისმოყვარეობა, - თვალით ცქერა ზოგჯერ გადაყლაპვას უდრის.

შევიდნენ ოთახში. ღონემიხდილი ფანტინი ძირს დაეშვა იქვე კუნჭულში, ეგდო უძრავად, ხმას ვერ იღებდა და შეშინებული ძაღლივით შესცქეროდა ჟავერს.

დარაჯმა ანთებული სანთელი შემოიტანა, ჟავერი დაბრძანდა, ერთი ფურცელი გერბიანი ქაღალდი აიღო და წერა დაიწყო.

ამ ყოფაქცევის ქალები ჩვენი კანონმდებლობით მარტო პოლიციის განკარგულებაში არიან. პოლიცია არის იმათი ბატონ-პატრონი; რასაც უნდა, იმას უზამს; დასჯის, როგორც მოინდომებს და თავისი სურვილისამებრ წაართმევს ორ სავალალო ღირსებას, რომელიც ამ ქალებს შერჩენიათ - ხელობას და თავისუფლებას. ქვასავით უგრძნობი იყო ჟავერი. სახეს არავითარი მღელვარება არ ემჩნეოდა, თუმცა საფიქრალიც ჰქონდა და საზრუნავიც: თავის მოვალეობას ასრულებდა კაცი, სასტიკი სინდისის სრული სიფრთხილით და თავისი შეუზღუდავი უფლების გამოყენებით. გრძნობდა, რომ ამ წამს მისი სავარძელი პოლიციის მსაჯულის სავარძლად გადაქცეულიყო და მართლმსაჯულება მართებდა, საქმე უნდა განეხილა, დამნაშავე დაესაჯა და ცდილობდა თავი მოეყარა, რაც კი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა, იმ დიდებული მოვალეობის აღსასრულებლად, რომელიც მიანდო მთავრობამ და რამდენადაც უკვირდებოდა ამ ქუჩის ქალის საქციელს, იმდენად უფრო ემატებოდა აღშფოთება. ცხადი იყო, თავისი თვალით ნახა კანონის დარღვევა, თავისი თვალითა ნახა ქუჩაში საზოგადოება, რომლის წარმომადგენელი, ბურჟუა, სახლის პატრონი, ამორჩევის უფლების მქონე, შეურაცხყოფილი იყო ლანძღვით და ცემით - ვიღაც უნამუსო, კანონგარეშე დედაკაცისგან. ქუჩაში მაწანწალა კახპამ შეურაცჰხყო ბურჟუა, ეს თავისი თვალითა ნახა ჟავერმა და ახლა ჩუმად წერდა.

გაათავა, ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასვა, დაკეცა, პოლიციელს მისცა და უბრძანა:

- სამი კაცი გეყოფათ. ციხეში წაიყვანეთ დედაკაცი.

მერე ფანტინს მიუბრუნდა და უთხრა:

- ექვსი თვით ციხე.

- ექვსი თვით? ექვსი თვით ციხე? - შეჰყვირა ფანტინმა, - ექვსი თვის მუშაობა და 7 სუ დღეში! მერე ჩემი შვილი კოზეტი? ხომ შიმშილით მომიკვდება ჩემი ბავშვი, ჩემი შვილი! ას ფრანკზე მეტი მმართებს ტენარდიესი, ბატონო ინსპექტორო, ეს იცით თუ არა?

და როგორც ეგდო, ისე გაცოცდა ჟავერისკენ, ტალახიანი ფეხებით გასვრილ იატაკზე, ხელაპყრობილი, თითქოს ღმერთს ევედრებაო:

- შემიბრალეთ, ბატონო ჟავერ, შემიწყალეთ! გეფიცებით, ჩემი ბრალი არ იყო. თქვენ მარტო ბოლო ნახეთ, თავიდან რომ გენახათ, მე არ გამამტყუნებდით. ღმერთმა მკითხოს, თუ მე იმისთვის დამეშავებინოს რამე. სულ იმ ბურჟუის ბრალია, არც კი ვიცნობ, ვინ არის. თოვლი ჩამიდო ბეჭებში. ნუთუ უფლება აქვს ვინმეს, აქაოდა ბატონი ვარო, თოვლით ამივსოს ბეჭები, როდესაც ჩუმად, წყნარად დავდივარ ჩემთვის და არავის ვავნებ? კინაღამ გავგიჟდი, მეც არ ვიცოდი, რასა ვშვრებოდი და განა მარტო თოვლი? მასხარად ამიგდო, დამცინოდა, გონჯი ხარო, ვინ გაყრევინა კბილებიო? მე კი არ ვიცი, რომ კბილები არა მაქვს? მე იმისთვის არაფერი დამიშავებია, გარწმუნებთ. მესმოდა იმის დაცინვა და ვფიქრობდი, ბატონია, დროს ატარებს, მოსწყინდება და თავს დამანებებს-მეთქი. პატიოსნად მოვიქეცი, გეფიცებით, ხმა არ გამიცია და უცბად ყინული ვიგრძენი ბეჭებში. ბატონო ჟავერ, ჩემო კეთილო ინსპექტორო! ნუთუ არავინ არის აქ, რომ დამემოწმოს, მოგახსენოთ, რომ სწორედ ასე იყო ყველაფერი, როგორც მე გეფიცებით? იქნებ იმაში ვარ დამნაშავე, რომ გავბრაზდი. ხომ იცით, ერთ წამს დაუფიქრებლად რჩება შეშინებული ადამიანი. უცბად რომ თოვლი მომხვდა ზურგზე, სრულიად მოულოდნელად, განა იქ დაფიქრება მომაგონდებოდა? დამნაშავე ვარ, რომ ქუდი წავუხდინე იმ ბატონს. ნეტავი არ წასულიყო. ბოდიშს მოვუხდიდი. მაპატიეთ, ბატონო ჟავერ, დღეს შემიბრალეთ და გეფიცებით... იქნებ არც კი იცოდეთ, საპატიმროში დღეში შვიდი სუ აქვს ადამიანს. მთავრობის ბრალი არ არის, მაგრამ დღეში შვიდი სუ მექნება და მე კი ას ფრანკზე მეტი ვალი მაქვს. თუ არ გადავუხადე, თავში მახლიან ჩემს გოგონას. ოჰ, ღმერთო, გულთამხილავო! აქაც ვერ მომიყვანია ის დედამკვდარი. ჩემთან როგორ ვიყოლიო ჩემი გოგონა, მე უბედურმა? ოჰ, ჩემო კოზეტ, ჩემო პატარა ღვთისმშობლის ანგელოზო! ხომ დამეღუპა უსუსური ბავშვი! უნდა მოგახსენოთ, ბატონო, ტენარდიეს მივაბარე, მედუქნეს, გლეხკაცს. იმან შებრალება არ იცის. ფულის მეტი არა სწამს რა. ნუ დამაპატიმრებთ, ბატონო. თუ ფული არ გავუგზავნე, ქუჩაში გააგდებენ პაწიას ამ შუა ზამთარში, ჩემი პატარა გოგონა მაინც შეიბრალეთ, ბატონო ჟავერ! ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, ლუკმაპურს იშოვიდა სადმე, მაგრამ პატარა გახლავთ, ვერას შეძლებს, იმ ხნისა არის. ცუდი დედაკაცი არ გახლავართ, ბატონო. გარყვნილებამ და ავმუცლობამ კი არ ჩამაგდო ამ დღეში. არაყსა ვსვამ გულის ვარამის მოსაკლავად. არ მიყვარს, მაგრამ სევდას მავიწყებს. ერთ დროს მეც ვიყავი ბედნიერი და ჩემი ოთახი რომ ენახა ვინმეს, არ იტყოდა, ცუდი ქალიაო, ისე მშვენივრად მქონდა ყველაფერი დალაგებული. შემიწყალეთ, ბატონო ჟავერ, ჩემი ბავშვისთვის მაინც!

ასე ევედრებოდა მუხლმოყრილი, თან ქვითინებდა, თავით ფეხამდე თრთოდა. გული გადაღეღილი ჰქონდა, სახე - ცრემლით დასველებული. ხელებს იმტვრევდა, ღრმად ახველებდა და ნახველს კი ვეღარ იღებდა. დაქანცული, სასოწარკვეთილი მომაკვდავის ხმით მოთქვამდა. დიდი მწუხარება სხივია ღვთიური და თან საზარელი, რომელიც გარდაქმნის განწირულს. ამ დროს ფანტინი ისევ ისე მშვენიერი იყო.

ხანდახან გაჩერდებოდა ხოლმე და ნაზად კოცნიდა ჯაშუშის კალთას. კლდის გულს მოალბობდა საცოდავი, მაგრამ ხის გულის მოლბობა ვერ შეძლო.

- აბა, ადექი. - უთხრა ჟავერმა, - ხომ მოგისმინე! კიდევა გაქვს რამე სათქმელი? ახლა კი წადი. ექვსი თვით ციხე. ყოვლისშემძლებელი ღმერთიც ვეღარ გიშველის.

ამ სიტყვამ - ყოვლისშემძლებელი ღმერთიც ვეღარ გიშველისო, - ჩააგონა ფანტინს, რომ იმედი აღარაფრისა უნდა ჰქონოდა, ძირს დაეშვა გულწასულივით და ერთიღა თქვა:

- შემიბრალეთ!

ჟავერმა ზურგი შეაქცია.

ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს, აყენებას უპირებდნენ.

კარგა ხანი იყო, ერთი კაცი შემოსულიყო შეუმჩნევლად. კარი მოეხურა, ზედ მისწოლოდა და გაეგონა სასოწარკვეთილი ვედრება უბედურისა.

როდესაც გაძალიანებულ ფანტინს უფრო უკმეხად წაეჭიდნენ პოლიციელები, წინ წაიწია და თქვა:

- ერთ წამს, თუ შეიძლება.

გადმოხედა ჟავერმა და ბატონი მადლენი იცნო. ქუდი მოიხადა, თავი დაუკრა ნაძალადევად, რადგან ცდილობდა უსიამოვნების დამალვას; და ბოდიშიც კი მოიხადა.

- უკაცრავად, ბატონო მერო.

უცნაური გავლენა მოახდინა ამ სიტყვამ - ბატონო მერო - ფანტინზე. უცბად წამოვარდა, თითქოს აჩრდილი ამოვარდნილიყოს მიწიდან, ორივე ხელით მოიშორა პოლიციელები, პირდაპირ ბატონ მადლენს მივარდა, თვალი თვალში გაუყარა და შესძახა გიჟის ხმით და სახით:

- ოჰ, მაშ შენ ბრძანდები ბატონი მერი?

სიცილი ატეხა და შიგ პირში შეაფურთხა.

სახე მოიწმინდა ბატონმა მადლენმა და თქვა:

- ბატონო ჟავერ, გაათავისუფლეთ ეს ქალი.

ერთ წამს კინაღამ გაგიჟდა ჟავერი, თავის სიცოცხლეში არ უგრძნია ის მღელვარება, რომელსაც ახლა განიცდიდა. ვიღაც კახპამ რომ შიგ პირში შეაფურთხოს მერს, ეს იმისთანა საზარელი იყო, რომ აზრადაც არ მოუვიდოდა; თუ არადა, იტყოდა - ალბათ შეშლილი ვარ, რომ შესაძლებლად მიმაჩნია ამისთანა მკრეხელობაო. მაგრამ ამავე დროს, თავისი ფიქრით, ერთმანეთს ადარებდა ამ ქუჩის გოგოს და იმას, რაც უნდა ყოფილიყო თავისი წარსულით ეს მერი და გრძნობდა განცვიფრებული, რომ ეს შეურაცხყოფა სულ უბრალო, ჩვეულებრივი საქციელი იყო ამგვარი ზნედაცემულებისათვის და რომ დაინახა, როგორ გაიწმინდა პირი ამ მერმა, მთავრობის დიდებულმა წარმომადგენელმა და სრულიად მშვიდად, თითქოს საპკური ასხურესო, ბრძანა, - გაათავისუფლეთ ეს ქალიო, - გაშტერებული დარჩა. აღარც ფიქრი ემორჩილებოდა, აღარც სიტყვა. ადამიანის განსაცვიფრებლად მეტისმეტი იყო, რაც დღეს ნახა და მუნჯივით იდგა.

არანაკლები შთაბეჭდილება იქონია ამ სიტყვამ თვითონ ფანტინზეც. ასწია შიშველი ხელი, ღუმლის საკვამურს დაებღაუჭა, რადგან ბარბაცებდა, გიჟივით იყურებოდა აქეთ-იქით და ჩუმი ხმით მოთქვამდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

- გაათავისუფლეთ ეს ქალიო? მაშ ციხეში აღარ ჩამსვამენ? ექვს თვეს ციხეში, ვინა თქვა ეს? ვინ იტყოდა ამას? შეუძლებელია! ალბათ კარგად ვერ გავიგონე. ჩვენი მერი ხომ არ იტყოდა ამას, ის ურჩხული, ისა! მაშ თქვენა ბრძანებთ, ბატონო ჟავერ, რომ გამათავისუფლონ? ოჰ, რომ იცოდეთ! აი, მომისმინეთ და მაშინვე გამათავისუფლებთ. სულ იმის ბრალია, ჩვენი არამზადა მერისა. წარმოიდგინეთ, ბატონო ჟავერ, რომ ქარხნიდან გამომაგდო. ჭორიკანა დედაკაცების მითქმა-მოთქმას დაუგდო ყური და დამითხოვა. საშინელება არ არის? დაითხოვა საწყალი ქალი, რომელიც გულმოდგინედ მუშაობდა. მერე საქმე ვეღარ ვიშოვე, ჩემს გოგონას ვეღარ ვეხმარებოდი და უბედურებაც მაშინ მეწია. იმ ციხეში, ბატონო, ცოტა რამ წესიერების შემოღებაა საჭირო, რადგან ციხის მოიჯარადრე ტყავს აძრობს პატიმრებს. აი, მოგახსენებთ: მანამ შინა ხართ, საცვლებს კერავთ და თორმეტი სუ გაქვთ დღეში. მერე ცხრასღა გაძლევენ. ცხოვრება შეუძლებელია, შიმშილით მოკვდება ადამიანი და რას იზამს უბედური, რომ გამოსავალი აღარსადა აქვს? დაეშვება დაღმართზე და აღარაფერს იუკადრისებს. მე კიდევ ჩემი ბავშვი მყავს, ჩემი კოზეტი, მე რომ შიმშილით მოვმკვდარიყავი, ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ ჩემს გოგონას ხომ ვერ მოვკლავდი? გამიჭირდა და ნამუსიც კი დავკარგე. ახლა ხომ ხედავთ, რომ სულ იმ შერცხვენილის, მერის ბრალია ჩემი დაცემა! ჩემი არ მეყოფოდა, რომ ახლა ის არ გადამკიდებოდა? მე მივვარდი და ქუდი გავუქელე ბურჟუას. მე ქუდი გავუქელე და იმან თოვლი ჩამიდო ბეჭებში, კაბა შემომაფხრიწა. ხომ იცით, რომ ჩემისთანა ქალებს ერთადერთი აბრეშუმის კაბა აქვთ საღამოს სასეირნოდ. გარწმუნებთ, ბატონო ჟავერ, ჩემს დღეში ავი არავისთვის მნდომებია და ბევრ ქალსა ვხედავ მართლა ავსა და საძაგელს, რომლებიც ბედნიერები არიან. ბატონო ჟავერ, თქვენა ბრძანეთ, არა, გაათავისუფლეთ ეს ქალიო. გამოიძიეთ, ბატონო, ჩემი სახლის პატრონს ჰკითხეთ, - ახლა ქირას ნაღდად ვუხდი, - დარწმუნდებით, რომ ცუდი დედაკაცი არა ვარ. ოჰ, ღმერთო, ნუ გამიჯავრდებით, ხელი შევახე ჩემდა უნებურად ღუმლის საკვამურს და კვამლი გამოვიდა.

ღრმა ყურადღებით ისმენდა ბატონი მადლენი. ჯიბიდან ქისა ამოიღო, გახსნა. ცარიელი იყო, ისევ ჯიბეში ჩაიდო, მერე ფანტინს ჰკითხა:

- რამდენი თქვით წეღან? რამდენი გმართებთ?

ფანტინი მარტო ჟავერს შესცქეროდა. ახლა კი ბატონი მადლენისკენ მიბრუნდა:

- შენ რა გინდა? მე ხომ შენ არ გელაპარაკები?

მერე პოლიციელებს მიმართა:

- ხომ ნახეთ, როგორ შევაფურთხე შიგ პირში? ოჰ, შე ბებერო ავსულო, შენა! რისთვის მობრძანებულხარ? გინდა შემაშინო? ჰოდა, მე შენი არ მეშინია! მე ბატონ ჟავერისა მეშინია, მე მარტო ჩემი მწყალობლის, ჟავერისა მეშინია.

და ისევ ჟავერს მიუბრუნდა:

- არც სამართლიანობა უნდა დავივიწყოთ, ბატონო ინსპექტორო. ვიცი, რომ მართალს არ დასჯით და ამიტომ მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? ბატონმა თოვლის გუნდა ჩაუდო ბეჭებში ერთ დედაკაცს, ბატონს თამაში უნდა, გართობა, ხუმრობა და ჩვენც ბატონების შესაქცევად ვართ გაჩენილი. ამ დროს თქვენ მოდიხართ, ხედავთ ყველაფერს და იძულებული ხართ წესიერება აღადგინოთ. თან მიგყავთ დამნაშავე ქალი. მაგრამ საქმის განხილვის შემდეგ, რადგან გულკეთილი კაცი ხართ, ბრძანებთ ჩემს გათავისუფლებას, ჩემი პაწია გოგონასთვის, იმიტომ, რომ

თუ ექვსი თვე ციხეში დამიჭირეს, მე იმას ვეღარაფერს გავუგზავნი და შიმშილით მომიკვდება. მაგრამ, - მეორედ აღარ გაბედოო, არა, ბატონო? ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! ხმას აღარ ამოვიღებ, რაც უნდა მიყონ, თუნდა თავდაყირა დამკიდონ! ოღონდ დღეს კი, დღეს როგორღაც მომივიდა, მოულოდნელი იყო იმ ბურჟუის თოვლი და, აკი მოგახსენეთ, ვერა ვარ კარგად. ძალიან მახველებს, სტომაქში რაღაცა მწვავს, თითქო ცეცხლის ბურთიაო. ამიტომ იყო, რომ ექიმმა მითხრა, ფრთხილად იყავი, მოუარე შენს თავსაო, აი ნახეთ, მიბოძეთ თქვენი ხელი, ნუ გეშინიათ, აი, აქ.

აღარ ტიროდა, ალერსით ელაპარაკებოდა ჟავერს. თავის ნაზ, თეთრ მკერდზე დაედო ჟავერის ტლანქი ხელი და ღიმილით შესცქეროდა.

მერე უცბად შეისწორა თავისი არეული ტანსაცმელი, ძირს დაუშვა კაბის კალთა, რომელიც იატაკზე ცოცვის დროს მუხლებამდე ასწეოდა, კარებისკენ წავიდა, მეგობრულად თავი დაუკრა პოლიციელებს და ჩუმი ხმით უთხრა:

- ბატონმა ინსპექტორმა ბრძანა ჩემი გათავისუფლება და მივდივარ.

რაზას დაადო ხელი. ერთი ნაბიჯიც და ქუჩაში იქნებოდა.

აქამდე ფეხზე იდგა ჟავერი, უძრავად, თავჩაღუნული, თითქოს ქანდაკება ყოფილიყოს, რომელიც შუა სცენაზე დაავიწყდათ და ელის, რომ თავის ადგილამდე მიიტანონ.

რაზის ჭრიალმა გამოაფხიზლა. წელში გაიმართა. სახეზე უსაზღვრო უფლებით აღჭურვილობა დაეტყო, ეს იმდენად უფრო საშინელია, რამდენადაც უბირია ადამიანი. ამ ძალით აღჭურვილი, მკაცრია და მძვინვარე მხეცი, თუ მას მარტო სახელი აქვს ადამიანისა.

- ათისთავო, - შეჰყვირა ჟავერმა, - ვერა ხედავთ, რომ წასვლას აპირებს ეს დედაკაცი, ვინ მოგცათ მაგისი გაშვების ნება?

- მე, - თქვა მადლენმა.

ჟავერის ხმა რომ მოესმა ფანტინს, აკანკალდა და ხელიდან გაუშვა რაზა, როგორც ქურდმა, რომელსაც ხელიდან გაუვარდება ნაქურდალი, თვალი თუ შეასწრეს. მადლენის ხმაზე კი მისკენ მიბრუნდა და იმ წამის შემდეგ იდგა გაჩუმებული, ხმას აღარ იღებდა, სუნთქვასაც კი ვეღარ ბედავდა და რიგრიგობით შეჰყურებდა გაშტერებული ხან ჟავერს, ხან მადლენს და თვალს არ აშორებდა იმას, ვინც ლაპარაკობდა.

ცხადია, მეტად გაბრაზებული უნდა ყოფილიყო ჟავერი, რომ ათისთავისთვის შეეტია, როდესაც კარგად იცოდა, ფანტინის გათავისუფლება ბატონმა მერმა ბრძანა. ნუთუ დაავიწყდა, რომ იქვე ბრძანდებოდა ბატონი მერი? ან იქნება ფიქრობდა, შეუძლებელია ამგვარი ბრძანება გასცეს მთავრობის ხელისუფლებით აღჭურვილმა მოხელემ და, მაშასადამე, სულ სხვას ფიქრობდა ბატონი მერი და სიტყვით კი თავისდა შეუმჩნევლად სულ სხვა წამოსცდაო. ორი საათი იყო, ჟავერი უნებური მოწმე და მონაწილე გამხდარიყო ერთი დიდი დრამისა და იქნებ ფიქრობდა: აი, კარგი შემთხვევა, რომ დიდებული დადგენილებით ისახელოს თავი, დიდ კაცად გახდეს პატარა კაცი, მსაჯულად გადაიქცეს ჯაშუში, მართლმსაჯულების მოხელედ იქცეს პოლიციის მოხელე და დღეს იმის ხელთ იყოს აღდგენა და დაცვა წესიერებისა, კანონისა, ზნეობისა, მთავრობისა და მთელი საზოგადოებისა.

ასე იყო თუ ისე, როდესაც ჟავერმა მადლენის პასუხი გაიგონა, უცბად მიბრუნდა მერისკენ. გაყვითლებული იყო, გაშეშებული; ტუჩები გალურჯებული ჰქონდა, თვალი

შემკრთალი, მთელი ტანით თრთოდა შეუმჩნევლად და, მიუხედავად იმისა, რომ თვალები ძირს ჰქონდა დაშვებული, მაინც გაბედულად მოახსენა თავისი:

- ეგ შეუძლებელი გახლავთ, ბატონო მერო.

- რატომ?

- ამ უნამუსომ შეურაცხყოფა მიაყენა ერთ ბურჟუას.

- ინსპექტორო ჟავერ, - დაიწყო ბატონმა მადლენმა მომრიგებლური, მშვიდი კილოთი, - პატიოსანი კაცი ხართ და მით უფრო მიადვილდება თქვენთან შეთანხმება. აი, თუ სიმართლე გნებავთ, მე მოედანზე ვიყავი, როდესაც თქვენ ეს ქალი წამოიყვანეთ. ჯერ არ დაშლილიყო ხალხი; მივედი, გამოვკითხე მათ და ყველაფერი გავიგე. დამნაშავე ბურჟუა იყო და პოლიციის წესით ის უნდა ყოფილიყო დაჭერილი.

ჟავერი მაინც თავისას იძახდა:

- შეურაცხყოფა მიაყენა ქუჩის გოგომ თავის ბატონ მერს.

- ეგ ჩემი საქმეა. შეურაცხყოფაც ჩემია, დამეთანხმებით, და პასუხისგებაც, აგრეთვე, ჩემი. ისე გადავუხდი, როგორც მე მინდა.

- დიდ ბოდიშს ვიხდი. მერის შეურაცხყოფა მთავრობის შეურაცხყოფა გახლავთ და მართლმსაჯულებას ეკუთვნის.

- ბატონო ჟავერ, - უპასუხა ბატონმა მერმა, - უმაღლესი მართლმსაჯულება არის სინდისი. მე მოვისმინე ამ ქალის ნათქვამი და ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე.

- მე კი, ბატონო მერო, მე აღარ ვიცი, რას ვხედავ აქ?

- არ იცით და დაემორჩილეთ ჩემს განკარგულებას.

- მე ჩემს მოვალეობას ვემორჩილები. ჩემი მოვალეობა გახლავთ ციხეში ჩავსვა ექვსი თვის ვადით ეს დედაკაცი.

- კარგად შეიგნეთ. ერთი დღეც არ იქნება ციხეში. - ტკბილი ხმით უპასუხა ბატონმა მადლენმა.

ეს მტკიცედ ნათქვამი სიტყვა რომ გაიგონა ჰჟავერმა, გაბედულად შეხედა ბატონ მერს და ისევ ისე ზრდილობიანი კილოთი მოახსენა:

- ძალიან ვწუხვარ, ბატონო, რომ იძულებული გახლავართ წინააღმდეგობა გაგიწიოთ. ეს მე პირველად მომდის ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ, იმედი მაქვს, დამეთანხმება ბატონი მერი, რომ მე დღეს ჩემი უფლების საზღვრებს არა ვცილდები. მე მოგახსენებთ, რაკი აგრე გნებავთ, იმ ბურჟუის საქმეს. მეც იქ გახლდით. ეს დედაკაცი მივარდა ბატონ ბამატაბუას, რომელიც ამომრჩეველია და პატრონი მშვენიერი აივნიანი, სამსართულიანი ქვითკირის სახლისა. ბევრი რამ ხდება ამქვეყნად, მაგრამ, ასეა თუ ისე, საქმე ქუჩის პოლიციას შეეხება, ბატონო მერო, მაშასადამე, პირადად მე, მე კი ამ დედაკაცს ციხეში ვგზავნი.

მაშინ გულხელი დაიკრიფა მადლენმა და ისეთი სასტიკი ხმით მიმართა ჟავერს, რომელიც ჯერ არავის გაუგონია მისგან.

- ეს საქმე ქალაქის ქუჩის საქმეა და, მაშასადამე, ჩემი. სისხლის სამართლის კრებულის მუხლით - ცხრა, თერთმეტი, თხუთმეტი და სამოცდაექვსით, მე ვარ მსაჯული ამ საქმისა, ბრძანებას გაძლევთ გაათავისუფლოთ ეს საწყალი.

რაღაც მოსაზრება გააჩნდა კიდევ ჟავერს და სცადა ისიც გამოეყენებინა:

- დიახ, ბატონო, მაგრამ...

- მაშინ 1799 წლის 13 დეკემბრის დადგენილების ოთხმოცდამეერთე მუხლსაც გაგახსენებთ, რომელიც შეეხება უკანონოდ ვინმეს დაჭერას.

- ნება მიბოძეთ, ბატონო მერო...

- კმარა, არც ერთი სიტყვა!

- კარგი, მაგრამ...

- გადით აქედან! - უბრძანა ბატონმა მადლენმა.

სილა რომ შემოგეკრათ, ისე მოხვდა ჟავერს ეს სიტყვა. მაგრამ გაშეშებული იდგა, წარბი არ შეუხრია, როგორც რუსის ჯარისკაცს - მტრის წინ. დაიხარა, თითქმის მიწამდე, თავი დაუკრა მერს და გავიდა.

ფანტინი კარს მოშორდა, გზა მისცა და განცვიფრებული შესცქეროდა მიმავალს.

მაგრამ თვითონაც შერყეული იყო ფანტინი. თავისი თვალით ნახა ორი დიდებულის ბრძოლა, რომლის მიზეზი იგი, ფანტინი იყო. ბრძოლა ნახა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალისა, რომლებსაც ხელთ ჰქონდათ მისი თავისუფლება, მისი სიცოცხლე, მისი სული და მისი ბავშვი. ერთი ამ კაცთაგანი სიბნელისკენ მიეწეოდა უბედურს, მეორეს სინათლისკენ მიჰყავდა. ამ ბრძოლას შეშინებული თვალით უყურებდა გულგახეთქილი. ორ ბუმბერაზად წარმოუდგა ეს მებრძოლნი: ერთი მომაკვდინებელ ქაჯად ეჩვენებოდა, მეორე - მფარველ ანგელოზად. ანგელოზმა დაამარცხა ქაჯი - ეს იყო ფანტინის გულის წუხილი, რომლის გამო თავით ფეხამდე თრთოდა სირცხვილით: ეს ანგელოზი, ეს მისი განმათავისუფლებელი სწორედ ის კაცი იყო, რომელიც ჭირივით სძულდა; ის მერი, რომელსაც დიდი ხანია ყველა თავისი უბედურების მიზეზად თვლიდა; თვითონ მადლენი იყო ეს ანგელოზი და სწორედ იმ დროს გამოექომაგა და იხსნა, როდესაც ასეთი ბინძური შეურაცხყოფა მიაყენა მადლენს. როგორ შეცდომაში ყოფილა უბედური! მაშ, სული უნდა შეიცვალოს, რომ მტერი და მოყვარე გაარჩიოს. ვეღარაფერს ხვდებოდა, აღარაფერი გაეგებოდა, სირცხვილით თრთოდა - ყურს უგდებდა განცვიფრებული, შეჰყურებდა გაშტერებული და გრძნობდა, რომ ყოველი სიტყვა, მადლენის მიერ თქმული, ადნობს და ალბობს მის გულში დაგროვილ საშინელ ბნელ სიძულვილს; გრძნობდა, რომ მწარე სამსალის მაგივრად რაღაც ტკბილი გროვდებოდა მის გულში, თბილი, სიტყვით გამოუთქმელი, რომელიც სიხარული იყო, იმედი და სიყვარული.

ჟავერი რომ გავიდა, მადლენი მიუბრუნდა ფანტინს და ნელი ხმით, თითქოს თვალს ცრემლი მოსდგომია და ტირილი არ უნდაო, უთხრა:

- მოვისმინე თქვენი ნათქვამი. თქვენი დათხოვნის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. მე მგონია, რომ მართალი თქვით; ვგონებ, მართალი უნდა იყოს. მე არც კი ვიცოდი, რომ აღარ მუშაობდით ჩემს სახელოსნოში. რატომ მე არ მომმართეთ? მაგრამ, რაც იყო, იყო. თქვენს ვალს გადავიხდი, თქვენს გოგონას აქ ჩამოვიყვან, ან თქვენ წახვალთ იმასთან. იქ იცხოვრებთ, ან იქ, ან პარიზში, სადაც ისურვებთ. ჩემს კისერზე იყოს თქვენი და თქვენი ბავშვის ცხოვრება. თუ გინდათ, ნუღარ იმუშავებთ. ფული ყოველთვის საკმაო გექნებათ, ამას გპირდებით. ისევ პატიოსანი ქალი გახდებით, როცა უზრუნველყოფილი იქნებით - და, ყური დამიგდეთ, მეტსაც გეტყვით. თუ მართალია, რაც წეღანა თქვით, და მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მართალია, თქვენ არასოდეს გიღალატიათ არც პატიოსნებისათვის, არც სათნოებისთვის და წმინდა ხართ ღვთის წინაშე. ოჰ, საბრალო ტანჯულო!

ეს მეტისმეტი იყო, საბრალო ფანტინის მოწყლულებულ გულს რომ აეტანა. კოზეტი თავისუფალი ჰყავდეს! თავი დააღწიოს ამ უნამუსო ცხოვრებას! თავისუფალი

ადამიანი გახდეს, მდიდარი, ბედნიერი, პატიოსანი, თან კოზეტი ჰყავდეს! და ასე უცბად, მოულოდნელად რომ გაეშალა თვალწინ ამ გაჭირვებით შერცხვენილს და დაცემულს ეს სამოთხისებური სურათი, გაგიჟებულივით შეჰყურებდა ამ კაცს, რომელიც ტკბილად ელაპარაკებოდა და მწარე ქვითინი აუვარდა. დაეშვა, მუხლი მოიყარა ბატონი მადლენის წინაშე, მისი ხელი აიღო და ზედ დაეკონა. ისე მოულოდნელად მოხდა ეს ხელზე კოცნა, რომ მადლენმა ხელის გამორთმევა ვერ მოასწრო.

ქალმა კი გრძნობა დაკარგა.

## წიგნი მეექვსე
## ჟავერი

### თავი პირველი
### მშვიდობის დასაწყისი

მადლენის ბრძანებით ფანტინი წაიყვანეს იმ საავადმყოფოში, რომელიც თავის სახლთან ჰქონდა. მოწყალების დებს სთხოვა და მაშინვე ლოგინში ჩააწვინეს. საშინელი სიცხე ჰქონდა. იმ ღამეს სულ ბოდავდა, რაღაცას გაიძახოდა ხმამაღლა. ბოლოს, როგორც იყო, ჩაეძინა.

მეორე დღეს შუადღისას გაიღვიძა და იქვე, თავის ლოგინთან ვიღაცის სუნთქვა მოესმა. ფარდა გადასწია და მადლენი დაინახა. იდგა მადლენი, რაღაცას შესცქეროდა ზევით. სიბრალულით შესცქეროდა რაღაცას, მწუხარებით და ვედრებით. თვალი გააყოლა ფანტინმა მის თვალს და ნახა, რომ ჯვარცმას მიმართავდა, კედელზე მილურსმულს.

ამიერიდან სულ სხვა ადამიანად ეჩვენებოდა ფანტინს მადლენი, სხივმოსილ წმინდანად. მისჩერებოდა ჯვარცმას და აღარც ხედავდა, აღარც რამ ესმოდა. დიდხანს უყურა ფანტინმა, ვერა ბედავდა ეკითხა რამე. ბოლოს ჰკითხა მოკრძალებით:

- რას შვრებით მანდ?

ერთი საათი იქნებოდა, იქ იდგა მადლენი, ელოდა ფანტინის გაღვიძებას. ხელი ჩამოართვა, მაჯა გაუსინჯა და უპასუხა:

- როგორა ხართ?

- კარგად, მეძინა კიდეც. მგონია, უკეთ ვარ, არა მიშავს რა.

ფანტინის წეღანდელ კითხვას ახლა უპასუხა მადლენმა, თითქო ეს-ეს არის გაიგონაო:

- ვევედრებოდი წამებულს, რომელიც იქ არის, ზეცას.

და ფიქრით დაუმატა:

- ვავედრებდი წამებულს, რომელიც აქ არის, ჩემთან.

დაწვრილებით გამოეძიებინა იმ ღამეს და მეორე დილას საქმე ბატონ მადლენს და კარგად იცოდა ყველაფერი. თავიდან ბოლომდე გაიგო ფანტინის თავგადასავალი, ყველა საზარელი წვრილმანით. მან ფანტინს მიმართა:

- ბევრი მწუხარება ნახეთ, საბრალო დედავ. ოჰ, ნუღარ ჩივით, დღეს თქვენ გერგოთ რჩეულთა ხვედრი. სწორედ ამგვარად ქმნის ადამიანი ანგელოზს. ადამიანის ბრალი არ არის, რომ ჯერ ტანჯავს და აწამებს: რა ქნას, რომ არ იცის სხვაგვარად

როგორ მიუდგეს? ის ჯოჯოხეთი, რომლიდანაც თქვენ გამოხვედით, არის პირველი საფეხური ზეცისკენ მიმავალი გზისა. საჭირო იყო, ეს საფეხურიც გაგევლოთ.

ღრმად ამოიოხრა. ფანტინი კი შესცქეროდა ტკბილი ღიმილით, თუმცა ორი კბილი რომ არ კლებოდა, ზეციური იქნებოდა მისი ღიმილი.

ჟავერმა იმ ღამესვე დაწერა ერთი წერილი, და მეორე დილას თვითონ მიიტანა ფოსტაში. წერილი პარიზში იგზავნებოდა მისამართით: „ბატონ შაბუიეს, პოლიციის პრეფექტის მდივანს“. რადგან ქალაქში ყველას გაეგო მერისა და პოლიციის ინსპექტორის უთანხმოების ამბავი, ფოსტის უფროსმა და მასთან მყოფმა მოხელეებმა, რომლებმაც წერილი ნახეს და ჟავერის ხელი იცნეს, ვიდრე დანიშნულებისამებრ გაგზავნიდნენ, გადაწყვიტეს, ჟავერი სამსახურიდან გადადგომის ნებას ითხოვს ამ წერილითო.

ბატონმა მადლენმაც მაშინვე მისწერა ტენარდიეს. ფანტინს ას ოცი ფრანკი ემართა იმისი. სამასი ფრანკი გაუგზავნა და სთხოვა, თქვენი აიღეთ და დანარჩენით საჩქაროდ წამოიყვანეთ ბავშვი მონრეილში, რადგან დედა ავად ჰყავს და ბავშვს მოითხოვსო.

ტენარდიე სიხარულით ცას ეწია:

- ხედავ იმას! - შეჰყვირა თავის მეუღლეს, - ბავშვი წამოიყვანეთო! მამა უცხონდა! ჩიტუნია მეწველ ფურად გამიხდა და ახლა გავუშვა ხელიდან? ალბათ დოყლაპიას შეჰყვარებია ვინმეს, ფულიანს.

პასუხად ანგარიში გაუგზავნა ხუთასი ფრანკისა. ანგარიში სამაგალითოდ იყო შედგენილი: სამასი ფრანკის ხარჯის დასამტკიცებლად უტყუარი საბუთი იყო, ერთი - ექიმისა და მეორე - აფთიაქის გამგისა.

ექიმი კოზეტს კი არა, ავადმყოფ ეპონინს და აზელმას წამლობდა, აფთიაქის ხარჯი ამ გოგონების წამლების ფასი იყო, მაგრამ არც ისე ძნელი გახლდათ ტენარდიესთვის ანგარიშში სახელების შეცვლა. ანგარიშს ქვემოდან თავისი ხელით მიაწერა: მივიღე სრული სამასი ფრანკი.

ბატონმა მადლენმა მაშინვე გაუგზავნა სამასი ფრანკი და მისწერა: „ჩქარა ჩამოიყვანეთ კოზეტი“.

- აი, დასწყევლა ღმერთმა! რას გავუშვებ ამ გოგოს? - შეჰყვირა ტენარდიემ.

ფანტინს კი გამოკეთება არ ეტყობოდა. ისევ საავადმყოფოში იწვა. მოწყალების დებმა თავდაპირველად ზიზღით მიიღეს „ეს ქუჩის გოგო“. ვისაც უნახავს რეიმსის ბარელიეფი, კარგად ემახსოვრება პატიოსანი ქალწულების აბზუებული ტუჩები, სიყვარულით დამტკბარ ქალებს რომ შესცქერიან. ეს ძველი ზიზღი ვესტალებისა ბუნების კანონებით მცხოვრებ ქალთა მიმართ არის ერთი უღრმეს ალღოთაგანი ქალის ღირსებისა; დდა მოწყალების დებსაც მით უფრო მოერიათ ეს გრძნობა, რომ ბუნებრივ ალღოს სარწმუნოებაც აქეზებდა. მაგრამ რამდენიმე დღე კმაროდა, რომ იმათი გულიც მოეგო ფანტინს. თავმდაბლურად იქცეოდა, ტკბილად ელაპარაკებოდა, დედა იყო და ამითაც მოიპოვა მათი თანაგრძნობა. ერთხელ ძალიან დიდი სიცხე ჰქონდა და ბოდვა დაიწყო. მოწყალების დებმა გაიგონეს მისი ნათქვამი: ცოდვილი ვარ, მაგრამ როდესაც ჩემთან მეყოლება ჩემი გოგონა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ღმერთმა შემინდო და მაპატია. სანამ ცუდად ვიქცეოდი, არ მინდოდა ჩემთან მყოლოდა ჩემი ანგელოზი, ვერ ავიტანდი იმის განცვიფრებულ, დაღონებულ თვალს. ხომ ვერ ვეტყოდი, რომ იმისთვის გავხდი მე უნამუსო. ამიტომ არის, რომ ღმერთმა მომხედა და შემიბრალა. ღვთის წყალობას ვიგრძნობ გულით,

როდესაც კოზეტი აქ მეყოლება. თვალს აღარ მოვაშორებ, თუ განმკურნავს რამე, იმისი უმანკოება განმკურნავს. ჯერ არაფერი იცის პაწიამ, პატარა ანგელოზია, იმ ხნისაა, რომ ჯერაც არ დასცვივნია ანგელოზის ფრთები.

ბატონი მადლენი დღეში ორჯერ მოდიოდა მის სანახავად. დაინახავდა თუ არა, ფანტინი მაშინვე ერთსა ჰკითხავდა:

- როდის ვნახავ კოზეტს?

მადლენიც უპასუხებდა: - ხვალ იქნება დილით. აქამდეც უნდა მოეყვანათ. ყოველდღე ველი. - და სხივი ეფინებოდა დედის გაყვითლებულ სახეს.

- ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები!

უკვე ვთქვით, რომ უკეთესობა არ ეტყობოდა. პირიქით, უფრო და უფრო ავადდებოდა. ერთი მუჭა თოვლი რომ მოხვდა ბეჭებშუა შიშველ ტანზე, ეს იყო მიზეზი, რომ უცბად იფეთქა სნეულებამ, რომელიც რამდენიმე წელიწადი იყო, ტანში უღვიოდა, მაგრამ ძალიან კი არ აწუხებდა. იმ დროს გულის ავადმყოფობის შესასწავლად და სამკურნალოდ ლაენეკის დებულებებით ხელმძღვანელობდნენ; მაშინ ვრცელდებოდა ოსკულტაცია. გასინჯა ფანტინი ექიმმა და თავი გაიქნია.

- რას იტყვით? - ჰკითხა ბატონმა მადლენმა.

- შვილი ხომ არა ჰყავს, რომ ნახვა უნდოდეს?

- დიახ, ჰყავს.

- მაშ დააჩქარეთ მისი მოყვანა.

თრთოლა მოერია ბატონ მადლენს.

მერე ფანტინმა ჰკითხა:

- რა თქვა ექიმმა?

ბატონმა მადლენმა ძლივს მოახერხა გაცინება:

- ექიმმა თქვა, დააჩქარეთ ბავშვის მოყვანა; ამის წამალი ის არისო.

- ოჰ, რა კარგი ექიმი ყოფილა, - წამოიძახა ფანტინმა, - რა მოუვიდათ ნეტავი ტენარდიებს, რომ აღარ მაძლევენ ჩემს გოგონას? მაშ, მალე ვნახავ? ძლივს არ ვეღირსები ბედნიერებას?

ტენარდიე კი მაინც ხელიდან არ უშვებდა კოზეტს და ხან რას იგონებდა თავის გასამართლებლად და ხან რას; ცოტა არ იყოს, კარგად ვერ არის პატარა და ძნელია ამ ზამთარში ამის წამოყვანა... გარდა ამისა, წვრილმანი ვალიც იყო აქა-იქ გადასახდელი და იმის ცნობებსაც მოგროვება უნდოდა და სხვ. და სხვ.

- გავგზავნი ვინმეს კოზეტის წამოსაყვანად, - თქვა ბატონმა მადლენმა, - თუ არადა, მე თვითონ წავალ.

ფანტინის კარნახით დაწერა ეს წერილი და ხელი მოაწერინა:

„ბატონო ტენარდიე,

ამის მომტანს ჩააბარეთ ჩემი კოზეტი.

წვრილმან ვალსაც ამის მომტანი გადაგიხდით.

თქვენი პატივისმცემელი ფანტინი“.

ამასობაში ერთი რამ მოხდა, დიდად მნიშვნელოვანი. ძალიან კარგადაც რომ ვთლიდეთ საიდუმლო ქვას, რომელიც შეადგენს ჩვენს სიცოცხლეს, ბედისწერა მაინც თავისას არ იშლის და ავბედითად გვიფუჭებს გულის წადილს.

## თავი მეორე

თავის კაბინეტში ბრძანდებოდა ერთ დილას ბატონი მადლენი და ცდილობდა წინასწარ მოეგვარებინა ქალაქის საჩქარო საქმეები, თუ მონფერმეილში წასვლა მოუხდებოდა.

- პოლიციის ინსპექტორი გახლავთ, ბატონი ჟავერი, - მოახსენა მოსამსახურემ. - თქვენი ნახვა უნდა.

ამ სახელის ხსენება ბატონ მადლენს თავისდა უნებურად არ ესიამოვნა. რაც პოლიციაში ლაპარაკი მოუვიდათ, ჟავერი უფრო მეტად ერიდებოდა, ვიდრე წინათ და აღარსად შეხვედროდნენ ერთმანეთს.

- მობრძანდეს.

შემოვიდა ჟავერი.

ბატონი მადლენი ბუხართან იჯდა, ხელში კალამი ეჭირა, წინ დიდი „საქმე“ ედო და იმას სინჯავდა, ფურცლავდა, ნიშნებს იწერდა - მიმოსვლის გზებზე პოლიციის წესების დარღვევის ოქმები იყო. არც კი შეხედა ჟავერს. თვალწინ დაუდგა საწყალი ფანტინი, სულ იმაზე ფიქრობდა და ერთობ ცივად დაუხვდა.

ჟავერი მიესალმა ბატონ მერს, რომელიც არც მობრუნებულა მისკენ, არც შეუხედავს, თავის საქმეს განაგრძობდა.

ორი-სამი ნაბიჯი წადგა წინ ჟავერმა და გაჩერდა ხმის ამოუღებლად.

ვინმე ფიზიონომისტი რომ ყოფილიყო, ჟავერის ბუნების მცოდნე, კარგად სცნობოდა ცივილიზაციის მოსამსახურედ დანიშნული ეს ველური, ეს უცნაური შენაზავი რომაელისა და სპარტელისა, ბერისა და კაპრალისა, ეს ჯაშუში, მაგრამ მტერი ტყუილისა, ეს უმანკო მსტოვარი, დიახ, რომ ყოფილიყო ვინმე და სცოდნოდა იმისი დიდი ხნის, მაგრამ დამალული ეჭვი და სიძულვილი მადლენისადმი, მისი კამათი მადლენთან ფანტინის გამო და ამ დროს ენახა ჟავერი, იტყოდა: - ნეტავ რა მოხდა, ასე რომ შეცვლილა ეს კაცი? ყველასათვის, ვინც კი იცნობდა ამ წმინდა სანდისს, უმწიკვლოს, გულწრფელს, პატიოსანს, სასტიკს და მკაცრს, ცხადი იყო, რომ ჟავერის არსებაში რაღაც საშინელი სულიერი ბრძოლა უნდა ყოფილიყო აღძრული და უკვე მონელებული. ჟავერს რაც კი ჰქონდა სულში, სახეზეც ეტყობოდა ყველაფერი; იმასაც, როგორც ყველა ფიცხ ადამიანს, სწრაფად შეეცვლებოდა ხოლმე გუნება. თავის დღეში არა ყოფილა იმისი სახის გამომეტყველება ასე უცნაური და მისთვის შეუფერებელი. რომ შევიდა და თავი დაუკრა ბატონ მერს, აღარც სიძულვილი ეტყობოდა სახეზე, აღარც უკმაყოფილება, აღარც უნდობლობა. მივიდა და ბატონი მადლენის სავარძლის უკან გაჩერდა რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. იდგა იქ დასჯილივით გაჭიმული, უძრავი, იმ კაცის წრფელი და ცივი სიმტკიცით, რომელიც მოთმინებით აღსავსე ყოფილა ყოველთვის და ულმობელი. იდგა და ელოდა, ხმას არ იღებდა, არ იძვროდა ნამდვილი თავმდაბლობით და მშვიდი მოთმინებით. ელოდა დამშვიდებული, დარბაისელი, რომ მისკენ მოეხედა ბატონ მერს, ქუდი ხელში ეჭირა. თავი ძირს დაეხარა, იმგვარი გამომეტყველებით, როგორიც შეჰფერის არა ჯარისკაცს თავისი ოფიცრის წინაშე, არამედ დამნაშავეს - თავისი მსაჯულის წინაშე. ისე იყო, თითქოს უცბად გაჰფანტოდა, რაც კი ახსოვდა და რასაც გრძნობდა. მჭმუნვარე სევდის მეტი არაფერი აჩნდა მის კლდესავით მიუვალ და მკაცრ სახეს. მორჩილების განსახიერება იყო ეს კაცი, სიმაგრისა და რაღაც ვაუკაცური სევდისა.

ბოლოს კალამი დადო ბატონმა მერმა და ოდნავ მოიხედა ჟავერისკენ.

- ჰა, რა იყო, რა მოხდა, ჟავერ?

ერთ წამს გაჩუმებული დარჩა ჟავერი, თითქოს ახლა ცდილობს აზრების მოკრებასო. მერე დაღონებული ხმით დიდმნიშვნელოვნად მოახსენა:

- დიდი ბოროტმოქმედება, ბატონო მერო.

- სახელდობრ?

- ერთმა დაბალჩინოსანმა მოხელემ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა თავის უფროსს და მეც გეახელით ამის მოსახსენებლად, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო.

- ვნ არის ეგ მოხელე?

- მე გახლავართ.

- თქვენ?

- დიახ, მე.

- ის უფროსი ვინღა არის, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს?

- თქვენ, ბატონო მერო.

წინ წამოიწია მადლენმა თავის სავარძელზე. თავდაღუნულმა ჟავერმა მკაცრი სახით განაგრძო:

- ბატონო მერო, მე გეახელით რომ გთხოვოთ, აღძრათ შუამდგომლობა დამითხოვონ სამსახურიდან.

განცვიფრებული შეჰყურებდა მადლენი. ის იყო, პირი გააღო, უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ჟავერმა შეაწყვეტინა:

- ვიცი, თქვენ ბრძანებთ, რომ მე თვითონ შემიძლია ვითხოვო სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ ეს არ იკმარებს. მე რომ ვითხოვო, პატივსაცემი ვიქნები. მე დავაშავე, მაშ დასჯილიც უნდა ვიყო, უნდა დამითხოვოთ, უნდა გამაგდოთ სამსახურიდან.

და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა:

- ბატონო მერო, იმ დღეს მეტად მკაცრად მომექეცით მართალ კაცს. გთხოვთ დღეს ისევე მკაცრად მომექცეთ დამნაშავეს.

- რატომ, რა ვქნა, - შეჰყვირა მადლენმა, - რომ ვერ გამიგია, რას ჩმახავთ? რა მოხდა, რა გინდათ? რაში გამოიხატება თქვენი დანაშაული ჩემთან? რა დამიშავეთ? დამნაშავე ვარო, იძახით, სამსახურიდან გასვლა გინდათ...

- გასვლა კი არა, მინდა დამითხოვონ, - გაუსწორა ჟავერმა.

- დაგითხოვონ, ძალიან კარგი. მე კი ვერაფერი გამიგია და...

- აი, მომისმინეთ, ბატონო მერო.

ჟავერმა ღრმად ამოიოხრა და დაღვრემილმაგანაგრძო:

- ბატონო მერო, ამ ექვსი კვირის წინ იმ გოგოს გამო რომ მოგვიხდა შეკამათება, ცოფიანივით ვიყავი და დაგაბეზღეთ.

- დამაბეზღეთ?

- პარიზის პოლიციის პრეფექტთან.

თუმცა არც ბატონი მადლენი იცინოდა ჟავერზე უფრო ხშირად, მაგრამ აქ კი გულიანად გადაიხარხარა.

- მერმა პოლიციის უფლებაც დაისაკუთრაო?

- არა, როგორც ყოფილი კატორღელი.

ფერი ეცვალა მადლენს.

ჟავერი ისევ ისე თავდახრილი იდგა, თვალდაშვებული და განაგრძობდა:

- ასე მეგონა. დიდი ხანია, რაღაც ეჭვი მქონდა. სახისა და ტანის მსგავსება, თქვენი ცნობები, ფავეროლში რომ მოაკრებინეთ, თქვენი ძალ-ღონე, ბებერი ფოშლევანის გადარჩენა, თქვენი თოფის სროლა, თქვენი ფეხი, რომელიც ცოტათი თრევით მოგდევთ და ბევრი კიდევ სხვა. სად მოვიგონო ახლა ყველა სისულელე? დიახ, ამ მსგავსების გამო მე თქვენ ერთი კატორღელი, ჟან ვალჟანი მეგონეთ.

- როგორაო, როგორა თქვით ეგ სახელი?

- ჟან ვალჟანი. კატორღელი გახლდათ და მაშინ ვნახე ამ ოცი წლის წინათ, როდესაც ტულონში კატორღელების ზედამხედველის თანაშემწე გახლდით. კატორღიდან რომ გამოსულა, იმ ჟან ვალჟანს, როგორც ეტყობა, ერთი ეპისკოპოსი გაუქურდავს, მერე კიდევ შარაგზაზე იარაღით დასცემია ერთ პატარა სავოელს და ფული წაურთმევია. აგერ რვა წელიწადია ემალება პოლიციას, თუმცა ეძებენ. ბრაზი მომერია, ბატონო, და პრეფექტთან დაგაბეზღეთ.

ბატონ მადლენს ისევ თავისი „საქმე“ აეღო ხელში. სრულიად დამშვიდებული იყო და გულგრილად ჰკითხა:

- მერე რა გიპასუხეს?

- გიჟი ხარო.

- მერე?

- მერე, ისინი მართალნი იყვნენ.

- კიდევ კარგი, რომ თქვენ თვითონ აღიარებთ.

- როგორ არ ვაღიარო, როცა ნამდვილი ჟან ვალჟანი იპოვეს.

ხელიდან გაუვარდა მადლენს ქაღალდები. ასწია თავი, დააცქერდა ჟავერს და რაღაც გამოუთქმელი კილოთი აღმოხდა:

- ჰოო?

- აი მოგახსენებთ, ბატონო მერო. ზემო კლოშეს მხარეში ვიღაც კაცი ყოფილა, სახელად ძია შანმატიე. ღარიბ-ღატაკი ბებერი ყოფილა, ყურადღებას თურმე არავინ აქცევდა. რითი ცხოვრობდა, მგონი თვითონაც ვერ გეტყოდათ. ამ შემოდგომაზე ქურდობაზე დაიჭირეს ეს შანმატიე, საბურახე ვაშლი მოეპარა ვიღაცასთვის, სახელი არ მახსოვს, კედელზე ამძვრალიყო, ტოტი მოეტეხა და დაეჭირათ შანმატიე. ჯერ ისევ ხელში ეჭირა თურმე მოტეხილი ტოტი. დაიჭირეს. ჯერჯერობით დიდი არაფერია ეს დანაშაული, ადვილად გადარჩებოდა, მცირე რამ სასჯელი ექნებოდა, მაგრამ თვით განგება ჩაერია ამ საქმეში. საპატიმრო ცუდ მდგომარეობაში იყო და ბატონმა მსაჯულმა თურმე საჭიროდა სცნო შანმატიეს არასში გაგზავნა, საოლქო საპატიმროში დასამწყვდევად. არასის ციხეში ერთი ძველი კატორღელი გახლავთ, სახელად ბრევე. კარგად იქცევა თურმე და მეკარედა ჰყავთ საპატიმროში. დაინახა თუ არა იმ ბრევემ შანმატიე, ყვირილი დაიწყო - ბიჭო, ძლივს ნაცნობი კაცი არა ვნახე, კატორღელი, აქეთ მოიხედე, ჟან ვალჟანს გაუმარჯოს!

- ჟან ვალჟანი? ვინ ჟან ვალჟანი? - იძახდა თურმე შანმატიე და ცდილობდა განცვიფრებული სჩვენებოდათ.

- არა, ვის ატყუებ, შე კაი კაცო, ჟან ვალჟანი ხარ! კატორღელი ხარ, ტულონში იყავი ამ ოცი წლის წინათ, ერთად ვიყავით მე და შენ.

შანმატიე მაინც თავისას არ იშლიდა - მე ჟან ვალჟანი არა ვარო. ან რას იზამდა უბედური, ხომ არ იტყოდა, მე ვარო? გამოიძიეს ეს საქმე და აი, რა აღმოჩნდა: ამ

ოცდაათი წლის წინათ, შანმატიე მუშა ყოფილა, ხეებსა და ვაზსა სხლავდა სხვადასხვა მხარეში და, სხვათა შორის, ფავეროლშიც. აქ კი იკარგება იმისი კვალი. შემდეგ ოვერნში ამოყოფს თავს, მერე პარიზში. პარიზში მეეტლედ ვიყავიო, - თურმე იძახის, - და ქალი მყავდა მრეცხავიო. მაგრამ არც ეს დაუმტკიცდა. ბოლოს ჩვენკენ გადმოსულა. ერთი სიტყვით, ვიდრე ქურდობის გამო კატორღაში გაგზავნიდნენ, ჟან ვალჟანი ხეხილს სხლავდა ფავეროლში. ახლა კიდევ ერთი გარემოება. ნათლობის სახელი ამ კაცისა ყოფილა ჟან; იმისი დედის გვარი ყოფილა მატიე. გვარი უნდა გამოეცვალა, კატორღიდან რომ გამოვიდოდა და იმანაც დედის გვარი დაირქვა - ჟან-მატიე. ოვერნში გადავიდა. იქ ადგილობრივი გამოთქმით ჟან-ი შან-ად იქცა და გახდა შან მატიე. ისიც კმაყოფილია ამ ცვლილებით და ჟან ვალჟანის მაგივრად ჩნდება შანმატიე. ცნობები შეკრიბეს ფავეროლში, იქ ჟან ვალჟანის ოჯახი აღარსად არის. არც კი იციან, რა იქნა, რა მოუვიდა. ხომ მოგეხსენებათ, ხალხში ხშირია ეს მოვლენა. უცბად გაქრება ხოლმე მთელი ოჯახი: ეძებენ და კვალსაც ვეღარ აგნებენ. რას იზამთ, ბატონო! ამგვარი ხალხი თუ ტალახი არ არის, იმ შემთხვევაში მტვერია. დიდი ხნის ამბავი გახლავთ, ოცდაათი წლისა და ფავეროლში კაცი არავინ არის, რომ ჟან ვალჟანი ახსოვდეს. მერე ტულონში ეძებეს. ბრევეს გარდა ორი კაცი კიდევ არის ჟან ვალჟანის მცნობი, კოშპაილი და შენილდიე, კატორღაში იქნებიან, სანამ დაიხოცებიან. ახლა ეს კაცები ამოიყვანეს არასში და პირისპირ წაუყენეს შან მატიეს. მაშინვე იცნეს. იმათაც ისა თქვეს, რაც ბრევემ, - ჟან ვალჟანი არისო. იგივე ასაკი, - ორმოცდათოთხმეტი წლისა გახლავთ, - თავით ფეხამდე იგივე ჟან ვალჟანია, ისეთივე ახოვანი, იგივე სახის გამომეტყველების. სწორედ ამ დროს გავგზავნე პარიზს ჩემი დაბეზღება. პასუხად - გაგიჟებულხარო, - მწერენ, - ჟან ვალჟანი დაჭერილია და არასში ზის ციხეში, მართლმსაჯულების ხელშიაო. წარმოგიდგენიათ, როგორ გამიკვირდებოდა მე ეს პასუხი, როდესაც დარწმუნებული ვიყავი, აქა მყავს ჟან ვალჟანი და ვეღარსად წამივა-მეთქი? გამომძიებელს მივწერე. დამიბარა, მაჩვენა ის შანმატიე.

- მერე? - შეაწყვეტინა ბატონმა მერმა.

ისეთივე დაღონებული ხმით უპასუხა ჟავერმა:

- რაც მართალია, მართალია, ბატონო. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ის კაცი გახლავთ ჟან ვალჟანი, იქ რომ მაჩვენეს, მეც ვიცანი.

ხმას დაუწია ძია მადლენმა და ყრუდა ჰკითხა:

- დარწმუნებული ხართ?

- ოჰ, მაგას რაღა თქმა უნდა! - ისეთი სიცილით უპასუხა ჟავერმა, რომელიც მარტო ღრმად დარწმუნებულმა იცის.

ერთ წამს ჩაფიქრებული იდგა, თითებით თავისდა უნებურად ჯამიდან ცოტაოდენი ხის ფხვნილი ამოიღო, მელნის საშრობად რომ ხმარობდნენ და მერე თქვა:

- ახლაც ვერ გამიგია, ნამდვილი ჟან ვალჟანი რომ ვნახე, რა ღმერთი გამიწყრა, ისე როგორ შევიშალე, რომ ამისთანა მარცხი მომივიდა. ბოდიშს ვიხდი, ბატონო მერო.

ვედრებით მიმართა უკანასკნელი სიტყვები ძია მადლენს, რომელმაც ექვსი კვირის წინ ასე დაამცირა და შეარცხვინა პოლიციელების თვალში და შეუტია, - გადი აქედანო. მედიდურობით სავსე იყო ჟავერი, მაგრამ ამას თვითონაც ვერ ამჩნევდა,

ღირსებითაც სავსე იყო აგრეთვე. ბატონმა მადლენმა იმის თხოვნას არ უპასუხა და სულ სხვა რამე ჰკითხა უკმეხად:

- ის რაღას ამბობს?

- რა უნდა თქვას, ბატონო მერრო? ცუდად არის იმისი საქმე, თუ მართლა ჟან ვალჟანი გახლავთ, მაშინ რეციდივს აქვს ადგილი. კედელზე აძვრა, ტოტი მოტეხა, ხილი მოკრიფა. ბავშვი რომ ყოფილიყო, აბეზარიაო, იტყოდნენ, ვაჟკაცისთვის კი, და ისიც ყოფილი კატორღელისათვის, შეუწყნარებელი დანაშაულია. აძრომაც არის და ქურდობაც. საქმე პოლიციის კი არა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გახლავთ. რამდენიმე დღის დაპატიმრება კი არა, იქ კატორღა გახლავთ, სიკვდილამდე. ეხლა იმ პატარა სავოელის საქმეც მიემატება, დარწმუნებული გახლავართ, ისიც ჩაერევა საქმეში. მმერე ნახეთ თქვენ. ის კი არ იფიქროთ, თავის დაცვას ვერ მოახერხებსო. სხვისი რა მოგახსენოთ და ჟან ვალჟანი იმისთანა გაქნილი კაცია, რომ ამითაც ადვილი საცნობია. სხვა ყველა იგრძნობდა, რომ ცუდად აქვს საქმე, გაბრაზდებოდა, ყვირილს დაიწყებდა, - ქვაბი ცეცხლზე შიშინებსო, - იტყვიან, არ ისურვებდა ჟან ვალჟანობას. ის კი, აკი მოგახსენეთ, ძალიან გაქნილი კაცია და ისე იქცევა, თითქოს არც კი ესმოდეს, რასა სწამებენ. დგას და ერთსა და იმავეს გაიძახის - მე შან მატიე ვარ, მორჩა და გათავდაო! საკვირველია, თითქოს ცილსა სწამებდნენ მოულოდნელად, და ცდილობს ყეყეჩად მოაჩვენოს თავი. ისეთი მოხერხებული რამ არის, რომ თვალს აუხვევს ყველას, მაგრამ აქ კი ვერ გაუვა თავისი თვალთმაქცობა, საბუთები ხელთა აქვს სასამართლოს. ოთხმა კაცმა იცნო და თავისას ვეღარ ასცდება ბებერი ყაჩაღი. საქმე არასში ირჩევა და მეც დაბარებული გახლავართ მოწმედ.

ბატონმა მადლენმა თავისი ქაღალდებისკენ მიიწია და მშვიდად გადაშალა ფურცლები, კითხულობდა, ცნობებს ინიშნავდა, როგორც საქმით გატაცებული, მერე ჟავერს მიუბრუნდა:

- კმარა, ჟავერ, თუ მართალი გნებავთ, ჩემთვის საინტერესო არ არის მაგ საქმის ასე დაწვრილებით გაცნობა. ტყუილად დროსა ვკარგავთ და საქმე კი ბევრი გვაქვს. მაშ ახლავე წახვალთ ბუზოპიეს ცოლთან, - ძალიან კარგი დედაკაცია, მწვანილს რომ ყიდის სენ-სილვის ქუჩაზე - უთხარით, მოიტანოს საჩივარი მეეტლე პიერ შენელიონის დასასჯელად; მხეცია ეს კაცი, კინაღამ გაჭყლიტა დედაკაცი ბავშვიანად. კარგადაც უნდა დაისაჯოს. მერე შარსელიეისთან მიხვალთ მონტრ-დე-შამპინის ქუჩაზე: ჩივის, მეზობლის ბანიდან ჩემთან ჩამოდის წვიმის წყალი და სახლის საძირკველს მიფუჭებსო. მერე ოქმს შეუდგენთ პოლიციური წესების დარღვევისას ქვრივ დორს გილბურგის ქუჩაზე და რენე ლებოსეს გარო-ბლანსის ქუჩაზე; მაგრამ ბევრს გავალებთ. წასვლას აპირებთ, თუ არ ვცდები. მგონი, მითხარით, არასში მივდივარ ამ საქმის გამო ათი დღის შემდეგო...

- უფრო ადრე, ბატონო მერრო.

- როდის?

- მგონი მოგახსენეთ, ბატონო მერრო, რომ საქმე ხვალ ირჩევა და ამაღამ დილიჟანით მომიხდება წასვლა.

ოდნავ შეკრთა ბატონი მადლენი.

- და რამდენ ხანს გასტანს ეს საქმე?

- ხვალვე გათავდება, ხვალღამ იქნება დადგენილება, ძალიანაც რომ დაგვიანდეს, მაგრამ მე დადგენილებას არ დავუცდი. საქმე ცხადია. როგორც კი დამკითხავენ, მაშინვე აქეთ წამოვალ.

- ძალიან კარგი, - უთხრა ბატონმა მერმა.

მერე ხელით ანიშნა, მიბრძანდითო.

ჟავერი არ დაიძრა.

- უკაცრავად გახლავართ, ბატონო მერო, - მიმართა ჟავერმა.

- კიდევ არის რამე?

- კიდევ მინდა გაგახსენოთ, ბატონო მერო...

- რა უნდა გამახსენოთ?

- მინდა გაგახსენოთ, რომ დამითხოვოთ.

ბატონი მადლენი წამოდგა.

- პატიოსანი კაცი ხართ, ჟავერ, და პატივისმცემელი ვარ თქვენი. თქვენ ძალიან აზვიადებთ თქვენს შეცდომას. ეგეც რომ არ იყოს, ეს შეურაცხყოფაც მე შემეხება და ჩემი საქმეა. ჟავერ, თქვენ ღირსი ხართ წარმატებისა და არა დათხოვნისა, თქვენ თქვენს ადგილზე დარჩებით.

ჟავერმა შეხედა ბატონ მადლენს თავისი ერთგული თვალით, რომლის სიღრმეში სინდისი მოჩანდა, ოდნავ განვითარებული, მაგრამ მკაცრი და თავისი თავის მიმართაც კი შეუბრალებელი, და მშვიდი ხმით მოახსენა:

- მე მაგას ვერ აგისრულებთ, ბატონო მერო...

- მე კიდევ გიმეორებთ, რომ ეს საქმე ჩემია და მე შემეხება.

ჟავერი ყურადღებით მისდევდა თავის ფიქრს და განაგრძო:

- რაც შეეხება გაზვიადებას, მე არაფერი გამიზვიადებია. აი ბატონო, ჩემი მსჯელობა: ეჭვით კატორღელი მეგონეთ სრულიად უსაფუძვლოდ. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი უფლებაა, ეჭვით ვუყუროთ ყველას, თუმცა გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს ეჭვით შერცხვენა ჩვენი უფროსებისა. ჩემი დანაშაული ის არის, რომ არავითარი საბუთი არა მქონდა, გაბრაზებული ვიყავი, შეურაცხყოფილი და სამაგიეროს გადახდა მწყუროდა. ავდექი და დაგაბეზღეთ, კატორღელად დაგსახეთ. კატორღელად დავსახე უმწიკვლოდ პატიოსანი კაცი, მერი, მთავრობის მიერ წარჩინებული მოხელე. მაშ ეს მეპატიება? თქვენი სახით მთავრობას მივაყენე შეურაცხყოფა მე, მთავრობის მოსამსახურემ. ჩემს ხელქვეითთაგანს რომ მოსვლოდა ვინმეს ეს შეცდომა, სამსახურის უღირსად გამოვაცხადებდი და პანღურსა ვკრავდი. ერთი სიტყვა კიდევ, ბატონო მერო. ხშირად ვყოფილვარ მკაცრი ჩემს სიცოცხლეში, მკაცრი სხვებისთვის და მართალიც ჩემს სიმკაცრეში. საჭირო იყო და ერთგულად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. დღეს რომ იმავე სიმკაცრით არ დავსაჯო ჩემი საქციელი, უსამართლოდ გადაიქცევა ყველაფერი, ცარიელ ავკაცობად, რასაც მე სამართლიანად ვაკეთებდი. ხომ ვერ მიბრძანებთ, სხვას სასტიკად მოექეცი და შენს თავს კი ლმობიერადო? ვერა! როგორ? სხვების დასასჯელად კარგი ვიყავ და ჩემი თავისთვის კი - უვარგისი? მაშ, შერცხვენილი ვყოფილვარ! მაშ, მართალი ყოფილა ყველა, ვინც გაიძახის, ის საზიზღარი ჟავერიო. ბატონო მერო, მე არ მინდა თქვენი გულმოწყალება, ისედაც კარგა ხანს მაწამა თქვენმა სიკეთემ, სხვას რომ შეუნდეთ; ჩემთვის კი საჭირო არ გახლავთ. თურმე გულკეთილობა ყოფილა კახპა ქალის გამართლება და პატიოსანი ბურჟუის გამტყუნება, პოლიციის მოსამსახურის

გამართლება და მერის გამტყუნება, მდაბიოს გამოქომაგება და დიდებულის დევნა. ცუდ გულკეთილობას ვუწოდებ მე ამას. სწორედ ეგ თქვენებური გულკეთილობა გახლავთ, რომ რყვნის საზოგადოებას. ღმერთო ჩემო! გულკეთილობა, მაგაზე ადვილი რაღა იქნება? საქმე ის არის, სამართლიანი იყოს გულკეთილობა. იცით, თქვენ რომ ისა ყოფილიყავით, ვინც მეგონეთ, მაშინ ნახავდით ჟავერს! მაშინ ნახავდით, რომ თქვენი გულკეთილობისა ჟავერს არა სცხია რა. დიახ, ბატონო მერო, მე ისე უნდა დავსაჯო ჩემი თავი, როგორც სხვას დავსჯიდი, პატიმრებს რომ ვსჯიდი და ჭკუას ვასწავლიდი არამზადებს, ხშირად ვეტყოდი ხოლმე ჩემს თავს: - დაჰკარ, არ შეიბრალო! მაგრამ გახსოვდეს, თუ წაგცდა რამე, თუ ფეხი წაგიცდა სადმე, ვაი შენი ბრალი. ამაზე უარეს დღეს დაგაყენებ! - და აგერ წამცდა. ვხედავ ჩემს შეცდომას და დასჯილი უნდა ვიყო. დამითხოვეთ, გამაგდეთ, ბატონო. ჯერ კარგადა ვარ, შრომა შემიძლია. ვიცხოვრებ როგორმე, ბატონო მერო. სამსახურის კეთილად წარმოებისათვის მაგალითია საჭირო. მე მოვითხოვ ინსპექტორ ჟავერის სამსახურიდან დათხოვნას.

თავმდაბლურად იყო ნათქვამი ეს სიტყვა, უიმედო კილოთი, მაგრამ ამაყად და გულწრფელი რწმენით, რომელიც უცნაური დიდებით ჰმოსავდა ამ უცნაურად პატიოსან კაცს.

- ვნახოთ, - უთხრა მადლენმა.

ხელი გაუწოდა ჟავერს.

უკან დაიწია ჟავერმა და მკაცრად უთხრა:

- ბოდიშს ვიხდი, ბატონო, დაუშვებელია, რომ მერი ხელს ართმევდეს ჯაშუშს.

და ჩუმი ხმით დაუმატა:

- ჯაშუშს, დიახ! რაკი ასე სამარცხვინოდ ვისარგებლე პოლიციელის უფლებით, ჯაშუში ვყოფილვარ და სხვა არაფერი.

მდაბლად დაუკრა თავი და კარისკენ წავიდა. კართან გაჩერდა, მობრუნდა და თავჩაღუნულმა უთხრა:

- ბატონო მერო, მე განვაგრძობ ჩემს სამსახურს მანამ, სანამ სხვას დანიშნავთ.

და გავიდა. ჩაფიქრებული დარჩა მადლენი.

## წიგნი მეშვიდე
## შანმატიეს საქმე

### თავი პირველი
### მონაზონი სიმპლიცია

რასაც აქ ვუამბობთ მკითხველს, ყველაფერი ვერ გაიგეს მონრეილელებმა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ამ ამბის მცირე ნაწილმაც კი, რომ თუ დაწვრილებით არ აღვწერეთ ყველაფერი, ხარვეზი იქნება ამ წიგნისთვის.

დაწვრილებით მოთხრობაში ორ-სამ გარემოებას შეხვდება მკითხველი, ძნელად დასაჯერებელს, რომლებიც აღწერილი გვაქვს სიმართლის სრული დაცვით და პატივისცემით.

ჟავერთან საუბრის შემდეგ, შუადღისას, ბატონი მადლენი ჩვეულებისამებრ ფანტინის სანახავად წავიდა.

ვიდრე ავადმყოფთან მივიდოდა, ჯერ მონაზონი სიმპლიცია დაიბარა.

ორი მონაზონი ჰყავდა ავადმყოფების მოსავლელად, პერპეტუა და სიმპლიცია.

პერპეტუა სოფლელი ქალი იყო. მოწყალების დად დამდგარიყო, რადგან უნდა ემუშავა სადმე; საქველმოქმედო დაწესებულებაში იქნებოდა თუ სადმე დუქანში, იმისთვის ერთი იყო. ღვთისნიერი იყო, ისე, როგორც სხვა მზარეულები. იშვიათი არ არის ამგვარი ადამიანი; მონასტერში სიამოვნებით იღებენ ხოლმე ამ ლუკმაპურის მაძიებელ გლეხებს და ადვილად იმსახურებენ. რაც მძიმე აქვთ გასაკეთებელი, ამ გლეხებს აკეთებინებენ. დღეს მენახირეა გლეხი, ხვალ მონასტერშია ბერებთან ერთად; არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ეს გარდაქმნა, რადგან ისეთივე უვიცია ბერი, როგორც გლეხი, ამიტომ ძალიან ადვილად ეთვისებიან ერთმანეთს. ცოტა გააგანიერებს თავის წამოსასხამს და მიიღებს ანაფორას. ძალიან ღვთისნიერი ადამიანი იყო მარინელი პონტუაზელი პერპეტუა, ადგილობრივი გამოთქმით ლაპარაკობდა, გალობდა, ბუზღუნებდა, შაქრავდა წამალს ავადმყოფის სარწმუნოებრივი გულწრფელობის მიხედვით, უტევდა ავადმყოფებს, პირქუში იყო მომაკვდავთათვის, გაბრაზებული ლოცვით უხვდებოდა სულთაბრძოლას, მაგრამ ყოჩაღი და პატიოსანი იყო წითური დედაკაცი.

მონაზონი სიმპლიცია ცვილივით თეთრი იყო. ერთად რომ იდგნენ, სიმპლიცია წმინდა სანთელს ჰგავდა, პერპეტუა - შანდალს. წმ. ვინსენ დეპოლმა საუცხოოდ დაახასიათა მოწყალების დის სახე შემდეგი სიტყვებით, სადაც შერეულია თავისუფლება და მონობა: „სახლად საავადმყოფო ექნებათ, სენაკად - დაქირავებული კუთხე, ეკლესიად - თავიანთი სამწყსოს საყდარი, მონასტრად - ქალაქის ქუჩები და საავადმყოფოების დარბაზები, თავშესაფრად - მორჩილება, ციხესიმაგრედ - ღვთის განგება, პირბადედ - თავმდაბლობა“. ამ იდეალის განხორციელება გახლდათ სიმპლიცია. რამდენი წლისა იქნებოდა, ამის თქმას ვერავინ შეძლებდა, ახალგაზრდა თავის დღეში არ ყოფილა და, ეტყობოდა, თავის დღეში არც დაბერდებოდა. ეს პიროვნება, ვერ შევბედავთ ვუწოდოთ ქალი, გახლდათ მშვიდი, სასტიკი, ზრდილი, ცივი, თავის სიცოცხლეში არ ეთქვა ტყუილი. ისეთი ლმობიერი იყო, რომ მყიფეს ჰგავდა, მაგრამ უფრო მაგარი ჩანდა, ვიდრე ქვა არის. ავადმყოფს თავისი მშვენიერი, ფაქიზი, უბიწო თითებით ეხებოდა, მის სიტყვაში კი, ასე ვთქვათ, მყუდროება ისმოდა: თუ იტყოდა, მხოლოდ საჭიროს და იმისთანა ხმა ჰქონდა, რომ აღსარების სათქმელ ოთახსაც დაამშვიდებდა და დიდი დარბაზის საზოგადოებასაც მოხიბლავდა. ამ მშვენიერებას ერთი უბრალო შალის კაბა ეცვა და ამ უხეში კაბის შეხება მუდამ ღმერთსა და ზეცას აგონებდა ადამიანს. ერთი წვრილმანიც უნდა აღვნიშნოთ, უფრო ხაზგასმით. თავის დღეში ტყუილი არ ეთქვა, არავის დასახმარებლად, თავისდა უნებურადაც კი. წამოცდენითაც არაფერი წამოსცდებოდა, ჭეშმარიტება რომ არ ყოფილიყო; ეს ახასიათებდა სიმპლიციას, ეს იყო ნიშანი მისი ქველობისა და სათნოებისა. სახელი ჰქონდა განთქმული ბერ-მონაზვნებში თავისი სიმართლით. ამ თვისებას უქებდა სიმპლიციას მღვდელი სიკარი ყრუ-მუნჯ მასსიესთან მიწერილ უსტარში: „რაც უნდა გულწრფელნი და წმინდანი ვიყვნეთ ჩვენს სიმართლეში, მაინც ყველას მოგვეპოვება პატარა სიცრუე, თუნდაც უვნებელი. იმას კი არა. პატარა სიცრუე, მთლად უვნებელი, განა არსებობს ამისთანა რამ? ტყუილია ნიშანი ბოროტებისა. პატარა სიცრუე მაინც სიცრუეა: ვინც ტყუის, უვნებელი იქნება ეს სიცრუე თუ არა, მაინც ტყუის. სიცრუე - სახე არის სატანისა. ორი სახელი აქვს სატანას, სატანა და სიცრუე“. -

აი, რა აზრისა იყო სიმპლიცია და რა აზრისაც იყო, იმისდა მიხედვით მოქმედებდა. ამიტომ იყო ასე თეთრი სიმპლიცია, როგორც ზევით რომ ვახსენეთ, და ამ წმინდა სითეთრის სხივი ამშვენებდა მის ბაგეს და თვალებს. არსად მოიპოვებოდა ამ ქალის სინდისზე არათუ ლაქა, მტვრის ნატამალიც კი. მონასტერში რომ შევიდა, ეს სახელიც თავისი სურვილით დაირქვა. სიცილიელმა სიმპლიციამ, როგორც ცნობილია, ის არჩია, ორივე ძუძუ მოეგლიჯათ და ტყუილი კი არა თქვა, სევასტიელი ვარო, რადგან სირაკუზელი იყო. არა თქვა უვნებელი ტყუილი, რომელიც წამებისაგან იხსნიდა მას. ეს მფარველი შეეფერებოდა სიმპლიციას სულს.

მონასტერში რომ შევიდა, ორი ნაკლი ჰქონდა, რომელთაგანაც ნელ-ნელა განთავისუფლდა: ტკბილეული უყვარდა ძალიან და წერილების მიღება. წიგნების კითხვა არ უყვარდა, მარტო ლოცვანს კითხულობდა, ლათინურს, მსხვილი ასოებით დაბეჭდილს. ლათინური არ ესმოდა, მაგრამ წიგნის აზრს სწვდებოდა.

ამ ღვთისნიერმა ქალმა შეიბრალა და შეიყვარა ფანტინი; ალბათ გრძნობდა, რომ უბედური იყო ეს ავადმყოფი და არა გარყვნილი, და გულმოდგინედ უვლიდა.

ბატონმა მადლენმა ცალკე გაიყვანა სიმპლიცია და განსაკუთრებული გრძნობით სთხოვა ფანტინის მოვლა და წამლობა. ეს შემდეგში აგონდებოდა სიმპლიციას.

მერე ფანტინთან შევიდა მადლენი.

ყოველდღე მოუთმენლად ელოდა ფანტინი მადლენის მისვლას, როგორც მზის სხივს და ნეტარებას. მოწყალების დებს ეტყოდა ხოლმე ხშირად:

- ცოცხალი მაშინა ვარ, როდესაც მერი აქ არის.

დიდი სიცხე ჰქონდა იმ დღეს. დაინახა ბატონი მადლენი და შეჰკივლა:

- კოზეტი?

მადლენმა ღიმილით უპასუხა:

- მალე, სულ მალე ნახავ.

დაჯდა. როგორც ყოველთვის, ისე ექცეოდა ქალს, ოღონდ დღეს მთელი საათი დაჰყო ავადმყოფთან, ნახევარი საათის მაგივრად, და ძალიანაც გაახარა ამით ფანტინი. სულ იმას ეხვეწებოდა დიდსა და პატარას - არაფერი დააკლოთ ავადმყოფსო. ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ ერთი წამით ძალიან მოეღუშა მადლენს სახე. მაგრამ ამის მიზეზიც გაიგეს: ეს მაშინ მოხდა, როდესაც ექიმი დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

- ძალიან ცუდად არის ავადმყოფი.

მერე ქალაქის თვითმართველობაში მივიდა. იჯდა და გულმოდგინედ სინჯავდა გზების რუკას, იმის კაბინეტში რომ იყო ჩამოკიდებული. რამდენიმე ციფრი ქაღალდზე ფანქრით ამოიწერა.

## თავი მეორე
## შორსმჭვრეტელობა სკოფლერისა

მერე ქალაქის გარეუბნისკენ წავიდა, ფლამანდენ სკოფლერთან, რომელიც ქირით აძლევდა მგზავრებს ცხენებს და ეტლებს.

სკოფლერთან მისასვლელად საჭირო იყო ერთ მიყრუებულ ქუჩაზე გავლა. ამ ქუჩაში იდგა სახლი იმ ეკლესიის მღვდლისა, რომლის სამწყსოშიც ბატონი მადლენი შედიოდა. მღვდელზე ამბობდნენ, ღირსეული, პატიოსანი კაცია და კარგი რჩევის

მიმცემიო. იმ დროს, როდესაც ბატონი მადლენი მღვდლის სახლთან მივიდა, ქუჩაში ერთი კაცის მეტი არავინ იყო, და აი, რა დაინახა იმ კაცმა: ბატონმა მერმა ჯერ გაიარა მღვდლის სახლი, გაჩერდა, რამდენიმე წუთი უძრავად იდგა; მერე უკან დაბრუნდა და მღვდლის სახლის კართან მივიდა, კარს რკინის ჩაქუჩი ჰქონდა დასაკაკუნებლად. ასწია ჩაქუჩი, მაგრამ ისევ გაჩერდა და ჩაფიქრებული იდგა ცოტა ხანს, არ აკაკუნებდა. მერე იმის მაგივრად, რომ დაეკაკუნებინა, ფრთხილად დაუშვა ჩაქუჩი და ახლა უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

სკოფლერი ცხენის სალუღს აკეთებდა, მადლენი რომ მივიდა.

- ერთ კარგ ცხენს ვერ მიშოვით?

- ბატონო მერო, მე რომ ცხენები მყავს, სულ კარგებია. რას ეძახით თქვენ კარგ ცხენს?

- ისეთს, რომ ასამდე კილომეტრი გაიაროს დღეში.

- ასამდე კილომეტრი? - გაიკვირვა სკოფლერმა. - კარგი მანძილია.

- დიახ, კარგი მანძილია.

- ეტლში იყოს შებმული?

- დიახ.

- და რამდენ ხანს დაისვენებს, მაგ მანძილს რომ გაივლის?

- თუ საჭირო იქნება, მეორე დღესვე უკან უნდა გამობრუნდეს.

- იგივე გზა უნდა გამოიაროს?

- იგივე.

- დასწყევლა ღმერთმა! ასი კილომეტრი, ხუმრობაა?

ბატონმა მადლენმა პატარა ქაღალდი ამოიღო ჯიბიდან, ფანქრით დანიშნული რიცხვებით და სკოფლერს აჩვენა:

- ხედავთ, ოთხმოცდაათზე მეტი გამოდის.

- ბატონი ბრძანდებით, ჩემ თეთრ ცხენს მოგართმევთ. იქნება ნანახიც გყავდეთ ქუჩაში. ქვემო ბულონური გახლავთ. ცეცხლია, ცეცხლი! ჯერ უნაგირის დადგმა დავუპირეთ, მაგრამ არ ინება - წიხლს ისვროდა, ყალყზე დგებოდა, ძირს ანარცხებდა მხედარს. გიჟი გვეგონა, გამოუსადეგარი, არ ვიცოდით, რაში გამოგვეყენებინა. მერე ეტლში შევაბი და თურმე სწორედ ეს ნებავდა. ისეთი მშვიდია, როგორც პატარა გოგო, და ჩქარი, როგორც ქარი. სანაქებო რამ არის, ოღონდ ზურგზე უნაგირი არ ედგას. რას იზამთ, ბატონო მერო, ყველას თავისი თავმოყვარეობა ჰქონია. გაწევით გასწევს, რამდენიც გინდათ და ზურგით ზიდვას კი არა კადრულობს.

- მერე, შეძლებს მაგ მანძილის გავლას?

- თქვენს ას კილომეტრს ქჭენებით რვა საათსაც არ მოუნდება. მაგრამ პირობით.

- რა პირობით?

- პირველი: ნახევარ გზას რომ გაივლით, ერთ საათს დაასვენებთ და კარგადაც აჭმევთ. ჭამის დროს იქ უნდა ბრძანდებოდეთ, რომ დუქნის ბიჭმა შვრია არ მოჰპაროს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დუქნებში ცხენის საჭმელ შვრიას დუქნის ბიჭები ჭამენ და ცხენს არაფერს აძლევენ.

- ძალიან კარგი.

- მეორე... ეტლი ბატონ მერს ნებავს თავისთვის?

- დიახ...

- იცის ბატონმა მერმა ცხენის გაძღოლა?

- დიახ, ვიცი.

- ძალიან კარგი, ოღონდ ბატონი მერი მარტო იქნება ეტლში და არც ბარგი ექნება.

- თანახმა ვარ.

- კარგი, მაგრამ რაკი მარტოდმარტო იქნებით, ბატონო, მაშ ცხენის ყურისგდებაც თქვენ მოგიწევთ.

- მაგაზედაც თანახმა ვარ.

- დღეში ოცდაათ ფრანკს მიბოძებთ. დასვენების დღისასაც აგრეთვე. ეს უკანასკნელი ფასი გახლავთ. ცხენის საჭმელსაც თქვენი ხარჯით გაისტუმრებთ.

ბატონმა მადლენმა სამი ოქრო ამოიღო ჯიბიდან, სამი ნაპოლეონოდორი და სკოფლერს მისცა.

- ორი დღისას ახლავე გადაგიხდით.

- კიდევ ერთი და უკანასკნელი. მაგ სიშორეზე თავისი სიმძიმით დაღლის ეტლი ჩემს ცხენს. ის ემჯობინება პატარა ტილბურითყ წაბრძანდეთ.

- თანახმა ვარ.

- ძალიან მსუბუქია, მაგრამ ღია გახლავთ.

- ეგ სულერთია.

- სიცივე ხომ არ შეაწუხებს ბატონ მერს?

ბატონმა მადლენმა პასუხი არ გასცა. ისევ სკოფლერმა გაიმეორა:

- ძალიან ცივა.

არც ახლა გასცა პასუხი.

- რომ გაავდრდეს?

- ტილბური და ცხენი ხვალ დილით ხუთის ნახევარზე ჩემს კარებთან უნდა იდგეს.

- ბატონი ბრძანდებით, - მიუგო სკოფლერმა, მერე ცერის ფრჩხილით მაგიდაზე ლაქას დაუწყო ფხეკა და ამ ვითომ უმნიშვნელო სიტყვით დააბოლოვა თავისი სათქმელი, რომელშიც ფლამანდიელები კარგად აერთებენ გულუბრყვილობას და ცბიერებას:

- უმთავრესი კი მავიწყდება. არ უნდა მიბრძანოთ, ბატონო, საით მიბრძანდებით?

ბატონი მადლენის მოსვლის მერე მარტო ამაზე ფიქრობდა, მაგრამ ვერა და ვერ გაებედა კითხვა.

- წინა ფეხები ხომ კარგი აქვს თქვენს ცხენს? - ჰკითხა მადლენმა.

- ძალიან კარგი. ცოტა შეაყენეთ ხოლმე თავდაღმართში. ბევრგან არის დაღმართი თქვენს გზაზე?

- მაშ ასე. არ დაგავიწყდეთ, ხვალ დილით, სწორედ ხუთის ნახევარზე, ნახვამდის! - და გავიდა.

ფლამანდიელი ხახამშრალი დარჩა, როგორც თვითონ ამბობდა შემდეგ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაცამ შეაღო სკოფლერის კარი. ისევ ბატონი მერი ბრძანდებოდა.

- როგორ აფასებთ, ბატონო სკოფლერ, თქვენს ტილბურს და მის მზიდავ თეთრ ცხენს?

- ტილბურს და შიგ შებმულ ცხენს, ბატონო მერო, - გაუსწორა სიცილით ფლამანდიელმა...

- აგრე იყოს. როგორ აფასებთ?

- განა ბატონი მერი ყიდვას აპირებს?

- არა, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს რამე. მინდა უზრუნველყოფილი იყოთ. დავბრუნდები და ფულს დამიბრუნებთ. როგორ აფასებთ ტილბურს და თქვენს ცხენს?

- ხუთას ფრანკად, ბატონო მერო.

- აი, ინებეთ.

ბატონმა მადლენმა მაგიდაზე დადო ბანკის ბილეთი და გავიდა. ახლა კი აღარ დაბრუნებულა.

საშინლად ინანა სკოფლერმა, რომ ათასი ფრანკი არა სთხოვა, მაგრამ რაღას იზამდა, მით უფრო, რომ ხუთასი ფრანკიც ძალიან კარგი ფასი იყო და მოგებას აძლევდა.

თავის მეუღლეს დაუძახა ფლამანდიელმა, უამბო ყველაფერი.

- ნეტავი ვიცოდე, სად მიბრძანდება?

- ალბათ, პარიზში, - უთხრა ცოლმა.

- არა მგონია, აი, ვნახოთ.

ბატონ მადლენს იქ დარჩენოდა ქაღალდი, ფანქრით დაწერილი რიცხვებით. აიღო ფლამანდიელმა, სინჯვა დაუწყო:

- ოცდასამი, ოცდაშვიდი, ორმოცდასამი... - ეს ალბათ ფოსტის სადგურებია, - და დაიწყო ამ მანძილით დაშორებული სადგურების ძებნა.

- ოჰო, ვიპოვე, - შესძახა თავის ცოლს, - აქედან ესდენამდე ოცდასამი კილომეტრია, ესდენიდან სენ-პოლამდე - ოცდაშვიდი, სენ-პოლიდან არასამდე - ორმოცდასამი. ალბათ არასში მიდის.

ამასობაში ბატონი მადლენი შინ მივიდა.

სულ სხვა გზით დაბრუნდა, შორს მოუარა, თითქო რაღაც საცდურს უქადდა მღვდლის სახლი და ერიდებოდა იქ გავლას. თავის ოთახში ავიდა და კარი ჩაიკეტა. ჩვეულებრივ, ადრე წვებოდა და არც იმ ღამეს დაურღვევია თავისი ჩვეულება, მაგრამ ქარხნის მეკარე დედაკაცმა, რომელიც იმავე დროს ბატონი მადლენის ერთადერთი მსახურიც იყო, შენიშნა, რომ სანთელი ძალიან ადრე გაქრა, ცხრის ნახევარზე, და მოლარეს მიმართა კითხვით:

- ავად ხომ არ ბრძანდება ბატონი მერი? როგორღაც უგუნებოდ მეჩვენა.

სწორედ ბატონი მადლენის ოთახის ქვემო ოთახში ცხოვრობდა მოლარე. ყურადღება არ მიაქცია მეკარის ნათქვამს, დაწვა და დაიძინა. შუაღამე იყო, რომ რაღაცა ეცა ყურში და გამოაღვიძა. ზემოდან, ბატონი მადლენის ოთახიდან მოესმა რაღაც. ყური მიუგდო. მაშინვე იცნო მადლენის ფეხის ხმა. მით უფრო უცნაური იყო მისთვის ეს სიარული, რომ ჩვეულებრივ მერის ოთახიდან არავითარი ხმა არ გამოდიოდა, სანამ არ გათენდებოდა. ცოტა ხანში მოლარემ რაღაც ხმა გაიგონა, თითქოს განჯინა გააღეს და ისევ დაკეტესო. მალე ავეჯიც დაძრეს ადგილიდან. მერე მიჩუმდა ყველაფერი და ფეხის ხმაღა ისმოდა.

წამოიწია მოლარემ, სულ გამოფხიზლდა, ფანჯარაში გაიხედა და თავისი ფანჯრის პირდაპირ, სახლის კედელზე განათებული ფანჯრის ანარეკლი დაინახა. სინათლის სხივის მიმართულებით ეს ანარეკლი ბატონი მადლენის ოთახის ფანჯრისა უნდა ყოფილიყო. ისე თრთოდა კედელზე ეს ანარეკლი, რომ უფრო ანთებული ცეცხლის ალისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე სანთლისა. ანარეკლს არ ეტყობოდა შუშების ჩარჩო, ალბათ მთლად ღია ჰქონდა ბატონ მადლენს ფანჯარა. საკმაოდ ციოდა და უცნაური იყო იმ სიცივეში ფანჯრის გაღება.

ჩაიძინა მოლარემ. ერთი-ორი საათის შემდეგ კიდევ გამოიღვიძა. ზემოთა ოთახიდან იგივე ფეხის ხმა ისმოდა, ცხადია, ბატონი მადლენი ნელი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა თავის ოთახში.

ანარეკლი ისევ ისე მოჩანდა პირდაპირ, კედელზე, მაგრამ უკვე მკრთალი სინათლისა უნდა ყოფილიყო ან ლამპისა. ფანჯარა ისევ ღია იყო.

## თავი მესამე
## სულიერი ქარიშხალი

მკითხველი მიხვდა, რაღა თქმა უნდა, რომ ბატონი მადლენი ჟან ვალჟანი არის. უკვე ჩავიხედეთ ამ სინდისის სიღრმეში, ახლა საჭიროა უფრო ღრმად დავუკვირდეთ ამ კაცის სულს; ამას მღელვარებითა და თრთოლვით შევუდგებით. არაფერია ისეთი საზარელი, როგორც ამგვარი განხილვა. გონების თვალი ვერსად ნახავს ვერც მეტ ბრწყინვას და ვერც მეტ წყვდიადს, ვიდრე ადამიანში; ვერ შეძლებს წარმოიდგინოს რამე, რომ იმაზე საშინელი იყოს, იმაზე რთული, იმაზე იდუმალი და იმაზე უსაზღვრო. არის სანახავი უფრო დიადი, ვიდრე ზღვა, ეს არის ზეცა. არის სანახავი უფრო დიადი, ვიდრე ზეცა, ეს არის სიღრმე სულისა.

ადამიანის სულის პოემის შექმნა, თუნდაც მარტო ერთი ადამიანისა იყოს, თუნდაც სულ უკანასკნელისა და უმნიშვნელოსი, ეს იქნება ყველა ეპოპეათა შედუღება უმაღლესი და საბოლოო ეპოსის შესადგენად. ადამიანის სინდისი არის ქაოსი განუხორციელებელი ოცნებისა, გაუმაძღარი სურვილისა და ნატვრისა, ცდისა და მოპოვებისა, ბრძმედი ოცნებისა, მღვიმე სამარცხვინო ფიქრებისა; პანდემონიუმია სოფიზმებისა, ბრძოლის ველია მღელვარე ვნებებისა. განსაზღვრულ ჟამს დააკვირდით ჩაფიქრებული ადამიანის სახეს, იპოვეთ გზა მის სულში ჩამავალი, ჩასწვდით მის სულს, ამ სიბნელეს. გარეგანი სიმშვიდის ქვეშ იქ ნახავთ ჰომეროსის ბუმბერაზთა ბრძოლას, მილტონის ვეშაპებისა და დევების ჭიდილს, მოჩვენებათა აჩრდილებს, დანტეს სპირალივით მქროლავ ლანდებს. წყვდიადით არის მოცული ის უსაზღვრო, რომელიც ყველა ადამიანს აქვს თავის გულში და რომელსაც სასოწარკვეთილი ცდილობს შეუფარდოს თავისი გონების მისწრაფება და თავისი ცხოვრების ყოველდღიური საქციელი.

დანტე ალიგიერი ერთხელ კარს მიადგა შავბედითს და გაჩერდა გაუბედავად. და აი, ასეთივე კარია ჩვენ წინაშე, რომლის ბჭის წინ ვდგავართ გაუბედავად. მაინც შევიდეთ.

მკითხველმა უკვე იცის ჟან ვალჟანის თავგადასავალი. პატარა ჟერვეს ფული რომ წაართვა, მას შემდეგ დასამატებელი თითქმის აღარაფერი გვაქვს. ის იყო და ის, მთლად შეიცვალა კაცი, ახალ ადამიანად იქცა. მოხდა ის გარდაქმნა, რომელსაც ხელი შეუწყო ეპისკოპოსმა. ზნეობრივ გამოსწორებაზე მეტი იყო ეს. მოხდა სულიერი გარდაქმნა ადამიანისა, ფერისცვალება.

მოახერხა, მიიმალა იმ ქურდობის შემდეგ, ეპისკოპოსის ვერცხლეული გაყიდა, გარდა შანდლებისა, რომლებიც სახსოვრად შეინახა, ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, მოიარა საფრანგეთი, მივიდა მონრეილში, მოისაზრა გიშრის წარმოების მოწყობა. იღვწოდა, როორც უკვე აღწერილი გვაქვს, ისე მოაგვარა ყველაფერი, რომ სავსებით ხელშეუვალი ყოფილიყო და მიუწვდომელი. დაბინავდა მონრეილში და

ბედნიერად სახავდა თავს, რადგან გრძნობდა, რომ მისი სინდისი დამძიმებული იყო მხოლოდ წარსულით და პირველი ნახევარი მისი სიცოცხლისა უკუგდებული იყო მეორე ნახევრით; მშვიდად ცხოვრობდა, უშიშრად და იმედიანად. ორი რამ ჰქონდა საწადელი: თავისი სახელის დამალვა და თავისი სიცოცხლის განწირულთათვის შეწირვა; თავის დაღწევა ადამიანთაგან და ღმერთთან დაბრუნება.

ისე მჭიდროდ იყო მის გონებაში ეს ორი წადილი დაკავშირებული, რომ ერთად ეჩვენებოდა, შეერთებულად; თანასწორად მძლავრი იყო ორივე, მისი სიცოცხლის მიზნად დასახული, მისი ცხოვრების ყოველი საქციელის განმაწესებელი. თანხმობით განაგებდა ეს ორი მისწრაფება ყოველ მის მოქმედებას: თავმდაბალს ხდიდნენ, გულკეთილს და კაცთმოყვარეს, მაგრამ მოხდებოდა ხოლმე უთანხმოებაც. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე ვაჩვენეთ მკითხველს, ის კაცი, რომელსაც მთელი ქვეყანა ბატონ მადლენს ეძახდა, დაუყოვნებლივ ივიწყებდა პირველს და ემსახურებოდა მეორეს, თავის უშიშროებასაც გასწირავდა სათნოებისათვის. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად სიფრთხილისა და კეთილგონიერებისა, შენახული ჰქონდა ეპისკოპოსის ვერცხლის შანდლები, შავით იგლოვა მისი გარდაცვალება, უძახდა და ეკითხებოდა სავოელ პატარა ბიჭებს, ცნობებს აგროვებდა ფავეროლის ოჯახის შესახებ და სიკვდილისგან იხსნა ბებერი ფოშლევანი, მიუხედავად იმისა, რომ იქვე იყო ჟავერი, რომელიც ჟან ვალჟანის დამახასიათებელ ნიშნებს ეძებდა მასში. ისიც ისევე ფიქრობდა, როგორც ყველა ბრძენი, მართალი და წმინდანი, რომ უპირველესი მისი მოვალეობა არის სხვისი დახმარება და არა თავისი თავისა.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავის დღეში არა ჰქონია ამგვარი შემთხვევა. თავის დღეში არა ჰქონია ამ კაცის ორ მრწამსს ცოტათი მაინც მნიშვნელოვანი ბრძოლა. ეს კარგად იგრძნო, როდესაც ჟავერი მივიდა მასთან კაბინეტში და ლაპარაკი დაუწყო; ჯერ თითქმის არაფერი არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ჟან ვალჟანმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, ორივე მრწამსის შეთანხმებით შთაგონებული. იმ წამს, როდესაც ჟავერმა ისე უცნაურად წარმოთქვა მისი სახელი, რომელიც ასე საგულდაგულოდ დაემარხა, გაშტერდა კაცი, თრთოლა მოერია; იგი შეაძრწუნა თავისმა უცნაურმა ბედუკუღმართობამ, მაგრამ დამორჩილდა მას, როგორც მუხა - ქარიშხლის მოახლოებას, როგორც ჯარისკაცი - იერიშით მომავალ მტერთან ბრძოლას. გრძნობდა, რომ გარს ეხვეოდა ელვითა და ჭექა-ქუხილით სავსე ღრუბელი. ყურს უგდებდა ჟავერს და ფიქრობდა - წავალ, ვიტყვი, ვინცა ვარ, გამოვაშვებინებ შანმატიეს და მე ჩავჯდები იმის მაგივრადო. მწვავე იყო ეს გრძნობა და გულსაკლავი, როგორც ცოცხალი ადამიანის გულში შუბის გატარება. მაგრამ მერე სხვა რამ ურჩია თავისმა მრწამსმა, და ისიც დათანხმდა, - ნუ ავჩქარდებით, - თქვა, - ვნახოთო. დაიმორჩილა თავისი თავგანწირვის სურვილი და არც გმირობა ისურვა.

ძალიან კარგი იქნებოდა, ცხადია, რომ მოჰგონებოდა ეპისკოპოსის წმინდა სიტყვები, მოჰგონებოდა ამდენი ხნის თავისი თავის უარყოფა და სინანული, ამ საზარელი განსაცდელის წინაც არ შეყოყმანებულიყო და იმავე სიმტკიცით მისულიყო იმ უფსკრულის ნაპირთან, რომლის ძირშიც მოიპოვებდა ზეციურ სიმშვიდეს. სანაქებო იქნებოდა, ასე რომ მოქცეულიყო, მაგრამ ვერ შეძლო. საჭირო არის აღვნუსხოთ ყოველივე, რაც მის გულში ტრიალებდა, და აღვნუსხოთ სრული სიმართლით. თავდაპირველად თავის დაცვის ალღომ გაიმარჯვა იმის გულში. მოიკრიბა თავისი ფიქრები, ჩაიქრო მღელვარება, მხედველობაში იქონია ჟავერი - დიდი ხნის მტერი,

შეშინებულის სიმტკიცით გადადო რაიმე გადაწყვეილების მიღება, გვერდი აუარა იმას, რაც უნდა ექნა და მშვიდად ელოდა მომავალს, როგორც მებრძოლი, რომელსაც ფარი მოუმარჯვებია.

ამ ყოფაში გაატარა ის დღე. გულში ქარიშხალი უტრიალებდა, გარეგნულად კი დამშვიდებულს ჰგავდა. თუ იზრუნა რამე, მარტო „თავდაცვის ზომები“ მიიღო, სხვა არაფერი. ისევ გამოურკვეველი იყო ყველაფერი და გონებაში ერეოდა; ერეოდა იმდენად, რომ გარკვეული აზრი ვერ გამოეტანა; თავისი თავისასაც კი ვერაფერს იტყოდა გარკვეულს, გარდა იმისა, რომ საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს. ჩვეულებისამებრ მივიდა ფანტინის სანახავად და ჩვეულებრივზე უფრო მეტხანს დარჩა მასთან. გული უთქვამდა, შეიძლება აღარც კი დავბრუნდეო, და ცდილობდა ავადმყოფიც გაემაგრებინა, მოწყალების დებისთვის ეთხოვა სრული მზრუნველობა. გრძნობდა ბუნდოვნად, რომ შეიძლება არასში წასლა დასჭირვებოდა. თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერი ჰქონდა, მაინც ფიქრობდა, კარგი იქნება, საქმის გარჩევას დავესწრო, საშიში აღარაფერიაო, და სკოფლერის ტილბური იქირავა, რომ მზად ყოფილიყო ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.

საღილი მადიანად მიირთვა.

შევიდა თავის ოთახში და ჩაუფიქრდა მდგომარეობას.

ჩაუფიქრდა და საშინლად წარმოუდგა თავისი საქმე, იმდენად საშინლად, რომ თავის ფიქრებში გართულს, თითქოს უცბად ბიძგი გაჰკრა რაღაც უეცარმა, წამოვარდა და კარი მიკეტა - ეშინოდა, კიდევ არაფერი შემომივარდესო, ბარიკადებს იკეთებდა შესაძლებლის წინააღმდეგ.

მერე, ცოტა ხნის შემდეგ, სანთელიც ჩააქრო.

სანთელიც უშლიდა - შეიძლებოდა, დაენახა ვინმეს.

ვის უნდა დაენახა?

რაღა დროს იყო? უკვე შემოსულიყო, ვისაც უკეტევდა კარს. უკვე ჩაჰყურებდა, ვისაც სანთელს უქრობდა. ის იქ იყო - იმისი სინდისი.

იმის სინდისი, ესე იგი ღმერთი.

მაგრამ პირველ წამს მაინც კიდევ რაღაც იმედს მისცემოდა. უზრუნველყოფილად გრძნობდა თავს: კარი დაკეტილი ჰქონდა და მიუწვდომელი იყო; სანთელი გამქრალი ჰქონდა და უხილავი იყო. მაშინ დაიმორჩილა თავისი გული, თავისი ფიქრები,იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, თავი ხელებზე დაუშვა და ჩაფიქრდა იმ სიბნელეში.

- სიზმარში ვარ თუ ცხადია ეს ყველაფერი? რაო, რა მითხრეს? ნამდვილად ვნახე ჟავერი და კარგად მახსოვს იმისი ნათქვამი? ვინ უნდა იყოს, ვიღაც შანმატიე არის? ნუთუ ასე მგავს? ნუთუ ეს შესაძლებელია? გუშინ არ იყო, ისე დამშვიდებული ვიყავი! რას ვაკეთებდი გუშინ ამ დროს? ჰო, მაინც რა მოხდა? რას მიქადის ბედი? რა ვქნა, რა გზას დავადგე?

ჯერაც ვერ იმორჩილებდა თავის ფიქრებს. მის ტვინს დაჰკარგვოდა ძალა აზრების გაძღოლისა, ტალღებივით ირეოდნენ და ორივ ხელით ეჭირა თავი, რომ მორეოდა თავის ფიქრებს.

თავი ეწვოდა. მივიდა ფანჯარასთან, ბოლომდე გამოაღო. ვარსკვლავი არსად ჩანდა ცაზე. ისევ თავის მაგიდასთან დაჯდა.

მთელი საათი დაჰყო ასე გაშტერებულმა.

ნელ-ნელა მოიკრიბა ფიქრები, ძლივძლივობით, მაგრამ მაინც შეაკოწიწა ერთმანეთთან, თვალწინ წარმოუდგა თავისი მდგომარეობის უმთავრესი გარემოებანი, რადგან სისრულით მისი განხილვა ჯერ არ შეეძლო, იმ დასკვნას დაადგა, რომ ძალიან საშიში და განსაკუთრებული არის მისი მდგომარეობა, მაგრამ მაინც თვითონ იყო თავისი თავის ბატონ-პატრონი.

ამ დასკვნამ უფრო გაუძლიერა ძრწოლა.

მიუხედავად იმ წმინდა მიზნისა, რომელსაც ისახავდა და ასრულებდა თავისი ცხოვრებით, მისი ღვაწლი და ყოველივე, რაც აქამდე გაეკეთებინა, ორმო იყო, რომელსაც სულ უფრო და უფრო აღრმავებდა, რომ შიგ ჩაემალა თავისი სახელი. თუ ჰქონდა რამე საშიში, როდესაც ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის მდგომარეობას, როდესაც თვალის მოუხუჭავად ათენებდა ღამეს, თავისი სახელი იყო და მისი გაგონება. ამ სახელის გაგონება და თავისი აღსასრული ერთი ეგონა; იმ დღეს, როდესაც ამ სახელს გააგონებს ვინმე, მთლად დაუხშობს ახალ სიცოცხლეს და ვინ იცის, იქნებ თვით ახალ სულსაც. და თავით ფეხამდე თრთოდა კაცი, რომ გაიფიქრებდა, - შეიძლება გამიგონ ჩემი სახელიო! რომ ყოფილიყო ვინმე ამგვარი ფიქრის დროს და ეთქვა, - მოვა დრო, როდესაც შიგ გულში გეცემა ეგ სახელი, როდესაც ეგ საზიზღარი სიტყვა „ჟან ვალჟანი“ ზევით აიწევს ბნელიდან და წინ დაუდგება თავის პატრონს; როდესაც მის მიერ შექმნილი ძლიერი სინათლე, თავისი ვინაობის დასაფარი, სხივად დაადგება თავზე; როდესაც სამარცხვინო აღარ იქნება მისი სახელი, აღარც საშიში, და ეს სინათლე შექმნის უფრო მკვრივ წყვდიადს; რომ დაიხევა მისი საიდუმლოების მფარავი რიდე და უფრო გააძლიერებს საიდუმლოს; რომ ეს მიწისძვრა უფრო გაამაგრებს მის შენობას, რომ სასწაულებრივი გარემოება, თუ მოისურვა მადლენმა, შუქს მოჰფენს მის სახელს და, წინაც რომ დაუყენონ ჟან ვალჟანის აჩრდილი, კეთილი და ქველი ბურჟუა, ბატონი მადლენი, უფრო პატივსაცემი დარჩება და უფრო დიდებული, ვიდრე ოდესმე ყოფილაო; რომ ეთქვა ვინმეს მისთვის ეს სიტყვა, თავს გაიქნევდა და სისულელედ მიიღებდა მის ნათქვამს. ჰოდა, ახლა ასრულებულიყო შეუძლებელი, ღვთის განგებით იყო, რომ აჩრდილი სინამდვილე გამხდარიყო.

უფრო და უფრო ერკვეოდა თავის ფიქრებში; უკვე ხედავდა თავის მდგომარეობას. ასე ეგონა, თითქოს ღრმა ძილში იყო დიდი ხანი და ეს-ეს არის გამოიღვიძა; რომ ფეხზე დგას და რაღაც დაღმართზე მიცურავს, ბნელ ღამეში; მიცურავს, კანკალებს, ცდილობს შეჩერდეს, არ მივიდეს უსაზღვრო უფსკრულის პირამდე. ამ ბნელში გარკვევით ხედავდა ვიღაცას, უცნობს, რომელსაც ბედისწერა ჟან ვალჟანად სცნობდა და უფსკრულში ჩაგდებას უპირებდა მის მაგივრად; და არ დაიხშობოდა უფსკრული, ვიდრე თავისას არ მიიღებდა; უნდა ჩავარდნილიყო ვინმე, ის უბედური, ან თვით მადლენი.

ჰჰოდა, ჩავარდეს ის უბედური!

ცოტა გაერკვა თავის ფიქრებში და აღიარა, რომ იმისი ადგილი კატორღაში არავის დაეჭირა; ძალიანაც რომ ეცადოს, მისი ადგილი ცარიელია და მის დაბრუნებას ელის. პატარა ჟერვეს რომ ფული წაართვა, ესეც კმაროდა იქ დასაბრუნებლად; კატორღა თავისას ელოდა და ელოდება, ვიდრე არ მიიღებს. ეს ბედისწერა იყო და აუცილებელი. მერე თქვა: - ამჟამად შემცვლელი მყავს, ვიღაც შანმატიეს სწვევია უბედურება და, მაშასადამე, კატორღაში შანმატიეს სახელით ვიმყოფები,

საზოგადოებაში კი ბატონი მადლენის სახელით. მაშ საშიში აღარაფერია, თუ თავი მივანებე და არ დავუშალე, რომ შანმატიეს დაასვან ის სამარცხვინო დაღი, რომელიც, საფლავის ქვისა არ იყოს, თავის დღეში აღარ მოშორდება, ვისაც დააწვება.

ისეთი საზარელი და თან უცნაური იყო ეს ფიქრები, რომ უცბად იგრძნო ის უეცარი, ენით გამოუთქმელი ძრწოლა, რომელიც ერთი-ორჯერ თუ მოუვა ადამიანს მთელ თავის სიცოცხლეში, ერთგვარი ძრწოლა სინდისისა, რომელიც ყოველგვარ საეჭვოს აღძრავს გულში და რომელიც ირონიაც არის, სიხარულიც, სასოწარკვეთილებაც - შინაგანი ხარხარი განწირულისა.

საჩქაროდ სანთელი აანთო.

- ბოლოს და ბოლოს, რისი უნდა მეშინოდეს? - ეკითხებოდა თავის თავს, - რად ვარ ასე იმედმიხდილი? პირიქით, გადავრჩი განსაცდელს. გათავებულია ყველაფერი. ერთადერთი კარიღა მქონდა ოდნავ გაღებული და ამ კარით შეეძლო ჩემს წარსულს ჩემთან შემოვარდნა; ეს კარიც მჭიდროდ არის დღეს დაკეტილი, ამოქოლილი საუკუნოდ. ჟავერი იყო, რომ შიშსა მგვრიდა დიდი ხანია. ის საზიზღარი მეძებარი, რომელიც ნელ-ნელა მცნობდა და მიცნო კიდეც. დასწყევლოს ღმერთმა! სულ უკან დამდევდა, ყველგან, თვალს არ მაშორებდა, და აგერ, მასაც აერია გზა, სხვაგან იპოვა თავისი, მცდარ კვალს გაჰყვა. უკვე კმაყოფილია და მე აღარ შემაწუხებს. ხელში უჭირავს თავის ჟან ვალჟანი. ვინ იცის, იქნებ სულაც წავიდეს ქალაქიდან. კარგი ის არის, რომ ეს ყველაფერი უჩემოდ მოხდა, უჩემოდ გარიგდა. მე თითიც არ გამინძრევია. ძალიან კარგი. რა არის აქ საძრახისი? რამ შემაშინა ასე? ასე რომ მნახოს ვინმემ, ღმერთსა ვფიცავ, იფიქრებს, საშინელი უბედურება მოსვლია ამ საბრალოსაო. ჩემი ბრალი ხომ არ იქნება, თუ უბედურება ეწია ვინმეს ამ საქმეში? ალბათ ღვთის განგება იყო, რომ ამგვარად დატრიალდა საქმე. ალბათ ეს იყო ღვთის განგება და რა უფლება მაქვს, ღვთის განგებაში ჩავერიო? რას უნდა ვთხოვდე ყოვლადძლიერს? რისთვის უნდა ვერეოდე სხვის ბედისწერაში? მე ეს საქმე არ შემეხება. მაშ კმაყოფილი არა ვარ? აბა რა მინდა, რას ვითხოვ? ხომ მივაღწიე ჩემი სიცოცხლის მიზანს, რომლისკენაც დიდი ხანია მივისწრაფოდი; ხომ ავისრულე ჩემი ოცნება, ჩემი ღამეების სიზმარი, საგანი ჩემი ლოცვისა, ხომ მოვიპოვე უშიშროება. ღვთის განგებაა, ღვთის ბრძანებაა! მე როგორ ჩავერევი ღვთის განგებაში? რად მოინდომა ღმერთმა ჩემი გადარჩენა? იმიტომ, რომ განვაგრძო ჩემ მიერ დაწყებული საქმე; რომ სიკეთე ვთესო; რომ ერთ დიდებულ, გამამხნევებელ მაგალითად გავხდე. დაე, დარწმუნდნენ, რომ ცოტა რამ ბედნიერებაც მოჰყვა იმ მონანიებას, რომელსაც მე განვიცდი, და იმ სათნოებას, რომელსაც მე დავუბრუნდი. არ ვიცი, სწორედ, რად შემეშინდა წეღან და ვერ გავბედე ჩემს მღვდელთან შესვლა? რატომ ვერ გავბედე აღსარება მეთქვა ჩემი სულიერი მამისთვის და ღვთისთვის გამენდო ჩემი საიდუმლოება? რისი მეშინია? ხომ შეიძლებოდა რჩევა მეკითხა? ცხადია, ისიც იმას მირჩევდა, რასაც მე ვამბობ. მაშ, გათავებულია. დაე, წესიერი მსვლელობა მიეცეს საქმეს. აღსრულდეს ღვთის ნება!

ასე მსჯელობდა გულის სიღრმეში. უფსკრულის პირს იდგა, დახრილი, თუ შეიძლება ითქვას, თავისი საკუთარი უფსკრულისაკენ. წამოდგა, სიარული დაიწყო თავის ოთახში.

- კმარა! - უბრძანა თავის თავს, - კმარა ამაზე ფიქრი. გადაწყვეტილია. მე საქმეში არ ჩავერევი.

მაგრამ არავითარი შვება არ იგრძნო...

პირიქით.

როგორც ზღვას ვერ დაუშლით ეხეთქებოდეს ნაპირს, ისე ფიქრს ვერ დაუშლით ერთსა და იმავე იდეას უბრუნდებოდეს. მეზღვაურისთვის ამას მოქცევა ჰქვია; მტყუანისათვის - მხილება სინდისისა. ღმერთი ისევე აღელვებს სინდისს, როგორც ოკეანეს.

ცოტა ხნის შემდეგ თავისდა უნებურად ისევ განაახლა ის მწარე დიალოგი, რომელშიაც მთქმელიც თვით იყო და მსმენელიც. ამბობდა იმას, რისიც სიჩუმეში გატარებაც უნდოდა; ისმენდა იმას, რისი გაგონებაც არ ნებავდა; ემორჩილებოდა იმ საიდუმლო ძალას, რომელიც უბრძანებდა - დაუფიქრდიო, როგორც ორი ათასი წლის წინათ მეორე განწირულს უბრძანებდა - მიდიო.

ვიდრე ჩვენსას განვაგრძობდეთ, შევჩერდეთ ერთ საჭირო გარემოებაზე, რომ უფრო სრულად წარმოვსახოთ ამ განწირულის სულისკვეთება.

ცხადია, თავის თავს ებაასება ადამიანი; არ არის არც ერთი მოაზროვნე არსება, რომ ეს არ გამოეცადოს. იმის თქმაც კი არ შეიძლება, რომ სიტყვა არასდროს არ არის ისეთი ძალუმი და იდუმალი, როგორც ადამიანის ფიქრი, როდესაც ფიქრიდან სინდისისკენ გადადის და სინდისისგან ისევ ფიქრს უბრუნდება. ააი, ამ შეგნებით უნდა იყოს მიღებული ამ თავში ხშირად ნათქვამი სიტყვები - უთხრა, შეჰყვირა, თავის თავს ეუბნება. ადამიანი ებაასება, შეჰყვირის, მაგრამ ისე, რომ არ ირღვევა გარეგანი დუმილი. საშინელი ალიაქოთია ჩვენში: ყველაფერი გაჰყვირის ჩვენი, მხოლოდ ბაგენი მდუმარებენ. უხილავია და უჩინარი მოძრაობა სულისა, მაგრამ ამით არა კარგავს თავის რეალობას.

მაშ ასე, - ეკითხებოდა თავის თავს, - მაშ ნუ ჩავერევი? - და აღიარა, რომ საზარელი იყო მისი გადაწყვეტილება. საშინელება იყო მისი მსჯელობა და დასკვნა - ღვთის განგებაში მე როგორ ჩავერევიო? ნუთუ ადამიანისა და ბედის შეცდომით ისარგებლებს, ხელს არ შეუშლის მის ასრულებას? დაეხმარება კიდეც თავის სიჩუმით, მე ამ საქმეში არ ჩავერევიო?.. ნუთუ ვერ ხედავს, რომ სწორედ ეს ჩაურევლობა ნიშნავს ჩარევას, რომ უსამართლოდ გადაწყდეს საქმე? განა შეიძლება ამაზე მეტი სამარცხვინო ფარისევლობა?! ეს არის უგვანი, საძაგელი, ვერაგი და ბილწი დანაშაული.

ეს პირველად იყო უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, რომ ავი წადილისა და ავი საქციელის სიმწარე იგემა ამ ბედკრულმა ადამიანმა.

ზიზიღით გადააფურთხა.

ისევ განაგრძობდა თავისი თავის დაკითხვას. სასტიკად დააყენა კითხვა - რას ვგულისხმობდი, რომ ვიძახდი, მე ჩემს მიზანს მივაღწიეო? მართალია, ჩემს სიცოცხლეს თავისი მიზანი აქვს, მაგრამ რა არის ჩემი სიცოცხლის მიზანი? ჩემი სახელის დამალვა? პოლიციის მოტყუება? ნუთუ ამ უმნიშვნელო წვრილმანისთვის ვეწვალე ამდენ ხანს? ნუთუ სხვა მიზანი არა მქონია, დიდებული, წმინდა, ჭეშმარიტი? რა უნდა დავიხსნა განსაცდელისაგან: ჩემი პიროვნება თუ სული? ნუთუ არ მინდა კეთილ და პატიოსან კაცად დავრჩე? მართალ კაცად? განა ეს არ იყო ჩემი ერთადერთი, მუდმივი ნატვრა და სურვილი, რაც დამავალა განსვენებულმა ეპისკოპოსმა? მაშ კარს ვუკეტავ წარსულს? პირიქით, კარს ვაღებ ჩემი საზიზღარი საქციელით, ისევ ისე ქურდობას ვიწყებ და რას ვიპარავ! ერთ-ერთი მოყვასის

სიცოცხლეს, სახელს, პატიოსნებას და უფლებას მზითა და სიცოცხლით ტკბობისას. კაცის კვლაზე უარესია კაცის ზნეობრივი, სულიერი სიკვდილი, რომელიც ცოცხალს სტოვებს ადამიანს, და რომელსაც კატორღა ჰქვია. და პირიქით, რომ გამოვაცხადო ჩემი ვინაობა, დავიხსნა ამ უბედური შეცდომისაგან საწყალი კაცი, ვაღიარო, ჟან ვალჟანი მე ვარ-მეთქი, ზნეობრივ ვალდებულებათა გამო ისევ კატორღელი ჟან ვალჟანი გავხდე - აი, ეს იქნება ჭეშმარიტი აღდგომა და საბოლოოდ დაკეტვა იმ ჯოჯოხეთისა, საიდანაც ძლივს დავაღწიე თავი. გარეგნულად შიგვე ჩავარდნა, სინამდვილეში კი სრული განთავისუფლება იქნება სულიერი. აი, როგორი უნდა იყოს ჩემი გადაწყვეტილება. თუ ამას არ ვიზამ, ამაოდ ჩამივლის მთელი ღვაწლი, უსარგებლოდ იქცევა მთელი სიცოცხლე, გაჭირვება, მოთმინება და დაიბადება კითხვა: რად მინდოდა ეს ყველაფერი? იგი გრძნობდა, რომ მასთან იყო ეპისკოპოსი. მით უფრო, რომ მკვდარი იყო; აქ იყო, მის გვერდით და თვალს აღარ აშორებდა. გრძნობდა, რომ ამიერიდან საზიზღარი გახდებოდა ეპისკოპოსისთვის ბატონი მერი მადლენი მთელი თავისი ყალბი სათნოებით, კატორღელი ჟან ვალჟანი კი - ღირსეული და წმინდა. გრძნობდა, რომ ამიერიდან ხალხი მარტო მის ნიღაბსღა დაინახავდა, მაგრამ ეპისკოპოსი კი - მის ნამდვილ სახეს; რომ ხალხი მის ცხოვრებას დაინახავდა, ეპისკოპოსი - მის სინდისს. მაშ უნდა წასულიყო არასში, გაეთავისუფლებინა შეცდომით ჟან ვალჟანად ცნობილი კაცი, დაებეზღებინა ნამდვილი ჟან ვალჟანი. ჰოდა, სწორედ ეს იქნებოდა უუწმინდესი მსხვერპლი, უუდიდესი მწვავე გამარჯვება, უკანასკნელი ნაბიჯი ღირსეული ადამიანისა. მწარე ხვედრი! ვერ იქმნება სპეტაკი ღვთის წინაშე, თუ ხელახლა უწმინდური არ შეიქმნა ხალხის თვალში!

- მაშ გადაწყდა! - თქვა ფიქრის შემდეგ, - აუცილებელია ჩემთვის ეს გზა. უნდა ავასრულო ჩემი მოვალეობა, ვიხსნა ის ადამიანი!

ხმამაღლა წარმოთქვა ეს სიტყვები, თუმცა არც კი შეუმჩნევია.

ანგარიშები გადასინჯა და შეამოწმა, მოაწესრიგა ყველაფერი. ცეცხლში ჩაყარა წვრილი ვაჭრების თამასუქები. წერილი დაწერა, კონვერტში ჩადო და ზედ წააწერა: „ბატონ ლაფიტს, ბანკირს. არტუას ქუჩა, პარიზი“.

მერე საფულე ამოიღო, რომელშიც ბანკის რამდენიმე ბილეთი და პასპორტი ედო. ამ პასპორტით დაესწრო ამას წინათ არჩევნებს.

რომ ენახა ვინმეს ამ დროს, როდესაც გარეგანი სიმშვიდით უკანასაკნელად სინჯავდა თავის საქმეებს, ვერც კი წარმოიდგენდა იმ წამებას, რომელსაც იგი განიცდიდა. მხოლოდ ხანდახან აცმაცუნებდა ტუჩებს, ან თავს მაღლა იღებდა, მიაჩერდებოდა კედელზე რაიმე წერტილს, თითქოს სწორედ იქ ყოფილიყო მისთვის საჭირო გამოსარკვევი საგანი.

ლაფიტთან გასაგზავნი წერილი და საფულე უბეში ჩაიდო და ისევ სიარული დაიწყო.

არაფრით შეცვლილიყო მისი აზრთა მსვლელობა. ცხადად ხედავდა თავის მოვალეობას, ბრწყინვალე ასოებით დაწერილს - ის თვალწინ ედგა, საითაც კი გაიხედავდა.

- წადი! გამოამჟღავნე შენი ვინაობა, გაეცი შენი თავი!

ორი მცნება წარმოუდგა თვალწინ, რომლითაც ხელმძღვანელობდა თავის ცხოვრებაში, ისევე ცხადად, თითქოს ისინიც თანა სდევდნენ იმისი სულის თვალს -

დამალვა თავისი ვინაობისა და გაწმენდა სულისა. და პირველად იყო, რომ სრულიად შეუთანხმებლად ეჩვენნენ დღეს, რადგან კარგად ხედავდა განსხვავებას, რომელიც შეუძლებელს ხდიდა მათ შეთანხმებას. უუკვე იცოდა, რომ ერთი ამ მრწამსთაგანი იყო ყოველთვის წმინდა, მეორე კი შეიძლებოდა ბოროტიც გამხდარიყო; რომ ერთი თავგანწირვა იყო და მეორე - პირადობა; ერთი უბრძანებდა - „მოყვასიო“, მეორე კი - „მეო“; რომ ერთი სინათლიდან მოდიოდა, მეორე - სიბნელიდან.

ერთმანეთს ებრძოდა მისი ორი მრწამსი. კარგადა ხედავდა ამ ბრძოლას და რაც უფრო მეტად უფიქრდებოდა მათ წინააღმდეგობას, მით უფრო და უფრო იზრდებოდა მის გონებაში ერთიც და მეორეც; უკვე ბუმბერაზ ქანდაკებებად გარდაქმნილიყვნენ. ისე ეჩვენებოდა, თითქოს მის გულში ყოფილიყვნენ ეს შეუთანხმებლები იმ უსაზღვროებაში, რომელიც კუთვნილება არის გულისა; თითქოს სინათლითა და წყვდიადით სავსე გულში ერთმანეთს შებრძოლებოდნენ ღვთაება და ბუმბერაზი.

შიში მოერია, მაგრამ გრძნობდა, რომ კეთილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბოროტი.

ხედავდა, რომ უკვე თავს ადგა მეორე, გადამწყვეტი წამი მის სინდისისა და ბედისწერისა; ეპისკოპოსმა აღნიშნა პირველი ხანა მისი ახალი ცხოვრებისა და ახლა შანმატიე აღნიშნავდა მეორე ხანას. დიდი გარდატეხის შემდეგ - დიდი განცდა.

ცოტა ხანს დაწყნარებული მღელვარება აღეძრა ისევ. ათასობით სხვადასხვა ფიქრიუკრთოდა, მაგრამ ისინი უფრო და უფრო განამტკიცებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას.

იყო წუთი, როცა იფიქრა, - იქნებ მეტისმეტ მნიშვნელობას ვაძლევ ამ საქმეს და მეტადრე ვიღაც შანმატიეს, რომელიც, ასეა თუ ისე, მაინც ქურდიაო.

მაგრამ პასუხიც მზადა ჰქონდა: თუ მოიპარა რამე იმ უბედურმა, ერთი თვის ციხით უნდა გადარჩეს. სად ერთი თვის ციხე და სად კატორღა? და - ვინ იცის - მართლა იქურდაკი? დამტკიცებულია იმისი ქურდობა? ჟან ვალჟანად მიაჩნიათ და ეს სახელი ღუპავს კაცს ისე, რომ დამამტკიცებელ საბუთებს აღარც კი ეძებენ; და განა მეფის პროკურორები ყოველთვის ასე არ იქცევიან? უსაბუთოდაც სჯერათ, რომ ქურდია, რადგან კატორღელად მიაჩნიათ.

იმ ფიქრმაც კი გაურბინა ერთ წამს, რომ სწორედ თავისი ვინაობის გამოჩენა იხსნის კატორღისაგან. მხედველობაში მიიღებენ მის თავგანწირვას, მის უმწიკვლო ცხოვრებას შვიდი წლის განმავლობაში, მის ღვაწლს, მის შრომას და შეუნდობენ ძველ წარსულს.

მაგრამ მაშინვე გაქრა ეს სუსტი იმედიც და მწარე სიცილი მოერია, როდესაც გაახსენდა, რომ ორი ფრანკის მოპარვა, პატარა ჟერვეს რომ დაუმალა თავის ფეხქვეშ, რეციდივისტად ხდიდა კატორღელს; რომ ეს საქმეც განახლდებოდა უეჭველად და არსებული კანონის ძალით განაჩენი კატორღა იქნებოდა სიკვდილამდე.

სწრაფად მოიშორა ამგვარი ლანდი, თანდათან ჩამოშორდა მიწიერს და ნუგეში და ტანჯვის ამტანი ძალა სხვაგან მოძებნა - მოვალეობას ასრულება უნდაო, - ფიქრობდა. ჩემს მოვალეობას რომ ავასრულებ, იქნება ისეთი უბედური არც კი ვიყო, როგორი უბედურიც მაშინ ვიქნები, თუ სხვა დავსაჯე ჩემ მაგივრადო. თუ არაფერი ვთქვი, არ ჩავერიე საქმეში, ხალხის პატივისცემაც, პატიოსანი სახელიც, ღვაწლიც, ქველმოქმედებაც, გაჭირვებულთა თაყვანისცემაც, სიმდიდრეც, სახელიც -

ჩაშხამებული იქნება ყველაფერი კაცის დაღუპვით - და რაღა სიტკბობა უნდა ჰქონდეს ამდენ წმინდა რამეს, თუკი ასეთი ბილწი საქციელი ჩაერევა? მმაგრამ თუ თავის მოვალეობას აასრულებს? თავისი მოვალეობა რომ აასრულოს, თვით კატორღის ტანჯვას, სამარცხვინო ბოძს, რკინის საყელურს, მწვანე ქუდს, მუდამ დაუსვენებლად შრომასა და შეუნდობელ სირცხვილს ზეციური ნუგეში დაერთვება.

ბოლოს, - საჭიროება მოითხოვს ითქვას, - გაიფიქრა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერაო. ან როგორ შეცვლიდა იმას, რაც ღვთის განგებად მიაჩნდა? საჭირო იყო ამორჩევა: ან გარეგანი სათნოება და სულიერი ბიწიერება, ან სულიერი სიწმინდე და გარეგანი შერცხვენა.

ამგვარი სავალალო ფიქრებით გატაცებული მხნეობას არა კარგავდა, მაგრამ გონება კი ექანცებოდა. ძალა დაატანა თავის თავს და ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა, თუნდაც უმნიშვნელოზე.

საფეთქელი უცემდა მაგრად, ისევ განაგრძობდა სიარულს. შუაღამის მაუწყებელმა ზარმა დაჰკრა ჯერ საყდარში, მერე ქალაქის საბჭოში: კარგად დათვალა ორივე საათის თორმეტი რიცხვი, შეადარა ერთმანეთს ზარების ხმა და მოაგონდა, რომ რამდენიმე დღის წინ რკინეულის ვაჭართან ნახა ერთი ძველი გასაყიდი ზარი, რომელზეც ეწერა: „ანტუან ალბენ დე რომენვილი“.

შესცივდა და პატარა ცეცხლი აანთო. ფანჯრის მიხურვა არც კი გახსენებია.

ისევ გარინდებამ შეიპყრო. დიდი გაჭირვებით ძალა დაატანა თავს და ცდილობდა გაეხსენებინა, რას ფიქრობდა შუაღამის საათის დაკვრამდე. როგორც იყო, შეძლო.

- ჰო, ვიცი, გადაწყვეტილი მქონდა ჟან ვალჟანად გამოვცხადებულიყავი სასამართლოში.

და უცბად ფანტინი მოაგონდა.

- მერე? - წამოიძახა განცვიფრებულმა, - მერე ის საბრალო ქალი?

და კვლავ აერია აზროვნება.

უცბად ჩაერია მის არეულ ფიქრებში ფანტინი, მოულოდნელი შუქი მოჰფინა და გამოაფხიზლა. ყველაფერი შეცვლილად, ნათლად ეჩვენებოდა ახლა და წამოიძახა:

- რა ღმერთი გამიწყრა, რა ვქნა? ჩემი თავის გარდა აქამდე არავინ მომგონებია.სულ იმას ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, რომ არაფერი დამკლებოდა. რა უფრო სასარგებლო იქნებოდა პირადად ჩემთვის - გაჩუმება, თუ გამჟღავნება ჩემი ვინაობისა? დამალვა ჩემი პიროვნებისა, თუ ცდუნებისგან ხსნა ჩემი სულისა? დიდებულ მოხელედ ყოფნა, პატივცემულად, მაგრამ შერცხვენილად, თუ თავლაფდასხმულ კატორღელად, მაგრამ თაყვანსაცემად? სულ ჩემზე ვფიქრობდი, ყოველთვის ჩემზე და მარტო ჩემზე. მაგრამ, ღმერთო, ეს ხომ ეგოიზმია! სხვადასხვაგვარად ნაფიქრი, მაგრამ ეგოიზმი. მე რომ ცოტა სხვაზედაც მეფიქრა რამე, ადამიანი ვიქნებოდი. პირველი წმინდა მოვალეობა ადამიანისა არის სხვისთვის ზრუნვა. აბა, ვნახოთ, განვსაჯოთ. ვთქვათ, გამოვაცხადე ჩემი ვინაობა. მე დამიჭერენ, შანმატიეს გამოუშვებენ; მე ისევ კატორღაში ვარ. ძალიან კარგი, მაგრამ მერე? აქ რა მოხდება? აქ ქვეყანაა, ქალაქი, ქარხნები, წარმოება, მუშები, ქალები, კაცები, ბებრები - უსუსური ბავშვების პაპები, ბავშვები, ღარიბ-ღატაკი ხალხი. მე გავაჩინე ეს ქარხნები, მე გავამრავლე მუშები, მე ვასაზრდოებდი გაჭირვებულთ. სადაც კი კვამლი ამოდის ბინიდან, შეშაც მე შევუკეთე ბუხარში და ხორციც მე ჩავდე ქვაბში. მე შევქმენი დოვლათიანობა, მიმოზიდვა, კრედიტი; ჩემამდე თითქმის არაფერი იყო. ფეხზე

წამოვაყენე, გამოვაცოცხლე, სული ჩავუდგი. გავანაყოფიერე, გავამხნევე, გავამდიდრე ეს მხარე. მე რომ მოვცილდები, სული აღარ ედგმება აქაურობას, მოკვდება ყველაფერი. და ის დედაკაცი, რომელმაც იმდენი ტანჯვა გამოიარა, და ღირსება შეინარჩუნა, მიუხედავად წუმპეში ჩავარდნისა? და იმისი პატარა გოგონა, რომლის მოსაყვანად წასვლას ვაპირებდი? დედასაც კი დავპირდი, მალე მოგიყვან-მეთქი. განა იმ უბედურს კი არ უნდა დავეხმარო, თუნდაც იმ ტანჯვა-წამების გამოსასყიდად, რომელიც მე მივაყენე? ვთქვათ, აღარა ვარ. მერე? დედა მოკვდება. ბავშვი უპატრონოდ დარჩება და დაიღუპება. აი, რა მოხდება, თუ თავი გავწირე. და თუ გავჩუმდი? თუ დავიმალე? რა მოხდება, თუ არ გამოვაცხადე ჩემი ვინაობა?

ეს კითხვა მისცა თავის თავს და გაჩერდა. ერთ წამს თრთოლა მოერია, ყოყმანობდა, მაგრამ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა პასუხი:

- მართალია, ის კაცი კატორღაში წავა, მაგრამ წავა იმიტომ, რომ მოიპარა. ბევრიც რომ ვიძახო, - ქურდი არ არის-მეთქი, - ქურდია, იქურდა და დაიჭირეს. ის იქ იქნება, მე კი აქ დავრჩები და განვაგრძობ ჩემს საქმეს. ათ წელიწადში ათი მილიონი მექნება მოგება, რომელსაც აქვე დავტოვებ ხალხისა და წარმოების სასარგებლოდ. მე ჩემთვის არა მინდა რა. ჩემთვის ხომ არ ვიღწვი, რომ ჯიბე გავიტენო. იზრდება ხალხის კეთილდღეობა, ვრცელდება ახალი წარმოება, მრავლდება ქარხნები და სახელოსნოები, მდიდრდება ხალხი, წარმატებაშია ქვეყანა და ძლიერდება მოსახლეობითაც და შრომითაც; ახალი სოფლები გაჩნდება იქ, სადაც დღეს ერთი ქოხიც არ მოიპოვება. მოისპობა უმუშევრობა, გაჭირვება და გაჭირვებასთან ერთად გარყვნილება, როსკიპობა, ქურდობა, კაცისკვლა, ყოველი ბიწიერება და ბოროტმოქმედება. ის უბედური დედაც კარგად გამოზრდის თავის ბავშვს. მთელ ქვეყანას ელის გაკეთება და გაპატიოსნება! არა, ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, თორემ ჩემსავე დაბეზღებას დავაპირებდი? სიფრთხილე მმართებს, თორემ აჩქარებით მეც დავიღუპები და ჩემთან ერთად ბევრი მართალიც. აქაოდა, დიდსულოვნად მინდა მოვიქცე, დიდებულად -ამ საქციელში კი მელოდრამის მეტი არაფერია - ქვეყანას უნდა ვუღალატო? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მე ჩემი თავის მეტი არავინ მხსომებია; და კიდევ ის, ვიღაც შანმატიეა, - სასჯელი ავაცდინო-მეთქი, - ვფიქრობდი, - ვიღაც ქურდზე, იქნება მკაცრიც იყოს მისთვის ეს სასჯელი, მაგრამ ქურდია და ვიღაც გაიძვერა ქურდისთვის ქვეყანა დავღუპო? ის უბედური დედაკაცი უპატრონოდ დავტოვო? იმისი პატარა გოგონა ქუჩაში გავაგდო? ძაღლივით. ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მერე ისე, რომ თავისი შვილის ნახვა ვერ ეღირსოს იმ საცოდავს? ისე, რომ ჯერ ბავშვი არც კი იცნობდეს თავის დედას? და ყოველივე ეს ვიღაც უკეთური ბებერი ქურდისთვის, რომელსაც ვაშლის მოპარვით თუ არა, სხვა დანაშაულით მაინც ექნება დამსახურებული კატორღაც და უარესიც. რაო, რაო? რას მიბრძანებს ჩემი სინდისი? ერთი ცოდვილი იხსენ და მრავალი უცოდველი გასწირეო? ერთი ბებერი მაწანწალა იხსენ, რომელსაც დღეს-ხვალ სიკვდილი მოელის და რომელიც, შესაძლებელია, ისეთივე უბედური იყოს თავის ქოხშიც, როგორც კატორღაში, და იმას შესწირე ქვეყნის მოსახლეობა - დედები, ქალები, ბავშვებიო? იმ პატარას რაღა პასუხი გავცე, პატარა კოზეტს, ჩემ მეტი გულშემატკივარი რომ არავინა ჰყავს! ვინ იცის, ამწუთს გალურჯებულია სიცივით იმ ტენარდიეს სახლში. ისიც არამზადა უნდა იყოს, ვიღაც ტენარდიეა; დავივიწყო ეს უბედურები, დავივიწყო ჩემი მათდამი მოვალეობა და ჩემი ვინაობა გამოვაცხადო? ამისთანა სასტიკი სისულელე ჩავიდინო? სულ უარესი

წარმოვიდგინოთ. წარმოვიდგინოთ, რომ სინდისის წინააღმდეგ ვიქცევი, ჩემს ვინაობას ვმალავ. წარმოვიდგინოთ, რომ მქეჯნის სინდისი და აღარ მასვენებს. ჰოდა, მე მოვალე ვარ ავიტანო ეს საყვედური და ჩემს მოყვასთ კი არ ვუღალატო. მარტო მე მხვდება ეს საყვედური, მარტო ჩემს სულს წაწყმედეს ჩემი საქციელი, და თავგანწირვა და სათნოებაც სწორედ აქ არის.

წამოდგა, ისევ სიარული დაიწყო. ამჟამად თითქოს კმაყოფილი იყო.

ალმასი მარტო მიწის ბნელ წიაღში მოიპოვება და ჭეშმარიტება - მარტო ფიქრის სიღრმეში. სწორედ ამ სიღრმეში ვიყავიო, - ეგონა, და დიდი ხნის ხელის ცეცების შემდეგ მივაგენი ალმასს, იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ხელში მიჭირავს და რომელიც თავისი ბრწყინვალებით თვალსა ჭრის.

- ასეა, ასე! - გაიძახოდა კმაყოფილი. - ახლა კი ვიცი, საით წავიდე. გადაწყვეტილება მივიღე და დროა მასზე შევჩერდე. თავი დავანებოთ იმ საქმეს! აღარც ფიქრი გვინდა, აღარც ამ გადაწყვეტილების სინჯვა და ცვლა. ამას მოითხოვს ქვეყნის კეთილდღეობა და არა ჩემი. მადლენი ვარ, მადლენად ვრჩები. ვაი იმას, ვინც ჟან ვალჟანია! მე ჟან ვალჟანი აღარა ვარ. არც კი ვიცნობ იმ კაცს, არც კი ვიცი, ვინ არის და რა არის. თუ დღეს არის ვინმე ჟან ვალჟანი, მან თვით იზრუნოს თავის თავზე! ჩემი საქმე არ არის! საბედისწეროა ეს სახელი, დაძრწის ღამის წყვდიადში და ვაი მას, ვისაც ის დაეცემა! მე შორს ვიდგები!

ბუხრის თავზე, პატარა სარკეში ჩაიხედა და წამოიძახა:

- ძლივს! როგორ დამამშვიდა ამ გადაწყვეტილებამ! სული ჩამიდგა მკვდარს!

ცოტა ხანს კიდევ იარა და უცბად გაჩერდა.

- ძლივს, მაგრამ რაკი გადაწყვეტილი მაქვს, აღარც ყოყმანი მინდა. უნდა მოისპოს ყოველივე, რაც ჩემს წარსულთან მაერთებს. ამ ოთახში არის იმისთანა ნივთები, მუნჯი მოწმენი ჩემი წარსულისა, რომელნიც ყელს გამომჭრიან, ვინმემ თუ დაინახა. უნდა მოისპოს ყოველივე!

ჯიბიდან ამოიღო ქისა, ქისიდან - გასაღები.

კედელს ქაღალდი ჰქონდა გაკრული, მუქი ფერისა. მიუჩვეველი თვალი ვერც კი იპოვიდა კედელში ერთ პატარა ჭუჭრუტანას. იქ შეყო გასაღები და გააღო საიდუმლო სალარო - პატარა განჯინა კედლისა და ბუხრის კუნჭულში. ამ საიდუმლო სალაროში ძველი, გადასაყრელი ტანსაცმლის გარდა, სხვა არაფერი იყო: ლურჯი ტილოს ხალათი, ძველი შარვალი, ძველი გუდა და ერთიც მსხვილი ჯოხი დარკინული თავით და ბოლოთი. ვისაც ენახა ჟან ვალჟანი დინში, 1815 წლის ოქტომბერში რომ გამოიარა, მაშინვე იცნობდა ამ ტანსაცმელს.

შეენახა ეს ტანსაცმელი, როგორც შენახული ჰქონდა ვერცხლის შანდლები, რომ ყოველთვის ხსომებოდა თავისი დასაწყისი. ოღონდ, რაც კატორღიდან გამოჰყოლოდა, ის დამალული ჰქონდა, და რაც ეპისკოპოსისაგან წამოჰყოლოდა, ის თვალწინ ედგა ყოველთვის.

თვალი შეავლო კარს, თითქოს ეშინია, არავინ შემოაღოს დაკეტილიო. მერე ხელი სტაცა განჯინიდან გამოღებულს, ამდენი ხნის განმავლობაში ასე წმინდად და ამასთან თავის სახიფათოდ შენახულს. ზედ არც კი დახედა და გაბრაზებით შეყარა ცეცხლში სულყველაფერი - ხალათიც, ჯოხიც, შარვალიც.

ისევ დაკეტა თავისი საიდუმლო სალარო და, მეტისმეტი სიფრთხილით, რადგან იქ აღარაფერი იყო, ახლა სალაროც დამალა, რაღაც მძიმე ნივთი მიადგა.

რამდენიმე წამის შემდეგ მისი ღია ფანჯრის პირდაპირ ოთახი და კედელი განათებული იყო დიდი ცეცხლის ალით. სწრაფად იწვოდა ყველაფერი, ჯოხს ტკაცანი გაჰქონდა და ნაპერწკალს ისვროდა ოთახის შუამდე.

ტყავის გუდა სავსე იყო ძველი საცვლებით და, რომ დაიწვა, რაღაც დატოვა ნაცარზე ბრჭყვიალა. ვინმე რომ ყოფილიყო და დაღუნულიყო, ვერცხლის ფულს დაინახავდა, ორფრანკიანს. ალბათ ის ფული იყო, პატარა სავოელს რომ მოპარა ჟან ვალჟანმა.

ის ცეცხლს არ უყურებდა, ბოლთასა სცემდა ჩაფიქრებული.

უცბად თვალში ეცა ორი შანდალი, რომლებიც ცეცხლის სინათლეს გაენათებინა ბუხრის თავზე.

- აი, დასწყევლა ღმერთმა, - წამოიძახა გაჯავრებით, - აგერ ისევ აქ არის მთელი ჟან ვალჟანი. ესეც უნდა მოისპოს.

და ხელი წაავლო ორივეს.

ბუხარში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ცეცხლი ენთო, საჩქაროდ რომ დაედნო და ვერცხლის ზოდად გარდაექმნა ორი შანდალი.

დაიხარა, ხელებს ითბობდა. სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა თავს.

- რა კარგია ეს ცეცხლი!

შანდლით შეანძრია ნაკვერჩხალი.

რამდენიმე წამის შემდეგ ორივე შანდალი ცეცხლში იყო.

რაღაც მოეჩვენა ამ დროს. ხმა მოესმა, გულიდან გამოძახილი:

- ჟან ვალჟან, ჟან ვალჟან!

ყალყზე დაუდგა თმა. იმ კაცს ჰგავდა შეშინებული, რომელსაც რაღაც საშინელისათვის მიუგდია ყური.

- აგრე, აგრე! ბოლო მოუღე! - უბრძანებდა ის ხმა, - დაასრულე, რაც დაიწყე! მოსპე ეგ შანდლები! მოსპე ეგ სახსოვარი! დაივიწყე ეპისკოპოსი! დაივიწყე სულყველაფერი! დაღუპე შანმატიე! აგრე! მაგაზე უკეთესი რაღა იქნება? ტაში დაუკარ შენს სათნოებას! მაშ აგრე, გადაწყდა: ერთი უბედური, მოხუცებული, რომელმაც ჯერაც არ იცის, რა უნდათ მისგან, რომელსაც იქნებ არავითარი ბოროტება არ ჩაუდენია, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, და მხოლოდ შენი სახელის მსხვერპლი გამხდარა, შენს სახელს არქმევენ, შენადა სცნობენ, შენ ნაცვლად სჯიან და აიძულებენ თავისი დღენი შერცხვენილად დალიოს. ძალიან კარგი! შენ კი, შენ პატიოსან კაცად დარჩი! ბატონ მერად, პატივსაცემად და პატივცემულად, გაამდიდრე ქალაქი, ასაზრდოვე გაჭირვებულნი, გაზარდე ობლები, იყავ ბედნიერი, კეთილისმყოფელი, თაყვანცემული და სწორედ იმ დროს, როდესაც აქ დიდებით იქნები გაბრწყინებული, ვიღაც იქნება განწირული, რომელსაც შენი კატორღის ხალათი ეცმევა, შენი სახელი ერქმევა იმ სიბილწეში და შენს ჯაჭვს ატარებს იმ წამებაში. ძალიან კარგი! მშვენივრად მოაწყვე საქმე! ოჰ, არამზადავ!

წურწურით სდიოდა შუბლიდან ოფლი, დაღვრემილი თვალი ვეღარ მოეშორებინა შანდლებისთვის. მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდა სათქმელი მისი გულიდან მოლაპარაკეს და განაგრძო:

- ჟან ვალჟან! დიდი ხმა გაგივარდება ხალხში. შენს ქებასა და კურთხევაში იქნება ქვეყანა. ერთადერთი ხმა იქნება შენი მაწყევარი და იმასაც ვერავინ გაიგებს. ჰოდა,

ყური მიგდე, ფლიდო! ხალხის მიერ შენი ქება და კურთხევა დედამიწას ვერ ასცდება და იმ ერთი მაწყევარის გმინვა კი ღმერთამდე მიაღწევს!

ჯერ სუსტად ისმოდა ეს ხმა, რომელიც მისი სინდისის ბნელი წიაღიდან გამოდიოდა; მერე უფრო და უფრო მძლავრად გაისმა და შიგ ყურში სცემდა. გრძნობდა, რომ მისგანვე მოდიოდა ეს ხმა. მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც იყო იქ, მის გარეთ და ის უტევდა. ისე მკაფიოდ გაიგონა უკანასკნელი სიტყვები, რომ შეშინებული თვალი მოავლო ოთახს - ხომ არავინ შემომეპარაო.

- არის აქ ვინმე? - შეჰყვირა განცვიფრებულმა.

მერე სიცილი წასკდა, რომელიც იდიოტის სიცილს ჰგავდა და თქვა: - რა სულელი ვარ! ვინ უნდა იყოს!

ვიღაც იყო ოთახში, მაგრამ ის იყო, რომლის თვალით დანახვა არ ძალუძს ადამიანს.

შანდლები ბუხრის თავზე დადგა.

ისევ სიარული დაიწყო მწუხარე, მგლოვიარე ადამიანის ნელი ნაბიჯით, რომელიც ქვემო ოთახში მძინარეს სიზმარს ურევდა და ხშირად აღვიძებდა.

შვებას აძლევდა ეს სიარული, და თანაც აბრუებდა. ისე იქცევა ხანდახან ადამიანი, დიდ სულიერ ბრძოლას რომ განიცდის, თითქოს უნდა დაიძრას, რომ რჩევა ჰკითხოს ყველაფერს, რაც კი წინ შემოეყრება. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ აღარაფერი ახსოვდა თავისი გადაწყვეტილებისა.

ორჯერ თქვა - გადაწყვეტილება მაქვს და ასე მოვიქცევიო, - და ახლა კი საზარლად ეჩვენებოდა ერთიცა და მეორეც. ორი აზრი ჰქონდა, რომლებიც ურჩევდნენ:

- ასე, თორემ დაიღუპებიო, - და ახლა თავის დამღუპველად ხედავდა ერთსაც და მეორესაც. რა საშინელებაა ჩვენი ბედისწერა! როგორ მოხდა, რომ ვიღაც შანმატიე მიიღეს ჟან ვალჟანად? სწორედ იმითი ღუპავდა ბედი, რომ განსაცდელისაგან თავის დასაცავად მონიჭებულად ეჩვენებოდა.

ცოტა ხანი თავის მომავალზე ფიქრს მოანდომა; განაცხადოს თავისი ვინაობა?

ღმერთო ძლიერო! - და საშინელი მწუხარებით წარმოიდგინა ყველაფერი, რაც უნდა მიატოვოს და რაც უნდა ხელმეორედ განიცადოს. მაშ უნდა გამოეთხოვოს ამ კეთილ, წმინდა ცხოვრებას, ნათელს, მადლიანს? უნდა გამოეთხოვოს ხალხის პატივისცემას, პატიოსნებას, თავისუფლებას? ვეღარც მინდორში გაისეირნებს, ვეღარც ფრინველთა მაისის გალობით დატკბება, ვეღარც მოწყალებას მისცემს პატარა ბავშვებს. ვეღარ იგრძნობს სიტკბოებას მადლობისა და სიყვარულისას მის ირგვლივ მყოფ ხალხში. უნდა გამოეთხოვოს ამ სახლს, თვითონ რომ ააშენა, უნდა გამოეთხოვოს თავის ოთახს. ამ წამს მომხიბლავად ეჩვენებოდა აქ ყველაფერი. ვეღარც თავის წიგნებს წაიკითხავს, აღარც ეს თეთრი მაგიდა ექნება საწერად. აღარ ეყოლება თავისი ბებერი მეკარე დედაკაცი, ყავას რომ მოართმევს ხოლმე დილით და ამის მაგივრად - ღმერთო, ღმერთო, - გარს კატორღელები, რკინის საყელური, წითელი ხალათი, ფეხზე ჯაჭვი, დაქანცულობა, საპატიმრო, ტუსაღების ლოგინი, - მთელი ეს საზიზღრობა, უკვე ნაცნობი! მერე ამ ხნის კაცს? მას შემდეგ, რაც იყო? ყმაწვილი ბიჭი იყოს, კიდევ ჰო! მაგრამ დაბერდა კაცი და ახლა შენობით დაელაპარაკება ყველა, ვინც უნდა იყოს, ჯიბეებს გაუსინჯავს მეკარე, ჯოხითა სცემს ზედამხედველი. შიშველ ფეხებზე ჩააცმევენ ნალიან ფეხსაცმელს, დილა-საღამოს

შეუმოწმებენ ფეხის ჯაჭვს, თავისი ყურით გააგონებენ, რომ დაუსახელებენ ცნობისმოყვარეთ: - „ესა? ეს გახლავთ სახელოვანი ჟან ვალჟანი, მერად რომ იყო მონრეილში“; და საღამოს დაქანცული, ოფლში გაწურული უნდა ჩადგეს რიგში, თვალებზე ჩამოფხატული მწვანე ქუდით, კატორღელებთან ერთად წყვილ-წყვილად ავიდეს კიბეზე დასაძინებლად, ზურგში ათისთავის მათრახის ცემით, რა უბედურებაა! რა მომაკვდინებელი წამებაა! ნუთუ ბედისწერაც ისეთივე ულმობელია, როგორც მოაზროვნე ადამიანი და ისევე უდიერი, როგორც ადამიანის გული?

ბევრს ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ეს ფიქრები, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. სხვა რამეზე უნდოდა ფიქრი და თვალწინ უდგა გულსაკლავი დილემა: დავრჩე ავსული სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში დავბრუნდე სულით სპეტაკი?

რა ვქნა, ღმერთო ძლიერო! როგორ მოვიქცე?

დამშვიდდა, როგორც იყო, თავი დააღწია თავის საზარელ ფიქრებს, მიიღო გადაწყვეტილება და ამაოდ ჩაუარა ამოდენა სულიერმა ტანჯვამ. ისევ ისე ერეოდა ფიქრები. იმდენი ძალა აღარა ჰქონდა, რომ კიდევ დაემორჩილებინა და განესაჯა ეს გამოცანა. წამდაუწუმ აგონდებოდა სახელი რომენვილი, ერთი სიმღერა რამდენიმე სიტყვით, რომელიც ოდესღაც გაეგონა, ვეღარ მოეშორებინა ეს სახელი და იძახდა, - პატარა ჭალა უნდა იყოს პარიზთან, სადაც შეყვარებულნი ყვავილების დასაკრეფად დადიან აპრილშიო.

ტანითაც ისევე ბარბაცებდა, როგორც სულით. პატარა ბავშვივით დაბაჯბაჯებდა, რომელმაც ეს-ეს არის ფეხი აიდგა და მარტო დატოვეს.

ახლა დაღლილობას ებრძოდა, ცდილობდა გონება მოეკრიბა და ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, განეხილა ის დილემა, რომელმაც ასე დაღალა და აწამა. გამოაცხადოს თავისი ვინაობა? თუ იყოს თავისთვის ჩუმად? მაგრამ გარკვეულს ვერაფერს ხედავდა. მასაბუთებელი აზრები ერეოდა ერთმანეთში და კვამლივით ქრებოდა ერთად. ერთსა გრძნობდა მხოლოდ საბოლოოდ: რა გადაწყვეტილებაც უნდა მიეღო, სულერთი იყო, რაღაც უნდა მომკვდარიყო ჟან ვალჟანისა; ეს აუცილებელი იყო და ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა აქ დარჩენა, მარჯვნივ წავიდოდა თუ მარცხნივ, აკლდამაში უნდა შესულიყო; სულთაბრძოლას უნდა დასწრებოდა, თავისი ბედნიერებისა და სათნოების სულთაბრძოლას.

ვაი, რომ გადაწყვეტილი ჯერაც არაფერი ჰქონდა! დამშვიდებით დაფიქრება იყო საჭირო და ფიქრი კი გაურბოდა. დაღლის მეტი ვერაფერი უძღვნა ამ ღამის ფიქრმა.

ასე იბრძოდა წყვდიადში ეს ტანჯული სული. ათას რვაასი წლის წინ ამ განწირულებამდე, კიდევ იყო ერთი ადამიანი, რომელშიაც შეერთებულიყო ყოველი სათნოება და ტანჯვა კაცობრიობისა. ისიც ამასავით დიდხანს ცდილობდა მოეშორებინა ათრთოლებული ხელით მიწოდებული საშინელი ფიალა, რომელსაც გაკაშკაშებული ვარსკვლავებით მოფენილ სივრცეში უსაზღვრო წყვდიადი მოჰქონდა.

## თავი მეოთხე
## როგორ გამოიხატება ტანჯვა სიზმარში

სამი დაჰკრა საათმა. ხუთი საათის გამწარებული, თითქმის შეუჩერებლად წინ და უკან სიარულის შემდეგ ღონემიხდილი სკამზე დაეშვა.

იქვე ჩაიძინა და ნახა სიზმარი.

ამ სიზმარმა, როგორც საერთოდ სიზმარმა, თუ ჰქონდა დამოკიდებულება რამე მის სულიერ განცდასთან, მხოლოდ ბნელი და ავბედითი, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა საბრალოზე; იმდენად დიდი, რომ შემდეგში კიდეც დაწერა. თავისი ხელით დაწერილ ქაღალდებში დაეტოვებინა. საჭიროდ მიგვაჩნია სიტყვასიტყვით მოვიყვანოთ აქ ეს წერილი.

როგორიც უნდა იყოს ეს სიზმარი, სრული არ იქნება ამ ღამის ისტორია, თუ ისიც არ ჩავწერეთ. ეს გახლავთ ბნელი წიაღი დაავადებული სულისა.

აი, თვით სიზმარიც. კონვერტზე ეს სიტყვები წერია: წუხელ ეს სიზმარი ვნახე:

„მინდორში ვიყავ, ერთ დიდ პირქუშ მინდორში, სადაც ბალახი აღარასად ჩანდა. ვერ ვარჩევდი, დღე იყო მაშინ თუ ღამე.

ერთად დავსეირნობდით მე და ჩემი ძმა, ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელიც, უნდა გამოვტყდე, არც როდესმე მომგონებია და თითქმის აღარ მახსოვს.

ბაასით მივდიოდით, ხალხს ვხვდებოდით. ერთ ქალზე ვლაპარაკობდით, რომელიც მეზობლადა გვყავდა ოდესღაც. იგი სულ ღია ფანჯარასთან იჯდა და კერავდა. ამ ლაპარაკში რომ ვართ, ვიგრძენით, რომ იმ ღია ფანჯრიდან გადმოსულმა სიცივემ შეგვაურჟოლა.

ხე არსად იყო იმ მინდორში.

ერთმა კაცმა გაგვიარა ახლოს. შიშველ-ტიტველი იყო, ნაცრისფერი და მიწისფერ ცხენზე იჯდა. თმა არა ჰქონდა. თავის ქალა უჩანდა და ზედ ძარღვები. ხელში პატარა წკეპლა ეჭირა. ვაზის წალამივით მოქნილი და რკინასავით მძიმე. ახლოს გაგვიარა და ხმა არ გაგვცა.

ჩემმა ძმამ მითხრა:

- მოდი, ღარტაფით გავიაროთ.

მართლა გამოჩნდა ჩაღარული გზა, სადაც ბუჩქი კი არა, ხავსიც კი არსად ჩანდა. მიწისფერი ედო ყველაფერს, თვით ზეცასაც. რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ და ხმა აღარავინ გამცა, მე რომ ველაპარაკებოდი. მაშინ შევნიშნე, რომ ჩემი ძმა ჩემთან აღარ იყო.

სოფელი დავინახე და იქ შევედი. ეს უნდა იყოს-მეთქი, რომენვილი, - ვიფიქრე.

(რაღა უთუოდ რომენვილი?)

სრულიად არავინ იყო პირველ ქუჩაში, მეორეზე გავედი. იქ გზაჯვარედინზე ერთი კაცი იდგა, კედელზე მიყრდნობილი. იმ კაცსა ვკითხე: - რა ჰქვია ამ ქვეყანას? სადა ვარ? - პასუხი არ მომცა.

ერთი სახლის კარი დავინახე ღია და შიგ შევედი. პირველ ოთახში არავინ იყო, მეორეში შევედი. იმ ოთახის უკან ერთი კაცი იდგა, კედელზე მიყრდნობილი. იმ კაცსა ვკითხე:

- ვის ეკუთვნის ეს სახლი? სადა ვარ? - პასუხი არ მომცა.

სახლთან ბაღი იყო. სახლიდან ბაღში გავედი. ბაღშიც არავინ იყო. პირველი ხის უკან კაცი იდგა. იმ კაცსა ვკითხე: - ვისია ეს ბაღი? სადა ვარ? - პასუხი არ მომცა.

დავიწყე სოფელში ხეტიალი. მივხვდი, რომ ქალაქი იყო. ქუჩებში არავინ ჩანდა. კარი - ყველა გაღებული. ცოცხალი ადამიანი არსად მოჩანდა ქუჩაში, არ იძვროდა ოთახებში, არ დასეირნობდა ბაღში. მაგრამ ყოველი ქუჩის კუთხეში, ყოველი კარის უკან, ყოველი ხის უკან, ერთი კაცი იდგა გაჩუმებული, ერთსა ვხედავდი ყველგან, ორის დანახვა შეუძლებელი იყო, იდგნენ და მიყურებდნენ მიმავალს.

ქალაქიდან მინდორში გავედი. მოვიხედე უკან და დავინახე, რომ უკან უამრავი ხალხი მომდევდა. ვიცანი ის კაცები, რომლებიც ქალაქში ვნახე. უცნაური თავი ჰქონდა ყველას, თითქოს არსად მიეჩქარებოდათ, მაგრამ უფრო ჩქარა მოდიოდნენ, ვიდრე მე. მოდიოდნენ ჩუმად. ოდნავი ხმაც კი ისმოდა და უცბად გარს შემომეხვია ეს ხალხი. სახე მიწისფერი ჰქონდა ყველას.

სწორედ ის კაცი, რომელიც პირველი ვნახე, ქალაქში რომ შევედი და ვკითხე კიდეც - სადა ვარ-მეთქი? - სწორედ ის კაცი მომიახლოვდა და მკითხა: - სად მიდიხართ? ნუთუ არ იცით, რომ მკვდარი ხართ დიდი ხანია?

პირი გავაღე პასუხის გასაცემად და მივხვდი, რომ მარტოდმარტო ვიყავი ტრიალ მინდორში!“

გამოეღვიძა. გაყინულიყო. დილის სუსხიანი ქარი ქროდა და ფანჯრის ჩარჩოს ანძრევდა. ღია დარჩენოდა მადლენს. ცეცხლი ჩამქრალიყო, სანთელი ძლივსღა ბჟუტავდა. ჯერ კდევ ბნელი ღამე იყო.

ადგა, ფანჯარასთან მივიდა. ვარსკვლავი არსად ჩანდა ცაზე.

ფანჯრიდან გადასცქეროდა ქუჩას და ვიღაცის ეზოს. რაღაც ხმაური მოესმა ქვევიდან, ამან მიიპყრო იმის ყურადღება.

ორი პატარა ვარსკვლავი დაინახა თავის ქვემოთ, წითელი, რომლის სხივი ხან გრძელდებოდა, ხან უცნაურად მოკლდებოდა.

ჯერ ისევ თავისი სიზმრის ბურანში იყო, განცვიფრებით წამოიძახა:

- მარტო ზეცაში არა ყოფილა ვარსკვლავები! აგერ აქაც - დედამიწაზე!

მაგრამ ამ დროს ხელმეორედ გაისმა ქვემოდან იგივე ხმაური და ახლა კი გონს მოვიდა. გაიხედა ქუჩაში და დაინახა, რომ ის ვარსკვლავები ორი სანათი იყო პატარა ეტლისა და ახლა ეტლს დააცქერდა. პატარა ტილბური იყო, შიგ თეთრი ცხენი ება. წეღან რომ რაღაც ხმაური მოესმა ქვემოდან, ფეხის ხმა იყო ამ ცხენისა.

- ეს რაღაა ამ შუაღამისას? - იძახდა მადლენი, - ვინ უნდა იყოს, ნეტავი?

ამ დროს კარზე დაუკაკუნეს გარედან.

ჟრჟოლა მოერია თავით ფეხამდე და საშინლად შეჰყვირა:

- ვინ არის?

ვიღაცის ხმა მოესმა:

- მე გახლავართ, ბატონო მერო.

ბებერი დედაკაცის ხმა იცნო, თავისი მეკარისა.

- რაო, რა გინდათ?

- ეტლი მოვიდა, ბატონო.

- რა ეტლი?

- ტილბური.

- რა ტილბური?

- განა ბატონმა მერმა არ დაიბარა ეტლი?

- არა.

- მეეტლე ამბობს, ბატონმა მერმა დაიქირავა ეს ტილბურიო.

- ვინ მეეტლე?

- სკოფლერის მეეტლე.

- სკოფლერისა? - ისე შეაკრთო ამ სახელმა, თითქოს მის თვალწინ ელვას გაენათებინოს.

- ჰოო, სკოფლერისა.

ამ დროს ბებერ მეკარეს რომ დაენახა, ვეღარც კი იცნობდა თავის ბატონ მადლენს.

კარგა ხანი იდგა გაჩუმებული, გაშტერებული. იდგა და თვალს არ აშორებდა მბჟუტავ სანთლის ალს, ცვილს აცლიდა ირგვლივ და თითებით სრესდა. დედაკაცი ელოდა. ბოლოს გაბედა და ერთხელ კიდევ ჰკითხა;

- რა პასუხი გავცე მეეტლეს, ბატონო მერო?

- ცოტა ხანი მოიცადოს. ახლავე ჩამოვალ.

## თავი მეხუთე
## გზის უბედობა

არასსა და მონრეილს შორის ფოსტას იმ დროს დაატარებდნენ პატარა ეტლებით, შიგნიდან წაბლისფერტყავგამოკრული ორთვლიანი კაბრიოლეტებით, რომელშიც ორი კაცი ეტეოდა, მეეტლე და ერთი მგზავრი. ღერძს ორივე მხრიდან გრძელი მორგვი ჰქონდა, რომ სხვა ეტლთან დაჯახება ასცდენოდა. ამგვარ ეტლებს ჯერაც ხმარობენ გერმანიაში.

ფოსტის საზიდავად ამ ეტლს უკნიდან შავად შეღებილი უშველებელი მოგრძო ყუთი ეკრა, კაბრიოლეტი კი ყვითელი იყო.

დღეს ამ ეტლების მსგავსიც აღარ მოიპოვება. იმდენად უშნო და კუზიანი იყო, შორიდან დანახვისთანავე იმ მწერს მოგაგონებდათ, რომელსაც თეთრ ჭიანჭველას უძახიან, მგონი, - ერთი ბეწო ზედატანი აქვს და უზარმაზარი ტანი. მიუხედავად ამისა, ძალიან სწრაფად დადიოდნენ, არასიდან ღამის პირველ საათზე გასული ფოსტა, პარიზიდან მოსული ფოსტის შემდეგ დილის ხუთ საათზე ჩადიოდა მონრეილში.

მონრეილისკენ მიმავალი ფოსტის ეტლი ესდენის გზაზე რომ მიდიოდა, ერთ მოსახვევში, ქალაქის შესასვლელთან, პატარა ტილბურს მოედო, რომელშიც თეთრი ცხენი ება და ერთი კაცი იჯდა, წამოსასხამში შეფუთვნილი. ფოსტის ღერძის მორგვი ტილბურის თვალს მოხვდა და ძალიანაც უნდა დაეზიანებინა. ბევრი უყვირა ფოსტის მეეტლემ, მაგრამ ვერ გააგონა ქალაქიდან ტილბურით მიმავალ მგზავრს, რომელსაც ჭენებით მიჰყავდა თავისი ეტლი.

- რა ძალიან ჩქარობს, ვიღაც არის, - თქვა მეეტლემ და თავის გზას გაუდგა.

ასეთი სიჩქარით მიმავალი მგზავრი ის იყო, რომელმაც საშინელი სულისკვეთებით გაათენა ღამე და ჯერაც არ იცოდა, რას აპირებდა, ან რას იზამდა. სად მიდიოდა, თვითონაც ვერ გეტყოდათ. რად მიაჭენებდა ასე ცხენს, არც ეს იცოდა. გზას მისდევდა, რაც იქნებოდა, იქნებოდა. გზა არასისკენ მიდიოდა, მაგრამ იქნება სხვაგანაც მიეშურებოდა! თვითონვე გრძნობდა, რომ ასე საალალბედოდ საქმის მიგდება შეუძლებელი იყო და კანკალი ერეოდა. ამ ღამისთვის მიენდო თავი და შიგ ისე იფლობოდა, როგორც უფსკრულში. რაღაც აჩქარებდა, რაღაც იყო, რომ თავისკენ იზიდავდა. რა სულიერ ძრწოლას განიცდიდა, ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ ყველა მიხვდება. ვინ იქნება, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ ჩავარდნილიყო გაჭირვებული ამ სიბნელით მოცულ მომავლის უფსკრულში!

ცუდი ის იყო, რომ არაფერი ჰქონდა გადაწყვეტილი, საბოლოოდ დადგენილი, გათვალისწინებული; არაფერი ჰქონდა გარიგებული. არც ერთი მრწამსი მისი სულისა

არ ჰქონდა სახელმძღვანელოდ მიღებული. ისევ ისე ერეოდა ფიქრები, როგორც პირველ წამს, ჟავერის წასვლის შემდეგ.

რად მიდიოდა არასში?

იმასვე იმეორებდა, რასაც ფიქრობდა, სკოფლერის ეტლი რომ დაიქირავა: რომ არავითარი საშიშროება არ მოელის, კიდეც რომ შევიდეს სასამართლოს დარბაზში. შევა, თავისი თვალით ნახავს, თვითონვე განსჯის საქმეს, რომ კეთილგონიერება მოითხოვს ამას. ხომ უნდა იცოდეს, როგორ წარმოებს საქმე; ან რა უნდა გადაწყვიტოს, რა დადგენილება მიიღოს, თუკი თვით საქმე არ ეცოდინება! თვითონ შანმატიესაც ნახავს. დარწმუნდება, რომ არამზადაა, ბიწიერების ნაყოფი და საბოლოოდ მოიშორებს სინდისის ქეჯნას, რადგან თავის წილ კატორღაში ადამიანს კი არა, ვიღაც უკეთურსა გზავნის, ხალხის მტერს და წამრყვნელს. მართალია, ჟავერიც იქ იქნება, ბრევეც, შენილდიოც და კოშპაილიც, ძველი კატორღელი ამხანაგები, მაგრამ აქაც არაფერია საშიში. ჟავერს ჟან ვალჟანად შანმატიე ჰყავს წარმოდგენილი და ადამიანი რომ დააჯერებს თავს რამეში, ისე გაჯიუტდება, ღმერთიც ვეღარ გადაათქმევინებს. ამ მხრივ საშიში არაფერია. ძველი კატორღელები? აბა, რაღას იცნობენ, ისეა გამოცვლილი.

ეჭვი არ არის, ძალიან გაბედულებას იჩენს, მაგრამ გადარჩება, ბოლოს და ბოლოს, ავი იყო თუ კარგი იმისი ბედი, თვით ეჭირა ხელში და თვით იყო თავისი ბედის გამძღოლი და ბატონ-პატრონი.

მაგრად ებღაუჭებოდა ამ ფიქრს, მაგრამ გრძნობდა, რომ უკეთესი იქნებოდა, არ წასულიყო არასში.

გრძნობდა და მაინც მიდიოდა.

ამ ფიქრებში იყო გართული, ცხენს აჩქარებდა. მართლა კარგი ცხენი ჰყავდა და თითქმის ათ კილომეტრამდე გაიარა საათში.

რაც უფრო წინ მიდიოდა იმისი კაბრიოლეტი, მით უფრო მეტად გრძნობდა გულში რაღაცას, რაც სულ უკან და უკან სწევდა.

დიდ მინდორში იყო, რომ ინათა. მონრეილი შორს დარჩა, უკან, უყურებდა ჰორიზონტს, რომელსაც ნელ-ნელა ეცლებოდა ღამის სიბნელე; უყურებდა ზამთრის დილის ცივ სურათს, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. დილასაცა აქვს თავისი ჩრდილები, როგორც საღამოს. ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ შეუმჩნევლად, განსაკუთრებული, თითქმის ფიზიკური წვდომის წყალობით, ხეებისა და ბორცვების შავი აჩრდილი მწუხარებას ჰმატებდა მის დაწყლულებულ გულს.

გზის პირას სახლებს რომ გაუვლიდა ხოლმე, გაიფიქრებდა - ნეტავი ამათ, რომ ტკბილად სძინავთო.

ცხენის ფეხის ხმა, ზარის წკრიალი, თვლების გრიალი, რაღაც გაბმულ ბგერას ქმნის, საამოსა და ტკბილს, როდესაც მხიარულია მგზავრი და გულისგამაწყალებელს, როდესაც დაღონებულია.

უკვე დღე იყო, ესდენში რომ მივიდა. ერთ დუქანთან გაჩერდა, რომ ცხენისთვის შვრია ეჭმია და დაესვენებინა.

მართალი უთხრა სკოფლერმა, ბულონური ცხენი იყო, პატარა, დიდთავა, გამობერილი მუცელი ჰქონდა, მოკლე კისერი, მაგრამ ღონიერი მკერდი, ღონიერი გავა და წვრილი, მაგარი ფეხი; უშნო იყო, მაგრამ ღონიერი და გამძლე. ოცამდე კილომეტრი გაიარა ორ საათში და სულ არ გაოფლიანებულა.

მადლენი არ ჩამოსულა ეტლიდან. შვრია მიუტანა მეჯინიბემ, ცხენს დაუდგა პატარა გობით და მარცხენა ბორბალს დაუწყო სინჯვა.

- შორს მიბრძანდებით, ბატონო?

მადლენი თავის ფიქრებით იყო გატაცებული და კითხვითვე უპასუხა:

- რად გაინტერესებთ?

- შორიდან მობრძანდებით?

- ოცი კილომეტრია აქედან.

- ეჰ!

- რად იძახით ემაგ ეჰ-ს?

ბიჭი დაიღუნა, ბორბალს სინჯავდა გაჩუმებული. მერე წამოიწია და თქვა:

- რად ვიძახი? ოცი კილომეტრი გამოიარა ამ თვალმა, ეგ შეიძლება, მაგრამ აქედან კილომეტრის მეოთხედსაც ვეღარ გაუძლებს.

მაშინვე გადმოხტა ტილბურიდან ჟან ვალჟანი.

- რა თქვით, მეგობარო, რაო?

- იმას მოგახსენებთ, რომ სასწაულია. ამ გატეხილმა თვალმა ოცი კილომეტრი როგორ გამოიარა და არსად ჩაგაგდოთ თხრილში. აბა, შეხედეთ.

მართლაც ძალიან დაზიანებული იყო ბორბალი. ფოსტის ეტლს რომ მოედო, ორი ხიდი გასტეხოდა და მორგვი დაეზიანებინა, ისე, რომ ფამფალებდა.

- აქ არავინ არის, რომ გამიმაგროს? - ჰკითხა მეჯინიბეს.

- როგორ არა, ბატონო.

- ძალიან დამავალებთ, თუ მომიყვანთ.

- აქვე გახლავთ, ორი ნაბიჯიც არ არის, ოსტატი ბურგაიარი.

ბურგაიარი იქვე იდგა, თავის კართან. მივიდა, გასინჯა ბორბალი და ისე დაიღრიჯა, როგორც ქირურგი, რომელიც მოტეხილ ფეხს უსინჯავს კაცს.

- გამიკეთებთ ამას, ოღონდ საჩქაროდ?

- დიახ, ბატონო.

- როდის გამისტუმრებთ?

- ხვალ.

- რაო, ხვალაო?

- დიახ, ბატონო. მთელ დღეს ამას მოვუნდები. ძალიან გეჩქარებათ?

- ძალიან, ერთი საათის შემდეგ გზას უნდა გავუდგე.

- შეუძლებელია, ბატონო.

- გადაგიხდით, რამდენსაც მომთხოვთ.

- შეუძლებელი გახლავთ.

- მაშ, ორი საათი იყოს.

- დღეს ამის გაკეთებას ვერ მოვრჩები. ორი ხიდი გახლავთ შესაკეთებელი და მორგვი. ხვალ დილაზე ადრე ვერ წაბრძანდებით.

- ხვალამდე ვერ მოიცდის ჩემი საქმე! განა არ შეიძლება, შეკეთებას თავი დავანებოთ და ეს ბორბალი გამოვცვალოთ?

- როგორ გამოვცვალოთ?

- თქვენი ხელობა ეტლების კეთებაა, არა?

- დიახ, ბატონო.

- თუ გაქვთ ერთი ბორბალი, მომყიდეთ და ახლავე წავალ.

- ეს გამოვცვალოთ?

- ჰო, გამოვცვალოთ.

- კი მაგრამ, მე რომ გაკეთებული ბორბლები მზად არა მაქვს? ბორბლები წყვილი უნდა იყოს. ასე ადვილად კი არ მიუდგება ერთმანეთს.

- მაშ ერთი წყვილი მომყიდეთ.

- ყველა ხომ არ გამოდგება, ბატონო?

- მაინც ვცადოთ.

- ამაოდა ვცდით, ბატონო. მე ურმის თვლები მაქვს. სოფელში მარტო იმასა აქვს გასავალი.

- იქნება კაბრიოლეტი გქონდეთ რამე და მომაქირაოთ?

ეტლის გამკეთებელი დიდი ხანია მიხვდა, რომ ტილბური ამ მგზავრს დაქირავებული ჰქონდა და მხრები აიჩეჩა:

- არც ძალიან გაფრთხილება გცოდნიათ, ბატონო, დაქირავებული ეტლისა. მე არ მოგაქირავებდით, კიდეც რომ მქონოდა.

- მაშ მომყიდეთ.

- არა მაქვს, ბატონო.

- როგორ, არაფერი არა გაქვთ ჩასაჯდომი? რაც უნდა იყოს, ფასზე ლაპარაკს არ დაგიწყებდით.

- მიყრუებულ სოფელში გახლავართ, ბატონო, ერთი ძველი ეტლი მიდგას ფარდულში, ქალაქელი ბურჟუისა გახლავთ; მომაბარა და ყოველი თვის ოცდაექვს რიცხვში აქა ბრძანდება. თუ გნებავთ, იმას მოგართმევთ, რა მენაღვლება. მაგრამ ისე უნდა ჩახვიდეთ ქალაქში, რომ ბურჟუამ არ დაინახოს. იცოდეთ, ორი ცხენი დაგჭირდებათ.

- ფოსტის ცხენებს მოვითხოვ.

- სად მიბრძანდებით, ბატონო?

- არასში.

- და დღესვე გნებავთ იქ ჩასვლა?

- დიახ, დღესვე.

- ფოსტის ცხენებით?

- რაო, გაუჭირდებათ?

- ამაღამ ოთხზე რომ ჩახვიდეთ?

- გვიან იქნება.

- საქმე ის არის, რომ ფოსტის ცხენებით... პასპორტი თანა გაქვთ, ბატონო?

- დიახ.

- ფოქსის ცხენებით, ბატონო, არასში ხვალ ჩახვალთ, ჩვენ აქ მებოძირში გახლავართ. ფოსტის სადგურებსაც ძალიან უჭირთ და სამი-ოთხი საათის ლოდინი დაგჭირდებათ ყველგან, ვდრე თქვენი რიგი მოვა. გარდა მაგისა, ფოსტის ცხენმა გაჭენება არ იცის, მიდის თავისთვის ნელი ნაბიჯით. ახლა აქაური აღმართებიც მიიღეთ მხედველობაში.

- მაშ, ცხენით წავალ. გამოუშვით ჩემი ცხენი. ერთ უნაგირს ვერავინ მომყიდის?

- რატომ არა, მაგრამ უნაგირს ხომ არ იუცხოებს ეს ცხენი?

- ოჰ, კიდევ კარგი, რომ მომაგონეთ! არა, მაგით ვერ წავალ.

- მაშ?..

- ერთ ცხენს როგორ ვერ ვიშოვი სოფელში?

- რომ არასში ჩაგიყვანოთ დღესვე?

- დიახ.

- აქ მაგნაირ ცხენს ვერსად იშოვით. ქირით არ მოგცემენ, არ გიცნობენ. მაშ, უნდა იყიდოთ. ოღონდ ვერც ქირით იშოვით აქ ცხენს, ვერც ყიდვით, ხუთასი ფრანკი, ათასიც რომ მისცეთ.

- მაშ, რა ვქნა?

- ერთადერთი საშუალება გახლავთ, ხვალამდე გადადოთ თქვენი მგზავრობა. მეც ახლავე შევუდგები ამ თვალის შეკეთებას.

- ხვალ გვიანღა იქნება.

- არ ვიცი სწორედ, რით დაგეხმაროთ.

- იქნება ფოსტა იყოს არასში მიმავალი. როდის გამოივლის?

- ხვალღამ, ბატონო. ღამით დადის ორივე ფოსტა, ჩვენკენ მომავალიც და ჩვენგან მიმავალიც.

- მაშ, ერთი დღე დაგჭირდებათ ამ ბორბლის შესაკეთებლად?

- მთელი დღე, დიახ.

- ორი კაცი რომ მუშაობდეს?

- თუნდ ათი იყოს, ეგ სულერთია.

- თოკებით რომ დაგვემაგრებინა ხიდები?

- ხიდების შეკვრა შეიძლება, მორგვისა კი არა. გარდა ამისა, ფერსოც წამხდარი გახლავთ.

- არის ვინმე, ეტლებს რომ აქირავებდეს?

მეჯინიბემ და ეტლების მკეთებელმა ერთად შესძახეს თავის ქნევით:

- არა.

უსაზღვრო სიხარული მოერია ამ დროს ჟან ვალჟანს.

ცხადია, ღვთის განგება ერეოდა საქმეში. ის იყო, ის, ტილბურის ბორბალი რომ წაუხდინა და ახლა გზაში აჩერებდა. ღვთის განგება იყო! ის კი მაინც თავისას ცდილობდა, არ ემორჩილებოდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, გზა რომ გაეგრძელებინა. გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად სცადა ყოველი საშუალება; არც ზამთარს შეუშინდა, არც დაღლას, არც ხარჯს; ვერაფერს უსაყვედურებდა თავისი სინდისი და თუ ვეღარ მიდიოდა, ეს თავისი ბრალი არ იყო, არც თავისი შეცდომა. ღვთის განგებით ხდებოდა.

ძლივს ამოისუნთქა. გულიანად ამოისუნთქა, თავისუფლად, პირველად მას შემდეგ, რაც ჟავერი იყო მასთან. გულზე ლოდივით აწვა საშინელი რკინის ხელი ვიღაცისა, სულს უხუთავდა მთელი დღე და ღამე და ძლივს, ძლივს იგრძნო, რომ ეს ლოდიც მოხსნეს და გულიანად ამოისუნთქა.

„ახლა კი ჩემთან არის ღმერთიო, - ფიქრობდა, - ჩემსკენ არის და ხელს მიმართავსო“.

ყოველი ღონისძიება იხმარა, რაც კი შეიძლებოდა და რაკი ვერაფერი გააწყო, ერთიღა დარჩენოდა - უკან დაბრუნებულიყო და მოესვენა.

ეტლების გამკეთებელს რომ ელაპარაკებოდა, შენობაში რომ ყოფილიყვნენ სადმე, ოთახში, მათ ბაასს ვერავინ გაიგონებდა, ყველაფერი მათ შორის დარჩებოდა და შეიძლება ისე დატრიალებულიყო საქმე, რომ აღარც გვქონოდა საფუძველი იმ

ამბის თხრობისა, რასაც ამის შემდეგ ნახავს მკითხველი, მაგრამ ბაასი ქუჩაში იყო. ქუჩაში ბაასი მაშინვე იპყრობს სოფლელების ყურადღებას და ხალხიც გროვდება. ყველგან და ყოველთვის არის, და მრავლადაც, იმისთანა კაცი, რომელსაც მაყურებლად ყოფნა უყვარს. ისინი რომ ლაპარაკობდნენ, გამვლელ-გამომვლელი რამდენიმე კაცი გაჩერდა მათთან, ყური მიუგდეს. სხვათა შორის, ერთი ბიჭიც ერია ამ მაყურებელში. ცოტა ხანი იდგა, ყურს უგდებდა და მერე მოკურცხლა.

და სწორედ იმ დროს, როდესაც მგზავრმა სიხარულით განიზრახა უკან დაბრუნება, უკან მომავალი ის ბიჭი დაინახა. თან ბებერი დედაკაცი მოსდევდა.

- ჩემი ბიჭი მეუბნება, ბატონო, ეტლის დაქირავება ნებავთო.

ამ უბრალო სიტყვამ ჭირის ოფლში გაწურა ჩვენი მგზავრი. ისევ გულზე დააწვა ის ტლანქი ხელი, რომელიც მძიმე ლოდივით უხუთავდა სულს. აჩრდილი იგრძნო ზურგს უკან, რომელსაც არა და არ უნდოდა თავისი მსხვერპლის ხელიდან გაშვება.

მაინც გასცა პასუხი:

- დიახ, ჩემო კეთილო, ეტლს ვეძებ საქირაოდ.

და თვითონვე დაუმატა:

- მაგრამ აქ ეტლი არავისა ჰქონია.

- მე მაქვს, ბატონო.

- განა სადა გაქვს? - მივარდა ეტლების გამკეთებელი.

- შინ მიდგას, ეზოში.

აკანკალდა მადლენი. ვერა, ვერსად წაუვიდოდა თავის ბედისწერას.

ბებერ დედაკაცს მართლა ჰქონია ეზოში ერთი ძველი, პატარა ეტლი, ტირიფის წნელით დაწნული. ეტლების მკეთებელს საქმე ეცლებოდა ხელიდან, მეჯინიბეს - მუშტარი და ახლა ისინი ჩაერივნენ ლაპარაკში:

- ეტლი კი არა, ბატონო, გოდორია თვლებზე შედგმული, თავღია, დაჟანგული ღერძი და თვლები აქვს. ეს გატეხილი ტილბური უფრო მეტს გაივლის, გარწმუნებთ. გზაში სადმე დარჩებით, ბატონო, ამ ბნელ ღამეში და სხვ. და სხვ.

მართალი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ რაღაცა ეტლი მოიპოვებოდა, ღერძი ჰქონდა, თვლებზე იდგა, შიგ ჩაჯდომა შეიძლებოდა და არასში მისვლა.

დაიქირავა, მისცა, რაცა სთხოვეს, ტილბური იქვე დატოვა გასაკეთებლად.

- გამოვივლი და მზად გქონდესო, - შეაბმევინა თეთრი ცხენი, ჩაჯდა და გამოეთხოვა იქაურობას.

დაიძრა იმისი ახალი ეტლი და აღიარა მგზავრმა, რომ სიხარულით აევსო გული, როდესაც ნახა, რომ მთელი დღე დასჭირდებოდა ტილბურის შეკეთებას და სხვა ეტლიც არავის ჰქონდა. გაბრაზებით ჩაუფიქრდა ამ სიხარულს და ინანა, უაზრობად ეჩვენა. ან რატომ უნდა დაბრუნებულიყო. საჭირო იყო და მიდიოდა, თვითონ მიდიოდა, თავისი ნებით, ძალას კი არავინ ატანდა.

ტყუილად ღელავს, - ისეთი არაფერი მოხდება, რაც მას არ უნდა. ესდენიდან რომ გადიოდა, ვიღაცის ხმა მოესმა:

- შეჩერდით, შეჩერდით!

უცბად შეაყენა ცხენი, რაღაც აღძრული იმედის სიამოვნების გრძნობით.

პატარა ბიჭი იყო, ბებერი დედაკაცი რომ მოუყვანა.

- ეს ეტლი მე დაგაქირავებინეთ, ბატონო.

- მერე, რაო?

- იქნება მიბოძოთ რამე?

ყოველთვის სიამოვნებით აძლევდა, ყველას და უხვად, აქ კი თავხედობად ეჩვენა პატარა ბიჭის თხოვნა, საზიზღრად, და შეუტია:

- შენა ხარ, შე ურცხვო? გასწი, გამეცალე!

დაჰკრა ცხენს და წავიდა.

ბევრი დრო დაკარგა ესდენში და მით უფრო მიეჩქარებოდა. კარგი რამ იყო პატარა ცხენი და ძალიანაც ეწეოდა ახალ ეტლს: მაგრამ თებერვალი იდგა, წინა დღით ეწვიმა, საძაგელი იყო გზა და პატარა ტილბურის მაგივრად კაი სიმძიმის ძარი ჰქონდა საზიდი. ამას მიუმატეთ ხშირი აღმართი.

თითქმის ოთხი საათი იარა ესდენიდან სენ-კოლამდე, ოთხი საათი მოანდომა ოცი კილომეტრის გავლას.

სენ-პოლში პირველსავე დუქანთან დააყენა, ცხენი გამოაშვებინა და თავლაში შეჰყვა. იქვე იდგა, როგორც დაჰპირდა სკოფლერს და თვალი ეჭირა, რომ ცხენისთვის შვრია ეჭმიათ. დაღონებული იყო თავისი გამოურკვეველი ფიქრებით.

მედუქნის ცოლი შევიდა თავლაში.

- საუზმეს არ მიირთმევთ, ბატონო?

- კიდევ კარგი, რომ მომაგონეთ. მერე როგორ მშია!

გაჰყვა მედუქნის ცოლს. ყმაწვილი დედაკაცი იყო, მხიარული სახისა. ერთ დაბალ ოთახში შეიყვანა. მაგიდებზე სუფრის მაგივრად მუშამბა იყო გადაფარებული.

- აბა, ჩქარა! - სთხოვა მადლენმა, - ძალიან მეჩქარება და ახლავე წავალ.

ერთმა ზორბა ფლამანდიელმა გოგომ მიართვა დანა-ჩანგალი. კმაყოფილებით შესცქეროდა ამ გოგოს გულდამშვიდებული მადლენი.

- მშიოდა და ეს მაწუხებდა. გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია.

საუზმე მიართვეს. ეეცა პურს, მოკბიჩა დიდი ლუკმა, მერე აუჩქარებლად დადო თეფშზე და ხელი აღარ ახლო.

ერთი მეეტლე იჯდა იქვე, მეორე მაგიდასთან და იმას ჰკითხა:

- რატომ არის ასე მწარე ეს პური?

მეეტლე გერმანელი იყო და ვერ გაიგო.

მადლენი ისევ თავლაში შევიდა თავისი ცხენის სანახავად.

ერთი საათის შემდეგ სენ-პოლიდან ტანკისკენ გაემართა; ოცი კილომეტრიღა დარჩენოდა ტანკიდან არასამდე.

რა გუნებაზე იყო გზაში? რას ფიქრობდა? ჩაფიქრებული, დაღვრემილი გაჰყურებდა იქაურობას. ხეები, ჩალის ბანები, დამუშავებული ბაღები, მინდორი გაურბოდა თვალწინ და წამდაუწუმ იცვლებოდა სურათი. სულ ახალ-ახალი სანახაობა ეშლებოდა მგზავრს; ამგვარი ჭვრეტა არის, რომ ხანდახან აკმაყოფილებს სულს და თითქმის სრულიად ათავისუფლებს ფიქრისგან. ათასი რამ გაურბოდა თვალწინ, მადლენი გრძნობდა, რომ შესაძლებელი იყო კვლავ აღარც კი ღირსებოდა ამის ნახვა. რომ მგზავრობს კაცი, ხან კვდება და ხან ისევ ჩნდება ყოველწამს. იქნებ კიდეც ადარებდა ამ ცვალებად ჰორიზონტს ადამიანის სიცოცხლეს. სწორედ ასევე მარად თვალწინ გაურბის ადამიანს ყველაფერი, რაც კი გააჩნია. ერთმანეთში ერევა ბნელი და ნათელი. თვალის დამაბრმავებელი სინათლის შემდეგ წყვდიადი! ხარბად შევყურებთ ხელგაწვდილნი, გვინდა ხელი ვტაცოთ, რაც ასე გაგვირბის. ყველა შემთხვევა ჩვენი სიცოცხლისა გზის მოსახვევია, სხვა არაფერი. შეჰყურებთ ამ გზას და

უცბად - მოხუცებულხართ. რაღაც შეგარყევთ მაგრად, წყვდიადის მეტს ვეღარაფერს ხედავთ და ამ წვდიადში - ერთ შავ კარს. აქ ჩერდება თქვენი სიცოცხლის ცხენი, ასე რომ მიგაჭენებდათ, და აქვე ხედავთ ვიღაც უცნობს, პირბადიანს, რომელიც უნაგირსა ხდის თქვენს ცხენს.

უკვე ბინდდებოდა, სკოლიდან მომავალმა ბავშვებმა რომ დაინახეს ტანკში ჩვენი მგზავრი. ჯერ ისევ მოკლე დღეები იყო ზამთრისა, ტანკში არ შეჩერებულა. სოფლიდან რომ გადიოდა, ერთმა გზის მუშამ, გზაზე ქვას რომ ასწორებდა, წამოიწია და დაიძახა:

- ოჰ, რა ძალიან დაღლილა ეს ცხენი!

მართლა არაქათგამოლეული იყო თეთრი ცხენი.

- არასში მიბრძანდებით? - ჰკითხა მუშამ.

- დიახ.

- თუ მასე იარეთ, ძალიან დაიგვიანებთ.

ცხენი დააყენა მადლენმა და ჰკითხა:

- რამდენიღა არის აქედან არასამდე?

- ოცდაათ კილომეტრამდე იქნება.

- როგორ, რა ვქნა? ფოსტის ცნობებით რომ სულ ოცი ითვლება?

- ჰოო, მაშ არა გცოდნიათ, გზა აშლილია და მუშები ადგანან შესაკეთებლად. ცოტას ჩაივლით და ნახავთ, რომ შეუძლებელია ამ გზაზე გავლა.

- მერე მე?

- თქვენ მარცხნივ შეუხვევთ, კარანისკენ მიმავალ გზაზე, წყალს გახვალთ. კანმლენში რომ მიხვალთ, იქიდან მარჯვნივ მონსენტ-ელუის გზა მიგიყვანთ არასში.

- ამ სიბნელეში გზას როგორ გავიგნებ?

- აქაური არა ბრძანდებით?

- არა.

- დიახ, იქნება ვერც კი გაიგნოთ. რა მოგახსენოთ, იცით? ნება მიბოძეთ, ცოტა რამ გირჩიოთ. თქვენი ცხენი მეტად დაქანცულია და ტანკში რომ დარჩეთ, ის ემჯობინება. კარგ დუქანში მიხვალთ, კარგად მოისვენებთ და ხვალ არასიც იქვე დაგხვდებათ.

- ამაღამ უთუოდ უნდა ჩავიდე.

- ეგ სხვაა. მაშინ მაინც დუქანში მიბრძანდით და ერთი ცხენი კიდევ მიაშველეთ თქვენს თეთრს. დუქნიდან ბიჭი წაიყვანეთ, რომ გზა არ დაგეკარგოთ.

ჭკუაში დაუჯდა ეს სიტყვა, უკან გაბრუნდა და ნახევარი საათის შემდეგ იქვე გაიარა, სადაც ამ მუშას ელაპარაკებოდა, ოღონდ ორი ცხენი ება ეტლში და კოფოზე მეჯინიბე იჯდა, რომელსაც ფოსტის მოხელეედ მოჰქონდა თავი.

ხედავდა, რომ იგვიანებდა, მაგრამ რას იზამდა?

ამასობაში მთლად ჩამოღამდა.

გზატკეცილიდან მარცხნივ გადაუხვიეს საძაგელ გზაზე, ერთი ღრანტიდან მეორეში ვარდებოდა ეტლი. მეეტლეს უთხრა წასაქეზებლად:

- კარგად გარეკე და ერთიორად გადაგიხდი.

სადღაც ჩავარდა ეტლი და საბმური გატყდა.

- საბმური გაგვიტყდა, ბატონო, - უთხრა კოფოზე გამოჭიმულმა ბიჭმა. - არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ შევაბა ცხენი. საშინელი რამ არის ეს გზა ღამით. ახლა რომ ტანკში გავბრუნდეთ და კარგად მოვისვენოთ, ხვალ ადრიანად ჩაგიყვანდით არასში.

პასუხად მიიღო:

- პატარა თოკი ხომ არა გაქვს და დანა?

- მაქვს, ბატონო.

ტოტი მოსჭრა ხეს, საბმური გათალა.

ოცი წუთი მოანდომეს ამას, მაგრამ მაინც წინ წავიდნენ.

მოქურუშებული იყო ცა. ძირს ეშვებოდა ღრუბელი, ბორცვებს ეთამაშებოდა, - ხან თავს ევლებოდა, ხან ისევ გაურბოდა. ზღვიდან ძლიერი ქარი ქროდა და ისე ახმაურებდა ჰორიზონტის ყოველ მხარეს, თითქოს ხმაურში ავეჯს ალაგებს ვიღაც უხილავიო. შავებში იყო ირგვლივ სულყველაფერი, რასაც კი თვალი ხედავდა. რამდენი იდუმალი რამ იგრძნობა ღამის გრიგალის ზუზუნში!

სციოდა მადლენს, შიმშილი აწუხებდა. ერთი ამგვარივე მგზავრობა მოაგონდა, ასევე ღამით, დინის მინდვრებში. რვა წლისა იყო ეს მოგონება, მაგრამ ისე ეჩვენებოდა, თითქოს გუშინ ყოფილიყოს.

საათის ხმა მოესმა შორიდან და თავის მეეტლეს ჰკითხა:

- რამდენი დაჰკრა საათმა?

- შვიდი, ბატონო, რვა საათზე არასში ვიქნებით. თორმეტი კილომეტრი კიდევა გვაქვს არასამდე.

ამ დროს გაიფიქრა პირველად და ძალიანაც გაუკვირდა, რომ აქამდე არ მოაგონდა ერთი უბრალო გარემოება: არ იცოდა, რომელ საათზე იყო დანიშნული შანმატიეს საქმე, და იქნება ტყუილად ჩაევლო ამდენ ტანჯვა-ვაებას. რატომ არ იკითხა, - რომელ სააათზე არის დანიშნული საქმეო? წინდაუხედაობა იყო ასე წამოსვლა და ასეთი სისწრაფით მგზავრობა, თუკი გათვალისწინებული არა ჰქონდა მისი საჭიროება. მერე ანგარიში დაიწყო: საერთოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცხრა საათზე იწყება დილით, შანმატიეს საქმე დიდხანს არ გასტანდა, ვაშლის მოპარვა დამტკიცებული იყო, საკამათო თუ იყო რამე, მისი ვინაობა; ამისთვის ოთხი-ხუთი მოწმის დაკითხვა, ვექილების სიტყვები, - ბევრს მაინც ვერ გააჭიანურებდნენ, ძალიანაც რომ მოენდომებინათ; ცხადია, სასამართლოში რომ მივა, უკვე გათავებული იქნება ყველაფერი.

მეეტლემ ცხენები გარეკა. წყალი გაიარეს, უკან დატოვეს მონსენტ-ელუა.

ღამეს თანდათან ემატებოდა სიბნელე.

## თავი მეექვსე
## მონაზონ სიმპლიციას განცდა

კარგ გუნებაზე იყო ამ დროს ფანტინი.

საძაგლად გაატარა ის ღამე. საშინლად ახველებდა, დიდი სიცხე ჰქონდა. სულ სიზმარში იყო. დილით ექიმი რომ მოვიდა, ისევ ბოდავდა. ექიმსაც შეშინება დაეტყო და სთხოვა, - მაცნობეთ, ბატონი მადლენი რომ მოვაო.

დაღონებული იყო ავადმყოფი მთელ დილას, ლაპარაკი ეზარებოდა, თავის ზეწარს ნაპირს უკეცავდა და თან ჩუმი ხმით რაღაცას ჩურჩულებდა, თითქოს მანძილს ანგარიშობსო. თვალები ჩასცვივნოდა და გაშტერებით შესცქეროდა ერთ წერტილს. ჩამქრალს უგავდა თვალები, მაგრამ ხანდახან ალი მოედებოდა ხოლმე და ისე უბრწყინავდა, როგორც ვარსკვლავი. მგონი, ასე უნდა იყოს: ოდეს გვიახლოვდება

საბედისწერო გუამი, ზეციური სინათლე გვივსებს თვალს, რომელსაც ეკარგება მიწიერი სინათლე.

რომ ჰკითხავდა სიმპლაცია, - როგორა ხარო, - სულ ერთ პასუხს აძლევდა უცვლელად:

- კარგადა ვარ. ნეტავი მალე მოვიდეს ბატონი მადლენი.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც ფანტინმა დაკარგა ნაშთი თავისი ნამუსისა, ნაშთი თავისი მორცხვობისა და ნაშთი თავისი სიხარულისა, აჩრდილადღა იქცა თავისი თავისა; დღეს კი ლანდი დარჩენილიყო. სხეულის დაავადება დაეხმარა სულიერ მწუხარებას. ოცდახუთი წლისა იყო და შუბლი დანაოჭებული ჰქონდა, ღაწვები - ჩაცვივნული,ცხვირი - ჩამომხმარი, კბილი - დაძრული, ფერი - მომაკვდავისა, ყელი - ცარიელი ძვალი, ლავიწი - ამოწეული, ხელ-ფეხი - სუსტი, კანი - მიწისფერი და თმა - ჭაღარანარევი. ვაი, რომ სნეულება ასე ადვილად აბერებს ადამიანს.

შუადღისას კიდევ მოვიდა ექიმი. რამდენიმე რჩევა მისცა ფანტინის შესახებ, იკითხა, ბატონი მერი ხომ არ დაბრუნებულაო? და დაღონებული გაბრუნდა.

ბატონი მადლენი ჩვეულებრივ სამ საათზე მოდიოდა ფანტინის სანახავად. ცოდვად მიაჩნდა დაგვიანება და არ იგვიანებდა.

სამის ნახევარი იყო, რომ მოუსვენრობა დაეტყო ფანტინს. ოცი წუთის განმავლობაში ათჯერ მაინც ჰკითხა მოწყალების დას:

- რომელი საათია, დაო?

სამი დაჰკრა საათმა და ფანტინიც წამოჯდა თავის ლოგინზე, თუმცა იმდენად სუსტად იყო, რომ განძრევაც კი ემძიმებოდა. გაყვითლებული ჩამომხმარი ხელები მაგრად დაიკრიფა გულზე და ამოიკვნესა, თითქოს თან ამოაყოლა თავისი გული. მერე მიბრუნდა და კარს მიაჩერდა.

არავინ მოდიოდა. კარს არავინ აღებდა.

თხუთმეტ წუთამდე იყო ასე ლოდინით გატაცებული, უძრავი; კარს შესცქეროდა გულისფანცქალით, სუნთქვა ეკვროდა. ხმის გაცემას ვერ უბედავდა სიმპლიცია. სამი საათი და თხუთმეტი წუთი რომ დაჰკრა საათმა, მაშინ დაეშვა ბალიშზე იმედმიხდილი.

ხმა არ ამოიღო. იწვა და ისევ ნაპირს უკეცავდა თავის ზეწარს.

გავიდა ნახევარი საათი, მერე საათი, მადლენი არ მოდიოდა. როგორც კი გაიგებდა საათის ხმას, წამოიწევდა, კარს უყურებდა და ისევ მიწვებოდა.

ცხადი იყო, რას ფიქრობდა, მაგრამ არც სახელს იძახდა, არც რამეს ჩიოდა, არც ვინმეს ამტყუნებდა. ოღონდ საზარლად ახველებდა, ლოდინი კლავდა უბედურს. გაყვითლებული იწვა, დალურჯებული ტუჩებით. რაღაცა აგონდებოდა და ტკბილად იღიმებოდა ხანდახან.

ხუთი საათი რომ დაჰკრა, ჩუმად დაიკვნესა ავადმყოფმა, ძლივს გაიგონა მოწყალების დამ:

- ნეტავ რატომ არ მოდის? ხვალ ხომ მივდივარ.

სიმპლიციაც გაკვირვებული იყო ბატონი მადლენის დაგვიანებით. ფანტინი კი თავის ლოგინიდან ცას გასცქეროდა. სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რაღაც ჰქონდა დავიწყებული და იმის მოგონებას ცდილობდა. უცბად სიმღერა დაიწყო, სუნთქვასავით სუსტი ხმით. აი, რასა მღეროდა:

ო, თეთრო ვარდო, პაწაწინა ნორჩო ყყვავილო,

ო, თეთრო ვარდო, თეთრო ვარდო, ნაზო ყვავილო!

გამომეცხადა უწმინდესი ქალწული გუშინ,
ვხედავ, დგას ჩემ წინ ოქროს შალით შემობურვილი,
თან მეუბნება: დასახული რაც გქონდა გულში,
მე შევასრულე საოცნებო შენი სურვილი.
ბავშვი გინდოდა, მოგიყვანე - იხარე დიდად,
აი გოგონა, განაბული შალქვეშ მყავს წყნარად,
რაში შევხვიოთ - დაგვავიწყდა სამოსის ყიდვა,
აბა გაიქეც ნემსისა და ძაფისთვის ჩქარა.
როცა მოგვინდა ერთ კვირა დღეს გასეირნება,
ბევრი ძვირფასი რამ ვიყიდეთ - ბედმა ინება.
აი აკვანი უწმინდესი, საწოლის გვერდით,
აი აკვანი, თვალისმომჭრელ მძივებით ბრწყინავს.
ნეტავ ვიცოდე რას უქადის ცხოვრების ბედი,
ჩემს ცუგრუმელას, ჩემს საყვარელს, ჩემს პაწაწინას.
- დიასახლისო, მითხარ ახლა, რა უნდა ვქარგო?
- დაჯექ, გოგონას მოუმზადე მზითევი, კარგო!
ო, თეთრო ვარდო, პაწაწინა ნორჩო ყვავილო,
ო, თეთრო ვარდო, თეთრო ვარდო, ნაზო ყვავილო!
- ტილო გარეცხე!
- სად გავრეცხო?
- ცივ მდინარეში.
კაბის საკერად მოემზადე; წუთს ნუ დაჰკარგავ,
კაბას სამკერდეც მიაყოლე, - არ აკლდეს ეშხი,
მე კი ამ ლამაზ სამკერდეზე ყვავილს დავქარგავ.
- მომიკვდეს თავი! შენს პაწაწას არა უნდა რა.
არა უნდა რა, მე მზადა მაქვს მისთვის სუდარა.
როცა მოგვინდა ერთ კვირა დღეს გასეირნება,
ბევრი ძვირფასი რამ ვიყიდეთ - ბედმა ინება!
ო, თეთრო ვარდო, პაწაწინა ნორჩო ყვავილო,
ო, თეთრო ვარდო, თეთრო ვარდო, ნაზო ყვავილო!

ეს სიმღერა ძველი ნანინა იყო და ოდესღაც ამით აძინებდა თავის პატარა კოზეტს. ხუთი წელიწადი სხვაგან ჰყავდა ბავშვი და ერთხელაც არ მოჰგონებია ეს სიმღერა. იმგვარი მწუხარებით მღეროდა საწყალი და იმისთანა სასოწარკვეთილებით, რომ მონაზონიც კი აატირა. ავადმყოფებისა და მომაკვდავების კვნესას მიჩვეული იყო სიმპლიცია, მაგრამ აქ კი ვეღარ გაუძლო დედის მწუხარებას და ცრემლი წასკდა.

ექვსი საათი დაჰკრა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერც კი გაიგონა ფანტინმა, ყურადღებას აღარ აქცევდა არაფერს.

მაშინ გოგო გაგზავნა სიმპლიციამ ქარხანაში - მიდი, მეკარეს ჰკითხე, იქ ხომ არ ბრძანდება ბატონი მადლენი; თუ იქ იყოს, ჰკითხოს, როდის მობრძანდება საავადმყოფოში? - მაშინვე დაბრუნდა გოგო.

უძრავად იწვა ფანტინი, თავისი ფიქრებით გატაცებული.

გოგომ ჩუმი ხმით უამბო სიმპლიციას, რომ ბატონი მერი დილაადრიან, ექვსი საათიც არ იყო, წასულიყო სადღაც ტილბურით და პატარა თეთრი ცხენით. ღია

ეტლით წასულიყო ამ სიცივეში, მარტოდმარტო, მეეტლეც კი არ წაეყვანა. საით წავიდა, არავინ იცოდა, მაგრამ დაეინახათ კი მიმავალი და ზოგი იძახის, არასისკენ წავიდაო, ზოგი - პარიზისკენო. წასვლისას ცვლილება არაფერი ეტყობოდა. ჩვეულებრივად ალერსიანი იყო, ოღონდ მეკარეს უთხრა თურმე, ამაღამ ნუ დამელოდებითო.

ზურგი შეექციათ ფანტინისთვის და ისე ჩურჩულებდნენ სიმპლიცია და გოგო. სიმპლიციაც ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა, უნდოდა გაეგო რამე, ეკითხებოდა გოგოს, ისიც პასუხობდა, თუ იცოდა რამე. და ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უცბად წამოიწია ფანტინმა, დაჩოქილი დადგა ლოგინში, მუშტად მოკუმშული ხელებით ბალიშს დაეყრდნო, თავი გამოყო ფარდიდან და ყურს უგდებდა. ზოგი ავადმყოფობა, დიდსიცხიანი, ადვილად რევს ჯანმრთელის თავისუფალ მოძრაობას მომაკვდავის საზარელ სისუსტესთან. იდგა დაჩოქილი და ყურს უგდებდა. მერე შეჰყვირა:

- ბატონ მადლენზე ლაპარაკობთ? რა გაქვთ დასამალი, რატომ ჩურჩულებთ? რამე ხომ არ მოუვიდა? რატომ არ მოდის?

ისეთი რიხით ამბობდა ამას, ხრინწიანი ხმით, რომ კაცის ხმა ეგონა ორივეს. ფანტინისკენ მიბრუნდნენ შეშინებულნი.

- მითხარით, რაღას მიმალავთ! - დაუყვირა ფანტინმა.

გოგომ ლუღლუღით უპასუხა:

- მეკარემ მითხრა, - დღეს საავადმყოფოში ვერ მობრძანდებაო.

- დაწექი, შვილო, - ეხვეწებოდა მოწყალების და, - დამშვიდდი.

ისევ ისე დარჩა ფანტინი და ხმამაღლა უთხრა ბრძანებით, მაგრამ გულსაკლავი კილოთი:

- დღეს ვერ მობრძანდებაო? რატომ? თქვენ ხომ არ იცით, რატომ ვერ მობრძანდება? ახლა არა ჩურჩულებდით? მაშ მითხარით!

გოგომ უჩურჩულა სიმპლიციას:

- უთხარით, რომ ქალაქის თვითმმართველობაში არის.

გაწითლდა სიმპლიცია, თავის დღეში არსად ეთქვა ტყუილი და აქ კი ტყუილის თქმას ურჩევდნენ. მაგრამ კარგად ხედავდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მართალი ეთქვა ავადმყოფისთვის - ლახვარივით ეცემოდა ფანტინს და იქნება თან გადაეტანა. მალე გაუარა ამ სიწითლემ. შეხედა ავადმყოფს თავისი დამშვიდებული, სევდიანი თვალებით და უთხრა:

- ბატონი მერი წასულა.

წამოიწია ფანტინმა, მერე წამოჯდა, თვალები უბრწყინავდა. უსაზღვრო სიხარული დაეტყო მიმკვდარებულ სახეზე.

- წასულა? - შეჰყვირა აღტაცებით, - მაშ, კოზეტის მოსაყვანად წავიდოდა!

მერე ორივე ხელი ზეცას აღაპყრო და ენით გამოუთქმელი სიხარული მოეფინა სახეზე. ჩუმად ლოცულობდა, ოდნავ ანძრევდა ტუჩებს.

ლოცვა რომ დაამთავრა, სიმპლიციას მიმართა:

- აი, ვწვები, დაო; ავასრულებ, რასაც მიბრძანებთ. უკმეხად შემოგიტიეთ წეღან და გთხოვთ, მაპატიოთ. ძალიან კარგად ვიცი, დაო, რომ კარგი არ არის ხმის ამაღლება, მაგრამ უნდა მაპატიოთ. გულს მიწყლავდა ჩემი კოზეტის უამბობა და ახლა კი დავმშვიდდი. ალბათ მომხედა ღმერთმა, რომ ბატონი მადლენი ჩემი გოგოს მოსაყვანად წასულა.

დაწვა, თვითონაც უშველა მოწყალების დას ბალიშის გასწორება და ემთხვია პატარა ვერცხლის ჯვარს, გულზე რომ ეკიდა. სიმპლიციას ეჩუქებინა მისთვის ეს ჯვარი.

- დაწექით, შვილო, - სთხოვა სიმპლიციამ, - მოისვენეთ, ხმას ნუღარ ამოიღებთ.

ხელი ჩამოართვა ფანტინმა. ოფლიანი ჰქონდა ხელები და ესეც ავად ენიშნა სიმპლიციას.

- ამ დილით წავიდა პარიზში. ღვთის წინაშე, საჭირო არ არის პარიზზე გავლა. მონფერმეილი ცოტა მარცხნივ არის, პარიზიდან რომ მოდიხართ. ხომ გაიგონეთ გუშინ, კოზეტზე რომ მელაპარაკებოდა, რამდენჯერმე მითხრა, - მალე მოვიყვან, მალეო. - ეტყობა უნდა მოულოდნელად მომგვაროს, რომ უფრო გამახაროს. იცით? ერთ წერილზე მომაწერინა ხელი, ტენარდიესთან გაგზავნილზე, ბავშვის წამოსაყვანად. ახლა კი ვეღარაფერს იტყვიან, არა? მომცემენ ჩემს პაწიას. ფულს რომ მიიღებენ, მაშინ ხომ ვეღარაფერს იტყვიან? არც მთავრობა მოუთმენს, რომ ბავშვი არ მომცენ, როდესაც მე იმათი აღარაფერი მმართებს. ნუ მანიშნებთ, დაო - მავნებელია შენთვის ლაპარაკიო; დიდი ხანია ასე ბედნიერი არა ვყოფილვარ, ძალიან კარგადა ვარ, არც არაფერი მტკივა. საცაა, კოზეტს ვნახავ და წარმოიდგინეთ, მშია კიდევაც. ხუთი წელიწადია თითქმის, რაც შვილი არ მინახავს. რომ იცოდეთ, რა ტკბილია პატარა ანგელოზი! მერე ისეთი კარგი რამ არის ჩემი გოგონა, აი ნახავთ! ისეთი ლამაზი თითები აქვს, მშვენიერი ხელები ექნება, რომ გაიზრდება. ერთი წლისა რომ იყო, სასაცილო ხელები ჰქონდა. ახლა დიდი უნდა იყოს. შვიდი წლისა გახლავთ, გასათხოვარი ქალია, კოზეტს მე ვეძახი, თორემ ნამდვილად ევფრაზი ჰქვია. იცით, წეღან ბუხარს ვუყურებდი ჩაფიქრებული და უცბად გამიარა ფიქრმა, რომ მალე ვნახავდი კოზეტს, ღმერთო ჩემო! მოსაკლავი არა ვარ, რომ ამოდენა ხანი შორსა მყავს შვილი? რას ვფიქრობდი მე უბედური? რა, უკვდავი მეგონა ჩემი თავი? ოჰ, რა კარგია ბატონი მერი, რომ წასულა კიდეც! ძალიანა ცივა, თუ იცით? თბილი რამ წაიღო? ხვალ აქ იქნება თუ არა? ხვალ იქნება ჩემი აღდგომა. ხვალ დილით, დაო, მომაგონეთ, ჩემი მაქმანის თავსაკრავი გავიკეთო, კარგი? მონფერმეილიდან ფეხით წამოვედი მაშინ. კაი მანძილი გამოვიარე და ძალიანაც დავიღალე, დილიჟანი კი ჩქარა დადის და ხვალ აქ იქნება. კოზეტს მომიყვანს! რამდენი კილომეტრია აქედან მონფერმეილამდე?

სიმპლიციამ მანძილებისა არაფერი იცოდა და უპასუხა:

- ოჰ, მგონია, რომ ხვალ აქ იქნება.

- ხვალ, ხვალ! - იძახდა სიხარულით ფანტინი, - ხვალ ვნახავ კოზეტს! გულში ჩავიკრავ. იცით, კეთილო დაო, მე ავად აღარა ვარ. მე შეშლილი ვარ! თუ გნებავთ, წამოვხტები და ცეკვას დავიწყებ.

ნახევარი საათის წინ რომ ენახა ვინმეს, ახლა ვეღარც კი იცნობდა. გაწითლებულიყო, ცოცხალი ხმით ლაპარაკობდა, სახე გაბადრიდა, ხან ჩუმად რაღაცას ეუბნებოდა თავის თავს და იცინოდა. დედის სიხარული - ეს თითქმის იგივე ბავშვის სიხარულია.

- ჰოდა, რაკი ასე კარგადა ხართ და ბედნიერი, ამისრულეთ ეს თხოვნა, ნუ ლაპარაკობთ, - უთხრა სიმპლიციამ.

ფანტინმა თავი მიდო ბალიშზე და ჩუმი ხმითა თქვა:

- ჰო, ჰო, დაწექი! ჭკვიანად იყავი! ხომ ხედავ, რომ მალე მოგივა შენი პაწია! მართალს ბრძანებთ, ჩემო სიმპლიციია.

და აღარ განძრეულა. თავიც კი აღარ გაუტოკებია. იწვა და მხიარული გამომეტყველებით ათვალიერებდა იქაურობას. ხმას არ იღებდა.

სიმპლიციამ ფარდა ჩამოუფარა, - იქნება დაეძინოსო.

მერვე საათი იყო, რომ ექიმი მოვიდა. სიჩუმე სუფევდა ოთახში. ექიმს ეგონა, სძინავს ავადმყოფსო, და ჩუმად, ფეხაკრეფით შევიდა ფანტინთან. გადასწია ფარდა. თვალახელილი იწვა ფანტინი, დამშვიდებული და მაშინვე კითხვით მიმართა:

- ნებას მომცემენ, ბატონო, რომ აქვე დავაწვინო, ჩემ გვერდით, პატარა ლოგინში?

ექიმს ბოდვა ეგონა. ფანტინმა განაგრძო:

- აი, შემოხედეთ. ძალიან კარგად დაეტევა.

ექიმმა იქით წაიყვანა სიპმლიცია და იმისგან გაიგო, რომ ბატონი მადლენი წასული იყო ერთი-ორი დღით; საით წავიდა, არავინ იცოდა, მაგრამ ავადმყოფს თავისი შვილის მოსაყვანად ჰგონია წასული და ჩვენც არაფერს ვეუბნებითო. ექიმმა მოუწონა.

ისევ ფანტინთან მივიდა. ფანტინმა ჰკითხა:

- რომ გაიღვიძებს დილით, ერთი კარგად დავკოცნი ჩემს პაწიას და ღამე, მე ხომ არა მძინავს, იმისი სუნთქვით დავტკბები. ისე ტკბილად სუნთქავს, ისე მშვიდად, რომ მეც დამამშვიდებს.

- ხელი მომეცით, - უთხრა ექიმმა.

ხელი მისცა და შეჰყვირა სიცილით:

- მაგრამ თქვენ ხომ არ იცით? ხვალ ჩემი კოზეტი მომივა. მე ავად აღარა ვარ.

გაკვირვებული იყო ექიმი. მართლა უკეთ იყო ავადმყოფი. ნაკლებად ქოშინებდა, მაჯისცემა კარგი ჰქონდა. სიცოცხლე მომატებოდა უცბად საცოდავ, არაქათგამოცლილ ქმნილებას.

- ხომ გითხრათ, ბატონო, მოწყალების დამ, რომ ბატონი მერი ჩემი გოგონას მოსაყვანად წასულა?

ექიმმა ურჩია გაჩუმებულიყო. სიმპლიციას სთხოვა, სულ უმცირესი მღელვარებაც კი აარიდეთო. ქინაქინის მიქსტურა გამოუწერა და, თუ სიცხეს მისცემდა, დამამშვიდებელი წამალი. წასვლისას უთხრა:

- უკეთ არის. თუ გაუღიმა ბედმა და ხვალ მართლა მოუვიდა შვილი, ვინ იცის, შეიძლება აქაც მოხდეს გარდატეხა. მაგალითები არის: დიდი სიხარული უცბად აჩერებს ავადმყოფობას. კარგად ვიცი, რომ აქ სხეულის დაავადებაა, ძალიან ფესვგადგმულიც, მაგრამ მრავალ საიდუმლოებას აწვდის ცხოვრება მეცნიერებას. იქნება, გადავარჩინოთ როგორმე.

## თავი მეშვიდე
## ახალმისული მგზავრი წასასვლელად ემზადება

საღამოს რვა საათი იქნებოდა, ბატონი მადლენი არასში რომ მივიდა. ფოსტის სასტუმროში ჩამოხტა, გაისტუმრა მეორე ცხენი, თვითონვე შეიყვანა თეთრი ცხენი თავლაში; მერე ბილიარდის დარბაზში შევიდა და მაგიდას მიუჯდა. თორმეტი საათი დაჰყო გზაში, როცა დარწმუნებული იყო, ექვს საათში ჩავალო. მართალია, მისი

ბრალი არ იყო ეს დაგვიანება, მაგრამ მაინც დაიგვიანა. გულში კი არც ისე სწყინდა, რომ დაიგვიანა.

სასტუმროს პატრონმა ჰკითხა:

- ვახშამს ინებებთ, ბატონო? ღამე აქ დარჩებით?

თავი გაუქნია, - არაო.

- მეჯინიბე მოგახსენებთ - ძალიან დაღლილია ცხენიო.

მაშინ კი ხმა მოიღო:

- მაშ ხვალვე უკან ვერ წავალ?

- ოჰ, ბატონო, ორი დღე მაინც უნდა დაასვენოთ.

- მგონი, აქვე უნდა იყოს ფოსტის კანტორა.

- დიახ, ბატონო.

ფოსტის კანტორაში შეიყვანეს. პასპორტი აჩვენა და ჰკითხა:

- იქნებ შეიძლებოდეს, ამაღამვე წავიდე ფოსტის ეტლით მონრეილში.

ერთი კაცის წაყვანა შეეძლო ფოსტას. დდაიკავა ადგილი, ფული გადაიხადა.

- არ დაიგვიანოთ, ბატონო. ზუსტად პირველ საათზე გადის ეტლი.

მერე ქალაქში გავიდა.

პირველად იყო არასში. ქუჩებში ბნელოდა და ალალბედზე მიდიოდა, მაგრამ გაჯიუტდა და არავის ეკითხებოდა გზას. პატარა მდინარე გადაიარა, კრენშონი, და სადღაც დაკლაკნილ, ვიწრო ქუჩებში შევიდა. გზა დაკარგა. ერთი ბურჟუა დაინახა - დიდი სანათი ეჭირა და ისე იკვლევდა გზას. ცოტა ხანს მდუმარედ უყურა, მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, იმისთვის ეკითხა გზა, ოღონდ ჯერ უკან მიიხედა, მერე აქეთ-იქით, - არავინ გაიგონოს ჩვენი სიტყვაო, - და ჰკითხა:

- საით არის, ბატონო, სასამართლოს შენობა?

- აქაური არ ყოფილხართ, ბატონო, - მიუგო მოხუცმა ბურჟუამ, - აი, წავიდეთ. მეც სწორედ იქით გეახლებით, პრეფექტურისკენ. სასამართლოს შენობის შეკეთება დაიწყეს ამას წინათ და ახლა ქალაქის თვითმმართველობის სახლში არის სასამართლოც.

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც იქ გახლავთ?

- დიახ, ბატონო. უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი პრეფექტურა ეპისკოპოსის სასახლე იყო რევოლუციამდე. ბატონმა კონზიემ, რომელიც ეპისკოპოსად ბრძანდებოდა ოთხმოცდათორმეტში, ერთი დიდი დარბაზი ააშენა იმ სასახლეში და სწორედ იმ დარბაზში არის დღეს სასამართლო.

გზაში კიდევ უთხრა:

- თუ რაიმე საქმის გარჩევას გნებავთ დაესწროთ, ცოტა არ იყოს, გვიან მიდიხართ. საერთოდ ექვს საათზე მთავრდება სხდომა.

ცოტა ხნის შემდეგ მოედანზე გავიდნენ და ბურჟუამ ოთხი დიდი განათებული ფანჯარა დაანახა ერთ დიდ, მთლად ჩაბნელებულ სახლში.

- ეგეც ბედი! - შეჰყვირა ბურჟუამ, - სწორედ დროზე მოუსწარით. ხომ ხედავთ ამ განათებულ ფანჯრებს. მანდ გახლავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სინათლე არის. მაშ ჯერ არ დამთავრებულა. ეტყობა, ძალიან დაჰგვიანებია ამ საქმეს, რომ ღამესაც იმას ანდომებენ. თქვენ ეგ საქმე გაინტერესებთ? სისხლის სამართლის საქმეა. თქვენ მოწმე ხართ?

პასუხიც შესაფერი მისცა:

- მე არავითარი საქმე არა მაქვს. ერთი ვექილის ნახვა მინდა.

- ეგ სხვაა. აგერ, ბატონო, აგერ კარი, დარაჯი რომ დგას. დიდ კიბეზე აბრძანდებით.

მადლობა გადაუხადა, დიდ კიბეს აჰყვა და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ დარბაზში შევიდა. ბბევრი ხალხი ტრიალებდა დარბაზში, შავი მანტიით მოსილი ვექილები, და ჩუმი ბაასი მოისმოდა ჯგუფებისა.

უნებურად გული შეგეკუმშებათ ამ ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილ, შავით მოსილ ხალხს რომ დაინახავთ. დგანან სასამართლოს შესასვლელ კართან, რაღაცას ბჭობენ ჩუმი ხმით და თითქმის შეუძლებელია, რომ აქ სიბრალულისა და კეთილქმედების სიტყვა გაიგონოთ. აქ მეტწილად წინასწარ მომზადებულ გამტყუნებასა და სასჯელს აქვს ადგილი. აქ გამვლელ მაყურებელს ეს ჯგუფები კრაზანებად ეჩვენება, რომლებიც ავბედითად ბზუიან და საერთო ძალით ბნელ საქმეებს ამზადებენ.

დიდი დარბაზი იყო, ერთი ლამპით განათებული, წინანდელი საეპისკოპოსო სასახლის დარბაზი და დღეს მისაღებ ოთახად ქცეული. აქედან იყო შესასვლელი სასამართლოს დარბაზში, მაგრამ ამჟამად კარი დაკეტილი იყო.

ისე ბნელოდა, რომ ბატონი მადლენი არ მოერიდა და პირველსავე ვექილს ჰკითხა, წინ რომ შეხვდა:

- უკაცრავად, ბატონო, მალე დამთავრდება?

- დამთავრებული გახლავთ.

- დამთავრებული?

იმისთანა კილოთი გაიმეორა ეს სიტყვა, რომ ვექილი შედგა.

- თქვენ იმისი ნათესავი ბრძანდებით?

- არა, მე აქ არავის ვიცნობ. განაჩენიც არის?

- არის და არც შეიძლებოდა, არ ყოფილიყო.

- კატორღა?

- უვადო.

იმისთანა მისუსტებული ხმით წარმოთქვა შემდეგი სიტყვები, რომ ძლივსღა ესმოდა ვექილს:

- მაშ, ვინაობა დაუმტკიცეს?

- რა ვინაობა? - უპასუხა ვექილმა, - არც იყო საჭირო ვინაობის ძიება. სულ უბრალო საქმე იყო, ცხადი. თავისი შვილი მოკლა ამ დედაკაცმა; დამტკიცებული იყო შვილის მკვლელობა. სასამართლომ წინასწარ განძრახული ბოროტმოქმედება დაინახა და კატორღა მიუსაჯა.

- მაშ ეგ საქმე დედაკაცისა იყო?

- დიახ, ლიმუზენის ქალისა. მაშ თქვენ რას მეკითხებოდით?

- არაფერს. და თუ საქმედამთავრებულია, რად არის განათებული დარბაზი?

- ახლა სხვა საქმეს არჩევენ. ვიღაც მაწანწალა ყოფილა, კატორღელი, რეციდივით ქურდობის ჩამდენი. სახელი არ მაგონდება. სახეზე ეტყობა, რომ ყაჩაღია. სულაც რომ არაფერი ჰქონდეს დაშავებული, მე მაინც კატორღაში ვუკრავდი თავს, ისეთი საშინელი სახის კაცია.

- დარბაზში შესვლას ვერ მოვახერხებ?

- არა მგონია. გატენილია ხალხით. ცოტა ხნით შეწყვეტილია სხდომა. ზოგი კიდეც გამოვიდა და, რომ დაიწყება, იქნებ თქვენც შეხვიდეთ როგორმე.

- სად არის შესასვლელი?

- აი, ეს კარი.

წავიდა ვექილი. რამდენიმე წუთში მადლენმა ხელახლა განიცადა ყოველი ის სულისკვეთება, რომლითაც ასე იტანჯა წუხანდელ ღამეს. ამ უცნობის სიტყვა ხან გაყინული ნემსებივით ჩხვლეტდა გულში, ხან გავარვარებული შანთივით ესობოდა. ღრმად ამოისუნთქა, როცა ნახა, რომ ჯერ არაფერი იყო დამთავრებული. მაგრამ იმას კი ვერ იტყოდა, რას გამოხატავდა ეს - კმაყოფილებას თუ მწუხარებას?

ხან ერთ ჯგუფთან მივიდოდა, ყურს მიუგდებდა, ხან მეორესთან. ბევრი საქმე ჰქონდა გასარჩევი სასამართლოს და იმ დღისთვის თავმჯდომარეს ორი საქმე დაენიშნა, მოკლე და მარტივი - შვილისმკვლელით დაეწყოთ და ახლა კატორღელის, რეციდივისტ-ქურდის საქმეზე გადასულიყვნენ. ვაშლის ქურდობაზე დაეჭირათ კაცი, თუმცა ეს ბრალდება დასაბუთებული არ იყო. დასაბუთებულად ის მიაჩნდათ, რომ კატორღაში ყოფილიყო ტულონში. ეს იყო, რომ საქმეს უხდენდა უბედურს. ბრალდებულის, აგრეთვე მოწმეების დაკითხვაც დაემთავრებინათ. ვექილისა და ბრალმდებელ-პროკურორის სიტყვა იყო დარჩენილი, ასე რომ, საქმე შუაღამემდე ვერ გათავდებოდა. ბრალდებული, ცხადია, დასჯილი იქნება, ისმოდა ხალხში; დიდი ნიჭის პატრონია ბრალმდებელი. მრავლად ჰყავს დასჯილნი და იმდენად ჭკვიანია, რომ ლექსებსაც წერსო.

ბოქაული იდგა სასამართლოს შესასვლელ კარებთან, იმასა ჰკითხა:

- მალე გაგვიღებენ ამ კარს?

- ამ კარს არ გააღებენ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ გატენილია დარბაზი.

- მაშ, აღარავის შეუშვებთ?

- აღარავის. კარი დაკეტილია და ვეღარავინ შევა.

და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა:

- ორი თუ სამი სკამია თავისუფალი თავმჯდომარის უკან, მაგრამ ბატონი თავმჯდომარე იქ მარტო სახელმწიფოს მოხელეებს უშვებს.

უთხრა და ზურგი შეაქცია.

თავჩაღუნული გამობრძანდა მადლენი, გაიარა მისაღები ოთახი და ნელი ნაბიჯით ჩაიარა კიბე; ყველა საფეხურზე ჩერდებოდა ღრმად ჩაფიქრებული. საჭირო იყო აქვე, დაუყოვნებლივ გადაეწყვიტა თავისი ბედი და უფრო მეტი სიმძაფრით აღეძრა ის კითხვა, რომლის გადაწყვეტას იმდენი სულიერი ტანჯვა სჭირდებოდა. ძირს რომ ჩავიდა, მოაჯირს მიეყრდნო გულხელდაკრეფილი. მერე უცბად სერთუკი გაიხსნა, უბის წიგნაკი ამოიღო, ერთი ფურცელი ამოხია იქიდან, ზედ დააწერა: „ბატონი მადლენი, ქ. მონრეილის მერი“. ჩქარი ნაბიჯით ავიდა კიბეზე, გააპო ხალხი, მივიდა ბოქაულთან, მისცა და უბრძანა:

- ბატონ თავმჯდომარეს მიართვით, ჩქარა!

გამოართვა ბოქაულმა, დახედა ქაღალდს და დაემორჩილა.

## თავი მერვე
## დიდებულის მიღება

ვერც კი წარმოიდგენდა მადლენი, რომ მონრეილის მერი ასეთი სახელგანთქმული იქნებოდა. შვიდი წელიწადი იყო, მისი მოღვაწეობისა და სიქველის ამბავი ავსებდა მთელ ქვემო ბულონეს, ამ პატარა მხარის საზღვრები გადაელახა და ორ-სამ მეზობელ ოლქშიც გავრცელებულიყო. იმ დახმარების გარდა, რომელიც მადლენმა გაუწია მონრეილს გიშრის წარმოების აღდგენითა და გაფართოებით, ერთი სოფელი არ იყო იმ ოლქის ას ორმოცდაორი სოფლიდან, იმისი სიკეთე და დახმარება რომ არ ხსომებოდა. სხვა ოლქების გაჭირვებაც თავისად მიაჩნდა და ბულონეში თავის ფულით და კრედიტით საფეიქრო წარმოებას შეუწყო ხელი, ფრევანში - სელის ფართლის მექანიკურად მოწყობილ ქარხანას და ბუბერში - ჰიდრავლიკური ტილოს ქარხანას. ყველგან თაყვანისცემით იხსენიებდნენ ბატონი მადლენის სახელს. არასი და დუე შურით შესცქეროდნენ პატარა მონრეილს, რომელსაც ასეთი დიდებული მერი ჰყავდა.

არასში შანმატიეს საქმის გამრჩევ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარედუეს სამეფო სასამართლოს წევრი იყო და ძალიან კარგად იცნობდა მადლენის სახელს, ასე ღრმად ყველგან პატივცემულს. რომ შევიდა დარბაზში ბოქაული, ფეხაკრეფით ზურგს უკან დაუდგა თავმჯდომარეს. წინ მადლენის ბარათი დაუდო და მოახსენა, დარბაზში შემოსვლა უნდაო.

შეხედა თავმჯდომარემ. სიამოვნება დაეტყო, კალამი აიღო, რამდენიმე სიტყვა მიაწერა მადლენის ბარათს, ბოქაულს მისცა და უთხრა:

- მობრძანდეს!

თვით მადლენიც იქვე იყო, დარბაზის შესასვლელ კართან ატუზული, სწორედ ისე, როგორც ბოქაულმა დატოვა, ღრმად ჩაფიქრებული. ვიღაცის სიტყვა მოესმა, - მობრძანდით, ბატონო, მე შეგიყვანთო. სწორედ ის ბოქაული ელაპარაკებოდა მოწიწებით და მიწამდე თავის დაკვრით, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ ისე უზრდელურად შეაქცია ზურგი. ბარათი მიართვა, გაშალა მადლენმა და, კიდევ კარგი, რომ ლამპასთან იყო, წაიკითხა:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე უღრმესი პატივისცემით ელის ბატონ მადლენს“.

გაბრაზებით დაჭმუჭნა ქაღალდი, თითქოს რაღაც მწარე მოაგონა ამ სიტყვამო.

ბოქაულს მიჰყვა.

ერთ პატარა ოთახში შეიყვანა ბოქაულმა. ოთახი უბრალოდ იყო მოწყობილი. მაგიდაზე ორი სანთელი ენთო. ყურში ჯერ ისევ ესმოდა ბოქაულის სიტყვა, რომელმაც, ვიდრე გავიდოდა, მოახსენა: - სათათბირო ოთახში ბრძანდებით, ბატონო. აი, ამ კარის თითბერის რაზას გადაატრიალებთ და სასამართლოს დარბაზში შებრძანდებით. სწორედ ბატონი თავმჯდომარის უკან გახლავთ რამდენიმე სკამი. - ყურიდან არ შორდებოდა ეს სიტყვები და თან რაღაც მკრთალი მოგონება: ვიწრო ტალანი ელანდებოდა და ბნელი კიბე, რომელიც სადღაც ჩამოევლო.

მარტო დატოვა ბოქაულმა. დადგა ჟამი განკითხვისა. ცდილობდა, მოეკრიბა აზრები, მაგრამ ამაოდ. სწორედ მაშინ აერევა ხოლმე ადამიანს აზროვნება და ეხლართება ფიქრები, როდესაც უაღრესად ესაჭიროება გარემოებათა დაკვირვება და განსაცდელის აცდენა. უკვე იქ იყო, სადაც მსაჯულები ბჭობენ და სჯიან. გონებაჩლუნგის სიმშვიდით ათვალიერებდა ამ საშინელ ოთახს, სადაც მრავალი ადამიანისთვის აუგიათ ანდერძი, სადაც ცოტა ხნის წინ იმისი სახელიც გაისმოდა და

სადაც გადაწყდება მისი მომავალი. უაზრო თვალებით შესცქეროდა კედლებს, მერე თავის გრძნობებს დაუწყო ჩხრეკა. განცვიფრებული იყო, რომ ეს სასამართლოს სათათბირო ოთახი იყო და ისიც ამ ოთახში იმყოფებოდა.

მთელი დღე-ღამე იყო, ლუკმა არ ჩასვლოდა პირში. დაღლილი იყო გზით, თავისი მჭმუნვარე ფიქრებით, ეტლის ჯანჯღარით, მაგრამ დაღლას ვერა გრძნობდა; ეგონა, სულ ვერაფერს ვგრძნობო.

კედელზე ჩამოკიდებულ შავ ჩარჩოსთან მივიდა. ჩარჩოში, მინის ქვეშ, ერთი ძველი წერილი იდო, ჟან-ნიკოლა-პაშის, პარიზის მერისა და მინისტრის ხელით დაწერილი, დათარიღებული, უეჭველად შეცდომით, რესპუბლიკის მეორე წლის 9 ივნისით. ამ წერილით პაში ადგილობრივ ხელისუფლებას იმ მინისტრებისა და დეპუტატების სიას უგზავნიდა, რომლებიც დატუსაღებული ჰყავდა. რომ დაენახა ვინმეს მადლენი, ამ წერილს რომ ათვალიერებდა, იფიქრებდა, ეტყობა, ძალიან საინტერესოდ მიიჩნია ეს ისტორიული დოკუმენტიო, რადგან თვალს აღარ აშორებდა და ორჯერ თუ სამჯერ წაიკითხა ზედიზედ. კითხულობდა თავისდა უნებურად, თავისდა შეუმჩნევლად, სულ სხვაგან იყო ფიქრით, - ფანტინთან და კოზეტთან.

მერე მობრუნდა და თვალში ეცა კარის თითბრის სახელური, რომელიც მასა და მსაჯულებს შორის იყო აღმართული. კიდეც დავიწყებოდა ეს კარი. ჯერ დამშვიდებული თვალით უყურა ამ კარს, დააშტერდა მის ყვითელ სახელურს, მერე აერია თვალი, შიში და უიმედობა დაეტყო. ოფლი სდიოდა წურწურით თავიდან სახეზე. ერთ წამს თითქოს გამოარკვია თავისი საქციელი, აღშფოთება იგრძნო თავისი თავისადმი და იმ გამოუთქმელი მოძრაობით დაიქნია ხელი, რომელსაც უნდა თქვას და ამბობს კიდეც ასე კარგად - დალახვროს ღმერთმა! ვინ მატანს ძალას, რომ თავის დასახრჩობად მივდივარ? - უცბად მობრუნდა, დაინახა კარი, რომლითაც ამ ოთახში შემოვიდა, მივარდა, გააღო და გამოვარდა. ძლივს! აღარ არის იმ ოთახში! გარეთ არის, ტალანში, გრძელ, ვიწრო ტალანში, საფეხურები და სარკმლები რომ აქვს, აქა-იქ პატარა სანთლებიან, მძიმე ავადმყოფს რომ უნთებენ ღამით, იმისთანა სანთლებიან ტალანში, რომლითაც წეღან მოვიდა. ამოისუნთქა, ყური მიუგდო. ჩამიჩუმი არ ისმოდა არსაიდან და მოკურცხლა. ისე გარბოდა, თითქოს მდევარი მისდევს უკანო.

ბოლოს გაჩერდა და ყური მიუგდო. იგივე დუმილი იყო ყველგან და იგივე სიბნელე. სუნთქვა ეკვროდა, ბარბაცებდა და კედელს მიეყრდნო. კედელი ცივი იყო, ოფლი გაეყინა შუბლზე. წამოიწია და აკანკალდა.

იდგა იქ მარტოდმარტო, სიბნელეში, კანკალებდა სიცივით, შეიძლება, სხვა მიზეზითაც და თავის ფიქრებს გაჰყვა.

მთელი დღე იყო და მთელი ღამე ფიქრებს დამონებოდა და ახლა მწარე, მკვნესარე ვაიმეს გარდა აღარა იყო რა მის სულში და გულში.

კარგა ხანს იდგა ასე. მერე თავი ჩაქინდრა, ამოიოხრა ისე, რომ კინაღამ გულიც თან ამოატანა, ხელები დაუშვა და უკან დაბრუნდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, სასოწარკვეთილი. ისე იყო, თითქოს მდევარი მოსწეოდა გაქცეულს გზაში და უკან მოჰყავდა.

ისევ იმ პატარა ოთახში შევიდა. მაშინვე თვალში ეცა კარის ყვითელი სახელური. მრგვალი გაკრიალებული თითბრის სახელურიყბრწყინავდა საშინელი ვარსკვლავივით. იდგა და შესცქეროდა, როგორც ბატკანი შესცქერის ვეფხვს.

თვალი ვეღარ მოეშორებინა.

ნაბიჯს გადადგამდა ხანგამოშვებით და კარს უახლოვდებოდა; ყური რომ დაეგდო, ყრუ ხმაურს გაიგებდა, დიდი დარბაზის, სასამართლოს ბჭობისა, მაგრამ ყურს არ უგდებდა და არც არაფერი ესმოდა.

უცბად, თვითონაც არ იცოდა, რად და როგორ მოიქცა ასე, კარებთან გაჩნდა, ათრთოლებული ხელით გადაატრიალა სახელური. კარი გაიღო.

იგი სასამართლოს დარბაზში შევიდა.

## თავი მეცხრე
## ადგილი, სადაც ყალიბდება რწმენა

წინ წადგა ნაბიჯი, უკან კარი მიიხურა, იდგა და ათვალიერებდა იქაურობას.

საკმაოდ დიდი ოთახი იყო, ოდნავ განათებული, ხან ხმაურით სავსე, ხან სრული დუმილით, სადაც ნაფიც მსაჯულთა განსახილველად წარმოებდა ხალხის თვალწინ საქმის გარჩევა, მთელი თავისი უბადრუკი მჭმუნვარე მედიდურობით.

დარბაზის თავში, სადაც მადლენი იდგა, უგულისყურო სახიანი, მსაჯულის გაცვეთილ მანტოებში გამოწყობილი მსაჯულები ბრძანდებოდნენ; ისხდნენ, ამთქნარებდნენ, ფრჩხილებს იკვნეტდნენ, თვალებს ჭუტავდნენ. დარბაზის ბოლოში დაგლეჯილ სამოსიანი ხალხი მოთავსებულიყო: ვექილები სხვადასხვანაირ პოზებში; ჯარისკაცები პატიოსანი, მაგრამ მკაცრი სახეებით; ოთახი ძველი, ჭუჭყიანი ხით იყო შემოფიცრული; ჭუჭყიანი ჭერი, გახუნებული სარჟით დაფარული მაგიდები, ხელებით გასვრილი კარები; კედლებზე ლურსმნებით ეკიდა ლამპები, რომლებიც უფრო ხრჩოლავდნენ, ვიდრე ანათებდნენ. მაგიდებზე თითბრის შანდლები ელაგა. ყველგან სიბნელე, ულაზათობა, სასოწარკვეთილება გამეფებულიყო. ყოველივე ამისაგან დიდებული და თან მკაცრი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ვინაიდან აქ უნდა ყოფილიყო დიადი ძალა ადამიანისა, რომელსაც კანონიერება ჰქვია, და დიადი ძალა ღვთისა, რომელსაც მართლმსაჯულება ეწოდება.

დამსწრეთაგან ყურადღება არავის მიუქცევია, რომ შევიდა. ყველა ერთ პატარა სკამს შესცქეროდა, თავმჯდომარის მარცხნივ პატარა კარზე მიყუდებულს და რამდენიმე სანთლით განათებულს. ამ სკამზე კაცი იჯდა. აქეთ-იქით ჟანდარმები უსხდნენ.

ეს კაცი იყო „ის“.

მადლანს არც კი უძებნია იგი, შევიდა და დაინახა. პირდაპირ იმისკენ წავიდა მისი თვალის მზერა, თითქოს წინდაწინ იცოდა, სად უნდა მოეძებნა.

შეხედა და იცნო თავისი თავი, ოღონდ უფრო მოხუცებული. მართალია, სახით ცოტა განსხვავდებოდა, მაგრამ შეხედულებით, იერით გამოჭრილი ჟან ვალჟანი იყო: აბურძგნილი თმა, მოუსვენარიჟღალი თვალები, ისეთივე ხალათი, რომლითაც დინში მივიდა მაშინ ადამიანთაგან ტანჯული და მათ მიმართ მძულვარებით აღსავსე, როდესაც გულში ჰქონდა ჩამარხული ის საზარელი საუნჯე ბილწი ფიქრებისა, რომელიც ცხრამეტი წლის განმავლობაში ეგროვებინა კატორღაში.

უყურებდა იმ კაცს და გულის კანკალით ეკითხებოდა თავის თავს:

- ღმერთო ძლიერო! ნუთუ მეც ისევ ასეთი გავხდები?

სულ ცოტა რომ ვთქვათ, სამოცი წლისა მაინც იქნებოდა ის კაცი. რაღაც უხეში ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, ბრიყვისას და დაჩლუნგებულისას.

კარის მიხურვის ხმაურზე თავმჯდომარემ მოიხედა, მიხვდა, რომ ახალშემოსული ბატონი მადლენი უნდა ყოფილიყო და თავი დაუკრა. ბრალმდებელი იცნობდა ბატონ მადლენს, რადგან სამსახურის გამო რამდენჯერმე ნამყოფი იყო მონრეილში და ისიც მიესალმა. მადლენი ძლივძლივობით ამჩნევდა ყოველივე ამას. ლანდსა ხედავდა თავისას და თვალს ვეღარ აშორებდა.

მსაჯულების მდივანი, ჟანდარმები, მძვინვარე, ცნობისმოყვარე ხალხის ბრბო - ერთხელ უკვე ენახა ყოველივე ეს, ოდესღაც, ოცდაშვიდი წლის წინათ. ახლა ხელმეორედ წარმოუდგა საშინელება; ისევ აქ იყო მაშინდელი, არსებობდა, იძვროდა, წარმოებდა. თავის მეხსიერებით აღდგენილი წარსული კი არ იყო ეს ყველაფერი, თავისი ფიქრის აჩრდილი კი არა; არა, აქ ნამდვილი ჟანდრამები იყვნენ, ნამდვილი მსაჯულები, ნამდვილი ბრბო მსმენელ-მაყურებლისა - ნამდვილი, ცოცხალი ადამიანები. გათავდა! ხელახლა გაჩნდა და გაცოცხლდა მის თვალწინ საზარელი აჩრდილი თავისი წარსულისა - ყველა საშინელებითა და საზიზღრობით.

თვალწინ გადაშლოდა თავისი წარსული.

შიში მოერია, თვალები დახუჭა და გულის სიღრმეში შეჰყვირა:

- არასოდეს!

და ბედისწერის რაღაც თამაშით, რომელსაც ისე აერია მადლენის ფიქრები, რომ გაგიუებამდე მიეყვანა, მის წინ იყო ადამიანი, თითქოს მისი მეორე „მე“. ამ ადამიანის საქმეს იხილავდა სასამართლო და ჟან ვალჟანს უწოდებდა.

თავისი თვალით ხედავდა თავისი სიცოცხლის უსაშინლეს სახსოვარს, რომლის მოქმედ პირად მის მაგივრად მისი ლანდი გამხდარიყო.

აქ იყო სულყველაფერი - იგივე სასამართლო, იგივე საღამოს ჟამი, იგივე სახის გამომეტყველება მსაჯულებისა, იგივე ჯარისკაცები და მაყურებელი ხალხი. ოღონდ დღეს თავმჯდომარის სავარძლის ზემოთჯვარცმული მოჩანდა კედელზე, რაც მისი საქმის გარჩევის დროს არ იყო.

იმისი საქმის გარჩევას ღმერთი არ დასწრებია.

სკამი იყო მის უკან და ზედ დაეშვა, შეშინებული, რომ შეიძლებოდა დაენახათ. ისე იჯდა, მსაჯულების მაგიდაზე დაწყობილ საქმეებს ამოჰფარებოდა. ახლა კი შეეძლო ისე დაეთვალიერებინა იქაურობა, რომ, თვითონ უხილავი დარჩენილიყო: დამშვიდდა იმდენად, რომ სმენა შეეძლო.

ერთი მსაჯულთაგანი გამატაბუა ბრძანდებოდა.

ყური დაუგდო მადლენმა. თან ჟავერს ეძებდა, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა. მოწმეების სკამს ვერა ხედავდა, რადგან წინ მდივნის მაგიდა აჰფარებოდა და, გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, დარბაზში თითქმის ბნელოდა.

მადლენი რომ შევიდა, ბრალდებულის დამცველი ამთავრებდა სიტყვას. მეტად დაძაბული იყო ყველას ყურადღება. სამი საათი იყო, ამ საქმეს არჩევდნენ. სამი საათი ხედავდა ხალხი, როგორ ერეოდა და ღუპავდა ნელ-ნელა გარეგანი მსგავსება ერთ უბედურს, უცნობს, მოხუც კაცს; ან ძალიან სულელს, ან ძალიან მოხერხებულს. მაწანწალა იყო ეს კაცი, როგორც უკვე ვთქვით; მინდორში ენახათ მსხმოიარე ვაშლის ტოტით ხელში, რომელიც იქვე ახლოს, პიერონის ბაღში მოეტეხა. ვინ იყო ეს კაცი? გამოძიება დაიწყეს, მოწმეები დაკითხეს, ერთმხრივ ამტყუნებდნენ ამ კაცს, მხარეთა კამათმა სინათლე მოჰფინა ბნელს. ბრალდება ბრძანებდა: „ჩვენ წინაშე ხილის მპარავი, უბრალო ქურდი როდია. ჩვენ ხელში გვყავს ყაჩაღი, ყოფილი კატორღელი,

სასამართლოს განაჩენის დამრღვევი, საშინელი ბოროტმოქმედი, სახელად ჟან ვალჟანი, რომელსაც დიდი ხანია ეძებს მართლმსაჯულება: ამ რვა წლის წინათ ამ კაცმა, ტულონის კატორღიდან გამოსულმა, იარაღით ხელში, შარაგზაზე გაძარცვა ერთი პატარა სავოელი, პატარა ჟერვე, რაზედაც სასჯელი ჩვენი კანონმდელობის სისხლის სამართლის 383-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ამ დანაშაულისთვის მას გავასამართლებთ, როგორც კი დამტკიცებული იქნება მისი ვინაობა. ახლა კიდევ ქურდობა ჩაუდენია, ეს უკვე რეციდივია. დავსაჯოთ ჯერ ამ ახალი ქურდობისათვის. ძველი ბოროტმოქმედება შემდეგ იქნება გარჩეული“.

ამ ბრალსა სდებდნენ კაცს, ერთხმად ამტკიცებდნენ ამას მოწმეები, განცვიფრებული იყო ბრალდებული, მარტო სიტყვით კი არა, მთელი ტანის მოძრაობითაც გაიძახოდა - არაო, - ან არადა ენაჩავარდნილივით შეჰყურებდა ჭერს. ლაპარაკობდა გაჭირვებით, გაცბუნებული პასუხობდა, მაგრამ განხორციელებული უარი იყო თავით ფეხამდე. ყეყეჩს ჰგავდა ამდენი განათლებული, მის წინააღმდეგ გალაშქრებული ხალხის წინაშე, უცხოს ამ საზოგადოებასთან, რომელსაც მისი განადგურება განუზრახავს. დღეს უნდა გადაწყვეტლიყო იმისი ბედი, იმისი მომავალი, სასამართლო კი ავის მეტს არას უქადდა: უფრო და უფრო მტკიცდებოდა მსგავსება და დარბაზში მყოფი ხალხი არანაკლები მოთმინებით მოელოდა მსჯავრს, ვიდრე თვით ბრალდებული. კატორღა კი არა, შესაძლებელი იყო სიკვდილით დასჯაც გადაეწყვიტათ, თუ დამტკიცდებოდა, რომ ჟან ვალჟანი იყო და პატარა ჟერვეს გამძარცვავიც. ვინ იყო ეს კაცი? რით აიხსენოდა მისი გულგრილობა? სისულელით თუ ეშმაკობით? არ იცოდა, რა განსაცდელი მოელოდა თუ მეტისმეტად კარგად იცოდა? ეს კითხვები ორგვარად გადაეწყვიტა დარბაზში ხალხს და თვით მსაჯულებსაც. ამ საქმეში რაღაც საშინელებაც ჩანდა და საიდუმლოებაც. მხოლოდ სიბნელით კი არ იყო მოცული ეს დრამა, აგრეთვე იდუმალებითაც.

კარგი სიტყვა წარმოთქვა ბრალდებულის ვექილმა იმ პროვინციული ენით, რომელიც დიდხანს ითვლებოდა მართლმსაჯულების მჭევრმეტყველებად და რომელსაც ვერ უღალატებდა ვექილი, როგორც პარიზში, ისე სადმე რომორ-ანტენში ან მონბრიზონში. დღეს ეს ენა უკვე კლასიკურად ითვლება და თუ არის ვინმე ამ მჭევრმეტყველებით გატაცებული, მარტო სასამართლოს ოფიციალური წარმომადგენლები, რომელთაც კეთილხმიერება ესაჭიროებათ სიტყვაში და საზეიმო დიდებულება. ეს გახლავთ ის ენა, რომლითაც ქმარს მეუღლე ჰქვია, დედაკაცს - დიასახლისი, პარიზს - ხელოვნებისა და განათლების ცენტრი, მეფეს - მონარქი, ეპისკოპოსს - წმინდა მღვდელმთავარი, მთავარ პროკურორს - მჭევრმეტყველი განმახორციელებელი ბრალდებისა, ვექილის სიტყვას - მწარე გოდება, ლუი XIV-ის დროს - დიდებული საუკუნე, თეატრს - ტაძარი მელპომენესი, სამეფო გვარის შთამომავალთ - წმინდა სისხლი ჩვენთა მეფეთა, კონცერტს - მუსიკის ზეიმი, ოლქის ჯარის უფროსს - სახელოვანი მხედართმთავარი, სემინარიის მოწაფეს - ჩვილი ლევიტელი, გაზეთების შეცდომას - გესლი, რომლითაც გაჟღენთილია ამ მავნე ორგანოების ფურცლები და სხვ. და სხვ.

ჯერ ვაშლის ქურდობა გააშუქა ვექილმა, რისთვისაც ყოვლად შეუფერებელი გახლავთ ის მჭევრმეტყველური ენა, მაგრამ, გემახსოვრებათ, თვით ბენიგნ ბოსუე, საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში, იძულებული იყო ქათამი ეხსენებინა და ღირსეულადაც გამობრძანდა ამ გაჭირვებიდან. ვექილმა დაადგინა, რომ ეს ვაშლის

ქურდობა არ იყო საბუთიანად დამტკიცებული, ბრალდებული, რომელსაც ის, როგორც დამცველი, შანმატიედ იხსენიებდა, არავის უნახავს არც კედელზე ამძვრალი, არც ტოტის მომტეხი. დაიჭირეს, რადგან ხელში ეჭირა ეს ტოტი, მაგრამ რა ტოტი იყო ეს? რამდენიმე ვაშლი ება პირის გასასველებელი. ძირს ეგდო, გზის პირას და აიღო კაცმა. მერე ამის გამაბათილებელი საბუთი? შეიძლება, მართლა მოტეხილი ყოფილიყო ტოტი; მართლა ამძვრალიყო ვინმე ღობეზე, მაგრამ რით მტკიცდება, რომ ეს ტოტის მომტეხი, ღობეზე ამძვრალი კაცი შანმატიე იყო? მის წინააღმდეგ ერთადერთი გარემოებაა: ის, რომ იგი ძველი კატორღელი არისო. არც ვექილი უარყოფდა, რომ ეს წარსული, ბრალდებულის საუბედუროდ, თითქმის დამტკიცებული იყო. ბრალდებულს ფავეროლში უცხოვრია, გამსხვლელი ყოფილა; შეიძლება სახელად ჟან მატიე ერქვა და მერე შანმატიედ შეიცვალა; ყოველივე ეს მართალი იყო, მით უფრო, რომ ოთხმა მოწმემ, დაინახეს თუ არა, მაშინვე ძველ კატორღელად, ჟან ვალჟანად ცნეს ეს კაცი. ამ ჩვენებას მოწმეებისას, ამ საბუთებს მისი ვინაობისას, ვექილი ვერაფერს წაუყენებდა საწინააღმდეგოდ, გარდა თავისი კლიენტის თავდაცვით გამოწვეული უარყოფისა, მაგრამ მართლა რომ ჟან ვალჟანიც ყოფილიყო, განა ამით მტკიცდებოდა, რომ სწორედ ის იყო ვაშლის ქურდი? ეს ვარაუდია და არა დამამტკიცებელი საბუთი. ქქურდი გგონიათ და უსაბუთოდ დასჯას უპირებთ. მართალია, და ვექილიც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ბრალდებულმა ცუდი ხერხი აირჩია თავის დასაცავად - უარყოფა როგორც ქურდობისა, ისე კატორღაში ყოფნისა. გულწრფელად რომ ეღიარებინა ეს უკანასკნელი გარემოება, კატორღელობა უკეთესი იქნებოდა, რადგან მსაჯულების თანაგრძნობას მოიპოვებდა; ვურჩიე კიდეც, ასე მოქცეულიყო, მაგრამ უარი განაცხადა, რადგან, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ თავიდან აიცილებს ყველაფერს, თუ უარყო ყველაფერი. შეცდა, მართალია, მაგრამ მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ ამ უბედურის განუვითარებლობა. პირდაპირ ეტყობა, რომ გონებაჩლუნგია ეს კაცი. კატორღაში დიდი ხნის ყოფნამ, კატორღის შემდეგ დიდი ხნის გაჭირვებამ გამოატვინა საწყალი და სხვ. და სხვ. ცუდად რომ იცავდა თავს, ნუთუ ამიტომ უნდა გავწიროთ? პატარა ჟერვეს გაძარცვისას არას იტყვის ვექილი, რადგან ეს ამ საქმეს არ შეეხება. დასასრულ, ვექილი სთხოვდა მსაჯულთ, თუ უეჭველად მიაჩნდათ შანმატიეს ჟან ვალჟანობა, დაესაჯათ როგორც უბრალო ბოროტმოქმედი და არა რეციდივის ჩამდენი კატორღელი.

ბრალმდებელმა პასუხი გასცა ვექილს, ცხარე სიტყვა თქვა და მაღალფარდოვანი, როგორც ლაპარაკობს ყოველი ბრალმდებელი.

ჯერ დამცველს მიულოცა გულწრფელი დაცვა კანონებისა და მოხერხებულად გამოიყენა ეს გარემოება. ბრალდებულის გამამტყუნებელ საბუთად გამოაცხადა ყველა ის დებულება, რომლებსაც ვექილი უსაბუთობისა გამო ვარაუდად თვლიდა. რაკი თვით დამცველი ბრძანებს, რომ შანმატიე შეიძლება მართლა ჟან ვალჟანი იყოსო, ცხადია, ბრალდებული ნამდვილი ჟან ვალჟანია და ამას არავითარი მტკიცება აღარ ესაჭიროებაო. მერე საერთოდ ბოროტმოქმედების მიზეზებს შეეხო, გაილაშქრა რომანტიზმის მიმართულების უზნეობის წინააღმდეგ, რომელსაც თავის დასაწყისში „ყოველდღიურისა“ და „ორიფლამის“ კრიტიკოსები „სატანურ მიმართულებას“ უწოდებდნენ. ამ მიმართულების ზეგავლენის შედეგად დასახა შანმატიეს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჟან ვალჟანის გახრწნილება. როდესაც ეს მოსაზრებანი ამოწურა, მერე

თვით ჟან ვალჟანსა სწვდა. რა არის ეს ჟან ვალჟანი? -და დაახასიათა ჟან ვალჟანი: ურჩხული, რომელიც ანთხევს საშინელებას და სხვ. და სხვ. ნიმუში ამგვარი დახასიათებისა მოიპოვება თერამენის მოთხრობაში, რომელიც არაფრად ვარგა ტრაგედიისთვის, მაგრამ დიდ სამსახურს უწევს სასამართლოს ყოველდღიურ მჭევრმეტყველებას. თრთოლა მოერიათ მსმენელებს და მსაჯულებს. დახასიათება რომ დაამთავრა, იმ გრძნობით სავსე კილოთი განაგრძო სიტყვა, რომელსაც, „პრეფექტურაში“ დაბეჭდილს, აღტაცებაში უნდა მოეყვანა ამ გაზეთის მკითხველი. ამგვარი კაცია... და სხვ. და სხვ. თავისი წარსულით ყოველგვარ ბოროტებას მიჩვეული, გახრწნილად დარჩენილი თვით კატორღაშიც, რასაც ამტკიცებს მის მიერ პატარა ჟერვეს გაძარცვა და სხვ. და სხვ. ეს ის კაცია, რომელსაც ზედ მიასწრეს, როცა ქურდობდა, იქვე, იმ კედელთან, რომელზედაც ამძვრალიყო, როდესაც ჯერ ისევ ხელში ეჭირა ნაპარავი, და მაინც ბედავს და უარყოფს ქურდობასაც, კედელზე აძრომასაც, უარყოფს ყველაფერს, თავის სახელსაც კი, უარყოფს თავის ვინაობას. საბუთი მრავალი გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის საკმარისია ჩვენება ოთხი მოწმისა, რომელნიც იცნობენ ძველ კატორღელ ჟან ვალჟანს - ბატონი ჟავერი, უმწიკვლო, პატიოსნებით სავსე ინსპექტორი პოლიციისა და სამიც მისი ძველი ამხანაგი - კატორღელი ბრევე, შენელდიო და კოშპაილი. რა პასუხს აძლევს ბრალდებული ამ თავზარდამცემ მოწმობას? უარყოფს! სიბრიყვე იქნება და სიჯიუტე! მაგრამ თქვენ კანონიერებას დაიცავთ, ბატონო მსაჯულებო და სხვ. და სხვ.

ყურს უგდებდა ბრალმდებელს შანმატიე, გაშტერებული, პირღია, ერთგვარი გაკვირვებით, რომელშიც, ეტყობოდა, აღტაცებაც ჩარეულიყო. გაკვირვებული იყო - ნუთუ შეუძლია ადამიანს ასე საუცხოოდ ლაპარაკიო? ხანდახან, როდესაც მეტისმეტი აღტაცება და რისხვა დაეტყობოდა პროკურორის მსჯელობას, იმ მჭევრმეტყველების ჟამს, როდესაც აღარ შეეძლო თავის შეკავება, ჩანჩქერივით ისროდა ბრალდებულის გამანადგურებელ სიტყვებს და ღრუბელივით თავზე ახვევდა, შანმატიე ნელ-ნელა იქნევდა თავს მარჯვნიდან მარცხნივ და ეს თავის ქნევა იყო იმისი მუნჯური პროტესტი, რომლის მეტი ვერა მოეხერხებინა რა. ორჯერ-სამჯერ, მასთან ახლოს მყოფ მაყურებლებს მოესმათ მისი ჩუმი ხმით ნათქვამი სიტყვა - ეგ იმიტომ, რომ ბალუ არ დაჰკითხეთ. - ამითაც ისარგებლა ბრალმდებელმა, მიუთითა მსაჯულებს ამ განზრახ წარმოებულ ყეყეჩურ თავის ქნევაზე, რომელიც ამტკიცებდა, რაღა თქმა უნდა, არა სისულელეს ბრალდებულისას, არამედ მის ვერაგობასა და მოხერხებას, ჩვეულებას, რომლითაც ატყუებდა მართლმსაჯულებას და რომელიც ცხადყოფდა ამ კაცის ღრმა გახრწნილებას. პატარა ჟერვეს საქმეს თავის დროზე განვიხილავთ და ამჟამად უვადო კატორღა გადავუწყვიტოთო.

ვექილი ადგა, ჯერ ქათინაური მიუძღვნა პროკურორის საგანგებო სიტყვას, მერე ეცადა, როგორც შეეძლო, დაერღვია მისი მოსაზრებანი, მაგრამ მოისუსტებდა; თავისი პირველი სიტყვის საფუძვლები ბრალმდებლისთვის დაეთმო.

## თავი მეათე
## სრული უარყოფა

კამათი დამთავრდა. თავმჯდომარემ - აღექითო - უბრძანა ბრალდებულს და ჩვეულებრივი კითხვა დაუსვა:

- გაქვთ თუ არა რამე სათქმელი თქვენ გასამართლებლად?

ადგა ბრალდებული, ხელში ძველ ჭუჭყიან ქუდს ატრიალებდა. ეტყობოდა, ვერ გაეგო თავმჯდომარის ნათქვამი.

კითხვა გაუმეორეს.

ახლა კი გაიგო, შეიგნო კიდეც, რას უბრძანებდნენ და ისე შეინძრა, თითქოს ეძინა და უცბად გამოეღვიძაო. მიიხედ-მოიხედა. თვალი გადაავლო ხალხს, ჟანდარმებს, თავის ვექილებს, მსაჯულებს, წარჩინებულთა სკამებს. ვეებერთელა მუშტი დაადო მოაჯირს, რომელიც მის წინ იყო აღმართული, ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა, მერე დააშტერდა პროკურორს და მოჰყვა:

მისი ლაპარაკი ამონთხევა იყო! ისე ჩქარობდა, თითქოს პირს მოადგა მრავალი სათქმელი და აღარ აცლიან ერთმანეთსო. გაშმაგებით ამბობდა თავისას, არეულად:

- აი, რა მაქვს სათქმელი. ეტლების გამკეთებლად ვიყავ პარიზში, ისე რომ ბატონ ბალუსთან ვმუშაობდი. ძალიან ძნელი რამ არის ჩვენი ხელობა. თუ საქმე გაქვს, გარეთ უნდა ეგდო, ეზოში. თუ კაი კაცია პატრონი, ფარდულს გააკეთებს, ოღონდ სახელოსნოში კი არა, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, საქმეს მოედანი უნდა. ზამთარში ისე შეგვცივდებოდა ხოლმე, რომ მუშტს ვიცემდით, რომ გავმთბარიყავით, მაგრამ პატრონები გვიშლიდნენ, - დროს ნუ კარგავთ ტყუილადაო. მოდი შენა და რკინაზე იმუშავე, როდესაც ყინულზე დგახარ და გაყინულია მთელი შენი ეზო. ძალიან მალე სცვითავს ადამიანს ეს ხელობა, - ხნიერებით ჭაბუკი კაცია და იერით ბებერი. ორმოცი წლის კაცი წყალში გადასაგდებია, აღარსად ვარგა. მე კი ორმოცდათექვსმეტი წლისა ვიყავი და ძალიანაც მიჭირდა. ახლა მუშები თქვით თქვენა. ისეთი ავები არიან. ერთი ბეწო ჭაღარა რომ გამოგერიოს წვერში, მაშინვე ბებრუცანას დაგიძახებენ ან გამოყრუებულ ბებერს. დღეში ოცდაათ სუს ძლივს ვშოულობდი. ყველაზე ნაკლებს მე მაძლევდა პატრონი, იმიტომ რომ - ბებერი ხარო. ახლა ერთი ქალიცა მყავდა, სარეცხს რეცხავდა წყალზე; ცოტას ისიც შოულობდა და ვცხოვრობდით. ისიც ძალიან გასაჭირში იყო. მთელი დღე წყალში იდგა წელამდე სველი, წვიმაში, თოვლში, ქარში, შიგ პირში რომ გცემთ. ახლა ყინვა თქვით თქვენა. ყინვაშიც უნდა იდგეთ და სარეცხს რეცხავდეთ; იმიტომ, რომ ბევრია იმისთანა, რომ ნაკლებადა აქვს საცვალი და გიჩქარის; არ გაურეცხავ და მუშტარს დაკარგავ. სულ სველია ადამიანი, გარედანაც და შიგნიდანაც. ძვალ-რბილში გატანთ წყალი და ყინვა. ანფან რუჟის სამრეცხაოშიც მუშაობდა. აი, ონკანებით რომ მოდის წყალი. იქ წყალში აღარა დგას მრეცხავი: წინ ონკანი გაქვს, იმაში რეცხავ, და უკან კიდევ აუზი, იმაში ამოავლებ. დაკეტილია და ისე აღარა გცივა. მაგრამ ისეთი ბუღია დამდგარი, ისეთი საშინელი რამ არის, ვაი თქვენი თვალის ბრალი. შვიდ საათზე დაბრუნდებოდა ხოლმე, საღამოზე და მაშინვე წვებოდა, რადგან დაქანცული მოდიოდა. ქმარი სცემდა. მერე თქვენი ჭირი წაიღო. ბედნიერებისა ჩვენ არა გაგვიგია რა. ძალიან პატიოსანი ქალი იყო, არც სადმე დროს გასატარებლად დადიოდა, მშვიდი გოგო იყო, წყნარი. ერთხელ, კარგად მახსოვს, აღების ღამეს, რვა საათი იყო, რომ დაწვა და დაიძინა. აი, რა მქონდა სათქმელი. თუ მართალი გნებავთ, ეგეც თქვენი მართალი. აი, ბატონო, ბალუს ჰკითხეთ. ჰო, ჰკითხეთ. რა სულელი ვარ. პარიზი უფსკრული არის. ვიღას ეხსომება ბებერი შანმატიე. ბატონ ბალუსა ჰკითხეთ, ბატონი ბალუ გეტყვით, ვინცა ვარ.

გაჩუმდა და დარჩა ასე ფეხზე მდგარი. მაღალი ხმითა თქვა ეს სიტყვა, ხრინწიანით, აჩქარებით, ხვნეშით, ერთგვარი გაშმაგებული და თან მხეცური მიამიტობით. ერთ წამს

შეჩერდა და შეწყვიტა სიტყვა, რომ სალამი მიეცა ვიღაცისთვის იმ ხალხში. ისე ისროდა სიტყვებს, თითქოს აბოყინებს კაცს და იმას იძახის, რაც პირზე მოადგებაო; ღობე-ყორეს ედებოდა უბედური, თან ხელს იქნევდა სწორედ ისე, როგორც შეშის მჭრელმა იცის, ცულს რომ დაჰკრავს კუნძს.

რომ გაათავა, ხალხს სიცილი წასკდა. გადახედა და რა ნახა, რომ იცინოდნენ, თვითონაც სიცილი დაიწყო.

საზარელი სურათი იყო.

გულკეთილი კაცი იყო თავმჯდომარე და იმისმა ხმამ აღადგინა წესიერება.

მოაგონა ბატონ მსაჯულთ, რომ ეგრეთ წოდებული ბალუ, საეტლო სახელოსნოს ყოფილი პატრონი, რომელთანაც უმუშავია ბრალდებულს, ამაოდ იყო დასახელებული; გაკოტრებულიყო და აღარავინ იცოდა, სად იყო. მერე ბრალდებულს მიუბრუნდა და ურჩია, - კარგად დამიგდეთ ყური და შეიგნეთ, რას გეუბნებითო.

მერე აუხსნა:

- ისეთ მდგომარეობაში ხართ, რომ დაფიქრებაღა გიხსნით განსაცდელისგან. ბრალი გადევთ და შეიძლება საშინელი შედეგი დაგიდგეთ. მებრალებით და ამიტომ ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გირჩევთ, გულწრფელად გვიპასუხოთ და აგვიხსნათ ორი გარემოება: პირველი - აძვერით თუ არა პიერონის ღობეზე, მოტეხეთ ტოტი და მოიპარეთ ვაშლი. ესე იგი, ჩაიდინეთ თუ არა ქურდობა ღობეზე აძრომით. მოკლედ მიპასუხეთ - ჰო თუ არა; და ახლა მეორე: ხართ თუ არა კატორღელი ჟან ვალჟანი?

ბრალდებულმა შეგნებული გამომეტყველებით გაიქნია თავი ნიშნად იმისა, რომ ნათქვამიც ესმის და პასუხიც მზად აქვს. თავმჯდომარისკენ მიბრუნდა, პირი დააღო და თქვა:

- ჯერ ისა, რომ...

მერე თავის ქუდს დახედა. ჭერს შეხედა და ჩაჩუმდა.

ბრალმდებელი წამოვარდა და მიმართა გაბრაზებით:

- ფრთხილად, ბრალდებულო! პასუხს არაფერს გვაძლევთ, რაც უნდა გკითხოთ. გერევათ ყველაფერი და მაგით იღუპავთ თავს. ცხადია, რომ თქვენი სახელი შანმატიე არ არის. ცხადია, რომ თქვენ ჟან ვალჟანი ხართ, რომ ჯერ ჟანმატიე დაირქვით თავის დასამალად. დედათქვენის სახელი არის მატიე. ცხადია, რომ ოვერნშიც ყოფილხართ, ფავეროლშიც, თქვენს სამშობლოში ყოფილხართ გამსხვლელი. ცხადია, რომ ღობეზე აძრომით მოგიპარავთ ვაშლი და, ბევრიც რომ იძახოთ, არაო, მაგით ვერაფერს გახდებით. ახლა ბატონი მსაჯულები შეაფასებენ თქვენს საქციელს.

ამასობაში დამჯდარიყო ბრალდებული და რომ გაათავა ბრალმდებელმა თავისი, უცბად წამოვარდა და შეჰყვირა:

- ავი ბევრი მინახავს, მაგრამ თქვენისთანა კი არა! აი, რის თქმა მინდოდა და ვერ ვახერხებდი. მე არაფერი მომიპარავს. ერთი საწყალი კაცი ვარ, ლუკმაპური მენატრება ხშირად. აილიდან მივდიოდი, წყალდიდობა ყოფილიყო და ჩემს გზაზე მინდორი გაყვითლებული იყო. ყველგან დაგუბებული იდგა წყალი, ქვიშა დასდებოდა ქვეყანას, ბალახი აღარა ჩანდა. გზის პირას მოტეხილი ტოტი ეგდო, ზედ ვაშლი ესხა და მეც ავიღე. რა ვიცოდი, რომ ქურდობად ჩამომართმევდნენ და ასე მაწვალებდნენ? სამი თვე არის ციხეში ვზივარ, მაწვალებენ, დამათრევენ. რაღაცას მაბრალებთ, მამტყუნებთ, მეუბნებით, პასუხი მოგვეციო. რა პასუხი უნდა მოგცეთ. აი, ეს ჟანდარმი,

კარგი ბიჭი უნდა იყოს, მამაცხონებული, ხელს წამკრავს ხოლმე და მიჩურჩულებს, პასუხი გაეციო. რა უნდა გიპასუხოთ. რა აგიხსნათ, რომ ლაპარაკიც კი არ შემიძლია. ერთი საწყალი კაცი ვარ, უსწავლელი და გაუთლელი და სწორედ ამის დანახვა არ გინდათ და მაწვალებთ. მე არაფერი მომიპარია, მიწაზე ეგდო და ავიღე. სულ იმას გაიძახით - „ჟან მატიე ჟან ვალჟანიო“. მე მაგათ არ ვიცნობ. სოფლელები უნდა იყვნენ. მე ბატონ ბალუსთან ვმუშაობდი, ჰოსპიტალის ბულვარზე. მე შანმატიე მქვია. ეშმაკობთ, მეუბნებით, სად დავბადებულვარ. მე კი არ ვიცი. ყველას კი არა აქვს სახლი, რომ იქ დაიბადოს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ასე ყოფილიყო. მე მგონია, რომ დედაჩემი და მამაჩემი უბინაოდ დაწრიალებდნენ, საცა მოხვდებოდათ, ნამდვილად არა ვიცი რა. პატარაობისას „ბიჭოს“ მეძახდნენ, ახლა „ბებერს“ მეძახიან. აი, ჩემი ნათლობის სახელები. ოვერნში ვიყავი, ფავეროლში ვიყავი, მერე რა? განა არ შეიძლება, ოვერნში ყოფილიყო კაცი, ფავეროლში, და კატორღაში კი არ ყოფილიყო? კიდევ გეუბნებით, მე არაფერი მომიპარია, მე ძია შანმატიე ვარ. ბალუსთან ვმუშაობდი და ბინაც იქვე მქონდა. რა გინდათ ჩემგან? გული გამიწყალეთ თქვენი სისულელეებით. რას ჩამციებიხართ, რას ამდევნებიხართ ცოფიანებივით?

ბრალმდებელი არ დამჯდარიყო და თავმჯდომარეს მიმართა:

- ბატონო თავმჯდომარევ, ბრალდებული არეულ-დარეულად, მაგრამ მოხერხებულად უარყოფს ყველაფერს, მეტი არაფერია... სულ იმას ცდილობს, რომ წმინდა წყლის სულელად მოგვაჩვენოს თავი, მაგრამ ამაოდ. ამიტომ თუ თქვენი და ბატონ მსაჯულთა ნებაც იქნება, მე გთხოვთ ერთხელ კიდევ შემოიყვანოთ კატორღელები ბრევე, კოშპაილი და შენილდიო, და აგრეთვე პოლიციის ინსპექტორი ჟავერი, პირზე დავუყენოთ ამ კაცს, კიდევ შევამოწმოთ ერთი და იგივეობა ამისი და ჟან ვალჟანისა.

- უნდა შევნიშნო ბატონ ბრალმდებელს, - თქვა თავმჯდომარემ, - რომ ინსპექტორი ჟავერი თავისი თანამდებობისა გამო იძულებული იყო საჩქაროდ დაბრუნებულიყო მონრეილში. ჩვენება მოგვცა და წავიდა. წასვლის ნებართვა მივეცით ბატონი ბრალმდებლისა და დამცველის თანხმობით.

- მართალი გახლავთ, ბატონო თავმჯდომარევ, - დაეთანხმა ბრალმდებელი, - ჟავერი აქ არ არის, მაგრამ შეიძლება ბატონ მსაჯულებს მოვაგონოთ იმისი ჩვენება, რომელიც რამდენიმე საათის წინ იყო ნათქვამი. ჟავერი პატიოსანი კაცი გახლავთ, რომელიც თავისი სიმტკიცითა და ერთგულებით პატივსადებად ქმნის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან თანამდებობას. აი, რა თქვა ჟავერმა: „ჩემთვის საჭირო არ არის არც ზნეობრივი, არც ნივთიერი საბუთები, რომლებიც აბათილებენ ბრალდებულის უარყოფას, რადგან ძალიან კარგადა ვცნობ. ამ კაცს შანმატიე არა ჰქვია. ეს არის ძველი კატროღელი, მეტად ბოროტი და საშიში კაცი, სახელად ჟან ვალჟანი. კატორღაში ძალიან სწუხდნენ, რომ ათავისუფლებდნენ ამისთანა საშინელ კაცს. ცხრამეტი წელიწადი იყო კატორღაში ქურდობისა გამო. ხუთჯერ თუ ექვსჯერ სცადა გაპარვა. პატარა ჟერვეს გაძარცვისა და ვაშლის მოპარვის გარდა, ეჭვი მაქვს, რომ მანვე გაქურდა განსვენებული ეპისკოპოსი დინისა. ხშირადა ვხედავდი ამ კაცს, როდესაც ტულონის კატორღაში ზედამხედველის თანაშემწედ ვიყავი. ვიმეორებ, ვიცნობ მას და ძალიან კარგადაც ვიცნობ“.

საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ჩვენებამ ხალხზეც და მსაჯულებზეც. ბრალმდებელმა მაინც სთხოვა, რაკი ჟავერი აქ არ არის, სამი მოწმე ხომ აქ არის - ბრევე, შენილდიო და კოშპაილი, ერთხელ კიდევ ვნახოთ, რას იტყვიანო.

თავმჯდომარემ ბოქაულს უბრძანა და ცოტა ხანს შემდეგ მოწმეების ოთახის კარიც გაიღო. ბოქაულმა ბრევე შემოიყვანა, თან ჟანდარმი ახლდა - მართლმსაჯულებას რომ დახმარებოდა, თუ კატორღელი ბრევე ავს გაბედავდა რასმე. მოუთმენლად ელოდა ხალხი ბრევეს ჩვენებას და ისე უთრთოდათ გული, თითქოს ერთი სული სდგომოდა ყველას.

კატორღელ ბრევეს შავი ტანსაცმელი ეცვა, საპატიმროების ფორმისა, სამოცი წლისა იქნებოდა, იერი საქმიანი კაცისა ჰქონდა, სახე - გაიძვერასი. ხშირად ხდება ხოლმე, ერთად არიან ეს თვისებანი. კატორღიდან გამოშვებულს, კიდევ რაღაცა დაეშავებინა და საპატიმროში ჩაესვათ. იქ კიდევ რაღაც თანამდებობა მიეცათ, რადგან - ძალიან ცდილობს, სასარგებლო იყოსო, - იძახდნენ საპატიმროს უფროსები. ციხის მღვდლებიც აქებდნენ, ძალიან ღვთისმორწმუნე კაციაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ამბავი მეფის აღდგენის დროისა არის.

- ბრევე, - მიმართა თავმჯდომარემ, - სამარცხვინოდ იყავით დასჯილი და ამიტომ არ გაქვთ ფიცის უფლება.

თავი ჩაღუნა ბრევემ.

- მაგრამ, - განაგრძო თავმჯდომარემ, - კანონის მიერ შერცხვენილ კაცშიაც შეიძლება, თუ ღვთის მადლი შეეწია, დარჩენილიყოს გრძნობა პატიოსნებისა და სიმართლისა. მეც ამ თქვენს გრძნობას მივმართავ, რადგან მგონია, არ უნდა ვცდებოდე. კარგად დაფიქრდით, ვიდრე მიპასუხებდეთ. დააკვირდით, ერთი მხრივ, ამ კაცს, რომლის დაღუპვა შეგიძლიათ ერთი სიტყვით და, მეორე მხრივ, მართლმსაჯულებას, რომელსაც სიმართლეს დაანახვებთ თქვენი სიტყვით. ადამიანის ბედი წყდება და ჯერ კიდევ შეგიძლიათ უარყოთ თქვენი ნათქვამი, თუ გგგგონიათ, რომ შეცდომა დაუშვით. - ბრალდებულო, ადექით! ბრევე, კარგად შეხედეთ ბრალდებულს, შეადარეთ იმას, რაც წარსულიდან გახსოვთ და გვითხარით, არ უღალატოთ თქვენს სულს და სინდისს, გვითხარით - ვინ არის ეს კაცი? ახლაც თქვენს ძველ კატორღელ ამხანაგად, ჟან ვალჟანად, მიგაჩნიათ თუ არა?

ბრევემ ბრალდებულს შეხედა, მერე თავმჯდომარეს უპასუხა:

- დიახ, ბატონო თავმჯდომარევ. პირველად მე ვიცანი და ახლაცა ვცნობ. მოგახსენებთ და ვიმეორებ, ეს კაცი ჟან ვალჟანი გახლავთ, ტულონში მოიყვანეს 1796 წელს და გამოუშვეს 1815-ს. ერთი წლის შემდეგ მე გამომიშვეს. სულელსა ჰგავს, მაგრამ ეგ სიბერის ბრალი უნდა იყოს. კატორღაში პირქუში კაცი იყო, ჟან ვალჟანი გახლავთ.

- დაჯექით, - უთხრა თავმჯდომარემ, - ბრალდებულო, აგრე იდექით.

შემოიყვანეს შენილდიო, სიკვდილამდე კატორღელი, რასაც ამტკიცებდა მისი წითელი ხალათი და მწვანე ქუდი... ისიც ტულონში იყო დამწყვდეული და ამ საქმის გამოსარკვევად წამოეყვანათ. პატარა კაცი იყო, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა, მოუსვენარი, დამჭკნარი, ჩამომხმარი, ჩაყვითლებული, ურცხვი, თავხედი, რომელსაც ტანში რაღაც ავადმყოფური სისუსტე ემჩნეოდა და თვალებში - უსაზღვრო ძალა. კატორღელ ამხანაგებს მეტსახელად ჟე-ნიდიო დაერქმიათ.

თავმჯდომარემ მასაც იმავე შინაარსის სიტყვით მიმართა. იმწამს, როდესაც ეუბნებოდა, შენმა სასჯელმა შეგარცხვინა და მოგისპო უფლება ფიცისაო, შენილდიომ თავი მაღლა აიღო და ხალხს თვალი გაუსწორა. თავმჯდომარემ ურჩია დაფიქრებულიყო და ეთქვა, ახლაც ჟან ვალჟანად სცნობდა ბრალდებულს თუ არა.

სიცილი წასკდა შენილდიოს:

- დასწყევლა ჩემმა გამჩენმა! როგორ არ ვიცნობ. რა ვქნა, რომ ხუთი წელიწადი ვიყავით ერთ ჯაჭვზე მიბმული? რას იღრინები, ბებერო?

- დაჯექით, - უბრძანა თავმჯდომარემ.

ბოქაულმა კოშპაილი შემოიყვანა. ესეც უვადო კატორღელი იყო, შენილდიოსავით წითელი ხალათითა და მწვანე ქუდით. გლეხი კაცი იყო, კურდელი, ტყის ნადირი პირინეის მთისა. საქონელს აძოვებდა მთაში და მწყემსობას ყაჩაღობა არჩია. კოშპაილიც ბრალდებულივით გაუთლელი იყო და იმაზე უფრო მეტად სულელი. ეს იყო ერთი იმ უბედურთაგანი, რომელთაც ბუნება ნადირადა ქმნის და საზოგადოება კატორღელად გარდაქმნის.

თავმჯდომარე შეეცადა შეეგნებინებინა რამე თავისი მგძნობიარე და მნიშვნელოვანი სიტყვით და მერე ჰკითხა, როგორც იმ ორს - ახლაც ჟან ვალჟანადა სცნობთ ამ კაცსაო?

- ჟან ვალჟანია, მაშ, რა ვქნა? ისეთი ღონიერია, რომ ჟანკრიკს ვეძახდით.

ამ კაცების ჩვენება, ეჭვი არ არის, გულწრფელი და კეთილსინდისიერი, აღშფოთებულ ჩურჩულს გამოიწვევდა ხოლმე ხალხში, ავის წინამორბედს ბრალდებულისთვის. ეს აღშფოთება ხალხისა უფრო და უფრო მძაფრდებოდა, როდესაც მეორე და მერე მესამე მოწმის სიტყვა გაიგონეს მსმენელებმა. ბრალდებული კი განცვიფრებული ისმენდა სამივეს ნათქვამს, რაც, ბრალდების აზრით, უმთავრესი საშუალება იყო უბედურის თავდაცვისა. პირველის ჩვენება რომ მისმინა, ჩუმად წაიდუდუნა: - აჰა, ესეც იტყვის კაცი ვარო! - მეორის ჩვენებაზე უფრო ხმამაღლა წარმოთქვა, თითქმის კმაყოფილებით:

- ძალიან კარგი! - მესამისაზე: -დიდებულია!

თავმჯდომარემ ჰკითხა:

- გაიგონეთ, ბრალდებულო? ახლა რას იტყვით?

და პასუხი მიიღო:

- აკი ვთქვი, დიდებულია-მეთქი.

აღშფოთებული ხალხი აჩოჩქოლდა. მღელვარება ლამის მსაჯულებსაც გადაედო. ცხადი იყო, დაიღუპა კაცი.

- ბოქაულო! - უბრძანა თავმჯდომარემ, - დააწყნარეთ ხალხი, დროა მოისპოს კამათი.

ამ დროს რაღაც ამოძრავდა თავმჯდომარის გვერდით, ხმა გაისმა ვიღაცისა, რომელიც ყვიროდა:

- ბრევე, შენილდიო, კოშპაილ, აქეთ მოიხედეთ!

ისეთი საცოდავი და შემზარავი ხმით იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ ყველას ელდა ეცა, ვინც კი გაიგონა; იქით მიმართეს თვალი, საიდანაც ხმა მოისმოდა. წარჩინებულ მსმენელთა შორის, რომლებიც თავმჯდომარის უკან ისხდნენ, ერთი კაცი ამდგარიყო, გაეღო დაბალი, საყრდნობის სიმაღლის კარი და შუა დარბაზში

გასულიყო. თავმჯდომარემ, პროკურორმა ბამატაბუამ და სხვებმაც იცნეს ეს კაცი და შეჰყვირეს:

- ბატონი მადლენი!

## თავი მეთერთმეტე

## შანმატიე უფრო და უფრო განცვიფრებაში მოდის

მართლა მადლენი იყო. მდივნის ლამპის სინათლეში იდგა, ქუდი ხელში ეჭირა, სერთუკი წესიერად ჰქონდა შეკრული, ტანსაცმელს არავითარი უწესრიგობა არ ეტყობოდა,მაგრამ მკვდრის ფერი ედო, ცოტა კანკალებდა და თოვლივით გასთეთრებოდა თმა. ერთი საათი იჯდა სასამართლოში და იქ შეეცვალა მის თმას ფერი.

ყველა იმას შესცქეროდა. აუწერელია იქ მყოფთა მღელვარება, მით უფრო, რომ ვერ გაეგოთ, ვინ იყო ამ სიტყვების წარმომთქმელი. გულსაკლავი იყო ეს ხმა, ამის მთქმელი კი ისე მშვიდად იდგა, რომ კარგა ხანს ვერ გამორკვეულიყო ხალხი - ვინ იყო, რომ კატორღელებს დაუძახაო.

ყველას კითხვა აღეძრა. ვერ წარმოედგინათ, რომ ამ კაცს, ასე დამშვიდებულს, შეიძლება ამოხდომოდა ეს სიტყვები.

დიდხანს არ გასტანა ამ მდგომარეობამ. ჯერ არაფერი ეთქვათ თავმჯდომარეს და ბრალმდებელს, ჯერ ისევ გაკვირვებულნი იყვნენ ბოქაული და ჟანდარმები, რომ ის კაცი, რომელსაც ჯერ ყველა ბატონ მადლენად იცნობდა, მიუახლოვდა მოწმეებს - კოშპაილს, ბრევეს და შენილდიოს და უთხრა:

- მაშ, ვერა მცნობთ?

გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ სამივენი და თავის ქნევით ანიშნებდნენ, რომ არ იცნობდნენ. შემკრთალმა კოშპაილმა სამხედრო სალამი მისცა.

ბატონი მადლენი თავმჯდომარისკენ მიბრუნდა და მშვიდად სთხოვა:

- ბატონო თავმჯდომარევ და ბატონო მსაჯულებო, გაეცით ბრძანება, რომ გაუშვან ეს ბრალდებული. მე დამიჭირეთ. თქვენ რომ კაცს ეძებთ, მე გახლავართ და არა ეგ. ჟან ვალჟანი მე ვარ.

სუნთქვა შეეკრა ყველას, გაკვირვებას სამარისებური დუმილი მოჰყვა. ყველა აეტანა იმ სარწმუნოებრივ თრთოლვას, რომელიც მოერევა ხოლმე ხალხს, როდესაც დიდებულ სასწაულს ხედავს.

თავმჯდომარეს სახეზე ნაღვლიანი თანაგრძნობა ეხატებოდა, რაღაც ანიშნა სწრაფად ბრალმდებელს, რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა ნაფიც მსაჯულს, მერე ხალხს მიმართა იმისთანა კილოთი, რომ ყველას შეაგნებინა თავისი აზრი:

- ექიმი ხომ არავინ არის აქ?

ბრალმდებელი წამოდგა:

- ბატონო მსაჯულებო, ეს უცნაური და მოულოდნელი შემთხვევა, რომელმაც შეწყვიტა ჩვენი სხდომა, მხოლოდ ერთ გრძნობას აღძრავს ჩვენში და, რაღა თქმა უნდა, აგრეთვე თქვენშიც. ყველანი იცნობთ სახელგანთქმულ ბატონ მადლენს, მონრეილის მერს. თუ აქ ექიმი არის ვინმე, ჩვენც ვემხრობით ბატონ თავმჯდომარეს და ვთხოვთ მიხედოს ბატონ მადლენს და შინ მიიყვანოს.

ბატონმა მადლენმა არ დაამთავრებინა ბრალმდებელს თავისი სათქმელი. წყნარი ხმით შეაწყვეტინა სიტყვა, მაგრამ იმგვარი კილოთი, რომელშიაც თავისთავად გამოსჭვიოდა მისი გადაწყვეტილება. აი, მისი ნათქვამი სიტყვა; უცვლელად მოგვყავს ისე, როგორც ჩაწერილი იყო მაშინვე, სხდომის შემდეგ ამ სცენის ერთი მოწმის მიერ; ისე, როგორც დღესაც ყურში უდგას, ვინც კი გაიგონა, თუმცა ორმოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ.

- დიდად გმადლობთ, ბატონო ბრალმდებელო, მაგრამ მე შეშლილი არ გახლავართ. აი, დაგარწმუნებთ. ცოტაც კიდევ, ბატონო, და საშინელ შეცდომას დაუშვებდით. გაუშვით ეს კაცი. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, მე გახლავართ აქ ბრალდებული. აქ მარტო მე ვხედავ ყველაფერს ნათლად და ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. მე ღმერთი დამყურებს ზეციდან ამწამს და სხვა არც არა მინდა რა. შეგიძლიათ დამიჭიროთ, რადგან აი, აქ გახლავართ. რა გაეწყობა, ბევრს ვეცადე, რაც კი შემეძლო. სახელი გამოვიცვალე, გავმდიდრდი, მერობა მივიღე. მინდოდა პატიოსნებაში ჩავრეულიყავ. ალბათ შეუძლებელს ვცდილობდი. ბევრი რამ არის, რომ არ ითქმის, არც მინდა გიამბოთ ჩემი ცხოვრება. ერთხელაც იქნება გაიგებს ყველა. მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გავქურდე. ეს მართალია; პატარა ჟერვეს ფული მოვპარე, ესეც მართალია. მართალი თქვეს, რომ მოგახსენეს, ჟან ვალჟანი საშიში და ავი კაციაო. იქნება მარტო ჟან ვალჟანის ბრალი არ იყოს. მომისმინეთ, ბატონო მსაჯულებო. ადამიანი რომ ასე გაბილწდება, როგორც მე ვიყავ, ვეღარც ღვთის განგებას დაემდურება, ვეღარც საზოგადოებას მისცემს რაიმე რჩევას. მაგრამ, ეს კი იცოდეთ, ადამიანის დამღუპველია ის საძაგლობა, რომლიდანაც თავის დაღწევას ასე ამაოდ ვცდილობდი. კატორღა კატორღელად აქცევს ადამიანს. ამას ნუ დაივიწყებთ, თუ შეიძლება. კატორღამდე ერთი საწყალი გლეხი ვიყავი, უვიცი და უბირი. უვიცობას შეცდომა მოჰყვა, შეცდომას - კატორღა და კატორღას - ჩემი გარდაქმნა; უვიცი ვიყავი, ბოროტად გადამაქცია; ნაფოტი ვიყავი, საწვავი და იქ ცეცხლად გამხადეს, სხვის დამწველად; შემდეგში ლმობიერება ვნახე, სიკეთე, და იმან მიხსნა სიმკაცრისაგან დაღუპული. მაგრამ ბოდიშს ვიხდი, თქვენ არ შეგიძლიათ ამის შეგნება. ჩემს ოთახში, ბუხარში იპოვით ორფრანკიან ვერცხლს, პატარა ჟერვეს რომ წავართვი ამ შვიდი წლის წინათ. სხვას აღარაფერს მოგახსენებთ. დამიჭირეთ. ოჰ, ღმერთო! თავს იქნევს ბატონი პროკურორი. თქვენ ფიქრობთ, გაგიჟებულა ბატონი მადლენიო, არა გჯერათ ჩემი! სწორედ ეგ არის სამწუხარო. ამ კაცს მაინც ნუ დასჯით ჩემ მაგივრად. რაო? მაშ ვერა მცნობენ ესენი? ნეტავი ჟავერი აქა ყოფილიყო. ის კი კარგად მიცნობდა.

სიტყვით ვერ გამოითქმის, რა მშვიდი და ღრმა მწუხარებით იყო წარმოთქმული ეს სიტყვა.

მერე კატორღელებს მიუბრუნდა:

- მე კი მაშინვე გიცანით. ბრევე, გახსოვთ?..

ერთ წამს გაჩუმდა, იგონებდა რაღაცას:

- გახსოვს ჭადრაკის დაფასავით უჯრედებად დაყოფილი ქამარი რომ გერტყა კატორღაში?

ბრევე შეთრთოლდა და განცვიფრებული თვალით სინჯავდა თავით ფეხამდე.

მადლენმა ახლა მეორეს მიმართა:

- შენილდიო, ჟენიდიო რომ დაირქვი მეტსახელად, მარჯვენა მხარი ღრმადა გაქვს დამწვარი, რადგან ერთხელ დაწექი და მხარი დაადე ნაკვერჩხალს, რომ წაგეშალა როგორმე ორი ასო „კ.ს.“ - კატორღა სიკვდილამდე, - და მაინც ვერ წაშალე. დღესაც გექნება ეგ ასოები.

- მართალია, - უპასუხა შენილდიომ.

მერე კოშპაილს უთხრა:

- კოშპაილ, მარცხენა მკლავზე, იდაყვის ძარღვის ახლოს, საიდანაც სისხლს გამოუშვებენ ხოლმე, ამომწვარი გაქვს თოფისწამლით ლურჯი ციფრები. ეს არის პირველი მარტი, 1815 წელი - იმპერატორის კანში გადმოსვლის თარიღი. აიწიე ეგ სახელო.

კოშპაილმა აიწია სახელო, იმის ტიტველ მკლავს დასცქეროდა ყველა. ლამპა მიანათა ერთმა ჟანდარმმა, თარიღი აჩნდა მკლავზე.

მერე ხალხს და მსაჯულებს მიუბრუნდა საწყალი კაცი იმგვარი ღიმილით, რომ დღესაც გულს უწყლავს, ვინც ის ნახა და აგონდება. ეს იყო ღიმილი ტრიუმფისა და იმავე დროს ღიმილი სასოწარკვეთილებისა.

- ახლა ხომ ხედავთ, რომ მე ჟან ვალჟანი ვარ?

აღარც მსაჯულები იყვნენ დარბაზში, აღარც ბრალმდებელი, აღარც ჟანდარმები - განცვიფრებული თვალიღა იყო და მოწყლულებული გული. აღარავის ახსოვდა თავისი მოვალეობა, ან როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. ბრალმდებელს დავიწყებოდა, რომ ის იყო კანონიერების დამცველი. თავმჯდომარეს დავიწყებოდა, რომ ის იყო სხდომის წესრიგის დამცველი. ვექილს დავიწყებოდა, რომ ის იყო ბრალდებულის დამცველი. უცნაური ის იყო, რომ არც რამე კითხვა ყოფილა აღძრული, არც ვინმე ხელისუფლებიანი ჩარეულა ამ საქმეში. დიდებული მოვლენის თვისება ის არის, რომ მთლიანად გაიტაცებს დამსწრეთა სულს და მაყურებლად გარდაქმნის ყველას, თვით მოქმედ პირებსაც. შეიძლება, ჯერ გარკვეული არავის ჰქონდა, რას განიცდიდა. ეჭვი არ არის, ვერავინ იტყოდა, რომ მის თვალწინ ბრწყინავდა წმინდა სინათლე, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ აღტაცებული იყო ამ დიდსულოვნებით.

ცხადი იყო, რომ ჟან ვალჟანი ედგათ თვალწინ, სხივმოსილი. ამ კაცის გამოცხადება საკმარისი იყო, რომ სინათლე მოჰფენოდა წყვდიადით მოცულ საქმეს. საჭირო არ იყო არავითარი განმარტება. ვინც კი აქ იყო, ყველამ იგრძნო და შეიგნო უცბად, თითქოს ერთგვარი ელექტრონული ბიძგი მოხვედროდათ - ეს უბრალო, მაგრამ დიდებული ისტორია ადამიანისა, რომელმაც გასწირა თავი მხოლოდ იმისთვის, რომ მის მაგივრად სხვა არ ყოფილიყო დასჯილი. წვრილმანი ყოყმანი, ამის საწინააღმდეგო შესაძლებელი გულისთქმანი, უჩინარ იქმნენ ამ ბრწყინვალე თავგანწირვაში.

მალე გაუარა ამ შთაბეჭდილებამ, თავის დროზე კი დიადი იყო და დაუძლეველი.

- არ მინდა, ბატონო, შევაყენო თქვენი ბჭობა, - მიმართა მადლენმა თავმჯდომარეს, - მე გეახლებით, რაკი არ მაპატიმრებთ. საქმეები მაქვს გასათავებელი. ბატონმა ბრალმდებელმა იცის, ვინა ვარ, იცის, სად მივდივარ და დამაპატიმრებს, როდესაც მოისურვებს. - ესა თქვა და გასასვლელი კარისკენ წავიდა. ხმა არავინ ამოიღო, ხელი არავინ გაანძრია მის დასაჭერად. თანაგრძნობით უთმობდნენ გზას; რაღაც ჰქონდა ამ დროს ზეციური, რომლის გამო მუხლს იყრის

ბრბო ადამიანის წინაშე. ნელი ნაბიჯით გაიარა ხალხში. არავინ იცის, ვინ გაუღო კარი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ღია დახვდა. კართან რომ მივიდა, იქ გაჩერდა, მობრუნდა და თქვა:

- ბატონო ბრალმდებელო, თქვენს განკარგულებაში ვრჩები დღეიდან.

მერე ხალხს მიმართა:

- შესაბრალისად მიგაჩნივართ ყველას, ვინც აქა ხართ, ხომ მართალია? ღმერთო ჩემო! რომ მომაგონდება, რას ვაპირებდი, მერწმუნეთ, შურის ღირსი ვარ და არა სიბრალულისა. მაგრამ მაინც ის ემჯობინებოდა, რომ არ მომხდარიყო, რაც მოხდა.

გავიდა და კარი მოხურა, როგორც წეღან გაუღო, უხილავმა. დიდებული კეთილმოქმედის დასახმარებლად ყოველთვის მოიპოვება ხალხში თანამოზიარე.

ერთი საათიც არ დასჭირვებია ამის შემდეგ სასამართლოს, რომ სრულიად გაემართლებინა საწყალი შანმატიე და მაშინვე გაეთავისუფლებინა. განცვიფრებული მიდიოდა უბედური, დარწმუნებული, რომ გიჟები იყვნენ ყველანი იმ საქმეში, რომლისაც იმას ვერც თავი გაეგო და ვერც ბოლო.

## წიგნი მერვე
## თავგანწირულის დაჯილდოება

### თავი პირველი
### რა სარკეში ხედავს ბატონი მადლენი თავის თავს

თენდებოდა. უძილოდ გაატარა ღამე ფანტინმა, რადგან დიდი სიცხე ჰქონდა. მაგრამ იმდენი საამო რამ ელანდებოდა, რომ ბედნიერად გრძნობდა თავს. დილით ჩაეძინა. ღამე იმასთან გაატარა სიმპლიციამ და ამ ჩაძინებით ისარგებლა, რომ წამლის მოსამზადებლად გასულიყო. საავადმყოფოს ლაბორატორიაში იყო, ქინაქინს ეძებდა და დაკვირვებით სინჯავდა წამლების შუშებს, რადგან ჯერ კიდევ ბნელოდა. კარისკენ მიიხედა და უცბად შეჰკივლა. კართან ბატონი მადლენი იდგა. ის იყო, შემოსულიყო ჩუმად და ხმას არ იღებდა.

- თქვენა ბრძანდებით, ბატონო მერო? - შეჰყვირა სიმპლიციამ.

- როგორ არის საწყალი ქალი? - ჩუმი ხმით მიმართა მადლენმა.

- ამჟამად არა უშავს რა, მაგრამ ძალიან კი შეგვაშინა. - და უამბო ყველაფერი. - გუშინ ცუდად იყო ფანტინი. ახლა უკეთ არის, რადგან ჰგონია, რომ ბატონი მერი მონფერმეილში არის წასული ბავშვის მოსაყვანად.

სიმპლიციამ ვერ გაუბედა და ვერა ჰკითხა ბატონ მერს, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ მადლენი იქიდან არ მოსულიყო.

- ძალიან კარგი, - მოუწონა მადლენმა, - აგრე ეგონოს და ნურც ეტყვით, რომ იქ არა ვყოფილვარ.

- დიახ, ბატონო, მაგრამ ახლა რომ ინახულებთ და თავის ბავშვს კი ვერ დაინახავს, მაშინ რაღა ვუთხრათ?

ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა მადლენი.

- ღმერთი შთაგვაგონებს, - უთხრა პასუხად.

- ოღონდ ტყუილს კი ნუ მათქმევინებთ, ბატონო, - ჩუმი ხმით თქვა სიმპლიციამ და მადლენს შეხედა.

გათენებულიყო. სინათლე იყო ოთახში.

- ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ, ბატონო, მთლად გაგთეთრებიათ თმა!

- გამთეთრებია?

სიმპლიციას სარკე არა ჰქონდა. განჯინაში გახსნა კოლოფი და იქიდან ამოიღო პატარა სარკე, რომელსაც საავადმყოფოს ექიმი ხმარობდა, როდესაც სიკვდილს ამოწმებდა ავადმყოფისას, დასამტკიცებლად იმისა, რომ აღარა სუნთქავსო. მადლენმა გამოართვა სარკე, შიგ ჩაიხედა, გაისინჯა თმა და წამოიძახა:

- მართლა!

ისე გულგრილად წარმოთქვა ეს სიტყვა, რომ ეტყობოდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

სიმპლიციას კი გული სწყდებოდა, რადგან გრძნობდა, რაღაც საშინელება დამართოდა მადლენს.

- შეიძლება ფანტინის ნახვა? - ჰკითხა მადლენმა.

- მაშ ბავშვს ვეღარ მოუყვანთ? - გაუბედავად ჰკითხა მოწყალების დამ.

- მოვუყვან, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ორი-სამი დღე მაინც დამჭირდება.

- ამ ორი-სამი დღის განმავლობაში რომ არა ნახოს ბატონი მერი, ვერ გაიგებს, რომ დაბრუნებულხართ და ადვილად ჩავაგონებთ მოთმინებას. ბავშვი რომ მოვა, თქვენი მოყვანილი ეგონება და ტყუილის თქმა არ დაგვჭირდება.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა მადლენი. მერე მშვიდობიანი, მაგრამ შთამაგონებელი კილოთი უთხრა:

- არა, დაო, უნდა ვნახო. იქნებ კიდეც მეჩქარებოდეს.

სიმპლიციამ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვას „იქნებ“, რომელიც გაუგებარს ხდიდა ბატონი მერის აზრს. თავი დაღუნა და მოწიწებით მოახსენა:

- ამ შემთხვევაში მობრძანდით, ბატონო, თუმცა სძინავს საწყალს.

მერმა პატარა შენიშვნა მისცა კარის შესახებ, რომელიც ჭრიალებდა და შეიძლებოდა ავადმყოფი გაეღვიძებინა, მერე ფანტინის ოთახში შევიდა, მიუახლოვდა ლოგინს და ფარდა გადასწია. ფანტინს ეძინა.

მისი მკერდიდან მძიმედ ამოდიოდა ის ტრაგიკული ქშინვა, რომელიც ნიშანია ამ სნეულებისა და გულს უწყლავს საცოდავ დედას, სასიკვდილოდ განწირულ მიძინებულ ავადმყოფ ბავშვთან რომ ათევს ღამეს. მაგრამ ეს დამძიმებული სუნთქვაც კი ოდნავ თუ არღვევდა მის სახეზე მოფენილ ნეტარებას, რომელსაც ძილში მთლად გამოეცვალა ავადმყოფი. გაყვითლებული სახე თეთრად შესცვლოდა, ლოყები გასწითლებოდა. უთრთოდა ხშირი ქერა წამწამი, ერთადერთი, რაც შერჩენოდა სილამაზისა და ქალწულებისაგან. თუმცა თვალი დახუჭული ჰქონდა, რაღაცას შეჰხაროდა, შორს მყოფს, და ისე მიიწევდა სულით და გულით, თითქოს ფრთების გაშლას აპირებს გასაფრენადო. ასე რომ ენახა ვინმეს, ვერ დაიჯერებდა, რომ გადადებული ავადმყოფი იყო და ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. უფრო გასაფრენად მომზადებულს ჰგავდა, ვიდრე მომაკვდავს.

ყვავილის მოსაგლეჯად გაწვდილ ხელს რომ იგრძნობს ტოტი, შეთრთოლდება - გაურბის და თანაც სთავაზობს, ადამიანის სხეულსაცა სჭირს ამგვარი შეთრთოლება, როდესაც იდუმალი ხელი სიკვდილისა გაწვდილია მისი სულის მისაღებად.

ცოტა ხანს იდგა უძრავად ბატონი მადლენი ფანტინის ლოგინთან. ხან ავადმყოფს შესცქეროდა, ხან ჯვარცმას, რიგრიგობით, როგორც ორი თვის წინ, იმ დღეს,

როდესაც პირველად მოვიდა საავადმყოფოში ფანტინის სანახავად. დღესაც იმავე მდგომარეობაში იყვნენ ორივენი. ერთს ეძინა, მეორე ლოცულობდა. ოღონდ დღეს ფანტინს თმაში ჭაღარა შერეოდა, მადლენი კი თოვლივით გათეთრებულიყო.

სიმპლიცია არ შეჰყვა. ლოგინთან იდგა მადლენი, პირზე თითი მიედო, თითქოს ოთახში ყოფილიყო ვინმე და გაჩუმებას ანიშნებდა. თვალი გაახილა ფანტინმა, დაინახა მადლენი და ტკბილად შესცინა:

- კოზეტი?

## თავი მეორე
## ფანტინი ბედნიერია

არც გაკვირვება გამოუხატავს რაიმენაირი, ბატონი მადლენი რომ დაინახა, არც სიხარული. იგი თვით ხორცშესხმული სიხარული იყო. ეს კითხვა - კოზეტი? - წარმოთქმული იყო სრული რწმენით, რომელსაც იოტისოდენადაც არ ერეოდა შიში ან ეჭვი. პასუხს არ მოუცადა ავადმყოფმა და განაგრძო:

- ვიცოდი, რომ აქა ბრძანდებოდით; მეძინა, მაგრამ გხედავდით. დიდი ხანია, ასე გხედავთ. წუხელ სულ უკან დაგდევდით, გონების თვალით. დიდებაში ბრძანდებოდით და გარს ციური ქმნილებანი გეხვივნენ.

მადლენმა ჯვარცმას მიაპყრო თვალი.

- მაგრამ ერთი მიბრძანეთ, კოზეტი სადღა არის? რატომ ჩემს ლოგინზე არ დასვით, რომ გულში ჩამეკრა, როდესაც გავიღვიძებდი?

რაღაც უპასუხა მადლენმა, მაგრამ თვითონაც არ ახსოვდა შემდეგ თავისი პასუხი.

კიდევ კარგი, რომ ამ დროს ექიმი მოვიდა, წინდაწინ გაფრთხილებული და ის დაეხმარა მადლენს.

- დამშვიდდით, შვილო, - უთხრა ექიმმა, - აქ არის თქვენი ბავშვი.

თვალი გაუბრწყინდა ფანტინს, სახეს მოეფინა ეს სიხარული, ხელები აღაპყრო და ისეთი გამომეტყველებით მიმართა ექიმს, რომელშიაც განწირულის ვედრებაც იყო და ტანჯული დედის მკაცრი ბრძანებაც.

- ოჰ, აქ მომიყვანეთ, ჩემი პაწია!

ბუნებრივი გულმავიწყობა დედისა. კოზეტი დღესაც ძუძუმწოვარ პაწიად მიაჩნდა ფანტინს.

- ჯერ არა, - ამშვიდებდა ექიმი, - ახლა არა, ჯერ დიდი სიცხე გაქვთ. ბავშვის ნახვა აგაღელვებთ და ცუდად გაგხდით. ჯერ ცოტა უკეთესობა უნდა დაგეტყოთ.

ფანტინმა მხურვალედ შეაწყვეტინა:

- მე ხომ კარგად ვარ, რა გინდათ ჩემგან? გეუბნებით, კარგად ვარ-მეთქი. ოჰ, რა სულელია ეს ექიმი! არ გესმით, ჩემი გოგონა მინდა ვნახო! ჩემი შვილი!

- ხომ ხედავთ, როგორა გხდით ეგ მღელვარება. სანამ ასე იქნებით, მე ნებას არ მივცემ, თქვენი გოგონა გაჩვენონ. საქმე ის კი არ არის, რომ ნახოთ, საქმე ის არის, კარგად იყოთ თქვენი შვილისთვის. როდესაც დამშვიდდებით და ჭკვიანად იქნებით, მე თვითონ მოგიყვანთ თქვენს კოზეტს.

თავი ჩაქინდრა საბრალო დედამ.

- მაპატიეთ, ბატონო ექიმო, მაპატიეთ, გევედრებით! წინათ არ წამოვროშავდი ასეთ რამეს, როგორც ახლა მომივიდა, მაგრამ რა ვქნა! იმდენი უბედურება დამატყდა

თავს, რომ ხანდახან მეც აღარ ვიცი, რას ვამბობ. მესმის, ბატონო. თქვენ ჩემი მღელვარება გაშინებთ. დავიცდი, რამდენსაც მიბრძანებთ. მაგრამ გეფიცებით, თუ არ მარგებს, არაფერს მაწყენს ჩემი ბავშვის ნახვა. წუხანდელს აქეთ სულ თვალწინ მიდგას, თვალს აღარ ვაშორებ. აი, ახლა რომ მომიყვანონ, ნახავთ, ისე ტკბილად, ისე მშვიდად დავუწყებ ლაპარაკს, მეტი არაფერი. განა ბუნებრივი არ არის, რომ ჩემი შვილის ნახვას ვესწრაფოდე? ხომ მოიყვანეს მონფერმეილიდან. აღარა ვჯავრობ. ძალიან კარგად ვიცი, რა ბედნიერება მომელის. რაღაც თეთრსა ვხედავდი სიზმარში მთელი ღამე და ხალხს, რომელიც მე მიღიმოდა. როცა მოისურვოთ, მაშინ მოიყვანეთ ჩემი კოზეტი. სიცხე აღარა მაქვს, რადგან მოვრჩი, ავად აღარა ვარ, ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ აღარაფერი აღარ მტკივა. მაგრამ ისე მოვიქცევი, თითქოს ავად ვიყო, აღარც კი გავინძრევი. აქაური დები ნახავენ, რომ სრულიად დამშვიდებული ვარ და იტყვიან - ახლა კი ვაჩვენოთ თავისი შვილიო.

იქვე ლოგინთან სკამი იდგა და დაჯდა მადლენი. ახლა მისკენ მიბრუნდა ფანტინი. ეტყობოდა, ძალიან ცდილობდა დამშვიდებული, „ჭკვიანად“ ყოფილიყო, როგორც თვითონ იძახდა ავადმყოფობით მისუსტებული და გაბავშვებული, რომ აღარავითარი დაბრკოლება აღარ ჰქონოდათ კოზეტის მოსაყვანად. ძალიან ცდილობდა, მაგრამ მაინც ხან რას ჰკითხავდა მადლენს, ხან რას.

- ხომ კარგად იმგზავრეთ, ბატონო მერო? ოჰ, რა გულკეთილი ბრძანდებით, რომ ჩემი გოგონას მოსაყვანად ყოფილხართ. ეს მიბრძანეთ, ხომ კარგად არის? ხომ არ შეგაწუხათ გზაში? აბა, რაღას მიცნობს. იმდენი ხანი გავიდა, დავავიწყდებოდი. მაშ რა? სადა აქვს ბავშვს მეხსიერება! ჩიტებივით არიან, დღეს ერთს დაჰხარიან, ხვალ - მეორეს და ზეგ აღარც ერთი ახსოვთ და აღარც მეორე. ხომ კარგი, სუფთა საცვალი აცვია? კარგად ინახავდნენ ის ტენარდიები? სუფთადა ჰყავთ, კარგად აჭმევდნენ? ოჰ, რა ტანჯვა გამოვიარე, რომ იცოდეთ. გაჭირვებული რომ ვიყავი და დაგვიანებით ვუგზავნიდი ფულს, სულ ისა მქონდა საფიქრებლად და ის მიწყლავდა გულს, ახლა კი, - გაიარა გაჭირვებამ, მხიარულადა ვარ. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მინდა იმ კუდრაჭას ნახვა! ბატონო მერო, თქვენ როგორ მოგეწონათ, ლამაზი გოგონაა? ლამაზია, არა, ბატონო, ჩემი ცუგრუმელა? ძალიან კი შეგცივდებოდათ დილიჟანსში. განა არ შეიძლება, ცოტა ხნით მომიყვანონ? შორიდან მაინც დამანახვონ. მაშინვე წაიყვანონ, ბატონო. მოდით, თქვენ უთხარით, მბრძანებელი თქვენა ხართ. თქვენა ბრძანოთ, თორემ...

ხელი დაუჭირა მადლენმა და უთხრა:

- ძალიან ლამაზი გოგონაა თქვენი კოზეტი და ძალიან კარგადაც არის. მალე ნახავთ, ოღონდ დამშვიდდით. ბევრი ლაპარაკი მავნებელია თქვენთვის. საბანს იხდით მკლავიდან და კიდეც ამიტომ ახველებთ.

და მართლაც, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ აუვარდებოდა ხოლმე ხველა.

ბუზღუნი არ დაუწყია ავადმყოფს. შეეშინდა, საწყენი არაფერი წამომცდეს და უფრო არ დავაგვიანო ჩემი ბედნიერებაო. უმნიშვნელო საგნებზე დაიწყო ლაპარაკი.

- მშვენიერი ქვეყანაა მონფერმეილი, არა, ბატონო? საზაფხულოდ მრავალი ხალხი დადის დროის გასატარებლად. როგორ არის ტენარდიების საქმე? არა მგონია, დაიარებოდეს ვინმე იმათთან, უბრალო დუქანია მათი ვითომცდა რესტორანი.

მადლენს ეჭირა მისი ხელი და შიშით შეჰყურებდა ფანტინს. ცხადი იყო, იმ განზრახვით მოსულიყო, რომ რაღაც ეთქვა ძალიან მნიშვნელოვანი, რომლის თქმა ახლა შეუძლებლად მიაჩნდა. ექიმს დაემთავრებინა ავადმყოფების ჩამოვლა და წასულიყო. სიმპლიციას მეტი აღარავინ იყო მათთან.

და ამ დუმილის დროს უცბად შეჰკივლა ფანტინმა:

- მესმის, ღმერთო! ჩემი გოგონას ხმა მესმის!

ხელი გაშალა, რომ ხმა აღარავის ამოეღო, სუნთქვა შეიკრა და ყურს უგდებდა აღტაცებული.

ვიღაც ბავშვი თამაშობდა ეზოში, მეკარის ან მუშის შვილი, - უბრალო შემთხვევა, რომელიც ხშირია საზარელ მოვლენათა საიდუმლო პირობებში. პატარა გოგონა იყო, მიდი-მოდიოდა, ხტოდა, დარბოდა გასათბობად, იცინოდა და ხმამაღლა მღეროდა. რას არ გამოიწვევს ხანდახან უმანკო ბავშვის თამაში? ამ პატარა გოგონას ხმა იყო, ფანტინს რომ თავისი გოგონას ხმად მიეღო.

- ოჰ, - შეჰყვირა საცოდავმა, - ჩემი კოზეტი? იმისი ხმა არის!

ბავშვი წავიდა, ხმა აღარ ისმოდა. ცოტა ხანი კიდევ უგდებდა ყურს ფანტინი, მერე სახე მოეღრუბლა და ჩუმად, ისე, რომ მადლენმაც ძლივს გაიგონა, სევდიანი ხმით წარმოთქვა:

- რა საძგელი რამ არის ჩვენი ექიმი, რომ ჩემი შვილის ნახვას მიკრძალავს. საზიზღარი კაცია!

მაგრამ მაშინვე გამხიარულდა, რადგან იქ ეგულებოდა კოზეტი. თავის თავს ელაპარაკებოდა, თავის ბალიშს ჩასძახოდა:

- რა ბედნიერები ვიქნებით! პატარა ბაღი გვექნება. ბატონი მადლენი დამპირდა. ბაღში ითამაშებს ჩემი გოგონა. ანბანი უნდა იცოდეს, ახლა კითხვას დავაწყებინებ, პეპლებს გამოეკიდება ბალახებში. მეც იქ ვიქნები. ყურს ვუგდებ პაწიას. მერე წამოიზრდება, საზიარებლად მოვამზადებ. ჰო, მართლა, როდის ეზიარება პირველად?

- ...ერთი, ორი, სამი, ოთხი... შვიდი წლისაა. მაშ ხუთი წლის შემდეგ. თეთრი პირბადე ექნება, თეთრი კაბა, გასათხოვარ ქალს დაემსგავსება. ოჰ, ყოქვენ არც კი იცით, ჩემო დაო, რა სულელი ვარ. ჩემი გოგონას პირველ ზიარებაზე ვფიქრობ.

და სიცილი დაიწყო.

ხელი გაუშვა მადლენმა. ისე ისმენდა იმ სიტყვებს, როგორც ქარის შრიალს. თავი დაეხარა. ღრმა ფიქრებით იყო გატაცებული.

ხმა აღარ ჰქონდა ფანტინს. წამოიწია მადლენმა, შეხედა ავადმყოფს. საშინელი იყო ფანტინი, თავზარდაცემულს თვალები გადმოცვენაზე გახდომოდა.

აღარ ლაპარაკობდა, აღარ სუნთქავდა, ოდნავ წამოწეულიყო თავის ლოგინზე, ჩამომხმარი მკლავი გამოეყო პერანგიდან, სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა და შიშისაგან გაშტერებული თვალით, ეტყობოდა, რაღაც საზარელს შესცქეროდა ოთახის მეორე მხარეს.

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა მადლენმა, - რა დაგემართათ, ფანტინ?

აღარაფერი უპასუხია, თვალი არ მოუშორებია იმ საგნისთვის, რომელიც გულს უხეთქავდა შიშით, ხელი დაადო მხარზე და მეორე ხელით - უკან მიიხედეთო, - ანიშნა.

მიბრუნდა მადლენი და ჟავერი დაინახა.

## თავი მესამე
## ჟავერი კმაყოფილია

აი, რა მოხდა:

ღამის პირველის ნახევარი იყო, როდესაც მადლენი გამოვიდა არასის სასამართლო დარბაზიდან. მაშინვე ფოსტისკენ გაეშურა, სწორედ დროზე მივიდა, რომ არ გაესწრო ფოსტის ეტლს, რომელშიაც უკვე დაჭერილი ჰქონდა ერთი ადგილი. ექვსი საათი არ იყო ჯერ, რომ მონრეილში მივიდა. მაშინვე ფოსტაში ჩაადო ბატონი ლაფიტისათვის გასაგზავნი თავისი წერილი და მერე საავადმყოფოში მივიდა ფანტინის სანახავად.

მაგრამ, როგორც კი გამოვიდა მადლენი სასამართლოდან, ბრალმდებელმა ითხოვა სიტყვა: მწუხარებით აღნიშნა პატივცემული მონრეილის მერის ჭკუიდან შეშლა. განაცხადა, რომ ამ უცნაურმა გარემოებამ, რომელიც გამორკვეული იქნება შემდეგში, არაფრით არ შეცვალა მისი დასკვნა შანმატიეს საქმის შესახებ და სთხოვა სასამართლოს ბრალდებულის დასჯა, რადგან ეჭვი არ არის, შანმატიე ჟან ვალჟანი არის, ოღონდ სახელშეცვლილიო.

ბრალმდებლის ამ მოთხოვნამ, ცხადი იყო, ვერ ჰპოვა თანაგრძნობა ვერც მსმენელებსა და ვერც მსაჯულებს შორის.

ბრალდებულის ვექილმა ადვილად დაარღვია ბრალმდებლის მოსაზრებანი და დაამტკიცა, რომ ბატონი მადლენის, ესე იგი ნამდვილი ჟან ვალჟანის აღიარების შემდეგ, არსებითად შეიცვალა შანმატიეს საქმე და სასამართლოს წინაშე იდგა სრულიად მართალი, უდანაშაულო კაცი. თავისი სიტყვის დასამთავრებლად გრძნობით აღსავსე კილოთი მოიყვანა რამდენიმე, საუბედუროდ, ძველისძველი მაგალითი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომებისა და სხვ. და სხვ.

თავმჯდომარე თავისი დასკვნითი სიტყვით ბრალდებულის ვექილს მიემხრო და ცოტა ხნის შემდეგ შანმატიე სრულიად გამართლებულად გამოაცხადა.

მაგრამ ერთი ჟან ვალჟანი ესაჭიროებოდა ბატონ პროკურორს და, რადგან შანმატიე ხელიდან გაუსხლტა, მადლენი უნდა დაეჭირა...

როგორც კი გამოაცხადეს შანმატიეს გათავისუფლება, პროკურორი მაშინვე თავმჯდომარის კაბინეტში შევიდა მოსალაპარაკებლად. კარი ჩაიკეტეს. გადასაწყვეტი იყო ბატონი მადლენის, ქ. მონრეილის მერის, დაპატიმრება. თავმჯდომარე უკვე დამშვიდებული იყო და საწინააღმდეგო თითქმის არაფერი უთქვამს. ხომ არ შეიძლებოდა, რომ მართლმსაჯულებას თავისი მოვალეობა არ აესრულებინა! გარდა ამისა, თუ მართალი გნებავთ, თავმჯდომარე გულკეთილი კაცი იყო და საკმაოდ განვითარებული, მაგრამ ამასთან ერთად დიდი მომხრე მეფისა, თავდადებული, და ეწყინა მადლენის სიტყვა: „იმპერატორი რომ გადმოვიდა კანშიო“. განა არ შეიძლებოდა იმპერატორის მაგივრად ბონაპარტი ეთქვა?

მადლენის დაჭერის შესახებ ბრძანება მაშინვე იქნა გაგზავნილი. ამ ბრძანების საჩქაროდ მისატანად პოლიციელი გაგზავნეს და ეს საქმე ჟავერს მიანდეს.

მკითხველმა იცის, რომ ჟავერმა სასამართლოს ჩვენება მისცა და მაშინვე უკან დაბრუნდა.

გათენდა. ის იყო დგებოდა ჟავერი, სასამართლოს ბრძანება რომ მიუტანეს - დააპატიმრეთ და არასში ჩამოიყვანეთ ჟან ვალჟანიო.

არასიდან მისული პოლიციელი თვითონაც შეგნებული კაცი იყო და კარგად უამბო ჟავერს, რაც სასამართლოში მოხდა. ბრძანება მადლენის დაჭერის შესახებ, პროკურორის მიერ ხელმოწერილი, ასე იყო შედგენილი: „ებრძანოს ინსპექტორ ჟავერს დაპატიმრება ბატონი მადლენისა, ქ. მონრეილის მერისა, რომელიც სასამართლოს სხდომის დროს ცნობილი იყო კატორღიდან გამოშვებულ ჟან ვალჟანად“.

უცხოს რომ ენახა ვინმეს ჟავერი, იმ დროს, როდესაც საავადმყოფოს კარებში შევიდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რა ხდებოდა ამ გარეგნულად მშვიდი, დარბაისელი კაცის გულში. დინჯი, მკაცრი შეხედულება ჰქონდა, საფეთქელზე გულდაგულ მივარცხნილი ჭაღარაშერეული თმა. კიბეზე ჩვეულებრივი ნაბიჯით ავიდა, აუჩქარებლად. მაგრამ ნაცნობს რომ დაეინახა ვინმეს და ყურადღებით შეეხედა, შეძრწუნდებოდა: ტყავის საყელოს ღილი კისერზე კი არა, მარცხენა ყურზე მოჰქცეოდა - ეს უტყუარი ნიშანი იყო მისი აღგზნებული მდგომარეობისა.

მკაცრი ხასიათის კაცი იყო ჟავერი, არც თავის მოვალეობას უმტყუნებდა და არც თავის ტანსაცმელს. სასტიკად ექცეოდა, ვისაც ხელში ჩაიგდებდა, და აგრეთვე სასტიკად - თავისი ტანსაცმლის წესრიგს. რაკი საყელოს ღილი ცუდად შეეკრა, ცხადი იყო, ამის მიზეზი, ასე ვთქვათ, შინაგანი მიწისძვრა უნდა ყოფილიყო.

ოთხი ჯარისკაცი წამოეყვანა, ერთი ათისთავი და ისე მოსულიყო. ისინი ეზოში დაეტოვებინა. მეკარისთვის ეკითხა ფანტინის ოთახი. მეკარესაც მაშინვე ეჩვენებინა, რადგან ბატონ მერთან ხშირად მოდიოდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები და პოლიციელები.

ფანტინის ოთახთან მივიდა, კარი შეაღო იმ სიფრთხილით, რომელიც ავადმყოფების ერთგულ მომვლელსა აქვს ჩვეულებად და პოლიციის ჯაშუშს.

ზუსტად რომ ვთქვათ, არც კი შევიდა. გაღებულ კარში ჩადგა, თავზე ქუდი ეხურა. მარცხენა ხელი უბეში ედო, ნიკაპამდე შეკრულღილებიან ტანსაცმელში. მოღუნულ იდაყვთან როგორღაც დამალული მძიმე ჯოხის ტყვიის თავი მოუჩანდა.

ერთ წუთს ასე იდგა, ვერავინ ამჩნევდა მის მისვლას. მაგრამ ფანტინმა თვალი მოჰკრა, შეეშინდა და მადლენიც მისკენ მიაბრუნა.

იმ წამს, როდესაც მადლენის თვალი ჟავერისას შეხვდა, არ გაინძრა ჟავერი, არც წინ წაიწია, მაგრამ შემაძრწუნებელი კი გახდა. არც ერთი გრძნობა ადამიანისა არ არის ისე საზარელი, როგორც სიხარული შურისძიებისა.

სახეზე ეხატებოდა აღტაცება ბოროტი სულისა, რომელმაც ხელთ იგდო ცოდვილი.

ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ჟან ვალჟანი ვეღარსად წაუვიდოდა, სახეზე აღბეჭდოდა სულყველაფერი, რაც გულში ჰქონდა დაგუბებული - ზედაპირზე ამოვარდნილიყო ამღვრეული ნალექი. სირცხვილი ერეოდა, რომ ცოტა ხნით დაკარგა კვალი ამ კატორღელისა და ჟან ვალჟანად მიიღო შანმატიე. მაგრამ ამ გრძნობას სხვა სჯაბნიდა - თავმომწონეობა, რომ ნახა თუ არა მადლენი, მაშინვე იცნო და ალღომ არ უმტყუნა. კმაყოფილება ჟავერისა მედიდური იერით გამოიხატა. ამ გამარჯვების სიბილწე მის ვიწრო შუბლზე გაჩაღებულიყო. საზიზღრობა გაშლილიყო კმაყოფილებით აღტაცებული შურისმგებლის სახეზე.

ცას ეწეოდა იმ დროს ჟავერი, ანგარიშმიუცემლად, მაგრამ ერთგვარი მკრთალი ინტუიციით გრძნობდა, რომ შეუძლებელი იყო ამ საქმეში უიმისობა, თუ სრული

გამარჯვება უნდოდა. ამჟამად ის, ჟავერი, ანხორციელებდა მართლმსაჯულებას, სიმართლეს და სინათლეს, რომ აესრულებინა მათი წმინდა დანიშნულება - აღმოეფხვრა ბოროტება. დღეს იმასთან იყო და უძირო სიღრმეში ბრწყინავდა ძალაუფლების, სიმართლის, გონიერი სინდისის, საზოგადოებრივი შურისძიების ვარსკვლავები! ის იყო დამცველი წესიერებისა. მერი გამოჰყავდა კანონგარეთ, სჯიდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოროტის შემტანს, ეხმარებოდა სიკეთეს ბოროტების მოსასპობად. დიდების სხივი ადგა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ გამარჯვებაში რაღაც რჩებოდა კიდევ ბრძოლით მოსაპოვებელი. ამაყად იდგა გამარჯვებით ძალმოსილი და ცასა ჰფენდა სისხლისმსმელი ანგელოზის ჯოჯოხეთურ სიმხეცეს. მისი საქციელის საზარელ აჩრდილად მოჩანდა მისივე შეკუმშული მუშტი, თითქოს საზოგადოების ბასრი ხმალი ყოფილიყოს მავნე ძალების მოსასპობად. ბედნიერი იყო, რადგან დაემხო ბოროტება, ბიწიერება, ავკაცობა, კანონის წინააღმდეგობა; შუქი ეფინებოდა, რადგან ფეხით თელავდა; აღტაცებით იცინოდა, რადგან კლავდა საზოგადოების წამწყმედს.

საშინელი იყო ჟავერი, მაგრამ არ იყო მასში სიბილწე.

პატიოსნება, გულწრფელობა, უმანკოება, რწმენა, მოვალეობა, ყოველი სათნოება შეიძლება მცდარ გზას დაადგეს და საზარელი გახდეს, მაგრამ ბოროტად გამოყენებულიც არა კარგავს თავის დიდებას. ამ ღირსებათა დიდება საზარელშიც კი წმინდად რჩება. ერთი ბიწი აქვს ამ ღირსებებს - მცდარობა, ულმობელი პატიოსანი სიხარული ფანატიკოსისა თავის ბრწყინვალებას მაშინაც კი არ კარგავს, როდესაც დიდი სისასტიკით ასრულებს თავის მოვალეობას. თუმცა თვით ეს ვერ შეეგნო, მაგრამ თავისებური ნეტარებით აღტაცებული ჟავერი ღირსი იყო შებრალებისა, როგორც ყველა გამარჯვებული უვიცი. არაფერი იქნებოდა ამქვეყნად ისე საზარელი და საშინელი, როგორც ეს ადამიანი, რომელშიც გამოხატულიყო მთელი ბოროტება შემცდარი სიკეთისა.

## თავი მეოთხე
## მთავრობა იცავს თავის უფლებებს

ფანტინს მას შემდეგ აღარ ენახა ჟავერი, რაც ბატონმა მადლენმა ხელიდან გამოჰგლიჯა ციხეში ჩასამწყვდევად დაჭერილი ქალი. მისუსტებული ჰქონდა თავი, ჩაფიქრება და განსჯა აღარ შეეძლო და ეჭვიც კი არა ჰქონდა, რომ ჟავერი მის წასაყვანად მოსულიყო. სული ეხუთებოდა. ვერ გაუძლო მის ყურებას. პირზე ხელები აიფარა და შეჰკივლა:

- მიშველეთ, ბატონო მადლენ!

ჟან ვალჟანი - ამიერიდან ამ სახელითღა ვახსენებთ - წამოდგა, თავისი ტკბილი, მშვიდი ხმით ეცადა დაემშვიდებინა ავადმყოფი:

- ნუ გეშინიათ! თქვენთან არ არის!

მერე ჟავერს მიმართა:

- ვიცი, რაც გნებავთ.

ჟავერმა უპასუხა:

- აბა, ჩქარა!

საშინელი ხმით იყო წამოსროლილი ეს ორი სიტყვა, მხეცური გაშმაგებით. ცალ-ცალკე კი არ გამოთქვა ორი სიტყვა, - აბა, ჩქარა! - შეაერთა და მხეცის ბრდღვინვას დაამსგავსა.

ჩვეულებრივად არ მოიქცა ჟავერი; არაფერი აუხსნა, არც კი აჩვენა ბრძანება მისი დაჭერის შესახებ. იმისთვის ჟან ვალჟანი იყო დაფარული, მიუწვდომელი ბოროტი მტერი საზოგადოებისა, ბნელი მებრძოლი, რომელსაც ხუთი წელიწადი სდევდა და ვერ დაიჭირა. დაპატიმრება ჟან ვალჟანის საქმის დასაწყისად კი არა, დაბოლოებად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მხოლოდ მოკლედ შეჰყვირა:

- აბა, ჩქარა!

ეს დაიძახა და ფეხი არ წადგა წინ. ისე გადახედა ჟან ვალჟანს, თითქოს საბელი ესროლა; ჩვეულებრივ, თვალით იმორჩილებდა უბედურებს.

სწორედ ამ თვალით შეხედა ორი თვის წინათ ფანტინს და შიშის ზარი დასცა საბრალოს.

ჟავერის ყვირილზე ფანტინმა თვალი გაახილა. მაგრამ ბატონი მერი იქ ბრძანდებოდა; მაშ რისი შიში უნდა ჰქონოდა?

მაშინ წინ წამოვიდა ჟავერი და დაუყვირა:

- აბა, მოდიხარ თუ არა?

საწყალმა ქალმა თვალი გადაავლო ოთახს. არავინ იყო ბატონი მერისა და მოწყალების დის გარდა. მაშ ვის შეუტია, ვის მიმართა ესოდენ შეურაცხმყოფველი შენ-ობით? ფანტინს, რასაკვირველია. და საბრალო ქალმა კანკალი დაიწყო.

საშინელი რამ ნახა ფანტინმა, იმდენად საშინელი და შეუძლებელი, რომ მაშინაც კი არ მოსჩვენებია ამისთანა რამ, როცა ბოდავდა სიცხიანი.

ნახა, რომ ჯაშუში ჟავერი მივარდა ბატონ მერს, კისერში სტაცა ხელი; ნახა, რომ ბატონმა მერმა თავი ჩაღუნა... ალბათ ქვეყნის აღსასრული დამდგარიყო ფანტინის თვალში.

ჟავერმა ნამდვილად კისერში სტაცა ხელი ჟან ვალჟანს.

- ბატონო მერო! - შეჰკივლა ფანტინმა.

სიცილი აუვარდა ჟავერს, ის საზარელი სიცილი, რომელიც პირაღრენილ მხეცად აქცევდა და შეუტია:

- აქ ბატონი მერი აღარ არის!

ჟან ვალჟანმა არც კი სცადა ჟავერის ხელის მოშორება, მის საყელოს რომ ჩასჭიდებოდა. სთხოვა:

- ჟავერ...

- ბატონი ჟავერი მიწოდე, - გეყურება?

- ერთი-ორი სიტყვა მინდა მოგახსენოთ, ბატონო, ოღონდ ცალკე...

- ხმამაღლა თქვი, ხმამაღლა! აქ დასამალი არაფერია!

უფრო ჩუმი ხმით უთხრა ჟან ვალჟანმა:

- რაღაც მინდა გთხოვოთ...

- ხომ გეუბნები, ხმამაღლა თქვი-მეთქი!

- კი, მაგრამ არ მინდა, რომ სხვამაც გაიგონოს ვინმემ.

- გაიგონოს, რა! თქვი, თუ სათქმელი გაქვს რამე!

ჟავერისკენ მიაბრუნა პირი და ჩუმი ხმით სწრაფად სთხოვა:

- სამი დღე მადროვეთ, სამი დღე, რომ ამ უბედურის ბავშვი მოვიყვანო. ხარჯს მე გადავიხდი, თქვენც წამობრძანდით, თუ არ მენდობით.

- რაო, დამცინით თუ რა არის? არც ასეთი სულელი მეგონე, ღვთის წინაშე! სამი დღე გადროვო, რომ გამექცე? ამ დედაკაცის ბავშვის მოსაყვანად? იჰ, რა კარგია! რა კარგია!

ფანტინი მთლად აკანკალდა და შეჰყვირა:

- ჩემი კოზეტი? აკი მითხარით, აქ არისო! მაშ, არ მოგიყვანიათ? მომიყვანეთ ჩემი ბავშვი! თქვენ მაინც მითხარით, დაო, სად არის ჩემი გოგონა! ჩემი პაწია? ბატონო მადლენ, ბატონო მერო!..

ფეხი დაჰკრა იატაკს ჟავერმა:

- ახლა კიდევ ესა! გაჩუმდი, შე უნამუსო! ვაი იმ ქვეყანას, სადაც კატორღელები დიდებულ მოხელეებად არიან და კახპები - დედოფლებივით განცხრომაში. მაგრამ ახლა კი ყოველივეს ბოლოს მოვუღებ! კმარა!

თვალი დააშტერა ფანტინს. ხელით მობღუჯა ჟან ვალჟანის საყელო, პერანგი, ყელსახვევი და კიდევ შეუტია:

- ხომ გითხარი, აქ აღარც ბატონი მადლენი არის და აღარცე ბატონი მერი-მეთქი. აქ ქურდია, მაწანწალა, ყაჩაღი, კატორღელი, სახელად ჟან ვალჟანი. აი ეს, ჩაბღუჯული რომა მყავს. ახლა ხომ გაიგე, ვინც არის ეს კაცი!

წამოიწია, წამოვარდა ფანტინი, ჩამომხმარ მკლავებზე დაეყრდნო, შეხედა ჟან ვალჟანს, შეხედა ჟავერს, სიმპლიციას, პირი გააღო, რაღაც უნდოდა ეთქვა, ხრინწიანი კვნესა აღმოხდა გულიდან. აუკაწკაწდა კბილები, ხელი აღაპყრო, თითქოს ითხოვდა მიშველეთო, - ხელების ფათური დაიწყო და უცბად დაეშვა ბალიშზე. თავი კედელს მიარტყა და გულზე ჩამოუვარდა, პირი ღია დარჩა, ჩამქრალი თვალები - ფართოდ გახელილი.

ფანტინი გათავდა.

ჟან ვალჟანმა ხელი მოჰკიდა ჟავერის ხელს, კისერში რომ ჩასჭიდებოდა, მოიშორა და უთხრა:

- თქვენ მოკალით ეს უბედური.

- გავათავოთ! - შეჰყვირა გაცოფებით ჟავერმა, - მე აქ შენი სიბრძნის მოსასმენად კი არა ვარ! აბა, ჩქარა! დარაჯები ქვევით არიან. ახლავე წავიდეთ, თორემ ხელბორკილი!

იქვე, კუნჭულში, რკინის ძველი საწოლი იდგა, ზედ მოწყალების დები წვებოდნენ, როცა მორიგეობა უწევდათ. მივიდა ჟან ვალჟანი, ამოაძრო რკინა და ჟავერს დააცქერდა. ჟავერი უკან-უკან მიიწევდა, კარისკენ.

ჟან ვალჟანი რკინის ჯოხით ნელი ნაბიჯით წავიდა ფანტინის ლოგინისკენ. როცა მივიდა, მიუბრუნდა ჟავერს და ოდნავ გასაგონი ხმით უთხრა:

- გირჩევთ, ამ წუთში ხელი არ შემიშალოთ.

ჟავერი აკანკალდა.

უნდოდა გასულიყო, ჯარისკაცები ამოეყვანა, მაგრამ შეიძლებოდა ჟან ვალჟანი გაჰპარვოდა. იმანაც იძრო თავისი ჯოხი, კარებთან დადგა და თვალს არ აშორებდა ჟან ვალჟანს.

იდაყვით დაეყრდნო ჟან ვალჟანი ლოგინს, თავი დახარა და სევდით სავსე თვალებით დასცქეროდა უმოძრაო და უსიტყვო ფანტინს. კარგა ხანს იყო ასე,

შეწუხებული, დამუნჯებული, თითქოსსააქაო აღარც ახსოვსო. მწუხარე სიბრალულის მეტი აღარაფერი ეტყობოდა მის სახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მიცვალებულის ყურთან მიიტანა თავი და ჩუმი ხმით დაუწყო ჩურჩული.

რას ეუბნებოდა? რა უნდა ეთქვა ამ განწირულს ამ მკვდარი ქალისთვის? ან რას ჰპირდებოდა? არავის გაუგონია იმისი ნათქვამი. ვინ იცის, მკვდარმა კი გაიგონა? არსებობს სასოწარკვეთილების ტკბილი მცნება, რომელიც შეიძლება წმინდად ასრულდეს. ერთი რამ არის ეჭვგარეშე - მოწყალების დის, სიმპლიციას ნათქვამი: ჟან ვალჟანი რომ რაღაცას ჩასჩურჩულებდა ფანტინს, ცხადად დავინახე, ქალს ნეტარი ღიმილი უკრთოდა მკვდარ ბაგეზე და ჩამქრალ თვალებში, რომლებიც სავსე ჰქონდა სამარისებრი განცვიფრებითო.

ჟან ვალჟანმა ხელები წაავლო ფანტინის თავს, ნელა, ნაზად დაუდო ბალიშზე სწორედ იმ ალერსით, რომლითაც დედა ატკბობს თავის შვილს. პერანგის ღილი შეუკრა, თმა თავქვეშ ამოუდო, მერე თვალები დაუხუჭა.

უცნაურად ნათელი იყო ამ წამს ფანტინის სახე.

სიკვდილი - სინათლეში გადასვლა არის.

ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული ფანტინს. მუხლი მოიყარა მის წინ ჟან ვალჟანმა, აიღო და ზედ ემთხვია.

მერე წამოდგა და ჟავერს უთხრა:

- ახლა კი თქვენს განკარგულებაში ვარ.

## თავი მეხუთე
## შესაფერი საფლავი

ჟავერმა თავისი ტუსაღი ქალაქის საპატიმროში დაამწყვდია.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა მონრეილში, ააფორიაქა მთელი ქალაქი. ძალიან გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ დამალვაც შეუძლებელია. როგორც კი გაისმა - „კატორღელი იყოო“ - ზურგი შეაქცია ყველამ. ორი საათიც არ იყო გასული მისი დაჭერის შემდეგ, რომ მთლად დავიწყებოდა ყველას მისი ღვაწლი, სიკეთე და სახელიც კი; „კატორღელადღა“ ახსენებდა დიდი და პატარა. მართალია, ჯერ არ იცოდნენ, რა მოხდა არასის სასამართლოში, და მაინც, ყველგან, მთელ ქალაქში ერთი და იგივე ისმოდა იმ დღეს, დაახლოებით შემდეგი:

- გაიგეთ? კატორღელი ყოფილა თურმე. - ვინა, ვინა? - ვინა და ჩვენი მერი. - კარგი ერთი! ბატონი მადლენი? - დიახ, სწორედ ბატონი მადლენი. - არა, მართლა? - მადლენი კი არა ყოფილა. რაღაც საზიზღარი სახელი ჰქვია - ბეჟანი, ბოჟანი, ბუჟანი. - ღმერთო, ძლიერო! დაჭერილია? დაჭერილია, ქალაქის ციხეში ზის, სანამ გაგზავნიან. - უნდა გაგზავნონ? სად უნდა გაგზავნონ? მაშ! შარაგზაზე გაუქურდავს ერთ დროს ვიღაცა. - ჰოო? განა არა, რაღაც ეჭვი მქონდა. არა, მეტისმეტად კეთილი იყო, მეტისმეტად ალალმართალი, მეტისმეტად ღვთის მორწმუნე. ჯილდოზე უარს ამბობდა. შავ ფულს ურიგებდა მაწანწალა ბიჭებს, სადაც შეხვდებოდა. სულ იმასა ვფიქრობდი, ამ სიკეთით ბოროტებასა ფარავს-მეთქი... განსაკუთრებულ სიმკაცრეს მისდამი „მაღალი“ საზოგადოება იჩენდა.

ერთმა ხნიერმა ქალბატონმა, რომელსაც გაზეთი „თეთრი დროშა“ მოსდიოდა, შემდეგი აზრი გამოთქვა, რომლის სიღრმე უეჭველად წარმოუდგენელია:

- ჯანდაბას იმის თავი! ჭკუას ისწავლიან ბონაპარტისტები!

ასე გაქრა თანდათან მონრეილში ძველი აჩრდილი, რომელიც მადლენის სახელს ატარებდა. სამი თუ ოთხი კაციღა შერჩა ერთგული იმოდენა ქალაქში და ერთი მათგანი მისი ბებერი მეკარე იყო.

იმ დღეს, ბინდისას, ეს მოხუცი დედაკაცი იჯდა თავის ოთახში, ჯერაც გულგახეთქილი იმ დილის უბედურებით და ღრმად ჩაფიქრებული. ქარხანა მთელი დღე დაკეტილი იყო. ალაყაფის კარს ურდული ედო. ქუჩაში არავინ ჩანდა, სახლში არავინ იყო, პერპეტუასა და სიმპლიციას გარდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივ ბრუნდებოდა ხოლმე მადლენი და თავის ოთახში ადიოდა, წამოდგა ბებერი მეკარე, ამოიღო უჯრიდან მადლენის ოთახის გასაღები, აიღო შანდალი, რომლითაც კიბეს ინათებდა ზემო სართულში ასასვლელად, გასაღები ლურსმანზე ჩამოკიდა, იქვე დადგა შანდალი, სწორედ ისე, როგორც ყოველ საღამოს, თითქოს დღესაც ელოდა იმის დაბრუნებას. თვითონ იქვე სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. სრულიად შეუგნებლად, ჩვეულებისამებრ მოამზადა ყველაფერი.

თითქმის ორი საათი იჯდა ასე ჩაფიქრებული. ბოლოს, თითქოს გამოეღვიძაო, გონს მოვიდა და შეჰყვირა: რა ვქნა? აჰა, ღმერთო! რად დავკიდე ეს გასაღები?

ამ დროს ვიღაცამ სარკმელი გააღო, ხელი შემოყო, გასაღები ჩამოიღო, სანთელი აიღო და აანთო.

შეხედა მეკარემ და პირღია დარჩა, უნდოდა შეეკივლა, მაგრამ ყელშივე ჩაიხრჩო თავისი ხმა.

ძალიან კარგად იცნობდა ამ ხელს, ამ სახელოს.

ეს ბატონი მადლენი იყო.

გაშტრებული დარჩა ბებერი მეკარე. ენა მუცელში ჩაუვარდა, როგორც თავად იტყოდა ხოლმე შემდეგში, ამ ამბავს რომ ჰკითხავდნენ.

ბოლოს ხმის ამოღება შეძლო:

- თქვენა ბრძანდებით, ბატონო მერო? მე კი მეგონა... ოჰ, ღმერთო...

გაჩერდა, ამ სიტყვის დასრულება საჩოთირო იქნებოდა ბატონი მადლენისთვის. ჟან ვალჟანი იმისთვის ბატონი მერი იყო და მერად დარჩენილიყო. თვით ჟან ვალჟანმა დააბოლოვა მისი სიტყვა:

- რომ ციხეში ვარ. ციხეში ვიყავი. ფანჯრის მოაჯირი გავტეხე, ბანიდან გადმოვხტი. ჩემს ოთახში ვიქნები. სიმპლიცია გამომიგზავნეთ. იქ იქნება, მიცვალებულთან.

მეკარე საავადმყოფოში გაიქცა.

არავითარი დარიგება არ მიუცია, დარწმუნებული იყო, რომ ის უფრო დამალავდა, ვიდრე თვით ჟან ვალჟანი.

გაურკვეველი დარჩა, როგორ მოახერხა ჟან ვალჟანმა ეზოში შემოსვლა, როდესაც ალაყაფის კარი ურდულით იყო დაკეტილი. ერთი პატარა გასაღები ჰქონდა, ეგრეთ წოდებული „ყველგანშედი“, ყოველთვის ჯიბეში ედო, მაგრამ ჭიშკარს იმითი ვერ გააღებდა, რადგან ციხეში რომ მიიყვანდნენ, გაჩხრეკდნენ და იმ გასაღებსაც ამოაცლიდნენ. გაურკვეველი დარჩა ეს გარემოება.

კიბე აიარა. შანდალი უკანასკნელ საფეხურზე დადო, ჩუმად გააღო თავისი ოთახის კარი, თითის წვერებზე შედგა, მიხურა ფანჯრების დარაბები, მერე დაბრუნდა, აიღო შანდალი და თავის ოთახში შევიდა.

ძალიან საჭირო იყო ეს სიფრთხილე, ქუჩიდან შეიძლებოდა მისი ოთახის ფანჯრის დანახვა.

თვალი გადაავლო თავის ოთახს - მაგიდას, სკამს, ლოგინს, რომელიც აურევლად იდგა სამი დღე და ღამე. უკანასკნელი ღამის არეულობისა აღარაფერი ჩანდა ოთახში - მეკარეს დაელაგებინა, ოღონდ ნაცარში ეპოვა და სუფთად გაწმენდილი დაეწყო მაგიდაზე რკინის თავი და ბოლო ჯოხისა და ცეცხლით გაშავებული ორფრანკიანი ვერცხლი.

ქაღალდი აიღო და დაწერა: „აი ჩემი ჯოხის რკინის თავი და ბოლო და ორფრანკიანი ვერცხლი, პატარა ჟერვესეული, სასამართლოს რომ მოვახსენე“. ამ ქაღალდზე დააწყო რკინაც, ორფრანკიანიც და ისე დადო, რომ მაშინვე თვალში სცემოდა, ვინც ამ ოთახში შემოვიდოდა. განჯინიდან ძველი პერანგი გამოიღო, დახია და შიგ გაახვია ორი ვერცხლის შანდალი. ამ დროს არც მღელვარება ეტყობოდა, არც აჩქარება; ეპისკოპოსის შანდლებს რომ ახვევდა, თან შავ პურსა კბეჩდა ხარბად. საპატიმროში მიღებული პური წამოეღო თან.

ეს დამტკიცებულ იქნა იატაკზე მოფანტული ნამცეცებით, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ გაჩხრიკეს გაქცეული პატიმრის სახლი.

ჩუმად დაუკაკუნეს კარზე.

- მობრძანდით, - დაუძახა ჟან ვალჟანმა.

სიმპლიცია შემოვიდა.

გაყვითლებული იყო სიმპლიცია, ნამტირალევი. შანდალი ეჭირა ხელში და კანკალებდა. უცნაური გავლენა აქვს ჩვენზე ჩვენი ბედის საშინელებას: რაც უნდა სრულყოფილი იყოს ადამიანი, რაც უნდა გულმაგარი, მაინც აღგვიდგენს გულის სიღრმეში ჩამალულ ადამიანურ ბუნებას და ადამიანად გვაქცევს. იმ დღის ვაი-ვაგლახში მონაზონი სიმპლიცია ისევ დედაკაცად ქცეულიყო. ბევრი ეტირა და ახლაც თრთოდა.

რამდენიმე სიტყვა დაწერა ჟან ვალჟანმა, ქაღალდი სიმპლიციას მისცა და უთხრა:

- ეს ქაღალდი, დაო, ჩვენს მღვდელს მიეცით.

ქაღალდი დაკეცილი არ იყო.

- წაიკითხეთ, თუ გნებავთ.

სიმპლიციამ წაიკითხა:

„გთხოვთ, მამაო, მოუაროთ, რასაც აქა ვტოვებ. სასამართლოს ხარჯი გექნებათ გადასახადი და დღეს გარდაცვლილი ქალის დასაფლავებისა. დანარჩენი - ღარიბების დასახმარებლად“.

ხმის ამოღება უჭირდა სიმპლიციას, რაღაცას ლუღლუღებდა, ბოლოს, როგორც იყო, წარმოთქვა:

- ნუთუ ბატონი მერი არ გამოეთხოვება მიცვალებულს?

- არა, მეძებენ, რაღა თქმა უნდა, და მიცვალებულის ოთახში რომ დამიჭირონ, ეს მის მშვიდობას დაარღვევს.

ჯერ არც კი გაეთავებინა ეს სიტყვა, რომ კიბიდან მძლავრი ფეხის ხმა მოისმა. რამდენიმე კაცი მოდიოდა, ეტყობოდა. ბებერი მეკარის ხრინწიანი კივილი ისმოდა:

- ღმერთი, რჯული, ბატონო, დღეს აქ არავინ შემოსულა! არავინ! კარებთან ვიჯექი მთელი დღე. რა ღმერთი გამიწყრებოდა, ბრმა ხომ არა ვარ?

ერთმა კაცმა უპასუხა:

- კარგი, მაგრამ სანთელი რომ ანთია იმის ოთახში?

ჟავერის ხმა იცნო ორივემ.

ოთახის მოწყობილობა დაეხმარა: კარს რომ შემოაღებდნენ, მთლად ფარავდა მარჯვენა კედლის კუნჭულს. თავისი სანთელი გააქრო ჟან ვალჟანმა და კუნჭულში აიტუზა.

სიმპლიციამ მუხლი მოიყარაე მაგიდასთან.

შემოაღეს კარი.

ჟავერი შემოვიდა.

ტალანში კაცების ჩურჩული ისმოდა და ბებერი მეკარის ფიცი.

სიმპლიციამ არც კი შეხედა. ლოცულობდა.

შანდალი ბუხარზე იდგა, ძლივს ანათებდა ოთახს.

ჟავერმა დაინახა მონაზონი და შემკრთალი გაჩერდა.

გემახსოვრებათ, რომ თავისი რწმენითა და მიმართულებით ჟავერი თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი ხელისუფლებისა. ამის მეტი არაფერი სწამდა და თავისი მრწამსის სულ უმცირესი დარღვევაც კი მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა. სარწმუნოება - უპირველეს ყოვლისა! ღვთის მორწმუნე იყო, სარწმუნოებისადმი თავისი ზერელედ შეგნებული მოვალეობის მკაცრი აღმსრულებელი. იმისთვის მღვდელი შეუცდომელი არსება იყო და მონაზონი - უცოდველი; ამათი სული ციხესიმაგრე იყო სააქაოსი, რომელსაც ერთადერთი კარი ჰქონდა გასასვლელი და ამ კარით მხოლოდ წმინდა ჭეშმარიტება გამოდიოდა.

მუხლმოდრეკილი რომ დაინახა სიმპლიცია, უკან გაბრუნება იფიქრა, მაგრამ მეორე მოვალეობაც ჰქონდა, რომელმაც შეაჩერა და დაჟინებით სხვას უბრძანებდა. დავრჩები და ერთ კითხვას მაინც შევბედავო, - იყო მეორე ფიქრი.

კარგად იცნობდა სიმპლიციას, იცოდა, რომ თავის დღეში ტყუილი არ წამოსცდებოდა ამ მონაზონს და ამიტომ თაყვანს სცემდა.

- უკაცრავად გახლავართ, დაო, მარტო თქვენა ხართ ამ ოთახში?

საშინელ განსაცდელში ჩავარდა სიმპლიცია: ან მართალი და ადამიანის გაწირვა, ან ტყუილი, რომელიც თავის დღეში არსად ეთქვა. კინაღამ გული წაუვიდა.

ახედა ჟავერს და უპასუხა:

- მარტო გახლავართ.

- უნდა შემინდოთ, დაო, რომ ასე უდროოდ გაწუხებთ; ჩემი მოვალეობაა და ვერ ვუმტყუნებ. ხომ არ გინახავთ, დაო, ამ საღამოს ერთი კაცი? ციხიდან გამოგვექცა და იმას ვეძებთ. ჟან ვალჟანი ჰქვია. ხომ არ გინახავთ?

- არა, ბატონო.

ორჯერ თქვა ტყუილი. ორჯერ ზედიზედ იცრუა, შეურყევლად, სრული შეგნებით, სწრაფად, თავგანწირვით.

- მაპატიეთ, - უთხრა ჟავერმა, თავი დაუკრა პატივისცემით და გავიდა.

წმინდა ხარ, ქალო! ქვეყნიერებას არ ეკუთვნი დიდი ხანია; დიდი ხანია შეუერთდი სულით შენს დებს - ქალწულებს და შენს ძმებს - ანგელოზებს. მაშ ეს ტყუილიც მადლად ჩაგეთვალოს წინაშე ღვთისა!

მონაზვნის სიტყვა იმდენად სარწმუნო იყო ჟავერისთვის, რომ ყურადღებაც კი არ მიაქცია მაგიდაზე მეორე შანდალს, რომელიც ჯერაც ბუუტავდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცა კაცი მიაბიჯებდა ბნელ ხეივანში მონრეილიდან პარიზისკენ. ჟან ვალჟანი იყო ეს კაცი. ორ-სამ მგზავრს დაენახა და ისინი იძახდნენ-ბოხჩა ეჭირა და ხალათი ეცვაო. სად უნდა ეშოვა ხალათი, არავინ იცის. მაგრამ ერთი მოხუცი მუშა მომკვდარიყო იმ დღეს ქარხნის საავადმყოფოში, რომელსაც ერთი ძველი ხალათის გარდა არაფერი დარჩენოდა. იქნებ, ის ხალათი ეცვა.

ერთი სიტყვა კიდევ, უკანასკნელი, ფანტინის შესახებ:

ყველა ჩვენგანის დედაა დედამიწა და ფანტინიც ამ დედამიწას მიაბარეს.

მღვდელმა თავისებურად მოიხმარა, და იქნება ასეც უნდა მოქცეულიყო, ჟან ვალჟანისყფული: მკვდარს აღარაფერი უნდა, რაც შეიძლება მეტი ღარიბებსაო, და ეგეც რომ არ ყოფილიყო, ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, ან ერთი, ან მეორე? ერთი - კატორღელი და მეორე - კახპა! ამიტომ ფანტინის დასაფლავება მეტად გაამარტივა და ფულის გადასარჩენად მარტო უსაჭიროესი ირჩია, ესე იგი, „საერთო სასაფლაო“.

ამგვარად, ფანტინი სასაფლაოს მუქთად წოდებულ ნაწილში დამარხეს, იმ ნაწილში, რომელიც ყველასია და არავისი, სადაც ღარიბები იკარგებიან. ჩვენდა საბედნიეროდ, ღმერთმა იცის, სად მოძებნოს მართალი სული. წყვდიადში ჩამარხეს ფანტინი, ვიღაცის ძვლებთან ერთად. მიწაშიც კი არ ასცდა აღრევა ფერფლისა. ფანტინი საერთო სამარეს მიაბარეს. მისი საფლავი მისივე სარეცლის მსგავსი აღმოჩნდა.

## ნაწილი მეორე
## კოზეტი

## წიგნი პირველი
## ვატერლოო

### თავი პირველი
### რას შეხვდება ნიველიდან მომავალი

შარშან (1861 წ.) ერთი მგზავრი მიდიოდა ნიველიდან, ამ ისტორიის მთხრობელი. მაისის მშვენიერი დილა იყო. ფეხით მიდიოდა ულპში. ორივე მხარეს ხეებით დაჩრდილული შარაგზა ხან ბორცვებზე ადიოდა, ხან ისევ ძირს ეშვებოდა. ლილუა უკვე გაიარა, ბუა-სენიორ-ისაკიც. დასავლეთით ბრენ-ლ'ალეს სამრეკლო გამოჩნდა, პირქვე დადგმულ ჯამს რომ ჰგავს. უკან დარჩა ტყით მოსილი ბორცვი და გზის ნაპირზე ერთ ჩამპალ სახრჩობელის მსგავს ბოძთან, რომელზეც ისევ შემორჩენილიყო წარწერა - „ძველი საყარაულო # 4“ - პატარა დუქანი გამოჩნდა ფირმის ნიშნით „ოთხ ქარ შუა. კერძო ყავახანა ეშაბო“.

ამ დუქანს გასცდა და ცოტა ხნის შემდეგ პატარა ველზე გავიდა, რომელსაც გზის ნაყარ მიწაზე გაკეთებული თაღის ქვეშ მიმდინარე ნაკადული რწყავდა. შარაგზის ერთ მხარეს მეჩხერად მდგარი თავქოჩორა ხეები, ბრენ-ლ'ალეს მიმართულებით ლამაზად გაფანტულნი, თითქოს მიმორბოდნენ.

მარჯვნივ, ზედ გზის პირას, ბაკი იყო. იქვე, კარებთან ოთხთვლიანი ურემი იდგა, ერთი დიდი კონა სარი სვიისთვის, გუთანი; ამწვანებულ ხერგულთან ფიჩხი ეყარა, ოთხკუთხა ორმოში კირი იწვოდა; ძველ, ჩალით დაფარულ ფარდულთან

მიყუდებული იყო ერთი გრძელი კიბე. იქვე ყმაწვილი გოგო მიწას მარგლავდა და ქარი აფრიალებდა დიდ, ყვითელ აფიშას. ალბათ ეკლესიის დღეობაზე ჩამოსული მსახიობების განცხადება თუ იყო. დუქნის კუთხესთან, გუბეში იხვების მთელი ფლოტი ჭყუმპალაობდა. გუბის პირას პატარა ბილიკი გადიოდა ბუჩქნარებისკენ. ამ ბილიკს გაჰყვა მგზავრი.

მეთხუთმეტე საუკუნის კედელს მიჰყვა, აგურის წვრილწვეტიანს და ასიოდე ნაბიჯის შემდეგ ლუი მეთოთხმეტის სტილის დიდი ალაყაფის კარს მიადგა. კარი დაკეტილი იყო. იგი ორი დახავსებული დარაბისაგან შედგებოდა და ძველი უჟანგავი ჩაქუჩით იყო დამშვენებული.

მზე ალერსიანად ანათებდა; ხის ტოტები ოდნავ ირხეოდნენ იმ ნაზი შრიალით, რომელიც თითქოს ბუდეებიდან უფრო მოდის, ვიდრე ქარის ქროლვით არის გამოწვეული. პატარა გაბედული ჩიტუნია, ალბათ შეყვარებული, თავდავიწყებით გაჰკიოდა სიმღერას დიდი ხის ტოტიდან. იქვე რკინის ცხაური ეგდო, რომლის ქვემოდან მწვანე ბალახი ამოსულიყო.

მგზავრი დაიხარა და კარების მარცხნივ ქვას დაუწყო სინჯვა, რომელიც საკმაოდ ღრმად იყო ამოფუღროებული. ამ დროს ერთი დედაკაცი გამოვიდა ეზოდან.

დაინახა, რომ ამოფუღროებულ ქვას სინჯავდა მგზავრი და უთხრა:

- ფრანგების ყუმბარა მოხვედრია, ბატონო.

და დაუმატა:

- აი, იქ ხომ ხედავთ, ზემოთ, კარის ფიცარში, ლურსმნის გვერდით, ის კი ბისკაური თოფის ტყვიისა გახლავთ. ხე ვერ გაუხვრეტია ტყვიას.

- რა ჰქვია აქაურობას? - ჰკითხა მგზავრმა.

- ჰუგომონი.

გაიმართა მგზავრი. ღობესთან მივიდა და იქით გადაიხედა. შორს, ჰორიზონტზე პატარა ბორცვი მოჩანდა და იმ ბორცვზე კიდევ რაღაც, შორიდან ლომის მსგავსი.

იგი ვატერლოოს ბრძოლის ველი იყო.

## თავი მეორე
## ჰუგომონი

ჰუგომონი არის ის საბედისწერო ადგილი, სადაც ნაპოლეონი, ევროპის დიდებული შეშის მჭრელი, პირველად წააწყდა დაბრკოლებას. პირველი მაგარი როკი მოხვდა მის მოქნეულ ცულს.

უწინ ციხესიმაგრე იყო ჰუგომონი, ახლა კი ფერმაა, სულ უბრალო. ციხესიმაგრე სომერელის ბატონმა ჰუგომ ააშენა, რომელმაც ვილიერის სამწყსო გაამდიდრა თავისი შეწირულობით.

კარი შეაღო მგზავრმა, იდაყვი მიარტყა რაღაც ძველ ეტლს და ეზოში შევიდა. შევიდა და თვალში ეცა ერთი კარი, მეთექვსმეტე საუკუნისა, რომლის მხოლოდ თაღი დარჩენილიყო, სხვა ყველაფერი კი ჩამონგრეულიყო. ხშირად ხდება ხოლმე, ნანგრევით ვხედავთ დიდებულ წარსულს. ცოტა იქით კიდევ იყო კარი, ანრი მეოთხის დროის, ქვის კამარით, საიდანაც ხეხილის ბაღი მოჩანდა. იქვე პატივი, ბარი, ნიჩაბი, გუთანი, ძველებური ჭა წყლის ამოსაღები ძელით და ჯაჭვით, სავსე თხრილი, ქათმები, ინდაური, მოკუნტრუშე კვიცი, სამრეკლოიანი პატარა ეკვდერი, აყვავებული მსხალი,

ეკვდერის კედელზე რომ მიეფინა ტოტები. აი, ის ეზო, რომლის აღება სანატრელად გახდომოდა ნაპოლეონს. რომ გაემარჯვა და აეღო ეს ეზო, იქნება მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ქათმები ქექავდნენ მტვერს, ინგლისელების მაგივრად უზარმაზარი ძაღლი იღრინებოდა.

ვაუკაცურად იბრძოდნენ აქ ინგლისელები. კუკის ოთხმა რაზმმა შვიდი საათი გაუძლო მთელი ლაშქრის იერიშს.

ჰუგომონი რუკაზე ოთხკუთხაა, უსწორმასწორო, თითქოს ჩამოჭრილი ჰქონდეს ერთი კუთხე. ამ კუთხეში იყო სამხრეთი კარი, დაცული კედლით, საიდანაც მისი ნიშანში ამოღება ადვილი იყო. ორი კარი აქვს ჰუგომონს, სამხრეთით - ციხესიმაგრისა და ჩრდილოეთით - ფერმისა. ჰუგომონის ასაღებად ნაპოლეონმა თავისი ძმა, ჟერომი, გაგზავნა; იქ შეიყარნენ გილემინოს, ფუას და ბაშლუს ჯარები. იქ მოქმედებდა და იქვე დაიღუპა თითქმის მთლიანად რეილის კორპუსი. კელერჰანმა ზარბაზნის ყუმბარები გამოლია და მაინც ვერაფერი დააკლეს მის გმირულ კედელს. ძლივძლივობით მოახერხა ჰუგომონის აღება ბოდუენის ჯარმა ჩრდილოეთიდან; სუას ჯარმა სამხრეთიდან მხოლოდ შეარყია, აღებით კი ვერ აიღო.

ფერმის შენობებით არის შემორკალული სამხრეთი ეზო. ჩრდილოეთით ფრანგების მიერ დამსხვრეული ალაყაფის კარების ნაშთია ჩამოკიდებული კედელზე,რომელსაც ცხადად ეტყობა იერიშის ნიშნები. ეზოს სიღრმეში ნახევრად ღია, ფრანგების მიერ შენგრეული ჩრდილოეთის კარიბჭე მოჩანს, რომელიც ზევით აგურის და ქვევით ქვის კედელში ყოფილა დატანებული. ეს კედელი ფარგლავს ეზოს ჩრდილოეთის მხრით. ეს უბრალო ალაყაფის კარია, უხეში, ფართო ფიცრის დარაბებისგან შემდგარი, როგორსაც ყოველ ფერმაში ნახავთ. ამის იქით გაშლილი მინდვრებია. ამ შესასვლელისთვის უმოწყალო ბრძოლა მიდიოდა. კარის ამყოლ წირთხლს დიდხანს აჩნდა სისხლიანი ხელების კვალი. აქ მოკლეს ბოდუენი.

სამლოცველოს გვერდით აღმართულია კოშკის ერთი ფრთა - ერთ-ერთი ნაშთი ჰუგომონის ციხე-დარბაზისა - დგას დანგრეული, შეიძლება ითქვას, წელებგამოყრილი. ციხე-დარბაზი სანგრად გამოუყენებიათ, სამლოცველო კიდევ - ბლოკჰაუზად. აქ საშინელი სისხლისღვრა მოხდა. ფრანგებს, რომელთაც ყოველი მხრიდან უშენდნენ ტყვიას, კედლებიდან, ბეღლების სახურავებიდან, სარდაფების სიღრმიდან, ყოველი ფანჯრიდან, - მოეზიდათ ფიჩხკონები და ცეცხლი გაეჩინათ კედლებისათვის. ფინდიხისთვის ცეცხლით გაუციათ პასუხი!

დანგრეულ ფლიგელში რკინის ცხაურიანი სამრეკლოებიდან მოჩანს მთავარი აგურის შენობის ოთახების ნანგრევები, სადაც ინგლისის გვარდია ყოფილა ჩასაფრებული; ხრახნილი კიბე, რომელიც ქვედა სართულიდან დაწყებული, სახურავამდე დახეთქილია და გატეხილი ნიჟარის შიგნითა მხარეს მოგაგონებთ, ორსართულიანი ყოფილა. ჩასაფრებული ინგლისელები ზედა საფეხურებზე ასულან და გადაუჭრიათ ქვედა საფეხურები. შავ-მოიისფრო ქვის ფართო ფილები ახლა ჭინჭარშია მიყრილი. ათამდე საფეხური ისევ შერჩენია კედელს. პირველზე ამოჭრილია სამკაპის გამოხატულება. ეს მიუწვდომელი საფეხურები მტკიცედაა ჩამჯდარი ღრმულებში, დანარჩენი კი უკბილო ყბას დამსგავსებია. აქვე ორი ხე იზრდება. ერთი გამხმარა, მეორე ძირშია დაზიანებული, მაგრამ აპრილში მაინც ფოთლებით იმოსება. 1815 წლიდან კიბის შუაში დაუწყია ზრდა.

ჯერაც ეტყობა ამ ეზოს ომის საშინელება. ხელჩართული ბრძოლა გაქვავებული დარჩენილა, თითქოს თქვენ თვალწინ იყოს სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. სულთმობრძავივით წაწოლილა კედლები, ცვივა ქვები, კვნესის ნაპრალები, ჭრილობად გეჩვენებათ ტყვიით ნახვრეტი, გასაქცევად მომზადებულს ჰგვანან დახრილი და გადაზნექილი ხეები.

1815 წელს ამ ეზოში მეტი შენობები იყო, ვიდრე დღეს არის. შემდეგ დაანგრიეს, ძირს დასცეს და მაშინ კი დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ იერიშით მომავალთათვის.

ინგლისელებს ბარიკადები აეგოთ ეზოში და ჩასაფრებულიყვნენ. ფრანგები შეჭრილან, მაგრამ ფეხი ვერ მოუკიდებიათ. უცნაური სანახავია დღეს სამლოცველო, რომელშიც შეუწყვეტელი ბრძოლა წარმოებდა. წირვა-ლოცვა აღარ ყოფილა მას შემდეგ, თუმცა შენახულია ხის საკურთხეველი, გაუთლელი კლდის ქვაზე მიმაგრებული; კედლები კირით ჰქონია შეღებილი; საკურთხევლის პირდაპირ არის კარი, ორი პატარა ფანჯარა და ხის ჯვარცმა კარსზევით; ჯვარცმის ქვეშ თივით გატენილი ოთხკუთხა სარკმელია და საკურთხეველთან წმ. ანას XV საუკუნის ხის ქანდაკება. ჩვილი იესოს თავი ფინდიხით არის მოგლეჯილი. ფრანგებმა დაიჭირეს სამლოცველო, მაგრამ ვერ გაუძლეს მტერს და ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმა დაწვა კარი, ნაწილი ჯვარცმისა და თვითონ ჯვარცმულს კი არ შეხებია, - სასწაული მოხდაო, - იძახის ხალხი. თავწაგლეჯილი ჩვილი იესო ქრისტესავით ბედნიერი არ ყოფილა. კედლები წარწერებითაა დაფარული, ჯვარცმის ფერხთით სხვადასხვა სახელები წერია: „

Henquines. Conde de Rio Maior. Marques y Marquesa de Almagro (Habana)

“. შეხვდებით ფრანგულ სახელებსაც გაკვირვების ნიშნებით რისხვის გამოსახატავად. 1849 წელს კედელი შეუთეთრებიათ. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეურაცხყოფდნენ აქ ერთიმეორეს. ამ სამლოცველოს კარებთან ენახათ გვამი ჩუგლუგით ხელში. ეს ყოფილა უმცროსი ლეიტენანტი ლეგრო. სამლოცველოდან რომ გამოხვალთ, მარცხნივ დაინახავთ ჭას.

ორი ჭა არის ეზოში. უნებლიეთ იკითხავთ; რატომ არ არის ზედ ჭოჭონაქი, ვედრო? იმიტომ, რომ იქიდან წყალს აღარ იღებენ. და რატომ არ იღებენ? რადგან თითქმის პირამდე სავსეა ჩონჩხებით.

უკანასკნელად ამ ჭიდან წყალი ამოიღო ვან კილსომმა, ჰუგომონის მებაღემ. 1815 წლის 18 ივნისს მისმა ოჯახმა ტყეს შეაფარა ყთავი. უამრავი ხალხი აფარებდა მაშინ ტყეს თავს. ის კი ჰუგომონში დარჩა და სარდაფში ჩაიმალა. იპოვეს ინგლისელებმა, ამოიყვანეს, ბევრი ურტყეს სიბრტყით ხმალი და წყლის ამოტანა უბრძანეს; ისიც სწორედ იმ ჭიდან უზიდავდა სასმელ წყალს.

ბრძოლის შემდეგ მაშინვე მკვდრების დამარხვას მიჰყვეს ხელი. გამარჯვებას სიკვდილი სდევს და დიდებას - ჭირი. სახადი თანამგზავრი არის გამარჯვებისა. ჭა ძალიან ღრმა იყო და საფლავად გამოიყენეს. სამასი კაცი ჩაყარეს შიგ დიდი აჩქარებით. მკვდრები კი იყვნენ ყველანი? ხალხის თქმულებით - არაო; ბრძოლის მომდევნო ღამეს ჭიდან კვნესა ისმოდა - გვიშველეთო!

ერთადერთი სახლი დარჩენილა ამ ეზოში საცხოვრებელი და იქ ცხოვრობს შვილიშვილი მებაღე ვან კილსომისა. ჭაღარაშერეულმა დედაკაცმა მიამბო: - მე აქ ვიყავი მაშინ, სამი წლის ბავშვი, ჩემს უფროს დას ეშინოდა და ტიროდა. ტყეში

წაგვასხეს, მე დედას ხელში ვეჭირე. დედამიწაზე ადებდნენ ყურს, რომ ზარბაზნის სროლა გაეგონათ. მე ვიძახდი: „ბუმ, ბუმ!“

ეზოდან ყვავილების ბაღში ჩადის დაქანებული გზა. ამ ბაღში იყო, ექვს მსროლელს რომ შემოეხვივნენ გარს ჰანოვერელები და სროლა დაუწყეს ზემოდან, როგორც ბუნაგში მიმწყვდეულ დათვს. მოცხარის ბუჩქებს ამოფარებულ ექვს კაცს ებრძოდა ორასი. მამაცი მსროლელები თხუთმეტ წუთს იბრძოდნენ, სანამ დახოცავდნენ.

ყვავილნარის ზემოთ ხეხილის ბაღია, სადაც რამდენიმე კვადრატული საჟენის მანძილზე მოკვდა ათას ხუთასი კაცი ერთი საათის განმავლობაში. კედელი აკრავს უკნიდან ამ ბაღს, დოლაბებით დახვრეტილი, თითქოს დღესაც მზად იყოს საბრძოლველად; ოცდათვრამეტი დოლაბი აქვს. ამ კედელს გარედან ცოცხალი მცენარეების ბუჩქნარი ღობე მალავდა. ფრანგებს ეგონათ, ამ ღობეს გავჩეხავთ და მტერს შევმუსრავთო, აუღებელ კედელს კი მიადგნენ, რომლის უკან ინგლისელები იდგნენ და დოლაბებიდან თოფს ესროდნენ და ფინდიხს. იქ დაიღუპა სუას ჯარი. იქ იყო დასაწყისი ვატერლოოს ბრძოლისა.

ყვავილების ბაღიც აიღეს, ხეხილისაც, ფრანგებმა. კიბე რომ არა ჰქონდათ, კატებივით მიძვრებოდნენ კედელზე, ხელჩართულნი იბრძოდნენ ხეების ქვეშ. ბალახი სულ სისხლით შეიღება. ნასაუს ბატალიონი, შვიდასი კაცი, უკლებლივ იქ დაიღუპა. კედელი მთლად დასერილია კელერმენის ზარბაზნების ფინდიხით.

ბაღში, ბალახში ერთი ხე გდია, ფესვებიანად ამოგდებული. მაიორი ბლაკმანი ამ ხეს მიეყრდნო, რომ სული დაელია. იქვე, ერთი დიდი ხის ჩრდილში მოკვდა გერმანელების გენერალი ლუპლა, შთამომავალი იმ ფრანგებისა, რომლებიც გაიხიზნენ სამშობლოდან, როდესაც 1685 წელს ნანტის ბრძანება გაუქმდა.

აქ მოკვდა ბოდუენი, აქ დაჭრეს ფუა, აქ მძვინვარებდა ცეცხლი, იულიტებოდა ხალხი, აქ იღვრებოდა სისხლი ფრანგებისა, ინგლისელებისა, გერმანელებისა - ერთმანეთში არეული. აქ იყო ადამიანებით გავსილი ჭა, სულ აქ ჩაიხოცა ნასაუსა და ბრაუნშვაიგის ლეგიონები. აქ მოკვდა დუპლა, ბლაკმანი, დასახიჩრდნენ ინგლისელი გვარდიელები. აქ დაიღუპა ოცი ბატალიონი ფრანგებისა, ნახევარი რეილის ორმოცისა ხმლით აკუწულ იქნა, დაიჭრა, ტყვიით გაიგმირა, დაიწვა სამი ათასი კაცი. ყოველივე ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ამჟამად ვინმე გლეხმა უთხრას მგზავრს:

- სამი ფრანკი მიბოძეთ, ბატონო, და თუ გნებავთ, მე გაგაცნობთ ვატერლოოს ბრძოლის ამბავს.

## თავი მესამე
## 1815 წლის 18 ივნისი

უკან დაბრუნდეთ - ეს უფლება არის ავტორისა. გადავიდეთ 1815 წელში - ცოტა უფრო ადრე იმ ამბებამდე, რომელიც მოთხრობილია ამ წიგნის პირველ ნაწილში.

1815 წლის 17 ივნისის ღამით წვიმა რომ არ მოსულიყო, ევროპის მომავალი მთლად შეიცვლებოდა. წვიმის რამდენიმე მეტი ან ნაკლები წვეთი - აი მიზეზი ნაპოლეონის დაცემისა. აუსტერლიცი რომ ვატერლოოდ დაბოლოებულიყო, განგებას წვიმა დასჭირდა. უდროო დროს ცაზე გავლილი ღრუბელი საკმარისი იყო, რომ ქვეყნიერებას სახე ეცვალა.

ვატერლოოს ბრძოლა მხოლოდ თორმეტის ნახევარზე დაიწყო, რამაც საშუალება მისცა ბლუხერს დროზე მოსულიყო და არ დაგვიანებოდა. ბრძოლა გვიან დაიწყო, რადგან მიწა იყო დამბალი. უნდა შემშრალიყო, რომ არტილერიას მიმოსვლა შესძლებოდა.

ნაპოლეონი არტილერიის ოფიცერი იყო და ეს კარგად იგრძნობოდა მის მოქმედებაში. ამ გასაოცარი სარდლის არსება მთლად გამოიხატა მის მიერ დირექტორიისადმი მიწერილი მოხსენების ერთ წინადადებაში აბუკირის შესახებ: „ამა და ამ ჩვენმა ყუმბარამ ექვსი კაცი მოკლაო“. ბრძოლის გეგმას ყოველთვის ზარბაზნებზე ამყარებდა. გამარჯვებული იყო, თუ შეძლებდა მთელი თავისი არტილერიისათვის თავი მოეყარა ერთ დანიშნულ ადგილას. მტრის მხედართმთავრის სტრატეგია ციხესიმაგრედ მიაჩნდა, ცდილობდა მის შენგრევას, მის სუსტ ადგილებს უშენდა ზარბაზანს. ზარბაზნით იწყებდა და ამთავრებდა ბრძოლას და ისე ამარცხებდა მტერს. გენიოსი იყო უმთავრესად ზარბაზნით; ყუმბარებით არღვევდა მტრის ჯარს, შლიდა, ფანტავდა და თან სცემდა და სცემდა ისევ ზარბაზნით. ეს საშინელი წესი მიემატა მის გენიას და მისი წყალობით იყო, რომ თხუთმეტი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი დანავარდობდა ეს პირქუში დევგმირი ომის მუშტი-კრივისა.

1815 წლის 18 ივნისს მით უფრო იმედი ჰქონდა არტილერიისა, რომ რიცხობრივი უპირატესობა მის მხარეზე იყო; ველინგტონს ას ორმოცდაცხრამეტი ზარბაზანი ჰქონდა, ნაპოლეონს - ორას ორმოცი.

მიწა რომ მშრალი ყოფილიყო, არტილერიის მოძრაობას ხელს არაფერი შეუშლიდა, ბრძოლა დილის 6 საათზე დაიწყებოდა და ორ საათზე დამთავრდებოდა, სამი საათით ადრე პრუსიელების მოსვლამდე.

განა ნაპოლეონის ბრალი იყო ამ ბრძოლის წაგება? განა მესაჭის ბრალია ზღვის ღელვა? ხნიერი კაცი იყო იმ დროს ნაპოლეონი და ნუთუ ნიჭსაც დაეტყო შემცირება? ოცი წელიწადი ხმალი არ ჩაეგო კაცს, და ნუთუ პირიც ისე გასცვეთოდა ხმალს, როგორც ქარქაში? სულიც ისევე, როგორც ტანი? ნუთუ ვეტერანი შეპარულიყო მხედართმთავარში? მოკლედ რომ ვთქვათ, ნუთუ უკვე ბნელდებოდა მისი გენია, როგორც ფიქრობდნენ მრავალი ისტორიკოსთაგანნი? ნუთუ ისეთი გაშმაგებული იყო, რომ თავის თავსაც კი უმალავდა თავის დასუსტებას? ნუთუ უკვე შემკრთალიყო მოულოდნელის მოლოდინში? ნუთუ ამ ხორციელით გატაცებულ დიდებულებს, რომელთაც ბუმბერაზებად თვლიან, ეწვევათ ხოლმე სიბეცე გენიოსისა? იდეალით გატაცებულებს ვერ სძლევს სიბერე; დანტესთვის და მიქელანჯელოსთვის სიბერე ზრდა არის. ჰანიბალისთვის და ბონაპარტისთვის? ნუთუ სიბერე დაკნინებაა? ნუთუ ვეღარ ითვალისწინებდა საფრთხეს, მოულოდნელ მახეს? ნუთუ ალღო დაჰკარგვოდა განსაცდელისა? აქამდე ხომ ხელში ეჭირა გამარჯვების ყველა გზა და თითის გაშვერის მეტი არაფერი სჭირდებოდა თავისი ბრწყინვალე ეტლიდან მტრის მიზანში ამოსაღებად; ახლა რა დაემართა, რომ დამარცხებისათვის გზავნიდა თავის ლაშქარს? ნუთუ ორმოცდაექვსი წლის კაცს სრული სიშმაგე მოერია? ნუთუ უშველებელ მჟლეტავად გარდაქმნილიყო ეს ბუმბერაზი მეეტლე ბედისწერისა?

არა, ჩვენ მაგას არ ვფიქრობთ.

ნაპოლეონის ბრძოლის გეგმა, როგორც ყველა ამტკიცებდა, შედეგრი იყო, მტრის ცენტრს უნდა დასცემოდა, გაერღვია, ორად გაეყო, ბრიტანელები ალისკენ გაეწია,

პრუსიელები - ტონგრისკენ; ველინგტონი და ბლუხერი ერთმანეთისთვის დაეშორებინა, სენ-ჟანის მთა აეღო, დაეპყრო ბრიუსელი, გერმანელები უკუეგდო რაინამდე, ინგლისელები კი -ზღვამდე. ეს ყოველივე ამ ბრძოლით, ხოლო დანარჩენი შემდეგისთვისაო.

ცხადია, რომ ჩვენ არ ვწერთ ვატერლოოს ისტორიას. ამ ბრძოლის ერთ ეპიზოდს კავშირი აქვს ჩვენს მოთხრობასთან და იმას ვეხებით. თვით ბრძოლის ისტორია კი უკვე არის და კარგადაც არის დაწერილი; ნაპოლეონის მიერ - ერთი თვალსაზრისით და მრავალი ისტორიკოსის მიერ - სხვა თვალსაზრისითაც.

ჩვენ კი, ჩვენ მარტო შორიდან მაყურებელი ვართ, ბრძოლის ველზე გამვლელი, მაძიებელი, ადამიანის სისხლით გაჟღენთილ მიწაზე დახრილი, რომელსაც შეიძლება ნამდვილად სწამდეს, რაც ეჩვენება. არც უფლება გვაქვს, მეცნიერების სახელით ვჩხრიკოთ ურიცხვი საბუთი, სადაც, ეჭვგარეშეა, ლანდიც უნდა ერიოს, და არც მხედრული გამოცდილება და სტრატეგიული განვითარება შეგვწევს მისი განსჯისათვის. ჩვენი აზრით, ვატერლოოს ბრძოლა მოულოდნელმა შემთხვევამ გადაწყვიტა და როდესაც საქმე ბედზე მიდგება, ამ საიდუმლო ბრალდებულზე, ჩვენც ხალხივით ვსჯით. ხალხი გულმართალი მსაჯულია.

## თავი მეოთხე
## A

ვისაც უნდა ნათლად წარმოიდგინოს ვატერლოოს ბრძოლა, დახატოს გონებით დიდი „A“. ამ ასოს მარცხენა ხაზი ნიველის გზაა, განივი ხაზი - ოჰენიდან ბრენ-ლ'ალეესკენ მიმავალი და მარჯვენა ხაზი - ჟენაპის გზა. ზემო კუთხე ამ ასოსი არის სენ-ჟანის მთა. ამ მთაზე ბრძანდება ველინგტონი. მარცხენა ქვემო კუთხე არის ჰუგომონი, აქ დგანან რეილი და ჟერომ ბონაპარტი. მარჯვენა კუთხე არის ბელალიანსი და აქ დგას ნაპოლეონი.

იმ წერტილის ცოტა ქვევით, სადაც A-ს მარჯვენა ხაზს ჭრის განივი ხაზი, მდებარეობს ჰე-სენტი. ამ განივი ხაზის შუაში არის ის ადგილი, სადაც გადაწყდა ბრძოლის ბედი. სწორედ აქ არის დადგმული ლომი - ძალაუნებური სიმბოლო იმპერატორის გვარდიის უდიდესი გმირობისა.

ასოს თავში რომ სამკუთხედია, ორ ხაზსა და კადონს შორის, ეს მონ-სენადტის ტაფობია. მთელი ბრძოლის შინაარსს ამ ტაფობისთვის ჭიდილი შეადგენდა.

ორივე ჯარის ფრთები გაშლილი იყო ჟენაპისა და ნიველის გზის მარჯვნივ და მარცხნივ. დერლონი პიქტონის პირისპირ იდგა, რეილი - ჰილლის.

A-ს მწვერვალს იქით, მონსენჟანის უკან, სუანის ტყეა. რაც შეეხება თვით ველს, წარმოიდგინეთ ვრცელი ტალღისებრი სიბრტყე; თითოეული ტალღა მომდევნოზე მაღალია; ამგვარად, თანდათან მაღლდება მონსენჟანის მიმართულებით და ბოლოვდება ტყით.

ორი მოწინააღმდეგე ლაშქარი ბრძოლის ველზე ორი მოჭიდავე ფალავანია. ერთმანეთის წაქცევა უნდათ და ყველა საშუალებას ხმარობენ გამარჯვებისთვის. ბუჩქს საფარად გამოიყენებენ, კედელს - საყრდნობად, თორემ უკან დაიხევს მთელი რაზმი. ხევი რომ დახვდეს სადმე, ტყე ან მდინარე, ისიც კი შეაყოვნებს ამ დევების წინსვლას, ან უკან დახევას, რომელსაც ლაშქარი ჰქვია. და ვინც გავიდა ბრძოლის ველიდან,

დამარცხებულიც ის არის. ამიტომ პასუხისმგებელი მხედართმთავრის მოვალეობაა, დაწვრილებით შეისწავლოს ის ადგილი, სადაც ბრძოლას აპირებს.

ორივეს წინასწარ გაესინჯა ის მინდორი და სენ-ჟანის მთა, რომელსაც დღეს ვატერლოოს ველს ეძახიან. ველინგტონს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაეთვალიერებინა ეს ადგილები, რადგან აქ უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა დიდი ბრძოლის მოწყობა. ამ საბედისწერო დუელში ველინგტონს კარგი სიმაგრე დაეჭირა, ნაპოლეონს ცუდი დარჩენოდა, ინგლისელები მაღლობზე იყვნენ, ფრანგები - დაბლობზე.

საჭირო არ უნდა იყოს აქ ნაპოლეონის დახატვა თავისი ცხენით და ჭოგრიტით ხელში, როსომის მწვერვალზე, 1815 წლის 18 ივნისის განთიადისას, უჩვენოდაც კარგად იცნობს მთელი ქვეყანა. მშვიდი სახე პატარა ბრიენული ქუდის ქვეშ, ფორმის მწვანე ტანსაცმელი, რომელსაც არაფერი ეტყობოდა მისი გენერლობისა, თეთრი ცხენი ხავერდის ყაჯარით, რომლის ორივე მხარეს გვირგვინით მოსილი ასო იყო ამოქარგული - პირველი ასო მისი სახელისა - და არწივები, ვერცხლის დეზები, მარენგოს ხმალი. უკანასკნელი კეისრის ეს სურათი ჯერაც თვალწინ უდგას ყველას, ზოგიერთისთვის თაყვანსაცემი და ზოგიერთისთვის საგმობი.

სხივმოსილი იყო ნაპოლეონი დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ გმირს მცირედით ყოველთვის ახლავს ლეგენდარული შარავანდედი, რომელიც აბნელებს სინამდვილეს. ისტორიის მოვალეობაა ამ ბნელის აცლა. ამ მხრივ ულმობელია ისტორია, უცნაური თვისება აქვს; რადგან ზეციური მხოლოდ სინათლეა, ხშირად იქ ანათებს სიბნელეს, სადაც ბრწყინვალების სხივი არ მოიპოვება და ბნელს ჰფენს იქ, სადაც ბრწყინვალების მეტი არაფერი ჩანდა. ერთი და იმავე კაცის ორ განსხვავებულ აჩრდილს ქმნის; ერთმანეთს ებრძვიან ეს ორნი - მტარვალის სიმკაცრე ებრძვის მხედართმთავრის მიმზიდველობას. მათ შორის მართალი ხალხმა განსაჯოს.

მიწასთან გასწორებული ბაბილონი ამცირებს ალექსანდრე მაკედონელს; დამონებული რომი ამცირებს იულიუს კეისარს; მიწისპირიდან აღგვილი იერუსალიმი ამცირებს ტიტეს, მტარვალს თან სდევს მტარვალობა; უბედურება და შერცხვენაა, თუ მოღვაწე თავის შემდეგ ტოვებს ბნელს, რომელსაც მისი სახე მიუღია.

## თავი მეხუთე
## QUID QBSCURUMM საერთოდ ბრძოლისა

ყველას ემახსოვრება ამ ბრძოლის დასაწყისი, საშინელი უფრო ინგლისელებისთვის, ვიდრე ფრანგებისათვის.

მთელი ღამე წვიმდა; დამბალი იყო მიწა, ყველგან გუბეები იდგა, ზოგან ღერძამდე ტალახში ეფლობოდა ეტლები. გათელილი ყანა რომ არ დასდებოდა მიწას, მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა.

გვიან დაიწყო ბრძოლა: ნაპოლეონს ჩვეულებად ჰქონდა, მთელი არტილერია, როგორც დამბაჩა, ხელში უნდა სჭეროდა, რომ ხან აქეთ დაეშინა ყუმბარა, ხან იქით, და ელოდა მიწის გაშრობას, რომ ზარბაზნების მიმოტანა შესძლებოდა. მზე უნდა ამოსულიყო, რომ გაეშრო მიწა. მზე კი არ ამოდიოდა. ეს აღარ იყო აუსტერლიცის შეხვედრა.

ზარბაზანი რომ გავარდა, ინგლისელმა გენერალმა კოლვილმა საათს დახედა. ოცდახუთი წუთი აკლდა თორმეტს.

ბრძოლა მეტი გაშმაგებით დაიწყო, ვიდრე თვითონ ნაპოლეონს უნდოდა. საფრანგეთის ჯარი იერიშით მიადგა ჰუგომონს. იმავე დროს ნაპოლეონმა კიოს და ნეის ჯარები მიმართა ინგლისელების შუა და მარცხენა მხარეს.

ჰუგომონზე იერიში ერთგვარი საომარი ხერხი იყო. ველინგტონის მარცხნივ გატყუება - ასეთი იყო გეგმა. იქნებ ასრულებულიყო კიდეც ეს გეგმა, მაგრამ მედგრად დაუხვდნენ ფრანგების ჯარს ინგლისელები და ბელგიელები. ველინგტონმა მარცხენა მხარის გასამაგრებლად ბრაუნშვაიგის ჯარი გაგზავნა, თვითონ კი თავის ადგილას დარჩა.

საგანგებოდ იყო განზრახული ფრანგების იერიში ინგლისელების მარცხენა მხარეს: უკან დასწევდნენ ინგლისელებს, შეუკრავდნენ ბრიუსელის გზას, შეაჩერებდნენ მომავალ პრუსიელებს, აიღებდნენ სენ-ჟანის მთას, ველინგტონს ჰუგომონისა და ბრენ-ლ'ალეესკენ დაახევინებდნენ.

ფრანგების მარჯვენა ფრთის იერიშს ჰუგომონზე განზრახული ჰქონდა გაენადგურებინა ინგლისელების მარცხენა ფრთა, გადაეჭრა ბრიუსელისკენ დასახევი გზა, გასავლელი შეეკრა პრუსიელებისთვის, აეღო მონსენჟანი, დაეხევინებინა ველინგტონისთვის, ჯერ ჰუგომონისკენ, იქედან ბრენ-ლ'ალეესკენ, შემდეგ ჰალემდე. ყოველივე ნათელი იყო. იერიშმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწია: პაპელოტი და ჰე-სენტი აღებული იქნა.

კიდევ ერთი წვრილმანი. ინგლისის ქვეით ჯარში, მეტადრე კემპის გუნდში, მრავლად ერია ახალწვეული ჯარისკაცი. საკვირველი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ამ გამოუცდელმა გლეხებმა საფრანგეთის ომში გაწვრთნილ ჯარებთან ბრძოლაში. სწორედ გამოუცდელობამ შესძინათ ვაჟკაცობა. მოწინავე მსროლელებად იყვნენ და ისე მაგრად დაუდგნენ ფრანგებს, რომ ბრძოლაში დაბერებულებსაც გაუჭირდებოდათ. წინა მსროლელად რომ არის ჯარისკაცი, თავის ნებაზე იბრძვის და თვითონ არის თავისი თავის გენერალი. სწორედ ფრანგული სიმარჯვე და სიმკაცრე გამოიჩინეს ამ თავგანწირულებმა. სიხარულით იბრძოდნენ ბიჭები და ზუსტად ეს არ მოსწონდა ველინგტონს.

თავიდან კარგად მიდიოდა საქმე. ჰე-სენტის აღების შემდეგ კი ვითარება საეჭვო გახდა.

ამ დღის შუადღიდან ოთხ საათამდე გაურკვეველი მდგომარეობა იყო. ბრძოლის შუაგული თითქმის მიუწვდომელია და ბნელით მოსილ უწესო ჭიდილს წააგავს.

დაბინდდა.

ბურუსში რაღაც უზარმაზარი ტორტმანებს. თავბრუდამხვევი მირაჟია. ერთმანეთში ირევა იმდროინდელი ომის ამჟამად უკვე დროგადასული ატრიბუტები: კუდიანი ბოხოხები, აფრიალებული აშურგები, მებრძოლთა ტყავის საჭურველი, ყუმბარების სავაზნეები, ჰუსარების დოლომანები, წითელი დანაოჭებული ჩექმები, მძიმე ზონრით მოქარგული კივერები; ბრაუნშვაიგის ჩაშავებული ქვეითი ჯარი არეული ინგლისის ღია წითელ ფორმიან ჯარისკაცებთან, რომელთაც სამხრეების ნაცვლად დიდი მრგვალი თეთრი ლილვაკები ეკეთათ, ჰანოვერის მსუბუქი არტილერია ტყავის მოგრძო ჩაჩქნებით, სპილენძის ბალთებითა და წითელფაფრიანი ცხენებით, შიშველ მუხლებიანი შოტლანდიელები კუბოკრული მოსასხამებით, ფრანგი გრენადერები

მაღალი საკვეთებით - ყოველივე ეს უფრო სურათებს წააგავს, ვიდრე სტრატეგიულ რიგებს, უფრო საინტერესოს სალვატორ როზასთვის, ვიდრე გრიბოვალისთვის.

ცოტა რამ ქარიშხლისა ურევია ყოველთვის ბრძოლაში.

Quid obscurum, quid divinum. ყველა ისტორიკოსი ისე ხატავს ბრძოლის მოხაზულობას, როგორც მას მოსწონს ამ აურზაურში. რაც უნდა კარგი იყოს გენერლების მოსაზრება, შეიარაღებულ ხალხთა შებრძოლება მაინც მრავალ მოულოდნელობას ქმნის. როგორც კი ბრძოლა გაჩაღდება, მხედართმთავრების ორი გეგმა ერთმანეთში ირევა. ბრძოლის ველის რომელიმე ადგილი უფრო მეტ ძალას მოითხოვს, ვიდრე მეორე, ისე, როგორც ფხვიერი მიწა მეტ წყალს საჭიროებს, ვიდრე მკვრივი. საჭირო ხდება მეტი ჯარი განათავსოთ იქ, ვიდრე გინდოდათ, მოულოდნელი ხარჯვით. ბრძოლის ხაზი ირხევა და იკლაკნება, მოკლდება და იჭიმება, როგორც ბაწარი; იქიდან არ მოდის სისხლის ღვარი, საიდანაც იყო განზრახული. ლაშქრის წინა რიგი ხშირად ირღვევა; კონცხებსა და ზღვის ყურეებს ქმნიან შიგნით შემავალი და გამომავალი რაზმები, ბრაგებით ავსებენ იქაურობას. ქვეითი ჯარის ადგილს უცბად არტილერია იჭერს და არტილერიისას - ცხენოსნები. ბრძოლის ველზე კვამლივით არის რაზმი: რაღაც იყო აგერ იქ. მოძებნეთ, უკვე გაქრა. ხან იქ ირღვევა ჯარი, ხან აქ, რაღაც სამარისებური ქარი უბერავს. ხან ერთად შეაგროვებს, ხან ისევ გაფანტავს ამ ტრაგიკულ მასებს. რა არის შეტაკება? მერყეობა. მათემატიკური გეგმის უცვლელობა ერთ წამს გულისხმობს და არა მთელ დღეს. ბრძოლის დასახატად ის დიდებული მხატვარი გვინდა, რომელიც ქაოსის დახატვას შეძლებს თავისი ფერებით; რემბრანდტი სჯობია ვან-დერ-მეულენს; ვან-დერ-მეულენი მართალია შუადღისას და ტყუილს ურევს ცოტახნის შემდეგ.

ბრძოლის ველზე გეომეტრია ტყუის. უტყუარი მარტო ქარიშხალია. ამიტომ არის, რომ ჩვენი ფოლარი არ ეთანხმება პოლიბს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბრძოლაში ყოველთვის არის ერთი წამი, როდესაც ცალკეულ კერძო შეტაკებად იქცევა ლაშქართა ბრძოლა, ირღვევა და იფანტება აურაცხელ წვრილმანად, რომელიც, - ნაპოლეონის სიტყვას გავიმეორებთ, - „უფრო რაზმების ბიოგრაფიას ეკუთვნის, ვიდრე მთელი ლაშქრის ისტორიას“. ამ შემთხვევაში ისტორიკოსს რჩება დასკვნის გამოტანის უფლება; მხოლოდ ბრძოლის ზოგად კონტურებს მოხაზავს და ვერავინ შეძლებს, რაც უნდა გულმოდგინედ სწყუროდეს ჭეშმარიტება, სწორად გამოხატოს იმ საშინელი ღრუბლის ფორმა, რომელსაც ლაშქართა ბრძოლა ჰქვია.

ეს სიმართლეა ყველა დიდი ბრძოლის შესახებ და ზედგამოჭრილი ვატერლოოს ბრძოლაზე.

შუადღის შემდეგ უკვე გაირკვა ბრძოლის მიმდინარეობა.

## თავი მეექვსე
## ნაშუადღევის ოთხი საათის შემდეგ

ცუდად იყო ამ დროს ინგლისელების საქმე.

ორანის უფლისწული ცენტრს მეთაურობდა. ჰილი - მარჯვენა ფრთას და პიქტონი - მარცხენას. მამაცი უფლისწული თავგამეტებით უყვიროდა ჰოლანდიელებს და ბელგიელებს: „ნასაუ! ბრაუნშვაიგ! არ დაიხიოთ არავითარ შემთხვევაში!“ არაქათგამოცლილი ჰილლი ველინგტონს შეუერთდა. პიქტონი მოკლეს. იმ დროს,

როდესაც ინგლისელებმა წაართვეს ფრანგებს 105 სასაზღვრო ლეგიონის დროშა, ფრანგებმა მოუკლეს ინგლისელებს პიქტონი: ტყვიით გაუხვრიტეს მას თავი. ორი სიმაგრე ჰქონდა ველინგტონს საიმედო: ჰუგომონი და ჰე-სენტი; ჰუგომონი ჯერ მაგრად იყო, მაგრამ იწვოდა. ჰე-სენტი ფრანგებს აეღოთ; ჰუგომონიც რომ აეღოთ, ერთიღა დარჩებოდა ველინგტონს - ცენტრი და სწორედ მის გასამაგრებლად გაგზავნა ჰილლი და შასე თავიანთი ჯარებით.

მაგრამ ასე გამაგრებულსაც ჰქონდა თავისი სუსტი მხარე - სუანის ტყე, რომელიც ბრძოლის ველს აკრავს და ჭაობებით არის გადაჭრილი. უკან დახევა ამ ტყით ლაშქრის დაშლას მოასწავებდა; რაზმები დაიფანტებოდნენ, არტილერია ჭაობებში ჩაიღუპებოდა. საქმის მცოდნეთა აზრით, ამ გზით უკან დახევა გაქცევა იქნებოდა, თუმცა ზოგი არ ეთანხმებოდა მათ აზრს.

სწორედ ამიტომ გაამაგრა ველინგტონმა ეს საშიში წერტილი; იქ შეაგროვა თავისი ჯარების ოცდაექვსი ბატალიონი. მარჯვენა მხარე, შარასის სიტყვით რომ ვთქვათ, ცენტრის უკან დააყენა. მძლავრი ბატარეა მიწით სავსე ტომრებით იყო დაფარული იქ, სადაც ახლა ეგრეთ წოდებული „ვატერლოოს მუზეუმია“. გარდა ამისა, ველინგტონს ათას ოთხასი ცხენოსანი გვარდიელი ჰყავდა დამალული პატარა ხევში.

ველინგტონი შეწუხებული იყო, თუმცა ცდილობდა დამშვიდებულად სჩვენებოდა ჯარს; ცხენზე იჯდა მთელი დღე. სენ-ჟანის მთაზე იდგა, ერთი თელის ქვეშ, ძველი წისქვილის წინ, რომელიც დღესაც არის. ეს თელა ერთმა ბარბაროსმა ინგლისელმა ორას ფრანკად იყიდა, მოჭრა და ინგლისში გადაიტანა. გმირულად იდგა იქ ველინგტონი, მის ირგვლივ ყუმბარების წვიმა ცვიოდა. ლორდმა ჰილლმა ჰკითხა ამ დროს: - რა ბრძანებას გვიტოვებთ, მილორდ, თუ თავი შეაკალით მაგ მოურიდებლობით? - თქვენ ისევე მოიქეცით, როგორც მე, - უპასუხა ველინგტონმა. კლინტონს მოკლედ მოუჭრა: - ფეხი არ მოიცვალოთ აქედან, მარტოდმარტოც რომ დარჩეთ! - ცუდად იყო საქმე და ველინგტონი ამხნევებდა თავის ძველ თანამებრძოლთ: - ბიჭებო! განა ისე დავეცემით, რომ უკან დავიხიოთ, ინგლისი შევარცხვინოთ?

ოთხი საათი სრულდებოდა, ინგლისელების ჯარი რომ ამოძრავდა. უცბად შეიცვალა ბორცვი და არტილერიისა და მსროლელების მეტი აღარავინ დარჩა; დანარჩენები გამქრალიყვნენ: ვეღარ გაუძლეს ფრანგების ყუმბარას და ფინდიხს. ინგლისის ლაშქრის წინა მხარე მიიმალა, ველინგტონმა უკან დაიხია.

- მალე ზურგსაც შემოგვაქცევენ! - დაიძახა ნაპოლეონმა.

## თავი მეშვიდე
## ნაპოლეონი კარგ გუნებაზეა

ნაპოლეონი შეუძლოდ იყო, აწუხებდა ცხენზე ჯდომა, მაგრამ ყთავის დღეში არ ყოფილა ისეთ კარგ გუნებაზე, როგორც იმ დღეს. დილიდანვე იღიმებოდა ეს ღრმად ჩამალული სული, მარმარილოს ნიღბიანი; აუსტერლიცში დაღვრემილი, მხიარულად იყო ვატერლოოზე. უდიდეს რჩეულთაც მოსდით მსგავსი ცთომილება. მკრთალი ჩრდილია ჩვენი სიხარული. ნამდვილი სიხარული მარტო ღმერთსა აქვს.

Ridet Caesar, Pompeius flebit

, - იძახდნენ რომაელი ჯარისკაცები. პომპეუსი ამჟამად არ იტირებდა და კეისარი კი მართლა იცინოდა.

იმ ღამეს არ სძინებია. ცხენით დადიოდა შხაპუნა წვიმაში ბერტრანთან ერთად, ათვალიერებდა თავის ჯარს და ინგლისელების ცეცხლის ხაზს, დარწმუნებული იყო, რომ აქაც გაუღიმებდა ბედი. ერთ წამს შეაყენა ცხენი, ჭექა-ქუხილით და ელვით განრისხებულ ცას შეხედა და ჩუმი ხმით წარმოთქვა: - შეთანხმებულნი ვართ. ცდებოდა ნაპოლეონი, მათ შორის უკვე აღარ იყო შეთანხმება.

დილის სამის ნახევარი იყო, ჰუგომონის ტყის სიახლოვეს მომავალი ჯარის ფეხის ხმა მოისმა. ველინგტონის ჯარის დაბრუნებად ეჩვენა და წამოიძახა - რაკი უკანა ნაწილი დაიძრა, დანარჩენიც თან მოჰყვება. ოსტენლეში რომ ინგლისელები მოვიდნენ, ტყვედ ავიყვან ექვსიათას კაცსო. - ისევე ხუმრობდა, როგორც პირველ მარტს, გემიდან რომ ჩამოდიოდა კანში; ერთი გლეხი დაანახვა მარშალს, იმპერატორის დაბრუნებით აღტაცებული და უთხრა:

- ხედავთ, ბერტრან? ხალხი ჩვენკენ ყოფილა. - აქაც მასხარად იგდებდა ველინგტონს და იძახდა: - ჭკუა უნდა ვასწავლო პატარა ინგლისელსო. წვიმა ისევ მატულობდა. სანამ ნაპოლეონი ლაპარაკობდა, ქუხილი ისმოდა.

ცუდი ცნობა მოუტანეს ოთხის ნახევარზე - ინგლისელები სრულებითაც არ აპირებენ წასვლას, არც იძვრიან, ცეცხლი არსად გაუქრიათო. ხუთზე კიდევ ორი ბელგიელი მოუყვანეს, მტრის ჯარიდან გამოქცეული. ამათაც იგივე მოახსენეს - ინგლისელები ბრძოლას ელიანო. - მით უკეთესი, - თქვა ნაპოლეონმა, - გაპარულს დამარცხებული მირჩევნია.

წვიმის გამო ჯარისთვის საჭირო სანოვაგე ამ დილას დროზე ვერ მოვიდა, მშიერი იყო ჯარი და თანაც დასველებული; ნაპოლეონი კი იმედიანად იყო და მხიარულად შეჰყვირა ნეის: - ასში ოთხმოცდაათი გამარჯვების შესაძლებლობა ჩვენკენ არის და ათი - იმათკენო.

რვა საათი იყო, საუზმე რომ მიართვეს იმპერატორს, რამდენიმე გენერალი მიიპატიჟა. საუზმის დროს უთხრეს, ველინგტონი გუშინწინ ბრიუსელში იყო, ჰერცოგ რიჩმონდის ქვრივის საზეიმო მეჯლისს დაესწროო. იქვე სულტი იყო, დევივით მძლავრი და სახით არქიეპისკოპოსი, რომელმაც წამოიძახა: - საზეიმო მეჯლისი დღეს ნახოსო. როდესაც ნეიმ თქვა, გიჟი კი არ არის ველინგტონი, რომ ლოდინი დაუწყოს იმპერატორსო, ეს სიტყვაც ხუმრობაში გაატარა ნაპოლეონმა. ძალიან უყვარდა ხუმრობა, - წერს ფლერი დე შაბულონი - თავის გრენადერებს გრონიარები დაარქვა - ბუზღუნები. ზოგს ყურს უწევდა, ზოგს - ულვაშს. სულ გველაზღანდარებოდა იმპერატორიო, - თქვა ერთმა გრენადერმა. ელბის კუნძულიდან რომ ჩუმად საფრანგეთისკენ მიდიოდა, 27 თებერვალს, ზღვაში სამხედრო გემი „ზეფირი“ შეხვდა „ინკონსტანს“, რომელშიც ნაპოლეონი იჯდა. „ზეფირიდან“ ჰკითხეს, - იმპერატორი როგორ არისო? - გაიგონა ეს ნაპოლეონმა, აიღო ხმის გამაძლიერებელიდა სიცილით ჩასძახა: - იმპერატორი კარგად ბრძანდება! - ვისაც ასე შეუძლია ხუმრობა, მას ბედიც სწყალობს.

ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო საუზმის შემდეგ, მერე თივაზე დაბრძანდა ორი გენერალი, მუხლებზე ქაღალდები დაიდეს და ნაპოლეონის კარნახით დაწერეს ბრძოლის განრიგება.

თერთმეტის ნახევარზე ფრანგები უკვე მზად იყვნენ საბრძოლველად. ისევ კარგ გუნებაზე იყო ნაპოლეონი და მხოლოდ ერთხელ მოიღუშა მცირე ხნით მტრის საცოდაობით: მარცხენა მხარეს დაინახა ყოჩაღი შოტლანდიელები თავიანთი საკვირველი ცხენებით და წამოიძახა: - ოჰ, საბრალონი!

შემდეგ შეჯდა ცხენზე და მაღლობზე დადგა ბრძოლის ყოველმხრივ სათვალიერებლად. ბუზივით ირეოდა მის ირგვლივ ტყვია და ყუმბარა. გზის მაჩვენებლად ერთი გლეხი ჰყავდა, ლაკოსტი, ინგლისელების მომხრე, ერთი ჰუსარის უნაგირზე მიკრული. გულგახეთქილი იყო გლეხი და სულ იმას ცდილობდა, ჰუსარის ზურგს უკან დამალულიყო. გაცხარებული ბრძოლის დროსაც თავისი არ დაიშალა ნაპოლეონმა: - არა გრცხვენია, სულელო! გინდა, რომ ზურგში მოგხვდეს ტყვია, შე ლაჩარო, შენა!

## თავი მერვე
## იმპერატორი ლაკოსტს ეკითხება

იმ დილას კარგ გუნებაზე იყო ნაპოლეონი.

მართალიც იყო. მის მიერ შედგენილი ბრძოლის გეგმა საკვირველი რამ იყო. ბრძოლის დაწყების შემდეგ ბევრი რამ იცვლება თავდაპირველ გეგმაში, მაგრამ ყველა ცვლილებას ხედავდა და არაფრით ირღვეოდა მისი მეფური, იმედის მომცემი სიმშვიდე. ჩვევად ჰქონდა, ბრძოლისთვის თვალი არ მოეშორებინა; ისე უნდა მდგარიყო, რომ არაფერი გამოჰპარვოდა. არ იცოდა ავის ცალკე თვლა და კარგისა - ცალკე, საქმე ანგარიში კი არა, შედეგი იყო - გამარჯვება. ცოტა რამ წახდა დასაწყისში, თუმცა ეს არ აწუხებდა, რადგან დაბოლოების გამგედ და ბატონად გრძნობდა თავს. ლოდინიც იცოდა, ვინაიდან თავისად მიაჩნდა გამარჯვება და ამხანაგად - თავისი ბედი. ისე იქცეოდა, თითქოს ბედს ეუბნებოდა: - ვერ გამიბედავო.

სანახევროდ ნათელიც იყო და ბნელიც ნაპოლეონი და ამიტომ კარგით თავის მფარველს აკმაყოფილებდა და ავით... ავსაც უთმენდა ბედი. სწამდა, რომ ხელს უწყობდა გარემოებანი, თანამოზიარედ უხდებოდა, როგორც ანტიკური - მიუწვდომელს.

მაგრამ ადამიანი რომ ბერეზინას გამოივლის, ლაიფციგსა და ფონტენებლოს, მგონი, ვატერლოოში მაინც უნდა გამოიჩინოს უნდობლობა. ცხადი იყო, რომ ზეცას საიდუმლოდ შეეკრა შუბლი.

ველინგტონმა რომ უკან დაიწია, ათრთოლდა ნაპოლეონი. უეცრად მოტიტვლებული დაინახა სენ-ჟანის თხემი; ინგლისელების ლაშქრის წინამხარი აღარსად იყო, რადგან ერთად იკრიბებოდა და იმალებოდა. წამოიწია ნაპოლეონმა თავის ცხენზე. გამარჯვების ელვამ გაურბინა თვალწინ.

ველინგტონი რომ ტყეში შეეტყუებინა და იქ ამოეჟლიტა, ეს იქნებოდა საბოლოო წაქცევა ინგლისისა საფრანგეთის მიერ. ეს იქნებოდა შურისძიება აგრესის, პუატიეს, მალპლაკისა და რამილის სისხლისათვის. მარენგოში გამარჯვებული კუდით ქვას ასროლინებდა აზენკურში გამარჯვებულ ინგლისელებს.

კარგა ხანს სინჯა თავისი ჭოგრით ინგლისელებისგან მიტოვებული ადგილი. საბრძოლველად გამზადებული გვარდია, რომელიც უკან იდგა, ქვევიდან ზევით შესცქეროდა თავის იმპერატორს. შეუმჩნეველი და ბრძოლისათვის სასარგებლო ან

მავნებელი ბუჩქიც კი არსად დარჩენია; ერთი ბარიკადის გვერდით ძველი წმ. ნიკოლოზის სამლოცველო დაინახა, თეთრად შეღებილი, დიდი ხანი სინჯა, რაღაც საეჭვოდ ეჩვენებოდა, მაგრამ ვერ არჩევდა. დაიხარა და ჩუმი ხმით რაღაც ჰკითხა ლაკოსტს. თავი გაიქნია ლაკოსტმა, - არაო, - უთუოდ ღალატი ჰქონდა გუნებაში.

ჩაფიქრებული იყო ნაპოლეონი.

ველინგტონი გაბრუნდა. გაბრუნებულის შემუსვრა იყო საჭირო, სხვა არაფერი. ნაპოლეონმა უცბად პარიზს შიკრიკი აფრინა - გამარჯვება ჩვენიაო.

ერთი იმ გენიოსთაგანი იყო ნაპოლეონი, რომლებიც გრგვინავენ. და აგერ იპოვა, ვისთვის დაეცა მეხი.

მილოს ბეგთაროსნებს უბრძანა მონ-სენ-ჟანის მთის აღება.

## თავი მეცხრე
## მოულოდნელობა

სამიათას ხუთასი კაცი გაჭიმულიყო მთელ კილომეტრზე, დევები იყვნენ უზარმაზარი ცხენებით. უკან, ზურგის გასამაგრებლად, ლეფვევრის მთელი დივიზია იდგა. ჟანდარმები, გვარდიელები, შუბოსნები. დილით აღტაცებაში მოიყვანეს ნაპოლეონი და მისი ამალა, მწყობრად რომ გაიარეს თავისი ადგილის დასაკავებლად; ნაპოლეონის ორკესტრი ჰიმნს უკრავდა: „Veillons au salut de l'Empire“.

ადიუტანტმა ბერნერმა გადასცა ნაპოლეონის ბრძანება. ნეიმ იძრო ხმალი და გაუძღვა ამ დევებს.

საშინელება მოხდა.

მწყობრად დაიძრნენ ეს ცხენოსნები, ამოღებული ხმლებით, აფრიალებული დროშით.

სწრაფად ჩაიარეს ფერდობი და აღმართს მიადგნენ. ზევიდან ზუზუნით მოდიოდა ტყვია-ყუმბარა, ცხენოსნები კი ისევ მწყობრად ადიოდნენ მონ-სენ- ჟანის მთაზე ატალახებული ფერდობით, ახლაც ისევე გამარჯვებით ადიოდნენ, როგორც მოსკოვში. მიურატი აღარ ჰყავდათ, სამაგიეროდ ნეი მათთან იყო.

უცბად საზარელი სურათი დაინახა ნაპოლეონმა. ინგლისელების მარცხნივ, ფრანგების მარჯვნივ ყალყზე შედგნენ წინა რიგის ცხენები და გაისმა საშინელი ყვირილი. მთის თხემზე ჭენებით ავიდა მიმავალი მხედრობა და ღრმა ხევს მიადგა მოულოდნელად. ყალყზე შემდგარ წინა რიგს უკნიდან მეორე რიგი აწვებოდა, იმას მესამე და ხევში ცვიოდა ცხენიც და მხედარიც. ერთ წყობას მეორე მისდევდა, მეორეს - მესამე, არავითარი საშუალება ამ ხევის აცდენისა ან უკან დახევისა არ იყო. ხევში ჩაიღუპა ის მძლავრი ჯარი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო ინგლისელებისათვის. როდესაც ცხენებითა და ცოცხალი მხედრებით ამოივსო მთელი ხევი, მაშინ ზედ გადაიარეს უკანა რაზმებმა.

ამით დაიწყო ბრძოლის წაგება.

ერთი ადგილობრივი თქმულება ამბობს, რომ ორიათასი ცხენი და ათას ხუთასი კაცი ჩაწვა ამ ხევში, მაგრამ იქნებ აზვიადებდეს კიდეც. იქნებ მათ რიცხვში ის მკვდრებიც იყვნენ, რომლებიც მეორე დღეს ჩაყარეს იმავე ხევში.

ნაპოლეონმა, ვიდრე სენ-ჟანის მთაზე იერიშით ასვლის ბრძანებას გასცემდა, დიდი ყურადღებით შეამოწმა მთის ასავალი ფერდობი და პატარა თეთრი ეკლესია. მერე ლაკოსტს ჰკითხა, საშიში ხომ არაფერია ამ აღმართზეო. იმანაც თავი გაუქნია, არაო. შეიძლება ითქვას, რომ ამ გლეხის „არამ“ დაღუპა ნაპოლეონი.

ამ გარემოებას სხვაც ბევრი აღნიშნავდა.

შესაძლებელი კი იყო, რომ ნაპოლეონს მოეგო ვატერლოოს ბრძოლა?

აი ჩვენი პასუხი: არა.

ველინგტონის გამო? ბლუხერის გამო?

არა, ეს იყო ღვთის ნება.

ბონაპარტი რომ გამარჯვებული დარჩენილიყო ვატერლოოში, ეს იქნებოდა სრული დარღვევა მეცხრამეტე საუკუნის მსვლელობისა. იმ დროს სულ სხვა მიმართულების ამბები მზადდებოდა, სადაც ნაპოლეონის ადგილი აღარ იქნებოდა. ამ ამბების მიერ უარყოფა ნაპოლეონისა, დიდი ხანია, ეტყობოდა ცხოვრების მიმართულებას. დრო იყო, რომ დაცემულიყო ეს ბუმბერაზი და ძლიერი ადამიანი.

მეტისმეტად დიდი წონა ჰქონდა ამ კაცს და ამით არღვევდა კაცობრიობის წონასწორობას. მას, მარტოდმარტოს, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მთელ კაცობრიობას. კაცობრიობის სიცოცხლის ჭარბი ენერგია მოგროვილიყო ერთადერთ თავში, მთელი ქვეყანა მოთავსებულიყო ერთადერთ ტვინში - მომაკვდინებელი იქნებოდა ცივილიზაციისათვის, რომ ბოლო არ მოღებოდა ნაპოლეონს. დრო იყო, რომ ადამიანთა ცხოვრებაში ჩარეულიყო უზენაესი, უანგარო მართლმსაჯულება. ალბათ ამას ჩიოდნენ პრინციპები და საფუძვლები, რომლებზედაც დამოკიდებულია წესიერი ურთიერთობა, როგორც ზნეობრივ, ისე ყოფით განზომილებაში. სისხლის ღვარს რომ ორთქლი ასდის, სასაფლაო რომ მკვდრებს ვეღარ იტევს, დედის ცრემლი რომ ვეღარ შრება, ეს არის უტყუარი მომჩივანი უზენაესის წინაშე. ასეა! დედამიწა რომ მეტისმეტ ტანჯვას განიცდის, საიდუმლო გმინვა ისმის წყვდიადში და უზენაესს ესმის მისი გოდება.

ნაპოლეონი დაბეზღებული იყო უზენაესის წინაშე და გადაწყვეტილი იყო მისი დაცემა.

იგი აწუხებდა ღმერთს.

ვატერლოო მხოლოდ ბრძოლა არ არის. ვატერლოო სამყაროს სახის შეცვლაა.

## თავი მეათე
## მონ-სენ-ჟანის ტაფობი

როგორც კი ფრანგები გადაიჩეხნენ ხევში, ინგლისელების აქამდე შენიღბულმა ბატარეამ თავი იჩინა. საშინელი სროლა აუტეხეს ხევზე გადასულ ჯარებს, იმდენად საშინელი, რომ ფრანგების გენერალმა, უშიშარმა დელორმა, სამხედრო სალამი მისცა ამ ზარბაზნებს. ბევრი იმსხვერპლა ხევმა, მაგრამ ერთიანად გაამხნევა, ვინც გადარჩა. ამ მარცხმა სულ გაანადგურა ვატიეს რაზმეული, დელორისა კი გადარჩა მთლიანად. ნეის თითქოს ეჭვი აღძვროდა, ხომ არ ებრძანებინა, მარცხნიდან მოევლოთ ხევისთვის.

დადგება ხოლმე ისეთი წამი, როდესაც სული ფოლადივით ამაგრებს მეომარს, ქანდაკებად გარდაქმნის მებრძოლს და აკაუჟებს ხორციელს. საშინელი ძალით

დაესივნენ ფრანგები ინგლისელებს, მაგრამ ფეხი ვერ მოაცვლევინეს. დიდხანს იბრძოდნენ გაშმაგებულნი და როგორც იყო შეარყიეს, შეარღვიეს პატოვერელების რამდენიმე ბატალიონი. ველინგტონმა მაშინვე ცხენოსანი ჯარით გაამაგრა ეს ადგილი. ნაპოლეონსაც რომ თავისიანებისთვის ქვეითი ჯარი მიეშველებინა, გამარჯვებული დარჩებოდა.

იერიშით მისულ ფრანგებს უკნიდან დაჰკრეს ინგლისელმა ცხენოსნებმა. ხელიდან ხელში გადადიოდა მონ-სენ-ჟანის მთა. ოთხი ცხენი მოუკლეს ნეის. ორი საათი გაგრძელდა ქედზე ეს ბრძოლა. ბრძოლა კი არა, დუელი ორი გაცოფებული, დაჭრილი კაცისა, რომლებიც იბრძვიან, სცემენ ერთმანეთს და თან სისხლი სდით უკანასკნელ წვეთამდე.

დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი ორივე მხარე. სისხლად იქცეოდა ლაშქარი. მარცხენა მხრიდან დახმარება სთხოვა ველინგტონს კემპფმა. - აღარავინ მყავს, - უპასუხა მხედართმთავარმა, - დაიხოცონ და ფეხს კი ნუ მოიცვლიან! იმავე დროს ნეიმ ქვეითი ჯარის დახმარება სთხოვა ნაპოლეონს.

- საიდან გავაჩინო? - შეჰყვირა ნაპოლეონმა, - მე ხომ ვერ გამოვჩეკავ!

საერთოდ კი ინგლისელები უფრო გალახულნი იყვნენ, ვიდრე ფრანგები. ხუთი საათი იყო, როდესაც საათი ამოიღო ველინგტონმა, დახედა და თქვა ჩუმი ხმით: - დავიღუპებით, თუ ბლუხერმა დაიგვიანა!

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ფრიშმონის მაღლობზე მბზინავი ხიშტები.

აქ კი უეცრად შეიცვალა ამ ბუმბერაზი დრამის ბედი.

## თავი მეთერთმეტე

### ავი გზის მაჩვენებელი ნაპოლეონს, კარგისა - ბიულოვს

ყველას ეცოდინება ნაპოლეონის საბედისწერო დაბნევა; გრუშის იმედი ჰქონდა და ბლუხერი გამოჩნდა, სიცოცხლის ნაცვლად - სიკვდილი.

ბედისწერამ ხშირად იცის ამგვარი ფანდები: ელოდნენ სამყაროს სამეფოს ტახტს, დაინახეს წმ. ელენეს კუნძული.

პატარა მწყემსი ჰყავდა გზის მაჩვენებლად ბიულოვს, ბლუხერის ლეიტენანტს, რომელსაც ტყიდან გამოსვლისას ფრიშმონის ზემოდან რომ წამოეყვანა ბიულოვი და არა პლანსესუას ქვემოდან, იქნებ სხვა მოხაზულობა მიეღო მეცხრამეტე საუკუნეს. ნაპოლეონი დარჩებოდა გამარჯვებული ვატერლოოს ბრძოლაში. სხვა გზით რომ წამოეყვანა, წინ ხევი დახვდებოდა ბლუხერის ჯარს, გაუვალი მისი ზარბაზნებისთვის და, მაშასადამე, ვეღარც დაეხმარებოდა ინგლისელებს.

ერთი საათით რომ გვიან მიშველებოდა ბლუხერის ჯარი, ვეღარც ველინგტონს ნახავდა, როგორც თქვა პრუსიელმა მუფლინგმა, და ვეღარც გამარჯვებას.

ერთი-ორი საათით ადრე რომ დაეწყოთ ბრძოლა, ოთხზე გათავებული იქნებოდა და ბლუხერის ჯარი ნაპოლეონისგან დამარცხებულ და გაქცეულ ლაშქარს დაინახავდა.

შუადღე იყო, ნაპოლეონმა რომ რაღაც დაინახა თავისი ჭოგრით შორეულ ჰორიზონტზე, - რაღაცას ვხედავ ღრუბლად და ჯარად მეჩვენებაო. მერე დალმაციის ჰერცოგს ჰკითხა: - რას ხედავთ, სულტ, შაპელ-სენ-ლამბერისკენ? - ჭოგრით დააცქერდა სულტი და მიუგო: - ოთხ-ხუთ ათას კაცს ვხედავ, ეტყობა გრუში მოდის.

სინამდვილეში უძრავად იდგა ეს ჯარი. იმპერატორის ამალის ყველა ჭოგრი ამ „ღრუბელს“ შესცქეროდა. ზოგმა თქვა, - ჯარია, ისვენებსო, ზოგმა - ხეებიაო. ნაპოლეონმა დომონის პატარა მსუბუქი ცხენოსანი რაზმი გაგზავნა გამოსარკვევად.

და მართლაც, უძრავად იდგა ბიულოვი. მთავარი ძალა უკან ჩამორჩენოდა და იმას ელოდა, ბრძანება ჰქონდა: მთლიანად მოკრიბე შენი რაზმები და ბრძოლაში ისე ჩაერიეო. მაგრამ ხუთ საათზე, როდესაც ნახა, რომ იღუპებოდა ველინგტონი, იერიშით მისვლა უბრძანა ბიულოვს ბლუხერმა და ეს მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა: - ცოტა სული მოვაბრუნებინოთ ინგლისელებს.

## თავი მეთორმეტე
## გვარდია

დანარჩენი ცნობილია. გაჩნდა მესამე ლაშქარი. სრულიად დაიშალა ფრონტების ჯარი. ზოგი გარბოდა გულგახეთქილი, ზოგი, როგორც გვარდია, თავგანწირვით იბრძოდა და - იმპერატორს გაუმარჯოსო! - გაჰყვიროდა მომაკვდავი.

მთელ დღეს მოღრუბლული იყო ზეცა და სწორედ ამ დროს, საღამოს 8 საათი იქნებოდა, შორს, ჰორიზონტზე გაირღვა ღრუბელი და ჩამავალი მზის სხივი დაეცა ვატერლოოს. აუსტერლიცმა ამომავალი მზე დაინახა, ვატერლოომ - ჩამავალი.

გამარჯვებას კი არა, სიკვდილსღა ნატრობდა ნეი და ტყვიას და ხმალს უშვერდა გულს. მეხუთე ცხენი მოუკლეს. ოფლი სდიოდა. თვალებში ცეცხლი ეკიდებოდა, ცოფის დორბლი სდიოდა. ერთი ეპოლეტი ხმლით ჰქონდა გაპობილი, არწივის ორდენი - ტყვიით გაკაწრული; დასისხლიანებული, გატალახიანებული, მაგრამ დიდებული, გატეხილი ხმლით სცემდა მტერს და იძახდა: - მოდით, ნახეთ, როგორ კვდება ბრძოლის ველზე საფრანგეთის მარშალი! მაგრამ ამაო იყო მისი მცდელობა. არაფერი ხვდებოდა მომაკვდინებელი და დრუე დ'ერლონს გასძახა სასოწარკვეთილმა: - მიუშვირე გული, რომ მორჩეს და გათავდეს! - მეხნაკრავივით ცვიოდნენ მის ირგვლივ გვარდიელები. ისიც არ ინდობდა მტერს და ყვიროდა: - ნუთუ ჩემი ხელით მოვიკლა თავი? ნეტავ პირდაპირ მე დამიმიზნებდნენ, რაც ზარბაზნები აქვთ ინგლისელებს!

უბედური, ფრანგების ტყვიით უნდა მომკვდარიყო და ამიტომ გადარჩა ვატერლოოს.

## თავი მეცამეტე
## კატასტროფა

ყველა გარბოდა გვარდიელების გარდა. გვარდიელები იქვე რჩებოდნენ დახოცილები ან დაჭრილები. ცხენი წაართვა ვიღაცას ნეიმ, მოახტა და უქუდო, უხმლო, უყელსახვევო გამოეკიდა გაქცეულთ, ცდილობდა შეეყენებინა, შეეგროვებინა გაქცეულების ნაწილი მაინც; უყვიროდა, სთხოვდა, არცხვენდა, ლანძღავდა, მაგრამ შეუძლებელი იყო შეშინებულების გაჩერება. - გაუმარჯოს მარშალ ნეის! - ყვიროდნენ ჯარისკაცები და მაინც გარბოდნენ.

საშინელებაა ასე გაქცევა ჯარისა: - ერთმანეთს კლავენ ამხანაგები, რომ მალე გავიდნენ სამშვიდობოს. ერთმანეთში ირევიან ცხენოსნები, ფეხოსანი ჯარი,

არტილერია და დაუნდობლად სრესენ თავიანთ მოძმეებს. ეს უშველებელი ქაფია ბრძოლისა.

ნაპოლეონს გვარდიელების მცირე რაზმი ჰყოლოდა თავისთან და ეცადა მათი დახმარებით შეეკრა გზა გაქცეული ჯარისთვის, წინ გადაეღობა, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. უცბად გაარღვიეს ეს დაბრკოლება და გარბოდნენ, რაც ძალი და ღონე შერჩენოდათ ფეხებში. ცხენით მისდევდა ნაპოლეონი, ეხვეწებოდა, არიგებდა, ემუქრებოდა, ევედრებოდა. იმ დილას, ერთხმად რომ გაიძახოდნენ ყველანი - იმპერატორს გაუმარჯოსო, - ახლა გაჩუმებულნი გარბოდნენ, ვეღარც კი სცნობდნენ. შეშინებული ყვირილიღა ისმოდა, გუდებს და თოფებს ყანებში ყრიდნენ. აღარც ამხანაგები ახსოვდათ, აღარც ოფიცრები და აღარც თავიანთ ღმერთად მიჩნეული ნაპოლეონი.

ლომები შვლებად გადაქცეულიყვნენ.

ამგვარი იყო ეს უკუქცევა.

ჟენაპში ერთხელ კიდევ სცადეს შეეჩერებინათ ჯარი. სამასი კაცი მოაგროვა ლობომ, გამაგრდა სოფლის შესასვლელში, ბარიკადიც კი ააგო საჩქაროდ, მაგრამ როგორც კი მოხვდა პრუსიელების ყუმბარა, ისევ მოკურცხლა ჯარმა. ლობო შეიპყრეს. საშინლად, დაუნდობლად სცემდა გაქცეულთ მდევარი. ბლუხერის ბრძანება ჰქონდათ - ცოცხალი არავინ გადაგირჩეთო! როგეს მიბაძა ბლუხერმაც, რადგან როგე დამუქრებოდა, - მოვკლავ, ვინც ტყვეს მომიყვანსო. ბლუხერმა გადააჭარბა და თავი შეირცხვინა. ჭაბუკი გვარდიელების გენერალი დუგემი დუქნის კარს მიეყრდნო ჟენაპში და თავისი ხმალი მისცა პრუსიელს, - გნებდებიო. იმან ხმალი გამოართვა და იქვე მოკლა. გამარჯვება კაცისკვლად გადაიქცა.

მაშ დავსაჯოთ, რადგან ისტორიასა ვწერთ: თავი შეირცხვინა ბებერმა ბლუხერმა!

ამ სიმხეცით დასრულდა უბედურება, ჟენაპი გადაირბინეს გაქცეულებმა, კატრ-ბრა, გოსლი, ფრანი, შარლრუა და მაშინღა გაჩერდნენ, როდესაც საზღვართან მივიდნენ. ვაი, რომ ეს ის დიდებული ლაშქარი იყო, რომელიც გარბოდა ასე სამარცხვინოდ.

ნუთუ უმიზეზოდ მოხდა შიშით ძრწოლა, ეს სამარცხვინო დავიწყება იმ დიდებული გმირობისა და ვაჟკაცობისა, რომლის ბადალი ბევრი არ მოეპოვება ისტორიას? არა. ვატერლოოზე დაშვებულიყო აჩრდილი უზენაესი მარჯვენისა. საბედისწერო იყო ეს დღე, ადამიანზე უძლიერესმა ძალამ გაიმარჯვა. ამის შემდეგ იყო ის შიში, გაქცევა, თავის დახრა მტრის ლახვრის წინ და იარაღის დაყრა. მთელი ევროპა დაამარცხეს გმირებმა და დღეს კი გამარჯვებული მტრის ფეხქვეშ ეყარნენ გასათელად ხმის ამოუღებლად, ხელის გაუნძრევლად, რადგან გრძნობდნენ, რომ ამ აჩრდილში იყო ვიღაც საშინელი.

Hoc erat in fatis. იმ დღეს შეიცვალა მომავალი კაცობრიობისა. ვატერლოო ახალი მიმართულების გზა არის მეცხრამეტე საუკუნისა. დიდებული კაცი უნდა ჩამოშორებოდა, რომ ამ გზას დასდგომოდა დიდებული საუკუნე და ამის გარიგება იკისრა იმან, ვისაც ვერავინ უბედავს წინააღმდეგობას. ამით აიხსნება შიშით გაგიჟება გუშინდელი გმირებისა. ვატერლოოს ბრძოლაში ღრუბლის კი არა, მეტეორის მოვლენა იყო უმაღლესი განგების თანახმად.

უკვე ღამე იყო, როდესაც ბერნარმა და ბერტრანმა მინდორში სერთუკის კალთით დაიჭირეს კაცი, ჩაფიქრებული, რომელიც იქამდე მიჰყოლოდა გაქცეულთ და მერე სასოწარკვეთილი ჩამომხტარიყო ცხენიდან, აღვირი ხელში ეჭირა და ისევ

ვატერლოოსკენ ბრუნდებოდა. ეს ნაპოლეონი იყო, რომელიც აქაც წინსვლას ლამობდა, გამქრალი ოცნებით გატაცებული მთვარეული.

## თავი მეთოთხმეტე
## უკანასკნელი პასუხი

გვარდიელები კი მაინც იბრძოდნენ. ღამის ცხრა საათი იქნებოდა, ერთი პატარა რაზმი გამაგრებულიყო სენ-ჟანის მთაზე.

გარს მტერი შემოხვეოდა. უფროსად ერთი ოფიცერი ჰყავდა, კამბრონი. და როდესაც ამ რაზმისგან ერთი მუჭაღა დარჩა, როდესაც მთლად დახვრეტილი ფრიალებდა მათი დროშა, როდესაც ტყვია შემოელიათ და თოფს ჯოხივითღა ხმარობდნენ, როდესაც მკვდარი უფრო მეტი ჰყავდათ, ვიდრე ცოცხალი, რაღაც გრძნობა აღეძრათ გამარჯვებულ ინგლისელებს და შეწყვიტეს სროლა. ამით ისარგებლა ინგლისელების გენერალმა კოლვილმა, ზოგის თქმით მეტლანდმა და დაუძახა:

- ყოჩაღები ხართ, ფრანგებო, მოდით, დაგვნებდით!

ერთი სიტყვით უპასუხა კამბრონმა: „Merde!“

## თავი მეთხუთმეტე
## კამბრონი

ამაზე დიდებული პასუხი თავის დღეში არავის უთქვამს, მაგრამ ფრანგი მკითხველის პატივსაცემად ეს სიტყვა არ უნდა იქნას გამეორებული.

საკუთარი პასუხისმგებლობით ვარღვევთ ამ აკრძალვას.

ამ გმირებში ერთი დევგმირიც ერია, კამბრონი.

ამ სიტყვის თქმა და სიკვდილი, რა იქნება ამაზე დიდებული? ვინაიდან სიკვდილის სურვილი იგივეა, რაც თვით სიკვდილი და ეს ადამიანი როდია დამნაშავე, თუ ფინდიხით განგმირული ისევ ცოცხლობს.

ვატერლოოს ბრძოლა მოიგო არა განადგურებულმა ნაპოლეონმა, არა ველინგტონმა, რომელიც იხევდა ოთხ საათზე და სასოწარკვეთილებას მისცემოდა ხუთზე, არა ბლუხერმა, რომელსაც სულაც არ უბრძოლია; გამარჯვებული იქ კამბრონი დარჩა.

გამარჯვებულია, ვინც ამგვარი სიტყვით დაუხვდება განსაცდელს და თავის ბედისწერას, ვინც ირონიით ჩადის საფლავში; ვინც ფეხზე დგას დამარცხებული, ვინც ორმარცვლიან სიტყვაში ჩაახშობს ევროპის კოალიციას, ვინც მეფეებს ამ ფეხისალაგს შესთავაზებს, ჯერ კიდევ კეისრის მიერ ცნობილს, ვინც უკანასკნელ სიტყვას პირველად გადააქცევს და მით ასახელებს თავის სამშობლოს; ლეონიდს რაბლეთი შეავსებს; ერთი მოსწრებული სიტყვით ახასიათებს მთელ გამარჯვებას, იმ სიტყვით, რომლის გამეორებაც კი ვერ გაგვიბედია; ვინც ნიადაგს კარგავს ფეხქვეშ და სამუდამოდ დარჩება ისტორიაში; ვინც ამ სისხლისღვრის შემდეგ გულიანად გააცინებს თავისიანებს - გამარჯვებულიც არის და მიუღწეველიც.

ეს შეურაცხყოფაა ქუხილისა! ესქილეს დიდებასავით ძლიერია ეს შეურაცხყოფა.

კამბრონის სიტყვა განგმირული გულის ნაყოფია: ნაყოფი ზიზღით აღსავსე გულისა. სულთმობრძავის გულის ამონახეთქი. ვინ გაიმარჯვა? ველინგტონმა? არა, ბლუხერის ჯარი რომ არ მოშველებოდა, წასული იყო იმისი საქმე. ბლუხერმა? არა, ველინგტონს რომ არ დაეწყო, ბლუხერი ვერაფერს გააკეთებდა. ერთი უკანასკნელთაგანი იყო კამბრონი, უჩინარი გმირი, სულ უმცირესი პიროვნება ამ ომში და მან იგრძნო, რომ აქ რაღაც სიცრუე იყო დაფარული, სიცრუე თვით გამარჯვებაში, და სწორედ იმ წამს, როდესაც ცოფს ჰყრის კაცი, დაცინვას უბედავენ და სიცოცხლეს სთავაზობენ. როგორ არ აღშფოთებულიყო? იქ იყო ევროპის ყველა მეფე, ბედნიერი გენერლები, მეხისმტყორცნელი იუპიტერები. ასი ათასი კაცი ჰყავდათ გამარჯვებული და ასიათასის ზურგსუკან კიდევ მილიონები; ზარბაზნები ჰქონდათ ანთებული პატრუქით, ფეხქვეშ თელავდნენ იმპერატორის გვარდიას და დიდებულ ლაშქარს, მიწასთან გაასწორეს ნაპოლეონი და არავინ დარჩა კამბრონის გარდა, არავინ, პროტესტის სიტყვის მთქმელი, ამ მიწის მატლის გარდა.

მაშ პროტესტის სიტყვასაც ის იტყვის! და დაიწყო სიტყვის შერჩევა, როგორც ხმალს ირჩევს მხედარი. ბოღმა მოაწვა და ეს ბოღმა გადმოანთხია ამ სიტყვად. უცბად განრისხდა იმედდაკარგული, წინ აღუდგა ამ უცნაურ გამარჯვებას, რომელშიც გამარჯვებული არავინ იყო და შიგ პირში... შეაფურთხაო, არ აკმარა, შიგ პირში ახალა თავისი სიტყვა! გათელილად გრძნობს თავს მტრის გამარჯვებით, მაგრამ ერთი სიტყვით გამოხატავს მის არარაობას. გარს მრავლად ახვევია მტერი; სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენია; იცის და ერთ სიტყვას პოულობს შესაფერს, რომ გული მოიფხანოს. ვიმეორებთ: გამარჯვებაა ამ სიტყვის ამორჩევა და თქმა.

დიდებული დღეების სული ჩაუდგა ამ პატარა კაცს სიკვდილის წინ. კამბრონიმ იმავე შთაგონებით იპოვა ვატერლოოს მადიდებელი სიტყვა, როგორც რუჟე დე ლილმა - „მარსელიოზა“ რევოლუციის სადიდებლად. ზეციური ელვის ნაპერწკალმა გაუარა ორივეს, ათრთოლდნენ და ერთმა დიდებული სიმღერა თქვა, მეორემ - საზარელი ყვირილი. კამბრონიმ ეს ზიზღით სავსე სიტყვა მარტო ევროპას კი არ ესროლა იმპერიისაგან; არა, მთელ წარსულს სტყორცნა რევოლუციისაგან. გესმით მისი ნათქვამი და სცნობთ კამბრონში ბუმბერაზის დიდებულ სულს. გეგონებათ დანტონია, ხალხს რომ მიმართავს სიტყვით, ან მბრდღვინავი კლებერიო.

კამბრონის სიტყვამ ინგლისელების პასუხი გამოიწვია: - ესროლეთ! და იგრიალა ერთად მთელმა ბატარეამ, ერთად გავარდა ურიცხვი თოფი. ამომავალი მთვარის მიერ შევერცხლილი კვამლი მოედო იქაურობას და როდესაც გაიფანტა, იქ აღარავინ იყო მკვდრების გარდა.

## თავი მეთექვსმეტე
## QUOT LIBRAS IN DUCE?

გამოცანაა ვატერლოოს ბრძოლა, თანაბრად ბნელით მოსილი, როგორც გამარჯვებულთათვის, ისე დამარცხებულთათვის. ნაპოლეონისთვის - უსაფუძვლო შიშის ბრალი იყო ეს დამარცხება: „დაღამდა, გათავდა ბრძოლა. შესწორებულია უვარგისი განკარგულებები. მომზადებულია სახვალიოდ უდიდესი გამარჯვება და ყოველივე ეს ამაოდ რჩება, რადგან უცბად დაუძლეველი შიში მოერია ჯარს“ (ნაპოლეონის წმ. ელენეს კუნძულზე ნაკარნახევი). ბლუხერი თოფისა და ზარბაზნის

ცეცხლის მეტს ვერაფერს ხედავს; ველინგტონს კი მისი არ ესმის. მართლაც საშინელი რამ მოხდა, გაუგებარი. ვნახოთ პატაკები: ცნობები არეულ-დარეულია, ეტყობა, ზოგი ბორძიკობს. ჟომინი ვატერლოოს ბრძოლას ოთხ მომენტად ყოფს, მუფლინგი - სამ ფაზად; ერთადერთი შარასია, თუმცა მას ყველაფერში არ ვეთანხმებით, რომელიც სწორად აღნიშნავს, რომ ეს იყო ადამიანის გენიის დამარცხება ღვთიურ ბედისწერასთან შებრძოლებისას. ყველა დანარჩენი ისტორიკოსი რატომღაც დაბრმავებულა და ხელის ცეცებით იკვლევენ გზას. მართლაც დაემხო სამხედრო მონარქია, რომელსაც თან მოჰყვა ყველა სამეფოს დამხობა, მეფეთა განსაცვიფრებლად; გაბათილება თოფ-იარაღისა, უარყოფა ომისა.

ამ ზეადამიანური აუცილებლობით გამოწვეულ ამბავში ადამიანზე არაფერი იყო დამოკიდებული.

ველინგტონს და ბლუხერს რომ ვატერლოო ჩამოვაცილოთ, განა ინგლისს ან გერმანიას დავაკლებთ რამეს? არაფერს. არც სახელოვან ინგლისს ეხება ვატერლოოს საკითხი და არც დიდებულ გერმანიას. ღვთის მადლით, ხალხის ძლიერება თოფ-იარაღის ძალით არ განიზომება. არც გერმანია არის ქარქაშში ჩამძვრალი და არც ინგლისი, არც საფრანგეთი. იმ დროს, როდესაც ვატერლოო ხმლების ტრიალის მეტს არაფერს წარმოადგენდა, გერმანიას ბლუხერის გარდა გოეთე ჰყავდა ბლუხერზე უფრო მაღლა მდგომი და ინგლისს - ველინგტონის გარდა, ბაირონი. ჩვენს საუკუნეს თან სდევდა იდეების ფართოდ გავრცელება და ამ განთიადში ინგლისსა და გერმანიას საუცხოო სხივები ეკუთვნით. დიდებულნი არიან, რადგან აზროვნებენ და ამით მაღლა სწევენ ცივილიზაციის დონეს. ეს აზროვნება თვით ხალხისაა და არა შემთხვევითი მონაპოვარი. მეცხრამეტე საუკუნეში ვატერლოოს გამარჯვება როდი წარმოადგენდა მათ მიერ მიღწეული დიდების მწვერვალს, მხოლოდ ბარბაროსები იზრდებიან უეცარი გამარჯვების შედეგად. ეს არის დროებითი ამაობა ქარიშხლით გამოწვეული ნიაღვრისა. განათლებული ხალხისათვის, მეტადრე ჩვენს დროში, არც განდიდებას და არც დამცირებას არ განაპირობებს რომელიმე მხედართმთავრის გამარჯვება ან მარცხი. განათლებული ხალხის მნიშვნელობა განიზომება უფრო მნიშვნელოვანი რამით, ვიდრე სისხლის ღვრაა. ამ ხალხის ღირსება, მისი სახელი და განათლება, ნიჭიერება - გასათამაშებელი ნივთები არ არის, რომ გმირებმა და იარაღით დამპყრობლებმა, ამ მოთამაშეებმა, ბრძოლის ლატარიაში ჩააგდონ მოსაგებ-წასაგებად. ხშირად ხდება, ბრძოლა წაგებულია და პროგრესი - მოგებული. არ გვინდა თოფ-იარაღით განდიდება! თავისუფლება გვინდა. გავაჩუმოთ ნაღარა, ახლა გონებას ეკუთვნის სიტყვა. მაშ, გულდამშვიდებით განვსაჯოთ ვატერლოო ორივე მხრივ. მივუზღათ შემთხვევას თავისი და განგებას - თავისი. რა არის ვატერლოო? გამარჯვება? არა, კამათელი.

კამათელით მოიგო ევროპამ და გადაიხადა საფრანგეთმა.

თამაშში ლომი არავინ არის.

ისტორიაში იშვიათია ამგვარი უცნაური შეხვედრა ორი მოთამაშისა, ნაპოლეონისა და ველინგტონისა - ისინი ერთმანეთის მტრები არ არიან, კონტრასტები არიან. ღმერთს ძალიან მოსწონს ანტითეზები, მაგრამ არასოდეს წაუყენებია ერთმანეთისთვის ასეთი განსხვავებულნი. ერთი მხრივ, სისუსტე, წინდახედულობა, გეომეტრია, სიფრთხილე, უზრუნველყოფილი უკან დახევა, საჭირო ძალების

მომაგრება, სრული გულცივობა, ურყევი მეთოდი, სტრატეგია, რომელიც ბრძოლის ველის მდებარეობით სარგებლობს, ტაქტიკა, რომელიც ათანასწორებს ბატალიონებს, ბრძოლა საათით განრიგებული, არავითარი შემთხვევითობა, ძველი, კლასიკური ვაჟკაცობა, სრული წესიერება; მეორე მხრივ, შთაგონება, ფარული გამოცნობა, მხედრული უცნაურობა, ზეადამიანური ალღო, თვალმახვილობა, რაღაც საკვირველი ძალა, რომელიც ორბივით ჭვრეტს და მეხივით სცემს, სასწაულებრივი ხელოვნება უსაზღვრო გაშმაგებაში, ყოველი საიდუმლოებანი ღრმა სულისა, კავშირი ბედისწერასთან, მდინარესთან, მიწასთან, ტყესთან, ბორცვთან, რომლებიც იძულებით ემორჩილებიან, რადგან მტარვალი ბრძოლის ველსაც კი იმორჩილებს; რწმენა, რომ სტრატეგიაში ჩართულია მისი ბედისწერაც.

ველინგტონი წარმოადგენდა ომის ბარებს, ნაპოლეონი - მის მიქელანჯელოს, და ამჟამად ანგარიშის მიერ იქმნა ძლეული.

ორივე მხარე ელოდა დახმარებას. მოლოდინი კარგად მოანგარიშეს აუსრულდა. ნაპოლეონი გრუშის ელოდა და არ მოუვიდა; ველინგტონი - ბლუხერს და მოუვიდა.

ველინგტონი ძველებური ომია, რომელმაც სამაგიერო გადაუხადა. ნაპოლეონს მისი დიდების ცისკრის ჟამს, იტალიაში შეხვდა ველინგტონი და სამარცხვინოდ დამარცხდა. გულგახეთქილი გარბოდა ბებერი ჭოტი ნორჩი ქორისგან. ძველი ტაქტიკა არა მარტო დამარცხებული, არამედ შერცხვენილიც იქნა. რა იყო ეს ოცდაექვსი წლის კორსიკელი? რა იყო ეს უვიცი ბრწყინვალება, რომელსაც მტრულად უყურებდა ყველა? არაფერი გააჩნდა - არც სურსათი ჰქონდა, არც იარაღი, არც ზარბაზნები, არც ფეხსაცმელი; არც ჯარი ჰყავდა წესიერი. ერთი მუჭა ხალხით, იერიშით მიდიოდა შეკავშირებულ ევროპაზე და გამარჯვებული გამოდიოდა შეუძლებლიდანაც. საიდან გაჩნდა ეს შმაგი რისხვა, რომ სულმოუთქმელად და ერთი და იგივე ძალით საზარლად ამარცხებდა ზედიზედ გერმანელების ხუთ ლაშქარს, ბოლიე ალვიცს მიაყოლა, ვურმსერი - ბოლიეს, მელასი - ვურმსერს, მაკი - მელასს? ვინ იყო ეს ომის ახალბედა, მნათობის თავხედობა რომ ახლდა თან? სამხედრო აკადემიამ იგი უარყო, გააძევა. აქედან წარმოიშვა ულმობელი მტრობა ძველი კეისარიზმისა ახალთან, გავარჯიშებული ხმლისა - ჩაუქურად ხმარებულთან და საჭადრაკო აზროვნებისა - გენიასთან. 1815 წლის 18 ივნისს წარმოითქვა ამ მტრობის უკანასკნელი სიტყვა, „ვატერლოო“, რომელიც ტკბილად ეჩვენა უმრავლესობას და ბედმაც დაუშვა ეს ირონია. აქ შეხვდა ნაპოლეონს მრავალჯერ დამარცხებული თავისი ავსტრიელი ვურმსერი, ოღონდ გაყმაწვილებული.

და მართლაც, ვურმსერის აღსადგენად ველინგტონის თმის გათეთრებაც კმაროდა.

პირველხარისხოვანი ბრძოლა იყო ვატერლოო, მეორეხარისხოვანი მხედართმთავრის მიერ მოგებული.

თაყვანისცემის ღირსი ამ ბრძოლაში ინგლისი იყო, ინგლისური სიმაგრე, ინგლისური გადაწყვეტილება, ინგლისელების სისხლი. აქ სადიდებელი ინგლისს - თუ არ მიწყენს - თავისი თავი ჰქონდა; მხედრთმთავარი კი არა, მარტო თავისი ლაშქარი.

ველინგტონი საკვირველი უმადურობით სწერდა ლორდ თურსტს, რომ იმისი ჯარი, რომელიც ასე მამაცურად იბრძოდა 1815 წლის 18 ივნისს, „საზიზღარი ჯარი“ იყო. რას იტყვიან ამგვარი დახასიათების შესახებ ვატერლოოს წიაღში ჩამარხული თავგანწირულთა ძვლები?

მეტად თავმდაბლად მოექცა ველინგტონს ინგლისი, ისეთი დიდებით შემოსა, რომ თავი დაიმცირა.

ისეთივე გმირია ველინგტონი, როგორც სხვა მრავალი. თუ სადიდებელი იყო ვინმე, მთელი დიდება ინგლისელ ჯარისკაცს ეკუთვნოდა, ინგლისის ჯარს, ინგლისელ ხალხს. ვატერლოოს ძეგლი უფრო მეტი სიმართლის გამომსახველი იქნებოდა, ერთი კაცის ქანდაკების მაგივრად ხალხის ქანდაკება რომ ყოფილიყო ცამდე აყვანილი.

მაგრამ გააჯავროს ამ სიტყვამ დიდი ინგლისი - თავისი 1688 და ჩვენი 1789 წლის შემდეგ ინგლისს ჯერაც არ დაჰკარგვია ფეოდალური ოცნებანი და ჯერაც სწამს შთამომავლობითი მემკვიდრეობა დიდკაცობისა. ძლიერია ინგლისი, დიდებული და ხალხად კი არა, ეროვნებად მიაჩნია თავისი თავი. მაგრამ ხალხია და თავისი ნებით ემორჩილება ლორდს, ლორდი - თავია ხალხისა. მუშა ნებას აძლევს, ზიზღით უყურონ, ჯარისკაცი ნებას აძლევს, ჯოხით სცემონ. იქნებ გახსოვდეთ, ინკერმანის ბრძოლაში ერთმა ათისთავმა გადაარჩინა სიკვდილს მთელი ჯარი, მაგრამ ლორდმა რაგლანმა მისი სახელიც კი არ ახსენა, რადგან, წესისამებრ, აკრძალული იყო გმირად ვინმეს ხსენება, გარდა ოფიცრებისა.

## თავი მეჩვიდმეტე
## რა შეგვძინა ვატერლოომ?

არის ერთი მიმართულება, ფრიად პატივცემული, რომელიც არ აძაგებს ვატერლოოს. ჩვენ მას არ ვეკუთვნით, ჩვენთვის ვატერლოო თავისუფლების წარმოშობის სრულიად მოულოდნელი თარიღია. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამგვარი არწივი გამოვიდოდა ამგვარი კვერცხიდან? რა თქმა უნდა, ეს მოულოდნელი იყო. თუ საკითხს მაღალი თვალსაზრისით მივუდგებით, ვატერლოო არის წინასწარ განზრახული კონტრრევოლუციის გამარჯვება. ეს არის მთელი ევროპა საფრანგეთის წინააღმდეგ. ეს არის

status quo რაიმე ახლის წინააღმდეგ. ეს არის ბრძოლა 1789 წლის 14 ივლისის წინააღმდეგ. ეს არის განგაში მონარქიებისა საფრანგეთის ხალხის დაუცხრომელი ამბოხებების წინააღმდეგ. ერთ რამეზე ოცნებობდა ევროპის ყველა ხელისუფალი - საბოლოოდ დაეშოშმინებინათ ეს დიადი ხალხი, რომელიც ოცდაექვსი წლის განმავლობაში მოქმედი ვულკანის მდგომარეობაში იყო. ამ მიზნით ერთად იღვწოდნენ ბრაუნშვაიგები, რომანოვები, ჰოჰენცოლერნები, ჰაბსბურგები და იმათთან ერთად ბურბონები.

მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი დამარცხება რევოლუციისა, და რადგან განგებითი არის და აუცილებელი, ყოველთვის ხელახლა ჩნდება. ვატერლოომდე - ბონაპარტის სახით, რომელმაც სულ დაანგრია ძველი სამეფო ტახტები, და ვატერლოოს შემდეგ ლუი მეთვრამეტის სახით, რომელმაც საფრანგეთს ქარტიით მისცა ცოტაოდენი თავისუფლება. ერთი ფოსტის მოხელე ნეაპოლის ტახტზე დასვა ნაპოლეონმა და ათისთავი - შვეიცის ტახტზე. ისარგებლა უთანასწორობით, რომ თანასწორობა დაემტკიცებინა. ლუი მეთვრამეტემ სენტუენში ხელი მოაწერა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა“ დეკლარაციას.ყ გნებავთ, დანამდვილებით იცოდეთ, რა არის რევოლუცია? რევოლუცია პროგრესია და გნებავთ, დანამდვილებით იცოდეთ, რა არის პროგრესი? პროგრესი ხვალინდელი დღეა.

ხვალინდელი დღე განუწყვეტლივ ქმნის თავისას და იწყებს დღეიდან. უცნაურია, რომ ყოველთვის აღწევს თავის მიზანს; ველინგტონის შემწეობით უბრალო ჯარისკაც ფუას ორატორად აქცევს, ვატერლოოში დაჭრილ მხედარს - პარლამენტის მჭევრმეტყველ ორატორად, რევოლუციის თავგანწირულ მოღვაწედ. ასე იცის პროგრესმა. ეს მუშა ყველაფერს გამოიყენებს. ვატერლოომ უცბად შეწყვიტა ევროპის ტახტების მსხვრევა და ერთი შედეგი მოჰყვა ამ მეფეებისა და ტახტების დამხობას - რევოლუციის გამტკიცება და განგრძობა. ხმალმა თავისი მოჭამა, აზროვნებას ერგო რიგი. ვატერლოოს უნდოდა შეეჩერებინა რევოლუცია და მის ფეხქვეშ კი მოჰყვა. მეფეებს ერგოთ ვატერლოოში გამარჯვება, თუმცა მათი გამარჯვება თავისუფლებამ დაამარცხა.

გულდასმით რომ განვსაჯოთ, ერთ უეჭველ ჭეშმარიტებასთან მივალთ: კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა ვატერლოოში, კონტრრევოლუცია იყო გახარებული ველინგტონის გამარჯვებით და დააჯილდოვა ის მთელი ევროპის მარშალის კვერთხებით. ამბობენ, თვით საფრანგეთის მარშალის კვერთხითაც კი. კონტრრევოლუციაეზიდებოდა სიხარულით განწირულთა ძვლებით სავსე მიწას, რომ პატარა ბორცვი აემაღლებინა ვატერლოოს ველზე და ზედ ძეგლი დაედგა, რათა კვარცხლბეკზე გამოეხატა „18 ივნისი, 1815 წელი“. კონტრრევოლუცია იყო, ასე მხეცურად რომ მუსრავდა გაქცეულ უიარაღო, გულგახეთქილ ხალხს ბლუხერის ბრძანებით; კონტრრევოლუცია იყო, ნაპოლეონზე გამარჯვებული მონ-სენ-ჟანის ტაფობიდან ისე რომ დასცქეროდა საფრანგეთს, როგორც თავის ნადავლს. კონტრრევოლუცია იყო, რომ ბურტყუნებდა ამ საზიზღარ სიტყვას: „დანაწილება“, მაგრამ პარიზში რომ მიბრუნდა, ახლოს ნახა ცეცხლის მფრქვეველი მთა, ფეხი დაიწვა მის ნაცარზე, გონს მოვიდა და ქარტიაზე ფიქრს დაუბრუნდა.

ეს არის ვატერლოო და სხვას ნურაფერს ვიგულისხმებთ მის შედეგად. არა გვგონია, რომ თავისუფლება ჰქონოდეს განზრახული თავის მიზნად. კონტრრევოლუცია თავისდაუნებურად იყო ლიბერალური; როგორც ამგვარ გარემოებათა გამო ნაპოლეონი იყო თავისდა უნებურად რევოლუციონერი. 1815 წლის18 ივნისს ეს ახალი რობესპიერი ჩამოაგდეს ცხენიდან.

## თავი მეთვრამეტე
## ღვთაებრივ უფლებათა აღდგენა

ბოლო მოეღო დიქტატურას. დაინგრა ევროპის მთელი სისტემა.

ჩრდილი დაადგა იმპერიას, ისეთივე, როგორიც მომაკვდავ რომის იმპერიას ადგა. უფსკრულსაც უძლებს ადამიანი, როგორც ბარბაროსობის დროს იყო, ოღონდ 1815 წლის ბარბაროსობას, რომელიც თავისი მეტსახელით უნდა მოვიხსენიოთ - კონტრრევოლუციას - ჰაერი არ ჰყოფნიდა, მალე სუნთქვა შეეკრა და მიიცვალა. იმპერიას დასტიროდნენ, უნდა ვაღიაროთ, და დასტიროდნენ თვით გმირებიც. თუ დიდება მეფის კვერთხად ქცეული ხმალია, იმპერია თვით დიდება იყო. ქვეყანას მოჰფინა სხივი, რაც კი გააჩნდა მტარვალობას: ბნელი სხივი. ნამდვილ სხივთან შედარებით ღამისა იყო ეს ბნელი სხივი. ბოლო მოეღო ამ სიბნელეს დიქტატურისას, თითქოს მზის დაბნელება მოხდაო.

პარიზში დაბრუნდა ლუი მეთვრამეტე. 8 ივლისის ფერხულმა დაავიწყა ხალხს 20 მარტის აღტაცება. კორსიკელი იქცა ბეარნელის ანტითეზად. ტიულრის სასახლეზე თეთრი დროშა აფრიალდა. განდევნილები გამეფდნენ. დიდებულად დაძმობილდნენ ეკლესია და მეფის ტახტი. ცოტა რამ თავისუფლება დამყარდა საფრანგეთში და ევროპაში. თეთრი კოკარდა გამეფდა ყველგან, მეფეები დაეპატრონნენ თავიანთ ტახტებს. დამწყვდეული ჰყავდათ ევროპის ბატონი. ძველი წესწყობილება განახლდა. ადგილი იცვალა სინათლემ და სიბნელემ, მარტო იმიტომ, რომ ერთმა პატარა მწყემსმა უთხრა პრუსიელების ჯარის უფროსს - აი, აქეთ ჩაიარეთ და არა იქითო.

ეს 1815 წელი ავდრიან აპრილს დაემსგავსა. ძველი, მავნებელი და მოწამლული სინამდვილე ახალი პირბადით შეიმოსა. სიცრუე დაუმოყვრდა 1789 წელს. ღვთაებრივმა უფლებებმა ქარტია ჩამოიცვეს ნიღბად. ფიქცია კონსტიტუციად გასაღდა. დამყაყებული მსოფლმხედველობა, ცრუმორწმუნეობა და მალული განზრახვა - მე-14 მუხლით, ლიბერალიზმით, დაიფარა. პერანგები იცვალეს გველებმა.

ადამიანი განდიდებულიც იყო და დამცირებულიც ნაპოლეონის მიერ. ხალხი კი, ეს საზარბაზნე ხორცი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს მეზარბაზნე, მაინც თავის ნაპოლეონს დაეძებდა. სად არის? რას შვრება?

ნაპოლეონი მოკვდა, - უთხრა ვიღაც კაცმა მარენგოსა და ვატერლოოს ბრძოლაში ნამყოფ ხეიბარს.

- რაო? ნაპოლეონი მოკვდაო? - გაიკვირვა ხეიბარმა, - არ იცნობდით, გეტყობათ, თორემ მაგას არ იტყოდით.

ხალხის წარმოსახვა აღმერთებდა ამ კაცს, უკვე დაცემულს. დიდხანს დარჩა სიბნელე ვატერლოოს შემდეგ, ნაპოლეონის დამარცხებამ რაღაც დიდი სიცარიელე დატოვა ევროპაში.

მეფეები ჩაბრძანდნენ ამ სიცარიელეში და ამით ისარგებლა ძველმა ევროპამ, რომ განახლებულიყო. წარმოიშვა წმინდა კავშირი, - ხალხის დამმონებელი კავშირიო, - წინათვე თქვა ვატერლოოს ბრძოლის ველმა.

ამ ძველი ევროპის, გარდაქმნილი ევროპის წინაშე, გამოიკვეთა განახლებული საფრანგეთის მოხაზულობანი. მომავალი, რომელსაც მასხარად იგდებდა იმპერატორი, ფეხს იკიდებდა. შუბლს თავისუფლების ბრწყინვალე ვარსკვლავი უმშვენებდა. გაბრწყინებული თვალით შესცქეროდა ყმაწვილკაცობა ამ მომავალს. უცნაური ის იყო, რომ აღტაცებით ემსახურებოდნენ მომავალს - თავისუფლებას და იმავე დროს თაყვანს სცემდნენ წარსულს - ნაპოლეონს. ამ დაცემამ განადიდა დამარცხებული. წაქცეული ნაპოლეონი უფრო დიადი ჩანდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ფეხზე იდგა. შიში მოერიათ გამარჯვებულებს. ინგლისმა ჰუდსონ ლოუ მიუყენა, - არ გაგვეპაროსო, და საფრანგეთმა - მონშენიუ. გულხელდაკრეფილი ნაპოლეონის შიშით თრთოდა ევროპა. რუსეთის ალექსანდრე „ჩემს უძილობას“ ეძახდა ნაპოლეონს. ეს შიში იყო შედეგი იმ პოტენციური რევოლუციურობისა, რომელიც ნაპოლეონში მოიპოვებოდა და ამით აიხსნება ბონაპარტისტების ლიბერალიზმი. ამ აჩრდილის შიში არ ასვენებდა ევროპას. მოუსვენრად ბრძანდებოდნენ მეფეები, რადგან წმინდა ელენეს ციცაბო კლდეს ხედავდნენ ჰორიზონტზე.

აი, რა არის ვატერლოო.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას უსაზღვროებისათვის? მთელი ეს ქარიშხალი თავისი ღრუბლებით, ეს ომი და ზავი, მთელი ეს სიავე ერთი წამითაც ვერ დააბნელებს იმ დიადი თვალის სინათლეს, რომლისთვისაც თანასწორნი არიან ბალახის ღეროდან ღეროზე გადამავალი ქინქლა და პარიზის ღვთისმშობლის საყდრის სამრეკლოებისა და კოშკების ზემოთ მონავარდე არწივი.

## თავი მეცხრამეტე
## ბრძოლის ველი ღამით

ისევ ბრძოლის ველს დავუბრუნდეთ, რადგან ეს საჭიროა ჩვენი წიგნისათვის.

მთვარიანი ღამე დადგა 1815 წლის 18 ივნისს. მთვარემ გაუადვილა ბლუხერს გაქცეულების ულეტა, აჩვენა გაქცეულების გზა და სამალავი. ხელში ჩაუგდო გაცოფებულ პრუსიელ მხედრობას შეშინებული, სასოწარკვეთილი ბრბო და შეამუსვრინა დაუძლეველნი. ხშირია დახმარება ღამისა ამგვარ ტრაგიკულ შემთხვევაში.

უკანასკნელად დაიჭექა ზარბაზნებმა და მთლად დაცარიელდა მონ-სენ-ჟანის ტაფობი.

ინგლისელებმა დაიკავეს ფრანგების ბანაკი. ეს არის ჩვეულებრივი დამოწმება გამარჯვებისა - ჩაწოლა დამარცხებულის ლოგინში. პრუსიელები გაქცეულებს გამოუდგნენ და შორს მისდიეს. ველინგტონი სოფელ ვატერლოოში შევიდა, რომ მოხსენება შეედგინა ლორდ ბატგერსტისთვის.

სოფელ ვატერლოოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში. ის ორი კილომეტრით იყო დაშორებული ბრძოლის ველს. მონ-სენ-ჟანი განადგურდა, ჰუგომონი და პაპელოტი გადაწვეს, ჰე-სენტი იერიშით აიღეს, ბელ-ალიანსი ორი გამარჯვებულის ურთიერთამბორის მოწმე გახდა. ეს სახელები თითქმის უცნობი დარჩა. სახელი და პატივისცემა წილად ხვდა ვატერლოოს, რომელსაც არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ამ ბრძოლაში; სახელი კი თავისი მისცა.

ჩვენ იმათ არ მივეკუთვნებით, რომლებიც ომს ხოტბას ასხამენ. სრულ სიმართლეს ვამბობთ, სადაც საჭიროა. შემაძრწუნებელი სილამაზე აქვს ომს, რომელსაც არ ვმალავთ; და საზიზღროებაც ბევრი სდევს, ვერც ამას დავმალავთ. ერთი ამ საზიზღრობათაგანი არის გამარჯვების შემდეგ უეცარი გაძარცვა დახოცილებისა. განთიადი, რომელიც ბრძოლას მოსდევს, გაშიშვლებულ მკვდრებს აშუქებს ყოველთვის.

ვინ სჩადის ამას? ვინ ბილწავს ასე გამარჯვებას? ვისია ეს საზიზღარი ქურდული ხელი, ჯიბეში რომ უძვრება გამარჯვებას? ვინ არიან ეს ქურდბაცაცები, რომლებიც დიდებას ამოფარებიან და ბოროტმოქმედებას სჩადიან? ზოგი ფილოსოფოსი და, სხვათა შორის, ვოლტერიც ამტკიცებს, რომ ამას სწორედ ის სჩადის, ვინც გამარჯვება მოიპოვა და თავი ისახელა; ვინც ცოცხალია, მკვდარსაც მარტო ის ძარცვავს. დღის გმირი ღამე სისხლისმწოველი ხდება; თუკი კაცსა ჰკლავს, ჯიბეში ხელის ჩაყოფის უფლება კი არ უნდა ჰქონდესო? - ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, შეუძლებლად მიგვაჩნია კაცმა დიდების მომხვეჭი ხელით მკვდარს წაღები გახადოს.

უტყუარი ის არის, რომ ჩვეულებრივ, გამარჯვებულების შემდეგ ქურდები ჩნდებიან. ნუ ჩავრევთ ამ ქურდებში ჯარისკაცს, მეტადრე თანამედროვეს.ბ

ყოველ ლაშქარს აქვს თავიცა და ბოლოც და სწორედ ეს ბოლო არის გასამტყუნარი. სწორედ აქ არიან მოგროვილი ღამურა-ქურდები, ქურდლაქიები, ყოველგვარი მაჩქათელა, წარმოშობილი იმ წყვდიადის მიერ, რომელსაც ომი ჰქვია; სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილნი, რომელნიც თავის დღეში არ ჩარეულან ბრძოლაში, ვითომ ავადმყოფები, უკეთური მახინჯები, ჩარჩ-მიკიტნები, ხანდახან თავიანთი ცოლებით, პატარა ეტლებით, რომლებიც თვითონვე იპარავენ, რასაც ყიდიან, მათხოვრები, რომლებიც გზის მაჩვენებლობას იბრალებენ, ულამის მოსამსახურეები - ლაშქარს მისდევდნენ ოდესღაც, - აწინდელისას არას ვამბობთ, ჩვენ წარსულს აღვწერთ, - ყველა ესენი, ასე რომ, თავისებური სახელიც კი ჰქონდათ დარქმეული - „მაჩანჩალები“. არც ლაშქარი იყო ამ მაჩანჩალების ავკაცობაზე პასუხისმგებელი და არც ხალხი; იტალიურად ლაპარაკობდნენ და გერმანელებს კი მისდევდნენ; ფრანგულად ლაპარაკობდნენ და ინგლისელების ჯარს მისდევდნენ. ნადავლმა გააჩინა მკვდრების მძარცველები. საზიზღარი რწმენის იყო წარსული, - საცხოვრებელს მტერს წავართმევთო, - და ამ რწმენამ გვარგუნა ეს ჭირი, რომლის მოსპობა მხოლოდ დისციპლინით შეიძლება. მატყუარა სახელოვნობაც ხშირია ომში: ძნელი გასაგებია, რით დაიმსახურა ჯარის თაყვანისცემა ზოგიერთმა გენერალმა. ტურენს აღმერთებდნენ თავისი ჯარისკაცები, რადგან არ უშლიდა დამარცხებულთა ძარცვას; ნებადართული ბოროტება სიკეთის ნაწილს შეადგენს. იმდენად კეთილი იყო ეს კაცი, რომ ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი პალატინატი. ლაშქარს ყოველთვის თან მისდევდა ხან ბევრი, ხან ცოტა „მაჩანჩალა“, ეს მხედართმთავრის გულკეთილობაზე იყო დამოკიდებული. ჰოშსა და მარსოს „მაჩანჩალები“ სულაც არა ჰყოლიათ; ველინგტონს - სიამოვნებით აღვნიშნავთ მის სიკეთეს - ძალინ ცოტა ჰყავდა.

დაღამდა 18 ივნისი და ხელი მოითბეს ქურდებმა, აღარაფერი შეარჩინეს დახოცილებს. სასტიკი ბრძანება გამოსცა ველინგტონმა - დახვრეტილი იქნება, ვისაც მკვდრების ძარცვაში დაიჭერენო. ბრძოლის ველის ერთ მხარეს ქურდები დათარეშობდნენ იმ დროს, როდესაც მეორე მხარეს ქურდებს სჯიდნენ. ავბედითი მთვარე დასცქეროდა ამ ველს.

შუაღამისას ერთი კაცი დაეხეტებოდა, უფრო დაცოცავდა ოჰენის მხარეს. ერთი იმათგანი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ეს-ეს არის დავახასიათეთ, - არც ინგლისელი, არც ფრანგი, არც გლეხი, არც ჯარისკაცი, უფრო სისხლისმსმელი მავნე, ვიდრე ადამიანი, მკვდრების სუნით მოზიდული, რომლისთვისაც გამარჯვება ქურდობაა, რომელიც მოსულიყო, რომ გაეძარცვა ვატერლოო. ხალათი ეცვა, რომელიც ფარაჯას წააგავდა, მხდალიც იყო და თავხედიც. მოუსვენრად ფოფხავდა მკვდრებში და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

ვინ იყო ეს კაცი, ეს ღამეს უფრო კარგად უნდა სცოდნოდა, ვიდრე დღეს. ტომარა არ ჰქონდა, მაგრამ, ეტყობოდა, დიდრონი ჯიბეები უნდა ჰქონოდა ხალათით დაფარული. ხანდახან გაჩერდებოდა ხოლმე, თვალს მოავლებდა ირგვლივ, - ხომ არავინ მხედავსო, - უცბად გადაიხრებოდა, რაღაცას შესძრავდა მიწაზე უძრავს და ჩუმს, და ახლა სხვისკენ მიდიოდა. ისე სწრაფად ცოცავდა მიწაზე, ისე ერეოდა მკვდრებში, ისეთი სწრაფი და იდუმალი მოძრაობა ჰქონდა, რომ ავბედით ქმნილებას ჰგავდა, რომელიც, ნორმანების ძველი თქმულებით, დღე სადმე ნანგრევებში იმალება

და ღამით სისხლსა სწოვს, ვისაც ხელთ იგდებს. ზოგიერთ ღამის წვივმაღალ ფრინველსაც უყვარს ჭაობში ასე წიალი.

მოშორებით, ერთი ქოხის უკან, მიკიტნის პატარა ფორანი იდგა, გაფისული წნელის ჩარდახით, დამშეული ცხენით, რომელიც ჭინჭარს ძოვდა, შიგნით კი ერთი დედაკაცი იყო ყუთებზე წამოწოლილი. ვინ იცის, იქნებ რამე კავშირი იყო ამ ფორანსა და იმ მაწანწალას შორის.

ნათელი ღამე იყო, ღრუბელი არსად მოჩანდა ცაზე. რა ვუყოთ, რომ სისხლით იყო გაწითლებული დედამიწა? მთვარეს მაინც თავისი სითეთრე შერჩენოდა. ასე, რომ გულგრილი დარჩენილიყო ზეცა. ხეებზე ეკიდა ყუმბარით დამტვრეული ტოტები და ნელა ირხეოდა ღამის გრილი ნიავით; ოდნავი სიო, ისეთივე სუსტი თითქმის, როგორც სუნთქვაა, არხევდა ფოთლებს, ნელა თრთოდა ბალახი, როგორც განსატევებელი სული.

შორიდან ყრუდ ისმოდა დარაჯებისა და ინგლისელების ბარაკის მცველების ფეხის ხმა.

ჯერაც იწვოდა ჰუგომონი და ჰე-სენტი, ერთი - ბრძოლის ველის მარჯვნივ, მეორე - მარცხნივ, ორი დიდი ხანძარი, რომელთაც ინგლისელების ბანაკის გასანათებელი ცეცხლის გრძელი ხაზი აერთებდა, თითქოს გაჭიმული ყელსაბამი ყოფილიყოს ლალ-ბადახშისა, თავსა და ბოლოში დიდრონი ანთრაკით დამშვენებული.

უკვე ვთქვით, რამდენი ხალხი დაიღუპა ხევში. მხოლოდ იმაზე ფიქრიც კი, რომ ამდენმა მამაცმა ჰპოვა იქ სიკვდილი, ძრწოლით ავსებს ადამიანის გულს.

აი, რა არის მართლა საშინელი, უფრო საზარელი, ვიდრე ამას ადამიანთა წარმოდგენა ქმნის: ცოცხალია კაცი, ქვეყანას შეჰხარის ძალ-ღონით სავსე, დიდებისკენ მიიწევს ჭაბუკური გატაცებით, ფიქრობს, მსჯელობს, იმედოვნებს, უყვარს, დედის, მეუღლის, შვილების სიყვარულით ტკბება და უცბად, ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებს, მოულოდნელად ეშვება რაღაც უფსკრულში, მიგორავს წაქცეული, ვიღაცას აწვება, ვიღაც აწვება ზედ, ხელის მოსაჭიდს ვერაფერს ხედავს, რომ მოეკიდოს, უსარგებლოდ გრძნობს თავის იარაღს, ადამიანს გრძნობს თავის ქვეშ, ცხენის სიმძიმეს გრძნობს თავის გულზე, ხედავს, რომ ამაოა ყოველი ღონისძიება, რომ თავს ვერ დააღწევს ამ საშინელებას, გრძნობს, რომ ცხენის ნალი უმტვრევს გულმკერდს და ვიღაცის ქუსლი თვალს უთხრის, გაცოფებულივით კბენს ნალსაც და ქუსლსაც, სუნთქვა ეკვრის, გმინავს, ღმუის და ფიქრობს - ეს-ეს არის ცოცხალი ვიყავიო!

მიჩუმებული იყო ის ხევი, სადაც ეს მოხდა, ხევი მკვდრებით იყო ამოვსებული და თავის ნაპირებს გასწორებული, სისხლის ღვარი გადმოდიოდა ხევიდან და ნიველის გზაზე გუბდებოდა.

ამ მხარეს მოდიოდა ის მაწანწალა, აქ რომ დავინახეთ ჩუმად მიმავალი. ამ სამარეში ეძებდა საშოვარს. დაწრიალებდა, თითქოს მკვდრების საშინელ შემოწმებას აწარმოებდა. ფეხით დადიოდა ადამიანის სისხლში.

უცბად გაჩერდა.

იქვე, მის ახლოს, მკვდრებისა და ცხენების ხროვიდან ამოშვერილიყო ერთი ხელი თითებგაშლილი, მთვარით გაშუქებული.

ხელის თითზე ოქროს ბეჭედი ჰქონდა წამოცმული და ელავდა მთვარის სინათლეზე. დაიხარა კაცი, ჩაცუცქდა, ზევით რომ წამოიწია, თითზე ბეჭედი აღარ იყო.

ვეღარ წამოდგა. დარჩა ისე დაჩოქილი, დაფეთებული, ზურგი შეაქცია მკვდრებს, თვალი გადაავლო ჰორიზონტს, ხელებით მიწას დაეყრდნო და გაფაციცებით ადევნებდა თვალს იქაურობას. ტურა გეგონებოდათ, რისიმე დასაჭერად გამზადებული.

მერე გაბედა, წამოხტა.

და სახტად დარჩა. ვიღაცას ეჭირა უკნიდან მისი ხალათი. მიბრუნდა. ის ხელი იყო, მკვდრებიდან ამოშვერილი, წეღან გაშლილი, ახლა ხალათში ჩასჭიდებოდა.

პატიოსანი კაცი შეშინდებოდა, ამან სიცილი დაიწყო:

- იჰ, მკვდარი ყოფილა. ოღონდ ჟანდარმი ნუ იქნება და მკვდრის შიში არა მაქვს.

ამასობაში ძირს დაეშვა მისუსტებული ხელი, ხალათი გაუშვა, ოდნავი მოძრაობაც კი მალე ღლის საფლავში მყოფს.

- რა ვქნა, ცოცხალი ხომ არ არის ეს მკვდარი? - ფიქრობდა ქურდი, - ერთი ვნახოთ.

დაიხარა, მისწი-მოსწია, რაც იმ ხელთან იყო, ამოაცალა მკვდრებს ცოცხალი მკლავი, გაუნთავისუფლა თავი, ამოსწია კაცი და რამდენიმე წუთის შემდეგ განზე გაიტანა გულწასული, მაგრამ ცოცხალი. ოფიცერი იყო, ეტყობოდა, უფროსთაგანი, რადგან დიდი ოქროს სამხრე გამოუჩნდა ბეგთარის ქქვეშ. ჩაჩქანი აღარ ეფარა. სახე ხმლით ჰქონდა გაჩეხილი და დასისხლიანებული. ეტყობოდა, არაფერი ჰქონდა გატეხილი; იქნებ იმიტომ, რომ ხევში ღრმად არ იყო ჩაფლული და ზედ ცოტა რამ აწვა. თვალი დახუჭული ჰქონდა.

ჯავშანზე წარჩინებულთა ლეგიონის ვერცხლის ჯვარი ჰქონდა. ქურდმა ეს ჯვარი მოაგლიჯა და ჯიბეში ჩაიდო ხალათის ქვეშ. მერე საათი ამოაცალა და ისიც ჯიბისკენ წაიღო. ბოლოს ქისა ამოუღო და ჯიბეში ჩაუძახა.

აქამდე რომ მიაღწია მომაკვდავის დახმარებამ, ოფიცერმა თვალი გაახილა და სუსტი ხმით უთხრა:

- გმადლობთ.

ქურდის უხეში ხელი, სუფთა ჰაერი და ღამის სიგრილე დაეხმარა მომაკვდავს და გამოაცოცხლა. ქურდმა პასუხი არ გასცა. ველს გასცქეროდა. ფეხის ხმა ისმოდა, ეტყობოდა, დარაჯები მოდიოდნენ.

ძლივს წაილუღლუღა ოფიცერმა, რადგან ჯერაც ვერ მოეკრიბა ძალა:

- ვინ მოიგო ბრძოლა?

- ინგლისელებმა.

ოფიცერმა უთხრა:

- ჯიბეები გამისინჯეთ, საათი მაქვს და ქისა, თქვენი იყოს.

ხომ არ ეტყოდა, - ჯიბეებიც გაგისინჯე და ყველაფერიც ამოგაცალეო, - დაიხარა, ვითომ გაუსინჯა, ვერაფერი იპოვა და უთხრა: - აქ არაფერია.

- გავუქურდივარ ვიღაცას, ძალიან ვწუხვარ, თქვენ მოგცემდით.

დარაჯების ფეხის ხმა უფრო ახლოდან ისმოდა.

- აგერ მოდიან, - უთხრა ქურდმა, - მე წავალ.

ძლივს ასწია ხელი ოფიცერმა, დაიჭირა ქუდი და ჰკითხა:

- თქვენ სიკვდილს გადამარჩინეთ, ვინა ხართ?

ჩუმი ხმით აჩქარებით უპასუხა ქურდმა:

- მეც თქვენსავით საფრანგეთის ჯარიდან გახლავართ. უნდა გამოგეთხოვოთ. აქ რომ მომისწრონ, მაშინვე დამხვრეტენ. სიკვდილს გადაგარჩინეთ და ახლა თქვენ იცით.

- რა ხარისხი გაქვთ?

- ათისთავი ვარ.

- თქვენი გვარი?

- ტენარდიე.

- არ დაგივიწყებ, - უთხრა ოფიცერმა, - და თქვენც დაიხსომეთ ჩემი გვარი - მე პონმერსი ვარ.

## წიგნი მეორე
## გემი „ორიონი“

### თავი პირველი
### #24601 იყო, ახლა #9430 არის

დაიჭირეს ჟან ვალჟანი.

ვფიქრობთ არ დაგვემდურებიან, რომ ასე მოკლედ მოვუთხრობთ ამ სამწუხარო ამბავს. გაზეთების ორ ცნობას ვიყენებთ, ფანტინის სიკვდილის რამდენიმე თვის შემდეგ დაბეჭდილს.

ორივე ცნობა მოკლედ არის შედგენილი, მაგრამ გეხსომებათ, რომ იმ დროს ჯერ არ არსებობდა „სასამართლოს გაზეთი“.

პირველი ცნობა „თეთრი დროშიდან“ არის, დათარიღებულია 1823 წლის 25 ივლისით.

„ - უცნაური რამ მოხდა პა-დე-კალეს ერთ მხარეს. ერთი კაცი მოვიდა პატარა ქალაქში, ყველასთვის უცნობი, გვარად ბ. მადლენი და რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი საშუალებების გამოყენების წყალობით ფეხზე წამოაყენა და ააყვავა ერთი ადგილობრივი წარმოება, გიშრისა და შავი მინის ქარხანა. გამდიდრდა კაცი ამ წარმოებით და, საჭიროა ესეც ვთქვათ, გაამდიდრა მთელი მხარე. მისი მოღვაწეობა იმდენად სასარგებლო იყო ქვეყნისთვის, რომ ქალაქის მერად დანიშნეს.

პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ეს ბ. მადლენი ძველი კატორღელი ყოფილა, სასჯელმოხდილი, კატორღაში ნამყოფი 1796 წლიდან, ქურდობისთვის დასჯილი, სახელად ჟან ვალჟანი, ხელმეორედ დაიჭირეს ქურდობისთვისვე. ეტყობა მოასწრო და ვიდრე დაიჭერდნენ, ლაფიტის ბანკიდან გამოიტანა თავისი ფული, ნახევარ მილიონზე მეტი, - ეს ფული პატიოსანი შრომით ჰქონდა შეძენილიო, ამბობენ. ჯერაც არ იციან, სად დამალა ჟან ვალჟანმა ამდენი ფული, ვიდრე დაიჭერდნენ და ტულონში გაგზავნიდნენ“.

მეორე ცნობა ამოღებულია იმავე თარიღის „პარიზის ჟურნალიდან“ და უფრო ვრცელიც არის:

„- ერთი ძველი კატორღელის, გათავისუფლებულის, ვიღაც ჟან ვალჟანის საქმე გაარჩია ამას წინათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და საზოგადოებისთვის ფრიად საყურადღებო გარემოებებს ახადა ფარდა. ამ არამზადას მოეხერხებინა პოლიციისთვის თვალის ახვევა, სახელი და გვარი გამოეცვალა და ერთი პატარა

ქალაქის მერობაც კი მიეღო. საკმაოდ სასარგებლო წარმოება მოეწყო ქალაქში. ბოლოს ნიღაბი ჩამოხსნეს და დაიჭირეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სიფხიზლის წყალობით. ხასად ჰყავდა ერთი როსკიპი, რომელმაც ვერ გაუძლო მის დაპატიმრებას და სული დალია. საშინელი ძალ-ღონის პატრონია ეს ავაზაკი და როგორღაც მოახერხა, ხელიდან დაუძვრა საპატიმროს, მაგრამ სამი-ოთხი დღის შემდეგ ისევ დაიჭირა პოლიციამ პარიზში, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩაბრძანებას აპირებდა პატარა ეტლში, პარიზისა და მონფერმეილს შუა რომ დაიარება. ამბობენ, ისარგებლა სამი-ოთხი დღის თავისუფლებით და ერთი ბანკიდან გამოიტანა თავისი ფული ექვსას-შვიდას ათას ფრანკამდე. ბრალდების ოქმიდან ჩანს, რომ ეს ფულიც სადღაც დაუმალავს და სად? - ეს კი არავინ იცის იმის მეტმა. ასე რომ, ჯერჯერობით შეუძლებელია კონფისკაცია, სასამართლოს წარუდგინეს ეს ჟან ვალჟანი, როგორც ყაჩაღი, შეიარაღებული დასცემია შარაგზაზე ამ რვა წლის წინათ ერთ პატარა პატიოსან ბიჭს, რომელიც, არქიერ ფერნეის უკვდავი ლექსით რომ ვთქვათ:

საგიოდან ხშირად მოდიან
და ჭვარტლით სავსეს როცა ხედავენ,
სწმენდავენ ჩვენი სახლის ბუხარსა,
მარჯვედ სწმენდავენ.

თავის გასამართლებლად და დასაცავად ხმაც არ ამოუღია ამ ყაჩაღს, შორსმჭვრეტელი და მჭევრმეტყველი ბრალმდებლის სიტყვით დამტკიცდა, რომ ქურდობა ჟან ვალჟანმა ამხანაგებთან ერთად ჩაიდინა და მთელი ბრბო ჰყავდა ავაზაკებისა სამხრეთში. ამის გამო იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და სიკვდილი მიუსაჯა. განწირულმა გასაჩივრებაც არ ინდომა, თუმცა მეფემ თავისი უსაზღვრო ლმობიერებით შეუნდო ცოდვა და სიკვდილის მაგიერ სამუდამო კატორღა მიუსაჯა. ჟან ვალჟანი დაუყოვნებლივ ტულონში გაგზავნეს.

მკითხველს ემახსოვრება, რომ ჟან ვალჟანს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა სამღვდელოებასთან მონრეილში. რამდენიმე გაზეთი და მათ შორის „კონსტიტუციონელი“ ამტკიცებს, - სასჯელის შეცვლა სარწმუნოებრივი პარტიის გავლენის შედეგიაო.

კატორღაში ნომერი გამოიცვალა ჟან ვალჟანმა, 9430 გახდა.

ესეც ვთქვათ, რომ აღარ დაგვჭირდეს წარსულის გახსენება. ბ. მადლენის წასვლას თან მოჰყვა მონრეილის კეთილდღეობის დამხობა. ასრულდა ყველაფერი, რისი მოლოდინიც ჰქონდა იმ ღამეს, როდესაც ვერა და ვერ გადაეწყვიტა საკითხი, - მონრეილში დარჩენილიყო სასარგებლო და ყველასგან პატივცემული, თუ შანმატიეს ადგილი დაეჭირა და ეთქვა, ეგ კი არა, მე გახლავართ ჟან ვალჟანიო. მადლენი წავიდა და წარმოებამაც ნელ-ნელა სული დალია. დაეცა მადლენი და ამ ამბავს მოჰყვა ის, რაც ყოველთვის თან ახლავს დიდებულის სიკვდილს ან დაცემას; ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ გვირგვინი დაიხურეს მხედართმთავრებმა, - მეფეები ჩვენა ვართო, - და დაკნინდა დიდებული. მადლენის წარმოების გამგეებმაც იგივე თქვეს, - ახლა ჩვენა ვართ მადლენიო და ატყდა შური და ქიშპობა. მადლენის დიდი ქარხნები დაიკეტა, შენობა დაინგრა, მუშები დაიფანტნენ; ზოგი სხვაგან წავიდა, ზოგი სხვა საქმეზე გადავიდა; დაკნინდა წარმოება და მასთან ყველაფერი. მოგებისთვისღა აწარმოებდნენ საქმეს და არა ნაწარმის სიკეთისა და გაუმჯობესებისთვის. ცენტრი აღარა ჰქონდა წარმოებას. მეტოქეობა და

სისასტიკე გამეფდა ყველგან. მადლენი განაგებდა ყველაფერს. რაკი მადლენი აღარ იყო, ყველამ თავისკენ გაიწია; საერთო საქმის სასარგებლოდ მოწყობის მაგივრად ქიშპი დაიწყო, შეთანხმების მაგივრად - შური, ხალხისადმი დამფუძნებლის სიყვარულის მაგივრად - ბრძოლა და ერთმანეთისთვის ორმოს თხრა. მადლენის მიერ გაბმული ძაფი აიწეწა და დაწყდა; წარმოებას თაღლითობა გამოაჩნდა. ნაწარმი წახდა, ნდობა დაკარგა, გასაღება შეუმცირდა, შემცირდა მუშის ხელფასი, შენელდა მუშაობა, ქარხნები იკეტებოდა და აღარავის ახსოვდა გაჭირვებულები და მათი დახმარება. გაქრა ყველაფერი, თვითონ მთავრობამაც კი დაინახა, რომ ვიღაცას, ქვეყნისთვის სასარგებლოს, გამოსჭრა ყელი. ორი წელი არ გასულიყო მას შემდეგ, რაც სასამართლომ კატორღის სასარგებლოდ ჟან ვალჟანად მიიღო მადლენი და სასჯელი მიუსაჯა და ისე გაძნელდა ამ მხარეში ხარჯის აკრეფა, ისე იმატა ხარჯის მოსაკრებად გაცემულმა ხელფასმა, რომ ბ. ვილელმა 1827 წლის თებერვალში საქვეყნოდ გამოაცხადა მონრეილის მხარის გაღარიბება.

## თავი მეორე
## ერთი ლექსი, თვით ეშმაკის მიერ თქმული

ვიდრე ჩვენს მოთხრობას განვაგრძობდეთ, ერთი უცნაური ამბავი გვინდა გავაცნოთ მკითხველს ცოტა დაწვრილებით, რომელიც იმავე დროს მოხდა მონრეილში და ცოტა რამ მსგავსებაცა აქვს პროკურორის ნაგულისხმევთან.

ერთი ცრურწმენა არის გავრცელებული მონფერმეილის მხარეში, მეტად ძველი, მით უფრო უცნაური და ამიტომ მით უფრო საყურადღებო, რომ პარიზის სიახლოვეს მცხოვრები ხალხის ცრუმორწმუნეობა ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ალოე ციმბირში. ჩვენ მათ რიგებს ვეკუთვნით, ვინც დიდი ყურადღებით იკვლევს ყველაფერს, რაც იშვიათ მცენარეს მოგვაგონებს. მაშ, აი თვით ეს ცრურწმენაც: ხალხს სწამს, რომ ძველად, პირვანდელ დროს, ეშმაკმა ტყე ამოირჩია განძის დასამარხად. მოხუცი დედაკაცები იფიცებოდნენ, - ბინდისას, მიყრუებულ ტყეში ხშირად შეხვდებით მეურმის, ან შეშისმჭრელის მსგავსს, რაღაც შავ ადამიანს ხის ფლოსტებითა და ხალათით, ადვილად საცნობს, რადგან ქუდის მაგივრად ორი დიდი რქა აქვს თავზეო. თუ რქები აქვს, მართლაც რომ ადვილი საცნობი იქნება. ეს კაცი ორმოს თხრის ტყეშიო.

ამ ცრურწმენის თანახმად სამგვარად შეიძლება ამ რქიანთან შეხვედრით სარგებლობა.

პირველი, - უნდა მიხვიდეთ და დაელაპარაკოთ, მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს კაცი უბრალო გლეხია, შავად იმიტომ გეჩვენებათ, რომ ბინდისას ხედავთ, არავითარ ორმოს არ თხრის, ბალახს თიბავს თავისი ძროხისთვის და რქები კი არა, ორთითი აქვს ქამარში გარჭობილი, რომლის ორი კბილი ან ორი თითი ისე ჩანს, თითქოს თავიდან ამოსვლოდეს. შინ რომ დაბრუნდება მისი მნახველი, თქვენ ჭირს წაიღებს ერთ კვირაში.

ახლა მეორე: - რომ დაინახავს კაცი, უნდა მიიმალოს, თვალ-ყური ადევნოს რქიანს, მოითმინოს მანამ ორმოს ამოთხრის, ისევ მიწას მიაყრის და წავა, მაშინვე უნდა მივარდეს იმ ორმოს, გათხაროს და ამოიღოს „განძი“, რომელიც, რა თქმა უნდა,

შიგ ჩაფლო რქიანმა. ამ შემთხვევაში ერთ თვეს ვეღარ იცოცხლებს განძის ამომთხრელი.

მესამე კიდევ ის არის, რომ არ დაელაპარაკო რქიანს, არც უყურო და სირბილით გამოექანო შინისკენ. ამ შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში მოკვდები.

თავ-თავისი ჭირი ჰქონია სამივეს, უფრო ხელსაყრელი მაინც მეორეა, რადგან ის უპირატესობა აქვს, რომ განძს აძლევს ადამიანს, თუნდაც ერთი თვით და ამიტომ ხალხში ეს გზა არის მიღებული. გამბედავებს და უშიშრებს, რომლებსაც ცდა ბედის მონახევრე ჰგონიათ, როგორც ხალხი ამბობს, ხშირად გაუთხრიათ რქიანის ორმო და უცდიათ ეშმაკის გაქურდვა, მაგრამ განძისთვის ვერავის მიუგნია. ამას ამტკიცებს ხალხის თქმულება, განსაკუთრებით ერთი გამოცანის მსგავსი ლექსი, წარყვნილი ლათინურით დაწერილი, რომელიც დაუტოვებია ერთ საძაგელ ნორმანელ ბერს, ჯადოსანს, ტრიფონად წოდებულს. რუელის ახლოს არის დასაფლავებული ეს ტრიფონი ბოშერვილის წმ. გიორგის სასაფლაოზე და სულ ჯოჯოები გამოდიან იმის საფლავიდან.

დიდი ჯაფა ადგას ამ ორმოს მთხრელს, რადგან ძალიან ღრმად მარხავს რქიანი თავის საგანძურს. წურწურით ჩამოსდის კაცს ოფლი, მთელი ღამე თხრის და ერთ წამს ვერ შეისვენებს, რადგან ღამით უნდა მორჩეს ყველაფერს. პერანგს ისველებს, სანთელს წვავს, ბარს აჩლუნგებს და ამტვრევს. ბოლოს, როდესაც ორმოს ფსკერს მიაგნებს, როდესაც ხელთ იგდებს „განძს“, რას ხედავს, რას წარმოადგენს ეშმაკის განძი? ერთ სუს შავ ფულად, ხანდახან ერთ ფრანკსაც, რაიმე ქვას, ჩონჩხს, სისხლით გასვრილ მკვდარს, ხანაც ჯადოს, ოთხად დაკეცილს, როგორც ქაღალდის ფურცელს ვკეცავთ უბის ჯიბეში ჩასადებად, და ხშირად სულაც არაფერს. სწორედ ამას უცხადებს განძის მოპოვებით გატაცებულებს ტრიფონის ეს ლექსიც:

Fodit et in fossa thesauros condit opacaAs, nummos, lapides, cadaver, simulacra, nihilque .

როგორც ჩანს, ჩვენს დროშიც ბევრს ვერაფერს პოულობენ რქიანი ეშმაკის ორმოში: ხან თოფის წამლითა და ტყვიით სავსე მასრას წააწყდებიან, ხან კიდევ გაქონილ სათამაშო ქაღალდს, რომლითაც ალბათ ეშმაკი თამაშობდა. ტრიფონმა არ მოიხსენია ეს განძი თავის ნუსხაში, მაგრამ რას იზამთ? ტრიფონი მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა და როგორც ეტყობა, იმდენი გონებაც არ ჰქონდა ეშმაკს, რომ როჯერ ბეკონამდე გამოეგონა თოფის წამალი და შარლ მეექვსემდე - სათამაშო ქაღალდი.

ამასთან, თუ ღმერთი გაუწყრა განძის მპოვნელს და ნაპოვნი ქაღლდით ითამაშა, სულ წააგებს, რაც კი აბადია და თოფისწამალს კიდევ ის თვისება აქვს, რომ როგორც კი იფეთქებს, შიგ პირში ახლის გამსკდარ ლულას თავის მსროლელს.

მას შემდეგ, რაც პროკურორის ზედამხედველებმა შეიტყვეს, რომ ციხიდან გაქცეული ჟან ვალჟანი მონფერმეილში დაძრწოდა, მონფერმეილელებმა შეამჩნიეს, რომ ერთი ბებერი გზის მუშა, ბულატრუელად წოდებული, ძალიან ხშირად შედიოდა ტყეში. კატორღაში ნამყოფად თვლიდნენ ამ კაცს. პოლიციას ყოველთვის საეჭვოდ მიაჩნდა იგი, თვალს არ აშორებდა, რადგან სამუშაოს ვერსად შოულობდა. შემცირებული ხელფასით ამუშავებდა მთავრობა გზის შესაკეთებლად.

ადგილობრივი მცხოვრებლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ბულატრუელს. თვითონ კი თავმდაბლად ექცეოდა ყველას, მოწიწებით ქუდს უხდიდა დიდსა და

პატარას. კანკალებდა და იღიმებოდა, ჟანდარმს რომ დაინახავდა. - ალბათ ყაჩაღების ბრბოს ეკუთვნისო, - იძახდა ხალხი. - შეიძლება ტყეშია ჩასაფრებული, რომ მგზავრები გაძარცვოს ღამის სიბნელეშიო. - არაფერი სჭირდა ამ ეჭვების გასამართლებელი, გარდა იმისა, რომ ლოთი იყო.

აი რა შენიშნეს ბულატრუელს:

ამ ბოლო დროს ძალიან ადრე მიატოვებდა ხოლმე საქმეს გზაზე და ტყისკენ მიეშურებოდა თავისი ბარით. საღამო ხანს ყოველთვის შორეულ ველებზე ხედავდნენ ამ კაცს. მიყრუებულ ტყეში დაყიალებდა, ეტყობოდა რაღაცას ეძებდა, ხან ორმოს თხრიდა. დაინახავდნენ ბებერი დედაკაცები და გული უსკდებოდათ, - ბელზებელი მოგვეჩვენაო, - მაგრამ ბულატრუელს იცნობდნენ და უფრო კანკალებდნენ. ბულატრუელს, ეტყობა, ძალიან ეჯავრებოდა ტყეში ვინმესთან შეხვედრა; ცდილობდა ისე ევლო, რომ ყველას დამალვოდა. ცხადი იყო, რქიანის დამარხულ განძს ეძებდა. სოფელში ამბობდნენ: - ბულატრუელმა ალბათ თვალი მოჰკრა ეშმაკს და მის დაფლულ განძს ეძებს. ვერ მოახერხებს, თუ! იმისთანა გაიძვერაა, რომ თვალიდან წამწამს ჩამოაგლეჯს ლუციფერს და ის კი ვერას გაიგებსო. - ვოლტერიანელებსაც საეჭვოდ მიაჩნდათ ეს კაცი: ვნახოთ, ვინ უფრო ცბიერია, ბულატრუელი გააცურებს ყინულზე ეშმაკს, თუ ეშმაკი ბულატრუელსო.

ამასობაში სულ მოიშალა ბულატრუელმა ტყეში ხეტიალი და ისევ გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა. სალაპარაკო ახლა სხვა რამ გახდა.

მაგრამ მაინც დარჩა რამდენიმე კაცი, რომლებსაც მოსვენებას არ აძლევდა ბულატრუელის საქციელი. - შეიძლება დიდი განძი არ ყოფილიყო ის, რომელიც ხალხის თქმულებით ქვეყნის თვალმარგალიტს უნდა უდრიდეს, მაგრამ, ცხადია, რომ რაღაც იპოვა ამ კაცმა უფრო სასარგებლო, ვიდრე ეშმაკის ბანკის ბილეთები, რაღაც იპოვა საიდუმლო და თუ სულ ვერა, ნაწილობრივ მაინც მიხვდა იმ საიდუმლოებას. რქიანის განძით ყველაზე მეტად გატაცებულები იყვნენ მასწავლებელი და მედუქნე ტენარდიე, მთელი ქვეყნის მეგობარი, რომელმაც არც ბულატრუელის მეგობრობა იუკადრისა.

- კატორღაში ყოფილა? - იძახდა ტენარდიე, - მერე რა? - ვინ იცის, ახლა ვინ არის კატორღაში და ხვალ ვინ იქნება?

ერთ საღამოს საუბარი ამ საგანს შეეხო. მასწავლებელი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ წინათ ამ საქმეში მართლმსაჯულება ჩაერეოდა და გამოიძიებდა, თუ ვერას გააწყობდა, აწამებდა და ისე ათქმევინებდა, რადგან ვერ გაუძლებდა წამებას. განსაკუთრებით, თუ წყურვილს აღუძრავდნენ და წყალს არ დაალევინებდნენ.

- მაშ, მოდი, ღვინით ვაწამოთ, - წამოიძახა ტენარდიემ.

მიიპატიჟეს ბულატრუელი და იმდენი ასვეს, რომ კარგად გამოათვრეს. ბევრი სვა, ძალიან ცოტა რამ თქვა. საგანგებო ხელოვნებით შეაერთა ლოთის წყურვილი და მსაჯულის სიფხიზლე, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ, ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ სხვადასხვაგვარად და მოკლედ, თითო-ოროლა პასუხით აი, რა დასკვნა გამოიტანეს მისი ნათქვამიდან მასწავლებელმა და ტენარდიემ:

ერთ დილას, გათენებისას, სამუშაოდ მიმავალმა ტყეში, ხშირ ბუჩქებში ბარი და ნიჩაბი დაინახა. გაუკვირდა ბულატრუელს, - აქ ვინ დამალავდაო? - მაგრამ მოიაზრა, - ალბათ ძია სიფურისა არის, მერწყულესიო, - და აღარც კი მოჰგონებია. მაგრამ

საღამოზე, იმავე დღეს, ერთი კაცი დაინახა ტყეში, გზიდან დაბურული ტევრისკენ მიმავალი. აქაური არ არის ეს კაცი, ბულატრუელის ნაცნობია.

ტენარდიემ ასე თარგმნა ეს სიტყვები: ბულატრუელის კატორღელი ამხანაგი.

მისი სახელი კი ვერა და ვერ ათქმევინეს. ხელში რაღაც ეჭირა შეხვეული, დიდი კოლოფი უნდა ყოფილიყო ან პატარა ყუთი. განცვიფრებული დარჩა ბულატრუელი. შვიდი-რვა წუთის შემდეგ მოისაზრა მას ჩუმად უკან მიჰყოლოდა, მაგრამ გვიანღა იყო, კაცი უკვე ტევრში შესულიყო, კარგადაც ბნელოდა და ვეღარ დაინახავდა. მაშინ გადაწყვიტა ტყის პირას დამალულიყო და იქიდან ეთვალთვალა. მთვარიანი ღამე იყო. ორი თუ სამი საათის შემდეგ თავისი ნაცნობი დაინახა, ტევრიდან მომავალი, ოღონდ ყუთით კი არა, ბარი და ნიჩაბიღა ეჭირა ხელში. ხმის ამოუღებლად გაატარა ბულატრუელმა, რადგან ის კაცი ძალიან ღონიერი იყო და იქვე მოკლავდა ბარით, რაკი იცნობდა თავის მსტოვარს და ნახავდა, რომ ისიც იცნეს. - აი გულითადი სიხარული ძველი ნაცნობებისა, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ ბარმა და ნიჩაბმა თვალი აუხილა ბულატრუელს. მაშინვე იმ ბუჩქნარში მიირბინა, დილით რომ ნახა და არც ბარი დახვდა და არც ნიჩაბი. აქედან დაასკვნა, რომ მისი ნაცნობი შევიდა ტყეში, ორმო ამოთხარა, ჩაფლა შიგ ყუთი, ნიჩაბით მიწა მიაყარა და მოასწორა. ყუთი ძალიან პატარა იყო, შიგ მკვდარი არ ჩაეტეოდა, მაშასადამე, ფულით იქნებოდა სავსე. ამიტომ იყო, რომ დაწიალებდა ტყეში და იმ ორმოს ეძებდა. მთელი ტყე მოიარა, ბუჩქი არ დატოვა, რომ არ გაეჩხრიკა. ყველგან თხარა, სადაც დაძრულად ეჩვენა მიწა, მაგრამ ამაოდ. ვერაფერი იპოვა. ამით გათავდა ეს ამბავი. მალე დაივიწყა ყველამ. მხოლოდ ბებერი დედაკაცები გაიძახოდნენ თავისას:

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის სულწაწყმედილი გზის მუშა ტყუილად არ დაიწყებდა ტყეში სიარულს. ალბათ ეშმაკი ნახა.

## თავი მესამე

### წინასწარ უნდა ყოფილიყო ჯაჭვი განზრახ დაზიანებული, რომ ასე ადვილად გამწყდარიყო

იმავე 1823 წ. ოქტომბრის ბოლოს ტულონის ნავსადგურში შევიდა ავდრით დაზიანებული გემი „ორიონი“, შესაკეთებლად. შემდეგში ეს გემი ბრესტში იყო, როგორც სავარჯიშო გემი, მაშინ კი ხმელთაშუა ზღვის ესკადრას ეკუთვნოდა.

თუმცა ძალიან იყო დაზიანებული, მაინც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა და აღტაცებით შეხვდნენ ტულონში. აღარ მახსოვს, სახელდობრ, რომელი დროშით შევიდა ნავსადგურში. ეს კი ვიცი, რომ იმდროინდელი წესის მიხედვით ტულონი ზარბაზნის თერთმეტი სროლით მიესალმა. ქალაქის სალამს გემის ზარბაზანმაც უპასუხა და მანაც თერთმეტჯერ გადაუხადა მადლობა თავის მასპინძელს. სულ ოცდაორი სროლა გაისმა. გამოანგარიშებულია, რომ მისალმებისას, მეფის მიღებისას, სამხედრო დათვალიერებებისა და აღლუმების დროს, ნავსადგურებისა და ციხესიმაგრეების ნიშნებისას, მზის ამოსვლისას და ჩასვლისას, კარის გაღებისა და დაკეტვისას და სხვ. და სხვ., დღე-ღამის განმავლობაში დედამიწის ცივილიზებულ ქვეყნებში ას ოთხმოცდაათი ათასჯერ ისვრიან ზარბაზანს სრულიად უსარგებლოდ. ზარბაზნის თითო სროლა ექვსი ფრანკი ღირს, მაშ ცხრაასი ათასი ფრანკი იხარჯება

ყოველდღე და სამასი მილიონი ფრანკი ყოველწლიურად. კვამლად იქცევა ამდენი ფული. ეს ისე, გაკვრით არის მოყვანილი; და ამ დროს შიმშილით იხოცება გაჭირვებული ხალხი.

1823 წელიწადს რესტავრაციამ „ესპანეთის ომის ხანა“ დაარქვა.

მრავალი შემთხვევა მოჰყვა ამ უცნაურ ომს. ბურბონებისთვის ეს ომი ოჯახური საქმე იყო, რადგან ამ ოჯახის საფრანგეთში გამეფებული შტო მხარს უჭერდა ესპანეთში გამეფებულ თავის შტოს და ამით ასრულებდა გვარში უფროსის მოვალეობას. ეს იყო ჩვენი ძველი ეროვნული ტრადიციის განახლება, მაგრამ გართულებული იმ ურთიერთობით, რომელიც ბურბონებს ჰქონდათ ევროპის ჩრდილო სამეფოებთან. ჰერცოგი დ'ანგულემი, ანდალუზიაში ერთ დაბაში გამარჯვების გამო „ანდუჟარის გმირად“ წოდებული, მრისხანე იერით, რომელიც სრულებითაც არ უხდებოდა მის მშვიდობიან სახეს, ცდილობდა დაემორჩილებინა ძველი, ძალიან მძლავრი ტერორიზმი ინკვიზიციისა, რომელიც ლიბერალიზმის მოლანდებულ ტერორიზმს ებრძოდა. სანკულოტები მკვდრეთით აღმდგარიყვნენ დაქვრივებული ქალების გულის გასახეთქად

descamisados სახელწოდებით. მონარქია ებრძოდა პროგრესს, რომელსაც ანარქიას უწოდებდა. ეს იყო 1789 წლის მოძღვრებათა წინააღმდეგ ბრძოლის დრო. - კმარა! - იყო მთელი ევროპის ბრძანება თავისუფლების იდეისადმი, რომელიც დედამიწის ირგვლივ მოგზაურობდა. საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეებთან ერთად, პრინცი კარინიანი, შემდეგში შარლ ალბერი, უბრალო ჯარისკაცად შევიდა ამ ჯვაროსნული მეფეების ლაშქარში ხალხის დასამორჩილებლად და გრენადერის წითელი შალის სამხრეებს ატარებდა. რვა წლის დასვენების შემდეგ დაიძრა იმპერიის ჯარი, მაგრამ დაბერებული, დაღონებული, ახლა თეთრი კაკარდებით.

სამფეროვანი დროშა ფრიალებდა უცხო მხარეში ერთი მუჭა გმირი ფრანგების თავზე, ისე, როგორც თეთრი დროშა - კობლენცთან ოცდაათი წლის წინ. ეს იყო ბერების ჩარევა ჩვენს ჯარებში; თავისუფლებისა და განათლების იდეების ხიშტებით განადგურება, პრინციპების დამარცხება ზარბაზნის სროლით; საფრანგეთის მიერ თავისივე გონებრივი ძალით შექმნილის აღმოფხვრა იარაღით. საერთოდ კი, მტრის მოთავეების გაყიდვა მერყევი ჯარისკაცების მიერ, მილიონებით გარემოცული ქალაქები, არავითარი საშიშროება ბრძოლისა, მაგრამ ყოველწამს შესაძლებელი აფეთქება, როგორც ყოველ ნაღმში, აუფეთქებლად წართმეულში; მცირე სისხლის ღვრა, ძალიან ცოტა ბრძოლით მოპოვებული სახელი; ბევრისთვის შერცხვენა და დიდება კი არავისთვის. ასეთი იყო ეს ომი, რომელსაც ლუი მეთერთმეტის შთამომავლები ეწეოდნენ და ნაპოლეონის გენერლები აწარმოებდნენ. ცუდი ბედი ეწია ამ ომს, არც დიდი ომის სახელი დაგვიტოვა, არც დიდი პოლიტიკის.

რამდენიმე პატარა ბრძოლა თუ იყო ხეირიანი. ტროკადეროს აღება, სხვათაშორის, გმირული გამარჯვება იყო; მაგრამ საერთოდ კი, ვიმეორებთ, ამ ომის ბუკი და ნაღარა ყრუდ სცემდა და გაბზარულ ხმას იღებდა. საეჭვო იყო ყველაფერი. ისტორია თანაუგრძნობს საფრანგეთს, რომელსაც არ უნდა ამ ომის ყალბი დიდება დაუმატოს თავისას. ცხადად ჩანდა, რომ ზოგი ესპანელი ოფიცერი, რომელიც ბრძოლით უნდა დახვედროდა ფრანგებს, კარს უღებდა და უბრძოლველად ნებდებოდა. გაირყვნა და ქრთამის სუნი აუვიდა გამარჯვებას; გენერლებს უფრო ვიმხრობდით ამ ომში, ვიდრე ბრძოლას ვიგებდით და შერცხვენილი ბრუნდებოდა ასე

გამარჯვებული ჯარი. დამამცირებელი იყო ეს ომი, რომლის დროშების ნაკეცებში შეიძლებოდა წაგეკითხათ „საფრანგეთის ბანკი“.

ჯარისკაცები, რომლებმაც დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ აიღეს 1808 წ. სარაგოსა, ახლა, 1823 წელს, განცვიფრებულები შევიდნენ ესპანეთის იმავე სიმაგრეების ღია კარებში და ქებით იგონებდნენ სარაგოსის დამცველ პალაფოქსს. ეს არის საფრანგეთის ბუნება. ომში თავის წინააღმდეგ ურჩევნია როსტოპჩინი ჰყავდეს, ვიდრე ბალსტეროზი.

ერთი რამაც არის აღსანიშნავი ამ ომის შესახებ, უფრო მნიშვნელოვანი. საფრანგეთის მხედრობას ეს ომი სამარცხვინოდ მიაჩნდა, დემოკრატიას კი - დიდი რევოლუციის ღალატად. ამ ომის მიზანი იყო დამონება. საფრანგეთის ჯარს, დემოკრატიის პირმშოს, დაავალეს დაემორჩილებინა სხვა ხალხი და კისერზე უღელი დაედო. საზიზღარი დავალება! საფრანგეთი იმისთვის არის შექმნილი, რომ გააღვიძოს და თავისუფლების სული ჩაუდგას ხალხებს, და არა იმისთვის, რომ დაიმონოს ისინი. 1792 წლის შემდეგ ევროპის ყველა რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციაა. თავისუფლება საფრანგეთიდან ჰფენს თავის სხივებს ქვეყნიერებას. ეს არის მზიური შუქი, ბრმაა, ვინც ამას ვერ ხედავს! ეს ბონაპარტის სიტყვებია.

1823 წლის ომი ბოროტი განზრახვა იყო დიდსულოვანი ესპანეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ბოროტი განზრახვა იყო საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ. საფრანგეთი განაგებდა ამ სამარცხვინო ომს, - ნაძალადევად, რადგან იმ ომისაგან განსხვავებით, რომელსაც დამონებულის განთავისუფლება აქვს მიზნად, ყველა სხვა ომი, ყველაფერი, რასაც სჩადიან ლაშქრები და მხედართმთავრები, ძალდატანების შედეგია. ამას ჯარში წმ. მცნებად მიღებული სიტყვაც ამტკიცებს, - „პასიური მორჩილება“. ლაშქარი უცნაური ნაწარმია, რომლის ძლიერებას მრავალი უძლურების შეერთება ქმნის. ეს არის ომის ბუნება, რომელსაც კაცობრიობა აწარმოებს კაცობრიობის წინააღმდეგ ადამიანურობის მიუხედავად.

ბურბონებისათვის საბედისწერო იყო 1823 წ. ომი, თუმცა იგი გამარჯვებად და წარმატებად ეჩვენათ, ვერც კი წარმოედგინათ რა საფრთხეს გვიქადის ძალმომრეობით რაიმე იდეის ჩაკვლა. იმდენად მიამიტები იყვნენ, რომ ბოროტგანზრახულობის სული შეიტანეს თავიანთ პოლიტიკაში. 1830 წელი ჩაისახა 1823 წელიწადში; ესპანეთთან ომი დამამტკიცებელ საბუთად გაიხადეს, თავის თათბირებში ძალდატანება რომ გაემართლებინათ და ღვთის ბრძანებად გაესაღებინათ.

საფრანგეთს ესპანეთში el rey neto-ს აღდგენის შემდეგ იოლად შეეძლო შინაც აღედგინა თავისი მეფეების თვითმპყრობელობა. საშინელი შეცდომის მსხვერპლნი გახდნენ ბურბონები: - ჯარისკაცის მორჩილება რომ მთელი ერის თანხმობად მიიჩნიეს. სწორედ ეს შეცდომა, ეს ნდობა უთხრის ძირს და ამტვრევს მეფის ტახტს, არ უნდა ჩაეძინოს ადამიანს არც მანსალინის საგრილობელში და არც ლაშქრის ჩრდილში.

დავუბრუნდეთ ჩვენს „ორიონს“.

ესპანეთთან ომის დროს, ფრანგების გემების ესკადრა დაცურავდა ხმელთაშუა ზღვაში. „ორიონიც“, როგორც ვთქვით, ამ ესკადრას ეკუთვნოდა და ზღვის ღელვით დაზიანებული მივიდა ტულონში.

სამხედრო გემის მისვლა ნავსადგურში ყოველთვის მეტად მიმზიდველია ხალხისთვის, რადგან ეს დიადი სანახაობაა და ხალხს ყველაფერი დიადი უყვარს.

იგი წარმოადგენს ადამიანის გონებით შექმნილ საუკეთესო იარაღს ბუნების ძლიერებასთან საბრძოლველად.

სამხედრო გემი აგებულია იმგვარი მასალით, რომელიც ერთ და იმავე დროს მეტად მძიმეც არის და მეტად მსუბუქიც, რადგან ნივთიერების სამგვარ სახეობასთან აქვს ურთიერთობა: - მყართან, თხევადთან და აეროვანთან, - და ხშირად უხდება სამივესთან ბრძოლა. თერთმეტი ბრჭყალი აქვს, რომ ზღვის ფსკერზე მოეჭიდოს გრანიტს, უფრო მეტი ფრთა და რქები, ვიდრე ფრთიან მწერს ჰაერში სანავარდოდ. მისი ამონასუნთქი ასოცი ზარბაზნის მეოხებით ამოდის, როგორც ვეება საყვირით და ამაყად აძლევს პასუხს ჭექა-ქუხილს. ოკეანე სულ იმას ცდილობს, რომ გზა დააკარგვინოს თავისი საშინელი ზვირთებით, მაგრამ გემს თავისი სული უდგას - კომპასი, რომელიც გზას უკვლევს და ყოველთვის ჩრდილოეთს უჩვენებს. ბნელ ღამეში თავისი სანათებით არის განათებული. ქართან საბრძოლველად ბაგირი და იალქნის ტილო აქვს, წყალთან საბრძოლველად - ხე, კლდესთან საბრძოლველად რკინა, ფოლადი და ტყვია, ბნელთან საბრძოლველად - სინათლე და უსაზღვროებასთან საბრძოლველად მაგნიტური ისარი.

თუ გნებავთ, თქვენი თვალით ნახოთ სამხედრო გემის ბუმბერაზული აგებულება, უნდა შებრძანდეთ ერთ-ერთ ექვს სართულიან შენობაში ბრესტში ან ტულონში. ეს უზარმაზარი კოჭი - ქანდარა გახლავთ; ეს მსხვილი ხის სვეტი, მიწაზე რომ დევს, სანამ თვალი გასწვდება, დიდი ანძაა. ამ ანძის სიგრძე რომ გავზომოთ, გემის ძირიდან ცის ღრუბლამდე ამართულ წვერამდე, სამოცი საჟენი სიმაღლე ექნება და სამი ფუტი სისქე - ძირში. ორას ჩვიდმეტი ფუტის სიმაღლის დიდი ინგლისური ანძა დგას წყალხაზის ზემოდან. ჩვენი მამა-პაპა ბაგირს ხმარობდა. ჩვენ დროში ჯაჭვს აქვს უპირატესობა. ერთი ას ზარბაზნიანი გემის ჯაჭვებს რომ დააგროვებენ, მეტრ-ნახევარი სიმაღლე აქვს და რვა მეტრი - სიგრძე. მერე რამდენი ხე დასჭირდა იმ გემის აგებას? სამიათასი კუბური მეტრი - მთელი ტყე, წყალზე მცურავი.

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ აღწერილია სამხედრო გემი, ამ ორმოცი წლის წინ რომ აშენებდნენ, უბრალო იალქნიანი გემი: იმ დროის უსუსური ბავშვი იყო. ჯერ ორთქლი და მის შემდეგ ბევრი ახალი საკვირველება შეიძინა სამხედრო გემმა. დღეს, მაგალითად, ხრახნიანი გემი საკვირველ მანქანას წარმოადგენს, რომელსაც სამიათას კვადრატულ მეტრიანი იალქანი და ორიათას ხუთასი ცხენის ძალის ორთქლის მანქანა ამოძრავებს.

ესეც რომ არ იყოს და წარსულს გადავხედოთ, ქრისტეფორე კოლუმბისა და ჰოლანდიელი რუიტერის ძველი გემი ადამიანის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, დაუშრეტელია ეს ძალა ადამიანის, როგორც ნიავი უსაზღვროებისა. ქარს იმარაგებს თავისი იალქნებით, ზუსტად მიისწრაფვის აღელვებული ზღვის ტალღებში, ზედ დაცურავს და ზღვაზე მეფობს.

მაგრამ მოხდება ხოლმე ხანდახან, მძვინვარე ქარიშხალი ჩალასავით ამტვრევს ამ გრძელ საიალქნე ძელს, ლერწამივით არყევს სამაგრ ანძას, ისე ამტვრევს ხუთიათასი კილოგრამის სიმძიმის ღუზას, როგორც მეთევზის ნემსკავს ქარიყლაპია; მომაკვდავის კვნესასავით მოისმის ამოდენა ცეცხლისმფრქვეველი ზარბაზნების უსარგებლო სროლა, რომლის ხმას უსაზღვროებაში და სიბნელეში ფანტავს ქარი. მოხდება

ხოლმე ხანდახან, მთელი ეს ძლიერება და სიდიადე ქრება უმაღლეს ძლიერებაში და სიდიადეში. და ყოველთვის, როცა კი დახარჯული დიდი ძალა ამ უმაღლესი ძლიერების მსხვერპლი ხდება, ფიქრი ერევა ადამიანს. ამიტომ არის, რომ ნავსადგური ყოველთვის სავსეა ცნობისმოყვარე ხალხით, რომელმაც თვითონაც არ იცის, რად იზიდავს მას ომისა და ზღვაოსნობის ეს საკვირველი მანქანა.

ყოველდღე, დილიდან დაღამებამდე, უსაქმური, პირღია ხალხით სავსე იყო ტულონის ნავსადგური. დადიოდნენ, დაყიალებდნენ და „ორიონს“ შესცქეროდნენ.

დიდი ხნის ავადმყოფი იყო „ორიონი“. წინანდელი ცურვის დროს წყალქვეშა ნაწილს ლოკოკინების ისეთი მკვრივი ფენა მიჰკვროდა, რომ ერთი ორად შეემცირებინა მისი სვლის სიჩქარე. ერთი წლის წინ ზღვიდან გამოეტანათ გემი, ჩამოეფხიკათ ლოკოკინები და ისევ წყალში ჩაეშვათ, მაგრამ ამ ფხეკას დაეზიანებინა მაგარი ჭანჭიკები. ბალეარის კუნძულებთან გავლის დროს თურმე გარე დამცავი შრე გაუსკდა და რადგან მაშინ შიდა კედელს ფურცლოვანი რკინისას არ აკეთებდნენ, წყალი შედიოდა გემში. ბუნიობის ქარმა დაჰკრა და დიდად დააზიანა გემის მარცხენა მხარე, სადაც ზარბაზნები ელაგა. ამის გამო ტულონში დაბრუნდა გემი შესაკეთებლად.

არსენალთან იდგა. შეიარაღებული იყო. შეკეთება უკვე სრულდებოდა.გ გემის ძარა არ იყო დაზიანებული, მაგრამ აქა-იქ აეცალათ ფიცრები, რომ თავისუფლად ემოძრავა შიგ ჰაერს.

ერთ დილას ზღვის პირას მოგროვილი ხალხი უბედური შემთხვევის მოწმე გახდა.

მეზღვაურები იალქანს აკრავდნენ საიალქნე ძელზე. მაღლა ძელზე იდგა ერთი მათგანი და ზევით სწევდა აფრის ზედა ნაწილს. ფეხი გაუსხლტა უბედურს, დაბარბაცდა, თავმა დასძლია, გაისმა გულგახეთქილი ხალხის საზარელი ყვირილი. დატრიალდა მეზღვაური, ხელი სტაცა თოკს და ზედ დაეკიდა. რომ ჩამოვარდნილიყო, ზღვაში ჩავარდებოდა იმ სიმაღლიდან. თოკს რომ სტაცა ხელი ჩამოვარდნილმა, კარგად შესძრა და გააქანა. ხელში თოკის წვერიღა შერჩენოდა და ისე ქანაობდა იმ უფსკრულის თავზე, როგორც კენჭი შურდულში.

შეუძლებელი იყო მიშველება, ამაო თავგანწირვა იქნებოდა. მეზღვაურები სულ ზღვისპირელები იყვნენ, მაგრამ ვერავინ გაბედა მიშველებოდა უბედურს. ის კი იღლებოდა. მის სასოწარკვეთას ვერ ხედავდა ხალხი, მაგრამ დაღლა კი ცხადად ემჩნეოდა ყოველ მოძრაობაზე. ხელები უკანკალებდა და ეკრუნჩხებოდა. არ ყვიროდა, რომ უფრო არ დასუსტებულიყო. გულისფანცქალით ელოდა ხალხი, - აი, ჩამოვარდება, ხელიდან გაუშვებს თოკსო, - და ერთ წამს თვალს არიდებდა, რომ არ დაენახა ადამიანის წყალში ჩავარდნა. მოხდება ხოლმე, თოკის წვერზე, პატარა ლატანზე, ხის ტოტზე არის დამოკიდებული ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე. საშინელი სანახავია ცოცხალი ადამიანი რომ ჩამოვარდება, თითქოს მწიფე ხილი ჩამოვარდა ხიდანო.

უეცრად ხალხმა დაინახა ერთი კაცი, რომელიც კატის სისწრაფით ადიოდა ზევით. წითელი ტანისამოსი ეცვა, ესე იგი კატორღელი იყო, მწვანე ქუდი ეხურა, ესე იგი სიკვდილამდე კატორღაში უნდა ყოფილიყო. ეს ქუდიც ქარმა წყალში ჩაუგდო. გამოუჩნდა მთლად თეთრი თმა. ეტყობა, ხნიერი კაცი უნდა ყოფილიყო.

კატორღელები მუშაობდნენ გემზე და ერთმა მათგანმა დაინახა თუ არა მეზღვაურის განსაცდელი, მაშინვე ოფიცერთან მივიდა და ნება სთხოვა დახმარება

აღმოეჩინა უბედურისთვის. განცვიფრებული იყო ყველა. გრძნობდნენ, რომ ადამიანი იღუპებოდა, საჭირო იყო შველა, შველა კი შეუძლებელი იყო და ამიტომ შიშითა თრთოდნენ ხალხთან ერთად თვით მეზღვაურებიც. ოფიცერმა თავი დაუქნია, აბა შენ იციო, - იმანაც ჩაქუჩს ხელი წაავლო, დაჰკრა ფეხზე რომ ჯაჭვი ება, გაწყვიტა, მოიხსნა და ზევით ავარდა. თან თოკი წაიღო. ყურადღება არავინ მიაქცია იმ დროს იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ასე ადვილად, ასე სწრაფად გაწყვიტა ჯაჭვი. ეს მერე მოაგონდათ.

ერთი თვალის დახამხამება და ქანდარაზე ავარდა. რამდენიმე წამი იდგა, თითქოს თვალით ზომავდა მეზღვაურამდე გასავლელ მანძილს, ეს დრო მთელ საუკუნედ ეჩვენა ხალხს. მერე ზეცას აღაპყრო თვალი, წინ წაიწია ერთი ნაბიჯით, ძლივს ამოისუნთქა ხალხმა. სირბილით გაიარა ქანდარა, ბოლოზე თავისი თოკი მიაბა, მეორე წვერი ძირს დაუშვა და თვითონაც ზედ ჩაცურდა ხელებით. ეს უფრო მეტი საშინელება იყო; ერთის მაგივრად ამ უფსკრულის პირას ორი კაცი ეკიდა.

იტყოდით, ობობა დასცემია დასაჭერ ბუზსო, ოღონდ აქ ობობას სიცოცხლე მიჰქონდა და არა სიკვდილი. თვალს ვეღარ აშორებდა ხალხი ამ ორ კაცს, გაჩუმებული იყო ყველა, ხმას არ იღებდა, სუნთქვას იკრავდა, თითქოს ეშინია, - ჩვენი ნასუნთქით არ გავაძლიეროთ ქარი, იმ უბედურებს რომ აქანებსო.

ჩაცურდა კატორღელი, დაეკიდა მეზღვაურთან და დროულიც იყო სწორედ. ერთი წუთი კიდევ და ღონემიხდილი, სასოწარკვეთილი კაცი ხელს გაუშვებდა თოკს. ცალი ხელით თოკს დაეკიდა კატორღელი, მეორეთი თავისი თოკი მოხვია მეზღვაურს, ავარდა ქანდარაზე და აათრია მეზღვაური. გულზე მიიყრდნო, რომ სული მოებრუნებინა, ხელში აიყვანა, გამოჰყვა ქანდარას, იქიდან ქვემო ანძამდე და იქ გადასცა გადარჩენილი კაცი.

ტაში დაჰკრა ხალხმა: კატორღელების ზედამხედველებად დაბერებული მოხუცები ცრემლს ვეღარ იმაგრებდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ ქალები დაჰკოცნიდნენ. ხალხის გასაგონად გაისმა აღშფოთებული ხმა: - შეწყალების ღირსია ეს კაცი!

თვითონ კატორღელი იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყო, რომ კატორღელებს შეერთებოდა და საქმეს შესდგომოდა. უფრო მალე რომ ჩამოსულიყო, სირბილით წამოვიდა ერთ ქვედა ქანდარაზე. იმას შესცქეროდა ყველა. ერთ წამს შეშინდა კიდეც ხალხი: დაღლილი იყო კაცი, თუ თავბრუ ეხვეოდა, დაინახეს, რომ შებარბაცდა და უცბად საშინელი ყვირილი გაისმა: - კატორღელი წყალში ჩავარდა.

დაიღუპა კაცი. „ორიონის“ გვერდზე იდგა გემი „ალგეზირასი“ და საწყალი კატორღელი ორ გემს შუა ჩავარდა; ან ერთის ქვეშ მოჰყვებოდა ან მეორის ქვეშ. ოთხი მეზღვაური ჩახტა მაშინვე ნავში, ხალხიც ამხნევებდა - მიეშველეთო! - ისევ შიში მოერია ყველას. აღარ გამოჩენილა საწყალი კაცი. ისე შთაინთქა წყალში უკვალოდ, თითქოს ზეთში ჩაძირულიყოს. ბევრგან ჩაყვინთეს მეზღვაურებმა, მაგრამ ამაოდ. საღამომდე ეძებეს ზღვაში, მისი დამხრჩვალი გვამიც კი ვერ იპოვეს.

მეორე დღეს ტულონის გაზეთში დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა: - „1823 წლის 17 ნოემბერი. გუშინ „ორიონზე“ სამუშაოდ გაყვანილმა ერთმა კატორღელმა სიკვდილს გადაარჩინა მეზღვაური, დაბრუნებისას თვითონ ჩავარდა წყალში და დაიხრჩო, მისი გვამიც კი ვეღარ იპოვეს. ალბათ არსენალის ზღვის პირის ხიმინჯის ქვეშ მოჰყვა. ეს კაცი კატორღელებში ირიცხებოდა #9430-ე ნომრად და ჟან ვალჟანი ერქვა“.

## წიგნი მესამე
## სულთმობრძავისთვის მიცემული აღთქმის შესრულება

### თავი პირველი
### წყლის საკითხი მონფერმეილში

ლივრის და შელის შუა მდებარეობს მონფერმეილი, იმ ფერდობის სამხრეთ გზაზე, რომელიც ურკსა და მარნის შორის გადის. დღეს კარგა მოზრდილი დაბაა, დამშვენებული ლამაზი აგარაკებითა და კვირაობით მხიარული ბურჟუებით. 1823 წელს კი არც ამდენი აგარაკი იყო და არც ამდენი კმაყოფილი მხიარული ბურჟუა. მაშინ პატარა სოფელი იყო, ტყეში ჩაფლული; აქა-იქ შეგხვდებოდათ წინა საუკუნის სააგარაკო სახლი, - რკინის აივნით და გრძელი ფანჯრებით, ბატონკაცური, მაგრამ მაინც სოფელი იყო. მაუდის ვაჭრობით გამდიდრებულ ბურჟუებს და სააგარაკოდ მიმავალ ვექილებს ჯერ კიდევ არ მიეგნოთ ამ სოფლისთვის. მიყრუებული, მაგრამ ბუნებით მშვენიერი სოფელი იყო, დიდ გზას მოშორებული. იაფი ცხოვრება იყო იქ, გლეხკაცური და მაძღარი, ოღონდ უწყლობა უჭირებდა ყველას საქმეს, რადგან სოფელი მაღლობზე მდებარეობდა.

შორიდან მოჰქონდათ წყალი. სოფლის განისკენ მდებარე ნაწილი ტბით სარგებლობდა, მეორე ნაწილი კი, შელისკენ მდებარე, პატარა წყაროთი, რომელიც ტყეში იყო, შელის გზაზე, სოფლიდან თხუთმეტი წუთის სავალზე.

უწყლობის გამო სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სულ იმის ფიქრში იყო ყველა, რომ წყალი საკმარისად მოემარაგებინათ. შეძლებულ ბატონკაცურ სახლებს მერწყულე ჰყავდათ, ფასით აზიდვინებდნენ ერთ საწყალ კაცს, რომელიც დღეში ორმოც სანტიმამდე ღებულობდა. მაგრამ ეს კაცი მარტო საღამოს შვიდ საათამდე მუშაობდა ზაფხულში, ხუთამდე - ზამთარში და რაკი დაღამდებოდა და დაიხურებოდა ფანჯრის დარაბები, ვისაც დააკლდებოდა წყალი, თვითონვე უნდა წასულიყო და მოეტანა. ტენარდიესაც ის უზიდავდა წყალს.

სწორედ ეს საშინელება უხეთქავდა გულს პატარა კოზეტს, რომელიც, არა მგონია, დავიწყებული ჰყავდეს მკითხველს. ძალიან სასარგებლო იყო ტენარდიესთვის საწყალი გოგო: დედას ფულს ართმევდნენ, შენს შვილს ვინახავთო და შვილს იმსახურებდნენ, - ამას მაინც გამოვრჩეთო, და როდესაც დედამ ფული ვეღარ გამოუგზავნა, მაინც არ გააგდეს პატარა გოგო, რადგან მსახურის ვალდებულებას ასრულებდა. მსახური იყო და ის უნდა წასულიყო წყლის მოსატანად, რა დროც უნდა ყოფილიყო. ბავშვი იყო, ღამე ტყეში წასვლა საშინელ შიშს ჰგვრიდა, ამიტომ სულ იმის ფიქრში იყო, სახლში წყალი არ დაჰკლებოდათ.

კარგი დარი იდგა 1823 წ. შობას. თბილად შემოიპარა ზამთარი, ჯერ არც ყინვა ყოფილიყო, არც თოვლი. პარიზიდან მოსულმა ოინბაზებმა ნებართვა მიიღეს მერისგან, შუა სოფელში აეშენებინათ თავიანთი ფარდულები. ასევე მოიქცნენ მგზავრი ვაჭრები და ეკლესიის მოედანზე ააგეს ფარდულები ბულანჟეს ქუჩამდე. ისე, რომ დაუმეზობლდნენ ტენარდიეს დუქანს. ხალხით სავსე იყო დუქნები და ამხიარულებდნენ მიყრუებულ სოფელს. რომ არაფერი გამოვაკლოთ ისტორიულ სიმართლეს, იმასაც მოგახსენებთ, რომ მოედანზე მოგროვილ სანახაობებში, ერთი

სამხეცე იყო, სადაც ძონძებით მოსილი, საიდანღაც მოსული ჯამბაზები აჩვენებდნენ მონფერმეილელებს ერთ საშინელ ბრაზილიურ ქორს, საინტერესოს იმით, რომ ჩვენმა სამეფო მუზეუმმა ამ ჯიშის ქორი მხოლოდ 1845 წ. შეიძინა. მას თვალი სამფეროვან კოკარდს მიუგავს. ბუნებისმეტყველნი მგონი Caracara Polyborus-ს - კარაკარა პოლიბორუსს უწოდებდნენ. ნაპოლეონის ჯარისკაცები იყვნენ სოფელში და აღტაცებით სინჯავდნენ ქორს. ოინბაზებიც ითვიცებოდნენ - ეს სამფეროვანი თვალი სხვაგან არსად მოიპოვება ბუნებაში და ჩვენი სამხეცესთვის გაუჩენია ჩვენს მოწყალე ღმერთსო.

შობის ღამეს რამდენიმე კაცი, - მეეტლეები და მეწვრილმანეები, - შემოსხდომოდნენ ოთხი-ხუთი შანდლით გაჩაღებულ მაგიდას ტენარდიების დუქანში და სვამდნენ. ეს დუქანიც ისეთივე იყო, როგორც სხვა დუქნები; პატარა მაგიდები, თუნუქის სასმისები, მსმელები, ყაყანი და კვამლი; ძალიან ცოტა სინათლე და ძალიან დიდი ხმაური. იმ დროის, 1823 წლის მაჩვენებლად ორი საგანი იდო ერთ მაგიდაზე, რომლებიც მოდის მიხედვით უთუოდ უნდა ყოფილიყო ბურჟუას სახლში, - კალეიდოსკოპი და თეთრი თუნუქის ლამპა. ტენარდიეს ცოლი ვახშმისთვის იქვე ხორცს წვავდა, ქმარი თავის მუშტართან სვამდა და პოლიტიკაზე ლაპარაკობდა.

პოლიტიკური ბაასის საგანი იყო ესპანეთის ომი და ჰერცოგი ანგულემი, მაგრამ გარდა ამისა, სხვაც ისმოდა იმ ყაყანში.

- ღვინის ძალიან დიდი მოსავალი იყო ნანტენში და სურესნში; ვისაც ათი კასრის ვარაუდი ჰქონდა, თორმეტიც გამოუვიდა, ტკბილად იქცა ჭაჭაც და კურკაც.

- და განა ასე ძალიან მწიფდება იქ ყურძენი?

- არც აცლიან, რომ ძალიან დამწიფდეს. თუ მწიფე დაწურეს, გასქელდება ღვინო, როგორც კი გაზაფხულდება.

- მაშ თხელი ღვინო დადგება.

- უფრო თხელი, ვიდრე ჩვენი ღვინო, სულ მწვანეს სწურავენ და სხვ. ან კიდევ მეწისქვილე მოსთქვამდა:

- მე რა ვიცი, რა ყრია ტომარაში, იქნებ გინდათ, რომ მეწისქვილემ გაარჩიოს ხორბალი. რასაც მოგვიტანენ დასაფქვავად, ჩვენც იმას დავფქვავთ. პურში ღვარძლი ურევია, მახობელი, უგრეხელი, კანაფი, თაგვის ყანა და ათასი კიდევ სხვა, ან კიდევ კენჭები. ჩვენი რა საქმეა. კენჭებით სავსეა ბრეტონული პური, ჭირივით მეჯავრება ბრეტონული საფქვავი, როგორც მხერხავს ლურსმნიანი ბოძი, დასახერხად რომ მოუტანენ. ნაგვით სავსე ჭირნახული მოაქვთ დასაფქვავად და ჩვენ გვემდურიან, რომ ცუდი ფქვილი გამოვიდა. მერე და რა ჩვენი ბრალია?

ორ ფანჯარას შორის მთიბავი და მემამულე ისხდნენ და გაზაფხულის სათიბზე საუბრობდნენ.

- რა უჭირს, რომ სველია ბალახი? - ამბობდა მთიბავი, - უფრო კარგად ითიბება, ნამი რომ მოხვდება ბალახს, მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, ბატონო, ძალიან ძნელი სათიბია თქვენი ფერდობები. მეტისმეტად ნაზი ბალახი იცის და წვება, ცელი რომ მოხვდება და სხვ.

კოზეტი თავის ჩვეულ ადგილზე იყო. სამზარეულო მაგიდის კადონზე იჯდა ბუხართან. დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა და შიშველი ფეხები ხის ქოშებში ჰქონდა წაყრილი. წინდას ქსოვდა ტენარდიეს გოგოსთვის. კატის კნუტი თამაშობდა სკამქვეშ. მეორე ოთახიდან ბავშვების, ეპონინის და აზელმას, მხიარული სიცილი ისმოდა.

ბუხრის კუნჭულში მათრახი ეკიდა ლურსმანზე.

ხანდახან ბავშვის ყვირილი მწარედ არღვევდა დუქნის ხმაურს - პატარა ბიჭის ხმა იყო, ტენარდიეს შვილისა. - მეც არ ვიცი, როგორ მეყოლა ის საძაგელიო, - იძახდა დედა, - სიცივემ თუ გამიჩინაო. სამი წლის იყო ბავშვი. დედა აწოვებდა, მაგრამ არ უყვარდა. როდესაც ძალიან შეაწუხებდათ ბავშვის ჩხავილი, - ბიჭი გიტირისო, - ეუბნებოდა ტენარდიე თავის ცოლს, - მიდი, ნახე, იქნებ რა უნდა, - სადა მცალია, - შეუტევდა ცოლი, - თავი მომაბეზრაო, - და განაგრძობდა ტირილს საწყალი ბავშვი, სადღაც სიბნელეში მიგდებული.

## თავი მეორე
## ორი სრული სურათი

ჯერ კარგად არ გაგვიცვნია ტენარდიე. ახლა კი დროა დავაკვირდეთ ამ ცოლ-ქმარს და ყოველმხრივ დავათვალიეროთ.

ქმარს ორმოცდაათი წელი გადაელახა, ცოლი ორმოცის იყო, რაც ორმოცდაათს უდრიდა ქალისთვის. ასე რომ, ამ მხრივ სრული თანასწორობა ჰქონდა ცოლ-ქმარს.

მკითხველს ცოტა რამ მაინც ემახსოვრება ამ აყლაყუდა დედაკაცის: თეთრ-წითელი ქალი იყო, ძალიან ჩასუქებული და თან მოძრავი; იმ ჯურის ველურ ბუმბერაზებს ეკუთვნოდა, რომლებსაც სავაჭრო მოედანზე აჩვენებენ თმაზე მიბმული ქვებით. სახლში ყველაფერს ის აკეთებდა, - ლოგინსაც ალაგებდა, სახლსაც, ჭურჭელსაც, სამზარეულოშიც ის იყო, დუქანშიც, ყველაფერს ასწრებდა ქაჯივით. მსახურად პატარა კოზეტი ჰყავდა, - წრუწუნა თაგვი - სპილოს მსახურად. ყველაფერი ცახცახებდა იმის ხმაზე: ფანჯრის შუშები, ოთახის დგამი და ადამიანი. ფართო, დაჭორფლილი პირისახე საწურს მიუგავდა. ნიკაპზე - წვერი. იდეალი იყო კურტნის მუშისა, ოღონდ დედაკაცის კაბაში იყო გამოწყობილი, დიდებულად იგინებოდა. საკვეხად ჰქონდა, რომ მუშტით ამტვრევდა კაკალს. რომანების კითხვა რომ არ ჰყვარებოდა, რის გამოც კაციჭამია ხანდახან ქალურად იპრანჭებოდა, აზრადაც არავის მოუვიდოდა ეთქვა, - ეს დედაკაცი არისო, - ბუნებას კოხტაპრუწა დაემყნო კუდიანზე, იმის ლაპარაკს რომ გაიგონებდნენ, - ჟანდარმიაო, - იძახდნენ, ღვინოს რომ სვამდა, - ლოთიაო და კოზეტს რომ უჯავრდებოდა, - ჯალათიო. დამშვიდებულს ერთი კბილი გამოუჩნდებოდა ხოლმე პირიდან.

ტენარდიე მორჩილი ტანის კაცი იყო, გამხდარი, ფერმკრთალი. ძვლიანი, სუსტი, ავადმყოფს ჰგავდა, მაგრამ ძალიან კარგად იყო; ამ სიცრუით იწყებოდა მისი ვერაგობა, ყველას უღიმოდა სიფრთხილის გამო, ყველას ზრდილობიანად ექცეოდა, თვით იმ მათხოვარსაც კი, რომლისთვისაც ერთი ლუკმა პური არ ემეტებოდა. თვალი კვერნისა ჰქონდა და იერი მწერლობის მოყვარულისა. მღვდელი დელილის სურათს მოგაგონებდათ. თავი მოსწონდა, რომ მეეტლეებთან სვამდა, მაგრამ მთვრალი კი თავის დღეში არავის უნახავს. ერთი დიდი ჩიბუხი ჰქონდა და სულ პირში ედო. შავი ტანისამოსი ეცვა და ზემოდან განიერი ხალათი. ეგონა, რომ მწერლობის მცოდნე იყო და სწყალობდა მატერიალიზმს. რომ ლაპარაკობდა, თავისი აზრის გასამტკიცებლად ვოლტერის, რეინალის, პარნის და რაც ყველაზე საოცარია, წმ. ავგუსტინეს სახელებს გაიძახოდა. მე „ჩემი სისტემა“ მაქვსო, - ამტკიცებდა. ბოლოს და ბოლოს, გაქნილი გაიძვერა იყო და ვერაგი ფილოსოფოსი. ამ ჯურისაც არის ადამიანი. თავი მოჰქონდა,

- ჯარში ვიყავი, სამშობლოს ვემსახურეო, - ვატერლოოს ბრძოლაში ყოფილიყო ათისთავად მეექვსე თუ მეცხრე რაზმში. - „საზარლად დაჭრილი გენერალი“ დავინახე, წინ დავუდექი, გერმანელების მთელი რაზმი მოვიგერიე და სიკვდილს გადავარჩინე, თუმცა როგორც თაფლს ფუტკარი, ისე დამბზუოდა თავზე ტყვია და ყუმბარაო. ამიტომ იყო მის ბრწყინვალე აბრაზე გენერალი დახატული, რომელიც მას ზურგით გაჰყავდა ბრძოლის ველიდან და ხალხმაც შესაფერისი სახელი დაარქვა დუქანს „ვატერლოოს ბრძოლის ათისთავისა“. ლიბერალი იყო, კლასიკოსი და ბონაპარტისტი. ობლების თავშესაფრის ასაგებად მანაც გაიღო თავისი წვლილი. სოფელში ამბობდნენ, - სასწავლებელში იყო, მღვდლობა უნდოდაო.

ჩვენ გვგონია, რომ, თუ რამეს სწავლობდა ჰოლანდიაში, ეს დუქნის გაძღოლა იყო. ეს მაღალხარისხოვანი არამზადა ფლამანდელი უნდა ყოფილიყო, ფრანგი პარიზში, ბელგიელი ბრიუსელში, ცალი ფეხი ბელგიაში ედგა, ცალი - საფრანგეთში. როგორი გმირი იყო ვატერლოოსი, ეგ ვიცით. ისიც დავინახეთ, რომ ამლაშებდა, როდესაც თავის საქციელზე ყვებოდა. მოქცევა და უკუქცევა, ბრაგებით სავსე მდინარე, ჯიბისთვის სასარგებლო თავგადასავალი - ეს იყო ნიადაგი იმისი სიცოცხლისა. სინდისის წარყვნას მოსდევს ცხოვრების გახრწნილება და ცხადი არის, 1815 წლის 18 ივნისსაც იმ ქურდ მიკიტნებში ეწერებოდა ტენარდიე, რომლებიც უკვე დავახასიათეთ. ისიც იმათთან დაწანწალებდა, აქ იპარავდა, იქ ჰყიდდა მოპარულს და მთელი ოჯახით მისდევდა მაჩანჩალად ლაშქარს ცოლ-შვილით რაღაც დანჯღრეული ფურგონით და თავისი ალღოს იმედით, რომ ვინც გაიმარჯვებდა, ისიც იმისკენ წავიდოდა. გადაიარა ეს ომიანობა, quibus-ი იშოვა, - ეს განათლების დამამტკიცებელი სიტყვა გახლავთ, - მდაბიურად რომ ვთქვათ, ფული იშოვა, მონფერმეილში მოვიდა და დუქანი გახსნა.

ეს კვიბუსი - ქისები იყო, საათები, ოქროს ბეჭდები და ვერცხლის ჯვრები მკვდრებით დაფარული ვატერლოოს ბრძოლის ყანაში მომკილი, ბევრს არაფერს წარმოადგენდა და არც ძალიან დიდი იყო მისი ვაჭრობა.

რაღაც ჰქონდა ტენარდიეს ისეთი თავის მოძრაობაში, რომელიც გინებასთან ერთად ჯარისკაცს მოგაგონებდა და პირჯვრის წერასთან ერთად - სემინარიელს. კარგი მოლაპარაკე კაცი იყო, მეცნიერად მოჰქონდა თავი. მიუხედავად ამისა, სკოლის მასწავლებელმა შენიშნა, რომ ხშირად მოსდიოდა ენის მხრივ შეცდომები. თავის მუშტარს დიდი სიფრთხილით უწერდა ანგარიშს, მაგრამ რომ დაჰკვირვებოდა კაცი, მართლწერის შეცდომასაც ბევრს იპოვიდა. დაღვრემილი კაცი იყო, ავმუცელა, მაწანწალა და მოხერხებული. თუ მსახურს აიყვანდა, გოგოს საყვარლად გაიხდიდა. ამიტომ იყო, რომ მისი ცოლი გოგოებს ახლოს აღარ იკარებდა. ძალიან ეჭვიანი იყო ეს გოლიათი ქალი დარწმუნებული, რომ ქალებს, ყველას უკლებლად, თვალი რჩებოდათ იმის პატარა, ჩამომხმარ, გაყვითლებულ მეუღლეზე. ცბიერი იყო ტენარდიე, ყოველთვის ფრთხილი და ამით თავშეკავებულ ბოროტს ჰგავდა. ეს უარესია, რადგან ვერაგობას და ბოროტებას პირმოთნეობაც ემატება.

თავშეკავებული იყო, მაგრამ გაბრაზება იმანაც არა ნაკლები იცოდა, ვიდრე მისმა ცოლმა. იშვიათად მოუვიდოდა ხოლმე, მაგრამ ვაი იმის ბრალი, ვინც იმას გააბრაზებდა! საშინელი რამ იყო გაბრაზებული, გაცოფებული, მთელ კაცობრიობას ლანძღავდა, რადგან უსაზღვრო სიძულვილი ჰქონდა გულში. თუ გაჯავრდებოდა, თავის დღეში არ დაივიწყებდა ამის მიზეზს და სულ იმას ცდილობდა, ერთთავად გადაეხადა და შური ეძია. თავზე რომ ვისიმე ბანიდან კენჭი დასცემოდა, მთელ

სოფელს აიკლებდა, რომ შესძლებოდა; წაუხდებოდა რამე, მთელ ქვეყანას ამტყუნებდა, გაჭირვებას ნახავდა რასმე - უფულობას, ვაჭრობაში ზარალს, გაკოტრებას, ცხოვრების უჯიათობას, უცბად აემღვრეოდა გულის ნაღველი და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, პირიდან ცოფს. ვაი მას, ვისზედაც იმ დროს ის ჯავრს ამოიყრიდა!

ამ თვისებებთან ერთად დაკვირვება იცოდა, შორსჭვრეტა და დუმილი, ან ყბედობა, გარემოებათა მიხედვით. რაღაც ჰქონდა თვალში მეზღვაურისა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, თვალს ჭუტავს, ჭოგრს რომ მიიტანს თვალთან. ტენარდიე სახელმწიფო კაცი იყო.

ვინც პირველად შევიდოდა დუქანში და დაინახავდა ტენარდიეს ცოლს, მაშინვე იტყოდა, - აი, იქაურობის ბატონ-პატრონიო, - ცდებოდა! ცოლი არც ქალბატონი იყო და არც ბატონი. ბატონიც თვითონ იყო ტენარდიე და ქალბატონიც. ქმარი ქმნიდა, ცოლი აკეთებდა. ქმარი განაგებდა ყველაფერს, რაღაც მაგნიტური, უხილავი ზეგავლენით. ერთი სიტყვა კმაროდა, ხშირად ნიშანი, და მასტოდონტიც ემორჩილებოდა. ემორჩილებოდა, როგორც რაღაც განკერძოებულ უმაღლეს არსებას, თუმც ვერც გრძნობდა ამას და ვერც წარმოიდგენდა, რომ ასე იქცეოდა. თავისი ღირსებაც ჰქონდა იმ დედაკაცს: რამე უთანხმოება რომ მოსვლოდა „ბატონ ტენარდიესთან“, - რაც მეტად იშვიათი შემთხვევა იყო, - თავის დღეში არ გაამტყუნებდა სახალხოდ თავის ქმარს. უცხოს დასანახად არასოდეს დაუშვებდა იმ შეცდომას, რომელიც ასე ხშირად მოსდით ქალებს და რომელსაც საპარლამენტო ენაზე „გვირგვინის მოხსნა“ ჰქვია. თუმცა მათი ერთსულოვნებიდან ავის მეტი არაფერი გამოდიოდა, მაინც თაყვანს სცემდა ცოლი თავის ქმარს. ამ ჩია მტარვალის თითის აწევა კმაროდა, რომ წამოვარდნილიყო ეს მთა ხმაურობისა და მსუქანი ხორცისა. სასაცილო მხრიდან რომ განვსაჯოთ, აქაც დიდებულ, საყოველთაო ჭეშმარიტებას დავინახავთ, თაყვანს სცემს ნივთიერება აზროვნებას, რადგან ზოგ სისაძაგლესაც აქვს არსებობის უფლება თვით მარადიული სილამაზის წიაღშიც კი. რაღაც მიუწვდომელი ჰქონდა ტენარდიეს და ამიტომ მბრძანებლობდა თავის ცოლზე. ზოგჯერ ისე შესცქეროდა ცოლი თავის ქმარს, როგორც ანთებულ ლამპარს და ზოგჯერ კარგადაც გრძნობდა მის ბრჭყალებს.

საშინელი ქმნილება იყო ეს დედაკაცი, რომელსაც თავისი შვილების გარდა არავინ უყვარდა და თავისი ტენარდიეს გარდა არავისი ეშინოდა. დედა იყო, რადგან ძუძუმწოვართ ეკუთვნოდა, მაგრამ დედობრივი გრძნობა მარტო გოგონებისთვის ჰქონდა და, როგორც ვნახეთ, ბიჭზე არ ვრცელდებოდა.

თვითონ ტენარდიეს ერთადერთი რამ აწუხებდა: გამდიდრების სურვილი.

გამდიდრებას კი ვერ ახერხებდა. ღირსეული ასპარეზი აკლდა ამ დიდებულ ნიჭს. მონფერმეილში იღუპებოდა ტენარდიე, თუ შესაძლებელია ნულის დაღუპვა. შვეიცარიაში ან პირინეის მთებში მილიონს შეიძენდა, მაგრამ - საცა მიაგდებს ბედი ვირს, ბალახსაც იქ მოიძოვსო.

სწორედ 1823 წელს, ათას ხუთასი ფრანკი ვალი დაედო, მოკლევადიანი და ეს უფრთხობდა მოსვენებას.

ბედი არ სწყალობდა ტენარდიეს. თუმცა ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული მთელი თავისი არსებით და ჩვენი დროისამებრ პურადობა, რაც სათნოებად არის მიჩნეული ბარბაროსულ ხალხებში და სავაჭროდ - განათლებულ ხალხში. ამასთან,

ძალიან უყვარდა ყორეღში ნადირობა და კარგადაც ისროდა. ერთგვარი ცივი სიცილი იცოდა, მშვიდი და ამით იყო საშიში.

თავისი მოძღვრება ჰქონდა მიკიტნური, პროფესიული მცნებები და ცდილობდა თავისი ცოლის ტვინშიც ჩაებეჭდა. ერთხელ ასე არიგებდა ჩუმი ხმით, გაბრაზებული: „მედუქნე მოვალეა ფული გადაახდევინოს მუშტარს ხორცში, ბინაში და მოსვენებაში, სანთელში, ცეცხლში, ჭუჭყიან ზეწარში, მოახლეში, რწყილში და ღიმილშიც. უნდა შეაყენოს მიმავალი, დაუცალოს პატარა ქისა და შეუმსუბუქოს დიდი; პატივისცემით მიიღოს სადმე მიმავალი ოჯახი; ტყავი გააძროს ქმარს, გაფცქვნას ცოლი, გაკრიჭოს ბავშვები; ფასი დაადოს გაღებულ თუ დახურულ ფანჯარას, კარს, სკამს ან ტაბურეტს, სავარძელს, ბალიშს, ერთ კონა ჩალას. უნდა იანგარიშოს რამდენად წაახდენს სარკეს მისი ხმარება და ამასაც ფასი დაადოს. მგზავრს უნდა გადაახდევინოს ყველაფერი, იმ ბუზის ფასიც კი, რომელსაც მისი ძაღლი ყლაპავს“.

ეს ცოლ-ქმარი ვერაგობა და ცოფი იყო ერთად შერთული, ბილწი და საშინელი.

ქმარი ფიქრობდა, გეგმავდა; ცოლს არც მევალეები აწუხებდა, არც დღეევანდელი, არც ხვალინდელი დღე და მუდამ ბრაზობდა სახლის ყოველ წვრილმანზე.

ასეთ ხალხში ჩავარდნილიყო კოზეტი. ცოლ-ქმარს შუაში მოეგდოთ პატარა გოგო და ორივე მხრივ იტანჯებოდა უბედური, როგორც იმ წარსულის ტანჯულნი, რომელთაც ერთსა და იმავე დროს წისქვილის ქვითაც სრესდნენ და მარწუხებითაც გლეჯდნენ. ორივე თავისებურად აწამებდა პატარას. სილა და მუჯლუგუნი ცოლისა იყო, თოვლში ფეხშიშველა სიარული ქმრის.

მიდიოდა, მოდიოდა კოზეტი, რეცხავდა, ხეხავდა, გვიდა, ალაგებდა, გარბოდა დაღლილი, ძლივსღა სუნთქავდა, დგამსა სწევდა, ოფლში იწურებოდა და ერთი ბეწო გოგო აკეთებდა დიდი ადამიანის საქმეს. არავითარი შებრალება; ბრაზიანი ქალბატონი და შხამიანი ბატონი! ობობას აბლაბუდა იყო ტენარდიეს დუქანი, ბუზივით გაბმულიყო შიგ პატარა კოზეტი და კანკალებდა. დაჩაგვრის იდეალი ამ ურთიერთობაში განხორციელებულიყო. პატარა ბუზი დიდ ობობებს შორის.

რას იზამდა საწყალი გოგო? ემორჩილებოდა გაჩუმებული.

ნეტავ რას ფიქრობს ადამიანი, რომელსაც აღარც ღმერთი სწამს და აღარც ადამიანობა, ასე დაჩაგრულ, შიშველ-ტიტველ პატარა არსებას რომ უყურებს?

## თავი მესამე
## მუშტარს - ღვინო, ცხენებს - წყალი

ოთხი ახალი მგზავრი კიდევ შევიდა დუქანში.

მწარედ ჩაფიქრებული იჯდა კოზეტი: სულ რვა წლის იყო, მაგრამ იმდენი ტანჯვა და წამება გამოეევლო, რომ მისი სახე ბებერი დედაკაცის მწუხარებას გამოხატავდა.

თვალის უპე ჩაშავებოდა, მუშტი ჩაჰკრა ქალბატონმა და როგორც კი შეხედავდა, მაშინვე წამოიძახებდა, ხედავთ, როგორი გონჯია ჩალურჯებული თვალით!

კოზეტი იმას წუხდა, რომ ძალიან ბნელი ღამე იყო და საჭირო იყო წყლით აევსო ახალმოსულებისთვის დოქები და სურები, სახლში კი წყალი აღარ ჰქონდა.

ცოტათი ამშვიდებდა ის გარემოება, რომ ტენარდიეებთან ძალიან ცოტა წყალს სვამდნენ. წყურვილით ყველას სწყუროდა, მაგრამ ამ წყურვილის მოსაკლავად წითელ ღვინოს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე წყალს. ვინ იქნებოდა სულელი, რომ

იმოდენა ღვინით სავსე სასმისში ერთი ჭიქა წყალი მოეთხოვა. მაგრამ ერთწამს შიშით ათრთოლდა საწყალი. ტენარდიეს ცოლმა ქვაბში ჩაიხედა, რომელიც იქვე დუღდა, ერთი ჭიქა აიღო და სარწყულთან მივიდა, მიატრიალა ონკანი. კოზეტმა წამოიწია და თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას: პატარა ჭავლად გამოვიდა წყალი და ნახევრამდე აივსო ჭიქა.

- ერიჰა, წყალი აღარ გვქონია!

გულისფანცქალით შესცქეროდა კოზეტი.

ის კი ისევ წყალს უყურებდა და წამოიძახა:

- ესეც კმარა, რა დროს წყალია!

ისევ თავის საქმეს შეუდგა კოზეტი, მაგრამ ვერ დამშვიდებულიყო, კარგა ხანი გრძნობდა გულის ფანცქალს.

„ნეტავი დღე იყოს“, - ნატრობდა პატარა და თრთოლა ერეოდა.

გაიხედავდა გარეთ ვინმე მგზავრი და დაიძახებდა:

- ისე ბნელა, ეს ოხერი, თითქოს ჯურღმულში ვიყოთ და არა მიწაზე.

მეორეც იმას იძახდა:

- კატა უნდა იყოს კაცი, რომ უსინათლოდ გარეთ გავიდეს ამ სიბნელეში.

კოზეტს ესმოდა და კანკალებდა.

უცბად ერთი მგზავრი, მეწვრილმანე, შემოვარდა დუქანში და გაჯავრებით მიმართა ტენარდიეს:

- წყალი არ დაგილევინებიათ ჩემი ცხენისთვის!

- როგორ არა, დავალევინეთ, - უპასუხა ტენარდიეს ცოლმა.

- გეუბნებით, არ დაგილევინებიათ!

კოზეტი გამოძვრა მაგიდის ქვეშიდან.

- როგორ არა, ბატონო, დავალევინე, მთელი ვედრო დალია, პირთამდე სავსე. მე თვითონ მივუტანე და ველაპარაკე კიდეც.

მართალი არ იყო, ტყუოდა კოზეტი.

- ამას ხედავთ? მიწას არ ასცილებია და ისე ტყუის, თითქოს გაქნილი კაცი იყოს. გეუბნები, არ დაგილევინებია-მეთქი, შე მატყუარავ, შენა! თუ წყალი არ დალია, ისე უცნაურად ქშინავს, რომ მაშინვე მაცნობებს, - წყალი მწყურიაო.

კოზეტი მაინც არ იშლიდა და აკანკალებული ხმით იფიცებოდა.

- დავალევინე და კარგადაც დალია!

- ჰოდა, კმარა! - შეჰყვირა მეწვრილმანემ, - წყალი დაალევინეთ ჩემს ცხენს.

კოზეტი მაგიდის ქვეშ შეძვრა.

- მართლაცდა, თუკი არ დაგილევინებია, მაშ ახლა დაალევინე, - თქვა ქალბატონმა და კოზეტი რომ ვეღარ დაინახა, შეჰყვირა:

- რა იქნა ის გომბიო, ისა?

მაგიდის ქვეშ, მეორე მხარეს მიკუნტულიყო კოზეტი, თითქმის მსმენელების ფეხებქვეშ.

- აბა, მალე! - შეუტია თავისებურად ქალმა.

გამოძვრა საცოდავი გოგო.

- აბა, ქალო, ძაღლო, უსახელო! წყალი დაალევინე ცხენს.

- წყალი რომ არ გახლავთ ქალბატონო? - დაიკნავლა კოზეტმა.

ქალბატონმა ქუჩაში გამავალი კარი გაუღო.

- წადი და მოიტანე!

თავი ჩაქინდრა კოზეტმა, ცარიელი ვედრო აიღო, ბუხართან რომ იდგა.

ეს ვედრო უფრო დიდი იყო, ვიდრე პატარა გოგო, შიგ რომ ჩამჯდარიყო, თავისუფლად ჩაეტეოდა და მოისვენებდა.

ქალბატონი ისევ თავის ქვაბებს მიუჯდა და თან ბუზღუნებდა.

- წყალი აღარ არისო! აქ თუ არ არის, წყაროზე ხომ არ დამშრალა? წადი და მოიტანე. კინაღამ გასაწური დამრჩა ეს ხახვი.

მერე უჯრაში ჩაყო ხელი, სადაც წვრილი ფული, წიწაკა და ხახვი ეყარა და კოზეტს დაუძახა:

- აჰა, ჯოჯო - გონჯო! გამობრუნებისას ხაბაზთან ერთი დიდი პური იყიდე. აი, ფული, თხუთმეტი სუ არის.

გამოართვა ფული კოზეტმა, ჯიბეში ჩაიდო, ხმა არ ამოუღია.

ცოტა ხანს იდგა ასე ჩაფიქრებული, ხელში ვედრო ეჭირა, ღია კარიდან ღამის სიბნელეს გასცქეროდა. ისე იდგა, თითქოს ელოდა - მოვა ვინმე, მომეშველებაო.

- წაეთრევი თუ არა? - შეჰყვირა ტენარდიეს ცოლმა.

კოზეტი გავიდა. კარი მიუხურეს.

## თავი მეოთხე
## დედოფალას გამოსვლა სცენაზე

მოედნიდან დაწყებული ტენარდიეს დუქნამდე იყო ჩამწკრივებული პატარ-პატარა ფარდულები, სავსე ყოველგვარი სავაჭრო საქონლით, რადგან შუაღამის წირვის მოსასმენად ამ დუქნებისკენ გამოივლიდნენ ბურჟუები. ყველა გაჩაღებული იყო ძაბრივით მოწყობილ ქაღალდში ჩადგმული სანთლებით, რაც, მონფერმეილის სკოლის მასწავლებლის სიტყვისა არ იყოს, დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა სოფლელებისთვის. სამაგიეროდ, ცაზე ერთი ვარსკვლავი არსად ბჟუტავდა.

უკანასკნელი ფარდული სწორედ ტენარდიეს შესასვლელი კარის პირდაპირ იყო მინისა და თეთრი თუნუქის სათამაშოებით გატენილი და ბრწყინავდა თავის ზიზილ-პიპილით. მეწვრილმანეს წინ, თეთრ ხელსახოცებზე დაებრძანებინა ერთი დიდი ვარდისფერკაბიანი დედოფალა, ოქროსფერი ნაწნავები და მინანქრის თვალები რომ ჰქონდა. მთელი დღე იმას შეჰხაროდნენ იქაური ბავშვები, სულ მას შესციცინებდნენ, მაგრამ, არ გამოჩნდა მთელ სოფელში არც ერთი იმდენად გულუხვი დედა, არც ერთი საკმაოდ მდიდარი, რომ ამ დედოფალათი გაეხარებინა თავისი შვილი. ეპონინი და აზელმა საათობით იდგნენ და შეჰყურებდნენ ამ დედოფალას; სიმართლე რომ ვთქვათ, ერთი-ორჯერ კოზეტმაც გაბედა და თვალი შეავლო ამ საკვირველებას.

შეშინებული და შეწუხებული კოზეტი ქუჩაში რომ გამოვიდა, ვედროთი ხელში, თვალში ეცა ლამაზად განათებული და მორთული „ქალბატონი“; ეს სახელი დაარქვა კოზეტმა ამ მშვენიერებას. ყველაფერი დაავიწყა საბრალოს მისმა დანახვამ, ასე ახლოს იგი ჯერ არ ენახა. იდგა და შესცქეროდა განცვიფრებული. დიდებულ სასახლედ ეჩვენებოდა პატარა ფარდული; ეს „ქალბატონი“ სათამაშო დედოფალა კი არა, მოჩვენება იყო, სიხარული, ბრწყინვალება, სიმდიდრე, ბედნიერება, რომელიც ლანდივით ეჩვენებოდა ამ უბედურ პატარა არსებას, ასე ღრმად ჩაფლულს საშინელ და გულცივ გაჭირვებაში. დაღონებული, ბავშვური უმანკო აზროვნებით ზომავდა იმ

უფსკრულს, რომელიც ამ დედოფალასგან აშორებდა; - დედოფალი უნდა იყოს, ან დიდი ბატონიშვილი, რომ ამის ყიდვა შეძლოსო, ფიქრობდა. გაშტერებული შეჰყურებდა სათამაშოს მოხდენილ, მშვენიერ კაბას, კოხტად დავარცხნილ, დაწნულ თმას და იძახდა, - აი, სად ყოფილა ბედნიერებაო. - იდგა. ვეღარ შორდებოდა ამ თვალწარმტაც სურათს, და რაც უფრო მეტად ჩასცქეროდა, მით უფრო იხიბლებოდა. ისე იყო, თითქოს სამოთხეს შესცქეროდა. დიდი დედოფლის უკან სხივებიც ელაგა, რომლებიც ზღაპრულ ფერიებად ეჩვენებოდა.

იდგა ასე გატაცებული, შეჰხაროდა ამ სურათს და აღარც წყალი აგონდებოდა და აღარც პურის ყიდვა. უცბად გულში ეცა ტენარდიეს ცოლის უკმეხი ხმა და მოაგონა თავისი ჯოჯოხეთი.

- მანდ რას აკეთებ, შე მაჯლაჯუნავ, მოიცადე, მოვიდე! მე გიჩვენებ! არა, რას დგახარ, შე!..

კარი გაეღო, გარეთ გამოეხედა და დაენახა კოზეტი.

პატარა გოგომ ხელი დაავლო ვედროს და გიჟივით გაიქცა.

## თავი მეხუთე
## გოგონა მარტოდმარტო

ტენარდიეს დუქანი საყდრის ახლოს იყო და წყაროზე კოზეტი შელისკენ უნდა წასულიყო. აღარც კი შეხედა ფარდულებს, ისე გარბოდა, მანამ ბულანჟეს ქუჩაზე იყო და საყდრის ახლო, სინათლე გამოდიოდა ფარდულებიდან და გზაც ჩანდა, მაგრამ მალე გასცდა უკანასკნელ განათებულ ფარდულს და ბნელში გაეხვია. ეშინოდა და გულის გასამაგრებლად რაც შეიძლება მეტად აჟღარუნებდა თავის ვედროს. ამხანაგივით ამხნევებდა ეს ხმაური და უქარვებდა მარტოობის შიშს.

მირბოდა და უფრო და უფრო ბნელში შედიოდა, აღარავინ იყო გზაში. მერე ერთი დედაკაცი შეხვდა. კოზეტი რომ დაინახა, სირბილით მიმავალი, დადგა, შიში მოერია, - ამ დროს პატარა ბავშვს ვინ გამოუშვებდაო? - და გადაწყვიტა, - ეს ალი იქნებაო, - მაგრამ კოზეტი რომ მიუახლოვდა, იცნო და ამოიოხრა - ეს ტოროლა ყოფილაო.

გაირბინა გოგომ ბნელი ქუჩები, სხვა არავინ შეხვედრია და შელის მხრივ სოფლის ბოლოში გავიდა. მანამ სახლებშუა მიდიოდა, ან ორივე მხრივ ღობეებშუა, ეშინოდა, მაგრამ მაინც გაბედულად მიაბიჯებდა. ხანდახან დახურული დარაბების ნახვრეტიდან სინათლეს დაინახავდა ხოლმე, მაშ ჯერ სოფელში იყო, არაუშავდარა, მაგრამ სოფელს რომ გასცდა, სირბილსაც უკლო და ნაბიჯიც შეამცირა თავისდა უნებურად; ცოტა ხნის შემდეგ სულაც გაჩერდა. ძალიან ძნელი იყო ამ უდაბურში გასვლა, შეუძლებელი. ვედრო ძირს დადგა, ხელები თმაში ჩაიყო და თავის ფხანა დაიწყო. შიში მორეოდა და არ იცოდა, წინ წასულიყო თუ უკან დაბრუნებულიყო. უუკვე მინდორში იყო. შავი წყვდიადით მოფენილიყო იქაურობა. გულგახეთქილი შეჰყურებდა სიბნელეს. იცოდა, რომ მარტოდმარტო იყო და ტყის ნადირის და ავი სულის მეტი იქ არავინ იქნებოდა. შიშს ლანდი მოჰყვა და ტყის ნადირის ფეხის ხმა მოესმა. მაჯლაჯუნა დაინახა ხის ტოტებშუა და თითქოს იმ შიშმა და მოჩვენებამ მოიყვანა გონებაზეო, აიღო ვედრო და სოფლისკენ გამობრუნდა; თან გულს იმაგრებდა;

- „ვეტყვი, რომ წყარო დაწყვეტილი დამხვდა“.

მაგრამ ჯერ ათი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ ისევ გაჩერდა და თავის ფხანა დაიწყო. ახლა თვით ტენარდიეს ცოლი მოეჩვენა, ქალბატონი მაჯლაჯუნაზე არა ნაკლებ საშინელი თავის დაღრენილ, ათთრის პირით და ცეცხლივით ანთებული ცოფიანი თვალით. საცოდავად გაიხედა საწყალმა გოგომ წყაროსკენ, მერე სოფლისკენ. რა ქნას? საით წავიდეს? სოფელში გააფთრებული ქალბატონი, წყაროზე - ყოველგვარი ქაჯი და ეშმაკი, ბნელი ცა და ტყის ნადირი. ქალბატონი უფრო საშიში იყო და ისევ წყაროსკენ წავიდა. სირბილით შევარდა ტყეში, აღარც რამ ესმოდა, აღარც რაიმეს ხედავდა. სირბილს არ უკლო, სანამ სუნთქვა არ შეეკრა და მაინც არსად გაჩერდა. თავგანწირული მირბოდა.

მირბოდა და ტირილი უნდოდა.

აღარც ფიქრობდა, აღარც ხედავდა რამეს. ერთი მხრივ - მთელი წყვდიადი, მეორე მხრივ - ერთი ატომი.

შვიდი-რვა წუთის სავალი იყო ტყის ბილიკით წყარომდე. დღეში რამდენჯერმე გაუვლია კოზეტს ეს ბილიკი და იქნებ ამით აიხსნება, რომ გზა არ დაკარგა. შეშინებულს ალღო მაინც შერჩენოდა და ის მიუძღვოდა. მიდიოდა, არც აქეთ იყურებოდა, არც იქით, რომ არაფერი დაენახა ხის ტოტებში და ბუჩქებში, და წყაროსთან მივიდა.

პატარა აუზი იყო, ერთი მეტრი სიღრმის, ბუნებრივი, წყლის მიერ ამოთხრილი თიხოვან მიწაში. გარს ხავსი შემოვლებოდა და მაღალი ღვარჭნილი ბალახი, ანრი მეოთხის საყელოს რომ ეძახიან. პატარა წყარო გამოდიოდა აუზიდან ჩხრიალით.

არც კი ამოუსუნთქავს კოზეტს. ძალიან ბნელოდა, მაგრამ ხელი მისჩვეოდა ამ წყაროს. მარცხენა ხელით ადვილად იპოვა ნორჩი მუხა, რომელზეც დაეკიდებოდა ხოლმე ყოველთვის; ზედ დაეკიდა, ვედრო ჩაუშვა წყალში. ისეთი შიშის ზარი დასცემოდა, რომ ერთი-ათად მომატებოდა ძალა, - მალე დავაღწიო აქაურობას თავიო. ასე დახრილი რომ იყო, ვერ შენიშნა, რომ ჯიბიდან ამოუვარდა პურის საყიდლად წამოღებული ფული და წყალში ჩაუვარდა, ვერ გაიგონა ფულის ჩავარდნის ხმა და ვერც დაინახავდა იმ სიბნელეში. ამოიღო თითქმის სავსე ვედრო და ბალახზე დადგა.

ახლაღა იგრძნო, რომ ძალიან დაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა. უნდოდა, მაშინვე წასულიყო შინისკენ, მაგრამ ისე გაუძნელდა სავსე ვედროს ამოღება, რომ ამ სიმძიმით ფეხსაც ვეღარ გადადგამდა. იძულებული იყო ცოტა ხანს მაინც დაესვენა. ბალახზე დაეშვა.

თვალი დახუჭა, მერე ისევ გაახილა, თვითონაც არ იცოდა, რად ან რისთვის? მარტო ის იცოდა, რომ თვალი თავისით დახუჭვოდა.

ცას სქელი ღრუბელი აფარებოდა, კვამლივით შავი, წყვდიადის საზარელი ნიღაბი დასწოლოდა პატარა გოგოს.

მუშთარი ჩადიოდა შორეულ გზაზე. გაშტერებული თვალით შესცქეროდა ამ დიდ ვარსკვლავს, რომელიც ჯერ არსად ენახა და მით უფრო აშინებდა. ცთომილი ვარსკვლავი ჰორიზონტზე იყო და სქელ ნისლს სჭრიდა. მეწამული ფერის ნისლი დიდად აჩენდა ვარსკვლავს და ცეცხლოვან ჭრილობას ამსგავსებდა. ველიდან ცივი ქარი ქროდა. ჩამობნელებულიყო ტყე, არ ისმოდა ფოთლების შრიალი, არც ის ანაბზენი ჩანდა, ზაფხულს რომ ახასიათებს. გაშვერილი დიდრონი ტოტები ირხეოდა, იზნიქებოდა უგვანო ბუჩქნარი. მაღალი ბალახი გველივით იკლაკნებოდა, კვრინჩხი

ტოტებს შლიდა, თითქოს ბრჭყალებიანი გრძელი ხელი ყოფილიყოს ნადავლის მისაწვდომად. გამხმარი ჩადუნა აეტაცა ქარს და ისე მიაქანებდა, თითქოს მდევარი მისდევს უკან და იმას გაურბისო. საშიში იყო ყველაფერი და საიმედო კი - არაფერი.

თავბრუდამხვევია ეს სიბნელე. ადამიანს სინათლე უნდა. ვინც ბნელში შევა, გული შეეკუმშება და შეწუხდება. თვალი რომ ბნელს შესცქერის - გონება ირევა. მზის ან მთვარის დაბნელებაში, ღამის ჭვარტლისფერ გაუმჭვირვალობაში არის საშიშროება. ძალიან გულმაგარიც რომ იყოს, ტყეში ვერავინ გაივლის ღამით მარტო ისე, რომ კანკალი არ მოერიოს. მოულოდნელობას გვიქადის წყვდიადი და ბუჩქნარი. ქიმერული სინამდვილე გველანდება თვალით მიუწვდომელ სივრცეში, წარმოუდგენელი ჩნდება ჩვენ გვერდით, რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე მოჩვენების სიცხადით. რაღაც ბუნდოვანი და შეუპყრობელი დაციალებს ჩვენ თვალწინ ან იქნება ჩვენს გონებაში, როგორც მიძინებული ყვავილების ოცნება. რაღაც ისახება საშინელი ჰორიზონტზე და შავი წყვდიადის უსაზღვრო ორთქლს სუნთქავს. გინდათ, მაგრამ შიშით უკან ვეღარ მიგიხედავთ. სრულიად უძლური ხართ ღამის სიბნელით დაბურულ ტყეში, მიყუჩებულ ლანდებში, რომლებიც მყისვე ქრებიან, თუ მიუახლოვდით, ბნელ, აბურძგვნილ მოჩვენებაში, დიდრონი ხეების ტოტებში, მოლურჯო გუბეებში, სამარისებური დუმილის უსაზღვროებაში, უცნობ არსებათა ბუნაგში, ხის ტოტების საიდუმლო რხევაში, სრულიად უძლური ხართ და უიმედო. ძალიან გამბედავიც რომ იყოს კაცი, არ შეიძლება არ ათრთოლდეს და არ იგრძნოს შიშის სიახლოვე. საშინელ მდგომარეობაშია კაცი, თითქოს ბნელით დაჰფარვოდეს სული. სიბნელით აღძრული შიში საშინელზე საშინელია ბავშვისთვის.

აპოკალიპსივით შეუცნობელი არის ტყე და პატარა ბავშვის გულისფანცქალი ისევე სუსტად ქრება იქ, როგორც სულთმობრძავის კვნესა.

არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რას განიცდიდა, მაგრამ ამ სიბნელის და უდაბური ტყის საზარელ შიშს აეტანა, შიში კი არა, შიშზე უფრო საშინელი მორეოდა და კანკალებდა. სიტყვით ვერ გამოვთქვამთ, რა ჰქონდა ისეთი მძლავრი იმ კანკალს, რომ გულის ძირამდე ყინავდა საწყალს და საზარლად აცახცახებდა. თვალი შეშლილის ჰქონდა და იმას ფიქრობდა, ხვალ ამ დროს რომ გამოეგზავნათ წყალზე, ხვალაც წამოვიდოდა უბედური.

მერე თითქოს გონებაზე მოიყვანა თავისმა ალღომ, რომ თავი დაეღწია როგორმე ამ აუტანელი მდგომარეობისთვის, ხმამაღლა დაიწყო თვლა, - ერთი, ორი, სამი, ოთხი, - ათამდე და, როცა გაათავა, ხელმეორედ დაიწყო. მართლა გონს მოვიდა. მოაგონდა სად იყო და რისთვის. ხელები დასველებოდა წყალს რომ იღებდა და მხოლოდ ახლა იგრძნო სიცივე. წამოდგა. ისევ ბუნებრივმა და მისთვის დაუძლეველმა შიშმა მოიცვა. ერთი ფიქრიღა ჰქონდა, ერთი სურვილი, - სირბილით მოშორებოდა ამ ტყეს და მერე მინდორს, საჩქაროდ შესულიყო სოფელში, რომ ადამიანის სახლი დაენახა და სინათლე. ფეხი წამოჰკრა ვედროს, მის წინ რომ იდგა. ისე იყო ტენარდიეს ცოლისაგან დაშინებული, რომ ცარიელი ხელით დაბრუნება ვერ გაბედა. წყლისთვის გამოგზავნა ქალბატონმა. ორივე ხელი დაავლო ვედროს და გაჭირვებით ასწია.

ათი-თორმეტი ნაბიჯი გაიარა ასე, მაგრამ მეტად სავსე იყო ვედრო, მეტად მძიმე და იძულებული გახდა ძირს დაედგა, ამოისუნთქა, დასწვდა და ისევ აიღო, ახლა ცოტა მეტი გაიარა, მაგრამ დადგომა და დასვენება მაინც დასჭირდა. ბებერი დედაკაცივით მიდიოდა, წელში მოხრილი, თავდახრილი, წყლის სიმძიმე უძაბავდა და უჭიმავდა

ჩამომხმარ ხელებს. ვედროს რკინის ტარიც სველი იყო და ის უფრო უყინავდა გაციებულ სველ ხელებს. ხანდახან ერთ წამს გაჩერდებოდა, რომ სული მოეთქვა. დადგმისას ცივი წყალი გადმოდიოდა და შიშველ ფეხს უსველებდა. ტყეში იყო პატარა გოგო, ღამე, ზამთარში, ადამიანებისგან მოშორებით. რვა წლის იყო პატარა და მხოლოდ ღმერთი ხედავდა ამ სავალალო სურათს, ღმერთი ხედავდა და, უეჭველია, მისი დედაც.

ბევრი რამ არის ჩვენს ცხოვრებაში იმდენად შემაძრწუნებელი, რომ მკვდარსაც კი აუხელს თვალს სამარეში. დაავადებული ხიხინით სუნთქავდა, ცრემლით სავსე ჰქონდა თვალი, მაგრამ ტირილს ვერ ბედავდა, რადგან ქალბატონისა ეშინოდა, მაშინაც კი, როდესაც შორს იყო მისგან. წარმოდგენილი ჰქონდა, რომ სადაც უნდა ყოფილიყო, ტენარდიეს ცოლიც იქ იქნებოდა

დაიღალა გოგო, მეტად მძიმე იყო წყალი და უკლო სიჩქარეს, ცდილობდა დიდხანს არსად გაჩერებულიყო დასასვენებლად, - დაუსვენებლად გაევლო რაც შეიძლება მეტი, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ერთ საათზე ადრე ვერ მიაღწევდა სოფელს. დაიგვიანებდა და უთუოდ სცემდა ქალბატონი. ღამე ტყეში მარტოობის შიშს ახლა ეს მიემატა, - მივალ და მცემენო. დაქანცული იყო და ჯერაც ვერ გასულიყო ტყიდან. ერთ დიდ ნაცნობ წაბლის ხესთან რომ მივიდა, ერთხელ კიდევ გაჩერდა დასასვენებლად. აქ უფრო მეტი ხანი დარჩა, ვიდრე წინათ, რომ კარგად დაესვენა. მერე მოიკრიბა რაც ძალ-ღონე ჰქონდა და, რაც იქნება, იქნებაო, - გაბედულად წავიდა შინისკენ. ეს კი იყო, რომ ვერ შეიკავა თავი ამ პატარა უილაჯო არსებამ და შეჰყვირა: - ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

უცბად იგრძნო, რომ ვედრო აღარ უმძიმებდა ხელს. ვიღაცის ხელმა, დიდმა ხელმა წაართვა ვედრო და ბუმბულივით გააქანა, შეხედა, ერთი დიდი, შავი, მაღალი მიდიოდა იმასთან ერთად ამ ბნელში და წყალიც იმას მიჰქონდა თურმე უკან უხმოდ მოსდევდა ეს კაცი და კოზეტს ვერაფერი გაეგო, სანამ ვედრო არ ჩამოართვა ხმის ამოუღებლად და გვერდით არ ამოუდგა პატარა გოგოს.

რაღაც ალღოთი ვხელმძღვანელობთ, როდესაც შევხვდებით ვისმე, ბავშვს არ შეეშინდება.

## თავი მეექვსე
## რომელიც შეიძლება ამტკიცებდეს ბულატრუელის გონიერებას

სწორედ იმ დღეს, 1823 წლის შობას, შუადღის შემდეგ ერთი კაცი დასეირნობდა კარგა ხანს პარიზში, ლოპიტალის ბულვარის შორეულ ნაწილში. ეტყობოდა, სახლს ეძებდა ქირით და უფრო პატარა, დაბალ სახლებთან ჩერდებოდა სენ-მარსოს უბნის ამ მიყრუებულ კუთხეში.

შემდეგში ვნახავთ, რომ ამ კაცმა მართლაც ერთი ოთახი იქირავა განცალკევებულ სახლში.

თავისი ტანისამოსით და შეხედულებით იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, რომელთაც შეიძლება კეთილშობილი ღატაკი ვუწოდოთ. უკიდურესი სიღარიბე ემჩნეოდა და უკიდურესი სისუფთავე, იშვიათია ასეთი შეხამება, რომელიც შეგნებულ ადამიანში პატივისცემას აღძრავს მეტად ღარიბი, მაგრამ ღირსეული ადამიანისადმი. მრგვალი ქუდი ეხურა, ძალიან ძველი და გახეხილი; ძველი, გახუნებული ყვითელი სერთუკი

ეცვა, - ამ ფერის ტანისამოსი ძალიან მოსწონდათ იმ დროს, - ძველებური, დიდჯიბეებიანი გრძელი ჟილეტი, შავი, მუხლებში ოდნავ გახუნებული შარვალი, შავი შალის წინდები და უხეში ტყავის მაშიები თითბრის აბზინდით, - იტყოდით, ძველებური, არისტოკრატული სახლის მასწავლებელია უცხოეთში გახიზნული და უკან დაბრუნებულიო. სულ მთლად გათეთრებული ჰქონდა თმა, დანაოჭებული შუბლი, გაცრეცილი ტუჩები, სახეზე მწუხარება და მძიმე ცხოვრების დაღი აჩნდა, სამოც წელზე მეტის უნდა ყოფილიყო ერთი შეხედვით, მაგრამ ისე მტკიცედ მიაბიჯებდა, თუმცა აუჩქარებლად, ისეთი ძალ-ღონე იხატებოდა მის ყოველ მოძრაობაში, რომ იტყოდით, - ჯერ ორმოცდაათისაც არ უნდა იყოსო. დანაოჭებული ჰქონდა შუბლი, მაგრამ ისე ლამაზად, რომ თანაგრძნობას აღუძრავდა, ვინც კარგად დააკვირდებოდა. უცნაურად ეკეცებოდა ტუჩი, თითქოს ერთდროულად სისასტიკესაც გამოხატავდა და სათნოებასაც. თვალის სიღრმეში ნაღვლიანი სიმშვიდე ეხატებოდა. მარცხენა ხელში რაღაც ეჭირა ხელსახოცში გამოკრული; მარჯვენა ხელში ჯოხი, სადღაც ღობეში მოჭრილი; კარგად იყო გათლილი და არც ძალიან ავსა ჰგავდა თავისი სიმძიმით; ნუჟრი ჩამოთლილი ჰქონდა და თავზე მარჯნის მაგივრად წითელი ლუქი ჰქონდა გადაკრული. მსხვილ წკეპლას ჰგავდა, მაგრამ გაჭირვებაში სხვა მხრივაც გამოდგებოდა.

იშვიათად დაიარება ხალხი ამ ბულვარზე, განსაკუთრებით ზამთარში. ეს კაცი კი ეტყობოდა თვითონვე ერიდებოდა ხალხს.

იმ ხანად მეფე ლუი მეთვრამეტე თითქმის ყოველდღე დადიოდა შუაზი-ლე-რუაში. ეს სეირნობა ჩვეულებად ჰქონდა ქცეული. ორ საათზე, თითქმის უცვლელად ამ დროს, გამოჩნდებოდნენ ხოლმე მეფის ეტლი და ცხენოსნები და ჭენებით გაივლიდნენ ბულვარს.

ეს იყო საწყალი ხალხის საათი, უბისაც და კედლისაც მთელი უბნისთვის. დაინახავდნენ და გასძახებდნენ ერთმანეთს:

- ორი საათია, ორი. აგერ, მოაჭენებს.

ზოგი გამორბოდა მეფის დასანახად, ზოგი კედელს ეკვროდა, ხუმრობა კი ნუ გგონიათ: მეფე მობრძანდებოდა! არათუ ამ გარეუბანში, შიგ პარიზშიც დიდი ამბავი იყო ყოველთვის მისი გამოჩენა და გავლა, ხანმოკლე იყო ეს გავლა, მაგრამ დიდებული. მეფეს, კუტს და უძლურს, ძალიან უყვარდა სწრაფი ქროლვა, ვინაიდან სიარული არ შეეძლო, სირბილი ენატრებოდა. ეს ხეიბარი ელვას წაჰყვებოდა, ოღონდ კი სწრაფად ევლო. დამშვიდებული მიქროდა თავისი ეტლით, მკაცრი, ხმალამოღებული მხედრებით გარშემორტყმული. მძიმე ეტლი ჰქონდა, მთლად მოვარაყებული, ზედ დახატული შროშანის დიდრონი ტოტებით და დიდი გრიალით დაბრძანდებოდა ისე სწრაფად, რომ თვალს ვერ მოჰკრავდნენ მეფეს. თეთრი აბრეშუმის ბალიშზე ბრძანდებოდა გადასვენებული, პირგანიერი, გაწითლებული, შუბლგაპუდრული, ამაყი; მკაცრი თვალი ჰქონდა, სასტიკი და ცბიერი, განათლებული კაცის ღიმილი; ორი მსხვილი ეპოლეტი სამოქალაქო ტანსაცმელზე, ოქროს ვერძის ორდენი, ჯვარი საპატიო ლეგიონისა, სულიწმინდის ვერცხლის ვარსკვლავი, უზარმაზარი ღიპი და განიერი ლურჯი ლენტი. ეს იყო მეფე. გარეუბანში თავისი თეთრი ბუმბულით დამშვენებული ქუდი ინგლისური მაღალი გეტრებით მორთულ მუხლებზე ედო. ქალაქში რომ შევიდოდა, მაშინვე თავზე დაიდებდა და ხანდახან თავსაც უკრავდა ხალხს. ცივად შეჰყურებდა ხალხს და უფრო ცივად უყურებდა ხალხი

მას. პირველად რომ გამოჩნდა სენ-მარსოს უბანში, ძალიანაც არ მოეწონა ხალხს და ეს პირველი შთაბეჭდილება საგანგებოდ გამოთქვა ერთმა მუშამ:

- ეს ღიპიანია საფრანგეთის მთავრობა?

ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გაივლიდა ხოლმე მეფე და ეს იყო ლოპიტალის ბულვარის ყოველდღიური მოვლენა.

ყვითელსერთუკიანი მოსეირნე არ უნდა ყოფილიყო ამ უბნელი და არც პარიზელი, რადგან მეფის სეირნობის არაფერი იცოდა. მეფის ეტლი რომ გამოჩნდა ორ საათზე და თან კიდევ ვერცხლისსირმიანი, ხმალამოღებული მხედრების მთელი რაზმი, შეკრთა კაცი და თითქოს შიშიც დაეტყო. ქუჩაში არავინ იყო მის გარდა. ერთი კედლის კუთხეს ამოეფარა, მაგრამ ჰერცოგმა დ-აგრემ მაინც მოჰკრა თვალი. დ-აგრე, როგორც ცხენოსანი მხედრების უფროსი, იმ დღეს ეტლში იჯდა, მეფის პირდაპირ და მოახსენა: - აგერ ის კაცი საეჭვო გახლავთ, პოლიციელებმაც, გზას რომ ზვერავენ მეფის გავლის წინ, ყურადღება მიაქციეს და ერთმა პოლიციელმა ბრძანება მიიღო, მსტოვრად გაჰყოლოდა, მაგრამ ისეთ ვიწრო, დაკლაკნილ ქუჩებში შევიდა ეს კაცი, თანაც უკვე ბნელდებოდა, რომ კვალი დაეკარგა პოლიციელს, რაც დასაბუთებულია იმ საღამოსვე, სამეფოს მინისტრის, პოლიციის უფროსის გრაფ ანგლესადმი წარსადგენად შედგენილ მოხსენებაში.

პოლიციელი რომ ჩამოიშორა, ააჩქარა ფეხი, რამდენჯერმე მოიხედა - ხომ არავინ მომდევსო, - ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთზე, ესე იგი, უკვე ბნელში სენ-მარტენის თეატრთან გაიარა: იმ დღეს „ორი კატორღელი“ უნდა წარმოედგინათ. აფიშა თეატრის სანათებში იყო მოქცეული და თვალში ეცა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, მაგრამ გაჩერდა და წაიკითხა. ცოტა ხნის შემდეგ ერთ მიყრუებულ ქუჩაბანდში შევიდა, პლანშედის ქუჩაბანდში და პლად-ეტენის კარი შეაღო, ლანისკენ მიმავალი ეტლების დარბაზში. ხუთის ნახევარზე მიდიოდა ერთი ომნიბუსი, ცხენები უკვე შეებათ, მეეტლე მგზავრებს ეძახდა და ისინიც რკინის კარით ადიოდნენ ომნიბუსის ბანზე.

- გაქვთ კიდევ ადგილი? - ჰკითხა ყვითელსერთუკიანმა.

- ერთადერთი, ჩემს გვერდით, - მიუგო მეეტლემ.

- ეს ჩემთვის იყოს.

- ამოდით.

სანამ ცხენებს გაუჯავრდებოდა, თვალი გადაავლო მეეტლემ ამ კაცის მოძველებულ ტანისამოსს, შენიშნა ბარგის სიმცირე და ადგილის ფასი წინასწარ გამოართვა.

- ლანამდე? - ჰკითხა მეეტლემ.

- დიახ.

ლანამდე მგზავრობის ფასი გადაიხადა.

დაიძრა ეტლი, საბაუოს რომ გასცდნენ, მეეტლემ სცადა თავის თანამგზავრთან ბაასის გაბმა, მაგრამ ვერას გახდა, რადგან „ჰო“ და „არას“ მეტი ვერაფერი ათქმევინა. თავი მიანება, დაიწყო სტვენა და ცხენებს შეუტია.

თბილ წამოსასხამში გაეხვია მეეტლე, საგრძნობლად ციოდა. ჩვენი მგზავრი ჩაფიქრებული იჯდა, გურნეი გაიარეს.

საღამოს ექვსი საათი იყო, შელში რომ შევიდნენ. ცხენების დასასვენებლად მეეტლემ ერთ დუქანთან დააყენა ომნიბუსი. დუქანი ძველი მეფეების დროის ეკლესიის სახლში იყო მოთავსებული.

- ახლა კი ფეხით წავალ, - თქვა მგზავრმა, აიღო თავისი ჯოხი, პატარა ხელბარგი და ჩამოვიდა.

ჩამოვიდა და მაშინვე გაქრა.

დუქანში არ შესულა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ომნიბუსი რომ დაიძრა და ლანისკენ წავიდა, გზაში აღარსად შეხვედრიათ ის კაცი.

მეეტლე მიუბრუნდა ომნიბუსში მსხდომ მგზავრებს და უთხრა:

- აქაური არ არის ეს კაცი, აქ რომ ჩამოხტა, თორემ ჩემი ნაცნობი იქნებოდა. შეხედავთ, იტყვით, ერთი სუ ენატრებაო და გზაში კი ფანტავს ფულს; ფასი ლანამდე გადამიხადა და შელში კი ჩამოხტა. ღამეა, დაკეტილია სახლები, დუქანში კი არ შევიდა, არც სადმე გზაზე ჩანს, მაშ მიწა ხომ არ ჩაყლაპავდა?

მიწამ არ ჩაყლაპა, მაგრამ თვითონვე შეერია იმ სიბნელეს. ჯერ შელისკენ მიმავალ შარაგზას მიჰყვა, მერე მარცხნივ შეუხვია, მონფერმეილისკენ მიმავალ გზაზე, ეტყობოდა, უკვე ნამყოფი იყო ამ ქვეყანაში და იცნობდა აქაურობას.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. განიდან ლანისკენ მიმავალი გზიდან მგზავრების ხმა შემოესმა და მაშინვე ორმოში ჩაიმალა; იქ იყო, ვიდრე სულ არ მიწყდა გამვლელების ხმა. ისე ბნელოდა, რომ სულერთია ვერ დაინახავდნენ ხესაც რომ ამოფარებოდა. ასე რომ, ზედმეტი იყო ეს სიფრთხილე.

აქედან აღმართი იწყებოდა. მონფერმეილისკენ მიმავალ გზას ასცდა, მარჯვნივ წავიდა, მინდორი გადაიარა და ჩქარი ნაბიჯით შევარდა ტყეში.

რაკი ტყეს შეაფარა თავი, ნელა დაიწყო სიარული, ნელი ნაბიჯით მიიწევდა წინ და დაკვირვებით სინჯავდა ყოველ ხეს, თითქოს რაღაცას ეძებს და ცნობილი, საიდუმლო გზით მიდისო. ერთ წამს იდგა განცვიფრებული, გეგონებოდათ გზა დაეკარგა, დიდი წვალების და ძებნის შემდეგ ერთ ველობზე გავიდა. ერთი გროვა დიდრონი მოთეთრო ქვა ეყარა ამ ველობზე. მაშინვე იმ ქვებისკენ წავიდა. ყურადღებით დაუწყო სინჯვა, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო იმ სიბნელეში. ქვის გროვიდან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე დიდი ხე იდგა, მცენარის მეჭეჭის მსგავსი კორძით მოფენილი. ამ ხესთან მივიდა, ხელი ჩამოუსვა მის ქერქს, ცდილობდა დაეთვალა ამ ხის კორძები. ამ კორძიანი იფნის პირდაპირ ერთი დაავადებული წაბლის ხე იდგა, ქერქი სძვრებოდა და თეთრი თუთიის არტახი ჰქონდა შემოვლებული.

მერე რამდენიმე ხანს ფეხით ტკეპნა მიწა წაბლსა და ქვებს შუა, ეტყობოდა ცდილობდა გაეგო, ხომ არსად იყო მიწა ახალი ნათხარი.

ამის შემდეგ ისევ ტყეში შევიდა.

ეს კაცი იყო, კოზეტს რომ შეხვდა.

მონფერმეილისკენ მიდიოდა. დაინახა პატარა ლანდი, რომელიც ძლივსღა იძვროდა დაქანცული. ძირს სდგამდა რაღაცას, მერე ისევ იღებდა და ძლივსღა სძრავდა, მიუახლოვდა, ნახა, რომ პატარა გოგონა იყო, ჯერ ბავშვი და თავისზე დიდ ვედროს დასჭიდებოდა. მივიდა ბავშვთან და ხმის ამოუღებლად ჩამოართვა.

## თავი მეშვიდე

## კოზეტი და უცნობი ერთად ღამის წყვდიადში

კოზეტს არ შეშინებია ამ უცნობის.

კაცმა ლაპარაკი დაუწყო ჩუმი ხმით, დამჯდარი კილოთი.

- ძალიან მძიმე უნდა იყოს შენთვის ეს წყალი, ჰა, შვილო?

შეხედა ბნელში კოზეტმა და უპასუხა:

- დიახ, ბატონო.

- მაშ აქ მომეცი, მე წამოგიღებ.

ხელი გაუშვა კოზეტმა. ერთად გაუდგნენ გზას.

- მართლაც ძალიან მძიმე ყოფილა, - წაიდუდუნა უცნობმა. - მერე ჰკითხა:

- რამდენი წლისა ხარ, გოგონა?

- რვა წლის, ბატონო.

- შორიდან მოდიხარ?

- წყაროზე გახლდით, ტყეში რომ არის.

- მერე შორს მიდიხარ?

- ერთი თხუთმეტი წუთის გზა იქნება.

გაჩუმებული მიჰყვებოდა ერთწამს კაცი. მერე გაჯავრებით ჰკითხა:

- მაშ დედა არ გყავს?

- არ ვიცი, ბატონო.

და ვიდრე კაცი კიდევ ჰკითხავდა რამეს, დაუმატა:

- არა მგონია, რომ მყავდეს. სხვებს ჰყავთ, მე კი არ მყავს.

ჩაფიქრებული მიდიოდა ცოტა ხანს და დაუმატა:

- მე მგონი, რომ დედა ჩემს დღეში არ მყოლია.

გაჩერდა კაცი. ვედრო ძირს დადგა, დაიხარა, ორივე ხელი მხარზე დააადო კოზეტს და დააცქერდა; უნდოდა ბავშვის სახე დაენახა ამ სიბნელეში.

გამხდარი, ჩამომხმარი იდგა მის წინ კოზეტი და ოდნავ ჩანდა მოღრუბლული ცის მკრთალ სინათლეში.

რა გქვია, გოგონა?

- კოზეტი.

შეხტა კაცი, თითქოს დენმა დაუარა. ერთხელ კიდევ დააცქერდა ბავშვს. ხელი გაუშვა. აიტაცა ვედრო და გზას გაუდგა.

ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

- სად დგახარ, გოგონა?

- მონფერმეილში, თუ იცით ეს სოფელი.

- და ახლა იქ მივდივართ?

- დიახ, ბატონო.

კიდევ გაჩუმდა და მერე ისევ კითხვა დაუწყო:

- მერე ვინ გამოგაგზავნა ამ შუაღამისას ტყეში?

- ქალბატონმა ტენარდიემ.

ძალიან ცდილობდა კაცი, გულგრილი კილო მიეცა თავისი ნათქვამისთვის, მაგრამ მაინც აღშფოთებით უკანკალებდა ხმა:

- ვინ არის ეგ შენი ქალბატონი ტენარდიე?

- ბურჟუა გახლავთ, - მიუგო კოზეტმა, - დუქანი აქვს და გომი.

- დუქანი აქვს, - თქვა კაცმა, - ჰოდა, მეც იქით წამოვალ, ამაღამ იქ დავრჩები, აბა, მაშ შენ მოგდევ.

- მობრძანდით, ბატონო.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა კაცი და არც კოზეტი რჩებოდა უკან. აღარ იყო დაღლილი, რადგან სრული სიმშვიდით და გამოუთქმელი ნდობით ახედავდა ხოლმე თავის თანამგზავრს. თავის დღეში არავის ეთქვა ამ ბავშვისთვის, გაჭირვებაში განგებას მიმართე და თავი შეავედრეო, მაგრამ რაღაცას გრძნობდა თავის გულში, რომელიც იმედის და სიხარულის აღმძვრელი იყო.

რამდენიმე წუთი იარეს ჩუმად. მერე კაცმა დაიწყო ისევ:

- მაშ, ქალბატონ ტენარდიეს არავინ ჰყავს მომხმარე?

- არავინ, ბატონო.

- მარტო შენა ხარ?

- დიახ, ბატონო.

პატარა დუმილი ახლა კოზეტმა დაარღვია:

- ისე, ორი პატარა ქალიც ჰყავს.

- ვინ პატარა ქალები?

- ეპონინი და აზელმა.

ასე ამდაბიოებდა კოზეტი ქალბატონ ტენარდიეს გოგონების დიდებულ რომანტიკულ სახელებს.

- ეპონინი და აზელმა ვინღა არიან?

- ქალბატონ ტენარდიეს პატარა ქალბატონები, ასე ვთქვათ, მისი შვილები.

- ისინი რაღას აკეთებენ?

- ოჰ, - ამოიკვნესა კოზეტმა, - ისეთი მშვენიერი დედოფლები ჰყავთ, ისეთი სათამაშოები, სულ ოქროსი და ვერცხლის, თამაშობენ, ერთობიან.

- მთელი დღე თამაშობენ?

- დიახ, ბატონო.

- შენ?

- მე? მე ვმუშაობ...

- მთელ დღეს საქმეში ხარ?

კოზეტს თვალები ცრემლებით აევსო, რაც მის თანამგზავრს შეუმჩნეველი არ დარჩენია იმ სიბნელეში. მერე წყნარად უთხრა:

- დიახ, ბატონო.

პატარა ხანს მიჩუმდა და განუმარტა;

- ხდება ხოლმე ხანდახან, საქმეს რომ გავათავებ და თავს დამანებებენ, ცოტას მეც ვთამაშობ.

- როგორ თამაშობ?

- როგორც მოვახერხებ, ოღონდ თავი დამანებონ, მაგრამ სათამაშოები კი არ მაქვს. ეპონინი და აზელმა ნებას არ მაძლევენ ხელი ვახლო მათ სათამაშოებს. ერთი პატარა ხმალი მაქვს, ტყვიის, ჩემი თითისოდენა და ისიც გატეხილია.

- და არ ჭრის?

- როგორ არა! სალათსაც ჭრის და ბუზის თავებსაც.

სოფელს მიაღწიეს, პატარა, ვიწრო ქუჩებში კოზეტი მიუძღვოდა მგზავრს, ხაბაზის დუქანთან გაიარეს, მაგრამ მთლად დავიწყებოდა კოზეტს, რომ პური უნდა ეყიდა. აღარაფერს ეკითხებოდა კაცი და გაჩუმებული მისდევდა უკან. საყდარს რომ გასცდნენ, გაჩაღებული დუქნები და ფარდულები დაინახა უცნობმა და კოზეტს ჰკითხა:

- აქ რა, ბაზარია?

- არა, ბატონო, ეს იმიტომ, რომ შობაა.

დუქანს რომ მიუახლოვდნენ, კოზეტმა უცნობის ხელს მორიდებით შეახო ხელი და სთხოვა:

- ბატონო...

- რა იყო, გოგონა?

- აგერ, ჩვენსა მივედით.

- მერე რა?

- აქ მიბოძეთ ეს ვედრო.

- რატომ?

- ცემით მომკლავს ქალბატონი, თუ დაინახა, რომ ვინმე დამეხმარა. უცნობმა ვედრო კოზეტს დაუთმო. ცოტა ხანში დუქნის კართან მივიდნენ.

## თავი მერვე

### არ არის სასიამოვნო ღარიბის მიღება, რომელიც შეიძლება მდიდარი აღმოჩნდეს

კოზეტმა თავი ვერ შეიკავა და თვალი შეავლო სათამაშოების ფარდულში გამოდგმულ დედოფალას, მერე კარზე დააკაკუნა. კარი თვითონ ქალბატონმა გაუღო, შანდალი ეჭირა.

- ძლივს, შენა ხარ, უქნარავ? მადლობა ღმერთს, რომ მოგაგონდა შინ დაბრუნება! თამაშობდი სადმე განა, უნამუსო!

- ქალბატონო, - მიუგო კანკალით კოზეტმა, - აი, ბინა უნდა ამაღამ ბატონს.

ქალბატონმა მაშინვე შეიცვალა სახე: გაბრაზების მაგივრად საამო ღიმილი გამოეხატა სახეზე, - მარტო მედუქნეს შეუძლია უცბად შეიცვალოს სახის გამომეტყველება, - და თვალით ძებნა დაუწყო ახალ მუშტარს.

- ამ ბატონს? - ჰკითხა კოზეტს.

- დიახ, ქალბატონო, - მიუგო მგზავრმა და ქუდისაკენ წაიღო ხელი.

მდიდარი რომ ყოფილიყო მგზავრი, არც ასე ზრდილი იქნებოდა. მგზავრის ხელის მოძრაობამ, მისი ტანისამოსის და ხელბარგის შემოწმებამ, უცებ შეუცვალა ქალს საამო ღიმილი და ისევ გაბრაზებული იერი მისცა. ცივად მიიპატიჟა:

- მობრძანდით, ძმობილო.

„ძმობილი“ შევიდა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ტენარდიეს ცოლმა, გასინჯა იმისი მთლად გახეხილი სერთუკი და დაჭმუჭნილი ქუდი, მერე თავის ქმარს დაეკითხა: - თავი გაიქნია, ცხვირი აიბზუა, თვალით მიანიშნა. ტენარდიე იქვე მუშტარივით მიმჯდარიყო და ღვინოს შეექცეოდა. ქმარმაც თავისებური ნიშნით უპასუხა: სალოკი თითი აიშვირა და ტუჩი გადმოაბრუნა, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავდა „სულ ღატაკიაო“. მივიდა ქალბატონი მგზავრთან და უთხრა;

- ძალიან ვწუხვარ, ძმობილო, მაგრამ ადგილი აღარ გვაქვს.

- დამაწვინეთ სადმე, - მიუგო მგზავრმა, - სხვენზე ან თავლაში, ოთახის ფასს გადაგიხდით.

- ორ ფრანკს მომცემთ.

- ორი ფრანკი იყოს.

- ძალიან კარგი.

- ორ ფრანკს ართმევთ, როცა ფასი ერთი ფრანკია, - გაკვირვებით მიმართა ერთმა მეეტლემ ტენარდიეს.

- მაგისთვის ორი ფრანკია. ღარიბებს არასოდეს ვაძლევთ ნაკლებად ბინას, - უპასუხა ქალბატონმა.

- მაშ, რა ვქნათ აბა? - დაუმატა ქმარმა, - იცით როგორ უტეხს სახელს ღარიბი ხალხი ამგვარ სასტუმროს?

ამასობაში მგზავრმა სკამზე ჩამოდო თავისი ბოხჩა და ჯოხი, შემდეგ მიუჯდა მაგიდას, სადაც კოზეტმა ერთი ბოთლი ღვინო და სასმისი დადო, მაშინვე სამზარეულოს მაგიდის ქვეშ შეძვრა და საქსოვი აიღო ხელში. იქვე იყო ვაჭარი, რომელიც ჩიოდა ჩემი ცხენისთვის წყალი არ დაგილევნებიათო, გამოართვა ვედრო და თვითონვე წავიდა თავლისკენ ცხენებისთვის წყლის დასალევინებლად.

მგზავრმა დაისხა ღვინო, ოდნავ გაისველა პირი და ახლა პატარა გოგოს დაუწყო თვალიერება უცნაური ყურადღებით.

ლამაზი არ იყო კოზეტი. ბედნიერი რომ ყოფილიყო, იქნებ სილამაზეც ჰქონოდა. ჩვენ ერთხელ უკვე აღვწერეთ ეს ჩამქრალი სახე. კოზეტი მეტად გამხდარი იყო და ფერმიხდილი. რვა წლისა იყო და ექვსი წლისაც არავის ეჩვენებოდა. დიდრონი თვალები ჩრდილში ჰქონდა ჩამალული და თითქმის ჩამქრალი მუდმივი ტირილის გამო. ტუჩების კუთხეები ოდნავ ძირს დაშვებოდა, როგორც განწირულ და უიმედო ავადმყოფს. ხელები, როგორც მისი დედა ფიქრობდა, ყინვისაგან დამძრალი და დამსკდარი ჰქონდა. სინათლე რომ სცემდა, უფრო გარკვევით აჩენდა მის ძვლებს და უფრო საშინელს ხდიდა მის გამხმარ აგებულებას, და რადგან ჯერაც სიცივით კანკალებდა, ჩვეულებისამებრ მუხლი მუხლზე მიეკრა რომ გამთბარიყო. რაღაც ნაფხრეწები ეცვა საბრალოს, რომელიც ზაფხულში საცოდავად ეჩვენებოდა ყველას და ზამთარში საშინელებად. დაფხრეწილი ტილოს ხალათი ეცვა და შალის პატარა ნაჭერსაც ვერ იპოვიდით მის ტანზე. ტიტველი კანი უჩანდა აქა-იქ და ზედ ცხადად ეტყობოდა ჩალურჯებული ან ჩაშავებული ლაქები, სადაც კი მოხვედროდა ტენარდიეს ცოლის ხელი. შიშველი ჰქონდა ფეხები, გამხდარი და გაწითლებული. ისე ჩასწოლოდა კანი ლავიწებთან, რომ სიბრალულს მოჰგვრიდა ადამიანს. ამ ბავშვის მთელი არსება, მისი იერი, მისი მოძრაობა, მისი ხმის ბგერა, მისი შემოხედვა, მისი სიჩუმე, სულ უმცირესი მიმოხვრა მისი, - ერთ რამეს გამოთქვამდა და გამოხატავდა მხოლოდ - შიშს.

შიში მორეოდა მთელ მის არსებას, შიში მოჰფენოდა ყველგან, თუ შეიძლება ამის ასე თქმა. შიში ამალვინებდა ნიდაყვს ნეკნებთან, შიში ამალვინებდა ფეხებს დაფხრეწილ ძონძებქვეშ, შიში ჩასჩიჩინებდა, - ისე იყავი, არსად ჩანდე, ვითომ არც კი ყოფილხარო, - შიში უკრავდა თავისუფალ სუნთქვას, შიში გამხდარიყო მისი ცხოვრების თანამგზავრი და თუ ცვლილება დაეტყობოდა რამე ამ შიშს, ეს იქნებოდა მხოლოდ ზრდა. თვალის კაკლის სიღრმეში ერთი წერტილი უჩანდა და იქ მოთავსებულიყო შიში.

იმდენად დიდი იყო ეს შიში, რომ თუმცა მთლად დასველებული დაბრუნდა საბრალო გოგონა, მაინც ვერ ბედავდა ცეცხლთან მისვლას და გათბობას. გაყინული, გათოშილი დაჯდა მაგიდის ქვეშ და ქსოვა დაიწყო.

ამ რვა წლის ბავშვს ისეთი დაღვრემილი და ხანდახან საზარელი თვალები ჰქონდა, რომ იტყოდით - ეს გოგო ან ბაიყუში გაიზრდება ან ქაჯიო.

არასოდეს არავის ეთქვა ბავშვისთვის, რა არის ლოცვა, არავის შეეყვანა ეკლესიაში.

- მაგისთვის სად მცალია? - ყვიროდა ტენარდიეს ცოლი.

ჩვენი მგზავრი კი თვალს არ აშორებდა კოზეტს.

უცბად უკმეხად შეჰყვირა ქალბატონმა:

- მართლა, პური, შე არ გასაშვებო, შენა?

კოზეტი მაშინვე გამოვარდა მაგიდის ქვეშიდან. ჩვეულებად გადაქცეოდა, ქალბატონის ხმა და კოზეტის წამოვარდნა ერთი იყო.

მთლად დავიწყებოდა პურის ყიდვა და თავის მართლება დაიწყო, როგორც შეშინებულ ბავშვს სჩვევია, იცრუა:

- სახაბაზო დაკეტილი იყო, ქალბატონო.

- მერე ვერ დაუკაკუნებდი?

- დავაკაკუნე.

- მერე?

- არ გამიღეს.

- ხვალ გავიგებ, მართლა ასე იყო თუ არა. მაგრამ თუ სტყუი, ისე აგაჭრელებ, რომ შენს დღეში არ დაგავიწყდეს. ჰო, ფული რა უყავი?

ჯიბეში იკრა კოზეტმა ხელი და საშინლად გაფითრდა. ფული აღარ ჰქონდა.

- გეყურება, გოგო, ფული რა უყავი?

ჯიბე გადმოიბრუნა კოზეტმა, ფული აღარსად იყო. არა, რა მოუვიდა, სად დაეკარგა? გაქვავებულივით იდგა, ხმას ვეღარ იღებდა უბედური პაწია გოგო.

- მაშ დაჰკარგე ჩემი თხუთმეტი სუ? - ღრიალებდა ქალბატონი, - თუ გინდა მომპარო და დაისაკუთრო?

და ხელი გასწია კედელზე ჩამოკიდებული მათრახისკენ.

ამ საშინელმა მოძრაობამ ძალა მისცა პატარა გოგოს და შეჰკივლა:

- შემიბრალეთ, ქალბატონო, მაპატიეთ! აღარ ვიზამ, ჩემს დღეში აღარ ვიზამ!

მათრახი ჩამოიღო ტენარდიეს ცოლმა.

ყვითელსერთუკიანმა მგზავრმა ხელი ჩაიყო ჯიბეში ისე, რომ ეს არავის შეემჩნია, ხალხი ღვინის სმითა და ბანქოს თამაშით იყო გართული და არაფერს აქცევდნენ ყურადღებას.

კოზეტი კი ბუხარს აეკრა კუთხეში და ცდილობდა ისე დამდგარიყო, რომ ტიტველზე არსად მოხვედროდა მათრახი.

ის იყო ხელი ასწია მათრახის დასაკრავად დიასახლისმა, რომ ჩვენმა მგზავრმა მიმართა:

- უკაცრავად, ქალბატონო, ახლა რაღაც ამოუვარდა ამ პატარას ჯიბიდან და აქეთ გამოგორდა, იქნებ ის იყოს. დაიხარა და ძებნა დაიწყო იატაკზე.

- აი, ვიპოვე! - წამოიძახა და წამოდგა.

და ვერცხლის ფული გაუწოდა გაფითრებულ ქალბატონს.

- იქნებ ეს იყოს?

- სწორედ ეს არის, - უპასუხა ქალმა.

სწორედ ის არ იყო, რადგან ეს იყო ვერცხლის ერთი ფრანკი. მაშასადამე, ოცი სუ, მაგრამ გიჟი კი არ იყო, მეტი რომ არ მიეთვისებინა. ფული ჯიბეში ჩაიდო, საშინელი თვალით გადახედა თავის მსხვერპლს და დაემუქრა;

- აბა, მეორედ არ ვნახო ასეთი რამ, გესმის?

კოზეტი მაშინვე თავის სოროში შეძვრა, - ეს სიტყვა მის დიდებულ ქალბატონს ეკუთვნოდა, - და თვალი ვერ მოეშორებინა ამ უცნობი მგზავრისთვის. ახალი, უცნაური გამომეტყველება ემჩნეოდა მის სახეს, რომელიც თავის დღეში არ ჰქონია: ჯერჯერობით ეს იყო მიამიტი, ბავშვური გაკვირვება, რასაც ერთვოდა საოცარი ნდობა ამ კაცისადმი.

- მართლა, ვახშამი გინდათ? - ჰკითხა ჩვენს მგზავრს დიასახლისმა. მან პასუხი არ გასცა. იჯდა თავისთვის ღრმად ჩაფიქრებული.

- მე ამ კაცის ვერაფერი გამიგია, - ბუზღუნებდა ტენარდიეს ცოლი, - ერთი შეხედვით ღარიბ-ღატაკი უნდა იყოს. იმდენიც კი არ აქვს, რომ კარგი ვახშამი ჭამოს. მაშ, ბინის ქირასაც ვერ გადამიხდის. კიდევ კარგი, რომ არ მოგვპარა ძირს ნაპოვნი ფული.

ამ დროს კარი გაიღო და ეპონინი და აზელმა შემოვიდნენ. მართლაც კარგი, ლამაზი გოგონები იყვნენ, უფრო ბურჟუას შვილები, ვიდრე გლეხკაცისა. ერთს წელამდე დაეშვა მსხვილი, წაბლისფერი ნაწნავები, მეორეს - ზურგზე ჰქონდა შავი კულულები. ორივე ცქვიტი, ჩასუქებული, ჯანმრთელი, კარგად მოკაზმულები, ისეთი კარგები იყვნენ, რომ თვალს ახარებდნენ. თბილად ეცვათ, მაგრამ ისე მოერთო დედას, რომ თბილი ტანსაცმელი არ ჰფარავდა გოგონების სიკეკლუცეს; მხედველობაში იყო მიღებული ზამთარი, მაგრამ არც გაზაფხული იყო დავიწყებული. სინათლე შემოიტანეს ამ პატარა გოგონებმა, აქ ისინი იყვნენ ნამდვილი მბრძანებლები, თავიანთი ტანისამოსით, მხიარულებით, ხმაურით, ყველაფერით თავის ბატონობას ამჟღავნებდნენ. რომ შემოვიდნენ, დედამ საყვედურით მიმართა, მაგრამ მის კილოში თაყვანისცემა ისმოდა და არა საყვედური:

- სადა ხართ, სად დაიკარგეთ, თქვე საძაგლებო?ყ

მერე თავისკენ მიიზიდა, ჯერ ერთი ჩაისვა კალთაში, მერე მეორე, თმას უსწორებდა და უხუჭუჭებდა, ბანტებს უკრავდა და იმ ნაზი ხელის კვრით იშორებდა, რომელიც მარტო დედას აქვს თავისი შვილებისადმი. მიუალერსა ორივეს, ალერსით მოიშორა, მერე დაიძახა;

- რა აწწილები არიან, ღმერთო!

გოგონები ცეცხლთან დასხდნენ და პატარა დედოფალათი დაიწყეს თამაში. მუხლებზე დაისვეს, ხან დააწვენდნენ, ხან ააყენებდნენ და თან რაღაცას ჭიკჭიკებდნენ მხიარულად. ხანდახან გაბედავდა ხოლმე კოზეტი, გადახედავდა დედოფალას და მათ თამაშს..

ეპონინი და აზელმა კოზეტს არ უყურებდნენ. კოზეტი ძაღლი იყო მათთვის. ამ სამი ბავშვის ხნიერება ერთად ოცდაათ წელსაც არ უდრიდა და უკვე მკაფიოდ გამოხატავდა ადამიანების მთელ ბუნებას: ერთის მხრივ - შურს, მეორეს მხრივ - ზიზღს.

პატარა გოგონების დედოფალა მთლად გახუნებული იყო, ძველი და გატეხილი, მაგრამ მაინც საკვირველებას წარმოადგენდა კოზეტისთვის, რომელსაც თავის დღეში არ ჰყოლია დედოფალა, „ნამდვილი დედოფალა“, თუ ბავშვებისთვის გასაგებ სიტყვას ვიხმართ.

დიასახლისმა, რომელიც მიდი-მოდიოდა დუქანში, უცბად თვალი შეასწრო, რომ კოზეტი მოთამაშე გოგონებს უყურებდა და ხელსაქმე ძირს დაეშვა.

- აჰა, დაგიჭირე განა, - დაიყვირა მან, - მაშ ეგ არის შენი ხელსაქმე? იქნებ გინდა ამ მათრახით აგიჭრელო ეგ ზანტი ხელები!

მგზავრი მიუბრუნდა ქალს ისე, რომ თავის სკამიდან არ ამდგარა და ღიმილით უთხრა, თითქმის მოწიწებით:

- ცოტა ხანს ითამაშოს, ქალბატონო, რად უჯავრდებით?

სხვა მგზავრისგან რომ გაეგონა ეს თხოვნა, რომელმაც კარგი ვახშამი მიირთვა და ორი ბოთლი ღვინო გადაჰკრა, და არც იმისთანა ღარიბ-ღატაკის შეხედულება ჰქონდა, ბრძანებად მიიღებდა და დაემორჩილებოდა. მაგრამ ამ დაჭმუჭნილი ქუდის პატრონსაც თავისი სურვილი უნდა ჰქონოდა? ამ გახუნებული სერთუკით მოსილს უნდა გაებედა და თავისი ებრძანებინა? ამას კი ვეღარ მოითმენდა ქალბატონი ტენარდიე და უკმეხად შეუტია:

- საქმეც უნდა გააკეთოს, რაკი პურსა სჭამს! მე მუქთახორად ვერავის შევინახავ.

- რა საქმე აქვს მინდობილი? - ჰკითხა მგზავრმა ტკბილი ხმით, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდა იმის მათხოვრულ ტანისამოსს და კურტნის მუშის მხარ-ბეჭს.

ქალბატონმა პასუხის ღირსად სცნო და უთხრა:

- წინდებს ქსოვს ჩემი პაწიებისთვის, წინდები აღარა აქვთ საწყლებს და ლამის ფეხშიშველები ვატარო ამ ცივ ზამთარში.

- და როდის გაათავებს მაგ წინდების ქსოვას?

- ერთი სამი-ოთხი დღის სამუშაო კიდევ აქვს, ამ ზარმაცს.

- და რა ეღირება ეს წყვილი წინდა, როცა გაათავებს?

მგზავრს ზიზღით გადახედა დიასახლისმა;

- ფრანკ-ნახევარი მაინც.

- ხუთ ფრანკად დამითმობთ?

- აი დალახვრა ღმერთმა. ხუთი ფრანკი ერთ წყვილ ბავშვის წინდაში? - შეჰყვირა ერთმა მეეტლემ, რომელიც ყურს უგდებდა, - ხუმრობაა, ხუთი ფრანკი!

თვითონ ტენარდიეც ჩაერია ამ ლაპარაკში:

- დიახ, ბატონო, თუ ასე გნებავთ, ხუთ ფრანკად დაგითმობთ ერთ წყვილს. ჩვენ, ბატონო, უარს ვერაფერზე ვეტყვით ჩვენთან ჩამომხდარ მგზავრს.

- ახლა მე მეკუთვნის შენი შრომა. ადექი და ითამაშე, შვილო.

ისე გაკვირვებული იყო ამ ხუთი ფრანკით მეეტლე, რომ წამოვარდა და მგზავრს მივარდა.

- ბიჭო, ნამდვილი ხუთი ფრანკია! - და სინჯვა დაუწყო ფულს, - ნამდვილია, ნამდვილი, ყალბი არავის ეგონოს.

ტენარდიემ ჩუმად ჩაიდო ჯიბეში ფული, მისი ცოლი ტუჩებს იკვნეტდა და ზიზღით უყურებდა მგზავრს.

კოზეტი იდგა და კანკალებდა. ბოლოს გაბედა და ჰკითხა:

- მაშ, მართლა ვითამაშო, ქალბატონო? ნებას მომცემთ, რომ ვითამაშო?

- ითამაშე, - დაუყვირა ტენარდიეს ცოლმა.

- გმადლობთ, ქალბატონო, - მოახსენა კოზეტმა.

და სიტყვით რომ მადლობას უხდიდა თავის ქალბატონს, მთელი თავისი პატარა სულით უმადლიდა უცნობ მგზავრს.

ტენარდიემ ისევ სმა დაიწყო. ცოლი მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

- ვინ უნდა იყოს ნეტავი ეს ყვითელი კაცი?

- ბევრი მინახავს მილიონების პატრონი, - უპასუხა გადაჭრით ქმარმა, - ასეთივე ძველმანები რომ სცმიათ.

კოზეტმა თავი დაანება ქსოვას, მაგრამ მაგიდის ქვეშიდან არ გამოვიდა. რაც შეიძლებოდა ნაკლებად იძვროდა ხოლმე და ახლაც ასევე იქცეოდა. ზურგსუკან პატარა ყუთი ედგა, საიდანაც ნაჭრები და თავისი პატარა ტყვიის ხმალი ამოალაგა.

ეპონინი და აზელმა არაფერს აქცევდნენ ყურადღებას. ის იყო კატა დაიჭირეს; დედოფალა ძირს დააგდეს და ეპონინი, როგორც უფროსი, წითელ და ლურჯ ძონძებში ახვევდა კატას, მისი კნავილისა და ბრძოლის მიუხედავად. თან თავის დას ეუბნებოდა ტკბილი და საამური ბავშვური ენით, რომლის მშვენიერება, როგორცპეპლის ფრთების სილამაზე, უჩინარი ხდება, როგორც კი მის აღწერას განიზრახავთ.

- რა გითხრა, დაიკო, იცი? ეს დედოფალა უფრო სასაცილოა, ვიდრე ჩვენი, ეს მოძრაობს, კნავის, მერე ნახე, რა თბილია, ესა სჯობია. მოდი, ჩვენი შვილი იყოს. მე დიდი ქალბატონი ვიქნები და ეს კიდევ ჩემი პაწია, მე სტუმრად გეწვევი და შენ თვალიერებას დაუწყებ ჩემს გოგოს. დააცქერდები, ულვაშს უპოვი და ძალიან გაიკვირვებ. მერე ყურებს დაუნახავ, კუდს და უფრო გაკვირვებული იქნები. მერე მეტყვი: ოჰ, ღმერთო, ღმერთო! და მეც გიპასუხებ:

- დიახ, ქალბატონო, ასეთი დამებადა ეს გოგო, სულ ასეთები იბადებიან ახლა პატარა გოგონები.

აზელმა აღტაცებით უსმენდა ეპონინს.

ამ დროს სიმღერა დაიწყეს მოქეიფეებმა, რაღაც უწმაწურს მღეროდნენ და ისე ხარხარებდნენ, რომ ზანზარი გაჰქონდა იქაურობას. ტენარდიე ბანს აძლევდა და აქეზებდა.

როგორც ფრინველმა იცის, ყველაფერს გამოიყენებს თავისი ბუდის ასაგებად, ისეა ბავშვიც, ყველაფერს გამოიყენებს დედოფალას გასაკეთებლად. იმ დროს, როცა ეპონინი და აზელმა კატას რთავდნენ, კოზეტმა თავისი პატარა ხმალი მორთო. მერე მკლავზე დაიწვინა, არწევდა და რაღაცას უმღეროდა ჩუმი ხმით, რომ დაეძინებინა.

დედოფალა პატარა გოგოსთვის უმთავრესი მოთხოვნილებაა და ამავე დროს ქალის ბავშვობის მომხიბლავი ალეგორიაგანი. უვლის, აცმევს, რთავს, ტანისამოსს ხდის და კვლავ აცმევს, წვრთნის და არიგებს. ოდნავ ტუქსავს, არწევს, ანებივრებს და უალერსებს. აძინებს, წარმოდგენილი აქვს, რომ ეს დედოფალა არის ვიღაც, - ამაში არის მთელი მომავალი ქალისა. ოცნებით გატაცებული, მუდამ მოტიკტიკე. პატარა მზითევს უკერავს თავის დედოფალას და პატარა ზეწარს, კაბას, ზედატანს და ბავშვი მოზრდილ გოგონად იქცევა ნელ-ნელა, მოზრდილი გოგონა გასათხოვარ ქალად, გასათხოვარი ქალი გათხოვილ ქალად. ამ ქალის პირველი შვილი მისი უკანასკნელი დედოფალას გაგრძელებაა.

ისეთივე უბედურია პატარა გოგონა დედოფალას გარეშე, როგორც უბედურია ქალი, რომელსაც შვილი არ ჰყავს.

კოზეტმა თავის გატეხილი ხმლით დედოფალა გააკეთა.

დიასახლისი „ყვითელ კაცს“ მიუახლოვდა.

იქნებ მართალი იყოს ჩემი ქმარი, - ფიქრობდა ტენარდიეს ცოლი, - ვინ იცის, ბატონი ლაფიტი იყოს ეს კაცი, ისეთი ახირებულები არიან ეს მდიდრები!

მივიდა, დაეყრდნო მის მაგიდას და უთხრა:

- ბატონო...

ამ სიტყვაზე მობრუნდა ჩვენი მგზავრი, აქამდე დიასახლისი ძმობილოო, - ასე მიმართავდა, ახლა კი ტკბილი კილოთი ელაპარაკებოდა, რომელიც უფრო საზიზღარი იყო, ვიდრე მისი გააფთრება:

- რა გაეწყობა, ითამაშოს, ბატონო, ამჯერად წინააღმდეგი არ გახლავართ, რადგან თქვენ ასეთი გულკეთილი ბრძანდებით. რომ ჰქონდეს რამე, კიდევ ჰო, მაგრამ რა ვქნა, რომ სრულებით არაფერი აქვს ამ უბედურს, თავისი შრომით მაინც გადაგვიხადოს!

- მაშ თქვენი არ არის ეს ბავშვი?

- ოჰ, ღმერთო ჩემო! არა, ბატონო, არა! უპატრონო გოგოა და ჩვენ ავიყვანეთ სამადლოდ. მეტისმეტად ჩერჩეტია უბედური. დავიფიცავ, ტვინის მაგივრად თავში წყალი აქვს. აბა შეხედეთ, რა დიდთავაა. ვეხმარებით, რაც შეგვიძლია, რადგან არც ჩვენ გახლავართ მდიდრები: ვწერთ და ვწერთ დედამისს, მაგრამ აგერ ექვსი თვე იქნება, პასუხი არ მოგვსვლია, ალბათ მოკვდა, თორემ რა ღმერთი გაუწყრებოდა?

- ოჰ, - წამოიძახა მგზავრმა და ისევ თავის ფიქრებს მიეცა.

- ბევრი არაფერი იყო ამ გოგოს დედა, მოგვიგდო საკუთარი შვილი.

ამ ბაასის დროს კოზეტი თვალს არ აშორებდა თავის ქალბატონს, თითქოს მიხვდა, რომ მის შესახებ ლაპარაკობენ. ყურს უგდებდა, აქა-იქ რამდენიმე სიტყვას მოჰკრა ყური.

კარგად დალიეს მეეტლეებმა, კარგადაც დათვრნენ და ხელახლა დასძახეს წეღანდელი სიმღერა. უწმაწური და, მაშასადამე, მხიარული. არეული იყო შიგ დედაღვთისა და პატარა იესო. ისმოდა მთვრალების ღრიალი და თან გიჟური ხარხარი. ქალბატონიც იქ წაბრძანდა, რომ თვითონაც გამხიარულებულიყო. კოზეტი ისევ მაგიდის ქვეშ იჯდა, შესცქეროდა ცეცხლს, რომელიც მის თვალში ისე მოჩანდა, როგორც სარკეში. ასწევდა თავის დედოფალას და ჩუმი ხმით მღეროდა: დედაჩემი მომკვდარა, დედაჩემი მომკვდარა, დედაჩემი მომკვდარა.

ერთხელ კიდევ მიმართა დიასახლისმა „ყვითელ“ მგზავრს, ახლა უკვე „მილიონერს“:

- ვახშმად რას ინებებთ, ბატონო?

- პურს და ყველს, - მიუგო თავგაბეზრებულმა მგზავრმა.

სწორედ მაწანწალა ყოფილა, - საბოლოოდ გადაწყვიტა ტენარდიეს ცოლმა.

მთვრალები ისევ თავისას მღეროდნენ. ბავშვი კი მაგიდის ქვეშ ღიღინებდა.

კოზეტმა უცებ შეწყვიტა სიმღერა. ტენარდიეს გოგონების დედოფალა დაინახა, რომელიც იქვე მიეგდოთ, კატა რომ დაიჭირეს. დედოფალა უპატრონოდ ეგდო სამზარეულოს მაგიდის ქვეშ.

თავისი დედოფალად მორთული ტყვიის ხმალი, ძირს დადო, რადგან ის ვერ აკმაყოფილებდა მის სურვილს. მერე ნელ-ნელა თვალი გადაავლო ოთახს. ქალბატონი ჩუმად რაღაცას ელაპარაკებოდა თავის ქმარს და ფულს ითვლიდა, ეპონინი და აზელმა კატით თამაშობდნენ, მგზავრები ჭამდნენ და სვამდნენ, სვამდნენ და მღეროდნენ. კოზეტს არავინ უყურებდა. მაშ ჩქარა! დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა! დაჩოქილი იდგა ცოტა ხანს, კიდევ გადაავლო თვალი, დარწმუნდა, რომ მას არავინ უთვალთვალებდა, მერე სწრაფად მიხოხდა დედოფალასთან და

ხელში აიღო. სწრაფადვე დაბრუნდა თავის ადგილას და ისე დაჯდა, რომ ჩრდილში ჰყოლოდა ხელზე მისვენებული ახალი დედოფალა. იჯდა უძრავად და შეჰხაროდა, ისეთი იშვიათი რამ იყო მისთვის ნამდვილი დედოფალათი თამაში, რომ ამქვეყნიურ ნეტარებას უდრიდა.

არავის შეუმჩნევია კოზეტი, გარდა ჩვენი მგზავრისა, რომელიც ნელ-ნელა შეექცეოდა თავის ღარიბულ ვახშამს.

თხუთმეტ წუთამდე გასტანა ამ ნეტარებამ.

ძალიან ფრთხილად იყო კოზეტი, მაგრამ ის კი ვერ შენიშნა, რომ დედოფალას ერთი ფეხი გამოეყო კაბის ქვეშიდან და მის ვარდისფერ ტიტველ ფეხს ბუხრის ალი ანათებდა. სწორედ ამან მიიქცია აზელმას ყურადღება და ხელი წაჰკრა ეპონინს:

- ერთი შეხედე!

გოგონები გაოცებულნი იყვნენ: კოზეტმა გაბედა და ხელში აიღო მათი სათამაშო.

ეპონინი ადგა. თავისი კატით ხელში მივიდა დედასთან და კაბა დასწია.

- რა გინდა, გოგო? - შეუტია დედამ, - თავი დამანებე.

- დედა, შეხედე! - უთხრა ეპონინმა და თითით კოზეტზე ანიშნა.

კოზეტი კი ისე ტკბებოდა თავის ნეტარებით, რომ ვეღარც რაიმეს ხედავდა და აღარც არაფერი ესმოდა.

ტენარდიეს ცოლს სახეზე ის მრისხანება გამოეხატა, ის უცნაური გამომეტყველება, რომელიც ცხოვრების წვრილმანებში მჟღავნდება და ჯოჯოხეთის მაშხალას ამსგავსებს დედაკაცს. მის გაჯავრებას შეურაცხყოფილი ამპარტავნებაც ემატებოდა. კოზეტმა გაბედა და გადააბიჯა მორჩილების ყოველ ზღვარს, ხელი ახლო „ქალიშვილების“ სათამაშოს.

გლეხი რომ შეპარულიყო რუსეთის ხელმწიფის სასახლეში და ხელმწიფის მემკვიდრის ტანისამოსი ჩაეცვა - ასე არ გაბრაზდებოდა ხელმწიფის მეუღლე, როგორც კოზეტის საქციელმა გააშმაგა ტენარდიეს ცოლი.

შეჰყვირა ბრაზით ჩახრინწული ხმით:

- კოზეტ!

ისე აკანკალდა გოგო, თითქოს მიწა იძრაო მის ფეხქვეშ. მიბრუნდა.

- კოზეტ! - გაიმეორა გააფთრებულმა.

კოზეტმა აიღო დედოფალა, მიიტანა და ფრთხილად, სასოწარკვეთილებაში არეული თაყვანისცემით, იქვე დადო, საიდანაც აიღო. თვალს არ აშორებდა ამ სათამაშოს, ხელები დაიკრიფა და, - საშინელია ამის თქმა, - ხელების მტვრევა დაიწყო ამ ხნის ბავშვმა და აქვითინდა. რა არ გადახდა უბედურს იმ დღის განმავლობაში, რომ ვერ აატირა: ვერც ღამეში წყაროზე წასვლამ დაბურულ ტყეში, ვერც ვედროს სიმძიმემ, ვერც ფულის დაკარგვამ, ვერც მათრახის მუქარამ, ვერც იმ ერთმა სიტყვამ, დიასახლისმა რომ თქვა მისი დედის შესახებ. ცრემლი მოერია თვალს, მაგრამ ტირილით არ უტირია, ახლა კი მწარედ ტიროდა.

ჩვენი მგზავრიც წამოდგა.

- რა იყო, რა მოხდა? - ჰკითხა ტენარდიეს ცოლს.

- ვერა ხედავთ? - მიუგო მან და ხელით დაანახა კოზეტის გამამტყუნებელი საბუთი.

- მერე რა? - არ იშლიდა მგზავრი.

- მერე ის, რომ ამ ჯოჯომ ხელი შეახო ჩემი ბავშვების სათამაშოს.

- და ამიტომ ყვირით ასე? რა მოხდება, რომ მაგანაც ითამაშოს თქვენი ბავშვების სათამაშოებით?

- თავისი ტურტლიანი ხელი შეახოს?

კოზეტი მწარედ ქვითინებდა.

- ხმას ჩაიწყვეტ თუ არა? - დაუყვირა ტენარდიეს ცოლმა.

მგზავრი კარისკენ გაემართა და ქუჩაში გავიდა.

ქალბატონმა ისარგებლა მისი გასვლით და ისეთი წიხლი ჰკრა მაგიდის ქვეშ მიკუნჭულ ბავშვს, რომ ააყვირა.

მაშინვე დაბრუნდა მგზავრი, ორი ხელით ეჭირა ის ბავშვების გულის წარმტაცი ზღაპრული დედოფალა, რომელიც დუქნის პირდაპირ ფარდულში იყო გასაყიდად გამოდგმული და სოფლის პატარა გოგოების საოცნებო გამხდარიყო. მივიდა, წინ დაუყენა კოზეტს და უთხრა:

- აჰა, ეს შენი იყოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ დუქნის ფანჯრიდან კარგად ხედავდა თავის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს სათამაშოების ფარდულს და ფანჯარაში გამოდგმულ ლამაზად განათებულ დედოფალას. ერთ საათზე მეტ ხანს იჯდა დუქანში ჩაფიქრებული, მაგრამ არ შეიძლებოდა შეუმჩნევლად დარჩენოდა ისე კარგად განათებული ფარდული.

გაშტერებული იყო კოზეტი. ხედავდა, რომ მასთან მივიდა მგზავრი, მასთან მიიტანა დედოფალა. სათამაშო კი არა, თითქოს მზე მოასვენაო, გაიგონა იმისი ნათქვამი, - აჰა, შენი იყოსო, - შეხედა თავის ღამის თანამგზავრს, მერე იმ დედოფალას, უკან-უკან წავიდა ნელ-ნელა, ჩაძვრა თავის სოროში და მიიკუჭა.

აღარ ტიროდა, აღარც ყვიროდა, თითქოს სუნთქვაც ვეღარ გაებედა.

დედაც და ორი პატარა ქალიც ქანდაკებასავით გაშეშებულები იდგნენ. მსმელებიც კი გაჩუმებულიყვნენ. დუქანში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

გაქვავებულივით იდგა კოზეტის ქალბატონი და ფიქრობდა: ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ბებერი? გლახაა თუ მილიონერი? იქნებ ერთიც და მეორეც, ესე იგი - ქურდი.

მისი ქმრის სახეზე თავი ეჩინა იმ მრავლისმეტყველ ნაოჭს, რომელიც დასერავს ხოლმე ადამიანის სახეს მაშინ, როდესაც მასში გაბატონებული ინსტინქტი მთელი თავისი ცხოველური სიძლიერით გაიღვიძებს. მედუქნე ხან დედოფალას შესცქეროდა, ხან მგზავრს, რაღაც სუნი მოსდიოდა იმ კაცისაგან, ოქროთი სავსე ქისის სუნი. მივიდა თავის ცოლთან და წასჩურჩულა:

- ოცდაათ ფრანკს მაინც მისცემდა იმ ოხერში. ჭკვიანად იყავი, ყველანაირად ეცადე მისი გული მოგებას.

ერთი რამ არის საერთო უხეში ბუნებისა და უმანკო ადამიანებს შორის: ან სიცხე და ან ყინვა, საშუალო არა სწამთ.

- რას მიიმალე, კოზეტ? - მიმართა დიასახლისმა იმ თაფლივით ტკბილი ხმით, რომელშიაც ბოროტი ქალი შხამს ურევს, - რას მიიმალე გოგო? აქ მოდი, ჩემო კოზეტ.

კოზეტმა გაბედა და გამოძვრა.

- ჩემო გოგონა, - განაგრძო დიასახლისმა ალერსიანი კილოთი, - ბატონმა შენ გიყიდა ეს დედოფალა. მოდი, აიღე, ის შენია, შენი.

შეშინებული უყურებდა კოზეტი იმ სანატრელ დედოფალას, სახე ცრემლებით ჰქონდა სველი, მაგრამ თვალი კი სიხარულით ევსებოდა, როგორც ზეცა ივსება ალიონის სინათლით. რომ ეთქვათ, - პატარა ქალბატონო, დღეიდან თქვენ

ბრძანდებით საფრანგეთის დედოფალიო, - ისე არ გაახარებდა, როგორც ახარებდა ეს სათამაშო დედოფალა.

თანაც ეშინოდა: - ხელი რომ ვახლო, დაიჭექებს და მეხი დამეცემაო.

მეხი არა და ის კი მართალი იყო, რომ უცემელი ვერ გადაურჩებოდა ტენარდიეებს.

მაგრამ მაინც მიიზიდა სანახაობამ. ნელ-ნელა მიუახლოვდა, თავის ქალბატონს შეხედა და ათრთოლებული ხმით ამოიკნავლა:

- შეიძლება, ქალბატონო?

შეუძლებელია ამ პატარა სახეზე აღბეჭდილი სასოწარკვეთილების, შიშისა და იმავე დროს აღტაცების სიტყვებით გადმოცემა.

- რაღა კითხვა უნდა, რა ვქნა? შენია, შენი. ბატონმა შენ გიყიდა.

- მართლა, ბატონო? მართლა ჩემია? მაშ, ჩემია ეს ქალბატონი?

მგზავრს თვალები ცრემლით ევსებოდა. ეტყობოდა, ისე ძალიან იყო აღელვებული, რომ ხმის ამოღებას ტირილს მოაყოლებდა, თავი დაუქნია კოზეტს და „ქალბატონის“ ხელი ჩაუდო პაწია ხელში.

ხელი გამოაცალა გოგონამ, თითქოს ცეცხლი მოხვდა და დაწვაო. იდგა და მიწას დასცქეროდა. იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ ამ დროს უზომოდ ჰქონდა ენა გამოყოფილი, მერე მობრუნდა უცბად და ხელი სტაცა ამ სათამაშოს.

- კატერინას დავარქმევ, - თქვა აღტაცებით.

უცნაური სანახავი იყო კოზეტის დაფხრეწილი ტანისამოსისა და იმ დედოფალას ლენტებისა და მაქმანების შეხვედრა და ჩახუტება.

- მაშ, ნებას მიბოძებთ, ქალბატონო, რომ სკამზედაც დავსვა?

- ჰო, ჩემო გოგონა.

ახლა კი ეპონინი და აზელმა შესცქეროდნენ შურით პატარა კოზეტს, მანაც სკამზე დააბრძანა თავისი დედოფალა, თვითონ ძირს დაჯდა და ასე იყო უძრავად გაჩუმებული, იჯდა და შეჰხაროდა დიდი ხნის ნანატრს...

- ითამაშე, კოზეტ, - უთხრა მგზავრმა.

- ვთამაშობ, ბატონო.

ეს უცნობი, რომელიც ღვთის წყალობასავით მოევლინა უბედურ კოზეტს, ჭირივით შეეჯავრა ტენარდიეს ცოლს, მაგრამ საჭირო იყო ამის დამალვა და სწორედ ის უკლავდა გულს, რომ არ შეეძლო ჯავრის ამონთხევა, რადგან ქმარმა გააფრთხილა თავი შეეკავებინა, სადაც საჭირო იყო, და არ გამოეჩინა თავისი გრძნობა. აჩქარებით გაგზავნა თავისი ბავშვები დასაძინებლად, შემდეგ „ყვითელ კაცს“ ნებართვა სთხოვა, რომ კოზეტიც დაწოლილიყო, - „ძალიან დაიღალა დღეს“, - დაუმატა დედობრივი გრძნობით. კოზეტი დასაძინებლად წავიდა და დედოფალაც თან წაიღო.

დიასახლისი მიდი-მოდიოდა ოთახში. მივიდოდა ხოლმე თავის ქმართან, რომ „სული მოეთქვა“, როგორც თვითონ ამბობდა, მივიდოდა და იქ ამოანთხევდა შხამს, რომლის დამალვასაც უბრძანებდა ქმარიც და გარემოებაც.

- ეს გამოტვინებული ბებრუცუნა! ნეტავ რა ეშმაკი უზის გვამში? რაზე ჩამიმწარა დღე? თამაში გველის წიწილსაც უნდაო? არა, დედოფალაც რომ მოართვა! ორმოცფრანკიანი საჩუქარი საზიზღარ ძაღლის ლეკვს, რომელსაც ორმოც სუდაც სიხარულით მოვიშორებდი! ცოტა კიდევ და - „თქვენო დიდებულებაო“ - ეტყვის, როგორც ჰერცოგ დე-ბარის ასულს! შეშლილი ხომ არ არის ეს გამოტვინებული ბებერი?

- რადა, რა ვქნა? - ამშვიდებდა ქმარი, - კაცია და გუნება. შენ გინდა, რომ საქმეს აკეთებდეს ის გოგო: იმას კიდევ ის უნდა, რომ თამაშობდეს, ასე სურს და უფლებაც აქვს ამისი, რადგან ფულს მაძლევს. ფილანთროპი არის შენი ბებერი? შენ რა? ფულს ხომ გაძლევს! შეშლილია და გამოტვინებული? შენ რა? რად ერევი იმის საქმეში, როცა ხედავ, რომ ფულს იხდის?

ენაც ბატონური იყო, აზროვნებაც მედუქნისა და შედავების ნებას არავის მისცემდა.

ჩვენი მგზავრი კი დაყრდნობოდა მაგიდას და ისევ თავის ფიქრებს გაჰყოლოდა. სხვა მგზავრები, - ვაჭრები და მეეტლეები - თავ-თავის ადგილას ისხდნენ, აღარ მღეროდნენ, შიშნარევი პატივისცემით შეჰყურებდნენ ამ მოხუცს შორიდან. ასე ღარიბად ეჩვენებოდათ და ის კი ბზესავით აბნევდა თეთრ ფულს და მეფურ საჩუქარს აძლევდა პატარა წუნკალ გოგოს. არა, ეტყობა დიდი კაცია და საშიშიც.

რამდენიმე საათი გავიდა, შუაღამის წირვის დრო მოვიდა. შობის ვახშამი გათავებულიყო, მსმელები წავიდნენ, დუქანი დაკეტეს. ოთახში აღარავინ იყო, ცეცხლი ქრებოდა. მარტოდმარტო იჯდა ჩვენი მგზავრი მაგიდასთან, ჩაფიქრებული, დროგამოშვებით ხელს გამოიცვლიდა ხოლმე. ახლა მეორე იდაყვს დაყრდნობოდა. ხმა არ ამოუღია, რაც კოზეტი დასაძინებლად წავიდა.

მარტო ცოლ-ქმარი დარჩა დუქანში, ზრდილობისა და ცნობისმოყვარეობის გამო.

- ახლა რა, მთელი ღამე აქ უნდა ეგდოს? - ბუზღუნებდა ცოლი.

მაგრამ ორი საათი რომ შესრულდა, დამარცხებულად იგრძნო თავი და გადაჭრით გამოუცხადა ქმარს;

- მე ვწვები, რაც გინდა ის უყავი!

მარტო დარჩა ტენარდიე. დაჯდა კუნჭულში და „კურიე ფრანსეს“ კითხვა დაიწყო.

ერთი საათი კიდევ გავიდა. ღირსეულმა მედუქნემ სამჯერ მაინც გადაიკითხა თავისი გაზეთი, თარიღიდან დაწყებული სტამბის სახელამდე. სტუმარი არ იძვროდა.

ტენარდიე შეტოკდა, ჩაახველა, ცხვირი მოიხოცა, გადააფურთხა, სკამი დააბრახუნა. მგზავრი ყურადღებას არ აქცევდა, - იქნებ ჩაეძინაო, - გაიფიქრა ტენარდიემ. მგზავრს არ ეძინა, მაგრამ ძნელი იყო მისი გამოფხიზლებაც.

ბოლოს ქუდი მოიხადა მედუქნემ, ჩუმად მიუახლოვდა და გაუბედა მოხსენება:

- იქნებ მოისვენოთ, ბატონო.

„იქნებ დაწვეყ ან დაიძინოთ“ უზრდელობად მიიჩნია და არც აკადრა. „მოისვენოთ“ - აქ პატივისცემაც იგულისხმებოდა. ამ სიტყვას ის საიდუმლო თვისება ჰქონდა, რომ მეორე დღეს, მგზავრი რომ წასვლას დააპირებდა, გაბერილი დახვდებოდა ანგარიში. ერთი ოთახი, სადაც დაიძინებთ, ოცი სუ ღირს და იგივე ოთახი, სადაც „მოისვენებთ“ - ოცი ფრანკი.

- კიდევ კარგი, რომ მომაგონეთ, სად არის თქვენი თავლა?

- მე გაგიძღვებით, ბატონო, - მოახსენა ტენარდიემ ტკბილი ღიმილით.

შანდალი აიღო, მგზავრმა კი თავისი ჯოხი და პატარა ბარგი. ტენარდიემ მეორე სართულზე აიყვანა მშვენიერ ოთახში, რომელიც გაწყობილი იყო წითელი ხის ავეჯით, რბილი სუფთა ლოგინით და წითელი ყალამქარის ფარდებით.

- აქ სად მომიყვანეთ? - ჰკითხა მგზავრმა.

- ჩვენი საქორწილო ოთახია, ბატონო. მე და ჩემი დედაკაცი სხვა ოთახში ვცხოვრობთ. აქ წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ თუ შემოვა ვინმე.

- მე კი თავლა მინდოდა, - უთხრა უკმაყოფილოდ მგზავრმა.

ტენარდიემ თითქოს ვერც გაიგონა.

ბუხრის თავზე შანდალში ოთხი სანთელი აანთო, ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა.

ბუხარზე მინის ქვეშ იდო ქალის ვერცხლის თავსართავი, საქორწინო ყვავილებით შემკული.

- ეს რაღა არის? - ჰკითხა მგზავრმა.

- ეს, ბატონო, ჩემი დედაკაცის საქორწინო თავსართავი გახლავთ. მგზავრმა ცალი თვალით გახედა ამ თავსართავს და კინაღამ წამოიძახა;

- ნუთუ ოდესღაც მართლა უმანკო ქალი იყო ეს ურჩხული?

ტყუოდა ტენარდიე. დუქნისთვის რომ დაიჭირა ეს სახლი, სწორედ ასე მორთული დახვდა ეს ოთახი, მოწყობილობაც იყიდა და ეს თავმოსართავიც. იყიდა იმ განზრახვით, რომ ეს ნივთი მშვენიერების ჩრდილს მიაყენებდა „მის მეუღლეს“ და ამით ის სხივი მოეფინებოდა მის დუქანს, რომელსაც ინგლისელები პატივისცემას უწოდებდნენ.

უკან რომ მოიხედა მგზავრმა, ტენარდიე იქ აღარ იყო, ფეხაკრეფით გასულიყო, ისიც კი ვერ გაებედა, რომ ღამე მშვიდობისა ესურვებინა მისთვის, რადგან არ უნდოდა მოურიდებელი გულთბილობით მოქცეოდა იმ კაცს, რომელსაც ხვალ ტყავის გაძრობას უპირებდა.

თავის ოთახში რომ შევიდა ტენარდიე, მის ცოლს ჯერ არ ეძინა. ქმრის ფეხის ხმაზე ლოგინიდან წამოიწია და გაბრაზებით უთხრა;

- ხვალ იმისთანა პანღურსა ვკრავ კოზეტს, რომ...

ტენარდიემ ცივად მოუჭრა;

- მაგასაც ვნახავთ.

სხვა აღარაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის და რამდენიმე წუთის შემდეგ სანთელიც ჩააქრეს.

ჯოხი და ხელბარგი დადო მგზავრმა, სავარძელზე დაჯდა და კარგა ხანს იყო ასე ჩაფიქრებული, მერე წაღები გაიხადა, ერთი სანთელი ჩააქრო, მეორე ხელში აიღო, კარი გააღო, გამოვიდა და ისე იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს რამეს ეძებსო. კიბემდე მივიდა, რაღაც მოესმა ბავშვის სუნთქვის მსგავსი. ამ ხმას მიჰყვა და კიბის ქვეშ მოწყობილ, უკეთ რომ ვთქვათ, კიბის საფეხურების ქვეშ მოწყობილ საკუჭნაოში, ძველ კალათებში, ჭურჭლის ნამტვრევებში, მტვერში და აბლაბუდაში, ლოგინი ნახა, თუ ლოგინად ითქმის დაგლეჯილი ლეიბი, რომელსაც ყველგან გამოსჩენოდა თივა და უფრო მეტად დაგლეჯილი საბანი, რომელიც ლეიბსაც ვერ ფარავდა. ზეწარი არ ეფარა. ეს ლოგინი ძირს ეგდო. შიგ კოზეტს ეძინა.

ახლოს მივიდა მგზავრი, დააცქერდა.

ღრმა ძილში იყო კოზეტი, არ გაეხადა თავისი დაფხრეწილი ტანისამოსი. ზამთარში ყოველთვის ასე იწვა, რომ არ გაყინულიყო. გულში ჩაეკრა დედოფალა, რომლის ღია თვალებიც სიბნელეში ელვარებდნენ. ხანდახან მწარედ დაიკვნესებდა, თითქოს უნდა გაიღვიძოსო, და უფრო მაგრად იხუტებდა გულში თავის საუნჯეს. ლოგინთან მარტო ერთი ხის ქოში ეგდო, მეორე კი არსად სჩანდა.

ლოგინის პირდაპირ კარი იყო ღია და კარგა დიდი ოთახი მოჩანდა. უცნობი ახლა იქ შევიდა და კარს უკან ორი ერთნაირი საწოლი დაინახა, სპეტაკი თეთრი, აზელმას და ეპონინის საწოლები. იმათ უკან ტირიფის უფარდო აკვანი მოჩანდა და შიგ - პატარა ბიჭი, მთელ საღამოს რომ გაჰკიოდა.

ბავშვების ოთახს დედ-მამის ოთახი უნდა ეკრასო, - გაიფიქრა მგზავრმა და გამოსვლას აპირებდა, მაგრამ თვალი მოჰკრა ბუხარს. უშველებელი ბუხარი იყო, დუქნური, რომელშიც თითქმის ცივი ცეცხლი ბუუტავს. ამაში კი ნაცარიც არ იყო. მგზავრის ყურადღება ბავშვების კოხტა და სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელმა მიიქცია. მოაგონდა ძველისძველი დაუვიწყარი ჩვეულება ბავშვებისა, რომლებიც შობის ღამეს ბუხარში ტოვებენ ერთ ცალ ფეხსაცმელს, რომ სიბნელეში ჩუმად მოფრინდეს ფერია და საჩუქარი ჩაუდოს. ეპონინსა და აზელმასაც არ დაეყოვნებინათ და თითო ფეხსაცმელი დაეგდოთ ბუხარში.

მგზავრი დაიხარა, ესე იგი, იმათ დედას უკვე ენახა ეს ფეხსაცმელები და ახალ-ახალი ნახევარფრანკიანი ჩაედო თითოში. უცნობი წამოდგა, გაბრუნდა, უნდა გასულიყო, მაგრამ ბუხარშივე, მიბნელებულ კუნჭულში რაღაც დაინახა შავი და ტლანქი. დააცქერდა, ეს იყო ხის გატეხილი ტალახიანი ქოში. ეს კი კოზეტისა უნდა ყოფილიყო. კოზეტსაც სწამდა გულკეთილი ფერიის, თუმცა თავის დღეში არაფერი მიეღო მისგან და თავის ქოშიც შეეგდო ბუხარში.

დიდი რამ არის ტკბილი სასოება ბავშვისა, რომელსაც თავის დღეში სასოწარკვეთილების მეტი არა უნახავსრა.

ამ ქოშში კი არაფერი იდო.

ოცფრანკიანი ოქრო ამოიღო მგზავრმა და შიგ ჩაუდო კოზეტს. მერე ფეხაკრეფით ავიდა თავის ოთახში.

## თავი მეცხრე
## ტენარდიეს ოინები

მეორე დღეს, - ჯერ არ გათენებულიყო, - ტენარდიე დუქანში სანთელს მისჯდომოდა, ხელში კალამი ეჭირა და ყვითელ სერთუკიანი მგზავრის დანახარჯის ანგარიშს ადგენდა.

ცოლიც იქვე ბრძანდებოდა. დახრილი თვალს ადევნებდა მის კალამს, ხმას არ იღებდა არც ერთი. ერთის მხრივ - ღრმად ჩაფიქრება, მეორეს მხრივ - ის წმინდა აღტაცება, რომლითაც შევხვდებით ხოლმე ადამიანის გონებაში დიდებული აზრის დაბადებას და განვითარებას. გარედან რაღაც შრიალი ისმოდა: ტოროლა იყო, კიბეს ჰვვიდა.

კარგა ხანი მოანდომა ტენარდიემ თავის საქმეს. რამდენჯერმე წაშალა და შეასწორა და ბოლოს, როგორც იყო, შექმნა თავისი შედეგრი:

ანგარიში პირველი ნომრის ბატონს
ვახშამიფრ. 3
ოთახი10
სანთელი5
ცეცხლი4
მომსახურება1
სულფრ. 23

- ოცდასამი ფრანკი! - შეჰყვირა ცოლმა შიშნარევი აღტაცებით.

მაგრამ ქმარი, როგორც შეეფერება ღირსეულ არტისტს, თავის ხელოვნებით არც ისე კმაყოფილი იყო.

- ეჰ! - უპასუხა ქმარმა.

ეს იყო კასტლრის წამოძახილი ვენის კონგრესზე, როდესაც მან შეადგინა იმის ანგარიში, რაც საფრანგეთს უნდა გადაეხადა.

- ბატონო ტენარდიე, მართალი ხარ, ეგ უნდა მოგვცეს, რაღა თქმა უნდა, - დუდუნებდა ცოლი, რომელსაც ვერ მოენელებინა, რომ დედოფალა იმის ქალებს კი არა, კოზეტს აჩუქეს. მერე იქ მაინც არ ყოფილიყვნენ იმისი პაწიები. - ეს თანხა სამართლიანია, მაგრამ ცოტა გადაჭარბებული, არ მოგვცემს.

ქმარმა თავისებურად ცივად ჩაიცინა და თქვა:

- მოგვცემს.

ეს ცივი სიცილი უაღრეს რწმენას და ავტორიტეტს გამოხატავდა, რაც ასე იქნებოდა ნათქვამი, კიდეც უნდა ასრულებულიყო. არც ცოლი აუხირდა. დალაგება დაუწყო სუფრებს. ქმარი ბოლთას სცემდა. ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

- ათას ხუთასი ფრანკი ვალი მაქვს და გადახდა უნდა თუ არა?

მერე ბუხართან დაჯდა, ფეხები ცხელ ნაცარზე დააწყო და ფიქრს მისცა თავი..

- მართლა! - შეჰყვირა უცბად ცოლმა. - ხომ გითხარი დღეს კოზეტს გავაგდებ- მეთქი, ის ჯოჯო, ისა! ლამის ჯავრით გავსკდე, ის დედოფალა რომ მომაგონდება, ლუი მეთერთმეტეს გავყვები ცოლად და მაგას კი აქ აღარ გავაჩერებ.

ტენარდიემ ჩიბუხს მოუკიდა, მოსწია და ასე უპასუხა;

- იმ კაცს ანგარიშს შენ წარუდგენ.

თქვა და გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მგზავრიც შემოვიდა.

ტენარდიეც უკან მოსდევდა ჩუმად და კარებში აიტუზა ისე, რომ მგზავრი ვერ ხედავდა.

მგზავრს ხელში ჯოხი და პატარა ბოხჩა ეჭირა.

- ასე ადრე ამდგარხართ? უკვე მიბრძანდებით, ბატონო?

მიმართა მგზავრს, თან გაუბედავად ათამაშებდა ხელში მისთვის მომზადებულ ანარიშს და ჭმუჭნიდა. უჩვეულო იყო, კრთომა და დარცხვენა ემჩნეოდა.

უხერხულად მიაჩნდა ამ ანგარიშის წარდგენა კაცისთვის, რომელსაც მათხოვრის შეხედულება ჰქონდა.

ის კი თავისებურად ჩაფიქრებული იყო და უპასუხა:

- დიახ, ქალბატონო, მივდივარ.

- მაშ აქ არაფერი საქმე არ გქონდათ?

- არა, გზად გავჩერდი, ქალბატონო, რამდენი მმართებს?

პასუხის მაგივრად დიასახლისმა ანგარიში გაუწოდა.

გაშალა ანგარიში, დახედა, მაგრამ ეტყობოდა სხვაგან იყო მისი გულისყური.

- როგორ მიდის თქვენი საქმე მონფერმეილში?

- არც ისე კარგად, - მიუგო დიასახლისმა, განცვიფრებულმა, რომ ანგარიშმა არავითარი უკმაყოფილება არ გამოიწვია და კრუსუნი დაიწყო საცოდავი ხმით:

- რა ვქნათ, ბატონო, მეტად ცუდი დრო დაგვიდგა და გარდა ამისა, ისე ცოტანი არიან ამ მხარეში ბურჟუები, სულ მდაბიო ხალხი გახლავთ. იშვიათად მაინც, რომ გულუხვი, მდიდარი კაცი არ გვეწვიოს, ისეთი, როგორც თქვენ, ბატონო, შიმშილით დავიხოცებოდით. მერე იმდენი ხარჯი და გადასახადი გვაწევს კისერზე. თუნდაც ის პატარა გოგო, რომ იცოდეთ, რა ძვირი გვიჯდება იმისი შენახვა.

- რომელი გოგო?

- პატარა კოზეტი. აი ის პატარა, ტოროლას რომ ეძახიან.

- ჰოო?

დიასახლისმა თავისი განაგრძო:

- რა სულელები არიან ეს გლეხკაცები თავიანთი მეტსახელებით. ტოროლას კი არა, ღამურას უფრო ჰგავს ის საძაგელი! რა ვქნათ, ბატონო, მოწყალებას არავის ვთხოვთ, მაგრამ არც მოწყალების გაღება შეგვიძლია. ბევრს არას გვაძლევს ჩვენი ვაჭრობა და ვალი დიდი გვაქვს. ეს პატენტიო, ეს გადასახადიო, ეს კარისაო, ეს ფანჯრისაო, ეს სარგებელიო. ბატონს კარგად ეცოდინება, რა დიდ ხარჯს გვადებს მთავრობა, და გარდა ამისა, ჩემი პაწიები მყავს, ჩემები ვერ შემინახია, სხვისი როგორ შევინახო?

მგზავრი ცდილობდა გულგრილად ეკითხა, მაგრამ მაინც დაეტყო თრთოლა;

- და რომ მოგაშოროთ?

- ვინ? კოზეტი?

- დიახ.

სიხარულის ცეცხლი მოედო ტენარდიეს ცოლს:

- წაიყვანეთ, ბატონო, წაიყვანეთ, ჩემო კეთილო ბატონო, თქვენი იყოს. დაშაქრეთ, შეწვით, შეჭამეთ, დედაღვთისა და სამოთხის ყველა წმინდანი იყოს თქვენი შემწე, ოღონდ ეგ ჭირი მოგვაშორეთ.

- ძალიან კარგი.

- მართლა წაიყვანთ?

- აი, ახლავე.

- ახლავე?

- დიახ, აბა დამიძახეთ.

- კოზეტ, - გაჰყვირა დიასახლისმა.

- მაშ, სანამ მოვიდოდეს, ანგარიშსაც გაგისწორებთ. რამდენია?

დახედა ანგარიშს და ვერ შეძლო განცვიფრების დამალვა;

- ოცდასამი ფრანკი?

დააცქერდა დედაკაცს და ერთხელ კიდევ ჰკითხა:

- ოცდასამი ფრანკი?

ისე იყო წარმოთქმული ეს ორი სიტყვა, რომ ცხადად ისმოდა შეკითხვაც და გაკვირვებაც, - შეცდომა ხომ არ მოგვიდათ?

დიასახლისს დრო ჰქონდა, რომ პასუხი მოემზადებინა და მაგრად დაუხვდა.

- დიახ, ბატონო, ოცდასამი ფრანკი.

მგზავრმა მაგიდაზე დადო ხუთი ხუთფრანკიანი.

- მაშ კოზეტი მომიყვანეთ.

ამ დროს თვითონ ტენარდიე შემოვიდა დუქანში და უთხრა:

- ბატონმა ოცდაექვსი სუ უნდა გადაიხადოს.

- ოცდაექვსი სუ? - შეჰყვირა ცოლმა.

- ოცი სუ ბინისა, - განმარტა ცივად ქმარმა, - და ექვსიც ვახშმისა. რაც შეეხება პატარა გოგოს, ცოტა რამ მოსალაპარაკებელი მაქვს ბატონთან. შენ დაგვტოვე, - უთხრა ცოლს.

თვალი დახუჭა დედაკაცმა, რადგან ელდასავით ეცა თავის კაცის ნიჭის შუქი, იგრძნო, რომ სცენაზე დიდებული არტისტი გამოვიდა და თვითონ იქ ზედმეტი იქნებოდა.

რაკი მარტონი დარჩნენ, ტენარდიემ სკამი მიართვა მგზავრს. მგზავრი დაჯდა, თვითონ კი არ ჯდებოდა. სახეზე უცნაური გულკეთილობა და გულუბრყვილობა დაეტყო.

- აი, ბატონო, მოგახსენებთ. საქმე ის არის, რომ მე თავდავიწყებით მიყვარს პატარა ბავშვი.

მგზავრი დააცქერდა და ჰკითხა:

- ვინ ბავშვი?

ტენარდიე თავისას არ იშლიდა:

- რას იზამთ, ბატონო? ისე ჩაგიძვრებათ სულში პაწია, რომ თავიდან ვეღარ მოიშორებთ. ეს ფული რაღაა, რა ვქნა? აიღეთ, ბატონო თქვენი ფული. მე უიმისობა ვერც კი წარმომიდგენია, ისე მიყვარს პატარა გოგო.

- ვინ გოგო?

- ჩვენი პატარა კოზეტი. იმის წაყვანა გნებავთ არა? ჰოდა, გულწრფელად მოგახსენებთ, ისე როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის. დამიჯერეთ, რომ არ შემიძლია. მე ჩემს კოზეტს ვერ გავშორდები. მეტისმეტად დამაკლდება ჩემი ტოროლა. სულ პაწაწა იყო, რომ მომიყვანეს. მართალია, ძალიან მაწუხებს ამ გაჭირვებაში; მართალია, არც ჩვენ ვართ მდიდრები, რომ სხვას ვინახავდეთ; მართალია, ოთხას ფრანკზე მეტი დამეხარჯა მარტო წამლებზე, ავად რომ იყო ამას წინათ, მაგრამ სულ თავისთვის ხომ არ იქნება ადამიანი, ხანდახან ღმერთსაც უნდა შეხედოს: არც დედა ჰყავს მაგ საწყალს, არც მამა, მე გამოვზარდე. ერთი ლუკმაპური მაქვს და არც იმისთვის მენანება. რა ვქნა, ბატონო, თუკი მიყვარს. ჩემი გაზრდილია და მიყვარს. ან როგორ შეიძლება თქვენს ხელში გაიზარდოს ბავშვი და არ გიყვარდეთ? მერე ჩემისთანა გულჩვილი კაცისთვის. ცოტა ბრაზიანია ჩემი დედაკაცი, თორემ იმასაც უყვარს. ისეა, ბატონო, ჩვენთან შეზრდილი, თითქოს ჩვენი ყოფილიყოს. მეტისმეტად შევეჩვიეთ მის ტიტინს ამ სახლში.

მგზავრი ხმას არ იღებდა, ოღონდ თვალს აღარ აშორებდა ტენარდიეს.

- ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ დამეთანხმებით, რომ არავინ მისცემს თავის საყვარელ ბავშვს უცნობ მგზავრს. ხომ მართალია? ვხედავ, ბატონო, მდიდარი კაცი ხართ, პატიოსანი კაცი უნდა იყოთ. იქნებ ბავშვის სასიკეთოდაც იყოს თქვენი სურვილი, მაგრამ რომ არ ვიცი? ვთქვათ, თანახმა ვარ და დაგითმეთ. ვთქვათ, თავი გავწირე და გავშორდი. კარგი, მაგრამ მეც ხომ უნდა ვიცოდე, სად მიდის? ხომ ვერ გავუშვებ, თუ არ მეცოდინება, სად მიჰყავს და ვის მიჰყავს? ხომ უნდა ვიცოდე, სად არის და ვისთან არის, რომ ხანდახან მაინც ვნახო, რომ ხანდახან მაინც მოიგონოს თავისი კეთილი აღმზრდელი, რომელიც თვალს არ აშორებს პატარას. ბევრი რამ არის, ბატონო, შეუძლებელი. მე თქვენი სახელიც კი არ ვიცი, ვთქვათ წაიყვანეთ. არ უნდა ვიცოდე ვის მიჰყავს პატარა? ბარათი მაინც უნდა დამიტოვოთ, ქაღალდი მაჩვენოთ რამე, თუ პასპორტი არა.

ისევ თვალებში ჩასცქეროდა მგზავრი ტენარდიეს, თვალებში კი არა, შიგ გულის სიღრმეში და იმ კილოთი გასცა პასუხი, რომელშიც მტკიცე გადაწყვეტილება ისმოდა:

- ბატონო ტენარდიე, პარიზიდან რომ ნახევარი საათის სავალზე გამოდის კაცი, საჭირო არ არის პასპორტის თან წამოღება. თუ წავიყვან კოზეტს, საბოლოოდ წავიყვან, თქვენ იმას ვეღარ ნახავთ. თქვენ არც ჩემი სახელი გინდათ და არც ჩემი ბინა და ისე იქნება მოწყობილი საქმე, რომ თავის დღეში ვეღარ გნახოთ უბედურმა. მე ვსპობ მის კავშირს აქაურობასთან და ისე მიმყავს. მოგწონთ ჩემი წინადადება? ჰო თუ არა?

როგორც ეშმაკები და გენიოსები ცნობილი ნიშნით იგრძნობენ ხოლმე უმაღლესი ღმერთების ჩარევას, ისე ტენარდიემ იგრძნო, რომ საქმე ვიღაც ძლიერ კაცთან ჰქონდა. ეს ინტუიციით იგრძნო, მით უფრო, რომ გონება სწრაფი ჰქონდა. წუხელის ღვინოს რომ სვამდა, მეეტლეებთან ჩიბუხს რომ ეწეოდა და უწმაწურად მღეროდა, თან ამ კაცს აკვირდებოდა. სულ იმას უთვალთვალებდა, როგორც კატამ იცის, ჯაშუშივით თვალს არ აცილებდა, რადგან ფულის სუნი მოსდიოდა და გარდა ამისა, სიამოვნებასაც პოულობდა, რომ თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. არ გამოპარვია ამ კაცის არც ერთი მიმოხვრა, არც ერთი მოძრაობა. ჯერ მგზავრს არაფრით გამოემჟღავნებინა თავისი დამოკიდებულება კოზეტისადმი, რომ ტენარდიეს უკვე ეჭვი შეეპარა: - რად შესცქერის ასე ალერსით ამ გოგოს, რომ თვალს არ აშორებსო? რით იყო გამოწვეული ეს სიბრალული, ეს ინტერესი? რატომ იყო, რომ ჯიბე სავსე ჰქონდა ფულით და თვითონ კი ასე მათხოვარივით ეცვა? ვინ იყო, რა იყო ეს კაცი? ასე ეკითხებოდა თავის თავს, პასუხი კი ვერ ეპოვა და ეს უფრო აბრაზებდა. ამ ფიქრებში იყო მთელი ღამე. არა, კოზეტის მამა არ უნდა ყოფილიყო. იქნება პაპა იყო? მაშ, რატომ მაშინვე არ თქვა, - პაპა ვარ ამ გოგოსიო? უფლება ჰქონდეს კაცს და ასე დამალოს? არა, ცხადი იყო, რომ ამ კაცს არავითარი უფლება არ ჰქონდა. მაშ ვინ იყო და რა უნდოდა? ხან რას ფიქრობდა ტენარდიე, ხან რას, საფუძვლიანი პასუხი კი არ ჰქონდა. ყველაფერი წარმოიდგინა და ხელშესახები კი ვერაფერი იპოვა. ერთი რამ იყო საიმედო და უტყუარი: საუბარი რომ დაუწყო ამ კაცს, დარწმუნდა, რომ რაღაც საიდუმლოება იფარებოდაამ საქმეში; რომ ეს კაცი იძულებულია უჩინრად დარჩეს მომავალშიც და ამიტომ თვითონაც უფრო ღონივრად გრძნობდა თავს. მაგრამ როდესაც მგზავრისგან გადაჭრილი პასუხი მიიღო, ნახა, რომ ეს საიდუმლოებით მოცული მგზავრი ასე მარტივი იყო, მაშინ კი სუსტად იგრძნო თავი. ამას კი არ მოელოდა. ეს იმის ყველა საგულველის გაქარვება იყო. ეცადა ფიქრები მოეკრიბა. უცბად, ერთ წამში აწონ-დაწონა მდგომარეობა. იმ კაცთაგანი იყო ტენარდიე, რომლებიც თვალის ერთი გადავლებით აფასებენ მდგომარეობას, და გადაწყვიტა, - აქ პირდაპირ და სწრაფად მისვლა უფრო ხელსაყრელი იქნებაო. სწორედ ისე მოიქცა, როგორც დიდებულმა მხედართმთავარმა იცის გადამწყვეტ მომენტში, რომლის ცნობა მხოლოდ მას შეუძლია. ადგა და უცებ გაამჟღავნა თავისი განზრახვა:

- ერთი სიტყვით, ბატონო, მე ათას ხუთასი ფრანკი მჭირდება.

მგზავრმა ძველი, შავი ტყავის საფულე ამოიღო, გახსნა და სამი ხუთასფრანკიანი ბილეთი მაგიდაზე გაშალა. ზედ დაადო თავისი მსხვილი ცერი და უთხრა;

- მოიყვანეთ კოზეტი.

სად იყო, რას აკეთებდა ამ დროს პატარა გოგო?

ადრე გამოეღვიძა იმ დილასაც, როგორც ყოველთვის და მაშინვე თავისი ფეხსაცმლისკენ გაიქცა. შიგ ოქრო იპოვა, ნაპოლეონის ოცფრანკიანი კი არა,

რესტავრაციის დროის ფული. აღტაცებული იყო გოგო. მისი ბედი თავბრუს ახვევდა უკვე. რა არის ოცფრანკიანი ოქრო? ამისი არაფერი იცოდა, თავის დღეში არ ენახა, მაგრამ მაშინვე ჯიბეში ჩამალა, თითქოს მოპარულის დამალვას ცდილობდა. გრძნობდა, რომ მისი იყო ეს ფული; ხვდებოდა ვისგან უნდა ყოფილიყო ეს საჩუქარი და გახარებულს მაინც რაღაცის ეშინოდა. კმაყოფილი იყო და განცვიფრებული. იმდენად მშვენიერი და ძვირფასი იყო ეს საჩუქრები, რომ თავი სიზმარში ეგონა. დედოფალა ცალკე აშინებდა, ოქრო ცალკე და თრთოლა ერეოდა. ყველასი და ყველაფრის ეშინოდა. მარტო მოხუცებულ მგზავრს ენდობოდა. წუხანდელს აქეთ სულ ამ კაცზე ფიქრობდა თავისი ბავშვური გონებით, მაშინაც კი, როდესაც გაკვირვებული შეჰყურებდა ამ დაღონებულ, ღარიბული შეხედულების მოხუცებულს, რომელიც ასე მდიდარი და გულკეთილი იყო. ძილშიც არ ასვენებდა ეს ფიქრები. ამ კაცის ნახვა ტყეში და მისი ბედის შეცვლა ერთი იყო. საბრალო პატარა მერცხალზე უბედური იყო. არ იცოდა რა არის დედა და როგორ იფარავს თავს დედის ფრთისქვეშ პატარა ბარტყი. ხუთი წლის განმავლობაში, - ამ ხანსაც ძლივს სწვდებოდა მისი მეხსიერება, - შიშით თრთოდა და სიცივით კანკალებდა. ყოველთვის ტიტველი უხვდებოდა უბედურების მძაფრ ქარიშხალს და ახლა კი გრძნობდა, რომ თავშესაფარი იპოვა. აქამდე სულიც გაყინული ჰქონდა, დღეს კი სითბო იგრძნო. თავის ქალბატონისაც ნაკლებად ეშინოდა. მარტო აღარ იყო, მფარველი ჰყავდა.

ოქრო ჯიბეში ჩაიდო და მაშინვე თავის საქმეს შეუდგა. აღარ ასვენებდა ეს ოქრო. იმ ჯიბეში ედო, რომლიდანაც პურის საყიდლად მიღებული ფული დაკარგა, წყალზე რომ იყო. ხელის ხლებას ვერ ბედავდა, მაგრამ გაჩერდებოდა და ხუთი წუთით დასცქეროდა ენაგამოყოფილი. კიბეს გვიდა, მაგრამ გაჩერდებოდა ხოლმე, ცოცხიც დაავიწყდებოდა, მთელი ქვეყანაც და თავის ჯიბეს ჩასცქეროდა, სადაც ოცფრანკიანი ოქრო ბრწყინავდა.

სწორედ ამგვარ განცხრომაში იყო კოზეტი, როდესაც ტენარდიეს ცოლი დაადგა თავზე. ქმრის ბრძანებით გამოსულიყო კოზეტის დასაძახებლად. საკვირველი ის იყო, რომ მუჯლუგუნი არ წაჰკრა და არც წყევლა დაუწყო.

- კოზეტ, - დაუძახა თითქმის ტკბილად, - წამოდი! აბა, ჩქარა!

ერთი წუთში კოზეტი დუქანში შევიდა.

თავისი ბარგი აიღო მგზავრმა, გახსნა, სრული ტანისამოსი ამოიღო 7-8 წლის გოგოსი, აგრეთვე ფეხსაცმელი. ყველაფერი შავი იყო.

- აბა, შვილო, წაიღე ტანისამოსი და ჩაიცვი, ოღონდ ჩქარა.

ირიჟრაჟა და მონფერმეილელებმა გარეთ რომ გამოიხედეს, დაინახეს პარიზისკენ მიმავალი ერთი ღარიბად ჩაცმული მოხუცი კაცი, რომელსაც თან მიჰყავდა პატარა გოგო. ამ გოგონას შავი, სამგლოვიარო ტანისამოსი ეცვა და ხელში ეჭირა ვარდისფერი დიდი დედოფალა.

ეს იყო მგზავრი და პატარა კოზეტი. ამ კაცს არავინ იცნობდა. ბევრმა კოზეტიც ვერ იცნო, რადგან ძონძები არ ეცვა.

მიდიოდა კოზეტი. ვისთან? რა იცოდა? სად მიდიოდა, ვერას გეტყოდათ. თუ იცოდა რამე, ის იცოდა მხოლოდ, რომ ტენარდიეს დუქანს შორდებოდა. გამოთხოვებით აზრადაც არავის მოსვლია გამოთხოვებოდა საწყალს და ისიც ისე მოშორდა იქაურობას, რომ ხმა არავისთვის გაუცია. მოძულებული მიდიოდა ამ სახლიდან და თვითონაც სიძულვილით იყო სავსე.

საწყალი, უწყინარი არსება, რომელსაც აქამდე ტანჯვა-ვაების მეტი არაფერი ენახა.

მშვიდად მიდიოდა კოზეტი, თვალები ფართოდ გაეღო და ცას შეჰყურებდა. თავისი ოქრო ახალი კაბის ჯიბეში ჩაედო. ხანდახან დაღუნავდა ხოლმე თავს, დაჰყურებდა განძს და მერე თავის თანამგზავრს ახედავდა. ისე მშვიდად მისდევდა ამ უცნობს, თითქოს ღმერთთან იყო და შიში აღარავისი ჰქონდა.

## თავი მეათე

## ვინც უკეთესს ეძებს, შეიძლება უარესი იპოვოს

ცოლმა ჩვეულებისამებრ ქმარს მიანდო ეს საქმე, რადგან დიდ ამბებს მოელოდა. მგზავრი და კოზეტი რომ წავიდნენ, ჯერ არაფერი თქვა ტენარდიემ, თხუთმეტ წუთზე მეტხანს იყო გაჩუმებული, მერე ცოლთან მივიდა და წინ დაულაგა ათას ხუთასი ფრანკი.

- სულ ესაა? - წამოიძახა ცოლმა.

ერთად ცხოვრების მანძილზე, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ცოლმა გაბედა და დაუწუნა საქმე თავის მბრძანებელს.

- მართალი ხარ, - წამოიყვირა ქმარმა, - რა სულელი ვარ, სად არის ჩემი ქუდი? ფული დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და სირბილით გავარდა სახლიდან. მაგრამ შეცდა: ჯერ მარჯვნივ წავიდა, მეზობლებს ჰკითხა და იმათ დააყენეს გზაზე, - ტოროლა და ის კაცი ლივრის გზით მიდიოდნენ. ისიც ამ გზას გაჰყვა ჩქარი ნაბიჯით, თან თავის თავს ებაასებოდა:

- ცხადია, მილიონერია ის კაცი, ოღონდ ღარიბად ჩაცმული და მე კი უჭკუო ცხოველი. ჯერ ოცი სუ მოგვცა, მერე ხუთი ფრანკი, მერე ორმოცდაათი ფრანკი, მერე ათას ხუთასი ფრანკი. ისე იღებდა ფულს, თითქოს მტვერია და ცდილობს მოიშოროსო. რეგვენი ვარ, რეგვენი! თხუთმეტი ათასი ფრანკი რომ მეთხოვა, არც იმას იბევრებდა, ერთი დავეწიო.

- ტანისამოსი რატომღა ჰქონდა გოგოსთვის წინასწარ მომზადებული? აქ რაღაც საიდუმლოება იფარება, საიდუმლოება. მართლა რეგვენი ხომ არ ვარ, რომ საიდუმლოებას ვერ მივაგნო და არ ვისარგებლო. მდიდრის საიდუმლოება ოქროთი გაჟღენთილი ღრუბელია, ოღონდ ხელის მოჭერა უნდა.

მიდიოდა, თან ოქროთი გაჟღენთილ ღრუბელზე ოცნებობდა, თან თავს ილანძღავდა: - რეგვენი ვარ, უჭკუო ცხოველი.

ლივრისკენ მიმავალ გზასთან რომ მივიდა, წინ გადაეშალა მინდორი, სადამდეც კი თვალი მისწვდებოდა, - აქედან დავინახავო, იძახდა. ბევრი ეძება ყოველმხრივ, მაგრამ არსად ჩანდნენ. ჰკითხა, ვინც კი შეხვდა, თან ბრაზობდა, - დროს ვკარგავ, ვეღარ დავეწევიო, ბოლოს უთხრეს, - ბებერი კაცი და გოგო განისკენ მიდიოდნენო. ახლა იქით გაიქცა. მგზავრი იმაზე წინ იყო, მაგრამ ბავშვი ჰყავდა და ნელა მიდიოდა. ტენარდიე კი თითქმის გარბოდა და გარდა ამისა, გზაც კარგად იცოდა.

უცბად დადგა და ხელი შემოიკრა თავში, როგორც შეჰფერის კაცს, რომელმაც სწორედ უმთავრესი დაივიწყა და ლამის უკანვე დაბრუნდეს:

- რატომ თოფი არ წამოვიღე?

ორპირი კაცი იყო ტენარდიე, ერთი იმათთაგანი, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან ჩვენს ცხოვრებაში და რომელთა ორპირობას ვერ ვამჩნევთ, რადგან

ბედი მხოლოდ ერთ მხარეს გვიჩვენებს. ბევრს აცხოვრებს ბედი ასე, ნახევრად უჩინრად. კარგ, დამშვიდებულ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო ტენარდიე, ყველაფერი ხელს უწყობდა, მოგჩვენებოდათ, - არ ვიტყვით, რომ გამხდარიყო, არა, - მოგჩვენებოდათ პატიოსან ვაჭრად და პატიოსან ბურჟუად; მაგრამ, იმავე დროს, სხვა გარემოებაც ბევრი ჩაერია მის ცხოვრებაში, სხვა ბიძგებიც მოხვდა, რომლებმაც გამოამუღავნეს მისი მეორე, აქამდე მიყუჩებული ბუნება და ახლაც ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ სიავკაცე გამოეჩინა. მედუქნე იყო, რომელშიც ურჩხული იმალებოდა. ხანდახან ალბათ თვით ეშმაკი ჩაცუცქდებოდა სადმე კუნჭულში ტენარდიეს დუქანში, რომ აღტაცებით დამტკბარიყო თავისი ბოროტი ხელოვნების შედეგრით.

ცოტა ხანს იდგა, ყოყმანობდა და წამოიძახა:

- თუ გაპარვა უნდოდათ, აქამდე გამეპარებოდნენ. ვნახოთ!

და ისევ იმათ მიჰყვა აჩქარებით და რწმენით, რომ ვერსად წაუვიდოდნენ, მელიის გამოცდილებით, რომელიც კვალდაკვალ მისდევს მწყერს. და მართლაც, ტბას რომ გასცდა და დიდი კორდი გადაიარა, შორს, ბუჩქნარს იქით დაინახა ის ძველი ქუდი, რომელზეც დიდი ფულის შოვნის იმედს ამყარებდა. ჩვენი მგზავრის ქუდი იყო. ბუჩქნარი დაბალი იყო, გოგონა არ ჩანდა, მაგრამ დედოფალას თავს კი კარგად ხედავდა.

დასასვენებლად დამსხდარიყვნენ ჩვენი მგზავრები, რადგან კოზეტს დაღლა ეტყობოდა. მიუახლოვდა მედუქნე, მისწი-მოსწია ბუჩქები და უცბად თავზე წაადგა მგზავრებს.

- ბოდიშს ვიხდი, ბატონო, - დაუწყო ქშენით, - მაგრამ აი თქვენი ათას ხუთასი ფრანკი.

და გაუშვირა სამი ქაღალდის ფული.

გაკვირვებული შეჰყურებდა მგზავრი.

- რაო? ეს რას ნიშნავს?

ტენარდიემ დიდი პატივისცემით უპასუხა:

- იმას მოგახსენებთ, ბატონო, რომ კოზეტი უკან მიმყავს.

კოზეტი აკანკალდა და მგზავრს მიეკრა.

თვალი თვალში გაუყარა მგზავრმა და კიდევ ჰკითხა სიტყვის მარცვლებად დაყოფით:

- კო-ზე-ტი უ-კან მიგ-ყავთ?

- დიახ, ბატონო, ისევ შინ მიმყავს. აი, მოგახსენოთ. დავფიქრდი. ბოლოს და ბოლოს, მე არა მაქვს უფლება, რომ თქვენ იგი მოგცეთ. რა ვქნა, ბატონო, პატიოსანი კაცი ვარ და აქაც მინდა პატიოსნად მოვიქცე. ეს გოგონა ჩემი კი არ გახლავთ. თავისი დედის არის. დედამ მომანდო თავისი შვილი და მეც მის მეტს ვერავის მივცემ. ახლა მეტყვით: - დედა მოუკვდა, დედა აღარ ჰყავსო. - ამ შემთხვევაში მე ამ ბავშვს მარტო იმას მივცემ, ვინც დედამისის ხელმოწერილ ბარათს მომიტანს, რომ ბავშვი ამ ბარათის მომტანს მიეციო. ეს ცხადზე უცხადესია.

პასუხი არ გასცა მგზავრმა. ამოიღო საფულე, ფულით გატენილი რომ ეჩვენებოდა ტენარდიეს.

სიხარულით თრთოლა დაიწყო მედუქნემ.

„ძალიან გავაბი! ახლა ფულით მიპირებს მოსყიდვას! მაგრად დავუხვდეთ!“

ვიდრე საფულეს გახსნიდა, მგზავრმა თვალი მოავლო იქაურობას. იმათ მეტი არავინ ჩანდა. სულიერი არავინ იყო არც ტყეში, არც მინდორში. გახსნა საფულე. ამოიღო არა ფული, რასაც ტენარდიე ელოდა, არამედ პატარა ქაღალდი, გაშალა და წარუდგინა მედუქნეს.

- მართალი ხართ, აი, წაიკითხეთ.

ტენარდიემ ჩამოართვა ქაღალდი და წაიკითხა:

მონრეილი 23 მარტი 1823 წ.

ბატონო ტენარდიე,

ამის მომტანს ჩააბარეთ ჩემი კოზეტი. წვრილმან ვალსაც ამის მომტანი გადაგიხდით.

თქვენი პატივისმცემელი

ფანტინი.

- ამ ხელნაწერს ხომ იცნობთ?

ფანტინის მიერ იყო ხელმოწერილი. ტენარდიემ იცნო.

სახტად დარჩა კაცი. ფულის იმედი გაუცრუვდა. თავი დამარცხებულად იგრძნო.

მგზავრმა უთხრა:

- ეს წერილი თქვენ გქონდეთ თავის გასამართლებელ საბუთად.

რაღას იზამდა ტენარდიე, დაემორჩილა განგებას, მაგრამ მაინც ბუზღუნებდა: ხელწერა კარგად არის მიმსგავსებული. ეჰ, რაც არის, არის!.. და ერთხელ კიდევ სცადა ფულის წაგლეჯა:

- კარგი, ბატონო, რაკი თქვენ ბრძანდებით წერილის მომტანი; ოღონდ რაღაც წვრილი დანახარჯი მაქვს ამ გოგოზე. ის უნდა გადამიხადოთ. ეს დანახარჯი დიდ თანხას წარმოადგენს.

მგზავრი წამოდგა, წკიპურტით გაიცილა მტვერი გახუნებული სახელოდან და უთხრა:

- ბატონო ტენარდიე, იანვარში დედას ანგარიშით ასოცი ფრანკი ემართა, თებერვალში თქვენი წერილი მიიღო, ხუთას ფრანკს სთხოვდით. სამასი ფრანკი თებერვლის ბოლოს მიიღეთ და სამასი ფრანკიც მარტის დამდეგს. მას შემდეგ ჯერ ცხრა თვეც არ გასულა და თხუთმეტ ფრანკად რომ ჩავთვალოთ თვე, გარიგებისამებრ, ეს შეადგენს ას ოცდათხუთმეტ ფრანკს. ას ფრანკზე მეტი გაქვთ მიღებული; რჩება გადასახდელი ოცდათხუთმეტი ფრანკი. მე კი ათას ხუთასი ფრანკი მოგეცით.

ტენარდიემ ის ტკივილი იგრძნო, რომელსაც მგელი გრძნობს, როდესაც მახის ბასრი კბილი ერჭობა ყელში.

ადამიანია თუ ქაჯი ეს კაცი! - ფიქრობდა ტენარდიე.

მგლურადვე მოიქცა - გაიწია, - იქნება აქაც დამეხმაროს გაბედულებაო:

- ბატონო ჩე-მო, უც-ნო-ბო, - უთხრა თავხედურად, ზრდილობის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, - ან ექვსი ათას ფრანკს მომცემთ, ან არადა კოზეტს უკან წავიყვან.

მგზავრმა მშვიდად მიმართა კოზეტს:

- აბა, წავიდეთ, შვილო.

მარცხენა ხელით კოზეტის ხელი ეჭირა, მარჯვენა დაავლო თავის ჯოხს, მიწაზე რომ ეგდო.

ტენარდიეს უყურადღებოდ არ დარჩენია არც იმ ჯოხის სიმძიმე, არც იქაურობის უდაბურობა.

მგზავრი ტყეში შევიდა. გაშტერებული უყურებდა მედუქნე იმის გაშლილ მხარბეჭს და მსხვილ მუშტებს.

მერე თითქოს შედარება უნდაო, თავის გამხმარ, წვრილ ხელებზე დაიხედა და კიდევ ერთხელ ინანა თავისი სისულელე; არა, სანადიროდ მოვდიოდი მე სულელი და თოფი კი არ წამოვიღე?

მაგრამ მაინც არ ჰკარგავდა იმედს:

- უნდა ვნახო, სად წავა, - გაიფიქრა იმედიანად და უკან მიჰყვა კარგა მოშორებით. ნადავლი ორი შერჩენოდა ხელში: ერთი დაცინვა იყო - წერილი, ფანტინის ხელმოწერილი და ერთიც ნუგეში - ათას ხუთასი ფრანკი.

ლივრისკენ მიდიოდა მგზავრი პატარა ბავშვით. ნელა მიდიოდა თავჩაღუნული, ჩაფიქრებული და დაღონებული. ზამთარს გაეტიტვლებინა ხე-ტყე, ასე, რომ მას შორიდანაც თვალს არ აშორებდა ტენარდიე. ხანდახან მგზავრი მობრუნდებოდა ხოლმე, უკან იცქირებოდა, უნდოდა ენახა, უკან ხომ არ მოსდევდნენ და როდესაც თვალი მოჰკრა მსტოვარს, ხშირ ტყეში შევიდა.

- სად წამიხვალ? - იძახდა ტენარდიე და ისიც უკან დაედევნა.

რომ არსად დამალვოდნენ, მიუახლოვდა. მგზავრი მობრუნდა. ძალიან ეცადა მედუქნე დამალულიყო, მაგრამ ახლოს იყო და ვერას გახდა. გაბრაზებით გადმოხედა მგზავრმა და ისევ გზას გაუდგა. ისიც მისდევდა, ორასი, სამასი ნაბიჯი გაიარეს ასე.

მერე უცბად გაჩერდა მგზავრი. დაინახა ტენარდიე და ისეთი მუქარით გადმოხედა, რომ მედუქნემ იმედი დაკარგა და შინისკენ წავიდა.

## თავი მეთერთმეტე

## #9430 ამოვიდა და ეს ნომერი კოზეტს ერგო ლატარიაში

ჟან ვალჟანი არ მომკვდარა.

ზღვაში რომ ჩავარდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ზღვაში რომ ჩახტა, ბორკილი არ ჰქონდა ფეხებზე. გაცურა ორ გემს შუა ერთ ნავამდე, შიგ ჩაძვრა და დაიმალა. რომ დაღამდა, ისევ წყალში ჩახტა, ბრენის კონცხამდე მივიდა ცურვით. გამოვიდა, ფული არ აკლდა, ტანისამოსი იყიდა: ბალაგიეს მიდამოებში ერთი დუქანი იყო, რომელიც გამოქცეულ კატორღელებს ტანსაცმელს აწვდიდა და დიდ მოგებასაც ნახულობდა. ჟან ვალჟანიც იმ გზას მიჰყვა, რომელსაც ირჩევს ხოლმე ყველა გამოქცეული, რომ გზა-კვალი აუბნიოს კანონის დამცველებს და თავი დააღწიოს საზოგადოებრივ სასჯელს. შარაგზას მოერიდა და შორიდან მოუარა. ჯერ პრადოში გაჩერდა, ბოსეს ახლო, მერე გრან-ვიარისკენ წავიდა, ბრიანსონის ახლო, ზემო ალპებში. საშინელი, ხიფათიანი იყო მისი მოგზაურობა. ისე გაურბოდა სინათლეს, როგორც თხუნელა, ოღონდ თხუნელამ კარგად იცის თავისი ხვრელები და ამ ადამიანმა კი არაფერი იცოდა თავისი გზისა. შემდეგში ნელ-ნელა გამოჩნდა კვალი; ენოში უნდა ყოფილიყო, აკონში, გრან-დედუმეკად წოდებულში, პერიგიოს მახლობლად, ბრუმში, ბოლოს პარიზში მივიდა და მონფერმეილში ხომ კიდეც ვნახეთ.

პარიზში მისვლისთანავე შვიდი-რვა წლის გოგონას სამგლოვიარო ტანისამოსი იყიდა კოზეტისთვის, მერე ბინა იშოვა და მონფერმეილში წავიდა.

მკითხველს ემახსოვრება: ჟაერს რომ გამოექცა, მაშინაც მონფერმეილის მოდამოებში დადიოდა საიდუმლო განზრახვით, რაზეც ეჭვი აიღო პოლიციამ.

იგი დამხრჩვალად მიაჩნდათ და ეს უფრო აბნელებდა იმ წყვდიადს, რომელიც ჟან ვალჟანის ირგვლივ იყო გამეფებული. პარიზში ერთი გაზეთი ჩაუვარდა ხელში, რომელშიც აღნიშნავდნენ მისი ზღვაში დაღუპვის ამბავს. ამან ძალიან დაამშვიდა დევნილი და ისე გრძნობდა თავს, თითქოს მართლაც მკვდარი ყოფილიყო.

კოზეტი რომ გამოგლიჯა ტენარდიეს ბრჭყალებიდან, იმ საღამოსვე მივიდა პარიზში, ოღონდ ღამით შევიდა, სიბნელეში, მონსოს სადარაჯოთი; იქიდან ეტლით მივიდა ობსერვატორიის მოედნამდე, იქ კი ჩამოხტა, მეეტლეს გაუსწორდა, ხელი ჩაკიდა კოზეტს და მიყრუებული ქუჩით წავიდა თავისი ბინისაკენ.

არაჩვეულებრივი იყო ის დღე კოზეტისთვის, შთაბეჭდილებებით აღსავსე. დამშეულებმა სადღაც მიყრუებულ დუქანში ნაყიდი პური და ყველი ერთი ღობის ძირას ჭამეს. ეტლებს ხშირად იცვლიდნენ. ფეხითაც ბევრს დადიოდნენ. კოზეტი არ ჩიოდა, მაგრამ დაღლილობა ემჩნეოდა, ძლივსღა მისდევდა თავის მხსნელს. რაკი ნახა ჟან ვალჟანმა, რომ მეტი აღარ შეეძლო, ზურგზე მოიკიდა. კოზეტს ხელში თავისი დედოფალა ეჭირა. თავი დაადო ჟან ვალჟანს მხარზე და ჩაეძინა.

## წიგნი მეოთხე
## გორბოს ქოხი

### თავი პირველი
### ბატონი გორბო

ამ ორმოცი წლის წინათ სალპეტრიერისკენ რომ გაესეირნა კაცს და ბულვარით საბაჟომდე მისულიყო, იმ მხარეს მიაღწევდა, სადაც შეიძლებოდა ეთქვა, - აქ პარიზი აღარ არისო. ეს არც უდაბნო იყო, რადგან გამვლელებს შეხვდებოდით. მინდორიც არ ეთქმოდა, რადგან სახლები იდგა და ქუჩები იყო გაყვანილი. ქალაქს კი არ მიაგავდა, რადგან ქუჩებს ემჩნეოდა ბორბლების ნაკვალევი. ბალახით ამწვანებული სოფელი არ იყო, რადგან მაღალი სახლები წამოეჭიმათ. მაშ რა უნდა ყოფილიყო? დასახლებული ადგილი გახლდათ, მაგრამ არავინ ჩანდა. უდაბნო იყო, მაგრამ ვიღაც ცხოვრობდა; ხეივანი იყო დიდი ქალაქისა, ქუჩა პარიზისა, ღამით უფრო საშინელი, ვიდრე ტყე და დღისით უფრო პირქუში, ვიდრე სასაფლაო.

ეს ძველი ცხენების ბაზრის უბანი იყო.

თუ გაბედავდა მოსეირნე და ამ ცხენების ბაზრის მინგრეულ-მონგრეულ კედელს გადაივლიდა, გადაივლიდა პტი-ბანკიეს ქუჩას, მერე თრიმლის საფქვავებით მოფენილ მინდორს, მერე ერთ ეზოს ხე-ტყით, ფიცრებით, ნახერხით და ბურბუშელით სავსეს, სადაც დიდი ძაღლი იყეფებოდა, გადალახავდა ერთ დაბალ ხავსმოკიდებულ, შავ სამგლოვიარო კარიან დანგრეულ კედელს და ბოლოს ერთ საშინელ, ძველ შენობას მიადგებოდა, რომელსაც წარწერა ჰქონდა: „აკრძალულია განცხადებების გაკვრა“, - შემდეგ ვინ-სენ-მარსელის ქუჩაში გავიდოდა. იქ ერთ სახელოსნოსთან სახლი ჩანდა, ერთი შეხედვით ქოხივით პატარა, სინამდვილეში კი საკმაოდ დიდი, ქუჩაში მარტო მაშურით გამოდიოდა და ამიტომ ჩანდა ასე პატარა. თვით სახლი თითქმის მთლიანად დამალული იყო. ერთი კარი ჩანდა და ერთი ფანჯარა.

სახლი ერთსართულიანი იყო.

უცნაური ის გახლდათ, რომ კარი უბრალო ქოხისა ჰქონდა და ფანჯარას კი, გათლილ ქვაში რომ ყოფილიყო ჩასმული და არა ქვა-ყორეში, შეეძლო სასახლე დაემშვენებინა.

ძველი, ჭიანაჭამი ფიცრების კარი ჰქონდა, გაუთლელი მორებით შეერთებული. კარიდანვე იწყებოდა მაღალსაფეხურებიანი კიბე, ტალახიანი, ჭუჭყიანი, მტვრიანი, რომელიც მისადგმელ კიბეს ჰგავდა და კედლებში იკარგებოდა. კარში პატარა ღია სარკმელი იყო გამოჭრილი. ამ სარკმელზე შიგნიდან 52 ეწერა შავი მელნით და გარედან, იმავე კალმით და მელნით 50, ისე, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო სახლის ნომერი; კარის ზემოდან პატარა სარკმელს ფარდის მაგიერ ჭუჭყიანი და მტვრიანი ჩვრები ეფარა.

ფანჯარა საკმაოდ განიერი და მაღალი იყო, დიდმინიანი, ოღონდ მინა ალაგ-ალაგ გატეხილიყო და ქაღალდი ეკრა. დარაბა დაშლილი ეფარა და გამვლელს უფრო ემუქრებოდა, ვიდრე სახლში მყოფთ იფარავდა სიცხისგან. თარაზული შუქფარი აქა-იქ აკლდა და სამაგიეროდ სწორი ფიცრები ეკრა.

ეს ჭუჭყიანი კარი და ეს ლამაზი, თუმცა ძველი და დასახიჩრებული ფანჯარა ერთსა და იმავე სახლში ორი მათხოვრის შთაბეჭდილებას ტოვებდა; ერთად მიდიან, ერთნაირად შემოსილები, მაგრამ განსხვავებული იერით; ერთი ყოველთვის მაწანწალა ყოფილა, მეორე კი ოდესღაც აზნაური.

კიბე დიდ შენობაში შედიოდა, რომელიც საცხოვრებლად გადაკეთებულ უზარმაზარ ფარდულს ჰგავდა. შუაზე დიდი ტალანი ჰქონდა, რომელშიც ორივე მხარეს საცხოვრებელი ოთახების მრავალი კარი გამოდიოდა, ოთახები უფრო საკუჭნაოს ჰგავდნენ, ვიდრე სენაკს. ბნელი იყო ყველაფერი, დაღვრემილი, ობობებით და აბლაბუდებით სავსე. შესასვლელი კარის მარცხნივ, ბულვარის მხარეს, ადამიანის სიმაღლეზე მცირე ზომის სარკმელი იყო, რომელშიც კენჭებს ყრიდნენ პატარა ბიჭები.

ამას წინათ დაანგრიეს ამ შენობის ნაწილი, თუმცა რაც დარჩა, ისიც საკმარისია, რომ კარგად წარმოვიდგინოთ, რა უნდა ყოფილიყო ეს სახლი. ასი წლისა იქნებოდა, მეტის არა. ასი წელი სიყმაწვილეა ეკლესიისთვის და სიბერე ხალხისთვის, თითქოს ადამიანის ბინა მისი სიცოცხლის ხანმოკლეობას ეგუებოდეს და ბინა ღვთისა - მის მარადისობას.

ფოსტის მოხელე ამ სახლს #50-52 უწოდებდა; უბანში კი გორბოს სახლად იყო ცნობილი.

ისიც ვთქვათ, რატომ ერქვა ეს სახელი.

პატარ-პატარა ამბების შემკრებებმა და ანეკდოტების მთხზველებმა იციან, რომ გასულ საუკუნეში, დაახლოებით 1770 წელს, პარიზში ორი პროკურორი იყო შატლეში. ერთი კორბო, მეორე რენარი. ორი სიტყვა, რომელიც ისე ლამაზად გამოიყენა ლაფონტენმა თავის იგავში. ეს ისეთი კარგი შემთხვევა იყო, რომ მაშინვე გამოიყენეს სასამართლოს მწერლებმა. პაროდია შეთხზეს უვარგის ლექსად და მხოლოდ ესღა ისმოდა სასამართლოს ტალანში:

ერთხელ წყეული, საზარი, შავი,
დაჯდა ქაღალდთა დასტაზე ყვავი.
და საპატიმრო ფურცელს

ნისკარტი ჩაავლო უცებ.

ფარისევლურად მელა ტყიდან გამოცუნცულდა,

ყვავს უთხრა: „ყოჩაღ, მეგობარო, ასედაც უნდა“ და ა. შ.

შეურაცხყოფილები იყვნენ პროკურორები. ისე ვერსად გაივლიდნენ, რომ მაშინვე ეს სიმღერა და გულიანი ხარხარი არ გაეგონათ და გადაწყვიტეს, - მეფეს მივმართოთ თხოვნით, გვარი შეგვიცვალოსო. თხოვნა მიართვეს მეფე ლუი მეთხუთმეტეს სწორედ იმ დროს, როდესაც წმ. პაპის წარმომადგენელი, ერთი მხრივ, და კარდინალი ლაროშ-ეიმინი, მეორე მხრივ, სარწმუნოებრივად დაჩოქილნი ფლოსტებს აცმევდნენ ქალბატონ დებარის, რომელმაც ის იყო გაიღვიძა და ფეხი გაუშვირა ბერებს. მეფეც იქვე ბრძანდებოდა და გულიანად იცინოდა. გულიანი სიცილითვე შეხვდა ორი ბერის შემდეგ ორ პროკურორს და ბრძანა: კორბომ თავისი გვარის პირველ ასოს კუდი მოაბას და გორბოდ იწოდებოდეს. რენარისთვის კი წყალობა არ გაიღო. მის გვარს ასო პ მიემატოს და ამიერიდან პრენარად იწოდებოდესო.

ჰოდა, ადგილობრივი თქმულებების მიხედვით, სწორედ ბატონი გორბო ბრძანდებოდა იმ სახლის პატრონი, რომელსაც #50-52 ამშვენებდა. მასვე გაეკეთებინა დიდებული ფანჯარა.

და აქედან დაერქვა სახელი: გორბოს სახლი.

ამ სახლის პირდაპირ ბუვარის ხეებში ერთი მაღალი თელა იდგა თითქმის გამხმარი და იქიდან იწყებოდა გობლენების ქუჩა, რომელშიც მაშინ სახლები არ იყო და მეზობელი ქუჩიდან შაბიამნის საძაგელი სუნი მოდიოდა.

დარაჯიც იქვე იყო. 1823 წელს ქალაქს ჯერ კიდევ ერტყა კედელი.

საშინელი წარსულის სურათებს გახსენებდათ ეს სადარაჯო. აქედან მიდიოდა გზა ბისეტრისკენ (იმპერიის და რესტავრაციის დროს). ამ გზით შეჰყავდათ პარიზში სიკვდილმისჯილები. აქ მოხდა 1829 წელს საზარელი მკვლელობა, რომლის საიდუმლოებასაც ვერ მიაკვლია მართლმსაჯულებამ. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და კრულბარბის ქუჩაში ხართ, სადაც ულბახმა ხანჯლით მოკლა იერელი მწყემსი გოგო ჭექა-ქუხილის დროს, როგორც მელოდრამაში ხდება ხოლმე. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და სენ-ჟენის საბაჟოს საზიზღარ თავწაჭრილ თელებთან მიხვალთ. ასე მალავდნენ ფილანთროპები თავის ეშაფოტს, ამ საზარელ გრევის მოედანს, ჩვენი წვრილბურჟუაზიული საზოგადოების სამარცხვინო ადგილს, სადაც სიკვდილით სჯიან განწირულებს: ვერ გაბედა მხდალმა ბურჟუაზიამ ვერც ადამიანის სიკვდილით დასჯის მოსპობა და ვერც მისი არსებობის დასაბუთება.

გორბოს სახლთან შენება შემდეგში დაიწყეს ბურჟუებმა. ეს პარიზის მიდამოების საძაგელი მხარე იყო, თავისი საზარელი სურათებით: ერთ მხარეს, სალპეტრიერი მოჩანდა და, მეორე მხარეს, იქვე გვერდით, ბისერტი, ესე იგი, ჭკუიდან შეშლა ქალისა და გაგიჟება კაცისა. მარტო სასაკლაოები ჩანდა, აქა-იქ იშვიათად ქარხნები, რომლებიც ყაზარმებს ან მონასტრებს ჰგავდნენ. ყველგან ფარდულები იყო გაფანტული. ძველ, ჩაშავებულ კედლებთან ახალი თეთრი შენობა მოჩანდა. ყველგან რიგებად დაერგოთ ხეები, გაჭიმული თოკის სისწორით იდგა შენობები, გათანაბრებული იყო ყველა, თითქოს გარინდულა დედამიწაო, ერთფეროვნება იყო ყველგან, საზიზღარი და მოსაწყენი. არაფერია ისე მოსაბეზრებელი, როგორც სიმეტრია. სიმეტრია მოსაწყენია და მოწყენილობა ძირი არის მწუხარებისა. სასოწარკვეთილება ამთქნარებს, თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ რამე უფრო

საშინელი, ვიდრე ჯოჯოხეთია, სადაც იტანჯებიან, ეს იქნება ჯოჯოხეთი, სადაც მოწყენილობაა. რომ არსებობდეს ამისთანა ჯოჯოხეთი, სწორედ გორბოს სახლის მიდამოები იქნებოდა.

საღამო ჟამს, როდესაც ნელ-ნელა ქრება სინათლე, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ქარი გაყვითლებულ ფოთლებს აცლის ხეებს და შავი წყვდიადია გამეფებული დედამიწაზე, თუ ცაზე ვარსკვლავი არსად ბუუტავს და მთვარეც ხანდახან გამოიხედავს ღრუბლებიდან, საშინელი ხდება უცბად ეს ხეივანი. გამვლელს თავისდაუნებურად აგონდება ამ უბნის თქმულებები, სახრჩობელისა და ეშაფოტის გამარჯვება, განმარტოება ამ უბნის, სადაც ამდენი ადამიანის სისხლი დანთხეულა. ყოველივე ეს უფრო აშინებს გამვლელს, თითქოს საფარები იყოს ირგვლივ ამ სიბნელეში. საეჭვოდ მიაჩნია, რასაც კი თვალს მოჰკრავს.

დღე - საზიზღარი იყო ეს უბანი, საღამოს - პირქუში და ღამე - შიშის მომგვრელი.

ზაფხულში, საღამო ჟამს, თელების ქვეშ, დახავსებულ სკამებზე ისხდნენ დედაკაცები და მოწყალებას თხოულობდნენ.

მაგრამ ნელ-ნელა იცვლებოდა ეს უბანი, რომელიც დრომოჭმულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძველებურს. ყოველდღე აკლდებოდა რაღაც მისი წარსულის დამახასიათებელი. ამ ოცი წლის წინაქ ააშენეს ორლეანის რკინიგზის სადგური და რკინიგზის სადგურის აშენება ხომ გარეუბნის სიკვდილსა და ახალი ქალაქის აღმოცენებას ნიშნავს. ხალხთა მოძრაობის ამ დიდრონი წერტილებით, მისი ძალოვანი მანქანების მიმოსვლით, რომლებიც ქვანახშირით საზრდოობენ და კვამლით სუნთქავენ, - თრთოლას იწყებს ჩანასახით სავსე მიწა და მზადაა პირი დააღოს, რომ შთანთქას ძველებური სახლები და აღმოაცენოს ახლები. ძველი შენობები ინგრევა. ახალი შენდება.

სადგურს მოძრაობა მოსდევს, ტვირთის მიმოზიდვა და ირღვევა ძველი, ვიწრო ქუჩები, რომელშიც ქარის სისწრაფით მოძრაობენ ეტლები, დილიჟანსები, ომნიბუსები და მარჯვნივ და მარცხნივ სწევენ შენობებს, აგანიერებენ ქუჩებს. ხშირად უცნაურია ადამიანისთვის ყოველგვარი სიახლე, მაგრამ სრულიად კანონზომიერი. როგორც მართალია, რომ დიდ ქალაქებში მზის გამო სამხრეთისკენ მოქცეული ფასადებიანი სახლების რიცხვი იზრდება, ისევე მართალია, რომ ეტლების სწრაფი და ხშირი მიმოსვლა აფართოვებს ქუჩებს.

ახალი ცხოვრების ნიშნები ყველგან თვალსაჩინო ხდება. ამ ძველებურ, პროვინციულ უბნებში იკრწყლება ქუჩები, ჩნდება და გრძელდება ქვაფენილები, იქაც კი, სადაც ჯერ თითქმის არ არის გამვლელი. ერთ მარადსახსოვარ დილას 1845 წელს ქუჩებში შავი ქვაბები დადგეს ფისის დასადნობად და შეიძლება ვთქვათ, რომ იმ დღეს მიაღწია ცივილიზაციამ ორლეანის ქუჩას და პარიზი შევიდა სენ-მარსოს გარეუბანში.

## თავი მეორე
## ჭოტისა და ტოროლას ბუდე

ჟან ვალჟანი გორბოს ქოხთან გაჩერდა. ეს მიყრუებული ადგილი ამოირჩია ტყის ფრინველივით, თავისი ბუდის მოსაწყობად.

ჯიბიდან გასაღები ამოიღო. კარი გააღო, შევიდა, მაგრად მიკეტა და კიბეზე ავიდა. კოზეტი ისევ ხელში ჰყავდა აყვანილი. კიბის თავზე მეორე გასაღები ამოიღო და

ოთახის კარი გააღო. შევიდა, კარი მოხურა და დაკეტა. დიდი ოთახი იყო სხვენზე, იატაკზე ერთი ხელი ლოგინი ეგო, ერთი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. კუნჭულში პატარა ღუმელი ენთო. ქუჩის ფარნის სინათლე შემოდიოდა ამ ღარიბულ ქოხში. პატარა კარი გადიოდა მეორე საწოლ ოთახში, სადაც თასმებით ჩამოკიდებული ლოგინი იყო. ფრთხილად ჩააწვინა კოზეტი ამ ლოგინში ისე, რომ მას თვალი არ გაუხელია.

ტალკვესით სანთელი აანთო. მაგიდაზე ყველაფერი წინასწარ იყო დალაგებული. როგორც წინა ღამეს, ახლაც ისევე იდგა და გოგონას აღტაცებით დასცქეროდა. მის მზერაში სიბრალული და სიყვარული იხატებოდა. პატარა გოგონას იმ სიმშვიდით ეძინა, რომელიც ხვედრია დიდი ძალისა და აგრეთვე დიდი სისუსტისა.ტკბილად ეძინა და ძილს არ უფრთხობდა ფიქრი, - სად ვარ ან ვისთან ვარო?

დაიხარა ჟან ვალჟანი და ხელზე აკოცა ბავშვს. ახლაც ის მწვავე, თითქმის რელიგიური გრძნობა განიცადა, როგორც ცხრა თვის წინ, როდესაც კოზეტის საუკუნოდ მიძინებულ დედას ჰკოცნიდა ხელზე. მუხლი მოიყარა ბავშვის ლოგინთან.

გათენდა და გოგონას ისევ ეძინა. დეკემბრის მზის მკრთალი სინათლე შემოდიოდა ოთახში და ჭერზე სინათლისა და ბროლის ზოლებს ხატავდა. ქუჩაში მძიმედ დატვირთულმა ეტლმა გაიარა, შეაზანზარა სახლი და ააკანკალა კოზეტი.

- ახლავე, ქალბატონო, - წამოიძახა გოგონამ, - ახლავე!

და ლოგინიდან გადმოხტა. ჯერ არც კი ჰქონდა თვალი გახელილი. კედელს მივარდა კუნჭულში და დაიკვნესა:

- ვაიმე, ჩემი ცოცხი? ღმერთო!

გაახილა შეშინებული თვალები, დაინახა ჟან ვალჟანი და გონს მოვიდა, გაუცინა და მიესალმა.

- მაშ ეს მართალია, დილა მშვიდობისა, ბატონო.

ბავშვი ადვილად ეგუება სიხარულს და ბედნიერებას, რადგან თვით არის სიხარული და ბედნიერება.

თავისი ლოგინის ფერხთით დედოფალა დაინახა, აიყვანა, თამაში დაუწყო და თან ხან რას ეკითხებოდა ჟან ვალჟანს, ხან რას. სად ვართ? დიდი ქალაქია პარიზი? შორს არის ქალბატონი ტენარდიე? მაშ აქ ვერ მოვა და სხვა და სხვა. უცბად შეჰყვირა:

- რა ლამაზია ეს ოთახი!

საძაგელი ოთახი იყო, მაგრამ იგი აქ თავს თავისუფლად გრძნობდა.

- დავგავო?

- ითამაშე, - უპასუხა ჟან ვალჟანმა.

ასე გავიდა ის დღე. აღარც შიში აწუხებდა კოზეტს, აღარც რაიმე საზრუნავი. ის ბედნიერი იყო თავის მშვენიერ დედოფალასთან და მოხუცებულ მფარველთან.

## თავი მესამე
## ორმა უბედურებამ შექმნა ბედნიერება

ირიჟრაჟა მეორე დღეს. ჟან ვალჟანი უკვე მძინარე კოზეტს დასცქეროდა უძრავად იდგა, სანამ გოგონამ არ გაიღვიძა.

რაღაც ახალი იღვრებოდა მის სულში.

ჟან ვალჟანს თავის დღეში არავინ ჰყვარებია. ოცდახუთი წლის იყო, როცა მოაშორეს თავის დას და მას შემდეგ სულ მარტოდმარტო ცხოვრობდა: არც ვისიმე მამა ყოფილა, არც საყვარელი, არც ქმარი, არც მეგობარი. კატორღაში გულქვა, დაღვრემილი და სასტიკი გახდა, მაინც უბიწოებითაღსავსე გული ჰქონდა. დისა და დისწულების შორეული, ბუნდოვანი ხსოვნაღა შერჩენოდა და ისიც ნელ-ნელა ქრებოდა; ყველა ღონე იხმარა, რომ ეპოვა ისინი, მაგრამ ვერაფერი გააწყო და დავიწყებას მისცა. ასეთია ადამიანის ბუნება. სხვა თუ რამ ჰქონდა საგულისხმო სიყმაწვილეში, დიდი ხანია დაევიწყებინა.

კოზეტი რომ ნახა, გაათავისუფლა და წამოიყვანა, სულში განახლება და გაცოცხლება იგრძნო. მის გულში დაგროვილი მთელი სინაზე და სიყვარული ამ ბავშვისკენ მიისწრაფოდა. მძინარე კოზეტის ლოგინს რომ მიუახლოვდებოდა, სიხარულით თრთოდა. დედის ნეტარებას გრძნობდა, მისთვის უჩვეულოს, რადგან მეტად ტკბილი და საიდუმლოებით მოცულია სიყვარულით სავსე გულის თრთოლა.

საბრალო მოხუცის ჭაბუკი გული!

თვითონ ორმოცდათხუთმეტი წლის იყო, კოზეტი - რვისა და მთელი მისი ბავშვისადმი სიყვარული ნელ ციმციმად გადაქცეულიყო.

ეს მეორე ნათელი მოვლენა იყო მის სიცოცხლეში. ეპისკოპოსმა მას სათნოების ალიონი დაანახვა; კოზეტმა - ალიონი სიყვარულისა... რამდენიმე დღე გავიდა ასე ტკბილად. თავის მხრივ კოზეტიც იცვლებოდა. ისე პატარა იყო, როცა დედამ გააბარა, რომ აღარაფერი ახსოვდა. როგორც ყველა ბავშვი, ისიც ვაზის რტოსავით ცდილობდა მოსჭიდებოდა რასმე და ჰყვარებოდა, მაგრამ ყველა ხელს ჰკრავდა, ტენარდიეებიც, იმათი შვილებიც, სხვა ბავშვებიც. პატარა ძაღლი უყვარდა და ისიც მოუკვდა. მას შემდეგ კიდევ ეცადა, მაგრამ არავის სჭირდებოდა, ახლოს აღარავინ მიიკარა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რვა წლის იყო ბავშვი და გული გაყინული ჰქონდა. მისი ბრალი არ იყო ეს გულცივობა. სიყვარულის სურვილი კი არ აკლდა; უბედური იმით იყო, რომ არავის უნდოდა მისი სიყვარული და პირველი დღიდანვე ჟან ვალჟანისკენ მიმართა ყოველივე, რასაც კი გრძნობდა და განიცდიდა მისი არსება. ჯერ არსად განეცადა ეს ნეტარება და ვარდივით იშლებოდა სულითაც და გონებითაც.

არც მოხუცებულად ეჩვენებოდა ჟან ვალჟანი, არც ღარიბად. ბინითაც აღტაცებული იყო და თავისი მფარველითაც.

ეს არის განთიადის, ბავშვობის, სიყმაწვილის, სიხარულის და გარდა ამისა ახალი ცხოვრების შედეგი. ბუნებამ ორმოცდაათწლიანი უფსკრული გააჩინა მათ შორის და განგებამ ის ამოავსო. განგებამ თავისი უძლეველობით უცებ შეაერთა ნიადაგიდან ამოგლეჯილი ეს ორი არსება, განსხვავებულნი ასაკით, ერთგვარნი - უბედურებით. ერთმანეთს ავსებდნენ ბავშვი და მოხუცი. კოზეტი ალღოთი ეძებდა მამას, ჟან ვალჟანი ალღოთი ეძებდა შვილს. შეხვდნენ ერთმანეთს და იპოვეს, რაც ენატრებოდათ. იმ წამს, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ მათი ხელები, საუკუნოდ შეერთდნენ სულით და გულით. თავიდანვე იგრძნეს, რომ სულით აკლდნენ ერთმანეთს და მყისვე შეერთდნენ.

უფრო გასაგები და ყოვლისმთქმელი სიტყვა ვიხმაროთ:

უბედურები აკლდამის კედლებით იყვნენ ყველასგან დაშორებულნი. ჟან ვალჟანი ისეთივე ქვრივი იყო, როგორც კოზეტი - ობოლი. ზეცამ ინება და ჟან ვალჟანი კოზეტის მამა გახდა.

და მართლაც, ის იდუმალი შეგრძნება, რომელიც კოზეტმა განიცადა შელის ტყეში, სიბნელეში ჟან ვალჟანის ხელის შეხებისას, ოცნება კი არა, სინამდვილე იყო, განგების ნება იყო ამ კაცის ჩარევა პატარა ობლის ცხოვრებაში.

ჟან ვალჟანს ბინა კარგად ამოერჩია. შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, თითქმის უშიშრად. ბულვარზე გადიოდა მისი ოთახის ფანჯარა. მეტი ფანჯარა არ ჰქონდა სახლს და არავითარი საფრთხე არ მოელოდა მეზობლებისგან. ამ სახლის ქვემო სართულს ბოსტნეულის შესანახად იყენებდნენ და არავითარი კავშირი არ ჰქონდა ზემო სართულთან. ზემოთ, როგორც ვთქვით რამდენიმე ოთახი და სხვენი იყო, რომელთაგან მარტო ერთი ოთახი ეჭირა ბებერ დედაკაცს, ისიც ჟან ვალჟანს ემსახურებოდა. სხვა ოთახებში არავინ იდგა.

მთელი სახლი ამ ბებერ დედაკაცს ებარა, „მთავარი მდგმურის“ სახელი ჰქონდა, სინამდვილეში კი უბრალო მეკარე იყო. მან მიაქირავა ჟან ვალჟანს ოთახი შობა დღეს, - ვინ ბრძანდებითო? - ჰკითხა მეკარემ და ჟან ვალჟანმა აუხსნა: - ცოტა ფული მაქვს და იმის რენტით ვცხოვრობთ მე და ჩემი შვილიშვილიო. ექვსი თვის ქირა წინასწარ გადაიხადა და მასვე დაავალა თავისი ბინის მოწყობა. დედაკაცმა მოუწყო ოთახი და ცეცხლიც დაახვედრა იმ ღამეს, კოზეტი რომ მიიყვანა.

გადიოდა დრო. ჟან ვალჟანი და პატარა ტოროლა მშვიდად, წყნარად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

გათენებიდან ისმოდა კოზეტის სიცილი, ტიკტიკი, სიმღერა. ბავშვებსაც, როგორც მგალობელ ფრინველებს, აქვთ თავისი დილის სიმღერა.

ხანდახან აიღებდა ჟან ვალჟანი კოზეტის გაწითლებულ, დამსკდარ, დასიებულ ხელს და ჰკოცნიდა. ბავშვს აქამდე ცემის მეტი არაფერი ენახა, არც იცოდა, რა იყო ეს კოცნა და მორცხვობდა.

ზოგჯერ კოზეტი ჩაფიქრდებოდა ხოლმე და დაღონებული დასცქეროდა თავის შავ კაბას. დახეული აღარაფერი ეცვა. გაჭირვებას თავი დააღწია და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ჟან ვალჟანი წერა-კითხვას ასწავლიდა ბავშვს, თან წარსული აგონდებოდა და სინანულით ფიქრობდა; რა ავი განზრახვით ისწავლა წერა-კითხვა კატორღაში. გრძნობდა, რომ ძველის აღარაფერი შერჩენოდა და სახეზე ანგელოზის ტკბილი ღიმილი ეფინებოდა.

კოზეტს ასწავლიდა, კოზეტს ეთამაშებოდა, - ეს იყო ჟან ვალჟანის ცხოვრება; გარდა ამისა, ბავშვს დედაზე ელაპარაკებოდა და ლოცვას ასწავლიდა.

კოზეტი „მამას“ ეძახდა, რადგან სხვა სახელი ვერ მოენახა. ჟან ვალჟანი საათობით დასცქეროდა პატარა გოგონას, როდესაც ის აცმევდა და რთავდა თავის დედოფალას და თან ტკბილად ტიკტიკებდა, სიცოცხლე უკვე ტკბილი ეჩვენებოდა, ადამიანი - კეთილად და სამართლიანად, არავის არაფერს საყვედურობდა გულში, მით უმეტეს ახლა, როდესაც კოზეტს ის უყვარდა. მისი მომავალი კოზეტი იყო, რომელმაც მისი სული სინათლით აავსო. არავინ არის თავისუფალი ეგოისტური აზრებისგან და ხანდახან სიხარულით ფიქრობდა, რომ კოზეტი ლამაზი ქალი არ დადგებოდა.

ეს პირადი აზრია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჟან ვალჟანი კოზეტის სიყვარულის გარეშე ვერ შეძლებდა კვლავაც ურყევად შეენარჩუნებინა კეთილი ზრახვები. ის იყო ნახა ადამიანის ბოროტების და საზოგადოების უბადრუკობის ახალი სახე, ქალის ბედი - განსახიერებული ფანტინით და საზოგადოებრივი უფლება - ჟავერით. თვითონ კატორღაში მხოლოდ იმიტომ დააბრუნეს, რომ კეთილსინდისიერად მოიქცა. ისევ სიმწრით აევსო გული: ზიზღი და დაქანცულობა მოერია. ეპისკოპოსის ხსოვნაც კი უქრებოდა ხანდახან, რომ მერე უფრო მეტი ძალით და გამარჯვებით მოეცვა მისი სული, მაგრამ მაინც მცირდებოდა ეს წმინდა ხსოვნა. იმ მდგომარეობაში იყო კაცი, რომ ადვილად შეიძლებოდა სასოწარკვეთილება მორეოდა და ხელახლა გაბოროტებულიყო, მაგრამ კოზეტისადმი სიყვარულმა ძლიერი გახადა. ვაი, რომ ჟან ვალჟანიც ისეთივე მერყევი იყო, როგორც კოზეტი! მფარველობას უწევდა გოგონას და თავის მხრივ ის ამაგრებდა თავის მფარველს. იმის წყალობით იყო, რომ სიცოცხლით ტკბებოდა პატარა გოგონა და ამ გოგონას სიყვარულით იყო, რომ სათნოებაში რჩებოდა ჟან ვალჟანი. მფარველად გამოუჩნდა ბავშვს და ეს ბავშვი გახდა მისი საყრდენი. ეს არის ბედისწერის წონასწორობის განუზომელი და ღვთიური საიდუმლოება.

## თავი მეოთხე
## „მთავარი მდგმურის“ მეთვალყურეობა

ჟან ვალჟანი ძალიან ფრთხილობდა, დღისით სახლიდან ფეხს არ იცვლიდა, რომ დაბინდდებოდა, მაშინ გადიოდა ქუჩაში, ხან მარტო, ხან კოზეტთან ერთად. სეირნობდა ერთ-ორ საათს მიყრუებულ ქუჩებში. ეკლესიაშიც მარტო ბინდისას შედიოდა; უფრო ხშირად სენ-მედარის საყდარში დაიარებოდა, რადგან ახლოს იყო მისი ბინიდან. თუ ბავშვი შინ რჩებოდა, მოხუც დედაკაცთან იყო ხოლმე, მაგრამ კოზეტისთვის დიდი სიხარული იყო ქუჩაში გასვლა და გასეირნება თავის მფარველთან ერთად. ჟან ვალჟანი გაგიჟებით უყვარდა გოგონას და ოღონდ მასთან ყოფილიყო, თავის დედოფალასაც კი დაივიწყებდა. მას კოზეტის ხელი ეჭირა და ასე დასეირნობდნენ ტკბილი ბაასით.

პატარა კოზეტი ძალიან მხიარული აღმოჩნდა.

სახლს ბებერი დედაკაცი ულაგებდათ, საჭმელს უკეთებდათ, ბაზარშიც ის დადიოდა.

ღარიბად ცხოვრობდნენ, ცეცხლი ენთოთ, მაგრამ ეტყობოდათ, გაჭირვებულები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც მოუწყოთ დედაკაცმა ოთახი, ისე დარჩა, ჟან ვალჟანს არაფერი შეუცვლია, გარდა კოზეტის ოთახის მინიანი კარისა, რომელიც მოახსნევინა და ახალი გააკეთებინა, მთლიანი ფიცრის.

ისევ ის ძველი, ყვითელი სერთუკი ეცვა და ძველი, შავი ქუდი ეხურა. ქუჩაში ღარიბად მიაჩნდა ყველას და ხანდახან გულკეთილი ქალები გაჩერდებოდნენ ხოლმე და ერთ სუს ჩაუდებდნენ ხელში. ისიც იღებდა და დიდ მადლობას უხდიდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მათხოვრის დანახვაზე გაჩერდებოდა, მიიხედ-მოიხედავდა და, თუ არავინ უყურებდა, ხელში უდებდა ფულს, ხშირად თეთრ ფულსაც და საჩქაროდ გაუდგებოდა თავის გზას.

ჟან ვალჟანის მეტისმეტ გულკეთილობას უბანში ხმა გაუვარდა და შესაფერისი სახელი დაარქვეს, - „მოწყალების გამცემი მათხოვარი“.

ბებერი დედაკაცი, „მთავარი მდგმური“, პირქუში, შურიანი იყო. იგი უთვალთვალებდა ჟან ვალჟანს, თუმცა ის არაფერს ეჭვობდა. ცოტა ყრუ იყო ის დედაკაცი და ამიტომ ყბედი. ორად-ორი კბილიღა შერჩენოდა. ერთი ზევით, მეორე ქვევით და სულ იმ კბილებს აკრაჭუნებდა. ჯერ კოზეტს დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ გოგონამ ვერაფერი უპასუხა, გარდა იმისა, რომ მონფერმეილიდან იყო.

ერთ დილას თვალი მოჰკრა დედაკაცმა ჟან ვალჟანს, რომელიც ცარიელ ოთახში შევიდა; ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა და ამან უფრო მიიპყრო კუდიანის ყურადღება. ფრთხილად გაჰყვა უკან, კარის ჭუჭრუტანიდან უყურებდა. ჟან ვალჟანმა ალბათ სიფრთხილის გამო ზურგი შეაქცია ამ კარს. დაინახა ბებერმა, რომ ჯიბიდან მაკრატელი, ნემსი და ძაფი ამოიღო, თავისი სერთუკის ერთი კალთის სარჩული გაარღვია და იქიდან ერთი ყვითელი ქაღალდი ამოაძვრინა. რომ გაშალა, ბებერმა ათასფრანკიანი ბილეთი იცნო, რადგან ეს ფული ერთი-ორჯერ უკვე ნანახი ჰქონდა. შეეშინდა და მოკურცხლა.

ცოტა ხნის შემდეგ ჟან ვალჟანმა დაუძახა და სთხოვა ათასფრანკიანი ბილეთის დახურდავება, - გუშინ მივიღე ჩემი ფულის სარგებელიო, - სად უნდა მიეღო? გაიფიქრა ბებერმა, - გუშინ სახლიდან საღამოს ექვს საათზე გავიდა, ამ დროს კი სალარო დაკეტილი არისო. - წაიღო ფული დასახურდავებლად. ვინ-სენ-მარსელის უბანში ამ ათასფრანკიანმა ბილეთმა დიდი მითქმა-მოთქმა და ბებერი ჭორიკანა დედაკაცების ყაყანი გამოიწვია.

რამდენიმე დღის შემდეგაც გაუფრთხილებლად მოიქცა ჟან ვალჟანი: ტალანში შეშას ხერხავდა უსერთუკოდ. ბებერი დედაკაცი ოთახს ულაგებდა. ქალი მარტო იყო ოთახში. კოზეტი შეშის ხერხვას უყურებდა. ჟან ვალჟანის სერთუკი იქვე ლურსმანზე ეკიდა. მივიდა დედაკაცი. ქექვა დაუწყო, სარჩული ისევ მიკერებული ჰქონდა. ახლა უფრო ეჭვით დაუწყო სინჯვა და ნახა, რომ სარჩულქვეშ კალთებში და სახელოს ძირში ქაღალდი იყო ჩამალული, - კიდევ ათასფრანკიანი ბილეთები იქნება, რაღა თქმა უნდაო, - გაიფიქრა ბებერმა.

ჯიბეებიც გულდასმით გაუქექა და ნახა არა მარტო ნემსი, ძაფი და მაკრატელი, არამედ ერთი კარგად გატენილი საფულეც, დიდი დანა და, რაც ყველაზე უფრო საეჭვო იყო, - რამდენიმე სხვადასხვა ფერის პარიკი. ამ სერთუკის ყოველი ჯიბე საწყობი იყო რაიმე მოულოდნელი შემთხვევისთვის.

ასე გაატარეს გობროს სახლის მცხოვრებლებმა ზამთრის უკანასკნელი დღეები.

## თავი მეხუთე

### მიწას რომ დაეცემა ხუთფრანკიანი ვერცხლი, უმალ ხმას ამოიღებს

სენ-მედარის ეკლესიასთან, გაუქმებული ჭის თავზე ერთი მათხოვარი იჯდა, რომელსაც ჟან ვალჟანი ყოველთვის სიამოვნებით აძლევდა წვრილ ფულს. ისე არ გაუვლიდა, რომ რამდენიმე სუ არ მიეცა. ამ მათხოვრის მტრები შურით გაიძახოდნენ, - პოლიციელი არისო. - ბებერი მნათე იყო, სამოცდათხუთმეტი წლის, რომელიც სულ ლოცვებს ბურტყუნებდა ხელგაწვდილი.

ერთ საღამოს ჭისკენ მიდიოდა ჟან ვალჟანი. მარტო იყო, კოზეტი არ წამოეყვანა. თავის ჩვეულ ადგილას დაინახა მათხოვარი, ფარნის ქვეშ, რომელიც ის იყო აანთეს; ჩვეულებისამებრ თავდახრილი, მოხრილი იჯდა და ლოცულობდა. ჟან ვალჟანმა ხელში ჩაუდო წვრილი ფული. მათხოვარმა უცებ მაღლა ასწია თავი, თვალი თვალში გაუყარა ჟან ვალჟანს და მერე ისევ სწრაფად დაღუნა. ელვასავით შეანათა ამ კაცის თვალებმა ჟან ვალჟანს და ააკანკალა. ბებერი მნათის მშვიდი და ღვთისმოშიში სახის ნაცვლად საშინელი ნაცნობი სახე წარმოუდგა. ისე შეშინდა, თითქოს ვეფხვს შეეფეთა პირისპირ სიბნელეშიო.

გაქვავებულმა უკან დაიხია, ვერც სუნთქვას ბედავდა, ვერც ხმის ამოღებას, ვეღარც იქ დგომას, ვეღარც გაქცევას. იდგა და შესცქეროდა მათხოვარს, რომელსაც დაეხარა ძონძებით დაფარული თავი და ისე იყო, თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ ვიღაც იდგა წინ. ამ საბედისწერო წამს ჟან ვალჟანს თავდაცვის საიდუმლო ალღომ უშველა: ხმა არ ამოუღია. იმავე ტანის იყო, იმავე ძონძებში გახვეული, იმავე შეხედულების, როგორც ყოველთვის.

- ეჰ, - გაიფიქრა ჟან ვალჟანმა, - ხომ არ გავგიჟდი! შიშისაგან მელანდება, შეუძლებელია!

თავზარდაცემული დაბრუნდა შინ.

ვერ ბედავდა თავს გამოტყდომოდა, რომ ის მათხოვარი თავით ფეხამდე ჟავერს ჰგავდა.

იმ ღამეს სულ ამ ფიქრში იყო, ნანობდა, რომ არაფერი ჰკითხა მათხოვარს და არ აიძულა ერთხელ კიდევ აეწია თავი.

მეორე დღეს რომ დაღამდა, ისევ მათხოვრის სანახავად წავიდა. ის ჭის თავზე იჯდა, როგორც ყოველთვის.

- საღამო მშვიდობისა, ძმობილო, - უთხრა ჟან ვალჟანმა და ერთი სუ ჩაუდო ხელში.

მათხოვარმა თავი აწია და ტირილის ხმით უთხრა:

- გმადლობთ, ჩემო კეთილო ბატონო.

ეს ბებერი მნათე იყო.

მთლად დამშვიდებულად გრძნობდა თავს ჟან ვალჟანი. სიცილი დაიწყო:

- სიდან სადაო? რა უნდა აქ ჟავერს? უთუოდ მომელანდა.

და აღარც მოჰგონებია, ისე დამშვიდდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ღამის რვა საათი იქნებოდა, თავის ოთახში იყო, კოზეტს კითხვას ასწავლიდა და გაიგონა, რომ ჯერ გააღეს, მერე მიკეტეს ქუჩის კარი. უცნაური იყო ამ დროს კარის გაღება. სახლში მის გარდა არავინ იყო: ბებერი დედაკაცი დაბინდდებოდა თუ არა, მაშინვე წვებოდა, - სანთელი არ დამეწვასო, - მაშ ვინ უნდა ყოფილიყო? კოზეტს ანიშნა, ჩუმად იყავიო. კიბეზე ვიღაც ამოდიოდა, ფეხის ხმა ისმოდა. იქნებ ავად გამხდარა ბებერი და აფთიაქში წავიდა. ყური მიუგდო, მძიმე ნაბიჯი იყო კაცის, მაგრამ იმ ბებერსაც ტლანქი ფეხსაცმელი ეცვა. თან ნაბიჯიც კაცისასუგავდა. სანთელი ჩააქრო.

კოზეტს წასჩურჩულა, - წადი, დაწექიო, - და შუბლზე რომ ჰკოცნიდა გოგონას, მოესმა ვიღაც გაჩერდა მის კართან. გაშეშდა ჟან ვალჟანი, კარისკენ ზურგმიშვერილი, თავის სკამზე იყო მიჭედილი და იმ სიბნელეში სუნთქვასაც ვეღარ ბედავდა. კარგა ხანს იყო ასე და რაკი გარედან აღარაფერი ისმოდა, ჩუმად მიბრუნდა. კარს რომ

შეხედა, კლიტის ნახვრეტში სინათლე დაინახა. კაშკაშა ვარსკვლავად ჩანდა ეს სინათლე იმ სიბნელეში. ცხადი იყო, ვიღაც იდგა მის კართან, ხელში შანდალი ეჭირა ანთებული სანთლით და ყურს უგდებდა.

რამდენიმე წუთი გავიდა ასე. წავიდა, ვიღაც იყო თავისი სანთლით, მაგრამ ისე წავიდა, რომ სრულებით არ ისმოდა იმის ფეხის ხმა, თითქოს უკვე ფეხშიშველი ყოფილიყოს.

ჩაცმული დაეშვა ჟან ვალჟანი ლოგინზე და თვალი არ მოუხუჭავს იმ ღამეს.

ინათა. ჩასთვლიმა დაქანცულს და ტალანის ბოლოდან კარის ჭრიალმა გამოაღვიძა. მერე იგივე ფეხის ხმა მოესმა, როგორც წუხელის. უახლოვდებოდა ვიღაც, წამოვარდა, თვალი კლიტის ნახვრეტს მიადო, რომ გავლისას მაინც დაენახა ის კაცი, რომელიც სახლში შემოვიდა და ყურს უგდებდა კართან ატუზული. ამჟამად ისე გაიარა კაცმა, რომ ჟან ვალჟანის კართან არ გაჩერებულა. ტალანში ჯერ ისევ ბნელოდა, ისე, რომ შეუძლებელი იყო მომავლის სახის გარჩევა; მაგრამ კიბეს რომ მიაღწია, გარედან სინათლე მოხვდა და ჟან ვალჟანმა კარგად დაინახა მისი ზურგი. მაღალი ტანის კაცი იყო, გრძელი სერთუკი ეცვა და მსხვილი ჯოხი ეჭირა. გარეგნობით ჟავერი უნდა ყოფილიყო.

შეიძლებოდა თავის ფანჯრიდან გადაეხედა და ბულვარზე მომავალი დაენახა ჟან ვალჟანს, მაგრამ ფანჯარა უნდა გაეღო და ეს კი ვერ გაბედა.

ცხადია, ამ კაცსაც ჰქონდა სახლის გასაღები და ისე იყო გორბოს სახლში, როგორც თავის ბინაზე. მერე ვის უნდა მიეცა სახლის გასაღები? იქნებ ჟან ვალჟანის კვალს მიაგნეს?

შვიდ საათზე სახლის დასალაგებლად რომ შემოვიდა დედაბერი, დააკვირდა ჟან ვალჟანი, მაგრამ კითხვით არაფერი უკითხავს. დედაკაცი ისევე იქცეოდა, როგორც ყოველთვის.

ოთახს ჰგვიდა და უცბად წარმოსთქვა:

- იქნებ გაიგონეთ, ბატონო, წუხელ ღამე ვიღაც შემოვიდა სახლში.

ამ ხნის დედაკაცისთვის და ამ მიყრუებულ უბანში საღამოს რვა საათი უკვე შუაღამეა.

- დიახ, გავიგონე, - მიუგო ჟან ვალჟანმა იმ კილოთი, თითქოს ყურადღებას არ აქცევს ამ ბაასსო, - ვინ იყო?

- ახალი მდგმური გახლავთ.

- რა ჰქვია?

- რა მოგახსენოთ? დუმონი თუ არ ვიცი დომონი, ამნაირი სახელია რაღაც.

- მერე ვინ არის ეგ დომონ-დუმონი?

ბებერმა ვერაგობით სავსე კვერნის თვალებით შეხედა ჟან ვალჟანს და მიუგო:

- თქვენსავით ფული აქვს და რენტით ცხოვრობს.

იქნებ არც კი ჰქონდა ავი განზრახვა. ჟან ვალჟანს კი მაინც ეჭვი აღეძრა.

დედაკაცი რომ წავიდა, განჯინიდან გადმოიღო თეთრი ფული, - ას ფრანკამდე იქნებოდა, - შეახვია და ჯიბეში ჩაიდო. ძალიან ცდილობდა, ისე შეენახა ფული, რომ სიარულის დროს არავითარი ხმა არ გაეღო, მაგრამ მაინც გაუვარდა ხელიდან ხუთფრანკიანი ვერცხლი და ხრიალით გაგორდა იატაკზე. რომ დაბინდდა, ქუჩაში გავიდა, მიიხედ-მოიხედა, დაათვალიერა ბულვარი. არავინ ჩანდა, თუმცა შეიძლებოდა ხეებს ამოფარებოდა კაცი.

აბრუნდა თავის ოთახში. - აბა, შვილო, წავიდეთ, - უთხრა კოზეტს, ხელი მოკიდა და ერთად გავიდნენ სახლიდან.

## წიგნი მეხუთე
## ჩუმად ნადირობენ მუნჯი ძაღლები

### თავი პირველი
### სტრატეგიის ლაბირინთი

იმის უკეთ გადმოსაცემად, რაც შემდგომ მოხდება, საჭიროა, მკითხველს ერთი გარემოების შესახებ ვამცნო.

რამდენიმე წელიწადია, რაც ამ თხზულების ავტორი, რომელიც სამწუხაროდ, იძულებულია, ცოტა რამ თავის შესახებაც თქვას, პარიზიდან არის გასული. ამ ხნის განმავლობაში ქალაქი ძალიან შეიცვალა. ახალი ქალაქი აშენდა. იგი, ცოტა არ იყოს, უცხოა ავტორისთვის. ზედმეტია იმის თქმა, რომ პარიზი უყვარს: პარიზი მისი სულიერი სამშობლოა. ავტორის სიყმაწვილის დროინდელი პარიზი, რომელიც რუდუნებით შემოუნახავს მის მეხსიერებას, დღეს სულ სხვა გამხდარა. ნებას ითხოვს, ძველი პარიზი წარმოგიდგინოთ ისე, თითქოს ის დღესაც უცვლელი დარჩა. შესაძლოა, ავტორი ცდება, როდესაც ამბობს, - ამა და ამ ქუჩაზე სახლი რომ არისო, - და სინამდვილეში, აღარც ის ქუჩა არსებობს და აღარც ის სახლი. მკითხველი თავად გადაამოწმებს, თუ მოისურვა და არ დაიზარა; რაც შეეხება ავტორს, ის არ იცნობს ახალ პარიზს და ისე წერს, თითქოს სანუკვარ ხატად, ძველი პარიზი უდგას თვალწინ. ტკბილია ავტორისთვის ოცნება, რომ მის შემდეგაც რჩება რაღაც იმ საყვარელი პარიზისგან, რომლითაც თავის სამშობლოში ცხოვრებისას ტკბებოდა, და იმ დროიდან სუყველაფერი არ გამქრალა. როდესაც შინ იმყოფებით, თქვენს სამშობლოში, არ აკვირდებით თქვენი ქალაქის ქუჩებს; განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავთ ამ ფანჯრებში, ბანებში, კარებში; უცხო და ცივი გეჩვენებათ ეს კედლები, ყურადღებას არ აქცევთ ამ ხეებს, არაფერში გარგიათ ეს სახლები, სადაც არ შედიხართ, უბრალო ქვად აღიქვამთ ქვაფენილებს; მაგრამ შემდეგ, როდესაც აქედან შორს აღმოჩნდებით და აღარც დაბრუნება შეგიძლიათ, გრძნობთ, თუ რა ძვირფასი იყო თქვენთვის ეს ქუჩები; რომ თვალში გაკლიათ ის ბანები, სახლები, ფანჯრები, კარები, რომ გესაჭიროებათ იმ კედლის დანახვა, რომ გიყვარდათ და ხარობდით, იმ ხეების, იმ სახლების ცქერით, რომელშიც არც შედიოდით. ამ ქვაფენილებზე დაგიტოვებიათ თქვენი გული და სისხლი. გიყვარდათ თქვენი სამშობლოს ის ადგილები, რომელსაც ვეღარ ხედავთ, რომელიც იქნებ ვეღარც ნახოთ თქვენს სიცოცხლეში და მხოლოდ მათი სურათი ჩაგრჩენიათ გულში, რომელიც სევდის აღმძვრელი მიმზიდველობით გიდგათ თვალწინ, აღთქმულ ქვეყნად, და წარმოადგენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელ თქვენს სამშობლოს; გიყვართ თქვენს გულში ღრმად ჩაბეჭდილი სამშობლოს სურათი, ცდილობთ წარმოიდგინოთ ისეთი, როგორიც გახსოვთ, არ გინდათ მასში რაიმე ცვლილება შეიტანოთ, რადგან სამშობლოს სურათი ისევე საყვარელი და ძვირფასია, როგორც დედათქვენის სახე.

მაშ, ნება მომეცით, წარსული აწმყოდ წარმოგიდგინოთ. ამაზე შევთანხმდეთ და თხრობა განვაგრძოთ.

ჟან ვალჟანი სახლიდან გავიდა და მაშინვე ვიწრო ქუჩებისკენ გაუხვია. უკან მოიტოვა ბულვარი. ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად დაკლაკნილი გზით ევლო და უკანაც ხშირად ბრუნდებოდა - უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არავინ მისდევდა.

ასე სჩვევია ირემს, როცა ტყეში მოიმწყვდევენ. თუ ნაფეხური დააჩნდა მიწას, ეს ხერხი იმით არის კარგი, რომ კვალი ირევა და მონადირეც ტყუვდება და მეძებარიც. ამას მონადირენი კვალის აბნევას ეძახიან.

მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ არც ამას შეუშინდა ჟან ვალჟანი. ჯერ შორს იყო ჰორიზონტზე მთვარე და ქუჩის ერთ მხარეს ანათებდა, მეორე კი ჩრდილში იყო მოქცეული. ისიც ჩრდილიან მხარეს მისდევდა, კედლის სიახლოვეს, და თვალს არ აშორებდა მეორე მხარეს. იქნებ ავიწყდებოდა, რომ საშიშროება შეიძლებოდა ჩრდილიან მხარესაც შეხვედროდა. მაგრამ იმ ვიწრო, დაკლაკნილ ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო და დარწმუნებული იყო, რომ არავინ მისდევდა კვალში.

ჩუმად მოჰყვებოდა კოზეტი, არაფერს ეკითხებოდა. იმდენი ტანჯვა და წვალება ნახა ექვსი წლის განმავლობაში, რომ გარემოებებს დამორჩილება ისწავლა. ამასთანავე (ამ გარემოებას შემდგომშიც ხშირად დავუბრუნდები), თავისდა უნებურად, ჟან ვალჟანის უცნაურ ქცევასა და ბედის უეცარ შემობრუნებას შესჩვეოდა. ეს კი იყო, რომ მასთან მშვიდად გრძნობდა თავს.

ჟან ვალჟანმა თავადაც არ იცოდა, საით მიდიოდა. ღმერთს მიენდო, როგორც კოზეტი მინდობოდა მას. მიდიოდა და ასე ეგონა - მეც ძლიერის ხელი მიჭირავს და იმას მივდევ, სადაც უნდა წამიყვანოსო... უხილავი კი იყო ეს არსება, მაგრამ - ძლიერი. გადაწყვეტილი არაფერი ჰქონდა, არავითარი გეგმა არ გააჩნდა. დარწმუნებულიც კი არ გახლდათ, რომ შეიძლებოდა, მართლა ჟავერი ენახა, რომელსაც ვერ ეცნო ჟან ვალჟანი. მართალია, გადაცმული იყო და ყველა მკვდრად მიიჩნევდა, მაგრამ ეს რამდენიმე დღე ისეთი ამბები ხდებოდა, რომ გადაწყვიტა, გორბოს სახლში აღარ დაბრუნებულიყო. როგორც ბუნაგიდან გამოდევნილი ნადირი, ისევე ეძებდა რაიმე ხვრელს, რომ შიგ შემალულიყო, ვიდრე ბინას იშოვიდა.

რამდენი ქუჩა გაიარა მუფტარის უბანში!.. ისე ეძინა მთელ უბანს, თითქოს შუა საუკუნეების დროის ბრძანება მიეღოს ზარებით, - ცეცხლი ჩააქრეთო! რამდენჯერმე გაიარა ქუჩები სანზიე და კოპო, ბატუარ სენ-ვიქტორი და პუი-ლერმიტი. ამ ქუჩებზე იყო ღამის გასათევი სახლები, მაგრამ არსად შევიდა, რადგან შესაფერისს ვერსად იპოვიდა. ისე მიკლაკნ-მოკლაკნა გზა, რომ ეჭვი აღარ ეპარებოდა, კიდეც რომ დასდევნებოდნენ, ვეღარ მიაგნებდნენ.

თერთმეტი საათი ჩამოჰკრა სენტ-ეტიენის საყდარში. პორტუაზის ქუჩაზე #14 სახლთან გაიარა, რომელშიც პოლიცია იყო მოთავსებული და რამდენიმე წამში შედგა - იმ ალღომ გააჩერა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, - და უკან მიიხედა. ცხადად დაინახა სამი კაცი, რადგან პოლიციის სანათის შუქი სცემდათ. მის სადევრად გამოსულიყვნენ. ჯერ ერთმა გამოიარა ქუჩის მეორე ბნელ მხარეს, მერე - მეორემ, მესამემ. ერთ-ერთი მათგანი პოლიციის სახლში შევიდა. პირველი ძალიან საეჭვოდ მოეჩვენა.

- მოდი, შვილო, - უთხრა კოზეტს და საჩქაროდ, მეორე ქუჩაზე გადაუხვია.

დიდი წრე შემოარტყა და პატრიარქთა ჩიხთან მივიდა, რომელიც გვიან ღამით იკეტებოდა; ეპე-დე-ბუას ქუჩას გაუყვა, მერე არბალეტისა და ფოსტის ქუჩები გაიარა.

აქ ერთი გზაჯვარედინია, რონელის სკოლასთან, და იქიდან ახალი სენ-ჟენევიევის ქუჩა იწყება.

ძველი ქუჩაა ეს „ახალი“ სენ-ჟენევიევის ქუჩა. იქნებ ათ წელიწადში ერთხელაც არ გაიაროს ფოსტის ქუჩაში საფოსტო ეტლმა, ამ ფოსტის ქუჩაზე მეცამეტე საუკუნეში მეჭურჭლეები ცხოვრობდნენ და სახელიც შესაფერისი ჰქონდა: „მეექოთნეთა ქუჩა“.

მთვარის შუქი ეცემოდა ამ გზაჯვარედინს. ერთ კარს ამოეფარა ჟან ვალჟანი, - თუ კიდევ მომდევს ვინმე, კარგად დავინახავ აქ, ამ სინათლეში გაივლისო.

და მართლაც, სამი წუთიც არ გასულიყო, რომ ვიღაც კაცები გამოჩნდნენ. ახლა უკვე ოთხნი იყვნენ, ოთხივე - მაღალი, გრძელ ლურჯ სერთუკებში გამოწყობილი, მრგვალი ქუდები ეხურათ და ხელში მსხვილი ჯოხები ეჭირათ. შემზარავი იყო მათი ცქერა, არა იმდენად ახოვანებით, არამედ უფრო, ამ შუაღამისას იდუმალებით მოცული მოძრაობით: იტყოდით, - ოთხი ლანდი ვნახე, ბურჟუად გამოწყობილიო.

გზაჯვარედინზე გაჩერდნენ და შეჯგუფდნენ. ეტყობოდათ, რაღაცაზე ბჭობდნენ, არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც წინამძღოლი უნდა ყოფილიყო, მობრუნდა და მარჯვენა ხელი იმ მიმართულებით გაიშვირა, სადაც ჟან ვალჟანი იმყოფებოდა, მეორე, ახირებულივით, სულ სხვა მხარეს იშვერდა ხელს; იმწამსვე, როდესაც პირველი მობრუნდა, სახეზე მთვარის შუქი დაეცა და ჟან ვალჟანმა ჟავერი იცნო.

## თავი მეორე
## კიდევ კარგი, რომ აუსტერლიცის ხიდზე ეტლები დადის

ჟან ვალჟანისთვის ყველაფერი ნათელი გახდა და მის სასიკეთოდ, ბნელი იყო ყველაფერი ოთხი მსტოვრისთვის. იდგნენ და ლაპარაკობდნენ. არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. ამით ისარგებლა ჟან ვალჟანმა. მათთვის დროის დაკარგვა იყო ეს ყოყმანი, ჟან ვალჟანისთვის - დროის მოგება. გამოვიდა სიბნელიდან და ფოსტის ქუჩას გაჰყვა ბოტანიკური ბაღის მიმართულებით. კოზეტს დაღლილობა ეტყობოდა. ხელში აიყვანა. ქუჩაში არავინ იყო. მთვარე ამოსულიყო და ნათურა არსად აენთოთ.

ფეხი ააჩქარა.

ცოტა ხნის შემდეგ მეჭურჭლე გობლეს სახლს მიაღწია, რომლის გარეკედელზე მსხვილი ასოებით ლექსად ეწერა პატარა განცხადება, მთვარის შუქზე ადვილად წასაკითხი:

გობლეს და შვილისა ეს არის ფაბრიკა,
მყიდველო, ნუ ყოყმანობ სრულებით.
იჩქარე, იჩქარე, იყიდე რაც გინდა,
ტაშტები, ქვაბები, ქოთნები, სურები...

დე-ლა-კლეს ქუჩა გაიარა, სენ-ვიქტორის შადრევანი, ბოტანიკურ ბაღს ჩაუარა ქვემო ქუჩებით და სანაპიროზე გავიდა. გაჩერდა და უკან მიიხედა, ადამიანი არსად სჩანდა, უკან არავინ მისდევდა. თავისუფლად ამოისუნთქა.

აუსტერლიცის ხიდთან მივიდა.

იმ დროს სადარაჯო ჯერ ისევ არსებობდა.

შევიდა და ხიდზე გასავლელად ერთი სუ მისცა.

- ორი სუ, - უთხრა ხიდის დარაჯმა, - ძუძუმწოვარი კი არ არის ეგ ბავშვი, ხელში რომ გიჭირავთ, ორი სულისას გადაიხდით.

მისცა და ძალიან ეწყინა, რომ შენიშნეს. თუ გაპარვა უნდა კაცს, შეუმჩნევლად უნდა მიიპარებოდეს.

ერთი დიდი ეტლი გაჩერდა ამ დროს ხიდზე, ისიც გაღმა გასასვლელად. ამით ისარგებლა, ბნელ მხარეს ამოუდგა ეტლს და მის ჩრდილში გაიარა მთელი ხიდი.

შუა ხიდზე რომ იყო, კოზეტს ფეხი დაუბუჟდა და ისევ ფეხით სიარული ირჩია. ხელი დაუჭირა ჟან ვალჟანმა და ისე გადაიყვანა.

ხიდზე გადავიდა, ცოტა მარჯვნივ ხე-ტყის საწყობები დაინახა და ახლა იქით წავიდა, მაგრამ საწყობამდე მისასვლელად ჯერ მთვარით განათებული კარგა დიდი ფართობი უნდა გაევლო. არც კი დაფიქრებულა. მსტოვრებმა, ეტყობა, დაკარგეს ამ კაცის კვალი და - საშიში აღარა მაქვს რაო, - ფიქრობდა ჟან ვალჟანი. იცოდა, რომ ეძებდნენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ კვალდაკვალ აღარ მისდევდნენ.

ორ საწყობს შუა, რომლებიც მტკიცე კედლებით იყო შემოზღუდული, ვერ-სენტ-ანტუანის ქუჩა ჩადიოდა. ეს ქუჩა მეტად ვიწრო იყო, ბნელი, სწორედ ისეთი, როგორიც ვალჟანს ენატრებოდა, მაგრამ სანამ იქით ჩაივლიდა, კიდევ მიიხედა უკან.

თავიდან ბოლომდე ხედავდა აუსტერლიცის ხიდს.

ოთხი კაცი დაინახა, ხიდზე შედგნენ. ზურგი ბოტანიკური ბაღისკენ მიექციათ და მასავით გამოღმა უნდოდათ გადმოსვლა.

მახეში გაბმული ნადირივით კანკალებდა ჟან ვალჟანი.

ერთადერთი იმედიღა დარჩენოდა: იქნებ იმ დროს, როდესაც ვალჟანი მთვარით განათებულ მოედანზე იყო, ჯერ ხიდზე არ შემდგარიყვნენ მისი მდევრები, და მაშასადამე, ვერ დაინახავდნენ, რომ ვიწრო ქუჩაში მიიმალა.

თუ ასე იყო, გაჰყვებოდა ვიწრო ქუჩას, შეშის საწყობებთან მივიდოდა, ჭაობიან უდაბურში გადავიდოდა და მიიმალებოდა სადმე. სხვა გზა აღარ ჰქონდა. უნდა მინდობოდა იმ პატარა, მიყრუებულ ქუჩას, შეუხვია ვიწრო ქუჩაში.

## თავი მესამე
## იხილეთ 1727 წლის პარიზის გეგმა

გაიარა სამასამდე ნაბიჯი და იმ ადგილს მიადგა, სადაც გზა ორად იყოფოდა. ერთი გზა მარჯვნივ მიდიოდა, მეორე - მარცხნივ, საით წასულიყო, რომელი აერჩია?

არც დაფიქრებულა, მარჯვნივ წავიდა.

რატომ?

მარცხენა გზა ხალხით დასახლებული გარეუბნისკენ მიდიოდა, მარჯვენა კი - მინდვრებისკენ, ესე იგი უდაბურისკენ.

ოღონდ ისე ჩქარა ვეღარ მიდიოდა. კოზეტის ნაბიჯი ამცირებდა ჟან ვალჟანის სიჩქარეს.

ისევ ხელში აიყვანა, თავი მხარზე დაადო კოზეტმა და იყო თავისთვის გაჩუმებული.

ჟან ვალჟანი ხანდახან გაჩერდებოდა ხოლმე და უკან იყურებოდა. მიდიოდა ქუჩის ბნელ მხარეს. ორჯერ-სამჯერ მიიხედა და ვერავინ დაინახა. მიჩუმებული იყო იქაურობა და უფრო მშვიდად მიიწევდა წინ. ერთხელ კიდევ მოიხედა და რაღაცას მოჰკრა თვალი. უკვე გამოვლილ მანძილზე, შორს, უკან რაღაც დაინახა, მოძრავი.

სირბილით წავიდა წინ. - იქნებ სადმე გვერდზე შესახვევი ქუჩა იყოს, იქ შევვარდე და კვალი ავურიო ჩემს მდევარსო.

და კედელს მიადგა.

კიდევ კარგი, რომ გაუვალი არ აღმოჩნდა ეს კედელი.

ვიწრო ქუჩით მიმავალის პირდაპირ კედელი იყო აღმართული და აქეთ-იქით კი სხვა ქუჩა მიდიოდა; აქ ჩამოდიოდა და წყდებოდა ჟან ვალჟანის მიერ გამოვლილი ვიწრო ქუჩა.

აქაც უნდა გადაეწყვიტა, საით წასულიყო, მარჯვნივ თუ მარცხნივ?

მარჯვნივ შეამოწმა გზა. შტოდ გადიოდა ეს ქუჩა საწყობებსა და ფარდულებს შორის და ქუჩაბანდით თავდებოდა, მაშასადამე, გაუვალით.

მარცხენა მხარეს ქუჩა ღია იყო და დაახლოებით ორასი ნაბიჯის იქით სხვა ქუჩაში ჩადიოდა, რომლის შტოც ის უნდა ყოფილიყო. ამ მხარეს უნდა ეძებნა ხსნა.

ის იყო, მარცხნივ უნდა გაეხვია, რომ სწორედ ქუჩის ბოლოს, სადაც დიდ ქუჩას უერთდება ეს შტო, კუთხეში ძეგლივით ამართული რაღაც შავი, უძრავი დაინახა.

ცხადი იყო, კაცი დაეყენებინათ იქ, რომ ჟან ვალჟანს წინ დახვედროდა.

მან უკან დაიხია.

პარიზის ის ადგილი, სადაც ჟან ვალჟანი იდგა, მდებარეობს სენტ-ანტუანის უბნის და რამეს შუა და სრულიად შეცვლილია ჩვენი დროის შენობებით; ზოგის აზრით, იქაურობას ძველი სილამაზის ნატამალიც აღარ შერჩენია, ზოგის აზრით კი, პირიქით, კიდეც დამშვენებულა; აღარაფერი დარჩენილა ბოსტნის, საწყობისა და ძველებური შენობის მსგავსი. დღეს აქ დიდრონი ქუჩებია, სრულიად ახალი მოედნები, ცირკები, სადღეღო მოედანი, რკინიგზის სადგურები და მაზას საპატიმრო. როგორც ვხედავთ, პროგრესს თავისი მუქარაც თან ახლავს.

ამ ორმოცდაათი წლის წინ, ხალხური ენით, რომელიც ტრადიციების ნაყოფია და რომელიც ინსტიტუტს ძველებურად „ოთხ ერისას“ ეძახის, რადგან განზრახული იყო იქ განათლება მიეღოთ ფრანგებს, ელზასელებს, ფლანდრიელებს და იტალიელებს, ხოლო კომიკურ ოპერას - „ფედოს“ ვოდევილების ავტორის სახელს, მათივე ენით იმ ადგილს, სადაც ჟან ვალჟანი იდგა, მცირე პიკპუსი ერქვა. მცირე პიკპუსი გახლდათ ძველი პარიზის უბნის სახელი, რომელსაც დღესაც არ ივიწყებს აწმყო. ხალხის მეხსიერება თავს დასტრიალებს წარსულის ნანგრევებს.

დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა მცირე პიკპუსს და ნამდვილი გარეუბნის სახელიც კი არ ჰქონია. თავის დროზე იგი ესპანურ ქალაქს მოგაგონებდათ, მონასტრებით და ბერებით სავსეს. მოკირწყლული გზა იშვიათი სანახავი იყო, ქუჩები - მოტიტვლებული, ორი-სამი ქუჩის გარდა, რომლებსაც ჩვენ შევეხებით, მარტო ღობეები იყო და სრული მყუდროება სუფევდა. არც დუქანი და არც ეტლი ჩანდა სადმე; აქა-იქ, შორს ფანჯარაში სანთელს თუ დაინახავდით და ისიც უნდა ჩამქრალიყო ათ საათზე. ყველგან ბაღები, მონასტრები, ხე-ტყის საწყობები, გუბეები იყო, იშვიათად - დაბალი სახლები და მაღალი კედლები, ისეთივე მაღალი, როგორც თვით სახლები.

ასეთი იყო პიკპუსის უბანი იმ დროს. რევოლუციამ მიწასთან გაასწორა ეს უბანი და რესპუბლიკურმა მშენებლობამ დაანგრია, დაჭრა და სანაგვედ აქცია. დღეს იმის ნაშთიც აღარსად ჩანს. დღევანდელ გეგმაში ვეღარსად ნახავთ პიკპუსს, მაგრამ იგი ძალიან კარგად არის აღნიშნული 1727 წლის გეგმაში.

ვერ-სენტ-ანტუანის გზა ორად იყოფოდა. მარცხნივ მიმავალს პიკპუსის ქუჩა ერქვა, მარჯვენას - პოლონსო. ხიდიდან მიმავალი პოლონსოს ქუჩის ბოლოში მარცხნივ

დრუა-მურის ქუჩას მიადგებოდა და მარჯვნივ - ქუჩაბანდს, ჟანროს ქუჩაბანდად წოდებულს.

სწორედ აქ იდგა ჟან ვალჟანი.

როგორც ვთქვით, შავი, უძრავი ძეგლივით მდგომი კაცის დანახვისას უკან დაიხია. ეჭვი აღარ ეპარებოდა, ვიღაც დარაჯად იდგა და მის გამოვლას ელოდა.

ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა საწყალი.

უკან დაბრუნება შეუძლებლად მიიჩნია. იქვე ახლო ჟავერი და მისი კაცები იდგებოდნენ. შეიძლება იმ ქუჩის თავში ყოფილიყვნენ კიდეც, რომლის ბოლოში თვით ჟან ვალჟანი იმყოფებოდა. ჟავერი, ეტყობა, კარგად იცნობდა ამ უბნის ქუჩებს და დარაჯად მდგომი კაცი მისი გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება ძალიან ჰგავდა სიმართლეს და ისე ერეოდა ფიქრებში, თითქო ერთი მუჭა მტვერი ყოფილიყოს, რომელსაც ქარმა დაჰკრა უცბად და გაიტაცა. ჟანროს ქუჩაბანდი მახედ გახდომოდა. პიკპუსის ქუჩაში დარაჯი იდგა. წინ რომ წასულიყო, ეს დარაჯი დახვდებოდა, უკან - ჟავერს ჩაუვარდებოდა ხელში. მახეში გაბმულად გრძნობდა თავს. ეს მახე ნელ-ნელა ვიწროვდებოდა. სასოწარკვეთილმა შეხედა ზეცას.

## თავი მეოთხე
## გაქცევის ცდა

დრუა-მურის ქუჩის მარჯვენა მხარეს პიკპუსის ქუჩამდე ვიწრო, ღარიბული სახლები იყო აშენებული. მარცხენა მხარეს კი ერთადერთი შენობა იყო რამდენიმე სახლისგან შემდგარი; თავიდან ერთსართულიანი იყო ეს შენობა; პიკპუსის მხარეს მეორე სართულიც ემატებოდა, ისე, რომ იმ მხრივ მაღალი დაბლად გადიოდა პოლონსოს ქუჩაზე და იქ დაბალი კედლით თავდებოდა, რომელიც აღწევდა #49 სახლამდე და დრუა-მურის ქუჩაზე ერთ ჩამობნელებულ შენობამდე, ერთი ფანჯრით, და ისიც ყოველთვის დახურული იყო დარაბებით.

ალაყაფის კარივით რაღაც იყო კედელში, უზარმაზარი და საძაგელი: უშნოდ, უფორმოდ შეერთებული ფიცრები, ზემოთ განიერი, ქვემოთ ვიწრო. იქვე ალაყაფის მეორე კარიც იყო. ცაცხვის ხეს თავისი ტოტები გადაეშალა კედელზე, რომელსაც პოლონსოს მხარეს ზემოდან სურო მოჰკიდებოდა.

უიმედო მდგომარეობაში იყო ჟან ვალჟანი და ამ სახლზე შეაჩერა ყურადღება; ცარიელი ჩანდა, განცალკევებული. ერთხელ კიდევ სწრაფად შეავლო თვალი, - აქ რომ შევიდე როგორმე, იქნებ კიდეც გადავრჩეო, - იძახდა გულში. ცოტა ხნით იმედი გაუჩნდა.

ამ შენობის შუა ნაწილს, რომელიც დრუა-მურის ქუჩაში გამოდიოდა, მრავლად ჰქონდა დატანებული წვიმის წყალსადენი ლითონის მილები და ამან მიიპყრო ჟან ვალჟანის ყურადღება. კოზეტი კედელთან დასვა, ხმა არ ამოიღოო, - დაარიგა და თვითონ წყალსადენ მილთან მივიდა, რომელიც მიწამდე იყო დაშვებული. იქნებ ამ მილით შესძლებოდა აცოცება და სახლში გადასვლა; მაგრამ მილი ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ თავადაც ძლივსღა ეკიდა კედელზე და გარდა ამისა, ყველა ფანჯარას მსხვილი რკინის გისოსი ჰქონდა აფარებული. მთვარე ანათებდა ამ კედელს და დარაჯად დაყენებული კაცი მაშინვე დაინახავდა. მილი რომც ვარგებულიყო ასაძვრომად, კოზეტს როგორ აიყვანდა ამ სიმაღლე კედელზე?

ამ გზით თავის დაღწევა შეუძლებელი იყო და ახლა პოლონსოს ქუჩაში გაძვრა კედლის პირას ცოცვით.

გაძვრა და ბნელშიც მოექცა, უჩინარი იყო, დარწმუნდა, რომ აქ ვეღარ დაინახავდა მას დარაჯი. სახლს ორი კარი ჰქონდა; იქნებ მოეხერხებინა და ერთი მაინც შეეღო როგორმე, კედელი ცაცხვის და სუროს ფოთლებს დაეფარა, ცხადი იყო, შიგნით ბაღი უნდა ყოფილიყო, იქნებ ამ ბაღში მაინც დამალულიყო სადმე და ღამე იქ გაეტარებინა, თუმცა ჯერ ფოთოლი არ გამოეღო ხეს.

ჩქარა! დაყოვნება - დაღუპვას უქადდა.

სინჯვა დაუწყო ალაყაფის კარს, მარამ დაკეტილი აღმოჩნდა შიგნიდანაც და გარედანაც.

მეორესთან მივიდა უფრო იმედიანად. მთლად დამპალი და დაშლილი იყო ფიცრები, ძლივსღა იმაგრებდა ლურსმანი, თვით მეტისმეტი სიდიდე ამცირებდა მის სიმაღლეს, მაგრამ მოსინჯა და დარწმუნდა, რომ იგი ალაყაფის კარს არ ჰგავდა, ძველი ფიცრული ღობე იყო, რომელსაც უკან ქვითკირის მაღალი ღობე მიჰყვებოდა.

## თავი მეხუთე

## შეუძლებელი იქნებოდა, გაზით რომ ყოფილიყო განათებული

ამ დროს ჯარისკაცების ფეხის ხმა მოესმა. ქუჩის კუთხიდან ფრთხილად გაიხედა და პოლონსოს ქუჩაში მწყობრად მომავალი შვიდი თუ რვა კაცი დაინახა. მბზინავი ხიშტები მოხვდა თვალში, ცხადი იყო, მისკენ მოდიოდნენ. ჯარისკაცებს წინ ჟავერი მოუძღოდა. კარგად ჩანდა მისი ახოვანი ტანი. ნელა მოაბიჯებდნენ დიდი სიფრთხილით. წამდაუწუმ ჩერდებოდნენ: ეტყობოდათ, გაუსინჯავად არც კარს ტოვებდნენ, არც კედლების კუთხეს.

მაშინვე მიხვდა ჟან ვალჟანი, რომ ჟავერი ღამის დარაჯებს შეხვედროდა და თან წამოეყვანა დასახმარებლად.

ჟავერის ორი თანამგზავრი ამ ჯარისკაცებს მოსდევდა.

ფრთხილად მოდიოდნენ, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ მაინც იქ იქნებოდნენ, სადაც ვალჟანი იდგა. საშინელ მდგომარეობაში იყო. რამდენიმე წუთი და მერე ისევ ის უფსკრული, რომელსაც ორჯერ დააღწია თავი. ისევ კატორღა, ახლა მესამედ! კატორღა კი არა, ჯოჯოხეთი, რადგან კოზეტს სამუდამოდ ჰკარგავდა. მაშასადამე, მას საფლავში დამწყვდეული ადამიანის სიცოცხლე ელოდა!

ერთადერთი შესაძლებლობა დარჩენოდა.

უცნაური კაცი იყო ჟან ვალჟანი, უცნაური იმით, რომ შეიძლება ითქვას, ორი გუდა ეკიდა ერთად; ერთში წმინდანის მრწამსი ჰქონდა და მეორეში კი კატორღელის საშინელი მოხერხება. გარემოების მიხედვით სარგებლობდა თავისი გუდებით და ხან ერთში ჩაჰყოფდა ხელს, ხან მეორეში.

კატორღაში დიდხანს იყო ნამყოფი, რამდენჯერმე გამოპარული, გაჭირვებაში შიშს კი არა, უსაზღვრო გაბედულებას იჩენდა. თავის ამხანაგებში განთქმული იყო იმითაც, რომ საკვირველი მოხერხებით ძვრებოდა ხოლმე კედელზე. არც კიბე უნდოდა, არც თოკი; მარტო თავისი ღონით მიძვრებოდა, კეფითაც კედელს ეკვროდა, მხრებითაც. ერთ ბეწო ნახვრეტში იმაგრებდა ფეხსა და მუხლს. ბრტყელ ქვას ეჭიდებოდა ხელით და, თუ საჭირო იყო, მეექვსე სართულამდე აძვრებოდა. ასეთი მოხერხების წყალობით

იყო, რომ ამ ოცი წლის წინ კონსიერჟერის ციხიდან გაიპარა პატიმარი ბატმოლი და სახელი გაუთქვა საპატიმროს.

ჟან ვალჟანმა თვალით გაზომა ცაცხვის ტოტებით დაფარული კედლის სიმაღლე. ექვსი მეტრი იქნებოდა.

საქმე კოზეტი იყო. მან კედელზე ცოცვა არ იცოდა, იქ ხომ ვერ დატოვებდა. რვა წლის გოგონას აყვანა შეუძლებელი იყო, - ნეტავ თავისთვის ჰქონოდა ღონე, ტვირთს როგორ აიკიდებდა. ერთი ბეწო რამ სიმძიმე, თავისი თავის გარდა, გადაუნაცვლებდა სიმძიმის ცენტრს და ძირს დასცემდა. თოკი იყო საჭირო და თოკი კი არ ჰქონდა. მოდი შენ და თოკი იშოვე შუაღამისას პოლონსოს ქუჩაზე.

მეფე რომ ყოფილიყო ჟან ვალჟანი, მთელ სამეფოს მისცემდა იმ წამს თოკის ნაგლეჯში.

ასეთ უკიდურეს გაჭირვებას ყოველთვის აქვს თავისი გაელვება, რომელიც ხან გვაბრმავებს და ხან თვალსაც გვიხელს.

სწორედ ამ დროს დაინახა სინათლის ბოძი ჟანროს ქუჩაბანდში.

ამ დროს პარიზის ქუჩებს გაზით ანათებდნენ. ნათურა ბოძებზე იყო გამართული, თოკი ება, იმ თოკით ჩამოსწევდნენ ძირს, მოუკიდებდნენ და პატარა ჩარხის უკუღმა ტრიალით ისევ მაღლა სწევდნენ. ბოძს ძირში პატარა უჯრა ჰქონდა, რომელშიც თოკი ინახებოდა. უჯრის კარი მიეკეტათ.

საბედისწერო გაჭირვებაში რომ ჩავარდება კაცი, ან გულწასული დაეცემა, ან ბუმბერაზად იქცევა. ერთი ნახტომით შევარდა ქუჩაბანდში, ჯიბის დანით გატეხა უჯრის კარი, თოკი გამოიღო და მყისვე კოზეტთან გაჩნდა.

უკვე ვთქვით, რომ მთვარიანი ღამე იყო და ქუჩაში სანათი არ ენთოთ. ჟანროს ქუჩაბანდის ნათურაც ჩამქრალი იყო, როგორც სხვები.

გვიანი ღამე, სიბნელე, ჟან ვალჟანის მოუსვენრობა და უიმედობა შეუმჩნეველი არ დარჩა კოზეტს და შიში დაეტყო. სხვა ბავშვი რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ტირილს დაიწყებდა. იმან კი მარტო ის გაბედა, რომ კალთა დასწია ჟან ვალჟანს. უფრო და უფრო ახლო ისმოდა მათკენ მომავალი დარაჯების ფეხის ხმა.

- მეშინია, მამა, - უთხრა ჩურჩულით, - ვინ მოდის აქეთ?

- ჩუ, - უთხრა უბედურმა, - ეს ტენარდიეა.

კოზეტი აკანკალდა.

- ხმა არ ამოიღო, - დაარიგა ვალჟანმა, - თუ დაიყვირებ ან იტირებ, ტენარდიე გაიგონებს, შენ დაგეძებს, შენს წასაყვანად არის მოსული.

და აუჩქარებლად, სრული სიმარჯვით და სიმშვიდით, მით უფრო საკვირველით, რომ შეიძლებოდა ჟავერი მისი პატარა რაზმით თავს დასცემოდა, მოიხსნა ყელსახვევი, იღლიის ქვეშ ამოუყარა კოზეტს, რომ თოკს არ დაეჭრა ბავშვი, კარგად შეუკრა, ზედ თოკი მიაბა იმ ნასკვით, რომელსაც მგზავრები მერცხლის ნასკვს ეძახიან. თოკის მეორე ბოლო პირში დაიჭირა. წაღები და წინდები გაიხადა, ბაღში გადაყარა და კედელს ჩაებღაუჭა. ცოტა ხნის შემდეგ დაჩოქილი იდგა კედლის თავზე.

განცვიფრებული უყურებდა კოზეტი, დამუნჯებული, ჟან ვალჟანის დარიგებამ და ტენარდიეს სახელმა გაყინა ბავშვი.

უცბად ჟან ვალჟანის ხმა მოესმა:

- კედელს მიაქციე ზურგი.

ესეც აუსრულა.

- არ შეგეშინდეს, ხმა არ ამოიღო, - ჩამოსძახა ჩუმად ვალჟანმა და ზევით ასწია თოკი.

წამში კოზეტიც კედლის თავზე გაჩნდა თავის მფარველთან.

ხელი სტაცა ვალჟანმა, ზურგზე შეისვა, მარცხენა ხელით დაუჭირა ორივე ხელი, დაწვა გულდაღმა და გახოხდა კედლის თავზე. სწორად მიხვდა, კედლის ბოლოს შენობა იყო. ბაღისკენ ბანდაშვებული, ცაცხვს ეხებოდა ოდნავ. მისდა საბედნიეროდ, კედელი ამ მხრიდან უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქუჩის მხრიდან.

ის იყო მიაღწია ბაღისკენ დაშვებულ ბანს, ჯერ ბანზე არ გადამძვრალიყო, რომ დარაჯების შემოსვლა გაიგო. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ. ჟავერის ხმა გაისმა, რომელიც მეხივით ქუხდა:

- გაჩხრიკეთ ქუჩაბანდი, დრუა-მურის ქუჩაზე დარაჯი დგას, პიკპუსის ქუჩაზეც. დარწმუნებული ვარ მანდ იმალება, მაგ ქუჩაბანდში.

გაბრაზებით შეცვივდნენ ჟანროს ქუჩაბანდში ჯარისკაცები.

ჟან ვალჟანი დაწეულ ბანზე ჩაცურდა, კოზეტი ზურგზე ჰყავდა მოკიდებული, ცაცხვთან მივიდა და ჩახტა მიწაზე. შიშით იყო თუ სიყოჩაღით, ხმა არ ამოუღია კოზეტს, თუმცა ხელები დაფხაჭნოდა თოკით კედელზე ასვლისას.

## თავი მეექვსე
## გამოცანის დასაწყისი

დიდ, უცნაურ, დაღვრემილ ბაღში აღმოჩნდა ჟან ვალჟანი, რომელიც თითქოს იმისთვის იყო გაშენებული, რომ ზამთარშიც და ღამითაც ესარგებლა მისით ადამიანს. მოგრძო ბაღი იყო, ბოლოში - ჩინარის ხეივნით და მაღალი, აყრილი ხეებით - გვერდზე, შუა ნაწილი კი მოტიტვლებული ჰქონდა, სადაც ერთი დიდი განცალკევებული ხე იდგა. აქა-იქ დაღრეცილი და გაუსხლავი ხეხილი მოჩანდა, როგორც ბუჩქნარი; მწვანილის დასათესად - კვლები, სანესვე, რომლის შუშის საფარზეც მთვარის შუქი თამაშობდა და ერთი ძველი წყალსადენი. აქა-იქ ხავსმოკიდებული ქვის სკამები იდგა. ხეივანს ორივე მხარეს წვრილი დაბალი ბუჩქი მიჰყვებოდა, ხეივანს ზოგან ბალახი მოსდებოდა, ზოგან - მწვანე ხავსი.

ძირს იყო ჟან ვალჟანი, იმ შენობის გვერდით, რომლის დაქანებული ბანით ისე ადვილად ჩავიდა ბაღში. იქვე ფიჩხი ეყარა და ფიჩხის უკან, კედელთან, ქვის ძეგლი იდგა; მას პირისახე დამტვრეული ჰქონდა და საშინელ ნიღბად მოჩანდა მთვარის შუქზე.

შენობა დანგრეულს ჰგავდა; შიგნით უპატრონოდ მიტოვებული ოთახები მოჩანდა, ერთი მათგანი საწყობად გამოეყენებინათ და გატენილი იყო გადასაყრელი, დამტვრეული ავეჯით.

დრუა-მურის ქუჩაზე გამავალი დიდი შენობა, ორი ფასადით ბაღში გამოდიოდა, და მისი ეს ნაწილი უფრო საშინელი შესახედი იყო, ვიდრე ქუჩაში გამავალი. სინათლე არსად ჩანდა. გარედან ყველა ფანჯარას რკინის ბადე ჰქონდა, ხოლო ზემო სართულის ფანჯრებს - ლითონის სახურავი, როგორც საპატიმროში. ერთი ფასადის ჩრდილი მეორეს ეცემოდა და შავი სუდარასავით ეფარებოდა ბაღს.

სხვა სახლი არსად ჩანდა, ბაღის ბოლო ნისლში და ღამის სიბნელეში იკარგებოდა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა რაღაც კედლებისა და პოლონსოს ქუჩაში გამავალი სახლების ბანის გარჩევა.

არავინ ჩანდა ბაღში. ღამე იყო და ყველას ეძინა, მაგრამ ისე მიყრუებულს და მივიწყებულს ჰგავდა ეს ბაღი, რომ დღისითაც არავინ უნდა ყოფილიყო მოსეირნე.

ფეხი დაადგა მიწას ჟან ვალჟანმა და მაშინვე თავისი ფეხსაცმლის ძებნა დაიწყო, იპოვა, ჩაიცვა და მერე ფარდულში შეიყვანა კოზეტი. თუ გამოიპარა კაცი, უსაფრთხოდ მაინც არ გრძნობს თავს, კოზეტსაც სულ ტენარდიე ელანდებოდა, ისიც ფრთხილად იყო და ცდილობდა მიკუნჭულიყო სადმე.

კანკალებდა პატარა გოგონა და ვალჟანს ეკვროდა. ქუჩიდან დარაჯების ხმა ისმოდა, რომლებიც ქუჩაბანდში ეძებდნენ ჟან ვალჟანს; ისმოდა ფეხის ხმა, კონდახების ცემა ქვებზე, ჟავერის ბრძანება, ძახილი იმ ჯაშუშებისა, რომლებიც გზაზე დაეყენებინა და იმედგაცრუებული ჟავერის ლანძღვა და გინება.

კარგა ხანს ისმოდა ეს ხმები. ბოლოს, როგორც იყო, შეწყდა. ეტყობოდა შორდებოდა იქაურობას ეს საშინელი განსაცდელი. ჟან ვალჟანს სუნთქვა ეკვროდა.

კოზეტისთვის ხელი პირზე დაედო, - ხმა არ ამოიღოო, - და იყო ასე გაშეშებული.

მაგრამ ისეთი დუმილი სუფევდა სამალავში, რომ მას სრულებითაც არ არღვევდა არც დარაჯების ხმაური და არც ჟავერის გაშმაგებული ბრძანება, თითქოს ეს სახლიც იმ ყრუ ქვებით ყოფილიყო აშენებული, რომლებიც მოხსენიებულია საღვთო წერილში. და ახალი ხმა გაისმა ამ ღრმა დუმილში, ზეციური ნეტარი ხმა, იმდენად ტკბილი იყო და სულისჩამდგმელი, რამდენადაც დარაჯების ხმა - საზარელი და სულის შემხუთავი. წყვდიადიდან მომავალი გალობა იყო, აღტაცება ლოცვის და ჰარმონიის ამ ღამის საშინელ დუმილში; ქალების ხმა იყო, უმანკო ქალების და გულწმინდა ბავშვების შეწყობილი ღაღადი. მიწიერი არ არის ეს ღაღადი და იმ ხმას ჰგავს, რომელიც ახალშობილს ესმის და უკვე სულთმობრძავს. იმ საშინელი სახლიდან ისმოდა ეს გალობა, ბაღში რომ შემოდიოდა თავის გარეპირით, ქაჯების ხმაური ანგელოზების გუნდის ტკბილმა გალობამ შეცვალა.

ჟან ვალჟანმა და კოზეტმა მუხლი მოიყარეს.

არ იცოდნენ, სად იყვნენ; არც იცოდნენ რა იყო ეს გალობა, მაგრამ კარგად გრძნობდნენ ორივე, კაციც და ბავშვიც, ცოდვილიც, რომელიც ინანიებდა თავის წარსულს და უმანკო ბავშვიც, რომ მუხლმოყრილნი უნდა ყოფილიყვნენ ამ გალობის დროს.

უცნაური იყო, რომ ამ გალობის მიუხედავად, მაინც ცარიელად, მიტოვებულად მიაჩნდათ ეს შენობა. უმკვიდროს ჰგავდა სახლი და ზეციდან მომავალს - გალობა.

აღარაფერი აგონდებოდა ჟან ვალჟანს ამ გალობის დროს, აღარაფერს ფიქრობდა. ღამის მაგივრად მოწმენდილი მზის სხივით გაკაშკაშებულ ცას ხედავდა. ისე იყო, თითქოს იმ ფრთის გაშლას აპირებდა, რომელიც გულის სიღრმეში გვაქვს ჩამალული.

შეწყდა გალობა. იქნებ დიდხანსაც ისმოდა, ამაზე ვერაფერს გეტყოდათ ჟან ვალჟანი. ერთ წამად ეჩვენება ადამიანს შეფრფინვის საათი.

მიჩუმდა იქაურობა. აღარაფერი ისმოდა არც ქუჩაში და არც ბაღში. გაქრა მუქარა და საშიშროება. გაქრა ნუგეში და იმედი. ქარი არხევდა კედელზე გამხმარ ბალახს და მარტო მისი ჩუმი შრიალიღა ისმოდა.

## თავი მეშვიდე
## გამოცანის გაგრძელება

ღამის ცივი ქარი ამოვარდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნაშუაღამევის მეორე საათი უნდა ყოფილიყო. საწყალი კოზეტი ხმას არ იღებდა. ჟან ვალჟანს უჯდა გვერდით, თავი გულზე მიედო და ისე უძრავად იყო, რომ ჟან ვალჟანს ეგონა, - დაეძინაო, - ჩამოხედა. თვალდაჭყეტილი იჯდა ბავშვი, ღრმად ჩაფიქრებული. გული ჩასწყდა ვალჟანს.

ჯერაც კანკალებდა კოზეტი.

- გეძინება, შვილო? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- მცივა, მამა.

და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

- ისევ აქ არის?

- ვინ, შვილო?

- ქალბატონი ტენარდიე.

ჟან ვალჟანს დავიწყებოდა კიდეც ის საშუალება, რომლითაც დაამუნჯა პატარა გოგონა.

- არა, არა! წავიდა. ნუღარ გეშინია.

ისე ამოიხვნეშა კოზეტმა, თითქოს დიდი ტვირთი აწვა გულზე და უცბად ჩამოაცალესო.

ციოდა. სახლი ყველა მხრიდან დანგრეული იყო, ცივი ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თავისი სერთუკი გაიხადა მამობილმა და შიგ შეახვია გოგონა.

- ახლა? ახლა ხომ ცოტა გათბი?

- დიახ, მამა.

- მაშ აქ მომიცადე, ახლავე მოვალ.

გავიდა გარეთ და დიდი შენობის კედელს გაჰყვა, უნდოდა ეპოვა სადმე თბილი თავშესაფარი. კარი ბევრი ნახა, მაგრამ ყველა დაკეტილი იყო. ქვემო სართულის ყველა ფანჯარას რკინის გისოსი ეკეთა.

სახლის კუთხეს რომ გასცდა, თაღიანი ფანჯრები დაინახა და ცოტა სინათლეც. ფეხის წვერებზე შედგა და ფანჯარაში შეიხედა. ეს ფანჯრები ერთ დიდ დარბაზს ეკუთვნოდა. დარბაზში იატაკის მაგივრად დიდრონი ნათალი ქვა ეგო და ჭერი გადაჭრილი ჰქონდა ბოძებზე დაშვებული თაღებით. შიგნით ბნელოდა და მბჟუტავი სინათლისა და ჩრდილების მეტს ვერაფერს ხედავდა. სინათლე პატარა ლამპის იყო, დარბაზში არავინ ჩანდა, არავინ ინძრეოდა. მაგრამ კარგად რომ დააცქერდა და თვალი მიაჩვია, ძირს ფილაქანზე თითქოს რაღაც სუდარით შემოსილი გაარჩია, ადამიანისმაგვარი, გულდაღმა იყო გაშხლართული, პირი ქვაზე ედო, ხელები ჯვარედინად გაეშალა და მკვდარივით უძრავად იდო ცივ ქვაზე, იქვე მის გვერდით რაღაც ეგდო დაკლაკნილი გველის მსგავსი, თითქოს ფილაქანზე მწოლიარეს კისერზე საბელი ჰქონდა მიბმული.

ბნელით იყო მოცული დარბაზი, ოდნავ განათებული და ეს უფრო საშინელს ხდიდა ამ სურათს.

მას შემდეგ ჟან ვალჟანს ხშირად უთქვამს, - ბევრი საშინელება შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ამის მსგავსი საზარელი და გამყინავი არაფერი მინახავსო. - ცოცხალი იყო თუ მკვდარი ფილაქანზე გაშხლართული? რა განზრახვა ჰქონდა, ან რა განზრახვით იყო შეკრული და გაყინულ ქვებზე გაშოტილი ის უბედური? საზარელი იყო იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა მკვდარი ყოფილიყო და კიდევ უფრო საზარელი, თუ ცოცხალი იყო.

თავიდან გაბედულად მოიქცა ჟან ვალჟანი, შუბლი მიადო ფანჯარას და დააცქერდა, - აბა, გაინძრევა თუ არაო? - იდგა და შესცქეროდა, კარგა ხანს იდგა ასე. თვითონვე იგრძნო, რომ დიდხანს იდგა, მაგრამ არავითარი მოძრაობა არ ეტყობოდა სუდარაში გახვეულს. უცებ ისეთი შიში მოერია, რომ ლაჩარივით გაიქცა. მირბოდა კოზეტისკენ, უკან აღარც იხედებოდა, - უკან როგორ მივიხედო, - ფიქრობდა, - დავინახავ, როგორ მომდევს და მემუქრება ხელებითო.

ძლივსღა ქშინავდა, კოზეტთან რომ მივიდა, მუხლი ეკეცებოდა. ცივი ოფლი სდიოდა.

სად იყო, ვინ წარმოიდგენდა ამგვარი აკლდამის არსებობას შუაგულ პარიზში? რა იყო ეს უცნაური სახლი? რა იყო ღამის საიდუმლოებით სავსე შენობა, რომელიც ანგელოზების ტკბილი გალობით ანუგეშებდა სულს ღამის სიბნელეში და თან იმ საშინელ სურათს უშლიდა თვალწინ? რა იყო ეს უცნაური სახლი, რომ სამოთხის კარის გაღებას ჰპირდებდა და ჯოჯოხეთის კარს აღებდა? და ყოველივე ეს ადამიანთა სახლში ხდებოდა, სახლში, რომელსაც თავისი ნომერი ჰქონდა ქუჩის მხრიდან. სიზმარი ხომ არ იყო ეს საშინელება. თავისდაუნებურად ქვას დაავლო ხელი, რომ დარწმუნებულიყო - არ მძინავს, ფხიზელი თვალით ვხედავ ყველაფერსო.

შიში, სიცივე, მღელვარება იმ ღამისა ისე მორეოდა ჟან ვალჟანს, რომ შეციებულივით ცახცახებდა. ერთმანეთში არეულიყო მისი ფიქრებიც.

კოზეტთან მივიდა. გოგონას ჩასძინებოდა.

## თავი მერვე
## გამოცანა რთულდება

თავი ქვაზე მიედო კოზეტს.

გვერდზე მიუჯდა და დაჰყურებდა, უყურებდა ობოლს და თანდათან მშვიდდებოდა, თანდათან იმორჩილებდა თავის ფიქრებს.

ცხადად ხედავდა ამ ჭეშმარიტებას, მისი სიცოცხლის საფუძველს, ამიერიდან, ვიდრე თავისთან ეყოლება კოზეტი, რაც დასჭირდება, მარტო იმისთვის დასჭირდება, თუ შეეშინდება რამის, მარტო მის გამო შეეშინდება; არც კი გრძნობდა სიცივეს, მიუხედავად იმისა, რომ სერთუკი გაეხადა და შიგ კოზეტი შეეხვია.

ამ ფიქრებში გართულს, რამდენიმე ხანი იყო, რაღაც უცნაური ხმა ესმოდა, თითქოს პატარა ზარი უჭირავს ვიღაცას და იმას აწკარუნებსო. ხმა ბაღიდან მოდიოდა. გარკვევით ისმოდა ზარის წკრიალი, თუმცა ყრუდ, სუსტად. უცნაურ მუსიკას ჰგავდა ეს ხმა, იმ მუსიკას, რომელსაც ქმნის ღამის საძოვარში თხის კისერზე მიბმული ზარი, წინ რომ მიუძღვის ცხვრის ფარას.

ბაღისკენ მიახედა ამ ხმამ ვალჟანი.

დააცქერდა და ნახა, რომ ვიღაც იყო ბაღში.

ადამიანის მსგავსი არსება იყო, სანესვეში დადიოდა; ხან დაიხრებოდა, ხან ისევ წამოდგებოდა, ჩერდებოდა, მოძრაობდა, ეტყობოდა რაღაცას აკეთებდა ნესვის საფარ მინებში, თითქოს რაღაცას ჰფენდა, ხან მიათრევდა მიწაზე, კოჭლობდა კიდეც.

ის ხანგრძლივი კანკალი მოერია ჟან ვალჟანს, რომელსაც მარტო მასავით განწირულნი განიცდიან. ყველაფერი საეჭვო და მტრობით სავსეა მათთვის. დღისაც ეშინიათ, რადგან გასცემს თავის სინათლით, და ღამისაც, რადგან მტერს ეხმარება, რომ მოეპაროს. ახლახან იყო, თრთოდა კაცი, რადგან ბაღში სულიერი არავინ ჩანდა, და კვლავ კანკალებს, რადგან ვიღაც დაინახა.

ლანდის კი არა, ახლა ამ ნამდვილი არსების შეეშინდა. წარმოიდგინა, რომ ჟავერი და მისი ჯაშუშები არსად წასულან, ქუჩაში დარაჯები დააყენეს და თვითონ აქვე არიან სადმე; დაინახავს თუ არა ის კაცი, მაშინვე ყვირილს დაიწყებს, - არიქა, ქურდიო! - და დააჭერინებს. ფრთხილად აიყვანა ხელში მძინარე კოზეტი და დამტვრეული დგამის და გადასაყრელი ავეჯის უკან მიაწვინა ერთ კუნჭულში. კოზეტი არ იძვროდა.

მერე იმ კაცს დაუწყო ცქერა, სანესვეში რომ დაინახა. უცნაური ის იყო, რომ ზარის ხმა კაცის ყოველი მოძრაობის შედეგი იყო, ასე ვთქვათ, თან სდევდა მას. როდესაც ჟან ვალჟანისკენ წამოვიდოდა, წკარუნიც გარკვევით ისმოდა; უკან დაიწევდა და ზარის ხმაც სუსტდებოდა, თუ ააჩქარებდა მოძრაობას, ზარის ხმაც სწრაფი და ხანგრძლივი ისმოდა; გაჩერდებოდა და აღარც ზარი რეკდა. ცხადი იყო, ზარი უნდა ბმოდა თვითონ იმ კაცს; მაგრამ რატომ? რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ადამიანზე მიბმული ზარი? ვინ იყო ის კაცი, რომ მისთვის ზარი მიებათ, როგორც ცხვარში თხას, ან ტყეში ძროხას და ხარს აბამენ?

ამ ფიქრით იყო მოცული, ხელი რომ შეახო კოზეტის ხელს. ბავშვს ხელი გაყინული ჰქონდა.

- ვაი, ღმერთო! - წამოიძახა ჟან ვალჟანმა.

და ჩუმი ხმით დაუძახა;

- კოზეტ.

თვალი არ გაახილა გოგონამ.

მერე კარგად შეანჯღრია.

არ იღვიძებდა ბავშვი.

- ვაიმე! რა დაემართა, რა ვქნა? - წამოვარდა, თავით ფეხამდე კანკალებდა შეშინებული.

რა საშინელება არ მოელანდა უბედურს ამ წამს! ხდება ხოლმე, ისე წარმოგვიდგება შიშით აღძრული ყოველგვარი მოსალოდნელი უბედურება, როგორც ავსული ალების მთელი გუნდი და გონება გვერევა. თუ ჩვენს საყვარელ ადამიანს შეეხება განსაცდელი, ყოველგვარ შეუძლებელ საშიშროებას მოგვალანდებს გახელებული გონება. ჟან ვალჟანსაც ასე მოუვიდა, წარმოიდგინა, რომ სიკვდილს ვერ გადაურჩება კოზეტი, რაკი გარეთ დაეძინა ამ სიცივეში.

გაყვითლებული იწვა მიწაზე საწყალი გოგონა, სრულიად უძრავად. ყური მიადო გულზე. სუნთქავდა ბავშვი, მაგრამ მეტად სუსტი ეჩვენა მისი სუნთქვა და შიში მოერია, - ისეა მისუსტებული, სუნთქვა ეკვრისო.

როგორ უნდა გაეთბო, როგორ გამოეღვიძებინა? ამის მეტი აღარაფერი ახსოვდა და აღარაფერი აშინებდა. სხვა ყველაფერი წაიშალა მისი გონებიდან და გიჟივით გავარდა ბაღში.

საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჩაეწვინა კოზეტი თბილ ლოგინში და თბილ ოთახში. დანარჩენი არაფერი არსებობდა მისთვის.

## თავი მეცხრე
## ზარებშებმული კაცი

პირდაპირ იმ კაცისკენ წავიდა, ბაღში რომ დაინახა, ჯიბიდან ქაღალდში შეხვეული ფული ამოიღო.

თავდაღუნული იყო ის კაცი და ვერ ხედავდა მისკენ მიმავალს. სწრაფი ნახტომით გარბოდა ჟან ვალჟანი.

მივარდა და შეჰყვირა:

- ასი ფრანკი!

შეხტა კაცი ამ მოულოდნელი ყვირილით, შეხედა.

- ას ფრანკს მოგცემთ, - გაიმეორა ჟან ვალჟანმა, - თუ ბინას მომცემთ ამაღამ!

მთვარე ანათებდა ჟან ვალჟანის გაფითრებულ სახეს.

- რა ვქნა? თქვენ ბრძანდებით, ძია მადლენ? - თქვა კაცმა.

ძია მადლენის ხსენება ამ შუაღამისას, ამ ჩაბნელებულ ბაღში, ამ უცნობ სახლში, ამ უცნობი კაცისგან მეტად მოულოდნელი იყო ჟან ვალჟანისთვის და უკან დაიწია.

ყველაფერს წარმოიდგენდა და ამას კი ვერა. მოხუცებული კაცი იყო, ბაღში რომ დახვდა, წელში მოხრილი, კოჭლი, გლეხურად ჩაცმული; მარცხენა ფეხზე ტყავის საწვივე ჰქონდა და ზედ მსხვილი ზარი ეკიდა, სახე ჩრდილში ჰქონდა და ვერ გაერჩია ჟან ვალჟანს.

ამასობაში ქუდი მოიხადა იმ კაცმა და აკანკალებულმა წამოიყვირა:

- აჰა! ღმერთო! აქ საიდან გაჩნდით, ძია მადლენ, როგორ შემოხვედით? ქრისტე ღმერთო! ციდან ჩამოფრინდით თუ რა? საამო არ არის ჩამოვარდნა, მაგრამ თუ თქვენ ჩამოვარდით, ზეციდან ჩამოვარდებოდით. რა მოგივიდათ, რა ვქნა? აღარც ყელსახვევი გაქვთ, აღარც ქუდი, აღარც სერთუკი! იცით, როგორ შეეშინდებოდა თქვენი, სხვას რომ ენახეთ ვინმეს, ვინც თქვენ არ გიცნობთ! უსერთუკოდ! ღმერთო ძლიერო! არა, იქნებ წმინდანებიც ჭკუაზე შეშლილან ჩვენს დროში, მაინც როგორ შემოხვედით? ეს მაინც მითხარით.

წყალივით მისდევდა სიტყვა სიტყვას. სოფლური სიტყვის სიმკვირცხლით ლაპარაკობდა კაცი, ტკბილი ხმით; არაფერი იყო საშიში. ძია მადლენის ნახვით გაკვირვებული და ნასიამოვნები იყო.

- თქვენ ვინ ხართ, ეს რა სახლია, - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- დასწყევლა ღმერთმა ჩემი მტერი და ავი სული, - შეჰყვირა ბებერმა კაცმა, - რა ვქნა, ვერა მცნობთ? მე ის ვარ, ვინც თქვენ მოათავსეთ ამ ბაღში და ეს სახლიც ის არის, სადაც მე ვმსახურობ. მაშ, ვერ მცნობთ?

- ვერა, - მიუგო ჟან ვალჟანმა, - თქვენ საიდანღა მიცნობთ? სად გინახივართ?

- თქვენ ხომ სიკვდილს გადამარჩინეთ.

მობრუნდა, მთვარის სხივი მოხვდა მის სახეს და ჟან ვალჟანმა მაშინვე იცნო ბებერი ფოშლევანი.

- აჰ, თქვენ ხართ? - გაიხარა ჟან ვალჟანმა, - აი, ახლა კი გიცანით.

- მადლობა ღმერთს! - წამოიძახა ფოშლევანმა პატარა საყვედურით.

- და აქ რას აკეთებთ? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- აქ? ნესვებს ვფარავ.

მართლაც, ბებერ ფოშლევანს ხელში ეჭირა ერთი ჭილობი, რომელიც სანესვესთვის უნდა გადაეფარებინა, და ხელში შერჩა, ჟან ვალჟანი რომ მიუვარდა და ამ ლაპარაკის დროსაც ხელში ეჭირა. ერთი საათი იქნებოდა, რაც ბაღში იყო. რამდენიმე ჭილობი დაეფარებინა და ამიტომ იყო, რომ უცნაურად ეჩვენებოდა შორიდან მაყურებელ ჟან ვალჟანს მისი მოძრაობა.

ფოშლევანმა განუმარტა:

- მთვარე კაშკაშებდა და ცხადი იყო, ყინვაც თან მოჰყვებოდა. სანესვე არ წამიხდეს- მეთქი, ვიფიქრე, ავდექი და ჭილობი წამოვაფარე. მერე სიცილი წასკდა და დაუმატა:

- თქვენ კი მოგიხდებოდათ მოხურვა ღვთის წინაშე, მაგრამ ერთი გამაგებინეთ, საიდან მოხვდით ამ ბაღში?

რაკი იცნო ამ კაცმა ჟან ვალჟანი ძია მადლენის სახელით მაინც, ცოტა სიფრთხილე მართებდა, მანამ ისიც გაიხსენებდა ამ კაცის ვინაობას და კითხვა დაუწყო. როლები შეიცვალა: ბაღში შემოპარული ჰკითხავდა ბაღის მომვლელს.

- ეგ ზარი რაღაა, მუხლზე რომ მიგიბავთ?

- ესა? - უპასუხა ფოშლევანმა, - ეს იმიტომ მაქვს, რომ მომერიდონ.

- რაო? ზარი შეუბამთ, რომ მოგერიდონ?

თვალი მოჭუტა ბებერმა ფოშლევანმა ეშმაკური ღიმილით:

- მაშ რა ვქნა? ქალების მეტი არავინ არის ამ სახლში. ძალიან ბევრი ყმაწვილი ქალია, და თურმე ნუ იტყვით, ცოდვად ჩაეთვლებათ, თუ შემხვდნენ სადმე; ადგნენ და ზარი შემაბეს, რომ გაიგონებენ ჩემი ზარის ხმას, - მერიდებიან.

- ეს რაღა სახლია?

- თქვენ კარგად იცით, რაც არის.

- არა, არ ვიცი.

- თქვენ არ დამაყენეთ აქ მებაღედ?

- მიპასუხეთ. წარმოიდგინეთ, რომ არაფერი არ ვიცი.

- ჰოდა, ეს კიდევ მცირე პიკპუსის მონასტერი გახლავთ. ახლა?

ნელ-ნელა აგონდებოდა ჟან ვალჟანს ფოშლევანი. შემთხვევამ, ესე იგი განგებამ, ჩამოიყვანა წმინდა ანტონის უბნის სწორედ იმ მონასტერში, სადაც ბებერი ფოშლევანი იდგა მებაღედ: ფოშლევანი, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა ჟან ვალჟანმა და მერე ამ მონასტერში მებაღედ მიაღებინა. ამ ორი წლის წინ მოხდა ეს ყველაფერი. მოაგონდა და გაიმეორა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

- მცირე პიკპუსის მონასტერი.

- ძალიან კარგი, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ძია მადლენ, როგორ შემოხვედით ამ ბაღში? წმინდა ხართ, ვიცი, მაგრამ მაინც კაცი ხართ და კაცის შემოსვლა აქ სასტიკად არის აკრძალული.

- თქვენ რომ ხართ?

- ჩემ გარდა არავინ არის.

- ასე იყოს, მაგრამ მაინც უნდა მომიხერხოთ, რომ მეც აქ დავრჩე.

- ოჰ, ღმერთო! - შეჰყვირა ფოშლევანმა.

ჟან ვალჟანი მივიდა მებაღესთან და დინჯად უთხრა:

- ფოშლევან, მე თქვენ სიკვდილს გადაგარჩინეთ.

- პირველად მე გავიხსენე თქვენი სიკეთე. თქვენ დავიწყებული გქონდათ.

- ჰოდა, დღეს თქვენ შეგიძლიათ გადამიხადოთ ის სიკეთე, რომელიც ოდესღაც მე გაგიწიეთ.

ფოშლევანმა თავისი ჩამომხმარი, აკანკალებული ხელი სტაცა ჟან ვალჟანის ღონიერ ხელს და რამდენიმე წამი დარჩა ისე, თითქოს ენას ვეღარ იმორჩილებდა. მერე შეჰყვირა:

- ოჰ, ღვთის წყალობა იქნება ჩემთვის, თუ შევძელი და ნაწილობრივ მაინც გადაგიხადეთ თქვენი სიკეთე! მე, მე უნდა გიხსნათ თქვენ სიკვდილისგან, ბატონო მერო? იმსახურეთ თქვენი ბებერი ნაცნობი, როგორც გენებოთ!

წმინდა სიხარულს შეეცვალა მოხუცის სახე, სხივი ადგა თავზე.

- აბა, რას მავალებთ? მიბრძანეთ.

- გეტყვით. ერთი ოთახი გაქვთ სადმე?

- პატარა ფარდული მაქვს, განცალკევებული, ძველი მონასტრის ნანგრევების უკან, ისეა მიკუნჭული, რომ ძნელად მიაგნებს ადამიანი, სამი ოთახი მაქვს.

მართლაც ისე იყო პატარა სახლი მიმალული ნანგრევებს უკან, რომ შეუძლებელი იყო მისი დანახვა, ფოშლევანს რომ არ გაეშვირა იქით თითი.

- ძალიან კარგი, - უთხრა ჟან ვალჟანმა, - ახლა ყური დამიგდეთ, ორი რამ მაქვს საათხოვარი.

- ბრძანეთ, ბატონო მერო.

- პირველი, არავის არაფერს ეტყვით ჩემ შესახებ და მეორე, რაც იცით, იმაზე მეტის გაგებას ნუ ეცდებით.

- როგორც მიბრძანებთ, ვიცი, რომ თქვენ ცუდს არაფერს ჩაიდენთ და ყველგან და ყოველთვის ღვთის მადლით სავსე იყო თქვენი ცხოვრება. ეგეც რომ არ იყოს, - თქვენ მომათავსეთ ამ სახლში და თქვენი მორჩილი ვარ. აბა, რას მიბრძანებთ?

- ძალიან კარგი. ახლა წავიდეთ. ბავშვს მივხედოთ.

- ჰა? მაშ ბავშვიც არის?

ხმა აღარ ამოიღო და მიჰყვა ჟან ვალჟანს, როგორც ძაღლი მისდევს ხოლმე თავის პატრონს.

ნახევარი საათის შემდეგ კოზეტი მებაღის თბილ ლოგინში იწვა, იქვე კარგი ცეცხლი ენთო. ბავშვი გამთბარიყო და გაწითლებულიყო სიცივის შემდეგ. ჟან ვალჟანმა თავისი ყელსახვევი მოიხვია, სერთუკი ჩაიცვა; კედელზე გადმოგდებული ქუდიც იპოვა. მანამ ასე ირთვებოდა ჟან ვალჟანი, ფოშლევანმა მოიხსნა თავისი ზარიანი საწვივე და იქვე კედელზე ჩამოკიდა, ლურსმანზე. ორივენი ბუხართან, ერთ პატარა მაგიდასთან დასხდნენ, რომელზეც ფოშლევანმა შავი პური, პატარა ნაჭერი ყველი, ერთი ბოთლი ღვინო და ორი ჭიქა დადო. ღვინო დაუსხა, მერე ხელი დაადო ჟან ვალჟანს მუხლზე და უთხრა:

- ეჰ, ძია მადლენ! მაშ ვერ მიცანით წეღან? სიკვდილს გადაარჩინეთ ადამიანი და მერე ისე დაივიწყეთ, როგორც შარშანდელი თოვლი? არ ვარგა, არა! მას კი თავის დღეში არ დაავიწყდებით! უმადური ყოფილხართ, ძია მადლენ!

## თავი მეათე

## როგორ დარჩა ჟავერი ხახამშრალი

ახლა ისიც ვთქვათ, როგორ გაუსხლტა ხელიდან ჟავერს მახეში გაბმული ნადირი.

ახალგარდაცვლილი ფანტინის ლოგინთან დაიჭირა ჟავერმა ჟან ვალჟანი, რომელიც იმ ღამესვე გაეპარა მონრეილის საპატიმროდან. პოლიციას ეგონა, რომ გაქცეული კატორღელი დასამალად პარიზისკენ წავიდოდა. პარიზი მორევია, სადღაც ყველაფერი იმალება, იკარგება. ყველა ქრება ამ ქვეყნიერების ფოკუსში, როგორც უძირო ოკეანეში. ვერანაირი ტევრი ვერ დამალავს ისე კარგად ადამიანს, როგორც ხალხის სიმრავლე. ეს კარგად იცის ყველა გამოქცეულმა და პარიზისკენ მიისწაფის, რომ შთაინთქას მის სიღრმეში. ამაშია მისი ხსნა. ეს პოლიციამაც კარგად იცის და სადაც კი ვინმეს დაკარგავს, ყველას პარიზში ეძებს. მონრეილის ყოფილ მერსაც პარიზში დაუწყო ძებნა პოლიციამ. დასახმარებლად ჟავერი დაიბარეს, კარგადაც დაეხმარა. დიდი გამოცდილება და გულმოდგინება გამოიჩინა ამ საქმეში. პოლიციის უფროსის, გრაფ ანგლეს მდივნის შაბუიეს ყურადღება მიიქცია, - იგი ადრეც ჟავერის მფარველი იყო, - და პარიზის პოლიციის უფროსად დანიშნა. ერთგულად ემსახურებოდა ჟავერი და ისიც ვთქვათ, თუმცა მოულოდნელი იქნება ეს სიტყვა, - პატიოსან, სასარგებლო მოხელედ ითვლებოდა.

არც კი აგონდებოდა ჟან ვალჟანი. ამგვარ მეძებარს, ყოველთვის ნადირის მდევარს, გუშინდელ მგელს ავიწყებს დღევანდელი. 1823 წელს რაღაც გაზეთს ათვალიერებდა, - ჭირივით ეჯავრებოდა გაზეთები, მაგრამ მეფის მომხრე იყო და უნდოდა დაწვრილებით სცოდნოდა ბაიონში პრინცის შესვლა და საზეიმო დახვედრა, - თვალში მოხვდა პატარა შენიშვნა და შიგ ჟან ვალჟანის სახელი. გაზეთში ეწერა, რომ კატორღელი ჟან ვალჟანი წყალში დაიხრჩო. ამ შემთხვევამ საბოლოოდ დაარწმუნა ჟავერი, რომ ჟან ვალჟანი უკვე გამოსთხოვებოდა ამ წუთისოფელს, - იქიდან კი ვეღარ გაიქცევაო, - თქვა ჟავერმა, გადააგდო გაზეთი და დაივიწყა ჟან ვალჟანი.

რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზის პოლიციას ცნობა მოუვიდა სენ-უაზის პოლიციისაგან - ერთი ბავშვის გატაცების შესახებ: - უცნაურ გარემოებაში მოხდა ეს ამბავი, - ეწერა ცნობაში: სოფელ მონფერმეილში ერთი პატარა გოგონა იყო, შვიდი-რვა წლის. დედას ადგილობრივი მედუქნისთვის მიებარებინა გასაზრდელად. ეს გოგონა ვიღაც უცნობმა მოიპარა და მიიმალა. გოგონას სახელად კოზეტი ერქვა; ვიღაც ფანტინის შვილი იყო, რომელიც საავადმყოფოში მომკვდარა, ოღონდ არავინ იცის სად ან როდის.

ეს ცნობა წაიკითხა ჟავერმა და ჩაფიქრდა.

ფანტინის სახელი კარგად იცოდა. მაშინვე მოაგონდა, როგორ გულიანად ხარხარებდა, ჟან ვალჟანმა რომ სთხოვა: - სამი დღით გამიშვით, ბავშვს მოვუყვან იმ უბედურს და მერე დამიჭირეთო. ისიც მოაგონდა, რომ ჟან ვალჟანი მაშინ დაიჭირეს პარიზში, როცა მონფერმეილისკენ მიმავალ ომნიბუსში ჯდებოდა. პატარა ცნობაც მოიპოვებოდა, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ჟან ვალჟანი უკვე მეორედ მიდიოდა მონფერმეილისკენ; წინა დღესაც ყოფილიყო ამ სოფლის მიდამოებში, ოღონდ სოფელში კი არ შესულიყო. რა უნდოდა ზედიზედ ორჯერ ამ სოფელში? მაშინ შეუძლებელი იყო ამის გაგება და ახლა კი ძალიან კარგად ხვდებოდა ჟავერი. ფანტინის ბავშვი იყო ამ სოფელში გაბარებული. ჟან ვალჟანი ბავშვის წასაყვანად მისულიყო და ახლა ვიღაცას გაუტაცია ის ბავშვი. ვინ უნდა

ყოფილიყო ამ გოგონას მომტაცებელი? ნუთუ ჟან ვალჟანი, მაგრამ ის ხომ მკვდარი იყო?

არავის არაფერი უთხრა ჟავერმა, პატარა ეტლი დაიჭირა პლანშეტის ქუჩაბანდში და მონფერმეილისკენ გაემგზავრა.

დარწმუნებული იყო, შუქი მოეფინებოდა იქ ამ საიდუმლოებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, უფრო მეტი სიბნელე მოეფინა.

პირველ დღეებში ძლიერ გაშმაგებული იყო ტენარდიე და - ტოროლა მომტაცესო - გაიძახოდა. სოფლის სალაპარაკოდ გახდა ეს ამბავი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას და ბოლოს დაასკვნეს, რომ ტენარდიეს ვიღაც უცნობმა კაცმა მოპარა მიბარებული ბავშვი. აქედან მოდიოდა პარიზში გაგზავნილი პოლიციის ცნობა, მაგრამ გაიარა პირველმა გაშმაგებამ. ტენარდიემ თავისი საკვირველი ალღოს მეშვეობით მოისაზრა, რომ თავის დღეში ბატონი პროკურორის შეწუხებით სარგებელი არავის უნახავს, და რომ მის საჩივარს კოზეტის მოტაცების გამო, შედეგად მართლმსაჯულების მკაცრი თვალის გადავლება მოჰყვება ტენარდიეს მეტად საეჭვო საქმეებზე. ჭირივით ეჯავრება ბუს სინათლის დანახვა, გარდა ამისა, რა პასუხს გასცემს, რომ ჰკითხონ, იმ კაცს რად გამოართვი ათას ხუთასი ფრანკიო? გეზი შეიცვალა, პირზე კლიტე დაადო თავის ცოლს და გაკვირვებული სახით შესცქეროდა ყველას, ვინც „მოპარულ ბავშვზე“ დაუწყებდა ლაპარაკს. რის მოპარვა? რის მოტაცება? მართალია, ბავშვი რომ წაიყვანეს, სულ იმას ჩიოდა, ასე მალე რად წამართვეს, მეტად მიყვარდა გოგონაო. უნდოდა ერთი-ორი დღე კიდევ ჰყოლოდა, რომ გამძღარიყო მისი სიყვარულით, მაგრამ პაპა მოუვიდა ტოროლას, მის წასაყვანად და უარს ხომ ვერ ეტყოდა? ეს პაპა მოიგონა და ამით უფრო სანდო გახადა თავისი ნათქვამი.

ეს ამბავი დახვდა ტენარდიესთან მისულ ჟავერს. პაპამ დამალა ჟან ვალჟანი. მაინც თავისი სცადა ჟავერმა და კითხვებით გამოცდა დაუწყო მედუქნეს:

- ვინ არის იმ გოგოს პაპა? რა ჰქვია?

და ტენარდიემაც გულუბრყვილო ყეყეჩის სახით მიუგო:

- დიდი მემამულეა. მისი პასპორტი ვნახე. მგონი გილიომ ლანბერი ჰქვია.

პატიოსანი გვარია ლანბერი, ეჭვის გამქარვებელი. ჟავერი პარიზში დაბრუნდა.

ჟან ვალჟანი მკვდარია, - იძახდა ჟავერი, - სისულელე არ არის, რომ მკვდარს თავს არ ვანებებ?

მკვდარს თავი დაანება, ეს ამბავიც დაივიწყა, მაგრამ 1824 წლის მარტში ყური მოკრა ვიღაც კაცის უცნაურ საქციელს: სენ-მედარის სამწყსოში დგას და მეტსახელად ხალხი „მოწყალების გამცემ მათხოვარს“ ეძახის. ამ კაცის სახელი დანამდვილებით არავინ იცის; ეტყობა ფული აქვს და იმის სარგებლით ცხოვრობს, მარტოდმარტო. 8 წლის პატარა გოგონა ჰყავს, რომელმაც თავისი თავის შესახებ არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ მონფერმეილიდან არის.

ამ სიტყვამ ყურები დააცქვეტინა ჟავერს. ერთმა ბებერმა ჯაშუშმა მათხოვარმა, ყოფილმა მნათემ, რომელსაც ის კაცი ყოველთვის აძლევდა წვრილ ფულს, ცოტა რამ დამახასიათებელიც უთხრა იმ მოწყალების გამცემი კაცის შესახებ: მეტისმეტად დაღვრემილი კაცია. ქუჩაში მარტო საღამოობით გამოდის. როცა დაბნელდება, ხელგაწვდილი გლახების გარდა, ხმას არავის სცემს. ახლოს არავის იკარებს. ძველი, ყვითელი სერთუკი აცვია, რომელიც რამდენიმე მილიონი ღირს, რადგან სარჩულში სულ ათასფრანკიანები აქვს ჩაკერებულიო.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გააძლიერა ჟავერის ცნობისმოყვარეობა. მოწყალების გამცემი მათხოვრის ნახვის მიზნით, ბებერ მნათეს თავისი ტანისამოსი სთხოვა, მის ადგილას დაჯდა, მასავით მოიკუნტა და ხელგაწვდილმა დაიწყო ლოცვების გალობა, თან ყველას აკვირდებოდა.

საეჭვო კაცი მართლაც იმ საღამოსვე მივიდა გლახის ტანისამოსში გამოწყობილ ჟავერთან და წვრილი ფული ჩაუდო ხელში. სწორედ ამ დროს ახედა ჟავერმა და როგორც ჟან ვალჟანი შეაკრთო ჟავერის ცნობამ, ისე ჟავერი შეკრთა, ჟან ვალჟანი რომ დაინახა თავის წინ.

მაგრამ ბნელოდა და შეიძლებოდა სხვა ვინმე მოსჩვენებოდა ჟან ვალჟანად, მისი სიკვდილი ხომ ოფიციალურად იყო ცნობილი; ჯერ კიდევ აწუხებდა ჟავერს ეჭვი და როდესაც სრულად არ იყო დარწმუნებული, სულ პატარა ეჭვიც რომ აღძვროდა, როგორც კეთილსინდისიერი ადამიანი, ხელს არავის ახლებდა დასაჭერად.

ადგა და უკან მიჰყვა შორიახლოს გორბოს სახლამდე. იქ ბებერი დედაკაცი ნახა და ძალიან ადვილად აალაპარაკა. იმანაც, - ძლივს მსმენელი მარგუნა ღმერთმაო, - გახსნა თავისი გუდა და წინ დაულაგა სერთუკში ჩაკერებული მილიონები, ათასფრანკიანების ამბავი, სულ თავისი თვალით ნანახი, საკუთარი თითებით ნაგრძნობი.

ჟავერმაც იმავე სახლში იქირავა ერთი ოთახი და იმ ღამესვე იქ დაბინავდა. ღამით მივიდა საიდუმლო მდგმურის კართან ყურის დასაგდებად იმ იმედით, რომ მისი ხმა გაეგონა, მაგრამ ჟან ვალჟანმა კარის კლიტის ნახვრეტში სინათლე შენიშნა და იმედი გაუცრუა მსტოვარს, არ გააგონა თავისი ხმა.

ჟან ვალჟანი მეორე დღესვე წავიდა იმ სახლიდან, მაგრამ ხუთფრანკიანი ვერცხლი რომ გაუვარდა ხელიდან, ბებერმა დედაკაცმა გაიგონა იმისი ზრიალი, იფიქრა, - ალბათ ბარგს ალაგებს, სხვაგან გადადისო და მაშინვე ჟავერს აცნობა. როცა დაღამდა და ჟან ვალჟანი ქუჩაში გამოვიდა, ჟავერიც იქვე ელოდა ბულვარის ხეებთან დამალული, თან ორი კაცი ახლდა.

პოლიციას დახმარება სთხოვა, მაგრამ ის კი არ უთქვამს, ვის დასაჭერად უნდოდა შველა; ეს მისი პირადი საიდუმლო იყო და ამის დასაფარად სამი მოსაზრება ჰქონდა: პირველი, სულ უბრალო, უმცირესი სიტყვა რომ წამოსცდენოდა ვინმეს და ჟან ვალჟანს გაეგო, ხელიდან გაუსხლტებოდა; მეორე, იმდენად დიდი და საშინელი ნადირი იყო ეს ძველი კატორღელი, რამდენჯერმე გამოქცეული და უკვე მკვდრად გამოცხადებული, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო მართლმსაჯულების საქმეებში მოხსენიებული, როგორც ერთ-ერთი საშინელი ბოროტმოქმედი; მისი დამჭერი სახელს მოიხვეჭდა და, ცხადია, რომ გაემხილა თავისი განზრახვა, მას, საიდანღაც ახლად მოსულს, აღარ დაანებებდნენ ამ სასახელო ნადირს პარიზელი პოლიციელები და ხელიდან გამოჰგლეჯდნენ სახელსაც და ჯილდოსაც; მესამე კიდევ ის იყო, რომ არტისტი იყო ჟავერი და მოულოდნელი სიტკბოების გემო იცოდა. ეჯავრებოდა წინასწარ განცხადებული გამარჯვება. თავის განზრახვას ჩუმად, საიდუმლოდ დაგეგმავდა და მერე უცბად მოიპოვებდა გამარჯვებას.

უკან მისდევდა ჟან ვალჟანს; ხეების უკან ან ქუჩის კუთხეში იმალებოდა და ერთი წამითაც არ აშორებდა თვალს, მაშინაც კი, როდესაც ჟან ვალჟანი მშვიდდებოდა, - მსტოვარს კვალი ავურიეო. მაშინაც კი კარგად ხედავდა მას ჟავერი.

მაშ რიღასთვის მისდევდა? რატომ მაშინვე არ დაიჭირა?

იმიტომ, რომ ჯერაც ეჭვობდა, - ვაი თუ ის არ იყოსო.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დროს პოლიცია ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, მას თავისუფალი პრესა ავიწროებდა. რამდენიმე შემთხვევა მომხდარიყო, რომ პოლიციას უსაფუძვლოდ დაეჭირა კაცი. გაზეთები აღშფოთებით იტყობინებოდნენ მოქალაქეთა უფლების შელახვის შესახებ. პარლამენტამდე მიეღწია ამ საქმეს, რასაც პოლიცია და მისი ხელმძღვანელები ძლიერ შეეშინებინა. ადამიანის თავისუფლების შელახვა დიდ დანაშაულად ითვლებოდა. მოხელეები ფრთხილად მოქმედებდნენ. უფროსი თვალყურს ადევნებდა და სასტიკად სჯიდა მათ. შეცდომა და სამსახურიდან დათხოვნა ერთი იყო, და წარმოგიდგენიათ, რა აღშფოთებას გამოიწვევდა პარიზში ეს პატარა „ახალი ამბავი“, ოციოდე გაზეთში გამოცხადებული: „გუშინ ერთი პატიოსანი ჭაღარამოსილი რანტიე, რომელიც თავის შვილიშვილთან, 8 წლის ქალთან ერთად, დასეირნობდა ქუჩაში, კატორღიდან გამოპარულს მიამსგავსეს და პოლიციაში მიიყვანეს“.

გავიმეოროთ აგრეთვე ისიც, რომ ჟავერი თავისებურად კეთილსინდისიერი კაცი იყო; პოლიციის უფროსის ბრძანებას მისი სინდისის ბრძანება ემატებოდა და აორკეცებდა ეჭვს.

ჟან ვალჟანს მდევრისთვის ზურგი მიექცია და ბნელში იმალებოდა.

ცალკე შიში, მწუხარება, დაღლა ერეოდა და ცალკე კიდევ ის უბედურება, რომ იძულებული გახდა ღამე გამოსულიყო ქუჩაში და თავისთვის და პატარა კოზეტისთვის სადმე ბინა ეპოვა, ამასთან პატარა ბავშვის ნაბიჯით უნდა ევლო მასაც, როდესაც უკან მტრის სიახლოვეს გრძნობდა. ყოველივე ამას ისე შეეცვალა მისი მიხვრა-მოხვრა, სიარული, იმდენად დაესუსტებინა, რომ თვით პოლიციაც კი, ჟავერის სახით, შეიძლებოდა მოტყუებულიყო, და მოტყუვდა კიდეც. შეუძლებელი იყო მიახლოება, რომ კარგად დაეთვალიერებინა იმ ბნელში. სამშობლოდან გახიზნული მასწავლებლის ძველი ტანისამოსი ეცვა. ტენარდიეს თქმით, პატარა გოგონას პაპა იყო. ამას დაურთო გაზეთის ცნობაც, რომ ზღვაში დაიხრჩო ჟან ვალჟანიო. გასაგებია, რომ ჟავერი ყოყმანობდა.

ერთ წამს იფიქრა, - დავეწევი და უცბად პასპორტს მოვთხოვო, - მაგრამ ჟან ვალჟანი რომ არ გამოდგეს ის კაცი? ან კიდევ პატიოსანი მოხუცებული მოქალაქე რომ არ გამოდგეს? შეიძლება ბოროტმოქმედი იყოს, პარიზის ქურდების და საშიში ავაზაკების მოთავე, რომელიც ხალხის დასანახად მოწყალებას არიგებდა, რომ თავისი ნამდვილი ხელობა დაემალა. ძველი ხრიკებია! ახლა რამდენი ამხანაგი და თანამგრძნობი ეყოლებოდა? ბინაც ბევრგან ექნება, რომ თავი შეაფაროს. ისე მოხერხებულად მიდიოდა იმ ვიწრო ქუჩებში, რომ ცხადი იყო, უბრალო ბერიკაცი არ უნდა ყოფილიყო. ასე ჩქარა რომ დაეჭირა, ეს იქნებოდა „ოქროს კვერცხის მდებელი ქათმის მოკვლა“. ან რა საჭირო იყო აჩქარება? ჟავერი დარწმუნებული იყო, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ვერსად წაუვიდოდა.

შეძრწუნებული მისდევდა ჟან ვალჟანს და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რომ შეცდომა არ მოსვლოდა და არ შერცხვენილიყო. ჯერაც არ იცოდა, ვინ იყო ეს ბნელი პიროვნება.

ბოლოს, როდესაც პონტუაზის ქუჩაში შესულ ჟან ვალჟანს ერთი დუქნის სინათლე მოხვდა, მაშინ დარწმუნდა, რომ მართლა მას მისდევდა.

ორი არსება განიცდის უსაზღვრო თრთოლას ამქვეყნად: დედა, როდესაც თავის შვილს იპოვის, და ვეფხვი, თავის საკბილოს რომ ჩაიგდებს ბრჭყალებში. ასევე ათრთოლდა ჟავერიც, თავისი მსხვერპლი რომ იცნო.

რაკი იცნო ჟან ვალჟანი და დარწმუნდა, უსაფუძვლო იყო მისი ეჭვი, მაშინღა დაფიქრდა, რომ თან სულ ორი კაცი ჰყავდა და პონტუაზის ქუჩის პოლიციის კომისარს დახმარება სთხოვა. თუ ეკლიანი ჯოხის ხმარებას აპირებ, ხელთათმანიც უნდა ჩაიცვა!

თავის დამხმარე კაცებთან მოლაპარაკებამ ცოტა შეაგვიანა და კინაღამ გაქცეულის კვალი დაკარგა; მაგრამ მოისაზრა, რომ ჟან ვალჟანი ეცდება წყალგაღმა გავიდეს და გამოღმა დატოვოს მონადირეები, თავი დაღუნა და ჩაფიქრდა, როგორც კარგი მეძებარი, რომელიც მიწას დაადებს ხოლმე ყურს, რომ კვალი არ დაკარგოს. ჟავერსაც მეძებრის კარგი ალღო ჰქონდა და პირდაპირ აუსტერლიცის ხიდისკენ წავიდა. ხიდის თავში მეზვერეს ჰკითხა:

- მოხუცებულ კაცს ხომ არ გაუვლია? თან პატარა გოგონა ჰყავდა.

- ეს არის გაიარეს. ორი სულის გადავახდევინე, - მიიღო პასუხად. და - ძლივს! დამშვიდდა კაცი, დარწმუნდა, რომ ნადირს სწორად მისდევდა და კვალი არ არეოდა.

ჟავერი სწორედ იმ დროს მივიდა ხიდთან, როდესაც ხიდის გაღმა ყურთან მთვარით განათებულ გზაზე ჟან ვალჟანი და კოზეტი გამოჩნდნენ. მშვენივრად ხედავდა ჟავერი. დაინახა, რომ სენტ-ანტუანისკენ მიმავალ ქუჩაში შევიდნენ და მაშინვე სიხარულით მოაგონდა ჟანროს ქუჩაბანდი, რომელიც ნამდვილ ხაფანგს წარმოადგენდა, მით უფრო, რომ დრუა-მურის ქუჩიდან მცირე პიკპუსის ქუჩაში ერთადერთი გზა გადიოდა. ჟან ვალჟანს წინ დაუყენა დარაჯები. ერთი ამ გასასვლელში გაგზავნა, რომ გზა შეეკრა და წინ დახვედროდა. ჯარისკაცები მოდიოდნენ სადარაჯოდან და ისინიც თან წაიყვანა. ამგვარ საქმეში ჯარისკაცი იგივეა, რაც თულფის კიკო ბანქოს თამაშში. ნადირობის პრინციპი ამგვარია: ვისაც ტახის დაჭერა უნდა, მონადირის ოსტატობა და მეძებრის ღონე უნდა ჰქონდეს. რაკი ასე მოაწყო საქმე და ნახა, რომ ჟან ვალჟანი მომწყვდეული იყო მარჯვნივ ჟანროს ქუჩაბანდში, მარცხნივ -ყ თავისი დარაჯებით და უკან კიდევ თვითონ უდგა თავისი კაცებით, დამშვიდდა, ბურნუთი მოსწია გახარებულმა.

მერე განაგრძო თამაში. ჯოჯოხეთურ ნეტარებას აევსო გული. წინ მიუშვა თავისი ნადირი, რადგან იცოდა, რომ ვეღარსად წაუვიდოდა; წინ მიუშვა, უნდოდა ჯერ საკმარისად დამტკბარიყო თავისი გამარჯვებით, უბედურის, განწირულის წამებით. იმ აღგზნებული თვალით უყურებდა უბედურს, რომელიც ობობას აქვს, ბუზს რომ გააბამს და ტკბება მისი ფრთხიალით; ან კიდევ კატას, თაგვს რომ მოიმწყვდევს და სათამაშოდ გაიხდის, - ირბინოს, ხომ ვეღარსად წამივაო. - საშინელ ნეტარებას გრძნობს ბრჭყალებით მოსილი, როდესაც ხელთა ჰყავს თავისი მსხვერპლი და ტკბება.

ჟავერიც ტკბებოდა. საიმედოდ იყო შეკრული მახე, რომელშიც ჟან ვალჟანი მოემწყვდია. უკვე დაჭერილი ჰყავდა კაცი და მხოლოდ ხელის გაწვდენა იყო საჭირო.

თან ჯარისკაცები და პოლიციელები ჰყავდა, ჟან ვალჟანი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, თუმცა მამაცი იყო, დიდი ღონის პატრონი და სასოწარკვეთილებამდე თავგანწირული.

ნელ-ნელა მიიწევდა წინ ჟავერი და ისე სინჯავდა ქუჩის ყველა კუთხეს, როგორც დაჭერილი ჯიბგირის ჯიბეებს.

შუაგულში რომ მივიდა, ხახამშრალი დარჩა! იქ არ დაუხვდა ბუზი.

წარმოიდგინეთ მისი მძვინვარება!

დრუა-მურის ქუჩიდან პიკპუსის ქუჩაში გასასვლელზე მდგარ დარაჯს მივარდა; კითხვა დაუწყო.

- აქ არავის გაუვლია, ბატონო, არავის, - მიიღო პასუხი.

მოხდება ხოლმე ხანდახან, გარს შემოეხვევიან ირემს მონადირეები და ძაღლები, ერთი სროლაღა აკლია, რომ ძირს დაეცეს განგმირული, მაგრამ ისე გაქრება უცბად, რომ განცვიფრებულნი რჩებიან მონადირეები, ხმას აღარ იღებენ; ასეთი მარცხის დროს არტონჟმა წამოიძახა: - „ირემი კი არა, ჯადოქარი იყოო!“

რომ არ შერცხვენოდა, ჟავერიც ამას იტყოდა.

დამარცხება, შერცხვენა! ცოფი ერეოდა ჟავერს.

დამტკიცებულია, რომ ნაპოლეონმა შეცდომები დაუშვა რუსეთთან ომში, ალექსანდრე მაკედონელმა - ინდოეთთან ომში, კეისარმა - აფრიკაში, კიროსმა - სკვითებს რომ ებრძოდა, და ჟავერსაც შეცდომა მოუვიდა ჟან ვალჟანთან ბრძოლაში. იქნებ შეცდომა იყო, რომ ამდენ ხანს ყოყმანობდა და ვერ იცნო ძველი კატორღელი. ერთი შეხედვაც საკმარისი უნდა ყოფილიყო მის საცნობად. შეცდომა დაუშვა, რომ სახლში, თავის ბინაზე არ შეიპყრო. შეცდა, რომ იმ წუთას არ დაიჭირა, საბოლოოდ რომ იცნო პონტუაზის ქუჩაში. შეცდა, რომ განიერ, მთვარით განათებულ ქუჩაში დადგა და მოლაპარაკება დაიწყო თავის კაცებთან. მართალია, რჩევა კარგია და სასარგებლოა ნდობის ღირსი მეძებრების აზრის მოსმენა, მაგრამ კარგ მონადირეს არ ეპატიება სულ უმცირესი დაყოვნებაც კი, როდესაც ისეთ ავ ნადირს მისდევს, როგორიც არის მგელი და ძველი კატორღელი. სულ იმას ცდილობდა ჟავერი, კვალდაკვალ მივაყოლო მეძებრებიო, ბოლოს დააფრთხო ნადირი და გააქცია. განსაკუთრებით მაშინ შეცდა, აუსტერლიცის ხიდზე რომ დაინახა; იმის მაგივრად, რომ მაშინვე დაეჭირა, წინ გაუშვა ბავშვივით, გართობა მოისურვა და სათამაშოდ გაიხადა ღონით და მოხერხებით განთქმული კაცი. უფრო ძლიერად წარმოიდგინა თავისი თავი, ვიდრე იყო, უნდოდა თაგვივით ეწრუწუნებინა ლომი და იმავე დროს სუსტად მიიჩნია თავი, დახმარება რომ სთხოვა პოლიციას. საბედისწერო იყო ეს სიფრთხილე, რადგან მეტად სასწრაფო საქმის დაყოვნება გამოიწვია. ყველა ეს შეცდომა ჟავერმა ჩაიდინა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებში საუკეთესო და მცოდნე მოხელედ ითვლებოდა. ძლიერი პოლიციელი იყო. მონადირეების სიტყვით რომ ვთქვათ, ჭკვიანი ძაღლი იყო, - მაგრამ ვინ არის სრულყოფილი და უნაკლო?

დიდებული მხედართმთავარნიც ცდებიან.

დიდი სისულელე წვრილმანებისგან არის შემდგარი, როგორც ბაგირი - წვრილი ძაფებისგან. წვრილ-წვრილ შემადგენელ ძაფებად გასინჯეთ, დაუკვირდით ცალ-ცალკე წვრილ მოსაზრებას, გადაწყვეტილების საფუძვლად მიღებულს და წვრილი ძაფივით დაწყვიტავთ ყველას; გაიკვირვებთ, - მაშ ეს იყო, სხვა არაფერიო, - იტყვით, მაგრამ შეაერთეთ წვრილი ძაფები და დაახვიეთ; მსხვილი, მნიშვნელოვანი ბაგირი გამოვა, ეს არის ატილა, რომელიც გაჩერებულია და არ იცის, ვის მიუხტეს, მარსიანს - აღმოსავლეთში თუ ვალენტინიენს - დასავლეთში; ეს არის ჰანიბალი, რომელიც იგვიანებს კაპუში; ეს არის დანტონი, რომელსაც სძინავს თავის სამშობლო არსი-სურობში.

ხელიდან გაუსხლტა კაცი, სახტად დარჩა ჟავერი, მაგრამ არ დაიბნა. დარწმუნებული იყო, რომ ასე სწრაფად შორს ვერ წავიდოდა. ყველგან დარაჯები

დააყენა. ყველგან ხაფანგი დააგო და მთელი ღამე ჟან ვალჟანის ძებნას მოუნდა. მაშინვე მიაქცია ყურადღება სანათის ბოძს და ნახა, რომ თოკი მოჭრილი იყო, საგანგებო ნიშანი იყო ჟავერის საყურადღებოდ, მაგრამ მან მთელი თავისი ყურადღება ჟანროს ქუჩაბანდს მიაპყრო. ამ ქუჩაბანდში დიდრონ ბაღებს ძალიან დაბალი კედლები ჰქონდა, რომლებიც თვალუწვდენელ მინდორში გადიოდა და გადაწყვიტა, რომ ჟან ვალჟანი სწორედ ამ ბაღებით უნდა გაქცეულიყო და მინდორში გავარდნილიყო. ცოტა ადრე რომ შესულიყო ჟან ვალჟანი ამ ქუჩაბანდში, სწორედ ამ გზას აირჩევდა და დაიღუპებოდა კიდეც. ჟავერმა ისე გადასინჯა ეს ბაღები და ბაღების იქით მინდორი, თითქოს ნემსი გავარდნოდა ხელიდან და იმას ეძებდა.

გათენებისას ორი მოხერხებული კაცი დატოვა იქ დარაჯად და თვითონ პოლიციისკენ წავიდა. სირცხვილით იწვოდა სახელოვანი ჯაშუში, რომელსაც ვიღაც კატორღელმა თავს ლაფი დაასხა.

## წიგნი მეექვსე
## მცირე პიკპუსი

### თავი პირველი
### მცირე პიკპუსის ქუჩის # 62

ამ ორმოცდაათი წლის წინ პიკპუსის ქუჩის #62 სახლს სულ უბრალო ალაყაფის კარი ჰქონდა. სწორედ ისეთი, როგორც ყველა სახლს - იმ დროს. კარი ჩვეულებრივ ოდნავ ღია იყო, თითქოს ეპატიჟებოდა გამვლელებს, შემობრძანდითო. ქუჩიდანვე ჩანდა დიდი ეზო, რომლის ღობეებზეც ვაზის ტოტები მოფენილიყო, და ერთი მეეზოვე, რომელიც ეზოში დაეხეტებოდა. კარის პირდაპირ, კედლის ზემოდან, დიდრონი ხეები მოჩანდა. მზის სხივი რომ დაჰკრავდა და დაამშვენებდა ხოლმე ამ ეზოს, და ერთი ჭიქა წითელი ღვინო რომ გაამხიარულებდა მეეზოვეს, ძნელი იყო ისე გაევლო კაცს პიკპუსის ქუჩის #62 სახლთან, რომ მხიარული სურათი არ ჩარჩენოდა მეხსიერებაში. სინამდვილეში კი ჭმუნვის სამეფო იყო სახლიც და ეზოც.

კარი იცინოდა; სახლი ლოცულობდა და ტიროდა.

თუ მოახერხებდა ვინმე იქ შესვლას, რაც თითქმის შეუძლებელი იყო ყველასთვის, რადგან ამისათვის საჭირო იყო სცოდნოდა იქ შემსვლელს „სეზამ გააღე“, დიახ, თუ მოახერხებდა ვინმე და ეზოში მოხვდებოდა, მარჯვნივ პატარა ოთახში უნდა შესულიყო, იქიდან ვიწრო კიბეს აჰყოლოდა, ორ კედელს შუა ჩაჭედილს; იმდენად ვიწრო იყო ეს კიბე, რომ ერთის მეტი კაცი ვერ ეტეოდა მის კედლებშუა; კიბე ყვითლად იყო შეღებილი. აივლიდა ერთ ბაქანს, მერე მეორეს და მეორე სართულის ტალანში შევიდოდა. კიბეს და ტალანს ორი ლამაზი ფანჯარა ანათებდა. ტალანი იკუთხებოდა და ბნელდებოდა. ამ კუთხეს რომ გასცდებოდა, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა და მივიდოდა ერთ კართან, მით უფრო საიდუმლოსთან, რომ დაკეტილი არ იყო. შეაღებდა კარს და პატარა, დაახლოებით ორი კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში აღმოჩნდებოდა. ეს იყო სუფთად გარეცხილი, ცივი ოთახი; კედლებზე მწვანე ყვავილიანი, მეტად იაფი ქაღალდი ჰქონდა გაკრული. თეთრი, მქრქალი სინათლე შემოდიოდა დიდ ფანჯარაში. ფანჯარა წვრილ-წვრილ ოთხკუთხედებად იყო დაყოფილი და ოთახის მთელი სიგანე ეჭირა. შევიდოდა

ოთახში, აქეთ-იქით ცქერას დაიწყებდა და ვერავის ნახავდა, ყურს მიუგდებდა და ვერაფერს გაიგონებდა, ვერც ადამიანის ჩურჩულს, ვერც მის ფეხის ხმას. კედლები - ცარიელი, არავითარი დგამი. ერთი სკამიც კი არსად იყო.

კარის პირდაპირ კედელში ოთხკუთხა ნახვრეტი დაეტანებინათ, სიგრძე-სიგანით - მეტრის მესამედი, რკინის მოაჯირით აფარებული. ისე ახლო-ახლო ეკრა იმ მოაჯირს რკინა და ზედ კიდევ იმდენი გადაჯვარედინებული შავი მაგარი რკინის კადონი, რომ ამ რკინებშუა ცარიელ ოთხკუთხედში ადამიანის თითიც ვერ ჩაეტეოდა. კედელზე გაკრული ქაღალდის მწვანე ყვავილები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ რკინის ლასტს, არ ეშინოდათ ამ საშინელი მეზობლობისა. რომ ყოფილიყო ვინმე იმდენად გამხდარი და დაკნინებული, რომ ოთხკუთხა ნახვრეტში გაძვრომა მოენდომებინა, ვერას გახდებოდა, რადგან რკინის ლასტშივე გაიჭედებოდა. ტანს არ გაატარებდა, მაგრამ თვალებს, ესე იგი სულს, - კი. ეტყობოდა, ესეც გათვალისწინებული იყო, რადგან მოაჯირს თუნუქის ფიცარი ჰქონდა მიკრული, კედელში ჩამაგრებული წვრილი მიკროსკოპული ნახვრეტებით, უფრო წვრილებით, ვიდრე სახურავს აქვს. ქვემოთ ეს თუნუქი გაჭრილი იყო, როგორც ფოსტის ყუთი, ქუჩაში რომ ჰკიდია კედლებზე, წერილის ჩასაშვებად. მოაჯირის მარჯვნივ პატარა ზარი იყო და ზონარი ეკიდა.

რომ შეეტოკებინა ეს ზონარი, ზარი აწკარუნდებოდა და ვიღაც უხილავის ხმა მოესმოდა მოულოდნელად ისე ახლოდან, რომ შეაკრთობდა.

- ვინ არის? - ჰკითხავდა უხილავის ხმა.

ქალის ხმა იყო ნაზი, იმდენად ნაზი, რომ სევდიანად ეჩვენებოდა.

და აქაც კიდევ უნდა სცოდნოდა ჯადოსნური სიტყვა, თუ ამ სიტყვას არ გაიგონებდა, ხმას არავინ გასცემდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა პატარა ოთახში.

თუკი ეტყოდა იმ სიტყვას, მიიღებდა პასუხს:

- მარჯვნივ მიბრძანდით.

მარტო მაშინ შენიშნავდა, რომ მის მარჯვნივ, ფანჯრის პირდაპირ კარი იყო, შუშიანი. ასწევდა რაზას, კარს გააღებდა, შევიდოდა და განცვიფრებული დარჩებოდა, ეგონებოდა თეატრში ვარ, ბენუარ-ლოჟაში, როდესაც ჯერ ჭაღი არ აუნთიათო. და მართლაც, თეატრის ქვემო ლოჟას ჰგავდა ეს ოთახი, ოდნავ განათებული შუშიანი კარიდან შემოსული სინათლით; ვიწრო ოთახი იყო, ორი სკამი იდგა, ძველი, დაგლეჯილი ჭილობი ეგო იატაკზე. წინა მხარეს, როგორც თეატრის ლოჟას, დასაყრდენი და შავი ხის თარო ჰქონდა. ამ ლოჟასაც მოაჯირი ჰქონდა, ოღონდ მოვარაყებული კი არა, როგორც თეატრში, უბრალო შავი რკინისა, მაგარი, უშნო კედლებზე დიდრონი მუშტის მსგავსი თავიანი ლურსმნებით მიმაგრებული ტლანქი კადონებით.

კკარგა ხანს უნდა შეჩერებულიყო იქ შესული, სანამ თვალს მიაჩვევდა სიბნელეს. მერე ეცდებოდა მოაჯირის იქითაც დაენახა რამე, მაგრამ მოაჯირს უკნიდან შავი დარაბები ეკრა, ყვითლად შეღებილი ძნისფერი კადონებით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხმას გაიგონებდა დარაბის უკნიდან:

- აქ გახლავართ, რა გნებავთ?

ხშირად სატრფოსი იყო ეს ხმა, საყვარლის, სათაყვანოსი. თვალით ვერავის ხედავდა, მარტო სუნთქვა ესმოდა. მიცვალებულის სულის გამოხმობას ჰგავდა, რომელიც საფლავის ქვის ქვეშიდან აძლევდა პასუხს.

იშვიათად, მაგრამ ხდებოდა ხოლმე, სტუმარი რაიმე უპირატესობით იყო აღჭურვილი; გაიხსნებოდა ვიწრო დარაბა და გამოხმობა მოჩვენებად გარდაიქმნებოდა, მოაჯირის უკან, დარაბის უკან, რამდენადაც კი ამას შესაძლებლად ხდიდა დარაბის სივიწროვე, ადამიანის თავს დაინახავდა, რომელსაც მარტო პირი და ნიკაპი უჩანდა, სხვა ყველაფერი დაბურული ჰქონდა შავი რიდით; ოდნავ ჩანდა შავი გულისპირი; შავი სუდარით მორთული ცოცხალი ადამიანი ელაპარაკებოდა მიმსვლელს, მაგრამ არ შეხედავდა, არც გაუღიმებდა.

ოთახში შემსვლელის უკნიდან შედიოდა სინათლე და ისე სცემდა ერთსაც და მეორესაც, რომ სტუმარი თეთრად მოჩანდა, ის კი შავად. ეს სინათლეც სიმბოლოს წარმოადგენდა.

რაკი გაიხსნებოდა დარაბა, სტუმარი ცდილობდა თვალით დაენახა რა იყო დარაბის იქით, დაჟინებით შესცქეროდა იქაურობას, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ღრმა წყვდიადით იყო გარემოცული ეს ძაძამოსილი ლანდი. ადამიანის თვალი ეძებდა ამ მოჩვენების ირგვლივ რამეს, მაგრამ მალე რწმუნდებოდა, რომ აღარაფერი ჩანდა. მის წინ იყო ღამე, სიცარიელე, ზამთრის ნისლი, საფლავის ორთქლში არეული. შიშის მომგვრელი დუმილი გამეფებულიყო, ბნელი, რომელშიც ვეღარც მოჩვენებას გაარჩევდა თვალი.

მის წინ მონასტრის შინა ნაწილი იყო.

იმ დაღვრემილი შენობის შინა ნაწილი იყო, რომელსაც ერქვა ბერნანდელ ქალთა მონასტერი „მუდმივი თაყვანისმცემლებისა“. სტუმარი ლოჟაში რომ შევიდა, ის „მისაღები ოთახი“ იყო; ის ხმა, პირველში რომ მოესმა სტუმარს, „მეკარე ქალისა“, რომელიც იქ იჯდა, კედლის მეორე მხარეს, ოთხკუთხად ამოჭრილ, მოაჯირის გამაგრებულ სარკმელს უკან, უძრავი და ხმის ამოუღებელი, ცდუნებისგან დაფარული სქელი კედლით, რომელშიც პატარა ჭუჭრუტანა იყო დატანებული, მაგრამ ისიც რკინის მოაჯირით გამაგრებული და ზედ წვრილად დასვრეტილი თუნუქით.

ჩაბნელებული იყო ლოჟა. ბაღში გამავალი ერთი ბეწო ფანჯარა ჰქონდა, აქედან მონასტერი საერთოდ არ ჩანდა: დამალული იყო ცოდვილთათვის წმინდა მონასტერი!

მაგრამ ხომ უნდა ყოფილიყო რამე ამ ბნელის იქით. იყო კიდეც, სინათლეც იყო, სიცოცხლეც ამ აკლდამაში, ძალიან დიდი და გადაულახავი კედლები ერტყა ყველა მხრიდან, მაგრამ მაინც ვცადოთ, იქნებ შევაღწიოთ როგორმე, თან შევიყვანოთ ჩვენი მკითხველი, და ვთქვათ, ზომიერების შეულახავად, რაც თავის დღეში არ უნახავთ და, მაშასადამე, არ უამბიათ მწერლებს.

## თავი მეორე
## მარტენ ვერგას მორჩილება

პიკპუსის ქუჩაზე 1824 წლამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ეს მონასტერი, ბერნარდელი მონაზვნების სარწმუნოებრივი კომუნა, იგი მარტენ ვერგას წესდებას ემორჩილებოდა.

ეს მონაზვნები სიტოს ემხრობოდნენ, როგორც ბენედიქტელები, და არა კლერვოს, როგორც ბერნარდელები. სხვამხრივ რომ ვთქვათ, წმინდა ბენუას ემორჩილებოდნენ და არა წმინდა ბერნარს.

ვისაც ცოტა მაინც გადაუკითხავს ძველი მწერლობა, ეცოდინება, რომ მარტენ ვერგამ 1425 წელს დააარსა ბერნარდელ-ბენედიქტელების ერთი სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომლის მთავარი ადგილსამყოფელი სალამანკი იყო და მეორე - ქალაქი ალკალა.

ამ საზოგადოებამ ღრმა ფესვი გაიდგა ევროპის კათოლიკურ ხალხებში.

კათოლიკურ ეკლესიაში იშვიათი არ არის ერთი ორდენის ამგვარი შეერთება მეორესთან. რომ არ გავაგრძელოთ და მარტო წმინდა ბენუას მიმდევრებს შევეხოთ, რომელთაც კავშირი აქვთ ჩვენს მოთხრობასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორდენს ეკუთვნოდა მარტენ ვერგასელების გარდა კიდევ ბევრი სხვა საზოგადოება: ორი იტალიაში: მონ-კასსენი და სენ ჟუსტინი პადუაში, და ორიც საფრანგეთში: კლუნი და სენ-მორი; გარდა ამისა, ვალომბროზა, გრამონი, სელესტინელები, კამალლულები, შარტრელები, განკიცხულნი, ოლივაურელები, სილვესტრელები და სიტოელები, რადგან სიტო, რომლისგანაც რამდენიმე განშტოება გადის, თვითონაც წმინდა ბენუას განშტოებაა. სიტო წმინდა რობერის დროისაა, რომელიც მოლეზმის მოძღვარი იყო, ლანდრის სამწყსოში 1098 წელს. წმინდა ბენუა კი უფრო ადრინდელი მოღვაწე იყო. 529 წელი იყო, წმინდა ბენუამ რომ სასწაულებრივი ძალა გამოიჩინა და ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა აპოლონის ძველი ტაძრიდან განდევნა ეშმაკი; მაშინ უკვე ბებერი იყო ეს ბოროტი სული, ჯერ განდეგილად გავარდნილიყო სუბიაკის უდაბნოში და მერე აპოლონის ტაძარში შეპარულიყო საცხოვრებლად.

კარმელიტების წესდების შემდეგ, რომლითაც მონაზვნები ყოველთვის ფეხშიშველნი დადიოდნენ, ძეწნა ეხვიათ კისერზე და უფლება არ ჰქონდათ დამსხდარიყვნენ, მარტენ ვერგას ბერნარდელ-ბენედიქტელების წესდება ყველაზე მეტად სასტიკია. შავით იყვნენ მოსილნი და გულისპირით, რომელიც წმინდა ბენუას ბრძანების თანახმად, ნიკაპსაც კი უფარავდათ. სარჟის კაბა ეცვათ განიერი სახელოებით, დიდი პირბადე, ნიკაპამდე აწეული გულისპირი და თვალებამდე ჩამოწეული თავსახვევი. თეთრი თავსახვევის გარდა, ყველაფერი შავი იყო. იგივე ტანისამოსი ეცვათ მონასტერში ახალმიღებულებსაც, ოღონდ თეთრი. აღკვეცილებს ამ ყველაფერთან ერთად, კრიალოსანი ეკიდათ სარტყელზე.

მარტენ ვერგას ბერნარდელ-ბენედიქტელები მუდმივი თაყვანისცემის მიმდევრები იყვნენ, როგორც ბენედიქტელი „წმინდა საიდუმლოების“ მონაზვნები, რომლებსაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ორი სახლი ჰქონდათ პარიზში: ერთი ტანპლში და მეორე სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე. მაგრამ მცირე პიკპუსის ქუჩის მონასტრის ბერნარდელ-ბენედიქტელები, რომლებსაც შეეხება ჩვენი მოთხრობა, სულ სხვა რწმენისანი იყვნენ, ვიდრე წმინდა საიდუმლოების მონაზვნები, სენტ-ჟენევიევის და ტანპლის ქუჩაზე რომ იყვნენ მონასტერში ჩამწყვდეულები. მრავალი განსხვავება იყო მათ წესდებაში და აგრეთვე ტანისამოსში. პიკპუსის ქუჩის ბერნარდელ-ბენედიქტელებს შავი გულისპირი ჰქონდათ, წმინდა ჟენევიევის და ტანპლის ბენედიქტელებს კი - თეთრი. გარდა ამისა, გულზე ეკიდათ წმინდა საიდუმლოების შევერცხლილი თითბრის ხატი. პიკპუსის მონასტერში ეს ხატი არავის ჰქონდა. მუდმივი თაყვანისცემა იყო პირველი მცნება ერთისაც და მეორისაც, მაგრამ მაინც ძირითადად განირჩეოდნენ ერთმანეთისგან. ასევე სრულიად ერთნაირი იყო განმარტება და თაყვანისცემა ყველა საიდუმლოებისა იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის ბავშვობის, სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ ორი მიმართულებისა, - ერთი იტალიელების იყო, ფლორენსში, დაარსებული

ფილიპე ნერის მიერ, და მეორე - ფრანგების, პარიზში, დაარსებული პიერ ბერულის მიერ; სრული თანხმობა მარტო ამ კითხვებში იყო და ამ კითხვების გარეშე კი სრული უთანხმოება, ხშირად შეღლი და მტრობაც სუფევდა. ფრანგები ამტკიცებდნენ, უპირატესობა ჩვენ გვეკუთვნის, რადგან ფილიპე ნერი მარტო წმინდა იყო და პიერ ბერული კი - კარდინალიცო.

დავუბრუნდეთ მარტენ ვერგას წესდებას.

ბერნარდელ-ბენედიქტელების მოძღვრების მიმდევარნი მთელ წელიწადს სამარხვოს ჭამენ. შიმშილობენ მარხვაში და კიდევ სხვა დროსაც, რომელიც დადებული აქვთ წმინდა მამათაგან. ღამის პირველ საათზე დგებიან, დილის სამ საათამდე კითხულობენ კურთხევანს და გალობენ ცისკარს. ლოგინად თივა აქვთ, სარჟის ზეწარი უფენიათ და ასე წვანან მთელი წლის განმავლობაში. არ სარგებლობენ აბანოთი, არ ანთებენ ცეცხლს, იგვემებიან ყოველ პარასკევს, მკაცრად ასრულებენ დუმილის აღთქმას, ერთმანეთს მხოლოდ დასვენების დროს ელაპარაკებიან, რომელიც მეტად მოკლეა. ექვსი თვის განმავლობაში, 14 სექტემბრიდან, დღიდან წმინდა ჯვრის აღმართვისა, აღდგომამდე, შალის პერანგი აცვიათ. წესდების ძალით შალის პერანგი მთელი წლის განმავლობაში უნდა სცმოდათ, მაგრამ ექვსი თვე შეუნდო მადლიანმა, რადგან შეუძლებელი იყო მისი ხმარება ზაფხულის სიცხეში, ციებ-ცხელებით და ნერვების ავადმყოფობით სტანჯავდა მონაზვნებს, და ექვსი თვით შეუმოკლა მისი ხმარება, მაგრამ, ამის მიუხედავად, რომ ჩაიცვამდნენ ხოლმე მონაზვნები 14 სექტემბერს ამ შალის პერანგს, სამი-ოთხი დღე ავად იყო ყველა. მორჩილება, სიღარიბე, უმანკოება, შეურყევლობა მონაზვნობაში, - აი მათი აღთქმა და ვალდებულებანი, მეტად გამკაცრებული წესდებით.

წინამძღვარს სამი წლით ირჩევდნენ ხმოსან-დედებად წოდებული მონაზვნები, რადგან მათ ჰქონდათ ხმა საბჭოში. წინამძღვრის ხელმეორედ არჩევა ორჯერ შეიძლებოდა. ასე, რომ ცხრა წელიწადით განისაზღვრებოდა მისი მბრძანებლობის ვადა.

მონაზვნები მწირველ მღვდელს თავის დღეში ვერ დაინახავდნენ, რადგან საყდარში სამი მეტრის სიმაღლეზე სარჟის ფარდა იყო ჩამოფარებული. ქადაგების დროს კი, როდესაც მღვდელი წინ ედგათ, პირბადე უნდა ჩამოეფარებინათ მთელ სახეზე. ვალდებულები იყვნენ ყოველთვის ჩუმად ელაპარაკათ, სიარულისას თავი ძირს ჰქონოდათ დახრილი და თვალები მიწაზე დაშვებული. მონასტერში შესვლის უფლება ერთადერთ კაცს ჰქონდა: ადგილობრივ ეპისკოპოსს.

მონასტერში ერთი სხვა კაციც იყო, მებაღე, მაგრამ ეს მებაღე უთუოდ ბებერი უნდა ყოფილიყო და ყოველთვის მარტო. მონაზვნებს რომ საშუალება ჰქონოდათ წინასწარ გაეგოთ მისი მოახლოვება და მორიდებოდნენ, მუხლზე ზარი ჰქონდა შებმული და ისე მუშაობდა ბაღში.

მონაზვნები სრული მორჩილებით ემორჩილებოდნენ წინამძღვარს. ეს იყო სარწმუნოებრივი დამონება, დამონებულის მიერ თავისი პიროვნების სრული უარყოფით, ემორჩილებოდნენ, როგორც ქრისტეს ბრძანებას, ut voci Christi, მის ხელის ქნევას, მის პირველ ნიშანს, ad nutum, ad primum signum. იმ წამსვე ნეტარებით, თავგანწირვით, ერთგვარი ბრმა მორჩილებით, prompte hilariter perseveranter et caeca quadam obedientia როგორც ქლიბი მუშის ხელში quasi limam in manibus fabri, ვერაფერს წაიკითხავდნენ, ვერც დაწერდნენ, თუ ამისთვის წინამძღვრისგან ნებართვა

არ ჰქონდათ მიღებული, legere vel scribere non addiscerit sine cxpressa superioris licentia.

ყველა მონაზონი რიგრიგად „შენდობას“ სთხოვდა ღმერთს. შენდობა ლოცვა იყო, რომ შეუნდოს ღმერთმა და აპატიოს ყველა შეცოდება, შეცდომა, ბოროტება, ძალდატანება, ავი განზრახვა, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს. თორმეტი საათის განმავლობაში, მორიგე მონაზონი შეუსვენებლად მუხლმოყრილი იდგა ქვაზე ზიარების ნაწილთა წინაშე, საღამოს ოთხი საათიდან დილის ოთხ საათამდე, ხელაპყრობილი, კისერზე თოკმობმული. თუ ისე დაიღლებოდა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ნება ჰქონდა პირდაღმა დაშვებულიყო ფილაქანზე და ხელები ჯვარედინად დაეჭირა. ასე გაშხლართული უნდა ყოფილიყო ცივ ქვაზე და ელოცა, რომ ყოვლად შემძლებელს შეეწყალებინა ყველა ბოროტება. თითქმის დიდებული იყო ეს „შენდობა“.

ამ შენდობას მონაზონი ითხოვდა წმინდა ბოძის წინაშე, რომლის ზევით წმინდა სანთელი ენთო და ამ ვალდებულებას ორგვარად იხსენიებდა: შენდობა ვილოცე, ან ბოძთან ვიდექ მუხლმოყრილიო. თავმდაბლობის დასამტკიცებლად მეორეს უფრო ხმარობდნენ, ბოძთან მუხლმოყრას, რომელშიც წამებაც იგულისხმებოდა და თავის დამცირებაც.

შენდობის აღსრულებისას სულით ხორცამდე ვედრებაში იყო მონაზონი. მეხიც რომ ჩამოვარდნილიყო იქვე, მის უკან, თვალს არ მოარიდებდა წმინდა ბოძს.

გარდა ამისა, წმინდა ზიარების ნაწილთა წინაშე ყოველთვის იდგა მოხლმოდრეკილი ერთი მონაზონი. ყველა მონაზონი ასე უნდა მდგარიყო ერთი საათით და იცვლებოდნენ რიგრიგად, როგორც სადარაჯოზე გაყვანილი ჯარისკაცები. ამას ერქვა „მუდმივი თაყვანისცემა“.

წინამძღვარს და ხმოსან დედებს თითქმის ყოველთვის შეცვლილი სახელი ერქვათ, მნიშვნელოვანი აზრის მქონე. ეს სახელები წმინდათა სახელების გამეორება კი არა, იესო ქრისტეს ცხოვრებისა და წამების გახსენება იყო, როგორც მაგალითად; დედ-მამა, დედა-მუცლადღება, დედა-ტაძრადმიყვანა, დედა-ვნებანი უფლისანი, თუმცა არც წმინდანთა სახელები იყო აკრძალული.

მონაზონს ჩაყვითლებული კბილების ან პირის მეტი არაფერი უჩანდა. მონასტერში აკრძალული იყო კბილის ჯაგრისის ხმარება. ჯაგრისის პირში ჩადება ნიშნავდა ასვლას კიბის თავზე, რომელსაც ზედ ეწერა სიტყვები: „წარწყმედა სულისა“.

ვერაფერზე იტყოდნენ ჩემიაო. საკუთარი არაფერი ჰქონდათ რა და არც უნდა ჰქონოდათ. ერთ სიტყვას ამბობდნენ ყველაფერზე - ჩვენიო: ჩვენი პირბადე, ჩვენი კრიალოსანი; თავის პერანგიც რომ ეხსენებინა, მაინც ჩვენი პერანგიო - იტყოდა. მოხდებოდა ხოლმე, მოეწონებოდათ რაიმე პატარა საგანი, ლოცვების წიგნი, წმინდა ნაწილი, პატარა ხატი და, თუ იგრძნობდა, რომ თავისთვის უნდოდა, მაშინვე სხვისთვის უნდა მიეცა. კარგად ახსოვდათ წმინდა ტერეზას სიტყვა: ერთმა დიდებულმა ქალმა, მონასტერში რომ შედიოდა, სთხოვა: - ნება მიბოძეთ, დედაო, წმინდა დაბადება მოვატანინო, რადგან ძალიან მიყვარს. - დედა ტერეზამ უპასუხა: - აჰ, მაშ არსებობს რაღაც ნივთი, რომელიც გიყვართ? თუ ასეა, თქვენ ჩვენს მონასტერში შემოსვლის ღირსი არა ხართ.

აკრძალული იყო კარის დაკეტვა ან თავისი კუთხის მოწყობა, სენაკი ყოველთვის ღია უნდა ჰქონოდათ, ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ერთი ეტყოდა: - კურთხეულ

არს თაყვანსაცემი წმინდა საიდუმლოება საკურთხევლისა, - მეორე უპასუხებდა: - უკუნითი უკუნისამდე. - იგივე სიტყვები ითქმებოდა, როდესაც კარს დაუკაკუნებდა ერთი მეორეს, მაგრამ საკანში მყოფი არ დააცდიდა ხოლმე გრძელი სიტყვის თქმას და, როგორც კი გაიგონებდა კაკუნს, უპასუხებდა: - უკუნითი უკუნისამდე. როგორც ყველა სხვა საქციელი, ესეც ჩვეულებად გადაქცეულიყო და მექანიკურად გაისმოდა. ხშირი იყო, ჯერ თავისი არ დაეწყო მოსულს, რომ უკვე ისმოდა პასუხი - უკუნითი უკუნისამდე. გრძელი სათქმელი იყო, - კურთხეულ არს და თაყვანსაცემი წმინდა საიდუმლოება საკურთხევლისა, - და ამიტომ ვიზიტანდელების მონასტერში უფრო მოკლედ ხმარობდნენ: მომსვლელი ეტყოდა Ave, Maria - გახსოვდნენ წმინდა მარიამი, და პასუხიც მოკლე ესმოდა: - Gratia plena - სრულმადლიანი. ეს იყო იმათი მისალმება, მოხდენილი და მართლაც „მადლიანი“.

საათი რომ თავისას დაჰკრავდა, მონასტრის ზარი სამს ჩამორეკავდა ხოლმე დამატებით. ამას რომ გაიგონებდნენ, წინამძღვარი, ხმოსანი დედები, აღკვეცილი მონაზვნები, ნახევარ სიტყვაზე შესწყვეტდნენ, რასაც ამბობდნენ, რასაც ფიქრობდნენ ან აკეთებდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ, თუ, მაგალითად, ხუთი საათი იყო; - ხუთ საათზედ და ყოველ საათზედ კურთხეულ იყოს თაყვანსაცემი წმინდა საიდუმლოება საკურთხევლისა. - თუ რვა საათი იყო: - რვა საათზედ და ყოველ საათზედ და სხვა.. და ასე ყოველთვის, რომელი საათიც უნდა ყოფილიყო.

ეს ჩვეულება, რომლის მიზანიცაა შეაწყვეტინოს ბერ-მონაზონს ფიქრი და დაუბრუნოს ისევ ღმერთს, მრავალ მონასტერში არსებობდა, ოღონდ სხვადასხვაგვარად; მაგალითად, ყრმა იესოს მონასტერში ამბობდნენ: ამ საათს და ყოველ საათს - მადლმან იესოსამან განმინათლოს სული ჩემი.

მარტენ ვერგას ბერნარდელ-ბენედიქტელები მცირე პიკპუსის მონასტერში ამ ორმოცდაათი წლის წინ მთელი ხმით გალობდნენ წირვაზე, სადაც კი ლოცვანში ვარსკვლავს დაინახავდნენ, შეწყვეტდნენ გალობას და ჩუმი ხმით დაიძახებდნენ: - იესო-მარიამ-იოსებ! მაგრამ თუ მიცვალებულის მოხსენიება იყო და პანაშვიდი, როგორც შეეძლოთ ისეთი დაბალი ხმით გალობდნენ. გლოვის შთაბეჭდილებას ახდენდა ასეთი გალობა, თითქმის ტრაგიკულს.

მცირე პიკპუსის მონაზვნებს აკლდამა გაეკეთებინათ მონასტერში, მთავარი საკურთხევლის ქვეშ, რომ მონასტრიდან არ გასულიყვნენ მიცვალებულები. მთავრობას, როგორც მონაზვნები ამბობდნენ, ნება არ მიეცა, რომ მიცვალებული აკლდამაში დაეკრძალათ; რაკი სულს დალევდა მონაზონი, უნდა გაბრძანებულიყო თავისი მონასტრიდან. ძალიან აწუხებდათ და აშინებდათ ეს გარემოება, რადგან თავისდა უნებურად იძულებული იყვნენ დაერღვიათ წესდება.

მათ სანუგეშოდ, უფლება მიიღეს განცალკევებულ დროს მოესვენებინათ დასასაფლავებლად თავისი მიცვალებული და განცალკევებული ადგილი მისცეს ვოჟირარის სასაფლაოზე, რომლის მიწა ერთ დროს მათ მონასტერს ეკუთვნოდა.

ხუთშაბათობით იგივე წირვა-ლოცვა ჰქონდათ, რაც კვირა დღეს, გარდა ამისა, სასტიკად უქმობდნენ ერისკაცთათვის უცნობ ყველა პატარა უქმე დღეს. ეს უქმე დღეები დაკანონებულიყო ოდესღაც საფრანგეთში და უქმედ ითვლებოდა წინათ; ესპანეთსა და იტალიაში დღესაც სწამთ და უქმობენ ამ დღეებში. უსაზღვრო იყო მონაზვნების დგომა ეკლესიაში. რამდენ ლოცვას და საგალობელს ამბობდნენ? ამის პასუხად, მონასტრის წესების უკეთ გასაგებად, ერთი გულუბრყვილო მონაზვნის

სიტყვას მოვიყვანთ: - მორჩილის ლოცვა საშინლად გრძელია, აღკვეცილი მონაზვნის ლოცვა კი, საშინელზე საშინელი.

კვირაში ერთხელ იკრიბებოდა მთელი მონასტერი. წინამძღვარი თავმჯდომარედ ბრძანდებოდა, ხმოსანი დედები კი მსაჯულებად ჰყავდათ. ყველა მონაზონი უნდა გამოსულიყო რიგ-რიგობით, დაჩოქილიყო ქვაზე და ხმამაღლა ეღიარებინა ყოველი ცოდვა, რაც ერთი კვირის განმავლობაში ჩაედინა. გაათავებდა აღსარებას, განსჯიდნენ ხმოსანი დედები და ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოუცხადებდნენ სასჯელს.

გარდა თავისი ცოდვების ხმამაღალი აღიარებისა, რომლისთვისაც უფრო მნიშვნელოვან ცოდვას და შეცდომას ინახავდნენ, წვრილმანი შეცდომებიც ჰქონდათ, ადვილად საპატიებელი, რომლებსაც დანაშაულს ეძახდნენ, - culpa. ვისაც რამე დანაშაული მოუვიდოდა, წირვის დროს ფილაქანზე უნდა დაცემულიყო გულდაღმა, წინამძღვრის წინაშე და ასე გდებულიყო, ვიდრე წინამძღვარი, რომელსაც ყოველთვის ერთი სახელით იხსენიებდნენ, - დედაჩვენი, არ აცნობებდა, რომ ახლა კი შეეძლო წამოდგომა, რის ნიშნადაც ფეხს დაჰკრავდა ხოლმე ფილაქანზე. სულ უბრალო, უმნიშვნელო დანაშაული იწვევდა ამგვარ მონანიებას, - ჭიქის გატეხვა, პირბადის დახევა, თავისდა უნებურად რამდენიმე წამით წირვა-ლოცვაზე დაგვიანება და სხვა, დანაშაულად ეთვლებოდათ და საჭირო იყო მონანიება. უნებლიეა ამგვარი დანაშაული და თვითონ დამნაშავე იყო საკუთარი თავის მსაჯულიც და დამსჯელიც. უქმე დღეს და კვირაობით ოთხი მგალობელი - დედა გალობდა. ერთხელ ერთ ხმოსან დედას, მგალობელს, სიტყვით - Ecce - უნდა დაეწყო ფსალმუნის გალობა; ამ სიტყვის მაგივრად დაიძახა ut, si, sol და ამ დანაშაულის მოსანანიებლად წირვის გამოსვლამდე პირდაღმა იწვა ფილაქანზე. შეცდომა უფრო იმიტომ იყო დასასჯელი, რომ წირვის დროს გააცინა მონაზვნები.

„მისაღებ ოთახში“ რომ დაუძახებდნენ მონაზონს, თავზე მთლიანად უნდა ჩამოეფარებინა პირბადე ისე, რომ მასთან მოსულს პირის მეტი ვერაფერი დაენახა. ასევე პირბადით ეჩვენებოდა ხოლმე თავის მნახველებს თავად წინამძღვარიც.

უცხოებთან ლაპარაკი მხოლოდ წინამძღვარს შეეძლო. სხვა მონაზვნებს მარტო ახლო ნათესავების ნახვა შეეძლოთ და ისიც იშვიათად. როდესაც ვინმე მოვიდოდა მონასტერში მონაზვნის სანახავად, რომელსაც წინათ იცნობდა ან უყვარდა, დიდი მოლაპარაკება იყო საჭირო, რომ ღირსებოდა თავისი სურვილის ასრულება. თუ ქალი იყო მოსული, შეიძლებოდა კიდევ დაეკმაყოფილებინათ მისი თხოვნა; დარაბებთან დადგებოდა მონაზონი და იქიდან ელაპარაკებოდა დახვრეტილი თუნუქით დაფარულ ოთხკუთხა სარკმელში. ამ თუნუქს მაშინ მოხსნიდნენ ხოლმე, როდესაც სანახავად დედა ან და მოუვიდოდა ვინმეს, და თუ კაცი მოვიდოდა მონაზვნის სანახავად, მას ცივი უარით ისტუმრებდნენ.

ასეთი იყო წმინდა ბენუას წესდება, რომელიც მარტენ ვერგამ გაამკაცრა.

პიკპუსის მონასტრის მონაზვნები სხვა მონაზვნებივით მხიარულები არ იყვნენ, იმათსავით ვარდისფერი არ ედოთ სახეზე და სიყმაწვილიდანვე დაღონებულები, ფერმიხდილები და ჩამომჭკნარები იყვნენ. 1825 წლიდან -1830 წლამდე სამი მონაზონი გაგიჟდა მონასტერში.

## თავი მესამე

## სიმკაცრენი

მონაზვნად აღკვეცის მსურველ ქალს ორი წელი მაინც უნდა გაეტარებინა მონასტერში, ხშირად ოთხიც, რომ საჭირო გამოცდა გაევლო. შემდეგი ოთხი წელი მორჩილად უნდა ყოფილიყო. იშვიათად ხდებოდა, რომ მონაზვნად აღკვეცილიყო ყმაწვილი ქალი ოცდაოთხი წლის ასაკამდე. მარტენ ვერგას ბერნარდელ-ბენედიქტელები მონასტერში ქვრივს არ იღებდნენ.

მრავალ საშუალებას ხმარობდა მონაზონი სენაკში თავისი სხეულის მოსაკვდინებლად, მაგრამ რა საშუალებას? ამის თქმა ცოდვად ითვლებოდა.

მორჩილს რომ აღსაკვეცად მოამზადებდნენ, საუკეთესო ტანისამოსით მორთავდნენ, თეთრი ვარდებით დაუმშვენებდნენ თავს, უხუჭუჭებდნენ თმას და ასე მორთულ-მოკაზმულს შეიყვანდნენ საყდარში, რომ მაშინვე პირქვე დაცემულიყო, ზემოდან დიდ, შავ სუდარას გადააფარებდნენ და დაიწყებოდა განსვენების წირვა და პანაშვიდი. ორ ნაწილად გაყოფდნენ მონაზვნებს, ერთი იძახდა გლოვით და ტირილით, - მიიცვალა ჩვენი დაო, - და მეორე უპასუხებდა სიხარულით, - ცოცხალია იესო ქრისტეს მადლითო.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ისტორია ხდებოდა, მონასტერს კეთილშობილ ქალთა პანსიონიც ჰქონდა, უმეტესად მდიდრებისთვის, მათგან გამორჩეულები იყვნენ სენტ-ოლერი, ბელისანი და ერთი ინგლისელი ქალი, რომელსაც დიდებული კათოლიკური სახელი ერქვა - თალბოტი. მონაზვნების მიერ ოთხ კედელს შუა აღზრდილ, შთაგონებულ პანსიონელებს ეჯავრებოდათ და ეშინოდათ თავისი დროისა და ქვეყნისა. ერთხელ ერთმა მათგანმა მითხრა: ქუჩის ქვაფენილს რომ დავინახავდი, თავით ფეხებამდე კანკალს დამაწყებინებდაო. პანსიონში მცხოვრებთ ცისფერი ტანისამოსი ეცვათ, თეთრი ქუდი ეფარათ და თითბერზე გამოსახული სულიწმინდა ჰქონდათ გულზე. დიდი უქმე რომ დადგებოდა, მეტადრე წმინდა მართას დღეობა, ნებას აძლევდნენ, როგორც უმაღლეს ბედნიერებას, მონაზვნის ტანისამოსი ჩაეცვათ და მონაზვნურად გაეტარებინათ მთელი დღე, წმინდა ბენუას წესდების თანახმად. პირველ ხანებში მონაზვნები ათხოვებდნენ ხოლმე თავიანთ შავ ტანისამოსს, მაგრამ წინამძღვარმა ეს სარწმუნოების შეურაცხყოფად მიიჩნია და აკრძალა. ტანისამოსს მარტო მორჩილებს თუ ათხოვებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ მონაზვნებში გარევა საიდუმლო განზრახვით იყო ნებადართული და წაქეზებული, რომ რაც შეიძლება მეტი მდიდარი ოჯახის შვილი ჰყოლოდათ და თავიდანვე შეეყვარებინათ ყმაწვილი ქალებისთვის მონაზვნები. ნამდვილი ბედნიერება იყო პანსიონელებისთვის, რადგან ეს მაინც ამხიარულებდა მათ ერთფეროვან ცხოვრებას. სიახლე ენატრებოდათ და ტკბებოდნენ კიდეც: გულწრფელი მისწრაფება სიყმაწვილისა, რომელიც ვერ მიგვახვედრებს ჩვენ, ადამიანურად მცხოვრებთ, თუ რაოდენ დიდი ბედნიერებაა ყმაწვილი ქალისთვის, ხელში საპკური ეჭიროს, რამდენიმე საათი იდგეს საყდარში და გალობდეს.

პანსიონის მოწაფე ქალები ისევე ემორჩილებოდნენ მონასტრის წესდებას, როგორც მონაზვნები, რა თქმა უნდა, მკაცრი მოთხოვნების გარდა. ხშირად შეხვდებით, პანსიონიდან გამოსულ და რამდენიმე წლის წინათ გათხოვილ ყმაწვილ ქალებს, რომელთაც არ დავიწყებოდათ იქაური ჩვევები და, კარზე რომ დაუკაკუნებდით, გიპასუხებდნენ: - უკუნითი უკუნისამდე! - იმის მაგივრად, რომ ეთქვათ,

მობრძანდით. პანსიონში მყოფი ქალებიც, როგორც მონაზვნები, თავიანთ ნათესავებს მხოლოდ მისაღები ოთახიდან ხედავდნენ. დედასაც კი არ შეეძლო თავის შვილი გულში ჩაეკრა და დაეკოცნა.

ერთხელ პანსიონში მყოფ ქალთან დედა მოვიდა სანახავად და თან თავისი პატარა ქალი მოიყვანა, სამი წლის. ტიროდა პანსიონში მყოფი, რადგან უნდოდა პატარა და დაეკოცნა, მაგრამ როგორ შეიძლებოდა? მერე შეევედრა, - იმის ნება მაინც მომეცით, ხელი შემოყოს ჩემმა დამ, ხელზე მაინც ვაკოცებო, - ამ თხოვნაზეც უარი უთხრეს და დატუქსეს კიდეც.

## თავი მეოთხე
## მხიარულება

სიმკაცრის მიუხედავად, პანსიონში მცხოვრები ქალები მაინც მხიარულებით ავსებდნენ ამ დაღვრემილ სახლს.

ერთ დროს სიყმაწვილე ბრწყინავდა ამ მონასტერში. ისმოდა დასვენების ზარი. კარი არ ჩერდებოდა თავის კოჭაკზე. ფრინველიც კი ხარობდა, - აგერ ანგელოზები მოდიანო! შეესეოდა ახალგაზრდობა ბაღს, რომელიც ჯვრის ფორმაზე იყო დაკვალული, თითქოს სუდარა ყოფილიყოს. გახარებული სახე, თეთრი შუბლი, მხიარული სხივით გაბრწყინებული უმანკო თვალები მზის სხივივით ედებოდა მიყრუებულ ბაღს. წირვა-ლოცვის, ფსალმუნის, ზარის და გლოვის შემდეგ უცბად გაისმოდა ქალების ხმა, უფრო ტკბილი, ვიდრე ფუტკრის ბზუილია; უკვე ღია იყო სიხარულის სკა და ყველას თავისი თაფლი მიჰქონდა, თამაშობდნენ, ერთმანეთს გასძახოდნენ, ჯგუფდებოდნენ, დარბოდნენ; ლამაზი თეთრი კბილები უჩანდათ სიცილისა და ლაპარაკის დროს. შორიდან პირბადიანები უთვალთვალებდნენ; ბნელი უდარაჯებდა სინათლეს. მაგრამ რა? ბრწყინავდნენ და მხიარულად იცინოდნენ. ამ საშინელ პირქუშ კედლებსაც კი ეღირსებოდა ხოლმე სიხარული; იმათაც ერგებოდათ ხოლმე დასწრებოდნენ სხვის სიხარულს და ნეტარებას. ისე იყო გახარებული იქაურობა, თითქოს ვარდის წვიმა მოხვდა გლოვის ბაღსო. თამაშობდნენ, ცელქობდნენ ქალები, მათ დარაჯებივით თავზე ადგნენ მონაზვნები; მაგრამ შეუცდომლისა არ ერიდება უმანკოებას. ამ ქალების წყალობით იყო, რომ ამდენ სიმკაცრეს ცოტა რამ სიხარულიც მოსდევდა. დახტოდნენ პატარები, ცეკვავდნენ მოზრდილები. ამ კედლებში სიხარულს ზეციურიც ერეოდა. არაფერი იქნებოდა ისეთი წმინდა და მშვენიერი, როგორიც ეს ახლად გაშლილი, ნორჩი ყვავილები იყვნენ. გულიანად იცინებდა ჰომეროსი, ისე, როგორც პერო, რადგან ამ ჯოჯოხეთურ ბაღში სიყმაწვილეს ნახავდა, ხმაურს, ყვირილს, სიხარულს, ბედნიერებას და იმისთანა ნეტარებას, ყველა დიდედას რომ გააყმაწვილებდა, როგორც ეპოსისას, ისე ზღაპრისას, სასახლიდან დაწყებული ქოხამდე და თვით პრიამოსის ცოლს - ჰეკუბასაც.

ბევრი რამ უთქვამთ პატარა ქალებს ამ მონასტერში მომხიბლავი და თან იმისთანა, რომ გულიანად გააცინებდნენ ადამიანს. ამ სახლში იყო, რომ ერთმა ხუთი წლის ბავშვმა, სიხარულით გასძახა მონაზონს:

- დედაო! ერთმა უფროსმა მითხრა, შენ აქ სულ ცხრა წელიწადს და ათ თვეს დარჩებიო. რა ბედნიერი ვარ, რომ ასე მალე მივდივარ!

ან კიდევ ეს დიალოგი:

ხმოსანი დედა: - რატომ სტირი, შვილო?

ექვსი წლის გოგონა, ქვითინით: - ალისას ვუთხარი, - ვიცი-მეთქი ჩემი გაკვეთილი საფრანგეთის ისტორიაში. - არა, არ იციო! მე კი ვიცი.

ალისა, ცხრა წლისა: - არა, არ იცის.

ხმოსანი დედა - როგორ შვილო?

ალისა - წიგნი გადაშალეო, მითხრა და, რაც შეგხვდეს, ის მკითხე, ნახავ თუ არ ვიციო.

- მერე?

- მერე ვერ მიპასუხა.

- რა ჰკითხე, რომ ვერ გიპასუხა?

- წიგნი გადავშალე, როგორც მან მითხრა და რაც მომხვდა ის ვკითხე. პირველი კითხვა გადაშლილ ფურცელზე.

- რა იყო ეგ პირველი კითხვა?

- აი, რა იყო: მას შემდეგ რა მოხდაო?

ან კიდევ ეს პატარა, მაგრამ ღრმა აზრიანი შენიშვნა ავმუცელა თუთიყუშის შესახებ, ქალის ნათქვამი:

- რა კარგი რამ არის! მარტო ზედაპირს ჭამს მურაბიან პურისას, თითქოს ადამიანი იყოს.

შვიდი წლის გოგოს, რომ არ დავიწყებოდა, ბაღში ერთ კედელზე დაეწერა თავისი აღსარება;

- შეგცოდე, მამაო, ძუნწი ვარ.

- შეგცოდე, მამაო, მეძავი ვარ.

- შეგცოდე, მამაო, კაცებს შევხედე.

ბაღში სკამზე იჯდა პატარა ექვსი წლის გოგო და ვარდის კოკორივით ლამაზი პირით ზღაპარს უამბობდა ხუთი წლისას:

- იყო და არა იყო რა, იყო სამი მამლაყინწა. ისეთ ქვეყანაში იყვნენ, სადაც სულ ვარდები ყვაოდა, მოკრიფეს ვარდი, ჯიბეში ჩაიდეს, მერე ფოთლები მოკრიფეს და თავიანთ სათამაშოებში ჩაალაგეს. ერთი მგელი იყო იმ ქვეყანაში და დიდი, დიდი ტყე; ამ ტყეში იყო მგელი და იმან შეჭამა სამი მამლაყინწა.

ან კიდევ ეს პოემა:

- ტკაცანი გაიღო ჯოხმა,
მასხარამ დაჰკრა კატას.
ხომ არ იამებოდა,
ძალიანაც ეწყინა.
ქალბატონმა მასხარა
ციხეში დაამწყვდია.

მონასტერს პატარა გოგონა ჰყავდა უპატრონო, შვილობილი, რომელსაც სამადლოდ ზრდიდა; სულ დედის ხსენებაში იყვნენ ბავშვები და იმანაც თქვა სევდიანად:

- დედაჩემი ჩემთან არ იყო, მე რომ დავიბადე.

ერთი სქელი მეკარე ჰყავდათ, რომელიც სულ ტალანებში ტრიალებდა თავისი აკიდო გასაღებებით, სახელად აღათი ერქვა, მაგრამ მოზრდილები, ათ წელს გადაცილებული ქალები, აღათოკლეს ეძახდნენ.

ტრაპეზის დარბაზი დიდი ოთახი იყო, ძალიან ბნელი და ნოტიო. ბავშვების თქმით, სავსე იყო მწერებით: გვერდზე სამზარეულო, სარდაფი, საკუჭნაო ჰქონდა და იქიდან ივსებოდა მწერებით. ამ ოთახის ოთხივე კუთხეს საკუთარი სახელი ჰქონდა პანსიონელებისგან შერქმეული, მისთვის დამახასიათებელი; ერთი კუთხე ბაბაჭუების იყო, ერთი მუხლუხების, ერთი ჭრიჭინების და ერთიც ცხრაფეხასი. ძალიან პატივცემული იყო ჭრიჭინების კუთხე, სამზარეულოს მომიჯნავე, რადგან იქ უფრო თბილოდა, ვიდრე სხვაგან. ტრაპეზის დარბაზიდან ეს სახელები პანსიონში გადავიდა და ოთხ ეროვნებად დაყო მოწაფეები, როგორც მაზარინის სასწავლებელში იყო, ერთ-ერთ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ქალები იმ კუთხის მიხედვით, რომელშიც დასხდებოდნენ ხოლმე პურის საჭმელად.

ერთხელ ეპისკოპოსი იყო პანსიონში. დასათვალიერებლად მისულიყო და კლასში იმყოფებოდა. პატარა ქალი შევიდა კლასში, მშვენიერი, მოხდენილი, ქერა კულულებიანი და ვარდისფერ სახიანი.

- ვინ არის ეს ქალი? - ჰკითხა ეპისკოპოსმა ერთ მოწაფეს.

- ბაბაჭუა გახლავთ.

- რაო? აგერ, ის?

- ის ჭრიჭინაა.

- ეს?

- ეს მუხლუხა გახლავთ.

- უცნაურია, თქვენ?

- მე ცხრაფეხა ჭია გახლავართ.

ყოველ ამგვარ სახელს თავისი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეკუანი განთქმული იყო თავისი მშვენიერი და სასტიკი პანსიონით. ქვეყანას თითქმის სრულიად მოშორებული იყო ეს პანსიონი, განცალკევებული და იქ იზრდებოდა მრავალი ქალი. მწყობრად რომ დააყენებდნენ ქალებს ეკლესიაში, ორად ჰყოფდნენ, - ქალწულებად და ყვავილოსნად. გარდა ამისა, იყო კიდევ ბალდახინოსანი და საკმეველოსანი: ზოგს საჩრდილობლის თასმები მოჰქონდა, ზოგი საკმელს უკმევდა. წინ ოთხი ქალწული მიდიოდა და ხშირი იყო ამგვარი კითხვა:

- ვინ არის დღეს ქალწული?

ქალბატონი კამპანი პატარა, შვიდი წლის გოგონას ნათქვამს იხსენებს: მოწაფეებს წინ ოთხი თექვსმეტი წლის ქალი ედგა. პატარა გოგო კი ბოლოში დაეყენებინათ. პატარამ მიმართა ერთ იმ ოთხთაგანს:

- შენ ქალწული ხარ და მე კი არა.

## თავი მეხუთე
## გართობა

ტრაპეზის დარბაზის კარზე ზემოდან მსხვილი შავი ასოებით ეწერა ეს ლოცვა, რომელსაც „თეთრ მამაო ჩვენოს“ ეძახდნენ და რომელსაც შეეძლო პირდაპირ სამოთხეში მიებრძანებინა ადამიანი:

„- პატარა, თეთრო მამაო ჩვენო, ღვთის შედგენილო, ღვთისგან თქმულო, ღვთის მიერ სამოთხეში შეყვანილო. ღამე, დასაძინებლად რომ ვწვებოდი, სამი ანგელოზი ვიპოვე ჩემს ლოგინში მწოლარე, ერთი ფეხთით, ორი თავით, კეთილი ქალწული

მარიამი შუაში. და მიბრძანა, - დაწექი, ნურაფერის გეშინიაო, ღმერთი ძლიერი მამაა ჩემი, ღვთისმშობელი დედაა ჩემი. იესო ქრისტეს დაბადების პერანგითა ვარ შემოსილი ჩემს ლოგინში, წმინდა მარგარიტის ჯვარი არის ჩემს გულზე გამოხატული. ქალბატონი ღვთისმშობელი მინდორში დადის, ქრისტეს დასტირის. შეხვდა წმინდა იოანეს.

- წმინდაო იოანე, საიდან მოდიხარ? - მე მოვდივარ Ave salus-იდან! ხომ არ გინახავთ კეთილი ღმერთი? იქ ხომ არ არის. - ხის ჯვარზე არის ფეხდაშვებული, ხელმილურსმული, თეთრი ეკლის პატარა ქუდით. ვინც იტყვის, ამას სამჯერ საღამოს და სამჯერ დილით, სამოთხეში მივა, რა განისვენებს“.

1827 წელს ეს დროის დამახასიათებელი ლოცვა კედლის სამი ფენა საღებავის ქვეშ მოჰყვა და გაქრა სწორედ ისე, როგორც პანსიონში აღზრდილ ახალგაზრდათა, ამუამად უკვე ღრმადმოხუცებული ქალების მეხსიერებიდან.

ტრაპეზის დარბაზში კედელზე მიკრული იყო დიდი ჯვარცმა და ეს ასრულებდა ოთახის მორთულობას. ერთადერთი კარი ჰქონდა ამ დარბაზს, ბაღში გამავალი. დარბაზის კედლების გასწვრივ ორ რიგად იყო ჩამწკრივებული ვიწრო მაგიდები და აქეთ-იქიდან გრძელი სკამები. კედლები თეთრად იყო შეღებილი, მაგიდები შავად; ამ ორი, გლოვის ფერის მეტი, სხვა არაფერი სწამდა მონასტერს. სუფრა ღარიბული იყო და საჭმელი ბავშვებისთვისაც კი უგემური. ერთი თავი საჭმელი ჰქონდათ, ბოსტნეულით შეზავებული ხორცი, ან დამარილებული თევზი. ეს იყო მათი ფუფუნება, რადგან ამ ძვირფას საჭმელს მხოლოდ პანსიონის ქალებს აჭმევდნენ. ბავშვები ჭამდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, რადგან იქ ბრძანდებოდა იმ კვირის მორიგე მონაზონი და ვერაფერს გამოაპარებდნენ. ბუზი რომ ყოფილიყო და შეენიშნა მონაზონს, რომ წესდების დარღვევით ფრინავს და ბზუის, მაშინვე ხის წიგნს აიღებდა და კეცავდა ხმაურით. ჯვარცმის ქვეშ პატარა საწიგნე იდგა, ზედ წიგნი იდო და ერთი უფროსი მოწაფე, კვირეულის მორიგე, ხმამაღლა კითხულობდა წმინდანთა ცხოვრებას. მაგიდებზე რამდენიმე ჯამი იდგა და მოწაფეები თვითონვე რეცხავდნენ ამ ჯამებში თავიანთ ჭურჭელს და ხანდახან შიგვე ჩაყრიდნენ ხოლმე უვარგის, ქვასავით მაგარ ხორცს და აყროლებულ თევზს, რისთვისაც მათ სასტიკად სჯიდნენ.

ამ ჯამებს ბავშვები სანაგვეს ეძახდნენ.

თუ დაარღვევდა ვინმე წმინდანთა ცხოვრების კითხვით დამტკბარ დუმილს, სასტიკად დაისჯებოდა: ჯვარს გამოასახვინებდნენ ენით. სად? მიწაზე, ფილაქანზე. უნდა დაწოლილიყო პირაღმა და ენით ქვა უნდა აელოკა ისე, რომ ჯვარი გამოესახა. ყოველი ჩვენი სიხარულის ბოლო მტვერია და მტვერი სჯიდა ამ პატარა ვარდის ფურცლებს ტიკტიკისათვის.

ერთი წიგნი იყო მონასტერში, რომელიც მარტო ერთხელ იყო დაბეჭდილი და ისიც, ვითომ, ერთადერთ ცალად. სასტიკად იყო აკრძალული ამ წიგნის კითხვა. ეს იყო წმინდა ბენუას წესდება, რომელსაც არ უნდა შეხებოდა უღირსის ხელი და მით უფრო თვალი. „Nemo regulas, seu constitutiones nostras, externis communicabit“. არავინ გაბედოს და ჩვენი წესები, ესე იგი, ჩვენი წესდება, უღირსს არავის გააგებინოსო.

ერთხელ პანსიონის წევრებმა ხელთ იგდეს ეს წიგნი და დაიწყეს კითხვა. კითხულობდნენ გატაცებით, თუმცა ხშირად წყვეტდნენ კითხვას, ეშინოდათ, არ მოგვისწრონო და მალავდნენ წიგნს. საშინელება მოელოდათ, ვინმეს რომ მოესწრო.

კითხულობდნენ და ამ საშინელებასთან შედარებით სულ მცირე სიამოვნებაც კი ვერ მიიღეს. რამდენიმე გაუგებარი ფურცელი იყო ყმაწვილი ბიჭების ცოდვების შესახებ, რაც ყველაზე საინტერესოდ ეჩვენათ.

ბაღში თამაშობდნენ მოწაფეები, ერთ ხეივანში, სადაც ხეხილი იდგა. თვალს არ აშორებდნენ მონაზვნები: სასტიკად იყო აკრძალული ხილის ჭამა; მაგრამ მოახერხებდნენ ხოლმე და ჯიბეებში იკრავდნენ ძირნაყარ მწვანე ვაშლს, დამპალ გარგარს ან ჭიან მსხალს. ახლა ამ ოცდახუთი წლის წინ დაწერილ ერთ წერილს მოვიყვან; პატარაობისას პიკპუსის მონასტერში მოწაფედ ყოფილიყო ამ წერილის დამწერი, დღეს ჰერცოგის მეუღლე, პარიზის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალი. სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

„ვიპოვიდით მიწაზე მსხალს ან ვაშლს და მივჩქმალავდით საჩქაროდ, სადაც კი შეგვეძლო, ვახშმობამდე. ლოგინზე ზეწარის გასაშლელად რომ ავიდოდით, ბალიშის ქვეშ ჩავდებდით და ლოგინში რომ ჩავწვებოდით, მარტო მაშინ გავბედავდით შეჭმას. თუ იქაც საშიში იყო, სხვაგან შევჭამდით, საპირფარეშოში, მაგალითად. ეს იყო ბავშვების უაღრესი სიამოვნებათაგანი“.

ერთხელ ეპისკოპოსი რომ ეწვია მონასტერს, ერთმა ყმაწვილმა ქალმა, ბუშარმა, რომელიც მონმორანსს ენათესავებოდა, თქვა, - ერთი დღის შვებულებას ვთხოვ და მივიღებო. - რომ არ დაუჯერეს, სანაძლეო დადეს. წესდების მიხედვით მოწაფეს არავითარი შვებულება არ ეძლეოდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბუშარი წააგებდა. როდესაც ეპისკოპოსი მოწაფეებთან მივიდა, უცბად წყობიდან გამოვიდა ბუშარი, - შიშის ზარი დასცა ამ თავხედობამ მონაზვნებს, - მივიდა ეპისკოპოსთან, თავი დაუკრა და მოახსენა:

- თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ერთი დღის შვებულება მიბოძეთ.

ძალიან ლამაზი ქალი იყო ბუშარი, მაღალი, მაისის ვარდივით მშვენიერი. გაუღიმა ეპისკოპოსმა და უთხრა:

- რაღა ერთი დღე, შვილო? სამი დღე ინებეთ. თანახმა ვარ სამი დღის შვებულება მოგცეთ. - წინამძღვარი რაღას იზამდა, რადგან ეპისკოპოსმა ბრძანა. შეცბუნდა მთელი მონასტერი, სამაგიეროდ, გაიხარა პანსიონმა. დაე, მკითხველმა წარმოიდგინოს, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ქალის სილამაზის გამო წესდების დარღვევა.

მონასტერი პირქუში და დაღვრემილი იყო, მაგრამ არც ისე მაგრად იყო შემოზღუდული, რომ გარედან არსად შეჰპარვოდა ცხოვრების ამბავი, დრამა და რომანიც კი. ამის დამამტკიცებელ საბუთად ერთ უეჭველ ამბავს მოვიყვანთ, თუმცა მას არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს მოსათხრობ ისტორიასთან. ჩვენ გვინდა მხოლოდ უკეთ დავასურათოთ მონასტრის ცხოვრება.

იმხანად მონასტერში ერთი ქალი იყო, მეტად საიდუმლო პიროვნება. მონაზონი არ იყო. დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. ქალბატონ ალბერტინს ეძახდნენ. ამ ქალის არაფერი იცოდნენ, გარდა იმისა, რომ შეშლილი იყო და საზოგადოებაში მკვდრად ითვლებოდა. როგორც ამბობდნენ, ამ ამბავში იფარებოდა, ბრწყინვალე ქორწინებისთვის საჭირო დიდი სიმდიდრის შეძენა.

ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა; ლამაზი ქალი იყო, შავგვრემანი, შავთვალწარბა, დაკვირვებით დასცქეროდა ყველაფერს, მაგრამ ხედავდა კი? ამაში ეჭვი ეპარებოდათ. მუნჯივით იყო გაჩუმებული. ზოგი ამბობდა, - ვინ იცის, არც სუნთქავსო.

- ნესტორები შეკეცილი და ჩალურჯებული ჰქონდა, თითქოს ეს არის სული დალიაო, ხელი გაყინული. უცნაური სინარნარე ჰქონდა, აჩრდილის სინარნარე. სადაც კი შევიდოდა, სიცივე შეჰქონდა. ერთხელ მიმავალი დაინახა მონაზონმა და უთხრა მეორეს:

- მკვდრად ითვლება უბედური.

- იქნებ მკვდარიც არის, - მიუგო მეორემ.

რას არ ამბობდნენ ამ საწყალ ქალზე! ეს იყო მოწაფეების დაუძინებელი ცნობისმოყვარეობის საგანი. საყდარში ერთი ტრიბუნა იყო, რომელსაც ხარისთვალას ეძახდნენ. ამ ტრიბუნას ერთი მრგვალი პატარა სარკმელი ჰქონდა და წირვა-ლოცვის დროს ყოველთვის ამ ხარისთვალაში იჯდა ქალბატონი ალბერტინი. მარტო იჯდა, იქ მონაზვნები ვერ ავიდოდნენ, რადგან იქიდან კარგად ჩანდა მღვდელი ან მქადაგებელი, კაცის დანახვა კი მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. ერთხელ ყმაწვილი კაცი იყო მწირველი, დიდი გვარიშვილი, ბატონი დე როჰანი. 1815 წლამდე როჰანი წითელი მუშკეტერების ოფიცრად მსახურობდა და 1830 წელს გარდაიცვალა, როდესაც უკვე კარდინალი იყო და ბეზანსონის ეპისკოპოსი. ამ მონასტერში წირვა და ქადაგება დე როჰანისთვის პირველი იყო. ქალბატონი ალბერტინი წირვასაც და ქადაგებასაც ისე მოისმენდა ხოლმე, რომ ხმას არ ამოიღებდა, არ გაინძრეოდა. იმ დღეს კი, როგორც დაინახა დე როჰანი, წამოიწია და მისმა ხმამაღალმა დაძახებამ საყდარში გამეფებული დუმილი დაარღვია: - ეს ხომ ოგიუსტია! - განცვიფრებული იყო მთელი საყდარი, ყველა მას შესცქეროდა. თვით მღვდელიც მას ეძებდა თვალით, მაგრამ ქალმა თქვა და გაათავა: ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა, ეტყობოდა, შორს გაეტაცა რაღაც ფიქრებს. გარე ცხოვრების სიო მოხვდა უბედურს, სიცოცხლის სხივმა გაუღიმა წამიერად ამ გამქრალ, გაყინულ არსებას და უცბადვე ჩაქრა ყველაფერი, კვლავ მკვდრად იქცა შეშლილი.

მაგრამ რამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ორმა სიტყვამ! რამდენი რამ იგულისხმებოდა ამ სიტყვებში! რამდენი ამოცანა აღძრეს და თავისებურად გამოიცნეს! ბატონ როჰანს მართლა ოგიუსტი ერქვა. ცხადი იყო ქალბატონი ალბერტინიც დიდი გვარიშვილის ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, რადგან იცნობდა როჰანს; იქნებ როჰანზე უფრო დიდებულიც ყოფილიყო, რადგან ასე მოკლედ მიმართა მას; ცხადი იყო აგრეთვე, რომ ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მასთან, ოღონდ ძალიან ახლო ნათესაობა ან სრული მეგობრობა, რადგან გვარით კი არა, სახელით ახსენა დე როჰანი.

პანსიონს ორი დიდებული, მეტად მკაცრი ქალბატონი ეწვეოდა ხოლმე, შუაზვილი და სერანი, ეტყობოდათ უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, როგორც Magnates mulieres დიდებულთა მეუღლეებს, რომ ასე ადვილად შედიოდნენ მონასტერში და აშინებდნენ საწყალ მოწაფეებს. ამ ბებერ ქალებს რომ დაინახავდნენ პანსიონელები, კანკალს იწყებდნენ და თავს ღუნავდნენ.

ბატონი როჰანი, თუმცა თვითონ ამისი არაფერი იცოდა, მოწაფეების სათაყვანებელ საგნად იქცა. ამ დროს პარიზის ეპისკოპოსის მოადგილედ იყო და ჩვეულებად ჰქონდა პიკპუსის მონასტერში საწირავად მისვლა. არც ერთ მონაზონს არ შეეძლო მისი დანახვა, რადგან სარჟის დიდი ფარდა იყო გაბმული; მაგრამ მეტად ტკბილი ხმა ჰქონდა, წვრილი, რომელსაც იცნობდნენ და ხმით მაინც ტკბებოდნენ. ქალებმა იცოდნენ, რომ ოფიცრად ყოფილიყო ჯარში. იცოდნენ, რომ მეტად ლამაზი

კაცი იყო, სალუქად ჩაცმული, რომ საუცხოო წაბლისფერი თმა ჰქონდა, ძვირფასი მუარის სარტყელი ეკრა და საგანგებო შავი კოხტა ანაფორა ეცვა.

ეპისკოპოსი თექვსმეტი წლის ქალების საოცნებოდ გამხდარიყო. არავითარი ხმა არ შედიოდა მონასტერში გარედან, მაგრამ ერთ წელიწადს ფლეიტის ხმა გაიგონეს: დიდი ამბავი იყო, რომელიც პანსიონის მოწაფეებს დიდხანს არ დავიწყებიათ.

ვიღაც ცხოვრობდა მონასტრის მეზობლად და ფლეიტას უკრავდა. ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას უკრავდა დიდხანს, დღეს სრულიად დავიწყებულს: „ჩემო ზეტულბე, რატომ არ გინდა შენ დაეუფლო ჩემს სულსა და გულს?“ და დღეში ორჯერ-სამჯერ ააჟღერებდა ხოლმე თავის ფლეიტას. ყმაწვილი ქალები ამ სიმღერითღა სულდგმულობდნენ, ხმოსანი დედები აღშფოთებულნი იყვნენ, წარამარა სჯიდნენ ქალებს. რამდენიმე თვე ისმოდა ამ ფლეიტის ხმა. პანსიონში მცხოვრებ ქალებს ყველას უკლებლივ შეჰყვარებოდა უცნობი მუსიკოსი. ყველა ზეტულბობას ჩემობდა. მუსიკის ხმა დრუა-მურის ქუჩიდან მოდიოდა. რას არ მისცემდნენ, რომ ერთი წამით დაენახათ, თვალი მაინც მოეკრათ „ყმაწვილი კაცისთვის“, რომელიც ასე ტკბილად აკვნესებდა ფლეიტას და იმავე დროს, - აბა, რას წარმოიდგენდა? - აკვნესებდა ამ ქალებსაც. რამდენიმე ქალმა როგორღაც მოახერხა და მესამე სართულში აძვრა დრუა-მურის ქუჩისკენ. მაგრამ ამაოდ ჩაუარათ ცდამ. ერთმა კიდევ იმდენი გაბედა, რომ ხელი გაყო ქუჩაში და თეთრი ცხვირსახოცი გააფრიალა. მაგრამ სხვა ორი უფრო ყოჩაღად მოიქცა: სახლის ბანზე აძვრნენ და იმდენი ქნეს, რომ როგორც იყო დაინახეს „ყმაწვილი კაცი“, რომელიც აღმოჩნდა ბებერი, კეთილშობილი, ოდესღაც გახიზნული, ბრმა და გაღატაკებული. მას ფლეიტაღა დარჩენოდა სანუგეშოდ და იმაში კლავდა დროს თავის სხვენზე.

## თავი მეექვსე
## პატარა მონასტერი

სამი სრულიად განცალკევებული შენობა ჰქონდა პიკპუსის მონასტერს: ერთი დიდი მონასტერი, სადაც მონაზვნები ცხოვრობდნენ, პანსიონი, სადაც მოთავსებულნი იყვნენ მოწაფეები და ერთი ეგრეთ წოდებული პატარა მონასტერი. ამ პატარა მონასტერში ცხოვრობდნენ ერთად სხვადასხვა მონასტრის ბებერი მონაზვნები, რომლებიც უბინაოდ დარჩენილიყვნენ, რადგან რევოლუციამ დაანგრია მათი თავშესაფარი. იქ იყვნენ ერთად და აჭრელებდნენ იქაურობას თავიანთი ტანისამოსით, - ზოგს შავი ეცვა, ზოგს თეთრი, ლურჯი, ყველა მიმართულების და მონასტრის ნაშთის წარმომადგენლები. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ შესაწყნარებელია ამგვარი შეუღლება სიტყვისა, ეს იყო აჭრელებული მონასტერი.

იმპერია რომ დაარსდა, ნება მისცა სადღაც გადავარდნილ და გაფანტულ ბებერ მონაზვნებს, თავი შეეფარებინათ ბენედიქტელ-ბერნარდელების ჭერქვეშ. პატარა პენსიაც დაუნიშნა მთავრობამ. მცირე პიკპუსის მონაზვნებმა სიამოვნებით მიიღეს სტუმრები. უცნაური სანახავი იყო არეული მონაზვნობა. ყველა ძველებურად, თავისებურად სწირავდა. ხანდახან ნებას მისცემდნენ ხოლმე პანსიონის უფროს მოწაფეებს დასასვენებლად და გასართობად შესულიყვნენ პატარა მონასტერში და უცხო ბებერი მონაზვნები ენახათ. ამიტომ იყო, რომ ამ ყმაწვილ ქალებს დიდხანს ახსოვდათ დედა-სენტ-ბაზილა, დედა-სენტ-სქოლასტიკე და დედა ჟაკობი.

ერთი ამ შემოხიზნულთაგანი თავს შინ გრძნობდა. სენტ-ორის მონაზონი იყო, ამ ორდენის ერთადერთი ცოცხალი წარმომადგენელი. სენტ-ორის ძველი მონასტერი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში სწორედ პიკპუსის შენობაში იყო, რომელიც შემდეგში მარტენ ვერგას ბენედიქტელებს დარჩათ. მეტად ღარიბი იყო ეს მოხუცებული, შეძლება არ ჰქონდა თავის მონასტრის წესისამებრ მორთულიყო, ჩაეცვა ძვირფასი თეთრი კაბა და ალისფერი სამხრე. ამიტომ პაწია მანეკენი მოერთო ამ ტანისამოსით და სიამოვნებით აჩვენებდა ყველას. რომ კვდებოდა, პიკპუსის მონასტერს უძღვნა ეს ტანისამოსი. 1824 წელს ამ მიმართულების ერთადერთი მონაზონიღა დარჩენილიყო. დღეს მხოლოდ ეს დედოფალა მოიპოვება მის სახსოვრად.

ამ ღირსეული მონაზვნების გარდა რამდენიმე მოხუცებული ქალი იყო, საზოგადოების წარმომადგენელი, რომლებიც პიკპუსის მონასტერში შეხიზნულიყვნენ, როგორც ქალბატონი ალბერტინი. ამ ქალთაგანი იყო ქალბატონი დებოფორი და მარკიზ დუფრენის მეუღლე. ერთი კიდევ სხვა იყო, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ საშინელი ხმით იხოცავდა ცხვირს. ამ ქალბატონს მოწაფეები ქალბატონ ცხვირხვინცელას ეძახდნენ.

1820 თუ 1821 წელი იყო, ქალბატონმა ჟანლისმა ითხოვა პიკპუსის მონასტერში ცხოვრების ნება. პატარა ჟურნალ „L'Intrépide“ - „უშიშარის“ რედაქტორი იყო ეს ქალი, ორლეანის ჰერცოგი სწყალობდა და, თუმცა დიდად წინააღმდეგი იყო მონასტერი და თრთოოდნენ ხმოსანი დედები, - როგორ? რომანების მწერალი მონასტერში შემოვუშვათო? - მაინც თავისი გაიტანა: გამოაცხადა, - პირველი მე ვგმობ ჩემს რომანებსო. - გარდა ამისა, უკვე იმ ხნის იყო, რომ უნდა მოენანიებინა თავისი სიყმაწვილის ცოდვები. ღვთის მადლით და ორლეანელის წყალობით შევიდა მონასტერში და მას ექვსი თუ რვა თვის შემდეგ გამოეთხოვა. წასვლის მიზეზად ის მოიყვანა, რომ ბაღში ჩრდილი არ იყო. აღტაცებულნი იყვნენ ამ ქალით მონაზვნები. ძალიან ბებერი იყო, მაგრამ ჯერაც კარგად უკრავდა ქნარზე.

რაკი წასვლა დააპირა, სახსოვარიც დატოვა თავის სენაკში. ცრუმორწმუნე ბრძანდებოდა ეს ქალბატონი და ლათინურის მცოდნე. ეს ორი სიტყვა საკმაოდ კარგად წარმოგვიდგენს ამ მწერალს. ამ რამდენიმე წლის წინ ჯერ ისევ ჩანდა მისი სენაკის პატარა განჯინაში, სადაც დაკეტილი ჰქონდა თავისი ფული და თვალმარგალიტი, ეს ხუთსტრიქონიანი ლათინური ლექსი, წითელი მელნით მის მიერ დაწერილი. ამ ქალბატონის აზრით ლექსს ჰქონდა ძალა, შეეშინებინა და დაეფრთხო ქურდები:

Iმპარიბუს მერიტის პენდანტ ტრია ცორპორა რამის:

Dismas et Gesmas, media est divina potestas.

Alta petit Dismas, infelix, infima, Gesmas.

Nos et res nostras conservet summa potestas.

Hos versus dicas, ne tu furto tuo Perdes.

მეექვსე საუკუნის ლათინურით დაწერილი ეს ლექსი ბადებს კითხვას, რა ერქვათ ქრისტესთან ერთად ჯვარცმულ ქურდებს, დიმასი და გესტასი, როგორც ჰგონიათ, თუ დისმასი და გესმასი? ეს მართლწერა რომ გამართლებულიყო, ძალიან ეწყინებოდა ვიკონტ-დეგესტას, რომელიც წინა საუკუნეში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ

ცოდვამოუნანიებელი ჯვარცმული ქურდის პირდაპირი შთამომავალი იყო. პიკპუსელ მონაზვნებს ძალიან სწამდათ ამ ლეექსის ქურდების მაშინებელი ძალა.

საყდარი ისე იყო აშენებული, რომ გაეცალკევებინა, ერთმანეთისთვის დაეშორებინა დიდი მონასტერი და პანსიონი. საყდარი ერთი იყო სამივესთვის და წირვა-ლოცვაზე იქ იკრიბებოდნენ მონაზვნებიც, მოწაფეებიც და პატარა მონასტერში შეხიზნულებიც.

საყდარში შესვლა საავადმყოფოსთან ქუჩაში გამავალი კარით საზოგადოებასაც შეეძლო, მაგრამ ისე იყო ყველაფერი მოწყობილი, რომ მონასტერში მცხოვრები ვერ დაინახავდა კაცის სახეს. წარმოიდგინეთ საყდარი, რომლის მგალობელთა გუნდის ადგილისთვის ხელი მოევლოს გოლიათს, აეტაცოს და ერთგვარ ბნელ ოთახში დაესვას მწირველის მარჯვნივ. წარმოიდგინეთ ამ საყდარში სამი მეტრის სიმაღლით გაბმული სქელი ფარდა; ამ ფარდის უკან დასვით ხის სკამებზე მარცხნივ - მგალობელი მონაზვნები, მარჯვნივ - პანსიონის მოწაფეები. უკან, შუაში - მორჩილები და წარმოიდგინეთ, როგორ ისმენდნენ წირვა-ლოცვას ამ მონასტერში. მგალობლების გუნდის ადგილი დიდ მონასტერთან ტალანით იყო შეერთებული. სინათლე საყდარში ბაღიდან შედიოდა. წირვაზე რომ იყვნენ მონაზვნები და წესდების ძალით შეუძლებელი იყო ხმის ამოღება, სკამების ჭრაჭუნით შეიძლებოდა გაეგო ადამიანს, რომ ფარდის იქით მონაზვნები ისხდნენ.

## თავი მეშვიდე
## ჩრდილში მოქმედნი

1819-დან 1825 წლამდე, ექვსი წლის განმავლობაში მცირე პიკპუსის მონასტერში წინამძღვრად ქალბატონი ბლემერი ბრძანდებოდა, რომელსაც აღკვეცის შემდეგ სახელად ინოსენტე - უბიწოება დაარქვეს. მარგერიტ ბლემერის გვარის იყო, რომელმაც დაწერა „ცხოვრება წმინდა ბენუას ორდენის წმინდანებისა“. იგი ხელმეორედ აირჩიეს. სამოცი წლის იქნებოდა, ტანდაბალი, სქელი.

„გამსკდარი ქოთანივით გალობდაო“ - წერია ზემოთ მოყვანილ წერილში. ერთობ კარგი გულის ქალი იყო, ერთადერთი მხიარული მთელ მონასტერში და ამიტომ ყველგან პატივცემული და საყვარელი.

წინამძღვარს თავისი დიდი დედის, მარგერიტის მსგავსად, სიყვარული მოსდევდა მეცნიერებისადმი და სახელოვან მთარგმნელ დასიესავით იყო მონასტერში; კარგად იცნობდა მწერლობას, თვალს ადევნებდა მეცნიერებას, ცნობისმოყვარეობით კითხულობდა ისტორიას; გაჟღენთილი იყო ლათინურით; გატენილი ბერძნულით, სავსე ებრაულით და უფრო ბენედიქტელი იყო, ვიდრე მონაზონი.

თანაშემწედ მიხრწნილი მონაზონი ჰყავდა, ესპანელი, თითქმის ბრმა, დედა-სინერი.

ხმოსან დედათაგან პატივცემული იყვნენ სენტ-ონორინი, მოლარე; სენტ-ჰერტრუდა, მორჩილთა უფროსი; სენტ-ანჟი, მისი თანაშემწე; დედა-ხარება, რომელსაც სამოსის საცავი ებარა; სენტ-ავგუსტინი, საავადმყოფოს გამგე; ეს იყო ერთადერთი მონაზონი, რომელსაც ავის სახელი ჰქონდა; სენტ-მეშტილდა (გოვენის ასული), სულ ახალგაზრდა და გამორჩეული ხმით მგალობელი; დედა-ლმობიერება (მელტურის ასული). სამოცი წლის მიიღეს მონასტერში, წესდების დარღვევით,

რადგან ძალიან მდიდარი იყო; დედა-ტაძრად მიყვანა (სიგენცას ასული), წინამძღვრად არჩეული 1847 წელს; სენტ-სელინი (და ჩერაკის მოქანდაკე), რომელიც გაგიუდა; სენტ-შანტალი (სუზონის ასული), ესეც გაგიუდა.

ლამაზებიც ბევრი ჰყავდა მონასტერს და მათ შორის, ერთი მომხიბლავი, ოცდასამი წლის ქალი, კუნძულ-ბურბონელი, რაინდ როზის შთამომავალი; შინ ქალბატონი როზი რქმეოდა და მონასტერში დედა-მიძინება გამხდარიყო.

სენტ-მეშტილდს ებარა გალობისა და გუნდის საქმე და სიამოვნებით წრთვნიდა პანსიონელებს. შეადგენდა სრულ გამას, ესე იგი, ამოარჩევდა შვიდ ქალს, ათი წლიდან 16-მდე, ხმითა და ტანადობით გამორჩეულებს, რომლებსაც წლოვანების მიხედვით გაამწკრივებდა და ისე ასწავლიდა, რომ გენახათ, იტყოდით, ეს ანგელოზთაგან შემდგარი, პანის ცოცხალი სალამურიაო.

მორჩილთა შორის პანსიონელებს ყველაზე უფრო უყვარდათ და წმინდა ეფროსინე, და წმინდა მარგერიტი, და წმინდა მართა, რომელიც სულ გაბავშვებული იყო და და წმინდა მიშელი, რომლის გრძელი ცხვირი დიდად აცინებდათ.

ყველანი კარგად, ტკბილად ექცეოდნენ პანსიონელებს. მონაზვნები მხოლოდ თავის თავისადმი იყვნენ მკაცრები. ცეცხლს მარტო პანსიონში ანთებდნენ, პანსიონის საჭმელი, მონასტრისასთან შედარებით, საუცხოო იყო. სულ მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ მონაზვნები, მაგრამ პანსიონელ ბავშვს რამე რომ ეკითხა მონაზვნისთვის, პასუხს ვერ ეღირსებოდა.

ამ წესის, სრული დუმილის, შედეგი იყო, რომ მთელ მონასტერში აკრძალული იყო ყველა ადამიანისთვის ხმის ამოღება და ეს ნიჭი თითქო უსულო საგნებში გადასულიყო. ხან ეკლესიის ზარი იტყოდა რამეს, ხან მებაღის მუხლზე მიბმული ზანზალაკი. მეკარის გვერდით ზარი ეკიდა, რომლის ძლიერი ხმა მთელ მონასტერში ისმოდა. სხვადასხვაგვარი რეკვით, თითქო ტელეფონი ყოფილიყოს, ცხადად აღნიშნავდა ცხოვრების მოთხოვნილებების ასრულებას და მისაღებში სწორედ იმას იხმობდა, ვის სანახავადაც, არა, სასმენად - მოსულიყო ვინმე, და იქ ელოდა. ყველა უფროსს და ყველა საგანს თავისი ზარი ჰქონდა. ზარის ერთი და ერთი რეკვა წინამძღვრის იყო; ერთი და ორი - იმის თანაშემწის; ექვსი და ხუთი - სწავლის დასაწყისი იყო; ისე, რომ მოწაფეები თავის დღეში არ იტყოდნენ კლასში მივდივართო, - არა, - ექვს ხუთში მივდივართო, - ოთხ-ოთხი ქალბატონ ჟანლისისა იყო და ძალიან ხშირადაც ისმოდა; - ოთხის ქაჯიაო, - იძახდნენ გაჯავრებულები. ათი და ცხრა დიდ ამბავს მოასწავებდა: მონასტრის დაძველებული, დაჟანგებული კარის გაღებას, რომელიც მარტო მაშინ იძვროდა, როდესაც ეპისკოპოსი მობრძანდებოდა.

ეპისკოპოსის და მებაღის გარდა, უკვე აღვნიშნეთ ეს გარემოება, ვერც ერთი კაცი ვერ შევიდოდა მონასტერში. პანსიონელები კი ამ ორის გარდა კიდევ სხვას ხედავდნენ. ერთი მღვდელი იყო, ბებერი და გონჯი, რომელსაც მოაჯირის იქიდან უყურებდნენ, მეორე - ხატვის მასწავლებელი, ბატონი ანსიო, რომელსაც ზემოთ ნახსენები წერილი ბებერ, საბარელ კუზიანად აღწერს.

სწორედ საჭიროებისამებრ ამოერჩიათ ქალებს კაცები, შესაზარებლად.

ასეთი იყო ეს ღირსშესანიშნავი მონასტერი.

## თავი მერვე
## „POST CORDA LAPIDES“

ზნეობრივი დახასიათების შემდეგ, უსარგებლო არ უნდა იყოს, მოკლედ მაინც გავიცნოთ თვით შენობაც. ცოტა რამ ამის შესახებ უკვე იცის მკითხველმა.

კარგა დიდი ფართობი ეჭირა მცირე პიკპუსის მონასტერს, რომელიც პოლონსოს, დრუა-მურის, მცირე პიკპუსის და ომარეს ქუჩებში გადიოდა. ისე ზღუდავდნენ ეს ქუჩები მონასტერს, თითქოს თხრილი ჰქონოდა გარშემო.

მონასტერი რამდენიმე შენობისა და ბაღისგან შედგებოდა. მთავარი - ერთიანად რომ გაგესინჯათ, სხვადასხვაგვარი შენობები ერთმანეთზე იყო მიწყობილი; ხოლო თუ ზემოდან დახედავდით, მიწაზე დაცემულ სახრჩობელას მოგაგონებდათ; სახრჩობელის დიდი ბოძი სამ ქუჩაზე გაჭიმულიყო და მოკლე ბოძი კი - პიკპუსის ქუჩაზე; აქვე ქუჩის ბოლოში ალაყაფის კარი იყო, #62 სახლის აღსანიშნად. ამ კართან კიდევ ერთი ძველი დაბალი კარი იყო, მტვრით დაფარული, ნაცრიანი, აბლაბუდით მოსილი, რომელსაც ერთი-ორი საათით გააღებდნენ ხოლმე კვირაობით და კიდევ უფრო იშვიათად, როდესაც მონაზვნის ცხედარი უნდა გაესვენებინათ მონასტრიდან. ამ კარით შესაძლებელი იყო ეკლესიაში შესვლა. სახრჩობელის კუთხეში ოთხკუთხა დარბაზი იყო, საწყობი, რომელსაც მონაზვნების საკუჭნაოს ეძახდნენ. გრძელ ბოძად გაჭიმულიყო მონაზვნების და მორჩილების სენაკი; მოკლე ბოძად - სამზარეულო, სატრაპეზო და საყდარი.

62 ნომრიანი კარიდან ომარეს ქუჩის კუთხემდე პანსიონი იყო, რომელიც გარედან არ ჩანდა. დანარჩენი ფართობი ბაღს ეკავა, რომელიც უფრო ჩავარდნილი იყო, ვიდრე პოლონსოს ქუჩა და ამის გამო მას კედლები გარედან უფრო დაბალი ჰქონდა, ვიდრე შიგნიდან. ბაღი ოდნავ ამობურცული იყო. შუა მაღლობზე ერთი მაღალი ნაძვი იდგა, კონუსისებრი, მახვილ კენწეროიანი, რომლიდანაც, როგორც ფარის შუაგულიდან, ოთხი დიდი და რვა პატარა ხეივანი მოდიოდა. ყველა ხეივანი ბაღის კედლებთან თავდებოდა. ზოგი გრძელი იყო, ზოგი მოკლე და გვერდზე მოცხარის ბუჩქი მიყვებოდა. ეზოს ბოლოში, ძველი მონასტრის ნანგრევიდან პატარა მონასტრის სახლისკენ, ერთი დიდრონი ჩინარის ხეივანი მიდიოდა.

პატარა მონასტრის წინ ეგრეთ წოდებული პატარა ბაღი იყო. ამას ემატებოდა ეზო, შენობების სხვადასხვაგვარი კუთხეები, კედლები, ბანები და ოდნავ მაინც შევძლებთ წარმოვიდგინოთ, რა უნდა ყოფილიყო ორმოცდაათი წლის წინ ბერნარდელების მონასტერი მცირე პიკპუსის ქუჩაზე. ეს წმინდა სახლი აშენებული იყო მოედანზე, რომელიც წინათ, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში, ბურთის თამაშით იყო ცნობილი და სახელად - „ათასი ქაჯის ბუნაგი“ ერქვა.

ამ მონასტრის ირგვლივ პარიზის ძველისძველი ქუჩები იყო. დრუა-მური და ომარე ძველი სახელებია, თუმცა უფრო ძველია თვითონ ქუჩები.

ომარეს ქუჩას წინათ მოგუ ერქვა, დრუა-მურის ქუჩას - ეგლანტიე, - ასკილისა, რადგან ღმერთი ქვეყანას ჯერ კიდევ მაშინ აყვავებდა, როდესაც ადამიანი ქვასაც არ თლიდა.

## თავი მეცხრე
## მთელი საუკუნე თავისი პირბადით

რაკი ასე დაწვრილებით გავიგეთ, როგორი იყო წინათ მცირე პიკპუსის მონასტერი და ფანჯარა გავაღეთ, რომ თვალი გადაგვევლო ამ მორცხვად დაბურული თავშესაფრისთვის, ნება მოგვცეს მკითხველმა, ცოტა რამ სხვაც მოვუთხროთ, უცხო ამ წიგნისთვის, მაგრამ დამახასიათებელი და საინტერესო თვით მონასტრის უცნაური წევრების გასაცნობად.

პატარა მონასტერში, სადაც გაუქმებული მონასტრებიდან შეხიზნულიყვნენ მონაზვნები, ერთი ასი წლის მოხუცი იყო, ფონტევროს სამწყსოდან. რევოლუციამდე საზოგადოებაში ბრწყინავდა. სულ მირომესნილის, ლუი მეთექვსმეტის მინისტრის და თავისი ნაცნობის, თავმჯდომარე დუპლას მეუღლის, ხსენებაში იყო. ამ სახელების ხსენების კვეხნით ტკბებოდა. რაზედაც უნდა ყოფილიყო ბაასი, ის მაინც იმათ სახელს ჩაურევდა. ფონტევროს მონასტრიდან იყო, ძალიან უყვარდა და საკვირველ ამბებს ყვებოდა იმ მონასტერზე, რომელიც მისი სიტყვებით, ნამდვილ ქალაქს წარმოადგენდა თავისი ქუჩებით.

პიკარდული გამოთქმით ლაპარაკობდა და ძალიანაც აცინებდა პანსიონელებს. ყოველ წელს საზეიმოდ განაახლებდა ხოლმე თავის აღთქმას და ვიდრე ფიცს დაიწყებდა, მღვდელს ეტყოდა: ბატონმა წმინდა ფრანსუამ ის მიანდო ბატონ წმინდა ჟულიენტს; ბატონმა წმინდა ჟულიენტმა ბატონ წმინდა ევსებს; ბატონმა წმინდა ევსებმა ბატონ წმინდა პროკოფს... ასობით ჩამოთვლიდა, ვინ ვის მიანდო ფიცი და ბოლოს იტყოდა, - მე თქვენ განდობთ, მამაო, - იცინოდნენ პანსიონელები თავიანთი პირბადის ქვეშ. იცინოდნენ პანსიონელები და ბრაზით წარბს იჭმუხნიდნენ ხმოსანი დედები.

ხან წარსული მოაგონდებოდა და იმის ამბავს მოჰყვებოდა. ფიციებოდა, ჩემს ყმაწვილობაში ბერნარდელები მუშკეტერებსაც არ ჩამოუვარდებოდნენო. ეს იყო წარსული საუკუნე, მეთვრამეტე, რომელზეც ლაპარაკობდა. შანპანელების და ბურგნიონელების „ოთხის ღვინის“ ჩვეულებაზე ყვებოდა. რევოლუციამდე, როდესაც ქალაქს ვინმე დიდებული უნდა სწვეოდა ან გზად გაევლო, - მარშალი, პრინცი ან ჰერცოგი, წინ მიეგებებოდა ქალაქის თვითმმართველობა, მიესალმებოდა და ძღვენს მიართმევდა - ოთხ მოგრძო ვერცხლის თასს, სხვადასხვა ღვინით სავსეს; პირველ თასზე ეწერა „ღვინო მაიმუნისა“, მეორეზე - „ღვინო ლომისა“, მესამეზე - „ღვინო ცხვრისა“ და მეოთხეზე - „ღვინო ღორისა“. ეს ოთხი წარწერა ახასიათებდა იმ ყოფას, რომელშიც ღვინის მსმელი იმყოფებოდა: პირველი თრობა, ღვინო რომ მოეკიდება, მხიარულებაა; მეორე - განრისხება; მესამე - გამოჩერჩეტება და მეოთხე - ცხოველად გადაქცევა.

განჯინაში ჩაკეტილი ჰქონდა რაღაც საგანი, საიდუმლო, რომელსაც ძალიან უფრთხილდებოდა. ფონტევროს წესდებით აკრძალული არ იყო რაიმე ნივთის შენახვა. ამ საგანს მალავდა და არავის აჩვენებდა. ჩაიკეტავდა თავისი სენაკის კარს, - არც ეს იყო იქ აკრძალული, - როცა იმ საგნით დატკბობა მოუნდებოდა. თუ გაიგონებდა მისკენ მიმავალ ფეხის ხმას ტალანში, განჯინას დაკეტავდა საჩქაროდ, რამდენადაც ემორჩილებოდა ბებრუცანა ხელები. ამაზე რომ დაუწყებდნენ ლაპარაკს, კრინტს არ დასძრავდა, თუმცა გაგიუებით უყვარდა ჩიფჩიფი. ბევრს უნდოდა ამ საიდუმლოს გაგება, მაგრამ ცნობისმოყვარენი თავისი დუმილით მოიშორა და ახირებულები - თავისი სიჯიუტით. ვინც კი მოცლილები ან მოწყენილები იყვნენ მონასტერში, ამაზე ლაპარაკობდნენ და დრო გაჰყავდათ. რა უნდა ყოფილიყო ეს საგანი, ასე ძვირფასი და საიდუმლო, ასი წლის მოხუცებულის საუნჯე? წმინდა წიგნი

იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, ან იშვიათი ძველისძველი კრიალოსანი, ან რომელიმე წამებულის ნაწილი. შეუძლებელი იყო ამის გამოცნობა, და რომ მოკვდა საცოდავი, მაშინვე იმის განჯინას ეცნენ, უფრო მალე, ვიდრე შეიძლებოდა და გააღეს. სამჯერ ჰქონდა შემოხვეული ბაწარი ამ განძს, როგორც ნაკურთხ ფეშხუმს. ქაშანურის ფიალა იყო. ზედ დახატული იყო რამდენიმე ამური, რომლებიც აფთიაქის შეგირდებს გაურბოდნენ. ბიჭებს დიდრონი ოყნის მილები ეჭირათ ხელში და ისე მისდევდნენ. სასაცილო გამომეტყველება ჰქონდათ ბიჭებს. ერთი პაწია კეკლუცი ამური კიდეც დაეჭირათ; არ ნებდებოდა, იბრძოდა, პაწია ფრთებს შლიდა, - იქნებ როგორმე გავფრინდეო, - მაგრამ სატანური სიცილით ეჭირათ ბიჭებს. დასკვნა: მუცლის ტკივილით დამარცხებული სიყვარული. ეს ძალიან საინტერესო ფიალა, რომელმაც იქნება მოლიერსაც მისცა ზეშთაგონება, ჯერ კიდევ არსებობდა 1845 წლის სექტემბერში, სიძველეების გამყიდველს ჰქონდა გასაყიდად ბომარშეს ბულვარზე.

ეს საცოდავი მოხუცებული მის სანახავად მოსულს არავის იღებდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, - მისაღები ოთახი მეტად დაღვრემილი იყო.

## თავი მეათე
## დასაბამი „მუდმივი თაყვანისცემისა“

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისაღები ოთახი, თითქმის აკლდამის მსგავსი, რომელიც აქ დავხატეთ, ადგილობრივი ქმნილება იყო ასე მკაცრად მოწყობილი. ტამპლის ქუჩის მონასტერში, მაგალითად, რომელიც სხვა წესდებით ხელმძღვანელობდა, - სულ სხვაგვარად იყო მოწყობილი მისაღები ოთახი. ამ დარბაზში შავი დარაბების მაგივრად მუქი ფარდები იყო. იატაკი პარკეტის ჰქონდა. ფანჯრებს თეთრი მაქმანი ჰქონდა ჩამოფარებული; კედლებზე სურათები ეკიდა და, სხვათა შორის, ერთი ბენედიქტელი მონაზონის სურათი პირბადის გარეშე, თაიგულები და ოსმალოს თავიც კი.

ტამპლის მონასტრის ბაღში ერთი წაბლის ხე იდგა, ინდოეთიდან ჩამოტანილი, რომელიც მთელ საფრანგეთში უმშვენიერესად და უდიდესად ითვლებოდა. ამ ხეს ხალხი მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ყველა წაბლის ხის მამად სთვლიდა.

უკვე ვთქვით, ტამპლის მონასტრის ბენედიქტელები მუდმივი თაყვანისცემის მომხრენი იყვნენ. ძალიან ძველი, ასე ორ საუკუნეზე მეტი ხნის არ უნდა ყოფილიყო ეს მიმართულება. 1649 წელს ორჯერ იქნა წაბილწული წმინდა საიდუმლოება რამდენიმე დღის განმავლობაში პარიზის ორ ეკლესიაში, - წმინდა სულპისის და წმინდა იოანეს საყდარში; იმდენად საშინელი და იშვიათი იყო ეს მოვლენა, რომ მთელი ქალაქი შეაძრწუნა. სენ-ჟერმენის ეკლესიამ სასულიერო წოდების დიდებული საზეიმო პროცესია მოაწყო; მწირველად პაპის მოადგილე ბრძანდებოდა. მაგრამ ეს მონანიება საკმარისად არ ეჩვენა ორ დიდებულ ქალბატონს, მარკიზ დებუკისა და გრაფ შატოვიეს მეუღლეებს. წმინდა საიდუმლოების შელახვა ვერაფრით მოენელებინათ ამ ღირსეულ ქალებს და თქვეს, - ამისთანა შებილწვის მონანიება მხოლოდ მუდმივი თაყვანისცემით უნდა ხდებოდეს ქალების რომელიმე მონასტერშიო, - და ორივემ - ერთმა 1652 წელს, მეორემ კი 1653 წელს დიდი ფული მიართვეს დედა კატერინ-დე-ბარს, ბენედიქტელ მონაზონს, რომ ამ ფულით და ამ მიზნით დაეარსებინა წმინდა ბენუას წესდების მონასტერი. ამ მონასტრის დაარსების

ნებართვა დედა კატერინმა მიიღო იმ პირობით, რომ არავის მიიღებდა მონასტერში მონაზვნად, თუ თან სამასი ლივრის პენსიას არ მოიტანდა, რაც ექვსი ათას ლივრს მისცემდა მონასტერს. მერე თვით მეფემაც მისცა წყალობის სიგელი და ბოლოს, 1654 წელს მონასტრის კანონიერი არსებობა პარლამენტმა დაამტკიცა.

ეს იყო კანონიერი კურთხევა ბენედიქტური მონასტრისა და წმინდა საიდუმლოებათა მუდმივი თაყვანისცემის დასაბამი პარიზში. პირველი მონასტერი კასეტის ქუჩაზე ააშენეს ქალბატონი ბუკის და შატოვიეს შეწირული ფულით.

ამ მონასტერს ცოტა რამ განასხვავებდა სიტოულ ბენედიქტელებისაგან. იგი სენ-ჟერმენის ეკლესიიდან მომდინარეობდა, როგორც იესო ქრისტეს წმინდა გულის ქალების მონასტერი - იეზუიტებისგან და კეთილმოწყალების დანი - ლაზარელებისგან.

ძალიან განსხვავდებოდა აგრეთვე მცირე პიკპუსელებისგან, რომლის შინაგანი ცხოვრება გავაცანით მკითხველს.

1657 წელს პაპმა ალექსანდრე მეშვიდემ მუდმივი თაყვანისცემის შემოღების ნება მისცა პიკპუსის ბერნარდელებსაც, როგორც წმინდა საიდუმლოების ბენედიქტელებს. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი განსხვავება იყო ამ ორ მიმართულებას შორის.

## თავი მეთერტმეტე
## მცირე პიკპუსის ბოლო

ბურბონების აღდგენის (1815-1830) წელს მოჰყვა პიკპუსის მონასტრის დაღუპვა. როგორც სხვა ორდენებს, მასაც მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ მოეღო ბოლო. განჭვრეტა ისე, როგორც ლოცვა, კაცობრიობის მოთხოვნილებაა; მაგრამ რევოლუციამ ყველაფერი გარდაქმნა, რასაც კი ხელი შეახო; სარწმუნოებაც გარდაიქმნება და საზოგადოებრივი პროგრესის მტრის მაგივრად პროგრესის დამხმარედ შეიქმნება.

გასაოცარი სიჩქარით იცვლებოდა პიკპუსის მონასტერი. 1840 წელს მთლიანად გაქრა შეხიზნული მონაზვნების პატარა მონასტერი, გაქრა აგრეთვე პანსიონი. აღარც ბებერი მონაზვნები იყვნენ, აღარც ყმაწვილი ქალები. ბებრები დაიხოცნენ, ყმაწვილი ქალები Vოლავერუნტ - გაფრინდნენ.

მუდმივი ყთაყვანისცემის მკაცრი წესი ყველას აშინებდა: ახალი ვეღარავინ ბედავდა იქ შესვლას და მცირდებოდა მონასტერი. 1845 წელს აქა-იქ კიდევ გამოჩნდებოდა ხოლმე მორჩილი, მაგრამ მონაზვნად აღკვეცას კი ერიდებოდნენ. ამ ორმოცი წლის წინ, ასიოდე მონაზონი იყო პიკპუსში, თხუთმეტი წლის წინ კი ოცდარვაღა დარჩენილიყო. დღეს რამდენია? 1847 წელს წინამძღვრად ყმაწვილი ქალი ჰყავდათ, ორმოცი წლისაც არ იყო, უტყუარი ნიშანი, რომ ამოსარჩევი მონაზვნების რიცხვი შემცირებულიყო. მცირდებოდა მონაზვნების რიცხვი და მატულობდა დაღლა, რადგან ბევრის საქმეს ახლა ცოტანი უნდა მორეოდნენ. ახლოვდებოდა ჟამი, როდესაც თორმეტიოდეღა დარჩებოდა მონასტერში და იმათ დააწვებოდათ, დაქანცულთ და წელმოწყვეტილთ, წმინდა ბენუას მძიმე ტვირთი. ტვირთი კი უთუოდ ასაწევი იყო და იმავე სიმძიმის რჩებოდა თავისი მუშებისთვის.

მძიმე იყო, უწინ რომ ასწევდნენ, ბევრი იყვნენ, ახლა კი მის ქვეშ ისრისებოდნენ; იხოცებოდნენ მონაზვნები. იმ დროს, როდესაც ამ წიგნის ავტორი ჯერ კიდევ პარიზში

ცხოვრობდა, ორი მიიცვალა; ერთი ოცდახუთი წლისა იყო, მეორე - ოცდასამის. მასაც შეეძლო ეთქვა, როგორც იულია ალპინულამ დაიძახა: „His jaceo. Vიხი ანნოს ვიგინტი ეტ ტრეს“ - აქ განვისვენებ, ოცდასამი წლის სიცოცხლის შემდეგ.

ეს იყო მიზეზი, რომ მონასტერმა პანსიონი დახურა და შეწყვიტა ქალების აღზრდა.

ვერ შევძელით ისე გაგვევლო ამ უცნაურ, საიდუმლოებით სავსე სახლის წინ, რომ შიგ არ შევსულიყავით და თან არ შეგვეყვანა ჩვენი თანამგზავრი, რომელიც ყურს უგდებს ჟან ვალჟანის გულსაკლავ ისტორიას. ამ ისტორიის უკეთ გასაშუქებლად საჭირო იყო ამ მონასტრის ფარდის ახდა. გავიცანით ერთგვარი საზოგადოება, ძველი წესებით მომქმედი, რომლებიც ასე უცხოა დღეს ჩვენთვის. ეს გახლდათ დაკეტილი ბაღი. Hortus conclusus.

დაწვრილებით, მაგრამ პატივისცემით გავსინჯეთ იქაურობა, რამდენადაც კი შეიძლებოდა ერთად შეგვეყარა და მოგვერიგებინა წვრილმანი პატივისცემა. ბევრი რამ არის, რომ ვერ შეგვიგნია, მაგრამ შეურაცხყოფას კი არაფერს ვკადრებთ. ჩვენ თანაბარი მანძილით შორს ვდგავართ ჟოზეფ-დე-მესტრისგან, ოსანას რომ უგალობდა ჯალათს და აგრეთვე ვოლტერისგან, რომელიც აბუჩად იგდებდა ჯვარცმას.

ვოლტერის ულოგიკობა, - ესეც ვთქვათ, რაკი სიტყვამ მოითხოვა, - რადგან ვოლტერი ისევე გამოესარჩლებოდა იესო ქრისტეს, როგორც გამოესარჩლა კალასს, შვილის მკვლელს, - არ გაბედო და არ უარყო პროტესტანტიზმიო. იმათთვისაც კი, ვისაც არ სწამს ღვთაების განსხეულების, ჯვარცმა უდანაშაულო ბრძენის მოკვლაა.

კრიზისს განიცდის მეცხრამეტე საუკუნეში სარწმუნოებრივი იდეა. ბევრს ივიწყებენ ძველს და კარგსაც შვრებიან. ოღონდ ძველის დავიწყებას ახლის შეძენა უნდა მოსდევდეს. არ უნდა იყოს სიცარიელე ადამიანის გულში. ძველი ინგრევა და ძალიან კარგი, მალე დაინგრეს! მაგრამ იმ პირობით, რომ ძველის ნგრევას ახლის შენება მოჰყვეს.

მანამდე კი, შევისწავლოთ წარსულის დამახასიათებელი ნიშნები თუნდაც მარტო იმიტომ, რომ არ გავიმეოროთ უმნიშვნელო ან ხალხისთვის საზიანო შეცდომები. ხშირად გვაჩეჩებენ წარსულიდან რაიმეს, გაყალბებულს, ვითომ მომავლის დასახმარებლად. ამ მკვდარს, საფლავიდან ამოყვანილს, ხალხის გაბრიყვების მეტი აღარაფერი სწამს და ამიტომ ძალიან კარგად იცვლის თავის პასპორტს. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს და ფრთხილად ვიყოთ. წარსულს ერთი სახე აქვს - ცრუმორწმუნეობა და ერთიც ნიღაბი - პირმოთნეობა. გავაცნოთ ხალხს წარსულის სახე და ჩამოვაგლიჯოთ ნიღაბი.

რაც შეეხება მონასტერს, ძნელი გადასაწყვეტია ეს საკითხი: საკითხი ცივილიზაციის ხელშია და ცივილიზაცია უარყოფს მონასტერს. საკითხი თავისუფლების შესახებ არის და თავისუფლება მფარველობს მონასტერს.

წიგნი მეშვიდე
გაკვრით

თავი პირველი
მონასტერი, როგორც განყენებული იდეა

ეს წიგნი არის დრამა, რომლის პირველი მოქმედი პირი უსაზღვროებაა. ადამიანი მეორეხარისხოვანია.

რადგან ასეა, გზაში მონასტერი შეგვხვდა და კიდეც უნდა შევსულიყავით. რატომ? იმიტომ, რომ მონასტერი აღმოსავლეთის კუთვნილებაა ისევე, როგორც დასავლეთის. წარსულის, როგორც აწმყოსი, კერპთაყვანისმცემლობის, მაჰმადიანობის, ბუდიზმის, როგორც ქრისტიანობის, ოპტიკური ხელსაწყოა, რომლითაც ადამიანი უსაზღვროებას იკვლევს.

აქ საჭირო არ არის მეტისმეტად განვავითაროთ რომელიმე იდეა; მაგრამ, როდესაც ადამიანში უსაზღვროებას მცირედით მაინც შევხვდებით, ავად თუ კარგად შეცნობილს, პატივისცემით ვივსებით, თუმცა არც ჩვენს აზრს ვფარავთ, არც უთანხმოებას და არც აღშფოთებას. ებრაელების თორაში, მაჰმადიანების მეჩეთში, კერპთაყვანისმცემელთა სალოცავში, წითელკანიანების ვიგვამში, არის რაღაც საზიზღარი, რომელსაც ვგმობთ; და არის აგრეთვე რაღაც დიდებული, რომელსაც თაყვანს ვცემთ; დიდებული მასალა შესაცნობი და საოცნებო. ღვთის ანარეკლი ადამიანის კედელზე.

## თავი მეორე
## მონასტერი, როგორც ისტორიული ფაქტი

ისტორიის, გონებისა და ჭეშმარიტების თვალსაზრისით ბერ-მონაზვნობა განკიცხულია.

როდესაც ხალხს ბევრი მონასტერი აქვს, მიმოსვლის კვანძებად ხდებიან ეს მონასტრები, დამაბრკოლებელ დაწესებულებად, სიზარმაცის და მუქთახორობის ადგილებად, იქ, სადაც ცხარი მუშაობა უნდა იყოს გაჩაღებული. მონასტერში ჩაკეტილი კომუნა იგივეა კაცობრიობის საზოგადოებრივი კომუნისთვის, რაც ფითრია მუხისათვის და რაც მეჭეჭია ადამიანისათვის. მონასტრების გავრცელება და გაძლიერება ქვეყნის გაღატაკებას და დასუსტებას მოასწავებს. მონასტრის ყოფა-ცხოვრება სასარგებლოა ცივილიზაციის პირველ ხანებში, რომ შეამციროს მხეცური და გაავრცელოს სულიერი, ხოლო უსარგებლო და მავნებელია მოწიფულ ხალხში. გარდა ამისა, როდესაც მკაცრ წესდებას აღარ მისდევენ, მონასტერს გარყვნილება იპყრობს, მავნებლად და ხალხის დამღუპველად იქცევა სწორედ იმითვე, რითაც სასარგებლო იყო თავისი სიწმინდის დროს, - თავისი მაგალითით.

თავისი დრო მოჭამა ადამიანის ოთხკედელშუა ჩამწყვდევამ. მონასტერი სასარგებლო იყო თანამედროვე ცივილიზაციის პირველი საფეხურების გასამაგრებლად, მაგრამ მერე კი აბრკოლებდა განათლების ზრდას და განვითარებას. როგორც დაწესებულება და ადამიანის განვითარების საშუალება, მონასტერი სასარგებლო იყო მეათე საუკუნეში, სათუო იყო მეთხუთმეტეში და დასაგმობი - მეცხრამეტეში. ბერ-მონაზვნურმა კეთრმა ჩონჩხამდე ჩაატანა ორ დიდებულ ხალხს - იტალიასა და ესპანეთს, რომელთაგან ერთი საუკუნეთა განმავლობაში სინათლეს ჰფენდა და მეორე ამშვენებდა ევროპას; და თუ დღეს ცოტა სული მოითქვა ამ ხალხმა, მხოლოდ 1789 წლის ჯანსაღი და უებარი რევოლუციის შემდეგ.

მონასტერი, განსაკუთრებით ძველებური, ქალების მონასტერი, როგორიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გვხვდება იტალიაში, ავსტრიაში, ესპანეთში, არის შუა საუკუნეების უსაზიზღრესი მუწუკი. ამ მუწუკში მოგროვილია ყველა საშინელება. კათოლიკეების მონასტერი, კერძოდ ამ მონასტერს რომ შევეხოთ, გაუღენთილია სიკვდილის შავი სხივებით.

საშინელი რამ არის ესპანეთის მონასტერი. იქ არის წყვდიადში ამართული, ღრუბლით დაფარული თაღების ქვეშ, უზარმაზარი ბაბილონური სიმაღლის საკურთხეველი. დიდრონი ჯაჭვებით ჰკიდია ყველგან უშველებელი თეთრი ჯვარი და ზედ ჯვარცმული. შავი ხის ფიცარზე, მრავლად არის სპილოს ძვლის გათლილი უზარმაზარი იესო ქრისტე, რომელსაც სისხლი არ შეშრობია; იდაყვი ძვლამდე აქვს ჩაჭრილი, მუხლის ჯამი გატიტვლებული, ჩასისხლიანებული ჭრილობით, ვერცხლის ეკლის გვირგვინი აქვს, მოჭედილია ოქროს ლურსმნით, შუბლზე ლალი აყრია სისხლის წვეთებად, თვალებში ალმასი ცრემლის ცვრებად. ალმასი და ლალი სველად ეჩვენებათ და ცრემლს ჰგვრის სალოცავად მისულებს. იქ, ჩრდილში დგანან პირბადიანი ქალები. ძაძითა და რკინის ბოლოიანი მათრახით გვემულები: ძუძუები მანეულით აქვთ გულზე მიჭყლეტილი, მუხლისთავი მუდმივი ლოცვით გადაყვლეფილი. ქალები არიან, რომლებსაც ჰგონიათ სულით ქრისტენი ვართო; აჩრდილები არიან, რომლებსაც ჰგონიათ ანგელოზები ვართო. კიდევ ფიქრობენ ეს ქალები? არა. სურთ რამე? არა. უყვართ? არა. ცოცხლები არიან? არა. ნერვები ძვლებად გადაქცევიათ და ძვლები - ქვებად. ღამეა იმათი პირბადე. მათი სუნთქვა პირბადის ქვეშ სიკვდილის ტრაგიკულ სუნთქვას ჰგავს. წინამძღვარი - საფრთხობელაა - ანათლებს და აშინებს საცოდავებს. ასეთია ძველი ესპანური მონასტერი, ღვთისმოსავების საზარელი თავშესაფარი, მღვიმე უბიწო ქალებისა და საშინელი ხვრელი ბოროტად შეგნებული მცნებისა.

კათოლიკური ესპანეთი უფრო რომაული იყო, ვიდრე თვით რომი. ესპანური მონასტერი ითვლებოდა ნამდვილ კათოლიკურად. აღმოსავლეთს მოგაგონებდათ. მთავარეპისკოპოსს, ზეცის ყიზლარ-აღას, დაკეტილი ჰქონდა ეს ჰარამხანა ასულებისა, რომლებსაც ღმერთს უმზადებდა. მონაზონი ცოლი იყო და მღვდელი - საჭურისი. გულმოდგინე მონაზვნებს ირჩევდა ღამით ქრისტე და ისინიც ტკბებოდნენ ქრისტეს სიყვარულით. ღამე მშვენიერი ყმაწვილი კაცი ჩამოდიოდა ჯვარცმიდან და ნეტარებით ავსებდა სენაკს. მაღალი კედლები იფარავდნენ ყოველგვარი ცოცხალი ვნებისაგან ქალბატონს, რომელსაც ჯვარცმული ჰყავდა თავის ხონთქარად. გარეთ გახედვაც კი ღალატად ეთვლებოდა. ტყავის ტომრის მაგივრად „in-pace“ - საკანი მონასტრების მუდმივი პატიმრებისთვის იყო; იმას, რასაც აღმოსავლეთში ზღვაში ყრიდნენ, დასავლეთში მიწაში ფლავდნენ. ხელებს იმტვრევდნენ ქალები იქაც და აქაც: იქ ზღვის ტალღა მოელოდათ და აქ შავი მიწა. იქ დამხრჩვალები და აქ დამარხულები. საზარელი, მაგრამ სრული პარალელიზმია!

დღეს წარსულის მომხრეებმა, რაკი არ შეუძლიათ ამის უარყოფა, სხვა ხერხს მიმართეს, - სიტყვას ბანზე აგდებენ და იღიმიან; მოდად შემოიღეს ერთგვარი ხელსაყრელი და უცნაური უარყოფა ისტორიის მიერ გამომჟღავნებული ფაქტების, შესუსტება ფილოსოფიური დასკვნების, გაბათილება წარსულის სამარცხვინო სახსოვრებისა და გამოურკვეველი საკითხებისა. - კარგი მასალაა დეკლამაციისათვის, - გაიძახიან ვერაგული სიცილით; - დეკლამაცია არისო, - იმეორებენ მიამიტები. მაშ

ჟაკ-რუსოც დეკლამატორი ყოფილა, დიდროც, ვოლტერიც, კალასს რომ გამოექომაგა? ლაბარიც, რომელსაც თავი მოსჭრეს, - ჯვარცმა რად გასჭერიო? სირვენიც, რომელსაც თავი მოსჭრეს, - რად დაუშალე შენს ასულს კათოლიკობაო? - აღარ მახსოვს, ვიღაც ამტკიცებდა ამას წინათ, რომ ტაციტუსი დეკლამატორი იყო, ნერონი - წამებული და სწორედ შესაბრალისი იყო „საცოდავი, ივდითის ოლოფერნიო“.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და თავისას არ იშლის. ამ წიგნის ავტორმა თავისი თვალით ნახა, ბრიუსელის ახლოს, სულ ოცდათორმეტი კილომეტრის მანძილზე, სადაც ყველას შეუძლია იხილოს საშუალო საუკუნეების, სახელდობრ, ვიეს სამწყსოში ცოცხალთა დასამარხავად გათხრილი ორმოები იმ ადგილზე, სადაც უწინ მონასტერი იყო აშენებული, მდინარე დილის ნაპირზე კიდევ ოთხი ქვის საპატიმრო, ნახევრად წყალქვეშ და ნახევრად მიწის ქვეშ მოქცეული. ეს იყო ცოცხალთა დამარხვა და თან ლოცვა, - განუსვენეო. - ამ ორმოებს ჯერ კიდევ შერჩენოდა რკინის კარი, ფეხის ადგილი და მოაჯირიანი სარკმელი, რომელიც გარედან წყლის დონეზე ნახევარი მეტრით ზევით არის, და შიგნიდან ოთხი მეტრით მიწაზე ზევით. მეტრ-ნახევარი სიმაღლის კედელი გარედან წყალშია. მიწა წყლით არის გაჟღენთილი. ამ სველ მიწაზე ეყარნენ დამწყვდეულები. ერთ ორმოში ჯერაც დარჩენილიყო რკინის საყელურების ნატეხი, რომელიც ჯაჭვით არის კედელში ჩაბმული, მეორეში - გათლილი ქვის ერთი ყუთი. მეტად მოკლე, რომ შიგ ჩაწვეს კაცი და მეტად დაბალი, რომ ადგეს. შიგ ჩასვამდნენ კაცს და ზემოდანაც გათლილ ქვას დააფარებდნენ. ყველა უყურებდა და სინჯავდა. ესეც „in-pace“ არის. ეს ორმო, ეს რკინის საბამი, ეს ჯაჭვი, ეს მაღალი სარკმელი, რომლის ძირშიც გარბის მდინარე, ეს კლდის ყუთი თავისი სახურავით, ეს კუბო. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ დამარხული ცოცხალი იყო და არა მკვდარი. მაშ ესეც დეკლამაციაა?

## თავი მესამე
## რა პირობით შეიძლება წარსულის პატივისცემა

ის მონასტერი, რომელიც ესპანეთში არსებობდა და რომელიც ტიბეტში არსებობს, ცივილიზაციის ერთგვარი ჭლექია, შეეყრება და მაშინვე მოსპობს სიცოცხლეს, მუსრავს ხალხს. მონასტერში ჩაკეტვა იგივე დასაჭურისებაა, რომელიც ჭირად მოედო ევროპას. მიუმატეთ ამას სინდისის ძალდატანება; რწმენის დაძალება; ფეოდალიზმი, რომელიც თავისი ბატონობის გასაძლიერებლად იმსახურებდა მონასტერს; ბატონი, რომელიც მონასტერში ალპობდა, ვინც ზედმეტად მიაჩნდა ოჯახის კეთილდღეობისთვის; ის საშინელებები, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ; ცოცხლების დამარხვა, პირზე კლიტე, რომ ხმა არ ამოეღოთ; ჩაკეტილი ტვინი, რომ ფიქრი არ გაებედათ; ბერად ან მონაზვნად აღკვეცა, - ესე იგი, ცოცხალი სულის დასაფლავება. დაუმატეთ ეროვნების დაცემას პირადი სულის ქეჯნა და თრთოლა მოგერევათ, ვინც უნდა იყოთ, რომ წარმოიდგენთ ამ ანაფორას და პირბადეს, ორ სუდარას, ადამიანის მიერ ცოცხალთათვის გამოგონილს.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად ფილოსოფიის და პროგრესისა, ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეში ცოცხლების აკლდამა და ქვეყანას აკვირვებს ხელახლა წამომდგარი ასკეტიზმი. ეს დაჟინება მიმკვდარებული

დაწესებულებისა, - ვარ და ვემსახურები ადამიანსო, - აშმორებული საპკურის გაჯიუტებას ჰგავს, რომელიც ჩაგვციებია, - მოწიე თავი, რომ თმას ვეპკუროო, - აყროლებული თევზის სურვილს, - შემჭამე, რომ გემრიელი იგემოო, - ბავშვის ტანისამოსის ახირებას, - ახლა ვაჟკაცმა ჩამიცვასო, - და ცხედრის სურვილს, რომელიც აღდგება, რომ ცოცხლებს უალერსოს.

- თქვე უმადურებო! - იტყვის ბავშვის ტანისამოსი, - ავდარში რომ მიცვამდით, რატომ კარგ დარში კი აღარ გინდივართო?

- ზღვის გულიდან ვარო, - იტყვის თევზი.

- მაისის ვარდი ვიყავიო, - იტყვის საპკური.

- მე მიყვარდითო, - იტყვის მკვდარი.

- მე გაგანათლეთო, - იძახის მონასტერი.

ერთი პასუხი აქვს ამას:

- ოდესღაც.

შეშლილის ოცნებას ჰგავს წადილი, - უსაზღვროდ განვაგრძოთ მკვდარი დაწესებულების სიცოცხლე და ადამიანთა საზოგადოების შემუსვრით მართვა: ხავსმოკიდებული საზოგადოებრივი კანონების აღდგენა, ლუსკუმის ოქროსფრად შეღებვა, ხელახლა შელესვა მონასტრის, ხელახლა კურთხევა წმინდა ნაშთების, განახლება ცრუმორწმუნეობის, განცხოველება ფანატიზმისა, შეკეთება დამტვრეული ხმლისა, გარდაქმნა ბერ-მონაზვნების და მილიტარიზმისა, რწმენა, რომ საზოგადოებას იხსნის პარაზიტების გამრავლება, ბრძანება აწმყოსადმი, - წარსულით იხელმძღვანელეთ! - და სავალალო ის არის, რომ არსებობენ თეორეტიკოსები, რომელნიც იცავენ ამ აზრებს. ამ თეორეტიკოსებს, ჭკვიან-განათლებულებს, ერთგვარი, ძალიან მარტივი მოსაზრება აქვთ; წარსულს ახალ ფარდაში ახვევენ, რომელსაც საზოგადოებრივ წესწყობილებას უწოდებენ - ღვთის ბრძანებას, - და მას უმორჩილებენ ზნეობას, ოჯახს, წინაპართა პატივისცემას, ძველებურ მთავრობას, წმინდა ტრადიციებს, კანონიერებას, სარწმუნოებას; და გაჰყვირიან, - აი, ხალხო, ეს არის თქვენთვის საჭირო! - ამ მოსაზრებით ძველი დროებაც სარგებლობდა; ულუკებიც მაგასვე ხმარობდნენ: - ცარცს წაუსვამდნენ შავ ბოჩოლას და იძახდნენ: - თეთრია, თეთრი! - ბოს ცრეტატუს ცარცით გათეთრებული ხბო!

რაც შეეხება ჩვენს აზრს, ჩვენ პატივისცემით ვუყურებთ წარსულს და ვზოგავთ კიდეც, ოღონდ იგი უნდა დაგვეთანხმოს, რომ მკვდარია. და თუ ნებავს, რომ ცოცხალი იყოს, შევებრძოლებით და ვეცდებით ანდერძი ავუგოთ.

ცრუმორწმუნეობა, ფარისევლობა, პირმოთნეობა - სულ მატლებია, მაგრამ ეს მატლებიც მაგრად ებღაუჭებიან სიცოცხლეს, კბილიც კარგი აქვთ და ბრჭყალებიც მახვილი თავიანთ ნეხვში. უნდა შევებრძოლოთ, რომ გავსრისოთ, მოვსპოთ და ვებრძოლოთ შეუწყვეტლივ, რადგან ეს არის ბედისწერა კაცობრიობისა, - მუდმივად ებრძოლოს აჩრდილებს, ვინაიდან მათი ხელში ჩაგდება და მოსპობა მეტად ძნელია.

მონასტერი საფრანგეთში მეცხრამეტე საუკუნის შუაგულში მზეზე გადმოდგმული ჭოტების ბუდეა. მონასტერი, ასკეტიზმით შეპყრობილი, იმ ქალაქში, რომელმაც წარმოშვა 1789 წლის, მერე 1830 და 1848 წლების რევოლუციები, თითქოს რომი აყვავებულიყოს. პარიზში არის შეუწყნარებელი ანაქრონიზმი. ჩვეულებრივ პირობებში რომ ვიყოთ, ანაქრონიზმის შესასწორებლად და მოსასპობად საკმარისი იქნებოდა

გვესწავლა წლების თვლა. მაგრამ რას იზამთ, ჩვეულებრივ პირობებში რომ არ ვართ?

ამგვარად, ვიბრძოლოთ.

ვიბრძოლოთ, მაგრამ გარჩევით. ჭეშმარიტება იმით განირჩევა, რომ ის არ არის გადაჭარბებული, ან რად უნდა სჭირდებოდეს გადაჭარბება? მრავალი არის დასანგრევი და მოსასპობი და მრავალი არის გასაშუქებელი და შესასწავლი. საჭიროა მიუკერძოებელი გარჩევა. ნუ შევიტანთ ცეცხლის ალს იქ, სადაც სინათლეც კმარა.

მაშ, რაკი მეცხრამეტე საუკუნემ ბევრი რამ შეგვძინა, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მონასტრული ასკეტიზმისა, სადაც არ უნდა იყოს იგი, აზიაში იქნება თუ ევროპაში, ინდოეთში თუ ოსმალეთში. მონასტერი იგივე ჭაობია. ცხადია, რომ დალპა მონასტერი, შავბნელი ხავსი მოეკიდა, დალპა და აავადებს ხალხს. მონასტრების გამრავლება ქვეყნისათვის დამღუპველი სენია. გულისწუხილით ვიგონებთ იმ ქვეყნებს, სადაც ჯერაც მატლებივით ფუთფუთებენ ინდოეთში მთხოვარი ბერები, ფაკირები, ჩინეთში ბერი ბონზები, ოსმალეთში სანტონები, საბერძნეთში კალუერები, სიამში ტალაპუამები, მაჰმადიანებში მარაბუტები და დერვიშები.

რაც შეეხება სარწმუნოებას, სარწმუნოება არსებობს. ამ საკითხს ბევრი რამ აქვს საიდუმლო, თითქმის საშიში. მაშ, ნება გვიბოძონ, მას მივუახლოვდეთ.

## თავი მეოთხე
## მონასტერი პრინციპის თვალსაზრისით

შეერთდა რამდენიმე კაცი და კომუნად ცხოვრობენ. რა უფლების ძალით? ასოციაციის უფლების.

შეერთდნენ და კარი ჩაიკეტეს. რა უფლების ძალით? იმ უფლების ძალით, რომელიც ყველას აქვს, თავის ნებაზე გააღოს და დაკეტოს თავისი კარი.

ჩაიკეტეს კარი და აღარ გამოდიან. რა უფლების ძალით? იმ უფლების ძალით, რომლითაც ადამიანი გადის თავის სახლიდან და უკანვე ბრუნდება; მაშასადამე, შეუძლია სულ შინ იჯდეს, კარჩაკეტილი.

და იქ, შინ რომ სხედან, კარჩაკეტილნი, რას აკეთებენ?

ჩუმად ლაპარაკობენ; თვალით მიწას დასცქერიან: მუშაობენ, უარყოფენ ქვეყანას, ქალაქს, გრძნობიერებას, სიამოვნებას, ამაოებას, ამპარტავნებას, პირად სარგებლობას; სადა ტანისამოსი აცვიათ, ხამი ტილოსი ან მაგარი მატყლის. არც ერთ მათგანს არ აქვს პირადი საკუთრება. იქ რომ შედის, მდიდარიც რომ ყოფილიყო, ღარიბი ხდება; რაც რამ ჰქონდა, ყველას მიართვა. იქ რომ შედის, დიდებულიც რომ ყოფილიყო, თავადი, აზნაური, იმის თანასწორი ხდება, ვინც იქ შესვლამდე გლეხი იყო; სენაკი ერთგვარია ყველასთვის; ყველა ერთნაირად აღიკვეცება; ერთნაირი ანაფორით არიან მოსილნი და ერთსა და იმავე შავ პურს სჭამენ, ერთსა და იმავე ჩალაზე წვანან და ერთსა და იმავე ფერფლზე კვდებიან. ერთი და იგივე გუდა ჰკიდია ყველას ზურგზე, ერთი და იგივე თოკი - წელზე. თუ დადგენილია ფეხშიშველა სიარული, ფეხშიშველნი დადიან ყველანი. შეიძლება პრინცი იყოს იმათში; ეს პრინციც ისეთივე ჩრდილია, როგორიც სხვები. ტიტული გაქრა, გვარიც კი აღარ იხსენება. სახელის მეტი აღარა შერჩენიათ რა. თავმოხრილნი არიან ყველანი ნათლობის სახელის თანასწორობის წინაშე. დაარღვიეს ხორციელი ოჯახი და თავიანთ კომუნაში

შექმნეს სულიერი ოჯახი. ნათესავი აღარავინ ჰყავთ, გარდა ყველა ადამიანისა. ღარიბებს ემსახურებიან, ავადმყოფებს უვლიან, თვითონვე ირჩევენ იმათ, ვისაც ემორჩილებიან. ერთმანეთს უხმობენ: - ძმაო.

შემაჩერებთ, ვხედავ, და ვბრძანებთ:

- იდეალურია ეს მონასტერი.

შესაძლებელია ასეთი კომუნა და ამიტომ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

ამიტომ იყო, წინანდელ წიგნში, მცირე პიკპუსში, პატივისცემით აღვწერდი მონასტერს. ჩამოვიშოროთ შუა საუკუნეები, ჩამოვიშოროთ აზია, ნუ შევეხებით საკითხს ისტორიისა და პოლიტიკის მხრივ. ფილოსოფიურად რომ გავნსაჯოთ, მებრძოლი პოლიტიკის საჭიროებათა გარეშე, თუ მონასტერი აბსოლუტურად ნებაყოფლობითი იქნება და თავისი სურვილით ეწევა მსახურებას, ასეთ კარჩაკეტილ კომუნას მე ყოველთვის დიდი ყურადღებით ვუცქერი. სადაც საზოგადოებრიობაა, კომუნაც იქ არის, და სადაც კომუნაა, იქ უფლებაც არის. მონასტერი ნაწარმი არის ფორმულისა: თანასწორობა, ძმობა. ოჰ, რა დიდებულია თავისუფლება! და რა ბრწყინვალეა ეს გარდაქმნა! თავისუფლებაც იკმარებს, რომ მონასტერი რესპუბლიკად გარდაიქმნას.

განვაგრძოთ.

ის კაცები, ის ქალები, რომლებიც ამ ოთხკედელშუა იმყოფებიან, სადად არიან მოსილნი, სრულიად თანასწორნი, ერთმანეთს ძმებად სთვლიან. ძალიან კარგი. მაგრამ სხვა საქმეც აქვთ რამე?

დიახ.

რა საქმე?

ზეცას შესცქერიან, მუხლს იყრიან, გულხელს იკრეფენ.

ეს რას ნიშნავს?

## თავი მეხუთე - ლოცვა

ევედრებიან.

ვის?

ღმერთს.

რას ნიშნავს სიტყვა - ვედრება ღვთისა?

არის თუ არა უსაზღვრო ჩვენს გარეთ?

მუდმივი არის ეს უსაზღვრო, უცვლელი, უთუოდ არსებითი, რადგან უსაზღვროა და, მასალა რომ არ ჰქონდეს, ხომ მოსაზღვრულიღა იქნებოდა. აღძრავს თუ არა ეს ჩვენში უსაზღვრო იდეას არსისას, როდესაც ჩვენში მხოლოდ არსებობის იდეას ვპოვებთ? სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, განა აბსოლუტური არ არის უსაზღვრო, რომლისაც ჩვენ მხოლოდ შესაბამი ვართ?

და თუ არსებობს უსაზღვრო ჩვენ გარეშე, განა ჩვენში კი არ არის იგივე უსაზღვრო! განა არ ფარავს ერთმანეთს ეს ორი უსაზღვრო? განა არ არის მეორე უსაზღვრო პირველის ქვემომდევნო? განა მეორე უსაზღვრო პირველის სარკე არ არის, მისი ანარეკლი, მისი გამოხმობა, კონცენტრული უფსკრული უსაზღვრო მეორე უფსკრულისა? და ეს მეორე უსაზღვრო, ისიც გონიერია, როგორც პირველი? ფიქრობს ეს მეორე უსაზღვრო? ხედავს? უყვარს? და თუ ეს ორი უსაზღვრო გონიერია, მაშ თავისი სასურველი პრინციპი აქვს ერთსაც და მეორესაც, და,

მაშასადამე, არსებობს ერთი „მე“ ზეციურ უსაზღვროში და არსებობს ერთი „მე“ ქვეყნიურ უსაზღვროში. „მე“ ქვეყნიური არის სული. „მე“ ზეციური არის ღმერთი.

ქვეყნიური უსაზღვრო თავის ფიქრით რომ შეეხება ზეციურ უსაზღვროს, ამას ჰქვია ვედრება ღვთისა.

ნურაფერს ჩამოვაცლით ადამიანის გონებას. მავნებელია რაიმეს მოსპობა. საჭიროა შეკეთება და გარდაქმნა. ადამიანის ზოგი ნიჭი შეუცნობლისკენ, ღვთისკენ არის მიმართული; ფიქრი, ოცნება, ლოცვა. შეუცნობელი ოკეანეა. რა არის სინდისი? სინდისი შეუცნობლის კომპასია. ფიქრი, ოცნება, ლოცვა - ეს არის სულის დიდებული, საიდუმლოებრივი გასხივოსნება. მაშ თაყვანი ვცეთ მათ. საით მიისწრაფის ეს წმინდა შუქი სულისა? ჩრდილში ქრება და, მაშასადამე, სინათლისკენ მიისწრაფის.

დემოკრატიის სიდიადე იმაშია, რომ არაფერს უარყოფს და არაფერს უგულებელყოფს კაცობრიობისას. ადამიანის უფლებებთან ერთად, მათ გვერდით მაინც, არის აგრეთვე სულის უფლებები.

აღმოვფხვრათ ფანატიზმი და თაყვანი ვცეთ უსაზღვროს, - ეს არის კანონი. ნუ ვიკმარებთ მუხლმოყრას ქვეყნის შემქმნელის წინაშე და მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა ციალით ტკბობას. ნუ ვუღალატებთ ჩვენს მოვალეობას; უნდა გავწმინდოთ ადამიანის სული, დავიფაროთ საიდუმლო სასწაულისგან, ვაღმერთოთ შეუცნობელი, განვდევნოთ აბსურდი, გავწმინდოთ მრწამსი და ჩამოვაცილოთ სარწმუნოებას დრომოჭმული ცრუმორწმუნეობა; ჩამოვაცილოთ ღმერთს მატლი.

## თავი მეექვსე
## ლოცვის უებარი სიკეთე

რაც შეეხება ლოცვის წესს, ყველა კარგია, ოღონდ გულწრფელი იყოს. თუნდაც თავდაყირა გეჭიროთ თქვენი ლოცვანი, ოღონდაც კი უსაზღვროსთან იყოთ.

არსებობს ერთგვარი ფილოსოფია, რომელიც დაუსრულებლობას უარყოფს. ისეთი ფილოსოფიაც არის, რომელიც მზეს უარყოფს. ამ ფილოსოფიას, რომელიც პათოლოგიას ეკუთვნის, სიბრმავე ეწოდება.

სასაცილოა ის ზვიადობა, თავმომწონე სიამაყე და სიბრალული, რომლითაც იჟღინთება ეს ბრმა ფილოსოფია, ღვთისმორწმუნე ფილოსოფიას რომ შეეხება. გეგონებათ, გაჯავრებული თხუნელაა და იძახის: როგორ მებრალებიან თავიანთი მზითო.

არიან ასევე, ეს კარგად ვიცით, სახელოვანი, ძლევამოსილი ათეისტები. მათ თავიანთი სიძლიერით მიაგნეს ყოველგვარ მართალს და არც მთლად დარწმუნებულნი არიან, რომ ღმერთი არ სწამთ. მათთან კამათში ეს არის განმარტების საკითხი და, ბოლოს და ბოლოს, თუ დიდებული გონების პატრონებს ღმერთი არ სწამთ, თავიანთი გონის სიდიადით ამტკიცებენ ღვთის არსებობას.

მივესალმეთ მათ, როგორც ფილოსოფოსებს და ძირითადად უარვყოფთ იმათ ფილოსოფიას.

განვაგრძოთ.

საყურადღებოა აგრეთვე ის გულუბრყვილოდ აღტაცება სიტყვებით. ერთმა ნისლით მოცულმა ჩრდილოეთის მეტაფიზიკურმა მიმართულებამ, წარმოიდგინა -

რევოლუცია მოვახდინე ადამიანის აზროვნებაში იმით, რომ სიტყვა „ძალის“ მაგივრად „ნება“ ვიხმარეო.

„მცენარეს ნებავს“, ასე რომ ვთქვათ „მცენარე იზრდებას“ ნაცვლად, მართლა კარგი იქნებოდა, თუ დაუმატებენ აგრეთვე „ქვეყნიერებას ნებავსო“. რატომ? იმიტომ, რომ ცხადი იქნებოდა დასკვნა: მცენარეს ნებავს, მაშ ქვეყნიერებასაც თავისი „მე“ ჰქონია. ესე იგი ღმერთი.

ჩვენ რომ გვკითხონ, თუმცა იმ მიმართულების მოღვაწეებივით აპრიორულად არაფერს უარვყოფთ, მაინც ვიტყვით: ამ მიმართულების მიერ მიღებული ნება მცენარეში უფრო ძნელი და დასაშვებია, ვიდრე ნება ქვეყნიერებაში, რასაც უარყოფს ეს სკოლა.

უარყოფა უსაზღვრო ნების, ესე იგი ღვთის, შეუძლებელია, რადგან ეს იქნება უარყოფა თვით უსაზღვროსი. ეს უკვე აღვნიშნეთ.

უსაზღვროს უარყოფა უშუალოდ ნიჰილიზმამდე მიიყვანს კაცს. იქ აზროვნების შედეგად ითვლება ყველაფერი.

ყოვლად შეუძლებელია ნიჰილიზმთან კამათი, რადგან, თუ თავისი ლოგიკა შერჩენია ნიჰილისტს, ეჭვი უნდა ჰქონდეს, - არსებობს თუ არა ჩემი მოკამათეო? - და არც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ თვითონ არსებოს.

მისი თვალსაზრისით, შეიძლება მართალიც იყოს, რომ ნიჰილისტი თავისთვის მარტო აზროვნების შედეგია და სხვა არაფერი.

ოღონდ იმას კი ვერ ამჩნევს, რომ რასაც უარყოფს, ყველაფერს არსებულად აღიარებს, თუნდაც მარტო იმით, რომ წარმოთქვამს სიტყვას - აზროვნებს.

საერთოდ კი, არც ერთ გზას არ აძლევს აზროვნებას ის ფილოსოფია, რომელსაც ყველაფერი ერთ ორმარცვლიან სიტყვამდე, „არა“-მდე მიუხვეტია.

„არას“ ერთადერთი პასუხი აქვს: ჰო.

ნიჰილიზმს მნიშვნელობა არ აქვს.

„არარა“ არ არსებობს, ნული არ არსებობს, რაღაც არის ყველაფერი.

ადამიანი თავისი რწმენით უფრო ცოცხლობს, ვიდრე პურით.

არ კმარა, რომ ხედავდე და აჩვენებდე. ფილოსოფია მოქმედი უნდა იყოს, თავის მიზნად და შედეგად ადამიანის განვითარება უნდა ჰქონდეს. სოკრატე უნდა შეერწყას ადამს, რათა შექმნას მარკუს ავრელიუსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბედნიერების მაძიებელი ადამიანი სიბრძნის მაძიებლად შეცვალოს; სამოთხე სასწავლებლად შეუცვალოს. მეცნიერება წამლად და ნუგეშად გაუხადოს. ცხოვრებით ტკბობა! ადამიანის რა სამწუხარო მიზანია და რა ბეჩავი მისწრაფება! მხეციც ტკბება სიცოცხლით. აზროვნება, - აი სულის ჭეშმარიტი გამარჯვების ზეიმი. აზროვნება განუვითარეთ მოწყურებულებს, უებარ წამლად მიაწოდეთ ღვთის შემეცნება, დააძმობილეთ მათში სინდისი და ცოდნა და ამ იდუმალი შედეგების წყალობით სამართლიანობა ჩაუნერგეთ ბოროტ ადამიანს. აი ჭეშმარიტი ფილოსოფიის ნამდვილი დანიშნულება. ზნეობა ჭეშმარიტების გაშლა და აყვავებაა. განჭვრეტას მოღვაწეობისკენ მიჰყავს ადამიანი, აბსოლუტური პრაქტიკულადაც უნდა გამოიყენებოდეს. ადამიანის სული იდეალით უნდა სუნთქავდეს, მას სვამდეს, იმით იკვებებოდეს, ამ იდეალს ექნება უფლება თქვას: - მიიღეთ და ჭამეთ, ესე არის ხორცი ჩემი და ესე სისხლი ჩემი. - სიბრძნე არის წმინდა ზიარება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსპობს თავის უნაყოფო სიყვარულს მეცნიერებისადმი, და

გახდება ადამიანთა ერთობის ერთადერთ საშუალებად; როდესაც ფილოსოფია იქცევა სარწმუნოებად.

ფილოსოფია საიდუმლოზე აშენებული შვერილი კი არ უნდა იყოს, რომ შეჰყურებდეს და სინჯავდეს ხალხი, არამედ ერთადერთი საბოლოო მიზნით აშენებული, რომ ადვილად მისაწვდომი იყოს ცნობისმოყვარეთათვის.

ჩვენი აზრის განვითარებას შემდეგისთვის გადავდებთ: აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ვერ წარმოგვიდგენია ადამიანი, როგორც ამოსავალი წერტილი და პროგრესი - საბოლოო მიზანი, თუ თან არ ახლავთ ეს ორი მამოძრავებელი ძალა - სარწმუნოება და სიყვარული.

პროგრესი მიზანია, იდეალი კი - ტიპი.

რა არის იდეალი?

იდეალი ღმერთია.

იდეალი, აბსოლუტი, გაუმჯობესება, უსაზღვრო - ერთმნიშვნელოვანი სიტყვებია.

## თავი მეშვიდე
## გაკიცხვაც სიფრთხილით უნდა

ისტორიას და ფილოსოფიას სამარადისო და ამავე დროს, მარტივი ვალდებულებები აქვთ: უნდა დაგმონ მღვდელთმთავარი კაიაფა, მსაჯული დრაკონი, კანონმდებელი ტრიმალქიონი, იმპერატორი ტიბერიუსი, ეს ნათელია, პირდაპირი და უეჭველი, რომელიც არავითარ ბუნდოვანებას არ იწვევს. მაგრამ განმარტოებულად ცხოვრების უფლება, თუნდაც უვარგისი და ცდომილი, მაინც სიფრთხილით უნდა იყოს მოხსენებული. განდეგილობა - კაცობრიობის გადასაჭრელი საკითხია.

როდესაც ლაპარაკობენ მონასტრის შესახებ, სადაც თავი მოუყრია შეცდომას, მაგრამ უმანკოებას; ცდომილებას, მაგრამ გულწრფელ სურვილს; უვიცობას, მაგრამ თავის გაწირვას; ტანჯვას, მაგრამ მარტვილობას, თითქმის ყოველთვის მოწონებაც ისმის და გაკიცხვაც.

მონასტერი შეუსაბამობაა: მიზნად გადარჩენა აქვს, საშუალებად თავგანწირულება. მონასტერი უაღრესი ეგოიზმია, რომლის ნაყოფიც პირადის უარყოფაა.

პირადულის უარყოფა გამეფების მიზნით - აი დევიზი მონასტრისა.

მონასტერში იტანჯებიან, რომ გაიხარონ; თამასუქი მიუღიათ სიკვდილისგან, - ვალს იქ გადაგიხდითო; საქაოს ბნელში იხვეჭენ საიქიოს სინათლეს; ჯოჯოხეთს იმის გირაოდ იღებენ, რომ სამოთხეში ერგებათ მემკვიდრეობა.

მონაზვნის პირბადე და ბერის ანაფორა თვითმკვლელობაა, რომლის ფასადაც მარადისობა მოიპოვება.

არ გვგონია, დასაშვები იყოს ამგვარ საკითხში თუნდაც სულ მცირე დაცინვა. აქ ყველაფერი სერიოზულია, ავიც და კარგიც.

მართალი კაცი წარბს შეიჭმუხნის, მაგრამ დაცინვით კი თავის დღეში არ იღიმება. აქ ბუნებრივია აღშფოთება და არა დაცინვა.

## თავი მერვე
## სარწმუნოება და კანონი

კიდევ რამდენიმე სიტყვა.

ვკიცხავთ ეკლესიას, როდესაც ვერაგობით არის გაუღენთილი, ვგმობთ სულიერს, რომელიც დროებითით ხარბად ტკბება, მაგრამ ყოველთვის პატივს ვცემთ მოაზროვნე კაცს.

პატივს ვცემთ მუხლმოდრეკილს.

სარწმუნოება საჭიროებაა ადამიანისთვის; ვაი მას, ვისაც არა სწამს რა!

უსაქმურად არ უნდა მიგვაჩნდეს ადამიანი, როდესაც ფიქრებით არის გატაცებული. არის შრომა ხილული და შრომა უხილავი.

შეცნობა ხვნა არის და ფიქრი - მოქმედება. გულზე დაკრეფილი ხელი შრომობს, შეერთებული ხელი ქმნის. ზეცისკენ მიპყრობილ თვალსაც აქვს თავისი ქმნილება.

უძრავად იყო თალესი ოთხი წლის განმავლობაში და მან დააფუძნა ფილოსოფია.

ჩვენი შეხედულებით ერთად მცხოვრები ბერები არ არიან უსაქმურები და არც განდეგილები არიან მუქთახორები. აჩრდილზე ოცნება - სერიოზული საქმეა.

ნათქვამიდან არაფერს შევცვლით და არც უარვყოფთ, მაგრამ ვიტყვით, რომ ძალიან მოუხდება ადამიანს სიკვდილის მუდმივი ხსოვნა. ამ მხრივ სრულ თანხმობაში არიან მღვდელი და ფილოსოფოსი. - სიკვდილი არის ჩვენი ბოლო, - მღვდელი ტრაპი ასე პასუხობს აძლევს ჰორაციუსს.

ბრძენს აქვს ეს მოთხოვნილება, თავის სიცოცხლეს ცოტა საფლავისასაც ურევს და ეს არის ასკეტის მცნება, ამ მხრივ ასკეტი და ბრძენი ერთად არიან.

არის წარმატება ნივთიერი; არის და გვინდა კიდეც. არის აგრეთვე წარმატება ზნეობრივი; არის და გვახარებს.

იჩქარებს, ვინც დაუფიქრებლად წამოიძახებს:

- რა საჭიროა ეს უძრავად გაშეშებული ბერ-მონაზვნები, ზეცას რომ შეჰყურებენ? რისი მაქნისები არიან?

ვაი, რომ წყვდიადით ვართ გარემოცულნი და წყვდიადიღა მოგველის! ვაი, რომ არ ვიცით, რას გვიქადის ჩვენი მომავალი ცხოვრება! და ამიტომ ვაძლევთ პასუხს: - იქნებ არავითარი შრომა არ იყოს ისე წმინდა, როგორც წმინდაა ამ მლოცველთა დგომა. და დავუმატებთ: იქნებ არც იყოს ასე სასარგებლო სხვა რამე შრომა.

უნდა იყვნენ ყოველთვის მლოცველნი იმათთვის, ვინც არასდროს არ ლოცულობს.

ჩვენთვის, ამ საკითხში უმთავრესი არის რაოდენობა ფიქრისა, რომელიც ლოცვას ერთვის.

მლოცველი ლაიბნიცი დიდებულია: თაყვანისმცემელი ვოლტერი მშვენიერია. Deo erexit Vოლტაირე.

ჩვენ ვიცავთ სარწმუნოებას სარწმუნოების წინააღმდეგ.

ჩვენც იმათ ვეკუთვნით, რომელთაც სწამთ ლოცვითი მეტყველების არარაობა და ვედრების სიდიადე.

მაგრამ ჩვენს დროში, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, არავითარ კვალს არ დაამჩნევს მეცხრამეტე საუკუნეს; იმ დროს, როდესაც თავდაღუნულია ყველა სულითაც და ხორცითაც; როდესაც სიცოცხლის იდეალად ლხინი და დროსტარება გამხდარა და ხანმოკლე სიამოვნების მეტი არავის არაფერი აგონდება, პატივსაცემად მიგვაჩნია ყველა, ვინც განდეგილობას ირჩევს. მონასტერი თვით განდგომაა,

თავგანწირულებაა, თუნდაც შემცდარი, მაინც თავგანწირულებაა. ვალდებულებად რომ გაიხდის ადამიანი საშინელ ცდომილებას, ამასაც ახლავს თავისი სიდიადე.

ყოველმხრივ რომ გავსინჯოთ მონასტერი და გამოვარკვიოთ ყოველი მისი ღირსება და ნაკლოვანება, უნდა ვაღიაროთ, რომ მონასტერი, ცხოვრების უკეთურობისგან გაქცეულთა თავშესაფარი, მეტადრე ქალების მონასტერი, რადგან ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მეტად ქალი არის ტანჯული, წარმოადგენს ერთგვარ პროტესტს. და ქალების მონასტერი ამ მხრივ უფრო დიდებულია, ვიდრე მამაკაცებისა.

ეს კარჩაკეტილი არსებობა, ასე მკაცრი და სევდიანი, უკვე ვისაუბრეთ წინა თავებში, სიცოცხლე არ არის, რადგან თავისუფლება არ არის, არც სიკვდილია, რადგან არ არის სრული განსვენება; ეს არის რაღაც უცნაური ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს, როგორც მაღალი მთის ქედიდან, ერთი მხრივ უფსკრული, რომელშიც ადამიანი იმყოფება, და მეორე მხრივ უფსკრული, რომელიც ადამიანს ელოდება. ერთი მაღალი, ვიწრო ქედია ამ უფსკრულებს შორის, მოღრუბლული ქედი, სააქაოს და საიქიოს შუა აღმართული. ერთიც და მეორეც თავისებურად აწვდის სინათლეს და წყვდიადს ამ საზღვარს; სიცოცხლის მიხრწნილი სხივი უერთდება სიკვდილის ბნელ სხივს. ეს არის სამარის მკრთალი ჩრდილი.

ჩვენ არ გვწამს ის, რაც სწამთ ამ ქალებს, მაგრამ მათსავით სარწმუნოებით ვცხოვრობთ და ყოველთვის წმინდა, ტკბილი შიშით და შურიანი შებრალებით ვუყურებთ ამ თავგანწირულ მონაზვნებს, რომლებიც თრთიან და მაინც სწამთ. ამ თავმდაბალ დიდებულთ, რომლებიც ბედავენ ცხოვრებას საიდუმლოების უფსკრულის პირზე და მათ მიერ უარყოფილი სააქაოდან განდეგილნი ტკბილი იმედით შესცქერიან სასუფევლის მომნიჭებელ ზეცას, - სინათლეს შესცქერიან, რომელსაც ვერ ხედავენ, ტკბილი რწმენით ბედნიერნი, რომ იციან, სად არის სინათლე, და გულით ნატრობენ უფსკრულს და მიუწვდომელს; გაშტერებით შესცქერიან უძრავ წყვდიადს, მუხლმოყრილნი, გონებამიბნედილნი, გაშტერებულნი, ათრთოლებულნი, ხანდახან ოდნავ ამაღლებულნი მარადისობის ძლიერი ქროლვით.

## წიგნი მერვე
## საფლავი მიიღებს, რასაც მისცემთ

### თავი პირველი
### როგორ შევიდეთ მონასტერში

ამ მონასტერში ამოყო თავი ჟან ვალჟანმა, ან როგორც ფოშლევანმა თქვა, „ციდან ჩამოფრინდა“.

ის კედლიდან ძირს ჩავიდა ბაღში, ანგელოზების გალობა რომ მოესმა შუაღამისას, მონაზვნები იყვნენ, დარბაზში რომ შეიხედა, ბნელში, მონასტრის საყდარი იყო. მიწაზე გართხმული მოჩვენება კი - მონაზონი, რომელიც ღმერთს შენდობას ევედრებოდა. ზანზალაკი, რომლის ხმამ ასე შეაშინა ჟან ვალჟანი, მებაღის იყო, მუხლზე რომ ჰქონდა მიბმული.

კოზეტი რომ დააწვინეს, ჟან ვალჟანმა და ფოშლევანმა ივახშმეს, როგორც ვთქვით, ბუხართან დასხდნენ, ყველსა და პურს ცოტა ღვინოც დააყოლეს. მერე, რაკი

ერთადერთი ლოგინი იყო ოთახში და იმაზეც კოზეტი იწვა, თითო კონა ჩალა გაშალეს და ზედ დაწვნენ. დაწვა ჟან ვალჟანი, ჯერ თვალი არ დაეხუჭა, რომ წამოიძახა:

- ამიერიდან აქ უნდა დავრჩე.

ეს სიტყვა არ მოშორებია ფოშლევანს და მთელი ღამე ტვინს უღრღნიდა.

მართალი რომ ვთქვათ, არც ერთს სძინებია იმ ღამეს, არც მეორეს.

ჟან ვალჟანი დარწმუნდა, რომ ჟავერმა იცნო და კვალდაკვალ მისდევს, მიხვდა, რომ თუ პარიზში გამოჩნდებოდა, ისიც და კოზეტიც დაიღუპებოდნენ. რაკი ახალმა ქარმა დაქროლა და ამ მონასტერში ჩააგდო, ერთიღა დარჩენოდა, - თავი არ გამოეყო აქედან.

ისეთ უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნილისთვის, როგორშიც ჟან ვალჟანი აღმოჩნდა, ეს მონასტერი ძალიან სასურველიც იყო, და იმავე დროს მეტისმეტად საშიშიც. საშიში იმიტომ, რომ ამ მონასტერში კაცის შესვლა იკრძალებოდა, რომ გაეგოთ და დაეჭირათ, ძველებურ სასჯელს ვერ გადარჩებოდა, მონასტრიდან პირდაპირ საპატიმროში მოხვდებოდა. დარჩენა კი მეტად სასურველი იყო, რადგან, რომ მოეხერხებინა როგორმე და მიეღოთ მონასტერში, იქ მას ძებნას არავინ დაუწყებდა. ამგვარ მიუწვდომელ ადგილას ცხოვრება ხსნა იყო.

თავის მხრივ ფოშლევანიც ღრმად ჩაფიქრებულიყო. პირდაპირ გამოუცხადა თავის თავს, - მე აღარაფერი მესმისო. - როგორ გაჩნდა ბატონი მადლენი ამ მონასტერში? როგორ გადმოლახა იმ სიმაღლე კედლები? ხომ ვერ გადმოფრინდებოდა, ვერ გადმოალაჯებდა! ეს ბავშვი ვინღაა ნეტავი? საიდან მოდიან? კიდეც რომ ამომძვრალიყო კედელზე, ამოდენა გოგოს ხომ ვერ ამოიყვანდა? მას შემდეგ, რაც ამ მონასტერში მოვიდა, აღარაფერი გაუგონია აღარც მონრეილისა, აღარც ბატონი მადლენისა და ამიტომ არაფერი იცოდა იმისი, რაც მადლენს გადახდა. მერე ისეთი დაღვრემილი იყო ძია მადლენი, რომ ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ვერაფერი ჰკითხა, ვერ გაუბედა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ფოშლევანი ასე არიგებდა თავის თავს: - წმინდა არის ეს კაცი, ამას რა უნდა ვკითხოო? - მისთვის მადლენი ისევ ის ყველასგან პატივცემული ძია მადლენი იყო, რაც წინათ, მაშინ, სიკვდილს რომ გადაარჩინა, მაგრამ რამდენიმე სიტყვა თქვა ჟან ვალჟანმა და ამ სიტყვებიდან ფოშლევანმა დაასკვნა:

- ალბთ ფული დაკარგა, ან გაკოტრდა და იქნებ თავის მევალეებს გამოექცა. ან იქნებ რამე პოლიტიკურ საქმეში ჩაერია და ახლა იმალებაო, - ეს დანაშაული, პოლიტიკაში ჩარევა, მოეწონა კიდეც მებაღეს, რომელიც, როგორც ჩრდილოელი გლეხკაცობა, გულით ძველი ბონაპარტისტი იყო. რაკი იმალებოდა ძია მადლენი და მონასტერს შეაფარა თავი, სრულიად ბუნებრივი იყო მისი სურვილი, - აქ ვარ და აქვე დავრჩებიო, - მაგრამ უმთავრესი კი მაინც გაურკვეველი რჩებოდა, - როგორ შემოვიდა ძია მადლენი ბაღში და როგორ შემოიყვანა ეს გოგონა? ეს იყო, რაც სულ თავში უტრიალებდა ფოშლევანს და გულს უწყალებდა. აქ ჰყავდა ორივე, ხედავდა, ელაპარაკებოდა და, - რა ვქნა, საიდან ჩამოფრინდაო? - არც კი სჯეროდა, რომ თავის ოთახში ჰყავდა. ხან რას წარმოიდგენდა, ხან რას და გარკვეულს ვერაფერს ხედავდა, ერთის გარდა: - ძია მადლენმა სიკვდილისგან მიხსნა. - ამ სიტყვამ დაანახა თავისი გზა და საქციელი. - ახლა ჩემი რიგიაო, - დაასკვნა ბოლოს და ესეც დაუმატა: - ძია მადლენმა ფიქრი კი არ დაიწყო, როცა ნახა, რომ მძიმე ტვირთის აწევა იყო საჭირო ჩემ საშველად. - და გადაწყვიტა, - სიკეთეს სიკეთით გადავუხდი ბატონ მერსო.

ეს კი გადაწყვიტა, მაგრამ სხვა კითხვებიც აწუხებდა და მათთვის პასუხი უნდა მოეძებნა: - ჩემთვის მფარველი ანგელოზი იყო, მართალია, მაგრამ ქურდი რომ იყოს, მაშინაც დავეხმარები? - დავეხმარები. - კაცის მკვლელი რომ იყოს, მაინც დავეხმარები? - დიახ, მაინც დავეხმარები.

- წმინდაა ეს კაცი და მაშ არ დავეხმარო? - მით უფრო უნდა დავეხმარო.

მაგრამ როგორ დატოვოს კაცი მონასტერში? აი, სად იყო გასაჭირი! მაგრამ არც ამ გასაჭირს შეუშინდა, თუმცა იცოდა, რომ საზარელ პასუხისგებას კისრულობდა. საწყალი პიკარელი გლეხი იყო; თავისი კეთილი გულის, მოყვასის სიყვარულის და ცოტა სოფლური მოხერხების მეტი არაფერი გააჩნდა და ამით ბედავდა მონასტრის წესდების და წმინდა ბენუას კანონების დარღვევას. ბებერი კაცი იყო ფოშლევანი, თავისი დღენი სულ მარტოს გაეტარებინა, სიბერისას კოჭლობა, დაძაბუნება სწვეოდა, თავის ცხოვრებაში მიმზიდველს ვეღარაფერს ხედავდა, და აგერ, ერთ პატიოსან, მადლიან კაცს შეხვდა, იგრძნო ნეტარება, რომლითაც ტკბება გაჭირვებულის დამხმარე და ისე დაეწაფა ჯერ განუცდელ ნეტარებას, როგორც მომაკვდავი დაეწაფება ერთ ჭიქა ძვირფას ღვინოს, რომლის გემო არსად უნახავს თავისი სიღარიბის გამო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენიმე წელი იყო, მონასტერში ცხოვრობდა, მონასტრის ძმობით და შებრალებით სავსე ჰაერით სუნთქავდა, თავის თავზე აღარ ფიქრობდა და სიკეთისკენ მიმართულიყო მისი აზროვნება.

საბოლოოდ გადაწყვიტა:

- თავს დავდებ ძია მადლენისთვის.

ერთი საწყალი პიკარელი გლეხი იყოო, ვთქვით. დახასიათება მართალია, მაგრამ სრული არ არის. ჩვენი ისტორიის იმ ამბავს ვყვებით ახლა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ბებერი ფოშლევანის მცირე ფსიქოლოგიური სურათიც დავუხატოთ მკითხველს. გლეხი კაცი იყო, მაგრამ ოდესღაც სოფლის მწერლად მსახურობდა და ამიტომ მოხერხებას ამ თანამდებობის გამო ვერაგობა მიმატებოდა და მიამიტობას - შორსმჭვრეტელობა. ხან რა საქმეს დაიწყებდა, ხან რას, მაგრამ ცუდად უმთავრდებოდა ყველაფერი და სოფლის მწერალი უბრალო მეურმე გამხდარიყო, - ტვირთს ეზიდებოდა ქირით და უბრალო მუშად იდგა. მაგრამ ასე რომ დაეცა და თავის ცხენის გინებასა და ცემას შეეჩვია, მაინც იმავე მწერლისაც ბევრი რამ შერჩენოდა. გონიერი კაცი იყო, თავის დღეში არ წამოსცდებოდა ხალხისგან დამახინჯებული გამოთქმები „იმათმა თქვენ“, „იგენი ჯალარიან“. ხშირად ებაასებოდა გლეხებს და კარგი მთქმელის სახელიც ჰქონდა ხალხში გავარდნილი:

- ისე იტყვის, თითქოს სერთუკიანი ბატონი იყოსო, - ამბობდნენ გლეხები, და მართლაც, ფოშლევანი იმ ჯურის კაცი იყო, რომელსაც საჩქაროდ, სავაჭროდ შედგენილი თავხედური ლექსიკონი სოფლის ბურჟუას უწოდებდა და არისტოკრატული დარბაზიდან გამოვარდნილი მეტაფორით კი ოტროველა ერქვა, ცოტა გაქნილი, არც წყალი, არც ღვინო.

ფოშლევანს თავის დღეში ბევრი ავი ენახა, საკმაოდ დაქანცულიც იყო ცხოვრების სიმწარით სულითაც და ხორცითაც, მაგრამ მაინც გულისთქმის კაცი იყო და ისე იქცეოდა, როგორც თავდაპირველი გულისთქმა აგრძნობინებდა. ძვირფასია ეს თვისება, რადგან ადამიანის გაბორროტებას აბრკოლებს. თუ რამე ნაკლი და სიავე ჰქონდა, მხოლოდ უმნიშვნელო და სხვისთვის უზიანო. საერთოდ კი, ისეთი კაცი იყო,

რომელიც კარგად განაწყობს მის ახლო მჭვრეტთ. მოხუცებულ სახეზე არ ჰქონდა ის საზიზღარი შუბლზემოთა ნაოჭი, რომელიც ნიშანია სისულელის და ბოროტებისა.

ინათა და თვალი გაახილა ფოშლევანმა. სულ თავის ფიქრებშიკიყო მთელი ღამე,აძილი არ მიჰკარებია. შეხედა, ძია მადლენიც წამომჯდარიყო თავის ჩალაზე და მძინარე კოზეტს დასცქეროდა. წამოიწია ფოშლევანმა და ჰკითხა:

- ახლა, რაკი აქ ბრძანდებით, როგორ აპირებთ აქ დარჩენას?

სწორედ ეს აწუხებდა ჟან ვალჟანსაც და, თუმცა ღრმად ჩაფიქრებულიყო, მაშინვე რჩევა ჰკითხა თავის მასპინძელს.

დაიწყო თათბირი.

- ჯერ ერთი ეს, - თქვა ფოშლევანმა, - რომ ამ ოთახიდან ფეხს არ გაადგამთ არც თქვენ და არც ეს პატარა გოგონა, თუ დაგინახათ ვინმემ ბაღში, გარწმუნებთ, დავიღუპებით.

- ვიცი, დავიღუპებით.

- ბატონო მადლენ, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან კარგ დროს მოხვედით. არა, მე მინდა ვთქვა, რომ ძალიან ცუდ დროს მოხვედით, ავად გახლავთ ერთი ქალბატონი, ისე ავად, რომ ჩვენთვის არავის სცალია და ჩვენსკენ ყურებას არ დაიწყებენ. მგონი კვდება ის მონაზონი, იმიტომ რომ ორმოცი საათის ლოცვას ამბობენ. იმ მომაკვდავის მეტი დიდსა და პატარას აღარავინ ახსოვს. სულ იმას ეხვევიან, საიქიოსკენ წასასვლელად რომ ემზადება, სწორედ წმინდანია და, თუ გინდათ, ჩვენ აქ ყველანი წმინდანები ვართ. თუ არის რამე განსხვავება ჩვენ შორის, მხოლოდ ის, რომ მონაზვნები იძახიან, - ჩემი სენაკიო; მე კი ვიძახი, ჩემი ქოხი-მეთქი. ახლა სულთმობრძავის წირვას ჩაატარებენ, მერე მიცვალებულისას. ასე რომ, დღეს სრულიად მშვიდად ვიქნებით, ხვალისა კი რა მოგახსენოთ.

- ძალიან კარგი, - შენიშნა ჟან ვალჟანმა, - მაგრამ არც ისე ადვილი უნდა იყოს ჩვენი დანახვა. ეს ოთახი ისეა მიმალული ამ ნანგრევებში, მერე კიდევ ხეებში, რომ მონასტრიდან სულაც არ ჩანს.

- დიახ, მით უფრო, რომ მონაზვნები თავის დღეში არ უახლოვდებიან აქაურობას.

- მაშ, რისი უნდა გვეშინოდეს? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

ისე მნიშვნელოვნად წარმოსთქვა ჟან ვალჟანმა სიტყვები „მაშ რისი“, რომ მასში ცხადად ჩანდა აზრი, - მაშასადამე, საშიში არ არის აქ დარჩენაო, - და სწორედ ამას გასცა პასუხი ფოშლევანმა;

- პატარებიც არიან.

- ვინ პატარები?

ის იყო პირი გააღო ფოშლევანმა, უნდოდა აეხსნა, რას წარმოადგენდნენ მონასტერში პატარები, რომ ზარის ხმა გაისმა. ერთხელ ჩამოჰკრა ზარმა.

- თქვენი ჭირი წაუღია მონაზონს, აგერ მიცვალების ზარი, - და ანიშნა ჟან ვალჟანს, - ყური მიუგდეთო.

მეორედ დაჰკრა ზარმა.

- მიცვალების ზარი გახლავთ, ბატონო მადლენ. ყოველ წუთს თითოს დაჰკრავს მთელი დღეღ-ღამის განმავლობაში, ვიდრე ცხედარს ეკლესიიდან არ გამოასვენებენ. თამაშობენ, ბატონო, დასვენების დროს ღმერთი რომ გაუწყრეს ბურთს და აქეთ გამოგორდეს, ყველანი თან დაედევნებიან, მიუხედავად იმისა, რომ აქეთ გამოვლა

სასტიკადაა აკრძალული, და სულ ააფორიაქებენ აქაურობას. ნამდვილი ქაჯები არიან ეს ანგელოზები!

- ვინ ანგელოზები? - ხელმეორედ იკითხა ჟან ვალჟანმა.

- ის პატარები, მაშინვე გიპოვიან, მერწმუნეთ, და კივილს მორთავენ, - არიქა, კაცი, კაციო! - მაგრამ დღეს კი საშიში არაფერია. დასვენება აღარ იქნება, ლოცვაში გაატარებენ დღევანდელ დღეს. ხომ გესმით ზარი, გლოვის ზარი გახლავთ, როგორც მოგახსენეთ, მიცვალებისას თითოჯერ დაჰკრავს ყოველ წუთში.

- მივხვდი, მივხვდი, ჩემო ფოშლევან. მაშ, აქ პანსიონელები გყოლიათ.

და თავში სხვა, სასიამოვნო აზრმა გაურბინა.

- მაშ, კოზეტის აღზრდაც აქვე მოხერხდება.

ფოშლევანმა შეჰყვირა:

- მერე იცით, რამდენი პატარა გოგონაა! დაგინახავენ და დაიწყებენ ჭყავილს. თანაც მოკურცხლავენ. ადამიანი ჭირს არ გაურბის ისე, როგორც აქ კაცს გაურბიან. ხომ ხედავთ, ზარი მომაბეს მუხლზე, თითქოს ტყის ნადირი ვიყო.

ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ჟან ვალჟანი.

- თუ გვიხსნის რამე, ისევ ეს მონასტერი, - წაიდუდუნა ჩუმად. მერე ხმის ამაღლებით უთხრა: - მაგრამ საქმე ის არის, როგორ დარჩეს აქ კაცი?

- არა, - უპასუხა ფოშლევანმა, - საქმე ის არის, როგორ გავიდეს აქედან კაცი.

ჟან ვალჟანმა იგრძნო, რომ რაც სისხლი ჰქონდა გულზე მოაწვა.

- როგორ გავიდეს?

- დიახ, ბატონო, თუ დაბრუნება გნებავთ, უნდა გახვიდეთ.

პატარა ხანს გაჩუმდა, ყური მიუგდო გლოვის ზარს, მერე განაგრძო:

- თქვენი აქ აღმოჩენა ასე, როგორც ხართ, შეუძლებელია. საიდან გაჩნდა აქ ეს კაციო? ჩემთვის თქვენ ცით მოვლენილი ბრძანდებით იმიტომ, რომ გიცნობთ; მონაზვნებისთვის კი საჭიროა, რომ შემოსასვლელი კარით შემოხვიდეთ.

უცბად სხვა ზარის რეკვა გაისმა საკმაოდ რთული.

- ოჰო! - დაიძახა ფოშლევანმა, - აგერ ხმოსან დედებს იწვევენ საბჭოზე. ყოველთვის ბჭობა გაიმართება ხოლმე, როცა მოკვდება ვინმე, გათენებისას მიიცვალა. საერთოდ ასეა, გათენებისას ეთხოვება ადამიანი წუთისოფელს. ჰოდა, განა არ შეიძლება, იქიდანვე გახვიდეთ, საიდანაც შემობრძანდით? ერთი მიბრძანეთ, - საწყენად არ მიიღოთ ჩემგან ეს კითხვა, - საიდან შემოხვედით?

ფერი ეცვალა ჟან ვალჟანს, ურუანტელმა დაუარა ტანში, როდესაც წარმოიდგინა ისევ ქუჩაში გასვლა. წარმოიდგინეთ, რომ ვეფხვებით სავსე ტყეში იყავით და როგორც იყო, თავი დააღწიეთ ამ საშინელებას; სამშვიდობოს ხართ და თქვენივე მეგობარი გირჩევთ, - ისევ იმ ტყეში შედიო. ჟან ვალჟანი დარწმუნებული იყო, რომ კედელს იქით, ქუჩაში, დახვდებოდა მთელი პოლიცია, დარაჯები იქნებოდნენ ყველგან დაყენებული და, გავიდოდა თუ არა, მაშინვე სწვდებოდნენ კისერში და თავს კატორღისკენ უკრავდნენ. ჟავერიც უეჭველად იქვე იქნებოდა.

- შეუძლებელია, ჩემო ფოშლევან, წარმოიდგინეთ, რომ მართლა ციდან ჩამოვფრინდი.

- მჯერა, ბატონო, მჯერა, - დაეთანხმა ფოშლევანი, - თქვენი თქმა რა საჭიროა? ალბათ ხელში აგიყვანათ იმ მადლიანმა ღმერთმა, რომ ახლო ენახეთ და მერე ხელი გაგიშვათ, ოღონდ იმას უნდოდა ალბათ ბერების მონასტერში ჩაბრძანებულიყავით

და შეცდომა მოსვლია. აგერ, კიდევ დარეკეს ზარი. ეს მეკარისთვის გახლავთ, რომ წავიდეს და ქალაქის თვითმმართველობას აცნობოს მონაზვნის მიცვალება. ის თავის ექიმს გამოგზავნის, მკვდრების ექიმს. უნდა მოვიდეს და ნახოს, რომ მონასტერში მართლა არის მიცვალებული. ეს - მიცვალების საზეიმო წესია. ჩვენს ღვთისმოსავ მონაზვნებს კი ჭირივით ეჯავრებათ ეს ექიმი. ექიმს, ბატონო, არაფერი სწამს; არც ღმერთი, არც რჯული, არც ხატი, არც ჯვარი, მივარდება და პირბადეს ახდის, ხანდახან სხვასაც გადახდის ხოლმე. რა მალე მოაგონდათ დღეს ექიმი, რა მოხდა, ნეტავ? რა ვქნა, ისევ სძინავს თქვენს გოგონას? რა ჰქვია?

- კოზეტი.

- თქვენია? პაპა ხართ განა ამ გოგონასი?

- დიახ.

- აი, მაგისთვის კი ადვილი იქნება აქედან გასვლა. მე ჩემი კარი მაქვს, რომლითაც ეზოში გავდივარ; დავაკაკუნებ და მაშინვე გამიღებს მეეზოვე. ზურგზე კარგა დიდი გუდა მკიდია, თქვენი გოგონა მიზის გუდაში, ბრეზენტის ქვეშ. გამიღებს ქუჩის კარს და გავალ. ძია ფოშლევანი თავისი გუდით! განა სულ ასე არ დადის ძია ფოშლევანი? ოღონდ თქვენ უნდა დაარიგოთ, რომ ჩუმად იჯდეს გუდაში, არც გაინძრეს, არც ხმა ამოიღოს. თავზე რამეს დავაფარებთ, ერთი დედაკაცი მყავს ნაცნობი, ჩემი კარგი მეგობარია. ხილს ყიდის შმენვერის ქუჩაზე, ყრუ არის საცოდავი და იმასთან მივიყვან. პატარა ლოგინიც აქვს ბავშვისათვის. ყურში ჩავყვირებ მეხილეს, რომ ჩემი ნათესავია კოზეტი, - ხვალამდე შენთან გყავდეს-მეთქი. მერე, თქვენ რომ მობრძანდებით, გოგონასაც თან წაიყვანთ. გარიგდა საქმე. მაგრამ თქვენ? თქვენ როგორ გახვალთ აქედან?

თავი გაიქნია ჟან ვალჟანმა:

- საქმე ის არის, არავინ დამინახოს, ჩემო ფოშლევან. იქნებ ჩემთვისაც გამოძებნოთ რაიმე საშუალება, რომ უხილავად გამაპაროთ, როგორც გუდაში ჩასმული და ბრეზენტის თავსაფრით დამალული კოზეტი.

ფოშლევანი ყურის ძირს იფხანდა მარცხენა ხელის შუა თითით, მაშასადამე გაუვალ წრეში ჩავარდნილიყო მისი ფიქრი.

მესამედაც გაისმა ზარის ხმა.

- აგერ მკვდრების ექიმი მობრძანდება, - თქვა ფოშლევანმა, - მობრძანდება, ნახავს მიცვალებულს და იტყვის: - მომკვდარა. ძალიან კარგია; ექიმი რომ სამოთხეში მიმავლის პასპორტს შეამოწმებს, დამმარხველი საზოგადოება კუბოს გამოგზავნის. თუ დედათაგანია მიცვალებული, ხმოსანი დედები ჩაასვენებენ კუბოში; თუ უბრალო მონაზონია, მაშინ მონაზვნები ჩაასვენებენ; მერე მივალ და დავლურსმავ. ესეც ჩემი მებაღეობის ნაწილი გახლავთ. ჰოდა რა? განა მებაღე ორმოს მთხრელი არ არის? კუბოს ქვემოთ ჩაასვენებენ, ეკლესიის ქვედა დარბაზში, რომელიც ქუჩაში გადის. ამ დარბაზში კაცი ვერავინ შევა, გარდა მკვდრების ექიმისა. მე კაცებად არ მიმაჩნია არც მესაფლავეები და არც ჩემი თავი. დიახ, იქ, ქვედა დარბაზში დავლურსმავ კუბოს, მერე მესაფლავეები მოვლენ, ბალდახინზე დასდებენ და - აჩუ, ცხენო! - აი როგორ მიემგზავრებიან ცისკენ მონაზვნები. ერთ ცარიელ ყუთს შემოიტანენ, კარგა ლამაზად გაავსებენ დარბაზში და ისე წაიღებენ. აი, ბატონო, რას წარმოადგენს დასაფლავება. De profundis!

მზის სხივი სახეზე ეცემოდა მძინარე კოზეტს. პირღია ეძინა, თითქოს ანგელოზია და მზის სხივს სვამსო. ჟან ვალჟანი ისევ მას დასცქეროდა. ფოშლევანის აღარაფერი ეყურებოდა.

ყურს არ მიგდებენო, - განა იმიტომ უნდა გაჩუმდეს კაცი? ბებერი მებაღე მაინც თავისას არ იშლიდა:

- საფლავს ვოჟირარის სასაფლაოზე გაუთხრიან. ამბობენ, უნდა დაკეტონ ვოჟირარის სასაფლაოო. ძველი სასაფლაო გახლავთ, რომელიც ახლანდელ წესებს არ სცნობს, არეულ-დარეული აქვს ყველაფერი და სამსახურიდან გასვლას აპირებს. მე კი ძალიან დამენანება, რადგან ახლოა და მოსახერხებელი. ერთი მეგობარი მყავს, ძია მატიენი, მესაფლავე. ჩვენ მონაზვნებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ ამ სასაფლაოზე: მიცვალებულს, რომ დაღამდება, მაშინ მიასვენებენ ხოლმე დასამარხად. ამის შემდეგ ერთი ბრძანებაც კი არის ქალაქის თვითმმართველობისა. მაგრამ რამდენი რამ მოხდა გუშინდელს აქეთ! დედა-ჯვარცმა მიიცვალა და ძია მადლენი..

- დამარხულია! - თქვა ჟან ვალჟანმა სევდიანი ღიმილით.

ძალიან მოეწონა ეს სიტყვა ფოშლევანს და კვერი დაუკრა:

- ჰოდა, რა? თქვენ რომ აქ დარჩეთ, ეს ნამდვილი დამარხვა იქნება.

მეოთხედ დაჰკრა ზარმა. ფოშლევანმა სწრაფად ჩამოიღო კედლიდან თავისი ზარი და მუხლზე შემოიკრა თასმით.

- ეს კი ჩემი იყო! წინამძღვარი მიბარებს. ეჰ, ხელში შემერჭო აბზინდის წვერი! ბბატონო მადლენ, ფეხი არ მოიცვალოთ აქედან. აქ იყავით და მელოდეთ. რაღაც ახალი მოხდა. თუ მოგშივდეთ, აქ გახლავთ ღვინო, პური და ყველი.

საჩქაროდ გავარდა სახლიდან და თან იძახდა;

- მოვდივარ, მოვდივარ.

ხედავდა ჟან ვალჟანი, რომ სწრაფად გაიარა ბაღი, იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს მისი კოჭლი ფეხით იყო შესაძლებელი, და თან თავის სანესვეს უყურებდა.

მირბოდა ფოშლევანი, აწკარუნებდა თავის ზარს და მგლისგან შეშინებული ცხვარივით აფრთხობდა მონაზვნებს. ათი წუთიც არ გასულიყო, რომ ერთი პატარა კარზე დააკაკუნა და გაიგონა ტკბილი ხმით ნათქვამი პასუხი:

- უკუნითი უკუნისამდე. - უკუნითი უკუნისამდე, ესე იგი, შემობრძანდითო.

ამ კარით პატარა ოთახში შევიდა ფოშლევანი; წინამძღვარი იქ იღებდა ხოლმე მოსალაპარაკებლად თავის მებაღეს. ამ ოთახის გვერდით დარბაზი იყო, სადაც წინამძღვარი და ხმოსანი დედები ბჭობისათვის იკრიბებოდნენ. ოთახში ერთადერთი სკამი იყო, ზედ იჯდა წინამძღვარი და ფოშლევანს ელოდა.

## თავი მეორე
## ფოშლევანის გასაჭირი

აღელვება და თანაც მედიდურობა ეტყობოდა დედა-წინამძღვარს, რაც ბუნებრივია ამგვარ გარემოებაში ჩავარდნილი მღვდლებისა და ბერ-მონაზვნებისათვის. ფოშლევანი რომ შევიდა, ეს ორგვარი გრძნობა აღბეჭდილიყო წინამძღვრის სახეზე,

ყველასთვის საყვარელი, მხიარული და სწავლული ბლემერ-ქალისა, რომელსაც მონასტერში ინოკენტოს ეძახდნენ.

მოწიწებით დაუკრა თავი მებაღემ და იქვე გაჩერდა კართან.

წინამძღვარი კრიალოსანს მარცვლავდა და უპასუხა:

- ჰა, თქვენა ხართ, ძია ფოვან?

მთელმა მონასტერმა ინება ფოშლევანის ფოვანად შემცირება.

მებაღემ ხელმეორედ ისევე ზრდილობიანად დაუკრა თავი.

- მე დაგიბარეთ, ძია ფოვან...

- აქ გახლავართ, დედაო, მიბრძანეთ.

- მინდა მოგელაპარაკოთ.

- მეც მინდა ცოტა რამ მოგახსენოთ, - უპასუხა გაბედვით ფოშლევანმა და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, - რა თავხედურად მომივიდაო, - ცოტა რამ მინდა მოგახსენოთ, თუ ნებას მიბოძებთ.

დააცქერდა წინამძღვარი.

- აჰ, სათქმელი გაქვთ რამე?

- სათხოვარი მაქვს.

- აბა, მითხარით.

ძია ფოშლევანი, ყოფილი სოფლის მწერალი, იმ გლეხთაგანი იყო, რომლებსაც გამბედაობა არ აკლიათ... მოხერხებული უვიცობაც ძალა არის, რადგან ნდობას იწვევს ადამიანში და ამითიც სარგებლობს. ორ წელზე მეტი იყო, მონასტერში მებაღედ მუშაობდა და თავისი უფროსების ნდობა მოიპოვა. სულ მარტო იყო, სულ თავის ბაღში მუშაობდა და სხვა საქმე რომ არაფერი ჰქონდა, მონასტრის ცხოვრებას ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს; მცირე მანძილით, მაგრამ მაინც დაშორებული იყო ქალებისგან, რომლებიც პირბადით დაბურულნი ეჩვენებოდნენ შორიდან და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს ცოცხალი ადამიანები კი არა, აჩრდილები მოძრაობდნენ მის თვალწინ. ხედავდა ამ აჩრდილებს, უფიქრდებოდა და ბოლოს ხორცი შეასხა აჩრდილს, სული ჩაუდგა. საზოგადოებისთვის მკვდრები იყვნენ, მაგრამ მისთვის კი - ცოცხლები. ისე იყო, როგორც ყრუ, რომლის თვალიც იძენს შორსმჭვრეტელობას, ან როგორც უსინათლო, რომელსაც სამაგიეროდ სმენა უმახვილდება. ბევრს ეცადა, გაეგო სხვადასხვა ზარის მნიშვნელობა, და აისრულა კიდეც სურვილი, ასე რომ, ამ დამუნჯებულ, იდუმალებით მოცულ მონასტერს მისთვის გაუგებარი აღარაფერი ჰქონდა; ეს სფინქსი შიგ ყურში ჩასჩურჩულებდა მას ყველა თავის საიდუმლოებას. ყველაფერი იცოდა ფოშლევანმა და ყველაფერს მალავდა. ოსტატურად იქცეოდა, - ყეყეჩიაო, - გაიძახოდა მთელი მონასტერი, რაც დიდ ღირსებად ითვლება სარწმუნოების საქმეში; ხმოსანი მონაზვნებიც აფასებდნენ მებაღეს. ცნობისმოყვარე იყო, მაგრამ მუნჯი და ამიტომ სანდო. გარდა ამისა, მუყაითად ექცეოდა საქმეს. თუ გავიდოდა, მარტო მაშინ, როდესაც ბაღისთვის ან ბოსტნისთვის დასჭირდებოდა რამე. მონასტერიც ძალიან აფასებდა ამ მუყაით, დამუნჯებულ მებაღეს. მაგრამ მაინც მოახერხა ამ დამუნჯებულმა და კარგად აალაპარაკა ორი კაცი: ერთი მეკარე იყო, და იმისგან გაიგო, რა იყო მისაღები ოთახი და როგორ ხვდებოდნენ ერთმანეთს მონაზვნები და მათ სანახავად მოსული ნათესავები; მეორე, მესაფლავე იყო, რომლისგანაც მონასტრის სასაფლაოს წესები გაიგო; ისე რომ, ორგვარი ცნობა ჰქონდა მონაზვნების შესახებ, სიცოცხლისა და

სიკვდილის შესახებ. იცოდა, მაგრამ თავისთვის იყო გაჩუმებული. მონასტერიც პატივს სცემდა; ბებერი იყო, კოჭლი, ვეღარც კი ხედავდა, ყურთაც უნდა ჰკლებოდა, რაღა თქმა უნდა, ღირსეული კაცი იყო, სად იშოვიდნენ სხვას მისნაირს?

ფოშლევანმა კარგად იცოდა, რომ ღირსეულად აფასებენ მონასტერში და გაბედულად მოახსენა წინამძღვარს თავისი სათხოვარი; გრძელი სიტყვა გაბა, სოფლური, საკმაოდ არეული და აზრიანი. ჯერ დიდხანს ჰგმო თავისი სიბერე, თავისი ხეიბრობა, ღონის მისუსტება. მერე ბაღის და ბოსტნის სიდიდეს და გაფართოვბას შეეხო, მოუცლელობას, ღამის თევას საქმის გამო, როგორც წუხანდელ ღამეს, მაგალითად, რომ თვალი არ მოუხუჭავს, რადგან მთვარე კაშკაშებდა, შეიძლებოდა ყინვა დაეჭირა და მთლად წაეხდინა სანესვე. ისიც ადგა და ფალასს აფარებდა, რომ ყინვა არ მორეოდა. ამის გამო ერთი კარგი აზრი მოუვიდა: ძმა ჰყავს (შეიჭმუხნა წინამძღვარი), თავისსავით ბებერი (ახლაც შეინძრა წინამძღვარი, მაგრამ უკვე გულდამშვიდებით), ისე რომ, თუ ინებებდა დედა-წინამძღვარი, მოიყვანდა თავის ძმას, თავისთან ეყოლებოდა და ერთად იმუშავებდნენ, მით უფრო, რომ მისი ძმა კარგი მებაღეა და დიდ სარგებლობასაც მოუტანს მონასტერს, გაცილებით მეტს, ვიდრე თვითონ ფოშლევანი, იმიტომ, რომ თუ მისი ძმა არ მიიღეს, თვითონ ძალიან დაღლილია, ბებერია და უფრო გატეხილი, საქმეს ვეღარ აუვა და იძულებული იქნება, დიდი სინანულით, მაგრამ უძლურების გამო, სადმე სხვაგან გადავიდეს ლუკმაპურის მოსაპოვებლად. მის ძმას ერთი პატარა შვილიშვილი ჰყავს, იმ გოგონასაც თან მოიყვანს, აქ გაიზრდება, ღვთისა და სათნოების ტაძარში, ვინ იცის, იქნებ მონაზვნადაც აღიკვეცოს და აქვე დარჩეს.

როდესაც გაათავა თავისი გრძელი სიტყვა, წინამძღვარმა შეწყვიტა კრიალოსნის მარცვლების თვლა და ჰკითხა:

- ერთ რკინის ლომს ვერ იშოვით ამ საღამომდე?
- რისთვის გნებავთ?
- ქვის ასაწევად.
- ვეცდები, ღირსო დედაო.

აღარაფერი უთქვამს წინამძღვარს. ადგა და მეორე ოთახში გავიდა, სადაც, ეტყობოდა, სათათბიროდ იყვნენ შეკრებილი ხმოსანი დედები.

ფოშლევანი მარტო დარჩა.

## თავი მესამე
## დედა ინოკენტია

დაახლოებით თხუთმეტ წუთში ისევ შემობრძანდა წინამძღვარი. მივიდა, დაჯდა.

რაღაც აწვა გულზე ორთავეს, ეს ცხადი იყო. რამდენადაც შევძლებთ სტენოგრაფიულად მოვიყვანთ, მათ ბაასს.

- ძია ფოვან?
- მიბრძანეთ, ღირსო დედაო.
- ჩვენს ეკლესიას იცნობთ?
- პატარა გალია მაქვს მიჩენილი, რომ წირვა-ლოცვა მოვისმინო ხოლმე.
- საკურთხეველში კი არ ყოფილხართ?
- ორჯერ თუ სამჯერ.

- იქ ერთი ქვა არის ასაწევი.
- მძიმე?
- ფილა, ტრაპეზის გვერდზე.
- ქვემოთ ჩასასვლელს აფარია?
- დიახ.
- კარგი შემთხვევა გახლავთ, ორი კაცი ძლივს მოერევა.
- დედა-ამაღლება კარგ ვაჟკაცს არ დაუვარდება თავისი ღონით. ის დაგეხმარებათ.
- ქალი კაცობას ვერ იზამს, თავისდღეში, არა.
- ჩვენ ქალის მეტი არავინ გვყავს, რომ დაგახმაროთ, ვისაც რა შეუძლია, იმითი ვისარგებლოთ, მეტს ნურავის მოვთხოვთ. მაბიონმა ოთხას ჩვიდმეტი ეპისტოლე შეადგინა წმინდა ბერნარისა და მარლონუს ჰორციუსმა კი სულ სამას სამოცდაშვიდი, მაგრამ მე ამიტომ ჩემს თაყვანისცემას არ ვაკლებ მარლონუსს.
- მით უფრო, არც მე.
- ღირსეული ის არის, ვინც თავის შეძლებისამებრ შრომობს, მონასტერი ხომ შეშის საწყობი არ არის.
- და ქალიც რომ კაცი არ არის! ჩემი ძმა ძალიან გამოგადგებათ. ძალიან ღონიერი გახლავთ.
- და, გარდა ამისა, ლომიც გექნებათ.
- მართალია. სხვა გასაღები ვერ მიუდგება იმგვარ კარს.
- რკინის რგოლი აქვს ფილას.
- ლომსაც იმ რგოლს მოვდებ.
- ისეა ფილა მოწყობილი, რომ ადვილად აიმართება.
- ბატონი ბრძანდებით, ღირსო დედაო, გავაღებ სარდაფს.
- ოთხი ხმოსანი დედა დაგეხმარებათ.
- და როცა გავაღებთ?
- ისევე დააფარებთ იმ ქვას.
- სხვა არაფერი?
- არაფერი.
- მაშ, მიბრძანეთ, ღირსო დედაო.
- ფოვან, ჩვენ გენდობით.
- აქ იმიტომ გახლავართ, რომ ყველაფერი გავაკეთო, რასაც მიბრძანებთ.
- ყველაფერი დამალოთ, რასაც კი ნახავთ და გაიგონებთ.
- დიახ, ღირსო დედაო, კრინტს არ დავძრავ.
- რომ ახდით იმ ქვას...
- ისევ დავხურავ.
- მაგრამ მანამ დახურავდეთ...
- რა? მიბრძანეთ, ღირსო დედაო.
- უნდა ჩაუშვათ რაღაც.

დუმილი ჩამოვარდა. ქვემო ტუჩი შეენძრა წინამძღვარს, ეტყობოდა ყოყმანებდა, მაგრამ ბოლოს გაბედა:

- ძია ფოვან!..
- მიბრძანეთ, ღირსო დედაო.

- იცით თუ არა, რომ ამ დილით ერთი დედა გარდაიცვალა?

- არა.

- მაშ ზარის ხმა ვერ გაიგონეთ?

- ბაღის ბოლოში აღარაფერი ისმის.

- მართლა?

- ჩემი მუხლის ზანზალაკის მეტი სხვა არაფერი.

- ის იყო, ინათა და სულიც განუტევა.

- მერე ქარიც ჩემგან აქეთ ქროდა, აღარაფერი ისმოდა.

- დედა-ჯვარცმა მიიცვალა, უბიწო, მადლიანი.

ცოტა ხანს გაჩუმდა წინამძღვარი, ტუჩების მოძრაობით ეტყობოდა, ლოცვას ამბობდა ჩუმად, შემდეგ განაგრძო:

- ამ სამი წლის წინ, ერთი ჟანსენისტი, ქალბატონი ბეტუნი, დაუბრუნდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. დაუბრუნდა მარტო იმიტომ, რომ ნახა, როგორ გულმოდგინედ ლოცულობდა დედა-ჯვარცმა.

- ვაი, მართლა! აგერ გლოვის ზარი ჩამოჰკრეს.

- მონაზვნებმა მიცვალებულის ოთახში მიასვენეს, ეკლესიის გვერდით რომ არის.

- ვიცი, ღირსო დედაო.

- თქვენს გარდა სხვა კაცს არ შეუძლია იქ შესვლა და არც უნდა შევიდეს ვინმე იმ ოთახში. მაშ, თვალი გეჭიროთ, წარმოიდგინეთ, რომ კაცი შესულიყოს მიცვალებულის ოთახში!

- უფრო ხშირად.

- რაო?

- უფრო ხშირად.

- რას ამბობთ, რა ვქნა?

- მე მოგახსენებთ - უფრო ხშირად-მეთქი.

- უფრო ხშირად რა?

- მე „რას“ არ მოგახსენებთ. მე მოგახსენებთ - უფრო ხშირად.

- ვეღარაფერი გამიგია. რად გაიძახით უფრო ხშირადო?

- რომ იგივე ვთქვა, რაც თქვენ ბრძანეთ.

- და მე რომ უფრო ხშირად არ მითქვამს?

- თქვენ არ გიბრძანებიათ, მაგრამ მე ვთქვი, რომ ისე მეთქვა, როგორც თქვენ.

ამ დროს საათმა ცხრა დაჰკრა.

- დილის ცხრა საათზე და ყოველ ჟამს კურთხეულ იყოს წმინდა საიდუმლოება საკურთხევლისა, - თქვა წინამძღვარმა.

- ამინ, - დასძინა ფოშლევანმა.

სწორედ დროზე დაჰკრა საათმა და მოკლედ მოსჭრა უფრო ხშირად-ის ხსენება, თორემ ეს რომ არ ყოფილიყო, იქნებ თავის დღეშიც ვერ შეთანხმებულიყვნენ ამ სიტყვაზე წინამძღვარი და მისი მებაღე.

ფოშლევანმა ოფლი ჩამოიწურა შუბლიდან.

წინამძღვარმა კიდევ ილოცა ცოტა ხანს ტუჩების ცმაცუნით და მერე ხმის ამაღლებით უთხრა:

- მანამ ცოცხალი იყო დედა-ჯვარცმა, სინანულით აღავსებდა ცოდვილებს; მიიცვალა და სასწაულთმოქმედი იქნება.

- სასწაულთმოქმედი, - დაეთანხმა ფოშლეევანი და წელში გაიჭიმა, - ჰა, ფრთხილად იყავ? - ჩასძახოდა თავის თავს, - ღმერთი არ გაგიწყრეს და კიდევ არაფერი წამოროშო!

- ბიძია ფოვან, - დაიწყო წინამძღვარმა, - ჩვენი მონასტრის კურთხევა სწორედ დედა-ჯვარცმა იყო. მართალია, ყველა ისე ბედნიერად არ მიიცვლება, როგორც კარდინალი ბერული, რომელიც მწირველი იყო და წირვის დროს აამაღლა თავისი სული ღვთისადმი, როდესაც ამბობდა Hanc igitur oblationem, მაგრამ ყველას ხომ არ ეღირსება ამისთანა ნეტარება? და დედა-ჯვარცმაც წმინდანივით მიიცვალა. უკანასკნელ წამამდე არ დაუკარგავს სრული გონება. ჩვენ გველაპარაკებოდა, მერე ანგელოზებს მიმართავდა ხოლმე, თავისი უკანასკნელი ანდერძიც გვამცნო. თქვენ რომ ცოტა მეტად გქონოდათ ღვთის სიყვარული და იმის სენაკში შემოსვლა შეგძლებოდათ, ფეხს მოგირჩენდათ, მარტო თავისი ხელის შეხებით. სულ უცინოდა სახე. ცხადად ვხედავდით, რომ ღვთის მიერ აღდგენილი იქნებოდა. სამოთხე იყო მის სიკვდილში.

ფოშლეევანს ეგონა, ლოცვას ბრძანებდა წინამძღვარი და, რომ გაათავა, თავისიც დაუმატა:

- ამინ.

- ბიძია ფოვან, უნდა ასრულდეს, რაც მიცვალებულებს სურთ, - და თავისი კრიალოსნის რამდენიმე მარცვალი დაუშვა. მებაღე გაჩუმებული იდგა. წინამძღვარმა განაგრძო;

- ამ საქმეზე მოველაპარაკე რამდენიმე წარჩინებულ სასულიერო პირს, რომლებიც იღვწიან სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრების გასაბრწყინებლად და ძალიან ნაყოფიერადაც იღვწიან.

- ღირსო დედაო, აქ უფრო კარგად ისმის გლოვის ზარი, ვიდრე ბაღში.

- ჭეშმარიტად, მკვდარი კი არ არის მიცვალებული, წმინდანია.

- როგორც თქვენ, წმინდა დედაო.

- ოცი წელია, განსვენებული ღამე სულ თავის კუბოში იწვა, პირადი ნებართვა ჰქონდა წმინდა მამის, პი მეშვიდისა.

- აი, იმისი, იმპ... ბონაპარტი რომ დააგვირგვინა?

ფრთხილი კაცი იყო ფოშლეევანი და კარგს არას უქადდა ამ მოგონების გახსენება. მაგრამ მისდა საბედნიეროდ, წინამძღვარს სულ სხვა რამ აწუხებდა, გართული იყო თავის ფიქრებში და ვერ გაიგონა იმის ნათქვამი.

- ძია ფოვან...

- მიბრძანეთ, ღირსო დედაო.

- წმინდა დიოდორმა, კაპადოკიის ეპისკოპოსმა, ანდერძად დატოვა, - ჩემს საფლავის ქვაზე ერთადერთი სიტყვა ეწეროს - Acarus, ესე იგი მატლიო და აღუსრულეს კიდეც. მართალია?

- დიახ, ღირსო დედაო.

- ნეტარმა მეცოკანემ, აკვილის მოძღვარმა, მოისურვა, - სახრჩობელის ქვეშ დამმარხეთო, - ესეც აუსრულეს.

- ჭეშმარიტებაა.

- წმინდა ტერენციუსმა, პორტის ეპისკოპოსმა, რომელიც ტიბრისა და ზღვის შესართავში მდებარეობს, სთხოვა, - ჩემი საფლავის ქვას ის ნიშანი დაადეთ,

რომელსაც მამისმკვლელთა საფლავს ადებენ, რომ ვინც ნახოს, ზედ დამაფურთხოსო, - ესეც აუსრულეს. უნდა ვემორჩილებოდეთ მიცვალებულებს.

- იყავნ ნება შენი...

- რომ მიიცვალა ბერნარ გიდონი, - საფრანგეთის შვილი იყო, როშაბეილის ახლოს დაბადებული, - თანახმად მისი ანდერძისა და მიუხედავად კასტილიის მეფის სურვილისა, დომინიკელების ლიმოჟის ეკლესიაში მიასვენეს, თუმცა ბერნარ გიდონი ტუის ეპისკოპოსი იყო ესპანეთში. ვინ იქნებოდა ამის წინააღმდეგი?

- არავინ, ღირსო დედაო.

- ამის ჭეშმარიტება დამოწმებულია თვით პლანტავის და ლაფოსის მიერ.

რამდენიმე მარცვალი კიდევ დაიძრა კრიალოსანში.

- ძია ფოვან, დედა-ჯვარცმა დასაფლავებული იმ კუბოთი იქნება, რომელიც ლოგინად ჰქონდა ოცი წლის განმავლობაში.

- სწორია.

- იმიტომ, რომ სიკვდილი ძილის გაგრძელებაა.

- მაშ ის კუბო უნდა დავლურსმოთ?

- დიახ.

- კუბო რომ მოგვიტანეს? ისა? ისე დარჩება?

- დარჩება.

- წმინდა მონასტრის მონა-მორჩილი გახლავართ.

- ოთხი დედა მგალობელი დაგეხმარებათ.

- კუბოს დასალურსმად? რა დახმარება მინდა?

- არა, ჩასასვენებლად.

- სად უნდა ჩავასვენოთ?

- სარდაფად წოდებულში.

- რომელ სარდაფში?

- საკურთხევლის ქვეშ.

შეხტა ფოშლეევანი.

- საკურთხევლის ქვეშ სარდაფი არის?

- საკურთხევლის ქვეშ.

- მერე?

- ლომი გექნებათ.

- მექნება, მაგრამ...

- ლომით ასწევთ ქვას, რკინის რგოლი აქვს.

- ავწევ, მაგრამ...

- უნდა დავემორჩილოთ მიცვალებულთ, - ნეტავ, საკურთხევლის ქვეშ სარდაფში დამმარხონ, რომ სახალხო უწმინდურთა სასაფლაოზე არ მიმასვენონ... მკვდარიც იქ დავრჩე, სადაც ცოცხალი ვლოცულობდიო, - ეს დედა-ჯვარცმის უწმინდესი ნატვრა იყო. ეს გვთხოვა განსვენებულმა, ესე იგი, ეს გვიბრძანა.

- და აკრძალული რომ გახლავთ?

- აკრძალულია ადამიანისგან, ნაბრძანებია ყოვლად ძლიერისგან.

- მერე რომ გაგვიგონ?

- ჩვენ სრული ნდობა გვაქვს თქვენი.

- მე რა? მე თქვენი კედლის პატარა ქვა გახლავართ.

- საბჭომ განიხილა საქმე, - ხმოსან-დედებს ეს-ესაა ვკითხე, ერთხელ კიდევ, ჯერაც არ აშლილან. და დაადგინეს, რომ დედა-ჯვარცმა, მისი აღთქმის თანახმად, დასაფლავებული იქნება თავისი კუბოთი ჩვენი ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ. წარმოიდგინეთ, ძია ფოვან, რა დიდება და ციური სხივი მოეფინება მონასტერს, სასწაული რომ მოხდეს რამე. სასწაული საფლავიდან გამოდის.

- დიახ, ღირსო დედაო, მაგრამ რომ გაგვიგოს ჯანმრთელობის კომისიის მოხელემ?

- წმინდა ბენუა მეორე დასაფლავების საკითხში თვით კონსტანტენ პოგონასაც კი არ დაემორჩილა.

- პოლიციამ რომ გაიგოს?

- შონოდემერი გერმანელების მეფე იყო, ერთი იმ შვიდ მეფეთაგანი, რომლებიც თავიანთი ჯარებით შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას კონსტანტის მეფობის დროს, და ამ უცხოელმაც კი დაამტკიცა ბერ-მონაზვნების უფლება, რომ სარწმუნოებისამებრ იქნენ დასაფლავებულნი. ესე იგი საკურთხევლის ქვეშ.

- მერე პოლიციის ინსპექტორი?

- ქვეყანა არაფერია ჯვარის წინაშე. მარტენმა, შარტრელების მეთერთმეტე გენერალმა, ეს მცნება მისცა თავისიანებს: stat crux dum volvitur orbis. დიახ, ამართული არს ჯვარი, ვიდრე ქვეყანა ბრუნავსო.

- ამინ, - დაემოწმა ფოშლევანიც, რომელიც ყოველთვის ამ სიტყვით ამტკიცებდა ლათინურის ცოდნას. სადაც კი ლათინურს გაიგონებდა რამეს, ის ყოველთვის თავის ამინით აბოლოვებდა.

ოღონდ მსმენელი ჰყავდეს, ვინც დიდხანს იყო გაჩუმებული, და მისთვის სულერთია, ვინ არის მსმენელი. დიდხანს იჯდა ციხეში რიტორ გიმნასტორასი, მრავალი დილემა და სილლოგიზმი მოემარაგებინა მარტო ყოფნისას და, რომ გამოუშვეს, ერთ ხეს მიადგა, - ის შეხვდა გზაში პირველი, და დიდი სიტყვა უთხრა, ეცადა დაემტკიცებინა ყოველი თავისი დებულება და არც აზროვან დასაბუთებას აკლებდა, არც მჭევრმეტყველებას. ასე მოუვიდა წინამძღვარსაც. მონასტრის წესით დაბმული უნდა ჰქონოდა ენა, ის უნდა ყოფილიყო ცოცხალი მაგალითი თავისი მონაზვნებისთვის, და იმდენი ჰქონდა იმასაც მომარაგებული, რომ ენის წვერზე მოსდგომოდა. წამოდგა და ენამზეობით მიმართა მებაღეს, თითქო რაბი ჩამოხსნეს დიდ აუზს და წყალი გადმოვარდაო.

- მე მარჯვნივ ბენუა მყავს და მარცხნივ ბერნარი. ვინ არის ბერნარი? ბერნარი პირველი მოძღვარი იყო კლერვოსი. ღვთით კურთხეულია ბურგონში ფონტენი, იმიტომ რომ იქ დაიბადა ბერნარი, იმის მამას ტისელენი ერქვა და დედას - ალეთი. სიტოში დაიწყო თავისი მოღვაწეობა და ისე მიაღწია კლერვოს. შალონ-სურსენის ეპისკოპოსის, გილიომ დე შანპის მიერ ეკურთხა მღვდლად. შვიდასი მორჩილი ჰყავდა და ას სამოცი მონასტერი დააარსა. ათას ას ორმოცი წლის სანსის კრებაზე ძირს დასცა აბეიარი, პიერ დებრუი და მისი მოწაფე ანრი და კიდევ მრავალი მათი თანამორწმუნე, რომლებიც იძახდნენ, - წინასწარმეტყველების მიმდევარნი ვართო. შეარცხვინა არნოლდ დე-ბრესი. მეხი დასცა ბერ-რაულს, ებრაელების მხოცავს. ათას ას ორმოცდარვა წელს რეიმსის კრების თავმჯდომარედ ბრძანდებოდა, დაასჯევინა პუატიეს ეპისკოპოსი ჟილბერ დე-ლა-პორე, დაასჯევინა დე ლ-ეტუალი, შეარიგა და მოარიგა დიდებული პრინცები, გაანათლა ყმაწვილი მეფე ლუი, რჩევას აძლევდა პაპს

- ევგენი მესამეს, მოაგვარა ტამპლის მონასტერი, ქადაგებდა ჯვაროსნობას, ორას ორმოცდაათი სასწაული აჩვენა ხალხს თავის სიცოცხლეში და ოცდაცხრამეტი მარტო ერთ დღეს. ვინ არის ბენუა? ბენუა მონ-კასსენის პატრიარქია; ეს არის მეორე ბერმონაზნობის დამფუძნებელი, ეს არის დასავლეთის წმინდა ბასილი. ბენუას მიმართულებამ შესძინა სარწმუნოებას ორმოცი პაპი, ორასი კარდინალი, ორმოცდაათი პატრიარქი, ათას ექვსასი არქიეპისკოპოსი, ოთხი ათას ექვსასი ეპისკოპოსი, ოთხი ხელმწიფე, თორმეტი დედოფალი, ხელმწიფეების მეუღლე, ორმოცდაექვსი მეფე, ორმოცდაერთი დედოფალი, მეფეების მეუღლე, სამი ათას ექვსასი წმინდა, წმინდანებად აღიარებული ეკლესიის მიერ და წმინდანია ათას ოთხასი წლის განმავლობაში. ერთი მხრივ, წმინდა ბერნარი, მეორე მხრივ, ვიღაც ჯანმრთელობის მოხელე! ერთი მხრივ, წმინდა ბენუა, მეორე მხრივ, ვიღაც პოლიციელი! მთავრობა, პოლიცია, დამსაფლავებელი დაწესებულება - წესიერება, კანონიერება! - სად ჩვენ და სად ეგენი? ან რა ჩვენი საქმეა? ვინ არიან? არც გაგვიგონია, არც ვიცით! ვინ უნდა იყოს ქრისტიანი, რომ არ აღშფოთდეს, როცა ნახავს, როგორ გვამცირებენ და შეურაცხგვყოფენ ღვთისმოსავთ? იმის უფლებაც კი არ გვაქვს, რომ იესო ქრისტეს მივართვათ ჩვენი ფერფლი. რევოლუციის მოგონებულია თქვენი ჯანმრთელობა, მაშ პოლიციის ბრძანებას უნდა ემორჩილებოდეს ღმერთი? ეს არის თქვენი დროის სარწმუნოება? ჩუმად, ფოვან!

ფოშლევანი, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა თავს ამ ნიაღვრის ქვეშ. წინამძღვარი განაგრძობდა:

- მონასტერს თავისი უფლება აქვს თავისიანების დასაფლავების და ღვთის მგმობი უნდა იყოს ადამიანი, რომ გაბედოს ამ უფლების უარყოფა. საშინელი არეულობის დრო დაგვიდგა ჩვენდა საუბედუროდ. არ იციან, რაც უნდა იცოდნენ და სწორედ ის იციან, რაც არ უნდა იცოდნენ. წუმპეში ვართ და ღვთის უარყოფაში! ამ ჩვენს დროში ბევრნი არიან ისეთი უგუნურები, რომ ერთი და იგივე ჰგონიათ უწმინდესი წმინდა ბერნარი და მათხოვარ-კათოლიკების ბერნარი, ცნობილი ერთგული ღვთისმოსავი, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ცხოვრობდა. ზოგი კიდევ იქამდე მიდის, რომ ბედავს და ღვთის საგინებლად ლუი მეთექვსმეტის ეშაფოტს იესო ქრისტეს ჯვარს ადარებს. თქვენი ლუი მეთექვსმეტე მეფე იყო და სხვა არაფერი და მისი ქრისტესთან ერთად დაყენება სრული უვიცობა და ღვთის უარყოფაა, ასე დაუფიქრებლადაც ნუ ვახსენებთ ღვთის სახელს! ვაი ჩვენ და ჩვენ დროს, რომ დაბრმავებულებს განსხვავება დაგვვიწყებია და აღარც წმინდაა ჩვენთვის, აღარც ცოდვილი! ყველამ იცის ვოლტერის სახელი და აღარავინ იცის სახელი კეისარ დე-ბუისა, მიუხედავად იმისა, რომ კეისარი დე-ბუი ქვეყნის მხსნელია და ვოლტერი კი ქვეყნის წამწყმედი! უკანასკნელმა არქიეპისკოპოსმა, კარდინალმა პერაგონმა ისიც კი არ იცოდა, რომ ბერულს შარლ დე-გონდრანი მოჰყვა, გონდრანს, ფრანსუა ბურგოენი, ბურგოენს - ჟან ფრანსუა სენო და ჟან ფრანსუა სენოს - ბერი სენტ-მარტა. კოტონის სახელს იცნობენ არა იმიტომ, რომ ის იყო ერთი იმ სამთაგანი, რომელმაც მონასტერი დააარსა, - ეს ვიღას ახსოვს? - არამედ იმიტომ, რომ მეფე ანრი მეოთხემ, ჰუგენოტმა, თავისი გინების საგნად გაიხადა კეთილმორწმუნე. წმინდა ფრანსუა დე-სალი იმიტომ მოსწონს ქვეყანას, რომ ბანქოს თამაშში ეშმაკობა უყვარდა. სარწმუნოების გმობის მეტი აღარაფერი ისმის ქვეყანაზე! რატომ? იმიტომ, რომ უვარგისი მღვდლები იყვნენ ოდესღაც! იმიტომ, რომ საგიტერი, გაპის საეპისკოპოსოში, ძმა იყო სალონის,

ანბრენის საეპისკოპოსოსი, და ორივე მომხრენი იყვნენ მომოლისა. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას სარწმუნოებისათვის? ამიტომ უნდა დაგვავიწყონ წმინდა მარტენ დეტური, რომელმაც თავისი წამოსასხამის ნახევარი მისცა მათხოვარს? დევნა დაუწყეს წმინდანებს! თვალს იბრმავებენ, რომ ჭეშმარიტება არ დაინახონ! სინათლეს ბნელი წყვდიადი გვირჩევიაო!@საშინელია მხეცი, მაგრამ უფრო საშინელი და საზარელია ბრმა მხეცი! ვიღას აგონდება ჯოჯოხეთი და საიქიო სასჯელი? ოჰ, უბედურო ხალხო! დღეს რომ იტყვიან - კანონისამებრო, იგულისხმება რევოლუციისამებრ! აღარავინ იცის თუ რა მართებს ცოცხალს და რა მართებს მიცვალებულს! სასაფლაო საერო საქმეა, მონასტერს აქ რა უნდაო? საშინელებაა! წმინდა ლეონ მეორემ ეპისტოლე შეადგინა, ერთი პერ ნოტერს, მეორე ვისიგოტების მეფეს, რომ შებრძოლებოდა და სრულიად გაენადგურებინა უფლება ხელმწიფისა და იმასთან მივლინებული ეპისკოპოსისა მიცვალებულთა დასაფლავების საქმეში. ამის გამო შალონის ეპისკოპოსი გოტიე ძალიან მედგრად დაუხვდა ბურგონელ ოტონს. ძველი მთავრობაც კი ამავე აზრის იყო. ეჰ, სადღაა ის დრო? უწინდელ დროში ჩვენც გვქონდა ხმა ქვეყნის ცხოვრების საკითხებში. ბერნარდელების გენერალი, მოძღვარი და-სიტო, შთამომავლობით ბურგონის პარლამენტის იყო წევრი. მიიცვალა მონაზონი? ცოცხალი ჩვენი იყო და მკვდარიც ჩვენია! განა ნეტარხსენებული ბენუას ნაშთი აქ არ არის დასაფლავებული, საფრანგეთში ფლერის სამწყსოში, სენ-ბენუას რომ ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში, მინ-კასენში მიიცვალა, ხუთას ორმოცდასამი წლის 24 მარტს, შაბათ დღეს? ყოველივე ეს ურღვევი ჭეშმარიტებაა. მეზიზღება ბრძანებები, ამოსაწყვეტად არ დავინდობდი სარწმუნოების მწვალებლებს და უფრო მეტად შემეზიზღებოდა, ვინც ამის საწინააღმდეგოდ გამიბედავდა რამეს. აიღონ და წაიკითხონ არნულ ვიონი, გაბრიელ ბუსლენი, ტრიტემი, მოროლიკი და ლუკა დ-აშერი, რომ თვალი აეხილოთ ბრმებს.

ღრმად ამოისუნთქა, მერე ფოშლევანს მიმართა:

- მაშ შევთანხმდით, ფოვან?

- დიახ, შევთანხმდით, ღირსო დედაო.

- მაშ თქვენი იმედი მქონდეს?

- თქვენი მორჩილი გახლავართ.

- ძალიან კარგი.

- მონასტერს ვემსახურები და ვემორჩილები.

- მაშ ასე. კუბოს დალურსმავთ. მონაზვნები შეასვენებენ ეკლესიაში. წირვას გადავუხდით მიცვალებულს. მერე დაასაფლავებთ - საკურთხევლის ქვეშ. თერთმეტიდან თორმეტამდე მოხვალთ და თან წამოიღებთ ლომს. სრულიად საიდუმლოდ გარიგდება ყველაფერი. სხვა არავინ იქნება ეკლესიაში, - თქვენ, დედა-ამაღლება და ოთხი დედა-მგალობელი, მეტი არავინ.

- სვეტთან რომ მონაზონი დგას?

- ის თქვენსკენ არ მობრუნდება.

- ხომ გაიგონებს?

- ყურს არ გათხოვებთ და, ეგეც არ იყოს, რაც მონასტერმა იცის, ქვეყანამ არ იცის.

ცოტა ხანს მიჩუმდნენ. წინამძღვარმა განაგრძო დარიგება:

- მაგ ზანზალაკს მოიხსნით. საჭირო არ არის, სვეტთან მდგომმა მონაზონმა იცოდეს, რომ თქვენც იქ ხართ.

- ღირსო დედაო...

- კიდევ რა, ძია ფოვან?

- მკვდრების ექიმი ჯერ არ გხლებიათ?

- დღეს მოვა, ოთხ საათზე. აკი დავკარით ექიმის მოწვევის ზარი. მაშ თქვენ არ გეყურებათ ჩვენი ზარების რეკვა?

- მე მარტო ჩემი ზანზალაკის ხმა მეყურება.

- ძალიან კარგი, ძია ფოვან.

- ღირსო დედაო, ლომი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორი მეტრის სიგრძის მაინც უნდა იყოს.

- სად იშოვით?

- სადაც რკინის კარგი მოაჯირია. თუ არა და ჩემ ნანგრევებში იმდენა რკინა ყრია, რომ მგონი ვიპოვი რამე გამოსადეგს.

- შუაღამის წინ, ისე რომ თორმეტს თხუთმეტი წუთიღა აკლდეს.

- ღირსო დედაო...

- რა იყო?

- თუ კიდევ გაგაჩნიათ რამე ამისთანა მძიმე, ძალიან ღონიერი გახლავთ ჩემი ძმა, ოსმალოა სწორედ.

- და საჩქაროდ გაათავებთ ყველაფერს, საჩქაროდ.

- რაღა მე მაჩქარებთ, ამ კოჭლს? ხეიბარი ვარ, ბებერი და ამიტომ მოგახსენებთ, დამხმარე მინდა-მეთქი. რა ვქნა, რომ კოჭლი ვარ?

- კოჭლობა ცოდვა არ არის, პირიქით, შეიძლება ვთქვათ, ღვთის წყალობაც არის. ხელმწიფე ანრი მეორეს, რომელმაც პაპის სახელით გამოსულ გრეგუარს ბრძოლა აუტეხა, და გარდა ამისა აღადგინა ბენუა მერვე, ორი სახელი ჰქონდა, - წმინდა და კოჭლი.

- კარგია, რომ ორი ჰქონია, - წაიდუდუნა ფოშლეევანმა, რომელსაც მართლა ყურს აკლდა.

- ბიძია ფოვან, მგონია აჯობებს, რომ მთელი საათი გვქონდეს საქმის მოსათავებლად, არც ძალიან ბევრია ერთი საათი. ასე, რომ სწორედ თერთმეტზე მოდით საკურთხეველთან თქვენი ლომით, წირვას შუაღამისას დავიწყებთ, ისე უნდა მოაწყოთ საქმე, რომ შუაღამემდე თხუთმეტი წუთით ადრე, ყველაფერი გათავებული გქონდეთ.

- ვეცდები, რამდენადაც კი შემიძლია ერთგულად ვემსახურო მონასტერს. მაშასადამე, მე უნდა დავლურსმო კუბო. სწორედ თერთმეტ საათზე ვიქნები ეკლესიაში. იქვე იქნებიან დედა-მგალობლები და დედა-ამაღლება. ორი კაცი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რაც არის, არის. ჩემი ლომიც თან მექნება. ავხდით სარდაფად წოდებულს, ჩავუშვებთ შიგ მიცვალებულს და ისევ ფილას დავაფარებთ, ისე, რომ კვალი არ დარჩეს არაფრის და მთავრობამ ვერაფერი გაიგოს. მორჩა და გათავდა. არა, ღირსო დედაო?

- არა.

- კიდევ გახლავთ რამე?

- ცარიელ კუბოს რაღას უპირებთ?

აქ კი შეასვენეს ენა. ფოშლეევანი დაფიქრდა და არა ნაკლებ ჩაფიქრებული ბრძანდებოდა წინამძღვარიც.

- კუბოს რაღა ვუყოთ?

- დავმარხოთ.

- ცარიელი?

აქაც დაფიქრება დასჭირდათ. ხელი ჩაიქნია ფოშლევანმა, თითქოს გული გაუწყალა რაღაცა ფიქრმა და იმის მოშორებას ცდილობსო.

- იქვე, საკურთხევლის ქვეშ, დავლურსმავ იმ კუბოს, ჩემს მეტი ხომ არავინ იქნება და სამგლოვიარო საბურველს გადავაფარებ.

- კი, მაგრამ ბალდახინზე დასადებად რომ ასწევენ, არ იტყვიან, - ცარიელი არისო, ან კიდევ საფლავში ჩაშვების დროს?

- ეშმა... - წამოსცდა ფოშლევანს. წინამძღვარმა პირჯვარი გადაიწერა აჩქარებით და მებაღეს დააცქერდა. „კმა“ - ვეღარა თქვა ძია ფოშლევანმა და თვითონვე ჩაყლაპა.

მაშინვე მოიაზრა, რომ საჭირო იყო ამ ბიწიერი სიტყვის მიჩქმალვა და გაუადვილა საქმე:

- ღირსო დედაო, კუბოში მიწას ჩავყრი.

- ძალიან კარგი, მიწა იგივეა, რაც ადამიანი, - მიწა ხარ და მიწად იქეციო, მაშ დასამარხად მოამზადებთ ცარიელ კუბოს.

- როგორც მიცვალებულისას.

აქამდე მოღუშული ბრძანდებოდა წინამძღვარი და ახლა სიამოვნება დაეტყო. დიდებულად ანიშნა თავის ხელქვეითს, - ახლა კი შეგიძლია წახვიდეო. - ფოშლევანმაც თავი დაუკრა და კარისკენ მიბრუნდა. ის იყო, უნდა გაეღო კარი, რომ წინამძღვრის ტკბილი ხმა მოესმა:

- ძია ფოვან, მე კმაყოფილი ვარ, ხვალ, დასაფლავების შემდეგ მომიყვანეთ თქვენი ძმა და უთხარით, რომ თავისი გოგონაც მომგვაროს.

## თავი მეოთხე

### ისე ლაპარაკობს ჟან ვალჟანი, თითქოს ოსტენ კასტილეო წაეკითხოს

კოჭლი კაცის სირბილი ბრუციანის თვალის ხამხამს ემსგავსება: ვერც ერთი ვერ აღწევს მიზანს. გარდა ამისა, ერთი ფიქრიც აწუხებდა ფოშლევანს, თითქმის თხუთმეტი წუთი მოანდომა მონასტრიდან თავის ბინამდე მისვლას. კოზეტი ამდგარიყო და ბუხართან დაესვა ჟან ვალჟანს. ფოშლევანი რომ მივიდა, იმ დროს ვალჟანი კედელზე ჩამოკიდებულ გუდას უჩვენებდა კოზეტს და არიგებდა:

- მომისმინე, ჩემო კოზეტ, ჩვენ უნდა წავიდეთ ამ სახლიდან. მაგრამ ისევ მოვალთ და მშვიდობით ვიცხოვრებთ, შენ ჩვენი მასპინძელი გაგიყვანს აქედან, აგერ იმ გუდით. ერთ ქალთან მიგიყვანს და იქ იქნები, მერე მეც შენთან მოვალ. ოღონდ, თუ არ გინდა ტენარდიემ გიპოვოს, ისე უნდა იყო, რომ არ გაინძრე, არც ხმა ამოიღო.

თავი დაუქნია კოზეტმა, - თანახმა ვარო.

ფოშლევანმა რომ კარი შეაღო, ჟან ვალჟანმა მოიხედა.

- ჰა, როგორ არის ჩვენი საქმე?

- ყველაფერი გარიგებულია და არც არაფერია გარიგებული, - უპასუხა ფოშლევანმა, - ნება დამრთეს, - შემოიყვანე ის კაცო. მაგრამ როგორ შემოგიყვანთ, თუ არ გაგიყვანთ, და ძაღლის თავიც მანდ არის დამარხული. პატარა გოგონას გაყვანა ჩემზე იყოს.

- გუდით გაიყვანთ?
- გაჩუმებული იქნება?
- თავდები მე ვარ.
- მერე თქვენ, ძია მადლენ?
ცოტა ხანს გაჩუმდა, ეტყობოდა რაღაც აწუხებდა, მერე შესძახა;
- საიდანაც მოხვედით, იქიდანვე გადით!
ჟან ვალჟანმა ახლაც მოკლედ, ერთი სიტყვით გასცა პასუხი:
- შეუძლებელია.
ფოშლევანი კი, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, თავისას ბუზღუნებდა;
- მერე განა მარტო ეს მაწევს გულზე! მიწას ჩავყრი-მეთქი, მოვახსენე. და ახლა, საქმე ის არის, კიდეც რომ ჩავყარო მიწა, ერთ ალაგს ხომ არ გაჩერდება უძრავად. ასწევ, დაიწევს და დასწევ, აიწევს. მაშინვე გაიგებენ კაცები. ხომ ხედავთ, ძია მადლენ, მთავრობა გაგვიგებს და ცუდად დატრიალდება ჩვენი საქმე.
დააცქერდა ჟან ვალჟანი, რას ბოდავს ეს კაცი.
ფოშლევანი ისევ ჟან ვალჟანს მიუბრუნდა:
- ახლა აღარ მეტყვით, როგორ გავალთ? ხვალ უნდა მიგიყვანოთ ჩვენს წინამძღვართან. ხვალ უნდა მიგიყვანოთ, წინამძღვარი გელით.
დაწვრილებით უამბო ჟან ვალჟანს თავისი საუბარი წინამძღვართან. აუხსნა, რომ დიდ საქმეს ავალებდა მას მონასტერი და სამაგიეროდ, მის დასაჯილდოებლად, ნებას აძლევდა ამხანაგად, მებაღედ ჰყოლოდა ჟან ვალჟანი. უამბო, რომ იმას დაავალეს მონაწილეობა მიეღო მიცვალებულის დასაფლავებაში, რომ მას უნდა დაელურსმა კუბოები და საფლავზე გაჰყოლოდა კუბოს. ამ დილას მიცვალებულ მონაზონს ეთხოვა, - იმავე კუბოთი დამასაფლავეთ, რომელიც ოცი წელიწადია ლოგინად მაქვსო, და აქვე დამმარხეთ, საკურთხევლის ქვეშ, სარდაფშიო. აუხსნა, რომ ეს აკრძალული იყო მთავრობის განკარგულებით, მაგრამ დიდი წმინდანი იყო მიცვალებული, ასე რომ, შეუძლებელია ეს სათხოვარი არ აუსრულონ. წინამძღვარსაც და ხმოსან-დედებსაც გადაწყვეტილი აქვთ აასრულონ მიცვალებულის ანდერძი. ყურადღებასაც არ აქცევენ მთავრობის განკარგულებას, ფოშლევანი დალურსმავს კუბოს, ასწევს ქვას, კუბოს სარდაფში ჩაუშვებს. სამაგიეროდ, წინამძღვარი ნებას აძლევს, რომ თავისი ძმა შემოიყვანოს მონასტერში, მებაღედ იყოლიოს და მისი პატარა გოგო პანსიონელად. ისიც აუხსნა ფოშლევანმა, რომ მისი ძმა ბატონი მადლენი იყო და პატარა გოგო - კოზეტი, და ხვალ საღამოზე უნდა მიიყვანოს წინამძღვართან ერთიცა და მეორეც, სასაფლაოდან რომ დაბრუნდება.
- ახლა არ ვიცი, როგორ შემოვიყვანო ბატონი მადლენი, რომ წინამძღვარს წარვუდგინო? - ერთი ეს მაწუხებს და მეორე ცარიელი კუბო.
- რა ცარიელი კუბო? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.
- კუბო, რომელიც მიცვალებულის დასამარხად მოიტანეს.
- რა კუბო? ვინ მოუტანა ეგ კუბო?
- მონაზონი რომ მოკვდება, ქალაქის ექიმი მოვა, ნახავს და მოახსენებს, ვისაც ჯერ არს, - მონასტერში მიცვალებული არისო. მთავრობა მაშინვე კუბოს გამოგზავნის, მეორე დღეს კი - ბალდახინს და კაცებს, რომ მიცვალებული სასაფლაოზე მიასვენონ, ჰოდა მოვლენ მესაფლავეები, ასწევენ კუბოს და ის კი ცარიელი იქნება.
- ჩადეთ რამე შიგ.

- მკვდარი ჩავდო? რომ არ მყავს?

- არა.

- მაშ რა?

- ცოცხალი.

- ვინ ცოცხალი?

- მე, - მოკლედ მოუჭრა ჟან ვალჟანმა.

ისე წამოვარდა ფოშლევანი, თითქოს ყუმბარა გასკდა იმის სკამის ქვეშო.

- თქვენ?

- რატომაც არა?

სიცილით დაუბრუნა კითხვა. მისი სიცილი მზის შუქს ჰგავდა ზამთრის ცაზე.

- ხომ გახსოვთ, ჩემო ფოშლევან? თქვენ თქვით დედა-ჯვარცმა მიიცვალაო. მე დავუმატე, ბიძია მადლენი კი დამარხულია-მეთქი, სწორედ ასე გამოდის საქმე.

- ეჰ, კარგი ერთი! რა დროს ხუმრობაა?

- არც გეხუმრებით. ხომ უნდა გავიდე აქედან.

- უეჭველად.

- ხომ გითხარით, მეც მიშოვეთ რამე მაგ გუდის მაგიერ-მეთქი?

- მერე რა?

- გუდა ფიცრის იქნება და გადასაფარებელი კი შავი სუდარა.

- შავი კი არა, თეთრი. მონაზვნებს თეთრს აფარებენ.

- ჰოდა, თეთრი იყოს.

- უცნაური კაცი ხართ, ძია მადლენ.

მშვიდად, წყნარად ცხოვრობდა ფოშლევანი. მისჩვეოდა მონასტრის უცვლელ ერთფეროვნებას და ისე განცვიფრდა ამ წინადადებით, როგორც განცვიფრებული იქნებოდა ადამიანი, ზღვის მეთოვლია რომ დაენახა პარიზში რუს პირად თევზის დასაჭერად.

ჟან ვალჟანმა განაგრძო:

- უნდა გავიდე აქედან და ისე გავიდე, რომ არავინ დამინახოს. მაგაზე კარგს ვერაფერს ვიღონებთ, მაგრამ ჯერ ერთი კარგად გამაგებინეთ, როგორ მოვაწყოთ საქმე. სად არის კუბო?

- ცარიელი კუბო?

- დიახ.

- ქვევით არის, მკვდრების ოთახს რომ ეძახიან, იქ. ორ ქვესადგომზე დევს და ზედ სუდარა აფარია.

- რა სიგრძე აქვს?

- ორი მეტრი იქნება.

- მკვდრების ოთახი რაღაა?

- ქვემო სართულის ოთახია. ერთი ფანჯარა აქვს ბაღში გამომავალი, მოაჯირით შეკრული. გარედან კიდევ დარაბით კეტავენ. ორი კარი აქვს. ერთი მონასტერში შედის, მეორე საყდარში.

- რა საყდარში?

- საყდრის იმ ნაწილში, სადაც ქუჩიდან შემოსულები დგანან.

- თქვენ გაქვთ მაგ ორი კარის გასაღები?

- არა. მე ერთი გასაღები მაქვს, მონასტერში შესავალი კარის. მეკარესა აქვს მეორე გასაღები, საყდარში შესავალი კარის.

- როდის აღებს მეკარე მაგ კარს?

- მარტო მაშინ, როდესაც მესაფლავეები მოვლენ მიცვალებულის წასასვენებლად. მარტო იმათ უღებს კარს. კუბო გავა და კარიც იკეტება.

- კუბოს ვიღა ლურსმავს?

- ეგ კი ჩემი საქმეა.

- სუდარას ვინღა გადააფარებს?

- მე.

- მარტო ხართ ხოლმე?

- ვერავინ შევა თავის დღეში მკვდრების ოთახში, პოლიციის ექიმის გარდა. კედელზე წერია ეს ბრძანება.

- ვერ მოახერხებთ ამაღამ, როდესაც მონასტერში ყველას ეძინება, შემიყვანოთ მკვდრების ოთახში და იქ დამმალოთ?

- არა, მაგრამ იქვე პატარა საკუჭნაოა, რომელიც მკვდრების ოთახში გადის და აი, იქ დაგმალავთ. იქ მიწყვია ჩემი ხელსაწყოები, რაც კუბოსთვის მჭირდება. გასაღებიც მე მაქვს.

- და ხვალ რომელ საათზე მოვა ბალდახინი კუბოს წასაღებად?

- ასე, სამ საათზე. დასაფლავება იქნება საღამოს, ბინდისას, კარგა შორს არის ვოჟირარის სასაფლაო.

- მაშ იქ ვიქნები დამალული თქვენს საკუჭნაოში, სადაც ხელსაწყოს ინახავთ. იქ ვიქნები ამაღამ და ხვალაც, მაგრამ ხომ მომშივა. შიმშილით მოვკვდები.

- მე მოგიტანთ.

- ისე რომ, შეიძლება ხვალ ორ საათზე მოხვიდეთ კუბოს დასალურსმავად და მეც შიგ ვიწვები.

უკან დაიწია ფოშლეევანმა. თითები გაატკაცუნა.

- შეუძლებელია ბატონო. მაგას რას ბრძანებთ?

- კარგი ერთი! აიღეთ ჩაქუჩი და დაჰკარით ლურსმანს.

რაც შეუძლებლად მიაჩნდა ფოშლეევანს, სულ უბრალო და ადვილი ეჩვენებოდა ჟან ვალჟანს. ამაზე უარესი და უფრო ვიწრო სრუტეებიც ბევრი გამოევლო. ვინც კი დაპატიმრებული ყოფილა, ყველამ იცის თავის იმდენად დაპატარავების ხელოვნება, რომ გასაძვრომში გაეტიოს. პატიმარს ისევე მოელის გაპარვა, როგორც ავადმყოფს კრიზისი, რომელიც ან მოკლავს, ან გადაარჩენს. გაპარვა განკურნებაა. რას არ აიტანს ავადმყოფი, ოღონდ კი მორჩეს? ყუთში ჩაწვეს კაცი, სახურავი დააფარონ და დალურსმონ, რამდენიმე ხანს ყუთში იწვეს სულგანაბული, ხმაგაკმედილი, სუნთქვაშეკრული იმ ჰაერით, რომელიც იქ არც კი შედის, იხრჩობოდეს, მაგრამ არ მოკვდეს, - აქ იმისთანა არაფერი იყო, რომ ჟან ვალჟანის გამოცდილ ნიჭს და მოხერხებას შეშინებოდა.

კუბო, რომელშიც ცოცხალი ადამიანი ჩაწოლილა, გაუგონარს და ახალს არაფერს წარმოადგენდა, და როგორც ახლა კატორღელს, ისე თვით ხელმწიფესაც ესარგებლა ამ საშუალებით, თუ დავუჯერებთ ბერ სტენ კასტილეოს. შარლ მეხუთემ რომ უარყო თავისი ხელმწიფობა და მონასტერში შევიდა, ძალიან მოუნდა თავისი

სატრფოს, ლაპლონბის, კიდევ ერთხელ ნახვა, კუბოთი შეაყვანინა თავისთან მონასტერში და კუბოთივე გამოაყვანინა.

როგორც იყო გონზე მოვიდა ფოშლევანი და დაიძახა:

- მერე სუნთქვა რომ შეგეკრათ?

- ნუ გეშინიათ.

- იმ დალურსმულ ყუთში?

- პატარა ბურღი გექნებათ. აქა-იქ გახვრიტეთ ფიცარი ჩემს პირთან, ტუჩების გარშემო, და თავს რომ დახურავთ, ნურც იმას დააჭედებთ ძალიან მაგრად.

- ძალიან კარგი. ხველა რომ აგიტყდეთ? ცხვირი რომ დაგაცემინოთ?

- ვისაც გაპარვა უნდა, არც ახველებს, არც ცხვირს აცემინებს.

მერე დაუმატა;

- ასე, ჩემო ფოშლევან. უნდა გადავწყვიტოთ რამე: ან იქვე მტაცებენ ხელს ან არადა, მაგ კუბოს უნდა გავყვე. სხვა გზა არ გვაქვს.

ვისაც კატა ჰყოლია, ყველა შენიშნავდა ამ ცხოველის უცნაურ გაუბედაობას; როდესაც ღიას ნახავს კარს, დადგება, არც შედის, არც გადის, თავს შეყოფს და გამოყოფს. ვის არ შეუტევია თავისი კატისთვის: - ჰა, შედი ან გადი! - ისე ადამიანს მოსდის ხშირად - გაჩერდება რამე შემთხვევის ორგვარი მოსალოდნელი შედეგის წინ და - არც აქეთ, არც იქით, - მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევა თავის გზას მისდევს, თავის დასასრულს და შეიძლება სწორედ ის ჩასცხოს თავში, რის ასარიდებლადაც ვერაფერს ბედავდა. მეტისმეტად ფრთხილია ამგვარი კაცი, კატაა ნამდვილი, და რადგან კატაა, იმას უფრო მეტ განსაცდელს უქადის ცხოვრება, ვიდრე გამბედავს. ფოშლევანიც გაუბედავი კაცი იყო, მაგრამ ისეთი დამშვიდებით ლაპარაკობდა ჟან ვალჟანი, ისეთი რწმენით, რომ იმასაც ნელ-ნელა ედებოდა სიმშვიდე და ბოლოს წაიბურტყუნა;

- ეჰ, რას იზამს კაცი, სხვა გზა რომ არა აქვს?

ახლა სხვა რამეს შეეხო ჟან ვალჟანი;

- მე თუ მაწუხებს რამე, მარტო სასაფლაო, რადგან არ ვიცი იქ რა მოხდება

- სწორედ ეგ სასაფლაო გახლავთ, რაც მე არ მაწუხებს, - შეჰყვირა ფოშლევანმა, - თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ცოცხალი ამოხვალთ კუბოდან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალს ამოგიყვან საფლავიდან. მესაფლავე ჩემი კარგი მეგობარია და კარგადაც სვამს. ძია მატიენი გახლავთ. ბებერი კაცია, ღვინოში ჩამხრჩვალი. მესაფლავე საფლავში ჩაუშვებს კუბოს და მე ჩემს ჯიბეში ჩავუშვებ თქვენს მესაფლავეს. - აი, მოგახსენოთ, როგორ გარიგდება ყველაფერი. საღამო ჟამს მივალთ სასაფლაოზე, ერთი საათით ან ცოტა ნაკლებით ადრე, ვიდრე სასაფლაოს კეტავენ, ბალდახინით მიგიყვანენ საფლავამდე. მეც თან მივყვები. ეს ჩემი მოვალეობაა. ჯიბეებში ჩაქუჩი მექნება, გაზი და სატეხი. გაჩერდება ბალდახინი. მესაფლავეები თოკს შემოახვევენ თქვენს კუბოს და ჩაგიშვებენ შავ მიწაში. მღვდელი თავისას წაიბურტყუნებს, ჯვარს გაიქნევს, წმინდა წყალს გაპკურებთ და მოკურცხლავს! იქ მხოლოდ მე და ძია მატიენი დავრჩებით. ჩემი დიდი მეგობარია, როგორც მოგახსენეთ. ჰოდა, ორში ერთი: ან მთვრალი იქნება, ან ფხიზელი. თუ ფხიზელია, მე ვეტყვი: - მოდი, ყელი გავისველოთ, მანამ არ დაუკეტიათ „უმჭკნარი კომში“, - წავიყვან, ლამაზად დავათრობ. დიდი რამ კი არ უნდა ძია მატიენის დათრობას, რადგან ყოველთვის ნასვამია, - იქვე მივაწვენ სადმე მაგიდის ქვეშ და უკან

დავბრუნდები, ოღონდ მარტო და თქვენც ჩემთანღა გექნებათ საქმე. თუ მთვრალია უკვე, ეგ უკეთესი, ვეტყვი: წადი, ძმაო, შენს საქმეს მეც კარგად გავაკეთებ-მეთქი. მაშინვე წავა და თქვენც კუბოდან ამობრძანდებით.

ხელი გაუწოდა ჟან ვალჟანმა. ისეთი მოულოდნელი და დიდებული იყო ეს მადლობა, რომ სიხარულით გაუბრწყინდა სახე ბებერ მებაღეს.

- მაშ გათავებულია, ფოშლევან. საგანგებოდ მოგვარდება ყველაფერი.

„თუ მოულოდნელი არაფერი გამოერია“ - გაიფიქრა ფოშლევანმა, - ვაითუ, რამე საშინელება მოხდეს.

## თავი მეხუთე
## არ კმარა იყო ლოთი, რომ უკვდავი გახდე

მეორე დღეს, მზის დახრისას, მენის ბულვარზე მიმავალნი ქუდს უხდიდნენ ერთ ძველებურ ბალდახინს, მკვდრების თავის ქალისა და ძვლების სურათებით დამშვენებულს. ბალდახინზე კუბო იდო, ზედ თეთრი სუდარა ეფარა. სუდარაზე დიდი ჯვარი იყო შავად ამოქარგული და მკვდარს მოგაგონებდათ ძირს დაშვებული ხელებით. უკან დახურული ეტლი მისდევდა. ეტლში შემოსილი მღვდელი იჯდა და ერთი მგალობელი ბიჭი წითელი სირსიტით. ბალდახინს მარჯვნივ და მარცხნივ თითო მესაფლავე მისდევდა ლურჯი ტანისამოსით და შავი წამოსასხამით. უკან ერთი ბებერი, კოჭლი მუშა მიჰყვებოდა. მიცვალებულს ვოჟირარის სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ.

ბებერ მუშას ჯიბეში უჩანდა ჩაქუჩის ტარი და დიდი გაზი.

პარიზის სასაფლაოებში ვოჟირარი გამონაკლისად ითვლებოდა, რადგან თავისი განსაკუთრებული წესები ჰქონდა. ჰქონდა ალაყაფის კარი და იქვე ჭიშკარი, რომელსაც იმ უბნის, ძველი დროების მომსწრე მოხუცებულები ცხენოსნების და ფეხოსნების კარებს უწოდებდნენ. მცირე პიკპუსის ბერნარდელ-ბენედიქტელებს უფლება ჰქონდათ, როგორც უკვე ვთქვით, ცალკე გამოყოფილ ნაწილში დაესაფლავებინათ საღამოობით თავისი მიცვალებულები, რადგან წინათ ეს მიწა, დღეს კი სასაფლაო, მონასტრის ყოფილიყო. ამგვარად, მესაფლავეებს საქმე ჰქონდათ ზაფხულში შებინდებისას, ზამთარში ღამე და ამიტომ განსხვავებულ წესებსაც ემორჩილებოდნენ. იმ დროს პარიზის სასაფლაოების კარებს მზის ჩასვლისას ჰკეტავდნენ და რადგან ეს ქალაქის მმართველობის განკარგულება იყო, იგი ვოჟირარისთვისაც სავალდებულოდ ითვლებოდა. ალაყაფის კარი და ჭიშკარი ერთად იყო ერთი პატარა შენობის ახლოს და ეს შენობა არქიტექტორ პერონეს აეშენებინა და იქ ცხოვრობდა სასაფლაოს მეკარე. როგორც კი მიეფარებოდა მზე ინვალიდების საყდრის გუმბათს, მაშინვე იკეტებოდა სასაფლაოს ორივე კარი. თუ იმ დროს სასაფლაოზე იყო ვინმე მესაფლავე და საქმეზე დაგვიანებოდა, ერთადერთი საშუალებაღა ჰქონდა იქიდან გამოსასვლელად, - ჯიბეში უნდა ჰქონოდა დამსაფლავებელი კომისიის მოწმობა, რომ ის მესაფლავე იყო. მეკარის ფანჯრის დარაბას პატარა ჭრილი ჰქონდა. იმ ჭრილში უნდა ჩაეშვა თავისი მოწმობა და რა დაინახავდა ან გაიგებდა მეკარე, მოწმობა ჩამოაგდესო, - თოკს გამოსწევდა და გაუღებდა ჭიშკარს. - ვინ იყო, რად დაუგვიანდა, კიდეც რომ ჩასძინებოდა მეკარეს, ადგებოდა, თუ იცნობდა მესაფლავეს, კარს გაუღებდა. გავიდოდა მესაფლავე, მაგრამ თხუთმეტი ფრანკის ჯარიმას გადაიხდიდა.

ამ სასაფლაოს თავისი საკუთარი წესები ჰქონდა და არღვევდა საერთოდ გავრცელებულ განკარგულებებს. 1830 წლის შემდეგ სულაც მოსპეს იქ ვისიმე დასაფლავება. მის მაგივრად წარჩინებული გახდა მონპარნასის სასაფლაო და მისგანვე მიიღო მემკვიდრეობად ის სახელოვანი დუქანი, ვოჟირარის სასაფლაოს კედელთან რომ იყო და ფიცარზე დახატული დიდი კომში რომ ჰქონდა შესასვლელთან. თავით ეს ფიცარი მსმელების მაგიდისკენ იყო მიშვერილი, ბოლოთი - სასაფლაოსკენ და ზედ წარწერა ჰქონდა - „უმჭკნარი კომში“.

მივიწყებული და მიყრუებული იყო ვოჟირარის სასაფლაო და, ასე ვთქვათ, უკვე დამჭკნარი. ხავსი ეკიდებოდა, ყვავილი ჩასჭკნობოდა, ბურჟუებს აღარც კი აგონდებოდათ, თუ ჰყავდათ ვინმე ახლობელი იქ დამარხული. რას იკადრებდნენ! ვოჟირარს ღარიბების სასაფლაოს სახელი ჰქონდა. სულ სხვა იყო მამა-ლაშეზის სასაფლაო, დიდებულების და წარჩინებულების. ვინც იქ დაიმარხება, ისეთივე დიდებულია, როგორიც დიდებულია ის, ვისაც წითელი ხის დგამით მოუწყვია თავისი სახლი, ეს არის დიდებული გემოვნების ნიშანი. ვოჟირარი წინათ პატივცემული სასაფლაო იყო, ძველებურად ბაღად მოწყობილი დიდრონი ხეივნებით, რომლებსაც ბზა, ურთხმელი და ცაცხვი ამშვენებდა. მაღალი ბალახი მორეოდა ძველ საფლავს. საშინლად ბნელი იყო იქაურობა საღამო ჟამს და ღამე.

ჯერ მზე არ ჩასულიყო, როცა ვოჟირარის სასაფლაოზე შევიდა ბალდახინი თეთრი სუდარით, ზედ შავი ჯვარი ჰქონდა ამოქარგული. კოჭლიგ მუშა, უკან რომ მისდევდა, ძია ფოშლევანი იყო. მიცვალებული დედა-ჯვარცმა საკურთხეველის ქვეშ, აკლდამაში დამარხეს. კოზეტი გუდით მეხილე დედაკაცთან მიიყვანა ფოშლევანმა. ჟან ვალჟანი მკვდრების ოთახში შეიყვანა. ყველაფერი მოაგვარეს ისე, როგორც განზრახული ჰქონდათ.

რაკი კიდევ ვახსენეთ დედა-ჯვარცმა, მაშ იმასაც ვიტყვით, რომ მიცვალებული მონაზვნის თავისსავე მონასტერში დასაფლავება დიდ ცოდვად არ მიგვაჩნია. ეს არის მთავრობის განკარგულების ერთი იმ დარღვევათაგანი, რომელსაც ვალდებულების ასრულება მოითხოვს. მონაზვნებმა აასრულეს ეს ვალდებულება და აასრულეს ისე, რომ სინდისის ქენჯნა კი არა, სრული კმაყოფილება ჰქონდათ. მონასტერში მთავრობას რომ იტყვიან, გულისხმობენ ვიღაცის ჩარევას სარწმუნოების საქმის გაძღოლაში, ჩარევას სრულიად უკანონოს. ჯერ მონასტრის წესდება და მერე... რაც შეეხება მთავრობის განკარგულებას, მაგასაც ვნახავთ. ერისკაცებმა შეადგინონ კანონები, რამდენიც ენებოთ, მაგრამ იმათვე შეასრულონ. ხელმწიფის კუთვნილი ხარჯი ისაა მხოლოდ, რაც ღვთის კუთვნილს გადარჩება. ჯერ პრინციპი და მერე პრინცი.

ბალდახინის უკან მიჩანჩალებდა ფოშლევანი, ძალიან კმაყოფილი. ორი შეთქმულება ჰქონდა მოსაწყობი, ერთი მონაზვნებთან, მეორე ძია მადლენთან, ერთი მონასტრისთვის, მეორე მონასტრის წინააღმდეგ, და ორივე კარგად თავდებოდა, იმისთანა კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე, რომ სხვასაც გადაედებოდა, ვინც კი შეხედავდა. ეს საქმე აღარ ადარდებდა. დარწმუნებული იყო, რომ კეთილად გათავდებოდა. თითქმის აღარაფერი რჩებოდა მოუგვარებელი. ამ ორი წლის განმავლობაში მრავალჯერ დაუთვრია საწყალი მესაფლავე, გაბრიელ მეტიენი. რასაც უნდოდა, იმას უზამდა იმ კაცს. თავის ნებაზე ახურავდა ქუდს და თავის სურვილისამებრ ათამაშებდა. ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო ფოშლევანი.

იმ გზაზე რომ გავიდნენ, რომელიც სასაფლაოს კარებისკენ მიდიოდა, ბედნიერი თვალით გადახედა ბალდახინს, ხელები მოიფშვნიტა და წაილაპარაკა:

- ოინი თუ გნებავთ, სწორედ ეს არის!

ბალდახინი დადგა, უკვე კარებთან მივიდა, საჭირო იყო მოწმობის წარდგენა, რომ ნებადართული იყო მიცვალებულის დამარხვა. მესაფლავე მეკარესთან მივიდა და მოწმობა აჩვენა. ამას ერთი-ორი წუთი მაინც სჭირდებოდა ყოველთვის და მანამ მეკარე ქაღალდს სინჯავდა, მოვიდა ვიღაც უცნობი, და ბალდახინის უკან დადგა, ფოშლევანის გვერდით. მუშას ჰგავდა, დიდრონ ჯიბიანი ტანისამოსი ეცვა და ხელში ნიჩაბი ეჭირა.

დააცქერდა ფოშლევანი.

- თქვენ აქ რა გინდათ? ვინ ხართ? - ჰკითხა შეშინებულმა.

პასუხიც მიიღო:

- მესაფლავე ვარ.

ადამიანს რომ შიგ გულში მოხვდეს ყუმბარა და მაინც ცოცხალი გადარჩეს, ისეთი სახე არ ექნება, როგორც ამ დროს ძია ფოშლევანს.

- მესაფლავე?!

- ჰო.

- თქვენ?!

- მე.

- მესაფლავე რომ ძია მეტიენია?

- იყო.

- როგორ თუ იყო?

- მოკვდა.

ყველაფერს წარმოიდგენდა ფოშლევანი და იმას კი ვერა, თუ მესაფლავე მოკვდებოდა. მაგრამ მართალი უთხრეს: თვითონ მესაფლავეებიც კვდებიან. იმდენს თხრიან სხვისთვის, რომ თავისთვისაც მოისურვებენ ხოლმე.

სახტად დარჩა ფოშლევანი, ძლივსღა წაიდუდუნა:

- შეუძლებელია.

- ასეა.

- კი, მაგრამ მესაფლავე ძია მატიენია, - წაილუღლუღა სასოწარკვეთილმა ფოშლევანმა.

- ნაპოლეონის შემდეგ - ლუი მეთვრამეტე. მეტიენის შემდეგ - გრიბიე. სოფლელო, მე გრიბიე ვარ.

განცვიფრებული, ფერმიხდილი შესცქეროდა გრიბიეს.

აწოწილი კაცი იყო, გამხდარი, მიწისფერი ედო პირჩამობნელებულს. შეხედულება ექიმის ჰქონდა, რომელსაც ფეხი წასხლტომია და მესაფლავე გამხდარა.

უცბად სიცილი წასკდა ფოშლევანს.

- დასწყევლოს ღმერთმა, რას არ ნახავს ამ ქვეყნად კაცი. თქვენი ჭირი წაიღო საწყალმა მეტიენმა? მაშ, გაუმარჯოს ძია ლენუარს. იცით, ვინ არის ძია ლენუარი? ეს დაბეჭდილი წითელი ღვინოა, უკეთესს ვერას დალევს ადამიანი. ბოთლი ექვსი სუ ღირს სურენის ღვინო. ნამდვილი წითელი სურენი. ეჰ, ის რომ აქ მყოლოდა, ბებერი მეტიენი, ჰაი, რას გადავკრავდით! ძალიან უყვარდა კეთილი ცხოვრება, მაგრამ

თქვენც არ დაიწუნებთ, მგონია, თუ კარგი შეგხვდათ. და ამაზე უკეთესს ვერსად ნახავთ. მაშ ასე, ჰა, ამხანაგო? გავალთ, პირს გავისველებთ...

უკმეხი პასუხი მიიღო:

- მე ვსწავლობდი, მეოთხე კლასში ვიყავი. ღვინოს არ ვსვამ.

ბალდახინი უკვე სასაფლაოს მთავარ ხეივანში მიგორავდა.

ვეღარ მისდევდა ფოშლევანი, უღალატა კოჭლმა ფეხმა, უფრო საქმის ასე დახლართვით, ვიდრე თავისი სისუსტით.

მესაფლავე წინ მიაბიჯებდა.

ერთხელ კიდევ დააშტერდა ამ კაცს ფოშლევანი.

იმ კაცთაგანი იყო გრიბიე, რომლებიც სიყმაწვილეშიც ბებერსა ჰგვანან და ღონიერები არიან, თუმცა ჩამომხმარნი.

- ამხანაგო! - დაუძახა ფოშლევანმა.

მობრუნდა გრიბიე.

- მე მონასტრის მესაფლავე ვარ.

- ჩემი კოლეგა ყოფილხართ.

დიდი სწავლული კაცი არ იყო ფოშლევანი, მაგრამ საზრიანობა კი არ აკლდა, მაშინვე მიხვდა, რომ საქმე ძალიან კარგ მოლაპარაკესთან ჰქონდა და სინანულით წარმოსთქვა:

- მაშ მოკვდა, მოკვდა ის უბედური?

- სულმთლად გადაშალა ძლიერმა ღმერთმა მისი სიცოცხლის ვადის წიგნი, ნახა, რომ ვადა მოსვლოდა და - აღარ არის ძია მეტიენი.

ფოშლევანმა მექანიკურად გაიმეორა:

- ძლიერმა ღმერთმა...

- დიახ, ძლიერმა ღმერთმა, - გაიმეორა დაბეჯითებით გრიბიემ, - ფილოსოფოსებისთვის - დაუსაბამია და იაკობინელებისთვის - უზენაესი არსება.

- მაშ არ გავიცნოთ ერთმანეთი? - წაიდუდუნა ფოშლევანმა.

- უკვე გავიცანით: თქვენ სოფლელი გლეხი ხართ, მე პარიზელი მკვიდრი.

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს. გაცნობა მაშინ არის კარგი, თუ ერთი ბოთლი წითელი ღვინოც ახლავს, რომ დაილოცოს ახალგაცნობილთა ძმობა. უამისობა არ შეიძლება. უნდა წამომყვეთ და ერთი კარგად გადავკრათ.

- ჯერ საქმე.

„დავიღუპე“, - გაუელვა თავში ფოშლევანს.

უკვე ახლოს იყვნენ მონასტრისთვის მიჩენილ ადგილთან.

ახლა გრიბიემ განმარტა თავისი:

- გეყურება, სოფლელო? შვიდი ბალღი მყავს და კარგი მადაც აქვთ, და რადგან ისინი ჭამენ, მე არ უნდა ვსვა. და წაუმატა, - ეტყობოდა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი სიტყვის წყობით და ღრმა აზროვნებით: - ბავშვების შიმშილი ჩემი წყურვილის მტერია.

ბალდახინი საფლავს უახლოვდებოდა, ფოშლევანი ცდილობდა ნელა ევლო, მაგრამ ბალდახინი მიეჩქარებოდა. კიდევ კარგი, მიწა ზამთრის წვიმისაგან იყო სველი და აძნელებდა ჩქარ სიარულს.

მიუახლოვდა გრიბიეს და კიდევ თავისი უთხრა:

- არჟანტელის ღვინო აქვს მიკიტანს, ნამდვილი ცხონებაა.

- სოფლელო, - უპასუხა გრიბიემ, - მე მესაფლავე არ უნდა ვყოფილიყავი. მამაჩემი მეკარე იყო პრიტანეში და მწერლობისთვის მამზადებდა, მაგრამ უბედურება ეწია, ფული წააგო ბირჟაზე. მეც იძულებული გავხდი უარი მეთქვა მწერლობაზე, მაგრამ დღეს მაინც მწერალი ვარ. ვინც წერა არ იცის და დასაწერი აქვს რამე, სულ ჩემთან მოდის ბაზარში.

- მაშ მესაფლავე არა ხართ, - შეჰყვირა სიხარულით ფოშლეევანმა და ახლა ამ სუსტ გარემოებაზე დაამყარა თავისი იმედი.

- ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება. მე შეთავსებას ვახერხებ.

ფოშლეევანმა ვერ გაიგო, რა იყო ეს შეთავსება.

- მაინც გადავკრათ.

აქ ერთი შენიშვნაა საჭირო. სულ იმას ეხვეწებოდა ფოშლეევანი, - ცოტა ღვინო დავლიოთო, - ამაზე ამყარებდა ჟან ვალჟანის კუბოდან ამოყვანის, დედა-ჯვარცმის მონასტერში დამარხვის და ამაში თავის მონაწილეობის დამალვის იმედს, მაგრამ იმას კი არ ამბობდა, ვინ გადაიხდიდა ამ ღვინის ფასს. საჭირო იყო ეს პატიჟი, მაგრამ ჩვენი ფოშლეევანი განზრახ გამოურკვევლად ტოვებდა ამ კითხვას ან, რაბლესი არ იყოს, ჩრდილში ტოვებდა ცოტა ხნით ფულის საკითხს. შიში ერეოდა კაცს, იღუპებოდა, მაგრამ ფულის ამოღება კი არ უნდოდა.

გაუცინა გრიბიემ, გადმოხედა და განაგრძო;

- საჭმელი უნდა ჰქონდეს ადამიანს. ძია მეტიენის თანამდებობა ვიკისრე. კაცი რომ თითქმის გაათავებს თავის კლასებს, ფილოსოფოსი ხდება. ხელით შრომას მკლავით შრომა დავუმატე. სევრის ქუჩაში რომ ბაზარია, იქ მიდგას ჩემი, ხალხის მწერლის, ფარდული, ხომ იცით, ქოლგების ბაზარში. რაც კრუა-რუჟეში მზარეული დედაკაცებია, სულ ჩემთან დადიან. წიგნს მაწერინებენ თავიანთ საყვარლებთან. ჰოდა, ასე. დილით სიყვარულის წიგნებს ვწერ, საღამოს საფლავებს ვთხრი. ეს არის ჩვენი ცხოვრება, სოფლელო!

ცოტა კიდევ და, საფლავს მიადგებოდა ბალდახინი. ჭირის ოფლი დაასხა ფოშლეევანს. გიჟივით აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს იქ ელოდებოდა რამე სანუგეშოს.

- მაგრამ, - განაგრძო გრიბიემ, - ორ ცოლს ვერ გაუძლებს კაცი, ძალიან კარგი ვაჟკაციც რომ იყოს. ერთ-ერთს უნდა გავეყარო, ან კალამი დავიტოვო, ან ბარი. ოღონდ ხელს მიხდენს ეს ბარი და ნიჩაბი.

ბალდახინი დადგა.

მგალობელი ბიჭი ჩამოვიდა დახურული ეტლიდან, მერე მღვდელი.

ბალდახინის წინა თვალი ნათხარი მიწის გროვაზე შემდგარიყო, იქვე გათხრილ საფლავს დაეღო პირი.

- ოინი თუ გნებავთ, სწორედ ეს არის! - გმინავდა ფოშლეევანი.

## თავი მეექვსე
## კუბოს ფიცრის ქვეშ

კუბოში ჟან ვალჟანი იწვა. ეს უკვე ვიცით.

ისე იყო მოწყობილი კუბოში, რომ სუნთქვა შეეძლო.

საკვირველია სწორედ, როგორ იმორჩილებს ადამიანს სულით ხორცამდე დამშვიდებული სინდისი. მშვენივრად მიდიოდა ჟან ვალჟანის მიერ მოწყობილი განზრახვა, სწორედ ისე, როგორც იმედოვნებდა. არავითარი დაბრკოლება გუშინდელს აქეთ. ჟან ვალჟანსაც მეტიენის სრული იმედი ჰქონდა და აზრადაც არ მოსდიოდა რამე საშიშროება. თავის დღეში არ ყოფილა ასეთ საზარელ მდგომარეობაში და თავის დღეში არ ყოფილა ასე უსაზღვროდ დამშვიდებული.

იქნებ კუბოს ფიცრების ბრალიც იყო მისი სიმშვიდე, რადგან რაღაც დამამშვიდებელი ძალა აქვს კუბოს ოთხ ფიცარს. მიცვალებულის ადგილას იწვა და მიცვალებულის უგრძნობლობა ერეოდა ჟან ვალჟანს.

კუბოში იწვა და გონების თვალს არ აშორებდა იმ საშინელი დრამის ყოველ ნაბიჯს, რომლითაც ის ებრძოდა სიკვდილს.

გაათავა ფოშლევანმა, დალურსმა კუბო. ცოტა ხნის შემდეგ იგრძნო ჟან ვალჟანმა, რომ ასწიეს და მიაქვთ, მერე ბალდახინი იგრძნო. ისიც თან მისდევდა თავის გზას და გრძნობდა, რომ ბალდახინი მოკირწყლული ქუჩიდან მოუკირწყლავზე გადავიდა, მერე სასაფლაოს ხეივნებში გაგორდა. არც აუსტერლიცის ხიდზე გავლა გამოეპარა, პირველი გაჩერებისას მიხვდა, რომ სასაფლაოს შესასვლელ კართან იყო, მეორედ რომ გაჩერდა ბალდახინი, იმედიანად ამოიხვნეშა:

- აგერ, საფლავთან ვართ.

და იგრძნო უცბად, რომ ხელი სტაცა ვიღაცამ. კუბოს რაღაც ეხახუნებოდა ზემოდან. მიხვდა, რომ თოკი მოაბეს საფლავში ჩასაშვებად. მერე ცოტა ხანს ისე იყო, თითქოს თავბრუ დაესხა.

ალბათ თავით წინ ჩაუშვეს საფლავში, მაგრამ როგორც კი საჭირო მდებარეობა მიიღო კუბომ, ისიც გონს მოვიდა.

სიცივეს გრძნობდა.

მის ზემოდან საზეიმო, მაგრამ გამყინავი ხმა გაისმა,. ყურს უგდებდა, ყველა სიტყვა გაიგონა, თუმცა ლათინური არ იცოდა:

- Qui dormiunt in terrae pulvere, evigilabunt; alii in vitam aeternam et alii in opprobrium; ut videant semper.

პატარა ბიჭის ხმაც დაემოწმა:

- De profundis.

ისევ მღვდლის ხმა გაისმა;

- Requiem aeternam dona ei, Domine.

პატარა ბიჭმა დაუმატა:

- Et lux perpetua luceat ei.

ხმა მოესმა, თითქო წინწკვლა დაიწყო წვიმამ იმ ფიცარზე, რომელიც გულზე აწვა, - ალბათ წმინდა წყალი მაპკურა მღვდელმაო და იმედი მიეცა, - ახლა კი მალე გათავდებაო. ცოტა მოთმინება კიდევ, მღვდელი წავა, ფოშლევანი ღვინის გადასაკრავად წაიყვანს მეტიენს, მარტო დარჩება კუბოში და საფლავში. მერე ფოშლევანი დაბრუნდება და ისიც ამოძვრება. ბევრი, ბევრი, ერთი საათი კიდევ.

გაისმა ისევ მღვდლის ხმა:

- Requiescat in pace.

და პატარა მგალობლის ხმა:

- ამინ.

მართლაც ყური მოჰკრა, მიმავლის ფეხის ხმა ისმოდა.

აგერ წავიდნენ, - ფიქრობდა ჟან ვალჟანი, - ახლა კი მარტო ვარ.

უცბად რაღაც დაეშვა გრიალით თავზე. ისეთი გრიალით, რომ მეხის ჩამოვარდნად ეჩვენა უბედურს.

ერთი ნიჩაბი მიწა დაუშვა კუბოზე გრიბიემ.

ამ ერთს მეორე მოჰყვა.

პირთან ნახვრეტები იყო კუბოს ფიცარში. ერთი უკვე ამოიქოლა.

ერთხელ კიდევ ჩამოყარეს მიწა. მეორედ...

მერე მეოთხედ.

არსებობს უფრო ძლიერი უბედურება, ვიდრე ძლიერი ადამიანი...

ჟან ვალჟანს გული წაუვიდა.

## თავი მეშვიდე
## არ დაგეკარგოს შენი მოწმობა

ეს კუბოში, ახლა ვნახოთ ზევით როგორ იყო საქმე.

ბალდახინი წავიდა, მღვდელი და მგალობელი თავისი ეტლით წაბრძანდნენ, ფოშლევანი თვალს არ აშორებდა მესაფლავეს. იმან კიდევ იქვე, მიწის გროვაში ჩარჭობილი თავისი ნიჩაბი ამოიღო.

მაშინ ფოშლევანმა დიდებული გადაწყვეტილება მიიღო.

საფლავისა და გრიბიეს შუა დადგა, გულხელი დაიკრიფა და გამოუცხადა:

- ფასს მე გადავიხდი.

გაკვირვებით შემოხედა მესაფლავემ და ჰკითხა:

- რის ფასს, სოფლელო?

- ფასს მე გადავიხდი-მეთქი.

- რის ფასს, რისას?

- ღვინის ფასს.

- რა ღვინისას?

- არჟანტეილისას.

- სად არის მერე არჟანტეილი?

- „უმჭკნარი კომშის“ დუქანში.

- რას ჩამციებია, რა ვქნა, ეს კაცი? - შეჰყვირა გრიბიემ და ერთი ნიჩაბი მიწა ჩაუშვა საფლავში.

თრთოდა ფოშლევანი, ფეხზე ვეღარ იდგა. სასოწარკვეთა ერეოდა, თან გაცოფება და ცოფიანივით შეჰყვირა:

- ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაკეტავენ „უმჭკნარ კომშს“ და ცარიელი დავრჩებით!

მესაფლავემ ნიჩაბი აავსო მიწით. ფოშლევანი კი თავისას არ იშლიდა:

- ღვინის ფასს მე გადავიხდი.

და ხელი მოუჭირა გრიბიეს:

- მე მონასტრის მესაფლავე ვარ. თუ ამხანაგები ვართ, ამხანაგობაც უნდა ვიცოდეთ, მინდა დაგეხმარო, სად ოხრობაში გაგვექცევა ეს კუბო ან ეს საფლავი? იმ დუქანს კი დაგვიკეტავენ. მოდი, ჯერ ცოტა გადავკრათ და მერე აქ მოვიდეთ.

ცდილობდა თავისას, მაგრამ თან ეჭვი ეპარებოდა: - დავათრობ კი ამ კაცს, კიდეც რომ დავიყოლიო და წამომყვესო?

- სოფლელო, - დაუწყო დარიგებით მესაფლავემ, - რაკი მასე ძალიან გინდა, მე თანახმა ვარ, პირი გავისველოთ, ოღონდ საქმეს რომ გავათავებთ. დავალებული საქმის შემდეგ, საქმის გათავების შემდეგ.

ასწია ნიჩაბი, უნდა ჩაეყარა. ფოშლევანმა შეაჩერა:

- უბრალო ღვინო კი არ გეგონოთ, ექვსი სუ ღირს ბოთლი.

- აჰა, ღმერთო! - შეჰყვირა გრიბიემ. - ღვინო და ღვინო! მაგის მეტს ვერაფერს იტყვით? ზარი ხომ არ ხართ, რომ სულ ღვინო, ღვინო - რეკოთ. გული გამიწყალეთ ღვინით!

და ერთი ნიჩაბი მიწა კიდევ ჩაყარა საფლავში, ეს მეორე.

აღარ იცოდა ფოშლევანმა, რა ეთქვა ან რა ექნა.

- წავიდეთ, თორემ დაგვიკეტავენ. თქვენ რა გეხარჯებათ? ფულს მე ვიხდი.

- ჯერ ეს ბავშვი დავაძინოთ, საბანი წავახუროთ, - და მესამედ ჩაუშვა ნიჩაბი მიწა.

მერე ნიჩაბი მიწაში ჩაარჭო და უთხრა:

- ძალიან ეციება ამაღამ და ეს ქალბატონი კივილით ავვიკლებს - საბანიც კი არ დამხურეს ამ ყინვაშიო!

აიღო ნიჩაბი, დაიკუზა, რომ მეტი მიწა აეღო და გაღეღილი დაინახა ფოშლევანმა იმისი ჯიბე.

დაინახა და თვალი ზედ დარჩა.

ჯერ არ ჩასულიყო მზე, საკმაო სინათლე იყო და ფოშლევანმა ამ ჯიბეში შენიშნა თეთრი ქაღალდი.

უცბად სახე გაუბრწყინდა. ისე აუთამაშდა თვალი, თითქოს ქვეყნის ელვა მოერია და თვალის კაკალში გაურბინაო. მაშინვე მოისაზრა პიკარელმა გლეხმა.

დაღუნული გრიბიე რომ ნიჩბით მიწის აღებას ცდილობდა, ჯიბეში უკნიდან ხელი ჩაუყო და თეთრი ქაღალდი ამოაცალა.

ის იყო მობრუნდა გრიბიე, უნდოდა მეხუთედ აეღო მიწა, მაგრამ წინ აეტუზა ფოშლევანი, სრულიად დამშვიდებული და ჰკითხა:

- მართლა, ახალო ამხანაგო, მოწმობა გაქვთ?

- რა მოწმობა?

- ხედავთ, მზე მალე ჩავა.

- ჩავა და ჩავიდეს. დაიხუროს ღამის ჩაჩი.

- მერე კარს რომ დაგვიკეტავენ?

- მერე რა?

- ჰოდა, მეც მაგას გეკითხებით. თქვენ თქვენი მოწმობა თანა გაქვთ?

- ჩემი მოწმობა?

ჯიბეები გაიქექა მესაფლავემ, ჯერ ერთი, მერე მეორე. მერე ხელმეორედ.

- არა, თან არ მქონია. დამვიწყებია.

- თხუთმეტი ფრანკი ჯარიმა! - მოაგონა ფოშლევანმა.

გამწვანდა საცოდავი მესაფლავე. მიწისფერ ადამიანს რომ შიშით ფერი ეცვლება, მწვანეს ემსგავსება.

- ღმერთო, დიადო ხატჯვარეთო - მრავალო და ვითომ - ერთო! - შეჰყვირა გაბრაზებულმა, - თხუთმეტი ფრანკი ჯარიმა!

- სამი ხუთფრანკიანი ვერცხლი.

ნიჩაბი ხელიდან გაუვარდა გრიბიეს.

ახლა ფოშლევანის რიგი იყო:

- კარგი ერთი, ამხანაგო, არც მასე შეშინება ვარგა. მგონი თავს მოიკლავდი და ამ საფლავში ჩაწვებოდი, მე რომ აქ არ შეგსწრებოდი. თხუთმეტი ფრანკი ფულია, მაგრამ ისე მოვახერხოთ, რომ ჯიბეში ჩაგრჩეთ და პირიც გავისველოთ. მე ბებერი ვარ და თქვენ ყმაწვილი, ახალი კაცი ხართ ჩვენს საქმეში. ჰოდა, მე უფრო ვიცი გაჭირვების აცილება. გავკრავ, ჩავკრავ, მივკრავ, მოვკრავ და ბოლოს ლამაზად გადავკრავ! ჰოდა, მაშ ერთ მეგობრულ რჩევას მოგცემთ, ცხადია, მზე ჩადის, აგერ გუმბათს ესალმება. კიდევ ხუთი წუთი და კარსაც დაგვიკეტავენ.

- რაც მართალია, მართალია!

ამ ხუთ წუთში, ამხანაგო, ვერც ამ საფლავს ამოვავსებთ, ისე ჩაგიღრმავებიათ, თითქოს გეშინიათ არ ამოძვრეს დედა-ჯვარცმაო, და ვერც შინ მიხვალთ, რომ კარის დაკეტვამდე მოარბენინოთ თქვენი მოწმობა.

- ეგეც მართალია.

- და მაშასადამე ამოყაჯეთ თხუთმეტი ფრანკი.

- თხუთმეტი ფრანკი?

- მაგრამ იმას კი მოასწრებთ, რომ... სადა დგახართ?

- ვოჟირარის ქუჩაზე #87. თხუთმეტი წუთის სავალი იქნება აქედან.

- ჰოდა, იმას კი მოასწრებთ, რომ ახლავე გახვიდეთ სასაფლაოდან თუ ფეხმა არ გიმტყუნათ.

- ეგეც მართალია.

- რაკი გახვალთ, სირბილით მიხვალთ სახლში. წამოიღებთ თქვენს მოწმობას, აჩვენებთ და კარს გაგიღებენ. მოწმობა რაკი თან გექნებათ, არავითარ ჯარიმას არ გადაგახდევინებენ, მოხვალთ და დამარხავთ თქვენს მკვდარს. მე კი აქ ვიქნები თქვენს მოსვლამდე, რომ არსად გაგვეპაროს ჩვენი საყვარელი მონაზონი.

- ნეტავ როგორ გადაგიხადოთ მაგდენი სიკეთე?

- აბა, მაშ აჩქარდით!ყ

ძლივს დამშვიდდა შეშინებული მესაფლავე. მივარდა, ხელი ჩამოართვა მადლობით და სირბილით გაუდგა თავის გზას.

გრიბიე რომ მოიშორა, ცოტა ხანს კიდევ უგდო ყური, ვიდრე სულ მიწყდებოდა მისი ფეხის ხმა, მერე თავი ჩაყო საფლავში და დაუძახა;

- ძია მადლენ!

პასუხი არ იყო.

კანკალი დაიწყო ფოშლევანმა. ჩავარდა საფლავში. კუბოს თავთან მივიდა და ჩუმი ხმით დაუძახა:

- მანდ ხართ?

კუბო გაჩუმებული იყო.

ისე კანკალებდა ფოშლევანი, რომ სუნთქვა ეკვროდა. მაშინვე მოიტანა გაზი, ჩაქუჩი და გახსნა კუბო. ფერმიხდილი იყო ჟან ვალჟანი, თვალდახუჭული.

თმა აეშალა ფოშლევანს, ჭირის ოფლმა დაასხა, წამოვარდა, მაგრამ წაბარბაცდა, კინაღამ კუბოს დაეცა, დააცქერდა ჟან ვალჟანს, მკვდრისფერი ედო საცოდავს.

- ვაიმე, მომკვდარა!

წამოვარდა და ისე მაგრად დაიკრიფა გულზე ხელები, რომ თვითონვე იგრძნო მხარში ტკივილი.

- აი, როგორ გადავუხადე საწყალს სიკეთე! - ქვითინი დაიწყო და თან მოსთქვამდა მონოლოგად. ტყუილად ჰგონიათ, რომ მონოლოგი ბუნებრივი არ არის. დიდი მღელვარება რომ მოერევა ადამიანს, ის ატანს ძალას და ათქმევინებს:

- სულ იმ ლოთი მეტიენის ბრალია! არა, რა დროს სიკვდილი იყო, რომ მომკვდარა ის უბედური ისა! რა ეჩქარებოდა? იმან მოკლა ძია მადლენი. აგერ კუბოში წევს! ბატონო მადლენ! რაღას გააგონებ! მკვდარს წამოაყენებ? არა, რას წარმოვიდგენდი, რომ ასე მიღალატებდა ის სულწაწყმედილი, ისა! ღმერთო, ღმერთო, მკვდარია კაცი! კარგი და იმ პატარა გოგონას რაღა ვუყო? რას მეტყვის მეხილე დედაკაცი? არა, ასე საძაგლად მოკვდეს მადლით სავსე კაცი? სად არის, ღმერთო, შენი სამართალი? მადლიანი რომ არ ყოფილიყო, იმ ტალახში ჩაწვებოდა, თავს გაწირავდა ჩემთვის? ძია მადლენ! ძია მადლენ! ჰაერი არ ჰქონდა, დაიხრჩობოდა, მაშ რა მოუვიდოდა? განა არა, ვეუბნებოდი, მაგრამ რა ვქნა, რომ არ დამიჯერა? ძალიან ოინი მოგვივიდა. მოვკალით კაცი, ანგელოზივით წმინდა, იმისთანა გულკეთილი, რომ მეორე არსად იქნება ამის დარი. ახლა პატარა გოგო! არა, მე იქ ვეღარ მივალ, მეც აქ დავრჩები. არა, რა ღმერთი გაგვიწყრა? ორის სიბერე არა კმაროდა, რომ სიგიჟეც არ შემოგვპარვოდა? ნეტავ, როგორ შემოვიდა მონასტერში? იქიდან დაიწყო ჩვენი უბედურება. სულ იმ ჩუმად შემოძრომის ბრალია ყველაფერი. ძია მადლენ! მადლენ! ბატონო მადლენ! ბატონო მადლენ! ბატონო მერო! არა, არ ესმის. მოდი შენა და...

თმაში იტაცა ხელი

შორიდან ჭრიალი მოესმა. ალბათ დაკეტეს სასაფლაოს კარი.

დაიღუნა ფოშლევანი, ახლოდან დახედა ჟან ვალჟანს და ისე შეხტა უცბად, რომ კინაღამ წაიქცა.

თვალი გაეხილა ჟან ვალჟანს და მტირალს უყურებდა.

საზარელია მკვდარი, მაგრამ უფრო საზარელი უნდა იყოს მკვდრის გაცოცხლება. გაქვავებულივით იდგა ფოშლევანი. ფერმიხდილი, შეშლილივით თვალებდაჭყეტილი და საკვირველიც არ იქნებოდა, რომ შეშლილიყო, იმოდენა ვაი-ვაგლახი და ვარამი ნახა იმ საღამოს. ისე იყო გაშტერებული, რომ ვეღარ გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე, მკვდართან თუ ცოცხალთან? იდგა და შიგ თვალში ჩასცქეროდა ჟან ვალჟანს.

- მგონია, ჩამეძინა, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

და წამოიწია, წამოჯდა.

დაიჩოქა ფოშლევანმა.

- ეჰ, მე კი გული გამიხეთქეთ და!

მერე წამოვარდა და შეჰყვირა:

- გმადლობთ, ძია მადლენ!

ჟან ვალჟანს გული წასვლოდა. ცივი ჰაერი რომ მოხვდა და სუნთქვა შეძლო, მაშინვე მოსულიერდა.

სიხარული შიშის უკუქცევაა. ჟან ვალჟანი უფრო ადვილად მოსულიერდა, ვიდრე გახარებული ფოშლევანი მოიკრებდა გონებას.

- მაშ, ცოცხალი ხართ? ღმერთო, რა აზრიანი კაცი ყოფილხართ! იმდენი გიყვირეთ, იმდენი, რომ გამოგაბრუნეთ, როგორც იყო! კუბო რომ ავხადე და თვალდახუჭული დაგინახეთ, გული გამისკდა, - დამხრჩვალი მეგონეთ, კინაღამ გავგიჟდი კაცი! გარწმუნებთ, თვალი რომ არ გაგეხილათ, დასაბმელი გიჟი ვიქნებოდი. არა, რაღას გავაწყობდი მე უბედური, თუკი თქვენ არ მეყოლებოდით? ახლა თქვენი პატარა გოგო? გადაირეოდა ჩემი ნაცნობი მეხილე, გოგო კალათში ჩაუსვეს და მერე გამოუცხადეს, - პაპამ შენი ჭირი წაიღო, გოგოს შენ მოუარეო! მოდი შენა და!.. ძალიან კი გადავრჩით, ჰა? მართლა, რომ ძალიან გადავრჩით! მადლი თქვენს მოხერხებას და სამოთხის წმინდანებს! მაშ, ცოცხალი ხართ, ჰა? აი ეს კი დიდებულია!

- მცივა, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

ამ სიტყვამ მოიყვანა ჭკუაზე ფოშლევანი, - მოაგონა საქმის ვითარება და აჩქარების საჭიროება, მოსულიერდნენ ორივე, მაგრამ ისე იყვნენ, თითქოს ჯანღი აჰფარებიათ თვალებზე და ვერაფერს ხედავენო.

- აბა, წავიდეთ! - შეჰყვირა ფოშლევანმა.

ხელი ჩაიყო ჯიბეში და პატარა მათარა ამოაძვრინა:

- ჯერ პირი გავისველოთ.

არაყი რომ მოხვდა ჟან ვალჟანის გულს, მაშინვე წამოვარდა და თავი დაახურა კუბოს.

საჩქაროდ დალურსმეს ცარიელი კუბო და ამოძვრნენ საფლავიდან.

ახლა კი სრულიად დამშვიდებული იყო ფოშლევანი. საშიში აღარაფერი ჰქონდა. სასაფლაო დაკეტილი იყო. კიდეც რომ მოსულიყო მესაფლავე გრიბიე, წესრიგში დახვდებოდა ყველაფერი. ან ასე მალე როგორ მოვიდოდა? ის ახლა თავის მოწმობას ეძებდა. ეძებდა და ვერ იპოვიდა, რადგან მოწმობა ფოშლევანს ედო ჯიბეში და მოწმობის გარეშე კი სასაფლაოს კარს არ გაუღებდნენ.

ფოშლევანმა ნიჩაბი აიღო, ჟან ვალჟანმა ბარი და ღირსეულად დაასაფლავეს ცარიელი კუბო.

რომ გაათავეს, მოასწორეს საფლავი, ფოშლევანმა ურჩია:

- ახლა კი წავიდეთ. ბარი მე მომეცით, თქვენ - ნიჩაბი.

დაღამდა.

ჟან ვალჟანს ჯერ ისევ უჭირდა სიარული. დიდი ხანი იწვა კუბოში უძრავად, გაქვავებული და მიმკვდარებულს ჰგავდა. ძარღვებგაქვავებული იწვა? და თანაც გამოჰყოლოდა. საჭირო იყო დრო და მოძრაობა, რომ მოეშორებინა ეს გათოშვა.

- თქვენ გაყინული ხართ, - მიმართა ფოშლევანმა, - მე კოჭლი, მოდი ერთი და ჩქარა იარე!

- ცოტა დამაცადეთ, ფეხი გავანძრიო, მერე მე ვიცი.

იმ ხეივნითვე მიდიოდნენ, რომლითაც ბალდახინმა მოაბრძანა. კარი დაკეტილი დახვდათ, ფოშლევანს ხელში გრიბიეს მოწმობა ეჭირა. მივიდა, ნახვრეტში ჩაუშვა. მეკარემ თოკი მოსწია. კარი გაიღო და გავიდნენ.

- ხედავთ, რა კარგად მიდის საქმე. რა მშვენივრად მოგისაზრებიათ ყველაფერი, ძია მადლენ!

ვოჟირარის სადარაჯოსთან ხმა არავინ გასცა: სასაფლაოდან მიდიოდნენ მუშები, ხელში ბარი და ნიჩაბი ეჭირათ: აქ ერთიც და მეორეც პასპორტს უდრიდა.

ვოჟირარის ქუჩაში აღარავინ ჩანდა.

- ძია მადლენ, - სთხოვა ფოშლევანმა, რომელიც კაი ხანი იყო, სახლის ნომრებს სინჯავდა, - თქვენ კარგად ხედავთ, დამანახვეთ #87, თორემ ვერაფერს ვარჩევ.

- აგერ, იქით მივდივართ, - უპასუხა ჟან ვალჟანმა და სახლთან მიიყვანა.

- მიბოძეთ ნიჩაბი და ცოტა ხანს აქ დამიცადეთ, სულ რამდენიმე წუთს შეგაგვიანებთ.

შევიდა სახლში, აჰყვა კიბეს. სულ ზევით ავიდა. ღარიბი კაცის ალღოს მისდევდა, რომელიც სხვენისაკენ იზიდავს. კარზე დააკაკუნა.

- მობრძანდით.

გრიბიეს ხმა იყო.

შეაღო კარი. მესაფლავე გრიბიეს ბინა ისეთივე იყო, როგორიც ყველა ღარიბის. სხვენის ნაწილი, მოუწყობელი და გადასაყრელი საგნებით გატენილი. რაღაც ყუთი იდგა. იქნებ კუბოც ყოფილიყო, კამოდის დანიშნულებას ასრულებდა, და ქილა - წყაროსას. ლოგინის მაგივრად ჩალის ლეიბი ეგდო იატაკზე. არც მაგიდა ჩანდა, არც სკამები. კუნჭულში, ძველი ხალიჩის ნაჭერზე ერთი ქალი იჯდა და ჯგუფად რამდენიმე ბავშვი. არეულ-დარეული იყო ყველაფერი, თითქოს მიწისძვრა ყოფილიყოს მარტო ამ ერთისთვის. სახურავი არაფერს ეხურა. დაგლეჯილი ტანისამოსი ძირს ეყარა, სურა გატეხილი ეგდო. დედას ეტირა, ბავშვები ეტყობოდა, გალახულები იყვნენ, საშინელი სასტიკი ჩხრეკა უნდა ყოფილიყო ამ სახლში. ცხადი იყო, მესაფლავე გაშმაგებულიყო თავისი მოწმობის ძებნაში და დამნაშავედ თავის ბინას თვლიდა, ბარგს, ცოლს, შვილებს და ჯავრიც იმათზე ამოეყარა.

მაგრამ ისე ეჩქარებოდა ფოშლევანს, რომ ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია.

შევიდა და არც კი მიესალმა:

- აი, თქვენი ბარი და ნიჩაბი.

განცვიფრებული შეჰყურებდა გრიბიე.

- თქვენ ხართ, სოფლელო?

- და ხვალ დილით სასაფლაოს მეკარეს გამოართმევთ თქვენს მოწმობას.

ბარი და ნიჩაბი ძირს დადო.

- მე რომ ვერაფერი გავიგე?

- რა არის აქ ძნელი გასაგები? ალბათ ჯიბიდან ამოგივარდათ თქვენი მოწმობა და მე ვიპოვე იქვე, საფლავის პირთან, თქვენ რომ წამოხვედით, მკვდარს თავისი მიწა დავაყარე, საფლავი ამოვავსე, თქვენი საქმე მე გავაკეთე, მოწმობა მეკარეს ჩავაბარე და აღარც თხუთმეტფრანკიან ჯარიმას გადაიხდით. ახლა?

- დიდი მადლობა, სოფლელო, - შეჰყვირა გახარებულმა გრიბიემ, - შემდეგში ყელს რომ გავისველებთ, ფულს მე ვიხდი.

## თავი მერვე
## წინამძღვარსაც მოეწონა

ერთი საათის შემდეგ, როდესაც კარგად დაღამდა, პიკპუსის ქუჩის ##62-ის კარს ორი კაცი და ერთი პატარა გოგონა მიადგა. კარს გარედან პატარა ჩაქუჩი ეკიდა დასაკაკუნებლად. დააკაკუნეს.

ფოშლევანი, ჟან ვალჟანი და კოზეტი იყვნენ.

ორივე ერთად წასულიყო მეხილესთან კოზეტის წამოსაყვანად. კანკალში გაატარა ეს დღე და ღამე საბრალო გოგონამ. სულ ტენარდიე ელანდებოდა. ისე კანკალებდა, რომ ვერც ხმის ამოღებას, ვერც ტირილს ახერხებდა. უძილოდ გაეტარებინა მთელი ღამე და ლუკმაპურიც არ შეეჭამა, რაც იქ იყო. ხან რას ჰკითხავდა მასპინძელი, ხან რას, მაგრამ ხმას არ იღებდა გოგონა და თრთოდა. გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა ამ ორი დღის განმავლობაში, მთლად აირია მისი ცხოვრება და სულ იმას ფიქრობდა, - ჭკვიანად უნდა ვიყოო, - ამიტომ იყო, რომ პასუხს არ აძლევდა მეხილეს. საკვირველი ძალა აქვს ამ სამ სიტყვას, - არა სთქვა რა, - შეშინებულ ბავშვს რომ ჩასჩურჩულებენ ყურში. შიში მუნჯია და არავინ იცავს საიდუმლოს ისე კარგად, როგორც ბავშვი.

ჟან ვალჟანი რომ დაინახა ამ უბედური დღე-ღამის შემდეგ, ისე შეჰკივლა სიხარულით, რომ ვისაც უნდა გაეგონა, საფლავიდან ამოყვანილის სიხარულს იგრძნობდა მის ყვირილში.

ფოშლევანმა იცოდა ის საიდუმლო სიტყვა, რომელიც ყველა კარს გაუღებდა მმთელ მონასტერში.

ასე დამთავრდა ორმაგი და საშინელი საკითხი: გასვლა და ისევ მონასტერში შესვლა.

ფოშლევანმა ჟან ვალჟანი და კოზეტი იქ შეიყვანა, სადაც გუშინ დედაწინამძღვრის ბრძანება მიიღო.

წინამძღვარი უკვე იქ ბრძანდებოდა კრიალოსნით ხელში. გვერდით ერთი ხმოსანი დედა ედგა, პირბადით, პატარა შანდალში სანთელი ენთო და ოდნავ ანათებდა ოთახს.

ჯერ კარგად გასინჯა წინამძღვარმა ჟან ვალჟანი, თვალდაშვებულზე კარგად ვერავინ სინჯავს საგანს.

მერე გამოკითხვა დაუწყო:

- თქვენ ძმა ხართ?

- დიახ, ღირსო დედაო, - მიუგო ფოშლევანმა.

- რა გქვიათ?

- ულტიმ ფოშლევანი.

ფოშლევანს მართლა ჰყოლოდა ერთი ძმა, სახელად ულტიმი, მაგრამ მოკვდომოდა.

- სადაური ხართ?

- პიკინელი გახლავთ, ამიენის ახლოდან.

- რამდენი წლის ხართ?

- ორმოცდაათის გახლავართ.

- თქვენი ხელობა?

- მებაღე გახლავართ.

- კარგი ქრისტიანი ხართ?

- ჩვენს ოჯახში ყველანი კარგი ქრისტიანები გახლავან.

- ეს პატარა თქვენია?

- დიახ, ღირსო დედაო.

- მამა ხართ მისი?

- არა, პაპა გახლავართ.

ხმოსანმა დედამ მოახსენა წინამძღვარს ჩუმი ხმით:

- კარგ პასუხებს იძლევა.

ხმა არ ამოიღო ჟან ვალჟანმა.

ახლა კოზეტს დააშტერდა წინამძღვარი და, კარგად რომ გასინჯა, ჩუმი ხმით უთხრა ხმოსან დედას:

- ლამაზი არ იქნება, რომ გაიზრდება.

ცალკე მიიკუჭნენ, მოილაპარაკეს, შეთანხმდნენ, მერე ფოშლევანისკენ მიბრუნდა წინამძღვარი და უთხრა;

- ძია ფოვან, მეორე ზანზალაკი დაგვჭირდება, ამიერიდან ორი ზანზალაკი იქნება ბაღში.

მართლაც, რომ გათენდა, ბაღში ორი ზანზალაკის ხმა ისმოდა და მონაზვნებიც სცოდავდნენ და მაღლა იწევდნენ პირბადეს, რომ უკეთ დაენახათ ორივე. ბაღში ორი კაცი ჩანდა, ერთად ბარავდნენ მიწას, ფოვანი და ერთი კიდევ სხვა. რაღაც მოხდა, რამაც მთლად ააფორიაქა მონასტერი და მრავალი ცოდვა ჩაიდინეს იმ დღეს მონაზვნებმა, თითქმის ყველამ დაარღვია სავალდებულო დუმილი. ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

- მებაღის დასახმარებლად ვიღაც აუყვანიათ.

ხმოსანი დედები მეტსაც ამბობდნენ:

- ძია ფოვანის ძმაა.

ჟან ვალჟანი დაბინავდა მონასტერში, მებაღედ მიიღო წინამძღვარმა. მუხლზე საწვივე ეკრა და ზედ წესისამებრ პატარა ზანზალაკი ეკიდა.

მოსამსახურედ იყო მონასტერში, თავისი თანამდებობა ჰქონდა, სახელად ულტიმ ფოშლევანი ერქვა.

ჟან ვალჟანის მიღების უმთავრესი მიზეზი წინამძღვრის სიტყვა იყო კოზეტის შესახებ, - ლამაზი არ იქნება, რომ გაიზრდებაო.

ასე წარმოიდგინა კოზეტის მომავალი; თავისად დაიგულა და ამიტომ უფრო მეტი თანაგრძნობით შეუწყო ხელი, სამადლოდ აღსაზრდელად მიიღო პანსიონში.

მონასტრის ინტერესით ხელმძღვანელობდა, ასე რომ მოიქცა. მართალია, სარკე არა აქვთ მონასტერში, მაგრამ ქალმა უსარკოდაც იცის, რამდენად ლამაზი და თვალწარმტაცია. თუ ლამაზია ქალი, ძალიან ძნელად შევა მონასტერში მონაზვნად. რაც უფრო ლამაზია ქალი, იმდენად ნაკლებად აქვს მონაზვნობის სურვილი და ამიტომ არის, რომ მონასტერს უშნო, ულაზათო ქალების იმედი უფრო აქვს და მათ უფრო სწყალობენ.

ძალიან აამაღლა ამ ამბავმა ბებერი ფოშლევანი და დიდი პატივისცემაც შესძინა, სამმაგ წარმატებას მიაღწია: იმის მზეს ფიცავდა ჟან ვალჟანი, რომელმაც მისი დახმარებით ბინაც იშოვა და განსაცდელიც მოიშორა; პატივისცემა დაიმსახურა მესაფლავე გრიბიესი, რომელსაც იმოდენა ჯარიმა ააცდინა. დიდი მადლობა დაიმსახურა წინამძღვრის და მონაზვნებისა, რომელთაც ნატვრა აუსრულა, და მონასტერშივე, აკლდამაში დაასაფლავა განსვენებული დედა-ჯვარცმა. - გვერდი აუარა კეისარს და დააკმაყოფილა ღმერთი. კუბო თავისი მიცვალებულით დარჩა მონასტერში და ცარიელი კუბო დამარხულ იქნა ვოჟირარის სასაფლაოზე. საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ცხადია, ღრმად უნდა ყოფილიყო მთავრობის კანონიერი განკარგულების დარღვევით აღშფოთებული, მაგრამ სრულიად

შეუმჩნევლად ჩაიარა ამ უკანონობამ, მონასტერი დიდად აფასებდა ფოშლევანის ღვაწლს და საუკეთესო მოსამსახურის და საგანგებო მებაღის სახელით ჰყავდა დაჯილდოებული. ცოტა ხნის შემდეგ, ეპისკოპოსი რომ ეწვია მონასტერს, წინამძღვარმა დაწვრილებით უამბო, ცოტაოდენი თავის ქებით და გულწრფელი დანდობით, ფოშლევანის დიდი ღვაწლი. ეპისკოპოსმა ბატონი დე-ლატინი ნახა, სასახლის მოძღვარი, შემდეგში რეიმსის ეპისკოპოსი და კარდინალი. ჩუმი ხმით და დიდი ქებით უამბო ფოშლევანის მოხერხებულობის შესახებ. პატივსაცემი გახდა ფოშლევანის სახელი; იარა ამ სახელმა და რომშიც კი ჩავიდა. პატარა წერილი გვაქვს მაშინდელი პაპის, ლეონ მეთორმეტის, პარიზში პაპის მოადგილისადმი, თავის ნათესავ დელლა-გენგასადმი მიწერილი. აი, რას ნახავთ ამ წერილში: „პარიზის ერთ მონასტერში საკვირველი მებაღე არის თურმე, წმინდათა შორის ჩასარიცხველი, სახელად ფოვანი“. სახელოვანი, დიდებული კაცი გამხდარიყო ძია ფოშლევანი და თვითონ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. იდგა და ბარავდა, სხლავდა, თოხნიდა, სანესვეს ფალასს აფარებდა; არც თავის დიდებისა იცოდა რამე, არც წმინდანებისა; თავის სახელოვნობის ისევე არაფერი იცოდა, როგორც დურგემელმა თუ, არ ვიცი, სურელმა ხარმა, რომლის სურათი დაბეჭდილი იყო Ilლლუსტრატედ ლონდონ ნეწს-ში ამ წარწერით: რქიანი საქონლის გამოფენაზე მიღებული აქვს პირველი ჯილდო.

## თავი მეცხრე
## მონასტერში

მონასტერშიც გაჩუმებული იყო კოზეტი.

ჟან ვალჟანი თავის მამად მიაჩნდა. თავისი წარსულის არაფერი იცოდა და ამიტომ ვერც იტყოდა რამეს. კიდეც რომ სცოდნოდა, მაინც არ იტყოდა. მგონი ვთქვით, უბედურება ენას აუბამს ხოლმე ბავშვს. იმდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა საცოდავმა, რომ ყველაფრის ეშინოდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, სუნთქვას ვერ ბედავდა თავის ნებაზე. რამდენი ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება რგებია მარტო იმისთვის, რომ არ მოსწონებიათ მისი სიტყვა. ძლივს ცოტა გაბედულება დაეტყო მას შემდეგ, რაც ჟან ვალჟანთან იყო. მონასტერსაც ადვილად მიეჩვია. ოღონდ ძალიან წუხდა, რომ თან არ ჰყავდა თავისი დედოფალა, მაგრამ ამის თქმას როგორ გაბედავდა? ერთხელ კი როგორღაც წამოსცდა და შესჩივლა ჟან ვალჟანს:

- რომ მცოდნოდა, მამაჩემო, იმასაც თან წამოვიყვანდი.

რაკი მონასტერში იყო და პანსიონელი გახდა, ტანსაცმელიც მოწაფის უნდა ჩაეცვა. ჟან ვალჟანმა სთხოვა, - ძველი ტანსაცმელი მე მიბოძეთო; ის ტანისამოსი იყო სამგლოვიარო, ბავშვს რომ ჩააცვა ტენარდიესგან წამოყვანის დღეს. ჯერ გაცვეთილი არ იყო. ქაფური დააყარა, შიგვე ჩადო იმისი წინდები და ფეხსაცმელი, დაუმატა მრავალი სურნელოვანი, რომლებიც ყოველთვის ბლომად აქვს მონასტერს, ჩაალაგა სადღაც და როგორღაც შეძენილ ყუთში და თავის ლოგინთან დადო სკამზე. ყუთის გასაღები ყოველთვის ჯიბეში ჰქონდა.

- მამაჩემო, - მიმართა ერთხელ ტორროლამ, - ნეტავ რა გაქვთ ამ ყუთში, რომ ასე კარგი სუნი უდის?

ძია ფოშლევანიც ძალიან კმაყოფილი იყო. გარდა იმ დიდებისა და სახელოვნებისა, რომელიც მოგახსენეთ და რომლისაც თვითონ არაფერი იცოდა,

სრულიად ბედნიერად თვლიდა თავის ცხოვრებას; შრომაც იმდენი აღარ სჭირდებოდა, რადგან ამხანაგი ჰყავდა და კარგადაც ეხმარებოდა; და იმიტომაც, რომ სრულიად საკმარისად ჰქონდა თავისი საყვარელი თამბაქო; ერთი-სამად მეტს ეწეოდა, ვიდრე წარსულში და ტკბებოდა თამბაქოს წევით, თამბაქოს კვამლით, რადგან მის ფასს ჟან ვალჟანი იხდიდა.

მონაზვნებმა ვერ შეითვისეს სახელი ულტიმი. ჟან ვალჟანს მეორე ფოვანს ეძახდნენ.

ცოტა რამ, იოტისოდენი რომ ჰქონოდათ ამ წმინდა ქალებს ჟავერისა, ადვილად შენიშნავდნენ, რომ როცა ქალაქში გასვლა იყო საჭირო ბაღის ან ბოსტნის საჭიროებისთვის, ყოველთვის უფროსი ფოშლევანი მიდიოდა, ბებერი, ხეიბარი, კოჭლი, და მეორე კი არსად გადიოდა. მაგრამ ეს გარემოებაც კი ვერ შენიშნეს, რადგან ღვთისადმი მიმართული თვალი მიწიერს ვერაფერს ხედავს ალბათ. ან კიდევ იმიტომ, რომ ერთმანეთს ადევნებდნენ თვალყურს და სხვებისთვის არ ეცალათ.

კიდევ კარგი, რომ ასე ფრთხილად მოიქცა ჟან ვალჟანი. ერთხელ არსად გასულა თავის სამალავიდან, თორემ ჟავერს ვერ ასცდებოდა. იქ ტრიალებდა ჟავერი მთელი თვის განმავლობაში და თავის ნადირს ეძებდა. ჟან ვალჟანისთვის ეს მონასტერი პატარა კუნძული იყო, ყოველმხრივ დიდი უფსკრულით გარშემორტყმული. ეს ბაღი იყო ამიერიდან მისთვის მთელი ქვეყანა: ცას ხედავდა, რომ დამშვიდებული ყოფილიყო და თავის კოზეტს, რომ ბედნიერი ყოფილიყო.

ერთხელ კიდევ ეღირსა ტკბილი ცხოვრება.

ბაღის ბოლოში დანგრეულ სახლში დარჩენილიყო სამი პატარა ოთახი და იქ ცხოვრობდა ფოშლევანთან, ჯერ ისევ შეიძლებოდა ამ პატარა სახლის ნახვა 1845 წელს. დიდი ოთახი ძია ფოშლევანმა ჟან ვალჟანს დაუთმო. უარზე იყო ჟან ვალჟანი, არ თანხმდებოდა, მაგრამ ისე ჩააცივდა ფოშლევანი, რომ აიძულა და ძალდატანებით შეიყვანა. ეს ოთახიც სხვებივით მიტოვებული იყო. კედელზე ორი ლურსმანი მიემაგრებინათ: ერთზე საწვივე ეკიდა თავის ზანზალაკით, მეორეზე - გუდა. კედლის დასამშვენებლად ბუხრის თავზე 1793 წლის მეფის ფული ჰქონდა მიკრული, რომლისაც მარტო წარწერები მოგვყავს, რადგან სილამაზის მხრივ საზიზღრობას წარმოადგენდა:

კათოლიკეებისა

მეფის სახელით

ბონი ათი ლივრისა

ლაშქრისათვის შეძენილი საქონლის გადასახდელად.

გასანაღდებელი, როდესაც მშვიდობიანობა დამყარდება.

სერია 3#10390

სტოფლე და მეფის არმია

ეს ასიგნაცია ვანდეური იყო, კედელზე მიეკრა ფოშლევანის წინა მებაღედ მყოფ შუანს, რესპუბლიკის მტერს. ეს მებაღე იქვე მომკვდარიყო მონასტერში და მის მაგივრად ფოშლევანი მიეღოთ.

ჟან ვალჟანი მთელი დღე ბაღში იყო, მუშაობდა და სასარგებლოც იყო მისი შრომა. წინათ, სიყმაწვილეში, გამსხლავად იყო და ახლა სიამოვნებით დაიწყო მებაღეობა. მკითხველს ემახსოვრება, რომ მცენარეების გამრავლების და სასარგებლოდ გამოყენების მრავალი საშუალება იცოდა და აქ გამოიყენა თავისი

ცოდნა. ბაღში ხე არ იყო, რომ ნამყენი არ ყოფილიყო. მიჰყო ხელი და ყველაზე ამყნო საუკეთესო ხილი.

კოზეტს ნება ჰქონდა, ყოველდღე მისულიყო ჟან ვალჟანთან და ერთი საათი მასთან ყოფილიყო. მონაზვნები სულ დაღვრემილები იყვნენ, ჟან ვალჟანი კი - მხიარული, გულკეთილი, მოალერსე. ადარებდა მათ ბავშვი და აღმერთებდა თავის მამობილს. დანიშნულ დროს სირბილით მიცქრიალებდა მებაღეების სახლისაკენ. შევიდოდა და სამოთხედ გარდაქმნიდა ულაზათო ოთახს, ვარდივით გაიშლებოდა ხოლმე ჟან ვალჟანი; გრძნობდა, რომ რაც უფრო მეტად აკმაყოფილებდა კოზეტის სურვილებს, მით უფრო ბედნიერი იყო. იმით არის ნეტარი ჩვენ მიერ მიძღვნილი სიხარული, რომ სხვა ანარეკლივით არ ქრება; პირიქით, უფრო გაბრწყინებული გვიბრუნდება; პანსიონელების დასვენების დროს ჟან ვალჟანი ყოველთვის ბაღში იყო, შორიდან უყურებდა კოზეტის სირბილს და თამაშს და ტკბებოდა მისი სიცილით.

დიახ, ახლა კი იცინოდა კოზეტი.

ცოტა იერიც გამოსცვლოდა პატარა გოგონას. მწუხარება აღარ ემჩნეოდა სახეზე. სიცილი მზეა და ზამთარს განდევნის ადამიანის პირისახიდან. კოზეტი თუმცა ულამაზო იყო, მაგრამ სანდომიანი ხდებოდა. იგი ჭკვიანურად ლაპარაკობდა ბავშვური, ტკბილი ხმით.

დასვენება რომ გათავდებოდა, კლასში შევიდოდნენ ბავშვები, ჟან ვალჟანი იმის კლასის ფანჯარას უყურებდა. ღამით დგებოდა, რომ პანსიონელების საწოლი ოთახის ფანჯრისთვის შეეხედა.

ესეც ღვთის განგება იყო ალბათ. ცალკე მონასტერმა და ცალკე კოზეტმა შეავსო და გაამაგრა ეპოსკოპოსის მიერ აღძრული რწმენა ჟან ვალჟანში. ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ სათნოების ერთი მხარე ამპარტავნობის მოსაზღვრეა; შუაში პატარა ხიდია, ეშმაკის გადებული. ჟან ვალჟანი შეუმჩნევლად და თავისდა უნებურად იქნებ ძალიან ახლოსაც იყო ამ მხარესთან და ხიდთან მისული, როდესაც განგებამ მცირე პიკპუსის მონასტერს მოაყენა. მანამ განსვენებულ ეპისკოპოსს ედრებოდა, თავს უღირსად ცნობდა და თავმდაბლად იქცეოდა; მაგრამ ბოლო ხანს სხვებსაც ადარებდა თავს და სიამაყეს გრძნობდა. ვინ იცის, იქნებ მონასტერი რომ არ შეხვედროდა, ნელ-ნელა ისევ სიძულვილისთვის გაეხსნა გული.

მონასტერმა არ მიუშვა დაღმართამდე.

ეს პატიმრობის მეორე ადგილი იყო, მისგან ნაგემი. თავის სიყმაწვილეში, იმ დროის განმავლობაში, რომელიც ცხოვრების დასაწყისს წარმოადგენდა, ერთი სხვა ნახა, საშინელი, საზარელი, რომლის სიმკაცრე ყოველთვის მართლმსაჯულების უარყოფად და კანონიერების შემრცხვენად მიაჩნდა. დღეს კი კატორღის შემდეგ მონასტერს ხედავდა. კატორღაში მისი წევრი იყო, აქ კი მხოლოდ მაყურებელი. თავის გულში ორივეს ერთმანეთს ადარებდა.

ხანდახან დაეყრდნობოდა ხოლმე ბარზე და ნელ-ნელა ჩადიოდა თავისი ფიქრების უძირო ხვრელში.

აგონდებოდა თავისი ძველი ამხანაგები, რა უბედურები იყვნენ! ირიჟრაჟებდა, წამოცვივდებოდნენ და ოფლი სდიოდათ დაღამებამდე. საკმაო ძილიც კი ენატრებოდათ. სამგზავრო საწოლებზე ეძინათ, რომლებზეც ნახევარი სანტიმეტრის სისქე ლეიბები ეგოთ. ოთახში საშინელი ყინვა უნდა ყოფილიყო, რომ ერთხელ მაინც აენთოთ ცეცხლი, რაღაც წითელი, საზიზღარი ხალათი ეცვათ. დიდად უნდა

შებრალებოდათ კაცი, რომ ცხელ ზაფხულში მსხვილი ტილოს შარვლის ჩაცმის ნება მიეცათ და დიდ ყინვაში - წელზე რისამე შემოხვევის. ღვინოს და ხორცს მარტო მაშინ აღირსებდნენ, როდესაც ზედ უნდა დაჰკვდომოდნენ სამუშაოს. თავისი სახელი აღარ ჰქონდათ, ცოცხალი ადამიანები ციფრებად გარდაექმნათ და ნომრებით უხმობდნენ, აღარც თვალი ჰქონდათ, რომ პირდაპირ შეეხედათ, აღარც ხმა, რომ ეთქვათ რამე. თმა აღარ ჰქონდათ თავზე, რომ ადამიანს ჰგვანებოდნენ, სირცხვილის წუმპეში ეყარნენ, მოღერებული კეტის და მათრახის ქვეშ.

მერე ფიქრით იმათ სინჯავდა, ვინც თვალწინ ჰყავდა, ესენიც თმაგაკრეჭილები იყვნენ, ვისაც აქ ხედავდა, თვალახვეულები, ხმაგაკმედილები, სირცხვილის წუმპეში არ ეყარნენ, მაგრამ მასხრად აგდებულნი და განკიცხულნი იყვნენ საზოგადოების ერთი ნაწილისგან. კეტით და მათრახით მათ არავინ სცემდა, მაგრამ ბეჭები აჭრელებული ჰქონდათ მონაზვნური ქენჯნით; მათი სახელებიც გამქრალიყო, და ახლა სხვა სახელებით ცხოვრობდნენ, წმინდანთა თვისებების აღმნიშვნელი სახელებით. თავის დღეში არ ეღირსებოდათ ხორცი ან ღვინო და ხშირად დილიდან საღამომდე მშივრები იყვნენ, წითელი ხალათის მაგივრად შავი სამოსი ეცვათ, სუდარის მსგავსი, მეტად მძიმე ზაფხულში, მსუბუქი ზამთარში, და არ შეეძლოთ ჩაემატებინათ ან შეესწორებინათ რამე, უხეში მატყლის პერანგი ეცვათ მთელი ექვსი თვის განმავლობაში, რომლითაც ავად ხდებოდნენ ყველანი. - პატარა-პატარა სენაკში ცხოვრობდნენ, სადაც თავის დღეში ცეცხლს არ აანთებდნენ. ლეიბზე კი არ იწვნენ, რომლის სისქე ნახევარ სანტიმეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ჩალა ჰქონდათ გაშლილი და იმაზე ეყარნენ. ძილიც კი არ ჰქონდათ საკმარისი; მთელი დღის შრომით დაქანცულნი, როგორც კი ჩაეძინებოდათ, როგორც კი იგრძნობდნენ ცოტა დასვენებას და გათბობას, უნდა წამომდგარიყვნენ, შესულიყვნენ გაყინულ, ბნელ საყდარში და გაყინულ ფილაქანზე დაჩოქილებს ლოცვით მიემართათ ღვთისადმი. ასე ხდებოდა ყოველ ღამე, უკლებლივ.

დაწესებული იყო მონანიების დღეები, როდესაც ყველა მონაზონი რიგრიგობით, თორმეტი საათის განმავლობაში, უნდა მდგარიყო მუხლმოყრილი ფილაქანზე, ან, თუ დაიღლებოდა, პირდაღმა გდებულიყო ჯვარედინად გაწვდილი ხელებით.

ისინი კაცები იყვნენ, ესენი დედაკაცები.

რა დააშავეს იმ კაცებმა? მოიპარეს, გახრწნეს, გაძარცვეს, მოკლეს. ყაჩაღები იყვნენ, ავაზაკები, სიყალბის ჩამდენები, მომწამვლელები, ხანძრის წამკიდებლები, კაცისმკვლელები, მამისმკვლელები.

ამ ქალებმა რაღა დააშავეს? არაფერი.

ერთი მხრივ ავკაცობა, ყაჩაღობა, ყალბის ქმნა, ბოროტმოქმედება, ძალმომრეობა, ჟინიანობა, კაცის კვლა, - ყოველგვარი ცოდვა და გახრწნილება.

მეორე მხრივ - ერთადერთი რამ - უბიწოება.

სრულქმნილი უბიწოება, რაღაც საიდუმლო ამაღლებით ზეცისადმი მიძღვნილი, სათნოებით ჯერ ისევ ქვეყნიური და სიწმინდით კი უკვე ზეციური.

ერთი მხრივ, ჩუმი აღიარება ბოროტებისა, რომელსაც გულში იმალავს კაცი, მეორე მხრივ - აღიარება შეცდომისა, რომელსაც ხმამაღლა გაიძახის ქალი.

მერე რა არის ერთის ბოროტება და მეორის შეცდომა?

ერთი მხრივ - გახრწნილება, მეორე მხრივ - წმინდა სურნელება. ერთი მხრივ - ზნეობრივი ჭირი, რომელსაც თვალს არ აშორებენ, იარაღით იგერიებენ, და

რომელიც ნელ-ნელა სჭამს დაავადებულთ. მეორე მხრივ - რამდენიმე სულის უბიწო შეწირვა ერთ საკურთხეველზე. იქ წყვდიადი, აქ ჩრდილი. მაგრამ ჩრდილი შუქმფენარი სინათლით სავსე.

იქაც ადამიანის დამონება, აქაც. ოღონდ იქ შესაძლებელია გათავისუფლება, დანიშნული ვადა რომ გავა, ან გაპარვა. აქ კი სამარადისოა ეს დამონება; ერთადერთი იმედი, შორეული მომავლის თავისუფლების აღმთქმელი სხივი, რომელსაც ადამიანი სიკვდილს უწოდებს.

პირველ შემთხვევაში ადამიანი მარტო ჯაჭვითაა დაბმული, მეორეში - თავისი მრწამსით.

რას გვაძლევს პირველი? უსაზღვრო წყევლას, შურისძიებას, სიძულვილს, სასოწარკვეთილ გაშმაგებას, გაცოფებულ ზიზღს ადამიანთა საზოგადოებისადმი და ზეცის გმობას.

რას გვაძლევს მეორე? კურთხევას და სიყვარულს.

იქაც და აქაც, ამ ორ მსგავს და ასე განსხვავებულ ადგილას, ეს განსხვავებული ადამიანები ერთი და იმავე დანიშნულებით იყვნენ შეკრებილნი: - მოსანანიებლად.

ძალიან კარგად ესმოდა ჟან ვალჟანს კატორღელების მონანიება, პირადი, თავისი დანაშაულის მონანიება, მაგრამ ამ ქალების მონანიებისა კი ვერაფერი გაეგო, ამ ქალებისა, რომლებსაც არც სასაყვედურო ჩაუდენიათ რამე, არც დასაძრახი და გულის კანკალით ეკითხებოდა თავის თავს:

- რა უნდა მოინანიონ? განა რა აქვთ მოსანანიებელი?

და პასუხი გასცა თავისმა სინდისმა:

- უწმინდესი მცნება საკაცობრიო, - სხვისი ცოდვების მონანიება.

აქ ჩვენს პირად აზრს არ ვამბობთ, ჩვენ მარტო მოგითხრობთ ჟან ვალჟანის ფიქრებსა და შთაბეჭდილებებს მისი თვალსაზრისით.

თვალწინ უდგას მიწიერი უარყოფის მწვერვალი, უმაღლესი თხემი შესაძლებელი სათნოებისა - უმანკოება, რომელიც შეუნდობს ადამიანს თავის შეცდომას და თვითონ ინანიებს მის მაგივრად; ტკბილად ეჩვენება თავისი მონობა, ტანჯვა, წამება, თავისი სულის მიერ მოთხოვნილი და საკუთარი ხელით შექმნილი, რომ ამით მოინანიოს მოყვასის შეცოდებები, თვალწინ უდგას სიყვარული კაცობრიობისადმი, შთანთქმული ღვთისადმი სიყვარულით, მაგრამ მაინც განცალკევებული და მავედრებელი. თვალწინ უდგას სუსტი, გულკეთილი არსებები, რომლებიც იტანჯებიან იმათი ვარამით, ვინც შესცოდა და ხარობენ იმათი ღირსებით, ვინც კეთილია.

და აგონდებოდა, რომ ხდებოდა ხოლმე, ისიც ბედავდა და ბედს უჩიოდა.

ხშირად წამოდგებოდა შუაღამისას, რომ მოესმინა სამადლობელი გალობა ამ უმანკო, მაგრამ მკაცრი წესებით ტანჯული მონაზვნებისა და გული უკვდებოდა, როდესაც აგონდებოდა, რომ სამართლიანად დასჯილს ზეცა არ ახსოვდა, და თუ გაახსენდებოდა, მარტო იმისთვის, რომ ღვთის გმობა ეთქვა, და თვითონაც, უბედურმა, მუშტი მოუღერა ღმერთს.

უცნაური რამ მოხდა მის ცხოვრებაში და ღრმად აფიქრებდა, თითქოს ჩუმი და გამაფრთხილებელი წინასწარმეტყველება ყოფილიყოს: კედლებზე ძვრომა, დაკეტილიდან გამოპარვა, თავგანწირვით ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, - ყოველივე ეს ჩაიდინა, რომ ერთ მოსანანიებელ დაწესებულებას გამოქცეოდა, და

ყოველივე ეს დასჭირდა ახლა, რომ შესულიყო მონანიების მეორე სახლში. რას ამცნობდა ამით მას ბედისწერა?

ეს სახლიც საპატიმრო იყო და ძალიან ჰგავდა იმ მეორეს, რომლიდანაც გამოიპარა, მაგრამ თავის დღეში ამის მსგავსს ვერაფერს წარმოიდგენდა.

კედლებს, მოაჯირებს, კლიტეებს ხედავდა. მერე ვინ ჰყავდათ ასე დამწყვდეული? ანგელოზები.

მაღალი კედლები რომ ენახა ვეფხვების სამწყვდევში, იმავე კედლებს ხედავდა კრავების საცხოვრებელში.

ეს სახლი მონანიების იყო და არა სასჯელისა და ამის მიუხედავად, ეს უფრო მკაცრი იყო, უფრო პირქუში და ულმობელი, ვიდრე ის პირველი. ეს ქალწულები უფრო მეტად იყვნენ დატვირთულნი, ვიდრე კატორღელები. ცივმა, მაგარმა ქარმა დაჰკრა და გაყინა იმისი სიყმაწვილე, აღარც მერე მოეშვა და დაქროდა დამწყვდეულ ქორების ორმოს; მაგრამ უფრო ცივი, გამყინავი გრიგალი სცემდა ამ მტრედების გალიას. რატომ?

რომ ჩაუფიქრდებოდა ხოლმე ამგვარ საკითხს, არარაობად მიაჩნდა თავისი ცხოვრება ამ დიდებული საიდუმლოების წინაშე.

ამგვარ აზროვნებაში ქრება ამპარტავნობა, ყოველმხრივ სინჯა თავისი გულის მიდრეკილებანი; მეტად სუსტად ცნო თავისი თავი და კიდეც იტირა რამდენჯერმე. რაც კი თავს გადახდა ამ ექვსი თვის განმავლობაში, ეპისკოპოსის დარიგებას აგონებდა სულ ყველაფერი, კოზეტი - სიყვარულით და მონასტერი - მორჩილებით.

ხანდახან, როცა დაბინდდებოდა და ბაღში აღარავინ ეგულებოდა, მუხლმოყრილი იდგა ეკლესიისკენ მიმავალ ხეივანში, იმ ფანჯარასთან, სადაც გადმოძვრა იმ ღამეს, გაშტერებული უყურებდა ფილაქანზე პირქვე დაწოლილ ლოცვით გატაცებულ მონაზონს, ისიც დაიჩოქებდა ხოლმე და იმ მონაზონივით ლოცულობდა ფანჯარასთან.

ეტყობოდა, ვერ ბედავდა პირდაპირ ღვთის წინაშე მუხლი მოეყარა.

რაც კი იქ იყო და გარს ეხვია, - ეს მშვიდი ბაღი, ეს სურნელოვანი ყვავილები, ეს მხიარული მოთამაშე ბავშვები, ეს პირბადიანი მონაზვნები, ეს მიჩუმებული მონასტერი, - თავის დაღს აჩნევდა ნელ-ნელა ჟან ვალჟანს და მის სულსაც ნელ-ნელა ედებოდა ეს დუმილი. ახლა იმას ფიქრობდა, რომ ორივე სახლი ღვთისა იყო; რომ ღმერთმა თავშესაფარი მისცა, როდესაც გაჭირვებული ნახა, ჯერ ერთში და მერე მეორეში; პირველში მაშინ, როდესაც ყველგან დაკეტილი ხვდებოდა კარი და პანღურის ცემით იშორებდა საზოგადოება; მეორეში მაშინ, როდესაც საზოგადოება ხელმეორედ იწყებდა მის დევნას და ხელახლა უმზადებდა კატორღას; და გრძნობდა, პირველში რომ არ ჩავარდნილიყო, ბოროტების თაყვანისმცემელი გახდებოდა და მეორეში რომ არ შესულიყო, წამების მსხვერპლად იქცეოდა. გული მადლობითა და სიყვარულით ევსებოდა.

ასე მისდევდა წლები ერთმანეთს.

კოზეტი იზრდებოდა.

## ნაწილი მესამე
## მარიუსი

## წიგნი პირველი
## ატომით დახასიათებული პარიზი

### თავი პირველი
### PARVULUS

პარიზს თავისი შვილი ჰყავს და ტყეს - თავისი ჩიტუნია. ჩიტუნიას ბეღურა ჰქვია, პარიზის შვილს - გამენი.

შეაერთეთ ეს ორი ცნება, რომლებიც გამოხატავენ - ერთი აგიზგიზებულ ღუმელს, მეორე - დილის ცისკარს; შეაერთეთ ორი ნაპერწკალი - პარიზი და სიყრმე, და მიიღებთ პატარა ბიჭს, „Homuncio“-ს, პლავტეს სიტყვით.

მხიარულია ეს პატარა არსება. ყოველდღე არ სადილობს, მაგრამ წარმოდგენას კი ყოველ საღამოს დაესწრება, თუ მოისურვა. პერანგი არ აცვია, ფეხშიშველი დადის, ქუდი არ ახურავს, ჩიტს ჰგავს, რომელიც ჰაერში მიფრინავს. გამენი შვიდი წლიდან ცამეტამდე იქნება. ამხანაგებთან ერთად ქუჩას ტკეპნის, ღია ცის ქვეშ სძინავს, მამამისის ძველი შარვალი აცვია, რომელიც ძირს დასთრევს, ვიღაცის ძველი ქუდი ახურავს, რომელიც ყურებამდე აქვს ჩამოფხატული. მთელი დღე დარბის, დაწანწალებს, რაღაცას ეძებს, ვიღაცას უთვალთვალებს, დროს არ აფასებს, ეწევა ჩიბუხს, იგინება, როგორც ავაზაკი, იცნობს ქურდებს, ლაპარაკობს ქურდების ენით, მღერის საზიზღარ ლექსებს, შინაურულად ელაპარაკება გოგონებს, დადის და სიავე არა აქვს გულში. ერთი ძვირფასი მარგალიტი უზის სულში, - უმანკოება, მარგალიტები კი ლაფში არ ისვრება. სანამ ყრმა არის ადამიანი, ღმერთს უნებებია, უმანკო იყოს.

რომ ჰკითხოთ დიდ ქალაქს - ეს ვინ არისო? - ჩემი პაწია შვილიო, - გიპასუხებთ.

### თავი მეორე
### მისი ნიშან-თვისებები

პარიზის გამენი ჯუჯაა, გოლიათი ქალის ნაშობი.

ნუ გადავამლაშებთ: ამ ქუჩის ქერუბიმს ხანდახან პერანგიც აქვს, მაგრამ ერთადერთი, ზოგჯერ ფეხსაცმელიც აცვია, მაგრამ ულანჩო; ბინაც კი აქვს ხოლმე და ძალიანაც უყვარს, რადგან იქ დედა ეგულება, მაგრამ მისი გული მაინც ქუჩისკენ მიიწევს, ვინაიდან დედაზე მეტად თავისუფლება უყვარს; თავისებური დროს გატარება იცის, თავისებური ანცობა, რომლის ფუძედ ბურჟუებისადმი სიძულვილი გაუხდია; საკუთარი მეტაფორები აქვს; არ იტყვის მოკვდაო. - არა, - ფესვიდან შეჭამა ბაბუაწვერაო. თავისი ხელობაც აქვს, - ეტლის მოყვანა, ეტლის საფეხურის დაწევა, ნიაღვრის დროს ფიცრით ვიწრო ხიდის გაკეთება ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასასვლელად; ამაზეც თავისებურად გაიძახის, - ხელოვნების ხიდი ავაგეო. - ხალხის მხარდასაჭერად წარმოთქმულ ვიღაცის სიტყვებს გაჰყვირის ყველგან.

თავისი საკუთარი ფული აქვს - ქუჩაში ნაპოვნი სპილენძი, რომელსაც თვითონვე ჭრის. ამ ფულის თითო ნაჭერს loques უწოდებს და გასავალი აქვს მთელი პარიზის ქუჩის ბიჭებში.

საკუთარი ცხოველთა სამეფო აქვს, რომელსაც დაშტერებით დასცქერის სადმე კუთხეში. ჭიამაია, მატლი „თავმკვდარია“, ობობა - ქაჯი და საშიში შავი ჭია, რომელსაც

კუდზე ორი ნესტარი აქვს და იმით იმუქრება. თავისებური ურჩხული ჰყავს, ზღაპრული, რომელსაც ეკლები ასხია მუცელზე და ხვლიკი არ არის. მეჭეჭები აქვს ზურგზე და ჯოჯო არ არის; ძველ საკირე ორმოში ცხოვრობს, ან გამმრალ ჭაში, შავია, ბანჯგვლიანი, ლორწოიანი, ხან ნელა ცოცავს, ხან სწრაფად დაძრწის; ყვირილი არ იცის, მაგრამ თვალითა გჭამს და იმისთანა შესაზარია, რომ თავის დღეში არავინ შეხედავს; ამ უცნაურ ქმნილებას ბიჭი „ყრუანჩელას“ ეძახის. ძალიან სასიამოვნოა ამ ყრუანჩელას ძებნა ქვების ქვეშ, მაგრამ ძალიან საზარელიც. ასევე საამოა ქუჩაში ქვაფენილიდან უცბად ქვის ამოღება და მატლების ნახვა. პარიზის ყველა უბანი განთქმულია საინტერესო ჭიაღუებით, რომლებსაც მარტო იქ ნახავს ადამიანი. ურსულინების უბანში შეშის და ხეტყის საწყობებში - მრავალი ტანტრაბეჩია; პანთეონში - ცხრაფეხა, მარსის მოედნის ორმოებში - თავკომბალები.

რაც შეეხება მოსწრებულ სიტყვას, იმდენი აქვს გამენს, რომ ტალეირანსაც არ ჩამოუვარდება. არც ცინიზმით ჩამოუვარდება, მაგრამ პატიოსნებით კი იმაზე პატიოსანია. ყოველთვის მხიარულად არის, ყოველთვის ხუმრობს, იცინის და დაღვრემილ ვაჭარსაც კი აცინებს. მისი ოხუნჯობა თამამად გადადის მაღალი კომედიიდან ფარსში.

მიცვალებულს მიასვენებენ სასაფლაოსკენ. მგლოვიარეებთან ერთად ექიმი დაინახა გამენმა და შეჰყვირა:

- ბიჭოს! როდის ყოფილა, რომ ექიმს თვითონვე წაეღო თავისი ნახელავი!

ერთხელ გამენი მოგროვილ ხალხს შეერია და ხან აქეთ გამოძვრებოდა, ხან იქით.

- შენ ეი, არამზადავ! - შეუტია სათვალეებიანმა, საათის ოქროსძეწკვიანმა ბურჟუამ, - წელზე ხელი რად მოხვიე ჩემს ცოლს!

- რომ მომეხვია, ხომ ზედვე დარჩებოდა! აბა, სად არის?

## თავი მესამე
## კარგი ბიჭია

ყოველთვის ახერხებს და რამდენიმე სუ აქვს ჯიბეში. საღამოს თეატრში მიბრძანდება. როგორც კი გადასცილდება თეატრის ჯადო-ზღურბლს, მაშინვე იცვლება; გამენი იყო და იქ კი ბუჩქნარის ტოროლა ხდება. თეატრი ერთგვარი ხომალდია, თავდაყირა გადაბრუნებული. ხომალდის ზემოთ მოქცეულ ტრიუმზე ზის ჩვენი გამენი. აქ ეს ბიჭი ისევე განსხვავდება გამენისგან, როგორც პეპელა მატლისგან; იგივე არსება, მაგრამ მაღლა აფრენილი და მონავარდე. საკმარისია ეს ბიჭი თეატრში იყოს, თავისი ბედნიერებით გაბრწყინებული სახით, თავისი უსაზღვრო აღტაცებით და სიხარულით, თავისი ტაშისკვრით, რომელიც უფრო ფრთების ცემას ჰგავს, რომ გამოცოცხლდეს ხომალდის ეს ვიწრო, მყრალი, ბნელი, საზიზღარი, მავნებელი, საშინელი ტრიუმი და სამოთხედ იქცეს.

მიეცით ცოცხალ არსებას უსარგებლო და წაართვით სასარგებლო, - ეგეც თქვენი პარიზული გამენი.

არ გეგონოთ, მწერლობის სრულიად არაფერი გაეგებოდეს, თავისი მიმართულებით - იძულებული ვართ ესეც მწუხარებით აღვნიშნოთ, - დიახ, კლასიკურ გემოვნებას არ იჩენს თავისი ბუნებით. აკადემიური არაფერი მოსწონს. მაგალითი მოვიყვანოთ ამის საჩვენებლად. სახელოვანი მსახიობი იყო ქალბატონი მარსი და

ძალიან უყვარდათ გამენებს, მაგრამ პატარა დაცინვის ნესტარიც ჰკრეს, - მეტსახელად ქალბატონი ბუზი უწოდეს.

ყვირის ეს ბიჭი, იცინის, მასხრობს, ლაზღანდარობს, ჩხუბობს ნაფხრეწებში გახვეული, როგორც ძუძუმწოვარი და ძველმანებში, როგორც ფილოსოფოსი. თევზაობს წვიმის წყალში, ნადირობს უწმინდურობის სადინარ მილებში და უწმინდურობაშიც პოულობს მხიარულების მიზეზს. ყველა გზაჯვარედინზე აბნევს თავის გამოთქმებს, მასხრობს და იკბინება, უსტვენს და მღერის, ტაშს უკრავს და ლანძღავს, გაიძახის ალილუიას და უშვერ ლექსებს, გალობს ყველა საგალობელს „განუსვენედან“ მოყოლებულს „ნიღბიანების სიმღერამდე“, პოულობს უძებნელად, იცის, რაც არ უნდა იცოდეს. სპარტელი არის ვერაგობამდე, გახელებული ჭკუას არ ჰკარგავს, ლირიკოსია უწმაწურობამდე. ოლიმპზე გამოიჭიმებოდა, მაგრამ ნაგავში გდია და მაინც ვარსკვლავებითაა შემოსილი. პატარა რაბლეა პარიზის გამენი.

შარვალს იწუნებს, თუ საათისთვის ცალკე ჯიბე არ აქვს.

იშვიათად იცის გაკვირვება, უფრო იშვიათად შეშინება. მასხრული სიმღერებით დასცინის ცრუმორწმუნეობას, ამცირებს გადაჭარბებულს, ჰგმობს სარწმუნოებრივ საიდუმლოებას, ენას უყოფს მოჩვენებებს, ჰკიცხავს გაბღენძილს, კარიკატურა შეაქვს ეპიკურ ნაწარმოებში, იმიტომ კი არა, რომ პროზაიკოსია, ღმერთმა დაიფაროს! - იმიტომ, რომ ზღაპრულ ლანდს კომიკური ხილვა ურჩევნია.

ადამსტორი რომ წარმოუდგეს თვალწინ, ჩაიცინებს ჩვენი გამენი და დაიძახებს:

- ბიჭოს! საფრთხობელა თუ გინდა ესაა!

## თავი მეოთხე
## სასარგებლო ბიჭია

პარიზი დოყლაპიით იწყება და გამენით თავდება. ეს გახლავთ ორი არსება, რომლის მსგავსს ვერც ერთი ქალაქი ვერ შექმნის. ერთი პასიურად შეჰყურებს იქაურობას და სრულიად კმაყოფილდება ამით; მეორე სავსეა ინიციატივით. პრიუდომი და ფუიე! მარტო პარიზს მოეპოვება ეს ორი ტიპი თავის ისტორიაში. მთელი მონარქია გამოხატულია დოყლაპიით და მთელი ანარქია - პარიზელი გამენით.

პარიზის გარეუბნების ეს ფერმკრთალი ბავშვი ცხოვრობს და ვითარდება, კოკრდება და იშლება სრულ გაჭირვებაში და ბავშვობიდანვე უკვირდება და უფიქრდება საზოგადოებრივ წესწყობილებას, ადამიანის მიერ ცხოვრების საშუალებათა განაწილებას. უდარდელად, უზრუნველად მიაჩნია თავი; მაგრამ ასეთი არ არის. ყველაფერს ხედავს, თვალიდან არაფერი გამოეპარება. შესცქერის, მზად არის სიცილი დაიწყოს, მაგრამ მზად არის სხვა რამისთვისაც, თუ ამას თავისი ალღო უკარნახებს. ფრთხილად იყავით, ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, ცრუმორწმუნოება იქნება, ბოროტსარგებლობა, ჩაგვრა, დამონება, უსამართლობა, მტარვალობა, თუ ხელმწიფობა! ფრთხილად იყავით, გეშინოდეთ პარიზელი გამენის!

გაიზრდება ეს პატარა ბიჭი, ეს გამენი!

რა თიხისგანაა გამოძერწილი ეს ბიჭი? ქუჩის ტალახისგან. ერთი მუჭა ტალახი, ერთი შთაბერვა და ეგეც თქვენი ადამი! მხოლოდ ღვთის ხელი აკლია! ღმერთი კიდევ სწყალობს გამენს, ბედი ყოველთვის უღიმის, ზრუნავს მასზე. ამ სიტყვით - ბედით -

შემთხვევას ვგულისხმობთ. ბოლოს და ბოლოს რად იქცევა ეს ხალხის გულში აღზრდილი, უსწავლელი, გაუნათლებელი, განცვიფრებული ქონდრისკაცი? იონელად, თუ ბეოტელად? ბრძენი იქნება, თუ რეგვენი? მოითმინეთ, ცურრიტ როტა. პარიზის სული უდგას პატარა ბიჭს, ის სული, რომელიც ქმნის შემთხვევის ბიჭებს და ქვეყნის მოღვაწეებს. ლათინების მეჭურჭლე კი არ არის პარიზელი! ძვირფას სასმისად გარდაქმნის, სადაც კი ჯამს ნახავს.

## თავი მეხუთე
## გამენის საზღვრები

გამენს უყვარს ქალაქი, უყვარს აგრეთვე განმარტოებაც, რადგან ცოტა რამ ბრძენისაც მოსდევს. Urbis amator არის, როგორც ფუსკუსი და ruris amator - როგორც ჰორაციუსი.

დადის და ფიქრობს განმარტოებით; ფილოსოფოსს შეეფერება ასე დროს გატარება, მეტადრე იმ სოფლებში, რომელიც გარს ახვევია პარიზს. უცნაურია ეს სოფლები, უშნო, ქალაქს მიმსგავსებული, სოფლური ცხოვრების უარმყოფელი. აგერ გათავდა ხეები და დაიწყო ბანები; გათავდა ბალახი და დაიწყო ქვაფენილი. გათავდა კვლები და დაიწყო დუქნები; გათავდა ძველი ჩვეულება და დაიწყო ვნება; გათავდა ღვთიური ჩურჩული და დაიწყო ხალხის ყაყანი. ეს ყოველივე არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ანიჭებს ქალაქის მიდამოებს.

ამიტომ არის, რომ ამ უშნო სოფლებში, რომელთაც გამვლელი ერთი სიტყვით ახასიათებს - ნაღვლიანი, - ასე ხშირია უმიზნო, მაგრამ ჩაფიქრებული ხეტიალი.

ამ სტრიქონების დამწერიც დიდხანს დადიოდა პარიზის სადარაჯოებს იქით, და ღრმა სახსოვრადაც დარჩა მაშინდელი ხეტიალი. ეს გათიბული მოლი, კენჭებიანი კვალი, ცარციან-თიხაკირიანი ნიადაგი და ყანების და ნახნავი მიწების ერთფეროვნება; ეს ახლად ამოსული ბოსტნეულის მწვანე რტოები; გლეხკაცურის და ბურჟუაზიულის ნარევი; ფართო, მოტიტვლებული მოედნები, სადაც ჯარი ვარჯიშობს და დოლის ისეთი ხმა გაისმის, თითქოს ბრძოლა იყოს გაჩაღებული; ეს ლამაზი ჭალა - დღისით და ყაჩაღების ბუდე - ღამით; მოშლილი წისქვილი, რომლის ფრთას მაინც ატრიალებს ქარი, მიკიტნის დუქნები სასაფლაოს ახლოს, მაღალი შავი კედლები, რომლებიც ყვავილებითა და პეპლებით სავსე დიდრონ მინდვრებს სჭრიდნენ. მომხიბლავი და მიმზიდველი იყო ეს სურათი!

მგონი, არავინ იცნობს ამ უცნაურ ადგილებს - ლაგლასიერს, ლაკუნეტს, გრენელის ტყვიით დახვრეტილ საზარელ კედელს. მონპარნასს, ლაფოს-ო-ლუს, ლეზ-ობიუს მარნის პირას, მონ-სურის, ლა-ტომბ ისუარს, შატილიონის ლა-პიერ-პლატს. სადაც დღემდეა შემორჩენილი ერთი ძველი ქვის სამჭედლო, რომელზეც ამჟამად სოკო იზრდება და რომლის ჩასასვლელიც დამპალი მიწისფერი ფიცრებით არის დახურული. რომის სოფელს თავისი იდეა აქვს; პარიზის მიდამოებშიც არის იდეა; ჩვენ თვალწინ გადაშლილ სანახაობაში მინდვრების, სახლების და ხეების მეტი რომ ვერაფერი დავინახოთ, ეს ზედაპირული აღქმა იქნება; ბუნების ყოველ სურათს თავისი იდეა აქვს. ის ადგილი, სადაც მინდორი ქალაქს ერთვის, სავსეა რაღაც ღრმა მელანქოლიით. იქ ერთად გაისმის კაცობრიობისა და ბუნების ხმა; იქ უფრო გარკვევით მოჩანს ცხოვრების თავისებურებანი.

ვისაც ჩვენსავით უვლია ამ უდაბურ, პარიზის გარეუბნების, მისი კარიბჭეების მოსაზღვრე მიყრუებულ მიდამოებში, უთუოდ შენიშნავდა აქა-იქ, სადმე მივარდნილ ადგილას სრულიად მოულოდნელად, ღობის ან კედლის უკან ხმაურით მოთამაშე ბიჭების ჯგუფს. ჭუჭყიანები არიან ეს ბიჭები, ტალახიანები, მტვრიანები. დაგლეჯილ-დაფლეთილები, თმააწეწილები ღიღილოს გვირგვინებით მორთულნი და ნეტარებით სავსენი, რადგან თავისუფლად თამაშობენ, ღარიბთა სახლებიდან გამოპარულები. სრულ თავისუფლებას მხოლოდ აქ პოულობენ, ქალაქგარეთ, და მხოლოდ იქ შეიგრძნობენ ნამდვილ სიცოცხლეს; იქ არიან თავიანთ სამფლობელოში. იქ მღერიან თავისუფლად და ყველასგან მოურიდებლად თავიანთ უწმაწურ ლექსებს. სიცოცხლით მარტო აქ ტკბებიან, რადგან მარტო აქ ძღებიან მზის სხივით, წმინდა ჰაერით, ბუნების მშვენიერებით. თამაშობენ, დარბიან, მღერიან, შავი ფულის გამო ეჩხუბებიან ერთმანეთს, სახლიდან გამოპარულნი, ზოგი სულაც გამოქცეული, თავისუფალნი და ამით ბედნიერნი; მაგრამ როგორც კი დაგინახავენ, მაშინვე მოაგონდებათ, რომ არანაირი ხელობა არ იციან, და საცხოვრებლად კი მაინც საჭიროა ეგრეთ წოდებული ფული, და შემოგთავაზებენ, - იქნებ ინებოთ და იყიდოთ მატლებით სავსე ძველი პატარა კოჭები, ან ერთი კონა მინდვრის ყვავილი. ამ უბრუნველი ბავშვების შეხვედრა პარიზის მიდამოებში ერთდროულად სიამოვნებითა და მწუხარებით ავსებს ადამიანს.

ხანდახან ბიჭებში პატარა გოგონებიც გამოერევიან; იქნებ ძმებსაც გამოჰყოლიან, მაგრამ უფრო დიდები ჩანან, ვიდრე ბიჭები. გამხდრები არიან, ჭორფლიანები, პურის თავთავის და ყაყაჩოს ყვავილის გვირგვინი ადგათ თავზე და, თუმცა ფეხშიშველები დარბიან, ამ თავისუფებით მაინც ბედნიერები არიან. ზოგი ბალს მიირთმევს ყანაში ჩამალული. ისმის მხიარული სიცილი. სადმე შუადღის მზის სხივით განათებული ხის ქვეშ ან ბინდისას შემჩნეული ეს ლაღი ჯგუფი დიდხანს ახსოვს ადამიანს და ხშირად წარმოუდგება თავის ფიქრებში.

პარიზი ცენტრია და გარეუბნები წრესავით არტყია ირგვლივ. აქ არის ამ ბავშვებისთვის მთელი ქვეყნიერება. თავის დღეში არსად გავლენ ამ წრიდან. როგორც თევზი ვერ გაძლებს წყლის გარეშე, ისე ეს გოგო-ბიჭები - პარიზის ჰაერის გარეშე, ცენტრში ცივილიზაციაა და მიდამოებში - თავისუფლება. მათ რომ ფჰკითხოთ, სადარაჯოს შემდეგ, ერთი-ორი კილომეტრის იქით აღარაფერია, ივრი, ჟანტილი, არკეილი, ბელვილი, ობერვილიე, მენილმონტანი, შუაზი-რე-რუა, ბილანკური, მედონი, ისი, ვოვრი, სევრი პუტო, ნეილი, კოლომბი, რომენვილი, შატუ, ანიერი, ბუჟივალი, ნანტერი, ენგიენი, ნუაზილე-სეკი, ნოჟანი, გურნეი, დრანსი, გონესი, მათთვის ამით თავდება ქვეყნიერება.

## თავი მეექვსე -
## მცირე რამ ისტორიიდან

იმ დროს, რომელსაც ჩვენი თხზულება შეეხება და რომელიც არც ძალიან დაშორებულია აწმყოდან, ისე არ იყო ატუზული ყოველ კუთხეში პოლიციელი, როგორც დღეს არის, - (მიღწევა, რომლის სიკეთეს არ შევეხებით ჩვენს მოთხრობაში). - მაშინ უფრო მეტი იყო პარიზში ასე მოხეტიალე ბავშვები. სტატისტიკა ამტკიცებდა, რომ შემოუღობავ ეზოებში, დაუმთავებელ შენობებსა და ხიდების ქვეშ პოლიციის მიერ დაჭერილი უბინაო ბავშვების რიცხვი ყოველ წელს საშუალოდ ორას

სამოცს უდრიდა. ერთ ამგვარ ბუდეში გაიზარდნენ „არკოლის ხიდის მერცხლები“, უბინაო ბავშვები! ეს არის კაცობრიობის ერთ-ერთი მიუტევებელი დანაშაული. ადამიანის ყოველი ბოროტმოქმედების სათავე, უპატრონო ბავშვების მაწანწალობაა.

მაგრამ ეს პარიზს არ შეეხება. პარიზი ამ მხრივ გამონაკლისია. მიუხედავად, უპატრონო ბავშვების დიდი რაოდენობისა, იგი მაინც გამორჩეული ქალაქია. ყველა სხვა დიდ ქალაქში უპატრონო ბავშვი საბოლოოდ დაღუპული და განწირულია, რადგან ნელ-ნელა ჩაიძირება გახრწნილებისა და ბოროტების მორევში, რომელშიც დაკარგავს პატიოსნებასა და სინდისს. პარიზელი გამენი, გამეორებით ვამბობთ ამას, გარეგნულად ისე გაფუჭებული, გულით თითქმის უმანკო რჩება. ერთი თვალსაჩინო გარემოება არის აქ აღსანიშნავი, რაღაც არის წმინდა და გაუხრწნელი პარიზის ატმოსფეროში, როგორც სიმლაშე ზღვის წყალში და ვინც პარიზის ჰაერით სუნთქავს, ზნეობრივად უხრწნელი რჩება.

თუმცა ეს სულაც არ ამცირებს იმ გულისტკივილს, რომელსაც ყოველთვის განიცდის ადამიანი, უპატრონო ბავშვს რომ შეხვდება, და მასთად ერთად თითქოს თავისი თვალით ხედავს დარღვეულ, დაშლილ ოჯახს. ჩვენს დღევანდელ ცივილიზაციაში, რომელსაც კიდევ მრავალი ნაკლი აქვს მოსაშორებელი, ერთ-ერთ უმთავრეს უბედურებად უნდა მივიჩნიოთ დაშლილი ოჯახი და უპატრონოდ მიტოვებული ბავშვები; თავისი გულ-ღვიძლი გადაყარა ქუჩაში ოჯახმა და, - რაც მოუვა, მოუვა, ახლა ქუჩამ უპატრონოსო! - სწორედ ამას ჰქვია, დიახ, რადგან ამ სამწუხარო მოვლენასაც თავისი სახელი აქვს, - „პარიზის ქვაფენილზე გაგდება“.

გაკვრით ვიტყვით აქვე, რომ ძველ მონარქიულ მთავრობას დიდად არ ადარდებდა მიტოვებული ბავშვების ბედი. მდაბიო ხალხში ცოტა რამ ეგვიპტური და ბოშური უნდა ყოფილიყო, რომ ასე ღვთის ანაბარად მიეტოვებინათ შვილები, რითიც უადვილებდნენ უმაღლეს პირებს თავიანთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. ამ უმაღლეს წრეებს და მეფეებს ჭირივით სძულდათ ხალხის შვილების სწავლა. ეს იყო მათი წმიდათაწმიდა და ურყევი მრწამსი. - რა საჭიროა ხალხისთვის სწავლა-განათლება? - და უპატრონოდ მიტოვებული ბავშვებიც ხომ გაუნათლებლები დარჩებოდნენ. ამას რა სჯობდა?

ხანდახან მონარქიას დასჭირდებოდა ხოლმე ბავშვები და თვითონ იჭერდა ქუჩაში.

შორს რომ არ წავიდეთ, ლუი მეთოთხმეტის დრო ავიღოთ. მეფეს ძალიან უნდოდა ფლოტის შექმნა. სურვილი საქები იყო, მაგრამ საშუალებაც ვნახოთ! სურვილს ვერ აისრულებდა, თუ იმ გემებთან ერთად, რომლებსაც ქარი მიაცურებს და თავისებურად მიათამაშებს, არ იქნებოდა ისეთი ნავებიც, რომლებსაც თავის ნებაზე წაიყვანდნენ ან ნიჩბის, ან ორთქლის საშუალებით. ამ დროს ასეთ ნავად გალერს ხმარობდნენ, გრძელ, დაბალ, მრავალნიჩბიან ნავს. გემებისთვის საჭირო იყო გალერები და გალერებისთვის - მენიჩბეები, რომლებსაც გალერელები დაარქვეს. გასცა კოლბერმა ბრძანება, - მართლმსაჯულებამ და პარლამენტმა დამნაშავეებს რაც შეიძლება მეტი მიუსაჯოს კატორღაში მუშაობაო, გალერზე მუშაობაც კატორღა იყო. ვინ იქნებოდა ამ დროს თავზე ხელაღებული, რომ არ აესრულებინა ამგვარი ბრძანება? და მიერეკებოდნენ ხალხს გალერებისკენ! მიცვალებულს მიასვენებდნენ; ერთმა კაცმა არ მოიხადა ქუდი, რადგან ჰუგენოტი იყო და თავის რჯულისამებრ იქცეოდა. რატომ ქუდი არ მოიშვლიპეო? - სტაცებდნენ ხელს და გალერზე სამუშაოდ უკრავდნენ თავს. პატარა ბიჭი შეხვდებოდათ ქუჩაში; ოღონდ თხუთმეტი წლის

ყოფილიყო და არ სცოდნოდა - სად დაიძინებდა ღამით, - მაშინვე გალერზე გაგზავნიდნენ. დიდებული იყო მეფე ლუი მეთოთხმეტე, და დიდებული იყო საუკუნე!

ლუი მეთოთხმეტის დროს ბავშვები ქუჩაში იკარგებოდნენ. პოლიცია იჭერდა და სადღაც მიჰყავდა. ახლაც არავინ იცის, რას უშვრებოდნენ საცოდავებს! საზარელ რაღაცას ჩურჩულებდა ხალხი, - მეფე ძოწეულში ბანაობსო. - ხდებოდა ხოლმე ბავშვების დევნისას, პოლიციელი ისეთს დაიჭერდა, რომელსაც მამა ჰყავდა, თავზარდაცემული მამა გამოეკიდებოდა პოლიციელს. ამ შემთხვევას პარლამენტი განიხილავდა და სახრჩობელით სჯიდა - ვის? თქვენ გგონიათ, პოლიციელს? არა, მამას!

## თავი მეშვიდე - ნაკვესი

პარიზელი გამენები ამქარს შეადგენს, და შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი ქუჩის ბიჭი ვერ მოხვდება ამ ამქარში.

ეს სიტყვა „გამენი“ პირველად 1834 წელს დაიბეჭდა და ხალხის ენიდან შევიდა ლიტერატურულ ენაში. იგი პირველად „კლოდ გე“-ს სახელწოდებით ცნობილ პატარა მოთხრობაში იყო ნახსენები. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ სიტყვა დარჩა და მწერლობაში ფეხი მოიკიდა.

რითია გამენი დიდებული თავის ამხანაგებში და რაზეა დამყარებული მისი დიდება? ძნელი სათქმელია. ერთს ვიცნობდით, ფრიად განდიდებულს თავისი ამხანაგებისგან, თაყვანისცემით ექცეოდნენ ყველანი, - იმიტომ, რომ თავისი თვალით ენახა ერთი კაცი, ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათიდან რომ ჩამოვარდა. მეორეც არანაკლებ დიდებულად ითვლებოდა, რადგან მოეხერხებინა შეპარულიყო უკანა ეზოში, სადაც დროებით დაელაგებინათ ინვალიდების ტაძრის ძეგლები, და ცოტა ტყვია აეწაპნა; მესამე იმით იყო სახელოვანი, რომ დილიჟანსის გადაბრუნება ენახა; მეოთხე კიდევ იმით, რომ ერთ ჯარისკაცს იცნობდა, რომელმაც კინაღამ თვალი გამოსთხარა ბურჟუას!

ამით აიხსნება ერთი პარიზელი გამენის ნათქვამი, რომელიც გულიანად აცინებს ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა: - „ღმერთო დიდებულო! ჩემზე უბედური განა იქნება ვინმე? ამხელა ბიჭი ვარ და ჯერ არ მინახავს მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი კაცი!“

არანაკლებ აზრიანია ერთი გლეხკაცის სიტყვა; ვიღაც ნაცნობმა ჰკითხა: - ცოლი ავად გყავდა, მოგიკვდა, ექიმს ვერ მოუყვანდი?

და იმანაც უპასუხა:

- რას იზამთ, ბატონო, საწყალი კაცი თვითონ კვდებაო.

თუ ამ პასუხში მთლად გამოიხატა გლეხკაცის პასიური მორჩილება, პატარა გამენის ნათქვამში მთლიანადაა გამოხატული ჩვენი სარწმუნოების ღირსება. სიკვდილმისჯილი კაცი მიჰყავდათ ეტლით და მღვდელი რაღაცას ეუბნებოდა. დაინახა გამენმა და შეჰყვირა:

- გიუ ხუცესს უსმენს! ოჰ, რა ლაჩარი ყოფილა!

რაც უფრო თავისუფალია გამენი სარწმუნოებრივ საკითხებში, მით უფრო პატივცემულია. ადამიანის დიდებას გონებრივი თავისუფლება სჭირდება.

როდესაც დამნაშავეს სიკვდილით სჯიან, გამენიც იქ უნდა იყოს. ეს მისი ვალდებულებაა. ბიჭები შესცქერიან გილიოტინას და იცინიან. მრავალი მეტსახელით ამკობენ გილიოტინას: უვადო, ბუზღუნა, ცისკნელი და სხვა და სხვა. და რომ არაფერი გამოეპაროთ, ბანებზე ძვრებიან, აივნებზე, ხეებზე, მოაჯირსა და საკვამლე მილებზე ეკიდებიან. გამენი დაბადებიდანვე ბანზე მოსიარულეა და ნაოსანი. ჩიტივით აფრინდება ბანზე და მაღალ ანძაზეც მოექცევა. ყოველგვარ დღესასწაულს გრევის მოედანი ურჩევნია. გამენი ყველას კარგად იცნობს: ჯალათსაც და სულიერ მამასაც, რომელიც სიკვდილის დროსაც კი ატყუებს განწირულს. თუ შეშინებული ეჩვენათ დასასჯელი, დაცინვას უწყებენ ბიჭები, რომ გაამხნევონ; მაგრამ ყოჩაღი კაცის პატივისცემაც კარგად იციან. პატარა ლისნერმა რომ დაინახა ვაჟკაცურად მომაკვდავი საშინელი დოტენი, ეს სიტყვა წამოიძახა, რომელშიც მისი მომავალი გამოიხატა: - ისე ყოჩაღად იყო, რომ კიდეც შემშურდა! - გამენებმა ვოლტერის არაფერი იციან, მაგრამ პაპავუანს კი კარგად იცნობენ, ერთ სიაში ჰყავთ მოქცეული პოლიტიკოსები და კაცისმკვლელები; კარგად ახსოვთ, ვის რა ეცვა უკანასკნელად; იციან, რომ ტოლერონს ცეცხლფარეშის ქუდი ეხურა, ავრილს - წავის ბეწვის, ლუვილს - მრგვალი; ბებერი დელაპორტი თავმოტვლეპილი იყო და უქუდო, კასტენი - ძალიან ლამაზი და წითური, ბორისს პატარა კოხტა წვერი ჰქონდა. იციან, რომ ლეკუფე და მისი დედა ჩხუბობდნენ და ამიტომ რჩევა მისცა ერთმა გამენმა:

- ჰა, მანდაც ჩხუბი არ მოგივიდეთ, მაგ აკლდამაში!

ძალიან უნდოდა ერთ გამენს დებაკერის დანახვა, მაგრამ მომცრო ტანის კაცი იყო ეს დებაკერი და არ ჩანდა ხალხში. ისკუპა გამენმა, სანათის ბოძზე აძვრა და, რადგან იქვე ჟანდარმი იდგა, დაამშვიდა მთავრობა: - გამიშვით ავძვრე, ბატონო ჟანდარმო, არ ჩამოვვარდები.

- ჯანდაბას შენი თავი და ტანი! - უპასუხა ჟანდარმმა.

ძალიან პატივცემულია გამენებში, ვინც შემთხვევით რამეს იტკენს და ყოჩაღად გაუძლებს, ან, ვინც ძვლამდე გაიჭრის ხელს ან ფეხს.

მუშტსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ. სულ იმას გაიძახის გამენი სიამოვნებით, - ღონიერი ბიჭი ვარო, - შურით შესცქერიან ცაციას და აგრეთვე ბრუციანს.

## თავი მერვე
## უკანასკნელი მეფის ხუმრობა

დადგება ზაფხული და გამენიც ბაყაყად გადაიქცევა. საღამოს ბინდისას ყველანი აუსტერლიცის და იენის ხიდთან არიან; წყლის პირას, სადაც კი მაღალია რამე, ყველაფერზე ძვრებიან და იქიდან თავდაყირა ეშვებიან წყალში და არღვევენ ყოველგვარ კანონებს. პოლიციაც ფხიზლად არის და - კანონს ნუ არღვევთო, - თავისებურად სჯის თავისუფლად ბანაობის მსურველებს. ამ დრამატული მდგომარეობიდან გამოსასვლელად გამენმა ერთგვარი გაფრთხილება მოიგონა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ 1830 წელს, ერთმანეთს აფრთხილებდნენ ბიჭები, როგორც კი დაინახავდნენ პოლიციელს. ეს გაფრთხილება ყვირილით კი არა, სიმღერით ითქმოდა, ისევე მწყობრად, როგორც ჰომეროსის ლექსი, და ერთგვარი მახვილით, რომლის განმარტება თითქმის ისევე შეუძლებელია, როგორც ათენის

ახლოს ელევზისის სახელოვანი დეკლამაციის. ძველი ანტიკური evohe-ც კი მოიპოვებოდა ამ გაფრთხილებაში. „ოჰე, ბიჭებო, გველსა ვხედავ! ჩვენკენ მოცურავს! თავს უშველე!“

ამ პატარა ბიჭმა, ამ ქინქლამ, როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, კითხვა იცის; ხან წერაც იცის და ყოველთვის იცის უწმაწურობის ხატვა, რაღაც საიდუმლო მოხერხებით სწავლობს გამენი და იძენს ყოველგვარ ცოდნას, რომელიც კი სასარგებლოა და დასჭირდება საერთო კეთილდღეობას. 1815-1830 წლებში ინდაურივით ყივყივებდა. 1830-1848 წლებში კედლებზე მსხალს ხატავდა. ერთ საღამოს, ზაფხულში, მეფე ლუი ფილიპი მიდიოდა შინისკენ და პატარა ბიჭი დაინახა: მიწას არ ასცილებოდა, ისეთი პატარა იყო, ფეხის თითებზე დგებოდა, ოფლი სდიოდა, ცდილობდა ერთი დიდი მსხალი დაეხატა ნიელის მოაჯირის ბოძზე. მეფე, - რომელსაც ანრი მეოთხისგან გამოჰყოლოდა გულკეთილობა, - დაეხმარა პატარა ბიჭს, გამოსახა ნახშირით მსხალი, ერთი ოცფრანკიანი ოქრო მისცა და უთხრა: ხედავ, ზევითაც ყოფილა მსხალიო!

ძალიან უყვარს გამენს ალიაქოთი და არეულობა. ჭირივით სძულს „ხუცები“. ერთ საღამოს პატარა ბიჭი დაინახეს უნივერსიტეტის ქუჩის #62 სახლთან; ნახშირით უშველებელ ცხვირს ხატავდა ალაყაფის კარზე. - რა დაგიშავა, ბიჭო, ამ კარმა, რომ აგრე სვრიო? - ჰკითხა ერთმა გამვლელმა. - ის დამიშავა, რომ აქ მღვდელი ცხოვრობსო, - მიუგო გამენმა. - და სწორედ ამ სახლში ცხოვრობდა პაპის წარმომადგენელი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გამენი ვოლტერიანიზმითაა გაჟღენთილი, თუ ბედმა გაუღიმა და სადმე საყდარში მიიღეს მგალობლად, სიამოვნებით ასრულებს ამ მოვალეობას და ანგელოზივით იქცევა წირვა-ლოცვის დროს. ორი რამ არის ამ ქვეყნად, რომლებიც ტანტალასავით საშინლად სურს გამენს და ვერ კი აუსრულებია: მთავრობის დამხობა და დაფხრეწილი შარვლის დაკერება.

ხომ პატარა მუმლია, მაგრამ ისე ცნობს პარიზის ყველა პოლიციელს, რომ პოლიციის უფროსსაც აჯობებს. დაინახავს ქუჩაში და მაშინვე წამოიძახებს იმის სახელსა და გვარს. სულ თითებზე ჩამოგითვლის, რაც ქალაქში პოლიციელია. ყველას იცნობს, ყველას შესახებ მოეპოვება ცნობები. ისე კითხულობს პოლიციელის ჩანაფიქრს, თითქოს გადაშლილ წიგნს ჩასცქეროდეს და სხაპასხუპით წაუბორძიკებლად გეტყვით: ის... მოღალატეა, მეორე საშინელი ბოროტი; ისა? - ის აყლაყუდაა; ის კიდევ მასხარა (ყველა ამ სიტყვებს, - მოღალატე, ბოროტი, აყლაყუდა, მასხარა - გაფართოებული მნიშვნელობა აქვს გამენის ლექსიკონში), ან კიდევ: იმ ოტროველას ჰგონია, რომ ახალი ხიდი მისი საკუთრებაა და ქვეყანას უკრძალავს - მოაჯირს იქით ნუ დადიხართო!.. ისა? ის იმდენად ბრიყვია, რომ ყურს უგრეხს საზოგადოებას, ესე იგი, გამენს და სხვა.

## თავი მეცხრე
## ძველი გალური სული

გამენის თვისებებიდან ბევრი რამ ახასიათებდა სახელოვან პოკლენს, ბაზრის შვილს და აგრეთვე - ბომარშესაც. გამენობა გალური სულის ერთგვარი ელფერია. ჭკუას რომ ეს თვისება მიემატება, ისევე ამაგრებს და აძლიერებს, როგორც ალკოჰოლი ღვინოს, მაგრამ ხანდახან ნაკლებადაც ჩანს. ჰომეროსი ერთსა და იმავეს

იმეორებს? შეიძლება. სამაგიეროდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ვოლტერი გამენობს. დიდი რევოლუციის გმირი კამილ დემულენი პარიზის გარეუბნელი იყო; შამპიონე, რომელსაც სამასხარაოდ არ ჰყოფნიდა წმინდა სასწაული, პარიზის ქუჩის ბიჭი გახლდათ. პატარა იყო, წყალი რომ შეუყენა ბოვეს სენ-ჟანის და მონის სენტ-ეტიენის ეკლესიებს; ის იყო, უკმეხად რომ მოიხსენა წმინდა ჟენევიევის ნაწილები და უბრძანა წმინდა ჟანვეის სისხლით სავსე ფიალას, - გათხელდი, რაღაო.

არც ზრდილობა აკლია გამენს. იცის პატივისცემა, მაგრამ მასხარაა და თავხედი. საძაგელი კბილები აქვს, რადგან საძაგელ საჭმელს ჭამს და მუცელს იავადებს, მაგრამ მშვენიერი თვალები აქვს, რადგან ჭკვიანია: თვით იეღოვასაც არ მოერიდება და სულ ასკინკილით ავარდება სამოთხის კიბეზე. ყოჩაღია მუშტით და, თუ გაჭირდა, წიხლითაც. თუ გარემოება მოითხოვს, ადვილად იცის შეცვლა: წყალში ჭყუმპალაობს და უცბად ჩაერევა აჯანყებაში. იქ კი ნამდვილი დევგმირია. ბარა პარიზელი გამენი იყო. მისი ყვირილი „წინ“ ერთ წუთში ბუმბერაზად ხდის პაწიას.

გამენები ქუჩის ცხოვრების გარდა, მაღალი იდეალებისკენაც მიისწრაფვიან. თვალი გადაავლეთ მოლიერიდან ბარამდე არსებულ მანძილს.

ბოლოს და ბოლოს, მოკლედ, ერთი სიტყვით დავახასიათოთ; პარიზელი გამენი პატარა ბიჭია, რომელიც თავს იქცევს, რადგან უბედურია.

## თავი მეათე
## ECCE PARIS, ECCE HOMO

ერთხელ კიდევ რომ შევაჯამოთ ნათქვამი, პარიზელი გამენები დღეს, როგორც ოდესღაც რომაელი „graeculus“, ყმაწვილი ხალხია, რომელთა შუბლზეც ძველი ქვეყნის ნაოჭი მოჩანს.

გამენი ერთდროულად ხალხის კურთხევაც არის და ავადმყოფობაც. ავადმყოფობა, რომელიც განკურნებას მოითხოვს. როგორ? განათლებით.

განათლება კურნავს.

განათლება თვალს უხელს.

მეცნიერების ნაყოფია ყველა სათნო სხივი, რომელიც ხალხის განათლებას ემსახურება, - მწერლობაც, ხელოვნებაც, სწავლაც. მოამზადეთ ხალხი! გაანათლეთ, რომ თქვენც გაგათბონ. დღეს იქნება თუ ხვალ, წამოიჭრება ხალხის სავალდებულო სწავლების ბრწყინვალე საკითხი, ისეთი ძალით და სიმართლით, რომ საფრანგეთის მთავრობის სათავეში მდგომნი იძულებული იქნებიან არჩევანი გააკეთონ: საფრანგეთის შვილები, თუ პარიზის გამენები? სინათლის ნათელი სხივი, თუ სიბნელის ცთომილი ალი?

გამენი პარიზის განსახიერებაა და პარიზი - ქვეყნიერებისა.

იმიტომ, რომ პარიზი ქვეყნიერების ცენტრია. პარიზი ჭერია, კაცობრიობას რომ აფარია. მთელი ეს საკვირველი ქალაქი ჯამია, რომელშიც შეერთებულია ძველი, მკვდარი და ახალი, ცოცხალი ზნე-ჩვეულებანი. ვინც პარიზს ნახავს, ჰგონია მთელი ისტორიის უკუღმა პირს ვხედავ და აქა-იქ ცასა და თანავარსკვლავედსო. პარიზს თავისი კაპიტოლიუმი აქვს - ქალაქის თვითმმართველობა, თავისი პართენონი - ღვთისმშობლის ტაძარი, საკუთარი ავენტინის მთა - წმინდა ანტონის უბანი, საკუთარი აზინარიუმი - სორბონი; პანთეონი - ასევე პანთეონად წოდებული, თავისი წმინდა გზა

- იტალიელების ბულვარი, თავისი „ქარციხე“ - საზოგადოებრივი აზრი; რომაელების გემონის კიბის მაგივრად კი, რომელზედაც დახოცილ პატიმრებს გამოაწყობდნენ ხოლმე - დაცინვას სთავაზობს, ძველი მაიოს მაგივრად - გარეუბნელები, ძველი „ჰამალის“ მაგივრად - ბაზრის მუშა, „ლაზარონის“ მაგივრად - ქურდების ბრბო და „კოკნეის“ მაგივრად - კოხტაპრუწა.

რაც კი რამ არის სადმე სხვაგან, პარიზშიაც მოიპოვება. ბაზრის მეთევზე დედაკაცი არათერით ჩამოუვარდება ევრიპიდეს მწვანილის გამყიდველს და ბადროს მსროლელი ვეთანუსი გაჭიმულ ბაგირზე მოცეკვავე ფორიოზოდ გაცოცხლებულა. თუ ძველად თერაპონტიგონელი მილესი ჰყავდათ, დღეს გრენადერი ვადებონკერი გვყავს; ძველებური ვაჭარი დემაზიპი ბედნიერი იქნებოდა, რომ ნოქრად მიეღოთ პარიზელ ძველმანების ვაჭრებს; სოკრატიც, რა თქმა უნდა, ვინსენის ციხეში იჯდებოდა, ხოლო აგორა დიდროს დააპატიმრებდა. თუ კურტილუსი შემწვარ ზღარბს მოიგონებდა, გრიმო დე-ლა რეინიერი როსბიფს შემოიღებდა; პლავტეს ტრაპეცია ჩვენ ხელახლა ვარსკვლავის თაღის ქვეშ მოვაქციეთ; ხმალს რომ ყლაპავდა ათინელი და აპულეუსი გააკვირვა, დღესაც ახალ ხიდზე ზის და ხმლებს ყლაპავს; თუ მაშინ პარაზიტი კურკულიონი ჰყავდათ, მას არ ჩამოუვარდებოდა ჩვენი რამოს ძმისწული. ერგაზილი მარტო ეგრაფიელის დახმარებით წარუდგებოდა კამბასერესს; რომის ოთხი სახელოვანი ქალი - ალცეზიმარხი, ფეედრომი, დიაბოლუსი და არგარიპი, თითქოს გაცოცხლებულან, კურტილიდან მოდიან ფოსტის ეტლით; აულუ-გელი იმდენ ხანს არ იდგებოდა კონგრიოს წინ, რამდენ ხანსაც შარლ ნოდიე იდგა ხუმარას წინ; მარტონი ძუ ვეფხვი არ არის და არც პარტალისკა იყო ურჩხული; ხუმარა პანტოლაბუსი დღესაც მასხრად იგდებს ინგლისელების კაფეში მოქეიფე ნომენტანუსს; ჰერმოგენი ტკბილად მღერის ელისეს ბაღში, იქვე არის გაქნილი თარაზიუსი, მასხარის ტანისამოსით და ფულს აგროვებს; ვიღაც თავხედი რომ დაიჭერს თქვენი ტანისამოსის ღილს და შეგაჩერებთ ტუილერიში, იმავე სიტყვას გამეორებინებთ, რომელიც ორი ათასი წლის წინათ იყო ნათქვამი თესპრიონის მიერ: Quis properantem me prehendit pallio? სურენის ღვინო წააგავს ალბანურს, დეზოჟიეს ერთი ჭიქა იგივეა, რაც ბალატრონის დიდი სასმისი; პერ-ლაშეზის სასაფლაო ღამის წვიმაში იმავე სინათლეს იძლევა, რასაც ესკილი იძლეოდა რომში, და ხუთი წლის ვადით ნაყიდი ღარიბი კაცის საფლავი იგივეა, რაც მონის დასასაფლავებლად ქირით აღებული კუბო.

მოძებნეთ რამე, რომ პარიზს არ ჰქონდეს. ტროფონიუსის ვარცლში არაფერი იყო იმისთანა, რაც მესმერის როფში არ ყოფილიყო. ერგაფილა გაცოცხლებულია კალიოსტროთი, ბრამინი - ვასაფანტა განხორციელებულა გრაფ დე-სენ-ჟერმენში, და სენ მედარის სასაფლაოზე იმდენივე სასწაული ხდება, რამდენიც დამასკოში ხდებოდა უმუმიეს მეჩეთში.

პარიზს თავისი ეზოპე ჰყავს, რომელსაც მეიო ჰქვია, და თავისი კანიდი, რომელსაც ქალბატონი ლენორმანი ჰქვია. პარიზსაც შიშით გული უსკდება, როგორც დელფეს, როდესაც გამოძახებულ სულებს ხედავს, ისიც ისე ატრიალებს მაგიდებს, როგორც დოდონა ატრიალებდა სამფეხა სკამებს. პარიზს კოხტა გოგო აჰყავს ტახტზე, როგორც რომს აჰყავდა ტახტზე უნამუსოები და ბოლოს, თუ მეფე ლუი მეთხუთმეტე ვერ შეედრება კლავდიუსს, ქალბატონი დუბარი ხომ აჭარბებს მესალინეს. პარიზი ქმნის საკვირველ ტიპს, რომელსაც ჩვენს დროსაც ვხედავდით, და ამ ტიპით

აერთიანებს ბერძენის სიტიტვლეს, ებრაელის ურვას და გასკონელის ლაზღანდარობას. პარიზს შეუდუღებია დიოგენი, იობი და პაიასი. ძველი ნორმებით მოსავს გაზეთ „კონსტიტუციელის“ აჩრდილს და ქმნის შოდრუკ დუკლოს.

თუმცა პლუტარქე ბრძანებს, - მტარვალს არაფერი აბერებსო, რომს ისე გაუჭირდა სულას და დომიციანის დროს, რომ სიამოვნებით უმატებდა წყალს თავის ღვინოს. ტიბრი ჯოჯოხეთის ლეთესავით ავიწყებდა ადამიანს წარსულს, თუ დავუჯერეთ ცოტა გადამეტებულ ქებას, რომელიც ვარუს ვიბისკუსმა უძღვნა ამ მდინარეს: „Contra Gracchos Tiberim habemus. Bibere Tiberim, id est seditionem oblivisci“, - გრაკხების დასამარცხებლად ტიბრიც გვეყოფა. პარიზი დღეში ერთ მილიონ ლიტრ წყალს სვამს, მაგრამ ეს წყალი სრულებითაც არ უშლის ხელს, რომ განგაში ატეხოს, როცა საჭიროება მოითხოვს, და აჯანყება გააჩაღოს.

საერთოდ კი, პარიზი კეთილი ქალაქია. დიდებულად ეგუება ყველაფერს. დიდ მოთხოვნას არ უყენებს ვენერას, მისი კალიპიგაჰოტენტოტია, ოღონდ გააცინონ და ყველაფერს შეუნდობს. სიმახინჯე ამხიარულებს, ბიწიერება ართობს, ოღონდ მხიარული იყოს კაცი, და გაიძვერობაც ეპატიება. პირმოთნეობაც კი, ეს უაღრესი ცინიზმიც კი არ აღაშფოთებს. იმდენად განათლებული არ არის, რომ არ ეზიზღება ბოყინი პრიაპისი. კაცობრიობის სახის არც ერთი ნაკვთი არ აკლია პარიზს. თუმცა „სახალხო ცეკვას“ რომის იანიკულის ბორცვი აკლია, მაგრამ აქაც, ძველი ტანისამოსით მოვაჭრე დედაკაცი თვალს არ აშორებს ლამაზ გოგოს, როგორც მაჭანკალი სტაფილა უთვალთვალებდა ცქრიალა პლანეზიუმს. ჩვენი კრივი რომის კოლიზე არ არის, მაგრამ აქაც იმისთანა გაშმაგებით იბრძვიან, რომ კეისარსაც კი შეშურდებოდა. სირიელი დიასახლისი დუქნისა იქნება უფრო მიმზიდველიც იყო, ვიდრე ძალუა საგე, მაგრამ თუ ვირგილიუსს უყვარდა რომაული დუქანი, არც დავიდ დ-ანუერი, ბალზაკი და შარლე იწუნებდნენ პარიზულ დუქნებს.

პარიზი მეფობს თავისი გენიოსებით განდიდებული. ადონაიც იქ ბრძანდება თავის თორმეტთვლიანი მეხისმტყორცნავი ეტლით და სილენიც თავისი ვირით - იგულისხმეთ რამპონო.

პარიზი - კოსმოსის სინონიმია. პარიზი - ათენიც არის, რომიც, სიბარისიც, იერუსალიმიც, პანტენიც. აქ შეკრებილია ყველა ცივილიზაციის სული და გული, და ბარბაროსობის ყველა ნაშთი. ძალიან იწყენდა პარიზი, როდესაც გილიოტინა არ ჰქონდა.

გრევის მოედანიც კარგია. რას ემგვანებოდა ეს მუდმივი სიხარული, გრევის გილიოტინით რომ არ ყოფილიყო შეზავებული? ჩვენმა კანონმდებლობამ ესეც გაითვალისწინა და მისი წყალობით, გილიოტინის მახვილიდან სისხლი წვეთ-წვეთად დასდის პარიზის კარნავალს.

## თავი მეთერთმეტე
## ხუმრობა და მეფობა

პარიზს საზღვარი არ აქვს. არც ერთ ქალაქს არ ჰქონია ამდენი უფლება; უფლება, რომელიც ხანდახან თვითონვე დასცინის, ვისაც იმორჩილებს. - თქვენი გულის მოგება მინდა, ათენელებო! - იძახდა ალექსანდრე. პარიზიც გულის მოსაგებად, კანონმდებელზე უფრო მეტს ქმნის, - ის ქმნის მოდას, უფრო მეტსაც, ვიდრე მოდაა.

პარიზი ქმნის რუტინას. შესაძლებელია გასულელდეს პარიზი, თუკი სურს. ხანდახან გაიტაცებს ხოლმე ეს სურვილი და მაშინ ქვეყნიერებაც ისევე სულელობს, როგორც პარიზი; მაგრამ შემდეგ ჭკუაზე მოდის, თვალს ახელს - რა სისულელე მომივიდაო და ხმამაღალი სიცილით შესცქერის კაცობრიობას.

განა საოცრება არ არის ამგვარი ქალაქი? და უცნაური ისაა, რომ ერთად არიან, ტკბილ მეზობლად, ეს დიდი და ეს სასაცილო, რომ ამ ბრწყინვალებას არაფრით არღვევს ეს პაროდია, და ერთი და იგივე ბაგე დღეს მეორედმოსვლის საყვირს ჩაჰბერავს, ხვალ კი ხახვის ფოთოლს სტვირად ჩაიდებს პირში და იმას უკრავს. უსაზღვრო სიხალისის მქონეა პარიზი. ელვასავით ბრწყინავს მისი მხიარულება. მის ფარსს სამეფო კვერთხი უჭირავს ხელში. ხანდახან გრიგალს გამოიწვევს ხოლმე პარიზის სახის ცვლა. მთელ ქვეყნიერებას ედება მისი აღტკინება, ბრძოლა, შედეგრები, სასწაული, ეპოპეები და აგრეთვე მისი ოხუნჯობაც. პარიზის გაცინება ვულკანის ამოფრქვევაა, რომელიც მთელ ქვეყნიერებას ეფინება. მისი ხუმრობა ნაპერწკლების სროლაა. კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდესი ძეგლები იტანენ პარიზის ირონიას და ამგვარად თავის უკვდავებას მის ანცობას ანდობენ.

დიდებულია პარიზი. დიდებულია 14 ივლისი - კაცობრიობის განთავისუფლების დღე, ერთგულება შეჰფიცა ამ დღეს პარიზმა თავისუფლებას, და მასთან ერთად ყველა ერმაც. 4 აგვისტოს ღამემ სამი საათის განმავლობაში მოსპო ათასი წლის ფეოდალიზმი. თავისი ლოგიკიდან იგი ქმნის ერთიან იდეას, რომელიც დიად მიზნებს აერთიანებს. თავისი სხივებით აძლიერებს ვაშინგტონს, კოსტიუშკოს, ბოლივარს, ბოცირისს, რიეგოს, ბემს, მანინის, ლოპეცს, ჯონ ბროუნს, გარიბალდის. პარიზი ყველგან არის, სადაც კი მომავალი ინთება, - ბოსტონში 1779 წელს, ლეონის კუნძულზე 1820 წელს, პესტში 1848 წელს, პალერმოში 1860 წელს და ყველგან ძლიერ ლოზუნგს ჩასჩურჩულებს ხალხს - თავისუფლებას. ამ სიტყვით ამხნევებს მონობის მოწინააღმდეგე ამერიკელებს ჰარპერსის ბორანზე და იტალიელ პატრიოტებს ანკონაში. პარიზი ქმნის კანარისს, გვიროგას, პიზაკანს. თავისუფლების სხივს ჰფენს ქვეყნიერებას. პარიზის აზროვნებით გატაცებული ბაირონი კვდება მისოლონგში, მაზე კი - ბარსელონაში; პარიზიდან გასძახის თავისუფლებას მირაბო და კაცობრიობის გასაღვიძებლად ცეცხლს აფრქვევს რობესპიერი. პარიზი თავისი წიგნებით, თეატრით, ხელოვნებით, მეცნიერებით, მწერლობით, ფილოსოფიით - კაცობრიობის ხელმძღვანელია. პარიზს ჰყავს პასკალი, რენიე, კორნელი, დეკარტი, ჟან-ჟაკ-რუსო, ვოლტერი - ყოველი წუთისთვის და მოლიერი - სამარადისოდ. პარიზი თავის ენას მსოფლიო ენად ხდის. პროგრესის იდეას აღუძრავს ყველა ხალხს. თავისუფლების იმ ცნებას, რომელსაც გამოსჭედავს თავის ბრძმედში, მახვილ იარაღად ხმარობენ ჩაგრული ხალხები. პარიზის მოაზროვნეთა და პოეტების სულმა შექმნა 1789 წლის შემდეგ ამდენი გმირი ყველა ხალხში.

და ყოველივე ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მის გამენობას. ის დიდი გენია, პარიზად წოდებული, რომელსაც თავისი სხივით განათლება შეაქვს ქვეყნიერებაში, ბუჟინიეს ცხვირს ხატავს ტეზეესის ტაძრის კედელზე და „კრედევილი ქურდი არის“ - წერს პირამიდაზე.

სულ მხიარულია პარიზი; თუ არ ბუზღუნებს, მაშ იცინის.

ასეთია პარიზი. მისი ბანიდან ამომავალი კვამლი ქვეყნიერების იდეებია. შენობა ტალახისაა ან ქვის, მაგრამ ამ შენობაში არის ზნეობრიობა; იგი უფრო მეტია, ვიდრე სიტყვა „დიდი“, იგი უზარმაზარია. რატომ? იმიტომ, რომ გაბედულია.

გაბედულება!

ამით მოიპოვება პროგრესი.

ყოველი დიადი გამარჯვება გამბედაობის შედეგია. რევოლუციის მოსახდენად არ იყო საკმარისი მონტესკიეს წინასწარმეტყველება, არც დიდროს ქადაგება და ბომარშეს ხარება - მოდისო! არც კონდორსეს ანგარიში, არუეს მზადება და რუსოს დაგეგმვა. რევოლუციის მოსახდენად დანტონი იყო საჭირო, რომ გაებედა.

სიტყვა - გაბედეთ - უდრის ბრძანებას - Fiat lux! - იყავნ სინათლე!

კაცობრიობის განათლებისა და წინსვლისთვის საჭიროა მაღალ კვარცხლბეკზე მუდამ ჩანდეს ხალხის კეთილდღეობისთვის ვაუკაცური თავგანწირვის მაგალითები. გამბედაობა აელვარებს ისტორიას და დიდებულ სხივს ჰფენს ადამიანს. ალიონი ბედავს, როცა ის მოდის, ვცადოთ, გაბედულად შევუდგეთ საქმეს, არ დავიხიოთ უკან, რაც უნდა მოგველოდეს, ერთგულად ვემსახუროთ ხალხის კეთილდღეობას, ხელჩართული ბრძოლა გამოვუცხადოთ უმეცრებას და ხალხის ჩაგვრას, გავაკვირვოთ საშინელება ჩვენი დაჟინებით და უშიშრობით, იერიშით მივიდეთ უსამართლო მართებლობაზე, შეურაცხყოფით შევამკოთ ხალხის გაბრიყვებით გამარჯვებული და ტალივით მაგრად ვუდგეთ განათლების მტერს. აი, როგორი მაგალითი ესაჭიროებოდა ხალხს, და ის სხივი, რომელიც ელექტრონივით დაუვლის დაჩაგრულთ. ხალხის თვალის ამხელ ერთსა და იმავე სხივს გვაძლევს პრომეთეს ჩირაღდანი და კამბრონის მოკლე ჩიბუხი.

## თავი მეთორმეტე
## ხალხში ჩამალული მომავალი

რაც შეეხება პარიზელ ხალხს, ისევ ის გამენია, უკვე დავაუკაცებული. პატარა ბიჭის დახატვა ქალაქის დახატვას ნიშნავს. და ამიტომ იყო, რომ პატარა გულწრფელი ბეღურა დავხატეთ დიდი ორბის გასაცნობად.

პარიზელი, თუ ნამდვილი პარიზელი გნებავთ, ხელახლა ვამტკიცებთ ამას, იქ იზრდება, პარიზის გარეუბანში. იქ მოიპოვება წმინდა სისხლი და პარიზელის ნამდვილი სახე. იქ არის, გარეუბანში, რომ შრომობს და იტანჯება ხალხი; შრომა და ტანჯვა ჯერჯერობით ადამიანის სიცოცხლის ორი განსახიერებაა. მრავალი ხალხი ირევა გარეუბანში, მრავალი უცნობი და უცნაური, გადმომტვირთავი მუშიდან დაწყებული მონფოკონის ჯალათამდე. Fex urbis - ქალაქის ნაძირალით დამთავრებული, - თქვა ციცერონმა, - მყრალი მატლიო, - წარმოთქვა აღშფოთებულმა ბურკემ. ბრბო, მდაბიო ხალხი! რა დაუფიქრებლად წამოისვრიან ხოლმე ამ სიტყვებს! დიახ, ბრბო, მდაბიო ხალხი! მერე რა უჭირს? რა ჩემი საქმეა, თუ ისინი ფეხშიშველნი დადიან; წერა-კითხვა თუ არ იციან, მით უარესი! ამიტომ უნდა აითვალწუნოთ ეს დაჩაგრულნი? ნუთუ დაწყევლილად ამ ხალხს იგულისხმებთ, და არა მათ მჩაგვრელებს? ნუთუ გგონიათ, რომ სინათლე ვერაფერს გააწყობს ამ ტანჯულ ხალხში? დავუბრუნდეთ ამ სიტყვას: სინათლე, სინათლე!

რა იცით, რომ სინათლე არ გაფანტავს აქ გამეფებულ ბნელს? განა რევოლუცია ადამიანისა და საზოგადოების გარდაქმნა არ არის? მიდით, ფილოსოფოსებო, ასწავლეთ, ჩააგონეთ, ხმამაღლა თქვით, გამოჩნდით და გაანათლეთ! ხმამაღლა იფიქრეთ, ხმამაღლა თქვით, გამოჩნდით ხალხში, გაუამხანაგდით ხალხს და მათ სახალხო მოედნებს, ახალი, სასარგებლო ამბავი აუწყეთ, გაავრცელეთ წიგნის სიყვარული, გააცანით ხალხს თავისი უფლებები, იმღერეთ მარსელიოზა, გააცანით ბრწყინვალე მომავალი, და მერე ნახავთ, რა ღირსეულად გამოიყენებს თქვენს შთაგონებას და როგორ ამაღლდება ეს ბრბო. უნდა ვიცოდეთ პრინციპებისა და სათნოების იმ დიდი ხანძრის გამოყენება, რომელიც თავის დროზე აელვარდება, აინთება და ათრთოლდება. ცეცხლს წაუკიდებს ამ ბრბოს თავისუფლების და ძმობა-ერთობის პრინციპი. ფეხშიშველია დღეს ეს ხალხი, ტანშიშველი, უვიცი, სხვებისგან თვალახვეული და გაბრიყვებული. მაგრამ დაანახვეთ თავისი სიკეთე და თავს გასწირავს იდეალთან მისაახლოებლად. გულმოდგინედ დაუკვირდით ხალხს და მაშინ ნახავთ ჭეშმარიტებას; იგი უბრალო ქვიშად მიგაჩნიათ, რომელსაც ფეხით თელავთ; მაგრამ, თუ ბრძმედში მოჰყვა, დადნა და დადუღდა, ბრწყინვალე კრისტალად იქცევა და მისი წყალობით აღმოაჩენენ გალილეი და ნიუტონი ციურ მნათობებს.

## თავი მეცამეტე
## პატარა გავროში

გავიდა რვა-ცხრა წელი მას შემდეგ, რაც ნაამბობი იყო ამ ისტორიის მეორე ნაწილში. ტამპლის ბულვარზე, შატო-ლოს ახლოს, თერთმეტი-თორმეტი წლის პატარა ბიჭს ხედავდნენ, რომელიც უნაკლოდ განასახიერებდა ზემოთ აღწერილი გამენის იდეალს, თავის ბავშვურ სიცილთან ერთად დაღვრემილი და სრულიად ცარიელი რომ არ ჰქონოდა გული. ვაუკაცის შარვალი ეცვა პატარა ბიჭს, მაგრამ მამისეული როდი იყო. ქალის ზედატანი ეცვა ხალათის მაგივრად, არც ეს ჰქონდა დედისაგან მიღებული; ალბათ შეეცოდა ვინმეს საწყალი ბიჭი და სამადლოდ შემოსეს, რითაც შეეძლოთ, პატარას კი მამაც ჰყავდა და დედაც. მამას სულ არ აგონდებოდა თავისი შვილი, დედას კი არ უყვარდა. ერთი იმ საცოდავთაგანი იყო უბედური, რომელთაც დედაც ჰყავთ, მამაც და მაინც ობლები არიან.

არსად ისე კარგად არ გრძნობდა თავს პატარა ბიჭი, როგორც ქუჩაში; ქუჩის ქვაფენილი უფრო რბილად ეჩვენებოდა, ვიდრე თავისი დედის გული. მშობლებმა პანღური ჰკრეს და ისე გამოაგდეს ქუჩაში. წადი და იცხოვრეო!

გამოაგდეს და ისიც გამოფრინდა.

ცოცხალი ბიჭი იყო, ხმაურიანი, ფერმკრთალი, ცქვიტი, ხუმარა; დადიოდა, დარბოდა, მღეროდა, თამაშობდა, წყალში ჭყუმპალაობდა. ცოტას კიდეც წაიქურდებდა, მაგრამ მხიარულად და გულუბრყვილოდ, როგორც კატა, ან ბეღურა. იცინოდა, ლაწირაკს რომ დაუძახებდნენ, და ჯავრობდა, არამზადას რომ უწოდებდნენ. ბინა არ გააჩნდა, პური არ ჰქონდა, არც ცეცხლი, არც სიყვარული, მაგრამ მხიარულობდა, რადგან თავისუფალი იყო.

როგორც კი წამოიზრდებიან ეს უბედურები, თითქმის ყოველთვის საზოგადოებრივი წისქვილის ქვის ქვეშ მოჰყვებიან ხოლმე და იღუპებიან; მაგრამ

სანამ პატარები არიან, ადვილად ემალებიან მას. სადაც კი ერთი ბეწო ნახვრეტი შეხვდებათ, იქ შეძვრებიან.

სრულიად უარყოფილი და დავიწყებული იყო თავისი დედ-მამისაგან, მაგრამ ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც მოაგონდებოდა თავისი მშობლები და წამოიძახებდა - მოდი, ერთი დედაჩემს ვნახავ. - მიატოვებდა ბულვარს, ცირკს, სენ-მარტენის კარს. ჩავიდოდა მდინარის პირას, გაივლიდა ხიდს, გავიდოდა გარეუბანში, მივიდოდა სალპეტრიერამდე და მიადგებოდა სწორედ იმ ორნომრიან შენობას - 50-52, რომელსაც მკითხველი კარგად იცნობს, გორბოს სახლს.

ჩვეულებრივ ცარიელი იყო ეს სახლი; შესასვლელ კარს მუდმივად ეკრა განცხადება - „გასაქირავებელი ოთახები“; მაგრამ იმ დროს სულ რამდენიმე კაცი იდგა ამ სახლში, რომლებსაც, როგორც პარიზის ყველა სახლში, ერთმანეთთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ და არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. ყველანი იმ დაბალ კლასს ეკუთვნოდნენ, რომელიც მეტად გაჭირვებული ბურჟუისაგან მომდინარეობს, უფრო და უფრო ძირს იწევს გაჭირვების გამო, საზოგადოების ნალექში ჩადის და ემატება ჩვენი ცივილიზაციის ქვედა ფენას, რომლებსაც შეადგენენ მეეზოვეები და მეჯღანეები.

ჟან ვალჟანის დროის მეკარე, ბებერი დედაკაცი, მომკვდარიყო და ახლა სხვა აეყვანათ, ისეთივე ბებერი და ისეთივე ავი. არ მახსოვს, რომელმა ფილოსოფოსმა თქვა: - თქვენ სხვა თქვით, თორემ ბებერი დედაკაცი რამდენიც გნებავთ, იმდენიაო!

ამ ახალ ბებერ მეკარეს ბურგონი ერქვა და თავის სიცოცხლეში არაფერი ჰქონდა ღირსშესანიშნავი, სამი თუთიყუშის გარდა, რომლებიც ძალიან უყვარდა.

ამ სახლის მდგმურებში ყველაზე უბედური ერთი ოჯახი იყო, დედა, მამა და ორი კარგად მოწიფული ქალი. ოთხივე დაქანებული ბანის ქვეშ მოწყობილ ერთ ოთახში ცხოვრობდა.

ერთი შეხედვით, ამ ოჯახს განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა, გარდა დიდი სიღარიბისა. ოთახი რომ დაიქირავა კაცმა, თავისი გვარიც უთხრა, - ჟონდრეტი ვარო. ამ ოჯახის გადმოსვლა დაქირავებულ ოთახში არაფრით ჰგავდა ბინიდან ბინაზე გადასვლას, მეკარის თქმისა არ იყოს, ეს იყო სიცარიელის გადმოსვლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჟონდრეტმა სთხოვა მეკარეს, რომელიც იმავდროულად კიბესაც ხვეტდა:

- იცი რა, დედი, თუ მოვიდა ვინმე და პოლონელი იკითხა, ან იტალიელი, ან იქნებ ესპანელიც, იცოდეთ, რომ მე მკითხულობს.

ეს იყო პატარა მხიარული მაწანწალას დედ-მამა და ოჯახი. მივიდოდა ხოლმე საცოდავი და საშინელ სიღარიბეს და გაჭირვებას ხედავდა, რაც კიდევ უფრო გულსაკლავია, ღიმილსაც კი ვერავის შენიშნავდა სახეზე. ამ სახლში გაყინული იყო ბუხარი და მასთან ერთად, მისი დედ-მამის და დების გულიც.

შევიდოდა და მაშინვე უკმეხად ჰკითხავდნენ:

- საიდან მოდიხარ?

- ქუჩიდან, - უპასუხებდა გავროში.

იგივე კითხვა, წასვლას რომ დააპირებდა:

- ახლა სად მიდიხარ?

- ქუჩაში.

ასე გულიანად მიესალმებოდა ხოლმე დედა:

- აქ რა გინდა, რომ მოეხეტები?

ისე იზრდებოდა საცოდავი, ალერსს და სიყვარულს მოკლებული, როგორც გაყვითლებული ბალახი, სადმე სარდაფში აღმოცენებული. მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა და არავის ემდურებოდა. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ როგორები უნდა ყოფილიყვნენ დედა და მამა.

თუმცა დედას თავისი ქალები უყვარდა.

ის კი დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ტამპლის ბულვარი ამ ბიჭს პატარა გავროშს უწოდებდა. რატომ დაირქვა გავროში? ალბათ იმიტომ, რატომაც დაირქვა მამამისმა ჟონდრეტი.

ზოგი უბედური ოჯახი რაღაც ალღოს მიხედვით წყვეტს თავისი წევრების შემაერთებელ ძაფებს.

ჟონდრეტის ოთახი გორბოს სახლში ტალანის სულ ბოლოში იყო. მის გვერდით, პატარა ოთახში ერთი ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა, ძალიან ღარიბი, ბატონი მარიუსი.

ახლა ბატონი მარიუსი გავიცნოთ.

## წიგნი მეორე
## დიდი ბურჟუა

### თავი პირველი
### ოთხმოცდაათი წლის კაცი ოცდათორმეტი კბილით

ბუშრას, ნორმანდის და სენტონჟის ქუჩების მკვიდრ ზოგიერთ მოხუცებულს დღესაც კარგად ახსოვს ერთი მეტად თავისებური კაცი, ბატონი ჟილნორმანი, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით იგონებენ. მათ სიყმაწვილეში ეს ჟილნორმანი უკვე ბებერი იყო. ვინც დაღონებული შესცქერის აჩრდილების ამ ბნელ ფუთფუთს, წარსული რომ ეწოდება, ნახავს, - ჯერაც არ გამქრალა ეს სილუეტი ტამპლის ახლო ქუჩებში, რომლებსაც ლუი მეთოთხმეტის დროს საფრანგეთის პროვინციების სახელს არქმევდნენ, როგორც ჩვენს დროში ახალი უბნის, ტივოლის ქუჩებს - ევროპის დედაქალაქების სახელებს. წინსვლა, მოკლედ რომ ვთქვათ, რომელშიც პროგრესი მოჩანს.

ბატონი ჟილნორმანი 1831 წელს ძალიან ჭარმაგად გამოიყურებოდა. ერთი იმ კაცთაგანი იყო, რომლებიც თავისი სიბერითა და დიდი ხნით სიცოცხლით, საინტერესონი და უცნაურნი არიან, - რადგან იმ დროს ყველას ემსგავსებოდნენ, დღეს კი აღარავის ჰგვანან. ეს მოხუცებული მეტად თავისებური კაცი იყო, მართლაც რომ სხვა დროის კაცი, მეთვრამეტე საუკუნის ბურჟუის ნამდვილი განსახიერება; ძალზე ამპარტავანი, რომელიც ისე ამაყობდა თავისი ძველი ბურჟუობით, როგორც მარკიზი - თავისი მარკიზობით.

ოთხმოცდაათ წელს გადასცილდა, მაგრამ ჭაბუკივით წელგამართული დაიარებოდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, მშვენივრად ხედავდა, ისე სვამდა, რომ სასმისში წვეთს არ დატოვებდა, კარგად ჭამდა, კარგად ეძინა და გულიანად ხვრინავდა. უკლებლივ ჰქონდა ოცდათორმეტივე კბილი. სათვალეს მხოლოდ კითხვის დროს ხმარობდა. ქალებს ეტრფოდა, მაგრამ ათი წელი იქნებოდა, რაც მათზე ხელი აიღო... აღარავის მოვეწონებიო, - ამბობდა. მაგრამ იმას კი არ იტყოდა,

- დავბერდი, აღარ ვვარგივარო, - არა! - ძალიან გავღარიბდიო! - ჩიოდა - და უმატებდა:

- ასე რომ არ გავღარიბებულიყავი, გაჩვენებდით სეირსო!

მართლაც, ბევრი რამ დაეკარგა და წელიწადში თხუთმეტი ათასი ფრანკიღა ჰქონდა საცხოვრებლად. სულ იმაზე ოცნებობდა, ერთი კარგი მემკვიდრეობა მიეღო, რომ წელიწადში ასი ათასი ფრანკი ჰქონოდა სახარჯოდ და საყვარლები ჰყოლოდა. როგორც ხედავთ, ბატონი ჟილნორმანი არ მიეკუთვნებოდა იმ დაავადებულ, გატეხილ ბებრებს, რომლებიც, როგორც ვოლტერი, მომაკვდავნი არიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გამსკდარი ქოთნის გამძლეობა კი არ ჰქონდა ბატონ ჟილნორმანს: ბებერი იყო, მაგრამ მეტად ჯანსაღი, მხიარული, აჩქარებული, ფიცხი, სულ უბრალო, უმნიშვნელო რამეც კმაროდა, რომ გაბრაზებულიყო და თითქმის ყოველთვის უმიზეზოდ, თუ წინააღმდეგობას გაუბედავდა ვინმე, ჯოხს მოუღერებდა; ისე სცემდა თავის შინაურებს, როგორც ძველ დროში. ქალი ჰყავდა გასათხოვარი; ორმოცდაათი წლის მაინც იქნებოდა, როდესაც გაჯავრდებოდა, გამეტებით სცემდა იმ ხნის ქალს და ხანდახან მათრახითაც ემუქრებოდა; ისევ პატარა, რვა წლის გოგოდ მიაჩნდა და ბავშვივით ექცეოდა. თავის მსახურებს უარეს დღეში აგდებდა; სილას გაულაწუნებდა, ფეხი რომ წასხლტომოდა ვინმეს, და თან გემოზე შეუკურთხებდა: - შე მყრალო ლეშოო!

უცბად ბრაზდებოდა, მაგრამ დამშვიდებაც მალე იცოდა. წვერს ყოველდღე იპარსავდა: ამისთვის დალაქი ჰყავდა, რომელიც ერთ დროს გიჟი ყოფილიყო; ჭირივით სძულდა ამ დალაქს ბატონი ჟილნორმანი, რადგან ძალიან ლამაზი, კოხტა, კეკლუცი ცოლი ჰყავდა და მოხუცზე ეჭვიანობდა.

დიდებულად მიაჩნდა თავისი აზრი, სიტყვა და შორსმჭვრეტელობა ბატონ ჟილნორმანს. აი მისი ერთი ნაკვესი: - მართლა, ძალიან გულმახვილი ვარ; რწყილი რომ მიკბენს, მაშინვე ვიცი, რომელი სატრფოსგან შემომეპარაო. - თავის საუბარში ძალიან ხშირად ხმარობდა სიტყვებს - მგრძნობიარე და ბუნება. ამ უკანასკნელს, ბუნებას, არ იყენებდა იმ მნიშვნელობით, რომელიც ჩვენს დროში აქვს მას; მაგრამ თავისებურად სარგებლობდა ამ სიტყვით, როდესაც ცეცხლის პირას მოჰყვებოდა სახუმარო მასლაათს. - ბუნება თავის ბარბაროსულ სასაცილო ნიმუშებსაც კი აძლევს ცივილიზაციას, რომ ყველაფერი ჰქონდეს; ევროპას დაკნინებული სახით ჰყავს აზიის და აფრიკის ცხოველები: კატა ვეფხვი გახლავთ ჩვენი დარბაზის და ხვლიკი - ჯიბის ნიანგი... ოპერის მოცეკვავე ქალები წითელკანიანი ველურები არიან; კაცებს არ ჭამენ, მაგრამ ჯიბეს კი უხრავენ; ან არადა, ჯადოქრები არიან, ოსტრიად გადააქცევენ კაცს და ყლაპავენ! ადამიანის მჭამელი კარაიბები ძვლებს მაინც ტოვებდნენ, და ამათ კი მხოლოდ ნიჟარა თუ დარჩებათ! ასეთი გახლავთ ჩვენი ზნე-ჩვეულებანი. ჩვენ კი არ ვჭამთ, - ვხრავთ! ჩვენ აღარ ვკლავთ, არა, ჩვენ ვკაწრავთ და ვფხაჭნით.

## თავი მეორე
## როგორიც კაცი, ისეთი სახლი

სახლი მარეში ჰქონდა, ფილ-დე-კალვერის ქუჩის #6-ში. შემდეგ ეს სახლი დაანგრიეს, ახალი ააშენეს და ნომერიც, რაღა თქმა უნდა, ახლა სხვა ექნება. საკმაოდ დიდი, ძველი ბინა ეჭირა სახლის მეორე სართულზე; ერთი მხრიდან, ფანჯრებით

ქუჩაში გადიოდა, მეორე მხრიდან, ბაღში. კედლებზე ჭერამდე გობელენის და ბოვეს ქსოვილი ჰქონდა გაკრული, რაც ჭერზე იყო დახატული, იგივე იყო წვრილად ამოქარგული სავარძლების გადასაფარებლებზე. თავისი საწოლის ირგვლივ კოროპანდელური სანდალოზის ძვირფასი ცხრაკარიანი თეჯირი ედგა. ყველა ფანჯარას გრძელი ფარდა ამშვენებდა, რომელიც მშვენიერი ნაკეცებით ეშვებოდა ძირს. ბაღი ზუსტად მისი ფანჯრების ქვეშ იყო: სადაც თხუთმეტსაფეხურიანი კიბე ეშვებოდა, ბავშვივით ადიოდა და ჩადიოდა ამ კიბეზე მოხუცებული სახლის პატრონი. თავისი ოთახის გვერდით ბიბლიოთეკა და ერთი ბუდუარი ჰქონდა, რომელიც ძალიან უყვარდა; საგანგებოდ მორთული ოთახი იყო და კედლებზე ძვირფასი შპალერი ჰქონდა გაკრული. ეს შპალერი ლუი მეთოთხმეტის დროს კატორღელებისთვის გაეკეთებინებინა ბატონ დე-ვივონს თავისი საყვარლისთვის. ბატონ ჟილნორმანს მემკვიდრეობით დარჩენოდა ერთი სასტიკი ასი წლის მამიდისაგან.

ორჯერ დაქორწინებულიყო თავის სიცოცხლეში. მიხრა-მოხრით სასახლის დარბაისელს ჰგავდა, თუმცა თავის დღეში არ ყოფილა სასახლეში, ან მსაჯულს, რაც შესაძლებელია, რომ ყოფილიყო. როცა კარგ გუნებაზე იყო, მხიარული და ალერსიანი გახლდათ. სიყმაწვილეში ისიც იმ კაცთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც ყოველთვის ატყუებს ცოლი, და თავის დღეში არ ატყუებს საყვარელი, რადგან ერთსა და იმავე დროს საზიზღარია ცოლთან და მომხიბლავი - საყვარელთან.

ძალიან უყვარდა მხატვრობა და კარგადაც ესმოდა, თავის ოთახში ვიღაც კაცის მშვენიერი სურათი ჰქონდა, ჟორდენის მიერ დახატული. ბატონ ჟილნორმანს არც ლუი მეთოთხმეტის დროის ტანისამოსი ეცვა და არც ლუი მეთექვსმეტის; დირექტორიის დროის სალუქ ტანისამოსს იცვამდა.

ამ დრომდე სულ ყმაწვილ კაცად მიაჩნდა თავი, მოდისთვის არ უღალატია. მსუბუქი ფრაკი ეცვა განიერი გადანაკეცებით, გრძელი ვიწრო კუდით და დიდრონი ფოლადის ღილებით. ამასთან მოკლე შარვალი და აბზინდიანი ფეხსაცმელი. ხელები ყოველთვის იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ჟილეტის ამონაჭერში. დაბეჯითებით გაიძახოდა:

- საფრანგეთის რევოლუცია გაიძვერა არამზადების ბრბო არისო.

## თავი მესამე
## LUC-ESPRIT

ჟილნორმანი თექვსმეტი წლის იყო, როდესაც ერთ ღამეს ოპერაში ორი მშვენიერი ქალი ლორნეტით დააცქერდა. ორივე თავისი სილამაზით იყვნენ განთქმულები, ვოლტერის მიერ ხოტბაშესხმულნი. ქალბატონი კამარგო და ლა-სალე, უკვე მოწიფული ქალები იყვნენ. ორ ცეცხლშუა მოამწყვდიეს ბიჭი და ისიც სწორედ გმირულად მოიქცა: ადგა და ერთ ყმაწვილ ქალს, მოცეკვავეს, სახელად ნაანრის, მასავით თექვსმეტი წლისას, მიანდო თავისი გულისა და ჟინის მოკვლა; საზოგადოებისთვის ეს გოგონა უცნობი იყო, როგორც უპატრონო კატა, მაგრამ ლამაზი, ნორჩი და საყვარელი. ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი:

- რა ლამაზი იყო ჩემი გიმარ-გიმარდენ-გიმარდინეტი! უკანასკნელად რომ ვნახე ლონშანში, გულის წარმტაცად ჰქონდა კულულები დალაგებული, ისეთი კეკლუცი

იყო, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ! კაბა „ახლად განდიდებულთა“ ფერისა, და ხელთათმანი - „ამაღელვებელი“.

ყმაწვილბიჭობაში ნენ-ლონდრინენის კამზოლი სცმოდა და სიამოვნებით იგონებდა ხოლმე ამ მოდას: - ისე ვიყავი მორთული, რომ ლევანტელი ოსმალი გეგონებოდითო.

ოცი წლის რომ იყო, ქალბატონ ბუფლერს შეხვედროდა სადღაც, რომელსაც მოენათლა და „მომხიბლავი გიუმაუი“ ეწოდებინა.

ვერაფრით მოენელებინა, რომ თანამედროვე პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი სულ მდაბიო ხალხიდან ან ბურჟუაზიიდან იყვნენ. გაზეთებს - „ახალ ქაღალდებს“ - კითხულობდა და თან სიცილით კვდებოდა:

- აჰა, ღმერთო! ვინა ყრიან, ნეტავი, ეს გორბიერები, უმანები? კაზიმირ პერიე და მინისტრი, წარმოგიდგენიათ? სადმე გაზეთში რომ შეგხვდეთ დაბეჭდილი - ბატონი ჟილნორმანი მინისტრიაო, ხომ სიცილად არ გეყოფათ. ჰოდა, ჩვენი უბედურებაც იმაშია, რომ დღეს ისეთ ვირებს დარჩენიათ მოედანი, ესეც შეიძლება რომ მომხდარიყო!

ყველაფერს თავის საკუთარ სახელს არქმევდა და უწმაწურსაც არ ერიდებოდა, თუნდაც ქალები ჰყოლოდა მსმენელად. მაგრამ ისეთი სიმშვიდით და გულუბრყვილობით ამბობდა უკმეხს, უშვერს და უწმაწურს, რომ არ ემდურებოდნენ, მით უფრო, რომ ეს იყო მისი დროის, მისი საუკუნის „დაურიდებლობა“. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს პოეზიაში ტკბილი და ზრდილი პერიფრაზი იყო გამეფებული, პროზაში კი უცერემონიო გამონათქვამებიც შეგხვდებოდათ.

ბატონი ჟილნორმანის ნათლიამ იწინასწარმეტყველა: - გენიოსი იქნება ეს ბიჭიო, - და სახელიც შესაფერი დაარქვა - Luc Esprit.

## თავი მეოთხე
## ას წელიწადს ვიცოცხლებ

ბავშვობაში, თავის სამშობლოში, მულენის სკოლაში რომ სწავლობდა, ჯილდო მიეღო რამდენჯერმე და ერთხელ თვით ჰერცოგ დე-ნივერნესაც თავისი ხელით დაეჯილდოებინა პატარა ჟილნორმანი. ის ნივერნეს მაგივრად ნევერს ეძახდა და ისე ცხადად ახსოვდა ეს გამარჯვება, რომ ვერც კონვენტმა დაავიწყა, ვერც ლუი მეთექვსმეტის სიკვდილმა, ვერც ნაპოლეონმა, ვერც ბურბონების დაბრუნებამ. ეს „ჰერცოგი ნევერი“ მიაჩნდა საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ადამიანად.

- ნამდვილი ბატონი იყო, - იძახდა ჟილნორმანი, - დიდებულებით აღსავსე. მერე როგორ შვენოდა ორდენის ცისფერი ლენტი!

ჟილნორმანის აზრით, დიდი ცოდვა იყო პოლონეთის გაყოფა. მაგრამ, ეს ცოდვა იმით გამოისყიდა ეკატერინე მეორემ, რომ ბესტუჟევისგან სამი ათას მანეთად შეიძინა ოქროს ელიქსირის მომზადების საიდუმლოება. ეს ელიქსირი რომ მოაგონდებოდა, გამოცოცხლდებოდა ხოლმე:

- ოქროს ელიქსირი, ბესტუჟევის ყვითელი ფერი, გენერალ ლამოტის წვეთები! მეთვრამეტე საუკუნეში თითო წვეთი ოცი ფრანკი ღირდა. უბედური სიყვარულის და ვენერას წინააღმდეგ უებარი წამალი იყო. ლუი მეთხუთმეტემ ორასი შუშა გაუგზავნა რომის პაპს.

გაგიუდებოდა კაცი, ცოფი მოერეოდა, რომ ეთქვა ვინმეს, - ეგ ოქროს ელიქსირი, უბედური სიყვარულის უებარი წამალი, სულ უბრალო ქლოროვანი რკინააო.

ბატონი ჟილნორმანი თაყვანს სცემდა საფრანგეთის მეფეებს, ბარონებს, და ცეცხლს ჰყრიდა, 1789 წელი რომ აგონდებოდა. სიამოვნებით უამბობდა ყველას, როგორ გადარჩა ტერორს, რამხელა მოხერხება და მხნეობა დასჭირდა, რომ თავი არ მოეჭრათ. თუ ვინმე ყმაწვილ კაცს ღმერთი გაუწყრებოდა და რესპუბლიკის ქებას დაიწყებდა, გალურჯდებოდა კაცი და ბრაზით გული მისდიოდა. ხანდახან თავის ასაკს რომ შეეხებოდა, წამოიძახებდა ხოლმე:

- ოთხმოცდაათი წლის კაცი ვარ და იმედი მაქვს, მეორედ ვეღარ ვნახავ „ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტს“.

მაგრამ, როგორც კი დაავიწყდებოდა რესპუბლიკა, მაშინვე იმედიანად წამოიძახებდა:

- ოთხმოცდაათი წლის ვარ და ას წელიწადსაც ვიცოცხლებ!

## თავი მეხუთე
## ბასკი და ნიკოლეტი

საკუთარი თეორიებიც ჰქონდა. აი, მაგალითად ერთი მათგანი:

„თუ კაცს გაგიუებით უყვარს ქალი და ცოლიც ჰყავს, უკვე მოწყენილი, კანონიერი, უშნო, უფლების მქონე, თავის კანონიერებაზე კრუხივით გადაფარებული და ხანდახან ეჭვიანიც, თავს ვერ დააღწევს ამ ჯოჯოხეთს, თუ მას არ ჩააბარა ოჯახის მოვლაც და სავსე ქისაც. ქისის გამგებლობის უარყოფა კაცისთვის სრული თავისუფლების მომტანია; საქმე გაუჩნდება ქალბატონს; ანგარიშობს, ფულს ითვლის, თითებს იჟანგიანებს, მამულში მბრძანებლობს, მებაღეს და ფერმერს ჭკუას ასწავლის, ვექილებს კრებს, ნოტარიუსს ეკამათება, ლანძღავს სოფლის მწერალს, დადის მოხელეებთან, სასამართლოში, ადგენს და არღვევს პირობის წერილებს. მბრძანებლად გრძნობს თავს, ყიდის, ყიდულობს, წესებს ადგენს და თვითონვე არღვევს, აღუთქვამს და გადათქვამს, უთმობს და უარყოფს, მისცემს და სხვას გადასცემს, აშენებს, ანგრევს, აგროვებს და თან ფანტავს! მრავალ სისულელეს სჩადის, მაგრამ სრული მბრძანებელია ქალბატონი და ამით კმაყოფილი. და მანამ ქმარი სხვას ეტრფის, ცოლი თავისებურად იყრის ჯავრს და ანადგურებს იმის ქონებას.

ამ თეორიის მიხედვით ცხოვრობდა ჟილნორმანი და ამის შედეგი იყო მთელი მისი ისტორია. მისმა ცოლმა, მეორემ, ისე მშვენივრად მოუარა ოჯახის ქონებას, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მეორედ რომ დაქვრივდა კაცი, ძლივსღა დარჩენოდა იმდენი, რომ ცხოვრება შესძლებოდა, თხუთმეტი ათასი ფრანკი წელიწადში, და ისიც სანამ ცოცხალი იყო; მოკვდებოდა და მის მემკვიდრეს მეოთხედიღა დარჩებოდა. ასე მოაწყო საქმე, რადგან მის შემდეგ თუნდაც სულაც დაღუპულიყო ქვეყანა, მას აღარაფერი ენაღვლებოდა. და გარდა ამისა, იცოდა, რომ კერძო მამული ხიფათს ვერ ასცდებოდა და საერთო საკუთრებად გადაიქცეოდა. თავისი თვალით ენახა სხვისი ფულის ხელში ჩაგდება მთავრობის მიერ და აღარავითარი ნდობა აღარ ჰქონდა იმ დიდი წიგნისა, რომელშიც თავის ვალებს წერს სახელმწიფო, კინ-კან-პუას ბანკის გამეორებაა თქვენი რევოლუციაო!

როგორც უკვე ვთქვით, საკუთარი სახლი ჰქონდა.

სახლში ორი მსახური ჰყავდა „მამალი და დედალი“.

მსახურს რომ აიყვანდა, უთუოდ გადანათლავდა. კაცს თავის პროვინციის სახელს ეძახდა: ნიმელი, კონტელი, პუატვენი, პიკარი, მისი უკანასკნელი მსახური ერთი სქელი კაცი იყო, ქოშინით ძლივს სუნთქავდა, გამხდარი ფეხები ჰქონდა; ორმოცდაათი წლის იყო. სირბილით ოც ნაბიჯს ვერ გაივლიდა, მაგრამ ბაიონელი იყო, და ამიტომ ჟილნორმანმა ბასკი უწოდა. მსახურ დედაკაცებს კი ყველას ნიკოლეტს არქმევდა (თვით მანონსაც, რომელსაც ახლავე გავაცნობთ მკითხველს).

ერთხელ დედაკაცი მივიდა ჟილნორმანთან, გამოცდილი მზარეული, სახელოვანი მეკარეების ჯიშის.

- რამდენი გინდა თვეში? - ჰკითხა ჟილნორმანმა.

- ოცდაათი ფრანკი.

- სახელად რა გქვია?

- ოლიმპია.

- ჯამაგირი ორმოცდაათი ფრანკი გექნება და სახელად ნიკოლეტი გერქმევა.

## თავი მეექვსე
## მანონი თავისი ბავშვებით

როდესაც ჟილნორმანს რამე ეწყინებოდა, საშინლად გაცოფდებოდა ხოლმე. ცრუმორწმუნე იყო, იმავე დროს თავის მრწამსსაც სიამოვნებით არღვევდა.

ბედნიერი იყო და თავი მოჰქონდა, რომ საზოგადოება ქალების მოყვარულად იცნობდა, სიბერეშიც არ იშლიდა ამით თავმოწონებას. „მეფური სახელი“ მაქვს გავარდნილიო, - იტყოდა ხოლმე, როცა ქალებს შეეხებოდა საუბარი. მაგრამ ხანდახან ძალიან მწარედ სჯიდა ეს მეფური სახელი. ერთხელ კალათით პატარა ბიჭი მიართვეს. ახალდაბადებული. საშინელი ჩხავილით მოევლინა პატარა ბიჭი ჟილნორმანს. გოგო ჰყოლოდა მსახური, ექვსი თვის წინათ დაეთხოვა და ახლა ბავშვს უგზავნიდა ის გოგო, - შენია და შენ გაზარდეო. - მაშინ ოთხმოცდაოთხი წლის იყო ჟილნორმანი. ირგვლივ დიდი აღშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა: - ის უნამუსო, ისა! ვინ დაიჯერებდა მის ცილისწამებას? ამ ხნის კაცი და კიდევ შვილები?

თვითონ ჟილნორმანი არც გაჯავრდა, არც უარი თქვა, ტკბილი ღიმილით დააცქერდა კალათაში მტირალს, ეტყობოდა, ესიამოვნა კიდეც ამგვარი ცილისწამება და თქვა:

- რა იყო? რა მოხდა? რა არის აქ გასაჯავრებელი, რომ გაშტერებულხართ ყველანი და პირღია დასცქერით ბავშვს, უვიცებივით! ბატონმა დ-ანგულემმა, მეფე შარლ მეათის ნაბიჭვარმა, თხუთმეტი წლის გოგონა რომ შეირთო ცოლად, თვითონ ოთხმოცდახუთი წლის იყო; ბატონი კირუინალი, მარკიზი დ-ალუე, კარდინალ სურდის ძმა, ბორდოს ეპისკოპოსი, ოთხმოცდასამი წლის იყო, თავმჯდომარე ჟაკენის მეუღლის მხევალი რომ შეიყვარა, ყმაწვილი გოგო, და იმისთანა ბიჭი ეყოლა, თვალი ზედ დარჩებოდა ადამიანს. ძალიან კარგი ბიჭი დადგა, მალტის რაინდი იყო; ჩვენი დროის ერთი სახელოვანთაგანი მღვდელი ტაბარუ ოთხმოცდაშვიდი წლის მოხუცებულის შვილია. სრულიად ბუნებრივია ეს მოვლენა და ხნიერება აქ არაფერ შუაშია. თუ არა და, დაბადება მაინც გაიხსენეთ. მიუხედავად ამისა, ვაცხადებ, რომ ეს

ბავშვი ჩემი არ არის, მაგრამ მოვუაროთ და გავზარდოთ. ამისი რა ბრალია, ამ საცოდავის?

გულკეთილად მოიქცა ჟილნორმანი. ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთი ამისთანა ძღვენი მიართვა იმ დედაკაცმა, მანონმა. ესეც ბიჭი იყო. აჯობა მანონმა. მან კი ორივე ბიჭი დედას დაუბრუნა და თვეში ოთხმოცი ფრანკი აღუთქვა ბავშვების აღსაზრდელად, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთი რამ აღარ ჩაედინა მანონს და დაუმატა:

- იმედი მაქვს, დედა კარგად მოუვლის. ხანდახან მე თვითონ მივალ მათ სანახავად.

თქვა და კიდეც შეასრულა.

ძმა ჰყავდა, მღვდელი; ოცდაცამეტი წლის განმავლობაში პუატიეს აკადემიის რექტორი იყო და სამოცდაცხრამეტი წლისა მომკვდარიყო.

- რა დროს მისი სიკვდილი იყო, - იძახდა ჟილნორმანი, - ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყოო.

ძმის შესახებ ბევრი არაფერი ახსოვდა ჩვენს მოხუცებულს, იცოდა, რომ საშინელი ძუნწი იყო და, რადგან, როგორც მღვდელს, გაჭირვებულის განკითხვა უნდა სცოდნოდა, მათხოვრებს მოწყალებას აძლევდა, მაგრამ გალესილ, ძველ ფულს, რომელსაც გასავალი აღარ ჰქონდა ბაზარში. ძალიან კარგი საშუალება ეპოვა მღვდელს: ჯოჯოხეთს ვერ ავცდები, მაგრამ გზად სამოთხეში გავივლიო.

თვით ჟილნორმანი კი უფრო ქველი იყო და უხვად იცოდა მოწყალების გაცემა. გულკეთილი კაცი იყო, სულსწრაფი, ლმობიერი, მდიდარი რომ ყოფილიყო, ფუფუნებით შეამკობდა თავის ცხოვრებას. დიდებული და მოხდენილი მოსწონდა ყველაფერი, თვით თაღლითობაც კი. პატარა მემკვიდრეობა დარჩა ვიღაც ნათესავისგან ანდერძით და, მისაღებად რომ მივიდა, ისე უხეშად და ურცხვად გააცურა ერთმა „საქმის კაცმა“, რომ მისი საქციელით აღშფოთებულმა შეჰყვირა:

- ფუუ! რა უშნოდ, რა უხერხულად მოაწყო საქმე! ბარემ ხელიდან გამოეგლიჯა! ყველაფერი დაკნინდა ამ საუკუნეში. ვერაგობაც კი! განა ჩემისთანა კაცს ასე უნდა ართმევდნენ ფულს? ისე მომექცა ის უშვერი, თითქოს ტყეში ვიყავი და ყაჩაღები დამეცნენ. ტყეში გაძარცვა კიდევ ჰო, მაგრამ ასე გაძარცვა საქმის წარმოებაში!..

ორი ცოლი ჰყავდა, როგორც ვთქვით. პირველი ცოლისგან შეძენილი ქალიშვილი შინაბერად დარჩენოდა, მეორისგანაც ქალი ჰყავდა, რომელიც ოცდაათი წლის მოჰკვდომოდა. ეს ქალი სიყვარულით, თუ სხვა რაიმე მოსაზრებით, ერთ წარჩინებულ მხედარს გაჰყოლოდა, რესპუბლიკის და მერე იმპერიის დროს ნაპოლეონის ჯარში სახელოვანს, აუსტერლიცის ჯვარით დაჯილდოებულს და ვატერლოოს ბრძოლაში უკვე რაზმის უფროსს.

- თავი მომჭრა ჩემმა ქალმა, ოჯახი შემირცხვინა! - მოსთქვამდა ბებერი ჟილნორმანი.

გულმოდგინედ ეწეოდა ბურნუთს, კოხტად და სალუქად ისრესდა მაქმანის გულისპირს. ღმერთის ნაკლებად სწამდა.

## თავი მეშვიდე

### წესი: საღამომდე არავინ მიიღოთ

ასეთი იყო ბატონი ლუკ-ესპრი ჟილნორმანი. თმა შერჩენოდა და ჭაღარაშერეულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გათეთრებულს. თმას ყოველთვის ისე ივარცხნიდა, რომ ყურებთან აქეთ-იქით დაკულულებული ჰქონოდა. საერთოდ კი პატივსაცემი კაცი იყო.

მეთვრამეტე საუკუნის შვილი იყო, დიდებულების თაყვანისმცემელი ქარაფშუტა.

მეფის აღდგენის პირველ წლებში, ბატონი ჟილნორმანი ჯერ ისევ ყოჩაღად იყო, 1814 წელს სულ სამოცდათორმეტი წლის იქნებოდა, სერვანდონის ქუჩაზე ცხოვრობდა, სენ-ჟერმენის უბანში. მარეს უბანში მაშინ გადავიდა, როდესაც ჩამოშორდა საზოგადოებას, ოთხმოც წელს რომ გადააბიჯა.

რაკი საზოგადოებას მოშორდა, თავისი წესები დააკანონა. სახლის კარი მაგრად ჩაკეტა. მთელი დღე არ აღებდა კარს. საღამომდე არავის მიიღებდა, რაც უნდა დიდი და სასწრაფო საქმე ჰქონოდა. ხუთ საათზე, სადილს რომ გაათავებდა, კარსაც მაშინ გააღებინებდა. ეს მისი დროის მოდა იყო და არ უნდოდა ამ მოდის ღალატი.

- დღე მდაბიო ხალხისა და დახურული დარაბის ღირსია, - ბრძანებდა ჟილნორმანი. - ღირსეული კაცი მაშინ ანათლებს თავის გონებას, როდესაც ზენიტი ვარსკვლავებს აანათებსო.

დაკეტილში იყო საღამომდე, არავის გაუღებდა კარს, თვით მეფეც რომ მოსულიყო.

ძველი ელეგანტობა მისი დროისა!

## თავი მერვე
## ორია, მაგრამ წყვილი არ არის

ბატონი ჟილნორმანის ქალები უკვე ვახსენეთ. უფროსს ათი წლის შემდეგ მოჰყვა უმცროსი. სიყმაწვილეში ძალიან ცოტათი ჰგავდნენ ერთმანეთს, ხასიათითაც და სახითაც დები კი არა, სულ უცხონი იყვნენ. უმცროსი საოცარი გულის ქალი იყო, სინათლისა და ნეტარებისკენ მიისწრაფოდა, ყვავილებით, პოეზიით, მუსიკით იყო გატაცებული. შარავანდედით გაშუქებული ადამიანის ცხოვრება ენატრებოდა. აღფრთოვანებული იყო პატიოსნებისა და გმირობის ტკბილი ოცნებით.

უფროსსაც ჰქონდა თავისი ოცნება: მდიდარი სოვდაგარი ელანდებოდა, ჯარის მუჯირი გატენილი ჯიბით, თუნდაც ფუღურო თავით. ფულით გატენილი ტომარა, ან ქალაქისთავი: დიდი სასახლე, ბოქაული წინა ოთახში თავისი თანამდებობის ძეწკვით, ოფიციალური დარბაზობა. - ქალბატონი მერის მეუღლე, - ეს იყო მისი ნატვრა და ეს ელანდებოდა უაღრეს ბედნიერებად.

თავ-თავისი ენატრებოდათ ორივეს იმ დროს, როდესაც ყმაწვილი ქალები იყვნენ, და ცხოვრებისთვის ემზადებოდნენ. ორივენი აღფრთოვანებულნი იყვნენ, ოღონდ ერთს ანგელოზის ფრთები ესხა, მეორეს - ბატის.

ნანატრის სრული ასრულება არავის ღირსებია წუთისოფელში. არავითარი ოცნების სამოთხე არ ხორციელდება ჩვენს სააქაოში. უმცროსმა თავისი ოცნების გმირი შეირთო, მაგრამ მალე მიიცვალა. უფროსი გასათხოვარი დარჩა.

და იმ დროს, როდესაც ეს ქალი ჩვენს ისტორიაში გამოჩნდა, უკვე ბებერი სათნოება ბრძანდებოდა, მიუვალი და უვარგისი, საშინლად მახვილი ცხვირი ჰქონდა და საშინლად ჩლუნგი გონება. ერთი დამახასიათებელი წვრილმანი: თავისი ვიწროდ

შემოფარგლული ოჯახის გარეთ თავის დღეში არავის გაეგონა მისი სახელი - ჟილნორმანის უფროს ქალს ეძახდნენ.

ქალბატონი ჟილნორმანი იმდენად მორცხვი იყო, რომ ინგლისელ მისს აჯობებდა. სისულელემდე მიჰყავდა თავისი მორცხვობა. ერთი საშინელება გადახდენოდა სიცოცხლეში და ჭარხალივით წითლდებოდა, როცა ეს მოაგონდებოდა: ერთხელ მისი წვივსაკრავი დაენახა ვიღაც კაცს!

და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტად ემჩნეოდა ეს საზარელი მორცხვობა. გულისპირი საკმაოდ გაუმჭვირვალე არა ჰქონდა და საკმარისად არ უმალავდა გულმკერდს; დუგმებს იკეთებდა და ქინძისთავებს ირჭობდა, სადაც თავის დღეში არავინ იფიქრებდა ჩახედვას, მსგავს არსებებს სჩვევიათ; სწორედ მაშინ გააძლიერებენ თავდაცვას, როდესაც ციხეს არავინ ემუქრება.

ახლა ახსნას, ვისაც სურს და შეუძლია ეს ძველი, მორცხვობისა და უმანკოების საიდუმლოებანი: შორეული ნათესავი ჰყავდა ამ ქალს, ოფიცერი, ყმაწვილი ბიჭი, სახელად თეოდული და იმის ხვევნა-კოცნით ვეღარ ძღებოდა.

მიუხედავად ამ ბედნიერი თეოდულისა, ქალს მაინც ძალიან კარგად ახასიათებს სიტყვა განზრახ-მორცხვობა. ქალბატონი ჟილნორმანი ერთგვარი ბუნდოვანი სულის პატრონი იყო. ქალის უმანკოება ნახევრად სათნოებაა და ნახევრად ბიწიერება.

ამ მორცხვობას სარჩულად ფარისევლობაც ემატებოდა. ქალწულების წრის წევრი იყო; უქმე დღეებში თეთრ პირბადეს ხმარობდა, დუდუნებდა რაღაც განსაკუთრებულ ლოცვებს, თაყვანს სცემდა „წმინდა სისხლს“, გლოვობდა „იესოს წმინდა გულს“, საათობით იდგა ერთ პატარა საყდარში იეზუიტური საკურთხევლის წინაშე და თავდაღუნული სულით უერთდებოდა თავის ოცნებას.

ეკლესიაში ერთი მეგობარი ჰყავდა, მასავით ბებერი, გაუთხოვრად დარჩენილი, ქალბატონი ვობუა, სულ მთლად გამოჩერჩეტებული, რომელთან შედარებით არწივად უნდა ეგრძნო თავი ჟილნორმანის ქალს. ლოცვისა და ეკლესიის გარდა ვობუამ ძალიან კარგად იცოდა მურაბის ხარშვა. სხვა არა გაეგებოდა, სრულად არაფერი, და განხორციელებულ სისულელეს წარმოადგენდა. სისულელის ყარყუმი იყო და გონიერების ერთი შავი ლაქაც კი არსად უჩანდა.

ისიც ვთქვათ, რომ სიბერემ არაფერი წაუხდინა ქალბატონ ჟილნორმანს, პირიქით, გამოაკეთა. ასე იცის პასიურმა არსებამ. ავი თავის დღეში არ ყოფილა, მაგრამ არც გულკეთილობით გამოირჩეოდა. ამასთან, ხნიერებას ვერ უძლებს ხორკლი და სიბერე ალბობს გაკუშტებულ გულს. დაღონებული ქალი იყო, გულჩათხრობილი, თვითონაც არ იცოდა თავისი დაღონების იდუმალი მიზეზი. სახლს ის განაგებდა. ბატონ ჟილნორმანს თავისთან ჰყავდა თავისი ქალი, როგორც ეპისკოპოს მირიელს - თავისი და. იშვიათი არ არის ამგვარი ოჯახი მოხუცებული ქალის და კაცის და საამო შთაბეჭდილებას აღუძრავს ადამიანს ორი მისუსტებული ერთმანეთის გასამხნევებლად.

ამ მოხუცებული ქალის და ბატონი ჟილნორმანის გარდა ერთი პატარა ბიჭიც იყო მათ სახლში. სულ ცახცახებდა საწყალი ბიჭი, ბატონ ჟილნორმანს რომ დაინახავდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა - მოხუცებული სულ შეტევითა და ჯოხის ქნევით ელაპარაკებოდა:

- აქეთ, ბატონო! ბრიყვო, უზრდელო, არ გესმის? აქეთ! მიპასუხე, შე უკეთურო! დადექ, რომ დაგინახო, შე უხიაკო! და სხვა.

გაგიჟებით კი უყვარდა ბიჭი.
პატარა ბიჭი ჟილნორმანის ქალის შვილი იყო.
ამ ბიჭსაც მალე გავიცნობთ.

## წიგნი მესამე
## პაპა და შვილიშვილი

### თავი პირველი
### ძველებური სალონი

სანამ სერვანდონის ქუჩაზე ცხოვრობდა ბატონი ჟილნორმანი, რამდენიმე დიდებულ ოჯახში დაიარებოდა. მართალია, ბურჟუა იყო, მაგრამ მაინც კარგად იყო მიღებული. ორმაგად ჭკვიანი კაცი იყო; ჭკუით არა უშავდა რა და, გარდა ამისა, გონიერი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამიტომ იყო, რომ ცდილობდნენ მის დაახლოებას და მიწვევას. ის მხოლოდ იქ დადიოდა, სადაც დარწმუნებული იყო, რომ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა. ბევრია ჩვენში, სულ იმას ცდილობს, თავისი გავლენა ჰქონდეს საზოგადოებაში და პატივისცემა ამ გავლენის გამო. სადაც ქურუმობას ვერ ახერხებს, მასხარა ხდება. ამგვარი ბუნების კაცი არ იყო ბატონი ჟილნორმანი. მეფის მომხრეთა სალონებში დაიარებოდა და თავისი აზროვნებით მასპინძლებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ყველგან ქურუმად იყო, კამათში არავის ჩამოუვარდებოდა, თვით დე-ბონალდს და ბანჟი-პუი-ვალერსაც კი არ დაუთმობდა პირველობას.

1817 წელს კვირაში ორჯერ შუადღის შემდეგ იქვე, თავის სახლთან ახლოს, ფარუს ქუჩაზე ბრძანდებოდა ქალბატონი ტ-ს სალონში. ძალიან ღირსეული და პატივსაცემი ქალი იყო მასპინძელი, ქვრივი. მისი მეუღლე ბარონი ტ-ი ლუი მეთექვსმეტის დროს საფრანგეთის ელჩად იყო ნამყოფი ბერლინში. სიცოცხლეში ბატონი ტ-ი, გატაცებული იყო მაგნიტიზმითა და ნათელმხილველობით. ემიგრაციაში ყოფნის დროს დაკარგა, რაც კი რამ ებადა, იქვე გარდაიცვალა და ძვირფას განძად დაუტოვა თავის მეუღლეს ათ ტომად შეკრული, ძვირფას ყდაში ჩასმული ხელნაწერი, ძალიან საინტერესო მოგონებანი მესმერის და იმისი გობის შესახებ. ბარონის ქვრივმა, - თავი არ შევიცხვინოო, - არ დაბეჭდა ეს ხელნაწერი. რაც გადარჩენოდა წარსული სიმდიდრისაგან, იმითი ცხოვრობდა გაჭირვებით. სასახლეში არ დაიარებოდა - მეტად შერეულია სასახლის საზოგადოებაო, - ბრძანებდა და განმარტოებით ცხოვრობდა. ღარიბი, მაგრამ წარსულით ამაყი. კვირაში ორჯერ შუადღის შემდეგ იქ შეიკრიბებოდნენ ხოლმე ახლო მეგობრები, მიუსხდებოდნენ ქვრივის ბუხარს და დროს აწმყოს ქირდვასა და წარსულის ქება-დიდებაში ატარებდნენ. ნამდვილი მეფის მომხრეთა დარბაზი იყო. ჩაის მიირთმევდნენ და იმისდა მიხედვით, ელეგიურად ქროდა ქარი თუ დითირამბული იყო მისი ქროლვა, გულსაკლავად ოხრავდნენ ან საშინლად ლანძღავდნენ რევოლუციას, ლუი მეთვრამეტის 1814 წლის ქარტიას, ბონაპარტისტებს, ბურჟუების განდიდებას, ლუი მეთვრამეტის იოაკობინელებისადმი თანაგრძნობას. თან ჩუმი ხმით ამხნევებდნენ ერთმანეთს იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნება, ტახტზე აბრძანდება ბატონიშვილი შარლი, შემდეგში შარლ მეათე.

აღტაცებით ეგებებოდნენ ამ სალონში გაგონილ ქუჩურ სიმღერებს, რომელშიც ნაპოლეონს ნიკოლად მოიხსენიებდნენ. დიდებული ქალბატონები, ზრდილნი და თავისი შთამომავლობით ამპარტავანნი, აღტაცებით ისმენდნენ, აი, მაგალითად რესპუბლიკელების მასხრად ასაგდებად შეთხზულ სულელურ სიმღერას:

სულელო, ჩაიტანე ხალათი,
თორემ ის ქარში ისე შრიალებს, -
იტყვიან: შიშით სანკიულოტებმა
თეთრი ალმები ააფრიალეს.

კალამბურებით ლანძღავდნენ აწმყოს და თავი მოსწონდათ ენამჭევრობით; სხარტული სიტყვით ერთობოდნენ, ოთხსტრიქონიანი და ორსტრიქონიანი შაირით დასცინოდნენ რევოლუციას, ან „დიდებულთა პალატის“ წევრების სიას უერთებდნენ საზიზღარი „იაკობინელების პალატისას“ და ცდილობდნენ ისე შეეერთებინათ ორი სახელი, რომ რამე სამარცხვინო სიტყვა გამოსვლოდათ.

ცდილობდნენ პაროდიულად, გამასხრებით წარმოედგინათ რევოლუცია. აქაც იგივე გაშმაგება იყო, მაგრამ უკვე რევოლუციის მისამართით.

„წავა-წავა“-ს იქაც მღეროდნენ, ოღონდ სულ სხვა განზრახვით და შინაარსით:

ყველანი უნდა გაგვყარონ, შერეულ ტახტს
რომ ეშველოს,
ყველანი უნდა გაგვყარონ: დეკამო, დესალო, დესერო.
ბონაპარტისტნი სახრჩობელაზე!
და ყველაფერი რიგზე იქნება!

სიმღერაც ისეა, როგორც გილიოტინა; დღეს ერთს მოსჭრის თავს გულგრილად, ხვალ მეორეს, თავი იყოს, თორემ იმისთვის სულერთია, ვინ არის ეს თავი.

1816 წელს ფუალდესის მოკვლის საქმეში როიალისტები ბოსტიდს და ჟობიონს ამართლებდნენ, რადგან ფუალდესი ბონაპარტის მომხრე იყო. ლიბერალებს ყველგან „ძმებსა და მეგობრებს“ ეძახდნენ და ეს იყო მათთვის უაღრესი შეურაცხყოფა.

როგორც ზოგ საყდარს აქვს ორი ზარი, ისე ქალბატონ ტ-ს სალონს ჰყავდა ორი მამალი. ერთი ბატონი ჟილნორმანი იყო, მეორე - გრაფი დე-ლამოტ-ვალუა, რომლის შესახებაც ყველგან პატივისცემით სავსე ჩურჩული გაისმოდა: - იცით, ეს ის ლამოტი არის, დედოფლის გულქანდის საქმეში რომ ერია. ასე იცის პარტიამ, ბევრ რამეს შეუნდობს თავის წევრებს.

ესეც დავუმატოთ: ბურჟუაზიაში პატივსაცემი მდგომარეობაც რომ ჰქონდეს კაცს, მაშინვე დამცირდება, თუ ადვილად დაუახლოვდა ვინმეს. ფრთხილად და გარჩევით უნდა უახლოვდებოდეს უცხოს. თუ გვერდით გაყინული მოგვიჯდა ვინმე, ჩვენს სითბოს გვართმევს და სწორედ ასევე, თუ გვერდით შერცხვენილი მოვისვით ვინმე, გვამცირებს და გვაკარგინებს ჩვენს ღირსებას. ძველი დიდებული საზოგადოება ყურადღებას არ აქცევდა ამ კანონს, როგორც მრავალ სხვას. მარინი, ქალბატონი პომპადურის, ლუი მეთვრამეტის საყვარლის ძმა, მიღებული იყო დიდებულ პრინც სუბიზთან. იმიტომ კი არა, რომ დე-ბარი, გავლენიან ქალბატონ ვობერნიეს ნათლია, ძალიან კარგად იყო მიღებული მარშალ რიშელიესთან. იგივე ოლიმპი იყო ეს საზოგადოება. ვაჭრების და ქურდების ღმერთი მერკური და პრინცი - დე-გემენე შინაურულად გრძნობდნენ თავს იქ.

ქურდიც გამოიჭიმებოდა იქ, ოღონდ კი ღმერთი ყოფილიყო!

გრაფი ლამოტი 1815 წელს უკვე სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი იყო და არაფრით იყო გამორჩეული, თუ არა იმით, რომ ჩუმი კაცის იერი ჰქონდა, მოაზროვნის ცივი სახის გამომეტყველება. სრულიად ზრდილი ადამიანის ქცევა ჰქონდა, ღილები - ყელსახვევამდე შეკრული; ფეხი - ყოველთვის ფეხზე გადადებული; დამწვარი თიხის ფერის შარვალი ეცვა და სახითაც იმ ფერის იყო.

ბატონ ლამოტს ანგარიშს უწევდნენ, პატივს სცემდნენ იმიტომ, რომ „სახელოვანი“ იყო. უცნაურია, მაგრამ სავსებით მართალი, - კიდევ იმიტომ, რომ გვარი ვალუა ჰქონდა.

რაც შეეხება ბატონ ჟილნორმანს, ისეთი პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში, რომ თვით დიდებულთაც სჯობნიდა. სიტყვითაც და საქმითაც ავტორიტეტად ითვლებოდა. აჩქარებული კაცი იყო, არ უყვარდა ღრმად ჩაფიქრება, მაგრამ მხიარული გული ჰქონდა და მოსწრებული სიტყვა; ღირსეულად იქცეოდა, პატიოსნად და ამპარტავნად; ამ ქცევას მისი ხნიერებაც ემატებოდა, ადვილი კი არ არის, მთელი საუკუნე ეცხოვროს ადამიანს! ხანი თავისას მიაგებს და პატივსაცემ შარავანდედს ჰფენს მოხუცის თავს.

გარდა ამისა, ჟილნორმანს ძველი არისტოკრატის ბრწყინვალე ოხუნჯობა ეხერხებოდა. პრუსიის მეფემ ტახტზე რომ ააბრძანა ლუი მეთვრამეტე და გრაფ რუპინის სახელით მიბრძანდა მის სანახავად, ისე მიიღო ლუი მეთოთხმეტის შთამომავალმა, როგორც ბრანდენბურგის მარკიზი, ზრდილობიანი მედიდურობით. ბატონ ჟილნორმანს ძალიან მოეწონა მეფის საქციელი და სთქვა:

- საფრანგეთის მეფის გარდა ყველა სხვა მეფეები პროვინციელები არიან.

ნაცნობების საუბარს დაესწრო ერთხელ:

- რა მიუსაჯეს „კურიე ფრანსეზის“ რედაქტორს? - ჰკითხა ერთმა.

- შეამოკლეს, - უპასუხა მეორემ.

- ამ შემთხვევაში „შეა“ მეტია, - შენიშნა ბატონმა ჟილნორმანმა.

ამგვარი სიტყვა საფუძვლად ედება ადამიანის სახელოვნებას.

წირვა ტარდებოდა, ბურბონების ხელახლა გამეფების აღსანიშნავად პარაკლისს იხდიდნენ. ჟილნორმანმა ტალეირანი დაინახა და წამოიძახა:

- აგერ მისი აღმატებულება ბოროტება.

სადაც კი მივიდოდა, ყოველთვის თან ახლდა თავისი მაღალი, გამხდარი ორმოცი წლის ქალიშვილი, თუმცა შეხედულებით ორმოცდაათისას ჰგავდა, და ერთი პატარა, ვარდისფერლოყებიანი, ლამაზი, ცქვიტი, ბედნიერ და მინდობილთვალებიანი ბიჭი. ისე არსად შევიდოდა პატარა ბიჭი, რომ ერთხმად არ დაეწყოთ ბზუილი და არ გაეგონებინათ:

- რა ლამაზია ეს საცოდავი! საწყალი ბიჭი!

ბატონი ჟილნორმანის ქალის შვილი იყო ეს საწყალი ბიჭი. საწყალს და საცოდავს ეძახდნენ, რადგან მამა „ლუარელი ყაჩაღი“ ჰყავდა.

ლუარელი ყაჩაღი ბატონი ჟილნორმანის სიძე იყო, რომლის შესახებაც ცოტა რამ ვთქვით ზევით. მას „ოჯახის შემარცხვენელს“ ეძახდა ბებერი ჟილნორმანი.

## თავი მეორე
## იმდროინდელი წითელი ლანდი

ვინც კი გაივლიდა იმ დროს პატარა ქალაქ ვერნონში და გაისეირნებდა ძველებურ მშვენიერ ხიდზე, რომელსაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ამ ცოტა ხანში სხვა, მავთულისა და რკინის ახალი საშინელი ხიდი შეცვლის, ხიდიდან ძირს რომ ჩაიხედავდა, შენიშნავდა ერთ შუახნის კაცს, ასე ორმოცდაათი წლისას, ტყავის ქუდი რომ ეხურა და შავი, იაფფასიანი შალის ტანისამოსი ეცვა, გულზე რაღაც ყვითელი ეკრა, რაც ერთ დროს წითელი ორდენი უნდა ყოფილიყო, წაღების მაგივრად ხის ქოშები ეცვა, მზემოკიდებული, თითქმის შავი სახე და სულ თეთრი თმა ჰქონდა, ჭრილობა შუბლიდან ლოყაზე ჩამოსდიოდა. თავდაღუნული იყო, წელში მოხრილი, ნაადრევად დაბერებული, და მთელ დღეს პატარა ბაღში ატარებდა თავისი ბარით და სასხლავით.

მდინარე სენის მარცხენა ნაპირზე, ხიდქვეშ მიწა ქვითკირის კედლებით პატარ-პატარა ნაჭრებად იყო დაყოფილი და ყველგან მშვენიერი ყვავილები მოჩანდა, იმდენად მშვენიერი, რომ იტყოდით, ბაღიაო, - ცოტა დიდი რომ ყოფილიყო თითო ეს ბაღი, - და თაიგულიაო, - ცოტა პატარა რომ ყოფილიყო, - პატარა ბაღი, ერთი მხრიდან სახლთან იყო, მეორე მხრიდან, წყალთან.

ქოშებიანი კაცი, ბაღში რომ დავინახეთ, 1817 წლიდან იქ ცხოვრობდა ყველაზე პატარა სახლში და პატარა ბაღში. მარტოდმარტო იყო იქ, განცალკევებული, ჩუმი, გაჭირვებული. დედაკაცი ჰყავდა, არც ბებერი, არც ყმაწვილი, არც გონჯი, არც ლამაზი, არც გლეხი და არც ქალაქელი და ის ემსახურებოდა. ერთი კალოსოდენა მიწა ჰქონდა, რომელსაც ის ბაღს უწოდებდა.

თვითონ ბაღში აღამებდა მთელ დღეს და ქალაქში განთქმული იყო მის მიერ შექმნილი ყვავილების მშვენიერი ჯიშებით.

დაუღალავად მუშაობდა, დაჟინებით და დაკვირებით; არც წყალს აკლებდა, არც მარგვლას, ერთგვარი ზამბახი და დაჰლია მოაშენა, რომლებიც არსად მოიპოვებოდა ბუნებაში. საზრიანი კაცი იყო და სულანჟ ბოდენზე ადრე დაიწყო იშვიათი და ძვირფასი ამერიკული და ჩინური მცენარეების გაშენება.

ინათებდა და ისიც ბაღში გავიდოდა, სხლავდა, ბარავდა, მარგლიდა, რწყავდა, ყოველთვის დაღონებული იყო, მაგრამ სახეზე გულკეთილობა ეხატა. ხანდახან გაჩერდებოდა ყვავილებში, საათობით იდგა უძრავად, მწუხარედ ჩაფიქრებული; იდგა და ყურს უგდებდა ხეზე ფრინველთა გალობას, ბავშვის ტიტინს მეზობელ სახლში, ან დაშტერებით დასცქეროდა ყვავილის ფოთოლს, რომელსაც ერთი წვეთი დილის ნამი შერჩენოდა და შიგ მზის შუქი ბრწყინავდა.

ღარიბი კაცის საჭმელი ჰქონდა, და რძეს უფრო ეტანებოდა, ვიდრე ღვინოს. მეტისმეტად თავმდაბალი კაცი იყო, არავის შეეკამათებოდა, და ხშირი იყო, - მსახური უჯავრდებოდა. მორიდებით ექცეოდა ყველას. სახლიდან იშვიათად გადიოდა და არავის ხედავდა თავისი მოძღვრისა და გაჭირვებულების გარდა, რომლებიც ხშირად უკაკუნებდნენ ფანჯარაზე. მისი მოძღვარი, მღვდელი მაბეფი, მოხუცებული, გულკეთილი კაცი იყო. რომ მოუნდებოდათ ქალაქელებს ან უცხოელებს მისი იშვიათი ყვავილების, ვარდის და ზამბახის ნახვა, ზარს დაურეკავდნენ, და ისიც ტკბილი ღიმილით გაუღებდა ხოლმე კარს.

ეს იყო „ლუარელი ყაჩაღი“.

ვინც იმდროინდელ სამხედრო მოგონებებს, ბიოგრაფიებს, გაზეთ „მონიტორს“ და საფრანგეთის ჯარების ცნობებს კითხულობდა, მეტად ხშირად შეხვდებოდა ჟორჟ პონმერსის სახელსა და გვარს.

ჟორჟ პონმერსი ჯერ სენტონჟის რაზმში მსახურობდა უბრალო ჯარისკაცად. ყმაწვილი ბიჭი იყო, როდესაც რევოლუცია დაიწყო. სენტონჟის რაზმი რეინის ჯარში ჩარიცხეს, მაშინ ძველი მონარქიის დროინდელ რაზმებს ისევ თავისი ადგილობრივი, პროვინციის სახელი ჰქონდათ; ეს სახელი შერჩათ მონარქიის მოსპობის შემდეგაც და მხოლოდ 1794 წელს შეაერთეს ბრიგადებად. პონმერსიმ მონაწილეობა მიიღო მრავალ ბრძოლაში, - სპირში, ვორიმისში, ნეიშტადში, ტურკეიმში, ალზეიში, მაიანსში. მაიანსში ისიც ერია ორას კაცში, რომლებიც ჰუშარმა უკანა რაზმად ამოირჩია. თორმეტ ბიჭთან ერთად გზა შეუკრა ჰესსის პრინცის ჯარს და მხოლოდ მაშინ შეუერთდა თავისიანებს, როდესაც გერმანელების ზარბაზანმა საფარი დაუზიანა.

მარშიენის და მონ-პალისელის ბრძოლაში მონაწილეობდა, მხედართმთავრად კლებერი ჰყავდა. მონ-პალისელში ხელში დაიჭრა. შემდეგ იტალიაში გადაგზავნეს და ჟუბერთან ერთად, სულ ოცდაათი კაცით, იცავდა ტანდის ხევს, ჟუბერს ამ საქმისთვის გენერლობა მისცეს და პონმერსის - ოფიცრობა. ლოდის ბრძოლაში გვერდით უდგა ბერტიეს და ისე ყოჩაღად იბრძოდნენ ორივე, რომ ბონაპარტმა ქება წარმოთქვა:

- დღეს ბერტიე მეზარბაზნეც იყო, მხედარიც და გრენადერიც.

ცოტა ხნის შემდეგ თავისი ძველი გენერლის ჟუბერის სიკვდილი ნახა, ნოვის ბრძოლაში. ხმალი იძრო ჟუბერმა, - აბა, ბიჭებო! - დაიძახა და ტყვიით განგმირული დაეცა მიწაზე.

რაღაც სამხედრო დავალება მისცეს და ერთი გემით გენუისკენ გაგზავნეს. გზაში მახეში გააბეს ინგლისელებმა, შვიდი-რვა გემი უდგას წინ. გემის უფროსს უნდოდა ზღვაში ჩაეყარა ზარბაზნები, ჯარისკაცები გემის ქვემო ნაწილში ჩაემალა და ისე გაევლო, როგორც სავაჭრო გემს. პონმერსი არ დათანხმდა. პირიქით, ანძაზე საფრანგეთის დროშა ააფრიალა და მოურიდებლად გაუარა ინგლისელების ზარბაზნის სროლას. რაკი გადარჩა, უფრო მეტი გამბედაობა გამოიჩინა: ინგლისელების ერთ განცალკევებულ გემს დაეცა და ტყვედ წაიყვანა: გემი ჯარით და ცხენებით იყო გატენილი.

1805 წელს მალერის ჯარში იყო, რომელმაც გუნსბურგი წაართვა გერმანელებს. ველტინგენის ბრძოლაში, როდესაც საშინელი სროლა ატეხა მტერმა, ხელში აიყვანა სასიკვდილოდ დაჭრილი რაზმის უფროსი მოპეტი, ძალიან ისახელა თავი აუსტერლიცის ბრძოლაში. რუსების ცხენოსანმა ჯარმა თითქმის ერთიანად რომ ამოხოცა ბატალიონი, პონმერსიც ჩაერია ჯავრის ამოსაყრელად და ისე გაუხადა საქმე, გააქცია გამარჯვებული მტერი. ნაპოლეონმა ჯვრით დააჯილდოვა ჩვენი გმირი. მერე რიგრიგობით ნახა პონმერსიმ, როგორ დაატყვევეს ვურმსერი მანტუში, მელასი - ალექსანდრიაში, მაკი - ულმში. იგი მხედართმთავარ მორტიეს ლაშქარში იყო, მერვე რაზმში; ამ ლაშქარმა აიღო ჰამბურგი, მერე #55-ე რაზმში იბრძოდა, ძველებურად ფლანდრიის რაზმში. ეილაუს ბრძოლაში ისიც სასაფლაოზე იყო, სადაც კაპიტან ლუი ჰიუგოს, ამ წიგნის ავტორის ბიძას, თავისი პატარა რაზმით, - სულ ოთხმოცდასამი კაცით მთელი ორი საათის განმავლობაში შეეჩერებინა მტრის დიდი ლაშქარი. ამ ბრძოლაში სულ სამი კაცი გადარჩა და ერთ-ერთი პონმერსი იყო. ფრიდლანდის ბრძოლაში იყო, მერე მოსკოვში იბრძოდა, ბერეზინაზე, ლუცენში, ბაუცენში,

დრეზდენში, ვახაუში, ლაიფციგში, გელებჰაუზენის ხევში, მონმირაილში, შატო-ტიერში, კრაონში, მარნის და ერნის ნაპირებში და საზარელ ლანში.

არნეი-ლე-დუკში უკვე კაპიტანი იყო, ათი კაზაკი მოკლა ზედიზედ და სიკვდილს გადაარჩინა არა მარტო თავისი გენერალი, თავისი ასისთავიც. მძიმედ დაჭრეს ამ ბრძოლაში, მთლად დაკეპილი იყო კაცი, მარტო მარცხენა ხელიდან ამოუღეს ოცდაშვიდი ნატეხი ძვალი. ერთი კვირის ადრე, ვიდრე მტერს დანებდებოდა პარიზი, ერთ ამხანაგს შეუთანხმდა და მის ნაცვლად ცხენოსან ჯარში გადავიდა. ამგვარ ოფიცრებს ჯარში ორმკლავას ეძახდნენ, რადგან ერთნაირად კარგად ხმარობდნენ ხმალსაც და თოფსაც და გამარჯვებისკენ მიუძღოდნენ ცხენოსან ესკადრონსაც და ქვეით ბატალიონსაც. ამ ორმაგი გამოცდილებით და მხედრული ვარჯიშით აიხსნება ჩვენს ლაშქარში ისეთი სპეციალური რაზმების არსებობა, როგორიცაა მაგალითად დრაგონები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მხედრებიც არიან და ფეხოსნებიც.

ნაპოლეონს თან გაჰყვა ელბაზე. ვატერლოოს ბრძოლაში ესკადრონის უფროსად იყო დუბუას ბრიგადაში; ლუნებურგის ბატალიონს დროშა წაართვა და ფეხქვეშ დაუდო ნაპოლეონს; პონმერსი გასისხლიანებული იყო, რადგან დროშას რომ ართმევდა, ხმალი დაჰკრეს სახეში.

- რაზმის უფროსი ხარ, - შეჰყვირა აღტაცებულმა იმპერატორმა, - ბარონი ხარ, კავალერი ხარ სახელოვანი ლეგიონისა!

მადლობა მოახსენა პონმერსიმ:

- გმადლობთ, ხელმწიფეო, ჩემი ქვრივის სახელით გმადლობთ!

ერთი საათის შემდეგ ხევში ჩავარდა დაჭრილი.

და ახლა ვინ იყო ეს პონმერსი?

ეს იყო „ლუარის ყაჩაღი“, როგორც ბებერი ჟილნორმანი უწოდებდა.

ცოტა რამ უკვე ვიცით მის შესახებ. ვატერლოოს ბრძოლა რომ გათავდა, პონმერსი ხევიდან ამოიყვანეს. როგორც იქნა, დაეწია საფრანგეთის ჯარს, საავადმყოფოდან საავადმყოფოში გადადიოდა და ბოლოს ლუართან მივიდა, გაშლილ ბანაკში.

რესტავრაციამ პენსია მისცა, ჯამაგირის ნახევარი, და ვერნონში გაგზავნა საცხოვრებლად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მეფე ლუი მეთვრამეტემ გააუქმა ყველაფერი, რაც კი ასი დღის განმავლობაში მოხდა, ნაპოლეონის დაბრუნების შემდეგ, და პონმერსის არც პოლკოვნიკის სახელი ცნო კანონიერად, არც ბარონობა და არც ორდენი. ის კი თავის მხრივ ყველა შემთხვევით სარგებლობდა, რომ ხელი მოეწერა - „პოლკოვნიკი ბარონი პონმერსი“. ერთი ძველი სერთუკი ჰქონდა და ისე არსად წავიდოდა, რომ გულზე ლეგიონის კავალერის ნიშანი არ მიეკრა. მეფის პროკურორმა აცნობა, რომ სამართალში მისცემდნენ, თუ კიდევ გაბედავდა უკანონოდ ამ ნიშნის ხმარებას. ეს ბრძანება რომ მოუტანა მოხელემ, მწარედ ჩაიცინა და უთხრა:

- აღარ ვიცი სწორედ, დღეს მე აღარ მეყურება ფრანგული, თუ თქვენ აღარ იცით ფრანგული ლაპარაკი. ის კი კარგად ვიცი, რომ თქვენი არაფერი გამეგება. მას შემდეგ, მთელი რვა დღის განმავლობაში ყოველდღე გადიოდა სახლიდან და გულიდან თავის ნიშანს არ იშორებდა. ვეღარაფერი გაუბედეს. ორჯერ, თუ სამჯერ სამხედრო მინისტრისგან მიიღო წერილი ამ მისამართით: ბატონ მაიორ პონმერსის. წერილები უკანვე გაუგზავნა გაუხსნელი. სწორედ ამ დროსვე იყო, რომ ნაპოლეონს წმინდა ელენეს კუნძულზე ჰუდსონ ლაუს წერილები მისდიოდა მისამართით -

გენერალ ბონაპარტს, - და ისიც უკანვე აბრუნებდა. პონმერსისაც იგივე ნერწყვი მოსდგომოდა პირში, რაც ნაპოლეონს.

კართაგენელი ტყვეები ჰყავდათ ოდესღაც რაზმში, რომლებიც სალამს არ აძლევდნენ ფლამინიუსს. ალბათ იმათაც ის სული ედგათ, ცოტად მაინც, რაც თვითონ ჰანიბალს.

ერთ დილას მეფის პროკურორს შეხვდა ვერნონის ქუჩაზე, მივიდა, მიესალმა და ჰკითხა:

- ბატონო მეფის პროკურორო, ნებას მომცემთ ეს ჭრილობა მაინც ვატარო დაუფარავად?

არაფერი გააჩნდა თავისი პატარა პენსიის გარდა, ესკადრონის უფროსის ჯამაგირის ნახევარი. ვერნონში რომ გაგზავნეს საცხოვრებლად, სულ პატარა სახლი დაიჭირა ბევრი ძებნის შემდეგ. მარტოდმარტო იყო, როგორც ვთქვით. ნაპოლეონის ხელმწიფობის დროს, ერთი ომიდან მეორემდე ჟილნორმანის ქალი შეირთო. არ უნდოდა ჟილნორმანს, აღშფოთებული იყო თავისი ოჯახის ასეთი დამცირებით და, რომ ვეღარაფერი გააწყო, დათანხმდა და მწარე კვნესით წარმოთქვა:

- ყველაზე უფრო დიდებული ოჯახები იძულებულნი არიან, ქედი მოიხარონ!

ლამაზი ქალი იყო პონმერსის მეუღლე, გულკეთილი, განათლებული, თავისი ქმრის ღირსი, 1815 წელს გარდაიცვალა და პატარა ბიჭი დაუტოვა თავის ქმარს. ქვრივად დარჩენილი პონმერსისთვის ნეტარება და ნუგეში იქნებოდა ამ ბიჭის აღზრდა, მაგრამ აქ პაპა ჩაერია. დაჟინებით მოითხოვა თავისი შვილიშვილი, და განაცხადა, - თუ ჩემთან არ იქნება, მემკვიდრეობას წავართმევო. დაუთმო მამამ, რათა მის შვილს მომავალში მაინც ჰქონოდა რამე, და დარჩა მარტოდმარტო; დროის გასაყვანად ყვავილების მოშენებას მიჰყო ხელი.

ყველაფერი მიატოვა, აღარც პოლიტიკაში ერეოდა, აღარც შეთქმულებაში. თავის ყვავილებს უვლიდა და დიდებულ წარსულს იგონებდა. ხან ცდილობდა ახალი სახეობის მიხაკი გამოეყვანა, ხან კიდევ აუსტერლიცს იგონებდა.

ჟილნორმანს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა სიძესთან. ბარონი პონმერსი მისთვის ყაჩაღი იყო, და ის კიდევ თავისი სიძისთვის მტკნარი სულელი. სიმამრი თავის დღეში არაფერს იტყოდა სიძეზე, და თუ იტყოდა რამეს, მასხრად იგდებდა იმის ბარონობას. მათ შორის დადებული იყო პირობა, რომ პონმერსი არ შეეცდებოდა თავისი შვილის ნახვას და მასთან ლაპარაკს, და, თუ ამ პირობას დაარღვევდა, ბიჭს გააგდებდნენ და მემკვიდრეობის უფლებასაც წაართმევდნენ. ჟილნორმანისთვის პონმერსი ჭირიანი იყო და ჭირს შეჰყრიდა, ვინც მას მიეკარებოდა. დეიდაც იმავე აზრის იყო და გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავისებურად აღეზარდათ პატარა ობოლი. იქნება შეცდა კიდეც პონმერსი, რომ დაუთმო თავისი შვილი, მაგრამ დაემორჩილა მის სასიკეთოდ, მით უფრო, რომ განწირული თვითონ რჩებოდა. ბევრი არაფერი იყო ჟილნორმანის მემკვიდრეობა, მაგრამ ქალბატონ ჟილნორმანს კი დიდი ქონება ჰქონდა. პატარა ბიჭის გაუთხოვრად დარჩენილი დეიდა თავისი დედის მხრიდან ძალიან მდიდარი იყო და ერთადერთ მემკვიდრედ დისწული ჰყავდა.

ამ მემკვიდრეს მარიუსი ერქვა. მხოლოდ ის იცოდა საცოდავმა, რომ მამა ჰყავდა, მაგრამ მეტი არაფერი. სახლში მამამისის სახელს არავინ ახსენებდა. მაგრამ იმ სახლებში, სადაც პაპას და დეიდას დაჰყავდათ პატარა ბიჭი, ჩურჩულს მოჰკრავდა ხოლმე ყურს, ცალკე წამოსროლილ სიტყვას, თვალის ჩაკვრას და ბოლოს ცოტა რამ

გაიგო ობოლმა. ბიჭს ჯერ თავისი არაფერი გააჩნდა, პაპის და დეიდის გავლენის ქვეშ იზრდებოდა, ჭეშმარიტებად მიაჩნდა მათი ყოველი სიტყვა, იმ ჰაერით იყო გაჟღენთილი, რომლითაც პაპის სახლში სუნთქავდა. საწყალი ბავშვი იქამდე მივიდა, მამის მოგონებაზე გული სირცხვილით უკვდებოდა.

და სანამ ასე იზრდებოდა შვილი, პოლკოვნიკი ორ-სამ თვეში ერთხელ ისე ჩადიოდა ხოლმე პარიზში, თითქოს ბოროტმოქმედი იყო და ეშინოდა არ დამიჭირონო. პარიზში ერთადერთი საქმე ჰქონდა, - თავისი შვილის დანახვა. შევიდოდა სენ-სულპისის საყდარში, მიიმალებოდა სვეტის უკან და ელოდა თავისი ბიჭის და მისი დეიდის მისვლას; ქალბატონი ჟილნორმანი დისწულთან ერთად ყოველთვის ესწრებოდა წირვას; ისიც იდგა სვეტის უკან, შესცქეროდა თავის შვილს და თან კანკალებდა, - უკან არ მოიხედოს ჩემმა ცოლისდამ და არ დამინახოსო. გაუთხოვარი ხანდაზმული ქალის ეშინოდა ამ გმირს.

ამ გარემოებამ გააცნო და დაუახლოვა ვერნონელი მღვდელი მაბეფი.

მღვდელ მაბეფს ძმა ჰყავდა პარიზში სენ-სულპისის ეკლესიის მნათე, და მას შეენიშნა პონმერსი; არც შეიძლებოდა არ შეენიშნა, რადგან საცოდავი სანახავი იყო, თავის შვილს რომ შეჰყურებდა და თვალიდან ცრემლი სდიოდა ამ ხნის კაცს. თვალში მოსახვეედრი იყო აგრეთვე მისი ჭრილობა, - შუბლიც ნაჭრილობევი ჰქონდა, ლოყაც, - შესახედავად კარგი ვაუკაცი იყო და ქალივით კი ტიროდა. ერთხელ ბერნონში რომ მივიდა მაბეფი თავის ძმასთან, ხიდზე შეხვდა პონმერსის და მაშინვე იცნო სენ-სულპისში ნანახი უცნობი. მნათემ ეს ამბავი მღვდელს უამბო და ცოტა ხნის შემდეგ ძმებმა რაღაც მოიმიზეზეს და პონმერსის სანახავად მივიდნენ. მერე მეორედ მივიდნენ, მესამედ და ასე დაუახლოვდნენ. ჯერ თავის შესახებ არაფერს ეუბნებოდა პონმერსი; მერე კი, როცა კარგად გაიცნო მღვდელიც და მისი ძმაც, უამბო თავისი უბედურება და აუხსნა, როგორ შესწირა თავისი ნეტარება შვილის მომავალ კეთილდღეობას. მღვდელი და პონმერსი ძალიან დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. არავინ იცის ასე ადვილად დაახლოება და დამეგობრება, როგორც ბებერმა მღვდელმა და ბებერმა ჯარისკაცმა, როდესაც ორივენი გულკეთილნი და გულწრფელნი არიან. ბოლოს და ბოლოს, ერთი და იგივეა მღვდელი და მხედარი; ერთი თავგანწირვით ემსახურება ქვეყნიურ სამშობლოს, მეორე - ზეციურს.

წელიწადში ორჯერ, პირველ იანვარს და წმინდა გიორგის ხსენების დღეს, მარიუსი თავის მამას მოკითხვის წერილს უგზავნიდა. წერილს დეიდის კარნახით წერდა, ყოველთვის ერთსა და იმავეს, თითქოს დაბეჭდილიდან ყოფილიყო გადმოწერილი. მარტო ამის ნებას აძლევდა ჟილნორმანი. მამაც სიყვარულით სავსე წერილს სწერდა თავის შვილს, მაგრამ პაპა მას ჯიბეში გაუხსნელად ჩაიდებდა ხოლმე.

## თავი მესამე
## REQUIESCANT

ამ ქვეყანაზე ჯერ არაფერი ენახა მარიუსს, ქალბატონი ტ-ის სალონის გარდა. ეს იყო ერთადერთი სარკმელი, რომლითაც ცხოვრების დანახვა შეეძლო. ეს სარკმელი ბნელი იყო და სიცივეს უფრო მეტს აძლევდა, ვიდრე სითბოს, ბნელს - უფრო მეტს, ვიდრე - ნათელს. ბუნებით სიხარული და სინათლე იყო ეს ბავშვი და რაც დრო გადიოდა და მეტად უკვირდებოდა ცხოვრებას, სევდა ერეოდა, ღრმად

ჩაფიქრდებოდა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის წლოვანებას. განცვიფრებით შეჰყურებდა ცხოვრებას და უფრო და უფრო ეზრდებოდა ეს განცვიფრება, რადგან სინათლეს ვერსად ხედავდა. ქალბატონ ტ-სთან მოხუცებული ქალები იკრიბებოდნენ, ძალიან პატივცემულნი, სახელად მათანი, ნოე, ლევია, კამბიზი. ეს წარსული, მომაკვდავი სურათები, დაბადების სახელები და დაბადება, რომელსაც ზეპირად ასწავლიდნენ მარიუსს, ერთმანეთში ერეოდა. რადგან ერთი პატარა ლამპა ენთო დარბაზში, და იმასაც მწვანე შუქფარი ეფარა; სახის გამომეტყველება - ულმობელი ჰქონდათ, თმა - გათეთრებული, კაბა - გრძელი, თალხი ფერის, რაღაც სხვა საუკუნის, სიტყვა მკაცრი და თან ამაყი; შეჰყურებდა განცვიფრებული მარიუსი და ქალებს კი არა, დაბადების პატრიარქებს და მოგვებს ხედავდა, ცოცხალ არსებათა მაგივრად წარსულის ლანდებს.

იმ ლანდებში რამდენიმე მღვდელი ერია, ძველი დარბაზის ძველი სტუმრები, და აგრეთვე კეთილშობილი დიდებულები. იყო მარკიზ დე სასენე, ქალბატონი დე ბერის პირადი მდივანი; გრაფი ვალორი, ცალრითმიანი ლექსების ავტორი, რომლებსაც შარლ-ანტუანის ფსევდონიმით ბეჭდავდა. პრინცი ბოფრემონი, ყმაწვილი კაცი, მაგრამ ჭაღარაგარეული, ცოლად მეტად ლამაზი, სიტყვამახვილი ქალი ჰყავდა, ძვირფასი ხავერდის, ოქრომკედით მორთული კაბით და ღია გულმკერდით. მარტო ეს ქალი ანათებდა ამ სალონის წყვდიადს. მარკიზი დ-ესპინუზი, საფრანგეთის ნამდვილი შვილი, რადგან ძალიან კარგად იცოდა ყველას „შესაფერი პატივისცემა“. გრაფი დ-ამანდრი, უმნიშვნელო მოხუცებული, და რაინდი დეპორდე-გი, ლუვრის ბიბლიოთეკის დედაბოძი, რომელსაც მეფის კაბინეტს ეძახდნენ. თავმოტვლეპილი იყო ეს რაინდი, უდროოდ დაბერებული, და ძალიან უყვარდა იმის მოგონება, თუ რა გადახდა ოთხმოცდაცამეტ წელს, როდესაც მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო. როგორც რევოლუციის მოწინააღმდეგე, კატორღაში გაგზავნეს და ოთხმოცი წლის მოხუცებულ ეპისკოპოს მირპუას გადააბეს ჯაჭვით; ისიც რევოლუციის მტერი იყო, ოღონდ ის მღვდელი იყო, დე-გი კი ჯარისკაცი; ტულონში იყვნენ; მათ მოვალეობას შეადგენდა ღამით წასულიყვნენ და რაც დღის განმავლობაში გილიოტინაზე ხალხი დაეხოცათ, ისინი მოეგროვებინათ, გასისხლიანებული გვამები, მოჭრილი თავები ზურგზე აეკიდებინათ და გაეთავისუფლებინათ ეშაფოტი; წითელი ხალათები ეცვათ, როგორც კატორღელებს, და ეს ხალათები უკნიდან სისხლით იყო გაჟღენთილი, დღისით - გამხმარი და ღამით - სველი.

ქალბატონ ტ-ს დარბაზში სულ ამგვარი ტრაგიკული ამბები ისმოდა. და რადგანაც წყევლიდნენ და ლანძღავდნენ მარატს, იქამდე მიდიოდნენ, რომ ქებით იხსენიებდნენ ტრესტალიონს. რამდენიმე დეპუტატი იყო აგრეთვე, უკვე „უპოვარი“ ჯიშისა, ისინი ქაღალდს თამაშობდნენ. ტებო დე-შალარი, ლე-მარშანი, დე-გომიკური, და მემარჯვენეების სახელოვანი ხუმარა კორნე-დანკური. ხანდახან ტალეირანთან მიმავალი მსაჯული დე-ფერეტიც შეივლიდა ხოლმე ამ სალონში; გრაფ დ'არტუას ქეიფების მონაწილე იყო და არისტოტელესავით მუხლმოყრილი კი არ იდგა კამპასპის წინაშე, - დაოთხილი დაყავდა სახელოვანი მოცეკვავე ქალი ჰიმარი და ამგვარად დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ მსაჯულმა იცის შეურაცხყოფილი ფილოსოფოსის შურისძიება.

ბევრი სასულიერო პირი დადიოდა სალონში, მათ შორის მღვდელი ჰალმა, რომელსაც ლაროზმა, გაზეთ „ელვის“ თანამშრომელმა ასე უთხრა: - „მერედა ვინ

არის ჩვენს დროში ორმოცდაათ წელზე ნაკლების? თუ არის ვინმე, ლაწირაკი იქნება!“ მღვდელი ლეტურნერიც სტუმრობდათ, მეფის ეკლესიის ქადაგი, მღვდელი ფრეისინუ, რომელიც ჯერ არც გრაფი იყო, არც ეპისკოპოსი, არც მინისტრი, არც დიდებული; ერთი ძველი ანაფორა ეცვა გახუნებული და ღილებდაწყვეტილი, მღვდელი კერავენანი, და მათთან ერთად პაპის წარმომადგენელი მაკი, ნიზიბის ეპისკოპოსი, შემდეგში კარდინალი, შესანიშნავი თავისი გრძელი, მელანქოლიური ცხვირით; და კიდევ ერთი სასულიერო პირი, პალმიერი, რომლის ნამდვილი წოდება იყო: არქიელი, ერთი პაპის შვიდპროტონოტერთაგანი, წმინდათა ვექილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წმინდათა შორის ჩამრიცხველი, ესე იგი სამოთხისკენ მიმავალთაგან ხარჯის ამკრები და ბოლოს ორი კარდინალი, დე-ლა-ლუზერნი და დე-კლერმონ ტონერი; კარდინალი დე-ლა-ლუზერნი მწერალი იყო და რამდენიმე წლის შემდეგ თავის წერილებს ათავსებდა „კონსერვატორში“, შატობრიანის თხზულების გვერდით. დე-კლერმონ-ტონერი ტულუზში იყო ეპისკოპოსად და ხშირად დადიოდა პარიზში თავის ძმისწულ მარკიზ დე-ტოლერთან, რომელიც სამხედრო და ზღვაოსნობის მინისტრი იყო. კარდინალი კლერმონ-ტონერი მოხუცებული იყო, პატარა, მხიარული, ზევით აწეული ანაფორით და წითელი წინდებით; სპეციალობად ჰქონდა ენციკლოპედიისადმი ზიზღი და გატაცებული იყო ბილიარდის თამაშით; ვინც კი ღამე დე-კლერმონ-ტონერის სასახლესთან გაივლიდა, ბილიარდის ჩხაკუნს გაიგონებდა და მის ხმას და ყვირილს, რომლითაც თავის თანამოთამაშე კონკლავისტს, კოტრეს უბრძანებდა, - დანიშნე, მღვდელო! ერთსა ვკრავ და ორს წავაღებინებ! - ეს კარდინალი ქალბატონ ტ-სთან ერთმა გულითადმა მეგობარმა დე რეკლორმა მიიყვანა, ეპისკოპოსად ნამყოფმა და აკადემიის წევრმა; სახელოვანი იყო ეს კაცი თავისი სიმაღლით და აკადემიაში სიარულით; აკადემიის საბჭოს დარბაზსა და ბიბლიოთეკის შუა შუშიანი კარი იყო და ვისაც უნდოდა, ყოველ ხუთშაბათს შეეძლო დაენახა ეს ყოფილი ეპისკოპოსი: ფეხზე იდგა სხდომის დროს კოხტად დაპუდრული, იისფერი წინდებით, კარისკენ ზურგშექცეული, ალბათ იმიტომ, რომ დაენახვებინა თავისი კოხტა საყელო.

ამ ეპისკოპოსებისა და კარდინალების სტუმრობით ქალბატონ ტ-ს სალონს სახელი ჰქონდა განთქმული, მით უფრო, რომ სამეფო კარზეც ისევე იყვნენ მიღებულები, როგორც ეკლესიაში; და მათ გარდა ხუთი დარბაისელი - მარკიზი დე-ვიბრე, მარკიზი დე-ტალარუ, მარკიზი დ-ერბუვილი, გრაფი დუმბრე და პრინცი ვალანტინუა - სასტიკ არისტოკრატიულ იერს აძლევდნენ იქაურობას. ვალანტინუა პრინცი იყო, მონაკოს მეფე, მაშასადამე უცხოელი, მაგრამ იმდენად დიდებულად მიაჩნდა საფრანგეთი და ფრანგი დარბაისლები, რომ მათი თვალით ხედავდა ყველაფერს. ის იყო, რომ ბრძანა: საფრანგეთის დიდებულნი რომის კარდინალები არიან და ინგლისის ლორდებიო.

საერთოდ კი, რადგან იმ დროს ყველგან რევოლუცია შეჭრილიყო, ქალბატონი ტ-ის სალონშიც დიდებულნი კი არა, ბურჟუა ჟილნორმანი მეფობდა.

ეს სალონი პარიზში რევოლუციის მგმობი საზოგადოების სულსა და გულს წარმოადგენდა. მმკაცრად კონტროლდებოდა ყველა, ვისაც იქ შესვლა უნდოდა, მეფის მომხრეც რომ ყოფილიყო. დიდება თავისებური ანარქიაა. შატობრიანი რომ მოხვედრილიყო იმ სალონში, მამა დუშენის შთაბეჭდილებას მოახდენდა. ასე იყო,

მაგრამ იღებდნენ რამდენიმე თანამოაზრეს, როგორც გრაფ ბენოს, გამოსასწორებლად.

დღევანდელი არისტოკრატიული სალონები არაფრით ჰგავს იქ აღწერილს, ძველებურს. სენ-ჟერმენის უბანი სულ სხვაა. დღევანდელი მეფის მომხრენი დემაგოგები არიან, - ამას მათ საქებრად ვამბობთ.

ქალბატონი ტ-ის სალონში საზოგადოებაც დიდებული იყო, გემოვნება - ფაქიზი და მედიდური, ქცევა კი - სრულიად ზრდილობიანი. აქ ჯერ ისევ ცოცხალი იყო ძველი რეჟიმი, თუმცა უკვე დამარხული, თავისი ჩვეულებებით. უცნაური იყო ზოგი ამ ჩვეულებათაგანი. დაუფიქრებლად რომ განესაჯა ვინმეს, პროვინციიდან მოტანილად ეჩვენებოდა, რაც ნამდვილად ძველმოდური იყო. გენერლის ცოლს ქალბატონი გენერალი ერქვა; ხშირად ისმოდა „ქალბატონი რაზმის უფროსი“. გულის წარმტაცი იყო თავისი მშვენიერებით ქალბატონი დელეონი და ჰერცოგინიების, ლონგვილის და შევრეზის პატივსაცემად ქალბატონ გენერლად მომმართეთო, - ითხოვდა. მარკიზ კრეკის ცოლიც ქალბატონ რაზმის უფროსად იწოდებოდა.

ამ არისტოკრატულმა წრემ შემოიღო, რომ მეფისთვის არ მიემართათ „თქვენო დიდებულებაო“, რადგან ეს სიტყვა უზურპატორებისგან იყო წაბილწული; მესამე პირში მიმართავდნენ - ნებას მიბოძებს მეფე...

იქ იყო ცხოვრებისა და ადამიანების განსჯა. საუკუნეს მასხრად იგდებდნენ, რაც მათ ათავისუფლებდათ მისი იდეებისგან. ერთმანეთს ეხმარებოდნენ გაკვირვებაში. უხვად ჰქონდათ დროისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. მათუსალა ანათლებდა სეპიმენიდს; ყრუ ასწავლიდა უსინათლოს. კობლენცის შემდეგ გასულ წლებს აბათილებდნენ. როგორც ლუი მეთვრამეტე ბრძანებდა, - ღვთის ნებით ოცდახუთი წელია ტახტზე ვარო, ისე ემიგრანტები, - ოცდახუთი წლის სიყმაწვილეს განიცდიდნენ.

ჰარმონიულად იყო ყველაფერი. თავისუფალ აზრს იქ არაფერი ესაქმებოდა. ყმაწვილი ხალხიც ერიათ, მაგრამ უკვე მიმკვდარებული. ისინი წარმავალნი კი არა, უკვე წარსულნი იყვნენ და მსახურებიც ასეთივე ჰყავდათ. აკლდამის სუნი იდგა. წარსულის დაცვა და დაფარვა, კონსერვატორობა - მხოლოდ ეს იყო მათი სასაუბრო თემა. საქმე ის იყო, ცუდი სუნი არ ასვლოდათ. ამ დიდებულთა იდეები ვეტივერის სუნით ყარდა. ეს სალონი მუმიების სამეფო იყო. ბატონები შემურვილები იყვნენ და მსახურები - ფიტულებად ქცეულნი.

ერთ ღირსეულ, მოხუცებულ მარკიზის ქვრივს, ერთადერთი მსახური დედაკაცი ღა შერჩენოდა, და მაინც ძველებურად გაიძახოდა, - ჩემი შინაყმანიო.

რას აკეთებდნენ ქალბატონი ტ-ის სალონში?

იქ „ულტრები“ იყვნენ.

იქნებ აქამდე არსებობს მოვლენა, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს, თვით ამ სიტყვას კი აზრი დაუკარგავს ჩვენს დროში, მაინც განვმარტოთ.

- ულტრაო - იტყვიან იმაზე, ვისაც დასახული მიზნის უფრო იქით ნებავს გადახტომა, ვინც სკიპტრას ტახტის სახელით ებრძვის და მიტრას - საკურთხევლის სახელით. ვინც ცეცხლს სდებს ბრალს, - კარგად ვერ დაწვა ურჯულოებიო; ვინც კერპს სწუნობს, - საკმარისად არ არის კერპიო; ვინც პაპს უსაყვედურებს, პაპისტი არ ხარ, მეფეს - როიალისტიო. ღამეში საჭირო სიბნელეს ვერ პოვებს, თაბაშირში, თოვლში, გედში და შროშანა - ყვავილში საჭირო სითეთრეს; ვინც იმდენად არის რამით გატაცებული,

რომ მტრად უხდება თავის წადილს, და იმდენად მძლავრად იბრძვის, რომ ავად ემსახურება თავის იდეალს.

ეს ულტრა „სული“ განსაკუთრებით რესტავრაციის პირველ ხანს ახასიათებს.

ისტორიაში ისეთი არაფერია, რომ შეედაროს იმ პატარა პერიოდს, რომელიც იწყება 1814 წლიდან და თავდება 1820 წელს, როდესაც გამოჩნდა ბატონი ვილელი, მოხერხებული მემარჯვენე. საკვირველ ისტორიულ ჟამს წარმოადგენს ეს ექვსი წელიწადი, ერთსა და იმავე დროს ბრწყინვალეს და უფერულს, მხიარულსა და პირქუშს, განათებულს ამომავალი მზის სხივით და ამავე დროს მთლად დაფარულს დიდი კატასტროფების წყვდიადით, რომლებიც აბნელებდნენ ჰორიზონტს და ნელ-ნელა იფლობოდნენ წარსულში. ამ სინათლესა და სიბნელეს შორის არსებობდა პაწაწა ქვეყანა, ძველი და ახალი, მასხრული და მწუხარე, ყმაწვილი და მოხუცებული, რომელიც თვალებს იფშვნეტდა. ისე არაფერი ჰგავს გაღვიძებას, როგორც სამშობლოში დაბრუნება.

ბრაზით შესცქეროდა საფრანგეთს ეს პაწაწა ქვეყანა და დაცინვით პასუხობდა მას საფრანგეთი. ქუჩები ბებერი ჭოტებით იყო სავსე - უკან დაბრუნებული მარკიზებით; თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყვნენ; აწმყოთი განცვიფრებული ყოფილი დიდებულნი, მამაცი კეთილშობილი გვარის შვილები, გახარებულნი, რომ ისევ თავიანთ სამშობლოში არიან, და თან მტირალნი; აღტაცებულნი, რომ სამშობლოს ხედავენ, და გულმოკლულნი, რომ მონარქიას ვეღარ მოესწრებიან. ჯვაროსნობის დროინდელი თავადაზნაურობა არაფრად აგდებდა იმპერიის დროინდელებს, ესე იგი ბრძოლის გმირებს. ისტორიულ ერებს ისტორიის აღარაფერი ესმოდათ; კარლოს დიდის თანამოაზრეთა შვილებს ათვალწუნებული ჰყავდათ ნაპოლეონის თანამოაზრენი. შთამომავლობით და ვაჟკაცობით ცნობილ დიდებულთა შვილები შეურაცხყოფით მოიხსენებდნენ ერთმანეთს. ფონტენუას ბრძოლა დაჟანგული ხმლებით ხუმრობა იყო; მარენგოს ბრძოლა - საზიზღარი და უმნიშვნელო. წარსული უარყოფდა გუშინდელს. გრძნობა დაეკარგათ და ვეღარც დიდებული შეეგნოთ, ვეღარც სასაცილო. ვიღაცამ სკაპენი უწოდა ნაპოლეონს.

დღეს აღარ არის ის პაწაწა ქვეყანა. ვიმეორებთ, აღარ არის და აღარაფერი დარჩენილა იმისი. როცა ვინმეს წამოყენება გვინდა ამ საცოდავი წარსულიდან, და ვცდილობთ, ფიქრით მაინც წარმოვიდგინოთ ცოცხლად, ისე უცნაურად გვეჩვენება, როგორც წარღვნამდე არსებული ცხოველი. და მართლაც, მასაც ხომ წარღვნა მოერია და მთლად წალეკა; მიწის პირიდან აღგავა ჯერ ერთმა და მერე მეორე რევოლუციამ, იდეების ძლიერებით აღსავსე ტალღამ. რა სწრაფად ფარავს რევოლუცია ყველაფერს, რაც დასანგრევია და აღსაგველი, და საშინელი სიღრმის უფსკრულებს ქმნის!

ასეთი იყო ამ ახლო წარსულის წარმავალთა სალონი, სადაც მარტენვილი უფრო ჭკვიანად ითვლებოდა, ვიდრე ვოლტერი.

ამგვარ სალონს თავისი მწერლობა და თავისი პოლიტიკა ჰქონდა. მწერლობაში ფიევეს აღიარებდნენ, აჟიე იყო მათი კანონმდებელი, კოლნეს სწავლობდნენ, - პუბლიცისტ-ბუკინისტს. ნაპოლეონი მათთვის კორსიკელი ურჩხული იყო. შემდეგ ისტორიაში შეიყვანეს ბატონი მარკიზი დე-ბუონაპარტე, მეფის ჯარების გენერალი და ისიც იმიტომ, რომ ცოტა რამ მაინც დაეთმოთ დროის მოთხოვნებისთვის.

ამ სალონებმა სიწმინდე დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. 1818 წლიდან იქ თავი იჩინეს დოქტრინერებმა - ეს საშიში ნიშანი იყო. ეს დოქტრინერებიც მეფის მომხრენი იყვნენ, მაგრამ, თითქოს რცხვენოდათ, ბოდიშს იხდიდნენ, წარსულით აღტაცებულებსა და გაამაყებულებს ახლებიც შეერივნენ, რომელთაც რცხვენოდათ, რომ მონარქიას უჭერდნენ მხარს. ჭკუა არ აკლდათ, გაჩუმება იცოდნენ, სიამაყეს გრძნობდნენ თავისი პოლიტიკური მიმართულების გამო და მათი გამარჯვება მოსალოდნელი იყო. გარეგნობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და იქნებ სასარგებლოც იყო, - ყველას თეთრი ყელსახვევი ჰქონდა და კარგად შეკრული სერთუკი ეცვა. დოქტრინერების პარტიის შეცდომა თუ უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ახალგაზრდა მოხუცებულთა თაობა შექმნეს. ცდილობდნენ, იერით ბრძენებს დამსგავსებოდნენ, და ოცნებობდნენ, აბსოლუტური თვითმპყრობელობის პრინციპზე შეზღუდული ხელისუფლება დაემყნოთ. დამრღვევი ლიბერალიზმის წინააღმდეგ დამცველი ლიბერალიზმით იბრძოდნენ და ხშირად საფუძვლიანად. აი, რას ქადაგებდნენ დოქტრინერები:

- „ნუ ჰგმობთ როიალიზმს, რადგან მრავალი ღვაწლი აქვს სამშობლოს წინაშე. მეფემ შეგვინახა ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება, ღვაწლმოსილთა პატივისცემა. როიალიზმი თავისი ქვეყნის ერთგულია, მამაცი, რაინდი, ლმობიერი, ხალხისთვის თავდადებული. მან ძველ, მეფეთა დროის დიდებას თავისდა უნებურად ერის ახალი დიდება დაურთო. სცდება, რომ არ ესმის რევოლუციის, იმპერიის, თავისუფლების, ახალი იდეების, ახალი თაობის, ამ საუკუნის. სცდება, მაგრამ განა ჩვენ კი უცოდველნი ვართ მის წინაშე? რევოლუცია, რომლის მემკვიდრენიც ვართ ჩვენ ყველანი, უნდა ცდილობდეს ყველაფრის გააზრებას. ვინც გმობს როიალიზმს, ღალატობს ლიბერალიზმის დედააზრს. რა შეცდომაა, რა სიბეცე! რევოლუციური საფრანგეთი პატივს არ სცემს ისტორიულ საფრანგეთს, ესე იგი, თავის მშობელ დედას, მაშასადამე თავის თავს. 5 სექტემბრის შემდეგ სწორედ ისე ექცეოდნენ მეფეთა დიდებულებს, როგორც 8 ივლისის შემდეგ - იმპერიის წარჩინებულებს. ისინი უსამართლოდ ექცეოდნენ არწივს, ჩვენც უსამართლოდ ვექცევით შროშან ყვავილს, ნუთუ აუცილებელია, რომ ყოველთვის ვდევნიდეთ ვინმეს? განა საჭიროა ლუი მეთოთხმეტის გვირგვინის ოქროს ჩამოფხეკა, ან ანრი მეოთხის ღერბის წაშლა? რატომ ვამტყუნებთ ბატონ დე-ვოლბანს, რომელიც იენის ხიდზე შლიდა ნაპოლეონის სახელის პირველ ასოს? განა რას შვრებოდა ისეთს? სწორედ იმას, რასაც ჩვენ ჩავდივართ. ბუვინიც ისევე გვეკუთვნის ჩვენ, როგორც მარენგო. მეფეების შროშანა - ყვავილი ჩვენი დიდებაა, როგორც ასო „ნ“ - ნაპოლეონისა. ეს არის ჩვენი მამა-პაპის დიდება, ჩვენ კი ვამცირებთ და სულაც უარვყოფთ! ნუ დავგმობთ სამშობლოს წარსულს, როგორც არ ვგმობთ მის აწმყოს! რატომ არ უნდა გვქონდეს მთელი ისტორია? რატომ არ უნდა გვიყვარდეს მთელი საფრანგეთი?“

ასეთი კრიტიკით და აზროვნებით ესარჩლებოდნენ როიალიზმს და წარსულს დოქტრინერები; როიალიზმი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მას კრიტიკას უბედავდნენ, და გააფთრებული იმითაც, რომ მფარველობდნენ.

ულტრამონარქისტების მიერ აღნიშნულია მეფობის პირველი პერიოდი; დოქტრინერებმა დაახასიათეს მეორე. გულწრფელ გატაცებას ხელმარჯვე მოხერხება მოჰყვა...

ამით გავათავოთ დროის დახასიათება.

ამ ნაწარმოების თხრობისას ავტორი იძულებული იყო გაკვრით მაინც შეხებოდა თანამედროვე ისტორიის ერთ საინტერესო მონაკვეთს, რომ აღენიშნა იმჟამინდელი, დღეს უცნობი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი უცნაური ნიშნები, მაგრამ, ვიმეორებთ, გაკვრით შეეხო ამ საგანს და არც ავად მოიხსენია, არც დაცინვით. ავტორს მრავალი რამ ახსოვს ტკბილი და ძვირფასი, რაც მის დედას შეეხება და თვითონაც დაკავშირებულია წარსულთან. გარდა ამისა, არც ის დავივიწყოთ, რომ ამ წარმავალ, მომაკვდავ საზოგადოებას ცოტა რამ დიდებულიც გააჩნდა. შეიძლება ღიმილი მოგვგვაროს ამ წარსულის გახსენებამ, მაგრამ აქ ზიზღი, ან სიძულვილი შეუწყნარებელია. ეს იყო საფრანგეთის წარსული.

მარიუს პონმერსიმ, როგორც სხვა მისმა ტოლმა ბიჭებმა, შესაფერი სწავლა მიიღო, როდესაც წამოიზარდა და ხელიდან გაუძვრა დეიდა ჟილნორმანს, პაპამ სხვა მწვრთნელი მიუჩინა და ერთ უწმინდეს ღირსეულ მენტორს მიანდო მარიუსის აღზრდა: ნორჩი, გასაშლელად მოწიფული კოკორი გაუთხოვარი ბებრუცუნისგან პედანტის ხელში ჩავარდა. მაინც დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და შევიდა მართლმსაჯულების სასწავლებელში. მრწამსით როიალისტი იყო, ასკეტი, ფანატიკოსი. არც ძალიან უყვარდა თავისი პაპა, რომლის არც მხიარულება მოსწონდა, არც ცინიზმი; თავისი მამის მიმართ კი თავდაჭერილობას და პირქუშობას იჩენდა.

საკმაოდ ფიცხი ხასიათის ბიჭი იყო, პატიოსანი, დიდსულოვანი, ამპარტავანი, ღვთისმორწმუნე, სისასტიკემდე კეთილშობილი და ველურობამდე უმწიკვლო. ყყ

## თავი მეოთხე
## ავაზაკის სიკვდილი

კლასიკურ განათლებას ამთავრებდა მარიუსი, როდესაც მისმა პაპამ საზოგადოებას თავი მიანება, გამოეთხოვა მოხუცებულ დიდებულთა სენ-ჟერმენის უბანს, ქალბატონი ტ-ის დარბაზს და მარეს უბანში საკუთარ სახლში გადავიდა, ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე. მეკარის გარდა მსახური ჰყავდა, დედაკაცი ნიკოლეტი, რომელიც მანონის შემდეგ აეყვანა, და ერთი ბასკი.

1827 წელს ჩვიდმეტი წლის გახდა მარიუსი. ერთ საღამოს შინ რომ მივიდა, პაპა დახვდა წერილით ხელში.

- მარიუს, - უთხრა პაპამ, - ხვალ ვერნონში მოგიწევს წასვლა.

- რატომ? - ჰკითხა მარიუსმა.

- მამაშენის სანახავად.

აკანკალდა მარიუსი. ყველაფერს წარმოიდგენდა იმის გარდა, რომ შეიძლებოდა მამის ნახვა დასჭირვებოდა. ეს ამბავი მოულოდნელი და უცნაური იყო, ამასთან ერთად, ძალიან უსიამოვნოც. შორს იყო მამისგან და მასთან დაახლოება შეუძლებლად ეჩვენებოდა. მოსალოდნელი შეხვედრა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ნაძალადევ მოვალეობად მიაჩნდა.

პოლიტიკურ განსხვავებასთან ერთად იმაშიც დარწმუნებული იყო მარიუსი, რომ მის მამას, უებრო მეომარს, - როგორც იტყოდა ხოლმე ბატონი ჟილნორმანი, როდესაც კარგ გუნებაზე იყო, - არ უყვარდა თავისი შვილი. ცხადი იყო, რომ არ უყვარდა, რადგან იგი პაპას მიუგდო და თვითონ განზე გადგა. დარწმუნებული იყო

ამაში და ამითვე უხდიდა. - არ ვუნდივარ და არც მე მინდა! მორჩა და გათავდა, - იძახდა თავის გასამართლებლად.

ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ განცვიფრებული შეჰყურებდა პაპას, არაფერს ეკითხებოდა.

- ეტყობა, ავად არის, - განუმარტა ჟილნორმანმა, - შენს ნახვას ითხოვს.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, და მერე უთხრა:

- ხვალ დილით წადი. მგონი, დილის ექვს საათზე გადის ფონტენის ეზოდან დილიჟანსი. საღამოს მიხვალ - საჩქარო არისო, - იწერება.

წერილი დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო. მარიუსს შეეძლო იმ საღამოსვე წასულიყო და გათენებისას მამასთან ყოფილიყო. დილიჟანსი საღამოობით ბულუას ქუჩიდან გადიოდა რუენისკენ და გზად ვერნონზე გაივლიდა ხოლმე, მაგრამ არც ბატონ ჟილნორმანს გახსენებია ეს უფრო ადრე მიმავალი დილიჟანსი და არც მარიუსს.

მეორე დღეს ბინდისას მივიდა ვერნონში, სანთელს ანთებდნენ უკვე. ჰკითხა გამვლელს „ბატონი პონმერსის“ სახლი, რადგან ისიც რესტავრაციის აზრის იყო და არც ბარონობა სწამდა თავისი მამის, არც პოლკოვნიკობა.

სახლი მიასწავლეს. მივიდა, ზარი დარეკა. კარი დედაკაცმა გაუღო, რომელსაც ხელში სანთელი ეჭირა.

- ბატონი პონმერსი?

მუნჯივით იდგა დედაკაცი.

- აქ არის?

თავი დაუქნია დედაკაცმა.

- შეიძლება დაველაპარაკო?

თავი გაიქნია დედაკაცმა უარყოფით.

- შვილი ვარ მისი. დაბარებული ვარ, მელის.

- აღარ გელით, - მიუგო დედაკაცმა.

მხოლოდ ახლა შენიშნა მარიუსმა, რომ დედაკაცი ტიროდა.

თითით დაბალი ოთახის კარი ანიშნა და იქ შეიყვანა მარიუსი. ბუხარზე ქონის სანთელი ენთო და სიბნელეში სამი კაცი გაარჩია მარიუსმა. ერთი ფეხზე იდგა, მეორე დაჩოქილი იყო. მესამე იატაკზე გართხმულიყო. პერანგის ამარა. ძირს რომ ეგდო, პონმერსი იყო.

ერთი ექიმი იყო და ერთიც მღვდელი, რომელიც დაჩოქილიყო და ლოცულობდა.

ტვინის ანთება დამართოდა სამი დღის წინ. ავად რომ ეგრძნო თავი, მაშინვე წერილი მიეწერა თავისი სიმამრისთვის, - მარიუსი გამომიგზავნეთო, - რადგან ფიქრობდა, - ამას ვერ გადავურჩებიო.

სწორედ იმ საღამოს, მარიუსი რომ მის სახლს ეძებდა, სიცხისაგან გახელებული წამოვარდნილიყო ლოგინიდან, მოსამსახურე ქალი ვერ მორეოდა და ყვირილით, - აღარ მოდის ჩემი ბიჭი! მე წავალ მის სანახავად! - გავარდნილიყო წინა ოთახში, იქ დაცემულიყო და მკვდარი ეგდო იატაკზე.

მაშინვე მოიწვიეს ექიმი და მღვდელი. გვიან მისულიყო ექიმი. გვიან მისულიყო მღვდელი და გვიან მისვლოდა შვილი.

სანთლით სინჯავდნენ მიცვალებულს, რომელსაც გაყვითლებულ ლოყაზე თვალიდან წამოსული ობოლი ცრემლი შერჩენოდა. თვალი ჩამქრალი იყო, მაგრამ ცრემლი ჯერ არ შემშრალიყო. შვილის დაგვიანებას გამოეწვია ეს ცრემლი.

პირველად და უკანასკნელად უცქერდა მარიუსი ამ კაცს, მის მამაცურ სახეს, გახელილ თვალებს, რომლებიც ვეღარაფერს ხედავდნენ, ჭაღარა თმას, ახოვან ტანს, რომელზეც აქა-იქ ჭრილობის ზოლები მოჩანდა, მტრის ხმლის ცემის ნაშთი, და რაღაც მოწითალო ვარსკვლავები, მტრის მიერ ნასროლი ტყვიის ნაშთი. დასცქეროდა მის ლმობიერ სახეს, რომელსაც გმირობის სხივს ჰფენდა ჭრილობა, და გრძნობდა, რომ არაფერს უთქვამდა გული, თუმცა იცოდა, რომ ეს კაცი მისი მამა იყო, და უკვე მკვდარი.

დაღონებული იდგა. ასევე დაღონებული იდგებოდა სულ უცხო მიცვალებულთანაც.

დიდი გლოვა იყო ოთახში. კუთხეში მსახური დედაკაცი ქვითინებდა, მღვდელი ლოცულობდა და ხშირად ისმოდა მისი ქვითინი, ექიმი თვალებს უწმენდდა, თვით მიცვალებულიც ტიროდა.

სამივე მარიუსს უთვალთვალებდა ხმის ამოუღებლად. გრძნობდნენ, რომ აქ ეს ყმაწვილი უცხო იყო, მარიუსმაც იგრძნო თავისი უცხოობა. შერცხვა გულცივობის. ქუდი ხელში ეჭირა და ახლა ძირს დაუშვა, ვითომ - შეწუხებულს გამივარდაო. ამითი უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მასაც მორეოდა მწუხარება.

და იმავე დროს სირცხვილსა და სინანულს გრძნობდა, რომ ასე ღალატობდა თავის გულწრფელობას. მაგრამ მისი რა ბრალი იყო, რომ მამა არ უყვარდა?

არაფერი დაეტოვებინა პონმერსის. გაყიდეს, რაც სახლში ჰქონდა და ისე დამარხეს. პატარა ქაღალდი იპოვა დედაკაცმა და მარიუსს მიართვა. ბარათი პონმერსის ხელით იყო დაწერილი.

„ჩემს შვილს. იმპერატორმა ბარონობა მიბოძა ვატერლოოს ბრძოლის ველზე. და რადგან დღევანდელი მთავრობა არ ცნობს ამ ჩემს წოდებას, რომელიც მე ჩემი სისხლით მაქვს მოპოვებული, მას ჩემი შვილი მიიღებს და ატარებს. რა თქმა უნდა, ის ამის ღირსი იქნება“.

მეორე მხარეს პოლკოვნიკის ხელითვე იყო მიწერილი:

„იმავე ვატერლოოს ბრძოლაში, ერთმა ათისთავმა გადამარჩინა სიკვდილს. ტენარდიე ერქვა. ამ უკანასკნელ ხანს, მგონი, პატარა დუქანი ჰქონდა სადღაც სოფელში, პარიზის ახლოს, შელში, თუ მონფერმეილში. თუ სადმე ჩემი შვილი ამ კაცს შეხვდება, დაეხმარება ტენარდიეს, რითაც კი შეეძლება“.

მამისადმი სიყვარულით კი არა, იმ პატივისცემით, რომელსაც ყოველთვის განიცდის ადამიანი სიკვდილის წინაშე, დაკეცა ქაღალდი მარიუსმა და ჯიბეში ჩაიდო.

მარიუსს მამისგან არაფერი დარჩა. ბატონმა ჟილნორმანმა უვარგის ძველმანებთან ერთად მიცვალებულის იარაღი და ტანისამოსიც გააყიდვინა. ბაღი და ძვირფასი ყვავილები მეზობლებმა დაიტაცეს, დანარჩენი დაჭკნა და გახმა.

მარიუსმა ვერნონში ერთი დღე-ღამე გაატარა, დაასაფლავეს მამა, და შვილიც მაშინვე პარიზში დაბრუნდა. მივიდა შინ, შეუდგა ისევ თავისი მართლმსაჯულების სწავლას და აღარც კი აგონდებოდა მამა, თითქოს არც ჰყოლოდა. ორ დღეში დაასაფლავეს უბედური და სამ დღეში დაივიწყეს.

მარიუსს შავი კრეპი ჰქონდა ქუდზე. ესეც კმაროდა.

## თავი მეხუთე

შეიძლება წირვის მოსასმენად მიხვიდეთ და რევოლუციონერი წამოხვიდეთ

ჯერაც შერჩენოდა მარიუსს ბავშვობის სარწმუნოებრივი ჩვეულებები.

ერთ კვირადღეს წირვის მოსასმენად შევიდა სენ-სულპისის ეკლესიაში. პატარაობისას სულ იქ დაჰყავდა სალოცავად თავის დეიდას. ფიქრებით იყო გართული და ერთი სვეტის უკან დაიჩოქა. ყურადღება არ მიაქცია, რომ ხავერდით დაფარულ სკამთან იყო, რომლის ზურგზე პატრონის გვარი ეწერა, - ბატონი მაბეფი, მნათე. - ის იყო დაიწყო წირვა და ერთი მოხუცებული მივიდა მარიუსთან:

- ეს ჩემი ადგილი გახლავთ, ბატონო.

მარიუსმა საჩქაროდ იქით მიიწია და მოხუცებულმა აიღო თავისი სკამი.

წირვა რომ გამოვიდა, იქვე იდგა მარიუსი, ჩაფიქრებული. ისევ იმასთან მივიდა მოხუცებული და ბოდიში მოუხადა:

- ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ ისე შეგაწუხეთ წეღან და ახლაც გაწუხებთ. მგონია, მემდურებით და მინდა მოგახსენოთ...

- რა საჭიროა, ბატონო? - მიუგო მარიუსმა.

- არა, საჭიროა. მე არ მინდა, რომ ცუდი შთაბეჭდილება გაგყვეთ. უნდა მოგახსენოთ, ძალიან მიყვარს ეს ადგილი. აქედან უფრო კარგად მეჩვენება წირვა-ლოცვა. რატომ? აი, მომითმინეთ. სწორედ ამ ადგილას იდგა ხოლმე ამ ათი წლის განმავლობაში, ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც, ერთი უბედური მამა, რომელსაც არავითარი საშუალება არ ჰქონდა სადმე სხვაგან ენახა თავისი შვილი, რადგან ოჯახურ გარემოებათა გამო, მამას უკრძალავდნენ შვილის ნახვას. იცოდა, როდის მოიყვანდნენ საყდარში თავის ბიჭს და შორიდან შესცქეროდა. აზრადაც არ მოსდიოდა უმანკო პატარას, რომ იქვე ახლოს ედგა მამა. იქნებ, არც კი იცოდა, რომ მამა ჰყავდა. მამა ყოველთვის სვეტს ეფარებოდა, რომ არ დაენახათ. შესცქეროდა თავის შვილს და ტიროდა. გაგიუებით უყვარდა შვილი უბედურს. მე ვხედავდი ამას. ამიტომ შემიყვარდა ეს ადგილი, მადლიანად მიმაჩნია და ყოველთვის აქ ვისმენ წირვას. მე ჩემი ადგილიც მაქვს, როგორც მნათეს, მაგრამ ეს ჩემთვის თითქოს ნაკურთხია. ცოტათი კიდეც ვიცნობდი იმ საწყალს. სიმამრი ჰყავდა, მდიდარი ცოლის ნათესავები, და ისინი თურმე ემუქრებოდნენ, - ბავშვს არავითარ მემკვიდრეობას არ მივცემთ, თუ მამა არ ჩამოშორდაო. - და თავი გაწირა მამამ, ოღონდ ჩემი შვილი მდიდარი და ბედნიერი იყოს, როცა გაიზრდებაო. განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული შვილის მამისაგან მოშორება. მეც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ პოლიტიკურ აზროვნებას, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. აჰა, ღმერთო! ნუთუ საზიზღრად უნდა ჩავთვალოთ კაცი მარტო იმიტომ, რომ ვატერლოოს ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა? ნუთუ ამიტომ მამას შვილი უნდა წავართვათ და შვილს - მამა? ბონაპარტის ოფიცერი იყო, პოლკოვნიკი, მიიცვალა რამდენადაც ვიცი, ვერნონში ცხოვრობდა, ჩემი ძმის, მღვდლის, ნაცნობი იყო, გვარად პონმარი, თუ პონმერსი. იმისთანა ჭრილობა ჰქონდა თავზედ და ლოყაზედ...

- პონმერსი? - ჰკითხა მარიუსმა და ფერი ეცვალა.

- დიახ, დიახ, პონმერსი. რაო? თქვენც იცნობდით?

- მამაჩემი იყო, ბატონო.

ხელები აღაპყრო ბებერმა მნათემ და შეჰყვირა:

- მაშ თქვენ შვილი ხართ? აგრეა, აგრე! დღეს ვაჟკაცი უნდა იყოს მისი შვილი. ჰოდა, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მამა გყავდათ, რომელსაც გაგიუებით უყვარდით!

მკლავი მკლავში გაუყარა მარიუსმა, შინამდე მიაცილა.

მეორე დღეს პაპას თხოვნით მიმართა:

- პატარა გასეირნებას ვაპირებთ ამხანაგები. ნებას მიბოძებთ, ერთი სამი დღე სხვაგან ვიყო?

- ოთხი იყოს, - უპასუხა პაპამ, - წადი, დრო გაატარე...

თვალი მოჭუტა და ჩურჩულით უთხრა თავის ქალს:

- გოგო ეყოლება ვინმე!

## თავი მეექვსე
## რა მოჰყვა მნათესთან შეხვედრას

სად წავიდა მარიუსი, ამას მალე ვნახავთ.

სამი დღე სხვაგან იყო. მერე პარიზში დაბრუნდა, თავისი სკოლის ბიბლიოთეკაში შევიდა და გაზეთი „მონიტორი“ მოითხოვა, სრული კრებული.

წაიკითხა „მონიტორი“, წაიკითხა რევოლუციისა და იმპერიის ისტორია, ნაპოლეონის წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნის დროის მოგონებანი, ჟურნალები, გაზეთები, პროკლამაციები. ერთბაშად გადაყლაპა ეს ყველაფერი. პირველად რომ შეხვდა თავისი მამის სახელს დიდი ლაშქრის ისტორიაში, გიჟივით იყო მთელი კვირა. დაიარა და ნახა გენერლები, რომლებთანაც ოფიცრად ყოფილიყო ჟორჟ პონმერსი, სხვათა შორის, გრაფი G. რამდენჯერმე მნათე მაბეფიც ნახა და მან დაწვრილებით უამბო, თავისი ძმის, ვერნონელი მღვდლის ნათქვამი, პონმერსის განმარტოებული ცხოვრების, მისი მწუხარების, მისი ბაღის და ყვავილების შესახებ. გაიცნო მარიუსმა თავისი მამა, დარწმუნდა, რომ იგი იშვიათი პატიოსანი და ლმობიერი კაცი ყოფილიყო, ერთსა და იმავე დროს ლომიც და კრავიც.

ისე იყო ამ კვლევით გატაცებული, რომ თითქმის აღარც კი ხედავდა ჟილნორმანებს. დღესა და ღამეს ამ ძიებაში ატარებდა, მთელ დროს ამას ანდომებდა, და მარტო პურის ჭამის დროს გამოჩნდებოდა ხოლმე. სუფრას აალაგებდნენ და მარიუსიც აღარსად იყო. ბუზღუნებდა ბებერი დეიდა. იცინოდა ბებერი ჟილნორმანი:

- აგრეა, აგრე! გოგონებმა გაიტყუეს ბიჭი!

და დაუმატებდა:

- დასწყევლა ღმერთმა! მე უბრალო არშიყობა მეგონა და აქ კი ლამის სიყვარულმა იჩინოს თავი!

და მართლაც სიყვარული იყო. მარიუსს უსაზღვროდ შეჰყვარებოდა თავისი მამა.

იმავე დროს მის მსოფლმხედველობაში ძირეული ცვლილება ხდებოდა. ამ ცვლილების ფაზა მრავალი და თანამიმდევრული იყო. და რადგან ეს ჩვენი დროის რამდენიმე თაობის ისტორიაა, სასარგებლოდ მიგვაჩნია კვალდაკვალ მივყვეთ ამ ფაზებს და ცალ-ცალკე აღვნიშნოთ ყველა.

კითხულობდა მარიუსი ამ ისტორიას და თან შიში ერეოდა.

პირველი შთაბეჭდილება განცვიფრება იყო.

აქამდე მისთვის რესპუბლიკა და იმპერია საშინელი სიტყვები იყო; რესპუბლიკა გილიოტინა იყო ბნელით მოცულ სივრცეში, იმპერია კი - მოღერებული ბასრი ხმალი. ახლა რომ ჩააცქერდა, სადაც სიბნელისა და ქაოსის გარდა არაფერს მოელოდა, სიხარულით და თან შიშით დაინახა განცვიფრებულმა ბრწყინვალე ვარსკვლავები: მირაბო, ფერნიონი, სენ-ჟუსტი, რობესპიერი, კამილ დემულენი, დანტონი და ამომავალი მზე - ნაპოლეონი. და ვეღარაფერი გაეგო, ეს სინათლე თვალს უბრმავებდა. ნელ-ნელა გაუარა განცვიფრებამ, თვალი მიაჩვია ამ კაშკაშს და უშიშრად, გულდამშვიდებით დააკვირდა რევოლუციის მოღვაწეებს და მათ მოქმედებას. რევოლუცია და იმპერია ბრწყინვალე გამარჯვებად ედგა თვალწინ; ორ ჯგუფად ხედავდა ამ საკვირველი დროის ისტორიას და მის მოღვაწეებს, ორი დიდებული მიღწევით გაბრწყინებულებს; რესპუბლიკას - ხალხისთვის დაბრუნებული მოქალაქეობრივი უფლებების უზენაესობაში, და იმპერიას - ევროპისათვის ნაკარნახევი საფრანგეთის იდეების უზენაესობაში. რევოლუციაში მან ხალხის დიადი სახე დაინახა, იმპერიაში - საფრანგეთის დიადი სახე. გულის სიღრმეში ყოველივე ეს მშვენიერებად აღიარა, რესპუბლიკა ხალხს ერგო, და იმპერია - ევროპას. ხედავდა, რომ რევოლუციამ ფეხზე წამოაყენა და განადიდა ხალხი, და იმპერიამ - საფრანგეთი. გულწრფელად აღიარა თავისი სინდისის წინაშე, რომ ორივე კარგი იყო.

საჭიროდ არ მიგვაჩნია აქ მოვიხსენიოთ ყოველივე ის, რასაც ყურადღებას არ აქცევდა თავისი პირველი მეტად ზოგადი დაკვირვების დროს. ჩვენ გვინდა ავხსნათ სინათლისკენ სწრაფად მიმავალი გონების საფეხურები. ყველაფერი ერთად არ მოდის. ამით ვიხელმძღვანელოთ მომავალში, როგორც ვხელმძღვანელობდით უკვე ნაამბობშიც და განვაგრძოთ ჩვენი მოთხრობა.

დაინახა მარიუსმა, რომ აქამდე თავის სამშობლოზე ისევე არაფერი იცოდა, როგორც - თავის მამაზე. არ იცნობდა არც ერთს, არც მეორეს, და რაღაც ბნელი ჰქონდა თვალზე ჩამოფარებული. ახლა კი ხედავდა. ხედავდა და ერთით აღტაცებული იყო, მეორეს კი თაყვანს სცემდა.

სინანულით და მწუხარებით ევსებოდა გული. სასოწარკვეთილი შესჩიოდა თავს, რომ დღეს მხოლოდ მამის საფლავს გააგონებდა თავის გულის პასუხს. ოჰ, ცოცხალი რომ ჰყოლოდა მამა! რომ შეჰბრალებოდა ღმერთს და ცოტა ხანს კიდევ ეცოცხლა! სირბილით წავიდოდა მის სანახავად, გულში ჩაეკვრებოდა და შესძახებდა:

- მამაჩემო! აი, აქ ვარ შენი შვილი, აქ ვარ შენთან! მეც შენი მომხრე ვარ, რადგან შენი შვილი ვარ! - გულში ჩაეკვრებოდა, დაუკოცნიდა და ცრემლით მობანდა დაჭრილ შუბლს, სიყვარულით განუკურნავდა დაწყლულებულ გულს, მუხლმოყრილი დაუკოცნიდა ფეხებს. რა მოხდებოდა, რომ ცოტა ხნის სიცოცხლე კიდევ ეწყალობებინა ღმერთს იმ სულით ტანჯულისთვის, რომ ენახა თავისი შვილი, დამტკბარიყო მისი სიყვარულით. გული უტიროდა მარიუსს, ცრემლი ერეოდა. ჭეშმარიტების სინათლე სცემდა თვალში და უნათებდა გონებას და აზროვნებას. თვითონვე გრძნობდა, რომ სულიერად და გონებრივად იზრდებოდა და მისი სრული გარდაქმნა მამისა და სამშობლოს გაცნობის შედეგი იყო.

ისე იყო, თითქოს გასაღები აქვს ერთი, რომლითაც ყველაფერს აღებს. მან შეიგნო ყველაფერი, რაც კი სძულდა; მისწვდა ყველაფერს, რაც კი ეზიზღებოდა. უკვე ნათლად ხედავდა განგების მნიშვნელობას, ღვთიურსა და ადამიანურს: იმ დიდი მოღვაწეების და საქმეების მნიშვნელობას, რომლის გმობა და აუგით ხსენებაც

ასწავლეს. და თავისი წინანდელი აზრების სინჯვას რომ დაიწყებდა, გუშინდელი აზრებისას, რომლებიც იმას ძველისძველად მიაჩნდა, აღშფოთება და თან ღიმილი ერეოდა.

აღადგინა თავისი მამა და მერე ნაპოლეონის აღდგენას შეუდგა.

ესეც აღვნიშნეთ, რომ დიდი შრომა დასჭირდა ამ უკანასკნელი წადილის ასრულებას.

ჯერ ისევ ბავშვი იყო, რომ ნაპოლეონის შესახებ იმას უნერგავდნენ, რაც 1814 წლის პარტიას ასულდგმულებდა. რესტავრაციის ერთადერთი სურვილი და მიზანი ნაპოლეონის გათახსირება იყო. ნაპოლეონი უფრო მეტად სძულდათ, ვიდრე რობესპიერი. ძალიან მოხერხებულად გამოეყენებინათ ხალხის დაღლა და დედების სიძულვილი. ბონაპარტი რაღაც ზღაპრულ ურჩხულად ჰყავდათ გამოსახული, და რომ უფრო ძალიან შეეზიზღებინათ ხალხის ბავშვური წარმოდგენისთვის, ხან საშინელების ნიღაბს ჩამოაცვამდნენ სახეზე, ხან ვერაგობისას, ხალხის შემმუსრავისას; და რადგან ვერ უარყოფდნენ ნაპოლეონის ძლიერებას, ხან საშინლად ხატავდნენ ამ ძლიერებას, ხან სასაცილოდ. რაც კი საშინელი მოეჩვენებოდათ, ტიბერიუსიდან დაწყებული, ბავშვების საფრთხობელამდე, ნაპოლეონის სურათად ხატავდნენ. ნაპოლეონის ხსენებაზე ყველას თავისუფლად შეეძლო ტირილი, ან სიცილი, ოღონდ ბონაპარტისადმი სიძულვილით ყოფილიყო გამოწვეული ეს გრძნობა. და მარიუსიც ისე გაიზარდა, რომ იზიარებდა სხვების შეხედულებას ამ კაცის შესახებ, - იმ დროს ასე იხსენებდნენ ნაპოლეონს. - ღრმად ჩარჩენოდა ნაპოლეონის ეს დახასიათება სულსა და გულში. პატარა კაცი ეჯდა გულში, რომელსაც ჭირივით სძულდა ნაპოლეონი.

დაიწყო ისტორიის კითხვა, დაუკვირდა საბუთებს, ეცადა გაერჩია და შეესწავლა მასალები და, ნელ-ნელა ის პირბადე თვალებზე რომ ჰქონდა ჩამოფარებული მარიუსს, დაიხა და ჩამოშორდა. იზრდებოდა მის თვალწინ დიდებული და გრძნობდა, რომ ისევე ცდებოდა ბონაპარტის შესახებ, როგორც - ყველაფერში. უფრო და უფრო კარგად ხედავდა ყოველდღე. თავდაპირველად თითქოს ენანებოდა რაღაც, მერე კი გაიტაცა კვლევა-ძიებამ, მოხიბლა, დაავიწყა ყველაფერი და დიდებულისადმი აღტაცებით და თაყვანისცემით გაუვსო გული.

ერთ ღამეს მარტო იყო თავის პატარა, ბანქვეშ მოწყობილ ოთახში. სანთელი ენთო. ფანჯარა ღია ჰქონდა. იქვე ფანჯარასთან იჯდა მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, და კითხულობდა. მაგრამ ვერ დაიმორჩილა გულისყური და ფიქრებმა გაიტაცა. ხან რა ფიქრი გაურბენდა თავში, ხან რა. რა საუცხოო სანახაობას წარმოადგენს ღამე! ხმაური ესმის კაცს, და არ იცის, საიდან მოდის ეს ხმაური. ნაკვერცხალივით ბრწყინავს მუშთარი, ათას ორასჯერ უფრო დიდი რომ არის ქვეყანაზე. ლაჟვარდოვანია ზეცა, კაშკაში გააქვთ ვარსკვლავებს: - მრისხანებით აღსავსე სურათია!

მარიუსი დიდი ლაშქრის შესახებ კითხულობდა, იქვე ბრძოლის ველზე დაწერილ სტრიქონებს. ხანდახან ხვდებოდა თავისი მამის სახელი და ყოველთვის - ნაპოლეონისა. თვალწინ ეხატებოდა დიდი იმპერია; თავის გულში ზღვის მოქცევის ტალღას გრძნობდა, რომელიც სულ იზრდებოდა და ზევით იწევდა. წარმოიდგენდა ხოლმე უცბად, რომ მიცვალებულმა მამამ თვალწინ ნელ სიოსავით გაურბინა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. უცნაური რაღაც ელანდებოდა: ესმოდა ნაღარის ხმა, ზარბაზნის სროლა, ბუკი და საყვირი, ბატალიონების მწყობრი ნაბიჯი, ცხენოსანი ჯარის შორეული ფეხის ხმა. ხანდახან ზევით აღაპყრობდა თვალებს და ზეცის

უსაზღვრო სიღრმეში უზარმაზარ თანავარსკვლავედს შესცქეროდა. მერე ისევ თავის წიგნს დახედავდა და ხელახლა ეჩვენებოდა ისევ დიადი, მოძრავი რაღაც. სუნთქვა ეკვროდა ფიქრებით გატაცებულს, ათრთოლებულს და უცბად თვითონაც არ იცოდა, რა იყო მისი მბრძანებელი და რას ემორჩილებოდა, წამოვარდა, ორივე ხელი გაყო ფანჯარაში, დააშტერდა ღამის სიბნელეს, ღამის დუმილს, უსაზღვრო სივრცეს და შეჰყვირა:

- იმპერატორს გაუმარჯოს!

ამიერიდან საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო ყველაფერი. უკვალოდ გაქრა კორსიკელი კაციჭამია, უზურპატორი, მტარვალი, მხეცი, რომელიც თავის დებს ჰყვარობდა, მასხარა, რომელიც ტალმას სთხოვდა ხელმძღვანელობას; ჭირის გამავრცელებელი, სისხლით უძღები ვეფხვი. ასეთი ბონაპარტი საბოლოოდ გაქრა და მის გულში ადგილი დაუთმო დიდებულ სინათლეს, რომელშიც მიუწვდომელ სიმაღლეზე ამართულიყო მარმარილოს ძეგლი კეისრისა. მისი მამისთვის იმპერატორი საყვარელი მხედართმთავარი იყო, რომელსაც იმდენად სცემდა თაყვანს, რომ მისთვის თავსაც გაწირავდა; მარიუსისთვის კი ნაპოლეონი გაცილებით მეტი იყო. ის იყო განგების მიერ ფრანგების წინამძღოლად მოვლენილი, რომელსაც წილად ხვდა რომაელთა წადილი ქვეყნის დაპყრობისა. ის იყო სასწაულებრივად საკვირველი არქიტექტორი ნგრევისა, მემკვიდრე კარლოს დიდის, ლუი მეთერთმეტის და ანრი მეოთხის, რიშელიეს, ლუი მეთოთხმეტის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის კომიტეტის. ცხადია, ნაკლიც ბევრი ჰქონდა, შეცდომებიც და დანაშაულიც, რადგან ადამიანი იყო თავის შეცდომებში, ბრწყინვალე - თავის ნაკლოვანებით, ძლიერი - თავისი დანაშაულით. მას ჰქონდა განგების მიერ მინდობილი ფრანგი ერის დიდება ძალით დაემტკიცებინა ქვეყნიერებისთვის. უფრო მეტი იყო! მასში იყო განხორციელებული თვით საფრანგეთი, ხმლით დაიპყროკ მთელი ევროპა და ქვეყნიერება - მისგან გამომავალი შუქით. მარიუსი ნაპოლეონში ბრწყინვალე აჩრდილს ხედავდა, რომელიც ყოველთვის აღიმართება სამშობლოს საზღვარზე და დაიცავს მის მომავალს. მტარვალი იყო, მაგრამ დიქტატორ-მტარვალი, შექმნილი რესპუბლიკის მიერ და რევოლუციის მოთხოვნილებათა აღმსრულებელი. მარიუსმა ნაპოლეონი ხალხის შვილად იწამა, როგორც იესო სწამდა ღვთის შვილად.

ასეა ყოველთვის, ახალ სარწმუნოებას რომ მიიღებს კაცი, მთვრალივით გატაცებულია ახალი მრწამსით, და აჩქარებით მიმავალს გადაჭარბებაც ბევრი მოელის. ამ ბუნების იყო მარიუსიც. თუ დაღმართში ჩადიოდა, თავის შეკავებას ვეღარ ახერხებდა. ვეღარც კი ხედავდა, რომ სამხედრო ნიჭთან და ვაჟკაცობასთან ერთად თავისდა უნებურად ძალმომრეობას სცემდა თაყვანს. რომ ორად ჰქონდა გაყოფილი თავისი გულის ტაძარი, და ერთში ღვთიური მოეთავსებინა, მეორეში მხეცური. მრავალ შეცდომას უშვებდა, რადგან ჭეშმარიტებად მიაჩნდა ახალი რწმენის ყოველი დებულება. ამიტომ დიდი სიფხიზლე მართებდა, რომ ავი კარგად არ მიეღო. ის კი ისე იყო მოხიბლული, რომ ყველა კარგად მიაჩნდა და ყველას თაყვანს სცემდა. ახალაღმოჩენილი თვალსაზრისით სინჯავდა აწმყოს და წარსულს; წარსულში, მეფობის ხანაში, ავს ხედავდა მარტო; ნაპოლეონში კი - თავის სამშობლოს დიდებას, და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სხვა გარემოებებს.

მაგრამ მაინც წინ წაიწია, მნიშვნელოვანი ნაბიჯით. სადაც წინათ მონარქიის დამხობის მეტს ვერაფერს ხედავდა, დღეს უკვე საფრანგეთის ძლიერება და დიდება დაინახა. ორიენტაცია გამოიცვალა, გუშინდელი დასავლეთი დღეს აღმოსავლეთად ეჩვენებოდა.

როდესაც ამ საიდუმლო გარდაქმნით გატაცებულმა მთლად გაიძრო თავისი ბურბონული ტყავი ჟაკობელისა და მეფის მომხრის არისტოკრატული ტყავი, როდესაც სულით ხორცამდე მიემხრო რევოლუციას, დემოკრატიას და თითქმის რესპუბლიკასაც, სადარბაზო ბარათები დააბეჭდვინა, ასი ცალი, ზედ წარწერით:

ბარონი მარიუს პონმერსი.

ამ ბარათების შეკვეთა იმ ცვლილების ბუნებრივი შედეგი იყო, რომელსაც მარიუსი განიცდიდა, რადგან ამ სულიერ გარდაქმნაში ყოველი ცვლილება მამისადმი სიყვარულისგან გამომდინარეობდა; მაგრამ რადგან არავის იცნობდა და არ შეეძლო ბარათების დარიგება, ჯიბეში ჩაიწყო.

სხვა შედეგიც მოჰყვა ამ ცვლილებას, აგრეთვე ბუნებრივი. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა თავის განსვენებულ მამას, მის ხსოვნას, იმ მიმართულებას, რომლისთვისაც იგი ოცდახუთი წლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა, მარიუსი უფრო და უფრო შორდებოდა თავის პაპას. ისიც ვთქვათ, რომ კარგა ხანი იყო, ვერ ურიგდებოდა მარიუსი პაპის ზნე-ხასიათს. უთანხმოება შექმნილიყო მოხუცებულ ჟილნორმანსა და მარიუსს შორის, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე დინჯ ახალგაზრდასა და ქარაფშუტა მოხუცს შორის. ჟერონის სიმხიარულე ზარავს და აშმაგებს ვერტერის სევდას. მანამ ერთნაირი პოლიტიკური აზრებით სჯიდნენ საგანს და ერთნაირი იდეებით ხელმძღვანელობდნენ მსჯელობისას, ერთმანეთს ისე ხვდებოდნენ, როგორც ხიდზე გამვლელი ნაცნობები. მაგრამ ეს ხიდი ჩაიმტვრა და მათ შორის უფსკრული გაჩნდა. ამასთან ერთად საშინელი ბრაზი ერეოდა მარიუსს, როდესაც მოაგონდებოდა, რომ სწორედ ბატონმა ჟილნორმანმა რაღაც სულელური მოსაზრებით ულმობლად გამოჰგლიჯა იგი პოლკოვნიკს, მამას შვილი დაანატრა და შვილს - მამა.

მამისადმი ღრმა სიბრალულმა თითქმის შეაძულა მარიუსს თავისი პაპა.

ქცევით კი ძველებურად იქცეოდა და არაფერში ეტყობოდა ეს ცვლილება. ოღონდ უფრო და უფრო ცივად იქცეოდა თავის ოჯახში; პურის ჭამისას ხედავდა პაპას და დეიდას და მოკლე, ლაკონიურ პასუხს აძლევდა, როცა რამეს ჰკითხავდნენ. სახლში მარტო დასაძინებლად და პურის საჭმელად მიდიოდა. რომ დატუქსავდა ხოლმე ამისთვის დეიდა, ძალიან მორჩილად უსმენდა. ტკბილ პასუხს აძლევდა და იმით იმართლებდა თავს, რომ ლექციები, კრებები, გამოცდები აქვს. პაპა კი დაჟინებით იმეორებდა თავისას:

- შეყვარებულია! გასაგებია ჩემთვის.

დროგამოშვებით რამდენიმე დღით სხვაგან მიდიოდა მარიუსი.

- ნეტა ვიცოდე, სად დადის ეს ბიჭი? - იძახდა დეიდა.

ერთხელ ასე რამდენიმე დღით დაეთხოვა თავის პაპას და მონფერმეილში მივიდა, რომ აესრულებინა თავისი მამის სურვილი. მოეძებნა ვატერლოოს ბრძოლის ათისთავი, მედუქნე ტენარდიე, და დახმარებოდა, თუ რამე უჭირდა. ტენარდიე გაკოტრებულიყო, დუქანი დაკეტილი დახვდა და არავინ იცოდა, სად იყო, ან რა მოუვიდა. ტენარდიეს ძებნას მარიუსმა ოთხი დღე მოანდომა.

- ეტყობა სულ გადაურევია ვიღაცას! - იძახდა ბატონი ჟილნორმანი.

ისიც შენიშნეს, რომ შავი ლენტი ჰქონდა კისერზე და გულზე, პერანგის ქვეშ რაღაც ეკიდა.

## თავი მეშვიდე
## ვინმე გოგო

ბიძაშვილის შვილი ჰყავდა ბატონ ჟილნორმანს, ყმაწვილი ბიჭი.

გარნიზორის ჯარში იყო ოფიცრად და თავისი თანამდებობის გამო ნათესავებისგან განცალკევებით ცხოვრობდა. ყველა ღირსებით იყო შემკული თეოდულ ჟილნორმანი, რომ მშვენიერი მხედრის და ლამაზი ბიჭის სახელი ჰქონოდა. ახალგაზრდა ქალიშვილის წერწეტი წელი ჰქონდა. გამარჯვებული ვაჟკაცივით დაათრევდა მიწაზე დაშვებულ ხმალს და კოხტად დაგრეხილი ულვაშები უმშვენებდა სახეს. პარიზს ძალიან იშვიათად ეწვეოდა ხოლმე, ისე იშვიათად, რომ მარიუსს ჯერ არც კი შეხვედროდა. ერთმანეთს მხოლოდ სახელით იცნობდნენ. თეოდული ძალიან უყვარდა მარიუსის ბებერ დეიდას, გაცილებით მეტად, ვიდრე მარიუსი, რადგან იშვიათად ხედავდა. როცა ახლობელს ხშირად ვერ ხედავთ, მას უფრო მეტად აფასებთ.

ერთ დილას ძლიერ აღელვებული შევიდა თავის ოთახში ქალბატონი ჟილნორმანი, თუმცა ბუნებით მეტად წყნარი, მშვიდი ადამიანი იყო. აღელვების მიზეზი ის გახლდათ, რომ ერთხელ კიდევ სთხოვა მარიუსმა თავის პაპას რამდენიმე დღით წასვლა. ჟილნორმანმა ნება დართო, მერე წარბები შეიჭმუხა და წაიდუდუნა: სახლში სულ აღარ ათევს ღამეს.

ქალბატონი ჟილნორმანი იმდენად აღელვებული იყო, რომ თავი ვერ შეიკავა და წამოსცდა:

- ეს კი მეტისმეტია! - და დაუმატა: - ნეტავ სად დადის? ვისთან?

ფიქრობდა, ალბათ საძრახის საქმეს სჩადის, რომ ასე მალავსო. ქალია სადღაც მიმალული, პაემანია დანიშნული, სიყვარულია საიდუმლოებით დაფარული. დიდი სურვილი ჰქონდა, როგორმე ჩაეჭყიტა თავისი სათვალით ამ საიდუმლოებაში. დამალულს, იდუმალს რომ მიაგნებს ადამიანი, რაც უნდა ღვთისნიერი იყოს, ისე ტკბება, თითქოს თვითონ მიეღოს ყველაფერში მონაწილეობა. ამგვარი ცნობისმოყვარეობით არის სავსე ცრუწმინდანების გული.

აღარ და აღარ შორდებოდა ეს სურვილი, საშინლად აეფორიაქებინა ცნობისმოყვარეობას.

ამ ფიქრს თავი რომ ვეღარ დააღწია და გული ვერ დაიმშვიდა, თავისი ნიჭი დაიხმარა და ქარგას მიუჯდა, მოსაწყენ და ძილის მომგვრელ საქმეს. უკვე რამდენიმე საათი იყო, ასე ქარგავდა და უცბად ვიღაცამ შემოაღო კარი. შეხედა ქალბატონმა და თავისი საყვარელი თეოდული დაინახა, მის წინ მხედრული სალმით გამოჭიმული. შეჰკივლა სიხარულით და წამოვარდა: შესაძლებელია ქალბატონი იყო, გასათხოვარი ქალივით უმანკო, ღვთისმოსავი და მამიდა, მაგრამ მაინც ნეტარება იგრძნო, როცა კოხტა ოფიცერი გეწვევა.

- თეოდულ, შენ?

- გზად გამვლელი, ჩემო მამიდა.

- მაკოცე, ბიჭო!

- რამდენიც გნებავთ.

მოეხვია, გულში ჩაიკრა, დაკოცნა.

მოლბა მამიდა, მივარდა თავის მაგიდას, უჯრა გამოსწია.

- ერთ კვირას მაინც დარჩები ჩვენთან.

- ამ საღამოსვე მივდივარ, მამიდაჩემო.

- შეუძლებელია!

- მათემატიკური სიზუსტით ამ საღამოს მივდივარ!

- მოდი, დარჩი, ჩემო თეოდულ, ამისრულე ეს თხოვნა.

- გული მიბრძანებს, - დარჩიო, სამსახური - არაო. საქმე ისაა, მამიდაჩემო, რომ სხვაგან გადაგვიყვანეს. მელონში ვიყავით და ახლა გაიონში გადავყევართ. ძველი გარნიზონიდან ახალში გადასასვლელად პარიზში უნდა გავიაროთ და მეც ვისარგებლე შემთხვევით: - წავალ, მამიდაჩემს გადავკოცნი-მეთქი, ვიფიქრე.

- ჰოდა, ესეც შენ გარჯისთვის.

და ათი ოქრო ჩაუდო ხელში.

- თქვენ გინდოდათ გეთქვათ თქვენი ნახვის სიამოვნებისთვისო, ძვირფასო მამიდა.

ერთხელ კიდევ მოეხვია თეოდული, გულში ჩაიკრა, დაკოცნა. კოხტა ბიჭის საყელოთი ოდნავ დაკაწრული ლოყის სიტკბოება აგრძნობინა.

- მაშ ცხენით მისდევ შენს რაზმს? - ჰკითხა მამიდამ.

- არა, მამიდაჩემო, თქვენი ნახვა მინდოდა და ნება მომცეს დილიჟანსით მივიდე გაიონში. ჩემი ცხენი მეჯინიბეს მიჰყავს რაზმთან ერთად. რაკი სიტყვამ მოიტანა, მინდა ცოტა რამ გკითხოთ, თუ ნებას მიბოძებთ.

- განა რა უნდა მკითხო?

- მარიუსიც მოგზაურობს ასე ჩემსავით დილიჟანსით?

- მერე შენ რა იცი? - შეჰყვირა მამიდამ, რომელსაც ხელახლა აეშალა ცნობისმოყვარეობის ჟინი.

- ეს არის ახლა გახლდით, ამ საღამოსთვის ადგილი დავიჭირე დილიჟანსში.

- მერე? მერე?

- ერთი მგზავრი ყოფილიყო ჩემზე უწინ და იმასაც დაეჭირა ადგილი ამ საღამოსთვის, იქ ვნახე მისი სახელი და გვარი.

- რა გვარი?

- მარიუს პონმერსი.

- ის საძაგელი, ისა! - შეჰყვირა მამიდამ - ააჰ, ნეტავი ისიც შენსავით კარგად იქცეოდეს! ნეტავ სად მიდის? დილიჟანსში უნდა გაატაროს მთელი ღამე?

- როგორც მე, მამიდაჩემო.

- შენ მოვალეობის გამო მიდიხარ დილიჟანსით, ის კი გარყვნილებისთვის.

ჰოო? აბა, რას წარმოვიდგენდი?

აქ უცნაური რაღაც მოუვიდა ქალბატონ ჟილნორმანს. უცბად მოიაზრა თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. ვაჟკაცი რომ ყოფილიყო, ხელს იკრავდა შუბლში გახარებული და თეოდულს მიმართა:

- იქნებ არც კი იცი, რომ მარიუსი ჯერ არც გიცნობს?

- ვიცი, რადგან არც კი შემომხედავს ხოლმე, სადაც შევხვდები.

- მაშ ამაღამ ერთად მიემგზავრებით? ერთი დილიჟანსით?

- მე დილიჟანსში გახლავართ, ის მეეტლესთან.

- სად მიდის ეგ დილიჟანსი?

- ანდელში.

- მაშ მარიუსიც იქ მიდის?

- თუ გზაში არსად დარჩება, ჩემსავით. მე კი ვერნონში უნდა ჩამოვხტე და ფოსტაში შევიარო. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, სად გიახლებათ მარიუსი.

- მარიუს! რა საზიზღარი სახელია! არა, სხვა სახელი გაუწყდათ, რომ მარიუსი დაარქვეს? აი, კარგი სახელი შენ გქვია, ტკბილი, თეოდულ!

- არც მე მომწონს ჩემი სახელი. ნეტავ ალფრედი დაერქმიათ.

- ყური დამიგდე, თეოდულ.

- მიბრძანეთ, მამიდა.

- გეყურება?

- ბრძანეთ, ბრძანეთ!

- სადღაც დადის მარიუსი.

- ოჰო!

- ხშირად სხვაგან ათევს ღამეს!

- აჰა!

- გვინდა გავიგოთ, სად დადის, ვისთან?

თეოდულმა გულგრილად უპასუხა:

- ალბათ გოგო ჰყავს ვინმე.

მერე ეშმაკურად გაიღიმა. და ხაზი გაუსვა თავის ნათქვამს:

- გომბიო იქნება!

- ცხადია, გომბიო! - შეჰყვირა მამიდამ, რომელსაც ისე მოესმა თეოდულის სიტყვა, თითქოს იმის მამას წამოეძახოს, მით უფრო, რომ ეს სიტყვა - გომბიო, - სრულიად ემოწმებოდა და ამართლებდა მის ეჭვს, რომ მარიუსი გოგოს სიყვარულით უნდა ყოფილიყო გატაცებული.

- რომ იცოდე, როგორ გვასიამოვნებ, ჩემო თეოდულ, მარიუსს რომ მიჰყვე! შენთვის ადვილი იქნება ეს დავალება, რადგან არ გიცნობს. რაკი გოგოც არის ამ საქმეში, იქნებ ისიც ნახო როგორმე. მერე დაწვრილებით მოგვწერე ყველაფერი. ვერ წარმოიდგენ, როგორ ასიამოვნებ პაპაშენს.

არაფრად ეპიტნავებოდა თეოდულს ამგვარი დავალება, მაგრამ ათმა ოქრომ გული მოულბო, მით უფრო, რომ შესაძლებლად მიაჩნდა ამ ჯილდოს ხელმეორედ მიღება. დაემორჩილა, იკისრა მსტოვრობა და უთხრა:

- ბატონი ბრძანდებით, მამიდა.

გულში კი სხვას ფიქრობდა:

- ეგეც შენ! მოახლედ მიჰყევი მარიუსს!

ერთხელ კიდევ გადაჰკოცნა მამიდამ.

- ნეტავ შენსავით ჭკვიანად იქცეოდეს, ის საძაგელი, ისა! შენ ხომ მაგას არ იზამდი? შენ გწამს და ემორჩილები დისციპლინას, უფროსების პატივისცემა იცი, პატიოსანი ბიჭი ხარ და მაგისთანას არას იკადრებ. სამი-ოთხი დღით იკარგება ბიჭი, ვიღაც უნამუსო გოგოს სანახავად.

კმაყოფილების ღიმილით გაუბრწყინდა თეოდულს სახე. ეს იყო ღიმილი კარტუშისა, რომელიც პატიოსნებისთვის შეაქეს.

იმ საღამოსვე ჩაჯდა მარიუსი დილიჟანსში და გაუდგა თავის გზას. რას წარმოიდგენდა, რომ თან მისდევდა ჯაშუში. რაც შეეხება ამ ჯაშუშს, ჩაჯდა თუ არა დილიჟანსში, მაშინვე დაეძინა. ტკბილად და სინდისიერად. თენდებოდა, როდესაც კონდუქტორმა დაიყვირა:

- ვერნონი! ვინ მიდის ვერნონში? გადაბრძანდით! ლეიტენანტი თეოდულიც გამოაღვიძა ამ ყვირილმა.

- ჰოდა მეც აქ ჩამოვხტები, - იძახდა მძინარე და ცდილობდა გამოფხიზლებულიყო.

ნელ-ნელა მოდიოდა გონზე. აგონდებოდა გუშინდელი. მოაგონდა თავისი მამიდა, ათი ოქრო, მარიუსი, მამიდის დავალება და თავისი დაპირება, - გავიგებ ვისთან დადის და შეგატყობინებთო. ამან სიცილი მოჰგვარა.

- იქნებ აქ არც კი იყოს, - ანუგეშებდა თავის თავს თეოდული, - იქნებ გზაში დარჩა სადმე, შეიძლება პუასიში დარჩა, ან არადამანტში, ან კიდევ როლბუაზში. თუ იქ არსად დარჩა, პასამდე ივლიდა დილიჟანსით, რომ იქიდან მარცხნივ წასულიყო ევრესკენ, ან მარჯვნივ ლაროშ-გიონისკენ. ერთი შენ თვითონ სცადე, მამიდაჩემო, და ქარს სდიე მინდორში! საქმე ის არის, რა პასუხი გავცე, რა მივწერო, რომ არ დამემდუროს მამიდაჩემი?

ამ დროს ვიღაცის შავი შარვალი დაინახა: დილიჟანსიდან, მეეტლის გვერდიდან ჩამოდიოდა ვიღაც.

იქნებ მარიუსი იყოს? - გაიფიქრა თეოდულმა.

ეს მარიუსი იყო.

იქვე ცხენებთან და ფოსტის მოხელეებთან პატარა გოგონა იდგა და ყვავილებს სთავაზობდა მგზავრებს.

- იყიდეთ, ბატონო, შეამკეთ თქვენი სატრფო, - იძახდა გოგონა.

მივიდა გოგონასთან მარიუსი, იყიდა საუკეთესო თაიგული და გზას გაუდგა.

- ხედავთ? ხედავთ? - გაიძახოდა თეოდული, - ახლა კი გავაბი! არა, ვისთვის მიაქვს ეს ყვავილები? ვნახოთ, ვნახოთ! არა, მართლა ლამაზი უნდა იყოს ის გოგო, რომელსაც ამ მშვენიერ თაიგულს მიართმევენ! ერთი ვნახოთ!

და გადმოხტა დავალების ასასრულებლად კი არა, ახლა თვითონ აეშალა ცნობისმოყვარეობა, როგორც იმ სანადირო ძაღლებს, რომლებიც ხშირად თავისთვის ნადირობენ.

შორიახლო მიჰყვა მარიუსს.

ის კი ყურადღებასაც არ აქცევდა თეოდულს. ლამაზი ქალები ჩამოდიოდნენ დილიჟანსიდან. იმ გზითვე მიდიოდნენ. მაგრამ ვერავის ხედავდა მარიუსი.

ძალიან გაუტაცია სიყვარულს! - ფიქრობდა თეოდული.

მარიუსი ეკლესიისკენ მიდიოდა.

- ძალიან კარგი, - იძახდა თეოდული, - რა სჯობს ეკლესიას? სატრფოსაც ნახავ. ღმერთსაც აამებ. თვალს ჩაუკრავ ლამაზ გოგოს, შუა ლოცვის დროს.

საყდართან მივიდა მარიუსი, მაგრამ არ შევიდა. უკნიდან მოუარა ეკლესიას.

- გარეთ გახლავთ პაემანი! - თქვა თეოდულმა, - ერთი ვნახოთ გოგონა!

და ფეხაკრეფით მიჰყვა მარიუსს იმ კუთხემდე, სადაც მარიუსმა გაიარა.

მივიდა კუთხემდე და გაჩერდა გაშტერებული.

საფლავის ბალახში მუხლმოყრილი იდგა მარიუსი. ხელები პირისახეზე აეფარებინა. თაიგული დაეშალა და საფლავზე დაელაგებინა ყვავილები. საფლავის

თავში პატარა შავი ხის ჯვარი იყო ჩამაგრებული და ზედ თეთრი ასოებით ეწერა: „პოლკოვნიკი ბარონი პონმერსი“. მარიუსის ქვითინი ისმოდა.

გოგოს ნაცვლად საფლავი აღმოჩნდა.

## თავი მერვე
## მარმარილო და გრანიტი

საფლავის სანახავად და მამის დასატირებლად იყო წამოსული მარიუსი მაშინაც, პირველად რომ დაეთხოვა პაპას და აქ, სასაფლაოზე მოდიოდა ყოველთვის, როდესაც გამოდიოდა პარიზიდან.

ბატონიბ ჟილნორმანი კი გაიძახოდა - ღამე სხვაგან სძინავსო.

განცვიფრებული შესცქეროდა თეოდული ამ მოულოდნელ სურათს. რას წარმოიდგენდა, რომ საფლავზე მტირალს ნახავდა მარიუსს. რაღაც გრძნობა მოერია, უცნაური და სასიამოვნო, რომელშიც ვერ გარკვეულიყო, და რომელშიც იყო პატივისცემა ცალკე საფლავისა და ცალკე მიცვალებული მხედრისადმი. უკან დაიწია. მარტო დატოვა მამის საფლავზე მარიუსი და აქაც გამოადგა სამხედრო დისციპლინა, ამ უკან დაწევაში, მსხვილი ეპოლეტებით მოსილი წარმოუდგა მიცვალებული და ცოტა დააკლდა, მხედრულად არ გამოესალმა საფლავს. და რადგან არ იცოდა, რა უნდა მიეწერა თავისი მოხუცებული მამიდისთვის, გადაწყვიტა, სულაც არაფერი მიეწერა.

შეიძლება არავითარი შედეგი არ მოჰყოლოდა თეოდულის ამ აღმოჩენას, მარიუსის სატრფოს ნახვას, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენდა უნებურად, აქაც სრულიად შემთხვევით, ვერნონის სცენამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია პარიზში.

მესამე დღეს დილით დაბრუნდა მარიუსი; შინ მივიდა და რადგან ძალიან დაღლილი იყო ორი ღამის უძილობით დილიჟანსში, იფიქრა, - ვიბანავებ, მერე მივწვები და დავიძინებო, - სიჩქარით იყო, თუ დაუდევრობით, სერთუკი გაიძრო, შავი ზონარი მოიხსნა ყელიდან და საბანაოდ წავიდა.

ბატონი ჟილნორმანიც ადრე დგებოდა, როგორც ყველა კარგად მყოფი ბებერი. მარიუსის მოსვლა გაიგო და ჩქარი ნაბიჯით, რამდენადაც კი შეეძლო მის გამხმარ ფეხს, შეუდგა კიბეს, მარიუსთან ასასვლელად მიემართებოდა პაპა, რომ მოხვეოდა, ეკოცნა თავისი შვილიშვილისთვის, ამ ალერსის დროს გამოეკითხა, და ამ საიდუმლოების შესახებ ცოტა რამ მაინც გაეგო.

მაგრამ ჭაბუკი უფრო სწრაფად ჩასულიყო კიბეზე, ვიდრე ოთხმოცი წლის მოხუცს შეეძლო ასვლა, და ბატონი ჟილნორმანი რომ ბანის ქვეშ მოთავსებულ ოთახში შევიდა, მარიუსი იქ აღარ დახვდა.

ლოგინი აშლილი იყო. ლოგინზე სერთუკი იდო და შავი ზონარი მოჩანდა.

- ეს კიდევ უკეთესი! - წამოიძახა ბატონმა ჟილნორმანმა.

და ცოტა ხნის შემდეგ გამარჯვებული შევარდა თავის ასულთან, რომელიც ქარგას უჯდა გატაცებული თავისი ხელსაქმით. ბატონი ჟილნორმანი გამარჯვებული და აღტაცებული იყო.

ცალ ხელში მარიუსის სერთუკი ეჭირა, მეორეში შავი ზონარი. შევარდა და შეჰყვირა:

- ახლა კი ხელთა მყავს ბიჭი! ახლა კი გავიგებთ ამ საიდუმლოს! ამას ხედავ? აქ არის იმის წიალის თავიც და ბოლოც! ახლაც დამიმალავს?! რომანიც აქ მაქვს და იმ გოგოს სურათიც.

და მართლაც, შავ ზონარს პატარა შავი ტყავის მედალიონი ეკიდა.

აიღო მედალიონი მოხუცებულმა და კარგა ხანს უყურა ხმის ამოუღებლად. ეჭირა ხელში და არ ხსნიდა. შესცქეროდა იმ მადააღძრული, დამშეული და თან გაბრაზებული ღარიბივით, რომელიც საგანგებო საჭმელ-სასმელს შეჰყურებს და იცის, რომ არაფერი ერგება...

- ამაში, ცხადია, ქალბატონის სურათია. მე რას მომატყუებს! გულზე ადევს დღე და ღამე თავისი სატრფო. რა სულელები არიან! იქნება ვინმე, საზიზღარი და იმისთვის იკლავს გულს საწყალი ბიჭი! წახდა, მთლად წახდა დღეს ყმაწვილკაცობა! სადღაა ჩემი დროის გემოვნება?

- სურათი ვნახოთ, მამა, - სთხოვა ქალმა.

გახსნეს მედალიონი. პატარა ქაღალდი იყო შიგ. ფრთხილად დაკეცილი, მეტი არაფერი.

- წავიკითხოთ! - ეხვეწებოდა ქალი.

დეიდამ სათვალე გაიკეთა. გაშალეს ქაღალდი და წაიკითხეს, „ჩემს შვილს. იმპერატორმა ბარონობა მიბოძა ვატერლოოს ბრძოლის ველზე. და რადგან დღევანდელი მთავრობა არ ცნობს ამ ჩემ წოდებას, რომელიც მე ჩემი სისხლით მაქვს დამსახურებული, მას ჩემი შვილი მიიღებს და ატარებს. რა თქმა უნდა, ის მისი ღირსი იქნება“.

შეუძლებელია იმ განცვიფრების სიტყვით გამოთქმა, რომელიც უცბად მოერიათ მამასაც და შვილსაც. გაქვავებულივით დარჩნენ ორივე, თითქოს სიკვდილის გამყინავი სუნთქვა იგრძნეს. ხმას არ იღებდა არც ერთი. ბოლოს ჟილნორმანმა წაიდუდუნა ჩუმად, თითქოს თავის თავს ეჩურჩულებაო:

- ეს უებრო მეომრის ხელია.

გამოართვა ქალმა ქაღალდი, კარგად გასინჯა, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, მერე ისევ მედალიონში ჩადო.

ახლა სერთუკს ეცნენ. ჯიბიდან პატარა კოლოფი გადმოვარდა. ლურჯ ქაღალდში შეხვეული. აიტაცა ქალბატონმა. გახსნა ლურჯი ქაღალდი, მარიუსის სადარბაზო ბარათები იყო. ამოიღო ერთი და მამას მიაწოდა.

- ბარონი მარიუს პონმერსი, - წაიკითხა ჟილნორმანმა.

და ზარი დააწკარუნა. შემოვიდა ნიკოლეტი.

აიღო მოხუცებულმა სერთუკი, კოლოფი, მედალიონი, იატაკზე დაანარცხა ყველაფერი და ნიკოლეტს უბრძანა:

- გამაცალეთ ეს ნაგავი!

მთელი საათი გავიდა ისე, რომ ხმა აღარ ამოუღიათ არც მამას, არც მის ასულს, ისხდნენ გაჩუმებულები. ზურგი შეაქციეს ერთმანეთს, და რაღა თქმა უნდა, ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ მამაც და შვილიც. ბოლოს ასე დააბოლოვა ქალბატონმა თავისი ფიქრი:

- კარგია თქვენმა მზემ!@

ამ დროს მარიუსიც გამოჩნდა. შეაღო კარი და გაფითრდა: პაპას მისი სადარბაზო ბარათი ეჭირა ხელში.

დაინახა ბატონმა ჟილნორმანმა თავისი ურჩი შვილიშვილი და დაიწყო ყვირილი, ბურჟუის მდიდრული ამპარტავნობით და თან დაცინვით:

- თქვენ ბრძანდებით? თქვენ? თქვენ? თქვენ? მაშ თქვენ ბარონი ბრძანდებით? მომილოცავს! ეს რას ნიშნავს?

ოდნავ აწითლდა მარიუსი და უპასუხა:

- ეს ნიშნავს, რომ მე მამაჩემის შვილი ვარ.

შიგ გულში მოხვდა ბატონ ჟილნორმანს. შეწყვიტა სიცილი და უკმეხად შეუტია:

- მამაშენი მე ვარ!

თავდაღუნული იდგა მარიუსი, ძლივს იკავებდა თავს:

- მამაჩემი თავმდაბალი კაცი იყო და თან გმირი, რომელიც სახელოვნად ემსახურა რესპუბლიკას და საფრანგეთს. მამაჩემი ერთგულად, თავგანწირვით იღვწოდა იმ მიმართულების გასამარჯვებლად, რომელსაც თავისუფლება და სამშობლოს დიდება ჰქვია. მამაჩემი მთელი ოცდახუთი წელიწადი ებრძოდა თავისუფლების მტრებს, ბრძოლაში დალია თავისი სოცოცხლე, დღე ბრძოლაში იყო, ღამე - თოვლსა და წვიმაში. სახელოვანი ვაუკაცი იყო მამაჩემი, გმირულად მებრძოლი, ოცჯერ დაჭრილი, და ისე მოკვდა ყველასგან მივიწყებული და მიტოვებული, რომ თავისი ერთადერთი შვილიც კი არ აჩვენეს. თუ რამე დანაშაული ჰქონდა მამაჩემს, ერთადერთი: მეტისმეტად, თავდავიწყებით უყვარდა ორი უმადური, სახელდობრ თავისი სამშობლო და თავისი შვილი.

ეს კი მეტისმეტი იყო! როგორ შეიძლებოდა ამის თქმა ბატონ ჟილნორმანთან? რესპუბლიკის ხსენებაზე წამოიწია, უკეთ ვთქვათ, წამოვარდა, წამოიჭიმა. ისე მოქმედებდა მეფის მოხუცებულ მომხრეზე მარიუსის ყოველი სიტყვა, როგორც საბერველი გაჩაღებულ ნაკვერცხალზე. ფერმიხდილს სისხლი აუვარდა თავში, გაწითლებულს მეწამულისფერი დაედო და მეწამულს ალმოდებული.

- მარიუს! - შეჰყვირა პაპამ, - უბედურო! მე არ ვიცი, რა იყო მამაშენი, და არც მინდა მაგის ცოდნა! მე მისი არაფერი ვიცი და არც კი ვიცნობ. თუ მართალი გინდა! მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ იქ, მამაშენთან, უსინდისო, ქურდების გარდა არავინ იყო! თუ იყო ვინმე, სულ ყაჩაღები, სულ ქურდები, გეყურება? სულ ყველანი ქურდები იყვნენ და თავისი ჯიბის მეტი არაფერი სწამდათ! მე არც ერთ მათგანს არ ვიცნობ! მაგრამ ყველას კი ვახასიათებ, გეყურება? გაიძვერა ქურდების მეტი იქ არავინ ყოფილა! - ჰოდა, მართალი გინდა? როგორც ჩემი ფლოსტი არ არის თავადი, ისე შენ არ ხარ ბარონი! ყაჩაღები იყვნენ ყველანი და რობესპიერს ემსახურებოდნენ! ყაჩაღები, რომლებიც ბუ-ო-ნაპარტეს ემსახურებოდნენ! ყაჩაღები იყვნენ ყველანი, სამშობლოს მტრები და გამყიდველნი! ღალატის მეტი არაფერი იცოდნენ! ღალატი და ღალატი! უღალატეს სამშობლოს, უღალატეს კანონიერ მეფეს! ვატერლოოს გაიძახი? ვატერლოოში არ იყო, რომ კუდამოძუებული გაურბოდნენ შენი გმირები პრუსიელებისა და ინგლისელების ჯარს! არ ვიცი, შეიძლება ბატონი მამათქვენიც იქ ბრძანდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა? მართალს მოგახსენებთ და ნუ გამიწყრებით!

ახლა მარიუსი გამხდარიყო კოცონად და პაპას რგებოდა საბერველობა. თავით ფეხებამდე თრთოდა ჭაბუკი. არ იცოდა, რა ექნა, რა პასუხი გაეცა? ქურუმი იყო, რომელიც ხედავს, რომ ფეხქვეშ თელავენ მის სალოცავს, და ხმა ვერ ამოუღია. ფაკირი იყო, რომელიც ხედავს, როგორ აფურთხებენ მის სალოცავ კერპს. ნუთუ უპასუხოდ დატოვებდა მისი წმინდათაწმინდას ამდენ ლანძღვას? მაგრამ რა უნდა

ექნა? მის მამას ლაფი გადაასხეს, ძირს დასცეს და ქელვა დაუწყეს! ეს მოითმინოს? მერე ვინ გაბედა, ვინ შეუგინა მამა? საკუთარმა პაპამ! როგორ იყაროს ჯავრი? როგორ აღადგინოს მამა, რომ პაპა არ შეურაცხყოს? ლანძღვას ხომ ვერ დაუწყებდა თავის პაპას. შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელია აგრეთვე მისი მიცვალებული მამის შეურაცხყოფის უპასუხოდ დატოვება. ერთი მხრივ, წმინდა საფლავი, მეორე მხრივ, ჭაღარა. მთვრალივით იყო ცოტა ხანს, ბარბაცებდა, თან ბრაზი ერეოდა და თან - პაპისადმი პატივისცემა. ბოლოს წამოიწია ამაყად, თვალი თვალში გაუყარა თავის პაპას და შეჰყვირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

- ძირს თქვენი ბურბონებიც და ღიპიანი ღორი ლუი მეთვრამეტეც!

ლუი მეთვრამეტე უკვე ოთხი წელი იყო, რაც მომკვდარიყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა მარიუსისთვის.

ალივით აწითლებულ მოხუცებულს ფერი ეცვალა უცბად, თავის ჭაღარაზე უფრო გათეთრდა. ჰერცოგ დე-ბერის ქანდაკებასთან მივიდა, ბუხრის თავზე რომ იდგა, და ღრმად, ზეიმურად დაუკრა თავი. მერე ხმის ამოუღებლივ ორჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში თავიდან ბოლომდე, ბუხრიდან ფანჯარამდე, პარკეტი ააჭრიალა, თითქო ადამიანი კი არა, მოსიარულე ქვის ქანდაკება ყოფილიყოს. მერე თავის ქალთან მივიდა, რომელიც შეშინებული ბებერი ცხვარივით შეჰყურებდა მოკამათე მამას და დისწულს, დაიხარა და ღიმილით, თითქმის სრულიად დამშვიდებული ხმით უთხრა:

- ერთად ვერ მოთავსდებიან, ერთ ჭერქვეშ, დიდებული ბარონი, როგორიც ეს პატარა ბატონი ბრძანდება, და მდაბიო ბურჟუა, როგორიც მე ვარ.

მერე უცბად წელში გაიმართა. თვალები დააჭყიტა, ფერმიხდილი, გაშმაგებული მივარდა მარიუსს, ხელი გაიშვირა კარისკენ და შეჰყვირა:

- გადი აქედან!

გავიდა სახლიდან მარიუსი.

მეორე დღეს ბატონმა ჟილნორმანმა უთხრა თავის ქალს:

- სამოც პისტოლს გაუგზავნით ყოველ ექვს თვეში იმ სისხლისმსმელს და ეცდებით, ხსენებაც აღარ იყოს აქ მისი.

მაგრამ იმდენი ბრაზი ჩარჩენოდა გულში, იმდენი დაუნთხეველი ცოფი, რომ თქვენობით ელაპარაკებოდა თავის ქალს სამი თვის განმავლობაში, რადგან სხვა არავინ ჰყავდა, რომ იმაზე ეყარა ჯავრი.

თავის მხრივ მარიუსიც აღშფოთებული გამოვარდა სახლიდან. აქაც ერთი გარემოება ჩაერია მის ბედისწერაში და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა იგი. ოჯახში აღძრულ უთანხმოებას ყოველთვის ემატება ამგვარი, შემთხვევითი გარემოება და ართულებს მდგომარეობას: ამრავლებს ერთმანეთისადმი სასაყვედუროს, თუმცა ძირითადად არაფერს უმატებს უთანხმოების გამომწვევ მიზეზს: ბრძანება რომ მიიღო ნიკოლეტმა, - გამაცალე ეს ნაგავიო, - საჩქაროდ აიტაცა იატაკიდან მარიუსის სერთუკი, მედალიონი და ბარათები, რომ მის ოთახში აეტანა. მაგრამ ბანის სართულის ასასვლელ ბნელ კიბეზე ხელიდან გაუვარდა შავი მედალიონი, რომელშიც დაკეცილი იდო მარიუსის მამის ხელით დაწერილი ქაღალდი. ვეღარც მედალიონი იპოვეს, ვეღარც შიგ ჩამალული ქაღალდი. მარიუსი დარწმუნებული იყო, რომ ბატონმა ჟილნორმანმა, - იმ დღის შემდეგ სხვაგვარად აღარ იხსენიებდა თავის პაპას, - ცეცხლში ჩააგდო მამის ანდერძი. ეს ანდერძი ზეპირად იცოდა მარიუსმა და

მაშასადამე თავისას აღადგენდა, მაგრამ სავალალო თვით ქაღალდის დაკარგვა იყო, მამის ხელით ნაწერის, წმინდა ნაშთისა, რომელიც თავის გულად უღირდა.

გავიდა სახლიდან მარიუსი. არ თქვა, სად მიდიოდა და არც იცოდა, სად წავიდოდა. ჯიბეში ოცდაათი ფრანკი ჰქონდა, თავისი საათი და ცოტა რამ ტანისამოსი. საათობით გაურიგდა მეეტლეს და ლათინების უბნისკენ წავიდა.

## წიგნი მეოთხე
## ანბანის მოყვარენი

### თავი პირველი
### პატარა ჯგუფი, რომელმაც კინაღამ ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა

იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრება ჩამკვდარი იყო, მაგრამ ჩუმი რევოლუციური თრთოლა მაინც იგრძნობოდა. 89 და 92 წლების იდეების სიო ედებოდა ქვეყანას. ყმაწვილკაცობა, იმედი გვაქვს, გვაპატიებენ ამ სიტყვას, ნელ-ნელა ტყავს იცვლიდა. თითქმის შეუმჩნევლად იცვლებოდა საზოგადოებრივი აზროვნება ჟამთა ვითარების ზეგავლენით. საათის ისარი რომ იძვრის ციფერბლატზე, ადამიანის სულშიც იძვრის და წინ სწევს. დრომ მოიტანა, საჭირო იყო ნაბიჯის წინ გადადგმა და წინ მიიწევდა ყველა. მეფის მომხრენი ლიბერალებად იქცეოდნენ, ლიბერალები - დემოკრატებად.

ცხოვრება ზღვის მოქცევას მოგაგონებდათ, ათასგვარ უკუქცევით გართულებულს. უკუქცევის შედეგად ყოველთვის ქაოსი რჩება და აქედან ხდება განსხვავებული აზრების უცნაური შეერთება. ერთსა და იმავე დროს თაყვანს სცემდნენ ნაპოლეონს და თავისუფლებას. ჩვენ აქ ისტორიას მოგითხრობთ. ამგვარი იყო იმ დროის მიდრეკილება. აზრსაც თავისი საფეხურები აქვს გასავლელი. ვოლტერიანელთა როიალიზმს, უცნაურ მიმართულებას ისტორიაში, ძალიან უხდებოდა არანაკლებ უცნაური ბონაპარტული ლიბერალიზმი.

სხვა მოაზროვნე ჯგუფები უფრო მეტი სერიოზულობით გამოირჩეოდნენ. აქ პრინციპს უკვირდებოდნენ, იქ ადამიანის უფლებებს ემყარებოდნენ; გატაცებული იყვნენ აბსოლუტით, განსახორციელებელ ლანდად ეჩვენებოდათ უსაზღვროებანი. აბსოლუტი თავისი სასტიკი ძალის გამო ზეცისკენ მიაფრენს აზრს და იქ აციალებს უსაზღვროში. საგანგებო რამ არის დოგმა, რომელიც ასე ადვილად ქმნის ოცნებას და საგანგებო რამ არის ოცნება, რომელიც ქმნის მომავალს. უტოპიად გეჩვენებათ ის, რაც ხვალ განხორციელებული სინამდვილე ხდება.

მოწინავე აზროვნებას ორგვარი ფუძე ჰქონდა. იდუმალი ვრცელდებოდა ხალხში და ემუქრებოდა „არსებულ წესწყობილებას“, რომელიც საეჭვოც იყო და ფარულიც. ეს რევოლუციური მოძრაობის უძლური ნიშნებია. მთავრობის ფარულ განზრახვას საფარში ხვდება ხალხის ფარული განზრახვა. სახელმწიფო წესწყობილების გარდაქმნის ფარულ განზრახვას პასუხობს ხალხის ფარული მზადება აჯანყებისთვის.

ჯერ არ იყო მაშინ საფრანგეთში ის ფართო საიდუმლო ორგანიზაციები, როგორიც გერმანული ტუგენდბუნდი და იტალიელების კარბონარიზმია. მაგრამ აქა-იქ ჩნდებოდა და ფართოვდებოდა საიდუმლო საზოგადოებათა მოღვაწეობა, ექსში კუგურდა იკრიბებოდა. პარიზში სხვა ამგვარ საზოგადოებათა შორის არსებობდა ანბანის მოყვარეთა საზოგადოება.

რა იყო ეს ანბანის მოყვარეთა საზოგადოება? საზოგადოება - რომელსაც სახელის მიხედვით ბავშვების აღზრდა უნდა ჰქონოდა მიზნად, ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, სინამდვილეში კი საზოგადოების მიზანი დაჩაგრულების შველა და წელში გამართვა იყო.

ანბანის მოყვარენი ვართო, აცხადებდნენ, და „l'abaisse" დაჩაგრული, დამცირებული ხალხი იყო. საზოგადოებას მიზნად ამ დაჩაგრულების დახმარება და გათავისუფლება ჰქონდა. კალამბური, რომლის ორაზროვნებას სასაცილო არაფერი აქვს. კალამბური ხანდახან ფრიად მნიშვნელოვანი ხდება ისტორიაში; ამის დასამტკიცებლად Castratus ad castra, რა სიტყვამაც ნარზესს ლაშქრის მხედართმთავრობა შესძინა: ან კიდევ tu es Petrus et super hanc Petram და სხვა და სხვა

მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ ანბანის მოყვარენი, ახალჩასახული საიდუმლო საზოგადოება იყო. ორგან იკრიბებოდნენ პარიზში: ერთი ბინა ბაზართან იყო, ერთ რესტორანში, სახელდობრ „კორინთში", ამის ხსენება შემდეგშიც დაგვჭირდება; და მეორე პანთეონის ახლოს, სენ-მიშელის მოედანზე, კაფე „მუზენში", რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. პირველი ბინა მუშების შეკრებისათვის იყო დანიშნული, მეორე სტუდენტებისთვის.

ანბანის მოყვარეთა გამგეობის სხდომა კაფე „მუზენის" ერთ მიყრუებულ, მიმალულ ოთახში იყო ხოლმე.

ეს ოთახი ძალიან მოშორებული იყო კაფეს საზოგადო დარბაზიდან, რომელსაც გრძელი, ვიწრო ტალანით უერთდებოდა. ორი ფანჯარა ჰქონდა და პატარა კარით, ბნელი, საიდუმლო კიბით დეგრეს ვიწრო ქუჩაში გადიოდა. იქ იკრიბებოდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ, სვამდნენ, თამაშობდნენ, დროს ატარებდნენ. ხმამაღლა მსჯელობდნენ ყოველგვარი საკითხის შესახებ და ჩუმად, ჩურჩულით სხვა რამეზე. კედელზე გაკრული იყო ერთი ძველი, საფრანგეთის რესპუბლიკის დროინდელი რუკა. საკმარისი საფუძველი პოლიციის მოხელეთათვის, რომ ეჭვი აღძვროდათ.

ანბანის მოყვარეების უმეტესი ნაწილი სტუდენტები იყვნენ და გულითადი ერთობა ჰქონდათ უმცირესობასთან - მუშებთან. მოგვყავს ამ საზოგადოების უმთავრეს მოღვაწეთა სახელები, რადგან ნაწილობრივ მაინც ეკუთვნიან ისინი ისტორიას: ანჟოლრასი, კომბფერი, ჟან პრუვერი, ფეილი, კურფეირაკი, ბაორელი, ლეგლი, ჟოლი, გრანტერი.

გულითადი მეგობრები გახლდნენ ეს ყმაწვილი ბიჭები. სამხრეთელები იყვნენ ყველანი, ლეგლის გარდა.

შესანიშნავი იყო ეს ჯგუფი. შემდეგში გაქრა იმ თვალმიუწვდომელ სიღრმეში, რომელიც ჩვენ უკან რჩება. იმ წერტილამდე მივაღწიეთ ჩვენს მოთხრობაში, რომ ზედმეტი არ იქნება, სინათლის სხივი მოვფინოთ ამ იდეით გატაცებულ ყმაწვილკაცობას, სანამ მკითხველი დაინახავს, თუ როგორ მოხვდებიან ისინი ტრაგიკულ სიბნელეში.

პირველად ანჟოლრასი დავასახელეთ და მკითხველი შემდეგში ნახავს, რატომ მივეცით ეს უპირატესობა.

ანჟოლრასი მეტად მდიდარი ოჯახის ერთადერთი შვილი იყო, ანგელოზივით ლამაზი და მომხიბლავი ბიჭი, მაგრამ გაცხარებაც კარგად იცოდა - ანტინოუსი იყო, ოღონდ მკაცრი ანტინოუსი. ვინმეს იმის ჩაფიქრებულ თვალთა ანარეკლი რომ

დაენახა, იტყოდა, - ამ კაცს თავის წინანდელ სიცოცხლეში უკვე განუცდია რევოლუციის გამოცხადებაო. ისე იცოდა რევოლუციის ყოველი ტრადიცია, თითქოს მართლა მონაწილეობა მიეღოს წარსულ საუკუნეთა რევოლუციებში. წინასწარ იცოდა თავისი დიდებული საქმის ყოველი უმცირესი წვრილმანი. ბუნებით მღვდელთმთავარს ემსგავსებოდა, მებრძოლს. გულწრფელად ემსახურებოდა თავის მიზანს და იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისთვის. დროის თვალსაზრისით რევოლუციის უბრალო ჯარისკაცი იყო; სანატრელი მომავლის მიღწევისთვის კი - იდეალის ქურუმი. თვალის კაკალი ღრმად ჩავარდნილი ჰქონდა, მოწითალო ქუთუთო, სქელი ქვედა ტუჩი, რომელიც უსიტყვოდ წარმოთქვამდა რაიმესადმი ზიზღს, და მაღალი, გაშლილი შუბლი. დიდი შუბლი იგივეა პირისახისთვის, რაც ფართოდ გაშლილი ცა - ჰორიზონტისთვის. წარსული საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დამდეგს როგორც სხვა ბევრი ყმაწვილი კაცი, ანჟოლრასიც სახელგანთქმული იყო; უმანკო, როგორც ყმაწვილი ქალი, თუმცა ხშირად ფერიც ეკარგებოდა, ვაჟკაცი იყო უკვე, და მაინც ბავშვს ჰგავდა. ოცდაორი წლის ჭაბუკი ჩვიდმეტი წლისას მოგაგონებდათ. ეტყობოდა, არც კი იცოდა, რომ არსებობს ქვეყნად ქალად წოდებული არსება. ერთადერთი სწამდა - უფლება, ერთადერთი ენატრებოდა - ხალხის მჩაგვრელი უსამართლობის დამხობა. ავენტინის მთაზე რომ ყოფილიყო, გრაკხუსი იქნებოდა; კონვენტში - სენ-ჟუსტი. ვარდს ვერ ხედავდა, გაზაფხულის არაფერი იცოდა, ფრინველთა გალობა არ ესმოდა. ღია გულმკერდი რომ დაენახა ევადნესი, ისევე გულცივად დარჩებოდა, როგორც არისტოგიტონი. ისიც ჰარმოდიუსის აზრის იყო და, ყვავილები მხოლოდ იმისთვის მიაჩნდა გამოსადეგად, რომ იარაღი დაემალა. დროს ტარებაშიც კი მკაცრი იყო. ყურადღებას არ აქცევდა არაფერს, რაც რევოლუციას არ შეეხებოდა, და თუ ამისთანა რამე შეხვდებოდა, უმანკო ქალწულივით დახრიდა თვალებს. მარმარილოსავით მყარი ადამიანი იყო, და თავისუფლება იყო მისი სატრფო, სიტყვა მკაცრი შთაგონებით ჰქონდა აღსავსე და კილო - ჰიმნისა. მოულოდნელად იცოდა ფრთის გაშლა. ვაი იმ ქალს, რომელიც მასთან დაახლოებას მოინდომებდა! კამბრეს მოედანზე, ან სენ-ჟან-დე-ბოვეს ქუჩაში რომ დაენახა მოსეირნე ქალს და მოსწონებოდა ეს სალუქი, ლამაზთვალწარბიანი, ქარით თმააშლილი, ვარდისფერღაწვება, ბაგედაკოკრებული ბიჭი და მასთან მოენდომებინა ჟინის ჩაქრობა, მიახლოებოდა, რომ ქალის სილამაზით მოეხიბლა, ზიზღით სავსე უარს მიიღებდა, უცბად დაინახავდა იმ გადაულახავ უფსკრულს, რომელიც აშორებს მათ ერთმანეთისგან, და საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ ბომარშეს ზრდილ არშიყ ქერიებინსა და ეზეკიელის მრისხანე ქერუბიმს ერთნაირად არ უნდა ექცეოდეს.

ანჟოლრასს გვერდში უდგა კონბფერი.

ანჟოლრასი რევოლუციის ლოგიკა იყო, კონბფერი - ფილოსოფოსია. რევოლუციის ლოგიკას და ფილოსოფიას შორის ის განსხვავებაა, რომ ლოგიკამ თავისი მიზნის განსახორციელებლად შეიძლება ბრძოლას მიმართოს, ფილოსოფია კი მარტო მშვიდობიანობით ხელმძღვანელობს. კონბფერი ასწორებდა და დასრულებულ სახეს აძლევდა ანჟოლრასის იდეებს. მასავით სულ მაღლა არ იდგა, მაგრამ უფრო ვრცელი თვალსაზრისი ჰქონდა. ხალხის განვითარებისთვის ერთადერთ საშუალებად სწავლა-განათლება და დიდებული პრინციპების გავრცელება მიაჩნდა. მოკლედ ჭრიდა თავისას: - რევოლუცია საჭიროა, ოღონდ განათლებაც აუცილებელია. ციცაბო მთის მწვერვალიდან მომავლის უსაზღვრო

ჰორიზონტს შლიდა. ამიტომ კონბფერის ყველა მოსაზრებაში ყოველთვის მოიპოვებოდა რაღაც მისაღები და კონბფერის რევოლუცია უფრო ადვილად ასატანი იქნებოდა, ვიდრე ანჟოლრასის. ანჟოლრასი თავის მრწამსს ღვთიურ სამართლიანობაზე ამყარებდა, კონბფერი - ბუნებრივზე. პირველს რობესპიერი ჰყავდა სალოცავად, მეორეს - კონდორსე. კონბფერის ცხოვრება სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ისტორიაში რომ ყოფილიყვნენ მოხსენებული ეს ყმაწვილი კაცები, ერთის დასახასიათებლად „მართალი“ იქნებოდა ნათქვამი, მეორის დასახასიათებლად - „ბრძენი“. ანჟოლრასი უფრო მამაცი იყო, კონბფერი - უფრო ადამიანი. Home et Vнr - სწორედ ამით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. რამდენადაც მკაცრი იყო ანჟოლრასი, იმდენად ლმობიერი - კონბფერი. უყვარდა სიტყვა „მოქალაქე“, მაგრამ უფრო მეტად - სიტყვა „ადამიანი“, რომელსაც სიამოვნებით გამოთქვამდა ესპანურად - ომბრ. ბევრს კითხულობდა, თეატრში დადიოდა, კრებებს ესწრებოდა, სწავლობდა არაგოს სინათლის გაბნევას. აღტაცებული იყო ჟოფრუა სენტ-ილერის ლექციით, და იმის განმარტებით, რომ ორგვარი დანიშნულება აქვთ გარეთა და შიგნითა საძილე არტერიებს, რომლებიც ერთი პირისახეს ერთვის და მეორე თავის ტვინს. კვალდაკვალ მისდევდა მეცნიერებას, ადარებდა სენ-სიმონს და ფურიეს. იკვლევდა და კითხულობდა იეროგლიფებს, სინჯავდა და იკვლევდა მიწის ფენებს, მსჯელობდა გეოლოგიაზე, მეხსიერებით ხატავდა ჰეპელა-მახარობელს, შეცდომებს პოულობდა აკადემიის მიერ გამოცემულ ლექსიკონში, სწავლობდა მარშალ პუისეგურს და დელეუზს, არ ამტკიცებდა არაფერს; სასწაულსაც კი, და არ უარყოფდა არაფერს, საიქიოდან მოსულთაც კი; ფურცლავდა ძველი წლების გაზეთ „მონიტორს“ და ფიქრობდა, - სკოლის მასწავლებელზე არის დამოკიდებული მომავალიო; ცდილობდა ხალხში სწავლის გავრცელებას, - საზოგადოება დაუსრულებლად უნდა ზრუნავდეს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზეო, - და ამისთვის მეცნიერების გავრცელებას უნდა ცდილობდეს, მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებას, რისთვისაც მეტად სუსტად მიაჩნდა თავისი დროის სწავლის მეთოდები და მწერლობის სულ ორი-სამი საუკუნის ნაწარმის მნიშვნელობა. ეშინოდა მთავრობის მიერ დანიშნული მასწავლებლების პედანტიზმის, სკოლებში ჭეშმარიტებად აღიარებული ცრუმორწმუნეობის და დაუფიქრებლად დაწესებული ძველი ქადაგების, რომლის შედეგადაც ჩვენი სასწავლებლები შეგნებული ადამიანის ნაცვლად, ძველის თაყვანისმცემელს და ახლის მტერს ქმნიან. უყვარდა მეცნიერება, ენის სიწმინდე, ენამჭევრობა, პოლიტექნიკა, გულმოდგინედ მუშაობა და თანაც ფიქრი. ისე გაიტაცებდა ხოლმე ფიქრი, რომ - ლანდით ტკბებაო, - ამბობდნენ მისი მეგობრები. სწამდა და შესაძლებლად მიაჩნდა თავისი დროის ოცნებათა განხორციელება: რკინიგზა, გაუტკივარება ქირურგიულ ოპერაციებში, სურათის აღბეჭდვა ფოტოგრაფიით, ელექტრული ტელეგრაფია, საჰაერო ბურთის მართვა. იმავე დროს ცრუმორწმუნეობის და დესპოტიზმის მიერ ხალხის დასამონებლად აგებული ციხესიმაგრეების არავითარი შიში არ ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მეცნიერება ყველაფერს ძირიანად გარდაქმნიდა. ანჟოლრასი მხედართმთავარი იყო, კონბფერი წინამძღვარი. ბრძოლა რომ ამტყდარიყო, ანჟოლრასს დააყენებდნენ მოთავედ, და კონბფერს - მრჩევლად. იმის თქმა კი არ გვინდა ამით, რომ კონბფერს ბრძოლა არ შეეძლო; პირიქით, სადაც საჭირო იყო, გამკლავებაც კარგად იცოდა და მოწინააღმდეგის ჯობნაც; მაგრამ მიზნის

განსახორციელებლად უკეთესად მიაჩნდა ხალხში სწავლის ნელ-ნელა გავრცელება, ამით ხალხის გამოღვიძება და სიკეთის გამეფება. ორი სინათლის არჩევანზე რომ მისულიყო საქმე და იძულებული ყოფილიყო ან განათლებას მიმხრობოდა, ან ხანძარს, განათლებას აირჩევდა. მართალია, ხანძარი ბევრ რამეს მოჰფენს სინათლეს, მაგრამ რატომ არ უნდა მოვითმინოთ, რომ ინათოს და ბრწყინვალე შუქი მოეფინოს ქვეყანას? ვულკანიც ანათებს, მაგრამ სად ცეცხლის მფრქვევი ვულკანი და სად ქვეყნის მანათობელი მზე? შეიძლება ვთქვათ, რომ კონბფერს სპეტაკი მშვენიერება უფრო მოსწონდა, ვიდრე აელვარებული დიდება. ამ გულჩვილ ბრძენს კვამლში შერეული სინათლე და სისხლის ღვრით შეძენილი პროგრესი ვერ აკმაყოფილებდა. ხალხის ამბოხი და იარაღით ბრძოლა აშინებდა; აშინებდა ოთხმოცდაცამეტი წლის განმეორება. მაგრამ უმოძრაობის უფრო ეშინოდა, რადგან იქ ლპობისა და კვდომის მეტს ვერაფერს ხედავდა. და თავისდა უნებურად მიდიოდა დასკვნამდე, რომ ქაფიანი სჯობია დამყაყებულს, ნაკადი - ჭაობს და ნიაგარის ჩანჩქერი - მონფოკონის ტბას. არც გაჩერება უნდოდა, არც აჩქარება. და იმ დროს, როდესაც მისი ამხანაგები რაინდულად იყვნენ გახელებული და თაყვანს სცემდნენ რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებულ მოძრაობას, ის პროგრესზე ამყარებდა ხალხის გამარჯვების და გათავისუფლების იმედს, კეთილ პროგრესზე; იქნებ ცივიც იყოს პროგრესი, მაგრამ წმინდაა; მეთოდით მოძრავი, მაგრამ უმწიკვლო; მეტად მშვიდი და წყნარი, მაგრამ მტკიცე და ურყევი, მუხლმოყრილი შეევედრებოდა, მნიშვნელობა რომ ჰქონოდა რამე მის ვედრებას, რომ მომავალი მთელი თავისი სიწმინდით ღირსებოდა კაცობრიობას, და არავითარი მწიკვლი არ დამჩნეოდა ხალხთა სათნოებით სავსე მოძრაობას. - სიკეთე უზადო უნდა იყოსო, - იტყოდა ხოლმე ძალიან ხშირად და მართლაც, თუ რევოლუციის დიდება იმაში მდგომარეობს, რომ თვალს აღარ ვაშორებდეთ იდეალს და მისკენ მივისწრაფოდეთ ცეცხლითა და მახვილით, მაშ პროგრესის დიდებაც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ წმინდა და უმწიკვლო იყოს. ერთის წარმომადგენელი დანტონია, მეორის - ვაშინგტონი, და ეს მოღვაწენი იმით განირჩევიან ერთმანეთისგან, რომ ერთი ორბისფრთიანი ანგელოზია, მეორე - გედისფრთიანი.

ჟან პრუვერი კიდევ უფრო გულჩვილი იყო, ვიდრე კომბფერი. ჟეანი მქვიაო, - იძახდა, რადგან იმ დროს გატაცებული იყო შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლით. ვიღაც ქალს ეტრფოდა ჟან პრუვერი, ქოთნებში ყვავილებს თესდა, ფლეიტას უკრავდა, ლექსებს თხზავდა, ხალხი უყვარდა, დედაკაცი ებრალებოდა, ბავშვისთვის წუხდა, ერთნაირად სწამდა ღმერთი და მომავალი, და ემდუროდა რევოლუციას, რომ თავი გააგდებინა ისეთ სახელოვან პიროვნებას, როგორიც იყო ანდრე შენიე. ლაპარაკობდა ერთობ ტკბილი ხმით, მაგრამ უცბად გაბრაზებაც იცოდა: ბევრს კითხულობდა, ბევრი იცოდა, და თითქმის ორიენტალისტი იყო. კეთილი იყო უპირველეს ყოვლისა და პოეზიაში უსაზღვრო უფრო მოსწონდა. იცოდა იტალიური, ლათინური, ბერძნული, ებრაული, მაგრამ ამით მარტო ოთხი პოეტის საკითხავად სარგებლობდა, ეს იყო: დანტე, იუვენალი, ესქილე და ისაია. ფრანგ მწერლებში კორნელი უფრო მოსწონდა, ვიდრე რასინი, და აგრიპა დ-ობინიე, ვიდრე კორნელი. სიამოვნებით დასეირნობდა მინდორში, ყვავილებით და ამოსული ქერით ტკბებოდა, თითქმის ისევე აკვირდებოდა ღრუბელს, როგორც ცხოვრების რაიმე მოვლენას. ორ რამეს სცემდა თაყვანს მისი გონება, ერთი ადამიანი იყო, მეორე - ღმერთი.

სწავლობდა და თან იკვლევდა. დღესა და ღამეს ასწორებდა საზოგადოებრივი საკითხების შესწავლაში, როგორიცაა: ხელფასის, კაპიტალის, კრედიტის, ქორწინების, სარწმუნოების, სიტყვის თავისუფლების, სიყვარულის, თავისუფლების, ბავშვთა აღზრდის, სასჯელის, სიღარიბის საკითხები; იკვლევდა მდაბიო ხალხის გასაჭირს, რომელიც შავ ღრუბლად დასწოლია კაცობრიობას. ღამე კიდევ ვარსკვლავებს შესცქეროდა და ტკბებოდა მათი სიდიადით. ანჟოლრასივით თავისი მშობლების ერთადერთი შვილი იყო, ძალიან მდიდარი. ნელი ხმით ლაპარაკობდა, უმიზეზოდ წითლდებოდა, კრთებოდა, თუმცა ძალიან გამბედავი იყო.

ფეილი მარაოების მკეთებელი მუშა იყო, ძლივს შოულობდა დღეში სამ ფრანკს. ობოლი იყო, აღარც დედა ჰყავდა, აღარც მამა და ერთადერთი ოცნება ჰქონდა - ქვეყნიერების განთავისუფლება. მეორე საზრუნავიც ჰქონდა - თავისი განათლება, - რასაც ის თავისებურად თავის განთავისუფლებას უწოდებდა. წერა-კითხვა თვითონვე ესწავლა, და საერთოდ რაც კი ცოდნა გააჩნდა, თვითონვე შეეძინა. დიდსულოვანი კაცი იყო და ფართო გონებრივი შესაძლებლობები ჰქონდა. ამ ობოლს შვილად ხალხი აეყვანა, დედად - თავისი სამშობლო გაეხადა. ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა, კაცი ამ ქვეყნად ყოფილიყო და სამშობლო არ ჰქონოდა. გულში ედო და უღვივოდა ის, რასაც დღეს ეროვნულობის იდეას ვეძახით. გულში ედო და გრძნობდა ხალხის შვილის გამჭრიახი შორსმხედველობით, რომ ამ იდეას ეკუთვნოდა მომავალი. ისტორია იმ განზრახვით შეესწავლა, რომ წარსული ცხოვრების საშინელების მიზეზები გაეცნო და დაეგმო. უტოპისტების ამ პატარა წრის წევრებს უფრო საფრანგეთის ჭირ-ვარამი აწუხებდათ და ამ მხრივ ფეილი საზღვარს იქით იყო გასული. კარგად იცნობდა საბერძნეთს, პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს, იტალიას და ხშირად ასახელებდა ამ ქვეყნებს. საბერძნეთს და თესალიას ოსმალეთი დაჰპატრონებოდა, ვარშავას - რუსეთი, ვენეციას - ავსტრია; აღშფოთებული იყო ამ ძალმომრეობით და მეტადრე პოლონეთის გაყოფით 1772 წელს. სიმართლის დათრგუნვით გამოწვეული აღშფოთება ადამიანს ძლიერებას და მჭევრმეტყველებას სძენს, და ამ მჭევრმეტყველებით ამტკიცებდა თავისას ფეილი. გაშმაგებით ახსენებდა 1772 წელს, თავისუფალი პოლონეთის ვერაგულად დაპყრობას და განაწილებას, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის სამარცხვინო საქციელს, თავისუფალი ხალხის მახეში გაბმას და დამონებას. ძლიერთაგან პოლონეთის დაპყრობა მისაბაძ მაგალითად გახდა შემდგომში და მრავალი პატარა ერის მოსპობა და დამონება გამოიწვია. თანამედროვე ცხოვრებაში რაც პატარა ერების ძლიერთაგან დაპყრობას ვხედავთ, სულ პოლონეთის უბედურების შედეგია. პოლონეთის გაყოფა თეორემად იქცა, რომლის დასკვნა შემდეგია: - ძალოვანი ხარ? ანდერძი აუგე სუსტს და მით უფრო გაძლიერდი! - არ არის არც ერთი მტარვალი, არც ერთი მოღალატე, აგერ საუკუნეა მას შემდეგ, რომელიც იმავე განზრახვით, დამშეული მგლის თვალით, არ შეჰყურებდეს პატარა ერს და პოლონეთის გამყოფებივით არ ცდილობდეს მის ხელში ჩაგდებას და დამონებას. თანამედროვე პატარა ერების ისტორია რომ გადავსინჯოთ, ყველგან ერთსა და იმავეს ვნახავთ, პოლონეთის ბედი სწვევია ყველას. ვენის კონგრესმაც თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად იგივე მიიღო, პოლონეთის დაშლა და დამონება. საშინელებად მიაჩნდა ეს ფეილს და ყოველთვის ისე ბჭობდა, თითქო საწყალი მუშა კი არა, დაჩაგრული ხალხების გულმოკლული

წარმომადგენელი ყოფილიყოს. თავის ნათქვამს საფუძვლად სამართლიანობას უდებდა და ამით იყო შესანიშნავი.

და მართლაც, უკვდავი არის უფლება. შეუძლებელია, ვერც ვარშავას გაიხდით მსახურად და ვერც ვენეციას გააველურებთ. ტყუილად ღვრიან სისხლს ძლიერნი და სხვების დამონებით საუკუნოდ ირცხვენენ თავს. ადრე იქნება, თუ გვიან, იფეთქებს თავისუფლების ალი და კვლავ აღდგება დამონებული. საბერძნეთი საბერძნეთადვე იქცევა, იტალია იტალიად. უკვდავია სიმართლე და უკვდავია სიმართლის პროტესტი ძალმომრეობის წინააღმდეგ. დაპყრობილ ერს ვერავინ ეტყვის, თუ გათავისუფლება გინდოდა, ვადა არ უნდა გადაგეცილებინაო. დამონებული ხალხის გათავისუფლებას ვადა არ აქვს. ამგვარ „დიდებულ ყაჩაღობას“ არ აქვს მომავალი. პატარა ცხვირსახოცი კი არ არის ერი, რომ ახალი სახელი მიაკეროთ და საუკუნოდ დაისაკუთროთ.

კურფეირაკს მამა ჰყავდა, რომელსაც ბატონ დე-კურფეირაკს უწოდებდნენ, რადგან რესტავრაციის დროს ბურჟუაზია გატაცებული იყო შთამომავლური დიდებით და ბრწყინვალებით, და ბრწყინვალების დასამტკიცებლად თავის გვარს წინიდან უმატებდა ნაწილაკ დე-ს. ამ ნაწილაკ დე-ს ნამდვილად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ისე გაახშირა ბურჟუაზიამ მისი ჩამატება, რომ ნამდვილი დიდებულები უკადრისობდნენ მის ხმარებას. ბატონმა დეშოვლენმა შოვლენად გადაიკეთა გვარი, ბატონმა დე-კომარტენმა კომარტენად. ბატონმა დე-კონსტანმა ბენჟამენ კონსტანად, ბატონმა დე-ლაფაიეტმა ლაფაიეტად, კურფეირაკს, შვილს არ უნდოდა ვინმეს ჩამორჩენოდა და კურფეირაკად იქცა.

კურფეირაკის შესახებ შეგვიძლია ნათქვამი ვიკმაროთ და მის დასახასიათებლად მოკლედ ვთქვათ: კურფეირაკი, იხილე ტოლომიესი.

კურფეირაკი აღსავსე იყო იმ მგზნებარე სიჭაბუკით, რომელსაც გონების გიჟური მშვენიერება ეწოდება. შემდეგში ქრება ყოველივე ეს, როგორც კატის კნუტის საამურობა, და მთელი თავისი მიმზიდველობით ბურჟუად იქცევა, ოთხფეხი კი - ხვად კატად.

გონების ამგვარი მიმართულება ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა სასწავლებელში, მოზარდი თაობის ერთად შემკრებ დაწესებულებაში, და ისე გადადის ხელიდან ხელში, რომ თითქმის უცვლელად რჩება. ამიტომ იყო, როგორც უკვე ვთქვით, რომ ვინც 1828 წელს კურფეირაკს ნახავდა და მოუსმენდა, იტყოდა - 1817 წელია და ტოლომიესს ვუსმენო. ოღონდ კურფეირაკი პატიოსანი ბიჭი იყო. ქცევით და გარეგნობით ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ ცხოვრების არსით დიდად განსხვავდებოდნენ: ტოლომიესში პროკურორი მწიფდებოდა, კურფეირაკში - რაინდი.

ანჟოლრასი ბელადი იყო, კონბფერი წინამძღოლი, კურფეირაკი - ცენტრი. სხვები სინათლეს იძლეოდნენ, ის კი - სითბოს. დაჯილდოებული იყო ცენტრალური ფიგურის ყველა თვისებით, გახსნილი იყო და ყურადღებიანი.

ბაორელს მონაწილეობა მიეღო 1822 წელს ლალემანის დამარხვის დროს მომხდარ აჯანყებასა და ბრძოლაში.

კარგი ბიჭი იყო ბაორელი, მაგრამ ცუდი ამხანაგები ჰყავდა. ყაჩაღი იყო, ხელგაშლილი, ფულის მფლანგავი; თან ქველი; ყბედი და თან მჭევრმეტყველი. გამბედავი და თან თავხედი, ნამდვილი და საუკეთესო ეშმაკის კერძი. ჟილეტი

ყოველთვის ჭყეტელა ფერის ეცვა და მიმართულება - უკიდურესად წითელი, მოჩხუბარი იყო და მოძრავი, რადგან ჩხუბზე მეტად არაფერი უყვარდა, თუ ეს აჯანყება იყო, და ბრძოლაზე მეტად არაფერი უყვარდა - თუ ეს რევოლუცია იყო. ყოველთვის მზად იყო, ჩაემტვრია ფანჯრები, დაენგრია ქვაფენილი, რომ ბარიკადა აეგო; ძირს დაემხო მთავრობა, რომ ენახა, რა მოჰყვებოდა მმართველობის დამარცხებას. მეთორმეტე წელიწადი გადიოდა, რაც უნივერსიტეტში ირიცხებოდა, სამართალი შორიდან აინტერესებდა, მაგრამ არ სწავლობდა, დევიზად ჰქონდა - არასოდეს ვექილობა! და გვარის სადიდებლად - პატარა განჯინა, სადაც ჩაჩი ჰქონდა შენახული. თავის სასწავლებელთან გავლა რომ დასჭირებოდა, - ეს იშვიათად ხდებოდა ხოლმე, - სერთუკის ღილებს შეიკრავდა თავიდან ბოლომდე, - ჯერ პალტო არ იყო მაშინ გამოგონილი, - და ყოველგვარ ჰიგიენურ სიფრთხილეს ხმარობდა. ამ შენობის შესასვლელ კარს მშვენიერ მოხუცს უწოდებდა და დეკან ბატონ დელვენკურის შესახებ ამბობდა: სწორედ დიდებული ძეგლი არისო! - თავისი სასწავლო საგნები საშაიროდ გაეხადა და თავისი პროფესორები - კარიკატურის სახატავად. უსაქმურად ატარებდა დროს, სიამოვნებაში ხარჯავდა საკმაოდ დიდ ფულს, წელიწადში სამი ათას ფრანკს. გლეხკაცის შვილი იყო და მშობლებისთვის უკვე შთაეგონებინა შვილისადმი პატივისცემა.

ხშირად იტყოდა ხოლმე: - ჩემი დედ-მამა გლეხები არიან და არა ბურჟუები, ამიტომ არიან ჭკვიანებიო.

დაუდეგარი იყო და მრავალ კაფეში დაიარებოდა. სხვებს ჩვეულებები აქვთ, მას ჩვეულება არ გააჩნდა; ბაორელს ყიალი უყვარდა, ხეტიალი ადამიანის თვისებაა და ყიალი - პარიზელის. უფრო გამჭრიახი გონების პატრონი იყო, ვიდრე ამას ამჟღავნებდა.

ის იყო შემაერთებელი „ანბანის მოყვარეებისა“ და სხვა წრეებისა, რომლებიც ისახებოდნენ აქა-იქ და მომავალში უნდა გამოსულიყვნენ საბრძოლველად.

ერთი თავმოტვლეპილიც ერია ამ ყმაწვილ კაცებში.

მარკიზი დ-ავარეი, რომელსაც ლუი მეთვრამეტემ ჰერცოგობა უწყალობა, იმისთვის, რომ გახიზვნისას მეფეს ერთ ბაზრის ეტლში ჩაჯდომისას მიეხმარა. დ-ავარეი შემდეგს გვიამბობს: საფრანგეთში რომ დაბრუნდა მეფე 1814 წელს და კალეში ჩამოხტა, ერთმა კაცმა არზა მიართვა.

- რას ითხოვთ? - ჰკითხა მეფემ.

- ფოსტის კანტორას, მეფეო.

- ვინ ხართ?

- ლ-ეგლი, მეფეო.

წარბი შეიჭმუხა მეფემ, დახედა არზის ხელნაწერს და ნახა, რომ იქ ლესგელი ეწერა. ეს მართლწერა ბონაპარტული არ იყო და ღიმილი მოერია.

- მეფეო, მოახსენა არზის მიმრთმევმა, - პაპაჩემი ბაზიერი გახლდათ და მეტსახელი ჰქონდა ლესგელი. ამ მეტსახელიდან შედგა ჩემი გვარი: ლესგელი გახლავართ, მაგრამ შეკვეცის გამო ლესგელი ლესგლად იქცა და ლესგლი ლ-ეგლად.

ამიტომ იყო, რომ მეფის ღიმილი სიცილად გადაიქცა და ფოსტის კანტორა უბოძა მო-ში, ვინ იცის, განზრახ თუ შემთხვევით.

ანბანის მოყვარეთა წრის თავმოტვლეპილი წევრი იმ ლ-ეგლის შვილი იყო და ხელს აწერდა: ლ-ეგლ-დე-მო. ამხანაგები ბოსუეს ეძახდნენ მოკლედ.

ბედუკუღმართი ბიჭი იყო ბოსუე. რაც უნდა მოენდომებინა, არაფერი გამოუვიდოდა, მიზანს ვერ მიაღწევდა. მიუხედავად ამისა, ყოველთვის მხიარული იყო და ყველაფერს დასცინოდა. ოცდახუთი წლის იყო და უკვე თავმოტვლეპილი. მისმა მამამ სახლიც შეიძინა და სახნავიც, მაგრამ, როგორც კი დაეპატრონა შვილი ამ მამულს, რაღაც საეჭვო სპეკულაციაში ჩაერია და სახლიც დაკარგა და სახნავიც. აღარაფერი დარჩა საცხოვრებლად. ცოდნაც ჰქონდა, ჭკუაც, მაგრამ იღბალი არ გააჩნდა. რაც უნდაკარგად დაეგეგმა თავისი საქმე, ყველაფერში ტყუვდებოდა. რასაც კი განიზრახავდა და დაგეგმავდა, ყველაფერი თავზე დაატყდებოდა ხოლმე. შეშის ჭრა რომ დაეწყო, უთუოდ ხელს გაიჭრიდა, საყვარელი რომ გაეჩინა, უთუოდ ნახავდა, რომ ამხანაგიც ჰყავს და რქებით უმკობს შუბლს. თავზე დასტრიალებდა ყოველგვარი უბედურება - იმისთანა ოთახი მაქვს, რომ სულ თავში მხვდება კრამიტიო, - იტყოდა ხოლმე სიცილით. ისე იყო უბედურებას მიჩვეული, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევდა, - მოველოდი და არც შევცდიო. - გულგრილად ხვდებოდა ამ ვითომ მოსალოდნელს და - ჩემი ბედისწერა მაღიზიანებსო, - ხუმრობით ეგებებოდა ყოველ ახალ მარცხს. მეტად ღარიბი იყო, მაგრამ ქისა გატენილი ჰქონდა ულეველი მხიარულებით. ფული თუ ჰქონდა, ძალიან მალე ელეოდა, მაგრამ სიცილი კი ულევი ჰქონდა. რამე უბედურება რომ შევიდოდა იმის ოთახში, გულიანად მიესალმებოდა ძველ ნაცნობს და ეალერსებოდა. ისე კარგად გაეცნო და მისჩვეოდა თავის ბედისწერას, რომ ხუმრობით მიმართავდა ხოლმე:

- ოჰ, ფათერაკს გაუმარჯოსო!

ბედისწერა სდევნიდა და ისიც მიჩვეულიყო ბრძოლის ხრიკებს და ქამანდს. მოხერხებით იყო განთქმული. ფული არ ჰქონდა, მაგრამ, როცა ჟინი მოუვლიდა, ფულსაც შოულობდა და გულიანადაც ფლანგავდა. ერთხელ ერთ ღამეს შეჭამა ასი ფრანკი, - ვახშმით გაუმასპინძლდა გოგოს და ასე დააბოლოვა თავისი ქეიფი:

- ასფრანკიანო ტურფავ! ერთი წაღები გამხადე!

ბოსუე ნელ-ნელა მიიწევდა ვექილობისკენ, ისიც მართლმსაჯულებას სწავლობდა, როგორც ბაორელი. ყოველთვის არ ჰქონდა საკუთარი ოთახი და უბინაოდ რომ დარჩებოდა, ხან ერთ მეგობართან იყო, ხან - მეორესთან, და უფრო ხშირად - ჟოლისთან. ჟოლი მედიცინას სწავლობდა. ორი წლით იყო ბოსუე მასზე უფროსი.

ჟოლი თუმცა ახალგაზრდა იყო, მაგრამ „ეჭვით ავადმყოფი“. მედიცინის შესწავლის ბრალი იყო, რომ ექიმი კი არა, ავადმყოფი გახდა კაცი. ოცდასამი წლის იყო, მაგრამ სნეულად მიაჩნდა თავისი ორგანიზმი, საათობით იდგა სარკის წინ და ენას ისინჯავდა. ამტკიცებდა, რომ შეიძლება ადამიანის დამაგნიტება, როგორც ნემსის, და ღამე ისე დგამდა თავის საწოლს, რომ თავი სამხრეთისკენ ჰქონოდა და ფეხი ჩრდილოეთისკენ, რათა ქვეყნის მაგნიტიზმს არავითარი გავლენა არ მოეხდინა მის სისხლის მიმოქცევაზე. ავდარში ხელს აღარ აშორებდა თავის მაჯას. საერთოდ კი ყველაზე მხიარული იყო თავის ამხანაგებში. სიყმაწვილე, სუსტი აღნაგობა, სნეულების მანია, სიმხიარულე მშვენივრად თავსდებოდა ერთად და ერთგვარ უცნაურ, მაგრამ მეტად მიმზიდველ ადამიანს ქმნიდა, რომელსაც თავისი ამხანაგები, მეტსახელების დიდოსტატები, ჟილლს ეძახდნენ.

- რა გიჭირს? - ეხუმრებოდა ჟან პრუვერი, - ოთხი ლ-ასი გაქვს და ცაში აფრინდები, თუ გინდა.

ჟოლის ჩვეულება ჰქონდა, ჯოხის ტარს შეახებდა ხოლმე ცხვირს, -ეს იყო გამჭრიახი გონების უტყუარი ნიშანი.

ერთადერთი სარწმუნოება ჰქონდათ ამ, ასე განსხვავებულ ყმაწვილებს, ყველას სწამდა კაცობრიობის პროგრესი.

ყველანი საფრანგეთის რევოლუციის ღვიძლი შვილები იყვნენ. ჭკუათხელებიც კი დარბაისლურად იქცეოდნენ, როდესაც ოთხმოცდაცხრა წლის რევოლუციას შეეხებოდნენ. მათი მამები სხვადასხვა მიმართულების იყვნენ, ან ყოფილიყვნენ: კონსტიტუციის მომხრენი, როიალისტები, დოქტრინერები; ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, არ ეხებოდა ყმაწვილებს და ვერც რაიმე გავლენას იქონიებდა მათზე; მათ ძარღვებში პრინციპის წმინდა სისხლი უდუღდათ. ყველას ერთნაირად სწამდა ხალხის თავისუფლება და მის აღსადგენად ბრძოლის აუცილებლობა.

წრის წევრები და მათი თანამოაზრენი ფარულად ქმნიდნენ იდეალს. ამ რწმენით გატაცებულ და გახელებულ ყმაწვილებში მხოლოდ ერთი ერია ურწმუნო სკეპტიკოსი. როგორ მოხდა, რომ ამ წრეში გაერია? სხვისი წყალობით. ამ სკეპტიკოსს გრანტერი ერქვა და ხელს ყოველთვის რებუსად აწერდა - რ. გრანტერი. ურწმუნო იყო და ძალიან ფრთხილობდა, რომ რწმენა არ შეჰპარვოდა. სტუდენტი იყო და სტუდენტებში ყველაზე კარგად ის იცნობდა პარიზს; იცოდა, რომ ყველაზე კარგი კაფე „ლამბლენი“ იყო, საუკეთესო ბილიარდი კაფე „ვოლტერში“ მოიძებნებოდა, ყველაზე გემრიელ ნამცხვარს და ლამაზ გოგონებს „ერმიტაჟში“ ნახავდა კაცი, მენის ბულვარზე; საუკეთესოდ შემწვარ ვარიას - დეიდა საგესთან; საუკეთესოდ შემწვარ თევზს - კუნეტის საბაჟოსთან, შუშხუნა თეთრ ღვინოს - კომბის საბაჟოსთან. ყველაფერი იცოდა, სად რა იშოვებოდა კარგი, ამასთან კრივიც ეხერხებოდა, ჯოხსაც მარჯვედ ხმარობდა, მშვენივრად ცეკვავდა და უფრო კარგად ფარიკაობდა. ამდენი ღირსების გარდა, გადაკვრაც ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით თეთრი ღვინის. საშინლად უსახური იყო, დუხჭირი. იმ დროს სილამაზით განთქმული ირმა ბუასი იმდენად აღშფოთებული იყო მისი სახით, რომ დაურიდებლად აღიარა - „გრანტერი საშინელებააო“ - მაგრამ თავმომწონე ბიჭი იყო გრანტერი და მაინც თავისას არ იშლიდა: ნაზი თვალით დააცქერდებოდა ხოლმე ქალებს, იმ სახით, თითქო იკვეხის, - „მოვინდომო, თორემ“, და ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი მეგობრები, რომ მოსვენება არ ჰქონდა ქალებისგან.

ყველა ეს სიტყვა - ხალხის უფლება, ადამიანის უფლება, საზოგადოებრივი ურთიერთობა, ცივილიზაცია, სარწმუნოება, პროგრესი - ყოვლად უმნიშვნელოდ მიაჩნდა გრანტერს, ცარიელ ლაყბობად. სკეპტიციზმმა, გონების ამ მჭამელმა, ისე დააავადა კაცი, რომ აღარავითარი აზრი არ შერჩენოდა თავში და ყველაფერს ირონიით შესცქეროდა. აქსიომად ჰქონდა შემდეგი სიტყვები: - ერთადერთი ჭეშმარიტება მწამს მე ამ ქვეყნად, ღვინით სავსე ჩემი სასმისი! - მასხრად იგდებდა ყოველგვარ თავგანწირვას, ყოველ პარტიაში მამა იქნებოდა, თუ შვილი, და უმცროსს რობესპიერსაც ისევე დასცინოდა, როგორც ლუაზეროლს: - არა, რაში გამოიყენეს თავიანთი სიკვდილი? იტყოდა ხოლმე, ამას რომ შეეხებოდა ბაასი. ჯვარცმულზე იტყოდა ხოლმე, - ჯვარმა კარგად აასრულა თავისი დანიშნულებაო. - დაეხეტებოდა,

თამაშობდა, ქეიფობდა, ხშირად თვრებოდა და მუდმივად გულს უწყალებდა ამხანაგებს თავისი სიმღერით: „თეთრი ღვინო მიყვარს მე, გოგოების ჭირიმე!“ რომელსაც „გაუმარჯოს მეფე ანრი მეოთხეს“ ხმაზე მღეროდა.

მაგრამ ამ სკეპტიკოსსაც ჰქონდა თავისი ფანატიზმი. არც იდეას წარმოადგენდა ეს ფანატიზმი, არც რაიმე რწმენას, არც ხელოვნებას, არც მეცნიერებას; ფანატიკურად სწამდა ერთი ადამიანი, ანუოლრასი. გრანტერი თაყვანს სცემდა ანუოლრასს, უყვარდა და აღტაცებული იყო მისით. მერე ვინ მიიზიდა ეს ყველაფრის უარმყოფელი ანარქისტი იდეით გატაცებულ მეგობრებში? სწორედ მან, ვინც ყველაზე მეტად იყო გახელებული მომავლის წმინდა იდეებით. როგორ დაიმორჩილა ანუოლრასმა ეს ურწმუნო? იდეებით? არა, მხოლოდ თავისი ხასიათით. ხშირია ჩვენს ცხოვრებაში ეს მოვლენა. ურწმუნო უახლოვდება, ერთვის მორწმუნეს სწორედ ისევე, როგორც ერთ ფერს ერთვის მეორე, სულ სხვაგვარი, მის დასამატებლად. სწორედ ის იზიდავს ადამიანს, რაც თვითონ აკლია. არავის უყვარს სინათლე ისე ძალიან, როგორც უსინათლოს. ჯუჯა გოგოს ყოველთვის ახოვანი კაცი მოსწონს, გომბეშო სულ ცას შესცქერის, რომ ჩიტის ფრენა დაინახოს. გრანტერს გულის სიღრმეში მაინც ჩარჩენოდა ეჭვები და მოსწონდა ანუოლრასის რწმენით გატაცება, მისთვის საჭირო იყო ანუოლრასი. თვითონაც არ იცოდა, და არც ცდილობდა შეეგნო, როგორ მოხდა ეს დამორჩილება, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ მოხიბლული იყო და სწორედ იმას სცემდა თაყვანს, რაც თვითონ აკლდა, - ანუოლრასის პატიოსნებას, სიმაგრეს, გულწრფელობას, უმანკოებას. თვითონ თუ ჰქონდა რაიმე აზრი, სულ არეული, ჯერ გადაუწყვეტელი, ეჭვნარევი, დაავადებული, სახეს მოკლებული. იგი მიიწევდა ანუოლრასისკენ, როგორც დედაბოძისკენ; მისი ზნეობრივი არარაობა საყრდენს ეძებდა ანუოლრასის სიმაგრეში. ორი ერთმანეთთან ძნელად შესაგუებელი არსება მოთავსებულიყო ამ კაცში, - დამცინავი და მოყვარული. არაფრის სწამდა და მაინც უყვარდა, გონებით ყოველგვარი რწმენის უარმყოფელი იყო და გულით - მეგობრობის მონატრული. საშინელი შეუსაბამობა, რადგან სიყვარულიც იგივე რწმენაა. ამგვარი ბუნების იყო გრანტერი. ხდება ხოლმე, ისეთ ადამიანს შეხვდება კაცი, რომელიც სხვის შესავსებად არის გაჩენილი, სხვის ზედაპირად, ან სარჩულად. ამგვარი არის პოლუქსი, პატროკლე, ნიზუსი, ევდამიდი, ეფესტიონი, პეხმეა. თუ ცოცხლობენ ესენი, მარტო იმიტომ, რომ სხვას ეყრდნობიან. მათი სახელი მხოლოდ სხვისი სახელის გაგრძელებაა, და თუ ვწერთ, შუაში კავშირ „და“-ს ვუსვამთ: კასტორი და პოლუქსი, აქილევსი და პატროკლე. იმათად არ ჩაითვლება მათი ცხოვრება, რადგან ის სხვისი ცხოვრების ნაწილია. გრანტერიც ამ კაცთაგანი იყო, ანუოლრასის ნაწილი.

თითქმის შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარი მიმზიდველობა ანბანის მიხედვით ხდება: მაგალითად, ო და პ განუყრელი არიან და თქვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ თქვათ ო და პ, ან ორესტი და პილადი.

გრანტერი ანუოლრასის მცველი იყო და ამ წრის ყმაწვილებთან ცხოვრობდა, იმათთან იყო, კარგად მხოლოდ იქ გრძნობდა თავს, და სულ თან დასდევდა. ძალიან უყვარდა თამბაქოს კვამლით და ღვინის სუნით სავსე ოთახში მათი კამათის მოსმენა და თან დროს ტარება. ამხანაგები კარგად იცნობდნენ და არ იშორებდნენ მათგან განსხვავებულს, რადგან ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო და მოსწონდათ მისი ხუმრობა.

მორწმუნე ანჟოლრასს არაფრად მოსწონდა ეს ლოთი და სკეპტიკოსი, მაგრამ ეცოდებოდა და სიბრალულით ექცეოდა. გრანტერი პილადი იყო, მაგრამ ორესტის მიერ მიუღებელი. მკაცრი იყო მისდამი ანჟოლრასი, უტევდა, უყვიროდა, უკმეხად იშორებდა, და ის კი შეურაცხყოფილიც ისევ ანჟოლრასისკენ მიიწევდა და იძახდა აღტაცებით:

- რა მშვენიერი მარმარილოა!

## თავი მეორე

## ბლონდოს პანაშვიდი, ბოსუეს მიერ გადახდილი

ერთ მშვენიერ დღეს, რომელსაც როგორც მკითხველი ნახავს, კავშირი ჰქონდა ზემოთ მოთხრობილ ამბავთან, ლეგლ დე-მო არხეინად იდგა მუზენის კაფეს კარებთან კედელზე მიყრდნობილი, ისე უძრავად, რომ ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ღრმად იყო გატაცებული თავისი ოცნებით და დე სენ-მიშელის მოედანს გასცქეროდა, ზურგით მიყრდნობა ერთგვარი ზეზეულა წოლა არის და ეს მეტად მოსწონთ მეოცნებეებს. ლეგლ დე-მოც ფიქრობდა ერთ შემთხვევაზე, თავის გუშინწინდელ მარცხზე მართლმსაჯულების აუდიტორიაში, რადგან ეს შემთხვევა ძირეულად ცვლიდა მის, ჯერ საბოლოოდ დაუგეგმავ მომავლის გეგმას.

ოცნება ხელს ვერ შეუშლის ქუჩის მოძრაობას და მეოცნებესაც ვერ აიძულებს ეტლის სიარული შეამჩნიოს. ლეგლ დე-მომ, რომელიც დაბნეული აცეცებდა თვალებს, თავისი ხედვის არეალის მიღმა შეამჩნია ერთი პატარა ეტლი, ორთვალიანი, მოედანზე ნელა მომავალი, თითქო არ იცის, საით წავიდესო. საითკენ იყო ეტლის გზა? რატომ იძვროდა ასე ნელ-ნელა? ლეგლმა ეტლში შეიხედა, შიგნით, მეეტლის გვერდით ყმაწვილი კაცი იჯდა და წინ ბარგი ედო, ბოხჩაში კარგად შეკრული, რომელზედაც დიდრონი შავი ასოებით ჰქონდა ამოქარგული - მარიუს პონმერსი.

ამ სახელმა გამოაფხიზლა ლეგლი, გასწორდა და შეჰყვირა ეტლით მიმავალ ყმაწვილ კაცს:

- ბატონო მარიუს პონმერსი!

ეტლი გაჩერდა.

ყმაწვილმა კაცმა, რომელიც აგრეთვე გატაცებული იყო თავისი ფიქრებით, გაკვირვებით შეხედა ლეგლს.

- რა გნებავთ?

- თქვენ ბრძანდებით ბატონი მარიუს პონმერსი?

- მე გახლავართ.

- მეც თქვენ გეძებდით.

- როგორ თუ მეძებდით? - გაიკვირვა მარიუსმა.

მართლაც ეს მარიუსი იყო. თავისი პაპის სახლიდან წამოსული. ლეგლი ჯერ არსად ენახა და გაკვირვებული შესცქეროდა, - რა უნდა ჩემგანო?

- მეძებდით? მე თქვენ არ გიცნობთ.

- რა ვუყოთ, მერე, არც მე გიცნობთ.

ხუმრობა ეგონა მარიუსს, - მოტყუება უნდა ჩემი, გაბრიყვება ამ მოედანზეო. - ცუდ გუნებაზე იყო იმ დღეს და წარბები შეიკრა. ლეგლი კი ყურადღებას არაფერს აქცევდა და თავისას გაიძახოდა:

- გუშინწინ ლექციაზე არ იყავით?

- იქნებ არ ვიყავი.

- იქნებ კი არა, მართლა არ იყავით.

- თქვენ სტუდენტი ხართ? - ჰკითხა მარიუსმა.

- დიახ, ბატონო, როგორც თქვენ. გუშინწინ შემთხვევით მივედი ლექციაზე. ხომ იცით, ხანდახან ასეთი სისულელეც მოეპრიანება ადამიანს! პროფესორს სია ეჭირა და ამოწმებდა, - ვინ იყო აუდიტორიაში! თქვენც გეცოდინებათ, რა სასაცილო არის ამ დროს ბატონი პროფესორი. თუ ღმერთი გაგიწყრათ და სამჯერ ასცდით ამ შემოწმებას, სიიდან ამოგშლიან და წყალში გადაყრილად უნდა ჩათვალოთ სამოცი ფრანკი.

ყურები ცქვიტა მარიუსმა.

- ბლონდო ბრძანდებოდა, სია რომ ეჭირა და ამოწმებდა, ხომ იცნობთ ბლონდოს? გრძელი, წვეტიანი ცხვირი აქვს და ვერაგობით არის სავსე. სიამოვნებით იკვლევს ხოლმე, ვინ აკლდა იმის ლექციას. გვარების კითხვა რაღაც ბოროტი განზრახვით თავიდან კი არა, ასო პ-დან დაიწყო. მე არც კი მეყურებოდა, რადგან მე მაგ ასოზე არ გახლავართ. ჯერჯერობით კარგად მიდიოდა საქმე, ვერავის ამოშლიდა, რადგან იქ იყო მთელი ქვეყანა. დაღვრემილი იყო ბლონდო, მე კი შევყურებდი და ვიცინოდი გუნებაში: ბლონდო, ჩვენო სულისდგმავ! ამაოდ ირჯები, ამაოდ! დღეს ვერავის ამოშლი! ვერ გაიხარებ! და უცბად წამოიყვირა - მარიუს პონმერსი! - ხმა არავინ ამოიღო. იმედი მოეცა ბლონდოს, სახე გაუბრწყინდა და უფრო ხმამაღლა დაიძახა: - მარიუს პონმერსი! ხელი სტაცა კალამს. ახლა მეც ადამიანი ვარ, და არა უგულო ვინმე. ვიფიქრე, ალბათ ყოჩაღი ბიჭია, რომ ლექციას არ ესწრება; ალბათ ჩვენი ძმაბიჭია, რომ მეცნიერებას არ დაუბრიყვებია. კარგი ბიჭია და არა ტომარა, რომ მართლმსაჯულებით ივსებოდეს, დღესა და ღამეს ასწორებდეს სწავლაში, იზეპირებდეს პროფესორის ნათქვამს, ითვისებდეს მეცნიერებას, მწერლობას, ღვთისმეტყველებას და ყოველგვარ სიბრძნეს, ესე იგი, ნამდვილი ყეყეჩი იყოს! ალბათ ზარმაცობს ბიჭი, სეირნობს, დაყიალებს, ხან აქ არის, ხან სოფლად, გოგოებს შეტრფის, ლამაზ ქალს გუნდრუკს უკმევს და ამჟამად, იქნებ, ჩემს საყვარელთანაც არის-მეთქი. მაშ არ დავეხმარო ძმაბიჭს? ბლონდოც შეარცხვინა ღმერთმა, იმისი ლექციებიც!.. ამ დროს საწერალში ჩააწყო ბლონდომ კალამი, რომ მელნით წაეშალა თქვენი გვარი, ბაყაყის თვალი გადაავლო აუდიტორიას და ერთხელ კიდევ, ეს მესამედ, შეჰყვირა: მარიუს პონმერსი? და მეც კაი პასუხი მივეცი:

- აქ გახლავართ, ბატონო! ისე რომ, თქვენ ამოშლილი არ ხართ.

- მერე?

- მე კი ამომშალეს! - დაუმატა ლეგლმა.

- როგორ თუ ამოგშალეს?

- სულ უბრალოდ. კათედრასთან ვიდექი, რომ პასუხი გამეცა და კართან, რომ გარეთ გამოვვარდნილიყავი. დამაცქერდა პროფესორი, თავიდან ფეხებამდე გამსინჯა და უცბად გადაშალა თავისი სია, - სწორედ ეშმაკის ცხვირი აქვს იმ მელას,

ბუალოს მიერ ნაქები ცხვირი, - გადაშალა სია და ლასს კი დაადო თითი. ლას ჩემი ასო გახლავთ. მოელი გახლავართ და ლეგლ დე-მოა ჩემი გვარი.

- ლეგლი! - შეაწყვეტინა სიტყვა მარიუსმა - საუცხოო გვარია!

- მიადგა, ბატონო, ამ საუცხოო გვარს პროფესორი და უცბად დაიძახა:

- ლეგლ! - მეც ღირსეული პასუხი გავეცი: - აქ გახლავართ! ვეფხვის ლმობიერებით მომანათა თვალები, გამიცინა და მითხრა:

- ვინაიდან პონმერსი ბრძანდებით, შეუძლებელია ლეგლი იყოთ! ცოტა არ იყოს, საწყენი უნდა იყოს თქვენთვის ეს სიტყვა, მაგრამ ჩემთვის კი დამღუპველი აღმოჩნდა. აიღო კალამი და ამოშალა გვარი.

ბოდიშის მოხდა უნდოდა მარიუსს:

- ძალიან სამწუხაროა, ბატონო...

- უპირველეს ყოვლისა, - შეაწყვეტინა ლეგლმა, - ნება მომეცით შევმურო ბლონდო რამდენიმე მგრძნობიარე სიტყვით. წარმოვიდგინოთ, რიმ მიიცვალა. ეჰ, ვერ შეცვლის იმას სიკვდილი! ვერ გაასუქებს ჩამომხმარს, ვერ გაუწითლებს ზაფრანის ფერს, ვერ გაუთბობს გაყინულ გულს, ვერაფერს შემატებს მისი სულის სიმყრალეს. და ერთიღა დაგვრჩენია: Eerudimini qui judicatis terram საფლავსა შინა ამას განისვენებს ბლონდო: ბლონდო, ცხვირწვეტიანი ბლონდო Nasica, დისციპლინის ხარი - bos disciplinae, ყოველგვარი ბრძანების ყურმოჭრილი მონა, შემოწმების მთავარანგელოზი, რომელიც იყო უდრეკი, უხიაკი, მკაცრი, პატიოსანი და უშვერი. ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ამოშალა იგი ცოცხალთა სიიდან, როგორც მე ამომშალა...

მარიუსმა შეაწყვეტინა:

- ძალიან ვნანობ, ბატონო...

- დიახ, ბატონო! სახსოვრად დაგრჩეთ ეს გაკვეთილი და ამიერიდან კარგად გახსოვდეთ თქვენი ლექციები.

- არ ვიცი, სწორედ რითი მოვინანიო...

- ეცადეთ თქვენ მაგივრად არ გამოირიცხონ მოყვასნი თქვენნი!

- ვნანობ, ბატონო...

ხარხარი დაიწყო ლეგლმა.

- მე კი მიხარია! ნაპრალის პირას ვიდექი, ცოტა კიდევ და ვექილი გავხდებოდი! სწორედ დროზე მოხდა ეს ამბავი და განსაცდელს გადამარჩინა. უარვყოფ ვექილობის დიდებას,! ჩემთვის ვიქნები დამშვიდებული. არც ქვრივს გამოვესარჩლები, არც ობოლს ავუტეხ დავას! არც ვექილის წამოსასხამი, არც მისი უაზრო ბოდვა! ძლივს არ ამისრულდა ნატვრა! თქვენი წყალობით ბედი მეწია, ბატონო პონმერსი, და ამიტომ ნება მიბოძეთ, საზეიმოდ გეახლოთ სახლში და მადლობა გადაგიხადოთ. სად დგახართ, ბატონო?

- აი, ამ ეტლში.

- დიდი სიმდიდრის უტყუარი ნიშანი, - თქვა მშვიდად ლეგლმა. - მაშ მოგილოცავთ! თქვენი ბინა ცხრა ათასი ფრანკი მაინც ღირს წელიწადში.

ამ დროს კურფეირაკი გამოვიდა კაფედან.

მარიუსმა ნაღვლიანად გაიღიმა.

- ამ ბინაში ვარ, ბატონო, აგერ ორი საათია, და მინდა გამოვიცვალო როგორმე, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არ ვიცი, სად წავიდე?

- ჩემთან, ბატონო, - სთხოვა კურფეირაკმა.

- უპირატესობა მე მეკუთვნის, - შენიშნა ლეგლმა, - მაგრამ ბინა არ გამაჩნია.

- გაჩუმდი, ბოსუე! - დაუძახა კურფეირაკმა.

- ბოსუეო? - გაიკვირვა მარიუსმა, - მე კი მეგონა, რომ თქვენ ლეგლი ბრძანდებოდით.

- ლეგლ დე-მო, - გაუსწორა ლეგმა, - და მეტაფორულად კი ბოსუე. კურფეირაკი ეტლში ჩაჯდა.

- მეეტლევ! სენ-ჟაკის სასტუმროში.

იმ დღესვე დაბინავდა მარიუსი სენ-ჟაკის სასტუმროს ერთ ოთახში, კურფეირაკის ოთახის გვერდით.

## თავი მესამე
## მარიუსის გაკვირვება

მარიუსი და კურფეირაკი რამდენიმე დღეში დამეგობრდნენ. სიყმაწვილე ადვილად დაახლოების და ჭრილობის სწრაფი განკურნების ხანაა. მარიუსი კურფეირაკთან იყო და სრულიად თავისუფლად სუნთქავდა, თავის ნებაზე, ეს კი ახალი ხილი იყო მარიუსისთვის. არაფერი უკითხავს კურფეირაკს, ეს აზრადაც არ მოსვლია. სიყმაწვილეში თვით სახე მეტყველებს უკითხავად. სიტყვა ზედმეტია, ზოგჯერ ისეთი ფიზიონომიის ყმაწვილს შეხვდებით, რომ იტყვით, - არამკითხე-მოამბეა მისი სახეო. შეხედავენ ერთმანეთს ყმაწვილები და უკვე იცნობენ.

ერთ დილას კი კურფეირაკმა სრულიად მოულოდნელი კითხვა დაუსვა:

- მართლა, ერთი მითხარით, გაქვთ რაიმე პოლიტიკური მიმართულება?

- როგორ თუ პოლიტიკური მიმართულება? - იწყინა მარიუსმა.

- ჰო და, რა მიმართულების ხართ?

- მე დემოკრატი - ბონაპარტისტი ვარ.

- მოთაგვისფრო-ნაცრისფერი ყოფილხართ.

მეორე დღეს მუზენის კაფეში მიიყვანა მარიუსი და ღიმილით ჩასჩურჩულა ყურში:

- მგონია, დროა, რომ რევოლუციას მიემხროთ.

გაატარა გრძელი ტალანი, შეიყვანა „ანბანის მოყვარეთა“ ოთახში, გააცნო მეგობრებს და ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

- მოწაფე.

მარიუსმა ამ სიტყვის ვერაფერი გაიგო, მაგრამ ხედავდა, რომ გონიერი კრაზანების ბუდეში იმყოფებოდა, და გარდა ამისა, თუმცა ჩუმი და დარბაისელი იყო, ამათზე ნაკლები არც ფრთები ჰქონდა და, არც ნესტარი.

აქამდე სულ მარტო იყო, პაპის სახლში, და ჩვეულებისამებრ ხან თავის თავს ებაასებოდა, ხან მონოლოგით ლაპარაკობდა, აქ კი ცოტათი იუცხოვა, ამდენი ახალგაზრდა რომ ნახა ერთად თავმოყრილი. შესცქეროდა მათ ერთობას, მათ კამათს და ერთდროულად აღგზნებასაც გრძნობდა და მოუსვენრობასაც. ახალგაზრდები მიდი-მოდიოდნენ, ხმაურობდნენ, ცხარე კამათით ებრძოდნენ ერთმანეთს და ჯერჯერობით აფორიაქებდნენ მის აზროვნებას. ხანდახან ამ არეულობაში ისე გაეფანტებოდა ხოლმე ფიქრები, რომ მერე ძლივსღა მოაგროვებდა დიდი გაჭირვებით. ყურს უგდებდა მსჯელობას. ხან ფილოსოფიაზე იყო კამათი, ხან

მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ისტორიაზე, სარწმუნოებაზე და ყოველთვის ახალსა და მოულოდნელსაც ისმენდა მარიუსი. სადღაც შორს უცნაური სახეები ეჩვენებოდა, და რადგან პერსპექტივით არ სარგებლობდა, შეუძლებელ ქაოსად თვლიდა ამ ლანდს. თავისი პაპის აზრები რომ ჩამოიშორა და განსვენებული მამის აზრები მიიღო ჭეშმარიტებად, ეგონა - ამას ცვლილება აღარ მოელისო; - ახლა კი ეჭვი ეზრდებოდა და მოუსვენრობას გრძნობდა. შეცვლა დასჭირდებოდა მის თვალსაზრისს, რომლითაც აქამდე სჯიდა ყველაფერს, რაღაც რყევა მიდიოდა მასში და ცვლიდა მის გონებრივ ჰორიზონტს. ხდებოდა მისი აზროვნების ერთგვარი გადაგვარება და ეს აწუხებდა კიდეც.

ეჩვენებოდა რომ ამ ახალგაზრდებს წმინდა არაფერი გააჩნდათ. რაზეც უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, იმგვარი სიტყვა ესმოდა მარიუსს, ისეთი უცნაური აზრი, რომელსაც ვერ ურიგდებოდა მისი, ჯერ კიდევ გაუბედავი გონება.

ვინმე თეატრის ძველი რეპერტუარის აფიშას შემოიტანდა, კლასიკურად წოდებულის, ტრაგედიის დასახელებით.

- აღარ გვინდა ეგ ბურჟუების სათაყვანო ტრაგედია! - ყვიროდა ბაორელი.

და ახლა კომბფერის პასუხს ისმენდა მარიუსი:

- სცდები, ბაორელ, ბურჟუაზიას უყვარს ტრაგედია და დაე, უყვარდეს, მოვეშვათ, ჯანდაბას მათი თავი და ტანი! პარიკით მოკაზმულ ტრაგედიასაც ჰქონდა და აქვს თავისი მნიშვნელობა, მე არ ვეთანხმები იმათ, რომლებიც ესქილეს სახელით უარყოფენ ტრაგედიის არსებობის უფლებას. ბუნებაში ბევრია ჩანასახი; მრავალი პაროდია მოიპოვება ბუნებაში, უკვე მზამზარეული. რამდენი ნისკარტია, რომ ნისკარტი არ არის, რამდენი ფრთა არის, რომ ფრთისა არაფერი აქვს, რამდენი ფარფლია და ფარფლი არ არის, თათებია და თათი არ არის. ან კიდევ იხვის საცოდავი სისინი, რომელიც აცინებს ადამიანს და თუკი იხვი და ბატი არსებობს ნამდვილ ფრინველთან ერთად, ვერ წარმომიდგენია, რატომ არ უნდა არსებობდეს კლასიკური ტრაგედია ანტიკურ ტრაგედიასთან ერთად.

ერთხელ ჟან-ჟაკ-რუსოს ქუჩით მოდიოდნენ სამნი, ანჟოლრასი, კურფეირაკი და შუაში მარიუსი.

ხელი წაავლო კურფეირაკმა:

- შეხედეთ, ეს არის პლატრიერის ქუჩა, დღეს ჟან-ჟაკ-რუსოს ქუჩად წოდებული, რადგან ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ერთი უცნაური ოჯახი ამ სამოცი წლის წინათ, ჟან-ჟაკი და მისი ტერეზა. ხანდახან, დროგამოშვებით ბავშვი იბადებოდა ამ ოჯახში, ტერეზა შობდა, ჟან-ჟაკი აღსაზრდელად გზავნიდა...

უკმეხად შეუტია ანჟოლრასმა:

- ნუ შეურაცხყოფ ჟან-ჟაკს, მე თაყვანს ვცემ ამ კაცს! შეიძლება მან უარყო თავისი შვილები, მაგრამ იმავე დროს მთელი ხალხი იშვილა.

იმდენ ყმაწვილებში თავის დღეში არავინ იტყოდა სიტყვას „იმპერატორი“. მარტო ჟან პროუვერს წამოსცდებოდა ხოლმე ხანდახან ნაპოლეონი. სხვები ყველანი ბონაპარტს ამბობდნენ, ანჟოლრასი კი ბუონაპარტედ იხსენიებდა.

გაკვირვებული იყო მარიუსი... განიცდიდა initium sapientiae-ს ეს იყო სიბრძნის დასაწყისი.

## თავი მეოთხე

უკანა ოთახი კაფე „მუზენისა“

ხშირად ისმენდა მარიუსი თავისი მეგობრების საუბარს და კამათს, თვითონაც იღებდა ცოტათი მონაწილეობას, მაგრამ ერთმა საღამომ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის გონებაზე.

მეგობრები კაფე „მუზენის“ უკანა ოთახში შეკრებილიყვნენ. ანბანის მოყვარენი თითქმის ყველანი იქ იყვნენ, საზეიმოდ იყო განათებული დარბაზი. კონკრეტულად არაფერი ჰქონდათ განსახილველი, და ხან რას ამბობდნენ, ხან რას, დამშვიდებით და ხმამაღლა, ანჟოლრასის და მარიუსის გარდა, რომლებიც ხმას არ იღებდნენ. დანარჩენები ერთმანეთთან ლაპარაკობდნენ. ამხანაგურ კამათს მოსდევს ხოლმე ეს მშვიდობიანი ხმაური. აქ უფრო სიტყვის თამაში იყო, ვიდრე კამათი. სიტყვას გაისვრიდა ვინმე, მეგობარს გაჰკრავდა, ისიც უფრო ცხარეს და შესაქცევს უგზავნიდა პასუხად.

ქალს აკრძალული ჰქონდა იქ შესვლა. ერთადერთ გამონაკლისად კაფეს ჭურჭლის მრეცხავი ლუიზონი ითვლებოდა, რომელიც ხანდახან ამ ოთახში გაივლიდა ხოლმე, რომ ჭურჭელი შეეტანა კაფეში.

მთვრალი იყო გრანტერი, კუნჭულში იჯდა და ხმამაღლა მოსთქვამდა თავისას, როშავდა, რაც გულში ჰქონდა:

- ღვინო, ბიჭებო, ღვინო! დამისხით! მოკვდავნო, იცით რა სიზმარი ვნახე? ჰაიდელბერგის კასრს სისხლი წამოსვლოდა და წურბელები დაესხათ, თორმეტი წურბელა, რომელთაგან ერთი მე ვიყავი, დამისხით, რაღა! თუკი მწყურია? ღვინო მწყურია, რომ სიცოცხლე დავივიწყო! არ ვიცი, სწორედ, ვისი გამოგონილია სიცოცხლე, მაგრამ საზიზღარი კი არის! წამიერი და გროშად არ ღირს! კისერს მოიტეხს, ვინც ცოცხალია! სიცოცხლე მიმზიდველი და თან შხამიანი სურათია. ბედნიერება - ძველი ჩარჩოა, მარტო ერთ მხარეს შეღებილი. სოლომონ ბრძენმა თქვა, - ამაოება არის ყველაფერიო, - და მეც ვეთანხმები იმ ჭკუის კოლოფს, რომელიც, იქნებ, არც კი არსებობდა. შერცხვა ნულს, მთლად ტიტველი ხომ არ გავიდოდა ხალხში? ადგა და ამაოებით შეიმოსა. ამაოება! ყველაფერს ამშვენებს მყვირალა სიტყვებით! სამზარეულოს ლაბორატორიად გაჩვენებთ, ყბედს - პროფესორად, ჯამბაზს - გიმნასტად, აფთიაქარს - ქიმიკოსად, დალაქს - ხელოვანად, კალატოზს - არქიტექტორად და ფერ-უმარილს - მშვენიერებად. მაგრამ ქვედა მხარეც აქვს ამაოებას და სუსტი მხარეც. ქვედა მხარე მხეცია, ესე იგი, ზანგი თავისი მორთულობით და სუსტი მხარე სისულელეა, ესე იგი ფილოსოფოსი თავის ძველმანებში. ერთს დავტირი და მეორეს დავცინი! ის, რასაც უწოდებენ პატივსა და ღირსებას, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და ყალბი ოქრო. დიდების მოყვარეა ადამიანი და საკენკს უყრიან მეფეები, რომ უფრო ადვილად დაადგან უღელი. კალიგულამ ცხენს მიანიჭა კონსულობა; კარლ მეორემ რაინდად აკურთხა სუკის მწვადი. მიდით, მიდით დიდებისკენ! მიდით, გვერდში ამოუდექით იორღა კონსულს და ბატონ ბარონ - სამწვადეს! რაც შეეხება ადამიანის სულიერ ღირებულებებს, არც მათ აქვთ დიდი ფასი! ერთი ყური დაუგდეთ, რა ქებით ახსენებს მეზობელი თავის მეზობელს! თეთრი თეთრისადმი მხეცურად არის განწყობილი. შროშანს რომ ენა ჰქონოდა, იცით როგორ შეამკობდა მტრედს? ქვეშქვეშა, რომელიც ფარისევლის ამბავს ჰყვება, უფრო გესლიანია, ვიდრე შხამიანი გველი. ჩემი უბედურებაა, რომ უვიცი

ვარ, თორემ უამრავ მაგალითს მოვიყვანდი. ჭკუა კი ყოველთვის მქონდა: როდესაც ბატონი გროს სკოლაში ვსწავლობდი, იმის მაგივრად, რომ ქაღალდი მეთხაპნა, ბაღში გადავძვრებოდი ხოლმე და ვაშლს ვიპარავდი. დიახ, მხატვრის მოსწავლე ქურდი ვიყავი და ქურდობა დასაძრახია. მაგრამ, რაცა ვარ, ვარ და არც თქვენ ბრძანდებით უკეთესნი. გროშად არ მიღირს არც თქვენი ღირსება, არც თქვენი უმწიკვლოება, არც თქვენი მიღწევები. ყოველი ღირსება შეიძლება გადაიქცეს ნაკლოვანებად; მომჭირნეობა - წუწურაქობად, სიუხვე - მფლანგველობად, სიყოჩაღე - ტრაბახად. იმდენი ბიწიერება ურევია სათნოებაში, რამდენი ნაფხრეწიც ჰქონდა დიოგენეს წამოსასხამს. ერთი მითხარით, ვის სცემთ თაყვანს? მოკლულს, თუ კაცისმკვლელს? კეისარს თუ ბრუტუსს! საერთოდ, კაცისმკვლელი უფრო დაფასებულია. მაშ გაუმარჯოს ბრუტუსს! გაუმარჯოს, რომ კაცი მოკლა! ეს არის ღირსება ადამიანისა, მაგრამ შეუწყნარებელია ეს ღირსება. რამხელა ცოდვა აწევთ ამგვარ გმირებს (თუნდაც თქვენი ბრუტუსი ავიღოთ), კეისარი მოკლა და თვითონ კი გაგიუებით უყვარდა ერთი ბიჭის ქანდაკება, სტრონგილიონის ნაქანდაკევი; იმასვე ეკუთვნის ამორძალის ქანდაკება, ლამაზფეხიანი ევქნემოსის, რომელსაც თან დაათრევდა ნერონი, სამგზავროდ რომ წავიდოდა სადმე. ორად ორი ქანდაკება დარჩა სტრონგილიონს, რომლებმაც მოარიგეს ბრუტუსი და ნერონი. ერთი ბრუტუსს უყვარდა, მეორე ნერონს. მთელი თქვენი ისტორია ცარიელი წყლის ნაყვაა. ერთი საუკუნე წინა საუკუნის ქურდული გამეორებაა. მარენგო პიდნის ბრძოლის მიბაძვაა, კლოვის ტოლბიაკი და ნაპოლეონის აუსტერლიცი ორი წვეთი სისხლივით ჰგვანან ერთმანეთს. გამარჯვება არაფერია, დამარცხებაა სიბრიყვე. გამარჯვებული ის არის, ვინც დაარწმუნებს და დაიყოლიებს, მაგრამ აბა სცადეთ რაიმეს დამტკიცება და ვისიმე დარწმუნება! თქვენ კი მიღწევითა ხართ ბედნიერნი! ეგ გახლავთ გონების სიბეცე! ან გამარჯვებით ხართ აღფრთოვანებული! ეს გონების სისუსტის ბრალია! ეჰ, რას იზამთ? ამაოება და ვერაგობა მოსდებია ქვეყნიერებას! მოხერხებას ემორჩილება ყველა, თვით გრამატიკაც. Si volet usus - თუ ჩვეულება გვიბრძანებსო, - თქვა ჰორაციუსმა. მაშასადამე, ზიზღის ღირსად მიმაჩნია მე კაცობრიობა! იქნებ გნებავთ, რომ მუხლი მოვიყარო ხალხის წინაშე და თაყვანი ვცე? ერთი მითხარით, რომელი გყავთ სათაყვანებელი? საბერძნეთი ხომ არა? ათენელებმა, ესე იგი, ძველი დროის პარიზელებმა, მოკლეს ფოკიონი, ეს, ცოტა არ იყოს, კოლინის მკვლელობას წააგავს, და გუნდრუკს უკმევდნენ მტარვალებს. იქამდე დაეცნენ, რომ ანასეფორმა პიზისტრატის საამებლად თქვა, - ფუტკარს იზიდავს მისი შარდიო. - ყველაზე შესანიშნავი კაცი საბერძნეთში მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში გრამატიკოსი ფილეტასი იყო, რომელიც ისეთი გადაცოდავებული და მსუბუქი იყო, რომ ფეხსაცმელს ძირზე ტყვია მიაკრა, - ქარმა არ ამიტაცოსო. კორინთის მოედანზე ერთი დიდი ქანდაკება იდგა, სილანიონის შექმნილი და პლინიუსის მიერ აღწერილი; ეს ეპისტატეს ქანდაკება იყო. რითი გამოირჩეოდა ეპისტატე? მან გამოიგონა ფეხის გამოდება ჭიდაობაში. ესეც თქვენი საბერძნეთი მთელი თავისი მიღწევებით და დიდებით! ახლა სხვა ხალხი ვნახოთ. თაყვანი ვცე ინგლისს? ან კიდევ საფრანგეთს? რისთვის? პარიზის გამო? ხომ მოგახსენეთ ჩემი აზრი ათენის შესახებ. ინგლისს? რატომ და რისთვის? ლონდონის გამო? ჭირივით მძულს კართაგენი! ეგეც რომ არა, ლონდონი განთქმულია თავისი ფუფუნებით და დამშეული მუშების გაჭირვებით. მარტო შარინგკროსი რომ ვთქვათ, წელიწადში ასი კაცი მაინც კვდება შიმშილით ამ

ეკლესიის კართან. ეგეც თქვენი ალბიონი! სურათის დასასრულებლად უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი ინგლისელი ქალი ვნახე; ცეკვავდა, თავს მაისის ვარდის გვირგვინი უმშვენებდა და თვალებს ლურჯი სათვალე! მაშ პანღური ინგლისს! თუ თაყვანს არ ვცემ ჯონ ბულს, იქნებ მისი ძმა მომწონს, ჯონათანი? არა, ჩემი მოსაწონი არ არის მონების მფლობელი! აბა, წაართვით ინგლისს „დრო ფულია“, რაღა დარჩა? არაფერი! აბა წაართვით ამერიკას „ბამბა მეფეა“? რაღა დარჩა? არაფერი! გერმანია ლიმფაა; იტალია - ნაღველი. იქნებ რუსეთი ვაქოთ? თაყვანს სცემდა ვოლტერი, მაგრამ ის ჩინეთსაც თაყვანს სცემდა. მწამს და ვაღიარებ, რომ თავისებურად მშვენიერია რუსეთი, განსაკუთრებით თავისი დესპოტიზმით, მაგრამ რა ვქნა, რომ მებრალებიან ეს დესპოტები? მეტისმეტად სუსტი დღისანი არიან, უბედურები. ალექსის თავი გააგდებინეს, პეტრე ხანჯლით გამოწელეს, პავლე დაახრჩვეს, მეორე პავლე წაღის ქუსლებით გასრისეს, ბევრ ივანეს ყელი გამოსჭრეს. ბევრ ნიკოლოზს და ვასილს საწამლავი დაალევინეს. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერატორების სასახლე მეტად საშიშ, დაწყევლილ ადგილას ყოფილა აგებული. თუ მართლა მოწინავე და დიდებულია სახელმწიფო, ომში მოპოვებული გამარჯვებებით არის დიდებული, დაუცხრომელი ომით და ხალხის ჟლეტით. და ომში კი, გამოყენებულია ყველანაირი ავკაცობა, ყაჩაღობა, ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა, და რბევა ძველი ველური ხალხებისა. - რა ვუყოთ? მეტყვით - მაინც ევროპა სჯობს აზიასო. თუ არ დაგიშლიათ, დაგეთანხმებით, რომ სასაცილო აზრია, მაგრამ ის კი არ ვიცი, რას უპირებთ, სად გააქრობთ დალაი ლამას? მასაც სასაცილოდ გახდით, თქვენ, განათლებული ევროპელები, რომლებმაც თქვენს მოდას და თქვენს მშვენებას მიუმატეთ აზიური სიმდიდრის მრავალი ნიშანი? დედოფალი იზაბელა ჭეჭყიანი პერანგით განადიდეთ და ბატონიშვილი - გახვრეტილი სკამით. არ მოგწონთ, განა, ბატონებო, ჩემი ბოდვა? ეჰ, რას იზამთ? ლუდს ყველაზე მეტად ბრიუსელში სვამენ, არაყს - სტოკჰოლმში, შოკოლადს - მადრიდში, ღვინის არაყს - ამსტერდამში, ღვინოს - ლონდონში, ყავას - კონსტანტინეპოლში, აბსენტს - პარიზში; მაგრამ ყველას პარიზი სჯობია. პარიზში მენაგვეებიც კი ქეიფობენ. დიოგენესთვის რომ გეკითხათ, იტყოდა - პარიზში, მობერის მოედანზე მენაგვეობა მირჩევნია პირეიში ფილოსოფობასო. - ჰოდა, ესეც დაიმახსოვრეთ, რომ მენაგვეების დუქანს „ბიბინი“ ჰქვია. საუკეთესოდ და სახელგანთქმულად ითვლება „ქვაბი“ და „სასაკლაო“. ასე რომ, ღმერთმა მიმრავლოს კარგი დუქანი და გოგო მსუქანი, რესტორანი - ქალოვანი, წითელი ღვინო ჩვენი სალხინო და ყველგან ნისია დასავიწყარი! ამით ვაცხადებ, რომ მე მარტო კარგ ცხოვრებას ვცემ თაყვანს! სადილს რიშართან მივირთმევ - ორი ფრანკი კაცზე, - და ამის გარდა, ერთი კარგი სპარსული ხალიჩა მინდა, რომ ზედ ტიტველი კლეოპატრა გავაგორო. სად არის ჩემი კლეოპატრა! ოჰ, შენ ხარ, ლუიზონ? საღამო მშვიდობისა!

ასე სცლიდა თავის გუდას „მუზენის“ კაფეს ცალკე ოთახში მთვრალი გრანტერი და ჭურჭლის მრეცხავ ლუიზონს ეჭიდებოდა.

ბოსუემ ხელი დაადო, - იქნებ როგორმე გავაჩუმოო, - მაგრამ გრანტერმა იწყინა და შეუტია:

- შორს ეგლ-დე-მოს ბრჭყალები! ჩემზე არ იმოქმედებს შენი ჰიპოკრატეს ხელის ქნევა, რომლითაც იგი არტაქსერქსის საჩუქარს უარყოფდა. გამითავისუფლებიხარ - ნუღარ წუხდები ჩემს დასამშვიდებლად. ან არა და, განა არ ხედავ, რომ მოწყენილი ვარ? რა უნდა მითხრათ მე? საზიზღარი არის ადამიანი, უხამსი არის ადამიანი! პეპელა

რომ გააჩინა ღმერთმა, ფხიზელი იყო, ადამიანს რომ აჩენდა, ჩემზე უარესად მთვრალი. წარმოგიდგენიათ? რა უნდა იყოს მთვრალის გაჩენილი? შეხედეთ ხალხს, მახინჯების კრებულია. დიდით პატარამდე სულ არამზადები არიან! ქალი? Femene, ქალს რითმავს სიტყვა Infâme, დიახ, მოწყენილი ვარ, დაღონებული, მელანქოლია მერევა, იპოხონდრია, ნოსტალგია და ამიტომ არის, რომ ვჯავრობ, ვბრაზობ, ვგმობ. ვლაყბობ, ვცხარობ და მაინც ვერ ვისვენებ! ყველაფერი მომწყინდა! ჯანდაბას თქვენი ღმერთიც და მისი მომგონიც!

- აღარ გაჩუმდები, შე ყბედო, შენა? - შეუტია ბოსუემ, რომელიც ამ დროს კანონების ერთ მუხლს არჩევდა მარტოდმარტო და თავით ფეხებამდე ჩაფლული იყო ერთ იურიდიულ ფრაზაში:

- „...და რაც შეეხება ჩემს აზრს, თუმცა მე ლეგისტი კი არა, მხოლოდ თვითნასწავლი პროკურორი ვარ, მაინც ვამტკიცებ შემდეგს: ნორმანდიის ჩვეულებათა მიხედვით წმინდა მიხეილობას ყოველწლიურად ბეგარა უნდა ეხადათ ბატონის სასარგებლოდ. როგორც მიწის, ასევე მოსავლის გადასახადი, გადახდა ევალებოდა ყველას; მიწის მესაკუთრესაც, მოიჯარესაც, გირაოთი მიღებული მიწის პატრონსაც...“

- ალი ხარ, გულწარმტაცი! - ღიღინებდა გრანტერი.

იქვე, გრანტერთან ახლოს, მაგიდაზე ქაღალდის ფურცელი იდო, სამელნე და ერთი კალამი - ორ ჭიქას შორის. ეტყობოდა, ვოდევილის წერას აპირებდნენ. ძნელი საქმე ეტვირთათ მეგობრებს, თავი თავზე მიედოთ და ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ.

- თავიდან დავიწყოთ. ჯერ მოქმედი პირები დავასახელოთ! რაკი სახელები გვეცოდინება, შინაარსი თავისთავად გამოჩნდება.

- ძალიან კარგი. შენ თქვი, მე დავწერ.

- ბატონი დორიმონი.

- რენტოსანი?

- აუცილებლად.

- მისი ქალი ცელესტინი.

- ...ისტინი. მერე?

- პოლკოვნიკი სენვალი.

- სენვალი გაცვდა. მოდი ვალსენი იყოს.

ვოდევილისტების გვერდით მეორე ჯგუფი იჯდა, ხმაურით სარგებლობდა და ჩუმად მსჯელობდა დუელის შესახებ. ერთი დამჯდარი, ოცდაათი წლის კაცი არიგებდა თვრამეტი წლის ბიჭს და ცდილობდა აეხსნა, რა საშინელ მოწინააღმდეგესთან მოუწევდა ბრძოლა.

- აი, დალახვროს! გეუბნებით, ფრთხილად იყავით-მეთქი! ძალიან გამოცდილია ხმლის ხმარებაში. წარბს არ შეიხრის, ისე გეტაკებათ; ტყუილად ხმალს არ აიქნევს. მკლავი მაგარი აქვს, თვალი - მახვილი, ორთაბრძოლაში გაწაფულია და ამასთან ცაციაა...

გრანტერის მოპირდაპირე კუთხეში ჟოლი და ბაორელი დომინოს თამაშობდნენ. თან სიყვარულზე ლაპარაკობდნენ.

- ბედნიერი ხარ, - ეუბნებოდა ჟოლი, - სულ იცინის შენი საყვარელი.

- ძალიან მიჰქარავს, თუ სულ იცინის, - უპასუხა ბაორელმა - საყვარელს არ შეეფერება გამუდმებით სიცილი. მისი სიცილი ღალატისკენ მიბიძგებს, როცა

მხიარულს ვხედავ, სინანულს არ ვგრძნობ, მაგრამ თუ მოწყენილია, სინდისის ქეჯნა მიპყრობს.

- უმადურო! რა სჯობს ლამაზ ქალს, მხიარულს და მოცინარს. ჯერ ჩხუბი არსად მოგსვლიათ?

- წმინდა კავშირით რომ შევერთდით, პატარა პირობა დავდეთ და საზღვარი აღვნიშნეთ, რომელსაც არც ის უნდა გადმოსცილდეს და არც მე. საზღვრის ერთ მხარეს შვეიცარიის ვო მდებარეობს, მეორე მხარეს კი საფრანგეთის პატარა ჟეკსი. ეს საზღვარი მშვიდობიანობას ქმნის.

- მშვიდობიანობის დროს უკეთ აცნობიერებ შენს ბედნიერებას.

- შენ, ჟოლი? როგორ ხართ შენ და შენი გოგონა იმ უსიამოვნების შემდეგ?.. იცი, ვისზე გელაპარაკები?

- ჯერაც მებუტება. საშინლად გაჯიუტებულია.

- ნუთუ ვერ ხედავს, როგორი ჩამომხმარი ხარ მისი სიყვარულით?

- ეგა სთქვი და!

- შენს ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, თავს დავანებებდი.

- ეგ ადვილი სათქმელია.

- და ადვილი შესასრულებელიც. მუზიკეტი ჰქვია, არა?

- დიახ. ეჰ, ჩემო ბაორელ, რომ იცოდე, რა განათლებული ქალია, ლიტერატურის მცოდნე, პაწია ფეხი აქვს, პაწაწკინტელა ხელი, თეთრია, ჩასუქებული, კარგად იცმევს, მომხიბლავი თვალების პატრონია. რა ვქნა, რომ გაგიჟებით მიყვარს?

- თუ ასეა, ბიჭო, შენც თავი მოაწონე, კარგად მოიქეცი, ტანსაცმელი გამოიცვალე. შტაუბთან შედი და ერთი კოხტა შარვალი იყიდე. გოგოს თვალებში აქვს ჭკუა.

- რა ეღირება ეგ შარვალი?

მესამე კუთხეში ცხარე კამათი დაიწყოთ პოეზიის შესახებ. წარმართული მითოლოგია წაჰკიდებოდა ქრისტიანულს. ოლიმპს გამოეწვია კამათი და რომანტიზმის თაყვანისმცემელი ჟან პრუვერიც თავისკენ მიემხრო. ჟან პრუვერი მშვიდი მარტო დასვენების დროს იყო. მაგრამ თუკი საკამათო საგანს შეეხებოდა, მეხივით იფეთქებდა და სიტყვაში მახვილ ირონიას ჩაურევდა. მისი საუბარი სასიამოვნოც იყო და დამაჯერებელიც

- ღმერთებს ნუ შეურაცხყოფთ - იძახდა პრუვერი, - იქნებ დღესაც ჩვენთან არიან ძველი ღმერთები. იუპიტერი მე მკვდრად არ მიმაჩნია. თუ თქვენ ღმერთებს ლანდებს უწოდებთ, მათ ბუნებაში ვერსად შეხვდებით, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა ძველი მითია შემონახული: მთა გაიხსენეთ რამე, როგორც მაგალითად, ვინმალი, რომლის კონტურებიც ციხეს მოგაგონებთ, შეხედავთ და მაშინვე იუპიტერის დედის, სიბელის თმის სამკაული გაგახსენდებათ; თქვენ ვერაფრით დამიმტკიცებთ, რომ ღამღამობით პანი არ მოდის ტირიფის ფუღუროში ჩასაბერად, პანი ფუღუროს პირს დაადებს, რიგრიგობით ხის ნახვრეტებს აფარებს თითებს და უკრავს; პისვაშის ჩანჩქერს რომ ვნახავ ხოლმე, მაშინვე მაგონდება რომ მის წარმოშობას ნიმფა იოს უკავშირებენ.

მეორე კუთხეში პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. დაკანონებულ ქარტიას იწუნებდნენ, რომელსაც უგულოდ იცავდა კომბფერი, კურფეირაკი კი აღშფოთებული არჩევდა და ლანძღავდა. იქვე, მაგიდაზე იდო დაწუნებული ქარტია. ხელი სტაცა კურფეირაკმა, აიტაცა, გაბრაზებით აქნევდა და ქაღალდის შრიალს თავის სიტყვას აყოლებდა:

- უპირველეს ყოვლისა, მე მეფეები აღარ მინდა! ეკონომიკური მოსაზრებითაც არ არის მეფე საჭირო, ის მუქთამჭამელია, ხალხის პარაზიტია! აი, მომისმინეთ, რამდენად გვიღირს მეფე: ფრანსუა პირველი რომ მოკვდა, საფრანგეთის სახელმწიფო ვალი ოცდაათი ათას ლივრს უდრიდა; ლუი მეთოთხმეტის სიკვდილის შემდეგ, ვალი მილიარდსა და ექვსას მილიონს შეადგენდა. ოცდარვა ლივრად რომ ვიანგარიშოთ მარკა, ეს ვალი 1760 წელს დემარეს ანგარიშით ოთხ მილიარდსა და ხუთას მილიონს უდრიდა და დღევანდელი ანგარიშით - თორმეტ მილიარდს... გარდა ამისა, ნუ ეწყინება კომბფერს და ახალი ქარტია ხალხის თვალის ასახვევადაა მიღებული, რომელსაც ერთი განზრახვა აქვს; - ჩუმად იყავით, ხალხო, შენი მღელვარების გარეშეც ვზრუნავ შენს კეთილდღეობაზე! - მონარქიამ თავისი დრო მოჭამა; ახლა დემოკრატიაზე ვამყარებდით იმედებს და დემოკრატიის მაგივრად კონსტიტუციური თაღლითობით ვამშვიდებთ ხალხს. არა და არა! ნუ გაურევთ ხალხის განათლებაში ნურავითარ სიყალბეს! უწმინდესი პრინციპიც კი ხუნდება და ისვრება თქვენს კონსტიტუციურ სარდაფში. თუ ხალხს ვემსახურებით, არავითარი სისუსტე, არავითარი კომპრომისი! არავითარი მოწყალება მეფისა და რაღაც ქარტიები! ამ ვითომდა ხალხისადმი თანაგრძნობით ბოძებულ მოწყალებაში მეთოთხმეტე მუხლიც გახლავთ ჩართული. დიახ, ბატონებო, ერთი ხელით რომ გაძლევთ, მეორით, ბრჭყალებით ებღაუჭება ბოძებულს და წართმევას ცდილობს. უარვყოფ თქვენს ქარტიას! ქარტია ხალხის მტრის ნიღაბი გახლავთ; ერთი მხრივ - დაპირება და მეორე მხრივ - დაპირებულის გაუქმება. ხალხის მიერ ამ წყალობის მიღება მისი მოთხოვნილების უარყოფა იქნება. უფლება მარტო მაშინ რჩება უფლებად, როდესაც სრულად არის განხორციელებული. აი, თქვენი ქარტია! არა, ძირს ყოველგვარი ქარტია!

ზამთარი იყო, ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა და ნაპერწკალს ისროდა, ვეღარ გაუძლო კურფეირაკმა ამ ცდუნებას, დაჭმუჭნა უბედური ტუკეს ქარტია, და ცეცხლში ისროლა. ალი მოედო ქაღალდს. ფილოსოფოსის სიდინჯით შესცქეროდა კონბფერი მეფე ლუი მეთვრამეტის შედეგრის წვას და მოკლედ მოჭრა:

- ქარტია ალად ქცეული!

და გაისმა სიცილი, ხარხარი, ოხუნჯობა, ნაკვესები; ის მხიარული და თან მახვილგონივრული ხუმრობა, რომელსაც ფრანგები აღტაცებას ეძახიან, და ინგლისელები - იუმორს. ერთმანეთში აირია ენამოსწრებული და უხამსი შენიშვნები, ავი და კარგი სიტყვა. და მხიარული ყიჟინა მოედო მთელ დარბაზს.

## თავი მეხუთე
## ჰორიზონტის გაფართოება

ყმაწვილების საუბრის დროს, წინასწარ ვერავინ იტყვის როდის რა მოხდება, როდის დაიმუხტება სიტუაცია და როდის გაიელვებს? გულიანად რომ ხარხარებენ, უცბად ერთმა მოულოდნელად წამოსროლილმა სიტყვამ შესაძლოა სრულიად შეცვალოს კრების სულიერი განწყობილება. იქ მეფობს თითოეული მათგანის ჟინი. უხამსი ხუმრობა კმარა. რომ საპირისპირო მიმართულება მიიღოს საუბარმა, ხან აღმართს აჰყვეს, ხან დაღმართს. მიუხვიოს, მოუხვიოს, და შეცვალოს თავისი პერსპექტივა. შემთხვევითობაა ამგვარი საუბრის წარმმართველი.

მოულოდნელად ნასროლი სერიოზული აზრი კომეტასავით იჭრებოდა იმ ლაყბობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გრანტერი, ბაორელი, პრუვერი, კომბფერი და კურფეირაკი.

როგორ იჩენს თავს პატარა ფრაზა ამ გაცხარებულ კამათში? უკვე ვთქვით, რომ ეს არავინ იცის. გაცხარებით უმტკიცებდა რაღაცას ბოსუე კომბფერს და ამ თარიღით დააბოლოვა თავისი სიტყვა:

- 1815 წელი, 18 ივნისი, ვატერლოო.

მარიუსი ამ დროს ერთ მაგიდასთან იჯდა. წინ ჭიქით წყალი ედგა და ყურს უგდებდა ამხანაგების საუბარს. რომ გაიგონა ეს სიტყვა, - ვატერლოო, ნიკაპს მოაშორა ხელი და ყურადღება დაძაბა.

- უცნაური რამ არის ეგ თვრამეტი ივნისი! - შეჰყვირა კორფეირაკმა, - ავბედითი ბონაპარტისთვის! ამ რიცხვის წინ რომ ლუი დაასახელოთ და უკან ბრუმერი მიადევნოთ, ცხადად დაინახავთ ნაპოლეონის ბედისწერას იმ თვალსაზრისით, რომ დასაწყისს კვალდაკვალ მისდევს დაბოლოება.

აქამდე გაჩუმებული იყო ანჟოლრასი. აქ კი წამოდგა და ამ სიტყვით მიმართა კურფეირაკს:

- დიახ, ავკაცობას კვალდაკვალ მისდევდა თავისი სასჯელიც.

ამ სიტყვას, ავკაცობას, კი ვეღარ გაუძლო მარიუსმა. ჯერ ვატერლოოს ხსენებამ ააღელვა, ახლა ნაპოლეონის შეურაცხყოფამ.

ადგა, ნელი ნაბიჯით მივიდა საფრანგეთის რუკასთან, კედელზე რომ იყო გაკრული, კორსიკის კუნძულს თითი დაადო და წარმოთქვა:

- კორსიკა, ერთი პატარა კუნძული, რომელმაც ასე განადიდა საფრანგეთი...

გამყინავი ქარივით მოედო დარბაზს ეს სიტყვა. უცბად გაჩუმდა ყველა. გრძნობდნენ, რომ რაღაც იწყებოდა ღირსშესანიშნავი.

ბაორელი პასუხის გაცემას აპირებდა ბოსუესთვის, წამოდგა, წელში გასწორდა, მაგრამ ისიც სმენად გადაიქცა:

ანჟოლრასი ადგა. არავის უყურებდა, მარიუსსაც კი თვალი აარიდა და დამშვიდებით წარმოთქვა:

- საფრანგეთს დიდებისთვის კორსიკები არ სჭირდება! საფრანგეთი დიდებულია, რადგან საფრანგეთია, ქუია ნომინორ ლეო.

მარიუსი არ შემკრთალა, უკან დახევა აზრადაც არ მოსვლია. ანჟოლრასს მიუბრუნდა და ათრთოლებული ხმით, რომელიც სულის სიღრმემდე აღელვებას ამტკიცებდა, წარმოთქვა:

- ღმერთმა დამიფაროს საფრანგეთის დიდების დამცირებისგან, მაგრამ განა საფრანგეთის დამცირებაა, რომ ჩემს სამშობლოს ნაპოლეონიც დავუკავშირო? რაკი შევეხეთ ამ საგანს, მაშ ნეღარც გავჩუმდებით. მე ახალმოსული ვარ თქვენს წრეში, მაგრამ აი, ვაღიარებ, რომ მართლა მაკვირვებთ თქვენი აზრებით. სად ვართ, ამხანაგებო? ვინ ვართ? ვინ ხართ თქვენ, ან მე ვინ ვარ? აი, იმპერატორის შესახებ ვთქვათ ჩვენი აზრი. ისე იძახით ნაპოლეონის სახელს, თითქოს მასხრად იგდებდეთ, ბუონა-პარტიო - მახვილს აკეთებთ უ-ზე, როგორც როიალისტები. თქვენდა საყურადღებოდ მოგახსენებთ, რომ პაპაჩემი უკეთ იქცევა, ის კვლავ - ბუონაპარტე-ო გაიძახის. ყველანი ყმაწვილები ხართ, ვისზე ამყარებთ თქვენს ენთუზიაზმს, ვისზე ამყარებთ მომავლის იმედებს? ვინ არის თქვენთვის სათაყვანებელი, თუკი

იმპერატორს აღარაფრად აგდებთ? ან ვინ გნებავთ იმაზე დიდი და ძლიერი? არ მოგწონთ ეს დევგმირი? მაშ რა გინდათ, ვინ გინდათ მასზე დიდებული? იგი ყველაფრით სრულქმნილი იყო. ადამიანის ყოველგვარი ნიჭიერებით იყო დაჯილდოებული. კანონმდებლობას ქმნიდა, როგორც იუსტინიანე, კარნახობდა, როგორც კეისარი, მისი საუბრისას ერთმანეთს ერწყმოდა პასკალის ელვა და ტაციტუსის გრგვინვა. ის იყო ისტორიის შემოქმედი. „ილიადას“ არ ჩამოუვარდება მისი ჩანაწერები, დღიურები, მოგონებანი. ნიუტონის ციფრების ენას მაჰმადის მეტაფორებთან აერთებდა, და იქ, აღმოსავლეთში, პირამიდების მსგავს დიდებულ სიტყვებს ტოვებდა. ტილზიტში მმართველობას ასწავლიდა იმპერატორებს, მეცნიერებათა აკადემიაში ეკამათებოდა ლაპლასს, სახელმწიფო საბჭოში არ უთმობდა მერლენს. კანონმდებელი იყო პროკურორებთან და ვარსკვლავთმრიცხველი - ასტრონომებთან; ყაირათიანი იყო და კრომველივით აქრობდა ერთ სანთელს, როცა ორ ანთებულს მიართმევდნენ. სავაჭროდ თვითონვე დადიოდა, რომ გაფრთხილებოდა ხალხის ნაშრომს. ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი იცოდა. მიუხედავად ამისა, მიამიტად იცინოდა თავისი ბავშვის აკვანთან. იმას უსმენდა მთელი ევროპა, შიშმორეული. იძვროდა ლაშქარი თავისი ზარბაზნებით, მდინარეში გემები მწკრივდებოდნენ ჯარის გადასაყვანად, ცხენოსნები ქარიშხალივით დათარეშობდნენ. გაისმოდა საომარი ყიჟინა, რასაც მოსდევდა ტახტების დამხობა, სახელმწიფოების საზღვრების შეცვლა. გაისმოდა ქარქაშიდან ლახვრის ამოღების ზეადამიანური ხმა. გამოჩნდებოდა და ყველა მხრიდან ჩანდა ჰორიზონტზე, ელვით და მეხით - ხელში და ცეცხლის ალით - თვალებში. იდგა და თავის ორ უძლეველ ფრთას გაშლიდა: თავის ლაშქარს და ძველ გვარდიას. ჭეშმარიტად მრისხანე ანგელოზი იყო ომისა!

გაჩუმებულიყვნენ ყველანი. ანჟოლრასი თავჩაღუნული იდგა. ამგვარი დუმილი მსმენელთა თანხმობას, ან ჩიხში შემწყვდევას მოასწავებს. გულიანად ამოისუნთქა და უფრო მეტი აღტაცებით განაგრძო:

- ნუ ვუღალატებთ სიმართლეს, მეგობრებო! ასეთი დიდებული და სახელოვანი იმპერატორის ყოლა, ხალხის ბრწყინვალე ხვედრია, ისიც ისევე იყო ხალხის, როგორც საფრანგეთი, რომელიც თავის გენიას უმატებს ამ ადამიანის გენიას. სადაც მივიდა, მეფობა მოიპოვა; სადაც წავიდა - სრული გამარჯვება; დასასვენებლად გზად მდებარე დედაქალაქები ჰქონდა, მეფეებად თავის გრენადერებს აყენებდა, ერთი ბრძანებით ამხობდა დიდი ხნის ტახტებს და აუქმებდა მეფეთა დინასტიებს. საჭიროებისამებრ გარდაქმნა ევროპა, რადგან დაარწმუნა ყველა, რომ ხელში ღვთის მიერ მინიჭებული მახვილი ეჭირა. ნაპოლეონი ერქვა, მაგრამ შერწყმა იყო სამი გმირისა - ანიბალის, კეისრისა და კარლოს დიდისა. გამარჯვებული იყო და თავის ქვეყანას ყოველ დილას ახალი გამარჯვებით აღვიძებდა და ახარებდა, მამლის ყივილის მაგივრად ინვალიდების ზარბაზნებს ხმარობდა. სასწაულებრივ სიტყვებს ისროდა სივრცეში და ახალ ბრწყინვალე ვარსკვლავს მატებდა ზეცას, - მარენგო, არკოლი, აუსტერლიცი, იენა, ვაჭრამი! დღე არ გავიდოდა, რომ საუკუნეთა ზენიტზე გამარჯვების ახალი ვარსკლავი არ გაებრწყინებინა. ისე განადიდა საფრანგეთი, როგორც ერთ დროს ლათინების სახელმწიფო იყო. გააძლიერა ხალხი, გააძლიერა ხალხის შვილი - ლაშქარი, მთელ ქვეყნიერებას მოსდო თავისი ჯარები, როგორც მაღალი მთა გზავნის ყოველ მხარეს თავის არწივებს; ყველგან იმარჯვებდა, ყველგან

ბატონობდა, ყველგან ამარცხებდა. საფრანგეთი ისე იყო ევროპაში მისი დიდებით გაბრწყინებული, როგორც თავის დღეში არავინ ყოფილა. დევგმირების მოღვაწეობით ააცსო ისტორია ნაპოლეონმა, ორჯერ დაიპყრო მთელი ქვეყანა, ბრძოლით და გენიით და განა არის რამე ამაზე მეტი?

- თავისუფლება! - მოკლედ მოუჭრა კომბფერმა.

თავი დაღუნა მარიუსმა, ახლა იმის რიგი იყო. ამ უბრალო ცივმა სიტყვამ მახვილი ფოლადივით გაუარა მის ეპიკურ გულისნადებს, გრძნობდა, რომ საფუძველი ერყეოდა მის მრწამსს. დარბაზს გადაავლო თვალი. კომბფერი იქ არ იყო; ეტყობა კმაყოფილი იყო, რომ ასე მოსწრებულად უპასუხა ნაპოლეონის თაყვანისმცემელს, გარეთ გავიდა და ამხანაგებიც თან გაჰყვნენ, ყველანი, გარდა ანჟოლრასისა. დარბაზი ცარიელი იყო. იქვე მარიუსთან იდგა ანჟოლრასი და დაშტერებით შეჰყურებდა. ამასობაში თავის ფიქრები დაიმორჩილა მარიუსმა, პასუხი მოიაზრა უცბად, დამარცხებულად არ მიაჩნდა თავი. ჯერ კიდევ ბლომად ჰქონდა რწმენის საფუძველი, რომელიც მოხერხებული სილოგიზმებით უნდა გადაეშალა ანჟოლრასისთვის, მაგრამ უცბად სიმღერა გაისმა კიბიდან. შინ მიდიოდა კომბფერი ნელ-ნელა და თან დასძახოდა:

თუ კეისარი მე მიბრძანებს,
გავყიდო დედა,
ყველა ამისთვის ტახტს მიბოძებს,
კვერთხს და დიდებას. -
პირდაპირ ვეტყვი, ზიზღით ვეტყვი:
ბრმავ, როგორ ბედავ,
მე დედა მიყვარს,
არაფერი არა მჭირდება!

ტკბილი ხმით მღეროდა კომბფერი, მაგრამ მკაცრად ამახვილებდა ზოგ მნიშვნელოვან სიტყვას. შიგ გულში ხვდებოდა მარიუსს. ჩაფიქრებული იდგა, ჭერს შეჰყურებდა ზევით და თავისდა შეუმჩნევლად გაიმეორა:

- დედაჩემი? მე დედა მიყვარს.

ამ დროს მხარზე ხელი დაადო ანჟოლრასმა და უთხრა:

- მოქალაქევ, დედაჩვენი, - რესპუბლიკა გახლავს.

## თავი მეექვსე
## RES ANGUSTA

იმ საღამომ მარიუსზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა, ისევ ბნელი მოჰფინა მის გულს; სწორედ იმასვე გრძნობდა, რასაც მიწა უნდა განიცდიდეს, როდესაც რკინით გაუჭრიან გულს, რომ ხორბლის თესლი ჩაუდონ, მხოლოდ ჭრილობის ტკივილს. თესლის აღმოცენების და ნაყოფის ჩასახვის გამო სიხარული შემდეგში ეღირსება.

დაღვრემილი იყო. როგორც იქნა, იპოვა თავისი მრწამსი, ნუთუ ახლა ესეც შესაცვლელი იქნებოდა? ცდილობდა გამაგრებულიყო, დაემტკიცებინა თავისი თავისთვის, რომ საეჭვო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც ერეოდა ეჭვი. აუტანლად მძიმეა იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ორ სარწმუნოებას შორის მოყვება, და ვერც ერთიდან გამოსულა ჯერ და ვერც მეორეში შესულა. ამგვარი ბინდი მარტო

სულით ღამურას მოსწონს. მარიუსი კი კარგი მხედველობის პატრონი იყო და მთელი თავისი არსებით მიიწევდა სინათლისაკენ. ეჭვი სულს უხუთავდა. ძალიან უნდოდა ურყევად დარჩენილიყო ძველ ადგილას, მაგრამ იძულებული იყო მაინც განეგრძო ფიქრი, დასკვნას მიჰყოლოდა და წინ წასულიყო. სად მიიყვანდა ფიქრი? შიში უწყლულებდა გულს: იმდენი ტანჯვა და წვალება გამოიარა, რომ გარდაცვლილ მამას დაახლოებოდა, და ნუთუ ახლა საყვარელ მამას ჩამოაშორებდა მისი შეხედულებები? და რაც უფრო მეტად უფიქრდებოდა თავის სატკივარს, მით უფრო მეტი იყო მისი წამება. საშინელ უფსკრულს დაჰყურებდა. არ ეთანხმებოდა თავის პაპას, მაგრამ, ამხანაგებისაც რომ არა სწამდა? პაპისთვის გაბედული იყო, და ამხანაგებისთვის - ჩამორჩენილი. გრძნობდა, რომ განცალკევებულად რჩებოდა, მოხუცისგან გამოდევნილი და ყმაწვილი კაცებისგან შეუწყნარებელი. ფეხი ამოიკვეთა, აღარ გაუვლია „მუზენის“ კაფესკენ.

დიდ სულიერ ბრძოლას განიცდიდა, ასე რომ, ცხოვრების სხვა მოთხოვნილებანი აღარ აგონდებოდა, მაგრამ ცხოვრება თავისას არ იშლიდა და - შენ დამივიწყებ, მე მოგაგონებო, - შიგ გულში ჩაჰკრა მუშტი.

ერთ დილას სასტუმროს გამგე შევიდა მარიუსის ოთახში და უთხრა:

- თქვენ რომ გადმოხვედით ჩვენთან, ბატონი კურფეირაკი დაგიდგათ თავმდებად.

- ვიცი.

- ჰო და, ქირა გადამიხადოს.

- სთხოვეთ კურფეირაკს, მობრძანდეს, მომელაპარაკოს, - უთხრა მარიუსმა.

კურფეირაკი რომ მოვიდა, მარტო დარჩნენ ამხანაგები და მაშინ უამბო მარიუსმა, რაც აქამდე არც კი აგონდებოდა, რომ მარტოდმარტო იყო ამ ქვეყნად და ახლობელი არავინ გააჩნდა.

- მაშ რას აპირებთ? - ჰკითხა კურფეირაკმა.

- აბა, რა ვიცი?

- ფული გაქვთ?

- თხუთმეტი ფრანკი.

- გნებავთ, გასესხოთ?

- არასოდეს!

- ტანისამოსი გაქვთ?

- აი, ესა მაქვს.

- ძვირფასი ნივთი?

- ერთი საათი.

- ვერცხლის არის?

- არა ოქროსი. აი, აქ მაქვს.

- ერთ კაცს ვიცნობ, ძველი ტანისამოსით ვაჭრობს, იქნებ იყიდოს თქვენი სერთუკი და შარვალი?

- ძალიან კარგი.

- მერე თქვენ რაღა დაგრჩებათ? ერთი ხელი ტანისამოსი, არა?

- დიახ და ჩემი წაღები.

- ჰოო? ეგეც კარგია, რომ ფეხშიშველა არ ივლით. სიმდიდრეც მაგას ჰქვია?

- ჩემთვის საკმარისი იქნება ჩემი სიმდიდრე.

- მაშ საათიც თან მივადევნოთ. ერთ მესაათეს ვიცნობ, იქნებ იყიდოს.

- ძალიან კარგი.
- არა, აქ კარგი არაფერია! მერე რაღას აპირებთ?
- ვნახოთ, რაც შემეძლება. რასაც პატიოსანი შრომა ერქმევა.
- ინგლისური იცით?
- არა.
- გერმანული?
- არა.
- მით უარესი.
- რატომ?
- ერთი მეგობარი მყავს, წიგნებით ვაჭრობს, ენციკლოპედიურ ლექსიკონს ბეჭდავს, სათარგმნი მასალა აქვს, ინგლისური და გერმანული წერილები. ბევრს არაფერს იხდის, მაგრამ პურის ფულს მაინც იშოვის კაცი.
- ვისწავლი ინგლისურსაც და გერმანულსაც.
- სანამ ისწავლით?
- სანამ ვისწავლი, ჩემს ტანისამოსს და ჩემს საათს შევჭამ.

დაიბარეს ძველმანებით მოვაჭრე. ოცი ფრანკი მისცა მარიუსს. შემდეგ მესაათესთან წავიდნენ. ორმოცდახუთ ფრანკად იყიდა ოქროს საათი.

- არცთუ ისე ცუდად მოვაგვარეთ საქმე, - უთხრა კურფეირაკს მარიუსმა, შინ რომ დაბრუნდნენ, - თხუთმეტი ფრანკი მქონდა და ახლა ოთხმოცი მაქვს.
- ოთახის ქირა? - მოაგონა კურფეირაკმა.
- კინაღამ დამავიწყდა!

სამოცდაათი ფრანკი ოთახის ქირა გადაიხადა მაშინვე.

- ათი ფრანკი დამრჩა.
- ჰოდა რა? ხუთი ფრანკით იცხოვრებთ, ვიდრე ინგლისურს ისწავლით, და ხუთითაც, ვიდრე გერმანულს ისწავლით. ასე რომ, ან უცხო ენა უნდა სასწრაფოდ გადაყლაპოთ ან ხუთი ფრანკი დიდხანს იმყოფინოთ.

ამასობაში დეიდა ჟილნორმანს, მოხუცებულს, მაინც შერჩენოდა გაჭირვებულისადმი თანაგრძნობა და მარიუსის ბინისთვის მიეგნო. ერთ დილას, ლექციის მოსმენის შემდეგ, შინ რომ დაბრუნდა მარიუსი, სახლში დახვდა დეიდის წერილი და სამოცი პისტოლი, ესე იგი ექვსასი ფრანკი ოქროდ პატარა დაბეჭდილ ყუთში.

ფული მაშინვე უკან გაგზავნა, ზრდილობიანი წერილით. მადლობას უხდიდა, - ჩემს სამყოფს მე თვითონ ვშოულობ, გაჭირვება არ მაქვსო, - როდესაც ამას წერდა, სულ სამი ფრანკიღა ჰქონდა.

დეიდამ არც ფულის გაგზავნის და არც მარიუსის წერილის მიღების შესახებ ბატონ ჟილნორმანს არაფერი უთხრა, რადგან ეშინოდა მამის აღშფოთების, და გარდა ამისა, კარგად ახსოვდა მამის ბრძანება - მარიუსის ხსენება აღარ იყოს ჩემს სახლშიო.

სასტუმროდან გავიდა მარიუსი. გადაწყვეტილი ჰქონდა, სხვა ბინა ეშოვა და გადასულიყო.

## წიგნი მეხუთე
## დიდება გაჭირვებისა

## თავი პირველი
## მარიუსის გასაჭირი

ძალიან გაუჭირდა მარიუსს. ტანისამოსისა და საათის ფული შეჭამა. ამის მერე საშინელ გაჭირვებაში ჰჩავარდა, რადგან გასაყიდი აღარაფერი ჰქონდა. შიმშილი ცალკე აწუხებდა, სიცივე - ცალკე. აუტანელი იყო მისი ცხოვრება, - დღე პური არ ჰქონდა, ღამე - ძილი, ბინდისას - სანთელი და ზამთარში - ცეცხლი. ისე გავიდოდა ხოლმე ხანდახან მთელი კვირა, რომ გროშს ვერსად იშოვიდა. მომავალიც კარგს არაფერს უქადდა. ტანისამოსი იდაყვში გამოხეული ეცვა, ისეთი ძველი ქუდი ეხურა, რომ ქალები სიცილს ვერ იკავებდნენ. ხშირად მომხდარა, სახლში მისულს კარი დაკეტილი დახვედრია, - ოთახის ქირა გაქვს გადასახდელიო, - და თან მეკარის თავხედობას იტანდა. იგივე მოელოდა დუქანში, პურის საჭმელად რომ მივიდოდა, - შეურაცხყოფა და თავხედური შეტევა, - ჯერ ნისიაში გაგვისწორდიო - მეზობლებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებული, მაგრამ თავისი სიღარიბის გამო იძულებული იყო მოეთმინა თავხედობაც, შეურაცხყოფაც, მასხარად აგდებაც, ცხოვრების სიმწარეც და ხშირად სულიერი სისუსტეც. მარიუსმა ისწავლა ყოველივე ამის მონელება და ისიც ისწავლა, რომ ადამიანს ხშირად ამის მეტი არაფერი აქვს მოსანელებელი. თავის სიცოცხლის სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ადამიანი ამაყად დადის, თავმომწონედ, რადგან სიყვარული ენატრება, მარიუსს არც სიამაყე შეეძლო, არც თავმოწონება, რადგან ტანსაცმელი არ უვარგოდა და დასცინოდნენ, ღარიბი იყო და მასხარად იგდებდნენ. იმ დროს, როდესაც საყმაწვილე ადამიანის გულს გამარჯვების იმედით ავსებს, მას ხშირად დაუხედავს თავისი დახეულ ფეხსაცმლისთვის და გაწითლებულა. მაშინ ნახა, რა ჰმძიმეა გაჭირვებისგან აღძრული სულიერი წამება. საგანგებო და თან საზარელი ბრძმედია გაჭირვება, რომლიდანაც სუსტი თავლაფდასხმული გამოდის, და მძლავრი - განდიდებული. გავარვარებული ბრძმედია, რომელშიც ბედისწერა ჩააგდებს ხოლმე ადამიანს, რომ ან უკეთურად გადარქმნას, ან ღვთის დარად.

ბევრია გმირი, რომელიც სიღარიბესთან წვრილმან ბრძოლაში ატარებს მთელ სიცოცხლეს და მაინც არ ხრის და არ ირცხვენს თავს. ბევრია დიდებული და გამარჯვებული, რომელსაც არავინ ხედავს და აჯილდოებს. ცხოვრება, უბედურება, განცალკევება, მარტოდ დარჩენა, სიღარიბე - ეს სხვადასხვაგვარი ბრძოლის ველია, რომელსაც ყოველთვის ჰყავს თავისი გმირები, უჩინარნი და ხანდახან უფრო დიდებულნი, ვიდრე სახელგანთქმული გმირები არიან.

ასე გამოჭედილან ძლიერი და გამორჩეული ადამიანები. გაჭირვება თითქმის ყოველთვის დედინაცვალია ადამიანისა, მაგრამ ხანდახან დედად უხდება. სიღარიბე ქმნის სულისა და გონების ძლიერებას. სასოწარკვეთილება თავის ძუძუს აწოვებს სიამაყეს. უბედურება ნოყიერი საკვებია დიდსულოვანთათვის.

ისეთი დროც დაუდგა მარიუსს, როცა თვითონ გვიდა თავის კიბეს, ერთი სუს ყველსა ყიდულობდა მეხილესთან, ან არა და დაბნელებას ელოდა, რომ სხვის დაუნახავად შეპარულიყო მეპურესთან, ერთი პატარა პური ეყიდა და ჩუმად აეტანა თავის სხვენში, თითქოს მოპარული ყოფილიყო. ხანდახან, როცა ჩამობნელდებოდა, ასევე ჩუმად შეიპარებოდა ხოლმე ყასბის დუქანში, გაერეოდა უხეშ, ხუმარა მზარეულ გოგონებში, რომლებიც იდაყვით სცემდნენ შეუბრალებლად. მოკრძალებით მიიწევდა წინ, ქუდს უხდიდა, თავს უკრავდა ყასაბ დედაკაცს, მერე ხორცისმჭრელ ბიჭს ერთ

ცალ ცხვრის კატლეტს ყიდულობდა, იხდიდა ექვს, ან შვიდ სუს, ქაღალდში ახვევდა, თავის წიგნებში ჩადებდა და ისევე მორიდებით მიდიოდა შინისკენ.

თვითონვე წვავდა ამ კატლეტს და სამი დღის განმავლობაში იზოგავდა. პირველ დღეს ხორცს ჭამდა, მეორე დღეს - ქონს, მესამე დღეს კი ძვალს ხრავდა.

დეიდამ რამდენჯერმე კიდევ სცადა დახმარება, წერილი მოსწერა და ფულიც გამოუგზავნა, ისევ ის სამოცი პისტოლი, მაგრამ მაშინვე უკან უბრუნებდა მადლობით და ცნობით, რომ საკმარისად აქვს ყველაფერი და არ უჭირს.

ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა მამის გლოვა, რომ მის აზროვნებაში სრული გარდაქმნა მოხდა. მას შემდეგ სულ შავით დადიოდა, მაგრამ ტანისამოსი ნელ- ნელა უცვდებოდა და ერთ დღესაც დაინახა, რომ მისი სერთუკი ჩასაცმელად აღარ ვარგოდა, შარვალს ჯერ კიდევ არა უშავდა. რა უნდა ექნა? მოაგონდა კურფეირაკი, მოაგონდა, რომ ცოტა რამ დახმარება მასაც აღმოეჩინა კურფეირაკისთვის და იმას გამოართვა ძველი სერთუკი. ფრანკ-ნახევარი მისცა ვიღაც მეკარეს, გადააბრუნებინა და თითქმის ახალი გამოუვიდა, ოღონდ მწვანე იყო სერთუკი და სახლიდან აღარ გადიოდა, სანამ კარგად არ ჩამობნელდებოდა, ბნელში სერთუკი შავად ჩანდა. რადგან არ უნდოდა სამგლოვიარო ტანისამოსი მოეშორებინა, ღამის სიბნელით იმოსებოდა.

ამასობაში სწავლაც დაასრულა და ვექილობა მიიღო. თავის პაპას მაშინვე აცნობა ეს ამბავი მოკლე, მაგრამ პატივისცემით და მორჩილებით აღსავსე წერილით. ბატონმა ჟილნორმანმა ათრთოლებული ხელით გახსნა წერილი, წაიკითხა, დახია და კალათაში ჩაუძახა. ორი თუ სამი დღის შემდეგ, ქალბატონ ჟილნორმანს რაღაც მოესმა თავისი მამის ოთახიდან; მარტო იყო და ხმამაღლა ლაპარაკობდა. ყოველთვის ასე იცოდა, როდესაც რამით იყო გაჯავრებული და აღელვებული. ყური მიუგდო და გაიგო მოხუცებულის სიტყვა:

- შენ რომ ეგეთი ყეყეჩი არ ყოფილიყავი, გეცოდინებოდა, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ბარონიც იყოს კაცი და ვექილიც!

## თავი მეორე
## მარიუსის სიღარიბე

გაჭირვებასაც იგივე მოსდის, რაც ყველაფერს ამ ქვეყნად, შესაძლებელი და ასატანი ხდება ნელ-ნელა, საბოლოო ფორმას იღებს დასრულებისას. მცენარესავით ცხოვრობს ადამიანი; მეტისმეტად ნელია და სუსტი მისი განვითარება, მაგრამ მაინც საკმარისი, რომ ცოცხალი იყოს. აი, როგორ მოეწყო მარიუს პონმერსის ცხოვრება.

უკვე აჯობა აუტანელს, მორევიდან გამოვიდა, ფეხზე დადგა. დაუღალავი შრომა, უსაზღვრო მოთმინება, მედგარი ბრძოლა დასჭირდა, რომ შვიდას ფრანკამდე აეყვანა თავისი წლიური შემოსავალი, თავისი შრომის ფასი.

გერმანული ენაც შეისწავლა და ინგლისურიც, კურფეირაკმა თავის მეგობარ გამომცემელთან მიიყვანა, გააცნო და მისი წყალობით იყო, რომ ამ წიგნის მაღაზია - გამომცემლობაში მარიუსს პატარა საქმე ჰქონდა მიჩენილი. განცხადებებს ადგენდა, ჟურნალ-გაზეთებიდან თარგმნიდა, აღნუსხავდა ახალგამოცემულ წიგნებს, ავსებდა ბიოგრაფიებს. საქმე ჰქონდა და კარგი წელი დაუდგებოდა, თუ ავი - შვიდას ფრანკს

იღებდა გასამრჯელოს, და ამ ფულით ცხოვრობდა. არცთუ ისე ცუდად. როგორ? აბა, ვნახოთ.

გორბოს სახლში წელიწადში ოცდაათ ფრანკად ერთი პატარა ოთახი იქირავა, რომელსაც ბუხარიც კი არ ჰქონდა. მოწყობილობა - სულ უბრალო, უსაჭიროესი - თვითონვე მიიტანა. მეკარე დედაკაცს სამ ფრანკს აძლევდა თვეში, რომ ოთახი დაეგავა, დილით ცოტა თბილი წყალი მიერთმია, ერთი კვერცხი და ერთი სუს პური საუზმედ. ერთი კვერცხი და პატარა პური ჰყოფნიდა. საუზმის ღირებულებას რამე თუ შეცვლიდა, მარტო კვერცხის ფასი, და ისიც მხოლოდ ერთი სუ-თი. საღამოს ექვს საათზე სენ-ჟაკის ქუჩაში რუსოს დუქანში ჩადიოდა პურის საჭმელად, ბასეს მაღაზიის კუთხეში. ერთი თავი ხორციანი კერძი, ექვსი სუ, ნახევარი თავი მცენარეული კერძი და რაიმე ხილი, სამი სუ.

სადილის შემდეგ - სამი სუ; სამ სუს აძლევდა იმდენ პურში, რამდენსაც შეჭამდა. ღვინის მაგივრად წყალს სვამდა. დახლთან რომ მივიდოდა ფულის მისაცემად, სადაც რუსოს ჩასუქებული, მაგრამ ჯერ კიდევ ქორფა, ცოლი დიდის ამბით იყო გამოჭიმული, ერთ სუს ბიჭს მისცემდა, რომელიც სადილზე ემსახურებოდა, და სამაგიეროდ ქალბატონი რუსოს ტკბილ ღიმილს მიიღებდა ხოლმე. მერე შინისკენ მიეშურებოდა. თექვსმეტი სუს ფასად სადილიც ჰქონდა და ტკბილი ღიმილიც.

რუსოს რესტორანში გრაფინით წყალი უფრო მეტი იხარჯებოდა, ვიდრე ბოთლით ღვინო, და უფრო სასადილო იყო, ვიდრე რესტორანი, სახელიც შესაფერისი ჰქონდა; მეტსახელად „რუსოს წყაროს“ ეძახდნენ.

ამრიგად, საუზმე ოთხი სუ უჯდებოდა, სადილი თექვსმეტი; ერთ ფრანკს ხარჯავდა დღეში თავის საჭმელ-სასმელზე, ესე იგი, სამას სამოცდახუთ ფრანკს წელიწადში. მიუმატეთ ამას ოცდაათი ფრანკი ოთახის ქირა, ოცდათექვსმეტი ბებერი დედაკაცის გასამრჯელო, ცოტა რამ წვრილმანებზე, და ნახავთ, რომ ოთხას ორმოცდაათ ფრანკად მარიუსს საჭმელ-სასმელიც ჰქონდა, ბინაც და მოსამსახურის დახმარებაც. ტანსაცმელში ასი ფრანკი ეხარჯებოდა, სარეცხში - ორმოცდაათი, მრეცხავის ხელფასში - ორმოცდაათი, ასე რომ, ექვსას ორმოცდაათ ფრანკს არ აღემატებოდა მისი წლიური ხარჯი; უფრო ნაკლები, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა, და მაშასადამე მდიდარი კაცი იყო, ორმოცდაათი ფრანკი რჩებოდა ნაღდი. ხანდახან თვითონ ასესხებდა ხოლმე გაჭირვებულ ამხანაგს ცოტაოდენ ფულს. ერთხელ კურფეირაკს სამოცი ფრანკით გაუმართა ხელი. რაც შეეხება შეშის ხარჯს, ბუხარი არ ჰქონდა და ეს ხარჯიც არ არსებობდა.

ყოველთვის ორი ხელი ტანისამოსი ჰქონდა, ერთი ძველი, საშინაო, და ასე ვთქვათ ყოველდღიური; მეორე - საგარეო. ყველაფერი შავი ეცვა. სამი პერანგი ჰქონდა; ერთი ზედ ეცვა, მეორე, სუფთა, კამოდში ედო, და მესამე მრეცხავს ჰქონდა წაღებული. ახალს მარტო მაშინ იძენდა, როდესაც ძველი მთლად გაუცვდებოდა, ამიტომ ყოველთვის თავიდან ბოლომდე ჰქონდა შეკრული სერთუკის ღილები, ვიდრე ამ მდგომარეობას მიაღწევდა, დიდი გაჭირვება და ხანგრძლივი წვალება გამოიარა, რამდენიმე მეტად ძნელი და აუტანელი წელიწადი, მაგრამ ფეხი არსად დასცდენია მარიუსს. ყველაფერს გაუძლო, ყველა ღონე იხმარა, რომ პატიოსნად, უვალოდ, სხვის დაუხმარებლად ეცხოვრა. თავისი თავის მადლიერი იყო, რომ მშიერს და ტიტველს გროში არავისგან უსესხია და, მით უფრო, არც ახლა ისესხებდა. მისი აზრით, ვალი მონობის დასაწყისი იყო, - ვალს რომ იღებ, მტარვალს ისვამ კისერზეო,

- იძახდა, - ბატონზე უარესს, რადგან ბატონს მარტო შენი შრომით ეკუთვნი და მევალეს კი - შენი ღირსებით, რომელიც მას შეუძლია შეგილახოსო. - მშიერი რჩებოდა და ვალს კი არ იღებდა, ისე რომ, ხშირად სრულ მარხვაზე იყო. კარგად იცოდა, რომ დიდი გამძლეობა სჭირდებოდა, რათა გაჭირვებისგან სულიერად არ დაცემულიყო, და სულ იმაზე ფიქრობდა, რომ ღირსებისა და პატიოსნების შემლახველი არაფერი ჩაედინა. მარიუსს ერჩია სული ამოხდომოდა, ვიდრე ფული ესესხა და, ამიტომ იშვიათად როდი დაუძინია მშიერს.

ბევრი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ყოველთვის პოულობდა რაღაც გამამხნევებელ საიდუმლო ძალას, რომელიც ფრთებს ასხამდა. სული ეხმარება ტანს და ხშირად ფეხზე აყენებს დაცემულს. ეს არის ერთადერთი ფრინველი, რომელიც თვითონვე ამაგრებს თავის გალიას.

მამის სახელი ჰქონდა გულში ჩაბეჭდილი და იქვე მამის სახელის გვერდით - ტენარდიესი. პატიოსნებით და გულუბრყვილობით აღსავსე ყმაწვილკაცს თავგანწირულ გმირად ეჩვენებოდა ტენარდიე, რომელმაც გააფთრებული ბრძოლის დროს დაჭრილი პონმერსი სიკვდილს გადაარჩინა. მამის გახსენებასთან ერთად უთუოდ ტენარდიეც ახსენდებოდა და ორივეს ერთად სცემდა თაყვანს. ეს იყო ერთგვარი ორსაფეხურიანი ხატი, ერთი დიდი, მამის და მეორე, მომცრო - ტენარდიესი. დამსახურებულ სიკეთეს გადახდა უნდოდა და გულზე აწვა თავისი უმადურობა, რადგან იცოდა, რომ გაჭირვებაში უნდა ყოფილიყო გაკოტრებული მედუქნე.

მონფერმეილში იყო და გაიგო, რომ გაკოტრებულიყო და სადღაც გადაკარგულიყო. მას შემდეგ დაეძებდა მის კვალს, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ეპოვა და დახმარებოდა გაჭირვების ბნელ უფსკრულში ჩავარდნილს, მაგრამ ამაოდ. მთელი ქვეყანა მოიარა მარიუსმა; შელში ეძებდა, ბონდში, გურნეიში, ნოგანში, ლანში. სულ იმის ძებნაში იყო სამი წლის განმავლობაში და ამაში ხარჯავდა თავის დანაზოგს, მაგრამ კაცი ვერ ნახა, რომ ტენარდიესი სცოდნოდა რამე. ბევრი მევალეც ცდილობდა მის პოვნას, არა სიყვარულით, როგორც მარიუსი ეძებდა, მაგრამ ისეთივე თავგამოდებით და გაცხოველებით, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ნანობდა მარიუსი, თავის თავს საყვედურობდა, - კარგად რომ მეძებნა, ვიპოვიდი და სინდისი დამშვიდებული მექნებოდაო. - მხოლოდ ერთი რამ დაავალა მამამ ანდერძით და ისიც კი ვერ აუსრულა მიცვალებულს. როგორ? - ჩიოდა მარიუსი - დაჭრილებსა და მკვდრებში ეგდო მამაჩემი, სადაც ყველგან სისხლის გუბეები იდგა, ყველგან სიკვდილი ემუქრებოდა, და არ შეეშინდა, ერთი უბრალო ათისთავი მოძებნა, იპოვა და სიკვდილისგან იხსნა დაჭრილი, თუმცა მისი არაფერი ემართა. მე კი ის თავგანწირული ადამიანი ვერ ვიპოვე, რომ ვალი გადავუხადო? მით უფრო, ვიცი, დიდ გასაჭირშია, ჩემი მოვალეობაა, ახლა მე ვუშველო და სამშვიდობოზე გავიყვანო. არა, უნდა ვიპოვო სადმე! - ისე აწუხებდა ეს ამბავი, ისე უკლავდა გულს ტენარდიეს უბედურება, რომ მარჯვენა ხელს მოიჭრიდა, თავს გაწირავდა, ოღონდ სადმე ეპოვა და დახმარება აღმოეჩინა. თუ იპოვა როგორმე, მივა და ეტყვის: - არ მიცნობთ, განა? მე კი გიცნობთ! აი, აქ ვარ და მიმსახურეთ, როგორც გენებოთ, - ეს იყო მარიუსის უტკბილესი ოცნება.

## თავი მესამე

## მარიუსის დავაჟკაცება

ამ დროს ოცი წლის იყო მარიუსი. სამი წელი გასულიყო, რაც პაპის სახლიდან წამოვიდა. და რაც დაშორდნენ ერთმანეთს, მას შემდეგ მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, არც შეხვედრას ცდილობდნენ, არც შერიგებას. ან რაში სჭირდებოდათ ერთმანეთის ნახვა? კიდევ უთანხმოებას რომ ეჩინა თავი? ან რომელი მათგანი დაუთმობდა მეორეს? თითბერივით მაგარი იყო მარიუსი, მაგრამ რკინასავით მაგარი გახლდათ ბებერი ჟილნორმანი.

მარიუსი ვერ ჩასწვდა პაპის გულის ნადებს. უცნაური კაცი იყო პაპამისი და სწორედ მაშინ შეუტევდა ხოლმე, როდესაც გულით უნდოდა მარიუსის ალერსი. ამიტომ იყო, რომ ცდებოდა ყმაწვილი, - პაპაჩემს თავის დღეში არ ვყვარებივარო, - იძახდა, - მოხუცებული კაცია, გულქვა, ავყია; სულ ყვირის, ჯავრობს, ილანძღება, მუშტს გიღერებს, ჯოხს გიქნევს; და თუ გააჩნდა რამე ჩემთვის, მარტო უბრალო ვალდებულება შვილიშვილისადმი და კომედიის ჟერონტის სიმკაცრე. - ცდებოდა მარიუსი. ბევრია მამა, რომელსაც არ უყვარს თავისი შვილი; მაგრამ არ არსებობს პაპა, რომ არ აღმერთებდეს თავის შვილიშვილს. ბატონ ჟილნორმანსაც გულით უყვარდა მარიუსი, მაგრამ ამ სიყვარულს თავისებურად გამოხატავდა, - გაჯავრებით, დატუქსვით და ხანდახან სილითაც. ასე იყო, მანამ შინ ჰყავდა მარიუსი, მაგრამ რომ ვეღარ დაინახა თავისი შვილიშვილი, იგრძნო, რომ გული დაცარიელებოდა. ხსენება აღარ იყოს მისიო, - ბრძანა და გულში კი სულ ნანობდა, ასე რად მემორჩილებიან და არაფერს მეუბნებიან მის შესახებო. კარგა ხანს ჰქონდა იმედი, - დამიბრუნდება ის ბონაპარტისტი, ის იაკობინელი, ის ტერორისტი, - მაგრამ კვირა კვირას მისდევდა, თვე - თვეს, წელიწადი გავიდა და ჟილნორმანის სავალალოდ, არსად ჩანდა ის სისხლისმსმელი! - მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი? - ჩიოდა ჟილნორმანი - მაშ არ უნდა გამეგდო?

თავს იმართლებდა ვითომ, მაგრამ სხვა კითხვა უტრიალებდა გულში; ის ამბავი დღეს რომ მომხდარიყო, ისევ ისე მოიქცეოდა თუ სხვაგვარად? ამპარტავნობა პასუხობდა - ჰო; ისევ ისეო; მაგრამ ამავე დროს ხმაგაკმენდილი ბებერი თავს ძირს ხრიდა და - არაო, იძახდა დაღონებული. გულჩათხრობილი იყო, მარიუსი აკლდა. მოხუცს ისე ესაჭიროება სიყვარული, როგორც მზე, რომ გათბეს, არ გაიყინოს. ძლიერი კაცი იყო, მაგრამ რაღაც შეუცვალა მარიუსთან დაშორებამ. არაფრის გულისთვის, არავითარ შემთხვევაში ნაბიჯს არ გადადგამდა იმ საძაგლისკენ; და თან საშინლად წუხდა. თავის დღეში არ იკითხავდა იმის ამბავს, მაგრამ სულ მასზე ფიქრობდა. უფრო და უფრო განმარტოებულად ცხოვრობდა მარეში. ჯერ კიდევ, როგორც წინათ, მოუვლიდა ხოლმე ბრაზი და მხიარულება, მაგრამ სწრაფწარმავალი, წუთიერი იყო ეს მხიარულება, თითქო თან დაჰყოლოდეს მწუხარება და რისხვა. გაბრაზდებოდა და თითქმის მაშინვე მისუსტდებოდა დაღვრემილი და მოშვებული. ხშირად ინატრებდა ხოლმე ჩუმად: - ოჰ, ნეტავ კი მოვიდეს და! იმისთანა სილას გავაწნავ!..

რაც შეეხება დეიდას, ისე იშვიათად ფიქრობდა მარიუსზე, რომ დიდად ვერ ეყვარებოდა. იმისთვის მარიუსი ლანდად ქცეულიყო, ბუნდოვან, ბნელ ლანდად, და ალბათ, თავის კატას ან თუთიყუშს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდა, რომ ჰყოლოდა, ვიდრე დისწულს.

მით უფრო მწარე იყო პაპა ჟილნორმანის მწუხარება, რომ მას გულში იმარხავდა და ცდილობდა, არავის შეემჩნია. ახლებურ ღუმელს ჰგავდა მისი სევდა, ღუმელს, რომელიც თვითონვე ნთქავს თავის კვამლს. ხანდახან რომელიმე არამკითხე ნაცნობი ჩამოაგდებდა ლაპარაკს მარიუსზე და ჰკითხავდა: - სად არის! რას აკეთებს თქვენი შვილიშვილიო? - თუ დაღონებული იყო ბებერი ბურჟუა, ამოიოხრებდა, და ისე უპასუხებდა; თუ უნდოდა, მხიარულად სჩვენებოდა, წკიპურტს იკრავდა სამაჯეზე და იტყოდა, - პასუხი ერთი და იგივე იყო: - ბატონი ბარონი პონმერსი რაღაცას როშავს სასამართლოშიო.

და იმ დროს, როდესაც მწუხარება ერეოდა მოხუცებულს, მარიუსი ტაშს უკრავდა თავის თავმოყვარეობას. გულკეთილ კაცს უბედურება ავიწყებს სიმწარეს. ყოველთვის სიყვარულით იგონებდა პაპას, მაგრამ საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, აღარაფერს მიიღებდა იმ კაცისგან, რომელიც მის მამას ასე უდიერად ექცეოდა. წინანდელი აღშფოთება დღეს უბრალო სამდურავად გადაქცეოდა. გარდა ამისა, ბედნიერად გრძნობდა თავს იმით, რომ ამდენი ტანჯვა-წვალება გამოიარა და დღესაც იგივე მოელოდა. მამისთვის იყო, რომ ასე წვალობდა. თავისი ცხოვრების სიდუხჭირე აკმაყოფილებდა და ამიტომ მოსწონდა კიდეც, - და კიდევაც ვეწვალები. ამით მაინც მოვინანიებ მამაჩემის მიმართ უმადურებასო. ჯოჯოხეთად ექცა ჩემ გამო სიცოცხლე საწყალს და ჩემზე დარდმა გადაიყოლა კიდეც, თუკი ის ეწვალა, რატომ მე არ უნდა ვეწვალო? - ან რა იყო მამის გმირულ ცხოვრებასთან შედარებით მარიუსის სიღარიბე და შრომა? მასაც მამის მსგავსად უნდოდა შრომა და პატიოსნება, რომ დამსგავსებოდა, სულიერად დაახლოებოდა განსვენებულს და ამისთვის საჭირო იყო ისევე მედგრად შებრძოლებოდა ყოველგვარ გასაჭირსა და ცდუნებას, როგორც მამა იბრძოდა მედგრად და თავგანწირვით. ცხადია, სწორედ ამის თქმა უნდოდა პოლკოვნიკს, როცა წერდა, - და ღირსი იქნება ამ სახელისაო. ეს სიტყვები სულ თან ჰქონდა მარიუსს, გულზე არ ეკიდა მამის ხელით დაწერილი ქაღალდი, რომელიც პაპის სახლში დაუკარგეს, მაგრამ შიგ გულში ჩაებეჭდა.

პაპამ რომ თავისი სახლიდან გამოაგდო, მარიუსი ყმაწვილი ბიჭი იყო. ახლა კი დავაჟკაცებულიყო და კარგად გრძნობდა ამას. გაჭირვებამ ხელი შეუწყო ჭაბუკს. სიყმაწვილეშივე რომ გაჭირვებაში ჩავარდება ადამიანი, თუ მაგრად დახვდა და გაუძალიანდა, ბედნიერია, რადგან მთელ თავის ძალ-ღონეს შრომას ანდომებს და სულით ამაღლებული მიზნისკენ მიისწრაფვის.

სიღარიბე უცბად აუფერულებს ცხოვრების მატერიალურ მხარეს და ცხადად ხდის მის საზიზღრობას; აქედან იწყება სწრაფვა იდეალური სიცოცხლისაკენ. მდიდარი კაცი დღესა და ღამეს ქეიფსა და ლხინში ატარებს, ბრწყინვალე და უსაზღვრო გართობაში, - ცხენების დოღში, ნადირობაში, ძაღლების წვრთნაში, ქაღალდის თამაშში, გოგოების დევნაში, კარგ ჭამა-სმაში. ამით იკმაყოფილებს თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს და სრულიად დაუკმაყოფილებელი რჩება სულიერი მოთხოვნილებანი. ღარიბი ყმაწვილკაცი იმისთვის ირჯება, რომ ლუკმაპური იშოვოს; პურს ჭამს და მერე ოცნებით არის გატაცებული; იმ წარმოსახვით ტკბება, რომელსაც ბუნება უსასყიდლოდ სთავაზობს ადამიანს. ზეცას შეჰყურებს, უსაზღვრო სივრცეს, ზეციურ მნათობებს, ყვავილებს, ბავშვებს, კაცობრიობას, რომელშიც თავს ტანჯულად ხედავს, და მომავალს, რომელიც მას სრულ ბედნიერებას უქადის. ისეთი დაკვირვებით უყურებს კაცობრიობას, რომ მის თავგანწირულ მუშაკად იქცევა,

ოცნებობს და გრძნობს თავის უპირატესობას: კვლავ ოცნებობს და გული ულბება. გაჭირვებული, ტანჯული ადამიანის ეგოიზმის სანაცვლოდ სიყვარული და ტანჯულთა მიმართ თანაგრძნობა უღვივის გულში. მის სულსა და გულს წმინდა გრძნობა იმორჩილებს. რომ დაუფიქრდება იმ ურიცხვ სიხარულს, რომლითაც ბუნება ასე უხვად აჯილდოებს დიდსულოვანთ, და არ იმეტებს უღირსთათვის, სიბრალულითღა უყურებს იგი, სულით მილიონერი, ფულით მილიონერებს. ნელ-ნელა ნათდება მისი გონება და შურსაც ივიწყებს, სიძულვილსაც. ყმაწვილი კაცისთვის სიღარიბე უბედურება არ არის. მიიყვანეთ ჭაბუკი მოხუცებულ მეფესთან, ვინც უნდა იყოს ის, თუნდაც ღარიბ-ღატაკი, მაგრამ ჯანმრთელი, ახოვანი, ჩაუქი, მოხდენილი, სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე სისხლის პატრონი, ხუჭუჭთმიანი, ვარდისფერბაგიანი, თეთრკბილება და მაშინ ნახავთ, როგორ ინატრებს მეფე მის სიღარიბესაც და მის სიყმაწვილესაც. სიცოცხლით ტკბება ამ სიღარიბეში; ყოველდღე იმისთვის შრომობს, რომ პური ჭამოს. ფიზიკურად არ მუშაობს, ამით ამაყობს და თავში ახალი იდეები უჩნდება. მორჩება საქმეს და ისევ თავის ფიქრებს უბრუნდება, ოცნებას, სიხარულს. სხეული ადამიანის გაჭირვებას ითმენს და იბრძვის, ფეხი სიღარიბეში, ეკლებში ებლანდება, ხშირად ტალახში ეფლობა; თავი კი სინათლეში აქვს. შრომის შვილია, მშვიდი, წყნარი, დარბაისელი, ქველი, გულჩვილი და მადლობას სწირავს ღმერთს, რომ მიანიჭა ორი სიმდიდრე, რომელიც ასე ენატრებათ მდიდრებს, - შრომა და იმით მოპოვებული თავისუფლება, გონება და იმით მოპოვებული ღირსება.

აი როგორ ცხოვრობდა და როგორ შეიცვალა მარიუსი. მართალი რომ ვთქვათ, ცოტათი გადააჭარბა კიდეც ფიქრით ძიებას. რადგანაც ნახა, რომ ლუკმაპურისთვის საკმარისს შოულობდა, მეტი აღარ იზრუნა, მშრალი პურით დაკმაყოფილდა, რომ მეტი თავისუფალი დრო დარჩენოდა და ფიქრებს მისცემოდა. ხანდახან რამდენიმე დღე იყო ფიქრებით გართული, გულთმისანივით თავისი ლანდებით და ოცნებით მოხიბლული. უკვე გაცნობიერებული ჰქონდა თავისი დანიშნულება ცხოვრებაში: რაც შეიძლებოდა ნაკლებად ემუშავა მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და მეტი დრო ჰქონოდა სულიერი განვითარებისთვის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენიმე საათი ცხოვრების საჭიროებისთვის ჰქონდა გადადებული და დანარჩენი დრო - შემეცნებისთვის. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ გონებრივი შრომის ამგვარად გაგებული მნიშვნელობა სიზარმაცის ერთგვარ სახეს წარმოადგენს, რომ ზედმეტად შეამცირა ცხოვრებისათვის საჭირო მოთხოვნილებანი და აღრე მიეჩვია დასვენებას.

მაგრამ ცხადია, მარიუსის მსგავსი ენერგიული და დიდსულოვანი ადამიანისთვის დროებითი იყო ეს მდგომარეობა, გარდამავალი, და როგორც კი შეეჯახებოდა გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას, მაშინვე გამოფხიზლდებოდა.

მანამდე კი, თუმცა სწავლა დაემთავრებინა და ვექილად ითვლებოდა, ჯერ სასამართლოში არ შესულიყო და არ გაემართლებინა ბატონი ჟილნორმანის სიტყვა, - რაღაცას როშავს სასამართლოშიო.

შორს იყო თავისი ფიქრებით და ვექილობისთვის არ ეცალა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დაუძმობილდეს ვექილებს, დაეხეტებოდეს სასამართლოებში, ეძებდეს მომჩივნებს! ან რა საჭირო იყო? არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რომ ლუკმაპურის საშოვნელად გამოეცვალა სამუშაო. წიგნის გამომცემლობასა და

მაღაზიაში უზრუნველყოფილი იყო პატარა საქმით და ხელფასით, რომელიც საკმარისად მიაჩნდა.

ერთგან კი არა, უკვე რამდენიმე გამომცემლობასთან ჰქონდა საქმე და ერთმა მათგანმა, მგონი ბატონმა მაჟიმელმა, შესთავაზა; - ჩემთან გადმობრძანდით, ბინაც კარგი გექნებათ, ჯამაგირიც ათას ხუთასი ფრანკი წელიწადში და საქმეც თქვენი შესაფერისიო. კარგი ბინა! ათას ხუთასი ფრანკი! კარგი იყო, რაღა თქმა უნდა, მაგრამ თავისუფლება დაკარგოს? ჯამაგირით შეიბოჭოს? ერთგვარ მოჯამაგირე მწერლად იქცეს? ეს წინადადება რომ მივიღო, ფიქრობდა მარიუსი, - ძალიან გამოკეთდება ჩემი ცხოვრება, ფულს ვიშოვი, ღირსებას კი შევიმცირებო. ღარიბი იყო, მაგრამ თავისუფალი და ამით კმაყოფილი, ახლა ცოტაოდენ სიმდიდეს ჰპირდებოდნენ, სამაგიეროდ კი დამცირებულად უნდა ეგრძნო თავი. - უსინათლოს ცალთვალობაც რომ შესთავაზონ, რას უშველის? და უარი უთხრა.

განმარტოებული ცხოვრობდა. თავისი ხასიათის და შეხედულებების გამო ყველასა და ყველაფრისგან განზე იდგა. გარდა ამისა, ცხოვრება რამდენჯერმე ძალიან მკაცრად მოექცა და არც იმ წრეში დარჩა, სადაც კურფეირაკმა მიიყვანა. კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმ ყმაწვილებთან, წრის თავმჯდომარე ანჟოლრასთანაც; ყოველთვის მზად იყვნენ, დახმარებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამით თავდებოდა მათი სიახლოვე.

ორი მეგობარი ჰყავდა მარიუსს. ერთი ყმაწვილი იყო, კურფეირაკი, მეორე - მოხუცებული, ბატონი მაბეფი. მოხუცებულისკენ უფრო მიიწევდა მისი გული, მაბეფის წყალობით იყო, რომ ძირიანად შეიცვალა პაპისეული შეხედულებები; გარდა ამისა, იმით იყო მაბეფი კარგი და საყვარელი, რომ იცნობდა მარიუსის მამას, უყვარდა და პატივს სცემდა - თვალი ბატონმა მაბეფმა ამიხილაო, - იძახდა მარიუსი.

მართლაც, დიდი გავლენა მოახდინა ბატონმა მაბეფმა მარიუსზე.

მაბეფის გამოჩენა მარიუსის ცხოვრებაში თითქოს ღვთის ნება იყო და არა შემთხვევითობა. მარიუსს შემთხვევით შეხვდა, უამბო მამის ამბავი, გაანათა და დაანახვა აქამდე დაფარული, სწორედ ისე, როგორც სანთელი ანათებს, ბნელში რომ შეიტანს ვინმე. მაბეფი სანთელი იყო და არა ბნელში სანთლის შემტანი.

დიდი რევოლუცია განიცადა მარიუსის პოლიტიკურმა შეხედულებამ, მაგრამ ამ ცვლილებაში ბატონ მაბეფს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ვერც მიიღებდა, რადგან არც ცოდნა ჰქონდა და არც შესაძლებლობა, რომ მისი შეხედულებები თავის სურვილისამებრ ემართა.

მაბეფს შემდეგშიც შევხვდებით და ამიტომ ურიგო არ იქნება რამდენიმე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს.

## თავი მეოთხე
## ბატონი მაბეფი

ბატონმა მაბეფმა რომ უთხრა მარიუსს, - რაღა თქმა უნდა, მე სრულიად ვეთანხმები თქვენს პოლიტიკურ აზრებსო, - სრული ჭეშმარიტება თქვა თავისი პოლიტიკური მიმართულების შესახებ: მისთვის პოლიტიკურ მიმართულებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ყველას განურჩევლად და დაუფიქრებლად ეთანხმებოდა, ოღონდ თავიდან აეცილებინა და მოეშორებინა, როგორც ბერძნებმა

იცოდნენ, რომლებიც ბოროტ ქალღმერთებს, ფურიებს, თავიდან მოსაშორებლად ტურფას ეძახდნენ, გულკეთილს და გულისწარმტაც ეფმენიდებს. მაბეფის პოლიტიკური მიმართულება მცენარეებისა და წიგნების სიყვარული იყო. იმასაც ჰქონდა, როგორც ყველას უკლებლივ თავისი ისტი-თ დაბოლოებული წოდება, რადგან იმ დროს შეუძლებელი იყო უამისოდ ცხოვრება. მაგრამ არც როიალისტი იყო, არც ბონაპარტისტი, არც ქარტისტი, არც ორლეანისტი, არც ანარქისტი, იგი ბუკინისტი იყო.

ვერ წარმოედგინა, რომ შეგნებული ადამიანები შეიძლება ერთმანეთს წაეჩხუბონ და შეიძულონ ერთმანეთი ისეთი სისულელის გამო, როგორიცა ქარტია, დემოკრატია, კანონიერება, მონარქია, რესპუბლიკა და სხვა, როდესაც ქვეყანა სავსეა მრავალი ხავსით, ბალახით და ყვავილებით, და გარდა ამისა, მრავალი წიგნით, რომლებიც ესოდენ საინტერესოა სანახავად და წასაკითხად. ცდილობდა ისე ეცხოვრა, რომ უსარგებლო არ ყოფილიყო; წიგნები ჰქონდა და კითხულობდა, მცენარეები უყვარდა და ბაღში მუშაობდა. პოლკოვნიკი პონმერსი რომ გაიცნო, მაშინვე ბევრი საერთო ნახა მასთან, რადგან მარიუსის მამა ყვავილებში ატარებდა თავის ბედშავ სიცოცხლეს და მაბეფი ხილის მოშენებაში. ამ მხრივ ამაო არ იყო მისი შრომა და ერთი ახალი მსხლის ჯიში გამოიყვანა ისეთივე წვნიანი და გემრიელი, როგორიც სენ-ჟერმენის მსხალია. მისი წარმატებული მყნობის ნაყოფი იყო მირაბილად წოდებული შემოდგომის ყვითელი ქლიავი, დღეს სახელგანთქმული და ისეთივე კარგი და სურნელოვანი, როგორიც ზაფხულის მირაბილია. წირვაზე იმიტომ კი არ დადიოდა, რომ მართლა ღრმად მორწმუნე კაცი იყო; არა, დადიოდა იმიტომ, რომ წყნარი, მშვიდი კაცი იყო, უყვარდა ხალხში გარევა, მაგრამ ჭირივით სძულდა ხმაური და უწესობა. ხალხის კრებულს, სრულიად გაჩუმებულს, მარტო ეკლესიაში ნახულობდა. გრძნობდა, რომ ისიც სადმე უნდა ყოფილიყო საზოგადოებაში, და მნათეს თანამდებობა აირჩია. სიყვარულის არაფერი იცოდა და ქალი არ იყო იმისთანა, რომ ისე შეჰყვარებოდა, როგორც ზამბახის ბოლქვი უყვარდა, ან კიდევ კაცი, რომ ელზევირივით მოსწონებოდა. უკვე დიდი ხანი გავიდა, სამოცი წლისა გახდა, რომ ერთმა ნაცნობმა მიმართა კითხვით: - განა ცოლი არასდროს შეგირთავთ?

- ეჰ, დამავიწყდაო, - უპასუხა მაბეფმა. - როდესაც წამოსცდებოდა ხოლმე, - და ვის არ წამოსცდენია, - ოჰ, ნეტავი მდიდარი ვიყოო, - იმიტომ კი არ წამოიძახებდა ამას, რომ ლამაზ ქალს უყურებდა, როგორც ბატონმა ჟილნორმანმა იცოდა, არა, მაღაზიასთან იდგა და წიგნებს შესცქეროდა. მარტოდმარტო ცხოვრობდა, ერთი ბებერი დედაკაცი ჰყავდა მოსამსახურედ. ქარებით ჰქონდა თითები დაავადებული, და როცა ეძინა, საბანი იწეოდა ხოლმე მისი მოკრუნჩხული თითების ზემოდან. შეადგინა და გამოსცა წიგნი „კოტერეს მიდამოების ფლორა“, დასურათებული და კარგად გაფორმებული. სახლში ჰქონდა ეს გამოცემა და თვითონვე ყიდდა, სახლში ჰქონდა აგრეთვე კლიშეები. დღეში ორჯერ-სამჯერ დაუწკარუნებდნენ ხოლმე ზარს მეზიერის ქუჩაში და წიგნი მიჰქონდათ. ამგვარად ორი ათას ფრანკამდე იღებდა წელიწადში, და თითქმის ეს იყო მთელი მისი ქონება. ღარიბი კაცი იყო, მაგრამ მოთმინებაც იცოდა, შრომაც, ყაირათიც და, სადაც კი იშვიათს ნახავდა რამეს, ძვირფასს თავის იშვიათობით, შეიძენდა, ასე რომ, კარგი კოლექცია ჰქონდა მოგროვილი. ისე არ გავიდოდა შინიდან, რომ იღლიაში წიგნი არ ამოედო. ხშირად ორსაც მოიტანდა, შინ რომ დაბრუნდებოდა. ოთხი პატარა ოთახი ეჭირა პირველ სართულზე პატარა ბაღით

და ყველგან გამხმარი მცენარეები და ჩარჩოებში ჩასმული ძველი მხატვრების ნახატები ელაგა. დასანახადაც კი ეჯავრებოდა ხმალი და თოფი. ახლოს არ მიჰკარებია თავის დღეში ზარბაზანს, ინვალიდების სასახლესთანაც კი. კარგი მადის პატრონი იყო. ძმა მღვდელი ჰყავდა, ჭაღარა თმით იყო დამშვენებული, უკბილო პირი ჰქონდა და ამგვარივე ჭკუა, ტანის კანკალი სჭირდა, პიკარული გამოთქმა ჰქონდა, ბავშვური სიცილი, ძალიან მშიშარა იყო, შეხედულებით ბებრუცუნა ცხვარს ჰგავდა. ამასთან არც მეგობარი ჰყავდა ვინმე, არც ამხანაგი ცოცხალ არსებათა შორის, ერთი ბებერი მწიგნობარი რუაიოლის გარდა, რომელსაც სენ-ჟუაკის ქუჩაზე ჰქონდა მაღაზია. იყო თავისთვის ბატონი მაბეფი და სულ იმას ფიქრობდა, - როგორ გავახარო საფრანგეთში ინდიგოო.

მისი ბებერი მოსამსახურეც მასავით გულუბრყვილო ადამიანი იყო, გაუთხოვრად დაბერებული; ერთი ბებერი კატა ჰყავდა, სულთანი, რომელიც თავისი კნავილით ალეგრის მიერ დაწერილ „მიწყალეს“ მოგაგონებდათ, სიქსტინის ტაძარში თქმულს; მხოლოდ ამ კატის სიყვარულით ჰქონდა გული სავსე.

ოცნებაშიც კი არასოდეს უნატრია კაცთან დაახლოება, თავის დღეში არ უღალატია თავისი სულთანისთვის. თვითონაც ისეთივე ულვაშები ჰქონდა, როგორიც მის კატას. თავი მოსწონდა თავსაბურავებით, რომელიც ყოველთვის თოვლივით უქათქათებდა. კვირადღეს, წირვა რომ გამოვიდოდა, დაბრუნდებოდა, ამოალაგებდა თავის საცვლებს და დაიწყებდა თვლას; მერე ლოგინზე დაალაგებდა და სინჯავდა საკაბეებს, რომელიც ბლომად ჰქონდა ნაყიდი, სულ შეუკერავად შენახული. კითხვა იცოდა. ბატონმა მაბეფმა თავისებური სახელი დაარქვა ამ დედაკაცს „დედა პლუტარქი“.

ბატონ მაბეფს მოსწონდა მარიუსი, რადგან მშვიდი, წყნარი და კარგად აღზრდილი ბიჭი იყო, უთბობდა სიბერეს და ამასთან არაფრით ურღვევდა მოსვენებას. სიყმაწვილე რომ მიუახლოვდება ტკბილად სიბერეს, ისე აამებს და გაახარებს, როგორც უქარო მზის სითბო. როდესაც გაბეზრდებოდა მარიუსი მხედრული დიდებით, თოფით და ზარბაზნით, ჯარების მოძრაობით და იმ საშინელი ბრძოლებით, რომელშიც მამამისი ხმალს სცემდა მტერს და სისხლს ანთხევდა, ბატონ მაბეფთან მივიდოდა ხოლმე სანახავად და ისიც სულ მიცვალებულ გმირს უქებდა, ოღონდ როგორც ყვავილების მოყვარულს.

1830 წელს მიიცვალა მისი ძმა, მღვდელი, და თითქმის მაშინვე, როგორც ბნელი ღამის დროს იცის, მთლად დაუბნელდა ბატონ მაბეფს ჰორიზონტი. ერთ ნოტარიუსთან ჰქონდა ათი ათასი ფრანკი; ნოტარიუსი გაკოტრდა და ფულიც დაეკარგა მაბეფს. ეს იყო მისი სიმდიდრე, ზოგი თავისი მოგროვილი, ზოგი ძმისგან ნაანდერძევი. ამას ივლისის რევოლუცია მოჰყვა და წიგნის ვაჭრობის შემცირება. ფული რომ გაუჭირდება ხალხს, ყველაზე ნაკლებად „ფლორა“ იყიდება, ან, თუ გნებავთ, სულაც აღარ იყიდება და „კუტერეს მიდამოების ფლორაც“ აღარავის ახსოვდა. თრთოლას დაიწყებდა ხოლმე მაბეფი, ზარის ხმას რომ გაიგონებდა; მეთულუხჩე გახლდათ, ბატონო, - მოახსენებდა დაღონებული დედა პლუტარქი. ბოლოს, ერთ დღეს ბატონმა მაბეფმა მიატოვა მეზიერის ქუჩა, მოიშორა მნათეს თანამდებობა, გაყიდა ნაწილი, თავისი წიგნების კი არა, თავისი კლიშეებისა, რადგან ამის გაწირვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე წიგნებისა, და მონპარნასის ქუჩაზე, ერთ პატარა სახლში გადავიდა, მაგრამ იქაც მხოლოდ სამი თვე დაჰყო ორი მიზეზის გამო; ქვემო სართულის ოთახები და ბაღი სამასი ფრანკი ღირდა წელიწადში, ის კი ორასზე

მეტს ვერ გადაიხდიდა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ იქვე მახლობლად ბატონი ბატუს სასროლი იყო და ვეღარ გაუძლო დამბაჩის სროლას.

ახლა სალპეტრიერის ახლოს, სოფელ აუსტერლიცში დაიჭირა სამი პატარა ოთახი, კარგად შემოღობილი ბაღით და ჭით, წელიწადში ორას ორმოცდაათ ფრანკად, და იქ გადაიტანა თავისი „ფლორა“, კლიშეები, ჰერბარიუმი, წიგნები. ამ გარემოებით ისარგებლა და თითქმის მთლიანად გაყიდა თავისი ბინის მოწყობილობა. გადავიდა ახალ ბინაში და ძალიან კარგ გუნებაზე იყო იმ დღეს; ყველგან თავისი ხელით მიაჭედა ლურსმანი, ზედ სურათები და გამხმარი მცენარეები ჩამოკიდა, საღამომდე მიწა ჩიჩქნა ბაღში, საღამოზე დაღვრემილი და დაფიქრებული რომ ნახა დედა პლუტარქი, ხელი დაჰკრა მხარზე და სიცილით უთხრა:

- არა გვიშავს რა! ინდიგო ხომ ჩვენია!

ორად ორი კაცი იყო, სენ-ჟაკის ქუჩის წიგნის მაღაზიის პატრონი და მარიუსი; რომლებსაც უფლება ჰქონდათ მისულიყვნენ და ენახათ ბატონი მაბეფი თავის ახალ სახლში, აუსტერლიცში, - მეტად მყვირალა და მაბეფისთვის არასასიამოვნო სახელი ერქვა სოფელს.

მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, როცა გონება სიბრძნით ან სისულელით არის გატაცებული, ან რაც ხშირია ჩვენს ცხოვრებაში, სიბრძნითაც და სისულელითაც ერთსა და იმავე დროს, ძალიან გვიან და ძნელად შეიგრძნობს ცხოვრების მოთხოვნილებას, - აღარც თავისი თავი ახსოვს, აღარც თავისი ბედი. ამგვარ გატაცებას თან სდევს ერთგვარი პასიურობა, რომელსაც, თუ ის გააზრებულია, შეიძლება ფილოსოფია ვუწოდოთ. ძირს ეშვება ადამიანი, მდაბლდება, ეცემა და ვერ გრძნობს ამას. მართალია, ამას ყოველთვის მოსდევს გამოფხიზლება, მაგრამ დაგვიანებული. ამ გამოფხიზლებამდე კი ადამიანი თითქოს გულგრილად ეკიდება თავის ბედსა და უბედობას. ჩვენი ბედი წყდება და გულგრილად კი შევცქერით, თითქოს ჩვენ არ გვეხებოდეს საქმე.

მის ირგვლივ ნელ-ნელა ყველაფერი ბნელდებოდა და იმედი უქრებოდა; ერთს მეორე მისდევდა, მეორეს მესამე. მაინც მხიარულად იყო ბატონი მაბეფი, ცოტა ბავშვურად, მაგრამ მხიარულად. ისე ჰქონდა მიჩვეული გონება, როგორც კედლის საათის ქანქარამ იცის. რაკი გაიტყუებდა რამე ლანდი, მისდევდა და მისდევდა, დიდხანს, მაშინაც კი, როდესაც ლანდი გამქრალიყო; საათმაც ასე იცის, სწორედ იმ დროს კი არ გაჩერდება, როდესაც გასაღები დაიკარგება, არა, თავისას განაგრძობს და, რომ დაიღლება, მაშინ ჩერდება.

თავისი პატარა სიამოვნებაც ჰქონდა ბატონ მაბეფს, ძალიან იათფასიანი და მოულოდნელი. სულ უმცირეს შემთხვევაში პოვებდა სასიამოვნოს. ერთხელ დედა პლუტარქი რაღაც რომანს კითხულობდა მიკუნჭული. ხმამაღლა კითხულობდა, რადგან იფიცებოდა, ასე უფრო კარგად ვიგებო. - ხმამაღლა რომ ვკითხულობთ, ფაქტით ვუმტკიცებთ ჩვენს თავს, რომ მართლა ვკითხულობთ. ბევრია, რომ ხმამაღლა კითხულობს, თითქოს თავის თავს საყვედურობს, - არც ახლა დაიჯერებ, რომ ვკითხულობო?

ამ მოსაზრებით მაგრად ჩაებღუჯა და ხმამაღლა კითხულობდა თავის რომანს დედა პლუტარქი. ბატონ მაბეფს ესმოდა, თუმცა ყურს არ უგდებდა.

კითხულობდა და უცბად - საქმე დრაგონს და ლამაზ ქალს რომ შეეხო - წამოიძახა ფრაზა:

...გაიბუტა ლამაზი და დრაგონმა...

შეწყვიტა დედა პლუტარქმა, სათვალის გაწმენდა უნდოდა.

„გაიბუტა“ ბუდად მოესმა ბატონ მაბეფს, დრაგონი ზღაპრულ დრაგონად - ვეშაპად და მოჰყვა ჩუმი ხმით:

- ბუდა და დრაგონი! მართალია, ერთი დრაგონი იყო, გამოქვაბულში იჯდა, ცეცხლს აფრქვევდა ხახიდან და სწვავდა ზეცას. რამდენიმე ვარსკვლავი იყო უკვე დამწვარი ცეცხლის ალით. საშინელი იყო ეს ვეშაპი, პირიდან ცეცხლი სდიოდა, ფეხებზე ვეფხვის ბრჭყალები ჰქონდა. ადგა ბუდა, შევიდა იმ ჯურღმულში და მიაღებინა თავისი სარწმუნოება... ძალიან კარგ წიგნს კითხულობთ, დედა პლუტარქ, მაგაზე უკეთეს ლეგენდას ვერსად ნახავთ.

და ისევ თავის ფიქრებს გაჰყვა.

## თავი მეხუთე
## სიღარიბე სიღატაკის კეთილი მეზობელია

მარიუსი სიამოვნებით ნახულობდა ხოლმე ამ პატიოსან მოხუცს, რომელიც ხედავდა თავის ნელ-ნელა შემოპარულ სიღარიბეს, უკვირდა, მაგრამ მაინც მხიარულად იყო. კურფეირაკს შემთხვევით თუ შეხვდებოდა ხოლმე. მაბეფის სანახავად კი თვითონ დადიოდა, თუმცა ძალიან იშვიათად, თვეში ერთხელ ან ორჯერ.

ძალიან უყვარდა მარიუსს შორეულ, მიყრუებულ ქუჩებში სიარული. სეირნობდა მარტოდმარტო გარეუბნებში, მარსის მოედანზე, ან სადმე ბაღში, ოღონდ შორეულ ხეივნებში; ხანდახან საათობით იდგა და შეჰყურებდა ვინმეს ბოსტანს, ტაბაცუნის კვლებს, პატივზე მოსეირნე ქათმებს და წყალსადენის ჩარხის მატრიალებელ ცხენს. ცნობისმოყვარეობით უცქეროდნენ გამვლელები; ზოგი ეჭვის თვალითაც მიაჩერდებოდა. ყმაწვილი კაცი იყო, ღარიბი, თავის ფიქრებში გართული.

ასე დასეირნობდა ერთხელ, გორბოს სახლი რომ დაინახა. ეს სახლი განცალკევებულად იდგა, ოთახი იაფად იქირავა და იქ გადავიდა საცხოვრებლად. იმ სახლში მცხოვრებნი ბატონ მარიუსად იცნობდნენ.

მამამისის ძველი რამდენიმე ძველი მეგობარი გაიცნო, რომელთაც სთხოვეს, - გამოიარეთ ხოლმე, მოვიგონოთ განსვენებული მამათქვენი და ჩვენი წარსულიო. - მადლობით მიიღო მარიუსმა ეს მიწვევა, საშუალება ეძლეოდა უფრო კარგად გაეგო მამის ამბავი. ეწვეოდა ხოლმე ხანდახან გრაფ პაჟოლს, გენერალ ბელავენს, გენერალ ფრირიონს. იქ მუსიკით ერთობოდნენ, ცეკვავდნენ. სტუმრად წასასვლელად რომ ემზადებოდა, ახალ, საგარეო, ტანისამოსს იცვამდა. მაგრამ ამ საზეიმო დროს ტარებას მარტო მაშინ ესწრებოდა ხოლმე, როდესაც საშინელი ყინვა იდგა, რადგან იმდენი არ ჰქონდა, რომ ეტლით მიბრძანებულიყო, და არც ის უნდოდა, დასვრილი ფესაცმლით მისულიყო.

გულისტკივილით იტყოდა ხოლმე ხანდახან: - ასე გაჩენილა ადამიანი: სტუმრად რომ მიხვალთ, შეგიძლიათ ტალახში მოსვრილი იყოთ სულით-ხორცამდე, ოღონდ წაღები გქონდეთ გაპრიალებული.

ერთი რამ უნდა გქონდეთ უმწიკვლო, თუ გნებავთ, რომ კარგად მიგიღონ. თქვენ გგონიათ, სინდისი? არა, წაღები!

ყველა ვნებას აქრობს ოცნება, მაგრამ გულისას კი ვერ ერევა. მარიუსის პოლიტიკური ციებ-ცხელებაც ასევე გაქრა. 1830 წლის რევოლუციამ დაამშვიდა და ბევრი რამ დაავიწყა, ძველებურად გაბრაზებაც მოიშალა. იგივე ძველი აზრები ჰქონდა, ოღონდ შერბილებული. სწორად რომ მივუდგეთ საკითხს, უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიკური მრწამსი კი არ ჰქონდა, ზოგიერთი პოლიტიკური აზრი იზიდავდა. რომელ პარტიას ეკუთვნოდა? კაცობრიობის პარტიას. კაცობრიობიდან საფრანგეთი ამოერჩია, ერიდან ხალხი, ხალხიდან დედაკაცი. იმისი სიბრალული მეტწილად ქალისკენ იყო მიმართული. ამჟამად იდეას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე რაიმე ფაქტს, პოეტს უფრო პატივს სცემდა, ვიდრე გმირს, იობის წიგნს უფრო მეტ თაყვანს სცემდა, ვიდრე ისეთ ამბავს, როგორიც მარენგოა. და როდესაც მთელი დღის სიარულისა და ფიქრის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, დაღლილი და ხეების ტოტებშუა შესცქეროდა უსაზღვრო სივრცეს, უსახელო მნათობებს, უფსკრულს, ბნელს, მიუღწეველს, ყოველივე ადამიანური უმნიშვნელოდ მიაჩნდა.

ეგონა სიცოცხლისას მნიშვნელობას მივაგენიო (იქნებ მართლაც მიეგნო), მიწა მიატოვა და მას შემდეგ მარტო ზეცასღა შეჰყურებდა, ერთადერთ საგანს, რომელსაც სიმართლე თავისი ჭის ძირიდანაც კი კარგად ხედავდა.

მიუხედავად ამისა, მაინც აწყობდა თავისი მომავლის სხვადასხვა გეგმებს. ამ დროს ვინმეს რომ მის გულში ჩაეხედა, გაკვირვებული დარჩებოდა მისი სულის სიწმინდით. მართლაც რომ შეიძლებოდეს ჩვენი თვალით ჩავიხედოთ სხვის სინდისში, ადამიანს უფრო მართლად და შეუცდომლად, მისი ოცნების მიხედვით განვსჯით, ვიდრე მისი აზრების მიხედვით. აზროვნებაში ადამიანის ნებაც ურევია, ოცნებაში კი სრულიად არა. ოცნება თავისთავად, ადამიანისგან დამოუკიდებლად იბადება ჩვენში, და არ რაც უნდა დიდი და იდეალური იყოს, მაინც მსგავსია ჩვენი სულისა. არაფერი გამოდის ისე თავისუფლად, უშუალოდ და გულწრფელი სიწმინდით სულის სიღრმიდან, როგორც ჩვენი უსაზღვრო მისწრაფებანი სანატრელი იდეალისკენ. ამ მისწრაფებებში უფრო ცხადად ჩანს ადამიანის ნამდვილი ხასიათი, ვიდრე მის მიერ განსჯილ და მოფიქრებულ აზრებში. ჩვენი ოცნება ყველაფერზე უკეთ წარმოაჩენს ჩვენს პიროვნებას. ყოველი ჩვენგანი თავისი ბუნებიდან გამომდინარე ოცნებობს მიუწვდომელსა და შეუძლებელზე.

1831 წლის ზაფხული იყო. ბებერი დედაკაცი შევიდა მარიუსთან, გორბოს სახლში რომ ემსახურებოდა, და უამბო, - სახლის პატრონი გამოყრას უპირებს ჩვენს მეზობლებს, ღარიბ-ღატაკი ჟონდრეტის ოჯახსო.

მარიუსი მთელ დღეს გარეთ ატარებდა ყოველთვის, არც კი იცოდა, მეზობლები თუ ჰყავდა.

- რატომ უნდა გამოყაროს?

- იმიტომ, რომ სახლის ქირას არ იხდიან, რამდენიმე თვის მართებთ.

- რამდენი მართებთ?

- ოცი ფრანკი.

ოცდაათი ფრანკი ჰქონდა მარიუსს შენახული უჯრაში.

- აი, ინებეთ, ოცდახუთი ფრანკია. სახლის ქირა გადაუხადეთ, ხუთი ფრანკიც იმ საწყლებს მიეცით, ოღონდ არ უთხრათ, რომ მე დავეხმარე.

## თავი მეექვსე

შემცვლელი

პარიზში შემთხვევით გადმოიყვანეს ის რაზმი, რომელშიც თეოდული ირიცხებოდა. ამიტომ იყო, რომ ახლა მეორე აზრი აღეძრა დეიდა ჟილნორმანს. პირველად თეოდულის გამოყენება მოისურვა მარიუსის ვითომდა ვიღაც გოგოსთან სიარულის გამოსარკვევად; ახლა სხვა იყო, ახლა მარიუსის მაგივრად თეოდულის შეყვანა განიზრახა თავის ოჯახში.

ხომ შეიძლებოდა, ისე დატრიალებულიყო საქმე, რომ თვითონ ბატონ ჟილნორმანს მოსწყურებოდა ყმაწვილის სახის ნახვა თავის სახლში, ნორჩის, სიცოცხლით სავსის; თვით ნანგრევებსაც კი მოუნდებათ ხოლმე ხანდახან განთიადის ტკბილი სხივი. აუცილებლად საჭირო იყო მარიუსის მაგივრად ვინმეს შეყვანა.

- მარიუსი არ არის, თეოდული იყოს, - ფიქრობდა დეიდა, - პატარა შესწორება წიგნში ხშირად დაშვებული შეცდომისა: მარიუსი სწერია და თეოდული უნდა წაიკითხოო.

პატარა ბიძაშვილის შვილი თითქმის იგივეა, რაც საკუთარი შვილიშვილი. რაკი ვექილი არა გვყავს, დაე მხედარი გვყავდეს.

ერთ დილას გაზეთ „ყოველდღიურს“ კითხულობდა პაპა ჟილნორმანი. შევიდა მისი ქალი და ტკბილი ხმით მიმართა მამას, ტკბილი ხმით, რადგან თავისი საყვარელ თეოდულის საქმეს არიგებდა:

- მამა, ამ დილას თეოდული გიახლებათ თქვენ მოსაკითხავად.

- ვინ თეოდული?

- თქვენი ბიძაშვილის შვილი.

- ჰოო?

ისევ გაზეთი აიღო და აღარც კი მოჰგონებია თავისი ბიძაშვილის შვილი, რომელიც იმისთვის ვიღაც თეოდული იყო და სხვა არაფერი. კითხულობდა და თან ნელ-ნელა ბრაზი ერეოდა, რადგან გაუბრაზებლად არ შეეძლო თანამედროვე გაზეთის კითხვა. გაზეთი, - რა საჭიროა ამის აღნიშვნა, - როიალისტური მიმართულების იყო და აცხადებდა უხამსად ერთ ხშირ, ყოველდღიურ მოვლენას პარიზში, - რომ ხვალ შუადღისას პანთეონის მოედანზე საექიმო და იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტების კრება შედგება განსახილველად... განსახილველი იყო ეროვნული გვარდიის არტილერიის საკითხი, სამხედრო მინისტრისა და „მოქალაქეთა მილიციის“ გამგეობას შორის ატეხილი უთანხმოების იმ ზარბაზნების გამო, რომლებიც ლუვრის ეზოში ელაგა. სტუდენტებს უნდა „განეხილათ“ ეს საქმე. ესეც კმაროდა, რომ ცოფი მორეოდა ბატონ ჟილნორმანს.

მოაგონდა მარიუსი, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად ეგულებოდა და, რასაკვირველია, დაესწრებოდა იმ კრებას, მისთვის სულ უცხო საქმის „განსახილველად“.

ამ საზარელ ფიქრებში იყო, თეოდული რომ შევიდა მის სანახავად. სამხედრო ტანისამოსის მაგივრად, - მოხერხებული ბიჭი იყო, - ბურჟუად მოკაზმულიყო. დიდი ფიქრი კი არ იყო საჭირო ტანისამოსის შესაცვლელად:

- არ მგონია, მთელი თავისი ქონება რენტად გარდაექმნას ბებრუცუნას, რომ იმით ისარგებლოს, სანამ ცოცხალია. სხვაც ბევრი უნდა ჰქონდეს და ცოდვა არ არის, რომ ამისთვის ხანდახან ფერი იცვალოს კაცმა.

თეოდული ჟილნორმანის ქალმა შეიყვანა მამასთან და უთხრა:

- თეოდული, მამა, თქვენი ბიძაშვილის შვილი.

და ჩუმად ჩასჩურჩულა თეოდულს:

- სრული თანხმობა. საწინააღმდეგო არაფერი უთხრა.

დაარიგა და გავიდა.

ჩვეული არ იყო თეოდული ასეთ შეძლებულ და მაშასადამე, დიდებულ პიროვნებასთან საუბარს და ძლივს წაიდუდუნა შემკრთალმა:

- ბიძაჩემს ვახლავარ, - და წინ წადგა სალმის მისაცემად, მაგრამ აირია და ვერც მხედრულად გამოეჭიმა, ვერც ბურჟუის ყაიდაზე დაუკრა თავი.

- ოჰ, თქვენ ხართ? ძალიან კარგი, დაბრძანდით.

თქვა და აღარც კი მოჰგონებია საწყალი ბიჭი.

თეოდული დაჯდა. ბატონი ჟილნორმანი კი წამოვარდა, ხელები ჟილეტის ჯიბეებში ჩაიყო, აჩქარებით დაიწყო სიარული, თან ხმამაღლა ჯავრობდა და თითებით ჯიბის საათს ატრიალებდა.

- ბიჭბუჭებმა უნდა განიხილონ! პანთეონის მოედანზე აქვთ კრება! აი, დალახვრა ღმერთმა! ლაწირაკები, გუშინ რომ ძუძუს წოვდნენ! ხელი რომ მოუჭიროთ, ჯერ კიდევ რძე გამოუვათ ცხვირიდან, და ხვალ შუადღისას იმათ უნდა განიხილონ! ვეღარაფერი გამიგია რა! სად მივდივართ, რა ვქნა, სად? სად მივდივართ და უფსკრულისკენ! აი, სად მიგვიყვანეს იმ არამზადა ქვეყნის მტრებმა! ქალაქის არტილერია! უნდა განიხილონ ქალაქის არტილერიის საქმე! მოედანზე უნდა გაბრძანდნენ სალაყბოდ და ისიც რაზე? ეროვნული გვარდიის ზარბაზანზე! მერე ვისთან იქნებიან იმ მოედანზე, ხედავთ, როგორ გარყვნა რევოლუციამ ხალხი?! სანაძლეოს დავდებ, რომ საპყრობილიდან გამოპარული ქურდებისა და გათავისუფლებული კატორღელების გარდა არავინ იქნება! რესპუბლიკელებს და კატორღელებს ცხვირიც ერთი აქვთ და ცხვირსახოციც! კარნომ რომ ჰკითხა, - სად ჯანდაბას წავიდე, მოღალატევ? - ფუშემ უპასუხა - სადაც გინდა, შე სულელო! - აი, თქვენი რესპუბლიკელები!

- მართალი ბრძანებაა, - დაეთანხმა თეოდული.

მოიხედა ბატონმა ჟილნორმანმა, დაინახა თეოდული და განაგრძო თავისი:

- რომ მომაგონდება, იმ სულელს ავკაცობამ აჯობა და კარბონარებში ჩაერია! არა, რად მიაფურთხე ჩემს სახლს? რომ რესპუბლიკებში ჩარეულიყავი? შეგარცხვინა ღმერთმა! ჯერ ის იცოდე, ჭკუის კოლოფო, რომ ხალხს არ უნდა შენი რესპუბლიკა! არ უნდა, არა! ხალხს ტვინი აქვს გოგრაში და ძალიან კარგად იცის, რომ ყოველთვის ყოფილან მეფეები და ყოველთვისაც იქნებიან! ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ხალხი ბოლოს და ბოლოს ხალხია და პატრონი უნდა, თორემ ისე დაიღუპება, როგორც უმწყემსო ცხვარი. ფეხებზე ჰკიდია შენი რესპუბლიკა, გესმის შე გამოტვინებულო, შენა? არა, გინახავთ სადმე ამისთანა სიბრიყვე? დუშენის გაზეთი შეიყვაროს კაცმა, გილიოტინას გუნდრუკს უკმევდეს, ოთმოცდაცამეტის აივანთან იდგეს, გიტარას უკრავდეს და რომანსს უმღეროდეს! ფურთხის ღირსია ეს თავლაფიანი ყმაწვილკაცობა, სულ იქ არიან, სულ ერთად! ერთი ვერ გადარჩება რესპუბლიკის კეთროვანებას! ან როგორ უნდა გადარჩეს, როდესაც ჰაერიც კი გაჟღენთილია საწამლავით და გიჟია ყველა, ვინც ამ ჰაერს სუნთქავს! მეცხრამეტე საუკუნე კაცობრიობის საწამლავია! გამოტყვრება ვინმე ბრიყვი, რეგვენი, თხასავით მოუშვებს წვერს - ბრძენთაბრძენად მიაჩნია თავი და გარბის სახლიდან! აღარც

მოხუცებული უნდა, აღარც მისი სიყვარული! იმიტომ, რომ რესპუბლიკელი ბრძანდება, რომანტიკოსი, ერთი მიბრძანეთ, შემიწყალეთ მე უვიცი და ამიხსენით, რა არის ეგ თქვენი რომანტიზმი? ყოველგვარი სიგიჟე და სისულელე, არა? შარშან არ იყო, გადარეულები იყავით ერნანით! ფუ, შეგარცხვინათ! რას წარმოადგენს თქვენი „ერნანი“? ცარიელ ანტითეზებს, სხვას ხომ არაფერს? საზიზღრობას, რომელიც საზიზღარი ფრანგულით არის დაწერილი! თორმეტი ზარბაზანი უდგათ ლუვრის სასახლეში. ყაჩაღებს დარჩენიათ ჩვენს დროში ბურთი და მოედანი.

ბატონი ჟილნორმანი თავისას გაიძახოდა:

- სასახლე მუზეუმად გადააკეთეთ? ჯანდაბას თქვენი თავი! მაგრამ რად გინდათ მუზეუმის ეზოში ზარბაზნები? ხომ ჰკითხავს მუზეუმი, - აქ რა გინდა ზარბაზანოო? ან იქნებ იქაც აჯანყებას მოელით და გინდათ ზარბაზანი ესროლოთ აპოლონ ბელვედერელს? სად ყუმბარა და სად მედიჩის ვენერა! ოჰ, დღევანდელი ყმაწვილკაცობა! სულ არამზადები არიან! დიდი ვინმე ჰგონიათ თავისი ბენჟამენ კონსტანი! და ვინც ყაჩაღი არ არის, ყველაზე უარესია! ტანზე საძაგლად აცვიათ, ქალების ეშინიათ; ძალიანაც რომ მოეწონოთ, ვერაფერს გაუბედავენ, მშიერი ძაღლივით შესცქნავიან და ამით გულიანად აცინებენ გოგოებს; ისე იქცევიან უბედურები, რომ იტყვით, სიყვარულის რცხვენიათ ამ გლახებსო! უშნო ყმაწვილები არიან და, - არა, ეს არ კმარაო, - სისულელეს უმატებენ თავიანთ ლაჩრობას; ტეირსილენის და პოტიეს კალამბურებს იმეორებენ, ტომარასავით ადგათ სერთუკი, მეჯინიბის ჟილეტი აცვიათ, ჭილობის პერანგი, ფარდაგის შარვალი, წაღები ტლანქი ტყავისა და - როგორიც ბუმბულიო, ისეთივე სულიო! ენა ხომ წაახდინეს და საბოლოოდ წარყვნეს. კარგი ის არის, რომ დოყლაპია ბალღებს ყველას თავისი პოლიტიკური მიმართულება აქვს და პოლიტიკური მრწამსი. მე რომ ვიყო, სასტიკად ავუკრძალავდი პოლიტიკურ მიმართულებას და პოლიტიკაში ჩარევას! ეს ძუძუმწოვარი ბალღები ადგენენ ახალ-ახალი წესწყობილების გეგმას! იმათი სურვლისამებრ უნდა გარდაიქმნას საზოგადოება, ისინი ანგრევენ მონარქიას, ფეხქვეშ თელავენ კანონიერებას, მარნის ადგილას საბძელს დგამენ, ჩემს მეკარეს მეფის ტახტზე სვამენ, თავიდან ბოლომდე არყევენ ევროპას, გარდაქმნას უპირებენ ქვეყნიერებას და კმაყოფილებად მიაჩნიათ თავი, თუ გაუღიმათ ბედმა და მრეცხავი დედაკაცის ტიტველი ბარძაყი დაინახეს სადმე, კაბას რომ აიწევს ეტლში ასაძრომად. ოჰ, მარიუს! შე ცუღლუტო, შენა! მოედანზე უნდა გავიდეს, საზოგადოებრივი საქმის მოსაწყობად! ბჭობა იქნება, კამათი, საჭირო დადგენილებები და საჭირო ღონისძიებები! ლაზღანდარობენ, ლაყბობენ და დადგენილებას და ღონისძიებას უწოდებენ თავის ბავშვურ ტიტინს! მამა-პაპას რას ჰკითხავენ, ბავშვებმა ჩაიგდეს ხელში! დიდი ქაოსი ვნახე და ახლა დომხალს ვხედავ! როგორც ეტყობა, არეულობასაც სჩვევია დაკნინება, ბალღი მოწაფეები სჯიან ეროვნული გვარდიის საქმეს! ამას პირვანდელ ველურ ხალხებშიც ვერსად ნახავთ! ის პირვანდელი ველურები, უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტდასრულებული ბაკალავრები, თუმცა შიშველ-ტიტვლები დადიან ის ველურები და ხელში კეტი უჭირავთ. დედის რძე არ შეშრობიათ ტუჩებზე და ისინი მიდგენენ კანონმდებლობას! დიახ, ბატონო, სჯიან და მიკანონებენ თავის აბდაუბდას! მეორედ მოსვლაა, რაღა! არა, ალბათ ბოლო უნდა მოეღოს ამ საცოდავ, დამიწებულ ქვეყნიერებას! საჭირო იყო საბოლოო ამოსუნთქვა და საფრანგეთი სულს ღაფავს. მაშ განსაჯეთ, იუბედეთ,

ბატონებო! ასეა და ასე იქნება, მანამ ასე თამამად დაიჭერენ ხელში გაზეთს და ოდეონის თაღებქვეშ დაიწყებენ მის კითხვას. ერთი სუ ეხარჯებათ და გარდა ამისა, ჭკუა, გონება, გული და სული, მერე კიდევ სახლსაც მიატოვებენ, თავის ოჯახსაც, ოჰ, ეს გაზეთები! ჭირია, ჭირი, ხალხის გამრყვნელი! თვით „თეთრი ბაირაღიც“, მარტენვილიც კი იაკობელებში არ ერია? ეჰ, ზეცავ სამართლიანო! შეგიძლია დაიკვეხო, რომ სასოწარკვეთილ უიმედობამდე მიიყვანე მოხუცებული პაპაშენი. შე...

- ეჰ, მართალსა ბრძანებთ, - უთხრა თეოდულმა.

ხელთ ეგდო დრო, სანამ ჟილნორმანი გულიანად ამოისუნთქებდა, და დაუმატა პროფესორულად:

- სულ უნდა მოისპოს გაზეთები, გარდა „მონიტორისა“ და აგრეთვე უნდა მოისპოს წიგნები, გარდა „სამხედრო წლიურისა“. ბატონ ჟილნორმანს ჯერ არ დაემთავრებინა თავისი:

- სიეიესისა არ იყოს! სენატორი გახადეს მეფის მკვლელი! სავალალოც ის არის, რომ ყოველთვის ამით აბოლოებენ საქმეს. ერთმანეთს, შენაო - ახლიან, ან კიდევ - მოქალაქეო, რომ გრაფობა გაიკრან და „ბატონი გრაფი“ გახდნენ. მკლავისსისხო ბატონი გრაფი! ბატონი სექტემბრის კაცისმკვლელები! ფილოსოფოსი სიეიესი! თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ფილოსოფოსთა ფილოსოფიას სწორედ იმდენად ვაფასებდი, რამდენადაც სათვალეს მაიმუნის თვალებზე. ერთხელ სენატორები ვნახე მალაკეს ბულვარზე მიმავალნი, იისფერი ხავერდის წამოსასხამებით, ზედ ფუტკრები და ანრი მეოთხის ქუდი ჰქონდათ ამოქარგული. საზიზღრები იყვნენ, იტყოდით, ვეფხვის სასახლის მაიმუნები არიანო. მოქალაქევ! აი, გიცხადებთ, რომ სიგიჟეა თქვენი პროგრესი, ცარიელი ოცნებაა თქვენი კაცობრიობა, ავკაცობაა თქვენი რევოლუცია, ურჩხულია თქვენი რესპუბლიკა! თქვენი ნორჩი, ქალწულივით უმანკო საფრანგეთი საროსკიპო სახლიდან არის გამოსული და აი, ხმამაღლა გეუბნებით ყველას, ვინც უნდა იყოთ - პუბლიცისტები, ეკონომისტები, კანონმდებლები, თუნდაც თავისუფლების, ძმობა-ერთობისა და თანასწორობის უკეთ მცოდნენი, ვიდრე გილიოტინის მახვილი არის! აი შიგ პირში გიყვირით ამას, შიგ პირში!

- დიდებულია, - შეჰყვირა თეოდულმა, საუცხოო ჭეშმარიტებაა!

თავისი მსმენელისკენ მიბრუნდა ჟილნორმანი, თვალი თვალში გაუყარა და თავისებურად უკმეხად უთხრა:

- დიდი სულელი ბრძანდებით!

## წიგნი მეექვსე
## ორი ვარსკვლავის შეხვედრა

### თავი პირველი
### გვარად რჩება მეტსახელი

ამ დროს მარიუსი ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო, მოხდენილი და შნოიანი. საშუალო ტანის, მშვენიერი შავი თმით, განიერი, ვნებიანი ნესტოებით, მშვიდი, გულუბრყვილო, მაგრამ მედიდური, ჩაფიქრებული შესახედაობის. პირისახის ყოველი ხაზი მომრგვალებული ჰქონდა, თუმცა ამით არ კარგავდა თავის სიმკაცრეს და ის გერმანული სინაზე ემჩნეოდა, რომელიც ელზასით და ლოტარინგიით შემოერია

ფრანგის ფიზიონომიას. იმ ხნისა იყო მარიუსი, როდესაც ადამიანის ფიქრით გატაცებული გონება, თითქმის ერთნაირად შეიცავს სიღრმესა და გულწრფელობას. რამე საშინელი რომ შემთხვეოდა, შეიძლებოდა გამოუცდელობის გამო სისულელე ჩაედინა, მაგრამ შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ გონება მოეკრიბა და დიდებულად გადარჩენილიყო განსაცდელს. თავდაჭერილი ქცევა ჰქონდა, ზრდილი და მშვიდი იყო. მაისის ვარდის კოკორივით ლამაზი პირი ჰქონდა, ალისფერი ტუჩები და ბროლის კბილები. ეს სილამაზე ატკბობდა მის ფიქრიან სახეს. ხანდახან უცნაურ განსხვავებას გამოხატავდნენ მისი უმანკო შუბლი და ჟინიანი ღიმილი. თვალი პატარა ჰქონდა და მზერა დიდი.

გაჭირვებული რომ იყო და ქუჩაში მიმავალს ქალები დააცქერდებოდნენ, ან გაჩერდებოდნენ და ისე უყურებდნენ, ცდილობდა დამალვოდა, გაქცეოდა და გული უკვდებოდა დარდით. - იმიტომ მიყურებენ ასე, - ფიქრობდა ჯერ გამოუცდელი, - რომ ძველი ტანისამოსი მაცვია, დამცინიან, მასხრად მიგდებენო. - ის კი არ იცოდა, რომ მის სილამაზეს შესცქეროდნენ და მასზე ოცნებობდნენ.

ამ უმანკო გამოუცდელობის ბრალი იყო, რომ ხანდახან გაჯავრებული უკმეხად შეხედავდა ხოლმე ლამაზ ქალებს და ვერც ერთზე ვერ შეეჩერებინა თვალი, რადგან ყველას გაურბოდა. ასე ცხოვრობდა ბავშვურად. - სულელურად! - იძახდა კურფეირაკი.

კურფეირაკი დასცინოდა, არიგებდა, შენობითყ ელაპარაკებოდა: რადგან უკვე მეგობრად თვლიდა.

- არა, იქნებ გგონია, თაყვანსაცემი კაცი გახდები, ნეტარებას რომ გაურბიხარ? არა, ძმაო, ცდები! იცი, რას გირჩევ: ნუღარ კითხულობ ამდენ წიგნებს და თვალების დასასვენებლად ლამაზ გოგოებს გადახედე. რომ იცოდე, რა კარგები არიან, ის საძაგლები! შენ ისე წითლდები და ერიდები, რომ ხახამშრალი დამრჩები!

ან არა და, რომ შეხვდებოდა სადმე, ხუმრობით მიესალმებოდა:

- დილა მშვიდობისა, მამაო!

ასეთი დარიგების და დაცინვის შემდეგ უფრო უარესად იღუშებოდა მარიუსი, შორიდან უვლიდა ქალებს და ცდილობდა კურფეირაკს არსად შეხვედროდა.

მაგრამ მაინც მოიპოვებოდა ქალთა ურიცხვ სიმრავლეში ორი ადამიანი, რომლებსაც არ გაურბოდა და არც ერიდებოდა. ძალიან გაიკვირვებდა, რომ ეთქვა ვინმეს, რომ ეს ორიც ქალი იყო. ერთი ბებერი მეკარე, იმისი მეზობელი, წვერიანი დედაკაცი, რომელიც ოთახს უგვიდა და ემსახურებოდა. ამ დედაკაცის ბრალი იყო, რომ ერთხელ კიდევ დასცინა კურფეირაკმა: მისი მოსამსახურე ქალი წვერს ატარებს და თვითონ კი არაო. მეორე, ერთი პატარა გოგო იყო, რომელსაც ხშირად ხედავდა, მაგრამ ზედაც არ უყურებდა.

ერთი წელი იქნებოდა, ლუქსემბურგის ბაღის შორეულ ხეივანში სეირნობისას შენიშნა, რომ ერთი კაცი და ყმაწვილი ქალი ყოველთვის იქ იყვნენ მისი სეირნობის დროს, ყოველთვის ერთად სხედან ერთსა და იმავე სკამზე, ხეივნის განაპირას. შემთხვევა თან სდევს იმ მოსეირნეთ, რომლებიც თვალდახუჭულივით დადიან და ვერაფერს ხედავენ. სწორედ ამ შემთხვევის ბრალი იყო, რომ მარიუსი ყოველთვის ამ ხეივნისკენ მიემართებოდა და თითქმის ყოველდღე იქ ხედავდა იმ ქალსა და კაცს. კაცი ერთი სამოცი წლის იქნებოდა, დაღონებული, დარბაისელი; გარეგნობით ძლიერს, მაგრამ დაქანცულ სამხედრო პირს ჰგავდა, სამსახურიდან გამოსულს.

გულზე რომ რამე მედალი ჰქონოდა, მარიუსი იტყოდა, - ძველი ოფიცერიაო - გულკეთილს ჰგავდა, მაგრამ მიუკარებელს. რაც უნდა ყოფილიყო, თვალს არავის გაუსწორებდა. ლურჯი შარვალი და სერთუკი ეცვა, განიერფარფლიანი ქუდი, რომელიც ყოველთვის ახალს ჰგავდა, შავი ყელსახვევი და კვაკერის პერანგი, ესე იგი, თოვლივით თეთრი, მაგრამ მსხვილი ტილოსი. ერთხელ ამ კაცს ერთმა კეკლუცმა გაუარა გვერდზე და თავი ვერ შეიკავა, - ქვრივია, მაგრამ მაინც სუფთად არისო, წამოიძახა. თმაც თოვლივით თეთრი ჰქონდა.

პირველად რომ მიაქცია ყურადღება მოხუცებულს და მასთან მყოფ ყმაწვილ გოგონას, წინ რომ გაუარეს და ცოტა იქით, თავისად მიჩნეულ სკამზე დასხდნენ, ცამეტ-თოთხმეტი წლის იქნებოდა პატარა ქალი. გამხდარი, დალეული იმდენად, რომ სახის სილამაზეს ავიწყებდა ადამიანს. მორცხვი, ჯერ უმნიშვნელო, მაგრამ ლამაზი თვალებით, მის ზევით აპყრობილ თვალებში რაღაც უსიამოვნო რწმენა იხატებოდა. ტანისამოსი მონასტრის პანსიონელის ეცვა, ბებრული და თან ბავშვური; ცუდად გამოჭრილი კაბა უშნოდ ადგა. მამა-შვილს ჰგავდნენ.

მარიუსის ყურადღება მიიპყრო ამ ჭაღარა კაცმა და ორი-სამი დღის განმავლობაში სულ იმას აკვირდებოდა. ჯერ მოხუცებული არ უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, ცხოვრების მიერ იყო გატეხილი. გოგონა ჯერ ბავშვი იყო, არაფერს წარმოადგენდა. ამით დაამთავრა მათი თვალიერება, მერე იმათკენ აღარც კი მიუხედავს. თავის მხრივ ისინიც ისე იქცეოდნენ, თითქოს მარიუსს ვერც კი ხედავენო. ისხდნენ და ლაპარაკობდნენ მშვიდად და ტკბილად. სულ გოგონა ტიტინებდა რაღაცას, ისიც ხანდახან მშობლიური სიყვარულით სავსე თვალებს არ აშორებდა პატარას.

თავისდა უნებურად ჩვეულებად გადაექცა მარიუსს ამ ხეივანში სეირნობა და, სასეირნოდ რომ მივიდოდა, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, ბებერ კაცსაც იქ ხედავდა თავისი ქალით, იმავე სკამზე.

აი როგორ ხდებოდა ეს.

მარიუსი უფრო ხშირად ხეივნის ბოლოდან იწყებდა სეირნობას. იმ სკამის მოპირდაპირე მხრიდან, რომელზეც ისინი ისხდნენ. მთელ ხეივანს გაივლიდა ნელი ნაბიჯით, წინ გაუვლიდა იმათ სკამს, თავამდე ჩავიდოდა, მერე მობრუნდებოდა და ისევ ისე გაივლიდა მთელ ხეივანს ბოლომდე და ხელმეორედ დაიწყებდა სიარულს, ხუთჯერ-ექვსჯერ აივლიდა და ჩაივლიდა მთელ ხეივანს; ასე სეირნობდა ხუთ-ექვს დღეს კვირაში და აზრადაც არ მოსდიოდა არც მას, არც მით უფრო იმათ, ერთმანეთისთვის სალამი მიეცათ უბრალო ზრდილობის გამო. ამ ჭაღარა კაცმა და პატარა ქალმა, რომლებიც თვალს ვერავის უსწორებდნენ, ან უფრო იმიტომ, რომ თვალს არიდებდნენ ყველას, სტუდენტების ყურადღება მიიპყრეს, რომლებიც ხანდახან ჩაისეირნებდნენ ხოლმე ამ ხეივანში, ლექციის შემდეგ, სხვები - ბილიარდის თამაშით დაღლილები. ამ უკანასკნელთაგანი იყო კურფეირაკი და მანაც კარგა ხანს ათვალიერა კაციც და ქალიც: მაგრამ ქალი არ მოეწონა და მაშინვე შორს გადგა. პართელივით გაიქცა იქიდან კურფეირაკი, მაგრამ მეტი სახელი კი დაუტოვა. მისი ყურადღება უმთავრესად ქალის შავმა კაბამ და კაცის თეთრმა თმამ მიიპყრო და სახელად ერთს ქალბატონი ლანუარი დაარქვა, მეორეს - ბატონი ლებლანი. იმათი არც სახელი იცოდა ვინმემ, არც გვარი და მათზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ამ მეტსახელით იხსენებდნენ ყველანი და გვარადაც ის შერჩათ.

- აგერ ბატონი ლებლანი, თავის სკამზე ზის, - იძახდნენ სტუდენტები.

არც მარიუსმა იუცხოვა ეს სახელი და ისიც ბატონ ლებლანს ეძახდა მოხუცებულ უცნობს.

ჩვენც მათ მივყვეთ და მოთხრობის გასაადვილებლად ბატონი ლებლანი ვუწოდოთ.

ასე ხვდებოდა მათ მარიუსი თითქმის ყოველდღე ერთსა და იმავე დროს. პირველი წლის განმავლობაში კაცის ბუნებას თავისას ამსგავსებდა, ქალისას კი არა.

## თავი მეორე
## Lux Fecta est

მეორე წელს, სწორედ იმ დროს, სადაც შევჩერდით ამ ისტორიის თხრობისას, მთელი ექვსი თვის განმავლობაში ფეხი აღარ შეუდგამს მარიუსს ლუქსემბურგის ბაღში. თვითონაც ვერ გეტყოდათ, რა იყო მიზეზი, მაგრამ დავიწყებული ჰქონდა თავისი შარშანდელი ჩვეულება. როგორღაც მოხდა ერთხელ, რომ ისევ იმ ხეივანში შევიდა. ზაფხულის მშვენიერი დილა იყო და მარიუსიც მხიარულ განწყობაზე იყო, მისეირნობდა ნელ-ნელა და ისე იყო აღტაცებული, რომ ხის ტოტებიდან მომავალი ჩიტების გალობა თავისი გულიდან ამოძახილად ეჩვენებოდა, და გულში ნადებად მიაჩნდა მოწმენდილი ცა, რომლის წვრილ ნაჭრებსაც ხეების ზემოდან ხედავდა.

ძველებურად მიჰყვებოდა ხეივანს და, ბოლოს რომ მიაღწია, ისევ იმ სკამზე დაინახა თავისი ნაცნობი წყვილი. ოღონდ რომ მიუახლოვდა და თვალი გადაავლო, მოხუცებული კაცი იგივე იყო, ქალი კი ისე შეცვლილიყო, რომ - ეს ის არ არისო, - იფიქრა, პატარა გოგო კი არა, მოზრდილი ქალი იჯდა მოხუცებულის გვერდით, ტანადი და ლამაზი, დამშვენებული იმ გულწარმტაცი სიტურფით, რომელიც ქალს სწორედ მაშინ ამკობს, როდესაც ბავშვურ უმანკოებას ქალის სიკეკლუცე და სინარნარე ერევა; გარდამავალი ხანი, მართლაც უმანკო, როდესაც ორი სიტყვით შეიძლება ქალის დახასიათება - თხუთმეტი წლისა. მშვენიერი თმა წაბლისფერი ჰქონდა, რომელსაც ოქროსფერი გადაჰკრავდა: გაშლილი, მარმარილოს ქანდაკების მსგავსი შუბლი; მაისის ვარდის ფურცლის მსგავსი მოწითალო ღაწვი; კოკორივით კოხტა ბაგე, რომლის ღიმილიც სინათლეს ჰფენდა და სიტყვა - მუსიკასავით ტკბილი. ლამაზი თავი ჰქონდა, რომელსაც რაფაელი მარიამის დასახატად გამოიყენებდა, და ჟან გუჟონი - ვენერასი. ამ სურათის აღწერას რომ არაფერი დავაკლოთ; კოხტა ცხვირი ჰქონდა, ლამაზი კი არა, კოხტა; არც სწორი იყო, არც მოხრილი, არც იტალიელის და არც ბერძნისა; პარიზელის ცხვირი ჰქონდა, ესე იგი, რაღაც კოხტა, წვრილი, ცალკე თითქოს უფორმო, მაგრამ სახესთან შეწყობილი და დამშვენებული; სწორედ ისეთი, რომელიც სასოწარკვეთილებაში აგდებს მხატვარს და ხიბლავს პოეტს.

წინ რომ გაუარა მარიუსმა, თვალები ვერ დაუნახა, რადგან ჩვეულებისამებრ ძირს იყურებოდა ქალი. მარტო წაბლისფერი ხშირი წარბ-წამწამი დაინახა.

ყურს უგდებდა ჭაღარით მოსილ მოხუცს ქალი და იღიმებოდა, ბავშვურად, და არაფერი იქნებოდა ისეთი მომხიბლავი, როგორიც ეს ნორჩი ღიმილი და მორცხვად დაღუნული თავი.

პირველი შეხედვით ვერც იცნო მარიუსმა; იფიქრა, - ეს ამ კაცის მეორე ქალი უნდა იყოს, იმ გოგოს უფროსი დაო, - მაგრამ როდესაც, - ახლა უფრო ვერ უმტყუნებდა

თავის ჩვეულებას, - მეორედ გაუარა მათ სკამს და კარგად დააცქერდა ამ ამოცანის გამოსაკვლევად, დარწმუნდა, რომ სწორედ ის იყო, შარშანდელი პატარა გოგონა. ექვსი თვის განმავლობაში გოგონა ლამაზ ქალად გადაქცეულიყო. - ბუნებრივი მოვლენა, სხვა არაფერი. ძალიან ხშირია ეს მოვლენა, რაღაც წამია ერთი, როდესაც თვალის დახამხამებაში იშლება და იფურჩქნება პატარა გოგო და მაისის ვარდად იქცევა უცბად. გუშინ მიტოვებული ბავშვი იყო, და დღეს გაფურჩქვნილა და ვნების ამშლელია.

გაზრდილიყო პატარა ქალი და ამასთან ერთად იდეალს დაახლოებოდა. როგორც აპრილში სამი დღე კმარა ზოგიერთი ხისთვის, რომ შეიმოსოს გაშლილი ყვავილებით, ექვსი თვე იკმარა პატარა გოგომ, რომ ქალის მშვენიერებით შემოსილიყო. მასაც დასდგომოდა თავისი აპრილი.

ხანდახან ხდება ხოლმე, ღარიბი კაცი, გაჭირვებული, წვრილმანებამდე ყაირათიანი, უცბად წამოვარდება, თითქოს ეძინა და გამოიღვიძაო, ფლანგავს ფულს, უხვიც არის და კეთილიც; ფული ჰქონდა დიდი ხნით ბანკში შეტანილი და ვადის გასვლას ელოდა. აგერ გავიდა ვადა და ეღირსა თავისი ფული. ყმაწვილ ქალსაც ეღირსა თავისი გაზაფხული.

გაზაფხულის ყვავილი იყო, ახალგაშლილი და აღარც თავისი პანსიონური ქუდი ეხურა, აღარც უშნო შავი კაბა და მოწაფის ფეხსაცმელი ეცვა, აღარც შარშანდელივით ჩაწითლებული ხელები ჰქონდა. სილამაზეს გემოვნებაც თან მოჰყოლოდა. ლამაზი ქალი იყო, კოხტად მორთული, სალუქად გამოწყობილი. კაბა ისევ შავი ეცვა, მაგრამ აბრეშუმის, მოკლე წამოსასხამიც იმავე აბრეშუმისა და თეთრი კრეპის ქუდი. თეთრი ხელთათმანი აჩენდა მისი გრძელი თითების სინატიფეს; ხელში ქოლგა ეჭირა, ჩინური სპილოს ძვლის ტარით და აბრეშუმის ფეხსაცმელი უმშვენებდა პატარა კოპწია ფეხს. გვერდზე რომ გაუვლიდა კაცი, მისი სილამაზისა და სიყმაწვილის სურნელებით ტკბებოდა.

მოხუცებული კი იგივე იყო, რაც მანამდე.

მეორედ რომ მიუახლოვდა მარიუსი იმათ სკამს, წამწამი ასწია ქალმა. ციური ლურჯი და ღრმა თვალი ჰქონდა, მაგრამ მის დაბურულ ლაჟვარდში ჯერ მარტო ბავშვი მოჩანდა. გულგრილად შეხედა მარიუსს, როგორც შეხედავდა ნეკერჩხალის ქვეშ მოთამაშე პატარა ბიჭს, ან მარმარილოს ლანგარს, რომელიც ჩრდილს სცემდა მის სკამს. და მარიუსმაც ისე გაიარა ქალის წინ, რომ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

ოთხჯერ, თუ ხუთჯერ გაუარა წინ ბატონ ლებლანს და ქალბატონ ლანუარს, მაგრამ ერთხელაც აღარ გაუხედავს მათკენ. ყ

მას შემდეგ ჩვეულებისამებრ დადიოდა სასეირნოდ იმავე ხეივანში. ჩვეულებისამებრ იქ ხედავდა „მამასაც და იმის ასულსაც“, მაგრამ ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ისევე უმნიშვნელო იყო იმისთვის ეს ლამაზი ქალი, როგორც უმნიშვნელო იყო შარშან პატარა გოგონა. დასეირნობდა, ახლოს გაუვლიდა ხოლმე სკამს, სადაც ეს ქალი იჯდა, მაგრამ ეს უბრალო ჩვეულება იყო და სხვა არაფერი.

## თავი მესამე
## გაზაფხულის გავლენა

საშინელი სიცხე იდგა ერთ დღეს, მაგრამ ხის ფოთლებს ვერ სჯობნიდა მზის სხივი და ხეივანში საკმაოდ გრილოდა. ისე იყო ცა მოწმენდილი, თითქოს იმ დილას გაერეცხათ ანგელოზებს. წაბლის ფოთლებში ბეღურები შეფარულიყვნენ და რაღაცას ჭიკჭიკებდნენ. მარიუსმა სული და გული გაუღო ბუნებას, აღარაფერს ფიქრობდა, სიცოცხლით ტკბებოდა, გრილ ჰაერს სუნთქავდა და, მოხუცებულის და მისი ქალის სკამს რომ მიუახლოვდა, უცბად შეხედა ქალმა და თვალი თვალს შეხვდა.

რა იყო ამჟამად იმ ლამაზი ქალის თვალში? ამაზე პასუხს მარიუსიც ვერ გაგცემდათ. თითქოს არაფერი იყო და იმავე დროს - ყველაფერი, რაღაც უცნაური ელვა იყო.

შეხედა და თავი დაღუნა, მარიუსი თავის გზას გაჰყვა.

ლამაზი ქალის თვალი დაინახა მარიუსმა, ოღონდ პატარა გოგოს უმანკო თვალი კი არა, არა! საიდუმლო უფსკრული იყო, რომელმაც ერთი წამით გააღო პირი და მაშინვე მიიმალა.

ვაი იმას, ვისაც მოხვდება მსგავსი მზერა!

ეს სულის პირველი სხივია, თვალიდან გამოტყორცნილი, რომელიც ჯერ არც იცნობს თავის ძალას, ისეთივე, როგორიც განთიადია ცაში; აღდგომაა რაღაც უცნობისა და ნეტარის. ყოვლად შეუძლებელია დანახვა იმ საშინელი და თან მომხიბლავი ელვისა, რომელიც ასე უცბად აშუქებს ბნელს და რომელშიც ერთად ჩართულან აწმყოს სრული უმანკოება და მომავლის ვნებიანობა. ერთგვარი გაუბედავი ალერსია, რომელიც შემთხვევით აღიგზნება და იცდის. მახეა, რომელსაც თავისდა შეუმჩნევლად დგამს უმანკოება, და რომელშიც, ვინ იცის, რამდენ გულს გააბამს უნებურად და შეუმჩნევლად. ეს ქალწულია, რომელიც დედაკაცივით იყურება.

შეუძლებელია, ღრმა ოცნება არ აღეძრას, ვისაც კი მოხვდება ეს სხივი. მთელი უბიწოება, უმწიკვლოება ამ საბედისწერო წამიერ ელვაში არის შეგროვილი, რომელიც ყოველგვარ კეკლუცობაზე უფრო ძლიერია და რაღაც ჯადოქრული ძალით წმინდად აღაგზნებს გულის სიღრმეში იმ საოცნებო ყვავილს, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

საღამოზე შინ რომ მივიდა, თვალი გადაავლო მარიუსმა თავის ტანსაცმელს და პირველად მაშინ მოხვდა თვალში მისი უვარგისობა. მაშინვე მიხვდა, რომ სისულელე იყო ხალხით სავსე ბაღში ამ ჭუჭყიანი, ძველი, გაცვეთილი საშინაო ტანსაცმლით სეირნობა; ქუდი დახეული ეფარა, ტლანქი წაღები ეცვა, თითქო მეეტლე ყოფილიყოს, შავი შარვალი მუხლის თავებზე მთლად გასთეთრებოდა და შავი სერთუკი, იდაყვებზე გამოხუნებოდა.

## თავი მეოთხე
## ავადმყოფობის დასაწყისი

მეორე დღეს, სასეირნოდ წასვლის დრო რომ მოახლოვდა, მარიუსმა კარადიდან ახალი ტანსაცმელი ამოალაგა, - სერთუკი, შარვალი, წაღები, ქუდი, მოიკაზმა თავისი საგარეო ტანსაცმლით, ჩაიცვა ხელთათმანი, რაც მეტისმეტად ფუფუნების ნიშნად მიაჩნდა და სასეირნოდ წავიდა.

გზაში კურფეირაკი დაინახა, მაგრამ თვალი აარიდა. ის კი, მივიდა თუ არა თავის ამხანაგებთან, მაშინვე ახალ ამბავს მოჰყვა:

- ეს არის შევხვდი მარიუსის ახალ ქუდს და ახალ სერთუკს და შიგ მარიუსს. ცხადია, გამოცდაზე მიეშურებოდა, უაღრესად სულელური გამომეტყველება ჰქონდა.

ბაღში რომ შევიდა, ჯერ აუზს შემოუარა, გედები ნახა, მერე დიდი ხანი იდგა ერთ ქანდაკებასთან და შესცქეროდა იმის ხავსით გაშავებულ თავს და მოტეხილ ფეხს. იქვე ერთი ორმოცი წლის ღიპიანი ბურჟუა დაინახა, რომელსაც თან ჰყავდა პატარა, ხუთი წლის ბიჭი. ბავშვის ხელი ეჭირა ბურჟუას და არიგებდა:

- მოერიდე უკიდურესობას, შვილო, თანასწორ მანძილზე დაუდექი დესპოტიზმსაც და ანარქიასაც.

ეს ბურჟუის სიბრძნეც მოისმინა მარიუსმა, მერე ერთხელ კიდევ შემოუარა აუზს და ბოლოს, როგორც იყო, წავიდა „თავისი ხეივნისკენ"; ნელი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს ნაძალადევად. თითქოს იჭერდა რაღაც და იმავე დროს წინ უბიძგებდა. ამას ვერ ხედავდა მარიუსი და დარწმუნებული იყო, ყველაფერი თავის რიგზეაო.

ხეივანში რომ შევიდა, შორიდანვე დაინახა თავიანთ სკამზე ბატონი ლებლანი და ყმაწვილი ქალი. მაშინვე შეიკრა ღილები, სულ ნიკაპამდე, გაისწორა სერთუკი, რომ ტანზე შეკეცილი არსად ყოფილიყო, სიამოვნებით დააცქერდა თავისი შარვლის პეწიან ნაოჭს და მერე სკამს მიაშურა. იერიში იყო მის მოძრაობაში და, რასაკვირველია, აგრეთვე გამარჯვების უიმედო სურვილი, ამიტომ ვამბობთ, „სკამს მიაშურა", როგორც ვიტყოდით „ჰანიბალმა რომს მიაშურაო".

საერთოდ კი, სრულიად ანგარიშმიუცემელი იყო ყოველი მისი მოძრაობა. არაფერი შეცვლილიყო არც სეირნობაში, არც ფიქრებში; და სწორედ იმ დროს, როცა წინ გაუარა ბატონ ლებლანს, სულ იმას ფიქრობდა, რომ „ბაკალავრის სახელმძღვანელო" სისულელის მეტს არას წარმოადგენდა და, ცხადი იყო, იშვიათი რეგვნების მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი, თორემ კაცობრიობის მწერლობის შედევრად რატომ დაესახელებინა და გაერჩია რასინის სამი ტრაგედია და მოლიერისა კი მხოლოდ ერთი? რაღაც მკვეთრი ზრიალი ედგა ყურში. რომ მიუახლოვდა, სერთუკი გაისწორა და თვალები ქალს დააშტერა. უყურებდა და ისე ეჩვენებოდა იქაურობა, თითქოს მთელ ხეივნის ბოლოს მოსდებოდა იმ ქალის ცისფერი თვალის სხივის ელვარება.

უახლოვდებოდა, და თან უფრო და უფრო ამცირებდა ნაბიჯს. აგერ, კარგად ჩანს სკამი. ხეივნის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია, რომ იქ მივიდეს და უკან გამობრუნდეს, მაგრამ სკამთან გავლა ვეღარ შეძლო და თვითონაც არ იცოდა, რა მოხდა. უკან გამობრუნდა! არა, რაღაცამ შეაყენა და გამოაბრუნა. ძლივს დაინახავდა ქალი შორიდან, ძლივს შენიშნავდა, რომ ახალი ტანისამოსით გამოსულიყო და ძალიანაც უხდებოდა, ერთიღა ახსოვდა მარიუსს, - ყოჩაღად ევლო, რომ თუ უკნიდან ვინმე გამოხედავდა, ფეხი არსად წასხლტომოდა.

ხეივნის თავამდე ჩავიდა, მერე დაბრუნდა და ახლა უფრო მიუახლოვდა სკამს, მხოლოდ სამი-ოთხი ხეღა იყო სკამამდე გასავლელი, მაგრამ საზარელი, დაუძლეველი წინააღმდეგობა იგრძნო, ფეხი ვეღარ გადადგა და შეყოყმანდა. ერთ წამს თითქოს დაინახა, რომ ყმაწვილმა ქალმა მისკენ მიიბრუნა სახე. მოიკრიბა, რაც ძალა ჰქონდა, დაიმორჩილა გული, და სკამისკენ წავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ მივიდა სკამთან, წინ გაუარა. წელში გაჭიმული იყო, ფეხს მაგრად ადგამდა. ჭარხალივით გაწითლებულიყო, ვერც მარჯვნივ ბედავდა გახედვას, ვერც მარცხნივ, ხელი სერთუკში ჩაეყო, როგორც სახელმწიფო მოხელეს და იმ წამს, როდესაც ვითომ

მსროლელი ზარბაზნების ქვეშ გაიარა, საშინლად აუძგერდა გული. ქალს გუშინდელივით შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, იგივე ქუდი ეხურა. და ხმა შემოესმა, ჯერ გაუგონარი, რომელიც „იმისი ხმა“ უნდა ყოფილიყო, - დამშვიდებული ელაპარაკებოდა ლებლანს. მართლა მშვენიერი რამ იყო. მარიუსიც კარგად გრძნობდა მის მშვენიერებას, თუმცა არც კი ცდილა, ერთხელ მაინც გადაევლო თვალი. - სულ სხვა თვალით შემომხედავდა და პატივისცემითაც, - ფიქრობდა მარიუსი, - რომ სცოდნოდა, რომ მე ვარ მარკ ობრეგონ დე ლა რონდას შესახებ დისერტაციის ნამდვილი ავტორი, რომელიც ასე ურცხვად მიითვისა ფრანსუა დე ნევშატომ და თავის გამომცემელ „ჟილ ბლაზის“ სათავეში მოაქცია.

სკამს გაუარა, ხეივნის ბოლომდე მივიდა, რომელიც იქვე ახლოს იყო, და უკან გამობრუნდა. ისევ ისე გაუარა წინ მშვენიერ ქალს, მაგრამ ახლა მთლად ფერმიხდილი მიდიოდა. რაღაც უსიამოვნოს განიცდიდა, გასცდა სკამს, ქალსაც, უკან დარჩნენ მოხუცი და მისი ქალი, მაგრამ ეგონა, - მე მიყურებს მიმავალსო, - და ფეხი ერეოდა.

ამის შემდეგ, არც კი სცადა სკამთან მიახლოება; შუა ხეივანში გაჩერდა და სკამზე დაჯდა. სკამზე არ ჯდებოდა ხოლმე და დღეს პირველად უმტყუნა თავის ჩვეულებას, დაჯდა და იქით აპარებდა თვალს, ჩაფიქრდა: ეს საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა კაცმა, მოირთო, მოიკაზმა და განა შეიძლებოდა, რომ თვალში არ სცემოდა ამ ტანისამოსის მშვენება ამ ქალს, რომლის თეთრი ქუდით და შავი კაბით ასე ტკბებოდა მარიუსი?

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და დარჩა ისე, უძრავად. თხუთმეტი თვე იყო, ხედავდა ამ კაცს და ქალს, და დღეს პირველად გაუელვა აზრმა, რომ ბატონი ლებლანი და ქალბატონი ლანუარი, რომლებიც ყოველდღე დასასვენებლად მოდიოდნენ ბაღში და ამ სკამზე ისხდნენ, უეჭველია ყურადღებას მიაქცევდნენ იმის საქციელს და საეჭვოდ ეჩვენებოდათ მისი მუდმივი ხეტიალი სწორედ ამ ხეივანში.

პირველად იფიქრა, რომ უზრდელობა იყო, უცნობი მოხუცებული კაცის ბატონ ლებლანად მოხსენიება, თუნდაც თავის ფიქრებში.

ცოტა ხანს იდგა ასე, ამ ფიქრებით გართული, თავდაღუნული, ხელში წკეპლა ეჭირა და რაღაცას ხაზავდა მიწაზე.

მერე უცბად ზურგი შეაქცია ბატონ ლებლანს და იმის ქალს და შინისკენ წავიდა.

იმ დღეს სრულიად გადაავიწყდა სადილად წასვლა. მხოლოდ საღამოს რვა საათზე მოაგონდა, და რადგან დაგვიანებული იყო, - ეს რა დამემართაო? - გაიკვირვა და ცარიელი პური იკმარა.

არ დაიძინა, სანამ კარგად არ გაწმინდა და კარგად არ დაკეცა თავისი ტანსაცმელი.

## თავი მეხუთე
## რამდენი მეხი დაეცა საწყალ ბუგონს

მეორე დღეს საწყალ ბუგონს, - ასე გადააკეთა კურფეირაკმა საწყალი დედაკაცის გვარი, რომელიც მეკარეც იყო გორბოს სახლში, პირველი მდგმურიც, მარიუსის მოსამსახურეც, და ნამდვილი გვარი ბურგონი ჰქონდა, როგორც ზევით ვთქვით, მაგრამ სიბერის შეწყნარებაც კი არ იცოდა ლაზღანდარა კურფეირაკმა და ბურგონის

მაგივრად ბუგონი დაარქვა. დიახ, მეორე დღეს ბებერ ბუგონის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

ისევ ახალ ტანსაცმელს იცვამდა მარიუსი!

ბაღში წავიდა, მაგრამ, ხეივნის ნახევარს არ გასცდენია. გუშინდელივით ჩამოჯდა სკამზე, შორიდან შესცქეროდა და კარგად ხედავდა თეთრ ქუდს, შავ კაბას და მეტადრე ცისფერ სხივებს. იჯდა და შესცქეროდა. შინ წასვლა მაშინღა მოაგონდა, როცა ნახა, რომ ბაღის კარებს კეტავდნენ.

ბატონი ლებლანის და იმის ქალის წასვლა კი როგორღაც ვერ შეამჩნია, ალბათ დასავლეთ კარით გავიდნენო, - იფიქრა. შემდეგში, რამდენიმე კვირამ რომ გაიარა, ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, სად ჭამა პური იმ საღამოს.

მეორე დღეს, ეს მესამე დღე იყო, ერთხელ კიდევ დაეცა მეხი საწყალ ბუგონს: ისევ ახალი ტანსაცმლით გავიდა მარიუსი.

სამი დღე ზედიზედ! - გაიძახოდა ქალი.

სცადა უკან გაჰყოლოდა შეუმჩნევლად, მაგრამ მკვირცხლად დადიოდა მარიუსი და კარგი ნაბიჯიც ჰქონდა. ჰიპოპოტამს განეზრახა ჯეირანს გასდევნებოდა. მაშინვე დაკარგა თვალთახედვიდან და ძლივსღა ქშინავდა, შინ რომ დაბრუნდა, სუნთქვა ეკვროდა, სული ეხუთებოდა, თან ბრაზი ერეოდა:

- არა, ჭკუათამყოფელი ამას იზამდა? - მოსთქვამდა ბუგონი, - ახალ ტანსაცმელს იცვამს ყოველდღე და სირბილით კლავს ჩემი ხნის ბებერს!

მარიუსი ბაღში შევიდა.

ბატონი ლებლანიც იქ იყო და ყმაწვილი ქალიც.

ნელ-ნელა მიდიოდა მათკენ, რომ უფრო ახლოს შესძლებოდა მისვლა. წიგნი გაშალა, ვითომ კითხულობდა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა მიახლოება. დაბრუნდა და სკამზე დაჯდა. ოთხი საათი გაატარა ასე. ხან ქალბატონ ლანუარს უყურებდა, ხან კიდევ ბეღურებს, რომლებიც იქვე დაფრინავდნენ, ისე ახლოს და ისე თავისუფლად, თითქო მარიუსს დასცინოდნენ.

ორი კვირა გავიდა ასე. ახლა სასეირნოდ კი არ მიდიოდა მარიუსი, მიდიოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველთვის იმავე სკამზე დამჯდარიყო, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა საჭირო იყო მისთვის სწორედ ის სკამი. იჯდა და აღარც ინძრეოდა.

დღითი დღე მშვენდებოდა ქალი და გულწარმტაცი ხდებოდა: ერთადერთი საფუძვლიანი შენიშვნა ითქმოდა მისი სილამაზის შესახებ: და ეს იყო ერთგვარი შეუსაბამობა მის სევდიან გამოხედვასა და მხიარულ ღიმილს შორის: რომელიც უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. ასე რომ, ეს ნაზი სახე ზოგჯერ უცნაური გეჩვენებოდათ, თუმცა არ კარგავდა თავის სიტურფეს და მიმზიდველობას.

## თავი მეექვსე
## ტყვექმნილი

ამასობაში თითქმის ორი კვირა გავიდა. ერთხელ ბაღში იყო მარიუსი. ჩვეულებისამებრ თავის სკამზე იჯდა, ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა, რომლის გადაფურცვლა ორი საათის განმავლობაში ერთხელაც არ მოჰგონებოდა. უცებ შეკრთა: რაღაც მოხდა ხეივნის იმ მხარეს, სადაც მოხუცებული იყო თავისი ქალით. მოულოდნელად უდროოდ წამოდგნენ ბატონი ლებლანი და ყმაწვილი ქალი.

მკლავში ხელი გაუყარა მოხუცებულს ქალმა და ორივე ნელი ნაბიჯით წამოვიდნენ მარიუსისკენ. ეს რომ დაინახა, დაკეცა თავისი წიგნი, მერე ისევ გაშალა, ცდილობდა წაეკითხა, თან თავით ფეხებამდე თრთოოდა. ელვარება პირდაპირ მისკენ მოდიოდა. ღმერთო ჩემო! - ფიქრობდა მარიუსი, - როდისღა მოვასწრებ გასწორებას? - ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ თოვლივით თეთრი მოხუცი და ყმაწვილი ქალი, გულისფანცქალით ელოდა მათ გავლას. მთელ საუკუნედ ეჩვენა რამდენიმე წამი. - ნეტავი, აქეთ რატომ მოდიან? ეკითხებოდა თავის თავს მარიუსი. - როგორ? აქ უნდა გაიაროს? იმისი ფეხი უნდა შეეხოს ამ ქვიშას? ჩემს სკამთან, აქვე, ჩემს ახლოს? - აღარაფერი ახსოვდა, ისე იყო აღელვებული; გული ეუბნებოდა, - ყოჩაღად ეჩვენეო, - და ნატრობდა, - ნეტავ ჯვრით მქონოდა გული დამშვენებულიო. - ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ, ესმოდა იმათი ჩუმი ზომიერი ნაბიჯის ხმა. - განრისხებული თვალით მიყურებს ბატონი ლებლანი, - იძახდა შეშინებული, - იქნებ დამელაპარაკოს? - თავი დაღუნა მარიუსმა და მაღლა რომ აიღო, ისინიც იქვე იყვნენ, თითქმის მის სკამთან. გვერდით გაუარა ყმაწვილმა ქალმა და გავლისას შემოხედა, დააცქერდა, ფიქრმორეული სინაზით და თავით ფეხებამდე აათრთოლა ყმაწვილი კაცი. - მისაყვედურაო, - ფიქრობდა მარიუსი, - რომ ამდენი ხანია, შორს ვიყავი მისგან, აღარ მივხედე, და ახლა იძულებული გახდა თვითონ წამოსულიყო: რაკი შენ ასე გაჯიუტდი, აი, მე მოვდივარ შენკენო. - მარიუსი დაბრმავებული დარჩა მისი თვალის სხივით და სიღრმით.

ცეცხლი ეკიდებოდა სულსა და გულს. რას წამოიდგენდა, რომ თვითონ მოვიდოდა? განა მეტი ნეტარება შესაძლებელია? მერე რა თვალით შემოხედა! არა, ასეთი მშვენიერი არავინ უნახავს! მშვენიერი, ქალისა და ანგელოზის სილამაზით აღსავსე, იმ სრული სილამაზით, რომელიც პეტრარკას აამღერებდა და დანტეს მუხლს მოადრეკინებდა. ამქვეყნად აღარ იყო მარიუსი, თავის ტკბილ ოცნებას გაეტაცა და მიციალებდა ცის ლაჟვარდ სივრცეში და იმავე დროს საშინლად წუხდა, რომ ცოტა მტვერი დასდებოდა იმის წაღებს.

დარწმუნებული იყო, რომ ჯერ თვალი თვალში გაუყარა ქალმა და მერე მის წაღებს დახედა.

თვალი ვეღარ მოაშორა მიმავალს. და როდესაც მიეფარნენ და აღარ ჩანდნენ, შეშლილივით წამოვარდა და დაიწყო ბაღში სიარული. ხანდახან, - სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, - შეიძლება კიდეც იცინოდა და ხმამაღლა ამბობდა რამეს. ისეთი აღტაცებით შეჰყურებდა ბავშვების ძიძებს, რომ თითოეულ მათგანს გულწრფელად ეგონებოდა, - ჩემზე გიუდებაო.

ბაღიდან გავიდა, იმედი ჰქონდა, გზაში ვნახავ სადმეო.

ოდეონთან რომ მივიდა, შეხვდა კურფეირაკს, რომელიც სადილად მიიპატიჟა, რუსოს რესტორანში შევიდნენ და მთელი ექვსი ფრანკი დახარჯეს. დევივით ილუკმებოდა მარიუსი. მოსამსახურეს ექვსი სუ აჩუქა. ხილი რომ მიირთვეს, კურფეირაკს ჰკითხა: - გაზეთები წაიკითხე? რა მშვენიერი სიტყვა თქვა ანდრეი დე პუირავომ!

სიგიჟემდე მიეყვანა სიყვარულს.

სადილი რომ გაათავეს, ახლა თეატრში დაპატიჟა თავისი სტუმარი და სენ-მარტენისკენ წავიდნენ, „ადრეს სასტუმროში“ ფრედერიკის სანახავად; იქაც უზომოდ მხიარული იყო მარიუსი.

მაგრამ ამავე დროს საშინელი უხიაკობაც გამოიჩინა. თეატრიდან რომ გამოვიდნენ, არა და არ მოისურვა შეეხედა ერთი ქალის წვივსაკრავისთვის, რომელსაც კაბა აეწია რუზე გადასახტომად, და კურფეირაკის სიტყვა რომ გაიგონა, - სიამოვნებით ჩავიგორებდი ამ ქალს ჩემს კოლექციაშიო, - საშინლად აღშფოთდა.

მეორე დღეს კურფეირაკმა საუზმეზე მიიპატიჟა ვოლტერის კაფეში. ეწვია მარიუსი, უფრო მეტი ჭამა, ვიდრე გუშინ. ჩაფიქრებული იყო, თუმცა მხიარულად ებაასებოდა ამხანაგს და გულიანად ხარხარებდა, თითქოს განგებ ეძებს შემთხვევას, რომ სიცილი დაიწყოსო. მეგობრულად მოეხვია ვიღაც პროვინციელს, რომელიც იქ გააცნეს. იქვე სტუდენტები იყვნენ, გარს შემოეხვივნენ იმათ მაგიდას და ატყდა კამათი იმაზე, რომ მრავალი სისულელე ისმოდა სორბონის კათედრებიდან, და რომ ამ სულელურ როტვაში მთავრობა ფულს ხარჯავდა. მერე კიშერას ენციკლოპედიურ ლექსიკონს შეეხნენ და მრავალი შეცდომა და ხარვეზი აღნიშნეს. ამ ბაასში რომ იყვნენ, უცბად წამოიყვირა მარიუსმა:

- რა კარგი იქნებოდა, რომ ერთი ჯვარი მქონოდა გულზე!

- რა სასაცილოა ეს ბიჭი! - მიმართა ჩუმად კურფეირაკმა ჟან პრუვერს.

- სულაც არა - მიუგო ჟან პრუვერმა - ეს სახუმარო ამბავი როდია!

და მართლაც, სახუმარო არაფერი იყო, მარიუსისათვის დამდგარიყო ის აღტაცებული და მშვენიერებით აღსავსე პირველი ჟამი, რომელიც დიდი ვნების წინამორბედია. ეს ერთი შემოხედვის შედეგი იყო, როცა გატენილია ნაღმი, როცა მომზადებულია კოცონი, ეს სულ ადვილი საქმეა.

გათავებული იყო, მარიუსს ქალი უყვარდა. ახალ, ჯერ უცნობ გზას დასდგომოდა მისი ბედისწერა.

ქალის შემოხედვა კბილოვანი ჩარხია, შესახედავად უვნებელი, სინამდვილეში კი საშიში. დღეში რამდენჯერმე გაუვლით მას გვერდზე, მშვიდად, უშიშრად. ეჭვიც არ გაქვთ, რომ რამე საფრთხე მოგელით. სულაც გადაგავიწყდებათ ისიც, იმისი ტრიალიც. მიდიხართ, მოდიხართ მის ირგვლივ, ფიქრობთ, ოცნებობთ, საუბრობთ, იცინით. და უცბად გრძნობთ, რომ ჩაგითრიათ. წასულია თქვენი საქმე! ჩარხმა ჩაგბღუჯათ მაგრად, შემოხედვამ აგიტაცათ სადღაც, დაგიჭირათ, დაგიმორჩილათ. როგორ გაგაბათ? რითი? ეგ სულერთია. თქვენ უკვე დაღუპული ხართ. ვინ იცის, რა მოგელით? იდუმალი ძალები გადაბმულან და დაუმორჩილებიხართ სულით ხორცამდე. ამაოდ ჩაგივლით ყოველი წინააღმდეგობა და ბრძოლა. ის არის თქვენი ბედისწერა და ვეღარაფერს გიშველით ადამიანის დახმარება. ერთ ჩარხს მეორე მოჰყვება, ერთ სევდას - მეორე, ერთ წამებას - მეორე, უფრო უარესი. რადგან იმისი ხართ თქვენც, თქვენი გონებაც, ქონებაც, მომავალიც და სულიც. და თქვენი მპყრობელი ბოროტი იქნება, თუ გულკეთილი, თავს რომ დააღწევთ ამ საზარელ ჩარხ-მანქანას, ან დასახიჩრებული იქნებით სირცხვილით, ან გარდაქმნილი ვნებით.

## თავი მეშვიდე

## რას უნდა წარმოადგენდეს ასო U ცალკე

განმარტოება, ყველაფრის ჩამოშორება, ამპარტავნობა, დამოუკიდებლობა, ბუნების სიყვარული, სულიერი მარტოობა, უბიწოების იდუმალი ბრძოლა, ბუნების ქმნილებებით აღტაცება, - ყოველივე ამან მარიუსის გული ვნების მისაღებად

მოამზადა. მამისადმი თაყვანისცემა სარწმუნოებად ექცა ნელ-ნელა და, როგორც სარწმუნოება, გულის სიღრმეში ჩაიმალა. საჭირო იყო ახალი რამ გულის გადასაყოლებლად, და მოვიდა სიყვარული.

მთელი თვე გავიდა ასე უცვლელად. მარიუსი ყოველდღე დადიოდა ლუქსემბურგის ბაღში. დანიშნული დრო რომ ახლოვდებოდა, ყოვლად შეუძლებელი იყო მისი შეჩენება. - მორიგე არის, როგორ მოცდებაო? - დასცინოდა კურფეირაკი. - აღტაცებული იყო მარიუსი, ნეტარებდა. დარწმუნდა, რომ უმზერდა ყმაწვილი ქალი.

ახლა უფრო გაბედულად იქცეოდა და უფრო უახლოვდებოდა სკამს. ოღონდ წინ არ გაუვლიდა ხოლმე, რადგან შეყვარებულის სიფრთხილის ალღოს ემორჩილებოდა. საჭიროდ მიაჩნდა, ისე მოეწყო ყველაფერი, რომ არავითარი ეჭვი არ აღძვროდა ქალის „მამას“, რომ მის შეუმჩნევლად დამტკბარიყო თავისი სატრფოს მზერით, ხეებს ეფარებოდა, ან ქანდაკების კვარცხლბეკს იმგვარი ღრმა მაკიაველიზმით, რომ ადვილად დასანახი ყოფილიყო ქალისთვის და ბატონ ლებლანს კი არ შესძლებოდა მისი დანახვა. ხშირად ხდებოდა ხოლმე, მთელი ნახევარი საათი იდგა გაუნძრევლად რომელიმე ლეონიდეს, ან სპარტაკის ძეგლის უკან მიმალული, ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა, და ფურცლების ზემოდან აღგზნებული თვალებით დაეძებდა ყმაწვილ ქალს. თავის მხრივ ისიც, როგორც კი თვალს მოჰკრავდა მიმალულ მარიუსს, მაშინვე იქით მიაბრუნებდა თავის ლამაზ პირს და ბუნდოვნად გაუღიმებდა. სრულიად მშვიდად ესაუბრებოდა თავის ჭაღარამოსილ მამას, თუ პაპას, ბუნებრივად, თითქოს მის მეტს ვერავის ხედავსო. და თან მარიუსს უყურებდა უმანკო ქალის ვნებით სავსე თვალებით. ძველისძველი, პირვანდელი ხერხი, რომელიც ჯერ კიდევ ევამ იცოდა დედამიწის გაჩენის დღიდან, და რომელსაც ყველა ქალი იყენებს. პირით თავის მოხუცებულ მოსაუბრეს პასუხობდა, მზერით - თავის მოტრფიალეს.

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ლებლანი რაღაცას ამჩნევდა. ეჭვი ჰქონდა, რადგან ხშირად, როგორც კი დაინახავდა შორიდან მომავალ მარიუსს, წამოდგებოდა ხოლმე და გაისეირნებდა. ერთსა და იმავე სკამზე ისხდნენ ხოლმე ყოველთვის; ეს სკამი მიატოვა მოხუცმა და სხვა აირჩია, ხეივნის ბოლოში, გლადიატორის ახლოს, თითქოს უნდა ნახოს, - გაბედავს თუ არა ის ყმაწვილი კაცი, უკან რომ გამოგვყვესო? - ეს ვერ მოისაზრა მარიუსმა და შეცდომა დაუშვა. აღარც ყოველდღე მოჰყავდა სასეირნოდ ყმაწვილი ქალი მოხუცს, აღარც იმ დროს მოდიოდა, როგორც ჩვეულებად ჰქონდა ადრე. ხანდახან მარტო მოდიოდა ბაღში. რაკი მარტოს დაინახავდა მარიუსი, მაშინვე შინისკენ მიეშურებოდა. ეს მისი მეორე შეცდომა იყო.

მარიუსი კი ყურადღებას არ აქცევდა ამ ნიშნებს; უკვე განვლო მოკრძალების ხანა და ახლა, - ბუნებრივი და საბედისწერო გზით თავდავიწყების ხანაში გადასულიყო. სიყვარული იზრდებოდა და აბრმავებდა. დღედაღამ ოცნებაში იყო, და ამასთან მოულოდნელად გაუღიმა ბედმა, ზეთი დაასხა გაჩაღებულ ცეცხლს, და ერთიორად მოეფინა ბინდი იმის თვალს. ერთ საღამოს, ბინდისას, ბატონი ლებლანი და ქალბატონი ლანუარი რომ ადგნენ სკამიდან, ცხვირსახოცი დაინახა იმათ სკამზე მარიუსმა და ხელი სტაცა. სულ უბრალო ცხვირსახოცი იყო, მოუქარგავი, მაგრამ თეთრი და სიფრიფანა, რომელიც საკვირველ, ენით გამოუთქმელ სურნელებას აფრქვევდა მარიუსს. აღტაცებული იყო ამ მონაპოვრით. ორი ასო ჰქონდა ნიშნად ცხვირსახოცს: უ.ფ. თავის სატრფოსი არაფერი იცოდა მარიუსმა, არც გვარი, არც

სახელი, არც სახლის მისამართი. ეს ორი ასო იყო მისი ვინაობის აღმნიშვნელი, ხელში რომ ჩაუვარდა, მისი სახელის და გვარის თაყვანსაცემი ასოები, და მაშინვე შეუდგა ამ ასოების ამოცანის კვლევას. ცხადი იყო, რომ ასო უ სახელის უნდა ყოფილიყო. - ურსული. წამოიძახა კიდეც ცოტა ფიქრის შემდეგ. - რა საუცხოო სახელია! აკოცა ცხვირსახოცს, იყნოსა სურნელება, მთელი დღე გულით ატარებდა, ზედ გულზე ედო, პერანგის ქვეშ, ღამე კი თავის ბალიშზე დადო, რომ დამტკბარიყო და ისე დასძინებოდა.

- მის სულს ვგრძნობ, - იძახდა მარიუსი.

ცხვირსახოცი მოხუცებულ ბატონ ლებლანს ეკუთვნოდა, რომელსაც ჯიბიდან ამოვარდნოდა.

ამის შემდეგ ისე არ გამოჩნდებოდა ბაღში, რომ ხელში ცხვირსახოცი არ სჭეროდა. ხან კოცნიდა, ხან გულზე იდებდა. საწყალ ქალს ვერაფერი გაეგო და შეუმჩნეველი ნიშნებით ატყობინებდა თავის გაკვირვებას.

- ოჰ, რა მორცხვია! - იძახდა მარიუსი.

## თავი მერვე
## ინვალიდმაც კი გაიხარა

რაკი მორცხვობა ვახსენეთ და ამ ისტორიისას არაფერს ვმალავთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ დიდად აღტაცებული იყო მარიუსი, მეტისმეტად გააჯავრა „თავისმა ურსულმა“.

ეს ამბავი იმ დღეს მოხდა, როდესაც ქალმა ლებლანს გადააწყვეტინა დაეტოვებინათ სკამი და ხეივანში გაესეირნათ. გაზაფხულის ქარიანი დღე იყო. ხელიხელ ჩაჭიდებული მიდიოდნენ მოხუცებული ლებლანი და მისი ყმაწვილი ქალი. წინ გაუარეს მარიუსს. ისიც წამოდგა და თვალი გააყოლა უკნიდან, როგორც შეჰფერის ამგვარ მდგომარეობაში მყოფ, თავდავიწყებამდე მისულ შეყვარებულს.

და უცბად ძირს დაჰქროლა ქარმა, უფრო ცელქმა, ვიდრე ხის ტოტებში იყო. ალბათ იფიქრა, - გაზაფხულის ცარიელი ფოთლები არაფერს უზამს, სხვაც უნდა ჰქონდეს რამე - გასახარელიო, - ჯერ სანერგეს ეცა, მერე ხეივანში შევარდა, გარს შემოევლო ლამაზ ქალს შეყვარებულის თრთოლით, რომელსაც ვირგილიუსი არ ზოგავდა თავისი ნიმფებისთვის, და თეოკრატი - თავისი ფავნებისთვის, და კაბა აუწია, კაბა უფრო წმინდა და ხელშეუხებელი, ვიდრე იზიდას საბურველი. კაბა აუწია თითქმის მუხლამდე! საუცხოო მოყვანილობის ფეხი გამოუჩნდა. მარიუსმა დაინახა, საშინლად ეწყინა და გაბრაზდა.

საუცხოო მოძრაობით სწრაფად გაისწორა ქალმა კაბა, მაგრამ მარიუსი მაინც აღშფოთებული იყო. მართალია მარტოდმარტო იყო ხეივანში, მაგრამ ხომ შეიძლებოდა სხვაც ყოფილიყო ვინმე. და მართლაც რომ ყოფილიყო? წარმოგიდგენიათ მსგავსი? არა, საშინელება ჩაიდინა ქალმა!ყ

მართალია, საწყალ ქალს არაფერი ჩაედინა, არაფერი დაეშავებინა, თუ იყო ვინმე დამნაშავე, ეს ქარი იყო, მაგრამ მარიუსის გულში თავი ეჩინა ბართოლოს, რომელიც ქერუბიმშიც კი იმალება ხოლმე, და იგი ეჭვის თვალით უყურებდა თვით ჩრდილსაც კი, მართლაც, ასე იღვიძებს ადამიანის გულში და ბობოქრობს ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ, მწვავე და უცნაური ხორციელი ეჭვი. ეჭვის მეტი არაფერი აგრძნობინა

ქალის კოხტა ფეხმა, არავითარი სიამოვნება, სხვა ქალის თეთრი ფეხი რომ დაენახა, იქნება სიამოვნებაც კი ეგრძნო.

ხეივნის ბოლომდე რომ მივიდა იმისი ურსული, უკან გამობრუნდა ბატონ ლებლანთან ერთად და წინ გაუარა დაღვრემილმა. მარიუსმა გაჯავრებით შეხედა და თავისი უკმაყოფილება აგრძნობინა. ოდნავ შეკრთა ყმაწვილი ქალი, და წარბი შეიჭმუხნა, რაც ასე უნდა გაეგო მარიუსს:

- რა იყო? რა დაგემართა?

ჯერ არც კი დამთავრებულიყო ეს უხმო სცენა, რომ ვიღაც კაცი გამოჩნდა ხეივანში. ბებერი ინვალიდი იყო, წელში მოხრილი, მთლად დანაოჭებული და გათეთრებული, ლუი მეთხუთმეტის დროინდელი ფორმით. პატარა მაუდი ჰქონდა მხარზე დაკერებული და ზედ ამოკერილი ორი გადაჯვარედინებული ხმალი, მაშინდელი ჯარისკაცის ჯილდო. ერთი ხელის ნაცვლად ცარიელი სახელო ეკიდა უბედურს, ქვედაყბა ვერცხლის ჰქონდა და ცალი ფეხი ხის. შეხედა მარიუსმა და, - როგორ გახარებია ამ უკეთურს ჩემი ურსულის ფეხის ნახვაო! - მერე მოეჩვენა, თითქოს ბებერმა ცინიკოსმა თვალიც კი ჩაუკრა, გვერდზე რომ გაუარა, ძალიან მნიშვნელოვნად და ძმაბიჭურად, ვითომ რაღაც შემთხვევის გამო ერთსულოვნები გამხდარიყვნენ და ერთად ტკბებოდნენ მოულოდნელად ნაპოვნი გემრიელი ლუკმით. - არა, ნეტავ რამ გაახარა ეს მარსის ნაშთი? - ჯავრობდა მარიუსი, - რა მისცა იმ ფეხმა იმ ხის ფეხს, რომ ასე გამოაცოცხლა? ეჭვის უკიდურეს მწვერვალამდე მიაღწია მარიუსმა: იქნებ აქ იყო იმ დროს? იქნებ მართლა დაინახა? - ცოტა კიდევ და მოსაკლავად მივარდებოდა ინვალიდს.

მაგრამ დრო აჩლუნგებს მახვილს. მარიუსსაც გაუარა ამ გაჯავრებამ და ურსულის ქცევით უკმაყოფილებამ. გაუვლიდა, სრულიად საფუძვლიანიც რომ ყოფილიყო. ბოლოს შეუნდო ეს შეცოდება. მაგრამ საშინელი ტანჯვის შემდეგ, მთელი სამი დღე ებუტებოდა ქალს.

ამ ეჭვსა და სულიერ ბრძოლაში თანდათან იზრდებოდა სიყვარული და სიგიჟემდე აღწევდა.

## თავი მეცხრე
## მზის დაბნელება

ახლახან ვნახეთ, როგორ აღმოაჩინა მარიუსმა, ანუ როგორ ეგონა, რომ აღმოაჩინა „იმის“ სახელი ურსული.

უძღებია სიყვარული. დიდი მიღწევა იყო სახელის ცოდნა, მაგრამ ეს არ კმაროდა. ორ-სამ კვირას ძლივს ეყო ეს ნეტარება და ახლა სხვა მოსწყურდა. ახლა მისი სახლის პოვნა მოუნდა.

ერთი შეცდომა ხომ დაუშვა, პირველი: სკამი რომ შეიცვალა ბატონმა ლებლანმა, მარიუსიც თან მიჰყვა გლადიატორის ქანდაკებამდე. მახეში გააბა მაშინ ლებლანმა. მერე მეორე შეცდომა მოუვიდა: არ დარჩა ბაღში, როდესაც ნახა, რომ მოხუცებული მარტო მოვიდა და ახლა მესამედ და უფრო უარესად შეცდა, საშინლად; უკან გაჰყვა „ურსულს“.

დასავლეთის ქუჩაზე ცხოვრობდა ლებლანი, მეტად მიყრუებულ მხარეს, ერთ ახალ, სამსართულიან სახლში.

და ამის შემდეგ აღარ მოშორებია იმ სახლს. მარიუსი ბედნიერი იყო, რომ ბაღში ხედავდა თავის სატრფოს, მაგრამ ეს აღარ კმაროდა, ახლა უკან მისდევდა შორიახლო შინ მიმავალს.

სიყვარული სჯობნიდა. სახელი იცოდა, გვარი თუ არა, სახელი მაინც, მშვენიერი, ტკბილი სახელი, ქალის ნამდვილი სახელი. იცოდა აგრეთვე მისი სახლი, ახლა ვინაობის გაგება მოინდომა.

ერთ საღამოს, შინამდე რომ მიჰყვა ბატონ ლებლანს და მის ქალს და დაინახა, რომ ალაყაფის კარში შევიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც შევიდა და მოურიდებლად ჰკითხა მეკარეს:

- მეორე სართულზე ცხოვრობს ეს ბატონი, ახლა რომ შემოვიდა?

- არა, - უპასუხა მეკარემ, - მესამეზე.

ცოტა რამ კიდევ გაიგო. ამას გაბედულებაც მეტი მოჰყვა.

- ქუჩის მხარეს?

- რა ვქნა, ეშმაკმა დალახვროს, სახლის ყველა ფანჯარა ხომ მარტო ქუჩის მხარეს არის? - გაიკვირვა მეკარემ.

- სამსახურში არის სადმე ის მოხუცებული?

- რენტით ცხოვრობს, ბატონო, ძალიან პატიოსანი კაცია და გულუხვი. მდიდარი არ არის, მაგრამ ძალიან ეხმარება ღარიბ ხალხს.

- რა გვარია?

დააშტერა თვალი მეკარემ და მერე ჰკითხა:

- თქვენ, ბატონო, ჯაშუში ბრძანდებით?

შერცხვა მარიუსს, მაგრამ აღტაცებული იყო სიხარულით, - მიაგნო და კიდევაც ბევრს მიაგნებდა.

- ძალიან კარგი, - იძახდა გახარებული, - ვიცი, რომ ურსული ჰქვია, ვიცი, რომ მამა რენტის პატრონია, რომ აქ ცხოვრობს, მესამე სართულზე.

მეორე დღეს ძალიან მცირე ხნით მივიდნენ ბაღში ბატონი ლებლანი და მისი ქალი. ჯერ ისევ დღე იყო, რომ შინისკენ წავიდნენ. მარიუსიც უკან გაჰყვა. ახლა ესეც ჩვეულებად გახდომოდა. ალაყაფის კართან რომ მივიდნენ, ბატონმა ლებლანმა წინ შეუშვა ქალი. თვითონ გაჩერდა, მობრუნდა და დააცქერდა მარიუსს.

მეორე დღეს ბაღში არ მივიდნენ. აამაოდ ელოდა მარიუსი.

როდესაც დაღამდა, დაბნელდა, ისევ დასავლეთის ქუჩაზე გაჩნდა. მესამე სართულის ფანჯრებში სინათლე დაინახა, და იქვე დაიწყო სეირნობა. დადიოდა ამ ფანჯრის ქვეშ, ბოლთას სცემდა. შინ მაშინ წავიდა, როდესაც მესამე სართულზე სანთელი ჩააქრეს.

არც მეორე დღეს მივიდნენ ბაღში. მთელი დღე ელოდა მარიუსი, მერე იმათი სახლისკენ წავიდა, რომ წუხანდელივით ედარაჯა მისი ფანჯრების ქვეშ, იქ იყო ათ საათამდე, სადილი არც კი მოჰგონებია. სიცხე ასაზრდოებს ავადმყოფს და სიყვარული - შეყვარებულს.

ერთმა კვირამ გაიარა ამგვარად. ბატონი ლებლანი და მისი ქალი აღარ დადიოდნენ ბაღში. რას არა ფიქრობდა გულდაწყვეტილი მარიუსი! შეიძლებოდა, დღისით მისულიყო ურსულის სახლთან, ალაყაფის კართან დამდგარიყო, მაგრამ დღე ამას ვერ ბედავდა. კმაყოფილდებოდა იმით, რომ ღამე იდგა მის სახლთან და

მოწითალო სინათლეს შეჰყურებდა. ხანდახან ოთახში გამვლელის ჩრდილი ეჩვენებოდა და გული უცემდა სიხარულით.

მერვე დღეს, სახლთან რომ მივიდა და ფანჯრებს შეხედა, სინათლე აღარ ენთო. - ნუთუ ჯერ ლამპა არ აუნთიათ? - უკვირდა მარიუსს, მერე, რა ბნელი ღამეა! იქნებ წავიდნენ სადმე? იდგა და შეჰყურებდა. ათი საათი დაჰკრა, თორმეტი, პირველი საათი შუაღამის შემდეგ. არავითარი სინათლე არა ჩანდა მესამე სართულის ფანჯრებში და არავინ შევიდა ქუჩიდან სახლში, დაღვრემილი დაბრუნდა შინ.

ყოველდღე ხვალის მოლოდინით ცხოვრობდა მარიუსი, დღევანდელი დღე აღარ წარმოადგენდა მისთვის სასიხარულოს, - მეორე დღეს ამაოდ ელოდა ბაღში, ბინდისას იმათი სახლისკენ გაეშურა. ისევ ისე ჩაბნელებული იყო ფანჯრები; დარაბები დაკეტილი, მთლად უკუნეთს მოეცვა მესამე სართული.

ალაყაფის კარზე დააკაკუნა მარიუსმა, შევიდა ეზოში და მეკარეს ჰკითხა:

- სად ბრძანდება მესამე სართულის მდგმური?

- გადავიდა, - უპასუხა მეკარემ.

კინაღამ გული წაუვიდა მარიუსს. მისუსტებული ხმით ჰკითხა:

- როდის გადავიდა?

- გუშინ.

- ახლა სად დგას?

- არ ვიცი.

- მაშ თავისი ახალი მისამართი არ დაგიტოვათ?

- არა.

დააცქერდა მეკარე, იცნო მარიუსი.

- ოჰო! - ისევ თქვენ ხართ? მაშ მართლა ჯაშუში ყოფილხართ!

## წიგნი მეშვიდე
## მენაღმეები

### თავი პირველი
### ნაღმი და სანაღმის მთხრელები

საზოგადოებრივ ცხოვრებას ყველგან მოეპოვება ის, რასაც თეატრში ძირისძირს ეძახიან. საზოგადოებრივი ნიადაგი სანაღმით არის ყველგან დათხრილი, ზოგან სასიკეთოდ, ზოგან საბოროტოდ. ერთმანეთის ქვეშ არის ჩამარხული ეს ნაღმები. არის ზემოთ მდებარე ნაღმი და არის ქვემოთ მდებარე, არის ზედა ნაღმი და არის ქვედა ნაღმი მიწის ბნელ სიღრმეში, რომელიც ჩაენგრევა ხოლმე ხანდახან ცივილიზაციას, და ჩვენ კი ფეხით ვთელავთ ჩვენივე დაუდევრობისა და უზრუნველობის გამო. წარსული საუკუნის „ენციკლოპედიაც“ ნაღმი იყო, ოღონდ თითქმის ცის ქვეშ, ყველას დასანახავად გაყვანილი, წყდიადი აჯდა პირვანდელ ქრისტიანობას და შესაფერის შემთხვევას ელოდა, რომ აფეთქებულიყო კეისართა დროს და სხივი მოეფინა კაცობრიობისთვის. ეს იმიტომ, რომ ღვთაებრივ სიბნელეში ფარული სინათლე მოიპოვება. ვულკანი ბნელით არის მოცული, მაგრამ ყოველ წამს შეიძლება იფეთქოს ამ ბნელმა. ჯერ ბნელი იყო ყოველი ლავა. კატაკომბი, რომელშიც პირველად გაისმა

წირვა-ლოცვა, მხოლოდ მიწისქვეშეთი კი არ იყო რომისა, ეს იყო ნაღმი, ქვეშეთი ქვეყნიერებისა.

მრავალგვარი ნაღმია გათხრილი საზოგადოებრივი წესწყობილების ქვეშ, რომელიც წარმოადგენს ადამიანის დამონებით შემწიკვლულ სასწაულებრივ მიღწევას. არის ნაღმი სარწმუნოებრივი, ნაღმი ფილოსოფიური, ნაღმი პოლიტიკური, ნაღმი ეკონომიკური, ნაღმი რევოლუციური. ზოგი იდეით თხრის, ზოგი - ანგარიშით, ზოგი - ჯიბრით, ზოგი - მრისხანებით. ერთმანეთს გასძახიან და ხმას აძლევენ ეს კატაკომბები. უტოპიები დანავარდობენ მიწის ქვეშეთში გათხრილ ნაღმებში; დანავარდობენ, განმტოვდებიან და ვრცელდებიან ყოველ მხარეს. ხანდახან კიდეც შეხვდებიან ერთმანეთს, დაძმობილდებიან. ჟან-ჟაკ რუსო დიოგენსა სთხოვს სანათს და სამაგიეროდ წერაქვს აწვდის. ზოგჯერ ბრძოლაც ატყდება ხოლმე ამ ნაღმებს შორის. კალვინი დასახრჩობად არ ინდობს სოზინის, მაგრამ არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომ შეაყენოს ან შეწყვიტოს ამოდენა ენერგიის ძაბვა მიზნის მისაღწევად, და გაცხარებული, ერთდროული მოღვაწეობა, რომელიც დაუდგრომლად ბრუნავს ამ სიბნელეში, მიდის, მოდის, ზევით იწევს, ძირს ეშვება. ისევ ადის, და ნელ-ნელა გარდაქმნის ზემოურს ქვემოურით, გარეგანს - შინაგანით. უზარმაზარი ფუთფუთია, ჯერაც უცნობი. საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს, თითქმის არავითარს, ამ ნაღმების თხრას, რადგან ეს თხრა არ ეხება იმის ზედაპირს, მაგრამ გულ-ღვიძლს კი უცვლის. რამდენიც სართულია მიწის წიაღში, იმდენივე მუშაობაა განსხვავებული. და რას შობს ამდენი ნაღმი, ღრმად ჩათხრილი, ჩვენთვის უცნობი? ჩვენს მომავალს.

რაც უფრო ღრმად ჩავდივართ თხრილში, მით უფრო საიდუმლოებით არიან მოცულნი მისი მოღვაწენი. სიღრმეში, სადამდისაც კი ჩასწვდება საზოგადოებრივი ფილოსოფია, შრომა კარგია; მის ქვემოთ შრომა საეჭვოა და არეული; უფრო ქვემოთ - საშიშია და საზარელი არის იმისთანა სიღრმე, რომელსაც ჯერ ვერ სწვდება ცივილიზაციის გონებრივი ძალა; ადამიანის სუნთქვის საზღვარს ჩასცილებიან, უფრო ქვემოთ ჩაუთხრიათ ნაღმი და მარტო ურჩხულიღა ხარობს იმ სიღრმეში.

უცნაურია დაღმართი კიბე: ყოველი საფეხური ამ კიბისა შეეფარდება მთელ სართულს, სადაც ფილოსოფიას შეუძლია დამყარება, და სადაც შეგხვდებათ ფილოსოფიის მუშაკი, ხან ღვთაებრივი, ხან მახინჯი; იან ჰუსის ქვემოთ ლუთერია, ლუთერის ქვემოთ დეკარტი, დეკარტის ქვემოთ ვოლტერი, ვოლტერის ქვემოთ კონდორსე, კონდორსეს ქვემოთ რობესპიერი, რობესპიერის ქვემოთ მარატი, მარატის ქვემოთ ბაბეფი, და ასე კიდევ მრავალი. სულ ძირში, ბუნდოვნად, იმ საზღვარს ქვევით, რომელიც შუა უდევს ბუნდოვანსა და უხილავს, ოდნავ მოჩანს ადამიანი, რომელიც იქნებ ჯერ არც კი არსებობდეს. მოჩვენებადღა დარჩენილან გუშინდელები, ჯერ ჭუჭრად მოჩანან ხვალინდელები. ძლივს არჩევს მათ გონების თვალი. ფილოსოფიის ოცნება არის მომავლის ჩანასახის განვითარების მიკვლევა...

ქვეყანა ჩანასახად წარმოდგენილი და სამოთხის კარიბჭესთან მიმდგარი, არგაგონილი სანახაობა!

იქვე არიან სენ სიმონი, ოვენი, ფურიე, ოღონდ გვერდზე ჩათხრილ საფარში.

ერთი უხილავი ღვთიური ჯაჭვი აერთებს მათ შეუმჩნევლად, ამ მიწის ხვრელში მოღვაწე პიონერებს, რომლებსაც თითქმის ყოველთვის მარტოდმარტოდ, განცალკევებულად მიაჩნიათ თავი; მაგრამ მაინც განსხვავებულია იმათი ნაშრომი და ზოგი მათგანის სინათლე მოწინააღმდეგეა სხვის ციმციმისა. ზოგი სამოთხისებურია

სიწმინდით, ზოგი ტრაგიკული. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს მათ შორის განსხვავება, ყველა ეს მოღვაწენი, უბრწყინვალესისგან დაწყებული სულ უჩინრამდე, უბრძნესისგან დაწყებული მთლად შეშლილამდე, ერთითი ჰგვანან ერთმანეთს, სახელდობრ, უანგარობით. მარატიც ისევე თავგანწირულია, როგორიც იესო. თავისი თავისა აღარაფერი ახსოვთ, პირადი აღარაფერი გაუჩნიათ; პირადად აღარც კი არსებობენ, სხვისთვის იღვწიან და არა თავისთვის. თვალით მხოლოდ აბსოლუტს ხედავენ. პირველს მთელი ზეცა უბრწყინავს თვალში, უკანასკნელს ძალიან ძნელად საცნობიც რომ იყოს, მაინც უჩანს წარბის ქვეშ ფერმკრთალი სინათლე უსაზღვროისა. თაყვანი ვცეთ, რაზედაც კი უნდა იღვწოდეს, ვის თვალსაც ამშვენებს ეს ნიშანი ბრწყინვალე მომავლის სხივოსნობისა.

სულ სხვა არის ბნელით მოცული თვალი.

მისგან იწყება ბოროტება. დაუფიქრდით და მოერიდეთ, ვისაც ბნელი თვალი აქვს. საზოგადოებრივ წესწყობილებას ყოველთვის ჰყავს ბოროტი მენაღმეები.

არის საზღვარი ჩაღრმავებისა და ჩამარხვისა, სადაც სინათლე ქრება.

ყველა იმ ნაღმის ქვეშ, რომელიც აქ აღვნიშნეთ, იმ ტალანტების ქვეშ, იმ უსაზღვრო, ღრმად ჩამალული სისტემის ქვეშ, რომელიც პროგრესითა და უტოპიით არის ასულდგმულებული, ძალიან ღრმად მიწაში, უფრო ღრმად, ვიდრე მარატი იყო, უფრო ღრმად, ვიდრე ბაბეფი იყო, უფრო ღრმად და ზემო სართულებთან დაუკავშირებლად არის კიდევ ერთი უკანასკნელი საფარი, საზარელი ნაღმი, სწორედ ის, რასაც ჩვენ ძირისძირი ვუწოდეთ. ეს არის ნაღმი ბნელეთისა. ეს არის ბუნაგი სულით ბრმებისა, ქვესკნელი.

უფსკრული უდევს გვერდით ამ ძირისძირს.

## თავი მეორე
## ძირისძირში

აქ უანგარობა აღარსად არის. ბუნდოვნად მოჩანს ბოროტი სული. - ყველა თავისთვის! - ღმუის თვალაბმული, დაძრწის, დაეძებს, ხელებს აფათურებს, ღრღნის. საზოგადოებრივი უგოლინო არის ამ ქვესკნელში.

რაღაც საშინელები დაძრწიან ამ ორმოში, არცთუ მხეცები, არცთუ აჩრდილები. ამათ მსოფლიო პროგრესისა არაფერი სწამთ, არც ამ სიტყვას იცნობენ, არც მის იდეას, მარტო თავისი, პირადი მადისა და ჟინის დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ. შეგნებას თითქმის მოკლებულნი არიან, გულიდან საერთოდ განდევნილი აქვთ და განკიცხული ყოველი ადამიანური გრძნობა. ორი დედა ჰყავთ, ორივე დედინაცვალი - უვიცობა და სიდუხჭირე. ერთადერთი სწამთ ცხოვრების წინამძღოლად - გაჭირვება, და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წინამძღოლად - მადა. უხეში ავმუცლები არიან, ესე იგი მძვინვარენი, ოღონდ მტარვალივით კი არა, ვეფხვივით. ტანჯვას რასმე განიცდიან და იქიდან პირდაპირ ბოროტებაში გადადიან, - საბედისწერო შეჭიდულობაა, თავბრუდამხვევი ლოგიკა ბნელეთისა. საზოგადოებრივი წესწყობილების ძირისძირში მუცლით ხოხავს არა ჩახშობილი აბსოლუტისადმი მისწრაფება, არამედ ნივთიერების ხორციელი პროტესტი. იქ ადამიანი ურჩხული ხდება. შიმშილის და წყურვილის დაკმაყოფილება, კუჭის გავსება, - აი, დასაწყისი და

ურჩხულად გადაქცევა; აი, დაბოლოება მისი ევოლუციისა. ამ უფსკრულიდან გამოდის ლასნერი.

ეს-ეს არის ვნახეთ, მეოთხე წიგნში, ერთი განყოფილება ზემოური ნაღმისა, პოლიტიკური, რევოლუციური და ფილოსოფიური დიდი საფარისა. ამ ზემოურ ნაღმში, როგორც ვთქვით, პატიოსანია ყველაფერი, სპეტაკი, ღირსეული, სასახელო. იქ, რაღა თქმა უნდა, შეიძლება შეცდეს კაცი, და ცდებიან კიდეც, მაგრამ თაყვანსაცემია იქ შეცდომა, რადგან განუყრელად გადაბმულია გმირობასთან. იქ წარმოებულ საქმიანობას ერთადერთი მიზანი აქვს: პროგრესი.

და ახლა სხვა სიღრმეები ვნახოთ, სიღრმეები ბოროტებისა და სიბილწისა.

საზოგადოებრივი წესწყობილების ქვეშ არის, - ამას დაბეჯითებით ვამტკიცებთ, - და კვლავაც იქნება, ვიდრე მთლად არ მოისპობა უმეცრება, საშინელი ღრმა უფსკრული ბოროტებისა.

ეს ბუნაგი ყველა ნაღმის ქვეშ არის და მოსისხლე მტერია ყველასი. ყველანი სძულს ამ ბუნაგს გამონაკლისის გარეშე. ფილოსოფიისა მან არაფერი იცის, ხანჯლით თავის დღეში არ გაუთლია კალამი. მის სიშავეს არაფერი აქვს საერთო მელნის მადლიან სიშავესთან. თავის დღეში არ გადაუშლია ბნელეთის თითს, მოკრუნჩხულს სულის შემგუბებელ ჭერქვეშ დახშულ ჰაერში არც ერთი წიგნი და არც ერთი გაზეთი. კარტუშისთვის ბაბეფი ექსპლუატატორია; შინდერჰანისთვის მარატი - არისტოკრატი! ამ ბუნაგს მიზნად დაუსახავს ყველაფრის დანგრევა და მიწასთან გასწორება.

ყველაფრისა! მის ზემოდან გაყვანილ საფრებისაც, რომლებიც სძულს და ეზიზღება. ძირს უთხრის არა მარტო აწინდელ წესწყობილებას, ძირს უთხრის მართლმსაჯულებას, ძირს უთხრის ადამიანის აზროვნებას, ძირს უთხრის პროგრესს. მისი სახელია: ქურდობა, პროსტიტუცია, ძარცვა, კაცის კვლა. ბნელეთი არის და ქაოსი სურს! საფუძვლადაც და თავშესაფრადაც უმეცრება აქვს.

ერთადერთი მიზანი აქვთ ამ ბნელი ბუნაგის ზემოდან მყოფთ: მისი მოსპობა. ამ მიზნის მისაღწევად იბრძვის ყოველგვარ დაწესებულებით, არსებულის გაუმჯობესებით და მეცნიერების გავრცელებით ფილოსოფია და პროგრესი. მოსპეთ ბუნაგი უმეცრებისა და მით მოსპობთ ბოროტებასაც.

მოკლედ, რამდენიმე სიტყვით დავასრულოთ, რაც აქ დავწერეთ: საზოგადოებრივი კეთილდღეობის მტერი მხოლოდ უმეცრებაა.

კაცობრიობა ერთობა არის. ერთი და იმავე თიხისაა ყველა ადამიანი, არავითარი განსხვავებაა ადამიანთა დანიშნულებაში ამქვეყნად მაინც. ერთი და იგივე სული დაბადებამდე, ერთი და იგივე სხეული სიცოცხლის დროს, ერთი და იგივე ავლი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ადამიანის ცომს რომ უმეცრება შეერთვის, აშავებს და აბოროტებს. ეს განუკურნავი სიშავე ედება ადამიანის გულს და ბოროტებად ხდის.

## თავი მესამე
## ბაბეტი, გელმერი, კლაკსუ და მონპარნასი

ოთხი ავაზაკი განაგებდა 1830-დან 1835 წლამდე პარიზის ძირისძირ უფსკრულს. ეს ოთხნი იყვნენყკლაკსუ, გელმერი, ბაბეტი და მონპარნასი.

გელმერი ჰერკულესი იყო გათახსირებული. ბუნაგად არშმარიონის ჩასადენი მილი ჰქონდა. ორი მეტრის სიმაღლისა იყო, მარმარილოს გულით, თითბრის ორთავა

კუნთით. სუნთქვა კლდის ნაპრალისა ჰქონდა, ტანი მდევის, თავი ჩიტისა. ჰერკულეს ფარნეზი გეგონებოდათ თავისი შარვლით და გახუნებული ხალათით. ასე მაგრად, ქანდაკებასავით აგებული გელმერი ურჩხულების დამორჩილებას შესძლებდა. მაგრამ ურჩხულად გახდომა ირჩია. დაბალი შუბლი ჰქონდა, ფართო საფეთქელი, თმა მოკლე და დაჯაგრული, ლოყა ჯაგრიანი და წვერი ტახისა. ასეთი იყო ეს კაცი. ორმოცი წლისა ჯერ არ იყო, მაგრამ წვრილი ნაოჭები გასჩენოდა სახეზე. მისი კუნთები შრომას მოითხოვდნენ, უგუნურება - უსაქმურობას. დიდი ძალ-ღონე გაზარმაცებულიყო. კაცისმკვლელი გამხდარიყო უზრუნველობით. კრეოლად მიაჩნდათ ამხანაგებს. ალბათ პატარა წილი მაინც ედო მარშალ ბრუნის მკვლელობაში, რადგან 1815 წელს მებარგულად იყო ავინიონში. ამ პირველ ნაბიჯის შემდეგ ავაზაკობა დაიწყო.

ცარიელი ძვალ-ტყავი იყო ბაბეტი და გელმერის სრულ კონტრასტს წარმოადგენდა ჩამომხმარი მეცნიერი. გამჭვირვალე იყო, მაგრამ იმისას ვერას გაიგებდა კაცი, რადგან არც გრძნობა იხატებოდა მის თვალში, არც ფიქრი. - ქიმიკოსი ვარო, - იძახდა. მასხარად ყოფილიყო ბობეშთან და ოინბაზად ბობინოსთან. სენ-მიჰეილის თეატრში მსახიობობდა, ვოდევილებში მოხერხებული ბიჭი იყო, კარგი მოლაპარაკე, სახასიათო ღიმილი ჰქონდა და მნიშვნელოვანი მიხვრა-მოხვრა. ხელობაც ჰქონდა, ქუჩაში პატარა ნაქანდაკევსა და „სახელმწიფოს მეთაურის“ სურათებს ჰყიდდა. გარდა ამისა, ჭიან კბილს აძრობდა ავადმყოფს. სადაც ხალხი იყო მრავლად, ისიც იქ გაჩნდებოდა და მოხერხებული ოინებით ართობდა ბრბოს. ერთ დროს ფარდულიც ჰქონდა საყვირით და ამგვარი წარწერით: „ბაბეტი, არტისტი, დანტისტი, წევრი აკადემიებისა, აწარმოებს ფიზიკურ გამოცდას ლითონებისა და ლითონმაგვარებისას, აძრობს კბილებს და მისი კოლეგებისგან დატოვებულ კბილის ძირებს. ფასი: ერთი კბილის ამოგლეჯა ერთ ფრანკ-ნახევარი; ორი კბილისა - ორი ფრანკი; სამი კბილისა - ორ ფრანკ-ნახევარი. ისარგებლეთ შემთხვევით“. ეს „ისარგებლეთ შემთხვევით“ იმას ნიშნავდა, რომ რამდენადაც მეტ კბილს ამომაგლეჯინებთ, მით უფრო იაფი დაგიჯდებათო. ცოლიც ჰყოლოდა და შვილებიც, მაგრამ არ იცოდა, სად იყვნენ ისინი ან რა დაემართათ. ისე დაეკარგა ცოლიც და შვილებიც, როგორც ცხვირსახოცს კარგავენ ხოლმე. საკვირველი გამონაკლისი იყო ბნელეთის მცხოვრებთაგან, რადგან გაზეთებს კითხულობდა. ერთხელ იმ დროს, როდესაც თავისი ფარდული ჰქონდა და ცოლ-შვილიც თან ჰყავდა, გაზეთში წაიკითხა, რომ ერთმა დედაკაცმა შობა საკმაოდ ჯანსაღი ბავშვი, ოღონდ ხბოსთავიანი. წაიკითხა და გაჯავრებით წამოიძახა, - აი, ბედიც ასეთი უნდა! ჩემს დედაკაცს რომ ჭკუა ჰქონოდა, ამის მსგავს ბავშვს გამიჩენდა!

მას შემდეგ ზურგი აქცია ყველაფერს, რომ „პარიზს მისდგომოდა“. ეს მისი გამოთქმა გახლავთ.

კლაკსუ რაღა იყო? ბნელი ღამე, ფეხს არ გამოჰყოფდა თავისი სოროდან, სანამ ცა მთლად თალხით, შავით არ შეიმოსებოდა. რომ დაღამდებოდა, მაშინ გამოვიდოდა და გათენებამდე, სანამ ინათებდა, თავის სოროში შეძვრებოდა. სად იყო მისი სორო? ეს არავინ იცოდა. რაც უნდა დიდი სიბნელე ყოფილიყო, მაინც ზურგშექცეული ელაპარაკებოდა ამხანაგებს. მართლა კლაკსუ ერქვა? - არა, Pas-du-toat, პა-დუ-ტუ მქვიაო, იძახდა. თუ სანთელი გაჩნდებოდა როგორმე, მაშინვე ნიღაბს ჩამოიცვამდა. მუცლით მეზღაპრე იყო. ბაბეტი იძახდა, - კლაკსუ ორხმიანი ღამურა

არისო. ძნელად საცნობი კაცი იყო, მაწანწალა, საშინელი. დანამდვილებით არავინ იცოდა მისი სახელი, რადგან კლაკსუ მეტსახელად ჰქონდა. ხეირიანად არავის გაეგონა მისი ხმა, რადგან მუცლით უფრო ლაპარაკობდა, ვიდრე პირით; დანამდვილებით არავინ იცოდა, როგორი სახე ჰქონდა, რადგან უნიღბოდ თავის დღეში არავის ენახა. გაქრებოდა ხოლმე, როგორც ქარი და მოულოდნელად გაჩნდებოდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო.

საცოდავი რამ იყო მონპარნასი. ყმაწვილი ბიჭი იყო, ჯერ ოცი წლისაც არ გამხდარიყო. ლამაზი, მოხდენილი; ტუჩები ალუბალს მიუგავდა, შავი თმა - გიშერს, ცისფერ თვალებში ახალი გაზაფხულის ელვარება უჩანდა. განხორციელება იყო ყოველგვარი ბიწიერებისა და სწყუროდა ყოველგვარი ბოროტება. ავით ტკბებოდა და უარესს ნატრობდა მადაგახსნილი.

გამენი ჯიბგირად გამხდარიყო და ჯიბგირი - ავაზაკად. კოხტა ბიჭი ყო, ქალივით ნაზი, მაგრამ ღონიერი, დაუნდობელი და ულმობელი. ქუდი მარცხენა მხარეს ჰქონდა აწეული, რომ კარგად გამოსჩენოდა 1829 წლის მოდის შესაფერად დავარცხნილი თმა. ცხოვრობდა ქურდობითა და კაცისკვლით. საგანგებოდ შეკერილი სერთუკი ეცვა, მაგრამ უკვე გახუნებული. მონპარნასი ჩაცმის მოყვარული ბრძანდებოდა, მაგრამ გაჭირვებული იყო და კაცის კვლასაც არ ერიდებოდა. მიზეზი ამ ყმაწვილი ბიჭის ყოველგვარი ავკაცობისა იყო სურვილი, კარგად სცმოდა, კოხტა გოგომ რომ უთხრა ოდესღაც, - ლამაზი ბიჭი ხარო, - ბოროტების თესლი ჩაუგდო გულში და კაენად აქცია ეს აბელი. რაკი ლამაზი ბიჭი იყო, უნდოდა სალუქიც ყოფილიყო და, თუ სალუქია, უსაქმურიც უნდა იყოს, ხოლო თუ ღარიბი კაცი უსაქმურია, ავკაცობაც უნდა იცოდეს. ბევრი იყო პარიზში ქურდი და მაწანწალა, მაგრამ ისე არავისი ეშინოდათ, როგორც მონპარნასისა. თვრამეტი წლისას უკვე რამდენიმე კაცი ჰყავდა მოკლული, რამდენიმე კაცი ეგდო მისი წყალობით სისხლის მორევში. ლამაზად ჰქონდა თმა დავარცხნილი, სურნელოვან საპკურით დანამული, წელწვრილი ბიჭი იყო, ქალური თეძოები ჰქონდა, პრუსიელი მხედრის გულმკერდი, და ისე არ გაივლიდა ბულვარზე, ლამაზი გოგონების აღტაცებული ქება არ გაეგონა. ყელსახვევი ოსტატურად ჰქონდა შეკრული. ჯიბეში ხელკეტი ედო და საღილეში ლამაზი ყვავილი. ასეთი იყო ეს პარიზის ძირისძირის სალუქი.

## თავი მეოთხე
## გუნდის შემადგენლობა

ეს კაცები პროთეისმაგვარ ოთხეულს წარმოადგენდა. გლინავდნენ პოლიციის მოხელეებში და ხელიდან უსხლტებოდნენ იმისთანა სახელოვან მსტოვარს, როგორიც იყო ვიდოკი, ემალებოდნენ ხეებში, წყალში, ცეცხლში; უცბად შეიცვლებოდნენ გარეგნულად, იცვლიდნენ სახელს, ერთმანეთს ასწავლიდნენ მოხერხებასა და ეშმაკობას, თავის ჩრდილშივე იმალებოდნენ, საიდუმლო სოროები იყვნენ ერთმანეთის დასამალავად; იცვლიდნენ თავის პიროვნებას ისე ადვილად, როგორც სახიდან მუყაოს ცხვირს ჩამოიხსნიან ხოლმე ნიღბოსანთა ლხინის დროს. ხანდახან ისე შემცირდებოდნენ, რომ ოთხი ერთად გეჩვენებოდათ, და ხანდახან ისე გამრავლდებოდნენ, რომ თვით კოკო-ლაკურსაც კი მთელ ბრბოდ ეჩვენებოდნენ. ოთხი კაცი იყო, მაგრამ ოთხნი არ იყვნენ. ეს იყო ერთგვარი საიდუმლოებით მოცული

ქურდი, ოთხთავიანი, რომელიც პარიზში დათარეშობდა. სიპინი იყო ბოროტებისა, საზარელი, საზოგადოების მიწისქვეშეთში ჩამძვრალი...

დიდი განშტოება ჰქონდა ამ ოთხ კაცს, დამოკიდებულება თავისგვარ ამხანაგებთან, და ამიტომ ბაბეტს, გელმერს, კლაკსუს და მონპარნასს თითქოს იჯარით აეღოთ სენის ოლქის ყოველგვარი ბოროტგანზრახვა. იქ, ძირისძირში, წყდებოდა ბევრის ბედი და დაუყოვნებლივაც სრულდებოდა. ამგვარი ფიქრი რომ მოერეოდა ვინმე ღამეული ოცნების კაცს, ასასრულებლად მათ მიმართავდა. ამ ოთხ არამზადას აძლევდნენ მხოლოდ ესკიზს; წარმოდგენის დადგმას კი მათზე უკეთ ვერავინ მოახერხებდა. თავის დღეში არ ააცდენდნენ მიზანს, ყოველთვის მზად იყვნენ და ყოველთვის მზად ჰყავდათ ხალხი, რომ შესაფერისი ბიჭები დაეხმარებინათ რაიმე ბნელი საქმისთვის, ოღონდ გამორჩენა ჰქონოდათ. ყოველთვის იცოდა ავკაცობამ, სად და ვისთვის მიემართა, რომ საჭირო და საგანგებოდ კარგი დახმარება მიეღო. კარგი დიდი დასი ჰყავდათ წყვდიადის მსახიობებისა, რომ მოეწყოთ ჯურღმულთა ტრაგედიები.

ჩვეულებრივ, რომ შეღამდებოდა, ისინიც მაშინ შეიკრიბებოდნენ, ესე იგი, როცა გაიღვიძებდნენ და ადგებოდნენ მთელი დღის ძილის შემდეგ სალპეტრიერის მიყრუებულ მინდვრებში. იქვე მოილაპარაკებდნენ. თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ თორმეტი ბნელი საათი და კარგადაც იცოდნენ ამ დროით სარგებლობა.

ძირისძირის ყველა ხვრელში პატრონ-მინეტს უწოდებდნენ ამ ოთხ ავაზაკს, ძველებური ხალხური ენით, რომელიც დღითიდღე კვდება და გვავიწყდება. „პატრონ-მინეტი“ დილას ნიშნავდა, როგორც სიტყვები „მგლის და ძაღლს შუა“ ნიშნავდა საღამოს. ეს სახელი, „პატრონ-მინეტი“, აღმნიშვნელი იყო ალბათ იმ დროისა, როდესაც მთავრდებოდა იმათი შრომა, რადგან გათენება არის ჟამი აჩრდილების გაქრობისა და ავაზაკთა მიმალვისა. ამ სახელით იცნობდა ყველა ამ ოთხ კაცს. ერთხელ სასამართლოს თავმჯდომარე მივიდა საპყრობილეში დამწყვდეულ ლასნერის სანახავად და შეეხო ამ ავაზაკის დანაშაულს, რომელსაც ის უარყოფდა. მაშ, ვინ მოაწყო ეს საშინელება? - ჰკითხა თავმჯდომარემ და ბუნდოვანი პასუხი მიიღო, მისთვის გაუგებარი, თუმცა სრულიად ცხადი პოლიციისთვის:

- ალბათ პატრონ-მინეტმა.

მოხდება ხოლმე ხანდახან, პიესის გამოცნობას შეძლებს კაცი, მოქმედ პირთა სიას რომ გადასინჯავს. სწორედ ასევე შეიძლება შევაფასოთ ავაზაკთა გუნდი, თუ სია გვაქვს მისი შემადგენლობისა. აი, რა სახელები ერქვათ პატრონ-მინეტის უმთავრეს მონაწილეებს. ეს სახელები დარჩენილია კერძო პირთა მოგონებებში:

პანშო, იგივე გაზაფხულა, იგივე ბიგრნაილი.

ბრუჟონი (მთელი გვარეულობა იყო ბრუჟონებისა. იქნებ კიდევ ვთქვათ რამე ამის შესახებ).

ბულატრეული, გზის მუშა, უკვე ნაცნობი ჩვენი მკითხველისთვის.

ლავეეი.

ფინისტერი.

ჰუმერ-ჰოგი, ზანგი.

მარდისუარი.

დეპეშა.

ფონლერუა - მეთაიგულე.

გლორიო, კატორღიდან გათავისუფლებული.
ბარკაროსი, ბატონი დუპონი.
ლესპლანადი - მოედნელი.
პუსაგრივი.
კარმანიოლე.
კრუიდენიე, ბიზარო, ჯიუტი.
მანუ დანტელი - მაქმანჭამია.
ლეპივან ლერი.
დემილიარი - ცალგროშა - ცალმილიონა.
და სხვ.

ესეც კმარა, სხვები კიდევ უარესებია. ყველა ამ სახელს თავისი სახე აქვს. სახელით აღნიშნულია არა მარტო კაცი, არამედ მისი თვისებაც. ეს სახელები აღნიშნავენ იმ შხამიანი სოკოების გვარებს, რომლითაც სავსე არის საზოგადოებრივი წყობილების ძირისძირი.

ამ კაცებს ერთობ ეზარებოდათ თავის გამოჩენა და შეუძლებელი იყო მათი დანახვა სადმე ქუჩაში. მთელი ღამის საშინელებით მოქანცული, როგორც კი ირიჟრაჟებდა, მაშინვე იმალებოდნენ დასასვენებლად და დასაძინებლად; დღე ღამედ ჰქონდათ გადაქცეული. ეძინათ სადმე მივიწყებულ საკირეში, მიტოვებული მონასტრის ან მონრეჟის ქვის სამტვრევში, ჩასადენ მილში. დღისით თვითონვე იმარხებოდნენ.

რა იქნენ, რა დაემართათ ამ კაცებს? იყვნენ და ყოველთვის არიან. ყოველთვის იყვნენ, ჰორაციუსი ამბობს Ambubaiarum collegia, pharmacopolae, mendici mimae და ვიდრე საზოგადოება ისეთივე იქნება, როგორიც არის, ესენიც ისეთივე იქნებიან, რაც დღეს არიან. თავიანთ ჯურღმულში ბნელი ჭერის ქვეშ ყოველთვის ჩნდებიან საზოგადოებრივი ნაძირალას გამონაჟონიდან. ზოგი ქრება, ზოგი ჩნდება, აჩრდილივით ერთგვარი, ოღონდ სახელები უკვე სხვა ჰქვიათ და ტყავიც ახალი აქვთ.

ინდივიდი ისპობა, ტომი მაინც რჩება.

იგივე სიმარჯვე შესწევთ, რაც უწინდელებს ჰქონდათ. მაწანწალა ჩაერევა გუნდებში თუ უმაქნისი, ჯილაგი არაფერს იცვლის და ძველებურად ავკაცობს. თვალს გადაავლებენ ბიჭები და იციან, ვის აქვს სავსე ქისა, ვის აქვს ოქროს საათი. ვერცხლსა და ოქროს რაღაც სუნი აქვს, რომელსაც მხოლოდ ისინი გრძნობენ. ბევრია მიამიტი ბურჟუა, რომელსაც სახეზე აწერია, გასაქურდი ვარო. და ამ ბურჟუებს დასდევენ მოთმინებით. დამშეული ობობის კანკალი მოუვლით ხოლმე, უცხოელს რომ დაინახავენ ან ვინმე სოფლელს.

შუაღამისას რომ შეხვდეთ სადმე დაბურულ ბულვარზე ამ კაცებს ან შორიდან დაინახოთ, სიფრთხილე გმართებთ, რომ განსაცდელს გადარჩეთ. ადამიანს არც კი ჰგვანან. რომ დაინახავთ, უფრო ბნელეთის ლანდად გეჩვენებიან, ოღონდ სულდგმულად. გეგონებათ, ჩვეულებრივ კავშირს ჰკრავენ წყვდიადთან, რომ არაფრით განირჩეოდნენ მისგან; რომ სხვა სული არა უდგათ, გარდა ბნელეთისა, და მხოლოდ დროებით განშორებიან ღამეს, რომ რამდენიმე წუთით დატკბნენ სიცოცხლით.

რა არის საჭირო, რომ ამოვწყვიტოთ ეს ბოროტება? სინათლე, სინათლის სხივი შეუწყვეტელი! ერთი ღამურაც ვერ გაუძლებს გათენებას. ძირიანად გაანათეთ საზოგადოება.

## წიგნი მერვე
## საზიზღარი ღატაკი

### თავი პირველი
### ყმაწვილ ქალს დაეძებდა, ბებრუცუნა კაცს შეხვდა

გავიდა ზაფხული, მერე შემოდგომა. ზამთარი დადგა. არც ბ. ლებლანი ჩანდა სადმე, არც ახალგაზრდა ქალი, ფეხი არ შეუდგამთ ბაღში. მარიუსს კი აღარაფერი ახსოვდა და სულ იმის ფიქრში იყო, კიდევ დაენახა ის სათნო, საყვარელი სახე. სულ მის ძებნაში იყო, ყველგან მას დაეძებდა და ვერსად ეპოვა. ეს ის მარიუსი აღარ იყო, აღფრთოვანებით აღსავსე, გამბედავი, გულფიცხი და გულმაგარი, უშიშარი მოქიშპე ბედისწერისა, ზედიზედ დამრთავი მომავლის გეგმებისა, ამაყი თავისი მიმართულებით, სიტყვითა და საქმით. დღეს უპატრონო ძაღლს ემსგავსებოდა მარიუსი, დაღონებული, დაღვრემილი. გათავდა! შრომა ეზარებოდა, სეირნობა ღლიდა. მარტოობა მობეზრებოდა; თვით ბუნებაც კი, ოდესღაც აღსავსე წარმტაცი მშვენიერებით, სინათლით, ხმებით, შთაგონებით, ჰიროზონტით, დღეს უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. ყველაფერი გამქრალიყო, ასე ეგონა მარიუსს.

ფიქრისთვის მიეცა თავი, რადგან სხვაფრივ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, მაგრამ ფიქრიც ვერ ავიწყებდა სევდას. რაც უნდა ერჩია მისთვის გონებას, ერთს აძლევდა ყოველთვის პასუხად: - ეჰ, რაღად მინდა?

და საყვედურით იკლავდა გულს, სინანულით: - არა, რა ღმერთი გამიწყრა, რომ ავედევნე? ხომ ვხედავდი და შევხაროდი? ისიც ხომ მიყურებდა, ამაზე მეტი რაღა მინდოდა? ხომ ეტყობოდა, რომ თითქოს ვუყვარდი? რაღას მივდევდი, რას დავეძებდი? რომ აღარაფერია მის გარეშე! დიდი სიბრიყვე მომივიდა, დიდი შეცდომა...

კურფეირაკს თავისას არას ანდობდა, ასეთი იყო მისი ბუნება, მაგრამ ის მაინც მიხვდა, - ასეთი იყო კურფეირაკის ბუნება - და ჯერ მიულოცა, თუმცა გაკვირვებული იყო მარიუსის ქცევით. მერე კი, რომ ნახა, მარიუსი მელანქოლიას მისცემოდა, პირდაპირ უთხრა თავისებურად: ვხედავ, სულელი ხარ, და მეტი არაფერი, წამო, ერთი შომიერში!

ერთხელ, მშვენიერ ენკენისთვის მზიან დღეს, დაიყოლიეს კურფეირაკმა ბოსუემ და გრანტერმა და სოში გაიყოლიეს სალხინოდ. გულში იმედი ჰქონდა, - რას არ წარმოიდგენს ოცნებით კაცი? - შეიძლება იქ „მას“ შევხვდეო. ცხადია, იქ ვერ ნახავდა, ვისაც ეძებდა. - საკვირველია, სწორედ აქ უნდა იყოს ყველა „დაკარგული“ ქალი, - ბუზღუნებდა თავისთვის გრანტერი.

მარიუსმა იქვე მიატოვა ამხანაგები, იმ ლხინში, და ფეხით წამოვიდა შინისკენ, მარტოდმარტო. დიდი მანძილი უნდა გამოევლო. დაღლილ-დაქანცული მოდიოდა, გაჯავრებული, ყვირილით და ეს ხმაურობა და გზის მტვერი უფრო აბრაზებდა და

აღშფოთებდა გულმოკლულს. მოდიოდა დაღლილი და გულის მოსაბრუნებლად ხარბად სუნთქავდა გზის პირად ჩარიგებულ კაკლის ხეების ფოთლის მძაფრ სუნს.

მთლად ჩამორჩა ამხანაგებს. მარტოდმარტო დარჩა მწუხარებით მოცული. თავისი გულის ვარამის მეტი აღარაფერი ახსოვდა; ისე იყო სევდით მოცული, როგორც ხაფანგში გაბმული მგელი. ყველგან თავის სატრფოს დაეძებდა სიყვარულით გახელებული.

ერთხელ კიდევ ერთ კაცს შეხვდა, და ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინაა მარიუსზე. ინვალიდების ბულვარის ახლოს პატარა, ვიწრო ქუჩაში ერთი კაცი დაინახა, მუშის ტანისამოსიანი და განიერფარფლიანი ქუდით, ისე, რომ არც შუბლი უჩანდა ქუდის ფარფლს ქვეშიდან და არც თვალი. ჭაღარა თმა ჰქონდა, თოვლივით თეთრი. სწორედ ამ თეთრი თმის მშვენიერებამ მიიქცია მარიუსის ყურადღება და ყურება დაუწყო იმ კაცს, რომელიც ნელი ნაბიჯით მიდიოდა, მძიმე ფიქრებით გატაცებული. უცნაური ის იყო, რომ ბ. ლებლანად ეჩვენა მარიუსს ეს მოხუცებული; იმისივე თმა ჰქონდა, იმისივე სახე, რამდენადაც კი შეიძლებოდა ქუდის ფარფლის ქვეშ სახის დანახვა, იმისივე იერი, ოღონდ უფრო დაღონებულს ჰგავდა. კარგი, მაგრამ ეს მუშის ტანისამოსი რაღა იყო? სად ბ. ლებლანი და სად საწყალი მუშა? თუ ის იყო, რას მოასწავებდა ეს ტანისამოსის შეცვლა? განცვიფრებული იყო მარიუსი. გონზე რომ მოვიდა, იფიქრა, - მივყვები, ვნახავ, სად ცხოვრობს, იქნებ მომხედა ბედმა და კვალს მივაგენიო. საჭირო იყო ახლა მისულიყო იმ კაცთან და ისე ენახა. და სანამ ამ ფიქრში იყო, კიდეც წასულიყო მოხუცებული მუშა. ალბათ პატარა, ვიწრო ქუჩაში ჩაუხვია და ვეღარ იპოვა მარიუსმა.

ამ კაცზე ფიქრობდა რამდენიმე დღე, მერე კი დაივიწყა: - ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება კაცი კაცს ჰგავდესო, - გადაწყვიტა.

## თავი მეორე
## ნაპოვარი

ისევ გორბოს სახლში ცხოვრობდა მარიუსი და ძველებურად ყურადღებას არ აქცევდა მეზობლებს.

ამ დროს, თუ მართალი გნებავთ, ამ მინგრეულ-მონგრეულ სახლში მდგმურად აღარავინ ცხოვრობდა მარიუსის და იმ ჟონდრეტის გარდა, რომლის სახლის ქირა გადაიხადა ერთხელ მარიუსმა, თუმცა არც მამას იცნობდა, არც დედას, არც იმათ ქალებს. სხვა მდგმურები ზოგი სხვაგან გადავიდა, ზოგმა თქვენი ჭირი წაიღო, ზოგი კიდევ განდევნეს, რადგან ქირას არ იხდიდნენ.

ზამთარი იდგა და ერთხელ შუაღღის მიწურულს ღრუბლებიდან თავი გამოჰყო მზემ; მაგრამ ეს იყო ორ თებერვალს - მირქმა უფლისა, - იმ დღეს, როდესაც ძველი თქმულების მიხედვით, ხალხს ატყუებს ცბიერი მზე, ცოტა ხნით ეჩვენება, და მომდევნო ექვსკვირიან ყინვას უმზადებს. ამ თქმულებამ შთააგონა მალე ლანსბერგს შემდეგი, კლასიკურად დარჩენილი ლექსი:

დაე, ბრწყინავდეს მზე სხივთა მნათი, -
ძუნძულით შედის ბუნაგში დათვი.

ღამდებოდა, მარიუსი სასადილოდ გავიდა, რადგან რაც უნდა დაწყლულებული ჰქონოდა გული, კუჭი მაინც თავისას მოითხოვდა. ვაი, რომ ასე სუსტია იდეალური ჭმუნვა!

გამოვიდა თავისი ოთახიდან და ბებერი ბუგონის ბუზღუნი მოესმა. ჰგვიდა იქაურობას და იმ ფრიად სახსოვარ მონოლოგს ამბობდა:

- არა! ნეტავი, რა იშოვება დღეს იაფი? ისე გაძვირდა ყველაფერი, ბაზარში ვეღარ გასულა ადამიანი. იაფად მარტო ტანჯვა-წვალება არის ხალხისა! სულ მუქთად არის საწყალი ხალხის ვაი-ვაგლახი!

ნელი ნაბიჯით აჰყვა ბულვარს მარიუსი, სადარაჯოსკენ, რომ იქიდან სენ-ჟაკის ქუჩაში ჩაეხვია. ჩაფიქრებული მიდიოდა, თავჩაქინდრული.

და უცბად იდაყვი წაჰკრა ვიღაცამ. გვარიანად ბნელოდა. მიბრუნდა, ორი ქალი დაინახა, ყმაწვილი გოგონები, დაფლეთილი ტანისამოსი ეცვათ. ერთი მაღალი ტანისა იყო, წვრილი, მეორე უფრო მომცრო. გაჩქარებით მიდიოდნენ, უფრო მირბოდნენ შეშინებულნი, ქშინავდნენ; გეგონებოდათ, მდევარი მოსდევთ უკანო. პირდაპირ მარიუსისკენ მოდიოდნენ, ვერ დაინახეს და იდაყვი გაჰკრეს. ბნელოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია მარიუსმა, რომ ფერი წასვლოდათ შიშით, თმა აწეწოდათ, ძველისძველი რაღაც ქუდები ეჭირათ, დაფხრეწილი კაბები ეცვათ და ფეხშიშველა იყო ორივე. გარბოდნენ და თან ლაპარაკობდნენ. მაღალი ქალი იძახდა ხრინწიანი ხმით:

- ღამურები მოვიდნენ! კინაღამ დამიჭირეს!

- დავინახე და მოვკურცხლე, - დაუმატა მეორემ, - ისე მოვკურცხლე, რომ ცხენიანი კაცი ვეღარ დამეწეოდა!

მარიუსი მიხვდა, რომ ჟანდარმები ან პოლიციელები აპირებდნენ ამ გოგონების დაჭერას და ხელიდან გამოსხლტომოდნენ.

ხეებს აეფარნენ მარიუსის იქით, ცოტა ხანს იქით იყვნენ მიმალულნი, და მერე გაქრნენ.

მარიუსიც გაჩერდა წამით.

და იქვე, თავის ფეხთან პატარა პაკეტი დაინახა მოლურჯო. დაიღუნა და აიღო. რაღაც შეკვრა იყო, რომელშიც ქაღალდები უნდა ყოფილიყო.

- ალბათ იმ საწყალ გოგონებს დაუვარდათ, - წამოიძახა მარიუსმა.

გაიხედა, დაუძახა, მაგრამ ისინი იქ აღარ იყვნენ. სადღა დავეწევიო, - გაიფიქრა, ჯიბეში ჩაიდო პაკეტი და გზას გაუდგა.

გზაში მუფტარის ქუჩაზე, ერთ ფანჯარაში პატარა ბავშვის კუბო დაინახა: სამ სკამზე იდგა, ზედ შავი მაუდი ეფარა, თავით სანთელი ენთო, და წეღანდელი გოგონები მოაგონდა:

- საცოდავი დედა, - გაურბინა ფიქრმა, - შვილის სიკვდილს რომ ნახავს, მაგრამ მაინც უფრო საცოდავია უბედური, თავისი შვილების გარყვნას რომ მოესწრება.

მერე საწყალი გოგონებიც დაავიწყდა, ეს ბავშვიც, და თავის სევდას მიეცა. მოიგონა თავისი ექვსი თვის ბედნიერება, ჩრდილოვან ხეივანში სკამზე თავისი სატრფო და ნეტარება, რომელსაც განიცდიდა მისი მზერით და ამოიკვნესა:

- როგორ დაბნელდა ჩემი სიცოცხლე. ყმაწვილ ქალებს ახლაც ვხედავ. ოღონდ აქამდე ანგელოზებად მეჩვენებოდნენ და ახლა კი საფრთხობელებად.

## თავი მესამე
## ოთხპიროვანი

იმ ღამეს, ტანისამოსს რომ იხდიდა დაწოლის წინ, ჯიბეს მოხვდა ხელი და მოაგონდა ბულვარზე ნაპოვნი პაკეტი. დავიწყდებოდა, უნდა დავუბრუნო იმ ქალებსო, - იფიქრა, - იქნებ ზედ იმათი მისამართიც ეწეროს, თუ მართლა იმათი არის, იმათიც რომ არ იყოს, იქნება რამე ცნობა, რომ პატრონს გადავცეო.

პაკეტი დაბეჭდილი არ იყო და შიგ ოთხი წერილი იყო, ისინიც დაუბეჭდავი.

წერილებს თავ-თავისი მისამართი ჰქონდა.

საზიზღარი სუნი ასდიოდა ოთხივეს, მყრალი თამბაქოსი.

პირველ წერილს ჰქონდა მისამართი: ქალბატონ მარკიზ დე გრუშერეისას, დეპუტატობის პალატის მოედანზე#...

- ალბათ წერილში იქნება ჩემთვის საჭირო ცნობები, რომ მათი პატრონი ვიპოვო, - ფიქრობდა მარიუსი და გაშალა წასაკითხად, მით უფრო, რომ არც პაკეტი იყო დაბეჭდილი და არც წერილები.

აი, რა ამოიკითხა მარიუსმა:

„ქალბატონო მარკიზავ!

სათნოება კეთილმოწყალებისა და გაჭირვებულთა შებრალებისა აერთებს და ამჭიდროებს საზოგადოებას. გამოასეირეთ თქვენი ქრისტიანული თანაგრძნობა და სიბრალულის თვალით გადმოხედეთ უბედურ მსხვერპლს პატიოსან კანონიერებისა და წმინდა მართლმსაჯულებისას, რომელმაც თავი გასწირა თავისი მოვალეობის აღსასრულებლად, სისხლი დაღვარა, მთელი თავისი ქონება ანაცვალა მის დაცვას, და დღეს უსაშინლეს გაჭირვებას განიცდის. ეჭვიც არა აქვს, რომ თქვენი პატივცემული პიროვნება წყალობის თვალით გადმოხედავს და შეეწევა, რომ გაჭირვებული სიცოცხლე განაგრძოს უბედურმა, მრავალგან დაჭრილმა, აღზრდითა და პატიოსნებით მხედარმა. იმედი მაქვს თქვენი კაცობრიული ქველობისა, რომელიც აძლიერებს თქვენს დიდსულოვნებას. და იმ თანაგრძნობისა, რომლითაც აღსავსე ბრძანდება ქალბატონი ამ უბედურ ერისადმი, რომ ამაოდ არ დარჩება იმათი თხოვნა და მომხიბვლელ მოგონებად დარჩებათ ამის მადლობა.

ჩემი პატივისცემითი გრძნობანი, რომლითაც დავშთები, ქალბატონო.

დონ ალვარესი, კაპიტანი ესპანელ კაბალერიისა, საფრანგეთში შემოხიზნული როიალისტი, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას აპირებს და საშუალება არა აქვს

გზის გაგრძელებისა“.

დამწერის მისამართი არა ჰქონდა ასე ხელმოწერილ წერილს. მარიუსს ეგონა, - მეორე წერილში ვიპოვიო, - და ახლა ის გახსნა. ჯერ მისამართი ნახა: - ქალბატონ გრაფ მონვერნეისას, კასეტის ქუჩა #9.

აი, რა წაიკითხა ამ წერილში:

„პატივცემულო ქალბატონო,

ერთი უბედური, ექვსი შვილის დედა გახლავართ, რომელთაგან სულ პატარა რვა თვის მყავს. მე ავად ვარ უკანასკნელ მშობიარობის შემდეგ, მიტოვებული ჩემი ქმრის მიერ აგერ ხუთი თვეა, და არავითარი სახსარი არა მაქვს ცხოვრებისა ამ საზარელ სიღარიბეში მყოფს.

პატივცემული ქალბატონის იმედით.

დავშთები დედა ბალიზარი“.

მესამე წერილი გაშალა მარიუსმა, ისიც დახმარებისა და მოწყალების თხოვნით სავსე, ოღონდ უფრო ვრცლად შედგენილი. აი, თვით წერილიც:

„ბატონ პაბურჟოს, პატივცემულ მოქალაქეს, პატივცემულ ვაჭარს, სენ-დენის ქუჩა. ოფერის ქუჩის კუთხეში

ნებას ვაძლევ ჩემს თავს, რომ თქვენ მოგმართოთ ამ წერილით, და გთხოვოთ გადმომხედოთ თქვენი ძვირფასი მადლიანი წყალობის თვალით და დაინტერესდეთ მწერლის უბედურებით, რომელმაც ეს-ეს არის გაუგზავნა საფრანგეთის თეატრს წარმოსადგენად თავისი ახალი დრამა. შინაარსი ისტორიული გახლავთ. მოქმედება წარმოეს ოვერნში, იმპერიის დროს. სტილი, ვფიქრობ, ბუნებრივი აქვს, ლაკონიური და, შეიძლება, ცოტა რამ ღირსებაც ჰქონდეს. ოთხ ალაგს არის სასიმღერო ლექსები. კომიკური, სერიოზული, მოულოდნელი ერევა მოქმედ პირთა ხასიათს და ოდნავ ფერი აქვს რომანტიზმისა მთელ ინტრიგაში, რომელიც საიდუმლოდ მიმდინარეობს და ეფექტების მოულოდნელობით რამდენსამე ბრწყინვალე სცენით ბოლოვდება.

ჩემი მიზანი გახლავთ, დავაკმაყოფილო სურვილი, რომ სულს უდგამს პროგრესულად ადამიანს ჩვენი საუკუნისას, ესე იგი მოდა, ეს ახირებული და მოუსვენარი ქარაფშუტა, რომელიც იცვლება ყოველი ახალი ქარის ქროლვაზე.

მიუხედავად ჩემი თხზულების ღირსებისა, მე მაინც მეშინია, რომ ცნობილ ავტორთა შური და ეგოიზმი ამხედრდება ჩემს წინააღმდეგ, და თეატრში არ შემიშვებენ, რადგან კარგად ვიცი, რამდენი უსიამოვნება მოელის ჩვეულებრივ, ახალ მწერალს.

ბატონო პაბურჟო, თქვენი დამსახურებული სახელოვნება მწერლობის განათლებული მფარველისა მაბედვინებს და ჩემს ქალს გიგზავნით, რომ აგიწეროთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, როდესაც პური არა გვაქვს და შეშა ამ ზამთარში. მინდა გთხოვოთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემით ჩემი დრამა და ყველა ის დრამა, რომელთაც შემდეგში შევადგენთ, რომ დაგიმტკიცოთ, რამდენად ვამაყობ ბედნიერებით, რომ თქვენი მფარველობის ქვეშ ვიმყოფები და ჩემს ნაწერებს თქვენი სახელით ვამშვენებ. თუ მაღირსებთ და ცოტა რამ დახმარებას მიწყალობებთ, მაშინვე შევუდგები ახალი პიესის წერას, ლექსად, რომ ჩემი შრომით მოგიზღოთ მადლობა. ეს ახალი პიესა, რომელიც ვეცდები, ყოველმხრივ იყოს სრული, თქვენ მოგერთმევათ უფრო ადრე, ვიდრე დაიბეჭდება და თეატრში წარმოადგენენ.

ბატონ და ქალბატონ პაბურჟოს

ჩემი პატივისცემა უაღრესად დამსახურებული,

ჟანფლო, მწერალი.

P.S. თუნდა ორმოცი სუ იყოს.

მაპატიეთ, რომ ჩემს ქალს გიგზავნით და მე თვითონ არ წარმოვიდექით, მაგრამ სამწუხარო მიზეზი ტანისამოსისა ნებას არ მაძლევს სახლიდან გამოვიდე...“

ბოლოს მეოთხე წერილი გაშალა მარიუსმა. მისამართი ასეთი ჰქონდა: ბატონ სენ-ჟაკის ეკლესიის კეთილისმყოფელს.

ეს წერილი უფრო მოკლე იყო:

„კეთილისმყოფელო ადამიანო,

თუ კეთილინებებთ და გამოჰყვებით ჩემს ქალს, საშინელ გაჭირვებას ნახავთ და მეც ჩემს მოწმობებს გაჩვენებთ.

ამ მოწმობებს რომ დაინახავთ, თქვენს კეთილ სულს გაიტაცებს სურვილი კეთილისყოფისა, რადგან ნამდვილი ფილოსოფოსები ყოველთვის განიცდიან კეთილ გრძნობას.

დამეთანხმებით, კეთილისმყოფელო ადამიანო, რომ მართლა საშინელ გაჭირვებაში უნდა იყოს კაცი და მართლა ძალიან სამწუხარო არის, ცოტა რამ დახმარების მისაღებად მთავრობას მიმართოს და შეამოწმებინოს, თითქოს თავისუფალი არ იყოს ადამიანი, რომ იტანჯოს და მოკვდეს შიმშილისგან, ვიდრე დახმარებას აღმოუჩენენ. საშინელი რამ არის ბედისწერა ზოგისთვის, და უხვი და მახარებელი სხვებისთვის.

ველი თქვენს ნახვას და თქვენს დახმარებას, თუ ღირსად მცანით, და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი უსაზღვრო პატივისცემა, რომლითაც მაქვს პატივი დავშთე,

ადამიანო, ჭეშმარიტად დიდსულოვანო.

თქვენგან მეტად დავალებული

და თქვენი უმორჩილესი მსახური

პ. ფაბანტუ, დრამატული მსახიობი“.

ოთხივე მიმართვა გადაიკითხა მარიუსმა და მაინც ვერ გაიგო, ვინ იყო ამ წერილების პატრონი.

ჯერ იმას მიაქცია ყურადღება, რომ არც ერთი ხელისმომწერი არ წერდა თავის მისამართს.

მერე სხვა გარემოება ეცა თვალში, წერილებს ოთხი კაცი სწერდა, სხვადასხვა გვარისა: დონ ალვარესი, დედა ბალიზარი, პოეტი ჟანფლო და დრამატული მსახიობი ფაბანტუ. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ოთხივე წერილი ერთი ხელით იყო დაწერილი.

რას დაასკვნიდა აქედან, თუ არა იმას, რომ ოთხივე წერილი ერთი და იმავე კაცის დაწერილი უნდა ყოფილიყო?

გარდა ამისა, - ეს გარემოებაც იმავე დასკვნას ამტკიცებდა, - ქაღალდი, სქელი და გაყვითლებული, ერთი და იგივე იყო ოთხივე წერილისა, იგივე მყრალი თამბაქოს სუნი ასდიოდა ოთხივეს, და, თუმცა ეტყობოდა, ძალიან ცდილიყო, ვიღაც იყო, განსხვავება შეეტანა ამ წერილების სტილში, მაგრამ ორთოგრაფიული შეცდომები სრული მშვიდობით გაფანტულიყო ოთხივეში უცვლელად და მწერალი ჟანფლო იმავე ენითა და შეცდომებით სწერდა, რომლითაც ესპანელი კაპიტანი.

ამ საიდუმლოს ვერ ამოიცნობდა მარიუსი, ძალიანაც რომ ცდილიყო. ნაპოვნი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, ხუმრობად მიეღო. მეტად დაღონებული იყო, რომ გულიანად მიეღო რამე შემთხვევითი ხუმრობა და აჰყოლოდა რაღაც ლაზღანდარობას, რომელსაც ქუჩა თუ გამოუგზავნიდა, თორემ სხვა ვერავინ. წინ ეყარა ეს წერილები და ისე ვერა გაეგო რა, თითქოს თვალხუჭობანას ეთამაშებიან და კარგადაც დასცინიანო.

არავითარი ნიშანი, რომ იმ გოგონებისთვის მიეკუთვნებინა ეს წერილები, ბულვარზე რომ შეხვდა. ალბათ უბრალო, უმნიშვნელო ქაღალდი იყო, გადასაყრელი.

ისევ პაკეტში ჩადო ოთხივე, იქვე მიაგდო და დაწვა.

მეორე დილას, შვიდ საათზე, ის-ის იყო ისაუზმა და აპირებდა საქმეს ჩასჯდომოდა, რომ კარზე დაუკაკუნეს.

სახარბიელო არაფერი ჰქონდა ოთახში და არც კარს კეტავდა. თუ დაკეტავდა, ისიც ძალიან იშვიათად, როდესაც სასწრაფო საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. საერთოდ კი, სხვაგანაც რომ წასულიყო, კარს დაუკეტავს ტოვებდა, გასაღებიანად. - მოგპარავენ რამეს, - აფრთხილებდა ბებერი ბუგონი. - რას მომპარავენ? - იძახდა მარიუსი. და კიდეც გამართლდა ბუგონის სიტყვა: ერთი წყვილი ძველი წაღა მოჰპარეს და ძალიან გახარებული იყო ბუგონი, რომ ასე გამართლდა მისი გაფრთხილება.

- მობრძანდით, - გასძახა მარიუსმა.

კარი შემოაღეს.

- რა გინდათ, ბატონო? - შეეკითხა მარიუსი და მაინც ისევ თავის ხელნაწერებს დასცქეროდა, მაგიდაზე გაშლილ წიგნებს.

ბებერი ბუგონისა კი არა, უცხო ხმა მოესმა:

- უკაცრავად, ბატონო...

მიყრუებული ხმა იყო, მოწყვეტილი, მიმხრჩვალი, ხრინწიანი; არყით გალოთებული ბებერი კაცის ხმა.

სასწრაფოდ მიბრუნდა კარისკენ მარიუსი და ყმაწვილი ქალი დაინახა.

## თავი მეოთხე
## ვარდი გასაჭირში

ყმაწვილი ქალი იდგა შიგ კარში, სულ ყმაწვილი. ოთახის ფანჯარა, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, სწორედ კარის პირდაპირ იყო, და მკრთალი სინათლე შიგ სახეში სცემდა ამ ქალს, ჩამომხმარს, დამჭკნარს, გაძვალტყავებულს. ბოლოკაბა ეცვა და პერანგი - გაყინული, აკანკალებული სხეულის სიშიშვლის დასაფარავად. სულ ეს იყო მისი ტანისამოსი, ქამრად თოკი შემოერტყა, თოკითვე შეეკრა თმა. შიშველი მხრები უჩანდა პერანგიდან. თეთრ-ყვითელი ფერი ჰქონდა, ლავიწები მიწისფერი, ჩაწითლებული ხელები, ოდნავად ღია პირი, წამხდარი კბილები; თვალი ჩამქრალი, მაგრამ ავხედი; აგებულება მოუწიფავი ყმაწვილქალისა და გამოხედვა უნამუსო ბებერი დედაკაცისა; ორმოცდაათი წელიწადი ჩარეულიყო თხუთმეტი წლის გოგოს ცხოვრებაში. ერთი იმ არსებათაგანი იყო, რომელნიც ერთსა და იმავე დროს სუსტებიც არიან და საზიზღრებიც, და ააფრთოლებენ იმას, ვისაც ვერ აატირებენ.

წამოვარდა მარიუსი და განცვიფრებული შეჰყურებდა უბედურს, რომელიც შავ აჩრდილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას.

ეტყობოდა, დაბადებით ეს საწყალი ქალი ასე უსახური არ უნდა ყოფილიყო, პატარაობისას შეიძლება ლამაზიც იყო. წლოვანების სიკეკლუცე ებრძოდა ამ ქალში საზიზღარს, უდროოდ გამარჯვებულ სიღარიბისა და ავი ცხოვრების გამო სიბერეს. სილამაზის ნაშთი მომაკვდავივით მოჩანდა ამ თექვსმეტი წლის სახეზე, როგორც ფერმკრთალი მზე, რომელსაც შავი ღრუბელი ერევა ზამთრის განთიადში.

სრულიად უცნობი არ უნდა ყოფილიყო მარიუსისთვის ეს სახე, სადღაც ენახა, მაგრამ სად? ეს კი ვერ აგონდებოდა.

- რა გნებავთ, ქალო?

მთვრალი კატორღელის ხმით მიუგო ქალმა:

- წერილი გამომატანეს თქვენთან, ბატონო მარიუს.

სახელით მიმართა მარიუსს. ეჭვი არ იყო, საქმე სწორედ მარიუსთან ჰქონდა და წერილიც მარიუსთან გამოეგზავნათ, მაგრამ ვინ იყო ეს ქალი? საიდან იცოდა მისი სახელი?

ქალმა აღარ დაუცადა მარიუსის ნებართვას, - მობრძანდითო, - და წინ წამოვიდა. გაბედვით შევიდა ოთახში, მოურიდებლად სინჯავდა იქაურობას და ჯერ დაულაგებელ ლოგინს. ფეხშიშველი იყო, კაბა აქა-იქ გამოფხრეწოდა და შიშველი, ჩამომხმარი ჭუჭყიანი ბარძაყი უჩანდა. კანკალებდა.

ხელში მართლა წერილი ეჭირა და მარიუსს მიართვა.

წერილს რომ ხსნიდა, შეამჩნია მარიუსმა, რომ ლუქი, რომლითაც დაბეჭდილი იყო წერილი, ჯერ ისევ რბილი იყო და ცხელი.

შორიდან არ უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი. გახსნა და წაიკითხა:

„ჩემო კეთილო მეზობელო, ყმაწვილო კაცო!

გავიგე თქვენი ჩემდამი გულკეთილობა, ამ ექვსი თვის წინ სახლის ქირა რომ გადაიხადეთ ჩემ მაგივრად. გმადლობთ და გაკურთხებთ, ყმაწვილო კაცო. ჩემი უფროსი ქალი გეტყვით, რომ ლუკმაპური არა გვაქვს ეს ორი დღეა, ოთხნი ვართ და ჩემი მეუღლე ავად არის. თუ არა მღალატობს ჩემი ფიქრი, მგონია შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ თქვენს კეთილ გულს მოალბობს ჩემი თხოვნა და დაგიმორჩილებთ სურვილი ჩემი შველისა პატარა დახმარების შემოწევით.

დავშთები უმაღლესი პატივისცემით, რომლითაც ვადიდებთ კაცობრიობის კეთილმოქმედებთ,

ჟონდრეტი

P.S. ჩემი ქალივე მიიღებს თქვენს ბრძანებას, ბატონო მარიუს“.

წუხანდელს აქეთ გამოცანად აწვა გულზე ნაპოვნი წერილების დამწერის ვინაობა და უცბად შუქი მოჰფინა ამ ერთმა წერილმა იმ ოთხის საიდუმლოებას, სანთელი შეიტანეს ანთებულ ბნელ სარდაფში. ყველაფერს მიხვდა მარიუსი.

ეს წერილიც იქიდანვე მოდიოდა, საიდანაც ის ოთხი წერილი იყო გასაგზავნად დამზადებული. იგივე სტილი იყო, იგივე მართლწერა და შეცდომები, იგივე ქაღალდი, იგივე მყრალი სუნი თამბაქოსი, ერთი ხელით იყო დაწერილი ხუთივე.

ხუთი წერილი, ხუთი ისტორია, ხუთი სახელი, ხუთი ხელნაწერი და ერთი ხელისმოწერილი. ესპანელი კაპიტანი დონ-ალვარესი, ბებერი დედა ბალიზარი, პოეტი დრამატურგი ჟანფლო, ბებერი ნამსახიობარი ფაბანტუ ოთხნი იყვნენ და ოთხივეს გვარი ჟონდრეტი იყო. თუ ჟონდრეტიც ნამდვილი გვარი იყო ამ წერილების დამწერისა, და არა მოგონილი.

კარგა ხანი იყო უკვე, რაც მარიუსი ამ სახლში ცხოვრობდა, და, როგორც ვთქვით, ძალიან იშვიათად ხვდებოდა ხოლმე მეზობლებს, თვით უახლოეს მეზობლებსაც კი. სხვაგან დაქროდა იმისი ფიქრი, და სადაც ფიქრია, თვალიც იქ არის. არ შეიძლებოდა, არ შეხვედროდა ეს ჟონდრეტები კიბეზე ან ტალანში სადმე, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. ჩრდილად მიაჩნდა ცოცხალი ადამიანი. იმდენად უცნობნი იყვნენ მისთვის მეზობლები, რომ წუხელ იდაყვი წაჰკრეს ბულვარზე, და მარიუსმა ვერც კი იცნო ჟონდრეტის ქალები, რადგან ცხადი იყო, ესენი უნდა ყოფილიყვნენ. და ახლაც, თვალწინ ედგა თავის ოთახში ქალი, რომელმაც ზიზღიც აღუძრა გულში და სიბრალულიც. გაკვირვებული ეკითხებოდა თავს, - ნეტავი ვიცოდე, სად მინახავს ეს უბედურიო?

ახლა კი ცხადად ხედავდა ყველაფერს. ხედავდა, რომ მის მეზობელ ჟონდრეტს ხელობად გაეხადა გაჭირვებისა და სიღარიბის გამო გულკეთილი ადამიანებისგან მოტყუებით დახმარების მიღება, რომ ამ მიზნით შოულობდა შეძლებულ კეთილისმყოფელთა მისამართს, და წერილებით სთხოვდა მოწყალებას. ოღონდ საკუთარის მაგივრად სულ სხვადასხვა, მოგონილ გვარს აწერდა; წერილების მიმტანად თავისი ქალები ჰყავდა და, თუ მოხდებოდა რამე, პასუხისმგებელი წერილის მიმტანი ქალები იქნებოდნენ და არა თვითონ დამწერი; იქამდე დაცემულიყო მამა, რომ განსაცდელში თავად განზე დარჩებოდა და, თუ წააგებდა, თავისი ქალებით გადაიხდიდა წანაგებს. ხედავდა მარიუსი, წუხელ, ისე შეშინებული მორბოდნენ ეს ქალები, იმდენად გულგახეთქილები, რომ ძლივსღა იბრუნებდნენ სულს დაქანცულები, და რამდენიმე სიტყვა რომ გაიგონა მათი ნათქვამი, ცხადად დარწმუნდა, ამ უბედურებს სხვა საძრახისი ხელობაც უნდა ჰქონოდათ. ადამიანთა საზოგადოებრივი წესწყობილების ნაყოფი იყო ეს ორი უბედური ქალი, რომლებიც არც ბავშვები იყვნენ, არც ქალები, არც დედაკაცები, არამედ რაღაც საზიზღარი ბილწი ქმნილებანი, გაჭირვებისა და შიმშილის მიერ წარმოშობილნი.

აღარც სახელი შერჩენიათ ამ საცოდავებს, აღარც წლოვანება, აღარც სქესი; აღარც კეთილი არსებობს ამათთვის, აღარც ბოროტი. გაუვლიათ ბავშვობა და აღარაფერი რჩებათ ამსოფლად, აღარც თავისუფლება, აღარც სათნოება, აღარც პასუხისმგებლობა. დღეს უკვე დამჭკნარია გუშინ გაშლილი ყვავილი, მსგავსი იმ ყვავილისა, რომელიც ხელიდან გაუვარდა ქუჩაში მიმავალს, ლაფში ჩავარდა, მყრალ წუმპეში, და ისვრება, იმწიკვლება, ვიდრე ეტლის თვალი გადაუვლის და გასრესს.

მარიუსი გაკვირვებული, სიბრალულით სავსე თვალით შესცქეროდა გოგოს; ის კი არხეინად, დაურიდებლად მიმოდიოდა ოთახში, ათვალიერებდა იქაურობას და სულ არ ერიდებოდა სიშიშვლისა. ხანდახან თითქმის წელამდე ჩამოეშვებოდა დაძველებული, დახეული პერანგი. დადიოდა, სკამებს არხევდა, კომოდზე დალაგებულ სარკე-სავარცხელს სინჯავდა, ტანისამოსს აბრუნებდა, ყველგან ხელებს აფათურებდა.

- ერთი დახეთ, სარკეც რომ გქონიათ!

დადიოდა, სინჯავდა და თან ღიღინებდა, თითქოს სულ მარტო ყოფილიყო ოთახში. ღიღინებდა ვოდევილში გაგონილ სალაზღანდარო სიმღერებს. მაგრამ საძაგელი ხრინწიანი ხმა ჰქონდა და საზარლად ხდიდა სახუმაროს. მოურიდებლად, ურცხვად ტრიალებდა ოთახში, მაგრამ ნაპერწკალივით გამოაჩნდებოდა ხოლმე ხანდახან თავისი ქცევის ნაძალადეობა, სინანული და მორცხვობა. თავხედობა იგივე სირცხვილია.

საცოდავი სანახავი იყო საწყალი გოგო. ისე დაწრიალებდა ამ ოთახში, თითქოს გალიაში მომწყვდეული, ფრთამოტეხილი ფრინველი ყოფილიყოს ან მზის სინათლით შეშინებული. შეჰყურებდა მარიუსი და გრძნობდა, სხვა ბედისა რომ ყოფილიყო უბედური და სხვაგვარად აღზრდილი, საამო და მომხიბლავი სანახავი იქნებოდა მისი დღეს ნაძალადევი მხიარულება და თავისუფლება. ბუნებაში ამგვარს ვერაფერს ნახავს ადამიანი. შეუძლებელია ყვავად გადაიქცეს მტრედად გაჩენილი არსება. ეს გარდაქმნა მხოლოდ ადამიანთა შორისაა, საუბედუროდ.

ამ ფიქრით იყო მოცული მარიუსი და ქალიც სარგებლობდა ამით, ათვალიერებდა იქაურობას.

მერე მაგიდასთან მივიდა.

- აჰ, წიგნები გქონიათ?!

წამით სინათლემ იელვა მიმქრალ თვალებში.

- მეც ვიცი კითხვა! - წამოიძახა იმ კილოთი, რომელშიც ნეტარება ისმოდა, რომ ამით მაინც შეეძლო თავის მოწონება. ბუნებრივი თვისება ყველა სულდგმულისა თავის მოწონებაა.

აიტაცა ერთი წიგნი, გაშლილი რომ იდო მაგიდაზე, და გარკვევით წაიკითხა:

„...გენერალმა ბოდუენმა მიიღო ბრძანება, - თავისი ჯარის ხუთი ბატალიონით აეღო ჰუგომონის სიმაგრე, ვატერლოოს მინდორზე“.

და წამოიძახა:

- აჰ! ვატერლოო! ვიცი! დიდი ბრძოლა იყო. მამაჩემიც იქ იყო. ჯარში იყო მამაჩემი. იცით, რა ბონაპარტისტები ვართ! ჩვენთან ყველანი! ინგლისელებს ვებრძოდით ვატერლოოში!

წიგნი დადო, კალამი აიღო და დაიძახა:

- წერაც კი ვიცი!

სამელნეში ამოაწო კალამი და მარიუსს მიუბრუნდა:

- გნებავთ, ნახოთ? აი, ერთ სიტყვას დავწერ.

და აღარც კი დააცადა, რომ თანხმობა გამოეცხადებინა. ერთ ფურცელ თეთრ ქაღალდზე დაწერა: ღამურები მოდიან.

მერე კალამი დადო და წამოიძახა:

- აქ მართლწერის შეცდომას ვერ მიპოვით. აი, ნახეთ. ცოტა რამ განვითარება ჩვენცა გვქონდა, მე და ჩემს დას. ყოველთვის ასე კი არ ვიყავით, როგორც დღესა ვართ, იმისთვის კი არ დავიბადეთ, რომ...

და შედგა, დააცქერდა მარიუსს, სიცილი წასკდა და ცინიზმით ჩამხრჩვალი სირცხვილით წამოიძახა.

- ეეჰ!..

ამ ეეჰ-ს ღუღუნით სიმღერა მიაყოლა, მხიარული კილოთი:

გვშია, გვშია, მამილო,
სახლში აღარც პურია,
გვცივა, გვცივა, დედილო,
შიშვლები ვართ სრულიად.
ნინეტა და ჟანეტა,
რა გაღრიალებთ ნეტავ!

ბოლო ააჩქარა, და დაასრულა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

- თეატრში დადიხართ, ბატონო მარიუს, ხანდახან მაინც? მე კი დავდივარ. პატარა ძმა მყავს, მეგობრები ჰყავს მსახიობები და ისინი მაძლევენ ხოლმე ბილეთებს. მაგრამ, რომ იცოდეთ, როგორ მეჯავრება ქანდარის სკამები! ისე ცუდად არის იქ ადამიანი, რომ ნანობს, - ნეტავი არ მოვსულიყავიო. ისეა ხოლმე ხალხით გატენილი! მერე, ვერ წარმოიდგენთ, რა სუნი დგას!

ეს თქვა, დააცქერდა მარიუსს ალერსით და უთხრა:

- იცი, ბატონო მარიუს, რომ ძაან ლამაზი ბიჭი ხართ?

და ერთმა და იმავე ფიქრმა გაურბინა ორივეს: გოგო ტკბილად იღიმებოდა, მარიუსი გაწითლდა.

მერე მიუახლოვდა მარიუსს, ხელი დაადო მხარზე და შესჩივლა: - თქვენ ყურადღებას არ მაქცევთ, ბატონო მარიუს, მე კი კარგად გიცნობთ. ხშირად გხვდებით აქ, კიბეზე. გარდა ამისა, გხედავთ ერთ ნაცნობ კაცთან რომ დადიხართ, მოხუც მაბეფთან, აუსტერლიცის მხარეს ცხოვრობს. მეც ხშირად ვსეირნობ ხოლმე იქითკენ. როგორ გიხდებათ ეგ აწეწილი თმა!

ცდილობდა ტკბილი ხმით ეთქვა, რაც გულში ედო, მაგრამ ეს ცდა უფრო უბოხებდა ხმას. ზოგი სიტყვა იკარგებოდა, სანამ ხორხიდან მის ტუჩებზე მიაღწევდა, როგორც როიალში, რომელსაც ზოგიერთი ნოტი აკლია.

მარიუსმა უკან დაიწია და თავისებურად ცივად უპასუხა:

- ერთი პაკეტი მაქვს, მგონია, თქვენი უნდა იყოს, ნება მიბოძეთ, თქვენვე მოგართვათ.

და გაუწოდა ნაპოვნი ოთხ წერილთან ერთად.

ტაში შემოჰკრა ქალმა და შეჰყვირა:

- ჩვენ კიდევ დღეს თან გადავყევით ამათ ძებნას!

ხელიდან გამოსტაცა, საჩქაროდ გაშალა და თან თავისას ამბობდა:

- ღმერთო! ღმერთო! დღეს ჩვენ ამის ძებნას მოვუნდით, მე და ჩემი და! თქვენ კი გიპოვიათ! ბულვარზე იპოვეთ, არა? ბულვარზე, მაგას რა თქმა უნდა! იცით, ხელიდან გაგვივარდა, როდესაც გამოვრბოდით. ჩემი დის ბრალია, იმ სულელისა! მოვედით შინ და კინაღამ გული გაგვისკდა! არ გვინდოდა, ეცემათ ჩვენთვის, ან რას უშველიდა საქმეს ჩვენი ცემა? სრულიად უსარგებლო იქნებოდა, სრულიად უსარგებლო! - ვუთხარით ჩვენებს, რომ წერილები ჩავაბარეთ თავ-თავისი მისამართით და ხელცარიელი გამოგვისტუმრესო. აქ კი ყოფილა ოთხივე! მერე როგორ მიხვდით, რომ ჩვენი უნდა ყოფილიყო? ჰო, ვიცი, წერილების ხელწერით! მაშ, თქვენ იყავით წუხელ, იდაყვი რომ გაგკარით? რას ვიზამდით? მოვრბოდით, ბნელოდა, ჩემს დას ვკითხე, რომ დაგინახეთ: ბატონი უნდა იყოს ის კაცი, ჰა?

- ჰო, ბატონი უნდა იყოსო, - მიპასუხა ჩემმა დამ.

ამასობაში გადასინჯა წერილები; ცალკე დაიჭირა ის წერილი, რომელსაც მისამართი ჰქონდა, ბატონ სენ-ჟაკის ეკლესიის კეთილისმყოფელს, და წამოიძახა:

- ეს კიდევ იმ ბებერს ეკუთვნის, წირვა-ლოცვას რომ არ აკლდება. ჰოდა, სწორედაც დროც არის, ახლავე წავუღებ, იქნებ მომცეს რამე, რომ საუზმე მაინც ვჭამოთ.

სიცილი წასკდა და დაუმატა:

- იცით, რა ბედი გვეწევა დღეს, რომ საუზმე მივირთვათ? ორი დღის შიმშილს გადაფარავს დღევანდელი საუზმე: გუშინწინდელ საუზმეს, გუშინწინდელ სადილს, გუშინდელ საუზმეს, გუშინდელ სადილს. დიახ! ერთი საუზმე, დღევანდელი საუზმე დაგვავიწყებს ორი დღის შიმშილს. ახია თქვენზე, თქვე ძაღლებო, თქვენა! გშიათ? შიმშილით კვდებით? ჩაძაღლდით, რომ...

ამან მოაგონა მარიუსს, რისთვის იყო მოსული მასთან ეს უბედური.

ჟილეტის ჯიბეებში ეძება, ვერაფერი იპოვა.

ქალი კი თავისას მოთქვამდა. ისე იყო, თითქოს დავიწყებოდა მარიუსის იქ ყოფნა.

- ხანდახან ბინდისას გავდივარ შინიდან, ზოგჯერ აღარც კი დავბრუნდები ხოლმე. ვიდრე ამ სახლში დავდგებოდით, შარშან ზამთარს, ხიდების თაღებქვეშ ვცხოვრობდით. ერთმანეთს ვეკრობოდით, რომ არ გავყინულიყავით. ჩემი პატარა და ტიროდა, რომ იცოდეთ, რა გულსაკლავია წყალი! - თავს დავიხრჩობ-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ცივი წყალი მაშინებდა. ისეთი ცივია, ისეთი! მარტოდმარტო გავალ ხოლმე, როცა მინდა, ხან სად მძინავს, ხან სად, ორმოში სადმე. წარმოიდგინეთ, ბულვარზე რომ დავდივარ ღამე, ისე მეჩვენებიან ხეები, თითქოს ორთითები იყვნენ, და სახლები მთლად შავად. სწორედ ისე, როგორც ღვთისმშობლის ეკლესიის ციხეებია. სადაც კი თეთრ კედელს დავინახავ, მაშინვე მდინარე მომაგონდება, წყალი და გაკვირვებული ვეკითხები თავს, - რა ვქნა? აქაც წყალი მოვარდნილა? - ვარსკვლავები ღამე ზეიმის ჩირაღდნებად მეჩვენება, თითქოს იმათაც ასდიოდეთ კვამლი და ქარი აქრობდეს ქროლვით. გაშტერებული ვარ ხოლმე, თითქოს ცხენები მყავდეს და ისინი ქშინავდნენ პირდაპირ ჩემს ყურში; ღამეა, ყველას სძინავს, მე კი ცხადად მეყურება ბაზრის არღნის ხმა და საფეიქრო მანქანების გრიალი. არ ვიცი, რა არ მომელანდება ხოლმე იმ დროს! ხან კიდევ მეჩვენება, რომ ხალხი დამხვევია და ჩაქვავებას მიპირებენ. მეც გამოვრბივარ! გამოვრბივარ! რა უცნაური ხდები, როცა უჭმელი ხარ!

იგი გიუივით შეჰყურებდა მარიუსს.

მან კი იმდენი იჩხრიკა ჯიბეები, რომ ხუთი ფრანკი და თექვსმეტი სუ მოაგროვა. ეს იყო იმხანად მთელი მისი ავლადიდება. - დღეს სადილი მაქვს, - ფიქრობდა მარიუსი, - ხვალისთვის ხვალ ვიზრუნოთ.

თექვსმეტი სუ ჯიბეში ჩაიდო და ხუთი ფრანკი იმ ქალს მისცა. ხელი სტაცა საწყალმა, არ მოელოდა ამდენს.

- უჰ, რა, კარგია! მზე ამოვიდა! მზე!

და თითქოს ამ მზემ მის ტვინში მოგროვილი მდაბიური სიტყვები გამოადნო ყინულიდან, დააყარა მარიუსს:

- ხუთი ფრანკი! წმინდა ვერცხლი! მეფური მოწყალება! მერე ამ საწყალ ოთახში! სასწაულია! ძაან ბიჭი ყოფილხართ! გულით გიძღვნით მადლობას! იხარეთ, დამშეულნო! ორ დღეს კარგი სადილი, ხორცითა და შემწვარით! ოჰ, როგორ გამოვძღებით! პურის ჯავრს ამოვიყრით!

პერანგი მიიფარა მხრებზე. მდაბლად თავი დაუკრა, ხელი დაუქნია მეგობრულად და კარისკენ წავიდა:

- მშვიდობით, ბატონო, სულერთია, მე მაინც მოვძებნი იმ მოხუცს და გადავცემ წერილს.

რომ მიდიოდა, კომოდზე პურის ყუა დაინახა, ხმელი, მტვერში დაობებული, აიტაცა და მოკბიჩა, თან დუდუნებდა:

- ქვასავით მაგარია, მაგრამ პურია, პური! თუ კბილები არ ჩამიმტვრია!

და გავიდა.

## თავი მეხუთე
## სარკმელი განგებისა

ხუთი წელიწადი იყო, დიდ გაჭირვებას განიცდიდა მარიუსი, სიღარიბესა და შიმშილსაც კი, მაგრამ ახლა იგრძნო მხოლოდ, რომ ჯერ ნამდვილი გასაჭირი არ ენახა. ეს იმ ყმაწვილმა ქალმა დაანახვა; თვალწინ დაუყენა ცოცხალი სურათი ნამდვილი სიღატაკისა და მართლაც, ვისაც მამაკაცის სისაწყლე უნახავს, მან ნამდვილი გაჭირვებისა არა იცის რა. ვისაც ქალის სიღატაკე უნახავს, არც იმას უნახავს ბევრი რამ. მან უნდა ნახოს ბავშვის გაჭირვება.

უკიდურეს მდგომარეობაში რომ ჩავარდება კაცი, უკიდურეს საშუალებას მიმართავს თავის დასაცავად, და ვაი იმ უბედურთა ბრალი, იმ წვრილშვილისა, რომლებიც გარს ახვევია! აღარც საქმე აქვს, აღარც ხელფასი, აღარც პური, აღარც შეშა, აღარც ვაჟკაცობა, აღარც მხნეობა. ყველაფერს კარგავს. გარეთ მზის სინათლე უქრება, გულში ზნეობრივი სინათლე. და ამ წყვდიადში რომ რჩება, დედაკაცისა და ბავშვის სისუსტეს სწვდება კაცი, ამით სარგებლობს და შეუბრალებლად აიძულებს სამარცხვინო საქმე ჩაიდინონ.

მაშინ შესაძლებელი ხდება ყოველი საძაგლობა. სასოწარკვეთილება მხოლოდ სუსტი ძგიდით არის დაშორებული მიწიერებასა და ბოროტმოქმედებისგან.

ჯანმრთელობა, სიყმაწვილე, პატიოსნება, მკაცრი სიწმინდე ჯერ ისევ ნორჩი ტანისა, გული, უმანკოება, კდემამოსილება, - ეს ნაზი გარსი ჩვენი სულისა, - ლაფშია ჩაფლული უბედურთათვის, რომელნიც ცხოვრების საშუალებას ვერსად პოვებენ, ძმები, დები, ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ისე აეკვრიან ერთმანეთს და ისე შედუღდებიან, თითქოს მინერალურ წარმონაქმნს წარმოადგენენ ამ სქესთა, ნათესაობის, წლოვანების, ბოროტებისა და უმანკოების ნარევში. ერთად არიან, ზურგით ერთმანეთზე მიკრულნი, ერთგვარ ბედისწერის სოროში; საცოდავად შესცქერიან ერთმანეთს. ოჰ, ეს უბედურნი! მომაკვდავის ფერი ადევს ყველას. გაყინულნი არიან ყველანი, თითქოს აქ კი არა, სულ სხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ, გაცილებით უფრო მეტად დაშორებულზე მზისგან, ვიდრე ჩვენ ვართ.

ისე ეჩვენა საცოდავი გოგო მარიუსს, თითქოს განგებ იმისთვის ყოფილიყო ბოროტების სამეფოდან მოვლინებული.

თვალწინ გადაუშალა ღამის სიბილწის სურათი.

სინანულიც კი მოერია მარიუსს, რომ ასე გართულიყო ფიქრებით, შრომით, მეტადრე გულითადი მწუხარებით და იმდენს ვერ იცლიდა, რომ თვალი გადაევლო მეზობლებისთვის. სახლის ქირა რომ გადაუხადა ამას წინათ, ეს ერთგვარი უნებლიე საქციელი იყო; სხვაც ასევე მოიქცეოდა, ასე გაჭირვებული კაცი რომ ენახა; მაგრამ ის კი, მარიუსი, ამ შემთხვევაში უკეთ უნდა მოქცეულიყო. მას ხომ მხოლოდ ერთი კედელი აშორებდა ამ შიმშილით და სიცივით ტანჯულ მეზობლებს, რომლებიც ბნელ ორმოში ჩაყრილებივით ჩამოშორებულიყვნენ ქვეყანას; გვერდზე უდგა, ის იყო უკანასკნელი კავშირი, რომლითაც შეიძლებოდა ჯერ კიდევ შეერთებული ყოფილიყვნენ კაცობრიობასთან; ესმოდა იმათი არსებობა, ან უკეთ, კვნესა-ტირილი, და ყურადღებას არ აქცევდა, ყოველდღე, ყოველწამს ესმოდა იმათი ფეხის ხმა, ლაპარაკი და ყურს არ უგდებდა, რამდენი ოხვრა და კვნესა იყო მათ ლაპარაკში, მას კი არაფერი ეყურებოდა. შორს ციალებდა ფიქრი, ოცნებით გატაცებული, მიუწვდომელი სხივებით გაბრწყინებული, მიუღწეველი სიყვარულით გახელებული. მის გვერდით იმ დროს სულთმობრძავნი ეყარნენ მისივე ძმები იესოს მცნებით, მისივე ძმები ხალხის შვილები. კვდებოდნენ შიმშილით, სიცივით! ჰოდა, თვითონაც

მონაწილე იყო იმათი გაჭირვებისა! იმათ რომ სხვა ჰყოლოდათ ვინმე მეზობლად, ოცნებით ნაკლებად გატაცებული და უფრო გულისყურიანი, ერთი უბრალო, გულჩვილი ადამიანი, დაინახავდა იმათ საშინელ მდგომარეობას, თვალში ეცემოდა შიმშილის ნიშნები, და იქნებ დიდი ხნის წინათვე ეშველა და გამოეყვანა ამ გულსაკლავი მდგომარეობიდან. მართალია, მეტად წამხდარად ეჩვენებოდნენ, გარყვნილად, ბოროტად, მეტად საზიზღრად, მაგრამ იშვიათი სანახავია ადამიანი, რომ გაჭირვება მორეოდეს და ვერ გაერყვნას. არის ერთი საფეხური, რომელიც აერთებს, ერთმანეთში ურევს და ერთი სახელით მოსავს გაჭირვებით დაცემულ უბედურებასა და გაჭირვებითვე აღგზნებულ ბოროტებას. ეს სახელი არის განწირული. ვისი ბრალია? და განა მით უფრო მეტი არ უნდა იყოს გაჭირვებულის დახმარება, რამდენადაც ღრმად არის დაცემული საწყალი კაცი?

ამ ფიქრებით იყო გატაცებული მარიუსი, ამ ზნეობრივი სინანულით, რადგან მოხდებოდა ხოლმე ხანდახან, ის, როგორც ყველა გულით პატიოსანი კაცი, წრთვნიდა თავს და უფრო მეტად ემდურებოდა, ვიდრე ღირსი იყო. ამ ფიქრებით გატაცებული თან ტიხარს შესცქეროდა, რომელიც გაყვანილი იყო მისი და ჟონდრეტის ოთახის შუა, თითქოს გამჭვირვალე ეგულებოდა ეს ტიხარი და უნდოდა შიგ გაეტარებინა სიბრალულით სავსე თვალი, რათა გაეთბო იქაურობა. ოდნავ შელესილ ტიხარში ძალიან კარგად ისმოდა ყოველი სიტყვა და მოძრაობა. მარიუსივით თავისივე ლანდით უნდა ყოფილიყო დაყრუებული ადამიანი, რომ არაფერი გაეგონა მეზობლებისა. ტიხარს არც მარიუსის ოთახში ეკრა კედლის ქაღალდი, არც ჟონდრეტის ოთახში. შესცქეროდა მარიუსი ამ კედელს და შეუმჩნევლად ათვალიერებდა მის სიმრთელეს. მოხდება ხოლმე, ადამიანისგან დამოუკიდებლად მოქმედებს გონება, სინჯავს, იკვლევს, თვალყურს ადევნებს, იძიებს, სწორედ ისევე, როგორც მოფიქრებისას მოიქცეოდა. და უცბად წამოხტა მარიუსი. ტიხარში, ზემოთ, თითქმის ჭერთან სამკუთხა ნახვრეტი დაინახა, შედეგი სამი თამასის უვარგისად შეერთებისა, რომლებზეც გაჯს ვერ დაეჭირა თავი. კამოდზე რომ ამძვრალიყო კაცი, ამ ნახვრეტით დაინახავდა ჟონდრეტის ოთახს. სიბრალულს ყოველთვის აქვს, და კიდეც უნდა ჰქონდეს ცნობისმოყვარეობა. პატარა ნახვრეტი იყო, მაგრამ საჭვრეტ სარკმლად სრულიად საკმარისი. საძრახი არ უნდა იყოს ჩუმად დანახვა გაჭირვებულისა, რომლის დახმარებას უკვე ვაპირებთ.

- ერთი ვნახოთ, ვინ არიან ეს უბედურები, - იძახდა გულში მარიუსი, - და რამდენად გაჭირვებულნი არიან.

კომოდზე აძვრა და თვალი მიადო ნახვრეტს.

## თავი მეექვსე
## ტყის ნადირი თავის ბუნაგში

ქალაქს, როგორც ტყეს, აქვს თავისი ტევრი, სადაც იმალება ყოველივე, რაც კი ამ ქალაქში ბოროტი და საშიში მოიპოვება. ოღონდ ქალაქის ნაღმსა და ძირისძირში მძვინვარე იმალება, ბიწიერი და სულმდაბალი, ესე იგი, საზიზღარი; ტყეში კი, ტყის ტევრში რომ იმალება, მძვინვარეცაა, ველურიც და დიადიც, ესე იგი, - მშვენიერი. ბუნაგი ბუნაგია, მაგრამ ტყის ნადირისა სჯობია ადამიანისას. მღვიმე სჯობია, საშიშროების მღვიმე სჯობია გაჭირვებულის ბინას.

და სწორედ გაჭირვებულის ბინას ხედავდა მარიუსი.

თვითონაც ღარიბი იყო და ოთახიც ღარიბულად ჰქონდა მოწყობილი, მაგრამ, როგორც მისი სიღარიბე იყო პატიოსანი, ისევე სუფთა იყო მისი ოთახიც. ის ოთახი კი, რომელსაც ახლა ხედავდა, საზარლად გამოიყურებოდა. ნაგვიანი იყო, მყრალი, ბნელი, ბინძური. ერთი სკამი იდგა ჩალისა, ერთი გატეხილი მაგიდა, რამდენიმე გატეხილი თეფში და ოთახის ორ კუნჭულში - ორი დამტვრეული, ენით რომ ვერ გამოუთქვამ, ისეთი უბადრუკი საწოლი. ეს იყო მოწყობილობა ამ ოთახისა, გასანათებლად პატარა ფანჯარა ჰქონდა ოთხმინიანი, აბლაბუდით მოფენილი. საკმაო სინათლე შემოდიოდა ამ ფანჯარაში საიმისოდ, რომ მოჩვენებად გადაექცია ადამიანის სახე. კეთროვანის დამუწუკებულ სახეს მოაგონებდა კაცს დასერილი კედლები, და თან მყრალად დასველებული. კედლებზე ნახშირით უშნოდ დაეხატათ უწმაწური სურათები.

მარიუსის ოთახს ფილაქანი ეგო, თუმცა ზოგან დამტვრეული! ამ ოთახში კი არც ფილაქანი იყო, არც იატაკი. გაჯი ეყარა, უკვე გაშავებული ბოძებშუა და ზედ ნაფეხური აჩნდა. ძირს ეყარა დახეული წინდები, დაფხრეწილი ფეხსაცმელი და საზიზღარი ჩვრები. მაგრამ ამ ვითომ ოთახს ბუხარი ჰქონდა და ამიტომ იყო, რომ წელიწადში ორმოც ფრანკს ქირას სძენდა პატრონს. რა გინდათ, რომ ამ ბუხართან არ ყოფილიყო: მაყალი, ტაფა, ქვაბი, დამტვრეული ჯამები, პატარა გალია, ბუხარში ნაცარი იყო და ცოტა ცეცხლი, ორი მუგუზალიც ბოლავდა.

ერთი რამ იყო, რაც უფრო საზარელს ხდიდა ამ ოთახს, - მისი სიდიდე. უშველებელი დარბაზი იყო, კედლების შვერილებით, კუნჭულებით, შავი ორმოებით, ჭერქვეშით, ყურეებითა და კონცხებით. ამიტომ მრავალი მიუვალი კუთხე მოიპოვებოდა ოთახში, სადაც განცხრომაში უნდა ყოფილიყვნენ მუშტისოდენა ობობები, იმოდენივე ტენის ჭიები და იქნებ უფრო უარესი და საშინელიც.

ერთი ტახტი კართან იდგა, მეორე - ფანჯარასთან. ორივე ბუხარს ეხებოდა ბოლოებით და პირდაპირ უდგა მარიუსის საჭვრეტელ სარკმელს.

ერთ კუნჭულში, მარიუსის საჭვრეტლის ახლოს, კედელზე შავი ხის ჩარჩოიანი სურათი ეკიდა, რომლის ქვემოდან მსხვილი ასოებით ეწერა სიტყვა „სიზმარი“. დახატული იყო ერთი მძინარე ქალი მძინარე ბავშვით. ბავშვს დედის მუცელზე ეძინა. ღრუბლებიდან არწივი მოჩანდა გვირგვინით და ქალი ხელს იქნევდა მძინარე, რომ შვილისთვის აეცდინა ეს გვირგვინი. იქვე ნაპოლეონი მოჩანდა ბრწყინვალებით მოსილი, ერთ დიდ ლურჯ სვეტს მიჰყუდებოდა, რომლის თავზე იყო წარწერა:

მარენგო,

აუსტერლიცი,

იენა,

ვაგრამი,

ელოუ.

ამ სურათის ქვეშ კედელზე მიეყუდებინათ ხის ჩარჩო, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი. ამ სურათის ჩარჩო უნდა ყოფილიყო, პირით კედელზე მიყუდებული, ან ფანჯრის, ან სარკის ჩარჩო, იქ, კედელთან დროებით მივიწყებული.

მაგიდაზე საწერ-კალამი მოჩანდა, ქაღალდი. იქვე მიმჯდარიყო ერთი კაცი, ასე სამოცი წლისა, პატარა, გამხდარი, გალურჯებული, დაღვრემილი. ცბიერი თვალი ჰქონდა, მოუსვენარი და საშინელი.

ნამდვილი საზიზღარი არამზადა.

ლაფატერს რომ ენახა ეს პატარა კაცუნა, ქორს დაინახავდა დავა ქართან შეერთებულს; სისხლით გაუმაძღარი ფრინველი და ხრიკიანი ავსებდნენ და ასაძაგლებდნენ ერთმანეთს; შარიანი ადამიანი საზიზღრად ხდიდა ქორს და მოსისხლე ქორი საშინლად ხდიდა ადამიანს.

გრძელი ჭაღარა წვერი ჰქონდა. დედაკაცის პერანგი ეცვა, მაგრამ ვერ შეეკრა, ბანჯგვლიანი გაღეღილი მკერდი უჩანდა და შიშველი, ბანჯგვლიანი მკლავები. ტალახში ამოსვრილი შარვალი უჩანდა პერანგის ქვეშიდან და ძველი წაღებიდან გამოყოფილი ტიტველი თითები.

პირში ჩიბუხი ედო და ნაფაზით სწევდა; ლუკმაპური აღარსად იყო ამ ოთახში, მაგრამ თუთუნი კი მოიპოვებოდა ჯერჯერობით.

იჯდა და წერდა, ალბათ იმის მსგავს წერილს, მარიუსმა რომ წაიკითხა.

მაგიდის ერთ მხარეს ძველი, წითელყდიანი წიგნი მოჩანდა, დახეული, ძველებურ ოდენობისა, ერთი მეთორმეტედი თაბახისა, რომლითაც ბეჭდავდნენ საბიბლიოთეკო წიგნებს. ეს ოდენობა ამტკიცებდა, რომ რომანი უნდა ყოფილიყო. ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა:

„ღმერთი, მეფე, დიდება და ქალები - თხზულება დუკრეიდუმინილისა 1814“.

წერდა კაცი და თან ხმამაღლა თავის თავს ელაპარაკებოდა, მარიუსს ესმოდა:

- როგორ არა ვთქვა? მკვდრებისთვისაც კი არ არის თანასწორობა! აბა, პერ-ლაშეზის სასაფლაო ნახეთ. დიდებულები, რომლებიც მდიდრები არიან, სულ ზევით ბრძანდებიან, აკაციის ხეივანში, მოკირწყლულში, ისე, რომ სულ ეტლებით მობრძანდებიან იქ მშვენიერი გზით. სხვები კი, საწყალი ხალხი, უბედურები, სულ ქვევით არიან, სადაც მუხლამდე ტალახია, გაუვალი. ამ ტალახში მარხავენ საწყალ ხალხს, რომ უფრო მალე დალპნენ. თუ გაგიწყრა ღმერთი და მიხვედი ვისიმე საფლავის სანახავად, იქნებ ვეღარც კი ამოძვრე ამ ტალახიდან.

კალამი დადო, მუშტი დაჰკრა მაგიდას და კბილების ღრჭენით წამოიყვირა:

- ოჰ, ქვეყანას გადავყლაპავდი!

ერთი უზარმაზარი დედაკაცი იჯდა ბუხართან მოკეცილი, ფეხშიშველა, შესაძლებელი იყო ორმოცი წლიდან ასამდე მიეცათ მისთვის.

მასაც პერანგი ეცვა და კაბა, მრავალგან დაკერებული წვრილ სხვადასხვა ფერის ნაჭრებით. მსხვილი ტილოს გულსაფარი უმალავდა კაბის ნაწილს, თუმცა იჯდა და მოღუნულიყო, მაგრამ მაინც შეატყობდით, რომ ძალიან მაღალი ტანის დედაკაცი უნდა ყოფილიყო. ქმართან შედარებით ბუმბერაზი იყო სწორედ. ჟანგისფერი თმა ჰქონდა, ჭაღარაშერეული, რომელზედაც ხშირად ისვამდა ტლანქ და ბრტყელფერჩხილება ხელს.

გვერდზე, მიწაზე ერთი გაშლილი წიგნი ედო, იმავე ოდენობისა, როგორიც ზემოთ აღწერილი, ალბათ გაგრძელება იმავე რომანისა.

ერთ საწოლზე მარიუსმა პატარა ქალი დაინახა, მაღალი ტანისა, გაყვითლებული. თითქმის ტიტველი იჯდა საწყალი, ფეხები ძირს დაეშვა და ეტყობოდა, არც რასმე ხედავდა, არც რა ესმოდა, თითქოს ცოცხალი არ ყოფილიყო.

უმცროსი და უნდა ყოფილიყო, მარიუსთან რომ მოვიდა, იმ ქალისა.

თერთმეტის ან თორმეტი წლისას ჰგავდა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, დარწმუნდებოდით, რომ თოთხმეტისაც იყო. ეს ის გოგო გახლდათ, წინაღმეს ბულვარზე რომ იძახდა, - ისე მოვკურცხლე! ისე მოვკურცხლეო.

ნაგვიანევი განვითარების ჯიშისა უნდა ყოფილიყო: მოზარდს არავითარი ზრდა არ ეტყობა კარგა ხანს და მერე უცბად აიყრის ტანს. სიღარიბე ქმნის ასეთ მცენარესავით ნაგვიანევ ადამიანს. ამგვარ ბავშვს არც ბავშვობა აქვს და არც სიყრმე. თხუთმეტი წლისა თერთმეტი წლისას ჰგავს და თექვსმეტი წლისა უკვე ოცისას. დღეს პატარა გოგოა საცოდავი და ხვალ ერთბაშად დედაკაცი ხდება. იტყვით, სიცოცხლის გადალახვას ცდილობს, რომ მორჩეს და მოისვენოსო.

ამჟამად ჯერ ბავშვის შეხედულება ჰქონდა.

საერთოდ კი, იმ ოთახში არავითარი ნიშანი არ ჩანდა შრომისა და საქმისა; არც რამე ხელსაწყო იყო, არც ქარგა, არც დაზგა. ერთ კუნჭულში დამტვრეული რკინა ეყარა, ისიც საეჭვო. მწარედ დაღვრემილი სიზარმაცე გამეფებულიყო ამ ოთახში, შედეგი სასოწარკვეთილებისა და წინამორბედი სულთაბრძოლისა.

ცოტა ხანს სინჯა მარიუსმა ეს გულსაკლავი ბინა, უფრო მეტად საშინელი, ვიდრე სამარე, რადგან აქ ფეთქავდა სული ადამიანისა და თრთოდა სიცოცხლე.

სხვენი, სარდაფი, მიწისქვეშა ორმოები, ეს ქვემო ნაწილი ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილებისა, სადაც თავშესაფარს პოვებს გაჭირვებული ადამიანი, ჯერ კიდევ ნამდვილი სასაფლაო არ არის; ეს არის მხოლოდ მისი კარიბჭე. როგორც მდიდარმა კაცმა იცის, მთელ თავის სიმდიდრეს გამოფენს ხოლმე წინა დარბაზში, ისე სიკვდილმა იცის, რომელიც გვერდით უდგას სიმდიდრეს: თავის წინ დარბაზში აგროვებს უკიდურეს გაჭირვებას.

კაცი გაჩუმდა, დედაკაცი არ ლაპარაკობდა. პატარა ქალი ისე იჯდა, თითქოს აღარც კი სუნთქავსო. კალმის ფხაჭნაღა ისმოდა ქაღალდზე.

და უცბად წამოიყვირა კაცმა, თან წერდა:

- არამზადები! არამზადები! არამზადობაა ყველგან გამეფებული!

ამ სიტყვაზე, სოლომონ ბრძენის წამოძახილის შეცვლილ სიტყვაზე, მწარედ ამოიკვნესა ცოლმა.

- დამშვიდდი, გენაცვალე, - მიმართა ქმარს, - ნუ შფოთავ, ჩემო კარგო, ნეტავი შენ, რომ თავს იმცირებ და წიგნსა სწერ ვიღაც არამზადებს.

გაჭირვებამ იცის, ისე მიეკვრიან ხოლმე ტანით ერთმანეთს უბედურები, როგორც ყინვაში; ტანით ეკვრიან, მაგრამ გულით კი შორდებიან. ამ დედაკაცს, ცხადი იყო, უნდა ჰყვარებოდა ოდესღაც ქმარი, მაგრამ სიღარიბესა და მით გაწყალებულ გულიდან წამოძახილ საყვედურებს ჩაექრო სიყვარული. ამ დედაკაცს გულში დამწვარი სიყვარულის ფერფლიღა დარჩენოდა. მაგრამ საალერსო სიტყვები კი, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, აქამდე არ დავიწყდებოდა, და ძველებურად უძახდა: საყვარელო, ჩემო კაცო, გენაცვალე და სხვ. პირი იძახდა, გული კი გაჩუმებული იყო.

ისევ წერას შეუდგა კაცი.

## თავი მეშვიდე
## სტრატეგია და ტაქტიკა

ის იყო ჩამოსვლას აპირებდა გულშეჭირვებული მარიუსი, რადგან სარკმლიდან უკვე ნახა, რის ნახვაც ასე უნდოდა, რომ მისი ყურადღება კარის გაღების ხმამ მიიქცია და იქვე შეაჩერა.

უცბად შემოაღეს ჟონდრეტის ოთახის კარი.

უფროსი ქალი შემოვიდა.

კაცის დიდრონი მაშიები ეცვა, მთლად ამოსვრილი ტალახში, ტანზე ერთი ძველი, დახეული წამოსასხამი ეხურა. მარიუსთან რომ იყო წეღან, ეს წამოსასხამი არ ჰქონდა; ალბათ გარეთ დატოვა, კართან, არ შეიტანა, რომ უფრო შებრალებოდა მარიუსს და მეტი მიეცა. რომ გავიდა, აიღო, წამოისხა და ისე წავიდა მოხუცებულის საძებნელად.

შევიდა ქალი ოთახში, კარი მიიხურა, ერთ წამს გაჩერდა სულის მოსაბრუნებლად, რადგან ძლივსღა სუნთქავდა დაქანცული, და მერე დაიყვირა გამარჯვებით გახარებულმა:

- მოდის!

მამამ შეხედა, დედა ქალისკენ მიბრუნდა. პატარა გოგო არც კი შეინძრა.

- ვინა? - ჰკითხა მამამ.

- ბატონი!

- კეთილისმყოფელი?

- ჰო.

- სენ-ჟაკის ეკლესიელი?

- ჰო.

- ის ბებერი?

- ჰო.

- მალე მოვა?

- მე მომდევს.

- დარწმუნებული ხარ?

- დარწმუნებულიც და მეტიც.

- მაშ, მართლა მოდის?

- ეტლით.

- ეტლით? როტშილდი ყოფილა, რაღა!

წამოდგა მამა.

- როგორ თუ დარწმუნებული? თუ ეტლით მოდის, როგორ მოხდა, რომ შენ უფრო ადრე მოხვედი? ხომ კარგად უთხარი ჩვენი მისამართი? ხომ უთხარი, რომ მარჯვენა ტალანის უკანასკნელი კარი არის ჩვენი? კარი რომ აერიოს, დავიღუპები კაცი! მაშ, ეკლესიაში ნახე? წაიკითხა ჩემი წერილი? ხომ არაფერი გითხრა?

- ო-ჰო-ჰო! როგორ მიაჭენებს ვაუბატონი! - უთხრა ქალმა, - აი, როგორ იყო: შევედი საყდარში და მაშინვე დავინახე. იქ იყო, თავის ალაგას, სადაც ყოველთვის არის. მივედი, რევერანსი გავუკეთე და წერილი მივეცი. წაიკითხა და მკითხა: - სადა დგახართ, შვილო? - მეც კარგად ვუპასუხე: - აი, ბატონო, მე მიგიყვანთ. - არა, თქვენი მისამართი მომეცითო. ჩემს ქალს ცოტა რამ სავაჭრო აქვს. ეტლს დავიჭერ. მოვისაქმებთ და იქნებ თქვენზე ადრეც მივიდე თქვენსაო. - მისამართი ავუხსენი. სახლი რომ დავუსახელე, თითქოს შეკრთა, რაღაცას ყოყმანობდა, მერე მითხრა: - სულერთია, მოვალო. - წირვა რომ დასრულდა, დავინახე, ერთად გამოვიდნენ ის და

მისი ქალი, მერე ეტლში ჩასხდნენ, მგონია. სამჯერ ვუთხარი, - მარჯვენა ტალანის უკანასკნელი კარი.

- მერე რადა გგონია, რომ მოვა?

- პტი-ბანვიეს ქუჩაში დავინახე ის ეტლი და მოვრბივარ!

- რა იცი, რომ იმათი ეტლი იყო?

- ის ვიცი, რომ ნომერი დავიხსომე.

- რა ნომერია?

- ოთხას ორმოცი.

- ძალიან კარგი, ჭკვიანი გოგო ხარ.

გოგომ თვალი თვალში გაუყარა მამას, აჩვენა, კაცის ფეხსაცმელები რომ ეცვა და გადაჭრით უთხრა:

- ჭკვიანი გოგო ვარ? ძალიან კარგი, მაგრამ იცოდე, რომ მე ამ მაშიებს აღარ ჩავიცვამ! აღარ მინდა! პირველი, - ჯანმრთელობისთვის და მეორე სისუფთავისთვის. გულს მიწყალებს ამის ამძვრალი ლანჩა! ფეხი ტალახში მიდგას! დავდივარ და ქვეყანას ესმის ამის ჭყაპა-ჭყუპი, ბარემ ფეხშიშველი ვიარო, ის არა სჯობია?!

- მართალი ხარ, - მიუგო მამამ ტკბილი ხმით, მიუხედავად იმისა, რომ ისე გაბედულად უტევდა ქალი, - მართალი ხარ, მაგრამ საყდარში რომ აღარ შეგიშვებენ? როგორ შეიძლება ფეხშიშველი მიხვიდე ღმერთთან? - დაუმატა მწარე ღიმილით. მერე ისევ იმას მიუბრუნდა, რაც საიმედო იყო და ჰკითხა:

- ისე, რომ ეჭვიც არა გაქვს, ჰა? უთუოდ მოვლენ?

- უკან მომდევს-მეთქი, გეუბნები.

- არ გეყურება, დედაკაცო? ფილანტროპი მოდის! გააქრე ცეცხლი.

დედაკაცი არც კი გაინძრა, ისე იყო განცვიფრებული ამ ბრძანებით.

ყმაწვილი ბიჭის სისწრაფით მივარდა მამა ბუხარს, აიტაცა ერთი თავმომტვრეული ქოთანი და წყალი დაასხა ორ მუგუზალს.

მერე უფროს გოგოს უბრძანა:

- შენ ეი, ჩალა ააგლიჯე ემაგ სკამს!

ქალმა ვერაფერი გაიგო ამ ბრძანებისა.

ახლა სკამს მივარდა, ჩაჰკრა ფეხი და შიგ გაიყვანა. ფეხს რომ იღებდა, ისევ უფროსს მიმართა კითხვით:

- ძალიან ცივა გარეთ?

- ყინავს, თოვლი მოდის.

ახლა უმცროსს მიუბრუნდა, რომელიც უძრავად იჯდა ტახტზე ფანჯარასთან, და დაიღრიალა:

- აღარ ადგები, შე მუქთახორავ?! რა უქნარაა ეს არდასაცალებელი, ესა! აბა, ჩქარა! ჩაამტვრიე ეგ შუშა!

წამოვარდა პატარა ქალი, კანკალებდა საწყალი.

- შუშა გატეხე-მეთქი, არ გეყურება?!

პირღია შეჰყურებდა გოგო, ვერა და ვერ გაეგო, რას უბრძანებდა მამა.

- რა ღმერთი გაგიწყრა, გოგო! დაყრუვდი, თუ რა დაგემართა? ეგ შუშა ჩაამტვრიე-მეთქი!

იმისთანა კილოთი იყო თქმული ეს სიტყვა, რომ შიშის მეტი აღარა გაეგებოდა გოგოს. მიირბინა ფანჯარასთან, თითის წვერებზე შედგა და მუშტი ჰკრა შუშას. შუშა ჩაიმტვრა და ხელიც დაიჭრა საწყალმა.

- აგრე! - მოუწონა მამამ.

აჩქარებით მბრძანებლობდა მამა, მკაცრად, მოუთმენლად. თვალი გადაავლო ოთახს, ყველა კუნჭული გასინჯა.

მხედართმთავარივით იდგა და ათვალიერებდა ბრძოლის ველს, რომ ყველა საჭირო განკარგულება მიეცა დროულად ჯარისთვის ბრძოლის დაწყების მოლოდინში.

დედას აქამდე ხმა არ ამოეღო. ახლა კი წამოდგა და ნელა, მიყრუებული ხმით, თითქოს პირშივე ეყინება ყოველი სიტყვაო, ქმარს მიმართა:

- ერთი გამაგებინე, ძვირფასო, რას აპირებ?

- ლოგინში ჩაწექი!

ისეთი კილოთი იყო ნათქვამი ეს ბრძანება, რომ მორჩილების მეტი აღარა გაუვიდოდა რა ქალბატონს. დაწვა და საბანი წაიხურა.

ამ დროს ქვითინი გაისმა ერთ კუნჭულში.

- რა იყო? რა მოხდა? - შეჰყვირა მამამ.

უმცროსი ქალი იდგა კუნჭულში და ქვითინებდა. პასუხის მაგივრად ხელი დაანახვა, თქრიალით სდიოდა სისხლი.

ახლა დედამ წამოიწია და ყვირილი დაიწყო:

- სულ შენი ბრალია! რაღაცას მიედ-მოედები და თვითონაც არ იცი, რა გინდა. შუშა გაატეხინე და ხელიც თან მიაყოლა საწყალმა გოგომ.

- ჰოდა, მეც ეგ მინდოდა, - მოკლედ მოუჭრა ქმარმა.

- რაო? შენც ეგ გინდოდა?

- ჩუმად! - შეჰყვირა ქმარმა, - მე ვსპობ პრესის თავისუფლებას! - მერე პერანგი ჩამოიხია, ცოლის პერანგი, ზედ რომ ეცვა, და ჩამონახევით ხელი შეუხვია პატარა ქალს.

კარგად შეუხვია ხელი, მერე დახეული პერანგი გასინჯა და კმაყოფილება დაეტყო.

- პერანგიც კარგად არის, - წამოიძახა სიამოვნებით, - ძალიან კარგად არის ყველაფერი.

ცივი ქარი გრიალებდა გარეთ და გატეხილი ფანჯრიდან შედიოდა ოთახში. ქარს ნისლი შემოჰყვა და თეთრ, რბილ, ხელშეუხებელ ბამბად მოედო იქაურობას. თოვლი მოდიოდა. გუშინ, მირქმას, მზე რომ სიცივეს დაგვპირდა, აასრულა კიდეც დაპირება.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მამამ ყველას და ყველაფერს, ხომ არაფერი დამავიწყდაო! აქანდაზი აიღო, მოაგროვა ნაცარი და ჩამქრალ, დასველებულ მუგუზალს დააყარა, რომ მთლად ჩაემალა წეღანდელი ცეცხლი.

მერე ბუხარს მიეყრდნო და თქვა:

- აი, ახლა კი მზად ვართ ფილანტროპის მისაღებად.

## თავი მერვე
## მზის სხივი ღრმა ორმოში

მამასთან მივიდა უფროსი ქალი, ხელი დაადო ხელზე და უთხრა:

- ხედავ, როგორ მცივა?

- ეეჰ, - შეუტია მამამ, - მე უფრო მეტად მცივა!

ვეღარ მოითმინა დედამ და შეუტია ქმარს:

- შენ ყოველთვის ჩვენზე მეტი გხვდება ყველაფერი, გაჭირვებაც კი!

- ჩუმად!

იმნაირი ხმით უბრძანა კაცმა, ისეთი თვალით გადახედა, რომ ჩააჩუმა მეუღლე.

მიჩუმდა ცოტა ხნით ყველა. უფროსი ქალი ტალახს აცლიდა წამოსასხამს, უმცროსი ისევ ტიროდა. წამოიწია დედამ. მოეხვია პატარას, გულში ჩაიკრა, კოცნა დაუწყო და თან ეხვეწებოდა:

- ნუ, შვილო, ნუ, გენაცვალოს დედა! ნუღარ ტირი, თორემ მამას გააჯავრებ.

- არა! - შეჰყვირა მამამ, - პირიქით, ატირე! ქვითინით იტირე, ქვითინით! რაც შეიძლება მწარედ!

მერე უფროსს მიუბრუდნა:

- რა ღმერთი გაუწყრა, რატომ არ მოდის? არა, რომ არ მოვიდეს? ცეცხლი ჩავაქრე, სკამი წავახდინე, პერანგი დავიხიე, შუშა გავტეხე და ასე ამაოდ ჩამიაროს ამოდენა ხარჯმა?

- და ხელი წაუხდინე გოგოს! - წაიდუდუნა დედამ.

- მერე როგორ ყინავს! ლამის გავიფიჩხო ამ ოხერ ფარღალალაში! არა, რომ არ მოვიდეს! ან რად იკადრებდა დროზე მოსვლას? დიდი კაცია და უნდა მალოდინოს! ზის სადმე არხეინად და ფიქრობს, - იმისთვის არის გაჩენილი ღარიბი, რომ მდიდარს შესციცინებდესო. ოჰ, როგორ მძულს, როგორ მეჯავრებიან ეს მდიდრები! როგორ ამოვწყვეტდი დედაბუდიანად! და რა ნეტარება მეწვეოდა, რა სიხარული, რა ზეიმი, მდიდრების ამოწყვეტას რომ მოვესწრებოდე! ოინბაზები და არა კეთილისმყოფელნი! თვალთმაქცები! თვეში სამოცჯერ ეზიარებიან, წირვა-ლოცვას არ დააკლდებიან, ხალხის მატყუარა მღვდლების თაყვანისმცემელნი, რომ ტკბილი ქადაგებით თვალი აუხვიონ საწყალ ხალხს. ჩვენ ვინა ვყრივართ? რაც არიან, მდიდრები არიან! მდიდრები არიან, ფულით დიდებულნი! ჩვენი შეურაცხმყოფელნი! მოეთრევიან, გადასაგდებ ძველისძველს გვაჩუქებენ რამეს, ან გამხმარ პურს გადმოგვიგდებენ, და თავი მოსწონთ თავიანთი ქველმოქმედებით. მე თქვენი ნასუფრალი კი არ მინდა, თქვე არამზადებო, თქვენა! მე თქვენი ფული მინდა, თქვენი სიმდიდრე! ფული მინდა, ფული! აბა, ფულს როგორ მოგვცემენ? ხომ მაშინვე შევჭამთ! მაშინვე დავითრობით! ჩვენისთანა ლოთებს და უქნარებს ფულს მისცემენ? და თვითონ რაღა ბრძანდებიან, ერთი ჰკითხოს კაცმა? განა შრომით სიმდიდრე შეიძინება? სულ ნაქურდალი აქვთ, რაცა აქვთ! ან როგორ გამდიდრდებოდნენ, რომ არ მოეპარათ და ხალხი არ გაეფცქვნათ? ერთ ხალიჩაზე უნდა მოაქციოს კაცმა საზოგადოება, ასწიოს ოთხივ კუთხით და ზღვაში გადაუძახოს! მთლად დაიღუპება ყველაფერი, მართალია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ აღარც მდიდარი იქნება, და აღარც ღარიბი? რა ვქნა, რას შვრება შენი ღორისდინგიანი კეთილისმყოფელი? რატომ არ მოშავდება? იქნებ ჩვენი მისამართი დაავიწყდა იმ გამოყრუებულ ბებერს! დაგენაძლევებით, რომ იმ უტვინო ბებერს...

ამ დროს კარზე დაუკაკუნეს ოდნავ. მაშინვე კარისკენ გადახტა მამა, გაუღო, პატივისცემით ღრმად დაუკრა თავი და შესძახა ტკბილი ღიმილით:

- მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! ღირსჰყავით ჩემი ბინა თქვენი და თქვენი მშვენიერი ასულით!

ერთი მოხუცებული კაცი გამოჩნდა კარში და ერთი ყმაწვილი ქალი.

მარიუსი ისევ იქვე იდგა და ყველაფერს ხედავდა. ადამიანის ენას არ ძალუძს გამოთქვას, რა იგრძნო ამ დროს მარიუსმა.

ეს ის იყო!

ვისაც ჰყვარებია, მან იცის, რა ნეტარი და სხივმოსილია ეს ორი ასო „ის“.

ის იყო! ისეთი სხივი მოჰფინა მისმა შემოსვლამ მარიუსს, რომ ძლივსღა გაერჩია იგი, ის ვარსკვლავი, რომელიც უნათებდა ამ ექვსი თვის განმავლობაში! იგივე თვალები, იგივე შუბლი, იგივე ბაგე, იგივე მშვენიერი სახე, რომელმაც დღე დაუბნელა, როდესაც მიემალა. ჩვენება გაქრა, მაგრამ აგერ, ხელახლა მოევლინა!

მაგრამ აქ როგორ გაჩნდა? ამ ბნელეთში, ამ საზიზღარ ოთახში, ამ საშინელებაში?

შიში მოერია მარიუსს, კანკალებდა. როგორ? ის არის? ისე უცემდა გული, რომ თვალს უბნელებდა. ცოტა კიდევ და ცრემლს ვეღარ შეიკავებდა. როგორ? ისევ ხედავდა ამდენ ხანს დაკარგულს! მერე როგორ ეძებდა! ეს ქალი კი არა, სული დაჰკარგვოდა თავისი და აგერ, იპოვა!

ისევ ისე მშვენიერი იყო ქალი, ოღონდ ფერი წასვლოდა ოდნავ. ლამაზ სახეს ხავერდის ქუდი უმშვენებდა. შავ ატლასის ქათიბში წერწეტად მოჩანდა მისი წელი, გრძელი კაბა ვერ ჰფარავდა მის კოხტა, კოპწია ფეხს.

ბ. ლებლანიც თან ახლდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ოთახში ბ. ლებლანმა და მაგიდაზე დადო ერთი მოზრდილი პაკეტი.

ჟონდრეტის უფროსი გოგო კართან ატუზულიყო და შურით სავსე თვალით შესცქეროდა ქალის ხავერდის ქუდს, მის აბრეშუმის ქათიბს და მის მშვენიერ, ბედნიერ სახეს.

## თავი მეცხრე
## ლამის იტიროს ჟონდრეტმა

იმდენად ბნელი იყო ეს ოთახი, რომ გარედან შემოსულს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბნელ სარდაფში ჩასულიყოს. ახალმოსულებიც დიდი სიფრთხილით მოიწევდნენ წინ, ძლივს არჩევდნენ ოთახის მოწყობილობას. ჟონდრეტს, მის ცოლსა და ქალებს ისე ჰქონდათ თვალი მიჩვეული, რომ მშვენივრად ხედავდნენ და დაკვირვებით სინჯავდნენ მოხუცებულსაც და იმის ქალსაც.

ბ. ლებლანი მივიდა ჟონდრეტთან, დაღონებული, მაგრამ კეთილი თვალით შეხედა და უთხრა:

- აი, ბატონო, ცოტა რამ მოგართვით ამ პაკეტით, ცოტა ტანისამოსია, ახალი. წინდები და თბილი შალის საბნები.

- სიკეთით გვავსებს თქვენი ქველმოქმედება! - წამოიძახა ჟონდრეტმა და თავი დაუკრა. ისე მოიხარა, კინაღამ მიწას დაჰკრა თავი. მერე უფროს ქალს მივარდა და, მანამ მოსულები ამ საძაგელ ბინას ათვალიერებდნენ, აჩქარებით ჩასჩურჩულა ყურში:

- ნახე? მე რაღას ვამბობდი? ჩვრები მოიტანეს და არა ფული; სულ ასეთები არიან! მართლა, ამ გამოყეყეჩებულს რომ წიგნი მივწერე, გვარი რა მოვაწერე?

- ფაბანტუ, - მიუგო ქალმა.

- დრამატული არტისტი, ძალიან კარგი!

სწორედ დროზე გაახსენდა ჟონდრეტს თავისი გვარი, რადგან ამ დროს მიუბრუნდა ლებლანი და ეტყობოდა მასაც დავიწყებოდა:

- მართლა საცოდავ მდგომარეობაში ყოფილხართ, ბატონო, ბატონო...

- ფაბანტუ! - წასძახა ჟონდრეტმა.

- ბატონო ფაბანტუ, დიახ, ახლა მომაგონდა....

- დრამატული არტისტი, ბატონო, ერთ დროს საკმაოდ სახელოვანი...

ეტყობოდა, სწორედ შესაფერისად ეჩვენა ჟონდრეტს ეს დრო, რომ ხელთ ეგდო თავისი ქველმოქმედი: მოახსენა არტისტის წარსული; მოახსენა იმ ხმით, რომელშიც შერეულად ისმოდა ბაზრის მასხარის საკუთარი თავით აღტაცება და ქუჩაში ხელგაწვდილი მათხოვრის თავმდაბლობა:

- ტალმას მოწაფე! დიახ, ბატონო, სახელოვან ტალმას მოწაფე გახლავართ მე უბედური. იყო დრო, ბატონო, მეც მიღიმოდა ბედი, მაგრამ ვაი, რომ ბედს უბედობა მოჰყვება! ხომ ხედავთ, ჩემო მხსნელო, არც პური გვაქვს, არც ცეცხლი გვინთია. ერთადერთი სკამიღა შემრჩენოდა, ისიც ჩალაჩაგლეჯილი! ფანჯარაში გატეხილი შუშა! მერე ამ ყინვაში ჩემი მეუღლეც ავადმყოფი! რამდენი ხანია, ლოგინად არის ჩავარდნილი!

- საწყალი ქალი, - შეებრალა ლებლანს.

- ეს გოგო გახლავთ და, ისე აქვს ხელი წამხდარი, რომ...

იმ გოგოს ისე მოსწონებოდა მოხუცებული და მისი ყმაწვილი ქალი, რომ ხელიც დავიწყდებოდა, ტირილიც, იდგა და შესცქეროდა გაშტერებული.

ახლა მას მივარდა მამა და ჩასჩურჩულა:

- იტირე, იღრიალე, შე!..

მისწვდა და ხელში უჩქმიტა, სწორედ იქ, სადაც დაჭრილი ჰქონდა. კარგი, დახელოვნებული ოინბაზი ვერ მოახერხებდა ასე სწრაფად და შეუმჩნევლად ოინის მოწყობას.

საშინლად შეჰკივლა გოგომ.

სათაყვანო ყმაწვილი ქალი, რომელიც მარიუსს გულში „თავის ურსულად“ მიაჩნდა, მიუახლოვდა მტირალს და ალერსით მიმართა:

- საბრალო გოგონავ!

- უნდა მოგახსენოთ, მშვენიერო ქალბატონო, - დაიწყო ჟონდრეტმა, - დასისხლიანებული აქვს მთელი მაჯა ამ უბედურს. ქარხანაში მუშაობდა, რომ დღეში ექვსი სუ მიეღო. დიახ, ქალბატონო, ექვსი სუ დღეში, და უცაბედად მანქანის ჩარხი მოხვდა ხელში. შეიძლება კიდეც მოსაჭრელი გაუხდეს.

- ნუთუ მართლა? - ჰკითხა შეშინებულმა მოხუცმა.

პატარა ქალს ეს სიტყვა მართლად ეჩვენა და ქვითინი დაიწყო.

- ვაი, რომ ასე ცუდად გახლავთ საქმე, ჩემო კეთილისმყოფველო!

ელაპარაკებოდა ჟონდრეტი ბ. ლებლანს და თან თვალს არ აშორებდა. უცნაური დაჟინებით აჩერდებოდა. ისე ათვალიერებდა, თითქოს ცდილობს რაღაც აღიდგინოს მეხსიერებაშიო. მოხუცებული და მისი ქალი რომ პატარა გოგოს შემოეხვივნენ, მტირალის დასამშვიდებლად, ის ცოლთან მივარდა, რომელიც დამწუხრებული თვალით გამოიყურებოდა ლოგინიდან, და სწრაფად უთხრა ჩუმად:

- კარგად დაუკვირდი ამ კაცს!

მერე ისევ ლებლანს მიუბრუნდა და განაგრძო მოთქმა-ჩივილი:

- აი, ბატონო, ამ პერანგის მეტი არა მაბადია რა და ისიც ჩემი მეუღლისა მაცვია, მთლად დახეული ამ ყინვაში. სახლიდან ვერ გავსულვარ, რადგან ტანისამოსი არა მაქვს. ცოტა რამ ტანსაცმელი რომ მქონდეს, წავიდოდი, ქალბატონ მარსს ვნახავდი, რომელიც კარგად მიცნობს და ძალიანაც ვუყვარვარ. მგონი, ისევ იქ უნდა ცხოვრობდეს, ტურ-დამის ქუჩაზე. ერთად ვთამაშობდით პროვინციაში. მეც მერგებოდა ხოლმე მასთან ერთად დაფნის გვირგვინი. სელიმენი შემეწეოდა, ბატონო, ელმირი დაეხმარებოდა ბელიზერს. მაგრამ აღარც ელიმირია, აღარც ბელიზერი! აღარაფერი! ერთი სუ არ მოიპოვება ჩემს ჯიბეში! ცოლი ავად მყავს და სუ არ მომეპოვება! ჩემს ქალიშვილს ხელი უხმება და სუ არ მომეპოვება! სული ეხუთება ჩემს მეუღლეს, წლოვანებას მოსდევს, ბატონო, და ახლა ნერვებიც აშლილი აქვს! მოვლა უნდა, წამლობა უნდა. მასაც და ჩემს გოგონასაც! მაგრამ ეს ექიმებიო, ეს წამლებიო! უფულოდ ვინ რას მომაქვავებს? აკი მოგახსენებთ, ერთი სუ არსადა გდია ამოდენა სახლში. ისე ვართ გაჭირვებული, რომ მუხლს მოვიყრიდი შავი ფულის წინაშე.

- აი, ბატონო, რა მდგომარეობაში გახლავთ ხელოვნება! და იცით კი, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, და თქვენც ჩემო გულუხვო მფარველო, სიკეთითა და სათნოებით აღსავსენო, იცით კი, სად გნახათ ჩვენდა საბედნიეროდ ჩემმა ქალმა? ეკლესიაში, ბატონო, რომელსაც ავსებთ თქვენი მადლიანი სურნელებით, და სადაც ყოველდღე სალოცავად დადის ჩემი ქალი. დიახ, ბატონო, მე ჩემი შვილების სარწმუნოებრივ აღზრდას ვცდილობ. არ მინდა, ბატონო, რომ თეატრისკენ ქნან პირი. ოჰ, თუ ღმერთი გაუწყრათ და ცოტაც არის, ფეხი წაუსხლტათ სადმე! მე ხუმრობა არ მიყვარს! სულ იმას ჩავჩიჩინებ, რომ პატიოსნება შევაგნებინო, ზნეობა, სათნოება! ასე, ბატონო, სწორი გზით უნდა იარონ ჩემმა შვილებმა. მადლობა ღმერთს, მამა ჰყავთ! უპატრონო უბედურები კი არ არიან, რომლებიც იმით იწყებენ, რომ პატრონი არა ჰყავთ და იმით ასრულებენ, რომ ყველას ირთავენ. არა, ბატონო, ფაბანტუს ოჯახი მაგას ვერ აიტანს! პატიოსნად აღზრდილ ჩემს შვილებს, ზნეობრივ წმინდად და ღვთისმოსავად, და ვერ წარმოიდგენთ, ბატონო, ჩემო ღირსეულო ბატონო, რა უბედურება მომელის ხვალ? ხვალ 4 თებერვალი გახლავთ, უკანასკნელი ვადა, ჩემი სახლის პატრონის მიერ დანიშნული. თუ ამაღამ მთლად არ ჩავაბარე ქირა, ხვალ დილით მე, ჩემი უფროსი ქალი, ჩემი ავადმყოფი ცოლი, ჩემი ხელწამხდარი ქალი განდევნილნი ვიქნებით ამ ოთახიდან და ქუჩაში ვეყრებით უბინაოდ. ცის ქვეშ ამ ყინვასა და თოვლში! აი, ბატონო, ჩემი განკითხვის დღე! ერთი წლის ქირა მმართებს, მთელი სამოცი ფრანკი!..

ტყუოდა ჟონდრეტი. წლისაც რომ მართებოდა, სულ ორმოცი ფრანკი იქნებოდა, მაგრამ წლისაც არ უნდა ყოფილიყო, რადგან ნაწილი მარიუსმა გადაუხადა.

ბ. ლებლანმა ჯიბიდან ხუთი ფრანკი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

ამით ისარგებლა ჟონდრეტმა და ყურში ჩასძახა თავის ქალს:

- არამზადა! რას მეყოფა მაგისი ხუთი ფრანკი? ჩემს სკამს ვერ ამინაზღაურებს და გატეხილ შუშას! ამოდენა ხარჯს ხუთი ფრანკით დაჰფარავს?

ამასობაში ლებლანმა გაიხადა პალტო და სკამის ზურგზე გადაკიდა. პალტოს ქვეშ სხვა პალტო სცმოდა. მერე ჟონდრეტს უთხრა:

- ამ ხუთი ფრანკის მეტი თან არ მაქვს. მაგრამ შინ მივიყვან ჩემს ქალს და ამ საღამოს კიდევ გნახავთ. ხომ ამ საღამოს უნდა ჩააბაროთ ქირა თქვენს სახლის პატრონს?

უცნაური სიხარული დაეტყო ჟონდრეტის სახეს და სწრაფად მისცა პასუხი:

- დიახ, ჩემო კეთილისმყოფელო. რვა საათზე ჩემს სახლის პატრონთან უნდა ვიყო.

- მაშ, მე ექვს საათზე მოვალ და სამოც ფრანკს მოგიტანთ.

- თქვენა ხართ ჩემი მხსნელი! - შეჰყვირა ჟონდრეტმა.

და ერთხელ კიდევ წასჩურჩულა ცოლს:

- კარგად დააკვირდი ამ კაცს!

ბ. ლებლანმა ხელი დაუჭირა თავის ქალს და კარისკენ მიბრუნდა.

- მაშ, საღამომდე, მეგობრებო!

- ექვს საათზე? - შეეკითხა ჟონდრეტი.

- სწორედ ექვს საათზე!

ამ დროს თვალში ეცა ჟონდრეტის უფროს ქალს სკამის ზურგზე გადაკიდებული პალტო და შეჰყვირა:

- პალტო დაგავიწყდათ, ბატონო, აგერ, სკამზე!

საშინელი თვალით გადახედა ჟონდრეტმა თავის ქალს და თან მხრები აიჩეჩა. რომ შესძლებოდა, მეხს დასცემდა თავისი თვალით.

ბ. ლებლანი მობრუნდა და უპასუხა ღიმილით:

- არ დამავიწყდა, აქ ვტოვებ.

- ოჰ, ჩემო მფარველო, ჩემო დიდებულო ქველმოქმედო! - შეჰყვირა კუონდრეტმა, - ლამის ვიტირო მე უბედურმა! ნება მიბოძეთ, ეტლამდე მიგაცილოთ.

- თუ აგრე გინდათ, ეგ პალტო ჩაიცვით, თორემ მართლა ძალიან ცივა.

მეორედ კი აღარ გაამეორებინა ჟონდრეტმა, მივარდა, უცბად ჩაიცვა პალტო
და ერთად გავიდნენ სამნი, წინ ჟონდრეტი მიუძღოდათ.

## თავი მეათე
## ეტლის ნიხრი: საათში ორი ფრანკი

ამ სცენისა არაფერი გამოეპარა მარიუსს, თუმცა, სწორედ რომ ვთქვათ, არა დაუნახავს. იგი თვალს არ აშორებდა სატრფოს. ქალის დანახვა და მარიუსის გამოცოცხლება ერთი იყო, მაგრამ თვალიც ზედ დარჩა და გულიც. შესცქეროდა საყვარელ არსებას და იმ ნეტარებას შეეპყრო, რომელიც ყოველივე მატერიალურს ავიწყებს ადამიანს, და მთელი მოსაზრებით მიაქანებს ერთ მხარისკენ. შესცქეროდა ქალს კი არა, ატლასის ქათიბითა და ხავერდის ქუდით მოკაზმულ ელვარებას, და თვით მზეც რომ შემოსულიყო ამ დროს ოთახში, ისიც ვერ დააბრმავებდა ასე.

ახალგაზრდა ქალი პაკეტს ხსნიდა და ტანისამოსსა და საცვალს უშლიდა დედასა და ხელშეხვეულ ქალს, თან ალერსიანად ელაპარაკებოდა მათ. მარიუსი ჯაშუშივით თვალს ადევნებდა ყოველ მის მოძრაობას, ყურს უგდებდა ყოველ მის სიტყვას; კარგად იცნობდა მის თვალებს, ბაგეს, მის სილამაზეს, წერწეტ წელს, მაგრამ ჯერ ხმა არ გაეგონა მისი. ერთხელ ბაღში თითქოს მოესმა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ დარწმუნებული კი არ იყო, რომ მისი სატრფოს ნათქვამი იყო ეს სიტყვები, სიცოცხლეს

არ დაიშურებდა, რომ გაეგონა როგორმე ამ ანგელოზის ხმა და გულში ჩაემარხა ეს მუსიკა. მაგრამ ყველაფერს აყრუებდა და ფარავდა ჟონდრეტის ქება-ვედრება და მოთქმა-ჩივილი. აღტაცებული იყო მარიუსი და თან გაბრაზებული, რომ მის ნეტარებას ხელს უშლიდა ეს არამზადა. გახელებული შესცქეროდა ყმაწვილ ქალს და თან თავს ეკითხებოდა, ნუთუ მართლა ის არის, ის ღვთაებრივი ქმნილება ამ საზიზღარ, საშინელი სიბინძურითა და ვერაგობით აღსავსე ადამიანებში? ისე ეჩვენებოდა იქაურობა, თითქოს გვრიტი ჩარეულიყოს ჯოჯოხეთში.

ოთახიდან რომ გავიდნენ, ერთადერთი სურვილი დაეუფლა მარიუსს, თან გაჰყოლოდა, კვალდაკვალ მიჰყოლოდა, თვალი არ მოეშორებინა, ვიდრე მის ბინას არ მიაგნებდა, და არამც და არამც აღარ დაეკარგა ასე სასწაულებრივად ნაპოვნი. ჩამოხტა კომოდიდან და ხელი სტაცა ქუდს. ის-ის იყო, კართან მივიდა, უნდა გაეღო, და იქვე შეაყენა ერთმა ფიქრმა: ტალანი გრძელი იყო, კიბე - ბნელი ჩასასვლელი, ჟონდრეტი - ყბედი და, ცხადი იყო, ბ. ლებლანი ჯერ ეტლთან არც კი იქნებოდა მისული. ერთიც ვნახოთ, უკან მოიხედა ტალანში, ან კიბეზე, და მარიუსი დაინახა! მარიუსი ამ სახლში! შეძრწუნდებოდა, რაღა თქმა უნდა, და კიდევ მოახერხებს რასმე, რომ ახლაც ისევე მიემალოს. არა, ეს არ ივარგებს, მაგრამ რა ქნას? ცოტა მოითმინოს? კარგი, მაგრამ ეტლი რომ წავიდეს ამ ლოდინში? ყოყმანობდა მარიუსი. ბოლოს გაბედა, გავიდა თავისი ოთახიდან.

ტალანში აღარავინ იყო. კიბისკენ გაიქცა. აღარც კიბეზე დახვდა ვინმე! საჩქაროდ ჩაირბინა. გავიდა ქუჩაში და სწორედ დროზე მიასწრო, პტი-ბანკიეს ქუჩისკენ ჩაუხვია ეტლმა და პარიზისკენ წავიდა.

მარიუსიც ამ მიმართულებით მიჰყვა ჩქარი ნაბიჯით. ქუჩის კუთხეს რომ მიატანა, თვალი მოჰკრა ეტლს, რომელიც სწრაფად მიდიოდა მუფტარის ქუჩაზე; ძალიან შორს იყო, შეუძლებელი იყო, ვეღარ მიჰყვებოდა. სირბილითყ ხომ არ გამოუდგებოდა? ეგეც რომ არ ყოფილიყო, შენიშნავდნენ ეტლიდან, რომ ვიღაც მისდევთ სირბილით. ბ. ლებლანი იცნობდა მაშინვე, და თავს შეირცხვენდა ტყუილ-უბრალოდ. ამ ფიქრში რომ იყო, პატარა ეტლი დაინახა ცარიელი. საკვირველი შემთხვევა. ღმერთმა მოხედა სწორედ. უებარი საშუალება იყო, საშიშროებას არაფერს წარმოადგენდა და ბედს ეწეოდა მარიუსი.

ეტლი გააჩერა.

ყელსახვევი არ შემოეხვია მარიუსს. ძველი, საშინაო ტანისამოსით გამოსულიყო, ღილებგახსნილი, რადგან ზოგან სულაც აღარა ჰქონდა ღილები. დახეული პერანგი უჩანდა გულზე.

გააჩერა ეტლი. თვალი მოხუჭა მეეტლემ, მარცხენა ხელი გაუშვირა მარიუსს და თან სალოკ თითს ცერზე ისვამდა.

- რა გინდათ? - ჰკითხა მარიუსმა.

- წინდაწინ ფული, - მოკლედ მოუჭრა მეეტლემ.

მაშინ მოაგონდა მარიუსს, რომ ჯიბეში სულ თექვსმეტი სუ დარჩენოდა.

- რამდენი?

- ორმოცი სუ.

- დავბრუნდებით და მაშინ მოგცემთ.

პასუხის მაგივრად მეეტლემ დაუსტვინა და მათრახი გადაჰკრა ცხენს.

გულწასულივით შეჰყურებდა მარიუსი თავის იმედგაცრუებას.

ოცდაოთხი სუ აკლდა და ამ ოცდაოთხი სუს გამო კარგავდა სიხარულს, ბედს, სიყვარულს! მზემ გაუღიმა წამით და ისევ ბნელში ვარდება! თვალი აეხილა წამით და ისევ დაბრმავდა! მწარე სინანულით მოაგონდა ის ხუთი ფრანკი, დილით რომ მისცა იმ უბედურ ქალს. ის ხუთი ფრანკი რომ ჰქონოდა, აღდგებოდა კაცი, ხელახლა დაიბადებოდა, თავს დააღწევდა წყვდიადს, თავს დააღწევდა მარტოობას, სულიერ მწუხარებას... თავისი ავბედობის შავ ზონარს გადააბამდა მის თვალწინ გაელვებულ ოქროს თოკს, მაგრამ ვაი, რომ იგი ხელახლა ხელიდან გაუსხლტა! შინ დაბრუნდა გულჩათხრობილი.

რომ სცოდნოდა ლებლანი დაჰპირდა ჟონდრეტს - ამ საღამოს კიდევ მოვალ და ფულს მოგიტანო, - მაშინ შეეძლო უფრო კარგად მომზადებულიყო წადილის ასასრულებლად, მაგრამ არაფერი გაუგონია, ისე იყო გართული ქალის ცქერით.

ის-ის იყო, შინ უნდა შესულიყო, რომ ქუჩის მეორე მხარეს, ერთ მიყრუებულ სახლის კედელთან ჟონდრეტი დაინახა, „ფილანტროპის“ მოტანილი პალტო ეცვა. ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა საეჭვო სახისას, ერთ იმათგანს, რომლებიც შეხედულებით მოსარიდებელნი არიან, სიტყვით - ვერაგნი და აზრით - ბოროტნი. მთელ დღეს ძილში ატარებენ, რომ ღამე უფრო კარგად იშრომონ. ერთ ამგვარ მეგობარს ელაპარაკებოდა ჟონდრეტი.

თოვდა, ბარდნიდა და ამ სიცივეში ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა ეს ორი კაცი, რომ აღარც ყინვა ახსოვდათ და აღარც თოვლი. პოლიციელს რომ დაენახა, ეჭვი აღეძვროდა. მარიუსმა კი ყურადღებაც არ მიაქცია.

გულმოკლული იყო მარცხით, მაგრამ მაინც გაიკვირვა იმ კაცის დანახვა, ჟონდრეტი რომ ელაპარაკებოდა, რადგან ძალიან ჰგავდა ქურდბაცაცას, სახელად პანშოს, მეტსახელად გაზაფხულს, ანუ ბიგრნაილს, რომელიც კურფეირაკმა დაანახვა ერთხელ და უთხრა, რომ მას მთელი უბანი იცნობს საკმაოდ საშიშ ღამის რაინდადო.

ამ კაცის სახელი მოხსენებული იყო წინა წიგნში. ეს პანშო, მეტსახელად რომ გაზაფხულას და ბიგრნაილს ეძახდნენ, შემდგომ მსხვილ ქურდობასა და კაცის კვლაში იყო ჩარეული და ცნობილ გაიძვერად ითვლებოდა. ამ დროს კი კარგი, მოხერხებული ქურდი იყო. გავიდა ხანი მას შემდეგ, დღეს ქურდებში და ავაზაკებში ტრადიციად დარჩენილა მისი ვერაგობა. უკანასკნელ მეფის დროს მთელი სკოლა ჰქონდა ამ პანშოს ქურდების და ავაზაკებისა. ლაფორსის ციხეში ხომ სათაყვანოდ ჰქონდათ და სადიდებლად მისი სახელი. ამ ციხეში, სწორედ იმ ალაგს, სადაც დარაჯების გზის ქვეშ გათხრილია ფეხისალაგებიდან გამყვანი მილი, რომლითაც 1843 წელს დღისით გაიპარა ციხიდან ოცდაათი ტუსაღი, სწორედ ამ მილის ქვაზე მოჩანდა მისი სახელი - პანშო - უშიშრად გამოქანდაკებული ბრტყელ ქვაზე, როდესაც გაპარვას აპირებდა. 1832 წელს, პოლიცია თვალს ადევნებდა უკვე, მაგრამ ჯერ საამისო არაფერი ჩაედინა.

## თავი მეთერთმეტე
## სევდას სურს მიეშველოს სიღარიბეს

ნელი ნაბიჯით ავიდა კიბეზე მარიუსი. ის-ის იყო, უნდა შეეღო თავისი ოთახის კარი, რომ იქვე, ტალანში ჟონდრეტის უფროსი ქალი დაინახა, რომელიც თურმე უკან მოსდევდა. ჭირივით შეეჯავრა ეს გოგო. ეს გოგო იყო, რომ ჯიბეში ედო მისი ხუთი

ფრანკი! გვიანღა იყო, უკან ხომ არ გამოართმევდა მიცემულ ფულს. ეჰ, ეტლიც წასული იყო და კვალიც დაკარგული! და კიდეც რომ ეთხოვა, სულერთი იყო, აღარ დაუბრუნებდა.

ცხადი იყო, ამ გოგოს არ ეცოდინებოდა ბ. ლებლანის სახლი, რადგან ფაბანტუს გვარით ხელმოწერილი უსტარი სენ-ჟაკის საყდარში მიართვა ბატონ კეთილისმყოფელს, და არა სახლში.

შევიდა თავის ოთახში, კარი მოხურა, მაგრამ ვერ მოიხურა კარი. მობრუნდა და ვიღაცის ხელი დაინახა, - კარი ეჭირა.

- ვინ არის? რა გინდათ?

ჟონდრეტის ქალი იყო, უფროსი.

- თქვენ ხართ? - ჰკითხა უკმეხად მარიუსმა, - სულ თქვენ და თქვენ! რა გინდათ ჩემგან?

ჩაფიქრებულს ჰგავდა გოგო და არც კი უყურებდა მარიუსს. აღარ ეტყობოდა დილანდელი გამბედაობა. ოთახში არ შედიოდა და ბნელ ტალანში იდგა თავდაღუნული.

- რა ვქნა, არ მეტყვით, რა გინდათ ჩემგან?

ახედა ქალმა მიბნედილი თვალით, რომელშიც თითქოს რაღაც ნათელი მოჩანდა, და ალერსით უთხრა:

- დაღონებული ხართ, ბატონო მარიუს, რა დაგემართათ?

- მე?

- დიახ, თქვენ.

- მე არაფერი მომსვლია.

- როგორ არა?

- არა-მეთქი.

- მე კი ვხედავ, რომ რაღაც გაწუხებთ.

- თავი დამანებეთ!

კიდევ სცადა კარის მიხურვა, მაგრამ ამაოდ, მაგრად ეჭირა ქალს.

- ჰოდა, რაკი აგრეა, ცდებით, ბატონო მარიუს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიმდიდრის პატრონი არა ხართ, მაინც ძალიან გულკეთილი იყავით ამ დილას. მოდით ახლაც ისევე გულკეთილად მომექეცით. პურის ფული ხომ მომეცით. ახლა ის მითხარით, რა დაგემართათ? რაღაც გაწუხებთ, ცხადად ჩანს. მე არ მინდა, რომ თქვენ გაწუხებდეთ რამე. რომ არ ვიცი, როგორ აგაშოროთ ეს მწუხარება? იქნებ გემსახუროთ რაიმეთი? მიბრძანეთ, როგორ გემსახუროთ? მე თქვენი საიდუმლოება კი არ მინდა, - არც მინდა და ნურც მეტყვით, - არა, მე მინდა გამოგადგეთ რამეში. იქნებ თქვენც გიშველოთ, როგორც მამაჩემს ვშველი. თუ წერილებია დასატარებელი, ვისიმე ძებნა, ქუჩაში ხეტიალი, სახლიდან სახლში წოწიალი და კითხვა, - აქ ხომ არა დგას?.. ან კიდევ ვისიმე კვალდაკვალ დევნა, ყოველთვის მე ვეხმარები მამაჩემს. ჰოდა, ახლა თქვენც მითხარით; რა დაგემართათ, რა გაწუხებთ, მე მივალ და მოველაპარაკები. ხშირად მოხდება ხოლმე, მივა კაცი, მოელაპარაკება, გამოარკვევს ყველაფერს და ამით დააბოლოებს საქმეს. აი, თქვენი ვარ, მიმსახურეთ, როგორც გნებავთ.

ერთმა აზრმა გაუელვა მარიუსს: რა ხავსი უნდა იყოს, რომ იუკადრისოს წყალწაღებულმა?

მივიდა, მიუახლოვდა.

- გეყურება?..

თვალი გაუბრწყინდა ქალს და სიხარულით შეაწყვეტინა:

- ოჰ, აგრე, აგრე! შენობით მელაპარაკეთ! მე ეგ მირჩევნია.

- ძალიან კარგი, შენ მოიყვანე წეღან ის მოხუცებული კაცი და მისი ქალი?

- დიახ.

- იმათი სახლი იცი? იმათი მისამართი?

- არა.

- აბა, მიპოვე.

წეღან სიხარულით გაუბრწყინდა საწყალ ქალს მიბნედილი თვალი, და ახლა მთლად ჩაუქრა.

- მაშ, ეს გინდათ? იმათი სახლი?

- ჰო.

- იცნობთ?

- არა.

- მაშასადამე... თქვენ იმათ არ იცნობთ, მაგრამ გინდათ იმისი გაცნობა, არა? - ჰკითხა აღელვებულმა ქალმა.

ეს „იმათ“ თავისებურად გარდაქმნა საწყალმა და მწარედ, მნიშვნელოვნად წარმოთქვა სიტყვა „იმისი“.

- ჰო, შეგიძლია თუ არა?

- ბატონი ხართ, მე მოგართმევთ იმ კოხტა ქალბატონის მისამართს.

კოხტა ქალბატონიც იმავე სიმწარით წარმოთქვა. ეწყინა მარიუსს და შეუსწორა:

- იმათი მისამართი! მამის, ან ქალისა, განა სულერთი არ არის?

დააცქერდა მარიუსს გოგო.

- მერე რას მომცემთ?

- რასაც მოისურვებ.

- რასაც მოვისურვებ?

- დიახ!

- მაშ, მისამართს მოგართმევთ.

თავი დაღუნა. მერე სწრაფად გაიხურა კარი და წავიდა.

მარტო დარჩა მარიუსი.

მივიდა, მკვდარივით დაეშვა ლოგინზე და ისე იყო შეწუხებული, ისე მორეოდა ფიქრები, რომ ვეღარ იმორჩილებდა. თითქოს თავბრუ ეხვევაო. თვალწინ უდგა და ერთმანეთში ერეოდა იმ დილის სიტკბო და თან სამსალა: მოულოდნელად გამოეცხადა ანგელოზი და მაშინვე გაქრა. ახლა ამ გოგოს დაპირება და კვლავ იმედი ამ სევდით მოცულ გულს!

უცბად გონზე მოიყვანა ჟონდრეტის ყვირილმა.

გაბრაზებული ხმა მოესმა მეზობლისა, რომელიც ალბათ ცოლს უყვიროდა მარიუსისათვის ფრიად საინტერესო სიტყვებს:

- დედაკაცო, გეუბნები, ვიცანი და სწორედ ის არის!

ვის შეეხებოდა, ნეტავ ეს სიტყვა? ვინ იცნო ჟონდრეტმა? ბ. ლებლანი? „მისტ ურსულას“ მამა? როგორ? საიდან უნდა იცნობდეს ბატონ ლებლანს ჟონდრეტი? იქნებ ამ მოულოდნელი გზით მოიპოვოს საჭირო ცნობა, რომ დაიმშვიდოს გული და

სინათლე მოჰფინოს ჩაბნელებულ სიცოცხლეს? იქნებ გაუღიმოს ბედმა და გააგებინოს, ვინ არის ეს ქალი, ასე გაგიჟებით რომ უყვარს? ვინ არის მისი მამა? იქნებ მართლა სინათლე მოხვდეს იმ ბნელს, რომელშიც ლებლანი და მისი ქალი იმყოფება? უქნებ დახეულიყო იმათი რიდე? ოჰ, ღმერთო!

წამოვარდა, ახტა კომოდზე, აიტუზა წეღანდელვით და თვალი მიადო განგების სარკმელს.

ისევ ჟონდრეტის ოთახში იხედებოდა.

## თავი მეთორმეტე
## რაზე დაიხარჯა ბ. ლებლანის ხუთფრანკიანი

არაფერი შეცვლილიყო ჟონდრეტის ოჯახში, გარდა იმისა, რომ დედასა და ქალებს ბ. ლებლანის მიტანილი წინდები ჩაეცვათ და ბლუზები, ორივე გაშლილ ლოგინს კი ახალი საბნები ეფარა.

ეტყობოდა, ის-ის იყო დაბრუნებულიყო ჟონდრეტი. ძლივს სუნთქავდა კაცი. გოგოები ბუხართან, მიწაზე ისხდნენ და უფროსი ხელს უხვევდა უმცროსს. დედა ტახტზე დაშვებულიყო იქვე, ბუხართან და გაკვირვება ეტყობოდა სახეზე. მამა ჩქარი ნაბიჯით მიმოდიოდა ოთახში, უცნაური გამომეტყველება ჰქონდა სახისა.

ცოლს საერთოდ ძალიან ეშინოდა ქმრისა, მაგრამ, ეტყობოდა, ვეღარ გაუძლო ფიქრს და, როგორც იქნა, გაბედა, ეკითხა:

- მაშ ის არის? დარწმუნებული ხარ?

- დარწმუნებულიც ვარ და, თუ გინდა, მეტიც. რვა წელიწადია, ადამიანო, მას აქეთ და ვერ ვიცნობდი? დავინახე და მაშინვე ვიცანი. მაშ, თვალში არ გეცა ნაცნობი სახე?

- არა!

- რამდენჯერ გითხარ, კარგად დააკვირდი-მეთქი. არც ტანით გამოცვლილა, არც სახით; სიბერეც კი არ დასტყობია, რაც იყო, ის არის. ზოგმა იცის, სიბერე არ ეკიდება. არ ვიცი, როგორ ახერხებენ, დასწყევლოთ ღმერთმა! ხმაზე მაინც ვერ იცანი? დღეს უკეთ აცვია, ეს არის განსხვავება. მაშ, დაგიჭირე, შე ბებერო, ეშმაკის კერძო! ახლა მე ვიცი.

მერე ქალებს მიუბრუნდა:

- თქვენ, ეი! გასწით აქედან! - დაუღრიალა გოგონებს და ცოლს მიუბრუნდა, - თვალები არ გქონია, თორემ მაშინვე იცნობდი.

ქალები წამოდგნენ წასასვლელად.

დედამ ვეღარ მოითმინა:

- ახლა სად მიერეკები ამათ? თან დაჭრილი ხელით?

- ჰაერი მოუხდებათ, - უპასუხა ჟონდრეტმა, - აბა, გასწით!

ცხადი იყო, იმ კაცთაგანი უნდა ყოფილიყო ეს მბრძანებელი, რომელსაც ყველა ემორჩილება. კარი რომ გააღეს გასასვლელად, მამამ ხელი სტაცა უფროსს და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

- ხუთ საათზე აქ იქნებით ორივე. სწორედ ხუთ საათზე! დამჭირდებით.

სმენად იქცა მარიუსი.

მარტო რომ დარჩა ცოლთან ჟონდრეტი, ისევ სიარული დაიწყო ოთახში და ორჯერ-სამჯერ შემოუარა იქაურობას. გაჩუმებული დადიოდა. მერე გაჩერდა და კარგა ხანს ეწვალა, ვიდრე შარვალში ჩაიკეცავდა ცოლის გრძელ პერანგს.

უცბად მიუბრუნდა მეუღლეს, გულხელი დაიკრიბა და შეჰყვირა:

- იცი კიდევ რას გეტყვი? ის კოპწია ქალბატონი...

- რაო? ის ქალბატონიც იცანი?

ცას დაეწია მარიუსი. ცხადი იყო, მის სატრფოზე ლაპარაკობდნენ და გულისფანქცალით უგდებდა ყურს. ამ წამზე იყო დამოკიდებული მისი სიცოცხლე.

მაგრამ დაიხარა ჟონდრეტი და ჩუმად უთხრა რაღაც ცოლს, მერე წამოიწია და დაიძახა:

- ის არის, ის!

- ისა? - შეჰყურებდა განცვიფრებული სახით ცოლი.

- სწორედ ის!

შეუძლებელია გამოთქმა იმ აღშფოთებისა, რომლითაც დედაკაცმა წარმოთქვა სიტყვა - ისა? - განცვიფრებაც იყო, მძულვარებაც, გაბრაზებაც ერთმანეთში შერეული და ერთი სიტყვით გამოთქმული. რამდენიმე სიტყვა უთხრა ქმარმა ჩურჩულით ყურში, ალბათ ვინაობა ქალისა, და რამდენიმე სიტყვით უცბად გამოფხიზლდა ეს ტლანქი მძინარა. აქამდე საზიზღარი, ახლა საფრთხობელას დაემსგავსა.

- შეუძლებელია! - შეჰყვირა გაცოფებულმა, - ჩემი ქალები ფეხშიშველები დადიოდნენ, ერთი კაბის მეტი არა ჰქონდეთ, და იმას კი ატლასის პალტო, ხავერდის ქუდი და ის კოხტა ფეხსაცმელი?! ორასი ფრანკის ტანისამოსი აცვია და ახლა სხვა თქვი შენა! შეხედავ, ქალბატონი გეგონება! არა, ცდები! შეუძლებელია! თუ არა და, ის ხომ გონჯი იყო, ეს კიდევ ლამაზი ქალია, ასე როგორ გამოიცვლებოდა? არა, ეგ ის არ არის!

- ის არის-მეთქი, გეუბნები, არ ნახავ!

ასეთი დაბეჯითებით თქმული სიტყვა უდავო ჭეშმარიტებად მიიღო ცოლმა. წამოვარდა ჭარხალივით აწითლებული და შეშლილი თვალით მიაჩერდა ჭერს, თითქოს მუშტს უღერებს ზეცასო. ამწამს ეს დედაკაცი უფრო საზარლად ეჩვენა მარიუსს, ვიდრე მისი ქმარი. ეღორი იყო, ნამდვილი, ვეფხვის თვალებიანი.

- როგორ! ის საზიზღარი გამოპრანჭული ქალბატონი, ისეთი სიბრალულით რომ დასცქეროდა ჩემს ქალებს, ის ღვთის გლახა იყო? ოჰ, ერთი ხელში ჩამივარდებოდეს, რომ წიხლით გავთელო და ნაწლავები დავაყრევინო!

ერთ წამს იდგა თმაგაწეწილი, ნესტოებდაბერილი, პირდაღებული, მუშტმოღერებული: მერე ისევ ლოგინზე დაეცა. ქმარი კი მიმოდიოდა ოთახში, ყურადღებას აღარ აქცევდა ცოლს.

მცირე ხანს იყვნენ ასე გაჩუმებულები. მერე ცოლთან მივიდა ჟონდრეტი, დადგა მის წინ, გულხელი დაიკრიბა, როგორც წეღან იყო, და ჰკითხა:

- გინდა ერთი რამ კიდევ გითხრა?

- რა უნდა მითხრა?

პასუხი მოკლედ, ჩუმი ხმით გასცა:

- ახლა კი აღარაფერი გვიჭირს! ბედი გვეწია!

ცოლი დააშტერდა ჟონდრეტს. იმ თვალით შესცქეროდა, თითქოს უნდოდა გაეგო, - ხომ არ შეიშალა ეს უბედურიო.

ჟონდრეტმა განუმარტა ცოტა რამ:

- კმარა! კაი ხანია იმ ეკლესიის მრევლში ვარ, რომელსაც სახელად ჰქვია შიმშილით მოკვდი, თუ ცეცხლი გაქვს, და სიცივით მოკვდი, თუ პირი გაქვს! მეყოფა, მეტი აღარ მინდა! მომწყინდა ეს გაჭირვება და ვარამი! მე არ ვხუმრობ! მეყო ამდენი შიმშილი და წყურვილი! აღარ მინდა შენი იმედი და სასოება, ღმერთო მარადო! მინდა იმდენი ვჭამო, რომ გავძღე, იმდენი ვსვა, რომ კუჭი გავიბერო! აღარ მინდოდეს! ისე უნდა გავძღე, რომ აღარას ვნატრობდე! ვჭამდე, ვსვამდე საძღომისად! დღე და ღამე მეძინოს, აღარას ვაკეთებდე! აქამდე სხვა უჯდა მდიდრად მოკაზმულ სუფრას, ახლა მე უნდა მივუჯდე! ახლა ჩემი რიგია! მინდა, მილიონერი გავხდე, ვიდრე ფეხებს გავფშიკავდე! მეც მინდა მილიონი!

შემოუარა ოთახს და დაუმატა:

- როგორც სხვებს!

- ვეღარაფერი გამიგია შენი, - უთხრა ცოლმა, - რას ბოდავ, რას?

თავი გაიქნია ჟონდრეტმა. თვალი მოჭუტა და ხმა აიმაღლა, როგორც ბაზრის ოინბაზმა იცის ხალხის ყურადღების მოსაპოვებლად.

- ჩუმად! - შეაჩერა ცოლმა, - ნუ იცი ეგ ყვირილი! თუ საქმეზე მელაპარაკები, ნურავის გააგებინებ.

- ვის უნდა გავაგებინო, დედაკაცო? ჩვენს მეზობელს? წეღან ვნახე, წავიდა. შინაც რომ იყოს, შენ გგონია, გაიგებს რამეს ის ჩერჩეტი? ნუ გეშინია, შინ არ ბრძანდება.

ცოლმა თუ არა, ალღომ შთააგონა ალბათ და ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ იმდენად ჩუმად კი არა, რომ მარიუსს ვერ გაეგონა. ერთი გარემოება იყო, რომ ხელს უწყობდა მარიუსს: ქუჩაში დიდი თოვლი იდო, აყრუებდა ეტლის თვლების ხმას და უკლებლივ ესმოდა ცოლ-ქმრის დიალოგი.

აი, რა გაიგონა მარიუსმა:

- შენ ყური დამიგდე. ხელთა მყავს კრეზი, მახეში მიზის! გათავებულია საქმე. ნაღდი, ნაღდი! მოწყობილი მაქვს ყველაფერი. ბიჭები ვნახე, მოვამზადე. ამ საღამოს მობრძანდება, ექვს საათზე, სამოც ფრანკს მომცემს და თავს დაიძვრენს! ხომ ნახე, რა კარგად მივკიბ-მოვკიბე ჩემი სამოცი ფრანკიც, სახლის პატრონიც, 4 თებერვალიც! ის გამოტვინებული, ისა! ექვს საათზე მობრძანდება? სწორედ იმ დროს, როდესაც სადილის საჭმელად წავა ჩვენი მეზობელი. ბებერი ბუგონი სხვაგან გავგზავნე, შორს იქნება. არავინ არის სახლში. ჩვენი მეზობელი თერთმეტ საათამდე თავის დღეში არ დაბრუნებულა, გოგოებს დავაყენებ დარაჯად. შენც დაგვეხმარები და დავიყოლიებთ.

- და რომ ვერ დავიყოლიოთ?

- ვერ დავიყოლიებთ და ანდერძს ავუგებთ! - უპასუხა ქმარმა მუქარით და სიცილი დაიწყო.

ჯერ არ ენახა მარიუსს ჟონდრეტის სიცილი. ეს პირველი იყო. ცივი და ჩუმი სიცილი, რომლისგანაც ურუანტელი დაუვლიდა კაცს.

კედელთან მივიდა ჟონდრეტი, პატარა განჯინა გააღო, ამოიღო ძველი ქუდი, ხელით მოწმინდა მტვერი და დაიხურა.

- ახლა კი მივდივარ. ბიჭები უნდა ვნახო. მაგარი ბიჭები არიან. ნახავ, როგორ კარგად არის საქმე გაჩარხული. ვეცდები, რაც შეიძლება, მალე დავბრუნდე. ერთხელ კიდევ ჩემებურად და მერე აღარაფერი გვიჭირს. სახლი შენ გებარებოდეს.

ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო, ცოტა ხანს დაფიქრებული იდგა, მერე დაიძახა:

- რა გითხრა, იცი? ჩვენი ბედი, რომ ვერ მიცნო იმ ბებრუცუნამ! აბა, რაღას მოვიდოდა, რომ სცოდნოდა, ვინა ვარ! ეგეც ბედი! თორემ, რომ ვეცნე, ისე გამისხლტებოდა ხელიდან, რომ ხახამშრალი დავრჩებოდი. წვერმა მიშველა, ჩემმა რომანტიკულმა წვერმა. ჩემმა მშვენება - წვერმა!

და ისევ სიცილი დაიწყო.

ფანჯარასთან მივიდა, ჯერ კიდევ თოვდა.

პალტო ჩაიცვა, ღილებს იკრავდა და თან ლაპარაკობდა:

- მეტად განიერია ჩემი პალტო, მაგრამ მაინც ძალიან კარგი. ეს მაინც რომ მომიტანა იმ ბებერმა ქოფაკმა! ეს რომ არ მქონოდა, ვერსად წავიდოდი ამ სიცივეში, ვერავისა ვნახავდი და ჩამეშლებოდა საქმე. არა, კარგი ის არის, რომ თვითონვე მიადვილებს თავის ჩაძაღლებას!

ქუდი დაიხურა, შუბლზე ჩამოიფხატა და გავიდა.

ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, იქნებ კიბემდეც არ მისულიყო. შემოაღო კარი და შემოჰყო მხეცური, მაგრამ ჭკვიანი თავი:

- კინაღამ დამავიწყდა, - უთხრა ცოლს, - მაყალი მოამზადე, ნახშირიც საკმაოდ გქონდეს.

და ხუთფრანკიანი ჩაუგდო კალათაში, „ფილანტროპმა“ რომ მისცა.

- ახლა ნახშირი მაყიდვინე! რად გინდა?

- მინდა.

- ერთი კალათი იკმარებს?

- არა, ორი.

- ეგეც შენი ფრანკ-ნახევარი. დანარჩენისას სადილისთვის ვიყიდი რამეს.

- რა დროს სადილია!

- მაშ, მშივრები ვიყოთ?

- ეგ ფული არ დახარჯო.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ცოტა რამ მეც მექნება საყიდელი.

- რა?

- ეს მე ვიცი, რა.

- რამდენი დაგჭირდება?

- აქ რკინეულს არსად ჰყიდიან?

- მუფტარის ქუჩაზე.

- ოჰ, მართლა! კუთხეში, ვიცი, ვიცი!

- კაცო, არ მეტყვი, რამდენი დაგჭირდება? რამდენი შეგინახო?

- ორ-ნახევარი ან სამი ფრანკი.

- მერე სადილისთვის რაღა დარჩა?

- დღეს იმგვარი საქმე გვაქვს, რომ სადილი აღარ უნდა გაგონდებოდეს.

- კარგი, ძვირფასო.

კარი გაიხურა ჟონდრეტმა და კარგად გაიგონა მარიუსმა მისი ფეხის ხმა ტალანიდანაც და კიბიდანაც.

სწორედ ამ დროს დაჰკრა პირველი საათი სენ-მედარმა.

## თავი მეცამეტე

SOLUS CUM SOLO, IN LOCO REMOTO, NON COGITABUNTUR ORARE PATER NOSTER

ფიქრს გაეტაცა მარიუსი, მაგრამ, როგორც ვთქვით, მაგარი ხასიათის ბიჭი იყო, და ენერგიით სავსე. მარტოობით ყოფნამ და ფიქრების გაყოლამ ძალიან განუვითარა თანაგრძნობა და შებრალება გაჭირვებულისა, შეუნელა გაბრაზება, მაგრამ ბოროტებით აღშფოთება კი უკლებლად შეარჩინა. გულკეთილი იყო, ვით ინდოელი ბრაჰმა, და მკაცრი, ვით გულმართალი მსაჯული. ჯოჯო ებრალებოდა, მაგრამ შხამიან გველს კი ფეხით გასრესდა. და სწორედ შხამიანი გველის სოროში იყურებოდა პატარა სარკმლით, ბუნაგი იყო საზარელ ურჩხულისა, რომლის საშინელებას ვერც კი წარმოიდგენდა, რომ არ ენახა.

- აუცილებლად უნდა მოსპონ ეს არამზადები! - ფიქრობდა მარიუსი.

მოლოდინი არ გაუმართლდა, ვერაფერი გამოარკვია. გამოცანადვე დარჩა სულ ყველაფერი; პირიქით, ბნელს ბნელი მიემატა. არც არაფერი ბ. ლებლანისა იცოდა, არც მისი ქალის, თავისი პირველი სიყვარულისა. ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგონა ჟონდრეტისაგან ლუქსემბურგის ბაღის მშვენიერი ქალიშვილის და ლებლანის შესახებ, როგორც ის უწოდებდა. ცხადი იყო, მახეს უგებდნენ საწყალ კაცს, საშინელ მახეს. საშინელ განსაცდელს უმზადებდნენ მამას და ალბათ შვილსაც და ყოველი ღონისძიება უნდა მიეღო, რომ გადაერჩინა როგორმე საწყალი ქალი და მისი მამა. საჭირო იყო ჟონდრეტის ვერაგობის ჩაფუშვა, ამ ობობების აბლაბუდის დაშლა და დარღვევა.

ცოტა ხანს თვალი ადევნა ჟონდრეტის ცოლს, რომელმაც კუნჭულიდან ძველი თუნუქის ღუმელი გამოათრია და დამტვრეულ რკინებში რაღაცას ეძებდა.

დიდი სიფრთხილით ჩამოვიდა კომოდიდან მარიუსი, სულ იმას ცდილობდა, ხმა არ გამოეცა მის მოძრაობას.

თავზარდაცემული იყო ჟონდრეტის განზრახვით, შიშს ჰგვრიდა ამ განზრახვის ასრულების შესაძლებლობა და თან გრძნობდა სიხარულს, რომ იქნებ მოეხერხებინა როგორმე და ამ განსაცდელისგან ეხსნა სატრფო და მისი მოხუცებული მამა.

მაგრამ როგორ, რა მოახერხოს? შეატყობინოს, რას უპირებენ? სად იპოვოს? არც სახელი იცის იმათი, არც გვარი. წამით გაიცალა მის თვალწინ მშვენიერებამ და ისევ ისე ჩაიმალა პარიზის უსაზღვრო სიღრმეში. გარეთ დადგეს ექვს საათზე და ელოდოს ბ. ლებლანის მოსვლას, რომ იქვე, ქუჩაში შეატყობინოს, რა მახეში უნდათ მისი გაბმა? კარგი, მაგრამ ხომ დაინახავენ ჟონდრეტი და მისი მეგობრები? ისინი უფრო ბევრნი იქნებიან ამ მიყრუებულ ქუჩაში, დაიჭერენ, წაათრევენ სადმე, თუ მეტი არაფერი უყვეს, და რაღას დაეხმარება, ვისაც შველა უნდა? პირველი საათი დაჰკრა უკვე, მაშ ხუთი საათი კიდევ აქვს თავის განკარგულებაში.

ერთი რამ იყო შესაძლებელი:

საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა, ყელსახვევი შემოიხვია. ქუდი დაიხურა და ისე ფრთხილად, ისე ჩუმად გავიდა სახლიდან, თითქოს ფეხშიშველი იყო და ხავსზე დადიოდა.

ჟონდრეტის ცოლი ისე იყო გართული დამტვრეულ რკინებში რაღაცის ძებნით, რომ ვერას გაიგებდა, ხმაურითაც რომ გასულიყო მარიუსი.

გავიდა თუ არა, მაშინვე პტი-ბანკიეს ქუჩისკენ გაეშურა.

ერთ ადგილას ამ ქუჩის პირზე დაბალი კედელი აეგოთ. იმდენად დაბალი, რომ ზოგან ადვილად შეიძლებოდა ზედ გადახტომა. ცარიელი ადგილი იყო, უშენი. ნელი ნაბიჯით მიდიოდა მარიუსი თავისი მოუხერხებლობით შეწუხებული. გზაზე თოვლი იდო და აყრუებდა მის ფეხის ხმას. ერთ ადგილს, ამ დაბალ კედელს რომ მისდევდა, ჩუმი ლაპარაკი მოესმა, იქვე ახლოდან. მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა, არავინ იყო ქუჩაში. დღე იყო, კარგად ჩანდა ყველაფერი, კარგად ესმოდა ვიღაცის ხმა, ქუჩაში კი არავინ იყო.

მაშ კედლის იქიდან ისმის ეს ხმაო, - იფიქრა და გადაიხედა.

მართლაც ორი კაცი დაინახა, თოვლში ისხდნენ, ზურგი კედელზე მიედოთ და ჩუმად ლაპარაკობდნენ.

უცნობები იყვნენ. ერთი წვერიანი იყო, ხალათით. მეორე გაბურძგნილი, ნაფლეთებით მოსილი. წვერიანს ბერძნული არახჩინი ეხურა, მეორე თავშიშველი იყო და თოვლი ედო თმაზე.

ოდნავ წინ წასწია თავი მარიუსმა და ყური მიუგდო იმათ საუბარს.

გაბურძგნილმა ხელი წაჰკრა წვერიანს და უთხრა:

- მენაღმეები იყვნენ და წააგონ რამე? შენგან არ მიკვირს?

- მენაღმეებიც იქნებიან? - ჰკითხა წვერიანმა.

- ხუთას ფრანკს ჩავიჩხრიალებთ ჯიბეში, ხუთას ფრანკს სულზე! მარცხი მოგვივა... დიდი რამ არ არის! ხუთი წლით ციხე! თუნდაც ათი წლით იყოს! გამარჯვება გაბედულებამ იცის.

სციოდა წვერიანს, ცახცახებდა, თან ყოყმანობდა:

- არა, ძმაო, ძნელია, თავგანწირული უნდა იყოს კაცი, რომ ამ საქმეში ჩაერიოს.

- გეუბნები, საშიში არაფერია! ისეა მომზადებული ყველაფერი, ისეა გათვალისწინებული ყოველივე მოსალოდნელი, რომ ხუთასი ფრანკი ჯიბეში მიდევს! ანდერძს ავუგებთ იმ ბებრუცუნას!

მერე მელოდრამაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომელიც წინა ღამით ენახათ თეატრში.

თავის გზას გაუდგა მარიუსი.

მიდიოდა და დიალოგის მნიშვნელობას უფიქრდებოდა. თვითონაც არ იცოდა რად, მაგრამ რაღაც დამოკიდებულებას პოულობდა ჟონდრეტის ბოროტებასთან. ის უნდა ყოფილიყო ამ ორი მაწანწალის, თოვლში ჩაწოლილთა ჩუმად ნათქვამი „საქმე“.

სენ-მარსოს უბანში მივიდა. იკითხა, - სად ვნახო პოლიციის კომისარიო. მაშინვე ასწავლეს, - პონტუაზის ქუჩა #14, - და იქით წავიდა.

ხაბაზთან შევიდა. ორი სუს პური იყიდა და გზაში შეჭამა, რადგან იცოდა, იმ დღეს სადილისთვის ვერ მოიცლიდა.

მიდიოდა და მადლობას სწირავდა განგებას: - მე რომ დღეს დილით ხუთი ფრანკი არ მიმეცა ჟონდრეტის ქალისთვის, ბ. ლებლანის ეტლს გავყვებოდი და, მაშასადამე, ვერას გავიგებდი ამ საზარელი განზრახვისას. ხელის შემშლელი არავინ ეყოლებოდა ჟონდრეტს, ლებლანიც დაიღუპებოდა და მასთან ერთად, უეჭველია, მისი ქალიცო.

## თავი მეთოთხმეტე
## ორი დამბაჩა მარიუსს

მივიდა მარიუსი პონტუაზას ქუჩაზე, იპოვა #14, ავიდა მეორე სართულზე და ერთ მოხელეს უთხრა, - კიმისრის ნახვა მინდაო.

- ბატონი პოლიციის კომისარი აქ არ არის ამჟამად, მაგრამ ინსპექტორია მის მოადგილედ, თუ გნებავთ, ის ნახეთ. საჩქარო საქმე გაქვთ?

- ძალიან, - მიუგო მარიუსმა.

კომისრის კაბინეტში შეიყვანეს. მაღალი ტანის კაცი ღუმელს მიჰყუდებოდა მოაჯირის უკან და ორივე ხელით მაღლა აეწია სერთუკის კალთები. სახე ოთხკუთხა ჰქონდა, წვრილი, მაგარი ტუჩები, მსხვილი, ჭაღარაშერეული წვერი და იმისთანა თვალი, თითქოს ჯიბის გადმობრუნებას გიპირებთო. გულის სიღრმეში უძვრებოდა ადამიანს თავისი თვალით და იქ კიდევ ჩხრეკას აწარმოებდა.

ეს კაცი არაფრით ჩამოუვარდებოდა ჟონდრეტს, მასზე ნაკლებად საზარელი სახის გამომეტყველება როდი ჰქონდა. ზოგი ძაღლია, მგელზე უფრო საშიშია.

- რა გნებავთ? - მიმართა მარიუსს. სიტყვა ბატონო არ გაიმეტა.

- თქვენ ბრძანდებით, ბატონო, პოლიციის კომისარი?

- სხვაგან არის. მე ვასრულებ მის მოვალეობას.

- საიდუმლო საქმე მაქვს.

- მაშ, მითხარით.

- ძალიან საჩქარო.

- მაშინ ჩქარა მითხარით.

მშვიდს ჰგავდა ეს კაცი, გულწრფელს და ერთსა და იმავე დროს საშინელიც იყო, დამამშვიდებელიც; შიშსაც აღუძრავდა ადამიანს და ნდობასაც. მარიუსმა უამბო, რომ ერთ კაცს, რომელსაც ის არ იცნობს, თუმცა რამდენჯერმე დაუნახავს ბაღში, ამ საღამოს მახეში გაბმას უპირებენ. მახე დაგებულია მისი, ვექილ ბარონ პონმერსის ოთახის გვერდით და, რადგან ძალიან თხელი ძგიდე არის ორ ოთახშუა, ყური მოჰკრა მეზობლების ლაპარაკს და გაიგონა მათი განზრახვა, რომ მოთავე ამ ავკაცობისა არის მისი მეზობელი, სახელად ჟონდრეტი; კაცები ეყოლება დასახმარებლად, ქუჩაში მოხეტიალე ქურდები, სხვათა შორის, ერთი ვიღაც პანშო, მეტსახელად გაზაფხულა ან ბიგრნაილი; ჟონდრეტის გოგონები დარაჯად იდგებიან ქუჩაში; თვით არავითარი საშუალება არ ჰქონდა გაეფრთხილებინა როგორმე საწყალი ბერიკაცი, რადგან მისი არც გვარი იცის, არც სახელი; დღეს ექვს საათზე უნდა ასრულდეს ეს განზრახვა, რადგან ექვს საათზე უნდა მივიდეს ის უბედური ოპიტალის ქუჩა #50-52-ში.

ამ ნომრის ხსენებაზე ინსპექტორმა თავი მაღლა აიღო და გულგრილად თქვა.

- ტალანის ბოლოს, უკანასკნელ ოთახში?

- დიახ, ბატონო, - მიუგო მარიუსმა და თვითონაც ჰკითხა, - მაშ, იცით ეს სახლი?

მაშინვე არ უპასუხა ინსპექტორმა. წაღის ქუსლი ღუმლის კარს მიადო და უთხრა:

- ალბათ.

მერე განაგრძო, ოღონდ მარიუსს კი არა, თავის ყელსახვევს ელაპარაკებოდა სიტყვების ღეჭვით:

- მაშ, მენაღმეებიც ერევიან.

ამ სიტყვამ ქუჩაში გაგონილი მოაგონა მარიუსს და დაწვრილებით უამბო წვერიანისა და ბანჯგვლიანის ჩუმი საუბრის შესახებ, თოვლში რომ ისხდნენ პტი-ბანკიეს ქუჩაზე, კედლის უკან.

- ბანჯვლიანი ბრუჟონი უნდა ყოფილიყო, წვერიანი - ცალფულა, ესე იგი ცალმილიარდა.

წარბი მოიჭმუხნა და ჩაფიქრდა პოლიციელი.

- რაც შეეხება ბერიკაცს, მახეში გაბმას რომ უპირებენ, მგონი, მინახავს, ეჰ, აი კალთა დავიწვი! იმდენ შეშას შეუკეთებენ ხოლმე ამ საოხრე ღუმელს! ნომერი 50-52, გორბოსეული სახლი.

მერე მარიუსს გადახედა:

- იმ წვერიანისა და ბანჯგვლიანის მეტი არავინ გინახავთ?

- ისინი და პანშო.

- პატარა კაცი ხომ არ გინახავთ, კოხტად, მოხდენილად მოკაზმული?

- არა.

- არც ის გინახავთ, მსხვილი, უზარმაზარი, მუზეუმის სპილოს რომ ჰგავს?

- არა.

- არც ის მაწანწალა, წითელკუდა მაიმუნს რომ ჰგავს?

- არა.

- რაც შეეხება მეოთხეს, მას ვერავინ ხედავს, თვით მისი თანაშემწეები და მოსამსახურეებიც კი ვერ ხედავენ. აბა, თქვენ როგორ დაინახავდით?

- არა, არ დამინახავს. მერე ვინ არიან? იმათაც წილი უდევთ? - ჰკითხა მარიუსმა.

- ეგ დრო ხელსაყრელი არ არის მათთვის, - თქვა ინსპექტორმა და ისევ ჩაფიქრდა. ბოლოს თქვა თავისი:

- 50-52, ვიცი რა არის ეს სახლი. ჩვენ იქ ისე ვერ დავიმალებით, რომ არ დაგვინახონ იმ არტისტებმა; ბერიკაცს ვერაფრით დავეხმარებით, რადგან ამით გადადებული იქნება ვოდევილი, უფრო ხელსაყრელ დროს წარმოსადგენად. ისეთი მორცხვები არიან, რომ ხალხს ერიდებიან. არა, ეს არ ივარგებს! არა, არა! მინდა გავიგონო მათი სიმღერა და ერთი კარგად ავათამაშო!

ეს მონოლოგი რომ წარმოთქვა, მერე მარიუსს დააცქერდა და ჰკითხა:

- ხომ არ შეგეშინდებათ?

- რისა?

- იმ ავაზაკების?

- მე არც თქვენი მეშინია, - უპასუხა უკმეხად მარიუსმა, - და არც იმათი. - სწყინდა, რომ პოლიციელმა ერთხელაც არ მიმართა ზრდილობიანად, სიტყვით - ბატონო.

უფრო მეტად დააცქერდა ინსპექტორი და შთამაგონებელი კილოთი უთხრა:

- ვაუკაცურად ამბობთ მაგას და პატიოსნად. მამაცობას არ ეშინია ავკაცობისა და პატიოსნებას - მთავრობისა.

მარიუსმა შეაწყვეტინა:

- კარგი, მაგრამ რას აპირებთ იმ უბედურის დასახმარებლად?

ინსპექტორმა პასუხის მაგივრად კითხვა მისცა:

- თქვენი სახლის მდგმურებს გასაღები აქვთ ყველას, რომ ღამე სახლში შევიდნენ. თქვენც უნდა გქონდეთ ის გასაღები!

- დიახ, მაქვს.

- თან გაქვს?

- დიახ.

- აქ მომეცით.

ჯიბიდან ამოიღო გასაღები, მისცა ინსპექტორს და უთხრა:

- თუ მე მკითხავთ, სჯობია, თან მაგარი ბიჭები წამოიყვანოთ!

იმ თვალით გადახედა მარიუსს ინსპექტორმა, რა დაცინვითაც ვოლტერმა გადახედა ერთ პოლიციელ აკადემიკოსს, რომელმაც უთხრა, - ეს რითმა იხმარეთო.

ტლანქი ხელები უცბად ჩაიყო დიდრონ ჯიბეებში და ორი პატარა დამბაჩა ამოიღო, თითისტოლას რომ ეძახიან. მარიუსს მისცა ორივე და აჩქარებით, სხარტად დაუმატა დარიგებაც:

- ინებეთ! ახლა შინ წადით, დაიმალეთ თქვენს ოთახში. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შინ არა ხართ. გატენილია ორივე, ორ-ორი ტყვიით. თვალს არ მოაშორებთ, - პატარა სარკმელიაო, წეღან რომ მითხარით. მეგობრები მოუვლენ თქვენს მეზობელს. ნუ აჩქარდებით. დაიჭირონ ის ბერიკაცი, დატკბნენ თავიანთ ავკაცობით. ოღონდ როცა ნახავთ, რომ განსაცდელშია ის უბედური და დაიღუპება, თუ არ ვუშველეთ, დამბაჩას გაისვრით. ნუ აჩქარდებით, უკიდურესობამდე რომ მივა საქმე, მხოლოდ მაშინ. დანარჩენი - მე ვიცი. ისვრით ჭერში, ჰაერში, საითაც გინდოდეთ. ოღონდ ადრე არ მოგვიდეთ! ყური უგდეთ, თავიანთი განზრახვის ასრულებას რომ შეუდგნენ. თქვენ, როგორც ვექილმა, კარგად უნდა იცოდეთ, რომ არ უნდა ავჩქარდეთ, თუ გვინდა თვით მახის დამგებნი გავაბათ მახეში.

ჩამოართვა მარიუსმა დამბაჩები და ჯიბეში ჩაიდო.

- კუზივით არის გამოშვერილი, - შენიშნა ინსპექტორმა, - უბის ჯიბეებში ჩაიდეთ, თორემ ჩანს.

- ახლა კი, - განაგრძო ინსპექტორმა, - წამიც აღარ უნდა დავკარგოთ, თორემ შევრცხვებით. რომელი საათია? სამის ნახევარი? შვიდი საათისთვის არის დანიშნული?

- არა, ექვსისთვის.

- დრო მაქვს, - თქვა ინსპექტორმა, - მაგრამ ძლივს სამყოფი. არაფერი დაგავიწყდეთ, რაც გითხარით. თავის დროზე გაისროლეთ და მერე მე ვიცი.

- მაგისი ნუ გეშინიათ, არ ავჩქარდები.

მარიუსი რომ გამოეთხოვა და კართან მივიდა, ინსპექტორმა დაუძახა:

- მართლა, თუ იქამდე კიდევ დაგჭირდით რამეში, მოდით ან გამომიგზავნეთ ვინმე, ინსპექტორი ჟაფერი იკითხონ.

## თავი მეთხუთმეტე
## იარაღს იძენს ჟონდრეტი

ცოტა ხნის შემდეგ, სამი საათი იქნებოდა, კურფეირაკი და ბოსუე მიდიოდნენ შემთხვევით მუფტარის ქუჩაზე. ძალიან თოვდა. ბოსუე თავისებურად ხუმრობდა:

- ისე თოვს, თითქოს ზეცას ჭირი მოსდებოდეს და დედაბუდიანად ამოეწყვიტოს საწყალი თეთრი პეპლები.

და უცბად მარიუსი დაინახა, დაღვრემილი, ჩაფიქრებული.

- შეხედე! აგერ მარიუსი!

- მეც დავინახე, - უთხრა კურფეირაკმა, - მაგრამ, მოდი, თვალი ავარიდოთ.

- რათა?

- ალბათ აწუხებს რამე.

- რა უნდა აწუხებდეს?

- ვერ ხედავ, როგორი დაღვრემილია?

- მერე რა?

- ვიღაცას მისდევს, ეტყობა, აგრე დაღვრემა იმან იცის, ვინც მისდევს ხოლმე.

- შეიძლება.

- შენ მის თვალებს შეხედე.

- მერე ვის უნდა მისდევდეს?

- ლამაზ გოგოს, ტურფა ყვავილს. ვერ ხედავ, რომ გაგიჟებულია სიყვარულით.

- კარგი, მაგრამ აქ ვერც ლამაზ გოგოს ვხედავ და ვერც ტურფა ყვავილს ამ ყინვაში. აქ ქალის კაბაც არსად მოჩანს.

თვალი გააყოლა მარიუსს კურფეირაკმა და წამოიძახა:

- ვიღაც კაცს მისდევს!

მართლა ვიღაც კაცს მისდევდა მარიუსი, ჭაღარა წვერიანს, თავზე ქუდჩამოფხატულს.

ახალთახალი პალტო ეცვა, მეტად დიდი და განიერი და ძველი, დაფხრეწილი შარვალი, ტალახით გაშავებული.

სიცილი წასკდა ბოსუეს:

- ვინ უნდა იყოს ის კაცი? ნეტავ ვის მისდევს?

- ისა? პოეტი გახლავთ. პოეტები სიამოვნებით იცვამენ გლახის შარვალს კურდღლის ტყავისას და არისტოკრატიულ პალტოს.

- ერთი ვნახოთ, სად მიეხეტება მარიუსი! ან სად ჯანდაბას მიდის შენი პოეტი? მოდი, გავყვეთ.

- ბოსუე, - შეჰყვირა კურფეირაკმა, - მოელო არწივო! საკვირველი უმეცრება გჭირთ! როგორ შეიძლება მისდიოთ კაცს, რომელიც სხვას უთვალთვალებს?

და თავის გზას გაუდგნენ.

მარიუსს ჟონდრეტი დაენახა მუფტარის ქუჩაზე და შორიახლო მისდევდა, რომ ენახა, რას აპირებდა.

ჟონდრეტი კი გეგმას საზრავდა და რას წარმოიდგენდა, რომ მსტოვარი მისდევდა უკან.

მუფტარის ქუჩიდან გრაციოზის ქუჩაზე ჩაუხვია და იქ ერთ საშინელ ქოხში შევიდა. თხუთმეტ წუთამდე დარჩა იმ სახლში, მერე ისევ მუფტარის ქუჩაზე გავიდა. პერ-ლონბარის ქუჩის კუთხეში ერთი მაღაზია იყო იმ დროს, რკინეულობისა, და იქ შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა ქუჩაში, ხელში დიდი სატეხი ეჭირა რკინისა, თეთრი ხის ტარიანი, და პალტოში ჩაიდო. პტი-ჟანტილის ქუჩიდან მარცხნივ შეუხვია, გავიდა პტი-ბანკიეს ქუჩაზე. უკვე ბინდდებოდა. ისევ თოვდა. მარიუსი მიეფარა პტი-ბანკიეს ქუჩის კუთხეს. ქუჩაში, როგორც ყოველთვის, ადამიანი არსად ჩანდა. იქიდან კი აღარ მიჰყვა ჟონდრეტს და ძალიან კარგი, რომ აღარ მიჰყვა; სწორედ იმ დაბალ კედლამდე მივიდა ჟონდრეტი, სადაც მარიუსმა წვერიანისა და ბანჯგვლიანის ლაპარაკს მოჰკრა ყური, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მხედავსო. და როცა დარწმუნდა, არავინ მისდევდა, ისკუპა და ღობეს გადაევლო.

დიდი მიწა იყო შემოღობილი ამ დაბალი კედლით: შორს, უკან, ამ მიწის მეზობლად ერთი ეტლების გამქირავებლის ეზო იყო; ავი კაცის სახელი ჰქონდა

გავარდნილი. გაკოტრებულიყო, მაგრამ ფარდულის ქვეშ, ეზოში კიდევ ჰქონდა ძველი, დამტვრეული ეტლები.

მოისაზრა მარიუსმა, რომ ემჯობინებოდა, შინ მისულიყო, სანამ ჟონდრეტი გარეთ იყო. ექვსი საათიც მალე შესრულდებოდა. ბებერი ბუგონი, ყოველ საღამოს, სახლიდან რომ გავიდოდა, კარს დაკეტავდა. მარიუსმა თავისი გასაღები პოლიციის ინსპექტორს მისცა და, მაშასადამე, უნდა საჩქაროდ მისულიყო შინ, ვიდრე ბუგონი სახლში ეგულებოდა.

ბინდდებოდა, ბნელდებოდა. ცის სივრცეში, სადამდეც კი მისწვდებოდა თვალი, მზის სხივით გაშუქებული დისკოს გარდა აღარაფერი ჩანდა. ეს იყო მთვარე, ის სალპეტრიერის შენობის უკან წითლად ამოსულიყო.

ჩქარი ნაბიჯით მივიდა სახლთან, კარი ღია დახვდა. ფეხის თითებზე აიარა კიბე. ფეხაკრეფით, ჩუმად გადაჭრა ტალანი და თავის ოთახში შევიდა. ტალანის ორივე მხარეს ოთახები გამწკრივებულიყო, მაგრამ არც ერთი არ იყო იმ დროს გაქირავებული. ბებერი ბუგონი ამ ცარიელი ოთახების კარებს ყოველთვის ღიად სტოვებდა. და ერთი ოთახის კართან რომ გაიარა მარიუსმა, ბნელში ოთხი კაცი დაინახა, უძრავად მდგომნი. არ გაჩერებულა, რადგან არ უნდოდა, დაენახათ. ჩუმად, შეუმჩნევლად შევიდა თავის ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ ბებერი ბუგონის ხმა შემოესმა, უკვე მიდიოდა და სახლის კარიც ჩაკეტა.

## თავი მეთექვსმეტე
## ინგლისური სიმღერა 1832 წლის მოდურ მოტივზე

თავის საწოლზე ჩამოჯდა მარიუსი. ექვსის ნახევარი იქნებოდა. ნახევარი საათიღა აშორებდა იმას, რაც აქ უნდა მომხდარიყო. ისე ჩაესმოდა საკუთარი გულის ცემა, როგორც ღამით საათის ტაკატუკი. იჯდა და ფიქრობდა, როგორ მოვიდოდნენ და როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ამ ბნელში მიმალული ბოროტები და მთავრობა. არ ეშინოდა, მაგრამ თრთოლა აიტანდა ხოლმე, როგორც კი წარმოიდგენდა, რა საშინელების უნებლიე მონაწილე გახადა შემთხვევამ. კაცს რომ ასეთი მოულოდნელი რამ დაატყდება თავს, ის ვეღარც კი მიხვდება, ცხადია ეს თუ სიზმარი. სწორედ ამ მდგომარეობაში იყო მარიუსიც, - სიზმარივით ეჩვენებოდა მთელი დღე და წამდაუწუმ ხელს წაავლებდა ხოლმე ჯიბეში დამბაჩას, რომ ამ სიზმრისთვის თავი დაეღწია.

აღარ თოვდა. უფრო და უფრო სჯობნიდა ღრუბელს მთვარე და სინათლეს ჰფენდა ქვეყანას.

ჟონდრეტის ოთახშიც აენთოთ ცეცხლი, პატარა სარკმლიდან ალისფრად გამოდიოდა სინათლე და სისხლისფრად ეჩვენებოდა მარიუსს.

ცხადი იყო, ამგვარ სინათლეს ვერ გამოიღებდა სანთელი, მაგრამ არც მოძრაობა ისმოდა იქიდან, არც ლაპარაკი, არც სუნთქვა. მიჩუმებულიყო იქაურობა, გაყინული, მიმკვდარებული, და პატარა სინათლე რომ არ ყოფილიყო, აკლდამად ეჩვენებოდა ეს ოთახი.

ფრთხილად გაიხადა მარიუსმა ფეხსაცმელი და ტახტის ქვეშ შეაწყო.

რამდენიმე წუთი გავიდა, ქუჩიდან შემოსასვლელი კარის ხმა მოესმა, ვიღაც ამოვიდა მძიმე ნაბიჯით კიბეზე, გაიარა ტალანი, ჟონდრეტის ოთახის კარი გააღო. ეს ჟონდრეტი იყო.

მაშინვე გაისმა ხმაური. შინ ყოფილიყო მთელი ოჯახი, მაგრამ უფროსის მოსვლამდე ხმაგაკმენდილი ისხდნენ ყველანი, როგორც მგლის ლეკვები მამალი მგლის ლოდინში.

- მე ვარ, მე!

- ოჰ, მამიკოს გაუმარჯოს! - აწრიპინდნენ ქალები.

- ჰა, რას იტყვი? - ჰკითხა ცოლმა.

- რიგზეა ყველაფერი, ისე, როგორც მე მინდოდა, მაგრამ ფეხზე მცივა, ისე მცივა... ოჰ, კარგად მორთულხარ! ძალიან კარგი, ისე უნდა ეჩვენო, რომ მისი ნდობა გამოიწვიო.

- მზად ვარ. თუნდაც ახლავე წავალ, - უთხრა ცოლმა.

- ხომ არაფერი დაგავიწყდება, რაც დაგარიგე, ფრთხილად იქნები?

- ფიქრი ნუ გაქვს.

- ვაი თუ!.. - დაიწყო ჟონდრეტმა და აღარ დაასრულა.

მარიუსმა გაიგონა, რომ რაღაც მძიმე დადო მაგიდაზე, ალბათ სატეხი იქნებოდა, წეღან რომ იყიდა.

- მართლა! ჭამეთ რამე, თუ მშივრები ხართ?

- ჰო! სამი ცალი კარტოფილი მქონდა, დიდრონები. ცოტა მარილიც მოვაგროვე და შევწვი, ამ ცეცხლით ვისარგებლე.

- დღეს ეგა და ხვალ კი სადილად სხვაგან წაგიყვანთ. კაი შემწვარი იხვი და სხვანი და სხვანი გექნებათ. ისე შეექეცით სადილს, როგორც მეფე შარლ X. ერთი ეს ღამეც გავიჭირვოთ.

მერე ჩუმი ხმით თქვა:

- სათაგური ღია არის, კატებიც აქ არიან.

და უფრო ჩუმად სთხოვა:

- ცეცხლში შედე ეს.

ნაკვერცხლის შრიალი მოესმა მარიუსს, ალბათ მძიმე რამ ჩადეს ცეცხლში რკინისა და ზედაც ცეცხლი წაუკიდეს.

- ზეთი წასცხე თუ არა კარის კოჭებს, რომ არ იჭრიალონ?

- ჰო, - დაამშვიდა ცოლმა.

- რომელი საათი უნდა იყოს?

- ექვსი სრულდება. კარგა ხანია, ექვსის ნახევარი დაჰკრა სენ-მედარმა.

- ერიჰა! მაშ დროა წავიდნენ გოგოები სადარაჯოდ. თქვენ ეი! მოდით აქ! აბა ყური დამიგდეთ!

ჩურჩულიღა ისმოდა.

მერე ისევ ჟონდრეტის ხმა გაისმა:

- ბურგონი წავიდა?

- წავიდა, წავიდა.

- დარწმუნებული ხარ, რომ არავინ არის სახლში?

- მეზობელი დღეს მთელი დღე შინ არ შემოსულა და, ეგეც არ იყოს, ახლა სადილის საჭმელად არის წასული.

- დანამდვილებით იცი?

- ვიცი, როგორ არ ვიცი!

- მაინც ზედმეტი არ იქნება, რომ შევიდეთ და დავრწმუნდეთ, რომ შინ არ არის.

- წაიღე სანთელი, გოგო, და შედი, ნახე.

დაიჩოქა მარიუსმა და ტახტის ქვეშ შეძვრა.

ის იყო შეძვრა და სანთლის სინათლე შემოიჭრა კარის ჭუჭრუტანიდან.

- მამა, შინ არ არის, სადილად იქნება წასული.

- ოთახში შეხვედი? - გამოჰყვირა მამამ.

- რა საჭიროა? რაკი გასაღები აქ არის, მაშ შინ არ ყოფილა.

მამამ შეუტია:

- მაინც შედი და ნახე!

კარი გააღო უფროსმა გოგომ, შევიდა ოთახში, ხელში შანდალი ეჭირა ანთებული სანთლით. იგივე იყო, რაც ამ დილას, ოღონდ უფრო საზარელი ამ სინათლეზე.

პირდაპირ ტახტისკენ წავიდა. ძლივს სუნთქავდა მარიუსი, მაგრამ ტახტთან სარკე ეკიდა კედელზე, და გოგოც ამ სარკეს შესცქეროდა. ფეხის თითებზე შედგა და სარკეში ჩაიხედა. მერე ოთახიდან რკინის ზრიალი ისმოდა.

ხელის გული თმაზე გადაისვა გოგომ და გაისწორა, შესცინა თავის სახეს და სიმღერა დაიწყო ხრინწიანი, სამარისებრი ხმით:

ო, ერთი კვირის ერთგულება დიდი რამეა! -

შვიდ დღეს, თუ რვა დღეს გიზგიზებდა ცეცხლი ციური!

ნეტავ კი იყოს სიყვარული მარადიული!

ნეტავ კი იყოს სიყვარული მარადიული!

მაგრამ დრო ქვეყნად ნეტარების განა დიდია?

დღენი, ო, დღენი სიყვარულის, ფრენით მიდიან!

მარიუსი თრთოდა, - შეუძლებელია ჩემი სუნთქვა არ ესმოდესო.

თმა გაისწორა გოგომ, მერე ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა და შეშლილივით წამოიძახა:

- რა ულამაზოა პარიზი, თეთრ პერანგს რომ ჩაიცვამს!

მერე ისევ სარკესთან მივიდა, შესცინა თავის სახეს, დაეღრიჯა, ხან პირდაპირ სინჯავდა თავის მშვენიერებას, ხან გვერდიდან.

- რა ღმერთი გაგიწყრა, გოგო, აღარ გამოხვალ? - შეუძახა მამამ.

- ტახტის ქვეშ ვეძებ, არსად დამემალოს, - უპასუხა თმის სწორებით გოგომ, - არა, შინ არ არის.

- დოყლაპია! გამოეთრიე მანდედან! დროს ნუ მაკარგვინებ!

- მოვდივარ, მოვდივარ! სუნთქვასაც არ გაცლიან ამ ქოხმახში!

და ისევ სიმღერა განაგრძო.

მარტო დამტოვეთ, აირჩიეთ თქვენ გზა სვიანი,

მაგრამ მე ყველგან თქვენთანა ვარ გულნაღვლიანი...

ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში, გავიდა და კარი გაიხურა.

ცოტა ხნის შემდეგ მარიუსს ფეხის ხმა მოესმა ტალანიდან, შიშველი ფეხის ხმა ორივე ქალისა, რომლებიც სადარაჯოდ მიდიოდნენ, შემდეგ მამის ბრძანება:

- ფრთხილად იყავით. ერთი სადარაჯოს მხარეს დადგეს, მეორე პტი-ბანკიეს ქუჩის მხარეს. თვალი არ მოაშოროთ სახლში შემოსასვლელ კარს, გეყურებათ? ერთ წამს არ მოაშოროთ თვალი და, თუ დაინახეთ რამე საშიში, მაშინვე აქ გაჩნდით! მაშინვე! ჩიტივით ამოფრინდით კიბეზე! გასაღები ჯიბეში გიდევთ.

ბუზღუნი დაიწყო უფროსმა:

- ფეხშიშველი როგორ ვიდგე ამ თოვლში?

- ხვალ ატლასის ფეხსაცმელი გექნებათ, წითელ-წითელი.

წავიდნენ გოგოები. კიბე ჩაიარეს, ქუჩაში გავიდნენ, კარი გაიკეტეს.

აღარავინ იყო სახლში გარდა მარიუსის, ჟონდრეტის, მისი ცოლისა და კიდევ იმ ოთხი კაცისა, რომლებიც ერთ ცარიელ ოთახში დაინახა მარიუსმა საიდუმლოდ მიკუნჭულები.

## თავი მეჩვიდმეტე
## მარიუსის ხუთი ფრანკი

უკვე დრო იყო, სარკმელთან ამძვრალიყო და თვალი გადაევლო მეორე ოთახისთვის. სიჭაბუკის სისწრაფით, თვალის დახამხამებაში გამოიჭრა საზვერავთან.

გადახედა იქაურობას.

უცნაური იერი მიეღო ჟონდრეტის ოთახს, მხოლოდ ახლა მიხვდა მარიუსი, საიდან შემოდიოდა ის სინათლე, წეღან რომ შეამჩნია. სანთელი ენთო ოთახში ერთ დაჟანგულ შანდალში, მაგრამ ეს სანთელი არ ანათებდა. ბუხარში შეედგათ მაყალი გავარვარებული ნახშირით სავსე, და ისეთი სინათლე და სიცხე გამოდიოდა იქიდან, რომ ცალი მხარე დასდნობოდა სანთელს და წვეთ-წვეთად იღვენთებოდა შანდალზე. მაყალი იმ დილას მოამზადა დედაკაცმა. მაყალიც კი გაწითლებულიყო სიმხურვალისგან. ცეცხლს პატარა ალი ასდიოდა და გაჩაღებულ ნახშირში მოჩანდა დიდი რკინის სატეხი, ჟონდრეტმა რომ იყიდა ახლახან. კართან, კუნჭულში დამტვრეული რკინა ეყარა, და იქით თოკები, ყოველი შემთხვევისთვის მომზადებული. ისე იყო მოწყობილი ეს ყველაფერი, რომ თვალი აეხვია, ვინც არ იცოდა ამ სახის მზადების მიზანი და თვალბედითად ეჩვენებოდა, ან უბრალო დაუდევრობად. ამგვარად განათებული სხვენი სამჭედლოს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯოჯოხეთის შესასვლელს, მაგრამ თვით ჟონდრეტი ამ სინათლეში უფრო ქაჯს მოგაგონებდათ და არა მჭედელს.

ბუხრის თავზე ერთი ძველი სპილენძის დახშული ფარანი იდო, რომელიც ძალიან შეეფერებოდა კარტუშად გადაქცეულ დიოგენს.

ბუხარშიც ენთო ცეცხლი, მაგრამ მაყალიც შიგ შეედგათ, რომ მისი კვამლიც საკვამურში ასულიყო.

ფანჯარაში მთვარის შუქი შემოდიოდა და მკრთალ სხივს სცემდა ალისფრად აწითლებულ ოთახს. პოეტური ბუნების კაცი იყო მარიუსი და აქაც კი, ამ საბედისწერო გარემოცვაშიც ციურ მადლად ეჩვენა ეს სხივი, ქვეყნის ბოროტების აღმომფხვრელად მოვლენილი.

გატეხილი ფანჯრიდან ჰაერი შემოდიოდა, ამცირებდა ნახშირის სუნს და თავისი მოძრაობით ნისლივით ჰფარავდა მაყალს.

ჟონდრეტის ოთახი (მკითხველს ეხსომება გორბოს სახლის მდებარეობა) საგანგებოდ იყო ამორჩეული, რომ სრულიად შეუმჩნევლად აესრულებინა ადამიანს რაიმე სასტიკი, ბნელი განზრახვა. სახლი განცალკევებულად იდგა, ქუჩა მიყრუებული იყო. ოთახი ცარიელი სახლის გრძელი ტალანის ბოლოს. თითქოს თვით სახლი ჩააგონებდა მდგმურს, - ასე გამომიყენეო.

ქუჩიდან ჟონდრეტის ოთახამდე მთელი სახლი უნდა გამოევლო კაცს, იმდენი ცარიელი ოთახით, და თუ ფანჯარას იტყვით, ფანჯარა ეზოში გადიოდა, დიდ, გაშლილ, ცარიელ ეზოში.

ჟონდრეტს ჩიბუხი ჩაედო პირში, ჩამომჯდარიყო ჩალაჩახეულ სკამზე და აბოლებდა. ცოლი რაღაცას ელაპარაკებოდა ჩუმი ხმით.

მარიუსი რომ კურფეირაკი ყოფილიყო, ესე იგი ერთი იმათგანი, რომლებიც სულ იცინიან, რაც უნდა შეამთხვიოს განგებამ, ისეთივე სიცილი წასკდებოდა, ქალბატონი ჟონდრეტი რომ დაენახა:

შავი ქუდი დაეხურა იმგვარი ბუმბულებით დამშვენებული, როგორიც შარლ X-ის მეფედ კურთხევის დღეს ჰქონდათ მის გზირებს, დიდი ჭრელი შალი წამოესხა, და კაცის მაშიები ჩაეცვა, სწორედ ის მაშიები, რომელთაც ისე სწუნობდა მისი ქალი, - ჭყაპაჭყუპი გაუდისო, - ეს მორთულობა იყო, ისე რომ მოეწონა მის ქმარს და ათქმევინა შემდეგი სიტყვა:

- ოჰო, კარგად მორთულხარ! ძალიან კარგი. ისე უნდა ეჩვენო, რომ ნდობა გამოიწვიო.

თვითონ ჟონდრეტს კი ისევ ის ახალი, განიერი პალტო ეცვა, ლებლანმა რომ აჩუქა, და ძველი, დაფხრეწილი ტყავის შარვალი, რაც, კურფეირაკის აზრით, პოეტის იდეალს შეადგენდა.

რაღაც მოისაზრა ჟონდრეტმა და ხმამაღლა წარმოთქვა:

- კიდევ კარგი, მომაგონდა! იმისთანა ავი დარია, რომ ეტლით მოვა უთუოდ. სანათი აანთე, ჩადი და კართან დაელოდე. როგორც კი გაჩერდება ეტლი, მაშინვე კარი გაუღე, გაუსწორდი მეეტლეს და გაისტუმრე.

- მერე რით გავუსწორდე? - შეეკითხა ცოლი.

ჯიბიდან ხუთფრანკიანი ვერცხლი ამოიღო ჟონდრეტმა და ცოლს მისცა.

- ეს რაღაა, რა ვქნა?

- ეს კიდევ ჩვენმა მეზობელმა შემოგვაწია ამ დილას.

მერე მიიხედ-მოიხედა ოთახში და დაუმატა:

- რა გითხრა, იცი? ძალიან კარგი იქნება, რომ ერთი-ორი სკამი კიდევ გვქონდეს.

- რად გვინდა?

- აი, აქ დავდგამდით.

- წავალ და მეზობლის ოთახიდან გამოვიტან.

შეურჟოლდა მარიუსი. ცუდად იყო საქმე, ვეღარც ჩამოხტომას მოასწრებდა, ვეღარც დამალვას.

ის-ის იყო კარი გააღო დედაკაცმა, უნდა გამოსულიყო, რომ ქმარმა დაუძახა:

- სანთელი წაიღე, ადამიანო!

- ათი ხელი ხომ არა მაქვს, რომ ორი სკამიც გამოვიტანო, შანდალიც მეჭიროს?

აგერ კარს მოადგა, შემოაღო კარი. კედელზე მიკრული დარჩა მარიუსი, შეშინებული და გულის ძაგძაგით ელოდა, დამინახავსო და სუნთქვას ვეღარ ბედავდა.

შემოვიდა დედაკაცი, აიტაცა ორი სკამი. სხვა ვერაფერი დაინახა. გავიდა, კარი გაიხურა.

შევიდა თავის ოთახში.

- ესეც შენი ორი სკამი!

- ესეც სანათი! - მიუგო ქმარმა, - აბა, გასწი! საცაა მოვა.

აიღო სანათი და საჩქაროდ გავარდა. მარტო დარჩა ჟონდრეტი.

სკამები აქეთ-იქით მიუდგა მაგიდას, სატეხი გადააბრუნა მაყალში, ბუხარს რაღაც ფიცარი ააფარა, რომ მაყალი დაემალა. მერე კუთხეში თოკთან მივიდა, დაიღუნა და სინჯვა დაუწყო. მხოლოდ მაშინ დაინახა მარიუსმა, რომ მშვენიერი თოკის კიბე ჰქონდა ჟონდრეტს. ხის საფეხურებით და ორი მაგარი კავით, ჩამოსაკიდებლად კიბე ყოფილიყო, ყოველი შემთხვევისთვის მომზადებული, და მას კი ძველი თოკი ეგონა.

არც ეს კიბე იყო იმ დილას ოთახში, არც მსხვილი რკინა, კარს უკან რომ ეგდო. ალბათ მაშინ მოიტანა ჟონდრეტმა, როდესაც შინ არ იყო მარიუსი.

ზეინკლის ხელსაწყოდ ეჩვენა მარიუსს.

ცოტა რამ გამოცდილება რომ ჰქონოდა ან რკინეულის ცნობა შესძლებოდა, ნახავდა, რომ აქ ზეინკლის ხელსაწყო კი არა, ქურდების იარაღი იყო მოგროვილი, დაკეტილი კარის გასაღებად, კლიტის გასაჭრელად, ფანჯრის შუშის ამოსაღებად, მთელი მარაგი ქურდების ხელსაწყოებისა.

ბუხარი და მაგიდა ორი სკამით სწორედ მარიუსის პირდაპირ იყო. მაყალი დაეფარათ, ოთახს მხოლოდ სანთელიღა ანათებდა. რაც უნდა პატარა საგანი დებულიყო მაგიდაზე, მაინც დიდ ჩრდილს ისროდა და პირმოტეხილი სურის ჩრდილი აბნელებდა კედლის ნახევარს. უცნაური სიმშვიდე იყო ამ ოთახში, საშინელი და ავბედითი, სიმშვიდე თავგანწირული ბრძოლის მოლოდინისა.

ჩიბუხი პირში გაერჭო ჟონდრეტს, - უტყუარი ნიშანი, რომ შეურვებული იყო და სხვა აღარაფერი ახსოვდა. მივიდა, სკამზე დაჯდა და სანთელთან უფრო კარგად გამოჩნდა მისი საშინელი სახე; წარბს ჭმუხნიდა, ხანდახან იქნევდა გაშლილ მარჯვენა ხელს, თითქოს ეპასუხება თავისი გულის ბოროტ მონოლოგსო. ამ ფარულ სჯაში რომ იყო, გამოსწია მაგიდის უჯრა, ამოიღო გრძელი სამზარეულოს დანა, ფრჩხილით გაუსინჯა ფხა, ხომ კარგად არის გალესილიო, - და ისევ უჯრაში ჩამალა.

მარიუსმაც თავის მხრივ მარჯვენა ჯიბიდან დამბაჩა ამოიღო და ჩახმახი შეაყენა.

ჩახმახის შეყენებაზე პატარა ტკაცანი გაისმა.

სუნთქვა შეეკრა მარიუსს. ცოტა ხანს სმენად გადაიქცა ჟონდრეტი. მერე გაიცინა და თქვა:

- რა სულელი ვარ! ფიცარი გასკდებოდა სადმე ამ სიცხეში.

მარიუსს ხელში შერჩა სასროლად გამზადებული დამბაჩა.

## თავი მეთვრამეტე
## პირისპირ აწყვია მარიუსის სკამები

ამ დროს შორიდან ზარის მელანქოლიურმა ხმამ შეარხია ფანჯრის შუშები. ექვსი საათი დაჰკრა სენ-მედარმა.

დაჰკრავდა ზარი საათს და ჟონდრეტიც თავს აიქნევდა. მეექვსემ რომ დაჰკრა, სანთელს ნამწვი მოაცილა თითებით.

მერე სიარული დაიწყო ოთახში, ყური მიუგდო კართან ტალანს, გაიარა, კიდევ გაჩერდა, ყური მიუგდო.

- ნეტავ, მალე მოვიდეს, - წამოიძახა ნატვრით და ისევ სკამზე დაჯდა.

კარი შემოაღეს.

ჟონდრეტის ცოლი იყო, თვითონ ტალანში იდგა და საზარლად, მისი ფიქრით თავაზიანად უღიმოდა ლებლანს.

- მობრძანდით, ბატონო.

- მობრძანდით, ჩემო კეთილისმყოფველო, - დაიძახა ჟონდრეტმა, წამოხტა და წინ მიეგება.

გამოჩნდა ბ. ლებლანი.

სათაყვანებელი იყო მოხუცებული თავისი სიმშვიდით.

მივიდა, მაგიდაზე ოთხი ოქრო დადო, ოთხმოცი ფრანკი და უთხრა:

- ბატონო ფაბანტუ, ეს თქვენი სახლის ქირის და სხვა საჭიროებისთვის. ჯერ ეს იყოს და მერე კიდევ ვნახოთ.

- ღმერთმა მოგიზღოთ სამაგიერო, ჩემო გულუხვო მფარველო, - მიუგო ჟონდრეტმა. მივარდა ცოლს და უბრძანა:

- ეტლი გაისტუმრე!

ის მაშინვე ქუჩის კარისკენ გაეშურა, ქმარი კი მადლობას უხდიდა ბ. ლებლანს, თავს უკრავდა და სკამს სთავაზობდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ცოლი და უთხრა:

- წავიდა.

ისე ღრმად იყო ქუჩა დათოვლილი, რომ არც მოსვლა შემოესმა ეტლისა, არც წასვლა.

ლებლანი დაჯდა.

ჟონდრეტი მეორე სკამზე ჩამოჯდა, მის პირდაპირ.

და ახლა, რათა უკეთ გაითვალისწინოს მკითხველმა მომდევნო სცენა, წარმოიდგინოს საშინელი ყინვიანი ღამე: სალპეტრიერის უდაბნო, დათოვლილი მიდამოები, რომლებიც ისე მოჩანდა მთვარის შუქზე, როგორც უზარმაზარი სუდარები. აქა-იქ, შორიშორს ქუჩაზე მიმაგრებული სანთლები, ოდნავ, მის სიახლოვეს რომ ანათებდნენ გზას: გრძელი, მიყრუებული ქუჩა, ორივე მხრიდან დიდრონი თელის ტოტებით დაბურული, ქუჩაში არავინ, არსად გამვლელი, გორბოს განმარტოებული სახლი, მიყრუებული, მიბნელებული და ამ სახლში ფართო ოთახი ჟონდრეტისა, ერთი სანთლით განათებული; შიგ ორი კაცი ერთმანეთის პირისპირ სკამებზე, მშვიდი და უშფოთველი ლებლანი და საზარელი, თუმცა მოღიმარი ჟონდრეტი. იქვე, კუნჭულში მიმალული ჟონდრეტის ცოლი, ძუ მგელი, და ძგიდის იქით იმათთვის უხილავი მარიუსი, რომელიც კედელს აჰკვრია, ყურს უგდებს, რომ ერთი სიტყვაც არ გამოეპაროს, თვალს ადევნებს ყოველ მათ მოძრაობას და ხელში გატენილი დამბაჩა უჭირავს შეყენებული ჩახმახით.

ზიზღის მეტს აღარას გრძნობდა მარიუსი, - აღარავითარ შიშს. ხელში დამბაჩა ეჭირა და დამშვიდებული იყო, - როცა მინდა, მაშინ შევაჩერებ ამ არამზადასო.

იცოდა, იქვე ახლოს პოლიცია უნდა ყოფილიყო სადმე ჩასაფრებული, და შეპირებულ ნიშანს ელოდა, რომ საქმეში ჩარეულიყო.

იმედი ჰქონდა აგრეთვე, რომ ბ. ლებლანისა და ჟონდრეტის შეხვედრა შეიძლებოდა ოდნავ მაინც დახმარებოდა და მისთვის გაეადვილებინა გულითადი წადილის მიღწევა.

## თავი მეცხრამეტე

ერიდეთ ბნელ ჯურღმულებს

დასხდნენ. თვალი გადაავლო ბ. ლებლანმა ცარიელ საწოლებს და იკითხა:

- როგორ არის თქვენი პატარა ქალი? ხელი როგორ აქვს?

- ვერ არის კარგად, - უპასუხა ჟონდრეტმა მწუხარე მადლობის ღიმილით, - ძალიან ცუდად გახლავთ, ჩემო ღირსეულო ბატონო. უფროსმა დამ სამკურნალოში წაიყვანა ხელის შესახვევად. ნახავთ, მალე დაბრუნდებიან.

- ქალბატონი ფაბანტუც, მგონი, უკეთ ბრძანდება, - განაგრძო ბ. ლებლანმა და თვალი გადაავლო ქალის უცნაურ მორთულობას, კართან იდგა ქალბატონი, თითქოს სდარაჯობს იქაურობასო, და სიძულვილით, თითქმის მუქარით უყურებდა მოხუცებულ კაცს.

- ლამის მოკვდეს უბედური, - უპასუხა ჟონდრეტმა, - მაგრამ რას იზამთ, ბატონო? საქმე აქვს და ფეხზეა, გული არ უძლებს ლოგინში. დედაკაცი კი არა, ხარია!

ძალიან მოეწონა ცოლს ქმრის ქათინაური. დაიპრანჭა, დაიღმიჭა შექებული ურჩხულის სახით და დაუძახა:

- სულ ხომ ჩემს ქებაში არ იქნები, ბატონო ჟონდრეტ!

- ჟონდრეტო? - იუცხოვა ბ. ლებლანმა, - მე კი ფაბანტუ მეგონეთ.

- ბაფანტუ იგივე ჟონდრეტი, - უპასუხა სისწრაფით ჟონდრეტმა, - მეტსახელი გახლავთ მსახიობისა.

მკაცრად გადახედა ცოლს, მხრები აიჩეჩა, ისე რომ, ბ. ლებლანმა ვერ დაინახა, და მადლობით სავსე კილოთი განაგრძო.

- ძალიან ტკბილად, სიყვარულით გავატარეთ ჩვენი ცხოვრება მე და ჩემმა მეუღლემ. ან რაღა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე, ეგეც რომ არა გვქონოდა? რომ იცოდეთ, რა უბედურები ვართ, ჩემო პატივცემულო ბატონო. მკლავი უვარგა კაცს, და საქმე კი ვერსად უშოვია! გული უვარგა, და ლამის შიმშილით მოკვდეს, საქმე ვერსად უშოვია! არ ვიცი, როგორ აქვს მოგვარებული ეს საქმე მთავრობას; მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ბატონო, მე არც იაკობინელთა თანამგრძნობი ვარ, არც მთავრობის წინააღმდეგი; არ მინდა, ავი ვაკადრო რამე, მაგრამ მერწმუნეთ, მე რომ მინისტრი ვიყო, სულ სხვაფრივ წავიყვანდი საქმეს. აბა! წარმოიდგინეთ, ისე გაგვიჭირდა ცხოვრება, რომ გადავწყვიტე, - ხელობას ვასწავლი-მეთქი ჩემს ქალებს; - მინდოდა ქარხანაში შემეყვანა, რომ კოლოფების დამზადება ესწავლათ. ვიცი გაიკვირვებთ, აღფშოთდებით: - როგორ? ხელობაო? - დიახ, ბატონო, ხელობა, სულ უბრალო ხელობა, რომ ლუკმაპურის შოვნა შეეძლოთ. მაგრამ რა დაქვეითება არის, ჩემო კეთილისმყოფველო! რა დამცირება იმ უბედურისა, რომელიც სახელოვანი მსახიობი იყო ერთ დროს! ვაი, რომ აღარაფერი შეგვრჩენია დიდებისა და ბედნიერებისა! აღარაფერი, ერთი დიდებული სურათის გარდა, რომელიც გაგიუებით მიყვარს, მაგრამ იძულებული ვარ, გავყიდო, რომ შიმშილით არ ამომეხოცოს ცოლ-შვილი. რას იზამთ, ბატონო? პური გვშია, პური!

ასე მოთქვამდა ჟონდრეტი, საგნიდან საგანზე გადადიოდა. თითქოს არც კი უკავშირებდა ერთმანეთს. მაგრამ მის სახეს ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი გამომეტყველება არ შორდებოდა. და მანამ ის თავისას ჩიოდა, მარიუსმა ჟონდრეტის ოთახის ბოლოში ვიღაც კაცი შენიშნა, რომელიც აქამდე იქ არ იყო. ისე ჩუმად შემოეღო კარი და ისე ფრთხილად შემოსულიყო, რომ ვერც დაინახეს, ვერც გაიგეს

მისი შემოსვლა, იისფერი ჟილეტი ეცვა, ძველი, გაცვეთილი, ჭუჭყიანი, დახეული და დარღვეული, განიერი შარვალი; წაღების მაგივრად ფლოსტები, პერანგი არ ეცვა. ტიტველი კისერი უჩანდა. ჩუმად შემოსულიყო, ჩუმად იჯდა საწოლზე, გულხელდაკრეფილი, და აღარც კი ჩანდა, რადგან ჟონდრეტის ზორბა ცოლის უკან მოკუნტულიყო.

რაღაც ალღო აქვს ადამიანს, რომელიც წასჩურჩულებს, - გითვალთვალებენო. ამ ალღომ გააფრთხილა ლებლანი. მიიხედა, სწორედ იმ დროს, როდესაც ჟონდრეტმაც გადახედა მეგობარს და გაკვირვება დაეტყო სახეზე.

ესეც კარგად შენიშნა ჟონდრეტმა და დაიძახა:

- აჰ! თქვენ პალტოსა სინჯავთ, განა? - წამოდგა, ღილები შეიკრა, - უნდა მოგახსენოთ, ძალიან კარგად მომადგა, ძალიან კარგად.

- ვინ არის ეს კაცი? - ჰკითხა ბ. ლებლანმა.

- ისა? მეზობელია ჩემი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

უცნაური სანახავი იყო ეს მეზობელი. მაგრამ სენმარსოს უბანში მრავალი ქარხანაა ქიმიური ნაწარმის დასამუშავებლად და შეიძლება ქარხნის მუშას ბევრს ჰქონდეს რაიმე ფერით გასვრილი სახე. არავითარი ეჭვი არ ჰქონდა ბ, ლებლანს, უხინჯო ნდობითა და უშიშრობით ესაუბრებოდა ჟონდრეტს; გადახედა მეზობელს და მასპინძელს მიმართა:

- უკაცრავად, რას ბრძანებდით, ბატონო ფაბანტუ?

- დიახ, იმას მოგახსენებდით, ჩემო მფარველო ბატონო, - დაიწყო ჟონდრეტმა, ორივე იდაყვით დაეყრდნო მაგიდას და შხამიანი გველის თვალით დააშტერდა ლებლანს, - ერთი ძვირფასი სურათიღა შემრჩა და იძულებული ვარ, ისიც გასაყიდად გავიმეტო.

ოდნავ გაისმა კარის ხმა. ახლა მეორე შემოვიდა და ტახტზე ჩამოჯდა. ჟონდრეტის ცოლის უკან. მასაც, როგორც პირველს, შიშველი მკლავები ჰქონდა და მელნითა და ჭვარტლით გაშავებული პირისახე.

თუმცა ეს კაცი შემოსრიალდა ოთახში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაინც დაინახა ბ. ლებლანმა.

- მეზობლები გახლავან, ბატონო, სულ ამ სახლის მდგმურები. იმას მოგახსენებდით, სურათი მაქვს-მეთქი. აი, ბატონო, ნახეთ.

წამოდგა, მივიდა კედელთან, აიღო ზედ მიყუდებული ჩარჩო, მოაბრუნა და ისევ კედელს მიაყუდა. რაღაც იყო, სურათსა ჰგავდა, მაგრამ სანთლის სინათლე იქამდე ვერ აღწევდა და ბუნდოვნად მოჩანდა. მარიუსმა ვერაფერი გაარჩია იმ სურათისა, რადგან წინ ჟონდრეტი უდგა, მაგრამ ის კი დაინახა, რომ უხეირო ნათითხნი იყო და წინა მხარეზე ჭყეტელა ფერებით დახატული ფიგურა მოგაგონებდათ თეჯირის ნახატებს, ან ბაზარში ოინბაზების ფარდულებში ბრბოს მისაზიდავად გამოფენილ სურათს.

- ეს არის თქვენი სურათი? - ჰკითხა გაკვირვებით ბ. ლებლანმა. ჟონდრეტი თავისას არ იშლიდა.

- დიდებული ხელოვანის ნახატია, ბატონო, დიდად ძვირფასი. ისე მიყვარს, როგორც ჩემი შვილები, ჩემი ბედნიერი წარსულის სახსოვარი ამის მეტი აღარაფერი მაქვს, მაგრამ რა ვქნა? აკი მოგახსენეთ, მიჭირს და იძულებული ვარ, ესეც გავიმეტო და გავყიდო.

შემთხვევით იყო თუ უკვე აღძრული ეჭვით, სურათსა სინჯავდა ბ. ლებლანი, მაგრამ არც ოთახის უკანა მხარეს ტოვებდა უყურადღებოდ. უკვე ოთხი კაცი მოგროვილიყო დედაკაცის უკან. სამი საწოლზე ჩამომჯდარიყო, მეოთხე კარის ჩარჩოს მიჰყუდებოდა. სამივეს ტიტველი მკლავები ჰქონდა, და პირისახე შავად შეფერილი. ერთი ამ სამთაგანი, საწოლზე რომ იჯდა, კედელს მიჰყუდებოდა, თვალები დაეხუჭა და ისე იყო, თითქოს სძინავსო. ბებერი კაცი იყო მძინარი. საშინელი სანახავი იყო მისი გრძელი, ჭაღარა თმა, შავად შეფერილ სახეზე დაშვებული. ორნი კი ყმაწვილებს ჰგავდნენ. ერთი წვერიანი იყო, მეორე ბანჯგვლიანი. წაღები არ ეცვა არც ერთს; ზოგი ფეხშიშველი იყო, ზოგი - ფლოსტებიანი.

შენიშნა ჟონდრეტმა, რომ მათ უყურებდა ბ. ლებლანი და უთხრა: - ჩემი მეზობლები გახლავან, ჩემი მეგობრები. ასე შავად არიან, რადგან სულ ნახშირში მუშაობენ. იყვნენ, ბატონო, რას გაწუხებენ? სხვის ხელში რომ ჩავარდეს, ძალიან დამენანება ეს სურათი. იქნებ თქვენ იყიდოთ, ჩემო მხსნელო? იქნებ შემიბრალოთ და შემეწიოთ? ძვირად კი არ მოგცემდით.

- რამდენად დააფასებთ ამ ხელოვნების სურათს?

დააცქერდა ბ. ლებლანი ჟონდრეტს, რადგან უკვე გრძნობდა, რომ სახიფათოს ჰგავდა საქმე, და სიფრთხილე იყო საჭირო. მერე გადაჭრით უთხრა:

- ეგ ხელოვნების ნიმუში კი არა, დუქნის კარსაკიდია. სამი ფრანკია მაგის ფასი.

ძალიან ტკბილად უპასუხა ჟონდრეტმა:

- თქვენი უბის ქისა აქა გაქვთ? ათას ფრანკად დაგითმობდით!..

წამოდგა ბ. ლებლანი, კედელს მიეყრდნო, თვალი გადაავლო ოთახს. მარცხნივ ჟონდრეტი უდგა, ფანჯრისკენ, მარჯვნივ ჟონდრეტის ცოლი და ოთხი გამურული კაცი, კარისკენ. ჩუმად იყვნენ მეზობლები, უძრავად, თითქოს ვერაფერს ხედავენო. ჟონდრეტმა კი ისევ მოთქმა დაიწყო და ისეთი საცოდავი კილო მისცა თავის სიტყვას, იმისთანა მტირალა, რომ შეიძლებოდა მართლა საწყალ, გაჭირვებულ კაცად სჩვენებოდა ლებლანს და სიღარიბით ჭკუაზე შეშლილად. - თუ თქვენ არ შეიძინეთ ჩემი სურათი და არ დამიხსენით ამ გაჭირვებისგან, იმგვარი უკიდურესი უბედურება მომელის, რომ ვეღარ გავუძლებ და წყალში გადავვარდები. მინდოდა, ჩემი ქალებისთვის კოლოფების გაკეთება მესწავლებინა, რომ საგანგებო საჩუქრების მისართმევი კოლოფები ეკეთებინათ. ჰოდა, იცით რამდენი ხარჯი დასჭირდება კოლოფების კეთებას? ერთი კარგა დიდი მაგიდა, ფიცრებით შემოფარგლული, რომ ძირს არ ჩამოუცვივდეთ შუშები; საგანგებოდ ამ საქმისთვის შემოღებული ღუმელი; სამგანყოფილებიანი ქილა სხვადასხვა სიმაგრის წებოს შესანახად, რადგან თხელფირფიტა ფიცარს სხვა წებო უნდა, მუყაოს სხვა და ქაღალდს სხვა; ახლა ფართალი ბრძანეთ, მუყაოს საჭრელი მანქანა, ყალიბი, კალმები და კიდევ მრავალი ოხრობა! აბა, რა ვიცი, რომელი ჩამოგითვალოთ? ამდენი ხარჯი უნდა გამეწია და რისთვის? იმისთვის, ბატონო, რომ ჩემს ქალს დღეში ოთხი სუ მიეღო ხელფასად! თოთხმეტი საათის შრომაში გასამრჯელოდ ოთხი სუ! ცამეტჯერ გაივლის ერთი მუშის ხელში ყველა კოლოფი! ღმერთი არ გაუწყრეს მუშას და ქაღალდი არ გააჭუჭყიანოს! არაფერი გასვაროს! წებოც ყოველთვის თბილი ჰქონდეს! და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ! და დღეში ოთხი სუ! როგორ იცხოვროს კაცმა?

ამას ამბობდა ჟონდრეტი, და თვალს არიდებდა ბ. ლებლანს. ის კი თვალს აღარ აშორებდა ამ ტკბილად მოლაპარაკეს. ლებლანი ჟონდრეტს შესცქეროდა და

ჟონდრეტი - კარს. გაფაციცებით უყურებდა მარიუსი ხან ერთს, ხან მეორეს. ბ. ლებლანს ეტყობოდა ეჭვი შეჰპარვოდა, - გიჟი ხომ არ არის ეს უბედურიო! ჟონდრეტი კი არ იშლიდა და საცოდავი კილოთი, ხვეწნითა და ვედრებით გაიძახოდა:

- სხვა გზა აღარა მაქვს! თუ არ შემეწიეთ, წყალში გადავვარდები! ამას წინათ, კინაღამ წყალში ჩავვარდი აუსტერლიცის ხიდიდან!

და უცბად გაუბრწყინდა ჩამქრალი თვალი. წამოიწია ამ პატარა კაცმა და შესაშინებელი გახდა. ერთი ნაბიჯით მიიწია ბ. ლებლანისკენ და მქუხარე ხმით შეჰყვირა:

- მაგას თავი დავანებოთ! მიცანით თუ არა?!

## თავი მეოცე
## მახეში

უცებ შემოაღეს კარი და სამი ლურჯხალათიანი კაცი გამოჩნდა კარში: სახეზე შავი ქაღალდის ნიღბები ეკეთათ. პირველი ჩამომხმარი კაცი იყო და ხელში ერთი გრძელი კეტი ეჭირა, შერკინული; მეორე ბუმბერაზის ტანისა იყო და ხელში ყასაბის ცული ეჭირა, რომლითაც, ერთი რომ დაეკრა, ხარს გაანთხევინებდა სულს; მესამე ჯმუხი, უფრო ჩასუქებული ჩანდა, ვიდრე პირველი, ნაკლებად ახოვანი, ვიდრე მეორე და ხელში უშველებელი გასაღები ეჭირა, ალბათ სადმე საპატიმროს მეკარისგან მოპარული.

ეტყობოდა, ამ კაცების მოსვლასღა ელოდა ჟონდრეტი. დაინახა თუ არა, მაშინვე კეტიანს მივარდა, ჩამომხმარს და კითხვა დაუწყო:

- ჰა, მზად ვართ?
- ყველაფერით.
- მონპარნასი სადღა არის?
- შენს ქალს ესაუბრება პირველი ტრფიალი.
- რომელს?
- უფროსს.
- ეტლი არის?
- არის.
- ცხენები შებმულია?
- ჰო.
- ორი კარგი ცხენი?
- საუკეთესო.
- სწორედ იქ გველის, სადაც მე დავუნიშნე?
- სწორედ იქ.
- ძალიან კარგი, - თქვა ჟონდრეტმა.

ფერი ეცვალა ლებლანს. იდგა და ათვალიერებდა ამ ოთახს, რადგან ხედავდა, რომ მახეში გააბეს; აკვირდებოდა იმ კაცებს, რიგრიგობით ყველას, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ, აჩერდებოდა გაკვირვებული, მრისხანე თვალით, მაგრამ შიშისა კი არაფერი ეტყობოდა. მაგიდის უკან იდგა, მაგიდა საფრად გამოადგებოდა, და საკვირველი ცვლილება ემჩნეოდა: გულჩვილი მოხუცებული უცბად ბუმბერაზად გარდაქმნილიყო და მძლავრი ხელით ეჭირა სკამის ზურგი.

ისე მაგრად და მამაცად დაუხვდა ამ განსაცდელს, რომ ეტყობოდა იმ კაცთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელთაც ბუნებრივად აქვთ დაყოლილი დიდი გულადობაც და დიდი გულკეთილობაც. თუ ქალი გიყვარს, არც მისი მამა უნდა იყოს შენთვის უცხო. და მარიუსი აღტაცებული იყო უცნობის ვაჟკაცობით.

ტიტველმკლავება სამი კაცი, მენახშირეებად რომ დაასახელა ჟონდრეტმა, დაგროვილ ძველ რკინეულთან მივიდა; ერთმა ლითონის საჭრელი დიდი მაკრატელი ამოაძვრინა ნამტვრევებიდან, მეორემ მარწუხი, მესამემ ჩაქუჩი და კართან აიტუზნენ. ხმას არ იღებდნენ. ბებერი კი ისევ საწოლზე დარჩა, ოღონდ თვალგახელილი. ჟონდრეტის ცოლიც გვერდზე ეჯდა.

მარიუსს ეგონა, რამდენიმე წამის შემდეგ საჭირო იქნება ჩემი ჩარევაო და ზევით აიშვირა მარჯვენა ხელი, ტალანისკენ, რომ იქით გაესროლა დამბაჩა.

ჟონდრეტი, საუბარს რომ მორჩა კეტიან კაცთან, ახლა ბ. ლებლანისკენ მიბრუნდა და გაუმეორა კითხვა, ოღონდ სიტყვას დამცინავი, საშინელი სიცილიც დაუმატა:

- მაშ, ვერ მიცანით, ვერა?

თვალი გაუსწორა ლებლანმა და უპასუხა:

- ვერა.

მაგიდასთან მივიდა ჟონდრეტი, ზედ გადაწვა, გულხელი დაიკრიფა და ლებლანის დამშვიდებულ პირისახესთან მიიტანა მხეცური დინგი. მის საშინელ სახეს არ მოერიდა ლებლანი. მხეცს ჰგავდა ჟონდრეტი, რომელიც საცაა კბილებს ჩაუყრის ნადავლს, და შეჰყვირა:

- მე ფაბანტუ არა ვარ, არც ჟონდრეტი ვარ! ტენარდიე ვარ, მონფერმეილში დუქანი რომ მქონდა. ტენარდიე ვარ! არც ახლა მიცნობთ?

შეუმჩნევლად სიწითლემ გაურბინა შუბლზე ლებლანს. ისევ ისე მშვიდად უპასუხა, წყნარად, ხმის აუმაღლებლად.

- მე თქვენ არ გიცნობთ.

ეს სიტყვა კი ვეღარ გაიგონა მარიუსმა. რომ დაენახა ვინმეს ამწამს, შემკრთალს დაინახავდა იმ ბნელ ოთახში, გაბრუებულს, თითქოს მეხი დაეცაო. ჟონდრეტმა რომ დაიძახა, - ტენარდიე ვარო, - თავით ფეხებამდე თრთოლა მოერია მარიუსს და კედელს მიეყრდნო, თითქოს ბასრი ხმალი ჩაჰკრეს შიგ გულში და თავს ვეღარ იმაგრებსო. მარჯვენა ხელი გასასროლად გამზადებული დამბაჩით ძირს დაეშვა ნელ-ნელა და ჟონდრეტმა რომ მეორედ თქვა, - მე ტენარდიე ვარ, - კინაღამ იარაღი გაუვარდა ძალამიხდილ ხელიდან.

ჟონდრეტმა რომ ფარდა ახადა თავის ვინაობას, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ლებლანზე, და მთლად გადაირია მარიუსი. ამ სახელს, ტენარდიეს, ლებლანი უარყოფდა - არ ვიცნობო, - მარიუსი კი კარგად იცნობდა. დაე, მკითხველმა გაიხსენოს, რა იყო მისთვის ეს სახელი! გულში ჰქონდა მამის ანდერძი, ეს სახელიც შიგ იყო მოხსენებული. მას ინახავდა მარიუსი გულის სიღრმეში, თავის მეხსიერებაში, როგორც წმინდა აღთქმას: „ერთმა ათისთავმა, ტენარდიემ, გადამარჩინა სიკვდილს. თუ ჩემი შვილი შეხვდა სადმე, დაეხმარება, რამდენადაც კი შეეძლებაო“. სათაყვანოდ მიაჩნდა ეს სახელი მამის სახელთან ერთად. როგორ? მაშ აქ იყო ტენარდიე? აქ იყო ეს მონფერმეილელი მიკიტანი, რომელსაც ისე დაჟინებით, მაგრამ ამაოდ დაეძებდა? აგერ იპოვა, მაგრამ როგორ? მაშ, ყაჩაღი ყოფილა მამამისის მხსნელი? მაშ, განხორციელებული ბოროტება ყოფილა ეს კაცი, რომლისთვისაც სიცოცხლეს

გასწირავდა მარიუსი. პოლკოვნიკ პონმერსის მხსნელს საშინელი ავკაცობა მოეწყო, რომლის დასასრული ჯერ ბნელი იყო მარიუსისთვის, მაგრამ უკვე ცხადი! კაცის მოკვლასაც კი არ იუკადრისებდა ეს ავაზაკი. მერე ვის უპირებდა ავკაცობას? რა უბედურებაა! რა მწარედ დასცინის დღეს ბედისწერა! განსვენებული მამა უბრძანებს საფლავიდან, - დახმარება გაუწიე ამ კაცს, რამდენადაც კი შეგეძლებაო. ოთხი წელიწადია, გულზე აწევს მარიუსს ეს გადაუხდელი ვალი თავისი მამისა. და სწორედ იმ დროს, როდესაც პოლიციისთვის უნდა მიეცა ქურდი, ყაჩაღი, იქნებ კაცის მკვლელიც, სიცილი მოესმა ბედისა და ძახილი: ეგ ტენარდიეა! - კაცმა სიკვდილს გადაარჩინა მისი მამა, ვატერლოოს გმირულ ბრძოლაში, სადაც სეტყვასავით ეცემოდა ყუმბარები, და აგერ უნდოდა, სიკეთე გადაეხადა ამ კაცისთვის, ოღონდ ეშაფოტით! აღთქმა ჰქონდა დადებული, თუ იპოვიდა სადმე იმ ტენარდიეს, მაშინვე ფეხქვეშ ჩაუვარდებოდა; და აგერ იპოვა. მაგრამ იპოვა იმისთვის, რომ ჯალათს მისცეს დასასჯელად! მამა უბრძანებდა, - დაეხმარე ტენარდიესო, - და ამ ბრძანებას, წმინდა ანდერძს მიცვალებულისას, ის ტენარდიეს გაწირვით ასრულებს? როგორ? ამ კაცს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე არ დაზოგა და სიკვდილს გამოსტაცა მამამისი, სენუაკის მოედანზე დასჯიან და მერე ვისი წყალობით? იმ სიკვდილიდან გადარჩენილი შვილისა, რომელსაც მამამ ანდერძად დაუტოვა ამ კაცის დახმარება? დაცინვა არ არის? ამდენი ხანი გულში ჰქონდა თავისი მამის, მისივე ხელით დაწერილი ანდერძი, და ნუთუ დღეს სულ საწინააღმდეგო უნდა ჩაიდინოს?.. მაგრამ მეორე მხრივ, როგორ შეიძლება, ამ ხაფანგს ხედავდეს კაცი, და არ გატეხოს? როგორ შეიძლება მოსაკლავად შეტყუებული გაწიროს და მახის დამგები კაცისმკვლელი კი გადაარჩინოს? ნუთუ შეიძლება მადლიერებას გრძნობდეს კაცი ამისთანა ყაჩაღისადმი? აერია და ჩაეშალა მარიუსს ოთხი წლის ფიქრი. ძრწოდა კაცი. მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი, ხელში ჰქონდა ამ ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლე, რომლებიც კაცის მოკვლას აპირებდნენ სწორედ მის თვალწინ. დამბაჩა რომ გაესროლა, ლებლანი გადარჩებოდა, მაგრამ ტენარდიე დაიღუპებოდა. რომ არ გაესროლა? ლებლანს დაღუპავდა და, ვინ იცის, ტენარდიე, შეიძლება, გადარჩენილიყო კიდევაც. ერთი დაღუპოს თუ მეორე? ქენჯნა სინდისისა და სინანული ასეც და ისეც! რა ქნას? რა აირჩიოს? როგორ უღალატოს მამის ანდერძს, თავის აღთქმას, - არ ვუღალატებ მამაჩემის ბრძანებასა. თავის მოვალეობას? ეს უშვერი ბოროტება? ცხადად ესმოდა თავისი „ურსულას“ ვედრება, - არ დამღუპო, უშველე მამაჩემსო! - და მეორე მხრივ თვალწინ ედგა მამის ანდერძი, - ტენარდიეს დაეხმარეო! გრძნობდა, გიჟდებოდა, მუხლი ეკეცებოდა, დროც კი აღარ ჰქონდა, ჩაფიქრებოდა რამეს, რადგან საშინელი სისწრაფით იშლებოდა მის თვალწინ სურათი. ქარიშხალი ამოვარდნილიყო, რომელიც სადღაც მიაქანებდა, თუმცა თვითონ აპირებდა მის დამორჩილებას. იყო წუთი, რომ ეგონა გრძნობას კარგავდა და ეცემოდა ძირს.

ტენარდიე - ამიერიდან ისევ თავისი ნამდვილი სახელით ვახსენოთ ჩვენი მიკიტანი, - ტენარდიე კი გიჟივით დაიარებოდა ოთახში, გამარჯვებით გახარებული.

აიტაცა შანდალი და ისე დაახალა ბუხრის თავზე, რომ კინაღამ ჩაქრა სანთელი. დამდნარი ქონის წვეთები კედელს შეესხა.

მერე ლებლანისკენ მიბრუნდა და საზარელი ხმით მიახალა:

- გაგაბით?! გაგბოჭეთ?! ახლა როგორ გაწრუწუნებთ?!

და ისევ გიჟივით სიარული დაიწყო.

- ოჰ, ძლივს არ გიპოვეთ, ბატონო ფილანტროპო! ბატონო გაქცეულო მილიონერო! ბავშვებისთვის დედოფლების დამრიგებელო! ბებერო ყეყეჩო! მაშ, ვერ მიცნობთ, ვერა? ან როგორ უნდა მიცნოთ? აბა, თქვენ ხომ არ იყავით, რომ მობრძანდით მონფერმეილში, ჩემს დუქანში, ამ რვა წლის წინათ, 1823 წელს, შობა ღამეს, აბა, რას იკადრებდით?! ცხადია, თქვენ არ წაიყვანეთ ჩემი სახლიდან ფანტინის ბავშვი? ტოროლა? აბა, თქვენ ხომ არ იკადრებდით ყვითელ სერთუკს? ხელში როგორ დაიჭერდით პატარა ბოხჩას, ბავშვის ტანისამოსით, როგორც დღეს დილას, ჩემთან რომ მობრძანდით? გეყურება, დედაკაცო, ალბათ ამ ბოხჩაზე არის გადარეული ეს უბედური! საცა მივა, პატარა ბოხჩით უნდა მიიტანოს გადასაყრელი წინდები! მეწინდე ხომ არა ბრძანდებით, ბატონო მილიონერო? თქვენი დუქნის ნაშთ საქონელს ხომ არ ურიგებთ საწყალ ხალხს, წმინდა ადამიანო? ეს ტაკიმასხარა, ესა! მაშ, ვერა მცნობთ? მე კი მაშინვე გიცანით! მაშინვე, როგორც შემოჰყავით აქ თქვენი დინგი! ჰოდა, მე გასწავლით ჭკუას! მე დაგანახვებთ, რომ მაისის ვარდის კრეფა არ არის აგრე სხვის სახლში შესვლა, - რადგან დუქანიაო, - ღარიბ-ღატაკის ტანისამოსით, საწყალი მათხოვრის დაღრეჯილი სახით, რომ უფრო ადვილად მოატყუოთ ადამიანი; გულკეთილად ეჩვენოთ კაცს, ცხოვრების სახსარი გამოჰგლიჯოთ ხელიდან და თქვენვე ემუქრებოდეთ ტყეში! იქნებ გგონიათ, რომ ამ საბნებით და ამ განიერი პალტოთი გადამიხდიდით, რაც წამართვით? ბავშვების ქურდი!..

გაჩერდა, ისე იყო პატარა ხანს, თითქოს თავს ელაპარაკებაო. რომ გენახათ, იტყოდით, - ამის ბრაზიც სადღაც ჩადის, როგორც რონის წყალიო, - და როცა დაასრულა, - ჩუმად უთხრა თავის თავს, რაც სათქმელი ჰქონდა, მაღლა წამოიყვირა უკანასკნელი სიტყვა:

- თავისი გულუბრყვილო სახით!

და ისევ ბ. ლებლანს მიმართა:

- როგორ არ ვთქვა? ყინულზე გამაცურეთ ამას წინათ, მასხრად ამიგდეთ! თქვენა ხართ მიზეზი ყველა ჩემი უბედურებისა! ათას ხუთას ფრანკად გამომცინცლეთ გოგო, რომელიც მდიდრებისა უნდა ყოფილიყო, რადგან დიდი ფული შემძინა და კიდევ დიდ ფულს შემძენდა. უზრუნველყოფილი ვიქნებოდი მეც და ჩემი ცოლ-შვილიც. დაუშრეტელი წყარო მექნებოდა ცხოვრებისა. ის გოგო ამინაზღაურებდა, რაც მე იქ ფული ჩავყარე, იმ ოხერ დუქანში, სადაც სმისა და ქეიფის მეტი არაფერი იყო, და სადაც ისე სულელურად შევჭამე, რაც რამ მებადა. ოჰ, შხამად შეერგოთ, რაც იქ ღვინო დალიეს ჩემმა დამღუპველებმა! ეგ, რაც იყო, იყო! რამდენს დამცინებდით, ტოროლა რომ წაიყვანეთ! კარგი კეტი გეჭირათ ტყეში. თქვენ უფრო ღონიერი იყავით, უფრო შეიარაღებული. ჰოდა, გავსწორდეთ! დღეს მე უფრო ღონიერი ვარ, მე ვარ მოგებული! ახლა მე ვიცი! ახლა მიყურეთ თქვენ, როგორ მოვიფხან გულს! როგორ ამოვიყრი ჯავრს! არა, როგორ არ გავიცინო, რომ ასე კარგად გავაბი მახეში! იცით, რა საკენკი დავუყარე? მსახიობი ვარ, ფაბანტუ მქვია, ქალბატონ მარსთან ვთამაშობდი კომედიას-მეთქი, სახლის პატრონს ხვალ, 4 თებერვალს, უნდა გადავუხადო ქირა, და ისიც კი ვერ მოიაზრა, რომ ვადა 8 იანვარს მქონდა, და არა 4 თებერვალს. აკენკა, რაც დავუყარე ამ ყეყეჩმა! დიდი რამ ჰგონია თავისი ოთხი ოქრო! იმდენი მოსაზრებაც კი არა აქვს, რომ ასი ფრანკი მაინც მოეტანა! უნდა გენახათ,

როგორ მიგდებდა ყურს! მე კი ვროშავდი, რაც ენის წვერზე მომადგებოდა! რა სიამოვნებით მიცინოდა გული! ვგრძნობდი, რომ ღილით ხელზე ვკოცნიდი და საღამოს გულს გავუხეთქავდი!

გაჩუმდა, ძლივსღა სუნთქავდა, სულს ვეღარ იბრუნებდა მისი პატარა, ვიწრო გული. თვალი სავსე ჰქონდა იმ უკეთურ ნეტარებით, რომელიც ახასიათებს ქმნილებას სუსტს, გულქვას და ლაჩარს, როდესაც ვერაგობით ხელთ იგდებს და ძირს დასცემს იმას, ვისიც ჯავრი სჭირდა და ვისიც ეშინოდა; ძირს დასცემს და ფეხით სცემს, ვისაც ცბიერად ხელს ულოკავდა; ნეტარება ჯუჯაკაცისა, რომელიც ქუსლს ჩაჰკრავს თავში გოლიათს; ნეტარება ტურისა, რომელიც ხელთ იგდებს მომაკვდავ ხარს, იმდენად მომაკვდავს, რომ აღარ ძალუძს მისი მოგერიება, და იმდენად ცოცხალს, რომ გრძნობდეს ტკივილსა და შეურაცხყოფას.

ბ. ლებლანი სიტყვას არ აწყვეტინებდა, მაგრამ გაჩუმებული რომ ნახა, უთხრა მშვიდი ხმით:

- არ ვიცი, რას მემდურები, ვერ გამიგია. ცდებით, მე ის არა ვარ, ვინც გგონივართ. ერთი საწყალი კაცი ვარ და არა მილიონერი. მე თქვენ არ გიცნობთ. სხვას მამსგავსებთ ვინმეს, გარწმუნებთ.

- რაო? - შეჰყვირა ტენარდიემ, - არც ახლა იშლით მაგ სიცრუეს? ვის ატყუებთ, ვის? ვის უხვევთ თვალებს? მაშ, აღარ გაგონდებით? მაშ, ვერ ხედავთ ვინა ვარ?

- უკაცრავად, ბატონო, - უპასუხა ლებლანმა ისეთი ზრდილობიანი კილოთი, რომელიც იმ დროს შთამაგონებლად გაისმა: - უკაცრავად, ბატონო, მე ვხედავ, რომ ავაზაკი ხართ.

რაც უნდა საზიზღარი იყოს კაცი, მაინც აქვს თავმოყვარეობა; ურჩხულიც რომ იყოს, მაინც თაკილობს ბევრ რამეს. ავაზაკიო, - რომ გაიგონა ტენარდიეს ცოლმა, გააფთრებით წამოხტა საწოლიდან. ტენარდიემ ხელი სტაცა სკამს, თითქოს დამტვრევას უპირებსო:

- ჰა, შენ არ გაინძრე! - შეჰყვირა ცოლს, და მერე ლებლანს მიუბრუნდა:

- ავაზაკიო! დიახ, ვიცი, რომ ეს სახელი დაგვარქვით საწყალ ხალხს თქვენ, მდიდრებმა. ჰოდა, რა? მართალია! გავკოტრდი კაცი და ვიმალები! ლუკმაპური არა მაქვს, პურის ფული არა მაქვს, და ცხადია, ავაზაკი ვყოფილვარ! სამი დღეა პური არ მიჭამია, მაშ რა ვარ, თუ ავაზაკი არა ვარ? თქვენ კი ფეხებს ითბობთ არხეინად, მშვენიერი ფეხსაცმელი გაცვიათ, თბილი სარჩულიანი ტანისამოსი, თითქოს ესპისკოპოსები ბრძანდებოდეთ; მეორე სართულზე დგახართ ყოველთვის, იმისთანა დიდებულ სახლში, რომ შვეიცარი ჰყავდეთ უთუოდ; ქამასოკოს მიირთმევთ, სატაცურს, შუა ზამთარში რომ ორმოცი ფრანკი მისცეთ თითო კონაში და მწვანე მუხუდოს; უძღებად ჭამთ და სვამთ და სხვა არაფერი გაგონდებათ! თქვენ ხომ არც კი იცით, რა არის სიცივე? თუ მოგეპრიანებათ გაიგოთ, ხომ არ ცივაო, მაშინვე გაზეთს გადაშლით და ნახავთ, რას აღნიშნავს ინჟინერ შევალიეს თერმომეტრი. ჩვენ კი ჩვენვე ვართ ჩვენივე თერმომეტრი! ჩვენთვის საჭირო არ არის ქუჩაში გასვლა და საათის კოშკის კუნჭულში თერმომეტრის სინჯვა, რომ გავიგოთ, რამდენი გრადუსია ყინვისა; უიმისოდაც კარგად ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ გაფიჩხებულნი ვართ ყინვით, სისხლი გვიშრება და გული გვიჩერდება. შიმშილით ვიტანჯებით, სიცივით ვიხოცებით და ვიძახით, - ღმერთი რომ იყოს, ხომ არც ამდენი უსამართლობა იქნებოდაო! თქვენ კი მოდიხართ ჩვენს ორმოებში, ჩვენს სოროებში და ავაზაკები

ხართო, - გვიძახით. მაგრამ ამოდენა აღმართს დაღმართიც ექნება! - ჩვენ შეგჭამთ, ბატონო, ჩვენ გადაგყლაპავთ! ჩვენ ჩაგაკნატუნებთ და ჩაგახრამუნებთ, თქვე საწყლებო, თქვენა! ეს იცოდეთ ჩემგან, ბატონო მილიონერო! მეც კაცი ვიყავი, ქუდი მეხურა, ჩემი საქმე მქონდა, მოქალაქის უფლებები მქონდა. მე მდიდარი ვარ, გეყურებათ? და თქვენ კი, მგონია, სულაც არაფერი ხართ.

კართან რომ კაცები იდგნენ, იმათკენ წავიდა და დაუმატა აკანკალებული ხმით:

- ხედავთ, რას მიბედავს? ისე მელაპარაკება, თითქოს ვიგინდარა ვიყო!

მაგრამ მაშინვე ლებლანს მიუბრუნდა და უფრო გაშმაგებით მიმართა:

- ისიც იცოდეთ, ბატონო ფილანტროპო, რომ საეჭვო ადამიანი არა ვარ, რომ არავინ იცოდეს ჩემი სახელი და გვარი! არც ისეთი კაცი ვარ, რომ სხვის სახლში მივიდე და ბავშვი გავიტყუო! მე ჯარისკაცი ვარ საფრანგეთისა, და დაჯილდოებულიც უნდა ვყოფილიყავი! მეც მონაწილეობა მივიღე ვატერლოოს ბრძოლაში და ერთი გენერალი გადავარჩინე სიკვდილს, გრაფი იყო, სახელი აღარ მახსოვს; მითხრა კიდეც თავისი გვარი, მაგრამ ისე მისუსტებოდა ხმა, რომ მერსი-ს მეტი ვეღარაფერი გავიგონე. გვარი მიჯობდა მის მადლობას, მაგრამ რაღას ვიზამდი? მოვძებნიდი, ვიპოვიდი სადმე. აი, ამ სურათს ხედავთ? სახელოვანმა დავიდმა დამიხატა ბრუსელში. იცით ვინ არის მანდ დახატული? მე ვარ, მე, გამოსახული! დავიდმა მოისურვა და უკვდავყო ჩემი თავგანწირვა. ზურგზე მყავს წამოკიდებული დაჭრილი გენერალი და ბრძოლის ველიდან გამყავს. ბუზივით ირევა თოფის ტყვია და ზარბაზნის ყუმბარა! აი, მაგ სურათის ისტორია. იმისი არაფერი მახსოვს, იმ გენერლისა. მე მისგან არაფერი მიმიღია, ჩემთვის ისიც ის იყო, რაც ყველა სხვა! მაგრამ მაინც არ შევდრკი, სასიკვდილოდ თავი გავწირე და სამშვიდობოზე გავიყვანე. ამის დასამტკიცებელი მოწმობებით გატენილი მაქვს ჯიბეები. ვატერლოოს მონაწილე ვარ, გიმეორებთ. და ახლა კი, რაკი კეთილი ვინებე და პირში გახალეთ, რაც გულზე მაწვა, ახლა კი მორჩეთ: ფული მინდა! დიდი ფული მინდა, ძალიან დიდი ფული! დიახ, ფული, თორემ, ვფიცავ ღმერთს, ცოცხალი ვერ გადამირჩებით!

მარიუსს ცოტათი მაინც დაეძლია მღელვარება, გონება მოეკრიბა და ყურს უგდებდა: გარკვეული იყო ტენარდიეს ვინაობა, შეუძლებელი იყო რაიმე ეჭვის მიტანა. ეს იყო მამის ანდერძში მოხსენიებული ტენარდიე. შიგ გულში მოხვდა მარიუსს ტენარდიეს საყვედური მამამისისადმი, მით უფრო, რომ შეიძლებოდა, თვითონაც საყვედურის ღირსი გამხდარიყო. გამბედაობა ემატებოდა ბოროტებით და იმავე დროს გულის გამგმირავ ჭეშმარიტებით იყო სავსე ტენარდიეს ყოველი სიტყვა, მისი კილო, მიმოხვრა, თვალი, რომელიც ცეცხლის ალს ატანდა ყოველ მის სიტყვას; მის ბაქიაობასა და სიბილწეში, სიამაყესა და სულმდაბლობაში, მის ცოფსა და სიბრიყვეში, მის საფუძვლიან საყვედურსა და ყალბ გრძნობაში, ბინძური სულის ურცხვ სიშიშვლეში გამოსჭვიოდა რაღაც შემაძრწუნებელი, როგორც ბოროტება და მწარე, როგორც სიმართლე.

დიდებული ხელოვანის დავიდის ნახატად დასახელებული სურათი ბ. ლებლანს რომ შესთავაზა საყიდად, - მკითხველიც მიხვდებოდა, - სულ უბრალო სურათი იყო, თვით ტენარდიეს ხელით დახატული, რომ დუქნის კარებზე მიეკრა და ხალხი მიეზიდა. ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა მონფერმეილში გაკოტრებულ მედუქნეს.

სურათის წინ აღარ იდგა ტენარდიე და მარიუსს შეეძლო დაეთვალიერებინა ხელოვნების ეს განძი. ეს ნათხუპნი წარმოადგენდა შემდეგს: უკანა მხარეს კვამლს

დაეფარა ყველაფერი, წინ კიდევ ერთი კაცი გამოეხატათ, რომელსაც ზურგზე აეკიდებინა დაჭრილი. ტენარდიე იყო და პონმერსი, თავგანწირული ათისთავი - სიკვდილს გადარჩენილი პოლკოვნიკი. მთვრალივით შესცქეროდა მარიუსი. ეს სურათი თვალწინ უყენებდა მამას, როგორც გაცოცხლებულს. დუქნის აბრა კი არა, მარიუსისთვის ეს იყო მიცვალებულის აღდგომა, ნახევრად გახსნილი საფლავი და ზედ მკვდრეთით აღმდგარი მოჩვენება. გული უძაგძაგებდა, ვატერლოოს ზარბაზნის ხმა უდგა ყურში. სურათზე გამოყვანილი დასისხლიანებული გამოხატულება აშინებდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს სურათზე დახატული უფორმო აჩრდილი თვალს აღარ აშორებდა მას.

ტენარდიემ რომ სული მოიბრუნა, სისხლმორეული თვალებით დააშტერდა ბ. ლებლანს და დაბალი ხმით უთხრა:

- აბა, რას იტყვი კიდევ, მანამ ანდერძს აგიგებთ?

ბ. ლებლანი დუმდა და ამ დუმილში ტალანიდან მოისმა ხრინწიანი ხმით ნასროლი სარკაზმი:

- თუ შეშაა დასაპობი, მეც აქა ვარ!

მართლა ყასაბის ცული ეჭირა ამ კაცს და ოხუნჯობდა.

იმავე დროს ერთი უზარმაზარი სახე გამოჩნდა კარში, მიწისფერი, თმააბურძგნილი, საზარლად ხარხარებდა. პირში კბილების მაგივრად ეშვები გამოსჩროდა.

ის იყო, ის, ცულიანი კაცი.

- რად მოიხსენი ნიღაბი? - შეუტია ტენარდიემ.

- რომ გამეცინა!

რამდენიმე წამი იყო, ბ. ლებლანი ეტყობოდა თვალს ადევნებდა ტენარდიეს ყოველ მოძრაობას, რომელიც გაშმაგებით დაბრმავებული თავისუფლად დადიოდა ოთახში, დარწმუნებული, რომ კართან საკმაოდ დგანან მისი შეირაღებული მეგობრები, და ერთი ბებერი, უირაღო კაცი ვერაფერს გაბედავს მის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ის ერთია და ტენარდიეს კი რვა კაცი ჰყავს დამხმარედ, თუ მისი ცოლი მხოლოდ ერთი კაცის ტოლად ჩაითვლებოდა.

ცულიან კაცს რომ შეუტია, ზურგი შეაქცია თავის ფილანთროპს.

ბ. ლებლანმაც ამით ისარგებლა, ფეხი ჰკრა სკამს; ხელი წაჰკრა მაგიდას და ერთი ნახტომით, საკვირველი სიმკვირცხლით, უფრო სწრაფად, ვიდრე ტენარდიე მობრუნდებოდა, მივარდა ფანჯარას. ფანჯრის გაღება, ზედ ახტომა და ზედ გადავლება ერთი იყო. უკვე გარეთ იყო წელქვევით კაცი, როდესაც ექვსი ღონიერი ხელი ეცა ფანჯარას, აიტაცეს იგი და ისევ ოთახში გადმოათრიეს. მენახშირეებად რომ დაუსახელა ბ. ლებლანს, ისინი იყვნენ ეს სამნი. ამ დროს ტენარდიეს ცოლი თმაში წვდა ბ. ლებლანს.

ამ ხმაურზე სხვა ქურდებიც შემოცვივდნენ ტალანიდან. ლოგინზე რომ ბებერი იწვა და მთვრალს ჰგავდა, ადგა და ბარბაცით ჩაერია მეგობრებში. მასაც ქვის სამტვრევი ჩაქუჩი ეჭირა ხელში.

ერთი კიდევ ბ. ლებლანთან მისულიყო და თავში ჩასაკრავად აეწია მოკლე, ტყვიისთავიანი კეტი ფოლადის წვეტით. მას შიგ სახეში სცემდა სინათლის შუქი და, თუმცა მთლად გაშავებული ჰქონდა ცხვირ-პირი, მარიუსმა მაშინვე იცნო პანშო, მეტსახელად გაზაფხულა, ანუ ბიგრნაილი.

ვეღარ გაუძლო მარიუსმა ამ სურათს. - მაპატიე, მამაჩემო, - თქვა გულში და თითი დაადო დამბაჩის ჩახმახს. ის-ის იყო, გასროლას აპირებდა, რომ ტენარდიეს ხმა მოესმა:

- ხელი არ ახლოთ.

მსხვერპლის თავგანწირულმა თავის დაღწევის ცდამ სრულებითაც არ გააჯავრა ტენარდიე; პირიქით, დაამშვიდა კიდეც. ორი კაცი შეერთებულიყო მის გულში; ერთი მხეცი, მეორე - მოხერხებული. აქამდე გამარჯვებულად გრძნობდა თავს, ტკბებოდა მახეში გაბმულის სისუსტით და უღონობით; მხეცი დაჰპატრონებოდა მის გულს; მაგრამ რაკი ნახა, რომ იბრძვის კიდეც და ძალაც აქვს საბრძოლოდ, წინ წამოიწია მოხერხებულმა და ჩააჩუმა მხეცი.

- ხელი არ ახლოთ! - გაიმეორა ტენარდიემ. რას წარმოიდგენდა, რომ ამ სიტყვით შეაჩერა მარიუსის ხელი და აიცდინა დამბაჩის გასროლა. ხედავდა მარიუსი, ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოცდა, რომ უკიდურესი წამი თვით ტენარდიემ ააცდინა თავიდან და ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლოდინი. ვინ იცის, კიდევ მოხდეს რამე ასევე მოულოდნელი და სულაც გამოიყვანოს ამ ცეცხლიდან: არც საყვარელი ურსულას მამა დაიღუპოს, და არც თავისი მამის მხსნელი?

საშინელი ბრძოლა ატყდა. მუშტი ჩაჰკრა ბ. ლებლანმა შიგ გულში ბებერს და მიწაზე გააგორა, მერე ორი კიდევ სხვა მიაყოლა თითო წაკვრით და ორიც ძირს წაქცეული ჰყავდა მუხლებქვეშ; ისე ქშინავდნენ წაქცეულები, თითქოს წისქვილის ქვის სიმძიმეს განიცდიდნენ; მაგრამ ოთხი კაცი კიდევ სხვა იყო, იმათ კიდევ ხელები დაუჭირეს ამ საკვირველი ძალის მქონე მოხუცს, კისერში წაუჭირეს და ასე ეჭირათ ორ კაცზე მუხლდაყრდნობილი. ზოგი ფეხქვეშ ჰყავდა ლებლანს დამარცხებული, ზოგი ხელებს უჭერდა გამარჯვებული. ზოგს თვითონ სთელავდა, ზოგი ზემოდან აწვებოდა; მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, გამოერთმია როგორმე თავისი ხელი, მაგრამ ვერაფერს გახდა, ისე აწვებოდნენ ერთ კაცს ეს ავაზაკები, როგორც გარეულ ტახს მწევარი ძაღლები და ნაგაზები.

ბოლოს აჯობეს, ლოგინზე წააქციეს და ისე ეჭირათ, ტენარდიეს ცოლს ჯერაც არ გაეშვა ხელი მისი თმისთვის.

- შენ, ეი! - შეუტია ქმარმა, - შენ ნუ ერევი! მაგ შალს დაიხევ და ის შეგრჩება!

ცოლი მყისვე დაემორჩილა, როგორც ძუ მგელი ემორჩილება თავის ხვადს, ოღონდ ღმუილით.

- აბა, ბიჭებო! ერთი გაჩხრიკეთ!

ისე დანებდა ბ. ლებლანი, თითქოს გადაწყვიტა, - ვერას გავხდები, ამაო იქნება ჩემი ბრძოლაო. გაჩხრიკეს. ერთი ქისა უპოვეს, შიგ ექვსი ფრანკი იყო, და ერთი ცხვირსახოცი. სხვა არაფერი ჰქონდა.

ტენარდიემ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

- როგორ? მაშ, უბის ქისა კი არა აქვს?

- არა. არც საათი.

- ეგ არაფერი! - წამოიძახა მუცლით მოზღაპრის ხმით ნიღბიანმა, რომელსაც დიდი გასაღები ეჭირა ხელში, - არც ისე ადვილად დასამორჩილებელი ყოფილა ეს ბებრუცუნა!

კარისკენ წავიდა ტენარდიე, თოკი აიღო და მეგობრებს გადაუგდო:

- საწოლის ფეხზე მიაბით!

ამ დროს ოთახში განრთხმული ბებერი დაინახა, ბ. ლებლანს მუშტით რომ წაექცია და აღარ იძროდა.

- ცოცხალია თუ მკვდარია ბულატრუელი? - ჰკითხა ტენარდიემ.

- არა, მთვრალია!

- მაშ, მაგ კუნჭულში მიაგდეთ ეგ არამზადა, - უბრძანა ტენარდიემ.

ორი კაცი მივარდა მთვრალს, წაჰკრეს ფეხი და რკინეული რომ ეყარა გროვად, იქ მიაგორეს.

- ბაბეტ, რისთვის დამახვიე ამდენი ხალხი? - ჰკითხა ჩუმად ტენარდიემ კეტიან თანამზრახველს, - რა საჭირო იყო?

- რას იზამ, რომ ასე გაჭირვებულნი არიან? ყველას უნდოდა ხელის მოთბობა. ძალიან ცუდი დროა და საშოვარი აღარსად არის.

ტლანქ, საავადმყოფოში რომ დგას, იმგვარ საწოლზე, რომელსაც ოთხი, ოდნავ გარანდული სვეტი ჰქონდა, წააქციეს ბ. ლებლანი. მერე თოკი აიღეს და ისე მიაბეს ერთ-ერთ სვეტს, რომ ფეხზე იდგა. ეს საწოლი ფანჯრიდან მოშორებით იდგა, ბუხართან ახლოს.

უკანასკნელად რომ განასკვეს თოკი, სკამი აიღო ტენარდიემ და თითქმის პირდაპირ დაუჯდა ბ. ლებლანს. თავის თავს აღარ ჰგავდა ეს კაცი. მთლად გამოცვლილიყო რამდენიმე წამის განმავლობაში მისი სახის გამომეტყველება და მხეცური გაშმაგების მაგივრად ვერაგული სიმშვიდე ემჩნეოდა. შეჰყურებდა მარიუსი და ვეღარ ცნობდა კაცს: ხრიკიანი მოხელის ზრდილი ღიმილი ამშვენებდა მხეცის სახეს, რომელსაც ცოფიანი დორბლი სდიოდა რამდენიმე წუთის წინ. სულისფანცქალით დაფიქრებოდა ამ საკვირველ და საზარელ გარდაქმნას და ის შიში ერეოდა, რომელსაც განიცდის ადამიანი, ვეფხვს რომ დაინახავს გამომძიებლად ქმნილს.

- ბატონო... - მიმართა ტენარდიემ.

ხელით მოიშორა თანამზრახველნი, რომლებიც ჯერაც არ უშვებდნენ ბ. ლებლანს.

- ცოტა იქით, მინდა მოველაპარაკო ბატონს.

კარისკენ წავიდნენ ყაჩაღები და ახლა ბ. ლებლანს მიმართა:

- უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ძალიან შეცდით, ფანჯრიდან გადახტომა რომ განიზრახეთ. ფეხს მოიტეხდით, მეტი რომ არაფერი ვთქვათ. ახლა, თუ ნებას მიბოძებთ, მინდა მოგელაპარაკოთ წყნარად, მშვიდობიანად. თავდაპირველად მინდა ერთი შენიშვნა გადმოგცეთ, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება: თქვენ აქამდე ერთხელაც კი არ დაიყვირეთ.

მართალს ამბობდა ტენარდიე, სრულ სიმართლეს აღნიშნავდა, თუმცა ეს გარემოება გამოეპარა მარიუსს. სულ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა ბ. ლებლანმა და ისიც ხმის აუმაღლებლად და, ფანჯარაში რომ დაიჭირეს და გადმოათრიეს ოთახში, იმ ბრძოლის დროსაც კი უცნაურად ჩაჩუმებული იყო, მუნჯივით.

ტენარდიემ განაგრძო:

- ცოტა რომ დაგეყვირათ, - მიშველეთ, ქურდებიო! უზრდელობაში არ ჩამოგართმევდით. ან არადა, მიშველეთ, მომკლესო! - ეგეც ბუნებრივი იქნებოდა, როდესაც ექვსი კაცი გებრძოდათ. ბუნებრივია და აუცილებელ საჭიროებასაც წარმოადგენს ყვირილი, როცა იმისთანა ხალხის ხელში ჩავარდება ადამიანი, რომლებისგან ავის მეტს არას მოელის. თქვენ რომ ყვირილი დაგეწყოთ, არც

გაგაჩუმებდით, არც პირში ჩაგჩრიდით ბურთს. და ახლა იმასაც მოგახსენებთ, რად მოგექცეოდით ასე ლმობიერად; იმიტომ, რომ მეტად მიყრუებულია ეს ოთახი. მეტად განცალკევებულია თვით სახლიც. ამის მეტი ღირსება არა აქვს ამ ოთახს. მაგრამ ამ მხრივ კი საგანგებო არის. ნამდვილი სარდაფია. ზარბაზნის სროლა რომ ატეხოთ ამ სახლში, ისე ეჩვენება უახლოეს პოლიციას, როგორც მთვრალი კაცის ხვრინვა. ჰოდა, ძალიან კარგი, რომ არ დაიყვირეთ, აგრე სჯობდა და ძალიანაც მომწონს თქვენი სიჩუმე. მაგრამ მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ერთგვარი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომყავს ამ გარემოებიდან. ვინ მოდის, ჩემო დიდებულო ბატონო, ყვირილს რომ დაიწყებს კაცი?

პოლიცია, არა? პოლიციის შემდეგ? სასამართლო, ხომ? ჰოდა, თქვენც იმიტომ არა ყვიროდით, რომ არად გეჭაშნიკებოდათ, როგორც ჩვენც, არც პოლიციის მოსვლა და არც სასამართლოსი. დიახ, ბატონო, დიდი ხანია ეჭვი მაქვს, რომ თქვენ საჭიროებად მიგაჩნიათ დაიმალოთ და რაღაც დამალოთ. ჩვენი მხრივ, ჩვენც საჭიროებად მიგვაჩნია დამალვა. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ადვილად შევთანხმდეთ.

ამას რომ ამბობდა, შიგ თვალში ჩასცქეროდა ბ. ლებლანს, თითქოს ცდილობდა თვალი თვალში გაუყაროს და გულის სიღრმეში ჩაუძვრეს თავის პატიმარს, რომ ამოიცნოს მის საიდუმლოებაო. სიტყვით კი ცდილობდა ზრდილობიანად ყოფილიყო, თუმცა თავს ვერ იკავებდა და პატარა თავხედობასაც წაურევდა ხოლმე; იმასაც ცდილობდა, განათლებული კაცის მჭევრმეტყველებით ელაპარაკა და ცხადად ჩანდა, ეს ავაზაკი ერთ დროს ადამიანი იყო, რომელიც „სამღვდელოდ ემზადებოდა“.

ეს დუმილი მახეში გაბმულისა, ეს სიფრთხილე, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ გამწარებულ ბრძოლაშიც კი აჩუმებდა სასიკვდილოდ განწირულს, და რაც ეწინააღმდეგებოდა ბუნებრივ თავდაცვის ალღოს, მეტად მნიშვნელოვნად ეჩვენა მარიუსს ტენარდიეს სიტყვის შემდეგ და მძიმედ შეაშფოთა იგი.

ისე კარგად იყო დასაბუთებული ტენარდიეს დასკვნა, რომ უფრო მეტად გააძლიერა ის წყვდიადი, რომელიც ფარავდა დარბაისელ, მაგრამ უცნაურ მოხუცებულს, კურფეირაკისგან მეტსახელად ბატონ ლებლანად წოდებულს. მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, მაინც ღირსეული იყო, რადგან თოკით გაშარტული, ჯალათების მახეში მომწყვდეული, ორმოში ჩავარდნილი, რომლის ფსკერი უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ისიც თან ჩაჰქონდა, ტენარდიეს მძვინვარების ან დატკბობის მნახველი, ერთ წამსაც არ შემკრთალა და არ დაუკარგავს სიმშვიდე. აღტაცებით შეჰყურებდა მარიუსი ამ განსაცდელში მყოფი მოხუცებულის მელანქოლიურ სახეს.

ეტყობოდა იმ სულის ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომლისთვისაც უცხოა შიში და რომელიც არავითარი საფრთხის წინ, უკიდურეს განსაცდელშიც კი არ კარგავს წონასწორობას. იმ კაცთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც მედგრად იბრძვის, რაც უნდა უკიდურეს განსაცდელში იყოს, და სასოწარკვეთილებისა და ქედმოხრისა არაფერი სწამს. უკიდურეს გაჭირვებაში იყო, ხედავდა, რომ აუცილებელი იყო მარცხი, იმისდა მიუხედავად, რომ ხსნას აღარსაიდან მოელოდა და დაღუპვა გარდაუვალი ჩანდა, ლებლანს არაფერი ეტყობოდა იმ სულთმობრძავისა, რომელიც წყალში იხრჩობა და დაჭყეტილი აქვს შიშით სავსე საზარელი თვალი.

მშვიდობიანად წამოდგა ტენარდიე, ბუხართან მივიდა, წინ აფარებული თეჯირი ჩამოაშორა, რომელიც მეორე საწოლს მიაყუდა. გამოაჩინა მოგიზგიზე ნახშირით

სავსე მაყალი და შიგ თეთრად გავარვარებული სატეხი, რათა ყოველივე ეს კარგად დაენახა ტყვექმნილს.

მერე ისევ ახლოს მიუჯდა.

- მაშ განვაგრძობ ჩემს სათქმელს! დიახ, შეიძლება ადვილად შევთანხმდეთ, და მართლაც, სჯობს, პატიოსნად მოვრიგდეთ. ძალიან მივქარე, რომ ისე გავბრაზდი წეღან! მერწმუნეთ, ვგრძნობ, დავაშავე, ჭკუა დავკარგე და ბევრი რამ წამოვროშე უხამსი და უვარგისი. მაგალითად, რაკი თქვენ მილიონერი ბრძანდებით, გითხარით, რომ მუქარით გადაგახდევინებთ ფულს, დიდ ფულს, უთვალავს. ეს არ იყო კეთილგონიერი საქციელი, ვინაიდან, თუმცა მდიდარი ხართ, მაგრამ თქვენც გაქვთ თქვენი ხარჯი, თქვენი საჭიროებანი. ან ვინ არის, რომ ფული არ სჭირდებოდეს? მე თქვენი გაღატაკება როდი მინდა. მართლა ბოქაული ხომ არა ვარ. მე იმათგანი კი არ გეგონოთ, რომლებიც, რაკი ხელთ იგდებენ ვისმე, სარგებლობენ თავისი უპირატესობით, და თავს ირცხვენენ. აი, ბატონო, ჩემ მხრივ მეც დათმობის გზას დავადგები. მხოლოდ და მხოლოდ ორასი ათასი ფრანკი მჭირდება.

კრინტი არ დაუძრავს ლებლანს. ტენარდიემ განაგრძო:

- აი, ხომ ხედავთ, ცოტა წყალი კი არ შევურიე ჩემს ღვინოს, მაგრამ რა გაეწყობა, მორიგება მინდა, მე თქვენი სიმდიდრისა არაფერი ვიცი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ფულს ბზესავით აბნევთ და თქვენისთანა გულკეთილი და ქველმოქმედი ადამიანი თავის დღეში არ დაიშურებს ორასი ათას ფრანკს ერთი უბედურისთვის, რომელსაც შიმშილით უწყდება ცოლ-შვილი. ჩემთვის ცხადია, ბატონო, იმდენად კეთილგონიერი ბრძანდებით, რომ არ იფიქრებდით, ვითომ მე ამდენს ვეწვალებოდი, როგორც დღეს ვეწვალე, ასე კარგად მოვაგვარებდი ყველაფერს, რაშიც ჩემი თანამოაზრენიც მეთანხმებიან, რომ მეთხოვა თქვენთვის კარგი წითელი ღვინის გადასაკრავი ან დენუსთან შემწვარი ხბოს ფული. დღევანდელი ჩემი სამზადისი ორასი ათასი ფრანკი ღირს. რაკი კეთილს ინებებთ და ამ წვრილმანს ამოყაჭავთ ჯიბიდან, გეფიცებით, წკიპურტიც აღარ მოგხვდებათ ჩემგან. შესაძლებელია ამაზე მიპასუხოთ: - ჯიბეში კი არ მიდევს ორასი ათასიო. ვიცი, ბატონო, ურჯუკი ხომ არა ვარ, რომ ყელში წაგიჭიროთ, - აბა, ჩქარაო! მე თქვენ ერთს გთხოვთ, - დაწეროთ, რასაც მე გიკარნახებთ.

დაასრულა. ღიმილით გადახედა მაყალს და შიგ გახურებულ რკინას. ისევ ბ. ლებლანს მიმართა და ხაზგასმით უთხრა:

- იცოდეთ, ვერ დაგიჯერებთ, ბევრიც რომ იფიცოთ, წერა არ ვიციო.

დიდებულ ინკვიზიტორსაც შეშურდებოდა ეს სიცილი.

მერე ახლოს მიუდგა მაგიდა ბ. ლებლანს, უჯრიდან საწერ-კალამი ამოიღო, ერთი ფურცელი ქაღალდი და წინ დაუდო. უჯრა ისევ გამოწეული დატოვა, სადაც დიდი, გალესილი დანა მოჩანდა.

წინ დაუწყო და უბრძანა:

- აბა, დაწერეთ.

ბოლოს ბ. ლებლანმა ამოიღო ხმა:

- როგორ დავწერო, შებოჭილი ვარ.

- მართალია! უკაცრავად! - ბოდიში მოუხადა ტენარდიემ, - ეგ კი დამავიწყდა.

და ბიგრნაილს მიუბრუნდა:

- გაუხსენით ბატონს მარჯვენა ხელი.

პანშომ, იმავე გაზაფხულამ, იმავე ბიგრნაილმა აასრულა ეს ბრძანება. მარჯვენა ხელი რომ გაუთავისუფლა, ტენარდიემ კალამი ამოაწო მელანში და ხელში მისცა.

- ნურც იმას დავივიწყებთ, ბატონო, რომ ჩვენს ხელში ხართ. ვერსად წაგვიხვალთ, და ადამიანი კი არა, თვით ქრისტეღმერთი ვერ გიხსნით ჩვენი ხელიდან. ამიტომ ძალიან გთხოვთ, ისე ნუ გაგვიხდით საქმეს, რომ ჩვენდა სავალალოდ უკადრისი გაკადროთ რამე. მე არ ვიცი არც თქვენი სახელი, არც თქვენი სახლი, მაგრამ გაფრთხილებთ, დაბმული იქნებით, ვიდრე არ დაბრუნდება და პასუხს არ მომიტანს ის კაცი, რომელსაც მე თქვენს დაწერილ ბარათს გავატან. ახლა დაწერეთ:

- რა დავწერო? - იკითხა ბ. ლებლანმა.

- რასაც მე გიკარნახებთ.

და დაუწყო კარნახი:

- „ჩემო ასულო“...

კანკალი მოერია მოხუცებულს, თვალში ჩახედა ტენარდიეს.

- არა, დაწერეთ, „ჩემო საყვარელო შვილო!“, - უთხრა ტენარდიემ და ბ. ლებლანმაც დაწერა.

- „ახლავე აქ წამოდი“... ხომ შენობით ელაპარაკებით?

- ვის? - იკითხა ბ. ლებლანმა.

- ვისა და თქვენს ქალიშვილს, პატარა ტოროლას?

გაკვირვებით შეხედა ლებლანმა, არავითარი მღელვარება არ ემჩნეოდა:

- არ მესმის, რას მეუბნებით!

- თქვენ დაწერეთ! - მოკლედ მოუჭრა ტენარდიემ და განაგრძო კარნახი:

- „ახლავე აქ წამოდი. საჭირო საქმე მაქვს, ძალიან საჩქარო, ამ ბარათის მომტანს გამოჰყევი და ის მოგიყვანს ჩემთან. მაშ, გელი, წამოდი, შიში ნუ გექნება“.

ბ. ლებლანმა დაწერა. ტენარდიემ გაასწორებინა:

- ეჰ, წაშალეთ „შიში ნუ გექნება“, თორემ ეჭვი აღეძვრის, უბრალო რომ ყოფილიყო რამე, ამას არ დაწერდაო, - და იქნებ არც კი წამოვიდეს.

ბ. ლებლანმა წაშალა ეს სიტყვები.

- ახლა ხელი მოაწერეთ, - უთხრა ტენარდიემ, - თქვენი გვარი? სახელი?

ტუსაღმა კალამი დადო და ჰკითხა:

- ვის ვწერ ამ ბარათს?

- ძალიან კარგად იცით, ვისაც სწერთ. თქვენს ქალს, აკი გითხარით.

ეტყობოდა, ტენარდიე ერიდებოდა ქალის სახელის ხსენებას. და, თუ საჭირო იყო, ტოროლას იძახდა ან პატარას ამბობდა, და სახელს კი არ უმატებდა. გამოცდილი, გაქნილი კაცი იყო და არ უნდოდა სხვებისთვის გაეგებინებინა ქალის სახელი. ამის გამომჟღავნება ის იქნებოდა, რომ ყველანი გაიგებდნენ იმას, რისი ცოდნაც მეტი იყო იმათთვის.

- ხელი მოაწერეთ. თქვენი სახელი და გვარი?

- ურბენ ფაბრი.

კატის მოძრაობის სისწრაფით ჩაიყო ჯიბეში ხელი ტენარდიემ, ამოიღო ბ. ლებლანის ცხვირსახოცი, მოძებნა ზედ ამოკერილი ასოები და სანთელთან დახედა.

- უ. ფ. ძალიან კარგი, ურბენ ფაბრი. მაშ, მოაწერეთ - ურბენ ფაბრი.

ხელი მოაწერა ბ. ლებლანმა.

- და რადგან წერილის დასაკეცავად ორი ხელია საჭირო, მომეცით, მე გავკეცავ.

დაკეცა და უთხრა:

- დაწერეთ მისამართი, - ქალბატონ ფაბრს და თქვენი სახლის ქუჩა და ნომერი. ვიცი, რომ შორს არ ცხოვრობთ აქედან, სენჟაკის მიდამოებში სადღაც, რადგან ყოველდღე იქ ისმენთ წირვა-ლოცვას, მაგრამ თქვენი ქუჩა კი არ ვიცი. ვხედავ, კარგად უნდა გქონდეთ შეგნებული თქვენი მდგომარეობა. თქვენი სახელი და გვარი რომ მითხარით, მართალი თქვით, აქაც მართალს იტყვით და თქვენს ნამდვილ მისამართს დააწერთ ამ წერილს.

ერთ წამს ჩაფიქრებული იჯდა ბ. ლებლანი, მერე აიღო კალამი და დაწერა:

„ქალბატონ ფაბრს, ურბენ ფაბრის სახლში, სენ-დომინიკოს ქუჩა, #17“.

ხელიდან გამოჰგლიჯა წერილი ტენარდიემ და დაიყვირა:

- აქ მოდი, დედაკაცო!

დედაკაცმა მიირბინა.

- აი, წერილი, ხომ იცი, სად და რისთვის მიდიხარ? ეტლი გელის კართან. აბა, მალე წადი და მალევე დაბრუნდი!

მერე ყასბის ცულიანს უთხრა:

- შენ კიდევ, რაკი ჩამოიხსენ ნიღაბი, ქალბატონს გაჰყვები, უკან ჩაჯდები ეტლში. ხომ იცი, სად გელის ჩვენი ეტლი?

- ვიცი.

ცული იქვე კუნჭულში მიდო და „ქალბატონს“ გაჰყვა.

ის-ის იყო გავიდნენ ტალანში, რომ ტენარდიემაც თავი გაყო კარიდან და დაუყვირა:

- ეგ წერილი არ დაკარგო, დედაკაცო! გახსოვდეს, ორასი ათასი ფრანკი გიდევს ჯიბეში!

ხრინწიანი ხმით უპასუხა ცოლმა:

- არხეინად იყავ! შიგ გულში მიდევს!

მცირე ხნის შემდეგ მათრახის ტყლაშუნი მოისმა. წავიდა ეტლი.

- ძლივს! - წამოიძახა ტენარდიემ, - თუ ჩქარა იარეს, ერთ საათზე ადრე დაბრუნდება ქალბატონი.

სკამი მიიდგა ღუმელთან, დაჯდა, გულხელი დაიკრიფა და ტალახიანი წაღები მიუშვირა ცეცხლს.

- ლამის გამეყინოს ფეხი!

ოთახში ხუთი კაციღა იყო ტენარდიესთან. თუმცა ხუთივეს შავი ფერით შეენიღბათ სახე და ზოგი მენახშირეს ჰგავდა, ზოგი ზანგს, ზოგი ეშმაკს, მაინც ეტყობოდათ დაღვრემილებს, რომ უცხონი იყვნენ ამ საქმეში, დაქირავებულნი იყვნენ ამ ბოროტმოქმედების შესასრულებლად, როგორც სხვა რამ სამუშაოზე, და ისინიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მშვიდად, გაუბრაზებლად, შეუბრალებლად და უხალისოდ. ერთ კუნჭულში მოგროვილიყო ხუთივე პირუტყვებივით, იდგნენ გაჩუმებულნი, დაღვრემილნი და ელოდნენ ბრძანებას. ტენარდიე ფეხებს ითბობდა. ბ. ლებლანი ხმას არ იღებდა. წეღანდელი ბრძოლისა და ხმაურობის მაგივრად ახლა ავბედითი დუმილი იდგა ამ ჯურღმულში.

შანდალს განიერ სოკოსავით მოსდებოდა ნაღვენთი და ძლივსღა ანათებდა იმ ფართო ოთახს. მაყალში ცეცხლს ფერფლი ედებოდა, და კედლებსა და ჭერზე საზარელი ჩრდილები ჩანდა ტენარდიეს თანამზრახველებისა.

აღარაფერი ისმოდა გარდა მთვრალი ბებერის ხვრინვისა.

გულისწუხილით შეჰყურებდა მარიუსი საბრალო მოხუცებულს და უფრო და უფრო ემატებოდა მწუხარება. ახლა უფრო ძნელი გამოსაცნობი იყო ეს საქმე, ვიდრე აქამდე. ვინ უნდა იყოს ის „პატარა“, ტოროლად რომ დაასახელა ტენარდიემ? იქნებ მისი ურსულა იყოს? არავითარი მღელვარება არ შეეტყო ბ. ლებლანს, ეს სახელი რომ გაიგონა, ტოროლაო, და სრულიად მშვიდად, ბუნებრივად უპასუხა, - არ ვიცი, რას ამბობთ, რისი თქმა გინდათო, - მაგრამ ორი ასო კი - უ. ფ. გამორკვეულია, ეს არის ურბენ ფაბრი და მაშასადამე, ურსულა არ ყოფილა ურსულა. ამას ყველაფერზე უფრო ცხადად ხედავდა მარიუსი. მოჯადოებულივით მიჰკროდა სარკმელს, თვალს არ აშორებდა ამ სურათს და გულისფანცქალით ელოდა უკიდურეს წამს, როდესაც იძულებული იქნებოდა ან ერთი დაეღუპა, ან მეორე. აღარც ფიქრი შეეძლო, აღარც მოძრაობა. დაუძლურებული იყო ასე ახლოს ნახული ადამიანის ბიწიერებით. იდგა და ელოდა, - იქნება მოხდეს რამე, რაც უნდა იყოს, ოღონდ ეს წამი ამაცილოსო, - რადგან ვერა და ვერ გადაეწყვიტა, მოიხმარდა დამბაჩას თუ არა.

- ასეა თუ ისე, თუ ტოროლას ჩემს სატრფოს ეძახიან, ახლავე ვნახავ, ახლავე მოიყვანს ის დედაკაცი. მაშინ კი გადაწყვეტილი იქნება საკითხი. თავს გავწირავ, სიკვდილს არ შევუშინდები და მას კი ვიხსნი ამათ ხელიდან. მამასაც ვიხსნი და შვილსაც.

ნახევარ საათამდე გავიდა ამგვარად. ტენარდიეც ბნელ ფიქრს გაეტაცა. ბ. ლებლანი არ იძვროდა. მაგრამ მარიუსს კი ხანდახან რაღაც ებრძოდა მოხუცებულის მხრიდან, რაღაც ჩუმი, გამოურკვეველი ხმა.

და უცბად მიმართა ტენარდიემ თავის პატიმარს:

- ბატონო ფაბრ, მოდი, ახლავე გეტყვით, რაც სათქმელი მაქვს.

ისევ სმენად იქცა მარიუსი. ამ შესავალში იმდენი რამ მოჩანდა, რომ ახლა კი უმთავრესს შეეხებოდა ტენარდიე და ფარდას ახდიდა საიდუმლოებას.

- სადაცაა მოვა ჩემი მეუღლე, პატარა ხანს კიდევ მოითმინეთ. მე მგონია, რომ ტოროლა სწორედ თქვენი შვილია და სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რომ თქვენთანვე დარჩეს. ოღონდ მომისმინეთ, თქვენც ნახეთ, ვუთხარი ჩემს ცოლს, ისე მორთულიყო, რომ დაუბრკოლებლად გამოჰყოლოდა თქვენი ქალი. ეტლით წამოვლენ, ეტლში უკან ჩემი მეგობარი იჯდება. ერთგან, საბაჟოს იქით, ერთი ეტლი გვიდგას, კარგი ცხენებით. იქ მიიყვანენ თქვენს ქალს, ეტლიდან ჩამოვა და იმ ჩვენს ეტლში ჩასხდებიან ის და ჩემი მეგობარი. ჩემი ცოლი კი ჩვენკენ გამოეშურება ეტლით და მეტყვის: - საქმე მოგვარებულიაო. - რაც შეეხება თქვენს ქალს, ფიქრი ნუ გაქვთ, ავს არავინ აკადრებს. ერთ სახლში მიიყვანს ჩემი მეგობარი, სრულიად მშვიდად იქნება და, როგორც კი ჯიბეში ჩამიჩხრიალებთ ორასი ათას ფრანკს, მაშინვე ჩაგაბარებთ. თუ ღმერთი გაგიწყრათ და დააჭერინეთ ჩემი თავი, ჩემი მეგობარი ბოლოს მოუღებს თქვენს ტოროლას, გაიგონეთ?

ბ. ლებლანმა ხმა არ ამოიღო, ისევ ტენარდიემ დაიწყო:

- ხომ კარგად არის მოწყობილი? არავითარი ძალმომრეობა და ბოროტება, თუ თქვენ არ მოისურვეთ ჩვენი გაბოროტება. აი, აგიხსნათ, როგორ არის საქმე, გაგაფრთხილეთ, რომ მომზადებული იყოთ ამ გარემოებისთვის.

კიდევ გაჩუმდა, მაგრამ ბ. ლებლანი მაინც ხმას არ იღებდა და ისევ ტენარდიემ დაიწყო:

- როგორც კი დაბრუნდება ჩემი მეუღლე და მეტყვის, - ტოროლა გავამგზავრეო, მაშინვე გაგიხსნით თოკს და თავისუფალი იქნებით. წაბრძანდით და არხეინად მოისვენეთ თქვენს სახლში. ხომ ხედავთ, არავითარი ავი განზრახვა არა გვქონია თქვენდამი!

საშინელი სურათები წარმოუდგა მარიუსს თვალწინ, როგორ? მაშ, აქ არ მოიყვანენ იმ ქალს? მაშ, სხვაგან მიჰყავთ მოტყუებით მოტაცებული? ერთ იმ ვაუბატონთაგანს უნდა წაეყვანა, ის, მისი სული და გული? - გული უწუხდებოდა მარიუსს. რა უნდა ექნა? გაესროლა: ქალის მოსაყვანად წასული კაციც გარეთ დარჩებოდა და ვეღარც ქალის კვალს მიაგნებდა. ან რაღას უშველიდა, კიდეც რომ მიეგნო? ძალიან კარგად გაიგონა ტენარდიეს სიტყვა და მისი სასიკვდილო მნიშვნელობა: - თუ ღმერთი გაგიწყრათ და დააჭერინეთ ჩემი თავი, მეგობარი ბოლოს მოუღებს თქვენს ტოროლასო.

აქამდე განსვენებული მამის ანდერძი იყო მიზეზი, რომ არ გაემეტებინა ტენარდიე და დამბაჩის გასროლა ვერ გაებედა, ახლა კი სხვაც მიემატა ამ მოსაზრებას, ახლა საქმეში სიყვარული ჩაერია. ცხადი იყო, საბოლოოდ დაღუპავდა სატრფოს, საბოლოოდ გასწირავდა, პოლიციისთვის რომ მიეცა დაპირებული ნიშანი.

ამ საშინელ მდგომარეობაში იყო მარიუსი მთელი საათი. ყოველ წუთს იცვლებოდა მდგომარეობა, წამდაუწუმ გამოჩნდებოდა ხოლმე რამე ახალი, რაც აბრკოლებდა გადაწყვეტილების მიღებას. ალბათ არ არსებობდა არავითარი საშინელება, მას რომ არ წარმოედგინა შესაძლებლად, და გამოსავალს კი ვერსად ხედავდა. მისი აფორიაქებული ფიქრები სავსებით ეწინააღმდეგებოდა ამ ოთახის ღრმა დუმილს.

ამ დუმილის დროს ქუჩის კარის ხმა მოისმა უცბად, მერე ფეხის ხმა კიბიდან.

შებოჭილი პატიმარიც შეირხა.

- აგერ, ქალბატონიც! - წამოიძახა ტენარდიემ.

ჯერ არც კი დაესრულებინა სიტყვა, რომ გიუვით შემოვარდა ოთახში აწითლებული, აღშფოთებული ტენარდიეს ცოლი. ძლივს იბრუნებდა სულს. თეძოებზე დაიკრა ტლანქი ხელები და დაიძახა:

- ყალბი მისამართი გამოდგა!

ის კაციც უკან შემოჰყვა. აიღო ცული და კედელთან აიტუზა.

- ყალბი მისამართიო? - გაიმეორა ტენარდიემ.

- არავინ არ იყო! სენ-დომინიკის ქუჩის ჩვიდმეტ ნომერში სახელიც კი არ გაუგონიათ ურბენ ფაბრისა. ვინ ფაბრი? რა ფაბრი?

გაჩერდა, სული მოითქვა, მერე განაგრძო:

- პირში ჩალა გამოგავლო, ბატონო ტენარდიე, ამ ბებრუცუნამ! ახია შენზე! მეტისმეტი გულკეთილი ხარ და არც ეგრე ვარგა! მე რომ ვყოფილიყავ, იცით, რით დავიწყებდი? ჯერ ავიღებდი და ცხვიპირს ჩავამტვრევდი კარგა ლამაზად! გამიძალიანდებოდა? ცოცხალს მოვხარშავდი ადუღებულ წყალში. არც მაშინ იტყოდა რამეს? არც მაშინ იტყოდა, სად ჯანდაბას არის მისი ქალი და სადა აქვს შენახული განძი? აი, როგორ მოვაწყობდი საქმეს, მე რომ ვყოფილიყავ! ტყუილად კი არ ამბობენ, კაცი უფრო სულელია, ვიდრე დედაკაცი! ვინაა ჩვიდმეტ ნომერში. არავინ! ერთი დიდი ალაყაფის კარია! არავითარ ბატონი ფაბრი არ გახლავთ სენ-დომინიკის ქუჩაზე! მეეტლეს მეტი ვაჩუქეთ, ოღონდ ჩქარა გაერეკა ცხენი! წადი შენა და!..

მეკარესაც ველაპარაკე, მის ცოლსაც, მართლა ლამაზი დედაკაცია, ჰო, არც გაგვიგონია, არც ვიცითო!

ახლა კი შვებით ამოისუნთქა მარიუსმა. ურსულა თუ ტოროლა, ის ქალი, რომლისაც ახლა სახელიც აღარა რჩებოდა, გადარჩა განსაცდელს.

ცოლი რომ მოთქვამდა და ცოფს ჰყრიდა, ტენარდიე მივიდა და მაგიდასთან დაჯდა. ცოტა ხანს იჯდა გაჩუმებული, მარჯვენა ფეხს იქნევდა და მხეცურად აღგზნებული თვალით შეჰყურებდა მაყალს.

მერე ბ. ლებლანს მიმართა ჩუმი, საზარელი ხმით:

- მაშ ყალბი მისამართი მოგვეცი? მერე რისი იმედი გქონდა?

- დროის მოგებისა! - მეხივით დაიჭექა პატიმარმა და იმავე დროს ხელი წაჰკრა თოკს, თოკი დაჭრილი იყო, მარტო ფეხიღა დარჩა მიბმული საწოლის ფეხზე.

მანამ გონზე მოვიდოდნენ ტენარდიეს ამხანაგები და მივარდებოდნენ დასამორჩილებლად, მაყალისკენ დაიღუნა, ხელი სტაცა გავარვარებულ რკინას და ასწია ზევით. ახლა ისინი მიკუნჭულიყვნენ სადღაც კუთხეში, ტენარდიე, მისი ქალბატონი და ამხანაგები, და შეშინებული შესცქეროდნენ მოხუცებულს. მას კი მაღლა აეწია გახურებული რკინა და ხელს აქნევდა თავისუფლად.

გამოძიების დროს, რომელიც შემდეგში წარმოებდა გორბოს სახლში ამ ხაფანგის მომწყობთა დასასჯელად, ოთახს რომ ჩხრეკდნენ, შავი ფული იპოვეს პოლიციელებმა, ერთი სუ სიბრტყივ შუაზე გაჭრილი და საკვირველ ხელოვნებით დამუშავებული. ეს შავი სუ მართლა საკვირველებას წარმოადგენდა იმ მოთმინების შედეგისას, რომელსაც საპატიმრო ქმნის თავის სიბნელეში და ამ სიბნელისთვის. გარედან უბრალო სუ არის ეს შავი ფული და ნამდვილად კი იარაღი და საშუალება საპატიმროდან გაპარვისა. ეს განსაცვიფრებელი ფაქიზი ნაწარმი ხელოვნებისა იგივეა ოქრომჭედლობაში, რაც ხალხური ენის მეტაფორა არის პოეზიაში. კატორღაშიც მოიპოვებიან ბენვენუტო ჩელინები, როგორც ენაში - ვილონები. უბედური, რომელსაც ლამის გაგიუდეს, ისე უნდა საპატიმროდან თავის დაღწევა, საშუალებას პოვებს და ხანდახან უიარაღოდ, მარტო ჯიბის დანით, ორ თხელ ფირფიტად ჭრის ერთ სუს. გაჭრის, ფრთხილად ამოფუღრავს ორივეს, ისე, რომ გარეთა პირი ან ფულის ღირებულების ნიშნები არაფრით დააზიანოს, და მერე პატარა, თითქმის უხილავი ხრახნით ისევ ისე აერთებს, ფულად ფულია, მაგრამ ხრახნი აქვს და გნებავთ, - გააღებთ, გნებავთ - დახურავთ, გამოდის პატარა, პაწაწკინტელა კოლოფი. ამ კოლოფში მალავენ საათის ზამბარას და ამ ზამბარით, თუ კარგად ფრთხილად იხმარა კაცმა, ჯაჭვსაც გადაჭრის და რკინასაც. გაჩხრეკენ, უბედურ კატორღელს ერთი სუს მეტი არაფერი აბადია, მაგრამ არა! ერთი სუ კი არა, თავისუფლება უჭირავს ხელში. სწორედ ამგვარი სუ იპოვეს ტენარდიეს ოთახში, გასაჩხრეკად რომ მივიდნენ პოლიციელები, ოღონდ გახსნილი ორ ნაჭრად, ფანჯარასთან საწოლის ქვეშ. იპოვეს აგრეთვე ერთი პატარა ხერხი ფოლადისა, რომელიც კარგად ჩაეტეოდა ამ სუში. ალბათ თან ჰქონდა ბ. ლებლანს და, ჩხრეკა რომ დაუწყეს ტენარდიეს ამხანაგებმა, ხელში დამალა. მერე, მარჯვენა ხელი რომ გაუხსნეს, გახსნა თავისი პატარა კოლოფი, ამოიღო ხერხი და ნელ-ნელა გადაჭრა თოკი. ალბათ ამის ხმა ესმოდა მარიუსს იმ მიჩუმების დროს, ოდნავ ნელი ხმა შეუმჩნეველი მოძრაობისა.

მარცხენა ფეხის ასახსნელად რომ დაღუნულიყო ბ. ლებლანი, ყურადღებას მიაქცევდნენ და ამიტომ ფეხი მიბმული დარჩა საწოლის ფეხზე.

ბოლოს გონს მოვიდნენ შეშინებული ავაზაკები.

- ნუ გეშინია, - დაუყვირა ბიგრნაილმა ტენარდეს, - ჯერ ვერსად წაგვივა! დაბმული აქვს ფეხი! აბა, გახსნას! მე შევუკარი წელან!

ახლა თვითონ ბ. ლებლანმა შეუტია თავის მტანჯველებს.

- არამზადებო! იმდენი არ ღირს ჩემი სიცოცხლე, რომ თავგამოდებით ვიცავდე და გებრძოდეთ. თქვენ გგონიათ, შემაშინებთ და მათქმევინებთ, რის თქმაც არ მინდა? თქვენ გგონიათ, დამაწერინებთ, რის დაწერაც არ მინდა? შემაშინებთ და მაიძულებთ?

და ხელში რომ გახურებული სატეხი ეჭირა, დაიდო დამკლავებულ მარცხენა ხელზე.

შიშხინი გაისმა დამწვარი ხორცისა. საწამებელი ადგილის სუნი დატრიალდა ტენარდიეს ოთახში. მარიუსი დაბარბაცდა, კინაღამ გული წაუვიდა შეშინებულს. თვით ავაზაკებიც კი კანკალებდნენ. და მოხუცებულ ლებლანის სახეს კი არავითარი ტკივილი არ ეტყობოდა. გახურებული რკინა სწვავდა ხორცს, შიგ ჩადიოდა ნელ-ნელა. ის კი იდგა უძრწოლო და დიდებული. იდგა და ტენარდიეს შეჰყურებდა ლმობიერი თვალით. არც გაჯავრება ეტყობოდა, არც სიძულვილი, წმინდა სიმშვიდეში იკარგებოდა ხელის ტკივილი.

დიდებული ბუნების ადამიანს ხორციელი აღშფოთება და ფიზიკური ტკივილი იმით გამოაჩნდება, რომ სულიერი ბრწყინვა ემჩნევა შუბლზე.

- დაე, ნურც თქვენ შეგეშინდებათ ჩემი, არამზადებო, როგორც მე არ მეშინია თქვენი! აჰა!

ააძრო ჩამწვარ მკლავს რკინა და გაღებულ ფანჯარაში გადაისროლა. გავარდა ფანჯარაში გახურებული რკინა, საზიზღარი იარაღი საწყალი კაცის საწამებლად მომზადებული და თოვლში ჩავარდა ქუჩაში.

- აჰა, რაც გნებავთ, ის მიყავით!

იარაღი არ გააჩნდა.

- დაიჭირეთ! - შეჰყვირა ტენარდიემ.

ორმა ავაზაკმა ხელი დაადო მხარზე. წინ ნიღბიანი კაცი დაუდგა, მუცლით მოლაპარაკე მეზღაპრე, ხელში რომ დიდი გასაღები ეჭირა და მზად იყო თავში ჩაეკრა, თუ კიდევ რამეს გაბედავდა უიარაღო მოხუცებული.

იმავე დროს თავის ახლოს, ტიხრის იქიდან, ხმა მოესმა მარიუსს, მაგრამ ისე მიჰკროდნენ კედელს მოლაპარაკენი, რომ შეუძლებელი იყო მათი დანახვა:

- ახლა რა ვუყოთ?

- რა უნდა ვუყოთ? მოვკლათ და გავათაოთ!

ეს ცოლი და ქმარი ბჭობდნენ.

ტენარდიე ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, უჯრა გამოსწია და დანა ამოიღო.

მარიუსს დამბაჩის ჩახმახზე ედო თითი, მაგრამ ჯერაც ყოყმანობდა. ერთი საათი იქნებოდა, ორი ხმა იბრძოდა მის სინდისში. ერთი უბრძანებდა, - პატივი ეცი მამაშენის ანდერძსო, მეორე უყვიროდა, - მიეშველე ამ საწყალ კაცსო. შეუწყვეტლივ იბრძოდნენ ეს ხმები და დიდ ტანჯვას აყენებდნენ მარიუსს. სინდისის ქენჯნისაც ეშინოდა, მართალი კაცის დაღუპვისაც. სულ იმის მოლოდინში იყო, რომ მოხდებოდა რამე მოულოდნელი და შესაძლებლად გახდიდა ამ ორი მოვალეობის მორიგებას. მაგრამ ამაო იყო ეს იმედი და განუხორციელებელი ლოდინი კი შეუძლებელი გახდა. ტენარდიე მოღერებული დანით მიიწევდა ლებლანისკენ.

გიჟივით ატრიალებდა თვალებს მარიუსი. ეს გახლდათ უკანასკნელი სახსარი სასოწარკვეთილისა.

უცბად შეკრთა მარიუსი.

სავსე მთვარის შუქი სცემდა მის მაგიდას, თითქოს ცდილობს დაანახვოს და მოაგონოს ფურცელი ქაღალდი, მაგიდაზე გაშლილი. ამ ქაღალდზე იყო, რომ ამ დილას მსხვილი ასოებით დაწერა ტენარდიეს უფროსმა ქალმა:

„ღამურები მოდიან“.

ბედნიერი სხივი მოეფინა მარიუსის ფიქრებს. ერთმა აზრმა გაუარა ელვასავით გონებაში. ეს იყო გადამწყვეტი საშუალება იმ საშინელი ამოცანისა, რომელსაც ორ ცეცხლშუა ჩაეყენებინა, და გამოსავალს უხშობდა. ეს იყო საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა არც კაცისმკვლელი გაეცა და არც მოსაკლავად განწირული მოეკვლევინებინა. დაიჩოქა კომოდზე, მისწვდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდს, ფრთხილად ჩამოტეხა კედელს პატარა გაჯის ნაჭერი, შეახვია იმ ქაღალდში და თავისი სარკმლიდან ტენარდიეს ოთახში გადაისროლა.

სწორედ დროც იყო. ტენარდიეს დაეძლია შიში თუ სინდისის ქენჯნა, და ბ. ლებლანისკენ მიიწევდა მოღერებული დანით.

- რაღაც ჩამოვარდა! - შეჰყვირა ტენარდიეს ცოლმა.

- რა ჩამოვარდა?

წამოხტა დედაკაცი, ქორივით ეცა მოკუმშულ ქაღალდს, და ქმარს მიაწოდა.

- საიდან გაჩნდა, რა ვქნა? - გაიძახოდა ტენარდიე.

- საიდან გაჩნდებოდა, კაცო, თუ არა ფანჯრიდან? - შეუტია ცოლმა.

- განა არ დავინახე, რომ შემოფრინდა, - დაემოწმა ბიგრნაილი.

ხელის კანკალით გაშალა ტენარდიემ ქაღალდი, სანთელთან მიიტანა.

- ეპონინის ხელია! ვაი, გამიწყრა ღმერთი!

ცოლს ენიშნა, ისიც მივარდა. თვალი გადაავლო გაშლილ ქაღალდს.

- აბა, კიბე! ჩქარა! - შეჰყვირა ტენარდიემ, - ქონი მახეში დავტოვოთ და თავს ვუშველოთ!

- ჯერ ყელი გამოგეჭრათ! - შეჰყვირა „ქალბატონმა“.

- რა დროს ეგ არის, ადამიანო?

- მერე საიდან გავალთ? - ჰკითხა ბიგრნაილმა.

- ფანჯარა აქ არ არის? - შეუტია ტენარდიემ, - ეპონინმა ფანჯარაში შემოგვიგდო, მაშ, სწორედ აქეთ გვქონია თავისუფალი გასასვლელი.

მუცლით მეზღაპრე ნიღბიანმა ძირს დადო უზარმაზარი გასაღები, ზევით ასწია ორივე ხელი და ხმის ამოუღებლად სამჯერ შემოჰკრა ტაში. და იგივე მოხდა იქაც, რაც გემზე მოხდება ხოლმე, შიშის განგაში რომ გაისმის. უცბად ჩამოეცალნენ აქამდე მაგრად შებოჭილ ტყვეს, სასწრაფოდ გაშალეს და ფანჯრიდან გადაუშვეს თოკის კიბე, თავისივე კავებით მაგრად გამოაბეს ფანჯრის რაფას.

ყურადღებას არ აქცევდა ამ ჩოჩქოლს მოხუცებული. ისე იდგა ჩაფიქრებული, თითქოს ოცნებობს ან ლოცულობსო.

როგორც კი გაამაგრეს კიბე, ტენარდიემ დაიძახა:

- აბა, მოდი, ქალო!

და ფანჯარასთან მივარდა.

მაგრამ ვერ მოასწრო ფანჯარაზე ახტომა, შიგ კისერში სწვდა ბიგრნაილი.

- მოიცა, მოიცა, ბებერო ოინბაზო! ჯერ ჩვენა და მერე შენ!

- მაშ, ჯერ ჩვენა და მერე შენ! - შეჰყვირეს ავაზაკებმა.

- ბავშვები ხომ არა ხართ? არ გრცხვენიათ? რაზე ვკარგავთ დროს? - უყვიროდა ტენარდიე, - საცაა, შემოგვივარდებიან.

- ჰოდა, მაშ, წილი ვყაროთ, ვინ ჩავა პირველად? - დაიძახა ერთმა ავაზაკმა.

- გაგიუდით თუ რა არის! - შეჰყვირა ტენარდიემ, - ყეყეჩებო. წილი ვყაროთ, არა? დასველებულ თითით თუ პატარა ჩალით? თუ ჩვენი სახელები დავწეროთ და ქუდში ჩავყაროთ?

- აი, ჩემი ქუდი, ინებეთ! - შემოსძახა ვიღაცამ კარის ზღურბლიდან.

კარისკენ მობრუნდნენ ყველანი.

ჟავერი იყო.

ხელში ეჭირა ქუდი და ღიმილით სთავაზობდა ქურდებს.

## თავი ოცდამეერთე
## ჯერ მსხვერპლი უნდა დაეჭირა

კარგად რომ ჩამობნელდა, ჟავერმა თავისი ბიჭები ჩაასაფრა გორბოს სახლის მიდამოებში. თვითონაც გობლენების ქუჩის სადარაჯოდ ბუჩქებში ჩაიმალა გორბოს სახლის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს. საქმე იმით დაიწყო, რომ „ჯიბე გაიხსნა“, რომ შიგ ჩაესვა ტენარდიეს ორივე ქალი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ დარაჯად მდგარიყვნენ ქუჩაში და შეეტყობინებინათ, თუ მომავალს საეჭვოს დაინახავდნენ ვინმეს. მაგრამ მარტო აზელმა „გაება“. რაც შეეხება ეპონინს, ის თავის ადგილზე ვერ აღმოაჩინეს. გაქრა სადღაც და ვეღარ დაიჭირა ჟავერმა. მერე თვითონაც ჩასაფრდა ბუჩქებში და ელოდა მარიუსთან შეთანხმებულ ნიშანს, დამბაჩის გასროლას. ძალიან არ მოეწონა ეტლის წასვლა და ისევ დაბრუნება. დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ამ სახლში იყო „მთლიანი ბუდე“, მით უფრო, რომ რამდენიმე ავაზაკი იცნო იქ შემავალი, გადაწყვიტა, - პირდაპირ შევალ, დამბაჩის გასროლას აღარ მოვუცდიო.

ჯიბეში, მკითხველს ეხსომება, ქუჩის კარის გასაღები ჰქონდა მარიუსისა.

და სწორედ დროზე მიასწრო.

შეშინებული ყაჩაღები მაშინვე იარაღს ეცნენ. ფანჯრიდან გაპარვას რომ აპირებდნენ, საცა მოხვდათ, იქ დაჰყარეს ვისაც რა ჰქონდა და ახლა აიტაცეს იარაღი, სწრაფად შეგროვდნენ ერთ ჯგუფად შვიდივენი, საზარელი სანახავები, თავის დასაცავად შეიარაღებულნი კეტით, ჩაქუჩით, გასაღებით, ცულით, ბებუთით, რკინის ნაჭრით. ტენარდიე დანას უჭერდა ხელს. დედაკაცს ზორბა ქვა ეჭირა ხელში, რომელსაც სკამად ხმარობდნენ მისი გოგოები.

ქუდი დაიხურა ჟავერმა, ორი ნაბიჯით წინ წამოდგა ოთახში, გულხელდაკრეფილი, მაგრამ ჯოხიც თან ჰქონდა მკლავქვეშ გაყრილი და ხმალიც ლამაზ ქარქაშში.

- შეჩერდით! რა საკადრისია ფანჯარა, როდესაც კარითაც კარგად გაბრძანდებით? ერთიც ვნახოთ, კიბე გაგიწყდათ! თქვენ შვიდნი ხართ და ჩვენ თხუთმეტნი. მაშ, ბღლაძუნს ნუ დავუწყებთ ერთმანეთს. ზრდილობაც კარგი საქონელიაო, ნათქვამია.

ბიგრნაილმა უცბად დამბაჩა ამოიღო, - დამალული ჰქონდა ჯიბეში, ხალათის ქვეშ, ტენარდიეს ჩაუდო ხელში და ყურში ჩასძახა:

- ჟავერია! მე ვერ გავუბედავ, ვერ ვესვრი. იქნება შენ გაბედო!

- გავბედავ და მეტსაც ვუზამ!

- აბა, შიგ გულში!

გამოსტაცა ტენარდიემ დამბაჩა, დაუმიზნა ჟავერს.

ჟავერი სამი ნაბიჯით იყო მოშორებული. თვალი თვალში გაუყარა ტენარდიეს და უთხრა:

- ნუ ისვრი! სულერთია, არ გავარდება.

დასწია ჩახმახი ტენარდიემ. არ გავარდა.

- ხომ გითხარი!

ბიგრნაილმა კეტი ფეხქვეშ შეუგორა ჟავერს:

- შენ მბრძანებელი ხარ მთელი ეშმაკებისა! გემორჩილები.

- თქვენ? - მიმართა ავაზაკებს ჟავერმა.

- ჩვენც! ჩვენც გემორჩილებით! - გაისმა ერთხმად.

- აი, ეგრე უნდა! აკი ვთქვი, ჭკუით იქნებით-მეთქი.

- ოღონდ ერთს გთხოვთ, ბატონო, - მიმართა ბიგრნაილმა, - ვიცი, ცალკე დამამწყვდევთ და თამბაქოს წევას ნუ ამიკრძალავთ.

- აგრე იყოს, - მიუგო ჟავერმა.

კარისკენ მიბრუნდა და დაუძახა:

- ახლა კი შემოდით!

შემოვიდნენ პოლიციელები. ზოგს ამოღებული ხმალი ეჭირა, ზოგს პოლიციის საჯიგველი, ზოგს კეტი. მაშინვე შეკრეს ავაზაკები.

ამოდენა ხალხი აბნელებდა ისედაც ოდნავ განათებულ ოთახს.

- ცერსაკრავი ყველას! - უბრძანა ჟავერმა.

- აბა, გაბედეთ! აბა, მოდით! - შეჰყვირა ვიღაცამ ისეთი ხმით, რომ ცხადი იყო, კაცისა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც დედაკაცისას ჰგავდა.

ტენარდიეს ცოლი შემძვრალიყო კუნჭულში ფანჯარასთან და ის იყო, რომ ასეთი მუქარით გაჰკიოდა.

უკან დაიხიეს პოლიციელებმა.

შალი მოეხსნა, მაგრამ ქუდი კი თავზე ჰქონდა. ქმარი უკან ჰყავდა ჩაცუცქული და თითქმის არ მოჩანდა დავარდნილ შალქვეშ. ქალს ორივე ხელით ეჭირა ერთი დიდი ქვა, მაღლა აეწია და ისე იქნევდა, როგორც ბუმბერაზი კლდეს.

- მაშ, ჩემი ბრალი არ იყოს! - შეჰყვირა პოლიციელების მოსაშორებლად.

მართლა კარისკენ მიიწიეს პოლიციელებმა. ფართო ადგილი დაცარიელდა ოთახში.

მერე ქმრის ამხანაგებს გადახედა, რომლებიც ხელფეხშეკრულები იდგნენ საცოდავად, და ხრინწიანი ხმით წაიბუზღუნა:

- ლაჩრებო! შეგირცხვათ ვაჟკაცობა!

ღიმილი მოერია ჟავერს და წინ წამოიწია ცარიელ ფართობზე, რომელიც თავის სამფლობელოდ მიაჩნდა ქალბატონს.

- ნუ მოდიხარ! წადი, მომშორდი, თორემ შიგ თავში გთხლიშავ!

- დევია სწორედ! - წამოიძახა ჟავერმა, - შენ, ეი! შენ წვერი გაქვს ვაჟკაცისა, განა? ჰოდა, მე კიდევ ბრჭყალები მაქვს დედაკაცისა!

მაინც წინ მიიწევდა.

თმაგაწეწილი, საზარელი იყო დედაკაცი. ჟავერს შეჰყურებდა. მერე განზე გადგა ფეხები, უკან გადაიხარა ტანი და მართლა შიგ თავში სტყორცნა ქვა. ჟავერი დაიკუზა. ქვამ ზემოდან გადაუარა, კედელს მოხვდა, გამხმარი გაჯი ჩამოანგრია, იქიდან ისევ ჟავერს ეცა ფეხქვეშ.

ჟავერიც მივარდა ცოლ-ქმარს. ტლანქი ხელი დედაკაცს დაადო მხარზე, მეორე - მის ქმარს თავზე, და დაიძახა:

- ცერსაკრავი!

მაშინვე შემოცვივდნენ პოლიციელები და სწრაფად შეასრულეს ჟავერის ბრძანება.

რომ შეკრეს დედაკაცი, ერთად შეუკრეს ორივე ცერი, და ასევე შეკრული დაინახა თავისი კაცი, ძირს გაიშხლართა და ტირილი წასკდა. ქვითინებდა და მოთქვამდა:

- ჩემი გოგოები! უბედური ჩემი გოგოები!

- ისინიც კარგად არიან, - ანუგეშებდა ჟავერი.

ამასობაში პოლიციელებმა მთვრალი კაცი იპოვეს, კუნჭულში რომ მიაგდეს ამხანაგებმა, და იქ მიეძინა. თვალი გაახილა მთვრალმა და წაიბურტყუნა:

- ჰა, გათავდა, ჟონდრეტ?

- ჰო, გათავდა, - მიუგო ჟავერმა.

ფეხზე იდგნენ გაბაწრული ავაზაკები. ჯერაც იმავე აჩრდილის შეხედულება ჰქონდათ, ზოგს პირზე ნიღაბი, ზოგს შავად შესვრილი სახე.

- არ მოიხსნათ ნიღბები, - უბრძანა ჟავერმა.

მერე წინ გაუარა და აათვალიერ-ჩაათვალიერა ყველა, როგორც მეფე ფრიდრიხმა ჯარი პოტსდამის აღლუმზე.

- ჰა, როგორ ხარ, ბირგნაილ? შენა, ბრუჟონ? ცალფულა, ცალმილიარდავ, შენცა აქა ხარ?

მერე ნიღაბიანებს მიუბრუნდა და ყასბისცულიანს მიმართა:

- საღამო მშვიდობისა, გელმერ!

მერე მსხვილკეტიანს:

- ბაბეტიც აქა ყოფილა!

და მუცლით მეზღაპრეს: - სალამი, კლაკსუს!

ამ დროს შენიშნა ტყვე, რომელსაც მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც პოლიციელები ოთახში ტრიალებდნენ, ხმა არ ამოუღია. იჯდა ისე, თავდაღუნული.

- გახსენით ბატონი! - ბრძანა ჟავერმა, - არავინ გავიდეს აქედან.

ეს თქვა და მედიდურად გამოიჭიმა მაგიდასთან, რომელზეც დარჩენილიყო სანთელი და საწერ-კალამი. ჯიბიდან ამოიღო პოლიციისნიშნიანი ქაღალდი და ოქმის წერას შეუდგა.

რამდენიმე სტრიქონი დაწერა, ყოველთვის ერთი და იმავე შინაარსის შესავლისა, და გასცა ბრძანება:

- მობრძანდეს ბატონი, ამ ქურდბაცაცებს რომ ჰყავდათ შეკრული.

ერთმანეთს შესცქეროდნენ პოლიციელები.

- ჰა, მობრძანდეს! რა ვქნა?

მსხვერპლი ამ ავაზაკებისა, ბ. ლებლანი, ბ. ურბენ ფაბრი, მამა ურსულასი თუ ტოროლასი, გამქრალიყო.

კარში დარაჯები იდგნენ, მაგრამ ფანჯარასთან კი - არავინ, როგორც კი გათავისუფლდა კაცი, მოხსნეს ფეხიდან თოკი, და დაინახა, რომ ჟავერი თავის ოქმს

ჩაჰყურებდა, პოლიციელები - ჟავერს, ისარგებლა ამ ხმაურით და არეულობით, ჩოჩქოლითა და სიბნელით, ხელთ იგდო წამი, როდესაც არავინ უყურებდა და გადაეშვა ფანჯრიდან.

მისცვივდნენ ფანჯარას, გადაიხედეს, გარეთ არავინ ჩანდა.

კიბის თოკი ჯერაც იძროდა.

- ეჰ, გამისხლტა! - წაიდუდუნა ჩუმად ჟავერმა, - ვინ იცის, ყველას ის აჭარბებდა!

## თავი ოცდამეორე
## წინაპრების სანახავად

მეორე დღეს ერთი პატარა ბიჭი მოდიოდა აუსტერლიცის ხიდის მხრიდან ფონტენებლოს სადარაჯოსკენ. ბნელი ღამე იყო. ბიჭი გაყვითლებული იყო, გამხდარი, დაგლეჯილ ტანისამოსიანი. ტილოს შარვალი ეცვა თებერვლის ამ ყინვაში. მოდიოდა და მღეროდა.

პტი-ბანკიეს ქუჩის კუთხეში ერთი ბებერი დედაკაცი დაინახა. სანათით განათებულ ნაგავში რაღაცას ეძებდა ჩაცუცქული. გავლისას ხელი წაჰკრა ბიჭმა. მერე განზე გადახტა და დაიძახა:

- ბიჭოს! ძაღლი მეგონე, უშველებელი ძაღლი!

ისეთი დაცინვით წარმოთქვა ეს - უშველებელი ძაღლი, - რომ ზეზე წამოაგდო დედაკაცი.

ბებერი ცოფსა ჰყრიდა:

- ხედავთ ამ სათოკესა! შენი ბედი, რომ ფეხზე არ ვიდექი, თორემ გაჩვენებდი სეირს! შე არგასაშვებო, შენა!

მაგრამ მოშორებით იყო ბიჭი და შიში აღარ ჰქონდა.

- ქსი, ქსი! - შესძახა სიცილით ბიჭმა, - მგონი, მართლა ძაღლი ყოფილა, არ შევმცდარვარ!

ეს კი ვეღარ აიტანა დედაკაცმა, რომ შესძლებოდა, გაეკიდებოდა თავხედს და კარგად მიბეგვავდა. მაგრამ ბებერი იყო, გატეხილი, ჯანმიხდილი. სანათთან იდგა წელში მოხრილი, დანაოჭებული მთელი სახე მოუჩანდა, ტანი ბნელში იმალებოდა, მაგრამ სახე კარგად უჩანდა სანათის შუქზე და მიხრწნილების ცოცხალ სურათს წარმოადგენდა.

უყურა, უყურა შორიახლოდან ბიჭმა და მოახსენა:

- იმ სილამაზისა არა ბრძანდებით, ქალბატონო, რომელსაც მე ვეტრფი.

თავის გზას გაუდგა, ისევ სიმღერით:

ო, სტუკონოგმა - ხელმწიფემ ჩვენმა
აიღო ტყვია, საფანტი, დენთი
და სანადიროდ წავიდა იგი.

ეს თქვა და გაჩუმდა. უკვე მივიდა სახლთან #50-52, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. მიჰკრა და მიჰკრა ფეხი, გაბედვით და ღონივრად, თავის დიდრონ, ვაჟკაცის წაღების გაუფრთხილებლად.

აბრახუნებდა კარს და უკანიდან ბებრის ყვირილი შემოესმა, იმ ბებრისა, ასე უხიაკად რომ აწყენინა წეღან, მორბოდა ბებერი და ყვიროდა:

- ვინ არის, ვინ, გენაცვალეთ? ვინ ამტვრევს კარს? აჰა, ღმერთო! რა მოხდა, ნეტავი?

პატარა ბიჭი კი აბრახუნებდა.

ძლივსღა სუნთქავდა ბებერი.

- ვინ არის? ვინ მინგრევს სახლს?

და უცბად გაჩერდა, იცნო პატარა ბიჭი.

- კიდევ შენა ხარ, შე ეშმაკის კერძო!

- ბიჭოს! წეღანდელი ბებერი! ოჰ, საღამო მშვიდობისა, ქალბატონო, ბურგონ-ბუზო! მინდა ჩემი წინაპრები ვნახო.

დაიღრიჯა ბებერი, საგანგებოდ შეხამებული სურათი გამოეხატა სახეზე სიძულვილის, სახიჩრობის და მიხრწნილობისა, რომელიც, საუბედუროდ, შეუნიშნავი დარჩა იმ სიბნელეში.

- აღარავინ არის, შე უშვერო, შენა!

- ბიჭოს! მერე მამაჩემი სად არის?

- ფორსის ციხეში.

- ხედავთ! დედაჩემი?

- სენ-ლაზარის საპატიმროში.

- ჰოო? ჩემი დები?

- მადლონეტის საპატიმროში.

ყურს უკან თავი მოიფხანა ბიჭმა, უყურა, უყურა ბებერ ბურგონს და თქვა:

- ჰოო?

მერე კოხტად შეტრიალდა ქუსლებზე და წავიდა თავისთვის. კართან იდგა ბურგონი, კარის გაღებას აპირებდა, რომ ისევ იმ ბიჭის სიმღერა მოესმა. მიდიოდა ხეებქვეშ პატარა ბიჭი და უდარდელად, ტკბილად მღეროდა წკრიალა ხმით:

ო, სტუკონოგმა - ხელმწიფემ ჩვენმა
აიღო ტყვია საფანტი, დენთი,
და სანადიროდ წავიდა იგი,
რომ კაჭკაჭისთვის გაეპო მკერდი
და მეფის ახლოს ვინც გაივლიდა
მისთვის სულ ყველა ორ სუს იხდიდა.

ნაწილი მეოთხე
იდილია პლუმეს ქუჩისა და ეპოპეა სენ-დენის ქუჩისა

წიგნი პირველი
ისტორიის რამდენიმე ფურცელი

თავი პირველი
კარგად იყო გამოჭრილი

1831 და 1832 წლები, რომლებიც უშუალოდ მოსდევდნენ ივლისის რევოლუციას, მეტად თვალსაჩინო და საყურადღებო ხანაა ისტორისა. ეს ორი წელიწადი რომ შევადაროთ მის უახლოეს წინა წლებს და შემდეგს, მაღალ მთასავით დიდებულად

აღინიშნება რევოლუციური დიდებითა და უფსკრულის სიღრმით. სოციალური მოთხოვნილებანი ხალხისა, ფუძეები ცივილიზაციისა, მკვიდრად შეერთებული საერთო მისწრაფებანი, საუკუნეობრივი ძველი საფრანგეთის წესწყობილების მოხაზულობანი ჩნდებოდა წამდაუწუმ და მაშინვე ქრებოდა სხვადასხვა სისტემის, თეორიისა და ვნებათა მშფოთვარე ღრუბლებში. ეს გამოჩენა და გაქრობა აღიარეს წინააღმდეგობად და მოძრაობად. ხანდახან აქ ჭეშმარიტების სხივიც მოჩანდა, სხივი ადამიანის სულისა.

ეს ღირსშესანიშნავი დრო საკმაოდ ჩამოშორებულია აწინდლიდან, და შესაძლებელი უნდა იყოს მის მთავარ ხაზებში აღნიშვნა.

გვინდა ვცადოთ.

რესტავრაცია გარდამავალი ხანა იყო, დასახასიათებლად მეტად ძნელი, რომელშიც მოისმის დაღლაც, გაურკვეველი გუგუნიც, ძილის სურვილიც და დაქანცულთა დრტვინვაც, - უტყუარი ნიშანი, რომ დიდმა ერმა მიაღწია თავის ახალ ეტაპს. მეტად თავისებურია ეს გარდამავალი ხანა და ადვილად შეჰყავს შეცდომაში ის პოლიტიკოსები, რომელთაც მისი გამოყენება ნებავთ თავის სასარგებლოდ. დასაწყისში არაფერს მოითხოვს ერი, გარდა დასვენებისა; თუ ნატრობს რამეს, მხოლოდ მშვიდობას; აღარაფერი უნდა, ოღონდ მოასვენონ, თავი დაანებონ დაღლილს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ნახა და იგემა ხალხმა, დიდებული ამბებიც, საზარელი შემთხვევებიც, დიდი კაცებიც. ნახა და მეტი აღარ უნდა, აღარ შეუძლია; პრუსიასში გაცვლის თავის კეისარს და პატარა მეფე ივეტოში თავის ნაპოლეონს. „რა კარგი იყო პატარა მეფე“. გათენებიდან ხალხი ლაშქრობაში იყო, ახლა მძიმე გაჭიანურებული დღის საღამოს ჟამი მოსულიყო, ჯერ მირაბო, მერე რობესპიერი, მერე ნაპოლეონი! მოიქანცა ხალხი, ლოგინი და ტკბილი ძილი ენატრებოდა.

დაიღალნენ თავგანწირულები, დაბერდნენ გმირები, დიდებულთა ხელის კოცნით გაძღნენ მლიქვნელები. დიდი სიმდიდრე შეიძინეს ანგარების მოყვარულებმა და ერთხმად გაისმის თხოვა, გოდება, ვედრება! რისა? ბინისა და მოსვენებისა! აი, ბინაც აქვთ და მოსვენებაც; დამშვიდებულნი არიან, მოცლილნი, შიში აღარა აქვთ; კმაყოფილნი არიან. მაგრამ ცხოვრება თავის გზას მისდევს და ახალ ამბებს ქმნის, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ და ძილს უფრთხობენ დაღლილთ და კმაყოფილთ; რევოლუციიდან მომდინარეობენ და ომებიდან; არსებობენ, სული უდგათ, უფლება აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრებისა და კიდევაც მკვიდრდებიან. მკვიდრდებიან და ნელ-ნელა, მაგრამ შეუწყვეტლივ ამზადებენ დასასვენებლად მიღწეულ, ბინისა და ძილის მონატრულ ხალხს ახალი პრინციპებისა და ახალი ბრძოლისთვის.

და აი, რა ეჩვენებათ მაშინ პოლიტიკის ფილოსოფოსებს.

იმ დროს, როდესაც დაღლილი ხალხი მხოლოდ მოსვენებას მოითხოვს, ცხოვრება ახალი ფაქტებით მოითხოვს გარანტიას. გარანტია ივივეა ფაქტებისთვის, რაც მოსვენება დაღლილთათვის.

გარანტიას სთხოვდა ინგლისი სტიუარტებს, გარანტიას სთხოვდა საფრანგეთი ბურბონებს იმპერიის შემდეგ.

ეს გარანტია პოლიტიკური მოთხოვნილებაა დროისა. და უნდა დაკმაყოფილდეს კიდეც ეს მოთხოვნილება. მეფე „უწყალობებს“ ხალხს ამ მოქალაქეობრივ

გარანტიებს, მაგრამ ნამდვილად აქ მეფის წყალობა როდია. ცხოვრების ძალა მოითხოვს და პოვებს კიდეც თავისას. ეს არის ღრმა და სასარგებლო ჭეშმარიტება, რომელშიც დარწმუნდნენ სტიუარტები 1660 წელს და რომელიც ვერც 1814 წელს შეიგნეს ბურბონებმა.

დამარცხდა ნაპოლეონი, ბურბონების გვარი დაბრუნდა საფრანგეთში და გულწრფელად სწამდა თავისი მიამიტობით, რომ მისი ნება იყო, მისი სურვილი და ამიტომ უწყალობა ხალხს ქარტია. სწამდა აგრეთვე, რომ რასაც აძლევდა, გულკეთილობით აძლევდა, და შეეძლო წაერთმია, როდესაც მოისურვებდა; სწამდა, რომ ბურბონთა გვარს ჰქონდა ღვთისგან მონიჭებული უფლება, საფრანგეთს კი არაფერი ჰქონდა; სწამდა, მაშასადამე, რომ ხალხისადმი ლუი XVIII-ის მიერ ქარტიით მიცემული პოლიტიკური უფლებები ნაწილი იყო ღვთისგან ბურბონებისადმი მინიჭებული უფლებისა, ბურბონთა გვარიდან ჩამოჭრილი და ხალხისადმი მიძღვნილი მხოლოდ დროებით, იმ დრომდე, როდესაც მეფე მოისურვებს მიცემულის უკანვე გამორთმევას. მაგრამ ყურადღება რომ მიექციათ იმ მწუხარებისთვის, რომლითაც ბურბონებმა ეს ქარტია მისცეს ხალხს, უნდა ეგრძნოთ, რომ იმათი არაფერი იყო ამ „წყალობაში“ და, თუ მიიღო რამე ხალხმა, თავისი კუთვნილი მიიღო.

მოუსვენარი, შურიანი იყო ბურბონთა გვარი XVIII საუკუნეში. ბასრი ხმალივით ხვდებოდა შიგ გულში ყოველი სიკეთე და წარმატება ერისა. მდაბიო სიტყვას ვიხმართ, ესე იგი ხალხურს და ნამდვილად გამომხატველს, ბურბონებს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ და ხალხიც კარგად ხედავდა ამას.

„ჩვენ რომ ძლიერნი არ ვიყოთ, ასე ადვილად არ მოისპობოდა ნაპოლეონის იმპერიაო“, - ფიქრობდნენ ბურბონები. ვერ ხედავდნენ, რომ იმ ძალით იყვნენ საფრანგეთში დაბრუნებულნი, რა ძალითაც დამარცხებული იყო იმპერია. ვერ ხედავდნენ, რომ იმის ხელთ იყვნენ ისინი, რამაც ტახტიდან ძირს ჩამოაგდო ნაპოლეონი.

„ღრმა ფესვი გვაქვს ხალხში გადგმული, რადგან ჩვენ ვართ ხალხის წარსულიო“, - ეგონათ ბურბონებს. მაგრამ ცდებოდნენ. ბურბონები ნაწილს შეადგენდნენ წარსულისას, ნამდვილი წარსული კი საფრანგეთი იყო და არა მისი მეფეები. საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფესვები ერში იყო და არა ბურბონებში. ღრმად ჩამალული იყო ეს ფესვები, სიცოცხლის ძალ-ღონით სავსე, და ერთი ოჯახის კუთვნილებასა და უფლებას კი არა, მთელი ხალხის ისტორიას წარმოადგენდა. ყველგან იყო ეს ფესვები, ყველგან, გარდა სამეფო ტახტისა.

ბურბონთა გვარი საფრანგეთისთვის ერის ისტორიის კვანძი იყო დიდებული და სისხლიანი, მაგრამ მისი მომავლის და ბედის უმთავრეს ნაწილს კი არ შეადგენდა, აღარც საფრანგეთის პოლიტიკის საჭირო ფუძეს. ბურბონების გარეშეც აღარაფერი უჭირდა ხალხს; უიმათოდაც კარგად გაძლებდა; ოცდაორი წელიწადი იყო, უიმათოდ იბრძოდა ხალხი თავისი კეთილდღეობისთვის, შეწყდა დროებით მათი მეფობა, მაგრამ ამასაც კი ვერ ხედავდნენ, ან როგორ დაინახავდნენ, როცა ჭეშმარიტებად სწამდათ, რომ ლუი XVII მეფედ ბრძანდებოდა 9 თერმიდორს და ლუი XVIII კი მარენგოს ბრძოლის დღეს?

თავის დღეში არსად ყოფილა, მას შემდეგ, რაც ისტორია არსებობს, ამგვარი დაბრმავება მეფეებისა; დაბრმავებულები იყვნენ იმდენად, რომ ვერ ხედავდნენ

ფაქტებს და ღვთის განგებას, რომელსაც ცხადყოფენ ეს ფაქტები. თავის დღეში არ ყოფილა მეფის უფლებისგან ასეთი უარყოფა ზეციური უფლებისა.

ძირითადი შეცდომა იყო და შედეგად ის მოჰყვა ამ შეცდომას, რომ ბურბონები იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ ამ მოთხოვნილებას და გარანტია მიეცათ ხალხისთვის, ვითომ მოწყალებად. „მოწყალებად“ მოგვცეს ის, რაც ბრძოლითა გვქონდა მონაპოვარი. თავის ნადავლად მიაჩნდათ ის, რაც ჩვენს უფლებას წარმოადგენდა.

და როდესაც ხელსაყრელად ეჩვენა დრო რესტავრაციას, რომელსაც სწამდა, - მე ჩემი ძალით დავამარცხე ნაპოლეონი და ღრმად გავიმაგრე ხალხში ფესვიო, - იგი წამოდგა უცბად და განიზრახა გაბატონება. წინ გამოეჭიმა ერთ დილას საფრანგეთს და ხმის ამაღლებით უარყო საზოგადოებრივი და ინდივიდუალური უფლება, ერის ხელისუფლება და მოქალაქის თავისუფლება. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ერს მოუსპო ის, რითაც ის ერი იყო, და მოქალაქეს ის, რითაც იგი მოქალაქე იყო.

ამან გამოიწვია რესტავრაციის დამხობა.

დაამხეს რესტავრაცია და სამართლიანიც იყო! ოღონდ, ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რესტავრაცია მტრულად არ ექცეოდა პროგრესის ყოველ ფორმას. ბევრი დიდი რამ გარიგდა რესტავრაციის დროს, გარიგდა მის გვერდით, მის დაუხმარებლად.

რესტავრაციის დროს მიეჩვია ხალხი მშვიდად ბჭობას და კამათს, რაც შეუძლებელი იყო რევოლუციის დროს; ამ დროსვე შეიგნო სიდიადე მშვიდობიანობისა, რაც შეუძლებელი იყო ნაპოლეონის იმპერიის დროს. თავისუფალი და დიდებული საფრანგეთი იმედით ავსებდა ევროპის ხალხებს; რობესპიერის დროს რევოლუციას ეკუთვნოდა სიტყვა; ნაპოლეონის დროს - ზარბაზანს; ლუი XVIII-ისა და შარლ X-ის დროს ერგო რიგი გონებას. ქარი ჩავარდა, სანათი გაჩაღდა, წმინდა მწვერვალზე აციმციმდა სხივი გონებისა და ცოდნისა, - გულისწარმტაცი სურათი, სასარგებლო და თაყვანსაცემი. თხუთმეტი წლის განმავლობაში ბრწყინავდნენ სრული თავისუფლებით, სახალხოდ, სრულიად დაურიგებლად, დიდებული პრინციპები, ესოდენ ხნიერნი მეცნიერთათვის და სულ ახალნი მთავრობის მოხელეთათვის; თანასწორობა კანონის წინაშე, თავისუფლება სარწმუნოებისა, თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება მწერლობისა, უფლება ყოველგვარი თანამდებობის მიღებისა, თუკი მომზადებული არის ადამიანი, ასე იყო 1830 წლამდე. ბურბონები წარმოადგენდნენ ცივილიზაციის იარაღს, რომელიც გატეხილიყო განგების ხელში.

დიდებით სავსე იყო ბურბონთა დაცემა, ოღონდ დიდებულად ბურბონები კი არა, ხალხი მოიქცა ამ დროს. ტახტიდან თავმომწონედ ჩამობრძანდნენ, მაგრამ პატივისცემა ვერ დაიმსახურეს. ტახტის დაკარგვა ბურბონებისა არაფერს წარმოადგენდა მნიშვნელოვანს, რომ საზარელი კვალი დაეტოვებინა ისტორიაში; ის არც შარლ I-ის დიად სიმშვიდეს ემსგავსებოდა, არც ნაპოლეონის არწივისებურ ყვირილს. ჩამობრძანდნენ და წავიდნენ. მორჩა და გათავდა! გვირგვინი მოიხსნეს თავიდან, მაგრამ შუქითმოსილი კი ვერ შერჩათ თავი. ღირსეულად მოიქცნენ, მაგრამ დიდებულად კი ვერა. ვერ შეეგნოთ მთელი დიდება თავიანთი უბედურებისა. შერბურში მგზავრობის დროს შარლ X-მ რომ მრგვალი მაგიდა ოთხკუთხედად გადააკეთებინა, ეტიკეტს იცავდა იმ დროს, როდესაც მიწასთან სწორდებოდა მისი ხელმწიფობა. ეს დაკნინება ბურბონებისა სამწუხაროდ ჰქონდათ მეფის ერთგულებს,

რომელთაც უყვარდათ ბურბონები, და აგრეთვე იმათ, ვინც პატივს სცემდა მათ შთამომავლობას. ხალხი კი მართლა დიდებულად მოიქცა. იარაღივით მივიდა ხალხზე ერთ დილას ერთგვარი მოთხოვნილებით მეფე. და იმდენად ძლიერად გრძნობდა თავს ხალხი, რომ არც კი განრისხებულა. მაგრამ დაუხვდა იარაღით მომდგარს, არაფერი დაანება თავისი, ამით დაკმაყოფილდა და თავ-თავის ალაგას ჩააყენა ყველაფერი, - მთავრობას კანონიერება დაავალა, ბურბონები განდევნა და გაჩერდა. ბალდახინის ქვეშიდან გამოიყვანა ბებერი შარლ X, იმ ბალდახინის ქვეშიდან, რომელიც ლუი XIV-ს ჰფარავდა, და ფრთხილად დასვა მიწაზე. ვისაც კი ხელი ახლოს მეფის ოჯახიდან, ყველას სიფრთხილით და ღრმა მწუხარებით. ერთი კაცი კი არ იყო ისე პატიოსნად მოღვაწე, არც რამდენიმე კაცი, ერთად მოქმედი, არა, ეს საფრანგეთი იყო, გამარჯვებული და გამარჯვებით მთვრალი საფრანგეთი, რომელიც ისე მოიქცა, როდესაც მთელი ქვეყანა მას შესცქეროდა, თითქოს მოაგონდა და გამოიყენა გილიომ დე-ვერის კეთილშობილებით აღსავსე სიტყვები მთელი დღის ბარიკადებში ბრძოლის შემდეგ ნათქვამი:

„გაჭირვებაში რომ ნახავს მეფეს, მხოლოდ ის წაჰკრავს წიხლს, ვინც ხელს ულოკავდა ძლიერთ, რომ გაერიგებინა პირადი საქმე, და ისე ხტოდა ერთიდან მეორისკენ, როგორც ფრინველი ტოტზე; მე კი ყოველთვის პატივსაცემად დამრჩებიან ჩვენი მეფეები და მეტადრე ბედისგან დაჩაგრულები“.

პატივისცემა გაჰყვათ თან ხალხისა ბურბონებს, მაგრამ შებრალება კი არა. იმათი უბედურება უფრო დიდი იყო, ვიდრე თვით ისინი, და უჩინარ იქმნენ ჰორიზონტზე.

ივლისის რევოლუციას მაშინვე გამოუჩნდნენ თანამგრძნობნი და მტრები მთელ ქვეყანაში. ზოგნი სიხარულით აღტაცებულნი მიემხრნენ მის დებულებებს, ზოგმა კიდევ ზურგი შეაქცია და შორს გაუდგა, თითოეული მოექცა ისე, როგორც ეს მის ბუნებას შეეფერებოდა. ევროპის მეფეებმა, ამ გათენების ჭოტებმა, მაშინვე თვალი დახუჭეს, სინათლით განცვიფრებულებმა და დაკოდილებმა თვალი მხოლოდ იმისთვის გაახილეს, რომ მუქარა დაეყრანტალებინათ. გასაგებია მათი შიში, შესაწყნარებელია მათი მუქარა. მშვიდობიანად ჩაიარა ამ უცნაურმა რევოლუციამ. დამარცხებულ მეფობას იმდენი პატივიც კი არ სცა ხალხმა, რომ მტრად გამოეცხადებინა, ან მისი სისხლი დაეღვარა. დესპოტიზმზე დამყარებულ მეფეებს, რომელნიც სულ იმის ცდაში არიან, რომ თავისუფლება როგორმე თვითონვე შერცხვეს და წაიბილწოს, ვერ მოენელებინათ, რომ ასე ტკბილად ჩაიარა მძლავრმა ივლისის რევოლუციამ. მაგრამ მის წინააღმდეგ არც რამე განზრახვა ყოფილა, არც მეფეთა დახმარება. პირიქით, ამ რევოლუციას მიესალმნენ უკმაყოფილონიც, განრისხებულნიც, აღშფოთებულნიც. რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი ეგოიზმი და ჩვენი ჯავრი, რაღაც საიდუმლო სათაყვანებლით არის მოცული ის მოვლენები, რომელშიც მისი მარჯვენის მონაწილეობას ვგრძნობთ, ვინც უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანი.

ივლისის რევოლუცია გამარჯვება არის უფლებისა, რომელმაც ძირს დასცა არსებული. ბრწყინვალებით სავსეა ეს გამარჯვება.

უფლებამ ძირს დასცა დიდი ხნის არსებული. ამით არის დიდებული 1830 წლის რევოლუცია და ამასთან მშვიდობიანობით. გამარჯვებულ უფლებას არ ესაჭიროება არავითარი ძალმომრეობა.

უფლება არის სიმართლე და ჭეშმარიტება. უფლების თვისება არის დარჩეს მარად უმწიკვლო და კეთილისმყოფელი.

ძალიან საჭიროც რომ იყოს არსებული თავისი გარეგნობით და კეთილად მიჩნეული თავის თანამედროვეთაგან, თუ მარტო იმიტომ არის, რომ ვიღაცას დაუარსებია ოდესღაც, და ძალიან ცოტაღა შერჩენია, ან სულაც არ შერჩენია უფლება, იგი უნდა დაეცეს და მოისპოს, რადგან დღეს იქნება თუ ხვალ, დაკარგავს მნიშვნელობას და საზიზღარი, პროგრესის ხელშემშლელი იქნება და, მაშასადამე, მავნებელი. თუ გნებავთ ნახოთ ერთხელ თვალის გადავლებით, რამდენად წაიბილწება არსებული დროთა მსვლელობაში, გადახედეთ მაკიაველის. ავი სული არ იყო მაკიაველი, არც მავნე მწერალი, ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ფაქტი და ეს ფაქტი მარტო იტალიისთვის კი არ იყო დამახასიათებლი, არამედ მთელი ევროპისთვის XVI საუკუნიდან მოყოლებული. საზარელსა ჰგავს და საზარელიც არის იგი XIX საუკუნის ზნეობრივ პრინციპთან შედარებული.

ეს ბრძოლა უფლებისა არსებულის წინააღმდეგ დაიწყო ადამიანმა საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყისში. ადამიანის სიბრძნემ უნდა დაასრულოს ეს ორთაბრძოლა. წმინდა იდეა უნდა გარდაქმნას ადამიანურ რეალობად, მშვიდობიანად უნდა შეიყვანოს უფლება არსებულში, და არსებული, თუ სასარგებლო არის კაცობრიობის წინსვლისათვის, - უფლებაში.

აი, რა ვალდებულება უნდა იკისროს ბრძენთა მოღვაწეობამ.

## თავი მეორე
## კარგად არ იყო შეკერილი

მაგრამ სულ სხვა არის შრომა ბრძენისა და შრომა მოხერხებული ადამიანისა.

ძალიან ჩქარა დამთავრდა 1830 წლის რევოლუცია.

როგორც კი ნაპირზე გარიყავს ზღვა რევოლუციას, მაშინვე მიესევიან მოხერხებული მოღვაწენი, რომ ნადავლი გაინაწილონ.

ჩვენს დროში ამ მოხერხებულებმა სახელმწიფო მოღვაწეთა სახელი დაირქვეს. ფესვი გაიდგა ამ სახელმა და დღეს ხალხში „სახელმწიფო მოღვაწე“ მოხერხებულ ადამიანს ნიშნავს. მართლაც ნუ დავივიწყებთ, რომ სადაც მოხერხების მეტი არაფერია, იქ უთუოდ დაკნინებაც არის. რომ იტყვიან, მოხერხებული კაციაო, - ამით ამბობენ, საშუალო კაცი არისო.

სწორედ ისევე, როგორც სიტყვა - „სახელმწიფო მოღვაწე“ - ხშირად უდრის სიტყვას - „ქვეყნის მოღალატე“.

ამ მოხერხებულთ რომ ყური დავუგდოთ, ყველა რევოლუცია, როგორიც ივლისის რევოლუცია, გაჭრილი არტერიაა და სასწრაფო შეხვევა ესაჭიროება. მეტისმეტი დიდებით გამოცხადებული უფლება არყევს ქვეყანას. და ამიტომ, როგორც კი დამყარდება უფლება, უნდა გავამაგროთ მაშინვე სახელმწიფოც. რაკი უზრუნველყოფილია თავისუფლება, ახლა მთავრობაზე უნდა ვიზრუნოთ.

ჯერჯერობით ბრძენებიც ამ მოხერხებულებთან არიან, მაგრამ ეჭვი კი ეპარებათ. ხელისუფლება გვინდა? ძალიან კარგი, მაგრამ, პირველი, - რა არის ეს ხელისუფლება? - და მეორე - საიდან მომდინარეობს ხელისუფლება?

მოხერხებულები ყურს იყრუებენ, ვითომ არც კი გაუგონიათ ბრძენთა ნათქვამი და თავისას განაგრძობენ.

ძალიან კარგად იციან ამ პოლიტიკოსებმა თავისი ჯიბისთვის სასარგებლოზე სახელმწიფო საჭიროების ნიღბის ჩამოცმა და გაიძახიან, - სახელმწიფოს დინასტია უნდაო: - პირველი საჭიროება ხალხისა, რაკი დამთავრდება რევოლუცია, რადგან ეს ხალხი მონარქიული წესით ცხოვრობდა, არის დინასტიის მოპოვება. თუ ასე მოვაგვარეთ საქმე, რევოლუციის შემდეგ მოსვენებას ეღირსება ხალხი, ესე იგი საშუალება ექნება შეიხვიოს ჭრილობები და შეაკეთოს თავისი სახლი. დინასტია მალავს ხარაჩოს და ფარავს საავადმყოფოს.

მაგრამ არც აგრე ადვილია დინასტიის მოპოვება.

თუ გაჭირდა, პირველივე ნიჭით აღვსილი ან პირველივე შემხვედრი შეიძლება გამოვჭიმოთ სამეფო ტახტზე. პირველის მაგალითი ბონაპარტია და მეორისა - მექსიკის ხელმწიფედ გამოცხადებული ესპანელი იტურბიდე.

მაგრამ ყველა გვარი ხომ ვერ ივარგებს დინასტიის შესაქმნელად; რამდენიმე საუკუნის ისტორია უნდა ჰქონდეს გვარს, რომ დინასტიად ივარგოს; ეს აუცილებელი საჭიროებაა, რადგან უთუოდ უნდა ემჩნეოდეს საუკუნეთაგან აღბეჭდილი ნაოჭები: ერთი წამითაც რომ გავიზიაროთ ამ „სახელმწიფო მოღვაწეთა“ დებულებანი, მაინც აღიძვრის კითხვა, - რევოლუცია რომ დასრულდება, რა თვისებები უნდა ჰქონდეს მეფეს, რომელსაც რევოლუცია ქმნის? შეიძლება და სასარგებლოც არის, რომ რევოლუციონერი იყოს, ესე იგი პირადი მონაწილე რევოლუციისა, მონაწილე თავისი აზრით, დახმარებით, იარაღით.

რა თვისებები უნდა ჰქონდეს დინასტიას? ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს, ესე იგი რევოლუციონერი უნდა იყოს, ოღონდ განზე ედგეს რევოლუციას; თანაუგრძნობდეს მხოლოდ პრინციპულად და არა საქმით; წარსულზე უნდა იყოს დამყარებული და ისტორიული იყოს; მომავალი ჰქონდეს და მიმზიდველი იყოს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველი რევოლუციები შესაფერისი ადამიანებით კმაყოფილდებიან, - კრომველით, ნაპოლეონით, - და შემდეგში კი უთუოდ დიდ გვარიშვილობაზე ამყარებენ იმედებს, ბრაუნშვეიგის ან ორლეანების გვარზე.

მეფის გვარეულობა ძალიან ჰგავს ინდურ ლეღვის ხეს, რომლის ყოველი ტოტი ძირისკენ იწევს, მიწას ეხება, შიგ ფესვს იმაგრებს და ლეღვის ხედ ხდება. აგრეთვე მეფის გვარეულობის ყოველ შტოს შეუძლია დინასტიად იქცეს, ოღონდ ხალხამდე დაიღუნოს.

ეს გახლავთ მოხერხებულთა თეორია.

მაშ, აი, იმათი ხელოვნება. პატარა გამარჯვების ამბავს უნდა მისცეთ გაზვიადებული კატასტროფული მნიშვნელობა, რომ მისი შიშით თრთოდნენ, ვინც მით სარგებლობს; საშიში გახადეთ ყოველი წარმატება ამ გამარჯვებისა, და შეზღუდეთ მისი გავლენა, რომ შეაჩეროთ პროგრესი; შეაზიზღეთ მისი სინათლე, დაგმეთ და შეამცირეთ სიმკაცრე აღტაცებისა; ჩამოსჭერით კუთხეები და ფრჩხილები; ბამბა შემოახვიეთ გამარჯვებას; ფლოსტები ჩააცვით უფლებას; გმირებრივ მებრძოლი ხალხი ფლანელში შეახვიეთ და საჩქაროდ ლოგინში ჩააწვინეთ; დიეტა დაუნიშნეთ გადაჭარბებით ჯანსაღ ხალხს; ჰერკულესი ავადმყოფად გამოაცხადეთ და წამლობა დაუწყეთ; გახსენით და გააწყალეთ საჭიროებისამებრ ეგ გამარჯვება. იდეალით გატაცებულთ მიართვით ეს წყალში გახსნილი ბალახებით შეზავებული ნექტარი;

მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება, რომ შემცირდეს ამ გამარჯვების როლი და ერთი კარგი შუქფარი ჩამოაფარეთ რევოლუციას.

1830-მა წელმაც სწორედ ეს ხელოვნება გამოიყენა, უკვე ნაცადი ინგლისში 1688 წელს.

1830 წელს რევოლუცია შუა გზაში იყო შეჩერებული, ოდნავ მიაღწია წადილს, ვითომ უფლებას. ლოგიკამ კი არაფერი იცის ოდნავებისა და ვითომებისა, როგორც მზემ არაფერი იცის ჩვენი შანდლისა.

მერე ვინ აჩერებს რევოლუციას ზედ შუა გზაზე?

ბურჟუაზია.

რად აჩერებს?

იმიტომ, რომ ბურჟუაზია არის მიზანთან მისული წადილი. ბურჟუაზია გუშინ მადა იყო, დღეს ჭამა არის და ხვალ ძღომა იქნება.

რაც ნაპოლეონის დამარცხებას მოჰყვა 1814 წელს, იგივე მოჰყვა შარლ X-ის განდევნას 1830 წელს.

ცდებოდნენ, როდესაც ნებავდათ ცალკე კლასად გაეხადათ ბურჟუაზია. ბურჟუაზია არის დაკმაყოფილებული ნაწილი ხალხისა. ბურჟუაზია კაცი გახლავთ, რომელსაც მოცალება აქვს, სკამი აქვს და შეუძლია დაბრძანდეს.

მაგრამ სკამი კლასი არ არის.

ძალიან ადრე რომ მოინდომებენ დაბრძანებას, შეიძლება თვით კაცობრიობის წინსვლაც კი შეაფერხონ. ეს შეცდომა ხშირად მოსდიოდა ბურჟუაზიას.

იმით ხომ ვერ გადაიქცევიან ბურჟუები კლასად, რომ ხშირი იყო მათი შეცდომა.

ეგოიზმი არ გამოადგება საზოგადოების ცალკე კლასებს დაყოფის საფუძვლად.

მაგრამ სამართლიანად მოვეკიდოთ ყველაფერს, თვით ეგოიზმსაც კი. 1830 წლის რევოლუციის შემდეგ ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ბურჟუაზია ეწოდება, განცხრომას კი არ ნატრობდა, ან სიზარმაცეს და შერცხვენილ მოსვენებას, არც აგრეთვე ძილს, რომ დავიწყებოდა ყველაფერი; არა, ბურჟუაზია შეჩერებას ლამობდა.

შეჩერებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: შეიძლება საომრად განწყობილი მომავალი ჯარი შეაჩეროთ დასასვენებლად; აქ მოძრაობაა. შეიძლება საბოლოო სადგურზე გაჩერდეთ; აქ მოსვენებაა.

დასასვენებლად შეჩერება ძალ-ღონის მოკრებაა, დასვენება იარაღითურთ და ფხიზელი თვალებით; ამ შეჩერებას ბრძოლა ჰქონდა გუშინ და ბრძოლა ექნება ხვალაც.

ამგვარი ორბორბლის შუად უნდა ვიგულისხმოთ 1830-1848 წლები.

რასაც ჩვენ აქ გამოვთქვამთ სიტყვით „ბრძოლა“, ამას სხვაფრივ პროგრესი ჰქვია.

მაშასადამე, ბურჟუაზიას, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებს, ესაჭიროებოდათ ისეთი კაცი, რომ სათავეში „დაეყენებინათ“, ვიდრე დაისვენებდნენ და ძალას მოიკრებდნენ შემდეგი ბრძოლისთვის; ერთი რთული პიროვნება, რომელიც რევოლუციის მიერ მონაპოვარს შეეგუებოდა და ახალს არაფერს განიზრახავდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, წარსულისა და მომავლის შეთანხმებით გაამაგრებდა აწმყოს.

ძებნაც არ დასჭირვებიათ ამ კაცისა, იგი „ნახული“ იყო, მისი სახელი ლუი-ფილიპი ორლეანელი გახლდათ.

221 ხმით მეფის წოდება მიანიჭეს ლუი-ფილიპს. ლაფაიეტმა იკისრა მეფის კურთხევა და სახელიც ღირსეული უწოდა - „საუკეთესო რესპუბლიკელთაგანი“. რეიმსის ტაძრის ალაგი ქალაქის თვითმმართველობამ დაიჭირა.

სრული ტახტის წილ ნახევარტახტი შემოიღო 1830 წელმა.

როდესაც განახორციელეს მოხერხებულებმა თავიანთი განზრახვა, მაშინვე გამოჩნდა საშინელი ბიწი ამ მოხერხებისა, უფლების გარეშე გარიგებულიყო ყველაფერი.

- პროტესტს ვაცხადებ! - შეჰყვირა უფლებამ და, - საშინელება მოხდა, მაშინვე მიიმალა.

## თავი მესამე
## ლუი-ფილიპი

საშინელი მკლავი აქვს რევოლუციას და ბედნიერი ხელი. რასაც დაჰკრავს, მაგრად დაჰკრავს და, მახვილი თვალი აქვს. დაუსრულებელიც რომ იყოს, მისუსტებული და დაკნინებული, როგორიც იყო 1830 წლის რევოლუცია, მაინც საკმაოდ აქვს შორსმჭვრეტელობა ბედისწერისა, რომ არსად შერცხვეს. ამ რევოლუციის დაბნელება მუხანათობას არ მოასწავებდა.

მაგრამ ნურც დიდ მოწონებას დავიწყებთ ასე ხმამაღლა: რევოლუციასაც მოსდის ხოლმე შეცდომა და ისტორია ბევრს გვაჩვენებს ამის მაგალითს.

დავუბრუნდეთ 1830 წელს. 1830 წლის რევოლუცია გადახრის დროსაც კეთილსვიანი იყო. შეკვეცილი რევოლუციის შემდეგ დადგენილ წესწყობილებაში მეფე სჯობდა მეფობასა. იშვიათი ადამიანი იყო ულუი-ფილიპი.

ლუი-ფილიპი შვილი იყო იმ კაცისა, რომელსაც ისტორია ბევრ შესაწყნარებელ გარემოებას უპოვის; თვით იგი ისევე ღირსი იყო პატივისცემისა, როგორაც მისი მამა ღირსი იყო განკიცხვისა. ლუი-ფილიპის ყოველი ღირსება ჰქონდა კერძო პირისა და რამდენიმე საზოგადო მოღვაწისა; ძალიან ზრუნავდა სიჯანსაღეზე, ქონებაზე, საკუთარ პიროვნებასა და საქმეებზე. კარგად იცოდა ფასი წუთისა და ხშირად ავიწყდებოდა ფასი წლისა. ფხიზელი კაცი იყო, მშვიდობიანი, მოთმინებით სავსე, კარგი ადამიანი იყო და კარგი უფლისწული; ყოველთვის ცოლის ერთგული იყო და ლაქიები ჰყავდა საგანგებო დავალებით, რომ ბურჟუებისთვის ეჩვენებინათ ცოლ-ქმართ სარეცელი. თავს იწონებდა კანონიერი ცხოვრებით და საჭიროც იყო ეს თავის მოწონება, რადგან უფროსი შტო მისი გვარისა, ბურბონები, თავს იწონებდნენ თავიანთი საყვარლებით და უკანონო კავშირით. ყველა ენა იცოდა ევროპის ერებისა და, რაც უფრო იშვიათია, იცოდა ენა ყოველგვარი ინტერესისა და ამ ენაზე კარგადაც ლაპარაკობდა. საგანგებო წარმომადგენელი იყო „საშუალო კლასისა“, მაგრამ ამ კლასზე ბევრად მაღლა იდგა. ჭკვიანი კაცი იყო, ძალიან კარგად აფასებდა თავის შთამომავლობას, მაგრამ უფრო მეტად პირად ღირსებას, შთამომავლობის საკითხშიც კი, ყოველთვის იძახდა, ორლეანელი ვარ და არა ბურბონიო; დიდ მნიშვნელობას აძლევდა თავის მეფეთა გვარის შთამომავლობას, მანამ ბრწყინვალე უფლისწული იყო, და ნამდვილ ბურჟუად იქცა, საფრანგეთის ტახტზე რომ იჯდა. მოუბარი იყო საზოგადოებაში და ჩუმი ოჯახში, ძუნწობას აბრალებდნენ, მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ; ნამდვილად კი იმ ხელმოჭერილთაგანი იყო, რომლებიც უხვად ხარჯავენ თავის სასიამოვნოდ, ან

მოვალეობის ასასრულებლად. განათლებული იყო, მაგრამ მწერლობას ღირსეულად არ აფასებდა. კეთილშობილი იყო და არა რაინდი, თავმდაბალი, მშვიდი, ძლიერი, თაყვანსაცემი გვარისა და ოჯახისა, კარგი მოსაუბრე იყო, სახელმწიფო მოღვაწე, უკვე დარბაისელი, გულცივი, მორჩილი ინტერესისა, არც ჯავრის ამოყრა იცოდა, არც სიკეთის დახსომება; უაღრესობით სარგებლობდა, რომ საშუალო მიეჩუმებინა; კარგად სარგებლობდა პარლამენტის უმრავლესობით და ამტყუნებდა იმ უკმაყოფილებას, რომელიც ყოველთვის ყრუდ გაისმის მეფის ტახტის ირგვლივ. გულღია კაცი იყო და ხანდახან მეტიც წამოსცდებოდა, მაგრამ საკვირველად მოხერხებული იყო ამ შეცდომაშიც; ყოველთვის მზად ჰქონდა პასუხი, გასაძვრომი გზა და ნიღაბი. საფრანგეთს ევროპით აშინებდა და ევროპას საფრანგეთით. ძალიან უყვარდა სამშობლო და უფრო მეტად ცოლ-შვილი; ბატონობა უფრო მოსწონდა, ვიდრე მეფობა, მეფობა უფრო მეტად, ვიდრე ღირსება, - საძაგელი მიდრეკილება, რადგან წადილის მისაღწევად ვერაგობასაც ხშირად ხმარობს ამგვარი კაცი და ავკაცობასაც, მაგრამ იმით არის კარგი, რომ პოლიტიკას არ მოელის მკაცრი შერყევა, სახელმწიფოს - რღვევა და საზოგადოებას - საშინელი რამ. წვრილმანი ადამიანი იყო, რიგიანი, გულისყურიანი, გონიერი, დაუღალავი, თავისი ნათქვამის გამბათილებელი და გამაცრუებელი; მედგრად ებრძოდა ავსტრიელებს ანკონაში, არ შედრკა ინგლისელთა წინაშე ესპანეთში, ყუმბარა დაუშინა ქალაქ ანტვერპენს და ფულს აძლევდა პრიჩარდს; გულწრფელად მღეროდა მარსელიოზას; არ იცოდა გულის გატეხა, დაღლა, არ გააჩნდა გემო მშვენიერების და იდეალისა, გაზვიადებული დიდსულოვნებისა, უტოპიისა, ოცნებისა, გაბრაზებისა, ამაოებისა, შიშისა. პირადი სიმამაცის მქონე იყო; უბრალო მებრძოლი ჟემაპში და გენერალი ვალმში, რვაჯერ უპირებდნენ მოკვლას, როგორც მეფეთა შთამომავალს, მაგრამ მაინც სულ იცინოდა; მამაცი იყო, როგორც გრენადერი, და გამბედავი, როგორც მოაზროვნე. თუ ეშინოდა რისიმე, მხოლოდ მთელი ევროპის არეულობისა, რადგან არ იცოდა პოლიტიკური არეულობით სარგებლობა. ყოველთვის ადვილად გასწირავდა თავს, მაგრამ საქმეს კი არასოდეს; წადილის მისაღწევად გავლენით სარგებლობდა, რომ დამორჩილებოდნენ მის გონებას და არა ძალას. იცოდა დაკვირვება, მაგრამ გულთმისნობა კი არ ეხერხებოდა, ყურადღებას არ აქცევდა გონიერებას, მაგრამ კარგად იცნობდა ადამიანს, ისე რომ ჯერ კაცი უნდა ენახა, რათა დასკვნა გამოეყვანა; ჭკვიანი, ჩქარი და შთაგონებითი მსჯელობა იცოდა; პრაქტიკული, ადვილი სიტყვა, საკვირველი მეხსიერება, ეს ერთადერთი თვისება ჰქონდა, რომლითაც კეისარსაც ჰგავდა, ალექსანდრე მაკედონელსაც და ნაპოლეონსაც. კარგად ახსოვდა რაც მოხდა, დაწვრილებით, თარიღებით, მოქმედი პირებით, ოღონდ არ იცოდა ხალხის სხვადასხვა მალული მისწრაფებანი და ფარული სულიერი აღშფოთება, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ადამიანთა სინდისის უხილავი მოძრაობა წარმოადგენს. კარგად მიიღო საფრანგეთის საზოგადოების ნაღებმა, მაგრამ ხალხთან, თავისი ქვეყნის წამყვან ძალასთან კი საერთო ცოტა ჰქონდა. უფრო განაგებდა სამეფოს, ვიდრე მეფობდა; თვითონვე იყო თავისივე პირველი მინისტრი და საგანგებოდ ახერხებდა ცხოვრების წვრილმანებით დიდებული იდეის შეჩერებას; ნიჭიერად უწყობდა ხელს ცივილიზაციას, წესიერებას, ორგანიზებას, მაგრამ შიგვე ურევდა ბიუროკრატიულ წვრილმან მოთხოვნილებას; დამფუძნებელი იყო სამეფო გვარისა და ცოტა რამ კარლოს დიდისა გამოჰყოლოდა, ცოტა რამ ვექილისა,

საერთოდ კი დიდებული, თავისებური კაცი იყო, მეფე, რომელმაც მოიპოვა ძალა, მიუხედავად საფრანგეთის არეულობისა და ევროპის შურისა თავისი დროის სახელოვან მოღვაწეებთან ერთად ლუი-ფილიპიც იქნება მოხსენებული და ისტორიაში სახელოვან მეფეთა რიცხვში იქნებოდა ჩარიცხული, ცოტად მაინც რომ ჰყვარებოდა სახელოვნება და ისევე სწამებოდა დიდება, როგორც სწამდა სასარგებლო.

მშვენიერი გარეგნობის კაცი ყოფილიყო ლუი-ფილიპი; მოხუცებულსაც შერჩენოდა მიმზიდველობა. ყოველთვის არ მოსწონდა საფრანგეთს ეს მეფე, მაგრამ ბრბო კი მისკენ იყო, რადგან პატივს სცემდა; იცოდა მეფემ ხალხის მოხიბლვა. დიდებულება აკლდა, არც გვირგვინს იხურავდა, თუმცა მეფე იყო, არც ჭაღარა ჰქონდა, თუმცა მოხუცებული იყო. ქცევა ძველებური ჰქონდა, ჩვეულებანი - თავისი დროისა, ნარევი დიდებულისა და ბურჟუისა, რაც ძალიან შეეფერებოდა 1830 წელს. გარდამავალი ხანის მეფე იყო, შერჩენოდა ძველებური გამოთქმა და მართლწერა. ძალიან უყვარდა პოლონეთი და უნგრეთი. ტანისამოსი საერო გვარდიის ფორმისა ეცვა, როგორც შარლ X-ს, და სახელოვანთა ლეგიონის ლენტი ჰქონდა, როგორც ნაპოლეონს.

ხშირად არ დადიოდა საყდარში, სანადიროდ სულაც არა, ოპერაში თავის დღეში არ შევიდოდა. შორს ედგა სამღვდელოებას, მონადირეების ძაღლებს და მოცეკვავე ქალებს. ასე უნდა მოქცეულიყო, ვისაც თაყვანისცემა უნდოდა ბურჟუაზიისა. სახლში კარისკაცები აღარავინ ჰყავდა. ქუჩაში ქოლგით გამოდიოდა ყოველთვის და ეს ქოლგა დიდხანს იყო მისი დიდების ერთ-ერთი მიზეზი. ცოტა რამ კალატოზობა ეხერხებოდა, ცოტად მებაღეობა და ექიმობა; ერთხელ სისხლი გამოუშვა ცხენიდან ჩამოვარდნილ ფოსტის მოხელეს. სადაც უნდა წასულიყო, თან ჰქონდა თავისი ნესტარი, როგორც ანრი III-ს თავისი ხანჯალი. მეფის მომხრენი დასცინოდნენ ამ მეფეს, რომელმაც პირველად დაღვარა ადამიანის სისხლი განკურნვის მიზნით.

ბევრს უჩიოდა ლუი-ფილიპის ისტორია, მაგრამ ზოგს უსაბუთოდ. ზოგი რამ მეფის მთავრობასაც ედება ბრალი, ზოგი მეფობას, ზოგი თვით მეფეს, - სამგვარი სია, რომლის ჯამიც სხვადასხვა რაოდენობისაა. სამეფოს მთავრობამ შეზღუდა დემოკრატიის უფლებანი, მეორე ხარისხის მისწრაფებად გახადა პროგრესი, ქუჩებში გამოცხადებული პროტესტი ჩააჩუმა სასტიკი სასჯელით, ჯარით და იარაღით ჩაახრჩო აჯანყება, შემოიღო სამხედრო საბჭო, ქვეყანას სამასი ათასი წარჩინებულის დახმარებით განაგებდა. მეფობის ბრალი იყო ბელგიის უარყოფა, ალჟირის მეტად მკაცრად დამორჩილება, როგორც ინგლისელების მიერ ინდოეთისა, უფრო ბარბაროსობით, ვიდრე ცივილიზაციით, უნდობლობა მაროკოელ აბდელ-კადერისადმი, ყიდვა ბლეისა და დეიცისა, პრიჩარდის ფულით დაჯილდოება. თვით მეფის ბრალი იყო პოლიტიკა უფრო ოჯახური, ვიდრე ეროვნული.

როგორც ხედავთ, პატარა ანგარიშის შემდეგ შესამჩნევად მცირდება მეფის შეცოდებანი.

უმთავრესი მისი შეცოდება ის იყო, რომ თავმდაბლობდა საფრანგეთის სახელით. საიდან მომდინარეობდა ეს შეცდომა?

ესეც ვნახოთ.

მეფე იყო ლუი-ფილიპი, მაგრამ მეტად მოსიყვარულე ოჯახისა. დინასტიად გახდა მისი ოჯახი, მას უნდა ჰკუთვნებოდა მომავალი და ამიტომ იყო, რომ ფრთხილობდა,

- არაფერმა წამიხდინოს ეს იმედიო. აქედან იყო მისი შიში და მოკრძალება, ძნელად ასატანი იმ ხალხისთვის, რომელსაც ივლისის თოთხმეტი შეეტანა სამოქალაქო მატიანეში, და აუსტერლიცის გამარჯვება - სამხედროში.

ამიტომ, განზე რომ გავუდგეთ საზოგადო მოვალეობას, რომელიც ყოველთვის უნდა სრულდებოდეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლა ღირსი იყო მეფის ოჯახი მისი უსაზღვრო სიყვარულისა. თაყვანსაცემი იყო მისი ცოლ-შვილი, სათნოებითა და ნიჭიერებით აღსავსე. ლუი-ფილიპის ერთი ქალი, მარი ორლეანელი, თავისი ხელოვნებით ამშვენებდა მხატვრობას, და ერთი ვაჟი, შარლ ორლეანელი - პოეზიას. ქალმა საკუთარი სული ჩაუდგა მის მიერ შექმნილ ჟანა დ,არკის ქანდაკებას. ლუი-ფილიპის შვილები იყვნენ, რომ ეს ქება ათქმევინეს მეტერნიხს: - ისეთი კარგი ყმაწვილები არიან, რომელთა მსგავსს იშვიათად ნახავთ და ისეთი ღირსეული უფლისწულები, რომელთა მსგავსს სულაც ვერ ნახავთო.

აი, სრული და შეულამაზებელი სიმართლე ლუი-ფილიპის შესახებ.

მამა რევოლუციის მომხრე ჰყავდა, ფილიპე ეგალიტედ წოდებული; თვითონაც სავსე იყო რესტავრაციისა და რევოლუციის შეუთანხმებლობით, მაგრამ მეფის ტახტმა იქონია გავლენა და მეფეს შეაგუა რევოლუციონერები. ესეც ბედი ლუი-ფილიპისა. თავის დღეში არსად ყოფილა, რომ ასე სავსებით შეჰგუებოდეს ადამიანი გარემოებას; შეუერთდა ადამიანი გარემოებას და მოხდა გარდაქმნა; ლუი-ფილიპი განხორციელება არის 1830 წლისა. ერთხანს განდევნილი იყო საფრანგეთიდან და ესეც ხელს უწყობდა მის გამეფებას. განდევნილი იყო. ხან სად ცხოვრობდა, ხან სად. დიდ გაჭირვებას განიცდიდა. თავისი შრომით ცხოვრობდა. შვეიცარიაში ერთი ბებერი ცხენი გაყიდა ამ საფრანგეთის დიდებულმა მემამულემ, რომ შიმშილითყარ მომკვდარიყო. რეიშნოში იძულებული გახდა მათემატიკის გაკვეთილებით ეშოვა ლუკმაპური და მისი და ადელაიდე კერვითა და ქარგვით შველოდა ძმას. აღტაცებული იყო ბურჟუაზია მეფის ამგვარი წარსულით. ლუი-ფილიპმა საკუთარი ხელით დაანგრია მონ-სენ-მიშელის რკინის გალია, ლუი XII-ის მიერ აგებული, რომელსაც ისე კარგად ხმარობდა ლუი XV. ლუი-ფილიპი მეგობარი იყო დუმურიესი, მეგობარი ლაფაიეტისა, იაკობინელთა კლუბის წევრი; მირაბო მეგობრულად მხარზე უტყაპუნებდა ხელს; დანტონი „ყმაწვილ კაცს“ ეძახდა, როცა ელაპარაკებოდა. ოცდაოთხი წლისა იყო მაშინ, 1793 წელს ბატონ დე შარტრად წოდებული, და ერთ ბნელ ლოჟაში იჯდა მიმალული, კონვენტში რომ მეფე ლუი XVI-ის, რომელსაც მან მოსწრებულად „საბრალო მტარვალი“ უწოდა, საქმე ირჩეოდა; თავისი თვალით ნახა ბრმა შორსმხედველობა რევოლუციისა; მეფის გაწირვით მეფობის მოსპობა; იდეის განსახორციელებლად დიდი სისხლის ღვრა; საშინელი მღელვარება მეფის განმსჯელი სასამართლოსი; საზოგადოების აღშფოთებით აღძრული კითხვები, დუმილი კაპეტისა, რომელმაც არ იცოდა, რა პასუხი გაეცა; საზარელი თრთოლა მეფისა, რომლისთვისაც მოულოდნელს ჰგავდა ეს ქარიშხალი; უბრალოება ამ კატასტროფის მოქმედ პირთა, რადგან უბრალონი იყვნენ ბრალმდებელნი, და არც ისე დამნაშავე იყო ბრალდებული. თავისივე თვალით ნახა ეს ყველაფერი, ნახა ხალხის გაშმაგება, წარსულ საუკუნეთა განსჯა კონვენტის მიერ; ლუი XV-ის უკან, ამ უბედური პასუხისმგებელი გამვლელის უკან, ბნელში აღმართული დაინახა ნამდვილი ბრალდებული - მონარქია, და გულში ჩარჩენოდა თაყვანსაცემი შიში ხალხის

მართლმსაჯულების წინაშე, რომელიც ისევე უპირადო იყო თითქმის, როგორიც უპირადო არის მართლმსაჯულება ღვთისა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე რევოლუციამ და დიდი კვალიც დატოვა მისი გულის სიღმეში. დაწვრილებით ახსოვდა ყველაფერი, თითქოს ცოცხლად ჰქონოდა ჩაბეჭდილი ყოველი წუთი რევოლუციისა. ერთხელაც ერთ თავის მეგობარს, რომლის ნათქვამს სრული ნდობით ვიმეორებთ, ზეპირად ჩამოუთვალა შეუცდომლად, დამფუძნებელი კრების წევრების ა-ზე დაწყებული გვარები.

ნათელი დღის მეფე იყო ლუი-ფილიპი. მეფე გახლდათ და მის დროს სრული თავისუფლება იყო მწერლობისა, სრული თავისუფლება სიტყვისა, თავისუფლება კრებისა და სარწმუნოებისა. სექტემბრის კანონებით დაადგინა ეს თავისუფლება, კარგად იცოდა, რომ მთავრობის უპირატესობას ძირს უთხრის გააშკარავება, მაგრამ მაინც ყველას სანახავად ჰქონდა თავისი ტახტი და ისტორია ღირსეულად დაუფასებს ხალხისადმი ამ იშვიათ პატივისცემას.

ლუი-ფილიპი, როგორც ყველა ისტორიული მოღვაწე, უკვე წარსულისა, დღეს განსასჯელად წარმდგარა ადამიანის სინდისის წინაშე, განსჯა მხოლოდ იწყება და მსჯავრი ჯერ შორს არის.

ჯერ არ დამდგარა ლუი-ფილიპისთვის ის დრო, როდესაც ისტორია თავისუფლად გამოთქვამს თავის მსჯავრს; ჯერ შეუძლებელია საბოლოო შეფასება ამ მეფის ღვაწლისა. სახელოვანმა მკაცრმა ისტორიკოსმა ლუი ბლანმაც კი შეარბილა ამას წინათ თავისი პირველი მსჯავრი. ორი ძალით იყო ამორჩეული ლუი-ფილიპი; 221-თა უდღეური კრების ხმით და 1830 წლით. ესე იგი, ნახევრად პარლამენტისა და ნახევრად რევოლუციის მიერ. მაინცდამაინც, თუ იმ უმაღლესი თვალსაზრისით შევხედავთ, რომელზედაც ყოველთვის უნდა იდგეს ფილოსოფია, მხედველობაში უნდა მიგვეღო ცნობილი პირობები, როგორც აქამდეც იგულისხმებდა ამას მკითხველი, და მხოლოდ აბსოლუტური დემოკრატიული პრინციპის სახელით გვემსჯელა. ამ პრინციპით წმინდა მხოლოდ ადამიანი და ხალხის უფლება არის. დანარჩენი სხვა ყველა ნაძალადევია; მაგრამ მაინც შეგვიძლია დღემდე ვთქვათ: ძალიან სასტიკად რომ მივუდგეთ ამ მეფეს, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ლუი-ფილიპი დარჩება ისტორიაში იმ მცირერიცხოვან ქველ ადამიანთა სიაში, რომლებიც მეფობამაც კი ვერ წარყვნა.

რა გვაქვს მის წინააღმდეგ? მეფის ტახტი? წაართვით ეგ ტახტი და დარჩება ადამიანი, კეთილი ადამიანი, იმდენად კეთილი ხანდახან, რომ თაყვანსაცემი ხდება. ხშირად მოხდებოდა, სამეფოს საქმეებით დაღლილი, მთელი დღის განმავლობაში ევროპის დიპლომატებთან ბრძოლით დაქანცული, მივიდოდა შინ საღამოს და ძილისა და დასვენების ნაცვლად, ვიღაც განწირულის საქმეს სინჯავდა მთელ ღამეს, რადგან თავის მოვალეობად სწამდა სამშობლოს დაცვა ევროპის დიპლომატიისგან და ამაზე უფრო მეტ მოვალეობად მიაჩნდა ვიღაც უცნობის სასჯელის შემსუბუქება და ჯალათის ხელიდან ადამიანის გამოგლეჯა.

შეუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდა მართლმსაჯულების მინისტრთან და პროკურორთან, ამ „კანონის ყბედებთან“, როგორც მათ უწოდებდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტად შეემცირებინა გილიოტინით დასასჯელთა რიცხვი. ხანდახან ამ საქმეების მეტი სხვა აღარაფერი ელაგა მის მაგიდაზე; თვით უნდა გასცნობოდა თითოეულ საქმეს; ვერ მოისვენებდა, სასამართლოსთვის და ჯალათისთვის რომ

მიენებებინა უბედურნი. ერთ დილას ამ სიტყვით მიმართა მეგობარს, რომელიც ამას წინათ დავიმოწმეთ: - წუხელ შვიდი კაცი მოვუგე სიკვდილსო. ლუი-ფილიპის მეფობის პირველ ხანს გაუქმებულივით იყო სიკვდილით დასჯა, მის უნებურად, ძალდატანებით აამუშავეს ეშაფოტი. მეფეთა გვარის უფროს შტოს გრევის მოედანი ჰქონდა დამნაშავეთა დასახოცად და ახლა სხვა მოედანი გამართეს, ბურჟუაზიული გრევი, სენ-ჟაკის სადარაჯოდ წოდებული. „მოხერხებულ“ სახელმწიფო მოღვაწეთ საჭიროდ ცნეს გილიოტინის კანონიერი არსებობა. ეს იყო ერთი გამარჯვებათაგანი კაზიმირ პერიესი, რომელიც ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო; დამარცხებული ამ შემთხვევაში თვით მეფე იყო, წარმომადგენელი ლიბერალური მხარისა. ღრმად შესწავლილი ჰქონდა და, შენიშვნებით სავსე ბეკარიას თხზულება „დანაშაული და სასჯელი“. ფიესკის მანქანას რომ გადაურჩა, თქვა: - ნეტავ დაჭრილი ვყოფილიყავი! შევუნდობდი და ვაპატიებდიო. ერთხელ კიდევ ძლივს გადაარჩინა სიკვდილს ერთი განწირული პოლიტიკური დამნაშავე, ერთი უბრწყინვალესი მოღვაწე ჩვენი დროისა, და ასე აღნიშნა თავისი მინისტრების წინააღმდეგობა: - დავიყოლიე, როგორც იქნა, ახლა უნდა ავასრულებინო. ლმობიერი იყო ლუი-ფილიპი, როგორც ლუი IX და გულკეთილი, როგორც ანრი IV.

ისტორიაში მეტად იშვიათი მარგალიტი არის გულკეთილობა, და თუ იყო ვინმე გულკეთილი, ის უფრო შესანიშნავია, ვიდრე მრავალი დიდებული.

ლუი-ფილიპი მკაცრად იყო დაფასებული ზოგთაგან, სასტიკად მეორეთაგან, და სრულიად ბუნებრივია, რომ მის კარგად მცნობის, დღეს მასავით აჩრდილის, სიტყვაც იყოს ისტორიის წინაშე მოხსენიებული; ეს სიტყვა მით არის მნიშვნელოვანი, რომ არავითარი მიდგომა არა აქვს და მხოლოდ ჭეშმარიტებას ემსახურება; გარდაცვლილის ეპიტაფია ყოველთვის გულწრფელია, აჩრდილია და უფლება აქვს ნუგეში სცეს თავისსავით აჩრდილს; ერთი და იმავე შავბედით მოცულთ უფლება აქვთ ერთმანეთის დაცვისა და ძნელი წარმოსადგენია, რომ თქვას ვინმემ ოდესმე, - ერთმანეთის წინაშე პირმოთნეობდნენ ეს ორი საფლავი განდევნილებისაო.

## თავი მეოთხე
## დამსკდარი საძირკველი

დრომ მოიტანა და ჩვენი დრამა იქამდე მივიდა, რომ უნდა მისწვდეს სიღრმეს იმ ტრაგიკული ღრუბლისა, რომელიც ლუი-ფილიპის მეფობის დასაწყისს დასწოლოდა და ამიტომ საჭირო იყო ამ წიგნსაც თავისი სიტყვა ეთქვა მეფის შესახებ.

ძალით არ გამეფებულა ლუი-ფილიპი, თავის მხრივ არავითარი ღონისძიება არ უხმარია ამისთვის. ფეხი იცვალა რევოლუციამ, იმ გზას დაადგა დროებით, რომელიც რევოლუციის მიზანს არ შეეფერებოდა, და არც ამ ცვლილებაში მიუღია მას რაიმე მონაწილეობა. მეფეთა შთამომავალი იყო და მეფედ აირჩიეს. თვით ორლეანელმა უფლისწულმა კი არ მოისურვა ეს თანამდებობა, არც ძალით მოიხვეჭა; შესთავაზეს მეფობა და მანაც მიიღო. მიიღო, რადგან დარწმუნებული იყო და ცდებოდა, რა თქმა უნდა, რომ სრულიად კანონიერი იყო საფრანგეთის თხოვნაც და იმის მხრივ ამ თხოვნის ასრულებაც. იქიდან გამომდინარეობდა გულწრფელი რწმენა, რომ იგი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. მეფეს გულწრფელად სწამდა თავისი მოვალეობა. მაგრამ დემოკრატიასაც გულწრფელად სწამდა მეფის მოსპობა, არც

მეფის ბრალი იყო და არც დემოკრატიისა ის საშინელება, რომელიც ამ უთანხმოებამ გამოიწვია. ერთმანეთს რომ შეეხლებიან პრინციპები, იგივე ხდება, რასაც ბუნების ძალებში ვხედავთ. ოკეანე თავის წყალს იცავს, გრიგალი - ჰაერს; მეფე ცდილობს თავისი მეფობა დაიცვას, და დემოკრატია იცავს ხალხს. დროებითია მონარქია და ებრძვის სამარადისოს - რესპუბლიკას; სისხლი სდის ამ ბრძოლაში საზოგადოებას, მაგრამ დღევანდელი ვარამი მისივე ხსნად იქცევა ცოტა ხნის შემდეგ. ბუნებრივი არის ეს ბრძოლა, და გასაკიცხნი არ არიან მებრძოლნი; ცხადია, შემცდარი უნდა იყოს ერთი ამ მებრძოლთაგანი; როდოსის ქანდაკება კი არ არის უფლება, რომ ცალი ფეხი წყალგაღმა ედგას და მეორე გამოღმა; რომ ცალი ფეხით რესპუბლიკას ეყრდნობოდეს და მეორით მეფობას; არა, იგი სრულია, განუყოფელი და მთლად ერთმხრივი, მაგრამ შემცდარი მებრძოლნიც გულწრფელად ცდებიან. როგორც ბრმას ვერ გაამტყუნებთ, - რად არ ხარ თვალხილულიო, - ისე ვანდელს ვერ გაამტყუნებთ, რადა ხარ ყაჩაღიო. გასამტყუნარი ამ საშინელ ბრძოლაში არავინ არის, რადგან ბრძოლა გამოწვეულია ავბედითად თავმოყრილ გარემოებათაგან. რაც უნდა საზარელი იყოს შედეგი ამ ბრძოლისა, პასუხისმგებლობა მაინც სხვისაა და არა ადამიანისა.

მაშ, დავასრულოთ ეს მიმოხილვა.

1830 წლის მთავრობას იმთავითვე ავი დღე დაუდგა; გუშინ შობილი დღეს უკვე ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო.

ის-ის იყო დამყარდა და მაშინვე იგრძნო ჭახანი ივლისის ნაგებობისა, ახლახან აშენებულის და ჯერ ისევ გაუმაგრებლისა.

მეორე დღესვე გამომჟღავნდა წინააღმდეგობა - ვინ იცის, გუშინვეც არსებული.

ყოველთვე იზრდებოდა ეს წინააღმდეგობა და სახალხოდ წამოდგა ყველას დასანახავად.

ივლისის რევოლუციას, ეს უკვე აღვნიშნეთ, მტრულად შეხვდნენ სხვა ქვეყნების მეფეები. არც საფრანგეთში იყო ერთსულოვნად მიღებული.

ღმერთი თავის ნებას უცხადებს ხალხს თვალსაჩინო ამბების საშუალებით. ეს არის გაურკვეველი ნაწერი იდუმალ ენაზე. ოღონდ ამოკითხვა უნდა ამ ნაწერს. ხალხიც მაშინვე იწყებს ამ ნაწერის გარჩევას და თარგმნას, თარგმნის აჩქარებულად, შეცდომებით, ხარვეზებითა და უაზროდ. ძალიან ცოტა მოიპოვება ხალხში ღვთიური ენის მცოდნე, და ვინც უბრძნესი არის, მშვიდი, ღრმად მცოდნე, ნელ-ნელა არჩევს ამ წარწერას; როდესაც გაარჩევს და ხალხში გაიტანს, საქმე დიდი ხნის წინათ დასრულებული დახვდება; ოცი თარგმანი გამოტანილია უკვე მოედანზე, ყველა თარგმანი ქმნის პარტიას, ყველა უაზრობა ქმნის ცალკე ჯგუფს, და ყველა პარტიას სწამს, რომ ნამდვილი, სწორი თარგმანი მარტო მას აქვს, და ყველა ჯგუფს სწამს, რომ ჭეშმარიტებას მარტო ის ემსახურება.

ხშირად თვით ხელისუფლებაც კი მარტო ჯგუფია.

რევოლუციაში ყოველთვის არიან უკუმცურავნი; ეს გახლავთ ძველი პარტიები.

ძველი პარტიებისთვის, რომელთაც მემკვიდრეობითი უფლება სწამთ, უფლის ნებით დამყარებული, რევოლუცია შედეგია იმ უფლებისა, რომელსაც აჯანყება ეწოდება. ხალხს აქვს ეს უფლება და მით სარგებლობს ღვთის მიერ დამყარებულის წინააღმდეგ. შეცდომაა! რადგან რევოლუციაში აჯანყებული ხალხი კი არა, აჯანყებული მეფეა. თუ ჭეშმარიტება გნებავთ, სწორედ რევოლუცია არის აჯანყების

მოწინააღმდეგე. ყოველი რევოლუციის აღსრულება არის ბუნებრივი და შეიცავს კანონიერებას, რომელსაც ხანდახან სახელს უტეხენ ყალბი რევოლუციონერები, მაგრამ მაინც მედგრად იბრძვის შეურაცხყოფილიც კი და თავისას მოითხოვს მძიმედ დაჭრილი. რევოლუცია შემთხვევის შედეგი კი არ არის. რევოლუცია არის შედეგი საჭიროებისა. რევოლუცია ხელოვნურის ნგრევაა ბუნებრივის დასამყარებლად. ნაძალადევი ხელოვნური რომ არ ყოფილიყო, არც რევოლუცია წამოიჭრებოდა.

მიუხედავად ამისა, ძველი „ნებითა ღვთისათა“ მეფის მომხრენი საშინელი ძალით შეებრძოლნენ 1830 წლის რევოლუციას, უსაფუძვლო მსჯელობით გამოწვეული გაშმაგებით. ძალოვანი ყუმბარა არის შეცდომა, და სწორედ იქ სცემდა რევოლუციას, სადაც ის სუსტი იყო და მკაცრი ლოგიკის აბჯარი აკლდა. მეფობას დაუშინეს ყუმბარა და თან გაჰყვიროდნენ: - თუ რევოლუცია ხარ, ეგ მეფე რაღად გინდა? - ბრმები არიან ჯგუფები, მაგრამ დამიზნება კი კარგი იციან.

არანაკლებ გაშმაგებულნი იყვნენ რესპუბლიკელები. და საფუძვლიანადაც. ის, რაც სიბრმავეს წარმოადგენდა მეფის მომხრეთა მხრივ, ნათლად ხილვა იყო დემოკრატებისა. 1830 წელი გაკოტრდა ხალხის წინაშე და აღშფოთებული დემოკრატიაც ამას უსაყვედურებდა.

წარსული ცალკე დაიხურა, მომავალი ცალკე და ორ მეტრს შუა მოჰყვა საბრძოლველად ივლისის რევოლუცია. იგი წარმოადგენდა წუთს, რომელსაც ერთი მხრივ მონარქიული საუკუნეები უტევდნენ, და მეორე მხრივ მარადი უფლება. გარდა ამისა, რადგან ის რევოლუცია კი აღარ იყო, არამედ მონარქიად ქცეულიყო, იძულებული გახდა უცხოეთში ევროპის სამეფოების ფეხს აჰყოლოდა. მშვიდობიანობის შენარჩუნება ხშირად უფრო თავსაცემია, ვიდრე ომიანობა. ამ ყრუ კონფლიქტიდან, რომელიც ლაგამამოდებულია, მაგრამ სულ ბრდღვინავს, წარმოიშვა შეიარაღებული ზავი, ეს საზარალო ხერხი, რომლისაც არაფერი სწამს თვით ცივილიზაციას. ყალყზე დგებოდა ივლისის მეფობა, ევროპის კაბინეტებთან ერთად შებმული ეტლში; რომ შესძლებოდა, სიამოვნებით დაადებდა მას ცალუღს მეტერნიხი. საფრანგეთის პროგრესი მიათრევდა მეფობას და ის თავის მხრივ - ევროპის მონარქიებს, ამ ფეხმრუდეებს მიათრევდა. პროგრესის მიერ ბუქსირზე აყვანილი, თვით მიათრევდა სხვებს.

ამ დროს მრავალი საკითხი წამოჭრილიყო საფრანგეთში: პაუპერიზმი, პროლეტარიატი, ხელფასი, აღზრდა-განათლება, სასჯელი, პროსტიტუცია, ქალის ხვედრი, სიმდიდრე, გაჭირვება, წარმოება, მოხმარება, განაწილება, გაცვლა, ფული, კრედიტი, შრომის უფლება; წამოჭრილიყო ყველა ეს საკითხი და მძიმედ თავს დასწოლოდა საზოგადოებას.

პოლიტიკური პარტიების გარეშე კიდევ სხვა მოძრაობამ იჩინა თავი. დემოკრატიულ მღელვარებას ფილოსოფიური დაემატა. გონებრივ წარჩინებულნიც ისევე გაეტაცა ღელვას, როგორც ხალხი, სულ სხვაგვარად, მაგრამ იმდენადვე.

მოაზროვნენი ფიქრს მისცემოდნენ მაშინ, როდესაც მათ ქვეშ იძროდა ნიადაგი. ე. ი. ხალხი, რევოლუციური მდინარებით მოცული, თავით ფეხამდე თრთოდა. ზოგი ცალკე, ზოგი ამხანაგებთან ერთად. სრული თანხმობით, აუჩქარებლად სჯიდა ამ საზოგადოებრივ კითხვებს, მშვიდობიანად, დაკვირვებით, ძირისძირამდე კვლევით. ეს მშვიდობიანი მენაღმენი იყვნენ, რომელნიც ტალანებს თხრიდნენ ვულკანის სიღრმეში და ყურადღებას არც კი აქცევდნენ ჩუმ მიწისძვრას და პირღია გრდემლს.

ეს სიმშვიდეც ერთ-ერთი საუცხოო სურათი იყო ამ მღელვარე დროისა.

ამ მოაზროვნეთ პოლიტიკური პარტიებისთვის მიენდოთ უფლებრივი საკითხების განსჯა და თვით ხალხის კეთილდღეობის საკითხებს შესდგომოდნენ.

ცდილობდნენ საზოგადოებისგან მიეღოთ მხოლოდ ის, რაც ადამიანის კეთილდღეობას გაუწევდა სამსახურს.

უწმინდეს, სარწმუნოებრივ საკითხებს გვერდით დაუყენეს მატერიალური უზრუნველყოფა, მიწათმოქმედება, წარმოება, ვაჭრობა. ჩვენს ცივილიზაციაში, რომელსაც ცოტად ღმერთი ქმნის და მეტად ადამიანი, ერთმანეთს ეკვრიან ინტერესები, ზედ ერთვიან, ერთდებიან და ერთ მაგარ კლდეს ქმნიან თანახმად ერთი დინამიკური კანონისა, რომელსაც გულდადებით სწავლობენ ეკონომისტები, ეს პოლიტიკის გეოლოგები.

სხვადასხვა სახელით იყვნენ წოდებულნი ეს მკვლევარნი, მაგრამ უკეთესი იქნება ერთი ზოგადი სახელი მივცეთ და სოციალისტები ვუწოდოთ, რომლებიც ცდილობდნენ გაეპოთ როგორმე ეს კლდე და ადამიანის მაცოცხლებელი წყარო აღმოეჩინათ. საკუთარი შრომით იკვლევდნენ ყველაფერს, ეშაფოტიდან დაწყებული ომამდე. საფრანგეთის რევოლუციის მიერ აღძრული საკითხიდან დაწყებული ადამიანის უფლებით - მათ კიდევ სხვა წამოაყენეს - უფლებანი ქალისა და ბავშვისა.

არავინ გაიკვირვებს, რომ სხვადასხვა მოსაზრების გამო, ჩვენ აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ, თეორიის თვალსაზრისით, სოციალიზმის მიერ წამოყენებულ კითხვებს. ჩვენთვის ამ კითხვათა აღნიშვნაც საკმარისი იქნება.

რაც კი კითხვები აღუძრავთ სოციალისტებს, გვერდი რომ ავუქციოთ იმათ კოსმოგონიურ აბდაუბდას, ოცნებასა და მისტიციზმს, შეიძლება ორ უმთავრეს მცნებად გამოვთქვათ:

პირველი მცნება:

წარმოება სიმდიდრისა.

მეორე მცნება:

განაწილება სიმდიდრისა.

პირველი მცნება შეიცავს შრომის საკითხს.

მეორე მცნება შეიცავს ხელფასის საკითხს.

პირველით გადასაწყვეტია ძალების გამოყენება.

მეორით გადასაწყვეტია განაწილება სიმდიდრისა და სიხარულისა.

კარგად გამოყენება ძალებისა ქმნის საზოგადოებრივ ძლიერებას.

კარგად განაწილება სიმდიდრისა, სიხარულისა ქმნის ინდივიდის ბედნიერებას.

კარგად განაწილებას რომ ვამბობთ, სამართლიანად განაწილებას ვგულისხმობთ და არა თანასწორად განაწილებას. ნამდვილი თანასწორობა სამართლიანობა არის.

როდესაც ხალხი საზოგადოებრივ ძლიერებას ეღირსება გარეთ და ინდივიდუალურ უზრუნველყოფას შინ, მაშინ იგი მიაღწევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

საზოგადოებრივი კეთილდღეობა არის ბედნიერი ადამიანი, თავისუფალი მოქალაქე, დიდებული ერი.

ინგლისი ახორციელებს პირველ მცნებას, საუცხოოდ ქმნის სიმდიდრეს; და საძაგლად ანაწილებს ამ სიმდიდრეს. ასე გადაწყვეტა კითხვისა, რომელიც მარტო ერთი მხრივ არის სრული, ქმნის ორ უკიდურესობას; საკვირველ სიმდიდრეს და

შემაძრწუნებელ გაჭირვებას; ზოგს ყოველგვარი სიკეთე აქვს ჩვენი ცხოვრებისა და სხვას კი, ესე იგი, ხალხს სრული სიღარიბე და გაჭირვება. ხალხის შრომას შეუქმნია უპირატესობანი, მონოპოლია, გამონაკლისი, ფეოდალთა ბატონობა, ეს ყალბი და საშიში წესწყობილება, რომელიც საზოგადოებრივ ძლიერებას ამყარებს კერძო სიღარიბეზე, და სახელმწიფოს დიდებას - პიროვნების ტანჯვაზე. - ავად შედგენილი დიდება, რომელშიც მოიპოვება ყოველი მატერიალური ელემენტი და არც ერთი ზნეობრივი.

კომუნიზმი და მიწით სარგებლობის კანონი თავისებურად წყვეტენ ამ საკითხს, მაგრამ ცდებიან: იმათებური განაწილება ძირს დასცემს წარმოებას. თანასწორად განაწილება სპობს შეჯიბრებას და, მაშასადამე, თვით შრომასაც. ამგვარი განაწილება ყასაბს მოგვაგონებს, რომელიც თვით სპობს, რაც გასანაწილებლად აქვს. ამიტომ შეუძლებლად მიგვაჩნია ამ ვითომდა გადამწყვეტ დებულებებზე გაჩერება. ეს არის სიმდიდრის მოსპობა და არა განაწილება.

ამ ორი კითხვის შეუცდომლად გადაჭრა მათ შეერთებას მოითხოვს. უნდა შეერთდეს ორი გადაწყვეტილება ამ კითხვებისა და ერთ დებულებად დაისახოს.

თუ მარტო პირველ კითხვას გადაწყვეტთ, იმას მიიღებთ, რაც ვენეციამ მიიღო ან ინგლისმა. ხელოვნური ძლიერება გექნებათ, როგორც ვენეციას, ან მატერიალური ძლიერება, როგორც ინგლისს. ცუდი მდიდარი იქნებით, გარემოებათა მიმდინარეობა დაგღუპავთ, როგორც ვენეციას, ან გაკოტრდებით, რაც ინგლისს მოსდის. გულცივად მიიღებს ქვეყანა თქვენს დაქვეითებას და სიკვდილს, რადგან ქვეყანა გულცივად უყურებს ყოველივე იმის დაცემას და სიკვდილს, რაშიც ეგოიზმის მეტი არაფერია, და რაც არავითარ იდეას, ან სათნოებრივ აზრს არ წარმოადგენს კაცობრიობისთვის.

თავისთავადვე ცხადია, რომ სიტყვაში - „ვენეცია“, „ინგლისი“, - ვგულისხმობთ არა ხალხს, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივ წესწყობილებას, დიდებულთ, ხალხის ზემოდან გამოჭიმულთ, და არა თვით ამ ქვეყნების ერს. ყველა ქვეყნის ერს აქვს ჩვენი პატივისცემა და თანაგრძნობა. ვენეციელი ხალხი აღდგება, ინგლისის არისტოკრატია ძირს დაემხობა, მაგრამ ინგლისის ერი უკვდავი არის და რაკი ეს ვთქვით, მაშ, განვაგრძოთ.

გადაწყვიტეთ ეს ორი საკითხი, ხელი შეუწყეთ მდიდარს და მფარველობა აღმოუჩინეთ ღარიბს, მოსპეთ გაჭირვება, მოსპეთ ძალოვანისგან ექსპლუატაცია სუსტისა. ალაგმეთ ადამიანის შემარცხვენელი შური და ურთიერთშორის მტრობა, შეუფარდეთ სამართლიანად და მათემატიკურად ხელფასი შრომას, დააწესეთ მუქთი და ამასთან სავალდებულო სწავლა მოზარდი თაობისათვის. მეცნიერება დაუდეთ საფუძვლად მოწიფულობას. ამუშავეთ ხელი, მაგრამ განავითარეთ გონიერებაც. ეცადეთ თქვენი ერის გაძლიერებას და ოჯახის ბედნიერებას, სახალხოდ აქციეთ საკუთრება, სხვაფრივ რომ ვთქვათ, ისე მოაწყეთ საქმე, რომ კი არ მოისპოს საკუთრება, პირიქით, ყველას უკლებლივ ჰქონდეს პირადი საკუთრება, რაც უფრო ადვილად მოსახერხებელია, ვიდრე ჰგონიათ; ერთი სიტყვით, იცოდეთ სიმდიდრის შექმნა და მისი განაწილება, და მაშინ შეძლებთ და მოიპოვებთ ორივეს ერთად - დიდებას მატერიალურს და დიდებას ზნეობრივს. მაშინ იქნებით ღირსი იმ დიდებული სახელისა, რომელიც საფრანგეთს ჰქვია.

აი, ამას ქადაგებდა სოციალიზმი, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ შემცდარ წვრილ ჯგუფებს, რომლებიც გადაჭარბებით მეტს მოითხოვდნენ.

სოციალიზმის სიტყვაც წმინდა იყო და განზრახვაც.

საშინელ მდგომარეობაში იყო ლუი-ფილიპი, ერთმანეთს ებრძოდნენ წარსული და მომავალი, იგი ისე უნდა მდგარიყო მათ შუა, რომ მომავალი გაემარჯვებინა, რადგან რევოლუციონერი იყო რწმენით, და არც წარსული შეელახა, რადგან დიდებული იყო შთამომავლობით. ეს დებულებანი სოციალიზმისა, ეს ახალი თეორიები ვრცელდებოდა ხალხში და ისიც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ მოძრაობისთვის. საჭირო იყო შექმნა ახალი პოლიტიკისა, ისეთისა, რომ რევოლუციური იდეალი შეთანხმებული ყოფილიყო ძველებურთან. იგი თანაუგრძნობდა აზრებს, რომელთა განხორციელებას აჯანყებით მოითხოვდა ხალხი; ცალკე პალატა იყო და ცალკე ქუჩა. სწამდა რევოლუცია, სწამდა უმაღლესი უფლება ხალხისა და იმავე დროს შთამომავალი იყო თავისი წინაპრებისა, თაყვანისმცემელი გვარისა და ოჯახისა. უაღრესად პატიოსანი კაცი იყო, გულწრფელი, პატივისმცემელი ხალხისა და თან ნაყოფი წარსულისა. და იმისთანა სულიერ ტანჯვას განიცდიდა, რომ ხშირად სასოწარკვეთილება ერეოდა ამ მეტად მაგარ და უშიშარ ადამიანს.

გრძნობდა, რომ რაღაც ინგრეოდა მის ფეხქვეშ, მაგრამ საფრანგეთს კი არაფერს უქადდა, რადგან ამჟამად საფრანგეთი უფრო საფრანგეთი იყო, ვიდრე ოდესმე.

შავი ღრუბელი ფარავდა ჰორიზონტს. უცნაური აჩრდილი მოიწევდა და ნელ-ნელა ედებოდა ხალხსა და იდეებს. აჩრდილი სხვადასხვა მიმართულებით ბრძოლის გაშმაგებისა. უკვე ხელახლა ბორგავდა, რაც კი ნაჩქარევად ჩაჩუმებულიყო. ჰაერი გაჟღენთილი იყო განსხვავებული აზრებით, ჭეშმარიტებისა და სოფიზმების ნარევით და სუნთქვას უკრავდა პატიოსანი ადამიანის სინდისს. საზარლის მოლოდინი დასწოლოდა ხალხს და ისე თრთოდა ადამიანი, როგორც ფოთოლი ქარიშხლის მოახლოებისას. იმდენად მძლავრი იყო ძაბვა ელექტრონისა, რომ ხანდახან ერთი სიტყვა კმაროდა, ხშირად სულ უცნობისა, რომ ერთ წამს დაემშვიდებინა ხალხი; მაგრამ წამიერი იყო ეს დამშვიდება და მაშინვე თან მოსდევდა ისევ ის, რაღაც გაუგებარის მოლოდინი. ყრუ გრგვინვა გაისმოდა ხანგამოშვებით, რაც ცხადჰყოფდა, რომ ძალიან დიდი რისხვა დაგროვილიყო ჩამოწოლილ ღრუბელში.

სულ ოცი თვე გავიდა ივლისის რევოლუციის შემდეგ და 1832 წელიწადი მოვლენილი იყო მუქარით და აუცილებლობით აღსავსე გაჭირვებული იყო ხალხი, პური შიოდა მუშას. უკანასკნელი კონდე წყვდიადმა შთანთქა. ბრიუსელმა განდევნა თავისი ნასაუ, როგორც პარიზმა ბურბონები. ბელგიას ფრანგი უნდოდა მეფედ და ინგლისელი მისცეს. წინ ჰქონდა საშინელი სიძულვილი რუსეთის ხელმწიფის ნიკოლოზისა, უკან - სამხრეთის ორი ქაჯი ემუქრებოდა საფრანგეთს: ესპანელი ფერდინანდი და პორტუგალიელი მიგელი. არც ევროპა იყო დამშვიდებული; იგივე მოძრაობა ემჩნეოდა იტალიას. მეტერნიხს ბოლონიისკენ გაეწია ხელი. საფრანგეთი უხეშად ექცეოდა ავსტრიას ანკონაში, ჩრდილოეთით ჩაქუჩის ხმა ისმოდა, კუბოში ჩაეწვინათ პოლონეთი და მაგრად ლურსმავდნენ. საფრანგეთს შემოსცქეროდა გაბრაზებული თვალით მთელი ევროპა; საფრანგეთის საეჭვო მოკავშირე - ინგლისი, ვერაგი, როგორც ყოველთვის, მზად იყო წიხლი წაეკრა, ვისაც კი ფეხი წაუსხლტებოდა და ტყავი გაეძრო, ვინც დაეცემოდა; პერების სასამართლო ბეკარიას ეფარებოდა, რათა ოთხი სიცოცხლე დაეცვათ კანონიერად მისჯილი სიკვდილისგან; მეფის ეტლზე შროშანა ყვავილი ჩამოფხიკეს, პარიზის ღვთისმშობლის გუმბათს ჯვარი ჩამოამტვრიეს, ლაფაიეტი დაამცირეს, ლაფიტი გაანადგურეს, დიდ გაჭირვებაში

მოკვდა ბენჟამენ კონსტანი; საკუთარი ძლიერების დაკნინებისგან დაიღუპა კაზიმირ პერიე. პოლიტიკური და სოციალური ავადმყოფობა მორეოდა საფრანგეთის ორივე დედაქალაქს, პარიზს, დედაქალაქს აზროვნებისას და ლიონს - დედაქალაქს შრომისას. პარიზში აზროვნება ამზადებდა ბრძოლას, ლიონში - დამონებული შრომა. დიდი ხანძარი მზადდებოდა ორივე ქალაქში. ზედ შუბლზე აჩნდა ხალხს გრდემლის სიცხარე. სამხრეთი გაცოფებული იყო, ჩრდილოეთი აშლილი, ქალბატონი დე-ბერი ვანდეას გაემგზავრა. გაფიცვა იყო ყველგან, შეთქმულება, აჯანყება, ქოლერა და იდეებით გამოწვეული ხალხის მღელვარებას უმატებდა თავის საშინელებას.

## თავი მეხუთე
## დასაწყისი ისტორიისა, ისტორიის მიერ არცნობილი

ძალიან გამწვავდა საქმე აპრილის დამლევს. მოძრაობა დუღილად იქცა. მოსალოდნელი იყო ხალხის აშლა. 1830 წლიდან აქა-იქ იყო ხოლმე აჯანყების ცდა, კერძო, ადგილობრივი, სწრაფად ჩაჩუმებული, მაგრამ ერთგან ჩააჩუმებდნენ, სხვაგან ატყდებოდა მაშინვე, და ეს იყო უტყუარი ნიშანი, რომ დღეს თუ ხვალ მთელ საფრანგეთში ავარდებოდა ცეცხლის ალი. საშინელება მოელოდა ქვეყანას. უკვე იყო მკრთალი, მაგრამ ნაცნობი ნიშნები რევოლუციისა. საფრანგეთი პარიზს შემოჰყურებდა და პარიზი წმინდა ანტონის უბანს.

შეუმჩნევლად გაცხელებული წმინდა ანტონის უბანი სადაცაა ადუღდებოდა.

რისხვით იყო სავსე შარბონეს ქუჩის დუქნები. თუმცა ეს სიტყვა სულ არ ახასიათებს ამ მხიარულ დუქნებს.

იქ განსასჯელ საგნად მთავრობა გაეხადათ მიმსვლელებს. გადასაწყვეტი იყო კითხვა, შეებრძოლონ ამ მთავრობას თუ ჩუმად იყვნენ. დუქნების უკანა ოთახებში კი აფიცებდნენ მუშებს, რომ მაშინვე ქუჩაში გამოვლენ, როგორც კი გაისმის განგაშის ხმა, და „შეებრძოლებიან მტერს, რაც უნდა დიდი იყოს მისი რიცხვი“. ერთი მუშა იჯდა კუნჭულში და, რაკი დააფიცებდნენ ამხანაგს, ახლა ის მიმართავდა და შთაგონებით ჩასძახოდა: „ხომ დაიფიცე, მაშ, არ უღალატო რევოლუციას“. ხანდახან ზემო სართულზე ავიდოდნენ, ცალკე ოთახში, კარს ჩაიკეტავდნენ, თითქოს ფრანკ-მასონები ყოფილიყვნენ, და იქაც ფიცს სდებდა მუშა: „რომ იმსახურებდა ისე, როგორც შვილები ემსახურებიან მამებს“.

ქვემო დარბაზში პატარა ბროშურებს კითხულობდნენ, მთავრობის საწინააღმდეგოდ შედგენილს. - „იქ მთავრობას აგინებენ“, - ეწერა იმ დროის საიდუმლო მოხსენებაში.

იქ გაიგონებდით შემდეგს: - „მე ჩემი ბელადების სახელი არ ვიცი... ჩვენ მუშები ვართ და არაფერი ვიცით. ის ვიცით მხოლოდ, რომ ორი საათით ადრე გვაცნობებენ, ქუდზე კაციო! - ერთი მუშა იძახდა, სამასი კაცი ვართ. ნახევარი ფრანკი რომ გამოვიღოთ ყველამ, ას ორმოცდაათი ფრანკი გვექნება თოფის წამლისა და ტყვიისთვის“. ერთი კიდევ სხვას ამბობდა: „ექვსი თვე კი არა, ორიც არ გვინდა, ორი კვირაც არ გავა, რომ წინ აღვუდგებით ჩვენს მთავრობას და ხუთი ათასი კაცით ქვეყანას შევებრძოლებით“... ერთი მუშა დაურიდებლად იძახდა: სადა მცალია დასაწოლად? ტყვიას ვამზადებ ღამე. ხანდახან ბურჟუებივით ძვირფასტანისამოსიანი გაბღინძული კაცები ჩაერეოდნენ ხოლმე, თითქოს მოთავენი ყოფილიყვნენ ამ

მოძრაობისა, ხელს ჩამოართმევდნენ მეთაურებს, მოიკითხავდნენ საჩქაროდ და გარბოდნენ; ათ წუთზე მეტხანს თავის დღეში არ დარჩებოდნენ. ან ჩუმი ხმით ეკითხებოდნენ ერთმანეთს საქმის ვითარებას. - შეთქმულება მზად არის, ხალხი მომზადებულია, - ჩურჩულით ამბობდნენ ამისთანებს; - ბუზღუნებდნენო, - სწერია ერთ მოხსენებაში; მაგრამ მთელ დარბაზს ეყურებოდა ჩუმად ნათქვამი. იმდენად დიდი იყო აღფრთოვანება, რომ ერთ, ხალხით გატენილ დუქანში ხმამაღლა შეჰყვირა მუშამ: - იარაღი გვინდა, იარაღი! - ამის პასუხად მეორემ დაიძახა: - იარაღი ჯარისკაცებს აქვთ! - რა იცოდა, რომ თქვა იგივე, რაც ნაპოლეონმა თავისი ჯარისადმი მიმართულ პროკლამაციაში, იტალიაში რომ იყო. „თუ საიდუმლო ჰქონდათ რამე, - წერია იმავე მოხსენებაში, - ამ კრებებზე არაფერს ამბობდნენ“. ძნელი გასაგებია, რაღა უნდა ჰქონოდათ იმაზე მეტი, რასაც დაურიდებლივ გაიძახოდნენ?

კრებები დროგამოშვებით იმართებოდა, პერიოდულად. ზოგ კრებას ყოველთვის ერთი და იგივე პირები ესწრებოდნენ, რვა, ათი კაცი; ზოგ კრებაზე კი ყველას შეეძლო შესვლა და იმდენი ხალხი იკრიბებოდა, რომ გატენილი იყო ხოლმე დარბაზი. ზოგი თანაგრძნობის გამო მიეშურებოდა ამ კრებისკენ; ზოგი იმიტომ, რომ „სამუშაოდ მიმავალს გზაც იქით ჰქონდა“. ამ კრებებს, როგორც რევოლუციის დროს, პატრიოტი ქალები ესწრებოდნენ და ესალმებოდნენ ახალმოსულებს.

დიდად მნიშვნელოვანი დღე თენდებოდა.

შევიდოდა დუქანში კაცი, დალევდა და ფულს არ იხდიდა - რევოლუციას დააწერე, ძმობილო, რაც გერგება, ის გადაგიხდისო.

ერთ დუქანში, შარონის ქუჩის პირდაპირ, რევოლუციის რწმუნებულებს ირჩევდნენ. კენჭს ქუდში კრეფდნენ.

ერთ ფარიკაობის ოსტატთან იკრიბებოდნენ მუშები კოტის ქუჩაზე, იარაღი ელაგა დარბაზში - ხის ფარები, ჯოხები, წვერბლაგვი ხმლები. ერთ დღეს სათიხარები მოხსნეს ხმლებს: ოცდახუთნი ვართ, - თქვა ერთმა მუშამ, - მაგრამ მე ანგარიშში ნუ ჩამაგდებთ, რადგან მანქანად ვარ მიჩნეულიო. - ეს მანქანა შემდეგში კენისე აღმოჩნდა.

ზოგიერთი განზრახვა უცნაურად გამოაშკარავდა და სალაპარაკო გახდა. კარ-მიდამოს ჰგვიდა ერთი დედაკაცი და მეზობელს ეუბნებოდა: - რამდენი ხანია, აღარ გვძინავს, ტყვია-წამალს ვამზადებთ რევოლუციისთვისო. პროკლამაციები გაეკრათ ყველგან ქუჩებში ეროვნულ გვარდიისადმი მიმართული. ერთ პროკლამაციას ხელს აწერდა „სირაჯი ბურტო“.

ერთხელ ლენუარის მოედანზე ბაზრობა დღეს ერთი გრძელწვერა კაცი ახტა ღობეზე და იტალიელის კილოთი ხმამაღლა წაიკითხა ხალხის აღმაშფოთებელი მოწოდება რაღაც საიდუმლო უსახელო ხელისუფლების სახელით. მრავალი ხალხი შემოეხვია. ტაშს უკრავდნენ. ერთმა იქ მყოფთაგანმა ჩაიწერა ის სიტყვები, რომლებიც უფრო მოეწონა ხალხს:

„შეურაცხყოფილია ჩვენი დებულებანი, ჩამოფხრეწილია ჩვენი პროკლამაციები, ციხეში ყრიან ჩვენი ამხანაგები, რომლებიც პროკლამაციებს ავრცელებდნენ“. „მრავალი თანამგრძნობი შეგვძინა საფეიქრო წარმოების შემცირებამ; სულ ჩვენთან არიან, ვინც გუშინ ვერაფერს ბედავდა“. „ხალხის გულში ღვივის მომავალი ქვეყნისა“... „აი, ჩვენი დებულებანი: ან აღვდგეთ, ან რეაქცია; ან რევოლუცია, ან რევოლუციის მტრების გამარჯვება! აღარ შეჰფერის ჩვენს დროს და აღარც ვინმეს სჯერა, რომ

შეიძლებოდეს ხელის გაუნძრევლად წოლა და ლოდინი. დღეს ყველამ ხმამაღლა უნდა თქვას თავისი, ხალხისკენ არის თუ ხალხის წინააღმდეგ. ეს არის უმთავრესი საკითხი და მეტი არაფერი. თუ ერთ მშვენიერ დღეს აღარ ვიქნებით თქვენთვის საჭირონი, დაგვითხოვთ, დამოგვიშორებთ. მაგრამ მანამდე კი დაგვეხმარეთ, რომ წინ წავიდეთ“. - ამგვარი სიტყვები ისმოდა ყველგან დაურიდებლად.

სხვაც იყო უფრო ძნელად გასაბედი. და სწორედ ამ გაბედულობის გამო ხალხის მიერ საეჭვოდ მიღებული. 1832 წლი 4 აპრილს ერთი კაცი ავარდა ღობეზე სენ-მარგარიტის ქუჩაზე და შეჰყვირა: - მე ბაბეფის მომხრე ვარო! მაგრამ ბაბეფის სახელს ამოფარებულ ჟისკეს ალღო აუღო ხალხმა.

სხვათა შორის, ეს სიტყვები წარმოთქვა ამ ბაბეფისტმა კაცმა: „ძირს საკუთრება! ძირს პარლამენტის მემარცხენეთა ოპოზიცია! იგი მხდალია და მოღალატე! რევოლუციას ქადაგებს და ძირს უთხრის რევოლუციას. დემოკრატიული არის, რომ ძირს არ დასცენ, და მეფის მომხრეა, რომ არ იბრძოლოს. რესპუბლიკელები საფცქვნელად გაუხდიათ მემარცხენეებს. მოერიდეთ, მოქალაქენო! ნურც რესპუბლიკელებს ენდობით, ნურც მემარცხენეებს“.

- გაჩუმდი, მოქალაქე ჯაშუშო! - შეჰყვირა ერთმა მუშამ.

ამ შენიშვნამ ბოლო მოუღო მის მჭევრმეტყველებას.

საიდუმლოებით სავსეც ბევრი რამ იყო.

ქუჩაში შეხვდა ბინდისას მუშას ერთი კარგად ჩაცმული კაცი და შეჰყვირა:

- სად მიხვალ, მოქალაქე?

- უკაცრავად, ბატონო, - მიუგო მუშამ, - მე თქვენ არ გიცნობთ.

- მე კი ძალიან კარგად გიცნობ, და აი, რას გეტყვი, ნუ გეშინია. მე წევრი ვარ კომიტეტისა. ჰო, ცოტა ეჭვი შეჰპარვიათ შენ შესახებ, უნდობლად გიყურებენ, და აი, გაფრთხილებ: ყურადღებით იყავი, არაფერი წამოგცდეს სადმე, თორემ ვერ გადაგვირჩები! უთხრა, ხელი ჩამოართვა და დაუმატა: - ნახვამდის! მალე შევხვდებით ერთმანეთს.

პოლიციაც ყურდაცქვეტილი ბრძანდებოდა, დუქნებშიც და ქუჩებშიც, სადაც დაურიდებლად ისმოდა ხალხის უცნაური ლაპარაკი:

- დააჩქარებინე, მეგობარო, მიგიღონ და მორჩნენ, რაღა! - ურჩევდა ფეიქარი დურგალს.

- განა რა არის საჩქარო?

- ის, რომ მალე დაგვჭირდება თოფის სროლა.

ორი ღარიბი კაცი გაჩერდა ქუჩაში დაგლეჯილ-დაფლეთილები. მისალმების მაგივრად, ასე მიმართეს ერთმანეთს:

- ვინ არის ჩვენი მთავრობა?

- ბატონი ფილიპე.

- არა! ბურჟუაზია!

ხუმრობით იყო ნათქვამი ეს პასუხი, მაგრამ მწარე, ღარიბი კაცის ხუმრობით.

ორი კაცი მიდიოდა ქუჩაში, რაღაცას ლაპარაკობდნენ და კარგად გაისმა ერთის ხმამაღლა წამოსროლილი სიტყვა: - გეგმა შედგენილია. ჩვენ იერიშით მივალთ მთავრობაზე.

ოთხი კაცი იჯდა ტრონის სადარაჯოს ახლოს და ეტყობოდათ პოლიტიკაზე საუბრობდნენ:

- ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ პარიზში აღარ გაიჭაჭანოს...

ვინ არ გაიჭაჭანოს? ის კი აღარ თქვეს, ვისზე იყო ლაპარაკი.

საქმის მოთავენი, როგორც ეძახდნენ მათ გარეუბნელები, არსად ჩანდნენ; ამბობდნენ, წმინდა ესტატეს კუთხეში კრებები აქვთ ერთ დუქანში, რომ შეთანხმდნენო. მოთავეებისა და სენტ-ანტუანის უბნელთა შესათანხმებლად შუაკაცად ჰყავდათ დურგლების დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე ოგი, მოდეტურის ქუჩაზე რომ იდგა. დიდი სიფრთხილით, ფარულად აწარმოებდა საქმეს და ჯერჯერობით არ იცნობდა ხალხი შეთქმულების მოთავეებს. კიდეც რომ სცნობოდა, არავითარ შემთხვევაში არ გასცემდა, რაც უნდა ძალა დაეტანებინათ. შემდგომ მოხდა, ერთი მუშა კაცი წარდგა დიდებული სასამართლოს წინაშე.

- ვინ იყო თქვენი მოთავე?

- არც ვიცნობდი, და არც ახლა ვიცნობ, - უპასუხა ამაყად მუშამ.

ჯერ გარკვეული არაფერი ისმოდა ხალხში. თუ იყო რამე, ფრთხილი, ობოლი სიტყვა, რომლის მნიშვნელობას ადვილად მიხვდებოდა, ვინც უნდა მიმხვდარიყო; ან „ამბობენო, გავიგონეთ“ და სხვ. მაგრამ ამას ცხადიც ემატებოდა ნელ-ნელა.

ერთი დურგალი ღობავდა დიდ ეზოს, სადაც სახლს აშენებდნენ, რეილის ქუჩაზე, და ნაფხრეწი ქაღალდი იპოვა მიწაზე. ცოტა რამ კიდევ შეიძლებოდა გაერკვია და წაიკითხა:

- კომიტეტმა ღონისძიება უნდა მიიღოს, რომ მოსპოს ხალხის სხვადასხვა საზოგადოების წევრად ჩაწერა...

და იქვე ძირს მინაწერი.

„ცნობა გვაქვს, პუასონიერის ქ. #5 (ბ)-დან, ხუთი თუ ექვსი ათასი თოფი აქვს ერთ მესაჭურვლეს ეზოში მიმალული. სექციას კი არა აქვს იარაღი“.

წაიკითხა, ამხანაგებს აჩვენა და იქვე, ცოტა იქით კიდევ იპოვეს ნაფხრეწი, უფრო მნიშვნელოვანი, რომელსაც უკლებლივ აღვუწერთ მკითხველს, როგორც იმ დროის საინტერესო დამახასიათებელ საბუთს

ახლა ეს წაიკითხეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს ამ ასოებისა. მხოლოდ შემდგომ გამოირკვა ეს შემოკლებით ასოებით აღნიშნული საიდუმლოება: უ ოგ ა ფე ნიშნავდა 1832 წლის 15 აპრილს, ხ - ხუთასის წინამძღვარს, ა ასისას და მ - მსტოვრისას. ქაღალდი ოთხ სვეტად იყო ჩახაზული და, ეტყობოდა, სია უნდა ყოფილიყო მომავალი აჯანყების წინამძღვრებისა. პირველ სვეტში ხ-ს ქვევიდან მოხსენებული იყო „ბანრე 8 თოფი. 83 ვაზნა, სანდო კაცია“. ა-ს ქვემოდან ბუბიერი, 1 - დამბაჩა. 40 ვაზნა“, ათ-ის ქვემოდან „როლე. 1 შუბი, 1 დამბაჩა, 1 გირვანქა თოფისწამალი“, მ-ს ქვევიდან „ტეისიე - 1 ხმალი, 1 ფალასკა - მუყაითი. ტერორი. 8 თოფი. მამაცი“ და ა.შ.

მერე მესამე ნაჭერიც იპოვეს ამ ქაღალდისა. ფანქრით იყო დაწერილი, მაგრამ გარკვევით წაიკითხებოდა ეს საიდუმლო სია:

ერთობა, ბლანშარი, არბრ-სეკ 6

ბარა. სუაზი. სალ-ო-კონტი,

კოსტიუშკო. ობრი-ყასაბი?

ჟ. ი. რ.

გაიუს გრაკხუსი

უფლება შემოწმებისა. დიუფონი, ფური.

დაცემა ჟირონდელებისა. დერბაკ. მობუე.

ვაშინგტონი. პენსონი. 1 დამბაჩა, 86 ვაზნა.

მარსელიოზა.

თავის. ხალხისა. მიშელი. კენკამპუა. საბრი.

ჰოში.

მარსო, პლატონი, არბრ-სეკი.

ვარშავა, ტილი, გაზეთ „პოპიულერის“ დამტარებელი.

ეტყობა, სია უნდა ყოფილიყო ამ ქაღალდში ქალაქის მეოთხე განყოფილების „ადამიანის უფლებათა“ საზოგადოების ყველა სექციისა და ამ სექციების მოთავეებისა, მათი მისამართის აღნიშვნით. დღეს, როდესაც ყველა ეს მნიშვნელოვანი ბნელით დაფარული ნიშნები უკვე ისტორიას ეკუთვნის, შეიძლება მათი გამოქვეყნება, ოღონდ ის კი მივუმატოთ, რომ „ადამიანის უფლებათა“ საზოგადოების დაარსება უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ამ ქაღალდში იყო აღნიშნული. შეიძლება ახალი ჩასახული იყო საზოგადოება და უკვე ამ სახელით მოქმედებდა.

გაკვრით ნათქვამი სიტყვის, სიტყვიერი ბრძანებების და საიდუმლო ბარაკების დაპირისპირების შემდეგ საქმე გამოაშკარავდა.

პოპენკურის ქუჩაზე ერთ ძველმანებით მოვაჭრეს სახლი გაუჩხრიკეს და კომოდის უჯრაში შვიდი ნაჭერი ქაღალდი უპოვეს ლურჯი, შვიდივე თანასწორად, სიგრძეზე ოთხად დაკეცილი. ამ ქაღალდში შეხვეული იყო ვაზნის გასაკეთებლად მომზადებული ქაღალდი და პატარა ბარათი, რომელზეც ეწერა:

გვარჯილა12 მისხალი

გოგირდი2 მისხალი

ნახშირი2-ნახევარი მისხალი

წყალი2 მისხალი

ოქმში აღნიშნული იყო, რომ კომოდს ძალიან ასდიოდა თოფის წამლის სუნი.

ერთ კალატოზს დაესრულებინა მუშაობა და შინისკენ მიდიოდა. დასასვენებლად დამჯდარიყო სკამზე აუსტერლიცის ხიდთან და იქვე დავიწყებოდა აბგა. აბგა პოლიციაში მიიტანეს, გახსნეს და შიგ ქაღალდებიც აღმოჩნდა დაბეჭდილი: ორი დიალოგი იყო, ლაოტიერისა, ერთი სიმღერა სათაურით „შეერთდით, მუშებო, შეკავშირდით“, და ერთი თუნუქის ყუთი, ვაზნებით სავსე.

ღვინოს სვამდნენ მუშები. - ოჰ, რა ძალიან მცხელა! - დაიძახა ერთმა და ამხანაგის ხელი შეიყო იღლიაში: დამბაჩა ჰქონდა ხალათის ქვეშ.

ბავშვები თამაშობდნენ ქუჩაში პერ-ლაშეზისა და ტრონის სადარაჯოს ახლოს მიყრუებულ ადგილზე და ორმოში, ბურბუშელის ქვეშ, ტომარა იპოვეს, რომელშიც ტყვიის ჩამოსასხმელი ქვაბი იყო, ვაზნის საჭრელი დანა, ბადია ცოტაოდენი თოფის წამლით, და პატარა ქვაბი ტყვიის სადნობად. ქვაბში ტყვია ჩარჩენილიყო.

მოულოდნელად შეუცვივდნენ სახლში პოლიციელები დილის ხუთ საათზე ვინმე პარდონს, რომელიც შემდგომ ბარიკად-მერის სექციის წევრი აღმოჩნდა და მოკლეს 1834 წელს, აჯანყების დროს. შეუცვივდნენ პოლიციელები და დაიჭირეს: იდგა კაცი და ვაზნებს ამზადებდა.

დასვენების დროს შეხვდნენ ერთმანეთს მუშები პიკპუსის და შარანტონის სადარაჯოების ახლოს, პატარა ქუჩაში, ერთ დუქანთან. ხალათის ქვეშიდან ამოიღო ერთმა დამბაჩა და ამხანაგს მისცა, მაგრამ შენიშნა, რომ ოდნავ დანოტიოებულიყო მისი ოფლისგან თოფის წამალი; ხელახლა გაუტენა და ისე მისცა.

ვინმე გალე, - რომელიც აპრილის აჯანყებაში მოკლეს მერე ბობურგის ქუჩაში, - იკვეხნიდა, - შვიდასი ვაზნა მაქვს სახლში და ოცდაოთხი ტალიო.

მთავრობამ მიიღო ერთხელ ცნობა, - გარეუბნელებს იარაღი დაურიგეს და ორასი ათასი ვაზნაო. ერთი კვირის შემდეგ კიდევ დაურიგეს იცდაათი ათასი ვაზნა, და უცნაური ის იყო, რომ ერთი ვერავის წაართვა პოლიციამ. პოლიციის მიერ დაჭერილ ერთ წერილში მუქარაც იყო: „შორს არ არის ჩვენი გამარჯვება, ოთხს დაჰკრავს საათი და ოთხმოცი ათასი პატრიოტი გამოვა შეიარაღებული“.

დიდ მზადებაში იყო ხალხი, მაგრამ სრულიად დამშვიდებული, თუმცა კარგად იცოდა, რომ საშინელი ბრძოლა მოელოდა მთავრობასთან. დღეს თუ ხვალ იფეთქებდა მიწაში ჩამალული ვულკანი და სისხლის ღვარი დაეფინებოდა ქვეყანას. უკვე მომზადებული იყო ყველაფერი, დაურიდებლივ ესაუბრებოდნენ მუშა ხალხს ბურჟუები ამ მომავალ აფეთქებაზე. იმ კილოთი ჰკითხავდნენ ერთმანეთს, - როგორ არის აჯანყების საქმეო, როგორც ზრდილობიანი მოკითხვით, - როგორ ხართ, თქვენები როგორ არიანო!

ხმამაღლა ჰკითხა ერთმა ვაჭარმა მოროს ქუჩაზე გამვლელს:

- ჰა! როდის აპირებთ იერიშს?

ერთმა მედუქნემ ამ სიტყვით მიმართა მუშას:

- ვიცი, მალე აისხამთ იარაღს. სულ თხუთმეტი ათასი კაცი იყავით ამ ერთი თვის წინათ და დღეს ოცდახუთი ათასი ხართ. ჩემი თოფიც მზად მაქვს.

ამ ლაპარაკში ჩაერია მისი მეზობელი და შვიდ ფრანკად ღირებული დამბაჩა შესთავაზა.

მეტად და მეტად ედებოდა ხალხს რევოლუციის ციებ-ცხელება. სახლი არ იყო პარიზში და მთელ საფრანგეთში, რომ ამის მონატრული არ ყოფილიყო, ისე ედებოდა ქვეყანას ქსელი საიდუმლო წრეებისა და საზოგადოებისა, როგორც ადამიანის ანთებით დაავადებულ ორგანიზმს ედება და ფარავს გარსი. საზოგადოება „ხალხის მოყვარენი“ ნებადართულივით მოქმედებდა, მაგრამ საიდუმლოდ უფრო მეტს აკეთებდა; ეს საზოგადოება შტო იყო „ადამიანის უფლებათა“ საზოგადოებისა, რომელიც ასე ათარიღებდა ერთ-ერთ თავის ბრძანებას: „...პლუვიოზს 40 წელს რესპუბლიკურ ხანთაღრიცხვისას“. თავის სექციებსაც რევოლუციურ სახელებს უწოდებდა.

შუბოსნები.

განგაში.

განგაშის ზარბაზანი.

ფრიგიული ქუდი.

21 იანვარი.

მათხოვრები.

მაწანწალები.

წინ მიმავალნი.

რობესპიერი.

გამარჯვება.

ეს მოხდება!

„ადამიანის უფლებათა“ საზოგადოებისგან დაიბადა „მოქმედი საზოგადოება“. მასში გაერთიანდნენ მოუთმენელნი, რომელთაც მოსწყენოდათ სჯა და კამათი და

რევოლუციის აჩქარებას ცდილობდნენ. დანარჩენი ასოციაციები ცდილობდნენ იმ დიდ სექციებს შეერთებოდნენ, რომლისგანაც ისინი წარმოიქმნენ.

- აღარ გვასვენებენო, - ჩიოდნენ სექციელები, - ხან ერთ საზოგადოებაში ჩაგვრიცხავენ, ხან მეორეში ერთდროულადო. მრავალი საზოგადოება იღვწოდა ხალხის რევოლუციისთვის მოსამზადებლად. საზოგადოება „პრესის თავისუფლებისა“, „პირადი თავისუფლებისა“, „ხალხის განათლებისა“, „ფარული ბეგარის გაუქმებისა“, „მუშური თანასწორობისა“, რომელიც სამ ნაწილად იყო გაყოფილი - თანასწორობის მომხრენი, რეფორმის მომხრენი და კომუნისტები. მერე „ბასტილიის ლაშქარი“, მხედრულად მოწყობილი საზოგადოება, რომელშიაც ხუთიოდე კაცი თუ იცნობდა ერთმანეთს. საგანგებოდ იყო შეერთებული ამ საზოგადოებაში სიფრთხილე და გამბედაობა და ვენეციელთა მოხერხების ნიჭი ეტყობოდა მის დამფუძნებელთ. საქმის გამგედ და მმართველად მთავარი კომიტეტი იყო, ორი მაგარი მკლავით მოქმედი, ეს იყო: „აღმასრულებელი საზოგადოება“ და „ბასტილიის ლაშქარი“. ერთი საზოგადოებაც იყო, მთავრობის მომხრე „ერთგულების რაინდები“, რომელიც ყველგან ძვრებოდა და ყველაფერს ზვერავდა; მაგრამ იცნეს და თავს ლაფი დაასხეს.

მრავალი განშტოება ჰქონდა პარიზულ საზოგადოებებს საფრანგეთის დიდრონ ქალაქებში. ლიონს, ნანტს, მარსელს, ლილს ჰქონდა თავისი საზოგადოებანი.

პარიზში, სენ-მარსის უბანში ისეთი მღელვარება მოჩანდა, როგორიც სენტ-ანტუანის უბანში იყო. და სასწავლებლებში ისევე მოუთმენლად ელოდნენ რევოლუციას, როგორც გარეუბნებში. ერთი კაფე იყო სენტ-იასინტის ქუჩაზე და „შვიდი ბილიარდის“ ყავახანა სენ-ჟაკის ქუჩაზე, სადაც უმთავრესად სტუდენტები იკრიბებოდნენ. ანბანის საზოგადოება, როგორც უკვე ვთქვით, მუზენის ყავახანაში იკრიბებოდა და გარდა ამისა, მონდეტურის ქუჩაში ერთ რესტორანში, რომელსაც სახელად „კორინთი“ ეწოდებოდა. კრებები საიდუმლო იყო, მაგრამ გამბედაობა და დაურიდებლობა სჯობნიდა და ხშირად მოხდებოდა ხოლმე, უცხოებიც ისმენდნენ კრების ბჭობას. ერთი შემდგომი სასამართლოს დაკითხვაც იკმარებს დასახასიათებლად იმდროინდელი დაურიდებლობისა და გამბედაობისა:

- სად იყო ხოლმე თქვენი კრებები?

- დე-ლა-პეს ქუჩაზე.

- ვისთან?

- ქუჩაში.

- რომელი სექციები იკრიბებოდნენ?

- ერთადერთი.

- რომელი?

- მანუილისა.

- ვინ იყო მოთავე?

- მე.

- თქვენ მეტად ყმაწვილი ხართ და ვერ შესძლებდით სექციის მეთაურობას და მთავრობის წინააღმდეგ ხალხის წაქეზებას. საიდან მოგდიოდათ ბრძანებები?

- მთავარი კომიტეტიდან.

როგორც ხალხს ამზადებდნენ ასაშლელად, ისე საფრანგეთის ჯარებს, რაც შემდეგში დიდებულად დაამტკიცეს ბელფორის, ლუნევილის და ეპინალის ჯარებმა. თავისკენ ჰყავდათ რევოლუციონერებს ორმოცდამეთორმეტე, მერვე, მეხუთე,

ოცდამეჩვიდმეტე და მეოცე რაზმები. ბურგონში და სამხრეთის ქალაქებში დიდი ზეიმით რგავდნენ „თავისუფლების ხეს“, ესე იგი, მაღალ ანძას წითელი ჩაჩით.

ასეთი იყო იმდროინდელი მდგომარეობა.

და ეს მდგომარეობა ყველაზე მეტად და საგრძნობლად სენტ-ანტუანის რაიონში გამოიხატებოდა, მუშების უბანში. ეს ძველი უბანი, მრავალრიცხოვანი, როგორც ჭიანჭველების ბუდე და მშრომელი, გამბედავი, მრისხანე, როგორც ფუტკარი სკაში, ასაჯანყებლად მომზადებულიყო. თრთოდა ხალხი, ისე მოუთმენლად ელოდა ამ სანატრელ დღეს. ღელავდა ხალხი, თუმცა თავის საქმესაც მუყაითად განაგრძობდა. შეუძლებელია სიტყვით გამოსახვა ამ მუშების ცოცხალი, დაღვრემილი სახეებისა. ამ უბნის სახლების სხვენებქვეშ მიმალულიყო მწვავე ნაღველი, მაგრამ დიდი იყო აგრეთვე იშვიათი ნათელი გონიერება. სწორედ მაშინ გამწვავდება ხოლმე მდგომარეობა, როდესაც შეერთდება ორი უკიდურესობა: ნაღველისა და გონიერებისა.

სხვა მიზეზებიც ჰქონდა, რომ ასე აღელვებული ყოფილიყო სენტ-ანტუანის უბანი. ეცემოდა ვაჭრობა, მცირდებოდა წარმოება და იკლებდა ხელფასი მუშისა; გაკოტრდებოდა რომელიმე მრეწველი, დაიკეტებოდა მისი ქარხანა და მშიერი რჩებოდა მუშა; გაიფიცებოდნენ მუშები პოლიტიკური მოთხოვნილების გამო, და ამასაც შიმშილი მოსდევდა და გასაჭირის მომატება. რევოლუციის დროს გაჭირვება მიზეზიც არის და შედეგიც ხალხის მოძრაობისა. მაგრად სცემს ხალხი, მაგრამ ზოგჯერ თვითონვე ხვდება თავისივე მუშტი. შეგნებული, ამაყი, სათნი ხალხი იყო ამ უბანში მოგროვილი, აღგზნებული, მომზადებული იარაღით ხელში თავგანწირვით საბრძოლველად. ყურდაცქვეტილი ელოდა - როდის გვეღირსება განგაშის ხმაო. ამ მხრივ სახელოვანი არის ეს უბანი და, როდესაც კი ნაპერწკალი გამოჩნდება შორეულ ჰორიზონტზე, პოლიტიკურ გარემოებათა მიმდინარეობით ანთებული, მაშინვე სენტ-ანტუანის აბანი აგონდება ადამიანს, და ის მრისხანე შემთხვევა, რომელსაც პარიზის კართან მოუთავსებია ეს თოფის წამლის საწყობი, სავსე ტანჯვა-ვაებითა და დიადი განზრახვით.

დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ უბნის დუქნებს, რომლებიც რამდენჯერმე მოვიხსენიეთ. პოლიტიკური არეულობის დროს ხალხით სავსე იყო ეს დუქნები და ხალხი სიტყვით უფრო თვრებოდა, ვიდრე ღვინით. იმ დროს იქ დაციალებდა რაღაც წინასწარმეტყველური სული, მიმოიქცეოდა მომავლის ტალღა, რომელიც ცეცხლს უკიდებდა ადამიანის გულს და ფრთებს ასხამდა მის სულს. სენტ-ანტუანის დუქნები ძალიან ჰგვანან ავენტინის მთის სამიკიტნოებს, რომლებიც აშენებული იყო სიბილის მღვიმის ალაგას და ამით თითქოს უკავშირდებოდნენ მომავლის მცოდნე ღმერთებს. მათი სუფრები თითქმის სამფეხები იყო, სადაც ხალხი სვამდა იმ ღვინოს, რომელსაც ძველი პოეტი ენიუსი „სიბილურ ღვინოს“ უწოდებდა.

სენტ-ანტუანის უბანი წყალსაცავია მუშა ხალხისა. რევოლუციის ძვრები ამტვრევდნენ მის კედელს, რომ იქიდან გადმოღვრილიყო უზენაესი უფლება ხალხისა. შეიძლება გზას ასცდენოდა ეს უზენაესი უფლება, ისე, როგორც სხვა ყველა, მაგრამ იგი გზას ამცდარიც კი დიდებულად რჩება. მის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რაც ნათქვამი იყო უსინათლო ციკლოპის შესახებ: Iნგენს.

1793 წელს სენტ-ანტუანის უბნიდან გამოდიოდა ხან ველური ბრბო და ხან გმირთა რაზმები, იმ იდეების მიხედვით, რომლებიც ხან შურისძიების და ხან სათნოების

შედეგად ტრიალებდა ჰაერში, ხან გაშმაგებული და ხან ქვეყნის სიკეთით აღფრთოვანებული.

ველური ბრბო! განვმარტოთ ეს სიტყვა. რას მოითხოვდა ეს ხალხი? რას მოითხოვდა ეს, რევოლუციის მიერ ქვეყნის გარდაქმნის დღეებში გაცოფებული ხალხი, რომ შეესეოდა ხოლმე ბებერ თავზარდაცემულ პარიზს, დაფხრეწილი ტანისამოსით, საზარელი ყვირილით, მოღერებული რკინის კეტებით და აღმართული შუბებით? ხალხის დაჩაგვრის, მტარვალობისა და ძალმომრეობის მოსპობას, შრომას ადამიანისთვის, სწავლა-განათლებას ბავშვისთვის, საზოგადოებრივ პატივისცემას ქალისთვის, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობას, საჭმელს ყველასთვის, აზროვნებას ყველასთვის; კეთილ, სათნო, წმინდა საქმეს, პროგრესს მოითხოვდა იმედმიხდილი, ტანჯული ხალხი, დამშეული, თითქმის ტიტველი, მუშტმოღერებული და ცოფიანივით დორბლმორეული. დიახ, ველურები იყვნენ, მაგრამ ცივილიზაციის ველურები.

საკუთარი უფლებების აღდგენას მოითხოვდა გაშმაგებული ხალხი, უნდოდა სამოთხისკენ წაეყვანა კაცობრიობა და ამისთვის არც არეულობას ერიდებოდა, არც დაშინებას. ბარბაროსს ჰგავდა ეს მხსნელი კაცობრიობისა; ბნელნიღაბაფარებული სინათლეს მოითხოვდა.

ამ ერთი შეხედვით ველურების, ამ გარეგნულად საშინელი ადამიანების გვერდით იყვნენ უდარდელნი, მხიარულნი, დიბა-ატლასით მოსილნი, მაქმანით და ოქრომკედით შეკაზმულნი, ლენტებითა და ორდენებით მბრწყინავნი, აბრეშუმის წინდებით, თეთრი ბუმბულებით, ყვითელი თათმანით, ოქროსაბზინდიანი ფეხსაცმლით; მარმარილოს ბუხართან ბრძანდებოდნენ სავარძელში განცხრომით და ცდილობდნენ წარსულის შემაგრებასა და განგრძობას; განგრძობას შუა საუკუნეებისას, თითქოს ღვთის მიერ დაწესებულ ხალხის დამონებისას, სარწმუნოებით ხალხის დაბრმავებისას, გაუნათლებლობისას, დამნაშავეთა სიკვდილით დასჯისას, ძალმომრეობით და ომით ხალხის ჟლეტისას და ძარცვისას. ბრძანდებოდნენ ბატონკაცურად უმაქნისნი და მედიდურნი და ხოტბით ჰმოსავდნენ, ჩუმი ხმით და ზრდილობიანად ხმალს, კოცონს და ეშაფოტს. ჰოდა, ძალა რომ დაგვატანონ და გვიბრძანონ, აბა რომელი უფრო კარგია: ცივილიზაციის ბარბაროსები, თუ ბარბაროსობის ცივილიზატორებიო, ჩვენ ბარბაროსებს ვამჯობინებდით.

მაგრამ ღვთის მადლით, კიდევ არსებობს არჩევანი. აუცილებელი არ არის და არც ოდესმე ყოფილა ძალმომრეობა. არც დესპოტიზმი გვინდა, არც ტერორიზმი. დავადგენთ ბუნებრივ გზას პროგრესისკენ.

ღმერთიც ამაზე ზრუნავს. გზის შემსუბუქება არის ღვთის მთელი პოლიტიკა.

## თავი მეექვსე
## ანუოლრასი და მისი თანამოაზრენი

ვინაიდან მოსალოდნელი იყო პოლიტიკური მოძრაობა ხალხისა, ანუოლრასმა საჭიროდ ცნო ერთგვარი ფარული შემოწმება მებრძოლი ძალისა.

მუზენის ყავახანაში შეიკრიბნენ ამხანაგები.

მცირე სიტყვით მიმართა კრებას ანუოლრასმა, მნიშვნელოვანი, ადვილად აღსაქმელი მეტაფორების ჩარევით.

მგონია, დრო არის, მეგობრებო, ვიცოდეთ სად ვართ, ვის ველით და ვისი იმედი უნდა ვიქონიოთ. ვისაც უნდა მებრძოლნი ჰყავდეს, უნდა შეძლოს მათი შექმნა. არც საჭირო იარაღის შეძენა მოუტანს ვნებას. თუ ხარი გამოჩნდა სადმე თქვენს გზაზე და გავლა გინდათ, ჯოხი მაინც წაიღეთ, რომ რჩოლა არ დაგიწყოთ და რქაზე არ წამოგაგოთ. მაშ, მოვსინჯოთ ჩვენი ძალა? ვინა ვართ, რამდენნი ვართ? სახვალიოდ ნურაფერს გადავდებთ. თუ რევოლუციონერები ვართ, დაუყოვნებლივ უნდა ვაკეთებდეთ, რასაც დღევანდელი დღე გვავალებს; ხვალინდელი თავისასაც ბევრს მოგვთხოვს. პროგრესს არ სჩვევია დროის დაკარგვა. მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს ჩვენთვის და მოუმზადებლად არ დავხვდეთ ხვალინდელს. უნდა გადავსინჯოთ, სადაც კი რამ დაგვითესია და ვნახოთ, რამდენად კარგად გაუხარია და განვითარებულა. ეს დღესვე უნდა შევამოწმოთ, კურფეირაკ, შენ პოლიტიქენიკელები ნახე, დღეს სწავლა არა აქვთ, დღეს ოთხშაბათია, არა, ფეილი? თქვენ გლასიელები ნახეთ. კონბფერი დამპირდა - პიკპუსში მე მივალო, - იქაც ძალიან ბზუის ფუტკარი. ბიორელმა ესტრაპადი დაიაროს, პრუვერ, რაღაც სიცივე დარევიათ კალატოზებს; ნახავ და გრენელ სენტ-ონორეს ქუჩაში რომ ლოჟა აქვთ, იმის ამბავს მოგვიტან. ჟოლის დიუპიუტრონის კლინიკა მივანდოთ, რომ მაჯა გაუსინჯოს სამედიცინო სასწავლებელს. ბოსუე სასამართლოში მივა, ამხანაგ ვექილებს მოგვიკითხავს. კუგურდისკენ მე გავისეირნებ.

- მორჩა და გათავდა! - თქვა კურფეირაკმა.

- ჯერ არა!

- კიდევ არის რამე?

- ერთი ძალიან მნიშვნელოვანი.

- სახელდობრ? - იკითხა კურფეირაკმა.

- მენის სადარაჯო, - უპასუხა ანჟოლრასმა.

ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა ანჟოლრასი, თითქოს ფიქრებს გამოჰკიდებია და ვეღარ დაეწიაო. მერე განაგრძო:

- მესმის სადარაჯო, ესე იგი, მარმარის ქვისმთლელები, მღებავები, მოქანდაკეთა შეგირდები, მაგარი ბიჭები არიან ყველანი, მაგრამ მალე ცივდებიან. კაი ხანია, სულ სხვა რაღაცას ფიქრობენ. ისე არიან, ლამის ჩაქრნენ. დომინოს თამაშში ატარებენ მთელ დროს. ძალიან კარგი იქნება, რომ გვენახა და შთაგონებით გვეთქვა ჩვენი. რიშფეში აქვთ ხოლმე კრებები. შუადღიდან პირველ საათამდე ყოველთვის იქ არიან. კარგი იქნება, მივიდეს ვინმე, შეუბეროს, გააჩაღოს ეს ჩაფერფლილი ცეცხლი. მინდოდა ეს საქმე მარიუსისთვის მიმენდო. რაღაც ლანდებით არის გატაცებული, მაგრამ მაინც ყოჩაღი ბიჭია. რა ვქნა, რომ აღარ მოვიდა? ერთი კაცი მინდა მენის სადარაჯოს დასათვალიერებლად. და არ ვიცი, ვის დავადო ხელი?

- აი, აქ არა ვარ? - წამოიძახა გრანტერმა.

- შენა?

- დიახ, მე!

- შენ უნდა შთააგონო რესპუბლიკელებს? შენ უნდა პრინციპები შეუკეთო ნაცარმოდებულ ნაღვერდალს და ცეცხლი ააგიზგიზო?

- რატომაც არა!

- ნუთუ შენ შეგიძლია რამე?

- მგონია, რომ უნდა შემეძლოს.

- რომ არაფერი გწამს?

- შენი მწამს!

- გრანტერ! გინდა, მართლა დამეხმარო?

- წაღებსაც კი გაგიწმენდ, თუ მეტყვი.

- ჰოდა, აი, რას გთხოვთ: ნუ ჩაერევი ჩვენს საქმეში. გამოინელე შენი აბსინტი და გამოფხიზლდი.

- უმადური კაცი ხარ, ანჟოლრას!

- მაშ, მენის სადარაჯოზე შეგიძლია მიხვიდე? მოახერხებ კი?

- ძალიან კარგადაც! გრეს ქუჩას ჩავივლი, სენ-მიშელის მოედანს, გოუერარის ქუჩაში გავალ, კარმს გავუვლი, ასას ქუჩას მოვუხვევ და კლოშ-მიდიში ჩავალ; უკან მოვიტოვებ სამხედრო საბჭოს, ავივლი ვიელტუილერის ქუჩას, ბულვარზე გავალ, გავყვები მენის გზატკეცილს, გადავივლი სადარაჯოს და რიშელიეც ხომ იქ არის. ამას მოვახერხებთ მეც და ჩემი წაღებიც.

- მერედა იცნობ მათ? ცოტათი მაინც უნდა იცნობდე.

- ძალიან არა, მაგრამ მაინც შენობით ველაპარაკები მათ.

- მერე რას ეტყვი?

- რა ვქნა? რობესპიერს მოვაგონებ, დანტონს, პრინციპებს!

- ეგ შენა?

- სწორედ მე. აგრე კი ნუ მიყურებთ, მართლა! მოვინდომო რამე, თორემ ქვა ქვაზე აღარ დარჩება. წაკითხული მაქვს პრუდონი. ძალიან კარგად ვიცი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ და ზეპირად ვიცი რესპუბლიკის მეორე წლის კონსტიტუცია. „თავისუფლება მოქალაქისა იქ მთავრდება, სადაც იწყება თავისუფლება მეორე მოქალაქისა“. ისე მელაპარაკები, თითქოს რეგვენი ვიყო. ცოტა რამ ჩვენც ვიცით, მეგობარო! ადამიანის უფლებანი. ხელისუფლება ხალხისა. ბიჭოს! წარმოიდგინეთ, ცოტა არ იყოს, ჰებერტისტიც ვარ. ისე მაქვს მოლესილი ენა, ექვს საათს გავაჭიანურებ ჩემს მოხერხებას. ჯორის ტლინკებივით დავაყრი სიტყვას, სულ უმაღლესი, დიდებული პრინციპებით შეზავებულს.

- რა დროს ხუმრობაა?

- მრისხანებით აღსავსე ვარ!

ჩაფიქრდა ანჟოლრასი, კარგა ხანი იყო გაჩუმებული. ეტყობოდა ძნელი იყო საკითხის გადაწყვეტა. მერე უთხრა ღრმა შთაგონებით:

- გრანტერ, თანახმა ვარ. ვცადოთ, ვნახოთ. იქნებ მართლა გამარჯვებული გნახოთ. შენთვის მომინდვია მენის სადარაჯო.

გრანტერი იქვე ცხოვრობდა, ერთ მზა ოთახში, მუზენის ყავახანის ახლოს. გავარდა სირბილით, თავის ოთახში ავიდა და ცოტა ხანში უკან დაბრუნდა. შინ ასულიყო, რომ რობესპიერული ჟილეტი ჩაეცვა.

- აი, გავწითლდი, - შესძახა ამხანაგებს და თან თვალს არ აშორებდა ანჟოლრასს.

მერე ჟილეტზე დაირტყა ხელი.

მივიდა ანჟოლრასთან და უჩურჩულა:

- ფიქრი ნუ გაქვს. ახლა მე ვიცი!

ქუდი მაგრად ჩამოიფხატა თავზე და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მთლად ცარიელი დარჩა უკანა დარბაზი მუზენის ყავახანისა. ანბანის ყველა თანამგრძნობნი თავ-თავისი მოვალეობის ასასრულებლად წასულიყვნენ. უკანასკნელი ანჟოლრასი იყო, კუგურდისკენ უკან წასულიყო.

კუგურდელები ისსიში იკრიბებოდნენ, ერთ უკვე მიტოვებულ ქვის სამტვრევში, და ანჟოლრასიც იქით გაეშურა. მიდიოდა და ცდილობდა გონების თვალი გადაევლო პოლიტიკური მდგომარეობისთვის. ცხადი იყო, დღეს-ხვალ დიდი ამბები იყო მოსალოდნელი. როდესაც ფაქტები, ეს წინამორბედნი საზოგადოების ფარული დაავადებისა, ეს-ესაა იწყებენ გამოვლინებას, სულ უბრალო ცვლილებას შეუძლია ისინი გაართულოს და არიოს. ამ მოვლენით აიხსნება ყოველი რღვევა და აღორძინებაც. ანჟოლრასს ბუნდოვნად წარმოედგინა ჯერ მომავლით დაფარული აღმომავალი ბრწყინვალება. ვინ იცის? იქნებ ახლოც ყოფილიყო ჟამი ოცნების ასრულებისა. ხალხი ხელთ იგდებდა თავისუფლებას და თვითონვე განაგებდა საკუთარ ცხოვრებას. რევოლუცია ძველებურად, დიდებულად დაეპატრონებოდა საფრანგეთს და დაიძახებდა ქვეყნის გასაგონად, - ხვალ თქვენკენ წამოვალო! კმაყოფილი იყო ანჟოლრასი. ალი ასდიოდა ბრძმედს. გაფანტული ჰყავდა ყველგან მთელ პარიზში თანამოაზრენი. ელექტრული ნაპერწკალი იყო საჭირო, რომ უცბად და ერთდროულად წაჰკიდებოდა ცეცხლი მთელ პარიზს, და ამ ნაპერწკლის გადასაცემად ჰქონდა შეკავშირებული კომბფერის ფილოსოფიური აღმგზნები მჭევრმეტყველება, კოსმოპოლიტური აღტაცება ფეილისა, შთაგონებითი ნიჭი კურფეირაკისა, მხიარულება ბაორელისა, ჭმუნვა ჟან პრუვერისა, ცოდნა ჟოლისა, ოხუნჯობა ბოსუესი. თავ-თავის ალაგას იყვნენ ყველანი. ნათესი დიდი ჰქონდათ და მოსავალიც კარგი უნდა ყოფილიყო. და გრანტერი მოაგონა ნათესმა. თვითონაც სწორედ მენზე უნდა გაევლო, რომ კუგურდელები ენახა. გადაწყვიტა, ცოტათი გავიგრძელებ გზას, შევალ რიშფეში, ვნახავ, სად არის და რას არიგებს გრანტერიო.

პირველი საათი დაჰკრა ვოჟირარის სამრეკლომ, როდესაც რიშფეს დუქანში მივიდა ანჟოლრასი. კარი შეაღო, შევიდა. კარი ზურგში მოხვდა, რადგან თვითონვე იხურებოდა.

შევიდა, გულხელი დაიკრიფა და თვალი გადაავლო დიდ დარბაზს, მაგიდებით, ხალხითა და კვამლით სავსეს.

ერთი ხმა სჯობნიდა ყველას იმ ხმაურობაში და ერთი კიდევ მეორე, პირველის მოკამათე. გრანტერის ხმა ისმოდა და მისი მებრძოლისა.

გამოჭიმული ბრძანდებოდა ერთ მარმარილოს მაგიდასთან გამარჯვებით მავალი გრანტერი. წინ ვიღაც კაცი უჯდა. მარმარილოზე ხორბლის მარცვალი ეყარა და სათამაშო დომინო. ხელს სცემდა მაგიდას გრანტერი და ხმამაღლა გაიძახოდა თავისას, მაგრამ არც ამხანაგი ჩამორჩებოდა ყვირილში:

- ეს ექვს-ექვსი.
- ოთხი.
- ვაი, რომ არა მაქვს!
- დაიღუპე! ორი.
- ექვსი.
- სამი.
- კიკო.
- მე ვიწყებ.

- ოთხი.
- ძლივს!
- ახლა შენ.
- ეჰ, ჭკუა წავაგე!
- ახია შენზე!
- თხუთმეტი.
- და კიდევ შვიდი.
- მაშ ოცდაორი. ოცდაორი!
- ექვს-ექვსს არ მოელოდი! მე რომ ექვს-ექვსი არ მრგებოდა, სულ სხვაფრივ დასრულდებოდა საქმე.
- ორი.
- კიკო.
- ხუთი შენს კიკოს შიგ თავში!
- ხუთი? არა მაქვს.
- შენ დაიწყე, არა!
- დიახ.
- თეთრი.
- დღეს ბედი შენი მწყალობელია! შენ გიღიმის, ოხერი! (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ:)
- ორი.
- კიკო.
- არც ხუთი და არც კიკო. მოგხვდა?
- დომინო!
- წადი და ირიკავე!

## წიგნი მეორე
## ეპონინი

### თავი პირველი
### ტოროლას ველი

თავით ბოლომდე ნახა მარიუსმა მოულოდნელი დაბოლოება ტენარდიეს მიერ მოწყობილი ხაფანგისა, რომლის კვალსაც თვითონ მიაგნებინა ჟავერს. სამ ეტლში ჩასხა ჟავერმა ყაჩაღები და საპატიმროში წაიყვანა. წავიდა ჟავერი და მარიუსიც მაშინვე გაძვრა სახლიდან. ღამის ცხრა საათი იყო. პირდაპირ კურფეირაკისკენ გაეშურა. კურფეირაკი სტუდენტების უბნიდან „პოლიტიკური მოსაზრებით“ ვერერის ქუჩაზე გადასულიყო. ეს იმ უბანთაგანი იყო, სადაც ადვილად ვრცელდებოდა რევოლუციური აზრები. მივიდა და უთხრა:
- ამაღამ შენთანა ვარ.
კურფეირაკმა ერთი ლეიბის ქვეშიდან მეორე გამოიღო, იატაკზე გაშალა და - ბრძანდებოდეო, - უთხრა. თავის ოთახში მივიდა მარიუსი, გადაუხადა სახლის ქირა ბებერ ბუგონს, ხელურემში ჩაალაგა თავისი წიგნები, ლოგინი, მაგიდა, კომოდი, ორი სკამი და გამოეთხოვა გორბოს სახლს. ახალი მისამართი არ დატოვა, და ცოტა ხნის

შემდეგ ჟაკერი რომ მოვიდა მის დასაკითხად, მხოლოდ ბებერი ბუგონიღა დახვდა, რომელმაც მოახსენა, - გადავიდაო.

დარწმუნებული იყო ბებერი ბუგონი, რომ წუხანდელი ქურდების მიერ მოწყობილ საქმეში მარიუსიც მონაწილეობდა და - ვინ წარმოიდგენდაო? - გაიძახოდა განცვიფრებული მეზობლებში; შეხედავდი, უმანკო გოგოს ჰგავდაო!

ორმა მოსაზრებამ გამოაცვლევინა ასე სასწრაფოდ მარიუსს ბინა: პირველი, ზიზღი იყო იმ სახლისადმი, სადაც ასე ახლოს ნახა იმოდენა საშინელება. თავადვე ნახა, როგორ მზადდებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივი ვერაგობა, ავკაცობა ღატაკისა, შეიძლება უფრო საზარელი და მხეცური, ვიდრე მდიდრის ავკაცობა. მეორე ის იყო, რომ არ უნდოდა მოწმედ ყოფილიყო ამ საქმეში და თავისი სიმართლით იძულებული გამხდარიყო მოეხსენებინა სასამართლოსთვის ტენარდიეს დამღუპველი საბუთები.

ჟაკერმა იფიქრა - შეეშინდებოდა ყმაწვილ კაცს, სახლში არ მივიდოდა იმ ღამეს, სანამ იქ ქურდები ეგულებოდა; იქნებ სხვაგან სადმე ეძინა იმ ღამესო, და ნანობდა, რომ აღარც სახელი ახსოვდა მისი, აღარც გვარი. ეცადა კიდევაც მარიუსი მოენახა, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ცდამ, და თავი მიანება.

გავიდა ერთი თვე. მას მოჰყვა მეორე. მარიუსი ისევ კურფეირაკთან იყო. ერთმა ახალგაზრდა ვექილმა, რომელიც სხვებთან ერთად სულ სასამართლოს დარბაზში ტრიალებდა, უთხრა, რომ ტენარდიე საიდუმლო საკანში ჰყავთ დამწყვდეულიო. მივიდოდა ხოლმე მარიუსი ყოველ ორშაბათს ლა-ფორსის საპატიმროში და ხუთ ფრანკს სტოვებდა სამდივნოში ტენარდიესთვის გადასაცემად.

ფული აღარ ჰქონდა და კურფეირაკისგან სესხულობდა. ეს პირველი იყო; აქამდის არ იცოდა, ვალი რა იყო. ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდა ეს ხუთი ფრანკი ცალკე კურფეირაკისთვის, რომელიც აძლევდა, და ცალკე ტენარდიესთვის, რომელიც მას იღებდა. - ნეტავი ვის აძლევს? - ფიქრობდა კურფეირაკი. - ნეტავი, ვინ არის, რომ მიგზავნის? - ფიქრობდა ტენარდიე.

წუხდა მარიუსი. დაუბნელდა სიცოცხლე, საიმედოს ვეღარაფერს ხედავდა მომავალში. მის ცხოვრებას ისევ იდუმალება მოჰფენოდა. ისევ ხელის ცეცებით უხდებოდა მოძრაობა. გაუღიმა ბედმა, ცოტა ხნით აჩვენა ამ ბნელში ყმაწვილი ქალი, რომელსაც საუკუნოდ მიუძღვნა გული და აჩვენა მოხუცებული, ალბათ მამა თავისი სატრფოსი, დაანახვა ეს უცნობნი, ერთადერთი მიზანი, ერთადერთი ინტერესი მისი სიცოცხლისა. დაანახვა ნეტარება და სწორედ იმ დროს უმტყუნა, როდესაც იმედით იყო აღფრთოვანებული.

- ჩემია, დღეს-ხვალ დავეწაფები ჩემს ნეტარებასა, - ხედავდა და თვალწინ გაუქრა ყველაფერი. ნაპერწკალი არსად ჩანდა ამ სიბნელეში, რომ მიმართულება მაინც სცოდნოდა, და იქით ეძებნა თავისი გულის წარმტაცი. შეუძლებელი იყო ძებნა; სახელიც კი არ იცოდა, რომ კითხვა დაეწყო. ცხადი იყო, ურსულა არ უნდა ყოფილიყო იმ ქალის სახელი. ტოროლა კიდევ მეტსახელი იქნებოდა, საალერსო. მოხუცებული? რას წარმოადგენდა ნეტავ, ის კაცი? ნუთუ მართლა პოლიციას ემალებოდა? აგონდებოდა ერთი მუშა, მთლად გაჭაღარავებული, ინვალიდების ბულვართან რომ შეხვდა, შეიძლება მართლა აგრეც იყოს, შეიძლება ერთი და იგივე კაცი ყოფილიყო ის ბებერი მუშა და ბ. ლებლანი. მაშ, იმალებოდა? და დასამალავად ტანისამოსს იცვლიდა და სამკაულს? გმირულად იქცეოდა კაცი და თან მეტად

საეჭვოდ. რატომ ყვირილი არ დაიწყო იმ განსაცდელში? რად გაიპარა? რა ჰქონდა დასამალავი? მართლა მამა იყო კი იმ ქალისა? ან არადა, ნუთუ მართლა ის კაცი იყო, რომელიც ტენარდიემ იცნო? მაგრამ ხომ შეიძლება, შემცდარიყო ტენარდიე? ყოველივე ეს გამოუცნობი რამ იყო მარიუსისთვის, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებდა ლუქსემბურგელი ქალიშვილის ანგელოზებრივ თვალწარმტაცობას. მწვავე სევდას შეეპყრო იგი. გულში სიყვარული ენთო და თვალებზე ბნელი ჩამოჰფარებოდა. სადღაც მიილტვოდა გული და ფეხი კი უძრავი იყო. გაქრა ყველაფერი, გარდა სიყვარულისა. და ამ სიყვარულმა ერთბაშად დაკარგა მარიუსისთვის სინათლე და შთაგონების უნარი. ხშირად ეს ალი რომ მოედება ადამიანს და წვავს, შუქსაც ჰფენს და გარემოს უნათებს. ახლა უკვე აღარ იყო ჩუმი ბრძანება ვნებისა, - წადი ბაღში, შორიდან მაინც მოიკალი გულის ჟინიო, - აღარც ძველებური რჩევა იყო გულისა: - მოდი, ასე მოიქეც... ესა სცადეო... - სადღაც იყო, რაღა თქმა უნდა, მისი სატრფო, რომელსაც აქამდე ურსულს უწოდებდა, და ურსულა კი არ იყო; სადღაც იყო, მაგრამ სად? საით დაეწყო მისი ძებნა? აღარავითარი იმედი, აღარავითარი ნუგეში! სიბნელე შემოხვეოდა გაუვალი, და სრული შეუძლებლობა მისი გაქარვებისა. სატრფოს ნახვა უნდოდა, სულ მას ნატრობდა და იმედი არ გააჩნდა.

მწუხარებას გაჭირვებაც ემატებოდა, უკვე გრძნობდა მის ცივ სუნთქვას. ამდენ უბედურებაში მთლად მიეტოვებინა საქმე. და ესეც ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანისთვის: შრომის მიტოვება ჩვეულების დავიწყებაც არის. ამ ჩვეულებამ ადვილად იცის გაქცევა და დაბრუნება კი ძალიან ძნელად.

ცოტა რამ ოცნებაც კარგი არის, როგორც მცირე ნარკოზი, ამშვიდებს ტკივილს, ხშირად საშინელს, ნათელი შეაქვს ფიქრში და ქმნის გონებაში ახალ, ტკბილ სიოს, რომელიც იტაცებს მწარეს, უხიაგს ჩვენი ფიქრისას, აღმგზნებელი იმედით ხიბლავს უიმედობას. მაგრამ გადაჭარბებული ოცნება კი ჩასძირავს და ახრჩობს თავის კერძს. ვაი იმ გონებრივ მუშას, რომელიც მთლად ჩაეშვება ფიქრით ოცნების ზღვაში! ჰგონია, როგორც ჩავვარდი, ისევე ადვილად ამოვალო, რომ ფიქრი და ოცნება ერთი და იგივე არისო. შეცდომაა.

ფიქრი შრომა არის გონებისა და ოცნება - მისი განცხრომა. ფიქრი რომ ოცნებით შეცვალოს ადამიანმა, ეს იქნება საჭმელში საწამლავის შერევა.

მარიუსმაც სწორედ ოცნებით დაიწყო, ეხსომება მკითხველს. ვნება მოერია და ისე დაიმორჩილა, რომ ოცნებაში ჩააგდო, უსაგნოში და უძიროში. ყველაფერი გადაავიწყდა. თუ გავიდოდა სადმე სახლიდან, მარტო იმიტომ, რომ უფრო თავისუფლად გაჰყოლოდა ოცნებას, სიზარმაცის მქნელ დაუდგრომელ მორევს. მცირდებოდა შრომა და იზრდებოდა გაჭირვება. ეს კანონია ცხოვრებისა. ადამიანი რომ ოცნებას მიჰყვება, ლბება და ადვილად ფლანგავს. მისუსტებული გონება ხელს ვეღარ უჭერს ცხოვრების მოთხოვნილებას. ავიც მოიპოვება და კარგიც ამგვარ ოცნებრივ ცხოვრებაში, რადგან უვარგისია მოლბობა ადამიანისა, საკეთილოა და სასურველი ადვილად ფლანგვა, თუ გაჭირვებულს დაეხმარება. ღარიბი კაცი კი, დიდებული და პატიოსანი, დაღუპულია, თუ არ შრომობს, უმცირდება ცხოვრების სახსარი და ეზრდება ცხოვრებისვე საჭიროებათა მოთხოვნილებანი.

დაღმართია საბედისწერო, რომელიც ძირს მიაცურებს, როგორც უპატიოსნესს და უმაგრესს, ისე ბოროტსა და მისუსტებულს, ძირს ჩააცურებს და იქ დაახვედრებს ორ ორმოს, თავის მოკვლას ან ავკაცობას.

ისე ეჩვევა ადამიანი საოცნებოდ ხეტიალს, რომ დაუდგება ერთი დღე, როდესაც თავის დასახრჩობად წაეხეტება.

გადაჭარბებული ოცნება ქმნის ესკუსებს და ლებრაებს.

მარიუსიც ამ დაღმართზე იყო, ნელი ნაბიჯით მიიწევდა ქვევით და თვალი კი ზევით ჰქონდა, უხილავ ოცნებას შესტრფოდა. უცნაურად ეჩვენება მკითხველს ამგვარი ნათქვამი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სრულ სიმართლეს მოვუთხრობთ. შორს მყოფის ხსოვნა გვინთია გულის სიღრმეში და, რაც უფრო მეტად გვშორდება, მით უფრო მეტად გვეკიდება ამ ცეცხლის ალი, სასოწარკვეთილი ჭმუნვით მოსილი სული მხოლოდ ამ სინათლეს ხედავს სანუგეშოდ, ღამის ვარსკვლავს შინაგანს. და მარიუსიც მარტო იმას ხედავს თავის ვარსკვლავად, თავის უცნობ ქალს. სხვას აღარაფერს ფიქრობდა, სხვა აღარაფერი ახსოვდა. მართალია, გრძნობდა, რომ უცვთებოდა ძველი ტანისამოსი; შეუძლებელი ხდებოდა მისი ჩაცმა; გრძნობდა, რომ უცვდებოდა და უხუნდებოდა ახალიც; პერანგები აღარ უვარგოდა, ქუდი წახდომოდა, წაღები დახეოდა. გრძნობდა, სიცოცხლე წახდომოდა, და სულ ერთსღა ნატრობდა:

- ნეტავი ერთხელ კიდევ ვნახო, სანამ მოვკვდები.

მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა სანუგეშოდ, - იცოდა, რომ იმ ქალს უყვარდა. ერთხელ გადმოხედა და ამით აგრძნობინა, - მიყვარხარო. არც ის იცნობდა მარიუსს, მაგრამ კარგად იცნობდა მის გულსა და სულს. და იქნებ ჯერაც არ დავიწყებოდა, იქნებ ჯერაც უყვარდა სადღაც შორს წარსულს, ვინ იცის? იქნებ ისიც სულ მასზე ფიქრობდა, როგორც მარიუსი, მხოლოდ და მხოლოდ მასზე.

როდესაც ხანდახან, სევდით აღსავსეს, უმიზეზო სიხარულის გაურკვეველი თრთოლა აიტაცებდა, როგორც ეს სჩვევიათ სიყვარულით შეპყრობილთ, მარიუსი საკუთარ თავს ეტყოდა: ეს მისი ფიქრი იყო, ჩემამდე რომ მოაღწია. მერე დაუმატებდა: ვინ იცის, იქნებ ჩემი ფიქრიც ეწვევა მას.

იმწამსვე იგრძნობდა ხოლმე, რომ ცარიელი ლანდი იყო ეს სიხარული, მაგრამ მაინც რაღაც რჩებოდა გულში საამო სხივად და იმედისმაგვარად. საღამოობით, როდესაც მთელი თავისი სიმწარით აწვება მეოცნებეთ მწუხარება, აიღებდა კალამს და ერთ რვეულში წერდა, ქაღალდს ანდობდა გულის ვარამს, წმინდა, იდეალურ, უიმედო სიყვარულს. ამბობდა, მას იმას ვწერო.

ის კი არ იფიქროს მკითხველმა, რომ გონების მხრივ გასჩენოდა რამე არეულობა. პირიქით, მართალია, შრომა აღარ აგონდებოდა, აღარ მიიწევდა ძველებური სიმტკიცით მიზნისკენ, მაგრამ ახლა უფრო მეტი ჰქონდა ცხადმჭვრეტელობაც და მართლმოსაზრებაც. სიყვარულს არ დაებნელებინა მისი თვალი და კარგად ხედავდა, ნათლად, გარკვევით ცხოვრების მიმდინარეობის ყოველ ცვლილებას, მცირედ მნიშვნელოვანსაც. ყველაფერს შესაფერის, ღირსეულ სახელს არქმევდა პატიოსნად და გულწრფელი უანგარობით. თითქმის ყოველგვარ იმედს ჩამოშორებული მისი გონება მაღლა ციალებდა.

ბეჯითად იყო ამ მხრივ და არაფერი გამოეპარებოდა, არსად ტყუვდებოდა და ყოველთვის ხედავდა ფუძეს ცხოვრებისას, კაცობრიობისა და ბედისწერისას. ბედნიერია, თვით სევდით მოცულიც, ვისაც ღმერთმა მიანიჭა სიყვარულისა და უბედურების ღირსი სული. არაფერი დაუნახავს ჭეშმარიტი და არც რამე იცის მან, ვისაც არ უნახავს ორმაგი შუქით განათებული წუთისოფელი და ადამიანის გული.

ზესკნელს ერთვის ადამიანის სული, რომელსაც უყვარს და იტანჯება.

დღე დღეს მისდევდა, ახალი არაფერი იყო. სულ იმას ფიქრობდა მარიუსი, რომ უახლოვდებოდა აღსასრულსა და სულიერ მოსვენებას. ცხადად ელანდებოდა საზღვარი სიცოცხლისა. იქით კიდევ შავი წყვდიადი, და ეკითხებოდა თავის ბედს:

- ნუთუ ისე მოვკვდები, რომ მას ერთხელ მაინც ვეღარ ვნახავ?

სენ-ჟაკის ქუჩას რომ აჰყვეს კაცი, გვერდით გაუაროს სადარაჯოს და ძველ ბულვარს დაადგეს, სანტეს ქუჩაზე აღმოჩნდება, მერე გლასიერში პატარა მდინარეს რომ მიუახლოვდება, გობლენს, მომცრო ველობში შევა, რომელიც პარიზის ირგვლივ მოზვეულ გრძელ, თავით ბოლომდე ერთგვარ ქუჩებში, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს, სადაც ახალსაც ხედავს თვალი და სიამოვნებით ისვენებს. იმდენად ლამაზია იქაურობა, რომ თვით რეისდალიც კი მოისურვებდა იქ გაჩერებას.

უცნაური სანახავია თავისი სიძველითა და სოფლურობითაც. აგერ, თოკია გაბმული და ზედ გასაშრობად რაღაც ძონძები; ძველებური, ლუი XIII-ის დროის მებოსტნის ფერმა თავისი ბოსტნებით, აქა-იქ სხვენებით დაჭრილი შენობით, რომლიდანაც პატარა ოთახები გამოიყურება; მარგილიანი ღობეები; წყალი ხეებქვეშ, ქალები, ხმაური, სიცილი. შორს ჰორიზონტზე - პანთეონი, ყრუ-მუნჯთა დაწესებულების ხე, ვალდე-გრაისი, შავი, ჯმუხი, უცნაური, და მაინც მშვენიერი, დაბოლოს, ამ პანორამის სიღრმეში ღვთისმშობლის ეკლესიის კოშკების მკაცრი ოთხკუთხედი.

სწორედ იმიტომ, რომ ღირსსანახავია ეს ადგილი, არავინ მიდის მის სანახავად. დიდი, დიდი თხუთმეტ წუთში ერთხელ გაიაროს მეფორნემ ან ხელურემმა ბარგით.

ერთხელ სევდით გატაცებულ მარიუსს მოუხდა სრულიად შეუმჩნევლად ამ მხარეს გავლა. მოეწონა იქაურობა სიმწვანით და პატარა მდინარით. სწორედ იმ დღეს ერთი სხვა გამვლელიც იყო იქვე, მის ახლოს. აღტაცებულიყო იქაურობის ველური სილამაზით და გამვლელს ჰკითხა:

- რა ჰქვია ამ ველს?

- ტოროლას ველი, - უპასუხა გამვლელმა და დაუმატა, - აქ მოკლა ულბახმა საწყალი ქალი, ივრელი მწყემსი.

მარიუსმა „ტოროლას“ მეტი ვერაფერი გაიგონა. ოცნებით გატაცებულმა კაცმა საკმარისია ერთი სიტყვა გაიგონოს, რომ მას მთლად შეუჩეროს გრძნობიერება, იმ ერთ სიტყვაზე ჩერდება მისი აზრი, იგი აღარც ხედავს, აღარც ეყურება. ეს სახელი იყო ტოროლა, რომელმაც მარიუსის მწუხარე გულიდან ურსულა განდევნა და თვითონ დამყარდა.

„მაშ ეს ტოროლას ველობია“, - ფიქრობდა გახარებული მარიუსი, რომელსაც ამ სიტყვის გაგონებაზე დაბნელებოდა გონება, - მაშ, აქ იმასაც გავიგებ, სად შეიძლება ვიპოვო იგი.

ეს შეუსაბამობა იყო, მაგრამ დაუძლეველი.

და მას შემდეგ ყოველდღე ტოროლას ველზე დასეირნობდა.

## თავი მეორე
## ცხე არის ბუდე ბოროტების ჩანასახის განვითარებისა

თითქოს გამარჯვებული დარჩა ჟავერი გორბოს სახლში, მაგრამ სრული არ იყო ეს გამარჯვება.

უმთავრესი მისი მარცხი იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ დააკავა ყაჩაღთა ტყვე. კაცის მკვლელს რომ ასე ხელიდან გაუძვრება და მიიმალება მოსაკლავად შეტყუებული, ის უფრო საეჭვოა, ვიდრე კაცის მკვლელი. ცხადი იყო, ძალიან ძვირფასად ღირდათ ყაჩაღებს ის მოხუცებული კაცი, მაგრამ შეიძლება უფრო ძვირფასი გამომდგარიყო იგი პოლიციისთვის.

მეორე კიდევ ის იყო, რომ მონპარნასიც გაჰპარვოდა.

ვინ იცის, როდის ეღირსებოდა მეორე შემთხვევა, რომ ბორკილი დაედო იმ „ჯოჯოხეთის მაშხალისთვის“.

იმ საღამოს მონპარნასი შეხვდა ეპონინს, რომელიც ბულვარზე სადარაჯოდ გაგზავნა ტენარდიემ, და თან წაიყვანა; ნემორინობა არჩია ქალიშვილთან, ვიდრე მამასთან შინდერგანობა. კარგადაც მოიქცა. იგი თავისუფალი იყო. ეპონინი კი მაინც დაიჭირა ჟავერმა, მაგრამ აქ სანუგეშო არაფერი იყო: უმთავრესი მონპარნასი გახლდათ, რომელიც თავისუფლად დანავარდობდა. ეპონინიც აზელმასთან დაამწყვდიეს.

ახლა მესამე: როცა ტუსაღები ეტლებით მიჰყავდათ, გზაში სადღაც გაქრა კლაკსუ, რომელსაც დიდი ხანია, სდევდა პოლიცია. წარმოუდგენელი იყო, როგორ მოახერხა გაპარვა, როდესაც პოლიციელები ცალკე მისდევდნენ და ჯარისკაცები ცალკე. ხომ ვერ აორთქლდებოდა კაცი, ჯაჭვში ხომ ვერ გაძვრებოდა, ხომ ვერ გაამტვრევდა დახურულ ეტლს? გაქრა კაცი და, ციხესთან რომ მივიდნენ, კლაკსუ აღარ ჰყავდათ! ან ჯადოქარი იყო, ან პოლიცია დაეხმარებოდა. თოვლი ხომ არ იყო, რომ დამდნარიყო და აორთქლებულიყო? მაშ, პოლიციელი დაეხმარა? ნუთუ საზოგადოების მტერი საზოგადოების მოყვარეც იყო და პოლიციას ეხმარებოდა? ყაჩაღებშიც იყო და პოლიციაშიც? რატომაც არა? განა არ შეიძლება ერთი ხელით კაცსა ჰკლავდეს და მეორით ამხანაგს აბეზღებდეს? თვითონ ჟავერი არ შეიწყნარებდა ამისთანა კაცს და არ იკადრებდა მისი დახმარების მიღებას, მაგრამ ჟავერის გარდა სხვაც მრავალი იყო პოლიციის ინსპექტორი; თუ დაეხმარა ვინმე, პოლიციელი უნდა ყოფილიყო. მაშ, კუდგაბმულები არიან ქურდები და პოლიციელები? მაშ, პოლიციამ წინათვე იცოდა ქურდების განზრახვა და ქურდებმა პოლიციის მზადება? ასე იყო თუ ისე, აშკარა იყო, რომ კლაკსუ გაქრა. ჟავერი უფრო გაგულისებული ჩანდა, ვიდრე გაოცებული.

რაც შეეხება მარიუსს, იმ „დოყლაპია ვექილს“, რომლის აღარც სახელი ახსოვდა ჟავერს, აღარც გვარი, - შეეშინდა და თავი გაარიდაო, ფიქრობდა და არც ძალიან ცდილობდა მის ნახვას. თუ საქმისთვის დასჭირდებოდა, ადვილად იპოვიდა ვექილს. მაგრამ მართლა ვექილი კი იყო?

გამოიძიება უკვე წარმოებდა.

გამომძიებელმა საჭიროდ დაინახა საერთო საპატიმროში დაემწყვდია ერთი ამ ყაჩაღთაგანი, იმ იმედით, რომ მას ტუსაღებს შორის უფრო წამოსცდებოდა რამე. საიდუმლო საკანს ამგვარად ბრუჟონი ასცდა, პტი-ბანკიეს ქუჩის რაინდი. ციხის ეზოში გაუშვეს სხვა ტუსაღებთან ერთად და თვალს არ აშორებდნენ პოლიციელები.

ბრუჟონების გვარი ლა-ფორსის ციხეში ცნობილი იყო. ახალი შენობის საზიზღარ ეზოში, რომელსაც ციხის მმართველობა სენ-ბერნარისას უწოდებდა, და ტუსაღები - ლომების ორმოს, ერთი ძველებური, ჟანგიანი რკინის კარი იყო, ძველად ეკლესიაში შესასვლელი. დღეს ეს კარი კაცისმკვლელ ტუსაღთა საწოლი ოთახის შესასვლელად

გარდაქმნილიყო. კარის გვერდზე, მაღალ კედელზე გარკვევით მოჩანდა ამ თორმეტი წლის წინათ, კედლის ქვაზე ლურსმნით გამოსახული რაღაც ციხე და ქვემოდან წარწერა:

„ბრუჟონი, 1811“.

1811 წლის ბრუჟონი მამა იყო 1832 წლის ბრუჟონისა.

ამ ბრუჟონს ოდნავ თვალს მოჰკრავდა მკითხველი გორბოს ხაფანგში. ყმაწვილი ბიჭი იყო, დიდი გაიძვერა და ძალიან მარჯვე, თუმცა იერი საცოდავი ყეყეჩისა ჰქონდა. ამ შეხედულების წყალობით იყო, რომ გამომძიებელმა გადაწყვიტა, - ეს კაცი ციხის ეზოში უფრო გამომადგება, ვიდრე ცალკე საკანშიო.

ქურდი მაშინაც კი, როდესაც მართლმსაჯულების ხელშია, თავისას არ იშლის. ასეთი წვრილმანი რამ მას არ აფერხებს. ერთი დანაშაულისთვის დაპატიმრებული იქვე მეორეს ამზადებს. ქურდი იგივე ხელოვანი გახლავთ, რომელსაც ხალხის სანახავად გამოფენაზე გაუტანია თავისი ნახატი და თვითონ კი ზის და ახალს ხატავს სახელოსნოში.

გაშტერებულს ჰგავდა ბრუჟონი საპატიმროში. ხანდახან მთელი საათობით იდგა ატუზული ციხის ეზოში ვაჭრის პატარა ფარდულთან და იდიოტივით შეჰყურებდა ფიცარს, რომელზედაც გასაყიდი საჭმელების ფასი იყო მსხვილი ასოებით გამოხატული. პირველად ნიორი ეწერა - 62 სანტიმი და სულ ბოლოს სიგარა - ხუთი სანტიმი. ან არადა იდგა ერთ ადგილას, მთელი ტანით კანკალებდა, ავად ვარო - იძახდა და კითხულობდა, როდის გათავისუფლდება საავადმყოფოში ერთი საწოლი, რომ ახლა მე დამაწვინონო. ნუთუ ოცდარვა ავადმყოფს ერთი არასდროს აკლდებაო?

და უცბად გაიგეს 1832 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, რომ ამ გამოშტერებულ ბრუჟონს, რომელიც რეგვენად ეჩვენებოდათ, სამი დავალება მიუცია სამი შუაკაცისთვის, ოღონდ თავისი კი არა, სამი ამხანაგის სახელით, და ეს სამი დავალება ორმოცდაათი სუ დასჯდომია; ეს ხარჯი, ორფრანკ-ნახევარი, იმდენად დიდი იყო ტუსაღისთვის, რომ მაშინვე მიიპყრო ზედამხედველის ყურადღება.

დაიწყეს საქმის კვლევა, გადასინჯეს ნიხრი შუაკაცების გასამრჯელოსი, რომელიც ტუსაღების სანახავად მოსულთა ოთახში იყო კედელზე გაკრული, და აღმოჩნდა, რომ ორმოცდაათი სუ ასე იყო განაწილებული: ერთი დავალება პანთეონში იყო და ათი სუ ღირდა, ერთი ვალ-დე-გრასში, თხუთმეტი სუ და ერთიც გრენელის სადარაჯოსკენ, ოცდახუთი სუ. გრენელში გაგზავნილი ცნობა უფრო საყურადღებო უნდა ყოფილიყო, თუ ნიხრის რაოდენობით ვიხელმძღვანელებდით. სწორედ პანთეონში, ვილ-დე გრასში და გრენელში ცხოვრობდა სამი მეტად საშიში სახელოვანი ქურდი; კრუიდენიე, მეტსახელად ბიზარო; გლორიო, კატორღიდან გათავისუფლებული, და ბარკაროსი. ამ ცნობით ისარგებლა პოლიციამ და ზვერვა დაუწყო სამივეს, რადგან ეჭვი აღეძრათ, რომ ისინიც უნდა ყოფილიყვნენ პატრონ-მინეტის ამხანაგები, რომელთა ორი მოთავე, ბაბეტი და გელმერი დაჭერილი ჰყავდათ და სხვების დაჭერასაც ცდილობდნენ. ისიც ცხადი იყო, რომ ბრუჟონის დავალება მარტოოდენ ბინის აღნიშვნაზე არ იქნებოდა მიმართული; ალბათ უთხრა შუაკაცს, - ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლთან დაგხვდება კაცი და იმას მიმართეო. ეტყობოდა, დიდს აპირებდნენ რაღაცას. ამ ცნობების გარდა სხვაც ჰქონდათ და მაშინვე დაიჭირეს სამი საეჭვო კაცი. დაიჭირეს და ფიქრობდნენ, თავიდან ავიცილეთ ბრუჟონის საშიში განზრახვაო.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ღამის მოდარაჯე დადიოდა საპატიმროს ახალი შენობის ქვემო სართულში ტუსაღთა დასათვალიერებლად და სწორედ იმ დროს, როდესაც კართან ჩამოკიდებულ ყუთში აპირებდა თავისი ჟეტონის ჩაშვებას, - ღამის მოდარაჯემ დასამტკიცებლად იმისა, რომ ნახა ოთახები, კარზე ჩამოკიდებულ ყუთებში უნდა ჩააგდოს თითო ჟეტონი ყოველ საათს, - დიახ, აპირებდა ყუთში ჟეტონის ჩაშვებას, მაგრამ პატარა სარკმლით რომ შეიხედა ოთახში, ბრუჟონი დაინახა; ის წამომჯდარიყო ლოგინში და რაღაცას წერდა. შევარდა მოდარაჯე. ხელი სტაცეს ბრეჟონს, ერთი თვით ბნელ საკანში ჩასვეს, მაგრამ ის კი ვერ იპოვეს, რასაც სწერდა; ვერას გახდა იქ პოლიცია.

მეორე დღეს ერთი „ფოსტა“ გადმოისროლეს ციხის ეზოდან ლომების ორმოში, ისე გადმოისროლეს, რომ ამ ორ ეზოს შუა აგებულ ხუთსართულიანი შენობის ზემოდან გადმოევლო და ეზოში ჩავარდნილიყო.

ფოსტა ტუსაღების ენით პურის გული გახლავთ ხელოვნურად დაზელილი, რომელსაც „ირლანდიაში“ გზავნიან, ესე იგი ერთი ეზოდან მეორეში, ისე რომ შუაზე აგებულ სახლს ზემოდან გადაუაროს, თითქოს საფრანგეთიდან ირლანდიას უგზავნიდნენ რასმე, ოღონდ ისე, რომ ინგლისს ზემოდან გადაუაროს. დასორსოლეებული გუნდა ეზოში ჩამოვარდება. აიღებს კაცი და შიგ პატარა ბარათს იპოვის, რომელიმე ტუსაღისადმი მიმართულს, თუ ტუსაღმა იპოვა, ბარათს მაშინვე პატრონს გადასცემს, თუ დარაჯმა აიღო, ან ერთმა იმ პატიმართაგანმა, რომლებიც მოსყიდული ჰყავს პოლიციას, და რომლებსაც საპატიმროში ცხვარს ეძახიან და კატორღაში მელიას, ბარათს მაშინვე სამდივნოში შეიტანენ და პოლიციას გაუგზავნიან.

ეს ფოსტა ასცდა ცხვარსა და დარაჯს, მაგრამ იმ ტუსაღამდე კი ვერ მიაღწია, ვისთანაც იყო გამოგზავნილი. ბარათი ბაბეტთან იყო მიმართული, ბაბეტი იმ დროს საიდუმლო საკანში იყო დამწყვდეული, ბაბეტი მკითხველს ეხსომება, ერთი მოთავეთაგანი იყო მენაღმეებისა.

ფოსტაში პატარა ქაღალდი იყო დახვეული და შიგ ეწერა:

„ბაბეტს. ძალიან მაგარი საქმეა პლუმეს ქუჩაზე, მოაჯირი და ბაღი“.

ის ბარათი იყო, ბრუჟონი რომ წერდა იმ ღამეს.

ბევრს ჩხრეკენ საპატიმროში ტუსაღებს, ამ საქმეში დახელოვნებული ქალი და კაცი, მაგრამ მაინც მოახერხა ბაბეტმა და ეს ბარათი ფორსის ციხიდან სალპეტრიერში გადაგზავნა, თავის საყვარელთან, რომელიც იქ იყო დატუსაღებული. ამ გოგომ თავის მხრივ ერთ სხვას გადასცა, ვინმე მანონს, რომელსაც მკითხველი შემდეგში კარგად გაიცნობს, როგორც ტენარდიების ახლო მეგობარს. ეპონინის სანახავად რომ მივიდოდა ციხეში მანონი, მას გადასცემდა ამ ბარათის შინაარსს და სალპეტრიერისა და მადლონეტის ციხეების შუაკაცი გახდებოდა.

სწორედ ამ დროს გამოუშვეს ციხიდან ეპონინი და აზელმა, რადგან გამოძიებამ ვერავითარი საბუთი ვერ იპოვა დასამტკიცებლად იმისა, რომ ისინიც მონაწილენი იყვნენ ტენარდიეს საქმისა.

გამოვიდა მადლონეტის ციხიდან ეპონინი და შიგ კარში დახვდა მანონი, მისცა ბრუჟონის წერილი ბაბეტისადმი მიმართული და სთხოვა საქმის „განმარტება“.

წავიდა ეპონინი პლუმეს ქუჩაზე, იპოვა სახლი, მოაჯირითა და ბაღით, აათვალიერ-ჩაათვალიერა, დაზვერა, და რამდენიმე დღის შემდეგ ხმიადი მიართვა მანონს,

რომელიც კლოშპერის ქუჩაში იდგა. ეს ხმიადი მანონმა ბაბეტის საყვარელს მიუტანა სალპეტრიერის ციხეში. საპატიმროების საიდუმლო ენის ლექსიკონით ხმიადი ასე ითარგმნება: „ვერას გავხდებით“.

ისე კარგად იყო მოწყობილი ეს მიმოწერა და ცნობის მიწოდება, რომ ერთი კვირის შემდეგ, ერთმანეთს რომ შეხვდნენ ტალანში ბაბეტი და ბრუჟონი, ერთი გამომძიებელთან მიჰყავდათ, მეორე გამომძიებელისგან მოჰყავდათ, - ასე აცნობეს ერთმანეთს საქმის ვითარება:

- ჰა, პ-ს ქუჩა? - დაუძახა ბრუჟონმა.

- ხმიადი, - უპასუხა ბაბეტმა.

ამგვარად, ბრუჟონის მიერ საპატიმროში განზრახული ბოროტება მარცხით დამთავრდა.

მაგრამ მას სხვა შედეგი მოჰყვა, სრულიად მოულოდნელი ბრუჟონისთვის, როგორც ვნახავთ.

ხშირად მოხდება, როცა ერთი ძაფის ნაცვლად სულ სხვა გაიბმება ხოლმე.

## თავი მესამე
## მაბეფის ჩვენება

ჩამოშორდა ამხანაგებს მარიუსი, აღარავის ხედავდა. თუ წავიდოდა ვინმეს სანახავად, ისიც იშვიათად, მხოლოდ მოხუცებულ მაბეფთან.

ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა მარიუსი იმ უბედური კიბით, რომელსაც ქვესკნელში ჩაჰყავს ადამიანი. მიყრუებულ, მიბნელებულში, სადაც კარგად ისმის ზემოდან ბედნიერთა ფეხის ხმა. ნელ-ნელა მისდევდა ამ კიბეს მარიუსი და ამ კიბითვე ქვევით მიცურავდა მოხუცებული მაბეფი.

„კაუტერეცის ფლორას“ სრულებით არ ჰყავდა მუშტარი. ინდიგოს მოყვანამაც მთლად გაუცრუა იმედი. იქნებ იმიტომ, რომ ცუდ ადგილას მდებარეობდა მისი პატარა ბაღი. დაჩრდილული იყო, მზე არ ადგებოდა. რამდენიმე იშვიათი ჯიშის მცენარე გამოიყვანა, რომლებიც კარგად მხოლოდ ჩრდილში და ნოტიოში ხარობენ, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. ითხოვდა და ბოტანიკურ ბაღში პატარა ფართობი დაუთმეს, კარგად გაპოხიერებული, მზიანი მიწა და ახლა იქ ცდილობდა თავისი ხარჯით ინდიგოს მოყვანას. ამ ხარჯის გასაწევად ბანკში დააგირავა თავისი „ფლორის“ კლიშეები. საუზმედ ორი კვერცხიღა ჰქონდა, და ერთით კმაყოფილდებოდა; მეორე ბებერი მსახურისთვის რჩებოდა, რომელსაც, აგერ თხუთმეტი თვე იყო, ჯამაგირს ვეღარ აძლევდა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, ამ მსუბუქი საუზმით დააღამებდა. აღარც ბავშვური სიცილი შერჩენოდა. დაღვრემილი იყო და აღარავის იღებდა. კიდევ კარგი, მარიუსი მაინც იშვიათად ეწვეოდა ხოლმე. ხანდახან შეხვდებოდნენ ერთმანეთს ბულვარზე, როდესაც მაბეფი ბოტანიკური ბაღისკენ მიდიოდა. დაღონებული მიესალმებოდნენ და ხმის ამოუღებლად გაუდგებოდნენ თავ-თავის გზას. ტოლ-სწორებს აშორებს კაცს გაჭირვება; გუშინდელი მეგობრები დღეს მხოლოდ ნაცნობები გამხდარიყვნენ.

მაბეფის გამომცემელი როიოლი მომკვდარიყო. აღარაფერი დარჩენოდა მაბეფს, გარდა თავისი წიგნებისა, პატარა ბაღისა და ინდიგოს გაშენებისა; ეს იყო მისი სამი საუნჯე: წიგნებით ნეტარება, ბაღით სიამოვნება და ინდიგოს იმედი. ამით იყო

ცოცხალი და ტკბილი ოცნებით სავსე, - აი, მოვაშენებ ინდიგოს, გავმდიდრდები, ჩემს კლიშეებს გამოვისყიდი, გავავრცელებ ჩემს „ფლორას“, - წიგნი არ გავრცელდება, თუ განცხადებებით არ აავსე გაზეთები და ყოველგვარი თაღლითობა არ იხმარე, რა გაეწყობა? მეც ამ საშუალებას გამოვიყენებ. მაშინვე ვიყიდი პიერ დე მედინის „ხელონებას ზღვაოსნობისას“, ვიცი, ვისა აქვს და სად ვიპოვო. 1559 წელს არის დაბეჭდილიო.

ასე ოცნებობდა საწყალი კაცი და თან დაუღალავად მუშაობდა მთელ დღეს ინდიგოზე. საღამოს შინ რომ მივიდოდა, ახლა პატარა ბაღს რწყავდა, მერე კითხულობდა. ოთხმოცი წლისა იყო იმ დროს მაბეფი.

უცნაური რამ მოეჩვენა ერთ საღამოს.

ჯერ არ ბნელოდა, შინ რომ მივიდა. ბებერ პლუტარქს ავადმყოფობა მორეოდა და ლოგინში ჩაეგდო. სადილად ერთი ძვალიღა დარჩენოდა მაბეფს, ცოტა რამ ხორცით და გამხმარი პური, სამზარეულოში რომ იპოვა მაგიდაზე დარჩენილი. სადილის შემდეგ გავიდა ბაღში და ქვაზე ჩამოჯდა.

ამ ქვასთან, რომელიც სკამის მაგივრობას უწევდა მაბეფს, ერთი ძველებური, დიდი, მაღალი ყუთი იყო ამართული, დაძველებული და გაფუჭებული. ქვემო ნაწილი ამ ყუთისა ბაჭიებისთვის მოეწყოთ, და ზემო ხილის შესანახავად. ბაჭიებს აღარ იჩენდა სახლის პატრონი, სახილეში ვაშლს ინახვდა მაბეფი და ცოტა რამ კიდევაც მოეპოვებოდა შარშანდელი მოსავლისა.

სათვალე გაიკეთა მაბეფმა, გადაშალა წიგნი, კითხვა დაიწყო. ორი წიგნი გამოეტანა, ორივე მეტად საინტერესო და იმდენად წარმტაცი, რომ იმ ხნის კაციც კი დაემორჩილებინა. მშიშარა იყო ბუნებით და ადვილად მისდევდა რაიმე ცრუმორწმუნეობას. ერთი წიგნი დელანკრის თხზულება იყო, სახელოვანი „დაუდგრომლობა დემონებისა“, მეორე მუტორდე ლა რუბიედერისა „ვოვერელი ეშმაკები და ბიეფრელი ქაჯები“. ეს მეორე უფრო აინტერესებდა, რადგან, როგორც ამბობდნენ, მის ბაღშიც იყვნენ თურმე ოდესღაც ეს ქაჯები. ბინდი ედებოდა ქვეყანას. წმენდდა ცას და შავად ეფინებოდა დედამიწას. ჯერ კიდევ კითხულობდა და ხანგამოშვებით თვალს ააშორებდა წიგნს, ყვავილებს გადახედავდა, მეტადრე ერთ საუცხოო შქერს, რომელიც სანუგეშოდ მიაჩნდა თავის ბაღში. ოთხი დღე იყო, ძალიან ცხელოდა. ცხელი ქარი ქროდა. წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. დამჭკნარივით წვებოდა ყვავილი, ფოთოლი სცვიოდა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მორწყვა ბაღისა. მომაკვდავს ჰგავდა მაბეფის საყვარელი შქერი.

მაბეფის აზრით, მცენარეებსაც სული ჰქონდათ. მთელი დღე ინდიგოზე ემუშავა მოხუცებულს, დაქანცულიყო და მაინც წამოდგა, ქვაზე დატოვა წიგნები და ტორტმანით წავიდა ჭისკენ, წელში მოხრილი, მისუსტებული მივიდა, მოჰკიდა ხელი ჯაჭვს, მაგრამ ვერც კი დაძრა. მიბრუნდა, სევდით სავსე მზერა მიაპყრო ცას, სადაც უკვე ანთებულიყვნენ ვარსკვლავები.

მშვიდი საღამო იყო, ტკბილი, მწუხარებას რომ უქარვებს ადამიანს ჩუმი, მაგრამ უსაზღვრო სიხარულით. ეტყობოდა, ღამეც ისეთივე ცხელი იქნებოდა, როგორიც დღე.

- ვარსკვლავებით იჭედება ცა! - იძახდა მაბეფი, - ღრუბლის ნაგლეჯიც კი არსად ჩანს! არც ერთი წვიმის წვეთი!

და ისევ დაუშვა ჭაღარა თავი.

მერე ისევ ზეცას შეხედა და, თითქოს სთხოვსო, წამოიძახა:

- პატარა ნამი! მცირე მოწყალება გაიღე!

ერთხელ კიდევ სცადა ჯაჭვის ამოძრავება, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს ვიღაცის ხმა მოესმა:

- ძია მაბეფ, თუ ნებას მიბოძებთ, მე მოგირწყავთ ბაღს.

ტყის ნადირის ხმასავით მოესმა მაბეფს ღობის ჭრიალი, რაღაც მოეჩვენა ბუჩქებში ქალის მსგავსი, მაღალი, გამხდარი; მივიდა, წინ აეტუზა, თვალში ჩააცქერდა.

ჯერ გონს არ მოსულიყო გულგახეტქილი მოხუცებული, ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა, რომ მოჩვენებამ ხელი სტაცა ჯაჭვს, ჩაუშვა ჭაში ვედრო, ამოიღო წყალი, ჩაასხა სარწყავში და სიცოცხლე მოჰფინა სიცხით დამწვარ ბაღს. ფეხშიშველი იყო მოჩვენება. მოკლე კაბა ეცვა დაგლეჯილ-დაფლეთილი. სწრაფად იღებდა წყალს, უხვად ასხამდა ყვავილებს და ნეტარებით ავსებდა საწყალი მაბეფის გულს.

„გადარჩა ჩემი შქერი, დაე, იხაროს, როგორც მე ვხარობ“, - ფიქრობდა გახარებული მაბეფი.

ლამაზად მორწყო მთელი ბაღი ქალმა. ბალახი არ გადარჩენია, რომ წყალი არ დაესხა და არ გაეძღო.

რომ დაასრულა, მიუახლოვდა თვალცრემლიანი მაბეფი, შუბლზე დაიდო ხელი და მადლობა უთხრა:

- ღმერთმა გადაგიხადოს, შვილო. ალბათ, ანგელოზი ხარ, რომ აგრე გიყვარს ყვავილები.

- არა, - უპასუხა მოჩვენებამ, - მე ქაჯი ვარ, მაგრამ ეგ სულერთია ჩემთვის.

არ დააცალა მაბეფმა, არც კი მოუსმინა ნათქვამი და უთხრა:

- ძალიან ვწუხვარ, შვილო, ისე ღარიბად ვარ მე უბედური, რომ არ ვიცი, რით გადაგიხადო ეს სიკეთე.

- კარგადაც გადამიხდით, თუ მოისურვებთ.

- როგორ?

- მითხარით, სად ცხოვრობს ბატონი მარიუსი?

ვერც კი გაიგო მოხუცებულმა:

- ვინ მარიუსი?

ჩამქრალი თვალით შეჰყურებდა ქალს და ცდილობდა მეხსიერებაში ეპოვა დავიწყებული.

- აი, ყმაწვილი კაცი, თქვენ სანახავად რომ მოდის ხოლმე ხანდახან.

ბ. მაბეფი ჯერ ისევ ძებნაში იყო.

- ჰო, ვიცი, ვიცი! - შეჰყვირა სიხარულით, - ვიცი, რასაც მკითხავთ! მოითმინეთ! ბატონი მარიუსი... ბარონი მარიუს პონმერსი, არა? როგორ გადამავიწყდა? ისა დგას... არა, არსადაც არა დგას... მე კი არ მაგონდება და...

თან დახრილი ფოთლებს უსწორებდა შქერს, მაგრამ ეტყობოდა, კიდევ რაღაცას ეძებდა მეხსიერებაში.

- ახლა კი ვიცი! ძლივს! ძალიან ხშირად დადის ბულვარზე გლასიერის მხრიდან. კრულბარბის ქუჩისკენ. ტოროლას ველზე. თქვენ იქით გაისეირნეთ, უთუოდ შეხვდებით.

რომ წამოიწია მაბეფმა, აღარავინ იყო ბაღში, გამქრალიყო მოჩვენება.

და ისევ შიში მოერია.

- ჩემი ბაღი რომ მორწყული არ იყოს, ღმერთს დავიფიცებდი, რომ ეს სული იყო.

ცოტა ხნის შემდეგ დაწვა დასაძინებლად და ისევ მოაგონდა ეს ყველაფერი. ძილი ერეოდა, თან ეს მოგონება არ შორდებოდა. იმ ყოფაში იყო სწორედ, როდესაც ფიქრი ნელ-ნელა სიზმრად იქცევა, რომ ძილი გადალახოს, როგორც ზღაპრული ფრინველი, რომელიც თევზად იქცევა, რომ ზღვა გაიაროს. სიზმარშიც იმასვე ხედავდა ბ. მაბეფი და ჩასჩიჩინებდა თავის თავს:

- ნამდვილია! სწორედ ის არის, რაც ქაჯად აქვს აღწერილი რუბოდიერს. იქნებ მართლა ქაჯი იყო?

## თავი მეოთხე
## მარიუსის ჩვენება

გავიდა რამდენიმე დღე მაბეფის მოჩვენების შემდეგ.

ორშაბათ დილას, - ორშაბათობით ისესხებდა ხოლმე კურფეირაკისგან ყოველთვის ხუთ ფრანკს ტენარდიეს დასახმარებლად, - ჯიბეში ჩაიდო მარიუსმა ხუთი ფრანკი. - ჯერ ცოტას გავისეირნებ, - იფიქრა, - და მერე საპატიმროში მივალო. დღესაც იმედი ჰქონდა, რომ სეირნობის შემდეგ დამშვიდებული დაბრუნდებოდა და საქმეს ჩაუჯდებოდა. ასე იყო ყოველთვის, იმის შემდეგ, რაც გორბოს სახლიდან გავიდა. ადგებოდა დილით, მაშინვე მაგიდას მიუჯდებოდა, წიგნს გადაშლიდა. წინ ქაღალდს დაიდებდა და საწერ-კალამს, რომ ცოტა რამ მაინც ეთარგმნა. სწორედ იმ დროს მიანდვეს ფრანგულად თარგმნა სახელოვანი კამათისა, რომელიც გაჩაღებულიყო ჰანსსა და სავინის შორის. ხან ჰანსს აიღებდა, ხან თანამედროვე მართლმსაჯულების სახელოვან მეცნიერს - სავინის. წაიკითხავდა ერთ-ოთხ სტრიქონს, ცდილობდა ეთარგმნა, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა, რადგან ვარსკვლავი ციალებდა მის და ქაღალდს შუა. სტრიქონსაც ვერ დაწერდა ხოლმე და წამოვარდებოდა:

- ცოტა გავივლი. იქნებ მერე უფრო მოვახერხო.

და სასეირნოდ ტოროლას ველისკენ მიდიოდა.

იქ კიდევ არ შორდებოდა, სულ თვალწინ ედგა ის ვარსკვლავი და აღარც ჰანსი აგონდებოდა, აღარც სავინი.

დაბრუნებისას ცდილობდა ჩასჯდომოდა საქმეს, მაგრამ აქაც ისევ უძლური იყო. რაღაც ძაფი გასწყვეტოდა ტვინში და ვეღარ შეეკრა გაწყვეტილი. მაშ, ხვალ სასეირნოდ აღარ წავალ, სულ იმის ბრალია, რომ ვიღლები და ვეღარას ვწერო, იძახდა და ყოველ დილით კი მიეშურებოდა ტოროლას ველისკენ.

ტოროლას ველზე ცხოვრობდა და არა კურფეირაკთან, რადგან სულ იქ აღამებდა დღეს. ნამდვილი მისამართი მარიუსისა იყო შემდეგი: სანტეს ბულვარი, მეშვიდე ხესთან კრულ-ბარბის ქუჩის კუთხიდან.

ამ დილას კი თავი მიანება მეშვიდე ხეს და გობელენის მდინარის პირას დაჯდა. მხიარულება იყო ირგვლივ, რადგან მზის სხივი სცემდა და სიცოცხლით ავსებდა გარემოს.

ისევ „მასზე“ ოცნებობდა. მასზე ფიქრობდა და სასაყვედუროდ გრძნობდა ამ ფიქრს; აგონდებოდა თავისი უსაქმურობა, სიზარმაცე, სულიერ სიმდამბლეზე

ნანობდა. სულ მეტად და მეტად ქენჯნიდა სინანული, გრძნობდა, ბნელი ეხვეოდა გაუვალი და მზესაც კი ვეღარ ამჩნევდა.

სევდით მოცულიყო, ვეღარ იმორჩილებდა არეულ ფიქრებს, ვერ აჩუმებდა თავისადმი საყვედურის გრძნობას; მაგრამ მის ირგვლივ ცხოვრების მდინარება მაინც აღწევდა მის შეგნებამდე. წყალს დასცქეროდა, კარგად ესმოდა წყალში ჩამდგარი მრეცხავების ხმა და სარეცხზე ქობინის ცემა, ხეებზე ჩიტების გალობა. ერთი მხრივ თავისუფლების ხმა ესმოდა, ბედნიერი უზრუნველობის ფრთაშესხმული მოცალეობისა; მეორე მხრივ - ხმა შრომისა და გაჭირვებისა, ორი მხიარული ხმაური ხვდებოდა გულში და ოცნებასთან ერთად ფიქრსაც უძრავდა.

უცბად ხმა მოესმა ნაცნობი:

- აი, სად ყოფილა!

შეხედა და მაშინვე იცნო ის უბედური გოგო, ერთ დილას რომ შევიდა მის ოთახში, ტენარდიეს უფროსი ქალი, ეპონინი; სახელიც კი იცოდა ამ ქალისა, უცნაური ის იყო, რომ უფრო მეტად გაღარიბებულიყო ამ ხნის განმავლობაში საწყალი ქალი და თანაც გალამაზებულიყო; ორი ცვლილება, რომელიც მარიუსს შეუძლებლად მიაჩნდა ეპონინისთვის; ორი ნაბიჯი წაედგა პროგრესისკენ, ერთი ნათელისკენ და მეორე გაჭირვებისკენ. ისევ ფეხშიშველი იყო, როგორც იმ დილას, მარიუსთან რომ შევიდა ისე თავხედურად დახმარების სათხოვნელად, ისევ ძველი ტანისამოსით, ოღონდ ეს ტანისამოსი ახლა მთლად დაფლეთოდა და ძლივსღა ჰფარავდა იმის სიშიშვლეს. იგივე ხრინწიანი ხმა ჰქონდა, იგივე დამჭკნარი, დასერილი შუბლი, იგივე მოურიდებელი, ურცხვი თვალი, მაგრამ მერყევი. ციხეში ყოფნას თავისი დაღი დაესვა და ურცხვობასთან ერთად ეტყობოდა, დაშინებულიყო საცოდავი.

თმაში ბზე ჩარჩენოდა და თივა, ისე კი არა, როგორც ოფელიას, რომელსაც ჰამლეტისგან გადასდებოდა სიგიჟე, არა, ალბათ იმიტომ, რომ სადმე საბძელში, ან ბოსელში გაეტარბინა ის ღამე. მიუხედავად ამისა, მაინც ლამაზი იყო. რა მომხიბლავი ვარსკვლავი ხარ, სიყმაწვილევ!

მივიდა მარიუსთან, წინ გამოეჭიმა. სიხარულით შესცქეროდა, ღიმილი უკრთოდა გაყვითლებულ სახეზე.

ცოტა ხანს იდგა ასე, თითქოს ხმის ამოღებას ვერ ბედავსო. ბოლოს მოერია მღელვარებას და უთხრა:

- ძლივს არ გიპოვეთ! მართალი მითხრა ძია მაბეფმა, - ბულვარზე ნახავ, ტოროლას ველზეო. რამდენი ხანია, დაგეძებთ! ოჰ, რომ იცოდეთ!.. დაჭერილი ვიყავი, იცით? ორი კვირა ვიჯექი ციხეში. მერე გამომიშვეს იმიტომ, რომ ვერაფერი მინახეს ჩემს წინააღმდეგ და არც სრულწლოვანი ვყოფილვარ. ორი თვე კიდევ მაკლდა. ჰო, როგორ გეძებდით, რომ იცოდეთ, როგორ გეძებდით! ექვსი კვირაა, თქვენ ძებნაში ვარ. მაშ, იქ აღარ ცხოვრობთ?

- არა, იქ აღარა ვარ, - მიუგო მარიუსმა.

- ვიცი, ბატონო, ვიცი! იქ რაღა დაგაყენებდათ, იმ საშინელების შემდეგ? საზიზღრად გეჩვენებათ, მგონია, ის სახლი! ეგ აგრე, მაგრამ ეს ძველი ქუდი რად გხურავთ? თქვენისთანა ყმაწვილკაცს კარგი, ლამაზი, ახალი ტანისამოსი უნდა ეცვას, კოხტა და მოხდენილი. იცით, ბატონო მარიუს, ძია მაბეფი ბარონ მარიუსს გიწოდებთ, არ ვიცი, რად. თქვენ ბარონი არა ხართ, არა? ბარონი - ბებერია, გადაყრუებული, ლუქსემბურგში დაყიალებს სასახლის წინ, რომ იქ მაინც გაითბოს გაყინული სისხლი

და „კოტიდიენს“ კითხულობს. ძლივს იმეტებს ერთ სუს, რომ გაზეთი იყიდოს. ერთხელ მივედი ამგვარ ბარონთან, წერილი მივუტანე. სულ ნაკლები, ასი წლისა მაინც იქნებოდა. ერთი მიბრძანეთ, ახლა სად ცხოვრობთ?

პასუხი არ მისცა მარიუსმა.

- ოჰ, პერანგი დაგხევიათ! სად ცხოვრობთ, რომ მოვიდე და დაგიკეროთ?

ნელ-ნელა ეცვლებოდა სახის გამომეტყველება, აღარც სიხარული ეტყობოდა, აღარც ღიმილი:

- მაშ, არ გესიამოვნათ ჩემი ნახვა?

პასუხს არ იძლეოდა მარიუსი. ისიც გაჩუმდა ცოტა ხანს და მერე უთხრა:

- რომ მინდოდეს, ისე გაამებთ ჩემი ნახვით, ისე გაამებთ, რომ...

- რას მაამებთ, რისი თქმა გინდათ?

- ეჰ, რატომ წინანდელივით შენობით არ მელაპარაკებით?

- ჰოდა, რას მაამებ? გამაგებინე შენი სიტყვა.

ტუჩზე იკბინა გოგომ. ეტყობოდა, რაღაც ბრძოლა აღძრულიყო მის გულში და არ იცოდა, ეთქვა თუ არა? ბოლოს გადაწყვიტა.

- ეჰ, სულერთია დაღონებული ხართ, ბატონო, და მე კი მინდა, რომ მხიარულად გხედავდეთ. ოღონდ პირობა მომეცით, რომ გამხიარულდებით და ჩემით კმაყოფილი იქნებით. მინდა თქვენი სიცილი დავინახო, და კმაყოფილებით სავსე თვალები. ჰოდა, მაშ აგრე. საბრალო ბატონი მარიუსი! გახსოვთ, პირობა მომეცით ერთხელ, - მოგცემ, რასაც კი მთხოვო?

- მახსოვს, თქვი რა გაქვს სათქმელი?

თვალი თვალში გაუყარა მარიუსს და უთხრა:

- მე მაქვს მისამართი.

- რა მისამართი? - ფერი ეცვალა მარიუსს. გულს მოაწვა, რაც სისხლი ჰქონდა.

- ის მისამართი, თქვენ რომ დამავალეთ, გამიგეო.

ძლივს წარმოთქვა, ძალას ატანდა თავის თავს - ის მისამართი... თვით იცით, ვისი.

- ჰოო?

- იმ ქალბატონისა...

თქვა და ღრმად ამოიოხრა.

წამოვარდა მარიუსი, მიიჭრა, გიუივით სტაცა ხელი:

- მაშ, იცი? მოდი, წავიდეთ! წამიყვანე! ან მითხარი, მასწავლე! მთხოვე, რაც გინდა! სად ცხოვრობს, სად?

- აი, წავიდეთ. არც ქუჩის სახელი ვიცი კარგად და არც ნომერი მახსოვს, სულ სხვა მხარეს არის, მაგრამ კარგად ვიცი სახლი. აბა, წავიდეთ.

ხელი გამოჰგლიჯა და იმისთანა მწუხარებით მიმართა, რომ გულს მოსწყვეტდა უცხო მაყურებელს. მარიუსი კი ისე იყო სიხარულით გატაცებული, ყურადღებას აღარაფერს აქცევდა:

- ოჰ, რა კმაყოფილი ხართ!

ღრუბელი მოედო მარიუსის შუბლს. ხელი სტაცა ეპონინს და უთხრა:

- შემომფიცე! ერთი რამ მინდა შემომფიცო.

- შემოგფიცოთ? მე ფიცისა არაფერი ვიცი! რა არის ეგ შეფიცვა? თქვენ გინდათ, მე დავიფიცო?

და სიცილი წასკდა, მწარე სიცილი.

- მამაშენს... შემომფიცე, ეპონინ, რომ მამაშენს არ ეტყვი მაგ მისამართს.

გაშტერდა ქალი, გაკვირვებული შეჰყურებდა მარიუსს:

- ეპონინი! მერე რა იცით, რომ მე ეპონინი მქვია?

- შემომფიცე, რომ ამისრულებ ამ თხოვნას.

ის კი ყურს აღარ უგდებდა:

- რა კარგია, რომ იცოდეთ! მაშ, ეპონინი დამიძახეთ?

ორივე ხელი დაუჭირა მარიუსმა.

- მიპასუხე, ქალო, მიპასუხე, ღვთის გულისათვის! კარგად შეიგნე, რასაც გთხოვ და ისე მიპასუხე, გეყურება, არამც და არამც არ გააგებინო მამაშენს ეგ მისამართი. ამისრულებ ამას? მაშ, შემომფიცე, რომ არ ეტყვი მამაშენს მაგ მისამართს.

- მამაჩემს? ჰო, მამაჩემი!.. დამშვიდდით, ბატონო, მამაჩემი ციხეში ზის... საკანში გახლავთ საიდუმლოში, და ეგეც რომ არ იყოს, სად მე, სად მამაჩემი?

- მაშ, არ დამპირდები? არ შემომფიცავ? - შეჰყვირა მარიუსმა.

- ხელები ნუ დამამტვრიეთ, რა ვქნა? - და სიცილი აუტყდა ეპონინის, - დიახ! პირობას გაძლევთ! გეფიცებით, აგისრულებთ სურვილს. რა მენაღვლება, ნუ ეცოდინებათ, რა! არ ვეტყვი მამაჩემს იმათ მისამართ. ახლა? კმარა, თუ კიდევ გინდათ რამე? კმაყოფილი ხართ?

- არც მამათქვენს და არც სხვას ვისმე.

- არც სხვას ვისმე! არავის! არავის!

- ახლა კი წავიდეთ, - უთხრა მარიუსმა, - დამანახვე ის სახლი.

- ახლავე წავიდეთ?

- ახლავე, ახლავე!

- წავიდეთ. ოჰ, რა კმაყოფილია! რა ბედნიერია! - იძახდა ეპონინი.

ცოტა ხნის შემდეგ გაჩერდა:

- ძალიან ახლოს მომდევთ, ბატონო მარიუს. მე წინ გიახლებით და თქვენ შორიახლო მომდიეთ. ვითომ ცალ-ცალკე მოვდივართ. არ მინდა, თქვენისთანა ყმაწვილი კაცი ჩემისთანა გოგოსთან დაინახონ.

არავის ძალუძს გამოთქვას ის სიმწარე, რომელიც ეპონინმა ჩაურთო სიტყვებში „ჩემისთანა გოგოსთან“.

ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა და როდესაც მიუახლოვდა მარიუსი, ზედ არ შეხედა, ისე წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა:

- მართლა, ხომ გახსოვთ, რომ დამპირდით?

ჯიბეში ჩაიყო ხელი მარიუსმა. ხუთად ხუთი ფრანკი ჰქონდა ტენარდიესთვის, ისიც ნასესხები. აიღო და ხელში ჩაუდო ეპონინს.

გაშალა ხელი ეპონინმა, მიწაზე დააგდო ხუთფრანკიანი ვერცხლი და გაბრაზებით უთხრა:

- მე თქვენი ფული არ მინდა!..

## წიგნი მესამე
## სახლი პლუმეს ქუჩაზე

### თავი პირველი
### მიმალული სახლი

წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში პარლამენტის ერთ ხავერდისჩაჩიან თავმჯდომარეს ჰყავდა საყვარელი, რომელსაც მალავდა. იმ დროს დიდებულ ბატონებს თავი მოჰქონდათ ყთავიანთი საყვარლებით, ბურჟუებს კი საძრახისად მიაჩნდათ და მალავდნენ. მან პატარა სახლი აუშენა სენ-ჟერმენის უბანში, მიყრუებულ ბლომეს ქუჩაზე; დღეს ამ ქუჩას პლუმეს ქუჩა ჰქვია. სახლი შორს არ იყო ეგრეთ წოდებულ „საქონლის საბრძოლო“ მოედნიდან.

პატარა სახლი იყო, ორსართულიანი პავილიონი. ორი დარბაზი ქვემო სართულში ჰქონდა, ორი ოთახიც მეორეში; სამზარეულო ქვემოთ იყო, ბუდუარი ზემო სართულში, ჭერქვეშ კიდევ სხვენი. სახლს წინ ბაღი ჰქონდა, ქუჩის მხრივ, მაგარი მოაჯირით შემოღობილი. დაახლოებით ერთი დესეტინა იქნებოდა ბაღი. ამის მეტს ვერაფერს ხედავდა გამვლელი, მაგრამ ბაღის უკან ვიწრო ეზო იყო და ამ ეზოს ბოლოს ერთი პატარა სახლი - ორი ოთახი და ქვეშ სარდაფი, აშენებული ალბათ იმ განზრახვით, რომ ადვილად მოსახერხებელი ყოფილიყო, თუ საჭირო იქნებოდა, იქ ბავშვისა და მისი ძიძის დამალვა. ამ სახლს უკნიდან პატარა საიდუმლო კარი ჰქონდა ვიწრო ტალანში გასასვლელი; ტალანი მოკირწყლული იყო, ვიწრო და დაკლაკნილი. სახურავი არ ჰქონდა, მაგრამ ისე ვიწროდ ჩართულიყო ორ კედელშუა, რომ მართლა საიდუმლო გამხდარიყო. ტალანის ბოლოს მეორე საიდუმლო კარი ჰქონდა კარგად დაშორებით პირველისგან და უდაბურ ბაბილონის ქუჩაში გადიოდა.

ბ. თავმჯდომარე ამ კარით ისე მოხერხებულად სარგებლობდა ყოველთვის, კიდეც რომ ყოფილიყო ვინმე და მოესურვებინა გაეგო, - სად ან ვისთან დადის ყოველდღეო, - ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ბაბილონის ქუჩით შესული, პლუმეს ქუჩაზე ამოჰყოფდა თავს. მთავრობის მოხელემ ძალიან მარჯვედ და ხელსაყრელ ფასად შეიძინა საიდუმლო სახლის მოსაზღვრე მიწები და საკუთარ მამულში, ყოველგვარი კონტროლის გარეშე ცხოვრებით ტკბებოდა. შემდგომ კარგ ფასად ჰყიდდა ნელ-ნელა ამ მიწებს და მის ახალ მეზობლებს - მებაღეებსა და მებოსტნეებს, აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ საიდუმლო გზა იყო დატოვებული კედელში: ორი კედელი ერთად მიაჩნდა ყველას, და რას წარმოიდგენდნენ, რომ შიგ გავლა შეიძლებოდა. ამ საიდუმლოების დანახვა მხოლოდ ფრინველთ შეეძლოთ. შესაძლებელია, წარსული საუკუნის კიოტებმა და წიწკანებმა საკმაოდ იჭორავეს კიდეც ბ. თავმჯდომარის შესახებ.

ორსართულიანი ქვითკირის სახლის შენობა მანსარის გემოვნებით იყო აგებული, მოკაზმული და მოწყობილი კი - ვატოს გემოვნებით. ლამაზ მღვიმეს წააგავდა შიგნიდან და კოპწია პარკს გარედან. სამ რიგად ეხვია გარშემო მწვანე ხის ტოტები და ყვავილები. მორცხვად მიმალულიყო ხეებში კეკლუცად და თან ჩინებულად, როგორც შეეფერება დიდებული მოხელის სიყვარულს.

დღეს აღარც ეს სახლი არის, აღარც საიდუმლო გასასვლელი ტალანი; ამ თხუთმეტი წლის წინათ კი შეიძლებოდა ორივეს ნახვა. ოთხმოცდაცამეტში ერთმა მკალავმა იყიდა სახლი დასანგრევად, მაგრამ ფასის გადახდა ვერ შეძლო და ერთმა ვალაუვალ მოვალედ გამოაცხადა. ამგვარად, მან კი არა, სახლმა დაანგრია და დაღუპა საწყალი მკალავი. მას შემდეგ ცარიელი ეგდო ეს სახლი, მდგმური არავინ დგებოდა, და ნელ-ნელა პარტახდებოდა, როგორც ყველა უპატრონო შენობას ემართება. ძველი მოწყობილობა ისევ შერჩენოდა. ქუჩის მხრივ მოაჯირზე ძველი გაყვითლებული განცხადება იყო მიკრული; ჯერ ისევ 1810 წლიდან, რომელიც

აუწყებდა გამვლელთ, რომ ეს სახლი გასაქირავებელი იყო ან გასაყიდი. მაგრამ ამ ქუჩაზე წელიწადში ათი, თორმეტი კაცი ძლივს გაივლიდა და სახლს არც მდგმური უჩნდებოდა, არც მყიდველი.

რესტავრაციის უკანასკნელ ხანს კი ეს განცხადება აღარსად ჩანდა, ზემო სართულის ფანჯრები ღია იყო. სახლში ვიღაც დაბინავებულიყო. ფანჯრებს ფარდები ჰქონდა, - უტყუარი ნიშანი, რომ აქ ქალიც ცხოვრობდა.

1829 წლის ოქტომბერში ერთი ხნიერი კაცი მივიდა ამ სახლში და იქირავა პავილიონი ბაღით, უკანა ეზოთი და საიდუმლო გასასვლელით. სახლის მოწყობილობა ნაწილობრივ იგივე იყო, რაც ბ. თავმჯდომარის დროს. ახალმა მდგმურმა შეაკეთებინა ცოტა რამ, სხვათა შორის, საიდუმლო გასასვლელი და მისი ორივე კარი; მიიტანა, თუ რამ აკლდა მოწყობილობას; მოაკირწყვლინა ეზო, შეაკეთებინა კიბე და ალაგ-ალაგ წამხდარი იატაკი, შუშები ჩაასმევინა და დაბინავდა სახლში. ერთი ყმაწვილი ქალი ახლდა თან და ერთი ბებერი დედაკაცი, მსახური. ჩუმად, შეუმჩნევლად გადავიდა ამ სახლში, თითქოს შეიპარა. მეზობლებს ლაპარაკი არ აუტეხავთ, ვინაიდან მეზობლები არცა ჰყავდა.

ეს მორიდებული მდგმური ჟან ვალჟანი იყო, და ყმაწვილი ქალი კოზეტი. მსახურად ბებერი დედაკაცი ჰყავდათ, სახელად ტუსენი; არც სახლი ჰქონდა ტუსენს, არც ახლობელი ჰყავდა ვინმე და გაჭირვებისგან და საავადმყოფოდან დაიხსნა ჟან ვალჟანმა; ბებერი იყო, პროვინციელი და ბლუ; ეს სამი ღირსება ჰქონდა და ამან გააბედვინა ჟან ვალჟანს, რომ იგი მოახლედ დაექირავებინა. სახლი რანტიე ფოშლევანის სახელით დაიჭირა. ზემოთ ნაამბობში, ეჭვი არა გვაქვს, მკითხველი ადვილად იცნობდა ჟან ვალჟანს, უფრო ადვილად, ვიდრე ტენარდიემ იცნო.

რად გამოვიდა ჟან ვალჟანი პიკპუსის მონასტრიდან? განა რა მოხდა?

დიდი არაფერი.

ძალიან კმაყოფილი იყო ჟან ვალჟანი მონასტერში ყოფნით, იმდენად ბედნიერი, რომ ბოლოს სინდისის ქენჯნაც კი იგრძნო. ყოველდღე ხედავდა კოზეტს, გრძნობდა, რომ მამობრივი სიყვარულით ევსებოდა გული, ღვიძლ შვილად, ოღონდ სულიერად მიაჩნდა კოზეტი, და საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, - ჩემი შვილია, მას ვერავინ წამართმევსო. ერთნი ვართ სულით ხორცამდე და ერთად ვიქნებით, მანამ ცოცხალნი ვართო. წამოიზრდება, მონასტერშივე დარჩება, მონაზვნად; მონასტერი იქნება კოზეტისთვის, როგორც თვითონ ჟან ვალჟანისთვის, მთელი ქვეყნიერება. ისიც იქვე იქნება, თავის კოზეტთან, მის ზრდას ნახავს და თავის დაბერებას. დრო გაივლის, კოზეტიც დაბერდება, ჟან ვალჟანი მოკვდება, დაბოლოს, რაც მისთვის მთავარი იყო, სანამ ცოცხალი იქნება, შეუძლებელი გახდება ცოტა ხნითაც კი მათი განშორება.

დიდხანს იყო ამ ოცნებით გატაცებული, მაგრამ ბოლოს ეჭვი აღეძრა, ჩაფიქრდა, თავის თავს შეეკითხა: - მარტო ჩემია მთელი ეს ნეტარება, ჩემთვის რომ ვლამობ, თუ ჩემსაში სხვისასაც ვურევ, ჩემი კოზეტისას, ჯერ შეუგნებელ ბავშვისას, რომელსაც მე ჩემებურ ნეტარებას ვუმზადებ, მოხუცებული კაცის ოცნების მიხედვით. განა კოზეტისთვისაც ნეტარება იქნება ჩემი ოცნება? - იგი გრძნობდა, რომ ბავშვს ჰქონდა უფლება ჯერ გაეცნო ცხოვრება და მერე თვით გადაეწყვიტა, შესძლებდა ცხოვრების უარყოფას თუ არა, რომ მონაზვნად აღკვეცილიყო. კოზეტის დაუკითხავად წყვეტდა მის ბედს და ეჭვი ერეოდა. სულ სხვა ნეტარება რომ სწყუროდეს ქალს? ეს გაუბედურება იქნება საწყალი გოგოსი, ქურდობაზედაც უარესი. ან რას ფიქრობს,

როგორ შეიძლება უსუსური ბავშვის შეუგნებლობითყ ისარგებლოს კაცმა, უნდა ედემში ჩააბას ისე, რომ სიკვდილის მეტი სხვა მხსნელი არავინ ჰყავდეს? ეს ხომ ადამიანის ბუნების უარყოფა იქნება და ღვთის წინაშე სიცრუე. ხომ შეიძლება ყოველივე ამაზე დაფიქრდეს ოდესმე კოზეტი, იგრძნოს, რომ ნაძალადევად არის მონაზვნად შეწირული და სიყვარულის წილ სიძულვილით და საყვედურით მოიგონოს მამობილი.

ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ, უფრო ეგოისტურმა და ნაკლებად გმირულმა, ვიდრე სხვები, მაგრამ ჟან ვალჟანისთვის აუტანელმა, გადააწყვეტინა მას მონასტრის მიტოვება.

გადაწყვიტა. გული უკვდებოდა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო კი არაფერი ჰქონდა. ხუთი წელიწადი გაატარა ოთხკედელშუა, ცხოვრებიდან გაქრა კაცი, და შიში აღარ ჰქონდა ბედისა. თავისუფლად შეეძლო ხელახლა ჩარეულიყო ადამიანთა საზოგადოებაში. დაბერდა, გამოიცვალა, ვინღა იცნობდა ხუთი წლის შემდეგ? ეგეც რომ არ ყოფილიყო, თუ უარესი მოელოდა რამ, საშიში მარტო თვითონ ჟან ვალჟანისთვის იყო, და როგორ შეიძლებოდა მონასტერში ჩაემწყვდია ქალი მხოლოდ იმიტომ, რომ ის კატორღელი იყო და საშიშროება მოელოდა? ნუთუ კაცმა მოვალეობას უნდა უღალატოს, როდესაც საშიში მოელის რამე? თუ საშიშროება მოელის, ფრთხილად იყოს, აიცილოს როგორმე განსაცდელი და სხვას კი ნურავის გასწირავს.

რაც შეეხება კოზეტის აღზრდა-განვითარებას, ის თითქმის დასრულებული იყო.

რაკი საბოლოოდ დაადგა ამ გადაწყვეტილებას, იგი შესაფერის შემთხვევასღა ელოდა, რომ გამოეცხადებინა სამსახურიდან გასვლა. შესაფერისი გარემოებაც მალე დაუდგა: ბებერმა ფოშლევანმა თქვენი ჭირი წაიღო.

- წინამძღვრის ნახვა მინდაო, - სთხოვა ჟან ვალჟანმა და, რომ შეიყვანეს, მოახსენა თავისი სათხოვარი, - ძმა მომიკვდა, ცოტა რამ მემკვიდრეობა დამიტოვა, ასე რომ, ამ სიბერის დროს მოსვენებით შემიძლია ცხოვრება; ნება მიბოძეთ მონასტრიდან გავიდე და ჩემი გოგონაც თან წავიყვანო. მაგრამ რადგან მონასტერი ვალდებული არ იყო აღეზარდა ქალი, რომელიც მონაზვნად არ დარჩებოდა, კეთილ ინებეთ და მონასტრის სასარგებლოდ მიიღეთ ჩემგან ხუთი ათასი ფრანკი, როგორც ხუთი წლის განმავლობაში კოზეტის ცხოვრებისა და სწავლის საზღაური.

ასე გამოვიდა ჟან ვალჟანი მუდმივ თაყვანისმცემელთა მონასტრიდან. ბინიდან გამოსვლისას თვითონვე აიღო პატარა ჩანთა, რომელსაც თავის დღეში არავის ანდობდა, არც მებარგულეს, არც მეეტლეს. იმ ჩანთის გასაღებს ყოველთვის თვით ატარებდა. ძალიან უნდოდა კოზეტს ამ ჩანთის საიდუმლოების ამოცნობა, მით უფრო, რომ საამო სურნელებას აფრქვევდა, მაგრამ ამაოდ.

ახლავე ვთქვათ, რომ ამის შემდეგაც სულ თან ატარებდა ამ ჩანთას. თავის ოთახში ჰქონდა ყოველთვის. ბინის გამოცვლისას ეს ჩანთა იყო, რომ ხელში აიღებდა ხოლმე ყველაზე უწინ ჟან ვალჟანი. იცინოდა კოზეტი. „განუყრელს“ უწოდებდა და - ლამის ეჭვი აღმიძრასო, - იტყოდა ხოლმე ხუმრობით.

მაინც მწუხარე იყო ჟან ვალჟანი, მონასტრიდან რომ გამოვიდა.

შესაფერისი სახლი იპოვა პლუმეს ქუჩაზე და შიგ ჩაიმალა. ამიერიდან მისი სახელი ულტიმი იყო და გვარი ფოშლევანი.

იმავე დროს ორი ბინა კიდევ სხვა ჰქონდა პარიზში. სულ რომ ერთ ბინაზე ყოფილიყო, უფრო მეტად მიიქცევდა მეზობლების ყურადღებას, და, თუ საჭიროება

იქნებოდა, ერთი სახლიდან მეორეში გადავიდოდა დასამალავად; გარდა ამისა, იმისაც ეშინოდა, მეორედ აღარ დარჩენილიყო ისე უბინაოდ, როგორც იმ ღამეს მოუვიდა, ჟავერს რომ რაღაც სასწაულით გაუსხლტდა ხელიდან. პატარები იყო ეს ორივე ბინა, მეტად ღარიბი და ძალიან დაშორებული ერთმანეთისგან, ერთი ლ-ომ-არმეს ქუჩაზე იყო, მეორე დასავლეთისაზე.

ხანდახან ერთი თვით, ან ექვსი კვირით გადასახლდებოდა ხოლმე ხან ერთში, ხან მეორეში. კოზეტიც თან ჰყავდა ყოველთვის. ტუსენს კი ყოველთვის პლუმეს ქუჩაზე სტოვებდა. ამ სახლებში მეკარე ემსახურებოდა ხოლმე. იქ რანტიედ იცნობდნენ, გარეუბნელად, რომელსაც საქმეების გამო ხშირად უხდებოდა პარიზში ჩამოსვლა.

ამგვარად, ამ უაღრესად ფხიზელ ადამიანს სამი ბინა ეჭირა პარიზში პოლიციისგან თავდაცვის მიზნით.

## თავი მეორე
## ჟან ვალჟანი ეროვნულ გვარდიაში

უმთავრესად კი პლუმეს ქუჩაზე იყო ხოლმე და კარგადაც ჰქონდა მოწყობილი ცხოვრება.

პავილიონში კოზეტი დადგა და ბებერი მოსამსახურე. დიდი საწოლი ოთახი ჰქონდა, ლამაზი დიდრონი სარკეებით მორთული, პატარა ბუდუარი, ძველი პატრონის, თავმჯდომარის, ხალებიანი და ღრმა სავარძლებიანი დარბაზი, რომელიც ბაღს გადასცქეროდა. საწოლ ოთახში ბალდახიანი ლოგინი მოუწყო ჟან ვალჟანმა და იატაკზე ერთი ძველებური, სპარსული ხალი გაუშალა, ქალბატონ გოშესთან ნაყიდი ფიტიე სენ-პოლის ქუჩაზე და რომ დაეფარა ეს ძველი, ძვირფასი მორთულობა, სახლი წვრილმანი დგამით და ნივთებით აავსო და სხვათა შორის, ლამაზი ყდებით მოკაზმული წიგნებით. კარგი საწერი მაგიდა დაუდგა კოხტა საწერ-კალმით და სხვა მოწყობილობით; აგრეთვე ხელსაქმის მაგიდა. ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარეს და მით დაამშვენეს მეორე სართული. ქვემო სართულიც კარგად იყო მოწყობილი და ეს „კოზეტის სახლი“ ყოველთვის კარგად თბებოდა მთელი ზამთრის განმავლობაში. თვითონ კი იმ პატარა სახლში დადგა, უკანა ეზოში რომ იყო ცალკე აშენებული. ტახტის მაგივრად გაჭიმული ღვედები ჰქონდა, ზედ გადებული ნაალი, უბრალო შეუღებავი ხის მაგიდა, ორი სკამი ჩალისა, ქაშანურის სურა წყლისთვის, რამდენიმე წიგნი თაროზე და თავისი განუშორებელი ჩანთა იქვე კუნჭულში. ცეცხლს თავის დღეში არ ანთებდა, პურს კოზეტთან სჭამდა და სუფრაზე უთუოდ უნდა ჰქონოდა მისთვის ნაყიდი შავი პური.

ტუსენი რომ დაიჭირა და მსახურად შეიყვანა სახლში, უბრძანა:

- ამ სახლში ქალბატონი ეს ქალი ბრძანდება.

- თქვენა ბატონო?

- მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე ბატონი. მე მამა ვარ!

კოზეტი მონასტერშივე შეაჩვიეს დიასახლისობას და მის ხელთ იყო სახლის გაძღოლა და ხარჯვის გაწევა. სასეირნოდ ყოველდღე გადიოდნენ, ყოველთვის ერთად მამობილი და ყმაწვილი ქალი. ლუქსემბურგის ბაღში შევიდოდნენ ხოლმე, განცალკევებულ ხეივანში და იქ დასეირნობდნენ. ყოველ კვირას წირვაზე იყვნენ სენჟუაკის ეკლესიაში, რადგან ძალიან შორს იყო იმათი სახლიდან; ღარიბი,

გაჭირვებული ხალხი ეხვია ამ საყდარს და ჟან ვალჟანი იმდენად ეხმარებოდა მათ, რომ სულ გარს ეხვივნენ უბედურები, როგორც კი მივიდოდა. ამით იყო, რომ წერილით მიმართა ტენარდიემ და მისამართად - „ბატონ ენ-ჟაკის ეკლესიის ქველმოქმედსო“, - დაწერა.

ღარიბების და ავადმყოფების სანახავად და დასახმარებლად კოზეტიც თან დაჰყავდა ხშირად. მიმსვლელ-მომსვლელი არავინ ჰყავდათ, უცხო არავინ შევიდოდა ჟან ვალჟანისა და კოზეტის სახლში. ბაზარში ტუსენი დადიოდა, წყალი თვითონ ჟან ვალჟანს მოჰქონდა, ბულვარზე გამოყვანილი წყალსადენიდან. შეშასა და ღვინოს ხელოვნური მღვიმის მაგვარ სარდაფში ინახავდნენ, ბაბილონის ქუჩაზე გამავალ კართან, რომსაც თავის დროზე ბ. თავმჯდომარე იყენებდა, როგორც სიყვარულის თავშესაფრის აუცილებელ დანამატს.

ბაბილონის ქუჩაში გამავალ კარს ყუთი ჰქონდა გარედან მიკრული წერილებისა და გაზეთებისთვის. ჟან ვალჟანსა და კოზეტს, მით უფრო დედაკაცს, არავითარი წერილი და გაზეთი არ მოსდიოდათ და, თუ ჩავარდებოდა რამ ყუთში, უწინდელი სიყვარულით გაგიჟებულისა და გულდამწვრის წერილების მაგივრად, უწყება იყო ხოლმე, რომ ხარჯი გადაეხადა ჟან ვალჟანს, ან ეროვნული გვარდიიდან რამე ცნობა, ან ბრძანება. ბ. ფოშლევანი რანტიე იყო და ამიტომ გვარდიაში იყო ჩარიცხული, რადგან ვერ მოახერხა და თავი ვერ დააღწია 1831 წლის გვარდიელების აღრიცხვას. ქალაქის თვითმმართველობას ცნობა ჰქონდა პიკპუსის მონასტრისა, ამ წმინდა და მიუვალი დაწესებულებისა, რომ ფოშლევანი იქიდან გამოსულიყო დიდი ხნის სამსახურის შემდეგ, რომ იგი დიდად პატივსაცემი კაცი იყო და ეროვნულ გვარდიაშიც ამიტომ ჩარიცხა.

წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ მოირთვებოდა ხოლმე ჟან ვალჟანი გვარდიის მუნდირით, მიდიოდა თავისი მოვალეობის აღსასრულებლად და სიამოვნებით ასრულებდა ამ მოვალეობას, რადგან გამოიცვლიდა ტანისამოსს და თვითონაც ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა ჩვეულებისამებრ იქაც განმარტოებულად რჩებოდა. ის-ის იყო, სამოცი წლისა გახდა და კანონისამებრ გათავისუფლებული უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ შეხედულებით ორმოცდაათი წლისას ჰგავდა, და გარდა ამისა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა გამოსთხოვებოდა ათისთავს, ან გაეჯავრებინა გრაფი ლობო. მოქალაქეობრივი მდგომარეობა ჟან ვალჟანს არ გააჩნდა; თავის გვარსა და სახელს მალავდა; მალავდა თავის პიროვნებას, ასაკს, მალავდა ყველაფერს. ეროვნულ გვარდიაში იყო და ვიმეორებთ, სიამოვნებით ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. ძლივს ეღირსა უბედური, ისიც ადამიანს დაემსგავსა, ხარჯს იხდიდა; საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებდა; ეს იყო მისი დიდი ხნის ნატვრა. ჟან ვალჟანს იდეალად ჰქონდა დასახული გულით ანგელოზი ყოფილიყო, ხოლო გარეგნობით ბურჟუა.

ერთი წვრილმანიც აღვნიშნოთ; თუ კოზეტთან ერთად მიდიოდა სადმე, კარგად ირთვებოდა, როგორც ვნახეთ, და სამსახურიდან გამოსულ ოფიცერს ჰგავდა, მაგრამ, თუ მარტო მიდიოდა ჩვეულებრივ ბინდისას, მუშის ტანისამოსით გადიოდა და განიერფარფლიანი ქუდით, რომ სახე დამალული ჰქონოდა. სიფრთხილე იყო თუ თავმდაბლობა? ერთიცა და მეორეც. კოზეტი უკვე მიჩვეოდა მამის უცნაურ ჩვეულებებს და ყურადღებას აღარ აქცევდა. ტუსენს კი სათაყვანებლად გაეხადა ჟან ვალჟანი და

ყველაფერი მოსწონდა მისი. ერთხელ ყასაბთან იყო ტუსენი და ჟან ვალჟანმა გაიარა იმ დროს ქუჩაში.

- უცნაური კაცია, - უთხრა ტუსენს ყასაბმა.

- წმინდანია, - უპასუხა ტუსენმა.

ბაბილონის კარით არც ჟან ვალჟანი შედიოდა სახლში, არც კოზეტი, არც დედაკაცი. პლუმეს ქუჩიდანაც ძნელი დასანახავი იყო, ვინ ცხოვრობდა ამ ბაღში ჩამავალ სახლში. პლუმეს ქუჩაში გასასვლელი კარი ყოველთვის დაკეტილი იყო და ბაღი სრულიად მოუვლელი და გაუსხლავი ჟან ვალჟანის განკარგულებით, რომ არავის მიექცია ყურადღება და მზერა არ დაეწყო.

ასე მოაწყო ყველაფერი დიდი სიფრთხილით, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ცდებოდა.

## თავი მესამე
## Foliis ac frondibus

ნახევარი საუკუნე იყო, რაც მებაღის ხელი არ შეხებოდა ამ ბაღსა და მით უფრო არაჩვეულებრივი გამხდარიყო და გამშვენიერებულიყო. ამ ორმოცი წლის წინათ ქუჩაში ჩერდებოდნენ ალბათ იშვიათი გამვლელები, რომ დამტკბარიყვნენ მისი მშვენიერებით, და ვერც კი წარმოედგინათ, თუ ამ დაბურულ ბაღს თავისი საიდუმლოება ჰქონდა. იმ დროს არა ერთი მეოცნებე გაჩერდებოდა ხოლმე ალბათ, ცდილობდა გაეხედა ხშირ ტოტებში და დაენახა, რა იყო ბაღის უკან, მაგრამ ისე გადაეხლართათ ხეებს ხშირფოთლიანი ტოტებით ძველი, ჟანგიანი, ალაგ-ალაგ გამრუდებულმოაჯირიანი ღობე, რომ შეუძლებელი იყო რისიმე დანახვა.

ხის სკამი იდგა ერთ კუთხეში, ორი დახავსებული ქანდაკება; აღარც ხეივნები იყო, აღარც მოლი. მებაღე აღარ ჰყავდა და ბუნება დაჰპატრონებოდა აქაურობას. უვარგისი ბალახი მოსდებოდა მთელ ბაღს და ხარობდა გამარჯვებით, თავისუფლად იზრდებოდა ეკალბარდი, აღარავინ ჰყავდა მტერი მთელ ბაღში. ხეებს ტოტები დაეშვათ კვრინჩხნარზე და მაყვალზე, ზედ სვია მოჰკიდებოდა და გარს შემოხვეოდა. ტოტი დაშვებულიყო, ბალახი აცოცებულიყო, მიწაზე მოზარდი ზევით ამძვრალიყო, ქარით მერხევი ძირს დაშვებულიყო და ხავსით მოფენილ მიწას გაჰკვროდა. არეულიყვნენ ერთმანეთში ტოტები, ყვავილები, ფოთლები, პწკალები, გადახლართულიყვნენ, შეერთებულიყვნენ, მაგრად შეკავშირებულიყვნენ და ღვთის წყალობით განეხორციელებინათ წმინდა საიდუმლოება თავიანთი ძმობისა, სიმბოლო ადამიანთა შორის ძმობისა. ბაღი ყოფილიყო, და ახლა ტევრად გამხდარიყო, რომელშიც გავლა აღარ შეიძლებოდა, გაუვალი იყო ბაღი, როგორც დაბურული ტყე, და შიგ მაინც მცხოვრებნი იყვნენ, როგორც ქალაქში; ირხეოდა, როგორც ჩიტის ბუდე მაღალ ხის ტოტზე, ბნელი იყო, როგორც ტაძარი, სურნელოვანი, როგორც ყვავილთ თაიგული, განმარტოებული, როგორც საფლავი, სიცოცხლით სავსე, როგორც ხალხის ბრბო.

დადგებოდა ფლორეალი და გამოიღვიძებდა ეს ტყედ გარდაქმნილი ბაღი, თავისუფალი ოთხ კედელშუა. გამოიღვიძებდა და საკვირველი აღტაცებითა და სიხარბით დაეწაფებოდა გაზაფხულის ტკბილ წვიმას და სულისჩამდგმელი მზის სითბოს. ისე თრთოდა ამომავალი მზის მოლოდინით, როგორც ნადირი, რომელიც ტკბება ბუნების მადლიანობით, და გრძნობს აპრილის მიერ ჩაყენებულ მჩქეფარე

სიცოცხლის ძალას. თრთოდა მთელი ბაღი, მოუთმენლად მოელოდა ქარის ქროლვას, რომ ძველი, დამჭკნარი მოეშორებინა და ყველგან მოეფინა, ირგვლივაც და შორსაც, ყველგან: დასველებულ მიწაზე, ნაქანდაკევ მარმარილოზე, სახლის მერყევ საფეხურზე და მოკირწყლულ ქუჩაზედაც კი ვარსკვლავივით ლამაზი ყვავილი, ნამის მარგალიტი, ნაყოფიერება, მშვენიერება, სიცოცხლე, სიხარული, სურნელება. დადგებოდა შუადღე და ათასობით დაერეოდა ბაღს თეთრი პეპელა, სიცხისგან ჩრდილისკენ მიმავალი, და ზაფხულის ცოცხალი თოვლივით მოჩანდა ხის ტოტებს შუა. იქვე, იმ მხიარულ სიმწვანის ჩრდილში ტკბილი გალობა და ჭიკჭიკი ატკბობდა ადამიანის გულს. საღამოობით საოცნებო ბნელი ეფინებოდა ბაღს და ნისლის სუდარას აფარებდა მის მშვიდ, ციურ სევდას. სურნელებით ავსებდნენ ბაღს ყვავილები, ერთმანეთს უხმობდნენ ჩიტები დასაძინებლად. საგრძნობლად ჩანდა ურთიერთობა ფრინველსა და ხის ფოთლებისა: დღე ფრინველი აცოცხლებდა ფოთლებს, ღამე ფოთოლი ფარავდა ფრინველს.

ბულვარი იყო იქვე ახლოს; გარს ეხვია ამ სახლს და ბაღს დიდრონი პარიზის ქუჩები; დიდებული სასახლეები იყო ფარანისა და ინვალიდების ქუჩაში იქვე, მის გვერდით და დეპუტატთა პალატა ოდნავ მოშორებით; ეტლები დაგრიალებდნენ იქვე ბურგონისა და სენ-დომინიკის ქუჩებში; ყვითელი, ყავისფერი, თეთრი და წითელი ომნიბუსები დადიოდნენ იქვე, და მაინც მიყრუებული იყო პლუმეს ქუჩა. დაიხოცნენ ძველი პატრონები, მერე ზედ რევოლუციამ გადაუარა, დაიღუპა ძველებური სიმდიდრე; ამას თან მოჰყვა უპატრონობა, დავიწყება, ორმოცი წლის მოუვლელობა და ედემის ყვავილს ჩადუნა ჩაერია, ნარეკლი, ჭინჭარი, ბალახში ხვლიკი და ჯოჯო, რომ ბუნებას იქაც დაეგმო წვრილმანი გარემოებანი ადამიანისა, თავისებურად მთლიანად დაჰპატრონებოდა ნაოხარს და ისე გაშლილიყო პარიზის ბაღში, იმავე სიმკაცრითა და დიდებით, როგორითაც ამერიკის პირვანდელ გაუვალ ტყეში.

ბუნებაში არაფერია წვრილმანი და უმნიშვნელო. ეს ჭეშმარიტებაა ყველასთვის, ვინც კი იცის ბუნების წიაღში ჭვრეტა. მართალია, სრულ კმაყოფილებას არ აძლევს ადამიანს ფილოსოფია; ჯერ ვერც ნამდვილი მიზეზები გამოუკვლევია და ვერც მათი შედეგები, მაგრამ მაინც აღტაცებული რჩება კვლევით გატაცებული მჭვრეტი, როდესაც ხედავს ესოდენ ერთიანობას ბუნების სხვადასხვა ძალისას. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის.

ღრუბლების მოძრაობაში შეიძლება გამოვიყენოთ ალგებრა; სხივფრქვევა ვარსკვლავებისა ეხმარება ვარდს; არავინ იქნება ბუნების მკვლევართა შორის, რომელიც გაბედავს და იტყვის, - კუნელის სურნელება უსარგებლოა თანავარსკვლავედთათვისო. ვის შეუძლია გამოიანგარიშოს მოლეკულის გზა? რა ვიცით, რომ ქვეყნიერებათა შექმნა ქვიშის ფხვნილის ცვენით არ იყოს გამოწვეული? ვინ იცის, რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში უსაზღვროდ დიდისა და უსაზღვროდ პატარის მოქცევასა და უკუქცევას, ან რა მნიშვნელობა აქვს მიზეზებისა შედეგების არსებობას ქვეყნიერების სიღრმეში? თითოეულ ატომს აქვს თავისი მნიშვნელობა; პატარაა და მნიშვნელობით კი დიდი; სხვა კიდევ დიდი არის და მნიშვნელობით პატარა. წონასწორობას წარმოადგენს საჭიროების გამო ყველაფერი, და ეს არის, რომ აკვირვებს ადამიანის გონებას. სასწაულებრივი დამოკიდებულება არსებობს არსებათა და საგანთა შორის. ჩრდილიდან მზემდე უსაზღვრო ბუნებაში არაფერია უგულებელყოფილი, რადგან ერთმანეთის დახმარებით არსებობს

ყველაფერი. სინათლეს რომ მიაქვს მიწიერი სურნელებანი, კარგად იცის თავისი მიზანი; ღამე უგზავნის მიძინებულ მცენარეებს ვარსკვლავთა ესენციას. ჩიტი რომ დაფრინავს, ნისკარტით უჭირავს ძაფი უსაზღვროებისა. შემოქმედებითი ძალაა, რომ მეტეორს აძლევს ზეცას, და საკმაო ძალას მერცხლის ბარტყს, რომ ნისკარტით გატეხოს კვერცხი და გამოვიდეს; ეს ძალა არის რომ განაგებს მიწის მატლის გაჩენას და სოკრატეს მოვლინებას.

ტელესკოპის მისაწვდომი რომ გათავდება, მიკროსკოპისა იწყება. რომელი უფრო მეტს სწვდება, თქვენვე განსაჯეთ. ობი - მრავალ ყვავილთა გროვაა, ბინდი კიდევ ვარსკვლავთ გროვა. ისეთივე შერევა არის აქაც და უფრო წარმოუდგენელიც, როგორიც გონებრივ მოვლენათა და მატერიალური საგნების შეგუებაში. ირევიან ერთმანეთში ელემენტები და პრინციპები, ერთდებიან, ქორწინდებიან, მრავლდებიან ერთმანეთისგან, რომ ერთი და იმავე გონებრივსა და ნივთიერებრივ სიაშკარავემდე მივიდნენ. მოვლენანი მუდამ უბრუნდებიან თავის სახეს. შეუგნებელი ოდენობით იძვრის ქვეყნიერების სიცოცხლე მიუწვდომელ საიდუმლოებათა სივრცეში, აურაცხელ გარდაცვლას განიცდის, ყველაფრით სარგებლობს, არაფერს ტოვებს გამოუყენებლად. აქ უხილავ ცოცხალ არსებას აჩენს, იქ ვარსკვლავს ფხვნის, მიისწრაფის, მიიკლაკნება, სინათლეს ძალად აქცევს, ფიქრს - ელემენტად. თვითონ უხილავია, გაფანტული, მაგრამ განუყოფელი და ყველაფერს შლის და ხსნის, გარდა იმ გეომეტრიული წერტილისა, რომელსაც „მე“ წარმოადგენს; სულს, ატომს უძღვნის ყველაფერს, ღმერთად აყვავებს ყოველივეს. ერთმანეთს აბამს უზენაეს და უქვენაეს ყოველგვარ მოქმედებას, პატარა მწერის ფრენას უკავშირებს დედამიწის ბრუნვას, და, ვინ იცის, იქნებ კიდეც აკავშირებს კუდიანი ვარსკვლავის ზეცის სივრცეში მოძრაობას ინფუზორიის ერთ წვეთ გუბის წყალში ტრიალთან. ქვეყნიერება არის სულით შექმნილი მანქანა, უზარმაზარი მექანიზმი, რომლის პირველი ძრავი მუმლი და უკანასკნელი ბორბალი - ზოდიაქოა.

## თავი მეოთხე
## მოაჯირის შეცვლა

მთლად შეცვლილიყო დანიშნულება ამ ბაღისა. სახლიც და ბაღიც იმ მიზნით მოეწყოთ, რათა დაემალა შემარცხვენელი სიყვარულის საიდუმლოება. ახლა კი წმინდა უმანკოების საიდუმლოებას ფარავდა. აღარც ხეივანი ჰქონდა, აღარც ძველი, ბურთის სათამაშო კორდები, აღარც გვირაბი და მღვიმეები. მშვენიერი ჩრდილი ფარავდა სახლს, ფოთლოვანი და ყვავილოვანი. პათოსი ედემად გადაქცეულიყო. ისე იყო, თითქოს ვიღაცის მონანიებამ განწმინდა და განკურნა სახლიც და ბაღიც და ეს თაიგული ახლა წმინდა სულს ატკბობდა თავის ყვავილით. ამ კეკლუც ბაღს, შერცხვენილს წინათ და სახელგატეხილს, უმანკოება და კდემამოსილება დაებრუნებინა. ბ. თავმჯდომარეს და მის მებაღეს - ბატონს ლამუანონის დარად მიაჩნდა თავი, მებაღეს - ლენოტრის დარად შეელამაზებინა ბაღი, გაესხლათ, გაეწმინდათ, მოეკაზმათ და სიყვარულის ბუდედ ექციათ. მაგრამ მერე ბუნებამ კვლავ აჩრდილით აავსო და თავისებურად დაამშვენა წმინდა სიყვარულისთვის.

ამ განმარტოებულ, დაბურულ ბაღში აღმოჩნდა არსება, რომელიც მზად იყო სიყვარულისთვის გადაეშალა გული. ოღონდ გამოჩენილიყო სიყვარული, მას

დახვდებოდა ტაძარი მწვანე ბალახისა, ყვავილებისა, ფრინველების ვიშისა, ნაზი ჩრდილისა, მოქანავე ხის ტოტებისა და სული წმინდა, უმანკო, რწმენითა და მომავლის ტკბილი იმედით აღსავსე.

ჯერ თითქმის ბავშვი იყო კოზეტი, მონასტრიდან რომ გამოვიდა; ის-ის იყო, თოთხმეტი წლისა გახდა, ასე რომ, გარეგნობისთვის მეტად „უმადურ“ ასაკში იყო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სახე ულამაზო ჰქონდა, მხოლოდ მშვენიერი თვალები ალამაზებდა. ამასთან გამხდარი იყო, მორიდებული, მოუქნელი, ზოგჯერ გამბედავიც, ერთი სიტყვით, მოზარდი იყო.

სწავლა დაესრულებინა. ესე იგი, მას გააცნეს სარწმუნოება, მეტადრე შთააგონეს ღვთისმოშიშობა; ასწავლეს ის საგანი, რომელსაც მონასტერში „ისტორიას“ უწოდებენ, გეოგრაფია, გრამატიკა. საფრანგეთის მეფეების სახელები, ცოტა მუსიკა, პროფილის დახატვა. სხვა კი არაფერი გაეგებოდა. და სწორედ ეს არის, რომ მომხიბვლელს ქმნის მოზარდს და თან მრავალ მარცხს უქადის; სიცოცხლის მოთხოვნილებათა გაუცნობლად არ უნდა იზრდებოდეს ქალი, თორემ, რომ წამოიზრდება, მის წინ აღიმართება მკვეთრი და თვალისმომჭრელი მირაჟები; ეს არის აუცილებელი ხვედრი ბნელში აღზრდილი ქალისა. ნელ-ნელა, ფრთხილად უნდა ავუხილოთ თვალი. უფრო ცხოვრების მიმდინარეობის ანარეკლით, ვიდრე თვით ცხოვრების მედგარი სინამდვილით. მკრთალი სინათლე არის აქ საჭირო, წმინდა შთაგონებითი ძალით, რომ გაუქარვოს ბავშვური შიში და ააცილოს განსაცდელი. დედობრივმა ალღომ იცის მხოლოდ, რომელშიც ერთად არიან დედის ქალწულური ოცნებანი და დედაკაცის გამოცდილება, როგორ და რით მოაგვაროს ეს მკრთალი სინათლე. ეს დედის ვალდებულება არის და აქ მშობელს ვერაფრით შეცვლით. მთელი ქვეყნის მონაზვნები ვერ შეედრება ერთ დედას. კოზეტს კი დედა არ ჰყავდა. დედები ჰყავდა მრავალი.

რაც შეეხება ჟან ვალჟანს, იგი განხორციელებული სინაზე და მზრუნველობა იყო ბავშვისადმი, მაგრამ ბებერი კაცი იყო და არაფერი გაეგებოდა ქალის აღზრდისა.

ძალიან მნიშვნელოვანია ქალის აღზრდა, ქალის მომზადება ცხოვრებისთვის. დიდი ცოდნაა საჭირო, რომ შევებრძოლოთ იმ დიდ უცოდნელობას, რომელსაც უმანკოება ეწოდება.

ისე კარგად არაფერი ამზადებს მოზარდ ქალში ვნებიანობას, როგორც მონასტერი. მონასტერია, რომ უცნობელისკენ მიაქცევს ქალის ოცნებას. საალერსო არავინ გააჩნია გულს, არც დედ-მამა, არც და-ძმა; გულშივე იკლავს ამ გრძნობას და ოცნებით ტკბება. აქედან - მრავალი ჩვენება, შეუძლებლის წარმოდგენა და დასკვნა, რომანების მონახაზი, უცნაური თავგადასავლის ნატვრა, ფანტასტიკური ზმანება, ჰაეროვანი კოშკები, გონების წყვდიადში ნაგები, სავსე ბნელი, საიდუმლო კუნჭულებით, სადაც ჟინიანი ვნება დაიბუდებს, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემა. მონასტერი არის უღელი, რომელიც მხოლოდ მაშინ იმორჩილებს ადამიანის სულს, როდესაც სიკვდილამდე არსად გაუშვებს.

მონასტრიდან გამოსული კოზეტი უფრო მიმზიდველს და ამასთანავე უფრო საშიშს ვერაფერს იპოვიდა, ვიდრე ეს სახლი იყო პლუმეს ქუჩაზე თავისი განმარტოებულობით. ეს გახლდათ იგივე სიმარტოვის გაგრძელება, მაგრამ თავისუფლების დასაწყისი. ჩაკეტილ ბაღში დიდებული, სურნელოვანი, ვნების ამშლელი ბუნება გადაშლილიყო. აქაც იგივე ოცნება შეეძლო, რაც მონასტერში,

თუმცა ახალგაზრდა ვაჟებსაც მოჰკრავდა ზოგჯერ თვალს. ბაღს მოაჯირი ეკრა, მაგრამ ქუჩაში მიმავალი მგზავრი მაინც ჩანდა.

ოღონდ ამ სახლში რომ შევიდა კოზეტი, ამას განმეორებით ვამბობთ, ჯერ ბავშვი იყო. ჟან ვალჟანმა მას მიაწერა მოუვლელი ბაღი და, - შენ იცი, როგორც გინდა, ისე ისიამოვნეო, - უთხრა. მართლაც სიამოვნებდა ბაღში კოზეტი. იქ ატარებდა დროს, იქ თამაშობდა, იქ ერთობოდა. ჯერჯერობით ოცნება არ მორეოდა. უყვარდა ეს ბაღი, უყვარდა ბალახებში ქვების ქვეშ მწერების სინჯვა. ჯერ არ დასდგომოდა ის ხანი, როდესაც ქვებისკენ კი არა, ვარსკვლავებისკენ მიმართავდა თვალსა და ოცნებას.

გარდა ამისა, მამა უყვარდა. ესე იგი, ჟან ვალჟანი. უყვარდა, როგორც მშობელი მამა, ერთადერთი მხსნელი და მფარველი, ერთადერთი იმედი, რომლის უსაზღვრო სიყვარულსაც ხედავდა და სიკეთით სავსე გულსაც. მკითხველს ეხსომება, რომ ბ. მადლენი ბევრს კითხულობდა, და ახლა ამას ჟან ვალჟანი განაგრძობდა. საბაასო მასალაც ბევრი ჰქონდა და გონებრივი თვითგანვითარებით მიღწეული მჭევრმეტყველებაც. ცხოვრების მწვავე ვარამისა იმდენიღა დარჩენოდა სწორედ, რომ შეემცირებინა მისი ხშირად გადაჭარბებული გულკეთილობა და ბაღში როცა იყვნენ, მიყრუებულ ხეივანში, ჟან ვალჟანი ბევრს უამბობდა, ბევრს უხსნიდა და განუმარტავდა იმისთანას, რაც ჯერ გაუგებარი იყო კოზეტისთვის. ყურს უგდებდა ქალი და თვალს ავლებდა იქაურობას.

ეს ალალმართალი კაცი სავსებით აკმაყოფილებდა კოზეტის სულიერ მოთხოვნილებას და ეს გაველურებული ბაღი - მის გრძნობას. რომ დაიღლებოდა პეპლების დევნით, ჟან ვალჟანთან მიირბენდა დაქანცული და ახარებდა, - უჰ, რამდენი ვირბინეო. და ისიც შუბლზე კოცნიდა.

აღმერთებდა მამობილს კოზეტი. სულ უკან სდევდა. კარგად იქ გრძნობდა თავს, საცა ჟან ვალჟანი იყო. და რადგან ჟან ვალჟანი არც სახლში იყო, არც ბაღში, ბავშვიც უფრო ხშირად უკანა მოკირწყლულ ეზოში თამაშობდა, ვიდრე ყვავილებით სავსე ბაღში. და უფრო ხშირად მამობილის უბრალოდ მოწყობილ ოთახში იყო, ვიდრე თავის მორთულ-მოკაზმულ სახლში. ხანდახან სიცილით ეტყოდა ხოლმე ჟან ვალჟანი და ნეტარებით ევსებოდა გული, რომ მას ასე ხშირად აწუხებდნენ:

- წადი შენს სახლში! მარტო დამტოვე ცოტა ხანს!

კოზეტმაც იცოდა საყვედური, უფრო გულწრფელი, მით უფრო ტკბილი, რომ ბავშვისგან იყო მამისადმი მიმართული, როგორც დარიგება:

- მამა, ლამის გავიყინო თქვენს ოთახში, რატომ ხალიჩას არ გააშლევინებთ და ღუმელს არ აანთებთ?

- ეჰ, შვილო! რომ იცოდე, რამდენია ჩემზე უკეთესი, რომ ჭერიც კი არა აქვს და ცისქვეშ გდია ამ ცივ ზამთარში.

- მაშ, ჩემს ოთახებში რაღად თბილა? იქ რაღად აგია ის ხალიჩები?

- იმიტომ, რომ შენ ქალი ხარ, და მერე ბავშვი.

- ვაი! მაშ კაცები უნდა იყინებოდნენ?

- ზოგიერთი.

- ძალიან კარგი. მეც ასე ხშირად მოვალ და ისე დიდხანს დავრჩები თქვენთან, რომ იძულებული იქნებით ცეცხლი აანთებინოთ.

მერე პურზე გადაეკიდა:

- მამა, მაგ საძაგელ პურს რად მიირთმევთ?

- იმიტომ, შვილო, რომ ასე უნდა.

- ჰოდა, თუ აგრეა, მეც შავ პურს გიახლებით.

იმისთვის, რომ კოზეტს მართლა არ ეჭამა შავი პური, თვითონაც თეთრი პურის ჭამა დაიწყო.

ბავშვობისა თითქმის აღარაფერი ახსოვდა კოზეტს. დილა-საღამოს ყოველთვის თავის დედას ავედრებდა ღმერთს, თუმცა აღარ ახსოვდა. ტენარდიე ჩარჩენოდა მეხსიერებაში, ცოლ-ქმარი. ორი საშინელი, საზიზღარი ჩვენება. ისიც ახსოვდა, რომ ერთხელ ღამე ტყეში იყო მარტოდმარტო წყლის მოსატანად. სადღაც შორს ეგონა მომხდარიყო ეს ამბავი, პარიზიდან ძალიან შორს. ისე აგონდებოდა წარსული, ვითომ ღრმა, ბნელ ორმოში ყოფილიყო და ჟან ვალჟანს ამოეყვანა იმ სიღრმიდან; კიდევ კარგი, რომ ამოეყვანა, თორემ იქ სულ გველები ეხვია თავისი წარმოდგენით, ობობები და ცხრაფეხა ჭიები. რომ ჩაწვებოდა ღამე ლოგინში და ჩაფიქრდებოდა, - ნეტავ, მართლა მამა არის ჩემი ჟან ვალჟანიო? - მოუვლიდა ფიქრი, რომ მისი დედის სული ჩასდგომოდა ჟან ვალჟანს, რომ თავის შვილთან ეცხოვრა.

მიუჯდებოდა ხოლმე მამობილს, ლოყას მიადებდა მის ჭაღარა თმას, ჩუმად გადმოაგდებდა ცრემლს და იძახდა:

- იქნება დედაჩემი არის ეს კაცი, ასე რომ ვუყვარვარ.

მონასტერში აღზრდილ ქალს, ჯერ ისევ ბავშვს, არაფერი გაეგებოდა დედობისა, და იმ აზრს დაადგა, რომ ძალიან ცოტა დედა ჰყავდა, ძალიან ცოტა, ისე რომ სახელიც კი არ იცოდა მისი. მართალია, ჰკითხავდა ხოლმე ჟან ვალჟანს, - დედაჩემს რა ერქვაო, მაგრამ პასუხს არ აძლევდა მამობილი. თუ გაუმეორებდა კითხვას, ჩააცივდებოდა, ჟან ვალჟანი იღიმებოდა და პასუხს მაინც არ აძლევდა. ერთხელ კი ისე ჩააცივდა, რომ ჟან ვალჟანის ღიმილს ცრემლიც გადმოჰყვა.

ბნელში ხვევდა კოზეტს ჟან ვალჟანის დუმილი.

რად უმალავდა? სიფრთხილით იყო, მიცვალებულისადმი პატივისცემით, თუ შიშით, - სხვის ვისიმე მეხსიერებას როგორ ვანდო იმ უბედურის სახელიო.

მანამ ბავშვი იყო კოზეტი, სიამოვნებით ელაპარაკებოდა ჟან ვალჟანი თავის დედაზე, და რომ წამოიზარდა, შეუძლებლად ეჩვენა მისი ხსენება. ისე იყო, რომ ვეღარ ბედავდა კოზეტთან დედამისის მოგონებას. კოზეტს უფრთხილდებოდა, თუ დედას არ ადარდებდა? საშინელი შიში ერეოდა, სარწმუნოებრივი, როდესაც წარმოიდგენდა, რომ შეიძლება კოზეტს გულში ჩარჩეს ფანტინი და ამგვარად მკვდარი ჩაერიოს მათ ცხოვრებაში, წმინდად მიაჩნდა ფანტინი, წამებულად, მაგრამ მაინც საშიშრად მისი ჩარევა. ფანტინზე ფიქრობდა და დუმილი ერეოდა. რაღაც ჩრდილს ხედავდა ბნელში მკრთალად და ისე ეჩვენებოდა, თითქოს თითი მიედო პირზე, - ჩუმად იყავიო! მეტად მორცხვი იყო ფანტინი. ცხოვრების ვარამმა მთლად დააკარგვინა მორცხვობა. ახლა? - ნუთუ უკანვე დაუბრუნდა მორცხვობა, უკვე გარდაცვლილს, ახლა სდარაჯობს აღშფოთებული, რომ საფლავშიც კი აღარავინ დაარღვიოს მისი მოსვენება? ნუთუ თავისდა უნებურად თვითონაც განიცდიდა იმ ჩრდილის ბრძანებას ჟან ვალჟანი? ჩვენ გვწამს სიკვდილი და, მაშასადამე, არა ვართ იმათგანი, რომელთაც უაზრობად ეჩვენებათ ეს საიდუმლოებრივი განმარტება. ეს იყო მიზეზი, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ფანტინის სახელის ხსენება იმის ქალთან.

ერთხელ კოზეტმა უთხრა:

- წუხელის დედაჩემი ვნახე სიზმარში. ორი ფრთა ჰქონდა, დიდრონი, ალბათ წმინდა იყო თავისი ცხოვრებით.

- თავისი წამებით, - დაუმატა ჟან ვალჟანმა.

საერთოდ კი ბედნიერად გრძნობდა თავს ჟან ვალჟანი.

ერთად რომ წავიდოდნენ სადმე, მამობილის მკლავს ეყრდნობოდა კოზეტი, ამაყი, ბედნიერი, გულდამშვიდებული. გრძნობდა ამ დიდ სიყვარულს ჟან ვალჟანი. ცხადად ხედავდა და ნეტარებას განიცდიდა. თრთოდა საწყალი კაცი, ისე ერეოდა ანგელოზებრივი სიხარული; აღტაცებით იმშვიდებდა თავს, - ასე ვიქნებით, მანამ ცოცხალნი ვართო. სულ იმას ფიქრობდა, - ღირსი არა ვარ ამ ნეტარებისა; იმდენი ტანჯვა არ გამომივლია, რომ ასეთი ბედნიერება დამემსახურებინაო, - და გულის სიღრმიდან მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ ასე შეაყვარა ის, განწირული, ანგელოზივით უმანკო არსებას.

## თავი მეხუთე
## ვარდი ამჩნევს, რომ ომის იარაღი გამხდარა

ერთხელ შემთხვევით ჩაიხედა კოზეტმა სარკეში და დაიძახა: - ოჰო!

თითქმის ლამაზად ეჩვენა თავი და ამან უცნაურად ააღელვა.

აქამდე არც უფიქრია გარეგნობაზე. კოზეტი იხედებოდა სარკეში, მაგრამ თავის თავს არ უკვირდებოდა. გარდა ამისა, ხშირად სმენია, როგორც ამბობდნენ მასზე, - ლამაზი არ იქნება, რომ გაიზრდებაო. მარტო ჟან ვალჟანი ეტყოდა ხოლმე ტკბილად, - არა, შვილო, არა! - მაგრამ მასაც არ სჯეროდა და ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ლამაზი არ არის. ეს სწამდა და ამ რწმენით, ბავშვურად ადვილად მიღებულით, წამოიზარდა, და აი, უცბად სულ სხვა უთხრა სარკემ, სწორედ ისე, როგორც ჟან ვალჟანმა იცოდა: - არა, შვილო, არა!

ძილი არ მოჰკიდებია იმ ღამეს.

- იქნებ მართლა ლამაზი ვარ! რა კარგი იქნება, რომ ლამაზი ვიყო!

ამხანაგები აგონდებოდა, პანსიონელები, რომელთა სილამაზე განთქმული იყო მონასტერში და იძახდა:

- როგორ? მეც ისეთი ვიქნები, როგორიც ის კეკლუცი ქალბატონი?..

მეორე დღესაც მივიდა სარკესთან, ოღონდ შემთხვევით კი არა, მთელი ღამის ფიქრების გადასაწყვეტად და ეჭვი მოერია:

- რამ გადამრია წუხელის? რის სილამაზე? რა სილამაზე? მე გონჯი ვარ.

არც კი სძინებია წინა ღამეს. ფერმკრთალი ადგა, თვალმილეული. წუხელის რომ ლამაზად ეჩვენა თავი, არც ძალიან გახარებული იყო ამ აღმოჩენით; მაგრამ დღეს კი ძალიან დაღონდა, რაკი ნახა, რომ შეცდომით მოეჩვენა თავისი სილამაზე. აღარ მიეკარა სარკეს და თმასაც კი ისე ივარცხნიდა მთელი ორი კვირის განმავლობაში, რომ ზურგს უკან ჰქონდა მატყუარა სარკე.

საღამოხანს სადილს შემდეგ ჩვეულებრივ ქარგას მიუჯდებოდა ხოლმე კოზეტი, ან სხვა რამ მონასტერში ნასწავლ ხელსაქმეს. ჟან ვალჟანიც გვერდზე უჯდა ყოველთვის და უკითხავდა რამეს. როგორღაც თვალი მოაშორა ქარგას, ჟან ვალჟანს შეხედა და გაკვირვებული დარჩა, მწუხარებით სავსე თვალით შეჰყურებდა მამობილი.

ერთხელ კიდევ, ქუჩაში რომ მიდიოდა, უკანიდან მოესმა ვიღაცის ხმა:

- ლამაზი ქალია. ოღონდ უშნოდ ჩაცმული.

არც კი მიბრუნდა, რომ ენახა ამ სიტყვის მთქმელი:

- იჰ, ჩემზე არ იტყოდა ამას, მე ლამაზი არა ვარ და მორთული კი ვარ.

თივთიკის კაბა ეცვა და ბამბის ხავერდის ქუდი ეხურა.

თავის ბაღში იყო ერთხელ და ყური მოჰკრა, როგორ ეუბნებოდა ბებერი ტუსენი ჟან ვალჟანს:

- ხედავთ, ბატონო, როგორ გალამაზდა პატარა ქალბატონი? - ის კი ვეღარ გაიგონა, რა უთხრა ამაზე მამობილმა. მაგრამ ბებერი დედაკაცის ნათქვამმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება იქონია ქალზე, რომ მაშინვე შინისკენ გაიქცა, ავარდა თავის ოთახში, ეცა სარკეს. სამი თვე იყო, სარკეში აღარ ჩაეხედა. ჩაიხედა სარკეში და ისე მოეწონა თავისი მშვენიერება, რომ უცბად შეჰყვირა აღტაცებულმა.

ლამაზიც იყო და მშვენიერიც! ძალაუნებურად დაეთანხმა ტუსენის ნათქვამს თუ არა, თავის სარკეს.

ტანმაღალი ქალი იყო, წერწეტა წელი ჰქონდა, თეთრი კანი, ვარდისფერი ღაწვი, დიდრონი თვალები, რომელთაც რაღაც ახალი ალი წაჰკიდებოდა. ერთმა წამმა იკმარა, რომ სრული რწმენა აღმოჩენილიყო მის შეგნებაში თავისი სილამაზისა. ან რაღა იყო საეჭვო? სხვებიც ამას ამბობდნენ, ტუსენმაც იგივე თქვა; ცხადია, ქუჩაშიც მასზე იყო ნათქვამი, - ლამაზია, მაგრამ უშნოდ ჩაცმულიო. - არა, ეჭვი შეუძლებელი იყო და ქალი ბაღში ჩავიდა. დედოფლად ეჩვენებოდა თავი. ჩიტების გალობა ესმოდა იმ შუა ზამთარში, მოწმენდილი ელანდებოდა ცა, მზის სხივს ხედავდა ყველგან, ხეებში, ყვავილების ბუჩქებში. შეშლილივით იყო გახელებული, გამოუთქმელი სიხარულით აღტაცებული.

ჟან ვალჟანს კი მწუხარება ერეოდა, სევდით უვსებდა გულს.

რამდენიმე ხანი იყო, გულისწუხილით ხედავდა, როგორ დღითი დღე ემატებოდა კოზეტს მშვენიერება და კეკლუცობა. ის, რაც ბრწყინვალე განთიადი იყო სხვებისთვის, მისთვის მწუხრი გამხდარიყო.

საგულისხმოა, რომ კარგა ხანია, ასე იცვლებოდა კოზეტი და თვითონ კი ვერას ამჩნევდა. სიმშვენიერის მოულოდნელი სხივი ეფინებოდა ნელ-ნელა კოზეტს და ამ სხივს ვერ გაუძლო ჟან ვალჟანის მოღუშულმა თვალმა. გრძნობდა, რომ ამას მოჰყვებოდა შეცვლა მისი ბედნიერი ცხოვრებისა. იმდენად ბედნიერი იყო კაცი, რომ ფიქრითაც კი ვერ ბედავდა რისიმე შეცვლას, - სულაც არ დავკარგო ჩემი ნეტარებაო. მრავალი უბედურება ენახა საბრალოს. მრავალი სულიერი ჭრილობა ჰქონდა, ჯერაც მოუშუშებელი; ავი კაცი იყო ერთხანს, თითქმის ბოროტი; ახლა ლამის წმინდანად გარდაქმნილიყო. კატორღის ჯაჭვი მაინც სდევნიდა უბედურს, მართალია უხილავი, მაგრამ მეტად მძიმე, ჯაჭვი საზოგადოებისგან ჩასაქვავებლად განწირულისა, კანონის მიერ დევნილისა. რომ დაეჭირათ, უხილავი სათნოებიდან ისევ ყველასთვის სანახავ სიწბილეში გადაიყვანდნენ და ჯაჭვს შეაბამდნენ. ყველაფერს აიტანდა ეს კაცი, ყველაფერს მოითმენდა, ყველაფერს აპატიებდა, ყველაფერს მოიწონებდა და აკურთხებდა, აღარაფერი უნდოდა ღვთის, ბედის, ხალხის, კანონების, საზოგადოების, ბუნებისა და ქვეყნიერებისგან, ოღონდ კოზეტს ჰყვარებოდა.

დიახ, ოღონდ კოზეტს ჰყვარებოდა!

სულ იმას შესთხოვდა ღმერთს, - კოზეტის სიყვარული არ მომიშალო, ჩემია დღეს ამ ბავშვის გული და ჩემად დარჩეს, სანამ ცოცხალი ვარო.

კოზეტს უყვარდა იგი და ამით იყო დამშვიდებული, განკურნებული, მოსვენებული, დაჯილდოებული, დაგვირგვინებული. კოზეტს უყვარდა და ცოცხალი იყო. სხვა აღარაფერი უნდოდა. რომ ეკითხათ, - უკეთესი გინდა რამეო? - არაო, - უპასუხებდა, თვით ღმერთს რომ ეკითხა, - ცათა შინა ყოფნა გინდაო? - არაო, - უპასუხებდა, - ბევრს წავაგებო.

სულ წვრილმანი რამ რომ შეხებოდა კოზეტის ცხოვრებას და იოტისოდენი წაეხდინა, თუნდაც მარტო ზედაპირზე, მაინც შიშით ავსებდა ჟან ვალჟანს და ისე ეჩვენებოდა, როგორც დასაწყისი დიდი უბედურებისა. არ იცოდა, და არც ოდესმე სცოდნია, რა არის ქალის სილამაზე; მაგრამ ალღოთი გრძნობდა, რომ საშინელი რა უნდა ყოფილიყო.

კოხტად იშლებოდა ვარდი, უფრო და უფრო ტურფა და მომხიბლავი; იშლებოდა ჟან ვალჟანის გვერდით, მის თვალწინ და ისიც შიშით შეჰყურებდა საკუთარი სიგონჯის, სიბერის, სიღარიბის, განწირულებისა და დამცირების სიღრმიდან თავის ტოროლას. გრძნობდა, რომ ხელიდან გამოაცლიდა ეს სილამაზე ერთადერთ ნუგეშს.

- რა ლამაზია ეს საძაგელი! - იძახდა ჟან ვალჟანი, - მერე მე? მე რაღა მომელის უამისოდ?

ამით განსხვავდებოდა მამობილისა და დედის სიყვარული: ის შიშით და მწუხარებით ხედავდა ქალის გალამაზებას, დედას კი ნეტარებითა და ტკბილი იმედით აევსებოდა გული.

მალე აღმოჩნდა პირველი ნიშნები ამ სილამაზის შედეგებისა.

კოზეტმა მეორე დღესვე, რაკი სარკემ დაარწმუნა, რომ კოხტა, ლამაზი იყო, მეორე დღესვე დიდი ყურადღებით ჩაიცვა ტანისამოსი და მოიკაზმა. იმ კაცის ნათქვამი ედგა ყურში, ქუჩაში რომ გაიგონა, - ლამაზია, მაგრამ უშნო ჩაცმულიო, - ყურში ედგა, თითქოს მისანი ყოფილიყოს, ეთქვას თავისი და გამქრალიყოს. ტოროლას კი გულში ჩაეტოვებინა თესლი იმ ორი ნეტარებისა, რომლითაც სულდგმულობს ქალი: თესლი კეკლუცობისა. მეორე თესლი - სიყვარულისა ჯერ არსად იყო.

თავისი სილამაზე უნდა სწამდეს ქალს, რომ მასში გაიშალოს სული დედაკაცისა. ზიზღით შეხედა თივთიკის კაბას და სირცხვილით ბამბის ხავერდის ქუდს. რაც უნდა ეთხოვა, ყველაფერს აუსრულებდა მამობილი. მას ერთბაშად შეეთვისებინა მთელი მეცნიერება კოხტა კაბისა და ზედატანისა, მოხდენილი ქუდისა და ფეხსაცმლისა, კოპწია გულისპირისა და მაჯებისა, მშვენიერი ქსოვილისა, სახის მომხიბლავი ფერისა, - მთელი ის მეცნიერება, რომელიც ისე ამშვენებს პარიზელ ქალს, გულწარმტაცად ქმნის და თან საშიშრადაც. პარიზელი ქალისთვის არის გამოგონილი სიტყვა - ეშხით დამთრობი.

ერთი თვე არც კი დასჭირდა პატარა კოზეტს, რომ უდაბური ბაბილონისა და პლუმეს ქუჩაში მცხოვრები ერთი მშვენიერთაგანი გამხდარიყო, რაც დიდ მიღწევას წარმოადგენდა, და საუკეთესოდ მორთულიც, რაც აუცილებლად საჭირო არის ლამაზი ქალისთვის. ძალიან უნდოდა კიდევ შეხვედროდა სადმე იმ გამვლელს, რომ ენახა, - ახლა რაღასა ბრძანებდა? - რომ ჭკუა ესწავლებინა მისთვის. მშვენიერება იყო, ყველაფრით შემკული და აგრეთვე გემოვნებითაც, - საკვირვლად კარგად ცნობდა, ვისი მოკაზმული იყო ქალის ქუდი, ჟერარის თუ დ-ერბოსი.

მწუხარებით შესცქეროდა ყოველივე ამას ჟან ვალჟანი. გრძნობდა, რომ თვითონ მხოლოდ ცოცვა შეეძლო, სიარული, თუ მეტი გნებავთ, და ხედავდა, რომ ფრთებს ისხამდა კოზეტი.

თუმცა ქალი თუ დააცქერდებოდა მის ტანსაცმელს, მაშინვე მიხვდებოდა, რომ დედა არ ჰყავდა ამ კეკლუცს. ბევრი რამ გამოჰპარვოდა კოზეტს წვრილმანი, მაგრამ აუცილებელი. დედა რომ ჰყოლოდა, ეტყოდა, რომ ყმაწვილმა ქალმა, გასათხოვარმა, არ უნდა ჩაიცვას არაფერი ქამხისა.

პირველად რომ მოირთო კოზეტი და სასეირნოდ წავიდა ქამხის ახალი, მოკლე წამოსასხამით და თეთრი მარმაშის ქუდით, მკლავში გაუყარა ჟან ვალჟანს ხელი და ისე მისდევდა ჩვეულებრივად, ოღონდ მხიარული იყო, აღტაცებული, ვარდივით მშვენიერი, ამაყი, თავმომწონე.

- როგორ მოგწონვართ, მამიკო, ასე მორთული?

- მშვენიერი ხარ, შვილო, - უთხრა ჟან ვალჟანმა იმ ხმით, რომელიც შურიანის სიმწრით წარმოთქმულს ჰგავდა.

ჩვეულებისამებრ ისეირნეს იმ დღეს. შინ რომ მივიდნენ, კოზეტს ჰკითხა:

- იმ კაბას აღარ ჩაიცვამ, გუშინ რომ გეცვა?

კოზეტის ოთახში იყვნენ. მიბრუნდა კოზეტი განჯინისკენ, სადაც მისი ტანისამოსი ეკიდა, სხვათა შორის პანსიონელის ფორმის კაბაც, და თქვა:

- ამ საზიზღრობას? აბა, რად გინდათ, მამიკო, რომ ესენი მეცვას? ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მაჯლაჯუნასა ვგავარ, ეს რომ მაცვია.

მწარედ ამოიოხრა ჟან ვალჟანმა.

წინათ სულ იმას ეხვეწებოდა კოზეტი, - ჩემთან იყავით, ნურსად წახვალთ, მე თქვენთან უფრო ვერთობიო, - და ახლა კი სულ იმას სთხოვდა, - გავიდეთ, გავისეირნოთო. მართლაც, რად უნდა ქალს წერწეტი წელი და ტურფა სახე, თუ შინ იჯდება და არავის დაანახვებს?

ისიც შენიშნა ჟან ვალჟანმა, რომ წინანდებურად აღარ სწყალობდა კოზეტი უკანა ეზოს და მამობილის ოთახს. უფრო ბაღში ტრიალებდა, ან ბაღის მოაჯირთან დასეირნობდა. დაღონებული იყო ჟან ვალჟანი და, ეს რომ ნახა, ფეხი ამოიკვეთა ბაღიდან; უკანა ეზოში იყო, როგორც ძაღლი.

იცოდა კოზეტმა, რომ ლამაზი იყო და დაჰკარგვოდა სიკეთე ამის უვიცობისა. ტკბილი სიკეთე, რადგან უვიცობით დამშვენებული სილამაზე სათნოებად ხდება, და არაფერია ისეთი წარმტაცი, როგორიც უმანკო მშვენიერება, რომელსაც ხელში უჭირავს სამოთხის გასაღები, და ის კი არ იცის, რის პატრონია. მაგრამ თუ ცოტა რამ დაჰკარგვოდა ბავშვური უცოდნელობისა, სამაგიეროდ, ბევრი შეეძინა ჩაფიქრებული მშვენიერებით. სიყმაწვილის სიხარულით იყო აღსავსე, უმანკოებითა და სილამაზით, მაგრამ მაინც ჩაფიქრებული იყო და დაღონებული.

ამ დროს იყო, რომ ექვსი თვის უნახავს შეხვდა მარიუსი ლუქსემბურგის ბაღში.

## თავი მეექვსე
## დასაწყისი ბრძოლისა

კოზეტი თავის ბაღში, მარიუსი თავის ოთახში, მარტოდმარტონი იყვნენ და ნაპერწკალსღა მოელოდნენ, რომ ცეცხლი წაჰკიდებოდათ. განგება იყო, რომ

იდუმალი მოთმინებით უახლოებდა ერთმანეთს ამ ორ არსებას, უკვე აღვსილი ვნების ცეცხლით. ისე მომწიფებოდათ გული სიყვარულისთვის, როგორც ელვით სავსე ღრუბელს ჭექა-ქუხილისთვის, და ისღა აკლდათ, შეხვედროდნენ სადმე ერთმანეთს და ერთი თვალის გადაკვრით შეერთებულიყვნენ აღგზნებული სულით.

ისე ხშირად ნახავთ ჩვენს სიყვარულის რომანებში ამ „ერთი თვალის გადაკვრას“, რომ ბოლოს სულაც უსაფუძვლოდ ცნეს და უარყვეს. დღეს ვეღარავინ ბედავს თქვას, რომ - შეიყვარეს, რადგან ერთმანეთს უყურებდნენო, - და ნამდვილად კი სწორედ ამით იწყება სიყვარული, და მარტო ამით სწორედ. დანარჩენი თან მოსდევს ამას. არაფერია იმისთანა მძლავრი, როგორიც ეს ბიძგი, ერთმანეთს რომ წაჰკრავს ორი არსება და ცეცხლს აუნთებს.

კოზეტმა რომ შეუცნობლად მზერა ესროლა მარიუსს და აათრთოლა, მარიუსმაც იმითვე უპასუხა და ააღელვა კოზეტი.

გული დაუჭირეს ერთმანეთს და ნეტარებით აუვსეს.

კარგა ხანი იყო, ხედავდა კოზეტი მარიუსს, უყურებდა, ათვალიერებდა, როგორც ქალებმა იციან, - ხედავენ და ათვალიერებენ, თუმცა თვალით სხვაგან იყურებიან. - ჯერ არ მოსწონდა მარიუსს კოზეტი და კოზეტს კი ლამაზ ბიჭად მიაჩნდა მარიუსი; მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა მარიუსი და ისიც იყო თავისთვის, დამშვიდებული.

მაინც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მშვენიერი თმა ჰქონდა იმ ყმაწვილს, ლამაზი თვალები, ტკბილი ხმა, - ბაღში შეხვდებოდნენ ხოლმე მარიუსს ამხანაგები და იმათ საუბარსაც ისმენდა ხანდახან, - კარგად ვერ დადიოდა, მართალია, მაგრამ უხდებოდა თავისი იერი; ჭკვიან ბიჭს ჰგავდა, პატიოსანს, გულკეთილს, თავმდაბალს, მაგრამ თავმოყვარეს და ამაყს. ღარიბს ჰგავდა, მაგრამ ღირსეულს.

ბოლოს რომ თვალი გადაჰკრეს ერთმანეთს და უცბად ამცნეს გულისნადები, ეს პირველი ჩუმი და გამოუთქმელი აღსარება, რომელსაც თვალი გამოხატავს, კოზეტმა ჯერ ვერც კი გაიგო ეს მუნჯი ენა. ჩაფიქრებული მოადგა დასავლეთის ქუჩას; ჩვეულებისამებრ ჟან ვალჟანი იქ გადასულიყო მაშინ ექვსი კვირით. მეორე დილას რომ გაიღვიძა, მაშინვე ის უცნობი ყმაწვილი კაცი მოაგონდა. ამდენი ხნის განმავლობაში გაყინულ ბრმასავით მავალი, დღეს რომ შემოხედა კოზეტს. თითქოს არც ძალიან იამა მისი ყურადღება: ცოტა არ იყოს, გაჯავრებულიც იყო იმ ლამაზი ყმაწვილი კაცის საქციელით. „რა, აქამდე კი ბრმა იყო, რომ არ კადრულობდა საწყალი კოზეტის შემჩნევას? მაგაზე ნუ იქნება, თორემ თვითონ უარესს უზამს“. და სიხარულით აევსო გული, ჯერ ისევ ბავშვური სიხარულით, როდესაც დაემუქრა.

იცოდა, რომ ლამაზი იყო და გრძნობდა, თუმცა ბავშვურად, შეუგნებლად, რომ კარგად იყო შეიარაღებული. ისე თამაშობენ თავისი სილამაზით ქალები, როგორც ბავშვები კალმის დანით და გულსაც იჭრიან.

რა იცოდა პატარამ, როგორ ყოყმანობდა მარიუსი, როგორ თრთოდა, ვეღარ ბედავდა იმათი სკამისკენ გავლას. იჯდა თავის სკამზე, ანუ თუ სეირნობდა, იმათ სკამს ვეღარ უახლოვდებოდა: და სწორედ ეს აჯავრებდა კოზეტს. ერთხელ ჟან ვალჟანს სთხოვა, - მოდი, ახლა აქეთ ჩავისეირნოთო, - რომ მარიუსისკენ გაევლოთ. რაკი ნახა ბოლოს, რომ მარიუსი არ მოდიოდა, თვითონ წავიდა მისკენ. ამგვარ შემთხვევაში მაჰმადსა ჰგვანან ქალები, გარდა ამისა, ნამდვილი სიყვარულის პირველი ნიშანი კაცის მხრივ მოკრძალება არის და ყმაწვილი ქალისა გამბედაობა. საკვირველია,

მაგრამ სრულიად ბუნებრივი: ორი სქესი, ერთმანეთთან დაახლოების მონატრულნი, ერთიმეორეს უცვლიან თვისებებს.

იმ დღეს კი გადახედა კოზეტმა მარიუსს და გააგიჟა კაცი. გადახედა მარიუსმა კოზეტს და აათრთოლა ქალი. მარიუსი იმედიანად წავიდა შინისკენ, კოზეტი კი მოუსვენრად იყო. იმ დღიდან ისინი აღმერთებდნენ ერთმანეთს.

პირველი განცდა კოზეტის სიყვარულისა იყო ღრმა ჭმუნვა, გამოურკვეველი. ისე გრძნობდა თავს, თითქოს ერთი ღამის განმავლობაში მთლად მიღამებულიყო მისი სული. ვეღარ სცნობდა თავის სულს. სპეტაკი სიწმინდე ყმაწვილი ქალისა, ცივი და მხიარული, თოვლივით არის დ უმალვე დნება სიყვარულისგან, რადგან სიყვარული მზე არის, მისი მდნობი.

ჯერ არაფერი იცოდა კოზეტმა სიყვარულისა. ჯერ არსად გაეგონა ეს სიტყვა, მიწიერი მნიშვნელობით წარმოთქმული. მონასტერში შემავალ მუსიკის წიგნებში სიყვარულის, „ამურის“, მაგივრად ან „ტამბური“ იყო ჩაწერილი, ესე იგი დოლი, ან „პანდური“, ესე იგი უნგრელი ჯარისკაცი, ბრიყვი, გაუთლელი. ამით იყო რომ სიმღერა გამოცანას წარმოადგენდა მოზრდილთათვის, სრულიად გაუგებარს: „აჰ, რა ტკბილია ტამბური“. ან კიდევ: - „სიბრალული ხომ პანდური არ არის“... მაგრამ ისევ ბავშვი იყო მონასტერში ყოფნის დროს და „დოლსაც“ ტკბილად მღეროდა და „პანდურსაც“. ამიტომ იყო, რომ არ იცოდა, რა სახელი ჰქონდა იმ გრძნობას, რომელიც ასე მორეოდა. თავისი ავადმყოფობის სახელი შეიძლება არ იცოდეს კაცმა, მაგრამ მაინც იტანჯებოდეს.

მით უფრო მეტად უყვარდა კოზეტს, რომ სიყვარულისა არაფერი იცოდა, და მარტო გრძნობდა. არ იცოდა, კარგია თუ ავი ეს სიყვარული, სასარგებლო თუ მავნებელი, მაცოცხლებელი თუ მომაკვდინებელი, მარადი თუ წარმავალი, ნებადართული თუ აკრძალული? სიყვარულს გრძნობდა და განცვიფრებული დარჩებოდა, რომ ეთქვა ვინმეს: - მაშ, ძილი გაგიკრთათ? არა გრცხვენიათ! მადა აღარ გაქვთ! ხომ არ გაგიჟებულხართ? გული გიწუხთ, გულისცემას უჩივით... ახია თქვენზე! ხან ჭარხალივით აწითლდებით, ხან ფერი მიგდით და ყვითლდებით, ხეივანში რომ დაინახავთ ვიღაც შავად მოსილ ყმაწვილს? აი, შეგარცხვინათ ღმერთმა! - ვერაფერს გაიგებდა ამ რისხვისას და გულწრფელად უპასუხებდა:

- ჩემი რა ბრალია? მე ამისი არაფერი ვიცი და არაფერი შემიძლია.

კარგი ის იყო, რომ გული სწორედ იმ სიყვარულით ჰქონდა სავსე, რომელიც შეეფერებოდა მის სულიერ განწყობილებას. ერთგვარი თაყვანისცემა იყო ეს სიყვარული, შორით მზერა, შორით ტკბობა, გაღმერთება უცნობისა. ეს იყო სიყმაწვილისა და სიჭაბუკის შეხვედრა, ტკბილი სიზმარი რომანად ქცეული, მაინც სიზმრად დარჩენილი; ოცნება, უკვე განხორციელებული, მაგრამ ჯერ მას არც სახელი ჰქონდა, არც დანაშაული, არც რამე მწიკვლი, არც მოთხოვნილება, არც ნაკლი; ერთი სიტყვით, საყვარელი ჰყავდა კოზეტს შორეული, გაიდეალებული, ოცნება ხორცშესხმული. უფრო ახლოს რომ შეხვედროდნენ, შეხებოდნენ ერთმანეთს, შეშინებული იქნებოდა კოზეტი, იუცხოვებდა, რადგან ჯერ ისევ მონასტრის მიერ შთაგონებული სჯიდა ყველაფერს. ბავშვური შიში არ მოეშორებინა ჯერ კიდევ და ამას მონაზვნური შიშიც ემატებოდა. მონასტრის შთაგონებებით იყო გაჟღენთილი, ძალიან ნელა თავისუფლდებოდა მათი გავლენისგან და ყველაფერი საშიშრად ეჩვენებოდა და ასარიდებლად. იმ ყოფაში იყო კოზეტი, რომ მისთვის ლანდი იყო საჭირო და არა

მისდამი ტრფიალით გახელებული სიყვარული. თაყვანს სცემდა მარიუსს, როგორც რაღაც მომხიბლავ, ნათელმოსილ, შორეულ არსებას.

და რადგან უაღრესი უმანკოება უაღრესი კეკლუცობის მოსაზღვრეა, გულწრფელად უღიმოდა თავის ოცნებას.

მოუთმენლად მოელოდა ყოველდღე იმ დროს, როდესაც სასეირნოდ მოდიოდნენ. იქ ხედავდა მარიუსს, უსაზღვრო ბედნიერებით ევსებოდა გული და ღრმად სწამდა, რომ გულწრფელად გამოთქვამდა თავის სულიერ განწყობილებას, ჟან ვალჟანს რომ მიმართავდა აღტაცებული:

- რა მშვენიერი რამ არის ეს ლუქსემბურგის ბაღი!

ბნელში იყვნენ ერთმანეთისთვის კოზეტი და მარიუსი: ჯერ არ იცნობდნენ ერთიმეორეს, არ ლაპარაკობდნენ, სალმის მიცემასაც კი ვერ ბედავდნენ. ხედავდნენ ერთმანეთს და, როგორც ვარსკვლავები ზეცაში, რომელთა განმაცალკევებელი მანძილი მილიონობით ითვლება, ერთმანეთის ცქერით სულდგმულობდნენ.

კოზეტი ნელ-ნელა იზრდებოდა განვითარება ერეოდა და ქალი ხდებოდა, ლამაზი, სიყვარულით გატაცებული ქალი, თავისი სილამაზის სრული შეგნებით და სიყვარულის სრული შეუგნებლობით. კეკლუცი იყო. კეკლუცი იყო მეტისმეტად, კეკლუცი თავისი შეუგნებლობის გამო.

## თავი მეშვიდე
## სევდას სევდა ერთვის

თავისი ალღო აქვს ყოველ მდგომარეობას. ბებერი, მაგრამ მარადი დედაბუნება ყრუდ აგრძნობინებდა ჟან ვალჟანს მარიუსის სიახლოვეს და კანკალებდა კაცი, რომ გაიტაცებდნენ ბნელი ფიქრები. არაფერს ხედავდა საეჭვოს, არაფერი იცოდა და მაინც ეჭვის თვალით შეჰყურებდა ყველაფერს, თითქოს გრძნობს, რომ მის გვერდით შენობას აგებენ დიდს და მეორე გვერდით კი რაღაც ინგრევა ისევე დიდი.

მარიუსიც გაეფრთხილებინა ამ დედაბუნების ალღოს და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, დამალვოდა ქალის „მამას“. მაგრამ ვერ ახერხებდა დამალვას და ჟან ვალჟანი თვალს მოჰკრავდა ხოლმე ხანდახან. უცნაური იყო მარიუსის იერი, ბუნებრიობას სრულიად მოკლებული. სიფრთხილე საეჭვო ჰქონდა და კადნიერება უხერხული.

ძველებურად ახლოს აღარ გაუვლიდა ხოლმე, დაჯდებოდა შორს სადმე და იჯდა ისე აღტაცებული. წიგნი ეჭირა გაშლილი, ვითომ კითხულობდა, მაგრამ წიგნიც ვერ შველოდა მის განზრახვას. ან რა საჭირო იყო ეს ვითომ? წინათ ძველი, საშინაო ტანისამოსით მოდიოდა ბაღში, ახლა კი ყოველთვის ახალს იცვამდა, სასეირნოდ რომ დააპირებდა წასვლას. იქნებ თმასაც იხუჭუჭებდა. უცნაური თვალით იყურებოდა, ხელთათმანს იცვამდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჟან ვალჟანს გულით სძულდა ეს ყმაწვილი კაცი.

კოზეტს ვერაფერს ატყობდა ჟან ვალჟანი. დანამდვილებით არ იცოდა ტოროლამ, რა სჭირდა იმ დროს, მაგრამ იმას კი კარგად გრძნობდა, რომ დასამალი იყო, რაც აწუხებდა და ახარებდა.

საეჭვო შეთანხმებას ხედავდა ჟან ვალჟანი კოზეტში აღძრულ ახალი ტანისამოსით და სამკაულებით გატაცებაში და უცნობი ყმაწვილი კაცის მორთულობაში. შეიძლება,

უბრალო შემთხვევა ყოფილიყო ეს ერთდროულობა; დიახ, შემთხვევითი უნდა ყოფილიყო ეს გარემოება, მაგრამ მაინც მუქარად ეჩვენებოდა ჟან ვალჟანს.

კოზეტს თავის დღეში არაფერს ეტყოდა ამ უცნობის შესახებ. მაგრამ ერთხელ ვეღარ შეიკავა თავი, გულს უკლავდა შიში, სასოწარკვეთილება ერეოდა და მანაც მოუთმენლად, მოულოდნელად მოსინჯა თავისი უბედურების სიღრმე.

- რა გაბერილი დადის ეს ყმაწვილი კაცი!

ერთი წლის წინათ რომ ეთქვა კოზეტისთვის ეს სიტყვა, როდესაც გულგრილი ბავშვი იყო, გულწრფელად უპასუხებდა:

- მაგას როგორ ბრძანებთ? პირიქით, მშვენიერებაა!

ათი წლის შემდეგ, მარიუსისადმი სიყვარულით გულსავსე, უპასუხებდა:

- მართალს ბრძანებთ, გაბერილი, საძაგელი!

იმ დროს კი, სიცოცხლისა და სიყვარულის იმ ყოფაში, მოკლედ მოუჭრა მშვიდად, გულცივად:

- რომელი ყმაწვილი კაცი, ისა?

ისე უპასუხა, თითქოს ჯერ არსად ენახა ის ყმაწვილი კაცი და ახლა თვითონ ჟან ვალჟანმა დაანახვა აქამდე უნახავი.

„რა სულელი ვარ! - ფიქრობდა ჟან ვალჟანი, - ყურადღებას არ აქცევდა ბავშვი და ლამის თვალი ავუხილო ჩემი დაუფიქრებლობით“.

ეს გახლავთ მიამიტობა სიბერისა და სიღრმე ბავშვისა.

ესეც კანონი არის მწუხარებითა და სიფრთხილით ჩამწარებული პირველი სიყვარულისა, დაბრკოლებათა ასაცილებლად ბრძოლით გახელებულისა: ყმაწვილი ქალი გულთმისანივით აიცდენს მახეს, ყმაწვილი ვაჟი კი მაშინვე შიგ გაებმის.

ჩუმი ბრძოლა დაუწყო მარიუსს ჟან ვალჟანმა და მან კი ამისი ვერაფერი გაიგო, რადგან გაგიჟებული იყო სიყვარულით, ჯერ სრულიად გამოუცდელი. მრავალი მახე დაუგო ჟან ვალჟანმა, - ხან სეირნობის დრო შეცვალა, ხან სკამი, ხან ცხვირსახოცი დატოვა, ვითომ დავიწყებული, ხან მარტო მივიდა ბაღში. ამას ვერაფერს ხედავდა მარიუსი და თავდაღუნული ძვრებოდა მის გზაზე დაგებულ მახეში. ჩუმ ძიებას აწარმოებდა ჟან ვალჟანი, ხმის ამოუღებლად ჰკითხავდა მარიუსს, და ისიც - დიახ, აგრეაო, - უპასუხებდა გულწრფელად ყოველ მის კითხვას. კოზეტს კი მაგარი ციხე აეგო გარეგანი შეურყევლობისა და სიმშვიდისა, და ყინულზე აცურებდა მოხუცებულ მამობილს.

- გაგიჟებულია კოზეტისადმი სიყვარულით ის დოყლაპია, და კოზეტმა კი ისიც არ იცის, რომ არსებობს ის სულელი ბიჭი.

დასკვნა იყო და დამშვიდება კი არა. მაინც რაღაცას სწუხდა გული და კანკალი აუვარდებოდა, ის დოყლაპია რომ მოაგონდებოდა: დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ხომ კოზეტსაც გაიტაცებდა სიყვარული. განა ასეთი შეუმჩნევლობით არ იწყება სულ ყველაფერი?

ერთხელ იყო მხოლოდ, ფეხი წაუსხლტა კოზეტს და ძალიანაც შეაშინა მამობილი. სამი საათი იყო, ბაღში ისხდნენ და, რომ წამოიწია ჟან ვალჟანმა შინ წასასვლელად, ქალს მოულოდნელად წამოსცდა:

- ასე ადრე?

ბაღში სიარული კი მაინც არ დაიშალა ჟან ვალჟანმა, რადგან არ უნდოდა დაერღვია რითიმე ცხოვრების ჩვეულებანი და მით არ გაემუღავნებინა კოზეტისთვის

თავისი ეჭვი. ამ სეირნობის დროს, როდესაც რამდენიმე საათის განმავლობაში ნეტარებით ტკბებოდნენ შეყვარებულნი, კოზეტი ღიმილით ატკბობდა მარიუსს და ისიც ქალის ეშხით მთვრალი, აღტაცებული აღარაფერს ხედავდა ამქვეყნად, გარდა თავისი სალოცავის მშვენიერი სახისა, ჟან ვალჟანი გაცეცხლებულ, აღშფოთებულ თვალს არ აშორებდა მარიუსს. ხომ მრწამსად მიაჩნდა რწმენა, - ავს აღარსად გავიტარებ გულშიო, - მაინც, მარიუსს რომ დაინახავდა, გრძნობდა, ლამის გაგიჟებულიყო, გაცოფებულიყო კაცი. ძველებური მხეცური ბრაზი აღეძვრებოდა გულში, სადაც უწინ გაშმაგებისა და შურისძიების მეტი არაფერი გააჩნდა. ხანდახან ისე მოერეოდა ბრაზი, განცვიფრებული ეკითხებოდა თავს, - ნუთუ ისევ მხეცად ვხდები ადამიანიო?

- აგერ, ისევ აქ არის! რას დაეხეტება? რად არის ყოველთვის ამ ხეივანში? სხვაგან ვერ ისეირნებს? რა უნდა, რა, რომ სულ უკან გვდევს, გვითვალთვალებს, გვზვერავს? რა უნდა და, ცდა ბედის მონახევრეაო, თავს დასტრიალებს სატრფოს, რომ ხელთ იგდოს როგორმე და გაიტაცოს.

- ასეა, ასე! რას დაეძებს, რა უნდა? დროს გატარება და გამარჯვება. მერე მე რაღა ვარ? როგორ? ტყის ნადირივით უვიცი ვიყავი, ავისა და კარგის გარჩევა არ ვიცოდი, საზიზღარი ვიყავი, ბედკრული; დაჩოქილი ვყავდი ცხოვრებას, ტანჯვისა და წვალების მეტი არაფერი მინახავს. აგერ სამოცი წლისა ვარ კაცი; ისე დავბერდი, რომ სიყმაწვილე არ მინახავს, არც ოჯახი მყოლია, არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესავი, არც მეგობარი; შრომით გავატარე ჩემი სიცოცხლე; გულკეთილი ვიყავი, თუმცა ავად მექცეოდნენ ყოველთვის; მიუხედავად ამისა, დავიმორჩილე ბოროტება. პატიოსნება დავისახე ცხოვრების მიზნად, მოვინანიე ჩემი წარსულის ბოროტება. მზად ვარ შევუნდო მოყვასს ყოველი ავი... და სწორედ იმ დროს, როდესაც დაჯილდოებულად მიმაჩნია თავი, როდესაც ბოლო მოეღო ჩემს წამებას, როდესაც მეგონა, მივაღწიე-მეთქი ჩემს მიზანს, როდესაც ყველაფერი მაქვს, რაც კი მინდა, ხელიდან მართმევენ, უნდათ გულიდან მომგლიჯონ ჩემი სულის ჩამდგმელი. რაღად მინდა სიცოცხლე, თუკი კოზეტი არ მეყოლება? აღარც სიხარული შემრჩება უიმისოდ, აღარც გული და აღარც სული, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ბრიყვმა მოისურვა ხეტიალი ჩვენს ახლოს, ბაღში!.. - ცეცხლს აფრქვევდა განრისხებული. ადამიანი კი აღარ იყო, რომელიც ადამიანს შესცქერის; მტერი კი აღარ იყო მტრის წინაშე; არა, გააფთრებული ძაღლი იყო, რომელიც ქურდს ხედავს.

დანარჩენი ვიცით; ისევ ისე გაუფრთხილებლად დარჩა მარიუსი. ერთხელ კვალდაკვალ მიჰყვა კოზეტს დასავლეთის ქუჩის სახლამდე. ერთხელ კიდევ მეკარეს დაუწყო კითხვა. მეკარემ თავის მხრივ ჟან ვალჟანს მოახსენა:

- ვინ გახლავთ, ბატონო, ის ცნობისმოყვარე ყმაწვილი, თქვენს ამბავს რომ კითხულობს?

მეორე დღეს ისეთი თვალით გადახედა ჟან ვალჟანმა, რომ არ შეიძლებოდა, მარიუსს ყურადღება არ მიექცია ამისთვის და ერთი კვირის შემდეგ ხომ ბინაც გამოიცვალა. დაიფიცა, - აღარ გავივლი არც ლუქსემბურგის ბაღში, არც დასავლეთის ქუჩაზეო, - და პლუმეს ქუჩას დაუბრუნდა.

კოზეტი კი არას ჩიოდა, არას ამბობდა, არაფერს ჰკითხავდა, არ ეხებოდა მიზეზს, ამ ჩვეულებრივი უარყოფისას, უკვე გრძნობდა, რომ სიფრთხილე იყო საჭირო, რომ არ გაეცა თავისი საიდუმლოება. ჟან ვალჟანმა არაფერი იცოდა ამ სიფრთხილისა,

გამოცდილება არ ჰქონდა ამ მომხიბლავი საიდუმლოების გამოცნობისა, და ამიტომ იყო, რომ ვერ მიხვდა, რა მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა კოზეტის დუმილს. შენიშნა მხოლოდ, რომ დაღონებული იყო ქალი და თვითონაც მწუხარება მოერია. ერთმანეთს ებრძოდა ორი გამოუცდელობა.

და ერთხელ გამოსაცდელად მიმართა კოზეტს:

- მოდი, ლუქსემბურგის ბაღში გავისეირნოთ, გინდა?

სიხარულით გაუბწრყინდა სახე ტოროლას.

- დიახ, წავიდეთ!..

შევიდნენ ბაღში. სამი თთვე იყო იქ აღარ გაევლოთ. აღარც მარიუსი დადიოდა. არც იმ დღეს იყო მარიუსი.

მეორე დღეს ხელახლა მიმართა იმავე კითხვით:

- თუ გინდა, ლუქსემბურგის ბაღში წავიდეთ.

ნელი, სევდიანი ხმით უპასუხა კოზეტმა:

- არა, არ მინდა...

ეს დაღონება აბრაზებდა ჟან ვალჟანს და სიმშვიდე კი გულს უჩუყებდა.

რას დაემონებინა ასე ამ ყმაწვილი ქალის ფიქრი და გონება? რას ჩაემალა ასე მიუწვდომლად? რის მომასწავებელი იყო ეს მდგომარეობა? რის მოლოდინში უნდა ყოფილიყო საწყალი კაცი? რა მოელოდა პატარა კოზეტს? და იმის მაგივრად, რომ დაწოლილიყო და დაეძინა, მთელი ღამე იჯდა ხოლმე საწოლთან და მწუხარებით ეკითხებოდა თავს: - ნეტავ რას ფიქრობს ჩემი კოზეტიო? თვითონაც იმას ფიქრობდა, რაც მისი აზრით, კოზეტს უნდა ჰქონოდა საფიქრებელი და სამწუხარო.

მაშინ მოაგონდებოდა მწარე ოხვრით და სინანულით მონასტერი, ეს წმინდა მწვერვალი, ეს სავანე ანგელოზებისა, ეს მიუვალი საყინულე უმანკოებისა. ტკბილი აღტაცებით შეჰხაროდა სასოწარკვეთილი მონასტრის ბაღს, წალკოტს, ყვავილებითა და დამწყვდეული ქალწულებით სავსეს, სადაც ზეცისკენ მიიწევს მთელი სურნელება და ყოველი სული. თაყვანს სცემდა ამ სამუდამოდ დაკეტილ ედემს, საიდანაც თვითონვე გამოვიდა. დიახ, შეუწყნარებელი შეცდომა დაუშვა და იღუპება. თავგანწირვით ცდილობდა კოზეტის ბედნიერებას. ეს მიზეზი იყო, რომ ამ წადილით აღტაცებულმა თავი გასწირა, უარყო პირადი უშიშროება და, ღმერთი გაუწყრა. გამოვიდა მონასტრიდან, რომ ქვეყანაში გაეყვანა კოზეტი.

ეჰ, უბედური იყო და უბედურია! უბედური გმირი თავგანწირვისა, თავისივე თავგანწირვით წაქცეული და გათელილი! - და თავში იცემდა ხელს, - ეს რა ჩავიდინეო!

კოზეტს კი არაფერს აგრძნობინებდა, არც დაღონებას, არც სევდას. ყოველთვის ისეთი იყო მასთან, როგორიც წინათ, ალერსიანი და მხიარული. ოღონდ ახლა უფრო ნაზად ექცეოდა, უფრო მშობლიურად, ვიდრე წინათ. თუ იყო რამე გამცემი მისი სულიერი მწუხარებისა, მეტისმეტი გულთბილობა და ლმობიერება.

კოზეტსაც სევდა მორეოდა. დაკარგა მარიუსი და ეს იყო, რომ გულს უკლავდა, ისე, როგორც ნეტარებით უვსებდა შორიდანვე მისი დანახვა. სწუხდა და ვერ გაეგო ან დანახვა რად ახარებდა, ან მიმალვა რად ჰგვრიდა სევდას? რომ მოსპო ჟან ვალჟანმა ლუქსემბურგის ბაღში სიარული, ქალის ალღომ ჩასჩურჩულა შიგ გულისგულში: - ნუ შეამჩნევინებ, რომ იქ გინდა გასეირნება. რაკი ნახავს, რომ არავითარ უპირატესობას არ აძლევ ამ ბაღს, თვითონვე წაგიყვანსო. - მაგრამ დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს,

გადიოდა ხანი, კოზეტის ჩუმი თანხმობით დაკმაყოფილდა ჟან ვალჟანი და აღარ დაარღვია ეს თანხმობა. ბევრი ინანა კოზეტმა, მაგრამ გვიანღა იყო. ერთხელ, მამობილის წინადადებით რომ წავიდა ბაღში, მარიუსი იქ აღარ დახვდა. გამქრალიყო მარიუსი, აღარ მოჩანდა. რაღას იზამდა საწყალი ქალი? შეხვდებოდა სადმე, კიდეც რომ ეძებნა? გული მისდიოდა და მშველელი არავინ ჰყავდა. აღარაფერი ახსოვდა. არც კი იცოდა, ზამთარი იყო თუ ზაფხული, წვიმდა თუ მზე კაშკაშებდა, მაისის ვარდი ყვაოდა ბაღში თუ ასკილი. აღარ ახსოვდა აღარც ლუქსემბურგის ბაღის მშვენება, აღარც ტუილერისა. იმასაც კი აღარ ამჩნევდა, რამდენად კარგად იყო დაუთოვებელი მრეცხავის მიერ მოტანილი სარეცხი, ან რამდენად კარგად მოიარა ბაზარი ბებერმა ტუსენმა და რა მოიტანა დღეს საჭმელად. დაღონებული იყო. გულის ტკივილითა და ფიქრებით გატაცებული იჯდა და შესცქეროდა გაშტერებით ერთ ალაგს, თითქოს რაღაც მოეჩვენა წყვდიადში და მყისვე მიიმალაო.

როგორც ჟან ვალჟანი, ისიც მაგრად იყო და ცდილობდა არ გაემჟღავნებინა სევდა. ფერი დაკარგა და ამის მეტი არაფერი ეტყობოდა, მით უფრო, რომ ისევ ისე ტკბილი ანგელოზი იყო.

მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ჟან ვალჟანისთვის.

შეხედავდა ფერმიხდილს და ჰკითხავდა:

- რა დაგემართა, შვილო?

და ისიც მოკლედ მოუჭრიდა, ტკბილად:

- არაფერი...

რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ, რადგან კარგად ხედავდა, რომ ჟან ვალჟანსაც აწუხებდა რაღაც, თუმცა ცდილობდა ამის დამალვას, ახლა ის ჰკითხავდა:

- თქვენ, მამიკო? თქვენ რაღა დაგემართათ?

- მე, არაფერი, - უპასუხებდა ჟან ვალჟანი.

ორნი იყვნენ ამქვეყნად, გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი, ერთმანეთით და ერთმანეთისთვის არსებობდნენ, და ახლა კი ერთიმეორესთან, სევდით მოცულნი, იტანჯებოდნენ და ხმას ვერ იღებდნენ, ვეღარ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ სევდას.

## თავი მერვე
## კატორღის ბორკილები

ჟან ვალჟანი უფრო უბედური იყო, ვიდრე კოზეტი. სიყმაწვილე, სევდით მოცულიც კი, საკმაო შუქს ინარჩუნებს თავისთვის. ხანდახან ისე წუხდა ხოლმე ჟან ვალჟანი, რომ ბავშვურად იწყებდა მსჯელობას. ასე იცის დიდმა სევდამ, ადამიანში ხელახლა აღძრავს ბავშვობას. ცხადად ხედავდა, რომ ხელიდან ეცლებოდა კოზეტი. უნდოდა დაეჭირა, შებრძოლებოდა, სხვა რამ დიდებულით, ბრწყინვალით მოეხიბლა და წარეტაცა მისი გონება. ბავშვური იყო ეს ფიქრი. ეს უკვე ვთქვით, და თან ბებრულიც. ამგვარი ბავშვური ფიქრების წყალობით იყო, რომ იმ საკმარისად მართალ აზრსაც მიაგნო, რომ დიდი გავლენა აქვს ყმაწვილ ქალზე სამკაულებსა და მორთულობას. ერთხელ ქუჩაში ცხენით მიმავალი ფორმის ტანისამოსიანი გენერალი გრაფი გუტარი, პარიზის კომენდანტი დაინახა და შური მოერია, ოქროთი დამშვენებული ტანისამოსი რომ ეცვა. - რა ბედნიერი ვიქნებოდი, მეც რომ იმნაირი ტანისამოსი მეცვას! - იფიქრა

ჟან ვალჟანმა, - ასე დიდებულად მორთული რომ ვყოლოდი კოზეტს. მოხიბლული იქნებოდა ტიუილრის კართან რომ გავივლიდით, და დაინახავდა, როგორ მესალმებიან დარაჯები მხედრული წესით, ესეც იკმარებდა, რომ საბოლოდ გამოეფხიზლებინა და დაევიწყებინა ყმაწვილი ბიჭიო.

ერთი მოულოდნელი გარემოებაც ჩაერია ჟან ვალჟანის მწუხარე ფიქრებში.

განმარტოებულნი იყვნენ ყოველთვის და, პლუმეს ქუჩაზე რომ იქირავეს სახლი, ერთი ახალი ჩვეულებაც შეეძინათ. მზის ამოსვლის სანახავად წავიდოდნენ ხოლმე სადმე ქალაქგარეთ; ეს სიამოვნება ერთნაირად მოსწონთ ცხოვრებაში შემავალთაც და ცხოვრებიდან გამავალთაც.

დილაადრიანად სეირნობა, თუ კაცს მარტოობა უყვარს, ღამისას უდრის, მაგრამ დილას ბუნება უფრო მხიარულია. ქუჩებში არავინ ჩანს, ფრინველთა გალობა ისმის. კოზეტიც ჩიტუნიასავით ადრე დგებოდა. წინაღამითვე ემზადებოდნენ ამ ადრიანი სეირნობისთვის. ჟან ვალჟანი სთავაზობდა, კოზეტი თანხმობას აცხადებდა. შეთქმულებივით ემზადებოდნენ და მეორე დღეს, ისევ ღამიანად მიდიოდნენ ქალაქის გარეუბნისკენ. ძალიან მოსწონდა კოზეტს ეს სეირნობა.

ჟან ვალჟანს თავის მხრივ მიყრუებულ, მივიწყებულ ადგილებში უყვარდა სიარული, სადაც სხვა არავინ დაიარებოდა. პარიზის სადარაჯოების იქითა მიდამოებში ხშირი იყო იმ დროს პატარა ყანები, ძალიან ახლოს ქალაქის სახლებთან; ზაფხულში უხეირო პური მოჰყავდათ ამ ყანებში და, რაკი მომკიდნენ, ისეთი გახოკილი იყო ეს მიწები, თითქოს ცეცხლი წაუკიდეს, რომ ნამჯა აღარსად დარჩენილიყო. ამგვარი ადგილები უფრო მოსწონდა ჟან ვალჟანს. არც კოზეტმა იცოდა იქ მოწყენა. ჟან ვალჟანი მარტოობით ტკბებოდა, კოზეტი - თავისუფლებით. მინდორში რომ გავიდოდა, ისევ პატარა გოგოდ გრძნობდა თავს. დარბოდა, თამაშობდა; კალთაში ჩაუდებდა თავის ქუდს ჟან ვალჟანს და ყვავილების თაიგულებს კონავდა, პეპლებს დასდევდა, - ყვავილიდან ყვავილზე რომ გადადიოდნენ, - მაგრამ კი არ იჭერდა. სიყვარული ყოველთვის ლმობიერებას ქმნის და სიბრალულს სუსტისადმი. ყმაწვილ ქალსაც, რომელიც ნაზ, ათრთოლებულ იდეალს ატარებს, ცოდვად მიაჩნია პეპლის ფრთის დაზიანება. აგროვებდა ყაყაჩოს, წნავდა გვირგვინს და იმშვენებდა თავს. მზის სხივი სცემდა ყვავილის წითელ ფურცელს, აწითლებდა, შიგ ნავარდობდა და ისე უხდებოდა კოზეტის ნორჩ სახეს, თითქოს ყაყაჩო კი არა, გავარვარებული ცეცხლის ალი დაუწნავს გვირგვინადო.

მაშინაც კი, როდესაც სევდამ მოიცვა მათი ცხოვრება, არ დავიწყებიათ ეს ჩვეულება და ძველებურად დადიოდნენ მზის ამოსვლის სანახავად.

ერთხელ, დილაადრიანად გაემგზავრნენ ასე სასეირნოდ. შემოდგომა იყო 1831 წლისა, კარგად ციოდა, მაგრამ ისეთი მზიანი დარი დაიჭირა, რომ ცოდვა იყო, არ ესარგებლათ ამით და ქალაქგარეთ არ გასულიყვნენ. ისევ ბნელოდა, როცა მენის სადარაჯოს გასცდნენ. ჯერ განთიადი არ იყო, გარიჟრაჟი იწყებოდა, მომხიბლავი და თან მკაცრი წუთი. მოკრიალებული იყო ზეცა, კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, შავად მოჩანდა მიწა, მოუთმენლად თრთოდა ბალახი, ღერო, ბინდბუნდის იდუმალი ძრწოლა იყო, ზემოდან ტოროლას გალობა ისმოდა, იმ სიმაღლიდან, იტყოდით, ისიც ვარსკვლავებს ჩარევია, თაყვანსა სცემს უსაზღვროს და ამ პატარის ჰიმნი, უსაზღვროსადმი მიმართული, მშვიდობით ავსებს ცის სივრცესო. აღმოსავლეთით, ფოლადისფერ სინათლეში შავად გამოიყურებოდა ვალ-დეგრასის ტაძრის

მოხაზულობა, მისი გუმბათის უკნიდან მოჩანდა ბრწყინვალე ვენერა, თითქოს სული ყოფილიყოს ნათელმოსილი ბნელნაგებიდან ამომავალი.

სრული სიმშვიდე იყო ყველგან და სრული დუმილი. არავინ ჩანდა ჯერ გზაზე გამვლელი. შორს, ქალაქის მხარეს აქა-იქ მუშა თუ გამოჩნდებოდა ქარხნისკენ მიმავალი.

ხეები ეყარა ერთ ხეტყის საწყობთან და ზედ ჩამოჯდა ჟან ვალჟანი. პირი გზისკენ ჰქონდა, ზურგი მზისკენ. ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ამომავალი მზეც კი დავიწყებოდა. ღრმად ჩაძირულიყო მწუხარე ფიქრებში, აღარაფერი ახსოვდა სევდის გარდა, აღარას ხედავდა. ერთგვარი ფიქრი გაიტაცებს ხოლმე ადამიანს, რომელსაც შეიძლება შვეული ვუწოდოთ. ამ ფიქრში რომ ჩაიძირება კაცი, პატარა ხანი უნდა, რომ ისევ სინამდვილეს დაუბრუნდეს. სწორედ ამ შვეულ ფიქრს ჩაეძირა ჟან ვალჟანი. კოზეტი ედგა თვალწინ, სრული ბედნიერება, თუ არაფერი აღიძროდა მათ შუა, ის ნეტარება, რომლითაც სავსე იქნებოდა მისი ცხოვრება, თუ კოზეტი თავისთან ეყოლებოდა. იჯდა და ფიქრობდა იმ შუქზე, რომლითაც კოზეტი ავსებდა მის ცხოვრებას და რომლითაც სულ სულდგმულობდა. ის თითქმის ბედნიერი იყო ამ ოცნებით, კოზეტიც იქვე იდგა და შორეულ ღრუბელს შესცქეროდა, რომელსაც ვარდისფერი ეფინებოდა ნელ-ნელა.

უცბად კოზეტმა შეჰყვირა:

- შეხედეთ, მამა! თითქოს ხალხი მოდის აქეთკენ.

ჟან ვალჟანმა გაიხედა.

მართლაც რაღაც მოჩანდა.

მენის ძველი სადარაჯოსკენ მიმავალი გზატკეცილი, როგორც ვიცით, გაგრძელებაა სევრის ქუჩისა და სწორკუთხედად არის გადაჭრილი ბულვარით. ბულვარის მხრიდან ისმოდა რაღაც ყრუ ხმაური, ძნელი გამოსარკვევი იმ დილაადრიანად, და რაღაც მოჩანდა განურჩეველი, არეული. ბულვარიდან მოიწევდა გზატკეცილისკენ.

ნელ-ნელა იზრდებოდა, ეტყობოდა, რაღაც წესს ემორჩილებოდა თავის მოძრაობაში, მაგრამ ირეოდა და იშლებოდა. ფორანს ჰგავდა უზარმაზარს, მაგრამ რით იყო დატვირთული, ეს კი არ ჩანდა. ცხენები გამოჩნდნენ, თვლები, ყვირილი გაისმა, მათრახის ტყლაშუნი. ნელ-ნელა მოიწევდა წინ რაღაცა იყო, უკვე მოჩანდა მისი მოხაზულობა, თუმცა ჯერ ისევ ბნელით იყო მოცული. მართლაც, ფორანი აღმოჩნდა, ბულვარიდან მომავალი სადარაჯოსკენ, სადაც ჟავ ვალჟანი დამჯდარიყო. ერთი ფორნის უკან მეორე გამოჩნდა, მერე მესამე, მეოთხე. სულ შვიდი იყო და ისე ახლოს მისდევდნენ ერთმანეთს, რომ ცხენების თავი ეხებოდა წინა ფორანის უკანა კოფოს. ხალხი იძროდა ამ ფორნებზე, რაღაც ბრჭყვიალებდა ბნელში, თითქოს ბასრი ხმალი მოიქნიესო, ისმოდა წკრიალი, რომელიც ჯაჭვის ჟღარუნს წააგავდა. წინ მოიწევდა რაღაც უზარმაზარი, უფრო კარგად ისმოდა მისი მოძრაობა, ხმები. სიზმარში თუ მოეჩვენება რამე ამგვარი ადამიანს.

ყოველივე ეს უახლოვდებოდა ჟან ვალჟანსა და კოზეტს. ხეების უკან გარკვევით გამოჩნდა მოჩვენების სიმკრთალით. თენდებოდა ნელ-ნელა და ამ მოძრავ მოჩვენებასაც ხვდებოდა სინათლე, ამ ცოცხალ მოჩვენებას, რომელსაც თან მოჰყავდა მკვდრებივით ფერმიხდილი ადამიანები.

სინამდვილეში კი რა იყო:

გზაზე მწკრივად მოდიოდა შვიდი ფორანი. უცნაური აგებულებისა იყო წინ მიმავალი ექვსი: გრძელი ფიცრები ელაგა, ორი ვიწრო, რომლის წინა მხარე საკაცედ იყო მოწყობილი. ოთხი ცხენი ება თითოში, ოღონდ გამწკრივებულად. ფიცრებზე ადამიანები ისხდნენ მწკრივად, ბნელოდა და ჯერ არ ჩანდნენ, მხოლოდ მოხაზულობა იკვეთებოდა ადამიანისა. ოცდაოთხი კაცი იჯდა თითო ფორანზე, თორმეტ-თორმეტი ორივე მხარეს, ისე, რომ ზურგით ერთმანეთს ეყრდნობოდნენ და პირი ქუჩისკენ ჰქონდათ. ფეხები ძირს დაეშვათ. ზურგს უკან ჯაჭვი იყო გაშლილი, რომელზედაც მიბმული იყვნენ მწკრივად ოცდაოთხივე. კისერზე რკინის ოთხკუთხა საყელური ებათ. საყელური ყველას თავისი ჰქონდა. ჯაჭვი კი საერთო იყო, და ფეხით სიარული რომ დასჭირდებოდათ, ცხრაფეხასავით გაგრძელდებოდნენ გზაზე მწკრივად; ხერხემლად ეს ჯაჭვი ექნებოდათ. ყოველი ფორნის თავსა და ბოლოში ორ-ორი კაცი იდგა, ხელში თოფები ეჭირათ და ფეხქვეშ ჯაჭვი, რომელზედაც მიბმული იყო ოცდაოთხი კაცი. მეშვიდე ფორანი განიერი იყო, დიდი, რიკულიანი, დაუხურავი. ექვსი ცხენი ება და ძალიანაც იყო დატვირთული. წვრილ-წვრილი ქვაბები ეყარა შიგ, ტაფები, ჯაჭვი, ზედადგრები; იქვე რამდენიმე კაცი იწვა შეკრული, ალბათ ავადმყოფები. აქა-იქ წკეპლების დაშლილი კონები ეყარა, ეტყობოდა ადამიანის დასასჯელად ნახმარი.

შუა ქუჩაში მოდიოდნენ ეს ფორნები. აქეთ-იქიდან ორივ მხრივ ორ-ორ წყებად მისდევდნენ საშინელი შეხედულების ჯარისკაცები, დირექტორიის დროის ფორმის ძველი სამკუთხედიანი ქუდებით, გასვრილები, ბინძურები, ინვალიდების დაგლეჯილტანისამოსიანები, მეჩირაღდნის დაგლეჯილი, ზოლიანი შარვლებით, ხმლით, თოფით, თან ჯოხით შეიარაღებულნი. ჭუჭყიანები იყვნენ, უბადრუკები, გლახის სიბეჩავე ჰქონდათ, სიმკაცრე კი ჯალათისა. ერთს, ეტყობოდა, უფროსი უნდა ყოფილიყო, შოლტი ეჭირა ხელში. თენდებოდა ნელ-ნელა, სინათლე ეფინებოდა ქვეყანას და უკვე გარკვევით ჩანდა ეს წვრილმანი. ამ ფორნებს წინაც ცხენოსანი ხმალამოღებული ჟანდარმები მიუძღოდნენ და უკანაც მწყობრად მოსდევდნენ.

იმდენად გრძლად გაჭიმულიყო ეს მოჩვენება, რომ მოწინავე ჟანდარმები სადარაჯოსთან მოვიდნენ და უკან მყოფნი კი ჯერ არ გამოსულიყვნენ ბულვარიდან.

ქუჩის ორივე მხარე უცბად გავსილიყო ხალხით, როგორც ყოველთვის იცის პარიზმა, და თან მოჰყვებოდა. მახლობელ ქუჩებში ყვირილი ისმოდა, - კატორღელები მიჰყავთო! - და ამ ყვირილს უერთდებოდა ხის ქოშების კაკუნი სეირის სანახავად სირბილით მომავალი ხალხისა.

გაჩუმებულიყვნენ ფორანში მსხდომი ტუსაღები, ეტყობოდათ, სციოდათ, გაცრეცილები იყვნენ დილის სუსხით. შარვლები თხელი ტილოსი ეცვათ და ტიტველ ფეხზე ხის ქოშები. დანარჩენი ტანისამოსი ნაყოფი იყო გაჭირვებისა და უბედურებისა, საზარელი თავისი შეუსაბამობით. დაგლეჯილი, დახვრეტილი ქუდები, ჭუჭყიანი ძველი ხალათი და იქვე, მის გვერდით შავი, სახელოგახეხილი სერთუკები; ზოგს ქალის ქუდი ეხურა, ზოგს პატარა კალათი. პერანგის ხსენებაღა აღარ შერჩენოდათ და ზოგს ბალნიანი მკერდი უჩანდა, ზოგს სვირინგით გამოსახული სატრფოს სახელი, დამწვარი გული, კუპიდონი, მაგრამ მუწუკებიც უჩანდა ზოგს და საეჭვოდ აწითლებული, დასივებული კანი, ორს თუ სამს წნელები მოებათ რიკულისთვის, დაეშვათ ძირს და შიგ ჰქონდათ ფეხები გაყრილი, როგორც უზანგში. ერთს რაღაც ქვასავით შავი ეჭირა ხელში და პირთან მიჰქონდა, შავ პურს ჭამდა უბედური. ცრემლი აღარავის უჩანდა, ჩაშრეტილი, ჩამკვდარი თვალიღა შერჩენოდათ განწირულთ და,

თუ იყო ვინმე თვალცოცხალი, გაშმაგება უელავდა თვალში და ცოფის ალი. ბრაზობდნენ ჯარისკაცები, ლანძღავდნენ დაჯაჭვულებს. ისინი ხმას არ იღებდნენ. წამდაუწუმ გაისმოდა ხოლმე ჯოხის ხმა, ბეჭებში რომ ჩაჰკრავდნენ პატიმარს ან თავში. ზოგი მწარედ კვნესოდა, ზოგი ღრმად ამთქნარებდა.

გულსაკლავი სანახავი იყო ეს ხალხი: ფეხები ძირს დაეშვათ, თავით ერთმანეთს სცემდნენ, მთლად ირყეოდნენ იმ გრძელ ფიცარზე, ჯაჭვს აწკარუნებდნენ, ფორნისა და თავის მოძრაობით კვნესოდნენ, ოხრავდნენ, ცეცხლს ჰყრიდნენ, მუშტებს კუმშავდნენ ან უძრავად ეკიდათ ხელები, როგორც მკვდრებს. უკან ბავშვების ჯარი ასდევდნებოდათ გამაყრუებული სიცილით.

გულსაკლავი სანახავი იყო ამ განწირულთა მწარე მგზავრობა. ხომ შეიძლებოდა, გაავდრებულიყო, ცოტა ხანს, დღეს თუ არა ხვალ, ერთს მეორე მოჰყოლოდა და მთლად დაესველებინა ამათი ტანისამოსი. დასველდებოდნენ, რადგან არაფერი ჰქონდათ, რომ წამოესხათ. და თუ დასველდებოდნენ, ვეღარ გაშრებოდნენ; გაცივდებოდნენ, და ვეღარც გათბებოდნენ. ტანზე მიეკვრებოდათ თხელი შარვალი, წყლით აევსებოდათ ხის ფეხსაცმელი, და მათრახის ტყლაშუნი ხომ ვერ დაფარავდა მათი კბილების კაწკაწის ხმას? გაჯაჭვული მიჰყავდათ, თითქმის ტიტვლები ამ შემოდგომის სიცივეში და ავდარში.

ჯოხი და მათრახი ხვდებოდა ყველას, თვით ავადმყოფებსაც, რომლებიც უვარგისი ბარგივით ჩაეყარათ მეშვიდე ფორანში, არაფერი დაეხურათ და, - ხმა არ ამოიღოთო, - მათრახით სცემდნენ.

მზე ამოვიდა. შუქი მოჰფინა ქვეყანას. სითბო აღუთქვა განწირულთ და გამოაცოცხლა მიმკვდარებულნი. ლაპარაკი დაიწყეს, ხუმრობა, ოხუნჯობა, გინება, სიმღერა. ფართოდ დაეცა შუქი და ორად გაყო ეს მგზავრები; თავი და ზურგი განათებული ჰქონდათ, ფორნის თვლები და ძირს ჩამოშვებული ფეხები ჯერ ისევ სიბნელეში იყო. ფიქრი აჩნდა უბედურების პირისახეს. საშინელი იყო ეს წამი. ნიღაბი ჩამოეხსნათ ბოროტ სულთ, მთლად გაშიშვლებულიყო სიავე. მზე ანათებდა ამ ბედასლებს, მაგრამ მაინც შავად ჩანდნენ ყველანი. ზოგი აქაც არ იშლიდა ხუმრობას, ბატის ფრთა ჩაედო პირში და რაღაც საზიზღრობას აპკურებდა ხალხს, მეტადრე ქალებს. გათენების სხივი სცემდა ამ დასჯილთ და უფრო და უფრო ცხადყოფდა მათ ავკაცობას. ერთს ვერ ნახავდით, ცხადად რომ არ ჰქონოდა სიღარიბისა და გაჭირვების მიერ დასმული დაღი. ყველაზე საშინელი პირველი ფორანი იყო; მღეროდნენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ყვიროდნენ, ღრიალებდნენ ერთ სახელოვან სიმღერას დე-ზოჟიეს ოპერიდან „ვესტალი“. იდგა ხალხი და სულელური სიამოვნებით ისმენდა ამ აჩრდილთა სიმღერას.

აქ შეგროვილიყო ყოველი ბიწი და უბედურება ადამიანისა და ქაოსურად არეულიყო ერთმანეთში. აქ იყო პირისახე ყოველი მხეცისა, ყმაწვილისა და მოხუცისა, მოზარდისაც კი; ზოგი თავმოტვლეპილი იყო, ჭაღარაწვერიანი, ზოგს ოდნავ ეტყობოდა ღინღლი წვერ-ულვაშისა. აქ იყო საზიზღარი ცინიზმი, ნაძალადევი მორჩილება, გიჟური სიცილი, მხეცური მიხრა-მოხრა. ზოგს ღორს უგავდა თავი, ზოგს - ყმაწვილ ქალს, ყურებზე ჩამოშვებული კულულებით, ზოგი კი ბავშვს მოგაგონებდათ და მით უფრო საზარელ და საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩონჩხივით გამხდარი ერია ზოგიერთი, იმდენად ჩამომხმარი, რომ ცხადი იყო, სიკვდილის მეტი აღარაფერი აკლდა. პირველ ფორანზე ერთი ზანგი იჯდა. იქნებ მონად იყო ოდესმე უბედური და,

მაშასადამე, შეეძლო შეედარებინა ძველი და ახალი ბორკილები. სამარცხვინო მორევში ჩაცვენილიყვნენ ყველანი და ერთნაირად გასვრილიყვნენ თავით ფეხამდე. ღრმად ჩაეძირა ამ მორევს ეს უბედურები, ჩამოებანა, თუ კიდევ ჰქონდათ რამე ადამიანური და ბოროტების მსახურად გარდაექმნა ყველანი. უვიცობა სირეგვნედ შესცვლოდათ და ცოდნა სასოწარკვეთილებად. შეუძლებელი იყო ამორჩევა, ერთმანეთზე უარესები იყვნენ ყველანი, როგორც საუკეთესო წარმომადგენელნი ბიწიერების მორევისა. ცხდად ჩანდა, აზრადაც არავის მოსვლოდა ამ უბედურების შესაფერად დალაგება და ერთად იყვნენ შემთხვევით მიჯაჭვულნი მგელი და ძაღლი, ალბათ გვარის პირველი ანბანის მიხედვით. ერთი რამ გვავიწყდება ამ შემთხვევაში: ერთად რომ შეიყრებიან ბიწიერება, ავკაცობა და ვერაგობა, მაშინ ნაყოფსაც გამოიღებენ. ერთ უბედურებას ხომ ზედ სხვა დაერთვის და მერე კიდევ სხვა, ჯავრის ამოყრასღა ცდილობს და თავსაც გასწირავს. ყველა ჯაჭვს საერთო სული ედგა, და განსაკუთრებული იერი ჰქონდა ყოველ ფორანს. ერთზე რომ მხიარულად მღეროდნენ, მეორეზე მწარე ქვითინი ისმოდა, მესამეზე ხელგაწვდილნი ისხდნენ უბედურები და მოწყალებას სთხოვდნენ მაყურებელ ხალხს. ერთზე კბილების ღრჭენა იყო, მეორეზე მუშტმოღერებული მუქარა და ღვთის გმობა. უკანასკნელზე სამარისებური დუმილი იდგა. დანტეს რომ დაენახა, - ჯოჯოხეთის შვიდი წრე ვნახე მოძრავიო, - იტყოდა.

თავისი სასჯელისკენ მიჰყავდათ უბედურები, ჯოჯოხეთში საწამებლად, ოღონდ აპოკალიფსის ცეცხლისმფრქვევი ეტლების მაგივრად, რომაელებივით, დასახოცად დანიშნულებსავით ჩაეყარათ ფორნებში.

ერთ დარაჯს რკინის კავი ჰქონდა გრძელ ჯოხზე და ხშირად შეატრიალებდა ხოლმე ტუსაღებში, - ფრთხილად, თორემ!..

ბებერ დედაკაცს მაყურებელ ხალხში პატარა ბიჭი ეჭირა ხელში, ხუთი წლისა. აჩვენებდა ბავშვს შებორკილ კატორღელებს და არიგებდა:

- შეხედე, შეხედე! ჭკვიანად იყავი, თორემ შენც ეგ მოგელის!..

ძალიან იმატა სიმღერამ, უფრო ძალიან ლანძღვა-გინებამ, და ჯარის უფროსმა კაპიტანმა გაატკაცუნა შოლტი. ამ ნიშანს სეტყვა მოჰყვა, - სეტყვასავით დაეცათ უბედურებს მათრახი და ჯოხი, შვიდივე ფორანზე, განურჩევლად ბრალიანისა და უბრალოსი. ამას ყვირილი მოჰყვა, ბრდღვინვა და ამას კიდევ მხიარული სიცილი ბიჭებისა, რომლებიც გარს ეხვეოდნენ და თან მისდევდნენ ამ საწყლებს, როგორც ბუზები დამპალ ლეშს.

საშინელი თვალით შესცქეროდა ამ სურათს ჟან ვალჟანი. თვალი კი არ იყო, ამ საშინელებას რომ უყურებდა, შუშა იყო ჩაღრმავებული, რომლითაც შეეცვლებათ ხოლმე თვალი განწირულებს; ნამდვილისას ვეღარას ხედავენ, რადგან ცეცხლი წაჰკიდებიათ საშინელი განსაცდელისა და წამებისა. შეჰყურებდა და ამათ კი არ ხედავდა, ძველ ტანჯვას განიცდიდა სულითა და ხორცით. უნდოდა ამდგარიყო, გაქცეულიყო, თვალი მაინც მოერიდებინა, მაგრამ ფეხი ვერ გაენძრია. მოხდება ხოლმე ხანდახან, უყურებს რამეს ადამიანი და ისეა გატაცებული, თითქოს შებოჭილი იყოს იმ სანახავით. ვეღარ განძრეულა, დგას გაშეშებული, გაშტერებული, გამოუთქმელი რაღაც მწუხარება ერევა და თავის თავს ჰკითხავს განცვიფრებული, - რას ნიშნავს ეს მომაკვდინებელი დევნა და საიდან არის ეს ეშმაკთა კრება, რომ ასე სდევნის და გულს უწუხებს? - მერე, როგორც იყო, შუბლში იკრა ხელი, ჩვეულებრივი

მოძრაობა ხელისა, როდესაც უცბად გონებაზე მოდის გაშტერებული, გონება მოიკრიბა, მოაგონდა, რომ ასეთი იყო კატორღელთა მგზავრობა; მოისაზრა, რომ ასე გზის მოვლა და გაგრძელება ჩვეულებრივი იყო, რადგან ფონტებლოზე რომ გამოევლოთ, შეიძლებოდა მეფეს შეხვედროდნენ სადმე, და ისიც მოაგონდა, რომ ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ თვითონაც სწორედ ასევე და ამ გზით მიდიოდა კატორღისკენ.

კოზეტიც ძალიან იყო შეშინებული; ჯერ არაფერი ენახა ამის მსგავსი და ვეღარაფერი გაეგო. სუნთქვა ეკვროდა. უყურებდა, შეუძლებლად მიაჩნდა ასე დამცირება ადამიანისა და, რომ ვეღარ გაუძლო გულმა, მწარედ შეჰყვირა:

- მამა, ვინ არიან ეს უბედურები?

ჟან ვალჟანმა უპასუხა:

- კატორღელები!

- მერე სად მიჰყავთ?

- კატორღაში!

ამ დროს ხელახლა ატყდა ჯოხის ტრიალი, მათრახის ტყლაშუნი. ამას ხმლის ყუით ცემა მოემატა და იმისთანა ყვირილი და ხმაური მოერია იქაურობას, თითქოს ცოფიანი ყოფილიყოს ჯოხიც და მათრახიც. მოიკუნტნენ ტუსაღები, თავი დაიმალეს; ხმაურობის წილ ჩუმი სამარცხვინო მორჩილებაღა მოსჩანდა ყველგან. გაჩუმდნენ ყველანი, მაგრამ დაბმული მგლების თვალით უყურებდნენ თავიანთ მტარვალებს.

მთელი ტანით თრთოდა კოზეტი და კიდევ ჰკითხა:

- მამა, განა ესენი კი ადამიანები არ არიან?

- დროგამოშვებით...

ჯერ ისევ ბნელოდა, რომ ბისეტრის ციხიდან გამოეყვანათ ეს ტუსაღები და მანსის გზისკენ გაეჭიმათ, რომ ფონტენებლოს ასცდენოდნენ, რადგან იქ იყო იმ დროს მეფე. ასე გზის მოვლა სამი-ოთხი დღით გააგრძელებდა ამ საშინელი მგზავრობის ვადას, მაგრამ სამ-ოთხ დღეს კი არა, სამ-ოთხ კვირას არ დაიშურებდნენ, ოღონდ მეფის ბედნიერი თვალისთვის არ დაენახვებინათ ეს საზარელი სანახაობა.

გულმკვდარი დაბრუნდა შინ ჟან ვალჟანი. ამგვარს რომ ნახავს საწყალი კაცი, თითქოს ბიძგი წაჰკრეს მის გულისძირს, უცბად მოაგონდება წარსული და კვლავ განიცდის გარდასულ ტანჯვას.

შინისკენ წამოვიდნენ. ბაბილონის ქუჩაზე შევიდნენ. გაჩუმებული მიდიოდა კოზეტი. აღარას ჰკითხავდა ჟან ვალჟანს. იქნებ თვითონ ჟან ვალჟანი იყო იმდენად ჩაფიქრებული, რომ არც კი ესმოდა კოზეტის სიტყვა. მაგრამ ღამე კი, როდესაც დასაძინებლად გამოეთხოვა კოზეტი, მიმავლისგან გაიგონა ვალჟანმა ჩუმი ხმით წარმოთქმული, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

- ღმერთმა დამიფაროს და გზაში რომ შემხვდეს სადმე ასე ახლოს ერთი იმათგანი, მე მგონია, იქვე მოვკვდები.

კიდევ კარგი, რომ მეორე დღეს, - აღარც კი მახსოვს, რა უქმე იყო, ან რის დღეობა, - დიდი ზეიმი და დღესასწაული იყო პარიზში; აღლუმი გაიშალა მარსის მოედანზე, სენაზე - ნავებისა, განათებული იყო მთელი ქალაქი ჩირაღდნებით. გაჩაღებული იყო ელისეს მინდვრები თავისი თეატრებით.

ჩვეულებას გადაუხვია ჟან ვალჟანმა და, რომ გაერთო როგორმე კოზეტი, ქალაქში წაიყვანა ამ დღესასწაულის სანახავად. ცდილობდა გაექარვებინა როგორმე

გუშინდელი შთაბეჭდილებანი და პარიზის მხიარულ ზეიმში დაევიწყებინა ის საზარელი სურათი, რომელიც ასე გულსაკლავად ეჩვენა კოზეტს.

რაკი აღლუმი იყო, გვარდიელის სამხედრო ტანისამოსი ჩაიცვა ჟან ვალჟანმა, რომ უფრო დაუბრკოლებლად შესძლებოდა ხალხში სიარული, თუმცა გრძნობდა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო გამოქცეული. ამას გრძნობდა, მაგრამ ამაზე უფრო დიდი იყო მიზანი ამ სეირნობისა და გულში ჩაიმალა გრძნობა. აისრულა კიდეც მიზანი. კოზეტისთვის უმთავრესი ის იყო, რომ აესრულებინა მამის ყოველი სურვილი, და გარდა ამისა, ყმაწვილი იყო, ჯერ არ ენახა ამგვარი არაფერი და სიამოვნებით მიიღო ვალჟანის წინადადება, როგორც ყველა მოზარდმა იცის, სახალხო ზეიმის სანახავად რომ გაიწვევენ. ისე კარგად ჩაიარა ყველაფერმა, რომ ჟან ვალჟანს შეეძლო ეფიქრა, მივაღწიე მიზანს და კოზეტს სულაც აღარ აგონდება გუშინდელიო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ მშვენიერ მზიან დილას, ბაღის მხარეს აივანზე იყვნენ კოზეტიც და ჟან ვალჟანიც; ჟან ვალჟანი იმ დღეს ჩვეულებას არღვევდა აქ ყოფნით და კოზეტიც აგრეთვე, რადგან უკანასკნელ ხანს სევდა ერეოდა და დილით თავის ოთახში მარტო იჯდა ჩაფიქრებული. ერთად იყვნენ აივანზე, კოზეტს ჯერ ისევ დილის ტანისამოსი ეცვა და ისე შვენოდა, თითქოს ვარსკვლავი ყოფილიყო ნისლით გარემოცული. მზის შუქი სცემდა, ვარდივით აწითლებული. აღტაცებული იყო შვილობილით ჟან ვალჟანი. ხელში გვირილა ეჭირა კოზეტს და ნელ-ნელა აცლიდა თითო ფურცელს. რა იცოდა, რომ ამ ყვავილზე არის შექმნილი თქმულება, ყოველ ფურცელს თავისი მნიშვნელობა აქვსო: მიყვარხარ... მიყვარხარ გაგიჟებით... და სხვ. ვინ ასწავლიდა მონასტერში, ან შემდეგ? ხელში ეჭირა, ფურცელს აცლიდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ რიდეს აცლიდა გულის საიდუმლოს. რომ ყოფილიყო ერთი კიდევ მეოთხე გრაცია, სახელად მელანქოლია, მაგრამ მცინარი, სწორედ კოზეტის სილამაზის და სიტურფისა იქნებოდა. ჟან ვალჟანი ტკბებოდა შვილობილით. თვალს არ აშორებდა მის წვრილ თითებს იმ პატარა ყვავილზე და ყველაფერი დავიწყებოდა მისი სიყვარულით მოხიბლულსა და დამტკბარს. ხეებზე ჩიტები ირეოდნენ და ჭიკჭიკებდნენ. თეთრი ღრუბელი იძროდა ცაზე გაჩქარებული, თითქოს ეს-ეს არის მოიპოვა თავისუფლება და მით ხარობსო. კოზეტი ყვავილს დასცქეროდა. ფურცელს აცლიდა ღრმად ჩაფიქრებული. აღტაცებული იყო ჟან ვალჟანი. უცბად ქალმა გედის ნარნარი მოძრაობით მიაბრუნა მისკენ თავი და ჰკითხა:

- მამა, რა არის კატორღა?

წიგნი მეოთხე
ქვემოდან შველა შეიძლება ზეგარდმო შველად იქცეს

თავი პირველი
ხორციელად დაჭრილი, სულით განკურნებული

ასე ნელ-ნელა იღრუბლებოდა მათი ცხოვრება.

ერთადერთი დარჩენოდათ სანუგეშო, ძველი, ნეტარების აღმძვრელი ჩვეულება, ღარიბებისა და გაჭირვებულების ნახვა, მშიერთათვის პურის მიწოდება და შიშველთათვის ტანისამოსისა. ხშირად კოზეტიც თან გაჰყვებოდა ხოლმე ჟან ვალჟანს და ამ ქველმოქმედებაში პოვებდა ორივე სულიერ სიმშვიდესა და კმაყოფილებას.

ზოგჯერ ისიც მოხდებოდა, თუ ამ მხრივ კარგი დღე დაუდგებოდათ, ბევრს ნახავდნენ გაჭირვებულსა და შეუმსუბუქებდნენ მათ ტკივილს, ბევრ ტიტველ ბავშვს შემოსავდნენ და ბევრ მშიერს დაანაყრებდნენ, კოზეტი გამხიარულდებოდა ხოლმე, საღამოს შინ რომ მივიდოდნენ. ჟონდრეტის სანახავადაც მაშინ მიიყვანა ქალი ჟან ვალჟანმა.

თავი რომ დააღწია ჟონდრეტს, მეორე დღეს დილით ჩვეულებისამებრ მივიდა კოზეტთან ჟან ვალჟანი სრულიად დამშვიდებული, მაგრამ საშინელი ჭრილობით მარცხენა ხელზე. ჭრილობა ჩაწითლებული იყო, დაჩირქებული და დამწვარს უფრო ჰგავდა. ჟან ვალჟანმა რაღაც მიკიბ-მოკიბა ამ ჭრილობის მიზეზის ასახსნელად. ჭრილობის ბრალი იყო, რომ ერთ თვეზე მეტი შინ იჯდა კაცი, ფეხი არ გაუდგამს გარეთ, რადგან სიცხე ჰქონდა. ექიმი არავინ ისურვა. რომ ჩააცივდებოდა ხოლმე კოზეტი, - ექიმი მოვიყვანოთო, - ასე მოუჭრიდა სიტყვას:

- ძაღლების ექიმი დაიბარე.

ჭრილობას კოზეტი უხვევდა დილას და საღამოს ისეთი ღვთიური სინაზით, ანგელოზური ბედნიერების გრძნობით, - ძლივს მეც დავჭირდი მამაჩემსო, - რომ ჟან ვალჟანს კვლავ განუახლდა წარსული სიმხიარულე, მთლად გადაავიწყდა შიში და სევდა. შეჰყურებდა თავის კოზეტს და გულით ხარობდა.

- კურთხეულო ჭრილობავ! ტკბილო ტკივილო!

რაკი ავად ჰყავდა მამობილი, კოზეტმაც თავი მიანება თავის ოთახებს და უფრო ჟან ვალჟანთან იყო უკანა ეზოს პატარა სახლში; თითქმის მთელ დღეს ატარებდა ჟან ვალჟანთან და ხმამაღლა უკითხავდა მამისგან ამორჩეულ წიგნებს, უფრო მოგზაურობის აღწერას. გაცოცხლდა ჟან ვალჟანი, მთლად დაუბრუნდა ტკბილი, მშვიდი ბედნიერება. აღარც ლუქსემბურგის ბაღი აგონდებოდა, აღარც ის უცნობი ყმაწვილი ბიჭი, დოყლაპიას რომ ეძახდა, აღარც კოზეტის დაღონება. ყოველივე ეს ჩამოშორებოდა მის გულს, როგორც გრიგალით გაფანტული შავი ღრუბელი. ტკბებოდა ბედნიერებით და ფიქრობდა:

- ბებერი გიჟი ვარ, თორემ იმ სისულელეს როგორ წარმოვიდგენდიო!

ისე იყო გატაცებული ნეტარებით, რომ აღარც კი აგონდებოდა ტენარდიეს მიერ მოწყობილი საშინელი ხაფანგი ვითომ ჟონდრეტის ბუნაგში. მართალია, მოახერხა, გამოექცა იმ საზიზღრობასაც და პოლიციასაც, უკვალოდ მიიმალა, მაგრამ აღარავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ამას და, თუ მოაგონდებოდა, იმიტომ მხოლოდ, რომ სიბრალული აღსძვროდა იმ უბედური ყაჩაღებისადმი.

- ციხეში სხედან ტუსაღები და ამიერიდან ვეღარას მავნებენ, - იძახდა ჟან ვალჟანი და კვნესით აგონდებოდა ტენარდიეს სახლში ნანახი სიღარიბით ადამიანის გათახსირება.

მენის სადარაჯოსთან ნანახი კატორღელთა მოგზაურობაც ავიწყდებოდა, რადგან ამაზე ხმას აღარ იღებდა კოზეტი.

მონასტერში მუსიკას ასწავლიდა კოზეტს დედა სენტ-მეშტილდი. ტკბილი, კიოტივით ხმა ჰქონდა როზეტს და ხანდახან, საღამოობით, ჟან ვალჟანის ოთახში მღეროდა ხოლმე მონასტერში გაგონილ მწუხარე ჰანგებს და გულს უტკბობდა მამობილს.

გაზაფხული ახლოვდებოდა. ისეთი კარგი რამ იყო ამ დროს ბაღი, რომ ხშირად ეტყოდა ჟან ვალჟანი:

- რატომ ბაღში არ ჩახვალ, შვილო? რატომ არ სეირნობ?

- როგორც გნებავთ, მამა, - უპასუხებდა კოზეტი.

და მამობილის სურვილის ასასრულებლად ყოველდღე ჩადიოდა ბაღში მარტოდმარტო, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟან ვალჟანს ეშინოდა, - ქუჩიდან არავინ დამინახოსო, - და ბაღში თითქმის არ ჩადიოდა.

სწორედ სანუგეშოდ გამოადგა ჟან ვალჟანს თავისი დაჭრილი ხელი.

რაკი ნახა კოზეტმა, რომ ჭრილობა ურჩებოდა, ისე აღარ სტკიოდა და კმაყოფილი და ბედნიერი ჰყავდა მამა, სიამოვნებით ევსებოდა გული. მარტი შეუმჩნევლად გადიოდა. დღე მატულობდა. ზამთარი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ზამთარი რომ მიდის, თან მიაქვს ცოტა რამ მაინც ჩვენი ვარამისა და მწუხარებისა. მარტს აპრილი მოჰყვა, ეს ზაფხულის განთიადი, აისივით ნორჩი, მხიარული, როგორც ბავშვობა, ხანდახან ცოტა მტირალა, როგორც ყოველი ახალშობილი. ამ თვეში ბუნება გვაჯილდოებს გულის წარმტაცი ბრწყინვალებით, რომელიც ზეციდან, ღრუბლებიდან, ხის ტოტებიდან, გაზაფხულის მოლიდან და ყვავილებიდან იღვრება ადამიანის სულსა და გულში.

მეტად ყმაწვილი იყო კოზეტი, რომ არ დამტკბარიყო თავისივე მსგავსი გაზაფხულის სიხარულით. სრულიად შეუმჩნევლად მიმალულიყო სადღაც მისი გულის სევდაც და დაღონებაც. ისე აშუქებს გაზაფხული მწუხარებით სავსე გულს, როგორც სარდაფს შუადღის მზის სხივი. გამხიარულდა კოზეტი, თუმცა თვითონ კი ვერ ხედავდა თავის მხიარულებას. დილით, საუზმის შემდეგ, ათ საათზე თუ მოახერხებდა და ბაღში ჩაიყვანდა ჟან ვალჟანს, ცოტა ხნით მაინც, ხელზე ედო მისი მტკივანი ხელი და ისე ასეირნებდა; ვერც კი ამჩნევდა, რომ მხიარულად იცინოდა ყოველ წამს და საფიქრებელი არაფერი ჰქონდა.

ჟან ვალჟანიც თვრებოდა მისი ბედნიერებით, მისი მშვენიერებითა და სიყმაწვილით.

- რა სიკეთე მიყო ამ ხელის დაწვამ! - იძახდა ჩუმად ჟან ვალჟანი.

და გულით მადლობას უძღვნიდა ტენარდიეს.

მოურჩა ხელი და დაიწყო ძველებურად სეირნობა, ბინდისას, სადმე მიყრუებულ ქუჩებში.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ასე ღამით სეირნობა შორეულ მიყრუებულ უბანში საშიში არ იყოს. და ვერც ჟან ვალჟანი გადარჩა ამ საშიშ შემთხვევას.

## თავი მეორე
## ყველაფერს აგიხსნით ძალუა პლუტარქე

დაბინდდა და გავროშს კი ჯერ არაფერი ეჭამა. მოაგონდა, რომ გუშინაც არ ეჭამა სადილი. ბოლო არ უნდა ჰქონოდა ამოდენა მარხვას? და გადაწყვიტა, - უნდა ვცადო, ვახშამი მივირთვაო! - გასცდა სალპეტრიერს, დაიწყო ყიალი, მიძინებულ ჩუმ ქუჩებში თუ იშოვიდა რამეს, იქ იშოვიდა, იმიტომ, რომ იქ იპოვის რასმე კაცი, სადაც იშვიათად არის ვინმე. ერთ უბანში შევიდა, რომელიც სოფელ აუსტერლიცად ეჩვენა.

ამას წინათაც იყო ამ მხარეს. დადიოდა, სინჯავდა, ეძებდა, ერთი ბებერი კაცი დაინახა მასავით დაბერებულ ძველ ბაღში და ერთი კიდევ ბებერი დედაკაცი. ბაღში ერთ დიდ ვაშლის ხეს მიაქცია ყურადღება და იმ ვაშლთანვე პატარა სახილეს, უვარგისად დაკეტილს, მაშასადამე, ადვილად გასაღებს, თუ შიგ ვაშლი

მოიპოვებოდა. ვაშლი ნიშნავდა ვახშამს, ვახშამი კიდევ სიცოცხლეს! ვაშლმა დაღუპა ადამი და ვაშლმა უნდა იხსნას გავროში. ბაღი პატარა, ვიწრო, მოუკირწყლავ ქუჩაში გადიოდა, სადაც შენობა არსად იყო, პატარა ღობე ჰქონდა და გადასავალი ამ ვიწრო ქუჩიდან.

გავროშიც იმ ბაღისკენ წავიდა, მიაგნო ვიწრო ქუჩას, მივიდა ბაღთან, იცნო ვაშლის ხე, იქვე სახილე. რას დააბრკოლებდა ღობე? ისკუპა და გადახტა. ბინდდებოდა. კატაც არსად კნაოდა პატარა ქუჩაში, ვინ დაინახავდა! გადახტა და იქვე გაჩერდა. ბაღში ლაპარაკობდნენ. გაინაბა ბიჭი.

ვაშლის ხესთან და სახილესთან, სწორედ იქ, საითაც გავროში აპირებდა მისვლას, ეგდო ქვა, რომელიც სკამის მოვალეობას ასრულებდა. ამ სკამზე იჯდა გავროშის მიერ ნანახი ბებერი კაცი და იქვე იდგა ბებერი დედაკაცი.

რაღაცას ბუზღუნებდა დედაკაცი. არცთუ დიდად მორიდებული გავროში ყურს უგდებდა.

- ბატონო მაბეფ! - მიმართა დედაკაცმა.

- მაბეფო! - იუცხოვა გავროშმა, - იფ, რა სახელია!

მოხუცებული ხმას არ იღებდა. თითქოს ვერც კი გაიგონა.

- ბატონო მაბეფ! - გაიმეორა დედაკაცმა.

არც კი შეინძრა მოხუცებული, ისევ მიწას დასცქეროდა:

- რა იყო, ძალუა პლუტარქე?

- ძალუა პლუტარქეო? - უფრო მეტად იუცხოვა გავროშმა, - ეს კიდევ უარესი.

ძალუა პლუტარქე წინ ედგა მაბეფს და თავისას არ იშლიდა:

- სახლის პატრონი ჯავრობს.

- რად ჯავრობს?

- სახლის ქირას თხოულობს. სამი ვადისა გვმართებს.

- სამი თვის შემდეგ ოთხი ვადისა გვემართება.

- ქუჩაში გაგყრითო, იძახის.

- გაგვყრის და გავალთ.

- მეხილეც თავის ნისიას თხოულობს. ხომ იცით, რა საშინელი დედაკაცია! აღარც შეშას იძლევა. რითი გავათბოთ სახლი, რომ აღარც შეშა გვაქვს?

- რითი და მზითა.

- ყასაბმა, ფულიო! ნისიად აღარ მოგცემთო.

- უშველა ღმერთმა! მეტად მძიმეა ხორცი, ვეღარ ვინელებ.

- მაშ სადილად რა გვექნება?

- პ უ რ ი!

- მეპურეც მაგას გაიძახის, ნისიაში გამისწორდით, საცა ფული არ არის, იქ არც პური არისო.

- მართალი უთქვამს!

- მაშ რას მიირთმევთ?

- ეს ვაშლი ხომ გვაქვს.

- კარგი, ბატონო, მაგრამ რომ არ შეიძლება უფულოდ ცხოვრება?

- მე კი არა მაქვს და!

წავიდა, თავი დაანება ძალუა პლუტარქემ. მარტო დარჩა მაბეფი ღრმად ჩაფიქრებული. გავროშიც იქვე იყო მინაბული და ისიც ღრმად ჩაფიქრებული. ღამდებოდა.

მერე ვახშამი მოაგონდა. იმის მაგივრად, რომ ღობეზე გადამხდარიყო და წასულიყო, გადაწყვიტა, უვახშმოდაც კარგად დავიძინებო. ბუჩქებში შეძვრა, ზურგს უკან მოექცა ბებერ მაბეფს, ღობის ძირში მისწი-მოსწია ბუჩქები და, აი, ლოგინიც ამისთანა უნდაო, - იფიქრა, - მაშ აქვე დავიძინებო. კარგად ესმოდა ბებერი მაბეფის ქშენა.

სადილისა და ვახშამის მაგივრად ძილი ირჩია.

კატის ძილი იყო გავროშის ძილი, ცალი თვალით თვლემდა და ესმოდა, ხედავდა.

ცის სიბნელე ეფარებოდა მიწას, ძლივსღა ჩანდა ვიწრო ქუჩა აქეთ-იქით ამართულ ხეებსა და ბუჩქებში.

უცბად ფეხის ხმა მოესმა. გაიხედა ქუჩაში, ორი ჩრდილი დაინახა, მისკენ მომავალი. ერთი წინ იყო, მეორე უკან, ცოტა მოშორებით.

- რა დროს ხეტიალია, რა ვქნა? - წაიბუზღუნა გავროშმა.

წინ რომ მოდიოდა, მოხუცებულ ბურჟუას ჰგავდა. თავდაღუნული მიდიოდა, ჩაფიქრებული; უბრალო ტანისამოსი ეცვა, ნელი ნაბიჯით იძვროდა სიბერია გამო, ეტყობოდა, ტკბებოდა ბუნების დუმილით.

მეორე მაღალი ბიჭი იყო, წელწვრილი, მოქნილი, ღონიერი, ფრთხილად მისდევდა მოხუცებულს, თავის ნაბიჯს უგუებდა მისას, მაგრამ ამ ნელ სვლაშიც ეტყობოდა, რომ მარჯვე უნდა ყოფილიყო და ჩაუქი. საშინელი შეხედულებისა იყო, ეჭვისა და შიშის აღმძვრელი, მაგრამ ამასთან ძალიან კოხტა, ისეთი, რომელსაც იმ დროს მოხდენილს ეძახდნენ. კარგი, კოხტა ქუდი ეხურა, შავი სერთუკი ვეცვა, კარგად გამოჭრილი, წელში მოჭერილი, თავი მაღლა ეჭირა. მოხდენილად და ძალოვნად, და ქუდქვეშ რომ დაკვირვებოდით, გაყვითლებულ სახეს დაინახავდით ჭაბუკი ბიჭისას. პირში ვარდი ეჭირა.

მაშინვე იცნო გავროშმა, მონპარნასი იყო.

პირველისას კი ვერას იტყოდა, გარდა იმისა, რომ უბრალო მოხუცებული კაცი იყო.

რაღა დააძინებდა? ზვერვა დაუწყო მომავალთ.

ცხადი იყო, ერთ ამათგანს რაღაც განზრახვა უნდა ჰქონოდა, რომ ასე ჩუმად, ფეხაკრეფით მოსდევდა მეორეს. ღობის ძირში იწვა გავროში, რომელიც ახლა საფრად გაეხადა, და თვალს აღარ აშორებდა ამ კაცებს.

სასეირნოდ გამოსულიყო მონპარნასი. ღამე იმ უბედურ ქუჩებში კარგს არას მოასწავებდა ეს სეირნობა. ბებერი კაცისადმი სიბრალული მოერია გავროშს.

რა უნდა ექნა? ისიც ჩარეულიყო? რას გააწყობდა სუსტი სუსტის დახმარებით? მასხრად აიგდებდა მონპარნასი. გადაწყვეტილი ჰქონდა გავროშს, ორ ლუკმად არ ვეყოფით ამ სახელოვან, თვრამეტი წლის ყაჩაღს მე და ის ბებრუცუნაო.

და სანამ ამას საზრავდა გავროში, უცბად მივარდა მონპარნასი არხეინად მიმავალ ჩაფიქრებულ მოხუცს, ეცა, როგორც ვეფხვი კანჯარს, ან ობობა ბუზს. უცბად გადააგდო ვარდი, ეტაკა მოხუცს, ყელში მაგრად მოებღაუჭა. ძლივს შეიმაგრა გავროშმა ყვირილი. ცოტა ხნის შემდეგ ერთი ამ კაცთაგანი ქვეშ მოჰყოლოდა მეორეს, ხრიალებდა, ვეღარ იძვროდა, რადგან ზედ აჯდა მეორე და ისე აწვებოდა გულზე

მუხლით, რომ ძლივსღა სუნთქავდა დამარცხებული. მაგრამ ის კი არ იყო, რასაც გავროში მოელოდა: მიწაზე განრთხმული მონპარნასი იყო, და მუხლქვეშ რომ ყაჩაღი მოექცია, მოხუცებული იყო.

იქვე მოხდა ყოველივე, გავროშის თვალწინ.

მოხუცს დაჰკრა მონპარნასმა, მაგრამ მანაც უპასუხა და ისე მედგარი იყო ეს პასუხი, რომ სწრაფად შეიცვალა ბრძოლა. იერიშით მისული ძირს ეგდო დამარცხებული და მწარედ გმინავდა გამარჯვებული მოხუცებულის მუხლის ქვეშ.

- ესეც შენ, ბებერო! - წამოიძახა ჩუმად გავროშმა.

ვერ შეიკავა თავი და ტაში დაჰკრა. მაგრამ ვერავინ გაიგონა მისი ტაში. ბრძოლას განაგრძობდნენ, ისე ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს, რომ აღარაფერი ეყურებოდათ.

ბოლოს მიჩუმდა ბრძოლა, დაემორჩილა მონპარნასი, მკვდარივით ეგდო მიწაზე.

„ხომ არ მოკვდა ეს ბიჭი?“ - ფიქრობდა გავროში.

მოხუცებული ხმას არ იღებდა, არც ყვიროდა, - მიშველეთო, - წამოიწია, წამოდგა და გავროშმა გაიგონა მისი ბრძანება:

- ადექი! - მიმართა მონპარნასს.

მონპარნასი ადგა, მაგრამ მაინც ეჭირა მოხუცებულს.

შერცხვენილი იყო მონპარნასი, ცოფი ერეოდა, როგორც ცხვრისგან დამარცხებულ მგელს.

შესცქეროდა გაკვირვებული გავროში, თან ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა მის ყურსა და თვალს, რადგან სწორედ საამო სურათს ხედავდა.

აუსრულდა კიდეც სურვილი. იმდენად ხმამაღლა მიმართა მონპარნასს მოხუცებულმა, რომ ყველაფერი კარგად ესმოდა პატარა ბიჭს. ბნელში გამართულ საუბარს ტრაგიკულ იერს აძლევდა ღამის დუმილი. მოხუცებული ჰკითხავდა, მონპარნასი პასუხს აძლევდა.

- რამდენი წლის ხარ?

- ცხრამეტის.

- ღონიერი ბიჭი ხარ და ჯანსაღი. რატომ არ მუშაობ?

- მეზარება.

- ხელობა გაქვს რამე?

- ცუდბიჭობა!

- რა დროს ლაყბობაა? გეკითხები, მიპასუხე. იქნებ დაგეხმარო რამეში. რა საქმეზე უფრო მიგიწევს გული?

- ქურდობაზე.

დუმილი ჩამოვარდა მცირე ხნით. ღრმად ჩაფიქრებულს ჰგავდა მოხუცი, იდგა უძრავად და ხელს არ უშვებდა მონპარნასს.

ყმაწვილი ბიჭი იყო ყოჩაღი, ძალ-ღონით სავსე და წამდაუწუმ გაიწევდა ხოლმე გასაქცევად, როგორც მახეში გაბმული მხეცი. ხან გასხლტომას ლამობდა, ხან ფეხს წაუდგამდა, საზარლად იკლაკნებოდა, მაგრამ ისე იდგა მოხუცებული, თითქოს ვერც კი ამჩნევსო; ცალი ხელით ეჭირა მონპარნასის ორივე ხელი და, ღონით სავსე, ყურადღებას არ აქცევდა მის ფართხალს.

ცოტა ხანს გაჩუმებული იდგა მოხუცებული. მერე დააცქერდა მონპარნასს და ტკბილი ხმით ხმამაღლა დაუწყო დარიგება ისე, რომ ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია გავროშს.

- შენ, შვილო, სიზარმაცით შედიხარ შრომაზე დამყარებულ ცხოვრებაში. ნუთუ აგრე ცუდად, უსაქმურად უნდა დაყიალებდე? მოდი, ისევ ირჩიე. იქნებ გინახავს სადმე, ერთი მანქანაა, საშინელი, საბრტყელებელს ეძახიან. ფრთხილად უნდა მიუდგეს კაცი, რადგან მკაცრია და ავგული; თუ ხელთ იგდო როგორმე შენი ტანისამოსის კალთა, წასულია შენი საქმე! ჩაგითრევს და ბუზივით გაგჭყლეტს! უსაქმურობაც ამ მანქანასავით ღუპავს ადამიანს. ნუ მიდიხარ მაგ გზით; გაჩერდი, სანამ დრო გაქვს და თავს უშველე. თუ არა, ვაი შენი ბრალი! დღეს თუ არა, ხვალ ჩაგითრევს კბილოვანი ჩარხი და მიწასთან გაგასწორებს. იმედი ნუღარ გექნება, თავს ვეღარ დააღწევ. ისე ჩაგაბამენ ზარმაცს, რომ დასვენება გენატრებოდეს. ნუთუ არ გინდა იმუშაო, შრომით შეიძინო ლუკმაპური, აასრულო ადამიანის დანიშნულება? არ გინდა, შენც კაცი გახდე და ადამიანის სახელი მოიხვეჭო? არ გინდა, და იცოდე, სწორედ ის დაგტანჯავს და გაწამებს, რასაც გაურბი. შრომა კანონია ცხოვრებისა, ვინც სიზარმაცით დაარღვევს ამ კანონს, სწორედ შრომითვე დაისჯება. მუშად გახდომა არ გნებავს, მონად იქცევი, შრომის ყურმოჭრილ ყმად და მონად. შრომას გაურბი? მით უფრო მეტად ჩაგბოჭავს ეგ შრომა. შრომას ვერ ეგუები, ვერ უამხანაგდები? მონად გაგიხდის შრომა. ადამიანურ პატიოსან დაღლას ერიდები? ჰოდა, განწირულთა ოფლში გაიწურები. შრომის შვილების სიმღერა რომ მოგესმის, შენ მარტო კვნესაღა ამოგხდება. შორიდან, ქვემოდან დაინახავ, როგორ მუშაობენ შრომის ერთგულნი და - აგერ, ისვენებენ, - იტყვი. ისეთ სხივმოსილად გეჩვენება მიწის მუშა, მეზღვაური, მჭედელი, თითქოს სამოთხეში არიან და ტკბებიანო. იცი, რა სინათლეს აფრქვევს გრდემლი! იცი, რა ნეტარებაა მიწის ხვნა, მომკილის ძნად შეკვრა? თავისუფლად მიმავალი ნავია მუშაკაცის ცხოვრება. ზარმაცი ხარ? შრომას გაურბი? ჰოო? მაშ აქ მოდი! აბა, დაბარე, ასწიე, მოაგროვე, მოუარე! სადღა წაუხვალ შენს აპეურს? შენ უკვე უღელში შებმული ტყვე ხარ ჯოჯოხეთისა. მაშ, ეგ არის, რაღა, შენი მიზანი, ცუდად დაყიალებდე. უსაქმურად? მე კი გარწმუნებ, - ერთ კვირას ვერ გაატარებ, ერთ დღეს, ერთ საათს, რომ დაქანცული არ იყო და წელმოწყვეტილი. მწუხარება და ვარამიღა იქნება შენი ცხოვრება. ერთი წამის მოსვენებაც აღარ ექნება შენს ხელს. რაც სხვებისთვის ბუმბულივით მსუბუქი იქნება, შენ კლდის სიმძიმისად დაგაწვება. აუვალ ციცაბოდ მოგეჩვენება სულ უბრალო, პატარა აღმართი. საზიზღარ ურჩხულად გადაიქცევა შენი სიცოცხლე. სიარული შეგძაგდება, სუნთქვა შეგეკვრის, ტყვიასავით დამძიმდება შენი ფილტვები. ჰოდა, უნდა გადაწყვიტო, სად გირჩევნია სიცოცხლე, ადამიანად თუ მონად? ადამიანს რომ წასვლა მოუნდება სადმე, კარს გააღებს და გავა. შენ კი, თუ წასვლა განიზრახე, ჯერ შენი დილეგის კედელი უნდა გაანგრიო. რას ჩადის ადამიანი, ქუჩაში გასვლა რომ მოუნდება? ჩამოვა კიბეზე და ქუჩაშია. შენ? შენ კი შენი ლოგინის ზეწარი უნდა დახიო, თოკად დაგრიხო, ფანჯარაზე მიაბა და ზედ დაეკიდო იმ თოკს, დიდი სიმაღლიდან დაშვებულს, და ისიც როდის? ღამე, რომ წვიმდეს, ქუხდეს და ვერავინ დაგინახოს. მოკლე რომ გამოდგეს შენი თოკი? უნდა გაუშვა და ძირს ჩავარდე. მერე რა იცი, სად ჩავარდები, რას დაეცემი? რა არის იქ, ძირს, სადაც შენ ჩავარდები? ან არადა ბუხრის საკვამურში უნდა ჩაძვრე და თან გული გისკდებოდეს, - ვაითუ გზაში დავიწვაო. ან არადა, კანალიზაციის მილში უნდა ჩაძვრე, რომ გული წაგვიდეს სუნით და შიგ ჩაიხრჩო. ახლა რამდენი ნახვრეტი უნდა გქონდეს კედელში დაფარული! დღეში ოცჯერ მაინც გამოიღებ კედლიდან აშლილ ქვებს და ისევ შიგვე შეაწყობ, რომ განზრახვა არ შეგიტყონ. გაჯი რა არის, კედლიდან ჩამოშლილი გაჯიც

კი ლეიბში უნდა გქონდეს დამალული. დაკეტილის გაღება დაგჭირდება? მუშას ჯიბეში უდევს მჭედლის დამზადებული გასაღები. შენ კი, თუ დაგჭირდა დაკეტილის გაღება, შენვე უნდა გაიკეთო იმ კლიტის გასაღები. უსაზღვრო შრომა და მოთმინება დაგჭირდება ამ საკვირველი გასაღების დასამზადებლად. ერთი სუ უნდა იშოვო და ორკეცად გაჭრა. რითი გაჭრა? ეგ შენ უნდა გამოიგონო, შენი საქმეა. მერე უნდა მისდგე და ჩააღრმავო ორივე ნაკეცი, ოღონდ ისე, რომ არაფრით დააზიანო მონეტის გარეგნობა. მერე ისე უნდა დშეუწყო ერთმანეთს ორი ნაკეცი, რომ ერთდებოდეს და არაფრით განირჩეოდეს ნამდვილი შავი ფულისგან. ფულის ნიშნები უცვლელად უნდა ჰქონდეს ზემოდანაც და ქვემოდანაც. შენი დარაჯებისთვის ეს იქნება უბრალო შავი ფული, შენთვის კი - პატარა კოლოფი. რას ჩადებ ამ კოლოფში? ერთი ბეწო ფოლადს, საათის ზამბარას, ოღონდ წინათვე დააკბილოვნებ, რომ გაჭირვებაში ხერხად გამოგადგეს. ამ ხერხით, ქინძისთავის სიგრძისა, მონეტაში დამალული ხერხით უნდა გადაჭრა ჯერ კლიტის ყური, მერე საკვალთის ღერო, მერე მოაჯირი, ფანჯარას რომ მიადგები, და ბოლოს ბორკილები, რომელიც ფეხებზე გადევს. აგერ, გააკეთე ის სასწაულებრივი კოლოფი, საკვირველი ნაწარმი ხელოვნებისა, უნარიანობისა, მოხერხებისა, მოთმინებისა. მერე რა მოგელის, თუ გაგიგეს, რომ შენა ხარ, ეს ხელმარჯვე ოსტატი? რითი დაგიჯილდოებენ იმოდენ შრომას? საპატიმროში ჩაგსვამენ, აი, შენი ჯილდო და მომავალი. იცი, რა საშინელი უფსკრული არის სიზარმაცე და სიამოვნება? ნუთუ არ იცი, რომ უსაქმურად ხეტიალი სულით ხორცამდე ღუპავს ადამიანს? შენ ცუდად უნდა იყო და საზოგადოებას აწვე მუქთახორად? უსარგებლო წევრი უნდა იყო საზოგადოებისა, ესე იგი მავნებელი? ვაი იმას, ვისაც ამგვარი პარაზიტობა ნებავს! მატლად გადაიქცევა, ფეხით გასასრეს მატლად. მაშ, შრომა გეზარება? ერთადერთიღა გაქვს საფიქრებელი, - კარგი საჭმელი, კარგი სასმელი, ტკბილი ძილი? შენ კი წყალიღა გექნება, ტალახივით შავი პური და ცარიელ ფიცარზე იწვები ბორკილით ხელფეხშეკრული, ამ ბორკილის ცემა გაგიფრთხობს და ჩაგიმწარებს ძილს. დაამტვრევ ბორკილს და გაიქცევი? ძალიან კარგი. პირქვე შეძვრები სადმე ბუჩქნარში, ცოცვით ეცდები სადმე მიმალვას და ბალახიღა იქნება შენი საზრდო, როგორც ტყის ნადირისა, დამალვით კი ვერ დაიმალები, დაგიჭერენ, ორმოსავით ბნელ ქვესკნელში ჩაგაგდებენ და, ვინ იცის, რამდენ ხანს იქნები იქ დამწყვდეული, კედელზე მიჯაჭვული? ხელის ცეცება დაგჭირდება, რომ სურას მიაგნო და პირი გაისველო. პური მოგშივდება და იმისთანას დაგიყრიან, რომ მშიერი ძაღლიც კი არ მიეკარება; საჭმელს იტყვი და ცერცვის შეჭამადს დაგიდგამენ, იმისთანას, რომ ჯერ ჭიებს შეეჭამათ, მანამ შენამდე მოაღწევდა. ნესტის ჭიაღა იქნები ბნელ სარდაფში. ყმაწვილი ბიჭი ხარ, ოცი წელიწადი არ გასულა, რაც ძეძესა სწოვდი, ცოცხალი უნდა გყავდეს მშობელი დედა, ნუთუ არ გებრალება შენი თავი, შე უბედურო, შენა? ხომ გეყურება, რა საშინელებას გიქადის ემაგ ცუდბიჭობა. გეფიცები, დამიჯერე, თორემ დაიღუპები. შავი მაუდის ტანისამოსი გინდა? კოხტა, ბრჭყვიალა ფეხსაცმელი, სურნელოვანი საპკურით დამშვენებული ხუჭუჭი თმა, სილამაზე და კოხტაობა, რომ ქალებს მოეწონო, არა? ჰოდა, მაგ გზით თუ იარე, ძირიანად გადაგკრეჭენ თმას, წითელ ხალათს ჩაგაცვამენ და ფეხზე ხის ქოშებს. თითზე კოხტა ბეჭედი გნებავს? ბეჭდის მაგივრად ჯაჭვი გექნება კისერზე. ქალს გადახედავ? ჯოხს ჩაგკრავენ შიგ თავში, რომ ჭკუა გასწავლონ. ოცი წლის ჭაბუკი შეხვალ ამ საშინელებაში და ორმოცდაათი წლის ბებრუცანა გამოხვალ იქიდან. ყმაწვილი ბიჭი შეხვალ, ნორჩი,

კოხტა, ბრწყინვალე თვალით, ბროლივით კბილით, გიშერივით შავი თმით და წელში მოხრილი, მოღუნული გამოხვალ, დამჭკნარი სახით, ჭაღარა თმით, უკბილო და საშინელი. ავ გზაზე ხარ, შვილო, უსაქმურობასავით არაფერი ღუპავს ადამიანს. მრავალგვარია შრომა და ყველაზე საშინელი ქურდობაა. ჰოდა, დამიჯერე. ნუ მიჰყვები სიზარმაცეს, გაისარჯე, რომ კაცი იყო და ქუდი გეხუროს. რას შეგძენს, ნეტავი, ეს ქურდობა და ავაზაკობა? მერწმუნე, პატიოსნება უფრო ადვილია, ვიდრე ავკაცობა. წადი ახლა და კარგად დაუფიქრდი ჩემს ნათქვამს. მართლა! რა გინდოდა ჩემგან, წეღან რომ მომვარდი? ჩემი ქისა? აი, წაიღე.

გაუშვა მოხუცებულმა მონპარნასი, ხელში ჩაუდო თავისი ქისა. მანაც ერთ წამს ხელით აწონა ეს ნაჩუქარი და მერე დიდი სიფრთხილით, თითქოს მოპარულს მალავსო, სერთუკის უკანა ჯიბეში ჩაიდო.

მოხუცებულს ხმა აღარ ამოუღია. დამშვიდებული გაუყვა გზას.

- ყეყეჩი! - წაიდუდუნა მონპარნასმა.

ვინ იყო ეს მოხუცებული? ეჭვი არ არის, მკითხველი თვით მიხვდებოდა.

გაშტერებული იდგა მონპარნასი, თვალს აღარ აშორებდა ბნელ ქუჩაში მიმავალ „ყეყეჩს“ და ძვირადაც დაუჯდა ეს გაშტერება.

მოხუცებული რომ შორდებოდა, გავროში უახლოვდებოდა.

ჯერ მაბეფს გადახედა გავროშმა, დარწმუნდა, რომ ისევ იქ იჯდა სკამზე და ძილი ერეოდა. მერე გამოძვრა ბუჩქებიდან და მიწაზე განრთხმული ცოცვით წამოვიდა მონპარნასისკენ, რომელიც ისევ უძრავად იდგა. ისე მიეპარა უკნიდან, რომ ვერაფერი გაიგო მონპარნასმა, ხელი ჩაუყო უკანა ჯიბეში, ამოაცალა ქისა და ისევ ცოცვით გველხოკერასავით მიიმალა ბუჩქებში. მონპარნასს საშიში აღარაფერი ჰქონდა და იდგა ისე ჩაფიქრებული, იქნებ პირველად დაფიქრდა სიცოცხლეში და ვერაფერი შენიშნა.

გავროში კი მიუახლოვდა ბებერ მაბეფს. გადაისროლა ქისა ღობეზე და მოჰკურცხლა.

ფეხზე დაეცა მაბეფს ქისა და გამოაღვიძა. დაიხარა, აიღო. ვეღარაფერი გაეგო საცოდავს და გახსნა. შიგ ცოტა თეთრი ფული იდო და ძირში ჩამალული ექვსი ოქრო.

შიში მოერია მაბეფს, წამოვარდა და დიასახლისს შეუტანა:

- ღვთის წყალობაა სწორედ! - თქვა ბებერმა პლუტარქემ.

## წიგნი მეხუთე
## რომლის ბოლო თავს არა ჰგავს

### თავი პირველი
### განმარტოება და ყაზარმა

მეტად მწუხარე იყო ოთხი-ხუთი თვის წინათ კოზეტი, მეტად აწუხებდა მარიუსის ფიქრი, მაგრამ გადიოდა დრო და მწუხარება უმცირდებოდა მის შეუმჩნევლად. ბუნება, გაზაფხული, სიყმაწვილე, მამისადმი სიყვარული, მგალობელი ჩიტები და გაზაფხულის აყვავება ნელ-ნელა უქარვებდა მწუხარებას ამ უმანკო სულს და თითქმის ავიწყებდა წარსულს. ნუთუ ქრებოდა მის გულში აღგზნებული ცეცხლი? თუ მარტო ფერფლი ეფინებოდა ზემოდან? იქამდე მივიდა ეს დავიწყება, რომ ერთ დღეს სრული

სიმშვიდით მოაგონდა მარიუსი და აღარც გულისტკივილი მოჰყვა ამ მოგონებას, აღარც კვნესა. ერთხელ გაახსენდა:

- ვაი, აღარც კი ვფიქრობ მგონი მასზე!

და სწორედ იმ დღეებში შენიშნა ქუჩაში მიმავალი ერთი კოხტა, ლამაზი ოფიცერი, წელწერწეტა, გულისწარმტაცი მხედრული ტანისამოსით, ყმაწვილი ქალის ლოყებით, მშვენიერი ხმლით, დაწკეპილი ულვაშით და პოლონური ფორმის ქუდით; ყმაწვილი ბიჭი, ქერათმიანი, ცისფერთვალება, პირში სიგარით და თავხედური, სულელური გამომეტყველებით, სულ სხვა იერისა, ვიდრე მარიუსი.

დაინახა კოზეტმა და იფიქრა, - ალბათ ოფიცერია იმ პოლკისა, ბაბილონის ქუჩაზე რომ დგასო.

მეორე დღესაც დაინახა მიმავალი და საათი დანიშნა.

და მას შემდეგ, იქნებ შემთხვევითაც ყოფილიყო, თითქმის ყოველდღე ხედავდა ამ ყმაწვილ კაცს.

ოფიცრის ამხანაგებმა შენიშნეს, რომ იმ ბაღში, ასე მოუვლელ ბაღში, იმ ძველ როკოკოს მოაჯირიანი ღობის უკან ერთი ლამაზი ქალი დასეირნობდა თითქმის ყოველთვის იმ დროს, როდესაც კოხტა ოფიცერს უნდა გაევლო. ეს კოხტა ოფიცერი უცნობი არ არის მკითხველისთვის და თეოდულ ჟილნორმანი ჰქვია.

- ხედავ, - უთხრეს ამხანაგებმა, - თვალს არ გაშორებს ის კოხტა გოგო, აი, იმ ბაღში რომ დასეირნობს.

- სად მცალია, რომ ყველას ვუცქირო, ვინც მე თვალს არ მაშორებს? - უპასუხა თავმომწონედ თეოდულმა.

სწორედ იმ დროს იყო ეს ამბავი, როდესაც სასოწარკვეთილება მორეოდა მარიუსს და ოხრავდა:

- ერთხელ მაინც მეღირსოს მისი ნახვა და მერე თუნდაც მოვკვდე.

რომ ასრულებოდა ეს ნატვრა და დაენახა, რა თვალით უყურებდა კოზეტი ოფიცერს, იქვე ხმის ამოუღებლად დაეცემოდა მკვდარი.

და ვისი ბრალი იქნებოდა? - არავისი.

მარიუსი იმ ბუნების ადამიანი იყო, რომელიც ღრმად იძირება სევდაში და შიგვე რჩება; კოზეტი კი იმათგანი იყო, რომლებიც იფლობიან სევდაში, მაგრამ ბოლოს მაინც ამოდიან.

ესეც რომ იყოს, იმ ხნისა იყო კოზეტი, იმ საბედისწერო ხნისა, როდესაც ოცნებით ცოცხლობს მარტო მიტოვებული ქალი; როდესაც ყმაწვილი ქალის, მარტოხელა ქალის გული წარმოადგენს ვაზის პწკალს, რომელიც შემთხვევის მიხედვით ხან მარმარილოს სვეტისთავს ეჭიდება და ხან უბრალო დუქნის კედელს. დაჰკრავს ხოლმე წამი, სწრაფი და მედგარი, ყველა ობლის საბედისწერო, სულერთია, ღარიბი იქნება ქალი თუ მდიდარი, რადგან სიმდიდრე არ დაიფარავს მას ცუდი არჩევანისგან. დიდებულთა წრეშიც ხშირია უღირსი ქორწინება. ნამდვილი უღირსი ქორწინება გულისხმობს სულიერ განსხვავებას; ხშირად მოხდება ხოლმე, ყმაწვილი არც ცნობილია, არც სახელოვანი შთამომავლობის არის და არც მდიდარი, მაგრამ მარმარილოს სვეტივით უდგას თავის გრძნობათა და იდეების ტაძარს; და მეორე მხრივ, დიდი გვარიშვილია, დიდებულ წრეში აღზრდილი, მდიდარი და შეძლებული, ტანსაცმლითა და სიტყვა-პასუხით ამაყი, მაგრამ სულ სხვაგვარად გეჩვენებათ, თუ გარეგნობას თვალი აარიდეთ და ადამიანს დაუკვირდით, სწორედ იმას, რაც მისი

მეუღლისთვის არის დანიშნული, ნახავთ, რომ ბოძია გაუთლელი, თავისი საძაგელი, სამარცხვინო ჟინით - გარყვნილებით გატაცებული, სირაჯხანის ბოძია და სხვა არაფერი.

რა იყო კოზეტის გულში? დამშვიდებული, მიძინებული ვნება, დაკარგულად მიჩნეული სიყვარული, წმინდა და მბრწყინავი ზემოდან, ძირში კი ამღვრეული. გარედან კოხტა ოფიცრის სახე ციალებდა. გულის სიღრმეში? იქ რაღა იყო? იქნებ სხვა მოგონება?

იქნებ ასეც ყოფილიყო. კოზეტმა ამისი არაფერი იცოდა, მაგრამ ამ დროს უცნაური ამბავი მოხდა.

## თავი მეორე
## კოზეტის შიში

აპრილის დამდეგს რამდენიმე დღით სხვაგან წასვლა მოუხდა ჟან ვალჟანს. იშვიათად, მაგრამ ხანდახან დასჭირდებოდა ხოლმე, როგორც ვიცით, ცოტა ხნით გამგზავრება. ერთი-ორი დღე დარჩებოდა ხოლმე სხვაგან. სად მიდიოდა? ეს არავინ იცოდა, ამას თვით კოზეტსაც არ ეუბნებოდა. ერთხელ იყო მხოლოდ, წასასვლელად რომ მოემზადა ჟან ვალჟანი, კოზეტიც ეტლში ჩაუჯდა და ერთი პატარა ქუჩაბანდის კუთხემდე მიაცილა, რომელზედაც მან წაიკითხა, - პლანშეტის ჩიხი, - ჟან ვალჟანი იქ ჩამოხტა და კოზეტი იმავე ეტლით შინ დაბრუნდა. საერთოდ ასეთი მგზავრობა მაშინ მოხდებოდა ხოლმე, როდესაც ფული დააკლდებოდათ სახლში.

წასვლისას კოზეტს დაჰპირდა, - სამი დღის შემდეგ შინა ვარო.

საღამოს კოზეტი მარტო იყო ოთახში. მოსწყინდა მარტოობა. მიუჯდა პიანო-ორგანს და სიმღერა დაიწყო. ეურიანთის სიმღერას უკრავდა - „გზა აერიათ ტყის მონადირეთ“.

საგანგებო რამ არის ეს სიმღერა ჩვენს მუსიკაში. იჯდა და მღეროდა. მერე ფიქრმა გაიტაცა.

და უცბად ფეხის ხმა მოესმა ბაღიდან. ვიღაც იყო. დადიოდა.

მამა არ იქნებოდა, რადგან სხვაგან იყო წასული. არც ტუნესი იქნებოდა, რადგან უკვე ეძინა. ღამის ათი საათი იყო.

მამაკაცის ფეხის ხმად ესმოდა რაღაც, თითქოს ვიღაც არის ბაღში და ფრთხილად დადისო.

მაშინვე ზემო სართულში ავარდა, თავის ოთახში, ფანჯარაში მოთავსებული პატარა სარკმელი გააღო და ბაღში ჩაიხედა. მთვარე კაშკაშებდა. ისე ჩანდა ყველაფერი, როგორც შუადღისას.

ბაღში არავინ იყო.

ფანჯარა გააღო. არავინ იყო ბაღში, და როგორც ყოველთვის, არავინ ჩანდა ქუჩაში, სადამდისაც კი თვალი მისწვდებოდა.

- შემომესმაო, - იფიქრა, - ბაღში არავინ იყო, ლანდი იყო ამ დუმილით და ვებერის პირქუში და საუცხოო ქოროს მუსიკით გამოწვეული. რას არ მოაჩვენებს ადამიანს ეს საგანგებო მუსიკა: უსაზღვრო სივრცისკენ მიაფრენს მსმენელს, თვალწინ გაუშლის დაბურულ ტყეს. ცხადად გააგონებს ხის ხმელი ტოტების ტკაცანს, თითქოს მართლა მონადირეები იყვნენ ტყეში და ბინდისას ფეხს ადგამდნენ ამ ტოტებს.

მერე სულაც გადაავიწყდა წეღანდელი ფეხის ხმა.

ამასთან ბუნებითაც მშიშარა არ იყო კოზეტი. სისხლში ჰქონდა ცოტა რამ ბოშა ქალისა და ფეხშიშველა შემთხვევის მაძიებელი მოგზაურისა. მკითხველს ეხსომება, რომ იგი უფრო ტოროლა იყო, ვიდრე მტრედი. გულით გამბედავი, ყოჩაღი...

მეორე დღეს, საღამოს, ბინდისას, ბაღში დასეირნობდა. დადიოდა ფიქრებით გატაცებული და ახლაც მოესმა წუხანდელივით რაღაც ფეხის ხმა, თითქოს ვიღაც არის ბაღში და ფეხაკრეფით ჩუმად დადის ბნელში ხეების ქვეშ, იქვე, მის ახლოსო. მაგრამ თვითონვე იმშვიდებდა გულს, - ისე არაფერი ჰგავს ფეხის ხმას, როგორც ორი ტოტის ერთმანეთთან შეხებაო, - და ყურადღებას აღარ აქცევდა, და ვერც რამეს დაინახავდა. ჯერ მთვარე არ ამოსულიყო.

ხეების ქვეშიდან გამოვიდა და შინისკენ გაემართა. პატარა მწვანე ველობი უნდა გადაევლო. სწორედ ამ დროს ამოვიდა მის უკან მთვარე, თავისი ჩრდილი დაადო ველობს.

გულგახეთქილი გაჩერდა კოზეტი.

მის ჩრდილთან ერთად მთვარეს მეორე ჩრდილი გამოესახა მწვანე ველობზე. საშინელი და საზარელი ვიღაც მრგვალქუდიანის ჩრდილი.

კაცის ჩრდილი იყო. ეტყობოდა, იქვე ღობესთან იდგა ვიღაც, სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე კოზეტის უკან.

ერთ წამს შემკრთალი იდგა ქალი, ვერცა თქვა რამე, ვერც დაიყვირა, ვერც უკან მიიხედა.

მაგრამ მაშინვე მოიკრიბა ძალ-ღონე და გაბედვით მიბრუნდა უკან.

აღარავინ იყო ბაღში.

ველობს გადახედა, ჩრდილიც გამქრალიყო.

ისევ ხეებქვეშ შევიდა, ბუჩქებში, დაათვალიერა იქაურობა, ღობე გასინჯა და ვერავინ იპოვა.

განცვიფრებული იყო ქალი. ესეც ლანდი იყო? როგორ? ერთი და იგივე ლანდი ზედიზედ ორ დღეს? ერთხელ, შეიძლება, მართლა მოლანდებოდა რამე, მაგრამ ეს მეორე რაღა იყო? საშინელი ის იყო, რომ ჩრდილი ცოცხალი ადამიანისა უნდა ყოფილიყო. სად მოჩვენება და სად მრგვალი ქუდი?

მეორე დღეს ჟან ვალჟანიც დაბრუნდა. კოზეტმა დაწვრილებით უამბო ფეხის ხმის გაგონების, ჩრდილის ნახვის შესახებ, ეგონა, მამა გაუქარვებდა შიშს, მხრებს აიჩეჩდა და ეტყოდა: - რა მშიშარა ყოფილხარ, შე კუდრაჭავ, შენაო!

მაგრამ არა, ჟან ვალჟანი ჩაფიქრდა.

- იქნებ სულაც არაფერი იყო, - უთხრა კოზეტს.

რაღაც მოიმიზეზა და ბაღში ჩავიდა. კოზეტმა კარგად დაინახა, რომ დადიოდა და ყველგან ღობეს სინჯავდა.

ღამე რაღაცამ გამოაღვიძა კოზეტი. ახლა კი ცხადად ესმოდა ფეხის ხმა: ვიღაც იყო ბაღში. დადიოდა მის ფანჯრის ქვეშ. მივარდა სარკმელს, გადაიხედა. ერთი კაცი იყო ბაღში. მსხვილი კეტი ეჭირა ხელში. ის-ის იყო, უნდა დაეყვირა, რომ მთვარის სხივი ეცა კეტიანს. ჟან ვალჟანი იყო.

დაწვა კოზეტი, მაგრამ გულში შიში აღეძვრა: - მაშ მამაჩემიც ფრთხილად არისო, - ფიქრობდა.

ის ღამე ბაღში გაათენა ჟან ვალჟანმა. მერე მეორე, მესამე. კოზეტი ყოველთვის ხედავდა სარკმლიდან.

მესამე ღამეს, - მთვარემ უკვე იკლო და გვიან ამოდიოდა, - პირველი საათი იქნებოდა ღამისა, რომ გულიანი ხარხარი შემოესმა მამისა და მისი ძახილი:

- კოზეტ!

წამოხტა, კაბა გადაიცვა და ფანჯარა გააღო.

ჟან ვალჟანი ბაღში იყო. ველობზე იდგა.

- გაგაღვიძე, რომ დაგამშვიდო. შემოხედე! აი, შენი მრგვალქუდიანი ადამიანის ჩრდილი.

და ველობზე გაშლილი ჩრდილი აჩვენა, რომელიც მართლა ძალიან ჰგავდა მრგვალქუდიანი ადამიანის ჩრდილს. იქვე მეზობელი სახლის საკვამურს ზემოდან მრგვალი საფარი ედო და ადამიანის მსგავს ჩრდილად ეცემოდა მიწას.

კოზეტსაც სიცილი მოერია. ამ ლანდით აღძრული შიში გაუქრა და მეორე დღეს, საუზმეზე მხიარულად ხუმრობდა საკვამურის მრგვალ სახურავზე და მისი მრგვალქუდიანი კაცის მსგავს ჩრდილზე.

ჟან ვალჟანიც სრულიად დამშვიდდა.

კარგი ის იყო, რომ აზრადაც არ მოსვლია კოზეტს, შეემოწმებინა, რა მიმართულებით, სად უნდა დაცემულიყო მთვარიან ღამეს ქუდიანი საკვამურის ჩრდილი და სწორედ იქვე იდგა მთვარე იმ ღამეს, კოზეტი რომ შეშინდა, თუ უკვე წინ წასულიყო? არც ის მოაგონდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა, კოზეტისა შეშინებოდა ქუდიანი საკვამურის ჩრდილს და ისიც უცბად გამქრალიყო, - არიქა! მეძებენ და არ დამიჭირონო! ხომ კარგად იცოდა, რომ ჩრდილი უცბად გაქრა, როდესაც მისკენ მიბრუნდა. ყურადღება არ მიაქცია ამას და სრულიად დამშვიდდა ქალი. მამის მოსაზრება უეჭველ ჭეშმარიტებად ეჩვენა და არც კი უფიქრია, რომ შეიძლებოდა მართლა ყოფილიყო ვინმე ღამე ბაღში და ევლო კიდეც ფეხაკრეფით.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე.

## თავი მესამე
## ტუსენის განმარტებით მდიდარი თავი

ბაღში, ქუჩისკენ გამავალ ღობესთან, ერთი ქვის სკამი იდგა ბუჩქებში მიმალული, მაგრამ ისე ახლოს ღობესთან, რომ გარედან ადვილად მოსწვდებოდა კაცი, ხელი რომ შემოეყო მოაჯირში.

ერთ საღამოს, ჯერ ისევ აპრილი იდგა, შინ არ იყო ჟან ვალჟანი. მზე რომ ჩავიდა, იმ სკამზე დაჯდა კოზეტი, პატარა სიო აგრილებდა და აშრიალებდა ფოთლებს. ჩაფიქრებული იყო ქალი. სევდა ერეოდა თანდათან უმიზეზო, ის დაუძლეველი სევდა, რომელსაც ბინდი ქმნის, და რომელიც, ვინ იცის, თავისი სიბნელით იქნებ საფლავის საიდუმლოებას აგონებდეს ადამიანს.

იქნებ ფანტინის აჩრდილი დასტრიალებდა თავს ამ ბინდში.

ადგა კოზეტი, ნელი ნაბიჯით შემოიარა ბაღი, ცვრიან ბალახში გაიარა, დაღონებული იყო, რაღაც გული ელეოდა, მაგრამ მაინც იფიქრა, ხის ქოშები უნდა შევიძინო, თორემ ამ ბალახში სურდო შემეყრებაო.

ისევ სკამთან მივიდა.

ის-ის იყო უნდა დამჯდარიყო, რომ შემკრთალი გაჩერდა ქალი, სწორედ იმ ადგილს, სადაც წეღან იჯდა, ქვა იდო დიდი. წეღან იქ რომ იჯდა, ეს ქვა არა დებულა.

იდგა და შესცქეროდა ამ ქვას, თან თავის თავს ეკითხებოდა, - საიდან გაჩნდა აქ ეს ქვაო? და უცბად მოიაზრა, რომ ეს ქვა თავისთავად ვერ ავიდოდა სკამზე, რომ ვიღაც იყო, მან შემოყო ხელი მოაჯირში, და სკამზე დადო ქვა. მიხვდა და თან შიში მოერია, ნამდვილი შიში, რადგან თვალწინ ედო ეს ქვა და, მაშასადამე, აღარავითარი ეჭვი რომ, ვიღაც იყო იქვე ახლოს! შეშინებული გაიქცა შინისკენ, უკან მოხედვა ვეღარ გაბედა. ავარდა სახლში, დაკეტა კარი, ფანჯარა, გაამაგრა ყველაფერი და მერე ტუსენს მიმართა:

- მამაჩემი დაბრუნდა?

- ჯერ არა, ქალბატონო.

(ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ენაბლუ იყო ტუსენი და ახლა წესიერად დავწერთ მის ნათქვამს. ადამიანის ნაკლის მოკლედ აღნიშვნაც კმარა. დასურათება საკადრისი არ არის).

ფიქრებით გატაცებულ ჟან ვალჟანს ძალიან უყვარდა ღამით სეირნობა და ხშირად გვიან დაბრუნდებოდა ხოლმე სახლში.

- ტუსენ, - განაგრძო კოზეტმა, - ხომ კარგად კეტავთ ღამე კარს, ფანჯარას, მეტადრე ბაღში გამავალს?

- ჰო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

კოზეტმა კარგად იცოდა, რომ ფრთხილი დედაკაცი იყო ტუსენი, ყოველთვის კეტავდა, რაც დასაკეტი იყო და მაინც არიგებდა:

- ისეთ უდაბურშია ჩვენი სახლი...

- ეგა ბრძანეთ და, ქალბატონო! - კვერი დაუკრა ტუსენმა, - სულ რომ ამოგვწყვიტონ, ჩვენს ყვირილს ვერავინ გაიგონებს. მერე ბატონსაც აქ არ სძინავს! მაგრამ ნუ გეშინიათ, ისე ვკეტავ კარ-ფანჯარას, თითქოს მტრის შემოსევას ველოდე. არავინაა სახლში, ქალების გარდა! გული მელევა შიშით, რომ მომაგონდება, მარტონი ვართ ამოდენა სახლში. წარმოიდგინეთ, შემოგვიცვივდნენ ღამე ყაჩაღები! შემოვარდნენ თქვენს ოთახში და დაგვიყვირეს: - ჰა, ჩუმად! ხმა არ ამოიღო! მოგადგნენ და ყელის ჭრა დაგიწყონ. სიკვდილი არაფერია, ყველანი სიკვდილის ხვედრნი ვართ, ერთხელაც იქნება უნდა მოვკვდე! არა, საშინელება ის არის, რომ ყაჩაღების ხელში ჩავარდება ადამიანი! მერე დანებიც ჩლუნგი ექნებათ! ოჰ! ღმერთმა დაგვიფაროს!

- კარგი ერთი! დაიარეთ და მაგრად ჩაკეტეთ ყველაფერი.

ისე იყო კოზეტი შეშინებული ტუსენის ყაჩაღებით და წინა კვირას ნახული ვიღაცის ჩრდილით, რომელიც უცბად წარმოუდგა თვალწინ, რომ ამის თქმაც კი ვეღარ გაბედა:

- ჩადით ერთი ბაღში და ქვის სკამი ნახეთ. ზედ ქვა დაუდვია ვიღაცას.

ვერ გაბედა, რადგან ეშინოდა, კარი რომ გავაღოთ, ყაჩაღები შემოგვივარდებიანო. დააკეტინა ყველაფერი, შეამოწმებინა მთელი სახლი სარდაფიდან ბანამდე, ჩაიკეტა თავისი ოთახი, ლოგინის ქვეშ შეიხედა - ხომ არავინ არისო, - და დაწვა, მაგრამ ვაი ამ ძილს! მთელი ღამე რაღაც ქვას ხედავდა, მთასავით დიდს და ხევებით დასერილს.

მზის ამოსვლისას, - მზის ამოსვლამ იცის, სასაცილოდ გაგვიხდის ხოლმე ღამით აღძრულ შიშს, და მით უფრო ტკბილია ეს სიცილი, რამდენადაც დიდი იყო შიში და გულის ფანცქალი, - მზის ამოსვლისას რომ გამოეღვიძა კოზეტს, მაჯლაჯუნად ეჩვენა წუხანდელი შიში და წამოიძახა:

- რა ღმერთი გამიწყრა, რა ვქნა? სად მქონდა გონება? იმ ფეხის ხმისა არ იყოს, ბაღიდან რომ შემომესმა გასულ კვირას! სახურავიანი საკვამურის ჩრდილი რომ მრგვალქუდიან კაცად მომეჩვენა! შიშისა არაფერი ვიცოდი და ნუთუ მხდალი გავხდი?

მზის სხივი შედიოდა ოთახში, მხიარულად სცემდა თვალებში და იმდენად დაამშვიდა, რომ ბაღში სკამზე დადებული ქვაც კი დაავიწყდა.

- ის ქვაც ისევე მომელანდა, როგორც მრგვალქუდიანის ჩრდილი, - იძახდა კოზეტი.

ტანთ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა. სირბილით მივარდა სკამთან და ჭირის ოფლი დაასხა უცბად: ქვა ისევ სკამზე იდო.

მაგრამ წამიერი იყო ეს შიში. რასაც ღამე საშიშრად გვაწვდის, დღე ცნობის აღმძვრელად ხდის.

- ეჰ, ხომ არ შემჭამს ეს ქვა! ერთი ვნახოთ!

და ზევით ასწია, კარგად მძიმე იყო და ძნელი ასაწევი. ქვის ქვეშ რაღაცა იდო თეთრ კონვერტში შეხვეული.

აიტაცა კოზეტმა. არც მისამართი ეწერა კონვერტს, არც დაბეჭდილი იყო, მაგრამ არც ცარიელი. შიგ ქაღალდი იდო.

ქაღალდიც ამოიღო. არც შიში, არც ცნობისმოყვარეობა. სევდით აევსო უცბად გული.

წერილის მაგივრად პატარა რვეული იყო, დანომრილი ფურცლებით, რამდენიმე სტრიქონი ეწერა ყოველ ფურცელზე, კარგი და ლამაზი ხელით, რომელიც ძალიან მოეწონა კოზეტს.

დამწერის სახელი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა. ხელმოწერილი არ იყო რვეული. ვისდამი იყო მიმართული? ალბათ კოზეტისადმი, რადგან მის სკამზე დადო, ვინც იყო, და მას მიუძღვნა. ვისგან უნდა ყოფილიყო? მოჯადოებულივით იდგა ქალი. ხელში ეჭირა რვეული და თრთოდა თავით ფეხამდე. ცდილობდა თვალი მოეშორებინა, ცას ახედა, მზის სხივით დამშვენებულ აკაციებს, მტრედებს, მეზობელი სახლის ეზოში რომ დაფრინავდნენ, მიყრუებულ ქუჩას. მერე თავისდაუნებურად უეცრად დააცქერდა ხელნაწერს და გადაწყვიტა, - უნდა ვნახო, რა სწერია ამ რვეულშიო.

აი, რა წაიკითხა:

## თავი მეოთხე
## ქვის ქვეშ მოქცეული გული

ქვეყნიერებას რომ ერთადერთ არსებაში ხედავს ადამიანი და ღვთაებად ისახავს, ეს არის სიყვარული.

სიყვარული მისალმება არის ანგელოზებისა ციურ მნათობთადმი.

რა მწუხარება ერევა სულს, როდესაც სიყვარულისა არის ეს მწუხარება!

რა ობლობას განიცდის გული, როდესაც განშორდება სულისჩამდგმელ სატრფოს! ოჰ, რა ჭეშმარიტებაა, როცა ღვთაებად იხდი, ვინც გიყვარს! გასაგებია, ამაზე

განრისხდებოდა ღმერთი, ყოვლისშემძლებელს რომ ადამიანის სულისთვის არ შეექმნა ქვეყნიერება, სული კი სიყვარულისთვის.

პატარა ღიმილი კმარა იისფერი ლენტებით დამშვენებული თეთრი ქუდის ქვეშიდან, რომ ოცნებათა სამოთხეში შევიდეს სული.

ყველგან არს ღმერთი, მაგრამ ყველა მალავს ღმერთს, შავია ნივთიერება, გაუმჭვირვალია არსება, და გამჭვირვალედ ხდი, როცა შეიყვარებ.

ლოცვას უდრის ზოგი ფიქრი. მოხდება ხოლმე, რაა მდგომარეობაშიც უნდა იყოს სხეული, სული მაინც მუხლმოყრილია.

განშორებულნიც რომ იყვნენ შეყვარებულნი, განშორებას მოატყუებენ ათასი ქიმერით, რომელთ მაინც აქვთ რეალობა. უკრძალავენ მათ ერთმანეთის ნახვას, წიგნის მიწერას; ათას საშუალებას პოვებენ საიდუმლო მიმოწერისთვის: ფრინველთ გალობას უგზავნიან ერთმანეთს, ყვავილთა სურნელებას, ბავშვის სიცილს, მზის შუქს, ქარის კვნესას, ვარსკვლავის ელვარებას, მთელ ქმნილებას ბუნებისას და რატომაც არა! სიყვარულის ხელშემწყობად გააჩინა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და საკმაოდ ძლიერია სიყვარული, რათა მთელი ბუნება მოიხმაროს თავის მახარებლად.

- ო, გაზაფხულო! შენც უსტარი ხარ, ჩემს სატრფოსთან მიწერილი!

მომავალი გულს უფრო მეტად ეკუთვნის, ვიდრე გონებას. მარტო სიყვარულია იმდენად ძლიერი, რომ შეიძლებს დაეუფლოს და აავსოს მარადისობა. უსაზღვროს დაუშრეტელი ესაჭიროება.

სიყვარული მოზიარეა სულისა. ერთი ბუნებისანი არიან სული და სიყვარული. ისიც, როგორც სული, ნაპერწკალია ღვთიური, განუხრწნელი, როგორც სული, განუყოფელი და უკვდავი. წერტილია ცეცხლისა ჩვენს გულში აღგზნებული, უკვდავი და განუქრობელი, რომელსაც ვერც რამე შეზღუდავს, ვერც რამე ჩააქრობს. ანთია და ძვლების ტვინშიც კი შეაქვს მხურვალება, და ცის კამარაში ბრწყინავს თავისი ალით.

ო, სიყვარულო! თაყვანისცემავ! ნეტარებავ ორი არსებისა, რომელთ შეუგნიათ ერთმანეთი, ორი გულისა, რომელნი ერთსულოვნად გაერთებულან, ხომ კიდევ მომხედავ, ბედნიერებავ? ერთად სეირნობა განცალკევებით! კურთხეული, ბრწყინვალე დღენი! ოცნებასავით მესიზმრება, რომ ხანდახან ცოტა ხანი მოსწყდება ხოლმე ჟამი ანგელოზთ ცხოვრებას და ქვეყანას ეფინება ადამიანთა ბედის დასატკბობად.

დაუსრულებელი მარადისობის მეტს ვეღარას დაუმატებს ღმერთი შეყვარებულთა ნეტარებას. სიყვარულით აღსავსე სიცოცხლის შემდეგ რომ სიყვარულის მარადისობა მიანიჭოს, მართლაცდა დამატება იქნება, მაგრამ ვერას დაუმატებს იმ ნეტარებას, რომელსაც ამქვეყნად ანიჭებს სიყვარული სულს; ეს შეუძლებელია თვით ღმერთისთვისაც. ღმერთი სისრულეა ცისა და სიყვარული - სისრულე კაცისა.

ორი მოსაზრება გაქვთ, ვარსკვლავს რომ შეჰხარით: შეჰხარით იმიტომ, რომ სხივსა ჰფენს და იმიტომ, რომ მიუწვდომელია. და აგერ, გვერდით გიდგათ ერთი უფრო ტკბილი სხივმფენი და უფრო მეტად იდუმალი არსება, ეს არის ქალი.

ყველას გვაქვს, ვინც კი ვართ ამქვეყნად, ის, რითაც ვსუნთქავთ. რომ არა გვქონდეს, უჰაეროდ დავრჩებით და დავიხრჩობით. საშინელებაა უსიყვარულოდ სიკვდილი, სულის დახშობა!

ოდეს შეადნობს სიყვარული, შეაერთებს ერთ წმინდათა ანგელოზურ ერთეულად ორ არსებას, სიცოცხლის საიდუმლოება ნათელი გახდება მათთვის, ისინი დაინახავენ,

რომ ორ მხარეს წარმოადგენენ ერთი ბედისწერისას, ორ ფრთას წარმოადგენენ ერთი სულისას. მაშ, გიყვარდეთ და აღმა ფრენდეთ!

წინ რომ გაგივლით ქალი და სხივს მოგფენთ, თქვენს თავს აღარ ეკუთვნით, - უკვე გიყვართ. ერთადერთიღა დაგრჩენიათ: ისეთი დაუინებით ფიქრობდეთ მასზე, რომ იძულებული გახადოთ იგი, თქვენზე იფიქროს.

სიყვარულით დაწყებულს ღმერთის მეტი ვერავინ დააბოლოებს.

სასოწარკვეთილებას ეძლევა ან აღტაცებით ივსება ნამდვილი სიყვარული ერთი თათმანის დაკარგვით ან ნაპოვნი ცხვირსახოცით. და მარადისობა კი ესაჭიროება ნეტარებისა და იმედისთვის. სიყვარულში ერთად არიან უსაზღვროდ დიადი და უსაზღვროდ კნინი.

თუ ქვა ხართ, ანდამატი გახდით; თუ მცენარე ხართ, მიმოზად იქეცით, მგრძნობიარედ. თუ კარი ხართ, სიყვარულად გარდაიქეცით.

არაფერს იკმარებს სიყვარული. ბედნიერია? ედემი უნდა. და ედემს რომ მიაღწევს, ზეცას ნატრობს.

თუ გიყვართ, სიყვარულშივე პოვებთ ედემსა და ზეცას. ოღონდ იცოდეთ მათი მიგნება. სიყვარულს აქვს თავისი ზეცა და ზეცაზე მეტი ნეტარება.

- კიდევ დაბრძანდება „ის“ ლუქსემბურგის ბაღში? - არა, ბატონო. - მგონია, ამ ეკლესიაში მოისმენს წირვას? არა? - არა, აქ აღარ დაიარება. - ისევ იმ სახლში ცხოვრობს? - არა, გადავიდა. - სად გადავიდა, თუ იცით?

- ეგეც არა თქვა.

უბედურება არ არის, თავის სულის ადგილსამყოფელი არ იცოდეს კაცმა?

სიყვარული ბავშვურიცაა; სხვა ვნება კი წვრილმანია. შერცხვენილი იყოს ვნება, რომელიც ამცირებს კაცს! დიდება ვნებას, რომელიც ბავშვად აქცევს კაცს!

იცით, უცნაური რამ შემემთხვა. ღამის წყვდიადში ვარ. იყო ვინმე, განმშორდა და თან წაიღო ზეცა.

გვერდზე მეწვეს ჩემი სატრფო ერთსა და იმავე კუბოში ხელიხელჩაკიდებული და ხანდახან ტკბილად ვუალერსებდე იმ წყვდიადში მის თითს. ესეც იკმარებს ჩემს სამარადისოდ.

გიყვართ და იტანჯებით? უფრო მეტად გიყვარდეთ! სიყვარულით სიკვდილი სიცოცხლეა ნეტარი.

გიყვარდეთ! ტანჯვა არის სიყვარული, მაგრამ ზეციურიც ურევია ამ ტანჯვაში.

სულთაბრძოლაში არის აღტაცება.

რა ბედნიერები არიან ჩიტები! ბუდე აქვთ და იმიტომ გალობენ.

სიყვარული ზეციური სუნთქვაა სამოთხის ჰაერით.

ღრმა გულნო, გონიერნო, დატკბით იმ სიცოცხლით, როგორიც ღმერთმა გააჩინა, სიცოცხლე ტანჯვაა ხანგრძლივი, შეუგნებელი მზადება უცნობი ბედისწერისადმი მისაღწევად, - ეს ბედისწერა, ნამდვილი ბედისწერა ადამიანისა, საფლავის შინაგანი კიბის პირველი საფეხურიდან იწყება. მარტო იქ გავახელთ თვალს, და დავინახავთ ჩვენს საბოლოოს. სიცოცხლის საბოლოო! დაუფიქრდით ამ სიტყვას. ცოცხალი უსაზღვროს ხედავს, და საბოლოო კი მარტო მიცვალებულთ ეჩვენება. მანამ კი, გიყვარდეთ და იტანჯებოდეთ, იმედოვნებდეთ და გიხაროდეთ. ვაი იმას, ვისაც მხოლოდ სხეული უყვარდა, აგებულება, ხილული. ყველაფერს გამოაცლის სიკვდილი! ეცადეთ, სული შეიყვაროთ, რომ იქაცა პოვოთ.

ყმაწვილი კაცი შემხვდა ქუჩაში, მეტად ღარიბი, სიყვარულით გატაცებული. ძველი ქუდი ეხურა, გახუნებული ტანისამოსი ეცვა, იდაყვები გამოხეული; წყალი შესდიოდა წაღებში და ციური სხივი სულში.

რა ნეტარებაა, ოდეს უყვარხართ! უფრო მეტი ნეტარებაა, ოდეს გიყვართ! გულს გიგმირავთ ვნების ძალი. აღარაფერი გრჩებათ გულში, გარდა წმინდისა და სათნოისა; აღარაფერს ემყარება გული, გარდა კეთილისა და სადიდებლისა. ვერ იხეირებს იქ ბიწიერი რამ ფიქრი, როგორადაც ყინულში ჭინჭარი. წმინდაა მაშინ სული განდიდებული, ვეღარ იგუებს ხორციელ ვნებასა და აღტაცებას, და უარყოფს ქვეყანაზე შავი ღრუბელივით ჩამოწოლილ ბოროტებას, შურს, სიცრუეს, სიძულვილს, ამაოებას, გაჭირვებას. ზეცაში უპოვია ბინა და ბედისწერის ღრმა საზარელ ვაებას ისე ნაკლებად გრძნობს, როგორც მაღალი მთის მწვერვალი იგრძნობს ხოლმე დედამიწის ძვრას.

თვით მზე ჩაქრებოდა, რომ აღარავინ ყოფილიყო სიყვარულით შეპყრობილი.

## თავი მეხუთე
## წაკითხვის შემდეგ

კითხულობდა კოზეტი, თანდათან ტკბილი ოცნება ერეოდა და სწორედ იმ დროს, როდესაც უკანასკნელი სტრიქონი წაიკითხა და თვალი მოაშორა რვეულს, გამარჯვებული სახით გაიარა ქუჩაში კოხტა ოფიცერმა. ამ დროს გაივლიდა ხოლმე ყოველთვის.

საზიზღრად ეჩვენა იგი კოზეტს.

და ისევ რვეულს დააცქერდა, დაჰხაროდა პატარა რვეულს, - მშვენიერი ხელით არის დაწერილიო, - ფიქრობდა კოზეტი, - ერთი ხელით, მაგრამ სხვადასხვა მელნით. ზოგან სულ შავით, ზოგან ბაცით, თითქოს მელანში წყალი ჩაუსხამთ, მაშასადამე, სხვადასხვა დროს. მაშ, გრძნობა მორევია გულს, აუკვნესებია და დროგამოშვებით უწერინებია, უთანამიმდევროდ, ურიგოდ, ურჩევად, უმიზნოდ, შემთხვევის მიხედვით. ჯერ ამისთანა თავის დღეში არაფერი ენახა კოზეტს. ოდნავ კარღია საკურთხევლად ეჩვენებოდა ეს ხელნაწერი, რომელშიც მისთვის გასაგებს უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე ბნელს. თვალწინ უბრწყინავდა ყოველი სტრიქონი, ჯერ საიდუმლოებით სავსე, და უცნაურ სინათლით უვსებდა გულს. მონასტერში რომ იყო, სულს ჩასჩიჩინებდნენ ყოველთვის და ერთხელაც არ უხსენებიათ სიყვარულით. სწორედ ისე, რომ სულ ცეცხლზე ლაპარაკობდეს კაცი და ალი კი არ ახსენოს. უცბად, მაგრამ ტკბილად გადაუშალა თვალწინ იმ პატარა ხელნაწერებმა სიყვარული, მწუხარება, ბედისწერა, სიცოცხლე, მარადისობა, - თავი და ბოლო ადამიანის არსებობისა. ისე მოხვდა გულს პატარა რვეული, თითქოს უცბად ხელი გაშალა ვიღაცამ და შიგ პირში შეაფრქვია ქვეყნის სინათლე. ხელნაწერის რამდენიმე სტრიქონში გრძნობდა ვნებით აღსავსე ბუნებას, აღგზნებულს, დიდსულოვანს, პატიოსანს, წმინდა სურვილს, მწარე სევდას და უსაზღვრო იმედს, დაწყლულებულ გულსა და ნეტარ აღტაცებას. რას წარმოადგენდა ეს ხელნაწერი? წერილს უმისამართოს, უსახელოს, უთარიღოს; ხელმოუწერელს, საჩქაროს და უზიაროს, ჭეშმარიტებით სავსე გამოცანას, მახარობელს სიყვარულისას, ანგელოზის მიერ შედგენილს ქალწულისთვის წასაკითხავად, პაემანს ქვეყნის გარეთ შესახვედრად, ტკბილ ალერსს ლანდისას აჩრდილისადმი. დაშორებულის ალერსი

იყო, მშვიდის, მაგრამ სევდიანისა, რომელიც, ეტყობოდა, მზად იყო სიკვდილს შეჰფარებოდა და დაშორებულს უგზავნიდა საიდუმლოებას ბედისას და გასაღებს სიცოცხლისას, - სიყვარულს. ვინ იცის, ფეხი საფლავში ჰქონდა, ამას რომ წერდა და თითები - ზეცაში. ეს სტრიქონები, თითო-თითოდ რომ ვარდებოდნენ ქაღალდზე, წვეთები იყო სულისა, თუ დასაშვებია ასეთი სიტყვა.

ახლა ვისგან უნდა ყოფილიყო ეს ხელნაწერი? ვის შეეძლო ამის დაწერა?

ერთ წუთს არ ჩაფიქრებულა კოზეტი.

ერთადერთს! მხოლოდ „მას!“

სინათლე მოეფინა მის აზროვნებას. განახლდა წარსული. აღტაცებული იყო სიხარულით და თან მწარე სევდა ერეოდა. ის იყო, ის! ის იწერებოდა! ის უნდა ყოფილიყო იქ, ბაღში! მან შემოჰყო ღობეში ხელი და ქვის ქვეშ ამოდო თავისი გული! და იმ დროს, როდესაც კოზეტი ნელ-ნელა ივიწყებოდა, მან მაინც იპოვა თავისი სატრფო. მაგრამ განა მართლა ავიწყდებოდა კოზეტს? თავის დღეში არა! შეშლილი იყო ალბათ, რომ ერთ წამს წარმოიდგინა - ვივიწყებდიო. - პირიქით, ყოველთვის უყვარდა, აღმერთებდა. ცეცხლს პატარა ფერფლი გადაეფარა და აღარ ენთო ცოტა ხანს, მაგრამ, კარგად გრძნობდა, უფრო ჩაღრმავებულიყო ეს ცეცხლი, და, აგერ, ისე იფეთქა ხელახლა, რომ თავის ალში გაეხვია იგი სულით ხორცამდე. ეს რვეული ნაპერწკალი იყო მისი სულისგან კოზეტის სულში გადმოვარდნილი. და გრძნობდა, რომ ხანძარი უჩნდებოდა გულში. ხელნაწერის ყოველი სიტყვის სევდას გრძნობდა და კვნესოდა.

- ოჰ, ასეა! - იძახდა კოზეტი, - როგორ ვცნობ ამ სევდას!

ამის მეტი არაფერი მინახავს მის თვალებში!

მესამედ წაიკითხა. ის იყო დაასრულა, რომ ისევ ის ოფიცერი დაინახა ქუჩაში, რომელმაც ბაღის ღობესთან ააწკრიალა თავისი დეზები. უნებლიეთ გადახედა კოზეტმა. საზიზღარი ეჩვენა, გაუთლელი, სულელი, უვიცი, ქარაფშუტა, მკვეხარა, ბრიყვი და უსახური. ის კი იმ აზრისა იყო, უთუოდ უნდა გავუღიმო ამ ქალსო. შერცხვა კოზეტს და აღშფოთებულმა შეაქცია ზურგი. ცოტა კიდევ და შიგ თავში ესროდა რამეს.

სირბილით შევარდა სახლში, ავიდა თავის ოთახში, კარი ჩაიკეტა, რომ კიდევ წაეკითხა ხელნაწერი, რომ ზეპირად ესწავლა და ოცნებით დამტკბარიყო. გაძღა რვეულის კითხვით, აკოცა და უბეში ჩაიდო.

მეტიც არაფერი უნდოდა კოზეტს. ღრმად ჩაიჭრა მის გულში სერაფიმული სიყვარული. ხელახლა ხედავდა ღია სიღრმეს ედემისას.

გაბრუებული იყო მთელი დღე. ფიქრი ძლივსღა შეეძლო, აწეწილ ძაფივით ებლანდებოდა აზრები, ვეღარაფერი წარმოედგინა მომავლისა, იმედი უღვიოდა და თან თრთოლა ერეოდა. რისი იმედი? ჯერ გამოურკვეველი ბედნიერებისა. ვერ ბედავდა აღეთქვა რამე თავისთვის, მაგრამ არც რისამე უარყოფა უნდოდა. ხან ფერი ეცვლებოდა, გაყვითლდებოდა, ხან შეაჟრჟოლებდა და წარმოუდგებოდა უცბად, რომ კიდევ რაღაც ელანდება, ნამდვილი არაფერია მის სიხარულში. - სიზმარში ხომ არა ვარ? - ეკითხებოდა თავს. და ამის გამოსარკვევად ხელით უალერსებდა გულში ჩაკრულ სიყვარულის რვეულს. გულში იკრავდა, გრძნობდა ქაღალდს თავის სხეულზე, და ჟან ვალჟანს რომ დაენახა ამწამს, განცვიფრებული დადგებოდა გაბრწყინებული კოზეტის წინაშე, რომელიც ჯერ არსად ენახა ასე გახარებული. - ოჰ,

ის არის, ის! - ჩასძახოდა თავს კოზეტი, - ის არის, და წერილიც მისგან მომივიდა, ჩემთვის გამოგზავნილი!

- ანგელოზები ჩამოერივნენ ჩემს ბედისწერაში, - იძახდა კოზეტი, - ზეციურმა შემთხვევამ დამიბრუნა ჩემი მიჯნურიო!..

ოჰ, ოცნებავ სიყვარულისავ! ეს ზეციური შემთხვევა, ეს ჩამორევა ანგელოზებისა სულ უბრალო პატარა ბარათი იყო, პურის გულში ჩამალული, ერთმა ქურდმა რომ გადაუგდო მეორეს კარლოს დიდის საპატიმროს ეზოდან.

## თავი მეექვსე
## მოხუცი იმისთვის არსებობს, რომ დროზე მიდიოდეს სახლიდან

დაბინდდა და ჟან ვალჟანიც სასეირნოდ წავიდა. მოირთო კოზეტი. კოხტად დაივარცხნა თმა, კაბა ჩაიცვა, რომლის გულისპირს ოდნავ მეტად მოხვედროდა მაკრატელი და ამ ჭრილობის გამო მთლად აშიშვლებდა ყელს, რაც „საკადრისი არ უნდა იყოს“ ყმაწვილი ქალების აზრით. უკადრისი იმ კაბაში და გულისპირში არაფერი იყო, მოხდენითაც უფრო უხდებოდა, ვიდრე სხვა. მოირთო, მოიკაზმა ქალი და თვითონაც არ იცოდა, რისთვის ირთვებოდა.

მიდიოდა სადმე? არა.

ელოდა ვინმეს? არა.

მოირთო და ბაღში ჩავიდა. ტუსენს საქმე ჰქონდა სამზარეულოში, რომლის ფანჯრები უკანა ეზოში გადიოდა.

დადიოდა ხეების ქვეშ. ხელით იშორდებდა დაბლა დაწეულ ტოტებს.

მერე ქვიან სკამთან მივიდა.

ქვა ისევ ზედ იდო.

დაჯდა, თეთრი ფუნჩულა ხელი დაადო ქვას, თითქოს ალერსს უპირებს და მადლობასო.

და უცბად მოერია ის გამოურკვეველი გრძნობა, რომელსაც განიცდის კაცი, როდესაც მის უკან დგას ვინმე, მისთვის უხილავი და თვალს არ აშორებს.

წამოვარდა, უკან მიიხედა.

ის იყო.

თავშიშველი იდგა; ფერმიხდილს ჰგავდა, გამხდარიყო. ძლივს ჩანდა მისი შავი ტანისამოსი. ბინდი აყვითლებდა მის ლამაზ შუბლს და ბნელს აფარებდა თვალებზე. შეუდარებელი გულჩვილობა ემჩნეოდა სახეზე, მაგრამ ამ რიდეს ქვეშიდან რაღაც მოჩანდა ბნელისა და სიკვდილისა. სახეს მომაკვდავი დღის სინათლე უნათებდა და ფიქრი სულთმობრძავი სულისა.

გამოცვლილიყო, ჯერ კიდევ მოჩვენება არ იყო, მაგრამ აღარც ადამიანი იყო.

ქუდი იქვე ბუჩქებში ეგდო.

კინაღამ გული წაუვიდა კოზეტს, მაგრამ მაინც არ დაიყვირა. უკან დაიხია ნელ-ნელა, რადგან გრძნობდა, რომ თავისკენ მიიზიდავდა მოსული. ის კი იდგა, ფეხს არ იცვლიდა, დაღონებული, და თუმცა ვერ ხედავდა კოზეტი, ცხადად გრძნობდა, რომ იგი თვალს აღარ აშორებდა სატრფოს.

უკან მიიწევდა კოზეტი, ხეს შეეჯახა და ზედ მიეყრდნო. ეს ხე რომ არ ყოფილიყო, წაიქცეოდა.

მაშინ მოესმა მისი ხმა, რომელიც აქამდე თითქმის არ გაეგონა, ჩუმი ხმა, რომელიც ოდნავ აღემატებოდა ფოთლების შრიალს:

- მაპატიეთ, რომ აქ გახლავართ. გული მელეოდა, აღარ შემეძლო ისე ცხოვრება და გეახელით. წაიკითხეთ ის რვეული, აქ რომ დავდე, ამ სკამზე? მიცანით, ოდნავ მაინც? ნუ გეშინიათ. რამდენი ხანია მას შემდეგ! ნეტავ თუ გახსოვს ის დღე, მე რომ შემომხედეთ? ლუქსემბურგის ბაღში იყო, გლადიატორის ქანდაკების ახლოს, ან კიდევ მეორე დღეს, წინ რომ გამიარეთ? თექვსმეტ თიბათვეს იყო და ორ მკათათვეს. წელიწადი სრულდება, დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ვეღარსად დაგინახეთ. სკამების გამქირავებელს ვკითხე და - დიდი ხანია აღარ მობრძანებულაო, - მიპასუხა. დასავლეთის ქუჩაზე ცხოვრობდით, ახალ სახლში, ქუჩიდან მესამე სართულზე. ხედავთ, ესეც ვიცოდი. სულ უკან გდევდით, ქალბატონო. ან რას ვიზამდი, რომ თქვენს მეტი აღარაფერი მაგონდებოდა? და თქვენ კი გაქრით, მიმემალეთ. ერთხელ ოდეონის თაღებქვეშ გაზეთს ვკითხულობდი; ვიღაც ქალს მიგამსგავსეთ და გამოვეკიდე. მაგრამ არა, არა, სხვა იყო, მხოლოდ ქუდი უგავდა თქვენსას. დაღამდება და მეც აქა ვარ. ნუ გეშინიათ, მე აქ არავინ მხედავს. ვდგავარ და თქვენს ფანჯრებს შემოვყურებ. ძალიან ფრთხილად დავდივარ, რომ თქვენ არ შემოგესმათ ჩემი ფეხის ხმა და არ შეგაშინოთ. იმ დღეს უკან გედექით, და რომ მოიხედეთ, გავიქეცი. ერთხელ თქვენი სიმღერა გავიგონე და ცას დავეწიე. ხომ არ გწყინთ? რა დაგაკლდებათ, რომ თქვენი სიმღერა გავიგონო, მით უფრო, რომ ფარდებჩამოშვებულ ოთახში მღერით? არ გწყინთ, არა? რა ვქნა, რომ თქვენ ხართ ჩემი ანგელოზი და ნება უნდა მომცეთ, ხანდახან მოვიდე ხოლმე თქვენ სანახავად. მგონია, დიდხანს არ შეგაწუხებთ, მომაკვდავი ვარ. რომ იცოდეთ, როგორ გაღმერთებთ! მაპატიეთ, რას გელაპარაკებით, არც კი ვიცი, რას ვროშავ, იქნება კიდეც გაგაჯავრეთ, ხომ არ მიჯავრდებით?

- ოჰ, დედავ! - ამოიკვნესა კოზეტმა.

და ძირს დაეშვა მომაკვდავივით.

ხელი მიაშველა მოსულმა, აიყვანა, რომ არ წაქცეულიყო. გულში ჩაიკრა ანგარიშმიუცემლად. კოზეტს შველოდა და თვითონაც საშველი იყო, ისე კანკალებდა და ბარბაცებდა. ისე იყო გაბრუებული, თითქოს კვამლით ევსებოდა თავი; წამწამებიდან ალს აფრქვევდა; ფიქრები არეოდა; ისე იყო, თითქოს მღვდელთმსახურებასაც ასრულებდა, აბილწებდა წმინდას და იმავე დროს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ამ მშვენიერებისა, როგორც ქალისა, რომელიც გულში ჩაეკრა. წმინდა სიყვარულით აღტაცებულიყო.

ხელი ჩამოართვა კოზეტმა და გულზე დაიდო. მარიუსმა მაშინვე იგრძნო გულში ჩამალული ქაღალდი და წასჩურჩულა:

- მაშ, გიყვარვართ?

ოდნავ ქროლვასავით ჩუმი ხმით უპასუხა კოზეტმა:

- გაჩუმდი! ხომ იცი!

უცბად გაწითლდა და ყმაწვილი კაცის, ბედნიერისა და აღტაცებულის გულში ჩამალა თავი.

სკამზე დასხდნენ ერთად. სიტყვა აღარ ჰქონდათ. კაშკაშებდნენ ვარსკვლავები. როგორ მოხდა, რომ ერთმანეთს მიეწება იმათი ბაგე? როგორ მოხდება ხოლმე, რომ

ჩიტი გალობს, თოვლი დნება, ვარდი იშლება, მაისი ყვავის, ბორცვზე შავი ხეების მთრთოლარე წვერების გადაღმა თეთრად გამოკრთის აისი?

ერთი კოცნა და ამით დასრულდა მათი ალერსი.

თრთოდნენ ორივენი. გაბრწყინებული თვალით შეჰყურებდნენ ერთმანეთს ამ სიბნელეში.

არც ღამის სიგრილეს გრძნობდნენ, არც ქვის სიცივეს, არც მიწის ნოტიოს, არც სველ ბალახს; შესცქეროდნენ ერთმანეთს და გული სავსე ჰქონდათ ფიქრით; ერთმანეთის ხელი ეჭირათ ხელში და ვერც ამჩნევნენ ამას.

არაფერს ჰკითხავდა კოზეტი. ისიც კი არ ჰკითხა, როგორ შემოხვედი ბაღში, სად არის გატეხილი ღობეო? - იქ იყო მისი მიჯნური და სხვა აღარაფერი ახსოვდა.

ხანდახან მარიუსის მუხლი შეეხებოდა ხოლმე კოზეტისას და თრთოლა ერეოდა ორივეს.

ისხდნენ ჩუმად. კოზეტს თუ წამოსცდებოდა ერთი სიტყვა. ბაგეზე უთრთოდა სული, როგორც ყვავილზე ცის ნამი.

ბოლოს ცოტ-ცოტა ლაპარაკიც შეძლეს. დუმილს გულისნადების გაზიარება მოჰყვა. ტკბილი, ნათელი ღამეც ხელს უწყობდათ. ანგელოზებივით უმანკო იყვნენ ორნივე და ერთმანეთს გადაუშალეს გული, გაუმხილეს თავიანთი ოცნებანი, გულის წუხილი, აღტაცებანი, რაღაც ლანდები, თავიანთი სისუსტე. უამბეს, როგორ აღმერთებდნენ შორიდან ერთმანეთს, როგორ სწყუროდათ ერთმანეთის ნახვა, გაიხსენეს ის სასოწარკვეთილება, როდესაც განშორებულნი იყვნენ. იდეალური ნდობით უამბობდნენ ერთმანეთს ყველაფერს, რაც კი დამალული ჰქონდათ და საიდუმლო გულის სიღრმეში. სრული რწმენა ჰქონდა ორთავეს, რომ ერთმანეთს ეკუთვნიან სამუდამოდ და წრფელად უზიარებდნენ ერთმანეთს ყველაფერს, რასაც კი მოაგონებდათ სიყვარული, სიყმაწვილე და ბავშვობა. ერთმანეთს შეუდუღდა ეს ორი გული, ისე რომ ერთი საათის შემდეგ ყმაწვილ კაცს გული ყმაწვილი ქალისა ჰქონდა და ყმაწვილ ქალს - ყმაწვილი კაცისა. სულით შეერთდნენ, აღივსნენ ერთმანეთის თაყვანისცემით.

და როდესაც ორივემ თქვა, რაც სათქმელი ჰქონდათ, თავი დაადო მხარზე კოზეტმა და ჰკითხა:

- მართლა, რა გქვიათ?

- მარიუსი, თქვენ?

- მე, კოზეტი.

## წიგნი მეექვსე
## პატარა გავროში

### თავი პირველი
### ქარის ბოროტი ცელქობა

1823 წლის შემდეგ, როდესაც ისე ცუდად წავიდა მონფერმეილის დუქნის საქმე, რომ იგი ნელ-ნელა ჩაიფლო არა გაკოტრების უფსკრულში, არამედ წვრილი ვალების ბინძურ ორმოში, ორი შვილი კიდევ შეეძინა ტენარდიების ოჯახს, ორივე

ბიჭი, ისე რომ მათ უკვე ხუთი შვილი ჰყავდათ: ორი ქალი და სამი ვაჟი. ეს კი მეტისმეტი იყო.

ტენარდიეს ცოლმა დიდი სიხარულით მოიშორა თავიდან ეს ორი პატარა, ჯერ ისევ ჩვილი ბავშვი. სწორედ თავიდან მოიშორა. ამ დედაკაცს ბუნებრივი გრძნობების მხოლოდ ნამსხვრევები შერჩენოდა. თუმცა ამგვარი მაგალითი მრავლად მოიპოვება ჩვენს ცხოვრებაში, - მარშალ მოტ-უდანკურის ცოლისა არ იყოს, შვილებად მას მხოლოდ გოგონები მიაჩნდა, გოგონებით თავდებოდა მისი დედობა. ადამიანი სძულდა და თავისივე შვილების, ვაჟების შეძულებით დაეწყო ეს სიძულვილი. თავისი ვაჟებისადმი უაღრესად ავი იყო, უდიერი და გული მათდამი ბოროტებითა და ზიზღით ავსებოდა. როგორც უკვე ვნახეთ, ჭირივით ეჯავრებოდა უფროსი და უფრო მეტად ორი პატარა. რად იყო ასე? იმიტომ. იმიტომ - ეს არის უსაზარლესი საფუძველთაგანი და თან საბოლოოდ უცილობელი პასუხი. რა თავში ვიხლი ამ ბავშვების ხროვას? - გაიძახოდა ეს ვითომ დედა.

განვმარტოთ, როგორ მოიშორეს ტენარდიებმა ორი პატარა ბიჭი და თან პატარა სარგებელიც ნახეს.

გეხსომებათ გოგო მანონი, რომლის ოინი უკვე გიამბეთ. ორი შვილი ჰყავდა და ისე მოახერხა, რომ ჟილნორმანი დააჯერა, - შენები არიანო, - ფულს ართმევდა ყოველთვიურად მათ შესანახად. სენის პირას დაექირავებინა ბინა, სელესტინის სანაპიროზე იმ ძველი პტი-მუსკის ქუჩის კუთხეში, რომელიც ძალიან ეცადა, რომ კეთილად გარდაექმნა თავისი ცუდი სახელი. ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ ხუნაგი მუსრს ავლებდა პარიზში მდინარის პირას მცხოვრებთ. ეს ყველას ეხსომება, მით უფრო, რომ კარგად ისარგებლა ამით მეცნიერებამ და მრავალ ავადმყოფზე სცადა შაბით წამლობა, რომლის მაგივრად ასე სასარგებლოდ აღმოჩნდა ჩვენს დროში იოდი. მაშინ იყო, რომ ერთ დღეს მოუკვდა მანონს ორივე ბავშვი. ერთი დილით მოკვდა, მეორე იმავე საღამოს. დიდი უბედურება ეწია - ძალიან ძვირფასნი იყვნენ დედისთვის, ვინაიდან მათ შესანახად ოთხმოც ფრანკს იღებდა თვეში. ამ ოთხმოც ფრანკს ყოველთვის დანიშნულ დროს მიართმევდა ხოლმე ჟილნორმანისგან მისი, ასე ვთქვათ, ხაზინადარი, ბ. ბარჟი, ძველად ბოქაულად ნამყოფი, რუა-დე სისილის ქუჩაზე მცხოვრები. ბავშვები დაიხოცნენ და ოთხმოცი ფრანკიც უნდა დაკარგულიყო. ჩაფიქრდა მანონი, - უნდა მოვახერხო რამეო. იმ შავბნელ ბოროტების წრეში, რომელსაც ეკუთვნოდა ეს დედაკაცი. ყველამ იცის, ვის რა ავკაცობა ჩაუდენია, მაგრამ ხმას არავინ იღებს, საიდუმლო საიდუმლოდ რჩება, და ამგვარად ეშველებიან ერთმანეთს. ორი ბავშვი სჭირდებოდა მანონს. ტენარდიეს ჰყავდა ორი ბავშვი, იმავე სქესისა, იმავე ასაკისა, საქმის სასარგებლოდ მოგვარება იყო ერთისთვის, და კარგად დაბინავება ბავშვებისა მეორისთვის. პატარა ტენარდიები პატარა მანონებად იქცნენ. მანონმა ბინა შეიცვალა და ახლა კლიშპერსში დასახლდა. პარიზში პიროვნებათა იგივეობა ხშირად იცვლება ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლისას.

მთავრობას ამის შესახებ არაფერი აცნობეს, ისიც არ ჩარეულა, და ტენარდიების მანონებად გარდაქმნა სულ ადვილად მოგვარდა. ტენარდიემ ათი ფრანკი მოსთხოვა თვიურად, - ჩემი შვილების წყალობით იღებთ ოთხმოც ფრანკსო; მანონიც დათანხმდა და აძლევდა კიდეც, რადგან ბ. ჟილნორმანი ყოველთვის უგზავნიდა ფულს და წელიწადში ორჯერ თვითონაც მიდიოდა მანონათან ბავშვების სანახავად. ამ

შეცვლისა ვერაფერი შენიშნა, - ერთი შეხედეთ, ბატონო, როგორ გგვანანო, - ჩასცინებოდა მანონი.

ტენარდიესაც ძალიან ეადვილებოდა ყოველგვარი გარდაქმნა. ისარგებლა ამ შემთხვევით და ჟონდრეტად იქცა. იმისი ორი ქალი და გავროში აქამდე ყურადღებასაც არ აქცევდნენ თავიანთ პატარა ძმებს. დიდ გაჭირვებაში მყოფ ადამიანს რაღაც სპექტრული განურჩევლობა ერევა და ჭიასავით ეჩვენება ყველა, ისე უყურებს უახლოეს ადამიანებს, როგორც აჩრდილს ცხოვრების მოღრუბლულ სივრცეში და უმნიშვნელოდ ეჩვენება ეს აჩრდილი, თითქოს ჰგონია, აგერ, გაქრებაო.

ჩააბარა ტენარდიეს ცოლმა თავისი ორი შვილი მანონს და სამუდამოდ გამოეთხოვა, - ვითომ არც კი მყოლიაო! - მაგრამ საღამოხანს პატარა სინანული დაეტყო, - ვინ იცის, იქნებ სურდა ქმარს სჩვენებოდა შვილების მოყვარე დედად? - და ჰკითხა:

- მაშ, გარეთ გავყარეთ ჩვენი შვილები?

მეცნიერის გამომეტყველება მიიღო ტენარდიემ და გულგრილად გაუქარვა სინანული:

- ჟან-ჟაკ რუსო უარესს სჩადიოდა.

სინანული შეშფოთებად შეეცვალა დედას:

- პოლიციამ რომ გაგვიგოს, ხომ ვერ გადავრჩებით? ერთი მიბრძანეთ, ბატონო ტენარდიე, კანონის მიერ ნებადართულია თუ არა ჩვენი მანონთან მორიგება?

ტენარდიემ გადაჭრით უპასუხა:

- ყველაფერი ნებადართულია. მანდ ავი არაფერია, და ეგეც არ იყოს, ვინ დაიწყებს იმ ბავშვების საქმის ძიებას, რომელთაც ერთი სუ არ გააჩნიათ?

მანონს კეკლუცის სახელი ჰქონდა თავის წრეში. სულ კოხტად მორთული დადიოდა. თავის სახლში, ღარიბად, მაგრამ თავისებური სილამაზით მოწყობილში, ერთი ქერდობაში დახელოვნებული გადაფრანგებული ინგლისელი ქალი ჰყავდა. ამ ქალს, რომელიც პარიზში დამკვიდრებულიყო, კარგი განწყობილება ჰქონდა მდიდრებთან და მონაწილე იყო ბიბლიოთეკის მედლებისა და ქალბატონ მარსის ბრილიანტების მოპარვის საქმეში. შემდეგშიც დიდად ისახელა თავისი სასამართლოს მატიანის ფურცლებზე.

მამზელ მისს-ს ეძახდნენ მას.

მანონთან მოხვედრილი ორი პატარა ბიჭი ვერაფერს დაემდურებოდა. ოთხმოცი ფრანკის წყალობით, კარგად უვლიდა ბავშვებს მანონი, ისე როგორც უვლის ადამიანი ყველაფერს, რისგანაც კი სარგებლობა აქვს. მათ არც ტანისამოსი აკლდათ, არც საჭმელ-სასმელი. ისე ექცეოდა მანონი, თითქოს „პატარა ბატონები“ ყოფილიყვნენ. ასე რომ, დედობილთან უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, ვიდრე მშობელ დედასთან. „ქალბატონობას“ ლამობდა მანონი და მდაბიურ სიტყვასაც კი არ გააგონებდა ბავშვებს.

ასე გაატარეს ბიჭებმა რამდენიმე წელიწადი. მათ მომავალზე იმედებს ამყარებდა ტენარდიე. ერთხელ, როდესაც თავისი ხვედრი ათი ფრანკის მისაღებად მივიდა მანონთან, ურჩია ქალს:

- ამ ბავშვების სწავლა-განათლებაც „მამამ“ უნდა იკისროს.

და უცბად უპატრონოდ დარჩნენ საწყალი ბავშვები, რომელთაც აქამდე ცოტად მაინც იბრალებდა ავი ბედი. ქუჩაში დარჩნენ და თვით უნდა შებრძოლებოდნენ ცხოვრებას.

ჟონდრეტის და მისი ამხანაგების დაპატიმრებას მრავალი ქურდისა და ბოროტმოქმედის დაჭერა მოჰყვა; ბინების ჩხრეკა, ახლა სხვების აღმოჩენა და დამწყვდევა. ღვთის რისხვა ეწიათ იმ ბოროტების წიაღში მცხოვრებ ნაწილს საზოგადოებისას, რომელიც სადღაც ბნელში ცხოვრობს და მხოლოდ ბოროტებით იდგამს სულს. ჭირივით მოედება ხოლმე მთავრობის მოხელეების სტუმრობა ამ ბნელეთში მცხოვრებთ. ტენარდიეს დაღუპვამ მანონის დაღუპვა გამოიწვია.

ერთ მშვენიერ დღეს, ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც მანონმა ბარათი გადასცა ეპონინს პლუმეს ქუჩაზე განცალკევებით მცხოვრებთა შესახებ, მოულოდნელად კლოშპერსის ქუჩაზე გაჩნდა პოლიცია. მანონი დაიჭირეს, დაიჭირეს აგრეთვე მამზელ მისს-ი. სახლში მცხოვრებნი, ყველა, ვინც საეჭვო იყო, პოლიციის მახეში მოხვდა. ამ დროს მანონის ორი პატარა ბიჭი სახლის უკანა ეზოში თამაშობდა ბავშვებთან და არაფერი იცოდნენ თავდასხმის შესახებ. შინ რომ მივიდნენ, კარი დაკეტილი დახვდათ და სახლი ცარიელი. სახლის პირდაპირ ქუჩაში ხარაზი მუშაობდა ფარდულში, დაუძახა ბავშვებს და მისცა პატარა ქაღალდი, რომელიც „დედას“ დაეტოვებინა მათთვის. ქაღალდზე მისამართი ეწერა: „ბ. ბარჟი, რუა-დე-სისილის ქ. #8“.

- თქვენ აქ აღარ ცხოვრობთ, - უთხრა ხარაზმა, - აი, იმ სახლში მიდით. სულ ახლოა აქედან. პირველი ქუჩა, მარცხნივ რომ ჩაუხვევს. ამ ქაღალდით მიაკვლევთ გზას.

წავიდნენ ბავშვები, უფროსს მიჰყავდა უმცროსი, ცალ ხელში მისი ხელი ეჭირა და მეორე ხელში ის ქაღალდი, რომელსაც მათთვის გზა უნდა ეჩვენებინა. სციოდა პატარა ბიჭს, თითებს ვეღარ კუმშავდა და ოდნავ ეჭირა ქაღალდი. კლოშპერსის ქუჩისკენ რომ ჩაუხვიეს, უცბად დაუბერა გიჟმა ქარმა, ხელიდან გააგდებინა ქაღალდი და გაიტაცა. ბინდდებოდა და ვერც კი დაინახეს, საით წაიღო ის ქარმა.

ბავშვებმა უმიზნოდ დაიწყეს ყიალი ქუჩაში.

## თავი მეორე
## დიდი ნაპოლეონით სარგებლობს პატარა გავროში

გაზაფხულს პარიზში ხშირად მოჰყვება ხოლმე ცივი ქარი, რომელიც არ ყინავს ადამიანს, მაგრამ ძალიან კი აცივებს. ეს ცივი ქარი, რომელიც აპირქუშებს გაზაფხულის მშვენიერ დღეებს, ცივი ზამთრის ჰაერის შთაბეჭდილებას ახდენს. ჩარჩოს ჭუჭრუტანებიდან ან ცუდად მიხურული კარიდან რომ გამთბარ ოთახში შეიჭრება, თითქოს წასულ ზამთარს ღია დარჩენია კარი და იქიდან გამოდის ეს სიცივეო. 1832 წლის გაზაფხულზე, იმ დროს, როდესაც პირველად მოედო ევროპას საშინელი ეპიდემია, ეს ქარიც უფრო მკაცრი იყო და საზარელი, ვიდრე ოდესმე. ეს ღიად დარჩენილი გამყინავი კარი უფრო ცივი იყო, ვიდრე ზამთრისა. ეს სამარის კარი იყო. ამ ქარის ქროლვაში იგრძნობოდა ქოლერის სუნთქვა.

მეტეოროლოგიურად იმით იყო უჩვეულო ეს ცივი ქარი, რომ დამუხტული იყო ელექტრული ძალით. ძალიან ხშირი იყო იმ გაზაფხულს ჭექა-ქუხილი და დიდი ავდარი.

ერთ საღამოს, როდესაც ეს ცივი ქარი ისე უბერავდა, თითქოს იანვარი დაბრუნებულიყო და ბურჟუები ზამთრის პალტოში გახვეულიყვნენ, პატარა გავროში ქუჩაში იყო, აკანკალებული, დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, მაგრამ კარგ გუნებაზე, თავისებურად მხიარული. ორბსენ-ჟერვეს ახლოს ერთი დალაქის განათებულ ფანჯარასთან იდგა და აღტაცებით შეჰყურებდა ფანჯარაში გამოწყობილ საქონელსა და ცვილის პატარძალს. ქალის შალი ეშოვა სადღაც, მკერდსა და თავზე შემოეხვია და ასე მობუდნული ვითომ თვალს ვერ აშორებდა კოხტად მორთულ პატარძალს, გულმკერდღიას, ნარინჯის ყვავილებით დამშვენებულს. პატარძალი ტრიალებდა, ორი ლამპით განათებული და ღიმილით ატკბობდა ქუჩაში გამვლელთ. შეჰყურებდა გავროში, მაგრამ სულ სხვა განზრახვა ჰქონდა: იდგა და ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა, რომ ერთი ცალი საპონი აეწაპნა დალაქისთვის; მოპარულს გარეუბანში გაიტანდა, იქ პარიკმახერს მიჰყიდდა და პურის ფულს იშოვიდა. ხშირად უხდებოდა ხოლმე ქურდობით მოპოვებული ვახშმის ჭამა. ესეც ერთგვარ შრომად მიაჩნდა, დალაქს წვერი მოვპარსეო, - იტყოდა ხოლმე თავმომწონედ.

პატარძალს შეჰყურებდა, საპონს უთვალთვალებდა და თან ბუტბუტებდა:

- სამშაბათს, არა! სამშაბათს არა! სამშაბათს იყო? მგონი სამშაბათს იყო, ჰო, სამშაბათს.

ვინ იცის, რას ნიშნავდა ეს მოლოგი?

თუ შემთხვევით იმის თქმა უნდოდა, რომ უკანასკნელად სადილი სამშაბათს ვჭამეო, მაშ, სამი დღე გასულიყო, რაც არაფერი ეჭამა, რადგან უკვე პარასკევი ღამდებოდა.

დალაქს კარგად გახურებული ღუმელი ედგა, წვერს ჰპარსავდა ვიღაც კაცს და ხანგამოშვებით გადმოხედავდა ხოლმე მტერს, ამ გათოშილი, თავხედი პატარა ქურდბაცაცას სახით, რომელსაც ჯიბეში ხელები ჩაეწყო და, ცხადია, რაღაც განეზრახა.

ამგვარად რომ შეჰყურებდა მოკაზმულ პატარძალსა და ვინდზორ-საპონს, ორი პატარა ბიჭი მიადგა სადალაქოს. პატარები იყვნენ, კარგად ჩაცმულები, გავროშზე პატარები; ერთი შვიდი წლისა იქნებოდა, მეორე ხუთისა; გაუბედავად შეაღო კარი, შევიდნენ და რაღაცას ეუბნებოდნენ დალაქს, იქნებ მოწყალებას სთხოვდნენ, მაგრამ ისე საცოდავად, რომ ეს კვნესასა და ტირილს უფრო წააგავდა, ვიდრე თხოვნას. რაღაცას ამბობდა ორივე ერთად, მაგრამ გაუგებარი იყო მათი სიტყვა, რადგან ქვითინი აწყვეტინებდა სათქმელს უმცროსს და ყინვისგან კანკალი უფროსს. გაბრაზებული დალაქი მივარდა, ისე, რომ არც კი დადო სამართებელი, მარცხენა ხელი სტაცა უფროსს, პანღური ჰკრა უმცროსს, ქუჩაში გამოყარა, კარი მოხურა და წამოიძახა გაჯავრებულმა:

- ხომ გაიყინა აქაურობა, თქვე საძაგლებო, თქვენა!

ტირილით გაუდგნენ გზას პატარები. სწორედ იმ დროს ღრუბელი მოიტანა ქარმა და წვიმა დაუშვა.

მათ უკან დაედევნა გავროში და დაუწყო გამოკითხვა:

- რა მოგსვლიათ, ბიჭუნებო?

- არ ვიცით, სად დავიძინოთ. - უპასუხა უფრომა.

- სულ ეგ არის? - გაიკვირვა გავროშმა, - დიდი რამ მომხდარა! აბა, ვინ ტირის მაგისთვის? რა სულელები ყოფილხართ!

ოდნავ ქედმაღლურად, თან დამამშვიდებელი მფარველობით მიმართა ბავშვებს:

- ჩემთან წამოდით, წვრილფეხობავ!

- გიახლებით, ბატონო, - უპასუხა უფროსმა.

და გავროშს გაჰყვნენ ბავშვები სწორედ ისე, როგორც გაჰყვებოდნენ არქიეპისკოპოსს. ისინი უკვე აღარც კი ტიროდნენ.

სენტ-ანტუანის ქუჩა აიარეს ბიჭებმა, ბასტილიის მიმართულებით.

დალაქის ჯავრი კი ჯერაც არ მოენელებინა გავროშს. სანამ ახლოს იყვნენ, ერთხელ კიდევ გადახედა სადალაქოს და წამოიძახა აღშფოთებულმა:

- ქვის გული ჰქონია იმ ვირთევზას, იმასა, ალბათ ინგლისელი იქნება.

ერთ გოგოს სიცილი წასკდა, ასე მიმავალი რომ დაინახა ბიჭები, წინ გავროში, უკან პატარები. გავროშისა და მისი სტუმრების შეურაცხყოფა იყო ეს სიცილი.

- საღამო მშვიდობისა, ქალბატონო ომნიბუსო! - გადასძახა გავროშმა.

მაგრამ ისევ დალაქი მოაგონდა და დაუმატა:

- არა, მგონია შევცდი მხეცში. ვირთევზა კი არა, გველია. დამაცადე შენა! ერთი კარგი ზეინკალი ვიშოვო, რომ ზარი შეგაბას ზედ კუდზე.

გაბრაზებული გავროში ჯავრს სხვებზე იყრიდა. პატარა რუზე რომ გადახტა, მიმართა წვეროსან დედაკაცს, რომელსაც ცოცხი ეჭირა ხელში და სავსებით ღირსი იყო ფაუსტს შეხვედროდა ბროკენზე:

- ქალბატონო, თქვენი რაშით გამობრძანებულხართ?

იქვე ფეხი წაჰკრა ტალახს და ლაქის ფეხსაცმელები გაუსვარა ერთ გამვლელს.

- რას შვრები, შე ბრიყვო?! - შეუტია ბრაზმორეულმა გამვლელმა.

ცხვირი გამოყო შალიდან გავროშმა, დააცქერდა:

- ბატონი უჩივის ვინმეს?

- შენა, შე საძაგელო!

- სასამართლო დაკეტილი გახლავთ, - მიუგო გავროშმა, - მე არზას ვეღარ მივიღებ.

თან ნელ-ნელა მიდიოდნენ ბასტილიისკენ. ერთი ალაყაფის კართან გოგო დაინახეს მთლად გაყინული, ცამეტ-თოთხმეტი წლის მათხოვარი, ისეთი მოკლე კაბა ეცვა, რომ შიშველი მუხლები უჩანდა. პატარა იყო, მაგრამ კაბა დამოკლებოდა იმ ასაკში, როდესაც სამარცხვინო ხდება სიშიშვლე.

- საწყალი გოგო! - წამოიძახა გავროშმა, - ნიფხავიც კი არ აცვია! აჰა, დაიჭი! ეს მაინც წამოისხი.

კისერზე რომ შალი ეხვია, მოიხსნა, ჩამომხმარ, გალურჯებულ მხრებზე წამოასხა გოგოს და ისევ შალად აქცია თავისი ყელპირსახვევი.

გაკვირვებული შეაშტერდა გოგო და ხმის ამოუღებლად მიიღო ეს საჩუქარი. ზოგჯერ ისე გამოატვინებს ხოლმე ღარიბ კაცს გაჭირვება, რომ აღარც კვნესის ტკივილისგან, და აღარც მადლობას უხდის კეთილისმყოფელს.

უცბად სიცივემ აიტანა:

- ბრრრ! - წამოიძახა მწარედ და უფრო ძალიან აკანკალდა, ვიდრე წმინდა მარტენი, რომელმაც მხოლოდ წამოსასხამის ნახევარი მისცა შიშველს.

ეს ბრრრ! ეწყინა ზეცას და შხაპუნა წვიმა დაუშვა. მოღრუბლული ზეცა თითქოს სჯიდა ადამიანს სიკეთისთვის.

- ეს რაღაა? - შეჰყვირა გავროშმა, - მგონი ცა ძირს ჩამოდის! შენ, ეი, ღმერთო! თუ ასე გაგრძელდება, იცოდე, ბოროტი გავხდები!

ფეხი ააჩქარეს.

გადახედა მთხოვარა გოგოს, რომელიც ეხვეოდა მის შალში და წამოიძახა:

- ხედავთ, როგორ გაეხვია ჩემს ქურქში!

მერე ცას შეხედა და შეჰყვირა:

- რა გაიტანე?

მიდიოდა და თან მისდევდა ორი პატარა ბიჭი.

რკინის მოაჯირით გამაგრებულ დუქანთან მივიდნენ. ეს მოაჯირი პურის დუქნისა იყო, რადგან პურსაც ისე ინახავენ და ჰკეტავენ, როგორც ოქროს.

- მართლა, პაწიებო, სადილი ჭამეთ?

- დღეს დილიდან არაფერი გვიჭამია, ბატონო, - მიუგო უფროსმა.

- მაშ არც დედა გყოლიათ, არც მამა? - ჰკითხა ზეიმურად გავროშმა.

- უკაცრავად, ბატონო. დედაც გვყავს, მამაც, მაგრამ არ ვიცით, სად არიან.

- მაგის ცოდნას ზოგჯერ უცოდინრობა სჯობია, - თქვა გავროშმა, რადგან იგი უკვე ღრმამოაზროვნე გამხდარიყო.

- აგერ, ორი საათი იქნება, რაც ასე დავდივართ. სულ აქეთ-იქით ვაცეცებდით თვალებს, რომ საჭმელი გვეპოვა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ.

- მე კი არ ვიცი! - უთხრა გავროშმა, - თქვენ რას იპოვიდით, როცა სულ ძაღლები ჭამენ ყველაფერს.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდა, მერე წამოიძახა:

- მაშ, ჩვენი მშობლები დავკარგეთ? აღარ ვიცით, სად გადაიკარგნენ? არ ვარგა, ბიჭებო! როგორ შეიძლება უფროსების აგრე მიტოვება? მოდი შენა და გააწყე რამე!

სხვა კი არაფერი ჰკითხა. უბინაო ბავშვები! რა იყო აქ გასაკვირველი?

უფროსი თითქმის დამშვიდებულიყო და ბავშვური უზრუნველობით წამოიძახა:

- არ ვიცი, ღმერთმანი! დედაჩემი დაგვპირდა, ბზობას საყდარში წაგიყვანთ, ნაკურთხი ბზა მოვიტანოთო.

- მერმის იყოს, - უთხრა გავროშმა.

- ქალბატონია დედაჩემი, ერთად ვცხოვრობთ ჩვენ და მამზელ მისს-ი.

- შეგაბერეთ!

გავროში გაჩერდა. რამდენიმე წუთი ჯიბეებში ეძება რაღაც. მერე ტანისამოსში, სადაც კი რისამე ჩადება შეიძლებოდა.

ბოლოს მაღლა ასწია თავი. ცდილობდა მხოლოდ კმაყოფილება აღბეჭდოდა სახეზე, მაგრამ ზეიმური გამარჯვება გამოხატა.

- დამშვიდდით, ჭიჭყინებო! აი, ჩვენი ვახშამი, სამი კაცისა!

და ჯიბიდან ერთი სუ ამოიღო.

აღარ დააცადა ბავშვებს, რომ გაკვირვება გამოეთქვათ, ხელი წაჰკრა ორივეს და პურის დუქანში შეაგდო. თვითონ შევიდა, დაზგაზე დადო თავისი სუ და უბრძანა:

- ბიჭო! ხუთი სანტიმის პური!

- სამად გასჭერით, ბიჭო! - უბრძანა გავროშმა და მერე მედიდურად დაუმატა:

- სამნი ვართ.

გადმოხედა სამ ბიჭს მეპურემ და თეთრის მაგივრად ახლა შავი პური აიღო. ეს რომ დაინახა გავროშმა, ცხვირში შეიყო თითი, ისეთი ძალით შეისუნთქა, თითქოს ფრიდრიხ ძლიერის ბურნუთი ჰქონოდა თითზე, და მერე შეურაცხყოფილის რისხვით შეუტია მეპურეს:

- კესკსა?

ჩვენ მკითხველს, რომელსაც გავროშის ეს წამოძახილი რუსულ სიტყვად ეჩვენება ან პოლონურად, ან ველური იოვაებისა და ბოტოკუდების ძახილად, ერთმანეთს რომ გასძახიან მდინარის გაღმა-გამოღმა, მოვაგონებთ, რომ იგი თვით ხშირადვე ხმარობს ამ სიტყვას, მხოლოდ მთელი ფრაზის სახით:

- რა არის ეს?

მეპურემ კარგად გაიგო ეს სიტყვა და უპასუხა:

- ესეც ძალიან კარგი პურია, ოღონდ მეორე ხარისხისა.

- ესე იგი საძაგელი შავი პური, არა? - შეუსწორა მშვიდად გავროშმა, - თეთრი პური მოგვიჭერით, სტუმრები მყავს!

ვერ შეიკავა მეპურემ სიცილი და, პურს რომ უჭრიდა, თანაგრძნობით გადახედა პატარა ბიჭებს. ახლა ეს იუკადრისა გავროშმა და შეუტია:

- რამ მოგიარათ, ფქვილცომავ? რა თვალითა გვზომავთ აგრე?

ზედიზედ რომ შეგვეყენებინა სამივე, ზომით ორი მეტრიც არ გამოვიდოდა.

პური სამად გაჭრა მეპურემ, სუ დახლში ჩააგდო.

გავროშმა პატარებს მიმართა:

- აბა, გადასანსლეთ!

გაკვირვებული შესცქეროდნენ ბავშვები.

გავროშს სიცილი მოერია:

- აბა, რას გაიგებენ, ძუძუმწოვრები არიან ჯერ ისევ.

მერე განუმარტა:

- ჭამეთ.

და თითო ნაჭერი პური მიაწოდა თითოეულ მათგანს.

უფროსს უფრო ღირსად ცნობდა თავისთან სალაპარაკოდ და ამიტომ ცდილობდა მის წაქეზებას, რათა მოურიდებლად გამოერთმია მისთვის პური და მოეკლა შიმშილი. გაუწოდა, რომელიც უფრო დიდი ნაჭერი იყო, და უთხრა:

- აბა, გატენე შენი თოფი!

დანარჩენი ორი ნაჭრიდან, რომელიც უფრო დიდი იყო, უმცროსს მისცა. თავისთვის პატარა დაიტოვა.

საბრალო ბავშვები გავროშზე ნაკლები დამშეულები როდი იყვნენ. ხარბად ილუკმებოდნენ და წასვლა აღარ აგონდებოდათ. მეპურემ თავისი ფული მიიღო და ახლა გაჯავრება დაეტყო, - რატომ არ მიდიანო.

- აბა, წავიდეთ, - თქვა გავროშმა.

ისევ ბასტილიის მიმართულებით გაუდგნენ გზას.

აქა-იქ, კარგად განათებული მაღაზიის ფანჯრებთან რომ მივიდოდნენ, გაჩერდებოდა უმცროსი და ტყვიის საათს დასცქეროდა, რომელიც ყელზე ება პატარა ბაწრით.

- ამ მაიმუნს უყურეთ თქვენ! - თქვა გავროშმა.

მერე ჩაფიქრდა წამით და ბუზღუნით გამოცრა:

- არა, მე რომ მყოლოდა ბალღები, უფრო კარგად მოვუვლიდი.

პურს ილუკმებოდნენ, როდესაც დაღვრემილ ბალეს ქუჩის კუთხეს მიადგნენ, საიდანაც მოჩანს ფორსის საპატიმროს დაბალი კარი.

- ოჰო! ეს შენა, გავროშ? - შეაყენა ვიღაც კაცმა.

- ოჰო! ეს შენა, მონპარნას?

ეს კაცი გადაცმული მონპარნასი იყო. ლურჯსათვალიანი, გავროშმა მაინც იცნო.

- ყოჩაღ, ბიჭო! - მოუწონა გავროშმა, - ძალიან გიხდება ეგ სელის საფენისფერი ტყავი და ექიმივით ლურჯი სათვალე. კოხტა ბიჭი ხარ, რაც მართალია, მართალია!

- ჩუმად, - წასჩურჩულა მონპარნასმა, - რა გაყვირებს?

ხელი სტაცა გავროშს და ბნელში შეიყვანა, სადაც განათებული მაღაზიები არ იყო.

პატარა ბიჭებიც თან გაჰყვნენ.

ალაყაფის კარებთან, სიბნელეში რომ გაჩერდნენ, სადაც აღარც აწვიმდათ და აღარც ვინმე ხედავდათ, იქ დაიწყეს საუბარი.

- იცი, სად მივდივარ? - ჰკითხა მონპარნასმა.

- სინანულის მთის მონასტერში, - უპასუხა გავროშმა.

- რა ხუმარა ხარ!

მონპარნასმა დაუმატა:ლ

- მინდა ბაბეტი ვიპოვო.

- ოჰო! მაშ, ბაბეტი ჰქვია შენს კეკლუცს?

- კაცია, რა ვქნა!

- ჩვენი ბაბეტი?

- მე კი მეგონა, გაიჭედა.

- უკვე დაიძვრინა თავი.

და საჩქაროდ უამბო გავროშს, როგორ გამოიპარა ბაბეტი იმ დილასვე, კონსიერჟერში რომ მიიყვანეს. იმის მაგივრად, რომ მარჯვენა გამოძიების ტალანში შესულიყო, მან მარცხნივ გაუხვია და მოუსვა.

გავროშს ძალიან მოეწონა ეს ოინი და შეაქო ბაბეტი.

- ყოჩაღ, ბიჭო!

მონპარნასმა ცოტა რამ წვრილმანი დაუმატა ბაბეტის გამოქცევის შესახებ და მერე თქვა:

- ეჰ, განა მარტო ეგ არის!

მონპარნასის თხრობის დროს, გავროშმა ჯოხი გამოართვა ხელიდან, უნებლიეთ გასწია ტარი და წვრილი ხანჯალი გამოაჩინა.

- ოჰო, - მიმართა მონპარნასს და მყისვე ჩააგო ხანჯალი. მაშ, შენი მხედრობაც თან გახლავს, ბურჟუად გადაცმული?

თვალი ჩაუკრა მონპარნასმა.

- დალახვროს ღმერთმა, კრივს ხომ არ აპირებ ჩვენს ღამურებთან?

- ვინ იცის? - უპასუხა გულგრილად მონპარნასმა, - კაცს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს პატარა ნესტარი.

მაგრამ გავროში თავისას არ იშლიდა:

- მაინც? ეს მითხარი, ამაღამ რას აპირებ?

დიდ საქმეებში ჩაბმული კაცის კილოთი უპასუხა მონპარნასმა:

- საქმე მაქვს.

- რა საქმე?

მაგრამ უცბად სხვა მიმართულება მისცა საუბარს მონპარნასმა:

- ჰო, მართლა...

- რაო?

- უცნაური რამ შემემთხვა ამას წინათ. წარმოგიდგენია? ერთ ბურჟუას შევხვდი. აიღო და ერთი უთავბოლო ქადაგება მიძღვნა და თანაც თავისი ქისაც მოაყოლა. ჯიბეში ჩავიდე. ცოტა ხნის შემდეგ არ გასულა ერთი წუთი, ჩავიყავი ჯიბეში ხელი და შიგ აღარაფერი დამხვდა!

- და შეგრჩა მარტო ქადაგება, არა? - უთხრა გავროშმა.

- შენ სადღა მიდიხარ? - ჰკითხა მონპარნასმა.

გავროშმა დაანახვა თავისი ორი სტუმარი და უპასუხა:

- ეს ბავშვები უნდა დავაძინო.

- სად უნდა დააძინო.

- სად და ჩემთან.

- სად შენთან?

- ჩემს ბინაში.

- მაშ, ბინა გქონია?

- დიახ, მაქვს.

- მერე სადა?

- სპილოში, - უპასუხა გავროშმა.

მონპარნასი იმ ბუნების კაცი იყო, ადვილად არაფერი გააკვირვებდა, მაგრამ აქ კი ვერ შეიკავა თავი:

- სპილოში?

- ჰოდა რა? სპილოში, კეკსაა?

ესეც ერთი იმგვარი სიტყვაა ფრანგული ენისა, რომელსაც ქვეყანა გაიძახის და წერით კი არავინ წერს. კეკსაა შემოკლებული სიტყვებია - qu'est ce que celà, - რა გამომდინარეობს აქედანო.

მონპარნასიც ამ შენიშვნამ დაამშვიდა და ჭკუაზე მოიყვანა; ქებაც კი შესძღვნა სპილოს:

- მაშ, სპილოში ხარ? უკეთესს ვერას მიაგნებდი. ხომ კარგად მოეწყვე?

- ძალიან კარგად, - უპასუხა გავროშმა, - ნამდვილად ბუდეა. ხიდქვეშ კი აღარ ვარ, რომ ორმხრივი ქარი მაწუხებდეს.

- მერე, როგორ შედიხარ?

- შევდივარ.

- მაშ, ხვრელი არის რამე?

- მაშა! ოღონდ არავის უთხრა: წინა ფეხებს შუა. პოლიციელებმა ჯერ არ იციან.

- და აძვრები ხოლმე, არა? ახლა კი მივხვდი.

- ერთი ხელის მოქნევა, წამიც და გაქრა ბიჭი!

ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე დაუმატა:

- ამ საძაგლებისთვის კი კიბე მაქვს.

მონპარნასს სიცილი წასკდა.

- სად ჯანდაბას აიკვიატე ეს ლაწირაკები?

გულწრფელად უპასუხა გავროშმა:

- ერთმა დალაქმა მიფეშქაშა.

მონპარნასს ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

- ძალიან მალე მიცანი, ბიჭო, - წაიბურტყუნა დაფიქრებულმა.

ჯიბიდან ამოიღო ორი ცალი ბატის ფრთის მილი ბამბაში შეხვეული და ცხვირის ნესტოებში შეიდო. მთლად გამოეცვალა ცხვირი.

- ძალიან შეგცვალა, - უთხრა გავროშმა, - გონჯი გაგალამაზა. მე რომ შენი ვიყო, სულ მაგრე ვივლიდი, ცხვირგაბღინძული.

ლამაზი ბიჭი იყო მონპარნასი, მაგრამ გავროშს ხუმრობა უყვარდა.

- რა დროს ხუმრობაა? - უთხრა მონპარნასმა, - მიყურე, ახლაც მცნობ?

სულ სხვა ხმით თქვა ეს მონპარნასმა. თვალის დახამხამებაში მთლად შეიცვალა კაცი, შეუძლებელი იყო მისი ცნობა.

- ნამდვილი ოინბაზი ხარ! მოდი ერთი წარმოგვიდგინე რამე! - შეჰყვირა გავროშმა.

აქამდე ყურს არ უგდებდნენ ამ საუბარს ბავშვები, იდგნენ და ცხვირს იჩიჩქნიდნენ არხეინად. მაგრამ ოინბაზის ხსენებაზე ყურები ცქვიტეს. მიუახლოვდნენ მონპარნასს და აღტაცებით შესცქეროდნენ გახარებულნი.

სამწუხაროდ, თავისი აწუხებდა მონპარნასს.

ხელი დაადო გავროშს მხარზე და ხაზგასმით უთხრა:

- ყური დამიგდე და კარგად შეიგნე. მე რომ მოედანზე ვიყო ჩემი დოგით, ჩემი დაგით, ჩემი დიგით და ერთი ათი სუ დამანახვოთ, იქნება კიდეც გაცინოთ, მაგრამ დღეს ხომ ყველიერი არ არის, რომ მასხარაობა დავიწყოთ.

საკვირველი გავლენა იქონია პატარა გავროშზე ამ უცნაურმა ფრაზამ. უცბად მიბრუნდა, ყურადღებით გადაავლო იქაურობას თავისი ცოცხალი თვალი და იქვე, რამდენიმე ნაბიჯით მოშორებული პოლიციელი დაინახა, რომელსაც ზურგი შემოექცია ამათთვის.

- ჰოო? კარგი! - დაიძახა ჩუმად გავროშმა, მაგრამ ამის მეტი აღარაფერი თქვა პოლიციელის შესახებ. ხელი ჩამოართვა მონპარნასს და გამოეთხოვა:

- მაშ, ღამე მშვიდობისა. მე ამ ბავშვებს წავიყვან დასაძინებლად. თუ ღამე დაგჭირდი სადმე, მოხვალ და სპილოში მნახავ მეორე სართულზე. შვეიცარი არ გახლავს, და ბატონ გავროშს იკითხავ.

- კარგი, კარგი!

და თავ-თავის გზას გაუყვნენ. მონპარნასი გრევისკენ წავიდა, გავროში - ბასტილიისკენ. ხუთი წლის პატარა, რომელსაც ძმა მიათრევდა, რამდენჯერმე გაჩერდა და უკან მიიხედა, რომ „ოინბაზი“ დაენახა.

ამ ახირებულ ფრაზას, რომლითაც მონპარნასმა პოლიციელის მოახლოება გააგებინა გავროშს, არავითარი თილისმა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ხუთჯერ-ექვსჯერ იყო ნათქვამი სხვადასხვა სიტყვაში მარცვალი „დიგ“.

ამ მარცვალს ცალკე მნიშვნელობა არა აქვს და არც ხმარობენ, მაგრამ ხელოვნურად სიტყვებში ჩარეულს და გამეორებულს თავისი მნიშვნელობა აქვს: „ფრთხილად! არაფერი წამოგცდეს!“ მონპარნასის ფრაზაში ერთი სხვა ლიტერატურული მშვენებაც მოიპოვებოდა, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა გავროშს: „ჩემი დოგით, ჩემი დაგით, ჩემი დიგით“ - ტანპლის უბნის არგო, რომელიც ნიშნავს ჩემი ძაღლით, ჩემი დანით, ჩემი ცოლით. - ამ სიტყვებს ხშირად ხმარობდნენ მასხარები და წითელქუდა ქილიკები იმ დიად საუკუნეში, როდესაც მოლიერი წერდა და კალო ხატავდა.

ამ ოცი წლის წინათ ჯერ კიდევ ნახავდით ბასტილიის მოედნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ამ საპატიმრო ციხესიმაგრიდან წინანდელ ხევში გაყვანილ არხის

თავში ერთ უცნაურ ძეგლს, რომელიც უკვე აღმოფხვრილა პარიზელთა მეხსიერებიდან, თუმცა ღირსი იყო, ოდნავ მაინც შერჩენოდათ მისი ხსოვნა, რადგან ეს ძეგლი „ინსტიტუტის წევრის, ეგვიპტის ლაშქრის მთავარსარდლის“ აზრის განხორციელება იყო.

ძეგლს ნახავდითო, ვთქვით, თუმცა ეს მხოლოდ მოდელი იყო. მაგრამ თვით ეს საკვირველი მოდელიც მარტოოდენ მონახაზიც რომ ყოფილიყო, დიადი ნაშთი იქნებოდა ნაპოლეონის იდეისა, რომელიც ისე ადვილად გაგვაშორა ქარმა ორი-სამი დაქროლვით და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლად იქცა; თუმცა გარეგნობით საამისოს არაფერს წარმოადგენდა; სპილო იყო თორმეტი მეტრის სიმაღლისა; აგებული ხისა და ქვის მასალისგან; ზურგზე ამ სპილოს კოშკი ჰქონდა, რომელიც სახლს უფრო ჰგავდა. იგი ოდესღაც მღებავს მწვანედ შეეფერა, შემდეგ კი ცას, წვიმასა და დროს გაეშავებინა. ეს მხარე მოედნისა ცარიელი იყო, სრულიად ღია და სპილოს ფართო შუბლი, მისი ხორთუმი და ეშვები, ზურგზე კოშკი, უშველებელი გავა და სვეტებივით დიდი ოთხი ფეხი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ საკვირველ და საზარელ ლანდად ეჩვენებოდა ადამიანს. ვერ მიხვდებოდით, რას წარმოადგენდა ეს სპილო! იქნებ ერთგვარი განსახიერება იყო ხალხის ძალ-ღონისა, პირქუში, იდუმალი და უზარმაზარი. რაღაც ძლიერი მკვეთრად აღმართული ჩვენება იყო იქვე უხილავი ბასტილიის აჩრდილის გვერდით.

უცხოელები იშვიათად მოდიოდნენ ამ შენობის სანახავად, გამვლელი ზედაც არ შეხედავდა. ინგრეოდა, ნელ-ნელა ჩამოიშლებოდა კედლებიდან ნალესი გაჯი და საზარელ ჭრილობად დააჩნდებოდა სპილოს. ედილებს (ასე იხსენიებდნენ იმ დროს განათლებულ წრეში პოლიციელებს) უკვე 1814 წლიდან დავიწყებული ჰქონდათ ეს ძეგლი; ისიც იდგა მიკუნჭული, დაღვრემილი, დაავადებული, ალაგ-ალაგ დასახიჩრებული, გარემოცული დამპალი ღობით, რომელსაც წამდაუწუმ აბინძურებდნენ მთვრალი მეეტლეები. მუცელი დახეთქილი ჰქონდა, ლატანი გამოსჩენოდა კუდიდან, მაღალი ბალახი ამოსვლოდა ფეხებშუა. და რადგან მოედნის დონე ზევით იწევდა ნელ-ნელა ოცდაათი წელიწადის განმავლობაში, რაც დიდი ქალაქის ნიადაგის საერთო თვისებას წარმოადგენს, სპილო ქვევით დარჩა და ისე მოჩანდა, თითქოს მის სიმძიმეს ჩაეწია მიწა. საზიზღარი იყო, ათვალწუნებული, მაგრამ ბურჟუის აზრით შესანიშნავი, ხოლო მოაზროვნეთათვის სევდით მოცული, რაღაც უწმინდური ჰქონდა, რომელსაც გაწმენდა ესაჭიროებოდა, და რაღაც დიდებული, რომელსაც თავის მოჭრას უპირებდნენ.

როგორც უკვე ვთქვით, ღამით იცვლებოდა შთაბეჭდილება. ღამით უფრო კარგად გრძნობს თავს, რაც დაჩრდილულია დღისით. როგორც კი დაბინდდებოდა, მთლად შეიცვლებოდა ბებერი სპილო. დამშვიდებულ, მაგრამ მრისხანე იერს მიიღებდა ღამის იდუმალ სიბნელეში. იგი წარსულს ეკუთვნოდა, ღამის წყვდიადს და ეს წყვდიადი ამშვენებდა მის სიდიადეს.

ეს ტლანქი, უშნო, მძიმე, მკვეთრი, პირქუში, თითქმის მახინჯი, მაგრამ დიადი და ველური ძლიერების გამომხატავი ძეგლი აღიგავა პირისაგან მიწისა, რათა ადგილი დაეთმო ერთსაკვამურიანი უზარმაზარი ღუმლისთვის, რომელმაც დაიჭირა ადგილი ცხრაკოშკიანი ციხესიმაგრისა, თითქმის ისევე, როგორც ბურჟუაზიამ დაიჭირა ადგილი ფეოდალებისა. სრულიად ბუნებრივია, ღუმელი გახდეს სიმბოლო იმ დროისა, რომლის ძლიერებას შეადგენს ქვაბი. გავა ის დრო, გადის კიდეც უკვე, და ვიწყებთ

ნელ-ნელა შეგნებას, რომ თუ ძალა ქვაბით მოიპოვება, ძლიერებას ვერაფრით მივაღწევთ, თუ არა ჭკუით. - სხვაფრივ რომ ვთქვათ, ქვეყანას განაგებს და წინა სწევს არა ორთქმავალი, არამედ ფიქრი და იდეა, დაახმარეთ იდეას ორთქმავალი, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ცხენს კი მხედრად ნუ მიიჩნევთ.

ისევ ბასტილიის მოედანს დავუბრუნდეთ. სპილოს ამშენებელმა ხუროთმოძღვარმა დიადი რამ შექმნა წვეთებით; ღუმლისა და მისი საკვამურის ამშენებელმა ბრინჯაო იხმარა, მაგრამ უმნიშვნელო რამ გამოუვიდა.

ამ საკვამურს ღუმლისას ნათლობის სახელად - „ივლისის სვეტი“ დაარქვეს. ამაოდ ჩავლილი რევოლუციის სახსოვრად და ძეგლად; 1832 წელს ჯერაც პერანგივით ფარავდა დიდი ხარაჩო, რომლის ჩამოშლა მეტად დაგვენანა, და გარშემო კიდევ მაღალი ღობე ჰქონდა ფიცრებისა. ამგვარად, მთლად განცალკევებულად იდგა სპილო.

ბნელი იყო ეს მხარე, რადგან შორეული ფარნის სინათლე ძლივსღა აღწევდა სპილომდე. ამ ბნელი მხრისკენ მიჰყავდა გავროშს თავისი სტუმრები.

ნება გვიბოძოს მკითხველმა, შევწყვიტოთ წამით მოთხრობა და მოვაგონოთ, რომ სრულ სინამდვილეს ვწერთ: ამ ოცი წლის წინათ სასამართლომ განიხილა ერთი უბედური ბიჭის დანაშაული - ბინის უქონლობა და საზოგადო ძეგლის დაზიანება: ბიჭი ბასტილიის სპილოში იპოვეს მძინარე.

მაშ, ისევ ჩვენი განვაგრძოთ.

სპილოს რომ მიუახლოვდნენ, გავროშმა იგრძნო, რომ უსაზღვროდ დიდმა შეიძლება შეაშინოს უსაზღვროდ პატარა, და გააფრთხილა ბავშვები:

- არ შეშინდეთ, ბალღებო!

მერე ერთ ალაგას გატეხილი ღობით ისარგებლა, გადაიყვანა ისინი და სპილოსთან მივიდა. ცოტა არ იყოს, შეეშინდათ პატარა ბიჭებს, მაგრამ ხმის ამოუღებლად მისდევდნენ გავროშს, რადგან სრული ნდობა ჰქონდათ იმ პატარა, დაფხრეწილტანისამოსიანი განგებისა, რომელმაც პური აჭამა და თავშესაფარს დაჰპირდა.

ღობის ძირას კიბე იდო, რომლითაც დღისით მუშები სარგებლობდნენ. ბუმბულივით მსუბუქად ასწია გავროშმა და სპილოს წინა ფეხს მიადგა. კიბის თავი სპილოს მუცლის შავ, ბნელ ხვრელთან მოაქცია.

მერე ბავშვებს ის ხვრელი დაანახვა. კიბესთან მიიყვანა და უთხრა:

- აბა, ადით!

ერთმანეთს შესცქეროდნენ პატარები, შეშინებოდათ ამ სიბნელისა.

- რისი გეშინიათ, ბიჭებო? - შეჰყვირა გავროშმა და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

- აბა, მიყურეთ!

ხელი წაავლო სპილოს ხორკლიან ფეხს, კიბით სარგებლობა არ იკადრა, და თვალის დახამხამებაში ხვრელთან ავარდა. ისე შეძვრა შიგ, როგორც გველი სოროში და ჩაიმალა. რამდენიმე წამის შემდეგ ბნელ ხვრელში ოდნავ გამოჩნდა გავროშის ფერმკრთალი სახე.

- ამოდით, ბიჭებო, რაღას უყურებთ? ნახეთ, რა კარგად ვარ აქ მოწყობილი! ჯერ შენ ამოდი, - მიმართა უფროსს, - ხელს მოგაშველებ.

ერთმანეთს აწვებოდნენ კიბისკენ ბავშვები და ასვლას კი ვერ ბედავდნენ, სპილო აშინებდათ. გავროში აქეზებდა მათ, - ჩქარა, საშიში არაფერიაო! - ციოდა, კარგადაც

წვიმდა და როგორც იყო, გაბედა უფროსმა, შედგა კიბეზე. ნახე უცროსმა, რომ მარტო დარჩა ამ საშინელი მხეცის ფეხებშუა, შეეშინდა, ცრემლით აევსო თვალები, მაგრამ ტირილი ვერ გაბედა.

ნელ-ნელა, ბარბაცით ადიოდა უფროსი კიბეზე. ზემოდან გავროში ამხნევებდა, როგორც ფარიკაობის ოსტატი მოწაფეებს, ან კიდევ მენახშირე დატვირთულ ჯორებს:

- ნუ გეშინია!

- ეგრე!

- ჰა, ყოჩაღ!

- ემანდ დაადგი ფეხი!

- ჰო, ეგრე!

- მოიტა ხელი!

ბიჭი რომ მიუახლოვდა, ხელი სტაცა და უცბად აიტაცა თავისკენ.

- ეს ერთი! - დაიძახა სიხარულით.

შეიყვანა ბნელ ხვრელში და უთხრა:

- აქ დამიცადე. უკაცრავად, ბატონო, მობრძანდით, დაბრძანდით!

ისევე სწრაფად გაძვრა გარეთ და მაიმუნის სისწრაფითა და სიმარჯვით ჩაცურდა სპილოს ფეხებზე. ჩახტა ბალახში, ხელი მოხვია ხუთი წლის ბიჭს, ასწია, შუა კიბეზე დააყენა, თვითონაც უკან დაუდგა და ასძახა უფროსს:

- მე მოვაწვები და შენ აიტაცე.

ვერც კი გაიგო პატარამ, როგორ ააფრინეს კიბეზე. ქვევიდან აწვებოდა გავროში, და თან მაგრად ეჭირა, არ ჩამოვარდესო. მიჰყავდა, ამხნევებდა და ისიც სწრაფადვე შეიყვანა თავის ბნელ ბინაში. მერე ფეხი ჰკრა კიბეს, ძირს ჩააგდო ბალახზე, შევიდა ბნელში, ტაში დაჰკრა და დაიძახა:

- აი, შინ ვართ! გაუმარჯოს გენერალ ლაფაიეტს.

მერე ბავშვებს მიმართა:

- თქვენ ჩემთან ხართ, ბიჭებო!

და მართლაც გავროში თავის ბინაში იყო.

ო, უსარგებლო სარგებლობავ! დიად ქმნილებათა მადლო! ბუმბერაზთა გულკეთილობავ! ეს უზარმაზარი ძეგლი, რომელშიც უნდა განხორციელებულიყო აზრი ნაპოლეონისა, ქუჩის ბიჭის სასახლედ იქცა. ბუმბერაზმა მიიღო და შეიწყალა პატარა. კვირაობით მორთული ბურჟუები რომ გაივლიდნენ ხოლმე ბასტილიის მოედანზე და ზიზღით შეხედავდნენ სპილოს გადმოკარკლული თვალებით, მოჰყვებოდნენ ბუზღუნს: - ნეტავ, ეს რის მაქნისიაო! რის მაქნისი იყო? იგი იფარავდა სიცივის, თოვლის, სეტყვის, წვიმის, ზამთრის გამყინავი ქარის, ტალახში ძილისა და დაავადებისგან, თოვლში ძილისა და სიკვდილისგან პატარა ქმნილებას, რომელსაც არც დედა ჰყავდა, არც მამა, არც ტანსაცმელი ჰქონდა, არც თავშესაფარი! რის მაქნისი იყო ეს შენობა? თავშესაფარს აძლევდა უმანკოს, რომელიც განდევნილი იყო საზოგადოებისგან. ეს საზიზღარი შენობა იყო, რომ ჰკიცხავდა საზოგადოებრივ უდიერებას. კარღია თავშესაფარი იყო იმისთვის, ვისაც დაკეტილი ხვდებოდა ყველგან კარი. ერთი მასტოდონტი იყო, მატლითა და დავიწყებით დაღრღნილი, მუწუკიანი, ხავსიანი, დაწყლულებული, საძირკველაშლილი, მივიწყებული, განწირული, ერთგვარი უზარმაზარი მათხოვარი, რომელიც მოედანზე იდგა ხელგაწვდილი და ამაოდ ელოდა, გრძნობის თვალით გადმოეხედა ვინმეს, ერთს

მაინც იმოდენ ხალხიდან. და ამ განწირულმა, ყველასგან უარყოფილმა, შეიბრალა მეორე განწირული, საწყალი პატარა ბიჭი, რომელიც დაყიალობდა ქუჩაში ფეხშიშველი, თავშიშველი, გაყინული ხელ-ფეხით, დაფლეთილი ტანსაცმლით და საზრდოობდა მხოლოდ იმით, რასაც საზოგადოება ჩაჰყრიდა სანაგვეში. აი, რის მაქნისი იყო ბასტილიის მოედნის სპილო. ეს იყო აზრი ნაპოლეონისა, განკიცხული ადამიანისგან, და მოწონებული ღვთისგან; რაც შეიძლება მხოლოდ სახელოვანი გამხდარიყო, დიდებული შეიქმნა. ნაპოლეონს განზრახვის განსახორციელებლად მეწამული ქვა, სპილენძი, რკინა, ოქრო, მარმარილო სჭირდებოდა; ღმერთისთვის კი საკმარისი იყო ძველი ფიცრებისა და ბოძების გალესილი ანაწყობი. იმპერატორი გენიოსურ ოცნებას გაეტაცა; უნდოდა ამ უზარმაზარი იარაღით აღჭურვილ ძლიერ სპილოში, მაღლა რომ აეშვირა ხორთუმი, ზურგზე მაღალი კოშკი დაედგა და მჩქეფარე შადრევნებით იყო გარშემორტყმული, გამოესახა ხალხი; ღმერთმა კი უფრო დიდებული დანიშნულება მისცა მას, - უპატრონოდ მიტოვებული ბავშვის ბინად აქცია.

ხვრელში რომ შეძვრა გავროში, ბზარი იყო, თითქმის დაუნახავი გარედან, რადგან დამალული იყო სპილოს მუცლის ქვეშ, და იმდენად ვიწრო, რომ შიგ კატებისა და ბავშვების მეტი ვერავინ შეძვრებოდა.

- მაშ, ვუბრძანოთ მეკარეს, რომ შინ არა ვართ, - დაიძახა გავროშმა და პირაპირ ფიცარს წაავლო ხელი. თავის სასახლეში იყო და სიბნელეშიც კარგად ხედავდა, რაც კი დასჭირდებოდა. ასწია ფიცარი და შემოსაძვრომ ხვრელს დააფარა.

წინ წაიწია იმ ბნელში და რაღაც შრიალი შემოესმათ ბავშვებს, ფოსფორიან ბოთლში ჩაშვებული ასანთისა. ჯერ არ ჰქონდათ მაშინ ქიმიური ასანთი. ტალკვესიც კი პროგრესს წარმოადგენდა იმ დროს.

სინათლე ეცა ბავშვებს, თვალი დაახუჭვინა. თოკი ჰქონდა გავროშს, ფისში ამოვლებული. ამ სანათთოკს „სარდაფის თაგვი“ ერქვა. გავროშის სარდაფის თაგვი უფრო ხრჩოლავდა, ვიდრე ანათებდა, მაგრამ მაინც ჩანდა იქაურობა.

მიიხედ-მოიხედეს პატარა სტუმრებმა, თვალი გადაავლეს გავროშის მეორე სართულს და იგივე განიცადეს, რასაც განიცდის ჰეიდელბერგის დიდ კასრში ჩამწყვდეული კაცი, ან ის, რაც განეცადა იონას ბიბლიური ვეშაპის მუცელში. უშველებელი ჩონჩხი იყო აღმართული მათ ზემოდან. ზემოთ ერთი დიდი ბოძი მოჩანდა გაშავებული, ამ ბოძიდან პატარ-პატარა მანძილზე გამოდიოდა ორივე მხარეს მრავალი მოზნექილი სქელი ლარტყი. ეს ბოძი წარმოადგენდა სპილოს ხერხემალს და ნეკნებს; ალაგ-ალაგ სტალაქტიტივით ჩამოშვებულიყო თაბაშირი; ობობების აბლაბუდა იყო ყველგან, ფართოდ გაბმული და დამტვრიანებული. აქა-იქ კუნჭულებში რაღაც მოჩანდა პატარა, მოშავო, მოძრავი, რომელიც ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რადგან სწრაფად იძვროდა შეშინებული.

მრავალი ნატეხი დასცემოდა ზემოდან სპილოს მუცელს, ამოევსო მისი სიღრმე და ზედ თავისუფლად შეიძლებოდა სიარული, როგორც იატაკზე.

პატარა ბიჭი ძმას მიეკრა და ჩუმი ხმით თქვა:

- ოჰ, ბნელა!

ამ სიტყვამ გააჯავრა გავროში: ისე გაეშტერებინა შიშს ორივე ძმა, რომ პატარა შეტევა იყო საჭირო მათ გასამხნევებლად.

- რას მიედ-მოედებით, რა ვქნა? - შეუტია გავროშმა, - ხუმრობთ, თუ რა? არ მოგწონთ აქაურობა? იქნებ ტუილერის სასახლე გნებავთ? რატომ არ იტყვით? ეს იცოდეთ, რომ მე ხეპრეთა რაზმს არ ვეკუთვნი. თქვენ კი, პატარა გოჭებო, წმინდა პაპის მეღორის გოჭები კი არა ბრძანდებით, რომ აგრე იჭიმებით!

ცოტაოდენი დატუქსვა უებარი წამალია შეშინებულის განსაკურნავად, ჭკუაზე მოიყვანა გავროშის გაჯავრებამ პატარები. მოისმინეს და მიუახლოვდნენ.

გული მოულბო ბავშვების ამ საქციელმა გავროშს, თითქოს მამა ყოფილიყო მათი, რისხვა ალერსად შეეცვალა და ტკბილად დაარიგა უმცროსი:

- ნუ ხარ სულელი, პაწიავ. აქ კი არა, გარეთ ბნელა. გარეთა წვიმს, აქ კი არა; გარეთ ცივა, აქ კი არა; იქ ქარი ქრის და აქ კი ქარისა ჭაჭანებაც არ არის; გარეთ ხალხით სავსეა ქუჩები, აქ კი არავინ არის; გარეთ მთვარეც კი არსად ჩანს, აქ კი სანთელი გვინთია, მაშ!

პატარები მაინც დაკვირვებით სინჯავდნენ იქაურობას, ოღონდ ნაკლები აშიშით, მაგრამ არ დააცადა გავროშმა, კარგად დამტკბარიყვნენ მისი სასახლის მშვენიერებით.

- აბა, ჩქარა! - დასძახა ბავშვებს და იმ მხარეს მიიყვანა ორივე, რომელსაც, ჩვენდა საამოდ, შეიძლება ოთახის ბოლო ვუწოდოთ.

აქ ჰქონდა ლოგინი.

არაფერი აკლდა რა ამ ლოგინს. ლეიბიც იყო, საბანიც და ფარდაც კი ჩამოეფარებინა.

ლეიბად ჭილოფი ჰქონდა, საბნად ძალიან თბილი, თითქმის ახალი, რუხი დიდი ყაჯარი, და განჯინაც. აი, რას წარმოადგენდა მისი განჯინა:

სამი ლატანი იყო მაგრად ჩასმული იატაკად გამხდარ ნანგრევში, ესე იგი, სპილოს მუცელში, ორი წინ, ერთი უკან, რომლებიც ზემოთ ერთმანეთს უერთდებოდა და თოკით იყო შეკრული, ისე რომ პირამიდულად აღმართულიყვნენ ლოგინის ზემოდან. ამ სამ ლატანზე მიყუდებული და მავთულით მიკრული ჰქონდა თითბრის მავთულის ბადე. ისე ხელოვნურად იყო მიმაგრებული ეს ბადე, რომ სრულიად ფარავდა ლოგინს. ბადეს ქვემოთ დიდრონი ქვები ჰქონდა მიყუდებული, რომ შიგ ვერაფერი შემძვრალიყო; ბადე იყო სწორედ იმ გალიის ნაწილი, როგორებშიც სამხეცეში ათავსებენ ფრინველებს. გავროშის ლოგინიც ამგვარ გალიაში იყო ჩამალული და გარეგნობით ესკიმოსთა კარავს ჰგავდა.

თითბრის ქსელი უსრულებდა ფარდის დანიშნულებას.

გავროშმა ოდნავ აქეთ-იქით მისწია ქსელზე მიყუდებული ქვები და ერთმანეთს გააშორა ორი ქსელფარდა.

- აბა, შეძვერით! უნდა წაწვეთ, თორემ ვერ შეხვალთ.

დიდი სიფრთხილით შეაძვრინა განჯინაში თავისი სტუმრები, მერე თვითონ შეძვრა, ძირს განრთხმული, ქსელის ნაპირი გადაადო მეორეს, ქვები გაასწორა და საბოლოოდ გაამაგრა გალიის შესასვლელი.

ჭილოფზე დაწვნენ სამივე ერთად.

ხომ ისე პატარები იყვნენ და ფეხზე წამოდგომას კი ვერავინ შესძლებდა იმ გალიაში; „სარდაფის თაგვად“ წოდებული სანათი ისევ ხელში ეჭირა გავროშს.

- ახლა, ნანა! - უბრძანა გავროშმა, - უკვე უნდა გავაქრო ჩემი ჭაღი.

- ბატონო, - მიმართა გავროშს უფროსმა და ხელი დაადო ბადეს, - ეს რაღაა?

- ეს ბადეა, თაგვების მოსაშორებლად. აბა, ნანა!

მაგრამ, საჭიროდ ეჩვენა დაემატებინა რამდენიმე სიტყვა, რომ სრული განმარტება მიეცა პატარებისთვის, და აუხსნა:

- ეს ყველაფერი ზოოპარკიდან მოვიტანე, მხეცებს ეკუთვნის. იმდენი უწყვიათ საწყობში, კაცი ვერ გამოლევს. კედელზე უნდა აფოფხდე, ფანჯარაში გადაძვრე და იქიდან კარის ქვეშით გახვიდე. წამოიღე, რამდენიც გინდა.

ამას ამბობდა და თან საბანს ახურავდა უმცროსს. დაახურა, ამოუკეცა.

- ოჰ, როგორ გავთბი! - წამოიძახა სიხარულით ბავშვმა.

კმაყოფილებით გადახედა გავროშმა თავის საბანს.

- ეს საბანიც ზოოპარკიდანაა, მაიმუნებს ავწაპნე.

მერე უფროსს ლეიბი აჩვენა, ეს იყო ჭილოფი, რომელზედაც იწვნენ სამნივე, სქელი და საგანგებოდ დაწნული:

ეს კიდევ ჟირაფისა იყო.

ცოტა ხანს მიჩუმდა. მერე განაგრძო:

- იმ მხეცებს, ტყის ნადირებს ჰქონდათ ეს ყველაფერი. მეც მივედი და წავართვი, როდი გამიჯავრდნენ, სპილოსთვის მინდა-მეთქი, - ვუთხარი.

კიდევ გაჩუმდა, მაგრამ მალე წამოიძახა, რაც გულზე აწვა:

- კედელზე უნდა გადაძვრე და... ჯანდაბას მთავრობაც და მისი მომგონიც!

გაკვირვებითა და მოკრძალებული თაყვანისცემით ისმენდნენ პატარები ამ უშიშარი, გამბედავი ბიჭის ლაპარაკს; ისიც პატარა იყო, უფროსზე ცოტა დიდი, მათსავით უბინაო, მათსავით უპატრონო, გამხდარი, სუსტი ქუჩის ბიჭი; მაგრამ რაღაც ჰქონდა ამ ბიჭს საკვირველი და ყოვლადშემძლებელი, რაც პატარებს ზებუნებრივად ეჩვენებოდათ. ამ ქუჩის ბიჭის სახეზე იხატებოდა ბებერი მასხარას ღმეჭა და ჩვილის ტკბილი ღიმილი.

- მაშ, პოლიციელებისა არ გეშინიათ, ბატონო? - ჰკითხა მოწიწებით უფროსმა.

გავროშმა მოკლედ მოუჭრა:

- პოლიციელები კი არა, ღამურები უნდა თქვა!

ჯერ არ ეძინა უმცროსს, მაგრამ არაფერს ამბობდა. ჭილოფის პირას იწვა, ძმის გვერდით, არ შესცივდესო, კარგად დაახურა გავროშმა საბანი, კარგად ამოუკეცა, როგორც დედამ იცის, შვილს რომ დააწვენს. ჭილოფს ქვეშიდან ძველი ნაგლეჯები ამოუწყო, ისე რომ მუთაქისმაგვარ რაღაცაზე ედო თავი პატარას.

- განა კარგად არ მოვეწყვეთ? - შეეკითხა გავროში უფროსს.

- ძალიან კარგად, - უპასუხა ბიჭმა განსაცდელს გადარჩენილი ანგელოზის გამომეტყველებით.

წვიმისგან სულ გაწუწული ბიჭები თბებოდნენ.

- მართლა! - წამოიძახა გავროშმა, - ერთი მითხარით, რა გატირებდათ წეღან? ამ პაწიამ რომ იტიროს, კიდე ჰო, ეპატიება, - მიუთითა უმცროსზე, - მაგრამ შენოდენა ბიჭი რომ ბღავის ხბოსავით, ეგ კი სირცხვილია.

- ვაი, როგორ არ გვეტირა, რომ აღარ ვიცოდით, სად დაგვეძინა ამ ღამეს? სახლი რომ აღარ გვქონდა?

- იცოდე, სახლის მაგივრად სასახლე უნდა თქვა.

- და გვეშინოდა კიდეც, მარტოდმარტო ვიყავით ქუჩაში ღამე.

- არც ღამე ვარგა. უნდა თქვა უკუნეთი.

- გმადლობთ, ბატონო.

- გამიგონეთ, - დაუწყო დარიგება გავროშმა, - თავის დღეში არ იწუწუნოთ ტყუილუბრალოდ. ახლა მე გიპატრონებთ. ნახავ, რა კარგად ვიქნებით. ზაფხულში გლასიერში წავიდეთ ნავესთან ერთად, ნავე ამხანაგია ჩემი, კარგა ლამაზად ვიბანავებთ. მერე ქვიშაზე ვირბენთ სულ მთლად შიშვლები, აუსტერლიცის ხიდთან, და ისე გავაბრაზებთ მრეცხავ დედაკაცებს, რომ სულ ცოფსა ჰყრიდნენ. მოჰყვებიან ყვირილს, წყევლას, ლანძღვას, გინებას! სიცილით მოკვდება ადამიანი. ჩონჩხიკაცი ვნახოთ. მკვდარი კი არ გეგონოს, ცოცხალია. მას ელისეს მინდვრებზე აჩვენებენ. ისეა ჩამომხმარი, რომ ცარიელი ძვალი და ტყავიღა დარჩენილა. მერე თეატრში წაგიყვანთ, ფრედერიკლემეტრისას რომ წარმოადგენენ ხოლმე. ბილეთები რამდენიც გინდა, მსახიობი მყავს ნაცნობი. ერთხელ მეც მივიღე მონაწილეობა წარმოდგენაში. პატარა ბიჭები ვიყავით. ერთი დიდი ზეწრის ქვეშ დავრბოდით, ის ზეწარი ზღვას წარმოადგენდა. თქვენც გამოგიყვანთ ჩემს თეატრში. ველურთა სანახავადაც წაგიყვანთ. მართლა ველური კი არ გეგონოთ, რაღაც აცვიათ ვარდისფერი თავით ფეხამდე, მაგრამ ზოგან დახეულია და თეთრი კანი უჩანთ. მერე ოპერაში წავიდეთ. ტაშის მკვრელებთან ერთად შევიდეთ. ძალიან კარგად არიან ოპერაში ტაშის მკვრელები. სადმე ქუჩაში მათთან მე არ გავივლი, ოპერაში კი სხვაა. ზოგიერთს ოც სუს აძლევენ ოპერაში და სახელიც შესაფერისი აქვთ იმ სულელებს, - ჩვარს ეძახიან. მერე კიდევ გილიოტინა ვნახოთ, თავს რომ გააგდებინებს საწყალ კაცს, ჯალათსაც გაჩვენებთ; მარეს ქუჩაზე ცხოვრობს, ბატონი სანსონი. კარზე წერილების ყუთი უკიდია. დიდებულად გავატარებთ დროს.

ამ დროს სანათის წვერი დაეცა ხელზე გავროშს და ცხოვრების სინამდვილე მოაგონა.

- ერიჰა! - შეჰყვირა ხუმრობით, - პატრუქი მელევა. მე თვეში ერთ სუზე მეტს ვერ დავხარჯავ ჩემი პალატის გასანათებლად. რაკი დაწვება კაცი, კიდეც უნდა დაიძინოს. ან დრო სად გვაქვს იმდენი, და ან სინათლე, რომ ბატონ პოლ დე-კოკის რომანები წავიკითხოთ? ერთიც ვნახოთ, სადმე გაბზარული იყოს შემოსასვლელი კარი, სინათლე გადიოდეს და თავს დაგვესხან ღამურები!

გავროშთან ლაპარაკს მხოლოდ უფროსი ბედავდა, და ისიც მოკრძალებით. გავროშის პოლიციელებმა, ღამურებმა, მას სხვა შიში აღუძრეს.

- ერთიც ვნახოთ, - დაიწყო მოკრძალებით, - ჭილოფს დაეცეს ნაპერწკალი და ცეცხლი წაუკიდოს, ხომ მთელი სახლი გადაიწვება!

- ეჰ, ვინ ამბობს - სახლი გადაიწვაო, თქვი სასახლე გადაიბუგება-თქო.

ავი დარი იდგა. ჭექა-ქუხილის ხმა ისმოდა, შხაპუნი წვიმა მოდიოდა და ზურგში სცემდა ბუმბერაზს.

- ძალიან იბერება, მაგრამ მაინც შერცხვება ზეცა, - თქვა გავროშმა, - დასველებას გვიპირებს და ხახამშრალი დარჩება! რა სულელია ზამთარი! ამაოდ ფანტავს თავის საქონელსა და შრომას! ვერ გვასველებს და ცოფი ერევა იმ ბებერ მერწყულეს.

ის-ის იყო გამომწვევი დაცინვით ახსენა გავროშმა ჭექა-ქუხილი, როგორც XIX საუკუნის ფილოსოფოსს შეეფერებოდა, რომ მის სიტყვას ეს შედეგი მოჰყვა, ჯერ ფართო ელვა მოედო ზეცას, იმდენად მძლავრი, რომ გავროშის სასახლეშიც კი შეატანა; თითქმის იმავე წუთს საშინლად დაიქუხა, თითქოს ვიღაცის ჯავრის ამოყრას ლამობსო. ორივე პატარამ შეშინებული ყვირილი გააბა, ისე უცბად წამოცვივდნენ,

რომ კინაღამ გადააწვინეს მთელი ბადე, მაგრამ გავროშმა გადახედა თავის სტუმრებს მამაცურად და გრგვინვას სიცილით ააყოლა:

- ჭკვიანად, წვრილფეხობავ! ასე მთელ ნაგებობას დამინგრევთ, თქვე საძაგლებო! ძალიან დაიქუხა? მამა ვაცხონე იმისი! ერთი შეადარეთ მას ჩუმჩუმა, შემპარავი ელვა! ვაშა ღმერთს, ამბიგუს თეატრს არც კი ჩამოუვარდება!

წამოიწია, გაასწორა ბადე, ალერსით მიაწვინა პატარა ბიჭები ჭილოფზე, ხელი დააჭირა მუხლებზე, რომ სამივე დატეულიყვნენ და შეჰყვირა:

- რაკი ფუფალამ თავისი სანათი აანთო, მე ჩემსას გავაქრობ. უნდა დაიძინოთ, ბიჭებო, მომავალო კაცობრიობავ. უძილობისთანა ცუდი არაფერია. პირი აგიყროლდებათ უძილობით, ანუ წარჩინებული საზოგადოების სიტყვით რომ ვთქვათ, არასასიამოვნო სუნი აგედინებათ. აბა, გაეხვიეთ ამ ქურქში! ჰა, ვაქრობ! მზად ხართ?

- დიახ, - უპასუხა უფროსმა, - ძალიან კარგად ვარ. ისე მაქვს თავი, თითქოს ბუმბულის ბალიშზე მედოს.

- თავი კი არა, გოგრა, ბიჭო!

ერთმანეთს მიეკვრნენ პატარები. მისწი-მოსწია გავროშმა, საბანი გაუსწორა, ყურთამდე დახურა, და მესამედ გაიმეორა ბრძანება:

- აბა, მალე! ნანინა!

და გააქრო პატრუქი.

ის-ის იყო გააქრო და რაღაც მოუვიდა ბადეს, რომლის ქვეშ დაძინებას აპირებდნენ ბიჭები. შეინძრა ქსელი; რაღაც მოხვეოდა, ღრღნიდა მავთულს, უწკარუნებდა, თითქოს რაღაც მრავალკბილიანი და მრავალბრჭყალიანი ცდილობდა გაჭრას. ლითონზე დაჭერილი კბილის კაწკაწი ისმოდა და რაღაც მრავალხმიანი წრიპინი.

მოესმა თუ არა პატარას, ხუთი წლისას, ეს ღრიანცელი, კინაღამ გული გაუსკდა შიშით და იდაყვი წაჰკრა ძმას. მაგრამ მას ძილი მორეოდა და აღარაფერი ესმოდა. რაკი ვეღარ გაუძლო პატარამ ამ საშინელებას, გაბედა და გავროშს მიმართა, ისე ჩუმად, რომ სუნთქვას იკრავდა ბიჭი:

- ბატონო!

- ჰა, რა იყო? - უპასუხა გავროშმა და ძლივს გაახილა თვალი.

- ეს რა არის?

- ვირთაგვებია, - უპასუხა გავროშმა და ისევ დახუჭა თვალი.

თაგვები დახვეოდნენ ბადეს. ათასობით ირეოდნენ სპილოს დახეთქილ კედლებში. შავ, მოძრავ ქვებად ეჩვენნენ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ბავშვებს, ხვრელში რომ შევიდნენ, და მანამ სანათი ენთო, მისი პატივისცემით ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ; მაგრამ როგორც კი გააქრო სინათლე გავროშმა და დაბნელა ამ თაგვთა სამეფო, სუნი მოუვიდათ იმისი, რასაც მეზღაპრე პერო „ნედლ ხორცს“ უწოდებს, და უცბად მიესივნენ გავროშის კარავს, აძვრნენ ბადეზე და ღრღნა დაუწყეს, რომ როგორმე გაეხვრიტათ და შემძვრალიყვნენ.

რაღა დააძინებდა პაწიას?

- ბატონო!

- ჰა?

- რა არის ეს ვირთაგვები?

- თაგვებია.

- ამ განმარტებამ ოდნავ დაამშვიდა ბავშვი. პატარა თეთრი თაგვები ენახა სადღაც და არ შეშინებოდა მათი. მაგრამ მაინც კიდევ აწუხებდა რაღაც.

- ბატონო!

- ჰა, რა გინდა?

- რატომ ერთ კატას არ იშოვით?

- მყავდა, კარგი კატა მოვიყვანე, მაგრამ შემიჭამეს.

ამ მეორე განმარტებამ მთლად გააქარწყლა პირველი და კანკალი დააწყებინა ბავშვს. მეოთხედ მიმართა გავროშს და გაიმართა ბაასი:

- ბატონო?

- რაო?

- რა შეგიჭამეს?

- კატა.

- რამ შეგიჭამათ კატა?

- ვირთაგვებმა.

- თაგვებმა?

- ჰო, ვირთაგვებმა.

განცვიფრებული იყო პატარა ბიჭი, ვერ წარმოედგინა, რომ თაგვებს კატა შეეჭამათ, და კიდევ ჰკითხა:

- ბატონო, მაშ ჩვენც შეგვჭამენ ეს თაგვები?

- მოდი შენ და...

გულგახეთქილი იყო პაწია. მაგრამ დაამშვიდა გავროშმა:

- ნუ გეშინია! აქ ვერ შემოვლენ. მერე მე აქ არა ვარ? აჰა, აი, ჩემი ხელი გეჭიროს... დახუჭე თვალი და დაიძინე.

და შეშინებულის ხელს დაადო ხელი. მაგრად ჩაიკრა ბავშვმა გავროშის ხელი და გული დაუმშვიდდა. მამაცობას და ძალასაც რაღაც საიდუმლო გადამდები თვისება აქვს. ლაპარაკის ხმამ შეაშინა ალბათ თაგვები, რომ ჩამოშორდნენ ბავშვებს, და მიჩუმდა ყველაფერი. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ განაახლეს ბრძოლა და გაცოფებულნი მიესივნენ ბადეს, მაგრამ ისე ჩასძინებოდა სამივეს, რომ აღარაფერი ესმოდათ.

ღამე ილეოდა. ბნელი დაჰფენოდა ბასტილიის ვეება მოედანს, ზამთრული ქარი ჩარეულიყო წვიმაში და დაქრიალებდა. პოლიციელები დაყიალებდნენ, ზვერავდნენ ალაყაფის კარებს, ხეივნებს, შემორაგულ ადგილებს, ბნელ კუთხეებს, ეძებდნენ ღამის მაწანწალებს, რომელნიც მრავლად დაეხეტებოდნენ ქუჩებში, და ისე გაუვლიდნენ ხოლმე სპილოს, თითქოს ვერც კი ხედავდნენ, ის კი იდგა მაღლა ამართული, უძრავი, თვალგახელილი იმ სიბნელეში, კმაყოფილი თავისი ქველმოქმედებით, იმით, რომ თავშესაფარი აღმოუჩინა და ბინა მისცა ცისა და კაცთაგან დევნილ, საცოდავ, ამუამად ტკბილად მძინარე ბავშვებს.

კარგად რომ შევიგნოთ, რაც ამას მოჰყვება, უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროს ბასტილიის მცველი რაზმი მოთავსებული იყო მოედნის მეორე ბოლოში. ამგვარად, რაც უნდა მომხდარიყო სპილოსთან, გუშაგები მას ვერც კი დაინახავდნენ და ვერც გაიგონებდნენ.

ალიონი მოახლოებულიყო, მაგრამ ჯერ ბნელოდა, როდესაც ერთი კაცი გამოვარდა სენტ-ანტუანის ქუჩიდან, მიიხედ-მოიხედა, მერე სირბილით გადმოიარა

მოედანი, „ივლისის სვეტის“ დიდ ღობეს შემოუარა და სპილოს მუცლის ქვეშ შეძვრა. იმ დროს რომ სინათლე მოხვედროდა, დაინახავდით, რომ ძალიან დაესველებინა წვიმას. ალბათ მთელი ღამე ცის ქვეშ გაათია. სპილოს ქვეშ რომ შეძვრა, რაღაც დაიძახა უცნაური, რომელიც არც ერთი ადამიანის ენას არ ეკუთვნის და, თუ იტყვის ვინმე ან რამე, მხოლოდ თუთიყუში. ორჯერ დაიძახა ის სიტყვა, რომელსაც ნაწილობრივ აღნიშნავენ შემდეგი ასოები:

- კირიკიკიუ!

მეორედ რომ დაიძახა, სპილოს მუცლიდან პასუხი გასცა მხიარულმა, ყმაწვილი ბიჭის კრიალა ხმამ!

- ახლავე.

თითქმის მაშინვე შეირხა შესასვლელზე დახურული ფიცარი, იქით წაიწია და გზა მისცა პატარა ბიჭს, რომელიც სპილოს ფეხზე ჩამოცურდა და წინ გამოეჭიმა იმ კაცს. პატარა ბიჭი გავროში იყო, ის კაცი - მონპარნასი.

რაც შეეხება ამ ძახილს, - კირიკიკიუ, - გავროშისთვის რომ გეკითხათ, ასე გითარგმნიდათ:

- შინ ბრძანდება ბატონი გავროში?

რომ შემოესმა ეს ძახილი, იმ წუთს გამოეღვიძა, გამოძვრა თავისი განჯინიდან, მერე ისევ გაამაგრა ბადე, რომ თაგვები არ შემძვრალიყვნენ, ფიცარი აიღო და ძირს ჩაცურდა.

მაშინვე იცნეს ერთმანეთი, თუმცა ბნელოდა.

ეჩქარებოდა და მოკლედ უთხრა მონპარნასმა:

- საქმე გვაქვს და შენი დახმარება დაგვჭირდა. წამოდი, ჩქარა!

გავროშმა ესეც იკმარა, არაფერი უკითხავს:

- წავიდეთ.

სირბილით გასწიეს სენტ-ანტუანის ქუჩისკენ, საიდანაც წეღან გამოვარდა მონპარნასი. მირბოდნენ და ძლივს უქცევდნენ გზას სოფლიდან პარიზის ბაზრისკენ მომავალ ოთხთვალებს, რომლებიც მიეშურებოდნენ მოედნისკენ, რათა კარგი ადგილი დაეკავებინათ და ბოსტნეულიც კარგად გაეყიდათ.

ოთხთვალებში სხვადასხვა მწვანილში ჩამსხდარიყვნენ მებოსტნეები, უძილობით თვალმილულები, თავით ფეხამდე შეხვეულნი წამოსასხამებში საშინელი წვიმის გამო. ისინი არც კი უყურებდნენ ამ უცნაურ მიმავალთ.

## თავი მესამე
## გაპარვის ამბავი

აი, რა მოხდა იმ ღამეს ფორსის საპატიმროში:

გასაპარავად შეთანხმებულიყვნენ ბაბეტი, ბრუჟონი, გელმერი და ტენარდიე, თუმცა ტენარდიე ცალკე იყო დამწყვდეული. ბაბეტი უკვე გაპარულიყო, იმ ღამესვე, როგორც გავროშს უამბო მონპარნასმა. დანარჩენ სამს მონპარნასი უნდა დახმარებოდა გარედან.

ბრუჟონი ერთი თვის განმავლობაში ცალკე ოთახში იყო დამწყვდეული და საკმაო დრო ჰქონდა, რომ ჯერ ერთი, მაგარი თოკი შეეკრა, მეორეც - კარგად შეედგინა საპატიმროდან გაპარვის გეგმა. უწინ ეს ცალკე ოთახი, რომელშიც საპატიმროს

განრიგით, მარტოდმარტოს ტოვებენ დამნაშავეს, წარმოადგენდა ქვითკირის ოთხ კედელს, ქვის ჭერით, ფილაქნის იატაკით, სამგზავრო საწოლით, რკინისმოაჯირიანი სარკმლით, რკინითვე შეჭედილი კარით და სახელად ტუსაღის საკანი ეწოდებოდა; მაგრამ სისასტიკით ცნობილი გახდა ეს საკანი. ახლა კი იგი წარმოადგენს ქვითკირის ოთხ კედელს, რკინის კარს, მოაჯირიან სარკმელს, სამგზავრო საწოლს, ფილაქნის იატაკს და დასასჯელი საკანი ეწოდება. მცირე შუქი თუ შეაღწევს ამ საკანში და ისიც შუადღისას. იმითაც იყო უვარგისი ეს საკნებიც, რომ იქ დამწყვდეული მარტოოდენ ფიქრს უნდა მისცემოდა იმის მაგივრად, სასარგებლო რამ გაეკეთებინა.

მთელი თვის განმავლობაში ბევრ რამეზე ფიქრობდა ბრუჟონი და, დასასჯელი სენაკიდან რომ გამოვიდა, თან კარგა გრძელი თოკი გამოიტანა. რადგანაც მას ძალიან საშიშ პატიმრად მიიჩნევდნენ იმ ნაწილისთვის, რომელსაც „კარლოს დიდის ეზო“ ეწოდებოდა, „ახალ შენობაში“ გადაიყვანეს. როგორც კი გადავიდა „ახალ შენობაში“, ბრუჟონი გელმერს შეხვდა, ეს ერთი. მეორე კიდევ - ერთი ცალი ლურსმანი იშოვა. გელმერი - ეს დანაშაული იყო და ლურსმანი - თავისუფლება!

ბრუჟონი, დრო არის კარგად გავაცნოთ იგი მკითხველს, შეხედულებით სუსტი აგებულებისა იყო და განზრახ ნელი და ზლაზნია. მხიარული ყმაწვილი ჩანდა, ზრდილი, განვითარებული არამზადა. თვალით გიალერსებდათ, ღიმილით ყელს გჭრიდათ; თვალი მის ნებას ემორჩილებოდა და ღიმილი მის ბუნებას. ქურდობაში ოსტატობის მისაღწევად სახურავებზე დაიწყო ვარჯიში - თუნუქის ფურცლებს იპარავდა და აგრეთვე ტყვიას აცლიდა წყალსადენ მილებს. ამ მხრივ ძალიან დახელოვნდა და მერე სხვას მიჰყო ხელი.

ერთი გარემოება ძალიან ხელს უწყობდა ტუსაღების განზრახვას: საპატიმროს ძველი ბანი წამხდარიყო და ამ დროს შენობის შეკეთებისა და დამტვრეული ქვადაფის შესაცვლელად მუშაობდნენ. საპატიმროს ეგრეთ წოდებული სენ-ბერნარის ეზო ძველებურად განცალკევებული აღარ იყო კარლოს დიდისა და სენ-ლუის ეზოებიდან. ამ სამივე შენობის ეზოებს შორის ხარაჩოები და ფიცრის ხიდები გაედოთ, ესე იგი, ხიდები და კიბეები თავისუფლებისკენ.

„ახალი შენობა“ ერქვა საპატიმროს იმ ნაწილს, რომელიც სულ დამსკდარი ხელახლა იყო შესაკეთებელი. ეს გახლდათ საპატიმროს ყველაზე სუსტი მხარე. ისე ჩაეჭამა გვარჯილას შენობა, რომ იძულებულნი გამხდარიყვნენ ფიცარი აეფარებინათ ჭერისა და კედლებისთვის, რადგან აგური და კირი ცვიოდა ძირს, პატიმრების საწოლებზე. ამის მიუხედავად, რაღაც გაუგებრობის შედეგად, სწორედ იმ „ახალ შენობაში“ ამწყვდევდნენ საშიშ ტუსაღებს, რომელთაც „განსაკუთრებული მძიმე დანაშაული“ მიუძღოდათ, საპატიმროში მიღებული ენით რომ ვთქვათ.

„ახალ შენობას“ ოთხი საწოლი ჰქონდა ერთიმეორის ზემოდან და სულ ზევით კიდევ ბანფარდული, რომელსაც „წმინდა ჰაერს“ ეძახდნენ. ერთი უზარმაზარი საკვამური, ალბათ უწინდელი მებატონის, - დე-ლა-ფორსის სამზარეულოს ნაშთი, ადიოდა პირველი სართულიდან, გადაჭრიდა ოთხივე სართულს და ისე აპობდა ორად ოთხივე საწოლ დარბაზს, თითქოს მაღალი კოშკისთვის ყოფილიყო მიდგმული ეს ოთახები.

ერთ ოთახში იყვნენ გელმერი და ბრუჟონი; სიფრთხილის გამო „წმინდა ჰაერის“ ქვემო სართულში შემთხვევით ერთად ედგათ ორივეს საწოლები და თავით იმ საკვამურს ეხებოდნენ.

ზემოთ კიდევ, ამათსავით საკვამურთან, ტენარდიე ბრძანდებოდა ეგრეთ წოდებულ „წმინდა ჰაერში“.

გზად მიმავალი რომ გაჩერდეს ვინმე კულტურ-სენტ-კატერინის ქუჩაზე, მეხანძრეთა სადგომის ახლოს, აბანოების ალაყაფის კართან, დიდ ეზოს დაინახავს, სავსეს კასრებში ნახარები ყვავილებითა და ბუჩქებით, და ამ ბუჩქების უკან პატარა თეთრ როტონდას, ორი ფრთედით და მწვანე დარაბებით, თითქოს ჟან-ჟაკ რუსოს ბუკოლიკური ოცნება

- კარგი ღამე დაგვიდგა გასაფრენად! - წარმოთქვა ქურდული ენით ბრუუონმა.

ბანზე იყვნენ ქურდები, მაგრამ ბანიდან სადარაჯო კედლამდე უფსკრული იყო ორ მეტრამდე სიგანისა და ოცდაექვსი მეტრის სიღრმისა. ამ უფსკრულის ძირში ცხადად ჩანდა გუშაგის ელვარე ხიშტი. ბრუუონის თოკი მაგრად მიაბეს საკვამურის ცხაურის სამაგრ რკინას, მერე მთელი თოკი სადარაჯო კედლის ზემოდან გადაისროლეს და თვითონაც ამ კედელზე გადახტნენ, იქიდან პატარა სახლის ბანზე დაეშვნენ, რომელიც აბანოების შენობას მიჰკვროდა, იმავე თოკის ბოლოთი აბანოების ეზოში ჩახტნენ, ჯერ ერთი, მერე მეორე, დასწიეს თოკი, ჩამოწყვიტეს კარგა დიდი ნაწილი, გაიარეს ეზო, შეაღეს მეკარის სარკმელი, რომლის გვერდზე კარის გასაღებად გამოსაწევი თოკი ეკიდა, გამოსწიეს ეს თოკი და ქუჩაში გავიდნენ.

ერთი საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ისინი ლიგინიდან წამოდგნენ ბნელში, ერთი ლურსმნით ხელში და კარგად მოაზრებული გეგმით თავში.

რამდენიმე წუთის შემდეგ შეუერთდნენ ბაბეტსა და მონპარნასს, რომლებიც იქვე ახლოს დაყიალებდნენ.

ჩამოსვლისას თოკი გაუწყდათ და ნაწილი ბანზე დარჩა, საკვამურზე მიბმული, თვითონ არაფერი დაშავებიათ, გარდა იმისა, რომ ტყავი გადასძრობოდათ ხელებზე.

ტენარდიეს წინათვე გააგებინეს, - ვინ იცის, როგორ და ვისი დახმარებით, - ამაღამ გაპარვას ვაპირებთო, - და არ ეძინა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა. ძალიან ბნელოდა, წვიმდა, ქუხდა. ტენარდიემ დაინახა სარკმლიდან, რომ ბანზე მის სარკმელს გაუარა რაღაც ლანდმა, მერე მეორემ. ერთი შეჩერდა წუთით, რომ ტენარდიესკენ გაეხედა. ეს ბრუუონი იყო. ტენარდიემ იცნო და მიხვდა. ეს საკმარისი იყო.

ტენარდიე, რომელიც ღამე შეეპყროთ იარაღით ხელში, ბოროტმოქმედების ჩადენისას, საშიშ ავაზაკად მიაჩნდათ და თვალს არ აშორებდნენ. მის საკანთან მუდამ მიდი-მოდიოდა თოფიანი გუშაგი. ყოველ ორ საათში ცვლიდნენ ამ გუშაგს. „წმინდა ჰაერს“ ანათებდნენ. ტუსაღს ბორკილი ჰქონდა ფეხებზე ოცდახუთი კილოგრამის სიმძიმისა. დაჰკრავდა ნაშუადღევის ოთხი საათი და ერთი ზედამხედველი შევიდოდა ტენარდიესთან, თან ორი ძაღლი ახლდა, - ჯერ ისევ ამგვარად იქცეოდნენ იმ დროს: შევიდოდა საკანში, დაულაგებდა ლოგინთან ერთ კილოგრამ შავ პურს, ერთ ტოლჩა წყალს და ჯამით წვენს, რომელშიც აქა-იქ მოჩანდა რამდენიმე მარცვალი მუხუდო. გაუსინჯავდა ბორკილს, დაუკაკუნებდა მოაჯირზე. ეს კაცი ძაღლებით ორჯერ კიდევ ეწვეოდა ღამე.

ტენარდიესთვის ნება მიეცათ, საკანში ჰქონოდა რკინის ჭანჭიკი, - ამ ჭანჭიკით ვამაგრებ გამსკდარ კედელში პურს, რომ თაგვებმა არ შემიჭამონო, და რადგან ძალიან დარაჯობდნენ, საშიში ვერაფერი დაინახეს ამ ჭანჭიკში. შემდეგში კი მოაგონდათ ერთი დარაჯის იმ დროს ნათქვამი, - თუ ჭანჭიკი ეჭირვება, ისევ ხისა მივცეთ და არა რკინისაო.

ღამის ორ საათზე გუშაგი გამოცვალეს, ძველი, გამოცდილი ჯარისკაცის მაგივრად ყმაწვილი ბიჭი დააყენეს, ახალწვეული, ცოტა ხანს შემდეგ ზედამხედველი მივიდა, ძაღლებით, და მაშინვე წავიდა, ვინაიდან საეჭვო ვერაფერი შენიშნა, გარდა იმისა, რომ მეტად ახალგაზრდად და გაუთლელ სოფლელად ეჩვენა ახალი გუშაგი. ეს მან შემდგომ განაცხადა, დაკითხვის დროს. ორი საათის შემდეგ, ოთხ საათზე რომ მივიდნენ იმ ახალწვეული გუშაგის შესაცვლელად, საწყალი ბიჭი ძირს ეგდო

გაშხლართული, ტენარდიეს საკანთან, ღრმად მიძინებული. რაც შეეხება ტენარდიეს, ის იქ აღარ იყო. იქვე ეყარა მისი დამტვრეული ბორკილები. საკნის ჭერი გახვრეტილი იყო ისევე, როგორც ბანი. საწოლ ტახტს ერთი ფიცარი აკლდა; ალბათ ააგლიჯა ტენარდიემ და თან წაიღო, რადგან მერეც ვეღარსად იპოვეს. გალიაში ნახევარი ბოთლი ძილისმომგვრელი ღვინო აღმოჩნდა. ნახევარი ბოთლი უთუოდ დარაჯს დაალევინა ტუსაღმა. დარაჯის თოფის ხიშტიც გამქრალიყო.

იმ დროს, როდესაც ყოველივე ეს აღმოაჩინეს, ეგონათ, ტენარდიე უკვე სამშვიდობოს იქნებაო. სინამდვილეში კი მართალია, იგი „ახალ შენობაში“ აღარ იყო, მაგრამ ჯერ შორს არ წასულიყო აქედან, და ისევ განსაცდელს მოელოდა.

„ახალი შენობის“ ბანზე რომ ავიდა, ბრუჟონის მიერ მიბმული თოკი ნახა, მაგრამ გადაწყვეტილი თოკიდან მხოლოდ მოკლე ნაჭერიღა დარჩენილიყო. მას არ შეეძლო თოკი სადარაჯო კედლის ზემოდან ჩაეშვა ძირს, როგორც ეს ბრუჟონმა და გელმერმა მოახერხეს.

ბალეს ქუჩიდან რუა-დე-სისილის ქუჩისკენ რომ ჩაუხვევს კაცი, თითქმის მაშინვე დაინახავს მარჯვნივ ერთ საზიზღარ ჩაღრმავებულ ეზოს. გასულ საუკუნეში ამ ეზოში სახლი იდგა, რომლისგანაც დღეს ერთი უკანა კედელიღა დარჩენილა, ნამდვილი ნაშთი ნანგრევისა იმდენად მაღალი, რომ მეზობელი შენობების მესამე სართულის სიმაღლე ჰქონდა. კედელს ორი ოთხკუთხედი ფანჯარა შერჩენოდა. ამ ფანჯრებიდან ოდესღაც ჩანდა ფორსის საპატიმროს მაღალი, შავი სადარაჯო კედელი.

დანგრეული სახლის ეზო ქუჩის მხრივ შემოღობილი იყო დამპალი ფიცრულით, რომელსაც ჯერ კიდევ იმაგრებდა ქვის ხუთი ბოძი. ეზოში პატარა სახლი იდგა. ნგრევას გადარჩენილი კედლის ძირას. შემოღობილი იყო ეზო, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ კარს უბრალო რაზა ედო მხოლოდ.

ღამის მეოთხე საათი იყო, ამ მაღალ კედელზე რომ გადაძვრა ტენარდიე.

როგორ მოახერხა კედელზე გადაძრომა? ეს ვერასოდეს ვერავინ გაიგო.

ელვა-ჭექა შველოდა კიდევაც და იმავე დროს ხელსაც უშლიდა. შეიძლება ბანის შესაკეთებლად დადგმული ხარაჩოებით ისარგებლა, ბანიდან ბანზე გადავიდა, ზღუდიდან ზღუდეზე, „კარლოს დიდის ეზოს“ შენობიდან „სენ-ლუის შენობაზე“, სადარაჯო კედელზე და იქიდან რუა-დე სისილის დანგრეული სახლის მაღალ კედელზე! მაგრამ ამ გზას იმოდენა გარდაუვალი უფსკრული ახლდა თან, რომ შეუძლებლად ხდიდა სარგებლობას. იქნებ იმ ფიცრით ისარგებლა, თავის ტახტს რომ ააგლიჯა და „წმინდა ჰაერიდან“ ხიდად გადო სადარაჯო კედელზე გადასასვლელად, მერე პირქვე დაწვა ამ კედელზე და ხოხვით გაიარა დიდი მანძილი ნანგრევ კედლამდე, მაგრამ ფორსის სადარაჯო კედელი სწორ ხაზს არ წარმოადგენდა; ზოგან ზევით იწევდა, ზოგან ქვევით, დაბალი იყო მეხანძრეების სადგომთან, მაღალი აბანოებთან, ზოგან ჩაჭრილი; ლამუანონის სასახლესთან სხვა სიმაღლისა იყო და პავეს ქუჩაზე სხვა სიმაღლისა: გარდა ამისა, როგორ შეიძლებოდა არ დაენახათ დარაჯებს, რომ რაღაც შავი მიცოცავდა კედელზე? ამ გზითაც შეუძლებელი გვეჩვენება ტენარდიეს გაპარვა. იმ გზას მიჰყვა თუ ამას, ორივე შემთხვევაში ჩვენთვის ეს მიუწვდომელია, მაგრამ აღგზნებული უნდა ყოფილიყო, თავისუფლების მოპოვების უშრეტი სურვილით, იმ აღგზნებით, რომელიც მდინარეს პატარა რუდ გადააქცევს, რკინის მოაჯირს ლელის წნულად, ხეიბარს ბუმბერაზად, კუტს ფრინველად,

სისულელეს ალღოდ, ალღოს გონებად, გონებას გენიოსებად. იქნება მართლა ტენარდიემ შეძლო და სხვა, მესამე გზა აირჩია? ეს მის საიდუმლოებად დარჩა.

მრავალ გასაკვირველს წარმოადგენს ტუსაღის გაპარვა და ხშირად შეუძლებელია მისი წარმოდგენა. გამქცევი კაცი, ვიმეორებთ, ზეშთაგონებულია, ვარსკვლავიც აქვს და სინათლეც ბნელი გზის გასაკვლევად. თავისუფლებისადმი მისწრაფება იმდენადვეა ძლიერი, რამდენადაც ძლიერია უდიადესი აღტაცება. და გაკვირვებულნი იძახიან, ქურდის გაპარვას რომ გაიგონებენ, - იმ სიმაღლე კედელზე როგორ აძვრებოდაო? - სწორედ ისევე, როგორც კორნელის შესახებ ამბობენ, - სად ნახა სიტყვა, „დაე მოკვდესო“.

ასე იყო თუ ისე, ტენარდიე ნანგრევის კედელზე აღმოჩნდა. ოფლი სდიოდა. წვიმა ასველებდა. ტანისამოსი შემოხეოდა, ხელებზე კანი გადაყვლეფოდა, იდაყვიდან სისხლი სდიოდა, მუხლები დასისხლიანებოდა და იქამდე მისულიყო, რასაც ბავშვები მხატვრული ენით „მორევს“ ეძახიან; კედლის პირამდე მისული იქ დაწოლილიყო, რადგან მეტი აღარაფერი შეეძლო. ოთხი სართულის ციცაბო კედელი უნდა ჩაევლო მიწაზე ფეხის დასადგმელად.

თოკი წამოეღო, მაგრამ მეტისმეტად მოკლე იყო.

იწვა და ელოდა ფერმიხდილი, დაქანცული, სასოწარკვეთილი. ჯერ ისევ ღამე იცავდა, მაგრამ სასომიხდილი გრძნობდა, რომ სადაცაა გათენდებოდა. შიშის ზარს ჰგვრიდა იმაზე ფიქრი, რომ სულ მალე ჩამოჰკრავს ოთხს სენ-პოლის საათი, მის საკანში მივლენ გუშაგის გამოსაცვლელად. გუშაგი მძინარე დახვდებათ, ჭერი გახვრეტილი და ატყდება განგაში. უიმედოდ ჩასცქეროდა საშინელ სიღრმეს, ფარნების სინათლეს, მოკირწყლულ ქუჩას, სველსა და ბნელს. იმ ქუჩას, რომელიც სანატრელიც გამხდარიყო და შემაძრწუნებელიც, სიკვდილიც და თავისუფლებაც.

თან ამხანაგები აგონდებოდა და თავს ეკითხებოდა, - ნეტა თუ გაიპარნენ? გაიგონეს ჩემი სიტყვა? მომეშველებიან თუ არა? - სმენად ქცეულიყო. ერთხელ გაიარა მხოლოდ ჯარისკაცთა მცირე რაზმმა, რაც ხანი ის იმ კედელზე ეგდო. მონრეილის, შარონის, ვენსენის და ბერსის მებოსტნეები თითქმის ყოველთვის სენტ-ანტუანის ქუჩით მიეშურებიან მოედნისკენ.

საათმა ოთხი დაჰკრა. აკანკალდა ტენარდიე. საათის რეკას მოჰყვა ის საზარელი ჩოჩქოლი, რომელიც შედეგია ციხეში ტუსაღის გაპარვის აღმოჩენისა. კარების ჯახუნის ხმა ისმოდა, მოაჯირის ჭრიალი, დარაჯების, რაზმელების ღრიალი, ხრინწიანი ხმით ძახილი მეციხოვნეებისა, ეზოდან თოფების კონდახის ცემა მიწაზე; მიდი-მოდიოდა სანათები ხან ზევით, ხან ქვევით, ანათებდა ცხაურით დაჭედილ სარკმელს საპატიმროსას; ზევით, „წმინდა ჰაერში“ სანათით ხელში დადიოდნენ დარაჯები. მეხანძრეები დაიბარეს გაპარულის საძებნელად და ტენარდიე კარგად ხედავდა მათ ჩირაღდნებით აელვარებულ ლითონის ქუდებს. ამ დროს ტენარდიემ შენიშნა ბასტილიის მხარეს ცაზე რიჟრაჟით ოდნავ განათებული ვიწრო ზოლი.

კედელზე ეგდო. სიგანე ამ კედლისა ერთი მეოთხედი იყო მეტრისა. მარჯვნივ და მარცხნივ უფსკრულს დაეღო პირი. განძრევა არ შეეძლო. თავბრუ ესხმოდა. ან კედლიდან გადავარდნა მოელოდა, ან ისევ დაპატიმრება, და ზარის ენასავით ხან უფსკრულის საშინელებას ეცემოდა მისი ფიქრი, ხან დაპატიმრებას. ჩავვარდები - მოვკვდები, არადა, დამიჭერენ!

ასე იმედმიხდილმა უცბად ვიღაც დაინახა ბნელ ქუჩაში, იგი კედლისკენ მოეშურებოდა პავეს ქუჩიდან და სწორედ დანგრეული სახლის ღობესთან გაჩერდა. ამ კაცთან მეორეც მოვიდა, რომელიც იმავე სიფრთხილით მოდიოდა. მერე მესამე და მეოთხე. სხვა აღარავის ელოდნენ, ალბათ, რადგან რაზა ასწიეს, გააღეს კარი, შევიდნენ ეზოში და სწორედ სულგანაბული ტენარდიეს ქვევით გაჩერდნენ. ცხადი იყო, სიფრთხილით შევიდნენ ამ მიყრუებულ ეზოში მოსალაპარაკებლად, რომ არც გამვლელს დაენახა, და არც გუშაგს, რომელიც იქვე, რამდენიმე ნაბიჯით მოშორებული იდგა ფორსის ჭიშკართან, მაგრამ წვიმას საგუშაგოში შეემწყვდია. კაცების სახეს ვერ არჩევდა ტენარდიე. მათ სიტყვებს უსმენდა იმ განწირული ადამიანის უიმედო ყურადღებით, რომელიც უკვე დაღუპულად გრძნობს თავს.

რაღაც იმედის მსგავსი აღეძრა ტენარდიეს, როდესაც დარწმუნდა, რომ ქვემოთ მდგომნი არგოს ენაზე ლაპარაკობდნენ.

ჩუმი ხმით, მაგრამ გასაგონად თქვა პირველმა:

- რას დავრჭობილვართ, წავიდეთ, აქ ვეღარას გავარიგებთ.

მეორემაც კვერი დაუკრა:

- ჩვენ კი არა, ჯოჯოხეთის მაშხალაც ვერ გაუძლებს ამ თავსხმას. ახლა პოლიციელებიც გამოირეკებიან. აგერ, ერთი გუშაგი, აქვე, ჩვენ გვერდით აყუდებულა კიდეც; გავიჭედებით და იმით დასრულდება ჩვენი საქმე.

- პირველმა „ვუდგავართის“ მაგივრად „დავრჭობილვართ“ თქვა, მეორემ „გავიჭიდებითო“. არგოს ეკუთვნის ორივე, პირველი საბაჟოებისას და მეორე ტანპლის უბნისას, - სიხარულის სხივი მოჰფინა ტენარდიეს ამ სიტყვებმა.

„დავრჭობილვართ-ში“ მაშინვე ბრუჟონი იცნო, რომელიც სულ საბაჟოებთან დაეხეტებოდა, და „გავიჭედებით-ში“ - ბაბეტი, რომელიც სხვადასხვა ხელობასთან ერთად ვაჭრობდა კიდეც ტანპლის უბანში.

ძველ, დიდებული საუკუნის არგოს აღარსად ლაპარაკობდნენ ტანპლის გარდა და მარტო ბაბეტი იყო, რომ წმინდად ლაპარაკობდა ამ ენაზე. ეს „გავიჭედებით“ რომ არ გაეგონა ტენარდიეს, ვერც კი იცნობდა ბაბეტს, რადგან ხმა გამოეცვალა.

მესამე ჩაერია ამ საუბარში:

- ასაჩქარებელი არაფერია, ცოტა მოვიცადოთ. რა იცით, რომ არ ესაჭიროება ჩვენი დახმარება?

ეს კი წმინდა ფრანგულით იყო ნათქვამი და მონპარნასი იცნო ტენარდიემ, რომელსაც თავი მოსწონდა, რომ ყველა არგო იცოდა და მისი საშუალებით რისამე თქმას კი არ კადრულობდა.

მეოთხე გაჩუმებული იყო, მაგრამ გაშლილი მხარბეჭი უმტკიცებდა ტენარდიეს, რომ ეს გელმერი უნდა ყოფილიყო.

გაჯავრებით უპასუხა ბრუჟონმა, მაგრამ ჩუმი ხმით:

- რას უნდა ვუცადოთ, ერთი მითხარი? ან როგორ მოახერხებდა მედუქნე გამოპარვას? ცოდნა იმას არა აქვს და გამოცდილება! რა, თავის პერანგს დახევდა და ლოგინის ზეწარს, რომ თოკი დაეგრიხა? კედელს გახვრეტდა? ყალბი ქაღალდების შედგენას, ბორკილის დამტვრევას, თოკის ხმარებას, გარეგნობის შეცვლას და მდევართაგან დამალვას ნიჭი უნდა და გამოცდილება. როგორ მოახერხებდა ამას ბებერი, რომ მუშაობისა არაფერი იცის?

ბაბეტმაც იგივე თქვა იმ კლასიკურ, აზროვან არგოთი, რომელსაც ხმარობდა პულალიე და კარტუში, და ისევე განსხვავდებოდა ბრუჟონის ახალი, გამბედავი, ლამაზი, სახიფათო არგოსგან, როგორც რასინის ენა - ანდრე შენიეს ენისაგან.

- იქვე გააკავებდნენ შენს მედუქნეს. სადა აქვს ამდენი ეშმაკობა? აქ ოსტატი უნდა იყოს, ის ჯერ შეგირდია. გააბრიყვებდა ვინმე ჯაშუში და ათქმევინებდა თავის განზრახვას. არ გეყურება, მონპარნასო, რა ღრიანცელია ციხეში? ხომ ხედავ, როგორ დაეძებენ თავიანთი მაშხალებით? დაიჭირეს, ძმაო, და ოცი წლის კატორღითაც ძლივს გადარჩება. მე არ მეშინია. მხდალი არა ვარ, ეს ყველამ იცის, მაგრამ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. ჰოდა, წავიდეთ, თორემ ტყუილად დავიღუპებით. ნუ ჯავრობ, მოდი შენც ჩვენთან წამოდი, ერთი პირი გავისველოთ კარგი, ძველი ღვინით.

- თუ ამხანაგები ვართ, არც გაჭირვებაში უნდა ვუმტყუნოთ, - წაიბურტყუნა მონპარნასმა.

- მე კი გარწმუნებ, დაჭერილია. დაჭერილია და, მაშასადამე, ჩალის ფასად არა ღირს შენი მედუქნე. ჩვენ მას ვეღარას ვუშველით, წავიდეთ. ასე მგონია, ხელი მტაცა პოლიციელმა.

მონპარნასს ყოყმანი შეეტყო, ერთგვარი თავგანწირვითი ერთგულება აქვთ ქურდებსა და ყაჩაღებს ამხანაგისადმი და ამიტომ იყო, რომ მთელი ღამე ეს ოთხი კაცი დაეხეტებოდა ფორსის გარშემო; იმედი ჰქონდათ, ტენარდიეს დაინახავდნენ და მიეშველებოდნენ; მიუხედავად იმისა, რომ ამით შეიძლება თავიც წაეგოთ. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ციოდა, ტანისამოსი მთლად დასველებოდათ, ფეხსაცმელში წყალი შესდიოდათ, თან საპატიმროში ატეხილი განგაში აშინებდათ. დრო გადიოდა, პოლიციელთა გამოვლა იყო მოსალოდნელი, იმედი ეკარგებოდათ და შიში ერეოდათ. ამიტომ იყო, რომ წასვლას გაიძახოდნენ სამნი. თვითონ ისიც, ვინც თითქმის სიძე იყო ტენარდიესი, ისიც კი ფიქრობდა უკან დახევას.

ერთი წუთიც და წავიდოდნენ კიდეც. ისე ქმინავდა კედელზე ტენარდიე, როგორც „მედუზის“ მგზავრები, რომლებიც ხედავდნენ მაშველი გემის დაღუპვას ჰორიზონტზე.

ვერ გაებედა დაძახება, რადგან დაიღუპებოდა სხვა ვინმეს რომ გაეგონა მისი ხმა და ერთმა ფიქრმა გაუელვა უცბად, უკანასკნელმა რაღაც სინათლემ: ამოიღო ჯიბიდან ბრუჟონის თოკის ნაწყვეტი და ძირს ჩააგდო, ამხანაგებისკენ.

ქურდების ფეხთან დაეცა თოკი.

- ოჰო, მახრჩობელა! - წამოიძახა ბაბეტმა.

- ჩემი ხვლანჯი! - შეჰყვირა ბრუჟონმა.

- იქ არის მედუქნე! - დაიძახა მონპარნასმა.

აიხედეს. ოდნავ წინ წამოეწია ტენარდიეს თავი.

- აბა, ჩქარა! - თქვა მონპარნასმა, - თოკი შენ გაქვს, ბრუჟონ?

- ჰო.

- ეგეც ზედ მიაბი, ავისროლოთ, დაიჭერს, კედელს მიაბამს და ჩამოცურდება.

ახლა კი გაბედა ხმის ამოღება ტენარდიემ:

- გაფიჩხებული ვარ.

- გაგათბობთ.

- ვეღარ ვიძვრი.

- ჩამოცურდი, აქ ჩვენ დაგიჭერთ.

- ხელს ვეღარ ვანძრევ.

- ეს თოკი გამოაბი კედელს.

- აღარც ეგ შემიძლია.

- რომელიმე უნდა ავიდეთ, - თქვა მონპარნასმა.

- ამ სიმაღლეზე? - იკითხა ბრუჟონმა.

კედელს პატარა, ძველი სახლი ეკრა და ამ სახლის საკვამური ასდევდა ბოლომდე, იმ ალაგამდე, სადაც ტენარდიე იწვა. დახეთქილი იყო ეს საკვამური, დასერილი და ძალიან ვიწროც. შემდეგ მალეც დაინგრა.

- ამ საკვამურით ავძვრეთ, - თქვა მონპარნასმა.

- ამ დანგრეულით? - შეჰყვირა ბაბეტმა, - ამით კაცი ვერ ავა. აქ ბავშვია საჭირო.

- პატარა გვინდა ვინმე, - დაეთანხმა ბრუჟონი.

- მერე ვინ სად ვიპოვოთ ამ ბნელში?

- მოითმინეთ, - უთხრა მონპარნასმა, - ახლავე მოვიყვან.

ფრთხილად გააღო კარი, დარწმუნდა, რომ არავინ იყო ქუჩაში, ჩუმად გავიდა, კარი გაიხურა და სირბილით წავიდა ბასტილიისკენ.

შვიდი თუ რვა წუთი გავიდა, - რვა ათასი საუკუნე ტენარდიესთვის. ხმას არ იღებდნენ ბაბეტი, ბრუჟონი და გელმერი. ხელახლა გაიღო კარი და მონპარნასი შევიდა ეზოში, დაღლილ-დაქანცული. თან გავროში მოსდევდა. ისევ წვიმდა, არავინ ჩანდა ქუჩაში.

შევიდა ეზოში პატარა გავროში, დამშვიდებული სახით შეაცქერდა ავაზაკებს. წყალი ჩამოსდიოდა თავიდან. გელმერმა მიმართა კითხვით:

- კაცი ხარ, ბალღო?

მხრები აიჩეჩა გავროშმა და უპასუხა:

- ჩემისთანა ბალღი ყოველთვის კაცია, და თქვენისთანა კაცები კი ხანდახან ბალღები არიან.

- ძაან პასუხი მოგცა ბალღმა! - დაიძახა ბაბეტმა.

- დამბალი ჩალისა როდია პარიზელი ბიჭი! - დაუმატა ბრუჟონმა.

- მაინც რაზე დაგჭირდით? - იკითხა გავროშმა.

პასუხი მონპარნასმა გასცა:

- ამ საკვამურზე უნდა აძვრე.

- აი, ამ მახრჩობელით, - განუმარტა ბაბეტმა.

- აძვრე და კედელს გამოაბა ეს თოკი, - უთხრა ბრუჟონმა.

- იქ, ზემოდან, - დაუძახა ბაბეტმა.

- აი, იმ ფანჯარაში, - მიუთითა ბრუჟონმა.

- მერე? - ჰკითხა გავროშმა.

- მერე აღარაფერი, - აუხსნა გელმერმა.

თვალი გადაავლო გავროშმა კედელს, შიგ დაყოლილ ფანჯარას, თოკს, საკვამურს, მერე ტუჩები აიბზუა და დაცინვით წამოიძახა:

- სხვა არაფერი?

- ერთი კაცია კედელზე. იმას გადაარჩენ, - უთხრა მონპარნასმა.

- ჰა, აძვრები? გინდა?

- ვაიმე, ვაიმე! - წამოიძახა წყენით გავროშმა, - მაგას როგორ მეკითხებით! - და წაღები გაიხადა.

ცალი ხელით აიტაცა გელმერმა გავროში და პატარა სახლის ბანზე შესვა, რომლის დამპალი ჭერი ამ ბიჭის სიმძიმისგანაც კი იზნიქებოდა, და მიაწოდა დახვეული თოკი. მივიდა გავროში გამსკდარ საკვამურთან და შიგ შეძვრა. ბიჭი რომ საკვამურში ძვრებოდა, ტენარდიემ იგრძნო სიცოცხლისა და თავისუფლების მოახლოება და თავი გადმოყო კედლიდან. განთიადის პირველმა სხივმა ოდნავ გაანათა მისი ოფლიანი შუბლი, გაყვითლებული ლოყები, ველური, წაწვეტებული ცხვირი, ჭაღარა, აწეწილი წვერი, გავროშმა იცნო მამა.

- ეჰე, ეს მამაჩემი ყოფილა!.. დაე, ვინც უნდა იყოს!

თოკი კბილებით დაიჭირა და გაბედულად შეუდგა ცოცვას.

აძვრა კედელზე, ზედ შეჯდა, როგორც ცხენზე, და მაგრად მოაბა თოკი ფანჯარაში დარჩენილ ჩარჩოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ძირს, ქუჩაში იყო ტენარდიე.

როგორც კი ფეხი დაადგა მიწას, იგრძნო, რომ გადარჩა განსაცდელს, დაღლაც დაავიწყდა, სიცივეც, კანკალიც; ისე გადაავიწყდა იმოდენა საშინელება, თითქოს კვამლი ყოფილიყო და ქარს გაეფანტა. მაშინვე მოიკრიბა მხეცური ჭკუა-გონება, თავისუფალ კაცად იგრძნო თავი, ავკაცობის მეტი არაფერი ახსოვდა და აი, რით მიმართა მხსნელ ამხანაგებს:

- ახლა ვინ ვჭამოთ?

საჭირო არ უნდა იყოს განმარტება ამ სიტყვის საზიზღარი მნიშვნელობისა, რომელიც ტენარდიემ წარმოთქვა. ამხანაგებს ეკითხებოდა, ვინ მოვკლათ, ვინ ავიკლოთ, ვინ გავძარცვოთო?

- რაღა დროსია, - უპასუხა ბრუჟონმა. საჩქაროდ, სამი სიტყვით მოვრჩეთ და წავიდ-წამოვიდეთ. ერთი კარგი საქმე იყო პლუმეს ქუჩაზე. მიყრუებული უბანია, განცალკევებული სახლი; ერთი ძველი, დამპალი ღობე და მარტო ქალები.

- ჰოდა, რატომაც არა?

- შენმა გოგომ, ეპონინმა დაათვალიერა სახლი, - უპასუხა ბაბეტმა, - და ხელცარიელი დაბრუნდა, - ჩვენ იქ ვერაფერს გავარიგებთო.

- კაი თავი აქვს ჩემს გოგოს, - თქვა ტენარდიემ, - მაგრამ მაინც ვნახოთ.

- ჰო, ჰო, - დაემოწმა ბრუჟონი, - ჩვენი თვალით ვნახოთ.

ლაპარაკობდნენ და აღარც კი ახსოვდათ გავროში, რომელიც ამ საუბრისას ღობეზე ჩამომჯდარიყო. ცოტა ხანს იჯდა ასე, ელოდა - ჩემკენ მოიხედავს მამაჩემიო, - მერე წაღები ჩაიცვა და ჰკითხა:

- ჰა, გათავდა? აღარ გესაჭიროებით, კაცებო? ხომ გაირიგეთ თქვენი საქმე! მივდივარ. უნდა მივხედო ჩემს პაწიებს. - და წავიდა.

ფრთხილად გავიდა ქუჩაში ხუთი კაცი.

გავროშმა რომ ბალეს ქუჩაზე შეუხვია და მიიმალა, ბაბეტმა ცალკე გაიყვანა ტენარდიე და ჰკითხა:

- იცანი ის ბიჭი?

- ვინ ბიჭი?

- პატარა ბიჭი, კედელზე რომ ამოძვრა, თოკი რომ ამოგვიტანა.

- ვერა, რა იყო?

- მგონი, შენი შვილი იყო.

- რას ამბობ! - წამოიძახა ტენარდიემ, - შენ ასე გგონია?

# წიგნი მეშვიდე
# არგო

## თავი პირველი
## წარმოშობა

საშინელი სიტყვაა პიგრიტია, - სიზარმაცეს ნიშნავს.

მისგან წარმოდგება მთელი სამყარო - ლა პეგრე, ესე იგი „ქურდობა“ და მთელი ჯოჯოხეთი - ლა პეგრენნე, ესე იგი „შიმშილი“.

ამგვარად, სიზარმაცე ორი შვილის დედაა:

ერთი ვაჟია - ქურდობა, და ერთიც ქალი - შიმშილი.

სადა ვართ ახლა? არგოზე გავჩერდით.

რა არის არგო?

ეს არის ერთსა და იმავე დროს ხალხი და თავისებური ენა, ნაქურდალი ერთიც და მეორეც.

ოცდაათი წლის წინათ, როდესაც ამ „საბრალოთა“ წამების მომთხრობმა ავტორმა ერთ თავის, ამავე მიმართულების მოთხრობაში არგოთი მოლაპარაკე ქურდი შეიყვანა, განცვიფრება და აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში. როგორ? არგო? საზიზღარი არგო შემოაქვს მწერლობაში? კატორღელების, ტუსაღების, ქურდების ენა? საზოგადოების ბილწ ნაძირალათა ენა?..

ჩვენ ჯერაც ვერ შეგვიგნია საფუძველი ამ აღშფოთებისა.

მას შემდეგ ორმა სახელოვანმა მწერალმა, რომელთაგან ერთი ღრმა დაკვირვებით გვისახავს ადამიანის გულს, და მეორე თავდადებული მოყვარეა ხალხისა, ბალზაკმა და ეჟენი სიუმ, ქურდული ენით აალაპარაკეს ყაჩაღები თავიანთ თხზულებებში, როგორც „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღის“ ავტორმა 1828 წელს და მაშინაც იგივე აღშფოთება გაისმა და საყვედური, - რა უნდათ ჩვენგან ამ მწერლებს საზიზღარი ქაურდული არგოთი? ბინძური რამ არის არგო, გულს ურევს ადამიანსო!..

მერე ვინ ამტკიცებს ამის საწინააღმდეგოს?

როდესაც საჭიროება მოითხოვს ჭრილობის, რაიმე ხვრელის, ან საზოგადოებრივი ვარამის მოსინჯვას, განა აკრძალულია ღრმად, ძირამდე ჩაწვდენა ზონდისა? ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ეს არის მოვალეობის კეთილსინდისიერი ასრულება, საჭირო და სასარგებლო, ღირსი თანაგრძნობისა და მოწონებისა. მაშ მთლად, ძირიანად არ გამოვარკვიოთ ცხოვრების ვარამი? შუა გზაში გავჩერდეთ? რად და რისთვის? გაჩერება ზონდის საქმეა და არა მზონდავისა.

რა თქმა უნდა, ღრმად ჩასვლა საზოგადოებრივი წყობილების ძირისძირში, სადაც ილევა მყარი მიწა და იწყება ტალახი, კვლევა ამ ტალახის ნალექისა, ძიება, აღმოჩენა და ზევით ამოტანა იმ გარყვნილი იდიომისა, რომელსაც წკრიალით გასდის სიმყრალე იმ წაბილწული ლექსიკონისა, რომლის ყოველი სიტყვა წყვდიადისა და სიბინძურის საზარელ ურჩხულს მოგაგონებთ, არც მიმზიდველია და არც საამო. არაფერი იქნება იმისთანა საზარელი, როგორიცაა გონების სინათლეზე შიშვლად გაშლილი მართლა გულისამრევი ფუთფუთი არგოსი. გეგონებათ, რაღაც საშინელი

მხეცია, მარტოოდენ წყვდიადისთვის გაჩენილი, რომელიც ნაგავსაყრელიდან ამოათრიესო. ცოცხალ, საზარელ ბუჩქნარად გეჩვენებათ, რომელიც სულ განზე იწევს, იძვრის, ღელავს, სულ ბნელს მოითხოვს და მუქარით იყურება. ზოგი სიტყვა ბრჭყალსა ჰგავს, ზოგი კიდევ ჩასისხლიანებულ, ჩამკვდარ თვალს; ზოგი ფრაზა ისე იძვრის, როგორც მარწუხი კიბოსი. ყოველივე ეს იმ საზიზღარ ცხოველმყოფელობას ამჟღავნებს, რომელიც დამახასიათებელია გახრწნის ნაყოფისთვის.

ახლა ისიც ვთქვათ, როდის იყო, რომ ზიზღის გრძნობა აბრკოლებდა შესწავლას? როდის იყო, რომ ავადმყოფობას გაურბოდა მკურნალი? წარმოგიდგენიათ ბუნებისმეტყველი, რომელიც იტყვის, - მე არც შხამიან გველს შევისწავლი, არც ღამურას, არც მორიელს, არც სკოლოპენდრს, არც ღრიანკალსო, - და უკნავე ჩაჰყრის ორმოში, - საზიზღარი რამ არისო! - მკვლევარმა რომ ზურგი შეაქციოს არგოს, ქირურგს ემსგავსება, რომელიც ზიზღით მოერიდება აყროლებულ ჭრილობას ან მუწუკს; ეს იქნება ფილოლოგი, რომელიც არ შეუდგება კვლევას, თუ წარყვნილად ეჩვენა სიტყვა, ან ფილოსოფოსი, რომელიც არ ისურვებს საზოგადოებრივი ცხოვრების უვარგისი მოვლენის კვლევას. ამიტომ საჭიროა მოვახსენოთ ეს იმათ, ვინც არ იცის, რა არის არგო: არგო ერთსა და იმავე დროს არის მოვლენა სიტყვიერებისა და შედეგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. არგო არის ენა გაჭირვებისა.

აქ შეიძლება შეგვაჩერონ, შეიძლება განაზოგადონ კერძო, მისი მნიშვნელობის შემცირების მიზნით და გვითხრან, რომ ყველა ხელობას, ყველა პროფესიას, და შეიძლება ესეც დაუმატონ, საზოგადოებრივი წესწყობილების ყველა საფეხურს, ყველა სარბიელს გონებრიობისას აქვს თავისი არგოო. თავისი არგო აქვს ყველას: სტამბას, მხედარს, ფრენოლოგს, მონადირეს, ფილოსოფოსს, მსახიობს, ვოდევილების ავტორს, ბოქაულს, ზარაფს, ბანქოს, მედუქნეს, ხელოსანს, ხელოვანს. არგოს იყენებს ყველა, წარჩინებულ საზოგადოებაშიც კი ხშირია მისი გამოყენება. ერთი მიმართულების კრიტიკა იყო ამ ოცი წლის წინათ, რომელიც ამტკიცებდა, - შექსპირის თხზულებების ნახევარს სიტყვის თამაში შეადგენს და ორაზროვანი ოხუნჯობაო. მაშასადამე, ისიც არგოს ხმარობს. პოეტი და არტისტი, რომლებიც „ბურჟუად“ ახსენებენ მონმორანსის, თუ არაფერი გაეგებათ პოეზიისა და ქანდაკებისა, არგოს იყენებენ. აკადემიკოსი - კლასიკოსი, რომელიც ყვავილს ფლორას უწოდებს, ზღვას - ნეპტუნს, სიყვარულს - გულისცეცხლს, არგოს ხმარობს. ალგებრას თავისი არგო აქვს, მედიცინას თავისი, ბოტანიკას თავისი. გემზე რომ ენა გაისმის ზღვაოსნებისა, ეს საგანგებო ენა ზღვისა, ესოდენ მდიდარი და მხატვრული, რომელიც უერთდება გემსართავის ჭრიალს, ხმის გამაძლიერებლის ღრიალს, ზღვის ღელვას, ქარს, ზვირთის ცემას, ზარბაზნის სროლას, ეს ენა არის გმირული, ლამაზი, სხარტული არგო და ისე განირჩევა ქურდების საზარელი არგოსგან, როგორც ლომი ტურისგან.

მართალია, ყველას თავისი არგო აქვს, მაგრამ რაც უნდა ბრძანონ, ასე გაგება სიტყვისა „არგო“ გაფართოებას წარმოადგენს, რომელსაც ყველა არ დაეთანხმება. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ ამ სიტყვას ვუნახავთ თავის ძველ განმარტებას, მის ნამდვილ და ვიწროდ შემოზღუდულ ცნებას. ნამდვილი არგო რომ მართლა არგოს სახელით ვახსენოთ, ძველდროინდელი და გამეფებული, არის უხამსი, დამახინჯებული, დაუდეგარი, დაღვრემილი, მოღალატე, გესლიანი, მკაცრი, ორაზროვანი, საძაგელი, ღრმა ავბედითი ენა გაჭირვებისა. ყოველგვარი დამცირებისა და უბედურების ბოლოს არის კიდევ ერთი უკანასკნელი აუტანელი გაჭირვება, რომელიც აჯანყებას მიმართავს,

რათა შეებრძოლოს ბედნიერთა და ხელისუფალთ. საშინელია ეს ბრძოლა, ვერაგობისა და უნდობლობის მიერ წარმოებული; ბიწიერების ნესტარით ებრძვის საზოგადოებრივ წესწყობილებას და ბოროტმოქმედებას ხანჯლით და კეტით. ამ ბრძოლის საწარმოებლად გამოიგონა გაჭირვებამ საომარი ენა, რომელსაც არგო ჰქვია.

თუ აღმოვაჩენთ რასმე, უფსკრულიდან ზევით ამოვიტანთ და დავიწყებას გადავარჩენთ, თუნდაც მცირე ნაწილს ენისას, რომელზეც ლაპარაკობდა ადამიანი, და რომელიც ახლა იკარგება და კვდება, - ავია ის თუ კარგი, იგი შემადგენელი ნაწილია ჩვენი ცივილიზაციისა, - ეს იქნება საზოგადოებრიობის დაკვირვებისთვის საჭირო მონაცემთა გამრავლება და თვით ცივილიზაციისადმი მიძღვნილი საუნჯე. ეს საუნჯე მიართვა ისტორიას, განზრახ თუ თავისდაუნებურად, პლავტემ, რომელმაც ორი კართაგენელი ჯარისკაცი აალაპარაკა ფინიკიურად. იგივე საუნჯე დაგვიტოვა მოლიერმა, რომელმაც ლევანტურითა და სხვადასხვა ადგილობრივი ენით აალაპარაკა თავისი მრავალრიცხოვანი მოქმედი პირნი. მაგრამ აქ ისევე უთანხმოების შენიშვნები გაისმის. ფინიკიურად აალაპარაკა? ძალიან კარგი! ლევანტურად? კარგი და პატიოსანი! თუნდაც ადგილობრივი ენებიც იყოს, რადგან ერის კუთვნილება არის ადგილობრივი, ერის მიწა-წყლის ვიწრო ფარგლებში ხმარებული ენა. მაგრამ ეგ თქვენი არგო რაღა არის? რა საჭიროა მისი შენახვა? რა საჭიროა წუმპედან ამოღება შებილწულისა?

ამას მოკლედ ვუპასუხებთ, ერთი სიტყვით. თუ ჩვენი ყურადღების ღირსი ენა, რომელსაც რომელიმე ერი ხმარობდა, ან რომელიმე მხარე ერთი ერით დასახლებული ქვეყნისა, უფრო მეტი ყურადღებისა და გაცნობის ღირსად უნდა ვცნოთ ენა, რომელსაც გაჭირვებისას იყენებდნენ.

ეს არის ენა, რომელსაც ლაპარაკობდა საფრანგეთში უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში არა მარტო ერთი მხარის გაჭირვება, არამედ მთელი შესაძლებელი გაჭირვება კაცობრიობისა.

და გარდა ამისა, - დაჟინებით ვიმეორებთ, - საზოგადოებრივი ცხოვრების სიმახინჯისა და დაავადების შესწავლა და მათი აღნიშვნა მკურნალობის მიზნით იმგვარი საქმე არ არის, რომ შეიძლებოდეს მისი უარყოფა. ზნე-ჩვეულებათა და აზროვნების ისტორიკოსს არანაკლებ სასტიკი მოვალეობა აწევს, ვიდრე ცხოვრების მიმდინარეობის ისტორიკოსს; მას ხელთა აქვს ზედაპირი ცივილიზაციისა, - გვირგვინოსანთა ბრძოლა, დაბადება ბატონიშვილებისა, ქორწინება მეფეებისა, ომი, შეკრებები, სამეფოს დიდებულები, მზით განათებული რევოლუცია, - სულ გარეგანი, ყველასთვის დასანახავი; მეორე ისტორიკოსის საგანი კი შინაგანია: ყველასთვის დაფარული, სიღრმე, ხალხი, რომელიც შრომობს, ეწვალება, იტანჯება და სასოებს; ამ ხალხში დამცირებულს ხედავს ქალს, სულთმობრძავ ბავშვს, კაცთა შორის შურს და მტრობას, საშინელ სიმხეცეს, ცრუმორწმუნეობას, დაკანონებულ უთანასწორობას, ჩუმ, მიწის ხვრელში ჩამალულ არსებულ წესწყობილების მტრებს, საიდუმლო განვითარებას სულისას, ხალხის გმინვას, შიმშილით სიკვდილს, ფეხშიშველებს, უბინაოებს, ობლებს, უბედურებს, ავბედითებს, ყოველგვარ მატლს, რომელიც ფუთფუთებს ამ წყვდიადში. და ისიც იქ უნდა ჩავიდეს, სიბრალულითა და სიმკაცრით სავსე გულით, როგორც მოყვარული ძმა და სასტიკი მსაჯული; უნდა ჩავიდეს და მიუვალი ფსკერის ძირში, სადაც არეული არიან ერთმანეთში ისინიც, ვისაც სისხლი

სდის, და ისინიც, ვინც მათ სისხლს ადენს, ისინიც, ვინც ტირიან და ისინიც, ვინც ატირებს; ისინიც, ვინც შიმშილით კვდებიან და ისინიც, ვინც ვეღარ ძღებიან; ისინიც, ვინც წამებული და ტანჯულია და ისინიც, ვინც აწამებს და ტანჯავს. ნუთუ ამ სულისა და გულის ისტორიკოსებს უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი მოვალეობა აწევთ, ვიდრე გარეგანი ცხოვრების აღმწერთ? ნუთუ იტყვის ვინმე, რომ დანტე ალიგიერს არ ჰქონდა იმოდენა სათქმელი, რაც მაკიაველს? ძირი ცივილიზაციისა რომ უფრო ღრმა არის და უფრო ბნელი, ნუთუ მით არის უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ზედაპირი? ვინ იტყვის, კარგად გამოვიკვლიე ეს მთაო, თუ მის მღვიმეებს არ გასცნობია?

გაკვრით ვთქვათ, მოკლედ: ზემოთ აღნიშნული რამდენიმე სიტყვიდან შეიძლება ის დასკვნა გამოიტანონ, რომ ისტორიკოსების ორ კლასს შუა უდევს დიდი ზღვარი, რაც აზრადაც არ მოსვლია ავტორს. შეუძლებელია, კარგი ისტორიკოსი იყოს ყველასთვის დასანახავი, ხალხის საზოგადო ცხოვრებისა, თუ იმავე დროს იგი შინაგანი ცხოვრების ისტორიკოსიც არ არის, მკვლევარი ხალხის ღრმად დაფარული ცხოვრებისა; და აგრეთვე შეუძლებელია, კარგი ისტორიკოსი იყოს საზოგადოების შინაგანი ცხოვრებისა, თუ არ ძალუძს, როდესაც კი საჭიროება მოითხოვს, ხალხის გარეგანი ცხოვრების ისტორიკოსობა. ისტორია ზნე-ჩვეულებათა და აზროვნებისა შთაერთვის გარეგანი ცხოვრების ისტორიას და გარეგანი ცხოვრების ისტორია შინაგანი ცხოვრებისას. ეს არის ორი განსხვავებული მხარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომლებიც შეადგენენ ერთს, დამოკიდებული არიან ყოველთვის ერთმანეთზე და ხშირად ქმნიან ერთმანეთს. ყოველ ხაზს, რომელსაც განგება გაუსვამს ზედაპირს ხალხის ცხოვრებისას, თავისი პარალელი აქვს მის სიღრმეში, ბნელი, მაგრამ მნიშვნელოვანი; და ყოველი რყევა ძირისა ქმნის მოძრაობას ზედაპირისას. ყველაფერში ერევა ნამდვილი ისტორია და ყველაფერს უნდა იკვლევდეს ნამდვილი ისტორიკოსი. წრე კი არ არის ადამიანი, რომ ერთადერთი ცენტრი ჰქონდეს; ის ელიფსი უფრო არის და ორი კერა აქვს; ერთი კერა ცხოვრების მიმდინარეობისა და მეორე იდეებისა.

ტანისამოსის საცვლელი ოთახია არგო, და ამ ოთახში იცვლის ენა ფერსა და გარეგნობას, როდესაც ბოროტი აქვს რამე განზრახული. იქ იძენს სიტყვის ნიღაბსა და ჩვრების მეტაფორას.

და საშინლად ხდება.

მაშინ ძნელი საცნობიღა არის ენა. ნუთუ მართლა ეს არის ფრანგული ენა, დიდებული ენა კაცობრიობისა? აგერ მზად არის გამოვიდეს სცენაზე და შეესიტყვოს ბოროტებას; მზად არის აასრულოს ყოველი დავალება ბოროტების რეპერტუარისა. სიარული აღარ ეხერხება და კოჭლობით დაჩანჩალებს, სასწაულთა სასახლის ყავარჯენს იშველიებს, რომელსაც კეტად გარდაქმნის, როცა კი მოინდომებს. სახელსაც იცვლის, - სიღატაკეს ირქმევს. მას ემსახურებიან ალქაჯნი; ისინი ჰმოსავენ და გრიმს უკეთებენ. ხან მიცოცავს, ხან ფეხზე წამოდგება; ორივეჯერ ქვემძრომის მაგვარია. ამიერიდან აღარას იუკადრისებს, ყველაფრისთვის მზად არის ყალბის მქმნელისგან გამრუდებული, მომწამვლელისგან გაუანგაროებული, მეხანძრის ჭვარტლით გამურული და კაცის მკვლელისგან გასისხლიანებული.

საზოგადოების კართან რომ დადგეს ვინმე პატიოსნების მხრივ და ყური მიუგდოს გარეთ მყოფთა საუბარს, გაიგონებს სიტყვა-პასუხს, რაღაც საზარელ დრტვინვას,

რომლისას ვერაფერს გაიგებს; ვითომ ადამიანის ენა არის, მაგრამ ღმუილს უფრო უახლოვდება. ეს არგო გახლავთ. შეცვლილია სიტყვა, დამახინჯებული, და რაღაც უცნაური მხეცურით გაჟღენთილი. გეგონებათ, გველეშაპნი ლაპარაკობენო.

ეს არის რაღაც გაუგებარი წყვდიადით მოსილი; ჩურჩულებს კბილების ღრჭენით, საიდუმლოებით ავსებს წყვდიადს. ბნელით მოცულია უბედურება და უფრო ბნელით - ავკაცობა და ბოროტება. ამ ორი სიბნელის შეერთებას წარმოადგენს არგო, ბნელი თავისი პირადობით, ბნელი თავისი ცხოვრებით, ბნელი თავისი სიტყვით; საზარელი ენა-ჯოჯო, რომელიც მიდი-მოდის, ხტის, ცოცავს, დორბლს ჰყრის და საზარლად ტრიალებს სქელ ბურუსში; რომელიც ნაყოფია წვიმის, სიბნელის, შიმშილის, ბიწიერების, სიცრუის, უსამართლობის, სიშიშვლის, სულის შეხუთვისა და ყინვის, განწირულთა მთელი ავლადიდებისა.

შევიბრალოთ განწირულნი! თვით ჩვენ ვიღანი ვართ? ვინა ვარ მე, ამას რომ მოგახსენებთ? ვინ ბრძანდებით თქვენ, მე რომ მისმენთ? საიდან მოვედით, როგორ გავჩნდით? და დარწმუნებულნი კი ვართ, რომ არაფერი დაგვიშავებია, სანამ დავიბადებოდით? დედამიწასაც აქვს ცოტა რამ მსგავსება საპატიმროსთან. ვინ იცის, რომ ღვთის მართლმსაჯულებით უკვე დასჯილი არ იბადება ადამიანი?

ახლოს მივუდგეთ ცხოვრებას. ისეა მოწყობილი ჩვენი ცხოვრება, რომ ყოველგან სასჯელს ხედავს კაცი.

ხომ ვერ იტყვით, ბედნიერი ვარო, - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. როგორ იტყვით, როდესაც ყოველი დღე გაღონებთ? ყოველ დღეს აქვს თავისი დიდი მწუხარება და თავისი პატარა საზრუნავი. გუშინ გული მიგდიოდათ, ავადმყოფს რომ შეჰყურებდით, თქვენს საყვარელს; დღეს თქვენი ავადმყოფობა გაწუხებთ; ხვალ უფულობა, ზეგ გესლიანი ცილისწამება; მაზეგ თქვენი მეგობრის უბედურება, მერე ავი დარი, მერე რამე დაკარგული ან გატეხილი, მერე ნეტარებით დატკბობა, რომელსაც მწარედ გისაყვედურებთ თქვენი სინდისი და ხერხემალი; მერე კიდევ საზოგადოების საქმეების უვარგისობა. თქვენი გულისტკივილის შესახებ აღარას ვამბობთ. ეგრეა ყოველთვის. დაიშლება ერთი ღრუბელი, მეორე დაგაწვებათ. ასიდან იქნებ ერთი დღეც არ გეღირსოთ სიხარულისა და სრულმზიანობისა. თქვენ მაინც იმ მცირე რიცხვს ეკუთვნით, რომელიც ბედნიერად მიიჩნევა. სხვების ხვედრია წყვდიადით მოცული ღამე.

შეგნებული კაცი იშვიათად ხმარობს სიტყვებს - ბედნიერნი და უბედურნი. ამქვეყნად, რომელიც კარიბჭეს უნდა წარმოადგენდეს მეორე ქვეყნისას, ბედნიერი არავინ არის.

სინამდვილეში კაცობრიობა შედგება განათებული და ბნელით მოცული ადამიანებისგან.

შეამცირეთ რიცხვი ამ ბნელით მოცულებისა, გაამრავლეთ რიცხვი განათებულებისა! აი, სიცოცხლის მიზანი! ამიტომ არის, რომ სულ ერთსა და იმავეს გავყვირით: სწავლა, განათლება ხალხისა! კითხვას რომ ასწავლით, ნათელს მოჰფენთ მის გონებას, ყოველი ახალი მარცვალი სიტყვისა მზის სხივივით გაანათებს მის გონებას.

მაგრამ სინათლე ყოველთვის როდია უნაკლო სიხარული. ნათელშიც იტანჯება ადამიანი. გადაჭარბებული ნათელი წვავს. ცეცხლის ალი მტერია ფრთისა. იწვოდე ისე, რომ ფრენა არ შეწყვიტო. ამაში არის საკვირველება გენიისა.

ოდეს შეიცნობთ და შეიყვარებთ, მაინც განიცდით მწუხარებას. ტირილში იბადება დღე. და განათებულნიც ტირიან, თუნდაც დასტირიან ბნელით მოცულთა ვაებას.

## თავი მეორე
## არგოს ფესვი

არგოს ენა ბნელეთს ეკუთვნის. აკვირვებს გონებას უაღრესად ჩამალული სიღრმით, მძიმე ფიქრებს აღუძრავს საზოგადოებრივ ფილოსოფიას. ეს გამოსაცნობი ენაა, მჭკნარი და ამავე დროს აჯანყებული. ამ ენაში ცხადად მოჩანს განწირულთა აღშფოთება და მუქარა. ყოველ მარცვალს თავისი ნიშანი ადევს. ხალხში ხმარებული სიტყვა დაჭმუჭნილია იქ და ჯალათის ცეცხლქვეშ გაქვავებული. ზოგს თითქოს ჯერაც კვამლი ასდის, ისე მოგხვდებათ ზოგი ფრაზა, თითქოს ქურდის უცბად გაშიშლებულ, ახლახან დადაღულ მხარს ხედავდეთ. გონებას თითქმის შეუძლებლად მიაჩნია აზრის გამოთქმა მისი მართლმსაჯულების მიერ დაგმობილი არსებით სახელთა საშუალებით. თავხედური და ურცხვია არგოს მეტაფორა. ზედვე ეტყობა, სამარცხვინო ბოძზე ყოფილა გაკრული.

მიუხედავად ამისა, და აგრეთვე ყოველივე ამის გამო, ამ უცნაურ მდაბიოსიტყვაობას უფლება აქვს განსაკუთრებული ადგილი მიეცეს იმ დიდ პირუთვნელ სალაროში, სადაც თავისი ადგილი აქვს მიჩნეული ძვირფას ოქროს სამკაულთან ერთად ჟანგიან შავს ფულს, და რომელსაც ლიტერატურა ეწოდება. არგოსაც აქვს, - დაგვეთანხმებიან, - თავისი სინტაქსი, თავისი პოეზია. ეს იგივე ენაა. თუ ზოგი დამახინჯებული სიტყვა გვათქმევინებს, რომ იგი მანდრენის ნაღეჭიაო, - სამაგიეროდ ცნობილი ბრწყინვალე მეტონიმები გვიმტკიცებენ, რომ ოდესღაც ვიიონი ლაპარაკობდა ამ ენაზე.

წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ბევრი არაფერი შეგვხვდება შესასწავლად არგოზე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი. ეს ენაა ენაზე დართული, ერთგვარი ავადური მეტხორცი, შხამიანი ნამყენი, რომელმაც იხარა; პარაზიტია, რომელსაც ფესვი ძველი გალების ფუძეში აქვს, და რომლის თვალბედითი ფოთლები მოსდებია ენის ყოველ ტოტს. ეს გახლავთ, ასე ვთქვათ, პირველი შთაბეჭდილება არგოსგან მიღებული. მაგრამ ვინც აპირებს ენის შესწავლას ისე, როგორც ამას მეცნიერება მოითხოვს, ესე იგი, როგორც გეოლოგი დედამიწას, მისთვის არგო ნამდვილ ნარიყს წარმოადგენს. თუ საკმაოდ ღრმად ჩასწვდება მკვლევარი არგოს, აღმოაჩენს ძველებური ხალხური ფრანგულის ქვემოდან შემდეგ დანაშრევებს: პროვანსულს, ესპანურს, იტალიურს, ლევანტურს, - ამ ხმელთაშუა ზღვის ნავსაყუდართა ენას, ინგლისურს და გერმანულს, რომანულს თავისი სამი განშტოებით - ფრანგულ-რომანულს, იტალიურ-რომანულს და საკუთრივ რომანულს, - ლათინურსა და ბოლოს ბასკურსა და კელტურს. ეს არის ღრმად ჩამალული და უცნაური ფორმაცია, დედამიწის სიღრმეში ყველა განწირულთა შეერთებული ძალით აგებული დიდი შენობა. ყოველ დევნილ ერს დაუდვია თავისი ნაშენის ფენა, ყოველგვარ ტანჯვას დაუტოვებია ზედ თავისი ქვა, ყველა დაწყლულებულ გულს მიუცია თავის კენჭი. მრავალი ბოროტი მდაბალი და გაშმაგებული სული, რომელსაც გაუვლია წუთისოფელზე და გამქრალა მარადისობაში, დარჩენილა არგოში თითქმის ისევ მთლიანად საშინელი სიტყვით გამოსახული.

გნებავთ ესპანური? აი, გატ - კატა, შეცვლილი ძველი გატო, და მრავალი სხვა. იტალიური გნებავთ? აი, სპადე - ხმალი, შეცვლილი სპადა; კარველ - გემი, სიტყვიდან კარაველა. ინგლისური გნებავთ? აი, ბიში - ეპისკოპოსი, სიტყვიდან ბისპოპ; რაილ - ჯაშუში, სიტყვიდან რასკალ, რასკალიონ - ვერაგი. გერმანული გნებავთ? აი, კალერი - რესტორნის მომსახურე ბიჭი, სიტყვიდან კელნერი. აი, ჰერს, ბატონი, სიტყვიდან ჰერცოგი; ლათინური გნებავთ? აი, ფრანჟირ - გატეხვა, სიტყვიდან ფრანგერე; კადენ - ჯაჭვი, სიტყვიდან კატენა. ერთი სიტყვა არის, რომელსაც ყველა ერი იყენებს, თითქოს რაღაც ძალა ჰქონდეს და საიდუმლო რამე ღირსება; ეს არის სიტყვა მაგნუს - დიდი. შოტლანდიამ ეს სიტყვა მაკ-ად გადააქცია, ხევის - გამგის სახელად, არგომ მეკ-ად აქცია და მერე მეგ-ად, ესე იგი ღმერთად. ბასკური გნებავთ? აი, გაჰისტო - ქაჯი, სიტყვიდან გაისტოა - საძაგელი; სორგაბონ - ღამე მშვიდობისა, სიტყვიდან გაბონ - ღამე მშვიდობისა. კელტური გნებავთ? აი, ბლავენ - ცხვირსახოცი, სიტყვიდან ბლავე - მდინარე წყალი; ბარანწყარო სიტყვიდან ბარანტონ - შადრევანი; გედუსი - სიკვდილი, სიტყვიდან გენ-დუ, ესე იგი მოშავო თეთრი. ისტორიული გნებავთ? ოქროს ფულს არგო ჯერაც მალტეზს უწოდებს, რადგან ახსოვს, რომ მალტის კატორღაში გასავალი ჰქონდა ამ სახელწოდების ფულს.

გარდა აღნიშნული ფილოლოგიური წარმოშობისა, არგოს სხვა ფესვებიც აქვს, უფრო ბუნებრივი, რომლებიც თვით ადამიანის გონებიდან მომდინარეობენ.

პირველი: ეს უშუალო შექმნა სიტყვისა, სწორედ ამაში არის ენის საიდუმლოება. ადამიანი სიტყვით ხატავს საგანს და არავინ იცის, როგორ ახერხებს ამას? ეს არის პირვანდელი ძირი ადამიანის ყველა ენისა, რასაც შეიძლება გრანიტის სახელი მივცეთ. არგოს მრავლადა აქვს ასეთი სიტყვა, სიტყვა საგნის ზედმიწევნით აღმნიშვნელი, შექმნილი უცბად - ვინ იცის - სად, როდის, ვის მიერ? არც ეტიმოლოგია აქვს ამ სიტყვებს, არც ანალოგია, არც ნაწარმოები; ცალკეული სიტყვა არის ბარბაროსული, ხანდახან საზარელი, მაგრამ საკვირველი ზედმიწევნით სახავს საგანს და ცოცხალია.

მეორე: მეტაფორა. ენამ, რომელსაც უნდა ყველაფერი თქვას და ყველაფერი დამალოს, მეტაფორებს უნდა მიმართოს. მეტაფორა გამოცანაა, რომელშიც იმალება ქურდი, რადგან კიდევ ქურდობას აპირებს, და პატიმარი, რომელიც გაპარვას ცდილობს. არც ერთი ენა არ არის ისე მეტაფორული, როგორიც არგო. პურის ქურდს თაგვი ჰქვია; ეშმაკს - ხაბაზი, რადგან ფურნეში ალაგებს პურს; ძველებური ეშმაკის არგოულ სახელს - რაბუენ. ეს სჯობია, უფრო მახვილგონივრულია, თუმცა არც ისე ძალოვანი; სწორედ ისე, როგორც რასინი კორნელის შემდეგ და ევრიპიდე ესქილეს შემდეგ.

მესამე ერთგვარი ფანდია. არგო ენას დაჰკვრია და საჭიროებისამებრ იყენებს მას; იღებს, რაც დასჭირდება და ბრიყვულად რყვნის და ამახინჯებს სიტყვას, მოხდება ხოლმე, ასე მითვისებულ, დამახინჯებულ სიტყვას თავისას შეუერთებს და ხელოვნურ ფრაზას შეადგენს, რომელშიც უშუალოდ შექმნილი სიტყვაც არის და მოპარულიც. უფრო ხშირად კი, უცხომ რომ არავინ გაიგოს, არგო ყოველ სიტყვას ბოლოში ახალ კუდს აბამს დაბოლოებად - აილ, ორგ, იერგ ან უმ, ოღონდ ისე, რომ ერთ ფრაზაში ერთი და იგივე დაბოლოება კი არ ემატებოდეს ყველა სიტყვას, არამედ სხვადასხვა. იშვიათად ემატება სიტყვას დაბოლოება - მარ.

გახრწნილების ენა არის არგო და თვითონაც მალე იხრწნება. გარდა ამისა, რადგან სულ იმის ზრუნვაშია, გაუგებარი იყოს, თვითონაც იცვლება, როგორც კი იგრძნობს, რომ შეიძლება მიხვდნენ მის დაფარულს. ყველას ახარებს და ზრდის, ასაზრდოებს მზის სინათლე და არგოში მაშინვე კლავს, რასაც მოხვდება, ისე, რომ შეუწყვეტლივ იშლება ეს ენა და საჭიროების მიხედვით მყისვე ახლით ივსება. ათ წელიწადში უფრო მეტ ცვლილებას განიცდის არგო, ვიდრე ხალხის ენა ათ საუკუნეში. ამგვარად ლარტონ - პური ლარტაფ-ად იქცევა; გელ-ცხენი გეი-დად იცვლება; ფერდანშ - ჩალა ფერტილ-ად, შიკ - საყდარი ხდება ეგრუჟუარ; კოლაბრ – კისერი, კოლს; ჯერ გაჰისტო ერქვა ქაჯს, მერე რაბუენ-ი, მერე ბულანჟე; მღვდელს რატიშორი ერქვა, მერე სანგლიე გახდა. შეუმჩნევლად გარბიან არგოს სიტყვები, როგორც თვით არგოთი მოლაპარაკენი.

ხანდახან, დროგამოშვებით, არგოს ლექსიკონის ამ ცვალებადობისა გამო, ძველი აღდგება ხოლმე და ახლად იქცევა. თავისი სამეფო აქვს და იქ არის მაგრად. ტანპლში XVII საუკუნის არგო მეფობდა, ბისეტში, როდესაც ის საპატიმროდ იყო, არგო ტუნისა, ყოველი სიტყვის ბოლოს ანშ-ის მიმატებით. ეს ასეა, მაგრამ არგოს ენა მაინც ემორჩილება შეუჩერებელი ცვალებადობის კანონს.

თუ მოახერხა ფილოსოფოსმა და წუთით მაინც დასაკვირვებლად თავი მოუყარა ამ მსრბოლ ენას, რომელიც შეუჩერებლად იცვლება, მწვავე, მაგრამ სასარგებლო ფიქრები მოიცავს. არავითარი კვლევა არ იქნება ასე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი. მეტაფორას ვერ ნახავთ არგოში, ან იმის ეტიმოლოგიას, რომელშიც საყურადღებო რამ არ მოიპოვებოდეს. არგოთი მოლაპარაკე რომ იტყვის, - ვცემო, თავს მოვიავადებო, - ამბობს: სცემს ავადმყოფობას. ცბიერებაში არის ამ ხალხის ძალა. არგოსთვის ცნება - ადამიანი განუყრელია ბნელის ცნებისგან. ბნელს, ღამეს სორგ-ს უძახიან და ადამიანს ორგ-ს. ბნელის ნაყოფი არის ადამიანიო.

საზოგადოება მოსისხლე მტრად მიაჩნია ამ ენით მოლაპარაკეს, მის მკვლელ საშინელ ძალად, და ისე ახსენებს განთავისუფლებას ამ დაუნდობელი მტრისგან, როგორც სნეულების შემდეგ განკურნებას. დაპატიმრებული კაცი ამ ენაზე ავადმყოფია; მსჯავრდადებული - მკვდარი.

ყველაზე საშინელი ქვითკირის ოთხ კედელშუა ჩამწყვდეულ ცოცხლად დასამარებული პატიმარისთვის ის არის, რომ იძულებულია მკვდარივით ყინულებრივ უმწიკვლობაში იმყოფებოდეს. და არგოს ენაც საპატიმროს წმინდას ეძახის - კასტუს. ზის უსაქმურად, მარტოდმარტო გულდაწყლულებული და წარმოუდგენელ ნეტარებად ეჩვენება თავისუფლად ცხოვრება. ბორკილი ადევს ფეხებზე; იქნებ გგონიათ, იმას ოცნებობს, რომ გავა და სიარულს შეძლებს? არა, სულ იმას ფიქრობს, რომ გავა და იცეკვებს, თუ შეძლო და მოახერხა ბორკილის გაჭრა. ის უხარია პირველ ყოვლისა, რომ ახლა კი გაჰკრავს საქეიფოდ. ბორკილის გასაჭრელად ქლიბს რომ ხმარობს, იმას ქეიფს უწოდებს - ბასტრინგ. სახელწოდება ცენტრი გახლავთ, ღრმა შედარებაა. ყაჩაღს ორი თავი აქვს. ერთი უფიქრდება ცხოვრებას და წინ უძღვის, სანამ ცოცხალია; მეორე ის არის, კისერზე რომ აბია სიკვდილის დროს; პირველს, რომელიც ბოროტებას ურჩევს, ჰქვია სორბონი და მეორეს, რომელიც ისჯება პირველის ავკაცობის გამო, კუნძი - ტრონშ. როდესაც ადამიანს აღარაფერი შერჩენია, ტანზე ძონძებისა და გულში ბოროტების გარდა, როდესაც იგი დაცემულია როგორც ქონებრივად, ისე ზნეობრივადაც, რის დამახასიათებლადაც არსებობს სიტყვა

„უბადრუკობა“ ორგვარი გაგებით, იმ დროს ეს ადამიანი მზად არის ბოროტმოქმედება ჩაიდინოს და ემსგავსება ორპირიან კარგად გალესილ დანას. ერთი პირი უბედურება არის, მეორე ავკაცობა. ამიტომ არგო მას უბადრუკს კი არა, გალესილს ეძახის - რეგიზე. რა არის კატორღა? კოცონი სასჯელისა, ჯოჯოხეთი; თვითონ კატორღელი კი ფიჩხია დასაწვავი - ფაგო. რა სახელით მონათლა არგოთი მოლაპარაკე ხალხმა საპატიმრო? კოლეგია დაარქვა საპატიმროს. შეიძლება ამ სიტყვიდან მთელი გამასწორებელი სისტემა გამოვიყვანოთ.

ქურდსაც ჰყავს თავისი საკლავი და საძარცვი, - თქვენ, მე, ვინმე, გზაზე გამვლელი - პანტრ - მთელი ქვეყანა, ბერძნული სიტყვიდან პან - ყველა.

გნებავთ გაიგოთ, სად გაჩნდა დიდი უმრავლესობა კატორღელთა სიმღერებისა, რომლებსაც ლექსიკონი ლირნონფა-ს უწოდებს?

ერთი დიდი, გრძელი სარდაფი იყო პარიზის შატლეში. მდინარე სენის დონეზე ორ-ნახევარი მეტრით უფრო ღრმად ჩათხრილი. არც ფანჯარა ჰქონდა ამ სარდაფს, არც სარკმელი. ერთადერთი შესასვლელი ეს იყო - კარი. ადამიანს შეეძლო შიგ შესვლა, ჰაერს კი არა. ჭერად ქვითკირის თაღი ჰქონდა და იატაკად ნახევარი მეტრის სიღრმის ტალახი. ოდესღაც ფილაქნით ყოფილა დაფარული, მაგრამ წყალი ჟონავდა, დამსკდარა და დაშლილა ფილაქანი. ორ-ნახევარი მეტრით მიწისპირს ქვევით ჩაღრმავებულ სარდაფში ერთი უშველებელი ძელი გაედოთ, რომელიც თავით ბოლომდე ორად ჰყოფდა ამ ქვესკნელს. ამ ძელიდან ჯაჭვები ეშვებოდა ძირს; ერთი მეტრის სიგრძისა იყო ჯაჭვები და ერთი და იმავე მანძილით ბოძზე ერთმანეთისგან დაშორებული; ჯაჭვს ბოლოში რკინის საყელურები ება. ამ სარდაფში ამწყვდევდნენ კატორღაში გასაგზავნ პატიმრებს, სანამ ტულონისკენ გაისტუმრებდნენ. ჩარეკავდნენ ამ სარდაფში, ჯაჭვებთან, სადაც სიბნელეში ბრჭყვიალა საყელური ელოდებოდათ, კისერზე ჩამოაცვამდნენ საყელურებს და დაამოქლონებდნენ. მეტად მოკლე იყო ჯაჭვი და დაწოლა არ შეეძლოთ პატიმრებს. იდგნენ უძრავად იმ ჯურღმულში, იმ ბოძის ქვემოდან, თითქოს ჩამოკიდებულნი; იძულებულნი წარმოუდგენელი ძალ-ღონე ეხმარათ, რომ მისწვდომოდნენ როგორმე პურს ან წყლიან ტოლჩას; თავზე შავი თაღი აწვათ, ფეხები ტალახში ედგათ, ბარძაყზე დასდიოდათ თავისივე განავალი, ღონემიხდილნი იყვნენ ასე ტალახში და შესასვენებლად ხელებით ეკიდებოდნენ ჯაჭვს. ძილი მხოლოდ მდგომიარეთ შეეძლოთ და ყოველ წამს აღვიძებდათ რკინის საყელური, რომელიც დახრჩობას უქადდა, ვისაც გულიანად ჩაეძინებოდა, ზოგი არც კი იღვიძებდა და იქვე ესალმებოდა წუთისოფელს. მოშივდებოდა და პურიც იქვე ჰქონდათ, - ტალახში ეგდო; ფეხის ქუსლით უნდა მოეწიათ პური იმდენად, რომ ხელი მისწვდომოდა და აეღო. რამდენ ხანს ეყარნენ იმ სარდაფში? ერთ თვეს, ორს, ხან ექვს თვესაც. ერთმა მთელი წელიწადი დაყო იქ. ეს იყო კარიბჭე კატორღისა, სადაც შეიძლებოდა მოხვედრილიყო ადამიანი, თუ მეფის ნაკრძალში ერთ კურდღელს მოკლავდა. მერე რას აკეთებდნენ ამ ჯოჯოხეთურ აკლდამაში? იმას, რისი გაკეთებაც შეიძლება აკლდამაში: სულს ებრძოდნენ, და იმას, რისი გაკეთებაც შეიძლება ჯოჯოხეთში - მღეროდნენ. ასეა: სადაც იმედი აღარ არის, იქ სიმღერა რჩება ნუგეშად. მალტას რომ მიაღწევდა კატორღელებით სავსე გემი, შორიდანვე ისმოდა მათი სიმღერა და ნიჩბის მოსმის ხმას ჰფარავდა. ქურდულად ტყეში მონადირე სურვენსანი, რომელსაც გაევლო შატელეს სარდაფ-საპატიმრო, ამბობდა, - ლექსები რომ არა,

დავიღუპებოდიო. აი, უსარგებლობა პოეზიისა! რა საჭიროა ლექსი და რითმა? სწორედ ამ სარდაფში იყო გამოთქმული ყველა სიმღერა არგოსი. უმეტესი ნაწილი ამ სიმღერებისა ავბედითია, მაგრამ ზოგი მხიარულიც ურევია. სიყვარულისაც კი არის ერთი:

ტუტკაილი თეატრია,

მოისარი ბალღისა.

ძალიანაც რომ ეცადოთ, ვერა და ვერ აღმოფხვრით ადამიანის გულის იმ ნაშთს, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

ამ ბოროტმოქმედთა სამფლობელოში ამხანაგები არიან ყველანი და ამხანაგის საიდუმლოებას არავინ გასცემს. საიდუმლო საერთო საკუთრებაა, ყველას კუთვნილი. საიდუმლოება ამ განწირულთათვის ფუძე არის ერთობისა. ერთი და იგივეა საიდუმლოების გაცემა და ამ საზარელი ერთობის ყველა წევრის დაღუპვა. ვისიმე დაბეზღება ამ წრეში ითქმის სიტყვებით - ნაჭერი შეჭამაო, თითქოს ყველას თითო ნაჭერს ჩამოსჭრის დამბეზღებელი და ისე იკვებება თავისივე ამხანაგების ხორცით.

რა არის სიტყვა - სილა გაჰკრეს კაცსო? ამ კითხვის პასუხად გაცვეთილი მეტაფორა ამბობს - ოცდაცამეტი შანდალი დაანახვეს კაცსო; - მაგრამ არგო ერევა საქმეში და ამბობს, - შანდალი კი არა, კამუფლე აჩვენესო, ცხვირში კვამლი შეუბოლესო. ამის გამო ჩვეულებრივი ჩვენი ენა, სილის სინონიმად ხმარობს კამუფლეს. ერთგვარი შეღწევის ძალით ქვემოდან ზევით ადის სიტყვა, მეტაფორა. აურაცხელ მანძილს გაივლის, ქვესკნელიდან აკადემიაში შედის და ვოლტერის კალამსაც კი მიაღწევს.

არგოს გამოკვლევის ყოველ ნაბიჯზე ახალ აღმოჩენას წავაწყდებით. შესწავლა და გაღრმავება ამ უცნაური ენისა მიგვიყვანს იმ საიდუმლო მიჯნასთან, რომლისგანაც დაკანონებული საზოგადოებრივი წესწყობილება გადადის კანონის მიერ დაგმობილში.

არგო არის სიტყვა, კატორღელად გარდაქმნილი.

გული უკვდება მკვლევარს, როცა დარწმუნდება, რომ ადამიანის აზროვნების ნიჭი შეიძლება ასე ღრმად იყოს მიწაში ჩამარხული; რომ იქაც, იმ სიღრმეშიც შეიძლება დევნილი იყოს და ხელშეკრული ბედისწერის მტარვალთაგან და ჯაჭვით დაბმული უფსკრულში.

ოჰ, განწირული ადამიანის დაჩაგრულო აზროვნებავ!

და ნუთუ არავინ მიეშველება ადამიანის სულს, ამ წყდიადში ჩავარდნილს? ნუთუ ის უწერია ბედად, რომ იქ იყოს და მარად ელოდეს თავის გამათავისუფლებელს, პეგასებისა და ჰიპოგრიფების ძლიერ მხედარს. ალიონისფერ მებრძოლს, რომელიც ციდან ჩამოფრინდება ფრთებით მოსილი, სხივოსანი რაინდი მომავლისა? ნუთუ საუკუნოდ ამაოდ უნდა მოუწოდებდეს იგი იდეალის სხივმოსილ მხსნელ შუბს? ნუთუ განწირულია იჯდეს ბოროტების ღრმა მორევში და თავისი თვალით ხედავდეს უფრო და უფრო ახლო, თავის გვერდით, წუმპე წყლის ქვეშ, გველეშაპთა ქვეყანას, პირდაღრენილ ურჩხულებს და მახვილბრჭყალებიან გველეშაპებს? ნუთუ იქ უნდა ეგდოს სულ უმცირეს სინათლეს მოკლებული, იმედმიხდილი, იმ ავსულთა მსხვერპლად, და თრთოდეს, გული სწყდებოდეს, ხელებს იმტვრევდეს საუკუნოდ მიჯაჭვული წყდიადის კლდეზე, დაღვრემილი ანდრომედა თეთრი თავისი სიშიშვლით ამ სიბნელეში?

## თავი მესამე
## არგო ტირის და არგო იცინის

როგორც ხედავთ, მთელი არგო, არგო ამ ოთხასი წლის წინანდელი და არგო დღევანდელი გაჟღენთილია ერთგვარი სიმბოლური სულით, რომელიც ყველა სიტყვას აძლევს ხან მწუხარე და ხან მრისხანე იერს. ცხადად გრძნობთ საზარელ მწუხარებას ძველი დროის იმ მაწანწალებისას, რომლებიც განსაკუთრებული ქაღალდით თამაშობდნენ ბანქოს. ამ ქაღალდს ჩვენამდე მოუღწევია. ჯვრის რვიანზე, მაგალითად, გამოსახული იყო ერთი დიდი ხე, რომელსაც რვა იონჯის ფოთოლი ჰქონდა და ერთგვარი ფანტასტიკური განსახიერება ტყისა; ხის ძირში ცეცხლი ენთო და სამი კურდღელი ეხატა, რომლებიც შამფურზე სწვავდნენ მონადირეს; უკან კიდევ სხვა ცეცხლი ენთო, ზედ ქვაბი დუღდა და ქვაბიდან ჩანდა ზევით ამოწეული მეძებრის თავი. საშინელება იყო ეს თვალბედითი გამოხატულებანი სათამაშო ქაღალდზე. კოცონები კონტრაბანდისტების დასაწვავად და მდუღარე ყალბი ფულის მჭრელთათვის. სხვადასხვაგვარად გამოთქმულ აზრს არგოს სამეფოში, აგრეთვე სიმღერას, ხუმრობას და მუქარასაც - ყველა ამას უილაჯობისა და უიმედობის ბეჭედი აზის. ყველა სიმღერა, რომლის კილოსაც ჩვენამდე მოუღწევია, საცოდავია და სატირელი. ქურდების ბრბო „საბრალო ქურდებად“ ასახელებს თავის თავს; ბედკრული - ეს კურდღელია, რომელიც ყოველთვის იმალება; თაგვია, რომელიც ყველას გაურბის; ფრინველია, რომელიც ახლოს ვერაფერს ეკარება გულგახეთქილი; მოთხოვნით ვერას მოითხოვს; თუ უნდა რამე, კვნესით გამოთქვამს. ერთმა ამგვარმა კვნესამ ჩვენამდეც მოაწია:

„ვფიქრობ და ვერ გამიგია, როგორაა, რომ ღმერთი, მამა ყოველი ადამიანისა, ასე აწამებს შვილებს და შვილიშვილებს? როგორ უძლებს მისი გული ამდენ გოდებას და თვითონაც არ ატირებდა?“

როდესაც კი შემთხვევას იპოვის და ცოტათი მაინც მოცლილია, რომ ჩაფიქრდეს ეს განწირული, თავს იკნინებს კანონის წინაშე და თავს ისუსტებს საზოგადოების წინაშე; პირქვე დაეცემა ან მუხლს მოიყრის, ევედრება და იქით მიიწევს, საიდანაც შეწყალებას მოელის. ცხადად ეტყობა, რომ დამნაშავედ გრძნობს თავს.

უკანასკნელი საუკუნის ნახევრიდან დიდი ცვლილება მოხდა. საპატიმროების სიმღერებსა და ქურდების ლექსებს მხიარული და თავხედური ტონი ჩაერია. ცრემლიან „მატურეს“ მხიარული „ლარიფლა“ მოჰყვა. XVIII საუკუნეში კატორღელთა და საპატიმროების თითქმის ყველა სიმღერაში რაღაც უცნაური ქაჯური მხიარულებაა ჩარეული. სიმღერაში გაისმის ყურთასმენის წამღები და როკვიანი ჩანართი, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებოდა და ტყეში შეეგდოს სიხარულით გაგიჟებულ მესტვირეს. აი, ეს ჩანართიც:

მირლიაბაბი, სურლიაბაბო,
მირლიტონ, რიბონ რიბეტ,
სურლიაბაბი მირლიაბაბო,
მირლიტონ რიბონ რიბო!

ამ უაზრო ჩანართით ავსებდნენ ყაჩაღები სიმღერას, როდესაც კაცს ჰკლავდნენ სადმე მიყრუებულ სახლში ან ტყის პირას.

შესანიშნავია ეს ცვლილება. XVIII საუკუნეში ამ პირქუში კლასის ანტიკური მელანქოლიურობა იფანტება. სიცილი ისმის ტირილის მაგივრად. მასხრად იგდებენ დიდებულ მთავრობასაც და ბურჟუასაც. ლუი XV-ს მიამსგავსეს მეფე და სახელად „ხელით სატარებელი“ უწოდეს. გამხიარულდა არგო, პატარა მკრთალი სინათლე დაეწყო ამ განწირულთ, თითქოს აღარაფერი აწვათ სინდისზე, საბრალო წამებული ბრბო ბნელეთისა თუ აქამდე თავგანწირულ ვაჟკაცობას ამჟღავნებდა, ახლა უკვე ვაჟკაცურად უდარდელნი გამხდარან. ეს არის იმის ნიშანი, რომ მათ დაუკარგავთ გრძნობა დამნაშავეობისა და მოაზროვნეთა და მეოცნებეთა შორის რაღაც თანაგრძნობაც უპოვიათ. ესეც ნიშანი არის იმისი, რომ ქურდობა და ძარცვა ნელ-ნელა შეპარულა საზოგადოებრივი მსჯელობის დებულებებსა და სოფიზმებში. ამით, ასე ვთქვათ, დაუკარგავს თავისი საზიზღრობის ნაწილი. ეს იმის ნიშანიც არის, რომ თუ მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოჩნდა ახლო მომავალში, შეიძლება გასაოცარი აყვავების მოწამენი გავხდეთ.

ერთ წამს გავჩერდეთ. ვის ვდებთ ბრალს ამაში? XVIII საუკუნეს? მის ფილოსოფიას? რა თქმა უნდა, არა! XVIII საუკუნის ღვაწლი წმინდაა და სასიკეთო. ენციკლოპედისტები და მათი მოთავე დიდრო, ფიზიოკრატები და მათი მოთავე ტურგო, ფილოსოფოსები და მათი მოთავე ვოლტერი, უტოპისტები და მათი მოთავე რუსო შეადგენდნენ ოთხ წმინდა ლაშქარს. მათი წყალობით იყო, რომ ასეთი დიდი მანძილი განვლო წინ კაცობრიობამ განათლებისკენ. ეს იყო ოთხი წინმავალი ლაშქარი კაცობრიობისა, რომლებიც პროგრესის ოთხი მთავარი მხარისკენ მიეშურებოდა: დიდრო - მშვენიერების, ტურგო - სასარგებლოს, ვოლტერი - ჭეშმარიტებისა და რუსო - სამართლიანობისკენ. მაგრამ ფილოსოფოსებთან ერთად, ან მათ ქვემოდან, სოფისტები იყვნენ, შხამიანი ნაბარტყი, რომელიც შერეოდა ჯანსაღ მცენარეულობას. საწამლავი მცენარე მათოთი უღრან ტყეში. და იმ დროს, როდესაც სასამართლოს მთავარ კიბეზე ჯალათი წვავდა იმ დროის მოწინავე განმათავისუფლებელი მიმართულების მწერლობის წიგნებს, დღეს დავიწყებული მწერლები ბეჭდავდნენ მეფის წყალობით თავის, ასე ვთქვათ, თხზულებებს, გასაოცარი არეულობის შემტანს განწირულთა ცხოვრებაში. ისინი კი ხარბად ეწაფებოდნენ ამგვარ ნაწარმოებებს. ზოგი რამ ამ თხზულებათაგანი, რომელსაც მფარველობას უწევდა მეფის გვარეულობა, - აღვნიშნოთ ეს უცნაური დეტალი, - ჯერაც მოიპოვება „საიდუმლო ბიბლიოთეკაში“. ამგვარი სხვაც ბევრი იყო, ღრმა მნიშვნელობისა, მაგრამ საიდუმლოებით მოცული, რაც შეუმჩნევლად რჩებოდა ცხოვრების ზედაპირისთვის. საშიშროებას რაიმე განზრახვისას სწორედ მისი საიდუმლოება წარმოადგენს; ბნელია, რადგან ქვესკნელისაა. ამ მწერალთაგან ყველაზე ღრმა და მავნე ხვრელი ხალხში რეტიფ დე-ლა-ბრეტონმა გააპო.

ყველაზე მეტად გერმანიაში გავრცელდა ეს მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ მთელ ევროპას მოედო. გერმანიაში იყო დრო, რომლის სურათიც შილერმა მოგვცა თავის სახელოვან „ყაჩაღებში“, ქურდობა და ძარცვა აღიარებული იყო საკუთრებისა და შრომის საწინააღმდეგო პროტესტად. ამის საფუძველზე ქადაგებდნენ ზოგ ელემენტარულ კეთილსაჩინო, მაგრამ ყალბ იდეას, რომლებიც თითქოს სიმართლეს აღუთქვამდნენ, მაგრამ არსებითად მცდარი და უაზრონი იყვნენ. ამგვარ იდეებს ეფარებოდნენ, თითქოს ითქვიფებოდნენ კიდევაც მათში, განყენებულ აზრად ქმნიდნენ, ერთგვარ თეორიად და ავრცელებდნენ მუშა ხალხში, ტანჯულ პატიოსან

მასაში. ამისი არაფერი იცოდა არც ამ წამლის შემზავებელმა, არც იმ ხალხმა, რომელიც მით ლამობდა განკურნებას. ამგვარად მომხდარი რამ თავისთავად მნიშვნელოვანია. ტანჯვა-ვაება წარმოშობს გულისწყრომას; და იმ დროს, როდესაც კეთილდღეობაში მყოფი კლასები თვალდახუჭულნი არიან, ან ტკბილად სძინავთ, - ძილიც თვალის დახუჭვას მოასწავებს, - დაჩაგრულთა კლასების სიძულვილი აანთებს ჩირაღდანს ვინმე განწირულის ან ბიწიერის კოცონზე, რომელიც ოცნებობდა სადმე მიკუნჭული და ამ სინათლეზე იწყებს საზოგადოების მხილებას. ამგვარი გულისწყრომის მხილება საშინელებას წარმოადგენს.

აქედან წარმოდგება, თუ ჟამთა ავბედობამ ინება, ის საზარელი შერყევა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელსაც ოდესღაც ჟაკერიას უწოდებდნენ. ჟაკერიასთან შედარებით ბავშვის ცელქობას წარმოადგენს ყოველი წმინდა პოლიტიკური მოძრაობა. აქ ჩაგრულის ამხედრება როდია მჩაგვრელის წინააღმდეგ, არამედ გაჭირვების ამხედრება კეთილდღეობის წინააღმდეგ. მაშინ არის, რომ ინგრევა ქვეყანა.

ნამდვილი ხალხისძვრა არის ჟაკერიასებური მოძრაობა.

ამგვარ დაღუპვას, რომელიც, ვინ იცის, აუცილებლად მოელოდა ევროპას XVIII საუკუნის დამლევს, მთლად შეუშალა ხელი მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციამ, ამ პატიოსნების თვალგადაუწვდენელმა დაუვიწყარმა ქმედებამ.

საფრანგეთის რევოლუციამ, რომელიც მახვილით შეიარაღებულ იდეალს წარმოადგენდა, ერთი დაკვრით ჩაუკეტა კარი ბოროტებას და კარი გაუღო სიკეთეს.

საფრანგეთის რევოლუციამ გამოარკვია საკითხი, გამოაქვეყნა ჭეშმარიტება, განდევნა ჭირი, გააჯანსაღა საუკუნე და დააგვირგვინა ხალხი.

შეიძლება ვთქვათ, რომ საფრანგეთის რევოლუციამ ხელმეორედ გააჩინა ადამიანი, და მეორე სულიც ჩაუდგა, - უფლება.

XIX საუკუნე მემკვიდრეობს და სარგებლობს ამ რევოლუციის ღვაწლით და დღეს ყოვლად შეუძლებელია ის საზარელი რყევა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ეს-ეს არის დავასახელეთ. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ იწუნებდეს საფრანგეთის რევოლუციას! ბრიყვი უნდა იყოს, რომ ეშინოდეს მისი! საფრანგეთის რევოლუცია აცრად გამოადგა ხალხს, რომ ჟაკერია აღარ შეჰყროდა.

რევოლუციის წყალობით შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ფეოდალური და მონარქიული ჭირისგან საბოლოოდ განვკურნეთ ჩვენი სისხლი. შუა საუკუნეებისა აღარაფერი მოიპოვება ჩვენს კონსტიტუციაში. უკან დავტოვეთ უკვე ის დრო, როდესაც ჩვენს მშვიდობიანობას არღვევდა შეუწყვეტელი მღელვარება, როდესაც ფეხქვეშიდან ისმოდა მიყრუებული ჩოჩქოლი და ცივილიზაციის ზედაპირს არყევდა უცნაური ზეწევა თხუნელების სოროებისა; უკან დავტოვეთ ის დრო, როდესაც სკდებოდა დედამიწა, მოჩანდა ძირი მღვიმეებისა და ბნელიდან უცბად ამოშვერილი ურჩხულთ თავები.

რევოლუციური გრძნობა ზნეობრივი კატეგორიისა გახლავთ. როცა განვითარდება გრძნობა უფლებისა, ის თავის მხრივ განავითარებს გრძნობას მოვალეობისას. ყველას კუთვნილებაა კანონი თავისუფლებისა, რომელიც ისპობა იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება, თანახმად რობესპიერის საგანგები განმარტებისა. 89 წლის შემდეგ განათლდა მთელი ხალხი. ღარიბს ვეღარსად ნახავთ, რომ თავისუფლებით აღჭურვილს არ ახსოვდეს თავისივე ღირსება. შიმშილით დაუძლურებულსაც კი უდევს

გულში პატიოსნება საფრანგეთისა; მოქალაქეობრივი ღირსება შეადგენს მის შიდა იარაღს; ვინც თავისუფალია, ის კეთილსინდისიერიც არის. მეფობს ის, ვინც თავის აზრს გამოთქვამს. აქედან უანგარობა, აქედან მოსპობა საზოგადოებისთვის მავნებელი წადილისა; აქედან გმირულად დახრილი თვალი ცდუნების წინაშე. რევოლუციური გაჯანსაღება უდრის თავისუფლების მოპოვების დღეებს: 14 ივლისის, 10 აგვისტოს. მან მოსპო ბრბო. და როცა განათლდება და განდიდდება ხალხი, პირველ ყოვლისა დაიყვირებს, - სიკვდილი ქურდებს! პატიოსანი კაცი არის პროგრესი, უბრალო ფარატინად კი არ მიაჩნია იდეალი და აბსოლუტი. ვინ მისდევდა დარაჯად 1848 წელს ფურგონებს, რომლებთაც ტუილერის სასახლის განძი მიჰქონდათ? სენტ-ანტუანის უბნელი ნაგავში ჩვრების მკრები ღარიბ-ღატაკნი. ჩვარი გაჰყოლოდა დარაჯად თვალ-მარგალიტს, სათნოებამ გააბრწყინა ეს შიშველ-ტიტველნი! ბევრი ყუთი იყო ამ ფურგონებში ოდნავ დაკეტილი, ზოგი სულაც ღია, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ნივთებით სავსე; ასობით ელაგა შიგ ძვირფასი განძეული და იქვე იყო საფრანგეთის ძველი გვირგვინი, თვალ-მარგალიტით მორთული, სამეფოს ანქვითით დამშვენებული, რომელიც ოცდაათ მილიონად ღირდა. მცველებად მისდევდნენ ამ გვირგვინს ფეხშიშველები.

მაშ, შიში აღარა გვაქვს ჟაკერიისა, რაც სამწუხარო უნდა იყოს გერგილებისთვის. ვეღარ გამოიყენებენ ძველებურად ხალხის დაშინებას, მეტადრე პოლიტიკაში. დღეს თვალხილულია ყველა. აღარავის აშინებს დღეს საფრთხობელა. არხეინად სხედან ზედ ჩიტები, რწყილიყარია ბუდობს შიგ და სიცილით შესცქერის მას ბურჟუა.

## თავი მეოთხე
## ორი ვალდებულება: სიფხიზლე და იმედიანობა

ეს ასე, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განდევნილი გვაქვს ყოველი საზოგადოებრივი საშიშროება? რა თქმა უნდა, არა. ჟაკერია აღარ მოგველის; ამ მხრივ შეიძლება გულდამშვიდებული იყოს საზოგადოება; გულს აღარ გაუხეთქავს ამგვარი სისხლის ღვრა, მაგრამ იმას კი უნდა ცდილობდეს, რომ გამოასწოროს თავისი სუნთქვა. აპოპლექსური წვეთი მოსალოდნელი აღარ არის, მაგრამ ჭლექი კი ახლოა. საზოგადოების ჭლექი არის გაჭირვება.

ადამიანს მარტო მეხი კი არა, ავადმყოფობაც კარგად კლავს.

დაუღალავად უნდა გავიძახოდეთ შემდეგ: პირველ ყოვლისა უნდა ვზრუნავდეთ გაჭირვებულ, დამცირებულ ხალხზე, შევუმსუბუქოთ ვაებით მოწამლული სიცოცხლე, წმინდა ჰაერი ვაღირსოთ, გავანათლოთ, შევიყვაროთ, გადავუშალოთ გაფართოებული დიადი ჰორიზონტი, ყოველგვარი საშუალებით მივაწოდოთ სწავლა, თვალწინ წავუყენოთ მაგალითი შრომისა, ავაცდინოთ მაგალითი ცუდკაცობისა, შევამციროთ ინდივიდის ტვირთის სიმძიმე და ამისთვის შევაგნებინოთ მიზანი საყოველთაო კეთილცხოვრებისა, შემოვფარგლოთ სიღარიბე სიმდიდრის შემოუფარგლავად, მოვაწყოთ ფართო ასპარეზი საზოგადო სახალხო წარმოებისა. ბრიარესავით ასი ხელი გამოვიბათ, რომ ყოველმხრივ ვეხმარებოდეთ სუსტსა და ტვირთმძიმეს, საერთო ძალა მოვიხმაროთ და ავასრულოთ ჩვენი დიდი მოვალეობა, გავხსნათ სახელოსნოები, რომ ყოველ მუშახელს ჰქონდეს საქმე, გავხსნათ სასწავლებლები ყოველგვარი მიდრეკილებისა და ნიჭისთვის, ლაბორატორიები

ყოველგვარი ცოდნისთვის, გავუდიდოთ ხელფასი, შევუმციროთ შრომა, მოვაწესრიგოთ შემოსავალ-გასავალი, ესე იგი გავახაროთ ადამიანი მისი შრომის მიხედვით და დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილების მიხედვით; ერთი სიტყვით, გამოვაღებინოთ საზოგადოებრივ წყობილებას მეტი სინათლე და მეტი კეთილდღეობა იმათ სასარგებლოდ, ვინც იტანჯება და უვიცია. აი, ამაში მდგომარეობს უპირველესი ძმური მოვალეობა, რასაც თავის დღეში არ ივიწყებენ კეთილი სულები. აი, ეს შეადგენს, - დაე იცოდნენ ეგოიზმით გულგაქვავებულებმა, - აუცილებელ და დაუყოვნებელ პოლიტიკურ საჭიროებას.

და ისიც ვიცოდეთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია; ნამდვილი გადასაჭრელი საკითხი არის შემდეგი:

არ შეიძლება სავალდებულო გახადოთ შრომა, თუ ჯერ უფლებად არ გახადეთ.

ამაზე არ შევჩერდებით, აქ ამ საკითხის ადგილი არ არის.

თუ ბუნებას განგებას უწოდებენ, საზოგადოებას წინდახედულობა უნდა ეწოდებოდეს.

გონებრივი და ზნეობრივი ზრდა და განვითარება არანაკლებ საჭიროა, ვიდრე ქონებრივი კეთილდღეობის მიღწევა. ცოდნა მიზნის მიღწევის საშუალებაა. ფიქრი - პირველი საჭიროების საგანია და ჭეშმარიტება საზრდოა, როგორც პური. თუ გონებას დააკლდება ცოდნით კვება, მალე დამჭლევდება. გვეცოდებოდეს როგორც დამშეული სტომაქი, ისე დამშეული გონებაც: თუ არის რამე უფრო საზარელი, ვიდრე შიმშილით მომაკვდავი ადამიანი, რომელსაც ლუკმაპური ვერ უშოვია, ეს გახლავთ შიმშილით მომაკვდავი სული, რომელსაც სინათლე არ ღირსებია.

იმას ცდილობს მთელი პროგრესი, რომ გამოსავალი იპოვოს. მოვა დრო და განცვიფრებული შეხვდება მას კაცობრიობა. კაცობრიობის ზრდასთან ერთად მიწის ჯურღმულის ფენებიც ბუნებრივად გამოსცილდებიან სასოწარკვეთილების ფარგლებს. მხოლოდ ცხოვრების საერთო დონის ამაღლება წაშლის გაჭირვებას.

დალოცვილია საკითხის ამგვარი გადაწყვეტა. შეცდება, ვისაც ეჭვი შეეპარება.

მართალია, ჩვენს დროში ჯერ ისევ მძლავრობს წარსული; იგი თავისას მოითხოვს. განსაცვიფრებელია ეს გაყმაწვილება მკვდრისა. აგერ დადის, აქეთ მოდის; გამარჯვებულს ჰგავს: დაპყრობას გვიქადის მკვდარი. მოდის და თან ახლავს თავისი ლაშქარი - ცრუმორწმუნეობანი; თან აქვს თავისი ფარ-ხმალი - მტარვალობა; თან აქვს თავისი დროშა - ხალხის დაბრმავება და უვიცობა; რამდენიმე ხნის განმავლობაში ათ ბრძოლაში დარჩა გამარჯვებული. მოდის, მოიწევს, გვემუქრება, იცინის, ჩვენს კარს მოადგა. მაგრამ ნუ შევუშინდებით. სასოწარკვეთილებას ნუ მივეცემით. შეგვიძლია გავყიდოთ ის ველი, სადაც დაბანაკებული იყო ჰანიბალი.

ვისაც სწამს, მას შიში ვერ მოერევა.

როგორც მდინარე ვერ წავა უკან, ისე იდეა.

მაგრამ უნდა დაფიქრდნენ ისინიც, ვისაც არ მოსწონს ეს მომავალი. პროგრესს რომ შესძახიან - არ გვინდიხარო! - ამით მომავალს კი არა, თავის თავს უარყოფენ; ისინი რაღაც შავ სენს მისცემიან, წარსულს იცრიან. ერთადერთი გზა აქვს ადამიანს, რომელსაც უარი უთქვამს ხვალინდელ დღეზე: - დღესვე მოკვდეს.

ადამიანს კი სიცოცხლე სწყურია, - რაც შეიძლება გვიანი სიკვდილი ხორციელი, და მარადი უკვდავება სულიერი.

დიახ, გამოცანა გამოცნობილი იქნება, ხმას ამოიღებს სფინქსი, ამოცანა ამოიხსნება. დიახ, ხალხის ზრდა, დაწყებული XVIII საუკუნეში XIX საუკუნეში დამთავრდება. რეგვენი თუ იქნება ვინმე, რომ ეს არ სწამდეს.

ბრწყინვალე მომავლის მოახლოება, საყოველთაო კეთილდღეობის განხორციელება, ღვთაებრივ აუცილებელი მოვლენა!

ადამიანთა ცხოვრებას განაგებს ძლიერი წნევა გარემოებათა შეერთებისა, და საჭირო დროის გასვლის შემდეგ მიიყვანს ლოგიკურ მდგომარეობამდე. ესე იგი შექმნის წონასწორობას, ესე იგი სამართლიანობას. არსებობს ძალა, მიწისა და ზეცისგან შემდგარი, ნაყოფი კაცობრიობისა, და ეს ძალა განაგებს კაცობრიობას; ეს ძალა არის სასწაულმოქმედი და ისევე ადვილად, საკვირველად იცის საკითხის გადაწყვეტა, როგორც არაჩვეულებრივი ამბების დატრიალება. ამ ძალას ერთი მხრივ მეცნიერება ეხმარება, რომელიც ადამიანის მიერ არის შექმნილი, მეორე მხრივ მრავალი სხვა შემთხვევა, ის ყურადღებასაც არ აქცევს მის წინაშე წამოჭრილ გადამწყვეტი საკითხების შეუთანხმებლობას, რომლებიც შეუძლებლად ეჩვენება ხალხს. ეს ძალა ისევე ხელოვნურად ახერხებს აზრთა დაპირისპირების საშუალებით დასკვნის გამოტანას, როგორც მეცნიერება ფაქტების დაპირისპირებით. ამიტომ ყველაფერს უნდა მოველოდეთ პროგრესის ამ იდუმალი ძლიერებისგან, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს პირისპირ წაუყენებს ერთმანეთს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, რომელიმე საფლავის სიღრმეში, ან იმამებს შეაკამათებს ბონაპარტთან დიდ პირამიდში.

და ამ ბრწყინვალე მომავლის მოლოდინში ნურც გაჩერება, ნურც ყოყმანი, ნურც დროის დაკარგვა გონებრივი განვითარების დიდებულ წინსვლაში! საზოგადოებრივი ფილოსოფია ძირითადად მეცნიერება არის და მშვიდობიანობა; ამ ფილოსოფიას მიზნად აქვს და უნდა ჰქონდეს შედეგად უთანხმოებათა შესწავლით მტრობის მოსპობა. ეს ფილოსოფია არის, რომ ირკვევს, იკვლევს, ანალიზს უკეთებს და მერე აწარმოებს შეკავშირებას. მოკვეცის გზით იღვწის და შურსა და სიძულვილს აცლის ყველაფერს.

ხშირად მომხდარა, ხალხს ღუპავდა ქარიშხალივით მოულოდნელი უბედურება. ისტორია სავსეა ხალხებისა და სახელმწიფოების დაღუპვის ამბებით. წამოუვლის ერთ მშვენიერ დღეს უცნობი ქარიშხალი და თან წალეკავს ყველაფერს: ზნე-ჩვეულებათ, კანონებს, სარწმუნოებას; ინდოეთის, ქალდეის, სპარსეთის, ასირიის, ეგვიპტის ცივილიზაცია გაქრა ერთიმეორის მიყოლებით. რად გაქრა? არ ვიცით. რა იყო მიზეზი ამ საზარელი უბედურებისა? არც ეს ვიცით. შეიძლებოდა თუ არა ამ საზოგადოებათა განსაცდელისგან გადარჩენა? თავიანთი ბრალი ხომ არ იყო, რომ დაიღუპნენ? იქნებ ბიწიერება სჭირდათ რამე, ხალხის გამხრწნელი, და იმან მოუღო ბოლო? რამდენად დიდი იყო თავისკვლა ამ თაობებისა და მთელი ერების საშინელ ბედისწერაში? პასუხი არა აქვს ამ კითხვებს. ბნელი დასწოლია განწირულ ცივილიზაციებს. ალბათ წყალს აგუბებდნენ, რომ შიგ ჩაიხრჩვნენ. ჩვენ ამის მეტს ვეღარაფერს ვიტყვით. ერთგვარი ძრწოლით ჩავცქერით იმ ზღვის ძირს, რომელსაც წარსული ჰქვია; ამ უზარმაზარ ზვირთებში - საუკუნეებში ჩაძირულან დიდებული ხომალდები, - ბაბილონი, ნინევია, თებე, რომი, იმ საზარელი ქარიშხლისგან, რომელიც გამოქრის ბნელეთის ყოველი უფსკრულიდან. მაგრამ ბნელეთი იქ იყო და აქ, ჩვენ წინ სინათლეა. წინანდელი ცივილიზაციების დაავადებისა არაფერი ვიცით, და ჩვენს სატკივარს კი კარგად

ვიცნობთ. ჩვენ ხელთა გვაქვს უფლება სინათლის მოფენისა ცხოვრების მიმდინარეობაზე; შევხარით მის მშვენიერებას და ვამჟღავნებთ მის სიმახინჯეს. თუ დაავადებული აქვს რამე, მაშინვე ზონდვას დავუწყებთ; და რაკი აღმოჩენილია სენი, მიზეზების გამოკვლევას განკურნების საშუალების აღმოჩენაც თან მოსდევს. ჩვენი ცივილიზაცია ნაყოფია ოცი საუკუნისა. ერთსა და იმავე დროს საკვირველებაც არის და საშინელებაც. ღირსია, რომ გადაურჩეს ყოველგვარ განსაცდელს, და გადაურჩება კიდეც. ძალიან კარგი, შევუმსუბუქოთ ხალხს გაჭირვება, და კიდევ უკეთესი, გავანათლოთ. თანამედროვე სოციალური ფილოსოფიის ყველა ნაშრომს ერთადერთ მიზნად უნდა ჰქონდეს ეს დებულება. დღევანდელ მეცნიერს ერთი დიდი მოვალეობა აწევს: შეიტყოს ცივილიზაციის მაჯისცემა.

ვიმეორებთ, მაჯის შეტყობა შემატებს მხნეობას და ამ მხნეობის აუცილებლობის ხაზგასმით გვინდა დავასრულოთ ეს რამდენიმე ფურცელი, მძიმე დრამის სასტიკი შესავალი.

სახელმწიფო შეიძლება დაიღუპოს, მაგრამ კაცობრიობა კი არ იღუპება. შეიძლება აქა-იქ ნაპრალი ჰქონდეს დედამიწას, ცეცხლისმფრქვეველი მთები, ჩამქრალი ვულკანები, ამისდა მიუხედავად, ის არ იღუპება. ხალხთა სნეულებანი ვერ გაანადგურებს კაცობრიობას.

მიუხედავად ამისა, ვინც თვალყურს ადევნებს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობას, თავს ქინდრავს ხშირად, ულმობიერესთ, ლოგიკით შეიარაღებულთაც კი მოერევათ დროებითი სისუსტე.

გვეღირსება კი ის ბრწყინვალე მომავალი? იმდენ ბნელ საშინელებას ვხედავთ, რომ ბუნებრივია ამ კითხვის აღძვრა. ეგოისტები და განწირულნი ქმნიან ამ საშინელებას. ეგოისტი ცრუმორწმუნეობით, მდიდრულად აღზრდის შეცდომებით, უძღები მადით, სიმდიდრის გაღმერთებით, რომელიც გულს უქვავებს კაცს, ტანჯვის შიშით, რომლის გამოც ეგოისტი ზიზღით უყურებს ტანჯულს და თვითკმაყოფილების გრძნობით, რაც უხშობს მას სინდისის ხმას. განწირულნი - სიხარბით, შურით, ბრაზით სხვისი დამტკბარ სიცოცხლისადმი, სიძულვილით, მასში გაღვიძებული ადამიანი-მხეცის სიბნელით სავსე გულით, მწუხარებით, გაჭირვებით, ავბედისწერით, ბინძური, მაგრამ უბრალო უვიცობით.

საჭიროა განვაგრძოთ სასოებით ცისადმი ცქერა? იქ რომ ელვარე შუქს ვხედავთ, ნუთუ იმასაც მოელის სხვებსავით ჩაქრობა? გულსაკლავი სანახავია იდეალი, ასე ჩამალული სადღაც სიღრმეში, პატარა, განცალკევებული, ძლივს დასანახი, ელვარე, მაგრამ გარშემორტყმული ავი მუქარით. გულსაკლავი სანახავია, მაგრამ შიში არაფრისა აქვს, როგორც ვარსკვლავს ცაზე, ღრუბლებით შემოზღუდულს.

## წიგნი მერვე
## აღტაცება და მწუხარება

### თავი პირველი
### სრული ბედნიერება

მკითხველი მიხვდებოდა, რომ მანონმა საპატიმროდან გადმოსროლილი ცნობის მიღებისთანავე ეპონინი გაგზავნა პლუმეს ქუჩის განცალკევებული სახლის

დასაზვერად. ეპონინმა იცნო ამ სახლის მდგმური, ჩამოაშორა ამ სახლს ქურდები და მერე მარიუსი მიიყვანა. რამდენიმე დღე ამ სახლსა და ბაღს შეჰხაროდა მარიუსი ქუჩიდან, მიზიდული იმ ძალით, რკინას რომ იზიდავს მაგნიტი და შეყვარებულს ის ქვები, რომლითაც აგებულია მისი სატრფოს სახლი. მერე კი კოზეტის ბაღში შევიდა, როგორც რომეო ჯულიეტას ბაღში. ბაღში შესვლა მარიუსისთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე რომეოსთვის; რომეო იძულებული გახდა კედელზე ამძვრალიყო, მარიუსმა კი ოდნავ შეარხია მოაჯირი, რომელიც ისე ფამფალებდა, როგორც ბებრუცუნას კბილები, და შესასვლელი მოიწყო. გამხდარი იყო მარიუსი და ადვილად შეძვრა.

ქუჩაში ღამით არავინ დადიოდა. მარიუსი ღამით შედიოდა ბაღში და არავითარი შიში არ ჰქონდა, რომ ვინმე დაინახავდა.

იმ კურთხეული და წმინდა წამის შემდეგ, როდესაც ერთმა კოცნამ შეაერთა ეს ორი სული, მარიუსი ყოველ საღამოს მიდიოდა კოზეტის სანახავად. სიცოცხლის იმ დროს რომ კოზეტს მარიუსი კი არა, სხვა შეჰყვარებოდა, კეთილსინდისიერებით სუსტი და ვნებათა ამყოლი, უთუოდ დაიღუპებოდა საწყალი ქალი. ხშირია გულკეთილი ქალი, რომელიც ადვილად ემორჩილება თავისი ტრფიალის სურვილს, და კოზეტიც სწორედ ერთი მათგანი იყო, დიდსულოვანია ბუნებით ქალი და ამის ნაყოფია მისი სისუსტე. იმ სიმაღლეს რომ მიაღწევს სიყვარული, სადაც სხვა აღარაფერი ახსოვს, რაღაც ზეციური თავდავიწყებით რთულდება მისი კდემამოსილება. მაგრამ რამდენ განსაცდელს გიმზადებთ, ო, დიდსულოვანნო, ეს თავდავიწყება! ხშირია, თქვენ გულს გვიძღვნით, ჩვენ კი სხეულით ვტკბებით. თქვენი გული თქვენვე გრჩებათ და მწუხარებით გაგონდებათ ამაოდ გაცემული მსხვერპლი. სიყვარულს არაფერი სწამს ნაწილობრივი; ან ღუპავს იგი, ან მხსნელად ევლინება. ამ დილემაში არის მთელი ბედი ადამიანისა. არავითარი საბედისწერო ძალა არ გვიყენებს ისე უწყალოდ, როგორც სიყვარული ამ დილემას, - წამება ან ნეტარება! სიყვარული სიცოცხლეა, თუ სიკვდილი არ არის. აკვანია, მაგრამ აგრეთვე კუბო. ერთი და იგივე გრძნობა ჰოსაც გაიძახის და არასაც ადამიანის გულში. მრავალი რამ გაუჩენია ღმერთს, მაგრამ მარტო გული არის ადამიანისა, რომ ყველაზე მეტ სინათლეს გვაძლევს, და ვაი, რომ ეს ასეა, - ყველაზე მეტ სიბნელესაც.

ღმერთმა ინება და ის სიყვარული, რომელიც კოზეტს ერგო, დამღუპველი კი არა, მსხნელი გამოდგა.

მანამ მაისი იდგა 1832 წლისა, ყოველი დაღამებისას ერთად იყვნენ მარიუსი და კოზეტი იმ გავერანებულ ბაღში, დღითი დღე სულ უფრო სურნელოვან და ძირს დაშვებულ ბუჩქნარის ტოტებქვეშ. ორნი იყვნენ, ყოველივე სიწმინდითა და უმწიკვლოებით აღსავსე შეყვარებულნი, ციური უმანკოების წარმომადგენელნი, უფრო ანგელოზების მონათესავენი, ვიდრე ადამიანისა; ლმობიერნი, პატიოსანნი, აღტაცებულნი, გაბრწყინებულნი და ცხოვრების სიბნელეში ერთმანეთის მანათობელნი. ისე ეჩვენებოდა კოზეტს მარიუსი, თითქოს გვირგვინი ედგა თავზე და მარიუსს კოზეტი, თითქოს სხივმოსილი ყოფილიყო. ერთმანეთს ეხებოდნენ, ერთმანეთს შეჰხაროდნენ, ერთმანეთის ხელებით ტკბებოდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, მაგრამ იყო ერთგვარი საზღვარი, რომელსაც არამც და არამც არ გადადიოდნენ. იმიტომ კი არა, რომ წმინდად მიაჩნდათ ეს საზღვარი; არა, იმიტომ, რომ უგულებელყოფდნენ მას. მარიუსს ხელშეუხებლად მიაჩნდა კოზეტის მორცხვობა და კოზეტსაც მძლავრი სიმაგრე ჰქონდა, მარიუსის პატიოსნება. ამგვარად

უკანასკნელი იყო პირველი კოცნა. თუ კიდევ გაბედა რამე მას შემდეგ მარიუსმა, ეს იყო კოზეტის ხელზე, მის კულულებზე ან ხილაბანდზე ტუჩებით შეხება. კოზეტი მისთვის სურნელება იყო და არა ქალი. შეჰხაროდა და იმით სუნთქავდა. უარს არაფერზე ეუბნებოდა კოზეტი და მარიუსიც მისგან არას მოითხოვდა. ბედნიერი იყო ქალი და კმაყოფილი მისი მოტრფიალე. იმ მომხიბლავი ნეტარებით ტკბებოდნენ ორნივე, რომელსაც შეიძლება ერთი სულის მიერ მეორით აღტაცება ვუწოდოთ. ეს იყო პირველი შეერთება იდეალში ორი უმწიკვლოებისა. ორი გედი შეხვდა ერთმანეთს იუნგფრაუს მთაზე.

ამ წმინდა სიყვარულის ჟამს, იმ დროს, როდესაც მუნჯივით გაჩუმებულია ჟინი ყოვლისშემძლე ტრფობის წინაშე, მარიუსი, უმანკო და სერაფიმივით წმინდა მარიუსი იქნებ ვინმე გარყვნილ გოგოსთან შესულიყო და კოზეტს კი კოჭამდეც ვერ გაუბედავდა კაბის აწევას. ერთხელ, მთვარიან ღამეს, რაღაც გაუვარდა ხელიდან კოზეტს და რომ დაიღუნა ასაღებად, ოდნავ გამოუჩნდა შიშველი მკერდი. მარიუსმა თვალი მოარიდა.

რა აერთებდა ამ ორ არსებას? არაფერი. ისინი აღმერთებდნენ ერთმანეთს.

ღამით, ერთად რომ იყვნენ ბაღში, ბაღიც კი ცოცხალ და წმინდა ადგილად ეჩვენებოდათ. მათ გარშემო იშლებოდა ყველა ყვავილი და სურნელებას უკმევდა ტრფიალთ; მათაც ღიად ჰქონდათ ორივეს სული და ზედ აფრქვევდნენ ყვავილებს. მძლავრი, ტკბილვნებოვანი მცენარება, მოზღვავებული წვენით გახელებული თრთოდა ამ ორი უმანკო მიჯნურის ირგვლივ, ხის ფოთლები აღტაცებული თრთოლით ისმენდნენ მათი სიყვარულის სიტყვას.

რა იყო ეს სიყვარულის სიტყვა? სუნთქვა სიყვარულისა, სხვა არაფერი. ეს სუნთქვაც კმაროდა, რომ შეერყია და აღეგზნო გარშემო მთელი ბუნება. ეს იყო ჯადოსნური ძალა, რომელსაც ძნელად გაიგებს კაცი, თუ წიგნში წაიკითხავს აღტაცებულთა საუბარს, კვამლივით რომ იტაცებს ქარი და ფოთლებისკენ მიაქანებს. ჩამოაცალეთ მოტრფიალეთა ჩურჩულს ის მელოდია, რომელიც სულიდან ამოსდით და ჩანგივით ხმას უწყობს მათ სიტყვას, და რაც დარჩება, მხოლოდ ჩრდილიღა იქნება, სხვა არაფერი. მაშ, ეგ არის, სხვა აღარაფერიო? ბრძანებთ. დიახ, ბავშვური ტიტინი, გამეორებანი, ტკბილი სიცილი, უმნიშვნელო უაზრობანი, ყველაფერი, რაც კი მოიპოვება ქვეყნად, უმაღლესი და უღრმესი! ერთადერთი რამ, რასაც ნეტარებით ამბობს და ისმენს ადამიანი.

თუ არის ვინმე, რომ თავის დღეში არა ეთქვას და არ გაეგონოს უმნიშვნელო უაზრობანი, სულელია და ავი კაცი.

კოზეტი ჰკითხავდა ხოლმე მარიუსს:

- იცი, რა გითხრა?

მიეჩვივნენ ერთმანეთს და თავიანთ ციურ უმანკოებაში, შენობით დაუწყეს ლაპარაკი. რომ გეკითხათ, როგორ მოხდა ეს დაახლოებაო, ვერ აგიხსნიდათ ვერც ერთი და ვერც მეორე.

- იცი, რა გითხრა? - მე ეფრაზი მქვია.

- ეფრაზი? არა, შენ კოზეტი გქვია.

- ჰო! საძაგელი სახელია კოზეტი, ეგ მაშინ დამარქვეს, სულ პაწაწინა რომ ვიყავ. და ჩემი ნამდვილი სახელი კი ეფრაზია! რაო, არ მოგწონს ეს ჩემი სახელი?

- მე? რატომ არა?.. მაგრამ არც კოზეტია ცუდი.

- იქნება კოზეტი უფრო მოგწონს?

- ჰო, კოზეტი უფრო.

- მაშ, მეც კოზეტი მირჩევნია. არა, მართალია, კოზეტი უფრო ლამაზია. მაშ, კოზეტი დამიძახე.

და იმისთანა ღიმილით შეამკო კოზეტმა ეს დიალოგი, რომ ზეციური სამოთხის იდილიის ღირსად გახადა.

ერთხელ კიდევ დაკვირვებით დააცქერდა მარიუსს და შეჰყვირა:

- თქვენ, ბატონო, მშვენიერი ბრძანდებით, მოხდენილი, ჭკვიანი, უგუნურებისა არაფერი გცხიათ. გაცილებით უფრო განათლებული ხართ და მცოდნე. დიახ, მაგრამ ერთში კი ვერ მაჯობებთ, ჩემს სიყვარულში.

ცას დაეწია მარიუსი, ასე ეგონა, ციდან მომესმა ვარსკვლავთ გუნდის გალობაო.

ან არადა ხელს წაჰკრავდა, მარიუსს რომ ხველა აუვარდებოდა, და ეუბნებოდა:

- ნუ ახველებთ, ბატონო, მე არ მინდა, რომ ჩემთან იყოს ვინმე და ჩემ ნებადაურთველად ხველა გაბედოს. საძაგლობაა ეგ ხველა და მით ჩემი გულისხეთქა. მინდა, კარგად იყო და არაფერი გტკიოდეს. როგორ არ იცი, შენ რომ ავად გამიხდე, ჩემზე უბედური აღარავინ იქნება. მერე მე რაღა მეშველება?

ღვთაებრივ წმინდა იყო ყოველივე ეს.

ერთხელ მარიუსმა უთხრა კოზეტს:

- წარმოიდგინე, ერთხანად ურსული მეგონა შენი სახელი.

ამაზე იცინეს მთელი საღამო.

ერთხელ კიდევ, ტკბილ საუბარში, უცბად წამოიძახა მარიუსმა:

- ოჰ, ერთხელ ლუქსემბურგის ბაღში ისე გამაბრაზა ერთმა ინვალიდმა, რომ კინაღამ მივვარდი და მთლად დავასახიჩრე!

მაგრამ ამით დაასრულა, სხვა აღარაფერი თქვა ამ შემთხვევისა. რომ განეგრძო, კოზეტის წვივსაკრავს უნდა შეხებოდა, და ეს შეუძლებლად მიაჩნდა. ერთ მხარეს უნდა შეხებოდა უცნობს, ქალის სხეულს, რომელსაც ერთგვარი წმინდა გულისძგერით ემალებოდა ეს უსაზღვრო უმანკო სიყვარული.

ასე ჰქონდა წარმოდგენილი მარიუსს კოზეტთან ცხოვრება, სხვა აღარაფერი უნდოდა, ოღონდ ყოველ საღამოს მისულიყო პლუმეს ქუჩაზე, შეერხია ძველი, ჟანგიანი მოაჯირი, გვერდს მისჯდომოდა ბაღში სკამზე თავის კოზეტს, შესძლებოდა ხის ტოტებშუა დაენახა მოახლოებული ღამის ვარსკვლავთ სინათლე, მუხლით შეხებოდა კოზეტის კაბას, ალერსით სჭეროდა მისი ცერი, შენობით მიემართა საუბრისას, დამტკბარიყო იმ ყვავილის სურნელებით, რომელსაც კოზეტი ყნოსავდა. ეს ჰქონდა მარად და სხვა არაფერი უნდოდა. და ამ დროს ღრუბელი გროვდებოდა მათ ზემოდან. როდესაც კი ამოვარდება ქარი, ადამიანის ოცნებას უფრო იტაცებს, ვიდრე ღრუბელს.

შეუძლებელია აშიკობა არ ჩარეოდეს ამ უმანკო, თითქმის მკაცრ სიყვარულს, ვინც გიყვართ, ქათინაურითაც ამკობთ. ეს არის ალერსის პირველი საფეხური, ერთგვარი მოსინჯვა ნიადაგისა. ქათინაური იგივე კოცნაა, ოღონდ პირბადით დაფარული ღაწვისა. იქ ტოვებს ვნება ტკბილ სახსოვარს და თვითონ კი განზე დგება. გული უკან იხევს ვნებისგან, რომ უფრო ძლიერ შეიყვარო. ოცნებით გაუღენთილი მარიუსის ღუღუნი სავსებით ციური იყო. მაღლა ცაში რომ ანგელოზების მხარეში მოხვდებიან ჩიტები, იმათ უნდა ეყურებოდეთ ამგვარი ღუღუნი. მაგრამ ალერსში მარიუსი ცხოვრებასაც ურევდა, კაცობრიობასაც, მთელ თავის რწმენასა და მისწრაფებას. ეს

იყო ის, რასაც მღვიმეში ეუბნებიან ერთმანეთს შეყვარებულნი, შესავალი იმისა, რასაც საწოლ ოთახში იტყვიან; ეს იყო ლირიკული გულის გადაშლა, ლექსის ხანისა და სონეტის ხმარება, ტკბილი ჰიპერბოლა ტრფიალისა, ყოველგვარი დაწვლილება, თაყვანისცემა, თაიგულად შეკრული, რომელსაც ნაზი სურნელება ასდიოდა ციური, სიტყვით აუწერელი გულისადმი გულის ჭიკჭიკი.

- ოჰ, - ჩურჩულებდა მარიუსი, - რა მშვენიერი ხარ! ვეღარ ვბედავ, რომ გიცქირო. მე შემიძლია მხოლოდ გჭვრეტდე. შენ მადლი ხარ ციური. არ ვიცი, რა მემართება? ფეხის წვერი რომ გამოგიჩნდება კაბის ქვეშიდან, ვღელავ. მერე რა წარმტაც სხივებს ისვრის ეგ შენი აზროვნება! საკვირველი რამ არის შენი გონებამახვილობა. ხანდახან მგონია, რომ მხოლოდ ოცნება ხარ! თქვი რამე, გისმენ აღტაცებული. ო, კოზეტ! რა უცნაური და მომხიბლავია ეს ყოველივე. ლამის გავგიჟდე! თაყვანსაცემი ბრძანდებით, ქალბატონო! მიკროსკოპით ვსინჯავ შენს ფეხს და ტელესკოპით შენს სულს.

და კოზეტიც პასუხს აძლევდა:

- უფრო და უფრო მეტად მიყვარხარ, რაც ხანი გადის!..

თავისუფლად ჯდებოდა მათ საუბარში კითხვა-პასუხი, ყოველთვის შეთანხმებით და სიყვარულით.

განხორციელებული უმანკოება იყო კოზეტი, გულწრფელობა, გამჭვირვალობა, სისპეტაკე, გულუბრყვილობა, სხივოსნობა. მნახველზე გაზაფხულის ან დილის ცისკრის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ცის ნამი უდგა თვალში. კოზეტი ამომავალი მზის სხივი იყო, ქალად განხორციელებული.

ბუნებრივი იყო, მარიუსს უყვარდა, თაყვანს სცემდა, აღმერთებდა. და ღირსიც იყო თაყვანისცემისა. „მონასტრის პანსიონიდან გამოსული“ ეს ნორჩი, გამოუცდელი ყმაწვილი ქალი საკვირველი დაფიქრებით მსჯელობდა ყველაფერზე, თანაც საფუძვლიანად და თავაზიანად. მისი ღუღუნიც კი აზრიანი იყო. მოტყუებით არსად მოტყუვდებოდა და ყველგან პოვებდა მართალს. ქალი გრძნობს და ამბობს გულის ლმობიერი შეუცდომელი ალღოთი. ქალისთანა კარგად მამაკაცი ვერ იტყვის ტკბილსა და იმავე დროს ღრმა სიტყვას. სიღრმე და სიტკბოება, ეს არის ქალი და ეს არის ზეცა.

ასე ბედნიერები იყვნენ და მაინც ყოველ წამს ცრემლი ერეოდათ თვალში. ჭიამაიას დაინახავდნენ მკვდარს, ჩიტის ბუდიდან ჩამოვარდნილ ბუმბულს, კუნელის მოტეხილ ტოტს და სიბრალულით აევსებოდათ გული. აღტაცება ნაზად იფარებოდა მწუხარებით და ცრემლითღა მოითხოვდა თავის დამშვიდებას. უაღრესად სათუთი თვისება სიყვარულისა არის გულჩვილობა, ხანდახან თითქმის აუტანელი.

და ყოველივე ამასთან ერთად, გულიანად იცინოდნენ, საამო თავისუფლებით და ისე დაურიდებლად, რომ ხანდახან ორ ბიჭს ემსგავსებოდნენ; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გული სავსე არის უბიწოებით, დაუდგრომელი ბუნება თავისას მაინც არ იშლის, და ისიც იქ არის ხორციელი, მაგრამ დიადი მიზნით. რაც უნდა ძალოვანი იყოს უმანკოება სულისა, მაინც გრძნობენ, მარტონი რომ არიან ორნივე მორცხვნი, სათაყვანებელ და საიდუმლო საზღვარს, რომელიც სიყვარულით გატაცებულ ქალ-ვაჟს განასხვავებს ორი მეგობრისგან.

ერთმანეთს აღმერთებდნენ კოზეტი და მარიუსი.

არსებობს მარადისი, შეურყეველი. უყვართ, ერთმანეთს შესცინიან, უალერსებენ, ბავშვურად ეხუტბუტებიან ტუჩის აბზუებით, ერთმანეთის თითებით ტკბებიან, შენობით

ლაპარაკობენ, მაგრამ ყოველივე ეს არაფრით არღვევს მარადისობას, უყვართ ერთმანეთი, საღამოს ბინდში იმალებიან. ღამის სიბნელეში, უხილავში, ფრინველებთან და ვარდებთან, ერთმანეთს ხიბლავენ თვალწინ გადაშლილი თავიანთი გულით, ჩურჩულებენ, ჭუკჭუკებენ, და ამ დროს საოცრად დიდი სრბოლა ვარსკვლავებისა ავსებს უსაზღვროებას.

## თავი მეორე
## ბედნიერებით მთვრალნი

ცხოვრებისას ვეღარას ამჩნევდნენ ბედნიერებით თვალახვეულნი. ქოლერაც კი არ აგონდებოდათ, რომელიც სწორედ იმ თვეს ჟლეტდა პარიზელებს. ყველაფერი უამბეს ერთმანეთს, მაგრამ ეს ყველაფერი თითქმის არ გასცილებია მათ სახელებს. მარიუსმა უამბო კოზეტს, რომ ობოლი იყო, აცნობა თავისი გვარი და სახელი - მარიუს პონმერსი; უთხრა, რომ ვექილი იყო, რომ წიგნის მაღაზიებისთვის წერდა და თავისი ნაწერების ჰონორარით ცხოვრობდა, რომ მამა პოლკოვნიკი ჰყავდა, სახელოვანი გმირი; უამბო, რომ პაპა ჰყავდა, მდიდარი კაცი, რომელიც შემოსწყრა და ხმას აღარ სცემდა. ისიც უთხრა, ოდნავ გაატარა სიტყვაში, რომ ბარონი იყო, მაგრამ ამან არავითარი შთაბეჭდილება არ იქონია კოზეტზე. მაშ, ბარონია მარიუსი? ვერც კი შეიგნო ამ სიტყვის მნიშვნელობა. არც კი იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა ბარონი. მარიუსი მარიუსი იყო, მორჩა და გათავდა! თავის მხრივ კოზეტმაც უამბო, რომ მცირე-პიკპუსის მონასტერში აღიზარდა; რომ პატარაობისას მოუკვდა დედა, როგორც მარიუსს; რომ მისი მამა არის ბ. ფოშლევანი, ძალიან გულკეთილი კაცი, ეხმარება გაჭირვებულთ, თუმცა თვითონაც ღარიბია, და თვითონ ყველაფერს იკლებს, ოღონდ კოზეტს არაფერი დააკლო.

უცნაური ის იყო, რომ კოზეტის სიახლოვის ტკბილი სიმფონიით დამტკბარ მარიუსს ისე დაშორებოდა და დავიწყებოდა წარსული, სულ უახლოესი გუშინდელიც კი, რომ სავსებით დაკმაყოფილდა კოზეტის ნაამბობით. ისიც კი გაიფიქრა, რომ საუბარი ჩამოეგდო და გაეგო რამე ტენარდიეს მიერ ფოშლევანის ღამე მახეში გაბმისა, თვით ტენარდიეს, ან ფოშლევანის მიერ ხელის დაწვის შესახებ; საერთოდ, რაც შეეხებოდა მის საოცარ ქცევას და მეტადრე მის გაქცევას. ყოველივე ეს მყის დავიწყებოდა მარიუსს. ისიც კი აღარ ახსოვდა საღამოს, სად იყო ან რას აკეთებდა დილას, ან სად ისაუზმა, ვინ ნახა, რაზე ილაპარაკეს. სიმღერა, რომელიც ყურში ედგა, უყრუებდა ყოველ სხვა ფიქრს; ცოცხალი მარტო მაშინ იყო, როდესაც კოზეტსა ხედავდა. რაკი ზეცაში ციალებდა, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ქვეყანა დავიწყებოდა. თავს დასწოლოდათ ორთავეს ენით უთქმელი სულიერი ნეტარების ტვირთი. და ავიწყდებოდა მიწიურს. ასე ცხოვრობენ ის მთვარეულნი, რომლებსაც შეყვარებულებს ვუწოდებთ.

ეჰ! ვის არ განუცდია ყოველივე ეს? რად არის, რომ დაჰკრავს აბედითი საათი და ძირს ჩამოგვაგდებს სამოთხიდან? რად არის, რომ ამის შემდეგაც ცოცხალი რჩება ადამიანი?

აზროვნების ალაგს თითქმის მთლად იჭერს სიყვარული. სიყვარული ცეცხლწაკიდებული დავიწყება არის ყველაფრისა. ჰოდა, მოსთხოვეთ ვნებას რამე ლოგიკა! ისევე ნაკლებად მოიპოვება ადამიანის გულში ლოგიკის აბსოლუტური

თანამიმდევრობა, როგორც ზეციურ მექანიკაში სრულქმნილი გეომეტრიული საგანი. კოზეტისა და მარიუსისთვის აღარაფერი არსებობდა, გარდა მარიუსის და კოზეტისა. მათ ირგვლივ მთელი ქვეყნიერება სადღაც ჯურღმულში ჩავარდნილიყო. ისინი ოქროს წუთს განიცდიდნენ. აღარაფერი იყო არც წინ, და არც მათ უკან. არც კი აგონდებოდა მარიუსს, რომ კოზეტს მამა ჰყავდა, გონება სიყვარულის ბრწყინვალებას დაებრმავებინა. რას ლაპარაკობდნენ ერთმანეთით აღტაცებულნი? აკი ვნახეთ, - ყვავილები, მერცხალი, ჩამავალი მზე, ამომავალი მთვარე. ყოველგვარი „მნიშვნელოვანი“ საგანი, - ეს იყო მათი სალაპარაკო. ყველაფერი უთხრეს ერთმანეთს, გარდა ყველაფრისა, არაფერი გახლავთ შეყვარებულთა ყველაფერი. რა დროს მამა იყო, ცხოვრების ავ-კარგი, ტენარდიეს სორო, ყაჩაღები, ფოშლევანის მახეში გაბმა? და განა დარწმუნებული კი იყო მარიუსი, რომ ეს კოშმარი სინამდვილეში არსებობდა? ორნიღა იყვნენ და აღმერთებდნენ ერთმანეთს. ეს იყო და ეს. სხვა ამის გარდა აღარაფერი არსებობდა. ალბათ ასეა: როგორც კი სამოთხეს მიაღწევს ადამიანი, მაშინვე საბოლოოდ უქრება მეხსიერებიდან მის უკან დარჩენილი ჯოჯოხეთი. განა უნახავთ სადმე ბოროტი სული? განა ის არსებობს? განა მათაც შეხვდა და შეაშინა? განა მათაც დღე გაუმწარა? წარსულის აღარაფერი ახსოვთ და აღარაფერი იციან. წარსულს ზემოდან ვარდისფერი ნისლი დასდებია.

ასე ცხოვრობდა ეს ორი არსება, ძალიან მაღლა, იმ წარმოუდგენელი შეუძლებლობის არეში, რომელიც მაინც არის ბუნებაში. ადამიანთა და სერაფიმთა შუა იყვნენ, უწმინდურების ზემოდან, ეთერის ქვემოდან, ღრუბლებში, ოდნავ სხეული, მხოლოდ სული და აღტაცება თავი ფეხებამდე. უკვე მეტად აღფრთოვანებულნი იყვნენ, რომ შესძლებოდათ მიწაზე სიარული, მაგრამ ჯერ ისევ მეტად დატვირთულნი კაცობრიულით, რომ შესძლებოდათ გამქრალიყვნენ ზეცის ლაჟვარდში, მოციალენი იყვნენ იმ ატომებივით, რომლებიც მძაფრ სისწრაფეს ღა მოელიან, რომ წარიტაცნენ. ბედისწერის გარეშე იყვნენ; აღარ ახსოვდათ ეს საზრუნავი - გუშინ, დღეს, ხვალ. აღტაცებულნი იყვნენ, დაღლილნი, მაგრამ დამტკბარნი, ხელაღებულნი მიწიურზე, დროდადრო თითქმის მზად იყვნენ უსაზღვროსკენ გაქცეულიყვნენ, რომ სამარადისოდ გაფრენილიყვნენ.

ამგვარ რწევაში ეძინათ თვალდაუხუჭავად. ო, ტკბილო ლეთარგიავ, იდეალით დაფარული ჩვენი ჭირ-ვარამისავ!

ხანდახან, ხომ ძალიან ლამაზი იყო კოზეტი, თვალებს ხუჭავდა მარიუსი მის წინაშე. თვალი უნდა დახუჭოს კაცმა, რომ კარგად გასინჯოს ვისიმე სული.

არც მარიუსი ეკითხებოდა თავს და არც კოზეტი, - სად მიიყვანდა მათ ეს აღტაცება. ისე უყურებდნენ ერთმანეთს, როგორც უკვე მისულნი, უცნაური მოთხოვნილება არის ადამიანისა, - სიყვარულმა მიმიყვანოს სადმეო.

## თავი მესამე
## ცა იღრუბლება

ჟან ვალჟანმა არაფერი იცოდა ამ სიყვარულისა.

კოზეტი ნაკლებად მისდევდა ოცნებას, ვიდრე მარიუსი; მხიარულობდა, რაც სრულიად საკმარისი იყო ჟან ვალჟანისთვის, რომ ბედნიერი კაცი ყოფილიყო. ფიქრიც ჰქონდა კოზეტს, გულის საგრძნობიც, გულის სიღრმეში ჩამალული, და

გულის ამვსები მარიუსის სურათიც; მაგრამ ყოველივე ეს არაფრით სცვლიდა შეუდარებელ სიწმინდეს მის მშვენიერ, უმანკო და მხიარული სახისას. იმ ხნისა იყო სწორედ, როდესაც ქალწულს ისე მალავს სიყვარული, როგორც ანგელოზი თავის შროშანს. დამშვიდებული იყო ჟან ვალჟანი. ასეა ყოველთვის: შეყვარებულნი რომ შეთანხმდებიან და უსიტყვოდ ესმით ერთმანეთისა, ვინმე მესამე, რომელმაც შეიძლება შეარყიოს მათი ნეტარება, დაბრმავებული ჰყავთ სიფრთხილით, რომელსაც ყოველთვის უცვლელად ხმარობენ შეყვარებულნი. ამიტომ იყო, რომ უარს არაფერზე ეუბნებოდა კოზეტი მამას. სასეირნოდ ნებავდა წასვლა? - ძალიან კარგი, მამიკო, წავიდეთ. - შინ ნებავდა დარჩენა? - ეგ უკეთესი; კოზეტთან აპირებდა საღამოს გატარებას? - აღტაცებული იყო კოზეტი. და რადგან მას ყოველთვის ღამის ათ საათზე გამოეთხოვებოდა ხოლმე, მარიუსიც ბაღში მხოლოდ ამ დროს შედიოდა, როდესაც ქუჩაში გაიგონებდა კოზეტის მიერ აივნის კარის გაღების ხმას. დღისით, რაღა თქმა უნდა, იმ ქუჩაზე მარიუსს ვერავინ ნახავდა. ჟან ვალჟანსაც დავიწყებული ჰყავდა მარიუსი, არც კი იცოდა ცოცხალი იყო ეს ბიჭი თუ არა; მაგრამ ერთხელ კი, ერთ დილას ყურადღება მიაქცია კოზეტის ზურგს: - სად გაისვარე, კოზეტ, კირით ბეჭები? - წინა საღამოს მარიუსთან კედელს მიჰკვროდა კოზეტი.

ბებერი ტუსენი, როგორც კი დაასრულებდა საქმეს, მაშინვე ადრიანად დაწვებოდა ხოლმე და დაიძინებდა. მანაც არაფერი იცოდა ისე, როგორც ჟან ვალჟანმა.

სახლში კი თავის დღეში ფეხი არ შეუდგამს მარიუსს. კოზეტთან რომ იყო, კართანვე იჯდა კედლის დოლაბში ჩამალული, რომ ვერც ვინმეს დაენახა ქუჩიდან, და ვერც მისი ხმა გაეგონა. იჯდა იქ ჩამალული და ხშირად სრულიად კმაყოფილი იყო თუ საუბრის წილ წუთში ერთი ოცჯერ მაინც შეეხებოდა კოზეტის ხელს და თან ხის ტოტებს შეჰყურებდა. ამ დროს რომ მეხი დასცემოდა რასმე იქვე მათ ახლოს, ერთი ოცდაათი ნაბიჯის იქით, იმასაც კი ვერ გაიგებდა ვერც ერთი, რადგან ერთმანეთის მეტს ვერაფერს ხედავდნენ ერთმანეთით გატაცებულნი.

ნათელი უმანკოება, წმინდად გატარებული დრო თითქმის ყოველთვის ერთნაირია. ამგვარი სიყვარული კონა არის ვარდის ფურცლისა და მტრედის ბუმბულისა.

მთელი ბაღი იყო ქუჩასა და მათ შუა. როცა კი შევიდოდა ან გავიდოდა მარიუსი, ისევ ისე ამაგრებდა მოაჯირს, რომ შეუძლებელი ყოფილიყო გატეხილის შემჩნევა.

ჩვეულებრივ შუაღამის მოახლოებისას გამოეთხოვებოდა კოზეტს და კურფეირაკისკენ მიეშურებოდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე კურფეირაკი ბაორელს:

- წარმოიდგინე, ღამის პირველ საათზე აღრე არ მოდის შინ მარიუსი.

- რას იზამ, პეტარდით არის გატენილი ყველა სემინარიელი.

მოხდებოდა ხოლმე, გულხელს დაიკრებდა კურფეირაკი, მოიჭმუხნიდა სახეს და მივარდებოდა მარიუსს:

- კარგად ვერ იქცევით, ბატონო ჩემო!

გამოცდილი ყმაწვილი იყო კურფეირაკი და არ მოსწონდა უხილავი სამოთხის შუქი მარიუსის სახეზე. სიყვარული მარტო ხორციელი სწამდა, მარიუსის მაგივრად ის ჰკარგავდა მოთმინებას და ხშირად ცდილობდა ლანდები ჩამოეშორებინა და ჭკუაზე მოეყვანა ამხანაგი.

ერთ დილას პირდაპირ ესროლა:

- რა გითხრა, იცი? შენა, ძმავ, ისე ხარ გაგიჟებული, თითქოს მთვარეზე იმყოფებოდე, ოცნებათა სამეფოში, ლანდის პროვინციაში, დედაქალაქ საპნის ქაფ-ბუშტში. მოდი, ამხანაგურად მითხარი, რა ჰქვია იმ გოგოს?

მაგრამ შეუძლებელი იყო მარიუსის ალაპარაკება. ფრჩხილები რომ დაეგლიჯათ, კოზეტის სახელის ერთ მარცვალსაც ვერ ათქმევინებდნენ. ნამდვილი სიყვარული სხივის მფრქვევია, როგორც ალიონი, და ჩაჩუმებული, როგორც აკლდამა. და რასაც კარგად ხედავდა კურფეირაკი, სწორედ ეს სხივმოსილობა იყო, მარიუსი რომ გამოეცვალა.

მშვენიერი მაისის განმავლობაში დიდი ნეტარება განიცადეს მარიუსმა და კოზეტმა:

წაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და თქვენობით მიმართავდნენ, რომ მერე უფრო ტკბილად ეგრძნოთ შენობით საუბარი.

ხანგრძლივად უამბობდნენ ერთმანეთს, ყოველი წვრილმანის დაწვრილებით აღნიშვნით, ვიღაც-ვიღაცების ამბავს, რომლებიც სრულიად არ აინტერესებდათ; უტყუარი საბუთი იმისა, რომ იმ მომხიბლავ ოპერაში, რომელსაც სიყვარული ჰქვია, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ლიბრეტოს.

მარიუსი აღტაცებით ისმენდა კოზეტის ტიტინს ქალის კაბებისა და მორთულობის შესახებ.

კოზეტი აღტაცებით ისმენდა მარიუსის მსჯელობას პოლიტიკის შესახებ.

მუხლი-მუხლმიკრული ისხდნენ, ისმენდნენ ბაბილონის ქუჩიდან მომავალი ეტლების გრიალს.

ერთად შეჰყურებდნენ რაიმე მნათობს ცაში ან ციცინათელას ბალახში.

ერთად მიდუმდებოდნენ, რაც გაცილებით უფრო ტკბილია, ვიდრე საუბარი...

ამასობაში მრავალგვარი გართულება უახლოვდებოდათ.

ერთ საღამოს კოზეტისკენ მიდიოდა მარიუსი ინვალიდების ქუჩით. ჩვეულებრივ თავდაღუნული. ის იყო უნდა ჩაეხვია პლუმეს ქუჩისკენ, რომ ვიღაც მიესალმა, იქვე მის გვერდით:

- საღამო მშვიდობისა, ბატონო მარიუს!

შეხედა, ეპონინი იცნო.

უცნაური შთაბეჭდილება იქონია ეპონინის დანახვამ. იმ დღის შემდეგ, როდესაც პლუმეს ქუჩაზე მიიყვანა ამ გოგომ, ერთხელაც აღარ მოჰგონებია მარიუსს, აღარსად შეხვედრია მის შემდეგ და მთლად გადავიწყებოდა. სიკეთის გარდა არაფერი უნდა ხსომებოდა აქ ქალისა, რადგან მან მიიყვანა კოზეტის სახლთან, მისი დახმარებით მიაღწია ბედნიერებას, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა მისი დანახვა.

შეცდება, ვინც წარმოიდგენს, რომ სიყვარულს, როდესაც ბედნიერია და უმწიკვლო, სრულყოფისკენ მიჰყავს ადამიანი. არა, ის ბევრ რამეს ავიწყებს, როგორც უკვე ვთქვით. ამ მდგომარეობაში რომ არის კაცი, ავიც ავიწყდება და კარგიც, სხვისი მისდამი სიკეთეც, მოვალეობაც, მნიშვნელოვანი მოგონებაც. სხვა დროს სხვაგვარად შეხვდებოდა ეპონინს, მაგრამ შთანთქმული იყო კოზეტით და ისიც კი ვეღარ მოესაზრა, რომ ეს ეპონინი ტენარდიე იყო, ქალი იმ კაცისა, რომლის გვარი ეწერა მისი მამის ანდერძში. იმ კაცისა, რომლის დასახმარებლად რამდენიმე თვის წინათ თავსაც კი არ დაზოგავდა მარიუსი. ისე ვხატავთ მარიუსს, როგორიც იყო, თვით განსვენებული მამაც კი ოდნავღა მოჩანდა მის გულში, ისიც კი დაეჩრდილა სიყვარულის ელვარებას.

თვითონვე იგრძნო თავისი შეცდომა და შერცხვა:

- აჰ! თქვენა ხართ, ეპონინ?

- თქვენობით რად მელაპარაკებით? განა დაგიშავეთ რამე?

- არაფერი.

ან რა უნდა ჰქონოდა მის წინააღმდეგ? პირიქით, მაგრამ გრძნობდა, რომ სხვაფრივ ვერ მიმართავდა. შენობით მხოლოდ კოზეტს ელაპარაკებოდა, და ეპონინს - შენო, ვეღარ ეტყოდა.

გაჩუმებული შესცქეროდა მარიუსი. უყურა გოგონამ, უყურა და შეჰყვირა:

- ერთი მითხარით...

მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ისე იდგა, თითქოს საჭირო სიტყვა დაჰკლებოდა ამ არსებას, რომელიც ახლახან ისეთი უდარდელი და კადნიერი ჩანდა. სცადა გაეცინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

- ჰოდა...

ისევ გაჩუმდა და დარჩა ისე თვალდახრილი.

- ღამე მშვიდობისა, ბატონო მარიუს! - წამოიძახა უცბად მცირე დუმილის შემდეგ და მოშორდა.

## თავი მეოთხე

## კები ინგლისურად ეტლია, არგოთი კი - ძაღლი

მეორე დღეს, 3 ივნისს, - 1832 წლის 3 ივნისი მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან ამ დღეს ჭექა-ქუხილით სავსე ღრუბელივით დასწოლოდა პარიზს არეულობის საშიშროება, - დაბინდებისას მარიუსი იმავე გზით, როგორც წინა ღამით, და იმავე ფიქრებითა და აღტაცებული გულით მიდიოდა კოზეტისკენ. ბულვარის ხეებში ეპონინი დაინახა მისკენ მომავალი. ორ დღეს ზედიზედ, ეს კი მეტისმეტი იყო. უცბად გამობრუნდა, ბულვარიდან გავიდა, გზა შეიცვალა და მონსიეს ქუჩით გასწია პლუმეს ქუჩისკენ.

ეპონინიც უკან მიჰყვა, პლუმეს ქუჩამდე. აქამდე ასე არსად დასდევნებია. აქამდე ისიც კმაროდა საწყალი გოგოსთვის, რომ შორიდან დაენახა ბულვარზე მიმავალი; არც წინ დაუხვდებოდა ხოლმე, არც ლაპარაკს უბედავდა. ეს წუხელ იყო მხოლოდ, რომ დალაპარაკება სცადა.

მიდიოდა მარიუსი და ეპონინიც უკან მისდევდა შეუმჩნევლად. მიჰყვა, ნახა, როგორ აშალა მოაჯირი მარიუსმა, როგორ შევიდა ბაღში.

- ოჰო! მაშ, სახლშიც შედის!

მივიდა, ხელი წაავლო, შეარხია და ადვილად იპოვა მოაჯირის ნაწილი, რომლითაც მარიუსი სარგებლობდა, რომ ბაღში შესულიყო.

- ეს კი არ ვარგა, მეგობარო! - წაიდუდუნა მუქარით.

და იქვე დაჯდა, კედელზე, მოაჯირის იმ ნაწილთან, რომელსაც კარგად იყენებდა მარიუსი; იქვე ახლოს, თითქოს დარაჯობას უპირებსო, სწორედ იქ, სადაც მოაჯირი მეზობელ კედელს ეხებოდა, ბნელი კუნჭული იყო და მთლად შიგ ჩაიმალა ეპონინი.

ერთ საათზე მეტხანს იჯდა ასე, გაუნძრევლად, ფიქრებში ჩაფვლული.

ღამის ათი საათი იქნებოდა. ერთი მოხუცებული ბურჟუა მიდიოდა შინისკენ. დაჰგვიანებოდა სადღაც, გამვლელი აღარავინ იყო ამ მიყრუებულ, სახელგატეხილ

ქუჩაში; ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა და, იმ კუნჭულთან რომ მივიდა, რომელიც მოაჯირსა და კედელშუა დარჩენილიყო, ვიღაცის ხმა გაიგონა, ყრუდ ნათქვამი, მუქარით:

- ახლა კი ცხადია, რომ ყოველღამ აქ ბრძანდება!

მიიხედ-მოიხედა შეშინებულმა, ვერავინ დაინახა, კუნჭულში შეხედვა ვერ გაბედა და აჩქარებული წავიდა: კარგიც ქნა, რომ აჩქარდა, რადგან ცოტა ხანს შემდეგ ექვსი კაცი გამოჩნდა პლუმეს ქუჩაზე, ფრთხილი ნაბიჯით მოდიოდნენ, კედლის ძირში, ერთიმეორის მიყოლებით, ისე რომ, მანძილი დარჩენილიყო მათ შორის, თითქოს პატრული მოიპარებაო.

ჟან ვალჟანის ბაღის მოაჯირს რომ მოაწია პირველმა, გაჩერდა და სხვებს დაუწყო ლოდინი. ცოტა ხნის შემდეგ ერთად შეიყარნენ ექვსივე.

იდგნენ და ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ:

- აქ არის, აქ! - თქვა ერთმა.

- კები ხომ არა ჰყავთ ბაღში? - იკითხა მეორემ.

- არ ვიცი. მე მაინც დავასორსოლავე ცოტა რამ და იმით გავაჩუმებ.

- მასტიკი შუშისთვის?

- წამოვიღე.

- ძველი მოაჯირია, - თქვა მეხუთემ, რომელიც მუცლით მოზღაპრე უნდა ყოფილიყო.

- მით უკეთესი, - თქვა მეორემ, - ღრჭიალს არ გამოსცემს, ხერხვას რომ დავუწყებთ; ისე დაგვნებდება, თითქოს არც კი ყოფილა.

მეექვსეს ჯერ ხმა არ ამოეღო და მოაჯირს მოსინჯვა დაუწყო, როგორც იმ ერთი საათის წინათ ეპონინმა; ხელს წაავლებდა რკინას და არხევდა ფრთხილად. სინჯა, სინჯა და იმას მიადგა, საიდანაც მარიუსი შედიოდა. ის-ის იყო, აპირებდა მოსინჯვას, რომ უცბად ვიღაცის ხელი გამოჩნდა სიბნელიდან, მკლავში ჩაჰკრა და ხრინწიანი ხმით უთხრა ხმადაბლა:

- კებია ბაღში.

და წინ წაუდგა ვიღაც გაყვითლებული ქალი.

შეკრთა კაცი მოულოდნელობის გამო, შეხტა, თმა აეშალა საზიზღრად; არაფერია სანახავად ისე საშინელი, როგორც მხეცის შეკრთომა.

შეშინებულის თვალი აფრთხობს ადამიანს. უკან დაიწია და წაილუღლუღა:

- ეს კახპა ვინღა არის?

- შენი ქალია.

ეპონინი იყო და მამამისს ელაპარაკებოდა.

ეპონინი რომ დაინახეს, სხვებიც, ესე იგი კლაკსუ, გელმერი, ბაბეტი, მონპარნასი და ბრუჟონი ჩუმი ნაბიჯით აუჩქარებლად, ხმის ამოუღებლად, ნელ-ნელა, ღამის მაწანწალების სიფრთხილით მიუახლოვდნენ მამა-შვილს, ყველას რაღაც საზარელი იარაღი ეჭირა ხელში. გელმერს ერთი მოკალული გაზი ეჭირა, რომელსაც ქურდები თავსაკრავს ეძახიან.

- აქ რა გინდა, გოგო? რა გინდა ჩვენგან? ხომ არ გაგიუებულხარ! - შეჰყვირა ტენარდიემ, რამდენადაც კი შეიძლებოდა ჩუმად ყვირილი, - ხომ ხედავ, საქმე გვაქვს? რას ეჩრები ჩვენს საქმეში?

სიცილი წასკდა ეპონინს, მოეხვია, გულში ჩაიკრა მამა.

- აქ იმიტომ ვარ, მამიკო, რომ აქა ვარ. ახლა რა? განა აკრძალულია ქუჩაში ქვაზე ჯდომა? მე კი არა, თქვენ არ უნდა გამოგევლოთ აქეთკენ. რა გინდათ? ხომ იცით, რომ ხელის მოსათბობი აქ არაფერია. აკი შევატყობინე მანონს. არაფერია აქ, არაფერი. ტყუილად გარჯილხართ. რა ვქნა? არ უნდა მაკოცო, მამიკო? რამდენი ხანია აღარ მინახავხარ. მაშ, გამოგიშვეს, გამოგიშვეს?

ტენარდიე სულ იმას ცდილობდა, ხელიდან გამოსძრომოდა ეპონინს და შეუტია:

- კარგი, კმარა! ხომ მაკოცე! ჰო, გამომიშვეს, დამწყვდეული აღარა ვარ. ახლა კი მოგვშორდი!

ეპონინი კი არ უშვებდა ხელიდან და უფრო და უფრო მეტად უალერსებდა.

- მერე როგორ მოახერხე, მამიკო? როგორ გამოიპარე? ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული უნდა იყოს კაცი, რომ თავი დააღწიოს. ერთი მიამბე, როგორ გამოძვერი? დედაჩემი როგორღაა? სად არის დედაჩემი? მითხარი რამე დედაჩემისა.

გაბრაზებით უპასუხა ტენარდიემ:

- კარგად არის! აბა, რა ვიცი? თავი დამანებე, გამიშვი, გოგო! წადი, მოგვშორდი!

- ჰოდა, სწორედ ეგ მოშორება არ მნებავს, - უთხრა ჭირვეული ბავშვის ახირებით ეპონინმა, - ოთხი თვე სრულდება, რაც აღარ მინახავხართ. ძლივს გიპოვეთ და იმის ნებასაც კი არ მაძლევთ, რომ მამაჩემის ალერსით დავტკბე?

და უფრო მაგრად მოეხვია.

- კარგი, ერთი! რა დროს ეს სისულელეა? - წამოიძახა ბაბეტმა.

- ჰა, ავჩქარდეთ, თორემ გუგულები გამოივლიან! - აფრთხილებდა გელმერი.

მუცელმოგვმა ლექსით თქვა იგივე:ლ

როგორც ყველაფერს, კოცნასაც დრო აქვს,

ახლა არ არის ახალი წელი.

ახლა კი იმათკენ მიბრუნდა ეპონინი:

- ოჰო, ბატონი ბრუჟონი! როგორ გიკითხოთ, ბატონო ბაბეტ? სალამი ბატონო კლაკსუ! ნუთუ ვეღარ მცნობთ, ბატონო გელმერ? ჰა, როგორა ხარ, მონპარნას?

- გცნობენ, გცნობენ, - აჩქარებდა ტენარდიე, - ჰოდა, მშვიდობით, ნახვამდის! გაგვეცალე აქედან!

- ეს დრო მელიებისა არის და არა ქათმებისა, - შეუტია მონპარნასმა.

- ხომ ხედავ, რომ საქმე გვაქვს, ნუღარ მოგვაცდენ, - დაუმატა ბაბეტმა.

ხელი დაუჭირა მონპარნასს ეპონინმა.

- ჰა, ფრთხილად! - დაუძახა მონპარნასმა, - დანა მიჭირავს გახსნილი.

- ჩემო კარგო მონპარნას, - დაიწყო ალერსით ეპონინმა, - ადამიანისაც უნდა გჯეროდეთ რამე. მგონია, რომ მე მამაჩემის შვილი ვარ. ბატონო ბაბეტ, ბატონო გელმერ, მე მქონდა დავალებული ამ სახლის დაზვერვა. მერწმუნეთ, თქვენ აქ ვერაფერს იშოვით.

აღსანიშნავია, რომ ქუჩის გოგო არგოზე არ ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქურდული ენით მიმართავდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც მარიუსი გაიცნო, საზიზღრად მიაჩნდა ეს წარყვნილი ენა.

სუსტი, გაძვალტყავებული ხელი მოუჭირა გელმერის მაგარ, ტლანქ ხელს და განაგრძო:

- კარგად იცით, რომ სულელი არა ვარ. საერთოდ ყოველთვის სჯერათ ჩემი, რასაც კი დამავალებენ. რამდენჯერ დაგხმარებივართ თქვენს საქმეებში. და აი, აქაც,

დავზვერე აქაურობა, გავსინჯე, გამოვიძიე და გადაწყვეტით გეუბნებით, სულ არაფერისთვის, სულ ამაოდ გაებმებით მახეში. გეფიცებით, საშოვარი არაფერია ამ სახლში.

- მარტო ქალები არიან, - წამოიძახა გელმერმა.

- არა, ისინიც სხვაგან გადავიდნენ.

- შანდლები კი არსად გადასულან! - შენიშნა ბაბეტმა.

და დაანახვა ხეების ტოტებშუა სამერცხულიდან გამომდინარე სინათლე. ბებერ ტუსენს სარეცხი აეტანა სხვენზე და იქ ფენდა.

ეპონინი მაინც თავისას არ იშლიდა:

- ესენი? ღარიბ-ღატაკები არიან, შიმშილით უხმებათ კუჭი. ერთი სუ რა არის, ერთ სუს ვერსად უპოვით.

- მოგვშორდი-მეთქი, გეუბნები! - შეუტია ტენარდიემ, - ამ სახლს კარგად რომ გავჩხრეკთ და სარდაფს ბანზე მოვაქცევთ და ბანს სარდაფში, მაშინ გეტყვით, რაც ვიპოვეთ, სუ იყო, ფრანკი თუ ოქროს ნაპოლეონი.

ხელი ჰკრა და ჩამოიშორა.

- ჩემო მეგობარო, ბატონო მონპარნას, გულწრფელად გთხოვთ, ხომ კარგი, გულკეთილი ბიჭი ხართ, ნუ შეხვალთ ამ სახლში!

თავისებურად, გადაჭრით შეუტია ტენარდიემ.

- აბა, მოწყდი აქაურობას, ქაჯო! საქმე გვაქვს კაცებს და აქ გოგოების ჩარევა არ გვესაჭიროება.

ეპონინმა ხელი უშვა მონპარნასს, რომელსავ სიტყვით ეხვეწებოდა და ხელით უალერსებდა, და ჰკითხა:

- მაშ, ამ სახლში უნდა შეხვიდეთ?

- ჰო, ისე ოდნავად! - წაიბურტყუნა მუცელმოგვმა.

მაშინ მოაჯირს მიეყუდა ეპონინი. გადახედა თავით ფეხამდე შეიარაღებულ ქურდებს, რომლებსაც ღამის სიბნელე მართლა ქაჯების მსგავსად ხდიდა, და დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოთქვა:

- ჰოდა, მე კი არ მინდა, რომ თქვენ აქ შეხვიდეთ.

განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ ქურდები. მუცელმოგვსაც კი დაავიწყდა თავისი ლაზღანდარობა.

ახლა უფრო შთაგონებით განაგრძო ეპონინმა:

- ყური მიგდეთ, მეგობრებო! საქმე არც აგრეა, თქვენ რომ ფიქრობთ. ახლა მე მომისმინეთ. პირველი, თუ ამ ბაღში შესულხართ, თუ ხელი გიხლიათ ამ მოაჯირისთვის, მაშინვე ყვირილს დავიწყებ, კარს დავაბრახუნებ, ხალხს გავაღვიძებ და ექვსივეს დავაჭერინებ. პოლიციას დაგასხამთ თავს.

- ნურც გაგიკვირდებათ ამ ქაჯისგან, - წასჩურჩულა ტენარდიემ ბრუჟონს და მუცელმოგვს.

თავი გაიქნია და დაუმატა:

- მამაჩემსაც კი არ დავინდობ.

ტენარდიემ თავისი ქალისკენ მიიწია.

- ნურც აგრე ახლოს მოხვალ, ბებერო! - შეაყენა ეპონინმა.

უკან დაიხია ტენარდიემ ბუზღუნით:

- რა ვქნა, რა მოელანდა ამ სამიწეს, ამას? - და შეუტია, - შე ძუკნა ძაღლო, შენა!

სიცილი დაიწყო ეპონინმა, მაგრამ საზარელი იყო მისი სიცილი:

- გაიგონეთ? თქვენ იქ ვერ შეხვალთ! ახლა თქვენ იცით. ძაღლი კი არა, მგელი ვარ, მგლების ნაშიერი! ექვსნი ხართ? გული არ გამიხეთქოთ! კაცები ხართ? მე კიდევ დედაკაცი ვარ! თქვენ უნდა შემაშინოთ?! გეუბნებით, თქვენ ამ სახლში ვერ შეხვალთ, იმიტომ რომ მე ეს არ მსურს! მომიახლოვდებით? ყეფას დავიწყებ. კიდევ გიმეორებთ. აქ კები - ეს მე ვარ! ჰოდა, აქ მე ვარ მბრძანებელი! გაუდექით თქვენს გზას, გული ნუ გამიწყალეთ! გასწით, წადით, საითაც გენებოთ, ოღონდ ამ სახლს კი ნუ მოეკარებით. მე გიკრძალავთ! თქვენ იარაღით ხართ, მე კიდევ ჩემი ფლოსტით, მაგრამ ეგ არაფერია, აბა მობრძანდით!

და წინ წაიწია ერთი ნაბიჯით, ქურდებისკენ. საშინელი იყო. ისევ სიცილი წასკდა:

- ხომ ხედავთ, არ მეშინია თქვენი. ამ ზაფხულს დამშეული ვივლი, ამ ზამთარს გათოშილი. რა ჩერჩეტები არიან კაცები, - ქალია და შევაშინებთო! - რით უნდა შემაშინოთ? რისი შიში უნდა მქონდეს? თქვენი? ეგ არის, დიახ! აქაოდა, ყურმოჭრილი ხასები გვყავს, ისეთები, რომ სულ ტახტის ქვეშ ძვრებიან, როდესაც დავუყვირებთო. თქვენ გგონიათ, მეც შემაშინებთ? მე არავის მეშინია!

მამას დააცქერდა და დაუმატა:

- თქვენიც კი არ მეშინია, მამაჩემო!

მერე ჩასისხლიანებული თვალი გადაავლო ქურდებს და განაგრძო:

- განა ორივე ერთი არ არის ჩემთვის, ხვალ დილით, აქ პლუმეს ქუჩაზე მიპოვიან მამაჩემის ბებუთით ყელგამოღადრულს, თუ ერთი წლის შემდეგ სენ-კლუში მეთევზეების ბადეში დამხრჩვალს, ან სინის კუნძულზე ნაგავსა და დამხრჩვალ ძაღლებს შორის.

გაჩუმდა, რადგან ხმელი ხველა აუვარდა, ძლივსღა ქშინავდა.

- მაშ, გამეცალეთ! - განაგრძო, რაკი სული მოიბრუნა, - ქვეყანას შევყრი, ერთი რომ დავიყვირო! თქვენ ექვსნი ხართ და მე მთელი ქვეყანა!

წინ წაიწია კიდევ ტენარდიემ.

- ჰა, იქით! - შეჰყვირა გოგომ.

გაჩერდა კაცი და ტკბილად უთხრა:

- ჰო, შორს ვარ, გოგო! ოღონდ ემაგრე ნუ დაიყვირებ. მაშ, არ გინდა, შვილო, რომ ჩვენს საქმეს შევუდგეთ? ცოტა ხელი მოვითბოთ? ხომ უნდა ვიშოვოთ როგორმე რაიმე სახსარი? მაშ, მამაშენი არ გებრალება?

- გული ნუ გამიწყალეთ! - შეუტია ეპონინმა.

- მაშ, რა ვქნათ, რომ გვშია? შიმშილით ხომ არ დავიხოცებით?

- ჩაძაღლდით!

ესა თქვა, ჩამოჯდა მოაჯირის ქვედა კედელზე და სიმღერა დაიწყო:

ხელი რა ნაზია,

ფეხიც ლამაზია,

დრო კი რა ტყუილად გადის...

იდაყვი მუხლზე დაედო, ნიკაპი ხელის გულზე და სიმღერას ფეხის ქნევას აყოლებდა. კაბა დახეული ჰქონდა და შიშველი, ჩამომხმარი ლავიწი უჩანდა. ქუჩის ფარანი უნათებდა სახესა და აღნაგობას. გადაწყვეტილი ჰქონდა, რასაც ამბობდა, და უკან არ დაიხევდა, კიდეც რომ მოეკლათ...

ექვსი კაცი, ექვსი ქურდი და კაცის მკვლელი ყაჩაღი შეეყენებინა გოგოს და წინ აღარ უშვებდა. ბრაზი ერეოდათ, მაგრამ რას იზამდნენ? იქვე, ჩრდილში მიდგნენ მოსალაპარაკებლად და მხრებსღა იჩეჩდნენ შერცხვენილნი.

ეპონინი დამშვიდებულ და მკაცრ მზერას არ აშორებდა მათ.

- რაღაც იცის ამ გოგომ, - თქვა ბაბეტმა, - რაღაც საფუძველი აქვს, იქნება უყვარს ვინმე აქ მცხოვრები? მოდი შენა და ნუ დაგენანება ასეთი რამის ხელიდან გაშვება! ორი ქალი და ერთი ბებერი კაცი, რომელიც უკანა ეზოში ხვრინავს თავისთვის. მერე, რა კარგი ფარდები აფარია ამ ფანჯრებს! ბებერი ურია უნდა იყოს. რა საქმეს გავირიგებდით!

- ჰოდა, თქვენ შედით, - დაიძახა მონპარნასმა, - მე გოგოსთან დავრჩები, და თუ ხმა მოიღო!..

ბებუთი დაანახვა ამხანაგებს.

ტენარდიე არაფერს ამბობდა და ეტყობოდა, მზად იყო დათანხმებულიყო.

ბრუჟონი ოდნავ გულთმისნად მიიჩნეოდა თავის წრეში. მისი აღძრული იყო „ეს საქმეც“. მას ჯერ არაფერი ეთქვა, ჩაფიქრებულიყო. უკანდახევა და საქმის მიტოვება არ იცოდა, რაც უნდა საშინელება ყოფილიყო მოსალოდნელი. ყველამ იცოდა, რომ თავისი გამბედაობისა და ვაჟკაცობის დასამტკიცებლად ერთხელ პოლიციაში შეიპარა და გამოალაგა, რაც მოხვდა ხელში. გარდა ამისა, ლექსებსაც თხზავდა, სიმღერებს და დიდი გავლენით სარგებლობდა.

ბაბეტმა მიმართა კითხვით:

- შენ რაღას იტყვი, ბრუჟონ?

ერთ წამს ისევ ჩაფიქრებული იდგა ბრუჟონი, მერე რამდენჯერმე სხვადასხვაფრივ გაიქნია თავი და, როგორც იყო, ხმა ამოიღო.

- აი, რა გითხრა: ორი მაჩხუბარი ბეღურა დავინახე ამ დილით, ამ საღამოს კიდევ ამ მყეფარე დედაკაცს წავაწყდი. ავი ნიშნებია ეს ყველაფერი. მოდი, წავიდეთ.

და წავიდნენ.

მიდიოდნენ, მაგრამ მონპარნასი განაგრძობდა ბუზღუნს:

- რომ შესულიყავით, ისე ჩავცემდი ბებუთს, რომ ხმა ვეღარ ამოეღო.

ბაბეტს არ მოეწონა ეს სიტყვა:

- არა, ძმაო. მე ქალს ხელს არ ვახლებ.

ქუჩის კუთხესთან რომ მივიდნენ, დადგნენ და ყრუდ წარმოთქვეს ეს გაუგებარი დიალოგი:

- ახლა სად დავიძინოთ ამ საღამოს? - იმათთვის გათენება საღამო იყო.

- პარიზის ცის ქვეშ.

- ტენარდიე, მოაჯირის გასაღები თანა გაქვს?

- მაშ, არადა!

თვალს არ აშორებდა მათ ეპონინი და დაინახა, რომ სწორედ იმ გზას გაუდგნენ, რომლითაც წეღან მოვიდნენ. ადგა, უკან მიჰყვა; მიძვრებოდა კედელს გაკრული. ასე მისდია ბულვარამდე, სანამ ერთმანეთს არ დაშორდნენ ამხანაგები და ექვსივე არ შთანთქა ღამის წყვდიადმა.

## თავი მეხუთე
## ღამის ბნელში

წავიდნენ ქურდები და ისევ ჩვეულებრივი ღამის იერი მიეცა პლუმეს ქუჩას.

ყოველივე ის, რაც ამ ქუჩაში მოხდა, სულაც არ გააკვირვებდა ტყეს. დაბურული ტყე ან ჭალა გადახლართული ტოტებითა და მაღალი ბალახით თავისებურ ბნელ არსებობას განიცდის; შიგ ფუთფუთებს მრავლად ცხოველი, რომელთაც ხშირად ეჩვენებათ მოვლენა უხილავისა: ადამიანის ქვემორედ მყოფი კარგად ხედავს იმ სიბნელეში იმას, რაც ადამიანის ზემორედ იმყოფება. იქ არის მრავალი არსება, ჩვენთვის, ცოცხალთათვის უცნობი და შეუგნებელი, და იქ ხვდება ერთმანეთს, იმ სიბნელეში. ადამიანისგან შორს, თავისუფლად მყოფ ფაფარაშლილ ბუნებას აშინებს ყოველივე, რაშიც კი არაბუნებრივს გულისხმობს რასმე. ბნელის ძალები კარგად იცნობენ ერთმანეთს და საიდუმლო შეთანხმებით მოქმედებენ. კბილებსა და ბრჭყალებს ეშინიათ მიუწვდომლისა. სისხლისმსმელი მხეცი, გაუმაძღარი, დამშეული მადის დასაკმაყოფილებლად ნადირის დევნა, ბასრკბილებიანი ყბებითა და ბრჭყალებით შეიარაღებული ინსტინქტები, რომლის სულისჩამდგმელიც და მიზანიც მარტო მუცელია, შესცქერის და წინასწარვე გრძნობს გულისფანცქალით რაღაც სუდარით დაფარულ ლანდებს, რომლებიც ისე ეჩვენებიან, თითქოს მკვდარი და საშინელი სიცოცხლით იყვნენ სულდგმულნი. ამ უხეშ ძალას შიში ერევა იმ შეუღწეველი სიბნელისა, რომელიც შემკვრივებულია უცნობ არსებაში. შავი რამ რომ დაინახოს საზარელმა მხეცმა შორს, თავის გზაზე, მაშინვე მოერიდება. რაც საფლავიდან ამოდის, აშინებს და გულს უხეთქავს იმას, ვინც ბუნაგიდან გამოსულა. მძვინვარეს ეშინია თვალბედითისა. მგელიც გაურბის მკვდრების მჭამელ ავსულს.

## თავი მეექვსე
## ცხოვრების ვაებას დაუბრუნდა მარიუსი და მისამართს აძლევს კოზეტს

იმ დროს, როდესაც ჟან ვალჟანის ბინას იკავდა ერთგვარი ძაღლი ქალის სახით ექვსი ყაჩაღისაგან, რომელნიც მან გააქცია კიდევაც, მარიუსი კოზეტთან იყო.

არასოდეს ყოფილა ზეცა უფრო მოჭედილი ვარსკვლავებით და უფრო მომხიბლავი; არასოდეს ყოფილა ასე ნაზი ხეების რხევა და ასეთი გულისმტკბობი სურნელება ბალახებისა. არასოდეს დაუძინიათ ასე ტკბილად ჩიტუნებს ხეების ფოთლების მელოდიური ნანინით დამტკბართ. თავის დღეში ქვეყნიერებაზე არსად ყოფილა მყუდროების ასეთი შესაბამისობა სიყვარულით სავსე გულის მუსიკასთან; არასოდეს ყოფილა მარიუსი უფრო ბედნიერი, უფრო აღტაცებული, როგორიც იმ ღამეს იყო. მაგრამ კოზეტი კი დაღონებული დახვდა. ეტყობოდა, ნამტირალევი იყო; გაწითლებული ჰქონდა თვალები.

ეს პირველი ღრუბელი იყო ოცნებათა სამყაროში.

- რა დაგემართა?

- ეჰ, - ამოიკვნესა კოზეტმა და პატარა სკამზე დაჯდა სახლში შესასვლელ კიბესთან. აკანკალებული მარიუსი გვერდზე მიუჯდა.

- ამ დილას მიბრძანა მამაჩემმა, - განაგრძო კოზეტმა, - წასასვლელად მოემზადე, საქმეები მაქვს და წასვლა მოგვიხდებაო.

უფრო მეტად მოერია მარიუსს კანკალი.

სიცოცხლის საზღვარს რომ მიაღწევს ადამიანი, სიკვდილი გამგზავრებაა; მაგრამ სიცოცხლის დასაწყისში ადამიანის გამგზავრება სიკვდილია.

ექვსი კვირის განმავლობაში მარიუსი ნელ-ნელა, ყოველდღე უფრო მეტად და მეტად ისაკუთრებდა კოზეტს. სავსებით იდეალური იყო ეს დასაკუთრება, მაგრამ ღრმა. როგორც უკვე განვმარტეთ, პირველი სიყვარულის ჟამს ადამიანი სულს იპყრობს სხეულზე ადრე; შემდეგ კი სხეულს უფრო ადრე ეუფლება, ვიდრე სულს და ხანდახან სული აღარც კი აგონდება. ფობლაზები და პრიუდომები გაიძახიან, - სულით როგორ უნდა დავტკბეთ, სული რომ არ არსებობსო? - მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ღვთისგმობა არის ეს სარკაზმი. მარიუსი დაჰპატრონებოდა კოზეტს, სულით და სულიერად. სულში ჰყავდა ჩახვეული და სულით ტკბებოდა. იმისი იყო კოზეტის სიცილი, სუნთქვა, სურნელება, ღრმა სხივოსნობა მისი ცისფერი თვალებისა, სიტკბოება მისი ხელისა, ხელს რომ შეახებდა, მომხიბლავი ხალი, ყელზე რომ ჰქონდა, ყოველი იმისი ფიქრი და აზრი. პირობა მიეცათ ერთმანეთისთვის, - ისე არ დავიძინოთ, რომ ერთმანეთი არ ვნახოთ ძილშიო, - და ასრულებდნენ კიდეც ამ დაპირებას. ამგვარად, კოზეტის სიზმარიც კი მას ეკუთვნოდა. თვალს არ აშორებდა და ხანდახან თავისი სუნთქვით შეარხევდა ხოლმე მოკლე თმას კოზეტის კეფაზე და თან აღტაცებული იძახდა, - ბეწვი არ არის აქ არც ერთი, რომ ჩემი არ იყოსო. - შეჰხაროდა და თაყვანსა სცემდა მის ტანისამოსს, კოხტად შეკრულ ბაფთას, ხელთათმანს, სახელოს, პაწია ფეხსაცმელს, როგორც ერთგვარ წმინდა საგნებს, თავის საკუთრებას. - მე ვარ მფლობელი ამ ბაკნის ლამაზი სავარცხლისა კოზეტის თმაში, - ფიქრობდა მარიუსი მიყრუებულ, ჯერ გამოურკვეველი ჟინის ძახილის გამო, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა, - ერთი ღილი არ არის კოზეტის ტანსაცმლისა, ერთი თვალი მისი წინდისა, ერთი ბწკარი მისი კორსეტისა, რომ ჩემი არ იყოსო. კოზეტთან რომ იყო, ისე გრძნობდა თავს, როგორც თავის საკუთრებასთან, თავის კუთვნილებასთან, როგორც თავის მბრძანებელ და თან მონასთან. ისე შეეერთებინათ თავიანთი სული, რომ თავ-თავისას ვეღარ იცნობდნენ, გაყრა რომ მონდომებოდათ. - ეს ჩემია! - არა, ჩემია! - ცდები, გარწმუნებ! - ჩემია, ჩემი! სწორედ მე ვარ, შენად რომ მიგაჩნია! - მარიუსი კოზეტის ნაწილი გამხდარიყო და კოზეტი მარიუსის ნაწილი. მარიუსი გრძნობდა, რომ მის სულსა და გულს დაჰპატრონებოდა კოზეტი. კოზეტი ჰყოლოდა, კოზეტის სული და გული თავისად ჰქონოდა, ეს ისეთივე საჭიროება იყო სიცოცხლისა, როგორიც სუნთქვა. ასეთი რწმენა, ასეთი გახელება, ასეთი უბიწო შეერთება ასულდგუმლებდა მარიუსს, როდესაც მეხივით მოხვდა კოზეტის სიტყვა, - წასვლა მოგვიხდებაო. ცხოვრების მიმდინარეობის მკაცრი ხმა მოესმა, - შენი არ არის კოზეტიო.

ექვსი კვირა იყო, ცხოვრების გარეშე იმყოფებოდა მარიუსი, როგორც ვთქვით, და ამ სიტყვამ - წასვლა მოგვიხდებაო, - ისევ ცხოვრებას დაუბრუნა, გამოაფხიზლა.

ხმა ვეღარ ამოეღო. იგრძნო უცბად კოზეტმა, რომ მარიუსს ყინულივით გაუხდა ხელი.

- რა დაგემართა?

პასუხი მისცა, მაგრამ ისეთი ჩუმი ხმით, რომ ძლივს გააგონა:

- ვერ გავიგე, წეღან რომ მითხარი.

ქალმა განუმეორა:

- ამ დილას მამაჩემმა სამგზავროდ მომზადება მიბრძანა: ჩაალაგე, რაც დაგჭირდება, მზად იყავი წასასვლელადო. დიდ ჩანთაში შენი ნივთები ჩაალაგე, მომცროში ჩემი საცვალი, და დღეის სწორს იქნებ ინგლისისკენ წავიდეთო.

- მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! - შეჰყვირა მარიუსმა.

დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ წამს მარიუსის თვალსაზრისით არავითარი ბოროტმოქმედება მთავრობისა, არავითარი ძალმომრეობა, არავითარი თარეში მტარვალობისა, არავითარი ავკაცობა ბუზირისისა, ტიბერიუსისა ან ანრი VIII-ისა არ შეედრებოდა თავისი სისასტიკით ბ. ფოშლევანის განზრახვას, თავისი ქალი ინგლისს წაეყვანა რაღაც საქმეების გამო.

და მისუსტებული ხმით ჰკითხა:

- მერე როდის მიდიხართ?

- არ ვიცი, არ უთქვამს.

- და როდის დაბრუნდებით?

- არც ეგ ვიცი.

წამოდგა მარიუსი და ცივად ჰკითხა:

- მერე თქვენც წახვალთ, კოზეტ?

ცრემლით არა, მაგრამ მწუხარებით სავსე ჰქონდა კოზეტს ლამაზი თვალი, როცა ჰკითხა, თითქოს გონება ერევაო:

- სადა?

- წახვალთ ინგლისში?

- თქვენობით რად მელაპარაკები?

- ეს მითხარით, წახვალთ თუ არა?

- მაშ, რა ვქნა, რას მეტყვი? - ამოიკვნესა კოზეტმა.

- მაშ, წახვალთ? წახვალთ?

- თუკი მამაჩემი წავა?

- მაშ, წახვალთ?

კოზეტმა ხელი დაუჭირა და ალერსი დაუწყო ხმის ამოუღებლად.

- კარგი! - თქვა მარიუსმა, - თუ აგრეა, მეც წავალ, ოღონდ სულ სხვაგან!

კოზეტმა უფრო იგრძნო, ვიდრე მიხვდა, ამ სიტყვის მნიშვნელობა; ისე გაყვითლდა, რომ თეთრად ჩანდა ხეების ქვეშ სიბნელეში, და წაილუღლუღა:

- რაო? ეგ რა თქვი?

დააცქერდა მარიუსი, მერე ზეცას აღაპყრო თვალი და უპასუხა:

- არაფერი.

და თავის სატრფოს რომ გადმოხედა, ნახა, რომ იღიმებოდა მისი კოზეტი. თუ გიყვართ ქალი, მისი ღიმილის ელვარება ბნელშიც ბრწყინავს.

- რა ბავშვები ვართ! ერთი რამ მოვიფიქრე, მარიუს.

- რა?

- შენც გამოგვყევ, თუ წავალთ. მე შეგატყობინებ, სად წავალთ, და შენც იქ მნახავ.

მთლად გამოფხიზლებულიყო უკვე მარიუსი, ისევ ცხოვრების სინამდვილეს დაბრუნებოდა.

- მეც წამოვიდე? რა ადვილად სჯი! წამოსვლას ფული უნდა და მე კი არა მაქვს! ინგლისში წამოვიდე? როგორ წამოვიდე, რომ კურფეირაკისა მმართებს, - ჩემი მეგობარია, შენ არ იცნობ, - სწორედ არ ვიცი, მგონი, ორას ფრანკზე მეტი! ერთი

ძველი ქუდი მხურავს, იმაში სამ ფრანკს არავინ მომცემს. ტანისამოსს ღილები აკლია, პერანგი დახეულია, იდაყვზე გამოფხრეწილი და წაღებში კიდევ წყალი შემდის. ექვსი კვირაა, ისე აღარ მახსოვდა ჩემი ტანისამოსი, როგორც შარშანდელი თოვლი; არაფერზე ვზრუნავდი და არც შენ გეუბნებოდი. რომ იცოდე, კოზეტ, რა წყალწაღებული ვარ! შენ მარტო ღამით მხედავ და მამკობ შენი სიყვარულით. დღისით რომ მნახო, იქნებ ერთი სუ გამომიწოდო! ინგლისში წამოვიდე? იმდენიც კი არა მაქვს, რომ პასპორტის ხარჯის გადახდა შევძლო.

ხესთან მივარდა იქვე, მის გვერდით რომ იდგა, ორივე ხელი თავში იტაცა, შუბლი ხის ქერქს მიადო და არც ამ ხეს გრძნობდა, შუბლს რომ ჰკაწრავდა, არც სისხლს, საფეთქლებში მოწოლილს. იდგა ასე უძრავად, წასაქცევად გამზადებული, როგორც სასოწარკვეთილების ქანდაკება.

კარგა ხანს იდგა ასე. უფსკრულში რომ ჩავარდება ადამიანი, შეიძლება სულაც ვეღარ დააღწიოს თავი. მაინც მობრუნდა, უკნიდან რაღაც ხმა მოესმა, ჩაყრუებული, ტკბილი, სევდით აღსავსე.

კოზეტი იყო, ქვითინებდა.

ორ საათზე მეტი იტირა კოზეტმა... მარიუსის გვერდით, ის კი თითქოს უგრძნობელი გამხდარიყო.

მერე მივიდა, მუხლებზე დაეცა, თავი დახარა, ფეხის წვერი დაინახა, კაბის ძირიდან გარეთ გამოყოფილი, და იმას აკოცა.

გაჩუმებული შეჰყურებდა კოზეტი, არაფერს უშლიდა. არის ხოლმე წამი, როდესაც ისე იღებს ქალი სიყვარულის თაყვანისცემას, როგორც დაღვრემილი, თავისი მოვალეობის ერთგული ღვთაება.

- ნუ ტირი, - სთხოვა მარიუსმა.

ქალმა ამოილუღლუღა:

- მე რომ შეიძლება წავიდე და შენ კი ვერ წამოხვალ?

შეესიტყვა მარიუსი:

- ისევ გიყვარვარ?

ქვითინით უპასუხა კოზეტმა იმ სამოთხისებური სიტყვით, რომელიც არასდროს არ არის ტკბილი, როგორც მაშინ, როდესაც ცრემლი თან ახლავს.

- გაღმერთებ!

მარიუსი განაგრძობდა თხოვნას გამოუთქმელი ალერსით სავსე ხმით.

- ნუ ტირი, ნუთუ არ ამისრულებ თხოვნას? ნუღარ ტირი.

- შენ გიყვარვარ? - შეეკითხა კოზეტი.

ხელი დაუჭირა მარიუსმა:

- ჩემო კოზეტ, ჩემს დღეში არავისთვის მიმიცია პატიოსანი სიტყვა, რადგან მეშინია, ვაითუ ვერ ავასრულო და შევრცხვე-მეთქი. აქ კი, აი, ვგრძნობ, რომ გვერდით მიდგას გარდაცვლილი მამაჩემი. ჰოდა, პატიოსან სიტყვას გაძლევ, უწმინდეს სიტყვას, თუ წახვედი, ცოცხალს ვეღარ მნახავ.

იმნაირი კილოთი წარმოთქვა ეს სიტყვები, ისეთი სევდითა და თავგანწირული სიმშვიდით, რომ კოზეტი კანკალმა აიტანა. ის შინაგანი სიცივე იგრძნო, რომელსაც იწვევს ჩვენში რაღაც მძიმე და გარდაუვალი. გაშეშებული შესცქეროდა მარიუსს, ტირილიც კი შეწყვიტა.

- ახლა ყური მიგდე, ხვალ ნუ მომელი.

- რატომ?

- ზეგ კი აქ ვარ.

- ოჰ, რატომ ხვალ არა?

- ნახავ.

- ერთი დღე უშენოდ? შეუძლებელია.

- მოდი შევწიროთ ერთი დღე, რომ მთელი სიცოცხლე შევიძინოთ.

და ისე წარმოთქვა, ჩუმად, თავისთვის, მარტო:

- იმისთანა კაცია, რომ ჩვეულებას არაფრით უღალატებს. თავის დღეში არავინ მიუღია, თუ არა საღამოს.

- ვისზე ამბობ მაგას? ვინ არის ეგ კაცი?

- მე არაფერი მითქვამს.

- ვიღაცის იმედი გაქვს. რატომ არ მეტყვი?

- ზეგამდე დამაცადე.

- შენ ასე გსურს?

- ჰო, ჩემო კოზეტ.

წამოდგა კოზეტი, ორივე ხელით დაუჭირა ხელი, თითის წვერებზე შედგა, რომ შიგ თვალებში ჩაეხედა მარიუსისთვის და ამოეკითხა მისი იმედი.

მარიუსმა განაგრძო:

- საჭირო იქნება შენთვის ჩემი მისამართი; შეიძლება მოხდეს რამე ისეთი, რომ დაგჭირდეს. მე ჩემს მეგობართან ვცხოვრობ, კურფეირაკთან, ვერერის ქუჩაზე, თექვსმეტ ნომერში.

ჯიბიდან კალმის დანა ამოიღო და გალესილ კედელზე ამოჭრა თავისი მისამართი:

- ვერერის ქუჩა, #16.

კოზეტი კი ისევ თვალში ჩააცქერდა:

- მითხარი, მარიუს, რას აპირებ? გამიზიარე შენი განზრახვა. ჰო, გამაგებინე, რომ დამშვიდებული ვიყო ამაღამ.

- ჩემი განზრახვა? აი, რას გეტყვი: ყოვლად შეუძლებელია, ღმერთმა ინებოს ჩვენი განშორება. მაშასადამე, ზეგ საღამომდე მომიცადე.

- მე ჩემი დამემართება, სანამ გნახავ. შენ გარეთ ხარ, მიდიხარ-მოდიხარ. რა ბედნიერები ხართ კაცები! მე კი უნდა ვიჯდე მარტოდმარტო, დაღონებული, გულდაწყლულებული. მაშ, რას აპირებ ხვალ საღამოს, არ მეტყვი?

- მინდა ვცადო.

- მაშინ მე, ღმერთს შევევედრები და სულ შენზე ფიქრში ვიქნები, რომ ცდამ ამაოდ არ ჩაგიაროს. აღარაფერს გკითხავ, რაკი არ გინდა. შენა ხარ ჩემი მბრძანებელი. ხვალინდელ საღამოს სიმღერით გავატარებ; „ევრიანტადან“ ვიმღერებ, შენ რომ გიყვარს, ჩუმად რომ ისმენდი, ჩემი ფანჯრების ქვეშ. მაგრამ ზეგ საღამოს კი ადრე მოხვალ. სწორედ ცხრა საათზე გელი და არ დაიგვიანო. რა საშინელებაა, ღმერთო, ეს დაუღამებელი დღეები! გაიგე, როგორც კი დაჰკრავს ცხრას, მე აქ ვარ, ბაღში.

- მეც აქ დაგხვდები.

და ხმისამოუღებლად, ერთი და იმავე ფიქრით აღძრულნი, გატაცებულნი იმ მუხტით, რომელიც შეუწყვეტლად ერთ არსებად ჰქმნის ორ შეყვარებულს, ვნებით გაგიჟებულნი მოეხვივნენ ერთმანეთს, გულში ჩაიკრეს და ვერც კი შენიშნეს, როდის და როგორ შესწებებოდა ერთმანეთს მათი ბაგე, როდესაც თვითონ ნეტარებით

დამტკბარნი, მაგრამ თვალცრემლიანნი, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდნენ.

მარიუსი შინ რომ წავიდა, ქუჩაში აღარავინ იყო. სწორედ ის დრო იყო, ეპონინი რომ მიჰყვა ბულვარამდე ქურდებს, რომელნიც იქ მიემალნენ.

ხეს რომ მიეკრა მარიუსი და გამოსავალს ეძებდა, ერთმა აზრმა გაუელვა მოულოდნელად, აზრმა, რომელიც თვითონვე შეუძლებლად მიაჩნდა. ხავსს ეჭიდებოდა წყალწაღებული.

## თავი მეშვიდე
## მოხუცებულის და ყმაწვილის გულის უთანხმოება

მოხუცებული ჟილნორმანი იმ დროს უკვე ოთხმოცდათერთმეტი წლისა იყო, ისევ ისე თავის ქალთან ცხოვრობდა ფილ-დე-კალვერის ქუჩა #6-ში, ძველ, საკუთარ სახლში. ძველებური კაცი იყო, როგორც მკითხველსაც ეხსომება, ერთი იმათგანი, რომელიც გულგრილად ელის სიკვდილს, და ვისაც ვერც ხნიერება მოღუნავს წელში, ვერც დარდი და სევდა გაუტეხს გულს.

მაგრამ რამდენიმე წელიწადი იყო, სულ იმას ჩიოდა მისი ქალი, - მამაჩემი მისუსტდებაო, - სილას აღარ გაჰკრავდა ხოლმე მოახლეებს; იმ ძალით ვეღარ სცემდა ჯოხით კიბის საფეხურს, როდესაც მალე არ უღებდა კარს თავისი ბასკი. ივლისის რევოლუციამ თითქმის არაფრით შეაწუხა, თუმცა ექვს თვეს გასტანა. თითქმის სრული დამშვიდებით წაიკითხა „მონიტორში“ ასეთი შეუსაბამო სიტყვები: „ბატონი უნბლო კონტე, დიდებული საფრანგეთისა“. ნამდვილი თუ გნებავთ, მჭმუნვარება მორეოდა მოხუცებულის გულს, მაგრამ არ ნებდებოდა, არ სურდა დაეთმო: როგორ, ის და დამარცხებული ყოფილიყო? ეს არც ფიზიკურ აგებულებაში ჰქონდა მოხუცს, არც ზნეობრივ ბუნებაში, მაგრამ გულით კი გრძნობდა, რომ სუსტდებოდა. ოთხი წელიწადი სულ მარიუსის მოლოდინში იყო კაცი; გულმაგრად ელოდა სრულიად დარწმუნებული, რომ მოვა ის საძაგელი, აბეზარი და, დღეს იქნება თუ ხვალ, ზარს დაუწკარუნებს, და ახლა კი, როდესაც მოერეოდა ხოლმე ავის შესაძლებლობის ფიქრი, - ცოტა რომ კიდევ დაიგვიანოს... ის კი არ აწუხებდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა; არა, იმაზე წუხდა, რომ შეიძლებოდა ვეღარც კი ღირსებოდა მარიუსის ნახვა. აქამდე ისე ჭარმაგად იყო, რომ აზრადაც არ მოსდიოდა, ვაითუ ისე მოვკვდე, ჩემი შვილიშვილი ვერ ვნახოო. ახლა კი უფრო და უფრო ხშირად ეპარებოდა ეს ფიქრი და ჰყინავდა კაცს. როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, სადაც კი ბუნებრივი და ნამდვილი სიყვარულია, განშორებამ უფრო გააძლიერა პაპის სიყვარული უმადური შვილიშვილისადმი, რომელმაც ისე არხეინად მიატოვა. დეკემბრის ღამით არის, ათგრადუსიან ყინვაში, რომ სულ მზე აგონდება ადამიანს. ბ. ჟილნორმანს არ შეეძლო ან ეგონა, რომ არ შეეძლო პირველი თვითონ გამოლაპარაკებოდა მოხუცებული პაპა თავის გაზრდილ შვილიშვილს. - მოვკვდები და ამას კი არ ვიზამო, - იძახდა. მისთვის რომ ეკითხათ, მარიუსის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ ყოველთვის ღრმა სიყვარულით იგონებდა და თან საფლავის კართან მდგომი მოხუცებულის უიმედობით.

კბილები სცვიოდა ნელ-ნელა და ახლა ეს უმატებდა მწუხარებას.

ბ. ჟილნორმანს, - ამას თავის თავსაც კი არ გაუტყდებოდა, რადგან შერცხვენილი დარჩებოდა და გაშმაგებული, - თავისი არც ერთი საყვარელიც კი არა ჰყვარებია ისე ძალიან, როგორც მარიუსი უყვარდა.

თავის ოთახში, საწოლის ფერხთით, ძველი სურათი ჰქონდა თავისი უმცროსი ქალისა, რომ დილით, როგორც კი თვალს გაახელდა, პირველად ეს სურათი დაენახა. სურათი მაშინ იყო დახატული, როცა მისი ქალი, შემდეგში პონმერსის მეუღლე, და გარდაცვლილი, თვრამეტი წლისა იყო. სულ იმ სურათს შესცქეროდა მოხუცებული და ერთხელ წამოიძახა:

- ძალიან ჰგავს თავის დედას.

- დიახ, ძალიან ჰგავს, - დაეთანხმა უფროსი ქალი.

მოხუცებულმა სხვაც დაუმატა:

- „იმასაც“ ჰგავს.

ერთხელ დაღვრემილი იჯდა, მუხლი მუხლზე მიედო, თვალი მოეხუჭა და დაფიქრებულიყო. გაბედა როგორღაც მისმა ქალმა და ჰკითხა:

- მამაჩემო, ნუთუ ისევ უჯავრდებით?..

გაჩუმდა, ვეღარ გაბედა დაესრულებინა შეკითხვა.

- ვის ვუჯავრდები? - ჰკითხა მამამ.

- საწყალ მარიუსს?

მაღლა აიღო ბებერი თავი. გამხდარი, დანაოჭებული ხელი მაგიდას დაჰკრა და აღშფოთებით უპასუხა:

- როგორ? თქვენ სთქვით, საწყალი მარიუსიო? საძაგელი რამ გახლავთ ის ვაჟბატონი, საზიზღარი, თავმომწონე, უმადური, უგულო და უსულო, ამაყი, ამპარტავანი და ამასთან, გულღრძო!

და თავი მიიბრუნა, - არ დაინახოს ჩემმა ქალმა, რომ ცრემლით ამევსო თვალიო.

სამი დღის შემდეგ გაჩუმებული იჯდა მთელი ოთხი საათი და მერე უცბად მივარდა თავის ქალს:

- მე მგონია, ვთხოვე ქალბატონ ჟილნორმანს, რომ მისი ხსენება არ ყოფილიყო ჩემს სახლში!

მას შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა ქალმა, რომ შეუძლებელი იყო მათი შერიგება, და შემდეგ ღრმააზროვან დასკვნაზე შეჩერდა:

- მამაჩემს აღარ უყვარდა ჩემი და, რაკი ის სისულელე ჩაიდინა, და, ცხადია, მისი შვილიც ეჯავრება.

- „ის სისულელე ჩაიდინა“ ნიშნავდა, პოლკოვნიკს გაჰყვა ცოლადო.

ძალიან უნდოდა ჟილნორმანის ქალს მარიუსის მაგივრად მამის ოჯახში შეეყვანა თავისი მოწონებული თეოდული, მაგრამ ვერას გახდა, როგორც მკითხველიც დაინახავდა; არ ივარგა მარიუსის მოადგილემ, მან ვერ დაიჭირა ჟილნორმანის გულში მარიუსის ადგილი. საცობი ვერ ამოავსებს დაცარიელებულ გულს. თეოდულსაც თავის მხრივ, თუმცა დიდი მემკვიდრეობის სუნი მისდიოდა, მაინც არ უნდოდა პირმოთნეობით მოეწონებინა თავი. მოხუცებულმა მალე მოაბეზრა თავი თეოდულს, და თეოდული კიდევ უფრო მალე შეეჯავრა ჟილნორმანს. ყმაწვილი ოფიცერი იყო თეოდული, მხიარული, მაგრამ ყბედი, ქარაფშუტა და უწმაწური; დროსტარების მოყვარე, მაგრამ უვარგის წრეში; მართალია, საყვარლები ჰყავდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ სულ თავის საყვარლებზე ლაპარაკობდა და ცუდადაც

ლაპარაკობდა. ნაკლოვანება თან ახლდა ყოველ მის ღირსებას. სულ იმას უამბობდა ჟილნორმანს, რომ თავისი რაზმის სადგომის მიდამოებში, ბაბილონის ქუჩაზე, გამარჯვებული იყო ქალებში. გარდა ამისა, ხანდახან სამხედრო ტანისამოსით ეწვეოდა ხოლმე ჟილნორმანს, სამფეროვანი კოკარდით, ბოლოს იმითი დასრულდა საქმე, რომ გამოუცხადა ჟილნორმანმა თავის ქალს: - თავი მომაბეზრა შენმა თეოდულმა. არად ვარგებულა მშვიდობიანობის დროს სამხედრო კაცი! თუ აგრე გინდა, შენ მიიღე ხოლმე. მე მგონია, რომ ნამდვილი ხმლით ხელში მებრძოლი უფრო კარგია, ვიდრე ეს მეკოხტავე, ხმალი რომ აუთრევია. ბრძოლაში რომ ხმლების ჩახაჩუხი გაისმის, ეს იმას ნიშნავს, რაღაცას ემსახურება და იმისთვის იბრძვის. ესენი კი ჩამოიკიდებენ ხმალს, ძირს დაუშვებენ მიწაზე და ისე მიათრევენ. კაცი ვიყო და აგრე ვიკვეხდე ჩემს ვაჟკაცობას? კაცი ვიყო და ასე ყმაწვილ გოგოსთვის ვიწერწეტებდე წელს? ფორმის ტანისამოსის ქვეშ კორსეტი მეცვას? თუ კაცია ადამიანი, თანასწორ მანძილზე გაუდგება ბაქიაობასაც და პრანჭვა-გრეხასაც. ცარიელი ტრაბახი და თავის მოწონებაა! შენთვის დამითმია შენი თეოდული.

ქალმაც გასცა პასუხი:

- კარგი, მაგრამ ხომ ნათესავია თქვენი, თქვენი ძმის შვილიშვილი?

და მაშინ აღმოჩნდა, რომ ბ. ჟილნორმანი თავით ფეხებამდე პაპა იყო, ბიძობას არ აპირებდა.

ჭკვიანი მოხუცი იყო, შეადარა ერთმანეთს ორთავე ყმაწვილი და ამ შედარებამ უფრო მეტად დაანანა მარიუსის განშორება.

ერთ საღამოს, - ეს იყო 4 ივნისს, და მიუხედავად ამისა, მშვენიერი ცეცხლი გუზგუზებდა ბ. ჟილნორმანის ბუხარში, მოხუცმა დაითხოვა ქალი, რომელიც იქვე, მეორე ოთახში მიუჯდა საკერავს. მარტო დარჩა მოხუცებული საგანგებო სურათებით დამშვენებულ ოთახში; ფეხები ბუხრის მოაჯირზე შეეწყო, უკან კორომანდელის თეჯირი ედგა და მაგიდას დაყრდნობოდა, რომელზედაც ორი სანთელი ენთო მწვანე შუქფარიანი; ძვირფასი ნაქარგით გადაკრულ სავარძელში იჯდა, წინ გაშლილი წიგნი ედო, მაგრამ არ კითხულობდა; ტანისამოსი „თავის მოდისა“ ეცვა „ინცროყაბლე“, რომელიც გარას ძველებურ სურათს მოგაგონებდათ; ქუჩაში რომ ასე მორთული გასულიყო, ქვეყანა დაედევნებოდა; მაგრამ ქალმა იცოდა, რომ ასე იქნებოდა და როგორც კი სახლიდან გასვლას დააპირებდა ბ. ჟილნორმანი, ქალი ერთი ეპისკოპოსის მანტიისმაგვარ განიერ წამოსასხამს შემოახვევდა ხოლმე, და ასე უმალავდა ძველებურ მორთულობას; შინ რომ იყო, მარტო დასაწოლად და ასადგომად ცოტახნით ჩაიცვამდა ხოლმე ხალათს: - ბებრის შეხედულობას აძლევს ადამიანს ხალათიო.

სულ მარიუსზე ფიქრობდა ბ. ჟილნორმანი, ეს იყო მისი განუშორებელი სევდა და სიყვარული, და როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აქაც სიმწარე უფრო მეტი იყო, ვიდრე სიტკბოება. სიყვარულს ბრაზი სჯობნიდა, ადუღდებოდა და რისხვად იქცეოდა. იმ ყოფაში იყო უკვე, როდესაც აუცილებელ საჭიროებად ხდება ორში ერთის ამორჩევა, და სწორედ იმას იღებს და ურიგდება ადამიანი, რაც მიუღებლად და შეუწყნარებლად მიაჩნდა. თვითონვე უმტკიცებდა თავს, რომ დღეს აღარავითარი საფუძველი არ მოიპოვებოდა მარიუსის დაბრუნების შესაძლებლობისა; ეტყობა არ უწერია ეს მარიუსს, თორემ აქამდე დაუბრუნდებოდა თავის პაპას და ოჯახსო. ამაოა უკვე მისი ლოდინი და სჯობს მორჩეს წუხილს, შეურიგდეს იმ აზრს, რომ ვეღარ

ეღირსება „იმ ვაუბატონის“ ნახვას, ისე დალევს სულს; მაგრამ ვერ ურიგდებოდა ამ დასკვნას მისი ბუნება და აღშფოთებულიყო, ბებერი მშობლის გულს არ შეეძლო დათანხმებოდა ამაზე. - როგორ? - ყოველდღე ეუბნებოდა თავის თავს მოხუცებული, - ნუთუ არ დაბრუნდება? დახრიდა მოტვლეპილ თავს, სევდითა და ბრაზით სავსე თვალით შესცქეროდა ბუხარში ცეცხლს.

ასე დაღვრემილი იჯდა ბუხართან, როდესაც ოთახში შევიდა მისი ბებერი მოსამსახურე ბასკი და მოახსენა:

- ბატონი მარიუსი გახლავთ. მიიღებთ, ბატონო, თუ არა?

წამოიწია მოხუცებულმა, წელში გასწორდა, მთლად გაფითრდა, ცხედარს დაემსგავსა, ელექტროდენის გავლენით რომ წამომდგარა. გულს ეცა, რაც სისხლი ჰქონდა. ძლივს მოახერხა ორი სიტყვის წარმოთქმა:

- რაო? ბატონი მარიუსი?

- რა მოგახსენოთ? - უპასუხა ბატონის რისხვით სავსე სახით შეშინებულმა ბასკმა, - მე არ მინახავს. ნიკოლეტმა მითხრა, - ერთი ყმაწვილი კაცია ბატონის სანახავად. მოახსენეთ, რომ მარიუსი გახლავთო.

ჩუმი ხმით წაილუღლუღა მოხუცებულმა:

- მობრძანდეს.

და ისევე დარჩა, როგორც იყო. თავს აცანცარებდა, თვალით კარს შესცქეროდა.

აგერ, გაიღო კარი, ყმაწვილი კაცი შევიდა. ეს მარიუსი იყო.

კართანვე გაჩერდა, თითქოს ელოდა, ნება მიეცათ პაპასთან მისვლისა.

ძველი, გაცვეთილი ტანისამოსი ეცვა, მაგრამ შუქფარი აბნელებდა ოთახს და ეს გარემოება შეუმჩნევლად რჩებოდა. მარიუსისა მარტო სახე ჩანდა, დამშვიდებული და ჩაფიქრებული, მაგრამ საოცრად დაღონებული.

ჭკუაზე ვეღარ მოსულიყო განცვიფრებული და გახარებული მოხუცი. ცოტა ხანს ასე დარჩა; ვერაფერს ხედავდა, რაღაც სინათლის გარდა, თითქოს მოჩვენება სდგომოდა თვალწინ და იმას გამოეღოს ეს სინათლე. გული მისდიოდა. თავბრუ ეხვეოდა. ცხადად ხედავდა მარიუსს. ის იყო, ის, მარიუსი იყო!

ძლივს! ოთხი წლის შემდეგ თავით ფეხებამდე ერთი თვალის გადაკვრით დაინახა მშვენიერი ყმაწვილი, კეთილშობილი, ზრდილობიანი, უკვე დავაჟკაცებული, დარბაისელი, მომხიბლავი. გულით უნდოდა დაეძახა, მოხვეოდა, გულში ჩაეკრა. ალერსის სიტყვებით ავსებოდა გული და ვეღარ იტევდა; ამდენი ხნის სიყვარული და ტკბილი ალერსი მოსდგომოდა პირზე და - ვინაიდან ჩვეული იყო ასეთ ქცევას - გულთნადების მაგივრად სულ სხვა წარმოთქვა:

- რა გნებავთ აქ?

შემკრთალმა მარიუსმა ძლივს მიგო:

- ბატონო...

ბ. ჟილნორმანს უნდოდა, მისულიყო მარიუსი, გულში ჩაჰკვროდა. უკმაყოფილო იყო მარიუსითაც და თავისი თავითაც. იგრძნო, რომ მეტად უკმეხად დახვდა შვილიშვილს, და მასაც გულცივობას აბრალებდა. აუტანელ ტანჯვას განიცდიდა მოხუცებული: გრძნობდა, რომ გული უდნებოდა სიყვარულით და საქმით კი მხოლოდ უხეშობას ამჟღავნებდა. და ისევ ძველი სიმწარე მოერია. არ დაასრულებინა მარიუსს თავისი და შეუტია:

- მაშ, რიღასთვის მობრძანდით?

ამ მაშ-ს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, - თუკი არ მომეხვევით და არ მაკოცებთო.

მარიუსი შესცქეროდა პაპას, რომელსაც ჯერაც არ მოსვლოდა ფერი და მარმარილოს ქვასავით გათეთრებულიყო.

- ბატონო...

ისევ სასტიკად შეაწყვეტინა პაპამ:

- ბოდიშის მოსახდელად მოხვედით? შეიგნეთ თუ არა თქვენი დანაშაული?

უნდოდა, ამით გზა ეჩვენებინა ბიჭისთვის და მოეღუნა, დაემორჩილებინა. ათრთოლდა მარიუსი, მამის უარყოფას უბრძანებდნენ; თავი დაღუნა და მიუგო:

- არა, ბატონო.

- მაშ, რა გინდათ ჩემგან? - შეჰყვირა მოხუცებულმა, რომელსაც გული გაუპო ამ პასუხმა და მით უფრო გააშმაგა, - რა გინდათ ჩემგან?

ვედრებითყაღაპყრო ხელები მარიუსმა, წინ წაიწია პაპისკენ და სუსტი, ათრთოლებული ხმით უთხრა:

- შემიბრალეთ, ბატონო.

ამ სიტყვამ შეარყია ჟილნორმანი. ცოტა წინათ რომ ყოფილიყო წარმოთქმული, გულს მოულბობდა მოხუცებულს. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო. ფეხზე წამოდგა პაპა. ჯოხზე დაეყრდნო ორივე ხელით. ტუჩები გასთეთრებოდა, თავს ცანცარი გაჰქონდა. მაღალი ტანით ზემოდან დაჰყურებდა თავდაღუნულ მარიუსს.

- მე შეგიბრალოთ? ახალგაზრდა ჭაბუკი შებრალებას სთხოვს ოთხმოცდათორმეტი წლის მოხუცს? თქვენ ახლა იწყებთ ცხოვრებას, მე კი გავდივარ. თქვენ თეატრში დაბრძანდებით, მეჯლისში, კაფეში, დროს ატარებთ, ქეიფობთ, ჭკვიანი ბიჭი ხართ, მოხდენილი, ლამაზი, ქალებს მოსწონხართ; მე კი, აგერ, ბუხართან ვზივარ ამ შუა ზაფხულში. თქვენ მდიდარი ხართ ჩვენი სიცოცხლის ერთადერთი ნამდვილი სიმდიდრით; მე კი სიბერის კუთვნილი სიღარიბის მეტი არაფერი გამაჩნია, - უძლურება და მარტოობა! თქვენ უკლებლივ გაქვთ ოცდათორმეტი კბილი, კარგი მადა, სიჯანსაღე, მხიარულება, დაბურული ტყე მაგ შავი თმისა; მე კი გათეთრებული ჭაღარა თმაც აღარ შემრჩენია. კბილები აღარა მაქვს; აღარც ფეხი შემრჩა, აღარც ყური, აღარც მეხსიერება; სამი ქუჩის სახელი სულ ერთმანეთში მერევა, შარლოს ქუჩა, შომის ქუჩა და სენ კლოდის ქუჩა. ხედავთ, სადა ვარ? თქვენ წინ მთელი მომავალია, მზის სხივით გაბრწყინებული. მე კი ისე ღრმად შემიტოპია სიბნელეში, რომ ამ გაბრწყინებულშიც კი ვეღარას ვხედავ. თქვენ შეყვარებული ხართ, ამას რაღა კითხვა უნდა? მე კი არავის ვუყვარვარ. და მე მთხოვთ შებრალებას? დალახვრა ღმერთმა! როგორ დაავიწყდა მოლიერს ეს ამბავი? თუ ასე ლაზღანდარობთ სასამართლოში, ბატონო ვექილებო, გულწრფელად მოგილოცავთ დახელოვნებას! ძალიან ბიჭები ყოფილხართ!

მერე ისევ თავისას საუბრუნდა და გაბრაზებით ჰკითხა.

- ახლა არ იტყვით, რა გნებავთ ჩემგან?

- ვიცი, ბატონო, რომ არ მოგწონთ ჩემი აქ მოსვლა, მაგრამ ცოტა სათხოვარი მაქვს თქვენთან, მოგახსენებთ და მაშინვე წავალ.

- რა სულელი ხართ! - შეუტია მოხუცებულმა, - მერე ვინ გეუბნებათ, წადი აქედანო?

ეს იყო თარგმანი იმ ტკბილი სიტყვისა, რომელიც ღრმად ჰქონდა მოგროვილი გულის სიღრმეში, - ბოდიში მოიხადეთ, რაღას უყურებთ? მოდი, მომეხვიე, რასა დგახარ? - გრძნობდა ბ. ჟილნორმანი, რომ ცოტა ხნის შემდეგ წავიდოდა მარიუსი;

რომ მეტად ავად დახვდა საყვარელ შვილიშვილს; რომ მისი მკაცრი უკმეხობა გააქცევდა საწყალ ბიჭს; კარგად გრძნობდა მას, უფრო და უფრო ერეოდა გულს მწუხარება, და რადგან მისი მწუხარება ყოველთვის ბრაზით გამოითქმებოდა, ეს ბრაზიც ზრდას ლამობდა. უნდოდა, შეეგნო მარიუსს მისი გულის წუხილი. მარიუსს კი ვერ გაეგო, რა იყო მის გულში. ეს უფრო აბრაზებდა მოხუცს:

- როგორ? ოთხი წელიწადია, ქვა მოაგდეთ ამ სახლს, განზე გაუდექით პაპათქვენს, რომ სადღაც გადაკარგულიყავით; გული გაუწყალეთ თქვენს დეიდას; ის ირჩიეთ, რომ ყმაწვილკაცურად გეცხოვრათ, თავისუფლად, ადვილი გამოსაცნობი გახლავთ თქვენი წადილი, - რომ არხეინად გეცხოვრათ, დაბრუნებულიყავით შინ, როცა მოისურვებდით, კარგად გაგეტარებინათ დრო, მხიარულად, ქეიფში. და ამოდენი ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოგაგონდათ პაპათქვენი, რომ გეცნობებინათ, ცოცხალი ვარო! ვალებს დაიდებდით, ცხადია, და ისიც კი არ იფიქრეთ, რომ პაპათქვენისთვის უნდა გეთხოვათ დახმარება. გადაჰკრავდით, ქუჩაში ჩხუბს ასტეხავდით, სხვის სახლს ფანჯრებს ჩაუმტვრევდით, და ოთხი წლის შემდეგ მოდიხართ ჩემთან, მაგის მეტი სხვა არა გაქვთ რა ჩემთვის სათქმელი?

მეტად მკაცრად ცდილობდა ჟილნორმანი შვილიშვილის გულში ჩაკვრას, მაგრამ ამ სიმკაცრის მეტს ვეღარაფერს ხედავდა მარიუსი და ჩუმად იდგა. ბოლოს გულხელი დაიკრიფა პაპამ, რაც მედიდურობისა და სიდიადის ნიშანი უნდა ყოფილიყო, და მწარედ მიმართა მარიუსს:

- მოვრჩეთ! ცოტა რამ სათხოვარი მაქვსო, წეღან თქვით! აბა, რა სათხოვარი გაქვთ, რა გინდათ? რა არის? თქვით, რაღას უცდით?

- მოგახსენებთ, ბატონო, - მიუგო მარიუსმა იმ კილოთი, რომლითაც მარტო უფსკრულის პირას მდგომი შესძლებს ხმის ამოღებას. - მე გიახელით, რომ გთხოვოთ... ნება მიბოძეთ, ცოლი შევირთო.

ბ. ჟილნორმანმა ზარი დარეკა. ბასკმა შეამოღო კარი.

- სთხოვეთ ჩემს ქალს, აქ მობრძანდეს.

წამი არ გასულიყო ჯერ, ხელახლა გაიღო კარი და ჟილნორმანის ქალი გამოჩნდა. ოთახში არ შესულა. ხელები დაეშვა მარიუსს და ფერმიხდილი, უმწეოდ იდგა, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო. ბ. ჟილნორმანი ბოლთას სცემდა ოთახში. მიუბრუნდა თავის ქალს და უთხრა:

- არაფერი! ბატონი მარიუსი გახლავთ. მიესალმეთ, ცოლს ირთავს ბატონი, ხომ გაიგეთ? ახლა მიბრძანდით.

მოკლედ, ხრინწიანად ისროდა სათქმელს ჟილნორმანი და ცხადი იყო, ძლივს იმაგრებდა აღშფოთებას. გაშტერებული თვალით შეხედა მარიუსს დეიდამ, თითქოს ძლივს იცნოო, ხმა არ ამოიღო და ისე სწრაფად გაქრა, როგორც ქარიშხლით გატაცებული ჩალის ღერი.

ჟილნორმანი ისევ ბუხარს მიეყრდნო.

- ცოლს ირთავთ? ოცდაერთი წლის ბიჭი? უკვე გარიგებული გექნებათ საქმე! ერთი ნებართვა გაკლიათ, სხვა საფიქრალი აღარაფერი გაქვთ! სულ უბრალო მოთხოვნილებაა ზრდილობისა! დაბრძანდით, ბატონო. ვიცი, დიდი რევოლუცია გადაიარეთ მას შემდეგ, რაც აღარ მინახავხართ. იაკობინელებმა გაიმარჯვეს - ძალიან კმაყოფილი უნდა ყოფილიყავით ამ გამარჯვებით. იქნებ რესპუბლიკის მომხრეც ხართ მას შემდეგ, რაც ბარონი ბრძანდებით? თქვენ მშვენივრად მოათავსებთ ერთად

რესპუბლიკასა და ბარონობას. რესპუბლიკა შეგიზავებთ ბარონობას. ივლისის რევოლუციამ ახალი ღირსება არაფერი მოგანიჭათ? თქვენც ერიეთ განა ლუვრის აღებაში, ბატონო? აი, აქვე, ჩვენს ახლოს, სენტ ანტუანის ქუჩაში, ნონენდიერის ქუჩის პირდაპირ, ერთი სახლის მესამე სართულის კედელში ყუმბარა არის ჩამჯდარი და კედელზე წარწერა მოჩანს შესანიშნავი: „29 ივლისი, 1830 წელი“. მიდით და დატკბით, ძალიან კარგი სანახავია. აჰ! ძალიან საქმეს არიგებენ თქვენი მეგობრები! მართლა, რატომ შადრევანს არ გააკეთებენ მოედანზე ჰერცოგ დე-ბერის ძეგლის ადგილას? მაშ, ცოლს ირთავთ? ხომ არ გამიწყრებით, რომ გავბედო და გკითხოთ, ვინ ბრძანდება თქვენი დანიშნული?

გაჩუმდა, მაგრამ მანამ მარიუსი ხმას ამოიღებდა, თავისებურად შეუტია:

- მართლა! თქვენი ჯიბე რაღას ბრძანებს? ქონება შეიძინეთ? რას გაძლევთ ვექილობა?

- არაფერს, - უპასუხა მარიუსმა გულმაგრად და გამბედავად.

- არაფერს? მაშ, არაფერი გაქვთ, გარდა ათას ორასი ფრანკისა, რომელსაც მე გაძლევთ?

მარიუსმა პასუხი არ გასცა. ჟილნომანმა განაგრძო:

- მაშ, მდიდარი უნდა იყოს ქალი?

- როგორც მე.

- როგორ? მზითევი არა აქვს?

- არა.

- მემკვიდრეობის იმედი?

- არა მგონია

- ტიტველ-შიშველი? მამა ვიღა ჰყავს?

- რა მოგახსენოთ?

- რა ჰქვია თქვენს დანიშნულს.

- ფოშლევანი.

- ფოშ... რაო?

- ფოშლევანი.

- ჰუიტ! - დაუსტვინა მოხუცებულმა.

- ბატონო ჩემო! - შეჰყვირა მარიუსმა.

ისე გაბა ჟილნორმანმა, თითქოს თავისთავს შესჩივისო:

- ასეა ყოველთვის: ოცდაერთი წლის ბიჭი, არც სახლი, არც კარი, ათას ორასი ფრანკი წელიწადში... და ქალბატონი პონმერსი, ბარონის მეუღლე, მივა და ორი სუს ოხრახუშს იყიდის ბაზარში.

- ნება მიბოძეთ, ბატონო, - შეაწყვეტინა სასოწარკვეთილმა მარიუსმა, რადგან ხედავდა, რომ ეს უკანასკნელი იმედიც უცრუვდებოდა, - გევედრებით, ბატონო, ღვთის გულისათვის, მუხლს მოვიყრი თქვენ წინაშე. ნება მიბოძეთ, შევირთო.

სიცილი წასკდა მოხუცებულს და თან ხველა აუვარდა. იცინოდა, ახველებდა და მაინც თავისას არ იშლიდა:

- ოჰ, ოჰ, ოჰ! ამაზე უკეთესი რა იქნებაო, - ბრძანეთ თქვენს გულში: წავალ, ვნახავ იმ გამოტვინებულ ბებრუცუნას. ვაი, რომ ოცდახუთი წლისა არა ვარ! მაშინ ვაჩვენებდი, რამდენად მჭირდება მე მისი ნებართვა! ზეცას არ შევხედავდი! სულერთია, მივალ და ვეტყვი, - შენ ეი, გადაყრუებულო! ხომ ბედნიერება მოგიძღვენ, ხომ დაგენახვე? ჰოდა,

ცოლს ვირთავ. ცოლს ვირთავ ქალბატონ ვიგინდარას, ბატონ ვიგინდარას ასულს. მე წაღები არა მაქვს, იმას პერანგი არ აცვია, მაგრამ ეგ არაფერი! მინდა წყალში ჩავყარო ჩემი სარბიელი, ჩემი მომავალი, ჩემი სიყმაწვილე, ჩემი სიცოცხლე! მინდა გაჭირვებაში ჩავიყურყუმალაო კისერზე შემოხვეული დედაკაცით, ეს არის ჩემი განზრახვა და შენც უნდა დამეთანხმო. - და რას იზამს ბებერი ჩონჩხი, რომ არ დამთანხმდეს? - ასე ფიქრობდი, არა? ჰოდა, შენი ნებაა, ჩემო ბიჭიკო, თუ გინდა ქვა დაიკიდე კისერზე! შეირთე შენი კუპლევანი, პუსლევანი... მე კი ნებას არ გაძლევთ, არასდროს, ბატონო, არასდროს!

- მამაჩემო!

- არასდროს!

იმნაირი კილოთი იყო თქმული ეს „არასდროს“, რომ ყოველი იმედი დაკარგა მარიუსმა. თავი ჩაღუნა და ნელი ნაბიჯით, ბარბაცით გაიარა ოთახი. მომაკვდავს უფრო ჰგავდა, ვიდრე სადმე მიმავალს. თვალი გაადევნა ბ. ჟილნორმანმა. კართან რომ მივიდა მარიუსი და ხელი დაადო, რომ გასულიყო, საკვირველი სისწრაფით, ბრძანების გაცემას, ბატონობას მიჩვეული ბერიკაცის გაბრაზებით მივარდა შვილიშვილს, კისერში სტაცა ხელი, ძალად შემოაბრუნა ოთახში, სავარძელში ჩააგდო და უბრძანა:

- ერთი მიამბე ეგ შენი სიყვარულის თავგადასავალი.

ერთი სიტყვა, მარიუსს რომ წამოსცდა განუზრახავად, - „მამაჩემო“, საკმარისი იყო, რომ ეს რევოლუცია მოეხდინა ჟილნორმანში.

გაკვირვებული შეჰყურებდა მარიუსი. აღარაფერი ემჩნეოდა ჟილნორმანის მოძრავ სახეს, გარდა უსაზღვრო გულკეთილობისა. წინაპარის ალაგი დარჩენოდა პაპას.

- ჰა, დაიწყე რაღა! მიამბე შენი არშიყობა, სიყვარული! არაფერი დამიმალო! აჰა, ღმერთო! რა სულელები არიან ეს ყმაწვილები!

- მამაჩემო, - გაიმეორა მარიუსმა.

სხივი მოეფინა მოხუცებულის სახეს.

- აი, აგრე! მამაჩემო-თქო, მითხარი ხოლმე და მაშინ ნახავ...

ამჟამად მოხუცებულის უხეშობაში იგრძნობოდა იმდენი სითბი, სინაზე და მშობლიური ალერსი, რომ მარიუსი სასოწარკვეთილებიდან ისევ ერთბაშად იმედმოცემული, რეტდასხმულს ჰგავდა.

მაგიდასთან იჯდა, სანთლის სინათლეზე კარგად ჩანდა მისი ძველი და უვარგისი ტანისამოსი და ეს კიდევ ჟილნორმანს აკვირდება.

- მაშ, რას მიბრძანებთ, მამაჩემო?

- მოითმინე ერთი და! - შეაწყვეტინა პაპამ. - მართლა აგრე უფულოდ ხარ, რომ სუ გენატრება? ამ ტანისამოსში ქურდს ჰგავხარ.

უჯრაში ჩაყო ხელი, ქისა ამოიღო და წინ დაუდო მაგიდაზე.

- აი, ასი ლუიდორი არის. ქუდი მაინც იყიდე.

- მამაჩემო, - განაგრძო მარიუსმა, - ჩემო კეთილო მამავ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს. ვერც კი წარმოიდგენთ... პირველად ლუქსემბურგის ბაღში ვნახე, იქ მიდიოდა სასეირნოდ; თავდაპირველად ყურადღებასაც არ ვაქცევდი, და მერე არც კი ვიცი, რა მოხდა, ან როგორ მოხდა, გაგიჟებით შემიყვარდა. ოჰ, რა უბედური ვიყავი! ახლა კი ყოველდღე ვხედავ, მასთან მივდივალ ხოლმე. მისმა მამამ ამის

შესახებ არაფერი იცის. და წარმოიდგინეთ, წასვლას აპირებენ. ერთმანეთს ბაღში ვხვდებით, საღამოობით. მამა ინგლისში აპირებს გადასვლას. და მეც ვიფიქრე, - წავალ, პაპაჩემს ვნახავ და მას გავაგებინებ ჩემს უბედურებას-მეთქი. თუ წავიდა სადმე, მოვკვდები, ავად გავხდები, წყალში ჩავვარდები. უნდა შევირთო, თორემ გავგიჟდი. ასე გახლავთ ჩემი საქმე. აი, სრული სიმართლე. არა მგონია, დამვიწყებოდეს რამე. ბაღში აქვს სახლი, მოაჯირიანი ღობით, პლუმეს ქუჩაზე, ინვალიდებისკენ.

ნეტარებით გაბრწყინებული ჟილნორმანი გვერდით მიუჯდა შვილიშვილს. ყურს უგდებდა, ტკბებოდა მისი ხმით და იმავე დროს არც ბურნუთი ავიწყდებოდა. პლუმეს ქუჩა რომ გაიგონა, ვეღარ შეისუნთქა და მუხლებზე დასცვივდა ბურნუთი.

- პლუმეს ქუჩა? პლუმეს ქუჩა თქვი? მოითმინე, მოითმინე! ჯარიც უნდა იდგეს იქ სადღაც, ახლო! ჰო, ჰო, იქ არის, შენმა ბიძაშვილმა თეოდულმა მიამბო. ოფიცერია, ხომ იცი. ერთი გოგო არისო, ერთი გოგო, რომ... ჰო, პლუმეს ქუჩა, წინათ ბლომეს ქუჩას ეძახდნენ. აი, ახლა კი მომაგონდა. ჰო, მისგან ვიცი პლუმეს ქუჩაც და იმ გოგოს სილამაზეც. ერთხელ კი არ უქია ის ცუგრუმელა, სულ რომ ხეებქვეშ დასეირნობს, მოაჯირიან ბაღში, პლუმეს ქუჩაზე. ნამდვილი პამელაა თურმე. კაი გემოვნების ბიჭი ყოფილხარ. ძალიან სუფთა გოგო არისო. ჩვენში კი დარჩეს და, მგონი, შენი სულელი ბიძაშვილიც ეარშიყებოდა იმ ტურფას. სადამდის მივიდა იმისი არშიყობა, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ სულ იკვეხის. ჩემო მარიუს! მე რომ მკითხო, რა იქნება მაგაზე უკეთესი: ყმაწვილ ბიჭს, როგორიც შენ ხარ, კიდეც უნდა უყვარდეს. ეს არის მოთხოვნილება შენი ასაკისა. მე ის მირჩევნია, გოგო გიყვარდეს, ვიდრე იაკობინელები, გოგო გიყვარდეს ვინმე, თუნდაც ოცი ლამაზი გოგო, ვიდრე ბატონი რობესპიერი. პირადად მე, მე მარტო ქალები მიყვარდა, მარტოდმარტო ქალები! ლამაზი გოგო ლამაზია, რა პარტიისაც უნდა იყოს! ამის წინააღმდეგს ბრძენთაბრძენიც ვერას იტყვის. რაც შეეხება შენს გოგონას, მამისგან ფარულად გხდვდება ხოლმე? აგრეა და აგრეც უნდა იყოს, სრულიად ბუნებრივია. მეც ბევრი რამ მქონია მაგისთანა. ერთი კი არა, ათზე მეტი. იცი, როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ყოჩაღი ბიჭი? ძალის დატანებით ვერას გახდები, არც ტრაგიკული ტანჯვა-ვაება გამოგადგება. არც ქორწინება არის საჭირო და თავისივე ყელსახვევით განდიდებულ მერთან მისვლა. ყოჩაღად, მოხერხებულად უნდა მოიქცეს ბიჭი. ჭკვიანად, ფრთხილად უნდა ტკბებოდეთ, ბატონებო, მაგრამ ისე ფრთხილად, რომ ქორწინებამ არ ჩაგიმწაროთ ეს სიტკბოება. გაჭირდა საქმე? მაშინ პაპას მოიგონებენ, რომელიც სულ ბუზღუნებს, მაგრამ გულით კეთილია და გარდა ამისა, ყოველთვის აქვს ძველ უჯრაში ოქროს ოცფრანკიანები. მივლენ პაპასთან: - პაპა, მიშველე! - და პაპაც შველის, ჭკუას ასწავლის. მაგაზე ადვილი რა არის? სიყმაწვილე ტკბებოდეს და სიბერე წყდებოდესო! მეც შენსავით ვიყავ ყმაწვილი ბიჭი, შენც ჩემსავით დაბერდები და ჩამოჭკნები. წადი, ჩემო ბიჭიკო! ეს ვალი შენს შვილიშვილს გადაუხადე. აი, ორი ათასი ფრანკი. წადი, დრო გაატარე. დატკბი სიცოცხლითა და სიყვარულით. დატკბი სიცოცხლით, მანამ დრო გაქვს და სიყმაწვილე. მაგაზე უკეთესი რაღა იქნება? ასე უნდა მოაგვარო შენი საქმე. ცოლად კი არ შეირთო, მაგრამ... ხომ მიხვდი, რას გეუბნები?

გაშეშებულივით იჯდა მარიუსი, გაშტერებული, ხმის ამოღება აღარ შეეძლო. მხოლოდ თავი გაიქნია, ვერ მივხვდიო.

სიცილი დაიწყო ჟილნორმანმა, თვალი მოჭუტა, ხელი დაჰკრა მუხლზე, საიდუმლოებით სავსე თვალით დააცქერდა, მხრები აიჩეჩა და განუმარტა:

- პატარა სულელი! საყვარლად გაიხადე.

ფერი ეცვალა მარიუსს, პაპის ნათქვამისა ვერაფერი გაიგო. რაღაცას ბოდავდა ბებერი, - ბლომეს ქუჩაო, პამელაო, ჯარის სადგურიო. ოფიცერიო. უაზრო ჩმახვად ეჩვენა ყოველივე ეს მარიუსს და ყურადღება არ მიაქცია. აქ ისეთი არაფერი იყო, რომ კოზეტს შეხებოდა, მის წმინდა ანგელოზს. ბოდავდა საწყალი მოხუცი, მაგრამ ერთი იმისთანა სიტყვები მოჰყვა ამ ბოდვას, რომელიც შიგ გულში ეცა მარიუსს, რადგან მომაკვდინებელი შეურაცხყოფა იყო კოზეტისა. ეს სიტყვები „საყვარლად გაიხადეო“, ლახვარივით ჩაერჭო ყმაწვილ კაცს უმანკო გულში.

ადგა, აიღო თავისი ქუდი, რომელიც იატაკზე ეგდო, და მტკიცე ნაბიჯით წავიდა კარისკენ. იქ გაჩერდა, მობრუნდა, ღრმად დაუკრა თავი მოხუცებულ პაპას, წელში გაიმართა და უთხრა:

- ამ ხუთი წლის წინათ თქვენ შეურაცხყავით მამაჩემი. დღეს შეურაცხყოფთ ჩემს მეუღლეს. მე თქვენი აღარაფერი მინდა, ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

გაშტერდა ჟილნორმანი, პირი დააღო, ხელები გაშალა, ადგომა სცადა და მანამ ხმას ამოიღებდა, მარიუსი უკვე აღარ იყო.

უძრავად დარჩა რამდენიმე წამს მოხუცებული. თითქოს მეხი დაეცაო, ხმის ამოღება ვერ შეძლო, სუნთქვა შეეკრა. თითქოს მუშტი ჩასჩარეს პირშიო. ბოლოს, როგორც იყო, წამოვარდა სავარძლიდან. ოთხმოცდათორმეტი წლის ბებრული სირბილით მივარდა კართან, გააღო და დაიყვირა:

- მიშველეთ! მიშველეთ!

ქალი შემოვარდა მაშინვე, მერე მსახურები.

ხრინწიანი, საცოდავი ხმით ჰყვიროდა:

- გამოუდექით! დაიჭირეთ! რა დავუშავე, განა? გიჟია სწორედ! წავიდა! ოჰ, ღმერთო ჩემო? ოჰ, ღმერთო ჩემო! ახლა კი არასოდეს დაბრუნდება.

ფანჯარასთან მივარდა, ქუჩაში რომ გადიოდა. გააღო აკანკალებული ბებრული ხელით. წელამდე და უფრო მეტადაც გადაეყუდა ქუჩისკენ, ისე, რომ ბასკმა და ნიკოლეტმა ხელი სტაცეს, თავდაყირა არ გადავარდეს ქუჩაშიო. ის კი ყვიროდა:

- მარიუს! მარიუს! მარიუს! მარიუს!

მაგრამ მარიუსი მის ძახილს ვეღარ გაიგონებდა. უკვე სენლუის ქუჩის კუთხის იქით ჩაუხვია.

ორჯერ-სამჯერ ხელები იტაცა საფეთქელზე საშინელი ვარამით გულმოკლულმა ოთხმოცდაათი წლის მოხუცმა, უკან წამოვიდა ბარბაცით, დაეშვა სავარძელზე, აღარც ხმა ჰქონდა, აღარც მაჯა, აღარც ცრემლი. თავს აცანცარებდა, თვალის უაზრო გამომეტყველებით ამოძრავებდა ტუჩებს, აღარაფერი დარჩენოდა აღარც თვალში და აღარც გულში, გარდა ღამესავით ღრმა გულსაკლავი მწუხარებისა.

## წიგნი მეცხრე
## სად მიდიან?

## თავი პირველი
## ჟან ვალჟანი

იმავე დღეს, ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, რომ შან-დემარსის ერთ სრულიად განცალკევებულ ფერდობზე იჯდა ჟან ვალჟანი. სიფრთხილით იყო ეს, განმარტოების სურვილით, რომ უფრო თავისუფლად განესაჯა მდგომარეობა, თუ, სულ უბრალოდ, იმ ჩვეულებათა შეუმჩნეველი ცვლილებით, რომელიც ნელ-ნელა შეეპარება ადამიანს. კოზეტი იშვიათად დაჰყავდა ხოლმე სასეირნოდ. ტანისამოსი მუშისა ეცვა, ნაცრისფერი ტილოს შარვალი, ქუდს იმდენად დიდი წინაფრა ჰქონდა, რომ სახეს უმალავდა. ამჟამად კოზეტის მხრივ დამშვიდებული იყო და ბედნიერი; იყო ცოტა რამ, ძალიან აწუხებდა და აშინებდა, მაგრამ გაქრა, რაც იყო, და ჟან ვალჟანიც დამშვიდდა. სამაგიეროდ, ახლა სხვა მხრივ მოედო ცეცხლი. ერთი კვირა იქნებოდა ან ორი. სხვაგვარი უბედურების შიში აწუხებდა საწყალ კაცს. ერთხელ, ბულვარზე რომ დასეირნობდა, ტენარდიეს შეხვდა; კიდევ კარგი, გადაცმული იყო და ტენარდიემ ვერ იცნო, მაგრამ ვაი, რომ მას შემდეგ იგი კიდევ რამდენჯერმე დაინახა, და ცხადი იყო, ამ უბანში რაღაცას ეძებდა. ესეც კმაროდა ჟან ვალჟანისთვის, რომ რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. ტენარდიე იქ იყო და, მაშასადამე, ყოველგვარი განსაცდელი მოელოდა ჟან ვალჟანს. გარდა ამისა, არც პარიზი იყო დამშვიდებული; პოლიტიკური მღელვარების გამო დიდ სიძნელესა და საშიშროებას წარმოადგენდა შეუმჩნევლად დარჩენა იმათი, ვისაც დასამალი ჰქონდა რამე წარსული ცხოვრებისა. რადგან ძალიან მოუსვენრად იყო პოლიცია, ეჭვის თვალით შესცქეროდა ყველას და ვისმე პეპენს ან მორეს რომ დაეძებდა, შეიძლებოდა ძალიან ადვილად ხელი ეტაცა იმისთანა კაცისთვის, როგორიც ჟან ვალჟანი იყო. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდა წასულიყო პარიზიდან, საფრანგეთიდანაც კი, და ინგლისში გადასახლებულიყო. კოზეტს უკვე აცნობა ეს გადაწყვეტილება. ერთი კვირის შემდეგ აპირებდა გამგზავრებას. მარსის მინდვრის ფერდობზე იჯდა, თავში ყოველგვარი ფიქრი და საშიშროება უტრიალებდა. ტენარდიე, პოლიცია, მგზავრობა, პასპორტის მიღების სიძნელე.

ბევრი რამ ჰქონდა, როგორც ხედავთ, საფიქრებელი და საზრუნავი.

გარდა ამისა, ერთი რამ იყო ძნელად გამოსარკვევი, როემლიც ჯერაც თავში სცემდა და გულს უხეთქავდა. ამ დილას, ჩვეულებისამებრ სხვებზე ადრე ამდგარი, ბაღში დასეირნობდა მარტოდმარტო. კოზეტს ჯერ არ გაეღო დარაბები, უცბად დაინახა კედელზე ალბათ ლურსმნით ამოფხაჭნილი სიტყვები:

ვერერის ქუჩა, 16.

ახალთახალი იყო ეს წარწერა, ამოფხაჭნილი, სრულიად თეთრი, ძველ, ჩაშავებულ ბათქაშზე; კედლის ძირას ჭინჭარს ფოთლებზე ისევ ეყარა კედლიდან ამოფხეკილი კირის ფხვნილი; ცხადი იყო, იმ ღამეს უნდა ყოფილიყო ვიღაც ბაღში და დაეწერა ეს მისამართი. მაგრამ რა მისამართი იყო, ვისი? თუ ნიშანი რამ იყო? იქნებ ჟან ვალჟანს აფრთხილებენ? ასეა თუ ისე, ცხადი იყო, რომ ვიღაც უცნობნი ყოფილიყვნენ დაკეტილ ბაღში, და, მაშასადამე, თუ ისურვეს, ხელახლა მობრძანდებიან. მაშინვე მოაგონდა ის გაუგებარი შემთხვევა, მრგვალქუდიანი ჩრდილისა, ისე რომ შეაშინა ყველანი. ახლა ამას დაუფიქრდა; - იქნებ კავშირი ჰქონდეს წარსულს ამ მისამართთანო. კოზეტს არაფერი უთხრა კედელზე ამოფხაჭნილი მისამართისა, რომ არ შეეშინებინა.

ამ ფიქრებით გატაცებულმა ჩრდილი დაინახა ვიღაცისა, ფერდობის ზევიდან მზით გადმოსროლილი. სწორედ ჟან ვალჟანის უკან, ზემოთ ფერდობზე გაჩერდა ვიღაც.

ის-ის იყო უნდა მობრუნებულიყო, - ნეტავ, ვინ არისო, - რომ მუხლზე დაეცა ზემოდან გადმოგდებული ოთხად შეკეცილი ქაღალდი. ძალიან მარჯვედ იყო გადმოსროლილი, ისე რომ თავზე გადმოევლო და მუხლზე დასცემოდა. სტაცა ხელი, გაშალა, წაიკითხა: მსხვილი ასოებით დაწერილი სიტყვები:

- გადადით მაგ სახლიდან.

წამოვარდა ჟან ვალჟანი, მაგრამ აღარავინ ჩანდა ფერდობზე. მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, შორს ვიღაც დაინახა მიმავალი, ბავშვზე ოდნავ დიდი, კაცზე პატარა, ლურჯი ხალათი ეცვა და მოშავო შარვალი. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ვიღაც იყო და მარსის მინდვრის დაბლობში ჩაიმალა.

მაშინვე შინისკენ წავიდა ჟან ვალჟანი, ღრმად ჩაფიქრებული.

## თავი მეორე
## მარიუსი

გულმოკლული წამოვიდა ბ. ჟილნორმანისგან მარიუსი. პაპასთან მიდიოდა, ძალიან მცირე იმედით, მაგრამ ბრუნდებოდა მისგან უკვე სასოწარკვეთილებით აღსავსე.

ვისაც კი შეუსწავლია ადამიანის გულის ძირითადი საწყისები, დაგვეთანხმება, რომ ბრიყვი ოფიცერი თეოდული და მისი ბაქიაობა არავითარ ჩრდილს არ დასტოვებდა მარიუსის გულში, სულ უმცირესსაც კი. დრამატულმა პოეტმა შეიძლება წარმოიდგინოს, რომ მოხუცის მიერ ასე მოულოდნელად წამოროშილ თეოდულისგან კოზეტის ხსენებას, გართულება უნდა გამოეწვია ამ მოთხრობის მიმდინარეობაში. მაგრამ ამით მხოლოდ დრამა მოიგებდა და არა ჭეშმარიტება. იმ ასაკში იყო მარიუსი, როდესაც ადამიანს არ სჯერა ბოროტებისა; შემდეგში დაუდგება დრო, როდესაც ყოველგვარ ავს დაიჯერებს. ეჭვი - ეს იგივე სახის ნაოჭია, სიყმაწვილეს ნაოჭი არა აქვს. რაც აშფოთებს ოტელოს, შეუმჩნეველია კანდიდისთვის. ეჭვი რამ კოზეტზე? ვინ იცის, მრავალ ავკაცობას ჩაიდენდა მარიუსი, მაგრამ ამას კი ვერა.

უმიზნო სიარული დაიწყო ქუჩებში, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მწუხარება. ისეთ არაფერს ფიქრობდა, რომ ღირსი ყოფილიყო დახსომებისა. ნაშუაღამევის ორი საათი იყო, შინ რომ მივიდა, კურფეირაკთან და ტანისამოსის გაუხდელად მიეგდო ლოგინზე. მზე მაღლა იდგა, როდესაც, როგორც იყო, მოერია ის საშინელი ძილი, რომელიც კარღიად ტოვებს ტვინს, რომ შიგ თავისუფლად თარეშობდნენ ყოველგვარი ფიქრები. გამოეღვიძა, კურფეირაკი დაინახა თავის ოთახში, ანჟოლრასი, ფეილი და კონბფერი მის საწოლთან იდგნენ ჩაცმულები, ქუდი ეხურა ყველას. მზად იყვნენ წასასვლელად. ეტყობოდათ, საქმე ჰქონდათ რამე საჩქარო და იქით მიეშურებოდნენ.

კურფეირაკმა ჰკითხა:

- გენერალ ლამარკს ასაფლავებენ. ხომ წამოხვალ?

ისე ეჩვენა მარიუსს, თითქოს ჩინურად დალაპარაკებოდეს კურფეირაკი.

ამხანაგები წავიდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ისიც გავიდა. ჯიბეში ჩაიდო დამბაჩები, ჟავერმა რომ მისცა 3 თებერვალს, და ვეღარ დაუბრუნა პატრონს. დამბაჩები ჯერ ისევ

დატენილი იყო. ძნელი გამოსაცნობია, რა ბნელი განზრახვით წაიღო თან ეს დატენილი დამბაჩები.

მთელი დღე ხეტიალში გაატარა, თვითონაც არ იცოდა, სად იყო ან სად მიდიოდა. ერთხანს წვიმდა, მაგრამ ეს არ შეუმჩნევია. ერთი სუს პური იყიდა. სადილისთვის ჯიბეში ჩაიდო და დაივიწყა. მგონი თავისდა შეუმჩნევლად გაიხადა და იბანავა სენაში; ზოგჯერ მოხდება, რომ ადამიანს ცეცხლი უკიდია თავზე და სწორედ ამ მდგომარეობას განიცდიდა მარიუსიც. იმედი აღარაფრისა ჰქონდა, აღარავითარი შიში; წუხანდელმა საღამომ ჩააგდო ამ მდგომარეობაში. გახელებულის მოუთმენლობით მოელოდა საღამოს. ერთადერთი აზრიღა შერჩენოდა ცხადი, რომ 9 საათზე კოზეტს ნახავდა. ამ უკანასკნელ ნეტარებაში იყო ამჟამად მთელი მისი მომავალი. შემდეგ კი მხოლოდ წყვდიადს ხედავდა. როდესაც სრულიად მიყრუებულ ქუჩებში დადიოდა, თითქოს რაღაც უცნაური ხმაურობა ესმოდა ქალაქიდან. ერთ წამს თავს დააღწევდა ბნელ ფიქრს და იტყოდა: - ნუთუ იბრძვიან სადმე?

დაღამებისას, სრულ 9 საათზე, როგორც დაჰპირდა კოზეტს, პლუმეს ქუჩაზე გაჩნდა. ღობეს რომ მიუახლოვდა, მთლად გადაავიწყდა ყველაფერი. ორმოცდარვა საათი იყო, რაც კოზეტი აღარ ენახა. ამის მეტი სხვა აღარაფერი აგონდებოდა. ღრმა, უსაზღვრო სიხარულმა აიტანა. არის წუთი, რომლის განმავლობაში მთელ საუკუნეებს ცოცხლობს ადამიანი, რომელიც მით არის მომხიბვლელი და საოცნებო, რომ ნეტარებით ავსებს გულსა და სულს.

მისწია მარიუსმა მოაჯირი და ბაღში შევარდა. არ დახვდა კოზეტი იქ, სადაც ჩვეულებრივ ელოდა ხოლმე. ბაღი გაიარა და აივნისკენ წავიდა.

„ალბათ იქ მიცდისო“, - მაგრამ არც იქ დახვდა, ზევით აიხედა ფანჯრისკენ და ნახა, რომ დაკეტილი იყო სახლის დარაბები. ბაღი მოიარა. ბაღში არავინ იყო. მაშინ ისევ სახლთან მივიდა და სიყვარულით დამთვრალმა და გაგიჟებულმა, შიშით გულგახეთქილმა, მწუხარებით იმედმიხდილმა, როგორც მოიქცეოდა უდროო დროს სახლში დაბრუნებული სახლის ბატონ-პატრონი, ბრახუნი დაუწყო დარაბას. დააბრახუნა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, თუმცა შესაძლებელი იყო ფანჯარა კოზეტის მამას გაეღო, გამოჰყოფდა დაღვრემილ თავს და დაუძახებდა: - თქვენ აქ რა გნებავთ? - მაგრამ ეს რა იყო იმასთან შედარებით, რაც მარიუსს გაეთვალისწინებინა. რომ არავინ გამოეხმაურა, ხმამაღლა დაუძახა: - კოზეტ! - მერე შეჰყვირა ბრძანებით: - კოზეტ! - ხმა არავინ გამოსცა. ყველაფერი დასრულულიყო. არავინ იყო ბაღში, არავინ სახლში.

განწირულის სასოწარკვეთილებით შეჰყურებდა ამ მგლოვიარე სახლს, საფლავივით შავს, მდუმარეს, მაგრამ უფრო ცარიელს. ქვის სკამს დააცქერდა, რომელზედაც იმდენი ბედნიერი საათი გაეტარებინა კოზეტის გვერდით. მერე სახლში შესასვლელ კიბეზე ჩამოჯდა; წინანდელი სინაზითა და მტკიცე განზრახვით აღსავსემ გულის სიღრმეში მადლობა უძღვნა თავის სიყვარულს და დაუმატა: - რაკი წასულა კოზეტი, მე სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენიაო.

უცბად ვიღაცის ხმა მოესმა ქუჩიდან, ხეების გაღმიდან:

- ბატონო მარიუს!

წამოვარდა.

- ჰა? ვინ აის?

- მანდ ბრძანდებით, ბატონო მარიუს?

- დიახ.

- ბატონო მარიუს, - განაგრძო ვიღაცამ, - თქვენი ამხანაგები გელიან შანვრერის ქუჩის ბარიკადზე.

არც ძალიან უცნობი იყო მარიუსისთვის ეს ხმა. ეპონინის ხმას ჰგავდა, უხეშს და ხრინწიანს. სირბილით მივარდა ღობესთან, გადასწია მოაჯირი, თავი გაყო ქუჩაში და დაინახა, - თითქოს ყმაწვილი კაცი სირბილით მიიმალა ბნელში.

## თავი მესამე
## ბ. მაბეფი

სრულიად უსარგებლოდ ჩაუარა ბ. მაბეფს ჟან ვალჟანის ქისამ. ბ. მაბეფი უსუსური ბავშვივით წმინდა პატიოსნების კაცი იყო და არ ისურვა ვარსკვლავთაგან ჩამოსროლილი საჩუქრის მიღება; ვერ წარმოიდგინა, რომ ზეცაში ვარსკვლავს ფულის ჭედვა შესძლებოდა და ისიც ოცფრანკიან ლუიდორისა. რას წარმოიდგენდა, თუ ცათაგან მოძღვნილი პატარა გავროშის გადმოსროლილი იქნებოდა? უბნის პოლიციაში მიიტანა ქისა და კომისარს ჩააბარა, როგორც ვისგანმე დაკარგული, რომელსაც მპოვნელი პატრონისადმი გადასაცემად პოლიციაში სტოვებდა. ქისა, მართალია, დაკარგული იყო, მაგრამ უთქმელადაც ცხადია, რომ მას არავინ მოიკითხავდა. გაჭირვებულ მაბეფს არაფრით უშველა და პოლიცია კი თავისებურად გამოიყენებდა.

საერთოდ კი უფრო და უფრო უძნელდებოდა ცხოვრება ბ. მაბეფს.

ინდიგოს გაჩენის ცდამ ისეთივე უარყოფითი შედეგი მისცა ბოტანიკურ ბაღში, როგორიც თავის ბაღში მიიღო, აუსტერლიცის ქუჩაზე. შარშან მსახურის ჯამაგირი ჰქონდა გადასახდელი, ახლა კი, როგორც ვნახეთ, სახლის ქირაც ვალად დასდებოდა, და კაიხანიც იყო, ვერ გადაეხადა. დაგირავებული ჰქონდა თავისი „ფლორის“ კლიშეები მონ-დე-პიეტეში და ცამეტი თვის შემდეგ ისიც გაუყიდეს. მექვაბე იყიდდა ვინმე და ძვირფას კლიშეებს ქვაბების მასალად მოიხმარებდა. „ფლორა“ კიდევ ჰქონდა, მაგრამ განცალკევებული ცალებიღა შერჩენოდა, და რადგან კლიშეები აღარა ჰქონდა, რომ ნაკლი შეევსო, ადგა და წიგნებიც ჩალის ფასად მიჰყიდა ბუკინისტს, როგორც უვარგისი. ხანგრძლივი სიცოცხლის ნაშრომიდან ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და ამ ფულით ცხოვრობდა ცოტა ხანს. რაკი ნახა, რომ ეს ფულიც ელეოდა, ბაღსაც თავი მიანება და მოუვლელად დატოვა. დიდი ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც უარი ეთქვა იმ ორ კვერცხსა და ხორცის ნაჭერზე, რასაც ხანდახან მიირთმევდა, ყოველდღე კი არა. ამჟამად სადილად კარტოფილი ჰქონდა და პური. სახლის მოწყობილობა გაყიდა, მერე ყველაფერი, რაც კი ორ ცალად ჰქონდა, - საცვალი, ტანისამოსი, საბანი; მერე მცენარეების კოლექცია და ესტამპები. მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა ძვირფასი წიგნები, რომელთაგან რამდენიმე იყო მეტად იშვიათი. სხვათა შორის, „ისტორიული საზღვრები დაბადებისა“ 1560 წელს დაბეჭდილი, „შეთანხმებანი დაბადებისა“ პიერ ბესის, „მარგარიტას მარგალიტები“ ჟან დე ლაისი, ნავარის დედოფლისადმი მიძღვნილი, „მოვალეობა და ღირსება ელჩისა“ ვილიე ოტმანისა, „ყვავილთ კონა“ რაბინებისა 1644 წლისა, ერთი ტაბულა 1567 წლისა დიდმშვენიერი წარწერით: „Vენეტიის, ინ აედიბუს მანუტიანის“. და ერთიც ლიოგენ ლაერსი, დაბეჭდილი ლიონში 1644 წელს, რომელშიც ჩატანებული იყო

ვატიკანის სახელოვანი ვარიანტები, XIII საუკუნის ხელნაწერებისა 414 და ვენეციის 393 და 394 ხელნაწერებისა, ასე ნაყოფიერად რომ გამოიკვლია ანრი ეტიენმა, და აგრეთვე რამდენიმე ფურცელი, დაწერილი დორული ენით, რომელიც მხოლოდ ნეაპოლის ბიბლიოთეკის XII საუკუნის ხელნაწერში მოიპოვება. ბ. მაბეფი თავის დღეში ცეცხლს არ ანთებდა ოთახში და, როგორც კი დაბინდდებოდა, მაშინვე დაწვებოდა ხოლმე, რომ სანთელი არ დაეწვა. ისე იყო განმარტოებული, თითქოს მეზობლებიც კი არა ჰყავსო. რომ გავიდოდა სადმე, თვალს არიდებდნენ მეზობლები, და იმასაც შეუმჩნევლად არ რჩებოდა ეს გარემოება. ბავშვის გაჭირვება აწუხებს შვილების დედას; ყმაწვილი კაცის გაჭირვება აწუხებს ყმაწვილ ქალს; მოხუცებულის გაჭირვება არავის შეაწუხებს. ყველა გაჭირვებაზე ცივი მოხუცებულის გაჭირვებაა. მაბეფი კი მაინც არ ჰკარგავდა სულის ბავშვურ სიწმინდეს. თვალში სიცოცხლე უბრწყინავდა ხოლმე, როდესაც თავის წიგნებს გადახედავდა; იცინოდა, როდესაც დიოგენ ლაერსის წიგნს უყურებდა, რომლის ცალი სხვა აღარსად მოიპოვებოდა. მინიან კარადაში ელაგა ეს საუნჯე და, რაც უნდა გაჭირვება დასდგომოდა, ამ წიგნებს ხელს არ ახლებდა.

ერთხელ ბებერმა პლუტარქემ მოახსენა:

- ფული აღარა მაქვს. არ ვიცი, რითი ვიყიდო ცოტა რამ მაინც სადილისთვის.

„სადილს“ პლუტარქე ერთ პურს და ოთხ-ხუთ თავ კარტოფილს ეძახადა.

- ნისიად? - ჰკითხა ბ. მაბეფმა.

- კარგად იცით, რომ აღარ მაძლევენ.

გააღო თავი წიგნთსაცავი, დიდხანს შესცქირა წიგნებს, ცალ-ცალკე ყველას, როგორც ამას იზამდა მამა, იძულებული გაეწირა ერთ-ერთი შვილი სასიკვდილოდ. მერე საჩქაროდ ერთი გამოიღო და წავიდა. ორი საათის შემდეგ დაბრუნდა, ფრანკ-ნახევარი დაუდო პლუტარქეს მაგიდაზე და უთხრა:

- აი, სადილის ფული.

და მას შემდეგ იყო, რომ მოხუცებულის ნათელ სახეს შავი ღრუბელი ჩამოეფარა და აღარც მოშორებია.

გადიოდა ხანი და ნელ-ნელა ცარიელდებოდა წიგნთსაცავი. შემოაკლდებოდა პლუტარქეს სახარჯო და მაბეფიც წაიღებდა წიგნს გასაყიდად; ცოტაოდენ ფულს მოიტანდა ხოლმე, რადგან ძველი წიგნების მყიდველი ბუკინისტები კარგად ხედავდნენ მის გაჭირვებას და ოც სუს აძლევდნენ იმაში, რაშიც თვითონ ოცი ფრანკი მიეცა. ზოგჯერ სწორედ ის ბუკინისტი, ვისგანაც წიგნი ჰქონდა ნაყიდი. წიგნი წიგნს მიჰყვა და დაიცალა მაბეფის წიგნთსაცავი. ხანდახან იტყოდა ხოლმე:

- ოთხმოცი წლის კაცი ვარ. დღეს იქნება თუ ხვალ, გავემგზავრები. ისე ამბობდა ამას, თითქოს ჩუმი იმედი ჰქონდა, რიმ თვითონ უფრო ადრე გამოესალმებოდა ამ წუთისოფელს, ვიდრე წიგნები გამოელეოდა.

უფრო და უფრო ემატებოდა დაღონება, მაგრამ ერთხელ კიდევ ეღირსა გახარება. გასაყიდად წაიღო რობერ ეტიენი. ფრანკ-ნახევრად გაყიდა მალაკეს ქუჩაში და, შინ რომ მივიდა, ერთი „ალდუსი“ მიიტანა, რომელშიც ორი ფრანკი მიეცა გრეს ქუჩაზე... ხუთი სუ დამედო ვალადო, უთხრა პლუტარქეს. იმ დღეს სადილი არ უჭამია.

მებაღეობის საზოგადოების წევრი იყო. იქ იცოდნენ მისი გაჭირვების შესახებ, საზოგადოების თავმჯდომარე მივიდა მის სანახავად, დაჰპირდა, - მეურნეობის მინისტრს მოველაპარაკები თქვენ შესახებ და ვაჭრობის მინისტრსაცო, - დაჰპირდა

და კიდეც აასრულა: - როგორ? - შეჰყვირა მინისტრმა, რაღა თქმა უნდა, დავეხმარებით! მოხუცებული, სწავლული! ბოტანიკოსი! უწყინარი კაცი! საჭიროა და კიდეც დავეხმარებით! - მეორე დღეს ბ. მაბეფმა წერილი მიიღო მინისტრისა, სადილად ჰპატიჟებდნენ, სიხარულით თრთოდა, როდესაც წერილს აჩვენებდა პლუტარქეს, - ახლა კი აღარაფერი გვიჭირს! - შესძახა იმედიანად, მივიდა მინისტრთან. დაინახა, რომ გაკვირვებით შესცქეროდნენ ბ. მინისტრის შინაკაცები მის დაჭმუჭნილ ყელსახვევს, მის ძველ ტანისამოსს და ცუდად გაწმენდილ წაღებს. ხმა არავინ გასცა, თვითონ მინისტრმაც კი. 10 საათი სრულდებოდა; ელოდა, ერთი სიტყვა მაინც მითხრანო, - და მინისტრის მეუღლის, მშვენიერი, გულმკერდგაღეღილი ქალის ხმა შემოესმა, რომელთანაც ახლოს მისვლაც კი ვერ გაებედა: - ვინ არის ეს მოხუცებული?

ფეხით დაბრუნდა შინ, შუაღამისას, კოკისპირულ წვიმაში. ერთი წიგნი გაეყიდა, ელზევირი, რომ მინისტრთან ეტლით მისულიყო.

ჩვეულებად ჰქონდა ყოველ საღამოს, ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდა, რამდენიმე ფურცელი წაეკითხა დიოგენ ლაერსისა. იმდენად კარგად იცოდა ბერძნული, რომ შეეძლო ენის თავისებურებით დამტკბარიყო. იმხანად მისთვის სხვა არავითარი სიხარული აღარ არსებობდა. რამდენიმე კვირა კიდევ გავიდა და უცბად ავად გახდა პლუტარქე. ძნელია, როცა კაცს ფული არა აქვს, რომ პური იყიდოს მეპურისაგან, და უფრო ძნელია, როცა კაცს ფული არა აქვს, რომ წამალი გამოიტანოს აფთიაქიდან. ერთ საღამოს ექიმმა ძალიან ძვირფასი სასმელი წამალი გამოუწერა, გარდა ამისა, უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა ავადმყოფი, საჭირო გახდა მომვლელი დედაკაცის აყვანა. გააღო მაბეფმა თავისი წიგნთსაცავი და შიგ აღარაფერი დახვდა! უკანასკნელი წიგნიც წასულიყო. დიოგენ ლაერსის მეტი აღარაფერი ჰქონდა.

იღლიაში ამოიდო თავისი საყვარელი დიოგენი და წავიდა. ეს იყო 1832 წლის 4 ივნისს. სენ-ჟაკის კართან მივიდა, როიოლის მემკვიდრესთან. დაბრუნდა ასი ფრანკით ჯიბეში. ავადმყოფთან შევიდა, ღამის მაგიდაზე დაუდო ასი ფრანკი და მერე თავის ოთახში გავიდა, ისე რომ ხმა არ ამოუღია.

მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ბაღში გავიდა, დაჯდა და უძრავად იყო მთელი დილა. თავჩაღუნული დასცქეროდა დაუბარავ კვლებს. წვიმდა დროგამოშვებით. მოხუცებული ვერც კი ამჩნევდა, რომ სველდებოდა. სადილს შემდეგ უცნაური ხმაური ატყდა პარიზში. ხალხის ყვირილი ისმოდა, ყიჟინა და თოფის სროლა.

წამოიწია მოხუცებულმა, ერთი მებაღე დაინახა, ქუჩაში მიმავალი, და ჰკითხა:

- რა მოხდა? რა ყვირილია?

მშვიდობიანი კილოთი უპასუხა მხარზე ბარგადებულმა მებაღემ:

- აჯანყებაა.

- როგორ თუ აჯანყება?

- დიახ, იბრძვიან.

- რისთვის იბრძვიან!

- ვაი! - იუცხოვა კითხვა მებაღემ.

- სად იბრძვიან.

- არსენალის მხარეს.

შინ შევიდა მაბეფი, ქუდი დაიხურა, ჩვეულებისამებრ ძებნა წიგნი, რომ იღლიაში ამოედო, ვეღარ იპოვა, რადგან ერთიც აღარ დარჩენოდა.

- ჰო, მართლა! - წაილაპარაკა და თავგზაბნეულივით წავიდა.

## წიგნი მეათე

1832 წლის 5 ივნისი

## თავი პირველი

### ზედაპირი საკითხისა

რისგან შედგება ამბოხება? არაფრისგან და ყველაფრისგან: ელექტრობისგან, რომელიც ნელ-ნელა გროვდება, უცბად აღგზნებული ცეცხლის ალისგან, მოწიალე ძალისგან, წარმავალი ნიავისგან. ამ ნიავს გზაზე ხვდება მოაზროვნე თავი, ოცნებით გატაცებული ტვინი, მწუხარებით აღსავსე სული, ცეცხლწაკიდებული ვნება, მგმინავი გაჭირვება, იგი ყველას თან გაიტაცებს.

საით?

შემთხვევისკენ. გადასთელავენ მთავრობას, კანონებს, ზოგის კეთილდღეობასა და ზოგის თავხედობას.

აქ არის აღშფოთებული რწმენა, ჩამწარებული აღტაცება. აღძრული აღშფოთება, ჩახშული საბრძოლო ინსტინქტები, აღგზნებული ჭაბუკური ვაჟკაცობა, დიდსულოვანი დაბრმავება, ცნობისმოყვარეობა, ცვლილებისადმი მიდრეკილება, მოულოდნელობის წყურვილი. ის გრძნობა, რომლითაც სიამოვნებით კითხულობენ ახალი წარმოდგენის აფიშას და სიამოვნებით ისმენენ მემანქანის სტვენას, - დეკორაციის გამოცვლის ნიშანს; გაურკვეველი მძულვარება, შურისძიება, განხიბლვა, ბედით უკმაყოფილება, უნიადაგო ოცნება, აუვალ ციცაბოთი შეზღუდული დიდებისმოყვარეობა, ნგრევით გასასვლელის ძებნა, და ბოლოს, სიღრმეში ბრბო, ეს საწვი ტალახი, - ეს არის შემადგენელი ნაწილები ამბოხებისა.

ამბოხების საკუთრება არის, რაც კი მეტად დიდია, და რაც მეტად კნინია; ყველა ისინი, ვინც განზე უდგანან ყველაფერს და შესაფერის შემთხვევას მოელიან, უსაქმური მაწანწალები, გზაჯვარედინზე აზრის მძებნელნი, ყველა ისინი, ვისაც ღამე იქ სძინავს, სადაც ცივი ღრუბელი ასრულებს ბანის დანიშნულებას, ყველა ისინი, ვინც ყოველდღე შემთხვევას სთხოვს პურს და არა შრომას, ყველა უცნობი შვილები გაჭირვებისა და არარაობისა, ხელცარიელნი და ფეხშიშველნი.

ვისაც კი გულში უდევს საიდუმლო უკმაყოფილება მთავრობის რაიმე საქციელით, ან ცხოვრებითა და ბედისწერით, თანაუგრძნობს ამბოხებას. და როგორც კი ის იფეთქებს, ათრთოლდება და გრიგალს გაჰყვება.

ამბოხება საზოგადოებრივი ატმოსფეროს ერთგვარი გრიგალია, რომელიც უცბად ჩნდება ტემპერატურის შესაფერის პირობებში და თავის სრბოლაში ზევით ადის, მიქრის, ქუხს, აღმოფხვრის, აღგვის, სრესს, ანგრევს, ფესვიანად გლეჯს და თან მიაქანებს დიდბუნებოვანსაც და სულმდაბალსაც, კარგ ვაჟკაცსაც და სუსტ გონებასაც, ძლიერ მუხასაც და ჩიტის ბულბულსაც.

ვაი იმას, ვისაც აიტაცებს! და ვაი იმას, ვისაც ეცემა! ერთმანეთს შეაჯახებს და ზედ შეაკლავს.

რაღაც უცნაურ, განსაკუთრებულ ძალას მიანიჭებს, ვისაც გაიტაცებს. ოღონდ კი გაიტაცოს და ვინც უნდა იყოს, მომხდარი ამბების ძლიერებით აავსებს და ახალისებს; სასროლ მასალად ჰქმნის ყველას და ყველაფერს. რიყის ქვას ყუმბარად აქცევს და კურტნიან მუშას გენერლად.

დაფარული პოლიტიკის ზოგ წინასწარმეტყველს რომ დავუჯეროთ, მთავრობის თვალსაზრისით სასურველიც უნდა იყოს პატარა ამბოხება. მისი დებულებანია: ამბოხება ამაგრებს მთავრობას, რომელსაც არ ამხობს, სცდის ლაშქარის ძალას, აერთიანებს ბურჟუაზიას, ავარჯიშებს პოლიციას დევნა-ძებნაში, ამოწმებს საზოგადოებრივი წესწყობილების სიმაგრის ძალას. ეს არის ერთგვარი ვარჯიში და თითქმის ჰიგიენა. მთავრობა უფრო მაგრად გრძნობს თავს ამბოხების შემდეგ, როგორც ადამიანის სხეული დაზელვის შემდეგ.

მაგრამ ოცდაათი წელიწადია, რაც სხვა თვალსაზრისით უყურებენ ამბოხებას.

ყველაფრისთვის არსებობს თეორია, რომელიც „საღ აზრად“ აცხადებს თავის თავს: ფილინტი ალცესტის წინააღმდეგ; მოსაზრებანი სიმართლის სიცრუისგან გასარჩევად; ახსნა-განმარტება, გაფრთხილება, ოდნავ მედიდური დათმობა, რომელსაც საყვედური და ბოდიში ურევია და ამიტომ სიბრძნედ მიაჩნია თავი, თუმცა ხშირად ცარიელი ახირების მეტი არაფერია. მთელი სკოლა არის პოლიტიკური, რომელსაც „არც მწვადი დავწვათ, არც შამფურიო“, გაუხდია თავის მრწამსად. ცივსა და ცხელ წყალს შუა ეს არის ნელთბილი წყლის პარტია. ეს მიმართულება, ყალბი სიღრმით, მთლად ზედაპირული, რომელიც ისე გმობს მოვლენას, რომ მიზეზს არც კი იკვლევს, თავმომწონედ ლანძღავს ერგმეცნიერების სახელით ხალხის მოედანზე შეკრებასა და ამბოხებას.

ამ სკოლის დებულებანი:

- ამბოხებამ გაართულა 1830 წლის მოძრაობა და ამ დიდებულ შემთხვევას ჩამოაკლო რამდენიმე ნაწილი სიწმინდისა. ეს ივლისის რევოლუცია მოკრიალებული ციდან უეცრად მოვლენილი ქარიშხალი იყო. ამბოხების ჩარევამ კი ღრუბელი მოჰფინა ზეცას. ამბოხებამ უნიადაგო ჩხუბად გარდაქმნა ეს რევოლუცია, ესოდენ დიდებული თავისი ერთსულოვნებით. დასაწყისში ივლისის რევოლუციაში, როგორც ყოველ უეცარ პროგრესში, მოიპოვებოდა საიდუმლო რღვევა; და ამბოხებამ სწორედ ეს გამოამჟღავნა. შეიძლებოდა გვეთქვა, - ამაოდ ჩაგვიარა ამოდენა მსხვერპლმაო, - ივლისის რევოლუციაში განთავისუფლება მოჩანდა, ამბოხების შემდეგ კი - განსაცდელი.

- ამბოხებას თან მოსდევს მაღაზიების დაკეტვა და ფონდების შემცირება; ამბოხება პანიკას ქმნის ბირჟაზე, აჩერებს ვაჭრობას, რევს საქმეებს, აჩქარებს გაკოტრებას; აღარსად არის ფული; შიშით თრთის კერძო საკუთრება; შეჩერებულია წარმოება; გაპარვას ცდილობს კაპიტალი; უსაქმურად რჩება მუშაკაცი; დშიშია ყველგან; ამ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს ყველა ქალაქში, და აქედან გამომდინარეობს - დიდი ზარალი. დამტკიცებულია, რომ ამბოხების პირველი დღე საფრანგეთს ოც მილიონ ფრანკად უღირს; მეორე დღე ორმოც მილიონად; მესამე - სამოცად. სამი დღის ამბოხება ას ოცი მილიონი ფრანკის ზარალს აძლევს, ისე რომ, თუ მარტო ფინანსური შედეგი ვიანგარიშეთ, ამბოხება დაღუპვას უდრის, ხომალდების ჩაძირვას ან ბრძოლაში დამარცხებას და სამოცი ხომალდის დაკარგვას.

- ეჭვი არ არის, ისტორიულად ამბოხებასაც ჰქონდა თავისი სიკეთე, ქვაფენილებზე ბრძოლა არც სიდიადით ჩამოუვარდება ბუჩქებში ჩასაფრებით ბრძოლას და არც პათოსით; ერთში ტყის სულია მებრძოლი, მეორეში ქალაქის სული; ერთს ჟან შუანი ჰყავს, მეორეს - ჟან. წითლად ანათებს ამბოხება, დიდებულად, ბრწყინვალედ, პარიზელთა ხასიათის ყოველ თავისებურებას, - ლმობიერებას, ერთგულებას, გულითად მხიარულებას, თავგანწირვას, სტუდენტებს, რომლებიც საქმით ამტკიცებენ, რომ ვაჟკაცობა ნაწილი არის განათლებისა, საერო გვარდიის შეუპოვრობას, მეწვრილმანეების გულადობას, ქუჩის ბიჭების მამაცობას, ქუჩაში გამვლელთა მიერ სიკვდილის აბუჩად აგდებას. სკოლა და ჯარი შეებრძოლნენ ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, მებრძოლნი ხნიერებით განირჩეოდნენ ერთმანეთისგან: ერთი ეროვნებისანი, ერთგვარი უდრეკნი: ოცი წლისანი, რომლებიც იდეებისთვის იხოცებიან, და ცოლ-შვილისთვის - ორმოცი წლისანი. შინაურ ბრძოლაში ყოველთვის მჭმუნვარეა ჯარი და ყმაწვილთა ვაჟკაცობას სიფრთხილით უპასუხებს. ამბოხებამ გამოაჩინა ხალხის სიმამაცე და ვაჟკაცობას შეაჩვია ბურჟუაზია.

- ძალიან კარგი, მაგრამ ნუთუ ყოველივე ეს ღირს დაღვრილ სისხლად? აბა, ამ დაღვრილ სისხლს მოღრუბლული მომავალიც მიუმატეთ, შერყეული პროგრესი, ღირსეულთა მწუხარება, პატიოსანი ლიბერალების სასოწარკვეთილება, უცხოელი აბსოლუტიზმის სიხარული, გამოწვეული იმ ჭრილობებით, რომელიც რევოლუციამ თავის თავს მიაყენა. 1830 წელს დამარცხებულთა სიხარული, - ბარემ ვთქვით, მაგრამ ვის ესმოდა ჩვენიო? - მიუმატეთ პარიზი, იქნებ კიდეც განდიდებული, მაგრამ საფრანგეთი კი დამცირებული; მიუმატეთ, რადგან ყველაფერი უნდა იყოს ნათქვამი; ის ულეტა, რომელიც ძალიან ხშირად ჩირქს სცხებს გამარჯვებას, რადგან მოპოვებულ მართებლობას მძვინვარება ერეოდა და თავისუფლებას - გახელება. საერთოდ კი ამბოხება ყოველთვის საზარელი იყო.

ასე ბრძანებს ეს ვითომ სიბრძნე, რომლითაც სრულიად კმაყოფილია ბურჟუაზია, ეს ვითომ ხალხი.

რაც შეეხება ჩვენს აზრს, უარვყოფთ ამ მეტად ფართოს და, მაშასადამე, მეტად ხელსაყრელ სიტყვას - ამბოხება. მღელვარებაც არის ხალხისა, და მღელვარებაც, ერთმანეთისგან განსხვავებული. ჩვენ იმასაც კი არ ვიკითხავთ, იმდენადვე ხომ არ გვიღირს ამბოხება, რამდენადაც ვისთანმე ომიო. ჯერ ის ვთქვათ, რად გვინდა ეს ომი? აქ ომის საკითხი აღიძრა, განა ომი ნაკლები ჭირია, ვიდრე ამბოხების უბედურება? და გარდა ამისა, რაც სადმე ამბოხება მოხდა, განა ყველა უბედურება იყო? მერე რა, თუნდაც ას ოცი მილიონი დაგვჯდომოდა 14 ივლისი? ფილიპე V-ის ესპანეთის ტახტზე აყვანა საფრანგეთს ორ მილიარდად დაუჯდა. იმდენივეც რომ დახარჯულიყო 14 ივლისს, ჩვენ მაინც უპირატესობას 14 ივლისს მივანიჭებდით. ესეც რომ არ იყოს, უარვყოფთ ამ ციფრებს, რომლებიც თითქოს ჰგვანან საფუძველს და ცარიელი სიტყვის მეტს კი არაფერს წარმოადგენენ. ჩვენც ამბოხების ბუნებას ვიკვლევთ, ზემოთ მოყვანილ დოქტრინულ შენიშვნებში კითხვა მხოლოდ მოვლენას შეეხება ამბოხებისას, ჩვენ კი ვეძებთ მიზეზს.

ვაზუსტებთ საკითხს...

## თავი მეორე
## ფუძე საკითხისა

არსებობს ორი რისხვა ერისა: ამბოხება და აჯანყება. ერთი უსამართლობაა, მეორე - უფლება. დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ყოველთვის სამართლიანობაზეა დაფუძნებული, მოხდება ხოლმე, ხანდახან, რაიმე პარტია დაისაკუთრებს ხელისუფლებას; მაშინ აიშლება მთელი ერი და შეიძლება თავისი უფლების აღსადგენად იარაღიც იხმაროს. ყველა ამ მოძრაობაში, რომელიც კოლექტიური უფლების დარღვევით არის გამოწვეული, მთელი ხალხის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ არის აჯანყება, და პარტიის ბრძოლა ხალხის მიერ დადგენილი ხელისუფლების წინააღმდეგ არის ამბოხება. თუ ტუილერში მეფე არის გამოჭიმული, საფუძვლიანია ხალხის აჯანყება; და თუ ტუილერში კონვენტი მეფობს, უსაფუძვლო არის მის წინააღმდეგ ამბოხება. ზარბაზანი, რომელიც მიმართული იყო ხალხისკენ 10 აგვისტოს - უსამართლოდ მოქმედებდა, იგივე ზარბაზანი 14 ვანდემიერს უფლებამოსილი იყო. გარეგნული მსგავსება არის, ფუძე კი განსხვავებულია. შვეიცარიული ჯარი უსამართლობას იცავდა, ბონაპარტი კი სიმართლეს. რაც საყოველთაო მოქალაქეობრივმა უფლებამ დაადგინა თავისუფლებისა და სახელმწიფოსთვის, რა შეიძლება ქუჩის მიერ გაუქმდეს. ესევე არის წმინდა ცივილიზაციის კითხვებში. ძალიან შორსმჭვრეტია ხალხის ალღო დღეს, მაგრამ შეიძლება ხვალ ის მთლად აიმღვრეს. ერთი და იგივე გააფთრება კანონიერია ტერეის წინააღმდეგ და უსაფუძვლო და უაზრო ტურგოს წინააღმდეგ. მანქანების მტვრევა, საწყობების აკლება, ლიანდაგების აშლა, ნავსადგურების ნგრევა, ხალხისგან თავგზის დაკარგვა, ხალხის სამართლიანობის მიერ უარყოფა პროგრესისა, მოსწავლეების მიერ რამუსის მოკვლა, შვეიცარიიდან ქვებით განდევნა რუსოსი, ათენი წინააღმდეგ ფოკიონისა, რომი წინააღმდეგ სციპიონისა, - ეს ამბოხებაა; მაგრამ პარიზი ბასტილიის ციხის წინააღმდეგ არის აჯანყება. ჯარისკაცები რომ ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ აიშალნენ და მეზღვაურები ქრისტეფორე კოლუმბის წინააღმდეგ, ესეც ამბოხება არის, ამბოხება უწმინდური. რადა? ალექსანდრე ხმლით იღვწის აზიისთვის და ქრისტეფორე კოლუმბი კომპასით - კაცობრიობისთვის; ალექსანდრე, როგორც კოლუმბი, აღმოაჩენს უცნობ ქვეყანას. ცივილიზაციისთვის ეს აღმოჩენა ისეთი საშუალება არის განათლებისა, რომ დასაგმობი იყო ყველა, ვინც მას წინააღმდეგობას გაუწევდა. ხანდახან ხალხი თვითონ უღალატებს ხოლმე თავის თავს; ბრბო მოღალატეა ხალხისა. განა იქნება რამე ისე საზიზღარი, როგორიც არის მარილის კონტრაბანდისტთა სისხლიანი აჯანყება, და სწორედ მაშინ, როდესაც გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო საქმე, რამდენიმე ხალხის მოღალატე, მეთაური, ტახტს უერთდება და მეფობის წინააღმდეგ მებრძოლი, მისი მომხრე ხდება! საზარელი შედეგრი უვიცობისა! ნიღბიანი მტერი მეფისა გაურბის სახრჩობელას, კისერზე თოკით, და ერთგულებას შეჰფიცავს მეფეს. „სიკვდილი მარილზე ხარჯის დამდებსო“ იცვლება ძახილით - „გაუმარჯოს მეფესა!“ წმინდა ბართლომეს ღამით ხალხის მკვლელნი! სექტემბრის ხალხის მმუსრავნი! ავინიონის ხალხის მჟლეტნი, ქ. ლამბელის მკვლელნი, კოლინის მკვლელნი, ბრენის მკვლელნი, ესპანელი მიქელე, ვერდელი ყაჩაღები კადნეტები, ჟაუს ამხანაგები, გლოვის რაინდები, - აი ამბოხება. ვანდეა ერთ დიდ კათოლიკურ ამბოხებას წარმოადგენს.

თვით მოძრაობაში ისმის ხმა უფლებისა, მაგრამ ეს ხმა ყოველთვის არ ისმის ამბოხებული ხალხის მღელვარებაში; არსებობს გიჟური გააფთრება, არსებობს

გაბრაზებული ზარის რეკვა. ყოველ განგაშში ბრინჯაოს ზარის რეკვის კილო როდი გაისმის. ჟინისა და უვიცობის მიერ აღძრული მღელვარება სულ სხვა არის, ვიდრე პროგრესის სახელით აღძრული მოძრაობა. - ადექით! აიშალენით! - ძალიან კარგი, მაგრამ სიკეთისა და თქვენს სადიდებლად დამანახვეთ, საით მხარეს მიდიხართ? აჯანყება არ არის, თუ წინ არ მიიწევს; სხვა ყველა მოძრაობა ხალხისა ავია და მავნე. ყოველი გაბრაზებით უკან გადადგმული ნაბიჯი ამბოხებაა; უკან დაწევა მტრობა არის განათლებისა და კაცობრიობისა. აჯანყება არის იერიში აღშფოთებული სიმართლისა. სიმართლის ნაპერწკალს ისვრიან ის ქვები, რომელსაც ქვაფენილიდან იღებს აჯანყება თავისუფლების დასამყარებლად; ამბოხებისთვის კი ქვაფენილს ტალახი აქვს და სხვა არაფერი. დანტონი მეფე ლუი XV-ის წინააღმდეგ - ეს არის აჯანყება, ჰერბერი დანტონის წინააღმდეგ - ამბოხება.

ამიტომ არის, რომ აჯანყება ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ლაფაიეტმა თქვა, „უწმინდეს მოვალეობად“ ხდება, და ამბოხება უსაზარლეს ბოროტებად.

განსხვავება არის აგრეთვე სითბოს ოდენობაშიც. აჯანყება ხშირად ვულკანია და ამბოხება ყოველთვის ცეცხლწაკიდებული ჩალა.

ამბოხება ხშირად თვით მთავრობაშიც მოიპოვება, როგორც უკვე ვთქვით, პოლინიაკი მეამბოხე იყო და კამილ დემულენი მთავრობის წევრი.

ხანდახან აჯანყება აღდგომა არის.

სრულიად ახალი და თანამედროვეა საყოველთაო ხმის მიცემით გადაწყვეტა ყოველი კითხვისა, მთელი წინანდელი, ოთხი ათასი წელიწადის განმავლობაში ისტორია სავსეა ხალხის უფლების რღვევითა და ხალხის დამონებით; ისტორიის ყოველ ხანას თან მოაქვს, რამდენადაც კი შეძლებს, პროტესტი დაჩაგრულებისა. იულიუს კეისრის დროს არ აჯანყებულან, მაგრამ არსებობდა იუვენალი.

Facit indignatio გრაკჰუსების მაგივრობას სწევს.

კეისრების დროს იყო განდევნა სიენში და იყო აგრეთვე Annales-ს მატიანის მწერალი.

აღარას ვიტყვით პათმოსში განდევნილის შესახებ, რომელიც სხვებთან ერთად იდეალური ცხოვრების სახელით ჰგმობს ცხოვრების სინამდვილეს, მოჩვენებას იყენებს, რომ სატირა შეადგინოს და ნინევიას, ბაბილონს, სოდომს სტყორცნოს ცეცხლწაკიდებული აპოკალიფსის ანარეკლი.

იოანე თავის კედელზე იგივეა, რაც სფინქსი თავის კვარცხლბეკზე; შეიძლება ვერ მივხვდეთ, რისი თქმა უნდა, ებრაელია და ებრაულად წერდა; მაგრამ Annales-ის დამწერი ლათინია, უკეთ რომ ვთქვათ, - რომაელი.

რადგან ნერონების ბოროტი მეფობა ბნელით მოცულია, ის იმგვარადვე უნდა აისახოს, მაგრამ პოეტური საკვეთი საკმარისი არ იქნება და ამოკვეთილ ჭრილში შედეედებული და გესლიანი პროზა უნდა ჩაისახოს.

მტარვალსაც აქვს ცოტა რამ მნიშვნელობა აზროვანთათვის. საშინელია ჯაჭვით დაბმული სიტყვა. როდესაც ბატონი გაჩუმებას უბრძანებს ხალხს, მწერალი აორკეცებს და ასამკეცებს თავის სტილს. ამ ნაძალადევი გაჩუმებიდან გამოდის ერთგვარი იდუმალი სისრულე, რომელიც იწურება და რკინად ხდება ადამიანის გონებაში. შეკუმშვა ისტორიისა გამოიწვევს ისტორიკოსის აზროვნების შეკუმშვას. გრანიტული სიმკვიდრე რაიმე სახელოვანი პროზისა არის შედეგი შემჭიდროებისა, მტარვალის ბრძანებით რომ მომხდარა.

მტარვალი აიძულებს მწერალს შეზღუდოს გამოთქმათა დიამეტრი და მით ჰმატებს ძალას. ციცერონის სიტყვის საქცევი ძლივს საკმარისი ვერესისათვის, მთლად მიჩლუნგდებოდა კალიგულას ხელში. რაც უფრო შევიწროებულია სიტყვის გასაქანი, მით უფრო მეტია მისი სიმძლავრე. ხელშეკრული ფიქრობს ტაციტუსი.

მეხის დამცემია სამართლიანობითა და სამართლით აღსავსე გული პატიოსანი ადამიანისა.

გაკვრით ვთქვათ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისტორიულად ტაციტუსი არ სჯობნის კეისარს. მან გაუსწრო ტიბერიუსებს. კეისარი და ტაციტუსი ერთმანეთის შემცვლელი ფენომენები არიან, რომელთა შეხვედრა საიდუმლოებრივ არის არიდებული მის მიერ, ვინც განაგებს საუკუნეთა მოქმედ პირთა სცენაზე გამოსვლას და სცენიდან გასვლას. დიდებულია კეისარი, დიდებულია აგრეთვე ტაციტუსი; ღმერთი იფარავს ამ ორ დიდებას და ააცდენს ერთმანეთის შეხვედრას. მართლის მოამბეს რომ დაეკრა კეისრისთვის, შეიძლება ძალიან დაეკრა, და მით უსამართლო გამომდგარიყო. ღმერთს ეს არ სურს. აფრიკასა და ესპანეთში წარმოებული ომები, სიცილიელ ყაჩაღთა ამოწყვეტა, ცივილიზაციის შეტანა გალიაში, ბრიტანეთში, გერმანიაში, - მთელი ეს დიდება ფარავს რუბიკონს, აქ ერთგვარი თავაზიანობაა ღვთიური სამართლიანობისა, რომელიც ყოყმანობდა, მიეშვა თუ არა სახელოვან, ძალით გამეფებულ უზურპატორზე არანაკლებ სახელოვანი ისტორიკოსი - ტაციტუსს შეაწყნარებინა კეისარი და გენიოსს მიანიჭა დანაშაულის შემწყნარებელი გარემოებანი.

მართალია, მტარვალობა მტარვალობად რჩება, გენიოსიც რომ მტარვალობდეს. ირყვნება ქვეყანა, თუ დიდებული ტირანი ჰყავს სათავეში. მაგრამ ზნეობრივი ჭირი მაშინ უფრო დიდია, თუ მტარვალი პატიოსნებას მოკლებულია. ამგვარ სამეფოში აღარაფერი ჰფარავს სირცხვილს, და მაგალითის მომცემნი, ტაციტუსი, როგორც იუვენალი, მთელი კაცობრიობის თვალწინ ამათრახებენ ამ სამარცხვინო უშვერობას.

რომი ვიტელიუსის დროს უფრო ყარდა, ვიდრე სულას დროს. კლავდიუსისა და დომიციანეს დროს ზნეობრივი დაცემის საზიზღრობა შეესაბამებოდა თვით მტარვალის სიმახინჯეს. მონობის ბოროტებას უშუალოდ ქმნის მტარვალის ხელი. მიაზმი გამოდის ამ ჩამოყალიბებული სინდისიდან და შიგ ისახება თვითონ ბატონი. საზოგადოებრივი დაწესებულებანი - ბუდეა ბოროტებისა; გული - დაკნინებული; სინდისი - ფეხქვეშ მძრომი, სული - ბაღლინჯოდ გარდაქმნილი; ასეა კარაკალას დროს, ასეა კომოდის დროს. ასე დარჩა ჰელიოგაბალის დროს, მაშინ, როდესაც კეისრის დროის რომის სენატიდან, გარდა არწივის ბუდის სკინტლის სუნისა, აღარაფერი გამოდიოდა.

აქედან - ტაციტუსებისა და იუვენალების თითქოს დაგვიანებული გამოცხადება: აღმნიშვნელი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც ყველაფერი აშკარა გამხდარა.

მაგრამ იუვენალი და ტაციტუსი, როგორც დაბადების დროის ისაია და შუა საუკუნეების დანტე, ადამიანები არიან. ამბოხება და აჯანყება კი ნამოქმედარია ადამიანთა მასისა, რომელიც ხან მტყუანია, ხან მართალი.

უფრო ხშირად ამბოხება გამოწვეულია ხოლმე ქონებრივი უსამართლობით; აჯანყება კი ყოველთვის ზნეობრივ ნიადაგზე ჩნდება.

ამბოხება - ეს არის მაზანიელო; აჯანყება - ეს არის სპარტაკი. აჯანყება გონებისაა, ამბოხება ქონებისა, ესე იგი კუჭისა. კუჭი შფოთავს, მაგრამ ესეც მართალია,

ყოველთვის კი არ ტყუის, რომ შფოთავს, ეს შიმშილის გამო ამბოხებაა. ბუზანსეს მაგალითებრ ნამდვილი საბაბი აქვს ამბოხებისა, სალმობიერი და სამართლიანი, მაგრამ მაინც ამბოხებად ირიცხება. რატომ? იმიტომ, რომ სამართლიანმა ფუძემ უსამართლობას მიმართა თავისის მისაღწევად; მკაცრი იყო, თუმცა უფლება ჰქონდა; აღშფოთებული, თუმცა ძლიერი იყო, და ანადგურებდა, რაც კი მოხვდებოდა; ისე მიდიოდა, როგორც ბრმა სპილო და სრესდა, რაც ფეხქვეშ მოჰყვებოდა; მოდიოდა და უკან სტოვებდა მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ცხედრებს; დიდი სისხლი დაღვარა, თვითონაც არ იცოდა, რისთვის, უდანაშაულოთა და უვნებელთა. კეთილი მიზანია ხალხის საზრდოს მოპოვება, მაგრამ სისხლის ღვრა კი საზარელი საშუალებაა.

ყოველგვარი შეიარაღებული პროტესტი, სრულიად საფუძვლიანიც კი, თვით აგვისტოსი და 14 ივლისისა, იწყება არეულობით. სანამ უფლება გაიკვლევს გზას, თავს იჩენს არეულობა. აჯანყების დასაწყისი ამბოხებაა, როგორადაც მდინარის სათავე ბუნებრივი მიმდინარეობის შედეგად მიაღწევს ოკეანეს - რევოლუციას. მაგრამ მოხდება ხოლმე ხანდახან, რომ წამოვა მთის მწვერვალიდან, რომელიც თავს ადგას ზნეობრივ ჰორიზონტს - მართლმსაჯულებას, სიბრძნეს, გონებას, უფლებას, - იდეალის უწმინდესი თოვლის ნადნობი და ხანგრძლივი დენის შემდეგ კლდიდან კლდეზე, როდესაც ზეცას ისახავდა თავის გამჭვირვალეობაში, და ასობით სხვა მდინარეს იერთებდა გამარჯვებით განდიდებული, უცბად იკარგება ბურჟუაზიულ საფლობში, როგორც რეინი ჭაობში.

ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის. მომავალი სულ სხვა იქნება. საყოველთაო კენჭისყრის უფლების შესაძლებლობას ისა აქვს საგანგებო, რომ თვით თავის პრინციპში ადნობს ამბოხებას, და ხმის უფლებას რომ აძლევს აჯანყებას, მით ხელიდან აცლის იარაღს. მოსპობა ომისა, ქუჩაში იქნება ეს ომი თუ საზღვარზე, ეს არის ჩვენი პროგრესის აუცილებელი შედეგი. რაც უნდა ავი იყოს დღევანდელი დღე, კაცობრიობის „ხვალ“ მაინც მშვიდობიანობისა იქნება.

საერთოდ კი აჯანყება, ამბოხება... რით განსხვავდება პირველი მეორისგან? ბურჟუას ამისი არაფერი გაეგება. მას რომ ჰკითხოთ, ყაჩაღობაა ერთიცა და მეორეც. სულ უბრალო ძარცვა და გლეჯა გააფთრება ძაღლისა თავისი პატრონის წინააღმდეგ, წადილი და ცდა უკბინოს როგორმე ბატონს, - რაც უნდა დასრულდეს ჯაჭვითა და ხუხულაში შეგდებით; მისთვის ეს მხოლოდ ძაღლის ღმუილი და ძაღლის ყეფაა მანამდე, სანამ არ გაიზრდება ეს ძაღლის თავი და უცბად საშინელი ლომის სახედ წინ არ აღუდგება.

მაშინ ბურჟუაზიაც იწყებს ყვირილს:

- გაუმარჯოს ხალხს!

ეს განმარტება ხომ დავასრულეთ, ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ისტორიისთვის 1832 წლის მოძრაობა? ამბოხება არის ხალხისა თუ აჯანყება?

აჯანყებაა!

შეიძლება შეგვემთხვეს სადმე და ხალხის მოძრაობის აღწერაში ამბოხება ვთქვათ; ამით მარტო მოძრაობის ზედაპირს აღვნიშნავთ და ყოველთვის ვიხელმძღვანელებთ იმ განსხვავებით, რომელსაც წარმოადგენს ზედაპირი და ფუძე ხალხის აშლისა.

- 1832 წელს უცბად წამოიშალა ხალხი. საზარლად მოეღო ბოლო ამ მღელვარებას, მაგრამ იმდენი სადიდებელი იყო, რომ თვით ისინიც კი, ვინც ამ

მოძრაობაში ამბოხების მეტს ვერაფერს ხედავდნენ, მაინც პატივისცემით იხსენიებენ მას. მათთვის ეს გამოძახილი იყო 1830 წლისა. - აღგზნებული ოცნება ასე მალე ვერ დამშვიდდებაო, - ბრძანებენ. რევოლუცია აგრე სწრაფად არ ბოლოვდება, უთუოდ აქვს თავისი ზვირთსრბოლა. ვიდრე სრულიად დამშვიდდებოდეს, როგორც ბარისკენ ჩამომავალ მთას, ალპის მთას ჟურას შტოები უნდა ჰქონდეს და პირენეს - ასტურია.

ჩვენი თანამედროვე ისტორიის ამ პათოსით აღსავსე ტეხილს პარიზელები „ამბოხების ხანად“ მიიჩნევენ და მართლაც მეტად დამახასიათებელი იყო ეს დრო ჩვენი საუკუნისთვის, უფრო მეტად, ვიდრე სხვა არეულობანი.

ერთი სიტყვა, უკანასკნელი, ვიდრე თხრობას დავუბრუნდებოდეთ.

- რასაც ახლა ვუამბობთ მკითხველს, იმ დრამატულ და ცოცხალ სინამდვილეს ეკუთვნის, რომელსაც ხანდახან უყურადღებოდ ტოვებს ისტორია დროისა და შესაძლებლობის სიმცირის გამო. და სწორედ აქ არის, სწორედ აქ, სიცოცხლე, ძრწოლა, ადამიანური მაჯისცემა. ყოველი წვრილმანი, როგორც უკვე ვთქვით. თუ არა ცდებით, დიდი ამბების ფოთლებია, რომელიც დროს ჩამოუცვენია და ისტორიის წარსულში იკარგება. იმ დროს, რომელსაც „ამბოხების ხანას“ უწოდებენ, მრავლად ჰქონდა ამგვარი წვრილმანი. მართლმსაჯულების გამოძიებამ სხვა მოსაზრებით, ვიდრე ისტორიისა იყო, ყველაფერი არ აღმოაჩინა და შეიძლება არც ყველაფერს ჩაუღრმავდა. ჩვენ გვინდა სინათლეზე გამოვიტანოთ ცნობილი და გამოცხადებულთან ერთად სწორედ ის, რაც აქამდე არ იყო ცნობილი, რაც ზოგიერთის დავიწყებამ გააქრო და ზოგის სიკვდილმა. ამ ბუმბერაზული სცენების მოქმედ პირთაგანი ბევრი აღარ არიან; მეორე დღესვე მიჩუმდნენ, მაგრამ რასაც მოგითხრობთ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ჩვენი თვალით ვნახეთ. - ზოგიერთ სახელს შევცვლით, რადგან ისტორია მოგვითხრობს და არა აბეზღებს, მაგრამ სრულ სინამდვილეს დავხატავთ იმ პირობებში, რომელშიც ეს წიგნი იწერება, ერთ მხარეს ვაჩვენებთ მკითხველს და ერთ ეპიზოდს, ყველაზე ნაკლებად ცნობილს, რაღა თქმა უნდა, 1832 წლის 5 და 6 ივნისს, მაგრამ ისე მოვაგვარებთ, რომ მკითხველმა დაინახოს შავი ზეწრის ქვეშ, რომელსაც აწევას ვუპირებთ, ნამდვილი სახე ამ საზოგადოებრივი მოძრაობის საშინელი შემთხვევებისა.

## თავი მესამე
## დასაფლავება - საბაბი ხელახლა დაბადებისა

1832 წლის გაზაფხულს ასაფეთქებლად სრულიად მზად იყო პარიზი, თუმცა სამი თვე გავიდა, რაც ქოლერა შიშით ჰყინავდა მოსახლეობას და მათ მღელვარებას რაღაც პირქუშ, დამამშვიდებელ ზეწარს აფარებდა. როგორც ვთქვით, დიადი ქალაქი ზარბაზანს ჰგავდა გატენილს, რომლისთვისაც ერთი ნაპერწკალიც კმარა, რომ გაისროლოს.

1832 წლის ივნისში გენერალ ლამარკის სიკვდილი იყო ეს ნაპერწკალი.

სახელოვანი კაცი იყო ლამარკი და კარგი მოღვაწე. იმპერიისა და აგრეთვე რესტავრაციის დროს ორგვარი ვაჟკაცობა გამოიჩინა; საჭირო ერთისთვის და მერე მეორისთვის, - ვაჟკაცობა ბრძოლის ველზე და ვაჟკაცობა ტრიბუნაზე. ისეთივე უძლეველი იყო მისი მჭევრმეტყველება, როგორიც უძლეველი იყო მისივე გმირობა; ბასრი ხმალივით სჭრიდა მისი სიტყვა. როგორც ფუას, მის წინა მოადგილეს ჯარში,

ისე მას ძირს არ დაუშვია საფრანგეთის თავისუფლების ალამი და მანამდე საომარი დროშა. პალატაში მემარცხენეთა და უკიდურეს მემარჯვენეთა შუა იჯდა. ძალიან უყვარდა ხალხს, რადგან მას სწამდა ხალხის მომავალი და აგრეთვე ძალიან უყვარდა ბრბოს, რადგან გულწრფელად ემსახურა იმპერატორს. ის იყო გრაფ ჟერარ და დრუესთან ერთად ნაპოლეონის ერთ-ერთი in petto მარშალთაგანი. 1815 წლის ხელშეკრულება ისე აწუხებდა, როგორც პირადი შეურაცხყოფა. ჭირივით სძულდა ველინგტონი და ესეც ძალიან მოსწყინდა ხალხს. ჩვიდმეტი წელიწადი გავიდა ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ და თითქოს ყურადღებას არ აქცევს ცხოვრების ჭირ-ვარამსაო, სულ ის დიდი დამარცხება აწვა გულზე. სულთმობრძავი რომ იყო, უკანასკნელ წუთს გულში ჩაიკრა ხმალი, რომელიც მიუძღვნეს ნაპოლეონის ასი დღის ხელმწიფობის დროს ოფიცრებმა. ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვა, რომ კვდებოდა, იყო „არმია“ და ლამარკის უკანასკნელი სიტყვა - „სამშობლო“.

მისი სიკვდილისა, თუმცა მოსალოდნელის, ეშინოდა ხალხს, როგორც მძიმე დანაკლისის, არანაკლებ ეშინოდა მთავრობას როგორც არეულობის შესაძლებელი საბაბისა. - მისი მიცვალება საფრანგეთის გლოვად იქცა. როგორც ყოველივე, რაც კი მწარეა, ისე გლოვაც შეიძლება აჯანყებად გარდაიქცეს. ასეც მოხდა.

5 ივნისს იყო დანიშნული დაკრძალვა. იმ დღეს და წინა დღის საღამოთი ხალხით გაივსო წმინდა ანტონის უბანი, სადაც მიცვალებული უნდა გაეტარებინათ და საშიშარი სახე მიიღო. უცნაური ხმაური ისმოდა ყველგან ამ მჭიდროდ დასახლებული უბნის ქუჩათა ქსელში. იარაღდებოდა ყველა, როგორც შეეძლო. დურგლებს თავიანთი კეტები მოჰქონდათ „კარების ჩასამტვრევად“, შუბად და ხანჯლად ლესავდნენ, სადაც რკინას იპოვიდნენ. ერთს კიდევ ისე მორეოდა მომავალი ბრძოლის სიცხე, რომ სამი ღამე ტანთ არ იხდიდა. ერთი დურგალი, სახელად ლომბიე, შეხვდა ამხანაგს, რომელმაც ჰკითხა: - საღ მიხვალ?

- რა ვქნა? იარაღი არ მაქვს.

- მერე?

- მერე მინდა სახელოსნოში მივიდე, იქნება იქ მაინც ვიპოვო რამე.

ერთი კაცი იყო, სახელად ჟალკლენი, ძალიან მოხერხებული, გააჩერებდა მიმავალ მუშას, - აქ მოდი, აქა! - ნახევარი ფრანკის ღვინოს გადააკვრევინებდა და ეუბნებოდა: - საქმე გაქვს რამე? - არა? - წადი, ფილპიერი ნახე, მონრეალისა და შარონის სადარაჯოს შუა. საქმეში ის ჩაგაბამს. - ფილპიერთან იყო მოგროვილი იარაღი და ტყვია-წამალი. მოთავენი, როგორც წერილების დამრიგებლები, ისე დადიოდნენ თავ-თავის ქუჩებში და ხალხს აგროვებდნენ. ტრონის სადარაჯოსთან ბარცელენისა და კაპეს დუქანში ბრძოლისთვის მომზადებულნი ამხანაგურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. წამდაუწუმ გაისმოდა ხმამაღალი კითხვა: - დამბაჩა გაქვს? - მე აი, ხალათის ქვეშ. შენა? - პერანგის ქვეშ. - ტრავერზიელის ქუჩაში როლანის სახელოსნოს კართან და „დამწვარი სახლის“ ეზოში, ბერნიეს სახელოსნოს კართან, რომელიც სავსე იყო ყოველგვარი იარაღითა და ხელსაწყოებით, ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი და ჩურჩულებდა. ამ ხალხში მოჩანდა ერთი მეტისმეტად აღგზნებული კაცი, სახელად მავო, რომელიც ერთ კვირაზე მეტხანს თავის დღეში არ დარჩენილა ერთ ქარხანაში; დაითხოვდნენ ხოლმე პატრონები, რადგან ყოველდღე დავას უმართავდა მათ. მეორე დღეს მოკლეს მავო მენილმონტანის ბარიკადზე. მავოსთან ერთად პრეტო აქტიურობდა, ხალხს აგროვებდა და რომ ჰკითხავდნენ, - რა გაქვს მიზნად

დასახულიო? - უპასუხებდა, - აჯანყებაო. - ისიც ბრძოლაში მოკვდა. ბერსის ქუჩაზე მოგროვილი მუშები ვინმე ლამარტენს ელოდნენ, რევოლუციონერს, რომელსაც ხალხის მომზადება ჰქონდა დავალებული სენ-მარსოს უბანში. აჯანყების ბრძანებები თითქმის საქვეყნოდ ისმოდა დაუფარავად.

ცუდი დღე იყო 5 ივნისი. ხან წვიმდა და ხან ღრუბლებიდან მზე გამოაშუქებდა. პარიზზე გადმოატარეს გარდაცვლილი სამხედრო დებულების, სიფრთხილის გამო ოდნავ გადამეტებული გლოვის ზეიმით. ორი ბატალიონი მისდევდა უკან, დაფდაფები თალხში ჰქონდათ შეხვეული. თოფები თავდაყირა ძირს დაშვებული, საერო გვარდიის ათი ათასი კაცი მოაბიჯებდა გვერდზე ხმლებჩაკიდებული. ბალდახინი ყმაწვილკაცებს მიჰქონდათ. ბალდახინს უკან მისდევდნენ გადამდგარი ოფიცრები, ხელში დაფნის ტოტებით. მერე ურიცხვი აღელვებული ხალხი მიჰყვებოდა. წევრები „ხალხის მეგობართა“ საზოგადოებისა, უმაღლესი სასწავლებლების, მართლმსაჯულების, მედიცინის მოწაფენი, სამშობლოდან გამოქცეული ყოველი ეროვნების შვილნი. მოჩანდა დროშები: ესპანური, იტალიური, გერმანული, პოლონური, თარაზულად ძირს დაშვებული სამფერა დროშები, ყოველგვარი ბაირაღები. მიდიოდნენ ბავშვები მწვანე ტოტების ქნევით. ქვის მთლელები და დურგლები, რომლებიც გაფიცუიყვნენ სწორედ იმ დროს, ადვილად საცნობი, ქაღალდისქუდიანი სტამბის მუშები, რომლებიც ორ-ორად, ან სამ-სამად დაჯგუფებულიყვნენ, ყვიროდნენ, ჯოხს ან ხმალს იქნევდნენ თითქმის ყველანი. გამწესებული არავინ ჰყავდა ხალხს, მაგრამ ერთსულოვნად მოქმედებდა ყველა და ხან არეულად მოჩანდნენ, ხან მწყობრ რაზმებად. ეს რაზმები თვითონვე ირჩევდნენ წინამძღვარს, ერთი კაცი იყო ორი დამბაჩით, მხედართმთავრის თვალით სინჯავდა ამ რაზმს; მას გზას უთმობდნენ ყველგან, სადაც კი გაივლიდა. ბულვარის ორივე მხარეს ხეების ტოტებში, აივნებზე, ბანებზე, ფანჯრებში ყველგან ხალხი მოჩანდა, - ქალი, კაცი, ბავშვი. შიში მორეოდა ყველას. მიცვალებულს მიასვენებდა შეიარაღებული ხალხი და ამას უყურებდა შეშინებული მოსახლეობა.

თავის მხრივ არც მთავრობა იყო დამშვიდებული და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ყველაფერს. თვალყურს ადევნებდა ხმალამოღებული. ლუი XV-ის მოედანზე მთლად გამზადებული იდგა ოთხი ესკადრონი, გატენილი თოფებითა და დამბაჩებით; ცხენებზე ისხდნენ და უცბად დაიძროდნენ, როგორც კი ბრძანებას მიიღებდნენ; ლათინთა უბანსა და ბოტანიკურ ბაღში ქალაქის თვითმართველობის რაზმები იდგა ყოველ ქუჩაში უკლებლივ; ღვინის მოედანზე დრაგუნები იდგნენ, ერთი ესკადრონი; გრევში - მეთორმეტე რაზმის ნახევარი; მეორე ნახევარი ბასტილიაში დაეყენებინათ; სელესტინში იდგა დრაგუნების მეექვსე რაზმი; ლუვრის ეზო სავსე იყო არტილერიით. დანარჩენი ჯარი მზად იყო თავის სადგომებში; მზად იყვნენ აგრეთვე პარიზის მიდამოებში მდგომი ჯარები. შეშინებულ მთავრობას მუქარით მომავალი ხალხის ასალაგმავად ოცდაოთხი ათასი ჯარისკაცი ქალაქში ჰყავდა და ოცდაათი ათასი - გარეუბანში.

სხვადასხვა ხმა ტრიალებდა მიცვალებულის უკან მიმავალ ხალხში: ლეგიტიმისტების ქვებუდანობაზე, ჰერცოგ რაიხშტადტელზე, რომელსაც სწორედ იმ წამს მოუვლინა ღმერთმა სიკვდილი, როდესაც ხალხი იმპერატორად ასახელებდა. ერთი კაცი, ჯერაც უცნობი, უცხადებდა ხალხს, რომ დანიშნულ დროს ორი აჯანყების მომხრე მოსყიდული ქარგალი იარაღის ქარხნის კარებს გაუღებს ხალხს. უქუდოდ

იყო უმრავლესობა და ყველას აღტაცება აღბეჭდოდა შუბლზე, თან მჭმუნვარება. ამ დიდებული აღტაცებით აღსავსე ხალხში აქა-იქ კარგად ჩანდა აგრეთვე ნამდვილი სახე ავაზაკობისა, მათი ბილწი პირი მზად იყო ეყვირა: ყველაფერს ავიკლებთ! - არის ხოლმე მღელვარება ხალხისა, რომელიც შესძრავს ჭაობის ძირს და წყლის ზედაპირზე მოაქცევს ძირეულ დამპალ ნალექს. ეს ჩვენი ცხოვრების ერთგვარი მოვლენა გახლავთ, რომელიც კარგად უწყის დაგეშილმა პოლიციამ.

ნელი, აღგზნებული ნაბიჯით მიასვენებდნენ მიცვალებულს თავისი სახლიდან ბულვარებით ბასტილიისკენ. დროდადრო წვიმდა, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევდა ამას ხალხი. რამდენიმე გარემოება არის აქ აღსანიშნავი: ვანდომის სვეტის ირგვლივ შემოატარეს რამდენჯერმე მიცვალებული; ერთ აივანზე ჰერცოგი ფიც-ჟემსი დაინახეს, ქუდი არ მოეხადა და ქვები ესროლეს. ერთ დროშას ზემოდან გალური მამალი ეკრა, ჩამოგლიჯეს და ტალახში ჩააგდეს; სენ-მარტენის კართან პოლიციელი დაჭრეს ხმლით; ერთმა მეთორმეტე რაზმის ოფიცერმა ხმამაღლა დაიძახა, - რესპუბლიკის მომხრე ვარო; როდესაც გამოჩნდნენ პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტები, რომელთაც მთავრობამ ეს აუკრძალა, გაისმა ხალხის ძახილი: გაუმარჯოს პოლიტექნიკურ სკოლას! გაუმარჯოს რესპუბლიკას! ბასტილიის ციხესთან კიდევ მიემატა სენ-ანტუანის უბნიდან მომავალი მრისხანე სახის მქონე ცნობისმოყვარე ხალხთა გრძელი მწკრივი. ახლა უფრო დაეტყო საშინელი ქოთქოთი მღელვარე ბრბოს.

ერთი კაცის სიტყვა გაიგონეს, მეორეს რომ ეუბნებოდა: - აგერ, იმ კაცს ხედავ, ქერა წვერიანს? ის გეტყვის, როდის უნდა დავიწყოთ სროლა. - როგორც აღმოჩნდა, შემდეგშიც იმავე თანამდებობით ერია ეს ქერაწვერიანი მეორე ამბოხებაში, კენისეს საქმეში.

ბალდახინმა გაიარა ბასტილიის ციხე, გადაიარა პატარა ხიდი და აუსტერლიცის ხიდის მოედანთან მივიდა. იქ გაჩერდა. ამ დროს რომ ზემოდან, ფრინველის მისაღწევი სიმაღლიდან, ჩამოეხედა ვისმე, კუდიან ვარსკვლავად ეჩვენებოდა ეს ხალხი, რომლის თავი მოედანზე იყო, გზაზე ბასტილიას ფარავდა და ბოლო სენ-მარტენის კარამდე აღწევდა. პატარა წრე შემოეხვია მიცვალებულის კუბოს. მიდუმდა იმოდენი ხალხი. ლაფვაიეტმა წარმოთქვა სიტყვა და გამოეთხოვა გარდაცვლილს. გულს ეცა ყველას მისი სიტყვა. ყველას ქუდი მოეხადა და ყველას გული ანთებოდა. უცბად ვიღაც კაცი გამოჩნდა ცხენიანი, შავად მოსილი, წითელი დროშით. ზოგი ამბობს, - დროშა კი არა, შუბი ეჭირა, რომლის წვეტზე წითელი ჩაჩი ეხურაო. - ლაფვაიეტმა თვალი მოარიდა. ექსელმანმა თავი გაარიდა იქაურობას.

გრიგალი აღძრა ამ წითელმა დროშამ და თვითონაც შიგ ჩაიმალა. ბურდონის ბულვარიდან აუსტერლიცის ხიდამდე გაისმა აზვირთებული ხალხის დრტვინვა, ორი მძლავრი ძახილი გაისმოდა ყველგან: - ლამარკი პანთეონში! ლაფვაიეტი ქალაქის თვითმმართველობაში!

ისევ ყმაწვილი კაცები შეებნენ, ხალხის ძახილით წაქეზებულნი ბალდახინში და აუსტერლიცის ხიდისკენ წაასვენეს მიცვალებული. ლაფვაიტი ეტლში ჩასვეს და წაიყვანეს მორლანის სანაპიროთი.

იმ ხალხში, რომელიც ლაფვაიეტს შემოხვეოდა და მის გვარს გაიძახოდა, ბევრი მიუთითებდა ერთ გერმანელზე, ლუდვიგ სნიდერზე (რომელიც შემდეგში ასი წლისა

მიიცვალა), რომ იგი მონაწილეობდა 1776 წლის ომში, - ტრენტონის ბრძოლაში ვაშინგტონთან ერთად და ბრენდივაინში ლაფაიეტთან ერთად.

ამასობაში მდინარის მარცხენა მხარეს დაიძრა ქალაქის ცხენოსანი ჯარი და გზა შეკრა ხიდზე. მარჯვენა მხარეს დრაგუნები ჩამოვიდნენ სელესტინელთა მონასტრიდან და მორლანის სანაპიროზე გამწკრივდნენ. ლაფაიეტს სანაპიროს კუთხეში შეეჩეხნენ, მაშინვე შენიშნეს ჯარი და დაიძახეს, - დრაგუნები! - უკანასკნელნი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, გაჩუმებულნი, ჩალთაში დამბაჩები ელაგათ, წელზე ხმლები ერტყათ, მხარზე თოფები გადაეკიდათ და პირქუში გამომეტყველება აღბეჭდოდათ სახეზე.

პატარა ხიდიდან ორასი ნაბიჯის მანძილზე დადგნენ. ლაფაიეტის ეტლიც რომ მიუახლოვდათ, გახსნეს მწყობრი, გაატარეს ეტლი და ისევ შეერთდნენ. უკვე წინ უდგნენ ერთმანეთს ჯარი და ხალხი. შეშინებულმა ქალებმა თავს უშველეს.

რა მოხდა ამ საბედისწერო წუთში? ამას ვერავინ იტყვის. ეს იყო ერთი იმ ბნელ წამთაგანი, როდესაც ერთმანეთს ეჯახება ორი ღრუბელი. ზოგი ამბობს, - არსენალის მხრიდან გაისმა საყვირით მოცემული ბრძანება ბრძოლის დაწყებისო; - ზოგი ამბობს, - ერთმა ბიჭმა ხანჯალი ატაკა დრაგუნსო. უდავო სინამდვილე ის არის, რომ უეცრად სამი თოფი გავარდა; პირველმა ესკადრონის უფროსი, შოლე მოკლა, მეორემ - ბებერი ყრუ დედაკაცი, რომელიც თავის ფანჯარას ხურავდა კონტრესკარპის ქუჩაზე; მესამემ ეპოლეტი დაუწვა ერთ ოფიცერს. ერთმა ქალმა შეჰყვირა, - ძალიან ადრე დაიწყესო! - და უცბად მორლანის სანაპიროს მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა დრაგუნთა ესკადრონი, რომელიც აქამდე თავის სადგომში იყო; ცხენებს მიაჭენებდნენ ბასონპიერის ქუჩითა და ბურდონის ბულვარით, რათა პირისაგან მიწისა აღეგავათ, რაც წინ დახვდებოდათ.

ამას მოჰყვა სხვა ყველაფერი. ამოვარდა გრიგალი, წამოვიდა ქვის წვიმა, დაიწყო თოფის სროლა, მრავალი ხალხი ჩაცვივდა ქვევით და მდინარის ამჟამად ამოვსებულ პატარა ტოტში გაცურდა; მებრძოლი ხალხით გაივსო ლუვიეს კუნძულის ხეტყის საწყობი, რომელიც მზამზარეულ დიდ სიმაგრეს წარმოადგენდა. მარგილს აძრობენ მიწიდან, დამბაჩას ისვრიან, ბარიკადს იკეთებენ; ყმაწვილკაცობა სირბილით მიაქანებს აუსტერლიცის ხიდზე ცხედარს და თან ჯარს ებრძვის. მორბიან მსროლელი რაზმები, ცხენებს მოაჭენებენ და ხმლებით ჩეხენ ხალხს დრაგუნები. ყოველმხრივ გარბის და იფანტება ხალხი. ბრძოლის ხმაურობა გაისმის პარიზის ოთხივ მხარეს. გაისმის ძახილი, - შეიარაღდით! - გარბიან, ძირს ეცემიან, ჯარებს ებრძვიან. გულისწყრომა ისე ამძვინვარებს ამბოხებას, როგორც ქარი ანთებულ ცეცხლს.

## თავი მეოთხე
## განვლილი მღელვარებანი

ამბოხების პირველი ქოთქოთისთანა უცნაური სხვა არაფერი იქნება. ერთად და ერთდროისად იშლება ხალხი. მოფიქრებული და მომზადებული იყო? არა. მაშ, საიდან მომდინარეობს ეს ერთობა? ქუჩიდან! საიდან ჩამოდის? ღრუბლებიდან! აქ აჯანყება შეთქმულებას ჰგავს, იქ კიდევ იმპროვიზაციას. გამოჩნდება ვინმე, დაეპატრონება ხალხს და იქით მიჰყავს, საითაც უნდა. შიშიანობით არის სავსე ეს დასაწყისი და შიშს საშინელი მხიარულება ერევა. ჯერ ყვირილია ყველგან, მაღაზიების დაკეტვა, ვაჭრების გამოფენილი საქონლის მიჩქმალვა; მერე აქა-იქ

სროლა, შეშინებულთ გაქცევა, კეტით ბრახუნი ალაყაფის კარისა. ქუჩაში ისმის მსახური გოგონების სიცილი და ეზოში წარმოთქმული სიტყვები, - არიქა, აირია მონასტერი!

თხუთმეტი წუთიც არ გავიდოდა ამ დასაწყისის შემდეგ და მთლად შეიცვლებოდა პარიზი; ქალაქის ყოველი უბანი ხმას აძლევდა ამ ამბოხებას.

სენტ-კრუა-დე-ლა-ბრეტონერის ქუჩაში ერთი ოციოდე ყმაწვილი ბიჭი წვერმოშვებული და გრძელთმიანი, შეიჭრებოდა სადმე კაფეში და მყისვე გამოვიდოდა სამფეროვანი თალხით მოსილი დროშით; წინ ამ ყმაწვილებს სამი კაცი მოუძღოდა შეიარაღებული. ერთს ხმალი ერტყა, მეორეს თოფი ჰქონდა და მესამეს შუბი.

ნონენდიერის ქუჩაზე ერთი ღიპიანი, თავმოტვლეპილი, მაღალშუბლიანი, შავწვერიანი, ჯაგარა ულვაშიანი მუღერი ხმის პატრონი კაცი სახალხოდ აძლევდა მიმავალთ ტყვია-წამალს.

სენ-პიერ მონმარტრის ქუჩაზე ხელებს იმკლავებდნენ ბიჭები და შავ დროშას აფრიალებდნენ, რომელზედაც თეთრი ასოებით მოჩანდა წარწერა: - რესპუბლიკა ან სიკვდილი! ჟენერის, კადრანის, მონტორგეილის, მანდარის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა ხალხი დროშების ფრიალით, რომლებზედაც ოქროს ასოებით იყო წარწერა-სექცია და მისი ნომერი, ერთ-ერთ ამ დროშაზე წითელსა და ცისფერს შუა ოდნავ მოჩანდა ძლივს შესამჩნევი მკრთალი თეთრი.

იარაღის ქარხანას აიკლებდნენ სენ-მარტენის ბულვარზე, და სამ იარაღის მაღაზიას; ერთი ბობურგის ქუჩაზე იყო, მეორე მიშელლე კონტის ქუჩაზე და ერთი კიდევ კანპლის ქუჩაზე. მიეხვეოდნენ და რამდენიმე წუთი კმაროდა, რომ ორას ოცდაათი თოფი წაეღოთ, თითქმის ყველა ორლულიანი, სამოცდაოთხი ხმალი, ოთხმოცდასამი დამბაჩა, რომ უიარაღოდ არავინ დარჩენილიყო, ერთს თოფი მიჰქონდა, მეორეს მისი ხიშტი.

გრევის პირდაპირ ყმაწვილი ბიჭები ჩასაფრებულიყვნენ ბინებში, სადაც მარტო ქალებიღა დარჩენილიყვნენ, ერთს ტალკვესიანი თოფი ჰქონდა. დააწკარუნებდნენ ზარს, შევიდოდნენ და შეუდგებოდნენ ვაზნის გაკეთებას. ერთმა ქალთაგანმა თქვა: - არ ვიცოდი, ვაზნა რა იყო და ჩემმა ქმარმა გამაგებინაო.

ვიელ-ოდრიეტის ქუჩაზე ხალხი ძველებური ნივთების მაღაზიაში შევარდა. ხანჯლები გამოიტაცა და ოსმალური იარაღი.

ერთი კალატოზის გვამი ეგდო პერლის ქუჩაზე, თოფის ტყვია მოხვედროდა უბედურს.

ყველგან, გაღმა მხარე იყო ეს თუ გამოღმა, სანაპიროებზე, ქუჩებში, ბულვარებზე, ლათინთა და ბაზრების უბნებში პროკლამაციებს კითხულობდნენ მუშები, სტუდენტები, სექციელები და გაჰყვიროდნენ: - შეიარაღდით! - ამტვრევდნენ ფარნებს, ცხენებს უშვებდნენ ეტლებიდან, შლიდნენ ქვაფენილს, ანგრევდნენ სახლების კარებს, ძირიანად გლეჯდნენ ხეებს, ჩხრეკდნენ სარდაფებს, მოაგორებდნენ კასრებს, აგროვებდნენ სასროლ ქვას, ფიცარსა და ბარიკადებს იკეთებდნენ.

ბურჟუებსაც ძალას ატანდნენ, დაგვეხმარეთო. სახლებში შედიოდნენ და ქალებს აიძულებდნენ, მიეცათ მათთვის ქმრის თოფი და ხმალი. მიიღებდნენ და რბილი ცარცით წააწერდნენ კარებს: - იარაღი მიღებულია! ზოგი „თავისი სახელის“ მოწერით ამტკიცებდა ხმლის ან თოფის მიღებას და ეუბნებოდა: - მერიაში გაგზავნეთ ვინმე ამის

დასაბრუნებლადო. ქუჩაში რომ დარაჯს დაინახავდნენ განცალკევებულს, იარაღს ართმევდნენ, აგრეთვე ეროვნულ გვარდიელებს; თუ ცალკე მოასწრებდნენ ოფიცრებს, ეპოლეტებს ჰგლეჯდნენ. სიმეტიე-სენ-ნიკოლას ქუჩაში ეროვნული გვარდიის ერთ ოფიცერს გამოეკიდნენ; შეიარაღებული იყვნენ ჯოხებით და სავარჯიშო ხის ხმლებით. ოფიცერი გაიქცა, ვიღაცის სახლში შევარდა და ვეღარ გამოვიდა იქიდან, სანამ არ დაღამდა და ტანისამოსი არ გამოიცვალა.

სენ-ჟაკის უბანში ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ სტუდენტები თავიანთი ბინიდან და სენტ-იასინტისკენ მიეშურებოდნენ პროგრესის კაფესკენ ან მათურენის ქუჩის კაფესკენ. ამ კაფეების კარებში იდგნენ ყმაწვილი ბიჭები და იარაღს არიგებდნენ. ტრანს-ნონენის ქუჩაზე ერთი ხეტყის საწყობი აიკლეს ბარიკადების ასაგებად. ერთადერთი წერტილი იყო, სადაც მცხოვრებნი ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოძრაობას, სენტ-ავუას და სიმონ-ლე-ფრანის კუთხეში, და ანგრევდნენ იქ მოწყობილ ბარიკადებს. ერთგან იყო მხოლოდ, რომ უკან დაიხიეს აჯანყებულებმა, ერთი ბარიკადი მიატოვეს, რომელიც ტანპლის ქუჩაზე იწყებოდა, თოფი დაუშინეს ეროვნული გვარდიის რაზმს და კორდერის ქუჩით გაიპარნენ. ჯარმა ამ ბარიკადზე ერთი წითელი დროშა იპოვა მიწაზე, ერთი პარკი ვაზნა და სამასი დამბაჩის ტყვია. ეროვნული გვარდიის რაზმა იქვე დაფხრიწა წითელი დროშა და წვრილ ნაკუწებად ჩამოაცვა თავის ხიშტებს.

ყოველივე ეს, რასაც აქ მოგითხრობთ, ნელ-ნელა და თანამიმდევრობით, სულ ერთსა და იმავე დროს წარმოებდა ქალაქის ყველა უბანსა და ყველა ქუჩაზე, საზარელ ყვირილსა და ხმაურში, როგორც მრავალი ელვა ერთადერთ ქუხილში.

ერთი საათიც არ გასულიყო, რომ 27 ბარიკადი თითქოს მიწიდან ამოძვრა მარტო ერთ ბაზრის უბანში. შუაგულში ის სახელოვანი #50 სახლი მოეთავსებინათ, რომელიც ციხესიმაგრედა ჰქონდა ჟანს და მის ას ექვს ამხანაგს; ეს სახლი იყო, რომ ერთი მხრივ სენ-მერის ბარიკადი იფარავდა, მეორე მხრივ მობუეს ქუჩის ბარიკადი, და ამით გამაგრებულს სამი ქუჩა ეჭირა: არსის ქუჩა, სენ-მარტენისა და ობრი-ლე-ბუშერისა. ორი სწორკუთხედი ბარიკადი იყო. ერთი მონტორგეილისა და გრანდტრუანდერის ქუჩებში ჩადიოდა, მეორე ჟოფრუა-ლონჟვენისა და სენტ-ავუას ქუჩებში, მრავალი ბარიკადი იყო პარიზის სხვა ოც უბანშიაც, - მარეში, სენტ-ჟენევიევის მთაზე, ერთი მენილ-მონტანის ქუჩაზე ვიღაცის სახლიდან ალაყაფის კარით იყო გამაგრებული, ერთი კიდევ პატარა ხიდთან, ცხენები გამოეშვათ ეტლიდან, ეტლი გადაებრუნებინათ და ის ეხმარათ ბარიკადის დასამაგრებლად.

მენეტრიეს ქუჩის ბარიკადთან ერთი კარგად ჩაცმული კაცი ფულს ურიგებდა მუშებს, გრენეტის ქუჩის ბარიკადთან მივიდა ერთი ცხენოსანი, ბარიკადის მცველთა უფროსს მისცა ფული, ქაღალდში შეხვეული, და უთხრა: „აი, ცოტა რამ, რომ დაფაროთ ხარჯები ღვინისა და რამისა“. ერთი ყმაწვილი კაცი, თეთრგვრემანი, უყელსახვევო დადიოდა ერთიდან მეორე ბარიკადისკენ და განკარგულებას აძლევდა. ერთი კიდევ სხვა, ხმალამოღებული, პოლიციელის ცისფერი ქუდით, დარაჯებს აყენებდა ყველა სიმაგრესთან. ბარიკადებით გამაგრებულ ქუჩებში, დუქნებსა და მეკარეთა ოთახებში დარაჯები მოთავსებული.ვნენ. საერთოდ ამბოხება ყოველმხრივ საგანგებოდ ასრულებდა სამხედრო ტაქტიკას. საკვირველი შორსმხედველობით იყო ამორჩეული გასამაგრებლად ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები. ამ მხრივ მეტადრე კარგი იყო ბაზრის უბანი, რომელიც მთელ ქსელს წარმოადგენდა ტყის ბილიკებზე დაქსაქსული გზებით გასავლელად.

ამბობდნენ, - აჯანყების ხელმძღვანელობა სენტ-ავუას უბანში „ხალხის მეგობართა საზოგადოებამ“ იტვირთაო. ერთი კაცი მოკლეს პონსოში, გაჩხრეკის დროს ჯიბეში პარიზის გეგმა უპოვეს.

ნამდვილი ამბოხების ხელმძღვანელი ერთგვარი აღგზნება იყო, რომელიც ჰაერში ტრიალებდა. აჯანყებამ ცალი ხელით სასწრაფოდ ააგო ბარიკადები და მეორით ქალაქის გარნიზონის თითქმის ყველა საგუშაგოები დაიჭირა. სამი საათიც არ გასულიყო ამბოხების დაწყებიდან, რომ აჯანყებულები თოფის წამლით სავსე მილს ცეცხლის მოდების სისწრაფით შეესივნენ და დაიჭირეს მდინარის მარჯვენა მხარე: არსენალი, მერია მეფის მოედანზე, მთელი მარე, პოპენკურის იარაღის ქარხანა, გალიოტი, შატო-დ-ო, ყველა ქუჩა ბაზრის ახლოს; მარცხენა მხარეს: ვეტერანების ყაზარმა, სენტ-პელაჟი, მობერის მოედანი, თოფის წამლის საწყობი და ყველა საგუშაგო. საღამოს ხუთ საათზე აჯანყებულებს ხელთ ჰქონდათ ბასტილია, ლენ-ჟერი, ბლან-მანტო; მზვერავები გამარჯვების მოედნამდე თავისუფლად ადიოდნენ და ემუქრებოდნენ ბანკს, პეტიპერის ყაზარმას და ფოსტის სამმართველოს. პარიზის მესამედი აჯანყებულებს დაეჭირათ.

ბუმბერაზული ბრძოლა იყო ყველგან. ქვის სროლით დაიწყო ბრძოლა, მაგრამ მალე გაისმა თოფის ხმა, რადგან იარაღს ართმევდნენ აჯანყებულები, თუ მარტოს მოასწრებდნენ სადმე ჯარისკაცს, სახლებს ჩხრეკდნენ იარაღის აღმოსაჩენად, იარაღის მაღაზიებს იკლებდნენ.

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც სომონის გასასვლელი იქცა ბრძოლის ველად. ერთ მხარეს მეამბოხენი იყვნენ, მეორე მხარეს - ჯარი. თოფის სროლით ებრძოდნენ ერთმანეთს. ერთი მეთვალყურე ჩვენი ცხოვრებისა, მეოცნებე, ავტორი ამ წიგნისა, რომელსაც უნდოდა სულ ახლოს ენახა ვულკანი, შიგ შუაში მოხვდა ამ გასასვლელში, სწორედ ორცეცხლშუა. თოფის სროლისგან თავის გადასარჩენად არაფერი ჰქონდა, გარდა წინ წამოწეული სვეტებისა, რომელიც ერთმანეთს აშორებს მაღაზიებს; თითქმის ნახევარი საათი გაატარა ამ შეჭირვებულ მდგომარეობაში.

განგაში გაისმოდა ყველგან. საჩქაროდ იმოსებოდა და იარაღს ისხამდა ეროვნული გვარდია; ჯარები გამოდიოდნენ მერიიდან, რაზმები გამოდიოდნენ ყაზარმებიდან. ლ-ანკრის გასასვლელის პირდაპირ ერთ მედოლეს ხანჯალი ჩასცეს და მოკლეს. სინის ქუჩაში ოცდაათიოდე ახალგაზრდა მიესია ერთ მედოლეს, დაუმტვრია დოლი და აართვა ხმალი. ერთი კიდევ გრენიე-სენ-ლაზარის ქუჩაზე მოკლეს. მიშელ-ლე-კონტის ქუჩაზე სამი ოფიცერი ერთიმეორეზე ჩახოცეს. ლომბარის ქუჩაში დაჭრილი ქალაქის თვითმმართველობის ჯარისკაცები სტოვებდნენ ბრძოლის ველს და უკან იხევდნენ.

კურ-ბატავის წინ ეროვნული გვარდიის ერთმა რაზმმა წითელი დროშა იპოვა ამ წარწერით: „საფრანგეთის რევოლუცია #127“. მართლა რევოლუცია კი იყო ეს არეულობა?

აჯანყებამ ერთგვარ ციხესიმაგრედ აქცია პარიზის შუაგული, მიუვალ, მიხვეულ-მოხვეულ უზარმაზარ ციხესიმაგრედ.

იქ იყო აჯანყების კერა. იქ იყო ცხადია, საქმის გადამწყვეტი საკითხი. სხვა ყველა შეტაკება იყო ადგილობრივი. ყველაფერი რომ ამ ციხესიმაგრეზე იყო დამოკიდებული, ეს იმითაც მტკიცდებოდა, რომ აქ ჯერ ბრძოლა არ ატეხილიყო.

ზოგ რაზმში ჯარისკაცები ყოყმანობდნენ და ეს გარემოებაც ემატებოდა საკითხის საზარელ სიბნელეს. ამ ჯარისკაცებს აგონდებოდათ 1830 წლის ივლისის აჯანყება და ის ოვაცია, რომლითაც ხალხი დახვდა ორმოცდამეცამეტე რაზმს, ნეიტრალურად რომ გამოაცხადა თავი. მთავრობის ჯარს მხედართმთავრებად ორი შეუპოვარი, დიდ ომებში გამოცდილი მებრძოლები ჰყავდა, მარშალი დე-ლობო და მისი ხელქვეითი, გენერალი ბუჟო. მთელი ბატალიონები ჰყავდათ - მთავრობის ჯარებისა და ეროვნული გვარდიისგან შემდგარი დარაჯების დიდი რაზმები, რომელთაც წინ უძღოდა პოლიციის კომისარი, ფორმის შარფით. დადიოდნენ, სინჯავდნენ, - რომელი ქუჩა დაეჭირათ აჯანყებულთ. თავის მხრივ, აჯანყებულნიც ყველგან დარაჯებს აყენებდნენ და გზაჯვარედინების იქითაც გზავნიდნენ თავიანთ მსტოვრებს. ორთავ მხარე ერთმანეთს ზვერავდა. მთავრობას ხელთ ჰყავდა მთელი ჯარი, მაგრამ ჯერ ვერაფერს ბედავდა: ღამდებოდა და უკვე გაისმოდა სენ-მერის განგაში. მხედრობის მინისტრი, მარშალი სულტი, რომელიც მონაწილე იყო აუსტერლიცის ბრძოლისა, ძალიან დაეღონებინა ამ შინაური შეტაკების მოლოდინს.

ბებერი ვაჟკაცები, რომლებიც გმირულად იბრძვიან ომში სამხედრო ტექნიკის მოთხოვნილებათა დაცვით, რაც კომპასია ბრძოლისა, გზადაკარგულივით დგანან ხოლმე, როდესაც წინ აღუდგებათ ეს უზარმაზარი ტალღა, რომელსაც სახელად ხალხის რისხვა ეწოდება. სურვილისამებრ ვერ მომართავს ადამიანი რევოლუციის ქარიშხალს.

ეროვნული გვარდიის რაზმები სასწრაფოდ, მწყობრად მორბოდნენ გარეუბნებიდან: ერთი ბატალიონი სენ-დენიდან მორბოდა ქალაქისკენ: კურბვუადან მოდიოდა კიდევ სხვა; სამხედრო სკოლის ბატარეა დააყენეს კარუსელთან; ვენსენიდან ზარბაზნები მოჰქონდათ. განმარტოებულიყო ტუილრი, მაგრამ მეფე ლუი-ფილიპი მაინც დამშვიდებული ჩანდა.

## თავი მეხუთე
## თავისებურება პარიზისა

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, როგორც ვთქვით, არაერთი აჯანყების მოწმე გახდა პარიზი. აჯანყებულ უბანს რომ თავი დავანებოთ, სრულიად დამშვიდებულია ქალაქი ყოველგვარი მღელვარების დროს. პარიზი ძალიან მალე მიეჩვევა ხოლმე ყველაფერს; - ეს მღელვარება ამბოხებაა, სხვა კი არაფერი - და პარიზს იმოდენი საქმე აქვს თავისი, რომ ამ წვრილმანისთვის თავს არ იწუხებს. მხოლოდ ბუმბერაზ ქალაქებში შეხვდება კაცი ამგვარ სანახაობას. მხოლოდ ამ უშველებელ გალავანს შეუძლია დაიტიოს ერთსა და იმავე დროს შინაბრძოლა და უცნაური სიმშვიდე. ჩვეულებრივ, აჯანყება რომ დაიწყება, როდესაც დაფდაფის ხმა გაისმის, ძახილი, განგაში, ყურსაც არ იბერტყავს ვაჭარი და იძახის:

- ეტყობა, წაეკიდნენ ერთმანეთს სენ-მარტენის ქუჩაში.

ან:

- წმინდა ანტონის უბანში.

და ხანდახან გულდამშვიდებით წაუმატებს:

- იქით იქნება სადმე.

მერე კი, როდესაც უფრო მოესმის საზარელი ხმა, ჯაზაირებისა და თოფების ბათქაბუთქისა, თავს მოიქექავს და წამოიძახებს:

- ოჰო! ძალიან წაუთაქეს!

ცოტა ხნის წინ კი, თუ უახლოვდება ამბოხება და გამარჯვება ეტყობა, საჩქაროდ კეტავს სავაჭროს, სწრაფად იმოსება ფორმის ტანისამოსით, ესე იგი, უზრუნველყოფს თავის საქონელს და თვით, ვინ იცის, საფრთხეში ვარდება.

თოფს ესვრიან ერთმანეთს სადმე გზაჯვარედინზე, გასასვლელში, ქუჩაბანდში; ბარიკადები ხელიდან ხელში გადადის, სისხლი იღვრება, ტყვიები ცხრილავენ სახლის კედლებს, კლავენ ადამიანს თავის ლოგინში, დახოცილებით სავსეა ქუჩა და იქვე, რამდენიმე ქუჩის მოშორებით კაფედან ბილიარდის ბურთის რაკუნი ისმის.

თეატრი აღებს თავის კარს და ვოდევილს სდგამს. ცნობისმოყვარენი გაჩერებულან იქვე დახოცილებით სავსე ქუჩების ახლოს და არხეინად საუბრობენ. ეტლები მიდი-მოდის. სადილის საჭმელად მიეშურება რესტორნისკენ ხალხი. ყოველივე ეს ხანდახან სწორედ იქ არის, იმ უბანში, სადაც ბრძოლაა გაჩაღებული. 1831 წელ სროლა შეწყვიტეს მებრძოლებმა, რომ მაყრიონი გაეტარებინათ.

1839 წლის აჯანყების დროს, 12 მაისს, სენ მარტენის ქუჩაზე ერთ ჩია ბებერ კაცს გაეკეთებინა მკლავზე პატარა სამფეროვანი ნაკუწი. ხელურმით სასმელი დაჰქონდა და ჰყიდდა; ხან ბარიკადთან მივიდა, ხან იქიდან მთავრობის ჯართან, და ორთავეს განურჩევლად სთავაზობდა სასმელებს, ხან მთავრობას, ხან ანარქიას.

არაფერი იქნება ამაზე უცნაური; ეს არის დამახასიათებელი თვისება საკუთრივ პარიზის ამბოხებისა და სხვაგან, სხვა სახელმწიფოების დედაქალაქში, ამას ვერსად ნახავთ. ამისთვის ორი რამ არის საჭირო: იშვიათი სიდიდე პარიზისა და მისი მხიარულება; საჭიროა, იყოს ქალაქი ვოლტერისა და ქალაქი ნაპოლეონისა.

ამ აჯანყებაში კი, 1832 წლის 5 ივნისს რომ იარაღი აისხა ხალხმა, რაღაც იგრძნო დიდებულმა ქალაქმა, ალბათ უფრო ძლიერი, ვიდრე თვით იყო. შიში მოერია. ყველგან, სადაც კი გაივლიდა ადამიანი, თვით იმ უბნებშიც კი, რომლებიც არ იყვნენ „დაინტერესებულნი“, დღედაღამ დაკეტილი ჰქონდა ყველას კარი, ფანჯარა, დარაბა. ვაჟკაცი იარაღს ეძებდა, ლაჩარი იმალებოდა. გამვლელი აღარსად იყო, აღარც უზრუნველი და არც საქმეზე მიმავალი. ბევრი ქუჩა იყო ისე დაცარიელებული, როგორც დილის ოთხ საათზეა ხოლმე. საშინელი ხმები ტრიალებდა. საბედისწერო ამბები ვრცელდებოდა: - ბანკი „იმათ“ ხელში არის: მარტო სენმერის მონასტერში ექვსასი კაცია გამაგრებული, საყდარში ჩასაფრებული; ჯარი არ არის საიმედო; არმან კარელი ყოფილა მარშალი, კლოზელის სანახავად და მას უბრძანებია, ჯერ საიმედო რაზმი შეიგულეთო. ლაფაიეტი ავად არის, მაგრამ მაინც გამოუცხადებია აჯანყებულებისთვის, - თქვენი ვარ და ყველგან მოგყვებით, სადაც კი ჩემი ჯალამბრისთვის ადგილი მექნებაო. დიდი სიფრთხილე გვმართებს; ღამე ქურდებით გაივსება ქუჩები და აიკლებენ სადაც კი განცალკევებულ სახლს ნახავენ ქალაქის მიყრუებულ ქუჩებშიო. აქ ცხადად ჩანდა პოლიციის წარმოსახვა, ამ მთავრობის ანა რატკლიფისა. ზარბაზნები დაულაგებიათ ობრი-ლე-ბუშეს ქუჩაზეო; შეთანხმებულან ლობო და ბუჟო. და შუაღამისას, ან სულ გვიანი რომ ვთქვათ, გათენებისას, ოთხივე მხრიდან შემოესევა აჯანყებულთა ცენტრს ჯარი. პირველი ბასტილიიდან, მეორე სენ-მარტენის კარიდან, მესამე გრევიდან, მეოთხე - ბაზრიდან; შეიძლება ჯარები გავიდნენ პარიზიდან და მარსის მოედანზე შეიკრიბონო. არავინ იცის, რა მოხდება, მაგრამ ის

კი ცხადია, რომ ძველებური ხუმრობა არ არის ეს ამბოხებაო. სალაპარაკოდ გაეხადათ აგრეთვე ყოყმანი მარშალ სულთისა; რა მიზეზი იყო, რომ აყოვნებდა შეტევას? ეტყობოდა, ძალიან უჭირდა რისამე გადაწყვეტილება. ბებერ ლომს ამ საქმეში რაღაც საზარელი, გამოუცნობი ურჩხულის ლანდი აშინებდა.

დაბინდდა. თეატრები არ გაუღიათ. გააფთრებული მოდარაჯე რაზმები ტრიალებდნენ ყველგან, ჩხრეკდნენ გამვლელთ, აპატიმრებდნენ საეჭვოებს. ცხრა საათზე რვაას კაცზე მეტი იყო დაჭერილი; გატენილი იყო დაჭერილებით პოლიციის სამმართველო, კონსიერჟერისა და ლაფორსის საპატიმროები; მეტადრე ბევრი მიეყვანათ კონსიერჟერიში, სადაც მიწის ქვედა ტალანში, რომელსაც სახელად „პარიზის ქუჩა“ ერქვა, დაეყარათ ჩალის კონები და ზედ ეყარნენ დაჭერილები, ლიონელი ლაგრანჟის მზრუნველი მეთვალყურეების ქვეშ. იმოდენა ხალხის მიერ აშრიალებული ჩალა შხაპუნა წვიმის შთაბეჭდილებას ქმნიდა. სხვაგან დაჭერილებს გარეთ ეძინათ, ცის ქვეშ, ეზოში, ცარიელ მიწაზე, შიში მორეოდა ყველას და თრთოლა, რაც მეტად უჩვეულო იყო პარიზისთვის.

სახლებს ბარიკადებად იყენებდნენ, მოუსვენრად იყვნენ ქალები და დედები. ერთი და იგივე ისმოდა ყველგან: - ოჰ, ღმერთო ჩემო! სად არის აქამდე? რატომ არ მოდის? - ოდნავღა ისმოდა ეტლების სიარულის ხმა. მიკეტილ კართან იდგა ყველა და ყურს უგდებდა ქუჩის ყვირილს, ჩაყრუებულ განურჩეველ ხმაურობას და იძახდა: - ეს ცხენოსანი ჯარი არის! ან კიდევ, - არტილერია მიაჭენებს! ისმოდა ბუკისა და ნაღარის ხმა. თოფის სროლისა და მეტადრე გულის გამაწყალებელი განგაშის ზარი სენ-მერისა. პირველ სროლასღა ელოდნენ ზარბაზნისას. უცბად გამოჩნდებოდა ვინმე ქუჩაში და უცბადვე ქრებოდა ყვირილით: - შინ შედით! და ყველა იმას ცდილობდა, მაგრად ჩაეკეტა თავისი ბინის კარი. რით დასრულდებოდა ეს უბედურება? და რაც ხანი გადიოდა და ღამე ეფინებოდა ქალაქს, უფრო და უფრო გულსაკლავად ედებოდა პარიზს ავბედითი ალი მრისხანე ამბოხებისა.

## წიგნი მეთერთმეტე
## ატომისა და ქარიშხლის დაძმობილება

### თავი პირველი
### ცოტა რამ განმარტება გავროშის პოეზიის შესახებ და აკადემიკოსის გავლენა ამ პოეზიაზე

არსენალს რომ მიაღწია გარდაცვლილ ლამარკის ბალდახინმა და ჯარის შემოტევის გამო იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ, საშინელი ალიაქოთი ატყდა ხალხში, რომელიც ბალდახინს მიჰყვებოდა და ბულვარების მთელი სიგრძით აწვებოდა წინ მიმავალ ნაწილს. წინიდან რომ უკან მიაწვნენ, აირია ხალხი, დაიშალა მწყობრი და ყველა იმას ცდილობდა ფეხქვეშ არ მოჰყოლოდა გამოქცეულთ; გამორბოდნენ. აქეთ-იქით ქუჩებში შერბოდნენ თან ჰყვიროდნენ ზოგი იერიშის მრისხანე ყვირილით, ზოგი გამოქცეულის გულსაკლავი ხმით. ის დიდი მდინარება ხალხისა, ბულვარებს რომ ფარავდა, თვალის დახამხამებაში გაიფანტა მარჯვნივ თუ მარცხნივ და მოვარდნილი ნიაღვარივით მოედო ორას ქუჩას, თითქოს კაშხალი გადმოენგრიოს დაგუბებულ წყალს და ქვეყანას მოსდებოდეს.

ერთი პატარა ბიჭი მოდიოდა ამ დროს მენილმონტანის ქუჩით, დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, ხელში კურდღლისცოცხას ტოტი ეჭირა აყვავებული; ბელვილის მაღლობზე ყოფილიყო და იქ მოეგლიჯა. ერთი მეჯღანის დუქანში დაინახა ძველებური დამბაჩა, უნაგირზე რომ იკიდებდნენ ცხენოსნები. ყვავილიანი ტოტი იქვე მიაგდო, აიღო დამბაჩა და შესძახა დუქნის პატრონ დედაკაცს:

- დედილო! ე, რა გქვია, მიმაქვს ნისიად!

და მოჰკურცხლა.

ამ დროს გულგახეთქილი ბურჟუები გარბოდნენ ამელოსა და ბასის ქუჩებით. წინ შეხვდათ პატარა ბიჭი; ხელში დამბაჩას ათამაშებდა და მღეროდა:

ღამით ჭირს - ვინმეს გზა გაუკვალო,
დღისით შუქია წყალობით მზისა.
ყოველი ლექსი, თუნდ სულ უბრალო
ბურჟუას გულში ესობა ისრად.

ეს პატარა გავროში იყო და ომში მიბრძანდებოდა.

ბულვარზე რომ ჩავიდა, იქ შენიშნა, რომ ჩახმახი არ ჰქონდა მის დამბაჩას.

ვისი იყო ეს სიმღერა, რომელსაც ასე კოხტად აყოლებდა ფეხს, ან ვისი იყო სხვა ყველა სიმღერა, რომელსაც სიამოვნებით მღეროდა, როცა კარგ გუნებაზე იყო. ესე იგი ყოველთვის? არ ვიცით. ან ვინ იცის? იქნებ თავისიც იყო. ეს კია, რომ გავროშმა კარგად იცოდა ხალხში გავრცელებული სიმღერები და, როცა მღეროდა, საკუთარ ჭიკჭიკსაც შიგ ურევდა. ქუჩის ბიჭი იყო, ყველგან დაწრიალებდა და ბუნებისა და პარიზის ხმების შეერთებით ქმნიდა პოპურის; ფრინველთა გალობას უხამებდა სახელოსნოების სიმღერებს. მხატვრების შეგირდებს იცნობდა, თავისსავით ქუჩის ბიჭებს. მგონი სამი თვე ყოფილიყო შეგირდად სტამბაში. ერთხელ პოეტს, ბაურ-ლორმიანს, ორმოციდან ერთ-ერთ უკვდავთაგანს, გაეგზავნა სადღაც. მაშასადამე, მწერლობის მცოდნე ბიჭი იყო გავროში.

რას წარმოადგენდა გავროში, რომ იმ საძაგელ ცივ, წვიმიან ღამეს, როდესაც ისე კარგად გაუმასპინძლდა ორ პატარა ბიჭს თავის სპილოში, თავისივე ძმებს უწევდა განგების მფარველობას. საღამოს ძმებს უშველა, დილით - მამას; აი, როგორ გაატარა პატარამ ის ღამე. ის-ის იყო თენდებოდა, შინ რომ მივიდა, სირბილით, რომ ბავშვებისთვის მიეხედა. ოსტატურად ჩამოსხა ძირს სტუმრები, ცოტა რამ უშოვა საუზმე, აჭამა და წავიდა. ბავშვები ქუჩას მიანდო. იმ კეთილ ქუჩას, რომელმაც დედობა გაუწია თვით მასაც. გამოთხოვებისას პატარა სიტყვით მიმართა:

- მე კარს ვკეტავ, ანუ სხვაფრივ რომა ვთქვათ, სადღაც ვქრები, ანუ როგორც სასახლეში ბრძანებენ, მე უნდა მოვკურცხლო. ჩიტუნებო, თუ ვერ იპოვეთ თქვენი დედიკო ან მამიკო, აქვე მოდით საღამოს. ვახშამსაც ერთად შევექცევით და დაძინებითაც ტკბილად დავიძინებთ.

აღარ მოვიდნენ ჩიტუნები, - ან პოლიციელი წაასხამდა, როგორც დაკარგულებს და ბავშვების თავშესაფარში მიიყვანდა, ან ცირკის მასხარა მოიტაცებდა, ან სადმე დაწრიალებდნენ და გავროშის სასახლისთვის ვეღარ მიეგნოთ. ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების ქვედაძირი სავსეა ასე დაკარგულთა კვალით. შემდეგში ისინი ვეღარსად ნახა გავროშმა. ათი-თორმეტი თვე გავიდა იმ ღამის შემდეგ. ხშირად მოაგონდებოდა ხოლმე პატარა ბიჭები. თავს მოიფხანდა და იტყოდა:

- ნეტავ სად ეშმაკებში დაიკარგა ის ჩემი ორი ბალღი?

მიდიოდა დამბაჩით ხელში და პონტ-ო-შუს ქუჩაზე შევიდა; თვალი გადაავლო, ერთის მეტი მაღაზია არსად იყო ღია და ის ერთიც, გარემოება მეტად საგულისხმოა, ნამცხვრის მაღაზია აღმოჩნდა. სწორედ ღვთის განგებით იყო, რომ შემთხვევა ეძლეოდა ერთხელ კიდევ ეგემა ვაშლის ღვეზელი. იქვე იდგა, ჯიბეში ხელი ჩაყო, მოსინჯა ტანისამოსი, ჯიბეები გადმოაბრუნა და ვერაფერი იპოვა, ერთი სუც კი არსად ჰქონდა და წამოიყვირა:

- მიშველეთ!

ხუმრობა კი არ არის ტკბილი ღვეზლის დაკარგვა!

მაგრამ მაინც თავის გზას გაუდგა.

ერთი ათი წუთის შემდეგ სენ-ლუის ქუჩაზე ამოყო თავი. პარკროიალის ქუჩაში რომ შევიდა, თეატრის აფიშები ჩამოფხრიწა, სადაც კი ნახა, და ამით ამოიყარა ტკბილი ნამცხვრის დაკარგვის ჯავრი.

არა, რა მსუბუქად არიან ეს რენტის პატრონები! ძღომა არ იციან, იმდენს ჭამენ! სულ ტორტებით იღმუძლებიან! აბა, ჰკითხეთ რას უშვებიან თავის ფულს! თვითონაც არ იციან, სჭამენ და სჭამენ! მუცლის მეტი არაფერი ახსოვთ!

## თავი მეორე
## გალაშქრებული გავროში

სასახელო საზოგადოებრივი საქმიანობის ნიშანი არის ხალხით სავსე ქუჩაში უჩახმახო დამბაჩის ხელში თამაში. ასე რომ, საზღვარი არ ჰქონდა გავროშის აღტაცებას, მარსელიოზას მღეროდა, მაგრამ ენის წვერზე ადგა თავისი ვარამი და შეწყვეტდა ხოლმე სიმღერას, რომ თავისი წამოეყვირა:

- კარგად მიდის საქმე! ძალიან მაწუხებს მარცხენა ფეხი. ქარები მქონდა და მოვიშორე. ძლივს გამიღიმა ბედმა, მოქალაქენო. ჭკვიანად იყვნენ ბურჟუები, თორემ ისეთს შემოვძახებ, რომ ღვთის რისხვად ეჩვენოთ, ცხვირს რომ დავაცემინებ. რა არის ჯაშუში? რა არის და ძაღლია! მაგრამ არა, ნურც ასე შეურაცხვყოფთ ძაღლებს. ტყუილად კი არ დაარქვეს ჩახმახს ძაღლი. აჰ, ნეტავი მეც მქონდეს ერთი ამ დამბაჩაზე! ბულვარიდან მოვდივართ, მეგობრებო. ცხარდება საქმე. დუღს და გადადის, დრო არის, ქაფი მოვხადოთ ქვაბ-ქოთანს. მაშ, ყოჩაღად, ძმებო! რომ უწმინდურთ სისხლმა მორწყოს ჩვენი ყანა. სამშობლოსთვის შემიწირავს ჩემი სიცოცხლე! ვეღარ ვნახავ ჩემს საყვარელს, ვერც წინანდელს და ვერც ადელს. მაგრამ ჯანდაბას! გაუმარჯოს სიხარულს, გაუმარჯოს ბრძოლას! გული გამიწყალეს ამ მტარვალებმა!

ამ დროს ცხენი წაექცა ერთ გვარდიელს. გავროშმა მიწაზე დადო დამბაჩა, წამოაყენა კაცი, უშველა ცხენის აყენებაც, მერე დამბაჩა აიღო და გზას გაუდგა.

მიჩუმებული იყო და დამშვიდებული ტორინის ქუჩა. უცნაურ კონტრასტს წარმოადგენდა ეს მარეს უბნისთვის დამახასიათებელი უგრძნობლობანი გარშემო ქუჩების ხმაურში. დედაკაცი იდგა ერთ კართან და ჭორიკანობდა. შოტლანდიას სამ-სამი კუდიანი სჩვევია, პარიზს ოთხ-ოთხი ჭორიკანა. შეიძლება ისევე საბედისწეროდ ესროლა ვინმეს ბონაპარტისთვის „შენ, ... რომელს მეფობა გელის“, - როგორც მაკბეტს უთხრეს არმუიერის ჭალაში. ესეც ივივე დაჩხავლება იქნებოდა.

ტორინის ქუჩის დედაკაცებს თავიანთი გაჭირვების მეტი არაფერი აწუხებდათ. სამი მეკარე იყო და ერთი მეძონძე კალათითა და კავით. იდგნენ და ლაპარაკობდნენ ოთხივე, სიბერის ოთხივ თვისებით აღჭურვილნი, - უძლურებით, ჭკნობით, მიხრწნილებითა და მწუხარებით.

თავმდაბალი დედაკაცი იყო მეძონძე. ამ ღია ცის ქვეშ მეძონძე ქედს იხრის და მეკარე მფარველობს; ეს დამოკიდებულია ეზოს იმ კუნჭულზე, სადაც სანაგვე ყუთია, და მეკარის სურვილისამებრ ხან ძალიან მსუქანია და ხან ძალიან მჭლე.

შეიძლება ცოცხის გასმაშიც კი მოიპოვებოდეს გულკეთილობა.

მადლიერი დედაკაცი იყო მეძონძე და ტკბილად უცინოდა. რა სიცილი იყო! სამ მეკარეს ამგვარი ლაპარაკი ჰქონდა:

- მართლა! ისევ ისე იფხაჭნება თქვენი კატა?

- ღმერთო ჩემო! კატა, მოგეხსენებათ, ბუნებითაც ძაღლის მტერია. თუ ჩივის ვინმე, ისევ ძაღლები!

- და ადამიანებიც.

- მართალია, მაგრამ კატისაგან რწყილი არავის შეაჯდებაო.

- არც ძაღლისგან, ოღონდ საშიშია ძაღლის შენახვა. ერთ წელიწადს ისე გამრავლდა, მახსოვს, ძაღლი, რომ გაზეთებშიც კი გამოაცხადეს. ეს იმ დროს, როდესაც ტუილრის სასახლეში დიდრონი ცხვრები ჰყავდათ, პატარა ბატონიშვილის ეტლში შებმულნი, გახსოვთ? რომის მეფისა...

- მე ბორდოს დუკი უფრო მიყვარდა.

- მე ლუი XVII ვნახე. ლუი XVII ყველას მირჩევნია.

- ძალიან გაძვირდა ხორცი, ჰა, პატაგონ-ქალებო?

- აჰ! ნუღარ მომაგონებთ, საშინელებაა ჩვენი საყასბო! საზარელი საშინელება! ეჰ, რაღაც დანაწონების მეტს ვერას წაეკარები.

აქ კი მენაგვე ჩაერია საუბარში:

- აღარაფერი იშოვება, ქალებო, ვაჭრობაც ძალიან გაძნელდა, ყველაფერს ფასი დაადეს, უვარგისსაც კი. აღარაფერს იმეტებენ გადასაყრელად, სულ თვითონვე ჭამენ.

- ეჰ, გაჭირვებამ იცის, ჩემო ვარგულემ.

- ეგ მართალია, - მიუგო პატივისცემით მეძონძემ, - კიდევ კარგი, რომ ჩემი ხელობა მაინცა მაქვს.

ცოტა ხანს მიჩუმდნენ, მეძონძე აიყოლია თავის გამოჩენის სურვილმა, რაც ძირითადი თვისება არის ადამიანისა, და განაგრძო:

- შინ რომ მივალ ხოლმე დილით, ჯერ კალათს დავცლი, ვარჩევ ნაპოვარს. რამდენიმე გროვად მიყრია იატაკზე. ჩვრებს ერთ კალათში ჩავყრი, კურკასა და ნაფცქვენს მეორეში. საცვლის ნაფხრეწს განჯინაში, ქაღალდს ფანჯრის კუთხეში. თუ საჭმელი არის რამე, - ჩემს ბადიაში. შუშების ნამტვრევს ბუხარში, ძველ ფეხსაცმელს კარს უკან და ძვლებს ჩემი ტახტის ქვეშ.

გავროში უკან მისდგომოდა და ყურს უგდებდა.

- ბებრუცუნებო, რასა ბრძანებთ პოლიტიკისას?

უცბად შეუტიეს, ერთხმად ოთხივემ:

- შენ ვინა გკითხავს, შე არამზადავ, შენა?!

- ეგ რა გიჭირავს მაგ დასამიწებელ ხელში? დამბაჩა?

- ამას უყურეთ ერთი! ჯერ მიწას არ ასცილებია!

- როგორ მოისვენებს, სანამ მთავრობას არ დაამხობს?

პასუხის ღირსად არ ცნო გავროშმა. ზიზღით გადახედა, ცერი მიიდო ცხვირზე და ფაროდ გაშალა თითები.

მეძონძემ შეუტია:

- გასწი, გაგვეცალე, შე ფეხშიშველა მაწანწალავ!

პატაქონ-ქალს რომ ეძახდნენ, შეურაცხყოფილის ბრაზით ხელები გაასავსავა:

- უბედურება მოგველის, რაღა თქმა უნდა! ჩემ გვერდით რომ ბიჭი დგას, აი, ესპანურად წვერშეკრეჭილი, ისე ჩამოივლიდა ხოლმე ყოველ დილით, რომ ერთი ვარდისფერქუდიანი ლამაზი უნდა ჰყოლოდა თან, ხელიხელჩაკიდებული, და ამ დილით კი რომ ჩამოიარა, იმ გოგოს მაგივრად თოფი ეჭირა ხელში. მადამ ბაშემ თქვა, გასულ კვირას რევოლუცია მოხდაო, ღმერთო, შენ მომაგონე. აი, სადაც ხბორებს ჰყიდიან! დიახ, პონტუაზში, და ეგეც არ იყოს, ამას ხედავთ, თავისი დამბაჩით, ამ უტიფარ მურტალს! ამბობენ, სულესტინი სავსეა ზარბაზნებითო. რა უნდა გააწყოს მთავრობამ, როცა ქვეყანას იკლებენ ეს მაწანწალა ყაჩაღები, რომლებმაც არ იციან, რა მოიგონონ, რომ ქვეყანა არიონ და ხელი მოითბონ. ის არ გვეყოფოდა, რაც ვაი-ვაგლახი ვნახეთ, რომ ახლა ეს არ გამომტყვრალიყო. მოსვენება კი აღარ არის და! ღმერთო დიდებულო! მე რომ დედოფალი ვნახე თავისი ეტლით! ახლა ბურნუთი როგორ გაძვირდება! საშინელებაა! მეც იქ ვიქნები, იცოდე, გილიოტინაზე რომ აგაბრძანებენ, შენ უხეირო, შენა!

- რას დუდუნებ, ძველისძველო? ეგა სჯობს, რომ ხორთუმი მოიხოცო, - შესძახა გავროშმა და გაქუსლა.

პავეს ქუჩაზე რომ გავიდა, იქაც მოაგონდა მეძონძე და ამ მონოლოგით მიმართა, თუმცა იქ აღარ ჰყავდა:

- ცდები, რომ აგრე ლანძღავ რევოლუციონერებს, ქალბატონო ნაგვის ყუთო, შენ საშველად არის ეს დამბაჩა, რომ ნაგავი კი არა, კარგი საჭმელ-სასმელი გქონდეს სუფრაზე.

და რაღაც ხმაური მოესმა უკნიდან; თურმე მეკარე პატაგონი მოსდევდა, შორიდანვე უღერებდა მუშტს და უყვიროდა:

- შენ ნაბიჭვარო, შენა!

- ახლა მაგის დარდი ამიშალე, რა მენაღვლება?!

ცოტა ხნის შემდეგ ლამუანონის სახლთან რომ მივიდა, დაიყვირა:

- ბრძოლისაკენ, ხალხო!

მაგრამ დაღონდა უცბად: დახედა თავის დამბაჩას და საყვედურით უთხრა, თითქოს ცდილობს გული მოუგოსო!

- მე მივდივარ და შენ კი ადგილიდან ვერ დაიძვრი!

ძაღლსაც შეუძლია ძაღლად წოდებული ჩახმახი დაავიწყოს კაცს. პატარა ფინია დაინახა გამხდარი, დამშეული და შეებრალა:

- ნუთუ მთელი კასრი ჩაყლაპე შე საწყალო, რომ აგრე გიჩანს მთელი მისი გვერდები?

მერე ლ-ორმ-სენ-ჟერვესკენ მიაშურა.

## თავი მესამე

## დალაქის სამართლიანი აღშფოთება

ღირსეული დალაქი, რომელმაც ისე უდიერად გამორეკა პატარები, გავროშმა რომ მამობრივი სიყვარულით დააძინა სპილოს მუცელში, ახლაც წვერს პარსავდა ერთ მოხუცებულ ჯარისკაცს, რომელიც იმპერის დროს ყოფილიყო ჯარში. დალაქმა მაშინვე ამბოხების შესახებ დაუწყო ლაპარაკი ბებერ ჯარისკაცს, მერე გენერალი ლამარკი მოაგონდა, ლამარკიდან ნაპოლეონამდე მივიდა და გაიმართა საუბარი. პრუდონი რომ იქ ყოფილიყო, თავისებურად შეამკობდა და გამოსცემდა შემდეგი სათაურით: „სამართებლისა და ხმლის დიალოგი.“

- ერთი მითხარით, ბატონო, - ეკითხებოდა დალაქი, - როგორ იჯდა ცხენზე იმპერატორი?

- ცუდად. ჩამოვარდნა არ იცოდა. და ამიტომ ერთხელაც არსად ჩამოვარდნილა.

- კაი ცხენები ეყოლებოდა? ალბათ საუცხოო, არა?

- მე რომ ჯვარი ჩამომკიდა გულზე, იმ დროს მის ცხენს ვსინჯავდი. იორღა ფაშატზე იჯდა, მთლად თეთრზე, ყურები აქეთ-იქით ჰქონდა გადაწკეპილი. ღრმა უნაგირი ედგა, ლამაზ შუბლზე შავი ვარსკვლავი ჰქონდა ნიშნად, ძალიან გრძელი კისერი, წვრილი ფეხი, გამობერილი ნეკნები, მაგარი გული და ღონიერი გავა. სამი მეტრის სიმაღლისა იქნებოდა.

- ძალიან ცხენი ყოფილა, - მოუწონა დალაქმა.

- მისი დიდებულების ცხენი იყო.

- დალაქმა იგრძნო, რომ ამ სიტყვის შემდეგ საჭირო იყო ცოტა ხნით ზრდილობიანი გაჩუმება. დაემორჩილა ამ მოსაზრებას და მერე განაგრძო:

- იმპერატორი მარტო ერთხელ იყო დაჭრილი, არა, ბატონო?

ისე უპასუხა ბებერმა ჯარისკაცმა, იმ სიმშვიდით და თავმოწონებით, რომელიც შეშვენის დამსწრეს და თავის თვალით მნახველს:

- დიახ, შიგ ქუსლში. რატისბონში იყო. ისე მშვენივრად ჩაცმული სხვაგან არსად მინახავს... ისე ბრწყინავდა, როგორც ახალი სუ.

- თქვენ, ბატონო? თქვენც იქნებოდით დაჭრილი?

- მე? ეჰ, საიმისო არაფერი! მარენგოში შიგ კვინიხში ჩამკრეს ორჯერ ხმალი; ერთი ტყვია აუსტერლიცში მითავაზეს, მარჯვენა მკლავში, ერთი კიდევ მარცხენა თეძოში, იენის ბრძოლაში, ფრიდლანდში აი, აქ ჩამკრეს ხიშტი; მოსკოვში შვიდი თუ რვა შუბი, აღარც კი მახსოვს, სად მატაკეს; ლუცენში ყუმბარა გასკდა და თითი წამიხდინა... ეჰ, ვატერლოო კი მავიწყდება! ბარძაყში მომხვდა ტყვია. ეს იყო და ეს.

- რა კარგია, - შეჰყვირა დალაქმა პინდარის კილოთი, - ბრძოლის ველზე სიკვდილი! - პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე ის მირჩევნია, იქ მოვკვდე, ვიდრე ჩემს ლოგინში ვეგდო ავადმყოფი, ხანგრძლივად ნელ-ნელა მომაკვდავი, მაწვალებდნენ ექიმები წამლებით, მალამოებით, ოყნით, კოტოშებით. ასე ტანჯვას სჯობია, ერთი კარგი ყუმბარა მეცეს მუცელში და სული გამანთხევინოს.

- კაი გემოვნების კაცი ყოფილხართ.

ჯერ არც კი დაესრულებინა ჯარისკაცს ეს სიტყვა, რომ საშინელი ხმით დაიმსხვრა და ძირს ჩამოვარდა ქუჩის მხრივ ფანჯრის მინა.

მკვდრის ფერი დაედო დალაქს.

- გამიწყრა ღმერთი! აი, ეს ერთი! - შეჰყვირა გულგახეთქილმა.

- რა?

- რა და ყუმბარა!

- აი, თქვენი ყუმბარა, - უთხრა ჯარისკაცმა, იატაკიდან რაღაცა აიღო და დალაქს მიაწოდა. ქვა იყო.

მივარდა დალაქი ფანჯარას, გაიხედა და გავროში დაინახა. მირბოდა ბიჭი, უკან აღარ იხედებოდა, სენ-ჟანის ბაზრისკენ.

ქუჩაში რომ მოდიოდა გავროში და სადალაქოს მიუახლოვდა, პატარები მოაგონდა, ისინი ჯერ ისევ გულიდან ვერ ამოეგდოო. მოუნდა, ერთი კარგად მისალმებოდა მის პატრონს და ფანჯარას ესროლა ქვა.

- ხედავთ?! - მოთქვამდა დალაქი, რომელსაც ყვითელი ფერი ცისფრად შეცვლოდა, - ავი უნდა იყოს კაცი, რომ ავს სჩადიოდეს, თორემ განა რა დავუშავე მე იმ არამზადას?

## თავი მეოთხე
## მოხუცის მიერ გაკვირვებული ყმაწვილი

სენ-ჟანის მოედანზე, სადაც უკვე იარაღი ჩამოერთმიათ ერთი სამხედრო სადარაჯოსთვის, გავროში გაერია ხალხში, რომელსაც წინ მიუძღოდა ანჟოლრასი, კურფეირაკი, კონბფერი და ფეილი. თითქმის შეიარაღებულნი იყვნენ ყველანი. ახლა ბაორელი და ჟან პრუვერი შეუერთდათ და უფრო იმატა ხალხმა. ანჟოლრასს სანადირო თოფი ჰქონდა: ორლულიანი, კონბფერს - ეროვნული გვარდიის თოფი, რაზმის ნომრით და ქამარში ორი დამბაჩა; სერთუკის ღილები გაეხსნა და კარგად მოუჩანდა დამბაჩები; ჟან პრუვერს ძველი ჯაზაირი ჰქონდა, ცხენოსანი ჯარისა; ბაორელს მოკლე შაშხანა; კურფეირაკი იქნევდა ჯოხს; ფეილისაც ამოღებული ხმალი ეჭირა, წინ მიუძღოდა და ყვიროდა:

- პოლონეთს გაუმარჯოს!

მორლანის ქუჩიდან მოდიოდნენ. ზოგს ყელსახვევი დავიწყებოდა, ზოგს ქუდი, დაღლილები იყვნენ, წვიმით დასველებულები, მაგრამ მოელვარე მზერა ჰქონდათ.

მივიდა წინამძღოლებთან გავროში და დინჯად ჰკითხა:

- სად მივდივართ?

- წამოდი, - უთხრა კურფეირაკმა.

ფეილის უკან ბაორელი მოდიოდა, უფრო მოკუნტრუშობდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ჟოლოსფერი ჟილეტი ეცვა. ყველაფრის შემმუსვრელი ენა ჰქონდა. ერთ ბებერ კაცს გული გაუხეთქა მისმა ჟილეტმა და ყვირილი მორთო:

- წითლები მოდიან!

- წითლები, წითლები! - შეაყენა ბაორელმა, - სირცხვილია ასე შიში, ბურჟუავ, ისე როგორ წავხდები, რომ კანკალი დამაწყებინოს წითელმა ყაყაჩომ, ან წითელქუდა გოგომ. მერწმუნეთ, ბურჟუავ, სჯობია წითელი ფერის შიში რქიან საქონელს დავუთმოთ.

კედელზე ერთი მშვიდობის მაუწყებელი ქაღალდი დაინახა გაკრული, - არქიეპოსკოპოსი ნებას აძლევდა თავის „სამწყსოს“ კვერცხი ეჭამათ იმ მარხვაში.

გაბრაზდა ბაორელი:

- რაო? სამწყსოო? ზრდილობიანი ხსენებაა ბატებისა!

და ჩამოგლიჯა კედლიდან ეს წმინდა ნებართვა. ამით დაიმორჩილა გავროში; თვალს აღარ აშორებდა ბიჭი და აკვირდებოდა.

- სცდები, ბაორელ, - უთხრა ანჟოლრასმა, - რა გენაღვლება, იყოს თავისთვის ეს ქაღალდი! ჩვენ მაგის მოსასპობად კი არ გამოვსულვართ. უსარგებლოდ ხარჯავ შენს ცეცხლს. მომარაგებულის გაფრთხილებაც უნდა ვიცოდეთ. თუ მწყობრში ხარ, ცალკე ნუ ისვრი ტყვიას და ნურც მრისხანებას.

- კაცია და გუნებაო, ანჟოლრას, - უპასუხა ბაორელმა, - მარცხვენს ეს ეპოსკოპოსის პროზა. მე მინდა ჩემი სურვილით ვჭამო კვერცხი და არა ვიღაცის ნებართვით. შენ ცივი გონების კაცი ხარ, მე კი გართობაც მიყვარს, და გარდა ამისა, ჩემს მარაგს კი არ ვფლანგავ, პირიქით, მინდა ისე ვისკუპო, რომ ჩემს მივაღწიო, ვვარჯიშობ. ის ეპოსკოპოსი ჩამოვხიე? ჰერკულესის მზემ, იმიტომ ჩამოვხიე, რომ მინდა მადაზე მოვიდე!

ყურში ეცა გავროშს სიტყვა „ჰერკულესი!“ ყოველგვარ შემთხვევას ეძებდა, რომ განვითარებულიყო, ბიჭი პატივისცემით შეჰყურებდა ამ აფიშების ჩამომხევს და ჰკითხა:

- ეს ჰერკულესი ვიღა არის?

განუმარტა ბაორელმა:

- აი, დასწყევლოს ღმერთმა ძაღლიცა და იმის გამჩენიცაო, ლათინურად.

ამ დროს ერთი სახლის ფანჯარაში ყმაწვილი კაცი დაინახა ბაორელმა, ფერმკრთალი, შავწვერიანი, რომელიც ზემოდან უყურებდა ამ ხალხს. ალბათ წევრი იქნებოდა ანბანის საზოგადოებისა. და ახლა მას მიმართა ბაორელმა:

- ჩქარა ვაზნები! Para bellum.

- ბელ ჰომმე! მართლა! - წამოიძახა გავროშმა, რომელიც დარწმუნდა, რომ ახლა კი კარგად ესმოდა ლათინური.

ამ ყმაწვილებს მრავალი ხალხი მოსდევდა მხიარული ხმაურით, - სტუდენტები, არტისტები, ეკსის კუგურდის მომხრე ყმაწვილები, მუშები, ნავსადგურელები, შეიარაღებული ჯოხებითა და ხიშტებით. ზოგს კონბფერივით დამბაჩა ედო შარვლის ჯიბეში. ერთი მოხუცებული კაცი გარეულიყო ამ ყმაწვილ ხალხში; მეტისმეტად მოხუცებულსა ჰგავდა, მაგრამ მაინც ამ ყმაწვილებთან იყო. იარაღი ჰქონდა და ჩქარობდა, არ ჩამორჩენილიყო, თუმცა ჩაფიქრებული ჩანდა.

თვალი მოჰკრა გავროშმა:

- ეს ვიღაა? - ჰკითხა კურფეირაკს.

- ბებერი კაცია.

ეს მაბეფი იყო.

## თავი მეხუთე
## მოხუცებული

ვნახოთ, რა მოხდა.

ანჟოლრასი და მისი ამხანაგები ბურდონის ბულვარზე იყვნენ იმ დროს, როდესაც დრაგუნები ხალხს მისცვიდნენ, ანჟოლრასმა, კურფეირაკმა და კონბფერმა სხვებთან ერთად ბასონპიერის ქუჩას მიაშურეს ყვირილით:

- ბარიკადებზე!

ლედიგიერის ქუჩაზე ერთი ღრმად მოხუცებული კაცი შეხვდათ.

მაშინვე მიიპყრო მათი ყურადღება, რადგან ისე ბარბაცებდა, თითქოს მთვრალი ყოფილიყო. გარდა ამისა, ქუდი ხელში ეჭირა, თუმცა მთელ დილას წვიმდა და წვიმდა მაშინაც, ამ ყმაწვილებს რომ შეხვდა. კურფეირაკმა იცნო მოხუცებული მაბეფი, იცნო, რადგან ბევრჯერ მიეცილებინა მარიუსი მის სახლამდე. იცოდა კურფეირაკმა მაბეფის მშვიდობიანი ცხოვრება; იცოდა, რომ მორიდებული, თავმდაბალი კაცი იყო ეს ძველი მნათე, წიგნების მოყვარული; გაუკვირდა, იქ რომ დაინახა, იმ არეულობაში, ორი ნაბიჯის მანძილზე ზარბაზნებიდან, სწორედ იმ ადგილზე, რომელსაც მიზანში ამოიღებდა მთავრობის ჯარი, სროლა რომ ატეხილიყო. უქუდოდ მოდიოდა მოხუცი ავდარში, თითქოს სასეირნოდ გამოსულიყო ამ არეულობაში. მიესალმა კურფეირაკი და ასეთი დიალოგით გამოელაპარაკნენ ერთმანეთს ოცდახუთი წლის აჯანყებული და ოთხმოცი წლის მოხუცებული:

- ბატონო მაბეფ, შინ წაბრძანდით.

- რადა?

- შეიძლება ბრძოლა ატყდეს.

- ძალიან კარგი!

- თოფის სროლა ატყდება, შეიძლება ხმალი და ხიშტი იხმარონ.

- ძალიან კარგი!

- ზარბაზნის სროლა...

- ძალიან კარგი, თქვენ საით მიხვალთ?

- ჩვენ მივდივართ, რომ ძირს დავცეთ ჩვენი მთავრობა.

- ძალიან კარგი!

და ისიც თან გაჰყვა. მას შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. უცბად გაუმაგრდა ფეხი. მუშებმა ხელი გაუწოდეს, - დაგეხმარებით, თუ დაღლილი ბრძანდებითო, - მაგრამ თავი გაიქნია, - არა, არ მინდაო. თითქმის პირველ რიგში მოქცეულიყო და მოძრაობა იმ ადამიანისა ჰქონდა, რომელიც იძვრის, მიდის, და სახე კი იმ ადამიანისა, რომელსაც სძინავს.

- საწყალი კაცი! - დუდუნებდნენ სტუდენტები, - როგორი თავდადებულია!

და ხმა გავარდა, მაშინვე, - კონვენტის წევრი არის წინანდელი, ერთ-ერთი მეფის მკვლელთაგანიო.

ვერერის ქუჩით ჩავიდნენ. წინ გავროში მიუძღოდათ და, რაც შეეძლო, მაღალი ხმით მღეროდა, ისე, რომ ის ასრულებდა თავისი სიმღერით ბუკის დანიშნულებას:

აი, უკვე ცაზე ამოცურდა მთვარე,
უკვე ღამის თრთვილით იფარება არე.
- განა დრო არ არის? დრო არ არის განა? -
ეხვეწება ჟანი კერპ, თავნება ჟანას.
ზე, ზე,ზე,
შატეზე.
ღმერთი, მეფე, ჯღანი, გახვრეტილი გროში,
აი, ამ სიმდიდრით ვცხოვრობ მე ჩვენს დროში!
მზე ჩავიდა უკვე, ღამე არის ბნელი,
მიწურს გაზაფხულის სუნი ათრობს მწველი.
მინდორში ბალახი ყვავის,
ეძლევა ცეკვას და ხალისს,

ზე,ზე,ზე,
პასაზე.
ღმერთი, მეფე, ჯღანი, გახვრეტილი გროში,
აი, რა სიმდიდრით ვცხოვრობ მე ჩვენს დროში!
მგლის ლეკვებმა
ტყეში ისე იჩხუბეს,
ბარტყი ჭილყვავისა
ისე ძლიერ დათვრა, -
რომ თვით ხაფანგშიც კი
გაიცინა დათვმა.
ზე,ზე, ზე,
მედონზე.
ღმერთი, მეფე, ჯღანი, გახვრეტილი გროში,
აი, რა სიმდიდრით ვცხოვრობ მე ჩვენს დროში!
ირგვლივ ისმის მხოლოდ არეული ხმები,
იფარება თრთვილით მინდვრები და მთები,
განა დრო არ არის? დრო არ არის განა?
ეხვეწება ჟანი კერპ, თავნება ჟანას,
ზე,ზე,ზე,
პანტენზე.
ღმერთი, მეფე, ჯღანი, გახვრეტილი გროში,
აი ამ სიმდიდრით ვცხოვრობ მე ჩვენს დროში!

## თავი მეექვსე
## მოხალისენი

ყოველი მხრიდან მოდიოდა ხალხი და მებრძოლთ ემატებოდა. ბიეტის ქუჩას რომ მიუახლოვდნენ, ერთი მაღალი კაცი ჩაერია ხალხში, ჭაღარაშერეული, მტკიცე და გამბედავი სახისა. კურფეირაკმა, ანჟოლრასმა და კონბფერმა მაშინვე შენიშნეს, მაგრამ ცნობით კი არ იცნობდნენ. გავროში სიმღერით იყო გართული, სტვენით, ოხუნჯობით. წინ მიუძღოდა თავის ლაშქარს. მაღაზიების დარაბებს უჩახმახო დამბაჩის კონდახს სცემდა და უკან აღარც კი იხედებოდა.

ვერერის ქუჩაზე კურფეირაკის სახლის წინ უნდა გაევლოთ.

- ძალიან კარგი, - თქვა კურფეირაკმა, - ფული შინ დამვიწყებია და ქუდი სადღაც დამიკარგავს.

სირბილით ავიდა სახლში, ძველი ქუდი დაიხურა. ქისა ჩაიდო ჯიბეში, ერთი სკივრივით დიდი ყუთი აიღო, დამალული ჰქონოდა ჭუჭყიან საცვლებში, და კიბეზე დაეშვა სირბილით. მეკარემ შეაყენა:

- ბატონო დე კურფეირაკ!

- თქვენ რაღა გქვიათ? - შეუტია კურფეირაკმა.

პირღია შეჰყურებდა ქალი.

- ძალიან კარგად იცით, ბატონო, მეკარე გახლავართ ამ სახლისა. ძალუა ვევენს მეძახიან.

- ჰოდა, თუ კიდევ გითქვამთ ჩემთვის დე-კურფეირაკი, მეც ძალუა-ვევენს დაგიძახებთ. აბა, რა გინდათ, ჩემგან, რაშია საქმე?

- ვიღაც გახლავთ, თქვენი ნახვა უნდა.

- ვინ არის?

- რა მოგახსენოთ?

- სად არის?

- ჩემს ოთახში.

- სად მცალია?

- ერთი საათი იქნება, მეტიც, რაც აქ გელით.

ამ დროს მეკარის ოთახიდან ერთი ყმაწვილი მუშა გამოვიდა, გამხდარი, გაყვითლებული, ტანდაბალი, ჭორფლიანი სახე ჰქონდა, დახეული ხალათი და დაკერებული შარვალი ეცვა, გოგოს უფრო ჰგავდა, კაცური ტანისამოსით მორთულს, ვიდრე ყმაწვილ კაცს. თავი დაუკრა კურფეირაკს და მიმართა ნამდვილი ქალის ხმით:

- ბატონი მარიუსის ნახვა თუ შეიძლება?

- შინ არ არის.

- ამ საღამოს გიახლებათ?

- აბა, რა ვიცი?

და კურფეირაკმა დაუმატა: - მე კი არ მოვალ შინ.

დააცქერდა ყმაწვილი ბიჭი და ჰკითხა:

- რატომ?

- იმიტომ.

- სად მიბრძანდებით?

- შენ რა გინდა?

- ეს ყუთი წამოგიღოთ?

- ბარიკადზე მივდივარ.

- ნებას მიბოძებთ, მეც თან წამოგყვეთ?

- თუ გინდა. ქუჩა ყველას ეკუთვნის.

და სწრაფად გავარდა ქუჩაში, რომ ამხანაგებს დასწეოდა. დაეწია. ყუთი ერთ ამხანაგს მისცა. ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა, რომ ის ყმაწვილი ბიჭიც თან წამოჰყოლოდა.

ასე შეგროვილი ხალხი ადვილად ვერ მივა სწორედ იქ, სადაც უნდა მისულიყო. უკვე ვთქვით, ქარიშხალი მიაქანებს აჯანყებულებს. სენ-მარი გადაიარეს და არც კი იცოდნენ, როგორ მოხდა, რომ სენ-დეინიში მოხვდნენ.

## წიგნი მეთორმეტე
## „კორინთი“

### თავი პირველი
### „კორინთის“ ისტორია დღიდან მისი დაარსებისა

პარიზელი დღეს რამბიუტოს ქუჩაზე რომ გავა ცენტრალური ბაზრის მხრიდან, მარჯვნივ, მონდეტურის ქუჩის პირდაპირ, კალათების ერთ მაღაზიას დაინახავს; აბრად

ამ მაღაზიას ერთი დიდი კალათი აქვს, იმპერატორ ნაპოლეონ I-ის ფორმისა, და ზედ წარწერა:

NAPOLEON EST BAIơ

TOUT EN OSIER.

ის ვერც კი წარმოიდგენს, რა საშინელი ამბები დატრიალდა ამ ოცდაათი წლის წინ სწორედ ამ სახლთან.

სწორედ აქ იყო შანვრერის ქუჩა, რომელსაც ძველებურად შანვერერი ერქვა, და სახელოვანი სამიკიტნო, სახელად - „კორინთი“.

მკითხველს ეხსომება ყოველივე, რაც ამ ადგილას აგებული ბარიკადის შესახებ ვთქვით, რომელიც მერე სენ-მერის ქუჩის ბარიკადმა დაჩრდილა. სწორედ ამ შანვრერის ბარიკადს, დღეს დავიწყების სიბნელეში ჩაძირულს, გვინდა მოვფინოთ შუქი.

მაშ, ნება გვიბოძეთ, უფრო მეტი სიაშკარავისათვის იმავე უბრალო საშუალებას მივმართოთ, რომელიც ვატერლოოს აღწერისთვის გამოვიყენეთ. თუ ნებავს ვინმეს, სრული სინამდვილით წარმოიდგინოს ის მრავალი შენობა, რომლებიც იმ დროს სენტ-ესტაშის ირგვლივ იყო აგებული, ცენტრალური ბაზრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც დღეს რამბიუტოს ქუჩა იწყება, წარმოიდგინოს ასო ნ, რომელიც თავით სენ-დენის ქუჩას ებჯინება და ძირით - ბაზარს, ორი შვეული გვერდით ტრუანდერისა და შანვრერის ქუჩებს და ამ გვერდების შემაერთებელი განივი ხაზით კი ლა პტიტ-ტრუანდერის ქუჩას. ძველი მონდეტურის ქუჩა ნ-ის სამივე მხარეს დახლართული ხვეულებით კვეთდა და მრავალ კუთხეს ქმნიდა. ამ ოთხი ქუჩის ლაბირინთი, ერთი მხრივ, ცენტრალურ ბაზარსა და სენ-დენის ქუჩას შორის, და მეორე მხრივ, დე-სინისა და პრეშერის ქუჩებს შორის, ორასმეტრიან ოთხკუთხა ფართობზე ქმნიდა უცნაური ფორმის, სხვადასხვა ზომის, უსწორმასწოროდ, თითქოს შემთხვევით განლაგებულ და ერთმანეთისგან ვიწრო გასასვლელებით დაშორებულ შვიდ კვარტალს.

ვიწრო გასასვლელითო, ვთქვით და უკეთ, უფრო გასაგებად, სხვას ვერაფერს ვიტყოდით, რომ ზედმიწევნით ზუსტად გამოგვესახა ეს ვიწრო, გაუვალი, დაკლაკნილი, რვასართულიანი სახლებით ჩაბნელებული ქუჩები; ამ ქუჩებში ძველი შენობები იდგა, იმდენად ძველი და დამსკდარი, რომ შანვრერისა და პტიტ-ტრუანდერის ქუჩებში დიდრონი ბიჯგები ჰქონდათ შედგმული გასამაგრებლად ერთი სახლიდან მეორემდე. ქუჩა ვიწრო იყო, ჩასადინარი თხრილი კი - ფართო; გამვლელები სარდაფების მსგავსი სამიკიტნოების, სქელი, რკინისსალტეებიანი ქვის ტუმბოების, აუტანლად მყრალი ნაგვის გროვებისა და უზარმაზარი, საუკუნოვანი გისოსებიანი ჭიშკრის გავლით სველ ფილაქანზე მიაბიჯებდნენ. რამბიუტოს ქუჩამ გადაყლაპა ეს ყველაფერი.

სახელი მონდეტური სწორედ კარგად ახასიათებდა ამ ქუჩების ქსელს. ცოტა იქით ერთ ქუჩას უფრო მეტყველი სახელი ჰქონდა - პირუეტი, რომელიც მონდეტურისას უერთდებოდა, და რომლის სახელი კიდევ უფრო დამახასიათებელი იყო ამ უბნისათვის.

გამვლელი სენ-დენის ქუჩიდან რომ შანვრერზე გადაუხვევდა, ნახავდა, რომ ქუჩა ნელ-ნელა ვიწროვდებოდა, თითქოს დაგრძელებული ძაბრიაო. ამ მოკლე ქუჩის ბოლოს, ცენტრალური ბაზრის მხრიდან, წინ, მას გზას გადაუღობავდა მაღალი

სახლების რიგი და იფიქრებდა, ჩიხში ვარო, რომ არა ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ, ორი ბნელი გასასვლელი, რომლებითაც შეეძლო იქიდან გამოსვლა. მონდეტურის ქუჩის ერთი მხარე პრეშერის ქუჩას უერთდებოდა, მეორე კი სინისა და პტიტ-ტრუანდერის ქუჩებს. ამ ჩიხის მსგავს გასასვლელების გზაჯვარედინზე, მარჯვენა გასასვლელის კუთხეში, ერთი დაბალი სახლი იდგა.

ამ ორსართულიან სახლში სამი საუკუნის განმავლობაში ერთი მხიარული, სახელგანთქმული სამიკიტნო იყო. იმისთანა მხიარულებითა და ხმაურით ავსებდა უბანს, რომ ლექსიც უძღვნა ბებერმა თეოფილმა:

იქ ქანაობს, ქანაობს ჩონჩხი გულსაკლავი,

უბედურმა მიჯნურმა ჩამოიხრჩო თავი.

კარგ უბანში იყო ეს სამიკიტნო და მამისაგან შვილებზე გადადიოდა მემკვიდრეობით.

მატურენ რენიეს დროს ამ სამიკიტნოს სახელად „ვარდების ქოთანი“ ერქვა და რადგან მაშინ ძალიან მოდური იყო რებუსები, აბრად ვარდისფრად შეღებილი ბოძი ჰქონდა. ამ სამიკიტნოს გასულ საუკუნეში რამდენჯერმე ეწვია ღირსეული ნატუარი, მეოცნებე, რომანტიკოსი მხატვარი, რომელსაც დღეს ამრეზით უყურებენ რეალიზმის მიმდევრები, და კარგადაც გადაკრა. რამდენჯერმე მოულხინა იმ მაგიდასთან, რომელსაც რენიეც უჯდა, და ვარდისფერ ბოძზე ერთი მტევანი კორინთული ყურძენი მიახატა. ძალიან გაუხარდა მიკიტანს, მაშინვე შეცვალა ძველი წარწერა და ყურძნის მტევნის ქვეშ ოქროსფერი წარწერა გააკეთებინა: „კორინთული ყურძენი“. მას შემდეგ სამიკიტნოს „კორინთი“ დაერქვა. ისე არაფერი ეხერხებათ ლოთებს, როგორც სიტყვის „გადაკვრა“. სიტყვის „გადაკვრა“ ფრაზის ხვეულია. „კორინთმა“ ნელ-ნელა განდევნა ამ სამიკიტნოს ძველი სახელი და მისი ადგილი თვითონ დაიჭირა. ამ სამიკიტნოს პატრონების უკანასკნელ შთამომავალს, უშლუს, თავისი გვარის ტრადიციებისა არაფერი გაეგებოდა და ვარდისფერი ბოძი ცისფრად შეაღებვინა.

ერთი დახლიანი დარბაზი ქვედა სართულზე იყო. ერთიც - მეორეზე, ბილიარდით. ამ დარბაზს იატაკი გახვრეტილი ჰქონდა და ქვედა სართულზე ხის სპირალური კიბე ჩადიოდა; მაგიდებზე ღვინის ბოთლები იდგა, კედლებს კვამლი ჩაჰკვდომოდა, დღისითაც კი სანთელი ენთო. აი, რას წარმოადგენდა ეს სამიკიტნო. იატაკის ნაწილი პირველი სართულიდან სარდაფში ჩამავალ კიბეს ეფარა. მესამე სართულზე პატრონები, უშლუები, ცხოვრობდნენ. მეორე სართულის დარბაზიდან მესამეზე, ბინაში ასასვლელად, კარის უკან მიმალული კიბე ადიოდა, სხვენის ქვეშ ორი ოთახი იყო მსახური გოგოებისთვის. სამზარეულო ქვევით იყო, დარბაზის გვერდით.

უშლუ ბუნებით იქნებ ქიმიკოსი იყო, მაგრამ ბედმა მზარეული გახადა. მარტო ღვინის სმა კი არ იყო მის სამიკიტნოში, გემრიელ კერძსაც მოგართმევდნენ. საუცხოოდ ამზადებდა თევზს, მარტო მის სამიკიტნოში კეთდებოდა ეს სახელგანთქმული საჭმელი - სატენიანი კობრი, სახელად carpes au gras. ამ კერძს ქონის სანთლისა და ლუი XVI-ს დროინდელი ლამპის შუქზე შეექცეოდნენ სუფრის მაგივრად მუშამბაგადაფარულ მაგიდებთან. საიდან არ მოდიოდა ხალხი. ერთ მშვენიერ დილას უშლუმ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა, გამვლელ-გამომვლელისთვის ეუწყებინა თავისი „სპეციალური“ კერძის შესახებ. შავ საღებავში ფუნჯი ჩაანო და რადგან თავისი მართლწერა ჰქონდა, ისევე, როგორც სამზარეულო, ეს შესანიშნავი წარწერა გამოსახა თუნუქის კედელზე:

Carpes ho gras.

შემოდგომის აბეზარმა წვიმამ მთლად ჩამორეცხა პირველი სიტყვის ბოლო ასო s და უკანასკნელი სიტყვის პირველი ასო g. დარჩა ასეთი წარწერა: Carpes ho ras.

დრომ და წვიმამ ერთი უბრალო გასტრონომიული წარწერა ბრძნულ დარიგებად გარდაქმნა - Carpe horas - „ისარგებლე დროით“.

ამგვარად, თუმცა მიკიტანმა უშლუმ ფრანგული არ იცოდა, ლათინურის ცოდნა გამოიჩინა, თავისი სამზარეულოდან ფილოსოფია გამოიყვანა, - მარხვის გაუქმების მოსურნე ჰორაციუსს დაედარა. საინტერესო ის იყო, რომ ყოველივე ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა, - მობრძანდით ჩემს სამიკიტნოშიო.

დღეს ყოველივე ამისგან კვალიც კი არ არის დარჩენილი. მონდეტურის ქუჩების ლაბირინთი 1847 წელს აიღეს და უეჭველია, ნატამალიც აღარსად დარჩებოდა იმ ძველი შენობებისა. შანვრერის ქუჩა და „კორინთი“ რამბიუტოს ქუჩის ქვაფენილქვეშ ჩაიმარხნენ.

როგორც უკვე ვთქვით, „კორინთში“ იკრიბებოდნენ კურფეირაკი და მისი მეგობრები. „კორინთის“ აღმოჩენა გრანტერის დამსახურება იყო. მოვიდა სამიკიტნოში, რადგან ხელმძღვანელობდა ცნებით Carpe horas და მერე იქ ხშირად დადიოდა Carpes au gra-ს სიყვარულით. ამ სამიკიტნოში სვამდნენ, ჭამდნენ, კამათობდნენ, ყვიროდნენ, ბევრს არას ხარჯავდნენ, ნისიით სარგებლობდნენ, ან სულაც არ იხდიდნენ და ყოველთვის სიამოვნებით იღებდნენ. კეთილი კაცი იყო მიკიტანი უშლუ.

ეს გულკეთილი კაცი, ვიმეორებთ, დიდულვაშიანი მიკიტნის უცნაურ ნაირსახეობას წარმოადგენდა. სახე ყოველთვის დაღვრემილი ჰქონდა, ცუდ გუნებაზე იყო, თითქოს მუშტრის დაშინებას ცდილობსო. სულ ბუზღუნით ხვდებოდა, ვინც კი სამიკიტნოში შედიოდა, თითქოს ჩხუბის ატეხას უპირებს და არა კერძის მირთმევასო; მაგრამ, ვადასტურებთ ჩვენს ნათქვამს, ყველა კარგად გრძნობდა თავს მის სამიკიტნოში, ვინც უნდა მისულიყო. ამ უცნაურმა ქცევამ სახელი გაუთქვა კიდეც მის სამიკიტნოს და იზიდავდა განსაკუთრებით ყმაწვილებს, რომლებიც ეუბნებოდნენ ერთმანეთს: წავიდეთ, ჩვენი უშლუს ბუზღუნს მოვუსმინოთო. ერთ დროს ფარიკაობის ოსტატი ყოფილა. განრისხებული რომ გეგონებოდა, უცბად ისეთ ხარხარს ატეხდა, იტყოდით, სახლი დაინგრაო. ხაფი, უხეში ხმა და კეთილი გული ჰქონდა. არსებით კომიკოსი იყო, გარეგნობით - ტრაგიკული. სულ იმას ცდილობდა, შეეშინებინა თანამოსაუბრე, თითქმის ისე, როგორც დამბაჩისმაგვარი საბურნუთე აშინებს ადამიანს, - სროლა არ შეუძლია და ცხვირს კი დააცემინებს.

ცოლიც შესაფერი ჰყავდა, წვეროსანი და უშნო.

დაახლოებით 1830 წელს მიიცვალა სახელოვანი სამიკიტნოს პატრონი. მოკვდა და საფლავში ჩაიტანა თავისი „სატენიანი კობრის“ საიდუმლოება. საქმეს ახლა მისი უნუგეშო ქვრივი განაგებდა, მაგრამ კერძები წახდა და გაუგემურდა; აქ ღვინო ყოველთვის ცუდი იყო და ახლა სულ გაფუჭდა. კურფეირაკი და მისი მეგობრები მაინც ძველებურად სწყალობდნენ „კორინთს“, - გვებრალება ის უშლუს ქვრივიო, - ამბობდა ბოსუე.

უშლუს ქვრივს ქოშინი ჰქონდა და გონჯი იყო. სულ სოფელი და სოფლური ცხოვრება აგონდებოდა და იქიდანვე მოსდევდა თავისებური გამოთქმა. ჯერაც არ დავიწყებოდა სოფელში გატარებული წლები, თავისი ყმაწვილქალობა და

თავისებურად იტყოდა ხოლმე, - ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც ჭალაში გულწითელას გალობას ვუსმენდიო.

მეორე სართულის დარბაზი, „რესტორანი“, კარგა დიდი, გრძელი ოთახი იყო ტაბურეტებით, სკამებით, მაგიდებითა და ძველი სამფეხიანი ბილიარდით. ამ დარბაზში ადიოდნენ ვიწრო, სპირალური კიბით, რომელიც გემბანის მსგავსად დარბაზის ბოლოში ადიოდა.

ამ ვიწროფანჯრიან დარბაზს ერთი ძველებური ლამპა ანათებდა, რომელსაც დღისითაც არ აქრობდნენ. ავეჯი ძველი, მოყანყალებული იყო, თითქოს ოთხის ნაცვლად სამი ფეხი ჰქონდათ. კირით შეთეთრებულ კედლებს არაფერი ამშვენებდა, გარდა უშლუს ქვრივისადმი მიძღვნილი ოთხტაეპიანი ლექსისა:

როცა უცქერი ათ ნაბიჯზე - ძალიან გიკვირს,
როცა უცქერი ორ ნაბიჯზე - შიშს გგვრის იგი.
ცხვირში მეჭეჭი - საზიზღრობა არის ნამდვილი,
კაუჭა ცხვირი ზედ ყბაზე აქვს ჩამოვარდნილი,
სულ გეშინია, გეშინია, საცაა უცებ
დააცემინებს და საზიზღრად მოგაყრის წუწებს.

ეს მიძღვნა ნახშირით იყო კედელზე წაწერილი და ბებერი უშლუ ჰგავდა კიდეც მასში დახატულ სურათს. დილიდან საღამომდე ამ წარწერის წინ ტრიალებდა, სრულიად მშვიდი, თითქოს ეს არც კი შეეხებოდა. ორი მსახური ჰყავდა, გოგოები, მატლოტი და ჟიბლოტი, რომელთა ნამდვილი სახელი არავინ იცოდა. ისინი შველოდნენ, სტუმრებს თეთრ ღვინოს, სასმისებსა და დამშეულთ სალაფავივით კერძს მიართმევდნენ. მატლოტი ჩასუქებული გოგო იყო, ქერა, მყვირალა, განსვენებული უშლუს ყოფილი საყვარელი დედოფალი, უფრო საზარელი, ვიდრე მითოლოგიური ურჩხული, მაგრამ, რადგან წესიერება მოითხოვს, მსახური ყველაფერში უნდა ჩამოუვარდებოდეს თავის ქალბატონს, ისიც ოდნავ ნაკლებად მახინჯი იყო, ვიდრე უშლუს მეუღლე. ჟიბლოტი აწოწილი გოგო იყო, გამხდარი, ლიმფური სიყვითლე დაჰკრავდა, თვალები ამოლურჯებული ჰქონდა, თვალის კილოები ძირს დაშვებული, ყოველთვის დაღლილი და დაქანცული, იმ ჭირით იყო დაავადებული, რომელსაც შეიძლება ქრონიკული დაღლილობა ვუწოდოთ. ყველაზე ადრე დგებოდა, ყველაზე გვიან წვებოდა. ყველას ემსახურებოდა, მეორე გოგოსაც კი; მუდამ გაჩუმებული იყო, ტკბილად მოღიმარი, მაგრამ დაღლა მაინც თან ახლდა, მის ღიმილსაც კი დაღლა ემჩნეოდა.

კარზე, ვიდრე დარბაზ-რესტორანში შევიდოდა კაცი, კურფეირაკის ხელით ცარცით დაწერილს წაიკითხავდა:

თუ შეგიძლია - გაუმასპინძლდი
და თუ გაბედავ - თვითონ შეჭამე.

## თავი მეორე
## წინასწარი მხიარულება

ლეგლ დე მო, როგორც ვიცით, უმეტესად ჟოლისთან ცხოვრობდა. საცხოვრებელს იოლად პოულობდა, ჩიტივით - ნებისმიერ ტოტზე. ერთად ცხოვრობდნენ მეგობრები, ერთად ჭამდნენ, ერთად ეძინათ, ყველაფერი საერთო

ჰქონდათ, თვით ლამაზი მუზიკეტაც კი. ტყუპივით განუყრელნი იყვნენ. 5 ივნისის სასაუზმოდ „კორინთში“ წავიდნენ. ჟოლის სურდო სჭირდა და ლეგლისაც ეწყებოდა, თითქოს ესეც საერთო ყოფილიყოს. ლეგლს გახუნებული სერთუკი ეცვა, ჟოლის - კოხტად.

დაახლოებით დილით ცხრა საათი იქნებოდა, „კორინთის“ კარი რომ შეაღეს.

მეორე სართულზე ავიდნენ. მატლოტი და ჟიბლოტი მიეგებნენ.

- ხამანწკები, ყველი და ლორი, - უბრძანა ლეგლმა და მაგიდას მიუსხდნენ.

დარბაზი ცარიელი იყო. მარტო ისინი იყვნენ.

ჟიბლოტმა კარგად იცოდა ამ ყმაწვილების ჩვეულება და ერთი ბოთლი ღვინო დაუდგა მაგიდაზე. ის იყო, თითო ხამანწკა აიღეს, რომ ვიღაც გამოჩნდა კიბის თავზე და დაუძახა:

- ქუჩაში მეცა ბრიული ყველის საუცხოო სუნი და ვეღარ გავუძელი.

გრანტერი იყო.

ტაბურეტი მიიდგა და მეგობრებს მიუჯდა.

გრანტერი რომ დაინახა ჟიბლოტმა, ორი ბოთლიც მას დაუდგა, სულ სამი ბოთლი.

- ნუთუ ორ ბოთლს დალევ? - ჰკითხა ლეგლმა.

მანაც შესაფერი პასუხი გასცა:

- ამქვეყნად ყველამ ისწავლა ჭკუა, შენ ხარ მარტო, რომ არაფერი გეშველა, თორემ ორი ბოთლი ღვინო როგორ გაგაკვირვებდა.

მეგობრებმა ჭამით დაიწყეს, გრანტერმა - ღვინით, ნახევარი ბოთლი გადაყლაპა ერთბაშად.

- გახვრეტილი გქონია კუჭი, - უთხრა ლეგლმა.

- ნახვრეტი შენს იდაყვზე მოიკითხე, - უპასუხა გრანტერმა.

ერთხელ კიდევ გადაკრა ღვინო და დასძინა, - იცი, რა, ლეგლ, მართალია, გამოსათხოვარი სიტყვის თქმის ოსტატი კი ხარ, მაგრამ სერთუკი მაინც შემოგბერებია.

- მაშ, რა მოუვიდოდა, - მიუგო ლეგლმა, - ეს იმას ამტკიცებს, რომ მე და ჩემი სერთუკი ძმურად ვცხოვრობთ. ისე მომეჩვია, რომ მთლად ჩემსავით დანაოჭდა, აღარ მაწუხებს, მიეჩვია ჩემი აგებულების ყოველ ნაკლსა და მოძრაობას. თუ ვგრძნობ, რომ მაცვია, მარტო იმიტომ, რომ მათბობს. ძველი ტანისამოსი იგივეა, რაც ძველი მეგობარი.

- მართალია, - ჩაერია საუბარში ჟოლი, - ძველი ტანისამოსი იგივეა, რაც დიდი ხნის მეგობარი.

- მეტადრე, თუ სურდო მორევია ამ მეგობარს, - შენიშნა გრანტერმა.

- ბულვარიდან ხომ არ მოდიხარ, გრანტერ? - ჰკითხა ლეგლმა.

- არა.

- მილეთის ხალხი შეკრებილიყო. ეს არის, ახლა ვნახეთ მსვლელობის დასაწყისი მე და ჟოლიმ.

- საუცხოო სანახავი იყო, - თქვა ჟოლიმ.

- როგორი მშვიდია ეს ქუჩა! - შესძახა ლეგლმა, - ვინ იფიქრებს აქ მყოფი, რომ პარიზი ჭექს და ქუხს? როგორ ეტყობა, რომ აქ წინათ მონასტრების მეტი არაფერი ყოფილა! დიუ ბრელს, სოვალს და აბატ ლებეფს ამ მონასტრების მთელი სია აქვთ შედგენილი. აქაურობა სავსე იყო ბერებით, ჭიანჭველასავით ფუთფუთებდნენ,

ფეხშიშველები, ფეხსაცმლიანები, გაპარსულები, წვერიანები, რუხები, შავები, თეთრები, ფრანცისკანელები, ფრანსუა სენ-პოლელები, კაპუცინები, კარმელიტები, პატარა ავგუსტინელები, დიდი ავგუსტინელები, ძველი ავგუსტინელები. აკი ვამბობ, ფუთფუთი გაჰქონდათ ბერებს.

- მოდი, ნუღარ ვახსენებთ ბერებს, - შეაწყვეტინა გრანტერმა, - ბერს რომ ახსენებენ, მაშინვე ქავილი ამივარდება ხოლმე, - მერე შეჰყვირა, - ფუჰ, საძაგელი ხამანწკა ჩავყლაპე! აი, ამეშალა ისევ ჩემი იპოქონდრია! ან როგორ არ ამშლოდა? ხამანწკა წამხდარია, ეს გოგოები კი უშნო! შემაძაგეს კაცობრიობა! ეს არის ახლა გამოვიარე საზოგადო წიგნთსაცავის წინ, რიშელიეს ქუჩაზე. ხამანწკის ნიუარების ეს გროვა, რომელსაც ბიბლიოთეკას ეძახიან, აზროვნების სურვილს მიკარგავს!

რამდენი ქაღალდი დახარჯულა! რამდენი მელანი! რამდენი ნაჯღაბნი! ისხდნენ და წერდნენ! ვინ იყო ის რეგვენი, რომ თქვა, ადამიანი ორფეხი უფრთო ცხოველიაო? - და რითი წერდნენ, თუ არა ფრთით? დღეს კიდევ ერთი ლამაზი გოგო შემხვდა, ჩემი ნაცნობი, მშვენიერი, ვით გაზაფხული, სრულიად ღირსი, რომ სახელად ფლორეალი ერქვას; აღტაცებული იყო ის უბედური, სიხარულით ცას სწეოდა წუხანდელს აქეთ, რადგან ერთ საზარელ პირნაყვავილარ, ფულიან ბანკირს კეთილენება და წუხელ გაებედნიერებინა. ეჰ, რა გაეწყობა? ქალს ისევე ენატრება ფულიანი კაცი, როგორც ჭაბუკი! კატამაც აგრე იცის, ხან მყრალ თაგვზე ნადირობს, ხან მგალობელ ჩიტზე. სულ ორიოდ თვის წინ არ ცხოვრობდა თავისთვის პატიოსნად, ერთი მაღალი სახლის მანსარდაში; იჯდა და კორსეტს დუგმებს ასხამდა! დიახ, ამ ორი თვის წინ! კერავდა, პატარა საწოლი ჰქონდა გაბმული თასმებზე, თავისი ყვავილით ტკბებოდა, იქვე რომ ედგა ქოთანში, და კმაყოფილი იყო. დღეს კი ბანკირის ხასა გახლავთ! ერთი ღამის განმავლობაში გარდაიქმნა. ამ დილას ვნახე ეს ფულის მსხვერპლი, უსაზღვროდ გახარებული და ბედნიერი. საზარელი ის არის, რომ დღესაც ისევე ლამაზი იყო ის კახპა, როგორც გუშინ. ბანკირთან ბილწი გარიგება არც კი ემჩნეოდა სახეზე. ვარდი იმითია ქალზე უკეთესი, და თუ გნებავთ, უარესი, რომ ზედ აჩნდება მუხლუხის კვალი. ეჰ, წახდა ქვეყანა! გაქრა, მოისპო ამქვეყნად ზნეობა! მოწმედ მომყავს ღვია, სიმბოლო სიყვარულისა, დაფნა - სიმბოლო ომისა, ზეთისხილის ხე - სულელი სიმბოლო მშვიდობიანობისა, ვაშლი, რომელმაც კინაღამ დაახრჩო თავისი თესლით ჩვენი ადამი, და ლეღვი - ქალების წინაპარი; რაც შეეხება უფლებას, გნებავთ, გაიგოთ, რა არის უფლება? გალები ხელს უპოტინებდნენ კლუზიუმს, რომი კი მფარველობდა და ეკითხებოდა გალებს, რა დაგიშავათ კლუზიუმმაო? ამაზე ბრენუსი უპასუხებდა: „იგივე, რაც დაგიშავათ ალბელებმა, ფიდენმა, ეკვებმა, ვოლსკებმა და საბინებმა, რომლებიც თქვენი მეზობლები იყვნენ; კლუზიუმელები კი ჩვენი მეზობლები არიან და ჩვენც სწორედ ისე გვესმის მეზობლობა, როგორც თქვენ. თქვენ ალბა დაისაკუთრეთ; ჩვენ კლუზიუმს ვისაკუთრებთ“. მაშინ რომმა უთხრა, თქვენ კლუზიუმს ვერ აიღებთო და ამის პასუხად ბრენუსმა რომი აიღო. აიღო და შეჰყვირა: Vაე ვიცტის - აი, რას წარმოადგენს თქვენი უფლება. უფლება იმას აქვს, ვინც ძლიერია. ეს სისხლით ყგაუმაძღარი მხეცი და ბასრბრჭყალებიანი არწივია! ვინ ვყრივართ ჩვენ? რის უფლება? რა უფლება? - ჭიქა გაუშვირა ჟოლის, - ღვინო დამისხით, - და გადაკრა ისე სწრაფად, რომ არც კი შეიმჩნია სიტყვის შეწყვეტა და განაგრძო:

- ბრენუსმა რომ რომი აიღო, არწივი იყო; ბანკირი, რომელიც ტკბება ყმაწვილი ქალით, ისიც არწივია! არავითარი სირცხვილი არც აქ და არც იქ! მაშ, სარწმუნოც

არაფერი გვქონია და არც გვაქვს! მხოლოდ ღვინოშია ჭეშმარიტება. მაშ, ნურაფერს ვიწამებთ! რა აზრისაც უნდა იყოთ, გამხდარი მამლის თაყვანისმცემლები ხართ, როგორც ურის კანტონი, თუ მსუქანი მამლის, როგორც გლარის კანტონი, სულერთია, ოღონდ დავლიოთ. თქვენ ბულვარზე მელაპარაკებით, შეკრებილ ხალხზე და სხვა. ერიჰა! მაშ, კიდევ რევოლუცია მოგველის? ისე, როგორ შემოაკლდა დალოცვილ ღმერთს საშუალებანი, რომ წამდაუწუმ ცეცხლს უკიდებს ჩვენს ქვეყანას? რაღაცას წამოედო? კარგად ვერ მიდის საქმე? - აბა, ჩქარა რევოლუცია! საწყალ ღმერთს სულ გამურული აქვს ხელები კვამლითა და ჭვარტლით. მე რომ ვიყო მის ადგილას, უფრო უბრალოდ მოვიქცეოდი! მასავით ყოველ წამს კი არ ავათამაშებდი ჩემს მანქანებს, გულწრფელად ვემსახურებოდი კაცობრიობას. ერთმანეთს მივაქსოვდი მომხდარ ამბებს, როგორც წინდის თვალს თვალზე, ძაფს არ გავწყვეტდი, ცეცხლი არც „გარემოებათა მიხედვით“ მექნებოდა და არც მოულოდნელის საჭიროებად. თქვენ რომ პროგრესს ეძახით, ორი ძრავა აქვს თქვენს პროგრესს - ადამიანი და მოვლენები; მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან საჭირო ხდება გამონაკლისიც. მოვლენებისთვის, როგორც ადამიანისთვის, საკმარისი არ არის ცნობილ მოღვაწეთა მთელი კრებული, ადამიანთაგან საჭირო ხდებიან გენიოსები და მოვლენათაგან კი რევოლუციები. განსაკუთრებული შემთხვევები კანონად გადაიქცევა; უამისოდ საგანთა მსოფლიო წესრიგი დაირღვევა. აი, რატომ არის, რომ როცა კუდიანი ვარსკვლავი გამოტყვრება უცბად ცაზე, ლამის დარწმუნდე, თვითონ ღმერთსაც კი სჭირდება მსახიობთა დასი თავისი წარმოდგენებისთვის. სწორედ იმ დროს, როდესაც ახალს არაფერს მოელის კაცი, უცბად გადმოჰკიდებს ხოლმე ღმერთი ზეცის კამარაზე აფიშასავით ახალ მეტეორს. უცნაური, უშველებელკუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება და ის კლავს კეისარს: ბრუტუსი მას დანას ჩასცემს, ღმერთი - კუდიან ვარსკვლავს და წახდა კაცი! აი, ესეც თქვენი ჩრდილოეთის ციალი, აი, რევოლუცია, აი, დიდი ადამიანი; ოთხმოცდაცამეტს მსხვილი ასოებით წერდნენ, ნაპოლეონს - წითელი ასოებით, აფიშის თავზე 1811 წლის კუდიანი ვარსკვლავი ეხატა. მართლა მშვენიერი იყო ეს აფიშა, ცისფერი, მთლად გაბრწყინებული მოულოდნელი ალის ტრიალით. ბუჰ! ბუჰ! აი, უცნაური სანახაობა! აიხედეთ ზევით, დოყლაპიებო! აწეწილია ყველაფერი, ციური მნათობიც და დრამაც. ღმერთო, ღმერთო დიდებულო, თან მეტისმეტია ეს ყველაფერი და თან არასაკმარისი. გამონაკლისისთვის ხმარებული ეს საშუალებები თითქოს დიდებულია, მაგრამ სინამდვილეში, სიღატაკეა და სხვა არაფერი. მეგობრებო, განგება უკიდურეს ზომებს მიმართავს!

რევოლუცია რისი დამამტკიცებელია? იმის, რომ გასჭირვებია მის ყოვლისშემძლეობას, ყირამალა აყენებს სახელმწიფოებრივ წყობილებას, რადგან ამაში ხედავს აწმყოსა და მომავლის საკითხის გადაწყვეტას, და უმთავრესად იმიტომ, რომ ბატონმა ღმერთმა ვერა და ვერ მოახერხა ისე შეეერთებინა ერთმანეთთან, რომ მომავალი აწმყოს შედეგი ყოფილიყო. ყოველივე ეს ცხადად მიმტკიცებს, რომ სრული ჭეშმარიტებაა ჩემი ნათქვამი, - დიდად შეჭირვებული უნდა იყოს ყოვლისშემძლე იაჰვე. ამდენ უბედობას რომ ვხედავთ ზეცასა თუ ხმელეთზე, ამდენ დაკნინებას, ამდენ სიძუნწესა და წუწურაქობას, ამდენ გაჭირვებას ზეცისას და ქვეყნისას, რომლის მძვინვარების გამო ჩიტს ერთი მარცვალი შვრია ვერსად უშოვია და მე კი ასი ათასი ფრანკი წლიურ შემოსავლად; რომ ვხედავ, როგორ გაცვეთილა ადამიანისა და თვით მეფეების ბედისწერაც კი, რომელთაც თოკის მეტი აღარაფერი დარჩენიათ, - ამის

დასტურად უფლისწული კონდეც კმარა, რომელიც ჩამოახრჩვეს; რომ ვხედავ ზამთარს, როგორც ზენიტის ნახვრეტს და ამ ნახვრეტიდან ამოვარდნილ ქარს; რომ ვხედავ ამდენ ძონძს თვით დილის რიჟრაჟის ახალთახალ წმინდა ციალში; რომ ვხედავ დილის ნამს, ამ ყალბ მარგალიტსა და თრთვილს - ყალბ ალმასს; რომ ვხედავ ერთმანეთზე გადაკიდებულ კაცობრიობას და ჩვენი ცხოვრების დაწვრილმანებას; ამდენ ლაქას მზეზე და ამდენ ნახვრეტს მთვარეზე; რომ ვხედავ ამხელა გაჭირვებას ყველგან და ყოველთვის, ეჭვი მერევა და გამომაქვს დასკვნა, რომ ღმერთი არ უნდა იყოს მდიდარი. მართალია, იერი დიდებული აქვს, მაგრამ მე ვგრძნობ მის შეჭირვებას. ისე აგვიტეხს ხოლმე რევოლუციას, როგორც გაკოტრებული სოვდაგარი, რომლის სალარო ცარიელია, მეჯლისს რომ მართავს. თუმცა გარეგნობით ნუ განვსჯით ღმერთებს. ზეცის მოოქრული ზეწრით მალავს ამ გაჭირვებულ სამყაროს. ქვეყნიერების შექმნაში მის გაკოტრებას ვხედავ და მეც ამიტომ ვარ ყველაფრით უკმაყოფილო. აი, შეხედეთ, დღეს 5 ივნისია და ისე ჩამობნელებულა ქვეყნიერება, თითქოს ღამე იყოს. დილას აქეთ სულ იმის ცდაში ვარ, რომ როგორმე ინათოს. აქამდე ვერ ინათა და თუ გნებავთ, სანაძლეოს დავდებ, რომ დღესაც აღარ ინათებს. ეს ხელფასდაგვიანებული ნოქრის დაუდევრობაა. ასეა, საძაგლად არის მოწყობილი ყველაფერი და ერთმანეთს ვერაფერი ეგუება. ფურთხის ღირსია ეს დაბერებული ქვეყნიერება და ამიტომ მეც ოპოზიციაში გამოვიჭიმე. სწორის მაგივრად, ყველგან მრუდეა გამეფებული. წინააღმდეგობათა ბუდეა ქვეყნიერება, თითქოს გვაჯავრებს როგორც ბავშვებს: ვისაც უნდა, არა და არ მისცემს; და ვისაც სულაც არ უნდა, თავზე აყრის. დასკვნა: ბრაზი მერევა! გარდა ამისა, გულს მიკლავს ამ თავმოტვლეპილი ლეგლ დე მოს ყურება. შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როდესაც მომაგონდება, რომ მეც იმდენი ხნისა ვარ, რამდენისაც მისი მუხლივით მოტვლეპილი თავი. თუმცა მე ვაკრიტიკებ, მაგრამ არ ვლანძღავ. ეჰ, ქვეყნიერება ისეთია, როგორიც არის. ამას ქვენა გრძნობების გარეშე ვამბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ სინდისი სუფთა მქონდეს. გთხოვთ, მიიღოთ, მამაო მარადისაო, ჩემი პატივისცემა და თაყვანისცემა. ეჰ, ვფიცავ ყველა წმინდანს ოლიმპისას და ყველა ღმერთს სამოთხისას - იმისთვის არ გავჩენილვარ, პარიზელი ვიყო, ესე იგი, უკუნითი უკუნისამდე ვხტოდე ბურთივით ორ ცეცხლშუა. მუქთახორათაგან მყვირალებთან და მერე უკან. მე თურქად უნდა დავბადებულიყავი და მთელი დღე მეცქირა ლამაზი მოცეკვავეებისთვის, რომლებიც კაცს ეგვიპტური ცეკვით ატკბობენ, ჟინის გამახელებელი რომ არის, როგორც სიზმარი წმინდად მცხოვრები ბერისა; ან ბოსერონელ გლეხკაცად, ან ვენეციელ დიდებულად, გარს რომ კოხტა, ლამაზი ქალები ეხვევიან; ან ერთ პატარა გერმანელ თავადად, გერმანიის კავშირს თავის წილად რომ ქვეითთა ნახევარს მიუძღვნიდა და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ თავის ღობეზე, ესე იგი, თავისი სათავადოს საზღვარზე გაეშრო თავისი წინდები. აი, რაგვარი დანიშნულებისათვის უნდა გავეჩინე ჩემს ბედისწერას. დიახ, ვთქვი, თურქი-მეთქი და არც უარვყოფ ამას. ვერ გამიგია, რად უყურებთ თურქებს ამრეზით? მაჰმადს ბევრი რამ აქვს კარგი. დიდება იმ ვაჟკაცს, რომელმაც მოიგონა ჰურიებიანი ჰარამხანა და ოდალისკებიანი სამოთხე! ავს ნურას ვიტყვით მაჰმადიანობაზე, რადგან ეს არის ერთადერთი სარწმუნოება, რომელიც დამშვენებულია კარგი საქათმით. ვიმეორებ, დავლიოთ! დიდი სისულელეა ჩვენი დედამიწა, ეტყობა, ეს სულელები ერთმანეთს ბრძოლას, თავ-პირის მტვრევას, სისხლის ღვრას უპირებენ. ისიც როდის? მშვენიერ

ზაფხულში, ივნისში, როდესაც შეიძლებოდა სასეირნოდ გასულიყვნენ ქალაქიდან, თან ლამაზი გოგონები წაეყვანათ და დამტკბარიყვნენ მინდორში ახალგათიბული თივის სურნელით. მართალი უთქვამთ, სისულელეს საზღვარი არა აქვსო. ეს არის, ერთი ძველი, გატეხილი ფარანი ვნახე ძველმანების სავაჭროში და ვიფიქრე, სწორედ დროა, სინათლე მოვფინოთ კაცობრიობას-მეთქი. მაგრამ ისევ სევდა შემომაწვა. რა საშინელება ყოფილა წამხდარი ისტორიისა და მრუდი რევოლუციის გადაყლაპვა! საგლოვია ჩვენი ცხოვრება! ოჰ, რა საშინელია ჩვენი ძველი ქვეყანა, სადაც მხოლოდ ვერაგობენ, მრუშობენ, ერთმანეთს მტრობენ, ხოცავენ და ყველაფერს ეჩვევიან.

ამ დროს გრანტერს მჭევრმეტყველების შეტევა სრულიად დამსახურებული ხველის შეტევით შეეცვალა.

- ამ რევოლუციამ მომაგონა, - ადუდღუნდა ჟოლი, - როგორც ეტყობა, მარიუსი მეტისმეტად შეყვარებულია.

- ვინ უყვარს, თუ იცით? - ჰკითხა ლეგლმა.

- არ ვიცი.

- არა?

- არა-მეთქი, გეუბნები.

- მარიუსის სიყვარული! - შეჰყვირა გრანტესმა, - მაგას რაღა კითხვა-ძიება უნდა? მარიუსი ნისლშია და, ალბათ, ერთი კარგი ღრუბლის ქულა იპოვა. მარიუსი პოეტების ჯიშისაა, ესე იგი, შეშლილების. Timbroeus Apollo. მარიუსი და მისი მარიამი, ან მისი მართა, ან მისი მარიეტი, ან მარიონი - ორივენი უცნაური ტრფობით იქნებიან გაგიჟებულნი. თვალწინ მიდგას ორივე: აღფრთოვანება, რომელიც კოცნას ავიწყებს, უბიწონი მიწათა ზედან და შეერთებულნი უსაზღვროებასა შინა; ორი სული, რომელთაც აქვთ გრძნობა და ერთად მხოლოდ ვარსკვლავების სარეცელზე დაწვებიან.

მეორე ბოთლს მისწვდა გრანტერი და იქნებ მეორე სადღეგრძელოც წამოეწყო, მაგრამ ვიღაც გამოჩნდა კიბეზე ამომავალი. პატარა ბიჭი იყო, ათი წლისაც არ იქნებოდა, დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, ტანდაბალი, ფერმკრთალი, ცოცხალი თვალებით, გრძელთმიანი, წვიმით დასველებული, კმაყოფილი სახის პატრონი.

მეგობრები დინჯად შეათვალიერა, რადგან არც ერთს არ იცნობდა და უნდოდა ის ეპოვა, ვისაც ეძებდა. ბოლოს ლეგლს ჰკითხა:

- თქვენა ბრძანდებით ბატონი ბოსუე?

- ჰო, ასე მეძახიან, - უპასუხა ლეგლმა, - რა გინდა?

- მოგახსენებთ: ერთმა მაღალ-მაღალმა, ქერა კაცმა მკითხა ბულვარზე, ბებერ უშლუს იცნობო? დიახ, შანვრერის ქუჩაზე, მოხუცის ქვრივი-მეთქი. მერე მითხრა, მიდი, იქ ნახავ ბატონ ბოსუეს და ჩემ მაგივრად ეტყვი „ანბანი“. ეს ხუმრობაა, არა, ბატონო? ათი სუ მომცა.

- ათი სუ მასესხე, ჟოლი, - სთხოვა ლეგლმა, მერე გრანტერისკენ მიბრუნდა და ახლა იმას სთხოვა, - ათი სუ მასესხე, გრანტერ.

როგორც იქნა, ოცი სუ, მთელი ფრანკი მოაგროვეს, და ლეგლმა პატარა ბიჭს ჩაუდო ხელში.

- გმადლობთ, ბატონო.

- რა გქვია, ბიჭო? - ჰკითხა ლეგლმა.

- ნავე, გავროშის ამხანაგი ვარ.

- მოდი, ჩვენთან დარჩი, - უთხრა ლეგლმა.

- ჰო, ჩვენთან ისაუზმე, - დაუმატა გრანტერმაც.

არ შეეძლო პატარას:

- არ მცალია, ბატონო, მსვლელობას მეც მივყვები და ვყვირი: „ძირს პოლინიაკი!“

თავი დაუკრა, რამდენადაც კი შეეძლო, მარჯვენა ფეხი უკან გადგა, ნიშნად დიდი პატივისცემისა და წავიდა.

ბიჭი რომ წავიდა, ისევ გრანტერმა დაიწყო:

- ეგეც თქვენი წმინდა სისხლის გამენი. კაცობრიობის ამ ნაწილის უამრავი განსხვავებული ტიპი არსებობს: გამენი-ნოტარიუსი კალია გახლავთ, გამენი-მზარეული - მოლოკე; გამენ-მეფუნთუშეს - წოპწოპაქუდას ეძახიან, გამენ-ლაქიას - გრუმს; გამენი-მეზღვაური - იუნგაა, გამენი-ჯარისკაცი - მედოლე, გამენი-მხატვარი - თხუპნია; გამენი-მიკიტანი- - ხელის ბიჭი; გამენი-კარისკაცი - პაჟი; გამენი-მეფე - დოფინი; გამენი-ღმერთი - ყრმა.

ამასობაში ჩაფიქრებულმა ლეგლმა ჩუმად წამოიძახა:

- „ანბანი“, ესე იგი, ლამარკის დასაფლავებაო.

- მაღალ-მაღალი, ქერა კი ანჟოლრასი იქნებოდა, - უთხრა გრანტერმა, - ბიჭი რომ გამოგვიგზავნა.

- წავიდეთ? - იკითხა ბოსუემ.

- წვიმს! - თქვა ჟოლიმ, - მე აღთქმა დავდე, რომ ცეცხლში ვიბრძოლებდი და არა წყალში. ახლა სურდო შემყარეთ!

- მე აქ ვრჩები, - თქვა გრანტერმა, - მიცვალებულის დევნას საუზმე მირჩევნია!

- გადაწყდა: ვრჩებით, - თქვა ლეგლმა, - თუ ასეა, კიდეც დავლიოთ. შეიძლება დასაფლავებას არ დავესწროთ და ამბოხებას კი არ დავაკლდეთ.

- აჰ, ამბოხებას როგორ დავაკლდებით? - შეჰყვირა ჟოლიმ.

ლეგლმა ხელები მოიფშვნიტა:

- ესე იგი, 1830 წლის რევოლუცია უნდა შევასწოროთ, თორემ ძალიან უჭერდა ხალხს იღლიებში.

- თქვენი რევოლუცია ჩემთვის საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს, - დაიწყო გრანტერმა, - მე ჩვენი მთავრობის მტერი არა ვარ; ეს ხომ ბამბის ჩაჩით შენიღბული გვირგვინია, სამეფო კვერთხი კი ქოლგით მთავრდება. ასე რომ, დღეს, ამ წვიმაში, ლუი-ფილიპეს შეუძლია ორგვარად გამოიყენოს თავისი მეფობა: კვერთხი თავის ხალხს ატაკოს და კვერთხის ბოლოს კი ქოლგა გაშალოს წვიმისგან თავდასაცავად.

დარბაზში სიბნელე იყო, შავი ღრუბელი უფრო და უფრო აბნელებდა დღის სინათლეს. მათ გარდა, არავინ იყო სამიკიტნოში და არც ქუჩაში: დიდი და პატარა სეირის საყურებლად გამოსულიყო.

- შუადღეა თუ შუაღამე? - შეჰყვირა ბოსუემ, - აღარაფერი ჩანს ამ სიბნელეში. სანთელი, ჟიბლოტ!

დაღონებული გრანტერი ღვინით იბრუნებდა გულს.

- ათვალწუნებული ვყავარ ანჟოლრასს, - ბუზღუნებდა ჩუმად, - ალბათ, იფიქრა, ჟოლი ავად არის, გრანტერი მთვრალი იქნებაო და ბოსუესთან გამოგზავნა ის პატარა ნავე. მე რომ წავეყვანე, სიამოვნებით გავყვებოდი. ჰოდა, მით უარესი ბატონი ანჟოლრასისთვის! მე მის დასაფლავებას არ დავესწრები.

გადაწყვიტეს და ფეხი აღარ მოიცვალეს „კორინთიდან“. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა და ცარიელი ბოთლებით ავსებულიყო მათი სუფრა. ორი სანთელი აუნთო ჟიბლოტმა, ერთი სპილენძის მწვანე შანდალში და მეორე - გამსკდარი ბოთლის პირში. სვამდა გრანტერი. ჟოლი და ლეგლიც ჩაიტყუა სმაში და მათ მხიარულება კვლავ დაუბრუნეს დაღონებულ გრანტერს.

გრანტერმა შუადღის შემდეგ თავი მიანება ღვინოს, როგორც ოცნების სუსტ წყაროს. ნამდვილი, ღირსეული ლოთისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს ღვინოს. თრობას თან ახლავს თეეთრი და შავი მაგია. ღვინო მხოლოდ და მხოლოდ თეთრი მაგიაა. გრანტერი კი იმისათვის სვამდა, რომ ტკბილი სიზმრებით და ოცნებებით დამტკბარიყო. თრობის საშინელი შავი უფსკრული, თვალწინ რომ ჰქონდა გაშლილი, არ აშინებდა გრანტერს, პირიქით, თავისკენ იზიდავდა. ბოთლები იქით მიეწყო და ახლა სხვა, მაგარ სასმელებს სვამდა, ალკოჰოლიანს, სწორედ ეს არის, რომ უფსკრულისკენ მიაქანებს ადამიანს. არც ოპიუმი მოეპოვებოდა, არც ჰაშიში და რადგან ცდილობდა დაებინდა ტვინი, საშუალებად ის საზარელი ნარევი იხმარა, რომელშიც არაყი შედის, ინგლისური არაყმოჭარბებული ლუდი და აბსენტი. ამ სამი სასმლის, - არყის, ლუდისა და აბსენტის - ნაზავია, რომ ტყვიასავით ამძიმებს სულს. ეს სამმაგი ბნელეთია. შიგ იხრჩობა ციური პეპელა და ღამურის ფრთების მსგავსად ოდნავ შესქელებულ კვამლში სამი მუნჯი ავსული ჩნდება: უუმური, ღამე და სიკვდილი, რომელიც თავს დასტრიალებს მიძინებულ ფსიქეს.

ჯერ იმდენი არ ესვა გრანტერს, რომ ამ უკიდურეს თრობამდე მისულიყო, ჯერ შორს იყო იქიდან. საოცრად მხიარულობდა და ბოსუე და ჟოლიც მხარს უჭერდნენ. სვამდნენ, ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ. სიტყვა იყო თუ რამ აზრი სულ ხაზგასმით ამბობდა გრანტერი, ხელებსა და თავს იშველიებდა. მარცხენა ხელით მუხლზე იყო დაყრდნობილი, ყელსახვევი მოჰქცეოდა, ტაბურეტზე იჯდა, თითქოს ცხენზე ზისო, ხელში სავსე ჭიქა ეჭირა და საზეიმო სიტყვით მიმართავდა ჩასქელებულ მატლოტს:

- გააღონ სასახლის კარი! აკადემიის წევრი გახდეს მთელი ქვეყანა და უფლება ჰქონდეს, გადაკოცნოს მშვენიერი ქვრივი უშლუ! აბა, დავლიოთ!

მერე ბებერ უშლუს მიუბრუნდა:

- ოჰ, ქალო ანტიკურო, სიძველით კურთხეულო, მომიახლოვდი, რომ დავტკბე შენი მზერით.

იმას კიდევ ჟოლი მისდევდა:

- მატლოტ და ჟიბლოტ, ნუღარ მოუტანთ სასმელს გრანტერს. სულ ღვინოში ყრის ამდენ ფულს. ჯერ არ დაღამებულა და თავისი გულუხვობით ორი ფრანკი და ოთხმოცდათხუთმეტი სანტიმი აქვს დახარჯული.

გრანტერი თავისას არ იშლიდა:

- ვინ იყო ის თავხედი, რომელმაც ჩემს უნებართვოდ ჩამოგლიჯა ეს ვარსკვლავები ზეცას და წინ დამიწყო სანთლებად?

ბოსუეც მთვრალი იყო, მაგრამ სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ღია ფანჯარასთან იჯდა, ზურგს წვიმა უსველებდა და თავის ამხანაგებს შეჰყურებდა.

უცბად ქუჩიდან ხმაური, აჩქარებული ფეხის ხმა და ყვირილი მოესმა: „შეიარაღდით! ჩქარა გამოდით!“ - გაიხედა და სენ-დენის ქუჩაზე, შანვრერის ქუჩის ბოლოში, დაინახა ანჟოლრასი თოფით, გავროში თავისი დამბაჩით, ფეი - ხმლით. კურფეირაკსაც ხმალი ეშიშვლებინა, ჟან პრუვერს - მუშკეტი, კომბეფერსა და

ბაორელს თოფი მოემარჯვებინათ, მათ უკან კი შეიარაღებული და მჭექარე ხალხის ზღვა მიღელავდა.

ერთი თოფის სროლის მანძილს არ აღემატებოდა შანვრერის ქუჩის სიგრძე. ბოსუემ ორივე ხელი ხმის გამადიდებლის მაგივრად პირთან მიიტანა და დაიყვირა:

- კურფეირაკ! კურფეირაკ!

კურფეირაკმა გაიგონა მისი ძახილი, დაინახა კიდეც ბოსუე და რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ:

- ჰა, რაო? რა გინდა?

ისიც სწორედ იმავეს ეკითხებოდა და ერთმანეთს შეეჯახა ეს ორი კითხვა:

- სად მიხვალთ?

- ბარიკადის ასაგებად, - შეჰყვირა კურფეირაკმა.

- ბარემ აქ ააგეთ. კარგი ადგილია! აქ სჯობია!

- მართალი ხარ, არწივო, - დაეთანხმა კურფეირაკი.

კურფეირაკმა ნიშანი მისცა და ხალხი შანვრერის ქუჩაზე შეჩერდა.

## თავი მესამე
## ღამე ეპარება გრანტერს

მართლაც საგანგებო ადგილს წარმოადგენდა გასამაგრებლად ეს მოედანი. ქუჩას შემოსასვლელი განიერი ჰქონდა, მაგრამ ნელ-ნელა ვიწროვდებოდა და მისი ბოლო ქუჩაბანდს ჰგავდა, რომელსაც „კორინთი“ აბოლოებდა; მონდეტურის ქუჩის გამაგრება მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ძნელი არ იყო; თუ საშიში ჰქონდა რამე, მარტო სენ-დენის ქუჩიდან, ესე იგი, წინა, განიერი მხრიდან. მთვრალ ბოსუეს ისეთივე ზუსტი თვალი ჰქონდა, როგორიც ფხიზელ ჰანიბალს.

ხალხი რომ ამ უბანს შეესია, იქ მცხოვრებნი შეშინდნენ. სწრაფად მიიმალნენ გამვლელებიც, ელვის სიჩქარით ჩაუხვიეს მარჯვნივ თუ მარცხნივ, სამიკიტნოები, მაღაზიები, კარები, ფანჯრები, მანსარდები, სახელოსნოები, დარაბები, ფანჯრები ძირიდან სახურავამდე სწრაფად ჩაკეტეს. ერთმა გულგახეთქილმა დედაბერმა, თოფის სროლის ხმა რომ შეემცირებინა, ლეიბი ჩამოაფარა ფანჯარას და სარეცხის გასაფენი ორ ლატანით დაამაგრა. ღია მარტო „კორინთის“ სამიკიტნო დარჩა, რადგან შიგ ხალხი შევარდა. ისმოდა უშლუს ქვრივის ვიშვიში, - აჰ, ღმერთო! აჰ, ღმერთო!

ბოსუე ძირს ჩავიდა, კურფეირაკთან.

ჟოლიმ ფანჯრიდან გაყო თავი და დაუყვირა:

- კურფეირაკ! ქოლგა აიღე, თორემ სურდო შეგეყრება.

ამასობაში, რამდენიმე წუთის განმავლობაში, „კორინთის“ ქვედა სართულის ყველა ფანჯრებიდან ამოგლიჯეს ოციოდ რკინის ლატანი, ოცი მეტრის სიგრძეზე აყარეს ქუჩას ქვაფენილი; გავროშმა და ბაორელმა მეკირე ანსოს დროგი დაიჭირეს და ბარიკადის დასაფარავად გადააბრუნეს; შიგ კირით სავსე სამი კასრი იყო; ისინიც იქვე დააწყვეს, ქვის გროვასთან. ანჟოლრასმა სარდაფში ჩასასვლელ კიბეს კარი ახადა, გარეთ გამოიტანა, რაც იქ ცარიელი კასრები იდგა, და ისინიც გასამაგრებლად გამოიყენა კირის კასრებთან ერთად. ფეიიმ თავისი ნაზი თითებით, რომლებიც მარაოს თხელი ფირფიტების მოხატვას იყვნენ ჩვეულნი, ქვები შეუწყო დროგსა და კასრებს

და აამაღლა; ეს ქვებიც სახელდახელოდ მოაგროვეს, ვინ იცის, სად და როგორ? მეზობელ სახლებს საყრდნობი ბოძები ჩამოაცალეს და ისიც კასრებზე დააწყვეს. ბოსუე და კურფეირაკი რომ მობრუნდნენ, ქუჩის ნახევარი გადაღობილი იყო მაგარი, ადამიანზე მაღალი ბარიკადით. არაფერია ხალხის ხელისთანა კარგი ასაშენებლად იმისა, რაც ნგრევის დროს შენდება.

მატლოტი და ჟიბლოტიც გაერივნენ მუშებში. ჟიბლოტი ღორღს ეზიდებოდა. დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ კარგად აწვდიდა აჯანყებულებს ღორღს, როგორც ღვინოს „კორინთის“ სტუმრებს.

ქუჩის ბოლოს ორმა თეთრცხენშებმულმა ომნიბუსმა გაიარა. გამოუდგა ბოსუე, მეეტლე დაიჭირა და მგზავრები ჩამოსხა, ხელით დაეხმარა „ქალბატონებს“, დაითხოვა კონდუქტორი და ცხენებიანი ომნიბუსი ბარიკადთან მიიყვანა.

- არ შეჰფერის „კორინთს“ გვერდით ჩაუაროს ომნიბუსმა, - წამოიძახა მხიარულად და მერე ლათინურად თქვა იგივე: Non licet omnibus adire Corinthum.

წამიც და, ომნიბუსის გათავისუფლებული ცხენები მონდეტურის ქუჩას გაუყვნენ, ომნიბუსი კი გვერდზე დააწვინეს და ბარიკადის კედლის ასაგებად გამოიყენეს.

უშლუს ქვრივს შიში მორეოდა და მეორე სართულზე ავარდნილიყო. თვალდაჭყეტილი იყურებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ყვირილს კი პირიდან ამოსვლა ვერ გაებედა.

- მეორედ მოსვლაა, მეორედ მოსვლა! - ჩურჩულებდა გულგახეთქილი.

უცებ უკნიდან ჟოლი მიუახლოვდა, დანაოჭებულ სქელ, წითელ კისერში აკოცა და გრანტერს დუდღუნით გასძახა:

- იცი, რა გითხრა, მეგობარო, მე იმ აზრის ვიყავი ყოველთვის, რომ ქალის კისერი მეტისმეტად ფაქიზი რამ არის.

მაგრამ გრანტერი განაგრძობდა დითირამბული მჭევრმეტყველების მწვერვალის დაპყრობას. ამ დროს დარბაზში მატლოტი შემოვიდა, გრანტერმა გოგოს წელზე ხელი მოხვია და ფანჯარასთან მიიყვანა სიცილით და ყვირილით:

- მატლოტი უსახურია! უსახურობის იდეალი! ქიმერაა ჩემი მატლოტი! აი, მისი დაბადების საიდუმლოება: ერთმა გოთმა პიგმალიონმა, ტაძარში წყალსადენი მილებისთვის რომ ფიგურულ სახეებს თლიდა, ერთ დილას ნახა, რომ გაგიჟებით შეეჰყვარებოდა ერთი მათგანი, ყველაზე უარესი და უსახური. შეევედრა სიყვარულის ღმერთს, სული ჩაედგა მისთვის. აქედან წარმოიშვა ჩვენი მატლოტი. შემოხედეთ, მოქალაქენო! სწორედ ისეთივე ფერის თმა აქვს, როგორიც ტიციანის საყვარელს ჰქონდა, წითური, და ძალიან კარგი ქალიც არის. პირობას გაძლევთ, რომ ლომივით იბრძოლებს. ყოველ კარგ ქალში გმირია ჩამალული. რაც შეეხება მოხუც უშლუს, ისიც ყოჩაღი ბებერია. ჯერ მისი ულვაში ნახეთ, ქმარს რომ დაუტოვებია მემკვიდრეობით, შეხედავთ, ჰუსარი გეგონებათ. ისიც ძალიან დაგეხმარებათ, თუ ბრძოლა ატყდა. ეს ორი ქალიც კმარა, რომ მთელი უბანი შიშმა აიტანოს. მეგობრებო, მიწასთან გავასწორებთ მთავრობას! ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორიც ია, რომ მარგარინის მჟავასა და ჭიანჭველას მჟავას შუა თხუთმეტი კიდევ სხვა შუალედური მჟავაა. მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბატონებო, სულ იმიტომ მიჯავრდებოდა მამაჩემი, რომ მათემატიკისა არაფერი გამეგებოდა. მე თუ ვიცი რამე, მხოლოდ სიყვარული და თავისუფლება. გრანტერი ვარ, მეგობრებო, და კაი ბიჭიც ვარ! ფული ჩემს დღეში არა მქონია, მაშასადამე, არც მივჩვეულვარ ფულიანობას და

ამის გამო არასოდეს გამომლევია ჯიბეში ფული. მაგრამ მდიდარი რომ ვყოფილიყავი, მე რომ მდიდარი ვყოფილიყავი, ღარიბი აღარავინ იქნებოდა. თქვენც ნახავდით! ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ კეთილ გულს ქისაც დიდი ჰქონოდა! რა კარგად მოეწყობოდა ჩვენი ცხოვრება! წარმოიდგინეთ იესო ქრისტე როტშილდის სიმდიდრის პატრონად! რა სიკეთეს მოჰფენდა ქვეყანას! მატლოტ! ერთი მაკოცე, გოგო! ვნებით სავსე ხართ, ქალბატონო, მაგრამ მორცხვი! ისეთი ლოყები გაქვს, რომ დობილის კოცნას ნატრობს, ტუჩები კიდევ საყვარლისას.

- გაჩუმდი, კარგი, შე ღვინის ქვევრო, შენა! - შესძახა კურფეირაკმა.

მაგრამ ღირსების გრძნობით აღსავსე პასუხიც მიიღო:

- მე ტულუზის მუნიციპალური საბჭოს წევრი და ფლორას პატივსაცემი თამაშების მაგისტრი ვარ! - მედიდურად უპასუხა გრანტერმა.

მშვენიერმა ანჟოლრასმა, რომელიც ბარიკადის ზემოთ იდგა, ხელშიც თოფი ეჭირა, მკაცრად ამოხედა ამ მჭევრმეტყველს. ეხსომება მკითხველს, ანჟოლრასი სპარტელისა და პურიტანელის ჯიშის იყო. ლეონიდასთან რომ ყოფილიყო თერმოპილეში, მასთან ერთად მოკვდებოდა. კრომველთან ერთად დროედას გადაწვავდა.

- გრანტერ, წადი, სხვაგან მოინელე ღვინო! აქ თავდადების მოედანია და არა ლოთობის, ნუ შეგვირცხვენ ბარიკადს!

ამ გაბრაზებით ნათქვამმა სიტყვამ უცნაური გავლენა მოახდინა მთვრალ გრანტერზე, იტყოდით, ერთი დიდი ტოლჩა ცივი წყალი დაასხეს თავზეო. უცბად გამოფხიზლდა. იქვე ფანჯარასთან დაჯდა, გამოუთქმელი ლმობიერებით დააცქერდა ანჟოლრასს და სთხოვა:

- ნება მომეცი, აქვე გამოვიძინო!

- წადი აქედან!

მაგრამ გრანტერი ისევ ისე სიყვარულით ჩასცქეროდა და გაუმეორა:

- ნება მომეცი, აქ დავიძინო, სანამ არ მოვკვდები!

- დასაძინებლად სხვაგან წადი, - დაუყვირა ანჟოლრასმა.

ანჟოლრასმა ზიზღით შეხედა:

- არ ვარგიხარ, გრანტერ. შენ არც რწმენა შეგიძლია, არც ფიქრი, არც სურვილი, არც სიცოცხლე და არც სიკვდილი.

გრანტერმა ნაღვლიანად უპასუხა:

- მაგასაც ვნახავთ.

რამდენიმე სიტყვა კიდევ წაილუღლუღა, მერე მძიმედ დაუშვა თავი მაგიდაზე, რაც ჩვეულებრივი ნიშანია სიმთვრალის მეორე ფაზისა, საითაც ასე უკმეხად უბიძგა ანჟოლრასმა, და ჩაიძინა.

## თავი მეოთხე
## ცდილობენ უშლუს ქვრივის ნუგეშისცემას

ბარიკადების აგებით გახარებული ბაორელი გაიძახოდა:

- ხედავთ, როგორ მოვრთეთ ქუჩა! ამაზე მეტი რა გინდათ?

კურფეირაკი ნელ-ნელა აშიშვლებდა „კორინთს“ და თან ანუგეშებდა ქვრივ მიკიტანს:

- ამას წინათ იმას არ ჩიოდით, ოქმი შემიდგინეს და ჯარიმა გადამახდევინესო? მერე რად შეგიდგინეს? იმიტომ, რომ თქვენი ფანჯრიდან პაწია ნოხი ჩაბერტყა ქუჩაში ჟიბლოტმა.

- დიახ, ჩემო კეთილო ბატონო კურფეირაკ. ღმერთო დიდებულო! ახლა ეს მაგიდაც იქ უნდა ჩაიტანოთ, თქვენს საშინელებაში? ისე რომ, ის ფარდაგი ხომ იყო და ახლა ქოთანი ჩავარდა ქუჩაში მანსარდის ქვედა ოთახიდან და მთავრობამ ჯარიმად ასი ფრანკი გადამახდევინა. წარმოიდგინეთ, რა საძაგლობაა!

- ჰოდა, ჯავრს ჩვენ ამოგიყრით, ნუ გეშინიათ.

ეტყობოდა, უშლუს ქვრივს ამ ჯავრის ამოყრის სარგებლობა ვერ შეეგნო. კურფეირაკი სწორედ ისე აკმაყოფილებდა მას, როგორც მამა ერთ არაბ ქალს. ქალს სილა გააწნა ქმარმა, ის კი მამასთან გაიქცა საჩივლელად:

- მამა, ადექით და შეურაცხყოფით გადაუხადეთ ჩემს ქმარს ჩემი ცემა!

მამამ ჰკითხა:

- რომელ ლოყაში გაგარტყა ქმარმა?

- მარცხენა ლოყაში.

მამამაც ერთი სილა გააწნა მარჯვენა ლოყაში და უთხრა:

- ახლა კი კმაყოფილი უნდა იყო! წადი და უთხარი შენს ქმარს, რომ მან შვილი გამილახა, მე კი ცოლი გავულახე.

აღარ წვიმდა. აჯანყებულები ემატებოდნენ ბარიკადს. მუშებმა მალულად მოიტანეს თოფისწამალი, შაბიამნით სავსე ბოთლები, საკარნავალო ორი-სამი ჩირაღდანი და მეფის დღეობიდან მორჩენილი ერთი დიდი გოდორი ჭრაქი. დიდი ხანი არ გასულა ამ დღეობის შემდეგ, ეს 1-ელ მაისს იყო. ამბობდნენ, ყოველივე ეს ერთმა წმინდა ანტონის უბნელმა მეწვრილმანემ, პეპენმა უძღვნა აჯანყებულებსო. ერთადერთი ფარანი იდგა შანვრერის ქუჩაზე და ისიც გატეხეს; გატეხეს მისი მოპირდაპირე ფარანიც სენ-დენის ქუჩაზე და ყველგან, გარშემო ქუჩებში, საცა კი ფარანი იდგა, ასე რომ, მთლად ჩააბნელეს მონდეტური, სინი-პრეშერი, დიდი და პატარა ტრუანდერი.

ანჟოლრასი, კომბეფერი და კურფეირაკი განაგებდნენ ყველაფერს. ახლა უკვე ორი ბარიკადი შენდებოდა ერთდროულად, ორივე „კორინთზე“ მიდგმული. ერთი უფრო დიდი იყო და შანვრერის ქუჩას კეტავდა, მეორე, სინის მხრიდან - მონდეტურის ქუჩას. ეს უკანასკნელი ბარიკადი ძალიან ვიწრო იყო და კასრებითა და ქვაფენილის ქვა-ღორღით აეგოთ. ორმოცდაათამდე კაცი მუშაობდა. ოცდაათს თოფები ჰქონდა, - აქეთ რომ მოდიოდნენ, გზად ერთ იარაღის მაღაზიას სწვეოდნენ და „ქირით“ წამოეღოთ.

ვერაფერს წარმოიდგენს ადამიანი ისე უცნაურსა და ჭრელს, როგორც ეს აჯანყებული ხალხი იყო. ერთს ტანისამოსიც კარგი ეცვა, ხმალიც ჰქონდა, ორი დამბაჩაც, მეორეს ხალათი ეცვა, მრგვალი ქუდი ეხურა და იარაღის მაგივრად დიდი საპირისწამლე ეკიდა მხარზე, თოფისწამლით გატენილი. მესამეს ლურჯი ქაღალდი შემოეხვია და იარაღად დიდი სადგისი ეჭირა.

ერთი გაჰყვიროდა:

- სულ დედაბუდიანად ამოვწყვიტოთ და თუ გაჭირდა, ჩვენი ხიშტის წვერებზევე დავიხოცოთ!

გაჰყვიროდა ის, რომელსაც სწორედ თვითონ არ ჰქონდა ხიშტი.

ზოგს სერთუკზე დაემაგრებინა ჯარისკაცის ტყავის ყაწიმი და ეროვნული გვარდიის პატრონტაში, რომლის ბუდეზე წითელი ძაფით იყო ამოკერილი: „საზოგადოებრივი წესრიგი“. ბევრ თოფს ჯერ კიდევ შერჩენოდა ლეგიონის ნომერი; ძალიან ცოტა მოჩანდა ფარფლებიანი ქუდი; ყელსახვევი სულაც არა; ბევრი იყო შიშველი მკლავი, რამდენიმე შუბი. ამას მიუმატეთ ყოველგვარი ასაკი, პატარა, ფერმკრთალი ბიჭები, ნავსადგურის მზემოკიდებული მუშები. ეჩქარებოდა ყველას, ერთმანეთს შველოდნენ და თანაც ბჭობდნენ, რამდენად საიმედო იყო ეს აჯანყება? ამბობდნენ, რომ დილის სამ საათზე კიდევ მოემატებოდათ მებრძოლნი; დარწმუნებულნი იყვნენ, ერთი რაზმი მონაწილეობას არ მიიღებს ბრძოლაში, მთელი პარიზი აიშლება და მხარს დაგვიჭერს აჯანყებულებსო. მრისხანებით აღსავსე იყო ეს ხმები და ამ მრისხანებას გულითადი სიხარული ერთვოდა. იტყოდით, ძმები შეყრილანო, თუმცა ერთმანეთის სახელიც კი არ იცოდნენ. დიდი განსაცდელი სინათლეს ჰფენს უცნობთა ძმობას.

„კორინთის“ სამზარეულოში ცეცხლი აენთოთ და ტყვიის ჩამოსასხმელად ქვაბში ადნობდნენ შამფურებს, კოვზებს, ჩანგლებს, ყოველგვარ კალის ჭურჭელს, რაც კი „კორინთში“ მოიპოვებოდა, თან ღვინოს სვამდნენ. მასრები, ვაზნები, მსხვილი საფანტი ეყარა მაგიდაზე ღვინის ბოთლებთან ერთად. ბილიარდის დარბაზში უშლუს ქვრივი და მისი მსახურები: მატლოტი და ჟიბლოტი სხვადასხვაგვარად შეცვლილნი ამ ტერორით, ისე, რომ პირველი გამოტვინებული იყო, მეორე აქოშინებული, მესამე ფრთაგაშლილი, ძონძებს ხევდნენ და სახვევებს ამზადებდნენ; სამი აჯანყებული შველოდა ქალებს, - სამი ზორბა ბიჭი, გრძელწვერულვაშთმიანი, - თეთრეულის მკერავი ქალებივით მარდად მუშაობდნენ, მაგრამ ქალებს შიშის ზარს სცემდნენ.

მაღალ-მაღალი კაცი კურფეირაკმა, კომბეფერმა და ანჟოლრასმა სწორედ იმ დროს შენიშნეს, როდესაც ბიეტის ქუჩის კუთხეში გაერია ხალხში, პატარა ბარიკადზე მუშაობდა და ძალიან გულმოდგინედაც. გავროში დიდი ბარიკადის აგებაში მონაწილეობდა: რაც შეეხება ყმაწვილს, რომელიც კურფეირაკთან მისულიყო სანახავად და იქ ელოდა, რომ ბატონი მარიუსის ამბავი ეკითხა, სადღაც გაქრა დაახლოებით მაშინ, როდესაც ომნიბუსი გადააბრუნეს.

აღტაცებული და სახეგაბადრული გავროში საქმიანად მიდი-მოდიოდა, ადი-ჩამოდიოდა, ხტოდა, გაჰყვიროდა, ფრინავდა და ცეცხლს აფრქვევდა. იტყოდით, ეს ბიჭია ყველას გამამხნევებელიო. რა იყო მიზეზი ამ აღტაცების? ბავშვობა და გაჭირვება! რითი ფრინავდა? თავისი აღტაცებით. ბზრიალასავით ტრიალებდა. საცა კი გაიხედავდა კაცი, ყველგან გავროშს დაინახავდა, ყველგან მისი ხმა გაისმოდა, ყოველთვის ყველგან იყო და ჰაერს ავსებდა. თითქოს ყველგანმყოფი გახდაო. თითქოს მომაბეზრებელიც; გაჩერება შეუძლებლად მიაჩნდა, ეს უზარმაზარი ბარიკადიც კი გრძნობდა, რომ ზედ ზურგზე აჯდა გავროში. აწუხებდა უსაქმურებს, ახალისებდა ზარმაცებს, აქეზებდა დაღლილებს, თავს აბეზრებდა ჩაფიქრებულებს, ზოგს ამხიარულებდა, ზოგს საქმეს მოაგონებდა, ზოგს აბრაზებდა, დაუდგრომლად ტრიალებდა, სიტყვას გადაუკრავდა სტუდენტს, სიტყვით უკბენდა მუშას, გაჩერდებოდა წამით, ისევ სადღაც გარბოდა, თავს დასტრიალებდა ამ ფაციფუცსა და სამზადისს, ერთი ჯგუფიდან მეორისკენ მიფრინავდა, რაღაცას ჩურჩულებდა, ბუზღუნებდა და აწუხებდა ყველას, თითქოს აბეზარი ბუზი ჩასცივებია რევოლუციის უზარმაზარ ეტლსო.

მისი პატარა ხელ-ფეხი გაუჩერებლად მოძრაობდა და პატარა ფილტვები კი შეუწყვეტლად უხმაურებდა:

- აგერ, აქ ქვა გვაკლია! კასრები გვინდა! ცოტა კიდევ კედლის ნანგრევი, რომ ამოვავსოთ ეს ხვრელი! ძალიან პატარაა თქვენი ბარიკადი! უნდა აამაღლოთ! ყველაფერი ზედ დაადეთ, ზედ დააყარეთ, ზედ დაარჭვეთ! დაანგრიეთ სახლი! ბიჭოს, აგერ ერთი შუშიანი კარი!

ეს კი არ მოეწონათ მუშებს.

- შუშიანი კარიო? მერე რაში გამოვიყენოთ შუშიანი კარი? ჩვენს დასაღუპავად? ჭკუის კოლოფი ყოფილხარ, ბიჭო!

- ჭკუის კოლოფები თქვენ ყოფილხართ, თუ მართალი გინდათ, - მიუგო გავროშმა, - ბარიკადში შუშიანი კარის ჩასმაზე უკეთესი არაფერი იქნება. მართალია, იერიშს ვერ გაუძლებს, მაგრამ ბარიკადის აღება კი - ვერ მივართვი. ნუთუ არასოდეს მოგიგლეჯიათ ვაშლი ღობის ზემოდან, როცა კედელი ბოთლის ნამსხვრევებით ყოფილა გამაგრებული? განა არ გახსოვთ, რა გაჭირვებით მისწვდომიხართ ვაშლს? და შუშები რომ არ ყოფილიყო? ერთს კი არა, მთელ ტოტს გაკრეფდით. შუშიანი კარი სულ ფეხებს ჩაუსისხლიანებს ეროვნულ გვარდიელებს, თუ გაბედეს და ბარიკადზე ამოვიდნენ. ბიჭოს! შუშა დიდი ვერაგია! ერიჰა! არც ისე ცოცხალი აზროვნება გქონიათ, ამხანაგებო!

ბიჭს აშმაგებდა თავისი უჩახმახო დამბაჩა და ხან ვისთან მიირბენდა, ხან ვისთან:

- ერთი თოფი მომეცით, თოფი მინდა, თოფი!.. რატომ არ მაძლევთ ერთ კარგ თოფს?

- შენც თოფს ითხოვ, ბიჭო?

- ვითომ რატომ არა? თუკი 1830 წელს მქონდა, შარლ X-ს რომ ვედავებოდით, ახლა უფრო არ მერგება?

მხრები აიჩეჩა ანჟოლრასმა:

- როცა მამაკაცებს დავურიგებთ თოფებს, იქნებ ბავშვებსაც ვარგუნოთ.

გავროშმა მედიდურად მოუჭრა:

- თუ შენ მოგკლეს ჩემზე ადრე, გესმის, შენს თოფს მე ავიღებ!

- ლაწირაკო! - იწყინა ანჟოლრასმა.

- აღუ! - უპასუხა გავროშმა.

ერთ კოხტად ჩაცმულ ვაჟბატონს გზა შეშლოდა და იქვე ახლოს ტრიალებდა. მან მოუღო ბოლო ანჟოლრასისა და გავროშის კამათს.

იმ ვაჟბატონს გასძახა გავროშმა:

- თქვენ, აქეთ მოდით, ახალგაზრდავ, ჰეი? მაშ, არ დაეხმარებით ბებერ სამშობლოს?

სადღაც გაქრა ვაჟბატონი.

## თავი მეხუთე
## მზადება

იმ დროის გაზეთები წერდნენ, რომ შანვრერის ბარიკადები, ეს „თითქმის აუღებელი სიმაგრე“, სიმაღლით მეორე სართულამდე ადიოდა, მაგრამ ცდებოდნენ. თუ სიმართლე გნებავთ, ამ ბარიკადის სიმაღლე საშუალოდ ორ-ნახევარ მეტრს აღწევდა. ისე კარგად იყო აგებული, რომ აჯანყებულთ შეეძლოთ დამალვოდნენ მომავალ ჯარს და თუ საჭირო იყო, ბარიკადის თავზედაც ასულიყვნენ, რადგან ქვა-

ღორღი ბლომად, ოთხ რიგად მიაყარეს გასამაგრებლად. რიყის ქვისგან, კასრებისგან, ბოძებისგან, გადაბრუნებული ომნიბუსისგან, მეკირე ანსოს დროგისგან ახორხლილი, ბარიკადი თითქოს აიჯაგრა და ფრონტის გარედან მიუდგომელი ჩანდა. ბარიკადი „კორინთიდან“ ერთი დაშორებული სახლის კედლამდე მიუყვებოდა, იქ კი ვიწრო გასასვლელი იყო დატოვებული, იმდენად ვიწრო, რომ ძლივს გაძვრებოდა კაცი; თუ გაჭირდებოდა საქმე, ამ გზით გაარიდებდნენ თავს. ომნიბუსის ხელნა ბარიკადის თავზე თოკით დაემაგრებინათ და ზედ წითელი დროშა აეფრიალებინათ.

მონდეტურის პატარა ბარიკადი სამიკიტნოს უკან მიმალულიყო და არც კი ჩანდა, მაგრამ პირველს უერთდებოდა და კარგ სიმაგრეს წარმოადგენდა. ანჟოლრასმა და კურფეირაკმა საჭიროდ არ ცნეს მონდეტურის ქუჩის მეორე ნაწილის გამაგრება, რომელიც პრეშერის ქუჩით ბაზარში გადის, რადგან უნდოდათ, კავშირი ჰქონოდათ ქალაქთან, მით უფრო, რომ შეუძლებლად მიაჩნდათ პრეშერის ქუჩით ჯარის შემოსვლა.

ამ თავისუფალი გასასვლელის გარდა, რომელსაც ფოლარი თავისი სტრატეგიული ენით ჯებირის კარს უწოდებდა, და გარდა იმ ვიწრო გასაძრომისა, რომელიც დიდ ბარიკადს ჰქონდა, სიმაგრის შიდა ფართობი პატარა მოედანს წარმოადგენდა, უსწორმასწოროს, ოთხკუთხედს, ყოველმხრივ გამაგრებულს. დიდ ბარიკადსა და მაღალ სახლებს შუა, ქუჩის ბოლოში, სულ ოცი ნაბიჯი იქნებოდა, ასე რომ, თითქმის ეყრდნობოდა სახლებს, რომლებშიც უამრავი ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ არავინ მოჩანდა, ყველას მაგრად დაეკეტა კარ-ფანჯარა.

მუშებს ერთი საათიც არ დასჭირვებიათ ამ სიმაგრის ასაგებად, ასე რომ, არც ხიშტი და არც ჯარისკაცის ქუდი არ გამოჩენილა. გამვლელებიც აღარსად იყვნენ. და თუ სენ-დენის ქუჩაზე ვინმე ბურჟუა ჩამოივლიდა და შანვრერის ბარიკადებს თვალს მოავლებდა, უთუოდ აუჩქარებდა ფეხს.

საქმე გაასრულეს, ორი ბარიკადი ააგეს, აღმართეს წითელი დროშა, სამიკიტნოდან ერთი მაგიდა გამოიტანეს და ზედ კურფეირაკი ავიდა. ანჟოლრასმა დიდი ყუთი მოათრია და კურფეირაკმა გააღო, - ვაზნებით იყო სავსე. ამის დანახვაზე ჟრუანტელმა დაუარა თვით უშიშარ ბიჭებსაც და წამით მიყუჩდა ყველა.

ერთადერთი კურფეირაკი არიგებდა ვაზნებს მხიარული სახით.

თითო კაცს ოცდაათი ვაზნა ერგო. ბევრს თოფისწამალი ჰქონდა და მაშინვე საქმეს შეუდგნენ. ტყვიას ადნობდნენ. ვაზნას ტენიდნენ. კართან ახლოს, მაგიდაზე იდგა დენთით სავსე კასრი, რომელსაც ძალიან უფრთხილდებოდნენ.

ქალაქში ატეხილი განგაში ჯერაც არ ჩამცხრალიყო, მაგრამ ყური მიეჩვია და ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ეს ხმაური ხან ახლოვდებოდა, თითქოს ზღვის საზარელი ზვირთივით, ხან კი შორიდან მოისმოდა.

თოფები გატენეს, ყველამ ერთად, აუჩქარებლად. საზეიმო სიდინჯით. ანჟოლრასმა ბარიკადის გარეთ სამი კაცი დააყენა გუშაგად, - ერთი შანვრერის ქუჩაზე, მეორე პრეშერის და მესამე პატარა ტრუანდერის ქუჩის კუთხეში.

მერე კი, როცა ბარიკადების აგება დაასრულეს, ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს, თოფები გატენეს, გუშაგები დააყენეს; მარტონი დარჩნენ ამ საშინელ სიმაგრეში, სადაც გამვლელი არავინ იყო; გარს მაღალი პირქუში სახლები ეხვიათ, რომელთაც ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდათ. უკვე ღამდებოდა,

მთელ სამყაროს მოწყვეტილნი მწუხრის სიბნელეში ეხვეოდნენ და ამ სიბნელესა და სიჩუმეში, რომელშიც რაღაც ტრაგიკულისა და საშინელის მოახლოება იგრძნობოდაყ, აჯანყებულები თავგადადებულნი, შეიარაღებულნი და დამშვიდებულნი ელოდნენ.

## თავი მეექვსე
## მოლოდინში

რას აკეთებდნენ ბრძოლის მოლოდინში?

ესეც უნდათ ვთქვათ, რადგან ეს ისტორიის კუთვნილებაა. იმ დროს, როდესაც მამაკაცები ვაზნებს აკეთებდნენ, ქალები კი ჩვრებს ძენძავდნენ, დიდ ქვაბებში ტყვია და კალა დუღდა ტყვიის ჩამოსასხმელად. და სანამ ბარიკადებს შეიარაღებული გუშაგები უთვალთვალებდნენ და დაუღალავი ანჟოლრასი მათ ამოწმებდა, კომბეფერი, კურფეირაკი, ჟან პრუვერი, ფეიი, ბოსუე, ჟოლი, ბაორელი და რამდენიმე კიდევ სხვა მათი თანამებრძოლი ერთად შეიყარნენ, სწორედ ისე, როგორც ყოველთვის იცოდნენ, მშვიდობიანობის დროს, სტუდენტურად საკამათოდ და დროის გასატარებლად; ამ სამიკიტნოს, უკვე სატუსაღოდ გადაქცეულის, ერთ კუთხეში იყრიდნენ თავს, იქვე, მათ მიერვე აგებული სიმაგრის გვერდით, გატენილი თოფები კედელზე მიეყუდებინათ და - სიჭაბუკე თავისას არ იშლიდა, - სატრფიალო ლექსებს ამბობდნენ სამარის კართან მდგომი ბიჭები.

რა ლექსებს? აი, ერთი:

შენ გახსოვს, გახსოვს ის დრო ნეტარი
როცა სისხლის ჩქეფს, გული გრძნობს ხალისს,
როცა სიცოცხლე ახალგაზრდული
კი არა ჭკნება, ვარდივით ყვავის.
თუმც ტანსაცმელი გაცვეთილია,
გულს ათბობს სხივი
კვლავ ტრფობის მზისა,
რა ხნის ვიყავით, ორივე ერთად
არც ვიქნებოდით ორმოცი წლისა!
სუსხიც მაისად გვეჩვენებოდა,
ტკბილი დრო იყო, როგორც ზღაპარი.
რა კარგი იყო, რა კარგი იყო
ჩვენი უბრალო თავშესაფარი.
ო, ემანუილს, ჩვენს ემანუილს,
დიდება ჰქონდა მაშინ ნამდვილი,
დიდი ზეიმის, დიდი ზეიმის,
პარიზი მაშინ იყო ადგილი.
ფუა გრგვინავდა და ზიმზიმებდა...
როგორც საამო, კარგ მოსაგონარს
ახლაც ვინახავ, ახლაც ვინახავ,
ვინახავ შენი კორსაჟის ზონარს.
უსაქმო ვექილს, მე შენ პრადოში
მაშინ დამყავდი ხშირად სადილად.

მშვენიერებით ვარდსაც ჩრდილავდი,
ვარდზე ლამაზი იყავ ნამდვილად.
„რა ლამაზია! - ამბობდა ყველა, -
რა ლოყები აქვს, თმა - დატალღული!
ჩამოფრენილი ანგელოზია,
ანდა იქნება თვით გაზაფხული!“
ჩვენ ვსეირნობდით, ჩვენ ვსეირნობდით,
ხშირად ხელიხელჩაკიდებულნი.
ყველა ღიმილით შემოგვცქეროდა,
რა კარგი იყო, რა დიდებული!
ეჰ, სიყვარულო, ეჰ სიყვარულო,
შენ აკრძალულო ხილო, ო, ტკბილო!
ხშირად სიტყვის თქმას ვერც კი ვასწრებდი, -
შენ უკვე გულით პასუხს მაძლევდი,
სირდონას მქონდა თავშესაფარი,
თავშესაფარი მშვიდი და წყნარი.
საღ სტუდენტების უბანში მაშინ
ვნების სინაზით ვიყავი მტკბარი,
ახალ, საამო ჩვენს სამყოფელში
ცისკრამდე გვქონდა უტკბესი ძილი.
შენ ლამაზ ფეხებს ათამაშებდი,
როდესაც წინდებს იცვამდი დილით.
ტრფობის ბრწყინვალე ვარსკვლავად ენთე
ჩვენს ჭერს ღარიბულს, ვით ზეცის ტატნობს,
დიდ თაყვანს ვცემდი მალბრანშს და ლამენს
და ვაღმერთებდი მე მაშინ პლატონს.
შენ თაიგული გეჭირა ხელში
და მოდიოდი როგორც მადონა,
რომ ჩემთვის უხვად შემოგეფრქვია
ციურ მშვენების სხივების კონა!
ო, ჩვენი ჭერი! როგორც ქურუმნი,
ერთურთს ვწურავდით ჩვენ გულთა ძგერას,
დილით, როგორც კი წამოვდგებოდით,
დიდხანს გვიყვარდა სარკეში ცქერა.
რა დამავიწყებს შენს სუნთქვას ნეტავ,
ან განთიადით მბრწყინავ ცის დიდ თაღს.
იორდასალამს ქოთანში ჩარგულს,
ჩვენ ვუტოლებდით ედემის დიდ ბაღს.
ჩვენს ფანჯარაზე ფარდის მაგივრად
მოჩანდა კაბა დაკიდებული.
ჩემთვის უბრალო სასმისი მქონდა,
შენთვის ძვირფასი და დიდებული.
და ყველა ამბის, თუნდაც საწყენის,

სიცილი იყო ყოველთვის ბოლო.
ჩვენ შეველიეთ შექსპირის სურათს
ერთი სადილის ფულისთვის მხოლოდ,
სულ ბედნიერნი ვიყავით ასე,
საკუთარ წესით მე კოცნას ვთვლიდი.
წაბლს გემრიელად შევექცეოდით
და მაგიდიდან კი დანტეს ტომს ვთვლიდი.
მახსოვს მხურვალე კოცნის პასუხად
ტუჩზე მომწყვიტე მხურვალე კოცნა,
გაწითლებული, აჭარხლებული,
შეცბუნებული წახვედი მორცხვად.
ან ეს ხალისი, ან ეს ნაღველი,
ან ნაფლეთები იმ თავსაფრისა,
გახსოვს თუ არა, გახსოვს თუ არა
ბედნიერება მსგავსი ზღაპრისა?

საღამო ხანის ბინდი, ეს სიყმაწვილის მოგონებანი, რამდენიმე ვარსკვლავი, რომლებიც ნელ-ნელა გამოჩნდნენ ცაზე, ამ მდუმარე ქუჩების სამარისებური დუმილი, ბრძოლის აუცილებლობა და საშინელება, რომელიც მზადდებოდა და შეიძლებოდა ყოველ წამს ატეხილიყო, მომხიბლავ პათოსს მატებდა ამ ლექსს, ჩუმი ხმით, ჩურჩულით წარმოთქმულს ბნელში ჟან პრუვერის მიერ, რომელიც, უკვე ვთქვით, მგრძნობიარე პოეტი იყო.

ამასობაში პატარა ბარიკადზე ჭრაქი დაანთეს და დიდში კი ერთი ცვილის ჩირაღდანი, რომელსაც ყველგან ნახავს კაცი კარნავალის უკანასკნელ დღეს ნიღბიანებით სავსე ეტლის წინ მიმავალთა ხელში. ეს ჩირაღდანი, როგორც მოგახსენეთ, სენტ-ანტუანის უბნიდან მოიტანეს. რიყის ქვებში ისე ჩაამაგრეს, რომ სამივე მხარეს დაეფარათ ქარისაგან და ისე დაედგათ, რომ მისი სინათლე წითელ დროშას მოჰფენოდა. ქუჩა და ბარიკადები სრულ სიბნელეში იყო და არაფერი ჩანდა გარდა ამ წითელი დროშისა, რომელიც ისე იყო განათებული, თითქოს ერთი დიდი ფარანი დაჰნათოდა.

ეს სხივი უფრო აწითლებდა დროშას და საშინელ მეწამულ ფერს აძლევდა.

## თავი მეშვიდე
## ბიეტის ქუჩაზე შემოერთებული კაცი

მთლად ჩამოღამდა. არავინ მოდიოდა ბარიკადებისაკენ. ზოგჯერ შორიდან ყრუდ და წყვეტილად მოისმოდა სროლა. ეს ხანგრძლივი სიმშვიდე იმისი ნიშანი იყო, რომ მთავრობა დროს იყენებდა და ძალას იკრებდა. ბარიკადებზე ორმოცდაათი კაცი ორი ათას კაცს ელოდა საბრძოლველად.

ანჟოლრასს მოთმინების ძაფი გაუწყდა, რომელსაც განიცდის ძლიერი სულის ადამიანი, როცა სახიფათო კარიბჭეს მიადგება; ადგა და გავროშის სანახავად წავიდა, რომელიც ახლა ქვედა სართულზე, ორი ქონის სანთლით ოდნავ განათებულ დაბალ დარბაზში ვაზნებს ამზადებდა. სავსე ვაზნებს დახლზე ფრთხილად ალაგებდა, რადგან

მაგიდებზე დენთი იყო მიმოფანტული; ამ ორი სანთლის შუქი გარეთ ვერ გამოდიოდა. ზედა ორ სართულზე სანთელი არსად ენთოთ აჯანყებულებს.

შეფიქრიანებული დაუხვდა გავროში, ოღონდ მიზეზი ვაზნები როდი იყო.

ბიეტის ქუჩაზე რომ აჯანყებულებში კაცი გაერია, შესულიყო სამიკიტნოს ქვედა სართულის დახლიან დარბაზში, სადაც გავროში საქმიანობდა, და ბნელ კუთხეში მიკუნჭულიყო; წილად დიდკალიბრიანი თოფი რგებოდა, რომლებიც მუხლებშუა ჩაედო. აქამდე გავროში გართული იყო თავისი „სახალისო“ საქმით და ყურადღებას არ აქცევდა კაცს.

დარბაზში რომ შემოვიდა, მისი თოფით აღტაცებულმა გავროშმა უნებურად თვალი გააყოლა. მერე კი, როდესაც კაცი ტაბურეტზე ჩამოჯდა, ბიჭი ფეხზე წამოვარდა. ამ კაცისთვის ვინმეს თვალი რომ ედევნებინა, სანამ გარეთ იყო, დარწმუნდებოდა, რომ ის დაწვრილებით სინჯავდა ყველაფერს ბარიკადებზე, უცნაურად აკვირდებოდა აჯანყებულებს; მაგრამ ახლა დარბაზში ჩაფიქრებული იჯდა, თითქოს აღარაფერს ხედავს და არც ესმისო. გამენი მიუახლოვდა ჩაფიქრებულ კაცს, ხან აქედან მოუვლიდა ფეხის წვერებზე, ხან იქიდან. გარს დასტრიალებდა ფრთხილად, სწორედ ისე, როგორც მძინარე ადამიანის გაღვიძებას ერიდებიან. ამავე დროს ბავშვური სახე, ასე დარბაისლური და თან თავხედური, ასე უზრუნველი და ღრმად მოაზროვნე, ასე მხიარული და თან დაჩაგრული, ისე ეცვლებოდა, თითქოს ამბობდა:

- რა ვქნა? შეუძლებელია! თვალი მატყუებს! მელანდება! იქნება მართლა? არა, ის არის! ის არის, ისა!

ირწეოდა გავროში ფეხის ქუსლებზე, ხელს მუშტად კრავდა ჯიბეში, ჩიტივით იქნევდა კისერს. განცვიფრებული იყო, საგონებელში ჩავარდნილი, გულშეუჯერებელი, მამხილებელი, ელდანაკრავი. საჭურისების უფროსს მოგაგონებდათ, ტყვეებისა და მონების მოედანზე, რომელსაც გასაყიდ უშნოდ ჩასუქებულ გოგოებში ვენერა აღმოუჩენია, ან კიდევ მხატვრობის მცოდნეს, რომელმაც ძველმანებში რაფაელის სურათი იპოვა. ყველაფერი ამოძრავდა ბიჭის არსებაში: ინსტინქტმა რაღაც უკარნახა, გონებაში რაღაცას წონიდა. ცხადი იყო, გავროშს რაღაც აღმოჩენა გაეკეთებინა.

ამ დროს ანჟოლრასი მიუახლოვდა და უთხრა:

- შენ პატარა ხარ, ვერ დაგინახავენ, გადი ბარიკადებთან, სახლებს ჩაჰყევი, ქუჩები დაათვალიერე და მალე დაბრუნდი. რასაც ნახავ და გაიგონებ, ყველაფერი მითხარი.

გავროში გამოიჭიმა:

- მაშ, პატარებიც ვარგებულან კაი საქმისთვის! რა ბედნიერებაა! ახლავე გიახლებით, მაშასადამე, ენდეთ პატარებს და ერიდეთ დიდებს.

ბიჭმა თავი მაღლა აიღო, ხმა დაიდაბლა და ჩურჩულით დაუმატა, თან იმ კაცზე ანიშნა:

- აი, იმ ახმახს ხედავთ?

- მერე რა?

- ჯაშუშია.

- დარწმუნებული ხარ?

- ორი კვირა არ იქნება, რაც ყურში მტაცა ხელი და ხიდის ლავგარდანიდან ჩამომაგდო. მცხელოდა და გასაგრილებლად ავძვერი.

ანჟოლრასმა იქვე მიატოვა პატარა ბიჭი და რაღაც წასჩურჩულა ერთ მუშას, რომელიც გარეთ გავარდა. თითქმის მაშინვე დაბრუნდა და თან სამი თოფიანი კაცი შემოიყვანა. ზორბა ბიჭები იყვნენ ოთხივე, მხარბეჭიანები, მტვირთავები; ისე მიუახლოვდნენ განცალკევებულად მჯდარ, ჩაფიქრებულ უცხოს, ბიეტის ქუჩაში რომ შეუერთდა აჯანყებულთ, თითქოს დასასვენებლად შესულიყვნენ. მივიდნენ, გარს შემოეხვივნენ, ეტყობოდათ, მზად იყვნენ, ყელში სწვდომოდნენ.

მაშინ ანჟოლრასი მიუახლოვდა და ჰკითხა:

- თქვენ ვინა ხართ?

ამ მოულოდნელ კითხვაზე კაცი წამოხტა. ანჟოლრასს თვალი თვალში გაუყარა და მისი თვალების სიღრმეში ამ კითხვის ფარული აზრი ამოიკითხა, გაიცინა ზიზღით, გაბედულად და მედიდურად უპასუხა:

- ვიცი, რაც გნებავთ, დიახ, ასეა.

- ჯაშუში ხართ?

- მე ჩვენი მთავრობის მოხელე ვარ.

- თქვენი სახელი?

- ჟავერი.

ანჟოლრასმა რაღაც ანიშნა ოთხ კაცს და ჟავერმა მობრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ თვალის დახამხამებაში ხელფეხშეკრული, ძირს გართხმული და გაჩხრეკილი იყო. ჯიბეში ვინაობის დამადასტურებელი ბარათი უპოვეს, მრგვალი, ორ მინას შუა ჩაკრული, რომელსაც ერთ მხარეს საფრანგეთის გერბი ეხატა, წარწერით „ზედამხედველობა და სიფხიზლე“, და მეორე მხარეს კი „პოლიციის მოწმობა; ჟავერი, პოლიციის ინსპექტორი, ორმოცდათორმეტი წლის“, - ქვემოთ კი მაშინდელი პოლიციის პრეფექტ ჟისკეს ხელმოწერა იყო.

გარდა ამისა, ქისა უპოვეს, შიგ რამდენიმე ოქრო და საათი; ორივე ჯიბეში ჩაუდეს. საათის უკან, ჟილეტის ჯიბეში, ქაღალდი მიემალა. ანჟოლრასმა მაშინვე გაშალა და წაიკითხა თვით პოლიციის პრეფექტის ხელით დაწერილი ხუთი სტრიქონი:

„როგორც კი შეასრულებს თავის პოლიტიკურ დავალებას, ინსპექტორი ჟავერი გამოიკვლევს და შეამოწმებს, რამდენად მართალია ცნობა, რომ ბოროტმოქმედთა კვალი აღმოჩენილია აგრეთვე სენის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე, იენის ხიდის ახლოს“.

ჟავერი გაჩხრიკეს და წამოაყენეს. ხელები ზურგს უკან შეუკრეს და მაგრად მიაბეს ქვედა სართულის დარბაზის შუაში ამართულ სახელოვან ბოძს, რომელმაც ოდესღაც თავისი სახელი მისცა სამიკიტნოს.

გავროშიც იქვე ტრიალებდა, თვალს ადევნებდა ამ სცენას, ამართლებდა და თავის დაქნევით ადასტურებდა ანჟოლრასის ყოველ განკარგულებას. მერე მიუახლოვდა ჟავერს და უთხრა:

- დღეს კი თაგვმა დაიჭირა კატა.

ისე სწრაფად მოხდა ყოველივე ეს ჩხრეკა-ძიება და ისე სწრაფად გათავდა, რომ გარეთ მყოფ ხალხს არაფერი გაუგია. ჟავერს ერთხელაც არ დაუყვირია. რომ გაიგეს, ჟავერი გაუბაწრავთ და ბოძზეა მიკრულიო, მიირბინეს კურფეირაკმა, ბოსუემ, ჟოლიმ, კომბეფერმა, მათ თან მოჰყვნენ ორივე ბარიკადზე გაფანტული ბიჭებიც. ჟავერს, რომელიც ისე მაგრად მიეკრათ ბოძზე, რომ განძრევა აღარ შეეძლო, თავი იმ

ადამიანის აღუშფოთებელი სიმშვიდით ეჭირა, რომელსაც თავის დღეში ტყუილი არ უთქვამს.

- ჯაშუშია, - თქვა ანჟოლრასმა.

მერე ჟავერს მიუბრუნდა:

- თქვენ დაგხვრეტენ. მხოლოდ ათი წუთი რომ დაგვრჩება ბარიკადის დაკარგვამდე, დაგხვრეტთ და ისე წავალთ.

ბრძანების კილოთი უპასუხა ჟავერმა:

- და რატომ ამწამსვე არა?

- თოფისწამალს ვუფრთხილდებით.

- დანას ვერ დამკრავთ, რომ გამათავოთ?

- ჯაშუშო! - უთხრა მშვენიერმა ანჟოლრასმა, - ჩვენ მსაჯულები ვართ და არა ჯალათები.

მერე გავროშს დავუძახა:

- შენ კი წადი შენს საქმეზე. წადი, შეასრულე რაც დაგავალე.

- მივდივარ! - შეჰყვირა გავროშმა, მაგრამ წამით შედგა და სთხოვა:

- მართლა, ამ ვაჟბატონის თოფი მე უნდა მომცეთ. მებუკეს თქვენ გიტოვებთ, მაგრამ ბუკი ჩემთვის მინდა.

მხედრული სალამი მისცა და მხიარულად გავარდა დიდი ბარიკადის გასასვლელით.

## თავი მერვე

### რამდენიმე კითხვის ნიშანი ვიღაც კაბუკის შესახებ, რომელიც იქნებ კაბუკი არც კი იყო

ის ტრაგიკული სურათი, რომლის დახატვასაც ვცდილობთ, სრული არ იქნება და მკითხველი ვერ დაინახავს მთელი სისრულითა და რეალობით იმ დიად წამებასა და კრუნჩხვას სოციალური მშობიარობისა და რევოლუციური განახლებისა, თუ გამოვგრჩა ერთი გარემოება, სავსე ეპიკური საშინელებით, რომელიც იქვე მოხდა, მაშინვე, გავროშის წასვლის შემდეგ.

ხალხის თავშეყრა, როგორც ვიცით, მთიდან დაშვებულ ზვავს ჰგავს; იგი სწრაფად იზრდება. ერთმანეთს არავინ ეკითხება, ვინ ხარ, საიდან მოდიხარო? დილით, როცა ანჟოლრასმა, კომბეფერმა და კურფეირაკმა მუშები შეკრიბეს და წინ გაუძღვნენ, ერთი კაცი გაერია მათში, მტვირთავის გაცვეთილსამოსიანი, რომელიც სულ რაღაცას გაჰყვიროდა, ხელებს იქნევდა და იერით ნადირს ჰგავდა, ან მთვრალსა და გიჟს. ამ კაცს, რომელსაც კაბუკს ეძახდნენ ან თავად წარუდგა ასე ყველას, იქ მყოფი არავინ იცნობდა. ძალიან მთვრალი იყო ან ცდილობდა, მთვრალად მოსჩვენებოდა ყველას. სხვებთან ერთად გამოიტანა სამიკიტნოდან მაგიდა, მიუსხდნენ და სმა დაიწყეს. კაბუკი ყველას ასმევდა და თვითონ კი თვალს არ შორებდა იქვე ახლო ამართულ ექვსსართულიან სახლს, მთლად ჩაბნელებულს, რომელიც მედიდურად დასცქეროდა ამ ქუჩას და მეორე მხარეს სენ-დენის ქუჩაზე გადიოდა. უცბად კაბუკმა შესძახა:

- ძმებო, იცით, რა გითხრათ? თუ სროლა გვინდა აი, ამ სახლიდან ვისროლოთ. იქ რომ ჩავსაფრდეთ, ორმხრივად მაღალ კოშკში, ეშმაკიც ვეღარ გაბედავს ამ ქუჩებში შემოსვლას.

- კარგი, მაგრამ სახლი რომ დაკეტილია? - უთხრა ერთმა მუშამ.

- დავაკაკუნოთ.

- არ გაგვიღებენ.

- შევამტვრიოთ.

კაბუკი წამოვარდა, მივარდა იმ სახლის კარიბჭეს, რომელსაც დიდრონი ჩაქუჩი ეკიდა და დაჰკრა. კარი არავინ გაუღო. მეორედაც დაჰკრა. პასუხი ისევ არავინ გასცა. მესამედ, კიდევ უფრო მაგრად, იგივე დუმილი.

- არის ვინმე ამ სახლში? - შეჰყვირა კაბუკმა.

არავითარი პასუხი.

თოფი აიტაცა და დაჰკრა და დაჰკრა კარს კონდახი. ძველებური, მაგარი კარი იყო, წინ გამოზნექილი, დაბალი, ვიწრო, მუხის, შიგნიდან რკინით აკრული, ნამდვილი მოძრავი კარი ციხესიმაგრისა. კონდახის ცემა სახლს აზანზარებდა, მაგრამ კარს კი ვერაფერს აკლებდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იყვნენ დამფრთხალი სახლის მობინადრენი. მეოთხე სართულის ერთ პატარა ოთხკუთხა სარკმელში სინათლე გამოკრთა, სარკმელი გაიღო და გამოჩნდა ჯერ სანთელი, მერე კი ერთი შეშინებული მოხუცის ჭაღარა თავი. ამ სახლის მეკარე უნდა ყოფილიყო.

კაბუკმა კარის მტვრევას თავი დაანება.

- რა გნებავთ, ბატონებო? - ჩამოსძახა მეკარემ.

- გააღე! - დაუყვირა კაბუკმა.

- შეუძლებელია, ბატონებო.

- გააღე-მეთქი!

- არ შემიძლია, ბატონებო.

კაბუკმა თოფი მხარზე მიიდო და მეკარეს დაუმიზნა, მაგრამ ძირს იდგა, სიბნელეში და მეკარე მას ვერ ხედავდა.

- ჰა, გააღებ თუ არა კარს! ჰო თუ არა?

- ვერა, ბატონებო, ვერ გავაღებ.

- მაშ, არა?

- არ შემიძლია, ჩემო კეთილო...

სიტყვა ვეღარ დაამთავრა უბედურმა: თოფი გავარდა, ტყვია ნიკაპქვეშ მოხვდა, კეფაში გაუარა და კისრის ვენა გაუგლიჯა. მოხუცმა ხმის ამოღებაც ვეღარ მოასწრო, იქვე ჩაიკეცა უსულოდ, სანთელი ძირს ჩამოვარდა და ჩაქრა. აღარაფერი ჩანდა, გარდა სარკმელში გადმოკიდებული უძრავი ჭაღარა თავისა და ზევით მიმავალი მოთეთრო კვამლისა.

- ესეც ასე! - დაიძახა კაბუკმა და თოფი ძირს დაუშვა.

ესა თქვა და იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა, ისე მაგრად ჩაუჭირა თითები, თითქოს ორბის ბრჭყალები ყოფილიყოს. მერე გაიგონა ბრძანება:

- დაიჩოქე!

მკვლელი მოტრიალდა. გაფითრებული, გაბრაზებული ანჟოლრასი ჩასჭიდებოდა მხარში. მეორე ხელში რევოლვერი ეჭირა.

როგორც კი სროლის მხა მოესმა, ანჟოლრასი მაშინვე იქ გაჩნდა.

- დაიჩოქე-მეთქი!

დიდი ვაუკაცის ძალით დააწვა ამ ოცი წლის სუსტი ჭაბუკის ხელი ჯმუხ, ღონიერ მტვირთავს და შიგ ტალახში ჩააჩოქა. კაბუკმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, თითქოს ზეადამიანმა დასცაო ძირს.

ანუოლრასს მშვენიერი ქალივით ლამაზი სახე გაჰფითრებოდა, გულგაღეღილი იყო და ანტიკურ თემიდას ჰგავდა. ნესტოები დაჰბეროდა, თვალები ძირს დაეხარა და მის ბერძნულ პროფილს იმ რისხვისა და უბიწოების გამომეტყველება მიეღო, რომელსაც ძველ დროს მართლმსაჯულების ღმერთქალს აკუთვნებდნენ.

რაც კი ბარიკადებზე ხალხი იყო, ანუოლარს შემოხვეოდა გარს, ოღონდ ცოტა მოშორებით. მდუმარედ შეჰყურებდნენ, ალბათ, ხვდებოდნენ, რომ შეუძლებელი იყო რისამე თქმა და მართლმსაჯულებისა და მკვლელის საქმეში ჩარევა.

დამარცხებული კაბუკი აღარც კი ცდილობდა თავის შველას, მხოლოდ თავით ფეხამდე კანკალებდა. ანუოლარსმა ხელი გაუშვა და საათი ამოიღო:

- გონება მოიკრიბე, ჩაუფიქრდი შენს საქციელს. თუ გინდა, ილოცე, ერთი წუთი მომიცია.

- შემიბრალეთ, - შეევედრა კაბუკი, მერე თავი ჩაჰკიდა და რაღაც წყევლა თუ გინება წაიბურტყუნა.

ანუოლრასი თვალს არ აშორებდა საათს. წუთი რომ გავიდა, ჯიბეში ჩაიდო, ხელი სტაცა კაბუკს, მუხლებზე რომ ეხვეოდა ბღავილით, და ყურთან მიადო რევოლვერის ტუჩი. ბევრი ერია ამ ხალხში უშიშარი, სრულიად გულმშვიდად რომ ჩაერეოდნენ მომაკვდინებელ ცეცხლსა და ბრძოლაში, მაგრამ ამას კი თვალი აარიდეს.

დამბაჩა გავარდა. კაბუკი პირქვე დაეცა და შუბლი მიწას დაარტყა. ანუოლრასმა თავი ასწია და თავისი რწმენით სავსე მკაცრი თვალი მოავლო ხალხს.

მერე ფეხი წაჰკრა მოკლულს და ბრძანა:

- გარეთ გადააგდეთ!

სამმა კაცმა ასწია არამზადის გვამი, რომელიც უკანასკნელი თრთოლით ეჭიდებოდა სიცოცხლეს, და პატარა ბარიკადის კედლიდან გადააგდეს, მონდეტურის ქუჩაზე.

ანუოლრასი ჩაფიქრებული იჯდა, ვინ იცის, რა საზარელი წყვდიადი ერეოდა იმ დროს ადამიანისადმი სიყვარულით სავსე მის სულსა და გულს; უცბად ხმა ამოიღო, მიჩუმდა ყველა:

- ამხანაგებო, - თქვა ანუოლრასმა, - ამ კაცმა საშინელება ჩაიდინა და მეც არანაკლები საშინელება ჩამადენინა. იმან კაცი მოკლა და ამიტომ მე ის მოვკალი. იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, რადგან აჯანყებას წესრიგი, დისციპლინა სჭირდება. მკვლელობა აქ უფრო დასასჯელია, ვიდრე სადმე სხვაგან.

ჩვენ თავს დაგვცქერის რევოლუცია, ჩვენ რესპუბლიკის ქურუმები ვართ, მოვალეობის მსხვერპლნი და ისე უნდა ვიბრძოლოთ, რომ არავის შეეძლოს ჩვენი წმინდა ბრძოლის რაიმეში გამტყუნება. მეც განვსაჯე ამ კაცის დანაშაული და სიკვდილით დასჯა გადავუწყვიტე. რაც შემეხება მე, ვიმეორებ, იძულებული ვიყავი, მეც ის ჩამედინა, რისთვისაც ის დავსაჯე; ამიტომ ჩემი საქციელიც განვსაჯე და ახლავე ნახავთ, რა სასჯელიც გადავუწყვიტე ჩემს დანაშაულს.

ყვლა აკანკალდა.

- ჩვენც წილი გვიდევს შენს დანაშაულში და შენს სასჯელშიც.

- აგრე იყოს, - მიუგო ანჟოლრასმა, - ის უბედური რომ დავსაჯე, საჭიროებას ვემორჩილებოდი, მაგრამ საჭიროება ძველი ცხოვრების ურჩხულია, საჭიროებას ბედისწერა ჰქვია სახელად. ჰოდა, პროგრესი მოითხოვს, - ეს პროგრესის კანონია, - რომ ეს ურჩხულები გაქრნენ ანგელოზთა წინაშე. ამჟამად როგორღაც არ მეხერხება სიტყვა „სიყვარულის“ წარმოთქმა, მაგრამ რა გაეწყობა, ვიტყვი და დიდებით ვმოსავ. მომავალი შენ გეკუთვნის, სიყვარულო! შენ გიხმობ, სიკვდილო, მაგრამ მეზიზღები. მომავალში, მოქალაქენო, აღარც წყვდიადი იქნება, აღარც ბოროტება, აღარც სისხლით გაუმაძღარი გაუნათლებლობა, აღარც სისხლის ძიება, რადგან აღარ იქნება ავი სული და აღარც მთავარანგელოზი. განათლდება ქვეყანა, მხოლოდ სიყვარულით იხელმძღვანელებს კაცობრიობა. მოქალაქენო, დაგვიდგება ის დღე, როდესაც ყველგან ჰარმონია, სინათლე, სიხარული, სიცოცხლე და თანხმობა იქნება; დაგვიდგება ის დღე და იმის დასაჩქარებლად, იმის მალე განსახორციელებლად და მისაღწევად არის, რომ თავგანწირვით ვიბრძვით და კიდეც დავიხოცებით.

ანჟოლრასი დადუმდა. ქალწულური ბაგე მოკუმა და მარმარილოსავით უძრავი ცოტა ხანს იქ იდგა, სადაც ადამიანის სისხლი დაღვარა. მისი ჩაფიქრებული, მწუხარე მზერის შემყურე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ამხანაგები.

ჟან პრუვერმა და კურფეირაკმა ხმის ამოუღებლად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. იდგნენ ბარიკადებთან და აღტაცებითგა და თანაგრძნობით შესცქეროდნენ ამ უმწიკვლო პატიოსნების ახალგაზრდას, - ჯალათსა და მოძღვარს, ბრძოლის სინათლესა და იმავდროულად, სალ კლდეს.

ახლავე ვთქვათ, რომ მოგვიანებით, ბრძოლის შემდგომ, როდესაც საცხედრეში მიიტანეს დახოცილები და გაჩხრიკეს, კაბუკის ჯიბეში იპოვეს პოლიციის მიერ გაცემული ვინაობის დამადასტურებელი ბარათი. 1848 წელს ამ წიგნის ავტორს ხელთ ჰქონდა პოლიციის პრეფექტისათვის ამ საგნის შესახებ 1832 წელს წარდგენილი სპეციალური მოხსენება.

იმასაც დავძენ, რომ თუ შეიძლება ვენდოთ პოლიციის ერთ უცნაურ, მაგრამ საფუძვლიან ცნობას, კაბუკი კლაკსუ იყო. ერთი სრულიად საფუძვლიანი გარემოებაც არის აღსანიშნავი, სახელდობრ ის, რომ მას შემდეგ, რაც კაბუკი მოკვდა, ხსენება აღარსად ყოფილა კლაკსუსი. გაქრა კაცი, არავითარი კვალი აღარ დარჩა მისი სიკვდილის შესახებ, თითქოს უხილავს შეერწყა, შიგ განზავდა.

აჯანყებულები ჯერ ისევ ასე სწრაფად განხილული ამ ტრაგიკული დანაშაულის განსჯით და სწრაფადვე გასრულებული დამნაშავის დასჯით იყვნენ აღელვებულნი, როდესაც კურფეირაკმა დაინახა ბარიკადზე დილას ნანახი ჭაბუკი, რომელიც მარიუსის სანახავად მივიდა მასთან.

ეს ყმაწვილიკაცი, ერთი შეხედვით ყოჩაღი და უზრუნველი, დაღამებისთანავე აჯანყებულებთან მივიდა დასახმარებლად.

## წიგნი მეცამეტე
## მარიუსი წყვდიადში შედის

### თავი პირველი
### პლუმეს ქუჩიდან სან-დენის უბნისაკენ

ხმა ბინდბუნდში, რომელმაც შანვრერის ქუჩის ბარიკადებზე უხმო, მარიუსმა ბედისწერის მოწოდებად მიიღო. სიკვდილს ნატრობდა და საუკეთესო შემთხვევა მიეცა, - სამარის კარზე აკაკუნებდა და ვიღაც სიბნელიდან გასაღებს აწვდიდა. ეს ავის მომასწავებელი გამოსავალი, რომელიც მოულოდნელად გამოუხტება წყვდიადიდან სასოწარკვეთას, მუდამ ცდუნებით არის სავსე. მარიუსმა გასწი-გამოსწია მესრის ფიცრები, გავიდა ბაღიდან და შესძახა:

- მაშ, გავწიოთ!

დარდისგან გულგასენილს რაიმე მტკიცე გადაწყვეტილების მიღების ძალა აღარ ჰქონდა. ამ ორი თვის ნეტარების, ამ სიყვარულითა და სიყმაწვილით დამტკბარი ბედნიერების შემდეგ სხვას ვერაფერს შეურიგდებოდა, სასოწარკვეთილს თავისი ოცნებისა და მომავლის ასე უკვალოდ დაკარგვით ერთადერთი რამ ენატრებოდა, - როგორმე ბოლო მოღებოდა მის სიცოცხლეს.

სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას. თან ჟავერის დამბაჩებიც ედო ჯიბეში.

ამ ამბის მომტან ახალგაზრდას შორს კი მოჰკრა თვალი, მაგრამ ვეღარ დაეწია.

პლუმეს ქუჩიდან ბულვარზე გავიდა, გადაჭრა ესპლანადი და ინვალიდების ხიდი, ელისეს მინდორი, ლუი XV-ის მოედანი და რივოლის ქუჩაზე გავიდა. სამიკიტნოები ღია იყო. თაღებქვეშ გაზის ფარნები აენთოთ. ქალები ათას რამეს ყიდულობდნენ, კაფე „რეტერში“ ნაყინსა და ნამცხვარს კი ინგლისურ საკონდიტროში მიირთმევდნენ. უცნაური ის იყო მხოლოდ, რომ „პრენსისა“ და „მერისის“ სასტუმროებიდან საჩქაროდ მიქროდა რამდენიმე ეტლი.

მარიუსი დელორმის ქუჩით გავიდა სენტ-ონორეს ქუჩაზე: აქ სამიკიტნოები დაეკეტათ და დარაბებიც მიეხურათ. სამიკიტნოების ოდნავ შეღებულ კარებთან ვაჭრები ბაასობდნენ. ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა, ყველგან ფარანი ენთო, მეორე სართულიდან დაწყებული სახლები განათებული იყო. პალე-რუაიალის მოედანზე ცხენოსანი ჯარი ჩაეყენებინათ.

მარიუსი სენტ-ონორეს ქუჩაზე გავიდა. რაც უფრო შორდებოდა პალე-რუაიალს, მით უფრო და უფრო მცირდებოდა განათებული ფანჯრები. სამიკიტნოები დაკეტილი იყო, აღარსად ჩანდნენ ქუჩაში მოლაპარაკენი, ქუჩა უფრო და უფრო ბნელდებოდა და იმავე დროს ხალხს ემატებოდა; გამვლელები თითო-ოროლა კი არა, ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. მოლაპარაკეს ვერავის დაინახავდით, მაგრამ ჩუმი, ყრუ გუგუნი გამოდიოდა ხალხიდან.

არბრ-სეკის შადრევნისკენ მიმავალ გზაზეც ხალხი იყო, ოღონდ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, უძრავად, პირქუშნი, და გამვლელ-გამომვლელს შორის მდინარის ნაკადში ქვებს მოგაგონებდნენ.

პლუვერის ქუჩის დასაწყისშიც უამრავი ხალხი იდგა. გავლა შეუძლებელი იყო. ეს იყო მკვრივი, მასიური ლოდი, თითქმის შეუვალი. ჩუმად ლაპარაკობდნენ. აქ აღარც სერთუკი ჩანდა და აღარც მრგვალი ქუდი. მუშური ტანისამოსი ეცვა ყველას, ხალათები; მუშური ქუდი ეხურათ და ისიც ყველას არა, ჭუჭყიანი თმა აჰბურძგნოდათ. ღამის სიბნელეში ყრუდ ღელავდა ხალხი. მისი ჩურჩული მოახლოებული განსაცდელის ნიშანი იყო. თუმცა არ მიდიოდნენ, მაინც ისმოდა იმ ტალახში ფეხის ხმა. ამ ხალხის იქით, რულის, პრუველისა და სენტ-ონორეს ქუჩების გაყოლებაზე, ყველა ფანჯარა ჩაბნელებულიყო. ქუჩების გასწვრივ ფარნის ბოძების შორეული მწკრივი ისე მოჩანდა, თითქოს ერთმანეთს მიჰკვრიანო. იმ დროის ფარნები დიდ,

წითელ ვარსკვლავებს ჰგავდნენ, გაჭიმულ თოკზე ჩამოკიდებულს, და ვეება ობობას მსგავს ჩრდილს სცემდნენ მიწას. ამ ქუჩას უკაცრიელი არ ეთქმოდა, მაშინვე შეამჩნევდით უნაგირებზე თოფებს, მოქანავე ხიშტებსა და ჯარს. ვერც ერთი ცნობისმოყვარე ვერ გადალახავდა საზღვარს, რომლის იქით მოძრაობა შეწყვეტილიყო. ამ საზღვარზე მთავრდებოდა ბრბო და იწყებოდა არმია.

მარიუსს ენატრებოდა სიკვდილი ისე, როგორც ადამიანს, რომელსაც საიმედო აღარაფერი დარჩენია. უხმეს და ისიც უნდა წასულიყო. მოახერხა და იმ ბრბოშიც გაიარა, ჯარის სადგომშიც და გუშაგებსაც ისე შორს მოუარა, რომ ვერ შენიშნეს, ბეტიზის ქუჩაზე გავიდა, იქიდან ბაზარში. ბურდონეს ქუჩის კუთხეში ფარანი არ ენთო.

ხალხის ბრბოსაც ჩაუარა, ჯარით გავსებულ ქუჩებსაც და საშინელ დღეში ჩავარდა. აღარც გამვლელ-გამომვლელი ჩანდა, აღარც ჯარისკაცი, აღარც სინათლე; აღარავინ! მარტოობა, დუმილი, ბნელი ღამე; ცივი ჟრუანტელი უვლიდა ტანში, ნებისმიერ ქუჩაზე გასვლა სარდაფში ჩასვლას უდრიდა.

მაინც მიდიოდა.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა. ვიღაცამ ჩაურბინა. კაცი იყო? ქალი? ერთი იყო თუ რამდენიმე? ამის პასუხს ვერ მოგცემდათ მარიუსი. გაუარა და გაქრა სიბნელეში.

ხან აქეთ ჩაუხვია, ან იქით, იმდენი იარა, რომ ერთ პატარა ქუჩაზე გავიდა, რომელიც პოტერის ქუჩად ეჩვენა. შუამდე რომ მივიდა, წინ რაღაც აეტუზა. ხელები გაიწვდინა, სინჯვა დაუწყო. გადაბრუნებული ეტლი ყოფილა; ფეხი გუბეში ჩაუვარდა. ქუჩა გადათხრილი იყო, ქვაფენილი - ამოყრილი; ბარიკადის შენება დაეწყოთ და თავი მიენებებინათ. ქვის გროვაზე აძვრა და მეორე მხარეს გადავიდა. გაიხედა, წინ, ცოტა მოშორებით, რაღაც თეთრი დაინახა. მიუახლოვდა. ის ორი ცხენი იყო, ამ დილას ბოსუემ რომ გამოუშვა ომნიბუსიდან, მთელი დღე უპატრონოდ ევლოთ ქუჩიდან ქუჩაზე და ბოლოს იქ გაჩერებულიყვნენ პირუტყვის მწარე მოთმინებით, რომელსაც ისევე არ ესმის ადამიანის მოქმედება, როგორც ადამიანს განგებისა.

ცხენები უკან მოიტოვა. ის იყო, ერთ ქუჩას მიაღწია, რომელიც კონტრა-სოსიალის ქუჩად ეჩვენა, თოფი გავარდა სადღაც, სულ ახლოს ჩაუარა ტყვიამ და იქვე, მის ზემოთ, სადალაქოს კედელზე ჩამოკიდებულ წვერის საპარსად სახმარ ტაშტს მოხვდა. 1846 წელს აქ ჯერ კიდევ ეკიდა ტყვიით გახვრეტილი ტაშტი.

მაშ, კიდევ იყო სადღაც სიცოცხლე. ეს თოფი რომ გაისროლეს, მას შემდეგ აღარავინ და აღარაფერი შეხვედრია.

ისე გამოიარა მთელი გზა, თითქოს წყვდიადში ჩადიოდა შავი კიბის საფეხურებით.

მაინც სულ წინ მიიწევდა მარიუსი.

## თავი მეორე
## პარიზი ბუს ფრენის სიმაღლიდან

საზარელ სურათს დაინახავდა იმ ღამეს პარიზში არსება, რომელიც შეძლებდა ცაში აფრენას ღამურას ან ბუს ფრთებით.

ცენტრალური ბაზრის ძველი კვარტალი, სენ-დენის, სენ-მარტენის ქუჩებითა და ათასი პატარა, ვიწრო ქუჩით გადაკვეთილი, თითქოს ქალაქი იყოს ქალაქში, ისე მოეჩვენებოდა ამ ფრთოსან არსებას, როგორც ერთი დიდი შავი ორმო, პარიზის შუაგულში ამოთხრილი. აქ იყო აჯანყებულთა იარაღის საწყობი და სანგარი.

უფსკრულად ეჩვენებოდა ეს უბანი, ფარანი არსად ენთო, დაემტვრიათ, ფანჯრები მთლად ჩამობნელებულიყო. შეწყვეტილიყო ყოველგვარი სინათლე, ყოველგვარი ხმაური, ყოველგვარი მოძრაობა, ყოველგვარი სიცოცხლე. აჯანყებულთა მზირები იდგნენ ყველგან, მაგრამ უხილავნი, და ისინი ამყარებდნენ ღამის წესრიგს. აჯანყების ტაქტიკა საჭიროებს მცირერიცხოვან მებრძოლთა ყოვლისმომცველ წყვდიადში დამალვას და სიბნელის წყალობით მცირერიცხოვანი რაზმი მრავალრიცხოვნად გეჩვენება. როგორც კი დაბნელდა, საცა კი ფანჯარაში სინათლე გამოჩნდა, მაშინვე ტყვია ეძგერა. სანთელი ქრებოდა და ხანდახან პატრონიც თან მისდევდა. ამიტომ იყო, რომ აღარავინ ჭაჭანებდა, თითქოს ამომწყდარიყო უბანი. შიშის მეტი აღარაფერი დარჩენილიყო და მასთან ერთად გლოვა და გარინდება გამეფებულიყო ყოველ სახლში; ქუჩებშიც ჩაბნელებულიყო ყველაფერი, სახლების მწკრივად დატანებული ფანჯრები, სართულები, სახურავები და საკვამლე მილები; ზემოდან მაყურებელ თვალს ამ წყვდიადში იქნებ ალაგ-ალაგ შეენიშნა ძნელად გასარჩევი დაკლაკნილ-დაღრეცილი უცნაური ხაზები, გასაოცარი შენობები, თითქოს ბნელს სინათლე შეჰპარვია და ფრთხილად მიდი-მოდის ამ ნანგრევების მსგავს შენობაშიო. ეს იყო ბარიკადები. დანარჩენი ტბა იყო სიბნელისა, - პირქუში, მძიმე, მომაკვდინებელი, რომლის ზემოდან ამართულიყო უძრავად და მწუხარედ სენ-ჟაკის კოშკი, სენ-მერის ეკლესია და ორი-სამი კიდევ სხვა იმ დიდებულ შენობათაგანი, რომლებიც ადამიანის თვალს ბუმბერაზებად ეჩვენება და ღამე კი მოჩვენებად გარდაქმნის.

იმ მიყრუებული, სიმშვიდის დამრღვევი უბნის გარშემო უბნებში, სადაც პარიზული მიმოსვლა ჯერაც არ შეწყვეტილიყო და აქა-იქ კიდევ ძუნწად იყო განათებული, ზეციდან მაყურებელი დაინახავდა იარაღის ლითონისებურ ბზინვარებას, გაიგონებდა ხმლისა და ხიშტის წკარუნს, ზარბაზნების თვლების ყრუ გრუხუნს და ჯარის ჩუმ ფუთფუთს, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა; ეს იყო მრისხანე ქამარი, რომელიც უფრო და უფრო ეჭირებოდა აჯანყებულებს.

აჯანყებულების მიერ გამაგრებული უბანი საშინელ მღვიმეს ჰგავდა, - მიძინებულს, უძრავს და როგორც ვთქვით, რომელი ქუჩიდანაც კი შევიდოდა კაცი, სიბნელის მეტს ვერაფერს ნახავდა.

ეს სიბნელეც საშინელი იყო, სავსე მახეებით, მოულოდნელი საშიში შეხვედრებით; საშინელი იყო იქ შესვლა და უფრო საშინელი - დაყოვნება;

შემსვლელები შიშით კანკალებდნენ მათ წინაშე, ვინც მათ ელოდნენ, და მომლოდინენი კი მომსვლელთა წინაშე. ამ ქუჩებში ყველგან ჩასაფრებულიყვნენ და მიმალულიყვნენ სულგანაბული მებრძოლნი. სხვა სინათლის იმედი აღარ იყო, გარდა თოფის სროლის სინათლისა და სხვა შეხვედრისა, თუ არა წამის უსწრაფეს სიკვდილთან. სად? როგორ? როდის? ეს არავინ იცოდა, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო და აუცილებელი. ამ საბრძოლველად ამორჩეულ უბანში, სიბნელეში, იარაღით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს მთავრობა და აჯანყებულები, ეროვნული გვარდია და ხალხი, ბურჟუა და მუშა; ამის აუცილებლობა ცხადი გამხდარიყო, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. ამ ბრძოლიდან ან გამარჯვებული უნდა გამოსულიყვნენ, ან იქვე დახოცილიყვნენ, - ეს იყო ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი. მდგომარეობა ისეთი უკიდურესი გამხდარიყო, წყვდიადი ისე ძლიერი, რომ მხდალთაც კი გაიმაგრეს გული, მამაცნი კი იარაღს ისხამდნენ.

ორივე მხარეს ერთი და იგივე გაშმაგება, გამძვინვარება და გამბედაობა გაბატონებულიყო. ერთი მხარისთვის სიკვდილს ნიშნავდა წინ წაწევა და კაცი არ იყო, უკან დახევა ფიქრად მოსვლოდა; მეორე მხარისთვის აქ დარჩენა სიკვდილს ნიშნავდა, და კაცი არ იყო, გაქცევა ნდომებოდა.

აუცილებელი იყო, ხვალ დილით ყველაფერი ერთად დასრულებულიყო, აქეთ იქნებოდა გამარჯვება თუ იქით, რევოლუციად გადაიქცეოდა ეს, ამბოხებად თუ უბრალო ჩხუბად. მთავრობაც ისევე უყურებდა ამ საქმეს, როგორც პარტიები; ამას კარგად გრძნობდა სულ პატარა ბურჟუაც კი. ამიტომ იყო, რომ ამ უბნის განუსაზღვრელ სიბნელეს მტანჯველი ფიქრი ერეოდა; აქ უნდა გადაწყვეტილიყო გამეფება ავის თუ კარგის. ამიტომ იყო, რომ ამ წყვდიადში ერთიორად მძლავრობდა შეშფოთება, რომელსაც კატასტროფა უნდა მოჰყოლოდა. მხოლოდ სენ-მარეს საგანგაშო ზარის ხმა ისმოდა, ყრუ, როგორც მომაკვდავის ხროტინი და მრისხანე, როგორც შეჩვენება. შემზარავი და სისხლის გამყინავი, იგი სასოწარკვეთილებითა და მღელვარებით აღსავსე გოდებასავით გაისმოდა ამ სიბნელეში.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბუნებაც კი ისე იყო მოღუშული, თითქოს შესთანხმებოდა ადამიანს და ხელს უწყობდა მის საქმეს. არაფერი არღვევდა ამ შეთანხმების საზარელ ჰარმონიას. ვარსკვლავიც არსად ჩანდა; ჰორიზონტს შავი ღრუბელი მოჰფენოდა თავისი დაღვრემილი ნაკეცებით. ზემოდან შავი ცა დასცქეროდა ამ მკვდარ ქუჩებს, თითქოს უზარმაზარი სუდარა გადაჰფარებოდა ამ უზარმაზარ სასაფლაოს.

და სწორედ იმ დროს, როდესაც სავსებით პოლიტიკური ბრძოლა მზადდებოდა სწორედ ამ ადგილას, რომელსაც მრავალი რევოლუციური მოვლენა ენახა, იმ დროს, როდესაც ახალგაზრდობა, საიდუმლო საზოგადოებანი, სასწავლებლები - პრინციპის სახელით და ბურჟუაზია ჯიბის სარგებლობის სახელით, საბრძოლველად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რომ შესჭიდებოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ თავისი მოწინააღმდეგე, იმ დროს, როდესაც ორივეს ეჩქარებოდა და მოუთმენლად ცდილობდა უკანასკნელი, გადამწყვეტი საათის მოახლოებას, ამ საბედისწერო უბნის გარეთ, შორს, ძველი პარიზის უძირო სიღრმეებში, რომელიც დღეს ნელ-ნელა იკარგება ბედნიერი და მდიდარი პარიზის ბრწყინვალებაში, ხალხის ყრუ დრტვინვა ისმოდა.

შემზარავია ეს ხმა და წმინდაც, ხეპრეს ბრდღვინვაც არის და ღვთის სიტყვაც, რომელიც შიშის ზარს სცემს სუსტს და აფრთხილებს ბრძენს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ქვემოდანაც მოდის, როგორც ლომის ღრიალი, და ზემოდანაც, როგორც ხმა ჭექა-ქუხილისა.

## თავი მესამე
## უკიდურეს წერტილზე

მარიუსმა ბაზარს მიაღწია.

დამშვიდებული იყო იქაურობა, უფრო შავად ჩამობნელებული და უძრავი, ვიდრე ქუჩები. იტყოდით, გამყინავი სამარის სიმშვიდე ამოსულა მიწიდან და ცისქვეშეთს მოჰფენიაო.

მაგრამ ამ ბნელეთში, სახურავების შავ ჩრდილში იმ მაღალი სახლებისა, რომლებიც სენტ-ესტაშის ეკლესიის მხრიდან შანვრერის ქუჩას ღობავდნენ, რაღაც სიწითლე მოჩანდა. ეს იყო ანარეკლი იმ ჩირაღდნისა, რომელიც „კორინთის“ ბარიკადებზე ენთო. მარიუსიც ამ სინათლეს მიჰყვა. მიჰყვა და ჯერ მიშელ-ო-პუარეს ბაზართან მივიდა. აქედან მოჩანდა ჩაბნელებული პრეშერის ქუჩა. ახლა იქით გასწია. ჯარი მეორე მხარეს იდგა და ვერ შენიშნა. გრძნობდა, რომ სულ ახლოს იყო ის, რასაც ასე გულით ნატრობდა და ეძებდა. ფრთხილად მიაბიჯებდა, თითის წვერებზე. ასე მიადგა მონდეტურის ქუჩის იმ მოკლე შესახვევს, რომელიც ერთადერთ გზად დატოვა ანჟოლრასმა, რომ ბარიკადებს კავშირი ჰქონოდა გარე სამყაროსთან. ბოლო სახლის კუთხესთან დადგა, მარცხნივ გაიხედა და მონდეტურის ქუჩას დაუწყო დაზვერვა.

ამ შესახვევის ბნელი კუთხისა და შანვრერის ქუჩისგან, რომელიც იქაურობას და თვით იმ ადგილსაც კი, სადაც მარიუსი იდგა, დიდ ჩრდილს ჰფენდა, ოდნავ მოშორებით რაღაც სინათლეს მოჰკრა თვალი ქუჩაში, გაჭირვებით გაარჩია სამიკიტნო, მის უკან კი, უფორმო კედელი, ჭრაქი ციალებდა. ადამიანებიც დაინახა, ქვებზე ისხდნენ და თოფები დაედოთ მუხლებზე. ახლოს ხედავდა ამას, სულ ახლოს, ოცი მეტრის მანძილზე. ეს ბარიკადების შიდა მხარე იყო.

ქუჩის მარჯვენა მხარეს ჩარიგებული სახლები ფარავდა სამიკიტნოს დანარჩენ ნაწილს, დიდ ბარიკადსა და დროშას.

რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადაედგა მარიუსს, რომ ამხანაგებთან მისულიყო. კედელთან ჩამოჯდა საწყალი ბიჭი, გულხელი დაიკრიფა და თავის მამაზე დაიწყო ფიქრი.

თვალწინ ედგა მამა, გმირი პოლკოვნიკი პონმერსი, ამაყი მხედარი, რესპუბლიკის დროს საფრანგეთის საზღვრების დამცველი და იმპერიის დროს აზიის საზღვრამდე მისული. ენახა გენუა, ალექსანდრია, მილანი, ტურინი, მადრიდი, ვენა, დრეზდენი, ბერლინი, მოსკოვი და ევროპის ყველა ბრძოლის ველი, სადაც იბრძოდა საფრანგეთის ძლევამოსილი ლაშქარი და სადაც დაეღვარა ის სისხლი, რომელიც დღეს მარიუსს ედგა ძარღვებში. მოაგონდა, როგორ უდრეო ჭაღარით შემოსა მამა ომიანობამ და ომის მკაცრმა დისციპლინამ. მთელი ცხოვრება მოუსვენრად გაატარა, ქამარშეუხსნელმა, ეპოლეტებიან ტანისამოსში, დენთის კვამლით გამჭვარტლულ ქუდში, ჩაჩქანში, რომელიც შუბლს სტკენდა, ბრძოლის ველზე, კარავში, საავადმყოფოებში და ოცი წლის განმავლობაში დაუღალავად, თავგანწირვით ბრძოლის შემდგომ შინ დაჩეხილი სახით დაბრუნდა, მაგრამ სულ უცინოდა სახე გულკეთილს, თავმდაბალს, მშვიდს, სათაყვანოს, ბავშვივით წმინდას, საფრანგეთის თავდადებულ შვილს.

- დღეს კიდევ ჩემი ჯერია, - ამბობდა მარიუსი, - დაჰკრა ჩემი ბედისწერის საათმა და მამაჩემის შემდეგ ახლა მე უნდა ვიყავი ომში მამაცი, უშიშარი, გამბედავი. უნდა ვეგებებოდე ტყვიას, გულს ვუშვერდე ხიშტს, სისხლს ვანთხევდე, მტერს ვეძებდე, ვეძებდე სიკვდილს. ახლა მე უნდა გავიდე ბრძოლის ველზე და ეს ბრძოლის ველი ქუჩაა; ის ომი, რომელშიც მე ვაპირებ ჩარევას, სამოქალაქო ომია, - უფსკრულად ეჩვენებოდა სამოქალაქო ომი, უფსკრულის პირს იდგა და შიგ უნდა ჩავარდნილიყო.

თრთოლა მოერია.

მამის ხმალი მოაგონდა, რომელიც ბაბუამისმა ჩალის ფასად მიჰყიდა ვიღაც მეძველმანეს. მოაგონდა, როგორ ნანობდა მის დაკარგვას. კიდევ კარგი, ხელთ არ შერჩა ის მტრის შემმუსვრელი უმანკო ხმალი! კიდევ კარგი, წაუვიდა ხელიდან და, ვინ იცის, სად გდია ახლა შეურაცხყოფილი? თუ ასე გაუსხლტა ხელიდან, ცხადია, შეგნებული ყოფილა, პატიოსანი და მომავლის წინასწარ შემცნობი. ალბათ, განჭვრიტა ამბოხება, ქუჩებში ბრძოლა, ბრძოლა უბნებში, თოფის სროლა სარდაფების სარკმლებიდან, მიპარვა და ხიშტის ზურგში ჩაცემა; გაუსხლტა ხელიდან, რომ მარენგოდან და ფრიდლანდიდან დაბრუნებული, არ გასულიყო საბრძოლველად შანვრერის ქუჩაზე; მამის ხელში ნამყოფი აღარ იკადრებდა ახლა შვილის ხელში გადასვლას. „შინ რომ მქონოდა მამაჩემის ხმალი და გამებედა, ხელში ამეღო, რომ ქუჩის ბრძოლაში, ფრანგების ერთმანეთთან ბრძოლაში ჩავრეულიყავი, მაშინვე ხელს დამიწვავდა და ისე აენთებოდა ცეცხლად, როგორც ხმალი ანგელოზისა. ჩემი ბედი, რომ აღარ მქონდა“, - ფიქრობდა მარიუსი. რა ბედნიერებაა, რომ გაქრა! რა კარგია! სწორედ მფარველად გამოუჩნდა ბაბუა მამამისის დიდებულ სახელს. სჯობდა, თუნდაც საჯარო ვაჭრობით გაყიდულიყო მამის ხმალი. ვინმე მეძველმანეს ეყიდა, ძველი, გადასადნობი ლითონის გროვაში მოხვედრილიყო, ოღონდ კი დღეს სამშობლოს სისხლის, ძმათა სისხლის ღვრაში არა ჩარეულიყო.

მარიუსი მწარედ აქვითინდა.

საშინელება იყო, მაგრამ რას იზამდა? კოზეტის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. რაკი კოზეტი წავიდა, ისიც უნდა მოკვდეს, - აკი მისცა პატიოსანი სიტყვა, აღთქმა, თავს მოვიკლავ, თუ წახვედიო. ეს იცოდა და მაინც წავიდა! მაშ, წინააღმდეგი არ ყოფილა, რომ თავი მოიკლას მისმა მიჯნურმა. განა ცხადი არ იყო, რომ კოზეტს აღარ უყვარდა? რომ ჰყვარებოდა, ასე გადაიკარგებოდა? არ აცნობებდა ერთ სიტყვას, პატარა ბარათს ვერ გამოუგზავნიდა? მისამართი ხომ ჰქონდა? რაღად ან ვისთვის უნდა სიცოცხლე? აქამდე მივიდეს კაცი და მერე უკან დაიხიოს? განსაცდელთან მივიდეს და შეშინდეს? ბარიკადებს შეხედოს და გაიპაროს? კანკალი მოერიოს, გაიპაროს და თან გაიძახოდეს, ეს ხომ ვნახე! ესეცა კმარა! სამოქალაქო ომში როგორ ჩავერევი? ჩემს ძმებს თოფს როგორ ვესვრიო? უღალატოს ამხანაგებს, მეგობრებს, რომლებიც მის დახმარებას ელიან? უღალატოს სწორედ იმ დროს, როდესაც განსაცდელში არიან? უღალატოს პრინციპისთვის ერთ მუჭა თავგანწირულთ, რომელთაც მთელი ლაშქარი ებრძვის? დაგმოს, რაც წმინდა გააჩნია, ყველაფერი: სიყვარული, მეგობრობაც, ამხანაგობაც, პატიოსნებაც, თავისი მრწამსი და სიტყვაც? თავის ლაჩრობას საფუძვლად სამშობლოს სიყვარული დაუდოს? შეუძლებელია! და თუ აქვე დგას მამის აჩრდილი, ამ სიბნელეში, და ხედავს თავისი შვილის სიმხდალეს, თავისი ხმლის ყუით დაუწყებს ცემას და უბრძანებს:

- აბა, გასწი, ლაჩარო!

იჯდა თავდახრილი, ერთიმეორის წინააღმდეგი ფიქრებით მოცული.

უცბად ხელახლა ასწია თავი, თითქოს გონება ბრწყინვალე აზრმა გაუნათა. სამარის სიახლოვე აზრის ჰორიზონტს აფართოებს. სიკვდილთან სიახლოვე ადამიანს ჭეშმარიტებას შეაგნებინებს. ცხადლივ დაინახა, რომ ის საქმე, რომელშიც აპირებდა მონაწილეობას, საძრახისი და სამარცხვინო კი არა, არამედ დიდებული და სასახელო იყო. სულის რაღაც გაურკვეველი ძალისხმევით მისი გონების თვალს ქუჩის ბრძოლა

წარმოუდგა. ხელახლა დაუბრუნდა წეღანდელ ყველა თავსატეხ საკითხს, მაგრამ უკვე დამშვიდებით განიხილა და ერთიც არ დატოვა უპასუხოდ.

არა, რისთვის განრისხდებოდა მამა? განა არ მომხდარა ოდესმე, რომ აჯანყება მოვალეობის სიმაღლეზე ასულიყო? და განა სამარცხვინოა პოლკოვნიკ პონმერსის ვაჟისთვის ის ბრძოლა, რომელშიც აპირებს ჩაბმას? ეს არ არის არც მონმირაილი, არც შამპობერი, მართალია, ეს სხვა საქმეა. აქ სამშობლოს წმინდა მიწაწყალზე კი არ არის გამართული ბრძოლა, არამედ წმინდა იდეისთვის. სამშობლო გლოვობს, დაე, ასეც იყოს, სამაგიეროდ, კაცობრიობა ტაშს უკრავს ამ აჯანყებას, თუმცა, ვინ უწყის, მართლა კი გლოვობს სამშობლო? საფრანგეთი სისხლს ღვრის, მაგრამ თავისუფლება იღიმება და ამ თავისუფლების ღიმილის წინ საფრანგეთი ივიწყებს თავის ჭრილობებს. და თუ ამ ყველაფერს უფრო ფართოდ შევხედავთ, რა შეიძლება ითქვას სამოქალაქო ომზე?

სამოქალაქო ომი! რას ნიშნავს ის? მე ძმას ომს ვერ ავუტეხ და ვერ შევებრძოლები, უცხოელს კი არ დავინდობო? განა არსებობს კი უცხოელებთან ომი? განა ყოველი ომი, რომელშიც ერთმანეთს ხოცავენ უცხოელები, ძმათაგან ძმათა ხოცვა არ არის და ძმათა სისხლის ღვრა? არა, ომი თავისი მიზნით ავია ან კარგი, სასახელო ან სამარცხვინო; არ არსებობს არც უცხოელებთან ომი და არც სამოქალაქო ომი; არის მხოლოდ ომი სამართლიანი და ომი უსამართლო. და ვიდრე დაგვიდგებოდეს ის დიდებული დღე, როდესაც ხალხთა შორის ძმობა დამყარდება. ომი საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, ის, რომელიც ფეხმარდი მომავლის იერიშია ფეხზანტ წარსულზე, რომელიც მომავალს აყოვნებს.

რა უნდა უსაყვედურონ ასეთ ომს?

ომი საძრახისი და სამარცხვინო, ხმალი კი ბოროტი, მაშინ არის, როდესაც ილაშქრებს უფლების, პროგრესის, სიმართლის, ცივილიზაციის, ჭეშმარიტების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში კი ძმათა შორის იქნება ბრძოლა თუ უცხოელთ შორის, სულერთია, ომი სამარცხვინოა და მას ბოროტმოქმედება ჰქვია. თუკი ომს სიმართლე, ეს წმინდა მიზანი, არ ექნება, რა საბუთით უნდა ამართლებდეს მას ადამიანი? რა უფლებით უნდა უარყოს ვაშინგტონის ხმალმა კამილ დემულენის შუბი? ლეონიდა უცხოელებს ებრძოდა, ტიმოლეონტი - ტირანს და ვინ უფრო დიდებულია? ერთი დამცველია, მეორე - განმათავისუფლებელი. განა შეიძლება დაგმო ქვეყანაში შეიარაღებული გამოსვლა, თუკი არ იკითხავ მიზანს?

მაშ, სამარცხვინო ბოძზე გააკარით ბრუტუსი, მარსელი, არნუ დე ბლანკენჰაიმი, კოლინი. პარტიზანების ომი? ქუჩაში ომი? რატომაც არა? ეს იყო ომი ამბიორიქსისა და არტეველდესი, მარნიქსის, პელაიოსი, მაგრამ ამბიორიქსი რომს ებრძოდა, არტეველდე - საფრანგეთს, მარნიქსი - ესპანეთს პელაიო - მავრებს; ყველანი უცხოელებს ებრძოდნენ. ჰოდა, თუ მართალი გნებავთ, მონარქია უცხოეთია, ხალხის დაბეჩავება - უცხოეთია. ნებითა ღვთისითაო, რომ გაიძახიან, ესეც უცხოეთია. დესპოტიზმი ისე არღვევს ზნეობრივ საზღვარს, როგორც მტრის შემოსევა გეოგრაფიულ საზღვარს.

დესპოტის განდევნა თუ ინგლისელებისა, ორივე საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნებაა. დგება დრო, როდესაც მხოლოდ უკმაყოფილების გამოცხადება აღარ არის საკმარისი. ფილოსოფიის შემდეგ მოქმედებაა საჭირო; ცოცხალი ძალა დაასრულებს იმას, რაც იდეამ შვა: მიჯაჭვული პრომეთე იწყებს და არისტოგიტონი

ათავებს; ენციკლოპედია ანათლებს ადამიანს, ათი აგვისტო აღაგზნებს, ესქილეს თრასიბულე მოსდევს; დიდროს - დანტონი. ხალხი წინამძღოლს ეძებს. მასაში გარეული ის აპათიას ჩამოირეცხავს. ბრბო უცბად შეერთდება ხოლმე მორჩილებად. უნდა ვარყიოთყ ხალხი, ვანჯღრიოთ, ვაღვიძოთ, გამოვაფხიზლოთ იმ სიკეთის დახატვით, რომელსაც თავისუფლება უქადის; სხივი მოვფინოთ მის დღევანდელ მონობას და მომავალ თავისუფლებას. თვალები უნდა ავუჭრელოთ მომავლის ბრწყინვალებით, რომ ამითაც დავეხმაროთ მის გაღვიძებას. მეხივით უნდა მოხვდეს ხალხს თავისი გათავისუფლების სიკეთე, რომ თვალი მოიფშვნიტოს და გონება მოიკრიბოს; ამიტომ არის საჭირო განგაში და ომი. უნდა წამოდგნენ მძლავრი მებრძოლნი, გამბედაობის და ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენონ და შეარყიონ ეს დამწუხრებული კაცობრიობა, რომელსაც ზედ დასწოლიან „ნებითა ღვთისათას“ ჩრდილი, დიდება კეისრისა, ძალმომრეობა, ბატონისათვის თავდადება, უპასუხისმგებლო მთავრობა და თვითმპყრობელური დიდებულებანი - მუქთახორა ბატონები, რომელთა ერთადერთი საზრუნავი ხალხის დამორჩილება და მისი ნაშრომით ფუფუნებით ცხოვრება და დროს გატარებაა. მაშ, ძირს ტირანი! მაგრამ რა? ვისზე ამბობთ ამას? ლუი-ფილიპსაც ტირანად თვლით? არა. არც მას და არც ლუი XVI-ს. ორივე ისეთი მეფე იყო, რომლებსაც ისტორია „კარგ მეფეებს“ უწოდებს. მაგრამ პრინციპები ნაკუწებად არ დაიჭრება; სიმართლის ლოგიკა სწორხაზოვანია; ჭეშმარიტების თვისება ის არის, რომ დათმობა არა იცის. იგივეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. უნდა მოისპოს ადამიანის ჩაგვრა და დამცირება. ლუი XVI-ს „ნებითა ღვთისათა“ ჰქონდა საყრდენად, ლუი ფილიპეს კი მარტო ის, რომ ბურბონების შთამომავალი იყო. ორივეს, მეტად თუ ნაკლებად, ხელთ ჰქონდა ის უფლება, რომელიც ხალხისთვის წაერთმიათ მათ წინაპრებს, და ამ საქვეყნოდ გავრცელებული ძალმომრეობის გასანადგურებლად მათთან ბრძოლაა საჭირო. საჭიროა, რადგან საფრანგეთი არის ყოველთვის საქმის დამწყები. საფრანგეთში რომ ჩამოვარდება ტახტიდან ბატონი, მაშინ ყველგან და ყველას ემტვრევა ტახტი. რა იქნება ისეთი სამართლიანი და, მაშასადამე, რა ომი იქნება ისეთი დიდებული, როგორც საზოგადოებრივი სამართლის განმტკიცება, თავისუფლების აღდგენა ხალხის ბატონ-მფარველთათვის, საფრანგეთის კვლავ დამშვენება ხალხის უფლებით, სიმართლისა და მართლმსაჯულების აღდგენა; მოსპობა შურისა, მოსპობა იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც მეფეები წინ უხვედრებენ კაცობრიობის საყოველთაო თანხმობას, განვითარება კაცობრიობისა იმდენად, რომ მან შეიგნოს და დაიცვას თავისი უფლებანი? ამისთვის ბრძოლა ქმნის მშვიდობას. ერთი უზარმაზარი ციხე დგას ჯერაც, - სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათა უპირატესობის, მოტყუების, მექრთამეობის, ნდობის ავად გამოყენების, შურისა და შურისძიების, ძალმომრეობისა და ცრუმორწმუნეობის ციხე; მაგრად დგას ეს ციხე თავისი ბოროტებით სავსე კოშკებით. მიწასთან უნდა გავასწოროთ ეს ციხესიმაგრე! დავანგრიოთ, რაც უნდა მძლავრი იყოს და უზარმაზარი! აუსტერლიცის გამარჯვება დიადი რამ იყო და ბასტილიის ციხის აღება უდიადესი.

არავინ იქნება ქვეყნად, რომ თავისი გამოცდილებით არ იცოდეს სულის თვისება: სულს აქვს, და სწორედ ამით არის საკვირველი და ყოველგანარსი, - სულს აქვს უცნაური ნიჭი თითქმის გულცივად განსაჯოს მდგომარეობა, განსაცდელის უკიდურესობამდეც რომ იყოს მისული. ხშირად სასოწარკვეთილი ვნება და უსაზღვრო

მწუხარება თავისი სულთმობრძავი გლოვის მონოლოგებშიც კი განსჯის საკითხს და კამათობს დებულებებზე. ლოგიკა ერევა აგონიაში და სილოგიზმის ძაფი ტრიალებს, მაგრამ არ წყდება ამ საშინელებაში. სწორედ ამ მდგომარეობაში იყო მარიუსი.

ასე ჩაფიქრებული, სევდით მოცული, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი დებულებით მიმავალი, მაინც თრთოდა, როცა თავისი განზრახვა მოაგონდებოდა. შეჰყურებდა ბარიკადების შიდა მხარეს. ჩუმად ლაპარაკობდნენ აჯანყებულები. არც კი ირხეოდნენ. თითქმის დუმილი იდგა ბარიკადებზე, ნიშანი ლოდინის უკანასკნელი საფეხურისა. ბარიკადის ზემოთ, მეოთხე სართულის სარკმლიდან, ერთი მაყურებელი თუ მოწმე დასცქეროდა იქაურობას, იტყოდით, მეტად ყურადღებითო; ეს იყო კაბუკის მიერ მოკლული მეკარის თავი, რომელსაც მარიუსი ქვემოდან ხედავდა. ქვებში ჩარჭობილი ჩირღდნის მოლიცლიცე შუქზე ოდნავ ჩანდა ეს მკვდარი თავი. უცნაური სანახავი იყო მკრთალ სინათლეზე ეს გაყვითლებული სახე, უძრავი, განცვიფრებული, თმააბურძგნილი, თვალებდაჭყეტილი, გაშტერებული, რომელსაც პირი დაეღო და დასცქეროდა ბარიკადებს თითქოს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, იტყოდით, ვინც მოკვდა, ის უთვალთვალებს სასიკვდილოდ გამზადებულებსო. სარკმლიდან სისხლის გრძელი ხაზი ეშვებოდა მეორე სართულამდე და იქვე წყდებოდა.

## წიგნი მეთოთხმეტე
## სასოწარკვეთილების სიდიადე

### თავი პირველი
### დროშა. პირველი აქტი

ჯერ არავინ ჩანდა. სენ-მერიმ ათი საათი დაჰკრა. ანჟოლრასი და კომბეფერი დიდი ბარიკადის გასასვლელთან ისხდნენ, თოფები ხელში ეჭირათ, ხმას არ იღებდნენ; ყურს უგდებდნენ, ცდილობდნენ, ყური მოეკრათ თუნდაც სულ შორეული ფეხის ხმისათვის.

ამ მჭმუნვარე დუმილში უცბად გაისმა ვიღაცის მკაფიო, ნორჩი, რაკრაკა სიმღერის ხმა, რომელიც თითქოს სენ-დენის ქუჩიდან მოდიოდა. ეს იყო ხალხური სიმღერის - „მთვარის შუქზე“ - მოტივზე დამღერებული ლექსი, რომელიც მამლის ყივილივით ბოლოვდებოდა:

ბიუგო, ძმაო, გძინავს?
ჩემს თვალში ცრემლი ბრწყინავს,
ცრემლი ბრწყინავს თვალებში,
განა არა ჩანს?
გამომიგზავნე ჟანდარმი
სულის დარაჯად.
ლურჯი, ფარაჯა,
ქუდი გვერდზე სულ...
დაიწივლეს ტყვიებმა:
ყიყლიყო...
სიხარულით ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს:

- გავროშია, - თქვა ანჟოლრასმა.

- გვაფრთხილებს, - თქვა კომბეფერმა.

ვიღაც მორბოდა ბარიკადებისკენ, მკვირცხლად, საუკეთესო ჯამბაზის ოსტატობით გადმოძვრა ომნიბუსზე და დაღლილი, ოფლში გაწურული მივარდა ანჟოლრასს:

- სად არის ჩემი თოფი?! მოდიან!

თითქოს ელექტროდენმა დაუარა ბარიკადებს. ყველანი იარაღს ეცნენ.

- აი, თუ გინდა, ჩემი თოფი! - უთხრა გავროშს ანჟოლრასმა.

- დიდი თოფი მინდა, დიდი! - უპასუხა გავროშმა და ჟავერის თოფი აიღო.

თითქმის მაშინვე მოვიდნენ გუშაგებიც, უკან მოჰყვნენ გავროშს; ერთი ქუჩის ბოლოში მდგარიყო და მეორე კი პატარა ბუანდერის ქუჩაზე. პეშერის ქუჩის გუშაგი პოსტზე დარჩენილიყო, ასე რომ, ცხადია, ხიდისა და ბაზრის მხრიდან საშიში არაფერი იყო.

შანვრერის ქუჩა ოდნავ იყო განათებული და ისიც იქვე, ბარიკადის წინა მხარეს, სადამდეც კი მისწვდებოდა დროშასთან ამართული ჩირაღდანი.

თავ-თავიანთ ადგილას იდგნენ ყველანი.

ორმოცდასამი კაცი, მათ შორის ანჟოლრასი, კომბეფერი, კურფეირაკი, ბოსუე, ჟოლი, ბაორელი და გავროში დაჩოქილები იდგნენ დიდ ბარიკადზე; ასე რომ, შეეძლოთ დაენახათ, რა ხდებოდა მის მეორე მხარეს; თოფები მზად ჰქონდათ, მიმართული მომავალი მტრისკენ; ხმას არ იღებდნენ, სმენად იყვნენ გადაქცეულნი. ექვსი კაცი კიდევ ფეიის ჰყავდა „კორინთის“ მეორე და მესამე სართულზე, ფანჯრებთან იდგნენ გატენილი თოფებით.

ცოტა ხანი გავიდა კიდევ. მერე სენ-ლეს მხრიდან მომავალი ჯარის ზომიერი, ტლანქი ფეხის ხმა მოისმა; ჯერ ოდნავ ისმოდა, მერე უფრო და უფრო მოახლოვდა და მკაფიო გახდა. მიდიოდა მძიმედ, მაგრამ შეუჩერებლად, შეუწყვეტლად, მშვიდად და საშინელი ძალით. აღარაფერი ისმოდა ამ მოახლოების მეტი. ეს იყო დუმილთან შეერთებული კომანდორის ქანდაკების ფეხის ხმა. მაგრამ ამჯერად ერთის კი არა, მთელი ლეგიონისა. უახლოვდებოდა ჯარი, უახლოვდებოდა და შეჩერდა. ისე ახლოს იყო, ეგონათ, ჯარის სუნთქვა გვესმისო, - ასე ეჩვენებოდათ ბარიკადელებს. გარკვევით ჯერ არაფერი მოჩანდა, ოღონდ ქუჩის ბოლოში, სიბნელეში, ბზინავდა უამრავი ლითონის წვეტი, ნემსივით წვრილი და ძლივს შესამჩნევი, რომლებიც ისე ირხეოდნენ როგორც ენით აუწერელი ფოსფორული ქსელი, ადამიანს რომ უციალებს დახუჭულ თვალებში ძილ-ღვიძილში. ეს იყო ხიშტებისა და თოფების ლულები, რომელთაც ოდნავ სცემდა ბარიკადის ჩირაღდნის შუქი.

ცოტა ხანმა კიდევ განვლო ასე მშვიდობიანად, თითქოს რაღაცას ელოდა ორივე მხარე, და უცბად ხმა გამოვარდა იმ ჩრდილის სიღრმიდან, მით უფრო ავბედითი, რომ ადამიანი არსად ჩანდა, და ისე მოისმა, თითქოს თვით წყვდიადს ამოედგას ენა:

- ვინ მოდის?

და ამ კითხვასთან ერთად სასროლად მომართული თოფების ჩხარუნი.

კითხვაზე პასუხი ანჟოლრასმა გასცა, ხმამაღალი და ამაყი:

- საფრანგეთის რევოლუცია!

- ესროლეთ! - გაისმა ბრძანება.

ელვამ გაანათა მთელი ქუჩა, თითქოს უცბად გაიღო მოგუგუნე ბრძმედის კარი და მყისვე დაიხურა.

მეხივით ეცა ბარიკადს. წითელი დროშა ძირს ჩამოვარდა. იმდენად ძლიერი იყო ეს სროლა და იმდენად მკვრივი, რომ ომნიბუსის ხელნის თავიც კი წააქცია. სახლების კედლებს რომ ტყვია ხვდებოდა, ისიც კი ბარიკადში ცვიოდა და რამდენიმე კაცი დაჭრა.

გამყინავი იყო ამ პირველი სროლის შთაბეჭდილება. გაშმაგებული უნდა ყოფილიყო ჯარი, რომ ასეთი მედგარი სროლითყ დაეწყო იერიში, და ცხადია, შემდეგ უფრო გაძლიერდებოდა. ეჭვი არ იყო, მთელი რაზმი გამოეგზავნათ ორი ბარიკადის ასაღებად.

- ამხანაგებო, - შეჰყვირა კურფეირაკმა, - თოფისწამალს გავუფრთხილდეთ, მოვიცადოთ, ცოტა წინ წამოიწიონ, რომ პასუხი გავცეთ.

- და უპირველეს ყოვლისა, - თქვა ანჟოლრასმა, - აღვმართოთ ჩვენი დროშა, - და ხელში აიღო დროშა, რომელიც მის გვერდით დავარდნილიყო.

გარედან თოფის ზუმბის ჩხაკუნი ისმოდა, თოფსა ტენიდა ჯარი.

- აბა, ვინ არის ყოჩაღი ბიჭი! - შესძახა ანჟოლრასმა, - ვინ ააფრიალებს ჩვენს დროშას?

ხმა არავინ ამოიღო. ბარიკადის მაღლობზე ასვლა, რაც მთელ რაზმს ჰქონდა მიზნად და ბრძანებასღა ელოდა, რომ კიდევ ესროლა, უეჭველი სიკვდილი იყო. ძალიან კარგი ვაჟკაციც კი ყოყმანობს ხოლმე, თავგანწირვაზე რომ მიდგება საქმე. თვითონ ანჟოლრასიც აკანკალდა ერთ წამს.

- მაშ, არავინ არის?

## თავი მეორე
## დროშა. მეორე აქტი

რაკი „კორინთში“ მივიდნენ და დაიწყეს ბარიკადის აშენება, ყურადღება აღარავის მიუქცევია მაბეფისთვის, თუმცა სულ იქ ტრიალებდა. სამიკიტნოს პირველი სართულის დარბაზში შევიდა და დახლთან დაჯდა. იჯდა და ფიქრში გართულს აღარაფერი ესმოდა. ისე იყო გაშტერებული, თითქოს აღარც თვალთ უჭრიდა, აღარც ყურთ. ორჯერ-სამჯერ მიუახლოვდნენ კურფეირაკი და სხვა ამხანაგები, უთხრეს, რა საშიშ ადგილას იყო და რა მოელოდა აქ მყოფთ, სთხოვდნენ, შინ წასულიყო, მაგრამ ისე იყო ფიქრით გატაცებული, აღარაფერი ესმოდა. თავს რომ დაანებებდნენ, ტუჩებს ააცმაცუნებდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, მაგრამ როგორც ხმას გასცემდა ვინმე, პირს მოკუმავდა და თვალებიც ჩაუქრებოდა. რომ დაჯდა, მერე აღარც განძრეულა, - ხელები მუხლებზე დაეყრდნო და წინ წაეწია დახრილი თავი, თითქოს უფსკრულს ჩასცქერისო. მკვდარივით იჯდა, არც შეუცვლია ეს მდგომარეობა; ცხადი იყო, შორს ქროდა მისი ფიქრი. როდესაც ყველა თავ-თავის ადგილას იდგა იარაღით, ქვედა სართულის დაბალ დარბაზში აღარავინ დარჩენილა, გარდა ბოძზე მიკრული ჟავერისა, მისი დარაჯის, ერთი ბიჭისა ხმლით ხელში და მოხუცი მაბეფისა. იერიშის დაწყების ნიშნად სროლა რომ გაისმა, ისიც შეხტა, თითქოს გამოიღვიძა, უცბად წამოდგა, გაიარა დარბაზი და იმწამს, როდესაც ანჟოლრასმა გაიმეორა თავისი კითხვა, მაშ, არავინ არისო, სამიკიტნოს კარიდან გამოჩნდა მაბეფი.

ამ მოხუცის დანახვამ ააღელვა აჯანყებულები. გაისმა ყვირილი:

- ეს ის არის, ვინც მეფის დასჯას ხმა მისცა! კონვენტის წევრი! ხალხის წარმომადგენელი!

ადვილი შესაძლებელია, მოხუცს არაფერი ესმოდა. ის პირდაპირ ანჟოლრასთან მივიდა, ხელიდან გამოჰგლიჯა დროშა ჭაბუკს, რომელმაც შიშით უკან დაიხია, და ბარიკადის ქვაყრილისკენ წავიდა.

ახლო ვერავინ მიეკარა, ვერც შეაყენეს, ვერც უშველეს; თავის ცანცარით მიიწევდა წინ ოთხმოცი წლის მოხუცი, ნელ-ნელა ადიოდა ქვაყრილზე. იმდენად გულსაკლავი იყო ეს სურათი და იმდენად დიდებული, რომ უცბად შესძახეს ბარიკადელებმა, ქუდი მოიხადეთო! ქვაყრილს კიბესავით ჰქონდა დატანებული მერყევი საფეხურები და ძლივს იმაგრებდა ფეხს მოხუცი, თოვლივით თეთრი თმა, მიხრწნილი სახე, დიდი, დასერილი, გადაშლილი შუბლი, ღრმად ჩამძვრალი, სხივჩამქრალი თვალები, ღია პირი, მისუსტებული ხელი, რომელშიც დროშა ეჭირა, ისე მოჩანდა სიბნელში და ისე ფართოვდებოდა ჩირაღდნის სისხლისფერ სინათლეში, რომ ოთხმოცდაცამეტის აჩრდილად ეჩვენა ყველას, მიწის წიაღიდან ამოსული ტერორის დროშით ხელში.

ერთი საფეხურიღა აკლდა, რომ მწვერვალზე შემდგარიყო. როდესაც ეს საშინელი და მთრთოლარე აჩრდილი, ძლივს რომ იმაგრებდა ფეხს ქვებზე, წინ აღემართა ათას ორას მისკენ დამიზნებულ უხილავ თოფს და პირისპირ დაუდგა სიკვდილს, თითქოს იმაზე უფრო ძლიერი ყოფილიყოს, მთელმა ბარიკადმა იმ სიბნელეში რაღაც ზებუნებრივი ბუმბერაზის სახე მიიღო.

ისეთი დუმილი იდგა, რომელსაც მხოლოდ სასწაულებრივი რამ გამოიწვევს ხოლმე.

ამ დუმილში მოხუცმა დროშა ააფრიალა და შეჰყვირა:

- რესპუბლიკას გაუმარჯოს! რესპუბლიკას გაუმარჯოს! ძმობა! თანასწორობა და სიკვდილი!

ჩურჩული მოესმათ ბარიკადში მყოფთ; ჩუმი და სწრაფი, როგორც ხშირად მღვდელმა იცის, ლოცვის გათავება რომ ეჩქარება. ალბათ, პოლიციის კომისარი იყო და რაღაცის ასრულებას მოითხოვდა ჯარისაგან.

ცოტა ხანიც და, იგივე მქუხარე ხმა გაისმა, რომელმაც წეღან, ვინ არის მანდო, იკითხა.

- წადით აქედან!

ფერმიხდილი იდგა ბატონი მაბეფი, თვალებში თავგანწირული ალი უბრწყინავდა. ისევ მაღლა ასწია დროშა და დაიყვირა:

- რესპუბლიკას გაუმარჯოს!

- ესროლეთ! - გაისმა იგივე ხმა.

ზარბაზნის ფინდიხივით ეცა ბარიკადს ეს მეორე ბათქი.

მუხლი მოეკეცა მოხუცს. მერე ისევ წელში გაიმართა, ხელიდან გაუვარდა დროშა და უკან გადმოვარდა. პირაღმა დაეცა გულხელდაკრეფილი, თითქოს გაქვავებულიყო. სისხლის ღვარი სდიოდა გულიდან, გაყვითლებული, მწუხარე თვალით შესცქეროდა ზეცას.

ზოგჯერ ადამიანს უზენაესი აღტაცება მოერევა ხოლმე და თავის თავსაც კი დაავიწყებს. ამგვარადვე იყვნენ აღტაცებულნი ბარიკადელები და მოწიწებით აღსავსე კრძალვით შემოეხვივნენ მკვდარს.

- ზეკაცები იყვნენ მეფის მკვლელები! - თქვა ანჟოლრასმა.

კურფეირაკმა პირი მიადო ყურზე და წასჩურჩულა:

- მარტო შენ გეუბნები, ნუ შევანელებთ ამ აღტაცებას. ამას მეფის მკვლელისა არაფერი სცხია. ვიცნობ, ვინც არის, მაბეფია. არ ვიცი, დღეს რა მოუვიდა და ერთობ გამოტვინებული ბებერი კი იყო. ჯერ ამის თავს დახედე.

- თავი გამოტვინებული ჰქონია, გული კი ბრუტუსისა, - უპასუხა ანჟოლრასმა და მერე შესძახა, - მოქალაქენო! ხედავთ, რა მაგალითს გვაძლევს ყმაწვილებს მოხუცი! ჩვენ ვერ ვბედავდით, ის შემოგვიერთდა! ჩვენ უკან ვიხევდით, ის წინ მიიწევდა! აი, რას ასწავლის შიშით ათრთოლებულებს სიბერით ათრთოლებული. წმინდაა ეს მოხუცი სამშობლოს წინაშე. დიდი ხნის ცხოვრება ხვდა წილად და ბრწყინვალე სიკვდილი, ახლა მივასვენოთ სადმე მიცვალებული და ისე დაიცვას ყველა ჩვენგანმა ეს მკვდარი მოხუცი, როგორც თავის მშობელ მამას დაიცავდა ცოცხალს. ჩვენთან იყოს ეს თავდადებული და ისე გავმაგრდეთ მისი მაგალითით, რომ დაუმარცხებელი და აუღებელი გავხადოთ ეს ბარიკადი.

ჩუმი, სამგლოვიარო ჩურჩული მოჰყვა ამ სიტყვას სრული თანხმობის ნიშნად.

დაიხარა ანჟოლრასი, ასწია მოკლულის თავი და ემთხვია. მერე ხელები გაუშალა, ნაზად ასწია, თითქოს ეშინია, არაფერი ვატკინოო, სერთუკი გახადა, დაანახვა ყველას გასისხლიანებული ტყვიების ნახვრეტი და თქვა:

- ახლა ეს იყოს ჩვენი დროშა.

## თავი მესამე

## კარგს იზამდა გავროში, რომ ანჟოლრასის [illegible]შაშხანა აეღო

საბრალო მაბეფს მიკიტნის ქვრივის ერთი გრძელი შავი შალი გადააფარეს. ექვსმა კაცმა საკაცე მოაწყო თოფებით, ზედ დაასვენეს ცხედარი, ქუდები მოიხადეს და გლოვის ნელი ნაბიჯით ქვემო სართულის დარბაზში დაასვენეს დიდ მაგიდაზე.

მოკლულისადმი პატივისცემის წმინდა მოვალეობის ასრულებით სავსებით შეპყრობილთ აღარც კი აგონდებოდათ თავიანთი მდგომარეობა და განსაცდელი.

ჟავერის გვერდზე რომ გაატარეს მიცვალებული, ანჟოლრასი მიუბრუნდა ჯაშუშს და უთხრა:

- შენც მალე მოგიწევს!

მხოლოდ გავროში არ მოსცილებია თავის ადგილს და თვალს ადევნებდა ჯარის მოძრაობას. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ჩუმად, მგლის სიფრთხილით მოიწევდნენ ჯარისკაცები ბარიკადისკენ, და უცბად დაიყვირა:

- ფრთხილად იყავით!

კურფეირაკი, ანჟოლრასი, ჟან პრუვერი, კომბეფერი, ჟოლი, ბაორელი, ბოსუე, ყველანი გაცვივდნენ სამიკიტნოდან. ცოტა კიდევ და, გვიანღა იქნებოდა, ვეღარ დაიცავდნენ ბარიკადს. ხიშტების ტალღა შემოხვეოდა აჯანყებულების სიმაგრეს და ზედ იწევდა. წინა მწკრივში ზორბა ბიჭები იყვნენ და იოლად თელავდნენ დაბრკოლებას; ზოგი ომნიბუსზე ძვრებოდა, ზოგი ბარიკადის ვიწრო შესასვლელით მოძვრებოდა; წინ მოეგდოთ გამენი, აწვებოდნენ და ისიც უკან იხევდა, მაგრამ არ გაურბოდა.

გადამწყვეტი წუთი იყო. პირველი ხანა წყალდიდობისა, როდესაც უცბად მოვარდება წყალი, საგუბარს აავსებს და ზედ გადაივლის. ერთი წამიც კიდევ და, ჯარის ხელში იქნებოდა ბარიკადი.

როგორც თავი ამოყო ერთმა გვარდიელმა ბარიკადზე, მაშინვე თოფი დაახალა ბაორელმა და ძირს დასცა. მეორემ ხიშტი ატაკა ბაორელს და გვერდზე მიუწვინა მოკლულ ამხანაგს. ერთს კიდევ კურფეირაკი წაექცია, რომელიც ყვიროდა, მიშველეთო! ერთი უშველებელი, ბუმბერაზივით ახოვანი გავროშისაკენ მიიწევდა წინ გაწვდილი ხიშტით. მანაც თავისი პატარა ხელებით მოიმარჯვა ჟავერის უშველებელი თოფი, შიგ პირში დაუმიზნა იმ აყლაყუდას და დასწია ჩახმახი. არ გავარდა თოფი, ჟავერს თოფი არ გაეტენა. გვარდიელს სიცილი წასკდა და ხიშტით წაიწია გავროშისკენ.

ჯერ გამენამდე არ მისულიყო ხიშტის წვერი, რომ თოფი ხელიდან გაუვარდა ბუმბერაზს; შიგ შუბლში მოხვდა ტყვია და პირაღმა დაეშვა მიწაზე. მეორე ტყვია გულში მოხვდა და ძირს დაეცა ის გვარდიელი, რომელსაც კურფეირაკი წაექცია.

მარიუსის დამბაჩისა იყო ორივე ტყვია, იგი ის იყო, შესულიყო ბარიკადზე.

## თავი მეოთხე
## თოფისწამლის კასრი

ისევ ისე მოკუნჭული იჯდა მარიუსი მონდეტურის ქუჩის კუთხეში და იქიდან ხედავდა ბრძოლის დასაწყისს. ჯერაც არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა და კანკალებდა. მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო იმ იდუმალ ძლევამოსილ ხმას, რომელიც თითქოს უფსკრულის ძირიდან მოესმოდა. ერთბაშად უკუაგდო ყოყმანი, როდესაც დაინახა, როგორ მოკვდა მოხუცი მაბეფი, ეს სავალალო გამოცანა, ბაორელის დაღუპვა, კურფეირაკის ძახილი, მიშველეთო, მოსაკლავად განწირული გამენი, განსაცდელში მყოფი სხვა ამხანაგები. გაშმაგებული ჩაერია ბრძოლაში ჟავერისეული დამბაჩებით. ერთი სროლით გავროში გადაარჩინა, მეორით - კურფეირაკი.

სროლის ატეხასა და დაჭრილი ჯარისკაცების ყვირილს თავდამსხმელების გაძლიერებული იერიში მოჰყვა. აქ იყვნენ ქალაქის თვითმმართველობის ჯარისკაცებიც, ქვეითი ჯარიც, გარეუბნელი ეროვნული გვარდიელებიც. ხიშტგაწვდილი მიიწევდა ყველა ბარიკადისკენ. ქვაყრილის სიმაღლის ორი მესამედი დაიჭირეს უკვე. მაგრამ ბარიკადში ჩახტომას ვერ ბედავდნენ, ჩანს, ეშინოდათ, ხაფანგში არ ჩავცვივდეთო. ისე დასცქეროდნენ ჩაბნელებული ბარიკადის შიდა მხარეს, თითქოს იქ ლომების ბუნაგი ეგულებოდათ. ჩირაღდნის სინათლეზე ხიშტებიღა ჩანდა ყველგან, სამხედრო ბეწვიანი ქუდები და გაცოფებული, გაღიზიანებული სახეები.

უიარაღოდ დარჩა მარიუსი, დამბაჩები გადაყარა, მაგრამ დაბალ დარბაზში, კართან, დენთით სავსე პატარა კასრი დაინახა.

კასრისკენ რომ მიბრუნდა, ამ დროს ერთმა გვარდიელმა თოფი დაუმიზნა. ის იყო, უნდა ესროლა, რომ ვიღაცის ხელი ეცა თოფის ლულას და პირი შეუკრა. ეს იყო ჭაბუკი მუშა, ფერმკრთალი, ხავერდისშარვლიანი. გავარდა თოფი, ხელში გაუარა მუშას და იქნებ გულშიც, რადგან იქვე წაიქცა. მარიუსი გადარჩა. ისეთ სქელ კვამლში მოხდა ეს ყოველივე, რომ გონებით თუ დაინახავდა ამას იქ მყოფი და არა თვალით.

ამ დროს მარიუსი დაბალ დარბაზში აპირებდა შესვლას და ყურადღება არ მიაქცია, თუმცა მისკენ მომიზნებული თოფიც დაინახა, ლულის პირზე მიდებული ხელიც და თოფის გასროლაც. მაგრამ ამგვარ გაჭირვებაში რომ ჩავარდება კაცი, ისე სწრაფად გაურბის თვალწინ ეს სურათები, რომ შეუძლებელია მათი მიდევნა. შავი ღრუბლით არის მოცული ამ დროს ყველაფერი და ძნელად გასარკვევი.

ასე საჩქაროდ მტრის შემოსევას არ მოელოდნენ აჯანყებულები, მაგრამ არც შეშინდნენ. ყველამ ძალა მოიკრიბა. ანჟოლრასმა შეჰყვირა:

- შესდექით! უმიზნოდ სროლა არავინ გაბედოს!

და მართლაც, ერთხანს ისე მკვრივად შეჯგუფდნენ, რომ შეიძლებოდა ერთმანეთისთვის დაეხალათ უმიზნოდ გასროლილი თოფი. ახლა კი უმეტესი ნაწილი მეორე სართულის ფანჯრებთან იდგა და მტერს ზემოდან მოჰქცეოდა. უფრო მამაცები კი, მათ შორის ანჟოლრასი, კურფეირაკი, ჟან პრუვერი და კომბეფერი ამაყად იდგნენ ბარიკადის ბოლოში ამართული სახლის კედელთან, სრულიად დაუფარავად და წინ უდგნენ ჯარისკაცებსა და გვარდიელებს, რომლებსაც უკვე დაეჭირათ ბარიკადის ქვაყრილი.

ეს ყველაფერი აუჩქარებლად ხდებოდა. იმ უცნაური და მუქარით სავსე სიფრთხილით, რომელიც წინ უძღვის ხელჩართულ ბრძოლას. დამიზნებული თოფი ეჭირა ორივე მხარეს და ისე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რომ ლაპარაკსაც მოახერხებდნენ, რომ მოენდომებინათ. იმ წერტილს რომ მიაღწიეს, როდესაც ერთი ნაპერწკალიღა აკლდა ხმლის ამოღებას, ერთმა დიდეპოლეტიანმა წინ წამოსწია თავისი ხმალი და შესძახა:

- დაყარეთ იარაღი!

- ესროლეთ! - დაიძახა ანჟოლრასმა.

გაისმა ორმხრივი სროლა და კვამლი მოედო არემარეს.

მწარე, მახრჩობელმა კვამლმა დაფარა იქაურობა, გაისმა კვნესა და გმინვა დაჭრილებისა და მომაკვდავებისა.

როდესაც გაიშალა კვამლი, ორივე მხარეს ისევ მაგრად იდგნენ მებრძოლნი, ისევ თავის ადგილას და თოფებს ტენიდნენ.

უცბად გაისმა ქუხილივით მგრგვინავი ხმა:

- უკან დაიხიეთ, თორემ ავაფვეთქებ ბარიკადს!

ყველა იქით მიბრუნდა, საიდანაც ეს ხმა გაისმა.

დაბალ დარბაზში შესულიყო მარიუსი, აეწია დენთიანი კასრი, მერე კვამლის ბურუსით ესარგებლა იმ სიბნელეში და ქვაფენილზე იმ ქვის გალიამდე მიმძვრალიყო, სადაც ჩირაღდანი იყო გამაგრებული. ჩირაღდანი ამოიღო და მის ნაცვლად შიგ დენთიანი კასრი ჩადო და კასრის ძირი გატეხა. კასრი საკვირველი მორჩილებითყ დანებდა მის წვეტიან ქვას, რომელიც გატეხილ ძირში ჩაურჭო. ისე სწრაფად მოაგვარა ეს საქმე მარიუსმა, რომ სხვა დროს იქნებ დახრისა და წელში გამართვისთვის უფრო მეტი დრო მოენდომებინა. შეშინებული, განცვიფრებული შესცქეროდნენ ყველანი, - მთავრობისა და ქალაქის გვარდიელები, ჯარისკაცები, ოფიცრები, - ბარიკადის ბოლოში მიკუნჭულიყვნენ და თვალს ვეღარ აშორებდნენ ქვაყრილზე გამოჭიმულს, ხელში მობრიალე ჩირაღდნით ავბედითი გადაწყვეტილებით აღსავსე ამაყ ჭაბუკს, რომელსაც ცეცხლი ეჭირა ხელში და მზად იყო, დენთიანი კასრისთვის წაეკიდებინა. იდგა და ყვიროდა:

- აქედან დაიკარგეთ, თორემ ავაფეთქებ ბარიკადს!

მარიუსი ამ ბარიკადზე ოთხმოცი წლის მოხუცის შემდეგ, ძველი რევოლუციის შემდეგ, ახალი რევოლუციის განსახიერებას წარმოადგენდა.

- ბარიკადს ააფეთქებ და შენს თავსაც! - შეუტია ერთმა სერჟანტმა.

- ვიცი! - მიუგო მარიუსმა.

და დენთისკენ წაიღო ცეცხლი.

მაგრამ აღარავინ ჩანდა ქვაყრილზე. ჯარს მიეტოვებინა თავისი დაჭრილები და მკვდრები, არეულად, უმწყობროდ მიეშურებოდა ქუჩის ბოლოსაკენ და იქ იკარგებოდა ბნელ ღამეში, გარბოდნენ, რომ შორს ყოფილიყვნენ აფეთქებისაგან.

ბარიკადი გადარჩა.

## თავი მეხუთე
## ჟან პრუვერის ლექსების დასასრული

ყველანი მარიუსს შემოეხვივნენ, კურფეირაკმა გულში ჩაიკრა.

- ერთი უყურეთ!

- რა ბედნიერებაა! - ამბობდა კომბეფერი.

- სწორედ დროზე გამოჩნდი! - წამოიძახა ბოსუემ.

- შენ რომ არა, ახლა მკვდარი ვიქნებოდი, - ეუბნებოდა მადლიერი კურფეირაკი.

- უთქვენოდ მეც ფეხებს გავფშეკდი, - სიტყვა ჩაურთო გავროშმა.

- ვინ გყავთ მთავარსარდლად? - იკითხა მარიუსმა.

- ახლა შენ! - მიუგო ანჟოლრასმა.

მთელი დღე ბრძმედი ენთო ტვინში მარიუსს და ახლა ქარიშხალი აუვარდა. ეგონა, მასში გამომწყვდეული ეს ქარიშხალი ბობოქრობდა გარშემო და მარიუსიც თან მიჰქონდა.

მარიუსს ეგონა, უკვე დიდი მანძილი აშორებდა სიცოცხლეს. ორი თვის ბრწყინვალებითა და ნეტარებით სავსე ბედნიერება საზარელი უფსკრულით გათავდა, - დაკარგული კოზეტი, რესპუბლიკისთვის თავგანწირული მაბეფი, ბარიკადი და თვით კი აჯანყებულთა ბელადი, - ყოველივე ეს რაღაც საშინელ კოშმარად ეჩვენებოდა. ახლა ცდილობდა, დარწმუნებულიყო, რომ მოჩვენება კი არა, სინამდვილე იყო მის ირგვლივ, რომ იგი სრულ რეალობაში იმყოფებოდა. ჯერ ძალიან ცოტა ხანი ეცხოვრა მარიუსს და არ იცოდა ერთი უბრალო ჭეშმარიტება, რომ შეუძლებლისთანა საშინელი არაფერია, ყოველთვის მზად უნდა იყო მოულოდნელისთვის.

ისე იყო ამ ფიქრებით გატაცებული, რომ ვერც კი იცნო ჟავერი, რომელიც მაგრად იყო მიკრული ბოძზე და თავი არ გაუნძრევია ამ იერიშისა და ბრძოლის განმავლობაში და მის თვალწინ აშლილ რევოლუციის მძვინვარებას წამებულის მორჩილებითა და მსაჯულის მედიდურობით შეჰყურებდა.

ჯარი ისევ ისე შორს იდგა. შორიდან ისმოდა ქუჩის ბოლოს მისი მოძრაობა და ქოთქოთი, მაგრამ ბარიკადისკენ კი აღარ მოიწევდნენ, იქნებ იმიტომ, რომ ბრძანებას ელოდნენ, ან ახალ ჯარს დასახმარებლად, რომ უფრო მედგრად დასცემოდნენ ამ მიუვალ სიმაგრეს. აჯანყებულებმა გუშაგები დააყენეს, ზოგი კი, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები, დაჭრილების მოვლასა და ჭრილობების შეხვევას შეუდგა.

სამიკიტნოდან სულ გამოალაგეს, რაც მაგიდები იყო. სამიღა დატოვეს სახლში, ორზე ტყვია-წამალი და ვაზნები ელაგა, მესამეზე კი მკვდარი მაბეფი ესვენა. ამ მაგიდებით გაამაგრეს ბარიკადი. ქვედა დარბაზში სამიკიტნოს პატრონისა და მისი გოგოების ლეიბები გაშალეს და ზედ დააწვინეს დაჭრილები. რაც შეეხება საყალ ქალებს, რომლებიც „კორინთში“ ცხოვრობდნენ, უშლუს ქვრივსა და მის მსახურებს, ისინი სადღაც მიმალულიყვნენ და მოგვიანებით სარდაფში მოკუნტულები იპოვეს.

ერთი გულსაკლავი გარემოება მაინც ჩაერია აჯანყებულთა სიხარულში და გლოვის თალხი მოჰფინა ამხანაგების გულს.

გადაითვალეს თანამებრძოლები და ერთი აკლდათ, მაგრამ ვინ? ეს ერთი თავგანწირულთაგანი, ყველასთვის საყვარელი მეგობარი ჟან პრუვერი იყო. დაჭრილებში ეძებეს, მაგრამ არ იყო; არც მკვდრებში აღმოჩნდა. ცხადია, ტყვედ ჩაიგდეს.

- მათ ჩვენი მეგობარი ჰყავთ, ჩვენ მათი მოხელე. ძალიან გინდა ამ ჯაშუშის მოკვლა? - ჰკითხა კომბეფერმა ანჟოლრასს.

- დიახ, ძალიან, - უპასუხა ანჟოლრასმა, - მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე პრუვერის გადარჩენა.

მეგობრები დარბაზში ბაასობდნენ, იმ ბოძთან, რომელზეც ჟავერი იყო მიბმული.

- იცი, რა გითხრა? - განაგრძო კომბეფერმა, - ამ ჯოხზე მივაბამ ჩემს ცხვირსახოცს და ელჩად მივალ ჯართან, ვთხოვ, მიიღონ თავიანთი ჯაშუში და ჩვენ ჩვენი დაგვიბრუნონ.

- ყური მიუგდე, - უთხრა ანჟოლრასმა და ხელი დაადო მხარზე.

ქუჩის ბოლოს იარაღის წკრიალი ისმოდა. უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო ეს მოძრაობა.

მედგარი ხმა შემოესმათ:

- გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს მომავალს!

მაშინვე იცნეს ჟან პრუვერის ხმა.

იელვა ბნელში და თოფიც გავარდა.

კვლავ მიჩუმდა ყველაფერი.

- მოკლეს, - შეჰყვირა კომბეფერმა.

ჟავერს გადახედა ანჟოლრასმა და უთხრა:

- შენმა მეგობრებმა თვით აგიგეს ანდერძი.

## თავი მეექვსე
## მწარე სიცოცხლე, მწარე სიკვდილი

ერთი თავისებურება აქვს ამგვარ ომს: საერთოდ, ბარიკადის ასაღებად მიმავალი ჯარი პირდაპირი გზით მიდის, არ ჩაუხვევს მარცხნივ ან მარჯვნივ, ან იმიტომ, რომ ჩასაფრებულების ეშინია, ან იმიტომ, რომ ერიდება დაკლაკნილ ქუჩებს. აჯანყებულების მთელი ყურადღება მიქცეული იყო დიდ ბარიკადზე, რომელიც, ცხადი იყო, მიზანში ამოეღო მთავრობის ჯარს და ადრე იქნებოდა თუ გვიან, ისევ აქეთ წამოვიდოდა მთელი ძალით. მაგრამ მარიუსს პატარა ბარიკადიც მოაგონდა და მის დასათვალიერებლად წავიდა. ცარიელი იყო იქაურობა, ერთი ჭრაქის ანაბარა მიტოვებული, რომელიც ძლივსღა ბუუტავდა ქვებში.

დაათვალიერა იქაურობა და გამოსვლა დააპირა, რომ თავისი სახელი გაიგონა, მისუსტებული ხმით ნათქვამი:

- ბატონო მარიუს!

შეკრთა, რადგან მაშინვე იცნო ეს ხმა, იგივე, რომლითაც ორი საათის წინ პლუმეს ქუჩაზე დაელაპარაკა ვიღაცა და უთხრა, ამხანაგები გელოდებიანი.

მაგრამ ეს ხმა უკვე სუსტ ქროლად მოისმოდა.

მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა.

მომესმაო, იფიქრა, იმდენი რამ გამოვიარეთ ამ ორ დღეში, ისე დამექანცა გონება, რომ ნამდვილი და ლანდი ვეღარ გამირჩევია ერთიმეორისგანო. გამოსასვლელისკენ გადმოდგა ერთი ნაბიჯი და ხელახლა მოესმა:

- ბატონო მარიუს!

ახლა კი ეჭვი აღარ იყო, ცხადად გაიგონა თავისი სახელი. მიიხედ-მოიხედა. არავინ იყო.

- თქვენ ფეხთან, ბატონო.

დაიხარა. ვიღაც დაინახა სიბნელეში; მიწაზე ეგდო და მისკენ მიცოცავდა.

ჭრაქის შუქზე ძლივს გაარჩია მუშა, ხალათი და უბრალო ხავერდის დახეული შარვალი ეცვა, ფეხშიშველი იყო, იქვე სისხლის გუბე იდგა. გაყვითლებული, მომაკვდავის სახე შესცქეროდა და ცდილობდა, როგორმე წამოწეულიყო.

- ვერ მიცანით?

- ვერა.

- ეპონინი გახლავართ.

მაშინვე ძირს დაიხარა მარიუსი და იცნო კაცის ტანისამოსში ჩაცმული ეპონინი.

- აქ რას აკეთებთ?

- ვკვდები, - მწარედ ამოიკვნესა ეპონინმა.

არის სიტყვა ან შემთხვევა, რომელიც ფეხზე წამოაყენებს დავრდომილს. შიგ გულში ეცა ეს სიტყვა მარიუსს და შეჰყვირა:ლ

- დაჭრილი ხართ? ახლავე დარბაზში შეგიყვანთ, ჭრილობებს შეგიხვევთ. მძიმედ ხართ დაჭრილი? როგორ აგიყვანოთ, რომ არაფერი გატკინოთ? რა გტკივათ? აჰა, ღმერთო! გიშველით, ჭრილობას შეგიხვევთ. აქ რამ მოგიყვანათ, - და სცადა, ხელი მოეხვია როგორმე, რომ აეყვანა.

ამასობაში მის ხელს შეეხო.

ეტკინა ხელი და სუსტად შეჰკივლა ეპონინმა.

- ძალიან გატკინეთ?

- ოდნავ, არა მიშავს რა.

- მაგრამ როგორ? მე ამ ხელის მეტს არას შევხებივარ.

გოგომ ხელი ასწია მარიუსის თვალებისკენ - შავად გახვრეტილი ჰქონდა ხელისგული.

- რა მოგვიდათ? რაზე დაიჭერით ხელი?

- გახვრეტილია.

- გახვრეტილი?

- დიახ,

- რითი?

- ტყვიით.

- როგორ?

- ვერ დაინახეთ, წეღან ის თოფი თქვენ რომ დაგიმიზნეს?

- დიახ, დავინახე, და ვიღაცის ხელი, ლულის პირს რომ დააფარა.

- ჩემი ხელი იყო.

მარიუსი აკანკალდა.

- რა სიგიჟე ჩაგიდენიათ! საბრალო გოგონა! მაგრამ მით უკეთესი! კარგად გადარჩენილხართ, თუ ამის მეტი არაფერია. მოითმინეთ, ერთი აგიყვანოთ, ლოგინში ჩაგაწვინოთ, ხელს შეგიხვევენ. ამგვარი ჭრილობისაგან რომ კვდებოდეს კაცი, ცოცხალი აღარავინ გადარჩებოდა.

ეპონინმა ძლივს წაიბუტბუტა:

- ხელში გამიარა ტყვიამ, მაგრამ ზურგიდან გავიდა. გვიანღაა, ამაო იქნება ჩემი დაძვრა. მე მოგახსენებთ, როგორ შეიძლება ჩემი ჭრილობის შეხვევა, თქვენ უფრო კარგად შემიხვევთ, ვიდრე კარგი ექიმი. აი, აქვე დაბრძანდით, ჩემთან, ამ ქვაზე.

დაჯდა მარიუსი. ეპონინმა მუხლებზე დაადო თავი, თვალი მოარიდა მარიუსს და აღტაცებით წამოიძახა:

- ოჰ, რა კარგია! რა კარგად ვარ! ძლივს! დამშვიდდა გული, აღარაფერი მაწუხებს.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, მერე მარიუსისკენ მიბრუნდა და უთხრა:

- მინდა რაღაც გითხრათ, ბატონო მარიუს. გულს მიწყლულებდა თქვენი სიარული პლუმეს ქუჩაზე, ბაღში რომ შეძვრებოდით ხოლმე. ჩემი სისულელე იყო, რა თქმა უნდა, რადგან მე თვითონ დაგანახვეთ მათი სახლი. და ისიც უნდა მცოდნოდა, რომ თქვენისთანა ახალგაზრდა...

სევდით სავსეს სულ სხვა ადგა ენის წვერზე, მაგრამ თავი შეიკავა და გულსაკლავი ღიმილით უთხრა:

- მახინჯად გეჩვენებოდით, არა?

შემდეგ განაგრძო:

- იცით, ბატონო მარიუს, წასულია თქვენი საქმე. აქედან, თქვენი ბარიკადიდან, ცოცხალი ვეღარავინ გავა. იცით, აქ მე მოგიყვანეთ? სიკვდილის კარზე დგახართ, დარწმუნებული ვარ, და მაინც, როცა დავინახე თქვენკენ დამიზნებული თოფი, ხელი დავაფარე ლულას, რომ გადამერჩინეთ. უცნაური ყოფილა ქალის გული! ალბათ, იმიტომ, რომ გადაწყვეტილი მქონდა, თქვენზე წინ მოვმკვდარიყავი. ამ ტყვიამ რომ გამიარა, აქეთ გამოვცოცდი, ვერავინ დამინახა, თორემ ამწევდნენ და დამაწვენდნენ სადმე. თქვენ გელოდით, სულ იმის ფიქრში ვიყავი, მოხვიდოდით თუ არა. ოჰ! რომ იცოდეთ, ამ ხალათს ვგლეჯდი კბილით, ისე ვიტანჯებოდი. აი, ახლა კი კარგად ვარ. გახსოვთ, თქვენს ოთახში რომ შემოვედი და სარკეში ვიყურებოდი? ან კიდევ, ბულვარზე რომ დაგიხვდით გოგოებთან ერთად? რა ტკბილად გალობდნენ ჩიტები! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ხუთი ფრანკი ჩამიდეთ ხელში და უარი გტკიცეთ, მე თქვენი ფული არ მინდა-მეთქი. მერე, აიღეთ ეს ფული თუ დაგეკარგათ? მგონია, მდიდარი არ უნდა იყოთ. ფიქრადაც არ მომივიდა, მეთქვა, რომ აგეღოთ. მშვენიერი დღე იყო, მზე ანათებდა, გამთბარი იყო ქვეყანა, გახსოვთ, ბატონო მარიუს? ოჰ, რა ბედნიერი ვარ! ყველანი დაიხოცებიან!

საცოდავი მომაკვდავი შეშლილს ჰგავდა. ხალათი დახეოდა, შიშველი მკერდი უჩანდა. ლაპარაკში გულზე იდებდა ტყვიით გახვრეტილ ხელს, დაწყლულებულ,

ტყვიითვე გახვრეტილ გულზე, საიდანაც ხანგამოშვებით თქრიალით სდიოდა სისხლი, თითქოს ონკანი მოუშვეს კასრს და ღვინო წამოვიდაო.

ღრმა თანაგრძნობით უსმენდა მარიუსი ამ მწარე სიცოცხლით დატანჯულ არსებას.

- ოჰ! - შეჰკივლა მწარედ ეპონინმა, - აგერ მომიარა! სული მიგუბდება!

ხალათი ჩაიდო პირში და კბილით გლეჯა დაუწყო.

ამ დროს მამლაყინწას ხმა გაისმა, პატარა გავროშისა, და მხიარულად მოედო მთელ ბარიკადს. მაგიდაზე ასულიყო თავისი თოფის გასატენად და ხალხში იმ დროს მეტად გავრცელებულ სიმღერას მღეროდა:

ლაფაიეტი ნახა, -

ჟანდარმი შიშით წახდა:

გავიქცეთ! გავიქცეთ! გავიქცეთ!

წამოიწია ეპონინმა, ყური მიუგდო და ჩურჩულიყ თქვა:

- ის არის.

მერე მარიუსს მიუბრუნდა:

- ჩემი ძმა გახლავთ, ნეტავი არ დამინახოს, გამიჯავრდება.

- თქვენი ძმა? - ჰკითხა გაკვირვებით მარიუსმა, რადგან ის მწარე და გულსაკლავი ფიქრები აშლოდა, რომელიც განსვენებული მამის დავალების აუსრულებლობას აღეძრა ეპონინის ნახვით.

- სად არის თქვენი ძმა?

- აგერ, პატარა.

- აი, ის, რომ მღერის?

- დიახ.

მარიუსმა წამოდგომა დააპირა.

- ოჰ, ნუ წახვალთ. დიდხანს ვეღარ გასტანს ჩემი სიცოცხლე!

საბრალო თითქმის წამომჯდარიყო, მაგრამ ხმა მისუსტებული ჰქონდა და სუნთქვა ეკვროდა. დროგამოშვებით აუვარდებოდა ხოლმე ხრიალი, იწევდა, უნდოდა, რაც შეიძლებოდა მეტად დაახლოებოდა მარიუსის სახეს.

და უცნაური გამომეტყველებით უთხრა:

- ყური დამიგდეთ. რაღა დროს მოტყუებაა? ერთი წერილი მაქვს ჯიბეში, თქვენთან გამოგზავნილი. გუშინდელს აქეთ თან ვატარებ და ვერ მოგეცით. მითხრეს, ფოსტაში ჩააგდეო. მე ჯიბეში ჩავიდე. არ მინდოდა, თქვენამდე მოეღწია. მაგრამ ვაითუ ჯავრი ჩაიყოლიოთ და იქაც ისე გულცივად მომეპყრათ, სადაც ახლა მივალთ. იქაც ხომ ვნახავთ ერთმანეთს, ჰა? ამოიღეთ თქვენი წერილი.

კონვულსიურად სტაცა თავისი გახვრეტილი ხელი მარიუსის ხელს, ეტყობოდა, აღარც კი გრძნობდა ტკივილს. თავის ჯიბეში ჩაიყო მარიუსის ხელი და მართლაც ქაღალდი ჰქონდა ჯიბეში.

- ამოიღეთ.

მარიუსმა წერილი ამოიღო.

კმაყოფილებით და თანხმობით დაუქნია ეპონინმა თავი.

- ახლა ჩემს გასამრჯელოდ, მოდი, დამპირდით, რომ...

და აღარ გაათავა.

- რას დაგპირდეთ?

- მპირდებით?

- დიახ, გპირდებით.

- დამპირდით, რომ შუბლზე მაკოცებთ ერთხელ, როცა მოვკვდები, იცოდეთ, ვიგრძნობ.

თავი მარიუსის მუხლზე დაუშვა, თვალი დახუჭა, მკვდარს ჰგავდა.

უცბად, სწორედ მაშინ, როდესაც სამუდამოდ მიძინებული ეგონა მარიუსს, ნელ-ნელა გაახილა თვალი, რომელშიც უკვე მოჩანდა ბნელი სიღრმე სიკვდილისა, და ისე ტკბილად უთხრა, თითქოს საიქიოდან წამოსულიყოს ეს სიტკბოება:

- ეჰ, ბატონო მარიუს. მგონი, ცოტა არ იყოს, მიყვარდით კიდეც.

სცადა, ღიმილით გამოსთხოვებოდა და სული განუტევა.

## თავი მეშვიდე

## გავროშმაც კარგად იცის მანძილის [1]გამოანგარიშება

წმინდად აასრულა მარიუსმა აღთქმა. ერთი კოცნით შეეხო ეპონინის გაფითრებულ შუბლს, რომელზედაც ჯერაც არ გამშრალიყო ჭირის ოფლი. კოზეტის ღალატად არ ჩაითვლებოდა ეს კოცნა. ასე სევდიანი სიტკბოებით გამოეთხოვა უბედურის სულს.

ხელის კანკალით ამოიღო ეპონინის ჯიბიდან წერილი. მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც მოხდა. ძლივსღა იკავებდა თავს, ისე ეჩქარებოდა ამ ახალი უბედურების გაგება. ასეთია კაცის გული; ის იყო, თვალი დახუჭა უბედურმა გოგომ და მარიუსსაც წერილის მეტი აღარაფერი ახსოვდა. მიცვალებული ფრთხილად დაუშვა მიწაზე და წავიდა.

რაღაც შიგ გულში ჩასძახოდა, რომ უხამსობა იქნებოდა მიცვალებულის წინაშე ამ წერილის წაკითხვა.

ქვედა დარბაზში სანთელთან. ერთი ბეწო ბარათი იყო, ქალური მოხერხებით ლამაზად დაკეცილი და დაბეჭდილი. მისამართიც ქალის ხელით იყო დაწერილი. მისამართი ასეთი იყო:

„ბატონ მარიუს პონმერსის, ბატონ კურფეირაკთან, ვერერის ქუჩა #16“.

გახსნა წერილი და წაიკითხა:

„ჩემო საყვარელო! სამწუხაროდ, მამაჩემი ახლავე აპირებს წასვლას. ამაღამ ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ვიქნებით, შვიდ ნომერში, ერთი კვირის შემდეგ ინგლისს მივდივართ.

კოზეტი. 4 ივნისი“.

იმდენად უბიწო იყო მათი სიყვარული, რომ კოზეტის ხელს, მის ნაწერს, პირველად ხედავდა მარიუსი.

როგორ მოხდა ეს, რამდენიმე სიტყვით შეიძლება ამისი თქმა. ყველაფერი ეპონინის მოხერხებული და გარიგებული იყო. 3 ივნისის საღამოს შემდეგ ორი გადაწყვეტილებით ყიყო გატაცებული ეპონინი. პირველი - გადაერჩინა თავისი მამისა და მისი ამხანაგებისგან გასაქურდავად დანიშნული სახლი პლუმეს ქუჩაზე, და მეორე - გაეშორებინა ერთმანეთს მარიუსი და კოზეტი. თავისი ტანისამოსი მისცა ვიღაც ბიჭს, რომელსაც ძალიან მოსწონდა ქალურად მორთვა, სამაგიეროდ, კაცის ტანისამოსი ჩაიცვა. მარსის მოედანზე, ფერდობზე რომ იჯდა ჟან ვალჟანი, მან გააფრთხილა, ბინა

გამოიცვალეთო. მაშინვე შინ მივიდა ჟან ვალჟანი და გადაწყვეტილება აცნობა კოზეტს, ამ საღამოსვე მივდივართ, ცოტა ხანს ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ვიქნებით და ერთი კვირის შემდეგ ინგლისში გადავალთ, ტუსენიც თან მიგვყავსო. გონზე ვერ მოსულიყო კოზეტი ამ მკაცრი განკარგულების მოსმენის შემდეგ და საჩქაროდ მისწერა მარიუსს რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ახლა ამ წერილის ფოსტით გაგზავნა იყო საჭირო. მარტო არსად გადიოდა, ტუსენისთვის რომ დაევალებინა, ქალს გააკვირვებდა ეს დავალება და ეჭვი არ არის, მაშინვე ფოშლევანს აჩვენებდა. ამ ფიქრში რომ იყო კოზეტი, თავისი ბაღის მესერთან დაინახა მამაკაცისსამოსიანი ეპონინი, რომელიც სულ იქ დაყიალებდა. მაშინვე დაუძახა ამ „ყმაწვილ მუშას", ხუთფრანკიანი ვერცხლი მისცა და სთხოვა, ეს წერილი ამ მისამართზე ახლავე ჩააბარე თავის პატრონსო. ეპონინმა ჯიბეში ჩაიდო წერილი. მეორე დღეს, 5 ივნისს, კურფეირაკთან მივიდა მარიუსის სანახავად, - ამას კარგად გაიგებს ყველა, ვისაც კი ჰყვარებია და ეჭვიც უგემია, - მივიდა არა ბარათის მისაცემად, არამედ მარტო იმისთვის, რომ მარიუსი ენახა. აქაც კარგა ხანი ელოდა მარიუსსა და კურფეირაკსაც კი, რომ მისგან გაეგო, სად იპოვიდა მარიუსს. კურფეირაკმა რომ უთხრა, ბარიკადებზე მივდივართო, უცბად გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა: სულერთია, მეც იმ ბარიკადზე უნდა მოვიკლა თავი და მარიუსსაც თან გავიყოლებო. კურფეირაკს მიჰყვა და თავისი თვალით ნახა, სად აშენებდნენ ბარიკადს. რადგან მარიუსს ჯერ ვარ მიეღო კოზეტის წერილი, რომელიც ჯიბეში ედო ეპონინს, ცხადი იყო, საღამოს, ჩვეულებრივ, პლუმეს ქუჩაზე მივიდოდა თავისი სატრფოს სანახავად. თვითონაც მივიდა, იქ იჯდა მარიუსის მოსვლამდე და როგორც იცით, უთხრა კიდეც ვითომ მარიუსის ამხანაგებისგან, შანვრერის ბარიკადებზე ვართ და შენც იქ გელითო. დარწმუნებული იყო, მარიუსი მეტად დადარდიანდებოდა, კოზეტს რომ ვერ ნახავდა, სასოწარკვეთილებას მიეცემოდა და სწორედ ამიტომ წავიდოდა ბარიკადისკენ. არც შემცდარა და თვითონაც შანვრერის ბარიკადს დაუბრუნდა. უკვე ვნახეთ, როგორ გასწირა თავი. მოკვდა და თან ის ტრაგიკული სიხარული გაიყოლა ეჭვით წამებული ადამიანისა, რომელსაც საიქიოს თან მიჰყავს საყვარელი ადამიანი, რომ აქ სხვას არავის დარჩეს.

მარიუსი კოზეტის წერილს ეამბორა. მაშ, უყვარს კოზეტს! სიხარული მოერია ერთ წამს, ვუყვარვარ, რა დროს სიკვდილიაო, მაგრამ ახლა სხვა ფიქრები აეშალა უნებურად, - ქალი მიდის, მამას მიჰყავს ინგლისში და ბაბუაჩემი კიდევ წინააღმდეგია ჩვენი ქორწინებისა. არაფერი შეცვლილა ჩემს ბედისწერაშიო. ისეთ მეოცნებეთ, როგორიც მარიუსი იყო, უაღრესი სასოწარკვეთილება მოერევათ ხოლმე და ძალმიხდილნი გამოდიან ამ მდგომარეობიდან. აუტანელია სიცოცხლით დაღლილობა; მხოლოდ სიკვდილი აღუთქვამთ ყმოსვენებას.

ამიტომაც დაასკვნა, რომ ორი მოვალეობა ჰქონდა შესასრულებელი: ეცნობებინა კოზეტისთვის თავისი სიკვდილი, საუკუნოდ გამოსთხოვებოდა წერილით, და ეპონინის ძმა და ტენარდიეს შვილი გადაერჩინა როგორმე იმ განსაცდელისაგან, რომელსაც ბარიკადი უქადდა.

საფულე თან ჰქონდა; ის, რომელშიც კოზეტის სიყვარულით ყნაკარნახევი და კოზეტისადმი მიძღვნილი ფიქრებით სავსე რვეული ედო. ამოხია ერთი ფურცელი და ფანქრით დაწერა რამდენიმე სტრიქონი:

„შეუძლებელია ჩვენი ქორწინება. ბაბუაჩემს ვთხოვე, ნებართვა მოეცა, უარი მითხრა. მე არაფერი მაბადია, არც შენ. შენკენ გამოვიქეცი, მაგრამ ვეღარ გნახე.

სიტყვა მოგეცი და კიდეც ვასრულებ. ვკვდები. მიყვარხარ. ამ წერილის კითხვის დროს შენთან იქნება ჩემი სული და გაგიღიმებს“.

არაფერი ჰქონდა, რომ დაებეჭდა ეს წერილი. რას იზამდა? ოთხად დაკეცა და მისამართი დააწერა:

„ქალბატონ კოზეტ ფოშლევანს, ბ. ფოშლევანთან, ლ’ომ-არმეს ქუჩა #7“.

დაკეცა წერილი და ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა. მერე საფულიდან რვეული ამოიღო და პირველივე ფურცელზე დაწერა ოთხი სტრიქონი:

„მე მარიუს პონმერსი ვარ. ბაბუაჩემთან, ბატონ ჟილნორმანთან მიმიტანეთ მკვდარი, ფილ-დე-კალვერის ქუჩა #6, მარეს უბანში“.

საფულე ისევ სერთუკის ჯიბეში ჩაიდო და მერე გავროშს უხმო. მარიუსის ხმაზე სიხარულით მოირბინა ბიჭმა, აღტაცებულმა, რომ თვითონაც რამეში გამოსდგომოდა თავის მხსნელს.

- ერთი რამ მინდა დაგავალო.

- თუნდ ბევრიც იყოს, - უპასუხა გავროშმა, - ღმერთო კეთილო, თქვენ რომ არა, ჩემი საქმე წასული იყო.

- ამ წერილს ხედავ?

- დიახ.

- დაიჭი. ბარიკადიდან გადი ახლავე (არ მოეწონა ბარიკადიდან გასვლა გავროშს და ყურის ფხანა დაიწყო) და ხვალ დილით მიართმევ, ვისი მისამართიც ზედ აწერია, ქალბატონ კოზეტს, ბატონ ფოშლევანთან, ლ’ომ-არმეს ქუჩა #7.

- ძალიან კარგი, მაგრამ ვაითუ ამასობაში ბარიკადი აიღონ და მე კი აქ არ ვიქნები, - უთხრა პატარა გმირმა:

- როგორც ეტყობა, ბარიკადის ასაღებად ჯარი ხვალ დილამდე არ დაიძვრება. ადრიანადაც რომ შემოგვიტიონ, შუადღის შემდეგ, ოთხ საათზე ადრე, ვერ აიღებენ.

ჯარს თავი დაენებებინა აჯანყებულთათვის, ჯერ არ უტევდა და ეტყობოდა, არც აპირებდა იერიშის განახლებას. ეს იყო ღამის შესვენება, რომელსაც თითქმის ყოველთვის ერთიორად გამწვავებული ბრძოლა მოსდევს.

- განა არ შეიძლება ხვალ დილით წავიღო თქვენი წერილი?

- მეტად დაგვიანდება. ალბათ, ბარიკადს ალყაში მოაქცევენ და შენც ვეღარ გახვალ. თუ წასვლა გინდა, ახლავე უნდა წახვიდე.

პასუხად ვეღარაფერი მოახერხა გავროშმა. იდგა და კეფას იფხანდა დაღონებული. ვერა და ვერ მოეაზრებინა, წასულიყო თუ არა? მერე ორბული სისწრაფით უცბად სტაცა ხელი წერილს და ჯიბეში ჩაიდო.

- ბატონი ბრძანდებით. აი, მივდივარ, - თქვა და მოკურცხლა მონდეტურის ქუჩისკენ.

ერთი აზრი ჰქონდა გავროშს, რომელმაც გადააწყვეტინა წასვლა, მაგრამ მარიუსს კი არ უთხრა, - ვაითუ, არ დამეთანხმოსო.

აი, რას ფიქრობდა: ჯერ შუაღამეც არ არის. ლ’ომ-არმეს ქუჩა არც ისე შორსაა. წერილს ახლავე ჩავარბენინებ და აქაც დროზე დავბრუნდებიო.

## წიგნი მეთხუთმეტე
## l’Homme-Armé-ს ქუჩა

## თავი პირველი
## ყბედი საშრობი ქაღალდი

რას წარმოადგენს მღელვარება ქალაქისა სულის თრთოლასთან შედარებით? ადამიანი უფრო ღრმაა, ვიდრე ხალხი. საშინელ მდგომარეობაში იყო ამ დროს ჟან ვალჟანი. ისიც უფსკრულის პირას იდგა და მხოლოდ საშინელს მოელოდა. ისიც ისევე შფოთავდა, როგორც პარიზი, რომელსაც უახლოვდებოდა დიდი და თან ბნელი რევოლუცია. რამდენიმე საათის განმავლობაში ერთიანად შეიცვალა ჟან ვალჟანის მდგომარეობა. შავი ღრუბელი გადაეფარა მის სიცოცხლესა და მის სინდისს. ვალჟანის შესახებაც ისე, როგორც პარიზის შესახებ, შეიძლებოდა გვეთქვა, - ერთად წამომდგარა ორი პრინციპი, - თეთრი ანგელოზი და შავი ანგელოზი წაჰკიდებიან ერთმანეთს ამ უფსკრულის პირას. რომელი აჯობებს? რომელი გაიმარჯვებს?

4 ივნისსვე გადავიდა ჟან ვალჟანი ლ'ომ-არმეს ქუჩაზე და თან წაიყვანა კოზეტი და ტუსენი. მოულოდნელი ელდა იქ დახვდა.

პლუმეს ქუჩიდან წამოსვლა არ უნდოდა კოზეტს და პატარა წინააღმდეგობაც სცადა, მაგრამ ამაოდ. კარგა ხანი იყო, ერთად ცხოვრობდნენ ის და ჟან ვალჟანი და ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ კოზეტის სურვილი თუ არ შეეჯახა ჟან ვალჟანისას, წინ აღუდგა მაინც. ერთი მხრივ, შესიტყვება იყო, მეორე მხრივ, შეუდრეკელობა. ვიღაც უცნობის უეცარმა რჩევამ, ბინა გამოიცვალეთო, ისე ააღელვა ჟან ვალჟანი, რომ დაუყოვნებლივ შეუდგა შესრულებას. დარწმუნებული იყო, ჩემს კვალს მიაგნეს და მეძებენო. სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა კოზეტი.

ისე მივიდნენ ახალ ბინამდე, ხმა არ ამოუღიათ, სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. თავ-თავისი სევდა შემოსწოლოდა ორივეს. იმდენად შეწუხებული იყო ჟან ვალჟანი, რომ კოზეტის დაღონებას ვერ ამჩნევდა, და იმდენად დაღონებული იყო კოზეტი, რომ ჟან ვალჟანის მწუხარებას ვერ ხედავდა.

წინათაც რამდენჯერმე წასულა სხვაგან ჟან ვალჟანი, კოზეტიც თან წაუყვანია, მაგრამ ტუსენი კი არა. ახლა კი ტუსენიც გადაიყვანა ახალ ბინაში, რადგან გრძნობდა, რომ შეიძლებოდა, აღარც კი დაბრუნებულიყო პლუმეს ქუჩის სახლში, და არც უპატრონოდ მიტოვება შეეძლო ერთგული მოსამსახურის; თავისი საიდუმლოს გამჟღავნებაც არ უნდოდა, თუმცა იცოდა, რომ თავდადებული ქალი იყო და არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა. მოსამსახურის ბატონისადმი ღალატი ცნობისმოყვარეობით იწყება. ტუსენი კი თითქოს იმიტომ დაბადებულიყო, რომ ჟან ვალჟანის მოსამსახურე ყოფილიყო. სულ არ იყო ცნობისმოყვარე. ხშირად იტყოდა ხოლმე ლუღლუღით, ბარნვილელი გლეხის გამოთქმით, ასე გავლიე ჩემი დღენი, ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ყურადღებასაც არ ვაქცევდი, რაც მე არ შემეხებოდაო.

პლუმეს ქუჩიდან ახალ ბინაში გადასვლა უფრო გაქცევას ჰგავდა, ვიდრე გადასახლებას. ჟან ვალჟანმა არაფერი გადაიტანა, გარდა თავისი სურნელოვანი ჩანთისა, რომელსაც კოზეტმა „განუყრელი" დაარქვა. ბარგი რომ ჩაელაგებინათ, მუშები დასჭირდებოდათ გადასაზიდავად და მუშები კი იგივე მოწმენი არიან. ბინდისას მოიყვანეს ერთი ეტლი, ისიც ბაბილონის ქუჩის კართან, და ისე წავიდნენ.

დიდი გაჭირვებით მიიღო ტუსენმა ნებართვა ჟან ვალჟანისაგან, რომ ცოტაოდენი თეთრეული, ტანისამოსი და კიდევ რამდენიმე საჭირო ნივთი წაეღო. კოზეტს მარტო თავისი ქაღალდები და მელნის საშრობი ჰქონდა.

მათი გამგზავრება რომ არავის შეემჩნია, ჟან ვალჟანმა მხოლოდ ბინდისას მიიყვანა ეტლი. ამ გარემოებამ საშუალება მისცა კოზეტს, პატარა ბარათი მიეწერა მარიუსისთვის. ლ'ომ-არმეს ქუჩაზე რომ მივიდნენ, ძილის დრო იყო.

უსიტყვოდ დაწვნენ.

მათი ბინა უკანა ეზოში იყო, მესამე სართულზე; ორი საწოლი ოთახი ჰქონდათ, ერთი სასადილო და სამზარეულო, სასადილო ოთახის გვერდით; სამზარეულოშივე იყო ტიხრით გადაღობილი პატარა საწოლი ტუსენისთვის. სასადილო ორ საწოლ ოთახშუა იყო მოწყობილი. ახალ ბინას საჭირო ჭურჭელი და მოწყობილობაც ჰქონდა.

განუსჯელად, ერთბაშად მოერევა ხოლმე ადამიანს შიში და თითქმის ისევე ადვილად დამშვიდდება; როგორც კი შევიდა ჟან ვალჟანი თავის ახალ ბინაში, ეს მაშინვე შეეტყო და მერე თანდათან სულ დამშვიდდა. ზოგჯერ თვითონ ადგილი ამშვიდებს ადამიანს, სამწუხარო ფიქრებს უქარვებს და მექანიკურად მოქმედებს გონებაზე. ახალი ბინა მიყრუებულ უბანში იყო, ბნელ ქუჩაზე, მშვიდობიან მეზობლებში. და ეს სიმშვიდე გადაედო ჟან ვალჟანსაც, როგორც კი თავის ახალ ოთახებში შევიდა; ეს იყო ძველი პარიზის იმდენად ვიწრო ქუჩა, რომ ბოძით იყო გადაღობილი, ეტლები არ შემოვიდნენო; ყრუ და ამასთან, მუნჯი ქუჩა იყო ამ ხმაურიან ქალაქში, დღისითაც კი ჩაბნელებული და ისე ჩამწყვდეული ორმხრივ აღმართული მაღალი სახლების კედლებით, რომ აღარაფერი ესმოდა ქვეყნიერებისა. თვით ამ მაღალ სახლებშიც არაფერი იგრძნობოდა მღელვარე სიცოცხლისა, რადგან ძველისძველი სახლები იყო, ბებრულად მიჩუმებული. ამ ქუჩაზე თითქოს ყველაფერი დავიწყებულიყო. და ჟან ვალჟანმაც თავისუფლად, შვებით ამოისუნთქა. ვინ იპოვიდა მათ აქ?

მაშინვე აისრულა თავისი უპირველესი მოთხოვნილება, „განუყრელი“ თავის საწოლთან მოათავსა.

კარგად ეძინა. ღამე ადამიანის მრჩეველია და შეიძლება ვთქვათ, დამამშვიდებელიც. მეორე დღეს, როცა გამოეღვიძა, თითქმის მხიარული იყო. საგანგებოდ, მშვენივრად ეჩვენა სასადილო ოოთახი, თუმცა საძაგელი იყო. ერთი ძველი მრგვალი მაგიდა იდგა, ერთი დაბალი ბუფეტი, რომელსაც ზემოდან სარკე ამშვენებდა, ერთი ძველი ჭიანაჭამი სავარძელი და რამდენიმე სკამი, რომლებზეც ტუსენის წამოღებული ბარგი იდო და, სხვათა შორის, ერთიც დახეული ბოხჩა, ჟან ვალჟანის ეროვნული გვარდიელის სამოსით.

კოზეტმა თავის საძინებელში შეატანინა ტუსენს საუზმე და საღამომდე არ გამოსულა.

მთელი დღე არ მოუსვენია ტუსენს, ალაგებდა, ასუფთავებდა ახალ ბინას და ხუთი საათი იქნებოდა, სუფრა რომ გაშალა; სადილად ცივად მოხარშული დედალი ჰქონდათ. კოზეტი მამის პატივისცემით სუფრას მიუჯდა, მაგრამ არაფერი უჭამია.

როგორც კი ისადილეს, კოზეტმა თავის ტკივილი მოიმიზეზა, ღამე მშვიდობისა უსურვა მამას და თავის ოთახში შევიდა. შევიდა და კარი ჩაიკეტა. ჟან ვალჟანმა ქათმის ერთი ფრთა შეჭამა და იქვე დარჩა მაგიდაზე მკლავდაყრდნობილი. დამშვიდებული იყო და ცდილობდა, ფიქრები დაემორჩილებინა.

ჯერ ისევ სადილის დროს მოესმა, ისიც ძალიან ყრუდ, ტუსენის ლუღლუღი, რომელიც ეუბნებოდა, - აიშალა ისევ პარიზი, ბატონო, დიდი ბრძოლაა ქალაქშიო, მაგრამ ჟან ვალჟანი ისე იყო თავისი ფიქრით გატაცებული, რომ ყურადღება არ მიუქცევია. ვინ იცის, არც კი გაუგონია.

წამოდგა და სიარული დაიწყო ოთახში, ბოლთას სცემდა კარიდან ფანჯრამდე და ფანჯრიდან კარამდე. თან უფრო და უფრო უმშვიდდებოდა გულიც და გონებაც.

მოიპოვა სიმშვიდე და მასთან ერთად კოზეტიც მოაგონდა, თავისი ერთადერთი საზრუნავი. კოზეტის თავის ტკივილი კი არ აფიქრებდა, ან მისი ნერვიულობა, უგუნებობა, პატარა ღრუბელი ქალის მხიარულების დამჩრდილავი. ყოველივე ეს სწრაფწარმავალი იყო და სულ ორ დღეს გასტანდა. ჟან ვალჟანი თავისი შვილობილის მომავალზე ფიქრობდა და ნეტარებად ესახებოდა ეს მომავალი. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ხელი შეეშალა მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის? ხანდახან, დროებით, რაღაც მოუვა ხოლმე ადამიანს, ყველაფერი შეუძლებლად ეჩვენება, ცოტა ხნის შემდეგ კი ყოველი სურვილი ადვილად მისაღწევი და შესაძლებელი. ჟან ვალჟანსაც სწორედ ასეთი ბედნიერი წუთი დაუფლებოდა. ის, ჩვეულებრივ, მძიმე წუთს მოჰყვება ხოლმე, როგორც დღე მოსდევს ღამის სიბნელეს, იმ კანონის ძალით, რომლითაც თანამიმდევრობა და კონტრასტი შეადგენს ფუძეს ბუნებისას, თუმცა ზედაპირულად მოაზროვნენი ანტითეზას უწოდებენ. ამ მშვიდობიან ქუჩას შეაფარა ჟან ვალჟანმა თავი და მთლად ჩამოიბერტყა, რაც კი ჰქონდა საშიში და სამწუხარო. სწორედ იმიტომ, რომ შავი დღის მეტი არაფერი ენახა, ახლა ცოტაოდენ სინათლესაც ხედავდა. რაკი პლუმეს ქუჩიდან ისე გამოვიდა, რომ არც დაბრკოლება შეხვედრია, არც რამე საშიში შემთხვევა, ესეც დიდი რამ იყო საბრალოსთვის. იქნებ კარგი ყოფილიყო, ცოტა ხანს უცხოეთში გამგზავრებულიყო, რამდენიმე თვე გაეტარებინა ლონდონში, კოზეტთან ერთად ყველგან ბედნიერი იქნებოდა. მისი სამშობლო, ყველაფერი, მისთვის კოზეტი იყო. ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება თვით ის არ კმაროდა კოზეტის ბედნიერებისთვის; ერთ დროს ეს ფიქრი ძალიან აწუხებდა, გულს უღრღნიდა და ძილს უკარგავდა. ახლა კი მივიწყებული ჰქონდა. გულწასულივით დავიწყებოდა წარსულის ყოველი სევდა და ვარამი და სრული ოპტიმიზმით ტკბებოდა. კოზეტი ჰყავდა თავისთან და თავისად მიაჩნდა; ეს გახლავთ ოპტიკური შთაბეჭდილება, რომელიც ყველას ექნება გამოცდილი. ახლა მხოლოდ წასვლაზე, დაუბრკოლებელ მგზავრობაზე და თავის კოზეტთან ერთად ინგლისში სასიამოვნოდ ცხოვრებაზე ფიქრობდა; გრძნობდა, რომ აღდგენილიყო მისი ბედნიერება, სადაც უნდა ყოფილიყო, ეგ სულერთია, ოღონდ ისე, როგორც თვითონ ოცნებობდა.

ასე ფიქრობდა და ოცნებით გატაცებული ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა ოთახში და უცბად რაღაც უცნაურს მოჰკრა თვალი. იდგა და სარკეს შეჰყურებდა. განჯინის თავზე რომ სარკე იდგა, კედელზე მიყუდებული, იმ სარკეში ოთხი სტრიქონი მოჩანდა:

„ჩემო საყვარელო! მამაჩემი ახლავე აპირებს წასვლას. ამაღამ ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ვიქნებით, #7-ში. ერთი კვირის შემდეგ ინგლისს მივდივართ.

კოზეტი. 4 ივნისი“.

განცვიფრებული იდგა ჟან ვალჟანი.

ამ სახლში რომ გადმოვიდნენ, კოზეტმა სარკის წინ დადო თავისი მელნის საშრობი და ისე იყო დასევდიანებული, რომ მაშინვე დაავიწყდა, ისიც კი ვერ შენიშნა, რომ

საშრობი სხვა მხრით, ქაღალდით სარკისკენ დაედო; საშრობ ქაღალდს ერთიანად ამოეწუწნა მარიუსისადმი მიძღვნილი სიტყვები, და რადგან ამ ფურცელს ჯერ სხვა არაფერი გაეშრო, კარგად ეტყობოდა ოთხივე სტრიქონი. კოზეტმა წერილი ვიღაც მუშას გაატანა მარიუსთან, მაგრამ საშრობზე ანაბეჭდი კი შინ დარჩენილიყო. სარკეში მშვენივრად მოჩანდა ბარათის ანარეკლი.

საშრობმა და სარკემ შექმნეს ის, რასაც გეომეტრიაში სიმეტრიულ სურათს უწოდებენ; საშრობ ქაღალდზე სარკისებურად გადასული ასოები სწორად მოჩანდა სარკეში და ადვილი წასაკითხი იყო. ჟან ვალჟანს თვალწინ ედგა გუშინ, 4 ივნისს, მარიუსისათვის მიწერილი კოზეტის ბარათი.

ეს ცხადი და თავზარდამცემი იყო.

სარკესთან მივიდა. კიდევ წაიკითხა წერილი, მაგრამ არ დაიჯერა. სინათლის თამაშის შედეგად ეჩვენებოდა, ლანდად. შეუძლებელს ხედავდა, რაღაც მოჩვენებას.

მაგრამ სინამდვილე სჯობნიდა და ნელ-ნელა უქარწყლებდა ანარეკლის მოჩვენებითობას. კოზეტის საშრობი აიღო, დააკვირდა და იგრძნო, რომ ნამდვილ, არსებულ გარემოებას ხედავდა. სარკეში აქედან აირეკლება ეს სიტყვებიო, უფრო დაკვირვებით გასინჯა საშრობის ქაღალდი, გასინჯა საშრობზე დაბეჭდილი ოთხი სტრიქონის გადაბრუნებული ასოები, რომლებიც ნაჯღაბნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნაწერს, და გული დაიმშვიდა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას? აქ დაწერილი არაფერიაო, ფიქრობდა. შვებით ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი აწვა და ძლივს მოიხსნაო. ვის არ შემთხვევია საშინელ გაჭირვებაში მყოფს ეს სულელური სიხარული? სული არ ნებდება ხოლმე სასოწარკვეთილებას, სანამ არ გამოლევს თავის ყველა ილუზიას.

ხელში ეჭირა საშრობი და შეჰყურებდა გულუბრყვილოდ ბედნიერი, იმდენად მოხარული, რომ მზად იყო, ხარხარი დაეწყო, ასე როგორ შემაშინა რაღაც სისულელემო. მაგრამ ისევ სარკეს შეხედა და ხელახლა მოელანდა იგივე ნაწერი. გარკვეულად იხატებოდა სარკეში ოთხი სტრიქონი. არა, ახლა კი ეს სინამდვილე იყო და არა მოჩვენება. განმეორება ლანდისა ამტკიცებს მის სინამდვილესა და რეალობას. ლანდი კი არა, სინამდვილე იყო, ხელშესახები, თვალით დასანახი და წასაკითხი, - ნაწერი იყო სარკეში გამოსახული. მაშინ კი მიხვდა. შებარბაცდა კაცი, საშრობი ხელიდან გაუვარდა, და დაეშვა ძველ სავარძელზე, განჯინის გვერდით რომ იდგა; თავს ვეღარ იმაგრებდა, თვალი მინის მსგავსი გახდომოდა, გონება დაჰფანტოდა. ცხადია, თვალი არ მატყუებს, საუკუნოდ დამიბნელდა მზე, ავის მეტს ვეღარაფერს ვეღირსები, კოზეტი ვიღაცას სწერს ამ სიტყვებსო. გრძნობდა, რომ სული საშინლად დაუმძიმდა, გულის სიღრმიდან გაშმაგებული სულის ჩუმი გრგვინვა ესმოდა. მიდით და წაართვით ლომს მის გალიაში გაზრდილი ძაღლი!

უცნაური და სამწუხარო ის იყო, რომ ჯერ თვით მარიუსსაც არ მიეღო კოზეტის წერილი. შემთხვევამ უღალატა კოზეტს და მის სატრფოს, ჟან ვალჟანს უფრო ადრე წააკითხა, ვიდრე მარიუსს.

აქამდე ჟან ვალჟანი არასოდეს დაუმარცხებია უბედურებას. რა არ გადახდომია თავს? ბედისწერა უხვად აჯილდოებდა ჭირ-ვარამით, საზოგადოებრივი სასჯელითა და კიცხვით. ჯავრის ამოსაყრელად აერჩია საწყალი კაცი, გულს უწიწკნიდა და სულს უხუთავდა. ჟან ვალჟანიც ემორჩილებოდა, არც უკან იხევდა, არც თავს უხრიდა, გულმაგრად უხვდებოდა ყველაფერს, რაც უნდა საშინელება მიესაჯა ცხოვრებას.

ურიგდებოდა ამ წამებას და მოთმინებით ელოდა მომავალს. ძლივს მოპოვებული ხელშეუხებლობა, თავისუფლება შესწირა მომავალს, საფრთხეში ჩააგდო თავისი სიცოცხლე. მას შეალია ყველაფერი, იმის მოსაპოვებლად იყო, რომ უანგაროდ და შეუდრეკლად გაატარა სიცოცხლე, იმდენად წმინდად, რომ შეიძლებოდა, გვეთქვა, ამ კაცმა, როგორც წამებულმა, ყოველივე პირადი უარყოო. ბრძოლას გაემაგრებინა მისი სული, უკვე ეგემა ცხოვრების ყოველი სამსალა და აღარაფრის ეშინოდა. მიუხედავად ამისა, ვინმეს რომ შესძლებოდა მისი გულის სიღრმეში ჩახედვა, იძულებული იქნებოდა, ეთქვა, სისუსტე ერევა ჟან ვალჟანს, დამარცხებულად გრძნობს თავსო.

ეს იმიტომ, რომ არაერთი ბოროტება ენახა, მართალია, მრავალი უსამართლობა და შეურაცხყოფა აეტანა, მაგრამ ჯერ ამნაირი საზარელი არაფერი მოხვედროდა მის გულს. ცხოვრება მუხრუჭს უჭერდა, მაგრამ ჯერ ასე მაგრად არსად მოსდებოდა მუხრუჭის წვერი. ხედავდა, რომ გული ვეღარ იტევდა იდუმალ გრძნობათა აღშფოთებას. ხედავდა, როგორ მწარედ უთრთოდა აქამდე უცნობი ფიქრი. ვაი, რომ ადამიანისთვის ყველაზე საშინელი, უკეთ რომ ვთქვათ, ერთადერთი სულიერად მომაკვდინებელი, საყვარელი არსების დაკარგვაა!

საწყალ მოხუცს ისე უყვარდა კოზეტი, როგორც მამას შვილი, და არა სხვაგვარად. მაგრამ, ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ მამობრივ სიყვარულს მისი სიცოცხლის სიცარიელემ სხვა ყოველგვარი სიყვარულიც დაუმატა. კოზეტი უყვარდა როგორც შვილი, უყვარდა როგორც დედა, უყვარდა, როგორც და და რადგან არასოდეს არავინ ჰყოლოდა, არც ცოლი, არც საყვარელი, და ბუნება კი ისეთი მკაცრი მევახშეა, არავის არასოდეს შეარჩენს რამეს, ეს გრძნობაც ერეოდა მის სიყვარულში, როგორც ყველაზე გამძლე და ცხოველი; ოღონდ ყრუდ ერეოდა, შეუგნებლად, წმინდად. იგი წმინდა იყო თავისი სიბრმავით; ანგელოზებრ ციური და ღვთიურ უბიწო: გრძნობა კი არ იყო ეს სიყვარული, უფრო ალღო, უკეთ რომ ვთქვათ, მიმზიდველობა შეუმჩნეველი და უხილავი, ოღონდ ნამდვილად არსებული. ნამდვილი სიყვარული იყო ჩამალული იმ უსაზღვრო სიტკბოებაში, რომელშიც კოზეტს ხედავდა, როგორც ოქროს ზოდია ჩამალული დიდ, ჯერ გაუთხრელ მთაში.

გაიხსენოს მკითხველმა ის გულისტკივილი, რომელიც ზევით მოვახსენეთ. კოზეტსა და ჟან ვალჟანს შორის შეუძლებელი იყო ქორწინება. შეუძლებელი იყო სულიერი ქორწინებაც კი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მათი ბედი დაქორწინებულიყო. კოზეტის გარდა, ე. ი. ბავშვის გარდა, ჟან ვალჟანს არასოდეს არავინ ჰყოლია, რომ ჰყვარებოდა. ვნებათაღელვასა და სიყვარულს, რომლებიც ერთმანეთს მისდევენ, არ დაუსვია მასზე ის მწვანე დაღი, ნელ-ნელა გამუქებული ბაცი მწვანე დაღი, რომელსაც ფოთლებზე ვხედავთ ხოლმე, ზამთარი რომ მოგვიახლოვდება, და ადამიანზე, ორმოცდაათ წელს რომ გადასცილდება. ბოლო რომ მოვუღოთ ამ საკითხს, უკვე რამდენჯერმე ვთქვით და ახლაც ვამბობთ, მთელი ეს სხვადასხვა გრძნობის შედეგება, რომელმაც ნაყოფად წმინდა სათნოება გამოიღო, კოზეტის მამად ქმნიდა ჟან ვალჟანს, უცნაურ მამად, რომელშიც გაერთიანებულიყო ბაბუაც, ძმაც, ქმარიც, ყოველივე ის, რაც უნდა ყოფილიყო ჟან ვალჟანში. მამად გრძნობდა თავს და დედობასაც შიგ ურევდა; მამად გრძნობდა თავს და გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილობილი, თაყვანს სცემდა, აღმერთებდა და მის გარდა არავინ გაჩნდა, ის იყო მისი მზე და სინათლე, მისი ქვეყნიერება, მისი ოჯახი, მისი სამშობლო და სამოთხე.

და როცა დარწმუნდა, რომ ამას ბოლო მოეღო, საბოლოოდ ეკარგებოდა საოცნებო ტკბილი მომავალი, ხელიდან უსხლტებოდა თავისი ნეტარება, ემალებოდა, ღრუბელივით მისდევდა ქარს; როცა თვალწინ წარმოუდგა ის გულსაკლავი სინამდვილე, რომ კოზეტის გულში სხვას ჩაებუდებინა, რომ უკვე სხვა ჰყავდა სიცოცხლის დამატკბობელი; რომ კოზეტს სხვა უყვარს, ჟან ვალჟანი მარტო მამაა და სხვა არაფერი; როდესაც დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო რაიმე ეჭვი, იმისთანა სევდა მოერია, რომელმაც შესაძლებელს გადააჭარბა. რას ამზადებდა, რა ტანჯვით, რა თავგანწირვით და რას მიაღწია! მაშ, ის არაფერი ყოფილა! და მაშინ კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავით ფეხამდე დაუარა აღშფოთების ჟრჟოლამ. მთელ თავის არსებაში, თმის ძირებითაც კი იგრძნო ეგოიზმის საშინელი აღშფოთება და ამ კაცის გულში გაისმა აქამდე ჩამკვდარი მე-ს ბრდღვინვა.

ზვავი გულშიც ჩამოწვება ხოლმე. ადამიანს სასოწარკვეთილება რომ დაატყდება, შლის და არღვევს იმ ღრმა ფუძეს, ურომლისოდაც შეუძლებელია სიცოცხლე. ამ წერტილამდე რომ მიაღწევს სევდა, რაც ადამიანის არსებაში ძალა, შეგნება და გამძლეობაა, მას ყველაფერი გაურბის. ეს არის ჩვენი სიცოცხლის ავბედითი კრიზისი. ძალიან ცოტაა ჩვენგანი, რომ ამ განსაცდელის შემდეგ იმ კაცადვე დარჩეს, რა კაციც იყო, ისეთივე ერთგულად ამსრულებელი თავისი მოვალეობისა, როგორიც იყო. როდესაც საზღვარს გადასცდება ადამიანის სულიერი ტანჯვა, სათნოებაც ქედს იხრის, რაც უნდა ამაყი და დაუჯაბნავი იყოს.

ერთხელ კიდევ აიღო საშრობი და კიდევ დარწმუნდა, რომ სინამდვილეს ხედავდა ცხადად. გაქვავებულივით დასცქეროდა ამ ოთხ სტრიქონს, კოზეტის ხელით დაწერილს, იმის ხელმონაწერს; იდგა მოხრილი, თვალს ვეღარ აშორებდა. ისეთი წყვდიადი მორეოდა სახეზე, რომ იტყოდით, გაუწყდა საბრალოს სიცოცხლის კვანძიო.

კვლევა დაუწყო ამ აღმოჩენას თავის ოცნებათა თვალსაზრისით, გარეგნული, მით უფრო საშინელი სიმშვიდით, რომელიც მით არის საზარელი, რომ ცივ ქანდაკებად გადააქცევს ცოცხალ ადამიანს. მერე იმ მანძილს გადაავლო თვალი, რომელიც მის შეუმჩნევლად გაევლოს მის ბედს. მოიგონა შარშანდელი ზაფხულის შიში, ასე მიამიტად დავიწყებული, და იცნო უფსკრული; იგივე იყო ის, შარშანდელი! ოღონდ უფსკრულის პირას კი არა, ძირში ჩავარდნილიყო ამჟამად ჟან ვალჟანი.

მით უფრო საშინელი იყო მისი სევდა, რომ ვერც კი შეენიშნა, უფსკრულში როგორ ჩავარდნილიყო. მთელი სიცოცხლის მზე გაჰქრობოდა, მას კი ეგონა, მზეს შევხარიო.

მის ალღოს ყოყმანი არ დაუწყია. ერთმანეთს მიუყენა სხვადასხვა გარემოება, სხვადასხვა თარიღი, კოზეტის გუნების ხშირი ცვალებადობა და გადაწყვიტა, საეჭვო აღარაფერრიაო! სასოწარკვეთილებას საიდუმლოს ამოცნობის ისეთი მშვილდ-ისარი აქვს, რომ არასოდეს ასცდება მიზანს. საქმეს კარგად ჩაუფიქრდა და პირველივე დასკვნით მარიუსს მიაკვლია. სახელი არ იცოდა, მაგრამ მიხვდა, რომელი იყო ის ახალგაზრდა. წარსულის სურათების ულმობელ გახსენებაში თვალწინ დაუდგა ლუქსემბურგის ბაღში მოყიალე უცნობი, ის საზიზღარი არშიყი, ის რომანსების მომღერალი უქნარა, ის რეგვენი, ის ლაჩარი, რადგან ლაჩარზე უარესია, ვინც თვალებს უციმციმებს ქალს, რომელსაც გვერდზე უზის მოყვარული მამა.

როდესაც საბოლოოდ დაადგინა, რომ ყოველივე ამის შემოქმედი ის ყმაწვილი ბრძანდებოდა, რომ მისგან გამომდინარეობდა ყველაფერი, თავის გულში ჩაიხედა ჟან ვალჟანმა, ამ გარდაქმნილმა ადამიანმა, რომელმაც იმხელა შრომა გასწია

თავისი სულის მოსალმობიერებლად, რომელმაც იმხელა ტანჯვა გამოიარა მხოლოდ იმისთვის, რომ აქამდე განცდილი ყოველგვარი გასაჭირი და უბედურება სიყვარულით დაეტკბო და გაექარვებინა, ჩაიხედა თავის გულში და იქ სიძულვილის მეტი ვეღარაფერი დაინახა.

დიდმა მწუხარებამ ადამიანის დაბეჩავება იცის; იმედსა და ძალ-ღონეს უსპობს. კაცს რომ მწუხარება მოერევა, თვითონვე გრძნობს, რომ რაღაცას კარგავს თავისი არსისას. სიყმაწვილეში სავალალოა ეს მწუხარება, მერე კი დამღუპველი. თუკი მაშინ, როდესაც სისხლი უდუღს ადამიანს, თმა გიშერი აქვს, თავი ამაყი - ახოვან ტანზე, როგორც ალი ძვირფას შანდალზე; როდესაც ბედისწერის გორგალს ჯერ არაფერი მოჰკლებია; როდესაც გული ნანატრი სიყვარულით არის სავსე და ისე მაგრად უცემს კაცს, რომ ადვილად პოვებს თავისი გულისთქმის პასუხს; როდესაც წინ უდევს კიდევ დიდი დრო, რომ შეასწოროს, გამოაკეთოს მდგომარეობა; როდესაც გარს ახვევია უამრავი ქალი და მათი ღიმილი; როდესაც მას ეკუთვნის მთელი მომავალი, მთელი ჰორიზონტი, როდესაც სიცოცხლის ძალა ჯერ სრული აქვს, მაშინ საშინელებად მიაჩნია ეს მწუხარება და მით წარიკვეთს ყოველ იმედს; მაშ, რა დაემართება ამ მწუხარებით სავსე მოხუცს, რომლის სიცოცხლის წლები თანდათან უფერულდებიან და გარბიან იმ ბინდით მოცული ჟამისაკენ, საიდანაც ნათლად მოჩანს სამარის ვარსკვლავები.

ამ მწარე ფიქრით იყო ჟან ვალჟანი მოცული, რომ ოთახში ტუსენი შევიდა. მოხუცი წამოდგა და ჰკითხა:

- სად არის ბრძოლა? ხომ არ იცით?

ტუსენი გაკვირვებული შეჰყურებდა.

- რა მიბრძანეთ?

ჟან ვალჟანმა გაუმეორა:

- თქვენ არ მითხარით წეღან, ბრძოლა ატყდა პარიზშიო.

- დიახ, ბატონო, ბრძოლაა სენ-მერისაკენ.

აქვს ხოლმე ადამიანს ერთგვარი შეუმჩნეველი მოძრაობა, რომელსაც უნებურად აღძრავს ჩვენშივე ღრმად ჩამალული ფიქრი. ალბათ, ამ ფიქრის ბიძგით იყო, რომელიც იქნებ ვერც კი შენიშნა ჟან ვალჟანმა, რომ ხუთიოდე წუთის შემდეგ უკვე ქუჩაში იყო.

თავშიშველი იჯდა ქვაზე, სახლის კართან და ეტყობოდა, ყურს უგდებდა რაღაცას.

ღამე ჩამოწოლილიყო.

## თავი მეორე
## სინათლის მტერი გამენი

რამდენი ხანი გავიდა ასე, რა მოქცევასა და უკუქცევას განიცდიდა ეს ფიქრის ტრაგიკული ზღვა? წამოდგა კაცი თუ ისევ დარჩა ძირს გართხმული? დაცემული იყო მხოლოდ თუ დამტვრეული? შეეძლო თუ არა, წამოდგომა და თავის შეგნებაში რაიმე მყარის, მკვრივის, მაგარის აღმოჩენა, რომ ზედ ფეხი დაედგა და წამომართულიყო? მოსალოდნელია, რომ ამის პასუხს თვითონაც ვერ გეტყოდათ.

არავინ იყო ქუჩაში. რამდენიმე დამფრთხალი ბურჟუა სირბილით მიეშურებოდა შინისკენ, ასე რომ, ვერც კი შეამჩნევდნენ ქვაზე მჯდომ მოხუცს. შიში რომ მოერევა

ხალხს, ყველა მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. წესისამებრ მოვიდა კაცი და აანთო ქუჩის ფარანი, რომელიც სწორედ #7 სახლის პირდაპირ იდგა, აანთო და წავიდა. იმ დროს რომ შეემჩნია ვინმეს ჟან ვალჟანი, ცოცხალი არც კი ეგონებოდა. იჯდა კართან უძრავად, როგორც ყინულში ჩარჩენილი ჭუპრი. სასოწარკვეთილებამაც იცის გაქვავება. განგაშის ხმა და ყრუ ხმაური ისმოდა. არეულ განგაშის ზარს ახლა სენ-პოლის ზარი მიემატა, მშვიდი, აუჩქარებელი, და თერთმეტი დაჰკრა. განგაშს ადამიანი ქმნის და დროს კი ღმერთი. საათის მიერ აღნიშნული დროის გასვლა არც შეუმჩნევია ჟან ვალჟანს. არც კი შერხეულა, მაგრამ თითქმის იმ დროსვე, ცოტა ხნის შემდეგ, ბაზრის მხარეს თოფების სროლის ხმა გაისმა, მას ზედ მეორე მიჰყვა, უფრო ძლიერი. ალბათ, ეს ჯარის იერიში იყო, შანვრერის ბარიკადის ასაღებად რომ მივიდა და მარიუსმა მოიგერია. ეს ორი სროლა რომ მოესმა ჟან ვალჟანს, კანკალი დაიწყო. მით უფრო, რომ სროლის მძვინვარებას ღამის დუმილი აორკეცებდა; აკანკალებდა, წამოვარდა, იქით გაიხედა, საიდანაც სროლა მოესმა და ისევ დაჯდა. გულ-ხელი დაიკრიფა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ნელ-ნელა ძირს დაუშვა: ისევ ის შავბნელი დიალოგი გააბა თავის თავთან.

ფეხის ხმა მოესმა შორიდან და წამოიწია; ვიღაც მოდიოდა. მალე მოუახლოვდა, დააცქერდა და ფარნით განათებულ მხარეს, სადაც ქუჩა არქივის შენობას ებჯინება, პატარა ბიჭი დაინახა, ფერმკრთალი, მხიარული.

გავროში მოსულიყო ლ'ომ-არმეს ქუჩაზე.

ზევით იყურებოდა გავროში, ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა. ძალიან კარგად ხედავდა ჟან ვალჟანს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა.

გავროშმა ახლა ძირს დაიხედა. ფეხის წვერებზე დგებოდა, ქვედა სართულის კარებს და ფანჯრებს ხელით სინჯავდა; დაკეტილი იყო ყველა, დარაბააკრული, გამაგრებული, ხუთი-ექვსი სახლი გასინჯა ასე, მხრები აიჩეჩა და შესძახა:

- აჰ, დალახვროს ეშმაკმა!

მერე ისევ ზევით აიხედა.

ამ რამდენიმე წამის წინ ისე იყო გულგადალეული ჟან ვალჟანი, რომ ხმას არავის გასცემდა, არც კი უპასუხებდა, რომ დალაპარაკებოდა ვინმე, ახლა კი ეს პატარა ბიჭი რომ დაინახა, ვეღარ გაუძლო უძლეველ სურვილს, გამოლაპარაკებოდა:

- რას ეძებ, პატარავ, რა მოგივიდა?

- რა მომივიდა და მშია, თქვენ თვითონ პატარავ, - მიახალა გავროშმა.

ჯიბეში ხელი ჩაიყო ჟან ვალჟანმა და ხუთფრანკიანი ვერცხლი ამოიღო.

მაგრამ გავროში მოუსვენარი კუდცანცარას ჯიშის იყო, დიდხანს არაფერზე გაჩერდებოდა. კენჭი აიღო. მაშ, რა ექნა ანთებული ფარანი რომ დაინახა?

- ამათ ხედავთ? ჯერაც ფარნებით დაპარპაშობენ! არა, ამხანაგებო, წესრიგის დაცვა არ გცოდნიათ, გეტყობათ! უწესრიგობას მოსპობა უნდა. აბა, ავაწკარუნოთ!

კენჭი ესროლა და ისეთი ზრიალითყ ჩამოცვივდა ძირს ფარნის მინა, რომ ახლომახლო სახლის დარაბების უკან მიმალული შეშინებული ბურჟუები იმეორებდნენ, ვაი! ოთხმოცდაცამეტი წელი დაგვიბრუნდაო!

გატეხილ ფარანში ცოტა ხანს თრთოდა შეშინებული ალი და ისიც გაქრა. ქუჩაში ჩამობნელდა.

- ასე, ჩემო ბებრუცუნა ქუჩავ, - შესძახა გავროშმა, - დაიხურე შენი ღამის ჩაჩი.

მერე ჟან ვალჟანს მიუბრუნდა:

- რას ეძახით ამ ბუმბერაზ ქანდაკებას, ქუჩის ბოლოში რომ გაქვთ? არქივი უნდა იყოს, არა? რა კარგი იქნებოდა, ჩამოგვენგრია მისი სულელური სვეტები და ერთი კარგი ბარიკადი აგვეგო.

ჟან ვალჟანი გავროშთან მივიდა.

- საწყალი ბიჭი, - თქვა ჩუმი ხმით, თითქოს თავის გასაგონად, - შია, - და ხუთფრანკიანი ვერცხლი ჩაუდო ხელში.

გავროშმა ცხვირი ასწია, იმდენად გაუკვირდა ამ ფულის სიდიდე. ბნელოდა, მაგრამ გასინჯა და ძალიან მოეწონა იმ სიბნელეში ვერცხლის კრიალი. ხუთფრანკიან ვერცხლს მარტო სხვისი სიტყვით იცნობდა და იცოდა, რომ კარგი იყო. გაიხარა, რაკი ასე ახლოს ნახა ეს სახელგანთქმული ვერცხლი. უყურებდა და გაიძახოდა, აბა, ვნახოთ ეს ვეფხვიო.

აღტაცებით სინჯავდა ცოტა ხანს. მერე ჟან ვალჟანს მიუბრუნდა, გაუწოდა ხუთფრანკიანი და ამაყად უთხრა:

- ბურჟუა, მე ფარნების მსხვრევა უფრო მომწონს, ვიდრე ეს ფული. ინებეთ თქვენი ხუთფრანკიანი. შეუძლებელი გახლავთ ჩემი მოსყიდვა და გარყვნა. მართალია, ხუთი ბრჭყალი აქვს, მაგრამ მე ეგ ვერ დამკაწრავს.

- დედა გყავს, ბიჭო?

- იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე თქვენ.

- ჰოდა, გქონდეს ეგ ფული, დედაშენს წაუღე, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

გული მოულბა გავროშს. ესეც რომ არ ყოფილიყო, უკვე შენიშნა, რომ თავშიშველი იყო მისი მოსაუბრე ბერიკაცი და ამანაც აღუძრა ნდობა და პატივისცემა.

- მაშ, იმისთვის არ მაძლევთ, რომ ფარანი აღარ დავამტვრიო? არა?

- თუნდაც სულ ჩაამტვრიე.

- კარგი კაცი ყოფილხართ, - შეაქო გავროშმა და ჯიბეში ჩაიდო ხუთფრანკიანი ვერცხლი. მერე მოხუცს ჰკითხა:

- ამ ქუჩაზე ცხოვრობთ?

- დიახ. რა იყო?

- მეშვიდე ნომერს ვერ მიმასწავლით?

- რისთვის დაგჭირდა მეშვიდე ნომერი?

გაჩერდა ბიჭი, შეეშინდა, მეტი ხომ არ წამოვროშეო. თითებით თმა აიჩეჩა და პასუხის მაგივრად წამოიძახა:

- ისე...

ერთი აზრი მოუვიდა ჟან ვალჟანს, მწუხარებამ იცის ამგვარი გონების განატება და ჰკითხა:

- იქნება შენ მოგაქვს ის წერილი, მე რომ მოველი?

- თქვენ? - ჰკითხა გავროშმა, - თქვენ ხომ ქალი არა ხართ?

- წერილი ქალბატონ კოზეტთან არის, ხომ?

- კოზეტთან? დიახ, მგონი, მაგ უცნაურ სახელთან არის მიმართული.

- ჰოდა, მომეცი. მე უნდა გადავცე იმ ქალს წერილი. მოიტა.

- მაშ, ისიც უნდა იცოდეთ, რომ მე ბარიკადიდან გამომგზავნეს.

- რა თქმა უნდა, ვიცი.

გავროშმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მხედრული სალამი მისცა პატარა ქაღალდს:

- პატივისცემა ამ დეპეშას, დროებითი მთავრობისაგან გამოგზავნილს.
- მოიტა, - უთხრა კიდევ ჟან ვალჟანმა.
გავროშს ხელი მაღლა აეწია და წერილს ათამაშებდა.
- ძალიან კარგი კაცი უნდა იყოთ, ბატონო.
- ჰო, მოიტა.
და გავროშმა ხელში ჩაუდო ჟან ვალჟანს წერილი.
- და აჩქარდი კიდეც, ბატონო შოზ, რადგან ქალბატონი შოზეტი გელით.
კმაყოფილი იყო ბიჭი, ასე კარგად რომ გამოიყენა შოზი და შოზეტი.
ჟან ვალჟანმა ჰკითხა:
- მაშ, სენ-მერიში უნდა მივიტანო პასუხი?
- ასე, ბატონო, ქადას გულის მაგივრად ნაცარს ჩააყრით. შანვრერის ქუჩის ბარიკადიდან მოდის ეს წერილი და პასუხიც იქვე უნდა მოიტანოთ. ღამე მშვიდობისა, მოქალაქევ.
ეს თქვა გავროშმა და გზას გაუდგა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გაფრინდა იქით, საიდანაც გამოეგზავნათ. ისე სწრაფად ჩაიმალა წყვდიადში, თითქოს ორმოში ჩავარდნილიყოს ზარბაზნის ყუმბარის მკაცრი სისწრაფით. მიჩუმდა, მიყრუვდა ლ'ომ-არმეს ქუჩა; თვალის დახამხამებაში გაქრა ეს უცნაური ბიჭი, რომელსაც სინათლეც ბევრი ჰქონდა და ჩრდილიც. უცბად მიიმალა ამ ვიწრო ქუჩის მაღალი სახლების მწკრივის სიბნელეში და აორთქლებულად, გაქარებულად ეჩვენებოდა კაცს, რომ მისი მიმალვის რამდენიმე წუთის შემდეგ გატეხილი ფარნების წკრიალი არ მოსდებოდა ქუჩას და უცბად არ გამოეღვიძებინა აღშფოთებული ბურჟუები. მირბოდა გავროში და სადაც კი ანთებულ ფარნებს დაინახავდა, ამსხვრევდა.

## თავი მესამე
## სანამ კოზეტსა და ტუსენს სძინავთ...

ჟან ვალჟანი მაშინვე შინ ავიდა, რაკი წერილი ჩაიგდო ხელში. ხელების ცეცებით ავიდა კიბეზე, ძალიან კმაყოფილი სიბნელით, როგორც ბუ, რომელმაც დაიჭირა და ბუდისკენ მიჰყავს თავისი მტერი. ჩუმად შეაღო კარი, ყური მიუგდო, ხომ არა ღვიძავთ ქალებსო. დარწმუნდა, რომ კოზეტსაც ეძინა და ტუსენსაც, სამჯერ-ოთხჯერ ჩაჰკრა ფუმადის ტალ-კვესის ბოთლში ასანთი, ვიდრე ცეცხლს გააჩენდა, რადგან ისე აღელვებულიყო, რომ ხელიც კი უკანკალებდა; ქურდობაზე უარესი იყო ამ წერილის გამორთმევა. ბოლოს, როგორც იყო, აანთო სანთელი, მაგიდას დაეყრდნო და წაიკითხა.
ასე აღელვებული რომ არის ადამიანი, ისე მივარდება წასაკითხ წერილს, თითქოს ქაღალდის ბრალი იყოს მისი უბედურება ან ბედნიერება; ჭმუჭნის, სრესს, როგორც თავისი ვნების მსხვერპლს, გაბრაზებით ან სიამოვნებით უყრის ფრჩხილებს, ხან ზერელედ გადახედავს, ხან ისევ თავიდან დაიწყებს კითხვას; გაგიჟებულია გული, ჩქარა მივაგნო სასურველსაო; ოღონდ მიაგნოს და სხვა არაფერს მნიშვნელობა აღარც კი აქვს. მარიუსის წერილშიც ჟან ვალჟანმა მარტო ეს სიტყვები დაინახა:
„ვკვდები... ამ წერილის კითხვის დროს შენთან იქნება ჩემი სული და გაგიღიმებს...“ - წაიკითხა ეს ორი სტრიქონი და ცას ეწია სიხარულით. იმდენად მოულოდნელი იყო ეს უეცარი უბედურების ნეტარებად შეცვლა, რომ გონზე ვეღარ მოსულიყო და

დამათრობელი სიხარულით დასცქეროდა მარიუსის წერილს. თითქოს თვალწინ გადაშლოდა საუცხოო სანახაობა მისი მოსისხლე მტრის სიკვდილისა.

სიხარულის ყვირილი გულშივე ჩაიკლა, - გათავებული იყო საქმე, ისე სწრაფად და მოულოდნელად, რომ ამას ვერც წარმოიდგენდა. ან როგორ გაბედავდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდა ბედისწერის ასეთი წყალობა: მისთვის სიცოცხლე უნდა მოეწამლა ვიღაც ბიჭს და აგერ მიდის, საუკუნოდ შორდება ამ წუთისოფელს. თვითონ მიბრძანდება, თავისი სურვილისამებრ, ნებით, თავისუფლად; ისე მიდის, რომ ჟან ვალჟანს თითიც არ გაუნძრევია მის მოსაშორებლად, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რომ მოეშორებინა როგორმე „ის კაცი“. ვკვდებიო, იწერება და იქნებ კიდეც მოკვდა! აქ ანგარიში დასჭირდა ჟან ვალჟანის აღტაცებას, - არა, ჯერ მკვდარი არ უნდა იყოს. წერილი იმ დროს იყო დაწერილი, ისე გვიან, რომ კოზეტს ხვალ დილით მოსვლოდა, ორი სროლა იყო თერთმეტი საათიდან შუაღამემდე და მერე კი თოფი აღარ გავარდნილა. იერიშს მხოლოდ ხვალ დილით მიიტანს ჯარი იმ ბარიკადზე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაკი ამ ბრძოლაში ჩარეულა, დაღუპულია ის კაცი, თავს ვეღარ დააღწევს. მძიმე ლოდი მოეშვა გულიდან ჟან ვალჟანს. მაშ, ისევ მარტო რჩებოდა თავის კოზეტთან! მარტოდმარტონი იქნებიან, სხვა არავინ იქნება მათი ნეტარების ჩამშხამებელი. მოქიშპე შორდებოდა და ტკბილი მომავალი აღდგენილი იყო. ამ წერილს ჯიბეში ჩამალავდა და კოზეტი ვერსაოდეს გაიგებდა, რა დაემართა იმ კაცს, და თავისთავად მოგვარდებოდა ყველაფერი. საჭირო არ იყო ჟან ვალჟანის ჩარევა. ის კაცი სიკვდილს ვეღარ გადაურჩება. თუ ჯერ არ მომკვდარა, ცხადია, მოკვდება! რა ბედნიერებაა!

ასე მსჯელობდა გულში ჟან ვალჟანი და ისევ აეშალა შავი ფიქრები.

ადგა, ძირს ჩავიდა, მეკარე გააღვიძა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ქუჩაში გავიდა ჟან ვალჟანი. ეროვნული გვარდიელის ტანისამოსი ჩაეცვა, შეიარაღებულიყო. ცოტა რამ აკლდა მის ტანისამოსს, მაგრამ მეკარე დაეხმარა და მეზობლებში უშოვა, რაც აკლდა. თოფი გატენილი და ვაზნებით სავსე პარკი ჰქონდა. ისიც ბაზრისკენ წავიდა.

## თავი მეოთხე
## გავროშის გადაჭარბებული თავგამოდება

ამასობაში გავროშს რამდენი რამ შეემთხვა.

კეთილსინდისიერად რომ ჩააქვავა ფარანი და ვიეილ-ოდრიეტის ქუჩაზე გავიდა, სადაც „კატაც კი არსად ჩანდა“, სწორედ შესაფერად ცნო დროც და სიბნელეც, რომ თავისი სიმღერით დაეტკბო მძინარე ბურჟუები. სიმღერის ხმას აყოლებდა ფეხს და ამით უფრო აჩქარებდა სვლას. მიდიოდა, ხმამაღლა მიიმღეროდა და ბურჟუებს უტოვებდა მემკვიდრეობად თავის სიმღერას:

ჩეროში შაშვი ამბობდა ლანძღვით:
„წეღან აი, იქ, რომ არის ნაძვი,
ვიღაცა რუსი ერთ გოგონასთან“...
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
შენ, პიერო, აბა, ეს რას ჰგავს,

დღე ერთია, სულ სხვადასხვა გყავს.
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
ზოგჯერ საწამლავზე
საშიშია ტრფობა,
ნაზი ხელი მახრჩობს,
მაკარგვინებს გრძნობას.
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
სად ხარ, ჟამო გართობისა,
ჩემი გაპამპულება
ლიზონს გულით სურდა, მაგრამ
ჩაუმწარდა გუნება!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
როცა სიუზეტა, ღმერთო ჩემო,
მზერას მესროდა,
სულ ვკანკალებდი, აზრს ვკარგავდი, თავბრუ მესხმოდა.
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
ღამე წიგნს ვშლი მშვიდად,
მადლენი მყავს თანა,
აბა, რას დამაკლებს
ქაჯი და სატანა!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
როცა სიშიშვლით მიგიზიდავს
ფეხი ლამაზი,
ფეხი ლამაზი, საოცარი,
მაცდური, ნაზი, -
ფრთხილად, ადელო!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
ცეკვიდან რომ ვბრუნდებოდი,
მე ჩემი მზით სახლში,
მის წრფელ შუბლზე ვარსკვლავები
ფერს კარგავდნენ ცაში.
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?

სიმღერით მიდიოდა, სიმღერას აყოლებდა ხელ-ფეხს. ხელის ქნევა სიმღერის საყრდენია. გავროშის მოძრავი სახე განსაცვიფრებლად იცვლიდა გამომეტყველებას, ისე იღრიჯებოდა და იღმიჭებოდა, უფრო კონვულსიურად და უცნაურად, ვიდრე გასაშრობად გაფენილი დახეული სარეცხი დიდ ქარში. სამწუხაროდ, მარტო იყო

ქუჩაში და იმ სიბნელეში ვერ დატკბებოდა ვინმე მისი ხელოვნებით. რამდენი საუნჯე იკარგება ასე ამაოდ!

და უცბად გაჩერდა ბიჭი.

- შევწყვიტოთ რომანსი, - თქვა ჩუმად.

მგლის თვალი ჰქონდა ბიჭს და იქვე, ერთი ალაყაფის კართან, რაღაც დაინახა, რომელსაც ფერმწერები „ანსამბლს“ ეძახიან, ესე იგი, გაერთიანებული ცოცხალი კაცი და უსულო საგანი. საგანი პატარა ურიკა იყო და ცოცხალი კაცი - ერთი ოვერნელი მთვრალი, რომელიც ზედ ხვრინავდა. მძინარს ხელები ქუჩისკენ ჰქონდა, თავი კოფოსკენ მიედო, ფეხები მიწაზე ჩამოეშვა.

დიდი გამოცდილების მქონე გავროში მაშინვე მიხვდა, რომ ლოთთან ჰქონდა საქმე.

ამუბნელი მებარგულე იქნებოდა, მაგრამ ისე დამთვრალიყო უბედური, რომ შინამდე ვეღარ მიეღწია.

„კარგი რამ არის და ხშირად სასარგებლოც ზაფხულის ღამე, - ფიქრობდა გავროში, - თავის ურიკაში ჩაეძინა ოვერნელს? ძალიან კარგი. მაშ, ურიკა რესპუბლიკას და ოვერნელი კი მონარქიას“.

დაინახა თუ არა ურიკა, მაშინვე გაუელვა ბრწყინვალე აზრმა, ეს ურიკაც გამოგვადგება ჩვენი ბარიკადის დასამშვენებლადო.

ოვერნელი ხვრინავდა.

ფრთხილად წაავლო ხელები მძინარეს ფეხებში და ძირს დასწია. მერე უკან მოეჭიდა ურიკას, გასწია ნელ-ნელა და ისე ნაზად გაშხლართა მთვრალი მიწაზე, რომ მას ხელი არ გაუნძრევია.

ახლა კი მისი იყო ეს ურიკა.

დაჩვეული იყო ბიჭი: ცხოვრების ყოველი მოულოდნელი ავისთვის მზად ყოფილიყო ყოველგვარი საჭირო იარაღით, და ჯიბეში ედო, რაც ჰქონდა. ხელი ჩაიყო ჯიბეში, პატარა ქაღალდი ამოიღო. მერე წითელი ფანქარი, ალბათ, ვინმე დურგლისთვის აწაპნილი, და დაწერა:

„შენი ურიკა მიღებულია

საფრანგეთის რესპუბლიკა“.

და ხელი მოაწერა: „გავროში“.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი საბუთი ჟილეტის ჯიბეში ჩაუდო მთვრალს, რომელიც ისევ გულიანად ხვრინავდა, ხელები წაავლო ხელნებს და ბაზრისკენ წავიდა. წინ ურიკას მიაქანებდა, გამარჯვების საზეიმო გრიალით.

სწორედ ეს იყო საშიში. მეფის სტამბის კართან ეროვნული გვარდიის დროებითი საგუშაგო მოეწყოთ. კარგა ხანი იყო ეს ხმაური აღვიძებდა ხალხს და გუშაგებსაც, რაღა თქმა უნდა, ხან ერთი წამოსწევდა თავს და ხან მეორე. ზედიზედ ორი ფარნის გატეხა, ხმამაღალი სიმღერა შუაღამისას, მეტისმეტი იყო მიძინებული მშიშარა ქუჩისთვის, სადაც სულ იმას ნატრობდნენ, ნეტავი მზის ჩასვლისას შეიძლებოდეს დაწოლა, რომ ცოტა სანთელი დაგვეხარჯოსო. ამგვარ ხმაურსა და წესრიგის დარღვევას დღისითაც ვერსად ნახავდა იმ მიყრუებულ უბანში მშვიდობიანი ბურჟუა და იმ ღამეს კი ისეთი მოუსვენარი, შეუწყვეტელი ხმა აღვიძებდა, თითქოს თავით ბოთლი უდგას, შიგ ბუზი ჩავარდნილა და ბზუილით უწყალებს გულსო. გუშაგების

სერჟანტი გაფვაციცებით უგდებდა ყურს და ელოდა. გონიერი კაცი იყო და არ უნდოდა, საქმე წაეხდინა აჩქარებით.

მაგრამ ისეთი გრიალი გაჰქონდათ ქვაფენილზე ურიკის თვლებს, რომ სერჟანტს მოთმინების ფიალა აევსო, იძულებული გახდა, გამოსულიყო და ყველაფერი გაერკვია.

„აჯანყებულების ჯგუფი იქნება, - ფიქრობდა სერჟანტი, - სიფრთხილეა საჭირო“.

ცხადი იყო, ანარქიის გველეშაპი გამოვარდნილიყო ბუნაგიდან და ახლა მთელ უბანში დათარეშობდა.

ფეხაკრეფით, თითის წვერებზე გავიდა სერჟანტი ქუჩაში.

და უცბად, ის იყო, ვიეილ-ოდრიეტის ქუჩისკენ უნდა ჩაექანებინა გავროშს „რესპუბლიკის“ ურიკა, რომ წინ აეტუზა ერთი მაღალი მამაკაცი, სამხედრო ფორმით, ქუდითა და თოფით.

ბიჭი აქაც უცბად შეჩერდა.

- ბიჭოს, - წამოიძახა გავროშმა, - ის ყოფილა. ოჰ, გამარჯობა, საზოგადოებრივო წესრიგო!

ხანგრძლივად გაკვირვება არ სჩვეოდა ბიჭს.

- სად მიხვალ, შე საძაგელო?

- მოქალაქევ, - მიუგო გავროშმა, - მე თქვენთვის ჯერ ბურჟუა არ მიკადრებია. რად მაყენებთ შეურაცხყოფას?

- სად მიხვალ ამ დროს, შე მაწანწალავ?

- იქნებ გუშინ ძალიან ჭკვიანი კაცი ბრძანდებოდით, მაგრამ დღეს კი საამისო არაფერი გეტყობათ.

- სად მიხვალ-მეთქი, გეკითხები, შე არამზადავ, შენა!

გავროშმა უპასუხა:

- რა თავაზიანი ლაპარაკი გცოდნიათ! გარწმუნებთ, არც ისე ხნიერი ჩანხართ. მე რომ თქვენი ვიყო, სულ ცალ-ცალად გავყიდდი მაგ ჭაღარა თმას, თითოს ას ფრანკად. ხუთას ფრანკს ჩავიჩხრიალებდი ჯიბეში.

- სად მიხვალ, შე ქურდბაცაცავ, შენა? სად მიხვალ, სად?

ისევე დარბაისლურად უპასუხა გავროშმა:

- საზიზღარი სიტყვები შეგრჩენიათ პირში, ჩემო ბატონო. ძუძუს რომ მოგაწოვებენ, სთხოვეთ, კარგად გამოგირეცხონ პირი.

სერჟანტმა ხიშტი მოიმარჯვა.

- ბიჭო, მეტყვი თუ არა, სად მიხვალ, შე სალახანა?

- თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო გავროშმა, - მშობიარედ მიწევს ცოლი და ექიმის წამოსაყვანად მივდივარ.

- მაშ, აგრე არა?! - შეჰყვირა სერჟანტმა.

გულმაგარი, ჭკვიანი კაცი იმით დაამტკიცებს თავის ღირსებას, რომ სწორედ იმას გამოიყენებს გაჭირვებისგან თავის დასაღწევად, რამაც ეს გაჭირვება მიაყენა. ურიკამ ჩააგდო ამ განსაცდელში და ურიკა უნდა დახმარებოდა გავროშს.

სწორედ იმ დროს, როდესაც სერჟანტმა ჩახმახი დაუშვა თავის თოფს, ურიკა უცბად სასროლ ყუმბარად იქცა, დიდი ძალით გაექანა სერჟანტისკენ, ცოფიანივით ეტაკა შიგ მუხლებში და პირაღმა ჩააგდო თხრილში წესრიგის დამცველი. თოფი გავარდა, მაგრამ ზევით წავიდა ტყვია.

სერჟანტმა ყვირილი მორთო, გუშაგები ნელ-ნელა გამოვიდნენ, დიდი სიფრთხილით, რაკი ერთხელ გავარდა თოფი, მეორედაც უნდა გავარდნილიყო და ერთ სროლად დაცალეს თოფები. დაცალეს, ხელახლა გატენეს და სიბნელეში ისროლეს. იდგნენ და ისროდნენ.

თხუთმეტ წუთამდე გაგრძელდა სროლა. ბავშვების თამაშს მოგაგონებდათ, თვალახვეული რომ დასდევს ამხანაგებს, იქნებ დავიჭირო ვინმეო. თხუთმეტ წუთამდე გაგრძელდა და მრავალი შუშა გატეხა ფანჯრებში.

ისე გარბოდა გავროში, თითქოს ფრთები შეისხაო. ხუთი-ექვსი ქუჩა გაირბინა, სუნთქვა ეკვროდა და ანფარ-რუჟის ქუჩის კუთხესთან რომ მივიდა, ქვაზე ჩამოჯდა სულის მოსაბრუნებლად, თან ყურს უგდებდა.

ცოტა ხანს ასე იჯდა, მერე, რაკი თავისუფლად ამოისუნთქა, უკან მიიხედა, საიდანაც საზარელი სროლის ხმა ისმოდა, მარცხენა ხელი გაშალა და ცხვირზე მიიდო, სამჯერ აჩვენა ცხვირი, მარჯვენა ხელი კი სამჯერ დაიკრა კეფაზე. ამგვარად გამოხატავდა პარიზელი გამენი დაცინვას და ეტყობოდა, კარგადაც გამოსდიოდა, რადგან ცხვირის ჩვენება აგერ ნახევარი საუკუნეა, ისევეა გავრცელებული, როგორც წინათ.

ამ გამარჯვებასა და სიხარულს მწარე ფიქრიც ჩაერია:

- ძალიან კარგი, ვიცინი და ვიცინი, ვერთობი, მაგრამ გზა რომ ასე გავიგრძელე? საიდან სად მოვუარე! ახლა საქმე ის არის, დროზე მივიდე ბარიკადზე.

და ისევ მოკურცხლა.

ახლა შიში აღარაფრის ჰქონდა და შემოსძახა:

დრომ თქვენ მოგთიბათ ბალახის დარად,
მაგრამ ბასტილია მტკიცეა მარად!
ძმებო! ძირს დამპალი რეჟიმი!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
კეგლის თამაშში შეიბნენ ცხარედ,
აბა, ბურთულა? ხელმარჯვე დარტყმით
მთლად დაიმსხვრევა ბურბონთა ტახტი.
ჩემი ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
ლუვრში შემკრთალნი
მსჯავრს მოელიან,
მონარქიის ნაგავი
რკინის ცოცხით გავგავოთ,
ხალხო, ძირს მონარქია!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?
ვერ შეაკავებს მესერი ვულკანს,
შენ, შარლ მეათევ, კარების უკან,
თვით ტალახში უნდა იგორო!
ჩემო ლამაზებო, ლამაზებო, სწორედ,
ფერად-ფერად მწკრივად საით გაიქროლეთ?

ამაოდ არ ჩაუარა საგუშაგოს სროლამ: ურიკა დაატყვევეს, მთვრალი ციხეში ჩააგდეს; ერთი შეშის საწყობში გაგზავნეს, მეორე სამხედრო სასამართლოში, როგორც აჯანყებულთა მომხრე და დამხმარე. ამ შემთხვევაში დიდი უნარი გამოიჩინა მთავრობამ და დაამტკიცა, რა გულმოდგინედ და თავგანწირვით იცავს საზოგადოებრივ სიმშვიდეს.

გავროშის ეს თავგადასავალი ტამპლის უბნის მცხოვრებთა მეხსიერებაში დარჩენილა; დღესაც შიშის ზარს სცემს ბებერ ბურჟუებს და მათ მოგონებათა სიაში ამ სათაურით არის აღნიშნული: „აჯანყებულების იერიში ღამით მეფის სტამბის საგუშაგოზე“.

ნაწილი მეხუთე
ჟან ვალჟანი

წიგნი პირველი
ბრძოლა ოთხ კედელშუა

თავი პირველი
სენტ-ანტუანის უბნის ქარიბდა და ტამპლის უბნის სცილა

არსებობდა ორი შედარებით მნიშვნელოვანი ბარიკადი, ღირსშესანიშნავი სოციალური ძვრების შემსწავლელთათვის, ოღონდ ეს ორი ბარიკადი არ ეკუთვნის ამ თხზულებაში აღწერილ დროს. ეს ორი ბარიკადი, ორივე თავისებური სიმბოლო იმ მრისხანე ეპოქისა, 1848 წლის ივნისის საბედისწერო აჯანყების დღეებში ააგეს, როდესაც ისეთი დიდი ბრძოლა მძვინვარებდა ქუჩაში, რის მსგავსიც არ ახსოვდა ისტორიას.

მოხდება ხოლმე, ხანდახან, ისე გაუჭირდება ბრბოს თავისი წყვდიადის, სასოწარკვეთილების, უვიცობის, უსახსრობის, ავადმყოფობის, განწირულების საშინელი წუმპის სიღრმეში, რომ აღარც პრინციპები ახსოვს, აღარც თავისუფლება, აღარც ძმობა და თანასწორობა, არც კენჭისყრის უფლება, აღარც ხალხის მიერ მთავრობის ამორჩევა და პროტესტს აცხადებს, - ეს ბრბო ებრძვის ხალხს.

უპოვარი ებრძვის საზოგადოებრივ უფლებას, ოქლოკრატია აჯანყებით მიიწევს დემოსზე.

სავალალოა ეს ჟამი, რადგან ამ გაგიჟებაში ყოველთვის მოიპოვება უფლების ნიშანწყალი; თვითმკვლელობას მოასწავებს ეს დუელი და ვითომ შეურაცხმყოფელი სიტყვები, - მაწანწალები, ნაძირალები, ბრბო, ოქლოკრატია, - ჩვენდა სამწუხაროდ, ბრალს სდებენ მათ, ვინც მეფობს და არა მათ, ვინც იტანჯება. ბრალს სდებენ უპირატესობით აღჭურვილთ და არა ბედისაგან დაჩაგრულთ.

პირადად ჩვენ არასოდეს წარმოგვითქვამს ეს სიტყვები მათდამი სიბრალულის გრძნობისა და პატივისცემის გარეშე, რადგან ფილოსოფია რომ ჩაუღრმავდება ამ სიტყვების გამომწვევ გარემოებებს, განწირულებასთან ერთად დიადსაც პოვებს. ათენი ოქლოკრატია იყო. გეზებმა შექმნეს ჰოლანდია. რამდენჯერმე გადაარჩინა ბრბომ რომი განსაცდელს. „ნაძირალები“ გაჰყვნენ იესო ქრისტეს.

არ არის მოაზროვნე, რომელიც ხანდახან მაინც არ ჩაუღრმავდება ამ საზოგადოებრივი ლექის სიდიადეს.

ეჭვი არ არის, ალბათ, ამ ბრბოზე, ყველა ამ მშიერ-შიშველზე, მაწანწალაზე, ყველა ამ საბრალოზე, რომელთაგან იშვნენ წინასწარმეტყველნი და წამებულნი, თქვა წმინდა იერონიმემ ეს იდუმალი ფრაზა: Fex urbis, lex orbis.

მძვინვარება ამ ტანჯული ბრბოსი, რომელიც სისხლისგან იცლება, უაზრო ბრძოლა თავისივე პრინციპებთან, გზა, არჩეული უფლებასთან საბრძოლველად, ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ხალხს და უნდა მოისპოს. პატიოსანი კაცი ცდილობს ამის მოსპობას. სწორედ ამ ბრბოს სიყვარულით და სიბრალულით ებრძვის აჯანყებას. მაგრამ მის ჩასაქრობად ამხედრებულიც კარგად გრძნობს მის შემწყნარებლობას, წინააღმდეგია და თაყვანს სცემს მის სასოწარკვეთილებას. აქ არის ერთი იმ იშვიათ წუთთაგანი, როდესაც ადამიანი თავის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ გულს უღრღნის გრძნობა, რომ არც ისე დამნაშავეა განწირული ბრბო, მაინც თავისას არ იშლის კაცი, რადგან საჭიროა მისი დახმარება; მაშინ დაღვრემილია სინდისი და გული უწუხს მოვალეობის ამსრულებელს.

1848 წლის ივნისი, - საჭიროა აღვნიშნოთ ეს გარემოება, ერთგვარად განსაკუთრებული იყო. იმდენად თავისებური, რომ თითქმის შეუძლებელია ისტორიაში შესაფერი ადგილი მივაკუთვნოთ. რა იყო თავისი შინაარსით 1848 წლის ივნისის აჯანყება? აჯანყება ხალხისა თავისივე წინააღმდეგ.

როდესაც მოთხრობის მთავარი შინაარსი დავიწყებული არ არის, გადახვევაც შესაწყნარებელია. მაშ, ნება გვიბოძოს მკითხველმა, ერთ წამს შევაჩეროთ მისი ყურადღება ორ სრულიად უბადლო ბარიკადზე, რომლებიც ეს არის მოვიხსენიეთ, რადგან ეს ბარიკადები ახასიათებს ამ აჯანყებას.

ერთი სენტ-ანტუანის გარეუბნის საგუშაგოსთან იყო აგებული, მეორე - ტამპლის უბნის დასაცავად. ვინც თავისი თვალით ნახა ივნისის მოკრიალებული ლურჯი ცის ქვეშ ეს ორი სამოქალაქო ომის შიშის მომგვრელიყ შედევრი, არასოდეს დაავიწყდება.

უზარმაზარი იყო სენტ-ანტუანის ბარიკადი. სიმაღლით სამი სართულისა და სიგანით 227 მეტრი. სენტ-ანტუანის განიერ შესასვლელს, ესე იგი, სამ ქუჩას; ერთი კუთხიდან მეორემდე ღობავდა. გადათხრილი, დანაკუწებული, დასერილი, დაკბილული, გარშემორტყმული სხვადასხვაგვარი მასალის ხროვით, ახლა სიმაგრეებად ქცეულიყო. აქა-იქ წინ წამოწეული შვერილებით, მჭიდროდ იყო მიყრდნობილი ორ დიდ გამოშვერილ მაგარ შენობას; ციკლოპის სიმაგრესავით ამართულიყო იმ უბნის შიშის მომგვრელ მოედანზე, რომელსაც 14 ივნისი გადაეტანა. ამ მთავარი ბარიკადის უკან დაშვებულიყო კიდევ ცხრამეტი ბარიკადი ქუჩების სიღრმეში. საკმარისი იყო, ადამიანს დაენახა უზარმაზარი ბარიკადი, რომ მაშინვე იგრძნობდა ამ უბნის უსაზღვრო ტანჯვა-ვაებას, რომელსაც ამ უკიდურეს წერტილამდე მიეღწია, სადაც განწირულება კატასტროფისკენ მიიწევს. რისგან იყო ეს ბარიკადი აგებული? სამი შვიდსართულიანი სახლის მასალა დაეხვავებინათ; ზოგი ამბობდა, განზრახ დაანგრიეს ეს სახლები, რომ მასალა ჰქონოდათ ბარიკადებისთვისო, ზოგი კიდევ, ხალხის მძვინვარების სასწაულიაო. სავალალო სანახავი იყო ყოველი შენობა, აგებული მძულვარების მიერ: ნანგრევი. შეიძლებოდა გეკითხათ, ვისი აშენებულიაო? - მაგრამ შეიძლებოდა სხვაფრივადაც გეკითხათ, ვინ დაანგრიაო? ეს იყო გაშმაგებული დუღილის იმპროვიზაცია. უცნაური სანახავი იყო ეს კარი, ეს მოაჯირი,

ეს ჩარდახი, დარაბები, ეს გატეხილი ტაფა, ეს გამსკდარი ქვაბი. მოიტანეთ! აბა, ჩქარა! ყველაფერს გამოვიყენებთ, გადმოყარეთ, რაც კი დაინახოთ, წინ წამოსწიეთ, გამოაგორეთ, ამოთხარეთ, დაშალეთ, დააზიანეთ, დაანგრიეთ ყველაფერი! - ეს იყო შეთანხმებული თანამშრომლობა ქვაფენილისა, რიყის ქვისა, ხეტყისა, რკინის ძელისა, ჩვრებისა, ფილაქნისა, ჩალაჩაგლეჯილი სკამისა, კომბოსტოს ხვიტისა, ნაკუწელისა, დაგლეჯილ-დაფხრეწილი ტანისამოსისა და წყევლა-კრულვისა; დიადი რამ იყო და თან კნინი, უფსკრული იყო პაროდიულად წარმოდგენილი ამ ქაოსურ მოედანზე. ზვინი იყო და ატომი; დანგრეული კედლის დიდი ნაჭერი და გატეხილი ჯამი. ძმობა იყო მუქარით სავსე ყოველნაირი ნამსხვრევისა. სიზიფეს აქ დაეგდო თავისი კლდე და იობს კი - თავისი ჯამი. საერთოდ კი საშინელება იყო. ეს გახლდათ ციხესიმაგრე ფეხშიშველებისა. გადაბრუნებული ეტლები ჩაეყარათ ბარიკადის ქვაფენილში; ერთი უშველებელი ფორანი გაედოთ განივად, ღერძით ცისკენ აშვერილი და ჭრილობასავით მოჩანდა ბარიკადის ამ არეულ-დარეულ სახეზე; ომნიბუსს, მოთავსებულს მთელი ნაგებობების ზემოთ, მაღლა აეშვირა ხელნები, ვითომ უხილავ ჰაეროვან რაშებს ელოდებაო, თითქოს ამ ბარიკადის მშენებელს სურვილი ჰქონდა, საშინელებისთვის ბავშვური ცელქობაც დაემატებინა. ეს უზარმაზარი ხროვა, ნალექი აჯანყებისა, მოგაგონებდათ პელიონის მთის მწვერვალზე ოსას მთის დადგმას, რაც ყოველ რევოლუციას თან ახლდა; ოთხმოცდაცხრას ოთხმოცდაცამეტი მოჰყვა, 10 აგვისტოს - 9 თერმიდორი; 21 იანვარს 11 ბრიუმერი მოჰყვა, პრერიალს - ვენდემიერი და 1830 წელს კი 1848 წელი. ადგილიც კარგად იყო ამორჩეული და ბარიკადი ღირსი იყო, სწორედ იქ აეგოთ, სადაც მიწასთან გაასწორა ხალხმა ბასტილიის ციხე. ოკეანე რომ სიმაგრეებს იკეთებდეს, სწორედ ამ ბარიკადის მსგავსს აიშენებდა. უფორმოდ აგებულ კაშხალზე აღბეჭდილიყო ზვირთცემის მძვინვარება. რა ზვირთისა? ადამიანთა ბრბოსი. იტყოდით, განწირულთა ვაი-ვაგლახი გაქვავებულა ამ ქვაყრილშიო. ისმოდა ბარიკადებზე, როგორ ზუზუნებდნენ, როგორც სკაში, ბობოქარი პროგრესის ვეებერთელა ფუტკრები. საფრად იყო აგებული ეს ბარიკადი, საქეიფოდ თუ სიმაგრედ? შეშლილის ნაშენს ჰგავდა, საჩქაროდ, დაუდევრად აღმართულს. ბევრი რამ ჰქონდა კლოაკისა ამ სიმაგრეს და აგრეთვე ბევრი რამ ოლიმპიური ამ აურზაურს. სასოწარკვეთილებით აღსავსე ამ არეულ-დარეულობაში მოჩანდა სახურავების კოჭები, მანსარდების შპალერგაკრული კუთხეები, ფანჯრის ჩარჩოები შუშებით, ბუხრის ნაწილები, განჯინები, მაგიდები, სკამები და მრავალი საცოდავი კუთვნილება მშიერ-მწყურვალისა, მათხოვრისა, რომელშიც ერთად მოთავსებულიყო გაცოფება და არარაობა. იტყოდით, ეს სახლი ნაგავია, ნაგავი ხისა, რკინის, ბრინჯაოსი, ქვისაო; ეტყობა, დიდი ცოცხი წაჰკრა სენტ-ანტუანის უბანმა ამ ნაგავს და თავისი გაჭირვების ბარიკადი ააგო. ბოძიც იქ იყო, ამ ქვაყრილში, კუნძიც, დაწყვეტილი ჯაჭვიც, სახრჩობელასმაგვარი ძელებიც, მაღლა აშვერილი ჩარხებიც და ისე მოჩანდა ყველაფერი ამ ანარქიულ გროვაში, რომ ხალხის ტანჯვის, წვალების სურათად ხდიდა მას. სენტ-ანტუანის ბარიკადი თავის გასამაგრებლად და იარაღად ხმარობდა ყველაფერს, რაც სამოქალაქო ომს შეეძლო გამოეყენებინა საზოგადოების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა კი არა, პაროქსიზმი იყო. შეიარაღებული მუშები იდგნენ ბარიკადის თავზე და ტყვიასთან ერთად ისროდნენ ფაიფურის ნამსხვრევებს, ძვლებს, ტანისამოსის ღილებსა და მაგიდების ლითონის თვლებს, მეტად საშინელს, რადგან შიგ სპილენძიც ურევია. თოფი, ვისაც რა შეხვდებოდა, ზოგს ძველი, მოკლელულიანი,

პირგანიერი ესპინგოლი ეჭირა. გაცოფებული იყო ეს ბარიკადი და საზარელი ყვირილით ებრძოდა ჯარს. რომ გაებრაზებინა და უფრო ახლოს მიეზიდა ჯარი, ლანძღვა-გინებას, აბუჩად აგდებას მოჰყვებოდა და როდესაც კი დაიძვრებოდა ჯარი, ბარიკადის თავზე უცბად გაიშლებოდა შეიარაღებული ბრბო და თოფის სროლა; ნარეკლად გადაიქცეოდა ბარიკადი და ეკლის მაგივრად თოფი, ხმალი, კეტი, შუბი, ხიშტი ჰქონდა, თავს კი განიერი წითელი დროშა დაჰფრიალებდა. ისმოდა უფროსების ბრძანება, იერიშის სიმღერა, დოლის ხმა, დედაკაცების ქვითინი და შიმშილით მომაკვდავთა ჯოჯოხეთური ხარხარი. უზომო იყო ეს ბარიკადი, მაგრამ ცოცხალი და თითქოს დაელექტროებული ცხოველის ბეწვი ყოფილიყოს, ნაპერწკლებს ისროდა და შეუწყვეტლივ ტკაცანი გაჰქონდა. რევოლუციის სუსხი ფარავდა თავისი ღრუბლით ამ მწვერვალს და მგრგვინავ ხმას ხალხისას, რომელიც ამ ბუმბერაზული სანაგვიდან ისმოდა. ეს ღვთის ხმას ჰგავდა. უცნაური დიდებულება იღვრებოდა ამ სანაგვიდან. დიახ, სანაგვე იყო, მაგრამ სინაი.

უკვე ვთქვით ზემოთ, რევოლუციის სახელით იერიშით მიდიოდა ეს ბრბო. მერე ვისზე? რევოლუციაზე. ეს ბარიკადი, ეს შემთხვევის ნაყოფი, ეს უწესრიგობა, ეს შეუგნებლობა ებრძოდა დამფუძნებელ კრებას, ხალხის ხელისუფლებას, საზოგადო კენჭისყრას, რესპუბლიკას. კარმანიოლი ებრძოდა „მარსელიეზას“.

უაზრო იყო ეს გამოწვევა, მაგრამ გმირული, როგორც ძველი გარეუბანი სახელგანთქმული გმირობით.

ერთად იბრძოდა მთელი გარეუბანი და მისი სიმაგრე. გარეუბანი თავის ბარიკადებს მიყრდნობოდა და გარეუბანი ბარიკადზე დამყარებულიყო. ბარიკადი წარმოადგენდა ციცაბო კლდეს, რომელზედაც ეხეთქებოდა სახელოვანი აფრიკელი გენერლების სტრატეგიული ხრიკები. დათხრილი იყო ბარიკადი ორმოებით, სავსე იყო ნაცარმიწითა და სხვა მასალით; შიგ ეფლობოდა ყუმბარა, შიგ იხრჩობოდა, იკარგებოდა; ოდნავ თუ დააჩნევდა პატარა ნაპრალს, საცა მაგარს მოხვდებოდა რამეს და შიგ ჩარჩებოდა. ან რა აზრი აქვს ქაოსის მოსასპობად ზარბაზნის სროლას? იდგა ჯარი, ბრძოლაში გამოცდილი, ბრძოლის საშინელების კარგი მცოდნე და ათრთოლებული თვალით შეჰყურებდა ამ მხეცურ სიმაგრეს, გარეული ღორის მსგავსს თავისი აყრილი ჯაგრით და მაღალი მთის მსგავსს ბუმბერაზობით.

ერთი თხუთმეტი წუთის სავალი გზა იქნებოდა იქიდან ტამპლის ქუჩამდე. ამ ქუჩაზე, შატო-დ'ოს ახლო კუთხეში, წინ რომ წაეწია კაცს დალემანის მაღაზიის წინა მხრიდან ხეივნისკენ, შორს, არხის გაღმა, ბელვილისკენ საფეხურებად მიმავალ ქუჩაზე, შენიშნავდა ერთ უცნაურ კედელს, სამი სართულის სიმაღლისას, რომელიც ქუჩის მარჯვენა მხარის სახლებს აერთებდა მარცხენა მხარის სახლებთან და სრულიად კეტავდა ქუჩაზე გასასვლელ გზას. კედელი რიყის ქვის იყო, სწორი, გლუვი, ციცაბო, კალატოზური წესით აგებული. მართალია, გალესილი არ იყო, მაგრამ ამით მის არქიტექტურულ სიმაგრეს არაფერი აკლდებოდა, როგორც რომაელების შეულესავ კედლებს. სისქეც სიმაღლის შესაფერისი ჰქონდა. ზემო ნაწილი მათემატიკური სისწორით შეეფერებოდა ქვემო ნაწილს. ამ შვეულ კედელში მართობ ხაზზე დატანებული წვრილ-წვრილი ნახვრეტები მოჩანდა, - ეს იყო ერთმანეთისგან თანასწორ მანძილზე განლაგებული სათოფურები. ქუჩაში არავინ მოჩანდა, სადამდეც კი მისწვდებოდა თვალი, კარ-ფანჯარა ყველგან დაკეტილი და ჩაბნელებული იყო. დაკეტილი იყო ქუჩა, ჩიხად გადაქცეული, დამშვიდებულიყო იქაურობა, მიჩუმებული;

არავინ ჩანდა, ხმა არავისი ისმოდა, არც ყვირილი, არც ხმაური, სუნთქვაც კი აღარ იყო. აკლდამას ჰგავდა უბანი.

თვალისმომჭრელ შუქს ჰფენდა ივნისის მზე ამ მიდუმებულ ბარიკადს.

როგორც კი დაინახავდა კაცი, ძალიან გულმაგარი ვაუკაციც რომ ყოფილიყო, მაინც საგონებელში ჩააგდებდა ეს საიდუმლოდ აღმართული მოჩვენება. ბარიკადი საგანგებოდ იყო აგებული, შემოწმებული, სიმეტრიული და საშინელი სამარისებური მყუდროებით. ცოდნაც იყო ჩართული ამ ბარიკადზე და სიბნელეც. ცხადია, ამ ბარიკადის ამშენებელი გეომეტრი უნდა ყოფილიყო ან ჯადოქარი, შეჰყურებდით ამ საოცარ შენობას და ხმას ვეღარ იღებდით.

ხანდახან ჯარისკაცი, ოფიცერი ან ხალხის წარმომადგენელი გაბედავდა ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლას, მაგრამ მაშინვე ბზუილი გაისმოდა, მწვავე, ნელი ბზუილი და შუა ქუჩაზე დაჭრილი ან მკვდარი დაეცემოდა კაცი. თუ გადარჩებოდა ტყვიას, გიჟივით გარბოდა, რომ ან ბოძს ამოჰფარებოდა, ან კედლის კუთხეს, ან ალაყაფის კარს. ხანდახან ყუმბარაც გამოდიოდა ამ ბარიკადიდან. რკინის მილები ეშოვათ ბარიკადელებს და ამაოდ არ ხარჯავდნენ. თუ გაისროდნენ, მიზანს არ ააცდენდნენ. ქუჩაში აქა-იქ მკვდრები ეყარა; სისხლის გუბე აწითლებდა ქუჩას. თვალწინ მიდგას ერთი თეთრი პეპელა, რომელიც დაფრინავდა ბარიკადის წინ. ზაფხული თავისას არ იშლიდა.

ალაყაფის კარის ძირში დაჭრილები ეყარნენ.

მკვდარს ჰგავდა ბარიკადი და მაინც კარგად გრძნობდით, რომ გიმიზნებდნენ საიდანღაც თოფს; მაგრამ ვინ, საიდან? ამას კი ვერ ხედავდით. და მარტო თქვენ კი არა, მთელი ქუჩა, მისი სრული სიგრძე-სიგანით მიზანში იყო ამოღებული.

ტამპლის უბანში შესასვლელ გზაზე, არხზე გადებული ამოზნექილი ხიდის ორივე მხარეს, დაქანებული ფერდობის უკან, მთავრობის ჯარი მოგროვილიყო და შორიდან ზვერავდა ბარიკადს, რომ იერიშზე გადასულიყო. ჩაფიქრებული, დაღვრემილი სახე ჰქონდათ ჯარისკაცებს. ხედავდნენ, რომ საზარელი რამ იყო ეს სიმაგრე თავისი აგებულებით, იდუმალებით, მიუვალობით; ხედავდნენ, რომ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, ვინც ამ სიმაგრის ასაღებად თავს გასწირავდა. ზოგი გაბედავდა, გაბობღდებოდა მიწაზე, ხიდის შუა ნაწილამდე აძვრებოდა, მაგრამ მას იქით თავის ქუდსაც ვერ გადააცილებდა.

მამაცი პოლკოვნიკი მონტემარი გაკვირვებით და თრთოლით შესცქეროდა ამ ბარიკადს.

- რა მშვენივრად არის აგებული, - უთხრა ხალხის ერთ-ერთ წარმომადგენელს, - ქვას ვერსად იპოვით, რომ ხაზს გამოსცილებოდეს. ფაიფურისას ჰგავს ეს კედელი, - ამ დროს, გულზე რომ ჯვარი ეკიდა, ტყვია მოხვდა, გახვრიტა და პოლკოვნიკი დაეცა.

- მხდალები, ლაჩრები, - უყვიროდნენ მათ, - აბა, გამოჩნდით, თუ კარგი ბიჭები ხართ, ვერ ბედავთ, იმალებით!

ტამპლის უბნის ბარიკადის დამცველი ოთხმოცი კაცი მთავრობის ჯარის ათი ათას კაცს გაუმკლავდა. სამი დღის განმავლობაში ვერაფერი გააწყო ამხელა ჯარმა. მეოთხე დღეს კი იმ საშუალებას მიმართა მთავრობამ, რასაც ზააჩასა და კონსტანტინში: სახლებს ტყვია დაუშინეს, სახურავებზე ავიდნენ და იქიდან დაუწყეს სროლა. აიღეს ბარიკადი. არც ერთმა ოთხმოც „ლაჩართაგანმა“ არ მოისურვა

გაქცევა. ბრძოლაში დაიხოცნენ ყველანი, გარდა მეთაურ ბარტელემისა, რომელსაც ახლავე გავაცნობთ მკითხველს.

სენტ-ანტუანის ბარიკადი მეხის გრგვინვა იყო, ტამპლისა კი სრული დუმილი. დიდი განსხვავება იყო ამ ბარიკადებში: ერთი საშიში იყო, მეორე მომაკვდინებელი; ერთი დაღრენილ პირს ჰგავდა, მეორე - ნიღაბს.

გიგანტური და ბნელით მოცული იყო ივნისის აჯანყება, შემდგარი რისხვისა და რაღაც იდუმალებისგან. ამიტომ სენტ-ანტუანის ბარიკადი გველეშაპს წარმოადგენდა, ტამპლისა - სფინქსს.

ორმა კაცმა ააშენა ეს ბარიკადი; ერთი კურნე იყო, მეორე კი ბარტელემი. კურნემ სენტ-ანტუანის ბარიკადი ააშენა, ბარტელემიმ - ტამპლისა. ორივე შენობა ნამდვილი ხატება იყო თავისი აღმშენებლებისა.

ზორბა, ახოვანი, მხარბეჭიანი კაცი იყო კურნე, აწითლებული სახე, მაგარი მუშტი, უშიშარი გული, პატიოსანი სული და გულწრფელი, მაგრამ საშინელი თვალი ჰქონდა. გამბედავი კაცი იყო, ენერგიით აღსავსე, ბრაზიანი, მოჩხუბარი; მეტად ლმობიერი და გულჩვილი მშვიდობიანობის დროს და დაუღალავი, უშიშარი მებრძოლი რევოლუციის დროს. ომი, ხელჩართული ბრძოლა იყო მისი სულისჩამდგმელი ჰაერი და იქ იყო მარტო მოხარული და ბედნიერი. ზღვაოსანი ოფიცერი ყოფილა და იმნაირი მიხრა-მოხრა ჰქონდა და ისეთი ხმა, რომ ცხადად ეტყობოდა, ოკეანიდან იყო გამოსული, ზღვის ღელვითა და ქარიშხლით გაწვრთნილი; და სწორედ ქარიშხალივით შევარდებოდა ხოლმე ბრძოლაში; ნიჭიერებასთან ერთად კურნეს რაღაც ჰქონდა დანტონისა, როგორც დანტონს - ჰერაკლესი.

ბარტელემი პატარა კაცი იყო, გამხდარი, სუსტი, ფერმკრთალი, ჩუმი, ერთგვარი ტრაგიკული გამენი; ჩვიდმეტი წლისა რომ იყო, სილა შემოჰკრა პოლიციელმა; გზაზე დაიმალა ბიჭი, ელოდა, მანამ გამოივლიდა ის პოლიციელი და მოკლა; კატორღაში გაგზავნეს. იქიდან რომ დაბრუნდა, ეს ბარიკადი ააშენა.

შემდეგში, - რა არის ბედისწერა, - სამშობლოდან განდევნილნი ლონდონში ცხოვრობდნენ და იქ დუელში ბარტელემიმ მოკლა კურნე. ცოტა ხანში რაღაც საიდუმლო საქმეში გააბეს უბედური, რომელშიც ქალიც უნდა ყოფილიყო გარეული. საფრანგეთში რომ გარჩეულიყო ეს საქმე, მართლმსაჯულება დანაშაულის შესამცირებელი გარემოებითაც მიაქცევდა ყურადღებას; ინგლისურმა მართლმსაჯულებამ კი არად ჩააგდო ეს გარემოებანი და სიკვდილი მიუსაჯა. ბარტელემი ჩამოახრჩვეს.

ბნელი საზოგადოებრივი წესწყობილების მიზეზით, ქონებრივი გაჭირვების, ზნეობრივი სიბნელის გამო, ასე უაზროდ დაიღუპა ეს უბედური არსება. მიუხედავად იმისა, რომ ჭკუითაც ძლიერი იყო და განვითარებითაც, სხვა დროსა და უკეთეს პირობებში დიდი და სასარგებლო მოღვაწე იქნებოდა, და ჩვენში კი, საფრანგეთში, კატორღით დაიწყო და ინგლისში სახრჩობელაზე დაასრულა სიცოცხლე. თუ საჭიროება მოითხოვდა, დროშას ააფრიალებდა ბარტელემი; ეს დროშა მუდამ შავი იყო.

## თავი მეორე

### ბაასით მაინც გაერთოს, ვინც უფსკრულში ჩავარდნილა

თექვსმეტი წელიწადი არცთუ მცირე დროა აჯანყების მომზადებისთვის და 1848 წლის ივნისში ხალხმა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე 1832 წლის ივნისში. ამიტომ იყო, რომ შანვრერის ქუჩის ბარიკადი ჩანასახი იყო იმ უზარმაზარი ბარიკადებისა, რომლებიც ეს არის დავხატეთ, მაგრამ თავის დროისათვის კი საშინელებას წარმოადგენდა.

ანჟოლრასის მეთაურობით აჯანყებულები მთელი ღამე მუშაობდნენ. მარიუსი კი აღარაფერში მონაწილეობდა. ბარიკადი ეშეაკეთეს, გარდა ამისა, კარგად გააფართოეს და სამოცდახუთი სანტიმეტრით აამაღლეს, რკინის ბოძები რომ ჰქონდათ, ქვაყრილში ისე გაამაგრეს და დასწიეს, რომ მტრისკენ მიმართულ შუბს დაამსგავსეს. საცა კი, მიგდებული და დავიწყებული ნაყარნუყარი მოიპოვებოდა, ყველაფერი ბარიკადთან მიზიდეს და უფრო და უფრო გაამაგრეს ქვაყრილი. ისე მოაგვარეს საქმე, რომ გარედან აბურძგნილი ჯაგრით შემოსეს ბარიკადი, შიგნიდან კი გლუვ კედლად აქციეს. ქვები მიუწყვეს კიბედ და სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა ასვლა.

ბარიკადის შიდა მხარეც მოაწესრიგეს. რაც მეტი იყო, გაზიდეს დაბალი დარბაზიდან, სამზარეულოში მოათავსეს დაჭრილები, ჭრილობა შეუხვიეს ყველას, მოაგროვეს იატაკსა და მაგიდებზე დაბნეული დენთი, ჩამოასხეს ტყვია, ვაზნები გაიკეთეს, ფილთა მოიმარაგეს, მოაგროვეს და დაარიგეს დაჭრილ-დახოცილთა იარაღი, დაგავეს ბარიკადი, გაიტანეს მკვდრები, - მონდეტურის ვიწრო ქუჩაზე დაასვენეს, რადგან ეს ქუჩა ჯერ მათ ხელში იყო. დაჭრილთა სისხლით მოირწყო ქუჩა და დიდხანს იყო აქაურობა გაწითლებული. მკვდრებში ოთხი კაცი გარეუბნის გვარდიელი იყო და ანჟოლრასის ბრძანებით მკვდრების ფორმის ტანისამოსი ცალკე დაალაგეს.

ანჟოლრასმა ურჩია ამხანაგებს, ერთი-ორი საათით თვალი მოეტყუებინათ.

ანჟოლრასის რჩევა ბრძანება იყო, მაგრამ სულ სამმა თუ ოთხმა კაცმა ისარგებლა ამ რჩევით. ფეიიმ გამოიყენა ეს ორი საათი და „კორინთის“ მოპირდაპირე სახლის კედელზე მსხვილი ასოებით ამოჭრა:

გაუმარჯოს ხალხებს!

ეს სიტყვები ლურსმნის წვერით ამოეჭრათ ქვის კედელზე და ჯერ კიდევ ცხადად ჩანდა 1848 წელს.

ქალებმა იმ ღამის მყუდროებით ისარგებლეს და სადღაც მეზობელ სახლს შეაფარეს თავი, მიიმალნენ. აჯანყებულებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

დაჭრილთა უმრავლესობას შეეძლო და კიდეც უნდოდა ბრძოლაში მონაწილეობა. საავადმყოფოდ გადაქცეულ სამზარეულოში, ლეიბებსა და თივაზე ხუთი კაცი იწვა მძიმედ დაჭრილი, რომელთაგან ორი ქალაქის გვარდიელი იყო. პირველად ამ გვარდიელებს შეუხვიეს ჭრილობა.

აღარავინ დარჩა დაბალ დარბაზში, გარდა სუდარის ნაცვლად შავი შალგადაფარებული მაბეფისა და ბოძზე მიკრული ჟავერისა.

- აქ საცხედრე იქნება, - თქვა ანჟოლრასმა.

საცხედრე ერთი სანთლით იყო განათებული და ისიც უკანა მხარეს იდგა, მიცვალებულის განივად დადგმულ, დარბაზის გადამღობ მაგიდაზე, და ფეხზე მდგომი ჟავერისა და მიცვალებული მაბეფის ჩრდილი დიდ ჯვარად ისახებოდა კედელზე.

რამდენიმე ტყვია მოხვედროდა ომნიბუსის ხელნას, მაგრამ ჯერ საკმაოდ მაგრად იდგა და ისევ მასზე ააფრიალეს დროშა.

სწორედ მხედართმთავრის თვისება ჰქონდა ანჟოლრასს, უთუოდ უნდა აესრულებინა, რასაც იტყოდა; დროშის გვერდით მოხუცი მაბეფის დასისხლიანებული, ტყვიით გახვრეტილი სერთუკი ჩამოჰკიდა.

საჭმელი არ გააჩნდათ, არც პური, არც ხორცი. თექვსმეტი საათი იყო „კორინთში“ ოთხმოცდაათი კაცი იყო და უკვე შეეჭამათ, რაც იქ სანოვაგე მოიპოვებდა. ყოველ ბარიკადს უთუოდ დაუდგება დრო, როდესაც მედუზის ტივად გადაიქცევა და მის დამცველებს შიმშილის ატანა მოუხდებათ. მალე გათენდებოდა 6 ივნისი, ის დაუვიწყარი დღე, როდესაც სენ-მერის ბარიკადზე ამხანაგები შემოეხვივნენ ჟანს და ყვირილი დაუწყეს, გვშიაო და მანაც მოკლედ უპასუხა:

- ჭამა რა საჭიროა? ახლა უკვე სამი საათია, ოთხზე კი დავიხოცებით.

რაკი საჭმელი არ ჰქონდათ, სასმელიც აკრძალა ანჟოლრასმა. ღვინო სრულიად უარყო და არაყსაც ცოტ-ცოტას ანაწილებდა.

სარდაფში ღვინით სავსე ჰერმეტულად დაცული თხუთმეტიოდე ბოთლი იპოვეს, გასინჯეს ანჟოლრასმა და კომბეფერმა. ზევით რომ ავიდა, კომბეფერმა თქვა:

- ეს საწყალი უშლუს ძველი მარაგის ღვინოა, ვაჭრობა თავდაპირველად საბაყლო საქონლით დაიწყო.

- ნამდვილი ღვინო უნდა იყოს, - თქვა ბოსუემ, - კიდევ კარგი, გრანტერს სძინავს, თორემ ძალიან გაგვიჭირდებოდა ბოთლების გადარჩენა.

მიუხედავად ამხანაგების უკმაყოფილებისა და ბუზღუნისა, ანჟოლრასმა ვეტო დაადო ბოთლებს და რომ არავის ეხლო ხელი და თითქოს წმინდა რამ გამხდარიყო, იმ მაგიდის ქვეშ დააწყობინა, რომელზედაც მაბეფი განისვენებდა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, ანჟოლრასმა მებრძოლები დაათვალიერა. ოცდაჩვიდმეტი კაცი კიდევ დარჩენილიყო ბარიკადის დასაცავად.

განთიადი უახლოვდებოდა ქალაქს. ჩირაღდნები ჩააქრეს. ბარიკადი პატარა ეზოს წარმოადგენდა, ქუჩიდან შემოჭრილს, ჩაბნელებულს, გატეხილ გემბანს ჰგავდა ამ სიბნელეში. შავი აჩრდილებივით მიდი-მოდიოდნენ ბარიკადელები. ამ წყვიადის ბუდეს ზევიდან დასცქეროდნენ კარ-ფანჯარაჩაკეტილი მდუმარე მაღალი სახლები. ამ სახლების სახურავებზე განთიადის სინათლე ემჩნეოდა საკვამლე მილებს. საოცარი ფერი დასდებოდა ზეცას, მომხიბლავი და გამოუთქმელი, არც თეთრი, არც ლურჯი. ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. მაღალ სახლს, რომელიც ბარიკადის ფუძედ გამოეყენებინათ აღმოსავლეთისკენ მიმართული თავისი წინაპრით, სახურავი შევარდისფრებოდა.

მეორე სართულის სარკმელში დილის ნიავი არხევდა მკვდარი ადამიანის ჭაღარა თმას.

- კარგია, რომ გააქრეს ჩირაღდანი, - უთხრა კურფეირაკმა ფეიის, - ქარისაგან ისე თრთოდა, თითქოს შეშინებულაო. ჩირაღდნის სინათლე ძალიან ჰგავს ლაჩრის სიბრძნეს: ცუდად ანათებს, იმიტომ, რომ კანკალებს.

განთიადი ისე აღვიძებს გონებას, როგორც ჩიტს. ერთად იყვნენ ყველანი და ლაპარაკობდნენ.

ჟოლიმ სახლის სახურავის ღარზე კატა დაინახა და მოჰყვა ფილოსოფოსობას:

- რა არის კატა? კატა შესწორებაა შექმნის დროს დაშვებული შეცდომისა. ღმერთმა თაგვი შექმნა და წამოიძახა, ეს რა სისულელე მომივიდაო და შეცდომის გამოსასწორებლად კატა გააჩინა. კატა ნაყოფია თაგვისა, ესე იგი, ღვთისა, შეცდომის გამოსასწორებლად. თაგვი და მასთან ერთად კატა კორექტურაა, შესწორებული თვით ქვეყნის შემოქმედის მიერ.

კომბეფერი, რომელსაც სტუდენტები და მუშები შემოხვეოდნენ, დახოცილებზე ლაპარაკობდნენ, ახსენებდნენ ჟან პრუვერს, ბაორელს, მაბეფს და თვით კაბუკსაც კი. მერე ანჟოლრასის წუხილზე დაიწყო ბაასი:

- ჰარმოდიუსი და არისტოგიტონი, ბრუტუსი, ქერეასი, სტეფანუსი, კრომველი, შარლოტა კორდე, ზანდი - ყველა წუხდა ჩადენილის გამო. იმდენად სუსტი და მთრთოლარეა ჩვენი გული, იმდენად ღრმა და მიუწვდომელი საიდუმლოებაა ჩვენი სიცოცხლე, რომ თუ კაცი შემოგაკვდება სამოქალაქო ომში კი ან საკუთარი სახლის დასაცავ ბრძოლაში, სინანულით გევსება გული და ეს სინანული უფრო მწვავე და მძლავრია, ვიდრე სიხარული, კაცობრიობის გათავისუფლებაში მიღებული მონაწილეობისგან აღძრული.

გაიმართა კამათი, მოიგონეს ჟან პრუვერის ლექსები, ამ ლექსებმა ვერგილიუსის „გეორგიკა“ და მისი თარგმანები გაახსენათ. კომბეფერი ერთმანეთს ადარებდა: „გეორგიკა“ კურნანის თარგმანს შეადარა; კურნანის თარგმანები დე ლილისას. მოჰყავდა მალფილატრის თარგმანი, მეტადრე საკვირველი სიკვდილი კეისრისა და კეისრის ხსენებამ ისევ ბრუტუსი მოაგონათ.

- სრულიად სამართლიანი იყო კეისრის დაცემა, - თქვა კომბეფერმა, - სასტიკი იყო ციცერონი კეისრის მიმართ, მაგრამ სამართლიანი სისასტიკე ლანძღვა არ არის. ზოილე რომ ლანძღავს ჰომეროსს, მევიუსი - ვერგილიუსს, ვიზე - მოლიერს, პოპი - შექსპირს, ფრერონი - ვოლტერს, ისინი შურისა და მძულვარების კანონს ემორჩილებიან. გენიოსს თან სდევს შურით გამოწვეული ლანძღვა-გინება, დიდ კაცს კი ყეფა. მაგრამ ზოილედ ნუ ჩავთვლით ციცერონს. ციცერონი მოსამართლეა, მსაჯული თავისი აზროვნებით, როგორც ბრუტუსია მსაჯული თავისი ხმლით. პირადად მე ვგმობ ამგვარ მსაჯულებას, მსაჯულებას იარაღით; მაგრამ ძველად ამაში გასაკიცხს არაფერს ხედავდნენ. კეისარმა გადალახა რუბიკონი; თავის სახელს არქმევდა იმას, რაც ხალხის მიერ იყო შექმნილი; ფეხზე არ უდგებოდა სენატს; ევტროპიუსის აზრით, ისე იქცეოდა, როგორც მეფე და თითქმის როგორც ტირანი: Regia ac pene tyrannica. დიდი კაცი იყო, მით უკეთესი, ან თუ გნებავთ, მით უარესი; მით უფრო ჭკუის სასწავლებელია გაკვეთილი. მისი ოცდაათი ჭრილობა ისე არ მაღელვებს, როგორც ერთადერთი ფურთხი, რომელიც იესო ქრისტემ მიიღო. კეისარი სენატორებმა განგმირეს ხანჯლებით, იესო ქრისტეს სახეში სცემდნენ მონები. რამდენადაც საზიზღარია შეურაცხყოფა, იმდენად მეტად გრძნობ შეურაცხყოფილის ყღვთიურობას.

ქვის გროვაზე ასულიყო ბოსუე, ხელში თოფი ეჭირა და იქიდან გადმოსძახა:

- ო, კიდათენე, ო, მირინე, ო, პრობალინთე, ო, მშვენიერო ეანტიდე! ოჰ! ვინ შემაძლებინებს ნეტავ, ისე წარმოვთქვა ჰომეროსის ლექსი, როგორც ლავრიონის ან ედაპტეონის ბერძენი ამბობდა!

## თავი მესამე
## გამოდარება და მოქურუხება

ანჟოლრასი დასაზვერად წასულიყო; მონდეტურის პატარა ქუჩით გასულა და გველივით მისრიალებდა სახლების ძირას.

აჯანყებულები, - ესეც ვთქვათ, - დიდი იმედით იყვნენ აღფრთოვანებულნი, ვინაიდან კარგად მოიგერიეს ჯარის იერიში ღამით, თითქოს სასაცილოდ მიაჩნდათ დილის მოსალოდნელი შემოტევა. მხიარულად მოელოდნენ გათენებასა და ბრძოლას. როგორც გულწრფელად სწამდათ თავიანთი სიმართლე, ისევე სწამდათ გამარჯვებაც. შეიარაღებული ხალხის დახმარებასაც ელოდნენ. ამაზედაც ამყარებდნენ იმედს. კარგი თვისება აქვს მებრძოლ ფრანგს, ადვილად იცის გათვალისწინება თავისი გამარჯვებისა. ეს იყო მიზეზი, რომ ბარიკადის დამცველებს სამ ნაწილად დაეყოთ ხვალინდელი დღე: დილის ექვს საათზე ერთი რაზმი დაეცემათ და სწორედ ისე მიიღებენ, როგორც ღამე; შუადღისას დაიწყება მთელი პარიზის აჯანყება და მზის ჩასვლისას - რევოლუცია.

სენ-მერიდან განგაშის ზარი ისმოდა, რომელიც გუშინდელს აქეთ ერთ წამს არ გაჩერებულა; მაშასადამე, მეორე ბარიკადიც, ჟანის დიდი ბარიკადი, ჯერაც მაგრად იყო და არ ნებდებოდა მთავრობის ჯარს.

ჯგუფიდან ჯგუფში მხიარული ჩურჩულით გადადიოდა ყოველი საიმედო ცნობა და საომრად გამზადებულ ფუტკრის სკის ბზუილს მოგაგონებდათ.

ანჟოლრასი დაბრუნდა. ორბივით გაისეირნა იმ სიბნელეში, დაზვერა მტერი. ახლა გულხელდაკრეფილი იდგა და ამხანაგების ჩურჩულს ისმენდა. ცოტა ხანს იდგა ასე ყმაწვილი და მწყაზარი, განთიადის შუქით დამშვენებული, მერე ამხანაგებს მიმართა:

- ფეხზე დგას, რაც პარიზში ჯარია. მისი ერთი მესამედი და გარდა ამისა, ეროვნული გვარდია ჩვენი ბარიკადებისკენ არის მომართული. შორიდანაც კარგად გავარჩიე მეხუთე რაზმის ქუდები, მეექვსე ლეგიონის ბაირაღი. ერთ საათში იერიშით წამოვა ჯარი, რაც შეეხება ხალხს... გუშინ ღელავდა ხალხი და ამ დილას კი აღარ იძვრის. ხალხის იმედი აღარ არის, არც გარეუბანი მოგვეშველება, იქ მხოლოდ ჯარი დგას. მარტოდმარტო ხართ მიტოვებული.

ისე დაეცა ეს სიტყვა ბარიკადელებს, როგორც დიდი ავდრის პირველი წვეთები საომრად გამოსულ ფუტკრის სკას. მუნჯივით იდგა ყველა. სიტყვით გამოუთქმელი დუმილი ჩამოვარდა წამით, ისე, თითქოს სიკვდილმა გადაუქროლაო.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს წამი.

სულ უკან, სიბნელეში მიმალული ჯგუფიდან, გამოსძახა ვიღაცამ ანჟოლრასს:

- ეგრე იყოს! ცოტა კიდევ ავამაღლოთ ჩვენი ბარიკადი, ექვს-ნახევარ მეტრამდე, და ფეხს ნუ მოვიცვლით აქედან. მოქალაქენო, ჩვენი სიკვდილით გამოვაცხადოთ პროტესტი, დავუმტკიცოთ ყველას, რომ შეიძლება ხალხმა უღალატოს რესპუბლიკას, მაგრამ რესპუბლიკელები კი არასოდეს უღალატებენ ხალხს.

ამ სიტყვამ გაფანტა მწუხარების შავი ღრუბელი, რომელიც დაჰფენოდა მებრძოლთ. აღტაცებულ შეძახილით შეხვდა მას ყველა.

ვერ გაიგეს, ვინ იყო ამ სიტყვის მთქმელი. ხალათიანი, ყველასგან უცნობი მუშა იქნებოდა, თავმდაბალი, უჩინარი; დავიწყებული, შემთხვევის გმირი, დიდებული უცნობი, რომელიც ყოველთვის ჩაერევა ადამიანთა აღშფოთებასა და ბრწყინვალე მომავლის შექმნაში და ყოყმანის დროს ზეადამიანური შთაგონებით იტყვის

გადამწყვეტ სიტყვას. იტყვის თავისას და მყისვე გაქრება წყვდიადში. ის ელვაა წამიერი ბნელში გავლილი, ხალხისა და ღვთის წარმომადგენელი.

ისე იყო 1832 წლის 6 ივნისის ჰაერი გაჟღენთილი ამ გადაწყვეტილებით, რომ თითქმის სწორედ იმავე დროს სენ-მერის ბარიკადიდან გაისმა ისტორიაში დარჩენილი და სასამართლოში სრულ სიმართლედ აღიარებული: „მოგვეშველება ხალხი თუ არ მოგვეშველება, სულერთია ჩვენთვის. აქ ვართ და აქ დავიხოცებით ყველანი!“

როგორცა ჩანდა, ამ ბარიკადებს, დიდი მანძილით დაშორებულთ, კავშირი ჰქონდა გაბმული ერთმანეთთან.

## თავი მეოთხე
## ხუთით ნაკლები და ერთით მეტი

მას შემდეგ, რაც უცნობმა მუშამ ურჩია ყველას „სიკვდილით გამოეცხადებინათ პროტესტი“ და ამით გამოთქვა ის, რაც გულში ედო ყველას, ყვირილი გაისმა, უცნაური, მხიარული და საზარელი, საგლოვი თავისი შინაარსით და გამარჯვებული თავისი კილოთი:

- გაუმარჯოს სიკვდილს! აქ დავხვდებით ყველანი!

- ყველანი რად? - ჰკითხა ანჟოლრასმა.

- ყველანი! ყველანი!

ანჟოლრასმა განმარტა:

- ჩვენს ბარიკადს მდებარეობა კარგი აქვს და თვითონაც მაგარია. ოცდაათი კაცი კმარა. რად უნდა გავწიროთ ორმოცი?

პასუხიც ერთხმად მისცეს:

- იმიტომ, რომ წასვლას არავინ მოინდომებს.

- მოქალაქენო! - შეჰყვირა ანჟოლრასმა ისეთი ხმით, თითქოს გაბრაზება შეეპარა, - რესპუბლიკა იმდენად მდიდარი არ არის ადამიანებით, რომ ასე ამაოდ და უსარგებლოდ გასწიროს თავისი ერთგული და თავდადებული მომხრენი. წვრილმანი პატივმოყვარეობა ბედოვლათობას უდრის. თუ რომელიმე ჩვენგანს ევალება აქედან წასვლა, ეს დავალებაც ისე წმინდად უნდა შეასრულოს, როგორც ყოველი სხვა დავალება.

ხორცშესხმული პრინციპი იყო ანჟოლრასი და ერთგვარი სრულუფლებიანი გავლენა ჰქონდა ამხანაგებზე. მიუხედავად ამ ურყევი გავლენისა, მაინც ბუზღუნებდნენ ბარიკადელები.

როგორც ნამდვილმა უფროსმა, ეს ჩუმი უთანხმოება რომ დაინახა, შეუტია:

- აბა, ვინ არის თქვენში, რომ ეშინია, მხოლოდ ოცდაათი კაცი დავრჩებითო?

ბუზღუნი გაძლიერდა. უკანა ჯგუფიდან გამოსძახა ვიღაცამ:

- წავიდესო, ადვილი სათქმელია. ბარიკადი გარშემორტყმულია.

- არა, ბაზრის მხარეს ჯარი არ დგას, - მიუგო ანჟოლრასმა, - მონდეტურის ქუჩა თავისუფალია და იქიდან პრეშეერების ქუჩით შეიძლება ინოსანის ბაზარში გასვლა.

- იქ კი დაგიჭერენ, - წამოიძახა ახლა სხვა ამხანაგმა, - ან ჯარს ჩაუვარდები ხელში, ან გარეუბნელ გვარდიას. ხალათიან კაცს რომ დაინახავენ, ცოცხალს გაატარებენ?

შენ, ეი, საიდან მოდიხარ? ბარიკადელი ხომ არა ხარ? დენთის სუნი გიდის? დახვრიტე!

პასუხი აღარ გასცა ანჟოლრასმა. ხელი დაადო მხარზე კომბეფერს და დაბალ დარბაზში შეიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გარეთ გამოვიდნენ. ანჟოლრასს ხელში ეჭირა გვარდიელის ოთხი მუნდირი, კომბეფერს კი გვარდიელების ქუდები და მათი ამუნიცია მოჰქონდა.

- აი, მუნდირები გვაქვს. გაერევით გვარდიელებში და წახვალთ თქვენთვის, - განაგრძო ანჟოლრასმა, - მზად გვაქვს ოთხი კაცის გადასარჩენი.

და მუნდირები ძირს დაყარა.

არც ერთი არ განძრეულა. ეტყობოდა, დათმობას არავინ აპირებდა.

კომბეფერმა ამხანაგებს მიმართა:

- კმარა, შებრალებაც უნდა იცოდეს ადამიანმა. იცით, რაშია აქ საქმე? საკითხი აქ ქალებს შეეხება. ერთი მითხარით, გყავთ თუ არა სახლში ქალი? გყავთ თუ არა ბავშვები? გყავთ თუ არა დედა, რომელიც ფეხით აკვანს არწევს და ხელით ბავშვებს უვლის? თუ არის ვინმე თქვენში, რომ არსად ენახოს დედის ძუძუ და ძუძუმწოვარა ბავშვი? თქვას ან მაღლა აიშვიროს ხელი. გინდათ თავი შეაკლათ? მეც ეს მინდა, მინდა თავი შევაკლა ჩემს რწმენას, მაგრამ ის კი არ მინდა, გარს შემომეხვიონ ჩვენი თავგანწირვით დაღუპული ქალებისა და დაობლებული ბავშვების აჩრდილები, დაიხოცეთ, თუ გინდათ, მაგრამ სხვას კი ნურავის დაღუპავთ. აქ სიკვდილი უწმინდესი თავგანწირვა იქნება, მაგრამ თავის შეიძლება და სხვისი კი არა. და თუ თქვენიანს ვინმეს აუბედურებთ თქვენი თავგანწირვით, კაცის კვლად გადაიქცევა თქვენი თავგანწირვა. ნუ ივიწყებთ ჩვილ ბავშვებს და ჭაღარით მოსილ მოხუცებს. აი, მოისმინეთ, ეს არის ახლა მითხრა ანჟოლრასმა, თურმე სინის ქუჩაზე, ერთ ოდნავ განათებულ ფანჯარაში დაუნახავს მოხუცი ქალი, რომელსაც ეტყობოდა, მთელი ღამე არ სძინებოდა. იქნება რომელიმე თქვენგანის დედაა ის უბედური. ჰოდა, წავიდეს, ვინც არის, საჩქაროდ მივიდეს და უთხრას: „ნუ წუხხარ დედა, აი, აქა ვარ“. დამშვიდებული იყოს, ვინც არის, უიმისოდაც კეთილსინდისიერად ავასრულებთ ამ ჩვენს მოვალეობას. თავისი შრომით ცოლ-შვილის ერთადერთი მარჩენალი რომ არის კაცი, უფლება აღარა აქვს თავგანწირვისა. ეს იგივეა, ოჯახს უღალატოს კაცმა. ქალიშვილები რომ ჰყავდეს კაცს, დები რომ ჰყავდეს? არ უნდა დაუფიქრდეთ თქვენს საქციელს? თქვენი თავგანწირვის გამო ამაოდ კვდებით; ძალიან კარგი, მაგრამ მერე? ყმაწვილი ქალები რომ ულუკმაპუროდ დარჩებიან? კაცი მოწყალებას ითხოვს და ქალი? ქალი თავის თავს ყიდის. ლამაზი ქალი გყავთ შინ, მოხდენილი, ჩუმი, წყნარი, ვარდის კოკორივით სურნელოვანი, რომელიც თავისი უმანკოებით ავსებს სახლს, მღერის, ღუღუნებს, ჭიკჭიკებს და თავისი მიწიერი უმანკოებით ანგელოზების არსებობას გიმტკიცებთ ცაში. სახლში გყავთ ეს ანგელოზები, ჟანა, ლუიზი, მიმი, ეს საყვარელი გოგონები, რომლებიც თქვენს კურთხევასა და თქვენს სიამაყეს წარმოადგენენ და გნებავთ, დაამშიოთ? პური მოანატროთ? აბა, რაღა გითხრათ? ბაზარი არის ერთი, სადაც ქალი იყიდება. იქნებ გგონიათ, თქვენი საფლავიდან დაუშლით იმ ბაზარში გასვლას? რატომ არ გაგონდებათ ქუჩა, ქუჩაში მოსიარულე ხალხი და ის მაღაზიები, რომელთა წინ დგანან ან ტალახში დააბოტებენ გულმკერდგაღეღილი ქალები? ერთ დროს ეს ქალებიც უბიწონი იყვნენ. მოიგონეთ

თქვენი დები, თუკი გყავთ ვინმეს. გაჭირვება, უნამუსობა, პოლიცია, სენ-ლაზარის საავადმყოფო, - აი, სად გზავნით ამ გამოუცდელ, უმანკო ქალებს. ამ მშვენიერებას მორცხვობისას, უფრო ნორჩსა და ლამაზს, ვიდრე მაისის ვარდია. მაშ, გინდათ თავი შეაკლათ, ოჯახებს აღარ სჭირდებით? ძალიან კარგი. თქვენ გინდათ მეფისაგან გაათავისუფლოთ ხალხი და პოლიციას ყაძლევთ თქვენს ქალებს? არა, ჩემო მეგობრებო, ნუ გაწირავთ, შეიბრალეთ ბავშვები და მოხუცები. უბედურება რომ მიადგება ქალს, ფიქრსა და სჯას კი არ დაიწყებს. ეგეც ჩვენი ბრალია. სულ იმას გავიძახით, ქალს არ სჭირდება იმდენი სწავლა, რაც კაცსო, წიგნების კითხვას ვუშლით, დაფიქრებას ვუშლით, პოლიტიკაში ჩარევას ვუშლით და როგორ დავუშლით, რომ დღეს საღამოს საცხედრეში არ მივიდეს მკვდარი შვილის, ქმრის ან ძმის საპოვნელად? ჰოდა, მოდი, ადამიანურად მოვიქცეთ. ხელი ჩამოვართვათ, ვისაც ობლად რჩება ვინმე და გავისტუმროთ. ჩვენს საქმეს უიმათოდაც კარგად გავარიგებთ. ვიცი, ძალიან გამბედავი უნდა იყოს, რომ ამხანაგებთან არ დარჩეს, ძნელია ამხანაგების განსაცდელში მიტოვება, მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს, იმდენად სანაქებო. ახლა მეტყვით, თოფი მაქვს, ბარიკადზე ვდგავარ და აქვე ვრჩებიო. ხვალინდელი ნუ დაგავიწყდებათ. მეგობრებო, ცხოვრებას ხვალინდელი აქვს ყოველთვის. ვინც აქ დარჩება, იმას ხვალინდელი ვეღარ გაუთენდება და მის ოჯახს კი ხვალ მოელის დაობლება, გაჭირვება და ზნეობრივი წამებაც. გყავთ პატარა გოგო, ლამაზი, ცქვიტი, მალხაზი, რომელიც ტიკტიკებს, ღიღინებს, ჭიკჭიკებს, ახარებს და ატკბობს ოჯახს. მერე იცით, რა მოუვა, უპატრონოდ რომ დარჩება? ერთი პატარა გოგო ვნახე, სულ პატარა, აი, ამსიმაღლე. მამა მოჰკვდომოდა. ვიღაც საწყალ კაცს შეჰბრალებოდა, სახლში შეეყვანა, მაგრამ პური თავისი შვილებისთვისაც ვერ ეშოვა; შიმშილით კვდებოდა ბავშვი; ზამთარი იყო, არ ტიროდა; მივიდოდა ხოლმე ღუმელთან, რომელშიც ცეცხლი არასოდეს არავის აენთო და ყვითელი მიწით ჰქონდა გადალესილი საკვამლე მილის დასადგმელი ადგილი; იდგა ამ ღუმელთან მშიერი ბავშვი, ფხეკდა ყვითელ მიწას და ჭამდა; ქლორს სუნთქავდა, გაყვითლებული სახე, სუსტი ხელ-ფეხი და გამობერილი მუცელი ჰქონდა; არაფერს ამბობდა, რომ დაელაპარაკებოდნენ, პასუხს არ აძლევდა. მოკვდა საბრალო ბავშვი; ნეკერის საავადმყოფოში მოიყვანეს მომაკვდავი და იქ ვნახე. თუ არის ვინმე, კვირაობით ბულვარზე სასეირნოდ რომ დაჰყავს თავისი პატარა შვილი და მისი ნაზი, ჩვილი ხელი უჭირავს ხელში, წარმოიდგინოს, რა დაუშავა საწყალმა ბავშვმა, რომ მამას ართმევს და აობლებს? ახლაც თვალწინ მიდგას ის შიმშილით მკვდარი ბავშვი, ანატომიის მაგიდაზე რომ დაასვენეს გაშიშვლებული, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, სხვა არაფერი. პურის მაგივრად ტალახი ჰქონდა კუჭში, კბილებში კი ნაცარი. ამიტომ გეუბნებით, ამხანაგებო, დაეკითხეთ თქვენს სინდისსა და გულს. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ უპატრონო ბავშვების უმეტესობა, ასიდან ორმოცდათხუთმეტი, სიკვდილის ხვედრია. ვიმეორებ, საკითხი შეეხება დედას, მეუღლეს, ქალიშვილსა და ბავშვს. მე თქვენ გადარჩენას კი არ ვცდილობ. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. კარგად ვიცით, რომ დიადი მიზნისთვის თავგანწირული, მამაცი მებრძოლები ხართ, რომ მზად ხართ სიხარულით შესწიროთ თქვენი სიცოცხლე მის განხორციელებას. ვიცით, რომ მზადა ხართ სასარგებლოდ და ვაუკაცურად გასწიროთ თქვენი სიცოცხლე და გამარჯვება და დიდება მოიპოვოთ. ასეა და ასეც უნდა იყოს, მაგრამ რას იზამთ, რომ

მარტონი არა ხართ ამქვეყნად? გარს შვილები გახვევიათ და ვალდებული ხართ, ისინიც არ დაივიწყოთ. ეგოისტობას ნუ გამოიჩენთ.

ყველა დაღვრემილი, გაჩუმებული იდგა.

ეს იყო სიტყვისა და საქმის უცნაური წინააღმდეგობა ამ უწმინდეს წამს! ამას ამბობდა კომბეფერი, რომელსაც დედა ჰყავდა. ის იგონებდა სხვის მშობელს და თავისი კი დავიწყებოდა. ბარიკადზე რჩებოდა და იქ მოკლავდნენ. თვით იყო „ეგოისტი“.

მარიუსი დამშეული იყო და ავადმყოფს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯანსაღს. ნელ-ნელა გაუცრუვდა ყოველგვარი იმედი. სევდით მოცულს სიკვდილი ენატრებოდა ან სევდის მორევში ჩახრჩობა. დაქანცული იყო ამოდენა მღელვარებით და რადგან სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, უფრო და უფრო იფლობოდა იმ განრიდებაში, რომელიც ყოველთვის წინ უძღვის ჩვენი ნებით მოახლოებულ სიკვდილს.

იქ რომ ფიზიოლოგი ყოფილიყო და მარიუსს დაჰკვირვებოდა, ადვილად შეისწავლიდა მეტად შესამჩნევ იმ ნერვიულ ნიშნებს, რომელსაც კარგად იცნობს მეცნიერება. ეს საკუთარ სულსა და გულში ჭვრეტა იგივეა მწუხარებისთვის, რაც ტკბილი ოცნება ნეტარებისთვის. სასოწარკვეთილებასაც აქვს ექსტაზის წუთები და მარიუსსაც მოერია ცოტა ხნით. ისე იდგა, ისე შესცქეროდა ყველაფერს, თითქოს სხვაგან იყო. ხედავდა ყველაფერს, მაგრამ შორეულად მიაჩნდა, მისგან დამოუკიდებლად; ხედავდა ხალხის მოძრაობას, განსჯას, მაგრამ შინაარსი არ ეკარებოდა მის შეგნებას. ვიღაც მიდი-მოდიოდა ბნელში, რაღაც ლაპარაკი ესმოდა, ამოძახილი შორეული უსაზღვროებიდან.

მაგრამ ისიც კი აღელდა. ერთი ადგილი იყო კომბეფერის სიტყვაში, რომელიც გულზე ეცა და გამოაღვიძა. ერთადერთი რამ უნდოდა - სიკვდილი და ცდილობდა, სხვას არაფერს მიექცია მისი ყურადღება, მაგრამ ამ დღეში მყოფსაც კი მაინც მოაგონდა, - კიდეც რომ კვდებოდეს კაცი, თუ შეუძლია, სიკვდილისაგან უნდა იხსნას თავისი მოყვასი.

ახლა მან მიმართა ბარიკადელებს:

- მართალი არიან ანჟოლრასი და კომბეფერი. რა საჭიროა უსარგებლო თავგანწირვა? მეც მათკენ ვარ და გირჩევთ, აჩქარდით. კომბეფერმა თვალსაჩინოდ დაგიმტკიცათ ჩვენი გადაწყვეტილება. თქვენში არის ვინმე, რა თქმა უნდა, ცოლშვილიანი, მოხუცი დედის, ქალიშვილების პატრონი? ვინც არის ასეთი, წინ წამოვიდეს.

არავინ დაიძრა.

- ცოლშვილიანებო და ოჯახის მარჩენალნო, წინ წამოდექით, - გაიმეორა მარიუსმა. დიდი გავლენა ჰქონდა მარიუსს. მართალია, ბარიკადის უფროსი ანჟოლრასი იყო, მაგრამ მარიუსი იყო ბარიკადის მხსნელი.

- მაშ, მე გიბრძანებთ! - შეჰყვირა ანჟოლრასმა.

- მე გევედრებით, - თქვა მარიუსმა.

კომბეფერის სიტყვით შეძრწუნებულმა, ანჟოლრასის ბრძანებით შეყოყმანებულმა, მარიუსის თხოვნით აღელვებულმა თავგანწირულმა გმირებმა ერთმანეთის გაცემა დაიწყეს.

- მართალია, - ეუბნებოდა ერთი ჭაბუკი ბიჭი ხნიერ მუშას, - შენ ცოლ-შვილის პატრონი ხარ და თუ წასვლაა, შენ უნდა წახვიდე.

- მე კი არა, შენ უნდა წახვიდე, - უპასუხა მუშამ, - ორი პატარა და გყავს და შენა ხარ მათი მამაც და დედაც. მაშ, წადი აქედან.

გაიმართა კამათი. ყველა ცდილობდა, ამ სამარიდან არ ამოსულიყო.

- ავჩქარდეთ! - შესძახა კურფეირაკმა, - თხუთმეტი წუთი კიდევ და შეუძლებელი იქნება აქედან გასვლა.

- მოქალაქენო, - დაიძახა ანჟოლრასმა, - აქ რესპუბლიკა გვაქვს და ყველაფერს კენჭისყრა წყვეტს. თქვენ თვითონ დაასახელეთ, ვინც წასასვლელია.

დაემორჩილნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთხმად დაასახელეს ხუთი კაცი, რომლებიც ბრძოლის ატეხამდე უნდა გასულიყვნენ ბარიკადიდან.

- ხუთნი არიან! - შეჰყვირა მარიუსმა. მუნდირი კი ოთხი ჰქონდათ.

- ძალიან კარგი, - დაიძახა ხუთივემ, - ერთი ჩვენგანი დარჩება, - ახლა ამაზე ატყდა კამათი. ხუთივე ცდილობდა, ამხანაგებისთვის დაემტკიცებინა, რომ ერთი მათგანი უნდა წასულიყო და თვითონ კი დარჩენილიყო.

- შენ ცოლი გყავს, რომელსაც უყვარხარ, - ეუბნებოდა ამხანაგს ერთი მუშა, - შენ კიდევ მოხუცი დედა... შენ, ძმაო, აღარც დედა გყავს, აღარც მამა და რა პასუხს აძლევ შენს პატარა ძმებს... ხუთი შვილის მამა ხარ და აქ რჩები. შენ სულ ჩვიდმეტი წლის ხარ, მოვალე ხარ, იცოცხლო. ჯერ აღრეა შენი სიკვდილი.

ამ დიად რევოლუციურ ბარიკადებზე გმირები შეკრებილიყვნენ. წარმოუდგენელი და დაუჯერებელი აქ ადვილად ასასრულებელი გამხდარიყო. ამ ადამიანებს ერთმანეთისა არაფერი უკვირდათ.

- აბა, ჩქარა! - შეახსენა კიდევ კურფეირაკმა.

მაშინ მარიუსს გამოსძახეს ერთი ჯგუფიდან:

- თქვენ დაასახელეთ, ვინ დარჩეს ამ ხუთთაგანი?

- მართალია, - თქვა ერთმა, - თქვენ ამოირჩიეთ. ჩვენ თანახმა ვართ და გემორჩილებით.

არ ეგონა მარიუსს, რომ შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო რაიმე ისეთი, რაც მას ააღელვებდა, მაგრამ, რა ნახა, რომ მას უნდა აერჩია კაცი სასიკვდილოდ, გულს ეცა, რაც სისხლი ჰქონდა. გაფითრდებოდა, რომ კიდევ შესძლებოდა გაფითრება.

ერთად იდგნენ ხუთივენი და მათკენ წავიდა. ხუთივენი შესცინოდნენ; იმ ალით უბრწყინავდათ თვალი, რომელიც ანათებს თერმოპილეს ისტორიას და სთხოვდნენ:

- მე დამტოვე! მე! მე!

დაიბნა მარიუსი. ადგა და თვლა დაიწყო. ხუთნი იყვნენ. მერე მუნდირებს დახედა. ოთხი იყო, მხოლოდ ოთხი.

და იმავე წამს მეხუთე მუნდირი დაეცა მიწაზე, თითქოს ციდან ჩამოვარდაო.

მეხუთეც გადაარჩინა სიკვდილს.

აიხედა მარიუსმა და ბატონი ფოშლევანი იცნო.

ჟან ვალჟანი შემოსულიყო ბარიკადში.

რაიმე ცნობა ჰქონდა თუ ალღოს მოჰყვა, მაგრამ მონდეტურის ქუჩიდან კი შემოვიდა. გვარდიელის ტანისამოსი ეცვა და, ალბათ, ამან გაუადვილა ბარიკადამდე მისვლა.

აჯანყებულებს თავისი გუშაგი ჰყავდათ მონდეტურის ქუჩაზე, მაგრამ მარტოდმარტო მომავალი გვარდიელი რომ დაინახა, გაატარა, ვითომ ვერც კი დაინახა, ან თავის რაზმისკენ მიდის, ან ჩვენების პატიმარიაო. მეტისმეტად საშიში იყო

ეს წუთი და საქმის ღალატი იქნებოდა, რომ ერთი გამვლელის გამო მიეტოვებინა თავისი საგუშაგო და მას გამოსდგომოდა.

ჟან ვალჟანი რომ გამოჩნდა, ვერავინ დაინახა, რადგან ხუთ კაცსა და ოთხ მუნდირს შესცქეროდნენ ყველანი. ჟან ვალჟანი ახლოს მივიდა. მოისმინა მათი კამათი, გაიხადა თავისი მუნდირი და უსიტყვოდ დააგდო ოთხ მუნდირზე.

განცვიფრებული შეჰყურებდა ყველა.

- ვინ არის ეს კაცი? - იკითხა ბოსუემ.

- ის ადამიანია, ვინც სხვას იხსნის სიკვდილისაგან, - უპასუხა კომბეფერმა.

- მე ვიცნობ, - მრავალმნიშვნელოვნად თქვა მარიუსმა.

ამ სიტყვამ დააკმაყოფილა ყველანი, მარიუსის ნაცნობი იყო ეს კაცი. ანჟოლრასი მიესალმა ჟან ვალჟანს, როგორც ბარიკადის უფროსი:

- მოქალაქე, კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა, - და დასძინა, - ხომ იცით, რომ ყველანი აქ დავიხოცებით?

ჟან ვალჟანმა არაფერი უპასუხა, შინ მიმავალ აჯანყებულებს შველოდა მუნდირების ჩაცმაში.

## თავი მეხუთე
## რა ჰორიზონტი იშლება ბარიკადის სიმაღლიდან

ამ საბედისწერო ჟამს, ამ ულმობელ ადგილას, საიდანაც გამოსავალი არსად იყო, აჯანყებულთა სულიერმა მდგომარეობამ ანჟოლრასი მელანქოლიაში ჩააგდო.

ამ კაცში იყო მოგროვილი და განხორციელებული რევოლუცია, მაგრამ არა სრულად. ძალიან ჰგავდა სენ-ჟიუსტს და ნაკლებად ანახარსის კლოოტს. თუმცა ანბანის მეგობართა საზოგადოებაში დიდი გავლენა იქონია მის აზროვნებაზე კომბეფერმა; ნელ-ნელა გათავისუფლდა დოგმატურობის ვიწრო ჩარჩოებისგან და თვალსაწიერის გამაფართოებელი პროგრესის გავლენის წყალობით დაასკვნა, რომ ევოლუციის ლოგიკური დასასრული დიდი ფრანგული რესპუბლიკის უზარმაზარ მსოფლიო რესპუბლიკად გადაქცევაა. რაც შეეხება საშუალებებს ამ მიზნის მისაღწევად, ვინაიდან უკვე მოცემული იყო მძლავრი ბიძგი, საჭირო იყო იმავე გზით სვლა. ამაში უცვლელი იყო იმისი რწმენა, ისიც იმ ეპიკურ საშინელ სკოლას ეკუთვნოდა, რომელსაც სრულიად ხატავს სიტყვა „ოთხმოცდაცამეტი“.

ბარიკადზე იდგა ღრმად ჩაფიქრებული და თოფი ეჭირა ხელში. ისე აურჟოლებდა, თითქოს გამჭოლი ქარი სცემს და ის არყევსო. საცა სიკვდილი მეფობს და თავისუფლად ნავარდობს, დროდადრო წინასწარმეტყველური სულიც იღვიძებს. ღრმად ჩაფიქრებული იდგა, თვალები უელავდა. უცბად წელში გასწორდა, თავი ასწია, უკან გადაეყარა ქერა თმა, რომელიც მბრწყინავ შარავანდედად დაადგა თავზე ვარსკვლავების ეტლით მფრინავი ანგელოზის თმასავით, და შესძახა:

- წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, მოქალაქენო, მომავალი? მზისებრ სინათლით გაჩაღებული ქალაქის ქუჩები, წალკოტად ქცეული სახლები, ძმური სიყვარულით გაერთიანებული ერები, სამართლით აღსავსე ადამიანი, შვილების დამლოცავი მოხუცები, აწმყოს მოსიყვარულე წარსული, აზროვნების სრული თავისუფლება, სარწმუნოების სრული თანასწორობა. წარმოგიდგენიათ, რომ თვითონ ღმერთი გყავდეს უშუალო მოძღვრად, ადამიანის სინდისი გამხდარიყოს საკურთხევლად და

აღარც შური იყოს, აღარც მტრობა, აღარც სიძულვილი! სახელოსნოებსა და სკოლებში - ძმობა, თანასწორი სასჯელი და თანასწორი ჯილდო ყველასთვის განურჩევლად. ყველა აღჭურვილიყოს თანასწორი უფლებით. სრული მშვიდობა იყოს, აღარც ომი, აღარც სისხლის ღვრა, დედები ბედნიერნი. ბუნების დამორჩილება - ეს არის პირველი ნაბიჯი; ჩვენი იდეალის განხორციელება - მეორე. აბა, გადახედეთ, რამდენი რამ შეგვძინა პროგრესმა. ოდესღაც პირველყოფილ ადამიანს გულგახეთქილს ელანდებოდა გველეშაპი, რომელიც ოკეანის წყლებს აღელვებდა; ურჩხული, რომელიც ცეცხლს აფრქვევდა; ფასკუნჯი, რომელიც ურჩხული იყო ცისა, არწივის ფრთები, ლომის თავი და ბრჭყალები ჰქონდა; საშინელი მხეცები ელანდებოდა, ადამიანზე უფრო მძლავრი და მაღლად მდგომი, მაგრამ ადამიანმა მახე დააგო; წმინდა მახე თავისი გონიერებისა და, ბოლოს და ბოლოს, შიგ გააბა თავისი მტერი. ადამიანმა გველეშაპი დაიმორჩილა და ხომალდი უწოდა. ურჩხული დაიმორჩილა და ორთქლმავალი უწოდა; დღეს-ხვალ ფასკუნჯსაც დაიმორჩილებს, უკვე ფლობს საჰაერო ბურთის საიდუმლოებას და როდესაც დამთავრდება ეს პრომეთესებური შრომა და ადამიანი მხოლოდ თავისი სურვილის და ნების მორჩილი იქნება და საბოლოოდ დაიმორჩილებს წარსულის ქიმერულ სამებას - ბატონ-პატრონი გახდება წყლის, ცეცხლის, ჰაერის - თვით გახდება სულიერ არსებათა ღმერთად, დაიჭერს ღმერთის ადგილს. მაშ, მომავლისკენ, ამხანაგებო! საით მივდივართ? მეცნიერებისაკენ, განათლებისაკენ, რომ ის იყოს მარტო ჩვენი მბრძანებელი; საგანთა ძალისაკენ, რომ მხოლოდ ის იყოს საზოგადოებრივი ძალა; ბუნებრივი კანონისკენ, რომელსაც თვითონვე შეუძლია დასჯაც და დამტკიცებაც და ისეთი ცხადი და ნათელი შესაგნებელია თავისი ჭეშმარიტი დებულებით, როგორც მზის სხივი. ხალხთა ერთობისაკენ მივდივართ, ადამიანთა ერთობისაკენ. ძირს ფიქციები, ძირს პარაზიტები, ქვეყნიერებას სიმართლე უნდა განაგებდეს; აი, ჩვენი მიზანი. ცივილიზაცია ევროპის გულში დაიდებს ბინას, მოგვიანებით კი მატერიკის ცენტრში, გონის დიად პარლამენტში. ამგვარი რამ არსებულა ძველად. წელიწადში ორჯერ იკრიბებოდნენ ამფიქტიონები. ერთხელ დელფოში - ღმერთების სამეფოში და მეორედ თერმოპილეში - გმირების სამეფოში. ევროპასაც ეყოლება თავისი ამფიქტიონები; მთელ კაცობრიობასაც ეყოლება. საფრანგეთი მიიწევს ამ ბრწყინვალე მომავლისაკენ და წინ მიუძღვის კაცობრიობას. ეს არის XIX საუკუნის დანიშნულება და რაც მარტო მცირე ჩანასახად გამოჩნდა საბერძნეთში, უნდა დამთავრდეს საფრანგეთში. ყური დამიგდე, ფეიი! პატიოსანო მუშავ, ხალხის შვილო, ყველა ხალხების შვილო, მიიღე ჩემი პატივისცემა! შენ ცხადად ხედავ მომავალს და მართალი ხარ, არც დედა გყავს, არც მამა, დედად კაცობრიობა გაგიხდია და მამად - უფლება. შენ აქ მოკვდები. ესე იგი, გაიმარჯვებ! დიახ, მოქალაქენო! რაც უნდა მოხდეს დღეს, დავიხოცებით თუ გავიმარჯვებთ, სულერთია, ჩვენ ვქმნით რევოლუციას. როგორც ხანძარი ანათებს მთელ ქალაქს, ისე რევოლუცია ანათებს მთელ კაცობრიობას. რაგვარ რევოლუციას ვქმნით ჩვენ? ეს არის ვთქვი, სიმართლის რევოლუციას. პოლიტიკური თვალსაზრისით არსებობს ერთადერთი პრინციპი. ადამიანი თვითონ არის თავისი თავის მბრძანებელი. ადამიანის ხელმწიფობა თავის თავზე სრული თავისუფლებაა. და საცა ერთად შეკრებილა ორი ან რამდენიმე ამისთანა თავისუფლება, იქ ჩნდება სახელმწიფო.

თუმცა ეს კავშირი არ გულისხმობს თავგანწირვას. აქ უზენაესი ხელისუფლება ნებით თმობს საკუთარი თავისვე ნაწილს, რათა შეიქმნას საზოგადოებრივი სამართალი.

ოდენობა დათმობილი უფლებისა ერთი და იგივეა ყველასთვის. ეს თანასწორობა უფლებათა დათმობისა, რომელსაც ყოველი წევრი უხდის საზოგადოებას, არის თანასწორობა. საზოგადოებრივი სამართლის დანიშნულებაა, მფარველობა გაუწიოს და არავის შეალახვინოს კერძო უფლება. საზოგადოების მიერ კერძო უფლების მფარველობა და ყველასაგან ერთის დახმარება არის ძმობა.

უზენაესი ხელისუფლების ყველა ამ სახეობის გადაკვეთის წერტილს, ერთად თავმოყრილს, საზოგადოება ეწოდება.

ეს გადაკვეთის წერტილი რომ შენაერთად იქცევა, ქმნის საზოგადოებრივ კავშირს, რომელსაც ხშირად საზოგადოებრივ ხელშეკრულებასაც უწოდებენ, რადგან ხელშეკრულებაც იმავე კავშირს გულისხმობს. შევთანხმდეთ, როგორ გავიგოთ თანასწორობა, - თუ თავისუფლება მწვერვალია საზოგადოებრივი წესწყობილებისა, თანასწორობა მისი საფუძველია. თანასწორობა, მოქალაქენო, გათანასწორება კი არ არის, რომ ყველა მცენარეს ერთი და იგივე სიმაღლე ჰქონდეს და მუხა კვრინჩხზე ზევით არ ავუშვათ. თანასწორობა არის საზოგადოების ყველა წევრის უფლება, ყველასთან ერთად და ერთი ოდენობით ისარგებლოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი სიკეთით; პოლიტიკურად ერთი და იგივე ხმა ჰქონდეს ყველას; სარწმუნოებრივად ერთი და იგივე უფლება. თანასწორობას აქვს ერთი საშუალება - ხალხის განათლება, სავალდებულო და უსასყიდლო; უსასყიდლო სწავლის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს. ანბანით უნდა დავიწყოთ ხალხის განათლება; პირველდაწყებითი სწავლა სავალდებულო უნდა იყოს ხალხისთვის და საშუალო - ყველასთვის ხელმისაწვდომი - აი, მთავარი კანონი. საყოველთაო განათლების შედეგია საზოგადოებრივი თანასწორობა. დიახ, მოქალაქენო! განათლება და განათლება მთელი ხალხისათვის! განათლება! სინათლიდან მომდინარეობს ყველაფერი და ისევ სინათლეშივე ჩაიმალება. დიდებულია XIX საუკუნე, მაგრამ ბედნიერი XX საუკუნე იქნება. მაშინ არაფერი დარჩება ძველი ისტორიის მსგავსი და მომაგონებელი. მაშინ არავის ექნება შიში, როგორც დღეს, მტრის შემოსევისა, ქვეყნის აკლებისა, ხალხის დამარცხებისა და გაძარცვისა, ძალით სამეფო ტახტზე გამოჭიმვისა, ხალხთა შორის შეიარაღებული ქიშპობისა, მეფის ქორწინებით ცივილიზაციის შეჩერებისა, ტირანთა გვარში მემკვიდრის შობისა, კონგრესის მიერ ხალხების გაყრის და განაწილებისა, სხვადასხვა სარწმუნოებათა შორის იარაღით ბრძოლისა, თითქოს ორი ყოჩი იყოს ჩრდილისა უსაზღვროების ხიდზე მიმავალი; აღარც დამშევის შიში იქნება, აღარც ადამიანისაგან ადამიანის ექსპლუატაციისა, აღარც სიღარიბით გამოწვეული პროსტიტუციისა, აღარც უმუშევრობის გამო გაჭირვებისა, აღარც ეშაფოტისა და ზარბაზნებით ბრძოლისა და აღარც ყაჩაღების თარეშისა, ცხოვრების უკუღმართობის გამო ტყეში რომ გავარდნენ. თითქმის შეიძლება ვთქვათ, რომ აღარც კი იქნება ასეთი შემთხვევები. ადამიანი ბედნიერი იქნება. კაცობრიობა შეასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც დედამიწა ასრულებს თავისას; სრული ჰარმონია დამყარდება ადამიანის სულსა და ვარსკვლავთა შორის, - სულს მიიზიდავს ჭეშმარიტება, ისე, როგორც ვარსკვლავს მნათობი. მეგობრებო, ჩვენი დრო ბნელით არის მოცული, მაგრამ ახლა ვიძენთ ჩვენს

მომავალს. რევოლუციამ უნდა გამოისყიდოს იგი. ოჰ, გათავისუფლდება კაცობრიობა, ფეხზე წამოდგება ნუგეშცემული. ამას აღვუთქვამთ ყველას ამ ბარიკადზე! ან საიდან შემოგვესმება ძახილი სიყვარულისა, თუ არ თავგანწირვის სიმაღლიდან. ძმებო, აი, აქ, ამ ადგილას, ერთმანეთს შეუერთდნენ და კვლავაც შეუერთდებიან ისინი, ვინც აზროვნებენ, და ისინი, ვინც იტანჯებიან. ეს ბარიკადი არც ქვისა არის, არც მორებისა, არც რკინისა; ის დიადი იდეისა და დიადი ტანჯვისგან არის აგებული. აქ უბედურება იდეალს ხვდება. აქ იკრავს გულში დღე ღამეს და ეუბნება, - მე მინდა შენთან მოვკვდე და შენ კიდევ ჩემთან ერთად აღდგებიო. აქ ყოველგვარი გასაჭირი ერთმანეთს გადახვევია და აქედან გამომდინარეობს რწმენა. ტანჯვას აქ მოაქვს თავისი აგონია, იდეებს კკი თავიანთი უკვდავება. აგონია და უკვდავება შეერთდებიან და ნაყოფად გამოიღებენ ჩვენს სიკვდილს. ძმებო, ვინც აქ მოკვდება, მოკვდება მომავლის სხივმოსილი და ჩვენ ახლო განთიადის სინათლით განათებულ სამარეში ჩავალთ. ანჟოლრასმა უფრო შეწყვიტა სიტყვა, ვიდრე გაჩუმდა, ისევ ამოძრავებდა ტუჩებს, თითქოს განაგრძობდა ლაპარაკს თავის თავთან. გაჩუმებული იდგა ყველა. შესცქეროდნენ ყურადღებით, იქნებ განაგრძოსო. ტაში არ დაუკრავთ, მაგრამ დიდხანს ჩურჩულებდნენ; სიტყვა ქროლად იქცა და ამ ჩურჩულში ადამიანის გონების თრთოლა ფოთლების ნელ შრიალს ემსგავსებოდა.

## თავი მეექვსე
## დაღვრემილი მარიუსი და სიტყვაუხვი ჟავერი

ახლა ისიც ვთქვათ, რა ფიქრებს გაეტაცა მარიუსი.

გავიხსენოთ, რა მდგომარეობაში იყო. ვთქვით, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ შერჩენოდა და რასაც კი ხედავდა, ბუნდოვან სურათებადღა გაურბოდა თვალწინ. ხედავდა, მაგრამ მნიშვნელობას კი ვერ სწვდებოდა. თითქოს უშველებელი, შავი ფრთები დასწოლოდა, რომელიც გონებას უბნელებს მომაკვდავს. ისე გრძნობდა თავს, თითქოს საფლავში ჩასულიყო უკვე, იმ ქვეყნად იყო და ცოცხლებს საფლავში დამარხული მკვდრის თვალით გამოსცქეროდა.

როგორ გაჩნდა იქ ბატონი ფოშლევანი? ან რისთვის მივიდა? რა უნდოდა? მარიუსი ამ კითხვებს აღარ უფიქრდებოდა. გარდა ამისა, ასეთია კაცის გული, - სასოწარკვეთილება რომ მოერევა, თავს უიმედობას აფარებს ყველას და ბუნებრივად მიაჩნია მთელი ქვეყნის დაღუპვა.

მხოლოდ კოზეტი იყო, რომელზედაც გულის კანკალით ფიქრობდა მარიუსი.

ბატონი ფოშლევანი არ დაელაპარაკა, არც შეხედა, თითქოს არც კი გაიგონა მარიუსის ნათქვამი, მე ვიცნობო.

თვით მარიუსსაც ძალიან შეუმსუბუქა მდგომარეობა ფოშლევანის ამ უყურადღებობამ და, თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ ამგვარ შთაბეჭდილებათა აღსაწერად, ვიტყვით, რომ ძალიანაც ესიამოვნა: ყოველთვის გრძნობდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა, შეუძლოდ ეჩვენებოდა, სიტყვით მიემართა ამ საიდუმლოებით მოცული მოხუცისათვის, რომელიც ერთსა და იმავე დროს საეჭვოდაც მიაჩნდა და პატივსაცემადაც. გარდა ამისა, დიდი ხანი იყო, აღარ ენახა. ესეც ემატებოდა მის ბუნებრივ მოკრძალებასა და გაუბედაობას.

ხუთმა კაცმა ჩაიცვა მუნდირი, გამოეთხოვა ამხანაგებს და მონდეტურის ქუჩით გავიდა ბარიკადიდან. ძალიან ჰგავდნენ გვარდიელებს. ხუთ კაცში მარტო ერთს მოერია ტირილი. გადაკოცნეს ამხანაგები და წავიდნენ.

ეს ხუთი რომ გაისტუმრეს სიცოცხლისკენ, ანჟოლრასს თავისი პატიმარი მოაგონდა და დარბაზში შევიდა. ბოძზე მიბმული ჟავერი ეტყობოდა, შორს იყო ფიქრებით.

- იქნებ რამე გინდა? - ჰკითხა ანჟოლრასმა.

- როდის მომკლავთ? - ჰკითხა ჟავერმა.

- მოითმინე. შენთვის თოფისწამალი როგორ წავახდინოთ?

- მაშ, წყალი დამალევინეთ.

ერთი ჭიქა წყალი მიუტანა პირთან ანჟოლრასმა და დაალევინა.

- სხვა არაფერი გინდა?

- ცუდად ვარ ასე ბოძზე აკრული, - უპასუხა ჟავერმა, - მთელი ღამე ასე ვიყავი. ძილი არ მომეკარა. შემკარით, როგორც გენებოთ, ოღონდ დამაწვინეთ სადმე, თუნდაც მაგიდაზე, როგორც ის არის, - და თავის მოძრაობით აჩვენა მაგიდაზე დასვენებული მაბეფი. მკითხველს ეხსომება, დარბაზის ბოლოს იდგა ერთი დიდი, გრძელი მაგიდა, რომელზეც ტყვიას აღნობდნენ და ვაზნებს აკეთებდნენ. აღარც ვაზნები ჰქონდათ გასატენი, აღარც თოფისწამალი დარჩენოდათ და ცარიელი იდგა მაგიდა.

ოთხი კაცი შემოიყვანა ანჟოლრასმა. ბოძიდან ჩამოხსნეს ჟავერი და მანამ თოკს ხსნიდნენ, იქვე მეხუთე იდგა მოღერებული ხიშტით. ბეჭებზე აკრული ხელები არ გაუხსნეს. ფეხები წვრილი, მაგრამ მაგარი თასმით შეუკრეს, ისე, რომ შეეძლო ნელი, პატარა ნაბიჯით გაეარა დარბაზში, სწორედ ისე, როგორც სიკვდილით დასასჯელს უკრავენ ფეხებს, რომ ეშაფოტზე ასვლა შეეძლოს. დიდ მაგიდამდე მიიყვანეს, კარგად შეკრეს, ზედ დააწვინეს და ახლა მაგიდას მიაბეს.

მაგრამ ესეც არ იკმარეს: კისერზე შემოახვიეს თოკი, მუცლამდე ერთად ჩაუშვეს ორივე წვერი, იქ ბარძაყის ქვემოდან ამოუტარეს და ხელები შეუკრეს. კაცის ამგვარად შეკვრა საპატიმროშია გავრცელებული, შეუძლებელია ხელები გაიხსნას და გაიქცეს.

ჟავერს რომ ასე ბაწრავდნენ, ერთი კაცი დამდგარიყო ზღურბლზე და დაკვირვებით შესცქეროდა მას. ამ კაცმა დაჩრდილა ოთახი. ჟავერმა კარისკენ მიიხედა და მაშინვე იცნო ჟან ვალჟანი. ოდნავაც არ შემკრთალა, თავისებურად ამაყად მოარიდა თვალი და წაიბუტბუტა:

- ეს მოსალოდნელი იყო!

## თავი მეშვიდე
## მდგომარეობა მწვავდება

თენდებოდა, მაგრამ ერთი ფანჯარა არსად გაღებულა, არც კარი. განთიადი იყო და არა გაღვიძება. ჯარისკაცები, შანვრერის ქუჩის ბოლოს რომ იდგნენ, ბარიკადის პირდაპირ, როგორც უკვე ვთქვით, გაიყვანეს. ქვაფენილი უკაცრიელი ჩანდა, მაგრამ ვინ იცის, რას გადააწყდებოდა ადამიანი, რომ გაებედა და იქით წასულიყო. მდუმარებდა სენ-დენის ქუჩა, როგორც სფინქსთა ხეივანი თებეში. მზის სხივი სცემდა

ქუჩებს, მაგრამ ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. საზარელი სანახავია ასე განათებული უდაბნოსებრი ქუჩა.

დანახვით ვერავის ხედავდნენ ბარიკადელები, მაგრამ ხმაური კი ესმოდათ. რაღაც ჩუმი, იდუმალი მოძრაობა იყო. აშკარად ახლოს იყო მთავრობის ჯარი და ბარიკადისკენ წამოსასვლელად ემზადებოდა. საბედისწერო წუთი ახლოვდებოდა. გუშაგები წუხანდელივით ბარიკადისკენ მიეშურებოდნენ, ყველანი უკლებლივ.

ბარიკადიც უფრო მტკიცე იყო, ვიდრე წუხელ, პირველი იერიშის დროს. ხუთი კაცი რომ გაისტუმრეს, ისევ ბარიკადის გამაგრება დაიწყეს და აამაღლეს კიდეც.

იმ გუშაგის მოხსენების თანახმად, რომელიც ბაზრის მხარეს იდგა, ანჟოლრასმა, ზურგიდან არ მომიარონო, ერთი კარგი განკარგულება გასცა: საჩქაროდ ააგებინა ბარიკადი მონდეტურის ქუჩის ვიწრო გასასვლელში, რომელიც აქამდე ღია ჰქონდათ. რამდენიმე სახლის გასწვრივაც აყარეს ქვაფენილი და მასალად გამოიყენეს. ამგვარად სამ ქუჩას კეტავდა ბარიკადი: თავის პირდაპირ შანვრერის ქუჩას, მარცხნივ - სინისა და ტრუანდერისას და მარჯვნივ - მონდეტურისას და მართლა თითქმის მიუვალი გამხდარიყო. აჯანყებულებიც შიგ გამოემწყვდნენ, სამი გარე ფრონტი ჰქონდათ და გასასვლელი კი აღარც ერთი.

- ციხესიმაგრეც არის და სათაგურიც, - ამბობდა კურფეირაკი.

სამიკიტნოს კართან ანჟოლრასის ბრძანებით ოცდაათამდე ტროტუარის თლილი ქვა დაყარეს.

- მეტი არ იყო და უნდა გამოგვეყენებინა რაიმეში, - ამბობდა ბოსუე.

იმდენად მდუმარე იყო ის მხარე, საიდანაც იერიშს მოელოდნენ, რომ ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა ანჟოლრასის განკარგულებით.

თითო ჭიქა არაყი დაალევინეს მებრძოლთ.

არაფერია ისე საინტერესო, როგორც ბარიკადი, რომელიც იერიშის მოსაგერიებლად ემზადება. თავ-თავის ადგილს ირჩევს ყველა, როგორც თეატრში წარმოდგენის დასაწყისამდე. ზოგი კედელს ეყრდნობა, ზოგი ქვას, ზოგი გამოშვერილს ეფარება, ზოგი ქვების სკამს იკეთებს, რომ ბრძოლის დროსაც კი ჯდომა შეეძლოს, თუ გამოწეულია სადმე კედლის კუთხე, მას ერიდებიან, გაურბიან. თუ შვერილია სადმე და მებრძოლს დამალავს, იქ მაგრდებიან. ძვირფასი რამ არის ამ დროს ცაცია, სწორედ იმ ადგილს ირჩევს, რომელიც ყველამ დაიწუნა. ზოგი ცდილობს, ისე მოეწყოს ბრძოლის დროს, რომ იჯდეს და ისე ისროდეს; უნდა მოხერხებულად ბრძანდებოდეს, როცა კლავს და განცხრომით, როცა კლავენ. 1848 წლის ივნისის საზარელი ბრძოლის დროს ერთმა ძალიან მარჯვედ მსროლელმა აჯანყებულმა მაღალი სახლის სახურავზე აატანინა ვოლტერის სავარძელი და ისე იბრძოდა, მაგრამ სავარძელშიც მისწვდა მთავრობის ჯარის ტყვია და შიგვე ჩაკლა.

როგორც კი გაისმა ბარიკადის უფროსის ბრძანება, ბრძოლისთვის მოემზადეთო, მაშინვე შეწყდა მიმოსვლა, გადაძახილ-გადმოძახილი, ჯგუფები დაიშალა, თავ-თავისი ადგილი დაიჭირა ყველამ. მებრძოლები ახლა მხოლოდ შემოტევას ელოდნენ. თავდასხმის წინ ბარიკადი ქაოსის განსახიერებაა, მრისხანების ჟამს - ხორცშესხმული დისციპლინა. საშიშროება შობს წესრიგს.

თავისი ორლულიანი თოფი აიღო ანჟოლრასმა და წინდაწინვე ამორჩეულ სათოფურისებურ ნახვრეტთან დადგა.

რიყის ქვისგან ნაგები კედლის გასწვრივ ჩხაკაჩხუკი გაისმა, თოფები დატენეს.

მიუხედავად ყველაფრისა, აჯანყებულებს მაინც ამაყად ეჭირათ თავი და კმაყოფილება ეტყობოდათ სახეზე; უკიდურესი თავგანწირვა თვითდამკვიდრებაა. იმედი აღარ ჰქონდათ, მაგრამ სასოწარკვეთილება კი დიდი. ზოგჯერ სასოწარკვეთილებაა უკანასკნელი იარაღი, რომელიც გამარჯვებას მოუტანს ადამიანს, ჯერ კიდევ ვერგილიუსმა თქვა ეს ჭეშმარიტება. უკიდურესი გამბედაობა უკიდურეს საშუალებებს მიმართავს. სიკვდილის ნავში რომ ჩაჯდება კაცი, სწორედ ამით გადარჩება ხოლმე ხანდახან აბობოქრებულ ზღვას და მის გრიგალს. ზოგჯერ თვით კუბოს სახურავი ხდება თავდაღწევის საშუალება.

წუხანდელივით ყველანი ქუჩის ბოლოს გაჰყურებდნენ, საიდანაც ჯარის შემოსევას მოელოდნენ. უკვე დღე იყო და კარგად მოჩანდა მთელი ქუჩა.

დიდხანს არ მოუხდათ ლოდინი. ხმაური სენ-ლეს მხრიდან მოდიოდა, მაგრამ იერიშით მომავალი ჯარისას არ ჰგავდა. ჯაჭვის ჩხაკუნი ისმოდა, თვლების გრიალი, რაღაც მძიმე მასის ზანზარი, ქვაფენილზე მომავალი სპილენძის ზრიალი. ცხადი იყო, ბარიკადისკენ ადამიანი კი არა, მრისხანე რკინის მანქანა მოიწევდა. თავით ფეხამდე კანკალებდნენ ამ პატარა ქუჩის სახლები, კანკალებდა ვიწრო, მშვიდი ქუჩა, გაყვანილი ადამიანთა ინტერესებისა და იდეების ნაყოფიერი ურთიერთობისათვის და არა ხალხის მჟლეტი ზარბაზნების სათრევად.

საშინელი თვალით შესცქეროდა ბარიკადი ქუჩის ბოლოდან მომავალ ზარბაზანს.

უკვე გამოჩნდა ერთი ზარბაზანი.

არტილერისტები მოაგორებდნენ სასროლად გამზადებულს. ორთვალა მოეხსნათ; ორს ლაფეტი ეჭირა, ოთხი კაცი თვლებს მოაგორებდა, სხვებს დასატენი ყუთი მოჰქონდათ. კვამლი ასდიოდა პატრუქს.

- ცეცხლი! - შეჰყვირა ანჟოლრასმა.

ერთად გავარდა ბარიკადელების ყველა თოფი. საშინელი იყო ამ სროლის ჭექა. კვამლის ბურუსმა დაფარა და დამალა ზარბაზანიც და მისი მსროლელებიც. ცოტა ხანში გაიშალა ბურუსი და კვლავ გამოჩნდა ზარბაზანი თავისი მხლებლებით; ბარიკადისკენ მოაგორებდნენ ნელ-ნელა, ფრთხილად, აუჩქარებლად, არავის მოხვედროდა აჯანყებულთა ტყვია. გააჩერეს ზარბაზანი, უფროსმა ოდნავ ზევით ასწია ზარბაზნის პირი და ისეთი ყურადღებით და სიფრთხილით ამოიღო ბარიკადი მიზანში, როგორც ვარსკვლავთმრიცხველი მიმართავს მთვარისკენ ჭოგრიტს.

- ყოჩაღ, მეზარბაზნევ! - გასძახა ბოსუემ.

ტაში დაჰკრა მთელმა ბარიკადმა.

კიდევ რამდენიმე წუთიც და, შუა ქუჩაში, ზედ თხრილზე, გაამაგრეს ზარბაზანი და სასროლად მოამზადეს. მისი დაღებული ხახა ბარიკადისკენ იყო მიშვერილი.

- აბა, ყოჩაღად! - დაიძახა კურფეირაკმა, - ამ მხეცს დამიხედეთ! ჯერ წკიპურტი, შემდეგ კი ცხვირში მუშტი! ჯარი თავის თათს იწვდის ჩვენკენ და კარგადაც შეგვინჯღრევს ბარიკადს. თოფის სროლა მხოლოდ ზვერავს, ზარბაზანი კი ანადგურებს.

- ახალი ზარბაზანია, რვადუიმიანი, ბრინჯაოსი, - თქვა კომბეფერმა, - პროპორციის სულ ოდნავი დარღვევისას - ას წილ სპილენძზე ათი წილი კალა - შეიძლება აფეთქდეს. კალა თუ მეტი მოუვიდა, რბილდება და ზოგან ნაპრალს იკეთებს, ზოგან პატარა ხვრელს. ამ უბედურების ასაცილებლად და ზარბაზნის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად კარგი იქნებოდა, XIV საუკუნის წესი შემოგვეღო, ზარბაზნის

ლულისთვის გარედან ფოლადის რკალები შემოგვერტყა თავიდან ბოლომდე, მანამდე კი შეძლებისდაგვარად უვლიან ამ ნაკლს, ცდილობენ, მიაგნონ, სად არის ბზარი ან ნახვრეტი. მაგრამ უკეთესი საშუალებაც არსებობს, - გრიბოვალის მოძრავი ვარსკვლავი.

- XVI საუკუნეში ზარბაზნის ლულა ხრახნული იყო, - თქვა ანჟოლრასმა.

- მართალია, - მიუგო კომბეფვერმა, - ის ამძლავრებს სროლის ძალას, მაგრამ მიზანში მოხვედრას კი ასუსტებს. პატარა მანძილზე სროლისას ტრაექტორიას არა აქვს სასურველი კუთხე, მისი პარაბოლა მეტისმეტად გრძელდება, ყუმბარის გასავლელი მანძილი სწორხაზოვნობას კარგავს, ვეღარ ხვდება გზად მდებარე საგნებს, რაც ასე საჭიროა ბრძოლაში. მეტადრე, როცა მეტად ახლოს გიდგას მტერი და შეუწყვეტლივ გესვრით თოფს. XVI საუკუნის ხრახნული ზარბაზნის ეს ხარვეზები ჭურვის სისუსტის შედეგი იყო. ერთი სიტყვით, ზარბაზანს, ამ ხალხის მმუსრავ დესპოტს, არ შეუძლია ყველაფერი შეასრულოს, რასაც დაავალებენ. ძალა აქვს, მაგრამ სისუსტეც სდევს. ზარბაზნის ჭურვი საათში მხოლოდ ორი ათას ექვსას სამოცდაათ კილომეტრს გაივლის და სინათლე კი ერთ წამში სამას თერთმეტი ათას კილომეტრს. აი, რით აღემატება იესო ქრისტე ნაპოლეონს.

- თოფი გატენეთ, - ბრძანა ანჟოლრასმა.

საქმე ის იყო, რამდენად მაგრად დაუდგებოდა ბარიკადის კედელი ზარბაზანს. დაინგრეოდა? ნაპრალით გადარჩებოდა თუ გაუმაგრდებოდა? ამის ფიქრში იყვნენ აჯანყებულები. თოფს ტენიდა აჯანყება და ზარბაზანს - მთავრობა.

ბარიკადი შფოთიან მოლოდინში იყო.

იგრიალა თოფმა, გავარდა ზარბაზანი.

- არის! - გაისმა ვიღაცის მხიარული ხმა.

და იმ წუთშივე, როცა ჭურვი ბარიკადის კედელს ეცა, კედლიდან გავროში ჩამოხტა.

სენ-დენის ქუჩის მხრიდან მოდიოდა და მკვირცხლად აძვრა ბარიკადის კედლის იმ ნაწილზე, რომელიც ტრუანდერის ქუჩას გასცქეროდა.

გავროშის მოსვლამ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა აჯანყებულებზე, ვიდრე ზარბაზნის ჭურვმა, რომელიც სადღაც ნაყარნუყარის გროვაში ჩავარდა და მხოლოდ ომნიბუსის ერთ-ერთი თვალი და ანსოს დანჯღრეული ეტლი გატეხა. ეს რომ დაინახეს, ბარიკადზე ხარხარი ატყდა.

- აბა, მიდი, განაგრძეთ! - დაუყვირა არტილერისტებს ბოსუემ.

## თავი მერვე
## არტილერისტები არ ხუმრობენ

გავროშს შემოეხვივნენ.

მაგრამ მას არ ჰქონდა დრო, რამე ეამბა, რადგან მარიუსმა სტაცა ხელი და ცალკე გაიყვანა:

- აქ რა გინდა, ბიჭო?

- ოჰ, თქვენ? - და თვალი თვალში გაუყარა თავისი თავხედური გამბედაობით. სიამაყის ცეცხლს გაეფართოებინა მისი თვალები.

მარიუსმა მკაცრად შეუტია:

- მერე ვინ გითხრა, ისევ აქ დაბრუნდიო? ჩემი წერილი გადაეცი? ვის?

ამ წერილის გამო ოდნავ სინდისი კი ქენჯნიდა გავროშს. ისე ეჩქარებოდა ბარიკადზე დაბრუნება, რომ უფრო თავიდან მოიშორა ის წერილი, ვიდრე პატრონს ჩააბარა. თვითონვე გრძნობდა, რომ დაუფიქრებლად მოუვიდა: მიენდო ვიღაც უცნობს, რომლის სახეც ვერ დაინახა იმ სიბნელეში. მართალია, თავშიშველი იყო ის კაცი, მაგრამ ცოტაა განა თავშიშველი, რომ ყველაფერს იკადრებს? კმაყოფილი არ იყო თავისი დაუდევრობით გავროში, ნანობდა აჩქარებას, ეშინოდა მარიუსისა და რომ თავი დაეძვრინა ამ მდგომარეობიდან, სულ უბრალო საშუალებას მიმართა: ტყუილს ტყუილი მიაყოლა.

- მოქალაქევ, წერილი მეკარეს მივეცი, ქალბატონს ეძინა. აი, ადგება და წერილსაც მიართმევს.

წერილის გაგზავნით ორი მიზნის მიღწევა სურდა მარიუსს: გამოსთხოვებოდა კოზეტს და გადაერჩინა გავროში. ახლა კი იძულებული იყო, თავისი სურვილის ნახევრითაც დაკმაყოფილებულიყო.

წერილი გაგზავნა. ბატონი ფოშლევანი მოვიდა. მარიუსმა ერთმანეთს დაუპირისპირა ეს ორი გარემოება. გავროშს დაანახვა მოხუცი და ჰკითხა:

- ამ კაცს იცნობ?

- არა, - მიუგო გავროშმა.

და მართლაც, როგორ იცნობდა, ხომ ღამე ნახა, სიბნელეში? ბევრი ბუნდოვანი და მტიკვნეული ფიქრი აწუხებდა მარიუსს, სანამ თავისი წერილის ბედს გაიგებდა. გაიგო და დამშვიდდა. ფოშლევანის პოლიტიკური მიმართულებისა არაფერი იცოდა, - ალბათ, რესპუბლიკელი იქნებოდა, რაკი ბარიკადზე აჯანყებულებს შველოდა.

გავროში კი ბარიკადის მეორე მხარეს გადასულიყო და გაჰყვიროდა:

- სად არის ჩემი თოფი?

ბიჭს კურფეირაკის ბრძანებით დაუბრუნეს თოფი.

გავროშმა შეატყობინა „ამხანაგებს“, - როგორც მათ უწოდებდა, - რომ ჯარი შემოხვეოდათ ყოველი მხრიდან. თვითონაც ძლივძლივობით მოაღწია ბარიკადმდე. ერთი ბატალიონი, რომელიც ტრუანდერის ქუჩაზე იდგა, სინის ქუჩას დარაჯობდა, მეორე მხარეს გვარდიას დაეჭირა პრეშერის ქუჩა; ბარიკადის პირდაპირ კი მთელი ლაშქარი იდგა.

მისცა ეს ცნობები და დაუმატა:

- ახლა კი ნებას გაძლევთ, სულ პანღურის კვრით გაისტუმროთ აქედან!

ანჟოლრასი კი ისევ თავის ადგილას იდგა და თვალიც და ყურიც ჯარისკენ ჰქონდა.

არტილერისტებს ეტყობოდათ, არ მოსწონდათ პირველი სროლის შედეგი და ზარბაზანს აღარ ტენიდნენ.

ამასობაში პატარა ქვეითი რაზმი შემოვიდა ქუჩაზე და ზარბაზნის უკან დადგა. ჯარისკაცებმა ქვაფენილი აყარეს და სწორედ ბარიკადის პირდაპირ რიყის ქვებით წინ პატარა კედელი აღმართეს, ნახევარი მეტრი სიმაღლისა არც იქნებოდა. ქვეითი ჯარის მარცხნივ, რიყის ქვის კედლის უკან, სენ-დენის ქუჩაზე, გარეუბნის გვარდიის ბატალიონი მოჩანდა.

ანჟოლრასი ისევ თავის ადგილას იდგა და ქუჩას გასცქეროდა. უცებ ჯარის მხრიდან რაღაც ხმა მოესმა, თითქოს ფინდიხს იღებენ ყუთებიდან ზარბაზნის

გასატენადო. თვითონ სერჟანტი კი ზარბაზნის კარგად დამიზნებას ცდილობდა და ოდნავ მარცხნივ მისწია ლულა. მერე ზარბაზნის გატენას შეუდგნენ. უფროსმა თვითონვე აიტაცა ანთებული პატრუქი და ზარბაზნისკენ გაექანა.

- თავი დახარეთ! - შეჰყვირა ანჟოლრასმა, - კედლისკენ მიდით, დაიჩოქეთ ბარიკადის გასწვრივ!

გავროში რომ მოვიდა, აჯანყებულები სამიკიტნოს წინ გაიფანტნენ და ახლა, ანჟოლრასის ბრძანებაზე, სირბილით გაექანნენ ბარიკადის კედლისკენ, მაგრამ ანჟოლრასის ბრძანება ჯერ არ იყო ასრულებული, რომ ზარბაზანი ფინდიხის საზარელი ხრიალით გავარდა. მართლაც, ფინდიხით გაეტენათ.

ნასროლმა ზედ გადაუარა ბარიკადს, კედელს ეცა, იქიდან უკანვე წამოვიდა, ორი კაცი მოკლა და სამი დაჭრა.

ასე რომ გაგრძელებულიყო, წასული იქნებოდა ბარიკადის საქმე. ფინდიხს ვერ გაუმაგრდებოდა ბარიკადის ქვაყრილი.

შიშის ზარმა დაჰკრა აჯანყებულებს.

- არ უნდა ვაცალოთ მეორედ გასროლა, - თქვა ანჟოლრასმა, დასწია თოფი, დაუმიზნა ზარბაზნის მემიზნეს, რომელიც ამოწმებდა და ლულას მიმართულებას აძლევდა.

ლამაზი იყო სერჟანტი, ახალგაზრდა, ქერა, გონიერი სახისა. სწორედ ასეთები ემსახურებიან ამ მრისხანე იარაღს, მოწოდებულს, საშინელ ჟლეტაში გამოცდილმა და სრულყოფილმა, ბოლოს და ბოლოს, თვით ომს მოუღოს ბოლო.

ანჟოლრასს გვერდით ედგა კომბეფერი და სერჟანტს გასცქეროდა.

- საცოდავი, - თქვა კომბეფერმა, - საზარელი რამ არის ეს კაცის კვლა! როდის გვეღირსება ის დრო, რომ აღარც მეფე იყოს და აღარც ომი? ანჟოლრას, თოფს უმიზნებ საბრალოს და თვით მას კი არ უყურებ. ნახე, ჭაბუკია, კოხტა, ლამაზი, გულადი და უშიშარი; ეტყობა, განათლებულიც არის, როგორც არტილერიის მოსამსახურე. დედაც ეყოლება, ცხადია, მამაც, ოჯახიც, სატრფოც; ოცდახუთი წლისა ძლივს იქნება. იქნებ შენი ძმაც იყოს.

- ჩემი ძმა არის, - თქვა ანჟოლრასმა.

- და ჩემიც, - თქვა კომბეფერმა, - ჰოდა, ნუ მოვკლავთ.

- თავი დამანებე. უნდა ასრულდეს, რაც საჭიროა, - და ცრემლი ჩამოუცურდა ანჟოლრასს ფერმიხდილ ღაწვზე.

დასწია ჩახმახი, თოფი გავარდა. ორჯერ შემოტრიალდა არტილერისტი ხელების ქნევით, თითქოს ცდილობს, ჩაებღაუჭოს რამესო. თავი უკან გადაეგდო, რადგან, ეტყობოდა, სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა, ზარბაზანზე დაეშვა და ზედ დარჩა უძრავად. ბარიკადიდან ხედავდნენ მის ზურგს, საიდანაც ღვარად სდიოდა სისხლი. გულში გაევლო ტყვიას და ზურგიდან გასულიყო. მკვდარი იყო.

ცხედარი წაიღეს და მის ნაცვლად სხვა დააააყენეს. ამით ბარიკადს რამდენიმე წუთი მიეცა სულის მოსაბრუნებლად.

## თავი მეცხრე

### კარგი სროლა, რამაც გავლენა იქონია 1796 წელს გამოტანილ განაჩენზე

ცუდად იყო საქმე, აჯანყებულებმა თათბირი გამართეს. მალე სროლა გაგრძელდებოდა და თხუთმეტ წუთსაც ვერ გაუძლებდა ბარიკადი. რადაც უნდა დასჯდომოდათ, დარტყმის ძალა უნდა შეემცირებინათ.

ანჟოლრასმა ბრძანება გასცა:

- აი, იქ ლეიბი დავდოთ.

- რომ არა გვაქვს? - უთხრა კომბეფერმა, - რაცა გვაქვს, დაჭრილები წვანან.

ჟან ვალჟანი განზე იჯდა, მარტოდმარტო, სამიკიტნოს კუთხესთან, მუხლებშუა ჩაედო თოფი. აქამდე მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში. ისე იჯდა, თითქოს არც კი ესმოდა აჯანყებულების საყვედური, თოფი აქვს და ჩვენ კი არ გვეხმარებაო.

ანჟოლრასის ბრძანება რომ გაიგონა, წამოდგა.

მკითხველს ეხსომება, ხალხის კრება რომ დაიწყო შანვრერის ქუჩაზე, ერთმა მოხუცმა ქალმა ტყვიისაგან თავისიანების გადასარჩენად ფანჯარას ლეიბი ჩამოაფარა. ეს ფანჯარა შვიდსართულიანი სახლის სხვენის ოთახისა იყო, იქვე ბარიკადთან, ძალიან ახლოს. ლეიბი ძირით სარეცხის საშრობ ლატანს ეხებოდა და თავით ფანჯრის ზემოდან ლურსმნებზე იყო წვრილი თოკით მიბმული, რომელიც შორიდან ზონარს ჰგავდა. ძირიდან კარგად ჩანდა ეს ორი თოკი, ადამიანის თმის ბეწვივით წვრილი.

- ორლულიან თოფს ვერ მათხოვებთ? - იკითხა ჟან ვალჟანმა.

ანჟოლრასს ის იყო, გაეტენა, თავისი თოფი და მისცა.

ჟან ვალჟანმა დაუმიზნა და ესროლა. ერთი თოკი გადაჭრა ტყვიამ. უკვე ერთ თოკზე ეკიდა ლეიბი.

ახლა მეორე ესროლა. მეორე ტყვიამაც გაჭრა თოკი და ფანჯრის შუშას გაუარა. ორ ლატანს შუა ჩამოცურდა ლეიბი და ძირს ჩამოვარდა. ტაში დაჰკრეს ბარიკადელებმა.

აყვირდნენ:

- აი, ლეიბიც!

- კარგი, მაგრამ შემოტანა არ უნდა?

ლეიბი იყო, მაგრამ ბარიკადის გარეთ ეგდო, აჯანყებულებსა და ჯარს შუა.

მეზარბაზნეთა სერჟანტის მოკვლამ აღაშფოთა ჯარი; რამდენიმე წუთი იქნებოდა, თავიანთი ქვაყრილის უკან გულდაღმა ჩაწვნენ ჯარისკაცები და მანამ მოკლულის მაგივრად ახალი მოვიდოდა ვინმე, ლოდინს ვეღარ გაუძლეს და სროლა დაუწყეს ბარიკადს. აჯანყებულებმა პასუხი არ გასცეს, რადგან ტყვია-წამალს უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ქუჩა კი საშიში გახდა, სავსე იყო მოზუზუნე ტყვიებით.

ჟან ვალჟანი გავიდა ბარიკადიდან და ლეიბისკენ გასწია, გაიარა ტყვიების წვიმაში, აიღო ლეიბი, ზურგზე მოიგდო და უვნებლად დაბრუნდა ბარიკადზე.

თვითონვე მივიდა ბარიკადის ნაპრალთან და ზედ გადააფარა. ისე გაამაგრა ქვაყრილში, რომ არტილერისტებს ვერ დაენახათ.

მოაგვარეს საქმე და ახლა ზარბაზნის სროლას ელოდნენ. დიდხანს არ მოუხდათ ცდა.

ზარბაზანმა ბარიკადისკენ გამოტყორცნა ფინდიხი, მაგრამ ლეიბი დაუხვდა და მასშივე ჩარჩა. არ გამოვიდა რიკოშეტი. მოლოდინი გაუმართლდა ბარიკადს. ჯერჯერობით საიმედოდ იყო დაცული.

- მოქალაქე, - მიუბრუნდა ანჟოლრასი ჟან ვალჟანს, - რესპუბლიკა მადლობას გიძღვნით.

აღტაცებით შეჰყურებდა ბოსუე და იცინოდა. მერე შეჰყვირა:

- პირდაპირ უწესობაა, ამხელა ძალა ჰქონდეს ერთ უბრალო ლეიბს. ეს გახლავთ გამარჯვება იმისა, რაც იკეცება და დამარცხება იმისა, რაც ცეცხლს აფრქვევს. მაგრამ ეგ არაფერი, დიდება ლეიბს, რომელმაც დაამარცხა ზარბაზანი.

## თავი მეათე
## განთიადი

სწორედ ამ დროს გამოეღვიძა კოზეტს.

პატარა, ვიწრო ოთახი ჰქონდა. სუფთა, უბრალო, უკანა ეზოში, აღმოსავლეთისკენ გამავალი ფანჯრით.

კოზეტმა არ იცოდა, რომ ქალაქში აჯანყება და ბრძოლა იყო. უკვე თავის ოთახში იყო, როდესაც ტუსენმა უთხრა ჩაფიქრებულ ჟან ვალჟანს:

- ქალაქში ბრძოლა უნდა იყოს.

ცოტა ხანი ეძინა, მაგრამ კარგად და ტკბილად. ტკბილ სიზმარში იყო, რაც შეიძლება იმაზედაც ყოფილიყო დამოკიდებული, რომ მეტად სუფთა ლოგინი ჰქონდა. სიზმარში მარიუსი ნახა სხივით გაბრწყინებული და ის სხივი ედგა თვალებში, როდესაც გამოიღვიძა და ეგონა, ისევ სიზმარში ვარო.

ამ სიზმრით აშლილი ფიქრიც მხიარული და ნათელი ჰქონდა. როგორც ცოტა ხნის წინ ჟან ვალჟანმა, მანაც უკუაგდო ყველა დარდი. არ უნდოდა უბედურებაზე ფიქრი. მის გულში იმედს დაესადგურებინა, თუმცა კი თვითონაც არ იცოდა, რატომ. და უცბად გული მოეწურა: სამი დღე იყო, მარიუსი აღარ ენახა. მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, წერილი უკვე მიღეებული ექნება მარიუსს, იგი ხომ ისეთი ჭკვიანია, უთუოდ გამონახავს საშუალებას და ჩემს სანახავად მოვაო. მოვა, რა თქმა უნდა, დღესვე მოვა, იქნებ ამ დილითაც მოვიდეს. დღე იყო უკვე, მაგრამ მეტად ირიბად სცემდა მზის სხივი და, ალბათ, ძალიან ადრე არისო, იფიქრა. მაინც ადგომა ამჯობინა, რადგან შეიძლებოდა, მარიუსი მოსულიყო.

გრძნობდა, რომ შეუძლებელი იყო უმისოდ სიცოცხლე, მაშასადამე, ეს საკმარისი იყო, - უნდა მოსულიყო მარიუსი. შეუწყნარებელი იყო ყოველი მიზეზი და დაბრკოლება, - უნდა მოსულიყო! განა საშინელება არ იყო, რომ სამი დღე იტანჯა მის მოლოდინში? სამი დღე არ ენახა მარიუსი. სად არის მოწყალე ღმერთი? ახლა კი გათავდა ეს განგებით მოძღვნილი საბრალო ქალის განსაცდელი, - გათავდა, საცაა მოვა მარიუსი და კარგ ამბავს მომიტანსო, - ფიქრობდა კოზეტი. ასეთია სიყმაწვილე: ადვილად შეიშრობს ცრემლებს. ამაოდ მიაჩნია მწუხარება და არ იკარებს მას. სიყმაწვილე მომავლის ღიმილია შეუცნობლისადმი და თვითონვე არის ეს შეუცნობელი. ბუნების კანონია, მხიარული და ბედნიერი უნდა იყოს სიყმაწვილე. სიყმაწვილის სუნთქვაც კი თვით იმედია.

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა ოდნავ კოზეტს: ვეღარ გაეხსენებინა, რა უთხრა მარიუსმა იმის გასამართლებლად, რომ საქმე ჰქონდა და კოზეტს ვერ ნახავდა, როგორ აუხსნა ერთი დღის მოუსვლელობა. ყველას ექნება შენიშნული, რა მარჯვედ მიგორავს, ხელიდან რომ გაგივარდება ფული, რომ დაგვემალოს სადმე. ზოგი

ფიქრიც ასევე გვემალება. მიიმალება სადმე ჩვენი ტვინის კუნჭულში და აღარსად არის. ბევრიც რომ ეძებოთ, ვეღარ მიაგნებს ჩვენი მეხსიერება. ცოტა არ იყოს, სწყინდა კიდეც კოზეტს, რომ ამაოდ ცდილობდა მისი მეხსიერება ამის გახსენებას. ეს რა მომივიდაო, - გაიძახოდა, - მარიუსის ნათქვამი როგორ დავივიწყეო?

ადგა, ორგვარად განიბანა, - სულითა და ხორცით, ლოცვითა და წყლით.

თუ გაჭირდა, შეიძლება ჯვარდაწერილი ნეფე-დედოფლის საწოლში შევიყვანოთ მკითხველი, მაგრამ ქალწულის საწოლში კი არა. ლექსმა იქნებ გაბედოს როგორმე, მაგრამ პროზა კი ამას ვერ იზამს.

ჯერ გაუშლელი ყვავილის ჯამია ეს ოთახი, სისპეტაკე სიბნელეში; ჯერ გაუშლელი შროშანის კოკორია, რომელიც არ უნდა ნახოს კაცმა, სანამ მზე არ დახედავს. წმინდაა ქალი, სანამ კოკორია, შეუწყნარებელია აღწერა იმ უბიწო ყვავილისა, რომელიც შიშვლდება; ამ მომხიბლავი ნახევრად სიშიშვლისა, რომელსაც თავისი თავისაც კი ერიდება; ამ კოპწია თეთრი ფეხისა, რომელიც ფოსტლებში იმალება; იმ მკერდისა, რომელსაც სარკის წინაც კი იფარებს, თითქოს თვალი ჰქონდეს სარკეს; ამ პერანგისა, რომელიც ასეთი სისწრაფით ცდილობს, მხარს გადაეფაროს, სავარძლის ჭრიალი ან ქუჩაში მომავალი ეტლის ხმა რომ მოესმის; ამ შეკრული ყაითნისა და დუგმებისა, ამ კანკალისა, ამ სიცივით და მორცხვობით თრთოლისა, ამ ყოველი მოძრაობის მომხიბლავი მოკრძალებისა, ამ ფრთაშესხმული შიშისა იქაც კი, სადაც შიში არაფერია; მისი ზრდის კვალობაზე შეცვლილი სამოსისა, რომელიც ისეთივე მშვენიერია, როგორიც განთიადის ღრუბელი.

ყმაწვილი ქალის ადგომას უფრო წმინდა თვალით უნდა მოელოდეს კაცი, ვიდრე ვარსკვლავის ამოსვლას. შესაძლებლობა მასთან მიღწევისა მოწიწებად უნდა გარდაიქმნას. ატმის ბუსუსი, თოვლის სპეტაკი ფიფქი, განგლიანი ფრთა პეპლისა, ტლანქია ყოველივე ეს იმ უმანკოებასთან შედარებით, რომელმაც თვითონაც არ იცის, რომ უმანკოა. ყმაწვილი ქალი სხივია ოცნებისა და ჯერ ქანდაკებად არ გარდაქმნილა. მისი სარეცელი იდეალის ბურუსშია მიმალული. კადნიერად თვალის შევლება შეურაცხყოფს ამ მკრთალ ჩრდილს. შეურაცხყოფაა აქ შთაჭვრეტა.

მაშ, არც ჩვენ აღვწერთ კოზეტის ადგომასა და მისი საწოლის არეულობას.

ერთი აღმოსავლური ზღაპარი მოგვითხრობს, რომ ღმერთმა მაისის ვარდი თეთრად გააჩინა, მაგრამ სწორედ იმ დროს დააცქერდა ადამი, როდესაც იშლებოდა, შერცხვა და გაწითლდაო. ჩვენც იმათგანი ვართ, რომელთაც მოკრძალება ერევათ ყმაწვილი ქალისა და ყვავილების წინაშე და თაყვანისცემით შეხარიან ორივეს.

საჩქაროდ ჩაიცვა, თმა დაივარცხნა, მოიკაზმა, რაც ძალიან ადვილი იყო იმ დროს, რადგან მაშინდელი ქალები არ იბერავდნენ თმას შიგ ჩატანებული კოპებით და სხვის ნაწნავებს არ იდებდნენ თმაში. მერე ფანჯარა გააღო, თვალი გადაავლო იქაურობას, - იქნებ ქუჩის ნაწილს, სახლის კუთხეს, ქვაფენილის ნაგლეჯი მაინც დავინახო, რომ მარიუსის მოსვლა არ გამომეპაროსო. მაგრამ ქუჩა არ მოჩანდა ამ ფანჯრიდან. უკანა ეზოში გადიოდა ფანჯარა, გარს მაღალი სახლები ერტყა და აქა-იქ პატარ-პატარა ბაღები მოჩანდა. საძაგლად ეჩვენა კოზეტს ეს ბაღები; ეს პირველად იყო მის სიცოცხლეში, როცა უშნოდ ეჩვენა ყვავილები. ქუჩის ნაწილი რომ დაენახა, ბედნიერებით აევსებოდა გული, და ცას დააცქერდა გაჯავრებული, თითქოს ციდანაც მოსალოდნელი იყო მარიუსის მოსვლა.

უცბად აქვითინდა. ხედავდა, რომ გაუცრუვდა იმედი და ვეღარ გაუძლო გულმა, ვეღარ შეიკავა ცრემლი, საშინელებად წარმოუდგა თვალწინ თავისი ყოფა. და მართლაც, შიგ ჰაერში ტრიალებს ჩვენი წინათგრძნობა და კოზეტიც გრძნობდა, რომ არაფერი რჩებოდა საიმედო, რომ დაკარგავდა მარიუსს, თუკი ვეღარ ნახავდა. სასურველად კი არა, საშინელებად ეჩვენა ფიქრი, შეიძლება ახლა ცით მომევლინოს მარიუსიო.

მერე, - ასე იცის ამ ღრუბელმა, - ისევ დამშვიდდა; გაუღიმა იმედმა და ღიმილი მოერია ღვთისადმი სასოებით აღსავსეს.

ყველას ეძინა სახლში. სოფლური დუმილი იდგა ყველგან. ჯერ ფარდა არავის აეწია, მეკარის კარიც კი დაკეტილი იყო, ჯერ ტუსენიც არ ამდგარიყო და კოზეტიც, ცხადია, დარწმუნებული იყო, რომ ისევ ეძინა ჟან ვალჟანს. ალბათ, დიდი მწუხარება გამოევლო და ახლაც მეტისმეტად წუხდა, რომ აღარ ინდობდა მამას და ავად მიაჩნდა იგი, მაგრამ მარიუსის იმედი ჰქონდა. ყოვლად შეუძლებელი იყო იმ მზის დაბნელება, რომელსაც მარიუსს ეძახდა. ხანდახან შორიდან ყრუ გრგვინვა ჩაესმოდა და უკვირდა, რა არის, ასე დილაადრიან რომ აღებენ და კეტავენ ალაყაფის კარსო. ეს იმ ზარბაზნის სროლის ხმა ესმოდა, ბარიკადის დანგრევას რომ ცდილობდა.

კოზეტის ფანჯრის ოდნავ ქვემოთ, კედლის ძველ ჩაშვებულ ლავგარდანზე ნამგალას ბუდე იყო. ლავგარდანიდან ცოტა წინ წამოწეულიყო და ზემოდან მშვენივრად მოჩანდა ეს პატარა სამოთხე და მისი ბინადარნი. დედას მარაოდ გაეშალა ფრთები და ბარტყებს ფარავდა; მამა დაფრინავდა, საშოვრით მიეშურებოდა ბარტყებისაკენ, აჭმევდა, კოცნიდა, დასჭიკჭიკებდა პატარებს. ამომავალი მზე შუქს ჰფენდა ამ ნეტარებას. დიდებული კანონი „გამრავლდით“ ზედ დასცქეროდა ტკბილი ღიმილით. დილის დიდებაში იშლებოდა ეს ტკბილი საიდუმლოება. კოზეტს თმა მზის სხივებისთვის მიენებებინა, სული - ოცნებისთვის, ამომავალი მზითა და სიყვარულით იყო მოხიბლული, თავისდა შეუმჩნევლად დაიხარა, - თავის თავსაც კი უმალავდა, რომ მარიუსზე ფიქრობდა, - დააშტერდა ამ ბუდეს, ჩიტებს, ამ ოჯახს, ამ დედალ-მამალს, ამ დედასა და პაწია შვილებს და მღელვარება მოერია. მღელვარება ქალწულისა, რომელიც სანატრელ ბუდეს ხედავს.

## თავი მეთერთმეტე

## ტყვია, რომელიც მიზანს არ ასცდება და ადამიანს კი არ მოკლავს

ჯარი თავისას არ იშლიდა და არ ასვენებდა ბარიკადს. ხან თოფს ესროდა, ხან ზარბაზანს, მაგრამ ჯერჯერობით ბარიკადიც მაგრად იდგა. თუ დაზიანებული იყო რამე, ეს გახლდათ „კორინთის“ კედლის ზემო ნაწილი ქუჩის მხრიდან. მეორე სართულისა და მანსარდის ოთახებს ხვდებოდა ტყვია-ფინდიხი და ნელ-ნელა ანგრევდა. ვინც ზევით ასულიყო იქიდან სასროლად, იძულებული გახდა, ძირს ჩამოსულიყო. საერთოდ კი ეს არის ბარიკადის ასაღებად მიღებული ტაქტიკა: სროლას აუტეხენ ხანგრძლივს, შეუწყვეტელს, რომ საბოლოოდ დაახარჯვინონ აჯანყებულებს ტყვია-წამალი, თუ გაბრიყვდნენ და იმათაც სროლით გასცეს პასუხი; როდესაც შეატყობ, რომ მცირდება ბარიკადიდან სროლა, მაშასადამე, ტყვია-წამალი

გამოლევიათ, მაშინ განაახლებენ ისევ იერიშს, მაგრამ ანჟოლრასი ვერ გააბეს ამ მახეში. ჯარის სროლას ბარიკადი პასუხს არ აძლევდა.

როგორც კი გავარდებოდა ზარბაზანი, ლოყას გამობერავდა ენით გავროში, - ეს ნიშანი იყო ათვალწუნებისა და მასხრად აგდებისა, - და შესძახებდა თავისებურად:

- ძალიან კარგი! დახიეთ ეგ ჩვრები, სახვევად გამოგვადგება.

კურფეირაკიც დასცინოდა ზარბაზანს, რომელიც თითქმის ამაოდ განაგრძობდა სროლას და გასძახოდა:

- ყბედი ყოფილხარ და ყურს აღარ გიგდებთ!

ომსა და ბრძოლაში ისე ოინბაზობენ და თვალთმაქცობენ, როგორც მეჯლისზე. ადვილად წარმოსადგენია, რომ ბარიკადის დუმილი საეჭვოდ მიიღო ჯარმა, ოინს არ გვიმზადებდნენო. ამის ასაცილებლად საჭირო იყო, კარგად გადაეხედათ ბარიკადს იქით და გაეგოთ, რა იყო ამ აღუშფოთებელი ქვაყრილის უკან, რითი იყო, რომ სროლას უძლებდა და პასუხს კი არ იძლეოდა და უცბად ერთი მაღალი სახლის სახურავზე ბარიკადელებმა მოელვარე ჩაჩქანი დაინახეს. მეხანძრე საკვამლე მილს მიჰყუდებოდა და თვალს არ აშორებდა ბარიკადს. ეტყობოდა, მზვერავი იყო.

- ესეც დაუპატიჟებელი სტუმარი, - თქვა ანჟოლრასმა.

ჟან ვალჟანს ანჟოლრასისათვის დაებრუნებინა თოფი, თავისი კი ხელში ეჭირა.

ხმაც არ ამოიღო, დაუმიზნა მეხანძრეს, წამიც და, ჩაჩქანი ტყვიამ შუა ქუჩაზე ძირს დასცა. გულგახეთქილი მზვერავი მიიმალა.

ახლა მეორე გამოიჭიმა მის ადგილას, ეს უკვე ოფიცერი იყო. ჟან ვალჟანმა გატენა თოფი, დაუმიზნა და ოფიცრის ჩაჩქანიც ძირს ჩამოაგდო. ოფიცერიც მაშინვე მიიმალა. ახლა კი მიხვდა ჯარი, რომ მზვერავი იქ ვერაფერს გახდებოდა და ბარიკადის მეთვალყურედ არავინ ასულა სახურავზე.

- რატომ არ მოკალით? - ჰკითხა ჟან ვალჟანს ბოსუემ.

ჟან ვალჟანმა პასუხი არ გასცა.

## თავი მეთორმეტე
## უწესრიგობა წესრიგის სამსახურში

ბოსუემ კომბეფერს ჩასჩურჩულა:

- პასუხი არ მაღირსა ამ კაცმა.

- თოფის სროლით თესავს სიკეთეს, - უთხრა კომბეფერმა.

ვისაც ცოტა რამ მაინც ახსოვს იმ შორეული დროისა, კარგად იცის, რომ გარეუბნელთა გვარდია მედგრად ებრძოდა ყოველ აჯანყებას და 1832 წლის ივნისში ხომ სულ ცოფს ყრიდა, ისე იყო გაშმაგებული. რომელიმე უწყინარი მიკიტანი სამიკიტნო „ჯამბაზიდან“ „სათნოებიდან“ ან „ღარაკიდან“, რომლის ვაჭრობას ძირს უთხრიდა აჯანყება, გმირი ხდებოდა, რაკი დაინახავდა, რომ „დაწესებულების“ დაკეტვის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და თავგანწირვით იბრძოდა, რომ აღედგინა სამიკიტნოები. ამ ეპოქაში, რომელიც ბურჟუაზიულიც იყო და იმავდროულად, გმირულიც, მრავალი ახალი იდეა ტრიალებდა, რომელსაც თავისი რაინდები ჰყავდა, მრავალი ინტერესი იყო უძღები, რომელსაც დევგმირები ემსახურებოდნენ. ხელის ჭუჭყად ხსენებული ეს გარემოება არაფრად მიაჩნდა მათ ვაჟკაცობას. ფული რომ შემოაკლდებოდათ ბანკის პატრონებს, „მარსელიეზას“ მღეროდნენ ხოლმე.

დახლისთვის იყო, რომ თავგანწირვით კვდებოდა კაცი და ლაკედემონელების შემართებით იცავდა თავის სამიკიტნო, სამშობლოს ამ საზიზღარ განსახიერებას.

რომ დაუფიქრდება კაცი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ელემენტის ეს ბრძოლა მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გათენდებოდა ის დღე, რომელიც წონასწორობას დაამყარებდა. მეორე ნიშანი იმ თეორიისა იყო ანარქია „მთავრობასთან“ ერთად (ბარბაროსული ტერმინი!), წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ უწესრიგობით. მოულოდნელად გაისმოდა ხოლმე ეროვნული გვარდიის რაზმის უფროსის ბრძანებით ნაღარის ხმა ჯარის შესაკრებად მარტო იმიტომ, რომ რაზმის უფროსს ასე მოეპრიანა. ვინმე კაპიტანი შთაგონების გამო მიიწევდა ბრძოლისაკენ, ვინმე გვარდიელი „იდეის“ გამო ერეოდა ბრძოლაში უფროსების დაუკითხავად. საშიშროების მოლოდინში თავისი სურვილითა და ალღოთი იღვწოდა მებრძოლი და არა მეთაურების ნებართვით. თვით მშვიდობიანობის დროსაც არმიაში, რომელიც მართლწესრიგს იცავდა, ყოველთვის გამოერეოდნენ გაბედულები, ფანიკოსავით ხმლით ან ანრი ფონფრედივით კალმით მებრძოლნი.

იმდროინდელი ცივილიზაცია, საუბედუროდ, უფრო ინტერესთა ერთობლიობას წარმოადგენდა, ვიდრე იდეათა კავშირს, საშიშარ მდგომარეობაში იყო, ან ეგონა, რომ საშიშ მდგომარეობაში იყო და განგაშს სცემდა, ვიღუპებითო. ყველა იმას ცდილობდა, ცენტრად გამხდარიყო და თავისებურად შველოდა ცივილიზაციას, იცავდა და იფარავდა; გამოჩნდებოდა ვინმე ვიგინდარა და ის კისრულობდა მეთაურობას, ის კისრულობდა საზოგადოების ხსნას.

გულმოდგინებაში ხანდახან ამლაშებდნენ კიდევაც. ეროვნული გვარდიის რომელიმე რაზმი თავისი ნებით აცხადებდა თავის თავს სამხედრო სამსჯავროდ, ხუთი წუთის განმავლობაში არჩევდა საქმეს და სიკვდილით სჯიდა დაპატიმრებულ აჯანყებულებს. ერთი ამგვარი იმპროვიზირებული სამსჯავრო იყო, ჟან პრუვერი რომ დახვრიტა. მხეცური კანონი იყო ლინჩისა, რომელსაც ვერც ერთი პარტია ვერ უსაყვედურებს თავის მოწინააღმდეგე პარტიას, ვინაიდან ამ კანონს იყენებს როგორც რესპუბლიკა ამერიკაში, ასევე ევროპაში მონარქია. ერთხელ ჯარისკაცები ხიშტებით გამოეკიდნენ ჭაბუკ პოეტს, პოლ-ემე გარნიეს და იმით გადარჩა საწყალი, რომ პალე-რუაიალის მოედანზე #6 სახლის ალაყაფის კარში შევარდა; მისდევდნენ და ყვიროდნენ: „დაიჭირეთ! აი, კიდევ სენ-სიმონის მიმდევარი!“ მოსაკლავად მისდევდნენ. დამნაშავე იმაში იყო, რომ ხელში წიგნი ეჭირა „ჰერცოგ სენ-სიმონის მოგონებანი“. ერთ გვარდიელს ამ წიგნის ზურგზე „სენ-სიმონი“ ამოეკითხა და ყვირილი დაიწყო, სენ-სიმონს კითხულობს, მოკალითო.

1832 წლის 6 ივნისს ეროვნული გვარდიის ერთმა რაზმმა კაპიტან ფანიკოს მეთაურობითა და საკუთარი ახირებით თავს თავად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, როცა შანვრერის ქუჩაზე. რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, ეს დაადგინა1832 წლის აჯანყების საქმის გამომძიებელმა სასამართლომ. კაპიტანი ფანიკო ბურჟუა იყო, სულსწრაფი და ფიცხი, ერთი იმათგანი, რომლებიც ეს არის დავახასიათეთ, ფანატიკურად ერთგული მთავრობისა, მაგრამ მორჩილების უარმყოფი. ვეღარ გაუძლო ამ ვაუბატონმა სურვილს, რომ ყველაზე ადრე მას დაეწყო სროლა და პირადად აეღო ბარიკადი თავისი პატარა რაზმით; ვეღარ გაუძლო ბარიკადზე აფრიალებულ წითელ დროშას, შემდეგ კი ძველ შავ სერთუკს, რომელიც შავ დროშად ჩათვალა, და ხმამაღლა მოჰყვა გენერლებისა და ჯარის მეთაურობის

კიცხვას, რომლებიც იქ, სადღაც ბჭობას უნდებოდნენ და ვერ ხედავდნენ, რომ უკვე დრო იყო, თავს დასხმოდნენ ბარიკადს; რომ ამით დროს აძლევდნენ აჯანყებულებს, რომ, ერთი გენერლის სიტყვას ვიმეორებთ, „თავის საკუთარ წვენში ჩახარშულიყვნენ“. სულ სხვა აზრისა იყო ფანიკო; ბარიკადი „მწიფედ“ მიაჩნდა და რადგან მწიფე ძირს უნდა დაეცეს, ბარიკადიც უნდა დაცემულიყო და თვითონვე შეეცადა მის დაცემას.

თავის რაზმში სულ თავის მსგავსი გულფიცხი ბიჭები ჰყავდა, სულ „ცოფიანები“, - ამბობს ერთი მოწმეთაგანი. მისმა რაზმმა დახვრიტა პოეტი ჟან პრუვერი; მისი რაზმი იყო, რომ ჯარის თავში პირველი იდგა ქუჩის კუთხეში. სწორედ იმ დროს მიუსია ფანიკომ ბარიკადს თავისი რაზმი, როდესაც ამას არავინ მოელოდა. ეს შეტევა უფრო ახირება იყო, ვიდრე სტრატეგიის შესაფერისი და ძალიან ძვირადაც დაუჯდა ფანიკოს. ქუჩის ორი მესამედი არ გაევლო რაზმს, რომ თოფი გავარდა ბარიკადიდან და ძირს დასცა ოთხი მეტად მამაცი ბიჭი, რომლებიც წინ მიუძღოდნენ რაზმს. ყოჩაღი, მამაცი ბიჭები იყვნენ ეს გვარდიელები, მაგრამ მხედრული ურყეობა არ ჰქონდათ და უკან დაბრუნდნენ პატარა ყოყმანის შემდეგ; თხუთმეტი კაცი დატოვეს დაჭრილ-დახოცილი ქუჩაში. მათი ყოყმანით ისარგებლეს აჯანყებულებმა, ხელახლა გატენეს თოფი და ჯერ თავის სადგომს არ მიახლოებოდა ფანიკოს რაზმი, ერთხელ კიდევ ესროლეს უკან მიმავალს. ერთ წამს ორცეცხლშუა მოჰყვნენ გვარდიელები, რადგან სწორედ იმ დროსვე გავარდა ბარიკადისკენ მიმართული ზარბაზანი, რადგან სროლის შეწყვეტის ბრძანება არ ჰქონდა და სროლას განაგრძობდა. გულფიცხი, უგუნური ფანიკოც სწორედ ამ ზარბაზანმა დასცა ძირს. მთავრობის ერთგული მონა მოკლა ზარბაზანმა, ესე იგი, მთავრობამ.

ამ იერიშმა, უფრო გაშმაგებულმა, ვიდრე მოფიქრებულმა, გააბრაზა ანჟოლრასი.

- რა სულელები არიან, - უთხრა ამხანაგებს, - თავისიანებსაც ამაოდ გვახოცვინებენ და ტყვია-წამალსაც გვახარჯვინებენ.

ანჟოლრასი აჯანყების ნამდვილი გენერალი იყო და ჭკვიანად სჯიდა. აჯანყება და მთავრობა რომ იბრძვიან, თანასწორი ძალით კი არ არიან აღჭურვილნი. აჯანყებას ცოტა ტყვია-წამალი აქვს, რამდენიმე კაცი ჰყავს და ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ერთიც აკლდება და მეორეც. ვაზნების ჩანთა რომ ცარიელი დარჩება, ან კაცი მოაკლდება, სამაგიეროს ვეღარ იშოვის, მთავრობას კი მთელი ლაშქარი ჰყავს, ჯარისკაცებს არ თვლის; თავისი საჭურველი აქვს და გულუხვად ხარჯავს ტყვია-წამალს. მთავრობას იმდენი რაზმი ჰყავს და მეტიც, რაც ბარიკადს კაცი ჰყავს მებრძოლი, და იმდენი იარაღი აქვს რამდენიც ბარიკადს ვაზნა. ამიტომ აქ რომ ბრძოლაა, ერთი ებრძვის ასს და ბრძოლა ყოველთვის ბარიკადის დანგრევით მთავრდება, თუ უცბად რევოლუციამ არ იფეთქა და ბრძოლის სასწორზე არ დადო თავისი ცეცხლწაკიდებული მთავარანგელოზის შუბი. მაშინ აიშლება ქვეყანა, ცეცხლი ეკიდება დიდსა და პატარას, ურცხვად შენდება ხალხის თავდასაცავი ბარიკადები, დიდებულად იბრძვის პარიზი, ღვთაებრივად ერევა ამ ბრძოლაში, 10 აგვისტო და 29 ივლისი ტრიალებს ჰაერში, სასწაულებრივი სინათლე ეფინება ქვეყანას, უკან იხევს ხალხის დამმონებელი და დამჩაგვრელი დაღრენილი პირი და ლაშქრის თვალწინ ამ ლომის წინ აღიმართება მშვიდი და ლმობიერი წინასწარმეტყველი - საფრანგეთი.

## თავი მეცამეტე
## სწრაფმავალი სინათლე

იმ გრძნობათა და ვნებათა ქაოსში, რომელიც იცავს ბარიკადს, ყველაფერი ურყევია; ვაუკაცობაც აქ არის, მამაცობაც, ახალგაზრდობაც, სიამაყე და თავმოყვარეობაც, აღტაცებაც, რწმენაც, იდეალიც, თავგამოდებაც და მეტადრე იმედის ცვალებადობა.

წამით მბჟუტავი შუქი გაკრთა ანჟოლრასის ფიქრში, იმედი ჩაესახა სწორედ იმ დროს, როდესაც საიმედო არაფერი ჰქონდა ბარიკადს და შესძახა:

- ყური უგდეთ! მგონი, იღვიძებს პარიზი!

მართალია, 6 ივნისის დილას, ერთი თუ ორი საათის განმავლობაში, აჯანყებულებს კიდევ ჰქონდათ რაღაც საიმედო; შეუწყვეტლივ რეკავდა სენ-მერის ზარი განგაშს და ეს აიმედებდა ბარიკადებს. პუარის ქუჩაზეც აგებდნენ ბარიკადს, გრავიელის ქუჩაზეც, სენ-მარტენის კართან ერთი ჭაბუკი თოფით შეიარაღებული ეკვეთა მხედართა ესკადრონს და სროლა დაუწყო; საფარი არ ჰქონდა, ბულვარზე იყო; ცალი ფეხით დაიჩოქა, დაუმიზნა და ესკადრონის უფროსი მოკლა. წამოდგა და დაიძახა, ესეც ერთი მოვიშორეთ, აღარას გვავნებსო! მხედრებმა საბრალო იქვე აკუწეს. სენ-დენის ქუჩაზე მიმავალ გვარდიას ზურგიდან სროლა დაუწყო ერთმა ქალმა, რომელიც ფანჯრის დარაბას ამოფარებოდა. კოსონერის ქუჩაზე თოთხმეტი წლის ბიჭი დაიჭირეს. ჯიბეები ვაზნით ჰქონდა სავსე. მთავრობის რამდენიმე საგუშაგოსაც კი დაეცა ხალხი გენერალ კავენიაკ დე ბარანის წინამძღოლობით, საშინელი სროლით დახვდა ქუჩა. პლანშ-მიბრეს ქუჩაზე მიმავალ ჯარს ერთი სახლის სახურავიდან ჭურჭლის ნამსხვრევი და ძველი, უვარგისი ავეჯი დააყარეს თავზე. ასე რომ, ასეთი ავი ნიშანი მთავრობისთვის მრავლად იყო. ყოველივე ეს მარშალ სულტს, ნაპოლეონის ყოფილ ოფიცერს, რომ მოახსენეს, ჩაფიქრდა, რადგან სუშეს სიტყვა მოაგონდა სარაგოსაში ნათქვამი, - ჩვენი აღსასრული იმ დღეს დადგება, როდესაც მოხუცი დედაკაცები თავზე დაგვასხამენ თავიანთ ღამის ქოთნებსო.

სწორედ იმ დროს, როდესაც უკვე დამარცხებული, ერთგან მომწყვდეული ეგონათ აჯანყება, კიდევ მრავალგან იფეთქა. თავს ვეღარ იკავებდა გაჭირვება. აქა-იქ ავარდებოდა ალი და თავზე გადაუვლიდა იმ სასოწარკვეთილ და აჯანყებაში გამოსაყენებელ ხალხს, რომელსაც პარიზის გარეუბანი ჰქვია. სამხედრო პირები ძალიან შეაფიქრიანა ამ ნიშნებმა და აჩქარებით შეუდგნენ აჯანყების დასაწყისშივე ჩაქრობას. ჯერ ასე განცალკევებულ, უმნიშვნელო ალის ჩაქრობას შეუდგნენ; მობუეს, შანვრერის და სენ-მერის ბარიკადების აღებას შემდეგში აპირებდნენ, როდესაც აქა-იქ დაფანტული წვრილმანის შიში აღარ ექნებოდათ, მაშინ მოიცლიდნენ ბარიკადისთვის და უცბად აღგვიდნენ მიწის პირიდან. საცა კი მღელვარების შიში ჰქონდათ, ყველგან ჯარი ჩააყენეს; გაწმინდეს ქუჩები, ზოგან ნელ-ნელა და ფრთხილად, ზოგან იერიშის სისწრაფითა და სიმკაცრით. კარს უმტვრევდა ჯარი იმ სახლს, საიდანაც თოფი გავარდებოდა და შიგ შედიოდა. ცხენოსანი ჯარი დანავარდობდა ბულვარებზე და მათრახის ცემით ერეკებოდა სადაც ორ-სამ კაცს ნახავდა ერთად. მთავრობის ამგვარი საქციელი ისე არ ჩაივლის, რომ არ გამოიწვიოს დაბეჩავებული ხალხის აღშფოთება, აუცილებელი ბანი მთავრობასა და ხალხს შორის ბრძოლისა. სწორედ ეს ბანი მოესმა ანჟოლრასს, როდესაც ცოტა ხნით შეწყდა ზარბაზნისა და თოფის სროლა. გარდა ამისა, დაინახა, რომ ქუჩის ბოლოში დაჭრილები გაატარეს საკაცეებით და კურფეირაკს უთხრა:

- ხედავ, სხვაგანაც იბრძვის ქალაქი, ეს დაჭრილები ჩვენი მხარის არ არიან.

სწრაფმავალი გამოდგა ეს იმედი. არ გასულა ნახევარი საათი, ჩაქრა და განიავდა, რაც ჰაერში იყო, თითქოს ელვა ყოფილიყოს უმეხო და კარგად იგრძნეს აჯანყებულებმა, რომ ისევ ის მძიმე ტყვიის სუდარა დააწვათ გულზე, რომელსაც ხალხის გულგრილობა აფარებს ხალხისთვის თავგანწირულ მოღვაწეთ.

ხალხის საერთო მღელვარება, რომელსაც თითქოს უნდა გარკვეული სახე მიეღო, უდღეური გამოდგა. სამხედრო მინისტრის და მთავარი გენერლების ყურადღება შეიძლებოდა მთავარი ბარიკადისკენ მიქცეულიყო. სულ სამი თუ ოთხი ბარიკადიღა იყო ჯერ ისევ ცოცხალი.

მზე ამოდიოდა ჰორიზონტზე.

ერთმა ბარიკადელმა უთხრა ანჟოლრასს:

- გვშია, ნუთუ მართლა ასე მშივრები უნდა დავიხოცოთ?

ანჟოლრასი თავის ადგილს არ შორდებოდა, ქუჩის ბოლოს ჯარსა და ზარბაზანს გასცქეროდა. თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია.

## თავი მეთოთხმეტე
## აქა სახელი ანჟოლრასის საყვარლისა

კურფეირაკი იქვე იჯდა, მიწაზე, ანჟოლრასის გვერდით, ისევ ზარბაზანს ლანძღავდა და მასხრად იგდებდა. როგორც კი გადაისრიალებდა შავ ღრუბლად ზარბაზნის ჭურვი, ის მაშინვე ლანძღვასა და დაცინვას მიაყოლებდა უკან:

- ფილტვებს წაიხდენ, შე გამოპენტერებულო! ხომ ხედავ, ყურს აღარავინ უგდებს მაგ შენს ღრიანცელს, გინდა, ჭექდე და ძლივსღა ახველებ, შე ხრინწიანო.

და სიცილი გაისმოდა ბარიკადზე.

კურფეირაკი და ბოსუე მით უფრო მხიარულად ხუმრობდნენ, რამდენადაც უფრო მწვავდებოდა მდგომარეობა, ქალბატონი სკარონივით იქცეოდნენ: პური რომ არ ჰქონდათ, ხუმრობით ძღებოდნენ და ღვინის ნაცვლად ხუმრობას სვამდნენ.

- საკვირველი ვინმეა ჩვენი ანჟოლრასი, - ამბობდა ბოსუე, - განცვიფრებული ვარ მისი ურყევი გამბედაობით. მარტოდმარტო ცხოვრობს და, ალბათ, ამიტომ არის ასე დაღვრემილი, სულ იმას ჩივის საწყალი ბიჭი, მდგომარეობა მაიძულებს და იმიტომ ვარ დაქვრივებულიო. ჩვენ უბრალო მოკვდავნი ვართ და ყველას გვყავს სატრფო, რომლებიც გვაგიჟებენ, ესე იგი, გვაგმირებენ. ბიჭი რომ შეიყვარებს და ვეფხვივით გახელდება, ლომივით იბრძვის ყველგან. ეს გახლავთ ერთგვარი საშუალება შურისძიებისა ჩვენს საყვარლებზე მათი ღალატისათვის. როლანდმა თავი მოაკვლევინა მხოლოდ იმისთვის, რომ სინანული ეგრძნო ანჟელიკას. ვაჟკაცობა, მამაცობა, დევგმირობა სულ ქალისგან გვჭირს. კაცს რომ სატრფო არ ჰყავდეს, დამბაჩაა უჩახმახო. ქალია ჩვენი ბატონი და ჩვენი სულის პატრონი. ჰოდა, ანჟოლრასს კი არც ქალბატონი გაჩნია და არც სულისჩამდგმელი. სიყვარულისა არა იცის რა და მაინც ასე მედგრად, მამაცად იბრძვის. არსად მინახავს და არც გამიგონია, რომ ყინულივით გულცივი იყოს კაცი და თან ცეცხლივით ფიცხი.

ისე იდგა ანჟოლრასი, თითქოს არ ესმოდა თანამებრძოლის სიტყვები, მაგრამ ახლოს რომ სდგომოდა ვინმე, გაიგონებდა ჩურჩულით ნათქვამ სიტყვას:

- პატრია.

ჯერ ისევ იცინოდა ბოსუე, როდესაც კურფეირაკმა წამოიძახა:

- ვიღაც მობრძანდება! - და ბოქაულის ხმით და მოწიწებით, მინისტრს რომ მოახსენებს, დაუმატა, - სამკილოგრამიანი ზარბაზანი გახლავთ.

და მართლაც ერთი ახალი მოქმედი პირი გამოჩნდა სცენაზე, - მეორე ზარბაზანი.

არტილერისტებმა სწრაფად დააყენეს ზარბაზანი და ბარიკადისკენ მიმართეს.

ეს უნდა ყოფილიყო დასაწყისი დასასრულისა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთდროულად ორი ზარბაზნის სროლის ხმა გაისმა. ზარბაზნის სროლას თან მოჰყვა ჯარისა და გვარდიელების თოფების ტყვიები.

ახლო უბნიდანაც ისმოდა ზარბაზნის ქუხილი. ორი ზარბაზანი რომ ცეცხლს აყრიდა შანვრერის ბარიკადს, ორი სხვაც სენ-მერის ბარიკადს უშენდა ჭურვს, ერთი სენ-დენის და მეორე კი ობრი-ლე-ბუშეს ქუჩიდან. საზარელ ბანს აძლევდნენ ერთმანეთს ზარბაზნები.

ომის შავბნელი ძაღლების ყეფა იყო აქაც და იქაც.

შანვრერის ქუჩის ბარიკადს ერთი ზარბაზანი ჭურვით სცემდა, მეორე ფინდიხით. ჭურვს რომ ისროდა, პირი ცოტა ზევით ჰქონდა აწეული და ისე იყო მომართული, რომ ბარიკადის ქვაყრილს ზემოდან დასცემოდა, დაენგრია, ძირს ჩამოეშალა და ბარიკადზე მყოფთ მოხვედროდა ეს ნანგრევი.

ამგვარად, სროლის მიზანი იყო ქვაყრილის ზემოდან ძირს ჩაერეკა აჯანყებულები, რომ ზემოდან სროლა აღარ შესძლებოდათ და, მაშასადამე, ჯარს უდანაკარგოდ მიეტანა ბარიკადზე იერიში.

ჭურვს ბარიკადის კედლიდან უნდა გაერეკა აჯანყებულები, ფინდიხს - სამიკიტნოს ფანჯრებიდან. მერე კი მიეპარებოდნენ, აძვრებოდნენ ქვაყრილზე და ხელთ ჩაიგდებდნენ ბარიკადს.

- უნდა შევამციროთ როგორმე ამ ზარბაზნების ძალა, - თქვა ანჟოლრასმა და შესძახა, - ცეცხლი არტილერიას!

მხოლოდ ამ ბრძანებას ელოდნენ. დიდი ხანი იყო, პასუხს არ აძლევდა ბარიკადი, ახლა კი ზედიზედ მოჰყვა შვიდი თუ რვა სროლა, სიხარულით და ცოფით მიძღვნილი. კვამლით აივსო ქუჩა, ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა, და მალე, როდესაც გაიფანტა კვამლი და მტრის ბუნაგი გამოჩნდა, ბარიკადიდან დაინახეს, რომ ზარბაზნის მსროლელების ორი მესამედი მაინც მიწაზე ეყარა, ვინც დარჩენილიყო, ზარბაზნებს ტენიდა.

- მაგრად მოვცხეთ, - უთხრა ბოსუემ ანჟოლრასს, - სრული გამარჯვებაა!

თავი დახარა ანჟოლრასმა და უპასუხა:

- ერთი თხუთმეტი წუთი კიდევ ამისთანა გამარჯვებისა და ათი ვაზნა აღარ გვექნება მთელ ბარიკადში.

ეტყობა, გავროშმა ყური მოჰკრა მის სიტყვებს.

## თავი მეთხუთმეტე
## გავროში ბარიკადის წინ

კურფეირაკმა ქუჩაში ვიღაც დაინახა, იქვე ბარიკადის იქით, სადაც ზუზუნი გაჰქონდა ტყვიას. ბოთლების საზიდი კალათი გამოეტანა სამიკიტნოდან გავროშს.

ქუჩაში გავარდნილიყო და უშიშრად, მშვიდად აგროვებდა კალათში მოკლული გვარდიელების ვაზნით სავსე ჩანთებს.

- მანდ რა გინდა, ბიჭო? - შეჰყვირა კურფეირაკმა.

ცხვირი ასწია გავროშმა:

- კალათს ვავსებ, მოქალაქევ.

- ზარბაზნის სროლა არ გესმის?

გავროშმაც კითხვით უპასუხა:

- დიახ, ძალიან წვიმს, მერე რა?

კურფეირაკმა ბრძანებით დაუყვირა:

- დაბრუნდი!

- ახლავე, ახლავე, - უპასუხა გავროშმა დასამშვიდებლად და სწრაფი ნახტომით შუა ქუჩაზე აღმოჩნდა.

მკითხველს ეხსომება, რომ ფანიკოს რაზმმა, უკან რომ მიდიოდა, მრავალი მკვდარი და დაჭრილი დატოვა ქუჩაში.

ოცამდე მკვდარი კაცი ეგდო მიწაზე, ოცამდე ვაზნით სავსე ჩანთა. ამაზე უკეთეს მარაგს სად იშოვიდნენ იმ გასაჭირში?

სქელი ღრუბელივით იდგა ქუჩაში კვამლი. ვინც მთაში ყოფილა და უნახავს ვიწრო ხეობაში ორი მაღალი ციცაბო მთის მწვერვალებს შუა რომ ჩაიჭედება ღრუბელი, ადვილად წარმოიდგენს იმ კვამლს, მრავალსართულიან მაღალ სახლებშუა მოგროვილსა და შესქელებულს, რომელიც ნელ-ნელა იწევდა ცისკენ, მაგრამ ძირიდან ახალ-ახალი ემატებოდა და ამიტომ იყო, რომ თანდათან სქელდებოდა და უფრო და უფრო აბნელებდა ქუჩას. ხომ მოკლე იყო შანვრერის ქუჩა და ძლივძლივობით ხედავდნენ ერთმანეთს ბარიკადი და ზარბაზნები.

ალბათ, სასურველი იყო ეს სიბნელე ჯარის მეთაურებისთვის, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ბარიკადის აღება და განზრახ ცდილობდნენ კვამლის შესქელებას. გავროშისთვისაც ხელსაყრელი იყო ასეთი სიბნელე. ბნელში იყო ჩამძვრალი და ისე მიფოფხავდა. თვითონაც ტანდაბალი იყო ბიჭი და ისე მიიწევდა იმ ჩანთებისკენ, რომ ძნელი იყო მისი დანახვა. შვიდი თუ რვა ჩანთა დაცალა თავის კალათში ისე, რომ შიში არ განუცდია.

გულდაღმა იწვა და ისე მიხოხავდა. კალათს კბილებით მიათრევდა. იკლაკნებოდა, მიცურავდა, მიცოცავდა, მიგორავდა. ერთი მკვდრისაგან მეორისკენ გადადიოდა და ისე ცლიდა ჩანთებს, როგორც მაიმუნი, კაკალს რომ შეექცევა.

ჯერ ახლო იყო ბარიკადთან, მაგრამ იქიდან ყვირილს ვერ ბედავდნენ, რომ უკან დაბრუნებულიყო, რადგან მტერი გაიგონებდა და ახლა მას აუტეხდა სროლას.

ერთ მკვდარ სერჟანტს თოფისწამლით სავსე პარკი უპოვა.

- გაჭირვებისას გამომადგება, - წამოიძახა სიხარულით და ჯიბეში ჩაიდო.

ასე მიჰყვა ქუჩას და იქ აღმოჩნდა, სადაც ნაკლებად ტრიალებდა კვამლი.

დაინახა ჯარმა, დაინახეს მსროლელებმა, რომლებიც თავიანთი ქვაყრილის უკან ჩასაფრებულიყვნენ და იქიდან ისროდნენ, დაინახეს გვარდიელებმა, ქუჩის კუთხეში რომ იდგნენ, და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, იმ სიბნელეში რა დაცოცავსო?

ერთ სერჟანტთან მიცოცდა გავროში, ჩაცალა კალათში მისი ვაზნები და ტყვიაც მოხვდა მკვდარ სერჟანტს.

- ეშმაკმა დალახვროს! - შეჰყვირა გავროშმა, - მკვდრებს მიხოცავენ!

მეორე ტყვია ქვას ეცა იქვე, მის გვერდით, მესამემ კალათი გადაუბრუნა.

ადგა გავროში. გადახედა ჯარსა და ზარბაზნებს, წელში გასწორდა. თმას ქარი უთამაშებდა, დოინჯი შემოიყარა და შემოსძახა:

მახინჯად იქცნენ ნანტერის მკვიდრნი,
ვოლტერის ბრალია,
გამოთაყვანდნენ პოლესოს მკვიდრნი,
სულ რუსოს ბრალია.

მერე აიღო თავისი კალათი, შიგ ჩააწყო დაბნეული ვაზნები ისე, რომ ერთი არ დავიწყებია, წინ წაიწია ზარბაზნებისკენ და ახლა იქ დასწვდა ჩანთას. აქაც დაუმიზნეს, მაგრამ არც ეს მეოთხე მოხვდა და მხიარულად შესძახა:

ვერაფრით წინ ვერ წავედი,
ესეც ვოლტერის ბრალია,
ჩემს ბედს გაუტყდა ბორბალი,
ესეც სულ რუსოს ბრალია.

მეხუთე ტყვიაც ასცდა და მესამეჯერაც დაამღერა:

გაბღენძილებს რომ არ ვბაძავ,
ვოლტერის ბრალია,
სიღარიბე რომ ბურთად მაგორებს,
სულ რუსოს ბრალია.

გავროში მღეროდა, ისინი ესროდნენ.

საშინელი იყო ეს სურათი და თანაც მომხიბლავი. გავროში მიზანში ჰყავდათ ამოღებული და ის კი მხიარულად აღიზიანებდა თავის დამხვრეტებს. ეტყობოდა, ძალიან სასიამოვნოდ ეჩვენებოდა ეს ბრძოლა, ხარობდა ბიჭი. ბეღურა იყო, რომელიც აკენკვას უქადდა მონადირეებს. როგორც კი ესროდნენ, მაშინვე სიმღერით უპასუხებდა. სულ უმიზნებდნენ და სულ აცდენდნენ. ჯარისკაცები და გვარდიელები იცინოდნენ და ისე ტენიდნენ თოფებს. ისიც დაეცემოდა ხოლმე მიწაზე, მერე ისევ წამოვარდებოდა, სადმე ალაყაფის კართან მიიკუნჭებოდა, ისევ ქუჩაზე გახტებოდა, სადღაც გაქრებოდა, ისევ გაჩნდებოდა, მიიმალებოდა, ჭურვის სროლაზე ზარბაზანს სასაცილოდ ემანჭებოდა და ამასობაში აგროვებდა ვაზნებს და ავსებდა კალათას. ბარიკადიდან შეჰყურებდნენ აჯანყებულები და გული უკანკალებდათ შიშით. ბარიკადი კანკალებდა, გავროში კი მღეროდა. ეს არ იყო პატარა ბიჭი, ეს არც კაცი იყო, უცნაური გამენი გახლდათ, ქაჯი; იტყოდით, ქონდრისკაცია, ბრძოლაში ტყვიისთვის მიუწვდომელიო. ტყვია დასდევდა პატარას, მაგრამ ის უფრო ცქვიტი იყო და გაურბოდა. საშინელ ძალას ეთამაშებოდა, სიკვდილს, თუ ბიჭი ხარ, დამეწევიო! - და როგორც კი მიუახლოვდებოდა სიკვდილის ცხვირჩაჭყლეტილი სახე, გამენი შიგ შუბლში ჰკრავდა წკიპურტს.

ერთი ტყვია კი, უფრო უკეთ დამიზნებული ან უფრო ვერაგი, მაინც მოხვდა პატარა ბიჭს, ამ ცთომილ ვარსკვლავს. დაბარბაცდა გავროში, დაეცა. შეჰყვირა მთელმა ბარიკადმა, მაგრამ დევგმირი ანტეოსი იყო ეს ჯუჯა პიგმეი, გამენი რომ ქვაფენილს შეეხება, ისე გამოცოცხლდება, როგორც ბუმბერაზი მიწის შეხებისას. გავროში იმისთვის წაიქცა მხოლოდ, რომ უფრო მარჯვედ ამდგარიყო. მართლაც წამოდგა, თავიდან სისხლი სდიოდა. ორივე ხელი ზევით ასწია, გაიხედა იქით, საიდანაც ტყვია ეწვია და ისევ სიმღერა დასძახა:

მე რომ უმწეო ჩიტი ვარ,
ესეც ვოლტერის ბრალია,
ყველა ადვილად დამიჭერს,
ესეც სულ...

ვეღარ გაათავა. მეორე ტყვია მოხვდა, ალბათ, იმავე მსროლელისა და ხმა ჩააწყვეტინა საწყალ ბიჭს. ახლა კი წაიქცა, პირაღმა დაეშვა მიწაზე და აღარც კი განძრეულა. ზეცას გაფრინდა ეს პატარა დიდებული სული.

## თავი მეთექვსმეტე
## როგორ გახდა ძმა მამა

სწორედ იმ დროს იყო ლუქსემბურგის ბაღში, - მწერლის თვალი ხომ ყველაფერს უნდა მისწვდეს, - ორი ბავშვი ხელიხელჩაკიდებული რომ მიდიოდა. უფროსი შვიდი წლისა იქნებოდა, მეორე ხუთისა, წვიმას დაესველებინა და ცდილობდნენ, მზეზე ევლოთ, რომ გამშრალიყვნენ. ორივე ფერმკრთალი იყო, დახეული ტანისამოსი ეცვათ. გარეულ ჩიტებს ჰგავდნენ.

- ძალიან მშია, - იძახდა უმცროსი.

უფროსი მფარველობდა პატარას, მარცხენა ხელი მისთვის ჩაევლო და მარჯვენაში კი წკეპლა ეჭირა.

მარტონი იყვნენ დაცარიელებულ ბაღში. პოლიციის განკარგულებით აჯანყებულთა გამო კარი დაკეტილი იყო. შიგ მყოფი ჯარი საბრძოლად გაეყვანათ.

როგორ გაჩნდნენ აქ ეს ბავშვები? იქნებ პოლიციაში ჰყავდათ, როგორც უპატრონონი და გამოიპარნენ; ღია დახვდათ შემთხვევით ბაღის კარი და შევიდნენ; იქნებ იქვე ახლოს, დ'ანფერის საგუშაგოსთან, ობსერვატორიის მოედანზე, ან მახლობელი ქუჩების გზაჯვარედინზე, რომელსაც ზემოდან დასცქერის ერთი მაღალი სახლი ლათინური წარწერით: „Інвенерунт пärвулум пänнiн инволутум“ - მოხეტიალე მსახიობების ბალაგანი იდგა და იქიდან გამოიქცნენ; იქნებ წინაღამეს, დაკეტვის დროს შეეპარნენ ბაღში პოლიციას და იქ გაატარეს ღამე რომელიმე პავილიონში, სადაც გაზეთებს კითხულობს ხალხი. უპატრონოდ დაყიალებდნენ, დაკარგულებს ჰგავდნენ. როცა ბავშვი თავის ნებაზე, თავისუფლად დახეტიალებს, დაკარგულია და მართლაც დაკარგული იყვნენ ეს საწყალი ბავშვებიც.

მკითხველს ეხსომება, ერთ ღამეს, გავროში რომ სწორედ ამ ორ პატარა ბიჭს დასტრიალებდა თავს. ტენარდიეს შვილები იყვნენ, მანონთან ცხოვრობდნენ, რადგან ბატონ ჟილნორმანს აბრალებდა მანონი მათ მამობას და ახლა კი ქარით ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლები იყვნენ, რომლებსაც ქარი მიაქროლებდა, საითაც ნებავდა.

მანონის დროს ბავშვებს სუფთად ეცვათ. ამ ტანისამოსის წყალობით იყო, რომ ბატონი ჟილნორმანი წესიერად იხდიდა „თავისი შვილების“ სარჩენ ფულს. დღეს კი ჭუჭყიანი, დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვათ.

ამიერიდან ეს ბავშვები ეკუთვნოდნენ „უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვთა სიას“, რომელთა სტატისტიკას პოლიცია ადგენს, აგროვებს მათ, კარგავს და ისევ პოულობს პარიზის ქუჩებში.

ქალაქში იმდღევანდელი არეულობის გამო იყო, რომ ბავშვები ბაღში შევიდნენ. მეთვალყურეს რომ დაენახა, მაშინვე გამორეკავდა ამ ჩამოძონძილებს, - თუ ღარიბად არის ჩაცმული ბავშვი, არც სახალხო ბაღში შეესვლება, - არავინ ფიქრობს, რომ როგორც ბავშვებს, მათაც აქვთ უფლება, იყვნენ ყვავილებს შორის.

ბაღში იყვნენ იმიტომ, რომ კარი დაკეტილი იყო და გამოსვლა არ შეეძლოთ. როგორღაც შეძვრნენ ბაღში და იქვე დარჩნენ. დაკეტილი კარი მეთვალყურეებს შვებულებას არ აძლევს. ბაღში უნდა იყვნენ და თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ, თუმცა დროდადრო შესვენებებით, მაგრამ აჯანყება იყო ქალაქში და აფორიაქებულნი იყვნენ მეთვალყურეებიც. მათ ის უფრო აინტერესებდათ, რაც ბაღის გარეთ ხდებოდა და არა ბაღში. ასე რომ, ბაღიც უყურადღებოდ იყო და აღარც ორი პატარა ბოროტმოქმედი შეუმჩნევია ვინმეს.

წვიმდა იმ ღამეს, ჟინჟულავდა იმ დილითაც, მაგრამ ივნისი იდგა და მზე სჯობნიდა წვიმას. ერთი საათიც არ გავა წვიმის შემდეგ, რომ უკვე ყველაფერი გაშრება, და ვერც კი შენიშნავს კაცი, რომ ცხარე ცრემლით უტირია ამ მშვენიერ, ნათელ მზეს. ისე მალე აშრება დედამიწას ეს წვიმა, როგორც ცრემლი ბავშვის ლოყას.

მზე შუადღისას ისე კაშკაშებს, რომ ქვეყანას წვავს; აშრობს და თან წვავს; ეწაფება, რასაც სველს ნახავს და წოვს და წუწნის, თითქოს სწყურია. შხაპუნა წვიმა პირის გასასველებელი ერთი ჭიქაა. გახურებული მზე წვიმას უცბად გადაყლაპავს და დილით რომ კოკისპირული წვიმა მოდის, შუადღის შემდეგ მტვერი ასდის დედამიწას.

საგანგებო სანახავია წვიმით პირდაბანილი და მზით პირშეწმენდილი მდელო. ბაღსა და მინდორს ფეხქვეშ წყალი უდგას, ყვავილში მზე ციალებს და როგორც ნელსაცხებლებით სავსე ჭურჭელი, მიწა ათასგვარ სურნელებას აფრქვევს. იცინის ყველაფერი, მღერის, ხარობს და თავისკენ იწვევს. ტკბილი თრობა ერევა ადამიანს. გაზაფხული წინასწარი სამოთხეა საიქიოსი; მზე ეხმარება ადამიანს, რომ მოთმინებით ელოდოს საიქიოს ნეტარებას.

ბევრ ჩვენგანს ამაზე მეტი არც არაფერი უნდა. ბევრი მხოლოდ ცის ლაჟვარდით ხარობს და გაიძახის, ეს საკმარისიაო; ოცნების სამყაროში ჩაფლულა. ბუნებისადმი კერპთაყვანისმცემლობით დაბრმავებული ვეღარ არჩევს ავსა და კარგს და ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება სხვისი შიმშილი აწუხებდეს კაცს, სხვისი წყურვილი, ღარიბის სიშიშვლე ზამთარში, მძიმე სენის გამო ბავშვის ხერხემლის გამრუდება, მომაკვდავის სარეცელი, მუშური ქოხი და მიწური სახლი, საპატიმრო, ყმაწვილი ქალების დაგლეჯილი კაბები და სიცივით კანკალი, როდესაც შეიძლება ხის ჩრდილში წამოწვეს ადამიანი და ბუნების მშვენიერებით დატკბეს? ამ უშფოთველი, უშიშარი არსებებისთვის უცხოა სიბრალული და ყველაფრით კმაყოფილი არიან. უცნაური ის არის, რომ მათ მხოლოდ უსასრულობა იზიდავს. ადამიანის დიადი სწრაფვა სასრულისაკენ, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს, მათთვის შეუცნობელია. სასრული, რომელიც პროგრესს, პატიოსან შრომას გულისხმობს, არ აინტერესებთ. ყოველივე ის, რაც წარმოდგება ადამიანურისა და ღვთიურის, უსასრულოსა და სასრულის შეხამებისგან დროის ამაოდ დაკარგვად მიაჩნიათ. ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ უსასრულობის პირისპირ იდგნენ და ამით ნეტარებენ. სიხარული არ იცის, რადგან სულ აღტაცებულია. უსასრულობაში შთაინთქმება, აი, მისი სიცოცხლე. კაცობრიობის ისტორია მას არასრულყოფილად მიაჩნია, „აქ“ არაფერია „სრულიო“, ჭეშმარიტი, „სრული“ გარეთ დაგრჩენიათ. რა საჭირო ცხოვრების ისეთი წვრილმანის ძიება,

როგორიც ადამიანიაო. შეიძლება იტანჯებოდეს ადამიანი, მაგრამ აბა, ვარსკვლავ ალდებარანს შეხედეთ, როდესაც ამოდის. დედას რძე გაუშრა, შვილი შიმშილით კვდება? რა ჩვენი საქმეა, უმჯობესია, მიკროსკოპში დააკვირდეთ, რა უმშვენიერეს როზეტს ხატავს ფიჭვის ცილა, აბა, შეადარეთ მას თქვენი უმშვენიერესი მაქმანიო! ასეთ მოაზროვნეთ სიყვარული ავიწყდებათ. ზოდიაქოს იმდენად ჩაუთრევია მათი გულისყური, რომ ჩვილის ტირილიც კი აღარ ესმით, ღვთაება უბნელებთ სულს. ეს განყენებული, დიადი და თან უმნიშვნელო მოაზროვნეთა მოდგმაა. ამგვარი იყო ჰორაციუსი, გოეთეც, შეიძლება, ლაფონტენიც; დიდებული ეგოისტები იყვნენ უსასრულობისა, გულგრილი მაყურებლები ბოროტებისა და ვაებისა, რომლებიც ნერონს ვერ ხედავდნენ, თუ კარგი დარი იყო, ხალხის ჟლეტას ვერ ხედავდნენ, თუ მზე კაშკაშებდა, გულდამშვიდებულნი დააცქერდებოდნენ გილიოტინას, რომ ენახათ, როგორ სცემდა მზე სხივს; არ ესმოდათ არც ყვირილი, არც ქვითინი, არც კვნესა, არც განგაში, რადგან მათთვის სასიკეთოდ იყო მოწყობილი ქვეყნიერება; მათთვის დგებოდა მაისი და მანამ ზეცაზე მეწამული და ოქროს ღრუბელი ექნებოდათ საჭვრეტად, სრულიად კმაყოფილნი იქნებოდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ, ბედნიერნი ყოფილიყვნენ, მანამ არ დაბნელდებოდა ცაზე მნათობი და არ მოისპობოდა ბულბულის სტვენა.

ეს უბედური ბედნიერები! ფიქრადაც არ მოსდით, რომ შესაბრალისნი არიან. და მართლაც, საბრალონი არიან. ვინც არ ტირის, მაშ, ვერც ხედავს. სათაყვანონი არიან და შესაბრალისნი, როგორც შეიძლება თაყვანს ვცემდეთ და ვიბრალებდეთ რაღაც არსებას, ერთსა და იმავე დროს ბნელსა და ნათელს, რომელსაც წარბქვეშ თვალები არა აქვს და შუბლზე კი ვარსკვლავი უბრწყინავს.

ამ ბედნიერთა გულცივობა, ზოგიერთის თქმით, უმაღლესი ფილოსოფიაა. ძალიან კარგი, მაგრამ ამ უპირატესობაში რომ მძიმე სენიც არის ჩარეული? შეიძლება უკვდავი იყოს კაცი და თანაც კოჭლი, მაგალითად, როგორც ვულკანი. შეიძლება ზეადამიანი იყოს კაცი და იმავე დროს ადამიანის მცირე ნაწილი. უსრული დიდია ბუნებაში.

კარგია, მაგრამ, მაშ, ვიღას მივენდოთ? Solem quis dicere falsum audeat? ნუთუ გენიოსები, ზეკაცები, დიდი მოაზროვნენიც ცდებიან? ნუთუ ვერაფერს ხედავს ის, ვინც ზევით არის, უმაღლეს მწვერვალზე, ზენიტზე? ის, ვინც ამოდენა სინათლეს უგზავნის დედამიწას? ვერაფერს ხედავს ან ცუდად ხედავს? მაშ, დაღუპული ყოფილა ქვეყნიერება! არა. მერე ის რაღა არის იქ, მზის ზემოთ? ღმერთი.

1832 წლის 6 ივნისს, შუადღის მოახლოებისას, მშვენიერი რამ იყო ცარიელი, უკაცრიელი ლუქსემბურგი. მზის სხივით გაბრწყინებული ყვავილები და ხეები ერთმანეთს სთავაზობდნენ სურნელებასა და ნეტარებას. შუადღის სხივით გახელებული ხის ტოტები ცდილობდნენ ერთმანეთს გადახვეოდნენ. მგალობელი ჩიტების ალიაქოთი იდგა ნეკერჩხლის ტოტებში. ყვავილები ერთხმად ცნობდნენ თეთრი ზამბახის მშვენიერებას და აღიარებდნენ, რომ უწმინდეს სურნელებას სპეტაკი თეთრი იძლევა. სურნელოვანი მიხაკის ცხარე სუნი ტრიალებდა ჰაერში. მზე ოქროდ ფერავდა, აწითლებდა და აალისფრებდა ტიტას, რომელიც წარმოადგენს ცეცხლის ალის ყოველგვარ ფერს ყვავილად შეერთებულს. ყვავილებს თავს დასტრიალებდა ფუტკარი, ამ ყვავილების ერთგული სატრფო. ყველგან მშვიდობა და ნეტარება იყო, თვით მოსალოდნელი წვიმაც კი, რომელსაც ხარბად დაეწაფებოდნენ შროშანი და ცხრატყავა, საშიშს არაფერს მოასწავებდა. მერცხალი თავისებურად აცნობებდა

ავდრის მოახლოებას და ძირს დაფრინავდა, მიწის პირას. ყველაფერი, რაც კი რამ იყო, ნეტარებით იყო სავსე; სიცოცხლე საამოდ ფშვინავდა. თვით ბუნება აფრქვევდა ლმობიერებას, სიყვარულს, ალერსს, განთიადს. ზეცით მოვლენილი ფიქრები ისევე ტკბილი და ნაზი იყო, როგორც ჩვილის ხელი, რომელსაც კოცნი.

ხეებქვეშ აქა-იქ მდგომი თეთრი შიშველი ქალღმერთების ქანდაკებებისთვის თითქოს მზის სხივს დაეხიოს სამოსი. დიდი აუზის ირგვლივ იმდენად გამშრალიყო მიწა, რომ დამწვარს ჰგავდა. ნელი ქარი ქროდა და აქა-იქ მტვერს ათამაშებდა. გამხმარი, გაყვითლებული ფოთლები მისდევდნენ სიხარულით ქარს და ცელქობდნენ.

რაღაც დამამშვიდებელი ჰქონდა ამ უხვად მოფენილ სინათლეს. სიცოცხლის ძალა, სითბო და ნოყიერება მოჩანდა ყველგან. სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. დიდებული იყო ბუნება და უფრო დიდებული მისი შემქმნელი ძალა. რაც კი სუნთქავდა, სიყვარულით სუნთქავდა, და ყველგან ქვეყნის შემოქმედის გულუხვობა მოჩანდა. ამ ბრწყინვალების უკან, როგორც ცეცხლის ალის ფარდის უკან, ღმერთს გრძნობდა კაცი, ამ მილიონერ ვარსკვლავთა პატრონს.

ქვიშის წყალობით ტალახი არსად ჩანდა, წვიმის წყალობით კი ერთი ბეწო მტვერი არსად იყო. ყვავილებს ეს არის პირი დაებანათ. უმწიკვლო იყო ყოველი ხავერდი, ყოველი სტავრა, ყოველი ოქრო, რომელიც ყვავილად ამოდის მიწიდან. მთელი ეს მშვენიერება სპეტაკი იყო. ბედნიერი ბუნების დიდი დუმილი ავსებდა ბაღს, ზეციური დუმილი ათასგვარ მუსიკასთან შენივთებული, - ბუდეში ღუღუნთან, ხის ტოტზე გალობასთან, ჰაერში ჭიკჭიკთან, ფუტკრის ბზუილთან, ქარის შრიალთან. გაზაფხულის მთელი მშვენიერება, ჰარმონია ერთ დამატყვევებელ გუნდად შეერთებულიყო: თავის რიგისამებრ მიდიოდა გაზაფხული: იასამანი ილეოდა, ჟასმინი იშლებოდა; ზოგ ყვავილს დაჰგვიანებოდა, ზოგი მწერი ნაადრევად გამოსულიყო, ნაადრევად გამოსული წითელი პეპლები ძმურად ექცეოდნენ ნაგვიანევ მაისის თეთრ პეპლებს. ჭადრები ქერქს იცვლიდნენ. ნელი ქარი არხევდა უმშვენიერესი წაბლის ხეების ვარჯებს. საუცხოო სანახაობა იყო და ერთმა მოხუცმა ვეტერანმა მახლობელი ყაზარმიდან, მესრიდან ბაღს რომ გახედა, წამოიძახა, აი, გაზაფხულმაც აისხა იარაღი და სააღლუმო მუნდირიც ჩაიცვაო!

საუზმეს მიირთმევდა მთელი ბუნება, სუფრას მისჯდომოდა ყველა ქმნილება. დიდი, ლურჯი სუფრა გადაშლილიყო ცაზე და დიდი, მწვანე სუფრა მიწაზე. მზე სხივს სცემდა და აბრწყინებდა ყველაფერს. ღმერთი უძღვნიდა ქვეყნიერებას საჭირო საზრდოს. ყოველ არსებას ჰქონდა თავისი საძოვი ან თავისი სახრავ-საკენკი. მტრედს კანაფის თესლი ეშოვებოდა, სკვინჩას ფეტვი, ჩიტბატონას ცხრაფეხა, გულწითელას მატლი, ფუტკარს ყვავილის ნექტრისთვის მიეგნო, ბუზს ინფუზორია ენახა და იადონს ბუზი. მართალია, ერთმანეთს ჭამდნენ, მაგრამ ეს არის საიდუმლოება სიკეთესთან შეერთებული ბოროტებისა. არც ერთი არსება არ იყო, გამაძღარი რომ არ ჰქონოდა კუჭი.

ორი პატარა, უპატრონო ბავშვი დიდ აუზთან მივიდა. იქ ისეთი სინათლე იდგა, რომ შეკრთნენ და სცადეს, მიმალულიყვნენ, - ყოველგვარი დიდებულის წინაშე, თუნდაც ის უსულო იყოს, სუსტისა და ღარიბის ინსტინქტს დაემორჩილნენ. გედების ფარდულის უკან მიიმალნენ.

ხანდახან, დროგამოშვებით, როდესაც ბაღისკენ მიქროდა ქარი, ყრუდ ისმოდა ყვირილი, ხმაური, თოფის სროლა და ზარბაზნის გრიალი. ბაზართან სახლებს კვამლი ეფარებოდა ზემოდან, შორს, სადღაც ზარი რეკავდა, თითქოს ხალხს უხმობსო.

ბავშვებს ეტყობოდათ არც კი ესმოდათ ეს ხმაური. უმცროსს თავისი დარდი აწუხებდა და ხანდახან ჩუმად იმეორებდა, - მშია!

თითქმის იმ დროს, როდესაც ბიჭები დიდ აუზთან მივიდნენ, ერთი კაცი მოდიოდა აუზისკენ და თან პატარა ბიჭი მოჰყავდა. კაცი ორმოცდაათი წლისა იქნებოდა და ხელჩაკიდებული მოჰყავდა ექვსი წლის ბიჭი. ეტყობოდა, მამა-შვილი უნდა ყოფილიყო. პატარა ბიჭს დიდი ნამცხვარი ეჭირა ხელში.

იმ დროს ბაღის გასაღები ჰქონდა ზოგიერთი მახლობელი ქუჩის ბინადართ და ამ გასაღებით სარგებლობდნენ, როდესაც დაკეტილი იყო ბაღი. ეს მდიდართა უპირატესობა მოგვიანებით გააუქმეს. ეს მამა-შვილიც ერთ-ერთ ქუჩაზე მცხოვრები იქნებოდა.

პატარა ბიჭები ფარდულის უკან ატუზულიყვნენ. იქიდან უყურებდნენ „იმ ბატონს“ და იმალებოდნენ.

ბატონი ბურჟუა იყო. იქნებ ის, რომლის ნათქვამსაც ყური მოჰკრა ერთხელ მარიუსმა აქვე, ამ დიდ აუზთან, თავის შვილს რომ ურჩევდა, ფრთხილად იყავი, სიფრთხილეს ჯიბე არ დაეცლებაო. გულკეთილ კაცს ჰგავდა, მაგრამ ამპარტავანს და იმნაირი ტუჩ-პირი ჰქონდა, რომ ვერ კუმავდა და სულ იცინოდა. ეს ნაძალადევი სიცილი მეტად დიდი ყბისა და მეტისმეტად მცირე კანის ბრალი იყო და კბილებს უფრო დასანახავს ხდიდა, ვიდრე სულს. პატარა ბიჭს მხოლოდ ერთხელ ჩაეკბიჩა ნამცხვარი და აღარ ჭამდა, ეტყობოდა, ძალზე გამძღარი იყო. ბავშვს ეროვნული გვარდიის პატარა მუნდირი ეცვა აჯანყების გამო, მამას კი ბურჟუის ტანისამოსი სიფრთხილის გამო.

აუზთან გაჩერდნენ. აუზში ორი გედი დაცურავდა. ეტყობოდა, ბურჟუას გედები უყვარდა და ჰგავდა კიდეც გედს; სწორედ ისე ირწეოდა სიარულისას, როგორც გედები. გედები დაცურავდნენ, - სწორედ ამაში ვლინდება მათი მაღალი ხელოვნება. საუცხოონი იყვნენ.

პატარა ბიჭებს რომ შესძლებოდათ მიახლოება და მოსმენა, ან იმ ხნისა ყოფილიყვნენ, რომ გაგება შესძლებოდათ, ბურჟუის ასეთ ღრამააზროვან დარიგებას შეესწრებოდნენ. მამა შვილს არიგებდა:

- ჭკვიანი ის არის, ვინც ცოტათი კმაყოფილდება და ისე ცხოვრობს. აი, შემომხედე, შვილო, მე გადამეტებული არაფერი მიყვარს, არასოდეს ჩამიცვამს ოქროთი და თვალ-მარგალიტით მორთული ტანისამოსი. ეს ყალბი ბრწყინვალება გონებით ნაკლებად განვითარებულებისთვის დამითმია.

უცბად ბაზრის მხრიდან ყვირილი, ზარბაზნის სროლის ხმა და ზარის რეკვა მოისმა.

- ეს რა არის? - ჰკითხა პატარამ.

- სატურნალიაა, შვილო.

ამ დროს თვალი მოჰკრა ორ პატარა ბავშვს, საცოდავად ატუზულს, დაგლეჯილ-დაკონკილს და წამოიძახა:

- აი, დასაწყისი!

ცოტა ხანს გაჩუმებული იდგა, დაღვრემილი, მერე დაუმატა:

- ბაღშიც შემოპარულა ანარქია.

პატარამ კიდევ ერთხელ ჩაკბიჩა ნამცხვარი, გადააფურთხა და უცბად ტირილი ატეხა.

- რა გატირებს, შვილო?

- აღარ მშია, - მიუგო ბავშვმა.

მამას უფრო ფართოდ გაეღიმა:

- განა უთუოდ უნდა გშიოდეს, რომ ნამცხვარი შეჭამო?

- მომწყინდა ეს ნამცხვარი, ხმელია.

- აღარ გინდა?

- არა.

მამამ გედები დაანახვა პატარას:

- მაშ, ამ გედებს გადაუგდე.

შეჩერდა ბავშვი, ჩემი ნამცხვარი სხვას რად უნდა მივცეო?

მამამ დაარიგა:

- გულკეთილი უნდა იყო. უნდა გებრალებოდეს ცხოველი, - გამოართვა ბიჭს ნამცხვარი და გედებს გადაუგდო.

ნამცხვარი იქვე, ახლოს ჩავარდა წყალში.

გედები შორს იყვნენ, აუზის შუაგულში და რაღაცას ჭამდნენ. არც ბურჟუა დაუნახავთ, არც მისი ნამცხვარი.

ნახა ბურჟუამ, რომ შეიძლებოდა, გაფუჭებულიყო მშვენიერი ნამცხვარი, დაენანა საკუთრების ამაოდ დაკარგვა და ხელების ქნევასა და სტვენას მოჰყვა, რომ გედებს უკან მოეხედათ და ღირსეულად მიეღოთ ბურჟუის საჩუქარი.

მართლაც მოიხედეს გედებმა. დაინახეს რაღაც წყალზე მცურავი და გემისებურად იბრუნეს პირი, - თვითონაც ხომ გემები არიან, - და ნელ-ნელა, თავისებური დიდებულებით, როგორც შეეფერება თეთრ ფრინველს, წამოვიდნენ ნამცხვრისკენ.

- კარგად გაიგეს ჩემი ნიშნები, - თქვა თავისი გონივრული მოხერხებით აღტაცებულმა ბურჟუამ.

ამ დროს მეტი სიმძლავრით გაისმა შორეული ყვირილი და ზარბაზნის სროლის ხმა. საშინელების მომასწავებელი იყო ეს სროლა. ხანდახან ისე დაქროლავს ხოლმე ქარი, იტყვით, ენა აქვს და ცნობას გვაწვდისო. ქარმა ცხადად მოიტანა ნაღარის გრიალი, ყვირილი, თოფებისა და ზარბაზნების გაცეცხლებული კამათი. ამავე დროს შავი ღრუბელი გადაეფარა მზეს და დააბნელა ქვეყანა.

ჯერ შორს იყვნენ გედები.

- წავიდეთ, შვილო, ეტყობა, მეფის სასახლეს შეესივნენ, - ხელი ჩაჰკიდა პატარას და განაგრძო, - სასახლიდან ამ ბაღამდე ერთი ბეწო მანძილია, სწორედ ის მანძილი, რომელიც შუა უდევს მეფის ტახტსა და დიდებულთა კრებულს. ერთი ბეწო მანძილია. ახლა უყურე შენ აქ თოფის სროლას.

ღრუბელს ახედა.

- იქნებ წვიმაც მოვიდეს. ზეცაც ერევა ამ საქმეში. ეტყობა, მეფის საგვარეულოს უმცროსი შტო განწირულია. აბა, ჩქარა, შინისკენ!

- ვნახოთ, როგორ შეჭამენ გედები ჩემს ნამცხვარს, - სთხოვა ბიჭმა.

- ეს გაუფრთხილებლობა იქნება.

ხელი სტაცა პატარას და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა სამშვიდობოსკენ. მისდევდა ბიჭი და სულ უკან იყურებოდა, გედებისა და თავისი ნამცხვრისკენ, მანამ სხვა ხეივანში არ შევიდნენ.

მამა-შვილი რომ ხეივნების ლაბირინთში ჩაიმალა, აუზთან მიირბინა უფროსმა ბიჭმა, კედელზე დაწვა გულდაღმა, მარცხენა ხელი კედელს ჩასჭიდა, წყალში ჩაყო მარჯვენა, ხელშიც წკეპლა ეჭირა, გაიწია წყლისკენ, რამდენადაც კი შეიძლებოდა, რომ არ ჩავარდნილიყო, და წკეპლით ნამცხვრის დაჭერას ცდილობდა. მტერი რომ დაინახეს გედებმა, ფრთა გაშალეს, წყალს დაჰკრეს და რაკი პირი ბიჭისკენ ჰქონდათ, კედლისკენ წამოვიდა აღელვებული წყლის ნაკადი. ნაზუქიც იქით გამოაგდო. მიუახლოვდნენ ბიჭს გედები, მაგრამ ნამცხვარიც მოუახლოვდა წკეპლას. ერთი მაგრად დაჰკრა ბიჭმა წყალს წკეპლა, შეაშინა გედები, თავისკენ გამოაცურა ნამცხვარი, სტაცა ხელი და წამოვარდა.

დასველებულიყო ნამცხვარი, მაგრამ შიმშილთან ერთად წყურვილსაც გრძნობდნენ ბიჭები. ორ ნაჭრად გადატეხა პატარამ, დიდი ნატეხი უმცროსისთვის, პატარა - თავისთვის. მისცა ძმას დიდი ნაჭერი და უთხრა:

- აბა, გატენე შენი ზარბაზანი.

## თავი მეჩვიდმეტე
## MORTUUS PATER FILIUM MORITURUM EXPECTAT

მარიუსი გამოვარდა ბარიკადიდან და კომბეფერიც თან დაედევნა, მაგრამ დააგვიანდათ. გავროში უკვე მკვდარი იყო. ვაზნებით სავსე კალათი კომბეფერმა აიტაცა, მარიუსმა - ბავშვი.

„აჰ, - ფიქრობდა მარიუსი, - როგორც მამაჩემს დაეხმარა მამამისი, ისე მე ვეხმარები მის შვილს. ოღონდ ტენარდიემ ცოცხალი გაიყვანა ბრძოლის ველიდან მამაჩემი, მე კი მკვდარი მიმყავს“.

ბარიკადში რომ შევიდნენ, მარიუსსაც დასისხლიანებული ჰქონდა თავი, როგორც გავროშს.

რომ დაიხარა გავროშის ასაყვანად, შუბლი გაუკაწრა ტყვიამ, მაგრამ მარიუსმა ვერც კი იგრძნო.

კურფეირაკმა ყელსახვევი მოიხსნა და ჭრილობა შეუხვია.

გავროშიც იმავე მაგიდაზე დაასვენეს, საცა მაბეფი იყო და ორივეს ერთად გადააფარეს შავი შალი. ორივეს ეყო, მოხუცსაც და პატარა ბიჭსაც.

კომბეფერმა ვაზნები დაურიგა ამხანაგებს. თხუთმეტი ცალი შეხვდა თითო მსროლელს.

ჟან ვალჟანი ისევ უძრავად იჯდა. კომბეფერმა რომ ვაზნები შეაძლია, თავი გაიქნია, არ მინდაო.

- უცნაური კაცი ყოფილა ეს მოხუცი, - წასჩურჩულა კომბეფერმა ანჟოლრასს, - იშვიათი სანახავი. ბარიკადზეა კაცი და ბრძოლა კი არ ნებავს.

- ბრძოლა არ ნებავს და ბარიკადს კი იცავს, - მიუგო ანჟოლრასმა.

- გმირობასაც აქვს თავისი უცნაურობა, - თქვა კომბეფერმა.

კურფეირაკმა გაიგონა ეს და თქვა:

- ეს სულ სხვა ჯურისა არის, ვიდრე მაბეფი.

ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი. იმდენი ჭურვი და ტყვია ხვდებოდა ბარიკადს, მაგრამ თითქმის არავითარ აღელვებას არ იწვევდა. ვინც არ ჩარეულა ამგვარი ბრძოლის ჭექა-ქუხილში, ვერც კი წარმოიდგენს, რამხელა სიმშვიდე ერთვის თან ამ საშინელ სისხლის ღვრას. სროლაა დიდი, მაგრამ ბარიკადში მიდი-მოდიან, ბაასობენ, ხუმრობენ, ლაზღანდარობენ.

ერთმა ჩვენმა ნაცნობმა გადმოგვცა მებრძოლის სიტყვა, რომლითაც მას მიმართა გაცეცხლებული ბრძოლის დროს ერთმა ამხანაგმა, სწორედ ისე ვართ აქ, თითქოს ძმაბიჭები შეყრილან საქეიფოდო. შანვრერის ბარიკადზე, კიდევ ვიმეორებთ, მეტისმეტი სიმშვიდე იყო. ამ ტრაგედიის ყოველი საშინელება გადაიტანა და კიდეც უნდა გადაეტანა, მდგომარეობა საზარელი იყო, მალე უიმედო შეიქნებოდა და რამდენადაც სუსტდებოდა ბარიკადის სიმაგრე, უფრო და უფრო ბრწყინავდა გმირული სხივით გაშუქებული ბარიკადი. ჩაფიქრებული იყო ანჟოლრასი და ისე იდგა, როგორც ახალგაზრდა სპარტელი, რომელმაც ქარქაშიდან ამოღებული ხმალი ეპიდოტასის პირქუშ გენიას შესწირა.

კომბეფერს წინსაფარი აეფარებინა და დაჭრილებს უვლიდა. ბოსუე და ფეიი ვაზნებს აკეთებდნენ გავროშის ნაპოვნი თოფისწამლით.

- მალე დავიჭერთ დილიჟანსს მეორე პლანეტისკენ გასამგზავრებლად, - ამბობდა სიცილით ბოსუე.

კურფეირაკი ანჟოლრასის ახლოს იდგა და იარაღს ალაგებდა, რაც კი მოეპოვებოდა, - ხმლიან ჯოხს, ორ საუნარიგე დამბაჩასა და ერთსაც ჯიბისას. ალაგებდა იქვე დაწყობილ ქვებზე იმგვარი სიფრთხილით, როგორც ქალმა იცის, თავისი ნივთების კარადას რომ ალაგებს. ჟან ვალჟანი მუნჯივით იჯდა და პირდაპირ აღმართულ მაღალ კედელს შესცქეროდა. ერთ მუშას სადღაც უშლუს ქვრივის ჩალის ქუდი ეპოვა და ცდილობდა, ბაწრით დაემაგრებინა თავზე, მზემ არ დამკრასო. ექსელი ბიჭები მხიარულად ლაპარაკობდნენ თავიანთ კუთხურ ენაზე, თითქოს ისწრაფოდნენ, უკანასკნელად ეხმარათ დედაენა. ჟოლის სახლის პატრონის სარკე ჩამოეღო და ენას ისინჯავდა. ზოგს კიდევ სადღაც გამხმარი, დაობებული პური ეპოვა და გულიანად ილუკმებოდა. მარიუსი კი სულ იმის ფიქრში იყო, რას ეტყოდა მამა.

## თავი მეთვრამეტე
## ნადავლად ქცეული ქორი

ბარიკადების ერთ ფსიქოლოგიურ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. არ უნდა გამოგვრჩეს არავითარი წვრილმანი, რითაც კი შეიძლება ამ ქუჩისა და მთავრობის ბრძოლის სრული დახასიათება.

რაც უნდა დიდი ყოფილიყო აჯანყებულების ვაჟკაცობა და გულადობა, რომელიც ეს არის ვუამბეთ მკითხველს, მაინც უნდა ვთქვათ, რომ არავითარი იმედი არა ჰქონდათ გამარჯვებისა და თავის დაღწევისა.

აპოკალიფსი ერევა სამოქალაქო ბრძოლაში. ამ საშინელ, გაცოფებულ სისხლის ღვრას არაერთი მოულოდნელობა ერთვის და სფინქსად გადააქცევს რევოლუციას. ვინც კი ბარიკადს გადარჩენილა, ჰგონია, სიზმარში ნახა ყველაფერი.

რას გრძნობს ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, ეს უკვე ვთქვით მარიუსის შესახებ და ამის შედეგსაც ვნახავთ მალე. ეს მდგომარეობა სიცოცხლეზე მეტიც არის

და თან ნაკლებიც. ბარიკადიდან რომ გამოვა კაცი, ძნელადღა მოიკრებს გონებით იქ განცდილ გრძნობებს. საშინელი იყო იქ ყოფნა და ეს აღარ ახსოვს. გარს სხვადასხვაგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეები ეხვეოდნენ ადამიანის სახით; თავი მომავლის ბრწყინვალეებაში ჰქონდა და გარშემო კი მკვდრებს ხედავდა, ძირს რომ ეყარნენ, და ცოცხალ აჩრდილებს, მის ირგვლივ რომ მიმოდიოდნენ. საათი მთელი საუკუნის ხანგრძლივობისა და მარადისობის აღმნიშვნელი გამხდარიყო. ცოცხალი იყო კაცი, მაგრამ საიქიოში. გვერდით ჩაუარეს აჩრდილებმა. რა იყო ეს? ზოგს სისხლიანი ხელი უჩანდა. საშინელი დუმილი იდგა, თან პირღიანი იყვნენ და რაღაცას გაჰყვიროდნენ. იქვე სხვებიც იდგნენ, ისინიც პირღიანი, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ; ყველანი შავ კვამლში გახვეულიყვნენ; კვამლში თუ ბნელ ღამეში? ეჩვენებოდა, რომ საბედისწერო სითხეს შეეხო, იდუმალი სიღრმეებიდან რომ ამოედინებოდა; თითებზე წითელი ლაქები ჰქონდა. სხვა არაფერი ახსოვდა.

უცნობი მომავლის უფსკრულთან იდგა და მისი მოახლოების განჭვრეტას ცდილობდა.

დავუბრუნდეთ შანვრერის ქუჩას.

წამით შეწყდა სროლა და შორიდან საათის რეკვა მოისმა.

- შუაღღეა, - თქვა კომბეფერმა.

ის იყო, დაჰკრა თორმეტმა, რომ ანჟოლრასმა ეს ბრძანება გადასძახა ამხანაგებს:

- სახლში აიტანეთ ქვები. ფანჯრების რაფებზე და სხვენში დაახვავეთ. მსროლელთა ნახევარი ბრძოლისთვის მოემზადოს, მეორე ნახევარმა ქვები აზიდოს. აბა, ჩქარა!

ქუჩის ბოლოს სამხედრო მწყობრად მომავალი მეხანძრეთა რაზმი გამოჩნდა. ყველას ხელში ცული ეჭირა.

ეს ბარიკადისკენ გამოგზავნილი კოლონის მეწინავე რაზმი უნდა ყოფილიყო, იერიშით მოდიოდა. დავალებული ჰქონდათ ბარიკადის დანგრევა, რომ უფრო ადვილად დასცემოდა თავს აჯანყებულებს იერიშით მიმავალი ჯარი.

ეტყობოდა, უახლოვდებოდა ბარიკადებს ის საბედისწერო წამი, რომელსაც კლერმონ-ტონერმა 1822 წელს „ყელში წაჭერა“ უწოდა.

სწრაფად აასრულეს ანჟოლრასის ბრძანება, იმ სისწრაფითა და გულმოდგინებით, რომელიც მარტო გემმა იცის და ბარიკადმა, ამ ორმა ბრძოლის ველმა, საიდანაც ყოვლად შეუძლებელია გაპარვა ან გაქცევა. ერთი წუთიც არ გასულა, რომ ანჟოლრასის ბრძანებისამებრ „კორინთის“ კართან მოგროვილი ქვა სახლში შეიტანეს, მეორე სართულსა და სხვენზე, და ჯერ მეორე წუთი არ გასულიყო, ფანჯრის სიმაღლის ნახევრამდე დაალაგეს. ქვებს ალაგებდნენ და ფეიი შიგ წვრილ ღიობებს ტოვებდა თოფის ლულის შესაყოფად. მთავარ მშენებლად ფეიი ჰყავდათ და დიდი ცოდნითა და მოხერხებით ამაგრებდა ფანჯრებს ქვებით. მით უფრო, რომ თოფის სროლა შეწყდა და საშიში არაფერი იყო. ორივე ზარბაზანი კი ჭურვებს ესროდა ბარიკადს შიგ შუაგულში, რომ როგორმე შეენგრია შიგ შესასვლელად.

რაკი დარწმუნდა ანჟოლრასი, რომ კარგად იყო ფანჯრები გამაგრებული, მეორე სართულზე აიტანა ის ბოთლები, მაგიდის ქვეშ რომ დაალაგებინა. მაბეფი და პატარა გავროში განისვენებდნენ ამ მაგიდაზე.

- ვინ გადაკრავს ამ ღვინოს? - ჰკითხა ბოსუემ.

- ისინი გადაკრავენ, - მიუგო ანჟოლრასმა.

მერე კარგად გაამაგრეს ქვემო სართულის ფანჯრები, რკინის ურდული გაუყარეს კარს, როგორც ღამით იცოდა მიკიტანმა.

ნამდვილ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა ბარიკადი: სამიკიტნო ციხე იყო და ბარიკადი კი სანგარი.

ქვა ბევრი ჰქონდათ და ნაპრალი გაამაგრეს.

ბარიკადის მცველები იძულებულნი არიან, რაც შეიძლება მეტად გამოიზოგონ თოფისწამალი და ვაზნა. ეს ძალიან კარგად იცის მთავრობის ჯარმა და ცდილობს, დაახარჯვინოს ტყვია-წამალი; განზრახ აყოვნებენ ბრძოლას, რომ სროლა დააწყებინონ, მაგრამ თავად კი არ მოიხვედრონ და მოთმინებით ელიან ბარიკადელთა დასუსტებას. ცხადია, ეკვეთებიან ბარიკადს, მაგრამ მეთოდური დაყოვნებით ემზადებიან, რომ გული გაუწყალონ აჯანყებულთ და მერე უცბად მეხივით დაეცნენ.

ამ დაყოვნებამ მისცა ანჟოლრასს დრო, გაეთვალისწინებინა ყოველგვარი მოსალოდნელი და მოულოდნელი. გრძნობდა, რომ აქ დაასრულებდა სიცოცხლეს თავისი ამხანაგებიანად და უნდოდა დიდებული და სასახელო ყოფილიყო ეს სიკვდილი.

მარიუსს მიმართა:

- აქ უფროსები მე და შენ ვართ. მე შევალ, უკანასკნელ განკარგულებას გავცემ „კორინთში“; შენ გარეთ იყავი და თვალი ადევნე.

ქვაყრილზე ავიდა მარიუსი და ჯარს გახედა.

ანჟოლრასმა მაგრად ჩააკეტვინა სამზარეულოს კარი, სადაც დაჭრილები ჰყავდათ:

- დაჭრილებს არაფერი მოხვდეთ.

უკანასკნელი ბრძანება გასცა დაბლა, დარბაზში, მოკლედ, მაგრამ სრული სიმშვიდით. ფეიი წინ ედგა, ისმენდა და პასუხს აძლევდა ყველას მაგივრად.

- მეორე სართულზე ცულები გქონდეთ მზად, რომ კიბე გადაჭრათ. გვაქვს ცულები?

- გვაქვს, - უპასუხა ფეიიმ.

- რამდენია?

- ორი ცული და ერთიც ყასბის.

- კმარა. ოცდაექვსი კაცი გვყავს მებრძოლი. თოფი რამდენი გვაქვს?

- ოცდათხუთმეტი.

- რვა თოფი მეტი გვქონია. ეგეც გატენილი გქონდეთ. წელზე ხმლები შემოირტყით, ქამრებში დამბაჩები გაირჭვეთ. ოცი კაცი ბარიკადზე დარჩება. ექვსი კაცი ზევით, მეორე სართულზე და სხვენში ავა, რომ იქიდან აუტეხოს სროლა მოახლოებულ ჯარს. უსაქმური არავინ დარჩეს. იერიშის მაუწყებელი ნაღარის ხმა რომ მოგესმებათ, ოცი კაცი ბარიკადს ეცეს, ვინც წინ მივა, უკეთეს ადგილსაც ის დაიჭერს.

ეს თქვა და ჟავერს მიუბრუნდა:

- არც შენ დამვიწყებიხარ.

მაგიდაზე დადო დამბაჩა და ამხანაგებისკენ მიბრუნდა:

- ვინც უკანასკნელი გავა აქედან, შიგ თავში უთავაზოს ტყვია ამ ჯაშუშს.

- აქვე? - გაისმა ვიღაცის კითხვა.

- არა, ჩვენს მკვდრებს ნუ ჩავურევთ ამ წუპაკს. პატარა ბარიკადიდან შეიძლება მონდეტურის ქუჩაში გასვლა. ადვილად გადაძვრებით. ეს კაცი მაგრად არის გაკოჭილი. იქ ჩაიყვანოს და მოკლას.

ანჟოლრასი სრულიად დამშვიდებული იყო, ამას რომ ამბობდა. მასზე მეტად მშვიდი იყო ჟავერი, ამას რომ ისმენდა.

ამ დროს გამოჩნდა ჟან ვალჟანი.

აჯანყებულთა ჯგუფში ყოფილა. წინ წამოიწია და ანჟოლრასს მიმართა:

- უფროსი თქვენ ბრძანდებით?

- დიახ.

- წეღან მადლობა მითხარით, გეხსომებათ...

- რესპუბლიკის სახელით. ორი მხსნელი ჰყავს ბარიკადს: მარიუს პონმერსი და თქვენ.

- დამეთანხმებით, რომ საჩუქრის ღირსი ვარ.

- რა თქმა უნდა.

- ჰო, მინდა საჩუქარი გთხოვოთ.

- სახელდობრ?

- მინდა მე დავანთხევინო სისხლი ამ კაცს.

თავი ასწია ჟავერმა, ჟან ვალჟანი დაინახა, ძლივს შესამჩნევად შეირხა და თქვა:

- სამართლიანი იქნება.

ანჟოლრასმა თავისი თოფი გატენა, თვალი გადაავლო ამხანაგებს და ჰკითხა:

- წინააღმდეგი ხომ არავინ არის? - მერე ჟან ვალჟანს მიუბრუნდა, - მაშ, თქვენთვის მოგვინდვია ეს ჯაშუში.

და ჟან ვალჟანმაც მიიღო თავის განკარგულებაში ჟავერი. იქვე ჩამოჯდა, მაგიდის ბოლოში. ხელში აიღო დამბაჩა და პატარა ჩხაკუნით აცნობა ბარიკადელებს, რომ ჩახმახი ასწია.

ამ დროს საყვირის ხმა გაისმა.

- ჩქარა! - გაისმა ბარიკადიდან მარიუსის ძახილი.

ჟავერს გაეცინა თავისებური უხმო სიცილით, თვალი გადაავლო აჯანყებულებს და გული მოიფხანა:

- არც თქვენ ბრძანდებით უკეთეს დღეში!

- აბა, ჩქარა! - შეჰყვირა ანჟოლრასმა.

აჯანყებულები გასასვლელისკენ გაიქცნენ და გარეთ გასვლისას პირდაპირ ზურგში მიჰყვათ ჟავერის ბოროტი სიტყვა:

- იქ შეეხვედროდეთ ერთმანეთს!

## თავი მეცხრამეტე
## ჟან ვალჟანის შურისძიება

მარტონი რომ დარჩნენ, ჟან ვალჟანმა მაგიდის ქვეშ გახსნა ნასკვი, რომლითაც მაგიდაზე იყო მიკრული ჟავერი, და ანიშნა, ადექიო.

ჟავერი ადგა, ღიმილით დაემორჩილა. ბრბოს გაებაწრა დიდებული მთავრობა და რაღა დარჩენოდა მედიდური ღიმილის მეტი?

კისერზე ისევ თოკი ება. ჟან ვალჟანმა თოკი ხელში დაიჭირა, წინ გაუძღვა და ისე წაიყვანა ჟავერი, როგორც დასაკლავი საქონელი, ნელი ნაბიჯით, რადგან დიდხანს იყო გაბაწრული და ძლივს ადგამდა ფეხს. სამიკიტნოდან გაიყვანა.

დამბაჩა ხელში ეჭირა.

გარეთ გავიდნენ, ბარიკადი გაიარეს. აჯანყებულები მათკენ მიმავალი ჯარის მოლოდინში უკან აღარ იხედებოდნენ.

მხოლოდ მარიუსმა დაინახა, რადგან ბარიკადის მარცხენა მხარეს იდგა, როგორ გაატარა ჟან ვალჟანმა თავისი საკლავი. მიმავალნი იმ სამარისებრი მკრთალი სინათლით განათებული ეჩვენა, რომელიც მის სულში იყო გამეფებული.

ჟან ვალჟანმა დიდი გაჭირვებით აიყვანა და გადაატარა ბარიკადის პატარა ქვაყრილზე, რათა მონდეტურის ქუჩაზე გაეყვანა, თან თვალს არ აშორებდა, თოკს არ უშვებდა. დამბაჩა მზად ჰქონდა სასროლად.

პატარა კედელი რომ გადაიარეს, მარტონი იყვნენ ქუჩაში. არავინ იყო იქ მათ გარდა. სახლის კუთხე იყო წინ წამოწეული და აჯანყებულებიც ვეღარ დაინახავდნენ. იქვე, რამდენიმე ნაბიჯს იქით დაელაგებინათ ბარიკადზე დახოცილები. მკვდრებში მოჩანდა თმაგაშლილი, ხელგახვრეტილი, ოდნავ მკერდგადაღეღილი დედაკაცი. ეს ეპონინი იყო.

ჟავერი დააცქერდა უბედურს და სრულიად მშვიდად, ხმადაბლა თქვა:

- მგონი, ვიცნობ ამ კახპას.

მერე ჟან ვალჟანს შეხედა.

ჟან ვალჟანმა იღლიაში ამოიდო დამბაჩა და თვალი თვალში გაუყარა. ესეც კმაროდა, საჭირო არ იყო თქმა, - აჰა, ჟავერ, ეს ხომ მე ვარო!

ჟავერმაც უპასუხა:

- ახლა შენ იცი.

ჟან ვალჟანმა ჯიბიდან დანა ამოიღო და გახსნა.

- ბებუთიც გაქვს? - შესძახა ჟავერმა, - მართალი ხარ, ბებუთი უფრო შეგშვენის.

ჟან ვალჟანმა გაჭრა თოკი, კისერზე რომ ეხვია ჟავერს, მერე ის თოკი, რომლითაც ხელები ჰქონდა შეკრული. შემდეგ დაიხარა, მუხლზე შემოხვეული თოკი გაუჭრა, წელში გასწორდა და უთხრა:

- თავისუფალი ბრძანდებით.

ადვილი არ იყო ჟავერის გაკვირვება. საოცრად კარგად ეხერხებოდა თავის დამორჩილება, მაგრამ აქ კი გაშტერდა და პირი დააღო.

ჟან ვალჟანმა განაგრძო:

- არა მგონია, აქედან ცოცხალი გავიდე. მაგრამ, თუ შემთხვევით გადავრჩი, ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ვცხოვრობ, შვიდ ნომერში, გვარად ფოშლევანს ვატარებ.

ვეფხვივით დააკრაჭუნა ჟავერმა კბილები და ჩუმად წაიბუზღუნა:

- მიფრთხილდი!

- მიბრძანდით, - გაუმეორა ჟან ვალჟანმა.

ჟავერს მაინც არ სჯეროდა.

- მაშ, ფოშლევანი ხარ, ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ცხოვრობ?

- შვიდ ნომერში.

და ჩუმი ხმით გაიმეორა ჟავერმაც:

- ჰო, შვიდ ნომერში.

სერთუკი შეიკრა, წელში გასწორდა მხედრულად, მიტრიალდა, გულხელი დაიკრიფა, ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა და ბაზრისკენ წავიდა. ჟან ვალჟანი თვალს არ აშორებდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა ჟავერმა, გაჩერდა, მიუბრუნდა და ჟან ვალჟანს გამოსძახა:

- თავი მომაბეზრეთ! მომკალით, რაღა!

ჟავერმა თავისდა შეუმჩნევლად თქვენობით მიმართა ჟან ვალჟანს.

- წადით-მეთქი, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

ნელი ნაბიჯით წავიდა ჟავერი და მალე პრეშერის ქუჩაზე ჩაუხვია.

ჟავერი რომ აღარ ჩანდა, ჟან ვალჟანმა ზევით აისროლა დამბაჩა, მერე ბარიკადში შევიდა და დაიძახა:

- მორჩა და გათავდა!

აი, რა მოხდა ამ დროს:

მარიუსი ბარიკადის გარეთ უფრო იყურებოდა, ვიდრე სამიკიტნოს ოთახებისკენ და აქამდე ხეირიანად არც კი შეეხედა ჯაშუშისათვის, ბოძზე მიკრული რომ ჰყავდათ დარბაზში.

გარეთ რომ დაინახა, დღის სინათლეზე, ბარიკადის ეზოში, მოსაკლავად რომ მიჰყავდა ჟან ვალჟანს, მხოლოდ მაშინ იცნო. უცაბედმა მოგონებამ გაურბინა გონებაში. მოაგონდა პონტუაზის ქუჩის პოლიციის ინსპექტორი, მისგან მოცემული ორი დამბაჩა, რომლებიც ჯერაც არ დაებრუნებინა, და აქ, ბარიკადზე ჰქონდა. ახლა არა მარტო კაცი, მისი სახელიც კი გაახსენდა.

მაგრამ დაბინდული იყო ეს მოგონება, როგორც ყოველი მისი ფიქრი და გრძნობა და ეჭვი ერეოდა, ვერ ბედავდა, ეთქვა, ის არისო, და თავის თავს ეკითხებოდა, განა ეს პოლიციის ინსპექტორი არ არის, ჟავერი რომ ჰქვიაო?

იქნება ჯერ დაგვიანებული არ ყოფილიყო მისი ჩარევა და კაცის გადარჩენა, მაგრამ დანამდვილებით უნდა გაეგო, მართლა ჟავერი იყო ის კაცი?

ამ დროს ანჟოლრასი დაინახა, ბარიკადის მეორე მხარეს გამოჭიმული.

- ანჟოლრას!

- რაო!

- ვინ არის ის კაცი?

- ვინ კაცი?

- აი, ის, ჯაშუში, რა გვარია, იცი?

- როგორ არა, თვითონვე გვითხრა.

- რა გვარია?

- ჟავერი.

წამოვარდა მარიუსი.

ამ დროს დამბაჩა გავარდა.

ჟან ვალჟანი აჯანყებულებთან დაბრუნდა და შესძახა:

- მორჩა და გათავდა.

მარიუსს გულზე სიცივემ გადაუარა.

## თავი მეოცე

## მართალ არიან მკვდარნი და [SEP]არც ცოცხალნი ტყუიან

იწყებოდა ბარიკადის აგონია.

ტრაგიკულად დიდებული იყო ეს წმინდა წამი და ყველაფერი ხელს უწყობდა მის სიდიადეს. რაღაც იდუმალი ხმაური იდგა ჰაერში, ქუჩებში შეიარაღებული ხალხი ტრიალებდა, ისმოდა ცხენების ჭენება, ზარბაზნების ტლანქი გრიალი, პარიზის ქუჩების ლაბირინთში თოფისა და ზარბაზნის სროლა, სროლის კვამლი მზის შუქით მოოქრული სახლების სახურავებზე, საშინელი ყვირილი, მუქარის ელვა ყველგან და ყოველმხრივ, სენ-მერის ზარის განგაში, რომელშიც უკვე ქვითინი ისმოდა, სიტკბოება მომავალი ზაფხულისა, ბრწყინვალება მზისა და აქა-იქ ღრუბლით მორთული ცა, მშვენიერება დღისა და საზარელი დუმილი სახლებისა.

მიჩუმებული იყო შანვრერის ქუჩა, რადგან გუშინდელს აქეთ ქუჩის ორივე მხარეს აღმართული სახლები ციხესავით მიუვალი გამხდარიყო. თითქოს აღარც კარი შერჩენოდათ და აღარც ფანჯარა. ჩაკეტილი იყო ყველაფერი.

ის დროება დიდად განსხვავდებოდა ჩვენი დროებისაგან. როცა დადგებოდა ჟამი და ხალხი გადაწყვეტდა ბოლო მოეღო დრომოჭმული წესრიგისათვის, ნაწყალობევი ქარტიისთვის ან მოძველებული კანონებისთვის, როცა ჰაერი გაჟღენთილი იყო მრისხანებით, როცა ქალაქი თავად ანადგურებდა თავის ქვაფენილებს, როცა აჯანყებას ბურჟუაზია თანაუგრძნობდა, მაშინ მეამბოხე სულით გამსჭვალული ქალაქის მოსახლეობა აჯანყებულების მოკავშირე ხდებოდა, სახლი თითქოს მიწიდან უეცრად ამომძვრალ სიმაგრეს ემმობილებოდა და მისი საყრდენი ხდებოდა. მაგრამ თუ დრო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, თუ აჯანყებას ხალხი არ თანაუგრძნობდა, თუ მას უარყოფდა, მეამბოხენი დაღუპვისთვის იყვნენ განწირულნი. ქალაქი უდაბნოდ გადაიქცეოდა, ყველა თავშესაფარი იკეტებოდა და ქუჩები გზას უხსნიდნენ სამთავრობო ჯარს ბარიკადის ასაღებად.

ხალხს ძალისძალად ფეხს ვერ ააჩქარებინებთ. ვაი მას, ვინც ძალას დაატანს! ხალხს თოკს ვერ მოაბამ და თან ვერ წაიყვან, თუ არა და თვითონვე მიანებებს თავს აჯანყებას და დაიშლება; აჯანყებულებს, როგორც ჭირიანებს, ახლო აღარავინ ეკარება. სახლები იკეტება, კარები აღარ იღება, ქუჩის ორივე მხარეს მიუვალი კედლები აღიმართება და აღარავინ დაეხმარება აჯანყებას. კარგად ხედავს ეს კედელი, კარგად ესმის, მაგრამ აჯანყებისთვის ყრუ-მუნჯად გადაქცეულა. ადვილად შეუძლია ოდნავ გაიღოს და განსაცდელს გადაგარჩინოს, მაგრამ არა. ეს კედელი დღეს მსაჯულია. გიჭვრეტთ და გსჯით! რა საშინელებაა ამ დროს ეს მიყრუებული კედლები! მკვდრებს ჰგვანან და ცოცხლები კი არიან. სიცოცხლისა აღარაფერი ეტყობათ და ცოცხალი კი არიან. არავინ გამოსულა ამ სახლებიდან არც დღეს, არც გუშინ, ოჯახს არავინ დაჰკლებია. ამ სახლებში, ამ ფსკერზე, მშვიდობიანი ცხოვრება სუფევს იმ დროს, როდესაც იბრძვის ხალხის თანაგრძნობის უქონელი ბარიკადი; მიდი-მოდიან ამ სახლებში, წვებიან, დგებიან, ჭამენ, სვამენ და ეშინიათ! აი, რა არის საზარელი. ამ შიშის ბრალია, რომ ასე ერიდებიან აჯანყებას. გულს უხეთქთ ეს შიში. ხანდახან გაგიუებულა კიდეც ამ შიშით ადამიანი. შიში სიგიჟედ გადაიქცევა, როგორც სიფრთხილე ლაჩრობად და აქედან წარმოდგება ეს ღრმაზროვანი, სიტყვაგაშმაგებული ზომიერება. შიშმა იცის, იმისთანა ალში გახვევს ადამიანს, რომ გაშმაგებულ რისხვას ამოადენს გულიდან: „რა უნდათ ამ აჯანყებულთ? სულ რომ გუნდრუკი უკმიოს მთავრობამ, მაინც თავისას არ იშლიან! ისინი არცხვენენ და თავს

სჭრიან მშვიდობისმოყვარეთ. ნუთუ არ გვეყო ამდენი რევოლუცია? ახლა რაღა ნებავთ? არ იშლიან და ჯანდაბას მათი თავი! სულ მათი ბრალია და სხვას ნურავის გაამტყუნებენ. წავიდნენ და მოიმკონ, რაც დაუთესიათ! ჩვენ კი, ეს ჩვენი საქმე არ არის. აგერ, ტყვიით არის დაცხრილული ჩვენი ქუჩის კედლები. არამზადა მაწანწალები! აჰ, კარი არ გაუღოთ!“ - და აკლდამად გადაიქცევა ცოცხალი სახლი. ამ სახლის კართან გდია სულთმობრძავი აჯანყებული, ხედავს, როორ უახლოვდება წვეტიანი შუბი და ბასრი ხმალი; კიდეც რომ დაიყვიროს, იცის, არავინ მიეშველება. გაიგონებენ მის ყვირილს, მაგრამ არა, არ დაიძვრიან. ქუჩაში კედლებია, რომ თავი შეაფაროს, სახლებში - ადამიანები, რომ უშველონ, მაგრამ ამ კედლებს ყური არა აქვთ და ადამიანებს კი გული გაჰქვავებიათ.

ვის გაამტყუნებთ?

არავის და ყველას.

ნაკლით სავსეა ჩვენი დროება.

უტოპია რომ აჯანყებად გარდაიქმნება, დიდ გამბედაობას იჩენს და განსაცდელს ივიწყებს. ფილოსოფიური პროტესტი შეიარაღებულ პროტესტად გადაიქცევა და მინერვა - პალადად. მოუთმენლობა რომ მოერევა უტოპიას და აჯანყებად გადაიქცევა, თვითონვე იცის, რაც მოელის, რადგან ყოველთვის მეტისმეტად ადრე მოდის და ადრე მოსული კი ემორჩილება გარემოებას და გამარჯვების ზეიმის მაგივრად, დამარცხებას სტოიკურად უხვდება და ითმენს. არას ჩივის, იმათვე ემსახურება და ამართლებს კიდეც, ვინც უარყოფს მას, უტოპიას, და იმდენად დიდსულოვანია, რომ ხანდახან სულ მარტო რჩება, ყველასგან მიტოვებული, შეუპოვარია დაბრკოლებასთან და ლმობიერი უმადურობასთან.

და განა უმადურობა კი არის მართლა?

ჰო - კაცობრიობის თვალსაზრისით და არა - ადამიანის თვალსაზრისით.

პროგრესი ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. კაცობრიობის საერთო ცხოვრებას ჰქვია პროგრესი, ნაბიჯს კაცობრიობისას ჰქვია პროგრესი. პროგრესი წინ მიდის. ეს ადამიანის მიწიერი მოგზაურობაა ღვთაებრივისა და ზეციურისკენ. ის გზად დროდადრო ჩერდება, რათა ჩამორჩენილებს მოუყაროს თავი და შესვენებისას ჭვრეტს ქანაანივით საუცხოო მიწას, რომელიც წინ უშლის თავის სივრცეებს; არის ღამეები, როცა სძინავს; და არ არსებობს მოაზროვნე ადამიანისთვის იმაზე დიდი ტანჯვა, ვიდრე შეჰყურებდეს ბნელით მოცულ კაცობრიობას, წყვდიადში ხელის ცეცებით ეძებდეს პროგრესს და მისი გამოღვიძება კი არ ძალუძდეს.

„იქნებ მოკვდა ღმერთი“, - უთხრა ერთხელ ამ სტრიქონების დამწერს ჟერარ დე ნერვალმა, რომელსაც, ალბათ, ღმერთად პროგრესი ეჩვენებოდა და პროგრესის მსვლელობის შეწყვეტა კი თვით ღვთის სიკვდილად.

ცდება, ვინც სასოწარკვეთილებას მისცემია. პროგრესი უთუოდ გამოიღვიძებს და რომ დაუფიქრდეს კაცი, შეიძლება ვთქვათ, რომ პროგრესი სვლას არ წყვეტს თუნდაც ჩასძინებოდეს, რადგან ძილის დროს გაზრდილა და რომ წამოდგება, უფრო მაღლად მოეჩვენება ყველას. ყოველთვის მშვიდობიანი როდია პროგრესი, ეს მასზე არც არის დამოკიდებული, როგორც მდინარეზე არ არის დამოკიდებული წყალდიდობა. ნუ გაუკეთებთ საგუბარს, ნუ ჩაყრით შიგ ქვებს; დაბრკოლება წყალს აქაფებს, კაცობრიობას კი აღელვებს; აქედან გამომდინარეობს არეულობა, მაგრამ არეულობის შემდეგ ცხადად მოჩანს გავლილი გზა. და მანამ დამყარდებოდეს

წესრიგი, რომელიც საზოგადო მშვიდობიანობაა, მანამ გამეფდება ერთობა და თანხმობა, პროგრესის ერთ-ერთი საფეხური რევოლუცია იქნება.

მაშ, რა არის პროგრესი?

აკი ვამბობთ, ხალხთა უწყვეტი სიცოცხლე.

და მოხდება ხოლმე ხანდახან, ინდივიდის წარმავალი სიცოცხლე წინააღმდეგობას გაუწევს კაცობრიობის მარადიულ სიცოცხლეს. ვაღიაროთ გულახდილად - თითოეულ ჩვენგანს საკუთარი კერძო ინტერესები აქვს და სულაც არ არის დანაშაული მათი დაცვა; აწმყოს ეგოიზმის კანონიერი წილი აქვს მიკუთვნებული. წარმავალ სიცოცხლეს თავისი უფლებები აქვს და სულაც არ არის ვალდებული, მომავლის გამო გაუთავებლად მიიტანოს თავი სამსხვერპლოზე.

ის თაობა, რომელსაც უფლება აქვს, დღეს იცხოვროს, ვალდებული არ არის, დღეები შეიმოკლოს იმ თაობათა, თავის თანასწორ თაობათა სასარგებლოდ, რომელთა რიგი მომავალში დადგება. „ვარ და ვარსებობ!“ - ამბობს ის ვიღაც, რომელსაც „ყველა“ ეწოდება. „ყმაწვილი ვარ და სიყვარულით მიძგერს გული; მოხუცი ვარ და მოსვენება მინდა. მამა ვარ წვრილშვილისა, ვშრომობ, წარმატებას ვიძენ, სიკეთეს ვთეს, სახლები მაქვს გასაქირავებელი, ფული მაქვს მთავრობის სალაროში შეტანილი, ბედნიერი ვარ ცოლ-შვილით. მიყვარს ყოველივე ეს, სიცოცხლე მინდა და თავი დამანებეთ, ნუ მიმღვრევთ სიმშვიდეს“, - და აქედან წარმოდგება ზოგჯერ სრული გულცივობა კაცობრიობის თავგანწირულ წინამძღვართადმი.

მაგრამ ამაშიც შევთანხმდეთ, - უტოპია არღვევს თავისი ბრწყინვალე სფეროს საზღვრებს, როცა ომს იწყებს. უტოპია, ხვალინდელი ჭეშმარიტება, საშუალებად ომს იშველიებს, გუშინდელ ტყუილს; ისე იღვწის ეს მომავალი, როგორც წარსული; წმინდა იდეაა და ძალმომრეობად იქცევა, თავის გმირობას უმატებს ძალმომრეობას და პასუხისმგებელიც თვითონ უნდა იყოს. შემთხვევის გამო ნახმარი, პრინციპის დამრღვევი ძალმომრეობა დაუსჯელად ვერ გადარჩება. აჯანყებული უტოპია ძველ სამხედრო კოდექსს იყენებს ბრძოლაში: ჯაშუშებს ხვრეტს, მოღალატეებს სჯის, ადამიანებს ანადგურებს და გამოუცნობ წყვდიადში მოისვრის. ის დამხმარედ უხმობს სიკვდილს - ამ უმძიმეს გადაცდომას. შეიძლება იფიქრო, უტოპიას თითქოს აღარ სწამს ბრწყინვალე მომავლისა, მისი ურყევი და უჭკნობი ძალისა. ის მახვილით სცემს, მაგრამ მახვილი სახიფათოა. ყველა ორპირია. ვინც ერთით განგმირავს, მეორით თვითონვე განგმირულია.

აი, დაურიდებლად გადავუშალეთ უტოპიას თავისი ცოდვა და მაინც შეუძლებლად მიგვაჩნია, თაყვანი არა ვცეთ მის მქადაგებელთ, მომავლის სახელოვან მებრძოლთ, უტოპიის თავგანწირულ ქურუმებს, გამარჯვებულნი იქნებიან ისინი თუ დამარცხებულნი. თუნდაც სულაც ვერაფერს გახდნენ, მაინც თაყვანსაცემი არიან, რადგან ამ ამაო თავგანწირვაში უფრო ჩანს მათი დიდებულება. გამარჯვება, თუკი ის პროგრესს უწყობს ხელს, საერთო-სახალხო ტაშისცემას იმსახურებს, მაგრამ გმირულმა დამარცხებამ თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს. გამარჯვება ბრწყინვალეა, დამარცხება - დიდებული. ჩვენ წარმატებას მარტვილობას ვამჯობინებთ, ჩვენთვის ჯონ ბრაუნი ვაშინგტონზე მაღლა დგას, პიზაკანე კი გარიბალდიზე.

ხომ უნდა იყოს ვინმე დამარცხებულების მომხრე?!

ჩვენ უსამართლოდ განვსჯით დამარცხებულთ, რომლებიც სულ იმას ცდილობენ, იდეალური მომავალი მოგვიახლოონ.

ბრალს სდებენ რევოლუციონერებს, ქვეყანას აშფოთებთო. ბოროტმოქმედებად მიაჩნიათ ყოველი ბარიკადი, უწუნებენ რევოლუციურ თეორიებს, ეჭვის თვალით უყურებენ რევოლუციის მიზანს, მის უანგარობას. სულ იმას საყვედურობენ, გამეფებული საზოგადოებრივ წესწყობილებას უჯანყებენ ურიცხვ გაჭირვებას, ბოროტებას, უთანასწორობას, ჩაგვრას, სასოწარკვეთილებას და საზოგადოების ძირისძირიდან, ღრმა წყვდიადიდან იკრებთ ძალას, რომ იმით იბრძოლოთ; ჯოჯოხეთის ქვაფენილიდან მოგაქვთ ქვებიო, - და ისინიც კარგს იზამენ, რომ უპასუხონ, - ამიტომ არის სწორედ ჩვენი ბარიკადი კეთილი განზრახვით აგებულიო.

თქმა არ უნდა, უკეთესია საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა. საერთოდ, იქამდე მივიდა საქმე, რომ რიყის ქვას რომ ხედავენ, მაშინვე დათვი აგონდებათ და სწორედ ეს არის, რომ აშინებს საზოგადოებას. მაგრამ რატომ არ აგონდება საზოგადოებას, რომ იგი თვით არის თავისი თავის მხსნელი? ამიტომ პირდაპირ საზოგადოებას მივმართავთ ამ ჩვენი სიტყვით: არავითარი იძულებითი საშუალება არ არის საჭირო; ყოველი სენი გულდამშვიდებითა და ერთმანეთის დახმარებით უნდა შევისწავლოთ, გამოვიკვლიოთ და მერე განვკურნოთ. აი, რას მოვუწოდებთ საზოგადოებას.

როგორც უნდა იყოს, ყველა, ვისაც საფრანგეთისკენ მიუპყრია თვალი და იდეალის უდრეკ ლოგიკაზე დაყრდნობით მსოფლიოს ყველა კუთხეში იბრძვის დიადი საქმის გამარჯვებისთვის, დიდებით არის მოსილი, თუნდაც დამარცხებული, განსაკუთრებით დამარცხებული; პროგრესს წმინდა მსხვერპლად სწირავენ სიცოცხლეს, სარწმუნოებრივი აღტაცებით ემსახურებიან და დანიშნულ დროს, ისევე გულწმინდად, როგორც მსახიობი გადის სცენაზე, ღვთიურ განგებულებას ემორჩილებიან და სამარეში ჩადიან; და იმიტომაც ეწევიან ამ უიმედო ბრძოლასაც, სიცოცხლეს სტოიკურად იმიტომაც სწირავენ, რომ კაცობრიობას 1789 წლის 14 ივლისს დაწყებული ხალხის მოძრაობის უმაღლეს ბრწყინვალე შედეგამდე მიაღწევინონ. რევოლუციის მებრძოლნი ქურუმები არიან. საფრანგეთის რევოლუცია ღვთის განგებულებაა.

თუმცა, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება და აუცილებელია დავამატოთ სხვას, წინა თავებში მოყვანილს: არის შეიარაღებული აჯანყებანი, რომელსაც მხარს უჭერს ხალხი და მას რევოლუციას უწოდებენ; და არის უარყოფილი აჯანყებანი - და მათ ამბოხებას ეძახიან. აფეთქებული აჯანყება იდეაა, რომელიც პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. თუ ხალხმა მას შავი კენჭი მისცა, ესე იგი, იდეა უნაყოფოა, აჯანყება მარცხისთვის არის განწირული.

ყოველთვის არ ემორჩილება ხალხი უტოპიის სურვილს, იარაღით ხელში ჩაერიოს ბრძოლაში. ყოველთვის არ არის მზად ერი გმირობისა და თავგანწირვისთვის.

ხალხი წინდახედულია. აჯანყება მას a priori ხელს არ აძლევს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას ხშირად კატასტროფა მოსდევს, მეორეც იმიტომ, რომ ამოსავალ წერტილად მუდამ განყენებული თეორია აქვს.

სწორედ ის არის მშვენიერი, რომ იდეალისათვის, მხოლოდ და მხოლოდ იდეალისთვის წირავენ თავს, თუკი აქვთ თავგანწირვის უნარი. აჯანყება ენთუზიაზმია და ენთუზიაზმიც შეიძლება აღშფოთდეს და ამას მოჰყვება იარაღის ტრიალი; მაგრამ ყოველ აჯანყებას, რომელიც იარაღით ებრძვის მთავრობას, ან რომელიმე წესწყობილებას, ამ უახლოესის გარდა შორეული მიზანიც აქვს. მაგალითად, 1832

წელს, - ამას დაუინებით ვამბობთ, - აჯანყების მოთავენი და მეტადრე შანვრერის ბარიკადის ჭაბუკი ენთუზიასტები მეფე ლუი-ფილიპს კი არ ებრძოდნენ, უმრავლესობა ამ მონარქიისა და რევოლუციის მომხრე მეფის სასიკეთო თვისებებს აღიარებდა, არავის სძულდა ლუი-ფილიპი. ისინი ებრძოდნენ არა ლუი-ფილიპს, არამედ „ნებითა ღვთისათა“ სამეფო გვარის უმცროს შტოს, როგორც ებრძოდნენ და დაამხეს კიდეც შარლ X, სამეფო გვარის უფროსი შტოს წარმომადგენელი. საფრანგეთში მეფობის მოსასპობად რომ იბრძოდნენ, - ეს უკვე ვთქვით, - იბრძოდნენ იმისთვის, რომ მოესპოთ დედამიწაზე ადამიანისაგან ადამიანის დამონება და უფლებაზე პრივილეგია; პარიზს მეფე აღარ ეყოლებოდა და დედამიწას დესპოტები. ასე მსჯელობდნენ იმ დროის მოღვაწენი. ეჭვი არ არის, მეტად შორეული იყო მათი მიზანი, შეიძლება ბუნდოვანიც, მაგრამ დიადი.

ეს ასეა, თავს გაწირავს კაცი თავისი ოცნებისთვის. თავგანწირულთათვის ეს ოცნება თითქმის ყოველთვის ილუზიაა, მაგრამ ილუზიას თან ერთვის რწმენა ადამიანისადმი. აჯანყებული აჯანყებას აპოეტურებს და ოქროთი ფერავს. თავისი მიზნით აღტაცებულნი, თავდავიწყებით ებმებიან ამ ტრაგიკულ მოძრაობაში. ვინ იცის, იქნებ კიდეც გაიმარჯვონ. მაგრამ ცოტანი არიან. მთელი ლაშქარი გამოდის მათ წინააღმდეგ, მაგრამ ისინი უფლებას იცავენ. ბუნებრივ კანონს, ყოველი ადამიანის თავისუფლებას, მართლმსაჯულებას, სიმართლეს და თუ საჭიროება მოითხოვს, დაიხოცებიან, როგორც სამასი სპარტელი, დონ კიხოტის ნაცვლად მათ ლეონიდა უდგათ თვალწინ. წინ მიდიან; და რაკი მიდიან, უკან დახევა აღარ იციან, ერთადერთი იმედი აქვთ - გამარჯვებით დასრულებული რევოლუცია, თავისუფლადმავალი პროგრესი, ადამიანის განათლება, კაცობრიობის თავისუფლება, უარეს შემთხვევაში კი, თერმოპილე.

პროგრესისათვის ასეთი ბრძოლა ხშირად მარცხით მთავრდება და ჩვენ უკვე განვმარტეთ, რატომ. პალადინისთვის ძნელია ურჩი ბრბოს აყოლიება. მძიმეწონიანი, აურაცხელი, სწორედ თავისი მოუქნელობის გამო არასაიმედო ბრბო რისკს უფრთხის, იდეალის განხორციელება კი ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ აქ ჩართულია კერძო ინტერესებიც, რომლებიც ცუდად ეთანხმება იდეალებსა და გრძნობებს. ხშირად კუჭი აჩუმებს გულს. დიდება და მშვენება საფრანგეთისა ის არის, რომ ჩვენი სამშობლო უფრო ნაკლებად ემორჩილება კუჭს, ვიდრე სხვა ქვეყნები; ძალიან ადვილად შემოიჭერს ხოლმე მუცელზე თოკს და ძალიან მაგრადაც. საფრანგეთია, რომ ყველაზე ადრე იღვიძებს და ყველაზე გვიან იძინებს. საფრანგეთი მიუძღვის წინ კაცობრიობას. იგი ჭეშმარიტების მაძიებელია. ეს იმიტომ, რომ საფრანგეთი ხელოვანია.

იდეალი უმაღლესი წერტილია ლოგიკისა, ისევე როგორც მშვენიერება უმაღლესი მწვერვალია ჭეშმარიტებისა.

ხელოვანი ხალხი თანამიმდევრულია, ვისაც მშვენიერება უყვარს, მას სინათლე სწყურია. ამიტომაა, რომ ევროპის ჩირაღდანი, ესე იგი, ცივილიზაციის ჩირაღდანი, ჯერ ეჭირა საბერძნეთს, რომელმაც იტალიას გადასცა, ხოლო იტალიამ საფრანგეთს უძღვნა. ღვთაებრივი ნათელმოსილი ხალხი! Vიტაი ლამპადა ტრადუნტ.

კარგი ის არის, რომ რომელიმე ხალხის პოეზია ერთი ფუძეთაგანია მისი პროგრესისა. ცივილიზაციის ოდენობა მისი წარმოსახვის ოდენობით გაიზომება. ოღონდ, თუ განათლების გამავრცელებელი ხალხია, ვაუკაცობასაც უნდა

ინარჩუნებდეს. კორინთი ასეთი იყო, სიბარისი კი არა. ძალიან გასათუთებას გადაგვარება მოსდევს. არც დილეტანტობა ვარგა, არც ვირტუოზობა, შემოქმედი უნდა იყო. სინატიფეს კი არა, სრულყოფილებას უნდა ესწრაფოდე. მხოლოდ ამ პირობით მიუძღვნი კაცობრიობას სანიმუშო იდეალს.

ჩვენს თანამედროვე იდეალს ხელოვნებაში თავისი ტიპი ჰყავს და მეცნიერებაში კი თავისი საშუალებები აქვს. მეცნიერების საშუალებით ხორცი ესხმება პოეტების მაღალ ოცნებას, საზოგადოებრივი წყობილების მშვენიერებას. ედემს A+B-ს საშუალებით გადააკეთებენ. დღეს იმ წერტილამდე მიაღწია ცივილიზაციამ, რომ სისუსტე გახდა სიდიადის უსაჭიროესი შემადგენელი და მეცნიერება არა მარტო ემსახურება არტისტულ გრძნობას, არამედ ავსებს კიდეც. ოცნებამაც უნდა იცოდეს ანგარიში. ხელოვნებას, როგორც დამპყრობს, საყრდენ წერტილად უნდა ჰქონდეს მეცნიერება, მოძრავი ძალა. უმთავრესია, ამ ნაგებობას სიმაგრე ჰქონდეს. ჩვენს თანამედროვე შემეცნებას შეადგენს საბერძნეთის გენია, რომელმაც თავის ეტლად ინდოეთის გენია გაიხადა, - სპილოზე ამხედრებული ალექსანდრე მაკედონელი.

რაიმე დოგმატში გაქვავებული ხალხი ან ფუფუნებით გაზულუქებული და მოდონდლოებული, ცივილიზაციას ვერ გაუძღვება. კერპის წინაშე მუხლის მოყრა ან ფულის გაღმერთება აჭკნობს და კლავს ფეხის ძალასაც და წინსვლის წადილსაც. ფარისევლური ან მეწვრილმანური გატაცება ამდაბლებს ხალხის სულიერების დონეს, მის ჰორიზონტს, ხელიდან აცლის კაცობრიობის მიზნის ღვთიურსა და ადამიანურ შეგნებას, რომელიც წინასწარმეტყველად გადააქცევს ზოგ ხალხს. ბაბილონს არ ჰქონდა იდეალი, კართაგენს არ ჰქონდა იდეალი. ათენსა და რომს ჰქონდათ იდეალი და საუკუნეთა წყვდიადში გამოატარეს ცივილიზაციის შარავანდედი.

საფრანგეთიც იმავე თვისების მატარებელია, როგორც საბერძნეთი და იტალია. საფრანგეთი ათენელია მშვენიერებით, რომაელი - თავისი სიდიადით და გარდა ამისა, გულკეთილია, გულუხვად აფრქვევს, რაც აქვს. საფრანგეთი უფრო ხშირად არის მსხვერპლის გამღები და თავგანწირული, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი. ოღონდ ხან მოიცავს მას ეს სულიერი განწყობილება, ხან მიატოვებს. დიდი განსაცდელია ეს გარემოება იმ ხალხისათვის, რომელიც გარბის, როდესაც საფრანგეთს მხოლოდ ნელი სიარული ნებავს, ან მათთვის, ვინც ფრთხილად მიდის და საფრანგეთს კი გაჩერება ნებავს. საფრანგეთს ხანდახან მოერევა ხოლმე მატერიალიზმი და იმნაირი იდეები ეფარება მის ბრწყინვალე აზროვნებას, რომ მთლად მალავენ მის სიდიადეს, როგორც მისურისა და სამხრეთ კაროლინის ადიდება. რას იზამთ? ბუმბერაზი ქონდრისკაცს თამაშობს. დიად საფრანგეთს ჟინი მოუვლის ხოლმე პატარაობისა. აი, განმარტება.

ამაზე ვერაფერს ვიტყვით. ხალხსაც, როგორც ცის მნათობს, დაბნელების უფლება აქვს. ეს არაფერი, ოღონდ ისევ განათდეს და მნათობის დაბნელება ღამედ არ გადაიქცეს. განთიადი და მკვდრეთით აღდგომა სინონიმები არიან. ხელახლა გამოჩენა სინათლისა იგივეა, რაც სიცოცხლის გაგრძელება.

მშვიდად განვიხილოთ აჯანყებულთა საქციელი: ბარიკადზე მოკვდება თუ უცხოეთში პოვებს საფლავს განდევნილი, შემთხვევაზეა დამოკიდებული. თავდადებულის ნამდვილი სახელი უანგარობაა. რა გაეწყობა? დარჩეს ასე ხალხისგან მიტოვებული. დარჩეს განდევნილი. ჩვენ მარტო ძლიერ ხალხებს

მივმართავთ. მეტისმეტად ნუ დაიხევენ უკან. არ ვარგა, იძახონ, გონებაზე მოვედითო და ძირს დაეშვან იდეალისკენ მიმავალი.

უდავოდ, არსებობს მატერია და სასიცოცხლო საჭიროებანი, კერძო ინტერესებიცა და კუჭიც, მაგრამ დაუშვებელია, რომ კუჭის მოთხოვნები ერთადერთ კანონად იქცეს. წარმავალ ცხოვრებას აქცს უფლებები, მათ ვაღიარებთ, მაგრამ მარადიულ სიცოცხლესაც აქვს თავისი უფლებები. შეიძლება მწვერვალზე ახვიდე, მაგრამ უეცრადვე ჩამოვარდე. სამწუხაროდ, ისტორიაში მრავლად ვხედავთ ასეთ მაგალითს.

ვხედავთ უფრო ხშირად, ვიდრე ჩვენ გვინდა. იდეალს მიახლოებული დიდი, სახელგანთქმული ერი უეცრად ამ სიბინძურეში ქექვას იწყებს და ეს გაუტკბება კიდეც; თუკი ჰკითხავენ, რა მიზეზით შეაქციე ზურგი სოკრატეს და ფალსტაფი ამჯობინეო, გიპასუხებთ, იმიტომ, რომ სახელმწიფო მოღვაწენი მიყვარსო.

ერთი სიტყვა კიდევ, ვიდრე ბრძოლას დავუბრუნდებით.

ეს ბრძოლა, რომელსაც ჩვენ მოგითხრობთ ამწამს, კონვულსიური აღმაფრენაა იდეალისკენ. პროგრესს რომ დაბრკოლება აღუდგება წინ, დასნეულდება და მაშინ დაეუფლება ხოლმე ეს ტრაგიკული სულისკვეთება. პროგრესის სენი - სამოქალაქო ომი ჩვენი მოთხრობის მიმდინარეობასაც შეხვდა გზაზე. საშინელია ეს ბრძოლა, საბედისწერო შემთხვევა, მოქმედება და ერთსა და იმავე დროს ანტრაქტი დრამისა, რომლის მოქმედი პირი საზოგადოების მიერ განკიცხულია და რომლის ნამდვილი სახელი „პროგრესია“.

პროგრესი!

ამას გავიძახით ყოველთვის. ეს არის ჩვენი მისწრაფება. ამ დრამის იდეას ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი მოელის და იქნებ ნება მოგვცენ, თუ სულ მთლად არა, ოდნავ მაინც ავწიოთ ფარდა, რომ დავინახოთ მისი სინათლე.

ეს წიგნი, რომელიც თვალწინ უდევს ამწამს მკითხველს, თავიდან ბოლომდე და ყოველგვარ წვრილმანში, რაც უნდა ხარვეზი იყოს შიგ, გამონაკლისი ან შეცდომა, მისწრაფებაა ავის კარგისკენ, უსამართლობისა სამართლიანობისკენ, ყალბისა ჭეშმარიტებისკენ, ღამისა დღისკენ, მადისა სინდისისკენ, ხრწნისა სიცოცხლისკენ, მხეცობისა მოვალეობისკენ, ჯოჯოხეთისა ზეცისკენ და არარაობისა ღვთისკენ. ამოსავალი წერტილი, საიდანაც იწყება ეს მისწრაფება, მატერიაა; წერტილი, სადაც გაჩერდება ეს მისწრაფება, სული. გველეშაპი დასაწყისში და ანგელოზი დასასრულში.

## თავი ოცდამეერთე
## გმირები

უცბად იერიშის მაუწყებელი ნაღარა გაისმა.

იერიში ნამდვილი გრიგალი იყო. წინაღამეს, იმ სიბნელეში, ბარიკადს მდუმარედ ეპარებოდა ჯარი, თითქოს გველი ყოფილიყოს. ამ დილას კი მზის სინათლეზე ყოვლად შეუძლებელი იყო მიპარვა; საბურავი ჩამოიხადა ჯარმა. ზარბაზანიც კარგად მოჩანდა და ჯარის სიმრავლეც. ზარბაზანმა სროლა დაიწყო. ჯარი ბარიკადს მიესია. გაცოფებას განედევნა სიფრთხილე და მოხერხება. ქვეითი ჯარის რაზმი მირბოდა ბარიკადისკენ, მას გვარდიელები მოსდევდნენ, უკან კიდევ ულევი ლაშქარი იდგა მათ გასამაგრებლად და სირბილით, ფეხის ტლანქი ბრახუნით, ნაღარის ცემით, საყვირის ძახილით, ხიშტის თამაშით მოისწრაფოდა, თითქოს მართლა მტერი შემოსეოდა და

განსაცდელს უქადდა სამშობლოს. წინ მესანგრეები მოუძღოდნენ. აღარ დაერიდა ჯარი ბარიკადიდან მომავალ ტყვიებს და პირდაპირ მიადგა ბარიკადის ქვაყრილ კედელს. ძველებური კედლის სამტვრევი რკინის ბოძივით დაჰკრა ბარიკადს, მაგრამ ისიც მაგრად დაუხვდა.

აჯანყებულებიც შეუწყვეტლივ ისროდნენ. ბარიკადზე ჯარი ძვრებოდა, მაგრამ ცეცხლისმფრქვეველი ფაფარი გამხდარიყო. იმდენად მძლავრად დაეტაკა ჯარი, რომ წამით ზედ ბარიკადზე გაჩნდნენ ჯარისკაცები, მაგრამ კისერი მოიქნია ლომმა და ძაღლებივით ძირს ჩაყარა თავისი მტრები, კლდე იყო ზღვიდან ამოვარდნილი და რომ გადაუვლიდა ზვირთი, წამით დამალავდა წყალქვეშ, მაგრამ ისიც მაშინვე ამოიწევდა და ისევ მედიდურად იდგა ამართული, პირქუში და საშიში.

უკან დაიხია ჯარმა და იძულებული გახდა, იქვე შეჯგუფებულიყო, ქუჩაში, დაუფარავად. ბარიკადი ესროდა და ჯარმაც საშინელი სროლა აუტეხა. ვის არ უნახავს ქალაქის ხელოვნურად გაჩირაღდნება? უთუოდ ძნასავით შეკრული ელვა ეგონება, თაიგულს რომ ეძახიან. ეს მეხივით დამცემი ელვის თაიგული წარმოიდგინოს მკითხველმა, ოღონდ ზეცისკენ მიმავალი კი არა, მიწისპირ თარაზულად ნასროლი ურჩის დასამორჩილებლად.

ერთი და იგივე გადაწყვეტილება მიეღო ორივე მხარეს, თითქმის ბარბაროსული გამხდარიყო ვაჟკაცობა. იგი მძაფრდებოდა ერთგვარი გმირული მძვინვარებით, რომელიც თავგანწირვით იწყებოდა და იმითვე უნდა გათავებულიყო. ჯარს დასრულება ნებავდა, ბარიკადს - ბრძოლა; სიცოცხლით სავსე ჭაბუკი რომ თანახმაა მოკვდეს, მძვინვარებად გარდაიქმნება მისი ძალა. დიდებული მძვინვარებით იბრძოდა ამ შეტევის ყოველი მონაწილე. ქუჩა მკვდრებით იყო მოფენილი.

ბარიკადის ერთ ნაპირზე ანჟოლრასი იდგა, მეორეზე - მარიუსი. ანჟოლრასს თვალწინ ედგა ბარიკადის ყოველი წვრილმანი. ცდილობდა, ამოჰფარებოდა რამეს, დიდხანს გაეძლოთ მასაც და ბარიკადსაც. სამი ჯარისკაცი მოკლა თოფით და ისე ესროლა, რომ ვერც კი დაინახეს, ვინ იყო მსროლელი. მარიუსი კი არაფერს ეფარებოდა, ჯარის თოფების მიზნად გამხდარიყო; ბარიკადის ქვაყრილის ზევით იდგა და კარგად უჩანდა თავი და მკერდი. არავინ არის ისეთი ხელგაშლილი, როგორიც ძუნწი, როცა ქეიფს გადაწყვეტს. ამგვარადვე საშინელია ბრძოლაში მეოცნებე. ასეთი იყო მარიუსი. ისე იბრძოდა, თითქოს სიზმარში იყო. იტყოდით, თოფს აჩრდილი ისვრისო.

ტყვიების მარაგი ელეოდათ ბარიკადელებს, მაგრამ სარკაზმისა კი არა. ცალი ფეხით საფლავში მდგარნი, ხარხარებდნენ.

თავშიშველი იყო კურფეირაკი.

- რა უყავი ქუდი? - ჰკითხა ბოსუემ.

გაეცინა კურფეირაკს:

- ქუდი მაინც მომახდევინა ზარბაზნების ტყვიამ.

თან კიდევ ადამიანის ლაჩრობას უჩიოდნენ:

- ვინ წარმოიდგენდა, - იძახდა სიმწრით ფეიი, - რომ ის... (და ცნობილ გვარებს ასახელებდა, სახელოვან გვარებს, ზოგს ძველი არმიიდან). ვინ წარმოიდგენდა, რომ იმდენი დაპირების შემდეგ, ფიცის შემდეგ, პატიოსანი სიტყვით აღთქმული დახმარების შემდეგ, ასე გვიმტყუნებდნენ და გვიღალატებდნენ? მერე ვინ არიან ჩვენი მოღალატენი? ვინა და, ჩვენი უფროსები და ჩვენი გენერლები.

კომბეფერმა დარბაისლური ღიმილით მხოლოდ ეს უპასუხა:

- ზოგიერთი ისევე შორიდან უცქერს კეთილშობილების წესებს, როგორც ასტრონომები შორეულ ზეციურ მნათობს.

ისე იყო ბარიკადის ეზო დამსკდარი ჰილზებით მოფენილი, თითქოს თოვლი მოსულიყოს.

ჯარს რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა, აჯანყებულებს - პოზიციური. კედლის თავზე იდგნენ, კედელს ამოფარებულნი და ზემოდან ესროდნენ კედლის ძირში მკვდრებსა და დაჭრილებში შეჯგუფებულ ჯარს. კარგად იყო აშენებული ბარიკადი და იმ სიმაგრეს წარმოადგენდა, რომელშიც ერთი მუჭა მაგარი ბიჭი ებრძვის და არ ნებდება მთელ ლეგიონს. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჯარს ერთის მაგივრად ასი ემატებოდა, ნელ-ნელა უფრო აწვებოდა ბარიკადს და მუხრუჭს უჭერდა.

აღარ ისვენებდა ჯარი.

მაშინ ატყდა ამ ქვაფენილაშლილ შანვრერის ქუჩაზე ის საშინელი ბრძოლა, რომელიც ღირსია მოხსენიებულ იქნეს ტროის ბრძოლასთან ერთად. ბუმბერაზებად გადაიქცნენ ეს კაცები, დაქანცულები, მთელი დღე-ღამის მშიერნი, უძილონი, რომელთაც რამდენიმე ტყვიაღა დარჩენოდათ თოფებში და ჯიბეებს ისინჯავდნენ, იქნება ვაზნა დაგვრჩა სადმეო; თითქმის ყველანი დაჭრილიყვნენ. თავი ან ხელი შეხვეული ჰქონდათ ჭუჭყიანი, დასისხლიანებული ჩვრებით; დახვრეტილი ჰქონდათ ტანისამოსი და იქიდან სისხლი სდიოდათ; ძველი, უვარგისი თოფი ჰქონდათ, ბლაგვი ხმალი და მიუხედავად ამისა, გმირულად იბრძოდნენ. ათჯერ დაეტაკა იმხელა ჯარი ბარიკადს, ქვაყრილზე აძვრნენ ჯარისკაცები და მაინც შიგ ვერ შევიდნენ.

ამ ბრძოლის ზუსტად დასახატავად კარგი იქნება, წარმოვიდგინოთ დიდ, აბობოქრებულ ხანძარში ჩარჩენილი გმირი ვაუკაცების ჯგუფი. აქაც ისე იყო: გავარვარებულ საკირეში ჩარჩენილიყვნენ და მედგრად იბრძოდნენ, ცეცხლს აფრქვევდნენ; გააფთრებული გამომეტყველება ჰქონდა ყველას; გარეგნობაც აღარ შერჩენოდათ ადამიანური. ალში ტრიალებდნენ გაცოფებულნი და საზარელი სანახავი იყო ამ ცეცხლში და მზით გაშუქებულ თოფისწამლის კვამლში განწირულთა მედგარი ბრძოლა. ჩვენ ვერ შევძლებთ ამ საშინელი ომისა და კაცთაკვლის სცენის თანამიმდევრობით დახატვას. მარტო ეპოპეას აქვს უფლება, თორმეტი ათასი ლექსით გამოსახოს ერთი ბრძოლა.

იტყოდით, ბრაჰმანიზმის ჯოჯოხეთიაო ეს ბარიკადი, ჩვიდმეტ უფსკრულთაგან ყველაზე საშინელი, რომელსაც „ხმალთა ტყეს“ უწოდებს ვედა.

ბოლოს ხელჩართული ბრძოლა ატყდა, მუშტით, ფეხით, დამბაჩისა და თოფის კონდახით სცემდნენ ერთმანეთს: ახლოდან, შორიდან, ყოველი მხრიდან, სახლის სახურავიდან, სამიკიტნოს ფანჯრებიდან, სარდაფის სარკმლიდან, სადაც ჩამძვრალიყო რამდენიმე ბარიკადელი. აჯანყებულები თითო კაცი იყო სამოცის წინააღმდეგ. საზარელი სანახავი იყო „კორინთის“ ფასადი, უკვე ნახევრად დანგრეული; ფანჯრები ჩანგრეული ჰქონდა, აღარც შუშა შერჩენოდა, აღარც ჩარჩო და ორმოებადღა მოჩანდნენ კედელში.

მოკლეს ბოსუე; მოკლეს ფეიი, მოკლეს კურფეირაკი; მოკლეს ჟოლი; კომბეფერს სამჯერ ჩასცა ჯარისკაცმა გულში ხიშტი სწორედ იმ დროს, როდესაც დაჭრილ ჯარისკაცს შველოდა, რომ ამდგარიყო, და ისე უცბად გამოეთხოვა წუთისოფელს, მხოლოდ ზეცის დანახვა მოასწრო.

მარიუსი ისევ იბრძოდა; მრავალი ჭრილობა მიეღო, მეტადრე თავში, და მთლად სისხლით იყო მოსვრილი, თითქოს წითელი საბურავი მოუხვევია თავზეო.

მარტო ანჟოლრასი იყო ჯერ უვნებელი. იარაღი რომ შემოაკლდებოდა, ხელს გაიშვერდა მარჯვნივ ან მარცხნივ და ამხანაგები აწვდიდნენ თოფს ან დამბაჩას. ოთხი ხმლისა ერთი ნატეხიღა შერჩენოდა, ერთით მეტი, ვიდრე ფრანსუა I-ს მარინიანოში.

ჰომეროსი ამბობს: „დიომედი ახრჩობს აქსილეს, ტევრასის შვილს, რომელიც ბედნიერ არისბეში ცხოვრობდა; ევრიალე, მექისტეს შვილი, კლავს დარეექოსს, ოფელტიოსს, ესეპეს და პედასთეს, რომელიც აბარბარეს ეყოლა უმწიკვლო ბუკოლიონისაგან; ოდისევსმა დასცა იპიდიტ პერკოსელი, ანტილოქემ - აბლერი, პოლიპეტემ - ასტილე, პოლიდამსმა - კოლენეელი ოტოსი, ტევკერმა - არეთაონი. მეგანთიოსი კვდება ევრიპილეს შუბით განგმირული; აგამემნონი, მეფე გმირებისა, ამარცხებს ელატოსს, დაბადებულს იმ ციცაბოვან ქალაქში, რომელსაც ამშვენებს ტკბილხმოვანი მდინარე საფნოსი“.

ჩვენს ძველებურ გმირულ პოემებში რაინდი ესპლანდიანი რკინის ორთითით ეკვეთა ბუმბერაზ მარკიზ სვანტიბორს, რომელიც თავს იცავს ამოგლეჯილი კოშკებით. ჩვენს ძველ ფრესკებზე ბრეტანისა და ბურბონის ჰერცოგებია თავიანთი გერბებით; ცხენზე ზის ორივე, შუბნაჯახით, რკინის ნიღბით, რკინის ფეხსაცმლით, რკინის თათმანით, ერთის ცხენს ყარყუმი მოსავს, მეორისას კი ცისფერი ქსოვილი; ბრეტონელს ლომი აქვს თავისი გვირგვინის ორ რქაშუა ჩაჭედილი; ბურბონს ვეებერთელა შროშანი ახატია მუზარადზე, მაგრამ ადამიანის დიდება არ საჭიროებს ჰერცოგის მუზარადს, რომელსაც არ იშორებდა ივონი, არც ესპლანდიანივით ხელის მტევანზე დახატულ ცეცხლის ალს, ან ფილესივით, პოლიდამანტის მამასავით, ეპირიდან კაცობრიობის წინაპრის, იაპეტის ნაჩუქარი საბრძოლო საჭურვლის ჩამოტანას, საკმარისია მხოლოდ თავი დადო შენი იდეებისთვისა და ფიცის ერთგულებისთვის.

აი, უბრალო, გულუბრყვილო ჯარისკაცი, გუშინ ბორელი ან ლიმუზელი გლეხი, თავისი მოკლე ხმლით ლუქსემბურგის ბაღში რომ დახეტიალებს ბავშვების მეთვალყურე გადიების ახლოს; ან ეს ფერმკრთალი სტუდენტი, თავდახრილი რომ ჩაჰყურებს წიგნს, წაიყვანეთ ორივე, ჩაჰბერეთ მოვალეობის სული, დააყენეთ ერთმანეთის პირდაპირ ბუშერის გზაჯვარედინზე ან პლანშ-მიბრეს ჩიხში ისე, რომ ერთი თავისი დროშისთვის იბრძოდეს და მეორე კი თავისი იდეალისთვის, ოღონდ წარმოიდგინონ ორივემ, რომ სამშობლოსთვის იბრძვიან, და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ატყდება; ნახავთ, რომ უბრალო ჯარისკაცისა და ჭაბუკის ჩრდილი იმ მოედანზე, სადაც კაცობრიობა იბრძვის, იმ სიდიდისა იქნება, როგორიც იყო ვეფხვების სამშობლო ლიკიის მეფე მეგარიონის აჩრდილი, რომელიც თავისი ხელით ახრჩობდა ღმერთების თანასწორ ბუმბერაზ აიაქსს.

## თავი ოცდამეორე
## ფეხდაფეხ

ერთ მხარეს ანჟოლრასი იდგა, მეორეს - მარიუსი; ბარიკადის შუაში კურფეირაკი, უფროსობდნენ ჟოლი, ბოსუე, ფეიი და კომბეფერი. ესენი რომ დაიხოცნენ, გაუჭირდათ. ზარბაზანს ბარიკადი ვერ შეერღვია, რომ შიგ შევარდნილიყო ჯარი,

მაგრამ მაგრად დაეზიანებინა ქვაყრილის შუა ნაწილი; აქ კედელმა ძირს დაიწია, ქვაყრილი ზოგი გარეთ გადავარდა, ზოგი თვით ბარიკადის ეზოში და ისე დახვავდა ორივე მხარეს, რომ კიბესავით მიეკრა კედელს.

უკვე გზა გაეხსნა ჯარს, რომელმაც ისარგებლა კიდეც ამით, მთელი ძალით დაეტაკა ბარიკადს და შიგ შეევარდა. ამართული ხიშტებით ფაფარაყრილი მორბოდა ჯარი, ავარდა ბარიკადზე. თოფისწამლის კვამლში ჩაიმალა წინა ნაწილი. ახლა კი წასული იყო აჯანყებულების საქმე. ბარიკადის შუა ნაწილის არეულმა მცველმა ჯგუფმა უკან დაიხია.

და მაშინ აღიგზნო ზოგში სიცოცხლის მძლავრი სიყვარული. ხიშტების მეტს ვეღარაფერს ხედავდნენ და სიკვდილის აცდენას ცდილობდნენ. ეს არის ის წუთი ადამიანის სიცოცხლისა, როდესაც თავდაცვის ინსტინქტი იმარჯვებს და ადამიანში მხეცი იღვიძებს. ბარიკადის უკანა მხარეს მაღალ, შვიდსართულიან სახლს მისცვივდნენ; თუ უშველიდათ რამეს, ეს სახლი უშველიდათ; მაგრამ ეს სახლიც გაემაგრებინათ მცხოვრებთ და ღია ფანჯარა არსად იყო ზემოდან ქუჩის პირამდე. ამ სახლის კარი რომ გაეღოთ სულ ერთი წამით, აჯანყებულები შიგ შეცვივდებოდნენ. სახლის ეზოთი მეორე ქუჩაში გავიდოდნენ და იქნებ გადარჩენილიყვნენ კიდეც. აკაკუნებდნენ კარზე მუშტით, ფეხით, კონდახით, იძახდნენ, ყვიროდნენ, ვიღაცას ევედრებოდნენ, ხელებს იმტვრევდნენ, კარი არავინ გაუღო. მეოთხე სართულის სარკმლიდან მათ მხოლოდ მკვდარი თავი დასჩერებოდა.

კიდევ კარგი, შეშინებულთ ანჟოლრასი, მარიუსი და მასთან ერთად შვიდი-რვა კაცი დაეხმარნენ. ანჟოლრასმა მრისხანედ შესძახა ჯარისკაცებს: „შეჩერდით!“ - ერთმა ოფიცერმა არ დაიჯერა ეს გაფრთხილება და იქვე დაეცა ანჟოლრასის ტყვიით განგმირული. ბარიკადის პატარა ეზოში, „კორინთის“ კედელზე მიყრდნობილი იდგა ანჟოლრასი. ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში - თოფი. სამიკიტნოს კარი გაეღო, ხელით ეჭირა და ცდილობდა, შიგ არ შეეშვა ჯარისკაცები.

- აქეთ წამოდით! - დაუყვირა ამხანაგებს, - კარი ღიაა! - წინ დაუდგა ჯარს, თვითონ ებრძოდა, ვინც წინ წაიწევდა და მოახერხა, თავისი ამხანაგები, ყველანი, სამიკიტნოში შეიყვანა. თვითონაც შეჰყვა მათ, შეჰყვა და ახლა კარს მიაწვა ჯარი. საშინელება დატრიალდა კართან. ჯარისკაცები „კორინთში“ შესვლას ცდილობდნენ, აჯანყებულები კარის დაკეტვას. ბოლოს, როგორც იყო, დაკეტეს კარი და ისე მძლავრად მოაჯახუნეს, რომ ერთ ჯარისკაცს, რომელიც ჩარჩოს ჩასჭიდებოდა, ხუთივე თითი ჩაჭრა. თითები იქვე დარჩა ჩამოკიდებული. მარიუსი გარეთ იყო, თოფის ტყვიამ ლავიწი ჩაუმტვრია. დაბარბაცდა, გრძნობდა, გული მისდიოდა და ფეხზე ვეღარ იდგა. თვალი დახუჭა და იგრძნო, რომ ვიღაცამ სტაცა ხელი, მაგრამ გონს კარგავდა და ისღა მოასწრო, რომ კოზეტი მოიგონა და თან ფიქრმა გაუელვა, დამატყვევეს და დამხვრეტენო.

ანჟოლრასმა მარიუსი რომ ვერ დაინახა სამიკიტნოში, სწორედ იგივე გაიფიქრა მის შესახებ, მაგრამ იმწუთას საკუთარი სიკვდილის მეტი არაფერი ანაღვლებს ადამიანს. ანჟოლრასმა მაგრად ჩაკეტა სამიკიტნოს კარი და რკინის ურდულით გაამაგრა; ამ დროს გარედან კონდახებს სცემდნენ ჯარისკაცები და ცულის ყუას კი მესანგრეები. იმ კართან მოგროვილიყო მთელი ჯარი, ახლა ჯარს „კორინთი“ ჰქონდა ასაღები.

ჯარიც ძალიან გაბრაზებული იყო, ამასაც ნუ დავივიწყებთ.

ჯერ არტილერიის სერჟანტი მოუკლეს, მერე - ეს იყო უფრო აღმაშფოთებელი, - რამდენიმე საათის წინ, ბარიკადის აღებამდე, ხმა გავრცელდა ჯარში, აჯანყებულები მკვდრებს ასახიჩრებენ და სამიკიტნოში ერთი ჯარისკაცი გდია თავმოჭრილიო. ამგვარი შემაძრწუნებელი ჭორი ყოველთვის თან სდევს სამოქალაქო ომს და სწორედ ამ ჭორისა და ცილისწამების ბრალი იყო, რომ ტრანსნონენის ქუჩის ბარიკადი დამარცხდა.

სამიკიტნოს კარი რომ კარგად გაამაგრეს, ამხანაგებს მიმართა ანჟოლრასმა:

- ვეცადოთ, ძვირად დაუჯდეთ ჩვენი სიკვდილი!

მერე იმ მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც მაბეფი და გავროში ესვენენ. შავი შალის ქვეშ ჩანდა ორი ცხედარი, ერთი დიდი, მეორე პატარა და ორი სახე ოდნავ იხაზებოდა შავი სუდარის ქვეშ. მაბეფს ცალი ხელი ჩამოვარდნოდა.

დაიხარა ანჟოლრასი და ემთხვია მის ხელს ისევე მოწიწებით, როგორც წინადღით მის შუბლს.

ეს იყო და ეს, ეს ორი კოცნა. ანჟოლრასს არასოდეს არავისთვის ეკოცნა.

მოკლედ მოვჭრათ: ბარიკადმა იბრძოლა, როგორც თებეს კარმა; „კორინთმა“ იბრძოლა, როგორც სარაგოსის ხალხმა. საზარელი იყო აჯანყებულების მდგომარეობა. არავითარი შებრალება. არავითარი შუამავალი და მოლაპარაკება. როდესაც სიუშე ამბობს: „დაგნებდით!“, პალაფოქსი უპასუხებს: „არა, ზარბაზნები ხომ დავაქუხეთ, ახლა დანებზე გადავალთ!“ უშლუს სამიკიტნოს აღებას იმავე ძალით შეუდგა ჯარი, როგორც ბარიკადისას და აჯანყებულებმაც არაფერი დააკლეს, არც ფანჯრებიდან და სახურავიდან ნასროლი ქვებით, რომლებითაც დიდ ზიანს აყენებდნენ ჯარს და მეტისმეტად აცოფებდნენ, არც სარდაფიდან და სახურავიდან თოფით გამოსროლილი ტყვიით. ცოფიანივით დაეტაკა ჯარი და არანაკლებ გაცოფებულიყო ბარიკადი. კარი რომ შეამტვრიეს და სამიკიტნოში შეცვივდნენ, ცარიელი დახვდათ დარბაზი. ერთი მებრძოლიც კი არ იყო. ზევით ასულიყვნენ, მეორე სართულზე ასასვლელი კიბე გაეჩეხათ ცულით, რომ ასვლა შეუძლებელი გამხდარიყო. რამდენიმე კაცი იყო დაჭრილი, სულთმობრძავი. ვინც კი დაჭრილი არ იყო და ბრძოლა შეეძლო, მეორე სართულზე ავარდნილიყო და კიბისთვის გაჭრილი ლიუკის პირას მოგროვილიყვნენ. ჯარი რომ შევარდა ქვემო დარბაზში, ფეხებში დაყრილი ქვა მოედო და ზემოდან კი თოფის ტყვია. უკანასკნელი იყო ეს სროლა, ტყვია-წამალი აღარ ჰქონდათ ბარიკადელებს. რაკი აღარ ჰქონდათ, ახლა ანჟოლრასის შენახული ბოთლები აიღეს ხელში და იმას სცემდნენ თავში, ვინც კი ზევით აძრომას მოახერხებდა. ბოთლებში აზოტის მჟავა იყო. ბოთლებით იბრძოდნენ და კარგა ხანსაც შეაჩერეს ჯარი ქვემო დარბაზში. გვინდა დანამდვილებით აღვწეროთ ეს საზარელი სისხლის ღვრა და ისე ვხატავთ ყველაფერს, როგორც იყო. ასეა, სასოწარკვეთილი კაცი ყველაფრით იბრძვის, ყველაფრის გამოყენებას ცდილობს. ბერძნულმა ცეცხლმა, წყალშიც რომ არ ქრება, არ შეარცხვინა არქიმედე. მდუღარე ფისმა არ შეარცხვინა ბაიარდი. სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში ყველაფერს გამოიყენებს კაცი, რასაც კი მისწვდება. ზემოდან ესროდნენ ჯარს. ქვემოდან ჯარი ისროდა, მაგრამ ერთი ესროდა მრავალს და მრავალი სჯობნიდა. დანგრეული კიბის თავზე მკვდრები ეყარა, გრგვინავდა „კორინთი“, კვამლის ბუღით იყო სავსე და ისე აბნელებდა იქაურობას, როგორც უმთვარო ღამე. სიტყვა აკლდება კაცს, რომ შესაფერად ასახოს ამ ჯოჯოხეთის საშინელება. ადამიანი კი აღარ იყო ამ ბრძოლაში,

არამედ დევგმირები ებრძოდნენ ბუმბერაზებს; ეს ბრძოლა მილტონისა და დანტეს კალმის ღირსი უფრო იყო, ვიდრე ჰომეროსისა. დემონი დასტაკებოდა აჩრდილს და ისიც იბრძოდა თავის დასაცავად.

ეს იყო გმირობა, მაგრამ შესაზარი.

## თავი ოცდამესამე
## მშიერი ორესტე და მთვრალი პილატე

ბოლოს კედლებზე აძვრნენ ჯარისკაცები, ჭერს დაეკიდნენ, რაღაც ააყუდეს, დაპობილი კიბის ბოძები გამოიყენეს, დახოცეს და გაფანტეს, თუკი იყო ვინმე მებრძოლი, და ოცამდე კაცი - ჯარისკაცები, მესანგრეები, გვარდიელები, - ზემო სართულის დარბაზში ავარდა. ერთი არ იყო მათში, დაჭრილი არ ყოფილიყო, მეტადრე თავში, სისხლი სდიოდა ყველას და მით გაშმაგებული, გამხეცებული იყვნენ ყველანი. აცვივდნენ და ერთის მეტი ფეხზე მდგომი ვერავინ ნახეს. ანჟოლრასი დახვდათ, აღარც ტყვია-წამალი ჰქონდა, აღარც ხმალი, ხელთ მხოლოდ თოფი ჰქონდა და კონდახს თავში სცემდა ზევით ამომძვრალ ჯარისკაცებს. ბილიარდის უკან იდგა, დარბაზის კუთხეში, ანთებული თვალებით, ამაყად, თოფით, და იმდენად საშიში იყო, რომ ვერავინ ბედავდა მიახლოებას.

ვიღაცის ყვირილი გაისმა:

- ეგ არის უფროსი! მაგან მოკლა არტილერისტი. რაკი მანდ არის, კარგად არის და მანდვე ბრძანდებოდეს. მანდვე დავხვრიტოთ!

- დამხვრიტეთ! - მიუგო ანჟოლრასმა.

თოფი მოისროლა, გულხელი დაიკრიფა და მკერდი მიუშვირა.

ვაუკაცურ სიკვდილს ყოველთვის პატივისცემით ეკიდება ადამიანი.

ასე გულხელდაკრეფილი, ამაყად გამოჭიმული რომ დაინახეს, უცბად შეწყდა გამაყრუებელი ბრძოლის გრგვინვა, მიყუჩდა და სამარისებური დუმილი გამეფდა დარბაზში. ისე მიჩუმდა ყველაფერი, თითქოს უიარაღო, უშიშარი მედიდურება დააწვა და ჩააქროო ის ღრიანცელი. თავისი დამშვიდებული სახითა და ანთებული თვალებით დაიმორჩილა ყველა ამ მშვენიერმა, მომხიბლავმა, სიკვდილის წინ გულმაგარმა ჭაბუკმა, - იმხელა ჯარი აიძულა, პატივისცემით მოპყრობოდნენ თავიანთ მსხვერპლს. ანჟოლრასის სილამაზეს ამწამს მეტად ვაჟკაცობა ამშვენებდა. გაბრწყინებული იდგა თავის მკვლელთა წინ; ოცდაოთხი საათი იბრძოდა, მაგრამ არც დაღლა ეტყობოდა, არც უძილობა, არც შიმშილი, მაინც მაისის ვარდივით მშვენიერი იდგა სიკვდილის წინ. ალბათ, მასზე თქვა ერთმა მოწმემ სამხედრო სასამართლოში, - ერთი ჭაბუკი იყო აჯანყებულებში, რომელსაც, ჩემი ყურით გავიგონე, აპოლონს ეძახდნენო. ერთმა გვარდიელმა თოფი დაუმიზნა ანჟოლრასს და ვეღარ ესროლა, ასე მგონია, ყვავილს ვხვრეტო.

ანჟოლრასის პირდაპირ გამწკრივდა თორმეტი ჯარისკაცი და სრული დუმილით მოამზადეს თოფები.

მერე ბრძანება გასცა სერჟანტმა:

- დაუმიზნეთ!

ერთი ოფიცერი ჩაერია:

- მოითმინეთ! - და ანჟოლრასს მიმართა, - გნებავთ, თვალებს აგიხვევთ?

- არა.

- მართლა თქვენ მოკალით ის სერჟანტი?

- დიახ.

სწორედ ამ ბაასის დროს გაიღვიძა გრანტერმა.

მკითხველს ეხსომება, გუშინ მაგრად გამოთვრა გრანტერი და მერე ტკბილად ჩაეძინა ხელით მაგიდაზე დაყრდნობილს და ისე ეძინა, რომ ბრძოლისა არაფერი გაუგია.

გრანტერი ახორციელებდა ძველ ანდაზას, მთვრალია და მკვდარიაო. საზიზღარი რამ არის აბსენტ-არყიანი ლუდი. საღათას ძილი მოჰგვარა კაცს. მეტად პატარა იყო ეს მაგიდა, რომელზედაც თავი დაედო მძინარეს, არაფრად გამოადგებოდათ აჯანყებულებს და გარეთ არ გაეტანათ. როგორც ჩაეძინა, ისევე დარჩა. მკერდი მაგიდაზე დაეყრდნო, ხელი თავქვეშ ამოედო, სუფრაზე მის გარშემო ცარიელი ჭიქები, სასმისები და ბოთლები ეწყო. ის ძილი მორეოდა ნასვამს, რომელიც დათვს ერევა ზამთარში, ან სისხლით გაბერილ წურბელას. ვერაფერმა მიაღწია იმის ყურთასმენამდე და შეგნებამდე; ვერც თოფის სროლამ, ვერც ჭურვმა და ტყვიამ, რომელიც ხანდახან იმ დარბაზშიც შევარდებოდა, სადაც მთვრალს ეძინა, ვერც იერიშით მიმავალი ჯარის ღრიანცელმა. ზარბაზნის ღრიალს ხვრინვით უპასუხებდა, იჯდა და ეძინა, თითქოს თავისთავად გამოღვიძება ეზარება და ელის, ტყვია გამაღვიძებსო. რამდენიმე მკვდარი მოგროვილიყო მის სკამთან და ერთი შეხედვით ის, მძინარე, არაფრით გაირჩეოდა საუკუნოდ მიძინებულთაგან.

ხმაური ვერ გამოაღვიძებს მთვრალს და დუმილი კი ძალიან ადვილად. ესეც ერთგვარი უცნაური შედეგია სიმთვრალისა და არაერთხელ არის აღნიშნული. ინგრეოდა ყველაფერი გრანტერის ირგვლივ და ილეოდა მისი მგრძნობელობაც, თითქოს აკვანს ურწევსო ეს ნგრევა. უცბად რომ მიყუჩდა ყველა, ალბათ, ეს დუმილი იუცხოვა მისმა ღრმა ძილმა. დიდი სისწრაფით მიმავალი ეტლი რომ გაჩერდება უცბად, მაშინვე გამოიღვიძებენ მილულული მგზავრებიც. ასევე უცბად გამოეღვიძა გრანტერს, წამოვარდა, თვალები მოიფშვნიტა, გადახედა იქაურობას, გულიანად დაამთქნარა და ყოველივეს მიხვდა. მთვრალის გამოფხიზლება ფარდის დახევას ჰგავს. დაიხა ფარდა და უცბად გამოჩნდა, რასაც კი ფარავდა. მთელი დღე-ღამე რომ ეძინოს მთვრალს და არ იცოდეს, რა მოხდა ამ დროის განმავლობაში, როგორც კი გაახელს თვალს, მაშინვე მიხვდება მისგან დაუნახავსა და გაუგონარს. სიმთვრალე რომ გაუვლის, მაშინვე გაუქარდება მძიმე ბურუსივით მოკიდებული თვალისა და გონების მიბნელებული ალი და ადგილს უთმობს სინათლესა და გონებრივ მხედველობას.

ისიც ბილიარდის უკან იჯდა მძინარე, მაგრამ ჯარი რომ ავარდა დარბაზში, ანჟოლრასს შესცქეროდნენ ყველანი და ის ვერც კი შენიშნეს. ის იყო, უნდა გაემეორებინა სერჟანტს ბრძანება, დაუმიზნეთო, რომ გაისმა ყვირილი:

- რესპუბლიკას გაუმარჯოს. მეც მასთანა ვარ!

წამომდგარიყო გრანტერი.

ბრძოლის ბრწყინვალება გამოსჭვიოდა თვალთაგან, იმ ბრძოლისა, რომელსაც თვითონ დააკლდა და რომელშიც ვერ მიიღო მონაწილეობა. მთლად გარდაქმნილიყო ლოთი.

ერთხელ კიდევ შესძახა:

- რესპუბლიკას გაუმარჯოს!

მტკიცე ნაბიჯით მივიდა ანჟოლრასთან, გვერდზე დაუდგა და დაიძახა:

- ერთად დაგვხვრიტეთ ორივე! - მერე ანჟოლრასს შეხედა და ტკბილად ჰკითხა, - ნებას მომცემ?

ანჟოლრასმა გაიღიმა და ხელი ჩამოართვა.

ჯერ ისევ იღიმებოდა, რომ გავარდა თორმეტი თოფი.

რვა ტყვია მოხვდა ანჟოლრასს და ისე მიეყუდა კედელს, თითქოს ტყვიამ ზედ მიაჭედაო. თავი ჩამოუვარდა მხოლოდ. გრანტერი მის ფეხთით გაიშხლართა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დანარჩენებიც იპოვეს ჯარისკაცებმა, ზოგი სახურავზე, ზოგი სარდაფში და ახლა იქ ატყდა სროლა. ფანჯრებიდან ქუჩაში ისროდნენ მკვდრებს, ზოგჯერ მკვდრად მიღებულ დაჭრილებსაც. ორი კაცი ცდილობდა ბარიკადიდან ომნიბუსის წამოყენებას და იქვე დარჩა ორივე, სახურავიდან ჩამოსროლილი თოფის ტყვიით. მკვდრები ეყარა ყველგან, დაჭრილები, ერთი ჯარისკაცი და ერთი ბარიკადელი დაცურებულიყვნენ სახურავის ფერდობზე და მაინც ხელს არ უშვებდნენ ერთმანეთს. ასეთივე ბრძოლა იყო სარდაფშიც. ყვირილი იყო ყველგან, სროლა და მერე დუმილი. ბარიკადი აიღო ჯარმა.

ჯარისკაცები მეზობელ სახლებში შეცვივდნენ, რომ იქ აღმოეჩინათ გაქცეული აჯანყებულები.

## თავი ოცდამეოთხე
## ტყვედქმნილი

სინამდვილეში მარიუსი ტყვედ იყო, ოღონდ ჟან ვალჟანის ტყვედ.

როდესაც დაჭრილი ბარბაცებდა, წაქცევას ლამობდა, გული უწუხდებოდა და გონებას კარგავდა, ხელი მიაშველა ვიღაც კაცმა, - ეს ჟან ვალჟანი იყო.

ბრძოლაში იყო ჟან ვალჟანი, არ იმალებოდა, მაგრამ არ მონაწილეობდა. ის რომ არ ყოფილიყო, არავის მოაგონდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს დაჭრილების დახმარება. რაც უნდა გაშმაგებული ყოფილიყო სროლა, ის სულ დადიოდა, მკვდრებს სინჯავდა და როგორც კი შეხვდებოდა, ასწევდა დაჭრილს, შეიყვანდა დაბალ დარბაზში და ჭრილობას შეუხვევდა. გაათავებდა და ისევ გარეთ გარბოდა, ისევ დაჭრილებს ეძებდა, ან ბარიკადის ქვაყრილის შეკეთებას ცდილობდა, თვითონ კი არავის ესროდა, არც არავის დასტაკებია, არც თავდაცვისთვის გაუნძრევია ხელი. იყო თავისთვის და დაჭრილებს შველოდა. თვითონაც კარგად გადარჩა იმ ბრძოლას, წვრილ-წვრილი ნაფხაჭნი ჰქონდა, ჭრილობა კი არავითარი. არ ისურვეს ტყვიებმა მისი შეხება, თუ იმიტომ წამოსულიყო ბარიკადისკენ, რომ თავის მოკვლის მაგივრად აქ ეპოვა სიკვდილი. ვერ აუსრულდა ეს წადილი, მაგრამ ეჭვი გვაქვს: არა გვგონია, ამ განზრახვით წამოსულიყო, რადგან თვითმკვლელობა დარღვევაა სარწმუნოების წესისა.

ბრძოლის დროს ჟან ვალჟანს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერც კი ხედავდა მარიუსს, მაგრამ სულ მას უყურებდა; რომ წაბარბაცდა დაჭრილი მარიუსი, ვეფხვივით მივარდა ჟან ვალჟანი, ხელი სტაცა, როგორც ნადავლს, აიტაცა და გაიყვანა.

ამწამს მთელი ჯარის ყურადღება ანჟოლრასსა და სამიკიტნოს კარზე გადასულიყო და ვერავინ დაინახა ჟან ვალჟანი, რომელსაც ბავშვივით გულში

ჩაკრული მიჰყავდა გულწასული მარიუსი. მოხუცმა ეზო გაიარა და „კორინთის“ კუთხეს მიეფარა.

ეს კუთხე ერთგვარ შვერილს წარმოადგენდა ქუჩაში, ეს უკვე ვთქვით. ამ კუთხეს ამოფარებულს არც ტყვიის შიში ჰქონდა, არც ჭურვისა და არც ვისიმე დანახვისა, პატარა ადგილი იყო, მოფარებული. ასეა ხოლმე ხანძარშიც: სახლი იწვის და რომელიმე ერთ ოთახს კი ცეცხლი არ ეკიდება, ან თვით ყველაზე ბობოქარ ზღვებში, მაღალი კონცხის უკან ან ზღვის უბეში, რიფებს შორის, ყოველთვის შეიძლება იპოვოთ მშვიდი ყურე. ამგვარი მშვიდობიანი კუთხე ჰქონდა ბარიკადსაც, სწორედ იქ, სადაც სული დალია ეპონინმა.

ამ კუთხეს ამოეფარა ჟან ვალჟანი, მიწაზე დაუშვა მარიუსი და თვალი მოავლო იქაურობას.

მდგომარეობა საშინელი იყო.

ბრძოლის დროს, თოფის სროლისაგან თავის დასაცავად, რამდენიმე წუთით იქ დგომა იქნებ ძალიან კარგიც ყოფილიყო, მაგრამ დარჩენა კი არა. ჟან ვალჟანს იქიდან გასვლა და დაჭრილის გაყვანა უნდოდა. საქმე ის იყო, როგორმე გასულიყო ამ თავშესაფრიდან. მოაგონდა, როგორი სასოწარკვეთილი იყო ამ რვა წლის წინ, პოლონსოს ქუჩაზე რომ მოიმწყვდიეს და როგორ დაუძვრა იმ განსაცდელს. მაშინ ძნელი იყო გაპარვა, დღეს კი შეუძლებელი. თვალწინ მიყრუებული, გულქვა შვიდსართულიანი სახლი ედგა, რომელშიც ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. ერთადერთი კაცი იყო და ისიც მკვდარი თვალებით დასცქეროდა ბარიკადს სარკმლიდან. მარჯვნივ ბარიკადი ჰქონდა საკმაოდ დაბალი, რომელიც პატარა დრუანტერის ქუჩას კეტავდა. ამ დაბალი ბარიკადის გადალახვა ძნელი არ იყო, მაგრამ კედლის იქით ხიშტების უღრანი ტყე მოჩანდა. ჯარი ბარიკადის გადაღმა იდგა და დარაჯობდა, აქეთ არავინ გამოიქცესო. ცხადი იყო, ვინც გაბედავდა და ამ ბარიკადის დაბალ ქვაყრილს გადასცდებოდა, სამოცი თოფის მიზნად გახდებოდა. მარცხნივ ბრძოლის ველი იყო. სახლის კუთხესთან სიკვდილი ჩასაფრებოდა.

რა მოეხერხებინა?

მხოლოდ ფრინველი იხსნიდა აქედან თავს.

დაყოვნება კი შეუძლებელი იყო. უნდა გადაეწყვიტა რამე, გზა აერჩია. ბრძოლა იყო გაჩაღებული იქვე, მის გვერდით, კიდევ კარგი, ერთ წერტილს მისდგომოდა მთელი ჯარი, „კორინთის“ კარს; მაგრამ რომელიმე ჯარისკაცს, ერთადერთს რომ მოსვლოდა აზრად, ერთი ამ სახლს შემოვუაროო, ან სახლის გვერდს დასძგერებოდა ჯარი, დაიღუპებოდნენ ჟან ვალჟანიც და მარიუსიც.

უყურა თავის პირდაპირ ამართულ სახლს, მის გვერდით აგებულ ბარიკადს; მერე მიწას დააცქერდა უაღრესი გაჭირვებისგან გამკაცრებული დაკვირვებით, თითქოს ცდილობდა, თვალით გაეხვრიტა მიწა და შიგ ჩამალულიყო.

რაც უფრო დაჟინებით უყურებდა, მით ცხადად იკვეთებოდა მის ფეხებთან რაღაც ძლივს შესამჩნევი, თითქოს მის მზერას სასურველის ხორცშესხმის ძალა მისცემიაო.

იქვე, თავის გვერდით, სულ რამდენიმე ნაბიჯზე, პატარა ქვაყრილის ძირში, მიწაზე, რკინის ცხაური დაინახა. ბარიკადის აგებისას ქვაფენილი რომ აშალეს, ამ ცხაურისთვისაც ქვა მიეყარათ, რადგან სწორედ მის გვერდზე აგებდნენ ქვაყრილს და ძლივსღა ჩანდა ამ ქვების ქვეშიდან. მსხვილი, მაგარი რკინისა იყო. ქუჩის პირას იყო, გარშემო რიყის ქვაშემოწყობილი, მაგრამ ქვაფენილი რომ აეყარათ აჯანყებულებს,

რიყის ქვები და შიგ გამაგრებული ცხაური ცოტა ამაღლებულად დარჩენილიყო. სიგრძე-სიგანით სამოცდაათ სანტიმეტრამდე იქნებოდა. გისოსებს მიღმა შავი ხვრელი მოჩანდა, რაღაც ბუხრის საკვამურივით თუ მრგვალი წყალსატევივით.

ამ ცხაურს ეცა ჟან ვალჟანი. გაქცევის თავისი მარჯვე ხერხი მოიგონა და ახლა კარგადაც გამოიყენა. სწრაფად გადაყარა ქვა, ასწია რკინის ცხაური, აიკიდა გონდაკარგული, მარიუსი, ჩაძვრა ორმოში, ცხაური ისევ დაახურა ორმოს და მიწის ქვეშ, სამი მეტრის სიღრმეში, ფეხი დაადგა ფილაქანს. ისე სწრაფად მოაგვარა ყველაფერი, თითქოს ორბი ყოფილიყოს სისწრაფით და ბუმბერაზი თავისი ძალ-ღონით. რამდენიმე წუთი მოანდომა დამალვას.

ერთ ბნელ, გრძელ, მიწისქვეშ გათხრილ გვირაბში იყო ჟან ვალჟანი და ხელში ეჭირა მარიუსი, რომელიც ჯერაც უგრძნობლად იყო და თვალს არ ახელდა.

წყვდიადში იყო ჟან ვალჟანი, სამშვიდობოს, სრულ დუმილში. იმასვე გრძნობდა მისი გული, რაც მაშინ განიცადა, ქუჩიდან მონასტერში რომ გადავიდა, ოღონდ დღეს ხელში მარიუსი ეჭირა და არა კოზეტი.

ზემოდან თითქმის აღარაფერი ისმოდა: „კორინთის“ კარის მტვრევაც კი ძლივსღა ხვდებოდა ყურს.

## წიგნი მეორე
## ლევიათანის სტომაქი

### თავი პირველი
### ზღვისგან გაღატაკებული მიწა

პარიზი წელიწადში ოცდახუთ მილიონ ფრანკს ყრის წყალში. მეტაფორად არ მიიღოთ ეს სიტყვა.

როგორ ყრის? - დღისით და ღამით.

რა მიზნით? - სრულიად უმიზნოდ.

რა განზრახვით? - უგანზრახვოდ.

რა მოსაზრებით? - დაუფიქრებლად, თავისდა შეუმჩნევლად.

რის საშუალებით? - ნაწლავების ტრაქტის საშუალებით.

რა არის პარიზის ნაწლავები? - პარიზის წყალსადინარი.

ოცდახუთი მილიონი კიდევ ზომიერი ციფრია, მეცნიერების გამოთვლების შედეგი.

დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ დღეს უკვე იცის მეცნიერებამ, რომ საუკეთესო გამაპოხიერებელი მიწისა, დიახ, საუკეთესო, ადამიანის განავალია. ჩინელებმა, - ესეც ვთქვათ ჩვენდა სამარცხვინოდ, - ჩვენზე ადრე მიაგნეს ამ ჭეშმარიტებას - ისე არ დაბრუნდება ქალაქიდან ჩინელი, - ამას ეკბერგი ამბობს, რომ თავისი ბამბუკის ჯოხის თავსა და ბოლოზე ორი ვედრო არ ჰქონდეს სავსე იმითი, რასაც ჩვენ სიბინძურეს ვუწოდებთ. ადამიანის განავლის წყალობით ისეთივე ნორჩია და ნაყოფიერი ჩინეთში დედამიწა, როგორც აბრაამის დროს იყო. პურეული ჩინეთში ერთი ასოცად მეტს იძლევა. არავითარი გუანო არ იძლევა იმას, რასაც ჩინელს ადამიანის განავალი აძლევს. დიდი ქალაქივით ვერაფერი გააპოხიერებს მიწას. ქალაქი უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მიწის გასაპოხიერებლად, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ცხოვრება. თუ ხელის ჭუჭყი არის ოქრო, სამაგიეროდ, ოქრო არის ადამიანის განავალი.

მერე რას ვუშვრებით ამ განავალ ოქროს?

უფსკრულში ვყრით.

დიდ ფულს ვხარჯავთ, გემებს ვგზავნით სამხრეთ პოლუსისკენ, რომ მოვზიდოთ ჩვენი მიწის გასაპოხიერებლად ფრინველების და მეტადრე პინგვინების სკორე და იმავე დროს წყალში ვყრით აურაცხელ სიმდიდრეს, რომელიც აქვე გვაქვს და ვერ გამოგვიყენებია. საქონლისა და ადამიანის პატივი რომ მიწის გასაპოხიერებლად ვიხმაროთ და არა წყალში ჩასაყრელად, იმდენი მოსავალი გვექნებოდა, რომ კაცობრიობის გამოსაკვებად გვეყოფოდა.

იცით, რა არის ქუჩაში ალაგ-ალაგ მოგროვილი და ურმებით მიმავალი ნაგავი, ღამით რომ მიეზიდებიან გადასაყრელად საზარელი, საზიზღრობით სავსე კასრებით, ეს მყრალი, მიწისქვეშ გათხრილ რუში მიმავალი ნაკადული ყოველგვარი უწმინდურებისა? ეს გახლავთ მწვანე ბალახითა და ყვავილებით მობიბინე მინდორი, საქონლის საძოვარი, სათიბი, მრავალი სამკურნალო მცენარე, კარგი ნადირი, მაძღარი საქონელი, ხარების კმაყოფილებით სავსე ბღავილი, სურნელოვანი თივა, ოქროსფერი პურის თავთავი, გემრიელი პური თქვენს სუფრაზე, კარგი სისხლი თქვენს ძარღვებში, თქვენი სიჯანსაღე, მხიარულება, თქვენი სიცოცხლე. ასეთია საიდუმლო შემოქმედებითი პროცესი - გარდაქმნა დედამიწაზე, გარდასახვა ზეცაში.

დაუბრუნეთ თავისი ამ დიდ ბრძმედს და იქიდან გამოვა თქვენი ბარაქა. გააძღეთ მიწა, რომ სამაგიეროდ მოგცეთ ყოველივე თქვენს გასაძღომად.

ბატონი ბრძანდებით, წყალში გადაყარეთ თქვენი სიმდიდრე და თან მასხრად ამიგდეთ ამისი მთქმელი. ამით საბოლოოდ დაამტკიცებთ თქვენს სრულ უმეცრებას.

სტატისტიკამ გამოიანგარიშა, რომ ჯერ მარტო საფრანგეთი ატლანტის ოკეანეს თავისი მდინარეების შესართავით ხუთასი მილიონის სიმდიდრეს აძლევს. დაუფიქრდით: ეს ხუთასი მილიონი ჩვენი ხარჯთაღრიცხვის მეოთხედს შეადგენს, მაგრამ იმდენად დაუფიქრებელნი ვართ, რომ ამ ხუთასი მილიონის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენების მაგივრად აუარებელ ხარჯს ვეწევით, აქაოდა, თავიდან მოვიშოროთ, წყალში ჩავყაროთო. ხალხის უსაჭიროესი საზრდო ზღვისკენ მიექანება აქ წვეთ-წვეთად, იქ დიდრონ რუებად; ჩვენი საზიზღარი ნარწყევი მიწისქვეშა მილებსა და მდინარეებში ჩადის, მდინარეები კი ზღვაში. ყოველი ბოყინი ჩვენი კლოაკებისა ათასობით ფრანკს გვაკარგვინებს და ამის შედეგია ჩვენი მიწის უნაყოფობა, მდინარეების დაბინძურება. სახნავი შიმშილსღა გვაძლევს და მდინარე ავადმყოფობას.

მაგალითად, ცხადზე უცხადესია, რომ ამჟამად მდინარე ტემზა ლონდონს წამლავს.

რაც შეეხება პარიზს, ამ უკანასკნელ დროს იძულებული გავხდით, იმდენად დაგვეგრძელებინა ჩასადენი მილები, რომ წყალში, შიგ ქალაქში კი არა, ქალაქგარეთ, უკანასკნელი ხიდის ქვემოდან ჩაგვექცია ქალაქის განავალი.

ორმაგი წყობა რომ გვქონოდა მილებისა სარქვლითა და რაბით, რომ მიღებაც შეეძლოს და გაღებაც, როგორც ადამიანის ფილტვებია მოწყობილი, ეს იკმარებდა, რომ ჩვენს ქალაქებს სუფთა წყალი ჰქონოდა, მოუწამლავი, და მინდვრისთვის გაეგზავნა პატივით სავსე ქალაქის წყალი; ამგვარი მოწყობილობა უკვე არის ინგლისის ზოგიერთ კომუნაში. ეს უბრალო, მარტივი მოწყობილობა რომ გვქონოდა,

სხვა საჭიროებათათვის მოვიხმარდით ხუთას მილიონს, ასე დაუნანებლად რომ ვისვრით წყალში! მაგრამ ვის სცალია ამის მოსაფიქრებლად?

ისეა დღეს ეს საქმე მოწყობილი, რომ სიკეთის წილ ავით ავსებს ქალაქს. განზრახვა კარგი იყო, შედეგი ავი მოჰყვა. ჰგონიათ, ქალაქს ვწმენდთო და მოსახლეობას კი აავადებენ. ჩასადენი მილი ქალაქიდან უწმინდურობის გასაყვანად, დიდი შეცდომაა. როდესაც ყველგან მოვაწყობთ დრენაჟს თავისი ორმაგი მილებით, რომ ჩვენვე გვასარგებლოს იმითი, რაც ჩვენგან მიაქვს, და აღარსად იქნება ეს დღევანდელი ცალმაგი მილი, რომელსაც მარტო მიაქვს და მით აღარიბებს მიწას, ამ დრენაჟს საზოგადოებრივი ეკონომია დაემატება, მიწის მოსავალი ერთიათად მეტი გვექნება და შესამჩნევად შემცირდება ხალხის გაჭირვება. გაჭირვების შემცირებას თან მიჰყვება პარაზიტების მოსპობა.

მანამდე კი წყალს მიაქვს საზოგადოებრივი სიმდიდრე, ჟონავს ჩვენი კასრი და თუ ჟონავს, მაშ, გვეკარგება. ამგვარად სუსტდება და ღარიბდება ევროპა.

რაც შეეხება საფრანგეთს, ეს არის ციფრებით აღვნიშნეთ ჩვენი ზარალი. და რადგან პარიზში ცხოვრობს საფრანგეთის მოსახლეობის ერთი ოცდამეხუთედი და პარიზული გუანო ყველა სხვაზე უკეთესია, ნამდვილზე გაცილებით ნაკლებია ეს ოცდახუთი მილიონის წლიური ზარალი, როდესაც მთელი საფრანგეთი ხუთას მილიონს იძლევა. ეს ოცდახუთი მილიონი რომ გაჭირვებულთა დასახმარებლად და მშენებლობისთვის მოგვეხმარა, ერთიორად დავამშვენებდით ჩვენს დედაქალაქს. ჩვენ კი ნარცხის ორმოში ვყრით ამხელა ფულს; ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ პარიზის საარაკო მფლანგველობა, მისი ბრწყინვალე ზეიმები, მისი კერპი ბოჟონი, თავაშვებული ორგიები, ნიაღვრად მდინარი ოქრო, მისი ფუფუნება, სიმდიდრე, დიდებულება - სწორედ ეს არის კლოაკა.

ამ უვარგისი პოლიტიკური ეკონომიის გამო წყალში ვყრით ხალხის კეთილდღეობას. საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის აქ სენ-კლუს ბადეები გამოდგებოდა.

ეკონომიური თვალსაზრისით შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ ნათქვამიდან: პარიზი გახვრეტილი კალათაა.

პარიზი - ეს მთელი ქვეყნის მისაბაძი ქალაქი, ეს საგანგებოდ აგებული ნიმუში, რომლის ასლის შექმნას ნატრობს ყველა ერი, ეს დედაქალაქი იდეალისა, ეს უწმინდესი სამშობლო ყოველი ახალი იდეისა, ცდისა და ხორცშესხმისა, ეს ბუდე მეცნიერებისა და სიბრძნისა, ეს თავშესაფარი ჩაგრულთა და დევნილთა, მომავლის ეს სკა, ეს საკვირველი ნაერთი ბაბილონისა და კორინთისა, - პარიზი რომ ჩვენ მიერ აღნიშნული თვალსაზრისით გასინჯოს ერთმა უბრალო ჩინელმა, ფო-კიანელმა გლეხმა, მხრებს აიჩეჩს განცვიფრებული.

პარიზს რომ მიჰბაძოთ, ხელცარიელი დარჩებით.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასე ამაოდ ქონების ფლანგვა ძველისძველია და ამ მხრივ პარიზიც სხვას ჰბაძავს.

ეს გამაოგნებელი სისულელე ახალი სულაც არ არის, სიჭაბუკის შეცდომააო, ვერ ვიტყვით. ძველებიც ასევე ყრიდნენ თავიანთ სიმდიდრეს, როგორც ახლები. რომში რომ ნარცხის ორმოები იყო, - ამბობს ლიბიხი, - სულ იქ ჩადიოდა რომაელი გლეხკაცების ავლადიდებაო. როდესაც რომის მილსადენებმა მთლად გააღატაკეს ქალაქის მინდვრები, მერე იტალიას მიმართეს, ისიც თავის ნარცხის ორმოში ჩაძირეს,

ზედ მიაყოლეს სიცილია, მერე სარდინია და აფრიკა. რომის მილსადენმა შთანთქა ლათინების ქვეყანა, ნარცხის ორმომ შთანთქა ქალაქიც და ქვეყანაც. Urbi et orbi. მარადიული ქალაქი უძირო ნარცხის ორმო აღმოჩნდა. ამ მხრივ და სხვა მხრივაც, რომი გადაიქცა მსოფლიოს მაგალითად და ამ მაგალითით ყოვლად სულელურად ისარგებლა პარიზმა, როგორც შეეფერება გონებითა და ცოდნით აღჭურვილ ქალაქს.

თავისი მყრალი სიმდიდრის მოსაშორებლად პარიზს მთელი პარიზი აქვს თავის ქვეშ, მიწაში ჩაგებული, - მილების ქალაქი, მიწისქვეშა ქალაქი თავისი ქუჩებით, გზაჯვარედინებით, მოედნებით, ქუჩაბანდებით; თავისი მიმოსვლა აქვს ამ ქვედა პარიზს, ლაფის მიმოსვლა, ოღონდ ადამიანის გარეშე.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არ ვარგა, კაცმა პირფერობით მოიხსენიოს რამე, თვით დიდი ერიც კი. საცა ყველაფერია, იქ დიდებასთან ერთად სიბილწეც მოიპოვება და თუ პარიზში აღმდგარა ათენი, - ქალაქი განათლებისა, ტროსი - ქალაქი ძლიერებისა, სპარტა - ქალაქი სათნოებისა, ნინევია - ქალაქი სასწაულისა, პარიზშივე მოიპოვება აგრეთვე ლუტეცია - ლაფის ძველი ქალაქი.

მაგრამ მიწისქვეშა ქალაქსაც ამჩნევია პარიზის ძლიერება. პარიზის გრანდიოზულ ჯურღმულებში, ისევე როგორც მის სხვა ძეგლებში, ხორცშესხმულია ის უცნაური იდეალი, რომლის განსახიერებასაც კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ადამიანები წარმოადგენდნენ, როგორიც იყვნენ მაკიაველი, ბეკონი და მირაბო - სისაძაგლის დიდებულებას.

პარიზის მიწისქვეშეთს რომ ჩასწვდეს ადამიანის თვალი, უზარმაზარ ვარსკვლავისებრ მარჯნად მოეჩვენება იქაურობა. ღრუბელს არ ექნება იმდენი ხვრელი და ფორი და იმდენი ფერი, რაც აქ აქვს ოცდაექვსი კილომეტრი სიგრძე-სიგანის მიწას, რომელზეც აგებულია ეს ძველი ქალაქი. კატაკომბებს რომ თავი დავანებოთ, რომლების ანგარიში ცალკე წარმოებს, თავი რომ დავანებოთ გაზის გამყვანი მილების ქსელს და სასმელი წყლის მიმწოდებელ მილებს, რომლებიც შადრევნად ადიან ქალაქში, მარტო განავლის გამყვანი მილები შეადგენენ სენის ორივე მხარეზე ერთ თვალუწვდენელ, საზარელ, წყვდიადით მოცულ ქსელს, ლაბირინთს, რომლის სადენ გზად დაღმართია გამოყენებული.

და აქ, ამ წყვდიადსა და სიმყრალეში, ურიცხვი ვირთაგვა დაფუთფუთებს, მიწისქვეშა პარიზის მშობიარობის ნაყოფი.

## თავი მეორე
## მიწისქვეშა ქალაქის ძველი ისტორია

ამ მიწისქვეშა ქალაქს რომ სარქველი ავხადოთ და ზემოდან, ცაში აფრენილი ჩიტის სიმაღლიდან დავხედოთ, სენის გაღმა-გამოღმა ერთ ბუმბერაზ ტოტს დავინახავთ, მდინარეზე მიმყნობილს. სენის მარჯვენა მხარეს ეს წრიული არხი მთავარი მილია ამ ტოტისა და გვერდითი სარინები კი - ნამყენის ტოტები.

ეს შედარება მხოლოდ საერთო ხედს ასახავს, რადგან ამგვარი შენობების განშტოებაში ყოველთვის სწორკუთხოვანების დაცვას ცდილობენ, რაც ძალიან იშვიათია მცენარეთა სამეფოში.

ამ უჩვეულო გეომეტრიულ გეგმაზე უფრო სწორ წარმოდგენას შეიქმნით, თუ წარმოიდგენთ ბნელ ზედაპირზე გულაღმა მიმობნეულ რომელიმე აღმოსავლური

ანბანის ასოებს, დაკლაკნილებს, ერთმანეთთან ალალბედზე, უწესრიგოდ დაკავშირებულებს ხან კუთხეებით, ხან კი ბოლოებით.

შუა საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიბინძურის გამტან მილებს ბიზანტიასა და აღმოსავლეთში. ჭირიც იქ ჩნდებოდა და ტირანებიც იქ იხოცებოდნენ. ხალხი თითქმის სარწმუნოებრივი შიშით შეჰყურებდა ამ ხრწნის მილებს, ამ საზარელ აკვანს სიკვდილისას. ბენარესის მატლებით სავსე ორმო არანაკლებ საშიში იყო, ვიდრე ლომების ორმო ბაბილონში. როგორც რაბინების წიგნები მოგვითხრობს, ტიგლათფილესერი ნინევიის ნაგავსაყრელებს იფიცებდა; იოჰან ლეიდენელს მიუნსტერის კლოაკიდან ამოჰყავდა თავისი ყალბი მთვარე, მის აღმოსავლელ ორეულს კი, ხორასნელ წინასწარმეტყველ მოკანას - ყალბი მზე ქექშების ჩასადენი ჭიდან.

კლოაკების ისტორიაში იშვა კაცობრიობის ისტორია. გემონიუმის ტერასებმა რომის საიდუმლოებანი გაამჟღავნა. ძველი პარიზის წყალსადინარები საშინელი იყო. ეს იყო სამარეც და თავშესაფარიც. დანაშაული, თავისუფალი აზროვნება, ამბოხება, სინდისის თავისუფლება, აზრი, ძარცვა, - ყველაფერი, რაც დევნიდა და დევნის ადამიანის კანონებს, ამ სოროში იმალებოდა: XIV საუკუნეში მაიოტენების ხროვა, XV საუკუნეში - ქუჩის მძარცველები, XVI საუკუნეში - ჰუგენოტები, მორენის ილუმინატები - XVII საუკუნეში, მდიდრების მყვლეფავნი - XIX საუკუნეში. ასი წლის წინ იქიდან გამოდიოდა ღამის მკვლელი, იქ ემალებოდა მდევარს ქურდი; ტყეში გამოქვაბულები იყო, პარიზში - წყალსადინარები. მათხოვრები, picarerias ეს გალი ორეულები, სასტიკნი და ცბიერნი, წყალსადინარებს სასწაულთა ეზოს ფილიალად თვლიდნენ და საღამოობით მობიუეს ქუჩის ჩასადინარი ჭის ხვრელში ისე ძვრებოდნენ, როგორც საკუთარ საძინებელში.

სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი, ვინც მთელი ღამე „ჯიბე გაწმინდეს“ ჩიხში დაძრწოდნენ ან „ყელი გამოჭერის“ ქუჩაზე დათარეშობდნენ, ღამით თავშესაფარს „მწვანე გზის“ ხიდქვეშ და გიურპუას ქუჩაბანდში ეძებდნენ. მრავალგვარი აჩრდილი დაბორიალებს ამ გრძელ, უკაცურ დერეფნებში; აქ ყველგან ლპობა და ხრწნის სუნია, თუმცა აქა-იქ სასულეებიც არის დატანებული, საიდანაც, წყალსადინარების ამ წიაღიდან, ვიიონი ესაუბრებოდა მიწის ზემოთ მდგომ რაბლეს.

ძველი პარიზის კლოაკა მარცხისა და გამბედაობის შეხვედრის ადგილი იყო. პოლიტიკური ეკონომიისთვის ის ნაგავსაყრელია, სოციოლოგიისთვის - ლექი.

კლოაკა ქალაქის სინდისია. იქ ჩადის ყველაფერი და პირისპირ უდგას ერთმანეთს. ბნელი სუფევს ამ სამკვდრეთში, მაგრამ საიდუმლო კი აღარაფერია. ყოველ საგანს თავისი ნამდვილი ფორმა აქვს, ან თავისი საბოლოო ფორმა მაინც. ამ ზვინად მიმავალ სიბინძურეს ის აქვს კარგი, რომ სიყალბე აქ არსად არის. აქ ჩამალულა ზემოთ დევნილი მიამიტობა; აქვეა დონ ბაზილიოს ნიღაბი, მაგრამ მისი მუყაოც კარგად ჩანს, ზონარიც, შიდა და გარე მხარეებიც; დამალული არაფერი აქვს და ზედ პატიოსანი ტალახი სცხია; გვერდზე უდევს სკაპენის ცხვირი; ცივილიზაციის ყოველი ჭუჭყი, უკვე გამოყენებული და ამიტომ უსარგებლოც, იძირება ამ სიმართლის უფსკრულში, სადაც ვეებერთელა სოციალური ზვავიც ჩამოწვება ხოლმე. აქ იძირება ყველა, მაგრამ კარგად ჩანს, რადგან აქ დამალვას არავინ ცდილობს.

კლოაკა ყველაფერს შთანთქავს, აქ ყველაფერი ზედაპირზე ძევს. ეს უწესრიგო ნაგავსაყრელი სააღსარებოდ არის გადაქცეული. აქ ვერ ნახავთ ყალბ იერს, ფერთა

ცვლას, აქ სიბილწე საბურველს იხსნის, სრულიად შიშვლდება, განაქარვებს ფუჭ ილუზიას, და აღარაფერი რჩება, გარდა ნგრევისა და დასასრულის მაჩვენებელი სინამდვილისა. ყოფიერება და სიკვდილი. აქ გატეხილი ბოთლი ლოთს ამხელს, კალათის სახელური მსახურებზე ჭორაობს, აქ გადატეხილი ხელჯოხის ბუნიკი, რომელიც ერთ დროს უზადო ლიტერატურული გემოვნების მაჩვენებელი იყო, ერთი უბრალო ბუნიკია, მეფის სახე ერთსუიან მონეტაზე სულ იოლად იფარება ჟანგით, კაიაფას ფურთხს წინ ხვდება ფალსტაფის ნარწყევი; ყომარბაზების სახლიდან გამოსული ორფრანკიანი ოქრო აქ ხვდება იმ ლურსმანსა და თოკის ნაგლეჯს, რომლითაც თავი ჩამოიხრჩო თვითმკვლელმა; აქ აგდია გალურჯებული, დედის წიაღს უდროოდ მოწყვეტილი უდღეური ჩვილი, გახვეული იმ ბრჭყვიალა კილიტებიან კაბაში, რომლითაც როსკიპი ოპერაში, მეჯლისზე ცეკვავდა გასული ყველიერის ღამეს. აქ მოსამართლის ქუდი ქუჩის გოგოს კაბასთან ერთად ჩამყაყებულა. ეს ძმობაზე მეტია, აქ ყველა შენობით ელაპარაკება ერთმანეთს. რაც კი თავს იმშვენებდა ფერუმარილით, აქ სიბინძურით განიბანება. აქ უკანასკნელი საბურავიც კი ჩამოიგლიჯა. კლოაკა ცინიკოსია. ის ხმამაღლა ღაღადებს.

მოგვწონს სიბინძურის ეს გულწრფელობა და გულს გვიმშვიდებს. როდესაც ადამიანს თავის სიცოცხლეში გაბღენძილი, უვიცობითა და ანგარებით სავსე მოღვაწეთა გარდა სხვა არავინ უნახავს არც სახელმწიფოს სათავეში, არც ფიცის დადებაში, არც პოლიტიკურ აზროვნებაში, არც მართლმსაჯულებაში, არც პროფესიულ პატიოსნებაში, არც საზოგადოებრივ ვალდებულებაში, მას გულს უმშვიდებს ამ ნარცხის ორმოში შესვლა და ნიღაბჩამოხსნილი სიბილწის ნახვა.

ამასთან, კლოაკა ჭკუის სასწავლებელიც არის. ზემოთ ვთქვით, ისტორია სიბინძურის გამყვან მილებში გადისო. ბართლომეს ღამეს ქვაფენილზე დანთხეული სისხლი აქ ჩაედინება წვეთ-წვეთად. ყველა მასობრივი მკვლელობა, პოლიტიკური თუ რელიგიური ხოცვა-ჟლეტა - ყველაფერი ამ ცივილიზაციის მიწისქვეშეთში იყრის თავს, ცხედრებიც კი. მეოცნებეს წარმოსახვაში აქ მუხლებზე დგას ისტორიის ყველა ცნობილი მკვლელი, სუდარების ნაგლეჯები წინსაფრებად აუფარებიათ და ამ საძაგელ წყვდიადში ზლაზვნით შლიან თავიანთი ნამოქმედარის კვალს. აქ არის ლუი XI ტრისტანთან ერთად, ფრანსუა I დიუპრასთან ერთად, შარლ IX-ს დედამისი უმშვენებს გვერდს, რიშელიეს - ლუი XIII, აქ არიან ლუვუა, ლეტელიე, გებერი და მაიარი - ყველა ცდილობს ქვებს ლაქები ჩამოფხიკოს და თავისი დანაშაულის სამხილი გაანადგუროს. მიწისქვეშეთის თაღებქვეშ ამ აჩრდილების ცოცხების ხმა ისმის. თქვენ სოციალური კატასტროფების ენით აუწერელ სიმყრალეს შეისუნთქავთ. აქა-იქ მეწამული ნათება ჩანს. აქ მიედინება ის წყალი, რომელშიც სისხლიან ხელებს იბანდნენ. საზოგადოების ცხოვრების მკვლევარი თვითონ უნდა შევიდეს ამ ბნელ თაღებში, ეს ხომ მისი ლაბორატორიის ნაწილია. ფილოსოფია ფიქრის მიკროსკოპია. ყველა ცდილობს, თავი დააღწიოს მის ყურადღებას, მაგრამ ვერ ახერხებს. ამაოა დამალვა. რას ამჟღავნებს, ვინც დამალვას ცდილობს? თავისივე შერცხვენას. ფილოსოფია თავისი მოუსყიდველი თვალით დევნის ბოროტებას და უსპობს დამალვის საშუალებას; წარსულის, უკვე გამქრალის, წაშლაში, მოვლენათა დამცრობაში, რომლებსაც ნელ-ნელა დავიწყება ფარავს, ყველაფერს ხედავს და ცნობს. ფილოსოფია ძოწეულს პატარა გასვრილი ნაფხრეწის საშუალებით აღადგენს და ქალბატონს - ძონძით. სიბინძურეთა ორმოს დახმარებით ქალაქს გაიცნობს და

სიბინძურეზე დაკვირვებით - მის ზნე-ჩვეულებებს; თიხის ნატეხის მიხედვით ცნობს ამფორასა თუ დოქს; ეტრატზე ფრჩხილით ნაკაწრით დაადგენს განსხვავებას იუდენგასის ებრაელებსა და გეტოს ებრაელებს შორის. ნაშთში პოვებს, რაც კი ამქვეყნად ყოფილა, - კარგსაც და ავსაც, ყალბსაც და ნამდვილსაც, სისხლით მოსვრილ სასახლესაც და ჯურღმულში მელნის ლაქასაც, საროსკიპოს ქონის სანთლის წვეთს, განცდილ წამებასაც და ტკბილ ცდუნებასაც, ამორწყეულ ლხინსაც, მლიქვნელობით შერცხვენილ სახელსაც, გახრწნილებით დატოვებულ კვალსაც ადამიანის სულში და მესალინას იდაყვის კვალს რომაელი მტვირთავის სამოსზე.

## თავი მესამე
## ბრიუნზო

შუა საუკუნეებში ლეგენდები დადიოდა პარიზის კლოაკაზე. XVI საუკუნეში ანრი II-მ სცადა მათი გამოკვლევა, მაგრამ ვერ შეძლო. მერსიეს გადმოცემით კი, ამ ასი წლის წინ უპატრონოდ იყო მიგდებული და ნელ-ნელა იქცეოდა იმად, რადაც უნდა გადაქცეულიყო.

ასეთი იყო ძველი პარიზი, სადაც მძვინვარებდა ამბოხებები, ეჭვები და შფოთი. კარგა ხანს იყო ამ სულელურ მდგომარეობაში, მხოლოდ 1789 წელმა გვაჩვენა, როგორ მოეგო გონს. ჩვენს დედაქალაქს წარსულში ძალიან სუსტი თავი ჰქონდა; საქმეების მოწესრიგების უნარი არ გააჩნდა, არც ზნეობრივად, არც მატერიალურად. ვერც ბოროტებას სპობდა, ვერც ნაგავს გვიდა. დაბრკოლებასა და ძნელად გადასაჭრელ საკითხს ხედავდა ყველგან. ამ ნაგავსაყრელში გზის გაკვლევა ისევე ძნელი იყო, როგორც ქალაქის შესახვევებში. მიწის ზემოთ შეუგნებლობა სუფევდა, მიწისქვეშეთში - არეულ-დარეულობა. ენის აღრევა ზემოთ და დახლართული მილები - ქვემოთ. დედალოსის ლაბირინთი იყო ბაბილონით გაორკეცებული.

დროდადრო პარიზის ჩამდინარე წყლები თავხედურად ამოხეთქავდნენ, თითქოს შეურაცხყოფილი და ანაზდად განრისხებული ნილოსი ყოფილიყოს. მაშინ საშინელება ხდებოდა, - ქალაქშივე იშლებოდა ეს სიბინძურე. ზოგჯერ ცივილიზაციის ეს კუჭი ცუდად ინელებდა საჭმელს, გული ერეოდა და პირიდან ამოსდიოდა, რაც ჩაეყლაპა და პარიზი იძულებული იყო, თავისი განავლის გემო პირში ეგრძნო. ეს სინდისის მხილებას ჰგავდა და თავისი კარგი მხარეც ჰქონდა, - ერთგვარი გაფრთხილება იყო ქალაქისთვის, რომელიც თუმცა კი ძალიან ცუდად იღებდა ამას. შეურაცხყოფილი თავისი სიბინძურის თავხედობით, ბრძანებდა, უკანვე განედევნათ.

1802 წლის წყალდიდობა ახლაც კარგად ახსოვთ ოთხმოცი წლის პარიზელებს. გამარჯვების მოედანზე ამოვარდა ნარცხის ორმოდან ეს საზიზღრობა და ოთხივე მხარეს გაიშალა იქ, სადაც ლუი XIV-ის ძეგლი დგას, სენტ-ონორეს ქუჩაზე გაიშალა ელისეს მინდვრების ორი ნარცხის ჭიდან ამოვარდნილი, სენ-ფლორანტენის ქუჩაზე - სენ-ფლორანტენის ქუჩის ჭიდან, პიერ-ა-პუასონის ქუჩაზე სონერის ჭიდან, პოპენკურის ქუჩაზე - დელაპის ქუჩის ჭიდან, ელისეს მინდვრების ქვაფენილი დაფარა ოცდათხუთმეტი სანტიმეტრის სისქეზე და სენის ახირებით, რომელიც გაგიუებული ქვევით კი არა, ზევით მოიწევდა, მაზარინის ქუჩაზე ამოვარდა და ეცა ეშოდესა და მარეს ქუჩებს და იქ დადგა ას ცხრა მეტრის სიგრძის ლაფის გუბედ. სულ რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა იმ სახლიდან, რომელშიც რასინი ცხოვრობდა, რადგან XVIII

საუკუნის პოეტს უფრო მეტად სცემდა პატივს, ვიდრე მეფეს. თავისი ორმოცდაცხრამეტი სანტიმეტრის დიდი სისქით მოკალათდა სენ-პიერის ქუჩაზე და დიდი სივრცით - სენ-საბენის ქუჩაზე, სადაც ორას ოცდათვრამეტი მეტრის სიგრძით გაიჭიმა.

XIX საუკუნის დასაწყისში პარიზის კლოაკა ჯერ ისევ საიდუმლო ქვეყანას წარმოადგენდა. სიბინძურეს არასოდეს ჰქონია კარგი სახელი და აქ კი ეს ავი სახელი საშინელებამდე იყო გაზვიადებული. იცოდა პარიზმა, რომ რაღაც აქვს თავის ქვემოთ, მაგრამ სახელდობრ რა? - ეს კი ძალიან ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი. ისეთივე შიშითა და ზიზღით ახსენებდნენ ხოლმე კლოაკას, როგორც თებეს წუმპეს, რომელშიც დაფუთფუთებდნენ ხუთმეტრიანი ცხრაფეხა ჭიები და საბანაოდ გამოადგებოდა ბინძურ ბეჰემოთს. კლოაკას მიჩენილი ჰყავდა ჩექმებიანი მუშები, მაგრამ შორს შესვლას ისინიც ვერ ბედავდნენ; ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა ის დრო, როდესაც ქუჩაში გორებად დახვავებული ნაგავი, რომელთა სიმაღლიდან სენტ-ფუა მარკიზ დე კრეკის ესალმებოდა, მენაგვეებს ფორნებით მიჰქონდათ და ნარცხის ორმოებში ცლიდნენ. რაც შეეხება მოვლასა და წმენდას, ეს თანამდებობა შხაპუნა წვიმას ჰქონდა მინდობილი და ისიც უფრო აგუბებდა სიბინძურეს, ვიდრე ჩარეცხავდა და თან წაიღებდა. რომი კლოაკაში რაღაც პოეტურსაც ხედავდა და სახელად გემონიუმის ტერასას უწოდებდა; პარიზი კი ლანძღავდა თავისას და სახელად მყრალ ორმოს უწოდებდა; მეცნიერება და ცრუმორწმუნეობა შეთანხმებულიყვნენ და ზიზღით იხსენიებდნენ მას; ჰიგიენასაც ისე ეჯავრებოდა ეს მყრალი ორმო, როგორც ლეგენდას. თურმე შავი ბერის აჩრდილი პირველად მუფეტარის მყრალი მილსადენის თაღებქვეშ გამოჩენილა; მარმუზების ცხედრები კი ბარილერის მილსადენში ჩაუყრიათ. ფაგონი ამტკიცებდა, - 1685 წლის საშინელი ჭირიანობა მარეს გადაუხურავი მილსადენის ბრალი იყოო; ის თავდაუხურავი დარჩა 1833 წლამდე, ჟურნალ „მერკიურ გალანის“ რედაქციის აბრის პირდაპირ, სენ-ლუის ქუჩაზე. მარტელერის ქუჩის წყალსადინარზე ხმა დადიოდა, მისი სიმყრალე ქალაქში ჭირს აჩენსო; შემოღობილს რკინის წვეტიანი გისოსები, ეშვების მწკრივი რომ გეგონებოდა, ქუჩაზე თითქოს დრაკონს ხახა დაეფჩინა და ხალხს ჯოჯოხეთურ სიმყრალეს აფრქვევდა.

ხალხისთვის პარიზის კლოაკა ამქვეყნიური ჯოჯოხეთი იყო; კლოაკას ფსკერი არა აქვს. ის უძირო ჯოჯოხეთის ჭაა. აზრად არავის მოსდიოდა, გამოეკვლია ეს ჭირის ბუდე - მიწისქვეშეთი, თვით პოლიციასაც კი. ვინ გაბედავდა შეუცნობლის გაზომვას, წყვდიადის სიღრმეების გამოკვლევას, უფსკრულში დასაზვერად ჩასვლას? ვინ იქნებოდა თავზე ხელაღებული? მაინც გამოჩნდა ერთი გამბედავი. კლოაკასაც გამოუჩნდა თავისი ქრისტეფორე კოლუმბი.

ერთ დღეს, 1805 წელს, პარიზს ეწვია ნაპოლეონი, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე. ამით ისარგებლა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვინმე დეკრემ თუ კრეტემ, და დილითვე მივიდა იმპერატორთან. კარუსელის მოედანი სავსე იყო დიდი რესპუბლიკისა და დიდი იმპერიის სახელოვანი ჯარით; გმირები შეგროვილიყვნენ ნაპოლეონის კართან, მასთან ნამყოფნი რაინის, ესკოს, ადიჯეს, ნილოსის ნაპირებზე; ჟუბერის, დეზეს, მარსოს, გოშისა და კლებერის თანამოსაგრენი, ფლერიუსის ჰაერნაოსნები, მაინცის გრენადერები, გენუის პონტონერები, პირამიდების მნახველი ჰუსარები, ჟიუნოს ჭურვის ნამსხვრევებშეფრქვეული არტილერისტები, კირასირები,

ზუდერზეეს ყურეში ფლოტი რომ დაიმორჩილეს. ზოგი ნაპოლეონს ახლდა ლოდის ხიდზე, ზოგი მიურატს - მანტუის სანგრებში, ზოგი ლანს მონტებელოს უგზო მთებში. აქ, ტიუილრის სასახლეში შეგროვილიყო ლაშქრის წარმომადგენელი, პატარა რაზმებით წარმოდგენილი, ნაპოლეონის დამცველი ჯარი მშვიდობიანობის დროს. ბრწყინვალე იყო ეს დრო, როდესაც დიდებულ ლაშქარს გუშინ მარენგოს გამარჯვება ასახელებდა და ხვალ არანაკლებ სახელოვანი აუსტერლიცი.

- თქვენო უდიდებულესობავ, - მოახსენა მინისტრმა ნაპოლეონს, - გუშინ ვნახე ყველაზე გულადი კაცი თქვენს სახელმწიფოში...

- ვინ არის? რა კაცია? - ჰკითხა იმპერატორმა, - რით ისახელა თავი?

- ერთი განზრახვა აქვს...

- რა განზრახვა?

- პარიზის ჩასადენი მილების ქსელის გამოკვლევა.

სინამდვილეში არსებობდა ეს კაცი და მას ბრიუნზო ერქვა.

## თავი მეოთხე
## აქამდე უცნობი წვრილმანები

ბრიუნზომ დაიარა პარიზის კლოაკა. მძიმე იყო ეს კვლევა: წყდიადში ბრძოლა გადამდებ სენსა და მახრჩობელ აირთან. ნახა და მრავალი რამ აღმოაჩინა ღირსშესანიშნავი. კვლევა რომ დაიწყო, ოცი კაცი შველოდა. დაზვერვის ერთ-ერთი მონაწილე, გონიერი მუშა, მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკი, რამდენიმე წლის წინ საინტერესო წვრილმანებს ჰყვებოდა, რომლებიც ბრიუნზომ პოლიციის პრეფექტისთვის წარდგენილ მოხსენებაში საჭიროდ ჩათვალა, გამოეტოვებინა, როგორც შეუფერებელი ადმინისტრაციული ენის აღმატებული სტილისთვის. ამ დროს დეზინფექცია მეტად პრიმიტიულად კეთდებოდა. ის იყო, ბრიუნზო და მისი მუშები ჩასადენი მილების პირველ განშტოებას გასცდნენ, რომ რვა კაცმა გამოუცხადა, ჩვენ ვეღარ გამოგყვებითო. ძალიან რთული იყო ეს გამოკვლევა. მას წინ უნდა გასძღოლოდა დეზინფექცია, საჭირო იყო მილების ერთმანეთისგან დაშორება, წყლის ჩასასვლელი გზის განმენდა, ცხაურებისა და წყლის ჩასადენი ორმოების, მილების განშტოებების აღრიცხვა, წყლის მიმდინარეობის დადგენა, წყალსატევების სიგრძე-სიგანისა და დიამეტრის დაგეგმვა, ზონდირება პატარა მილებისა, რომლებიც დიდი მილის განშტოებას წარმოადგენდნენ, ყოველი მილის სიმაღლისა და სიგრძე-სიგანის აღრიცხვა; მოკლედ რომ ვთქვათ, საჭირო იყო, ისე საფუძვლიანად შეესწავლათ კლოაკა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი შეკეთება უწმინდურობის ამოვარდნის თავიდან ასაცილებლად.

ბრიუნზო და მისი მუშები დიდი გაჭირვებით მიდიოდნენ წინ. ხშირად მთელი მეტრის სიღრმის ლაფში იფლობოდა ჩასაშვები კიბე. სულთმობრძავებივით თრთოდნენ იმ მიაზმებით გაუღენთილ ჰაერში პატარა ფარნები. რიგრიგობით გაჰყავდათ გონდაკარგული მუშები. ალაგ-ალაგ ღრმა ჭანჭრობი ხვდებოდათ: მიწა დამსკდარიყო, ფილაქანი ჩაწეულიყო, მილი ჭად გადაქცეულიყო და ძირი აღარ უჩანდა. ერთი მუშა ჩაუვარდათ უცაბედად ამგვარ ჭაში და ძლივს ამოიყვანეს. ქიმიკოს ფურკრუას რჩევით ალაგ-ალაგ, საცა უფრო ადვილად შეიძლებოდა სუნთქვა,

გაფისულ ჩალას წვავდნენ. კედლებს ალაგ-ალაგ სოკო მოსდებოდა, თითქოს კედლებიც კი დაავადებული იყო და სუნთქვა ჭირდა.

ბრიუნზომ თავისი კვლევა სათავიდან დაიწყო და ნელ-ნელა წავიდა შესართავისკენ. იმ ადგილას, სადაც მთავარი მილი ორ ტოტად შტოვდება გრანურლერში, ერთ ქვაზე გაარჩია ამოკვეთილი თარიღი - 1550 წელი. ეს ქვა საზღვარი იყო; აქამდე მოსულიყო ფილიბერ დელორმი, რომელიც ანრი II-ის ბრძანებით ამოწმებდა აქაურობას; XVI საუკუნეში პარიზის კლოაკას მილების ბოლო ამ ქვამდე აღწევდა. მეორე ნიშანიც აღმოაჩინა ბრიუნზომ, ნიშანი XVII საუკუნისა, პონსოს და ვიჟილ-დე-ტამპლის ქუჩების მილებთან, რომლებიც თაღებით გადაეხურათყ 1600-1650 წლებში, და ბოლოს ერთი ნიშანიც XVIII საუკუნისა, არხ-კოლექტორის მარცხენა ნაწილში, რომლის თაღი 1740 წელს ააგეს. ეს თაღი უფრო მეტად იყო დამსკდარი და დაზიანებული, ვიდრე წინანდელი, 1412 წლისა, იმ დროისა, როდესაც მენილმონტანის ნაკადულის წყალს პარიზის სიბინძურის გამწმენდის დიდებული თანამდებობა მიანიჭეს, ისეთივე დიდი ღირსება, როგორიც გლეხკაცის წარმატებაა, მეფის მსახურად რომ დანიშნავენ, ან სახელის, გრო-ჟანის ლებელად შეცვლა.

აქა-იქ, სახელდობრ მართლმსაჯულების სასახლის ქვეშ, შიგ წყალსადინარში, პატარ-პატარა, შემაძრწუნებელი საკნები იყო დატანებული. სწორედ ეს გახლდათ in pace - „განისვენე“. ერთ ამგვარ საკანში კედელზე რკინის საყელური ეკიდა ჯაჭვზე. საკნები მაშინვე ამოქოლეს. ზოგი რამ უცნაურიც იპოვეს, სხვათა შორის, ერთი ორანგუტანგის ჩონჩხი; 1800 წელს გაიპარა ეს ორანგუტანგი პარიზის ზოოლოგიური ბაღიდან და, ალბათ, ამ გარემოებამ შექმნა უეჭველ ჭეშმარიტებად მიღებული თქმულება, XIX საუკუნის უკანასკნელ წელს ბერნარდინელთა ქუჩაზე ეშმაკი დანავარდობდაო. საწყალი ეშმაკი სიბინძურეში ჩამხრჩვალიყო.

გრძელი თაღით გადახურულ გალერეაში, რომელიც არშ-მარიონს უერთდება, მეძონძის გუდა იპოვეს, სრულიად წაუმხდარი, რამაც მცოდნენიც კი გააკვირვა. საცა კი საზიზღრობას აშლიდნენ მუშები, ყველგან პოულობდნენ ძვირფას ნივთებს, ოქროსა და ვერცხლისას, თვალ-მარგალიტს, ფულს. რომ ყოფილიყო ვინმე ბუმბერაზი და ეს სიბინძურე დაეწურა, საუკუნეთა სიმდიდრით სავსე დარჩებოდა საწურავი.

ორ ტოტად რომ იყოფა მილიტამპლისა და სენტ-ავუას ქუჩების მიმართულებით, სწორედ ამ განშტოების წერტილში იპოვეს ჰუგენოტის თითბრის მედალი, რომლის ერთ პირზე ღორის თავი იყო გამოსახული კარდინალის თავსაბურით და მეორეზე - მგელი პაპის ტიარით.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი რამ კლოაკის შესასვლელში იპოვეს. მას წინათ ცხაური ჰქონდა აფარებული, რომელსაც აქა-იქ შერჩენოდა საკიდი კაუჭები. ერთ კაუჭზე სისხლიანი, დამპალი ჩვარი ეკიდა; ეტყობა, წყალდიდობისას კაუჭს გამოსდებოდა და ზედ შერჩენილიყო. ახლოს მივიდა ბრიუნზო, ფარნის შუქზე გასინჯა, - ძვირფასი ბატისტი იყო და ერთ კუთხეში, ნაკლებად დაზიანებულში, მოჩანდა ამოქარგული ჰერალდიკური გვირგვინი და ექვსი ასო, - L, A, U, B, E, S, P. გვირგვინი მარკიზისა იყო, ექვსი ასო კი ნიშნავდა Laubespine-ს. ეს მარატის სუდარის ნაჭერი ყოფილა. ჭაბუკობაში ერთი სატრფო ჰყავდა, იმ დროს, როცა გრაფ დ’არტუას საჯინიბოს ექიმად იყო და ერთი დიდებული ქალბატონი უყვარდა. ეს ისტორიულად

იყო დამტკიცებული, და ამ ქალისგან ჰქონდა ძვირფასი ზეწარი, ვინ იცის, სახსოვარი თუ შემთხვევით მის ბინაში დავიწყებული. მარატი რომ მოკვდა, მის სახლში სუდარად შესაფერისი ვერაფერი იპოვეს და მოხუცმა დედაკაცებმა სწორედ იმ ზეწარში გაახვიეს, რომელზედაც სიყვარულის ჟინს იკლავდა ხალხის ტრაგიკული მეგობარი.

ბრიუნზომ მარატის სახსოვარი იქვე დატოვა, სადაც ეკიდა, წყალს არ გააყოლა. ზიზღით მოუვიდა თუ პატივისცემით? მარატი ღირსი იყო ზიზღისაც და პატივისცემისაც. მართლაც, ბედისწერის ბეჭედი აქ მეტისმეტად ცხადი იყო, რომ გაებედა და ხელი ეხლო. ეგეც არ იყოს, სამარის ნაშთი იმ ადგილას უნდა დატოვო, რომელიც თავად აირჩია განსასვენებლად. და მაინც, ეს უცნაური რელიკვია იყო. მასზე მარკიზას ეძინა, მასში გაიხრწნა მარატი. მან პანთეონი გამოიარა, რათა კლოაკის ვირთხების ლუკმა გამხდარიყო. ამ საწოლის თეთრეულის ნაგლეჯმა, რომელსაც ვატო ოდესღაც სიცოცხლით სავსე სინატიფით გამოსახავდა, იმით დაასრულა არსებობა, რომ დანტეს დაჟინებული მზერის ღირსი შეიქნა.

სრული შვიდი წელიწადი მოუნდა პარიზის მიწისქვეშა ქალაქის შემოწმებას, 1805-დან 1812 წლამდე. წინ მიიწევდა ბრიუნზო, აღნიშნავდა, სად რა უნდა გაკეთებულიყო და დაუყოვნებლივ ასაქმებდა მუშებს. 1808 წელს პონსოს წყალსადინარს ფსკერი დაუდაბლა, 1809 წელს, - თან ახალი ხაზებიც გაჰყავდა, - სენ-დენის ქუჩის ქვეშ, ვიდრე ინოსანის შადრევნამდე, ჩასადენი არხი გააგრძელა; 1810 წელს წყალსადინარი გაიყვანა ფრუამანტოსა და სალპეტრიერის ქუჩებქვეშ; 1811 წელს - ახალი პატარა ავგუსტინელების, მაილის, ეშარპის ქუჩებისა და სამეფო მოედნის ქვეშ; 1812 წელს - პესა და შოსე დ'ანტენის ქვეშ. პარალელურად მთელ ქსელს ასუფთავებდა და დეზინფექციას ატარებდა. მუშაობის მეორე წელს თანაშემწედ თავისი სიძე ნარგო აიყვანა.

ასე გაწმინდა XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენმა ძველმა საზოგადოებამ თავისი დედაქალაქი და მოაწესრიგა წყალსადინარები. ასე იყო თუ ისე, კლოაკა გასუფთავდა.

დაკლაკნილი, დამსკდარი, ფილაქანაშლილი, ორმოებიანი, ტალახიანი, აღმართ-დაღმართიანი, მყრალი, საზიზღარი, საზარელი, ბნელით მოცული, ქვაფენილზე ნაიარევებიანი, კედლებზე კი ჭრილობებიანი, ადამიანის თავზარდამცემი, - ასეთი იყო წარსულში პარიზის ძველი კლოაკა: ყველა მიმართულებით მიმავალი მილებით, დერეფნების გზაჯვარედინებით, განშტოებებით - ზოგი ბატიფეხურის მსგავსით, ზოგიც ვარსკვლავისებურით - თითქოს თხრილში მოქცეული, ბრმა ნაწლავის წანაზარდის მსგავსი ჩიხებით, გვარჯილით გაჟღენთილი თაღებით, მყრალი სალექარებით, კედლებზე სველი სირსველით, ჭერიდან მწვეთავი წვეთებით, თვალშეუდგამი წყვდიადით.

რა შეედრებოდა საშინელებით ამ უძველეს აკლდამა-გამწმენდს, ამ ბაბილონის მომნელებელ ტრაქტს, გამოქვაბულს, ორმოს, გადაკვეთილს ქუჩებით, უფსკრულს, თვალუწვდენელ თხუნელას სოროს, სადაც გეჩვენებათ, რომ თითქოს წყვდიადში, გარდასული დიდებულების საზიზღარ ნარჩენებში, დაეხტება ვეებერთელა ბრმა თხუნელა - წარსული.

ასეთი იყო, ვიმეორებთ, წარსული დროების კლოაკა.

## თავი მეხუთე

ახლა კი კლოაკა გასუფთავებულია, მოწესრიგებული, წელში გამართული, ის თითქმის იდეალის განსახიერებაა, რომელსაც ინგლისში აღნიშნავენ სიტყვით „რესპექტაბელური“. ერთიანად რუხია, გაშოლტილი და თუ შეიძლება ასე ითქვას, პეწიანად ჩაცმული. იმ კაცს ჰგავს, რომელიც ადრე ვაჭარი ყოფილა, ახლა კი საიდუმლო მრჩეველი გამხდარა. იქ ახლა თითქმის აღარ არის სიბნელე. იქ ახლა ტალახიც კი დარბაისლურად იქცევა.

ერთი შეხედვით, შეიძლება კლოაკა ერთ-ერთი მიწისქვეშა გასასვლელიც ეგონოს კაცს, ფართოდ გავრცელებული და მეტად მოხერხებული მონარქებისა და პრინცების გასაქცევად იმ ძველ კარგ დროში, როცა „ხალხი აღმერთებდა თავის მეფეებს“. ახლანდელი კლოაკა ლამაზიც კი არის: აქ სტილის სისუფთავე სუფევს, კლასიკური, სწორხაზოვანი სტილისა, - რომელიც პოეზიიდან განიდევნა, მაგრამ თავშესაფარი თითქოს არქიტექტურაში პოვა, - და ადვილად შენიშნავთ პირქუში, მოთეთრო თაღების თითოეულ ქვაზე.

აქ თითოეული ჩასადენი არხი კამარად გეჩვენება - რივოლის ქუჩის არქიტექტურამ თვით კლოაკის წიაღსაც დააჩნია კვალი. ამასთან, თუ სადმე უპრიანია და მართებული გეომეტრიული ხაზები, სწორედ რომ მის არხებში, რომლებშიც გადის მთელი ქალაქის სიბინძურე. აქ ყველაფერი ახლო მანძილზეა გათვლილი. ჩვენი დროების კლოაკამ ოფიციალური სახე მიიღო. თვით პოლიციის ანგარიშებში, სადაც კლოაკა ხშირად არის ნახსენები, მასზე ერთგვარი მოწიწებითაც კი ლაპარაკობენ. ადმინისტრაციული ენა მის მოსახსენიებლად ამაღლებულ და მართებულ სიტყვებს არჩევს. მას, რასაც ერთ დროს, ნაწლავს ეძახდნენ, გალერეა ჰქვია, ხვრელს - ჭა. ვიიონი ვეღარც კი იცნობდა თავის ღამის თავშესაფარს. ეს მიწისქვეშა ქსელი ძველებურად არის სავსე მღრღნელებით, აქ უხსოვარი დროიდან რომ გამრავლებულან, და ახლაც, ზოგჯერ, პატივცემული ულვაშიანი ვირთხა გაბედავს, თავს ამოყოფს კლოაკის სასულეში და პარიზელებს ათვალიერებს. თანდათან ეს საძაგელი არსებებიც მოშინაურდნენ, იმდენად მოსწონთ თავიანთი მიწისქვეშა სასახლე. კლოაკამ სულ დაკარგა წარსული პირველყოფილი, ველური იერი.

წვიმა, რომელიც ადრე აბინძურებდა წყალსადინარებს, ახლა რეცხავს მათ. თუმცა კი დიდადაც ნუ ენდობით. კლოაკა უფრო პირმოთნეა, ვიდრე წმინდანი. ამაოდ ირჯებიან პოლიციის პრეფექტურა და სანიტარიული კომისია. ასენიზაციის ყველა ხრიკის მიუხედავად, კლოაკას მაინც რაღაც საეჭვო სუნი ასდის, როგორც ტარტიუფს აღსარების შემდგომ.

ახლა ამაშიც შევთანხმდეთ: კარგად რომ დაუკვირდეს კაცი, ნაგვის გატანით, სიბინძურის გარეცხვითა და წმენდით დიდ სამსახურს უწევს კლოაკა ცივილიზაციას და რადგან ამ მხრივ ტარტიუფის სინდისი უფრო წმინდაა, ვიდრე ავგიას თავლა, ცხადია, პარიზის მიწისქვეშა ქალაქიც დღეს წინანდელზე უკეთესია.

ეს გაუმჯობესება პროგრესზე მეტია, ეს გარდაქმნაა. ძველებურმა მთელი რევოლუცია გამოიარა, რომ ახლებურად მოწყობილიყო.

მერე ვინ გარდაქმნა, ვინ მოახდინა ეს რევოლუცია?

ერთმა კაცმა, რომელიც დავიწყებული ჰყავს ქვეყანას, იმ კაცმა, რომელიც ჩვენ გავიხსენეთ - ბრიუნზომ.

## თავი მეექვსე
## მომავალი პროგრესი

პარიზის ჩასადენი მილების გაყვანა ადვილი საქმე არ იყო. ათი საუკუნის განმავლობაში გაჰყავდათ და ვერ დაასრულეს. ვერც დაასრულებდნენ, ისევე როგორც ვერ დაასრულებდნენ პარიზის შენებას. კლოაკა პირქუში მიწისქვეშა ათასსაცეციანი პოლიპია, რომელიც მიწის ქვეშ ქალაქთან ერთად იზრდება. ყოველთვის, როცა ქალაქს ახალი ქუჩა გაჰყავს, კლოაკა ახალ თათს იწვდენს. ძველმა დინასტიამ მხოლოდ და მხოლოდ ოცდასამი ათას სამასი მეტრის სიგრძის მილები გაიყვანა ქალაქის ქვეშ; ასე იყო საქმე პარიზში 1806 წლის 1-ელ იანვარს. ამის შემდგომ კი - ახლავე შევეხებით ამ ხანასაც, - დიდ ყურადღებას აქცევდნენ მიწისქვეშა ქალაქს, ზრუნავდნენ მის კარგად მოწყობაზე; ნაპოლეონმა - საინტერესოა ეს ციფრები - ოთხი ათას რვაას ოთხი მეტრი საკანალიზაციო მილები გაიყვანა, ლუი XVIII-მ ხუთი ათას შვიდას ცხრა; შარლ X-მ ათი ათას რვაას ოცდათექვსმეტი, ლუი-ფილიპმა - ოთხმოცდაცხრა ათას ოცი; 1848 წლის რესპუბლიკამ ოცდასამი ათას სამას ოთხმოცდაერთი, თანამდეროვე მთავრობამ სამოცდაათი ათას ხუთასი, სულ დღეს ორას ოცდაექვსი ათას ექვსას ათი მეტრია. ამ სიგრძის ნაწლავები აქვს დღეს პარიზს, შეუწყვეტლივ მომუშავე ბნელი ქსელი, უზარმაზარი, ყველასათვის უცნობი ნაგებობა. როგორც ეს რიცხვები გვიმტკიცებენ, პარიზის ქვედა ლაბირინთი დღეს ერთიათად მეტია, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისში იყო. ძნელი წარმოსადგენია ის ურიცხვი ხარჯი და შრომა, რაც მას დასჭირდა შესაკეთებლად და ისე მოსაწყობად, როგორიც დღეს არის. დიდი შრომა გასწია ძველმა ქალაქის სამეფო უწყებებმა და XVIII საუკუნის უკანასკნელ ათ წელიწადს რევოლუციურმა მთავრობამ, რომ გაეყვანათ ცხრამეტი ათასი მეტრი წყალსადენი, რომელიც 1806 წლამდე არსებობდა. ამ საქმეს ბევრი რამ ეღობებოდა წინ: ერთი მხრივ, გრუნტის თავისებურებანი, მეორე მხრივ კი პარიზის მუშებში ძველთაგანვე ფეხმოკიდებული ცრუმორწმუნეობა. პარიზის მიწა უცნაურად ძნელად ემორჩილება ბარსა და თოხს, ბურღვასა და ადამიანის ხელს. არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე იმ გეოლოგიური ფორმაციის განგრევა და გაბურღვა, რომელზეც დაუვანებია დიდებულ ისტორიულ ფორმაციას, სახელად პარიზს. როგორც კი ადამიანი გადაწყვეტს, როგორმე გაარღვიოს ეს ნაყარი შრეები, მაშინვე წინ აღუდგება მიწაში ჩამალული ურიცხვი დაბრკოლება: ხან თხევადი თიხამიწა, ხან მიწისქვეშა წყაროები, ხან მაგარი ქანები, ხან წებოვანი და ჩაჭაობებული შლამი, სპეციალისტები „მდოგვს“ რომ ეძახიან. წერაქვი ძლივძლივობით ანგრევს კირქვის ფენებს, რომელსაც დროდადრო თიხის ძარღვები გამოერევა, და ფიქლის შრეებს, პრეისტორიული ოკეანეების დროინდელი ლოკოკინის ნიჟარები რომ ჩაჰკირვია. ზოგჯერ დაუმთავრებელი თაღიდან უეცრად წყალი გამოხეთქავს და მუშებს დატბორავს, ზოგჯერ ჩანჩქერის მრისხანებით ნაშალი ჩამოზვავდება და მინასავით ფხვნის მასიურ საყრდენ მორებს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, როცა ვილიეტეში, სენ-მარტენის არხის ქვეშ, წყალსადინარი გაჰყავდათ, ისე, რომ ნაოსნობა არ შეწყვეტილა და არც არხი დაუშრიათ, არხის კალაპოტი უეცრად გაიბზარა და მიწისქვეშა შახტში წყალმა ისეთი ძალით იხუვლა, რომ წყალსაქაჩები ვერაფერს გახდნენ. საჭირო შეიქნა მყვინთავი, რომელმაც ბზარი არხის სათავეში აღმოაჩინა და დიდი გაჭირვებით

ამოქოლა. გარდა ამისა, ისევე როგორც სენის სანაპიროებზე, მისგან მოშორებითაც, მაგალითად, ბელვილში, გრანდ-რუსა და ლუნიერის ქუჩებქვეშ, მოძრავი ქვიშაა, რომელსაც შეუძლია თქვენ თვალწინ შთანთქას და ჩაითრიოს ადამიანი.

ამას დაუმატეთ მავნე ანაორთქლი, ხუთვას რომ იწვევს, კაცის ცოცხლად დამმარხავი მეწყრის უეცარი ჩამოქცევა; არ დაგავიწყდეთ ციებ-ცხელებაც, რომლითაც ადრე თუ გვიან ავადდებიან მიწისქვეშა წყალსადინარებში მომუშავე მუშები. არც ისე დიდი ხნის წინ ამ საქმეს მონო ხელმძღვანელობდა. მან კლიშის მიწისქვეშა გასასვლელი გათხარა ურკის მთავარი წყალსადენის წყლების მისაღებად. მუშები ათი მეტრის სიღრმის ტრანშეაში მუშაობდნენ. მეწყერს ხშირად ჩამპალ გრუნტში, ქვაბულების მეშვეობითა და მორის ბიგებით ებრძოდნენ. მონომ თაღით გადახურა ბიევრის კალაპოტი ოსპიტლის ბულვარიდან თვით სენამდე; პარიზისგან მონმარტრის წყლის ნაკადების თავიდან ასაცილებლად და მარტირის საგუშაგოსთან ცხრაჰექტრიანი ტბორის გასაშრობად კი გრძელი წყალსადინარი გაიყვანა ბლანშის საგუშაგოდან ობერვილიეს გზამდე. ოთხი თვე იმუშავეს, დღისით და ღამით, თერთმეტი მეტრის სიღრმეზე. მას შემდეგ კი - მართლაც გაუგონარი რამ არის! - რაც ღია ტრანშეების გარეშე, ექვსი მეტრის სიღრმეზე, მიწის ქვეშ ბარდიუ-ბეკის წყალსადინარი გაიყვანა, მონო გარდაიცვალა. მის კვალდაკვალ, როცა ქალაქის ყველა რაიონი, ტრავერსიერ-სენტ-ანტუანის ქუჩიდან ლურსინის ქუჩამდე სამიათასმეტრიანი წყალსადინარი თაღით გადახურა, წვიმის წყლები, სანსიესა და მუფეტარის ქუჩებს რომ ტბორავდა, ურსინის ქუჩის ქვეშ გამავალ გვერდით არხში მიუშვა, მოძრავ ქვიშაზე, ქვისა და ბეტონის წყალქვეშა საძირკველზე, სენ-ჟორჟის წყალსადინარი გაიყვანა, საკუთარი სიცოცხლე არად ჩააგდო და ნაზარეველი ღვთისმშობლის ქუჩის ქვემოთ მილების განშტოების ფსკერი დაადაბლა (ეს ძალზე სახიფათო სამუშაო იყო), ინჟინერი დიულოც გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ჩვენთან არავინ აქვეყნებს ამდაგვარ საგმირო საქმეებს, თუმცა კი მათ უფრო დიდი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ბრძოლის ველზე უაზრო ხოცვა-ჟლეტას.

1832 წლის დროინდელი კლოაკა ძალზე განსხვავდებოდა დღევანდლისგან. ბრიუნზომ ბიძგი მისცა მისი მოწესრიგების საქმეს, შემდგომ კი საჭირო შეიქნა ქოლერის ეპიდემია, რომ ქალაქის მმართველობას ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა და ღირსეულად გაესრულებინა. საოცარია, მაგრამ მაგალითად, 1821 წელს წრიული წყალსადინარის ნაწილი, ე. წ. დიდი არხი, რომელიც სავსე იყო დამყაყებული წუმპით, ჯერ კიდევ გურდის ქუჩაზე გადიოდა, ღია ცის ქვეშ, ისე როგორც ვენეციაში, და პარიზმა მხოლოდ 1823 წელს გაიკრა ჯიბეზე ხელი და ორას სამოცდაექვსი ათას ოთხმოცი ფრანკი და ექვსი სანტიმი გაიღო, რომ თაღით დაეფარა ეს სირცხვილი.

სამი ჩასადენი ჭა - კუნეტის, კომბეას და სენ-მანდეს ქუჩებზე, - აღჭურვილი ჩასადენი ღარებით, გამწოვი მილებით, სალექარებით მათი გამწმენდი განშტოებებითურთ, მხოლოდ მხოლოდ 1836 წელს გათხარეს. პარიზის მიწისქვეშა ნაწილი სრულიად ახლად გაშენდა უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათჯერ მაინც გადიდდა, ვიდრე მანამ იყო.

ბევრ ქუჩაზე ნაცვლად დღევანდელი ამობურცული ქვაფენილისა, ჩაზნექილი რიყის ქვის ქვაფენილები იყო. ყველაზე დაბალ წერტილში, სადაც ქუჩის დაღმართს ან გზაჯვარედინს მიჰყავდით, ხშირად შეხვდებოდით ფართო, კვადრატულ, სქელი რკინისგისოსებიან ცხაურებს, გამვლელების ფეხით გაპრიალებულს, სრიალასა და

სახიფათოს ეტლებისთვის, რადგან ცხენებს ხშირად წაუფორხილებიათ და დაცემულან. საგზაო უწყების ოფიციალურ ენაზე ამ დაბალ წერტილებსა და ცხაურებს მეტად მეტყველ სახელს clissis - ხაფანგს უწოდებდნენ. ჯერ კიდევ 1832 წელს ბევრ ქუჩაზე - მაგალითად, ეტუალის, სენ-ლუის, ტამპლის, ვაიელ-ტამპლის, ნაზარეველი ღვთისმშობლის, ფოლი-მერიკურის ქუჩებზე, ფლერის სანაპიროზე, პტიმუსკის, ნორმანდიის ქუჩებზე, პონტო-ბიშიზე, მარეში, სენ-მარტენის გარეუბანში, ნოტრდამ-დე-ვიკტუარის, მონმარტრის გარეუბანში, გრანჟ-ბატელიერის ქუჩაზე, ელისეს მინდვრებზე, ჟაკობისა და ტურნონის ქუჩებზე - ძველ, შუა საუკუნეების კლოაკას ცინიკურად დაეღო ხახა. ეს იყო დიდი, პირდაფჩენილი ხვრელები, გარს გაუთლელი ქვებით შემოწყობილი და აქა-იქ თავხედური ურცხვობით ტუმბოებით შემოღობილი.

1806 წელს პარიზის წყალსადინარები სიგრძით თითქმის არ აღემატებოდა 1663 წლის მაისის დროინდელ ციფრებს: ორმოცი ათას სამას მეტრს. 1832 წლის 1-ელი იანვრისთვის, ბრიუნზოს შემდგომ, ხუთი ათას სამასოცდარვა მეტრი იყო.

1806-დან 1831 წლამდე საშუალოდ, ყოველწლიურად, შვიდას ორმოცდაათი მეტრი წყალსადინარი მილები გაჰყავდათ, მერე წელიწადში რვა და ხშირად ათი ათასი მეტრის სიგრძის მოხრეშილი, კირის ჰიდრავლიკური ხსნარით გამაგრებული და ბეტონისსაძირკვლიანი მიწისქვეშა გვირაბები. თუ მეტრზე ორას ფრანკს ვიანგარიშებთ, თანამედროვე პარიზის 96 კილომეტრი ჩასადენი მილი 48 მილიონი დაჯდა.

გარდა ეკონომიკური პროგრესისა, პარიზის კლოაკასთან საზოგადოებრივი ჰიგიენის მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც არის დაკავშირებული.

პარიზი ორი სტიქიონის შუა არის აგებული: ძირში წყალი აქვს, ზემოდან - ჰაერი. წყალი საკმაოდ ღრმად არის მიწაში და უკვე ორჯერ ბურღვით გამოკვლეული, მწვანე ქვიშნარის ფენაზე განისვენებს, ცარცისა და იურული პერიოდის კირქვის შრეებს შორის. ეს ფენა შეიძლება დისკისებურად გამოისახოს, 25 მილის დიამეტრით. იქ ჩაედინება უამრავი მდინარე და ნაკადული; გრენელის ჭიდან აღებულ ჭიქა წყალში თქვენ სენის, მარნის, იონის, უაზის, ენის, შერის, ვიენისა და ლუარის წყალს სვამთ. წყალი სამკურნალოა, ის ჯერ ცაში წარმოიშვება, შემდგომ მიწის წიაღში; ჰაერი მავნებელია, ის მყრალ ანაორთქლს ისრუტავს. კლოაკის ყველა მიაზმა ჰაერში ზავდება და მას ქალაქი სუნთქავს. ამიტომაც აქვს პარიზს ასე არაჯანსაღი სუნთქვა. ნაკელის გროვის თავზე აღებული ჰაერის სინჯი - ეს მეცნიერებამ დაამტკიცა, - გაცილებით სუფთაა, ვიდრე პარიზის ჰაერი. დადგება დრო, როცა პროგრესის წინსვლის, ტექნიკური და სამეცნიერო აღმოჩენების წყალობით წყალი ჰაერს გაწმენდს - სხვაგვარად რომ ვთქვათ, წყალსადინარებს გარეცხავს. წყალსადინარის გარეცხვაში ვგულისხმობთ სიბინძურის მიწაში ჩატანას, ნიადაგის გაპატივებასა და მინდვრების განაყოფიერებას. ეს უბრალო ღონისძიება ხალხს გაჭირვებას შეუმსუბუქებს და ქალაქს სიჯანსაღეს შეჰმატებს. ახლა კი პარიზის სნეულებანი ორმოცდაათ მილზე მაინც ვრცელდება, თუკი ლუვრს ამ ჭირის ბორბლის მორგვად ჩავთვლით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგერ უკვე ათი საუკუნეა კლოაკა პარიზის მძიმე სენია. ჩამდინარე წყლები ქალაქს სისხლს უწამლავს. ხალხის ალღოს ეს არ გამოჰპარვია. ძველად კლოაკის მწმენდავის ხელობა ისევე სახიფათოდ და თითქმის საძულველად ითვლებოდა, როგორც ტყავისმხდელისა, რასაც ხშირად ჯალათს ავალებდნენ.

ძალიან დიდი გასამრჯელოს ფასად თუ ჩავიდოდა რომელიმე კალატოზი ამ სიმყრალით სავსე თხრილში; მიწის მთხრელიც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თუ დაჰყაბულდებოდა მასში კიბის ჩაშვებას. ხალხი ანდაზად ამბობდა, მყრალ მილში ჩასვლა საფლავში ჩასვლააო.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ბევრი შემზარავი ლეგენდა დადიოდა პარიზის კლოაკაზე, ამ უძირო თხრილზე, სახიფათო მიწისქვეშა ჯურღმულზე, რომელსაც ზედ აჩნდა გეოლოგიური ერებისა და რევოლუციური გადატრიალებების, საზოგადოდ, ყველა კატაკლიზმის კვალი, დაწყებული წარღვნის დროინდელი ნიჟარებითა და მარატის სუდარით დამთავრებული.

## წიგნი მესამე
## წუმპეა, მაგრამ სულით ძლეული

### თავი პირველი
### კლოაკა და მისი მოულოდნელობანი

სწორედ პარიზის ამ მიწისქვეშა ქალაქში ჩავიდა ჟან ვალჟანი. ერთი მსგავსება კიდევ პარიზისა ზღვასთან. აქ მყვინთავი შეიძლება ისევე დაიღუპოს, როგორც ოკეანეში.

უცნაური იყო ეს ერთი ნაბიჯი. შუა ქალაქში იყო ჟან ვალჟანი და ქალაქგარეთ გაჩნდა უცბად, თვალის დახამხამებაში, წამის განმავლობაში, როდესაც ცხაური ახადა და ისევ დახურა. ერთი წამი კმაროდა, რომ მზით გაკაშკაშებული დღიდან ღამის სიბნელეში ამოეყო თავი, შუადღიდან შუაღამეში, ქალაქის ხმაურიდან დუმილში, ზარბაზნის გრგვინვიდან სამარისებურ მყუდროებაში და ბედის კიდევ უფრო დიდი წყალობით, ვიდრე პოლონსოს ქუჩაზე არგუნა განგებამ, გარდაუვალი დაღუპვიდან სრულ უსაფრთხოებაში.

უცებ ჩავარდა მიწისქვეშეთში, პარიზის ქვის სამალავს შეაფარა თავი, გაერიდა ქუჩას, სადაც სიკვდილი დათარეშობდა, აკლდამაში, სადაც სიცოცხლე ბჟუტავდა, - ეს დაუვიწყარი წუთები იყო. ერთხანს დარეტიანებულივით იდგა და გაოგნებული სიჩუმეს აყურადებდა. მის ფეხქვეშ უცებ გადაიხსნა მხსნელი ხაფანგი. ციურმა განგებამ, ასე ვთქვათ, ცრუ გზით, კალთა გადააფარა.

კურთხეული ხაფანგი, განგებისგან გამზადებული! დაჭრილი ისევ უძრავად იყო და არ იცოდა ჟან ვალჟანმა, რა უნდა გაეყვანა ამ სამარიდან სამშვიდობოს, ცოცხალი თუ მიცვალებული?

ჟან ვალჟანის პირველი შეგრძნება სრული სიბრმავე იყო. უცებ ვეღარაფერი დაინახა. გარდა ამისა, ისიც მოეჩვენა, რომ უცბად, ერთი წამის განმავლობაში, დაყრუვდა, აღარაფერი ესმოდა. ბრძოლის გრიგალი, რომელიც სულ ახლოს, მის თავზემოთ ბობოქრობდა, ყრუდ, გაურკვევლად, ბუნდოვან გუგუნად ჩაესმოდა, თითქოს უძირო ორმოში ჩავარდნილიყო. გრძნობდა, რომ ფეხქვეშ მაგარი საყრდენი ჰქონდა. ამის მეტი ჯერ არაფერი იცოდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო. ხელი გაიშვირა და კედელს შეეხო; მეორე მხარესაც კედელი ყოფილა; ორივე მხარეს კედლები იყო, მიხვდა, რომ ვიწრო დერეფანში იყო: ფეხი დაუსხლტა და ახლა იმაში დარწმუნდა, რომ ფილაქანი სველი ყოფილა, ფრთხილად გადადგა ერთი ნაბიჯი; ეშინოდა, ორმო

არსად იყოს ან ნაპრალიო, მაგრამ ფილაქანი გრძელდებოდა. საზარელი მყრალი სუნი ეცა ცხვირში და მაშინ მიხვდა, სადაც ჩავარდნილიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდა, რომ არ დაბრმავებულიყო: ცხაურიდან მქრქალი სინათლე ჩამოდიოდა და თვალი შეაჩვია სიბნელეს. შორიახლო უკვე არჩევდა ყველაფერს. მიწისქვეშა გასასვლელი, სადაც ჟან ვალჟანმა დაიმარხა თავი - სხვაგვარად ვერ იტყვი, რომ უკეთ გამოსახო მისი მდგომარეობა, - ერთი იმ ჩიხთაგანი იყო, რომელსაც სპეციალისტები შტოს უწოდებენ. მის უკან კედელი იყო და წინ ბნელი დერეფანი. ცხაურიდან ჩამომავალი სინათლე იქვე ქრებოდა, ათ-თორმეტ ნაბიჯზე; მერე კი სრული წყვდიადი ისადგურებდა. საშინელება იყო იქ ყოფნა, გეჩვენებოდა, რომ წყვდიადი სამუდამოდ ჩანთქმას გიქადდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და გზას უნდა გასდგომოდა რაც შეიძლება სწრაფად. მაშინ მოაგონდა ჟან ვალჟანს რომ ის ცხაური, რომელიც მან ქვების გროვაში დაინახა, შეიძლებოდა ჯარისკაცებსაც ეპოვათ და ახლა ყველაფერი უბრალო შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. თუ დაინახეს, შეიძლება ისინიც ჩამოვიდნენ ამ მიწისქვეშა გასასვლელში და გაჩხრიკონ ჟან ვალჟანიც და ეს დაჭრილიც. სასწრაფოდ უნდა წასულიყო იქიდან. დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. წეღან მარიუსი ძირს დაუშვა. ახლა ისევ აიყვანა, ზურგზე წამოიკიდა, ესეც შესაფერი გამოთქმაა, და გზას გაუდგა. გაბედულად შეაბიჯა იმ წყვდიადში.

სინამდვილეში ისე კარგად არ იყო საქმე, როგორც ჟან ვალჟანს ეგონა. განსაცდელი ახლა სხვაგვარი და არანაკლებ საზარელი ელოდა, ვიდრე ზევით იყო: ბრძოლის მოგიზგიზე ალის ნაცვლად - მიაზმებითა და ხიფათით სავსე გამოქვაბული, ქაოსის ნაცვლად - კლოაკა. ჟან ვალჟანი ჯოჯოხეთის ერთი წრიდან მეორეში გადავიდა. ორმოცდაათი ნაბიჯი გაიარა და გაჩერდა. ერთი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი: ჟან ვალჟანის დერეფანი მეორეს ერთვოდა განივად და ახლა ორი გზა ედო თვალწინ. საით წასულიყო? მარჯვნივ თუ მარცხნივ? როგორ გადაეწყვიტა ეს, რაზე დაემყარებინა თავისი არჩევანი ამ ბნელ ლაბირინთში? ამ ლაბირინთს, როგორც ვთქვით, ერთი მიმართულება აქვს, - დაღმართისკენ. დაღმართს რომ გაჰყვება კაცი, მდინარესთან მივა.

ჟან ვალჟანმაც მაშინვე მოისაზრა ეს გარემოება. იფიქრა, ალბათ, ბაზრის ქვემოთ ვარ, მარცხნივ რომ წავიდე და ამ დაღმართს დავყვე, ერთი თხუთმეტი წუთის შემდეგ სენის ნაპირთან გავალ დე შანუისა და ახალ ხიდს შუა, ესე იგი, შუადღისას გავალ პარიზის ხალხმრავალ უბანში. იქნებ სწორედ იქ ავიდეს ამ მიწისქვეშა გასასვლელიდანო. განცვიფრდება, ვინც კი დაინახავს, რომ ორი გასისხლიანებული კაცი ამოძვრა მიწიდან, სწორედ ხალხის ფეხქვეშიდან. მერე, ალბათ, მოცვივდებიან პოლიციელები და ჯარისკაცებიც. მიწისქვეშეთიდან გასულიც არ იქნება, რომ ხელს სტაცებენ და გაბაწრავენ. ისევ სჯობდა, შესულიყო ამ ლაბირინთში, მინდობოდა სიბნელეს და აქედან თავის დაღწევა თავისი ბედისწერისთვის მიენდო.

აღმართს აჰყვა და მარჯვნივ წავიდა.

დერეფანი ჩაათავა, მოუხვია და ის პატარა სინათლეც გაუქრა, რომელიც აქამდე ჰქონდა. შავი პირბადე აეფვარა თვალებზე და კვლავ დააბრმავა. მაინც მიდიოდა იმდენად ჩქარი ნაბიჯით, რამდენადაც კი შეიძლებოდა სვლა ამ ქვესკნელში. მარიუსის ორივე ხელი კისერზე ჰქონდა შემოხვეული, ფეხები - ძირს დაშვებული. ერთი ხელით მარიუსის ხელები ეჭირა, მეორეს კედელზე აფათურებდა. მარიუსის

დასისხლიანებული ლოყა მის ლოყას ეკვროდა. გრძნობდა, როგორ დასდიოდა პატარა, თბილი ნაკადი, ტანისამოსი უსველდებოდა; მარიუსის ტენიან, თბილ ამონასუნთქს გრძნობდა, მაშასადამე, ცოცხალი იყო. ჟან ვალჟანი ახლა უკვე განიერ დერეფანში გასულიყო. დიდი გაჭირვებით მიდიოდა. გუშინდელი წვიმა ჯერაც არ გასულიყო არხიდან და მდინარედ მიდიოდა შუა დერეფანში. ჟან ვალჟანი იძულებული გახდა, კედელს გაჰყოლოდა, რომ წყალში არ გაეტოპა. მიდიოდა ამ წყვდიადში და რომელიღაც ღამის არსებას ჰგავდა, რომელიც ხელს აცეცებს უხილავში და მიწის ქვესკნელის სიბნელეში იფლობა.

მაგრამ შორეული ცხაურიდან ჩამოსული სინათლე მაინც ჭრიდა ამ სიბნელეს და ისიც ცდილობდა, რაც შეიძლება შორს წასულიყო. თვალიც მიაჩვია სიბნელეს და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც არჩევდა გზას. უკვე ხედავდა იმ კედელს, რომელსაც ხელით ეხებოდა, და იმ თაღს, რომლის ქვეშაც უნდა გაევლოთ. კაცს სიბნელეში თვალის კაკალი ეზრდება და ბოლოს და ბოლოს, მასში სინათლეს ხედავს, ისევე როგორც სული იწრთობა ტანჯვაში და მასში ღმერთს პოვებს.

ძნელი იყო გზის გაგნება.

მიწისქვეშა ქალაქის გეგმა იგივეა, რაც ქალაქის ქუჩებისა, ერთი ეგ არის, კლოაკა ქუჩის ქვეშ არის გაყვანილი. იმდროინდელ პარიზში ორი ათას ორასი ქუჩა იყო და ახლა წარმოიდგინეთ ამ ქუჩების ქვეშ, სიბნელეში დანთქმული დერეფნები და მათი განშტოებანი. იმდროინდელი დერეფნების სიგრძე დაახლოებით ორმოც კილომეტრამდე იქნებოდა. ზევით მოგახსენეთ უკვე, რომ დღევანდელი ქსელის სიგრძე კი არანაკლებ ორას ორმოცი კილომეტრი იქნება.

ჟან ვალჟანს გზა აერია. ეგონა, სენ-დენის ქუჩის ქვეშ ვარო და საუბედუროდ, სულ სხვაგან იყო. სენ-დენის ქუჩის ქვეშ ერთი ძველისძველი, ლუი XIII-ის დროინდელი ქვის წყალსადინარი გადის და პირდაპირ არხ-კოლექტორს, იგივე მთავარ კლოაკას უერთდება; მას ძველი სასწაულთა ეზოს ახლოს, მარჯვნივ, ერთადერთი მოსახვევი და სენ-მარტენის ქუჩის ქვეშ ერთადერთი განშტოება აქვს. მაგრამ რაც შეეხება პატარა ტრუანდერის მილსადენს, რომელშიც ჩასასვლელი „კორინთის“ ახლოს იყო, არასოდეს ყოფილა შეერთებული სენ-დენის ქუჩის ქვედა მილსადენთან, - ის მონმარტრის მილსადენს ერთვის და ჟან ვალჟანიც სწორედ ამ გზით მიდიოდა. აქ სულ ადვილი იყო გზის არევა. მონმარტრის კლოაკა ძველი ქსელის ერთ-ერთი ურთულესი განშტოებაა. კიდევ კარგი, ჟან ვალჟანმა გვერდი აუარა ბაზრების წყალსადინარებს, რომლებიც გეგმაზე მოხაზულობით ათასგვარად გადახლართულ გემსართავებს ჰგავდა. ჟან ვალჟანს ხიფათი სხვაც ბევრი ელოდა, - არაერთი ქუჩის გზაჯვარედინი, - მიწისქვეშაც ხომ იგივე ქუჩებია, - წინ რომ ესვეტებოდნენ დიდ კითხვის ნიშნებად. ჯერ ერთი, მარცხნივ პლატრიერის ქუჩის ფართო კლოაკა იყო, ნამდვილი ჩინური თავსატეხი, რომელსაც თავისი სადინარების ქაოსური დომხალი ასო T და Z-ს მსგავსად გაეშალა ფოსტის სასახლისა და პურის მოედნის ქვეშ, სენის მდინარემდე, სადაც Y-ის მსგავსად მთავრდებოდა; მეორე - მარჯვნივ - კადრანის ქუჩის მომრგვალო გვირაბი სამი ჩიხით, რომლებიც ბრჭყალებს ჰგავდა; მესამე და ისევ მარცხნივ - მაილის ქუჩის ქვედა განშტოება, რომელიც ზიგზაგურად ეშვებოდა და ყოველმხრივ განშტოებული ლუვრის ქვემოთ დიდ მიწისქვეშა სალექარში ჩადიოდა. დასასრულ, ბოლო მოსახვევის იქით, მარჯვნივ - ჟენერის ქუჩის ყრუ ჩიხი, თუ არ ჩავთვლით წვრილ-წვრილ ქუჩაბანდებს, დროდადრო რომ შემოგხვდებათ წრიულ არხამდე

მისასვლელ გზამდე, - მხოლოდ ის თუ მიიყვანდა ჟან ვალჟანს რომელიმე შორეულ და უხიფათო ადგილამდე. ამ ყველაფერზე მცირედი წარმოდგენა მაინც რომ ჰქონოდა, მაშინვე მიხვდებოდა, თუკი კედელს ხელს გააყოლებდა, რომ სენ-დენის ქუჩის მიწისქვეშა გალერეაში სულაც არ იყო.

ძველი გათლილი ქვის ნაცვლად, ნაცვლად უძველესი არქიტექტურისა, რომელიც თვით კლოაკაშიც კი ინარჩუნებდა ამაყ დიდებულებას, ნაცვლად იატაკისა და გრანიტის კედლების უმტკიცესი გრძივი წყობისა, რომლებიც კირის ხსნარით იყო ჩაცემენტებული, რაც მთავრობას თითო მეტრი ოთხას ფრანკად უჯდებოდა, ხელის შეხებითაც კი იგრძნობდა ბურჟუების იაფფასიან სამშენებლო მასალას, მოკლედ რომ ითქვას, უვარგის „ბრელოს“ - ჰიდრავლიკურ ხსნარზე მოზელილ დაჩვრეტილ კირქვას, ბეტონისძირიანს, რომლის ფასი თითო მეტრზე ორას ფრანკს არ აღემატებოდა. მაგრამ ჟან ვალჟანმა ეს ყოველივე არ იცოდა. წინ მიიწევდა ნაღვლით გულგასენილი, მაგრამ დამშვიდებული, ვერც ვერაფერს ხედავდა და არც ის იცოდა, სწორ გზას ადგა თუ არა. მიდიოდა შემთხვევის, ესე იგი, განგების იმედით.

ხანდახან, - ესეც უნდა ვთქვათ, - შიში მოერეოდა ხოლმე. თვალშეუდგამი წყვდიადი გონებას უბნელებდა. ალალბედზე მიდიოდა. კლოაკის ქსელი მეტისმეტად ვერაგია, თავბრუდამხვევი ხვეულებით სავსე. ურიცხვი განშტოება აქვს ყველგან და ვაი მისი ბრალი, ვინც ამ მიწისქვეშა პარიზის წყვდიადით სავსე ქუჩებში ჩავარდება! ჟან ვალჟანი იძულებული იყო, ეძებნა და თვითონვე აღმოეჩინა იმ წყვდიადში გზა. ბნელ დერეფანში უხდებოდა სიარული და ყოველი ნაბიჯი შესაძლებელი იყო, უკანასკნელი გამხდარიყო. როდის და სად უნდა გასულიყო ამ ჯურღმულიდან? სად ეპოვა გასასვლელი? როდის იპოვიდა? უფლებას მისცემს კი ქვის უჯრედებად დაყოფილი ეს მიწისქვეშა გიგანტური ღრუბელი მასში შევიდეს და გარეთ გააღწიოს? ამ წყვდიადში რაიმე მოულოდნელობა, გადაულახავი დაბრკოლება ხომ არ ელოდება? ნუთუ შიმშილით, ხოლო მარიუსს კი სისხლდენით სიკვდილი ელის ამ სიმყრალეში? თავში ათასგვარი კითხვა უტრიალებდა და პასუხი კი არსად იყო. უფსკრულია პარიზის წიაღი. ჟან ვალჟანი წინასწარმეტყველივით ურჩხულის წიაღში იყო.

უცბად სრულიად მოულოდნელი რამ შენიშნა, როცა სასოწარკვეთილი მიაბიჯებდა და თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. დარწმუნდა, რომ ახლა აღმართის მაგივრად დაღმართზე დაეშვა გზა. წყალი ფეხის თითებში კი არ სცემდა, როგორც აქამდე, არამედ ქუსლებში. ქვევით ეშვებოდა დერეფანი. რატომ? იქნებ ცოტაც კიდევ და სენას მისდგომოდა. ეს საშინელება იყო, მაგრამ რას იზამდა. უკან დაბრუნება უარესს უქადდა. ისევ გაუყვა გზას.

მაგრამ იგი სენისკენ არ მიდიოდა. სენის მარჯვენა ნაპირი ერთი მხრივ მდინარისკენ ეშვება, მეორე მხრივ კი მთავარი კლოაკისკენ. პარიზის მარჯვენა სანაპიროს ორფერდა ბორცვიდან ჩამდინარე წყლები სენასა და მთავარ კლოაკაში ჩაედინება.

უმაღლესი წერტილი, საიდანაც წყალსადინარები ყოველმხრივ მიემართებიან, სენტ-ავუას კლოაკაშია, მიშელ-ლე-კონტის ქუჩის გადაღმა, ლუვრის კლოაკაში, ბულვარების ახლოს, და მონმარტრის კლოაკაში, ცენტრალურ ბაზართან. ამ თხემის უმაღლეს წერტილს აუარა გვერდი ჟან ვალჟანმა. ის ახლა წრიული არხისკენ მიდიოდა და ვერ ხვდებოდა, რომ სწორ გზას ადგა.

ყოველთვის, როდესაც კი დერეფნის განშტოებას მიადგებოდა, ხელს მიმოატარებდა და თუ ახალი უფრო ვიწროდ მოეჩვენებოდა, ვიდრე ძველი, ისევ ძველ გზას გაჰყვებოდა, რადგან სრულიად სამართლიანად განსჯიდა, რომ ვიწრო დერეფანი, განიერში შემომავალი, ჩიხით გათავდებოდა, და მაშასადამე, თავის გზასა და მიზანს ასცდებოდა. ამის წყალობით იყო, რომ გადაურჩა ორ მახეს, რომელთაც ამ სიბნელეში ზემოთ აღნიშნული ოთხი დერეფნის გზაჯვარედინი უმზადებდა.

ერთხანს მიხვდა, რომ უკან მოიტოვა პარიზის ის ნაწილი, სადაც აჯანყების შიშის გამო ყველაფერი ჩამკვდარიყო, და ახლა ჩვეულებრივი, ცოცხალი პარიზის ქუჩებქვეშ მიდიოდა. უცბად ზემოდან შორეული ქუხილის მსგავსი გრიალი მოესმა. ეს ეტლების ბორბლების ხმა იყო.

ნახევარ საათზე მეტი იქნებოდა, რაც მოდიოდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია დასვენება; ოღონდ ხელი გამოიცვალა, რომლითაც მარიუსი ეჭირა. აქ უფრო ბნელოდა, მაგრამ ეს თვალშეუდგამი სიბნელეც საიმედოდ მიაჩნდა.

უცბად თავისი ჩრდილი ეცა თვალში. ეს ჩრდილი პატარა, თითქმის განურჩეველი სინათლის შედეგი იყო, რომელიც ფილაქანზე ეცემოდა მის ფეხქვეშ, თაღზე გადადიოდა და მარჯვნივ თუ მარცხნივ დერეფნის სველ კედელზე მიცურავდა, თითქოს წინ უძღოდა ჟან ვალჟანს. განცვიფრდა, უკან მიიხედა.

დერეფნის იმ ნაწილში, რომელიც ის იყო, გამოიარა და ახლა მეტად შორეულად ეჩვენა, ელვარებდა და თავისი სხივით ბნელს კვეთდა რაღაც საზარელი ვარსკვლავი, რომელიც ეტყობოდა, ჟან ვალჟანს უყურებდა.

ეს პოლიციის თვალი იყო - მიწისქვეშა ჯურღმულების პირქუში მნათობი.

ამ ვარსკვლავის უკან რვა თუ ცხრა გრძელი, მოკანკალე და საშიში შავი ჩრდილი მოირწეოდა.

## თავი მეორე
## განმარტება

6 ივნისს გასცეს ბრძანება, პოლიციამ წყალსადინარი შეამოწმოსო. მთავრობას ეშინოდა, იქაც არ იყვნენ ჩამალული აჯანყებულებიო. პრეფექტ ჟისკეს მიწისქვეშა ქალაქი უნდა გაეწმინდა აჯანყებულთაგან, ხოლო გენერალ ბიუჟოს ზედა ქალაქი; ეს იყო ორმაგი დავალება, ერთმანეთზე დამოკიდებული და ორმაგი ძალის დახმარებას მოითხოვდა, - ზემოთ ჯარისას და ქვემოთ კი პოლიციისას. პოლიციელებისა და წყალსადინარის მუშების სამი რაზმი ჩავიდა მიწისქვეშა ქალაქში და შეუდგა აჯანყებულების ძებნას, - ერთი სენის გაღმა, მეორე - გამოღმა და მესამე - ძველ ქალაქში.

პოლიციელები შაშხანებით, ხელკეტებით, ხმლებითა და ხანჯლებით იყვნენ შეიარაღებული.

ჟან ვალჟანისკენ ფარანი რომ მიემართათ, მარჯვენა მხარის მზვერავები იყვნენ.

ის იყო, დაეთვალიერებინათ მრუდი დერეფანი და სამი გაუვალი ჩიხი, რომლებიც კადრანის ქუჩის ქვეშ არის. სანამ პოლიციელები უშველებელ ფარნით ამ ჩიხებს ათვალიერებდნენ, ჟან ვალჟანი ერთი დერეფანს მიადგა და რაკი დარწმუნდა, წინანდელზე ვიწროაო, გვერდი აუარა. როცა პოლიციელები კადრანის ქუჩის ქვედა დერეფნიდან გამოვიდნენ, რაღაც ხმა მოესმათყ, თითქოს ფეხის ხმის მსგავსი,

მთავარი არხისკენ მიმავალი. ეს ჟან ვალჟანის ფეხის ხმა იყო. პოლიციელების მეთაურმა სერჟანტმა მაშინვე ზევით ასწია ფარანი, ყველანი გაჩერდნენ, ყური მიუგდეს, საიდანაც წეღან ფეხის ხმა მოელანდათ.

ამ დროს ჟან ვალჟანი რას განიცდიდა, შეუძლებელია გადმოცემა. მისდა საბედნიეროდ, კარგად ხედავდა პოლიციელების ფარანს, ფარანი კი მას ვერ ხედავდა. ფარანი სინათლე იყო, ის კიდევ ჩრდილი. შორს იყო მათგან და დერეფნის სიბნელე ფარავდა. კედელს აეკრა და უძრავად დადგა.

არ იცოდა, რა ხდებოდა იქ, მის უკან. ცალკე უძილობა აწუხებდა, ცალკე დაღლა; ახლა შიმშილი, იმხელა მღელვარება და ისე იყო დაქანცული და ღონემიხდილი, რომ აჩრდილს ჰგავდა. შორს ისევ ფარანი და მის ირგვლივ ჭუპრებივით მოფუთფუთე ჩრდილები დაინახა. რა უნდა ყოფილიყო? ვერ გაეგო.

შეჩერდა ჟან ვალჟანი და ფეხის ხმაც შეწყდა.

იდგნენ მზვერავები ყურთასმენად გადაქცეულნი, მაგრამ აღარაფერი ესმოდათ; შეჰყურებდნენ სიბნელეს და ვერაფერს ხედავდნენ. შეჯგუფდნენ, ბჭობა დაიწყეს.

მონმარტრის წყალსადინარის იმ ადგილას, სადაც ჟან ვალჟანი და პოლიციელები იყვნენ, ერთი გზაჯვარედინი იყო, საგუშაგოდ წოდებული; შემდეგში მოშალეს, რადგან, როგორც კი ადიდდებოდა წყალი, მაშინვე მთელი ტბა დადგებოდა ხოლმე საგუშაგოში. აქ მზვერავთა მთელი რაზმი თავისუფლად ეტეოდა.

ჟან ვალჟანი მათ შეჰყურებდა. დაინახა, როგორ შეკრეს პატარა წრე ამ ჭუპრებმა, თავები, ბულდოგის დრუნჩს რომ მიუგავდათ, ერთმანეთს მიუახლოეს და ჩურჩულებდნენ. ამ ბჭობის შედეგი ის იყო, რომ შემცდარიყვნენ, არავითარი ფეხის ხმა არ ყოფილა, მათ გარდა იქ არავინ იყო და სრულიად უსარგებლო იქნებოდა წრიული არხისკენ სვლა, დროის ამაოდ დაკარგვა, მით უფრო, რომ საჩქაროდ უნდა წასულიყვნენ სენ-მერისკენ, რადგან, თუ ბუზინგოების დაჭერა უნდოდათ, სწორედ იმ უბანში დაიჭერდნენ და არა აქ.

გავა რამდენიმე ხანი და ჩვენი პარტიები ახალ ლანჩას მიიკრავენ ძველ ფეხსაცმელზე. 1832 წელს სიტყვა „ბუზინგო“ სახელი იყო, რომელმაც „იაკობინელი“ შეცვალა, „დემაგოგი“ ჯერ თითქმის არც კი ისმოდა, თუმცა მას შემდეგ ფეხი მეტისმეტად მოიკიდა და გავრცელდა.

სერჟანტმა ბრძანება გასცა, მარცხნივ, სენისკენ ჩამავალი ფერდობისკენ წასულიყვნენ. აზრადაც არავის მოუვიდა, თორემ ორივე მხარეს რომ დაეწყოთ ძებნა, ჟან ვალჟანი ვეღარსად წაუვიდოდათ. იქნებ პოლიციელებს პრეფექტურის ბრძანებაც კი ჰქონდათ, ვაითუ მრავლად იყვნენ მიწისქვეშ აჯანყებულები და ბრძოლა აგიტეხონო, ერთად ეარათ და არ დანაწილებულიყვნენ. პოლიციელები თავიანთ გზას გაუდგნენ, ასე რომ, ჟან ვალჟანი უკან დარჩათ. ისე წავიდნენ, რომ ჟან ვალჟანი ხეირიანად ვერც კი მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა. გარდა იმისა, რომ ფარანი ისევე უცბად ჩაქრა, როგორც აინთო.

სანამ წავიდოდნენ, სერჟანტმა თავისი პოლიციური სინდისის დასამშვიდებლად იმ მიმართულებით, საიდანაც ფეხის ხმა მოესმათ, ჟან ვალჟანისკენ, თოფი გაისროლა. სროლის ხმას ხმა მისცა მიწისქვეშეთის თაღებმა, თითქოს ტიტანური სტომაქი აბუყბუყდაო. თაღიდან ბათქაშის ნაგლეჯი ჩამოვარდა, რუში ჩაეტყეპა, ჟან ვალჟანის გვერდით, წყალი შეაშხეფა და ამით აუწყა, რომ თოფის ტყვია თაღს ეძგერა, სწორედ მის თავზემოთ.

ცოტა ხანს კიდევ ისმოდა მწყობრად მიმავალი პოლიციელების ფეხის ხმა, უფრო და უფრო მეტად მიყრუებული მანძილის ზრდით; ბოლოს ბნელეთში ჩაიმალნენ მიმავალნი. ერთხელ კიდევ შეანათეს ფარანი თაღს, სხივის რკალით შეამკეს. მერე ისიც დაილია ნელ-ნელა. ისევ ის წყვდიადი და დუმილი დააწვა ქვესკნელს, კვლავ სიყრუე გამეფდა თავის სამფლობელოში. ჟან ვალჟანი კი ჯერაც იქ იდგა. ვერ ბედავდა ფეხის გადადგმას; კედელს მიჰყუდებოდა, ყურს უგდებდა პოლიციელების ფეხის ხმას და თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა მიმავალი მზვერავების აჩრდილებს.

## თავი მესამე
## დევნილი

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ იმდროინდელი პოლიცია, რაც უნდა ძალიან გამწვავებულიყო საზოგადოებრივი მდგომარეობა, მაინც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას და თვალყურს ადევნებდა ყველაფერს. შეიძლება აჯანყება მძვინვარებდეს ქვეყანაში, მაგრამ ამ დროსაც პოლიცია თავის საქმეს არ უნდა ივიწყებდეს და ნებას არ აძლევდეს ქურდებს, თავისუფლად იქურდონ და გაძარცვონ ხალხი; შეიძლება საშიშ მდგომარეობაში იყოს მთავრობა, მაგრამ საზოგადოებასაც უნდა ჰყავდეს მეთვალყურე, რომ ქურდებისა და ყაჩაღების ლუკმა არ გახდეს. მართალია, პოლიციას თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა მრავალი საქმე დააწვა ამ აჯანყების გამო, მაგრამ თავის საქმესაც არა ღალატობდა და ძველებურად ემსახურებოდა საზოგადოებრივ წესრიგს. თვით პოლიტიკური მოძრაობის ალშიც კი პოლიცია თავისას არ იშლიდა. მოვალეობას ვერც აჯანყება ავიწყებდა, ვერც ბარიკადი და ქურდს ძველებურად უკან სდევდა.

სწორედ ასეთი რამ მოხდა 6 ივნისის ნაშუადღევს მდინარე სენის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე, ინვალიდების ხიდის ოდნავ ქვემოთ. დღეს აღარ არის ეს ფერდობი. მას შემდეგ აქაურობა ძალიან შეიცვალა.

ორი კაცი მიდიოდა იმ ფერდობზე, საკმაოდ დაშორებულნი ერთმანეთისაგან, ერთმანეთის მზვერავნი. წინ მიმავალი ცდილობდა, როგორმე გაჰპარვოდა მეორეს; უკან მიმავალი კი ცდილობდა, ხელიდან არ გაეშვა პირველი.

ეს ჭადრაკის თამაში იყო ერთგვარი, ოღონდ მოთამაშენი ერთმანეთს შორიშორს უდგნენ და ხმას არ იღებდნენ. არც ერთს ეტყობოდა აჩქარება და არც მეორეს, ორივე ნელა მიდიოდა, თითქოს ეშინოდათ, რომ ავჩქარდე, ჩემს მოქიშპესაც ავაჩქარებო.

რომ დაგენახათ, იტყოდით, დამშეული ნადირი მისდევს ნადავლსო. თუმცა მსხვერპლი ისეთი იერით მიდიოდა, თითქოს სასეირნოდ გამოსულიყო, მაგრამ ნადირიც გამოცდილი ბრძანდებოდა და ფრთხილად მიჰყვებოდა.

დევნილ კვერნასა და მდევარ მწევარს შორის მანძილი მტკიცედ იყო დაცული. დევნილი ღარიბ კაცს ჰგავდა, გამხდარი იყო და საეჭვო სახის; მდევარი კი მაღალი ტანის კაცი იყო, მკაცრი შეხედულებისა და მასთან შებრძოლება კარგს არაფერს გიქადდა.

წინ მიმავალი თვითონვე გრძნობდა თავის სისუსტეს და ცდილობდა, თავი დაეძვრინა. საშინლად იყო გაბრაზებული, თვალები ცოფიანივით უელავდა. მის თვალებში დევნილი ნადირის ბოღმასაც დაინახავდით, მუქარასაც და შიშსაც

ფერდობი უკაცრიელი იყო. გამვლელი არსად ჩანდა. აქა-იქ სენაში ნაპირზე მიბმული ნავები ირწეოდა, არც მენავეები ჭაჭანებდნენ და არც მტვირთავები. ამ ორი კაცის კარგად დანახვა მარტო ბულვარიდან შეიძლებოდა და ამ მანძილიდან რომ შეეთვალიერებინა ვინმეს, წინ მიმავალი მაწანწალა ეგონებოდა: დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, დამფრთხალი იყო და მთლად ცახცახებდა თავის დაფლეთილ ხალათში; მეორე კი, დიდებული წარმომადგენელი მთავრობისა, სერთუკში გამოწკეპილიყო, და როგორც შეეფერება კარგ მოხელეს, თავით ბოლომდე შეკრული ჰქონდა ღილები.

ახლო რომ ენახა, იქნებ კიდეც ეცნო ჩემს მკითხველს ორივე.

რა განზრახვა უნდა ჰქონოდა უკანას, მდევარს?

ალბათ, უნდოდა ცოტა თბილად შეემოსა წინ მიმავალი ღარიბ-ღატაკი.

მთავრობის კარგად ჩაცმული მოხელე რომ დაინახავს ასე ძონძებით მოსილს, სულ იმას ცდილობს, ის უბედურიც მთავრობას შეამოსვინოს; ოღონდ აქ ფერის საკითხი ხდება საკამათო: ვინც ლურჯით არის მოსილი, დიდებულია, ვინც წითლით, ვაი მისი ბრალი.

არსებობს კიდევ საზოგადოების ლექის მეწამული ფერი. სწორედ ასეთ უსიამოვნებასა და ამ სახის მეწამულ ფერს გაურბოდა წინ მიმავალი მამაკაცი.

ცხადი იყო, რაღაც განზრახვა ჰქონდა მდევარს, რომ წინ გაუშვა კაცი, უკან მისდევდა და არ იჭერდა. ალბათ, ფიქრობდა, წავიდეს, იქნებ თავისი ბინა მაჩვენოს, ან თავის თანამოსაქმეებთან შევიდეს და ერთის მაგივრად ბევრი მოვინადირო. ამ ოსტატობას „თვალთვალი“ ჰქვია.

ეს მოსაზრება სრულიად საფუძვლიანი უნდა იყოს, რადგან მდევარმა ფერდობზე ცარიელი ეტლი დაინახა და ანიშნა მეეტლეს; ისიც მიხვდა, ალბათ, მაშინვე იცნო სერთუკიანი და ნელი ნაბიჯით შორიახლო მიჰყვა მიმავლებს. ეს ვერ შენიშნა საეჭვო კაცმა, რომელიც წინ მიდიოდა გაცეცხლებული.

ელისეს მინდვრების დაჩრდილულ ხეივანს მიუყვებოდა ეტლი. მეეტლისა და მისი მათრახის ჩრდილი პარაპეტზე მიირწეოდა და თან მისდევდა ეტლს.

პოლიციის საიდუმლო ინსტრუქციაში ერთი ასეთი მუხლია: „ყოველი შემთხვევისათვის, მუდამ ახლო გყავდეთ დაქირავებული ეტლი“.

საკვირველი სიფრთხილითა და სტრატეგიული მოხერხებით მიდიოდა ორივე მამაკაცი. მალე დაღმართის ნაწილს მიადგნენ, რომელიც ნელ-ნელა ეშვებოდა წყლამდე და პასიდან მიმავალ ეტლს საშუალებას აძლევდა, წყალზე ჩაეყვანა ცხენები დასარწყულებლად. მოგვიანებით ეს ადგილიც გათხარეს, რათა სიმეტრიული ყოფილიყო სენის სანაპირო. მართალია, ახლა ცხენები წყურვილით კვდებიან, სამაგიეროდ თვალი ლამაზი სანაპიროს ცქერით ტკბება.

მოსალოდნელი იყო, რომ დევნილი აღმართს შეუდგებოდა, რომ ელისეს მინდვრებზე დამალვოდა მდევარს. იქ ხე კი ბევრია, მაგრამ სამაგიეროდ პოლიციელებიც მრავლად არიან, ასე რომ, იქ მზვერავს ბევრი დამხმარე ეყოლებოდა.

სენის სანაპიროს ეს ადგილი ახლოს არის 1824 წელს პოლკოვნიკ ბრაკის მიერ მორეედან პარიზში ჩამოტანილ სახლთან, რომელსაც ფრანსუა I-ის სახლს ეძახიან. იქვე კი პოლიციის საგუშაგოც იყო. ძალიან განცვიფრდა მდევარი, როდესაც დევნილი

აღმართს კი არ შეუდგა, არამედ ისევ თავის გზას გაჰყვა, სენის სანაპიროს გასწვრივ მიდიოდა.

ეტყობოდა, ცუდად იყო მისი საქმე.

ერთადერთიღა დარჩენოდა, სენაში ჩავარდნა, მეტი რა უნდა ექნა?

დევნილმა შეცდომა დაუშვა, სანაპიროზე ასვლის საშუალება მოისპო. აქ აღარც გზა იყო, აღარც კიბე. იმ ადგილს მიახლოებოდა, სადაც მდინარე მიმართულებას იცვლის და იენის ხიდისკენ ბრუნდება, სადაც ნაპირი უფრო და უფრო ვიწროვდება, მიწის წვრილ ზოლად გადაიქცევა და წყალში იკარგება. იქ კი უცილობლად ოთხივე მხრიდან ჩიხში მოექცევა: მარჯვნიდან გზას მოუჭრის ფრიალო კედელი, მარცხნივ და პირდაპირ - მდინარე და ზურგიდან კი მთავრობის წარმომადგენელი.

მართალია, სანაპირო ისარას ბოლოს ამოეფარებოდა ორი მეტრი სიმაღლის ქვა-ღორღს, რომელიც აქ დანგრეული შენობის შემდგომ დარჩა, მაგრამ ნუთუ საბრალოს იმედი ჰქონდა, რომ დაიფარავდა ეს ნაგვის გროვა, რომლის მეორე მხრიდან შემოვლა სულ ადვილი იქნებოდა მდევრისთვის?

ბავშვური იქნებოდა ასე დამალვა. არა, ეტყობოდა, სხვა რამ ჰქონდა განზრახული. არც ასე მიამიტები არიან ქურდები.

მდინარის ნაპირზე ნაგავი პატარა ბორცვად ეყარა და ერთი მხრით წყლამდე ჩადიოდა.

ნაგვის ბორცვი გადაიარა დევნილმა და მდევარს თვალიდან მოეფარა. ვეღარ ხედავდა მონადირე თავის ნადირს და რაკი ვეღარც ნადირი დაინახავდა, მთლად დაივიწყა სიფრთხილე, ჩქარი ნაბიჯით გასწია იმ კაცისკენ და ნაგვის გროვას მიუახლოვდა. გარს შემოუარა და განცვიფრდა, აღარსად იყო მისი ნადირი, ამაოდ ჩაუარა დევნამ.

აღარსად იყო ის კაცი, - ცას ჩაეყლაპა ან დედამიწას.

ნაპირზე დაყრილ ნაგავს დაეფარა მიწა და პატარა ვიწრო კონცხადღა ჩადიოდა წყალში, სულ ოცდაათი ნაბიჯის სიგრძის ძლივს იქნებოდა.

დევნილი ვერც წყალში გადავარდებოდა, რომ მდევარს არ დაენახა, ვერც ფერდობზე ავარდებოდა, მაშ, სად დაიმალა, სად გაქრა?

სერთუკშეკრული ფერდობის ბოლოში გავიდა და ცოტა ხანს იქ იდგა ჩაფიქრებული, თვალგაშტერებული, კარგად ჩანდა, რომ ხელი უკანკალებდა. მერე უცბად შუბლში ხელი იტკიცა, იქ, სადაც მიწა თავდებოდა და წყალი იწყებოდა, ქვის თაღქვეშ საკმაოდ განიერი, დაბალი, რკინის კოჭაკებით დამაგრებული და უშველებელი ბოქლომით დაკეტილი რკინის ცხაური დაინახა. სანაპიროს კედლის ძირას შებმული ეს ცხაური რაღაც კარისმაგვარი იყო, მისი ერთი ნაწილი მდინარეზე გადიოდა, მეორე - ნაპირზე. ცხაურიდან ამღვრეული წყალი მოედინებოდა და სენას ერთვოდა.

დაჟანგებული ცხაურის მიღმა თაღიანი და ბნელი გვირაბი მოჩანდა.

სერთუკიანმა გულხელი დაიკრიფა და საყვედურით დაჰყურებდა ცხაურს. ეს არ იკმარა და შეაჯანჯღარა. ნუთუ ვიღაცამ გააღო ეს კარი, მაგრამ ჭრიალის ხმა რომ არ ყოფილა? უცნაური იქნებოდა, რომ ეს დაჟანგებული კარი გაეღოთ და ჭრიალი კი არ დაეწყო. და თუ გააღეს, მაშინვე დაკეტეს. ცხადი იყო, იმ კაცს, რომლის წინაც ასე მორჩილად იღებოდა ეს კარი, ჯიბეში ნამდვილი გასაღები უნდა სდებოდა და არა

ქურდის პირმოკაკული ლურსმანი. მაშინვე გაუელვა თავში ამ აზრმა, კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა კარი და გაბრაზებით წამოიყვირა:

- კარგია, თქვენმა მზემ, ქურდს მთავრობის გასაღები ჰქონია!

მერე უეცრად დამშვიდდა და შემოწოლილი ბოღმა ორსიტყვიანი ფრაზის ზალპით, თითქმის დამცინავად რომ გაისმა, ამოთქვა:

- ერთი უყურეთ! ერთი უყურეთ! ერთი უყურეთ! ერთი უყურეთ!

ამ ძახილით გული მოიჯერა. მერე, ეტყობოდა, რაღაც მოისაზრა საიმედო, - ან გამოვა და ხელს ვტაცებ, ან სხვა დააპირებს შესვლას და იმასაც დავიჭერო, - ნაგვის გროვის უკან გამოიჭიმა დარაჯად იმ იშვიათი მოთმინებით, რომელიც მხოლოდ მეძებარ ძაღლს აქვს.

მეეტლეც გაჩერებულიყო, რადგან იმ პოლიციელს მისდევდა და როცა გაჩერებულს დაინახავდა, ისიც ასვენებდა ცხენებს. ახლაც ისარგებლა ამ გაჩერებით, გრძნობდა, რომ დიდხანს მოუხდებოდა ლოდინი, ცხენებს კისერზე ჩამოჰკიდა დასველებული შვრიით ნახევრად სავსე თოფრა, ასე კარგად ცნობილი პარიზელთათვის, - ამას ისე ვამბობთ, გაკვრით, რადგან სიტყვამ მოიტანა, - რომელთაც ამნაირ თოფრას ხშირად ჩამოაცვამს ხოლმე მთავრობა; იენის ხიდზე ამ დროს გამვლელი ბევრი არავინ იყო, მაგრამ ვინც კი იყო, წამით შეჩერდებოდა და დააცქერდებოდა ამ სანახაობის ორ უძრავ მონაწილეს, - ნაგავთან ატუზულ წესრიგის დამცველს და ბულვარზე მის ეტლს, - და მერე თავის გზას გაუდგებოდა.

## თავი მეოთხე
## ისიც ეწევა თავის უღელს

პოლიციელები რომ მოიშორა, ისევ გზას გაუდგა ჟან ვალჟანი და აღარსად გაჩერებულა.

მიდიოდა, მაგრამ უფრო და უფრო უძნელდებოდა სიარული. ამ თაღით გადახურული დერეფნების სიმაღლე ერთგვარი არ არის; ადამიანის სიმაღლის გათვალისწინებით, საშუალო სიმაღლე თითქმის ორი მეტრი იყო, მაგრამ ყველგან არა და ჟან ვალჟანი იძულებული ხდებოდა, წელში მოხრილიყო, რომ მარიუსის თავი თაღს არ მოხვედროდა. ყოველწამს უნდა დაკუზულიყო და მერე წელში გასწორებულიყო, განუწყვეტლივ ხელით მოესინჯა ლორწოიანი კედლები, ხელს ვერაფერს მოავლებდა კაცი, რომ თავი შეემაგრებინა; ფეხი უსხლტებოდა და საყრდენი კი არსად ჰქონდა. მიდიოდა და მიბარბაცებდა ქალაქის საზიზღარ სიბინძურეში. ცხაურები მეტად შორიშორს იყო და ისე მცირედ ანათებდა ამ ჯურღმულს, რომ გაკაშკაშებული მზის სინათლე იქ მხოლოდ ბუნდოვან მთვარის შუქად ჩადიოდა, ისიც ალაგ-ალაგ. სხვა ყველაფერი ბურუსი, მიაზმები და წყვდიადი იყო.

ამასთან, შიმშილმა და წყურვილმა შეაწუხა, განსაკუთრებით წყურვილმა. აქ ირგვლივ წყალი იყო, როგორც ზღვაში, დალევა კი არ შეიძლებოდა. ჟან ვალჟანი ღონიერი კაცი იყო, - ეს უკვე იცის მკითხველმა, - სიბერეს არაფრით შეემცირებინა მისი ღონე, რადგან ძალიან თავშეკავებული იყო, ზომიერების დამცველი ცხოვრებაში; მაგრამ აქ, ეტყობოდა, ძლივსღა უძლებდა თავის ტვირთს, დაღლა ემატებოდა, ძალ-ღონე ელეოდა და უფრო და უფრო ემძიმებოდა ზურგზე აკიდებული დაჭრილი. იქნებ

მარიუსი უკვე მკვდარიც იყო; ისე აწვებოდა, როგორც უსულო ტვირთი. ჭაბუკი ისე ეჭირა ჟან ვალჟანს, რომ თავისუფლად სუნთქვა შესძლებოდა. მიდიოდა და გრძნობდა, რომ ვირთაგვები ედებოდნენ ფეხებში. ერთმა შეშინებულმა ვირთაგვამ კინაღამ უკბინა. ხანდახან დერეფნის სასულედან სინათლესთან ერთად ჰაერსაც ეღირსებოდა და სულს მოითქვამდა.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა მიუახლოვდა წრიულ არხს, რომელიც გარს უვლის ქალაქს.

განცვიფრდა ჟან ვალჟანი, დერეფანი მოულოდნელად რომ გაფართოვდა. ახლა კედლებს ვეღარ სწვდებოდა მისი გაწვდილი ხელი, იმდენად მაღალი იყო თაღი, რომ წელში გაჭიმულიც კი ვერ სწვდებოდა თავით; მართლაც, მთავარი წყალსადინარი სიმაღლით ორი და ოთხი მეათედი მეტრია, სიგანით კი ორი და შვიდი მეათედი.

იმ ადგილას, სადაც მთავარი წყალსადინარი მონმარტრის წყალსადინარს უერთდება, ორი მიწისქვეშა გალერეა კვეთს ერთმანეთს: პროვანსალისა და აბატუარის ქუჩების. ყველა ნაკლებად გამოცდილი კაცი დაიბნეოდა ამ ოთხი გზის გადაკვეთაზე. ჟან ვალჟანმა კი ის ამოირჩია, რომელიც ყველაზე განიერი იყო, ესე იგი, მთავარი წყალსადინარი. მაგრამ აქაც გადასაწყვეტი ჰქონდა, აღმართს შესდგომოდა თუ დაღმართს? საჩქაროდ უნდა გადაეწყვიტა და სასწრაფოდ მდინარემდე მისულიყო, მაშასადამე, დაღმართს უნდა დასდგომოდა და მანაც მარცხნივ ჩაუხვია.

კიდევ კარგი, ასე მოიქცა. დიდი შეცდომა იქნებოდა, ეფიქრა, რომ ქალაქის წრიულ არხს ორი გასასვლელი აქვს, ერთი ბერსისკენ, მეორე კი კასისკენ, და ვითომც ეს არხი, როგორც თვით მისი სახელიც აღნიშნავს, პარიზის მარჯვენა ნაპირს გარს უვლის. მთავარ წყალსადინარს, რომელიც როგორც მკითხველს ახსოვს, მილში მოქცეული მენილმონტანის ნაკადულია, თუ ზემოთ, დინების აღმა ავუყვებით, მივალთ ჩიხამდე, ესე იგი, მის სათავემდე - მენილმონტანის ბორცვის ძირამდე. ის არ უერთდება გვერდით არხს, რომელშიც მიედინება პარიზის ჩასადენი წყლები, დაწყებული პოპენკურის კვარტალით და ამლოს მილის გავლით, ძველი კუნძულ ლუვიეს ოდნავ ზემოთ, სენაში ჩაედინება. ეს გვერდითი არხი, რომელიც არხ-კოლექტორის დამატებაა, მისგან ზედა და ქვემო წელის წყლის გამყოფი ქვაყრილით არის განცალკევებული სწორედ მენილმონტანის ქუჩის ქვეშ. ჟან ვალჟანი გალერეას ზემოთ რომ აჰყოლოდა, რის ვაი-ვაგლახით, დაღლილ-დაქანცული, ცოცხალ-მკვდარი, ბოლოს და ბოლოს, წყვდიადში ყრუ კედელს მიადგებოდა. ეს კი დასასრული იქნებოდა.

მაგრამ ცოტა რომ უკან დაბრუნებულიყო და ფილ-დე-კალვერის გვირაბში შესულიყო, ოღონდ ბუშრის გზაჯვარედინის ქვემოთ დაკლაკნილ განშტოებაში ფეხი არ შეედგა, სენ-ლუის გვირაბს გაჰყოლოდა, მერე მარცხნივ, სენ-ჟილის შტოსკენ შეეხვია, შემდგომ მარჯვნივ გაბრუნებულიყო, ოღონდ ისე, რომ სენ-სებასტიანის გვირაბს ასცდენოდა, ამლოს წყალსადინარში შევიდოდა და იქიდან, თუ გზა არ აერეოდა ამ ასო T-სავით გაყვანილ წყალსადინარში, რომელიც ბასტილიის ქვეშ არის, სენაში გასასვლელთან მივიდოდა, არსენალის ახლოს. მაგრამ ამისათვის უნდა სცოდნოდა დედაქალაქ პარიზის წყალსადინარის განშტოებანი, მისი შესასვლელ-გამოსასვლელი და ცხაურები. და ჟან ვალჟანს კი, - ვიმეორებთ,მ - არაფერი

გაეგებოდა ამ წყალსადინრისა, სადაც თავი ამოყო და ვეღარ გამოდიოდა. რომ ეკითხათ, სად ხარო? ერთი სიტყვითღა უპასუხებდა, წყვდიადშიო.

ალღო კარგი ჰქონდა და ეს შველოდა; სამშვიდობოს დაღმართი გაიყვანდა და არა აღმართი.

მარჯვნივ დარჩა ორი დერეფანი, მოკაუჭებული ბრჭყალებივით რომ იშლება ლაფიტისა და სენ-ჟორჟის ქუჩებქვეშ, ასევე გრძელი, ორად გაყოფილი არხი შოსე დ'ანტენის ქუჩის ქვეშ.

მომცრო გვერდითი გასასვლელი გაიარა - ეტყობა, მადლენის ქუჩის ქვედა განშტოება - და დასასვენებლად შეჩერდა. ერთიანად გასავათდა. საკმაოდ განიერი სასულედან - როგორც ჩანს, ეს ანჟუს ქუჩის ჭა იყო - დღის შუქი ჩამოდიოდა.

ფრთხილად, ნაზად დაუშვა ძირს მარიუსი, თითქოს საკუთარი ძმა ჰყოლოდეს მძიმედ დაჭრილი; მარიუსს მთლად დასისხლიანებული ჰქონდა თავპირი და ისე მოჩანდა ამ სინათლეში, როგორც მკვდარი სამარეში. თვალები დახუჭული ჰქონდა, თმა საფეთქლებზე მიჰკვროდა, როგორც წითელ საღებავში ჩარჩენილი გამხმარი ფუნჯი, ხელები მკვდარივით ძირს დაეშვა, ტანი - გაცივებული, პირთან - შედედებული სისხლი; ყელსახვევის კვანძიც სისხლით ჰქონდა სავსე; პერანგი ჩასჩროდა ჭრილობაში და ტანისამოსის მაუდი ეხახუნებოდა დასისხლიანებულ კისერს. დიდი სიფრთხილით გაუხსნა ჟან ვალჟანმა ღილები და ხელი დაადო გულზე. დაჭრილს ჯერ ისევ უცემდა გული. თავისი პერანგი დახია ჟან ვალჟანმა, შეუხვია ჭრილობები და შეაყენა სისხლდენა. მერე დაიხარა და საშინელი სიძულვილით დააცქერდა მარიუსს, რომელიც ჯერაც გონდაკარგული იყო და ძლივსღა სუნთქავდა.

ჭრილობის შესახვევად ტანისამოსს რომ უხსნიდა და უკრავდა, ჯიბეს გაჰკრა ხელი, მარიუსს ჯიბეში პური დავიწყებოდა, საფულეც ედო. ჟან ვალჟანმა პური მაშინვე გადაყლაპა, მერე საფულე გადაშალა. პირველ ფურცელზევე თვალში ეცა მარიუსის ხელით დაწერილი ოთხი სტრიქონი, მკითხველს ეხსომება, - „მე მარიუს პონმერსი ვარ. ბაბუაჩემთან, ბატონ ჟილნორმანთან მიმიტანეთ მკვდარი, ფილ-დე-კალვერის ქუჩა #6, მარეს უბანში“.

საკმაო სინათლე ჩამოდიოდა ცხაურიდან და ჟან ვალჟანმა ეს სიტყვები კარგად წაიკითხა. წამით გაშტერებული იდგა და ჩუმი ხმით იმეორებდა: „ფილ-დე კალვერის ქ. #6, ბატონი ჟილნორმანი“. საფულე ისევ ჯიბეში ჩაუდო მარიუსს. პურმა ოდნავ მოაღონიერა. ისევ აიყვანა ხელში მარიუსი. დაჭრილს თავი მარჯვენა მხარეზე დაადებინა და ისევ გზას გაუდგა.

მთავარი წყალსადინარი, რომელიც მენილმონტანის კალაპოტში, ღარტაფშია გაყვანილი, სიგრძეში თითქმის რვა კილომეტრი იქნება. მისი ფსკერი კარგა მანძილზე ქვით არის მოკირწყლული. ჟან ვალჟანს არ ჰქონდა ის ჩირაღდანი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, რათა გზა გავუნათოთ მკითხველს მიწისქვეშეთში მოგზაურობისას, - მან არ იცოდა ქუჩების დასახელება. მიდიოდა და ისიც კი არ იცოდა, ქალაქის რომელი ქუჩა იყო ზემოთ, რა გაიარა და რა ჰქონდა გასავლელი. ხედავდა, რომ სულ უფრო და უფრო მცირდებოდა ცხაურებში ჩამავალი მზის სინათლე; ეტყობოდა, მზე ჩასვლას აპირებდა და მთლად ჩამობნელდებოდა მიწისქვეშა ქალაქი. გარდა ამისა, ზემოდან აღარ ესმოდა ეტლების შეუწყვეტელი გრიალი და ამით დაასკვნა, ალბათ, უკვე ქალაქგარეთ ვარ გასული და რომელიმე გარეუბანს ვუახლოვდები, ან სენის შორეულ სანაპიროს, საცა სახლებიც ცოტაა და ქუჩებიც ნაკლებად, წყალსადინარსაც

შორიშორს თუ აქვს დატანებული სასულეებიო. უფრო და უფრო ბნელდებოდა გზა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა ხელის ცეცებით.

უცბად საშინელმა წყვდიადმა მოიცვა.

## თავი მეხუთე

## ქვიშა ქალივით ცბიერია, რამდენადაც მიმზიდველია, იმდენად საშიში

გრძნობდა, რომ წყალში მიტოპავდა, ფეხქვეშ ფილაქანი კი არა, ტლაპოღა ჰქონდა.

ხანდახან ხდება, რომ ბრეტანის ან შოტლანდიის სანაპიროზე ზღვის უკუქცევის დროს, ზღვისპირიდან შორს, ქვიშაზე მიაბიჯებს მგზავრი ან მეთევზე და უცბად იგრძნობს, რომ რამდენიმე წუთია, გაჭირვებით ადგამს ფეხს. ქვიშა ისე ეკვრის მის ფეხს, როგორც ფისი; წაღების ლანჩები ქვიშას ეკვრის, თითქოს ფეხქვეშ წებო ჰქონდეს და არა ქვიშა. სრულიად მშრალია ზღვისპირი, მაგრამ როგორც კი ამოაძვრენს ქვიშიდან ფეხს, მაშინვე წყლით ივსება მისი ღრმა ნაფეხური. თვალი კი არავითარ ცვლილებას არ ხედავს. მშვიდია თვალუწვდენელი ზღვისპირი, ერთნაირად მოჩანს ყველგან ქვიშა და არაფრით განირჩევა იმ ქვიშისაგან, რომელშიც ფეხი ეფლობა. ფეხებში ზღვისპირა ბუზების პატარა გუნდი უტრიალებს და თან მისდევს მხიარული ბზუილით. კაციც მიდის. ცდილობს, მალე გავიდეს მიწაზე. საშიშს არაფერს ხედავს ან რა უნდა იყოს საშიში? მაგრამ გრძნობს, რომ როგორღაც უმძიმდება ფეხი. მიდის, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე გრძნობს, რომ რაღაც მძიმე ეკვრის ფეხებზე და უცბად ეფლობა ქვიშაში სანტიმეტრის სიღრმეზე. არა, ცუდ გზას ადგას, რაღა თქმა უნდა. დგას და ფიქრობს, საით წავიდეს. ძირს რომ დაიხედავს, ფეხებს ვეღარ ხედავს, - ორივე ქვიშაში ჩამალულა. ცდილობს ამოძვრეს ქვიშიდან, უკანვე მიდის და უფრო ღრმად ეფლობა. კოჭამდე ადგას ქვიშა. ამოვარდება, როგორც კი მოახერხებს, მარცხნივ იწევს, იქ უარესია. მარჯვნივ გადავა, მუხლამდე ეფლობა ქვიშაში და მაშინ მიხვდება უბედური, დაუძლეველი შიშით გულგახეთქილი, რომ მოძრავ ქვიშაზე დგას, ფეხქვეშ ის საზარელი ნიადაგი აქვს, რომელზეც ისე ვერ გაივლის ადამიანი, როგორც თევზი ვერ იცურავებს. მაშინვე მოისვრის ტვირთს, თუ თან აქვს, ისევე მსუბუქდება, როგორც დაღუპვის კარს მიმდგარი გემი, მაგრამ გვიანღაა, მუხლზევით ადგას ქვიშა.

ყვირის, ქუდს ან ცხვირსახოცს იქნევს, მიშველეთო! - ქვიშა კი უფრო და უფრო ითრევს და ადამიანი ღრმად იფლობა. თუ არავინ არის ზღვისპირას, თუ ძალიან შორს არის მიწა, თუ ამ ადგილს ავი სახელი აქვს გავარდნილი, თუ გმირი არავინ არის იმ მხარეს, წასულია მისი საქმე,მ ქვიშის მსხვერპლი ხდება. ქვიშაში ჩამარხვა მოელის უბედურს, ხანგრძლივი, აუცდენელი, ულმობელი, რომლის არც შეჩერებაა შესაძლებელი და არც აჩქარება; გრძელი და გაუთავებელი, ხელთ იგდებს ჯანსაღ ადამიანს, თავისუფლად მავალს, ფეხებში ჩაეჭიდება, ძირ-ძირს ექაჩება და რამდენადაც მედგრად ცდილობს კაცი თავის დაღწევას, იბრძვის და ყვირის, იმდენად ღრმად ეფლობა. ქვიშა თითქოს ცდილობს, დასაჯოს ეს სიცოცხლისთვის მებრძოლი ურჩი. ნელ-ნელა ითრევს თავის წიაღში და თან საშუალებას აძლევს, გრძნობდეს,

რომ საუკუნოდ ეთხოვება ამ ჰორიზონტს, ხეებს, მწვანე მინდვრებს, სოფლის საკვამურებიდან ამომავალ კვამლს, გემების იალქანს ზღვაში, მფრინავ მგალობელ ჩიტებს, ქვეყნის სულის ჩამდგმელ მზეს და მზის სხივით გაკაშკაშებულ ცას. ქვიშაში ეფლობა კაცი. ეს სამარეა ზღვის მოქცევით ადამიანის დასაღუპავად გამოტანილი. ნელ-ნელა სუდარაში ეხვევა ცოცხალი კაცი. ხან დაჯდება უბედური, ხან დაწვება, იქნებ ამით მეშველოს რამეო, ხან მიხოხავს ქვიშაზე, მაგრამ დამღუპველია ყოველი მისი მოძრაობა; წამოდგება და უფრო ღრმად ეფლობა, გრძნობს, რომ იღუპება, ბღავის, ღმუის, შეჰყვირის ზეცას, ხელებს ნიმტვრევს სასოწარკვეთილი. აგერ წელამდე ქვიშაშია უკვე... გულამდე ფარავს ქვიშა, ზედატანი მოჩანს მხოლოდ, ხელს იქნევს, ღმუის, გაცოფებული გაჰყვირის, ფრჩხილებით ფხოჭნის ქვიშას, ცდილობს, თავი შეიმაგროს ამ ნაცარივით ფხვიერ მიწაში, იდაყვებზე ეყრდნობა, რომ ამოძვრეს როგორმე ამ რბილი კუბოდან, თან მწარედ ქვითინებს... და ქვიშა კი ქვევით ექაჩება უბედურს და შთანთქმას უქადის. აგერ მხრებს მისწვდა ქვიშა, კისერს შეეხო; ადამიანის სახეღა მოჩანს მხოლოდ. პირი გაჰყვირის, ქვიშა პირს უვსებს და აჩუმებს. დუმილია სრული. თვალიღა იყო ცოცხალი, ზეცას შესცქეროდა; ქვიშამ დაახუჭვინა. დაბნელდა. მერე ნელ-ნელა მცირდება შუბლი, პატარა თმის მოძრაობა მოჩანს, ნიავით აღძრული, ქვიშის ზემოდან. ხელი ამოდის ძირიდან, საყრდნობს ეძებს მისუსტებული და ისიც ქვიშით იფარება. აი, ეს არის ადამიანის საზარელი გაქრობა!

ხანდახან მხედარი გაქრება ხოლმე ასე თავისი ცხენით, ხანდახან მთელი ეტლი თავისი მეეტლით. ყველაფერს შთანთქავს ეს მოძრავი ქვიშა. ეს იგივე დახრჩობაა ადამიანისა, ოღონდ სხვანაირი, ვიდრე წყალში. აქ მიწა ახრჩობს ადამიანს. ოკეანით რომ გაიუღინთება დედამიწა, ხაფანგად გადაიქცევა, ბაღად ეჩვენება ადამიანს და შთანთქავს, როგორც ზღვა. უფსკრულსაც აქვს თავისი სიმუხთლე.

ამგვარი საზარელი დაღუპვა, ყოველთვის მოსალოდნელი, სადმე ზღვისპირას, შესაძლებელი იყო ამ ოცდაათი წლის წინ პარიზის მიწისქვეშა ქალაქშიც.

1833 წელს დაიწყეს და კარგად შეაკეთეს მიწისქვეშა პარიზი, მანამდე კი ხშირი იყო უეცარი მეწყერი.

აქა-იქ ქვენიადაგში, განსაკუთრებით ფაშარ ქანებში, წყალი ჟონავდა; მაშინ ფენილი თუ ქვისა იყო, როგორც ძველ წყალსადინარებში, ან ბეტონისა, როგორც ახალ გალერეებში, საყრდენს კარგავდა და ჩაშლას იწყებდა. ამას კი ბზარი მოჰყვებოდა, ბზარს კი - მეწყერი და ფენილი საკმაოდ შორ მანძილზე ჩაინგრეოდა. ეს ნაპრალი, ნაბზარი, რომელიც სიბინძურის უფსკრულს გაჩვენებთ, პროფესიულ ენაზე Fontis - ხნარცვი ეწოდება, თავად ტალახს კი - ჭანჭრობი. რა არის ხნარცვი? ეს მიწის ქვეშ ჩაშვავებული ზღვის სანაპიროს მოძრავი ქვიშაა; ეს მთა სენ-მიშელის ქვიშიანი გრუნტია, კლოაკაში გადატანილი. გაწყალებული ნიადაგი გამდნარი გეგონება და ამ თხიერ გარემოში თითოეული მისი ნაწილაკი მოძრავ სისველეში იხსნება. ეს უკვე აღარც მიწაა და აღარც წყალი. ზოგჯერ საფლობი მეტად ღრმა არის ხოლმე და არაფერია მასთან შეხვედრაზე საშიში. თუ წყალი მეტია, წამიერი სიკვდილი გელით - ჩაგძირავთ; თუ მიწა ჭარბობს, ნელი სიკვდილი გემუქრებათ - ჩაგითრევთ.

წარმოგიდგენიათ ამგვარი სიკვდილი? თუ საშინელებაა ადამიანის დაღუპვა სადმე ზღვისპირას, რა უნდა იყოს ამ ხნარცვში ჩავარდნა ჩასადენ მილებში? - აღარც ჰაერი, აღარც სინათლე, აღარც მზე და მოწმენდილი ცა, აღარც სიცოცხლით სავსე ბუნების

ხმაური, აღარც თავისუფლად მოძრავი ღრუბელი, სიცოცხლით რომ რწყავს ქვეყანას, აღარც შორეული გემები, აღარც მოსალოდნელი შველის იმედი, აღარც გამვლელთა დახმარების მოლოდინი სიკვდილის სულ უკანასკნელ წამამდე, აღარაფერი.

ყოველივე ამის მაგივრად დუმილი, წყვდიადი, სიბრმავე, შავი თაღი, მზა აკლდამაში სვლა, სიბინძურის ორმოში ჩავარდნა, ნელი ხრჩობა სიმყრალით სავსე ქვის ყუთში, სადაც სიბინძურეში ჩამალული ასფიქსია თავისი ბრჭყალებით შიგ ყელში სწვდება მსხვერპლს, სიმყრალით შეზავებული გმინვა უბედურისა, ლაფი - ქვიშის მაგივრად, გოგირდოვანი მჟავა - ქარის გრიალის მაგივრად, სიბინძურე - ოკეანის მაგივრად! და თან ყვირილი, ამაოდ ბრძოლა თავის გადასარჩენად და ნელი სიკვდილი, როდესაც განწირულის ზემოდან უზარმაზარი ქალაქია, რომელმა არ იცის, რა ხდება მის ქვემოთ.

სიტყვით გამოუთქმელი საშინელებაა ასე სიკვდილი. ხანდახან სიკვდილი თვითონვე გამოისყიდის ხოლმე თავის სიმკაცრეს ერთგვარი პირქუში სიდიადით. კოცონზე ან გემზე დაღუპვის ჟამს შეიძლება დიდებულად დახვდე სიკვდილს; ცეცხლის ალში იქნება თუ ზღვის ზვირთებში, შეიძლლება ვაუკაცურად მოკვდეს კაცი, თითქოს გარდაიქმნა განსაცდელში ჩავარდნილიო. მაგრამ აქ კი სიკვდილი ბინძურია, საზარელის მეტს ვერაფერს ხედავს მომაკვდავის თვალი. ლაფი სინონიმია სირცხვილისა, უშვერი, ბილწი შერცხვენა ადამიანისა. მალვაზიის კასრში რომ ჩაიხრჩოს კაცი, როგორც კლარენსს მოუვიდა, ეს დასაშვებია, მაგრამ ნაგვის ორმოში, როგორც დ'ესკუბლო, ეს კი საზარელია. რას შეეჭიდება ამ ყოფაში მყოფი, მყრალ წუმპეს? სულთმობრძავია ადამიანი და მყრალ სიბინძურეს ეჭიდება. იმდენად ბნელია იქაურობა, რომ ჯოჯოხეთად ეჩვენება იქ ჩავარდნილს, და იმდენად მყრალია ლაფი, რომ ბინძურ წუმპეში იგრძნობს თავს, და აღარ იცის მომაკვდავმა, რა მოელის სიკვდილის შემდეგ: აჩრდილად გარდაქმნა თუ ჯოჯოდ?

სხვაგან ყველგან საშინელია სიკვდილი, აქ კი უშვერი.

სხვადასხვა ზომისა იყო ხნარცვის სიღრმე, მისი სიგრძე და სისქე. ეს დამოკიდებული იყო ქვენიადაგის ხარისხზე. ხანდახან მეტრისა და უფრო მეტის სიღრმეც ჰქონდა ხნარცვს, ხან კიდევ ორ-ნახევარი და სამი მეტრისაც; ზოგჯერ იმდენად ღრმა იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა ფსკერის პოვნა. ხან თითქმის მკვრივი იყო ტალახი, ხან ცარიელი ლაფი. ლიუნიერის ხნარცვში მთელი დღის განმავლობაში ძლივს ჩაიმალებოდა კაცი, ფელიპოს ხნარცვში კი ხუთი წუთიც კმაროდა, რომ ჩაძირულიყო. საფლობი ადამიანს მალე შთანთქავს თუ გვიან, მის სიმკვრივეზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბავშვი გადარჩება იქ, სადაც მოზრდილი ჩაიძირება. გადარჩენის უპირველესი პირობაა ტვირთის თავიდან მოცილება. კლოაკის მუშა, როცა იგრძნობდა, რომ მის ფეხქვეშ ნიადაგი იშლებოდა, მაშინვე მოისვრიდა ინსტრუმენტებიან ჩანთას ან კალათას.

მიწის ჩაქცევას სხვადასხვა მიზეზი აქვს: გრუნტის სიფხვიერე, გამოსაკვლევად მიუდგომელ სიღრმეზე შემთხვევითი მეწყერი, ზაფხულის კოკისპირული წვიმა, გაუთავებელი ზამთრის ნალექი, შემოდგომის მჟინჟლავი წვიმა. ზოგჯერ მერგელის ან ქვიშიან ნიადაგზე აგებული სახლების სიმძიმე მიწისქვეშა თაღებს აწვებოდა და დაბრეცდა, ზოგჯერ კი წნევას ვერ უძლებდა და საძირკველი იბზარებოდა. ასიოდე წლის წინ პანთეონის შენობამ სენტ-ჟენევიევის მთის მიწისქვეშეთის ნაწილი ჩააქცია. როცა სახლების სიმძიმით კლოაკა ჩაიქცეოდა, ეს ნგრევა ზოგჯერ მიწის ზემოთ

ტოვებდა კვალს - ქვაფენილის ქვები ხერხის კბილებივით ზემოთ იყო აშვერილი. ნაბზარი გამსკდარი თაღის მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა და მაშინ საჭირო ხდებოდა ზომების მიღება. თუმცა, არცთუ იშვიათად, თაღების ზედაპირს შიდა დაზიანება კვალს არ ამჩნევდა. ასეთ დროს კლოაკის მუშებს დიდი საფრთხე ემუქრებოდა!

ძველ საქმეებში ხნარცვში ცოცხლად ჩამარხული მუშების დაღუპვის რამდენიმე შემთხვევაა აღწერილი; დაღუპულების გვარიც არის მოხსენიებული; მაგალითად, მიწისქვეშა ქალაქის ერთი მუშა, ბლეზ პუტრენი, რომელიც კარემ-პრენანის ქუჩის ქვედა წყალსადინარის ჩაქცევას ემსხვერპლა. ეს ბლეზ პუტრენი ძმა იყო ნიკოლა პუტრენისა, რომელიც უკანასკნელი მესაფლავე იყო 1785 წლის გაუქმებული უბიწოთა სასაფლაოსი.

იქვე იყო მოხსენიებული დიდგვაროვანი ჭაბუკი, მშვენიერი ვიკონტ დ'ესკუბლო, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ, ერთი გმირთაგანი ლერიდის გარემოცვისა, იმ დროის გმირი, როდესაც საბრძოლველად ისე მოკაზმულნი მიბრძანდებოდნენ, თითქოს მეჯლისზე მიდიან, სადაც დარბაზი სავსეა ლამაზი ქალებით, აბრეშუმისწინდიანი მამაკაცებითა და ვიოლინოს მუსიკითო. ვიკონტი იმ ღამეს თავის დეიდაშვილთან იყო, სურდის ჰერცოგის ცოლთან, და ქმარმა რომ წაასწრო, ბოტრელის ხნარცვში ჩაიმალა და დაიღუპა. ქალბატონ სურდის რომ მოახსენეს საყვარლის ასე დაღუპვა, მაშინვე სასუნებელი მარილი მოითხოვა და იმდენი ისუნთქა, რომ ტირილი გადაავიწყდა. ამგვარ შემთხვევაში, სიყვარულიც კი უძლურია, რადგან სიბინძურე აქრობს სიყვარულს. ჰერო უარს ამბობს, მე ლეანდრეს ცხედარს არ გავბანო; პირამეს რომ დაინახავს თისბე, ხელს წაიჭერს ცხვირზე და შესძახებს: „ფუ!“

## თავი მეექვსე - FONTIS

ჟან ვალჟანი სწორედ Fontis-თან - ხნარცვთან მისულიყო.

მაშინ ელისეს მინდვრებზე, სადაც გრუნტი უვარგისია ჰიდრავლიკური სამუშაოებისთვის და არასაკმარისად მყარი და მეტისმეტად მოძრავი მიწისქვეშა ნაგებობებისთვის, ქვენიადაგი ხშირად ჩაქცეულა.

იმდენად დიდი იყო ამ ფენის მოძრაობა, რომ გადააჭარბა სენ-ჟორჟის გარეუბნის ქვიშნარსაც კი, რომელიც იმით დაიმორჩილეს, რომ ბეტონის საძირკველი გაუკეთეს, მარტირის ქუჩის ქვემოთ კი, სადაც თიხნარი ფენები აირით იმდენად არის გაჟღენთილი და იმდენად თხიერია, რომ მიწისქვეშა გალერეა თუჯის მილში მოაქციეს. 1836 წელს სენტ-ონორეს გარეუბნის ქვეშ ახლის გასაკეთებლად ძველი ქვის წყალსადინარი დაანგრიეს, - აქ იყო ამჟამად ჟან ვალჟანი, - ელისეს მინდვრებიდან სენის ნაპირამდე მდებარე ქვენიადაგის ქვიშნარმა იმდენად დააბრკოლა მშენებლობა, რომ ექვს თვეს მოუნდნენ ამ საქმეს, რასაც ამ უბნელების დიდი უკმაყოფილება და საყვედური მოჰყვა, მეტადრე საკუთარი სახლებისა და ეტლების პატრონებისა. მეტად მძიმე იყო ეს სამუშაო და საშიშიც ამავე დროს, თუმცა, - ესეც უნდა დავძინოთ, - საქმე ხანგრძლივმა ოთხთვენახევრიანმა წვიმამაც დააბრკოლა და სამჯერ კი სენის წყალდიდობამ.

ჟან ვალჟანი რომ ხნარცვს მიადგა, ის წინადღის კოკისპირული წვიმის შედეგი იყო. ფილაქანს ძირს დაეწია, რადგან ქვემოდან მერყეევი ქვიშნარი ჰქონდა და წვიმის წყალი ჩაეშვა ქვიშაში. წყალი ჩადიოდა და თან ნგრევა მოსდევდა. ძირს დაიწია

დაშლილმა ფილაქანმა. რამდენად დაიწია და რა სიგრძით, შეუძლებელია ამის თქმა. წყალსადინარი აქ უფრო მეტად იყო ჩამობნელებული, ვიდრე სხვაგან. ეს იყო ტალახის მორევი ღამის გამოქვაბულში.

როგორც კი შეტოპა ამ წუმპეში, ჟან ვალჟანმა იგრძნო, რომ ფილაქანი ყანყალებდა ფეხქვეშ. ზემოდან წყალი იყო და ქვემოდან ტალახი. რაღას იზამდა? უნდა გაევლო. შეუძლებელი იყო უკან დაბრუნება. მარიუსი მომაკვდავი იყო და თვითონ მეტად დაქანცული. ან სადღა წავიდოდა? და მიჰყვა ამ გზას, მით უფრო, რომ პირველი ნაბიჯებით არც ძალიან ღრმად ეჩვენა ეს ტალახი. მაგრამ რამდენადაც წინ მიდიოდა, იმდენად მეტად ეფლობოდა ფეხი. მალე ფეხი ნახევრად ტალახში ედგა, მუხლამდე სცემდა წყალი. მიდიოდა და სულ იმას ცდილობდა, მაღლა აეყვანა მარიუსი, რამდენადაც კი ღონე შესწევდა, რომ წყალს არ დაესველებინა მისი ფეხები, მაგრამ რას იზამდა? ფეხი მუხლამდე ტალახში ჰქონდა და წყალი წელამდე სწვდებოდა. უკან ვეღარც კი დაბრუნდებოდა და უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა. საკმაოდ მკვრივი იყო ტალახი ერთისთვის, მაგრამ ორის სიმძიმეს კი ვეღარ უძლებდა. ცალ-ცალკე რომ ყოფილიყვნენ, ჟან ვალჟანიც გადარჩებოდა და მარიუსიც. და მაინც, წინ მიდიოდა და თან მიჰყავდა ეს მომაკვდავი, რომელიც იქნებ ცოცხალიც აღარ იყო.

იღლიამდე სწვდებოდა წყალი, გრძნობდა, რომ ცოტაც კიდევ და, წაიქცეოდა; ძლივსღა იძვროდა იმ სიღრმე ტალახსა და წყალში. კიდევ კარგი, რომ მკვრივი იყო წყალქვეშ ტალახი, მაგრამ სიარულს კი უძნელებდა. მაინც მაღლა ჰყავდა აყვანილი მარიუსი. მიდიოდა და თან ტალახში ეფლობოდა. უკვე მთლად წყალში იყო, თავიღა ჰქონდა მშრალი და ორი ხელი ზევით აწეული მარიუსით. რომელიღაც ძველებურ სურათზე, რომელზეც მსოფლიო წარღვნაა წარმოდგენილი, გამოსახულია სასოწარკვეთილი დედა, რომელსაც ასე თავზემოთ აუწევია შვილი.

უკან გადააგდო თავი, რომ წყალს მორიდებოდა, სუნთქვა შესძლებოდა. ვინმეს ამ სიბნელეში რომ დაენახა, იტყოდა, წყალი ნიღაბს მოაქანებსო. ბუნდოვნად ხედავდა მარიუსის ძირს დაკიდებულ თავს და ფერმიხდილ სახეს. ბოლოს, რაც ძალი ჰქონდა, ერთი ფეხი წინ წადგა, თითქოს საყრდენს ეძებსო. რაღაცას მკვრივს წამოსდო ფეხი და სწორედ დროულად.

წელში გასწორდა, გამაგრდა და გაშმაგებული ავარდა ამ საყრდენზე. ეს იყო პირველი საფეხური, რომელიც სიცოცხლესთან დამაკავშირებელი კიბის პირველ საფეხურად ეჩვენა.

ჟან ვალჟანი განწირული იყო, ეს საყრდენი რომ არ შეხვედროდა. საყრდენი, რომელიც სიკვდილის წინა წამს იპოვა, ქვის ფენილის დასაწყისი ყოფილა, რომელიც არ ჩაქცეულა, მხოლოდ დაფასავით ჩაზნექილა წყალში. ასეთ შემთხვევებში კარგად ჩაწყობილი ფენილი საკმაოდ მყარია. ეს წყალსადინარის მოკირწყლული ფსკერი, ნახევრად დატბორილი, მაგრამ მტკიცე, ერთგვარი კიბე გახლდათ და თუ მასზე შედგამდი ფეხს, გადარჩენილი იყავი. ჟან ვალჟანმა ფეხი სწორედ მასზე შედგა და მეწყრის მეორე მხარეს გადავიდა. წყლიდან რომ ამოვიდა, ქვას წამოედო და მუხლებზე დაეცა. ეს ზეცით მოვლენილ ნიშნად ჩათვალა და ასევე დარჩა მუხლმოყრილი, ღვთისადმი მდუმარედ ლოცვის აღმვლენელი.

## თავი მეშვიდე

## იმედგაცრუება სამშვიდობოს გასვლისას

ერთხელ კიდევ გაუდგა გზას.

თავისი სიცოცხლე არ დაუტოვებია ხნარცვში, მაგრამ მთელი ძალ-ღონე კი იქ დარჩა. მეტისმეტი გაჭირვება გამოიარა: იმდენად იყო წელმოწყვეტილი, რომ სამი-ოთხი ნაბიჯის შემდეგ იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. ერთხელ ქვაზედაც კი ჩამოჯდა, რომ უფრო კარგად აეყვანა მარიუსი, და რომ დაჯდა, - მე აქედან ვეღარ ავდგებიო, - იფიქრა. ძალა შემოლეოდა. მართალია, მაგრამ ენერგია კი შეენარჩუნებინა, წამოდგა კიდეც.

იმედმიხდილი მიდოდა, თავდაღუნული, ჩქარი ნაბიჯით, რამდენადაც კი შეეძლო. ასე გაიარა ერთი ასი ნაბიჯი; ჩაფიქრებული მიდიოდა, თითქმის აღარც კი სუნთქავდა და უცბად მოსახვევში კედელს დაეჯახა. გადახედა იქაურობას და პირდაპირ, შორს, ძალიან შორს, სინათლე დაინახა. ახლა კი საიმედო იყო ეს სინათლე; თეთრი სინათლე იყო, სინათლე დღისა.

აქედან გასასვლელს ხედავდა.

ცოდვილი სული რომ დაინახავს უცბად ცეცხლის ალიდან, თავისი ჯოჯოხეთიდან გასასვლელს, იმასვე იგრძნობს, რასაც ჟან ვალჟანი გრძნობდა. ცოდვილი სულიც იმ გასასვლელისკენ გაფრინდებოდა თავისი დამწვარი ფრთებით, რომ გარეთ გავარდნილიყო. დაღლაც გადაავიწყდა ჟან ვალჟანს, სისუსტეც, მარიუსის სიმძიმეც და ისევ ფოლადის სიმაგრე იგრძნო. უფრო გარბოდა, ვიდრე მიდიოდა, უახლოვდებოდა უფრო და უფრო, კარგად ხედავდა თავის მხსნელ გასასვლელს. ეს იყო ნახევრად მრგვალი თაღი, უფრო პატარა და დაბალი, ვიდრე წყალსადინარის თაღი იყო; თანდათან ძირს ეშვებოდა და ვიწროვდებოდა. გვირაბის ბოლო ხვრელს ჰგავდა, ვიწრო, მოუხერხებელი გასასვლელით, საპატიმროს ჭიშკარს ჰგავდა, უფრო ციხეს შეეფერებოდა და არავითარ შემთხვევაში - კლოაკას. მოგვიანებით ეს შეუსაბამობა გამოასწორეს.

ჟან ვალჟანი გასასვლელთან მივიდა და გაჩერდა.

დიახ! გასასვლელი იყო, მაგრამ გასვლა კი არ შეიძლებოდა.

დიდი, მაგარი ცხაური ჰქონდა აფარებული და ეტყობოდა, იშვიათად მოძრაობდა თავის დაჟანგებულ ანჯამებზე. ცხაური მჭიდროდ იყო ჩამაგრებული ქვის ჩარჩოში. ზედ დიდი, სქელი ბოქლომი იდო, ჟანგით გაწითლებული, და აგურს უფრო ჰგავდა. კლიტეში მახვილი კბილი ჩანდა, რკინის რკალში ჩამაგრებული. გასაღების ორჯერ გადატრიალებით უნდა ყოფილიყო დაკეტილი. ძველი დროის ციხეების ბოქლომთაგანი უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ისე უხვად არიგებდა ძველი პარიზი.

ცხაურის იქით იყო სუფთა ჰაერი, მდინარე, მზიანი დღე, ძალიან ვიწრო, მაგრამ ადამიანის გასავლელად საკმარისი სანაპირო ისარა, პარიზი - ეს უფსკრული, სადაც ისე ადვილად იმალება ადამიანი, ფართო ჰორიზონტი, თავისუფლება.

მარჯვნივ, წყალდაღმა, იენის ხიდი მოჩანდა, მარცხნივ, წყალაღმა, ინვალიდების ხიდი, - ძალიან კარგი ადგილი, რომ დაღამებამდე იქ დარჩენილიყო და მერე გაპარულიყო კაცი. ეს პარიზის ყველაზე უკაცრიელი ადგილი იყო.

ადამიანისთვის დაკეტილ ცხაურში თავისუფლად შედი-გამოდიოდნენ ბუზები.

ცხრის ნახევარი იქნებოდა, ღამდებოდა.

ჟან ვალჟანმა მარიუსი მშრალი კედლის ძირას მიაწვინა, მერე ცხაურთან მივიდა, ორივე ხელით მოეჭიდა და შენჯღრევა სცადა. ცდა დიდი იყო, ნაყოფი არავითარი; მერე მის გისოსებს დაუწყო სინჯვა, ცალ-ცალკე; სტაცებდა ხელს, მოეჭიდებოდა, - იქნებ ერთი მაინც ამოვაძრო, როგორმე რომელიმე გისოსი გავტეხო ან ბერკეტად გამოვიყენო, რომ კარი ავწიოო, მაგრამ ერთსაც კი ვერ უყო ძვრა. ვეფხვის კბილი არ იქნება ისე მაგრად ჩამჯდარი ღრძილში, როგორც ეს გისოსები იყო. იარაღი არ ჰქონდა და ხელით კი ვერ გადაამტვრევდა. გაუვალი იყო ეს გასასვლელი, უძლეველი. შეუძლებელი იყო კარის გაღება.

მაშ, ამითი უნდა დასრულებულიყო ამხელა ტანჯვა-წვალება? რა ქნას? უკან დაბრუნდეს? ხელმეორედ შეუდგეს იმ გზას, რომელსაც ძლივს დააღწია თავი? არა, ეს აღარ შეეძლო. ან როგორღა გაივლის იმ ხნარცვს, რომელსაც ერთხელ გადაურჩა ღვთის განგებითა და სასწაულით? რომ გაევლო, პოლიციას ჩაუვარდებოდა ხელში. მართალია, წეღან ხელიდან დაუსხლტა, მაგრამ ახლა? ახლაც დაუსხლტება? ან სადღა წავიდეს? რა მიმართულებით? დაღმართს დაჰყვეს? განა სამშვიდობოს გაიყვანს დაღმართი? იქაც რომ ასევე ცხაურით იყოს გამაგრებული გასასვლელი? განა ცხადი არ იყო, რომ მიწისქვეშა ქალაქიდან ყველა გასასვლელი ასე იქნებოდა გამაგრებული? ალბათ, „კორინთთან“ შემთხვევით ღია დარჩათ ცხაური და ამიტომაც იოლად ჩამოძვრა ამ ჯანდაბაში. ახლა სადღა ეძებოს შემთხვევით დაუკეტავი ცხაური? ბარიკადიდან გამოექცნენ გამარჯვებულ ჯარს და საპატიმროში ამოყვეს თავი.

გათავდა, ამაოდ ჩაუარა ჟან ვალჟანს წვალებამ. როცა კაცს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეუძლია, ესე იგი, დამარცხებულია. ორივე სიკვდილის თვალშეუდგამ ბნელ ქსელში გაიხლართა და ჟან ვალჟანი გრძნობდა, როგორ მიცოცავდა მათკენ საცეცების რხევით შემზარავი ობობა.

ისევ მარიუსისკენ წავიდა, რომელიც ჯერაც არ იძლეოდა სიცოცხლის ნიშანს და ძირს დაეცა იმედმიხდილი. გასასვლელი არ ჩანდა. სასოწარკვეთილების ფიალაში ეს უკანასკნელი წვეთი იყო.

ვისზე ფიქრობდა ამ ღრმა მჭმუნვარებაში? არც თავის თავზე, არც მარიუსზე. ის კოზეტზე ფიქრობდა.

## თავი მერვე
## მოგლეჯილი კალთა

ასე სევდით მოცულმა ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე და ჩუმი ხმით ნათქვამი სიტყვაც გაიგონა:

- სანახევროდ.

მაშ, ვინმე იყო ამ სიბნელეში? არაფერი ჰგავს სიზმარს სასოწარკვეთილებასავით და ჟან ვალჟანსაც სიზმარში ეგონა თავი.

ფეხის ხმა არ გაუგონია. იქნებ მოელანდა?

ზევით აიხედა.

კაცი იდგა მის წინ.

ხალათი ეცვა, ფეხშიშველი იყო; წაღები მარცხენა ხელში ეჭირა, ალბათ, გაიხადა, რადგან უნდოდა, ისე მიჰპარვოდა, რომ ჟან ვალჟანს არ გაეგონა მისი ნაბიჯების ხმა.

წამიერი ეჭვიც კი არ აღძვრია ჟან ვალჟანს. მოულოდნელი იყო შეხვედრა, უეცარი, მაგრამ მაინც მაშინვე იცნო ის კაცი.

ეს ტენარდიე იყო.

ჟან ვალჟანი მიჩვეული იყო ხიფათს და შეეძლო მოეგერიებინა უეცარი თავდასხმა; ახლაც არ დაბნეულა. ამაზე უარესი რა მოხდებოდა, უკიდურეს საზღვრამდე მისულ მის სასოწარკვეთილებას ვეღარაფერი დაამძიმებდა, თვით ტენარდიეც კი ვერ მიუმატებდა სიბნელეს ამ ღამეს.

წამით მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ტენარდიემ მარჯვენა ხელით შუბლი მოიჩრდილა, თვალები მოჭუტა, წარბი შეიკრა, - უტყუარი ნიშანი იმ დაკვირვებისა, რომლითაც ცდილობს კაცი ვინმეს ცნობას, მაგრამ ვერ იცნო. ჟან ვალჟანს ზურგში სცემდა სინათლე და გარდა ამისა, ისე იყო გაწუწული და დასისხლიანებული, რომ შუადღის მზეზედაც ძნელად საცნობი იქნებოდა. ტენარდიეს კი ზედ სახეზე სცემდა ცხაურიდან შემომავალი სინათლე, თუმცა კი სუსტი, მიწისქვეშეთის სიბნელით დამცრობილი, მაგრამ მაინც იმდენად კარგად ჩანდა, რომ ამ გაცვეთილი მეტაფორისა არ იყოს, მაშინვე თვალში ეცა ჟან ვალჟანს. ამ საიდუმლო დუელში ჩვენი მებრძოლები თანასწორ პირობებში არ იყვნენ, ცოტა უპირატესობა ჰქონდა ჟან ვალჟანს. წინ უდგნენ ერთმანეთს ნიღბიანი ჟან ვალჟანი და ნიღაბჩამოხსნილი ტენარდიე.

ჟან ვალჟანი მაშინვე მიხვდა, რომ ტენარდიემ ვერ იცნო.

ერთმანეთს შესცქეროდნენ, სინჯავდნენ, ძალ-ღონეს უზომავდნენ შესაბრძოლებლად. მერე ტენარდიემ ჰკითხა:

- ახლა როგორ უნდა გაბრძანდე გარეთ?

პასუხი არ გასცა ჟან ვალჟანმა.

და ისევ ტენარდიემ განაგრძო:

- შენი გამღებით ამ კარს ვერ გააღებ და გასვლა კი ძალიან გინდა.

- მართალია, - დაეთანხმა ჟან ვალჟანი.

- ჰოდა, მაშ, სანახევროდ.

- რა, სანახევროდ?

- შენ კაცი მოკალი, ძალიან კარგი, მე კიდევ გასაღები მაქვს, - მოკალიო, რომ თქვა, თითით მარიუსზე ანიშნა და განაგრძო, - არ ვიცი, ვინა ხარ, მაგრამ მაინც მინდა დაგეხმარო. გეტყობა, ჩვენიანი ხარ.

ახლა კი მიხვდა ჟან ვალჟანი, - მკვლელად მიიღო ტენარდიემ.

ტენარდიე თავისას გაიძახოდა:

- მაშ, ასე, ძმაო. თუ კაცი მოკალი, ისიც გეცოდინებოდა, რა ჰქონდა ჯიბეში. ნახევარი მე მომეცი და კარს გაგიღებ, - დაფხრეწილი ხალათიდან ნახევრად გამოაჩინა უზარმაზარი გასაღები და დაუმატა, - გინდა ნახო, როგორია თავისუფლების გასაღები? აი, უყურე.

ჟან ვალჟანი სახტად დარჩა, თვალებს არ უჯერებდა. ნუთუ თავად ბედისწერა გამოეცხადა ასე საძაგელი სახით, ნუთუ მიწიდან კეთილი ანგელოზი ამოვიდა ტენარდიეს ხატად?

ტენარდიემ ხალათის ქვეშ მიმალულ დიდ ჯიბეში ხელი ჩაიყო, თოკი ამოიღო და ჟან ვალჟანს გაუწოდა:

- დაიჭი, ესეც შენთვის შემომიწევია.

- თოკი რაღად მინდა?

- ქვაც გინდა, მაგრამ ქვას წყალთან იპოვი, რამდენიც გინდა.

- ქვა რაღად მინდა?

- რა სულელი ხარ! წყალში არ უნდა ჩააგდო ეს ლეში? თუკი წყალში ჩააგდებ, ქვაც უნდა მოაბა, თორემ არ ჩაიძირება.

თოკი გამოართვა. არის წუთები, როცა კაცი მისდა უნებურად დაჰყაბულდება ყველაფერს.

ამ დროს რაღაც აზრმა გაუელვა ტენარდიეს და თითები გაატკაცუნა აღტაცებულმა:

- მართლა, მეგობარო, ამ ხნარცვს როგორ გადაურჩი? მე კი ვერ გავბედე. ფუ! რა აყროლებული ხარ! - პატარა ხანს გაჩუმდა და მერე დაუმატა, - მე რაღაცას გეკითხები და შენ კი... არა, მართალი ხარ, რომ პასუხს არ მაძლევ, გეტყობა, ახლავე გინდა, ისე მოიქცე, როგორც შეჰფერის ჭკვიან კაცს, გამომძიებელი რომ დაუწყებს დაკითხვას. ესეც არ იყოს, ვინც ხმას არ იღებს, არც დაიყვირებს, მაშასადამე, არც იმისი შიში აქვს, მიპოვიან და დამიჭერენო. შენ რა გგონია? აქაოდა ჩემს სახეს ვერ ხედავს და ჩემი სახელი არ იცის, ვერც მიცნობსო? ცდები, ძმობილო, ძალიან კარგად ვხედავ, ვინცა ხარ და რაც ხარ. ვხედავ. ეს ბატონი შემოგაკვდა და ახლა გინდა სადმე ჩამალო. მდინარეს ეძებ, ჰო, მდინარე საიდუმლოების დიდებული მფარველია. ჰოდა, მე დაგეხმარები ამ გაჭირვებაში. გაჭირვებულ ძმაბიჭს შევხვდე და ხელი არ გავუმართო?

თვითონვე მოუწონა ჟან ვალჟანს დუმილი და მაინც ცდილობდა, ხმა ამოეღებინა როგორმე. მერე მხარში სწვდა, თავისკენ უნდოდა მიებრუნებინა ჟან ვალჟანი, რომ კარგად დაენახა მისი სახე, და შეჰყვირა, იმავე ჩუმი ხმით როგორც აქამდე ლაპარაკობდა:

- მართლაც ნამდვილი ტყის ნადირი ხარ! არა, იმ ხნარცვში ვერ ჩააგდე ეს ტვირთი?

ჟან ვალჟანი დუმდა.

ტენარდიემ კი თავისი შორსმჭვრეტელობისა და სიბრძნის დასამტკიცებლად ყანყრატომდე აიწია ჩვარი, კისერზე რომ ყელსახვევად ეხვია, და უთხრა:

- რომ ჩაუკვირდეს კაცი, იქნებ სწორედ აგრეც უნდა მოქცეულიყავი. ხვალ დილით, აქ მუშები რომ მოვიდოდნენ, რაღა თქმა უნდა, ნახავდნენ ამ მიგდებულ გორგალს, დაშლიდნენ, ძაფს კვალდაკვალ გამოჰყვებოდნენ და გაგბაწრავდნენ. ვიღაცას გაუვლია მიწისქვეშეთში. ვინ უნდა ყოფილიყო? საიდან უნდა შესულიყო? დაინახა ვინმემ, აქედან რომ გავიდა? თვალიც კარგად უჭრის პოლიციას, ყურიც და გონებაც. მიწისქვეშეთი დამსმენია, გაგცემდა. ეგეთი მონაპოვარი იშვიათი რამ არის, მთავრობის ყურადღებას მაშინვე მიიქცევს. ან ვინ დატოვებს ხნარცვში მკვდარს, როდესაც ცხვირწინ უდევს დიდი მდინარე? ამ წყალსადინარით ბევრი არავინ სარგებლობს თავისი საქმისთვის და მდინარე კი ყველასია. ნამდვილი საფლავი თუ გინდა, სწორედ მდინარეა. გავა ერთი თვე და, ვნახოთ, სენ-კლუში მეთევზეები დაიჭერენ გახრწნილ გვამს. მერე შენ რა? ვინ მოკლა ეს კაცი? - პარიზმა. გამოძიებასაც კი არ შეუდგება მთავრობა. კარგად მოქცეულხარ, რომ აქ არ დაგიტოვებია.

რამდენადაც მეტს ყბედობდა ტენარდიე, იმდენად დამუნჯებული იყო ჟან ვალჟანი. ერთხელ კიდევ სწვდა მხარში ტენარდიე და შეანჯღრია.

- ახლა კი მოვრიგდეთ. სანახევროდ იყოს, ხომ გაჩვენე ჩემი გასაღები. ახლა შენ მაჩვენე ფული.

სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა, მხეცური, საეჭვო, თითქოს ემუქრებოდა კიდევაც და ამავე დროს მეგობრულადაც ექცეოდა.

ერთი რამ იყო უცნაური: ადამიანური არაფერი ჰქონდა ამ კაცს, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა. შეუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ცდილობდა, ჩაეგონებინა ჟან ვალჟანისათვის, რომ დასამალი არაფერი ჰქონდა და მაინც ჩუმად ამბობდა თავისას, ხანდახან თითს მიიდებდა ხოლმე ტუჩზე და ჩურჩულით იტყოდა: „ჩუმად“. მიზეზი ძნელი გამოსაცნობი იყო. მათ გარდა, იქ არავინ იყო. ყურს არავინ უგდებდა. ჟან ვალჟანს კი ეგონა, აქ სადმე, არცთუ ძალიან შორს, სხვა ყაჩაღებიც არიან დამალული და ტენარდიე ცდილობს, მათ წილი არ მისცესო.

ტენარდიე კი აჩქარებდა:

- ჰა, მოვრჩეთ! რამდენი ჰქონდა ამ მკვდარს?

ჟან ვალჟანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო.

მკითხველს ეხსომება, ჩვეულებად ჰქონდა, უფულოდ არსად წავიდოდა, მოულოდნელი ხიფათითა და განსაცდელით სავსე იყო მისი სიცოცხლე და ისიც ცდილობდა, ამ გზით მაინც დახვედროდა შეიარაღებული და უცებ სახტად დარჩა. წუხელ რომ გვარდიელის მუნდირს იცვამდა, ისე იყო გატაცებული სევდიანი ფიქრებით, რომ დაავიწყდა საფულის ჯიბიდან ამოღება. ცოტაოდენი ფული ჰქონდა ჟილეტის ჯიბეში, ის ამოიღო, მერე ლაფიანი ჯიბეები გადმოიბრუნა და სულ ერთი ოქრო, ოცფრანკიანი, ორი ხუთ-ხუთფრანკიანი ვერცხლი და ხუთი თუ ექვსი სუ იპოვა.

ტენარდიემ ქვედა ტუჩი გამობზიკა, თავი გააქნია და უთხრა:

- სულ იაფად მოგიკლავს.

მერე მისდგა და ჟან ვალჟანსა და მარიუსს ჯიბეები გაუსინჯა. დაურიდებლად ჩხრეკდა და ჟან ვალჟანიც ნებდებოდა, რადგან არ უნდოდა, მობრუნებულიყო და იმ მკრთალ სინათლეში სახით სჩვენებოდა ამ ქურდს. მარიუსის ჯიბეებს რომ სინჯავდა, ტენარდიემ ოინბაზის ოსტატობით ჩამოაგლიჯა სერთუკს უკანა კალთა და ჯიბეში ჩაიდო, ხალათის ქვეშ, ალბათ, ფიქრობდა, ამ მონახევით მაინც გავიგებ, ვინ არის მოკლულიც და მკვლელიცო... მოკლედ, ჯიბეებში იმ ოცდაათი ფრანკის მეტი ვერაფერი უპოვა.

- ეჰ, რა გაეწყობა, ერთიმეორეს აჰკიდებიხართ და ჯიბეც ცარიელი გაქვთ.

დაავიწყდა წეღან ნათქვამი, - სანახევროდო, - და ჯიბეში ჩაიდო ოცდაათი ფრანკი.

ცოტა ხანს ყოყმანობდა ხურდის გამო. მერე იმასაც ხელი წამოავლო და თან ბუზღუნებდა:

- არა, ასე იაფად კაცს არ მოვკლავდი.

მერე ისევ გასაღები დაანახვა ხალათის ქვემოდან და უთხრა, - ახლა კი უნდა წახვიდე, მეგობარო. აქაც ისეა, როგორც ბაზარში, ფულს გადაიხდი და მშვიდობით! ფული ხომ გადაიხადე, ახლა გასწი.

სიცილი აუტყდა, ასე რომ ეხმარებოდა უცნობს და ცდილობდა, ამ მიწისქვეშეთიდან თვითონ კი არა, სხვა გაეყვანა. ნუთუ უანგარო განზრახვა ჰქონდა, დახმარებოდა მკვლელს? ეჭვის შეტანა აქ კანონიერია.

თვითონვე უშველა, მარიუსი ააყვანინა და ფეხაკრეფით, ხმის ამოუღებლად მივიდა ცხაურთან; მიდიოდა და თან ჟან ვალჟანს ანიშნებდა, მომყევიო. მივიდა,

გარეთ გაიხედა, თითი მიიდო პირზე და ცოტა ხანს შეყოყმანდა. მერე ამოიღო გასაღები, კლიტეში ჩადო, კარი გააღო. კარს ხმა არ გაუღია, არც ჭრიალი, არც ჭრაჭუნი, თითქოს ხელი არავის უხლიაო. ცხადი იყო, ბოქლომიც და ცხაურის ანჯამებიც კარგად იყო გაპოხილი და უფრო ხშირად იღებოდა და იკეტებოდა, ვიდრე პოლიციას ეგონა. საზარელი იყო ცხაურის ასე იდუმლად ტრიალი, უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ ღამის რაინდები აქ დაუბრკოლებლად და ხშირად შედიოდნენ და გამოდიოდნენ. ცხადი იყო, მიწისქვეშეთი ბუნაგად გაეხადა ყაჩაღების ბრბოს. ეს უსიტყვო ცხაური მალავდა მათ.

გააღო კარი ისე, რომ ჟან ვალჟანი გაეტარებინა, მერე ზურგს უკან მიუხურა, ორჯერ გადაატრიალა გასაღები და მიიმალა წყვდიადში როგორც აჩრდილი. ისე მიდიოდა, თითქოს ვეფხვის ხავერდოვანი თათი აქვს ფეხის მაგივრადო. ერთი წამი კმაროდა, რომ უხილავში შემალულიყო ეს განგებით მოვლენილი საზიზღარი მხსნელი.

ჟან ვალჟანი გარეთ იყო.

## თავი მეცხრე
## ამ საქმის მცოდნეს მარიუსი მკვდარი ჰგონია

მარიუსი მიწაზე მიაწვინა.

გარეთ იყო.

უკან დარჩა მიაზმები, წყვდიადი, სიბინძურე. ადამიანის სულისჩამდგმელ ჰაერზე იყო, წმინდა, გულის გამხარებელ ჰაერზე და თავისუფლად სუნთქავდა. აქაც სიჩდუმე იდგა, მაგრამ მზის ჩასვლის შემდგომ გამეფებული მომხიბლავი, ტკბილი სიჩუმე. ბნელოდა უკვე, ღამე მოიპარებოდა, გაჭირვებულთა გამათავისუფლებელი, ყველა იმის გულითადი მეგობარი, ვისაც ჩრდილის საბურველი სჭირდება, რომ თავი დააღწიოს ვაებას. მის წინ ყოველმხრივ იშლებოდა ზეცა, უსაზღვრო მშვიდობის განსახიერება, მის ფეხთით მიედინებოდა მდინარე კოცნის ნელი ხმაურით, ელისეს მინდვრების ხეივნებიდან ჩიტების ჟღურტული ისმოდა - თელებზე გაკეთებულ ბუდეებში მსხდარნი მშვიდობის ღამეს უსურვებდნენ ერთმანეთს. აქა-იქ ვარსკვლავი მოჩანდა, რომლის სხივი ძლივს ჭრიდა მკრთალ ლაჟვარდს და პატარა წერტილად კრთოდა მიბინდულ ცაზე. საღამო თავს ადგა ჟან ვალჟანს და ზედ აფრქვევდა უსაზღვროების ნეტარებას.

გაურკვეველი, თან წარმტაცი წუთი იყო, რომელიც არც ჰოს ურჩევს ადამიანს, არც არას. იმდენად დაღამებულიყო უკვე, რომ შეიძლებოდა ოდნავ მოშორებით თვალთახედვიდან დაგეკარგათ კაცი, მაგრამ ჯერ იმხელა დღეც შემორჩენილიყო, რომ თქვენ ახლოს მდგომი გეცნოთ.

ჟან ვალჟანი ამ წარმტაცი მშვენიერებითა და მყუდროებით ტკბებოდა. არის ხოლმე წუთები, როდესაც ყველაფერი ავიწყდება ადამიანს, თვით სევდაც ტოვებს განწირულს; ყველაფერი ბნელდება გონებაში. სიმშვიდე ღამესავით მოიცავს ტანჯულს. ამ დროს ბინდსაც კი შუქი ეფინება და გაშუქებული ზეცის მსგავსად ვარსკვლავდება ადამიანის სული. ჟან ვალჟანი უნებური აღტაცებით შეჰხაროდა უსაზღვრო ნათელი მწუხრით მოცულ ცას; ჩაფიქრებული, ლოცვასა და ექსტაზში, მარადიული ზეცის დიად მშვიდობას ერთვოდა. მერე უცბად, თითქოს გულის კვნესამ

მოაგონა თავისი მოვალეობაო, მარიუსთან მივარდა, მდინარიდან მუჭით წყალი ამოიღო და ფრთხილად ასხურა სახეზე. წარბიც არ შეანძრია მარიუსმა. პირი კი ოდნავ ღია ჰქონდა და სუნთქავდა.

ის იყო, ხელმეორედ უნდოდა წყლის ამოღება, რომ შედგა, იგრძნო, რომ უკნიდან ვიღაც უყურებდა.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ შეგრძნებაზე, რომელიც ერთხელ მაინც ყველას განუცდია.

ჟან ვალჟანი მიბრუნდა.

წეღანდელივით ვიღაც იდგა მის უკან და უყურებდა.

მაღალი კაცი იყო, გრძელი სერთუკი ეცვა. მარჯვენა ხელში ტყვიისბუნიკიანი ხელკეტი ეჭირა. რამდენიმე ნაბიჯით უკან იდგა და თვალს არ აშორებდა ჟან ვალჟანს, რომელიც ჯერაც დახრილი იდგა და მარიუსს დაჰყურებდა.

ბინდბუნდში მოჩვენებას ჰგავდა. ცრუმორწმუნეს შეეშინდებოდა მისი, გამოცდილს - მისი ხელკეტისა.

ჟან ვალჟანმა მაშინვე იცნო ჟავერი.

მკითხველი, რა საჭიროა ამის თქმა, მიხვდებოდა, რომ ტენარდიეს მდევარი ჟავერი იყო. ბარიკადიდან რომ გამოვიდა ასე მოულოდნელად და უვნებლად, მაშინვე პოლიციაში გამოცხადდა და პირადად პრეფექტს სიტყვიერად მოახსენა, რაც ნახა; მერე მაშინვე თავის სამსახურს შეუდგა, რომელიც ავალებდა, თანახმად მისი გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი ბრძანებისა, რომ ეთვალთვალა ელისეს მინდვრებთან მდებარე სენის მარჯვენა სანაპიროსთვის, რომელიც კარგა ხანია, მთავრობისთვის საეჭვო ადგილად გადაქცეულიყო. იქ ტენარდიე დაინახა და უკან გაჰყვა. დანარჩენი ვიცით. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ცხაურის გაღება და ჟან ვალჟანის დახმარება ტენარდიეს ხერხი იყო. გრძნობდა, რომ იქვე ტრიალებდა ჟავერი; დევნილ ადამიანს ისეთი ალღო აქვს, რომელიც არ მოატყუებს. ტენარდიეც გრძნობდა, რომ ძვალი უნდა მიეგდო ამ მეძებრისთვის. კაცის მკვლელი მიუგდო, მეტი რა უნდოდა? ცეცხლსაც უნდა თავისი წილი და არც უნდა დაუჭირო. ტენარდიემ თავის მაგივრად ჟან ვალჟანი გაუშვა, ამით ნადავლი მისცა პოლიციას, დაავიწყა ჟავერის მიერ დევნილი, მიწისქვეშეთში შეპარული, მკვლელის დაჭერით დაავიწყა თავისი კვალი, დააკმაყოფილა ჟავერის ხანგრძლივი დარაჯობა, რაც ძალიან უყვარს ჯაშუშს. ტენარდიემ ჯიბეში ჩაიდო ოცდაათი ფრანკი, თანაც დარწმუნებული იყო, რომ აღარაფერი ემუქრებოდა, რადგან ჟავერი მკვლელისა და მოკლულის საქმის გამოძიებას მოუნდებოდა.

ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა ჟან ვალჟანი.

უბედურება იყო ამ ორი კაცის, ჯერ ტენარდიესი და ახლა ჟავერის შეხვედრა.

ჟავერმა ვერ იცნო ჟან ვალჟანი, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის თავს აღარ ჰგავდა. ისევ ისე გულხელდაკრეფილი იდგა, ოღონდ შეუმჩნეველი მოძრაობით მოიმარჯვა ხელკეტი და მოკლედ, მშვიდად დაუსვა კითხვა:

- ვინა ხართ?

- მე გახლავართ!

- ვინ თქვენ?

- ჟან ვალჟანი.

ხელკეტი კბილებით დაიჭირა, ხელი გაითავისუფლა. ჩაიმუხლა, ღონიერი ხელები ჟან ვალჟანს მხარზე დაადო, მუხრუჭივით მოუჭირა, დააცქერდა და იცნო. სახეებით თითქმის ერთმანეთს ეხებოდნენ. საზარელი თვალით შესცქეროდა ჟავერი.

ჟან ვალჟანს წარბიც არ შეუხრია, ისე როგორც ლომი არ მიაქცევს ყურადღებას ფოცხვერის ბრჭყალებს.

- თქვენს ხელთა ვარ, ინსპექტორო ჟავერ! დღეიდან თავს თქვენს პატიმრად ვთვლი. იმიტომ კი არ მოგეცით ჩემი მისამართი, რომ დაგმალვოდით. დამაპატიმრეთ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს.

ისეთი გამომეტყველება ჰქონდა ჟავერს, თითქოს არაფერი ესმისო, დაჟინებით შესცქეროდა ჟან ვალჟანს. ნიკაპი დაგრძელებოდა, ტუჩები ცხვირისკენ აებზიკა, - ეს საზარელი ფიქრის ნიშანი იყო. ბოლოს ხელი უშვა ჟან ვალჟანს, წელში გასწორდა, ხელკეტი მოიმარჯვა და თითქოს სიზმარში ყოფილიყოს, წაიბუტბუტა:

- აქ რა გინდათ? ეს კაცი ვინ არის?

ახლაც თქვენობით მიმართა ჟან ვალჟანს.

ჟან ვალჟანმა უპასუხა და თითქოს მისმა ხმამ გამოაფხიზლა ჟავერი:

- სწორედ ამ უბედურის შესახებ მინდოდა მეთხოვა. თქვენი პატიმარი ვარ, ბატონო. ოღონდ დამეხმარეთ, რომ შინ მივიყვანო დაჭრილი. სხვას არაფერს გთხოვთ.

სახე დაეღრიჯა ჟავერს, ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა რამეს სთხოვდნენ და ეგონათ, შეგვისრულებსო. სახე დაეღრიჯა, მაგრამ უარი კი მაინც არ უთხრა.

ისევ დაიხარა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, წყალში დაასველა და სისხლი მოსწმინდა მარიუსს შუბლზე.

- ეს კაცი ბარიკადზე იყო, - თქვა ჩუმი ხმით, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, - მარიუსი ჰქვია.

ჟავერი პირველხარისხოვანი ჯაშუში იყო. ბარიკადელთა ტყვეობაშიც კი, სასიკვდილოდ განწირული, თვალს ადევნებდა ყველაფერს, ყველაფერს ისმენდა და იმახსოვრებდა. სულთმობრძავი მაინც ჯაშუშად რჩებოდა და სამარის კარს მდგომი გულში იწერდა პოლიციისათვის საჭირო ცნობებს.

მარიუსს მაჯა გაუსინჯა.

- დაჭრილია, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

- მკვდარია, - უპასუხა ჟავერმა.

არ დაეთანხმა ჟან ვალჟანი:

- არა, ჯერ არა.

- და ბარიკადიდან აქ გამოიყვანეთ, - შენიშნა ჟავერმა.

ალბათ, იმდენად იყო ჩაფლული თავის საფიქრალში, რომ ამ უცნაური გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ყურადღება არ მიაქცია არც იმას, რომ ჟან ვალჟანი უპასუხოდ ტოვებდა მის კითხვას:

თავის მხრივ, ჟან ვალჟანსაც თავისი საფიქრალი ჰქონდა, ერთადერთი, და კიდევ მიმართა ჟავერს:

- მარეში ცხოვრობს. ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე, ბაბუამისთან... სახელი აღარ მაგონდება.

ხელი ჩაუყო უბეში მარიუსს. საფულე ამოიღო. გადაშალა მარიუსის ხელით ფანქრით ნაწერი და ჟავერს გაუწოდა.

მისამართის წასაკითხად საკმარისი სინათლე ჯერ კიდევ ბუუტავდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ჟავერს თვალში ღამის ფრინველების ფოსფორული შუქი ედგა. მარიუსის მისამართის რამდენიმე სიტყვა წაიკითხა და ჩაიბუზღუნა:

- ჟილნორმანი, ფილ-დე-კალვერის ქ. #6, - მერე შესძახა, - მეეტლევ!

ეტლი ისევ იქ ელოდა.

ჟავერმა მარიუსის საფულე ჯიბეში ჩაიდო.

მალე ეტლიც ჩამოვიდა დაღმართით. მარიუსი უკან დააწვინეს, თვითონ წინ დასხდნენ და ეტლი ბასტილიისკენ გაქანდა.

ბულვარიდან ქუჩებში გავიდნენ. შავ აჩრდილად გამოჭიმული მეეტლე მათრახს სცემდა თავის გამხდარ ცხენებს. გამყინავი დუმილი სუფევდა ეტლში. ეტლის კუთხეში მარიუსის უძრავი სხეული იდო, უსიცოცხლოდ გადმოყრილი ხელებითა და გაშოტილი ფეხებით, თითქოს ელის, როდის ჩამაწვენენ კუბოშიო. ჟან ვალჟანი წყვდიადით ნაქსოვს ჰგავდა, ჟავერი კი ქვისგან გამოთლილს. ამ ბნელ ეტლში, რომელსაც, თითქოს ელვის გამონათებააო, დროდადრო ქუჩის ფარნები ლურჯ სინათლლეს სცემდა, შემთხვევამ ერთმანეთს შეჰყარა და პირისპირ დააყენა ტრაგიკული უძრაობის სამი განსახიერება - ცხედარი, მოჩვენება და ქანდაკება.

## თავი მეათე

## დაბრუნება უძღები შვილისა, SEP სიცოცხლე რომ გაუფლანგავს

როგორც კი შეირყეოდა ქვაზე ეტლი, წვეთ-წვეთად სისხლი სდიოდა მარიუსს თავიდან.

ღამე იყო უკვე, როდესაც ეტლი ფილ-დე-კალვერის ნომერ ექვს სახლს მიადგა.

პირველად ჟავერი ჩამოხტა, თვალი გადაავლო სახლის ნომერს. მერე ზედ ჩამოკიდებული რკინის ჩაქუჩი აიღო, ძველი მოდისამებრ შუბლით ერთმანეთს შეჯახებული თხისა და სატირის გამოსახულებით დამშვენებული, და მაგრად დააკაკუნა კარზე. მეკარე გამოჩნდა ნამძინარევი, მთქნარებით; ხელში შანდალი ეჭირა.

ყველას ეძინა სახლში. აღრე წვებიან მარეს უბანში, მეტადრე აჯანყების დროს. ძველებური მყუდრო უბანია, შიშით ზარდაცემული რევოლუციით, და ძილს ეფარება, როგორც ბავშვი, რომ ეტყვიან ბუა მოდისო, და უცბად საბანს წაიხურავს თავზე.

ამასობაში ჟან ვალჟანმა და მეეტლემ მარიუსიც გამოიყვანეს ეტლიდან. ჟან ვალჟანს იღლიებში ამოედო ხელი, ზურგით დაედო გულზე, მეეტლეს დაჭრილის მუხლები ეჭირა...

ჟან ვალჟანმა მარიუსს ტანისამოსის ქვეშ ხელი შეუცურა, გულზე დაადო და დარწმუნდა, რომ დაჭრილს ჯერ ისევ უცემდა გული. უფრო მეტიც, აქ უფრო მაგარი იყო გულისცემა, ვიდრე წინათ, თითქოს სუფთა ჰაერმა და ეტლის მოძრაობამ ოდნავ გაუცხოველა სიცოცხლის ძალა.

ჟავერმა, როგორც მთავრობის წარმომადგენელს შეეფერება, როცა აჯანყებულის მსახურს ელაპარაკება, მეკარეს მკვახედ ჰკითხა:

- აქ ცხოვრობს ჟილნორმანი?

- დიახ, რა გნებავთ?

- შვილი მოვუყვანეთ.

- ბატონის შვილი? - ოშესძახა გაკვირვებით მეკარემ.

- მკვდარია.

ჟან ვალჟანი ჟავერის უკან იდგა. ტალახიანი ტანსაცმლით, ლაფში გაწუწული, შიშით შესცქეროდა მას მეკარე. თავით ანიშნა მეკარეს, არა, ცოცხალიაო.

მეკარეს ეტყობოდა, ვერც ჟავერის ნათქვამი გაეგო, ვეღარც ჟან ვალჟანის ნიშანი.

ჟავერმა განუმარტა:

- ბარიკადზე იბრძოდა და აგერ, მიიღო...

- ბარიკადზეო? - შეჰყვირა მეკარემ.

- იქ მოკლეს. მამა გააღვიძეთ.

მეკარე არ იძვროდა.

- წადით, რაღას უყურებთ? - და დაუმატა, - ხვალ დაასაფლავებენ.

ჟავერს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა კატეგორიებად ჰქონდა დაყოფილი, ამის მიხედვით იწყებოდა სიფხიზლე და თვალთვალი; ნებისმიერ შემთხვევითობას თავისი ადგილი ჰქონდა მინიჭებული; შესაძლო მოვლენებს, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ ყუთებში ინახავდა, საიდანაც, საჭიროებისამებრ, ერთად ან ცალ-ცალკე იღებდა, გააჩნია, გარემოებას; იყო ყუთი, მაგალითად, ქუჩაში სიმშვიდის დარღვევის, ამბოხების, კარნავალის ან დაკრძალვის.

მეკარემ ბასკი გააღვიძა და ამით გაასრულა თავისი საქმე, ბასკმა, თავის მხრივ, ნიკოლეტი, ნიკოლეტმა კი დეიდა ჟილნორმანი. რაც შეეხება ბაბუას, არ შეაწუხეს, - დაე ეძინოს, რაც უფრო გვიან გაიგებს, აჯობებსო.

ისე აიყვანეს მარიუსი მეორე სართულზე, რომ არავის გაუგია და ბატონი ჟილნორმანის ოთახის წინკარში, დივანზე დააწვინეს. ბასკი მაშინვე ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ნიკოლეტი საცვლების ძებნას შეუდგა.

ჟან ვალჟანმა ჟავერის ხელი იგრძნო მხარზე. მიხვდა და ოთახიდან გავიდა. ჟავერი უკან მიჰყვა.

მეკარე უყურებდა, როგორ ჩასხდნენ ეტლში, ჯერაც არ გამოფხიზლებულიყო, თვალი ებლიტებოდა.

ეტლში რომ ჩასხდნენ და მეეტლე კოფოზე გამოიჭიმა, ჟან ვალჟანმა ჟავერს უთხრა:

- ინსპექტორო ჟავერ, ერთი რამ კიდევ მინდა გთხოვოთ.

- რა გნებავთ? - ჰკითხა უკმეხად ჟავერმა.

- ნება მიბოძეთ წამით შინ შევიარო. მერე კი თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ.

ცოტა ხანს ჩუმად იჯდა ჟავერი, ნიკაპი სერთუკის საყელოში ჩაეყო, დაფიქრებულიყო. მერე წინა სარკმელი ძირს დაუშვა და დაიძახა:

- მეეტლეე, ლ'ომ-არმეს ქუჩა, #7.

## თავი მეთერთმეტე
## ურყევის რყევა

ხმა აღარ ამოუღიათ, ისე გაიარეს მთელი გზა.

რა უნდოდა ჟან ვალჟანს? უნდოდა გაესრულებინა ის, რაც დაიწყო, - კოზეტი გაეფრთხილებინა, ეთქვა, სად არის მარიუსი. იქნება სხვა საჭირო და სასარგებლო

ცნობაც მიეცა, ან დაერიგებინა, გადაეწყვიტა სამომავლო საკითხები და განკარგულება დაეტოვებინა. რაც შეეხებოდა თვით მას, პირადად მას და მის მომავალს, გათავებული იყო ყველაფერი; ჟავერის ხელში იყო და არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. სხვა რომ ყოფილიყო ამ მდგომარეობაში, იქნებ მოჰგონებოდა ის თოკი, ტენარდიემ რომ მისცა, და რკინის ცხაურები საპატიმროსი, სადაც მასაც ჩაამწყვდევდნენ; მაგრამ ეპისკოპოსის შემდეგ ყოველგვარი ხელის აღმართვა, თავის თავზეც კი, მისთვის დაუშვებელი იყო.

თვითმკვლელობა, შეუცნობელზე ეს იდუმალი ძალადობა, რომელიც შეიძლებოდა სულსაც კი კლავდა, ჟან ვალჟანს შეუძლებლად ეჩვენებოდა.

ეტლი ლ'ომ-არმეს ქუჩასთან გაჩერდა, აქ ეტლით შესვლა შეუძლებელი იყო სივიწროვის გამო. ჟავერი და ჟან ვალჟანი ჩამოვიდნენ.

ამ დროს მეეტლემ თავმდაბლად შეჰბედა „ბატონ ინსპექტორს", ეტლი უტრეხტული ხავერდით მაქვს გამოკრული და მთლად გასვრილია იმ მოკლულის სისხლითა და ამ მკვლელის ლაფითო და სთხოვდა, ზარალი აენაზღაურებინათ, თან ჯიბიდან ამოიღო თავისი წიგნაკი და სთხოვა ბატონ ინსპექტორს, იქნება კეთილინებოთ და ზედ დამიწეროთ ორი სიტყვა, რომ ერთგულად გემსახურეთო.

ჟავერმა წიგნაკი არ ჩამოართვა, მხოლოდ ჰკითხა:

- რამდენი გერგება იმისი, რაც მოგაცდინეთ, და წამოყვანისა?

- შვიდი საათი გახლავთ და თხუთმეტი წუთი, - მიუგო მეეტლემ, - და ჩემი ხავერდი ხომ სულ ახალი იყო. ოთხმოცი ფრანკი მერგება, ბატონო ინსპექტორო.

ჟავერმა ოთხი ნაპოლეონდორი ამოიღო ჯიბიდან და მეეტლეს გაუსწორდა.

ალბათ, ფეხით მიმიყვანს ბლან-მანტოს პოლიციის საგუშაგომდე ან არქივამდეო, იფიქრა ჟან ვალჟანმა, რადგან ერთიც ახლო იყო და მეორეც.

ვიწრო ქუჩაზე გავიდნენ. როგორც ყოველთვის, ახლაც არავინ ჩანდა. ჟავერი უკან მიჰყვებოდა ჟან ვალჟანს. როცა სახლთან მივიდნენ, ჟან ვალჟანმა კარზე დააკაკუნა და გაუღეს.

- კარგი, - უთხრა ჟავერმა, - აბა, ადით, - და უცნაური გამომეტყველებით, თითქოს ძალას ატანს თავსო, დაუმატა, - მე აქ მოგიცდით.

ჟან ვალჟანმა ჟავერს შეხედა: ასეთი ქცევა მისთვის უჩვეულო იყო, მაგრამ არც ძალიან გაიკვირვა, რადგან გრძნობდა, რომ ჟავერი აბუჩად იგდებდა და პატარა თავისუფლებასაც კი აძლევდა, როგორც კატა დაჭერილ თაგვს, - გაუშვებს, მაგრამ ისე ახლო ჰყავს, რომ ყოველ წამს შეუძლია გაჰკრას ბრჭყალი, მით უფრო, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, დამორჩილებოდა ჟავერს და დაესრულებინა თავისი ტანჯვა. კარი შეაღო, შინ შევიდა. დაუძახა მეკარეს, რომელიც უკვე ლოგინში იწვა და თავის საწოლიდან თოკის გამოწევით გაუღო კარი, და კიბეზე ავიდა.

მეორე სართულზე რომ ავიდა, შეჩერდა. ყოველ გზაჯვარედინს თავისი სადგური აქვს.

აქ კიბის ბაქანს ფანჯარა ჰქონდა, გილიოტინასავით ასაწევ-დასაწევი, და ღია იყო. როგორც ბევრ ძველებურ სახლში, კიბეზე სინათლე ქუჩიდან სცემდა, ქუჩის ფარანი სწორედ ამ ფანჯრის პირდაპირ იდგა, კიბის საფეხურებს ანათებდა და ამცირებდა განათების ხარჯს.

ჰაერის ჩასაყლაპავად იყო თუ ანგარიშმიუცემლად, ჟან ვალჟანი ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა. ეს ქუჩა მოკლე იყო და თავიდან ბოლომდე ანათებდა ფარანი. განცვიფრებული დასცქეროდა იქაურობას, არავინ ჩანდა ქუჩაში.

ჟავერი წასულიყო.

## თავი მეთორმეტე
## წინაპარი

ბასკმა და მეკარემ სასტუმრო ოთახში შეიყვანეს მარიუსი, იმავე დივნით, ისევე უძრავად მწოლიარე. ექიმი მაშინვე მოვიდა. დეიდა ჟილნორმანიც აბრძანებულიყო.

მიდი-მოდიოდა გულგახეთქილი, ხელებს იმტვრევდა და - სხვას რას იზამდა? - წუწუნებდა: „ღმერთო მოწყალეო, ეს რა ხდება“, - ხანდახან კიდევ მეტიც წამოსცდებოდა ხოლმე, - „სისხლით გაისვრება აქაურობა“. შიშმა რომ გაუარა, ეს უბედურება ფილოსოფიურად გაიაზრა, რაც ამ სიტყვით გამოითქვა: „ამით უნდა გათავებულიყო ეს საქმე!“ ეს კი არ მიუმატა, - ასეც ვიცოდიო, - როგორც ასეთ შემთხვევებში უცილობლად ამბობენ ხოლმე.

ექიმის მოთხოვნით დივნის გვერდით საკეცი საწოლი დადგეს. მან გასინჯა მარიუსი და რაკი ნახა, რომ მაჯა შეუწყვეტლივ უცემდა და გულშიაც არ იყო დაჭრილი, - პირთან მოგროვილი შედედებული სისხლი ცხვირიდან წასკდომოდა, - პირაღმა დააწვინა, უბალიშოდ, ისე, რომ თავი იმავე დონეზე სდებოდა, როგორც ტანი, ცოტა უფრო დაბლაც, და გულმკერდი მოუშიშვლა, რომ სუნთქვა გაეადვილებინა. ქალბატონმა ჟილნორმანმა გულმკერდმოღიავებული დისწული რომ დაინახა, მაშინვე გავიდა ოთახიდან, შევიდა თავის საძინებელში და ლოცვა დაიწყო.

ტანზე მარიუსს ღრმა ჭრილობა არ ჰქონდა. ერთი ტყვია საფულეს მოხვედროდა, იქიდან კი ნეკნებს; რბილი ქსოვილში გაუვლია, მაგრამ ღრმად არ შესულა და, მაშასადამე, არც საშიში იყო. ლავიწი ჰქონდა გატეხილი. ჟან ვალჟანმა დიდხანს ატარა ხელში აყვანილი იმ მიწისქვეშეთში, ლავიწის ნაწილები ძალიან ჩამოშორებოდნენ ერთმანეთს და, თუ იყო რამ საშიში, მარტო ეს. ხელებიც დაჭრილი ჰქონდა, მარტო თავის კანი იყო დასერილი თუ თავის ქალაც დაზიანებოდა, ამის თქმა ჯერ შეუძლებელი იყო. ცუდი ის იყო, რომ ხანგრძლივმა სისხლდენამ გონი დააკარგვინა და ძალიან დაასუსტა. მარიუსი წელქვევით ბარიკადის კედლის წყალობით სრულიად უვნებლად გადარჩენილიყო.

ბასკი და ნიკოლეტი საცვლებს ხევდნენ, რომ ჭრილობის შესახვევი ტილო ჰქონოდათ. ნიკოლეტი კერავდა, ბასკი ახვევდა. სისხლდენის შესაჩერებლად ექიმმა დროებით ბამბა იხმარა. საწოლთან მაგიდა იდგა, ზედ სამი სანთელი ენთო და იქვე ეყარა ყველაფერი, რაც ექიმს დასჭირდებოდა. ექიმმა ცივი წყალი მოითხოვა, თავი და სახე მობანა მარიუსს; წყლით სავსე გოვზაკი უცბად გააწითლა ჩამონაბანმა. მეკარეც იქვე იდგა, სანთელი ეჭირა და ექიმს უნათებდა.

ექიმი შეფიქრიანებული იყო, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა. ხანდახან თავს გაიქნევდა ხოლმე, თითქოს თავს რაღაცას ეკითხება და საიმედო პასუხს ვერ იღებსო. ექიმის ეს საიდუმლო კითხვა-პასუხი ავი ნიშანია ავადმყოფისთვის.

ექიმი მარიუსს სახეს უწმენდდა, როცა ერთმა მაღალ-მაღალმა, ფერმკრთალმა მამაკაცმა შემოაღო კარი.

ეს მარიუსის ბაბუა იყო.

ორი დღე იყო, რაც ქალაქი აჯანყებულიყო და ეს ძალიან აბრაზებდა. წინაღამეს არც კი სძინებია, მთელი დღე კი სიცხე ჰქონდა. წუხელ ძალიან ადრე დაწვა, მანამდე შინაურებს უბრძანა, მაგრად დაკეტეთ კარიო, და მაშინვე ჩაეძინა.

სიბერემ უძილობა იცის. ბატონი ჟილნორმანის საძინებელი სასტუმრო ოთახის გვერდით იყო და, თუმცა ძალიან ცდილობდნენ, არ გავაღვიძოთ, შეუძლოდ არისო, მაინც გამოაღვიძა ამ არეულობამ. სინათლე შეპარულა საძინებელში, - გაკვირვებული წამოვარდნილა ლოგინიდან და ის იყო, შეაღო სასტუმრო ოთახის კარი.

გაკვირვებული იდგა, ხელი ჯერ ისევ რაზაზე ედო, თავი წინ წამოეწია, ტანთ გრძელი თეთრი ხალათი ეცვა, უნაკეცო, აჩრდილს ჰგავდა, რომელიც საფლავს ჩასცქერის.

დაინახა საწოლზე დასისხლიანებული ახალგაზრდა, ცვილივით გაყვითლებული, თვალდახუჭული, პირღია, მკვდრისფერი ბაგით, წელამდე შიშველი, დაჭრილი, დასისხლიანებული, უძრავი, გონდაკარგული, სანთლებით განათებული.

გააჟრჟოლა მოხუცს, რამდენადაც კი გაჟრჟოლდება ძვლად გადაქცეული აგებულება; ხნიერებისგან ჩაყვითლებულ თვალს ჩინი ჩაუქრა, თითქოს შუშის გაუხდა; უცბად გამოეცვალა სახე და ჩონჩხად გარდაიქმნა; ხელები ძირს ჩამოუცვივდა, თითქოს ზამბარა გაუწყდაო; ხელის თითები გაეშალა და შეცივებულივით ცახცახებდა. წინ წამოიწია ოდნავ, მუხლი გამოუჩნდა ხალათის ქვეშიდან, თეთრი ბალნით მოსილი, წინ წამოიწია და წაილუღლუღა:

- მარიუს!

- დიახ, ბატონო, მარიუსი გახლავთ. ეს არის, მოიყვანეს. ბარიკადზე ყოფილა და...

- მკვდარია! - შეჰყვირა მოხუცმა საზარელი ხმით, - აჰ, ეს საძაგელი! - წელში გასწორდა ასი წლის მოხუცი, როგორც სიკვდილის ჟამს ხდება ხოლმე, ყმაწვილი ბიჭივით გამოიჭიმა და ექიმს მიმართა, - ბატონო, თქვენ ექიმი ხართ, პირდაპირ მითხარით, მკვდარია თუ ცოცხალი?

შეწუხებულმა ექიმმა პასუხი არ გასცა.

ბატონ ჟილნორმანს სიმწრით ხელები დაეკრუნჩხა, საზარლად ახარხარდა:

- მაშ, მკვდარია, მკვდარი? ბარიკადს შეაკლა თავი? ჩემი ჯიბრით? ჩემს მოსაკლავად ჩაიდინა ეს საზიზღრობა? აჰ, სისხლისმსმელო! აი, როგორი დამიბრუნდა! ო, უბედურო სიცოცხლევ! მკვდარია, მკვდარი!

ფანჯარასთან მივიდა, მთლად გამოაღო, თითქოს სული ეხუთებაო, იდგა ატუზული და წყდიადით მოცულ ქუჩას შეჰქვითინებდა:

- ხიშტით განგმირული, ხმლით დაჭრილი, დასერილი, აკუწული! ვერ ხედავთ ამ უმადურს? კარგად იცოდა, რომ სულ მის ლოდინში ვიყავი, მისი ოთახი გავაწყობინე, ჩემი საწოლის თავზე მისი სურათი ჩამოვკიდე, იმდროინდელი, როდესაც ჯერ ისევ პატარა ბიჭი იყო. კარგად იცოდა, რომ უნდა მოსულიყო, რადგან სულ მას ვეძახდი. გაშტერებული ვიჯექი ბუხართან და სულ იმას ვფიქრობდი, რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ დამიბრუნდეს-მეთქი? ოჰ, რა სულელი ვიყავი. ხომ იცოდი, ბიჭო, ხომ კარგად იცოდი, როგორ მიგიღებდი! ოღონდ მოსულიყავი, ოღონდ დაბრუნებულიყავი შენს სახლში და გეთქვა, მე ვარო, განაცვალებდი ქვეყანას, დაგემორჩილებოდი შენი გადაყრუებული ბაბუა. ხომ იცოდი, კარგად იცოდი, მაგრამ ფიქრობდი, არა, ბაბუაჩემი მეფის მომხრეა, როიალისტი, მასთან ვერ მივალო. ბარიკადზე ახვედი და ჩემს

მოსაკლავად გასწირე თავი! ნეტავ რა დაგიშავე? იმიტომ, რომ ერთხელ ჰერცოგ დე ბერიზე რაღაც ვთქვი და არ მოგეწონა ჩემი ნათქვამი? და ხედავთ, როგორ გადამიხადა? მოკვდა? აი, ჩემი გაღვიძება!

აქამდე დაჭრილი აწუხებდა ექიმს, ახლა ბატონი ჟილნორმანიც ზედ დაერთო. ცოტა ხნით მიატოვა მარიუსი. მივიდა მოხუცთან. ხელი დაუჭირა, მობრუნდა ბატონი ჟილნორმანი, სისხლმორეული თვალებით შეხედა ექიმს და მშვიდად უთხრა:

- გმადლობთ, ბატონო, აი, დავმშვიდდი. მე მამაკაცი ვარ. ლუი XVI-ის სიკვდილი ვნახე და მგონი, ვიცი უბედურების ატანა. ოღონდ საშინელი ის არის, ჩემო ბატონო, რომ სწორედ თქვენი გაზეთები ქმნიან ცხოვრებას ასე აუტანლად. დაე გყავდეთ მჯღაბნელები, მროშავები, ვექილები, ორატორები, ტრიბუნები... კამათი, პროგრესი და განათლება, თან ადამიანის უფლება, სიტყვის თავისუფლებაო და აი, როგორ მოგიყვანენ შვილებს ოჯახში. ოჰ, მარიუს! საშინელებაა! მარიუსი მკვდარი მყავს და მე კი ცოცხალი ვარ? ბარიკადზეო! ეს საძაგელი! თქვენ ჩვენს უბანში უნდა ცხოვრობდეთ, ექიმო, არა? ვიცი, კარგად გიცნობთ. ჩემი ფანჯრიდან გხედავთ ხოლმე ეტლით მიმავალს. და აი, რა მინდა მოგახსენოთ: ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ გაჯავრებული ვარ. გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ სიკვდილს გაუჯავრდეს. ეს ბიჭი კი მე გამოვზარდე, უკვე მოხუცი ვიყავი, როდესაც ის სულ პაწია იყო. ტიუილრიში ჩავიყვანდით ხოლმე სათამაშოდ თავისი პატარა ნიჩბითა და პატარა სკამით. ბაღის ზედამხედველი რომ არ გაგვჯავრებოდა, ჩემი ხელჯოხით ვასწორებდი ბავშვის ნიჩბით ათხრილ მიწას. ერთხელ კი შესძახა, ძირს ლუი XVIII-ო და გაიქცა სახლიდან. ჩემი ბრალი არ იყო, მერწმუნეთ. ისეთი ლამაზი ბიჭი იყო, ვარდისფერ-თეთრი. დედა მოუკვდა. თქვენც შენიშნავდით, ბატონო, რომ პატარა ბავშვები თეთრყირმიზნი არიან. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ეს ერთ-ერთი იმ ლუარის ყაჩაღთაგანის შვილია, მაგრამ შვილები ხომ პასუხს არ აგებენ მამების ავკაცობაზე. მახსოვს პატარა რომ იყო, აი, ამსიმაღლე, „დ“-ს ვერ გამოთქვამდა. ისე ტკბილად ჭიკჭიკებდა, ისე გაუგებრად, რომ ჩიტუნია გეგონებოდათ. ერთხელ, მახსოვს, ფარნეზელი ჰერაკლეს ძეგლთან ხალხი შემოგვეხვია ჩემი ბიჭიკოს სილამაზით აღტაცებული, იმდენად მშვენიერი იყო. მხოლოდ მხატვრობაში ნახავს კაცი ისეთ ლამაზ თავს. შევუტევდი ხოლმე ხანდახან, ჯოხს დავანახვებდი მუქარით, მაგრამ იცოდა პაწიამ, რომ ვეხუმრებოდი. დილით რომ შემოვარდებოდა ჩემს ოთახში, ბუზღუნს დავიწყებდი ხოლმე, მაგრამ ის ჩემი მზე იყო, ან როგორ მოიშორებთ თქვენკენ მომავალ ბუთხუზას? მოგვარდებათ, გულში ჩაგეკვრით, ხელს ყელზე მოგხვევთ, აღარ გშორდებათ. თუ მართალი გნებავთ, ამ ბავშვზე კარგი და საყვარელი არაფერი იყო. რა ფასი აქვს თქვენს ლაფაიეტებს, ბენჟამენ კონსტანტებს, ტიურკუა დე კორსელებს, ყველა მათ, რომლებიც შვილს მიკლავენ? ეს იოლად არ ჩაუვლით.

მარიუსი ისევ თვალდახუჭული იწვა. უძრავად. ექიმი დაჭრილს დასტრიალებდა. ბაბუაც მასთან მივიდა, დასცქეროდა და ხელებს იმტვრევდა. თითქოს მექანიკურად აცმაცუნებდა გაცრეცილ ტუჩებს და დროდადრო სიტყვას წამოისროდა ჩუმად, თითქმის გაუგებარს ყურისთვის, - აჰ, შე გულქვაე!.. იაკობინელო!.. ავგულო!.. რევოლუციონერო!..

ასე საყვედურობდა მომაკვდავი ცხედარს.

მაგრამ მოხუცი ნელ-ნელა მშვიდდებოდა, რადგან დიდ მღელვარებასაც აქვს დასასრული და უფრო დალაგებულად დაიწყო აზროვნება, ოღონდ, ეტყობოდა,

იმხელა ძალა არა ჰქონდა, რომ გამოთქმა შესძლებოდა და ისე მისუსტებული და ყრუ ხმით ლაპარაკობდა, თითქოს უფსკრულის გაღმა დგას და იქიდან გამოიძახისო:

- ეჰ, ჩემთვის სულერთია! მე თვითონ მალე მოვკვდები. არა, წარმოიდგინეთ, რომელი ჩერჩეტი გოგო იტყოდა უარს ამ საძაგლის ცოლობაზე? ამ სულელმა დროს ტარებისა და სიცოცხლის ნეტარებით დატკბობის მაგივრად, ბარიკადზე ამოყო თავი და ასე უდროოდ გამოეთხოვა წუთისოფელს? მერე ვისთვის? და რისთვის? რესპუბლიკისთვის?! იმის მაგივრად, რომ ყმაწვილ ბიჭებში ჩარეულიყო და შომიერში წასულიყო საქეიფოდ და საცეკვაოდ! ოცი წლისა ვიყო და არ ვისარგებლო ჩემი სიყმაწვილით? დიდი რამ არის თქვენი სახელოვანი რესპუბლიკა! საწყალი დედები! შობეთ ამის შემდეგ ლამაზი ბიჭები. მერე რისთვის? მაშ, მოკვდა ბიჭი? ჰოდა, ორი კუბო გაასვენონ, თუ აგრეა. მაშ, იმიტომ დამშვენდი მაგ ჭრილობით, რომ გენერალი ლამარკი გესიამოვნებინა? მერე რით მოგხიბლა ასე ძალიან შენმა ლამარკმა? მორკინალი, ყბედი! მკვდრისთვის როგორ გასწირე თავი? მოდი და გაუძელ ამხელა უბედურებას! არა, გაიგეთ, ოცი წლის იყო! ერთხელ მაინც მოეხედა უკან, ენახა, ხომ არავის ტოვებდა აქ, წავიდა და მარტო დატოვა გადაყრუებული ბებრები, რომ ობლად დაიხოცონ და სიკვდილის ჟამს გვერდით ახლობელი არავინ ჰყავდეთ! ჯანდაბას შენი თავი, ბებერო ჭოტო! ჰოდა, ძალიან კარგი! სულ იმას ვნატრობდი, უცბად მოვმკვდარიყავ და უცბადაც მოვკვდები. როგორ გავუძლებ ამ უბედურებას? მეტად მოვხუცდი, ასი წლისა ვარ, ასი ათასი წლისა ვარ! დიდი ხანია სიკვდილის უფლება მაქვს, ჰოდა, კიდეც მოვკვდები, ეს გადამიტანს! მაშ, მორჩა, გათავდა? ოჰ, მადლობა ღმერთს! რაღად უნდა, ბატონო, თქვენი ნიშადური, რომ ასუნთქებთ, და ეგ წამლები? ტყუილად ირჯებით, სულელო ექიმო! იგი მკვდარია, ნამდვილი მკვდარი. მე ამაში არ მოვტყუვდები, რადგან მე თვითონაც მკვდარი ვარ. თუ სიკვდილი უნდოდა, კიდეც მოკვდებოდა, შუაგზაზე არ უყვარდა გაჩერება! ოჰ, რა სამარცხვინო დრო დაგვიდგა! სამარცხვინო, სამარცხვინო, და აი, პირდაპირ გეუბნებით ჩემს აზრს, თქვენც შეგეხებათ ეს ჩემი აზრი, თქვენს იდეებს, თქვენს სისტემას, თქვენს დიდებულებას, თქვენს მისნებს, თქვენს მეცნიერებას, თქვენს არამზადა მწერლებს, თქვენს გაიძვერა ფილოსოფოსებსაც და ყველა თქვენს რევოლუციასაც, რომლებიც სამოცი წელიწადია მოსვენებას აღარ აძლევს ტიუილრის ხეებში დაბუდებულ ყვავ-ყორანს. და რაკი აგრე გულქვა ყოფილხარ, რომ არც კი მოგაგონდი, თავს რომ აკვლევინებდი, მეც აღარად ჩავაგდებ შენს სიკვდილს, გესმის, მკვლელო?!

ამ დროს მარიუსმა ნელა გაახილა თვალი და ლეთარგიული განცვიფრებით, დაბინდული მზერით დააცქერდა ბატონ ჟილნორმანს.

- მარიუს! - შეჰყვირა მოხუცმა, - შვილო, მარიუს! ჩემო ბიჭიკო! ჩემო საყვარელო შვილო! თვალი გაახილე? კიდევ შემომხედე ბაბუაშენს? ცოცხალი ხარ, შვილო, ცოცხალი ხარ! ოჰ, გმადლობ...

და ძირს დაეშვა გულშეღონებული.

## წიგნი მეოთხე
## ჟავერს გზა აერია

ნელი ნაბიჯით მიდიოდა ჟავერი ლ'ომ-არმეს ქუჩიდან.

თავდაღუნული მიდიოდა. სიცოცხლეში პირველად დახარა თავი და პირველად შემოიწყო ზურგზე ხელები.

აქამდე ნაპოლეონს მარტო ერთ რამეში ჰბაძავდა: გადაწყვეტილების მიღების გამოსახატავად გულხელს დაიკრეფდა და როდესაც უჭირდა რაიმე საკითხის გადაწყვეტა, ყოყმანს გამოხატავდა. ნაპოლეონის მეორე ჩვეულება - ხელების ზურგზე დადება - უცნობი იყო ჟავერისთვის და დღეს პირველად იყო, რომ ამაშიაც მიჰბაძა. რაღაც ცვლილება მომხდარიყო მასში, მთელი მისი არსება, კუშტი და ტლანქი, რაღაც მწუხარებით იყო მოცული.

უკაცრიელ ქუჩაზე გავიდა.

თუმცა ერთი მიმართულებით მიდიოდა.

უმოკლესი გზით სენისკენ გადაუხვია, ორმის სანაპიროზე გავიდა, ნაპირს გაუყვა, გაიარა გრევის მოედანი და ნოტრ-დამის ხიდთან შეჩერდა, შატლეს მოედნის საგუშაგო პოსტის შორიახლოს. ამ ადგილას, ნოტრ-დამისა და შანჟის ხიდების, ასევე მეჟისერისა და ფლერის სანაპიროების გადაკვეთაზე, სენა კვადრატული ტბისმაგვარია, შუაში ჩქერით.

სენის ამ ნაწილს მენავეები თავს არიდებენ, მეტად საშიშია მისი ჩქერი, რომელიც იმ დროს მრისხანედ ბუყბუყებდა წისქვილების ხიმინჯებს შუა. წისქვილები ხიდზე იყო ჩამწკრივებული და ისინი მოგვიანებით დაანგრიეს. ერთმანეთთან ახლო მანძილზე აშენებული ეს ხიდები კიდევ უფრო ზრდის საფრთხეს, რადგან მათ თაღებქვეშ წყალი საშინელი სისწრაფით მიედინება; მიედინება ფართო, ბობოქარ ნაკადებად, ბუყბუყებს და ყალყზე დგება, ტალღები გაშმაგებით ეხეთქებიან ხიდის ბურჯებს, თითქოს მძლავრი წყლის გვარლებით ძირფესვიანად ამოთხრას უპირებენ.

დაიღუპება, ვინც აქ ჩავარდება, ძალიან კარგადაც რომ იცოდეს ცურვა, ვეღარ გამოვა.

ჟავერი წყალს დასცქეროდა. მოაჯირზე დაეწყო ხელები, ნიკაპით დაჰყრდნობოდა თავის ხელს, თითებით თავისდა შეუმჩნევლად წვერს იწიწკნიდა და ღრმა ფიქრს მისცემოდა.

მის სულში გარდატეხა, გადატრიალება, კატასტროფა მოხდა და მართლაც ჰქონდა საფიქრალი. რამდენიმე საათი გავიდა და მთლად გამოიცვალა კაცი; თავს ვეღარ ცნობდა. გონებამ მისმა, ასე ნათელმა თავის სიბრმავეში, მისთვის ჩვეული გამჭვირვალობა დაკარგა. გრძნობდა, რომ მოვალეობის გრძნობა გაორებულიყო და არ შეეძლო, ეს არ შეეგნო. წეღან სენის ნაპირას რომ დაინახა ჟან ვალჟანი, უცბად გაიღვიძა მის არსებაში მგელმა, რომელმაც ხელთ იგდო თავისი ლუკმა, და იმავე დროს ძაღლის ინსტინქტმა, რომელმაც ისევ იპოვა თავისი პატრონი.

ორი გზა გადაჭიმულიყო მის თვალწინ, ორივე სწორი, მაგრამ ორივეს ხედავდა და ეს აძრწუნებდა, რადგან აქამდე მხოლოდ ერთი გზა იცოდა - პირდაპირი. საშინელება ის იყო, რომ ეს ორი გზა ერთმანეთს უარყოფდა, ერთმანეთს აბათილებდნენ; რომელი იყო ამ ორში ჭეშმარიტი?

მდგომარეობა აუტანელი ჰქონდა.

თუ გადარჩა, ჟან ვალჟანის წყალობით გადარჩა, საზოგადოებიდან განდევნილის, დაგმობილის წყალობით იყო ცოცხალი; კატორღელის ვალი დაედო და იძულებული იყო, უნებურად ვალი გადაეხადა მართლმსაჯულებისგან რამდენჯერმე დასჯილი ყაჩაღისთვის. კატორღელისგან, რომელიც მთავრობას ემალებოდა, მიეღო ბრძანება,

- გასწი, წადიო, - და ახლა თვითონაც იგივე უნდა ეთქვა, - თავისუფალი ხარო. არადა, კარგად იცოდა, რომ მთავრობა დაეძებდა ამ კაცს. პირადი განზრახვის გამო უნდა ეღალატა თავისი მოვალეობისთვის, გარდა ამისა, იქნებ საყოველთაოდ სავალდებულო უმაღლესი კანონის წინაშე ვალდებულებასაც გრძნობდა. საზოგადოებას ღალატობდა, რომ უმწიკვლო დარჩენილიყო თავისი სინდისის წინაშე. ყველა ეს უაზრობა სწორედ მას დაატყდა თავს, სწორედ მას! აი, ეს აფორიაქებდა და თავზარს სცემდა. აცვიფრებდა ის გარემოება, რომ ჟან ვალჟანმა დაინდო, და აძრწუნებდა ის, რომ თავადაც, ჟავერმაც არ გასწირა ჟან ვალჟანი.

ახლა სად იყო? ეძებდა და თავისი თავი ვეღარ ეპოვა ჟავერს.

როგორ მოიქცეს? გასცეს ჟან ვალჟანი? ეს ცუდი იქნება. გაუშვას? ესეც ცუდი იქნება. პირველ შემთხვევაში მთავრობის ერთგული მოხელე უფრო მეტ საზიზღრობას სჩადის, ვიდრე კატორღელი. კატორღელი კანონზე მაღლა დგება და ფეხით თელავს კანონიერებას. ასე იქნება თუ ისე, ლაფს დაისხამს ჟავერი. ცუდი ის იყო, რომ საითაც უნდა წასულიყო, შერცხვენილი დარჩებოდა, მიწასთან გასწორებული. ბედისწერას თავისი მწვერვალი აქვს. ამ მწვერვალით თავდება სიცოცხლის შესაძლებლობა. მხოლოდ უფსკრული არის მწვერვალის გადაღმა.

ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ იძულებული იყო, ეფიქრა. ფიქრი კიდევ სრულიად უცხო რამ იყო ჟავერისთვის, სრულიად უჩვევი და ამიტომ მტკივნეულად მოქმედებდა მასზე.

ფიქრისას შინაგანი წინააღმდეგობა იწყება. ამასაც გრძნობდა და ეს უფრო ახელებდა.

ნებისმიერი ფიქრი, რაც მის მოვალეობათა ვიწრო წრიდან გადიოდა, ნებისმიერ გარემოებაში უსარგებლო და დამღელელი ეჩვენებოდა! გასული დღის მოვლენებზე ფიქრი მისთვის ტანჯვა იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაიტანა, აუცილებლად უნდა ჩაეხედა თავის სინდისში და საკუთარი თავისთვის ანგარიში ჩაებარებინა.

თავისი საქციელის მოგონებაზე აკანკალებდა. ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ მან, ჟავერმა, შესაძლებლად ცნო კაცის გაშვება, როდესაც პოლიციის დებულება სულ სხვას უბრძანებდა, საზოგადოებრივი წესწყობილებაც, მართლმსაჯულებაც და კანონიერებაც? იმიტომ, რომ პირადად მისთვის იყო სასარგებლო? თავის პირადს ანაცვალა საზოგადოებრივი? განა ეს ეპატიება პატიოსან კაცს? თავით ფეხამდე თრთოდა, როგორც კი წარმოიდგენდა ამ სამარცხვინო საქციელს, რომლისთვისაც შესაფერი სახელიც კი ვერ ეპოვა. რომელ გზას დასდგომოდა? ერთადერთიღა დარჩენოდა, - დაბრუნებულიყო ლ'ომ-არმეს ქუჩაზე და დაეპატიმრებინა ჟან ვალჟანი. ცხადი იყო, ასე უნდა მოქცეულიყო. ცხადი იყო, მაგრამ არ შეეძლო.

რაღაც უღობავდა გზას იქით მიმავალს.

რა უღობავდა? განა არსებობდა რამე ამქვეყნად გარდა სასამართლოსი, გარდა მსაჯულთა დადგენილებისა, გარდა პოლიციისა და მთავრობისა?

ჟავერი თავზარდაცემული იყო.

კატორღელი დაინდო! მთავრობის სასჯელი ააცდინა. მერე ვინ ჩაიდინა ეს? ჟავერმა!

როგორ წარმოიდგენდა, რომ ჟავერი, რომელიც იმისთვის არსებობს, რომ სჯიდეს, და ჟან ვალჟანი კი იმისთვის, რომ დაისაჯოს, ეს ორი კაცი, რომლებიც

კანონის საკუთრებას წარმოადგენენ, იქამდე მისულან, რომ კანონს გაურბიან? განა შეიძლება მეტი საშინელების წარმოდგენა?

როგორ? ამგვარი საზიზღრობა მოხდეს და არავინ დაისაჯოს? მაშ, ჟან ვალჟანმა, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილება, თავისუფლად უნდა იპარპაშოს? თვით ჟავერმა კიდევ ძველებურად განაგრძოს მთავრობის ხარჯზე ცხოვრება?

ამ ფიქრებს თანდათან გაგიჟებამდე მიჰყავდა.

ისე მორეოდა, ერთხელაც არ მოჰგონებია, რომ ჟან ვალჟანს ბარიკადზე დაჭრილი, აჯანყებული მთავრობის მტრის გადარჩენაში დაეხმარა და ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე დააბინავებინა. აღარ აგონდებოდა, მით უფრო, რომ მის პატარა დანაშაულს დიდი ფარავდა. ეგეც არ იყოს, აჯანყებული უკვე მოკვდებოდა, თუ მკვდარი არ იყო და კანონის მიხედვით კი დამნაშავის დევნა სიკვდილით წყდება.

უმთავრესი ჟან ვალჟანი იყო, სწორედ ეს აწვა მძიმედ გულზე.

თავგზა აუბნია ჟან ვალჟანმა, ძირს დაანარცხა და საფუძველი გამოაცალა მის ყოველ უტყუარ ჭეშმარიტებას. ჟან ვალჟანის დიდსულოვნებამ დათრგუნა. სხვაც ბევრი აგონდებოდა წარსულიდან, რაც მაშინ სისულელედ და სიყალბედ მიაჩნდა და ახლა კი სრულ სიმართლედ ეჩვენებოდა. ჟან ვალჟანის უკან ბატონ მადლენს ხედავდა და გრძნობდა, მარტო ახლა გრძნობდა, რომ ერთი იყო ეს ორი კაცი, მადლენ-ვალჟანი, კეთილშობილი და სათაყვანო. გრძნობდა ჟავერი, რომ რაღაც საშინელება უძვრებოდა გულში - კატორღელისადმი პატივისცემა. პატივს სცემდა კატორღელს! განა ეს შესაძლებელი იყო? აღშფოთებული, შერცხვენილი კანკალებდა. იძულებული იყო, გულის სიღრმეში ეღიარებინა, რომ კჟან ვალჟანი მართლაც დიდსულოვანი კაცი იყო. ჟავერი დამარცხდა და ეს ვერ აეტანა.

ბოროტმოქმედი იყოს კაცი და მაინც კეთილისმყოფელი? კატორღელი და ლმობიერი? საკვირველი იყო, შეუძლებელი! ბოროტებას სიკეთით უხდიდა მტერს, სიძულვილის წილ სიყვარულით ხვდებოდა თავის მდევნელს; ჯავრის ამოყრის წილ სიბრალულით იცავდა თავის სისხლისმსმელს. თვითონ იღუპებოდა, რომ თავისი მტერი არ დაეღუპა. სიკვდილისგან იხსნიდა ჯაშუშს, თავისი უბედურების მიზეზს. ხორცშესხმულ სათნოებად გარდაქმნილიყო კაცი, უფრო ანგელოზი გამხდარიყო, ვიდრე ადამიანი. ეს მისთვის წარმოუდგენელი საკვირველება იყო და ჟავერი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ არსებობდა ამნაირი საკვირველება.

როდემდე უნდა ყოფილიყო ამ ტანჯვა-ვაებაში?

თქმა არ უნდა, დიდი ბრძოლა გადაიტანა ჟავერმა, სანამ ასე დაემორჩილებოდა ამ ურჩხულს. ამ საზარელ ანგელოზს, ამ საზიზღარ გმირს, რომლის საქციელით განცვიფრებული იყო და არანაკლებ აღშფოთებული. ერთად რომ ისხდნენ ეტლში და ჟან ვალჟანის სახლისკენ მიდიოდნენ, ოცჯერ მაინც შეინძრა მის გულში ვეფხვი, ორჯერ მაინც წამოიწია, უნდოდა, ხელი ეტაცა და შთაენთქა, ესე იგი, პოლიციისათვის გადაეცა. რა იქნებოდა ამაზე ადვილი? პოლიციას რომ მიუახლოვდებოდა ეტლი, გააჩერებდა, დაუძახებდა პოლიციელებს და ჩააბარებდა ჟან ვალჟანს, აი, ამ კაცს კატორღა აქვს მისჯილი და დააპატიმრეთო; ან ჟანდარმებისთვის დაეძახა, დაიჭირეთ, სასჯელს გაურბის, მთავრობას ემალებაო, და მერე თავის გზას გასდგომოდა. შარშანდელი თოვლივით დაევიწყებინა ისიც და მისი დასჯაც, განზე გამდგარიყო,

აღარ ჩარეულიყო მის საქმეში. უნდა ეთქვა, რომ ის კაცი კანონის პატიმარია სამუდამოდ და, როგორც უნდა, ისე დასაჯოს კანონმა. აი, როგორ უნდა მოქცეულიყო.

ყოველივე ეს მრავალჯერ უთხრა თავს ჟავერმა, მაგრამ ვერ შეძლო ამის ასრულება; ვერ შეძლო თავისებურად მოქცევა, - დაეჭირა ჟან ვალჟანი, აესრულებინა თავისი მოვალეობა, მაგრამ ვერც მაშინ შეძლო და ვერც ახლა შეძლებდა. როგორც კი აიწეოდა ჟავერის ხელი, რომ ყელში სწვდომოდა ჟან ვალჟანს, მაშინვე ძირს ეცემოდა, თითქოს ისეთი სიმძიმე აწევს, რომ ვეღარ უძლებსო. და იმავე დროს თავისი ფიქრებით დაწყლულებული გულის ძირიდან ხმა ესმოდა უცნაური: „ძალიან კარგი, გაეცი შენი მხსნელი! მერე პილატე პონტოელის მსგავსად მოატანინე წყალი და დაიბანე ხელები.

მერე თავის საქციელს არჩევდა, თავს უკვირდებოდა და განდიდებული ჟან ვალჟანის გვერდით დამცირებულ, შერცხვენილ ჟავერს ხედავდა.

კატორღელი იყო მისი კეთილისმყოფელი!

ან რად დაემორჩილა კატორღელს, რად მიიღო მისი წყალობა? რატომ არ უარყო მისგან ნაბოძები სიცოცხლე? უფლება ჰქონდა, ბარიკადზე მოეკლათ. რატომ არ ისარგებლა ამ უფლებით, განა სხვა აჯანყებულთ ვერ დაუძახებდა, რომ ჟან ვალჟანის ხელიდან დაეხსნათ და დაეხვრიტათ? ეს უკეთესი იქნებოდა.

უდიდესი უბედურება ის იყო, რომ საკუთარი თავისაც აღარაფერი სწამდა. გრძნობდა, რომ ნიადაგი გამოსცლოდა და ხელთ კანონიერების პატარა ნატეხებიღა შერჩენოდა. სინდისი ასჯანყებოდა და ჯერ უცნობ სინანულს უშლიდა გულში. აქამდე კანონის მეტი არაფერი სწამდა, კანონი უწევდა ტვინისა და სინდისის სამსახურს; ახლა კი რაღაც ახალი, უცნობი ჩაესახა გულში, ლმობიერი, სრულიად განსხვავებული კანონიერების უგრძნობლობისგან. გრძნობდა, რომ აღარ იკმარებდა ძველებური კანონიერი უმწიკვლობა. სრულიად უცნობს, ახალს ხედავდა მისი სული, - მიღებულ და გადახდილ სიკეთეს, თავგანწირვას, შესრულებას, ავის დავიწყებას, შეწყნარებას, შეუვალობას, გარემოებათა გავლენას, დასჯისა და ადამიანის საუკუნოდ გაწირვის უარყოფას, შესაძლებლობას, რომ ქვის გულის პატრონსაც ერეოდეს ხანდახან ცრემლი. ეს ღვთიური მართლმსაჯულება იყო, ძირფესვიანად განსხვავებული ადამიანური მართლმსაჯულებისაგან. წყვდიადში იყო და ზნეობის უცნობ მზეს ხედავდა შორს ამომავალს; შიშს ჰგვრიდა ეს მზე და თან თვალს უბრმავებდა. ჭოტი იყო, რომელსაც აიძულებდნენ, არწივის მხედველობა ჰქონოდა.

„მაშ, მართალი ყოფილა, - ფიქრობდა ჟავერი, - რომ არსებობს გამონაკლისი, რომ შეიძლება ზოგჯერ მთავრობაც ცდებოდეს. რომ არის გარემოებანი, რომელთა წინაშე საყოველთაოდ მიღებული წესი ჩიხში ექცევა, რომ შეუძლებელია სულ ყველაფერი ჩავტიოთ კანონის დებულებაში; რომ მოულოდნელსაც უნდა ვიღებდეთ მხედველობაში; რომ შეიძლება განწირულის სათნოება უფრო წმინდა იყოს, ვიდრე სათნოება მთავრობის მოხელისა; რომ შეიძლება საზარლად გეჩვენოთ კაცი და ნამდვილად კი ღვთიური მადლით იყოს აღსავსე; რომ ბედისწერამ იცის ხოლმე ამგვარი მახის დაგება და გრძნობდა, რომ თვითონ ის იყო სწორედ ასეთ მახეში გაბმული.

იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ არსებობს სათნოება, სათნოებით სავსე იყო ის კატორღელი და თვითონ ისიც, - რას წარმოიდგენდა ამას? - თვითონ ისიც

კეთილშობილურად მოექცა დღეს. მაშ, გაირყვნა ჟავერი, თავის მოვალეობას უღალატა?

მხდალად ეჩვენებოდა თავისი თავი, საზიზღრად.

ჟავერს თავისი იდეალი ჰქონდა; არც კაცობრიული სიწმინდე სწამდა, არც დიდებულება, არც სახელოვნება. მისი იდეალი კანონის წინაშე უმწიკვლოება იყო.

და აი, წაიბორძიკა და სწორედ ამ იდეალს უღალატა.

რა დაემართა, რომ აღარაფერი ახსოვდა? ამას თვითონაც ვერ გეტყოდათ. თავში ხელს იცემდა, მაგრამ ამაო იყო ეს ყველაფერი, თვითონაც ვერ გაეგო, როგორ მოუვიდა ეს.

ყოველთვის უნდოდა, კანონისთვის ჩაებარებინა ჟან ვალჟანი, რადგან ის კანონის ტყვე იყო და თვით ჟავერი კი კანონის მონა. მანამ ერთად იყვნენ, ერთხელაც არ უფიქრია, გავუშვებო. ან როგორ გაბედავდა ამის ფიქრს ან თქმას? როგორღაც მისდა შეუმჩნევლად მოხდა, რომ ხელი გაუშვა და წავიდა კაცი.

უამრავი თავისთვის ახალი რამ ერეოდა თვალწინ, უცნობი, გამოსაცნობი, უამრავი კითხვა უტრიალებდა თავში, რაზედაც პასუხს თვითონვე აძლევდა და ეს პასუხი მასვე არწმუნებდა. ეკითხებოდა თავს: „რა ქნა ამ კატორღელმა, სასოწარკვეთილმა, რომელსაც ასე ვდევნიდი და სიცოცხლეს ვუმწარებდი? ხომ ხელთ ვყავდი, შეეძლო ჯავრი ამოეყარა და თავიდანაც მოვეცილებინე, რომ სამუდამოდ დამშვიდებულიყო? რატომ არ მომკლა? თავისი მოვალეობა შეასრულა? არა უფრო მეტი, ვიდრე მოვალეობა. მე რაღა ჩავიდინე, რომ არ დავაჭერინე? ჩემი მოვალეობა ავასრულე? არა, უფრო მეტი, ვიდრე მოვალეობა. მაშ, რაღაც ყოფილა უფრო მეტი, ვიდრე მოვალეობაა?“ აქ კი შიში ერეოდა და სასწორს უშლიდა, - ერთი პინა უფსკრულში ვარდებოდა, მეორე ზეცისკენ მიიწევდა და ისიც არანაკლებ უხეთქავდა გულს ჟავერს. ვოლტერიანობისა არაფერი ეცხო, არც ფილოსოფოსი იყო, არც ღვთის უარმყოფელი, პირიქით, ინსტინქტურად ეთაყვანებოდა ეკლესიას, რადგან საზოგადოებრივი წესწყობილების ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიაჩნდა. პატიოსნება იყო მისი მრწამსი და სხვა არაფერი უნდოდა. რომ დავაჟკაცდა და სამსახურში შევიდა, პოლიციაში პოვებდა თითქმის მთელ თავის სარწმუნოებას. ჯაშუში იყო, - ამ სიტყვას ვამბობთ მცირეოდენი დაცინვის გარეშე, ვამბობთ თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, - დიახ, მაძებარი იყო, მაგრამ ისევე გულწრფელად ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც მღვდელი. უფროსად ბატონი ჟისკე ჰყავდა. დღევანდლამდე არც კი აგონდებოდა, რომ უზენაესი უფროსიც ჰყავდა, - ღმერთი.

ეს ახალი უფროსი, ღმერთი იგრძნო უცბად და შეშფოთდა. ღმერთი მოულოდნელად ჩაერია მის ცხოვრებაში და არ იცოდა ჟავერმა, როგორ მოქცეოდა ამ ახალ უფროსს. კარგად იცოდა, რომ უფროსის წინაშე ქედმოხრილი უნდა მდგარიყო მორჩილი მოხელე; რომ შეუძლებელი იყო ურჩობა, მისი ნათქვამის დაწუნება და გაკიცხვა, იცოდა, რომ თუ მეტისმეტად სულელურ ბრძანებას მისცემდა უფროსი, ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა, - სამსახურიდან უნდა წასულიყო.

ძალიან კარგი, მაგრამ როგორ მოეხსენებინა ღმერთისთვის, - ნება მიბოძეთ, სამსახურიდან გადავდგეო.

ფიქრები ერეოდა, მაგრამ რაც უნდა შორს გაეტაცა, მაინც ერთს უბრუნდებოდა, თავის საქციელს, რომლითაც დაარღვია კანონიერება, და, მაშასადამე, საშინელი დანაშაული ჩაიდინა. თვალი აარიდა კატორღელს, რომელსაც კატორღავე მიუსაჯა

კანონმა და ვეღარ დაიჭირა. კატორღელი გააქცია. კანონს მოჰპარა კაცი, რომელსაც სასჯელი უნდა მოეხადა, სანამ არ მოკვდებოდა. მან ჩაიდინა ყოველივე ეს. თავს ვეღარ ცნობდა ჟავერი. აღარც კი იცოდა, ისევ ის იყო, რაც აქამდე, თუ სხვად გარდაქმნილი? თავისი საქციელის მიზეზი ხელიდან დასხლტომოდა და ამის გაფიქრებაზე თავბრუ ესხმოდა. დღევანდლამდე ბრმად სწამდა და პატიოსან კაცად მიაჩნდა თავი. ახლა ეს რწმენაც აღარ ჰქონდა, თავისი პატიოსნებისაც აღარ სწამდა. თვალწინ უქრებოდა ყოველივე, რაც კი აქამდე სწამდა. ახალი ჭეშმარიტებანი დაუდგნენ თვალწინ. ცდილობდა, მოეგერიებინა, მაგრამ აღარ შორდებოდნენ. გრძნობდა, რომ ამიერიდან სულ სხვა ადამიანად უნდა გარდაქმნილიყო. გული უწუხდა ტანჯულს, რომლის სინდისს უცბად აუხილეს თვალი. დღეს იმას ხედავდა, რაც ჭირივით ეჯავრებოდა. გამოფიტულად გრძნობდა თავს, უსარგებლოდ, თავისი წარსულის უარმყოფლად, ჩამორჩენილად, დაშლილად. მთავრობის წარმომადგენელი მომკვდარიყო ჟავერში. საფუძველი აღარ ჰქონდა მის სიცოცხლეს.

საზარელ მდგომარეობაში იყო.

კლდე იყოს კაცი და ეჭვი ერეოდეს? კანონიერი სასჯელის ქანდაკება იყოს, ლითონით ჩამოსხმული, და უცბად იგრძნოს, რომ ბრინჯაოს მკერდქვეშ რაღაც უფეთქავს, ურჩი და უაზრო, რომელიც თითქოს გულს ჰგავს? აქამდე დაეცეს კაცი, რომ სიკეთე სიკეთით გადაუხადოს, თუმცა დღევანდლამდე ავზე უარესად მიაჩნდა ეს სიკეთე? მოდარაჯე ძაღლი იყოს და ხელს ულოკავდეს პატრონის მტერს? ყინული იყოს და ასე უცბად დადნეს? მარწუხი იყოს და ხელად იქცეს? უნებურად ხელიდან გაუშვას თავისი ნანადირევი? ეს საშინელება იყო. ყუმბარა იყო მიზნისკენ გატყორცნილი და გზა აერია, უკან დაიხია.

იქამდე მივიდა, რომ აღიარა, - შეუცდომელი არ არის შეუცდომლობა, შეიძლება თვით მრწამსში ერიოს შეცდომა; კანონს ბევრი რამ რჩება განუხილავი, ბევრი რამ აკლია საზოგადოებრივ განვითარებას; მთავრობასაც სჩვევია რყევა; უცვლელ მყარშიც შეიძლება რამე გასკდეს; მსაჯულიც ადამიანია, შეიძლება კანონიც შეცდეს და შეცდნენ მსაჯულებიცო, - ყოველივე ეს ისეთი საზარელი იყო, როგორც უსაზღვრო ცის ლაჟვარდზე ნაპრალის დანახვა.

ის სულიერი ბრძოლა, რომელიც ჟავერში ხდებოდა, სიკვდილი იყო იმ სწორხაზოვანი სინდისისა, სულის თავისი მიმართულებიდან სხვა გზაზე გადაყვანა, სწორ ხაზზე მიმავალი პატიოსნების ღმერთთან შეჯახება და დაღუპვა. უცნაური იყო, რაღა თქმა უნდა, რომ საზოგადოებრივი წესწყობილების ცეცხლფარეში, მთავრობის მემანქანე, რკინის ბრმა ცხენზე ამხედრებული და გატკეპნილი გზით მიმავალი, ცხენიდან გადმოვარდნილიყო ახალი სხივით თვალახვეული. უცნაური იყო, რომ ირყეოდა ურყევი, სწორხაზოვანი, წესიერი, გეომეტრიული, პასიური, სრულყოფილი.

იცოდა კი ჟავერმა, რომ ღმერთი, რომელიც უფლობს ადამიანში, მისი ჭეშმარიტი სინდისი, უარყოფს ყალბ სინდისს? რომ ის უბრძანებს, არ ჩაქრეს ნაპერწკალი, არ დაივიწყოს სხივმა მისი გამჩენი მზე; ის არის, რომ აფრთხილებს სულს, არ უღალატო ჭეშმარიტებას, როდესაც ნამდვილთან ერთად ყალბიც წარმოგიდგებაო; ის არის, რომ ბრძანებს, უსაზღვროა მოყვასის სიყვარული და ულევია გული ადამიანისა, ეს უწმინდესი ძალა, უბრწყინვალესი ნიჭი ჩვენი სულის სასწაულებრიობისა? შეეძლო ჟავერს ამის შეგნება? ცხადია, არა. მაგრამ გულზე აწვა შეუცნობელი, უცილობელი და გულს უკლავდა.

გარდაქმნილი კი არა, უფრო ამ სასწაულის მსხვერპლი იყო და გაშმაგებული ემორჩილებოდა. სიცოცხლის სიმწარის მეტს არაფერს ხედავდა თავის თავგადასავალში. გრძნობდა, რომ ამიერიდან თავისუფლად სუნთქვასაც ვეღარ შეძლებდა.

გულზე გამოუცნობი რამ აწვა; ამ ტვირთის ზიდვას კი მიჩვეული არ იყო.

რასაც კი აქამდე ზემოდან, თავისი მწვერვალიდან ხედავდა, უბრალო, მოწმენდილ, ნათელ ფართობად მიაჩნდა, ვერაფერს ხედავდა იქ შეუცნობელს, ბნელს; არაფერი იყო, რომ გარკვეული არ ყოფილიყო, განწესებული, ზუსტად დასახელებული, შემოფარგლული, თავის საზღვრებში ჩამაგრებული; გათვალისწინებული იყო ყველაფერი; მისთვის მთავრობაც სავსებით სწორი ზედაპირი იყო, არავითარი მიხვეულ-მოხვეული, ოღროჩოღრო; ის თავბრუს არ ახვევდა. უკანონობა, გაუთვალისწინებელი გარემოებანი, უწესრიგობა, ქაოსი, უფსკრულში გადაჩეხა - ეს ყველაფერი საზოგადოების ლექის, მეამბოხეების, ბოროტმოქმედებისა და განკიცხულთა ხვედრი იყო. და ახლა, როცა ძირს დაენარცხა, ჟავერს თავზარი დასცა ამ არნახულმა სანახაობამ - უფსკრული გადაიხსნა მის წინ, მწვერვალზე. ამან სულით ხორცამდე შეძრა ჟავერი! საზარელ შეცდომად ეჩვენებოდა, რაც კი აქამდე სწამდა. მაშ, რაღა ეწამა? წაიშალა ყოველივე, რაც კი სწამდა!

როგორ? ვიღაც დიდსულოვანმა განკიცხულმა საზოგადოებრივ წყობას ნაკლი უპოვა? როგორ? კაცი მთავრობის პატიოსანი მოსამსახურე იყოს და უცბად იგრძნოს, რომ ცოდვაა დამნაშავის დაპატიმრებაც და მისი გათავისუფლებაც? მაშ, მთავრობის ბრძანებებში ყველაფერი მართებული არ ყოფილა. გამოდის, შეიძლება, მოვალეობის ასრულება ზოგჯერ შეუძლებელი გახდეს. და ყოველივე ეს მას გადახდა, ჟავერს. ნუთუ მართლა ვიღაც ქურდი, ყაჩაღი, სასჯელით გატეხილი უცბად წელში გასწორდა და ცხადად დაანახვა, რომ ის მართალი იყო? ნუთუ შეიძლება იმდენად გარდაქმნილიყო დასჯილი, რომ კანონმა ბოდიში მოიხადოს მის წინაშე?

დიახ, ასე იყო და ჟავერი ხედავდა, რომ თავადაც მონაწილე იყო ამ გარდაქმნისა, ამის უარყოფა არ შეეძლო. სად წაუვიდოდა ამ სინამდვილეს? საზარელი ის იყო, რომ ნამდვილად მოხდა ეს ყველაფერი და ჟავერიც შიგ ჩაითრია.

ფაქტები რომ თავიანთ დანიშნულებას ასრულებდნენ, ისინი მხოლოდ და მხოლოდ კანონიერების გასამართლებელ საბუთად გამოდგებოდა. ფაქტებს ხომ თავად ღმერთი გვიგზავნის; ნუთუ ჩვენს დროებაში ანარქიაც ზევიდან იწყება?

უფრო და უფრო იზრდებოდა მის გულში კაეშანი, უფრო და უფრო იზრდებოდა მის თვალწინ ეს ზნეობრივი შეუთანხმებლობა. ქრებოდა ყველაფერი, რასაც კი შეეძლო შეემცირებინა და შეესწორებინა მისი შთაბეჭდილებანი და ამიერიდან საზოგადოებრივი ცხოვრებაც. კაცობრიობაც და მთელი ქვეყნიერებაც განსხვავებულ მიმართულებათა ნარევად ეჩვენებოდა და, მაშასადამე, არარაობა ყოფილა, არეული ზვინი, მხოლოდ ქაოსი ყოფილა დანაშაულის განსჯა და დასჯა, კანონმდებლობის ძლიერება, უმაღლეს სამსჯავროთა დადგენილებანი, მართლმსაჯულება, მთავრობა, არეულობის ჩახშობა, მთავრობის შორსმხედველობა, კანონის შეუცდომლობა, პრინციპი ხელისუფლებისა. არარაობა და ქაოსი ყოფილა ყველა ის დებულება, რომელზედაც დამყარებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური მშვიდობიანობა, ხელმწიფება, მართლმსაჯულება, კანონიერებიდან გამომავალი ლოგიკა,

საზოგადოებრივი ძლიერება, საზოგადოებრივი ჭეშმარიტება. თვით ის, თვით ჟავერი, პოლიციის უმწიკვლო მუშა, წესრიგის დარაჯი, საზოგადოების ერთგული ძაღლი, ისიც დამარცხებულია და ძირს გდია წაქცეული. და ამხელა დიდებულ ნანგრევზე ერთი კაცი გამოჭიმულა კატორღელის მწვანე ქუდითა და ზეციური მადლის სხივით მოსილი. აი, საფუძვლების რა რყევმადე მივიდა ჟავერი, აი, რა საშინელი ხილვა უღრღნიდა სულს!

შესაძლებელი იყო ამის ატანა? არა.

გამოსავალი? ორი გზა ჰქონდა: პირველი - ძველებურად გაბედულად მისულიყო ჟან ვალჟანთან და ციხეში ჩაეგდო კატორღაში გასაგზავნად, მეორე...

თავი მაღლა აიღო ჟავერმა, წელში გაიმართა და მტკიცე ნაბიჯით გასწია ფარნით გაშუქებული პოლიციისკენ შატლეს მოედანზე.

მივიდა, ფანჯარაში შეიხედა. ერთი მოხელე დაინახა, სერჟანტი, და შევიდა. კარს რომ შეაღებს ვინმე, პოლიციელი მაშინვე მიხვდება, მისი თანამოსამსახურე პოლიციელია მომავალი თუ უცხო. შევიდა ჟავერი, უთხრა თავისი გვარი და თანამდებობა, პირადობის მოწმობა აჩვენა და მაგიდასთან დაჯდა, სანთელთან ახლოს. მაგიდაზე ეწყო კალამი, ტყვიის სამელნე და ქაღალდი, რომ საჩქაროდ შეედგინათ ოქმი და განწესი ღამის გუშაგების მორიგეობისა. ასეთი მაგიდა და ჩალის სკამი პოლიციის ყველა პოსტზეა. ყველა ერთნაირად არის შემკული ნახერხით სავსე პატარა ლამბაქითა და ქაღალდების დასაბეჭდი ლუქის ფირფიტებით. ეს მაგიდა საკანცელარიო სტილის უდაბლესი საფეხურია. სწორედ მასზე იწერება ოფიციალური მოხსენებები.

კალამი აიღო ჟავერმა და წერა დაიწყო:

„რამდენიმე შენიშვნა პოლიციის სამსახურის

უკეთ მოსაწყობად

პირველი: ბატონ პრეფექტს ვთხოვ, თვალი გადაავლოს ქვემოთ მოყვანილს.

მეორე: დაკითხვის შემდგომ პატიმრები ფეხთ იხდიან და ფეხშიშველნი დგანან, სანამ მათ ჩხრეკენ. ბევრი ციხეში ავადმყოფი ბრუნდება, ხველება ეწყებათ. მათ მკურნალობას კი ხარჯი სჭირდება.

მესამე: პოლიციელების დაყენება თანაბარ მანძილზე კარგია, მაგრამ იმდენად ახლო უნდა იდგნენ, რომ ერთმანეთს ხედავდნენ და თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე თავის მოვალეობას ცუდად შეასრულებს, მეორე თვალყურს უნდა ადევნებდეს და წესიერებას იცავდეს.

მეოთხე: რა მიზეზია, რომ მადლონეტის საპატიმროს განსაკუთრებული განკარგულებით პატიმრებს უფლება არა აქვთ, სკამი იქონიონ, თუნდაც თავიანთი ხარჯითაც უნდოდეთ შეძენა?

მეხუთე: მადლონეტში სასაუზმე სულ ორი ტიხრით არის გადაღობილი და პატიმრები მებუფეტე ქალს ხელს ართმევენ.

მეექვსე: ეგრეთ წოდებული „მყეფარი“ პატიმრები, რომლებიც სხვა პატიმრებს აუწყებენ, შენს სანახავად მოსულანო, ორ სუს იღებენ სულზე, რომ უფრო გარკვევით დაიყვირონ ამა თუ იმ პატიმრის გვარი. ეს ძარცვაა.

მეშვიდე: საფეიქრო სახელოსნოში ათ სუს ართმევენ პატიმარს, თუ ძაფი გაუწყდა. ეს საფეიქროს გამგის დანაშაულია, რადგან ამით ტილოს არაფერი აკლდება.

მერვე: დაუშვებელია, რომ ფორსის ციხეში, წმინდა მარიამ მეგვიპტელის თავშესაფრის მისაღებში მიმავლებმა არასრულწლოვან დამნაშავეთა ეზო გაიარონ.

მეცხრე: ყველამ იცის, რომ ჟანდარმები პრეფექტურის ეზოში ხმამაღლა ჰყვებიან, რაც გამომძიებელმა ჰკითხა პატიმარს და აგრეთვე, მის პასუხს. ჟანდარმი წმინდად უნდა იცავდეს საიდუმლოს და სხვის გასაგონად გამეორება იმისა, რაც გამომძიებლის კაბინეტში გაიგონა, დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

მეათე: ქალბატონი ანრი პატიოსანი ქალია, მის სავაჭროში ყოველთვის სისუფთავეა, მაგრამ ის კი არ ვარგა, რომ მისი სასაუზმე სწორედ საიდუმლო განყოფილების კართან არის. ეს არ შეჰფერის კონსიერჟერის ციხეს, ამ სანიმუშო დაწესებულებას“.

სრულიად მშვიდად, აუჩქარებლად დაწერა ჟავერმა ეს სტრიქონები, თავის კარგი კალიგრაფიით, ერთი მძიმე არსად გამოჰპარვია, და ისე აჭერდა კალამს, რომ ქაღალდს აწრიპინებდა. უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ მიაწერა:

„ჟავერი

პირველი კლასის ინსპექტორი

შატლეს მოედნის პოლიცია.

1832 წლის 7 ივნისი, დაახლოებით ნაშუაღამევის პირველი საათი“.

გააშრო, დაკეცა, როგორც წერილი, დაბეჭდა, ზედ დააწერა: „ცნობა პოლიციის გამგეობისთვის“, იქვე დატოვა მაგიდაზე და ქუჩაში გავიდა.

გადაჭრა შატლეს მოედანი, სანაპიროზე გავიდა, სწორედ იქ, სადაც წეღან იყო, ტენარდიეს გამოსვლას რომ ელოდა და ისე დადგა, თითქოს ფეხი არ მოეცვალოს იქიდან.

წყდიადი დასწოლოდა იქაურობას, ის სამარისებური სიჩუმის ჟამი, რომელიც მოსდევს შუაღამეს. ცა მოღრუბლულიყო, ვარსკვლავი არსად ჩანდა. მოქურუშებულიყო ზეცა. სიტეს კვარტალის სახლები ჩაბნელებულიყო. არც გამვლელები ჩანდნენ, ახლომახლო ქუჩები და სანაპიროები უკაცრიელი იყო; ამ სიბნელეში პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა და მართლმსაჯულების სასახლის კონტურები იკვეთებოდა. ფარანი სენის სანაპიროს მოაჯირს მოწითალო შუქს სცემდა. შორს ხიდების სილუეტები იზნიქებოდნენ და ნისლში ითქვიფებოდნენ. მდინარე წვიმას აედიდებინა.

ის ადგილი, სადაც ჟავერი მოაჯირს დაყრდნობოდა, მკითხველს კარგად ემახსოვრება, სწორედ სენის ჩქერის ზემოთ, სახიფათო მორევის სპირალის ზემოთ იყო, რომელიც ისე დაუსრულებლად ატრიალებს თავის ზვირთებს, თითქოს ხრახნი იყოს.

ჟავერი მოაჯირს დაეყრდნო და წყალს ჩახედა. ჩამუქებულიყო წყალი, არაფერი ჩანდა. მხოლოდ მისი ბუყბუყი ისმოდა, მაგრამ ზედაპირი კი არ ჩანდა. ხანდახან ამ საზარელ სიღრმეში შუქი იელვებდა ხოლმე და გველივით იკლაკნებოდა, - წყალმა იცის, როდესაც მეტისმეტად ჩამობნელდება, საიდანღაც პოვებს სინათლეს და გველივით ასრიალებს თავის სიღრმეში; მაგრამ სწრაფადვე ქრება ეს შუქი და ისევ ბნელდება ყველაფერი. პირდაღრენილი უსაზღვროება მოქცეულიყო ჟავერის ფეხქვეშ. წყალი კი არ იყო მის ფეხქვეშ, უფსკრული იყო მდინარის პირს ციცაბოდ ამართული კედლითა და დაღრენილი სახით.

არაფერი ჩანდა გარკვევით, მაგრამ იგრძნობდით წყლის მტრულ სიცივესა და დასველებული ქვების უგემურ სუნს. საზარლად სუნთქავდა პირღია უფსკრული, შემზარავი იყო სენის ნაპირი მოვარდნილი წყლით, ტალღების ტრაგიკული ჩურჩული, ხიდის უზარმაზარი თაღების წყება, ამ შავ უფსკრულში ჩავარდნის წარმოდგენა.

ჟავერი ცოტა ხანს უძრავად იდგა, დაშტერებოდა ამ წყვდიადს. ისე შესცქეროდა უხილავს, თითქოს რაღაც საინტერესოს ხედავსო. შხუოდა წყალი. უცბად ქუდი მოიხადა, მოაჯირზე დაკიდა. იმ დროს, რომ გვიანი გამვლელი ყოფილიყო ვინმე, შავ, მაღალ აჩრდილად მოეჩვენებოდა ჟავერი. მოაჯირს დაეყრდნო, დაიხარა, ისევ გასწორდა და უცბად თავდაყირა გადაეშვა წყალში. ყრუ ტყაპანი გაისმა. მხოლოდ ერთი ღამის წყვდიადი გახდა საიდუმლო მოწმე შავი ლანდის ტალღებთან კონვულსიური ბრძოლისა, სანამ წყალი შთანთქავდა.

## წიგნი მეხუთე
## ბაბუა და შვილიშვილი

### თავი პირველი
### დაავადებული წაბლი

მცირეოდენი ხანი გავიდა ზემოთ ნაამბობის შემდეგ და პატივცემულ ბულატრუელს დიდი უსიამოვნება შეემთხვა.

ბულატრუელი, რომელსაც უკვე შევხვედრივართ ამ წიგნის ყველაზე პირქუშ თავებში, მონფერმეილის გზაზე იჯდა და გზატკეცილისთვის ქვას ამტვრევდა. დიდ საგონებელში ჩავარდნილიყო. ალბათ, მკითხველს ახსოვს, რომ ეს კაცი სხვადასხვა საქმეს ეჭიდებოდა და არც ავკაცობაზე ამბობდა უარს. გზატკეცილისთვის ამტვრევდა ქვას და არც მგზავრებს დაინდობდა, თუ ხელსაყრელ შემთხვევას ნახავდა. ქვას ამტვრევდა, ქურდობდა და სულ იმას ფიქრობდა, მონფერმეილის ტყეში დიდი განძია დამარხული და როგორმე უნდა მივაგნო და ამოვთხაროო. დიდი იმედი ჰქონდა ამ სიმდიდრისა, რომელიც მისი აზრით რომელიმე ხის ძირში უნდა ყოფილიყო ჩაფლული, და სანამ ამ ფულს მიაგნებდა, სხვის ჯიბეში ძვრებოდა და ასე შოულობდა ფულს.

ამჟამად კი ფრთხილად იყო. საშინელ განსაცდელს დააღწია თავი: პოლიციამ ჟონდრეტის ბუნაგში შეიპყრო. მაგრამ ზოგჯერ მანკიერებაც გამოგადგება კაცს: ლოთობამ იხსნა, რადგან ვერა და ვერ გამოარკვიეს, ბულატრუელს იმ სახლში რა უნდოდა. გაქურდული იყო თუ სხვის გასაძარცვავად მოსული? ტენარდიეს ძმაბიჭები ჟან ვალჟანის ჯიბის დაპატრონებას რომ ცდილობდნენ, თვითონ გალეშილი მთვრალი ეგდო. პოლიციამაც სიმთვრალის მეტი ვერაფერი დაუმტკიცა და გაათავისუფლა. ისიც ისევ ტყეს დაუბრუნდა. ლანიდან განამდე შარაგზაზე მუშაობდა და მთავრობის ხარჯით და მისივე ზედამხედველობით ქვას ამტვრევდა; თავდახრილი იჯდა ხოლმე, ჩაფიქრებული, ოდნავ განაწყენებული თავის ხელობაზე, რომელმაც კინაღამ სამუდამოდ დაღუპა, სამაგიეროდ, მეტისმეტად თაყვანისმცემელი გახდა ღვინისა, რომელმაც განსაცდელს გადაარჩინა.

დაუბრუნდა კაცი თავის ქოხს, ქვის მტვრევას და მოულოდნელად საგონებელში ჩავარდა.

ერთ დილას, ჩვეულებისამებრ სამუშაოდ რომ მიდიოდა, ან იქნება გზისპირას ჩასასაფრებლად,მ რადგან ჯერ არ გათენებულიყო, კაცი დაინახა ბუჩქებში; სახე არ დაუნახავს, შორიდან მხოლოდ მის ზურგს ხედავდა ბუნდოვნად, მაგრამ რაღაც ნაცნობი იერი ჰქონდა იმ კაცს. ბულატრუელი ლოთი იყო, მაგრამ კარგი მეხსიერება ჰქონდა, უცდომელი და ნათელი, რაც თავდაცვის აუცილებელი იარაღია მისთვის, ვინც ვერ ურიგდება კანონიერ წესწყობილებას.

- სად ეშმაკებში მინახავს ეს კაცი? - თავს იმტვრევდა ბულატრუელი.

ცდილობდა, გახსენებას, მაგრამ ვერას გახდა. ვიღაცას ჰგავდა ეს კაცი, ვიღაც ნაცნობს, თუკი თვით არ იყო ნაცნობი. მაგრამ ვის ჰგავდა, სად ენახა, ეს კი ვეღარ უთხრა მეხსიერებამ.

მეხსიერება რომ არ დაეხმარა და ის კაცი ვერავის მიამსგავსა, ბულატრუელმა ანგარიშსა და წარსულში ნანახის დაკავშირებას მიჰყო ხელი. ეს კაცი აქაური არ უნდა ყოფილიყო. საიდანღაც მოსულიყო. ფეხით, ცხადია; ამ დროს მონფერმეილში არც ომნიბუსი დადის, არც ეტლი. მაშ, მთელი ღამე უვლია. საიდან მოსულა? შორიდან არ უნდა იყოს. არც გუდა აქვს, არც ჩანთა; პარიზიდან, რაღა თქმა უნდა. მერე აქ რა უნდა, ამ დაბურულ ტყეში? ან რა უნდა ამ დილაადრიან, ჯერ არც კი გათენებულა? რა საქმე უნდა ჰქონდეს პარიზელს ღამით ამ ტყეში?

და მაშინვე განძი მოაგონდა, ტყეში დაფლული. იმდენი ჩიჩქნა თავისი მეხსიერება, რომ ბუნდოვნად მოაგონდა, - რამდენიმე წლის წინაც ასე შეაშფოთა ერთი კაცის დანახვამ. ვაითუ, ეს სწორედ ის კაცია!

ისე გაეტაცა ამ ფიქრებს, ისე დამძიმებოდა თავი, რომ თავჩაქინდრული იდგა ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ბუნებრივია თავის ჩაქინდვრა, მაგრამ სარგებლობას მოკლებული, რადგან თავი რომ ასწია ბულატრუელმა, აღარსად ჩანდა ის კაცი, ტყესა და მის სიბნელეს შერეოდა.

- დასწყევლა ღმერთმა! - წამოიძახა ბულატრუელმა, - შერცხვენილი ვიყო, თუ არ ვიპოვო! მღვდელსაც ვიპოვი და მის სამწყსოსაც. ეს ვაუბატონი სასეირნოდ კი არ მობრძანდებოდა. რაღაც განზრახვა აქვს და ახლა მიყუროს! ჩემს ტყეში რამე ხდებოდეს და მე არ ვიცოდე?

კარგა წვეტიანი გალესილი წერაქვი ჰქონდა, ხელში აიღო მუქარით და შესძახა:

- ამით კაცსაც მოვერევი და მიწასაც! - და უკან გაეკიდა იმ კაცს, ცდილობდა, მის გზას მიჰყოლოდა.

ერთი ასი ნაბიჯი გაიარა და დილის სინათლემაც ხელი შეუწყო. აქა-იქ მიწაზე წაღის ნაფეხური ემჩნეოდა. გათელილი ბალახი, გასრესილი ველისთაფლა, ბუჩქის მოკაკული ტოტები, რომლებიც ნელ-ნელა კოხტად ცდილობდნენ გასწორებას, როგორც ლამაზი ქალის ხელები, გაღვიძებისას რომ მოხდენილად გაიშლება. ამ კვალს მისდია, მაგრამ მალე დაკარგა. დრო გადიოდა, ბრაზი ერეოდა. აჩქარებით ავარდა მაღლობზე. შორს ბილიკზე ადრე გამოსული მონადირე დაინახა, რომელიც მიდიოდა და გილერის სიმღერას უსტვენდა. მისმა დანახვამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა, მაღალ ხეზე ასულიყო და ისე მოეძებნა უცნობი. მართალია, ხანში შესული იყო, მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაგი. ერთ მაღალ წიფელს მიადგა, ტიტირუსისა და ბულატრუელის საკადრისს. რამდენადაც კი შეიძლებოდა მაღლა აძვრა და თვალი გადაავლო იქაურობას.

ხეზე ასვლა კარგი აზრი იყო. ტყის დაბურულ ნაწილთან დაინახა უცნობი. თვალი მოჰკრა და მაშინვე დაკარგა, ტევრს შეეფარა კაცი.

ტევრში შევიდა, შიგ ღრმად შეძვრა და პატარა ველობისკენ გასწია, რომელსაც გარს ბუჩქები, ზემოდან კი დიდრონი ხეების ერთმანეთში გადაშლილი ტოტები შემოხვეოდა. ბულატრუელი ამ ველობსაც კარგად იცნობდა, აქ წისქვილის ქვები ეყარა მრავლად, ერთი დაავადებული წაბლიც იდგა, ვარჯზე თუთიის ფირფიტაშემოკრული. აქაურობას წინათ „ბლარიუს ველობს“ ეძახდნენ. ამ ოცდაათი წლის წინ ველობზე წისქვილის ქვები რომ ეყარა, ვინ იცის, რისთვის და რა განზრახვით მოგროვილი, უეჭველია, ჯერაც იქვე ყრია. არაფერი შეედრება დღეგრძელობით ქვების გროვას, გარდა კარგი ფიცრული ღობისა. ორივე „დროებითია“ და აი, სად არის დღეგრძელობის მიზეზი!

გახარებული ბულატრუელი სწრაფად ჩამოვიდა ხიდან, პირდაპირ ჩამოთრინდა. ხომ დაინახა, იპოვა თავისი ნადირი, მაშ, არც დაჭერა გაუჭირდებოდა. იქ უნდა ყოფილიყო მისი ამდენი ხნის ოცნების საგანი - განძი.

ადვილი არ იყო იმ მდელომდე მისვლა, ბილიკს რომ გაჰყოლოდა, ათასი გულის გამაწყალებელი მისახვევ-მოსახვევი დახვდებოდა. ამას ერთი თხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდებოდა. პირდაპირ რომ წასულიყო და შემძვრალიყო ბუჩქნარში, რომელსაც ჯერ ადამიანის ცული არ შეჰხებოდა, არც წალდი და ეკლით იყო სავსე, იქნებ ნახევარი საათიც არ ჰყოფნოდა. ბულატრუელმა ეს ვერ მოისაზრა, პირდაპირი გზა უფრო მოკლედ ეჩვენა. ეს ოპტიკური ცდომილებაა, რომელიც ბევრს ღუპავს. გაუვალი ეკლიანი ბუჩქნარი მოკლე გზად მიიღო.

მოდი, მგლების რივოლის პროსპექტს გავუყვებიო, გადაწყვიტა. ყოველთვის შორიდან შემოვლას მიჩვეულმა, აქ პირდაპირი გზა აირჩია და შეცდა. შლიგინით შევარდა ბუჩქნარში და წინ ეკლიანი კვრინჩხი, ჭინჭარი, კუნელი, ასკილი, ნარეკალი, მაყვალი დახვდა და ისე დაკაწრა, თავბედი აწყევლინა.

უცბად წყალს მიადგა, გვარიანად ღრმას. ახლა აქ უნდა გასულიყო.

ბოლოს და ბოლოს, მივიდა ბლარიუს ველობთან. ორმოცი წუთი იარა ამ ბუჩქნარში, ოფლი წურწურით სდიოდა, ქოშინებდა, ნაკაწრიდან სისხლი სდიოდა, ცოფი ერეოდა.

იქ აღარავინ იყო.

მაშინვე ქვებისკენ გაიქცა. ისევ იქ ეყარა წისქვილის ქვები. ჯერ არავის წაეღო.

ის კაცი კი არსად ჩანდა, გაქრა ტყეში. მაგრამ საით, საით უნდა მიმალულიყო? მოდი და გამოიცანი. გულსაკლავი ის იყო, რომ ქვებთან რომ დაავადებული წაბლი იდგა, თუთიის ფირფიტით შეხვეული, მის გვერდით ახალამოთხრილი მიწა ეყარა, პატარა ორმო და დავიწყებული თუ მიტოვებული წერაქვი მოჩანდა.

ორმო ცარიელი იყო.

- ქურდი! ქურდი! - შეჰყვირა ბულატრუელმა და თან მუშტებს უღერებდა სივრცეს.

## თავი მეორე

## სამოქალაქო ომის შემდეგ მარიუსი ომს შინ აპირებს

მარიუსის სიცოცხლე დიდხანს ბეწვზე ეკიდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში დიდი სიცხე ჰქონდა, ბოდავდა, ტვინის დაავადების საშიში ნიშნები ჰქონდა, რაც ჭრილობებისგან გამოწვეული თავის შერყევის შედეგი უნდა ყოფილიყო და არა თვით ჭრილობებისა.

დიდი სიცხით გამოწვეული გულსაკლავი აღტაცებითა და სულთმობრძავის დაჟინებით სულ კოზეტის სახელს გაიძახოდა. ზოგი ჭრილობა მეტად ღრმა იყო და ამიტომაც საშიში; ჩირქი შეიძლებოდა ტანს გასჯდომოდა, სისხლში გარეულიყო და ავადმყოფი მოეკლა. დარის ოდნავი შეცვლა, სულ მცირე ავდარიც კი აშინებდა ექიმს. ითხოვდა, გაუფრთხილდით, არაფრით ააღელვოთო. ჭრილობების გაკერვა და შემდგომ ყოველდღიური გადახვევა მეტად გაუძნელდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბანდი. ნიკოლეტმა მთელი ზეწარი დახია, „ჭერისოდენა“, რომ გადასახვევი საკმაოდ ჰქონოდათ. დიდხანს ეწვალა ექიმი, ბევრი ქლოროვანი ხსნარი დახარჯა ჭრილობების მოსაბანად, ვიდრე დაწყებულ განგრენას შეაჩერებდა. სანამ საშიში იყო ავადმყოფის მდგომარეობა, ბატონი ჟილნორმანი გვერდით უჯდა შვილიშვილს; ისიც ისევე, როგორც მარიუსი, არც ცოცხალი იყო, არც მკვდარი.

ყოველდღე, და ხანდახან დღეში ორჯერაც, ერთი მოხუცი, ჭაღარა კაცი, ძალიან კარგად ჩაცმული, - ასე აღწერა ამ კაცის აღნაგობა მეკარემ, - დაჭრილის მდგომარეობის გასაგებად მოდიოდა და ქაღალდში გახვეულ გადასახვევებს ტოვებდა.

ბოლოს, 7 სექტემბერს, სწორედ ოთხი თვე რომ გასულიყო მას შემდეგ, რაც მარიუსი გონდაკარგული მიიყვანეს ბაბუამისთან, - ექიმმა გამოაცხადა, რომ საშიში აღარაფერი იყო და ამიერიდან ავადმყოფს უკეთესობა დაეტყობოდა და ეტყობოდა კიდეც, მაგრამ მარიუსი კიდევ ორ თვეზე მეტხანს იწვა გაუნძრევლად, რადგან ლავიწი ჩატეხილი ჰქონდა და ვეღარ უმთელდებოდა. ასე ხდება ხოლმე ყოველთვის, ერთი ჭრილობა გაჯიუტდება, არაფრით მთელდება და ავადმყოფი იარის წმენდითა და გადახვევით გაუთავებლად იტანჯება.

ერთი მხრივ, მარიუსს სამსახური გაუწია ამ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და გამოკეთებამ, - მთავრობის დევნა და სასჯელი ააცდინა. საფრანგეთში რაც უნდა დიდი იყოს არეულობა, თუნდაც საზოგადოებრივი, ექვს თვეს ვერ გასტანს და ნელ-ნელა მიინავლება. იმ დროის საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, ამბოხებაში მონაწილეობა იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ამაზე თვალს ხუჭავდნენ.

ამას დავუმატოთ ბატონი ჟისკეს უგვანი ბრძანება, რომლის თანახმადაც ექიმებს დაჭრილების დაბეზღება ევალებოდათ. ამ ბრძანებამ ისე აღაშფოთა საზოგადოება, და არა მარტო საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, თვით მეფე, რომ საწინააღმდეგო გავლენა იქონია და დაჭრილები სასჯელს გადაარჩინა. სამხედრო სამსჯავრომ მარტო ისინი დასაჯა, ვინც ბრძოლის დროს შეიპყრო და სხვა არავინ შეუწუხებია. მარიუსიც გადარჩა.

ჯერ დიდი მწუხარება და მერე კი დიდი სიხარული გადაიტანა ბატონმა ჟილნორმანმა. მთელი ღამე ავადმყოფთან იჯდა, ყოველღამ, უკლებლივ. ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ ეს ვერ მოაშლევინეს, თვალს არ აშორებდა მარიუსს; თავისი დიდი სავარძელი დაადგმევინა ავადმყოფის ლოგინთან; თავის ქალიშვილს უბრძანა, რაც საუკეთესო ზეწრებია სახლში, სულ ჭრილობის შესახვევად დაჭერიო.

ქალბატონმა ჟილნორმანმა, ბრძენმა მოხუცმა, ხრიკი იხმარა: მამას მოახსენა, საუკეთესო ესენიაო და სწორედ ის საუკეთესო დატოვა ხელუხლებლად; უნდოდა აეხსნა მამისათვის, რომ სახვევად უბრალო ტილო უფრო გამოსადეგია, ვიდრე ბატისტი; რომ ძველი, ნახმარი სჯობია ახალს, უხმარს, მაგრამ ბატონმა ჟილნორმანმა მოკლედ მოუჭრა სიტყვა და თავისი ბრძანება გაუმეორა, მაგრამ ქალმა მაინც აჯობა მოხერხებით. მარიუსს ჭრილობას რომ უხვევდნენ, ბაბუა უთუოდ იქ იყო; დეიდას კი რცხვენოდა, - შიშველი არ დავინახოო და გადიოდა. ექიმი მაკრატელს რომ აიღებდა და მკვდარი ქსოვილის გაჭრას შეუდგებოდა, ბაბუას უფრო სტკიოდა, ვიდრე დაჭრილს და სულ ვაი, ვაის გაიძახოდა. საოცარი სანახავი იყო, როცა სიბერისაგან აკანკალებული ხელით აიღებდა ბალახეულის ნაყენით სავსე ფინჯანს და ავადმყოფს მიართმევდა. ექიმს მოსვენებას არ აძლევდა კითხვებით და ვერც კი ამჩნევდა, რომ ბაასს ერთი და იმავე კითხვით იწყებდა და მრავალჯერ ნათქვამს იმეორებდა.

ექიმმა რომ თქვა, ახლა კი საშიში აღარაფერი აქვს ჩვენს ავადმყოფსო, მთლად გადაირია. გახარებულმა სამი ოცფრანკიანი ოქრო აჩუქა მეკარეს. საღამოს თავის ოთახში რომ შევიდა, ცეკვა დაიწყო, ცერსა და სალოკ თითს კასტანიეტებივით ატკაცუნებდა, გავოტს ცეკვავდა და თან მღეროდა:

ბუდეა ყველა მწყემსი გოგოსი,
ჟანაც მკვიდრია სწორედ ბორდოსი -
თუ ერთხელ მაინც შენ ჟანა ნახე,
მისი მშვენება გექცევა მახედ.
ჟანას თვალებში მიმალულია
ამური,
იქ გაუშლია თავის ბადე
გულთა საჭერი.
მკვირცხლს, დაუდეგარს,
საყვარელ ჟანას
ისე ვუმღერი
როგორც დიანას.
რომ შეაბერდე მშვენიერ ჟანას
ბედნიერება არ არის განა?

მერე მუხლი მოიყარა დაბალ სკამზე და ბასკმა დაინახა ოდნავ შეღებული კარიდან, რომ ბატონი ლოცულობდა.

აქამდე ბატონ ჟილნორმანს ღმერთი არ სწამდა.

როგორც კი ოდნავ უკეთესობა დაეტყობოდა ავადმყოფს, მოხუცს ფრთები გამოესხმებოდა. სიხარულით გატაცებული ივიწყებდა სიბერეს, ვეღარ ისვენებდა, კიბეზე ადიოდა და ჩადიოდა, თვითონაც არ იცოდა, რისთვის ფუსფუსებდა, რას არიგებდა. ერთი მეზობელი, ძალიან ლამაზი ქალი, განცვიფრდა, როდესაც თაიგული მიიღო ბატონი ჟილნორმანისაგან; ქმარს კიდევ ეჭვი მოერია და შავი დღე დააყენა საწყალ ქალს, ხან კიდევ ბატონი ჟილნორმანი ნიკოლეტს დასტაცებდა ხელს და ცდილობდა, მუხლებზე დაესვა. მარიუსს „ბატონ ბარონს“ უწოდებდა, და გაჰყვიროდა: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“

წამდაუწუმ ეკითხებოდა ექიმს: „ესე იგი, საშიში აღარაფერია?“ - მარიუსს ბებიის სიყვარულით სავსე თვალით დასცქეროდა და თვალს არ აშორებდა, როცა

შვილიშვილი რამეს ჭამდა. მოხუცი თავს ვეღარა ცნობდა, თავი დავიწყებოდა. დღეს სახლის ბატონ-პატრონი მარიუსი იყო. სიხარულით გატაცებული ბაბუა თავისი პირადობის უარყოფამდე მისულიყო; ბატონი ჟილნორმანი დღეს მარიუსის შვილიშვილი გამხდარიყო.

ამ სიხარულში საუცხოო ბავშვად გარდაქმნილიყო. ეშინოდა, არ დავღალო ავადმყოფი, თავი არ მოვაბეზროო და უკან დაუდგებოდა ხოლმე და ისე უღიმოდა. ბედნიერი იყო, კმაყოფილი, მხიარული, აღტაცებული, მომხიბლავი, გაყმაწვილებული. სახეზე ნეტარების სხივი დასთამაშებდა და თოვლივით თეთრი ჭაღარა უფრო ატკბობდა ამ ნეტარების სხივს. მომხიბლავია, ოდეს დამჭკნარს ნეტარება დაერთვის; ვარდივით გაშლილი სიბერის მხიარულებას დილის რიჟრაჟის შუქი დაჰკრავს.

რაც შეეხება მარიუსს, მოთმინებით იტანდა წამლებსაც, ჭრილობის შეხვევასაც, მაგრამ მისი გონება კოზეტთან იყო, კოზეტის მეტი არაფერი ახსოვდა.

მას შემდეგ, რაც სიცხე გამოუნელდა და აღარ ბოდავდა, კოზეტის სახელი აღარ უხსენებია; შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ აღარც კი აგონდებოდა, მაგრამ გაჩუმებული სწორედ იმიტომ იყო, რომ სულით კოზეტთან იყო.

არ იცოდა, როგორ არის კოზეტი, რა მოუვიდა. თვით შანვრერის ქუჩის ბარიკადი და ბრძოლაც კი ბუნდოვან სიზმრად აგონდებოდა; ერთმანეთისაგან განურჩეველ აჩრდილებად ეჩვენებოდნენ ეპონინი, გავროში, მაბეფი, ტენარდიე, ყველა თავისი ამხანაგი, ბარიკადის კვამლთან ერთად გამქრალი გულითადი მეგობრები; უცნაურად ეჩვენებოდა ბატონი ფოშლევანის ჩარევა აჯანყებულთა ბრძოლაში. ისიც არ იცოდა, ვინ გადაარჩინა, ვინ იყო ის ღვთისნიერი. არც თვითონ იცოდა და არც მისმა ახლობლებმა. თუ იცოდნენ რამე, მხოლოდ ის, რომ შუაღამისას მოიყვანეს ეტლით ფილ-ლე-კალვერის ქუჩაზე. წარსული, აწმყო, მომავალი ერთმანეთში ერთ ბუნდოვან ფიქრად არეულიყო, მაგრამ ერთი რამ იყო ურყევი ამ ბუნდოვანში, ნათელი, მაგრად ხაზგასმული, კლდის ქვასავით მკვრივი, ერთი გადაწყვეტილება, - კოზეტის ნახვის სურვილი. მარიუსისათვის ცნება „სიცოცხლე“ იგივე იყო, რაც ცნება „კოზეტი“. უკვე დაედგინა თავის გულში, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა ერთს უმეოროდ, საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ვინც უნდა ჩასცივებოდა და ძალა დაეტანებინა, კაცი ხარ, ვაუკაცურად აიტანე უბედურებაო, - ბაბუა იქნებოდა, ბედი თუ ჯოჯოხეთი, ის მაინც თავისი დაკარგული ედემის აღდგენას მოითხოვდა.

ისიც იცოდა, რომ მრავალი დაბრკოლება მოელოდა ამ განზრახვის ასრულებაში.

აქ ერთ წვრილმანს უნდა მივაქციოთ ყურადღება: მარიუსს თავს ევლებოდა ბაბუა, მისი გამოჯანსაღებისა და სიცოცხლის მეტი აღარაფერი ახსოვდა და მაინც ვერ მოეგო მისი გული. ჯერ იმიტომ, რომ მრავალი რამ მოხდა, რაც მან არ იცოდა; მერე კიდევ იმიტომ, რომ ავადმყოფის სიცხით აღძრულ ფიქრებში ეჭვი ერეოდა და ვინ იცის, არც ენდობოდა ბაბუამისის გულჩვილობას, როგორც უცნობ ხილს, რომლის მიზანი შეიძლება მარიუსის დამორჩილება იყო, და ძველებურად გულგრილად რჩებოდა. ამაოდ ხარჯავდა ბაბუამისი თავის მკრთალ ბებრულ ღიმილს და ალერსს. ასე იქნება, - ფიქრობდა მარიუსი, - სანამ ასე გაჩუმებული ვარ და არაფერს ვთხოვ, მაგრამ კოზეტზე რომ მივა საქმე, სულ სხვა კაცად დამენახვება და ნიღაბჩამოხსნილი გამოჩნდება მისი სიყვარულიც და მბრძანებლობაცო. აი, მაშინ კი საშინელი იქნებოდა ეს ბრძოლა: მაშინვე გამოტყვრება ძველი შთამომავლური დიდებულება, ერთმანეთის

ვინაობის შედარება, დაცინვა და მასხარად აგდება, ფოშლევანის კუპლევანად გადაქცევა, ქალის სიღარიბე, სიღატაკე, მომავალი. მაგრამ მარიუსი მაგრად დაუდგება და მტკიცე უარს ეტყვის. წინასწარ ემზადებოდა მარიუსი ცხარე ბრძოლისათვის.

გარდა ამისა, უკეთ რომ ხდებოდა და უფრო და უფრო აგონდებოდა ბაბუის ძველი შეურაცხყოფა, წარსულს უბრუნდებოდა, თავისსა და ბაბუის შუა მამას ხედავდა და დაასკვნიდა, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმედი იქონიოს იმ კაცისა, რომელიც ისე გულქვად და უსამართლოდ მოექცა მამამისს; უბრუნდებოდა ჯანმრთელობა და ამასთან, რაღაცნაირი გააფთრება ბაბუის წინააღმდეგ. მოხუცი ჩუმად იტანჯებოდა.

ბატონი ჟილნორმანი სულ იმის ფიქრში იყო, თუმცა ეს არაფრით გამოუხატავს, რომ იმდენი ხანი იყო, შინ ჰყავდა თავისი შვილიშვილი და ერთხელ არ მიუმართავს მარიუსს სიტყვით „მამა“. მართალია, არც ბატონს ეძახდა, მაგრამ ცდილობდა, ისე წარემართა საუბარი, რომ არც ერთი ეთქვა და არც მეორე.

ცხადი იყო, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბრძოლა ატყდებოდა.

როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, მარიუსმა საცდელად წინდაწინვე წამოჭრა უთანხმოების გამომწვევი რამდენიმე საკითხი. ამას ნიადაგის მოსინჯვა ჰქვია. ერთ დილას ბატონმა ჟილნორმანმა, გაზეთს რომ კითხულობდა, თავისებურად უკმეხად მოიხსენია კონვენტი და როიალისტური გუნდრუკი უკმია დანტონს, სენ-ჟუსტსა და რობესპიერს.

მარიუსმა გაიგონა და მკვახედ მოუჭრა:

- ოთხმოცდაცამეტი წლის მოღვაწენი ბუმბერაზები იყვნენ.

მოხუცმა ხმა არ ამოიღო და ასე გაჩუმებული იყო იმ დღეს.

მარიუსს თავისი ძველი, ახირებული, უჯიათი ბაბუა ახსოვდა, ახლაც ისეთი ეგონა და ფიქრობდა, გაჯავრებულია, ბრაზს იგროვებს, მაშ, უფრო მკაცრი იქნება ჩემი შეტაკებაო და თავის მხრივ, თვითონაც ძალ-ღონეს იკრებდა თავისის გასატანად.

საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ახლაც უარი მითხრა, სახვევს შემოვიგლეჯ, ლავიწს ისევ გავიტეხ, ჭრილობებს გავიმიზეზებ და ლუკმას აღარ ჩავიდებ პირშიო. ამ ბრძოლაში იარაღად თავისი ჭრილობები უნდა ეხმარა. გადაწყვეტილი იყო - ან კოზეტი, ან სიკვდილი.

და ავადმყოფი შესაფერ დროს ელოდა გულჩახვეული მოთმინებით.

ეს დროც მოვიდა.

## თავი მესამე
## მარიუსი იერიშზე გადადის

ერთხელ, როდესაც ჟილნორმანის ქალიშვილი კამოდზე ალაგებდა წამლების შუშებს და ფინჯნებს, მოხუცი მარიუსისკენ დახრილიყო და ნაზი ალერსით ეუბნებოდა:

- იცი, ჩემო ბიჭო, მე რომ ვიყო, ამჟამად ხორცს მივეტანებოდი, ვიდრე თევზს. კარგი რამ არის შემწვარი ქამბალა, ძალიან შველის ავადმყოფს, მაგრამ თუ გინდა, ფეხზე წამოაყენო კაცი, კარგი კატლეტი უნდა აჭამო.

მარიუსი უკვე კარგად იყო, თითქმის მთლად მოეკრიბა ძალ-ღონე, ბალიშზე წამოიწია, ორი ხელით, მუშტად შეკუმშული ხელით, ლოგინს დაეყრდნო, თვალი თვალში გაუყარა ბაბუას და მრისხანე გამომეტყველებით უთხრა:

- თუ აგრეა, მინდა ცოტა რამ მეც მოგახსენოთ.

- რა უნდა მომახსენო?

- მინდა მოგახსენოთ, რომ ცოლის შერთვას ვაპირებ.

- უშენოდაც კარგად ვიცოდი, - უთხრა ბაბუამ და სიცილი წასკდა.

- როგორ თუ იცოდით?

- ჰო, ვიცოდი. ღმერთმა შეგაბეროთ შენ და შენი გოგონა.

დამარცხებული მარიუსი განცვიფრებული, შეჰყურებდა და თავით ფეხებამდე თრთოდა.

ბატონმა ჟილნორმანმა განაგრძო:

- ჰოდა, ღმერთმა შეგაბეროთ შენ და შენი პატარა კოპწია გოგონა. ყოველდღე მოდის მოხუცი კაცის სახით, რომ შენი ამბავი გაიგოს. შენ რომ დაგჭრეს, მას აქეთ ზის და ტირის საწყალი გოგო და სახვევებს გიმზადებს. მეც მივდექ-მოვდექი და ცოტა რამ გავიგე. ლ'ომ-არმეს ქუჩაზე ცხოვრობს, შვიდ ნომერში. ნახე, როგორ გაგაბი! მაშ, გიყვარს? გიყვარს და შენი იყოს. მოგხვდა, თუ არა! შენ კი შეთქმულებას მიმზადებდი. ფიქრობდი: „შიგ პირში მივახლი ამას ბაბუაჩემს, ამ მეფისა და დირექტორიის დროინდელ მუმიას. ამ ძველ არშიყს, ამ დორანტს ჟერონტად გადაქცეულსო, არა? ბაბუაჩემიც ყმაწვილი იყო ერთ დროს, მასაც უყვარდა ქალებში გაკვრა-გამოკვრა, მასაც ჰყავდა თავისი გრიზეტები და კოზეტები, მასაც ესხა სიყმაწვილის ფრთები, მანაც მიირთვა გაზაფხულის ტკბილი ლუკმა; უნდა თუ არა, მოვაგონებ წარსულს, ვნახოთ, როგორ დამიდგებაო. ბრძოლას აპირებდი, არა? მაჟარი გიჭირავს და შუბად მიგაჩნია, ძალიან კარგი. მე კატლეტს გთავაზობ და შენ კი მეუბნები, ცოლის შერთვას ვაპირებო. სად კატლეტი, სად გოგონა? უარსა და კამათს მოელოდი? ვერ მოგართვეს. არ იცოდი, რომ სიბერე ლაჩარია? ახლა რაღას იტყვი? ჯავრობ! არ მოელოდი, რომ ბაბუაშენი უფრო სულელი იქნებოდა, ვიდრე შენ. და ამაოდ ჩაგიარა მისთვის მომზადებულმა სიტყვამ, ბატონო ვექილო, ჰა? მართლაც გასაჯავრებელია იმედის ასე გაცრუება. ჰოდა, გაჯავრდი, ცოფი ყარე! მე ის მინდა, რაც შენ გსურს, შე საძაგელო, შენა. ყური დამიგდე, ცნობები შევკრიბე. შენ გგონია, მე არ შემიძლლია გაიძვერობა? მომხიბლავი რამ არის შენი კოზეტი, ჭკვიანი, ზრდილი. ის ვიღაც ოფიცერია, ჭორია, სხვა არაფერი. მერე კიდევ, რაც იმან სახვევი გამოგიგზავნა... ანგელოზია სწორედ, ობოლი მარგალიტი. გაღმერთებს, ისე უყვარხარ. რომ მომკვდარიყავ, სამნი ვიქნებოდით მკვდარი. მისი კუბოც გვერდით მოუდგებოდა ჩემსას. ერთხანს მინდოდა, რაკი უკეთესობა დაგეტყო, აქ მომეყვანა და დამესვა შენს თავით; მაგრამ ეგ მარტო რომანებში ხდება ხოლმე, რომ ასე, შინაურულად შეიყვანენ ლამაზ ქალს და გვერდზე მოუსვამენ დაჭრილ ლამაზ ბიჭს. სულ სხვას გვეუბნება ჩვენი ცხოვრება. ან რას იტყოდა დეიდაშენი? მანამ ცუდად იყავი, სულ შიშველი იწექი, ჩემო ბიჭიკო. აბა, ნიკოლეტს ჰკითხე, რომელიც სულ აქ გიჯდა დღედაღამ; აბა, ჰკითხე, შეიძლებოდა აქ ქალის შემოყვანა? ახლა ექიმი? ის რაღას იტყოდა? დაჭრილი რომ არის კაცი და დიდი სიცხე აქვს, ლამაზი ქალი ვერ განკურნავს. ჰო, ვერ მოხერხდა და ამით გავათავოთ. მაშ, ვთქვით, შევთანხმდით, დავადგინეთ - შეირთე. ხედავ, რა უჯიათი, უხიაგი ვარ. ვიცი, ვხედავდი, კარგად ვხედავდი, რომ მარიუსს არ უყვარდა

თავისი ბაბუა და ჩემს თავს ვკითხე, რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ თავი შევაყვარო ამ საძაგელს-მეთქი? მერე აზრად მომივიდა, ბიჭოს, კოზეტი ხომ აქა მყავს. ავდგები და დავლოცავ. არც მაშინ შემიყვარებს? ოდნავ მაინც. თუ არა და, თქვას მაინც, რას მემდურება. ჰა, გეგონა, ვაიუშველებელს ატეხდა ბებერი, ყვირილსა და ჯოხის ქნევას დაგიწყებდა? სრულიადაც არა. კოზეტი გნებავს? ღმერთმა გაგაბედნიეროს. გიყვარს? მით უკეთესი. ამაზე მეტი მე არაფერი მინდა. ჯვარი დაიწერე, საყვარელო შვილო და ბედნიერი იყავი! - ეს თქვა და ქვითინი წასკდა მოხუცს.

თავზე ხელები წაავლო მარიუსს, ბებერ მკერდზე მიიკრა და ორივე ატირდა.

მოხდება ხოლმე, ტკბილი ცრემლით გამოითქმება უაღრესი ბედნიერება.

- მამა! - შეჰყვირა მარიუსმა.

- მაშ, გიყვარვარ, შვილო?

წამით დადუმდა ორივე. სული უგუბდებოდათ, ხმა ვეღარ ამოეღოთ.

ბოლოს მოხუცმა წაილუღლუღა:

- ძლივს. ძლივს ვეღირსე, მამაო, მითხრა.

თავი დაიძვრინა მარიუსმა ბაბუის ხელებიდან და ჰკითხა:

- ახლა ხომ კარგად ვარ, მამა, მგონი, შეიძლება, ვნახო.

- ესეც მოვაგვარე, ჩემო ბატონო, ხვალ აქ მოგიყვან.

- მამა...

- კიდევ გნებავს რამე?

- რატომ დღეს არა?

- ჰოდა, დღეს იყოს. დღეს სჯობია. დღეს სამჯერ მითხარი, მამაო. ამას დაჯილდოება უნდა. მაშ, ახლავე შევუდგები საქმეს. დღესვე მოგგვრიან. აკი გეუბნები, ეგეც მოვაგვარე. ასეთია ანდრე შენიეს ელეგიის „ავადმყოფი ბიჭის“ დაბოლოება, ანდრე შენიესი, რომელსაც ყელი გამოღადრეს იმ სისხლით გაუმაძღ... ამ ოთხმოცდაცამეტის ბუმბერაზებმა.

ბატონმა ჟილნორმანმა თვალი მოჰკრა, თითქოს წარბი შეიკრა მარიუსმა და იფიქრა, ეწყინა ჩემი სიტყვაო. სინამდვილეში კი არაფერი სწყენია მარიუსს, რადგან ყურს აღარ უგდებდა ბაბუას. სიხარულით იყო გატაცებული და კოზეტის მეტი არაფერი ახსოვდა, არც ბაბუა და არც ოთხმოცდაცამეტი. საწყალი მოხუცი კი კანკალებდა შიშით, რა ღმერთი გამიწყრა, რა დროს ანდრე შენიეს ხსენება იყოო, და თავის მართლება სცადა:

- არა, ყელის გამოღადვრაც არის და გამოღადვრაც. თუ მართალი გინდა, რევოლუციის დიდებულმა გენიოსებმა, რომლებიც ავაზაკები არ იყვნენ, ეს ეჭვმიუვალი ჭეშმარიტებაა, პირიქით, გმირები იყვნენ, ნახეს, რომ... რცხვენოდათ ანდრე შენიესი და გილიოტ... სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ დიდებულმა მოღვაწეებმა შვიდ თერმიდორს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის სთხოვეს ანდრე შენიეს, კეთილინებეთ და...

ბატონ ჟილნორმანს ყელზე დაადგა სიტყვა და კინაღამ დაახრჩო; ვეღარც დაბოლოება მოახერხა, ვეღარც შესწორება და მისი ქალიშვილი რომ ბალიშს უსწორებდა მარიუსს, მოხუცმა ვეღარ გაუძლო ამხელა მღელვარებას, დიდი სისწრაფით, რამდენადაც კი ნებას აძლევდა სიბერე, კარს ეცა, გავარდა ოთახიდან, კარი მიაჯახუნა და ჭარხალივით გაწითლებული, ოფლში გაწურული,

თვალებდაჭყეტილი შეხვდა წინკარში ბასკს, რომელიც ფეხსაცმელებს წმენდდა. კისერში წაუჭირა ხელი და გაბრაზებულმა შეჰყვირა:

- ეშმაკმა დამლახვროს, თუ მართალს არ ვამბობდე. ყელი გამოღადრეს იმ...

- ვის, ბატონო?

- ანდრე შენიეს!

- დიახ, ბატონო, დიახ, - დაეთანხმა შეშინებული ბასკი.

## თავი მეოთხე

## ქალბატონ ჟილნორმანს საძრახისად აღარ SEPმიაჩნია

ბატონი ფოშლევანის მიღება, თუნდაც SEPრამე ეჭიროს ხელში

ძლივს ეღირსათ კოზეტსა და მარიუსს ერთმანეთის ნახვა. როგორ შეხვდნენ ერთმანეთს? შეუძლებელია იმის აღწერა. ბევრი რამ არის, რომლის დახატვა არც კი უნდა ვცადოთ; მზეც მათ რიცხვშია.

მთელი ოჯახი იქ იყო, მარიუსის ოთახში, ბასკი და ნიკოლეტიც, როდესაც კოზეტი მივიდა.

შეაღო კარი და გაჩერდა. ისე იდგა, თითქოს შარავანდედით მოსილაო.

სწორედ იმ დროს აპირებდა ბატონი ჟილნორმანი ცხვირის მოხოცვას და სახტად დარჩა; ცხვირი ცხვირსახოცში ჩაედო, ხელით ეჭირა და კოზეტს შეჰყურებდა.

- მომხიბლავია! - შესძახა ბაბუამ და ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

აღტაცებული იყო კოზეტი, თან შეშინებული, დამორცხვებული, ცას ეწეოდა სიხარულით და გული უკანკალებდა შიშით, რამდენადაც კი შეიძლება შიში მოერიოს ბედნიერებას. ფერმიხდილი იყო, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, წითლდებოდა, ყვითლდებოდა, უნდოდა, მარიუსს მოხვეოდა, გულში ჩაეკრა, მაგრამ რცხვენოდა, რომ თავის სიყვარულს ამხელდა ამოდენი ხალხის წინაშე. არ ვიცით ბედნიერ შეყვარებულთა შებრალება, სწორედ იმ დროს შემოვეხვევით ხოლმე, როდესაც მარტო დარჩენა, თავისუფლად ლაპარაკი უნდათ და სრულიადაც არ სჭირდებათ მაყურებლები და მსმენელები.

კოზეტს უკან მოსდევდა ერთი დარბაისელი ჭაღარა კაცი, დაღონებული, ბუნდოვანი ღიმილით სახეზე. ეს ბატონი ფოშლევანი იყო, ივივე ჟან ვალჟანი - „ძალიან კარგად ჩაცმული ბატონი“, როგორც მეკარემ თქვა. ახალი შავი ტანისამოსი ეცვა და თეთრი ყელსახვევი ეკეთა.

რას წარმოიდგენდა მეკარე, რომ ეს ღირსეული ბურჟუა, ეს დიდებული ბატონი, ის საზარელი კაცი იყო, რომელმაც 7 ივნისს კარზე დაუკაკუნა შუაღამისას და ხელში მიაჩეჩა მკვდარი მარიუსი. საზიზღარი რამ იყო მაშინ ლაფში ამოწუწული, სიბინძურით გასვრილი, დაგლეჯილ ტანისამოსში, პირქუში, უკმეხი, სისხლით მოსვრილი ცხვირ-პირით. მაგრამ აქაც არ უმტყუნა თავისმა მეკარულმა ალღომ და წასჩურჩულა ცოლს:

- არ ვიცი, რად მგონია, რომ სადღაც მინახავს ეს კაცი.

ბატონი ფოშლევანი მარიუსის ოთახში შევიდა, მაგრამ უკან დადგა, ცალკე, კართან. იღლიაში პაკეტი ეჭირა, დიდი წიგნის მსგავსი, ქაღალდი მომწვანო იყო, თითქოს ობმოკიდებული.

- ნუთუ ყოველთვის თან დაათრევს თავის წიგნებს ეს ვაუბატონი? - ჩუმად ჰკითხა ნიკოლეტს ქალბატონმა ჟილნორმანმა, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა წიგნის კითხვა.

- მერე რა? - ისევე ჩუმად ჩაერია ბატონი ჟილნორმანი, რომელმაც ყური მოჰკრა ნიკოლეტის სიტყვას, - მეცნიერია კაცი და წიგნიც თან წამოუღია. ეგეც ცოდვაა? ბატონი ბულარი, ჩემი კარგი ნაცნობი, უწიგნოდ არსად წავიდოდა, ისიც ამასავით სულ გულში იკრავდა.

მერე ჟან ვალჟანს მიესალმა:

- ბატონ ტრანშლევანს...

მოხუც ჟილნორმანს საგანგებოდ არ დაუმახინჯებია გვარი, უბრალოდ, მასაც ჰქონდა გვარების შეშლის არისტოკრატიული მანერა.

- ბატონო ტრანშლევან, იქნებ კეთილინებოთ და ჩემს შვილიშვილს, ბატონ ბარონ მარიუს პონმერსს მიათხოვოთ თქვენი ასული.

თავი დაუკრა „ბატონმა ტრანშლევანმა“.

- გმადლობთ, - დაუმატა ბაბუამ, მერე მარიუსსა და კოზეტთან მივიდა, ორივ ხელით აკურთხა და უთხრა, - ამიერიდან ნება გეძლევათ გააღმერთოთ ერთმანეთი.

ამის გამეორება საჭირო არ იყო ახალგაზრდებისთვის, მაშინვე ტკბილად აღუღუნდნენ. მარიუსი წამოწოლილი იყო დივანზე, კოზეტი იქვე იდგა.

- ღმერთო, - ჩუმი ხმით ეუბნებოდა კოზეტი, - კიდევ მეღირსა თქვენი ნახვა! შენა ხარ, შენ გხედავ? რას ფიქრობდი, რომ იმ იმ სისხლის ღვრაში ჩაერიე? ან რისთვის? საშინელებაა. ოთხი თვის განმავლობაში მკვდარი ვიყავი. ნეტავი რა დაგიშავე, რომ იმ ბარიკადზე შევარდი? ეს ერთი მიპატიებია, მაგრამ შემდეგში კი ამას აღარ იზამთ, ჩემო ბატონო. წეღან კაცი რომ მოვიდა თქვენგან, წამობრძანდითო, კინაღამ მოვკვდი, მაგრამ ეს სიხარულის ელდა იყო. რომ იცოდე, როგორ შევშინდი. ისე გამოვიქეცი, რომ ტანისამოსის ჩაცმაც კი დამავიწყდა. წამოვედი, როგორც ვიყავი. ვინ იცის, რას ვგავარ? რას იტყვიან თქვენები, ასე რომ მნახავენ, დაჭმუჭნილი საყელოთი? მითხარით რამე, რას გაჩუმებულხართ? სულ ხომ მე არ მალაპარაკებთ. ისევ იქ ვცხოვრობთ, ლ'ომ-არმეს ქუჩაზე. მძიმედ ყოფილხართ დაჭრილი მხარში. იმხელაა, კაცის მუშტი ჩაეტევაო, - მითხრეს, მაკრატლით ჭრიდნენ ხორცსო. საშინელებაა, საშინელება! იმდენი ვიტირე. საკვირველი არ არის, რომ ამხელა სევდას უძლებს ადამიანი? ძალიან გულკეთილი უნდა იყოს ბაბუათქვენი. აჰ, ნუ დაეყრდნობით იდაყვს, არ იტკინოთ! ოჰ, რა ბედნიერი ვარ! მაშ, გათავდა, მოგვშორდა უბედურება. რა სულელი ვარ. იმდენი რამ მინდოდა მეთქვა და აღარაფერი მაგონდება. მაშ, ისევ გიყვარვართ?.. ლ'ომ-არმეს ქუჩაზეა ჩვენი სახლი. ბაღი კი არა აქვს. ღმერთო, რამდენი სახვევი დაგიმზადეთ! ვტიროდი და სახვევს ვამზადებდი. დიახ, ბატონო, აი, შემომხედეთ, თქვენი ბრალია, რომ ბებერები მაქვს თითებზე.

- ანგელოზო, - ეუბნებოდა მარიუსი.

ანგელოზი, - ეს არის ერთადერთი სიტყვა, რომელიც არასოდეს გაცვდება; ისე ხშირად იმეორებენ შეყვარებულნი ამ სიტყვას, რომ სხვა ვერ გაუძლებდა ამას.

მერე კი გაიაზრეს, რომ მარტონი არ იყვნენ, მიჩუმდნენ და ერთმანეთის ხელის ოდნავი შეხებით შეცვალეს სიტყვა.

ბატონი ჟილნორმანი მიუბრუნდა იქ მყოფთ და შესძახა:

- ხმამაღლა ილაპარაკეთ, იხმაურეთ, იმღერეთ! აბა, ჰა, ჟივილ-ხივილი, ყაყანი გვჭირდება, რომ თავისუფლად იღუღუნონ ამ გვრიტებმა!

მერე მარიუსსა და კოზეტთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

- შენობით ილაპარაკეთ, რის გრცხვენიათ?

დეიდა ჟილნორმანი დაბნეული შეჰყურებდა სინათლის ამ სხივს, მის მიმქრალ ბებრულ სამყაროში უეცრად რომ შემოიჭრა. ქალის გაოცებაში არაფერი იყო მტრული, მისი მზერა არ ჰგავდა ჭოტის შურიან გამოხედვას, როცა ორ მოღუღუნე გვრიტს შეჰყურებს. ეს იყო 57 წლის შინაბერას მოსულელო მზერა, - უიღბლო ცხოვრება სიყვარულის საზეიმოდ გაფურჩქვნას ჭვრეტდა.

- ქალბატონო ჟილნორმან-უფროსო, - მიმართა მამამ, - ხომ ხედავთ, რა კარგად ასრულდა ჩემი ნათქვამი, - ცოტა ხნის შემდგომ დაუმატა, - სხვისი ბედნიერებით მაინც დატკბით, - მერე კოზეტს მიუახლოვდა, - რა ლამაზია! რა მშვენიერი! პირდაპირ გრიოზის ნახატს ჰგავს. ხედავთ, როგორ უღიმის ბედი ამ საძაგელს, ამას! მარტო შენ დატკბები, არა? შენი ბედი, რომ ერთი თხუთმეტი წლით უმცროსი არა ვარ, თორემ ბრძოლას ვერ ავცდებოდით, ხმალი გადაწყვეტდა, ვისი უნდა ყოფილიყო ეს ცუგრუმელა. აბა, რა ჩემი ბრალია? პირდაპირ შეყვარებული ვარ, ქალბატონო, და ეს გასაკვირი სულაც არ არის. რომ იცოდეთ, რა ქორწილს გადავიხდით. სენ-დენის სამრევლოს ვეკუთვნით, მაგრამ ნებართვას ავიღებ, რომ სენ-პოლის ეკლესიაში დაიწეროთ ჯვარი. იქ სჯობია, იეზუიტების აშენებულია და უფრო კოხტაა. კარდინალ დე ბირაგის შადრევნის პირდაპირ არის. მაგრამ იეზუიტების ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუში ნამიურშია, სახელად სენ-ლუ ჰქვია. ერთხელ ჩადით, ნახეთ, ჯვარს რომ დაიწერთ. ღირს სამგზავროდაც და სანახავადაც. მე, ქალბატონო, თქვენს მხარეს ვარ სულით და გულით; მინდა, რომ თხოვდებოდნენ ქალიშვილები, იმიტომ, რომ ქალი ამისთვის არის გაჩენილი. წმინდა ეკატერინე ხომ წმინდაა, მაგრამ მე კი სიამოვნებით ვნახავდი თმაგაშლილს. გაუთხოვარი რომ დარჩება ქალი, იქნება კარგიც იყოს, მაგრამ მოსაწყენია. დაბადება ბრძანებს, გამრავლდითო. ხალხის განსაცდელისაგან დასახსნელად საჭიროა ჟანა დ’ არკი, მაგრამ გასამრავლებლად დედილო ჟიგონი. მაშასადამე, გათხოვდით, ლამაზებო, გათხოვდით, კოპწიებო! რა საჭიროა გაუთხოვრად დარჩენა? ვიცი, ეკლესია პატივს სცემს მათ, ვინც არ გათხოვდება, ის წმინდა ქალწულის საზოგადოების წევრად ითვლება; მაგრამ, რომ ჩამომახრჩონ, მე მაინც ვიტყვი, - ერთი კარგი ქმარი, კოხტა ბიჭი, და ერთი წლის შემდეგ პატარა ანგელოზი რომ ჩაგეკვრებათ გულში, ხარბად წოვს და თან ვარდივით ლამაზი ხელით ეთამაშება ძუძუს და განთიადივით ტკბილად გიცინით, ეს უფრო კარგი უნდა იყოს, ვიდრე წირვაზე დგომა წმინდა სანთლით და თურრის ებურნეა-ს გალობა.

მერე კოხტად, ყმაწვილკაცურად შემოტრიალდა ქუსლებზე, რამდენადაც ნებას აძლევდა სიბერე, და მოჰყვა თავისას:

ასე დაგიმსხვრევ ფიქრთა მწვერვალებს,

შენ იქორწინებ, ალკიპო, მალე.

- მართლა, მარიუს...

- რა გნებავთ, მამა?

- კარგი მეგობარი არავინ გყავს?

- მყავდა, კურფეირაკი.

- მერე?

- ბარიკადზე მოკვდა.

- კარგი უქნია.

ყმაწვილებთან დაჯდა, თავისი ჩამომხმარი ხელები მოავლო მათ ხელებს და განაგრძო ქება:

- მომხიბლავია მშვენიერი, ნამდვილი სრულყოფილებაა ბუნებისა ეს პატარა კოზეტი! ძალიან პატარა ქალი და ძალიან დიდი ქალბატონი ბრძანდება. ბარონის მეუღლე იქნება და დაბადებით კი მარკიზის მეუღლედ არის დაბადებული. ერთი ამის წარბ-წამწამს შეხედეთ! ჰოდა, კარგად ჩაინერგეთ გონებაში, გვრიტებო, რომ სიცოცხლის ნამდვილ გზაზე ხართ. გიყვარდეთ ერთმანეთი და ხარბად დაეწაფეთ მაგ ნეტარებას. თუ შეგიძლიათ, გახელებამდე! სიყვარული ადამიანის გახელება და ღვთის სულია. დატკბით ერთმანეთის თაყვანისცემით!

უეცრად ბატონი ჟილნორმანი დანაღვლიანდა და მწუხარებით სავსე ხმით თქვა:

- მაგრამ ვაი, რომ ბედნიერებას უბედურებაც თან სდევს! ჩემი ქონების დიდი ნაწილი რენტაზეა დამყარებული, სანამ ცოცხალი ვარ, არაფერი გაგიჭირდებათ, მაგრამ ჩემი სიკვდილის შემდგომ, ასე, ოცი წლის შემდეგ, გროშიც აღარ გექნებათ, საბრალო ბავშვებო. ქალბატონო ბარონესა, თქვენს ქათქათა კბილებს მოუწევთ გახმარი პურის ყუის ღეჭვა.

ამ დროს უკნიდან ხმა გაისმა მშვიდი, თავდაჯერებული:

- ქალბატონ ევფრაზი ფოშლევანს ექვსასი ათასი ფრანკი აქვს.

ჟან ვალჟანის ხმა იყო. აქამდე დუმდა და აღარც კი ახსოვდათ, რომ ისიც იქ იყო, იდგა ამ ბედნიერი ხალხის უკან, მივიწყებული.

- ვინ არის ქალბატონი ევფრაზი? - ჰკითხა გაკვირვებულმა ბაბუამ.

- მე გახლავართ, ბატონო, - მიუგო კოზეტმა.

- ექვსასი ათასი ფრანკი? - გაიკვირვა ბატონმა ჟილნორმანმა.

- შეიძლება ექვსასი ათასს თოთხმეტი ან თხუთმეტი ათასი აკლდეს, - დაუმატა ჟან ვალჟანმა და მაგიდაზე დადო ის პაკეტი, რომელიც სქელ წიგნად მოეჩვენა დეიდა ჟილნორმანს.

ჟან ვალჟანმა თვითონვე გახსნა პაკეტი და ბანკის ბილეთების მთელი შეკვრა გამოჩნდა. დათვალეს. ხუთასი ბილეთი ათასფრანკიანი იყო და ას სამოცდარვა - ხუთასფრანკიანი. სულ ხუთას ოთხმოცდაოთხი ათასი ფრანკი იყო.

- აი, წიგნიც ასეთი უნდა! - შესძახა ბატონმა ჟილნორმანმა.

- ხუთას ოთხმოცდაოთხი ათასი ფრანკი, - ბუტბუტებდა დეიდა.

- მაშ აღარაფრის უნდა ეშინოდეთ, არა, ქალბატონო ჟილნორმან-უფროსო? - დაიწყო ისევ ბაბუამ. - დიდი ეშმაკი ვინმე ყოფილა ეს ბიჭი! სად მიაგნო ოცნების ხეზე ბუდეში ჩამალულ მილიონერ გოგონას? ეგეც თქვენი სიყვარული! სტუდენტი სტუდენტ ქალს ხვდება, ექვსასიათასიანს! ქერუბინი უკეთ იღვწის, ვიდრე როტშილდი.

- ხუთას ოთხმოცდაოთხი ათასი, - ბუტბუტებდა ქალბატონი ჟილნორმანი, - ხუთას ოთხმოცდაოთხი ათასი! ბარემ ექვსასი ათასი ვთქვათ? გასაოცარია!

ამ დროს კი მარიუსი და კოზეტი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და თითქმის არც შეუნიშნავთ ეს წვრილმანი.

## თავი მეხუთე

სჯობს, ტყეში ჩამარხოთ ფული, ვიდრე ნოტარიუსს მიაბაროთ

ეჭვი არ არის, მკითხველი თვითონვე მიხვდებოდა, ვიდრე დაწვრილებით ავუწერდით ყველაფერს, როცა შანმატიეს საქმე გასრულდა, ჟან ვალჟანი რამდენიმე დღით გაეპარა ჟავერს და მაშინვე პარიზში წავიდა. ლაფიტის ბანკიდან გამოიტანა თავისი ფული, რომელიც მონრეილში ყოფნისას იშოვა ბატონი მადლენის სახელით. რადგან ეშინოდა, დამიჭერენო, - და დაიჭირეს კიდეც რამდენიმე დღის შემდეგ, - ადგა და თავისი ფული მონფერმეილის ტყეში დაფლა, ბლარიუს ველობზე. სულ ექვსას ოცდაათი ათასი ფრანკი იყო, ბანკის ბილეთებით, პატარა კოლოფში იყო ჩალაგებული; ნესტისგან რომ დაეცვა, კოლოფი მუხის ყუთში ჩადო და გარშემო წაბლის ბურბუშელა შემოახვია. იმავე ყუთში ჩადო თავისი მეორე განძი - ეპისკოპოსის შანდლები. მონრეილიდან რომ გამოიქცა, თან მარტო ეს შანდლები წამოიღო. სწორედ ჟან ვალჟანი იყო, ბულატრუელმა რომ დაინახა ერთ საღამოს ტყეში. შემდეგში, როდესაც კი ფული შემოაკლდებოდა ჟან ვალჟანს, მაშინვე ბლარიუს ველობზე მიდიოდა. ამიტომ მიდიოდა პარიზიდან რამდენიმე დღით. წერაქვიც იქვე ჰქონდა, ტყეში დამალული ისე, რომ მის მეტი ვერავინ მიაგნებდა. რომ დარწმუნდა, მარიუსი გადარჩა, უკეთ არის და ეს ფული მალე საჭირო იქნებაო, ტყეში წავიდა. ბულატრუელმა რომ დაინახა, დილადრიანი იყო და არა საღამო ხანი. ამ განძიდან ბულატრუელს მემკვიდრეობად მარტო წერაქვი დარჩა.

სულ კოლოფში ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას ხუთასი ფრანკი იყო. ხუთასი ფრანკი თავისთვის გადადო ჟან ვალჟანმა, ჯერ ეს მეყოფა და მერე გამოჩნდებაო.

თავდაპირველად კოლოფში ექვსას ოცდაათი ათასი იყო და ამ ჯამების განსხვავება ათი წლის, 1823-1833 წლების დანახარჯს წარმოადგენდა. ხუთი წელიწადი რომ მონასტერში ცხოვრობდნენ, სულ ხუთი ათასი ფრანკი დაუჯდათ.

ჟან ვალჟანმა ორი ვერცხლის შანდალი ბუხრის თავზე დადგა და მათმა ლაპლაპმა ბებერი ტუსენი აღაფრთოვანა.

ისიც იცოდა უკვე ჟან ვალჟანმა, რომ ჟავერის შიში აღარ უნდა ჰქონოდა. ყური მოჰკრა ვიღაცის ნათქვამს და მერე „მონიტერშიც“ - წაიკითხა, რომ „პოლიციის ინსპექტორი ჟავერი მრეცხავების ფიცარნაგის ქვეშ, შანუისა და ახალი ხიდის შუა, დამხრჩვალი იპოვეს. ამ სრულიად უმწიკვლო და უფროსთაგან პატივცემული მოსამსახურის პატარა მოხსენება, იმ ღამესვე დაწერილი, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ გონება აერია და თავი დაიხრჩო“.

„მართლაც, - ფიქრობდა ჟან ვალჟანი, - შეშლილი უნდა ყოფილიყო უბედური, თორემ ძლივს დამიჭირა და ასე თავისუფლად გამიშვებდა?“

## თავი მეექვსე

### ორი მოხუცი, ორივე თავისებურად ცდილობს, კოზეტი ბედნიერი იყოს

ყველაფერი მოამზადეს, რაც კი საჭირო იყო ქორწილისთვის. ექიმს მოელაპარაკნენ და მისი რჩევის თანახმად, თებერვალში დანიშნეს ჯვრისწერა. დეკემბერი იყო, ნეტარებით სავსე რამდენიმე კვირა გავიდა.

არც ბაბუა იყო მათზე ნაკლებად ბედნიერი. საათობით იდგა და შეხაროდა კოზეტს.

- რა ლამაზია, რა მშვენიერი, - გაიძახოდა აღტაცებული, - გულჩვილი და გულტკბილი. ამგვარი მომხიბლავი ქალი არასოდეს მინახავს. დღეს გახელებული სიყვარულია, ხვალ კი იის სურნელებით ნაპკურ სათნოებად გადაიქცევა. გრაციაა ხორცშესხმული. ამგვარ გულწარმტაც არსებასთან მხოლოდ პატიოსნად, ერთგულად უნდა იცხოვრო. მარიუს, ჩემო ბიჭიკო, ბარონი ხარ, მდიდარი და დავას ნუ დაიწყებ, გემუდარები!

აკლდამიდან უცბად სამოთხეში გადასულიყვნენ კოზეტი და მარიუსი და ტრფიალების მეტი არაფერი აგონდებოდათ. თუმცა მეტისმეტად სწრაფი და მოულოდნელი იყო ეს გადასვლა და განცვიფრებული იქნებოდნენ, ასე აღტაცებული რომ არ ყოფილიყვნენ სიყვარულით.

- ვერაფერი გამიგია, შენ? - ეკითხებოდა მარიუსი კოზეტს.

- მეც. ალბათ, ღმერთი ჩაერია თავისი მადლიანი თვალით.

ჟან ვალჟანმა ყველაფერი მოაგვარა. ერთი შეხედვით ისე მიეჩქარებოდა კოზეტის ბედნიერებისაკენ, როგორც თვით კოზეტს, და ტკბებოდა კოზეტის სიხარულითა და ნეტარებით.

როგორც ყოფილმა მერმა, ადვილად მოახერხა რამდენიმე გარემოების აცილება, რომლის საიდუმლოება მარტო თვითონ იცოდა; ეს იყო კოზეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აღნიშვნა. დაურიდებლად რომ ეთქვა, ვინ იყო კოზეტი, ვინ იცის, იქნებ სულაც ჩაეშალა ეს ქორწინება. მაგრამ ისე მოახერხა, რომ ყოველგვარი დაბრკოლება და უსიამოვნება ააცდინა. მთელი ოჯახი შეუდგინა, ოღონდ სულ მკვდრები იყვნენ ამ ოჯახის წევრები, რომ არავითარი კითხვა არ გასჩენოდა მთავრობის წარმომადგენელს. ერთადერთი კოზეტი იყო იმ გამქრალი ოჯახის შვილი. კოზეტი მისი შვილი კი არა, მეორე ფოშლევანის შვილი იყო. ორნი ძმანი იყვნენ ფოშლევანები, მცირე პიკპიუსის მონასტრის მებაღეები. ამის შესამოწმებლად ცნობები შეკრიბეს იმ მონასტერში და საუკეთესო დახასიათება მიიღეს, საქები და პატივსაცემი. ღვთისნიერ მონაზვნებს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ გამოეძიათ, ვისი შვილი იყო კოზეტი, მით უფრო, რომ საეჭვოს ვერაფერს ხედავდნენ და ერთ-ერთის შვილად მიაჩნდათ; ერთის შვილი იყო, მეორის - ძმისწული. იმათაც ის თქვეს, რაც ჟან ვალჟანს უნდოდა, და თქვეს სიამოვნებით, ფოშლევანების ქებითა და მადლობით. ამ მასალის წყალობით შეადგინეს ოქმი და კოზეტი ქალბატონი ევფრაზი ფოშლევანი გახდა. ობოლი იყო კოზეტი, არც დედა ჰყავდა, არც მამა. ჟან ვალჟანმა ისე მოახერხა, რომ ისიც ფოშლევანად და კოზეტის მზრუნველად იქნა აღნიშნული. მეორე მზრუნველად ბატონი ჟილნორმანი ჩაწერეს.

რაც შეეხება ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას ფრანკს, ეს ფული კოზეტს ერთმა მიცვალებულმა ნათესავმა უანდერძა, რომელმაც უცნობად დარჩენა ისურვა. თავდაპირველად, ეს მემკვიდრეობა ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ფრანკს უდრიდა, მაგრამ ათი ათასი ფრანკი ქალბატონი ევფრაზის აღზრდაზე დაიხარჯა, რომელთაგან ხუთი ათასი პიკპიუსის მონასტერმა მიიღო. ეს მემკვიდრეობა ერთ სანდო კაცს ჰქონდა მინდობილი და კოზეტისთვის უნდა ჩაებარებინა, როდესაც სრულწლოვანი გახდებოდა. ყოველივე ეს სრულიად მისაღები იყო, მით უფრო, რომ თან ნახევარი მილიონი ფრანკი მოჰქონდა. აქა-იქ შეიძლება რაიმე წვრილმანი კითხვას ბადებდა, მაგრამ ამისთვის აღარავის ეცალა, საქმე მარიუსსა და მის ოჯახს

შეეხებოდა; მარიუსს სიყვარული აჰფარებოდა თვალებზე, მის ოჯახს კი ნახევარი მილიონი ფრანკი.

გაიგო კოზეტმა, რომ მისი მამა არ იყო კაცი, რომელსაც ამდენი ხანი მამას ეძახდა. მამა კი არა, ბიძა იყო მისი; სხვა იყო მისი ნამდვილი მამა, სხვა ფოშლევანი. სხვა დროს რომ გაეგო ეს გარემოება, შეაწუხებდა, მაგრამ ისე იყო თავისი ბედნიერებით მოხიბლული, რომ ვეღარას ხედავდა; ესეც პატარა, უმნიშვნელო ჩრდილად მოხვდა მის ნეტარებას და ეს ჩრდილიც მალე დაავიწყა სიყვარულმა. მარიუსი ჰყავდა, ყმაწვილი კაცი ჩრდილავდა ბერიკაცს. ასეა ჩვენი ცხოვრება.

გარდა ამისა, დიდი ხანია, მიეჩვია კოზეტი გამოცანებს თავის ცხოვრებაში. ვისაც საიდუმლოებით სავსე ჰქონია პატარაობა, გულგრილად ხვდება რაიმე საწყენს.

მაინც თავისი არ დაიშალა და ძველებურად მამას უწოდებდა ჟან ვალჟანს.

ბედნიერი იყო კოზეტი და აღტაცებული ბაბუა ჟილნორმანით, რომელიც აღარ ასვენებდა თავისი საჩუქრებითა და ხოტბით. ჟან ვალჟანი წესიერ მოქალაქეობრივ და ეკონომიურ მდგომარეობას უმზადებდა. ბატონი ჟილნორმანი მზითვის კალათს უვსებდა პატარძალს; გულიანად მხოლოდ მაშინ ხარობდა, როდესაც დიდებულად ასაჩუქრებდა. ბელგიური მაქმანის კაბა აჩუქა, თავისი ბებიის ნაქონი. „მოდა ბრუნდება, - ამბობდა ბატონი ჟილნორმანი, - ძველებური აღტაცებას იწვევს. ჩემი სიბერის დროის ყმაწვილი ქალები სწორედ ისე ირთვებიან, როგორც ჩემი პატარაობისას ბებერი ქალები“.

ძველებური კამოდები ჰქონდა, გამობერილუჯრებიანი, კორომანდელური სანდალოზის ხისა, რომლებიც მრავალი წელიწადი იყო, არ გაეღო. კოზეტის დანიშვნა და იმ კამოდების გაღება ერთი იყო. უნდა ვათქმევინო ამ ქვრივებს, რამ გაბერა ასე ძალიანო! - ამბობდა ხუმრობით. კამოდები გატენილი იყო მისი ცოლების, საყვარლების, ბებიების ძველებური, კარგად შენახული ჩინური აბრეშუმით, შტოფვით, ქამხით, ფერად-ფერადი მუარით, ტურული მძიმე აბრეშუმის ლაპლაპა კაბებით, თურქული, ოქრომკედით ნაქარგი შალებით, რეცხვა რომ ფერს არ უცვლის, შალის ქსოვილის თოფვებით, ორივე მხარე - შიდა და უკანა - ერთნაირი რომ ჰქონდა, გენუური და ალანსონური მაქმანებით, ძველებური ოქროს მოსართავებით, ბატალური სცენების გამოსახულებიანი სპილოს ძვლის ბონბონიერებით, სამშვენისებითა და ლენტებით და ყოველივე ამას სულ კოზეტს ჩუქნიდა. აღტაცებული იყო კოზეტი, გაგიჟებული მარიუსის სიყვარულით, გაოცებული ბატონი ჟილნორმანის გულუხვობით და მომავალი ბედნიერება ედგა თვალწინ, სტავრითა და ხავერდით მოსილი. შეხაროდა თავის მზითევს, რომელიც მისი ოცნებით ანგელოზებს ეჭირათ, თვითონ კი მილანური მაქმანის ფრთები შეეესხა და ზეციურ ოცნებაში დაციალებდა.

გახარებული იყვნენ შეყვარებულები და როგორც ვთქვით, არანაკლებ აღტაცებული იყო თვითონ ბატონი ჟილნორმანიც; ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე დაუსრულებელი ლხენა გამეფებულიყო.

გათენდებოდა და ყოველ დილას მზად იყო საჩუქარი კოზეტისათვის. ნაირ-ნაირი საუცხოო სამკაული იშლებოდა მის ირგვლივ.

მარიუსი ბედნიერი იყო, მაგრამ სიამოვნებით ლაპარაკობდა სერიოზულ საკითხებზეც. ერთხელ თქვა:

- რევოლუციის მოღვაწენი იმდენად დიდებულნი არიან, რომ უკვე მოხვეჭილი აქვთ საუკუნეთა თაყვანისცემა, როგორც კატონსა და ფოკიონს. ზეპირად იციან ანტიკური მემუარები.

- ო, ანტიკური მუარი! - შეჰყვირა ბაბუამ, - გმადლობ, ჩემო ბიჭო, შესაფერ სიტყვას ვეძებ და შენ მომაგონე.

მეორე დღეს ძვირფასი მუარის კაბა კიდევ მიემატა კოზეტის საჩუქრებს, ჩაის ვარდის ფერი. ამ ჩვრებზე ბაასის დროსაც ახერხებდა ბაბუა ბრძნული რამ ეთქვა:

- მართალია, კარგია სიყვარული, მაგრამ ამის მიმატებაც არ არის მეტი. კარგია ბედნიერება, მაგრამ უსარგებლოც სჭირდება. ბედნიერება მარტო სასარგებლოთი ვერ კმაყოფილდება. ბედნიერებას საამურით და გასახარით უნდა შეზავება. მომეცით სასახლე და სატრფოს გული, მისი გული და ლუვრი, მისი გული და ვერსალის შადრევნები, ერთი მწყემსი გოგო მომიყვანეთ და ეცადეთ, დიდებული გახდეს, მომიყვანეთ ფილიდა ღიღილოს ყვავილების გვირგვინით, ოღონდ ერთი ასი ათასი ფრანკის შემოსავალიც გამოატანეთ, ბუკოლიკური სურათი გადამიშალეთ თვალუწვდენელი, ოღონდ მარმარილოს სვეტებით იყოს დამშვენებული. დიახ, ბატონო, არც ბუკოლიკურ ცხოვრებას დავიწუნებ, ოღონდ უკლებლად მქონდეს ოქრო და დიბა-ატლასი. ხმელი ბედნიერება გამხმარ პურსა ჰგავს. მას გიახლებით, მაგრამ ეს სადილი როდია. მე თაყვანისმცემელი გახლავართ უსარგებლო, მაგრამ საამო დანამატისა, რომელსაც ვერაფერში გამოიყენებს ადამიანი, მაგრამ თვალს ახარებს და გულს ხიბლავს. მახსოვს, სტრასბურგის ტაძრის საათი ვნახე, სამსართულიანი სახლის სიმაღლის, დროის საჩვენებლად ჩადგმული კოშკში, მაგრამ ისე ჩანდა, რომ სულ სხვა რამისთვის შექმნეს, - შუადღეზე ან შუაღამისას რომ ჩამოჰკრავდა, შუადღეს - მზის საათს, შუაღამეს - სიყვარულისას, ან დღე-ღამის ნებისმიერ დროს, თან მთვარესა და ვარსკვლავებს, ზღვასა და ხმელეთს, თევზებსა და ფრინველებს, ფეხუსსა და ფეხეს და ათას სხვა რამესაც გიჩვენებდა; ეს ყველაფერი ნიშიდან გამოდიოდა. აქ იყვნენ თორმეტი მოციქულიც და იმპერატორი კარლ V-ც, ეპონინიც და საბინუსიც და კიდევ მოოქრული კაცუნების მთელი ხროვა, საყვირებზე რომ უკრავდნენ. ახლა ზარების საუცხოო რეკვას არ იკითხავთ, რომელიც დროდადრო გაისმოდა. კაცმა არ იცის, რა მიზეზით? ამის შემდეგ რატომ უნდა მომწონდეს საბრალო შიშველი ციფერბლატი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წუთებს ითვლის? მე სტრასბურგის საათის თაყვანისმცემელი გახლავართ, შვარცვალდის გუგულს მას ვამჯობინებ.

სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოეწყო დიდებული ქორწილი და მის ნათქვამში ცხადად იხატებოდა XVIII საუკუნის ჩვეულებანი:

- ქორწილი დიდებული უნდა, თქვენ კი ამის რა იცით. მხიარული ნეტარების დღე უნდა იყოს ქორწილი და თქვენ კი ვალდებულების ასრულების მეტი არაფერი გახსოვთ. უძლური გახლავთ თქვენი XIX საუკუნე, გაქანება აკლია. აღარც მდიდარი იცის, აღარც დიდებული. გარანდულ-გაშანდაკებულია ყველაფერში. უგემოვნოა თქვენი მესამე წოდება, უფერული, უსურნელებო, უფორმო. თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოების ქალის ოცნებაა, რომ გათხოვდება, ჰქონდეს ერთი პატარა, ლამაზად მოწყობილი ოთახი, პალისანდრისა და კოლენკორის ავეჯით. აბა, განი! ბატონი უნიფხვო ქალბატონ წუწურაქს ირთავს! ბრწყინვალებაა და ფუფუნება! ერთი ოქრო მიაკრეს წმინდა სანთელს! მეტი რა გნებავთ? რა დროს შევესწარით! რომ

შეიძლებოდეს, გადავიკარგებოდი სადმე, სარმატებს იქით. ეჰ, 1787 წელს ვიწინასწარმეტყველე, რომ ქვეყანა იმ დღეს დაიღუპა, როდესაც ჰერცოგი დე როგანი, ლეონის პრინცი, ჰერცოგი დე შაბო, ჰერცოგი დე მონბაზონი, მარკიზი დე სუბიზი, გრაფი დე ტუარი, საფრანგეთის პერი, ორთვალით წავიდნენ ლონშანში, დოღზე. ჰოდა, ამან ნაყოფი გამოიღო. დღეს მხოლოდ ფულშია დიდება! საქმედ მარტო ის მიაჩნიათ, რაც ფულს შესძენთ; დღევანდელი ცხოვრება ბირჟაზე ფულის მოგება და კრიჟანგობაა. გარეგნულად ბრწყინვალეა დღეს ადამიანი, გასაპნული, გაბანილი, გაწმენდილი, გაფხეკილი, დავარცხნილი, გაპარსული, ცვილწასმული, რიყის ქვასავით გათლილი და გარანდული და იმავე დროს, - ჩემი საყვარლების უმანკოებას ვფიცავ! - გულში ისეთი სიბინძურე, ისეთი კლოაკა, რომ შორს გაექცევა მწყემსი დედაკაცი, რომელიც ცხვირს ხელით იხოცავს. თუ დროსაც უნდა ჰქონდეს თავისი დევიზი, ორ სიტყვას ვიხმარებდი ჩვენი დროის დევიზად - „ბინძური სისუფთავე“! აჰ, არ გაჯავრდე, ჩემო მარიუს! მოდი, ჩემიც მათქმევინე. ხომ ხედავ, მე ხალხს არ ვეხები, არც ვემდური, მაგრამ ბურჟუაზიას რომ მათრახი არ გადავკრა, ეგ კი არ შემიძლია. მეც ამნაირი ვარ. ვინც ძალიან მიყვარს, მას ვცემ. ჰოდა, გულახდილად მოგახსენებთ, რომ დღეს ქორწინდება კაცი და ქორწინებისა კი არაფერი გაეგება. ოჰ, როგორ მივტირი უწინდელ ზნე-ჩვეულებებს! უწინდელი ყველაფერი დასანანია: ის კოხტაობა, ის რაინდობა, ის თავაზიანი ზრდილობა, მხიარული დროს ტარება, ქორწილის მუსიკა: სიმფონია მაღალ ფენებში და დოლი და თამაში ქვევით, მოხდენილი ცეკვა, უხვად გაშლილი სუფრა, მხიარული, შექეიფიანებული სტუმრები, თავსატეხი გამოცანებისა და ლექსების პაექრობა, ალალი სიხარული, ჩირაღდნები და მაშხალები, ხუმრობა, ოხუნჯობა, უზარმაზარი ფურგონები და დიდრონი ბაფთები. რა დიდი რამ იყო, რომ იცოდეთ, პატარძლის წვივსაკრავი. პატარძლის წვივსაკრავი დობილია ვენერას სარტყელისა. რაზე ატყდა ტროის ომი? ვფიცავ, ელენეს წვივსაკრავისთვის. რად იბრძვის ადამიანი, რად დაამტვრია თავზე ღვთაებრივმა დიომედემ მერიონესს სპილენძის ჩაჩქანი? რად ებრძვიან ერთმანეთს აქილევსი და ჰექტორი? იმიტომ, რომ ელენემ პარისს დაუთმო თავისი წვივსაკრავი. ჰომეროსს რომ ენახა კოზეტის წვივსაკრავი, „ილიადას“ შექმნიდა, თავის პოემაში ერთ ჩემსავით ბებერ ყბედს დაგვიხატავდა და სახელად ნესტორს უწოდებდა. დიახ, ჩემო მეგობრებო, უწინდელ დროში, იმ ბედნიერ, ტკბილ უწინდელ დროში, ღირსეულად იცოდნენ ქორწინება. ჯერ ერთ კარგ პირობის წერილს შეადგენდნენ, მერე ერთ კარგ სუფრას გაშლიდნენ და ძალიანაც წაიქეიფებდნენ. როგორც კი გაბრძანდებოდა კანონიერების კიუჟასი, შემოვარდებოდა მოქეიფე კამაჩო და „ჰა, სუფრა გაშლილია?“ - ყვიროდა. ნურც ძალიან იუცხოებთ. კუჭი, ბატონებო, საამო ცხოველი გახლავთ, რომელიც ყოველთვის მოითხოვს თავისას და ქორწილით დატკბობაც ძალიან უყვარს. კარგი სუფრა, კარგი ლხინი, გვერდზე კარგი ლამაზი ქალი, რომელსაც მონაზონივით არ ჰქონდა გული შეკრული და ზომიერად გატკბობდათ თავისი გულ-მკერდით, სიცილი, ხარხარი და უსაზღვრო მხიარულება; ყმაწვილკაცობა ნამდვილ თაიგულს წარმოადგენდა. ყველას ამკობდა იასამნის აყვავებული ტოტი, თაიგული ვარდ-ყვავილისა; მხედარიც რომ ყოფილიყო, იქ მწყემსად ხდებოდა. კაპიტანი რომ ყოფილიყო დრაგუნებისა, იქ მჭევრმეტყველ მეიგავე ფლორიანად გადაიქცეოდა; ყველა ცდილობდა ლამაზი, მოხდენილი ყოფილიყო; ტანსაცმელს იქარგავდნენ ქორწილისთვის, თავს იმშვენებდნენ, ილამაზებდნენ. ბურჟუისთვის რომ შეგეხედათ,

იტყოდით, ვარდიაო, მარკიზი კი თვალ-მარგალიტად გეჩვენებოდათ. მაშინ არც ყელიანი წაღები ვიცოდით, არც საკოჭურები. კოხტად ეცვა ყველას. ყველა მხიარულობდა, მღეროდა, ცეკვავდა, ეტრფოდა, თრთოდა და ლხინი სრულიად არავის უშლიდა ხელს, რომ წელზე ხმალი ჰქონოდათ შემორტყმული. პატარა რამ არის ჩიტი კოლიბრი, მაგრამ მასაც აქვს ნისკარტი და კლანჭი. ზრდილიც იყო ჩვენი დრო და ძლიერიც, მშვენიერიც და მხიარულიც. მერწმუნეთ, ძალიან მხიარულად ვატარებდით დროს, დღეს კი მეტად დარბაისლად იქცევა ყველა. ბურჟუა მამაკაცი კრიჟანგია, ბურჟუა ქალი - ფრთხილი. ბედუკუღმართია თქვენი დროება! დღეს რომ გრაციები ყოფილიყვნენ, განდევნიდით, აგრე რად გიჩანთ გულ-მკერდიო! უბედურებაც ის არის თქვენი, რომ ისე ფარავთ მშვენიერებას, როგორც სიმახინჯეს. რევოლუციამ ყველას შარვალი ჩააცვა, მოცეკვავე ქალებსაც კი; მასხარა გოგოც კი დარბაისელი უნდა იყოს; თქვენი საცეკვაო სიმღერაც ჭკუის სასწავლებელია. თქვენ დროს გაბღინძული უნდა იყოს კაცი და დიდი უბედურია, ვისაც იმხელა ყელსახვევი არა აქვს, რომ შიგ ჩაიმალოს ნიკაპი. ოცი წლის ბიჭი რომ ცოლს ირთავს, სულ იმას ცდილობს, ბატონ რუაიე-კოლარს დაემსგავსოს. და იცით, სად მიჰყავხართ ამ დარბაისლობით გატაცებას? დაკნინებისაკენ. ეს იცოდეთ და ნუღარ დაგავიწყდებათ. სიხარული მარტო მხიარულება კი არ არის, იგი დიადიც არის. ჰოდა, დატკბით სიყვარულით, გამხიარულდით, ცას დაეწიეთ, დაივიწყეთ ყოველი ჭირ-ვარამი. ცოლს რომ ირთავთ, გაგიჟებით შეირთეთ, აღტაცებითა და ნეტარების ხმამაღალი ყიჟინით. დარბაისლობა საყდარშიაც კმარა; მაგრამ როგორც კი გამოხვალთ ეკლესიიდან, მხიარულ ტკბილ სიზმარში ჩააგდეთ თქვენი დედოფალი. ქორწილი დიდებული უნდა იყოს და თან ქიმერული და მაყრიანი, რეიმსის ტაძარში დაიწყოს და შანტელუს პაგოდაში გათავდეს. ქორწილი და დაფიქრებული, მოღუშული? ნეფე-დედოფალი ხართ, არა? ამ დღეს მაინც ადით ოლიმპზე, გახდით ღმერთები! შეგიძლიათ სილფები იყოთ, მხიარულებისა და ნეტარების განხორციელება, არგირასპიდები, მაგრამ ქვემძრომი კი არა! ეს იცოდეთ, ბატონებო, ჯვარს რომ დაიწერს ბიჭი, მეფე ხდება, დიდებული ალდობრანდინი. თქვენც ისარგებლეთ იმ წუთით მეფობისა, რომელსაც ერთხელ მოგანიჭებთ კეთილი ბედი და გედებსა და არწივებთან ერთად ზეცას აფრინდით, თუნდ იცოდეთ, რომ ხვალ ბურჟუაზიის ბაყაყების ჭაობში გაიღებთ ტყაპანს. ქორწილს ხელის მოჭერა და ყაირათი არ უხდება; ნუ ჩამოაჭრით თავის დიდებას, წუწურაქობა არ დაიწყოთ იმ დღეს, როდესაც მეფე ხართ და მზესავით ბრწყინავთ. ქორწილი ოჯახი როდია. მე რომ ჩემებურად მომეწყო, მაშინ ნახავდით, რა იყო უწინდელი დრო. უცბად ხეებში ტკბილი ვიოლინო აკვნესდებოდა. აი, ჩემი პროგრამა: ცის ლაჟვარდისფერი და ვერცხლი. მე ქორწილს შემოვუერთებდი უწინდელ ღვთაებებს, ტრიადებს, ნერეიდებს, ამფიტრიტეს ქორწილს გავაჩაღებდი ვარდისფერი ღრუბლებით, კოხტად თმადავარცხნილი შიშველი ნიმფებით, ერთი აკადემიკოსით, რომ ლექსით მიმართოს ღვთაებას და ზღვის ვეშაპებით მიმავალ დიდებულ ეტლს.

ზღვის ნიჟარაზე მჯდარი ტრიტონი
საყვირს უკრავდა,
ისე უკრავდა, დატყვევებული
სულყველა ჰყავდა.

აი, ჩემი ქორწილის პროგრამა და ამაზე უკეთესს ვერას იტყვით, თუ მართლა ჩერჩეტად არ მთვლით.

და მანამ ბაბუა ტკბებოდა მჭევრმეტყველი ლირიზმით წარმოთქმული სიტყვით, კოზეტი და მარიუსი ერთმანეთს შეხაროდნენ და ტრფობით თვრებოდნენ.

დეიდა ჟილნორმანი ურყევი სიმშვიდით შეჰყურებდა ამ სანახაობას. ხუთი თუ ექვსი თვე იყო, დიდი მღელვარება გადაიტანა საბრალო ქალმა: მარიუსის დაბრუნება,მ დაჭრილი მარიუსის მოყვანა, მარიუსის ბარიკადზე ბრძოლა აჯანყებულებთან ერთად, მარიუსის სიკვდილი, მერე გაცოცხლება. მარიუსის ბაბუასთან შერიგება, მარიუსის ვიღაც ღარიბ გოგოზე დანიშვნა, მარიუსის დანიშნულის მილიონერად გამოცხადება! ეს ექვსასი ათასი ფრანკი იყო, რომ ასე მოულოდნელად მოხვდა გულში, მერე კი ისევ ის უყურადღებობა მოერია ყველაფრისადმი, რასაც განიცდის ყმაწვილი ქალი, პირველი ზიარებისთვის რომ ემზადება, - წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა, კრიალოსანს მარცვლავდა, თავის ლოცვანს კითხულობდა, სადმე მიკუნჭული ავე-ს ჩურჩულებდა იმ დროს, როდესაც კოზეტი და მარიუსი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: I ლოვე ყოუ! ჩრდილებად ეჩვენებოდა კოზეტი და მარიუსი, ჩრდილი კიდევ თვით ის იყო.

არსებობს უმოქმედო ასკეტიზმის ერთგვარი სახეობა, - მიწისძვრისა და სხვა კატასტროფების გამოკლებით, - როცა გაშტერებულ-გაქვავებული სული, ყველა იმისადმი გულგრილი, რასაც კი შეიძლება ცხოველმოქმედება ვუწოდოთ, არანაირ შთაბეჭდილებას არ აღიქვამს, არც სასიხარულოსა და არც სამწუხაროს.

ხშირად ეტყოდა ხოლმე ბატონი ჟილნორმანი თავის ქალიშვილს:

- ეგ შენი ღვთისმოსაობა, შვილო, სურდოა და სხვა არაფერი. შენ ჩვენი ცხოვრების სურნელებისა არაფერი გაგეგება, ცუდ სუნს ერიდები, მაგრამ კარგსაც ვერ გრძნობ.

ქალბატონ ჟილნორმანზე ექვსასი ათასმა ფრანკმაც იქონია გავლენა და მიუღებელი მიაღებინა. ბატონი ჟილნორმანი ჩვეულებრივ არაფერს ეკითხებოდა თავის ქალიშდვილს და არც მარიუსის დანიშვნისა და ქორწილის შესახებ უთქვამს რამე. თავისებურად მოიქცა აქაც, აჩქარებით და ერთადერთ განზრახვითღა ხელმძღვანელობდა, - მარიუსის გულის მოგება უნდოდა. აქამდე ტირანი უცბად ყურმოჭრილ მონად გადაიქცა. არც კი მოჰგონებია, რომ მის გარდა დეიდაც არსებობდა, რომ შეიძლებოდა დეიდას სხვა აზრი ჰქონდოდა; და თუმცა დეიდა ბატკანივით მორჩილი იყო, მაინც ეწყინა; გაჯავრებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა უკმაყოფილებას. ფიქრობდა, მამაჩემმა უჩემოდ გადაწყვიტა მარიუსის დაქორწინება; მაშ, მეც უიმისოდ გადავწყვეტ ჩემი ქონების მემკვიდრის დასახელებასო და მართლაც, იგი იყო მდიდარი და არა მამა; გადაწყვეტილი ჰქონდა და ჩუმად იყო. კოზეტი რომ უმზითვო ყოფილიყო, ცხადია, თავისას არაფერს მისცემდა; ახია სულელ დისწულზე! ღარიბ გოგოს ირთავს, მაშ, თვითონაც ღარიბად დარჩეს! მაგრამ კოზეტის ექვსასმა ათასმა ბებერ დეიდას გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ფულსაც პატივს უნდა ვცემდეთ, რაღა თქმა უნდა, და რაკი ფულის ყადრი სცოდნია მარიუსს და აღარც უჭირს, მაშ, დეიდის ქონების მემკვიდრეც ის იყოსო.

ისიც დაადგინეს, რომ ჯვარდაწერილები ბატონ ჟილნორმანთან დასახლდებოდნენ. დაიჟინა ბაბუამ, ამ სახლში ყველაზე კარგი ჩემი ოთახია და იქ დავაბინაოთყ მარიუსი და კოზეტი. ეს დამიბრუნებს ახალგაზრდობას, დიდი ხანია ეს მინდოდა, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ნეფე-დედოფლისათვის დამეთმო ჩემი

ოთახიო. საუცხოოდაც მორთო ოთახი, სულ იქ დააწყო, რაც კი რამ კოხტა სამშვენისი მოეპოვებოდა. ჭერი მოახატვინა, კედლებზე კი გააკვრევინა ძვირფასი ქსოვილი, რომელიც თავის კამოდში ჰქონდა შენახული და უტრეხტულად მიაჩნდა; ოქროსფერ ატლასზე ხავერდოვანი ფურისულები იყო ამოქარგული. სწორედ ამნაირი ატლასით იყო გაწყობილი ჰერცოგ დ' ანვილის მეუღლის საწოლი ლაროშ-გიონშიო, - ამბობდა თავმოწონებით ბატონი ჟილნორმანი. ბუხრის თავზე საქსონური ფაიფურის პატარა სტატუეტი დაადგმევინა, - ქალის ფიგურა, რომელიც სიშიშვლეს ხელსათბურით მალავს.

ბატონი ჟილნორმანის ბიბლიოთეკა მარიუსის კაბინეტი გახდა, რადგან თანახმად დებულებისა, ადვოკატს უთუოდ უნდა ჰქონოდა ცალკე სამუშაო ოთახი.

## თავი მეშვიდე
## ავი სიზმრების ჩარევა ბედნიერებაში

კოზეტი და მარიუსი ყოველდღე ხედავდნენ ერთმანეთს, - კოზეტი და ბატონი ფოშლევანი მიდიოდნენ მარიუსთან.

- აღარც სირცხვილი, აღარც მორიდება, - გაიძახოდა ბებერი დეიდა, - პატიოსანი ქალი ვიყო და მე თვითონ დავდიოდე ჩემს დანიშნულთან?

მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ავად იყო დანიშნული და მისი ავადმყოფობა ამართლებდა კოზეტს. კიდეც გამოკეთდა მარიუსი, მაგრამ ჩვეულება გამაგრებულიყო და უცვლელად რჩებოდა, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ფილ-დე-კალვერის ქუჩის სავარძლები უფრო მეტ განცხრომას აძლევდა დანიშნულთ ტრფობას, ვიდრე ლ'ომ-არმეს ჩალის სკამები. ყოველდღე ერთად იყვნენ მარიუსი და ბატონი ფოშლევანი, მაგრამ ერთმანეთს იშვიათად ელაპარაკებოდნენ, თითქოს შეთანხმებულანო. გასათხოვარ ქალს ყოველთვის სჭირდება გამყოლი და კოზეტსაც ყოველთვის თან ჰყავდა ბატონი ფოშლევანი. მარიუსისთვის ბატონი ფოშლევანი აუცილებელი დამატება იყო, ურომლისოდ კოზეტის ნახვაც შეუძლებელი იქნებოდა, და რა გაეწყობოდა, ამ დამატებასაც ურიგდებოდა. ერთხელ ბაასი ჩამოვარდა მთავრობის პოლიტიკის შესახებ; რა ღონისძიებანი იყო სასურველი, რომ გაუმჯობესებულიყო ხალხის მდგომარეობა და ამ ბაასში ცოტა რამ მეტი თქვეს, ვიდრე ჩვეულებრივი „დიახ" და „არა". ერთხელ კიდევ ხალხის განათლებაზე ჩამოვარდა სიტყვა; მარიუსის აზრით, ხალხის განათლება სავალდებულო და უსასყიდლო უნდა ყოფილიყო, ყოველმხრივი და ყოველგვარი საშუალებით მიმზიდველი, ყველასთვის ადვილად მისაწვდომი, როგორც მზე და ჰაერი; ერთი სიტყვით, ხალხის აუცილებელ კუთვნილებად გარდაქმნილი. ამ ბაასში მარიუსის და ბატონი ფოშლევანის სრული საუბარი იყო. მარიუსს შთაბეჭდილება დარჩა, რომ ბატონი ფოშლევანი კარგად ლაპარაკობდა, განვითარებული კაცის ენით, ოღონდ რაღაც აკლდა, საზოგადოებაში ნამყოფს არ ჰგავდა, თუმცა გაცილებით უკეთ ასაბუთებდა თავის აზრს, ვიდრე საზოგადოების უმრავლესობა.

მრავალი უთქმელი კითხვა უტრიალებდა გულში მარიუსს ბატონი ფოშლევანის შესახებ, რომელიც ზრდილობიანად, მაგრამ გულცივად ექცეოდა; ხანდახან, წარსული რომ მოაგონდებოდა, ეჭვი გაუჩნდებოდა ხოლმე. მის მეხსიერებაში შავით დაფარული ერთი ორმო არსებობდა, ერთი ჯურღმული ოთხი თვის ავადმყოფობით გაჩენილი.

ბევრი რამ ჩავარდნილიყო იმ ჯურღმულში. ხანდახან ეჭვი ერეოდა და თავს ეკითხებოდა, ნუთუ მართლა ბატონი ფოშლეევანი იყო ბარიკადზე? როგორ წარმოვიდგინო, რომ ეს მოხუცი, დარბაისელი, წყნარი კაცი იქ იყოო?

ამ კითხვასთან ერთად სხვაც ბევრი აწუხებდა. წარსულის სურათები წარმოუდგებოდა ხან მკრთალად, ხან ისე ცხადად, თითქოს ხელახლა განიცდისო. ან როგორ შეიძლება მთლად დაივიწყო, განდევნო მეხსიერებიდან ის საშინელება, რომელიც გაიძულებს, სევდით გაიხსენო წარსული თვით სრული ბედნიერებისა და კმაყოფილების ჟამს? გამქრალ ჰორიზონტს რომ თვალს აარიდებს კაცი, აღარც ფიქრი შერჩება, აღარც სიყვარული. ხანდახან მარიუსი ხელებს აიფარებდა სახეზე და თვალწინ წარმოუდგებოდა ის საშინელი დრო, როდესაც თავგანწირვით იწევდა სიკვდილისაკენ. თვალწინ ედგა ბარიკადი. მაბეფის სიკვდილი, მომღერალი გავროში ვაზნებს რომ აგროვებდა ზარბაზნის სროლაში; თავის ტუჩზე გრძნობდა ეპონინის გაცივებულ შუბლს. ხედავდა ანჟოლრასს, კურფეირაკს, ჟან პრუვერს, კომბეფერს, ბოსუეს, გრანტერს. თვალწინ გამოეჭიმებოდნენ ხოლმე უცბად თავისი ამხანაგები და უცბადვე გაქრებოდნენ. ნუთუ სიზმარი იყო მისი წარსული? ნუთუ სიზმარში ნახა ეს საყვარელი, პატიოსანი, თავგანწირული არსებანი? ნუთუ მართლა იყვნენ და აღარ არიან? აჯანყებამ ყველაფერი წალეკა, ზარბაზნის კვამლში გაახვია. ამ დროს მარიუსი ისე იყო, თითქოს დიდი სიცხე აქვს და ვეღარ უძლებსო. დიდმა სიცხემ ზმანებაც იცის. თავის თავს ეკითხებოდა, იგონებდა, თავბრუ ესხმოდა, მიწისპირიდან ასე საშინლად აღგვილ წარსულს რომ წარმოიდგენდა. მაშ, აღარ არიან? დაიხოცნენ? ნუთუ მართლა დაიხოცნენ? ერთი ნაბიჯი ბნელში და ამდენი ხალხის სიკვდილი? ყველანი დაიხოცნენ, მისი, მარიუსის გარდა! ხანდახან ისე მკრთალად ეჩვენებოდა ყოველივე ეს, თითქოს თეატრში ჩამოუშვეს ფარდა და სცენა დამალესო. ზოგჯერ ცხოვრებაშიაც ეშვება ხოლმე ამგვარი ფარდა.

მერე თვითონ? განა დღესაც ივიგე იყო? ღარიბი იყო, დღეს მდიდარია; მარტოდმარტო იყო, დღეს ოჯახი აქვს; იმედმიხდილი იყო, დღეს კოზეტს ირთავდა. წარმოუდგებოდა ხოლმე, სამარეში იყო და იქიდან გამოვიდა. შავი იყო, რომ შევიდა და იქიდან კი გათეთრებული გამოვიდა, სხვები კი იქ დარჩნენ. ამგვარი ფიქრების დროს გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე წარსულის აჩრდილები და გულს უღონებდნენ. ერთადერთი წამალი იცოდა გულსაკლავი მოგონებების ასაცილებლად, - კოზეტს გაიხსენებდა და მწუხარებას ჩამოიშორებდა. ამ ნეტარების გახსენება იყო საჭირო, რომ დაევიწყებინა წარსულის საშინელება.

ხანდახან ფოშლეევანიც დახოცილთა რიცხვში ჰყავდა. ვერა და ვერ წარმოედგინა მარიუსს, რომ ახლანდელი ფოშლეევანი ის კაცი იყო, რომელიც ბარიკადზე შველოდა, ახლა კი მარიუსთან იყო და გვერდით უჯდა კოზეტს. არა, ბარიკადელი ფოშლეევანი მოჩვენება უნდა ყოფილიყო, ავადმყოფობის დროს სიცხით აღძრული და მერე გამქრალი. ამ ბნელის განათებაც ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც ისე ერიდებოდნენ ორივენი ერთმანეთთან დაახლოებას, რომ შეუძლებლად მიაჩნდათ რაიმე კითხვის დასმა. მარიუსიც არაფერს ეკითხებოდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ეს დამახასიათებელი წვრილმანი.

ორ კაცს რომ ერთი და ივიგე საიდუმლოება აწუხებდეს და რაღაც უსიტყვო შეთანხმებით ერთმანეთს არაფერს ჰკითხავდნენ, ეს უფრო ხშირია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ერთხელ იყო მხოლოდ, რომ მარიუსმა სცადა, შანვრერის ქუჩა ახსენა და ბატონ ფოშლევანს მიუბრუნდა:

- თქვენ უნდა იცნობდეთ ამ ქუჩას?

- რა ქუჩას?

- შანვრერის ქუჩას.

- სახელიც კი არსად გამიგონია, - მიუგო სრულიად ბუნებრივი კილოთი ბატონმა ფოშლევანმა.

პასუხი ქუჩის სახელს შეეხებოდა და არა თვით ქუჩას და უფრო დამაკმაყოფილებლად ეჩვენა მარიუსს, ვიდრე ნამდვილად იყო.

- არა, - იძახდა გულში მარიუსი, - ალბათ, მომელანდა. ვიღაც სხვა იყო ბარიკადზე და ძალიან ჰგავდა ამას. ბატონი ფოშლევანი იქ არ ყოფილა.

## თავი მერვე
## ორი კაცი, რომელთა პოვნა შეუძლებელია

მარიუსი სიყვარულით იყო თავბრუდახვეული, მაგრამ ნელ-ნელა სხვა საქმეებიც აგონდებოდა.

საქორწილოდ რომ ემზადებოდნენ და ჯერ დღე არც კი დაენიშნათ, მან რამდენიმე კაცს დაავალა ზოგი საქმის გამოძიება.

რამდენიმე კითხვა ჰქონდა გამოსარკვევი; ჯერ მამის გამო იყო მაღლიერი და მერე თავის გამო.

ერთი მხრივ იყო ტენარდიე, მეორე მხრივ კი, ვიღაც უცნობი, რომელმაც ბატონ ჟილნორმანს დაჭრილი მარიუსი მიუყვანა.

მარიუსს ძალიან უნდოდა ამ ორი კაცის პოვნა; ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ჯვარი დაეწერა, ბედნიერი ყოფილიყო და ისინი კი დავიწყებოდა; ეშინოდა, რომ გადაუხდელი ვალი ჩრდილს მიაყენებდა მის შუქმფინარ მომავალ ნეტარებას. შეუძლებლად მიაჩნდა გამოურკვევლად დაეტოვებინა ეს გარემოებანი, თვით თავის გზას დასდგომოდა და ისინი უკან დაეყარა; ცდილობდა, ჯერ წარსულს გასწორებოდა, სანამ სიხარულით მომავლისკენ იზამდა პირს.

საზარელი რამ იყო ტენარდიე, მაგრამ ეს არაფრით ამცირებდა მის ღვაწლს, სიკვდილს რომ ხელიდან გამოჰგლიჯა პოლკოვნიკი პონმერსი. ტენარდიე ავაზაკი იყო მთელი ქვეყნისთვის და მარიუსისთვის კი არა.

მარიუსმა არ იცოდა, რაღა თქმა არის საჭირო, რაც ნამდვილად მოხდა ვატერლოოს ბრძოლის ველზე; არ იცოდა, რომ ტენარდიესი არაფერი ემართა მის მიცვალებულ მამას, თუმცა სიკვდილს კი ამ მაროდიორის წყალობით გადარჩა.

რამდენიმე კაცი ეძებდა ტენარდიეს, მაგრამ კვალსაც ვერსად მიაგნეს. ეტყობოდა, აღარ იყო. ტენარდიეს ცოლი საპატიმროში მოკვდა, სანამ გამოძიება მიმდინარეობდა. ტენარდიე და მისი ქალიშვილი, აზელმა, - ეს ორნი გადარჩენილიყვნენ იმ უბედური ოჯახიდან, და ან აღარ იყვნენ, ან სადმე იმალებოდნენ. საზოგადოების ლექის ჯურღმულმა შთანთქა, ალბათ, მამაც და შვილიც. ჯურღმულის თავზე აღარც ჭავლი ჩანდა, აღარც კონცენტრული რგოლები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ რაღაც ჩავარდა სწორედ იმ ადგილას და საჭიროა იქ ძებნა.

ტენარდიეს ცოლი მოკვდა, ბულატრუელი გაამართლეს და გაუშვეს, კლაკსუ სადღაც გაიპარა, უმთავრესი ბრალდებულნი როგორღაც გაქრნენ ციხიდან და გორბოს სახლში მოწყობილი ხაფანგის საქმეც თითქმის მოისპო. სასამართლოს წინაშე წარდგნენ საქმეში ოდნავ ჩარეული პანშო, პრენტანიეს რომ ეძახდნენ, ან კიდევ ბიგრნაილს, და ორგ-ლიარი, ორმილიარდას რომ ეძახდნენ, რომლებსაც ათი წლის კატორღა მიუსაჯეს. მათ მიმალულ თანამოსაქმეებს დაუსწრებლად უვადო კატორღა მიუსაჯეს, ტენარდიეს, ამ საქმის მომწყობსა და მეთაურს, სიკვდილით დასჯა. ამის მეტი არაფერი დარჩენილიყო ამ კაცისა, ამ სასჯელის მეტი, რომელიც ისე ამშვენებდა მის სახელს, როგორც ანთებული სანთელი მიცვალებულსა და მის კუბოს.

სიკვდილის განაჩენმა აიძულა ისეთ სიღრმეში ჩამალულიყო, რომ შეუძლებელი გახდა მისი დაჭერა.

რაც შეეხება მეორეს, რაც შეეხება იმ უცნობს, რომელმაც ბარიკადიდან გააპარა დაჭრილი მარიუსი, თავდაპირველად თითქოს რაღაც კვალი იპოვეს მისი, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ეტლი იპოვეს, რომლითაც ბატონ ჟილნორმანთან მიიყვანეს გულწასული მარიუსი 6 ივნისის ღამეს. მეეტლემ გამოაცხადა, რომ 6 ივნისს, თანახმად პოლიციის ერთი მოხელის ბრძანებისა, ნაშუადღევის სამი საათიდან სრულ დაღამებამდე უძრავად იდგა ელისეს მინდვრების სანაპიროზე სწორედ მთავარი წყალსადინარის გამოსასვლელთან; რომ საღამოს ცხრა საათზე ცხაური გაიღო, იქიდან ერთი კაცი გამოვიდა და გამოიყვანა ხელში აყვანილი ჭაბუკი, რომელიც მკვდარს ჰგავდა; პოლიციის მოხელეც იქვე იდგა და, ეტყობოდა, მათ ელოდა; გამოვიდნენ თუ არა, მაშინვე დაიჭირა ცოცხალი და ხელი დაადო მკვდარს. მერე იმავე პოლიციელის ბრძანებით თავის ეტლში ჩასვა „იმოდენა ხალხი“, ჯერ ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე მიიყვანა და იქ დატოვეს მკვდარი კაცი. ის მკვდარი კაცი ბატონი მარიუსი იყო, რომელიც მეეტლემ ძალიან კარგად იცნო, თუმცა „იმხანად“ მკვდარი არ იყო. მერე ისევ ეტლში ჩასხდნენ; ძალიანაც გაშოლტა თავისი დაქანცული ცხენები და არქივის ჭიშკართან გააჩერებინეს; იქვე ქუჩაში მისცეს, რაც ერგებოდა და პოლიციელმა სადღაც წაიყვანა მეორე კაცი. ამის მეტი არაფერი იცოდა მეეტლემ, ღამეც მეტად ბნელი იყო.

თვითონ მარიუსს, როგორც უკვე ვთქვით, აღარაფერი ახსოვდა. ახსოვდა მხოლოდ ის, რომ ბარიკადზე დაბარბაცდა, ის იყო, უნდა წაქცეულიყო, რომ ამ დროს ვიღაცამ ძლიერი ხელი მიაშველა. ეს იყო და ეს. სხვა არაფერი ახსოვდა. მოსულიერდა მარტო მაშინ, როდესაც ბატონი ჟილნორმანის სახლში მიიყვანეს.

ფიქრობდა და ვერ გაეგო, ვინ უნდა ყოფილიყო მისი მხსნელი.

თავისი თავის იგივეობაში ხომ ეჭვი არ ექნებოდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, როგორ მოხდა, რომ შანვრერის ქუჩაზე დაცემული დაჭრილი პოლიციელმა სენის პირას დაიჭირა, ინვალიდების ხიდთან? მაშ, ვიღაც იყო, რომ ბაზრის უბნიდან ელისეს მინდვრებამდე მოიყვანა დაჭრილი. მაგრამ როგორ? ნუთუ წყალსადინრით? მერე ვინ უნდა ყოფილიყო ასე თავგანწირული?

ვიღაც იყო, მაგრამ ვინ იყო, ვინ?

ამ კაცს დაეძებდა მარიუსი.

არავითარი კვალი ამ კაცისა, მისი მხსნელისა, არავითარი ნიშანი!

იქამდე მივიდა მარიუსი, რომ პოლიციასაც მიმართა ამ კაცის პოვნის სურვილით, თუმცა დიდი სიფრთხილე მართებდა, რომ სასამართლოს ხელში არ ჩავარდნილიყო.

იქაც, როგორც სხვაგან, არაფერი მისცა შეკრებილმა ცნობებმა. პოლიციამ უფრო ნაკლები იცოდა, ვიდრე მეეტლემ. პოლიციამ არაფერი იცოდა 6 ივნისს პოლიციელის მიერ დაჭერილი კაცისა, რომელიც ვითომ მთავარი წყალსადინრიდან გამომძვრალიყო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, პოლიციაში ამ კაცის დამჭერი მოხელის მოხსენება იქნებოდა... პოლიციის აზრით, ზღაპარი იყო ეს ცნობა. ამგვარი არაფერი მომხდარიყო და ვერც მოხდებოდა; მეეტლის მოგონილი უნდა ყოფილიყო ეს ზღაპარი. მეეტლეს საჩუქრის იმედით მოუგონებია ყველაფერი, მარიუსისათვის კი სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა მეეტლის ზღაპარი და როგორც თავისი ვინაობის ეჭვი არ ჰქონდა, ისე ამ ნაამბობის სიმართლისა.

უცნაური გამოცანა იყო, გამოურკვეველი.

რა მოუვიდა, სად მიიმალა ის იდუმალი კაცი, რომელიც მეეტლემ დაინახა, დიდი მილიდან რომ გამოვიდა და ხელში აყვანილი გამოიყვანა მარიუსი? რა უყო იმ კაცს პოლიციის მოხელემ, წყალსადინრის ცხაურთან რომ იდგა, მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი, აჯანყებული დაინახა იმ კაცის ხელში და ორივე დაიჭირა? ან თვით პოლიციის მოხელეს რა მოუვიდა, რომ მისი არც მოხსენება ჩანს და არც ვინაობა? რატომ არ მოახსენა მოხელემ აჯანყებულის დაჭერის შესახებ? ვთქვათ, ხელიდან გაუსხლტა ის კაცი, ან მოისყიდა იმ კაცმა პოლიციელი და მარიუსიც გააპარა, რატომ ერთხელაც არ მოიკითხა მარიუსი, რომელიც ისე თავგანწირვით გადაარჩინა ცალკე სიკვდილს და ცალკე მართლმსაჯულებას? საკვირველი იყო ამ კაცის თავდადებული დახმარება და მისი უანგარობა. რაღად იმალებოდა ამდენი სიკეთის შემდეგ? იქნებ არც უნდოდა ჯილდოს მიღება, მაგრამ როგორ შეიძლებოდა მადლობის მიღებაც არ ნდომოდა? იქნებ მოკვდა? ნეტავ ვინ იყო? რა კაცი? არავის ენახა, არავინ იცოდა. მეეტლე კი გაიძახოდა, მეტად ბნელი ღამე იყოო. ისე შეშინებულიყვნენ ბასკი და ნიკოლეტი, რომ თავისი ბატონის, დაჭრილი, დასისხლიანებული მარიუსის გარდა, არავისთვის შეუხედავთ. მარტო მეკარეს დაენახა ის კაცი, ისიც იმიტომ, რომ სანთელი ეჭირა ხელში და გზას უნათებდა, და აი, როგორ აღწერდა ამ კაცის გარეგნობას, - საზარელი შესახედი იყოო.

მაინც იმედს არ კარგავდა მარიუსი და შენახული ჰქონდა ის დასისხლიანებული ტანისამოსი, რომელიც დაჭრილს ეცვა, ბაბუასთან რომ მიიყვანეს... გასინჯეს ტანისამოსი და ნახეს, რომ სერთუკს მოხეული ჰქონდა უკანა კალთა, ერთი ნაჭერი აკლდა.

ამ უცნაურ გარემოებას შეეხო ერთ საღამოს მარიუსი; ჟან ვალჟანი და კოზეტიც იქ იყვნენ; თქვა, რამდენი კვლევა-ძიება მიმდინარეობდა ყველგან მისი დავალებით, მაგრამ სრულიად უნაყოფოდ და ამაოდ.

ბატონი ფოშლევანის გულგრილობამ მოთმინება დააკარგვინა მარიუსს. აღელვებული კილოთი, თითქოს შიგ ბრაზიც ჩაურიაო, წამოიძახა, - დიახ, დიდსულოვანია ის კაცი, ვინც უნდა იყოს! იცით, ბატონო, რა მადლიანად მოიქცა? ბრძოლაში ჩაერია, როგორც მთავარანგელოზი ბრძოლის დროს! ბრძოლაში ჩაერია, რომ ავეყვანე და გამოვეყვანე, უნდა გაეღო და აეხადა წყალსადინარში ჩასასვლელი ცხაური. ექვს კილომეტრამდე აყროლებული, სიბინძურით სავსე გვირაბი უნდა გაევლო წელში მოხრილს, იმ სიბნელეში, მყრალ ორმოში, ამხელა ტვირთით. რად? რისთვის? რა უნდოდა? რა მიზანი ჰქონდა? ერთადერთი მიზანი, - გადაერჩინა როგორმე ის მკვდარი. და ეს მკვდარი მე გახლდით, დამინახა დაჭრილი, ხელი

მომაშველა, არ მიმატოვა და თქვა, იქნებ კიდევ ღვიოდეს ამ კაცში სიცოცხლის ნაპერწკალიო. მოდი, ჩემს სიცოცხლეს გავწირავ, რომ ეს ნაპერწკალი არ ჩაქრესო და ამისთვის ერთხელ კი არა, ოცჯერ მაინც გაწირა თავისი სიცოცხლე. განსაცდელს უქადდა ყოველი ნაბიჯი. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ წყალსადინრიდან გამოვიდა თუ არა, ხელი სტაცა პოლიციამ. წარმოგიდგენიათ, ბატონო, რა ზეციური მადლით უნდა ყოფილიყო აღსავსე კაცი, რომ ეს ჩაედინა? და ამასთან, არავითარ სასყიდელს არ მოელოდა. ვინ ვიყავი მე მისთვის? ერთი აჯანყებული. რა ვიყავი? დამარცხებული. ოჰ, კოზეტის ექვსასი ათასი ფრანკი რომ ჩემი იყოს...

- და განა თქვენი არ არის? - შეაწყვეტინა ჟან ვალჟანმა.

- ჰოდა, - განაგრძო მარიუსმა, - ამ ექვსასი ათას ფრანკს დავხარჯავ, ოღონდ ის კაცი ვიპოვო სადმე.

მდუმარედ იჯდა ჟან ვალჟანი.

## წიგნი მეექვსე
## უძილო ღამე

### თავი პირველი
### 1833 წლის 16 თებერვალი

დალოცვილი ღამე იყო 1833 წლის 16 თებერვალი ჩვიდმეტის გათენებამდე. ღამის სიბნელეს მოწმენდილი ცა დაჰკაშკაშებდა და აბრწყინებდა. იმ დღეს დაიწერეს ჯვარი კოზეტმა და მარიუსმა.

დღეც მშვენიერი დაუდგათ.

ისეთი არ იყო ქორწილი, როგორზეც მოხუცი ბაბუა ოცნებობდა, ვერ მოიწვიეს ქერუბიმები, კუპიდონები არ დასტრიალებდნენ თავს ნეფე-დედოფალს, მაგრამ მაინც მეტად ტკბილი და მხიარული ზეიმი იყო.

მაშინ ქორწილი სულ სხვა იყო, ვიდრე დღეს არის. საფრანგეთში ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულიყო ინგლისური ჩვეულება, როცა ნეფე-დედოფალი ეკლესიიდან გამოსვლისთანავე საზოგადოებას თავს არიდებს, თითქოს რცხვენია თავისი ბედნიერებისა და გაკოტრებული ბანკირივით გარბის, თუმცა კი გული უხარის და სულით ტკბება. ჩვენს დროში რატომღაც მიღებულია ამ სამოთხისებური ნეტარების წუთებში ფოსტის ეტლით ოღროჩოღროებზე ჯანჯღარი, მეეტლისა და მგზავრების ხმაური, პირველი ღამის გატარება ტრაქტირის საძაგელ საწოლში და ამ უწმინდეს, უფაქიზეს მოგონებასთან ერთად ტრაქტირის მოსამსახურის დილიჟანსის მეეტლესთან კურკურის გახსენება.

დღეს კი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საკმარისად არ მიგვაჩნია მერი თავისი ფორმით, მღვდელი თავისი ანაფორით, კანონი და ღმერთი; ეს არ კმარა და უნდა შეივსოს ფოსტის ეტლით და ფოსტალიონით, მისი გრძელი შოლტით, კუდდაწნული ცხენების ცემითა და გინებით. საფრანგეთს ჯერ ვერ მიუღწევია იმ სინატიფემდე, რომ მიჰბაძოს ინგლისის nobility-ს და ნეფე-დედოფლის სადღაც წამყვან დილიჟანსს ძველი ფოსტლები და დაფხრეწილი ფეხსაცმელი დაუშინოს, როგორც ინგლისელ დიდებულებს სჩვევიათ ჩერჩილის, შემდეგში მალბოროს ჰერცოგად თუ მალბრუკად წოდებულის სახსოვრად, რომელსაც ასევე წასვლა ნებავდა ქორწილის შემდეგ და

გაბრაზებულმა დეიდამ სეტყვასავით დაუშინა ძველი ფოსტლები, თუმცა ამან ჩერჩილს თურმე ბედნიერება მოუტანა. ჯერჯერობით ჩვენებური ქორწილის აუცილებელ ატრიბუტებად არ შემოგვიღია ძველი ფეხსაცმელი და ფოსტლები, მაგრამ მოთმინება: კარგი ნელ-ნელა ვრცელდება ყველგან და ჩვენამდეც მოაღწევს.

მოკლედ, 1833 წელს, ისე, როგორც ამ ასი წლის წინ, ჩვენში ნაჩქარევი ჯვრისწერა არ იცოდნენ. მაშინ ჯერ კიდევ ღრმად სწამდათ, ოი, საკვირველებავ, რომ ქორწილი არის ოჯახისა და საზოგადოებრივი დღესასწაული; რომ ერთი კარგი სუფრა და ძველებური ლხინი არაფრით შებღალავს ქორწინების სიწმინდეს; რომ მხიარულება, თუნდაც მეტისმეტი, არ დაჩრდილავს ამ დღესასწაულის ბედნიერებას, ოღონდ ურიგო არაფერი ჩაერიოს მასში. სასურველია, ოჯახშივე შეერთდეს ეს ორი ბედნიერება, რომელმაც უნდა შექმნას ახალი ოჯახი და ამიტომ ნეფე-დედოფალს პირველი ღამე მშობლიურ ოჯახში უნდა გაეტარებინა, მოწმეების გარეშე, თავის საძინებელში.

დიახ, იმდენად ურცხვნი იყვნენ მაშინ, რომ თავის სახლშივე ქორწინდებოდნენ.

კოზეტისა და მარიუსის ქორწილიც ძველებურად მოაწყვეს, უწინდებური, აწ გადავარდნილი მოდის მიხედვით, ბატონი ჟილნორმანის სახლში.

სულ მარტივი, უბრალო საქმეა ქორწილის მოწყობა, - განცხადების გაკეთება, აქტის შედგენა, მერიაში მისვლა, ეკლესიაში ჯვრისწერა, მაგრამ ამ წვრილმანსაც მოსდევს გართულებები და 16 თებერვლისთვის ძლივს მოაგვარეს, რაც საჭირო იყო.

16 თებერვალს, - ამასაც აღვნიშნავთ, რომ სიმართლეს არ ავცილდეთ, - ყველიერის სამშაბათი იყო. შეყოყმანდნენ, ვის გაუგონია ყველიერის სამშაბათ ღამეს ქორწილიო, - ამბობდა დეიდა ჟილნორმანი.

- ყველიერის სამშაბათ ღამესო! - შეჰყვირა წინაპარმა, - მით უკეთესი! ნათქვამია:

აღების ღამის ქორწილი,

შვილი დედ-მამის მორჩილიო.

ნეტავი თქვენ! მაშ, 16 თებერვალს იყოს. იქნებ გინდა გადადო, ჰა, მარიუს?

- აბა, რას ბრძანებთ!

- მაშ, დავქორწინდეთ 16 თებერვალს.

16 თებერვალს დაიწერეს ჯვარი იმისდა მიუხედავად, რომ ეს დღე სახალხო მხიარულების დღეა. წვიმდა იმ დღეს, მაგრამ ზეცაში ყოველთვის მოიპოვება პატარა მოკრიალებული სივრცე შეყვარებულთა დასატკბობად, თუნდაც დიდით პატარამდე სულ ქოლგებით დადიოდეს ხალხი.

წინადღეს ჟან ვალჟანმა ბატონი ჟილნორმანის თანდასწრებით მარიუსს ხუთას ორმოცდაოთხი ათასი ფრანკი ჩააბარა. ქორწინების პირობით ცოლ-ქმრის საერთო საკუთრება იყო. ასე რომ, დიდხანს არ მონდომებიან აქტის შედგენას.

ჟან ვალჟანს ტუსენი აღარ ესაჭიროებოდა: იგი კოზეტს ხვდა მემკვიდრეობით და მისი მოსამსახურე გახდა.

რაც შეეხება ჟან ვალჟანს, მისთვის ერთი კარგი ოთახი მოეწყოთ. იმდენი ეხვეწა კოზეტი, მამა, მე გთხოვო, რომ უარის თქმა ვერ მოახერხა და დაჰპირდა, მეც აქ გადმოვალო.

რამდენიმე დღით ადრე ქორწილამდე ჟან ვალჟანმა შემთხვევით მარჯვენა ხელის ცერი გაიჭრა. საშიში არაფერი იყო და თვითონვე შეიხვია. მალამოც თვითონ დაიდო; არავინ შეაწუხა, კოზეტსაც კი არ აჩვენა გაჭრილი თითი, მაინც მაგრად შეიხვია

მარჯვენა ხელი და ჩამოიკიდა ისე, რომ ხელს ვეღარ ხმარობდა. ქორწინების აქტებზე მხოლოდ ბატონმა ჟილნორმანმა მოაწერა ხელი, როგორც კოზეტის მეორე მეურვემ.

მერიაში არ წავიყვანთ მკითხველს, არც ეკლესიაში. მიღებული არ არის შეყვარებულთა უკან დევნა. ჩვეულების მიხედვით, ზურგს შევაქცევთ ამ ამბავს და უკან დავბრუნდებით, როგორც კი თითო ყვავილს მივიღებთ ნეფე-დედოფლის თაიგულიდან. ერთ შემთხვევას აღვნიშნავთ მხოლოდ, - საქორწინოდ სენ-პოლის ტაძრისაკენ მიმავალთათვის შეუმჩნეველს, რომელიც გზაში მოხდა ფილ-დე-კალვერის ქუჩიდან ეკლესიამდე.

იმ დროს სენ-ლუის ქუჩის ჩრდილოეთ ნაწილს კირწყლავდნენ და სამეფო პარკიდან ეტლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ქორწილის ეტლები იძულებული იყვნენ, გზა შეეცვალათ და სენ-პოლის ტაძარში მისასვლელად ბულვარი აერჩიათ. ერთმა სტუმართაგანმა შენიშნა, რადგან ყველიერის სამშაბათია, ეს ქუჩა სავსე იქნება ეტლებითო.

- რა ეტლებით? - ჰკითხა ბატონმა ჟილნორმანმა.

- კარნავალის მონაწილე ეტლებით.

- მით უკეთესი, - შესძახა მოხუცმა, - მაშ, იქით წავიდეთ. ეს ყმაწვილები ჯვარს იწერენ და ნამდვილ დარბაისელ ცხოვრებას იწყებენ. მასკარადის ნახვა გამოადგებათ.

ბულვარისკენ წავიდნენ. პირველ ეტლში კოზეტი, დეიდა ჟილნორმანი, ბატონი ჟილნორმანი და ჟან ვალჟანი ისხდნენ. მარიუსი ჩვეულებისამებრ განცალკევებული უნდა ყოფილიყო საცოლისგან და მეორე ეტლში იჯდა. მაყრიონი ფილ-დე კალვერის ქუჩიდან გავიდა და იმ ეტლებში გაერია, რომელნიც გაუთავებელ ჯაჭვად გაჭიმულიყვნენ მადლენიდან ბასტილიამდე და ბასტილიიდან მადლენამდე.

ბულვარი ნიღბოსნებით იყო სავსე. წვიმდა, მაგრამ წვიმისა არ ეშინოდათ ჯამბაზებს, პანტალონებსა და ჟილებს. კარგ გუნებაზე მყოფ 1833 წლის ზამთარს პარიზი ვენეციად გადაექცია. დღეს სადღა ნახავთ ძველებური ყველიერის სამშაბათს, კარნავალად გადაქცეულა მთელი ჩვენი ცხოვრება და კარნავალი აღარ არის.

ხალხით სავსე იყო ბულვარის გასწვრივ ხეივნები. ფანჯრებიდან ხალხი იყურებოდა. თეატრის შესასვლელის თავზე აივნები გაჭედილი იყო მაყურებლებით. უყურებდნენ ნიღბოსნებს, ხალხის მიმოსვლას, ახალ და ძველებურ ეტლებს, რომლებიც მწყობრად მისდევდნენ ერთმანეთს; ყველგან მოჩანდნენ პოლიციელები, რომელნიც მოძრაობას აწესრიგებდნენ. ეტლით მოსიარულენი ამ დღეს მაყურებელნიც არიან და სხვისი საყურებელნიც. პოლიციელები იდგნენ და ცდილობდნენ, დაბრკოლება არ შეჰქმნოდა ერთმანეთის მოწინააღმდეგე ორ მიმართულებას. ეტლების ერთი რიგი წინ მიდიოდა, მეორე უკან, ერთი დ'ანტენის შარაგზისკენ, მეორე - სენტ-ანტუანის ქუჩისკენ. საფრანგეთის დიდებულების და უცხოქვეყნელი ელჩების გერბიანი ეტლები ამ ორი მიმართულების შუა მიდი-მოდიოდა თავისუფლად, საითაც ნებავდათ. ასე თავისუფლად მიდი-მოდიოდა რამდენიმე მშვენივრად მორთული მხიარული პროცესია, როგორიც, მაგალითად, ყველიერის ხარისა იყო. ამ პარიზის მხიარულებაში შოლტის ტყლაშუნით გაერია ინგლისიც. ლორდ სეიმურის ტლანქ ეტლს საშინელი გრუხუნი გაჰქონდა და თან ხალხის დაცინვა მიჰყვებოდა. ხშირი იყო ძველებური, შორს სამგზავროდ გაწყობილი დიდრონი საოჯახო ეტლი, გატენილი დიდედებით, ბებიებითა და კარნავალისთვის

მორთული ბავშვებით, - შვიდი წლის პიეროებითა და ექვსი წლის ლამაზი პიერეტებით, - მომხიბლავი ლამაზი ბავშვებით, რომლებიც გრძნობდნენ, რომ ისინიც ნამდვილად მონაწილეობდნენ საზოგადო მხიარულებაში და გამსჭვალული იყვნენ ცალკე თავიანთი მასხრული ღირსებით და ცალკე საზოგადოებრივი ვალდებულების აღსრულებით.

ზოგჯერ ცოტა ხნით აირეოდა ეტლების წესიერი მოძრაობა. როგორც კი ამგვარი რამ მოხდებოდა და რომელიმე ეტლი გაჩერდებოდა, გაჩერდებოდა მის უკან მომავალი მთელი რიგი ამ უწყვეტი ჯაჭვისა, ვიდრე დაბრკოლებას მოიშორებდნენ, მერე ისევ ისე განახლდებოდა მოძრაობა.

ნეფე-დედოფლისა და სტუმრების ეტლებიც იმ რიგში მოჰყვა, რომელიც ბასტილიისკენ მიდიოდა, და ბულვარის მარჯვენა მხარეს მისდევდა. პონტ-ო-შუს ქუჩასთან რომ მივიდნენ, ცოტა ხანს შედგნენ, - რაღაცას შეეყენებინა წინ მიმავალი ეტლები. თითქმის იმ დროსვე გაჩერდა აგრეთვე მათ პირდაპირ ბასტილიიდან მადლენისკენ მიმავალი ეტლების მეორე წყება; სწორედ ბატონი ჟილნორმანის ეტლის პირდაპირ გაჩერდა მეორე მხარეს ერთი ნიღბიანებით სავსე ეტლი.

პარიზი კარგად იცნობს ამ ნიღბიან მოსეირნეებს. ყველიერის სამშაბათს ან მარხვაში რომ ისინი არ გამოჩნდნენ, მაშინვე რამე ეშმაკობას იგულისხმებს ხალხი, - აქ რაღაც უნდა იმალებოდეს, ვინ იცის, მინისტრების გამოცვლას გვიპირებენო, დაიწყებს ხუმრობას. აქ გროვდებიან კასანდრები, არლეკინები, კოლომბინები, ეტლებიდან დასცქერიან ხალხს სასაცილოდ მოსილნი: თურქებსაც ნახავთ აქ, პირველყოფილ ადამიანსაც, ჰერაკლეებსაც, რომლებიც მხარში ამოსდგომიან მარკიზის ქალებს, ბაზრის გამყიდველ დედაკაცებსაც, რომლების ენას თვით რაბლეს ყურიც კი ვერ გაუძლებდა, როგორც ბახუსის ქურუმი ქალების ურცხვობას ვერ უძლებდა არისტოფანე. აქ ნახავთ ძენძის პარიკებს, ვარდისფერ ტრიკოებს, ქარაფშუტას ქუდს, პირმოთნეს სათვალეს, ხეპრეს სამკუთხა ქუდს, რომელსაც არ შორდება ერთი პეპელა, გამვლელების აბუჩად აგდებას, ძახილს, მოღერებულ მუშტს, თავხედურ პოზებს, მოშიშვლებული მკერდს, მეტისმეტ ურცხვობას. აქ არის მთელი ქაოსი თავხედობისა, რომელსაც ყვავილების გვირგვინით მორთული მეეტლე მიაქანებს. აი, რა არის ჩვენი კარნავალი.

საბერძნეთს თესპიდეს ოთხთვალა სჭირდება და საფრანგეთს - ვადეს ეტლი.

ყველაფერს აიგდებს კაცი მასხარად, თვით მასხრობასაც. სატურნალია, ანტიკური მშვენიერების ეს მავნე ნაშთი, ნელ-ნელა ირყვნებოდა და ბოლოს ყველიერის სამშაბათად გადაიქცა. ბაკქანალია კი, ოდესღაც ვაზის ტოტებით დამშვენებული, მზით გაბრწყინებული, მარმარილოს გადაღეღილმკერდიანი ქალებით, დღეს ჩრდილოეთის ძველი ნაფხრეწებით არის მოსილი, წაბილწულია და სახელიც კი აღარა აქვს. ყველიერის ნიღბოსნის სახელს ატარებს.

ეტლით მიმავალი ნიღბოსნები ძველისძველი კუთვნილებაა ჩვენი ისტორიის მონარქიული დროებისა. ლუი XI-ის ხარჯთაღრიცხვით, სასახლის მსაჯულს ეძლეოდა „ოცი სუ სამი სამასკარადო ეტლისათვის“. ჩვენს დროში კი ძველ, მონჯღრეულ ეტლს გამოძებნის ამ მყვირალა არსებათა მთელი ხროვა, შიგ ჩაჯდება, ჩაიჭედება. ექვსი კაცის ნაცვლად ოცი ჩაჯდება, ზოგი მეეტლესთან ზის, ზოგი საფეხურებზე, სადაც კი მოხვდებათ; ზოგი დამჯდარა, ზოგი დგას, ზოგი წევს, ზოგს ფეხები ჩამოუკიდია, მუხლებში მოკეცილა. ქალები მუხლებზე უსხედან კაცებს. მძვინვარე პირამიდად

მოჩანს შორიდან ეს დიდი ეტლი ზღვა ხალხის თავზე. ხალხით სავსეა აქაურობა და ხუმრობა, ოხუნჯობა, მასხარაობა, ლაზღანდარობა მიექანება თავისი ეტლით და ხალხს აცინებს. კოლეს, პანარის და პირონის არგოთი შეზავებული ლექსი გამოდის ეტლიდან. იქიდანვე გადმოდის უხვად ხალხური ლექსი და მოსწრებული სიტყვა. ყველგან ხმაური, ყვირილი, სიცილი, ხარხარი, სიმღერა. მხიარულია ყველა, ბედნიერი. მხიარულება სუფევს, მასხარაობა ბრწყინავს, სიხარული ეფინება ყველას და ყველგან. ორი ჯაგლაგი ძლივს მოათრევს აპოთეოზად გაშლილ ფარსს. ეს გამარჯვებული სიცილის ეტლია.

მეტისმეტად ურცხვია ეს სიცილი და მაშ, არც გულწრფელია. საეჭვოა ამისთანა თავაშვებული სიცილი. მას ერთი დანიშნულება აქვს, - დაუმტკიცოს პარიზელებს კარნავალის მხიარულება.

ღრმად ჩააფიქრებს ფილოსოფოსს ეს მდაბიური, მოურიდებელი ლაზღანდარობით სავსე ეტლები. ალბათ,მთავრობაც აქ არის ან ნიღბიან მასხარებს შორის. ახლოს რომ მივიდეს ვინმე, მთავრობის მოხელეებსა და გარყვნილ ქალებს შორის საიდუმლო მსგავსებას ნახავს ამ კარნავალში.

როგორ არ ვთქვათ, რამდენად სავალალოა ეს კარნავალი? აცინებს ხალხს, მაგრამ წარმყვნელ საზიზღრობას ავრცელებს ხალხში; ახარებს ხალხს ქალის მორცხვობის დაკარგვით და ნამუსის თავხედად გმობით. თვალს უხვევს ეტლით მიმავალი თაღლითი ბრწყინვალებით, რომელსაც ადამიანური არაფერი გააჩნია და გარყვნილებით სულდგმულობს; ტაშს უკრავს ხალხი და შეხარის ეტლით მიმავალ დიდებას, რომელსაც გარყვნილებისა და ბიწიერების მეტი არაფერი აქვს. და ყოველივე ამას ხედავს მთავრობა. ყოველ დღეობას, საცა კი ხალხი იკრიბება, ესწრება მთავრობის წარმომადგენელი პოლიცია, შიგ ერევა მხიარულად და სასაცილოზე ისიც იცინის. მაგრამ რას იზამთ? ეს ეტლით მომავალი, ყვავილებითა და ბაფთებით მორთული ტლაპო ხალხის სიცილით არის შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც მიღებული. საყოველთაო გახრწნილების თანაზიარია ეს ხალხის სიცილი. ზოგი უქმე ზნეობის დამცემია, რყვნის ხალხს და ბრბოდ გადააქცევს. და ბრბოს, როგორც ტირანს, მასხარები ესაჭიროება. მეფეს როკლორი ჰყავს, ბრბოს - ჯამბაზი. პარიზი დიდი გიჟი ქალაქია, სანამ რამე დიდებული არ გაიტაცებს. კარნავალი პოლიტიკის ნაწილია. ოღონდ კი გულიანად გაიცინოს პარიზმა და თუნდაც სრული გახრწნილება აჩვენეთ, კომედიად გარდაქმნილი. სულ იმას სთხოვს თავის ხელოვანებს, როცა კი ჰყავს ვინმე ხელოვანი, ფერ-უმარილი წაუსვით წუმპესო. ძველი რომიც ასეთი იყო, ნერონი უყვარდა. ნერონი იყო, რომ უწმაწური სიბინძურით აცინებდა ხალხს.

ისე მოაწყო შემთხვევამ საქმე, რომ სწორედ ჩვენი მაყრიონის პირდაპირ გაჩერდა იმავე დროს ერთი ეტლი, სავსე იყო ნიღბიანი ქალებითა და მამაკაცებით. ეს ეტლი ბულვარის მარცხენა მხარეს გაჩერდა, ბატონი ჟილნორმანის ეტლი მარჯვენა მხარეს იყო. ნიღბიანებმა მაშინვე შენიშნეს საქორწილოდ მიმავალი ეტლები.

- შეხედეთ! - წამოიძახა ერთმა ნიღბიანმა, - ქორწილი!

- ხუმრობით მოწყობილი, - გაუსწორა მეორემ, - ნამდვილი ქორწილი და ქეიფი მარტო ჩვენ გვაქვს.

შორს უდგნენ ერთმანეთს, რომ ლაზღანდარობა დაეწყოთ, პოლიციელიც იქვე ატუზულიყო და სხვაზე გადაიტანეს თვალი.

ამ დროს ხალხი შემოეხვია ნიღბიანების ეტლს; ეტყობა, არ მოეწონა და დაცინვა დაუწყო. ხალხი რომ მასხრად აიგდებს ნიღაბს, ეს ალერსად მიიჩნია ნიღბიანს და თვითონაც დაცინვით ეალერსება. დასცინოდა ხალხი, ქუჩური სიტყვაკაზმულით ამკობდა, მასხარას ამასხარავებდა, ხუმრობით ლაფს ასხამდა; ისინიც შესაფერ პასუხს აძლევდნენ. ხალხისა და ნიღბების ბრძოლა ატყდა, თოფ-იარაღად მახვილ სიტყვას ხმარობდნენ.

მაგრამ ორი ნიღბოსანი იჯდა იმ ეტლში, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში. ერთს ესპანურად ეცვა, უშველებელი ცხვირი, ბებრული სახე და შავი ულვაში ჰქონდა, მეორე კიდევ თევზის გამყიდველი გოგო იყო, გამხდარი, შავი ხავერდის მოკლენიღბიანი. მათაც შენიშნეს მაყრიონი და მანამ ხალხთან კამათით იყვნენ გართული მათი თანამეინახენი, ჩუმი ხმით გააბეს ლაპარაკი. ხალხის ჟრიამული ფარავდა მათ ხმას. წვიმას დაესველებინა ფარღალალა ეტლი, არც თებერვლის ქარი უწყობდათ ხელს და გოგო პასუხს რომ აძლევდა ესპანელს, თან კანკალებდა, სციოდა, ახველებდა, რადგან მკერდმოშიშვლებული იყო, თუმცა იცინოდა.

აი, მათი დიალოგიც:

- გესმის?

- რა, მამა?

- აი, იმ ბებერს ხედავ?

- ვინ ბებერს?

- აგერ, საქორწილო პირველ ეტლში, ჩვენკენ რომ ზის?

- შავით რომ აქვს ხელი აკრული?

- ჰო.

- მერე რა?

- ვიცნობ მაგ კაცს.

- იცნობ და იცნობდე.

- ეს ულვაში მომკრიჭონ, თავი მომჭრან, თუ სადღაც არ მენახოს ეს პარიზელი.

- სწორედ დღეს არის პარიზელების დღეობა.

- ცოტა რომ დაიხარო, დედოფალს ვერ დაინახავ?

- ვერა.

- ნეფეს?

- ამ ეტლში არ ზის ნეფე.

- რა იცი?

- მაშ, ნეფე ის მეორე ბებერი ხომ არ იქნება?

- მოიკუნტე, გოგო, და დედოფალი დაინახე როგორმე...

- რა ვქნა, რომ არ შემიძლია?

- სულერთია, რომ დამახრჩონ, მაინც ვიტყვი, სადღაც მინახავს ის ბებერი, ხელი რომ აუხვევია.

- შენ ეს მითხარი, რას გარგებს მისი ცნობა?

- ვინ იცის? შეიძლება მარგოს კიდეც.

- კარგი ერთი! რაღა სულ გადაყრუებულ ბებრებს მასინჯებ!

- ვიცნობ-მეთქი, გეუბნები...

- იცნობ და ღმერთმა შეგარგოს.

- დასწყევლოს ეშმაკმა! ამ ქორწილში როგორღა ჩაერია?
- ჩვენ კი ქორწილში არა ვართ?
- საიდან მოდის ეს მაყრიონი?
- აბა, მე რა ვიცი?
- ყური მიგდე.
- რაო?
- უნდა დამეხმარო.
- რაში? როგორ?
- ძირს ჩახტი და იმ ეტლს მისდიე, ნახე, სად მივა.
- რისთვის?
- ვნახოთ, სად მიდიან, ვინ არიან? აბა, ჩქარა, ჩახტი და გამიგე. ჩქარა, გოგო! ყმაწვილი ხარ, არა გიშავს რა.
- მე ამ ეტლიდან ვერსად წავალ.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ასე ვართ გარიგებული.
- დალახვროს ეშმაკმა!
- დღეს მთელი დღე პოლიციის ვარ, თევზის გამყიდველის თანამდებობას ვასრულებ.
- ჰო, ვიცი.
- ჰოდა, რომ ჩავხტე, მაშინვე დამიჭერს პოლიციელი, ხომ იცი?
- ვიცი, ვიცი.
- დღეს მთავრობამ მიყიდა, დიახ!
- ჰო, მაგრამ სად მინახავს ის ბებერი? გული გამიწყალა!
- გული გაგიწყალა ბებერმა? შენც ხომ ყმაწვილი გოგო არა ხარ?
- პირველ ეტლში ზის.
- მერე რა?
- დედოფლის ეტლში.
- მერე?
- მაშ, მამა ყოფილა.
- მერე მე რა?
- გეუბნები, მამა ყოფილა-მეთქი.
- მამა იყოს, რა ვქნა?
- გესმის?
- რაო?
- მე რომ ჩავიდე, ნიღაბს ხომ ვერ მოვიხსნი? ეს ნიღაბი მმალავს. ვინ იცის, ვინა ვარ? მაგრამ ხვალ კი ნიღაბი აღარავის ექნება და შეიძლება კიდეც დამიჭირონ. მე ჩემს სოროში უნდა ვიყო დამალული და შენ კი თავისუფალი ხარ.
- არც ისე.
- მაინც უფრო მეტად, ვიდრე მე.
- კარგი, და მერე?
- უნდა გამიგო, სად მივა ეს მაყრიონი.
- სად მივა?
- ჰო.

- და განა არ ვიცი, სადაც მივა?
- იცი? სად მივა?
- კარგ რესტორანში. კადრანში.
- კადრანი ხომ აქეთ არის.
- მაშ, რაპეში...
- ან სხვაგან სადმე, არა?
- თავისუფალია, საითაც ნებავს, იქით წავა, თავისუფალია ქორწილი.
- ეჰ, რომ არ გესმის ჩემი? გეუბნები, უნდა გამიგო, ვისია ეს ქორწილი? რა უნდა ქორწილში იმ ბებერს? სად ცხოვრობს ნეფე-დედოფალი?
- ეგ უკეთესი. უცნაური კაცი ხარ, მამა. ნუთუ ადვილი გგონია იმ ნეფე-დედოფლის სახლის მიგნება, რომლებმაც ამას წინათ გაიარეს პარიზის ბულვარზე? წადი და ბზით სავსე საბძელში იპოვე ნემსი. ადვილი გგონია?
- უნდა გამიგო როგორმე! უთუოდ! გესმის, აზელმა?
ამ დროს დაიძრა ეტლების მწყობრი ბულვარის ორივე მხარეს და ნიღბოსნებს ქორწილის ეტლი გაშორდა.

## თავი მეორე
## ჟან ვალჟანს ხელი ისევ შეხვეული აქვს

ჩვენი ოცნების ასრულება! ვის ეღირსება ხოლმე ეს ნეტარება? ალბათ, ღირსეულთ ზეცა ირჩევს და აჯილდოებს. ჩვენ ყველანი სიაში ვართ, თუმცა ეს არ ვიცით. ანგელოზები გვიყრიან კენჭს. ანგელოზებმა კოზეტი და მარიუსი ცნეს ღირსად.
მერიაშიც და ეკლესიაშიც მშვენიერი იყო კოზეტი. ტუსენმა მორთო დედოფალი და ნიკოლეტიც ეხმარებოდა.
თეთრი თავთისსარჩულიანი ბელგიური გიპიურის კაბა ეცვა, ინგლისური მაქმანების მანდილი ეხურა, ყელს მარგალიტის ყელსაბამი უმშვენებდა, თავზე კი ნარინჯის ყვავილების გვირგვინი ედგა. ყველაფერი ქათქათებდა და ამ სითეთრეში განთიადივით ბრწყინავდა. უმანკოება იყო და წმინდად ბრწყინავდა. იტყოდით, ეს ქალწული ღვთაებად უნდა იქცესო.
მარიუსს თმა კოხტად დაევარცხნა, მაგრამ აქა-იქ მაინც უჩანდა ბარიკადზე მიღებული ჭრილობების კვალი.
დიდებულად იყო გამოწყობილი ბატონი ჟილნორმანიც. თავი მაღლა, მედიდურად ეჭირა და დღეს უფრო თვალსაჩინოდ შეეერთებინა თავის ტანისამოსსა და მიხრა-მოხრაში ბარასის დროინდელი კოხტაობა. კოზეტი მას მიჰყავდა, რადგან ჟან ვალჟანს ხელი ახვეული ჰქონდა და ხელს ვერ მისცემდა დედოფალს.
შავით მოსილი ჟან ვალჟანი უკან მიჰყვებოდა ღიმილით.
- ბატონო ფოშლევან, - ეუბნებოდა მარიუსის ბაბუა, - ბედნიერია დღევანდელი დღე. მე ხმას ვაძლევ ყოველგვარი დარდისა და მწუხარების მოსპობას. დღეიდან აღარსად იყოს არც სევდა და არც ჭმუნვარება, სიხარული მოედოს ქვეყნიერებას. აი, ჩემი დადგენილება. დარდს, მწუხარებას, მოწყენილობასაც კი არ ჰქონდეს უფლება არსებობისა. არა, როგორ არ რცხვენია ზეცას, რომ უბედურებიც არიან ჩვენს წუთისოფელში? ადამიანისგან კი არა ჩნდება ბოროტება; ადამიანი ბუნებით კეთილია; ადამიანის ყოველი უბედურება და ბოროტება ჯოჯოხეთიდან მომდინარეობს;

ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრების ჩამწარების დედაქალაქი და ბოროტების მთავრობის ბუდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯოჯოხეთი ეშმაკის ტიუილრია. მეტი რა გნებავთ? ხედავთ, როგორ ვდემაგოგობ ამ სიბერის დროს. რაც შეეხება ჩემს მიმართულებას, მე პოლიტიკური აზრი არა მაქვს. მე ის მინდა, უკლებლივ ყველა მდიდარი იყოს, ესე იგი, მხიარული. ესეც მეყოფა.

დიდხანს გაგრძელდა ქორწინების ცერემონიალი ჯერ მერიასა და მერე ეკლესიაში. მრავალჯერ წარმოთქვა ნეფე-დედოფალმა თავისი თანხმობა; ხელი მოაწერეს რაღაც წიგნებში ჯერ მერიაში და მერე ეკლესიაში. ბეჭდები შეუცვალეს ერთმანეთს; დაჩოქილნი იდგნენ საკმევლის კვამლში, მუხლებით ეხებოდნენ ერთმანეთს, თავზე აბრეშუმის ოლარი ეფარათ და ბოლოს კანონიერად შეერთებულნი ეკლესიის კარისკენ გაემართნენ. აღტაცებითა და თან შურით შესცქეროდნენ ნეფე-დედოფალს, მარიუსს - შავით მოსილს, კოზეტს - თოვლივით თეთრს. წინ მიუძღოდათ პოლკოვნიკის ეპოლეტებიანი შვეიცარი, რომელიც ეკლესიის ქვის იატაკს ხმაურით სცემდა თავის შუბს.

ორ წყებად იდგა საყდარში ხალხი, რომ ნეფე-დედოფალი გაეტარებინათ. გავიდნენ, ეტლებში ჩასხდნენ. გათავებული ყო ყველაფერი და კოზეტს კი არ სჯეროდა, მარიუსს უყურებდა. უყურებდა ხალხს, ცას, თითქოს სძინავს და ეშინია, არ გამომეღვიძოსო; გაკვირვებული იყო, ოდნავ შემკრთალი და ეს უფრო ამშვენებდა მის მომხიბლავ სიტურფეს. შინ მისასვლელად ერთად ჩასხდნენ ეტლში მარიუსი და კოზეტი. მათ გვერდით მიუსხდნენ ბატონი ჟილნორმანი და ჟან ვალჟანი. დეიდა ჟილნორმანი კი მეორე ეტლში ჩაბრძანდა.

- აბა, ჩემო საყვარელო შვილებო, - ეუბნებოდა ბაბუა, - მორჩა, გათავდა. თქვენ, ბატონი ბარონი პონმერსი ბრძანდებით და თქვენ კი, ქალბატონო, ბარონის მეუღლე. ოცდაათი ათასი ფრანკი გაქვთ წლიური შემოსავალი.

კოზეტმა ტუჩი მიადო მარიუსის ყურს და ჩასჩურჩულა ანგელოზის ხმით:

- მაშ, მართლა? მე მარიუსის მეუღლე ვარ?

ორივე სიხარულით ბრწყინავდა. იმ ნეტარებას განიცდიდნენ, რომელიც მხოლოდ ერთხელ ეღირსება ადამიანს, როდესაც ერთმანეთს შეერთვიან სიყმაწვილე და ბედნიერება. ჟან-ჰრუვერის ლექსის განსახიერება იყო ორივე: ორივეს ერთად ჯერ ორმოცი წელიწადი არ შესრულებოდათ. წმინდა რამ იყო ეს ქორწინება; ორივე ბავშვი იყო, შროშანივით წმინდა, ერთმანეთს კი არ უყურებდნენ, შეხაროდნენ. კოზეტი მარიუსს შარავანდედით გაბრწყინებულს ხედავდა; მარიუსი კოზეტს - კვარცხლბეკზე, - და ამ შარავანდედსა და კვარცხლბეკში, როგორც ორმაგ აპოთეოზში, სადღაც, თვალმიუწვდომელ სიშორეში, კოზეტისთვის - გაურკვეველ კვამლში, მარიუსისთვის - ბრწყინვალებასა და ცეცხლის ალში, ციმციმებდა რაღაც იდეალური, რაღაც რეალური, საოცნებო პაემნისა და ხვევნა-კოცნის ადგილი - საქორწინო სარეცელი.

დღეს გრძნობამორეულნი იხსენებდნენ წარსულ მწუხარებას, სევდას, ძილგამკრთალ ღამეებს, ცხარე ცრემლს, შიშსა და სასოწარკვეთილებას, თითქოს ეს მწარე მოგონებანი სიტკბოებას მატებდა მათ ბედნიერებას; თითქოს წარსული მწარე მოახლედ გახდომოდა მათ ნეტარებას და სიხარულით ამკობდა. რა კარგია, რომ ჯერ ის სამსალა იგემეს! უბედურება სხივით მოსავდა მათ ბედნიერებას. დიდხანს იყო სულთმობრძავი მათი სიყვარული და აი, აღდგა და ბრწყინავს.

ერთნაირად აღტაცებულნი იყვნენ ორნივე, ოღონდ მარიუსს ვნება ერეოდა, კოზეტს მორცხვობა და ჩუმად ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

- წავიდეთ, ჩვენი ბაღი ვნახოთ პლუმეს ქუჩაზე.

კოზეტის კაბის კალთა მარიუსის ფეხს ფარავდა.

ეს დღე ოცნებისა და სინამდვილის, შეერთებისა და ნატვრის ასრულება იყო. აი, მიაღწია კაცმა თავისას და ოცნება მაინც არ შორდება; ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ ჩაუფიქრდეს და გაისიგრძეგანოს, რას მიაღწია გამარჯვებულმა. ჯერ შუადღეა და გულისფანცქალით მოელის შუაღამეს. ხარობდა ორივე, გარს იფრქვეოდა მათი სიხარული და ახლომახლო ყველას ახარებდა.

სენ-პოლის ტაძართან, სენტ-ანტუანის ქუჩაზე, გამვლელები ჩერდებოდნენ და ეტლის ფანჯარაში იყურებოდნენ, რომ კოზეტის მშვენიერებითა და მისი თეთრი ფორთოხლის ყვავილების გვირგვინით დამტკბარიყვნენ.

ბოლოს შინ მივიდნენ, ფილ-დე-კალვერის ქუჩაზე. მარიუსს გვერდით ჰყავდა თავისი კოზეტი და აღტაცებული, სხივმოსილი ავიდა იმ კიბეზე, რომელზედაც მომაკვდავი აიყვანეს ამას წინათ. გარეთ, სადარბაზოსთან, მათხოვრები მოგროვილიყვნენ, მიღებულ მოწყალებას იყოფდნენ და ნეფე-დედოფალს ლოცავდნენ. ყვავილებით იყო მორთული ყველაფერი. სახლიც არანაკლებ სურნელოვანი იყო, ვიდრე საყდარი, საკმევლის შემდეგ აქ ვარდი მეფობდა. ისე იყვნენ ორივე, თითქოს შორიდან, უსაზღვროდან მოესმოდათ ტკბილი სიმღერა. ღმერთი ჰყავდათ გულში, მომავალი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის კამარად ეჩვენებოდათ, მზის ამოსვლის მეტი აღარაფერი აკლდათ და უცბად დაჰკრა საათმა. მარიუსმა გადახედა კოზეტის ლამაზ ხელს, ვარდის კოკორს, რომელიც ბუნდოვნად მოჩანდა გულისპირის მაქმანის ქვეშიდან. კოზეტი თან მისდევდა მარიუსის თვალს და ერთბაშად გაწითლდა.

ჟილნორმანის ოჯახის ყველა ახლობელი მოეწვიათ ქორწილში, მრავლად ჰყავდათ სტუმარი, ყველა კოზეტს ეხვეოდა და ბარონის მეუღლეს უწოდებდნენ.

ოფიცერი თეოდულ ჟილნორმანიც იქ ბრძანდებოდა, უკვე კაპიტანი იყო; შარტრში მსახურობდა გარნიზონის უფროსად და იქიდან მისულიყო, რომ თავისი ნათესავისთვის, პონმერსისთვის ბედნიერება მიელოცა. კოზეტმა იგი ვეღარ იცნო.

ის კიდევ დარწმუნებული იყო, რომ ყველა ქალს მოსწონდა და ყველას ხომ ვერ დაიხსომებდა, ისე აღარ ახსოვდა კოზეტი, როგორც სხვები.

- მაშ, მართალი ვიყავ, რომ ყურადღება არ მივაქციე იმ ჭორს, - ამბობდა გახარებული ბატონი ჟილნორმანი.

არასოდეს ყოფილა ისე ტკბილი და ალერსიანი კოზეტი ჟან ვალჟანის მიმართ,მ როგორც იმ დღეს იყო. ისიც მოხუცი ჟილნორმანივით იქცეოდა; ბაბუა სხარტი აფორიზმებით გამოთქვამდა თავის სიხარულს; კოზეტი კი სიყვარულსა და ლმობიერებას აფრქვევდა, როგორც სურნელებას; ბედნიერებას უნდა, ბედნიერი იყოს ყველა, უკლებლივ.

ჟან ვალჟანს რომ ელაპარაკებოდა, იმ დროის კილოს აძლევდა ხმას, როდესაც პატარა გოგო იყო და თავისი ღიმილით უალერსებდა მას.

სუფრა სასადილო დარბაზში გაეშალათ.

თუ დიდებული დღეა, მაშ, სახლიც დიდებულად უნდა იყოს განათებული. ბინდი და ბნელი არ სწამს რა ბედნიერებას და ჭირივით ერიდება ბუნდოვანსა და შავს. ღამე

იყოს, ძალიან კარგი, მაგრამ წყვდიადი კი არა. თუ მზე არ ადგას ბედნიერებას, თვითონვე შექმნის თავის მზეს.

მხიარულებისა და ლხინისთვის მოერთოთ დარბაზი. თოვლივით თეთრ სუფრას ზემოდან ვენეციური ჭაღი ანათებდა თავისი ჩიტების გუნდით, რომლებიც სანთლებშუა ისხდნენ; ზოგი ლურჯი იყო, ზოგი იისფერი, წითელი, მწვანე, მაგრამ ჭაღი არ იკმარებდა და ამიტომ გარშემო კიდევ თაიგულად მოწყობილი სანთლები ენთო. კედლებიც ამგვარივე ბრებით დაემშვენებინათ. შუშა, ბროლი, სასმისი, ჭურჭელი, ფაიფური, ქაშანური, ვერცხლეული - ყველაფერი ბრწყინავდა და გულს ახარებდა. კედლებზე, ბრებს შუა, თაიგულები მიემაგრებინათ და ამგვარად, საცა სინათლე არ იყო, ყვავილების სურნელება იდგა.

წინკარში მუსიკოსები მოეთავსებინათ. სამი ვიოლინო და ერთი ფლეიტა ნელი ხმით უკრავდა ჰაიდნის კვარტეტს.

ჟან ვალჟანი კართან იჯდა. ისე, რომ კარის გაღება თითქმის მალავდა მას სტუმართაგან. ის იყო, სუფრაზე უნდა მოეწვია ბატონ ჟილნორმანს სტუმრები, რომ უცბად მამობილს მიუახლოვდა კოზეტი, დიდი რევერანსით მიესალმა, თან ორივე ხელით აქეთ-იქით ეწეოდა თავის დედოფლურ კაბას და ეშმაკური, ნაზი ღიმილით ჰკითხა:

- მამა, კმაყოფილი ხართ?

- ჰო, შვილო, კმაყოფილი ვარ.

- მაშ, გაიცინეთ.

გაიცინა ჟან ვალჟანმა.

რამდენიმე წამის შემდეგ ბასკმა მოახსენა მასპინძელს, რომ სუფრა მზად იყო.

ხელი მისცა კოზეტს ჟილნორმანმა და სტუმრებს წინ წაუძღვა. შევიდნენ სასადილო დარბაზში და წესისამებრ სუფრას მიუსხდნენ.

ორი დიდი სავარძელი იდგა დედოფლის სკამის მარჯვნივ და მარცხნივ: პირველი ბატონი ჟილნორმანისთვის, მეორე ჟან ვალჟანისთვის. ბაბუა თავის სავარძელში გამოიჭიმა. მეორე ცარიელი იყო.

თვალით დაუწყეს ძებნა ჟან ვალჟანს.

ის აღარ იყო.

ბატონმა ჟილნორმანმა ბასკს დაუძახა:

- ხომ არ იცი, სად ბრძანდება ბატონი ფოშლევანი?

- დიახ, ბატონო, სწორედ ეგ მინდოდა მომეხსენებინა. ბატონმა ფოშლევანმა მიბრძანა, მოახსენე ბატონს, რომ ხელი ძალიან მაწუხებს და ვერ შევძლებ სადილად დარჩენასო. დიდი ბოდიში მოიხადა, ხვალ გეახლებითო, თქვა და წაბრძანდა.

ამ ცარიელმა სავარძელმა ცოტა ხანს შეამცირა ქორწილის სიხარული, მაგრამ თუ ჟან ვალჟანი არ იყო, ბატონი ჟილნორმანი ხომ იქ იყო, და ისეთ კარგ გუნებაზე, რომ მისი მხიარულება ორივესას უდრიდა. მან გამოაცხადა, - ძალიან კარგი უნებებია, რომ ადრე დაწოლილა, თუ მართლა შეუძლოდ არის; თუმცა პატარა „ფუფუა“ სტკივა და საშიში არაფერი სჭირსო. ამ მოსაზრებამ იკმარა და ესეც რომ არ ყოფილიყო, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ერთ ცარიელ სავარძელს ამ სიხარულის ზღვაში. იმ ეგოისტურ, კურთხეულ ნეტარებაში იყვნენ კოზეტი და მარიუსი, როდესაც თავისი ბედნიერების მეტს არაფერს ხედავს ადამიანი. და ერთხელ კიდევ იელვა ბატონი ჟილნორმანის მჭევრმა მოსაზრებამ: „ასე უპატრონოდ ხომ არ დარჩება ეს უბედური?

- მიმართა მარიუსს, - მოდი, მარიუს, შენ დაბრძანდი აქ. უფლება დეიდაშენს ეკუთვნის, მაგრამ სიამოვნებით დაგითმობს. ვიცი, მოდი. კანონიერიც იქნება და მოხდენილიც. დაე, ბედნიერი ბედნიერთან იყოს". ტაში დაჰკრა მთელმა დარბაზმა. მარიუსი გვერდზე მიუჯდა კოზეტს. ჟან ვალჟანის ადგილი მას ერგო და ისე მოილხინა სტუმარ-მასპინძელმა, რომ კოზეტიც კი, ცოტა არ იყოს, მწუხარე, რომ ჟან ვალჟანი იქ არ ჰყავდა, გამხიარულდა. მას ღმერთიც დაავიწყდებოდა, ოღონდ მარიუსს დაეკავებინა მისი ადგილი. ადგა და თავისი პაწია ფეხი, თეთრი აბრეშუმის ფეხსაცმლიანი, ფეხზე დაადო მარიუსს.

მარიუსს ერგო სავარძელი და მაშინვე მიივიწყეს ბატონი ფოშლევანი. ხუთი წუთის შემდეგ მთელი სუფრა ხარხარებდა, თავიდან ბოლომდე, იმ წმინდა აღტაცებით, რომელიც ცხოვრების ვაი-ვაგლახს ავიწყებს ადამიანს.

ხილი რომ მოართვეს სტუმრებს, წამოდგა ბატონი ჟილნორმანი, ხელში სასმისი აიღო, შამპანური ღვინით ნახევრად სავსე, რომ ოთხმოცდათოთხმეტი წლის მოხუცის ხელის კანკალს არ დაეღვარა, და ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა:

- ძალიანაც რომ არ გნებავდეთ, მაინც ვერ გადარჩებით ორ ქადაგებას. ერთი უკვე მოისმინეთ დღეს დილით მოძღვრისგან, საღამოს მეორე ინებეთ, თქვენი ბაბუისგან. ყური დამიგდეთ, მინდა ერთი რამ გირჩიოთ: ისე გიყვარდეთ, რომ აღმერთებდეთ ერთმანეთს, ნუ გეშინიათ, არც ძალიან გავჭიმავ ჩემს სიტყვას, პირდაპირ დავასკვნი: იყავით ბედნიერი, ბევრი რამ გაეუჩენია იმ ყოვლადშემძლებლად წოდებულს, მაგრამ გერიტისთანა ბრძენს ვერავის ნახავთ; ფილოსოფოსები ბრძანებენ, ზომიერი იყავით თქვენს სიხარულშიო. მე კი სულ სხვას გირჩევთ, - მიუშვით აღვირი თქვენს სიხარულს. ისე იყავით სიყვარულით გაგიჟებული, როგორც ქაჯები, გაგიჟებული, გაშმაგებული; რას მიედ-მოედებიან ფილოსოფოსები? ხელში რომ ჩამივარდებოდნენ, ყელში ჩავჩრიდი მათ ფილოსოფიას, განა შეიძლება მეტისმეტი სურნელება ჰქონდეს ვარდს, ან მეტისმეტი ესხას გაშლილი ვარდი? განა შეიძლება მეტისმეტი იყოს ბულბულის გალობა? მეტისმეტი იყოს მწვანე ფოთოლი ან განთიადი? განა შეიძლება მეტისმეტი სიყვარული? განა შეიძლება მეტისმეტად მოსწონდეთ ერთმანეთი? აჰ, ფრთხილად იყავი, ესტელ, მეტისმეტად ლამაზი ხარ. გაფრთხილდი, ნემორენ, მეტისმეტად კოხტა ბიჭი ხარ. აი, სისულელე ამას ჰქვია, როგორ შეიძლება მეტისმეტად მოიხიბლოს კაცი, მეტისმეტად იქნეს აღტაცებული? ნუთუ შეიძლება მეტისმეტად ცოცხალი იყოს კაცი? ნუთუ შეიძლება მეტისმეტად ბედნიერი იყოს? ზომიერად დაეწაფეთ ნეტარებასო. აბა, რა სათქმელია! ძირს ფილოსოფოსები! სიბრძნე ლხინია. მაშ, მოილხინეთ, მოვილხინოთ! ბედნიერნი ვართ იმიტომ, რომ კეთილნი ვართ, თუ კეთილნი ვართ, იმიტომ, რომ ბედნიერნი ვართ? სახელგანთქმულ ბრილიანტს სანსი იმიტომ ჰქვია, რომ ნიკოლა დე არლე, სირ დე სანსის ეკუთვნის თუ იმიტომ, რომ ას ექვს კარატს იწონის? მე ეს არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენი ცხოვრება სავსეა ამისთანა გამოცანებით. უმთავრესი ის არის, რომ ადამიანს სანსი და ბედნიერება ჰქონდეს. მაშ, ვეცადოთ, ვიყოთ ბედნიერნი. ბრმად დავმორჩილდეთ მზეს. რა არის მზე? მზე სიყვარულია და ვინც ამბობს, სიყვარულიო, ის ამბობს, ქალიო. ოო, თუ ყოვლისშემძლე გნებავთ, მხოლოდ ქალია ყოვლისშემძლე. აბა, ჰკითხეთ მარიუსს, ამ დემაგოგს, ყურმოჭრილი მონა არის თუ არა კოზეტის, ამ ცუგრუმელა ტირანის. მერე როგორ? სრული შეგნებითა და ნებით. ქალი? რობესპიერი კი არა, ქალი მეფობს. მე თუ მეფე მწამს, მხოლოდ ეს მეფე. რა იყო თქვენი ადამი? მას ხომ ევა

მართავდა. და ვერავითარი რევოლუცია, თუნდაც ოთხმოცდაცხრა წლისა, ვერ დაამხობს ქალის მეფობას. იყო სკიპტრა მეფისა და თავზე შროშანა აჯდა ოქროსი; იყო სკიპტრა ხელმწიფისა და თავზე ქვეყანა აჯდა, ისიც ოქროსი. იყო სკიპტრა კარლოს დიდისა, რკინისა, იყო სკიპტრა ლუი დიდისა, ოქროსი; რევოლუციამ ცერი და სალოკი თითი მოუჭირა და გასრისა, როგორც მატლი. გათავდა და მორჩა! გასრისა, გაჭყლიტა, ძირს დასცა და მიწასთან გაასწორა: აღარც სკიპტრაა, აღარც მეფე, მაგრამ აბა, ერთი მოაწყვეთ რევოლუცია აი, იმ პატარა ცხვირსახოცის წინააღმდეგ, პაჩულის სუნამოს სურნელებას რომ აფრქვევს, აბა, სცადეთ! მაშინ ვნახავთ, რა ბიჭებიც ხართ! რად არის ურყევი ეს მეფობა? იმიტომ, რომ ჩვარია. რა, თქვენ XIX საუკუნის შვილები ბრძანდებით? ძალიან კარგი, მერე რა? ჩვენ კიდევ XVIII საუკუნისანი ვიყავით და ისეთივე სულელები, როგორიც თქვენა ხართ. ის კი არა თქვათ, დიდებულად გარდავქმენით ქვეყნიერებაო. რით გარდაქმენით, ერთი მიბრძანეთ? იმით, რომ ქოლერას სახელი გამოუცვალეთ და ძველებურ ცეკვა ბურეს კაჩუჩა დაარქვით? აკი გეუბნებით, ყოვლისშემძლე მხოლოდ ქალია და ის უნდა გვიყვარდეს. ვინ იქნება, რომ თქვას, ქალი არა მწამსო? ეს ქაჯები ხომ ჩვენი ანგელოზები არიან? დიახ, სიყვარული, ქალი, ალერსი. ეს იმგვარი წრე გახლავთ, რომ შიგ შევდივართ და გამოსვლით კი ვერავინ გამოვდივართ. რაც შემეხება პირადად მე, ნეტავ შეიძლებოდეს ერთხელ კიდევ მოვყვე იმ წრეში. ვის გინახავთ, როგორ ამოდის უსაზღვროში, თან გზად ყველაფერს ამშვიდებს და ქალივით გაჰყურებს ზღვას, როგორც სარკეს, ვარსკვლავი ვენერა, უფსკრულის სახელოვანი კეკლუცი, ოკეანის სელიმენი? ოკეანე უხიაგი ალცესტია. ჰოდა, ძალიანაც რომ ღრინავდეს ოკეანე, როგორც კი გამოჩნდება კოპწია ვენერა, სიხარულით ევსება გული: ეს მხეცი ოკეანეც კი დამონებული ჰყავს ქალბატონს და ჩვენც ასევე ვართ ყველანი. გაბრაზება, გააფთრება, გაცოფება, ჭექა-ქუხილი... და ამ დროს ქალი გამოდის სცენაზე. ვარსკვლავი ბრწყინავს და... მუხლს იყრის მძვინვარება. ამ ექვსი თვის წინ მარიუსი იბრძოდა, დღეს კი ცოლს ირთავს და ძალიან კარგსაც შვრება. ჰო, ჩემო მარიუს, ჰო, ჩემო კოზეტ, მოგხედათ ღმერთმა; მაგრად იყავით, ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, რომ შურით გავსკდეთ, რატომ ჩვენ არ გვეღირსა ეს სიყვარულიო? კერპად და თაყვანსაცემად გაიხადეთ ერთმანეთი. მერცხალივით აკენკეთ, საცა კი ბედნიერების ტკბილ მარცვალს შეხვდებით და ტკბილი ბუდე გაიკეთეთ. მთლიანად გამოიყენეთ თქვენი სიყმაწვილე. გიყვარდეთ, უყვარდეთ. სიყმაწვილე სასწაულია, აბა, რის ახალგაზრდა ხარ! ის კი არ იფიქროთ, ჩვენ აღმოვაჩინეთ სიყვარულიო. მეც თქვენსავით ყმაწვილი ვიყავი, ვოცნებობდი, ვნატრობდი, ვოხრავდი, მეც შევხაროდი მთვარის შუქს. სიყვარული ექვსი ათასი წლის ყმაწვილია და სრული უფლება აქვს ერთი კარგი თეთრი წვერი მოუშვას. მათუსალა ბალღია კუპიდონთან შედარებით. სამოცი საუკუნეა სიყვარულით ერთად ეწევიან უღელს ქალი და კაცი. ცბიერია ეშმაკი და მტრად გადაეკიდა კაცს; კაცი უფრო ცბიერი გამოდგა და ქალი შეიყვარა. ამგვარად უფრო მეტი სიკეთე შეიძინა, ვიდრე ეშმაკი ავს უპირებდა. სამოთხე დააკარგვინა კაცს ეშმაკმა, მაგრამ იმანაც არანაკლები ტკბილი სამოთხე შეიძინა. ძველისძველია ეს შენაძენი, მაგრამ სულ ახალი ყველგან და ყოველთვის. იგი თქვენც გამოიყენეთ. იყავით დაფნისი და ქლოე, ვიდრე ფილემონი და ბავკიდა გახდებოდეთ. ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, რომ აღარაფერი გაკლდეთ, თუ ერთად იქნებით. კოზეტი მზე იყოს მარიუსისათვის და მარიუსი მთელი ქვეყნიერება კოზეტისთვის. კოზეტისთვის

ტკბილი დარი იყოს მარიუსის ღიმილი და მარიუსისთვის შხაპუნა წვიმა იყოს კოზეტის ცრემლი. ოღონდ ისე მოაწყვეთ ყველაფერი, რომ წვიმა არასოდეს მოვიდეს თქვენს ბუდეში. ძალიან კარგი ნომერი ამოიღეთ ლატარიიდან, - დალოცვილი სიყვარული; დიდი განძი გერგოთ და გაუფრთხილდით, ჩაკეტილი გქონდეთ, ნუ გაფლანგავთ, ერთმანეთს ეთაყვანეთ და სხვა ნურაფერი გინდათ. მერწმუნეთ, რასაც ვამბობ, საღი მსჯელობის ნაყოფს ვამბობ და საღმა მსჯელობამ ტყუილი არ იცის. წმინდა სარწმუნოება იყავით ერთმანეთისთვის. ყველა თავისებურად აღმერთებს ღმერთს, მაგრამ დამიჯერეთ, საუკეთესოდ ის აღმერთებს ღმერთს, ვისაც თავისი ცოლი უყვარს. ჩემი კატეხიზმო გნებავთ? ერთი სიტყვაა - მიყვარხარ! თუ უყვარს ადამიანს, მაშ, ღვთისმოსავიც არის. ანრი IV-ის საყვარელი ფიცი სარწმუნოებას ქეიფსა და ლოთობასთან აერთიანებდა. მე ასეთი სარწმუნოებისა არა მწამს, რადგან მასში ქალი დავიწყებულია და ძალიანაც მიკვირს ანრი IV-ისა. მაშ, ასე, მეგობრებო, გაუმარჯოს ქალს! მე მოხუცი ვარ, როგორც ამბობენ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა ჭაბუკად ვგრძნობ თავს. მზად ვარ მთაში ავვარდე, რომ მესტვირე ვნახო სადმე. ამ ყმაწვილებს რომ ვხედავ, მშვენიერებს, ბედნიერებს, სიყმაწვილე მერევა და რომ ვინმე მოისურვებდეს, დღესვე ქორწილს გავაჩაღებდი. შეუძლებელია სხვა დანიშნულებით გავეჩინეთ ღმერთს, გარდა მიწის წმინდა მცნებისა: გიყვარდეთ, თაყვანსა სცემდეთ, ღუღუნებდეთ, გადაიქეცით მტრედად, მამლად, კენკავდეთ სიყვარულს დილით საღამომდე, სარკედ გყავდეთ ცოლი, იყავით ამაყად, გამარჯვებულად, გულმხიარულად, - აი, მიზანი ჩვენი სიცოცხლისა. აი, ბატონო, იქნებ არც კი მოგვიწონოთ, რა აზრისანი ვიყავით ჩვენს სიყმაწვილეში. აჰ, რამდენი ლამაზი ქალი იყო. კოპწია, მომხიბლავი! დავერეოდი ხოლმე, ავიკლებდი იქაურობას! მაშ, დატკბით სიყვარულით. თუ სიყვარული არ იქნება, ვერ წარმომიდგენია, რა საჭიროა მაშინ გაზაფხული? მე რომ მკითხონ, დღესვე მივართმევდი იმ დალოცვილ ღმერთს ერთ არზას, რომ უკანვე წაიღოს თავისი ყოველი სათნოება და ჩვენ მარტო ყვავილები, მგალობელი ჩიტები და ლამაზი ქალები დაგვიტოვოს. შვილებო, მიიღეთ კურთხევა თქვენი ბებერი წინაპრისა.

მხიარულად გაატარეს საღამო, საამოდ. კარგ გუნებაზე იყო მოხუცი ბაბუა, ბედნიერი, გახარებული და სტუმრებმაც მოილხინეს. ბევრი იცინეს, ცოტა იცეკვეს, იმხიარულეს, ძველებური ლხინი განაახლეს, მით უფრო, რომ იქვე ჰყავდათ ძველი დროების წარმომადგენელი ბატონი ჟილნორმანი.

ხმაური იყო და მერე მიჩუმდა ყველაფერი.

სადღაც გამქრალიყო ნეფე-დედოფალი.

შუაღამის შემდეგ ტაძრად გადაიქცა ბატონი ჟილნორმანის სახლი.

აქ უნდა გავჩერდეთ. ნეფე-დედოფლის საძინებელს ერთი ანგელოზი იცავს. დგას კართან, იღიმება და თითი მიუდვია პირზე.

საკურთხეველია ნეფე-დედოფლის საწოლი. იქ არავის შეუშვებს ეს დარაჯი.

სხივი უნდა ადგეს ამ სახლს. ნეფე-დედოფლის ნეტარება არ უნდა ეტეოდეს იქ, ქვიტკირს უნდა არღვევდეს და თავისი სინათლით ანათებდეს ღამის სიბნელეს. შეუძლებელია, წმინდა დღესასწაულს ზეციერი სხივი არ მიეძღვნას უსაზღვროსთვის. სიყვარული ბრძმედია წმინდა, რომელშიც ქალი და კაცი შეერთდებიან. სიყვარული ქმნის ადამიანის სამებას. ორი სულის ერთ სულად შეერთება წმინდაა და მღელვარების აღმძვრელი. ნეფე მოძღვარია, დედოფალი კი შიში და მორცხვობა.

სიხარულია ეს შეერთება და ცოტა რამ ამ სიხარულისა ზეცამდეც აღწევს. სადაც ნამდვილი ქორწინებაა, ესე იგი, სადაც სიყვარულია, იქ იდეალიც ურევია. ნეფე-დედოფლის საწოლი სინათლის კუთხესა ქმნის ღამის სიბნელეში, რომ ადამიანის თვალის კაკალს ზენასიცოცხლის საშინელი და მომხიბლავი აჩრდილების დანახვა შეეძლოს. შესაძლებელია დაინახოს ჩვენთვის უხილავი არსებანი, უცნობი ფრთოსანნი, უხილავში მავალნი, რომლებიც ყოველმხრივ მოეფინებიან ნეფე-დედოფლის ბრწყინვალე სახლს კმაყოფილნი, დამლოცველნი, პატარძლის კდემამოსილებით აღტაცებულნი და ადამიანური სიხარულით თავიანთ ღვთიურ სახეზე. მართალია, ამ დროს საძინებელში მარტოდმარტონი არიან, მაგრამ ცოლ-ქმარი თავის ნეტარებას წამით რომ გამოუსხლტებოდეს და ყურს მიუგდებდეს, ცხადად გაიგონებდა ფრთების შრიალს. სრულ ბედნიერებას თან ახლავს ანგელოზების თანაგრძნობა. ამ პატარა საწოლს მთელი ზეცა დაჰყურებს ჭერად. სიყვარულით დალოცვილი ორი ბაგე ერთდება შესაქმნელად. შეუძლებელია ამ კოცნამ ვარსკვლავთ საიდუმლო უსაზღვროებამდე არ მიაღწიოს.

ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერება. აქ არის მარტო ნამდვილი ბედნიერება. ერთადერთი აღტაცება აქვს ადამიანს - სიყვარული. სხვა ყველაფერი ამაოებაა.

გიყვარდეთ თუ გიყვარდათ, ეს საკმარისია, სხვას ნუღარაფერს მოითხოვთ. ჩვენი ცხოვრების ბნელ სამალავებში სხვა ამნაირ მარგალიტს ვერ იპოვით. სიყვარული ადამიანის დანიშნულების აღსრულებაა.

## თავი მესამე
## განუშორებელი

### რა მოუვიდა ჟან ვალჟანს?

კოზეტმა რომ სთხოვა, გაიცინეო და გაიცინა კიდეც, მერე ისიც მარტო დარჩა, ყურადღებას არავინ აქცევდა; წამოდგა და შეუმჩნევლად გავიდა წინკარში. ის ოთახი იყო სწორედ, რომელშიც რვა თვის წინ შევიდა ლაფში ამოთხვრილი, სისხლითა და სიბინძურით მოსვრილი, და შვილიშვილი მოუყვანა მოხუც ბაბუას. ძველებურ ავეჯზე ყვავილები და მწვანე ფოთლები ეფინა. მუსიკოსები ისხდნენ იმ დივანზე, რომელზეც მაშინ მარიუსი დააწვინეს. ბასკს შავი სერთუკი, მოკლე შარვალი, თეთრი წინდები, თეთრი თათმანები ჩაეცვა და ყვავილების გვირგვინს ახვევდა სასადილო დარბაზში შესატან საჭმელს. ჟან ვალჟანმა თავისი ახვეული ხელი დაანახვა, სთხოვა, მოეხსენებინა მიზეზი მისი წასვლისა, და წავიდა.

სასადილო დარბაზის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა. ცოტა ხანს განათებული მხიარული ფანჯრების ქვემოთ დადგა, სიბნელეში და ყური მიუგდო. ლხინისთვის ჩვეული აურზაური გამოდიოდა. ბატონი ჟილნორმანის ხმამაღალი, მედიდური სიტყვა, ვიოლინოს ხმა, თეფშების და ჭიქების წკარუნი, მხიარული სიცილი ესმოდა და ამ მხიარულ ჟრიამულში ცხადად არჩევდა თავისი კოზეტის ნაზ, ბედნიერ ხმას.

მერე ნელ-ნელა შინისკენ წავიდა.

სენ-ლუის ქუჩა გაიარა, სენ-კატერინისა და ბლან-მანტოს ქუჩების გავლით. ცოტა შორს მოვლა დასჭირდებოდა, მაგრამ სამი თვე იყო ამ გზით დადიოდნენ ის და კოზეტი, რომ ვიეილ-ტამპლის ქუჩის ჭედვაში არ მოხვედრილიყვნენ, მარიუსის ამბის გასაგებად რომ წავიდოდნენ ხოლმე ყოველდღე.

ამ ქუჩით დადიოდა კოზეტი და ამიტომ ჟან ვალჟანისთვის სხვა გზა აღარ არსებობდა.

შინ მივიდა, სანთელი აანთო, კიბე აიარა, შევიდა თავის ბინაში, ცარიელი დახვდა სახლი, ტუსენიც კი აღარ იყო. ჩვეულებისამებრ დადიოდა ოთახებში, მაგრამ საშინლად ეჩვენებოდა თავისი ფეხის ხმა. სულ ღია დახვდა კამოდისა და განჯინის უჯრები. კოზეტის ოთახში შევიდა. ზეწარი აღარ ეფარა ლოგინს. უბალიშისპირო და უმაქმანო ბალიშები დაკეცილ საბანზე ელაგა, ლეიბის ბოლოს. ქალის ყველა წვრილმანი ნივთი, რაც კი საამოდ მიაჩნდა, თან წაეღო კოზეტს. სახლში აღარაფერი იყო, გარდა ავეჯისა და ოთხი კედლისა. აღარც ტუსენის საწოლი იდგა. ერთადერთი ლოგინი იყო გაშლილი, თითქოს ელოდა ვინმეს, და ის ჟან ვალჟანისა იყო.

კედლები დაათვალიერა, განჯინების კარები მიხურა და სიარული დაიწყო ერთი ოთახიდან მეორეში. მერე თავის ოთახში შევიდა, შანდალი მაგიდაზე დადგა. გაიხსნა შეხვეული ხელი და ისე ხმარობდა მარჯვენას, როგორც ყოველთვის; სრულიად უმტკივნეულოდ, თითქოს არც კი სტკივებოდეს.

თავის ლოგინთან მივიდა და შემთხვევით იყო თუ განზრახ, თვალში ეცა „განუშორებელი“ პატარა ჩანთა, ჟან ვალჟანი რომ არასოდეს იშორებდა და კოზეტსაც კი ეჭვი აღუძრა 4 ივნისს, ამ ახალ სახლში რომ გადმოვიდნენ, ლ’ომ-არმეს ქუჩაზე, ის ჩანთაც პატარა მაგიდაზე დადო თავის საწოლთან. სწრაფად მივარდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ჩანთა გახსნა.

ნელ-ნელა ამოალაგა ის ტანისამოსი, რომლითაც ათი წლის წინ მონფერმეილიდან წამოიყვანა პატარა კოზეტი; ჯერ პატარა შავი კაბა ამოიღო, მერე შავი ზედატანი, ბავშვის მოუხეშავი წაღები, რომელიც დღესაც კარგად მოუვიდოდა კოზეტს, რადგან მეტისმეტად პატარა, კოპწია ფეხი ჰქონდა; ბამბაზიის ქურთუკი, ნაქსოვი ქვედაკაბა, ჯიბიანი წინსაფარი და შალის წინდები. ამ წინდებს ჯერაც ეტყობოდა პატარა გოგოს ფეხის მოყვანილობა. შავი იყო ყველაფერი. ჟან ვალჟანმა მოუტანა კოზეტს ეს ტანისამოსი, მის წამოსაყვანად რომ მივიდა მონფერმეილში. იღებდა ჩანთიდან და თავის ლოგინზე შლიდა. ფიქრობდა წარსულზე და წარსული ედგა თვალწინ. ზამთარი იდგა, დეკემბერი, მეტად ცივი, კანკალებდა საწყალი გოგო, რადგან თითქმის შიშველი იყო; შიშველი, გაწითლებული ფეხი ედგა გაყინულ ხის ქოშში. ეს შავები ჩააცვა ჟან ვალჟანმა, რადგან ობლად დარჩენილიყო ბავშვი; ის იყო, მოჰკვდომოდა უბედურს დედა. კმაყოფილი უნდა ყოფილიყო მიცვალებული თავის საფლავში, რომ მისი შვილი გლოვის ტანისამოსით იყო მოსილი, მეტადრე უფრო იმით, რომ შიშველი აღარ იყო და თბილი ტანისამოსი ეცვა. მერე ონფერმეილის ტყე მოაგონდა, ერთად რომ გაიარეს მან და კოზეტმა, მოაგონდა მაშინდელი სიცივე, ტყე, რომელსაც აღარც ფოთოლი შერჩენოდა, აღარც ფრინველი, მოქურუშებულიყო ცა; ავდარი იდგა, მაგრამ მაინც მშვენიერება იყო. გაშალა კოზეტის ტანისამოსი, თავის ლოგინზე დაალაგა და თვალი ვეღარ მოაშორა. ჯერ მიწას არ ასცილებოდა მაშინ კოზეტი, დიდი დედოფალაც ხელში ეჭირა, ოცფრანკიანი ოქრო წინსაფრის ჯიბეში ჰქონდა და იცინოდა. ერთად მიდიოდნენ ორნი. პატარას ხელი ამ მადლიანი კაცის ხელს ეჭირა. მის მეტი არავინ ჰყავდა ამქვეყნად.

ლოგინზე დაუშვა თავისი თოვლივით თეთრი თავი; ვეღარ გაუძლო ამხელა ვარამს მისმა გამძლე გულმა, სახე დამალა კოზეტის ტანისამოსში და იმ დროს რომ აევლო ვინმეს კიბეზე, მწარე ქვითინს გაიგონებდა.

## თავი მეოთხე
## „IMMORTALE JECUR“

ისევ დაიწყო ძველი საზარელი ბრძოლა, რომლის სახეცვლილება ჩვენ რამდენჯერმე ვიხილეთ.

იაკობს ჭიდაობა მოუხდა ანგელოზთან მარტო ერთ ღამეს, ჟან ვალჟანი კი ვაი, რომ ბევრჯერ გვინახავს თავის სინდისთან შეჭიდებული მედგარ ბრძოლაში.

საზარელი იყო ეს ბრძოლა. ხანდახან ფეხი დაუსხლტებოდა ჟან ვალჟანს; ხან კიდევ ეგონა, რომ ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ. რამდენჯერ ყოფილა, რომ მის სინდისს, სიკეთით გახელებულს, დაუმარცხებია და ძირს დაუცია მისი ბოროტი განზრახვა. რამდენჯერ ყოფილა, ულმობელი ჭეშმარიტება გულზე დასცემია და მუხლი დაუჭერია დავარდნილისთვის, რამდენჯერ ყოფილა, ჭეშმარიტების მიერ ძირს გართხმულს შეწყალება უთხოვია; რამდენჯერ ყოფილა, ეპისკოპოსის მიერ მასში ანთებულ უბიწო სანთელს თვალი აუხელია მისთვის სწორედ მაშინ, როდესაც დაჟინებით დაბრმავებას ცდილობდა; რამდენჯერ ყოფილა, წამოვარდნილა ამ ბრძოლაში დაცემული, კლდეს მიჰყრდნობია, სოფიზმს ჩასჭიდებია მტვერში ნათრევი, ხან ძირს დაუცია თავისი სინდისი, ხან ქვეშ მოჰყოლია; რამდენჯერ ყოფილა, ორაზროვანი დებულებით, ბედნავსი ეგოისტური აზრით გატაცებულს თავისი სინდისის ხმა გაუგონია, რომელიც ყურში ჩასძახოდა: „ვის ატყუებ, ვის, შე უბედურო?“ რამდენჯერ ყოფილა, რომ მის ურჩ, ახირებულ აზრს კონვულსიურად ხიხინი დაუწყია, როდესაც წინ აღდგომია მოვალეობის ასრულების აუცილებლობა. ღვთის წინააღმდეგობა ნებავდა. ჭირის ოფლში იწურებოდა. დაჭრილი, დასერილი ჰქონდა გული და მარტო თვითონ გრძნობდა მის დაწყლულებას. სულიერი ტანჯვა იყო მისი სიცოცხლე. რამდენჯერ წამომდგარა დასისხლიანებული, ცოცხალ-მკვდარი, ღონემიხდილი, სასოწარკვეთილებით აღსავსე გულითა და ნათელი სულით, დამარცხებულს გამარჯვებულად უცნია თავი. ასე დაამტვრევდა მას, მუხრუჭით სცემდა და ძირს დასცემდა მისი ნათელი, წმინდა სინდისი, მერე თვითონვე წამოაყენებდა და ამშვიდებდა, წადი და მშვიდობით იარეო.

მაგრამ რა დაამშვიდებდა ამგვარი საზარელი ბრძოლის შემდეგ?

იმ ღამეს კი გრძნობდა ჟან ვალჟანი, რომ უკანასკნელად უბედავდა ბრძოლას თავის სინდისს. მრისხანე საკითხი წამოჭრილიყო მის წინ.

თავისი დანიშნულების შესასრულებლად ბედისწერა პირდაპირი გზით არ მიდის, სწორი გზით არ მიეშურება; ხან ჩიხს, ხან ქუჩაბანდს, ბნელ მისახვევ-მოსახვევს, ხან კი გზაჯვარედინს მიადგება. ჟან ვალჟანიც ამ წამს ერთ გზაჯვარედინს მისდგომოდა და აღარ იცოდა, საით წასულიყო.

კეთილისა და ბოროტის უაღრეს შეჭიდებამდე მისულიყო. ახლაც თვალწინ ედგა ორივე, ერთმანეთის მოსისხლე მტერი, როგორც წინათ, ყოველთვის. როცა ამგვარ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ორი გზა გამოჩნდებოდა ხოლმე მის თვალწინ: ერთი მიმზიდველი, მეორე საზარელი. რომელი აერჩია?

საზარელ გზას უჩვენებდა თითით ის იდუმალი ჩვენი წინამორბედი, რომელსაც ყოველთვის ვხედავთ, როდესაც კი ბნელში ვართ და გზა ვერ გაგვიგნია.

ერთხელ კიდევ უნდა ამოერჩია ჟან ვალჟანს. ერთ მხარეს, საშინელი ნავმისადგომი იყო და მეორე მხარეს - ტკბილად მცინარი სახე.

მაშ, მართალია? სულის განკურნება შეიძლება და ბედისწერისა კი არა? საშინელებაა განუკურნავი, უცვლელი ბედი. აი, რა ჰქონდა გადასაჭრელი ჟან ვალჟანს:

რა დამოკიდებულება ექნებოდა კოზეტის და მარიუსის ბედნიერებასთან? თვით ისურვა მათი ბედნიერება, დაეხმარა და მოაგვარა; თვითონვე გაიგმირა გული და ახლა მათ ბედნიერებას რომ უყურებდა, ისეთივე კმაყოფილება უნდა ეგრძნო, როგორსაც უნდა გრძნობდეს მეიარაღე, რომელსაც დანა დასცეს გულში და ამოღებისას თავის გაკეთებულს იცნობს.

კოზეტს მარიუსი ჰყავდა, მარიუსს - კოზეტი. მათ ყველაფერი ჰქონდათ, სიმდიდრეც კი და ყოველივე ეს მისი წყალობით.

დიახ, ბედნიერები იყვნენ კოზეტი და მარიუსი. უკვე არსებობდა ეს ბედნიერება. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ჟან ვალჟანისთვის მათი ბედნიერება? ისიც ჩაერევა და დატკბება ამ ბედნიერებით, როგორც თავისი ხელით შექმნილით? მართალია, კოზეტი სხვისი იყო, მაგრამ ძველებურად ისარგებლებს კოზეტის სიყვარულით? ძველებურად დარჩება კოზეტის მამად, პატივცემულად, როგორც აქამდე იყო? თვითონაც შევა გულდამშვიდებით კოზეტის სახლში? შეძლებს, რომ ხმის ამოუღებლად შეურიოს თავისი წარსული ამ ტკბილ მომავალს? შეძლებს, ისე შევიდეს კოზეტის ოთახში, როგორც უფლების მქონე, და დამშვიდებული გამოიჭიმოს თავისი უხილავი ნიღბით მათ ნათელ ბუხართან? შეძლებს კი, ღიმილით ხელი ჩამოართვას ამ ორ ანგელოზს თავისი სამარცხვინო დაღიანი ხელით? შეძლებს კი ჟილნორმანის დარბაზში ბუხართან გაითბოს ფეხები, რომელთაც თან სდევთ კანონის მომაკვდინებელი დადგენილება? ნუთუ წილს დაიდებს კოზეტისა და მარიუსის ბედნიერებაში? ნუთუ კიდევ უფრო გაიზვიადებს თავის ნაღველს და მით მოღრუბლავს მათ ნეტარებას? ნუთუ ამ ბედნიერ სიყმაწვილეში ის, მესამე პირად, თავის უბედურებას ჩარევს? როდემდის უნდა იყოს ასე მალული? ერთი სიტყვით, ნუთუ კოზეტისა და მარიუსის ბედნიერებაში ჩარევს თავისი ბედის სირცხვილს, დღეს ღრმად ჩამალულს?

მიჩვეული უნდა იყოს ადამიანი ავბედითს და მის ხშირად ნახვას, რომ გაბედოს და თვალი არ მოარიდოს, როდესაც გაშიშვლებული საშინელებით წამოიჭრება ჩვენ წინ რაიმე კითხვა. ავიც და კარგიც უკან უდგანან ამ საშინელ წერტილს კითხვისას. „აბა, რას აპირებ?“ - გვკითხავს სფინქსი.

მიჩვეული იყო ჟან ვალჟანი ავ ბედთან შეყრას და თვალი თვალში გაუყარა სფინქსს.

დააცქერდა თავის საბედისწერო საკითხს და ეცადა, დაწვრილებით, კარგად გაესინჯა ყოველმხრივ.

კოზეტი, ეს მომხიბლავი არსება, მის წინ ტივის მსგავსად წამოიჭრა, როდესაც ის წყალწაღებული იყო. ახლა როგორ მოიქცეს?ტივს ჩაეჭიდოს თუ მიჰყვეს თავის ბედისწერას?

ტივზე რომ აძვრეს, უბედურებას აიცდენს, მზის სხივით დატკბება, თავისი თმიდან და ტანისამოსიდან ამ ჩამწარებულ წყალს მოიშორებს, ცოცხალი დარჩება.

რომ არ ისარგებლოს ტივით?

დაიღუპება.

ასე ეკითხებოდა გულისფანცქალით თავის გონებას, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ასე ებრძოდა თავს. გაცოფებული დაეტაკებოდა ხოლმე ხან თავის ნებას, ხან თავის რწმენას.

ბედი ეწია სწორედ, რომ ტირილი შეძლო. იქნება ამან ჩამოაშორა გონებას ბინდი. მაინც საშინელი იყო ამ სულიერი ბრძოლის დასაწყისი. ბორგვა მოერია, უფრო დაუცხრომელი, ვიდრე წინანდელი, რომელმაც არასში მიიყვანა, და უფრო მეტად აწამებდა, ვიდრე მაშინ. წარსული წარმოუდგა, როდესაც აწმყო ჰქონდა გადასაწყვეტი; ადარებდა და ქვითინებდა. საგუბარს რომ მოხსნით ცრემლს, მერე ძლივსღა შეაყენებთ. ტიროდა იმედმიხდილი და ხელებს იმტვრევდა.

გრძნობდა, რომ ამას ვეღარ გაუძლებდა.

რას იზამთ? ჩვენი ეგოიზმისა და ვალდებულების სიკვდილ-სიცოცხლეზე რომ მიდგება საქმე, როდესაც ნელ-ნელა ვღალატობთ ჩვენს იდეალს, სასოწარკვეთილნი, გაშმაგებულნი, გადარეულნი ვიცავთ ჩვენს სასურველს და მაინც ვმარცხდებით; ვცდილობთ გაქცევას, გასასვლელს ვეძებთ, მაგრამ მიუდგომელ კლდეს გვიდგამს ყოველმხრივ ჩვენი სინდისი და გვიმორჩილებს.

კლდე თუ არა, წმინდა აჩრდილია ჩვენს წინააღმდეგ. უხილავი, ულმობელი სინდისი და მისი ბრძანება.

სინდისი იბრძვის და არ ათავებს ბრძოლას, სანამ თავისას არ გაიტანს. ეს გახსოვდეს, ბრუტუს, გახსოვდეს, კატონ! სინდისი უძიროა, რადგან ღმერთია. და ამ ჭაში ყრიან მთელი სიცოცხლის ნაშრომს, შიგ ყრიან თავის ბედს, ქონებას, გამარჯვებას, თავისუფლებას ან სამშობლოს, კეთილდღეობას, თავის მშვიდობას, ბედნიერებას. კიდევ ჩაყარეთ! კიდევ! დაცალეთ კალათა! დააპირქვავეთ კოკა! ბარემ თქვენი გულიც შიგ ჩაისროლეთ და გაათავეთ!

სადღაც ძველი ჯოჯოხეთის ბნელ მიყრუებულ კუთხეშიც უნდა ყოფილიყო ამის მსგავსი უძირო კასრი. განა გასაკიცხია, ვინც ვერ გაუძლებს? განა ამოუწურავს შეუძლია თავისი უფლებების წამოყენება? განა უბოლოო ჯაჭვს გაუძლებს ადამიანი? ვინ გაამტყუნებს სიზიფესა და ჟან ვალჟანს, რომ თქვან, კმარა, მეტი აეღარ შეგვიძლიაო.

მასალის მორჩილებას ხახუნი საზღვრავს. ნუთუ სულის დამორჩილებას არ უნდა ჰქონდეს თავისი საზღვარი? თუ შეუძლებელია მუდმივი მოძრაობა, ნუთუ შესაძლებლად უნდა მიგვაჩნდეს მუდმივი თავგანწირვა?

პირველ ნაბიჯს, კიდევ ჰო, გაუძლებს ადამიანი, მაგრამ აუტანელია უკანასკნელი! რას წარმოადგენდა შანმატიეს საქმე კოზეტის გათხოვებასა და მის შედეგთან შედარებით? რა იყო ის ბრძანება, კატორღას დაუბრუნდიო, ამ ბრძანებასთან შედარებით: არარაობაში დაიღუპეო.

ოჰ, რა ბნელი იყო პირველი საფეხური ძირს დაცემისა და რა შავია ეს მეორე საფეხური გაქრობისა!

ნუთუ ახლაც დაემორჩილება ამ მომაკვდინებელ ბრძანებას?

მოწამეობა სულს ამაღლებს, მაგრამ ღრღნის, ეს ტანჯვაა, მეფედ კურთხევა. დასაწყისში შეიძლება კიდეც დათანხმდეს კაცი. გავარვარებულ რკინის ტახტზე გამოიჭიმოს, თავზე გავარვარებული რკინის გვირგვინი დაიდგას, ცალ ხელში გახურებული რკინის გლობუსი აიღოს, მეორეში - გავარვარებული რკინის სკიპტრა, მაგრამ ეს არ კმარა; ახლა ცეცხლის ალის წამოსასხამში უნდა გაეხვიოს და ნუთუ არ

დადგება ის წამი, როდესაც აჯანყდება ტანჯული ხორცი და უარყოფს კაცი თავის წამებას?

ბოლოს ჟან ვალჟანიც დაიღალა, დამშვიდდა მისუსტებული.

იფიქრა, სინჯა, საიდუმლო სასწორით აწონ-დაწონა სინათლის და სიბნელის შედეგები.

თავისი კატორღული დაღით შეუერთდეს ამ წმინდა ყმაწვილების ბედნიერებას თუ თვითონვე განშორდეს და თავისი ნებით დაიღუპოს? ერთი მხრივ, კოზეტს შესწირავს მსხვერპლად, მეორე მხრი, თავს გაწირავს.

რა გადაწყვიტა? რა დადგენილება მიიღო ამ ბრძოლის შედეგად? რა საბოლოო პასუხი მისცა თავის გულში ამ უწყალო ბედისწერის დაკითხვას? რომელი კარი აირჩია გასაღებად? თავისი სიცოცხლის რომელი ნაწილი გასწირა მეორის გასახარებლად? ციცაბო კლდის მწვერვალზე მდგომმა რომელი მხარე აირჩია გადასავარდნად? რომელ უკიდურესობას მიმართა? რომელ უფსკრულს დაუქნია თავი, შენკენ მოვდივარო?

ამ თავბრუდამხვევ ბოდვაში გაათენა ღამე.

ასე გაატარა მთელი ღამე ერთ და იმავე მდგომარეობაში, ორად მოკეცილიყო ლოგინზე, სასტიკი ბედისწერის მიერ გათელილი და წამებული, მუშტშეკრული, ხელებგაშლილი, როგორც ჯვარცმული, რომელიც ჯვარიდან ჩამოუხსნიათ და მიუგდიათ. თორმეტი საათი გაატარა, თორმეტი საათი ზამთრის დიდი ღამისა ისე, რომ გაყინულივით არც თავი გაუნძრევია, არც სიტყვა წამოსცდენია. უძრავი იყო, როგორც მკვდარი, როდესაც მისი ფიქრი დედამიწას ეკვროდა, ან ზეცისკენ იწევდა ხან როგორც შვიდთავა ჰიდრა და ხან როგორც არწივი. რომ დაენახა ვინმეს ასე უძრავი, იტყოდა, მომკვდარაო. და უცბად შეხტა, აკანკალდა და კოცნა დაუწყო კოზეტის ტანისამოსს... არა, ჯერ ცოცხალი ყოფილაო, - იტყოდა. ვინ? ვინ იტყოდა? სხვა იქ არავინ ყოფილა.

იტყოდა ის, ვინც წყვდიადიდან უცქერის ადამიანს.

## წიგნი მეშვიდე
## უკანასკნელი წვეთი სიმწარისა

### თავი პირველი
### მეშვიდე წრე და მერვე ზეცა

ქორწილის მეორე დღე სიჩუმით არის მოსილი, - ნეფე-დედოფალს მარტოობა და ძილი, მოსვენება ესაჭიროება. სტუმრების მოსვლა და მოლოცვა მერე იქნება. 17 თებერვალს შუადღე გადასული იყო, ბასკი წინკარს ალაგებდა, როდესაც კარზე დააკაკუნეს ოდნავ, ფრთხილად; ვიღაც იმდენად მორიდებული იყო, რომ ზარი არ დარეკა, ჯერ ისევ ეძინებათო. კარი გაუღო ბასკმა. ბატონი ფოშლევანი აღმოჩნდა. მსახურმა დარბაზში შეიყვანა, ჯერ ისევ არეულ-დარეულში, თითქოს წუხანდელი ლხინისა და მხიარულების ბრძოლის ველი ყოფილიყოს.

- უკაცრავად, ბატონო, - ბოდიში მოიხადა ბასკმა, - ძალიან გვიან გამოგვეღვიძა ამ დილას.

- თქვენი ბატონი ადგა? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- ხელი როგორ გაქვთ, ბატონო? - კითხვა შეუბრუნა ბასკმა.

- უკეთ. ადგა თქვენი ბატონი?

- რომელი? წინანდელი თუ ახალი?

- ბატონი პონმერსი.

- ბატონი ბარონი? - უგაუსწორა ბასკმა და წელში გაიჭიმა.

ბარონი რომ არის კაცი, მეტადრე თავის მსახურთათვის არის ბარონი, რადგან ცოტა რამ ერგებათ ხოლმე მისი დიდებულებისაგან, - ის, რასაც ფილოსოფოსი ბრწყინვალების შხეფს დაარქმევდა. ეს მათთვის სასიამოვნოა. მარიუსი, - სიტყვამ მოიტანა და ესეც ვთქვათ, - რესპუბლიკის მომხრე იყო, რესპუბლიკისთვის მებრძოლი და თუ ბარონი გამხდარიყო, ეს მისდა უნებურად. პატარა რევოლუცია გამოიწვია ოჯახში ამ საპატიო წოდებამ: ბატონი ჟილნორმანი მაგრად ეჭიდებოდა მარიუსის ბარონობას და თვით მარიუსს კი არაფრად მოსწონდა; მაგრამ მიცვალებული პონმერსის ანდერძში ეწერა: ჩემმა შვილმა ჩემი საპატიო წოდება უნდა ატაროსო და მარიუსიც დაემორჩილა ანდერძს. კოზეტში კიდევ უკვე ისახებოდა ქალი, ასე რომ, იგი აღტაცებული იყო თავისი ბარონობით.

- ბატონი ბარონი? - გაიმეორა ბასკმა, - ახლავე ვნახავ, მოვახსენებ, რომ აქ ბრძანდება ბატონი ფოშლევანი.

- არა, ნუ ეტყვით, რომ მე ვარ. უთხარით, რომ ერთ კაცს უნდა მისი ნახვა, ცალკე მოლაპარაკება, და გვარი კი არ უთხრათ.

- ჰოო? - გაიკვირვა ბასკმა.

- მინდა, მოულოდნელით გავახარო.

- ჰოო? - უგაიმეორა ბასკმა და ამ გამეორებით აუხსნა თავის თავს პირველის გაკვირვებით წამოძახილის მნიშვნელობა და გავიდა.

მარტო დარჩა ჟან ვალჟანი.

მთლად არეული იყო დარბაზი, როგორც უკვე ვთქვით. ისე იყო იქაურობა, თითქოს ჯერაც ქორწილია და ცოტა რომ ყური მიუგდოს კაცმა, ლხინის მხიარულ ჟრიამულსაც გაიგონებსო. იატაკი თაიგულებიდან და გვირგვინებიდან ჩამოცვენილი ყვავილებით იყო მოფენილი. შანდლებში სანთელი მთლად ჩამწვარიყო და ცვილიღა დაეტოვებინა თავის მაგიერ. ერთი სკამი არ იყო, რომ თავის ადგილას მდგარიყო. კუთხეებში, ყველგან, სამი-ოთხი სავარძელი იყო ერთმანეთზე მიდგმული პატარა წრედ, თითქოს ახლაც განაგრძობენ მხიარულ ბაასსო. მხიარულად იყო არეული დარბაზი. ასე იცის ბედნიერების ლხინმა. ამ არეულ-დარეულ სკამებზე, ამ ყვავილებში, რომლებსაც ჭკნობა ეტყობოდა, ამ ჩამქრალი ჭაღების ქვეშ წუხელ მხიარულება და ბედნიერება მეფობდა. ჭაღების წილ ახლა მხიარული მზე ანათებდა დარბაზს.

რამდენიმე წუთი გავიდა. ისევ იქ იდგა ჟან ვალჟანი, უძრავად, სადაც ბასკმა დატოვა. მეტად ფერმიხდილი იყო, იმდენად ჩასცვივნოდა თვალები უძილობით, რომ ძლივსღა ჩანდნენ თვალების ბუდეში. მის დაჭმუჭნილ შავ სერთუკს ეტყობოდა, რომ მთელი ღამე არ გაუხდია პატრონს. ლოგინის ზეწარზე ხახუნით გასთეთრებოდა სახელო. იდგა ჟან ვალჟანი თავდახრილი და ფანჯრის ჩრდილს დასცქეროდა თავის ფეხთან, მზის მიერ გამოსახულს.

კარის გაღება მოესმა და მიიხედა.

მარიუსი შემოვიდა, თავი მაღლა აეწია, სახე უცინოდა. სახეზე სინათლე მოჰფენოდა, თვალი გამარჯვებით უბრწყინავდა. არც იმას სძინებია.

- ეს თქვენა ბრძანდებით, მამა? - შესძახა სიხარულით, ჟან ვალჟანი რომ დაინახა, - აი, რატომ მითხრა ისეთი საიდუმლოებით იმ სულელმა ბასკმა, თქვენი ნახვა უნდათო! ძალიან ადრე გარჯილხართ, ჯერ პირველის ნახევარია და კოზეტს ისევ სძინავს.

ეს სიტყვა - მამა, - მარიუსის მიერ ნათქვამი, უაღრეს ბედნიერებას ნიშნავდა. როგორც ვიცით, ერთმანეთს ყოველთვის ერიდებოდნენ მარიუსი და ჟან ვალჟანი. მთა იყო ამართული მათ შორის, ცივი მორიდება, ყინული ან დასამტვრევი, ან დასადნობი. მაგრამ იმდენად აღტაცებული იყო მარიუსი თავისი ნეტარებით, რომ მთა გაენგრია, ყინული დაედნო და ბატონი ფოშლევანი მასაც მამად მიაჩნდა, როგორც კოზეტს.

დუღდა და გადმოდიოდა მისი სიტყვა, უტყუარი ნიშანი ზეციური ნეტარებით დამტკბარისა:

- ძალიან მიხარია თქვენი ნახვა. რომ იცოდეთ, როგორ დაგვაკლდით წუხელის. დილა მშვიდობისა, მამა. ხელი როგორ გაქვთ? უკეთ, არა? - და კმაყოფილი უკეთესობის პასუხით, რომელსაც თვითონვე აძლევდა თავის თავს, ისევ განაგრძო, - სულ თქვენზე ვლაპარაკობდით მე და კოზეტი. ძალიან უყვარხართ კოზეტს. არ დაგავიწყდეთ, რომ აქ თქვენი ოთახი გაქვთ. აღარ გვინდა თქვენი ლ'ომ-არმეს ქუჩა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია! არა, იმ ქუჩაზე როგორ დასახლდით, ჯანმრთელობისთვისაც მავნებელია, კუშტი, უშნო, ბნელი, თანაც პირდაპირ ჩიხისკენ მიდის. გაყინულია თქვენი ქუჩა, კარჩაკეტილი. ასე რომ, აქ უნდა გადმოსახლდეთ, ჩვენთან. დღესვე, ბატონო, თორემ გაგიწყრებათ კოზეტი და ვაი თქვენი ბრალი! კოზეტი იმ აზრის გახლავთ, - აი, გაფრთხილებთ, - რომ ჩემს ნებაზე ვატარებ დიდსა და პატარასო. ხომ ნახეთ თქვენი ოთახი, იქვეა, ჩვენი ოთახის ახლოს და ფანჯრებით ბაღში გადის. კარის კლიტე შევაკეთებინეთ, ლოგინი გაშლილი გახლავთ, მზად არის ყველაფრით და თქვენს გადმოსვლასღა ელის. კოზეტმა თქვენს ლოგინთან ერთი ძველი რბილი სავარძელი დადგა, უტრეხტული ხავერდისა, და უბრძანა, გულში ჩაიკარი მამაჩემიო. ბულბულის გალობა დაგატკბობთ ყოველ გაზაფხულს; თქვენს ფანჯრებთან რომ ხშირი აკაციებია, ის უყვარს ბულბულს და მას ეწვევა ხოლმე. ერთი-ორი თვის შემდეგ აღარ მოგასვენებთ ბულბულის გალობა. მარცხნივ მისი ბუდე გექნებათ და მარჯვნივ - ჩვენი. ღამე ის იგალობებს და დღე კოზეტი იჭიკჭიკებს. თქვენი ოთახი სამხრეთისკენ არის. კოზეტი დაგილაგებთ თქვენს წიგნებს, კაპიტან კუკის მოგზაურობას, კიდევ მეორეს - ვანკუვერისას და სხვებს. ჰო, თურმე პატარა ჩანთა გაქვთ, რომელსაც ძალიან უფრთხილდებით; კოზეტმა საგანგებოდ მისთვის ერთი კუთხე გამოგიყოთ. ძალიან მოსწონხართ ბაბუაჩემს, ძალიან. მაშ, ერთად ვიცხოვრებთ. ვისტს თამაშობთ? ნეტარებით აავსებთ ბაბუაჩემს, თუ ვისტი იცით. მე რომ სასამართლოში ვიქნები, თქვენ წაიყვანთ ხოლმე კოზეტს სასეირნოდ, როგორც წინათ. გახსოვთ, ლუქსემბურგის ბაღში რომ დაგყავდათ. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, საბოლოოდ უცვლელად დადგენილი, რომ ბედნიერები უნდა ვიყოთ, და თქვენც ჩვენთან იქნებით, გესმით, მამა, თქვენც ჩვენთან უნდა იყოთ ამ ბედნიერებაში. მართლა, საუზმეს ჩვენთან მიირთმევთ, რაღა თქმა უნდა.

- ერთი რამ მინდა მოგახსენოთ, ბატონო. მე ძველი კატორღელი გახლავართ.

მკვეთრი ბგერების საზღვარს შეიძლება ისევე ადვილად გადასცდეს გონება, როგორც ყური. ეს სიტყვა, - „მე ძველი კატორღელი გახლავართ“, რომ თქვა ჟან

ვალჟანმა და ყურში გაუარა მარიუსს, გასაგონისა და შესაგნების საზღვარს გადასცილებოდა. გაუგონრად დარჩა მარიუსს. ხედავდა, რომ რაღაც უთხრეს, მაგრამ ის კი არ იცოდა, რა უთხრეს. პირდაღებული შეჰყურებდა ჟან ვალჟანს. და მაშინ შენიშნა, რომ მომაკვდავს ჰგავდა კაცი, მას რომ ელაპარაკებოდა; დაბრმავებული იყო თავისი ბედნიერებით და მხოლოდ ახლა დაინახა ჟან ვალჟანის სახის ცვლილება.

მან კი ამასობაში შავი სახვევი მოიხსნა, მარჯვენა ხელი გაითავისუფლა, გაიხსნა შეხვეული ცერი და მარიუსს დაანახვა:

- მე ხელი არ მტკივა.

დახედა ცერზე მარიუსმა.

- არც მტკიებია, - განაგრძო ჟან ვალჟანმა.

და მართლაც არავითარი ნიშანი არ ჰქონდა თითს გაჭრისა.

ჟან ვალჟანი განაგრძობდა:

- მართებული იყო, არ დავსწრებოდი თქვენს ქორწილს და არც ვესწრებოდი, რამდენადაც კი შეიძლებოდა. მიზეზად ეს ხელის ტკივილი გამოვიყენე, რომ სხვა, უფრო საძრახისი სიცრუე არ ჩამედინა; არ შემეტანა სიყალბე ქორწინების საბუთებში და ხელის მოწერა არ დამჭირვებოდა.

გაშტერებული შესცქეროდა მარიუსი, ძლივს თქვა რამდენიმე სიტყვა:

- ვერ გამიგია, რას მეუბნებით?

- იმას გეუბნებით, - უპასუხა ჟან ვალჟანმა, - რომ მე კატორღაში ვიყავი.

- მე თქვენ გამაგიჟებთ! - შეჰყვირა მარიუსმა.

- ბატონო პონმერსი, თვრამეტი წელიწადი გავატარე კატორღაში ქურდობის გამო. მერე სამუდამო კატორღა მომისაჯეს. ახლა კი ვემალები სასჯელს.

ძალიანაც რომ ნდომებოდა მარიუსს, არ დაენახა, რასაც თვალწინ უშლიდნენ, უარეყო ნამდვილი, გამაგრებოდა ცხადს, მაინც ფაქტს უნდა დამორჩილებოდა. ნათქვამის გაცნობიერება დაიწყო და როგორც ყოველთვის ხდება ამგვარ შემთხვევაში, მანაც გაზვიადებულად გაიცნობიერა. რაღაც საზარელმა გაუელვა გონებაში და აათრთოლა. თითქოს მომავალში გადაიხედა და თავისი უსიხარულო მომავალი დაინახა.

- მაშ, მითხარით ყველაფერი, დაწვრილებით! - უთხრა ჟან ვალჟანს, - თქვენ კოზეტის მამა არა ხართ?

შიში მოერია. უკან დაიწია.

წამოიწია ჟან ვალჟანმა, წელში გასწორდა და დიდებულებით სავსე სიტყვით უპასუხა:

- ჩემს სიტყვას უნდა ენდოთ. და თუმცა ჩვენს ფიცს, ჩემსავით განწირულების ფიცს, სასამართლო არ ცნობს...

გაჩუმდა, მერე ზეადამიანურ, აკლდამიდან გამომავლის შთაგონებით, სიტყვების გაგრძელებითა და საჭირო მარცვლების ხაზგასმით უთხრა:

- უნდა მენდოთ. მე, კოზეტის მამა? ღვთის წინაშე ვფიცავ, მე კოზეტის მამა არა ვარ. მე, ბატონო პონმერსი, ერთი უბედური ფავროლელი გლეხი გახლავართ. ხეებს ვსხლავდი და იმით ვცხოვრობდი. ჩემი გვარი არ არის ფოშლევანი. მე ჟან ვალჟანი გახლავართ. კოზეტისა არაფერი ვარ, დამშვიდდით, ბატონო.

მარიუსმა წაიდუდუნა:

- ვინ დამიმტკიცებს?

- მე, რაკი გეუბნებით, მაშ, კიდეც გიმტკიცებთ.

დააცქერდა მარიუსი, სევდით იყო კაცი მოცული, მაგრამ დამშვიდებული. არავითარ სიცრუეს არ იკადრებდა ეს მშვიდობიანი თავგანწირვა. გულწრფელია, რაც გაყინულია. სრული სიმართლე უციალებდა სახეზე საფლავის სიცივით გაყინულს.

- გენდობით, მჯერა თქვენი, - უთხრა მარიუსმა.

ჟან ვალჟანმა თავი დაუკრა:

- დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე იქნებოდა, - და განაგრძო, - რა ვარ კოზეტის? არაფერი, სრულიად უცხო. ამ ათი წლის წინ არც კი ვიცოდი, რომ არსებობდა პატარა გოგო. ძალიან მიყვარს, აი, ეს მართალია. პატარა ბავშვს რომ ნახავს ბებერი და თვითონ გაზრდის, შვილივით შეუყვარდება. რაკი დაბერდება კაცი, ბაბუად უხდება ბავშვებს. ვფიქრობ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მეც უნდა მქონდეს რაღაც, ადამიანის გულისმაგვარი. ობოლი იყო კოზეტი, არც დედა ჰყავდა, არც მამა. ჩემი დახმარება ესაჭიროებოდა. ამიტომ არის, რომ ასე ძალიან შემიყვარდა. ისეთი უმწეოა ბავშვი, რომ ვინც გნებავთ, აი, ჩემისთანა კაციც კი, შეიძლება დაეხმაროს და მფარველობა გაუწიოს. მეც ეს ვალდებულება ავუსრულე კოზეტს. არა მგონია, ეს პატარა დახმარება დიდ, კეთილ ღვაწლად ითვლებოდეს; მაგრამ თუ აქ ცოტა რამ სიკეთე მოიპოვება, ამოდენა ავთან ეს კარგიც ჩამითვალეთ; აღნიშნეთ ეს ავის შემამცირებელი გარემოება. დღეს კოზეტი მშორდება; სულ სხვადასხვა მიმართულებით მიდის ჩვენი გზები. დღეიდან მე კოზეტს აღარ ვჭირდები. დღეს კოზეტი ბარონ პონმერსის მეუღლეა... შეიცვალა მისი ბედი და ძალიან სასარგებლოდაც კოზეტისთვის. ძალიან კარგად არის ყველაფერი. რაც შეეხება ექვსასი ათას ფრანკს, თქვენ არაფერს მეუბნებით, მაგრამ მე წინ ვუხვდები თქვენს ფიქრს. ეს ფული კოზეტისთვის იყო გადადებული. როგორ ჩამივარდა ხელში? ამას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მებარა და ანაბარი ჩაგაბარეთ. სხვას, მგონი, ვერაფერს მომკითხავთ. თქვენ თქვენსას გაბარებთ და თან ჩემს ნამდვილ გვარს და სახელს გაცნობებთ. ეს ჩემი საქმეა. მინდა, რომ იცოდეთ, ვინა ვარ და რა ვარ.

ეს უთხრა და დააცქერდა მარიუსს.

დაიბნა მარიუსი. ბუნდოვანი იყო, გამოურკვეველი ყოველი მისი განცდა. ბედისწერამ იცის, ხანდახან ამგვარ ქარიშხალს აღძრავს ხოლმე ადამიანის სულში.

ჩვენ ყველას გვქონია ეს საზარელი სულისკვეთება, როდესაც აზრი გვერევა და გვიბნელდება; რაღაცას ვამბობთ, რაც პირზე მოგვადგება და მდგომარეობას კი ზუსტად ვერ ავსახავთ. არის ხოლმე ანაზდეული, მოულოდნელი გამოცხადება, რომელსაც ვერ უძლებს კაცი, და ისე ბარბაცებს, როგორც მაგარი ღვინით გამომთვრალი. გაშტერებული იყო მარიუსი ამ მოულოდნელი აღსარებით და ისე ელაპარაკებოდა ჟან ვალჟანს, რომ ეტყობოდა, ბრაზობდა, რად მეუბნები ამას, ვინ გეხვეწებაო?

- ერთი მითხარით, რად მიამბობთ თქვენს თავგადასავალს? ძალას ვინ გატანთ? თქვენს საიდუმლოს ვერ შეინახავდით? არც არავის დაუბეზღებიხართ, არც გდევნით ვინმე, არც დაგეძებენ. ცხადია, რაღაც განგიზრახავთ, ასე ადვილად რომ აღიარებთ ყველაფერს. მაშ, თქვით და გაათავეთ, რამ გამოიწვია თქვენი აღსარება? რა მოსაზრებამ?

- რა მოსაზრებამ? - უპასუხა ჟან ვალჟანმა ისეთი ჩუმი, ყრუ ხმით, თითქოს მარიუსს კი არა, თავის თავს ელაპარაკებოდა, - და მართლაც, რა მოსაზრება უნდა ჰქონდეს ამ კატორღელს, რომ მომვარდეს და მითხრას, - მე კატორღელი ვარო? დიახ, ბატონო, მართალი ხართ, მოსაზრება! უცნაურია ჩემი მოსაზრება. ეს პატიოსნების მოთხოვნილებაა. ჩემი უბედურებაც ის არის, რომ რაღაც თოკი მიდევს გულში და იმ თოკითა ვარ დაბმული. საშინელი რამ არის ეს თოკი, მეტადრე, როდესაც დაბერდება კაცი, რადგან თანდათან მაგრდება; მთელი სიცოცხლე იშლება და იფუშება და ის კი სულ მაგრდება და მაგრდება. რომ შემეძლოს და ამოვიგლიჯო გულიდან, დავწყვიტო, გავხსნა კვანძი, ან ჩამოვიჭრა და ისე მოვიშორო, გადავიკარგებოდი სადმე, თავს გავარიდებდი აქაურობას, თავს ვუშველიდი; აგერ აქვე, ბულუას ქუჩაზე დგას დილიჟანსი. თქვენ ბედნიერი ხართ, უკვე ვიცი. ამ მხრივ ფიქრი არა მაქვს და მივდივარ. განა არა ვცადე, ამომეწყვიტა როგორმე ის თოკი, გამეწყვიტა მაინც, მაგრამ ვერას გავხდი; მეტად მაგარია და გულიც თან ამოჰყვებოდა, კიდეც რომ მეჯობნა. და რას ვიზამდი? დავნებდი და ვთქვი, თუ აქ არა, მე სხვაგან ვერსად ვიცხოვრებ-მეთქი... დიახ, სწორად ბრძანეთ, მართლა სულელი ვარ. ვინ მატანს ძალას? რატომ არ გავჩუმდები? რატომ არ გავჩერდები ჩემთვის, მშვიდად? თქვენ ოთახს მთავაზობთ ამ სახლში. ბარონ პონმერსის მეუღლეს ვიცი, ვუყვარვარ, ამ სავარძელსაც კი უთხრა, გულში ჩაიკარო; ბაბუათქვენსაც ნებავს ჩემი აქ ყოფნა, მოვწონვარ, ეტყობა. ერთად ვიცხოვრებთ ყველანი, საერთო სადილ-ვახშმით, სასეირნოდ ვატარებ კოზეტს... უკაცრავად, ბარონ პონმერსის მეუღლეს, ეს ჩვეულების ბრალია; ერთი ჭერი გვექნება, ერთი სუფრა, ერთი ბუხარი. იგივე სკამი ბუხართან ზამთარში, იგივე სასეირნო ხეივანი ზაფხულში. ეს იქნება სიხარული, ნეტარება, ერთად ვიქნებით, ერთ ოჯახად... -

ცეცხლი წაუკიდა ამ სიტყვამ ჟან ვალჟანს. გულხელი დაიკრიფა, იატაკს დააცქერდა, თითქოს უფსკრულის გათხრას ცდილობსო, და უცბად დასჭექა, - ოჯახი? არა! მე ოჯახი არა მაქვს! მე თქვენი ოჯახის არა ვარ! მე ადამიანის ოჯახის არა ვარ! სახლში, სადაც ყველა შინაურად გრძნობს თავს, მე ზედმეტი ვარ! ოჯახი არის, მაგრამ ჩემთვის კი არა! მე უბედური ვარ, განდევნილი! არც კი ვიცი, დედ-მამა მყავდა? ლამის აქაც კი ეჭვი მომერიოს. ჯვარი დავწერე ჩემს გოგონას და ამით გათავდა ჩემი სიცოცხლე. ვნახე, რომ ბედნიერია, ვნახე, რომ იმასთან არის, ვინც უყვარს; რომ აქვეა ერთი კარგი მოხუცი, რომ ორი ანგელოზი შეერთდა ოჯახის დასაფუძნებლად, ბედნიერება ვნახე ამ სახლისა და კმარა-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს. კმარა, ამ სახლში აღარ შეხვიდე! შეიძლებოდა დამემალა, რასაც თქვენ გეუბნებით, მომეტყუებინეთ ყველანი. ბატონ ფოშლევანად დავრჩენილიყავი. სანამ კოზეტისთვის იყო ეს საჭირო, ვმალავდი, ვტყუოდი და კარგადაც ვტყუოდი. მაგრამ ახლა კი ეს სიცრუე ჩემთვისღა იქნება, მარტო ჩემთვის, და არ შემიძლია და არც უნდა შემეძლოს. საკმარისი იყო, გავჩუმებულიყავი, რომ ძველებურად ყოფილიყო ყველაფერი. მეკითხებით, ვინ გატანთ ძალას, რომ თქვენს ცოდვას აღიარებთო. ვინ მატანს ძალას? ერთი რამ არის, სულელად წოდებული, ის მაიძულებს, ეს ჩემი სინდისი გახლავთ. გაჩუმება მიჯობდა? უფრო ადვილიც იყო. სულ იმას ვცდილობდი წუხელ, რომ როგორმე ჩამეგონებინა თავისთვის, დამერწმუნებინა, რომ გაჩუმება სჯობდა. ჩემს აღსარებას თქვენ ისმენთ და იმდენად უცნაურია ჩემი ნათქვამი, რომ უფლება გაქვთ, მეტიც მკითხოთ. დიახ, მთელი ღამე არ მძინებია, ვცდილობდი, დამესაბუთებინა დამალვა; ძალიან კარგი საბუთებიც შევკრიბე, ვიბრძოლე, რამდენადაც კი შემეძლო. მაგრამ ორი რამ არის, რასაც ვერ

მოვერიე. ვერც ის თოკი გავწყვიტე, გულზე რომ მაქვს მოჭერილი და აქ დაბმული, დამწყვდეული ვყავარ, და ვერც ის ხმა გავაჩუმე, რომელიც ჩუმად მელაპარაკება, როდესაც მარტოს მომიხელთებს. აი, ამიტომ იყო, რომ ამ დილითვე წამოვედი; გადავწყვიტე, თქვენთვის ყველაფერი მეთქვა. ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი. ზოგი რამ სათქმელად უსარგებლოა, რადგან მარტო მე შემეხება; მას ჩემთვის ვინახავ. რაც უმთავრესია, ის უკვე იცით. დიახ, ავიღე ჩემი საიდუმლოება და თქვენთან მოვიტანე, რომ თქვენ წინ გადამეშალა. ადვილი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. თვალი არ მომიხუჭავს მთელი ღამე, ისე ვიბრძოდი. განა არ ვუმტკიცებდი ჩემს თავს, რომ დღეს სულ სხვა მდგომარეობაში ვიყავი, ვიდრე შანმატიეს საქმეში; რომ ჩემი ვინაობის დამალვით არავის არაფერს ვუშავებდი; რომ გვარი ფოშლეევანი მე თვით ფოშლეევანისგან მაქვს მიღებული, იმ დახმარების სამაგიეროდ, რომელიც მე გავუწიე; რომ საგმობი არაფერი იქნებოდა, კიდევაც რომ შემენარჩუნებინა ეს გვარი; რომ ბედნიერი ვიქნებოდი იმ ოთახში, რომელსაც თქვენ მითმობთ; რომ მე აქ არავის შევაწუხებდი, ჩემს კუნჭულში ვიქნებოდი მიმალული და თქვენ რომ კოზეტს გაახარებდით, მე კიდევ ის ფიქრი გამახარებდა, რომ მეც იმ სახლში ვარ, სადაც ჩემი კოზეტია. ყველას ექნებოდა თავისი წილი ბედნიერებისა, ისევ რომ ბატონ ფოშლეევანად დავრჩენილიყავი, დამშვიდებული იქნებოდა ყველაფერი. დიახ, ყველაფერი, გარდა ჩემი სინდისისა. ჩემ ირგვლივ ყველგან სიხარული იქნებოდა და მხოლოდ ჩემს სულში იქნებოდა წყვდიადი. ბედნიერება არ კმარა ადამიანისთვის; საჭიროა, კმაყოფილიც იყოს. ისევ ისე ბატონ ფოშლეევანად დავრჩებოდი, დავმალავდი ჩემს ნამდვილ სახეს, თქვენი ნეტარების მაყურებელს მე პირზე ნიღაბი მექნებოდა აფარებული, საიდუმლოება მექნებოდა დამალული და თქვენთან მყოფს დღისითაც კი წყვდიადით სავსე მექნებოდა გული. შემოვიდოდი თქვენს ოჯახში, თან შემოვიტანდი კატორღის დაღს, გვერდზე მოგიჯდებოდით სუფრაზე და სულ იმის ფიქრში ვიქნებოდი, რომ პანღურს მკრავდით, რომ გცოდნოდათ ჩემი ვინაობა; რომ თქვენი მსახურიც კი, სუფრაზე რომ გემსახურებათ, ისიც კი აღშფოთდებოდა, რომ გაეგო, ვის ემსახურება ასე თავმდაბლად. შეგეხებოდით და ზიზღს აღვძრავდი თქვენში. ერთნაირი პატივისცემით მოექცეოდით სათაყვანო ჭაღარას თქვენი ბაბუისას და შერცხვენილ ჭაღარას ფოშლეევანისას. და ერთად რომ შევიყრებოდით ოთხნი, ბაბუათქვენი, თქვენ ორნი და მე, ერთმანეთის სიყვარულით დროს გასატარებლად და გულწრფელად ჩავუშვებდით ერთმანეთს ჩვენს გულისგულამდე, ერთი იქნებოდა თქვენში უღირსი, ფლიდი უცნობი. თქვენთან რომ დავრჩე და ჩავერიო თქვენს ცხოვრებაში, ერთი რამ მექნება საზრუნავი, ფრთხილად ვიყო, რომ არავინ ჩაიხედოს ჩემს შემარცხვენელ, შავბნელ წარსულში. ამგვარად, მე რომ თქვენი წინადადება მიმეღო, მკვდარი კაცი ჩამოგერეოდით სიცოცხლით სავსე ცოცხლებს. სინდისის ქენჯნას ვერ გავუძლებდი, რომ ასე ვატყუებ კოზეტს. თქვენთან რომ დავრჩე, ერთი ქუდი გვეხურება სამივეს - კოზეტს, თქვენ და მე - კატორღელის ქუდი. ნუთუ არ შეგაშფოთათ ამნაირმა სურათმა? დღეს მეტისმეტად უბედური კაცი ვარ, და თქვენთან რომ შემოვპარულიყავი, უსაზიზღრესი ვიქნებოდი. და ამ საძაგლობას ერთხელ კი არა, ყოველდღე გავიმეორებდი, ერთი და იმავე სიცრუით შეგხვდებოდით ყოველდღე. მარტო ღამით, ჩემს ლოგინში ვიქნებოდი ნიღაბახსნილი, შერცხვენილი, თავლაფდასხმული. გავერეოდი თქვენში და ჩემს ლაფს შემოგაპარებდით ნელ-ნელა, ყოველდღე. თქვენ შემოგაპარებდით, ჩემს საყვარელ შვილებს, თქვენ, უმანკო

ყმაწვილებს! ადვილი გეგონათ გაჩუმება? ადვილი გეგონათ ამის დამალვა? არა, ადვილი არ გახლავთ. შეუძლებელია. სიცრუე იქნებოდა დუმილი. ნელ-ნელა უნდა მესვა, წვეთ-წვეთად ჩემი სიცრუე, ჩემი სიყალბე, ჩემი სიბილწე, ჩემი ლაჩრობა, ჩემი ღალატი; მესვა გულისრევით და კვლავ დამელია ამონაღები. შუაღამისას გამითავდებოდა ეს ტანჯვა და ხვალ დილით კვლავ იმავე წამებაში უნდა ჩავვარდნილიყავ. და ჩემი დილა მშვიდობისაც ყალბი უნდა ყოფილიყო, ჩემი ღამე მშვიდობისაც. სიცრუეზე უნდა დამემყარებინა თქვენი ჩემდამი პატივისცემა, სიცრუეზე მძინებოდა, სიცრუით მეჭამა პური, სიცრუით სავსე თვალით შემეხედა კოზეტისთვის და ანგელოზის ღიმილისთვის შემეგებებინა შერცხვენილის ყალბი ღიმილი. ოჰ, არა! ადამიანი კი არა, გველზე უარესი, საზიზღარი რამ ვიქნებოდი. მერე რისთვის? რომ ბედნიერება მომეპოვებინა? მე და ბედნიერება? განა მაქვს უფლება, რომ ბედნიერი ვიყო? არა, ბატონო, მე ცხოვრების გარეთ ვარ განდევნილი და ბედნიერებას ვეღარ ვეღირსები.

გაჩუმდა ჟან ვალჟანი. მარიუსი ყურს უგდებდა, რადგან ფიქრისა და სევდის ამგვარი წყობა ასე მოულოდნელად არ შეწყდებოდა. ისევ ჩუმი ხმით დაიწყო ჟან ვალჟანმა, ოღონდ წეღანდელივით მიყრუებულით კი არა, ავბედითი ჩურჩულით.

- ძალას ვინ მატანს, რომ მე ასე ვამბობ? დიახ, ბატონო, არც დაბეზღებული ვარ, არც დევნილი, არც მიმწყვდეული, მართალია, მაგრამ ნამდვილად კი დაბეზღებულიცა ვარ, დევნილიც, მიმწყვდეულიც. ვინ არის, რომ ასე მდევნის და მაწამებს? ეს მე გახლავართ. მე ვარ, რომ გზას ვუკრავ ჩემს თავს, სულ თან დავყვები, სულ გულს ვუჩხრეკ და დაჭერილი მყავს. კაცი რომ თვითონ დაიჭერს თავის თავს, ისე შებოჭავს, რომ ვეღარსად გაეპარება.

მერე ხელი წაავლო თავის საყელოს, მაგრად მოუჭირა და განაგრძო:

- ამ მუშტს ხედავთ? დამეთანხმებით, მაგრად უჭირავს საყელო და აღარც გაუშვებს. ჰო, მეც ერთ სხვა მუშტს ვუჭერივარ, სინდისს. სინდისს არ უნდა იცნობდეს, ვისაც ბედნიერება უნდა. ნუ ჩაუკვირდება ადამიანის მოვალეობას, თორემ რაკი გაიცნობს, სინდისი მკაცრი, ულმობელი ხდება და ისე გტანჯავთ, თითქოს დასჯა უნდა თქვენი, როგორ გაბედე ჩემი გაცნობაო? მაგრამ არა, ამ სასჯელთან ჯილდოსაც დიდს განიჭებთ, რადგან წამების ჯოჯოხეთში ჰყავხართ დამწყვდეული, და იქ თქვენთანვე, თქვენ გვერდით გრძნობთ ღმერთს. გულს რომ გამოიღადრავს კაცი თავისი ფრჩხილებით ბოროტების დასაგმობად, მარტო მაშინ შეურიგდება თავის თავს და დამშვიდდება.

და დაუმატა სიტყვების გულსაკლავი ხაზგასმით:

- ბატონო პონმერსი, ჩემს წარსულს, დიდი ხნის მკვდარს, მნიშვნელობა არა აქვს. მე პატიოსანი კაცი გახლავართ. თავს ვიმცირებ თქვენ წინაშე, მაგრამ ჩემთვის ამაღლებაა ეს დამცირება. ერთხელ, უწინაც შემემთხვა ამგვარი რამ, ოღონდ ასე მწარე კი არა. დიახ, ბატონო, პატიოსანი კაცი ვარ, პატიოსანი კაცი არ ვიქნებოდი, რომ დამეშვა შეცდომა, არაფერი მეთქვა თქვენთვის და ძველებურად მესარგებლა თქვენი პატივისცემით. და ახლა კი, რაკი შეგზიზღდით, პატიოსანი ვარ. ეს არის ჩემი ბედუკუღმართობა. სხვის პატივისცემას მე მარტო სიცრუით ვიძენ, ქურდულად, ნიღბის აფვარებით, ასე მოპოვებული პატივისცემა კი მამცირებს და შეურაცხმყოფს სულიერად. მე ჩემი თავის პატივისცემის დაკარგვა არ მინდა და არც შემიძლია. მე მინდა, პატივისმცემელი ვიყო ჩემი თავისა და ამისთვის საჭიროა, საზიზღრად მივაჩნდე

სხვებს. ამაყი ვარ. კატორღელი ვარ. კატორღელი ვარ, მაგრამ ჩემს სინდისს ვემორჩილები. ვიცი, რომ სიმართლედ არ მიიღებთ ჩემს სიტყვას. მაგრამ რა გაეწყობა? ასე არის და მეც ასე მოგახსენებთ. ჩემმა სინდისმა დამავალა, შესრულება ვიკისრე და აი, ვასრულებ კიდეც. არის ხოლმე გარემოება, რომელიც გვიმორჩილებს. არის შემთხვევა, რომელიც ჩვენი მოვალეობის ასრულებას გვაიძულებს. იცით, ბატონო პონმერსი, ამგვარი რამ მეც გადამხდენია ჩემს სიცოცხლეში...

გაჩერდა, ძლივძლივობით ჩაყლაპა ნერწყვი, თითქოს მწარე გემოსი ყოფილიყოს, და თქვა:

- ასეთი საზარელი სევდა რომ აწევს ადამიანს და გულს უღრღნის, სხვას არ უნდა გაუზიაროს თავისი ვარამი; თუ სიმართლე არ გააგებინა, სხვას არ უნდა გადასდოს თავისი ჭირი; სხვა არ უნდა ჩაითრიოს თავის ჯურღმულში მისდა შეუმჩნევლად; სხვას არ უნდა წამოაცვას თავისი წითელი კატორღული ხალათი, სხვის ბედნიერებას არ უნდა დაურთოს ფარულად თავისი უბედურება. ნუთუ შეიძლება ისე დაეცეს ადამიანი, რომ ჯანმრთელს მიუახლოვდეს ღამის სიბნელეში და შეეხოს თავისი უხილავი დაჩირქებული ხელით? მართალია, ფოშლევანმა დამითმო თავისი გვარი, მაგრამ მე უფლება არა მაქვს ამით ვისარგებლო. მას შეეძლო მოეცა, მე კი არ უნდა ამეღო; გვარი და სახელი ადამიანის პიროვნებაა. დიახ, ბატონო, მართალია, გლეხი ვარ, მაგრამ ცოტა რამ ნაფიქრი მაქვს, ცოტა რამ წაკითხული და, მგონია, დამეთანხმებით, რომ მართებულად ვამბობ ჩემს სათქმელს. ვცდილობ, შევიგნო ყველაფერი და ღირსეულად მოვექცე ცხოვრების ავსა და კარგს. მე თვითონ ვცდილობ ჩემს განათლებას. და აი, კიდევ ვიტყვი, - სხვისი სახელის მიჩემება და მით სარგებლობა საზიზღრობაა, ისეთივე ქურდობაა ანბანიდან ზოგიერთი ასოსი, როგორიც ვინმეს ჯიბიდან ქისის ან საათის ქურდულად ამოღება. სიყალბე იყოს ხელის მოწერა, ყალბი გასაღები ჰქონდეს, პატიოსან სახლში შევიდეს ამ გასაღებით, თვალი ვერავის გაუსწოროს, ყველას თვალს არიდებდეს, სირცხვილით ეწვოდეს გული! არა! არა! არა და არა! მირჩევნია, ვიტანჯებოდე, სისხლი მდიოდეს, ცრემლს ვეღარ ვიშრობდე, ფრჩხილებით ვიგლეჯდე ხორცს, სევდით მოცული ვიკრუნჩხებოდე უძილოდ მთელი ღამე, გული მელეოდეს, ოღონდ ნიღაბი ნუ მეფარება და მისით შეძენილი პატივისცემა! აი, რამ მაიძულა, რომ გიახელით და გიამბეთ ჩემი უბედურება.

ღრმად, გულიანად ამოისუნთქა და უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა:

- რომ ცოცხალი დავრჩენილიყავი, პური მოვიპარე ერთხელ. დღეს რომ ცოცხალი დავრჩე, მე სხვის სახელს ვერ მოვიპარავ.

- რომ ცოცხალი დარჩეთ? - შეაწყვეტინა მარიუსმა, - რა საჭიროა ეგ სახელი? უმაგისოდაც ცოცხალი დარჩებით.

- ეჰ, ვიცი, ბატონო, რასაც ვამბობ, - უპასუხა ჟან ვალჟანმა და რამდენჯერმე ნელ-ნელა გააქნია თავი.

გაჩუმდნენ. ფიქრის ჯურღმულში ჩავარდნილიყვნენ ორივე. მარიუსი მაგიდასთან იჯდა, ზედ იდაყვით დაჰყრდნობოდა. ჟან ვალჟანი ბოლთას სცემდა. მერე სარკესთან გაჩერდა და იქვე დარჩა უძრავად. შეჰყურებდა სარკეს, თუმცა იქ თავის თავს ვერ ხედავდა, და წამოიძახა:

- ახლა დიდ შვებას ვგრძნობ.

და ისევ სიარული დაიწყო. დარბაზის ბოლოსკენ წავიდა; რომ გამობრუნდა, შენიშნა, მარიუსი თვალს ადევნებდა მის სიარულს, და გამოუთქმელი სიმწარით უთხრა:

- ცუდად დავათრევ ამ ფეხს. ახლა ხომ იცით ამის მიზეზი, - მერე ისევ თავისას დაუბრუნდა:

- და ახლა, წარმოიდგინეთ, ჩემო ბატონო, რომ არაფერი მითქვამს, ისევ ბატონი ფოშლევანი ვარ, თქვენში გავერიე, დავიჭირე თქვენში ჩემი ადგილი, ჩემს ოთახში ვარ, დილით სასაუზმოდ გამოვდივარ ჩემი ფოსტლებით, საღამოს თეატრში მივდივართ სამივე ერთად, მე დამყავს ბარონ პონმერსის მეუღლე ტიუილრიში, ერთად ვართ, თქვენსავით კაცად მიგაჩნივართ... და ერთ მშვენიერ დღეს ტკბილად ვბაასობთ, მხიარულად ვიცინით და უცბად ხმა შემოგესმებათ, ვიღაცის ძახილი, - ჟან ვალჟან! - და აგერ საიდანღაც, სიბნელიდან მოგვადგა პოლიცია, შემოვარდა თქვენს სახლში და უცბად ჩამომგლიჯა ნიღაბი...

გაჩუმდა. შიში მოერია მარიუსს, წამოვარდა. და პირდაპირ მიმართა კითხვით ჟან ვალჟანმა:

- რას იტყვით?

მარიუსის დუმილი იყო ამის პასუხი.

ჟან ვალჟანმა განაგრძო:

- ხომ ხედავთ, რომ სრულიად საფუძვლიანია ჩემი გადაწყვეტილება, გაჩუმება შეუძლებელია. ჰოდა, ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ციური ნეტარება მოჰფინოს თქვენს სიცოცხლეს, ანგელოზებად გარდაგქმნათ ერთმანეთისთვის, მზიური სხივით გაგაბრწყინოთ. ამით დაკმაყოფილდით და ყურადღებას ნუ მიაქცევთ ერთ საწყალ საბრალოს, რომელიც იძულებულია, გული გადაგიშალოთ და ამით თავისი მოვალეობა აასრულოს. თქვენ წინაშე, ბატონო, განწირული ადამიანია.

ნელი ნაბიჯით გაიარა მარიუსმა დარბაზი, ჟან ვალჟანთან მივიდა, ხელი გაუწოდა.

მაგრამ ჟან ვალჟანი არ იძვროდა და მარიუსმა თვითონვე დაუჭირა ქვასავით უგრძნობი ხელი.

- ბაბუაჩემს ბევრი მეგობარი ჰყავს, - უთხრა მარიუსმა, - მე მოგიხერხებთ, რომ გაპატიონ.

- საჭირო არ არის, ბატონო, - მიუგო ჟან ვალჟანმა, - მე მკვდრად ვითვლები და ეს კი საკმარისია. მკვდრები გათავისუფლებული არიან პოლიციის ზედამხედველობისგან. მკვდარს უფლება აქვს, თავისუფლად ჩალპეს მიწაში. სიკვდილი იგივეა, რაც პატიება.

მარიუსს ჯერაც ისევ ეჭირა მისი ხელი. ჟან ვალჟანმა ხელი გაითავისუფლა და ღირსეულად უთხრა:

- მოვალეობის ასრულება, აი, ეს არის ჩემი ერთადერთი მეგობარი; მე არავის შენდობა არ მინდა, გარდა ჩემი სინდისისა.

ამ დროს დარბაზის მეორე მხარეს კარი გაიღო ოდნავ და კოზეტის თავი გამოჩნდა. მარტო ლამაზი თავი ჩანდა, დაუვარცხნელი, მშვენიერი თმა, ნამძინარევი თვალებით. თავი შეანძრია ჩიტივით, რომელიც ბუდიდან ძირს გადახედვას ცდილობს. ჯერ მარიუსს გადახედა, მერე ჟან ვალჟანს, გაიცინა მშვენიერი გაშლილი ვარდის სიცილით და შესძახა:

- დაგენაძლევებით, რომ პოლიტიკაზე ლაპარაკობთ. არ გრცხვენიათ, რომ მარტო მტოვებთ?

ჟან ვალჟანს გააჟრჟოლა.

- კოზეტ! - წამოიძახა მარიუსმა, და იქვე ჩაჩუმდა. რომ ენახა ვინმეს, იტყოდა, დამნაშავენი არიან ორივენიო.

კოზეტი კი მხიარულად შესცქეროდა ხან ქმარს, ხან მამობილს. სამოთხის სხივით უბრწყინავდა თვალი.

- დაგიჭირეთ, წაგასწარით! ეს არის, ყური მოვკარი მამაჩემის სიტყვას, სინდისიო... მოვალეობის ასრულებაო... ეს პოლიტიკაა და მე კი არ მინდა თქვენი პოლიტიკა. ვის გაუგონია, პოლიტიკური ბაასი ქორწილის მეორე დღეს? ეს უსამართლობაა.

- ცდები, კოზეტ, - უპასუხა მარიუსმა, - საქმეზე ვლაპარაკობდით. შენს ექვსასი ათასს შეეხებოდა ჩვენი ბაასი, სად შევიტანოთ, რომ სარგებელი ვნახოთ.

- ნეტავი თქვენ! - შეაწყვეტინა კოზეტმა, - ეს მიბრძანეთ, აი, აქა ვარ. ჰა, გინდივართ თუ არა?

სწრაფად შემოაღო კარი და შემოვიდა. თეთრი განიერი ხალათი ეცვა, ათასი ნაკეცით, ფართო სახელოებით, მხრებიდან ფეხამდე სცემდა.

ძველებურ გოტიკურ ნახატებში თუ ნახავს კაცი ამგვარ სხივით მორთულ ანგელოზს.

სარკესთან დადგა, თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი თავი და წამოიძახა აღტაცებულმა:

- იყო და არა იყო რა, ცხოვრობდნენ ამქვეყნად თურმე მეფე და მისი დედოფალი. ოჰ, რა მოხარული ვარ!

შემდეგ რევერანსი გაუკეთა მარიუსსა და ჟან ვალჟანს.

- ძალიან კარგი, აქვე დავბრძანდები, თქვენთან, ამ სავარძელში, ნახევარი საათის შემდეგ საუზმე გვექნება: მანამ კი ბრძანეთ, რაც გენებოთ. ძალიან კარგად ვიცი, რომ მოლაპარაკება გინდათ. ჭკვიანად ვიქნები, ხელს არ შეგიშლით.

ხელი დაუჭირა მარიუსმა და ალერსით უთხრა:

- საქმე გვაქვს გადასაწყვეტი.

- მართლა? - შესძახა კოზეტმა, - ჩემი ფანჯარა გავაღე და ბეღურებით სავსეა ჩვენი ბაღი. დღეს ოთხშაბათია, პირველი დღე დიდმარხვისა, მაგრამ ბეღურებისთვის მარხვა არ უნდა იყოს.

- კოზეტ, გეუბნები, საქმე გვაქვს მოსათავებელი. წადი, პატარავ, ცოტა ხანს მოვუნდებით ამ საქმეს. სულ ციფრებზე ვლაპარაკობთ და თავს შეგაწყენთ.

- მშვენიერი ყელსახვევი მოგიხვევია ამ დილას, გიხდება, მარიუს. ძალიან კოხტაობთ, ბატონო. არა, ციფრები იყოს, რა მენაღვლება?

- მოიწყენ, გარწმუნებ.

- არა, არა, ჩემთან ხომ თქვენა ხართ. თქვენი ლაპარაკისას ვერაფერს გავიგებ, მაგრამ თქვენთან ვიქნები, თქვენი ხმით დავტკბები. ის ხმა რომ გესმის, საყვარელი ხმა, საჭირო არც კია სიტყვების შეგნება. მე თქვენთან ყოფნა მინდა, სხვა არაფერი. აქ ვარ და აქ ვრჩები, მორჩა და გათავდა.

- შეუძლებელია. თუ ჩემი საყვარელი კოზეტი ხარ!

- შეუძლებელიაო?

- დიახ.

- ძალიან კარგი. მინდოდა თქვენთვის ახალი ამბები მეთქვა, მინდოდა მეთქვა, რომ ბაბუას ჯერ ისევ სძინავს; რომ დეიდათქვენი წირვაზე წავიდა, რომ მამაჩემის, ფოშლევანის, ოთახის ბუხარს კვამლი გამოსდის; რომ ნიკოლეტმა საკვამურის მწმენდავი მოაყვანინა; რომ ტუსენსა და ნიკოლეტს უკვე ჩხუბი მოუვიდათ; რომ ნიკოლეტი დასცინის ტუსენს, ენაბლუ ხარო. ჰოდა, რაკი აგრეა, უკანვე წავიღებ ჩემს ახალ ამბებს. დამრჩებით ცარიელი! ჰოო, მაშ, შეუძლებელია? ჩემი რიგიც მოვა და ახლა მე ვიტყვი, შეუძლებელია-მეთქი. ვნახოთ, ვინ უფრო მეტს წააგებს? ჩემო მარიუს, მე თქვენთან მინდა ვიყო, ორივესთან.

- გეფიცები, საქმე გვაქვს და მარტონი უნდა ვიყოთ.

- და განა მე უცხო ვარ?

ჟან ვალჟანი ხმას არ იღებდა. ახლა მას მიუბრუნდა კოზეტი:

- უპირველესად ყოვლისა, მამა, მინდა, რომ მოხვიდეთ და მაკოცოთ. და მეორე: რას გაჩუმებულხართ და ხმას არ იღებთ, როდესაც საჭიროა თქვენი გამოსარჩლება? ნეტავ ვინ მიძღვნა ამისთანა გულცივი მამა? ხომ ხედავთ, რა უბედური ვარ ჩემი ქმრის ხელში? იგი მცემს, ჰო, აბა, მაკოცეთ, ჩქარა!

მიუახლოვდა ჟან ვალჟანი.

კოზეტი კი მარიუსს მიუბრუნდა:

- აჰა, ხომ ცარიელი დამრჩით!

და შუბლი მიუშვირა ჟან ვალჟანს.

მივიდა ჟან ვალჟანი, უნდა ეკოცნა.

უკან დაიწია კოზეტმა:

- რა მოგვივიდათ, მამა! ასე რამ გაგაფითრათ? იქნებ ხელი გაწუხებთ?

- არა, მომირჩა, - უპასუხა ჟან ვალჟანმა.

- ცუდად გეძინათ?

- არა.

- გაწუხებთ რამე?

- არა.

- მაკოცეთ. თუ კარგად ხართ, კარგად გძინავთ და არაფერი გაწუხებთ, არც მე გაგიჯავრდებით, - და შუბლი შეუშვირა.

აკოცა ჟან ვალჟანმა ციური სხივით მოფენილ შუბლზე.

- ახლა გამიცინეთ.

დაემორჩილა ჟან ვალჟანი. აჩრდილის სიცილის ჰგავდა მისი სიცილი.

- და ახლა მიშველეთ რამე, თორემ ავად მექცევა ჩემი ქმარი.

- კოზეტ! - შეაწყვეტინა მარიუსმა.

- გაჯავრდით, მამაჩემო! უთხარით, რომ შეიძლება მეც აქ დავრჩე. ლაპარაკი ჩემთანაც შეიძლება. მაშ, სულელად მიგაჩნივართ? დიდი რამ გგონიათ თქვენი გადასაწყვეტი? ფული უნდა შეიტანოთ ბანკში, ხუმრობა კი ნუ გგონიათ? ყველაფერი საიდუმლოებად უნდა გახადონ კაცებმა. მე ვარ და ვრჩები! ძალიანაც ვამშვენებ ამ დილას, არა? ერთი შემომხედე, მარიუს.

კოხტად აიჩეჩა მხრები, გაბუტული ვარო, და მარიუსს გადახედა. იელვა და ელვა მოედო ორივეს. აღარც კი ახსოვდათ, რომ მარტონი არ იყვნენ.

- მიყვარხარ! - შეჰყვირა მარიუსმა.

- გაღმერთებ! - მიუგო კოზეტმა.

და მოეხვივნენ ერთმანეთს.

- ახლა კი ვრჩები, - თქვა კოზეტმა გამარჯვებული სახით და თან ხალათს ისწორებდა.

- არა, არა, - მიმართა ხვეწნით მარიუსმა, - საქმე გვაქვს.

- მაშ, მაინც არა?

მარიუსმა საქმიანი კაცის იერი მიიღო:

- გარწმუნებ, კოზეტ, შეუძლებელია.

- ოჰო, რა კილოთი მიბრძანებს! ძალიან კარგი! აი, მივდივარ, თქვენ, მამაჩემო? თქვენც კი არ მომეშველეთ. ტირანები ხართ, ბატონო მეუღლევ, და თქვენც, ბატონო მამაჩემო. წავალ და ბაბუას ვეტყვი. იქნებ გგონიათ, რომ ახლავე დავბრუნდები და შეგეხვეწებით? ცდებით, ბატონო. ჩვენც გვაქვს თავმოყვარეობა და სიამაყე. ახლა თქვენ მომძებნეთ. ნახავთ, როგორ მოიწყენთ უჩემოდ. აი, წავედი. ახია თქვენზე!

და გავიდა.

ორი-სამი წუთის შემდეგ ისევ შემოაღო კარი, თავი შემოყო და შესძახა:

- ძალიან გაჯავრებული ვარ!

მოხურა კარი და ისევ დაბნელდა იქაურობა.

მზის სხივი იყო, გზა დაჰკარგვოდა, თავისდა შეუმჩნევლად და სწრაფად გადაიარა ღამის სიბნელეზე.

მარიუსმა კარი გასინჯა. დარწმუნდა, რომ კარგად იყო მიხურული.

- საბრალო კოზეტი, - წაიჩურჩულა სინანულით, - ახლა ამას გაიგებს და...

ამ სიტყვამ თავით ფეხამდე ააკანკალა ჟან ვალჟანი. შეშინებული დააცქერდა მარიუსს.

- კოზეტი! ოჰ, მართალია, თქვენ კოზეტს უამბობთ. მართალი ხართ. ჩემი დაუდევრობა! ამაზე კი არ მიფიქრია, თუ როგორ მიიღებდა ამას კოზეტი. ერთს გაუძლებს როგორმე კაცი, მეორისათვის კი აღარ შესწევს ძალა. გევედრებით, ბატონო, გემუდარებით, შემომფიცეთ, პატიოსანი სიტყვა მომეცით, რომ კოზეტს არაფერს ეტყვით. ნუთუ არ კმარა, რომ თქვენ იცით. მე თვით ვიტყოდი ყველაფერს, მთელ ქვეყანას ვაცნობებდი, არავის დავერიდებოდი, მაგრამ კოზეტმა არ იცის ეს რა არის და შეეშინდება. რაო, კატორღელიო? უნდა აუხსნათ, რა არის კატორღელი. ერთხელ ჯაჭვით შეკრულები მიჰყავდათ... კოზეტმა ნახა, ოჰ, ღმერთო ჩემო!

ჟან ვალჟანი სავარძელზე დაეშვა და ხელები აიფარა სახეზე. დუმდა, მხოლოდ მხრების მოძრაობა ამტკიცებდა, რომ ჩუმად ტიროდა. ჩუმი ცრემლები საშინელი ცრემლებია.

გული ამოუჯდა მტირალს. კრუნჩხვა მოერია; ვეღარ გაუძლო, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, თითქოს სუნთქვა შეეკრაო, მკვდარივით ჩამოყარა ხელები, ვეღარ დაემალა მარიუსისთვის ცრემლით სავსე თვალები. ძლივს მოესმა მარიუსს, ჩუმად ნათქვამი, თითქოს უძირო უფსკრულიდან ყოფილიყოს:

- ოჰ, ნეტავ მოვკვდე!

- დამშვიდდით, - მიმართა მარიუსმა, - თქვენი საიდუმლოება ჩემს მეტს არავის ეცოდინება.

ისე არ ებრალებოდა მარიუსს საწყალი კაცი, როგორც უნდა შეჰბრალებოდა. ერთი საათი იყო, ჟან ვალჟანს შეჰყურებდა; ხედავდა, როგორ იცვლებოდა ბატონი ფოშლევანი კატორღელად; ნელ-ნელა მასაც ერეოდა მისი მწუხარება,

მდგომარეობის ბუნებრივ დაღმართს დაჰყოლოდა და უფრო და უფრო გაუვალად ეჩვენებოდა ნაპრალი, რომელიც ამ კაცს აშორებდა. ალბათ, მის დამშვიდებას ცდილობდა.

- შეუძლებელია, იმ ანაბარის შესახებაც არ ვთქვათ ცოტა რამ, რომელიც ასე ერთგულად და პატიოსნად ჩააბარეთ კოზეტს. ძალიან პატიოსნად მოიქეცით და საცა სამართალია, თქვენი ღვაწლიც უნდა დაჯილდოვდეს. თქვენ თვითონ მითხარით, რამდენი გნებავთ და ახლავე მოგართმევთ. ნუ მომერიდებით, თუ დიდი თანხის თქმა გინდოდეთ.

- მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, - მიუგო ჟან ვალჟანმა ტკბილად.

ცოტა ხანს გაჩუმებული იყო, ცერის ფრჩხილით სალოკი თითის წვერს იფხანდა თავისდა შეუმჩნევლად. მერე მარიუსს შეხედა:

- ყველაფერი ვთქვით თითქმის, რაც სათქმელი გვქონდა... ერთი რამ დაგვრჩა, უკანასკნელი...

- რა გნებავთ?

ვერ ბედავდა ჟან ვალჟანი, ყოყმანობდა და როგორც იყო, წაიბუტბუტა, თითქმის უხმოდ, რადგან სუნთქვა ეკვროდა:

- ახლა რაკი გაგაგებინეთ... თქვენ გეკითხებათ აქ ყველაფერი და როგორ იტყვით, აღარ ვნახო ჩემი კოზეტი?

- მგონია, ასე ემჯობინება, - მოუჭრა ცივად მარიუსმა.

- აღარ ვნახავ, - ამოიკვნესა ჟან ვალჟანმა.

კარის რაზას დაადო ხელი, გააღო ოდნავ, რომ გასვლა შესძლებოდა, წამით უძრავად იდგა კართან, მერე ისევ მიხურა და მარიუსთან მივიდა.

უკვე გაფითრებული კი არა, გალურჯებული იყო, სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. ცრემლი შეშრობოდა, რაღაც ტრაგიკული ალი ჩასდგომოდა თვალში. საოცრად დამშვიდებოდა ხმა:

- იცით, რა გითხრათ, ბატონო? თუ ინებებთ, მოვალ ხოლმე კოზეტის სანახავად. გარწმუნებთ, ძალიან მინდა. მე რომ კოზეტის ნახვა არ მნდომოდა, არც იმას გეტყოდით, რაც გითხარით; ავდგებოდი და წავიდოდი. მაგრამ რა ვქნა, რომ სწორედ იქ მინდა სიცოცხლე, სადაც კოზეტი მყავს და კოზეტს ვხედავ? იმიტომ გაგენდეთ ასე გულწრფელად, რომ აქ დარჩენა მინდა, არ შემიძლია კოზეტის მოშორება. ხომ გასაგებია. უნდა მეღიარებინა ჩემი წარსული, რომ აქ დავრჩენილიყავი. ცხადია, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. აი, ბატონო, ცხრა წელიწადია ჩემთან მყავს. ჯერ ბულვარზე ვცხოვრობდით ერთ პატარა სახლში, მერე მონასტერში, მერე ლუქსემბურგის ახლოს. იქ ნახეთ პირველად ჩემი კოზეტი. გახსოვთ მისი ცისფერი ხავერდის ქუდი? მერე ინვალიდების უბანში გადავედით; იქ ბაღი გვქონდა ქუჩის მხარეს, მესრით შემოღობილი, პლუმეს ქუჩაზე. ჩემი ოთახი უკანა ეზოში იყო და იქიდან ვისმენდი კოზეტის ფორტეპიანოს ხმას. აი, ეს იყო ჩემი სიცოცხლე, სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთს არა ვშორდებოდით. ცხრა წელიწადი და რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ ასე, მე როგორც კოზეტის მამამ, მან კი როგორც ჩემმა შვილმა. არ ვიცი, ბატონო პონმერსი, გასაგებია თქვენთვის თუ არა ჩემი სიტყვა, მაგრამ მეტად ძნელი იქნება ახლა ჩემი ასე წასვლა. კოზეტს ვეღარ ვხედავდე, კოზეტს ვეღარ ველაპარაკებოდე, აღარაფერი გამაჩნდეს ჩემს სიცოცხლეში. მეტად ძნელი იქნება. თუ ნებას დამრთავთ, ხანდახან მოვალ ხოლმე კოზეტის სანახავად. ხშირად არ ვივლი,

არც დიდხანს დავრჩები. თქვენ უბრძანეთ, რომ ქვემო სართულზე მიმიღონ, პატარა დარბაზში. უკანა კარიდან შემოვალ ხოლმე, მსახურთათვის რომ არის, მაგრამ ვაითუ, ესეც სალაპარაკოდ გამიხადონ. არა, ისევ ძველებურად ზარს დავრეკავ, როგორც ყველანი დადიხართ. ბატონო, ხანდახან კოზეტი უნდა ვნახო. ისე იშვიათად, როგორც თქვენ ინებებთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ამ მდგომარეობაში. რა ვქნა, რომ ამის მეტი აღარაფერი დამრჩენია? გარდა ამისა, არც ივარგებს, მე რომ ფეხი ამომაკვეთინოთ. უცნაური იქნება და მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. თუ გნებავთ, მარტო ბინდისას მოვალ ხოლმე, როცა ბნელდება.

- ყოველ საღამოს მობრძანდით, კოზეტიც იქ დაგხვდებათ.

- გულკეთილი ბრძანებულხართ, ბატონო, გმადლობთ.

მარიუსმა კარამდე მიაცილა ჟან ვალჟანი, - ბედნიერება კარამდე მიაცილებდა სასოწარკვეთას. ასე განშორდა ერთმანეთს ეს ორი კაცი.

## თავი მეორე

## წყვდიადი, რომელიც შესაძლებელია [1]გამოცხადებას შეიცავდეს

აფორიაქებული დარჩა მარიუსი.

ახლა კი მიხვდა, რა იყო მიზეზი, რომ ისე შორს ედგა იმ კაცს, თავის საყვარელ კოზეტთან რომ ხედავდა ყოველთვის განუშორებლად. რაღაც იყო იმ კაცში გამოუცნობი და ამიტომ იყო, რომ ალღო აფრთხილებდა მარიუსს. კატორღა ყოფილა ის გამოცანა, ადამიანის უაღრესად შემარცხვენელი რამ. ბატონი ფოშლევანი თურმე კატორღელი ჟან ვალჟანი იყო.

ზეციურ ნეტარებაში იყო კაცი და უცბად ამ საზიზღარ საიდუმლოს წააწყდა. ეს გვრიტების ბუდეში მორიელის აღმოჩენას ჰგავდა.

ნუთუ მარიუსისა და კოზეტის ბედნიერებას ამიერიდან ეს სამსალა უნდა ჩარეოდა? ნუთუ არ შეიძლებოდა ამის აცდენა? ნუთუ კოზეტის შერთვა ამ კაცის ოჯახში შეყვანას მოასწავებდა? ნუთუ აღარაფერი ეშველებოდა ამ უბედურებას?

ნუთუ კატორღელიც შეირთო მარიუსმა?

შეიძლება სხივმოსილი იყოს ადამიანი თავისი ბედნიერებით; შეიძლება სიცოცხლის იშვიათი ნეტარება რგებოდეს წილად, ბედნიერი სიყვარული, და იმით ტკბებოდეს, მაგრამ ამგვარი მუჭლუგუნი რომ მოხვდება, შედრკება, თუნდაც მთავარანგელოზი იყოს აღტაცებული, ან ნახევრად ღმერთი განდიდებული.

როგორც ყოველთვის ამგვარ მოულოდნელ შემთხვევაში, მარიუსს ერთი ფიქრი აწუხებდა, - იქნებ თვით ის იყო საყვედურის ღირსი? იქნებ დაუფიქრებლად მოიქცა და ვერ შენიშნა ის, რაც ადვილად დასანახი იყო. იქნებ თავისდა უნებურად დახუჭა თვალი. შეიძლება, ასეც ყოფილიყო, ოდნავ მაინც. ხომ მართალია, რომ კოზეტის სიყვარულით გაგიჟებულს აზრადაც არ მოსვლია, გაეგო რამე მის შესახებ, ან მამამისის შესახებ, ცოტაოდენი სიფრთხილე გამოეჩინა, და მერე დაეწერა ჯვარი. ახლა კი მიხვდა, თუმცა აქამდისაც მრავალი შემთხვევა ჰქონდა, დარწმუნებულიყო, რომ ცხოვრება გვაიძულებს, ჩავუფიქრდეთ ჩვენს თავს და ჩვენს თავზე დამტყდარ შემთხვევებს და ამით ნელ-ნელა ჭკუას გვასწავლის; დიახ, მიხვდა, რომ თვითონაც უფრო ოცნებით სულდგმულობდა, ვიდრე სინამდვილით, ერთგვარი შინაგანი

ღრუბლით, რომელიც იმდენად იზრდება, ბედი ეწევა თუ უბედურება, რომ მთლად იმონებს ადამიანს, ავიწყებს ყველაფერს და ბურუსით მოსავს მის სინდისს. ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ მარიუსის ეს თვისება. თვითონვე აგონდებოდა, როგორი მთვრალი იყო სიყვარულით; ვეღარაფერს ხედავდა, თითქოს დაბრმავებულიყო, და მთელი ექვსი თუ შვიდი კვირის განმავლობაში პლუმეს ქუჩაზე შეხვედრებისას ერთი სიტყვაც არ უთქვამს კოზეტისთვის იმ დრამის შესახებ გორბოს სახლში, სადაც ისე უცნაურად იქცეოდა ეს ხაფანგში გაბმული კაცი; დუმდა ბრძოლის დროს, ხმა არ ამოუღია, მიშველეთო, და ისე გაიპარა. რად არ უთხრა კოზეტს? მაშინ ხომ ისე ახალი და მწვავე იყო მოგონება იმ ამბის შესახებ?! რად არ უთხრა არაფერი ტენარდიეებზე. იმ დღეს მაინც, როდესაც ეპონინს შეხვდა. მარიუსი მაშინდელ თავის დუმილს ძლივს უძებნიდა საფუძველს, მაინც ხედავდა თავის შეცდომას; აგონდებოდა, რომ გაგიჟებული, გახელებული იყო სიყვარულით. სიყვარულს შთაენთქა სხვა ყველაფერი, ოცნებისკენ წარეტაცათ ერთმანეთი მას და კოზეტს; და გარდა ამისა, ცოტა რამ სხვაც უნდა ყოფილიყო; გონების ერთი ბეწო, შეუმჩნეველი მოსაზრება არ უნდა შერეოდა მის ძლიერ სულიერ ნეტარებას, ბუნდოვანი, ჩუმი ალღო, რომელიც ურჩევდა, დაემალა, განედევნა თავისი მეხსიერებიდან ის საზიზღარი საღამო, რომლის გახსენებაც კი ზიზღს ჰგვრიდა, რომელსაც ემალებოდა, როდესაც მოაგონდებოდა, რომ შეიძლება კიდევ ჩამრიონ იმ საძაგელ საქმეში, და თუ ჩამრიეს, არც მოამბედ ჩავერევი, არც მოწმედ, არამედ მარტო ბრალმდებლადო. და ასეც რომ არ იყოს, ელვასავით სწრაფი იყო ეს ბედნიერი დრო, ის რამდენიმე კვირა. სიყვარულით იყვნენ გართულნი, სადღა სცალოდათ სხვა საქმისთვის. დიდი ფიქრის, დიდი ჩაკვირვებისა და აწონ-დაწონის შემდეგ ისიც თქვა, რომ ამაო იქნებოდა ამის თქმა, და ამით კოზეტის სიყვარულის დროებით მაინც გამწარება: კიდევ რომ ეცნობებინა კოზეტისთვის გორბოს სახლის ხაფანგი, კიდეც რომ დაესახელებინა ტენარდიე, კიდეც რომ გამოეძია, რომ კატორღელია ჟან ვალჟანი, როგორ შეცვლიდა ყოველივე ეს მარიუსსა და მის სიყვარულს? ან შეცვლიდა კოზეტს? განა უკან დაიხევდა მარიუსი? გაუნელდებოდა კოზეტის სიყვარული და თაყვანისცემა? განა აღარ შეირთავდა კოზეტს? მაინც შეირთავდა. რას გამოცვლიდა მათ დამოკიდებულებაში? სრულიად არაფერს. მაშ, რა იყო სანანებელი? არც სანანებელი ჰქონდა რამე და არც სასაყვედურო. არაფერი დაუშავებია. თავისი ღმერთი ჰყავთ ამ მთვრალებს, შეყვარებულებს რომ ვუწოდებთ. მარიუსი დაბრმავებული იყო სიყვარულით და იმ გზას მიჰყვა, რომელსაც თვალხილული აირჩევდა. სიყვარულმა აუბა თვალები, რომ თავისი გზით წაეყვანა და სად? სამოთხეში.

მაგრამ ამ სამოთხეს ამიერიდან ჯოჯოხეთის მეზობლობა ართულებდა.

უწინაც ერიდებოდა მარიუსი ამ კაცს, ამ ფოშლევანს, რომელიც ჟან ვალჟანი ყოფილა, მაგრამ უწინდელ მორიდებას დღეს შიშიც ერთვოდა.

ამ შიშში, ბარემ ესეც ვთქვათ, სიბრალულიც იყო ჩარეული და ერთგვარი გაოცებაც.

ეს ქურდი, ქურდი-რეციდივისტი ასე პატიოსნად აბარებს პატრონს მის ანაბარს? მერე რა ანაბარს? ექვსასი ათას ფრანკს. მხოლოდ მან იცოდა ამ ფულის საიდუმლოება. მას შეეძლო სულ დაემალა, მან კი მთლად მისცა.

გარდა ამისა, თვითონვე აღიარა თავისი წარსული. რამ აიძულა? ძალას ვინ ატანდა? თუ გავიგეთ, ვინ არის, თვით მისგან. თუ გამოტყდა და უთხრა მარიუსს თავისი

ვინაობა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ აღსარებით თავსაც იმცირებდა და განსაცდელსაც იმზადებდა. განწირულისთვის ნიღაბი მარტო ნიღაბი კი არა, თავშესაფარიც არის და მან უარყო ეს თავშესაფარი. ყალბი სახელი ჰქონდა, ეს იფარავდა სასჯელისაგან: მან უარყო ყალბი სახელიც. ძალიან კარგად შეეძლო კატორღელს, სამუდამოდ დამალულიყო მარიუსის პატიოსან ოჯახში და ამ ტკბილ ცდუნებასაც კი არ დაემორჩილა. მერე რატომ? იმიტომ, რომ სინდისის ქენჯნის ეშინოდა. თვითონვე აუხსნა მარიუსს, ეჭვგარეშეა, გულწრფელად. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა ავი კაცი ყოფილიყო ოდესღაც ჟან ვალჟანი, ცხადი იყო, სინდისი გაჰღვიძებოდა. ზნეობრივი გარდაქმნა დაიწყო ამ ადამიანში და ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, რაც სინდისი დაჰპატრონებოდა მის სულსა და გულს. ჭეშმარიტი და კეთილი ამგვარად მხოლოდ დიდებულს იმორჩილებს. სინდისის გაღვიძება დიდებაა სულისა.

გულწრფელი იყო ჟან ვალჟანი. ცხადი იყო მისი გულწრფელობა, ხელშესახები, უძლეველი, უეჭველი, უცილობელი; ცხადი, რადგან გულს უკლავდა თვითონ მასვე, და სრულიად უმართებლო იქნებოდა კვლევა-ძიება მისი ნათქვამის სიმართლისა, რადგან თვით ეს გულწრფელობა ამტკიცებდა მის სიმართლეს.

და აქ სავსებით გამოიცვალა მარიუსი ამ კაცის მიმართ. როგორ უყურებდა აქამდე ბატონ ფოშლევანს? უნდობლად. რა გამოიწვია მასში ახლა ჟან ვალჟანმა? სრული ნდობა.

ჟან ვალჟანის ავისა და კარგის შედარებას ცდილობდა ჩაფიქრებული მარიუსი, სასწორის თეფშებზე აწყობდა მის აქტივსა და პასივს, უნდოდა, წონასწორობა აღმოეჩინა. მაგრამ ისე იყო, თითქოს ქარიშხალი სცემს და სასწორს ურყევსო. ცდილობდა, ნათელი აზრი შეედგინა ამ კაცის შესახებ, ძირისძირამდე ჩაჰყოლოდა მის საქციელსა და აზროვნებას, მაგრამ იქ საბედისწერო ბურუსით მოცულს ხედავდა ჟან ვალჟანს და ხანდახან სულაც კარგავდა.

ანაბარი ჰქონდა და პატიოსნად ჩააბარა; თავისი ავი აწუხებდა და აღიარა; ძალიან კარგი. ამას ელვარება შეჰქონდა ღრუბელში, მაგრამ მყისვე შავად რჩებოდა ღრუბელი.

ბუნდოვანი იყო, რაც კი აგონდებოდა მარიუსს, მაგრამ ცოტა რამ მაინც ირკვეოდა.

ბოლოს და ბოლოს, რა იყო ჟონდრეტის მახე, ჟან ვალჟანი რომ მოიმწყვდიეს? რატომ არ ისარგებლა პოლიციის მოსვლით ჟან ვალჟანმა, და იმის მაგივრად, ჩივილი დაეწყო, ადგა და გაიპარა? აქ მარიუსი პასუხსაც პოვებდა: იმიტომ, რომ ამ კაცს პოლიცია დაეძებდა, როგორც კატორღიდან გამოპარულს.

მეორე კითხვა: რისთვის მივიდა ჟან ვალჟანი ბარიკადზე? ახლა კი ცხადად დაინახა მარიუსმა, თვალწინ დაუდგა ეს მოგონება, თითქოს სიმპატიკური მელნით ყოფილიყოს დაწერილი, რომ ცეცხლზე გამოჩენილიყო. ისიც ბარიკადზე იყო. ის იქ არ იბრძოდა. მაშ, რისთვის მივიდა? ამ კითხვის წინაშე უავერის ჩრდილი აიმართებოდა ხოლმე და პასუხსაც ის იძლეოდა. ახლა კი მშვენივრად აგონდებოდა საზარელი სურათი, - გაბაწრული უავერი და უკან დამბაჩით ხელში ჟან ვალჟანი, ბარიკადიდან გასვლა და... - ახლაც ყურში ედგა მონდეტურის ქუჩის კუთხიდან გავარდნილი დამბაჩის საშინელი ხმა. ადვილი წარმოსადგენია, რომ ერთმანეთის ჯავრი სჭირდათ იმ კატორღელსა და პოლიციელს. ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ. ჟან ვალჟანიც იმიტომ მივიდა ბარიკადზე, რომ უავერის ჯავრი ამოეყარა. გვიან მივიდა; ალბათ, იცოდა, რომ დაპატიმრებული ჰყავდათ უავერი. კორსიკული

სისხლის ძიება შემოპაროდა ხალხის ქვედა ფენას და კანონად გამხდარიყო; იმდენად მარტივია ეს სისხლის ძიება, რომ საძრახისად არ მიაჩნია გაუნათლებელ კაცს, თუნდაც უკვე სიკეთისკენაც ჰქონდეს პირი. ამგვარი შეგნების ადამიანი შეიძლება სირცხვილით იწვოდეს, საქურდლად რომ მიდის, მაგრამ თამამია, როდესაც სისხლის ძიება უნდა. ჟან ვალჟანმა მოკლა ჟავერი, ეს ცხადად ეჩვენებოდა მარიუსს.

ერთი უკანასკნელი კითხვაც ჰქონდა, მაგრამ ამის პასუხს ვერ პოვებდა. ეს კითხვა იყო, რომ მარწუხივით ჩასჭიდებოდა მარიუსს. როგორ მოხდა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ ჟან ვალჟანი და კოზეტი? რას წარმოადგენდა განგების ეს ავბედითი წადილი, რომელმაც ამ კაცს მისცა გამოსაზრდელად პატარა ბავშვი? ნუთუ ზეცაშიც მოიპოვება ორად ჭედილი ჯაჭვი და თვით ღმერთს მოსწონს ანგელოზისა და მავნე სულის დაახლოება? მაშ, შეიძლება დაძმობილდნენ და ერთად ცხოვრობდნენ გაჭირვების იდუმალ კატორღაში ჩავარდნილი ბოროტება და უმწიკვლოება? მაშ, შეიძლება იმ განწირულთა რიცხვში, რომელსაც ადამიანის ბედისწერა ეწოდება, ერთად იყოს ორი არსება - ერთი უმანკო, მეორე საზარელი, ერთი ამომავალი მზის სხივით მოსილი და მეორე მარადიული მეხით საბოლოოდ დამწვარი და ჩაშავებული? ვინ იქნებოდა, რომ განემარტა ეს უცნაური შერჩევა? როგორ მოხდა, რა სასწაულით მოხერხდა ერთად ცხოვრება ამ ნორჩი უმანკოებისა და ბებერი ბოროტებისა? ვინ იქნებოდა, რომ მგლისთვის ჩაებარებინა კრავი, და - ეს უფრო მეტად ძნელია შესაგნებლად, - როგორ მოხდა, რომ ასე უსაზღვროდ შეუყვარდა მგელს პატარა კრავი? რადგან, ცხადი იყო, მგელს უყვარდა კრავი; ცხადი იყო, საშინელება თაყვანს სცემდა ამ სუსტ არსებას. ცხრა წელიწადი იყო, ანგელოზს ურჩხული ჰყავდა მფარველად. პატარაობა და მომწიფება კოზეტისა, მისი განვითარება, მისი ქალური მისწრაფება სიცოცხლისა და სინათლისაკენ უზრუნველყოფილი იყო ამ უგვანო თავგანწირულების წყალობით. აქ კი განშტოებას იჩენდა კითხვა, თუ შეიძლება ასე თქმა, და მრავალ გამოცანად ნაწილდებოდა, უფსკრულის ძირში უფსკრული ჩნდებოდა და ისე ვერ დააცქერდებოდა ჟან ვალჟანს მარიუსი, რომ თავბრუ არ დახვეოდა. მაშ, რა უნდა ყოფილიყო ეს დაცემული ადამიანი?

უკვდავია ძველი სიმბოლონი დაბადებისა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორიც დღეს არსებობს, ვიდრე სხვა, უფრო ნათელი სხივი არ დაადგება და არ გამოცვლის, არის და იქნება ორი ადამიანი, ერთი კეთილი, სინათლის შვილი, მეორე ბოროტი, ბნელეთის შვილი. სინათლის შვილი აბელია, ბნელეთის შვილი - კაენი. და ლმობიერი კაენი რაღა არის? რა არის ეს ყაჩაღი, რომ თაყვანს სცემს ქალწულს, როგორც ღვთაებას, ზედ დახარის, ზრდის და იფარავს მის სათნოებას, როდესაც თვით ბიწიერებით აღსავსეა! რა არის ეს სიბინძურის ორმო, რომელიც აღმერთებს უბიწოებას და ცდილობს, სულ უმცირესი ლაქაც კი არ მოხვდეს? რას წარმოადგენს ეს ჟან ვალჟანი, კოზეტის ასე უანგაროდ აღმზრდელი? რა არის ეს ბნელეთის შვილი, რომელსაც თავისი დანიშნულების ერთადერთ მიზნად გაუხდია ყოველი ჩრდილი და ღრუბელი ააშოროს ამომავალ ვარსკვლავს?

აქ იყო ჟან ვალჟანის საიდუმლოება. აქვე იყო საიდუმლოება ღვთისა.

ამ ორმაგ საიდუმლოებას შორის უკუიქცეოდა მარიუსი. ამ საიდუმლოების ერთი მონაწილე მეორის ერთგვარი თავმდები იყო. ამ საქმეში ღმერთიც ისევე ცხადად მოჩანდა, როგორც ჟან ვალჟანი. ღმერთს თავისი საშუალებანი აქვს და იმ

საშუალებას ხმარობს, რომელიც ნებავს. ღმერთი პასუხისმგებელი არ არის ადამიანის წინაშე. განა არ ვიცით, როგორ და რა განზრახვით ხმარობს ღმერთი თავის იარაღს? ჟან ვალჟანმა აღზარდა კოზეტი, გაანათლა სულიერად. ეს უეჭველი სიმართლე იყო. კარგი, მერე? მუშა საზარელი იყო, ნაყოფი კი თაყვანსაცემი. ღვთის განგებით ხდება ამგვარი სასწაული. ღმერთმა შექმნა სათნოებით სავსე კოზეტი და მის აღსაზრდელად ჟან ვალჟანი გამოიყენა. ღმერთმა ინება ამ უცნაური თანამშრომლის ამორჩევა. კითხვას ხომ არ დავუწყებთ ღმერთს, ეს რად ქმენიო? განა აქამდის არსად გვინახავს, რომ პატივი მიშველებოდეს გაზაფხულს მაისის ვარდის აყვავებაში?

ამ პასუხს აძლევდა თავის კითხვებს მარიუსი და თვითონვე უცხადებდა თავის თავს, რომ კარგად პასუხობდა. იმდენი რამ აწუხებდა კაცს და ვერ გაბედა, ერთი კითხვითაც კი ვერ მიმართა ჟან ვალჟანს, თუმცა თავის წინაშეც კი არ გამოტყდებოდა, რომ ვერ ბედავდა. აღმერთებდა კოზეტს. თავისი იყო კოზეტი. ანგელოზივით წმინდა კოზეტი. მარიუსისთვის ეს კმაროდა. სხვა რაღა უნდა გაეშუქებინა, როდესაც თვით კოზეტი იყო გაშუქებული? განა შუქსაც განათება უნდა? ყველაფერი ჰქონდა, რაც კი უნდოდა. რაღა უნდა მოსურვებოდა? ყველაფერი. განა ეს საკმარისი არ არის? მას სულ არ ეხებოდა ჟან ვალჟანის პირადი საქმეები და რომ დააკვირდებოდა ხოლმე ამ განწირულის ავბედით აჩრდილს, მაშინვე ხელს ჩასჭიდებდა მის მწარე კვნესით წარმოთქმულ სიტყვას, - მე კოზეტის არაფერი ვარ. ამ ათი წლის წინ არც კი ვიცოდი, რომ ის არსებობდაო.

ჟან ვალჟანი უცხო იყო კოზეტისთვის. ეს თვითონვე თქვა. ჰოდა, თუ უცხო იყო, გათავებულია მისი როლი. ამიერიდან მარიუსი არის, რომ განგების მოვალეობა აასრულოს კოზეტის მიმართ. კოზეტმა ის ლაჟვარდში იპოვა, თავისი სწორი, თავისი სატრფო, თავისი მეუღლე, თავისი ზეციური ქმარი. ზეცას ასვლისას ფრთაშესხმულმა და გარდაქმნილმა, იქვე დატოვა ცარიელ და ბინძურ დედამიწაზე თავისი ჭუჭრი - ჟან ვალჟანი.

რაც უნდა ღრმა ფიქრების წრეში ყოფილიყო მარიუსი, მაინც არ შორდებოდა ჟან ვალჟანის ერთგვარი შიში. იქნება წმინდაც იყო ეს შიში, რადგან, უკვე აღვნიშნეთ, რომ რაღაც quid divinum-ს გრძნობდა ამ კაცში. მაგრამ რაც უნდა ეცადა, რაც უნდა ბევრი მოეძებნა მისი გამამართლებელი გარემოება, ბოლოს მაინც ერთ დებულებას მიადგებოდა:

- ჟან ვალჟანი კატორღელი იყო, ესე იგი, არსება, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების კიბეზე თავისი ადგილიც კი არ გააჩნია, რადგან უკანასკნელი საფეხურის ქვემოთ არის სადღაც. უკანასკნელ ადამიანს უკან სდევს კატორღელი. კატორღელი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ცოცხალ ადამიანად აღარ ითვლება. კანონმა ჩამოართვა ყოველი ადამიანური უფლება, ყველაფერი, რაც კი მოეპოვებოდა ცოცხალ კაცს, და მკვდართა სიაში ჩარიცხა ცოცხალი. რაც შეეხება დამნაშავეთა დასჯას, დემოკრატი მარიუსი მომხრე იყო დამნაშავის სასტიკად დასჯისა, და ისევე მკაცრად სჯიდა ყოველ დანაშაულს, როგორც კანონი. ჯერჯერობით, კიდევ დარჩენოდა, - ესეც ვთქვათ, - საბოლოო პროგრესის მისაღწევად გასავლელი გზა. ჯერ ვერ ხედავდა, რომ ადამიანის დადგენილება არც აგრე ძალიან ეთანხმება ღვთის განგებას; ვერ ხედავდა, რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კანონი და უფლება. ჯერ არ გამოეკვლია და არ დაჰფიქრებოდა საფუძვლიანობას იმ უფლებისას, რომლითაც სარგებლობს ადამიანი და გამოაქვს საბოლოოდ შეუცვლელი დადგენილება. სიტყვა vindicte ჯერ

აღმაშფოთებლად არ მიაჩნდა. სრულიად ბუნებრივად თვლიდა, რომ კანონის დარღვევა ზოგ შემთხვევაში სიკვდილამდე წამებით, ტანჯვით უნდა ყოფილიყო დასჯილი, და განათლების საშუალებად მიაჩნდა საზოგადოებრივი განკიცხვა; ჯერ ისევ სწამდა, თუმცა შემდეგში ნელ-ნელა უთუოდ შეიცვლიდა ამ აზრს, რადგან ბუნებით კეთილი და ნელი პროგრესის თაყვანისმცემელი იყო.

ამ აზრებით მოცულს, საზიზღრად და მიუღებლად ეჩვენებოდა ჟან ვალჟანი, გამოპარული კატორღელი! ისე სცემდა გულში ეს სიტყვა, თითქოს მართლმსაჯულების საყვირი ყოფილიყოს.

დიდხანს სინჯა და იკვლია ის კაცი და იმით გაათავა, რომ ზურგი შეაქცია. Vადე რეტრო.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჟან ვალჟანს რომ ჰკითხავდა მარიუსი, და ჰკითხავდა ისეთი დაჟინებით, რომ იგი იძულებული იყო, ეთქვა, თქვენ მე აღსარებას მათქმევინებთო, - მაინც ვერ გაებედა და ვერ ჰკითხა ყველაზე მნიშვნელოვანი ორი-სამი რამ. იმიტომ კი არა, რომ არ გახსენებია, არა, გაახსენდა, მაგრამ შიში ერეოდა. ჟონდრეტის ხაფანგი? ბარიკადი? ჟავერი? ვინ იცის, სად მიიყვანდა მარიუსს ჟან ვალჟანის განმარტებანი? ეტყობოდა, იმნაირი კაცი არ იყო ჟან ვალჟანი, რომ სიმართლეს მორიდებოდა და ვინ იცის, თვით მარიუსს მოსურვებოდა მისი შეჩერება. ზოგჯერ იმგვარ მნიშვნელოვან გარემოებაში ჩავარდება კაცი, რომ საქმის გამოსაკვლევად იძულებულია, კითხვა დასვას; მაგრამ ისეთ პასუხს მიიღებს, რომ თითს იცობს ყურში, ეს საშინელება არ გავიგონოო. ამ ლაჩრობას მეტადრე მაშინ გამოიჩენს ხოლმე კაცი, როდესაც გაგიჟებულია სიყვარულით. ამიტომ არის, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის არ ვარგა დაჟინებით კითხვის დასმა, მეტადრე თუ იმ კითხვასთან ჩვენი სიცოცხლის მნიშვნელოვანი რამ არის დაკავშირებული. სასოწარკვეთილი ჟან ვალჟანის განმარტებებიდან შეიძლებოდა მოულოდნელად სინათლე გამოვარდნილიყო და ვინ იცის, იქნებ თვით კოზეტსაც შეხებოდა მისი ნათქვამი. ხომ შეიძლებოდა ისეთი რამ გაეგო მარიუსს, რომ საუკუნო შემარცხვენელ დაღად დამჩნეოდა კოზეტის ანგელოზის შუბლს. ელვის ნაპერწკალიც ხომ მეხია. ბედისწერამ იცის, თვით უმანკოებას დააჩნევს ხოლმე სხვის მიერ ჩადენილი უშვერობის ამ სამარცხვინო დაღს. შეიძლება უმწიკვლო იყოს ადამიანი და საუკუნოდ შერჩეს ბიწიერებასთან მეზობლობის დაღი. მართალი იყო თუ ცდებოდა, შიში ერეოდა მარიუსს. მეტისმეტი იყო ეს შიში და მარიუსი უფრო განდევნას ცდილობდა ამ ფიქრებისას, ვიდრე გამოკვლევას. გონმიხდილი იყო და იმასღა ცდილობდა, ხელში აეყვანა კოზეტი და გადაკარგულიყო სადმე, რომ ჟან ვალჟანის ხსენებაც აღარ ყოფილიყო.

ბნელეთი იყო ის კაცი, საზარელი, ცოცხალი ბნელეთი. ვინ იქნება იმდენად გამბედავი, რომ ამ ბნელეთის ძირამდე ჩავიდეს? განა საშინელება არ არის, დაკითხვა დაუწყოთ წყვდიადს? ვინ იცის, რა პასუხს მიიღებთ? შეიძლება საუკუნოდ ჩაგიჩრდილოთ თქვენი განთიადი.

ამ დასკვნამდე მისულიყო მარიუსი და ახლა გულს უწყლავდა ფიქრი, რომ კოზეტს ჯერ კიდევ ექნებოდა ურთიერთობა ამ კაცთან. თავს იდანაშაულებდა, რომ არ მისცა ისეთი საბედისწერო კითხვები, რომელთა გამორკვევით შეიძლებოდა საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო. ესეც სანანებლად გაუხდა, - მეტად ლმობიერი ვარ, მეტად გულკეთილი, მეტად სუსტიო, - უსაყვედურებდა თავს. ამ სისუსტის ბრალი იყო, რომ

ბოლომდე არ გამოარკვია, რაც საჭირო იყო, და დათმობის გზას დაადგა. სიბრალული მოერია და შეცდომა დაუშვა. ეს რომ არ ყოფილიყო, თავიდან მოიშორებდა ჟან ვალჟანს, ძალიან ადვილად. ცეცხლი იყო ჟან ვალჟანი და ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რომ მოეშორებინა თავისი სახლიდან. ნანობდა, თავის სისუსტეს აბრალებდა, მოულოდნელ მღელვარებას, რომელიც მძაფრი ქარიშხალივით მოედო, დააყრუა, დააბრმავა და გადარია კაცი. კმაყოფილი არ იყო თავისი თავისა.

ახლა როგორღა გამოესწორებინა თავისი შეცდომა? ჭირივით ეჯავრებოდა ჟან ვალჟანის სტუმრობა. რად უნდა მოდიოდეს? რა უნდა, რა საქმე აქვს ჩვენთან? და აქ კი თავბრუ ეხვეოდა. არც ჩაფიქრება უნდოდა, არც კითხვაში ჩაღრმავება; თავისი გულის სიღრმეში ჩახედვაც კი ეზარებოდა. დაჰპირდა ჟან ვალჟანს, სისუსტე გამოიჩინა. ჟან ვალჟანს მარიუსის ნებართვა ჰქონდა, მისი სიტყვა. რაკი სიტყვა მისცა, კატორღელსაც კი, მეტადრე იმიტომ, რომ კატორღელია, უნდა აუსრულოს კიდეც დაპირება. მაგრამ მარიუსის უმთავრესი ვალდებულება კოზეტის ბედნიერება იყო. ზიზღს გრძნობდა ამ კაცისადმი და ეს აბრაზებდა.

თავში ერეოდა ეს ფიქრები, ხან ერთს წაებღაუჭებოდა, ხან მეორეს და გამოსავალს ვერსად პოვებდა. აღელვებული და შეწუხებული იყო. ძნელი იყო კოზეტისგან თავისი სულიერი მდგომარეობის დამალვა, მაგრამ დიდი ნიჭია სიყვარული და შეძლო, კოზეტს არაფერი გააგებინა.

მაგრამ მაინც ცოტა რამ გამოჰკითხა კოზეტს, ისე, თითქოს არავითარი მიზანი არ ჰქონდა. თეთრი მტრედივით წმინდა კოზეტს, რომელსაც არავითარი ეჭვი არ აღძვრია. კოზეტის პატარაობას შეეხნენ, მის აღზრდას, და თანდათან დარწმუნდა მარიუსი, რომ რამდენადაც კი შეიძლება ტკბილი იყოს ადამიანი, კეთილი, მშობელივით თავდადებული და პატივსაცემი, სწორედ ასეთი ყოფილიყო კოზეტისთვის ეს კატორღელი. მართალი გამოდგა ყველაფერი, რაც კი ეგონა და წარმოედგინა მარიუსს. ამ თვალბედით ჭინჭარს უყვარდა ეს შროშანი და უფრთხილდებოდა მას.

## წიგნი მერვე
## დაღამება

### თავი პირველი
### ქვემო ოთახი

მეორე დღეს ბინდისას ჟან ვალჟანი ჟილნორმანის სახლის ალაყაფის კარზე აკაკუნებდა. ბასკმა გაუღო. სწორედ დანიშნულ დროს ჩამოსულიყო ეზოში, თითქოს ამის შესაფერისი ბრძანება ჰქონოდა მიღებული. მოხდება ხოლმე ხანდახან, მსახურს ეტყვიან წინდაწინ, თვალი გეჭიროს, ბატონი... უნდა მოვიდესო.

დაინახა თუ არა ბასკმა, მაშინვე მოახსენა:

- ბატონმა ბარონმა დამავალა, გკითხოთ, ზევით ინებებთ აბრძანებას, თუ აქ დარჩებით, ქვემო ოთახში.

- ქვემო ოთახში, - მიუგო ჟან ვალჟანმა.

ბასკმა ზრდილობიანად გაუღო ოთახის კარი და უთხრა:

- გეახლებით, ქალბატონ ბარონის მეუღლეს მოვახსენებ.

შევიდა ჟან ვალჟანი. თაღიანი ოთახი იყო, ნოტიო, საჭირეოებისამებრ საკუჭნაოდ ხმარებული, ფანჯრით ქუჩაში გადიოდა, წითელი აგური ჰქონდა იატაკის მაგივრად და ოდნავ იყო განათებული, რადგან მოაჯირი ეკრა ერთადერთ პატარა სარკმელს.

იმ ოთახთაგანი არ იყო ეს საკუჭნაო, რომელსაც გულს უწყალებს ცოცხი და სველი ტილო. მშვიდად იყო მტვერი. ობობებს არავინ დევნიდა. ერთი ლამაზი აბლაბუდა, განივრად გაშლილი, კარგად ჩაშავებული, მკვდარი ბუზებით დამშვენებული, მთლად ფარავდა ფანჯრის ერთ შუშას. პატარა ოთახი იყო, ავეჯის მაგივრად ცარიელი ბოთლები ეყარა ერთ კუთხეში. კედელი შეღებილი იყო ყვითელი ჟანგმიწით და ალაგ-ალაგ ჩამოშლილიყო. ოთახის ბოლოს ბუხარი იყო, შეშით ასანთებად. შავად შეღებილ ბუხარში ცეცხლი ენთო, რაც უტყუარი ნიშანი იყო იმისი, რომ იმედი ჰქონდათ, ქვემოთ დარჩენას ირჩევდა ჟან ვალჟანი.

ბუხართან ორი სავარძელი იდგა. სავარძლებს შუა ხალიჩის ნაცვლად გაშლილი იყო ძველი პატარა ქეჩა, რომელსაც გახეხილი ბაწრის მეტი აღარაფერი შერჩენოდა.

საკუჭნაოს გასანათებლად ბუხარში ცეცხლი და პატარა ფანჯარა იყო.

დაღლილი იყო ჟან ვალჟანი. რამდენიმე დღე იყო, აღარც ეძინა, აღარც ჭამდა. შევიდა და მაშინვე სავარძელზე დაეცა.

ბასკიც დაბრუნდა. ბუხარზე ანთებული სანთელი დადგა და გავიდა. თავი ძირს დაეშვა ჟან ვალჟანს, ნიკაპი გულზე და ვერც ბასკი დაინახა, ვერც სანთელი.

უცბად წამოხტა, თითქოს შეეშინდაო, - უკან კოზეტი ედგა.

კოზეტის შემოსვლა არ შეუნიშნავს, მაგრამ გრძნობდა კი, რომ კოზეტიც იქვე იყო.

მიბრუნდა, იდგა და შესცქეროდა. ულამაზესი იყო, მაგრამ ჟან ვალჟანი მის სილამაზეს კი არა, მის სულს ჩასცქეროდა.

- უცნაური კაცი ხართ, მამა, ვიცი, მაგრამ ამას კი ვერ წარმოვიდგენდი. არა, რა დაგემართათ? მარიუსმა მითხრა, თვითონ მამაშენმა მოისურვა, რომ ქვემო ოთახში მიიღო ხოლმეო.

- დიახ, მე მოვისურვე.

- ვიცოდი, რომ მაგას მიპასუხებდით. რა გაეწყობა? აი, გაფრთხილებთ, დღეს უნდა გეჩხუბოთ. და მაშ დასაწყისიდან დავიწყოთ. აბა, ჯერ მაკოცეთ.

და ლოყა მიუახლოვა.

უძრავად იდგა ჟან ვალჟანი.

- არ მკოცნით? ცოდვა აღიარებულიო! მაშ, დამნაშავედ გრძნობთ თავს? ეგ არაფერი, მიპატიებია: იესო ქრისტემა ბრძანა, ახლა მეორე მიუშვირეო. აბა!

ახლა მეორე ლოყა შესთავაზა.

არ გაინძრა ჟან ვალჟანი. ისე იდგა, თითქოს მილურსმული ჰქონდა ფეხები ფილაქანზე.

- ეს კი საოცარია! - წამოიძახა კოზეტმა, - რა დაგიშავეთ, ნეტავ ვიცოდე! გაჯავრებული ვარ და ქრთამი უნდა მომცეთ, თუ შერიგება გწადიათ: სადილად ჩვენთან დარჩებით.

- ვისადილე.

- ეგ მართალი არ არის. ბატონ ჟილნორმანს ვეტყვი, რომ ასე უკმეხად მექცევით. ბაბუა იმისთვის არის გაჩენილი, რომ მამას ტუქსავდეს. აბა, წავიდეთ! ზემოთ, დიდ დარბაზში, ჩქარა!

- შეუძლებელია.

აქ კოზეტს ნიადაგი შეერყა ფეხქვეშ. ბრძანების მაგივრად კითხვა დაუწყო:

- რატომ, მამიკო? რაღა ეს საზარელი ოთახი ამოირჩიეთ ჩემს სანახავად? საშინელია აქაურობა!

- იცი, შვილო... - და შეჩერდა, გაისწორა, -

- იცით, ქალბატონო, მართლა უცნაური კაცი ვარ, გადავირევი ხოლმე ხანდახან.

ხელი ხელს შემოჰკრა კოზეტმა.

- ქალბატონო?.. იცით?.. ეს რაღაა? მე მელაპარაკებით ასე?

სევდით სავსე თვალით დააშტერდა ჟან ვალჟანი, როგორც ხანდახან იცოდა.

- თქვენ გნებავდათ ქალბატონობა და აგისრულდათ.

- ოღონდ თქვენთვის კი არა, მამა.

- მამას ნუღარ მეძახით.

- როგორ?

- ბატონი ჟანი დამიძახეთ, ან, თუ გნებავთ, ჟანი.

- მაშ, მამაჩემი აღარ ხართ? მე კოზეტი აღარ ვარ? ბატონო ჟან, რა დაგემართათ? რევოლუციას ხომ არ მიპირებთ? რა მოხდა? ერთი შემომხედეთ, თვალი გამისწორეთ. მაშ, ჩვენთან ცხოვრება არ გნებავთ? არც ჩემ მიერ თქვენთვის ამორჩეული ოთახი? რა დაგიშავეთ ისეთი, მითხარით მაინც, რა დაგიშავეთ? რაღაც მოხდა, ცხადია.

- არაფერი.

- მაშ, ასე რად ხართ?

- მე ისე ვარ, როგორც ყოველთვის.

- მაშ, სახელს რად იცვლით?

- თქვენც ხომ გამოიცვალეთ.

გაეღიმა, როგორც წეღან, და დაუმატა:

- თუკი თქვენ ქალბატონი პონმერსი ბრძანდებით, რატომ მე კი არ შემიძლია ბატონი ჟანი ვიყო?

- აღარაფერი გამეგება! სისულელეა ეს ყველაფერი! მტკნარი სისულელე. ჩემს ქმარს ვთხოვ ნებართვას, რომ ბატონი ჟანი ბრძანდებოდეთ. იმედია, არ დამეთანხმება. არა, რატომ მაბრაზებთ ნეტავ? შეიძლება კარგად არ იყოს კაცი, როგორც ბრძანებთ, მაგრამ თავის პაწია კოზეტს კი არ აჯავრებდეს. რას ჰგავს თქვენი საქციელი? თქვენ უფლება არა გაქვთ, ავად მომექცეთ, რადგან ბუნებით გულკეთილი ხართ.

პასუხი არ გასცა ჟან ვალჟანმა.

ორივე ხელი დაუჭირა კოზეტმა, ალერსით აუწია ზევით, ყელზე მოიხვია და ცდილობდა ამ ტკბილი ალერსით გული მოელბო ჟან ვალჟანისთვის.

- ოჰ, მამა, სად არის თქვენი ალერსი? - და რაკი ვერას გახდა, განაგრძო, - იცით, რით გამახარებთ? რით და, ჩემი თხოვნის ასრულებით, აქ გადმოდით, ჩვენთან იცხოვრეთ, აქაც ბევრია ბაღში ფრინველი, როგორც პლუმეს ქუჩაზე. ჩვენთან იყავით, გადმოდით იმ ორმოდან, ლ'ომ-არმეს ქუჩას რომ აქვს; ოღონდ იცოდეთ, გამოცანები და შარადები აღარ გაგვიშალოთ გამოსაცნობად, ისე იყავით, როგორც ყოფილხართ, სადილიც ჩვენთან მიირთვით, საუზმეც და ისევ მამაჩემი გახდით.

ხელი გამოაცალა ჟან ვალჟანმა:

- თქვენ ახლა მამა აღარ გჭირდებათ, ქმარი გყავთ.

გაბრაზდა კოზეტი:

- მამა აღარ მჭირდება? ამნაირ უაზრობას რომ გაიგონებს ადამიანი, არც კი იცის, ღმერთმანი, რა პასუხი გასცეს!

- ტუსენი რომ აქ ყოფილიყო, - დაიწყო ისევ ჟან ვალჟანმა, რომელსაც საფუძველი ელეოდა და წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, - ტუსენი რომ აქ ყოფილიყო, ისიც დამემოწმებოდა, რომ სრული ჭეშმარიტება ვთქვი; ყოველთვის მქონდა და მაქვს რაღაც უცნაურობა; აქ ახალი არაფერია. მე ყოველთვის ჩემს ბნელ კუნჭულში ვიმალებოდი.

- კარგი, მაგრამ ცივა ამ სარდაფში, არაფერი ჩანს, საძაგლობაა. დაგიჟინიათ, მამა კი არა, ბატონი ჟანი ვარო. არ მინდა, თქვენობით ნუ მელაპარაკებით!

- ეს არის ახლა, აქეთ რომ მოვდიოდი, - უპასუხა ჟან ვალჟანმა, - სენ-ლუის ქუჩაზე ერთი რამ ვნახე, სწორედ საუცხოო, - მე რომ ლამაზი ქალი ვყოფილიყავ, უთუოდ ვიყიდდი და ჩემს ოთახს დავამშვენებდი. ერთი კარგი ტუალეტია, დღევანდელი გემოვნების მიხედვით გაკეთებული, ვარდის ხისა. საკმარისად დიდი სარკე აქვს, უჯრები, მშვენიერი რამ არის.

- საძაგელი დათვი!

კბილები დააკრაჭუნა, ტუჩი აიწია და ჟან ვალჟანს შეუბერა. გრაცია იყო და კატას აჯავრებდა.

- აღშფოთებული ვარ, - დაიწყო კოზეტმა, - ლამის გამაგიჟოთ, სულ ყველანი მაჯავრებთ გუშინდელს აქეთ! გული გამიწყალეთ! ვეღარაფერი გამიგია თქვენი! მარიუსი მაწუხებს, თქვენ არ მექომაგებით; თქვენ მაჯავრებთ, მარიუსი არ მშველის. მარტოდმარტო ვარ, არავინ მყავს. ერთ ოთახს ვამზადებ მამაჩემისთვის. რომ შემძლებოდა, ღმერთსაც კი იქ მოვათავსებდი, და არ გვინდა თქვენი ოთახიო, მეუბნებიან. არც კი უნახავს და ისე მიწუნებს ოთახს ჩემი მდგმური. ნიკოლეტს ვავალებ, ერთი კარგი სადილი გაგიკეთოს. არა, ქალბატონო, მე თქვენი სადილი არ მინდაო. და მამაჩემი ფოშლევანი ჩამციებია, ბატონი ჟანი დამიძახე და სახლში კი არა, ძველ, საზარელ სარდაფში მიმიღე ხოლმე, რომ ნესტიანი კედლების ობით, ბროლის მაგივრად - ცარიელი ბოთლებით და ფარდების მაგივრად აბლაბუდით დავტკბეო. უცნაური კაცი ხართ, გეთანხმებით, მაგრამ ცოტა დასვენებაც უნდა იცოდეთ ახალჯვარდაწერილებისა. განა არ შეიძლებოდა, ასე ჩქარა არ გამოგეჩინათ ეგ თქვენი უცნაურობა? მაშ, ასე მოგწონთ თქვენი საზიზღარი ლ'ომ-არმეს ქუჩა? მე კი გული მელეოდა, იქ რომ ვიყავი. ჰო, ერთი მითხარით, რა გაქვთ ჩემს წინააღმდეგ? რად მიჯავრდებით? რად მიკლავთ გულს? ფუ!

დააცქერდა, აღარ ხუმრობდა და მწუხარედ ჰკითხა:

- მაშ, იმიტომ მიჯავრდებით, რომ ბედნიერი ვარ?

გულუბრყვილობა თავისდა შეუმჩნევლად გაღრმავდება ხოლმე. ამ კითხვამ, სულ უბრალომ კოზეტისთვის, ღრმად ჩაჰკრა შიგ გულში ჟან ვალჟანს. კოზეტს უნდოდა, ოდნავ გაეფხაჭნა, მაგრამ გული გაუპო.

ფერი ეცვალა ჟან ვალჟანს. პატარა ხანს ისე დარჩა, პასუხს ვერ აძლევდა, მერე სიტყვით გამოუთქმელი კილოთი, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, წაიბუტბუტა:

- ამის ბედნიერება იყო ჩემი სიცოცხლის მიზანი. და ახლა კი შეიძლება ღმერთმა განსვენების ნება მომცეს. შვილო კოზეტ, შენ ბედნიერი ხარ და დრო არის ჩემი... წასვლის.

- ჰოო? მაშ, ისევ შენობით მომმართეთ? - შეჰყვირა კოზეტმა და კისერზე მოეხვია.

გულში ჩაიკრა ჟან ვალჟანმა. გიჟივით იყო გახარებული, ისე ეჩვენებოდა, თითქოს დაებრუნებინოს თავისი კოზეტი.

- გმადლობთ, მამა, გმადლობთ!

ეს აღტაცება შეიძლებოდა ჩამწარებოდა ჟან ვალჟანს. ტკბილად, ნაზად ჩამოიშორა კოზეტის ხელები და ქუდი აიღო.

- რას შვრებით, მამა? - შეჰყვირა კოზეტმა.

და უცნაური პასუხი მიიღო:

- უნდა წავიდე, ქალბატონო, თქვენ გელიან, -

და კართან რომ მივიდა, უთხრა, -

- შენობით მოგმართეთ. უთხარით თქვენს ქმარს, რომ ეს შეცდომა აღარ მომივა. მაპატიეთ.

გავიდა ჟან ვალჟანი და გააცვიფრა კოზეტი ამ უცნაური გამოთხოვებით.

## თავი მეორე
## კიდევ უკან რამდენიმე ნაბიჯით

მეორე დღეს იმავე დროს მივიდა ჟან ვალჟანი კოზეტის სანახავად. აღარაფერი ჰკითხა კოზეტმა, აღარაფერი გაიკვირვა, აღარაფერი თქვა, - აქ ცივაო, აღარც ზემო სართულის დარბაზი ახსენა. ეცადა არც მამა ეთქვა, არც ბატონო ჟან. თქვენობით ელაპარაკებოდა ჟან ვალჟანი და არც ის იუცხოვა, მაგრამ ცხადად ეტყობოდა, ოდნავ განელებოდა მხიარულება. დაღონებული იქნებოდა, დაღონება რომ შესძლებოდა.

ალბათ, მარიუსი ესაუბრა. ის საუბარი ჰქონდათ, როცა საყვარელი ქმარი ამბობს, რაც სურს, არც რამეს განმარტავს, არც საფუძველს წარმოადგენს და მაინც აკმაყოფილებს საყვარელ ცოლს. შეყვარებულთა ცნობისმოყვარეობა სიყვარულს იქით შორს ვერსად წავა.

ოდნავ მიელაგებინათ ქვემო ოთახი. ბასკს ბოთლები გაეტანა, ნიკოლეტს კი ობობები და აბლაბუდა ჩამოეწმინდა.

და მას შემდეგ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მოდიოდა ჟან ვალჟანი კოზეტის სანახავად. ყოველდღე დადიოდა, რადგან იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ მარიუსის სიტყვის ნამდვილი აზრი გაეგო. მარიუსმა ისე მოაგვარა საქმე, რომ სწორედ იმ დროს უნდა გასულიყო სახლიდან, როდესაც ჟან ვალჟანი უნდა მოსულიყო. სახლიც მიეჩვია ბატონი ფოშლევანის ამ ახალ მოთხოვნას. ტუსენიც დაეხმარა, ბატონი ყოველთვის ასე იქცეოდაო, - გაიძახოდა ხშირად. ბატონმა ჟილნორმანმაც დაადგინა, თავისებური კაცი ყოფილაო. ყველაფერი თქვა ამ ერთმა სიტყვამ - თავისებურიო, - და გარდა ამისა, ოთხმოცდათორმეტი წლის კაცისთვის შეუძლებელია ახალი მეგობრის გაჩენა, უკვე აწყობილი აქვს ყველაფერი და ახალი კაცის მიღება ჩვეულებრივის არევა იქნება; მეტი ადგილი აღარ არის; ჩვეულებაა გამეფებული. მოხუც ჟილნორმანს თუ უნდოდა რამე, სწორედ ამ ბატონი ფოშლევანის თუ ბატონი ტრანშლევანის მოშორება და ასაბუთებდა კიდეც თავისას, - მაგისთანა

თავისებურები რამდენიც გნებავთ, იმდენია! რა უცნაურობა გინდა, რომ მათ არ ჰქონდეთ და სულ უსაფუძვლოდო. მარკიზ დე კანაპლზე უარესი არავინ იყო: მშვენიერი სასახლე იყიდა, რომ სხვენზე წოლილიყო. დიდი ახირების ნიშნები აქვს ამ ხალხს.

აზრადაც არავის მოუვიდა ამ უცნაურობის მიზეზს ჩაჰკვირვებოდა. ან როგორ მიაგნებდნენ ნამდვილ მიზეზს, როცა მარიუსის მეტმა არავინ იცოდა საქმის ვითარება. ჭაობიანია ინდოეთი; ზებუნებრივად ეჩვენება ხალხს წყალი, განუმარტებლად, ის მღელვარეა, თუმცა ქარი კი არა, ნიავიც არსად იძვრის; სწორედ იქ ხედავს მღელვარებას ხალხი, სადაც უძრავად უნდა იდგეს წყალი; დასცქერიან ამ მღელვარების ზედაპირს და საკვირველებად მიაჩნიათ, რადგან ვერ ხედავენ ჭაობის ძირში მოძრავ გველეშაპს.

ბევრ ადამიანსაც აქვს ამისმაგვარი გულსაწყლავი საიდუმლოება, ჭირი, რომელსაც თვითონ ასაზრდოებს, გველეშაპი, რომელიც გულს უღრღნის, სასოწარკვეთა, რომელიც მათი ღამის სტუმარია. შეხედავთ, ადამიანია, როგორც ყველა სხვა, მიდის, მოდის; ვინ წარმოიდგენს, რომ გულში სევდა ჩასძრომია, ათასკბილიანი პარაზიტი, სისხლს სწოვს და სიკვდილს უმზადებს? ვინ წარმოიდგენს, რომ ჯურღმულია ეს კაცი, მდგარი ჭაობი. მაგრამ ფრიად ღრმა? ხანდახან, დროგამოშვებით, მღელვარება ეტყობა უბედურს, მაგრამ ვინ მიხვდება ნამდვილ მიზეზს? სახე ეღრიჯება ტკივილით, გული მისდის, ძლივსღა სუნთქავს. ბევრი არაფერია თითქოს, მაგრამ საშინელია. ეს უხილავი გველეშაპის სუნთქვაა.

და მართლაც, ბევრი რამ სჭირდა უცნაური ჟან ვალჟანს. სწორედ იმ დროს მივიდოდა, როდესაც სხვანი წასასვლელად ემზადებოდნენ; გაიპარებოდა, როდესაც სხვანი იკრიბებოდნენ; ყოველთვის მზად ჰქონდა თავისი წამოსასხამი; მიყრუებულ ქუჩებს ირჩევდა, თუ მიდიოდა სადმე; საუბარში არ ჩაერეოდა; ერიდებოდა დღეობებს და შეკრებილ ხალხს; შეძლებულს ჰგავდა და ღარიბად ცხოვრობდა; თავისი ბინის გასაღები სულ თან ჰქონდა, ჯიბეში, და სანთელს კი მეკარეს აბარებდა, რომ ღამე კიბეზე ასვლა არ გასჭირვებოდა; სახლში ფარული კარით შედიოდა; თავის ბინაში უკანა მხარის კიბით ადიოდა. წვრილმანი იყო ყოველივე ეს, უმნიშვნელო, ოდნავი ღელვა, გარდამავალი ჭავლი ზედაპირისა, მაგრამ ხშირად საშინელი სიღრმიდან მომავალი.

რამდენიმე კვირა გავიდა ასე. ახალი ცხოვრება იპყრობდა ნელ-ნელა კოზეტს. გათხოვდა ქალი, თავისი ქმრის ოჯახში შევიდა, ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი მიმსვლელ-მომსვლელი, ოჯახის მოვლა, დროს გატარება, - ეს ამდენი ახალი საქმე! ბევრი არაფერი იხარჯებოდა კოზეტის დროს გატარებაზე; მისი დროს გატარება ის იყო, რომ მარიუსთან ყოფილიყო. თუ წავიდოდა სადმე, უთუოდ მარიუსთან ერთად; შინ იყო და, ისევ მასთან; ეს იყო მისი სიცოცხლის უმთავრესი მოთხოვნილება. ხარობდა ორივე, როდესაც ხელიხელგაყრილნი წავიდოდნენ სასეირნოდ, მზეს შეხაროდნენ და მარტონი იყვნენ ხალხით სავსე ქუჩაში, ერთმანეთის მეტს ვერავის ხედავდნენ. პატარა უსიამოვნებაც ჰქონდა კოზეტს. ვერ მორიგდნენ ტუსენი და ნიკოლეტი. შეუძლებელი იყო თურმე ორი ბებერი, გაუთხოვარი ქალის ერთად ცხოვრება და ტუსენი წავიდა. ბაბუა კარგად ბრძანდებოდა; მარიუსს ხანდახან სასამართლოში საქმეებზე წასვლა უხდებოდა; დეიდა ჟილნორმანიც იქვე იყო, განზე

ედგა ახალ ოჯახს და სრულიად კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით. ჟან ვალჟანი ყოველ საღამოს მოდიოდა.

შენობით ლაპარაკი გამქრალიყო. ახლა „თქვენ“ ისმოდა. „ქალბატონო“, „ბატონო ჟან“, და ყოველივე ეს სულ სხვა, უცხო კაცად აქცევდა კოზეტისთვის ჟან ვალჟანს. კაცი თვითონვე ცდილობდა, შეემცირებინა კოზეტის მისდამი სიყვარული, განეშორებინა თავისგან, და აისრულა კიდეც ეს წადილი. უფრო და უფრო მხიარულად ეჩვენებოდა თავისი შვილობილი; ის ნაზი, ალერსიანი კოზეტი აღარ იყო. მაგრამ მაინც ძალიან უყვარდა თავისი მამობილი და ამას კარგად გრძნობდა ჟან ვალჟანი. ერთხელ ანაზდად ასე მიმართა ჟან ვალჟანს:

- მამა იყავით ჩემი და მამა აღარ ხართ; ბიძა იყავით ჩემი და ბიძა აღარ ხართ; ბატონი ფოშლევანი იყავით და ახლა ბატონი ჟანი ხართ. მაშ, ვინა ხართ? არა, არ მომწონს ეს ყველაფერი. ასე კეთილად რომ არ გიცნობდეთ, შემეშინდებოდა თქვენი.

ბინა ისევ იქ ჰქონდა, ლ’ომ-არმეს ქუჩაზე, რადგან ვერ შორდებოდა იმ უბანს, სადაც კოზეტი იდგა.

კოზეტის სანახავად რომ მივიდოდა, თავდაპირველად დიდხანს არ რჩებოდა. რამდენიმე წუთი კმაროდა, ნახავდა, მოიკითხავდა და გამოეთხოვებოდა.

მაგრამ გადიოდა დრო და ისიც უფრო და უფრო მეტხანს რჩებოდა. ისე იქცეოდა, თითქოს დღის ხანგრძლივობით სარგებლობდა, - დღემ იმატა და მეც პატარა ხანს კიდევ დავრჩები კოზეტთანო.

ერთხელ ძველებურად წამოსცდა კოზეტს, - მამა! - და უცბად გაბრწყინდა ჟან ვალჟანის ბებერი, დაღვრემილი სახე. მაინც შეუსწორა:

- ჟანი დამიძახეთ.

სიცილი წასკდა კოზეტს:

- აჰ, მართლა, ბატონო ჟან!

- კარგი, - თქვა და იქით მიბრუნდა, რომ არ დაენახა კოზეტს, როგორ მოიწმინდა ცრემლი.

## თავი მესამე
## პლუმეს ქუჩის ბაღიც არ დავიწყებიათ

ეს უკანასკნელი იყო. ამ უკანასკნელი სხივის შემდეგ ჩაქრა ყველაფერი. აღარც ალერსი, აღარც კოცნა მისალმების დროს, აღარც ეს ტკბილი სიტყვა, - მამა, მამაჩემო. თვით ითხოვა და ხელი შეუწყო, რომ ნელ-ნელა განდევნილი ყოფილიყო თავისი ბედნიერებიდან. უბედური იმითაც იყო, რომ ერთ დღეს დაჰკარგოდა თავისი კოზეტი და ახლა ის თანდათან ხელახლა უნდა დაეკარგა.

თვალისჩინმა იცის, სარდაფის სიბნელესაც მიეჩვევა. ყოველდღე შეეძლო ცოტა ხნით ენახა კოზეტი და იმითიც კმაყოფილი იყო. მთელი თავისი სიცოცხლე შეეკუმშა ამ პატარა ხანში. გვერდზე მიუჯდებოდა, შეხაროდა გაჩუმებული. ან არა და, წარსულს მოაგონებდა, უამბობდა კოზეტს მის ბავშვობას, მონასტერში ცხოვრებას, მის მაშინდელ მოწაფე-ამხანაგებს.

ერთ საღამოს, აპრილის დამდეგს, მშვენიერი დარი იდგა, თბილი, თუმცა ჯერ ისევ გრილი, როდესაც სიხარულით ბრწყინავდა ზამთარზე გამარჯვებული მზე, და კოზეტისა და მარიუსის ფანჯრებიდან გაშლილი ბაღები ცივი ძილის შემდეგ

სიცოცხლის გაღვიძებით ტკბებოდნენ; კუნელი გაშლას აპირებდა, ძველი კედლები ჯერ გაუშლელი ყვავილებით ამწვანებულიყო, დამსკდარ ქვებში ვარდისფრად მოჩანდა დეკისპირა, თეთრი პეპლები დაფრინავდნენ და ქარი, ეს მესტვირე ბუნების მუდმივი განახლებისა, ცდილობდა, ხეების ტოტებში დაეკრა გაზაფხულის ის დიადი სიმფონია, რომელაც ძველი დროის პოეტები განახლებას უწოდებდნენ, და მარიუსმა მოაგონა კოზეტს:

- აკი ვთქვით, ბლუმეს ქუჩის ბაღი ვნახოთო. მოდი, წავიდეთ, უმადურები არ უნდა ვიყოთ!

თქვეს და გაფრინდნენ, როგორც ორი მერცხალი გაზაფხულისკენ. ისე აგონდებოდათ ეს ბაღი, როგორც ტკბილი გათენება. ცოტა რამ უკვე ჰქონდათ ამ ყმაწვილებს უკან დატოვებული, როგორც გაზაფხული მათი სიყვარულისა. პლუმეს ქუჩის სახლი ვადით ეჭირა ჟან ვალჟანს და ვადის გასვლამდე სახლიც კოზეტის იყო და ბაღიც. მივიდნენ, სახლიც ნახეს, ბაღიც, ისევ თავიანთ მესაიდუმლე ბაღში იყვნენ და გადაავიწყდათ ყველაფერი.

იმ საღამოს დანიშნულ დროს მივიდა ჟან ვალჟანი კოზეტის სანახავად. ბასკი დახვდა:

- ქალბატონი და ბატონი ერთად წაბრძანდნენ და ჯერ არ დაბრუნებულან.

შევიდა, ჩუმად დაჯდა. მთელი საათი გაატარა კოზეტის ლოდინში. აღარ დაბრუნდა კოზეტი. თავი დაღუნა ჟან ვალჟანმა და შინ წავიდა.

კოზეტი კი ისე იყო აღტაცებული ამ სეირნობით და „ჩვენი ბაღის“ ნახვით, ისეთი ბედნიერი იყო თავისი წარსულის ამ ერთი დღის განახლებით, რომ მეორე დღეს სალაპარაკოდ სხვა აღარაფერი აგონდებოდა. ისიც კი ვერ შენიშნა, რომ წინა საღამოს არ ენახა ჟან ვალჟანი.

- როგორ მიხვედით პლუმეს ქუჩაზე? - ჰკითხა ჟან ვალჟანმა.

- ფეხით.

- იქიდან როგორღა დაბრუნდით?

- ეტლით წამოვედით.

კარგა ხანი იყო, აწუხებდა ჟან ვალჟანს ფიქრი, რომ მეტად განცალკევებულად ცხოვრობდნენ კოზეტი და მარიუსი. მეტად ხელმოჭერილი კაცი იყო მარიუსი და ეს აკვირვებდა ჟან ვალჟანს. კიდეც გაბედა და ჰკითხა:

- რატომ ეტლს არ გაიჩენთ? ერთი კოხტა ეტლი რომ იყიდოთ, ბევრი, ბევრი თვეში ხუთასი ფრანკი დაგიჯდეთ. ხომ გაქვთ, ღვთის მადლით, და ბევრიც გაქვთ.

- არ ვიცი, - უპასუხა კოზეტმა.

- იმ ტუსენისა არ იყოს, წავიდა, მაგრამ რატომ სხვას არ აიყვანთ?

- ნიკოლეტიც კმარა.

- პირადად თქვენ არ უნდა გყავდეთ მოახლე?

- მარიუსი აქ არ მყავს?

- საკუთარი სახლი უნდა გქონდეთ, საკუთარი მსახური, ერთი კარგი ეტლი, თეატრში ლოჟა. რატომ არ სარგებლობთ თქვენი სიმდიდრით? სიმდიდრე ზრდის ბედნიერებას.

კოზეტმა არაფერი უპასუხა.

მივიდოდა ჟან ვალჟანი და იჯდა, შემოკლების მაგივრად უფრო და უფრო მეტხანს რჩებოდა. რას იზამთ? რომ დაქანდება გული, ძნელია შეყენება.

რომ უფრო დიდხანს დარჩენილიყო და საათის დავიწყება მოეხერხებინა, მარიუსის ქებას მოჰყვებოდა ხოლმე. მშვენიერიც იყო მარიუსი, დიდებულიც, გულადიც, ჭკვიანიც, მჭევრმეტყველიც, გულკეთილიც, კოზეტიც თავისას უმატებდა და გრძელდებოდა ბაასი. დაუშრეტელი იყო ეს სიტყვა - „მარიუსი“. მრავალტომიანი თხზულება იყო ამ შვიდ ასოში, და ამგვარად ახერხებდა ჟან ვალჟანი ცოტა ხნით მაინც განეგრძო კოზეტთან ყოფნა. კოზეტს ხედავდა, ყველაფერს ივიწყებდა, გვერდზე რომ ეჯდა, სიცოცხლის სიტკბოებას მარტო ამაში პოვებდა. დაჭრილი ჰქონდა გული და ამით იხვევდა თავის ჭრილობას. რამდენჯერმე, ზედიზედ ორჯერ მოახსენა კოზეტს ბასკმა:

- ბატონმა ჟილნორმანმა გამომგზავნა, მოგახსენოთ, რომ სუფრა გაშლილი გახლავთ.

ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა შინისკენ იმ დღეს ჟან ვალჟანი.

ნუთუ სიმართლე მოიპოვებოდა მარიუსის მიერ დასახულ შედარებაში, - კოზეტის ჭუპრია ეს კაცი. ნუთუ მართლა ჭუპრი იყო ჟან ვალჟანი და ახირებით მიდიოდა თავისი პეპლის სანახავად?

ერთხელაც კიდევ დიდხანს მოუხდა ჟან ვალჟანს დარჩენა, ჩვეულებრივზე მეტად. მეორე დღეს ბუხარში ცეცხლი აღარ აენთოთ.

„ცეცხლი არ ანთია! - იფიქრა ჟან ვალჟანმა და თვითონვე უპოვა ამ გარემოებას სულ უბრალო განმარტება, - ან რაღა საჭიროა? აპრილი დადგა, თბილა“.

- ოჰ, ღმერთო, რა ძალიან ცივა! - შესძახა კოზეტმა, როგორც კი ოთახში შემოვიდა.

- სად არის სიცივე? - უთხრა ჟან ვალჟანმა.

- თქვენ უბრძანეთ ბასკს, რომ ცეცხლი არ აენთო?

- დიახ, ხვალ-ზეგ მაისი დადგება.

- მაისი კი არა, თუნდაც ივნისი იყოს, თუკი ცივა, ცივა. მეტადრე ამ სარდაფში. აქ ცეცხლი ზამთარ-ზაფხულ უნდა ენთოს.

- მე კი მეგონა, რომ უსარგებლო იქნებოდა ბუხრის ანთება.

- ეგეც ერთი თქვენებური უცნაურობა! - დაასკვნა კოზეტმა.

მეორე დღეს ცეცხლი ენთო ბუხარში, მაგრამ ორი სავარძელი ოთახის მეორე მხარეს გადაეტანათ, სწორედ კართან.

„ეს რაღას მოასწავებს ნეტავ?“ - ფიქრობდა ჟან ვალჟანი. ასწია სავარძლები და ისევ ჩვეულებრივად დააწყო ბუხართან.

რაკი ცეცხლი აუნთეს, ცოტა გაბედულებაც მოემატა. ისე გაბა ბაასი, რომ ჩვეულებრივს გადააცილა. რომ წამოდგა წასასვლელად, კოზეტმა უთხრა:

- უცნაური რამ მითხრა ამ დილას ჩემმა ქმარმა.

- რა გითხრათ ამისთანა?

- აი, რა: კოზეტ, წელიწადში ოცდაათი ათასი ფრანკი გაქვს შემოსავალი. ოცდაშვიდი ათასი შენია და სამი ათასი მე მაქვს ბაბუაჩემისაგან. ახლა ეს მითხარი, შეიძლება თუ არა, რომ მარტო სამი ათასით ვიცხოვროთო? მე ვუპასუხე: რითაც გინდა, თუნდაც სულ არაფრით, ოღონდ კი შენთან ვიყო-მეთქი. მერე მე ვკითხე: „რა მოხდა? რატომ მეკითხები ამას?“ - და მიპასუხა, ისე, მინდა ვიცოდეო.

ხმა ვეღარ ამოიღო ჟან ვალჟანმა, ცხადი იყო, კოზეტი მისგან მოელოდა ამის განმარტებას. ნაღვლიანი დუმილით მოუსმინა კოზეტს და ვერაფერი უთხრა. მაშინვე

გამოეთხოვა. იმდენად ღრმად იყო ჩაფიქრებული, რომ კარი აერია და თავისი სახლის მაგივრად სხვა სახლში შევიდა. მესამე სართულს მიაღწია, როდესაც შეცდომას მიხვდა და უკან დაბრუნდა.

გონებას ვეღარ იმორჩილებდა, ისე ერეოდა ფიქრები. ცხადი იყო, მარიუსს ეჭვი აღძვროდა ექვსასი ათასი ფრანკის შეძენის შესახებ, და ეშინოდა, ბიწიერი გზით არ იყოს მონაპოვარიო. ვინ იცის, იქნებ კიდეც გამოიძია და დარწმუნდა, რომ ჟან ვალჟანის იყო და არა რაღაც მემკვიდრეობა, და ახლა უკადრისად ეჩვენებოდა ამ ფულით სარგებლობა? არ უნდოდა ბოროტებით შენაძენით გამდიდრება და თავისი და კოზეტის პატიოსანი სიღარიბე უფრო ღირსეულად მიაჩნდა, ვიდრე ეს სიმდიდრე.

გარდა ამისა, გრძნობდა ჟან ვალჟანი, თუმცა ბუნდოვნად, რომ ნელ-ნელა კარს უკეტავდნენ.

მეორე დღეს რომ მივიდა, განცვიფრდა. სავარძლები აღარსად იყო. სკამიც კი არ იდგა სავარძლების მაგივრად.

- აჰა, ღმერთო! - შეჰყვირა კოზეტმა, როგორც კი შევიდა ოთახში, - სავარძლები? სად არის სავარძლები?

- აღარ არის, - უპასუხა ჟან ვალჟანმა.

- ეს კი მეტისმეტია!

და ისევ ჟან ვალჟანმა წაილუღლუღა:

- მე ვუთხარი ბასკს, რომ გაეტანა.

- და ამ ბრძანების საფუძველი?

- დღეს მალე წავალ, რამდენიმე წუთი მხოლოდ...

- რამდენიმე წამიც რომ იყოს, რას გიშლიდათ ის სავარძლები?

- მგონი, დიდ დარბაზში უნდა აეტანა ბასკს.

- რისთვის?

- ალბათ, სტუმრები გყავთ ამ საღამოს.

- არავინ! სრულიად არავინ!

ხმა ვეღარ ამოიღო ჟან ვალჟანმა.

გაჯავრება ეტყობოდა კოზეტს:

- იმ დღეს ცეცხლი აღარ აანთებინეთ ბუხარში. დღეს სავარძლები გაატანინეთ. რას შვრებით? ვეღარ გამიგია.

- მშვიდობით, - წაილუღლუღა ჟან ვალჟანმა.

ვერ თქვა, „მშვიდობით, კოზეტ“, მაგრამ ვერც ის თქვა, მშვიდობით, ქალბატონოო.

გულმოკლული წავიდა შინისკენ.

ახალ კი მიხვდა ყველაფერს.

მეორე დღეს აღარ მივიდა. კოზეტს მხოლოდ ღამე მოაგონდა, რომ იმ დღეს არ ენახა მამობილი.

- ნეტავ რა მოხდა? დღეს არ მოსულა ბატონი ჟანი.

რაღაც ტკივილი იგრძნო გულში, მაგრამ მარიუსის კოცნამ გაუქარვა და დაავიწყა.

არც მესამე დღეს მივიდა.

კოზეტმა ვერც კი შენიშნა. კარგად გაატარა საღამო. კარგად ეძინა, როგორც ყოველთვის და რომ გამოეღვიძა დილით, მაშინ მოაგონდა ჟან ვალჟანი. თავისი ბედნიერებით თვრებოდა. მაშინვე გაგზავნა ნიკოლეტი ბატონ ჟანთან, იკითხეთ, ავად ხომ არ არის და წუხელის რატომ არ მოვიდაო? ნიკოლეტმა ბატონი ჟანის პასუხი

მოუტანა, ავად არ ყოფილა, საქმეები ჰქონდაო. მალე გიახლებათ. მაშინვე, როგორც კი შეძლებს და გარდა ამისა, პატარა ხნით სხვაგან წასვლასაც აპირებსო. უნდა ახსოვდეს ქალბატონს, რომ ჩვეულებად ჰქონდა ხანდახან, დროგამოშვებით, სამგზავროდ წასვლა. დაე, მასზე ნუ ფიქრობენ და ნუ შეწუხდებიანო.

ნიკოლეტი რომ ჟან ვალჟანთან მივიდა, სიტყვასიტყვით გაუმეორა თავისი ქალბატონის ნათქვამი:

- ქალბატონმა გამომგზავნა, გკითხოთ, ავად ხომ არ ხართ და გუშინ რატომ არ მოხვედით?

- წუხელის კი არა, ორი დღეა, არ მოვსულვარ, - თქვა გულმოკლულმა ჟან ვალჟანმა.

მაგრამ ამას ნიკოლეტი ვერ მიუხვდა და ქალბატონსაც არაფერი უთხრა.

## თავი მეოთხე
## მიზიდვა და განზიდვა

1833 წლის გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში მარესუბნელები, ვაჭრები და ქუჩის კართან მოგროვილი უსაქმურები ერთ მოხუცს, შავტანისამოსიან კაცს ხედავდნენ ერთსა და იმავე დროს, ყოველ საღამოს. ლ'ომ-არმეს ქუჩიდან გამოდიოდა, სენტ-კრუა დე ლა ბრეტონიერის მხრიდან, ბლან-მანტოს წინ გაივლიდა, სენტ-კატერინის ქუჩაზე გავიდოდა, ეშაპრის ქუჩასთან რომ მივიდოდა, მარცხნივ შეუხვევდა და სენ-ლუის ქუჩას გაუყვებოდა.

იქ კი ნელი ნაბიჯით მიდიოდა. თავი წინ ჰქონდა წაწეული, არც რამეს ხედავდა, არც რამე ესმოდა, თვალი ყოველთვის მიმართული ჰქონდა ერთი და იმავე წერტილისკენ, რომელსაც მისთვის ბრწყინვალე ვარსკვლავის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მიდიოდა ფილ-დე-კალვერის ქუჩის კუთხისკენ. უახლოვდებოდა ამ ქუჩის კუთხეს და ნელ-ნელა სინათლე ედებოდა მის მიმკვდარებულ თვალს; სიხარული გამოსჭვიოდა მის თვალთაგან, თითქოს სულიერ განთიადს განიცდისო. სახეზე ნეტარება გადაჰფენოდა. ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს ვიღაც უხილავს ელაპარაკებაო, იღიმებოდა და ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა. იტყოდით, სულით მიისწრაფვის იმ წერტილისაკენ, მაგრამ ეშინია იმ წამისა, როდესაც სასურველს მიაღწევსო. და როდესაც პატარა მანძილიღა დარჩებოდა მასა და იმ ქუჩის შუა, რომელიც ასე იზიდავდა საბრალოს, სულ რამდენიმე სახლი, იმდენად ნელი იყო მისი ნაბიჯი, რომ შეიძლებოდა გეფიქრათ, მიდის ეს კაცი თუ აქვე დგასო? თავი უკანკალებდა, თვალი გაშტერებით შესცქეროდა ერთ წერტილს და ისარს მოგაგონებდათ, რომელიც თავისი პოლუსისკენ მიიწევს. რაც უნდა დაეგვიანებინა თავის მიზანთან მისვლა, ბოლოს მაინც უნდა მისულიყო; მივიდოდა ფილ-დე-კალვერის ქუჩასთან, გაჩერდებოდა, კანკალებდა, უკანასკნელი სახლის კუთხიდან გაუგებარი შიშით გასცქეროდა ამ ქუჩას და რაღაც ესახებოდა მწუხარე თვალში, ნეტარება მიუღწევლისა და ანარეკლი სამოთხის დაკეტილი კარისა. მერე ცრემლი გამოუჩნდებოდა ხოლმე ქუთუთოებში, ნელ-ნელა გროვდებოდა და რომ ვეღარ დაეტეოდა, ნელ-ნელა ჩამოჰყვებოდა ლოყას და პირზე მიადგებოდა ხოლმე. ამ ცრემლის სიმწარეს იგრძნობდა მოხუცი. პატარა ხანს იდგა ასე უძრავად, თითქოს გაქვავებულიყოს; მერე გაბრუნდებოდა, მიდიოდა იმავე გზით, იმავე ნაბიჯით

და რაც უფრო და უფრო შორდებოდა იქაურობას, მით უფრო უქრებოდა თვალში სიცოცხლე.

მერე, ვეღარ შეძლო, ალბათ, და ვეღარ მიდიოდა ფილ-დე-კალვერის ქუჩის კუთხემდე. შუა გზაში გაჩერდებოდა ხოლმე, სენ-ლუის ქუჩაზე; ხან უფრო მეტად მიუახლოვდებოდა თავის მიზანს, ხან ნაკლებად. ერთხელ სენტ-კატერინის ქუჩას ვეღარ გასცდა და იმ სიშორიდან გასცქეროდა ფილ-დე-კალვერის ქუჩას. მერე თავი გააქნია. თითქოს უარს ეუბნება თავსო, და უკან გაბრუნდა.

მერე სენ-ლუის ქუჩამდეც ვეღარ მიდიოდა; პავეს ქუჩამდე მივიდოდა, თავს გაიქნევდა და გაბრუნდებოდა. ცოტა ხანში ესეც ვეღარ შეძლო და ტრუა-პავიონის ქუჩას ვეღარ აჯობა; მერე ბლან-მანტომდეც ძლივს მიდიოდა. მოუმართავი საათის ქანქარას ჰგავდა, რომლის რხევა თანდათან მცირდება და აგერ-აგერ სულაც გაჩერდება.

ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა თავისი სახლიდან და სულ იმავე გზას მიუყვებოდა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ აღწევდა და იქნება თავისდა შეუმჩნევლად უფრო და უფრო ამცირებდა გავლილ მანძილს. მხოლოდ ერთი ფიქრი ისახებოდა მის სახეზე: „რისთვის?“ თვალი ჩამქრალი ჰქონდა; სიცოცხლის აღარაფერი ეტყობოდა; ცრემლი ჩაშრობოდა და ქუთუთოების კუნჭულში ვეღარ გროვდებოდა; გამშრალი ჰქონდა ჩაფიქრებული თვალი, თავი ისევ წინ წაწეული; ნიკაპი შეერხეოდა ხანდახან; დანაოჭებული ჰქონდა გამხდარი კისერი. თუ ავდარი იდგა, ქოლგა ეჭირა ხელში, მაგრამ კი არ გაშლიდა.

შესცქეროდნენ დედაკაცები და, შეშლილიაო, - იძახდნენ. ბავშვები გამოეკიდებოდნენ ხოლმე სიცილით.

## წიგნი მეცხრე
## სრული წყვდიადი და წმინდა განთიადი

### თავი პირველი
### შეიბრალეთ უბედურნი, შეიწყნარეთ ბედნიერნი

რა საზარელი რამ არის ბედნიერება! როგორ აკმაყოფილებს ადამიანს! როგორ უვსებს გულს! როგორ ათრობს სიცოცხლის თაღლითი მიზნით - ბედნიერებით და ავიწყებს ჭეშმარიტ მიზანს - ვალდებულებას!

მაგრამ მაინც ვიტყვით, მართალი არ იქნება, ვინც მარიუსს გაამტყუნებს.

მარიუსს, - ეს ზევითაც ვთქვით, - ჯვრისწერამდე არავითარი კითხვა არ მიუცია ბატონი ფოშლევანისთვის და მერე კი, ჟან ვალჟანთან საუბრის შემდეგ, ვეღარ ბედავდა. ძალიან ნანობდა, რომ დაჰყვა ჟან ვალჟანს და მისი ვედრების ასრულება აღუთქვა. არ უნდა დამეთმო მისი მწუხარებისთვის, არ უნდა შემბრალებოდაო, - იძახდა სინანულით. ამიტომ ის იკმარა ჯერჯერობით, რომ სახლიდან ნელ-ნელა დაითხოვა ჟან ვალჟანი, და ცდილობდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, კოზეტის გულიდან ამოეგდო მამობილი. თითქოს კოზეტსა და ჟან ვალჟანს შუა იდგა, ყოველთვის დარწმუნებული, რომ თუ მარიუსი გვერდით ეყოლებოდა, კოზეტი უმამობას ვეღარ შენიშნავდა და მიეჩვეოდა. ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე მოშორება, ეს სრული დაჩრდილვა იყო.

საჭიროდ მიაჩნდა ეს ღონისძიება მარიუსს და სამართლიანად ჟან ვალჟანის მოსაშორებლად, არა უკმეხად, პანღურის ცემით, მაგრამ მაინც უნდა მოეშორებინა. დარწმუნებული იყო და საფუძვლიანი საბუთებიც ჰქონდა, რომლებიც გავაცანით მკითხველს. სხვასაც კიდევ მომავალში გავაცნობთ.

რაღაც საქმეს იცავდა სასამართლოში; ლაფიტის ბანკის ერთი ძველი მოსამსახურე შეხვდა და მისგან გაიგო სრულიად შემთხვევით ბევრი რამ ისეთი, რომლის ძიებას ვერ დაიწყებდა, რადგან სიტყვა მისცა ჟან ვალჟანს, ჩემს მეტს არავის ეცოდინება ეს საიდუმლოებაო, და გარდა ამისა, ეშინოდა კიდეც, რომ უფრო მეტად არ დაემძიმებინა ჟან ვალჟანის მდგომარეობა. ამ დროს სულ იმის ცდაში იყო მარიუსი, რომ გაეგო როგორმე, ვისი იყო ის ექვსასი ათასი ფრანკი და პატრონისთვის ჩაებარებინა. ამ ფულის დაბრუნება უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდა და მალულად, ფრთხილად ეძებდა პატრონს. მანამდე კი ხელუხლებლად ინახავდა ბანკში.

კოზეტმა ამ საიდუმლო გარემოებისა არაფერი იცოდა. მაგრამ ნურც გავამტყუნებთ: როგორ მიხვდებოდა, რომ ეჭვიც არაფრისა ჰქონდა.

მარიუსიდან გამომავალი მაგნეტიზმის ყოვლისშემძლე დენი სცემდა და ისიც ისე იქცეოდა, ინსტინქტურად და თითქმის შეუგნებლად, როგორც მარიუსს სურდა. „ბატონი ჟანის“ შესახებ მარიუსის სურვილს ხვდებოდა და ამ სურვილს ემორჩილებოდა. მარიუსის თქმა საჭირო არ იყო; მის ფარულ წადილს ბრმად მინდობოდა. იმდენად მორჩილი იყო თავისი ქმრის სურვილისა, რომ თვითონაც არ იხსენებდა იმას, რისი დავიწყებაც უნდოდა, არავითარი ძალდატანება არ სჭირდებოდა ამისთვის. თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ ასე მჭიდროდ შეუერთდა მისი სული მარიუსისას: პატარა ჩრდილი რომ მოხვდებოდა მარიუსის ფიქრს, იგი ბნელით მოსავდა კოზეტის გონებასაც.

მაგრამ ნურც ძალიან შორს წავალთ. ჟან ვალჟანის ასე მივიწყება და თითქმის განშორება მარტო გარეგანი მხარე იყო. ამ მხრივ კოზეტს გარინდება მოერეოდა და არა დავიწყება. ისევ ისე გულით უყვარდა ის კაცი, რომელსაც იმდენი ხნის განმავლობაში მამას ეძახდა. მაგრამ თავისი ქმარი უფრო უყვარდა; ეს იყო მიზეზი, რომ უფრო მარიუსისკენ მიიწევდა კოზეტის გულის სასწორის პინა.

ხანდახან ლაპარაკს დაიწყებდა ჟან ვალჟანზე და გაკვირვებას გამოთქვამდა, მარიუსი კი ამშვიდებდა:

- ალბათ, სადმე წავიდა. აკი თქვა, წასვლას ვაპირებ, პატარა მგზავრობა მომიხდებაო.

და კოზეტიც ეთანხმებოდა:

- მართალია, ჩვეულებად ჰქონდა, გაქრებოდა ხოლმე ხანდახან, მაგრამ დიდი ხნით კი არა.

ორჯერ-სამჯერ გაგზავნა ნიკოლეტი ლ’ომ-არმეს ქუჩაზე, მიდით და იკითხეთ, დაბრუნდა ბატონი ჟანი თუ არაო.

ჟან ვალჟანიც შეუთვლიდა ხოლმე პასუხს, - ჯერ არ დაბრუნებულაო.

ეს იკმარა კოზეტმა. მას ამქვეყნად მარიუსის მეტი აღარავინ ესაჭიროებოდა.

ისიც ვთქვათ, რომ თავის მხრივ მარიუსი და კოზეტიც წასულიყვნენ პარიზიდან; ვერნონში იყვნენ; მარიუსს თავისი მამის საფლავის სანახავად წაეყვანა კოზეტი.

მარიუსმა ნელ-ნელა ჩამოაცილა ჟან ვალჟანს კოზეტი და კოზეტიც დაჰყვა ნებას.

ერთი რამ არის, რომ არ უნდა ვივიწყებდეთ: ზოგ შემთხვევაში მეტისმეტად ვაზვიადებთ შვილების უმადურობას. ყოველთვის არ არის ისე გასაკიცხი, როგორც ჩვენ გვგონია. ეს ბუნების უმადურობაა. ბუნება, - ეს სხვაგანაც გვითქვამს, - წინ იცქირება. ბუნება ყოფს ცოცხალ არსებებს; ერთ ნაწილში მომავალნი ჰყავს, მეორეში მიმავალნი; მიმავალთ პირი ბნელისკენ აქვთ, მომავალთ კი ნათლისკენ და აქედან - განშორება, რომელიც მოხუცების მხრივ აუცილებელია და ყმაწვილების მხრივ - უნებური. ეს განშორება, თავდაპირველად ძნელად საგრძნობი, თანდათან იზრდება, როგორც ყოველი განშტოება: დედახეზე არიან ტოტები, მაგრამ უფრო და უფრო შორდებიან; ეს მათი ბრალი არ არის. სიყმაწვილე იქით მიდის, სადაც სიხარულია, მხიარულება, ტკბილი სინათლე, სიყვარული, სიბერე კი განსვენებისკენ. ერთად არიან, თვალს არ აშორებენ ერთმანეთს, მაგრამ ის სიყვარული კი აღარ არის. სიყმაწვილეს სიცოცხლის სიცივე ერევა, სიბერეს - აკლდამის სიცივე. ნუ გავამტყუნებთ ჩვენს საწყალ შვილებს.

## თავი მეორე
## ნავთჩამწვარი ლამპრის უკანასკნელი ბუტვა

ერთ საღამოს კიდევ ჩამოიარა ჟან ვალჟანმა თავისი კიბე, სამი ნაბიჯი გადადგა ქუჩაში და ბოწკინტზე ჩამოჯდა, იმ ბოძკინტზე, რომელზეც 5 ივნისის ღამით გავროშმა ნახა ჩაფიქრებული. ცოტა ხანში შინ ავიდა. ეს ქანქარის უკანასკნელი რხევა იყო. მეორე დღეს შინიდან ვეღარ გამოდიოდა, მერე კი ლოგინიდანაც ვეღარ ადგა.

სადილს მეკარე უმზადებდა; კარტოფილს გაუკეთებდა, ან კომბოსტოს ღორის ქონით.

დახედა თეფშებს მეკარემ და შესძახა:

- გუშინ არაფერი გიჭამიათ, საბრალოვ!

- როგორ არა, - უთხრა ჟან ვალჟანმა.

- ეს თეფში კი ხელუხლებელია და...

- აბა, დოქი ნახეთ, ცარიელია.

- ეს იმას ამტკიცებს, რომ წყალი გისვამთ, და არა იმას, რომ გეჭამოთ რამე.

- რა ვქნა, რომ წყლის მეტი არაფერი მინდოდა.

- მაგას წყურვილი ჰქვია. და თუ გწყურიათ და არ გშიათ, ესე იგი, სიცხე გაქვთ.

- ხვალ კარგი მადა მექნება.

- ან სამებობას. რატომ დღეს არა? ვინ იტყვის, ხვალ ვჭამო? ხელი არ გიხლიათ ჩემი ნამზადისთვის. მერე რა კარგად მოვხრაკე.

ხელი დაუჭირა ბებერ დედაკაცს ჟან ვალჟანმა:

- პირობას გაძლევთ, რომ შევჭამ, - უთხრა ალერსიანად.

- ძალიან მაჯავრებთ, ბატონო, - უპასუხა მეკარემ.

ამ კეთილი დედაკაცის გარდა სხვას ვერავის ხედავდა ჟან ვალჟანი. მრავლად მოიპოვება პარიზში იმგვარი ქუჩა, სადაც არავინ გაივლის, და იმგვარი სახლი, სადაც არავინ შედის. ამგვარი ქუჩათაგანი იყო ლ'ომ-არმეს ქუჩა და ამგვარი სახლთაგანი იყო მისი სახლი.

მანამ სიარული შეეძლო და ქუჩაში გადიოდა, ერთი პატარა თითბრის ჯვარცმა იყიდა და ლურსმანზე დაკიდა თავის საწოლის პირდაპირ. ჯვარცმა ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს ადამიანს.

ერთი კვირა ისე გავიდა, რომ ფეხი არ ჩამოუდგამს კიბეზე. იწვა, ვეღარ დგებოდა, მეკარე შესჩიოდა თავის ქმარს:

- ვეღარ დგება ის საბრალო კაცი. აღარც ჭამს, დიდხანს ვეღარ იცოცხლებს. ეტყობა, დარდი აქვს რამე. თუნდაც დავიფიცებ, რომ ცუდად გაათხოვა ის უბედური ქალი.

ქმარმა იმ კილოთი უპასუხა, რომელიც შეშვენის ქმრის უპირატესობას:

- თუ შეძლება აქვს, ექიმი მოიწვიოს. თუ არა აქვს, უექიმოდ იყოს. თუ ექიმი არ ეყოლება, მოკვდება.

- ექიმი რომ მოიყვანოს? - ჰკითხა ცოლმა.

- მაინც მოკვდება.

ძველი დაჟანგული დანა ეჭირა მეკარის ცოლს და მისი ოთახის წინ „თავის ქვაფენილზე“ ამოსულ ბალახს გლეჯდა, ქვებშუა ჭრიდა, თან ბუტბუტებდა:

- საწყალი კაცი. მოხუცია და ისეთი სუფთა. თეთრია, როგორც წიწილა.

ამ დროს თვალი მოჰკრა ქუჩაში მიმავალ იმ უბნის ექიმს. წინ მიეგება და სთხოვა, ავადმყოფი ენახა.

- მესამე სართულზე, ბატონო. პირდაპირ შებრძანდით. ფეხზე ვეღარა დგებ ის საწყალი და გასაღებიც იქვე გახლავთ, კარის კლიტეში.

ავიდა ექიმი, ნახა ჟან ვალჟანი, მოელაპარაკა.

რომ ჩამოდიოდა, წინ დაუხვდა მეკარე.

- ნახეთ, ბატონო?

- ძალიან ცუდად არის თქვენი ავადმყოფი.

- რა სჭირს, ბატონო?

- ყველაფერი და არაფერი. როგორც ეტყობა, უბედურს, საყვარელი არსება დაუკარგავს. ესაა, რომ კლავს.

- მერე რა გითხრათ?

- ავად არა ვარო.

- კიდევ მობრძანდებით, ბატონო?

- დიახ, მაგრამ საჭიროა, ახლობლებმაც მოინახულონ.

## თავი მესამე
## კალამი ემძიმება ფოშლევანის ტვირთის ამწევს

ძლივძლივობით წამოიწია ერთ საღამს ჟან ვალჟანმა, იდაყვზე დაეყრდნო, მაჯის გასინჯვა უნდოდა, მაგრამ ვერ იპოვა. სუნთქვა მოკლე ჰქონდა და ხან სულაც ეკვროდა. თვითონვე ხედავდა, რომ ასე მისუსტებული არასოდეს ყოფილა. მაშინ, რაღაც წმინდა მოვალეობის ასასრულებლად, - უეჭველია, ასე უნდა ყოფილიყო, - მოიკრიბა ძალა, წამოჯდა და ჩაიცვა თავისი ძველი, მუშის ტანისამოსი. რაკი სახლიდან აღარ გადიოდა, ძველი მოაგონდა და ის ირჩია. ჩაცმის დროს რამდენჯერმე შეისვენა, ისე იყო მისუსტებული. ხალათში ხელების გაყოფა ისე გაუჭირდა, რომ ოფლმა დაასხა შუბლზე.

რაკი ავად იყო და ვეღარ დგებოდა, თავისი საწოლი წინა ოთახში გაატანინა, რომ რაც შეიძლება იშვიათად ენახა თავისი უკვე ცარიელი ბინა.

პატარა ჩანთა გახსნა და კოზეტის ტანისამოსი ამოალაგა. თავის ლოგინზე გაშალა.

ეპისკოპოსის შანდლები თავის ადგილას ჰქონდა, ბუხრის თავზე, უჯრიდან ორი წმინდა სანთელი ამოიღო და შანდლებში ჩაამაგრა. ზაფხული იყო, ჯერ ისევ დღე, არ ბნელოდა, მაგრამ ორივე აანთო. ხანდახან ასე ანთებულ სანთლებს თუ დაინახავს ადამიანი სადმე ოთახში, ეს უტყუარი ნიშანია, რომ იქ მიცვალებული ასვენია.

ძლივს დადიოდა, ავეჯს ეჭიდებოდა, წამდაუწუმ სკამზე ეშვებოდა, რომ არ წაქცეულიყო. ეს არ იყო ჩვეულებრივი დაღლა, რომელიც ხარჯავს ძალას, რომ დაუყოვნებლივ განიახლოს; ეს შესაძლებელი მოძრაობის ნაშთი იყო; ეს იყო ამოწურული სიცოცხლე, რომელიც წვეთ-წვეთად იშრიტებოდა ამ ძალისხმევაში და ვეღარ განახლდებოდა.

ერთ სკამზე დაეშვა კიდევ, სარკის პირდაპირ. ამ სარკეში იყო, რომ საშრობიდან უკუღმა მოჩანდა კოზეტის წერილი; წაიკითხა და განსაცდელს გადაარჩინა მარიუსი. ხედავდა სარკეში თავის თავს და ვეღარა ცნობდა. ოთხმოცი წლისას დამგვანებოდა. მარიუსის ქორწინებამდე ორმოცდაათი წლის ჭარმაგ მამაკაცს ჰგავდა. ოცდაათი წლის ვარამი მიეყენებინა ამ ერთ წელიწადს. შუბლი რომ დანაოჭებული ჰქონდა, სიბერისა კი არა, სიკვდილის იდუმალი ნიშანი იყო. პირდაპირ ეტყობოდა, რომ უმოწყალო ნესტარი ჩასობოდა და ის უჩიჩქნიდა გულს. ლოყა ძირს დაშვებოდა. ისეთი ფერი ედო სახეზე, რომ იტყოდით, ამ კაცს უკვე მიწა აყრიაო. ძირს დაშვებოდა პირის კუთხე სწორედ ისე, როგორც ძველად საფლავის ქვაზე სახავდნენ მიცვალებულს. საყვედურით შესცქეროდა სიცარიელეს. დიდებულ, ტრაგიკულ არსებას ჰგავდა, რომელსაც მრავალი უბედურება უნახავს და ჩივილის უფლება აქვს.

იმ მდგომარეობაში იყო საწყალი, ღონემიხდილის უკანასკნელ წამში, როდესაც აღარ იძვრის გულისტკივილი, თითქოს შედედებულა და ლოდივით აწევს სასოწარკვეთილსო.

დაღამდა, ბუხართან მიათრია დიდი გაჭირვებით მაგიდა, ერთი ძველი სავარძელი, მაგიდაზე საწერ-კალამი და ქაღალდი დაალაგა. დაალაგა და გული წაუვიდა. რომ მოსულიერდა, წყურვილი იგრძნო; წყლით სავსე გოვზაკი რომ ვეღარ ასწია, დაიჩოქა, დაეწაფა და პირი გაისველა.

მერე ისევ თავის ლოგინთან მიცოცდა, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, კოზეტის კაბას და მის სხვა ტანისამოსს დააცქერდა.

რამდენიმე საათი გაატარა ასე, თავის შვილობილის, პატარა გოგონას ტანისამოსს შეხაროდა, და მას კი რამდენიმე წუთად ეჩვენა. და უცებ შეაჟრჟოლა, სიცივე იგრძნო, ისევ მაგიდას მიუჯდა, ეპისკოპოსის შანდლებით განათებულს, და კალამი აიღო.

დიდი ხნის უხმარი იყო კალამი, წვერი მოკაკული ჰქონდა, სამელნეში მელანი გამშრალიყო; წამოდგა, როგორც იქნა, სამელნეში რამდენიმე წვეთი წყალი ჩაასხა, ისიც დიდი წვალებით, კინაღამ წაიქცა. კალმის გასწორება შეუძლებელი იყო, გადააბრუნა და ზურგით იხმარა. წერდა და თან შუბლს იწმენდდა. წურწურით სდიოდა ოფლი.

ხელი უკანკალებდა. ნელა წერდა, დიდი გაჭირვებით: „დაგლოცავ, კოზეტ, მინდა აგიხსნა. შენი ქმარი მართალი იყო, რომ შემაგნებინა ჩვენი განშორების საჭიროება. პატარა შეცდომა იყო ამ საქმეში, რომელიც ვერ შენიშნა, თორემ სრულიად მართალი

იყო. კარგი კაცია შენი ქმარი. გიყვარდეს, როგორც ახლა გიყვარს, შვილო, ყოველთვის, როდესაც მე აღარ ვიქნები. ბატონო პონმერსი, თქვენც გიყვარდეთ ჩემი საყვარელი შვილი. ახლა ციფრებს მოვიყვან, თუ ღონემ არ მიმტყუნა და მომაგონდა. ყური დამიგდე, ეს ფული შენია, შენი საკუთრებაა. აი, როგორ იყო საქმე: ქარვა ნორვეგიიდან მოდის, გიშერი ინგლისიდან, შავი მინა გერმანიიდან. გიშერი უფრო მსუბუქია, უფრო ძვირფასი. საფრანგეთში შეიძლება გიშრისმაგვარის გაკეთება, როგორც გერმანიაში აკეთებენ. საჭიროა ხუთი სანტიმეტრის სიგრძე-სიგანის პატარა გრდემლი და სპირტის ლამპა ცვილის დასალბობად. ცვილს უწინ რეზინისას და ჭვარტლისას აკეთებდნენ და რვა ფრანკი ღირდა კილოგრამი. მე მოვახერხე ამ ცვილის სხვაგვარად გაკეთება, მასალად ფისი და ბელეკონი ვიხმარე, და კილოგრამი ფრანკ-ნახევარი მიჯდებოდა. ღილებს იისფერი შუშისას აკეთებენ, პატარა რკინაზე დააკრავენ ამ ცვილს. თუ რკინისას აკეთებენ რამეს, მინა იისფერი უნდა და თუ ოქროსას, მინა შავი სჯობია. ესპანეთში დიდი გასავალი აქვს ამ საქონელს. გიშრის ქვეყანა არის სწორედ...“

შეწყვიტა წერა, კალამი გაუვარდა ხელიდან. ქვითინი წასკდა უცბად, იმედმიხდილი, გულის სიღრმიდან ამომავალი მწარე ქვითინი. ხელებზე დაუშვა თავი და ფიქრებს გაჰყვა.

„ოჰ, - შეჰყვირა გულში. საზარელია ეს ყვირილი. ღმერთის მეტს არავის ესმის, - გათავდა, მორჩა, ვეღარა ვნახავ!“

- როგორც ღიმილი, წამით მეჩვენა და მიმატოვა. ეჰ, ისე გავალ წუთისოფლიდან, რომ ვერც კი გამოვეთხოვები. ოჰ, წამით რომ მენახა! ერთხელ კიდევ გამეგონა მისი ხმა! ერთხელ კიდევ მენახა ჩემი ანგელოზი და მერე თუნდაც სიკვდილი მოვიდეს! სიკვდილი არაფერია. საშინელი ის არის, რომ მის უნახავად ვკვდები! ერთხელ კიდევ შემოეხედა ჩემკენ ღიმილით, ერთხელ კიდევ ეთქვა რამე მომაკვდავისთვის! ნუთუ საწყენი იქნებოდა ვისთვისმე? არა, გათავებულია, ვეღარა ვნახავ! მარტოდმარტო ვარ, მივიწყებული. ოჰ, ღმერთო ჩემო, ვეღარ ვნახავ!

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

## თავი მეოთხე

### ერთი ბოთლი მელანი, რომელიც მხოლოდ ათეთრებს

სწორედ იმ დღესვე, უკეთ რომ ვთქვათ, იმ საღამოსვე, ნასადილევს, თავის კაბინეტში რომ შევიდა მარიუსი, ბასკმა წერილი მიართვა და მოახსენა:

- ამ წერილის დამწერი წინა ოთახში გახლავთ.

კოზეტი და ბატონი ჟილნორმანი ხელიხელგაყრილი ბაღში ჩასულიყვნენ სასეირნოდ.

წერილს, როგორც ადამიანს, შეიძლება ცუდი ფერი ჰქონდეს. სქელი ქაღალდი, დასრესილი, ჭუჭყიანი, - შეხედავთ და შეგეზარებათ. სწორედ ამნაირი იყო ბასკის მიერ მორთმეული წერილი.

აიღო მარიუსმა. თამბაქოს სუნად ყარდა. სუნისთანა კარგად არაფერი აცოცხლებს დავიწყებულს. მარიუსმაც მაშინვე იცნო ეს თამბაქო. მერე მისამართს დახედა, - „ბატონ ბარონ პონმერსის, საკუთარ სასახლეში“. თამბაქო რომ იცნო, თამბაქომ კიდევ

დამწერის ხელი მოაგონა. შეიძლება ვთქვათ, განცვიფრებასაც აქვს თავისი ელვისებური სინათლე. ერთმა ამგვარმა ელვამ გაურბინა თვალწინ მარიუსს. ყნოსვამ, მეხსიერების იდუმალმა თანაშემწემ, მთელი ქვეყანა მოაგონა. ისეთივე ქაღალდი იყო, ისევე დაკეცილი, ისეთივე ბაცი მელანი, იგივე ნაცნობი ხელი და მეტადრე იგივე თამბაქო.

ჟონდრეტის ბუნაგი წარმოუდგა თვალწინ.

ესეც შემთხვევის მოულოდნელი ქამანდი იყო. მარიუსი თვითონვე დაეძებდა ორი კაცის კვალს. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, გაეგო რამე და ვერას გახდა. საბოლოოდ დაკარგულად მიიჩნია მათი კვალი და აი, ერთი მათგანი თვით მისულიყო მის სანახავად.

სწრაფად გახსნა წერილი და წაიკითხა:

„ბატონო ბარონო,

უმაღლესი არსება რომ დამხმარებოდა და ჩემთვისაც მოეცა ნიჭი, დღეს ბატონი ტენარი ვიქნებოდი, ინსტიტუტის წევრი (სამეცნიერო აკადემიის); მაგრამ მე ის არ გახლავართ. მისი გვარის კაცი გახლავართ, და ბედნიერი იმით, რომ მისი სახელი გამიადვილებს თქვენი გულკეთილობისა და ყურადღების მოპოვებას. თქვენი წყალობა მინდა და მინდა ღირსეულადაც გადაგიხადოთ. მე მივაგენი ერთი კაცის საიდუმლოებას, რომელიც ახლობელია თქვენი; ვიცი, ვინ არის, რა არის, ყოველივე ამას თვალწინ გადაგიშლით, რადგან მინდა გემსახუროთ რითიმე. სულ უბრალო საშუალებას მოგართმევთ, რომ გააგდოთ თქვენი პატივცემული ოჯახიდან ის კაცი, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს იქ იმყოფებოდეს, რადგან ქალბატონი თქვენი მეუღლე უმაღლესი შთამომავლობის ბრძანდება. სათნოების საკურთხეველს არ შეუძლია დიდხანს იყოს ერთად ბოროტმოქმედებასთან და უნდა მოიშოროს დაუყოვნებლივ.

წინკარში ველი ბატონი ბარონის ბრძანებას.

პატივისცემით“.

ამ წერილს ხელს აწერდა „ტენარი“.

ყალბი არ იყო ხელნაწერი, შემოკლებული იყო ოდნავ. წერილის თვით შინაარსი და მართლწერაც კი ძველს აგონებდა მარიუსს. ეჭვი შეუძლებელი იყო.

მღელვარება მოერია მარიუსს. წერილმა გააკვირვა და მეტად გაახარა. ეს ერთი ხომ იპოვა, ისე გულმოდგინედ რომ დაეძებდა. ახლა მეორეც რომ ეპოვა როგორმე, ვინც ბარიკადიდან გამოიყვანა დაჭრილი და სიკვდილს გადაარჩინა, სანატრელი აღარაფერი ექნებოდა.

გააღო უჯრა, გამოსწია, რამდენიმე ბანკის ბილეთი ამოიღო, ჯიბეში ჩაიდო, უჯრა ისევ დაკეტა და დააწკარუნა.

ბასკმა შემოაღო კარი.

- შემოიყვანეთ ის კაცი!

ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღო ბასკმა და მოახსენა:

- ბატონი ტენარი.

შევიდა ბატონი ტენარი.

ახლა კიდევ განცვიფრება მოელოდა მარიუსს! სრულიად უცნობი იყო მისთვის ეს ბატონი ტენარი.

მოხუცი იყო, დიდცხვირიანი, ნიკაპი ყელსახვევში ჰქონდა ჩამალული; მწვანე სათვალე უმალავდა თვალებს და ზემოდან კიდევ ორმაგი მწვანე თავსაბურავის შუქფარი; ჭაღარა თმა შუბლზე ჰქონდა ჩამოვარცხნილი წარბებამდე, მდიდარი ინგლისელების მეეტლეების პარიკივით; თავით ფეხამდე შავი ტანისამოსი ეცვა, ძალიან გახეხილი, მაგრამ სუფთა; პატარა ძეწკვი მოუჩანდა, საათი უნდა ჰქონოდა ჯიბეში; ხელში ძველი ქუდი ეჭირა, მოხრილი დადიოდა და მარიუსს რომ მიესალმა, მაშინ ხომ მთლად მოიხარა.

თვალში ეცემოდა, ვინც კი შეხედავდა, რომ ეს ტანისამოსი, მეტად განიერი, თუმცა თავით ბოლომდე შეკრული, ამ კაცისთვის არ უნდა ყოფილიყო შეკერილი. აქ საჭიროა ერთი გარემოების აღნიშვნა:

იმ დროს პარიზში, ერთ საეჭვო სახლში, არსენალის ახლოს, ბორეილის ქუჩაზე, ერთი მოხერხებული ებრაელი ცხოვრობდა და ხელობად ის ჰქონდა, რომ ყველა მაწანწალას პატიოსან კაცად გარდაქმნიდა, ცოტა ხნით, რაღა თქმა უნდა. ტანისამოსის გამოცვლა და გაპატიოსნება ერთი-ორი დღით ხდებოდა, ფრანკ-ნახევრის გადახდით დღეში; მკვლელი, ყაჩაღი რომ ყოფილიყო, იმ ტანისამოსს ჩააცმევდა, რაც ყველას ეცვა და მასაც ყველას დაამსგავსებდა. ებრაელს სახელად „გადამცვლელი“ უწოდეს პარიზელმა ქურდბაცაცებმა და ამ სახელით იცნობდა ყველა. ტანისამოსი ბლომად ჰქონდა, ძველი, ნახმარი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადეგი. ამ ებრაელთან ყოველგვარ სპეციალობასა და მდგომარეობას თავისი შესაფერი სამოსი ჰქონდა; მის მაღაზიაში ყოველ ლურსმანზე ეკიდა რაიმე გახეხილი, გაცვეთილი საზოგადოებრივი მდგომარეობა; პირველზე დიდებული მოხელის, მეორეზე მღვდლის, მესამეზე ბანკირის, მეოთხეზე სამსახურიდან გადამდგარი კავალერისტის; ერთ მხარეს მწერლის ტანისამოსი მოჩანდა, მეორე მხარეს - არტისტის. ეს ებრაელი განაგებდა იმ საზარელი დრამის მოქმედი პირების შემოსვას, რომელსაც ავკაცობა თამაშობდა პარიზში. მისი ბუნაგი წარმოადგენდა კულისებს, საიდანაც გამოდიოდა ქურდობა და სადაც შედიოდა ვერაგობა. დაგლეჯილ-დაფლეთილი ქურდი შედიოდა ებრაელთან, ფრანკ-ნახევარს მისცემდა და ირჩევდა ტანისამოსს, იმ როლისთვის შესაფერს, რომლის ასრულებას იმ დღეს აპირებდა; ჩაიცვამდა და ქურდი უკვე პატიოსან კაცად გადაცმულიყო, ამაყად გამობრძანდებოდა ქუჩაში. ტანისამოსს მეორე დღეს უკლებლივ აბარებდნენ პატრონს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე ქურდს ავად ესარგებლოს ებრაელის ნდობით. ერთადერთი წუნი ჰქონდა ამ ტანისამოსს, არ უხდებოდა მას, ვისთვისაც არ იყო შეკერილი; ზოგისთვის ვიწრო იყო, ზოგისთვის განიერი, გრძელი და კარგად არავის ადგა. თუ საშუალო აგებულებისაზე ცოტა მეტი იყო ქურდი ან ცოტა ნაკლები, ცუდად გრძნობდა თავს ამ ნაქირავებ ტანისამოსში. არც ძალიან მსუქანი უნდა ყოფილიყო კაცი, არც მეტად გამხდარი. ებრაელს ყველაფერი საშუალო ტანის ადამიანისთვის ჰქონდა. მაშინ უხდებოდა ქურდს ეს ტანისამოსი, თუ არც სქელი იყო, არც წვრილი, არც დიდი, არც პატარა. ამ ნაკლს შეძლებისდაგვარად ამცირებდა ებრაელი, მაგრამ ტანისამოსს კი არაფერს უცვლიდა. მისი რა ბრალი იყო? წესიერისთვის ჰქონდა, გამონაკლისისთვის კი არა. სახელმწიფო მოხელის ტანისამოსი, მაგალითად, თავიდან ბოლომდე შავი და, მაშასადამე, ვარგისი, ძალიან განიერი იქნებოდა ინგლისელი პიტისთვის და მეტად ვიწრო იქნებოდა კასტელსიკალისთვის; „მთავრობის მოხელის ტანისამოსი“ ასე იყო აღწერილი ებრაელის კატალოგში, სიტყვასიტყვით გადმოვწერთ: „შავი მაუდის სერთუკი, შავი

ტილოს შარვალი, აბრეშუმის ჟილეტი, წაღები, საცვალი“ და იქვე მინაწერი ჰქონდა „ელჩად ყოფილის ტანისამოსი“. ერთს კიდევ ამოვწერთ ამ კატალოგიდან: „ცალკე უჯრაში, ერთი კარგად, სუფთად დახუჭუჭებული პარიკი, მწვანე სათვალე, საათის ძეწკვი, ბრელოკები და ბატის ფრთის ორი პატარა, სანტიმეტრის მეოთხედის სიგრძის ბამბაშემოხვეული მილი“. მთავრობის მოხელის, ელჩად სადმე ნამყოფის უნდა ყოფილიყო ეს ტანისამოსი; თავისი დღენი მოეჭამა, თუ შეიძლება ასე თქმა, ნაწიბური გასთეთრებოდა, ღილ-კილოს ღია დარჩენოდა პირი, სწორედ გულზე აკლდა ღილი სერთუკს; მაგრამ ეს ხომ უმნიშვნელო წვრილმანია: მთავრობის მოხელეს ყოველთვის გულზე უნდა ედოს ხელი და აასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა, - დამალოს აწყვეტილი.

მარიუსს რომ ცნობოდა პარიზელი ქურდებისა და ჯიბგირების საიდუმლო დაწესებულებანი, მაშინვე მიხვდებოდა, როგორც კი დაინახავდა ამ კაცს, რომ ქირით აღებული ტანისამოსი ეცვა, ებრაელი გადამცვლელის მაღაზიაში აღებული.

ეწყინა მარიუსს, როდესაც ნახა, რომ სხვა იყო და არა ის, ვისაც ეძებდა, ცუდად დაუხვდა ტენარს და უკმეხად ჰკითხა:

- რა გნებავთ?

მან ზრდილობიანად, ღიმილით უპასუხა და ისე დააღო ალერსით პირი, რომ ნიანგს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

- შეუძლებლად მიმაჩნია, ბატონო, ვიფიქრო, რომ უწინაც არსად მენახოს საზოგადოებაში ბატონი ბარონი. მგონი, ამ რამდენიმე წლის წინ შევხვდით ერთმანეთს თავადის ქალ ბაგრატიონთან და აგრეთვე საფრანგეთის დიდებულ ვიკონტ დანბრეისთან.

გაიძვერების ტაქტიკა გახლავთ, ძალიან კარგი და მოხერხებული: ისე ეჩვენებიან სრულიად უცნობს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ.

დიდი ყურადღებით ისმენდა მარიუსი ამ კაცის ყოველ სიტყვას. არ გამოჰპარვია არც მისი კილო, არც მოძრაობა, მაგრამ ვეღარ ცნობდა ამ კაცს, მას, ვისი ნახვაც უნდოდა. პირით კი არ ამბობდა, ცხვირით დუდღუნებდა, ვიღაც იყო, სულ სხვახმიანი, ვიდრე ის, ვისაც მარიუსი მოელოდა. არა, ეს ის არ იყო.

- მე არც თავადის ქალ ბაგრატიონს ვიცნობ, - უთხრა მარიუსმა, - არც დანბრეის. არასოდეს ვყოფილვარ არც ერთთან და არც მეორესთან.

უკმეხი იყო პასუხი. ზრდილობას არ უმტყუნა ტენარმა და ერთხელ კიდევ სცადა თავისი გაეყვანა:

- მაშ, ალბათ, შატობრიანთან გნახავდით, ბატონო. ძალიან კარგად ვიცნობ შატობრიანს. რა ზრდილი და გულკეთილი კაცია! ხელს წამკრავს ხოლმე და მეკითხება, ჰა, ტენარ, მეგობარო, თითოჯერ არ გადავკრათ?

ბრაზი ერეოდა მარიუსს.

- არც ვიცნობ, არც ვყოფილვარ ბატონ შატობრიანთან. გავათავოთ. რა გნებავთ?

მარიუსმა შეუტია და უფრო ღრმად დაუკრა თავი ტენარმა:

- კეთილინებეთ, ბატონო ბარონო, და მომისმინეთ. ამერიკაში, პანამის მხარეს, ერთი სოფელი გახლავთ, ჟოიად წოდებული. ერთადერთი სახლი დგას ამ სოფელში, დიდი, ოთხსართულიანი, მზეზე გამომწვარი, ალიზით აშენებული, ოთხკუთხა. სიგრძით ას სამოცდახუთი მეტრი გახლავთ, სიგანითაც ამდენივე. ყოველი სართული ოთხი მეტრით უფრო ვიწროა, ვიდრე ქვედა სართული, ისე რომ, თავისი ბანი აქვს

ყოველ სართულს, როგორც კარგ კოშკს შეეფერება. შენობის შუა ეზოში აწყვია სურსათი და იარაღი. ფანჯრების მაგივრად დოლაბები აქვს, კარის მაგივრად - კიბე. ამ კიბით ადიან მეორე სართულზე, მეორიდან მესამეში, მერე მეოთხეში. კიბითვე ჩადიან შუა ეზოში. კარების მაგივრად ოთახებს სანათურები აქვთ შიგ ჩამალული კიბით. რომ დაბინდდება, დაკეტავენ სანათურებს, აალაგებენ კიბეებს; დოლაბებში თოფებს აწყობენ გარეთ სასროლად. ყოვლად შეუძლებელი გახლავთ იქ შესვლა; დღე სახლი გახლავთ, ღამე მიუვალი ციხესიმაგრე. რვაასი სული მცხოვრები ჰყავს და ეს სახლი გახლავთ მთელი სოფელი. რა საჭიროა ამდენი სიფრთხილე? საშიშია ის ქვეყანა. სავსე გახლავთ კაცჭამიებით. მაშ, რისთვისღა მიდიან? იმიტომ, რომ სასწაულებრივ მდიდარია ის ქვეყანა. ოქროს ზოდებს პოულობენ.

- არ იტყვით, რა გნებავთ ჩემგან? - შეაწყვეტინა მარიუსმა, რომელსაც მოთმინება ეკარგებოდა.

- ახლავე, ბატონო. მე ერთი ძველებური დიპლომატი გახლავართ, დაღლილი, თავი მომაბეზრა ჩვენმა ბებერმა ცივილიზაციამ. ახლა მინდა იქ ვცადო ჩემი ბედი, იმ ველურებში.

- მერე?

- ეგოიზმი გახლავთ, ბატონო, ჩვენი ცხოვრების კანონი. დღიურად რომ მუშაობს სხვის ყანაში სოფლელი დედაკაცი, დგას და შესცქერის მიმავალ დილიჟანსს; ყანის პატრონი დედაკაცი კი თავის საქმეს აკეთებს და დილიჟანსისთვის არ სცალია. ღარიბის ძაღლი ყეფით მისდევს მდიდარს, მდიდრის ძაღლი კი ყეფით მისდევს ღარიბს. ყველა თავისთვის! ადამიანის სიცოცხლის მიზანი შეძენა გახლავთ და ოქრო - ძალ-ღონის აღმძვრელი მაგნიტი.

- მერე? დასკვნა?

- მინდა ავიყარო და ჟოიაში გადავიდე. სამნი გახლავართ, მე, ჩემი მეუღლე და ჩემი ასული; ძალიან ლამაზი ქალიშვილი მყავს, დიდხანს მოგვიხდება მგზავრობა და კარგი ფულიც დაგვეხარჯება. ცოტა ფული მიჭირს, ბატონო.

- და მე რა შუაში ვარ?

უცნობმა კისერი ამოყო ყელსახვევიდან, როგორც ქორმა იცის, და უფრო მეტი ღიმილით უპასუხა:

- მაშ, ბატონ ბარონს არ წაუკითხავს ჩემი წერილი?

ეს თითქმის მართალი იყო. წაკითხვით წაიკითხა, მაგრამ სხვას ეძებდა იქ მარიუსი და არა შინაარსს. ნაწერის ხელს სინჯავდა და არა კითხულობდა. შინაარსი აღარც კი ახსოვდა. ახლა ერთი ნიშანი კიდევ აღმოაჩინა, ძველის მომგონებელი; ყურადღება მიაქცია მის ნათქვამს, - ჩემი მეუღლე და ჩემი ქალიშვილი, - დააცქერდა უცნობს, თვალი თვალში გაუყარა; გამომძიებელი არ დააცქერდებოდა ასე დამნაშავეს. სასამართლოს გამომძიებელივით ადგა თავზე. მხოლოდ მოუჭრა:

- მოკლედ, რა გნებავთ?

ტენარმა ორივე ხელი ჯიბეში ჩაიყო, თავი მაღლა აიღო, ოღონდ ისე, რომ წელმოხრილი დარჩა, და თვითონაც გამომცდელი თვალით შეჰყურებდა მარიუსს თავისი მწვანე სათვალიდან.

- ძალიან კარგი, ბატონო ბარონო. მე მინდა ერთი საიდუმლო მოგყიდოთ.

- საიდუმლო?

- დიახ, ბატონო.

- რომელიც მე შემეხება?

- ოდნავ, ბატონო.

- რა საიდუმლო?

ყურს უგდებდა მარიუსი და თვალს არ აშორებდა.

- აი, უსასყიდლოდ ვიწყებ, ბატონო. ნახავთ, როგორი საინტერესო კაცი გახლავართ.

- თქვით!

- ბატონო ბარონო, თქვენ თქვენთან გყავთ ერთი ქურდი და მკვლელი.

აკანკალდა მარიუსი.

- ჩემთან? არა!

უცნობმა სრულიად დამშვიდებით იდაყვი გადაუსვა თავის ქუდს და განაგრძო:

- მკვლელი და ქურდი! გთხოვთ, მხედველობაში იქონიოთ, ბატონო, რომ მე არაფერს მოგახსენებთ ძველს, წინანდელს, დროგასულს, რომელიც შეიძლება წაშლილი იქნეს კანონის ბრძანებით, ან ღვთის წინაშე ცოდვის მონანიებით. მე მოგახსენებთ აწინდელს, სულ ახალთახალს, ჯერ კანონისაგან გამოუძიებელს. დიახ, განვაგრძოთ: ამ კაცმა როგორღაც მოიპოვა თქვენი ნდობა და თქვენს ოჯახშიც კი შემოძვრა ყალბი სახელით. მე მოგახსენებთ მის ნამდვილ სახელს. ამასაც უსასყიდლოდ მოგართმევთ.

- გისმენთ!

- ის ჟან ვალჟანი გახლავთ.

- ვიცი.

- აგრეთვე უსასყიდლოდ გაცნობებთ, ვინც არის ის კაცი.

- თქვით.

- კატორღელი გახლავთ.

- ესეც ვიცი.

- იცით მას შემდეგ, რაც მე პატივი მქონდა მომეხსენებინა.

- არა, თქვენამდეც ვიცოდი.

მარიუსის მკვახე კილომ, ორჯერ გამეორებულმა სიტყვამ - „ვიცი“, - მისმა უხიაგმა ლაკონიზმმა, პატარა ბრაზი აღძრა უცნობში. შეუმჩნევლად გადახედა მარიუსს ცოფიანი თვალით, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი. სწრაფი იყო ეს გადახედვა, წამიერი, მაგრამ ისეთი, რომელსაც მაშინვე იცნობს კაცი, თუ წინათაც მოხვედრია. და არც მარიუსს გამოეპარა ეს. ცოფით სავსე ალს მარტო ზოგი ადამიანის სული სცემს ვინმეს; თვალის კაკალს, ამ სარკმელს აზროვნებისას, ცეცხლი ეკიდება. სათვალე ვერას დამალავს. წაიფარეთ შუშა ჯოჯოხეთს!

უცნობმა განაგრძო:

- მე ისე არ გავბრიყვდები, რომ არ დავუჯერო ბატონ ბარონს. ასეა თუ ისე, დამეთანხმებით, რომ საჭირო ცნობები მაქვს და რასაც ახლა მოგახსენებთ, მარტო მე ვიცი, სხვამ არავინ. ეს შეეხება ქალბატონი თქვენი მეუღლის სიმდიდრეს. დიდი საიდუმლოება გახლავთ და მინდა კარგ ფასადაც გავყიდო. აი, ბატონო, ინებეთ. ძვირად არ დაგიფასებთ. ოცი ათასი ფრანკი მეყოფა.

- ეგ საიდუმლოც ვიცი, როგორც სხვები.

ტენარმა იგრძნო, რომ საჭირო იყო ფასის დაკლება:

- ათი ათასი მიბოძეთ, ბატონო, და მოგახსენებთ.

- კიდევ გეუბნებით, თქვენ მე ახალს ვერაფერს შემატყობინებთ, ვიცი, რის თქმასაც აპირებთ.

ერთხელ კიდევ წაეკიდა თვალში ალი უცნობს და შეჰყვირა:

- რა ვქნა! მაშ, დღეს უსადილოდ ხომ ვერ დავრჩები! გეუბნებით, დიდი საიდუმლო არის-მეთქი. ბატონო ბარონო, აი, მოგახსენებთ, ინებეთ, ერთი ოცი ფრანკი მაინც მიბოძეთ.

დააცქერდა მარიუსი:

- ეგ თქვენი დიდი საიდუმლოც ვიცი, როგორც ვიცოდი ჟან ვალჟანის სახელი და როგორც ვიცი თქვენი სახელიც.

- ჩემი სახელი?

- დიახ.

- და რა არის მანდ საკვირველი, ბატონო ბარონო, მე თვითონ მოგწერეთ და მერეც მოგახსენეთ, მგონი, ტენარი.

- დიე.

- ჰაა?

- ტენარდიე.

- ვინ?

განსაცდელს რომ იგრძნობს, ყალყზე დაუდგება ხოლმე ზღარბს ეკლები, ბოსტანა ჭია თავს იმკვდარუნებს. ძველი მხედრები მწყობრად დგებიან და ამ კაცმა სიცილი დაიწყო.

მერე წკიპურტით პატარა მტვერი მოიშორა სახელოდან.

მარიუსმა კიდევ დაუმატა:

- თქვენა ხართ აგრეთვე მუშა ჟონდრეტი, არტისტი ფაბანტუ, პოეტი ჟანფლო, ესპანელი დონ ალვარესი და ბალიზარის ცოლი.

- ვისი ცოლი?

- სამიკიტნო გქონდათ მონფერმეილში.

- სამიკიტნო? არასოდეს!

- გეუბნებით, თქვენა ხართ ტენარდიე.

- უარს ვაცხადებ.

- ტენარდიე ხართ და არამზადა. ხომ გაიგონეთ?

ჯიბიდან ამოიღო ბანკის ბილეთი და პირში მიახალა.

- გმადლობთ, უკაცრავად. ხუთასი ფრანკი? ბატონო ბარონო! - გიჟივით მივარდა ფულს, აიტაცა, თავს უკრავდა მარიუსს, ბილეთს სინჯავდა.

- ხუთასი ფრანკი? - წამოიძახა განცვიფრებულმა, - აი, საჩუქარი ასეთი უნდა! - მერე სწრაფად წამოისროლა, - ჰოდა, რა, მოდი, ისევ შინაურულად გამოვიჭიმები!

მაიმუნის სისწრაფით გადაიწია შუბლიდან თმა, ჩამოიძრო სათვალე, ცხვირის ნესტოებიდან ფრთის მილები გამოიძრო, ბამბა რომ ჰქონდა შემოხვეული, და ისე მოიხსნა პირიდან სხვისი სახე, თითქოს ქუდი მოიხადაო.

თვალი აენთო, გამოუჩნდა დანაოჭებული, ხორკლიანი შუბლი, ნისკარტივით მოკაუჭებოდა ცხვირი; ისევ გამოჩნდა ცბიერი მხეცის სახე.

- რაც მართალია, მართალია, ბატონო, - მოახსენა თავისი ბუნებრივი ხმით, რომელშიც ცხვირის აღარ ერია, - ტენარდიე გახლავართ, - და წელში გაიჭიმა.

ტენარდიე, რადგან ტენარდიე იყო ეს ტენარი, განცვიფრებული იყო, დაირცხვენდა, ამის უნარი რომ შერჩენოდა. კაცი იმით მივიდა, რომ გაეკვირვებინა და თვით დარჩა გაკვირვებული. ამ დამცირების დასაკმაყოფილებლად ხუთასი ფრანკი მისცეს და რა გაეწყობოდა, მანაც აიღო, მაგრამ მაინც განცვიფრებული იყო.

პირველად ხედავდა ამ ბარონ პონმერსის და მიუხედავად იმისა, რომ ასე მშვენივრად იყო გადაცმული, ბარონმა მაშინვე იცნო და ძალიან საეჭვლიანადაც იცნო. ამ ბარონმა მშვენივრად იცოდა ტენარდიეს საქმიანობაც და ჟან ვალჟანისაც. ვინ იყო, რა იყო ეს ყმაწვილკაცი, თითქმის უწვერულვაშო, ასე ყინულივით მშვიდი და ასე გულუხვი, რომ ყველას სახელებიც იცოდა, თავის ქისასაც უხსნიდა, მსაჯულივით უკმეხად უტევდა ქურდებს და მოტყუებულივით უხვად აჯილდოებდა?

მკითხველს ეხსომება, ტენარდიე მარიუსის მეზობელი იყო, მაგრამ ერთხელ არსად შეხვედრია, რაც ძალიან ხშირია პარიზში. თავისი ქალიშვილებისგან ჰქონდა გაგონილი, რომ მის მეზობლად იმავე სახლში ცხოვრობდა ერთი ძალიან ღარიბი ყმაწვილკაცი, სახელად მარიუსი. წერილი ისე მისწერა, რომ არ ენახა, არ იცნობდა მაშინ, დახმარება რომ სთხოვა. რას წარმოიდგენდა, რომ მაშინდელი მარიუსი იქნებოდა ეს ბატონი ბარონი პონმერსი.

რაც შეეხება გვარს, - პონმერსი, - მკითხველს ეხსომება, ვატერლოოს ბრძოლის ველზე დაჭრილისგან ტენარდიემ მარტო ორი უკანასკნელი მარცვალი გაიგონა სიტყვისა, ესე იგი, მერსი; ამ სიტყვას კი - „გმადლობთ“, - არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან საყურადღებო მისთვის ფული იყო და არა ცარიელი მადლობა.

შემდეგ თავის ქალიშვილს, აზელმას, აჩვენა მაყრიონის კვალი და დაავალა, გამიგე რამე ამ ბებერი კაცისაო, თვითონაც შეუდგა ძიებას, ბევრი რამ გაიგო, ამ ბნელი სიღრმიდან ამოალაგა საჭირო მასალა და საიდუმლო ცნობები. თავიდან აღარ შორდებოდა 16 თებერვალს ნანახი ქორწილი; გრძნობდა, რომ შეიძლებოდა ხელი მოეთბო და იმდენი იფიქრა, იმდენი იძია, რომ მიხვდა, ვინ იყო ის კაცი, მთავარ წყალსადინარში რომ შეხვდა რამდენიმე თვის წინ. კაცი რომ იცნო, სახელის გახსენებაც ძნელი არ იყო. შეიტყო, რომ ქალბატონი პონმერსი კოზეტი იყო, მაგრამ ამ მხრივ, გადაწყვეტილი ჰქონდა, ძალიან ფრთხილად ყოფილიყო. ვინ იყო კოზეტი? დანამდვილებით არ იცოდა. ნაბიჭვარი უნდა ყოფილიყო, ცხადია, მაგრამ ვისი? საერთოდ გაუგებრად და საეჭვოდ მიაჩნდა ფანტინის ამბავი, მაგრამ რა საჭირო იყო ამის გამჟღავნება, რას შესძენდა? ფული, თორემ ყვირილს დავიწყებო? დარწმუნებული იყო, რომ ფულის მისაღებად ამაზე უკეთესი სხვა ჰქონდა. ან რა საბუთი ჰქონდა, კიდეც რომ შეხებოდა კოზეტს? რით დაამტკიცებდა თავის სიტყვას? უსაბუთოდ რომ ეთქვა ბარონ პონმერსისთვის, თქვენი მეუღლე ნაბიჭვარიაო, პანღურს ამოჰკრავდა ნაბიჭვრის ქმარი და კიბეზე დააგორებდა. ტენარდიეს აზრით, ჯერ არ დაწყებულიყო მისი საუბარი მარიუსთან. იძულებული იყო, უკან დაეხია, შეეცვალა თავისი სტრატეგია, მიეტოვებინა თავისი სიმაგრე, შეეცვალა შეტევის წინა ხაზი, მაგრამ ჯერჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი ჰქონდა წაგებული და ხუთასი ფრანკი კი ჯიბეში ედო. გარდა ამისა, ცოტა რამ ჰქონდა ფრიად მნიშვნელოვანი სათქმელი, რომლითაც თვით ბატონ ბარონსაც კი წაჰკრავდა ლამაზად, იმ ბარონს, ასე კარგად რომ იცის ყველაფერი და ასე უკმეხად რომ ექცევა. ტენარდიეს ბუნების კაცისთვის ყოველი საუბარი ბრძოლაა. აი, ახლავე დაიწყებოდა საუბარი და ჯერაც არ იცოდა, რა მდგომარეობა აერჩია, რომ გამარჯვებული გამოსულიყო. იცოდა, რაზე

იქნებოდა საუბარი, მაგრამ ის კი არ იცოდა, ვის ესაუბრებოდა. სასწრაფოდ გადასინჯა თავისი იარაღი, თავისი მდგომარეობა, თავისი საშუალებანი, „ტენარდიე ვარო“, თქვა და ლოდინი არჩია.

საგონებელში ჩავარდა მარიუსი. ტენარდიე ხელში ჰყავდა, ძლივს! ისე ენატრებოდა ამ კაცის ნახვა და ეს არის იპოვა. მაშასადამე, შეეძლო აესრულებინა თავისი მიცვალებული მამის სურვილი, მაგრამ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს; ვერ წარმოედგინა, რა სამსახური უნდა გაეწია ამ ქურდს, ამ ავაზაკს მამამისისთვის. წუხდა, რომ ამდენი ხანი იყო, ეძებდა ამ კაცს თავისი მამის საფლავიდან ამოძახილი ანდერძის ასასრულებლად და ახლა, როდესაც წინ ედგა ეს კაცი, დაჯილდოების მაგივრად ეჭვი ერეოდა, - შეუძლებელია, ისე არ დამცირდებოდა მამაჩემი, რომ მისი დახმარება დასჭირვებოდაო. ტენარდიეს შესახებ ისე ერეოდა ფიქრები, რომ ისიც კი იფიქრა, მამაჩემის ჯავრს, რომ ამ საზიზღრის დახმარება დასჭირდა, მე ამოვიყრიო. ფიქრები ერეოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო; ძლივს ეღირსებოდა, გაეთავისუფლებინა ამ საზიზღარი მოვალისგან თავისი მამის სახელი. ისე უწუხდა გული, თითქოს ციხეში გამომწყვდეული ჰყოლოდა მამის ხსოვნა ამ ვალის გადაუხდელობის გამო. და ახლა ვალს იხდიდა და მიცვალებულის ხსოვნასაც მწიკვლს აცილებდა.

ამ მოვალეობასთან ერთად მეორეც ჰქონდა; უნდოდა გამოეძია კოზეტის სიმდიდრის წყარო. შემთხვევა კარგი იყო და უნდა ესარგებლა, იქნება იცოდა რამე ტენარდიემ, და კარგი იქნებოდა მის გულის სიღრმეშიც ჩაეხედა.

ტენარდიემ ჯიბეში ჩაიდო ხუთასი ფრანკი და ტკბილად, თითქმის ალერსიანად შეჰყურებდა მარიუსს.

დუმილი დაარღვია მარიუსმა:

- ტენარდიე, თქვენი სახელი გითხარით, გინდათ ახლა თქვენი საიდუმლო გითხრათ, რომელსაც მე მთავაზობდით. მეც მაქვს ცნობები, და დაინახავთ, რომ მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ. ჟან ვალჟანი, როგორც თქვენ თქვით, ქურდია და მკვლელი. ქურდია, რადგან მოჰპარა, რაც კი ჰქონდა ერთი მდიდარი ქარხნის პატრონს, ბატონ მადლენს. მკვლელია, რადგან მილიციის მოხელე ჟავერი მოკლა.

- ვერაფერი გამიგია, ბატონო, თქვენი.

- აი, გაგაგებინებთ, ყური დამიგდეთ: პა-დე-კალეს ერთ მაზრაში, დაახლოებით 1822 წელს, ერთი კაცი იყო, რომელსაც რაღაც საქმე ჰქონდა ოდესღაც სასამართლოსთან და მერე კი გამოსწორებულიყო და მოეცილებინა ყოველი ბრალდება. თურმე ბატონი მადლენი ერქვა. ეს კაცი იმდენად გარდაქმნილიყო, რომ იშვიათი გულკეთილი, პატიოსანი გამხდარიყო, ერთი მართალთაგანი. შავი მინის წარმოება გაეჩაღებინა და ფეხზე წამოეყენებინა მთელი ქალაქი. თავისთვისაც შეეძინა ცოტა რამ, მაგრამ უმთავრესად ხალხზე ზრუნავდა და თავისი პირადი სიმდიდრე შემთხვევით შეეძინა. ღარიბების მამა იყო. ის აცხოვრებდა გაჭირვებულთ, აშენებდა საავადმყოფოებს, სკოლებს, ავადმყოფებთან დადიოდა დასახმარებლად, მზითევს აძლევდა ქალებს, ეხმარებოდა ქვრივებს, საკუთარი შვილებივით ზრდიდა ობლებს, ქვეყნის მფარველი იყო. ჯვარით რომ დააჯილდოეს, უარი განაცხადა და მერად დანიშნეს. ოდესღაც რაღაც დაეშავებინა და თურმე ეს იცოდა ერთმა ყოფილმა კატორღელმა; დაბეზღა, დააჭერინა. ისარგებლა იმით, რომ დაჭერილი იყო ბატონი მადლენი, ჩამოვიდა პარიზში და ლაფიტის ბანკიდან გაიტანა ბატონი მადლენის

ფული, მისი სახელით ისარგებლა და ხელიც მადლენად მოაწერა. მე ეს თვით ლაფიტის ბანკის მოლარისაგან ვიცი. ნახევარ მილიონზე მეტი გაიტანა, მადლენის საკუთრება. ეს კატორღელი, ბატონ მადლენს რომ ფული მოჰპარა, ჟან ვალჟანია. რაც შეეხება მეორე საქმეს, იმისას ვერაფერს მეტყვით, რომ უთქვენოდაც არ ვიცოდე. ჟან ვალჟანმა მოკლა პოლიციელი ჟავერი; მოკლა დამბაჩით, მე თვითონ იქ ვიყავი.

მედიდურად გადახედა ტენარდიემ მარიუსს, როგორც გადახედავდა დამარცხებული, რომელმაც უცბად ხელთ იგდო გამარჯვება, და სწრაფად აინაზღაურა, რაც კი წაგებულად მიაჩნდა. მაგრამ მაინც იღიმებოდა. დიდებულის წინაშე იდგა პატარა კაცი და როგორ გაბედავდა, რომ მოწიწება და პირმოთნეობა არ ეჩვენებინა? და მოწიწებით მოახსენა:

- ბატონო ბარონო, გზა აგცდენიათ.

და ხაზიც კი გაუსვა ამ სიტყვებს, თითზე დაიხვია საათის ძეწკვი.

- რაო? - შეეკითხა მარიუსი, - უარყოფთ ამას? სრული სიმართლეა!

- ქიმერა გახლავთ! ვხედავ, რომ ნდობით მისმენს ბატონი ბარონი და ეს გარემოება ვალდებულს მხდის, მოვახსენო სრული სიმართლე. არ შემიძლია, ბატონო, ვერ ავიტან კაცის უსაბუთოდ გამტყუნებას. ბატონო ბარონო, ჟან ვალჟანს არაფერი მოუპარავს ბატონი მადლენისთვის, ჟან ვალჟანს ხელი არ უხლია ჟავერისთვის.

- კარგია, თქვენმა მზემ! მერე საბუთი?

- ორი, ბატონო.

- აბა, თქვი!

- აი, პირველი: ბატონ მადლენს ვერაფერს მოჰპარავდა, რადგან თვითონ ჟან ვალჟანი გახლავთ ბატონი მადლენი.

- რას მიედ-მოედები?

- და აი, მეორე, ჟავერს ვერ მოკლავდა, რადგან თვითონ ჟავერმა მოიკლა თავი.

- მეც ვეღარაფერი გამიგია!

- ჟავერმა თავი მოიკლა.

- დაამტკიცეთ! დაამტკიცეთ! - შეჰყვირა გაბრაზებულმა მარიუსმა.

ტენარდიემ ხაზგასმით გაუმეორა თავისი ნათქვამი და ისე თქვა, თითქოს ძველებური ალექსანდრიული ლექსი ყოფილიყოს:

- პოლიციის მოხელე ჟავერი დამხრჩვალი იპოვეს შანჟის ხიდთან.

- დაამტკიცეთ-მეთქი, გეუბნებით!

უბის ჯიბიდან ერთი დიდი კონვერტი ამოიღო ტენარდიემ, ლურჯი, დაჭმუჭნილი, რომელშიც, ეტყობოდა, სხვადასხვა ზომის ქაღალდი უნდა ყოფილიყო.

- აი, საქმეში ვნახოთ, - უპასუხა მშვიდად. მერე დაუმატა, - ბატონო ბარონო, თქვენდა სასიამოვნოდ, გადავწყვიტე, კარგად შემესწავლა ჟან ვალჟანი. მოგახსენებთ, რომ ჟან ვალჟანი გახლავთ მადლენი, ჟან ვალჟანი და მადლენი ერთი და ივივე კაცია. მოგახსენეთ, რომ ჟავერს ჟავერის მეტი მკვლელი არავინ ჰყავდა. ჟავერმა მოკლა ჟავერი. და მე რომ ვამბობ რამეს, დასამტკიცებელი საბუთიც თან მაქვს. აი, ამ საქმეში. ხელნაწერი საბუთები კი არა, საეჭვო გახლავთ ხელნაწერი, ადვილად გამოსაყენებელი, მაამებელი. მე დაბეჭდილი საბუთები მაქვს.

ამბობდა და თან საქმეში რაღასაც ეძებდა. ბოლოს ორი ნომერი გაზეთი ამოიღო, ძველი, ჩაყვითლებული, დაჭმუჭნილი, თამბაქოს სუნით გაჟღენთილი. ერთი ნომერი

დიდხანს ჯიბით თრევის გამო ნაკეცებად დახეულიყო და წვრილ-წვრილ ნაჭრებად იშლებოდა.

- ორი გარემოება, ორი საბუთი, - თქვა ტენარდიემ და ორი გაშლილი გაზეთი მიართვა მარიუსს.

მკითხველი იცნობს ამ ორ გაზეთს. ერთი, უფრო ადრინდელი, 1823 წლის 25 ივლისის „დრაპო ბლანის“ ნომერი იყო და ამტკიცებდა, რომ ჟან ვალჟანი და ბატონი მადლენი ერთი და იგივე კაცი იყო. მეორე „მონიტერი“ იყო, 1832 წლის 15 ივნისის, ჟავერის თვითმკვლელობას აცხადებდა და თანაც დასძენდა: აჯანყების დღეს ჟავერი პრეფექტთან იყო და სიტყვიერად მოახსენა, რომ ბარიკადზე იყო, შანვრერის ქუჩაზე, იქ დააპატიმრეს, სიკვდილი მიუსაჯეს; ცოცხალი გადარჩა ერთი დიდსულოვანი აჯანყებულის წყალობით, რომელსაც მიანდეს მისი მოკვლა. მან კი ჰაერში გაისროლა დამბაჩა, ნაცვლად იმისა, გულში ესროლა პოლიციელისთვისო.

წაიკითხა მარიუსმა. ცხადი იყო ყველაფერი, უეჭველი ჭეშმარიტება. იმისთვის კი არ იყო დაბეჭდილი ეს ორი ნომერი, რომ მარიუსისთვის წარედგინათ და მით დაესაბუთებინათ ტენარდიეს სიცრუე. „მონიტერში“ დაბეჭდილი ცნობა პოლიციის პრეფექტისა იყო. ეჭვის მიტანა შეუძლებელი იყო. ტყუილი იყო ბანკის მოლარისაგან მიღებული ცნობა და მარიუსიც მოტყუვდა. განდიდებულად წარმოუდგა მარიუსს ღრუბლიდან უცბად გამოსული ჟან ვალჟანი. სიხარული ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა:

- საკვირველი კაცი ყოფილა ის უბედური! მთელი ის ქონება მართლა მისი ყოფილა. მადლენი ყოფილა, მთელი ქვეყნის ნუგეშისმცემელი. ჟან ვალჟანი ყოფილა, ჟავერის მხსნელი. გმირი ყოფილა! წმინდანი!

- არც გმირი გახლავთ და არც წმინდანი, - მიუგო ტენარდიემ, - მკვლელი და ქურდი გახლავთ, - და იმ კილოთი დაუმატა, რომლითაც აღსავსეა ხელისუფლების მქონე ადამიანი, - დავმშვიდდეთ.

„მკვლელი, ქურდი“ - ეს სიტყვები გამქრალად მიაჩნდა მარიუსს და ხელმეორედ რომ გაიგონა, ისე მოხვდა, როგორც ყინულივით ცივი შხაპი.

- მაინც მაგას ამბობთ?

- დიახ, მაინც. - უთხრა ტენარდიემ, - ჟან ვალჟანმა არ გაქურდა მადლენი, მაგრამ მაინც ქურდია. ჟან ვალჟანმა არ მოკლა ჟავერი, მაგრამ მაინც მკვლელია.

- რის საფუძველზე ამბობთ? ის ქურდობა გაქვთ მხედველობაში, ორმოცი წლის წინ რომ ჩაიდინა და მერე მოინანია? ამას თქვენი მოტანილი გაზეთებივე ამტკიცებენ, მოინანია თავისი თავგანწირული სიცოცხლით, ქველმოქმედებითა და სათნოებით.

- მე ვთქვი, ბატონო ბარონო, მკვლელი და ქურდია-მეთქი. და კიდევ მოგახსენებთ, მე აწმყოს ვეხები, დღევანდელს და არა წარსულს. სრული საიდუმლო გახლავთ, რასაც მე მოგახსენებთ. ეს ქვეყნად არავინ იცის და იქნებ ჩემს საიდუმლოში იპოვოთ წყარო იმ ქონებისა, რომელიც ისე ოსტატურად უძღვნა ჟან ვალჟანმა ქალბატონ პონმერსის. ოსტატურად-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მართლა ოსტატური მოხერხება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამგვარი საჩუქრით შეძვრეს პატიოსან სახლში, ისარგებლოს ამ სახლის კეთილდღეობით და იმავე დროს დამალოს თავისი ავკაცობა, იხაროს თავისი ნაქურდლით, მიჩქმალოს თავისი სახელი და ოჯახი გაიჩინოს.

- შეიძლებოდა, შემეწყვეტინებინა თქვენი სიტყვა, მაგრამ განაგრძეთ.

- ბატონო ბარონო, სულ ყველაფერს მოგახსენებთ და თქვენს გულუხვობას ვანდობ ჩემს გასამრჯელოს. ოქროს ზოდად ღირს ეს საიდუმლო. შეიძლება მითხრათ,

რატომ ჟან ვალჟანს არ მიმართავო? სულ უბრალო მოსაზრებით, ბატონო: ვიცი, რომ მას აღარაფერი გააჩნია. ყველაფერზე უარი თქვა თქვენს სასარგებლოდ და ძალიანაც მომწონს მისი ბრძნული მოხერხება. დიახ, მას აღარაფერი აბადია და იმისთვის, რომ მიმემართა, გახვრეტილ ჯიბეებსღა დამანახვებდა. მე ძალიან მიჭირს, ფული მჭირდება ამერიკაში გადასასახლებლად და თქვენ მირჩევნიხართ, რადგან თქვენ გაქვთ და იმას კი არა... ცოტა დაღლილი გახლავართ და ნება მიბოძეთ, სკამზე დავჯდე.

დაჯდა მარიუსი და ანიშნა, დაჯექითო.

რბილ სკამზე დაჯდა ტენარდიე, თავისი გაზეთები აიღო, დაკეცა, კონვერტში ჩადო, მანამ ჩადებდა, თითი წაჰკრა „დრაპო ბლანს“ და წაიბუტბუტა:

- რამდენი ვეწვალე, სანამ ამას ვიშოვიდი, - მერე ფეხი ფეხზე გადადო, მიესვენა სკამის ზურგს, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელსაც ჭეშმარიტებად მიაჩნია თავისი სათქმელი, და დარბაისლურად მოჰყვა თავისას:

- ბატონო ბარონო, 1832 წლის 6 ივნისს, დაახლოებით ამ ერთი წლის წინ, აჯანყების დღეს, ერთი კაცი იყო მთავარ წყალსადინარში, იმ მხარეს, სადაც მილი სენაში ჩადის, ინვალიდებისა და იენის ხიდებშუა.

მარიუსმა ტენარდიეს გვერდით მიიდგა სწრაფად თავისი სკამი. ტენარდიეს ესიამოვნა ეს მოახლოება მსმენელისა და ნელი სიტყვით განაგრძო, როგორც შეეფერება ორატორს, რომელსაც ხელთ ჰყავს მოსაუბრე და გრძნობს, როგორი შიშით უცემს გული.

- ეს კაცი იძულებული იყო, სულ დამალული ყოფილიყო. ამის მიზეზებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პოლიტიკასთან. საცხოვრებლად ის წყალსადინარი ამოირჩია და გასაღებიც ჰქონდა მისი კარის. ეს გახლდათ, ვიმეორებ, 6 ივნისს. საღამოს რვა საათი იქნებოდა, წყალსადინარში რაღაც ხმაური მოესმა. გაუკვირდა, მოიკუნტა და ყურები ცქვიტა. ფეხის ხმა იყო. ვიღაც მოდიოდა სიბნელეში, მისკენ. უცნაური ის იყო, რომ კიდევ ვიღაც სხვაც იყო წყალსადინარში. გასასვლელი კარი შორს აღარ იყო. პატარა სინათლე შემოდიოდა იმ კარიდან და წყალსადინარში მყოფს საშუალებას აძლევდა, ეცნო ის კაცი და დაენახა, რომ ზურგზე რაღაც მძიმე ეკიდა. ტვირთს მოეხარა კაცი. ის მომავალი, წელში მოხრილი, ერთი ძველი კატორღელი გახლდათ და ზურგზე რომ მძიმე ტვირთი ეკიდა, ეს მკვდარი იყო, უტყუარი საბუთი, რომ კაცი მოკლა; რაც შეეხება ქურდობას, ქურდობა თუ არა, გაძარცვა ხომ იყო, - ადამიანს მუქთად არავინ მოკლავს. გაძარცვა კაცი, მოკლა და სენისკენ მიჰქონდა წყალში ჩასაგდებად. ვინ იყო მკვლელი? ერთი ძველი კატორღელი. ერთი გარემოებაც გახლავთ აღსანიშნავი... შორიდან მოდიოდა ის კატორღელი და გზაში საშინელი ორმო შეხვედროდა; სხვა რომ ყოფილიყო, იქვე დატოვებდა იმ მკვდარს; მაგრამ მეორე დღეს დილით მუშები ჩავიდოდნენ წყალსადინრის შესაკეთებლად, მოკლულ კაცს ნახავდნენ და ეს კი სასურველი არ იყო მკვლელისთვის. საშიში იყო. ისიც ჭკვიანად მოიქცა, ბინძური ორმო გადმოიარა, და თავისი ტვირთიც გადმოიტანა. საშინელი უნდა ყოფილიყო მისი გზა; შეუძლებელია, წარმოუდგენელია ადამიანის ამგვარი თავგანწირვა და ახლაც არ ვიცი, როგორ მოახერხა, რომ თავი დააღწია განსაცდელს.

უფრო მეტად მიუახლოვდა ტენარდიეს მარიუსის სკამი. ამით ისარგებლა ტენარდიემ და ღრმად ამოისუნთქა. მერე განაგრძო:

- წყალსადინარი, ბატონო, მარსის მოედანი კი არ არის. იქ არაფერი მოეპოვება კაცს და ასე გასინჯეთ, სამყოფი ადგილიც კი არა აქვს. თუ ორი კაცია წყალსადინარში, უთუოდ შეხვდებიან ერთმანეთს. და აქაც ასე მოხდა. იქ მცხოვრები და გამვლელი იძულებული იყვნენ, საღამო მშვიდობისა ეთქვათ ერთმანეთისთვის, თუმცა გულით სულ სხვას ნატრობდნენ. მომავალმა უთხრა იქ მცხოვრებს, - ხომ ხედავ, რა ტვირთი მაწევს ზურგზე. უნდა გავიდე აქედან. გასაღები ხომ გაქვს, გამიღე კარი, - საშინელი ძალ-ღონის კაცი იყო ის კატორღელი. შეუძლებელი იყო, უარის თქმა, მაგრამ მაინც ლაპარაკი დაუწყო გასაღების პატრონმა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონაც თვალი გაეხილა: სინჯვა დაუწყო მკვდარს, მაგრამ ვერაფერი დაინახა, გარდა იმისა, რომ უბედური ჭაბუკი იყო, კარგად ჩაცმული, მდიდარს ჰგავდა და სისხლში იყო მთლად ამოსვრილი. ელაპარაკებოდა მკვლელს და ჩუმად, მკვლელის შეუნიშნავად, სერთუკის უკანა კალთა ჩამოახია მკვდარს, - ნივთიერი საბუთი, ბატონო; საშუალება, რომლის დახმარებით შეიძლება კვალი გაიგნოს კაცმა და დაამტკიცოს ავკაცობა. ეს ნივთიერი საბუთი ჯიბეში ჩაიდო იქ მცხოვრებმა. მერე კარი გაუღო, გარეთ გაუშვა ის კატორღელი თავისი ტვირთით, დაკეტა კარი და მიიმალა, რადგან არ უნდოდა ამ საქმეში ჩარევა, მეტადრე არ უნდოდა იქ ყოფილიყო, როდესაც მკვლელი წყალში ჩააგდებდა მკვდარს. ახლა ხომ ხედავთ? მკვდარი რომ ეკიდა ზურგზე, ის გახლდათ ჟან ვალჟანი. გასაღები რომ ჰქონდა ჯიბეში, ის გახლდათ, ვინც თქვენთან არის ახლა და გელაპარაკებათ.

ეს ფრაზა რომ გაათავა ტენარდიემ, ხელი ჩაიყო ჯიბეში, შავი მაუდის ნაჭერი ამოიღო, დაჭმუჭნილი, შავი ლაქებით მოსვრილი. გაშალა, ორივე ხელის ცერებით და სალოკი თითებით ეჭირა მარიუსის თვალწინ.

ფერმიხდილი წამოდგა მარიუსი, გული მისდიოდა, სუნთქვა ეკვროდა, თვალს ვეღარ აშორებდა იმ მაუდის ნაგლეჯს. ხმის ამოუღებლად წავიდა უკან, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მაუდისთვის, კედელთან მივიდა, მარჯვენა ხელით სინჯვა დაუწყო კედელს, რომ იქვე ბუხართან განჯინის კარი და შიგ დატოვებული გასაღები ეპოვა. იპოვა გასაღები, გააღო განჯინის კარი, შეყო შიგ ხელი. განცვიფრებული იყო კაცი, თვალი ისევ იმ მაუდზე ეჭირა, რომელიც ტენარდიეს გაეშალა და ნივთიერ საბუთად აჩვენებდა.

ტენარდიე კი თავისას ამბობდა:

- ბატონო ბარონო, დარწმუნებული გახლავართ და ამის საფუძველიც მაქვს, რომ ის ჭაბუკი, მდიდარი უცხოელი, ჟან ვალჟანმა შეიტყუა მახეში, მოკლა და დიდი ფულიც ამოაცალა.

- ის ჭაბუკი მე ვიყავი და ვარ, აი, თვით სერთუკიც, - შეჰყვირა მარიუსმა და წინ დაუდო ერთი ძველი შავი სერთუკი, მთლად სისხლში მოსვრილი. მერე ხელიდან გამოჰგლიჯა მონახევი ნაჭერი, დააცქერდა, სერთუკი გაშალა, ნაჭერი თავის ადგილზე მიადო. ამ სერთუკის იყო ნაჭერი, ეს ცხადი იყო.

გაქვავებული იყო ტენარდიე, ეს რა ღმერთი გამიწყრაო! - იძახდა გულში.

წამოიწია მარიუსი. თრთოდა კაცი, ცოფი ერეოდა და თან სიხარული.

ხელი ჩაიყო ჯიბეში, გაშმაგებული მივარდა ტენარდიეს, კინაღამ პირში ჩაჰკრა ბანკის ბილეთებით სავსე მუშტი და ლანძღვა დაუწყო:

- ღმერთმა დაგწყევლოთ! ხორცშესხმული ბოროტება ხართ, ცრუ, ცილისმწამებელი, ბილწი, უშვერი! იმ საწყალი კაცის შერცხვენა გინდოდათ და

გაამართლეთ. დაღუპვა გინდოდათ და დიდებით აღადგინეთ. ქურდი ის კი არა, თქვენ ხართ! მკვლელი ის კი არა, თქვენ ხართ! მე თქვენ გნახეთ, ტენარდიე-ჟონდრეტ, თქვენს სოროში ოპიტალის ბულვარზე. ბევრი რამ ვიცი თქვენზე, სრულიად საკმარისი, რომ კატორღაში ამოგაყოფინოთ თავი, და უფრო შორსაც, მე რომ მინდოდეს. აი, ათასი ფრანკი, მკვეხარავ, და გაეთრიეთ აქედან! ვატერლოომ გიხსნათ.

- ვატერლოო! - წამოიძახა გულგამსკდარმა ტენარდიემ და ჯიბეში იკრა ათასი ფრანკი.

- ჰო, მკვლელო, ჰო! თქვენ იქ სიკვდილს გადაარჩინეთ პოლკოვნიკი...

- გენერალი, - წამოიძახა ტენარდიემ და მაღლა აიღო თავი.

- პოლკოვნიკი-მეთქი! - შეუტია მარიუსმა, - გენერლისთვის ერთ სუსაც არავის მივცემდი. და აქ იმიტომ მოხვედით, რომ სამარცხვინო საქმე გაგერიგებინათ. განა იქნება კიდევ ვინმე თქვენისთანა ბედასლი, ფლიდი? გასწით აქედან, მომშორდით! წადით! ღმერთმა გიშველოთ. სხვა არა მინდა რა თქვენთვის. ოჰ, რა საზიზღარი ხართ! აი, სამი ათასი ფრანკი კიდევ. დაიჭით! ხვალვე წადით ამერიკაში, ხვალვე, თქვენი ქალიშვილით, რადგან თქვენი ცოლი ცოცხალი აღარ არის, ვერაგო მატყუარავ! მე თვალს მივადევნებ თქვენს გამგზავრებას და წასვლისას ოცი ათას ფრანკს მოგცემთ, რომ სხვაგან ჩამოგახრჩონ.

- ბატონო ბარონო, საუკუნოდ დავალებული გახლავართ თქვენი მონა-მოსამსახურე, - უთხრა ტენარდიემ და კინაღამ მუხლი მოიყარა.

გავიდა ტენარდიე, აღარაფერი ესმოდა, აღფრთოვანებული იყო და თან დარეტიანებული ამ ოქროს წვიმითა და მეხით, ბანკის ბილეთების სახით რომ დაეცა თავში.

გაშტერებული იყო, მაგრამ კმაყოფილი. კიდევ კარგი, რომ მეხამრიდი არ ჰქონდა, თორემ თან გადაჰყვებოდა ჯავრს.

აქვე გავათავოთ ამ კაცის ამბავი. ორი დღის შემდეგ, მარიუსის დახმარებით ამერიკისკენ გაემგზავრა; თავისი ქალიშვილი, აზელმაც, თან წაიყვანა. სახელი გამოიცვალა. ნიუ-იორკში რომ ჩავიდოდა, ბანკში მიიღებდა ოცი ათას ფრანკს. უხეირო ბურჟუის უკურნებელი ჭირი სჭირდა. ამერიკაში იგივე იყო, რაც ევროპაში. რაც უნდა უმწიკვლო, წმინდა იყოს განზრახვა, თუ ბოროტი სულის კაცი შეეხო, მაშინვე წარყვნის და გააგესლიანებს. ასე მოუვიდა მარიუსის წმინდა განზრახვას: ტენარდიემ მარიუსის ფულით ზანგებით ვაჭრობას მიჰყო ხელი.

როგორც კი მოიშორა ტენარდიე, მაშინვე ბაღში ჩავარდა მარიუსი; კოზეტი ჯერ ისევ ბაღში დასეირნობდა.

- კოზეტ! კოზეტ! - დაუყვირა შორიდან, - აბა, ჩქარა! მივდივართ. ბასკ, ჩქარა ეტლი! მოდი, კოზეტ! ოჰ, ღმერთო! თურმე იმან გადამარჩინა! ჩქარა, ნუ მაგვიანებ. შალი წამოისხი.

„ქმარი გამიგიჟდაო“, - გაიფიქრა კოზეტმა, მაგრამ მაინც დაემორჩილა.

გული უცემდა მარიუსს, ხელი ედო ზედ, რომ ცემა შეეყენებინა, ძლივსღა სუნთქავდა, მიდი-მოდიოდა ჩქარი ნაბიჯით, კოზეტს ეხვეოდა:

- აჰ, კოზეტ! რომ იცოდე, რა საზარელი შეცდომა მომივიდა.

გულგახეთქილს ჰგავდა. სინანული ერეოდა, ახლა სულ სხვაგვარად ესახებოდა ჟან ვალჟანი, - სათაყვანებელ წმინდა არსებად. დიადი სათნოება ეჩვენებოდა.

ლმობიერი და ტკბილი. უსაზღვრო და თან თავმდაბალი. იესო ქრისტედ გარდაქმნილიყო კატორღელი. ამ სასწაულის სხივს ვეღარ უძლებდა მარიუსის თვალი. დანამდვილებით არც კი იცოდა, რას ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ წმინდანს ხედავდა, ანგელოზად გარდაქმნილ ადამიანს.

ჩასვა ეტლში კოზეტი, თვითონაც ავარდა:

- აბა, ჩქარა. ლ'ომ-არმეს ქუჩა, ნომერი შვიდი.

წავიდნენ.

- ოჰ, რა კარგი ხარ! - შესცინა კოზეტმა, - რა ბედნიერი ვარ, რომ მასთან მიგყავარ. რამდენი ხანია მინდოდა, მაგრამ ვერ გიბედავდი. მაშ, ბატონ ჟანს ვნახავთ?

- შენს მამას ვნახავთ, კოზეტ. დღეს უფრო მეტად მამას, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ახლა კი მივხვდი, კოზეტ. გახსოვს, მითხარი, გავროშს რომ წერილი გამოატანე, მე არ მიმიღიაო, ალბათ, მამაშენს ჩაუვარდა ხელში. ის ბარიკადზე მოვიდა ჩემს გადასარჩენად. ანგელოზია, დალოცვილი, და არა ადამიანი! სხვის დასახმარებლად მოვიდა და საცა კი გაჭირვებული ნახა, ყველას ხელი გაუწოდა, სხვებიც გადაარჩინა სიკვდილს. მოსაკლავად გვყავდა ჟავერი და ისიც კი იხსნა. ჯურღმულიდან ამომიყვანა, რომ მოვეყვანე და შენთვის დაველოცე, ზურგზე ამიკიდა დაჭრილი და ისე მატარა წყალსადინარში.

ოჰ, რა უმადური მხეცი ვარ! ჯერ შენი მფარველი ანგელოზი იყო, კოზეტ, და მერე ჩემი. წარმოიდგინე, ერთი საშინელი ბინძური ორმო შეხვდა თურმე იმ ქსელში, ყოველ ნაბიჯზე დახრჩობა და სიბინძურეში ჩაძირვა მოელოდა, მან კი ზედ გადამატარა. გონდაკარგული ვიყავი, ვერაფერს ვხედავდი, არაფერი მესმოდა, ჩემი თავგადასავლის არაფერი ვიცოდი. ახლავე შინ წავიყვანოთ, ჩვენთან გადმოვიყვანოთ. უნდა თუ არ უნდა, ეგ სულერთია! ჩვენთან უნდა იყოს და ჩვენი იყოს! ნეტავ შინ დაგვიხვდეს. მის თაყვანისცემაში გავატარებ სიცოცხლეს. ასეა, ასეა, არა, კოზეტ? გავროშმა მას ჩააბარა ჩემი წერილი. ცხადია ყველაფერი, არა, კოზეტ?

ყურს უგდებდა კოზეტი და ვერ გაეგო, რას ამბობდა მისი ქმარი.

- მართალი ხარ, - უპასუხა კოზეტმა.

ეტლი მიქროდა.

## თავი მეხუთე
## ღამე, რომლის უკან უკვე დღე ბრწყინავს

ჟან ვალჟანს კარზე რომ დაუკაკუნეს, გაიგონა და მისუსტებული ხმით უპასუხა:

- მობრძანდით.

კარი გააღეს. გამოჩნდნენ კოზეტი და მარიუსი.

კოზეტი გიჟივით შევარდა ოთახში. მარიუსი კართან დადგა.

- შენ, კოზეტ? - წამოიძახა ჟან ვალჟანმა. წამოიწია, გაშალა აკანკალებული ხელები. დაღონებული იყო, ფერმიხდილი, სასიკვდილოდ განწირული, მაგრამ სიხარულით უბრწყინავდა თვალი.

გული მისდიოდა კოზეტს, ისე იყო აღელვებული. მივარდა, გულში ჩაეკრა ჟან ვალჟანს.

- მამა! - ამოიკვნესა კოზეტმა.

გიჟს ჰგავდა ჟან ვალჟანი.

- კოზეტ! შვილო! თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო? შენა ხარ, შვილო? ოჰ, ღმერთო!

კოზეტი კი გულში ეკვროდა და გულში იკრავდა.

- მაშ, აქა ხარ, შვილო? შენა ხარ? მაშ, მაპატიე!

- მამა!..

- თქვენც, ბატონო, თქვენც მაპატიებთ?

ხმა ვეღარ ამოეღო მარიუსს. შენიშნა ჟან ვალჟანმა და უთხრა:

- გმადლობთ.

შალი ჩამოიგლიჯა კოზეტმა, ქუდი სკამზე მიაგდო:

- გული გამიწვრილა!

მუხლებზე დაუჯდა მამობილს, ალერსიანად გადაუწია თმა და შუბლზე აკოცა.

ხმას არ იღებდა ჟან ვალჟანი, თავგზააბნეული ემორჩილებოდა კოზეტს.

არაფერი იცოდა კოზეტმა, მაგრამ გრძნობდა ბუნდოვნად, რომ რაღაც აწყენინეს მოხუცს, და უფრო და უფრო უალერსებდა. ცდილობდა, მარიუსის დანაშაულის შენდობა მიეღო.

ჟან ვალჟანი კი ბუტბუტებდა:

- რა სისულელე მოუვლის ხანდახან ადამიანს! მე კი მეგონა, ვეღარ ვნახავდი. წარმოიდგინეთ, ბატონო პონმერსი, სწორედ იმ დროს, როდესაც თქვენ ჩემს კართან იყავით, - გათავებულია, ვეღარ ვნახავ-მეთქი, - ვამბობდი. აი, მისი პატარა კაბა. უბედური ვარ, განწირული, მე კოზეტის ნახვას ვეღარ ვეღირსები-მეთქი, სწორედ იმ დროს მოვთქვამდი, თქვენ რომ კიბეზე ამოდიოდით. რა სულელი ვარ! აი, როგორი გამოყეყეჩებულია ხანდახან ადამიანი. ეს იმიტომ მოსდის, რომ ღვთის განგებას ივიწყებს. გულთამხილავია ღმერთი და ეუბნება, - შენ გგონია, დავიწყებული ხარ, შე საწყალო. არა, ნუ გეშინია. საწყალ კაცს ანგელოზი სჭირდება ნუგეშისსაცემად. და ანგელოზიც გაჩნდება. გაჩნდება ანგელოზი. თავის კოზეტს ხედავს იმედმიხდილი. თავის პატარა კოზეტს ხედავს განწირული. ოჰ, რა უბედური ვიყავი, რა უბედური!

ცოტა ხანს დადუმდა, ღონე მოიკრიბა და განაგრძო!

- უნდა მოგახსენოთ, მართლა ძალიან მესაჭიროებოდა ხანდახან, დროგამოშვებით, კოზეტის ნახვა. გული ხომ გულია და მასაც კი უნდა ჰქონდეს გამოსახრავი ძვალი. მაგრამ კარგად ვგრძნობდი, რომ მე ზედმეტი ვიყავი. ამას მე თვითონ ვუმტკიცებდი ჩემს თავს: მათ აღარ უნდიხარ, ეგდე შენს ოთახში. რა უფლება გაქვს, რომ გამარადისება გინდა. ოჰ, ღმერთო გულთამხილავო, კიდევ მაღირსე ჩემი კოზეტის ნახვა! კოზეტ, იცი, რა მშვენიერი ბიჭია შენი ქმარი! რა ლამაზად არის ამოქარგული შენი საყელო. შენმა მეუღლემ ამოგირჩია? რა გითხრა, იცი? კარგს იზამ, რომ ქიშმირი შეიძინო. ბატონო პონმერსი, კი არ გაჯავრდეთ, შენობით ველაპარაკები. დიდხანს აღარ გასტანს ეს ჩემი თავხედობა.

საყვედურით მიმართა კოზეტმა:

- არა, რატომ მიგვატოვეთ ისე უცბად და ფეხი ამოიკვეთეთ? სად იყავით? სად აპირებდით წასვლას? ასე დიდხანს რად დარჩით? წინათ სულ სამ-ოთხ დღეს მოანდომებდით ხოლმე მგზავრობას. რამდენჯერმე გამოვგზავნე ნიკოლეტი. ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ ყოველთვის, ჯერ არ დაბრუნებულაო. როდის დაბრუნდით? რატომ არ შეგვატყობინეთ? იცით, როგორ ძალიან ხართ

გამოცვლილი. აჰ, საძაგელი მამაჩემი! ავად იყო და ჩვენ კი არაფერი შეგვატყობინა. მოდი, მარიუს, ერთი ეს ხელი ნახე, ნახე, როგორ გაჰყინვია.

- ოჰ, ბატონო პონმერსი. მაშ, მაპატიეთ?

ეს მეორედ მიმართა ამ სიტყვით მარიუსს. ბევრი რამ ჰქონდა გულში მარიუსს, ამ სიტყვამ გაუხსნა გამოსავალი და მანაც თავისუფალი გზა მისცა თავის გულისნადებს:

- გესმის, კოზეტ! იქამდე მისულა კაცი, რომ მე მთხოვს შენდობას, და იცი, რა მიყო, რა ვალი დამადო? სიკვდილს გადამარჩინა. უფრო მეტიც, კოზეტი მომცა. და მერე? მე რომ სიკვდილისგან მიხსნა და კოზეტი მიძღვნა, მერე? რა უყო თავის თავს? თავი გასწირა. აი, ნამდვილი ადამიანი. და ახლა მე მომმართავს, მე - უმადურს, მე - ულმობელს, მე - დამნაშავეს და მადლობას მეუბნება. კოზეტ, მე რომ ჩემი სიცოცხლე ამ კაცის ფეხთა წინაშე გავატარო, იმითაც კი ვერ გადავუხდი სიკეთეს. ჯერ ბარიკადი, მერე კლოაკა, ის ნარცხის ორმო, თავის ფეხით გადმოიარა ეს ყველაფერი მამაშენმა ჩემთვის და შენთვის, კოზეტ. ზურგზე ამიკიდა და მოვყავდი, თან სიკვდილს მიგერიებდა, რომელიც თავს არ მანებებდა, თან მომდევდა. კოზეტ, ანგელოზია ეს კაცი და ამ ანგელოზშია მოგროვილი ყოველი სიკეთე, ყოველი სათნოება, ყოველი უმწიკვლოება და სიწმინდე.

- კარგი, გეყოფათ, - უთხრა ჩუმი ხმით ჟან ვალჟანმა, - რა საჭიროა, ამას რომ ამბობთ?

- და თქვენ, - შეჰყვირა მარიუსმა გაბრაზებით, რადგან თაყვანისცემის იყო ეს გაბრაზება, - რატომ თქვენ არ თქვით? ეგეც თქვენი შეცდომა. კაცს სიკვდილისგან იხსნით და თქმით კი არაფერს ეუბნებით. უარესსაც სჩადიხართ; აღსარების თქმა გნებავთ და ცილს სწამებთ თქვენს თავს. საშინელია თქვენი საქციელი.

- მე სიმართლის მეტი არაფერი მითქვამს.

- არა, - მიუგო მარიუსმა, - სიმართლე მაშინ არის სიმართლე, როდესაც სრულად არის აღიარებული. თქვენ კი ნაწილი თქვით და უმთავრესი დამალეთ. ბატონი მადლენი ყოფილხართ. რატომ არ მითხარით? ჟავერი სიკვდილს გადაარჩინეთ. რატომ არ მითხარით? თქვენ რომ არ დამხმარებოდით, მკვდარი ვიქნებოდი. რატომ არ მითხარით?

- იმიტომ, რომ მეც ისევე ვფიქრობდი, როგორც თქვენ. ვფიქრობდი, რომ მართალი იყავით. ვხედავდი, რომ საჭირო იყო ჩემი წასვლა. თქვენ რომ გცოდნოდათ იმ კლოაკის ამბავი, აღარსად გამიშვებდით. მეც გაჩუმებული ვიყავი. მე რომ მეთქვა, შევავიწროებდი ყველას.

- ვის შეავიწროებდით? რას? - ჰკითხა მარიუსმა, - იქნებ გგონიათ, რომ ისევ აქ დარჩებით. ახლავე თან წაგიყვანთ. ღმერთო, ღმერთო! რომ მომაგონდება, რა შემთხვევით გავიგე ყველაფერი? ახლავე წაგიყვანთ. თქვენ ჩვენი ოჯახის წევრი ხართ. თქვენ კოზეტის მამა და ესე იგი, ჩემი მამაც ხართ. ერთ დღესაც აღარ დაგტოვებთ ამ საძაგელ სახლში, ხვალ აქ აღარ იქნებით.

- ხვალ აქ აღარ ვიქნები, - მიუგო ჟან ვალჟანმა, - მაგრამ არც თქვენთან ვიქნები.

- მაშ, რას აპირებთ? - ჰკითხა მარიუსმა, - მართლა, თქვენი მგზავრობა? აღარსად გაგიშვებთ, ამიერიდან აღარავითარი მგზავრობა! თქვენ ჩვენი ხართ და ჩვენთან იქნებით.

- დიახ? - ჩაერია კოზეტი, - აქვე ახლო, ქუჩაში, ეტლი გველოდება. გტაცებთ ხელს და მოგიტაცებთ. თუ გაჭირდა, ძალას ვიხმართ და ისე წაგიყვანთ.

სიცილი წასკდა და მივარდა მოხუცს, თითქოს მართლა ხელში უნდა აიყვანოსო.

- თქვენი ოთახი ისევ ისეა ჩვენს სახლში, - განაგრძო კოზეტმა, - რომ იცოდეთ, რა მშვენიერია ახლა ჩვენი ბაღი. იელი საუცხოოდ ყვავის; ხეივნებში ყველგან ქვიშა დავაყრევინეთ, მდინარის ქვიშა ამოვიტანეთ, შიგადაშიგ ლოკოკინებია. ახლა ჩემი მარწყვი თქვით. ერთი გემო ნახეთ! მე თვითონ ვრწყავ ყოველთვის. და ეს იცოდეთ, აღარც თქვენი ქალბატონი მინდა, აღარც ბატონი ჟანი! ნუ დაგავიწყდებათ, რომ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ, შენობით ლაპარაკობს მთელი ქვეყანა, არა, მარიუს? დიახ, შეცვლილი გახლავთ თქვენი განრიგება. ოჰ, რომ იცოდეთ, რა უბედურება მეწია ამას წინათ. ერთმა გულწითელამ ბუდე გაიკეთა კედელში. მიეპარა ერთი საზარელი კატა და შემიჭამა ჩემი ჩიტუნია. გამოყოფდა ხოლმე ბუდიდან თავს საწყალი და სულ მე შემომცქეროდა. რამდენი ვიტირე! მოვკლავდი იმ კატას, ხელში რომ ჩამვარდნოდა. მაგრამ ახლა აღარავინ ტირის. სულ იცინიან, ყველანი. ბედნიერია მთელი ქვეყანა. მაშ, ერთად მივდივართ? როგორ ესიამოვნება ბატონ ჟილნორმანს. თუ გნებავთ, რამდენიმე კვალი დამითმია თქვენთვის ბაღში. თქვენ მოუარეთ და, აბა, ვნახოთ, ვისი მარწყვი ემჯობინება, ჩემი თუ თქვენი? ყველაფერს გამიგონებთ, რასაც კი დაგავალებთ. ჩემებურად იქნება სულ ყველაფერი, მე დამემორჩილებით, უჩემოდ ფეხს არსად გადგამთ.

ყურს უგდებდა ჟან ვალჟანი და აღარ ეყურებოდა. კოზეტის ხმის მუსიკა ესმოდა უფრო, ვიდრე მისი სიტყვის მნიშვნელობა. ერთი მსხვილი ცრემლი უგროვდებოდა თვალში, მოღრუბლული სულის მარგალიტი, და სიამოვნებით თქვა ჩუმი ხმით:

- დასამტკიცებლად იმისა, რომ კეთილია ღმერთი, ისიც კმარა, რომ კოზეტს ვხედავ.

- მამა! - შესძახა კოზეტმა.

ჟან ვალჟანმა განაგრძო:

- მართლაც კარგი რამ იქნებოდა ერთად ცხოვრება. ამათი ბაღი სავსეა ჩიტებით. ხშირად ვისეირნებდით მე და კოზეტი. ტკბილი უნდა იყოს ერთად ცხოვრება, ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის სიყვარული. დილიდანვე ერთად არიან, ერთმანეთს ხედავენ. პატარა კვალს ამოვირჩევდით ბაღში. ჩვენ მოვუვლიდით. კოზეტი თავის მარწყვს მაჭმევდა, მე ჩემს ვარდებს მივართმევდი. ბედნიერება იქნებოდა, მომხიბლავი ბედნიერება, ოღონდ... - შეწყვიტა სიტყვა, მერე ტკბილად დაუმატა, - ეჰ, რა გაეწყობა?!

არ ჩამოვარდა ის ცრემლი, თვალშივე მიიმალა. ცრემლის მაგივრად ღიმილი მოერია ჟან ვალჟანს.

მოხუცის ხელებს მივარდა კოზეტი, ხელში აიღო:

- აჰა, ღმერთო! - შეჰყვირა შეშინებულმა, - გაყინული გაქვთ ხელები. ავად ხომ არა ხართ? ხომ არაფერი გტკივათ?

- მე, არა, - უპასუხა ჟან ვალჟანმა, - ძალიან კარგად ვარ, ოღონდ... - გაჩუმდა.

- ოღონდ რა?

- ახლა მოვკვდები.

მარიუსიც და კოზეტიც აკანკალდნენ.

- ღმერთმა დაგიფაროთ! რა დროს სიკვდილია!

- სიკვდილი არაფერია, - მიუგო ჟან ვალჟანმა. მერე გულიანად ამოისუნთქა, გაიღიმა და კოზეტს სთხოვა, - განაგრძე, შვილო, შენი ამბავი. მაშ, გულწითელა კატამ შეგიჭამა? განაგრძე, მითხარი რამე, გამაგონე შენი ხმა.

გაქვავებულივით იდგა და შესცქეროდა მარიუსი.

კოზეტმა შეჰკივლა.

- მამა! მამა! მე რაღას მიპირებთ? არა, მამა, იცოცხლეთ, რომ ჩვენც ბედნიერი ვიყოთ.

წამოიწია ჟან ვალჟანმა, თაყვანისცემით შესცქეროდა კოზეტს.

- ჰო, შვილო, ჰო! ამიკრძალე სიკვდილი. ვინ იცის, იქნებ კიდეც დაგემორჩილოთ. ვკვდებოდი, თქვენ რომ მოხვედით. ვკვდებოდი და თქვენ მომასულიერეთ.

- რა დროს სიკვდილია, რას ბრძანებთ? - შეჰყვირა მარიუსმა, - ძალ-ღონით სავსე კაცი ხართ. როგორ წარმოიდგინეთ, რომ აგრე უმიზეზოდ კვდებოდეს ჯანსაღი კაცი? სევდა გაწუხებდათ. სევდა კი არა, საფიქრებელიც აღარაფერი გექნებათ. ბოდიშს ვიხდი, აი, მუხლმოყრილი გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი დანაშაული. ჩვენთან იქნებით და დიდხანსაც იცოცხლებთ. ჩვენთან გადაგიყვანთ. აი, ორნი ვართ აქა და გარწმუნებთ, თქვენი მშვიდობის და კეთილდღეობის მეტი სხვა ჩვენს დღეში არა გვექნება რა.

- აი, ხომ ხედავთ, - უთხრა ტირილით კოზეტმა, - მარიუსიც იმას ამბობს, სასიკვდილო ჯერ არაფერი აქვს.

ჟან ვალჟანი ისევ ტკბილად იღიმებოდა.

- ეჰ, კიდეც რომ გადამიყვანოთ თქვენთან, ბატონო პონმერსი, განა მაგით ისე გარდამქმნით, რომ ის აღარ ვიყო, რაც ვარ? არა, ბატონო, ღმერთმაც განიხილა ჩემი საქმე, როგორც თქვენ და მე, და აღარ ცვლის თავის ნებას; ძალიან კარგი იქნება, რომ გამოვეთხოვო ამ წუთისოფელს. სიკვდილისთანა კარგად არავინ არიგებს საქმეს. ღმერთმა უკეთ უწყის, ვიდრე ჩვენ, რასაც გვიბრძანებს. ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ბატონო პონმერსი და კოზეტ. დატკბით ერთმანეთით, დატკბით სიყმაწვილით და სიყვარულით, ბუნების მშვენიერებით, ზეციური სიწმინდით, გამრავლდით და ბედნიერი იყავით თქვენი შვილებით. მე კი, მე დღეს აღარად ვარგივარ და დროა, წავიდე. ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდით: დამშვიდდით, დღეს შესაძლებელი აღარაფერია, მე ვგრძნობ, რომ გათავებულია ყველაფერი. ამ ერთი საათის წინ გული წამივიდა და წუხელის კიდევ სულ გამოვცალე, რაც კი წყალი მოიპოვებოდა ჩემს სახლში. რა გულკეთილია შენი ქმარი, კოზეტ. მასთან გაცილებით უფრო ბედნიერი ხარ, ვიდრე ჩემთან.

კარი შემოაღეს ამ დროს. ექიმი შემოვიდა.

- დილა მშვიდობისა და მშვიდობით, ბატონო ექიმო, - მიმართა ჟან ვალჟანმა, - აი, ჩემი საყვარელი შვილები.

მარიუსი მაშინვე ექიმს მივარდა. ერთადერთი სიტყვა უთხრა, - „ბატონო“, მაგრამ ცხადად ჩანდა ამ სიტყვაში მოქცეული კითხვა.

ექიმმაც მარიუსს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და ამით უპასუხა.

- შეიძლება იყოს რამე ისეთი, რომ არ მოგვწონდეს, მაგრამ არ ივარგებს, ღმერთს ვემდურეოდეთ და ვამტყუნებდეთ, - თქვა ჟან ვალჟანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გულდამძიმებული იყო.

ჟან ვალჟანი კოზეტისკენ მიბრუნდა და ისეთი თვალით დაუწყო ჭვრეტა, თითქოს უნდოდა მისი სურათი თან წაეღო მარადისობაში. სიკვდილის ხელთ იყო, მისი

წყვდიადი ეფინებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შეეძლო აღტაცებული თვალით ეცქირა კოზეტისთვის. კოზეტის უმანკო სახის ანარეკლი სცემდა და ანათებდა მომაკვდავის გულს. საფლავსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი მშვენიერება.

მაჯა გაუსინჯა ექიმმა.

- მაშ, თქვენა ხართ, რომ ასე საჭირო იყავით მისთვის? - თქვა ჩუმად ექიმმა და მარიუსსა და კოზეტს გადახედა. მერე მარიუსისკენ მიბრუნდა და ყურში ჩასჩურჩულა, - გვიანღა არის.

ჟან ვალჟანი თვალს არ აშორებდა კოზეტს, მაგრამ წამით მაინც გადახედა მარიუსს და ექიმს. სრულიად დამშვიდებული იყო, ისე ჩუმი ხმით თქვა რამდენიმე სიტყვა, რომ ძლივს ისმოდა იმ სიჩუმეში:

- რომ მოკვდება კაცი, ეგ არაფერია. საშინელი ის არის, რომ არ ცოცხლობს.

უცბად წამოდგა. ასე ძალ-ღონე რომ დაუბრუნდება მისუსტებულს, ხანდახან აგონიის ნიშანია. მტკიცე ნაბიჯით მივიდა კედელთან, მოიშორა მარიუსი და ექიმი, რომლებიც ცდილობდნენ, მიშველებოდნენ, კედლიდან თითბრის ჯვარცმა ჩამოიღო, ლურსმანზე რომ ეკიდა, მივიდა ისევ თავის სკამთან ჯანსაღი კაცის სრული თავისუფლებით, ჯვარცმა მაგიდაზე დადო და ხმამაღლა თქვა:

- აი, დიადი წამებული.

მერე გული ჩაუვარდა, თავი შეერხა, თითქოს საფლავის სიმთვრალე მოერიაო, და ორი ხელით მუხლებზე დაყრდნობილმა ფრჩხილით ფხეკა დაუწყო შარვლის მაუდს.

კოზეტი ქვითინებდა. ცდილობდა, მხრები დაეჭირა მომაკვდავისთვის, ცდილობდა, კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ ქვითინმა სძლია. მის ტირილში ძლივს ისმოდა თითოოროლა სიტყვა:

- მამა! ნუ დაგვტოვებთ! ნუთუ იმიტომ გიპოვეთ, რომ საუკუნოდ დაგვკარგოდით?

შეიძლება ვთქვათ, რომ აგონია გველივით იკლაკნება. მიდის, მოდის, საფლავისკენ მიისწრაფვის, უკანვე ბრუნდება სიცოცხლისკენ. სიკვდილსაც სცოდნია ხელის ცეცებით სინჯვა. ჟან ვალჟანი გულწასულივით იყო ცოტა ხანს. მერე მოსულიერდა. მომაგრდა, თავი გაიქნია, თითქოს სიბნელის ჩამოშორებას ცდილობდა, თითქმის გამოცოცხლდა. კოზეტის სახელო მიიდო პირზე და კოცნა დაუწყო.

- გამობრუნდა, ექიმო, გამობრუნდა! - შეჰყვირა მარიუსმა.

- გულკეთილი ხართ ორივე, - უთხრა ჟან ვალჟანმა, - მოდი, იმასაც გეტყვით, რაზე მწყდებოდა გული. გულს მიკლავდა, ბატონო პონმერსი, რომ თქვენ არ გნებავდათ იმ ფულის დახარჯვა. ეს ფული თქვენი მეუღლის სრული საკუთრებაა. ახლავე აგიხსნით: სწორედ ამიტომ ვარ ასე კმაყოფილი, რომ თქვენ გხედავთ. შავი გიშერი ინგლისიდან შემოაქვთ, თეთრი გიშერი - ნორვეგიიდან. ეს ყველაფერი აი, აქ არის, ამ ქაღალდში, თქვენ წაიკითხავთ. სამაჯურისთვის მე სხვა რამ მოვიგონე. წარმოების ხარჯი შევამცირე. ჩემი გამოგონებით გავაუმჯობესე ნაწარმი, გავალამაზე და გავაიაფე. წარმოგიდგენიათ, რამდენის მოგება შეიძლება, ასე რომ მოეწყობა საქმე. ამნაირად არის შეძენილი კოზეტის ფული და, მაშასადამე, მისი საკუთრებაა. ამას იმიტომ გეუბნებით ასე დაწვრილებით, რომ გული დაიმშვიდოთ.

მეკარის ცოლი ამოსულიყო, კარი შემოეღო და ოთახში იყურებოდა. ექიმმა ანიშნა, საჭირო არა ხარო, მაგრამ გაჩუმებით კი ვერ გააჩუმა. პატივს სცემდა ავადმყოფს და შემოსძახა, ვიდრე წავიდოდა:

- მღვდელი არ გნებავთ?

- მღვდელი აქ მყავს, - უპასუხა ჟან ვალჟანმა და თითი გაიშვირა მაღლა კედლისკენ, თითქოს იქ ეგულებოდა და ხედავდა.

და მართლაც შეიძლება, იქ ბრძანდებოდა იმ დროს ეპისკოპოსი.

კოზეტმა ბეჭებქვეშ ბალიში ჩაუდო ფრთხილად.

ჟან ვალჟანი ისევ ფულს დაუბრუნდა:

- ბატონო პონმერსი, ფიქრი ნუ გაქვთ, დამიჯერეთ. ექვსასი ათასი ფრანკი კოზეტის გახლავთ. ამაოდ დაკარგულად ჩამივლიდა ჩემი ცხოვრების შრომა, თუ იუკადრისებდით მაგ ფულს. ძალიან კარგად მოვაწყვეთ ჩვენი ქარხანა. ვექიშპებოდით უცხოელების ნაწარმს და წარმოიდგინეთ, ბერლინურ საქონელსაც კი ვჯობნიდით. სამი ფრანკი ღირდა კოლოფი, რომელშიც ათას ორასი მძივი იყო კარგად გათლილი.

საყვარელი რომ გვიკვდება ვინმე, ისე დავცქერით ყველანი, თითქოს გვინდა მზერით ჩავებღაუჭოთ და არსად გავუშვათ. კოზეტი და მარიუსიც ასევე იყვნენ. იდგნენ მწუხარებით დამუნჯებულნი, აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ მომაკვდავისთვის, თრთოდნენ იმედმიხდილნი და თვალს აღარ აშორებდნენ. კოზეტს მარიუსის ხელი ეჭირა.

თანდათან სუსტდებოდა ჟან ვალჟანი, ძირს ეშვებოდა, უახლოვდებოდა შავბნელ ჰორიზონტს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა, ხანდახან სუნთქვას ხრიალი ერეოდა. ხელს ძლივსღა ამოძრავებდა, ფეხები კი გაშეშებოდა, სისუსტე ემატებოდა და ამავე დროს, შუბლზე ეფინებოდა სულიერი სიწმინდე და ბრწყინვალება. არაამქვეყნიური ნათელი უღვიოდა თვალში.

ფერი მისდიოდა, სახე უღიმოდა. სიცოცხლე წასვლოდა, სხვა რაღაც დარჩენოდა მის ნაცვლად. სუნთქვა ეკვროდა, თვალი უელავდა, ეს იყო ცხედარი, რომელსაც ფრთები შესხმოდა.

კოზეტს ანიშნა, მომიახლოვდიო, მერე - მარიუსს. უკანასკნელი წამი უნდა ყოფილიყო სიცოცხლის უკანასკნელი ჟამისა და ჩუმად დაუწყო მათ ლაპარაკი, ისეთი სუსტი ხმით, რომ შორიდან მომავალს უფრო ჰგავდა, ვიდრე იქვე ნათქვამს, თითქოს კედელი ყოფილიყოს მათ შორის ამართული:

- ახლოს მოდი, კოზეტ, ახლოს მოდით ორივე. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. ოჰ, კარგი რამ არის ასე სიკვდილი. შენ გიყვარვარ, ვიცი, ჩემო კოზეტ. კარგად ვიცი, რომ ყოველთვის გიყვარდა შენი ბებერი მამა. რა კარგად ჩამიდე ბეჭებქვეშ ეს ბალიში! დაგნანდები, შვილო, ვიცი, დამიტირებ, ცოტად მაინც, ჰა? ძალიან კი არა, არ მინდა, რომ ნამდვილი მწუხარება გამოსცადო. გაიხარეთ, გამხიარულდით, შვილებო! ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ თუ აბზინდას სარჭი არ ჰქონდა, უფრო მეტ მოგებას იძლეოდა, ვიდრე სხვა რამე. ერთი კოლოფი, თორმეტი თორმეტეული ათი ფრანკი გვიღირდა და სამოცად იყიდებოდა. საუცხოო ვაჭრობა გვქონდა. მაშ, ნურც გაიკვირვებთ, ბატონო პონმერსი, ექვსასი ათასი ფრანკი პატიოსანი შრომით არის შეძენილი. შეგიძლიათ სრულიად დამშვიდებული ფლობდეთ სიმდიდრეს. ერთი კარგი ეტლი გინდათ, ხანდახან ლოჟა თეატრში, კარგი

საზეიმო ტანისამოსი, ჩემო კოზეტ, და კარგი მასპინძლობა, რომ მოალხინოთ თქვენი მეგობრები და თქვენც მოილხინოთ. ეს არის ახლა მივწერე კოზეტს. აქვე იპოვით ჩემს წერილს. კოზეტს ვუტოვებ ორ შანდალს, ბუხარზე რომ მიდგას. ვერცხლისაა ორივე. ჩემთვის კი ოქროსია, ალმასის, სანთელს რომ აანთებთ ამ შანდლებით, წმინდა სანთლად იქცევა. არ ვიცი, რამდენად კმაყოფილია ჩემი იქ, ზევით, ის, ვინც ეს შანდლები მიბოძა. რაც კი შემეძლო, ვეცადე, გამეკეთებინა. არ დაგავიწყდეთ, ჩემო კარგებო, რომ მე ერთი ღარიბი კაცი ვარ და სულ უბრალოდ დამმარხეთ, საცა მოგხვდეთ, ერთი ქვის ქვეშ, რომ ნიშანი მაინც იყოს. ეს არის ჩემი ანდერძი, ქვაზე ჩემი სახელი არ იყოს. ხანდახან რომ მოვიდეს ხოლმე კოზეტი, ძალიან მასიამოვნებს და თქვენც, ბატონო პონმერსი. ერთშიც უნდა გამოვიტყდეთ, კარგი თვალით არ გიყურებდით წინათ; გთხოვთ, ესეც შემინდოთ. ახლა კი, თქვენ და ჩემი კოზეტი, ორნი კი არა, ერთი ხართ ჩემთვის. დიდი მადლობელი ვარ თქვენი. ვგრძნობ, რომ გამიბედნიერებთ კოზეტს. რომ იცოდეთ, ბატონო პონმერსი, როგორ მახარებდა კოზეტის წითელი ლოყები! ოდნავ ფერმკრთალი რომ მენახა, შევწუხდებოდი. კამოდში ერთი ბილეთი დევს, ხუთასფრანკიანი; ჯერ მისთვის ხელი არ მიხლია, ეგ ღარიბებისთვის იყოს. კოზეტ, ხედავ შენს პატარა კაბას, აგერ, ჩემს ლოგინზე? იცანი თუ არა? სულ ათი წელიწადია მას აქეთ. როგორ გარბის დრო! რა ბედნიერები ვიყავით! გათავდა და მორჩა! ნუ, ნუ იტირებთ! არც ისე შორს მივდივარ. იქიდანაც კარგად დაგინახავთ. თქვენ ამოიხედეთ ხოლმე ღამით, მაშინვე დამინახავთ მხიარული ღიმილით. კოზეტ, კიდევ გახსოვს მონფერმეილი? გახსოვს, ტყეში რომ იყავი, შიშით გული გისკდებოდა? გახსოვს, მე რომ ხელი წავავლე შენს გოვზაკს, წყალი რომ მიგქონდა? მაშინ იყო, რომ პირველად შევეხე შენს პაწია ხელს. გაყინული გქონდა ხელი. ოჰ, რა წითელი ხელები გქონდათ მაშინ, ქალბატონო, და რა თეთრი ხელები გაქვთ ახლა! დიდი დედოფალა? გახსოვს? კატერინი რომ დაარქვი? როგორ ნანობდი, რომ მონასტერში ვერ შეიყვანე. ღმერთო, როგორ მაცინებდი ხოლმე ხანდახან, ჩემო ტკბილო ანგელოზო! როგორც კი გაავდრდებოდა, ჩაყრიდი ხოლმე წყალში ჩალას და უყურებდი, როგორ მიაქანებდა წყალი, ერთხელ ტირფის ჩოგანი და ბუმბულიანი ვოლანი გაჩუქე, ბუმბული ზოგი ყვითელი იყო, ზოგი მწვანე, ზოგი ლურჯი. დაგავიწყდა, განა? იმისთანა ანცი იყავი, რას არა შვრებოდი. ალუბალს რომ ჩამოიკიდებდი ხოლმე ყურებზე? ეჰ, წავიდა, გაქრა. მხოლოდ ჩრდილივით დამრჩა ის ტყე, ერთად რომ გავიარეთ მე და პაწიამ; ის ხეები, ერთად რომ დავსეირნობდით, მონასტერი, სადაც დამალული ვიყავით, თამაში, ბავშვის ტკბილი სიცილი. მე კი მეგონა, ჩემი საკუთრება არის-მეთქი ის მოგონება. რა საძაგლები იყვნენ ის ტენარდიეები! უნდა შევუნდოთ, კოზეტ, ახლა კი დრო არის, დედაშენის სახელი გითხრა. ფანტინი ერქვა. დაიხსომე ეს სახელი, - ფანტინი. მუხლი მოიყარე ხოლმე ყოველთვის, როცა კი დედაშენის სახელი ახსენო. წამებული იყო საწყალი, ძლიერ უყვარდი. უბედურებად წაუვიდა ის ყველაფერი, რითაც შენ ასე ბედნიერი ხარ. ეგეც ღვთის ნებაა. ის იქ არის, ზევით, იქიდან დაგვყურებს და ძალიან კარგად იცის, რაც ნებავს, ამოდენა ვარსკვლავებით გარშემოხვეულს. მაშ, მივდივარ. გიყვარდეთ ერთმანეთი. ამქვეყნად სხვა არაფერია, გარდა სიყვარულისა. ხანდახან ის საწყალი ბებერიც მოიგონეთ ხოლმე, აქ რომ კვდება. ოჰ, ჩემო კოზეტ! ჩემი ბრალი კი არ არის, რომ ვეღარ გნახე ამდენ ხანს. გულს მიკლავდა უშენობა, თქვენი ქუჩის კუთხემდე მოვდიოდი, იქიდან შემოვცქეროდი თქვენს სახლს. უცნაურად ვეჩვენებოდი, ვინც

დამინახავდა თქვენკენ მომავალს. გიჟი ვეგონებოდი და გიჟიც ვიყავი მართლა; ერთხელ თავშიშველი გავედი ქუჩაში, შვილებო! ძლივსღა გხედავთ. რამდენი მქონდა კიდევ სათქმელი? ეჰ, სულერთია. მომიგონეთ ხოლმე ხანდახან. დალოცვილი ხართ ორივე! არ ვიცი, რა მემართება. სინათლეს ვხედავ. ახლოს მოდით. ბედნიერი ვკვდები. თქვენი ძვირფასი თავები მომიახლოეთ, რომ ხელი დაგადოთ.

დაიჩოქეს კოზეტმა და მარიუსმა. თავზარდაცემული იყვნენ ორივენი. ცხარე ცრემლით ტიროდნენ. მომაკვდავის ხელი ედო ორივეს თავზე, უკვე აღარ იძროდა ეს ხელები.

უკან გადაწოლილიყო და ისე დაელია სული. ბუხარზე ორ შანდალში სანთელი ენთო და მისი სინათლე უნათებდა სახეს. სახე ზეცისკენ მიემართა, ხელები კოზეტისთვის და მარიუსისთვის მიენდო საკოცნელად. ჟან ვალჟანი მკვდარი იყო.

ბნელი ღამე იდგა, ვარსკვლავი არსად ჩანდა. უეჭველია, იმ ბნელში მიცვალებულის სულის მოლოდინში იდგა რომელიმე ფრთაგაშლილი დიადი ანგელოზი.

## თავი მეექვსე
## ბალახი ფარავს და წვიმა შლის

პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მდიდრების დასამარხავად ცალკე უბანია. აქ ადამიანს მარადისობის თვალწინ გამოუფენია მრავალგვარი, სიკვდილის უგვანი მოდის მიხედვით გამოქანდაკებული მდიდრად მორთული ძეგლები. ამ მიცვალებულთა ქალაქში ცალკე უბანია ღარიბებისთვის, საერთო საფლავში დასამარხავად.

მიყრუებულ კუთხეში, ძველი კედლის გასწვრივ, დიდი ურთხმელის ქვეშ, რომელზედაც ხავსსა და ბალახს შორის ხვართქლა აცოცებულა, არის ერთი საფლავის ქვა. არც ამ ქვას დაუღწევია თავი დროთა მსვლელობის კეთროვნებისგან, როგორც ყველა სხვას, მასაც ზედ ადევს ხავსი და ფრინველთა სკორე. წყალი ამწვანებს, ჰაერი აშავებს. ახლოს არა აქვს არც გზა, არც ბილიკი და არავინ დადის ამ მხარეს, რადგან მაღალია აქეთ ბალახი და ფეხს უსველებს კაცს. თუ მზემ გამოაჭყიტა, ხვლიკები ესტუმრებიან იქაურობას. ირგვლივ ყველგან მაღალი შვრია შრიალებს. გაზაფხულდება და ბუკიოტის გალობა ისმის ურთხმლის ტოტებიდან.

მარტო ქვა ადევს საფლავს, შიშველი ქვა. ამ ქვას საფლავისთვის რომ თლიდნენ, ერთი კაცისთვის გულისხმობდნენ. გრძელი, ვიწრო ქვა დაადეს. ქვაზე არ წერია, ვინ განისვენებს მის ქვეშ. მაგრამ დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ერთ ხელს დაეწერა ფანქრით იმ საფლავის ქვაზე შვიდი სტრიქონი, რომელსაც ნელ-ნელა შლიდა წვიმა და მტვერი. დღეს იქნებ ქვას იმ წარწერის ნატამალიც აღარ აჩნდეს:

მას სძინავს.
თუმცა უბედობა ენახა ბევრი,
მაინც ცხოვრობდა.
განუტევა აწ უკვე სული.
ჩვეულებრივად მოუვიდა სიკვდილის ჯერი,
როგორც მწუხრის ჟამს
დღის ნათელს ცვლის სიბნელე სრული.